ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება

როსტომ ჩხეიძე

ხან მიწისა და ხან ცისა



აკაკი წერეთლის
ცხოვრების ქრონიკა

„ჩვენი მწერლობა“
თბილისი
2017

რედაქტორები
ელგუჯა თავგერიძე
ნინო ვახანია

მხატვარი
თამარ მინაშვილი

ოპერატორი
თამარ ჩიხლაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თენგიზ როგიტაშვილი

ISBN 978-9941-27-826-6
© როსტომ ჩხეიძე, 2017

ვინც რომ მიყვარს, ის ხომ მიყვარს;
ისიც მიყვარს, ვინც რომ კი მძულს,
მწარე ენას ვამსახურებ
გაწმენდილს და მარად ტკბილ გულს.
აკაკი წერეთელი

მე მგონია მისთვის ვართ,
ქვეყნად მოვლინებული,
მაცხოვარი რისთვისაც
იქმნა ჯვარზე ვნებული.
აკაკი წერეთელი

ხელს არა ვაჭყოფ გარეგნად
გაბრწყინვებას და მკობასა
ვერ დავუთმობ ვერავის
შინაგან აკაკობას.
აკაკი წერეთელი

ნინასიტყვაობის მაგიერ
ან
ჯვარცმული ქვეყნის სახარება

— აკაკის პიროვნება ქართველების ბედის ნატეხად იცვნეს...

ამ საერთო აღიარებას გალაკტიონ ტაბიძე ბეჭედს რომ დასცემდა, თავის მხრივ ამასაც დასძენდა:

— ჭეშმარიტად აკაკი ძველი საქართველოს მოლანდებაა.

ეს ორივე ფრაზა თავისებური პოეტური ფორმულებია, რჩეული შემოქმედის პიროვნებისა და ღვაწლის უაღრესი სისხარტითა და შთამბეჭდაობით გამომხატველი, და თითქოს მეტი რალა უნდა ითქვას, მაგრამ გალაკტიონი ვერ იკმარებდა თვით ასეთ ღრმა და მოხდენილ შეფასებებსაც და გააგრძელებდა რაღაც უჩვეულო შთაგონებით აღვსილი, თვითონაც რომ გაოცებული დარჩებოდა ამ მიგნებით: ეს მაინც რამ მომაფიქრაო.

რა უჩვეულო შთაგონება ეწვეოდა და...

როგორ სიტყვიერ ყალიბში მოაქცევდა ამ ზეციურ ნაკარნახევს და...

— იგი თითქოს განგებ ამოვიდა საფლავიდან, რომ კიდევ რამდენიმე სურათი დაეხატა; ეს იყო მხატვარი, რომელმაც თავისი თავი თვითონ გამოიძახა საფლავიდან, მასთან დამარხულ და მასში გაგრძელებულ სიცოცხლის ძალით.

მარტოდენ მოლანდება კი არა ყოფილა ძველი საქართველოსი, არამედ... ცოცხლად გამოცხადებული სულეთის ქვეყნიდან, ოლონდ არა ზეციდან ჩამოსული, არამედ საფლავიდან ამოღწეული, ლოდს რომ გადააგორებდა, რათა იმ რამდენიმე დაუხატავი სურათის დახატვა ახლა მაინც მოესწრო და... გულმშვიდადვე დაბრუნებოდა ძვალშესალაგს, ვიდრე კვლავ იგრძნობდა, რომ რამდენიმე ახალი სურათი მისი და მხოლოდ მისი ხელით დახატვას ელოდა.

თავისი თავის გამოძახება თუ როგორ შეიძლო, ამასაც ხომ განგვიმარტავდა გალაკტიონი: მასთან დამარხული და მასში გაგრძელებული სიცოცხლის ძალითო.

ამ ფონზე უკვე ისე ძალიანაც აღარ გიკვირს ის შეხედულება, თავისთავად გამაოგნებელი, ადვილად რომ ვერც შევეჩვეოდით, ახლა კი დაწყებული მსჯელობის სავსებით ბუნებრივ გაგრძელებად წარმოგვიდგება:

— აქვს აკაკის ისეთი ლექსები, რომელსაც უნდა ვუცქიროთ მეთორმეტე საუკუნის ქართველი მკითხველის თვალით.

როგორ გინდა ლექსების ის რკალი წაიკითხო და აღიქვა ძლევამოსილი საქართველოს, ოქროს ხანის საქართველოს, თავისი დიდების მწვერვალზე მყოფი საქართველოს მკითხველის თვალთახედვით?

მაგრამ... თუკი იმ ოქროს ხანის საუკუნის მკითხველისათვის ქმნიდა აკაკი წერეთელი თავის ლირიკულ შედევრებს?

იმ საუკუნის ანუ — იდეალური საქართველოსი, რომლის კვლავმობრუნების იმედი არც არასოდეს ჩაეშრიტებოდა.

და თუ მათ სილრმეში ჩანდმა გვენება და ბოლომდე გასიგრძეგანება, როგორმე უნდა გვეცადა მეთორმეტე საუკუნის მკითხველის სამოსში გამოეხვეულიყავით, მათი სულის ჟოლვა გვეგრძნო და გაგვეთავისებინა, მათი მზერის სიფართოვე და უკიდეგანობა წამიერად მაინც შემოშუქებულიყო ჩვენშიც და იმ უჩვეულო მადლის ნატეხებისათვის მაინც შეგვეცლო ხელი.

აქვს აკაკის ისეთი ლექსებიო...

ნეტა... ნეტა მაინც რომელ ლექსებს გულისხმობდა გალაკტიონი?

არ გაგვიმჟღავნებდა, სათითაოდ არ ჩამოგვითვლიდა იმ უბრალო მიზეზით, რომ ეჭვიც არ ეპარებოდა, ჩვენითაც მივხვდებოდით.

თვითონ ადვილად რომ ცნობდა და გამოარჩევდა, ეგონა, არც ჩვენ გაგვიძნელდებოდა ამ რკალის დაზუსტება.

არა, რაღაცას კი ვხვდებით და სავარაუდოდ შესაძლოა ჩვენ-ჩვენი რკალიც შევადგინოთ აკაკის იმ ლირიკული შედევრებისა, მეთორმეტე საუკუნის მკითხველთა ესთეტიკურ გემოვნებასა და თვალთახედვას შესაფერისად რომ მოერგებოდა, მაგრამ... ნეტა საფიქრალი და საჩხრეკ-საძიებელი არ გაგვხდომოდა და სავარაუდო, და ბარემ ხელთ გვქონოდა სრული და ამომწურავი სია.

მაგრამ გალაკტიონსაც რა ეღონა, თუკი ჩვენი ასერიგად ეიმედებოდა.

და თუ სრულყოფილ სიას ვერ შევადგენთ, ის ხომ მაინც ვიცით უკვე, აკაკის ლექსთა ერთ წყებას რომელი გადასახედიდან უნდა ვუმზიროთ.

...ისე ნეტა ამ ძვირფასი დაკვირვებისათვის საილუსტრაციო სიაც მოედევნებინა გალაკტიონს, იმ მიგნებისა არ იყოს, თვალსაჩინოებისათვის შესაფერისი მასალა მასაც რომ გამოჰკლებია: სამარიდან იმიტომ რომ გამოუძახია თავისი თავი აკაკის, რათა კიდევ რამდენიმე სურათი დახატოს.

ნეტა რა სურათებია ის სურათები?

გალაკტიონს კი მოეხსენებოდა დაბეჯითებითა და უთუმცაოდ, მაგრამ მისი ნაფიქრის მიკვლევა არ გინდა? იმ ნაფიქრისა, იდუმალად რომ შემსჭვალვია აკაკის ფიქრს და იქ, შორეულ სივრცეებში მისგანვე გაუზიარებია ეს უჩვეულო განცდა, წვეთი წვეთთაგანი და სისხლი სისხლთაგანი ცისა და მიწის საკვირველებათა.

და უნდა ამოსულიყო, განგებ უნდა ამოსულიყო, აუცილებლად უნდა ამოსულიყო აკაკი საფლავიდან დაწყებული საქმის მოსათავებლად...

და ძველი საქართველოს მოსალანდებლად...

* * *

გეგმიანობითა და თადარიგიანობით არც არასოდეს გამოირჩეოდა აკაკი წერეთელი.

დღიურ მუშად რომ იხსენიებდა ხოლმე საკუთარ თავს, უზომო თავმდაბლობისაც გახლდათ და მისი ცხოვრების სტილის თავისებურებისაც.

ცხოვრების ანუ პოეზიის სტილის.

პოეზიის ანუ ცხოვრების სტილის.

განსხვავებას მათ შორის აკი ვერც ვერასოდეს ხედავდა.

ამ პიროვნული ხასიათისა და ტალანტის კაცს უსაზღვროებაში უნდა ეცხოვრა, დრო-ჟამისაგან გარიდებულს, და მის პიროვნულ ნებაზე ყოფილიყო, თუ რომელ ეპოქაში ამოეყო თავი.

ბედისწერას სხვაგვარად განესაჯა და ისეთი ქვეყანა და ხანა შეერჩია მის საცხოვრი-

სად, ადვილად რომ ვერ დააღწევდა თავს და ისე მიეჯაჭვებოდა იქაურობას, ველარაფერი მოაცილებდა.

ტალანტი შორეული სივრცეებისაკენ ეზიდებოდა.

ესეც აიჭრებოდა თუ არა... მაშინვე უკან გამორბოდა.

დღიური მუშის ხვედრი ავალდებულებდა ამგვარ და მხოლოდ ამგვარ ქმედებას.

ყველაფერს უნდა გამოხმაურებოდა — ლექსად თუ პროზად, პიესად თუ პუბლიცისტიკად, ყველაფერს, რაც კი ყოფილი საქართველოს ტერიტორიად გამოცხადებულ სივრცეში ხდებოდა და, ცხადია, ამ ყოფილობის შესაფერისადაც ამოქმედებულიყო იმპერიულ-დერჟავული იდეოლოგიური მანქანა, რათა ქართველ ხალხს ერთხელ და სამუდამოდ ერნმუნა, რუსეთს იქით გზა რომ აღარ გააჩნდა, აღარც რუსული ენის გამშობლიურება განეცადა ასე მტანჯველად და, ბედს მინდობილი, დაყაბულებოდა იმპერიის განაპირა პროვინციობას, მერე და მერე კი იქნებ შიდა პროვინციობასაც, რუსეთის დერჟავის საზღვრები ინდოეთის ოკეანემდეც რომ მიატანდა.

წინასწარმეტყველთა ჟამის დადგომა თუ დაიხსნიდა ქვეყანას — უკვე ილუზორულსა და უფრო ფიქრსა და ოცნებაში არსებულს — უნუგეშო პერსპექტივისაგან... და აკაკი წერეთელიც ამ მოვალეობას რომ შეიგრძნობდა, კიდეც გაუიგივებდა საკუთარ ყოფას დღიური მუშისას.

და ისე მოერგებოდა ცხოვრების ამ წესს, როგორც საკუთარ ჯვარს.

დღიდან დღემდე... დღიდან დღემდე...

— მე ჩემი თავი ყოველთვის მიმაჩნდა და მიმაჩნია პატარა დღიურ მუშათ...

თითქოს ისიც მოციქულებში გამორეულიყოს და განუწყვეტლივ ჩაესმოდეს მაცხოვრის შეგონება: ნუ ზრუნავთ ხვალისათვის, იმან თავისი იკითხოს, შეხედეთ ფრინველებს — არცა თესავენ, არცა მკიან, არც საუნჯეს აგროვებენ, შეხედეთ შროშანებს და მათი ყოფა განიცადეთო.

მიჰყვებოდა ამ დინებას, პოეტურ ტალანტსაც უშურველად სწირავდა ცხოვრების ამგვარ წესს და, ხანდახან ჭმუნვა თუ მოერეოდა ათასი დარდისა და ვარამისაგან გაბეზრებულსა და გაღიზიანებულს, თავს ჩვეული სიმახვილით იხალისებდა: ცოლი მყავს და არა მყავს, შვილი მყავს და არა მყავს, პენსია რაღაა, ისიც მაქვს და არა მაქვსო.

მოვალე გახლდათ სიხალისე შეეენარჩუნებინა და ყველაზე მწვავე წუთებშიც თავი მოემხიარულებინა.

სიხალისეს სიმტკიცე და შეუპოვრობა მოსდევდა.

სიმტკიცე და შეუპოვრობა კი ის გახლდათ, რასაც აკაკი წერეთლის ამქვეყნიური მისია მოითხოვდა.

ვითარცა ფრინველი ცისა... ვითარცა შროშანი ველისა...

რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდესო, — ეს რუსთველური შეგონებაც არსებობის გზამკვლევად ქცეოდა და ისიც დასჯერებოდა, დასჯერებოდა და მას უბნობდა.

წინასწარ არაფერს დაგეგმავდა.

თადარიგს არაფრისას დაიჭერდა.

ყოველ შემთხვევაში ფურცელზე არსად ჩამოუწერია ამა თუ იმ თხზულების წინასწარი მონახაზი — არც პოემების, არც პიესების, არც „ბაში-აჩუკის“, თორემ ლირიკული ლექსების, წვრილ-წვრილი ბელეტრისტული და პუბლიცისტური თხზულებების ზოგად ქარგას ხომ არ ჩაინიშნავდა და არა.

მაგრამ გამონაკლისი, როგორც ჩანს, ყველგან და ყოველთვის არსებობს.

და აკაკი წერეთლისათვის ასეთი გამონაკლისი აღმოჩნდებოდა ავტობიოგრაფიული რომანი „ჩემი თავგადასავალი“, რომელსაც უჩვეულო გატაცებითაც ჩაუჯდებოდა და საქვეყნოდაც აღიარებდა ამ მიკერძოებას:

— ერთადერთი ჩემი თხზულებათაგანი, რომელიც განსაკუთრებით მიყვარს...

და პროექტის პროსპექტსაც გადმოშლიდა.

ვინმე რომ წასდავებოდა, რა არის მაინც ამისთანაო?

თავს არ გამოიდებდა, გინდა თუ არა, თქვენც გაიზიარეთო, და თავმოდრეკით რომ მოიშველიებდა ანდაზას: ყვავსაც თავისი ბახალა მოსწონსო, — მიადევნებდა: შეიძლება დიდი არა იყოს რა, მაგრამ მე კი წმინდა გული და წრფელი სული მაქვს შიგ ჩადებულიო.

ავტობიოგრაფიული თხზულებანი სხვადასხვა ყაიდისაა და თვითონ როგორ განეზრახა მისი აგება?

— ამ თხზულებაში ყველაფერია მოხსენებული, რაც კი ნახევარი საუკუნის განმავლობაში მინახავს და სარწმუნოდ გამიგონია. საკუთრად ჩემ შესახებ საინტერესო, მაინცდამაინც, იმდენი არა არის რა, რამდენიც სხვებისა.

თუმც აკაკი წერეთლის პირადი ბიოგრაფია ქვეყნის ბიოგრაფიას გადაჯაჭვოდა, ერჩივნა, თვითონ უკან გადაწეულიყო და თანამედროვეთა სილუეტების მეოხებით აღედგინა ერთ-ერთი საბედისწერო დრო-ჟამი საქართველოს ისტორიაში.

კომპოზიციურად ამ ხერხემალზე აეგო — სიყმაწვილე თხრობაში გაეშალა, სიჭაბუკე და შემდგომი ხანა კი პორტრეტების ციკლად ეგულისხმა.

ნამდვილ სარკედ წამოიმართებაო, — ეჭვიც არ ეპარებოდა აკაკი წერეთელს.

აბა, ტყუილუბრალოდ ხომ არ გახვეულიყო თხრობა წმინდა გულსა და წრფელ სულში.

თამამად კი შემოეხვია ხელი ყველაფრისათვის.

თუ სარკეა, სარკე ყოფილიყო!..

მანამდე გადაუკრავდა და გადმოუკრავდა იონა მეუნარგიას, თავს არ დაიმდაბლებდა, რომ პირდაპირ ეთხოვა, მაგრამ მინიშნებით კი მიანიშნებდა, ჩემი ბიოგრაფიული ქრონიკაც შესადგენი გაქვსო.

იმას უზურში ისედაც ჰქონდა, ეგაა, არ ფაციფუცობდა და ნელ-ნელა ემზადებოდა ბიოგრაფიულ სერიაში აკაკი წერეთლის ჩასართავადაც... თუმც ამას აღარ მოუთმენდა გული, სად ველოდო, როდის მოიცლის ჩემთვის, ან გენერალი როდის გავხდები ან გენერლების მეგობარი, ვითომ მე თვითონ ვეღარ დავწერ ჩემს თავგადასავალსო?

სიახლის იშვიათი შეგრძნება მომადლებოდა და მხატვრულ-დოკუმენტური ჟანრების გარდუვალ აღზევებას წინასწარვე განჭვრეტდა. არ დაგიდევდა, სხვანი ამ მიდრეკილებას ირონიულად რომ გადმოჰყურებდნენ, ანდა უბრალოდ არაფრად აგდებდნენ, და, ვთქვათ, გიორგი ნერეთლის მხატვრული პროზის დოკუმენტურ ფონს თუ ახსენებდნენ, არა იმდენად თავისებურებად, რამდენადაც ნაკლოვანებად — მხატვრული არსენალის სიღარიბედ.

დაე მისთვისაც მხატვრული წარმოსახვის უნარის დაშრეტა ეკიჟინებინათ.

თვითონ ხომ იცოდა, რა განძიც უნდა დაეტოვებინა ავტობიოგრაფიული რომანის სახითაც.

განძს კი შესაფერისი სტილური ქსოვილი და შინაგანი ექსპრესია ესაჭიროებოდა, ის შეფარული იუმორი და შიგადაშიგ მახვილგონივრულ დაკვირვებათა კასკადი, მას რომ სჩვეოდა, და იონა მეუნარგიას ისიც ეგონა, აკაკის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან — მოთხრობები, ფელეტონები, კრიტიკული ეტიუდები თუ დრამატული თხზულებანი — თანდათან ყველაფერი დროის მორევში ჩაიძირება, მისი ლექსები და მოსწრებული სიტყვები კი ამოტივტივდებიან და იცოცხლებენ. სამუდამო არა არის რა ამ ქვეყანაზე, მაგრამ სანამ ქართული სიტყვაკაზმული მწერლობა იცოცხლებს, აკაკის მახვილი სიტყვაც დაუვიწყარი იქნება და მისი ლექსები კი სკოლაში, ქრესტომათიაში დარჩებაო.

„ჩემი თავგადასავალიც“, ეტყობა, დასავიწყებლად გაემეტებინა.

თუმც აკაკი წერეთელი სულაც არ მიიჩნევდა ამ ქმნილებას თავის რიგით თხზულებად და საკუთარი შემოქმედების გვირგვინადაც კი ესახებოდა.

ჩვეულებრივ მემუარებს ხომ არა წერდა, არამედ — ავტობიოგრაფიულ რომანს. და თუ მანამდე გულს აკლდა, როგორც მეწადა, ისე მაინც ვერ წარმოვსახე საქართველოს ბედკრული ყოფაო, აგერ ხომ მიეგნო იმ ჟანრისათვის, რომელიც ყველაფერს გადაწვდებოდა და მის პოეტურ სამყაროს რეალურ სივრცედ ამოეკერებოდა.

პოეზია თუ სინამდვილეს მოითხოვს სრული ზეობისათვის, ესეც ის სივრცე დიდი ჰარმონიის დასამკვიდრებლად: ამ სულიერებისა და შინაგანი მონუმენტურობით აღვსილი პიროვნების მემუარული პროზა.

„პოეზია და სინამდვილე“ სულაც სახელწოდებად შეერჩია იოჰან ვოლფგანგ გოეთეს თავისი ავტობიოგრაფიული რომანისათვის.

აკაკი წერეთელი არ გაიმეორებდა სათაურს, თუმც იმ შინაგან სტრუქტურას სავსებით გაიზიარებდა და თავის ავტობიოგრაფიულ ქმნილებას პოეზიისა და სინამდვილის მიჯნაზე გაიაზრებდა.

იდუმალება ამიტომაც შემობლანდვია ხალისით, ექსპრესიით, ყოფითი დეტალების სიუხვით გადავსებულ თხრობას, ასე ძალდაუტანებელს, ასერიგად მსუბუქს, მაცთურს თავისი სიიოლით, შენც რომ გიბიძგებს — ინტერპოლაციები თუ გნებავს, რა გიშლის, რომ ჩანართები და გაგრძელებანი შემატო, მითუმეტეს, განყვეტილა და ვეება ქმნილების ნაცვლად არსებითად მისი დასაწყისი შეგვრჩენია ხელთო.

მაცთურებას სწორედ მაშინ მიხვდები, როდესაც ამ სტილისტიკის შეთვისებას მოინდომებ, სულაც თხრობის ამ მანერასთან შეჯიბრებას.

აკი გივი გეგეჭკორსაც საკუთარ თავზე უნდა გამოეცადა, თუ რას ნიშნავდა აკაკისთან გაჯიბრება.

ისედაც გულში ელოლიავებოდა ამ ოცნებას, ნეტა ყმაწვილებისათვის აკაკის ბიოგრაფია შემადგენინაო, და გამომცემლობა „ნაკადული“ ამ პროექტს რომ შესთავაზებდა, ისე აღტაცდებოდა, როგორც... თუნდ ნარზე მჯდომი ჩიტი, ხელის აქნევას რომ ელოდება.

აგერ ხელიც აექნიათ, ისიც აგერ-აგერ მოსხლტოდა ნარს და...

ხან ვის შესჩივლებდა და ხან ვის და ოთარ ჩხეიძესაც გაუმხელდა გულამღვრეული:

ჩემი ოცნების წიგნის დაწერას შევუდექი და უნუგეშოდ გავჩერდი, არ გამომდის, არაფრით არ გამომდის აკაკის საყმაწვილო ბიოგრაფიის შედგენაო.

ალბათ იმავე სტილით მოინდომეო, — ეს მიუხვდებოდა.

აბა, როგორ უნდა მოინდომო... იმ სიმსუბუქის მიღწევა მინდოდა, იმ ლაპიდარობის, მაგრამ უეცრად აღმოვაჩინე, რომ ხელიდან გამისხლტა ყველაფერიო, — დანანებით აქნევდა თავს პოეტი და მწიგნობარი.

ასეთი განზრახვა იგივეა, რომ შენც მეხუთე სახარების დაწერას აპირებდეო, — ოთარ ჩხეიძემ, და თუმც იმწამს გივი გეგეჭკორი გაოცებით შემოხედავდა და კრინტსაც არ დაძრავდა, რამდენიმე ხნის შემდეგ სალამზე პასუხის ნაცვლად მომახარებდა: ეს რა მითხრა ბატონმა ოთარმა, მე თვითონაც რაც ვიგრძენი და სახელი კი ვერ დამერქმია, ფორმულასავით ჩამომიყალიბა, და მეც უკვე ეჭვი აღარც მეპარება, ეგრეა, აკაკის მემუარები მართლაც მეხუთე სახარების მოლანდებას გიჩენსო.

...და ამ მოლანდების ზღურბლი გინდა შენც რომ გადალახო?!.

მეხუთე სახარების დაწერისას ამოუდგე გვერდით?..

მაცთური კი არის მისი სტილური უბრალოება და სისადავე, მაგრამ...

* * *

„ჩემი თავგადასავალი“ ისე უღიმღამოდ, ისე ძლივძლიობით აიკრიფებოდა დახლებიდან, ძალიან გაოცდებოდნენ აკაკი წერეთლის ყველაზე ერთგული მკითხველები.

ჯერ ისედაც რა ტირაჟი იყო და...

ნუთუ ისიც ვაივაგლახით უნდა ჩანრეტილიყო?

უზომო პოპულარობისათვის მიეღწია და, თუ ვინმეს ბიოგრაფიას უნდა გაეღვივებინა არამარტო მკითხველების, არამედ ლიტერატურასთან შორიახლო მდგომი ადამიანების ცნობისწადილიც, ერთი უპირველესთაგანის უთუოდ აკაკის.

სახალხო პოეტობა ხელისუფალთა მონდომებით კი არ მოეხვეჭა, ოფიციალურ ტიტულად კი არა რგებოდა, მართლაც მიეღწია ამ სახელისათვის, ჟურნალის რედაქცია იყო თუ გაზეთის, მისი მიწევება სათანამშრომლოდ ყველას გულით რომ ეწადა, რადგანაც იცოდნენ, ამ პიროვნების სახელის გამოჩენა მკითხველთა წრეს გაუზრდიდათ, პატარ-პატარა გამომცემლობებიც ამასვე იმედოვნებდნენ, რომ მისი წიგნებით მოითქვამდნენ სულს და კიდეც გადადიოდა მისი ლექსების კრებულები თუ მოთხრობები ხელიდან ხელში... რაღაც განსაკუთრებულად თუ არა, სხვების პოპულარობას საგრძნობლად სჭარბობდა... ერთადერთი ალექსანდრე ყაზბეგმა გადაამეტა ერთი აკვრით, თუმც აკაკი მალევე დაიბრუნებდა ჩამორთმეულ პირველობას ჭეშმარიტ ღირებულებათა შექმნის მხრივ ყველაზე პოპულარული მწერლისა.

რას იზამ, შეგუებით ყველა შეგუებულნი უნდა ვიყოთ, რომ ფსევდოლიტერატურულ ნიმუშებს ნამდვილი მხატვრული მონაპოვარი ვერასოდეს შეემეტოქება „ხალხში გასვლის" თვალსაზრისით. ამიტომაც ნამდვილმა მწერლებმა ურთიერთ თუ თვითშეფასებისას უნდა იკმარონ საკუთარ წრეში ტრიალი და მძაფრი სულიერი ჭიდილი — რათა არც ჭეშმარიტ მხატვრულ ძიებებს მოაკლონ რაიმე და არც ძალიან ვიწრო ჩარჩოში მოემწყვდნენ, მკითხველთა მცირე, ხან მცირეზეც მცირე აუდიტორიის ამარა რომ არ დარჩნენ.

რაოდენ ელიტარული მოვლენაც უნდა იყოს მწერლობა, აუცილებელია მისი ზეგავლენა რაც შეიძლება შორს აღწევდეს.

საამისოდ რაღაც საიდუმლო უნდა გცოდნოდა.

ან უფლის ნებიერი ყოფილიყავი.

აკაკი წერეთელს უთუოდ მოეხსენებოდა ის საიდუმლო, ხალხის გულისთქმისათვის ალღოს აღება და საკუთარ ფიქრთა, პოეტურ მისწრაფებათა გამოხვევა ამ გულისთქმაში.

და თუმც უფალს სხვა მხრივ არ გაენებივრებინა, სახალხო სიყვარულისაკენ კი გაეხსნა ყოველგვარი გზა მისთვის.

ახლა კი რა ხდებოდა, რატომ ვერ გადაქცეულიყო აკაკი წერეთლის ცხოვრებისეული და შემოქმედებითი გზასავალი და გარემო მის თაყვანისმცემელთა უშველებელი აუდიტორიის სულიერ საგზლად? ჩვენთვის თუ საუკეთესო გზამკვლევია მისი ავტობიოგრაფიული რომანი დროის სულში შესაღწევად, მათ რატომ არ მოინდომეს იმ რეალობაში უკეთ გარკვევა, რომლის წიაღშიც აწყდებოდნენ აქეთ-იქით და მჭიდროდ შემოსალტული სივრციდან კი გასაღწევი ვერსად ეპოვნათ? აკაკის ლექსებიც მოათქმევინებდათ ხოლმე სულს, და მითუფრო უნდა მიტანებოდნენ მისი ცხოვრების ქრონიკის კითხვას, მის მომხიბლავ და აღმტაც ზვირთებში ჩაყურყუმელავებას, მაგრამ...

ეტყობა, მართლა არ იყო საამისო დრო.

ამ მხრივ ჯერ დასავლეთშიც, თორემ...

და თვით აკაკი წერეთელსაც ამიტომ გაუჭიანურდებოდა წერის პროცესი — რაღაც განსხვავებულსა და უჩვეულოს რომ შებმოდა, ერთი შეტევით ვეღარ მოეთავებინა და იმთავითვე ხანგრძლივ დროზე გაეანგარიშებინა.

ასეთი მომცრო ქმნილებისათვის ძალიან ბევრია 14 წელიწადი — 1894 წლიდან 1908 წლამდე.

თუმც ასეთი დაწურული, ლიტერატურულ ფორმულებზე აგებული პორტრეტების სერიისათვის იქნებ არც ისე ხანგრძლივი იყოს — ფსიქოლოგიურ დაკვირვებებსა და ყველაზე ზუსტი შტრიხების მიგნებას, ამა თუ იმ პიროვნულ თავისებურებასა და სამწერლო-საზოგადოებრივ ღვაწლს ხელისგულზე რომ გადაგიშლიდა, დიდი სულიერი გარჯა და სულაც ჭაპანწყვეტა ესაჭიროებოდა — რაღა ლექსის თვითეული პწკარი და რაღა ეს ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტები, დიმიტრი ყიფიანზე რომ წყდებოდა სიუჟეტის მდინარება ჩვენდა სამწუხაროდ, — უკანასკნელი რგოლი ეს სილუეტი აღმოჩნდებოდა... ისე საგულისხმოა, რომ მაინცდამაინც ამ აპოთეოზურ სტრიქონებთან უნდა მოთავებულიყო „ჩემი თავგადასავლის" ეს ნაწილი, თვით ავტორზეც ძალდაუტანებლად რომ განზოგადდებოდა:

— აი, სწორედ ამისთანა დევ-გმირზე, როგორიც იყო განსვენებული დიმ. ყიფიანი, ითქმის, რომ „მოვიდა ქვეყნად და ქვეყანასაც ბევრი რამ არგოო".

არადა, აწი და აწი უნდა გაშლილიყო ავტობიოგრაფიული რომანის სიუჟეტი და ავტორიც ისე დაიმედებულიყო, ტომებად — თუნდ მცირე ზომისად — ჩამორიგებასაც რომ ვარაუდობდა.

გიორგი წერეთლის სილუეტს ამ სიტყვებით რომ შემოხაზავდა — „ის ერთი პირველთაგანია მესამოცე წლების მოღვაწეებში" — იქვე დასძენდა:

— რადგანაც წინ ბევრჯერ მომიხდება იმაზე საუბარი...

ნიკო ნიკოლაძის პორტრეტსაც ეს ფრაზა შეკრავდა:

— აქ მხოლოდ ამით გავათავებ ამ კაცზე ლაპარაკს, რადგანაც წინაც ხშირად შეგვხვდება...

სადღა იქნებოდა ან ეს „ბევრჯერ" და ან ეს „ხშირად"...

თავს იმხნევებდა და წვეთწვეთობით აგროვებდა მასალებს გაგრძელებისათვის.

ნეტა ის ფიქრიც თუ გასჩენოდა, მეხუთე სახარების ქარგას ვამზადებო?

ძველი და ახალი აღთქმით სუნთქავდა, იმ ასოციაციებითა და ალუზიებით აღვსილიყო მისი მხატვრული ძიებანიც და პუბლიცისტური სერიაც და ბიბლიურ წინასწარმეტყველთა დარად მიმოიხედებოდა ხოლმე ირგვლივ... და რა გასაკვირია, იმთავითვე მაინცდამაინც ასე თუ არ ჩაეთქვა, თანდათან მიხვედრილიყო, მგონი... მგონი მახარებელთა გზას შევდგომივარო.

იმ წიაღიდან კი წამოეღო სტილური მანერა და...

ბიოგრაფიული ქრონიკა თუ როგორ წარმოსახულიყო.

ეგაა იმათ თავიანთი მოძღვარი დაეგულებინათ თხრობის გმირად — იესო ქრისტე.

ამას საკუთარი თავის ირგვლივ გაეშალა სიუჟეტი, რომელიც თანდათანობით საქართველოს გარშემო მოიქსოვებოდა, ჯვარცმული ქვეყნისა — აღდგომის მოლოდინში.

ესეც „ჩემი თავგადასავლის“ იდეური მრწამსი და კომპოზიციური საძირკველიც და არქიტექტონიკაც.

ამ განზრახვას არ გადაუხვევდა: საკუთრად ჩემს შესახებ იმდენი არ იქნება, რამდენიც სხვებისაო.

სოფელსა შინა შემოეგზავნა ეს წიგნი, დამთავრებასაც აღარ უცდიდა და ნაწილ-ნაწილ სთავაზობდა მკითხველს — უკვე იცოდეთ, რაც იქმნებაო.

მაგრამ... სოფელი ვერც „ჩემ თავგადასავალს“ იცნობდა და კანტი-კუნტად თუ გამოჩნდებოდნენ მისი დამფასებელნი და ახალ-ახალ ტომთა მომლოდინენი.

* * *

მართლაც მეხუთე სახარების მოლანდება გიჩნდებაო, — აფოფინებულიყო გივი გეგეჭკორი.

რაღაც ამგვარი განცდა დავით წერედიანსაც გასჩენოდა.

მტკიცებას რომ მოჰყვებოდა: მართალია აკაკი რომატიკოსად ვერ ჩაითვლება, მაგრამ საკმაოდ საეჭვო რეალისტიაო, — თვალსაჩინოებისათვის ამ თხზულებებსაც მოიხმობდა:

— მის პროზაში რეალისტურს ზღაპრულ-რომანტიკული ელემენტი სჭარბობს, არა მხოლოდ „ბაში-აჩუკში“, არამედ „ჩემს თავგადასავალშიც“ კი, განსაკუთრებით ბავშვობის ეპიზოდებში.

ინტონაციაზე ეტყობა, რომ მკვლევარი შიშობს, არ დამიჯერებენო, მაგრამ ვალდებულად რაცხს თავს, თამამად გამოთქვას ეს „უცნაური“ მოსაზრება.

„ბაში-აჩუკი“ გასაგებია, ამ ყაიდის ქმნილებაში აუცილებელიცაა არამარტო რომანტიკული, არამედ ზღაპრული ნაკადიც, მაგრამ მემუარების წიგნში?.. თანაც თურმე ბავშვობის ეპიზოდებში განსაკუთრებით.

მაგრამ თუკი მართლაც ასეა?

აშკარაა, დავით წერედიანის „ზღაპრულ-რომანტიკული“ იმასვე უნდა გულისხმობდეს, რასაც ოთარ ჩხეიძის ფიქრში „ჩემი თავგადასავლის“ გაიგივება მახარებელთა დაუწერელ წიგნთან.

უაღრეს სიმსუბუქესა და სისადავეში არეკლილი უჩვეულობა როგორი ცნებითაც გინდა განსაზღვრე, მთავარია, რომ აკაკი წერეთლის ავტობიოგრაფიული რომანი რაოდენ მიჯაჭვულიც უნდა მოჩანდეს დროის ქრონოლოგიაზე, თავისი სულისკვეთებით არღვევს ამ ქრონოლოგიის ჩარჩოებს და უჟამობაში იჭრება.

არ გვიკვირდა, ამ სტილისტურ წრეში რომ მოქცეულიყო წმინდა ნინოს ცხოვრების ქრონიკაც და გრიგოლ ხანძთელისაც, ექვთიმე ათონელისაც და გიორგი მთაწმინდელისაც — მათი შემქმნელნი ხომ უშუალოდ სულიერი შთამომავალნი იყვნენ მახარებლების... მაგრამ თითქოს საერო წრეში შექმნილი თხზულებაც რატომ უნდა ამოვლებულიყო იმავე ემბაზში?

ამჯერად ასე განერიგებინა ზეცას.

და ახალი ეპოქის მახარებლად აკაკი წერეთელი შეერჩია, პოეზიისა და სინამდვილის ჰარმონიულობისა და განუყოფლობის, მათი იდუმალი შეზავებისა თუ ურთიერთმონაცვლეობის უფაქიზეს შემგრძნობად და ამ იდუმალების შესაფერის ამმეტყველებლად.

გოეთეს რომ არ დაესწრო ეს სათაური, აკაკი წერეთელი რა სიხარულით წააწერდა ავტობიოგრაფიული რომანის თავფურცელს: პოეზია და სინამდვილეო.

* * *

აკი პავლე ინგოროყვასაც ძალიან უყვარდა დიდი გერმანელის ეს ავტობიოგრაფიული რომანი და, მარჯვე შემთხვევას იშოვნიდა თუ არა, გერმანულადვე გაახმიანებდა ამ სახელწოდების ორივე შემადგენელ სიტყვას. გოეთეს სახელს არც ახსენებდა, მაგრამ მაინცდამაინც იმის მშობლიურ ენაზე დამოწმება „პოეზიისაც“ და „სინამდვილისაც“, სხვას რას უნდა ნიშნავდეს, თუ არა — გოეთე მოიგონეთო.

როდესაც ირწმუნებოდა: „ვეფხისტყაოსნის“ იდეალური პერსონაჟები პოეზიის ჯადოსნურ სარკეში გამონათებით განასახიერებენ შოთა რუსთველისა და თამარ მეფის გრძნობებს და ამ გმირებზეა გადატანილი ცალკეული ხაზები ამ პიროვნებათა ცხოვრებიდანო, — სწორედ ამ კუთხიდან გაიაზრებდა ეპოსის ისტორიულ სარჩულს: „ვეფხისტყაოსანი“, რასაკვირველია, პოეზიაა, მაგრამ, ამასთან, მასში თვალნათლივია სინამდვილის ანარეკლიო.

და ასე ამოჰქონდა პოემის სიუჟეტიდან XII საუკუნის საქართველოს ისტორიული რეალობა, ის, რაც მანამდე აკაკი წერეთელს უკვე შეემჩნია და პავლე ინგოროყვა მის გზას ადგა შოთა რუსთველის ბიოგრაფიის აღდგენის ცდისას.

პავლე ინგოროყვას ასე ჩინებულად რომ მოეხსენებოდა პოეზიისა და სინამდვილის გადაკვეთანი და მათი იდუმალი შერწყმა-დაცილებანი, გარდა ტალანტისა, აკაკი წერეთლის პიროვნულ ხასიათსა და შემოქმედებით ბუნებაში ღრმად შეღწევაც დაეხმარებოდა ისეთი რეალიების მიგნებაში XII საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ-კულტურული ცხოვრებიდან, რომელთაგან ზოგს ზუსტი ცნებებითაც განსაზღვრავდა, და ზოგსაც მხოლოდ ალღოთი შეიგრძნობდა.

იქ კი შეეწეოდა, შოთა რუსთველზე დიდებული მონოგრაფიის შესაქმნელად, მაგრამ თვითონ აკაკი წერეთლის ბიოგრაფიას კი ვერ გაშლიდა შესაფერისად — ინგოროყვასებური ხელოვნებით, და მისი ნარკვევი აშკარა ჩავარდნა აღმოჩნდებოდა „ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელთა“ ციკლშიც, არამცთუ „ქართული ცივილიზაციის ისტორიის“ საერთო ფონზე. ორიოდ პასაჟში თუ იგრძნობა, თუ ვინ არის ამ თხზულების დამწერი, თორემ მთლიანობაში ვერც ივარაუდებ, პავლე ინგოროყვას თუ მოეკიდა ხელი აკაკი წერეთლის ბიოგრაფიული ქრონიკისთვისაც. თავის დროზე თუ ნაჩქარეობით დაემართა, მერე რაღა უშლიდა, საგულდაგულოდ გადაემუშავებინა?!. და მთლად თუ ვერ გაუტოლებდა ნიკოლოზ ბარათაშვილსა და ილია ჭავჭავაძეზე შექმნილ ბიოგრაფიულ თხზულებებს, ძალიან აცდენილიც არ ყოფილიყო იმ დონეს.

ეგებ იმ ავტობიოგრაფიულმა რომანმაც შეუშალა ხელი — ვერც აჰყვა და ვეღარც გამოშორდა და პოეზიისა და სინამდვილის ძალზე სქემატურ მონახაზს ამიტომაც დაყაბულდა?!.

იონა მეუნარგიას აკაკი წერეთლის ცხოვრების აღწერის განზრახვისა ორიოდ ფრაგმენტი თუ დარჩებოდა.

ლევან ასათიანი გასრულებით კი გაასრულებდა აკაკი წერეთლის ცხოვრების წიგნს და არცთუ მცირეტანიანსაც, მაგრამ ბევრი ვერაფერი გამოუვიდოდა, ვერც კი მიუახლოვდებოდა თუნდაც მისივე მცირე თხზულებას „ვოლტერიანობა საქართველოში“.

აკაკი ბაქრაძის მონოგრაფია „ტკბილი ოცნება და მწარე სინამდვილე“ თავისთავად ჩინებული ანალიტიკური თხზულებაა, პოლიტიკურ პამფლეტადაც შთამბეჭდავი, მაგრამ ცხოვრების სრულყოფილი ქარგის აღდგენას მაინც აარიდებდა თავს და ბელეტრისტულ ჩანართებს იკმარებდა.

ემზარ კვიტაიშვილიც ამავე გზას დაადგებოდა და მისი მონოგრაფია, საბოლოოდ „შუაკაცის“ სახელწოდება რომ გაამთლიანებდა, მეცნიერულ-ანალიტიკურ თხზულებად უფრო წარმოდგებოდა, ბელეტრისტულ ჩანართებს რომ უნდა გაეხალისებინა და გაელამაზებინა თხრობა.

დრო გადიოდა და... აკაკი წერეთელზე ასე თუ ისე რიგიანი ბიოგრაფიული ქრონიკა — რაოდენ გასაოცარიც უნდა ყოფილიყო — არ მოიპოვებოდა და არა, და მკითხველმა უკვე აღარც იცოდა, ოდესმე შეიქმნებოდა თუ არა მისი სახელის მეტ-ნაკლებად შესაფერისი ბიოგრაფიული რომანი.

ელგუჯა თავბერიძე მაინც შებედავდა.

ძალზე ფრთხილად, შეპარვითაც კი, თავიდან მონოგრაფიულ თხზულებას „აკაკის ლანდი“ ესეისტური სტატიებისა და ბელეტრისზებული ნარკვევების ციკლად რომ ივარაუდებდა, ვიდრე ზედ გამოცემის ზღურბლზე საგრძნობლად არ გადაამუშავებდა — მეცნიერულ ნიაღსვლებსა თუ შესაბამის მითითებებს მოშლიდა და ბელეტრისტულ ნაკადს გააძლიერებდა, მაგრამ გაბმულ თხრობას მაინც აერიდებოდა და თხზულების სტრუქტურას თავდაპირველს დატოვებდა, ეგაა „აკაკის ლანდი“ მოთხრობების სერიად წარმოდგებოდა, ერთი მთავარი გმირი რომ აერთიანებდა და... მაშ შესაძლო გახლდათ წიგნი ჟანრობრივად განსაზღვრულიყო როგორც: ამერიკული ყაიდის რომანი — თან რომანიც რომ არის და თან მოთხრობების ციკლიც, ყველა რომ ინარჩუნებს დამოუკიდებლობას.

ეს ჟანრული თავისებურება გამოაძებნინებდა ავტორს გამოსავალს:

აღარ მოქცეულიყო აკაკის სტილური უბრალოებისა და სისადავის მაცთურებაში.

ხოლო ის დიდძალი მასალა, რაც აკაკის ბიოგრაფიისა და მისი ეპოქის შესწავლისას დაუგროვდებოდა, გადაენაწილებინა სხვა წიგნებში, რომელთა ერთ-ერთ პერსონაჟად აკაკიც მოგვევლინებოდა, მათგან ერთი ნიმუში კი სულაც მასვე მიეძღვნებოდა: გიმნაზიაში სწავლის წლებსა და მასწავლებელთა ვინაობის დადგენას.

ასეა თუ ისე მოჯადოებული წრე მაინც გაირღვეოდა.

მითუმეტეს, რომ მეცნიერული კვლევა-ძიება; საკმაოდ ღრმა, ინტენსიური და მიზანმიმართული, არაერთ გარემოებასა და ვითარებას აღმოგვიჩენდა თუ გაგვინათებდა და შეგვეძლო გაბედულად და ნიუანსობრივად ჩავყოლოდით აკაკის ცხოვრებისა თუ სულიერების — ანუ მისი პოეზიისა და სინამდვილის — ლაბირინთებს.

დღეისდღის გადასახედიდან ისტორიული ფონი იმ ცხოვრებისაც და იმ ჟამისაც გაცილებით მკვეთრია და სახიერი და მთლად ისეთი შეუძლებელიც აღარ უნდა იყოს მეხუთე სახარების ლანდურ-მისტერიულ რკალში შეღწევა.

ისე კი:

რომ ჩაუფიქრდე, „ჩემი თავგადასავალი“ თვითონვე აღგვიმართა დაბრკოლებად...

თუმც სიცოცხლის აზრიც რა ყოფილა, თუ არა წინააღმდეგობათა გარღვევა და სინამდვილისა და პოეზიის ის შეთანადება ერთიმეორესთან, რაც დრამატიზმით აღავსებდა აკაკის სულსაც, მაგრამ ხან ცრემლში განბანილი სიცილის გუნებაზეც აყენებდა და იმეორებდა და იმეორებდა:

ჩემს ცხოვრებასაც თუ ცხოვრება ჰქვია — ცოლი მყავს და არა მყავს, შვილი მყავს და არა მყავს, პენსია მაქვს და არა მაქვსო.

მიზეზთა გარკვევას აღარც ცდილობდა, თუ რატომ ერგუნა ასეთი ყოფა, ან ის რაღა იყო, მუდმივი სადგომიც რომ ვერ ეშოვნა ვერც ქუთაისში და ვერც თბილისში, თუმც ყველას კარი ღია გახლდათ მისთვის, ოღონდაც გვესტუმრე და რამდენ ხანსაც გენებოს დარჩი, სასტუმროებს ნუ შეხიზნიხარო...

გრიგოლ ტატიშვილი გრავიურის ხელოვნებაში რომ დაოსტატდებოდა, თავს უფლებას მისცემდა გაემზადებინა პატარა აბრა: თავადი აკაკი როსტომის ძე წერეთელი, — და წარწერით ეჩუქებინა თავისი სათაყვანო პოეტისათვის, რომელიც — მისდამოულოდნელად — იცინებდა და რას იცინებდა:

— კარი მე არ გამაჩნია და სახლი და... თუ კაცი ხარ, მასწავლე, სად წამოვკიდო ეს აბრა.

არ გამოადგებოდა და აბა რა ეღონა.

თავის გზას მიჰყვებოდა მუხლჩაუხრელად, მეომარივით შემართული, ქვეყანა თავზე გვექცევა და რაიმე თუ არ ვიღონეთ, იქნებ შთამომავლობის ხსოვნაში აღარც დავრჩეთ, რადგანაც ველარც გაარკვევენ, ვისი მემკვიდრენი არიანო.

შვილი მყავს და არა მყავსო...

რუსეთიც მოევლო და ევროპაც ალექსი წერეთელს, ყველა ხალხის ცხოვრებას გასცნობოდა, ყველას ადათ-წესებში ჩაეხედა, ანტერპრენიორობდა, რუსეთის საოპერო დასს დასდევდა და კიდეც ღირსეულად ხელმძღვანელობდა გამორჩეული ორგანიზატორული უნარის წყალობით... ეგაა მის მრავალფეროვან ინტერესებში არსად მოინახა ადგილი მისი მა-

მაპაპეული ქვეყნისათვის — ენასაც უნუგეშოდ მოწყვეტოდა, ისტორიასაც, თანამედროვეობასაც, მომავალი ხომ არ ანაღვლებდა და არა, გინდ გადარჩენოდა სასტიკ ქარტეხილებს, გინდ არა მამამისის სამშობლო, ალექსის რატომ უნდა ეთავშიცემა, როდესაც რუსადაც ჩინებულად შეიგრძნობდა თავს.

ერთი ეგაა ხან ვის სთხოვდა და ხან ვის, ეგებ მითარგმნოთ მამაჩემის ლექსები და როგორმე გავიგო, თუ რას წერს და მაინც რამხელა პოეტიაო.

ქართული ენის მთელი მისი ცოდნა იმ ფრაზას ვერ გასცილდებოდა, თავმომწონედ რომ მოსწერდა მამიდას, არც ისეა საქმე, თითქოს მამაჩემის მშობლიური ენისა არა გამეგებოდეს რაო:

— მე ქართული ისცავლე, სხვიტორში რომ ჩამოხვალ, ხაჩაპური ჩამე.

ნეტა ეს ფრაზა არ არსებობდეს!..

თუმც... რატომაც არა: და უნდა მოგვაგონებდეს აკაკის სულიერ ტრაგედიას, პარადოქსებით დანაღმული მისი ცხოვრების უღრმეს ტკივილსა და გროტესკულობას.

ქუთაისურ დუქანში შესვლა მაინც რა მწარედ დაამახსოვრდებოდა ალექსის. რას წარმოიდგენდა, მისი ხმის ამოღებას რა სავალალო შედეგი მოჰყვებოდა... მაგრამ კიდეც რომ წარმოედგინა, ვერ მოითმენდა და უჩუმრად ვერ გამობრუნდებოდა, როდესაც კედელზე ჩამომწკრივებულ ქართველ მწერალთა სურათებს შორის... აკაკი წერეთლის სახებას ვერ აღმოაჩენდა.

შინაურ მღვდელს რომ შენდობა არა აქვს, თორემ რანაირად შეიძლება მომხდარიყო, რომ ქუთაისურ დუქანში აკაკის სურათი გამორჩენოდათ?!.

— მამაჩემი სურათი რატომ არა გაქვთ? — გააპროტესტებდა ალექსი, ოღონდ რასაკვირველია რუსულად.

გაიოცებდნენ იქ მყოფნი:

— მამაშენის სურათს აქ რა უნდა, საერთოდაც ვინა ბრძანდები?..

— აკაკი წერეთლის შვილი გახლავართ, — თავმომწონედ მიუგებდათ, ეგაა და ხმას ჩავაკმენდინებ ამ არამკითხეებს, ნოქარს კი მოვაბოდიშებინებ და ამ შეცდომასაც გამოვასწორებინებო.

აკაკის სახელის ხსენება ძალზე გააგულისებდათ დამხვდურებს, და სხვა რა ეფიქრათ ამ რუსზე, თუ არა: მასხრად გვიგდებსო. აბუჩად აგდებას კი ვის აპატრებდნენ და ერთი ყველაზე ფიცხი ლაზათიან ალიყურს აჭმევდა და დაატანდა:

— მეორედ მაგის თქმა აღარ გაბედო.

— რატომ ვერ უნდა გავბედო, შვილი ვარ და...

რაღაცის თქმა კიდევ სურდა, მაგრამ ვინ დააცლიდა, აქეთ-იქიდან წამოესეოდნენ და თითო სილას ყველა შემოჰკრავდა:

— ჩვენ კარგი, მაგრამ აკაკისაც რომ დასცინი, ეგ როგორი რა საქმეა, აკაკის შვილმა და... ქართული არ იცოდეს?!.

ძლივს გამოასწრებდათ...

სხვიტორში ჩამოსულს გული ისედაც არ უდგებოდა აქაურობაზე და ისევ პეტერბურგისა თუ პარიზისაკენ მიიწევდა... მის იმ ახირებულ ჩვეულებასაც ყველა მიაქცევდა ყურადღებას: სულ მაღლა რომ იყურებოდა.

ასეთი ჩვეულება აკაკისაც ჰქონდა ბუნებრივად თანდაყოლილი და შთამომავლობით თუ გამოყვა შვილსო, — გვაუწყებს კოკი აბაშიძე და იმ სიტყვებსაც შემოგვინახავს, შვილის შემხედვარე გაღიზიანებას რომ ვერ იკავებდა, თუმც მაინც ცდილობდა ჰუმორით გაენელებინა გულისწყრომა:

— რაღა თავის აწევაში დამემგვანა მაგ დალოცვილი და სხვაში კი არაფერში. მე თუ მაღლა ვიყურები, გასამართლებელი საბუთი მაინცა მაქვს: ვარსკვლავებს ვეთამაშები, ცას შევხარი, მზესა და მთვარეს შევნატრი. მაგას კი რომ აუღერია ეს თავი, ნეტავი რას უყურებს, ანდა უყურებს კი რამეს?..

შვილსაც აქილიკებდა და თავსაც ინუგეშებდა, რაკიღა თავაწეულ სიარულს მარტოდენ რომანტიკული განწყობილებით არ დაჩვეულიყო, ვარსკვლავებთან შეთამაშებისა თუ

მზე-მთვარეზე აოცნებების წადილით — ქუთუთოს დამბლასაც აეძულებინა თავი უკან გადაეწია, რათა საგნებს თავთავისი სახე არ დაეკარგათ.

— გეგონებოდათ, სადღაც შორს გაიცქირება და სულ სხვა მსოფლიოს ხილვას ლამობსო, — ილია ზურაბიშვილმა.

— თითქო საგანთა მიღმა იცქირებოდაო, — გრიგოლ რობაქიძემ.

თუმც მოხდენით იხდენდა ასეთ სიარულს და აგერ, ზეცასაც იმოწმებდა შთამაგონებლად, გული მაინც ესერებოდა ამ სენის მოულოდნელი მოვლინებით — ცას ისედაც მიბმოდა სულიერად და ზემოთ ახედვაც არასოდეს ავიწყდებოდა, მაგრამ ჩამოშვებული ქუთუთოები იმ მიწის დანახვას უძნელებდა, რომლის გულისთვისაც გადაედო თავი და პოეტური ტალანტიც დაუნანებლად გაეწირა, რადგანაც ამ მიწას მისი ტრიალი უფრო ესაჭიროებოდა ხალხში, ვიდრე ბროლის კოშკში გამოკეტვა და პოეტურ თუ ბელეტრისტულ შედევრთა დაუსრულებელი წყების დალაგება.

მითარგმნეთ, გამაგებინეთ, რა ლექსებს წერს მამაჩემიო, — ცნობისწადილი ჰკლავდა ალექსის.

უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი მიეცათ და არც მიეცათ.

პენსია დაენიშნათ და არც დაენიშნათ.

სადგომი ჰქონდა და არც ჰქონდა.

ცოლ-შვილი ჰყავდა და არც ჰყავდა.

სამშობლოს ხსენებას ერიდებოდა ასეთ გაშარჟებულ კონტექსტში, თუმც — ისიც ჰქონდა და არც ჰქონდა.

და ისედაც ყოფილი საქართველოს ტერიტორიად გამოცხადებული მიწა-წყალი დამბლამორეული ქუთუთოებიდან სულაც ნისლსა და ბუნდოვანებაში იძირებოდა.

თავს იმშვიდებდა: პოეტურ ნისლეულებასა და იდუმალებაშიო.

სინამდვილის პოეტურობა...

პოეზიის სინამდვილე...

„ჩემი თავგადასავალი“ საბოლოოდ მოარიგებდა ამ მოვლენებს მის მხატვრულ სამყაროში, უთვალავფერადობით ხილულ რეალობას რომ არ ჩამოუვარდებოდა, ახლა ეს ფერები ავტობიოგრაფიულ რომანშიც გადანაცვლებულიყო და რომანტიკულ-ზღაპრული იერით მოსავდა თხრობას, ახალი სახარების საკმაოდ ხელშესახებ ილუზიასაც თუ სულაც შეგრძნებასაც აჩენდა და საუკეთესო თარგსაც გვთავაზობდა, თუ რა სტილისტიკა დაშვენდებოდა ყველაზე მეტად ბიოგრაფიულ რომანს აკაკი წერეთელზე.

ვინ მოსინჯავდა, ვინ შებედავდა, ვინ გამოჩნდებოდა დამწერი, თორემ...

* * *

გრძნობით ვგრძნობდი, განა არა, მეხუთე სახარების სტილისტიკა რომ უნდა გაგრძელებულიყო, ეგაა, სახელი ვერ დამერქმიაო, — ირწმუნებოდა გივი გეგეჭკორი.

კარი პირველი

თავი I

აცალეთ ყრმათა მაგათ მოსლვად ჩემდა

აკაკი წერეთელს დიდი, დაუოკებელი, უკიდეგანო ფანტაზია რომ ჰქონდა, ეს იოლი შესამჩნევია მისი ნაწერების თუნდ ზერელე გადაკითხვითაც, და ამიტომ აღსანიშნავიც არ უნდა იყოს ის, რაც ისედაც იგულისხმება და ყველასთვისაც საცნაურია.

მაგრამ... გრიგოლ რობაქიძე მაინც აღნიშნავს და საგანგებოდაც:

— აკაკის დიდი ფანტაზია ჰქონდა.

ამ ფრაზით იწყება ის ქვეთავი ფაქტებისა და ფიქრების იმ კრიალოსანისა, ასე რომ დასათაურებულა: „ფანტაზია თუ ფანტასტიკა“.

დიდხანს უტრიალებდა გრიგოლ რობაქიძე აკაკის პიროვნულ ხასიათს მისი ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტის გამოსაკვეთად, და ჯერ მაინც ფრაგმენტებს იკმარებდა. სხვაგვარად, ცხადია, გაუძნელდებოდა — მხოლოდ ნაბიჯ-ნაბიჯ, მხოლოდ წვეთ-წვეთად უნდა ეგროვებინა სახასიათო დეტალებიც და თავისი დაკვირვებანიც, რათა იმ იდუმალების ლაბირინთის კარიბჭე მაინც შეეღო, აკაკი წერეთლის სულიერება რომ ჰქვია და ბევრწილად გაოგნებულს გტოვებს უცნაურობითა და პარადოქსულობითაც.

იგი არ არის მარტოდენ დიდოსტატი პარადოქსული მოსაზრებებისა თუ მახვილსიტყვაობისა.

მისი ბიოგრაფიაც დაქსელილია პარადოქსებით.

და მისი პიროვნული ბუნებაც პარადოქსთა გადაკვეთანით საზრდოობს.

მეტიც — ამ ბუნების მთავარ ბირთვში ჩაფესვილა პარადოქსი და განსაზღვრავს აკაკი წერეთლის ცხოვრების სტილის თავისებურებასაც — უკიდურესი სილაღიდან უკიდურეს დრამატიზმამდე.

ამ პოლუსებს შორის მოძრაობს მისი საყოფაცხოვრებო ყაიდაც, წერის მანერაც და ფიქრის ის მდინარებაც, გულსა და გონებაშივე უკვე რომ იწვევდა შეხლა-შემოხლასა და მძაფრ შინაგან ჭიდილს, ვიდრე ბაგიდან გადმოიღვრებოდა ან კალმის წვერს მოწყდებოდა.

და გრიგოლ რობაქიძე რაღას ჩაეფიქრებინა?

ამ უჩვეულო ხასიათში რა უფრო სჭარბობდა: ფანტაზია თუ ფანტასტიკა?..

და აი ფსიქოლოგიური ჩაღრმავება ამ მიმართულებით იწყება იმ თითქოსდა ორდინარული ფრაზით: აკაკის დიდი ფანტაზია ჰქონდაო, — რათა ამ ფონზე ისე ძალიანაც აღარ მოგვხვდეს გულზე ის მოსაზრება, რომლის გამოსათქმელადაც დაისაჭიროებდა ამ ერთგვარ შპონს:

— თანვე: ტყუილი იცოდა დიდი.

ამოთქვამდა და... ამოისუნთქებდა კიდეც გრიგოლ რობაქიძე, თავსაც იმართლებდა: რა საჭიროა ამის დაფარვაო?..

ჯერ ისედაც, და მითუმეტეს:

— მის „ტყუილს“ რაღაც სხვა იერი ჰქონდა...

ეს სიტყვა წინწკლებით შემოსილა, რაც ისედაც მიგვანიშნებს იმ „სხვა იერს“, მაგრამ „გრაალის მცველთა“ შემოქმედმა მაინც უნდა დაგვიბეჭითოს.

და ეს „სხვა იერი“ მაინც რას გულისხმობს?

— „მოტყუება“ კი არ უნდოდა (რაიმე პირადი მიზნით).

აბა მაშ?

— „ტყუოდა“ ისე: თითქო ჰსურდა ესიამოვნებინა მობაასე. უსმენდი აკაკის და... გიკვირდა მისი „ფანტაზია“.

სად გადაიკვეთა „ფანტაზიისა“ და „ტყუილის“ ხაზები.

კიდევ უფრო საკვირველსაც შეამჩნევდა:

— თვითონვე სჯეროდა, რასაც ლაპარაკობდა.

თუკი ასეა, რაღა მოტყუება ყოფილა, არა?

უფრო სწორად — მთლად იმ კლასიკური სახით არ ცნაურდება ტყუილი, სალექსიკონო განმარტება რასაც გვიდასტურებს, და იმ ნაირსახეობად წარმოგვიდგება, ფანტაზიის სილაღე რომ იწვევს და შესაძლოა თავბრუც დაგახვიოს გონებამახვილობისა თუ პარადოქსულობის ფოიერვერკით.

გრიგოლ რობაქიძეს რა დაავიწყებდა იმ წუთებს, შოთა რუსთაველზე რომ ჩამოვარდებოდა ლაპარაკი.

— ჩემი წერილი ხომ წაგიკითხავს რუსთველზე? — ჰკითხავდა აკაკი და ეს ყურადღებას მიაქცევდა, რომ ამ ნაირსახეობიდან: რუსთაველი და რუსთველი, — აკაკი ყოველთვის „რუსთველს“ ამჯობინებდა.

— როგორ არა?! — მიუგებდა ეგებ ცოტა ნაწყენიც, რა კითხვა უნდა, იმ ლექციის პუბლიკაცია რომ არ გამომრჩებოდაო.

პაუზა.

— ალბათ ილიას გარჩევაც გექნება წაკითხული, ჩემი წერილის გარჩევა!

— წაკითხული მაქვს.

პაუზა.

— მერე იცი რა? მე ამ პასუხის პასუხი დავწერე. ილიას აზრები დავარღვიე.

— სადაა ეს პასუხი?

— წარმოიდგინე: ილიამ გაიგო ეს, მივიდა სტამბაში, შეისყიდა მთელი გამოცემა, — ილია მდიდარი იყო, — და ცეცხლს მისცა.

დაამთავრებდა მოყოლას. და კილო ისეთი ექნებოდა, რომ თვითონ სწამდა ეს ამბავი.

გრიგოლი... გაშტერებით მიაცქერდებოდა, და გვიანდელი გადასახედიდანაც არ უკვირდა თავისი მაშინდელი გაოგნება და სიჩუმე და მკითხველსაც თანაზიარად იხდიდა: აბა „გაშტერების“ გარდა სხვა რა არგუმენტი მოგივიდოდა იმ წამსო?..

თურმე... ეს კიდევ არაფერი.

ამ შეთხზულ ამბავს აკაკი სიტყვა-სიტყვით გაიმეორებდა საჩხერეშიც. და გრიგოლი იქაც გაშტერებით შეაცქერდებოდა.

ეგონა, ერთხელ თქვა და თვითონვე დაივიწყაო... მაგრამ თურმე...

ოღონდ ერთი რამ კი უნდა გვცოდნოდა თვითმხილველისაგან, რათა ჯეროვნად გავრკვეულიყავით ამ უცნაური, პარადოქსული მოვლენის არსში, ილიას რასაც სწამებდა.

ამ ამბავს ორჯერვე ისე მოჰყვებოდა, რომ არცერთხელ ერთ ხაზსაც კი ვერავინ შენიშნავდა მის სახეზე ღვარძლისას.

და ეს გარემოება უკარნახებდა გრიგოლს, არა მოტყუების მცდელობა, არამედ უფრო შესაფერისი სახელი დაერქმია აკაკის საქციელისათვის:

ეს უფრო მისი ფანტაზიის „თამაში“ იყო: ისე „გათამაშებული“, რომ ბოლოსდაბოლოს თვითონაც სჯეროდა.

ესეც ის ფანტაზია პოეტისა, ფანტასტიკაში გადაზრდილი.

და ის „ტყუილიც“ — რაღაც სხვა იერით აღბეჭდილი.

და კიდეც თავისთავად გაიდება ხიდი ამ ფრაგმენტსა და იმ ფრაგმენტს შორის, ასე რომ დასათაურებულა: „აკაკი და ბავში“.

გრიგოლ რობაქიძე დიდ მნიშვნელობას მიანიჭებდა, თუ ვინ როგორ ექცევა ბავშვს.

ზოგი თავს „იბავშვებს“, როდესაც ბავშვს ელაპარაკება.

ზოგი „უფროსად“ რჩება, როცა ბავშვთანაა. მაგრამ ავიწყდება, რომ მასთან „ბავშვია“.

უფრო იშვიათია მესამე ტიპი: იგი „უფროსობს“ ბავშვთან, მაგრამ არ ავიწყდება, რომ მასთან „ბავშია“. აქ „უფროსი“ თითქო „იტოლებს“ ბავშვს.

და ბავშვს ეს უფროსი უყვარს?

უყვარს რომელია.

და ასეთი იყო აკაკიც.

ეს დაყოფა გრიგოლ რობაქიძეს კიდევ უფრო მნიშვნელოვნად ეჩვენებოდა, როდესაც „უფროსი“ და „ბავშვი“ ერთიმეორეს მარტოდ ხვდებოდნენ, სხვების არყოფნისას. ამ შეხვედრის დროს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდებოდა მესამე ტიპის მოქცევა ბავშვთან.

ერთხელ, ვერის უბანში, რომელიღაც პატარა სახლში თავს წაესწრებოდა აკაკის ბაასს ბავშვთან. ოთახში სხვა არავინ იმყოფებოდა. და ეს... ნაბიჯს შეანელებდა.

და შეგვახარბებდა:

უნდა გენახათ აკაკი თუ როგორ „იტოლებდა“ ბავშვსო.

და უნდა გენახათ ბავშვის აღფრთოვანებაცო.

ეს გატოლებაა, კოკი აბაშიძეც რომ გაიხსენებდა არამარტო პოეტის დიდ სიყვარულს ბავშვებისადმი, არამედ მათ დიდ მეგობრობასაც, მთელი საათები რომ შეეძლო გაეტარებინა ყმაწვილებთან — უყვებოდათ ზღაპრებს, არაკებსა და ათასგვარ სახუმარო და უცნაურ ამბავს, და ისინიც ყოველთვის დიდი ყურადღებითა და ამასთანავე განცვიფრებით უსმენდნენ.

აკაკისა და ბავშვების შეხვედრას ყოველთვის თან უნდა მოჰყოლოდა ყმაწვილთა უზომო სიხარული, მხიარულება და კისკისი.

საჩხერეში ყოფნისას უსათუოდ უნდა შეეკრიბა ბავშვები და გაერთო ისინი.

შალვა დადიანს რა დაავიწყებდა, პირადად მას როგორ ართობდა ყმაწვილობისას აკაკი. მისგან ისწავლიდა ამ პატარა ზმასაც კურდღელზე: ჯამბა კურ დღე ლი ლას იღებს, ღამღამობით ღებავს შალსო.

ასე რომ, აკაკისადმი სიყვარული ბავშვობიდანვე მოსდევდა და ამიტომაც ნურავინ გაიკვირვებდა, თუ მასაც პატარაობისას აკაკის მეგობრად მიაჩნდა თავი.

— ცხადია, ასეთი პაწია მეგობრები მას ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში ჰყავდა და მეც მათ შორის ვამაყობდი ამ დიდი კაცის ასეთი დაახლოებით.

გოგუცა კუპრაშვილი მოსამზადებელი ჯგუფის მოსწავლე რომ იქნებოდა ქუთაისში, არ იცის, საიდან და როგორ, მაგრამ ერთ დღეს გაკვეთილიდან გამოიყვანდნენ და სკოლის გვერდით ერთ ოჯახში მიიყვანდნენ — თურმე აკაკი სწვეოდათ. აკაკი გოგონას მოეფერებოდა, დაუყვავებდა, კალთაში ჩაისვამდა, სახუმარო ლექსებს ეტყოდა, მერე მიუბრუნდებოდა და:

— პატარა გოგუცა, წამოდი ჩემთან, ჩემი შვილი იყავი.

და ეს პასუხად:

— თუ ჩემი დედიკოც წამოვა, თანახმა ვარ, და თუ არადა, თქვენ თვითონ დარჩით ჩვენთან.

ის გაიცინებდა, აკოცებდა, გამოჰკითხავდა ოჯახზე და შოკოლადსაც აჩუქებდა. საგულისხმოა, რომ: შოკოლადის ყუთზე აკაკის სურათი გამოსახულიყო — ცალ ხელში ჯოხი ეჭირა, მეორეთი კი მზეს იჩრდილავდა, თვალები მოჭუტული ჰქონდა. ეს ყუთი დიდხანს შეინახებოდა მათ ოჯახში, როგორც სანუკვარი რამ სახსოვარი, მაგრამ ეს უძვირფასესი სახსოვარი ხანძარს უნდა გაენადგურებინა, გოგუცა კუპრაშვილი ნიშნს რომ მოუგებდა ყოველგვარ ხანძარს: აბა ჩემში აკაკის სხივნათელი სახებაც წაშალეთო!..

დედისაგან იცოდა, რომ აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში ფირზე გადაეღოთ, მაგრამ ვიდრე კინოდრამატურგ კარლო გოგოძის წიგნი „საბჭოთა კინოს ოსტატები. ვასილ ამაშუკელი“ არ გამოვიდოდა, მანამდე არა იცოდა რა, თუ რა ბედი სწეოდა ამ კინოფირს. და აი წიგნის 26-ე გვერდზე უნდა ამოეკითხა:

— განსაკუთრებით დასანანია პროფესორ ანისიმოვისა და აკაკის სცენის დაკარგვა და აგრეთვე ნიკო კუპრაშვილის პატარა გოგუცას მიერ ლექსის წარმოთქმისა და მგოსნისათვის ყვავილების მირთმევის სცენა. ოთხი წლის გოგუცამ...

მაგრამ ეს კითხვას ველარ გააგრძელებდა — თვალები აუჭრელდებოდა და აუწყლიანდებოდა: რაღა მაინცდამაინც ის ადგილი დაიწვა, რა იქნებოდა, დამენახა ეკრანზე სულმნათი მგოსანი და ჩემი თავიო.

ხოლო ნიკო ლორთქიფანიძე რომ გაიხსენებდა იმ კაიხნის ამბავს, წელიწადს ველარც დააზუსტებდა, თორემ ქუთაისური ზამთარი რომ იდგა, ეს კი არ დაავიწყდებოდა, მეველეს ფსევდონიმით ცნობილი დათა მიქელაძის ოჯახში ერთ საღამოს დიდი საზოგადოება რომ შეიკრიბებოდა — ეს ალექსანდრე ყაზბეგი — მოჩხუბარიძეო, ეს მამია გურიელი — ფაზელიო, და კიდევ აკაკი, პატარა ნიკოსთვის გვარიც ეს რომ გახლდათ და ფსევდონიმიც. ბავშვებიც ბლომად მოიყრიდნენ თავს. იმხანად მასპინძლის ვაჟისათვის, პატარა ივერიკოსათვის, აკაკის მიეძღვნა საყმაწვილო ლექსი: ჭრელი პეპელა დაათრო და გააბრუა იამაო, — პირვანდელ ვერსიაში ასე რომ გრძელდებოდა: მას მიეპარა ივერი, დაიჭირა და იამაო...

ბავშვები ცნობისწადილითა და პატივისცემით მიაჩერდებოდნენ ჩვენი მწერლობის დიდებულთ, ზოგიერთს მათი თხზულებანი უკვე რომ წაეკითხა კიდეც, უმეტესობას კი გაგონებით სმენოდა მშობლებისა და ნაცნობებისაგან.

და ბავშვები სულგანაბულნი უკვირდებოდნენ ხან ჩუმსა და ნაღვლიან ამოხვნეშას დიდებისა, როდესაც წამოაგონდებოდათ „ხანჯალს“ თუ „დამეხსენი, ოსმალელო...“ ხანაც გაფაციცებით მიაყურადებდნენ მამია გურიელის მიერ წაკითხულ „ალავერდს“. ანდა ალექსანდრე ყაზბეგის მიერ წარმოთქმულ „სამშობლო ხევსურისას“.

მამია შიგადაშიგ ბავშვებს მკლავს უსინჯავდა და თავისებური სიდინჯით, თითქოს სიტყვები სხვა ქვეყნიდან მოედინებაო, ჩაეკითხებოდა ახლომყოფთ: დახე, რა მკლავი აქვს... ვერ გასწევს კახაბერობასო?..

ტანთხელი, მოღუშული მამია, გამხმარი, გრძელი თითებით, რომელზედაც ჩაყვითლებული, დიდი ხნის მოუჭრელი ფრჩხილები წამოწვეტოდა, ერთი შეხედვით ბოროტ სულს მიაგავდა და ბავშვებს ცოტა არ იყოს კიდეც შეეშინდებოდათ მისი.

მათთვის გარეგნობით დიდად არც მოჩხუბარიძე გახლდათ მიმზიდველი.

სამაგიეროდ აკაკი?

ჰეე — თეთრი თმით, საოცნებო კეთილი სახითა და ტკბილი, ამხანაგური ბაასით გაათამამებდათ და ისინიც მას შემოეხვეოდნენ გარშემო.

ამხანაგური ბაასითო...

ამასვე არ ირწმუნებოდა გრიგოლ რობაქიძეც? ეგაა ის გარედან აკვირდებოდა აკაკისა და ყმაწვილების ურთიერთობას, ნიკო ლორთქიფანიძეს კი თავის თავზე გამოეცადა ეს განწყობილება, მეტიც — მსოფლშეგრძნება აკაკისა, ხან თითქოს რომ კიდეც ეჯიბრებოდა ბავშვებს — ერთ ლექსს რომ ისინი იტყოდნენ, ორს ეს მიადევნებდა. და როდესაც ერთერთი ყმაწვილი აკაკის მის ლექსს — „ქართველი უცხოეთშია“ — წაუკითხავდა, იმას სახე გაუბრწყინდებოდა და სიხარულით მიუბრუნდებოდა ფაზელს:

— შეხედე, ამათაც იციან!..

და ნიკოს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნებოდა: შეიძლება ამ სიამოვნების მიზეზითაც იყო, რომ აკაკი მთელი საღამო ბავშვებთან დარჩაო.

უპირველესად ცხადია მისი პიროვნული ბუნება განსაზღვრავდა იმდღევანდელ საქციელსაც, აკაკი თავის ტოლებს რომ მოწყდებოდა და თავით ფეხამდე ბავშვებში შთაინთქმოდა. და ასეთ დროს — მოგეხსენებათ — უბრალო მიზეზიც სავსებით კმარა, რათა შენი ბუნება ბოლომდე გამოავლინო.

შეხარბებით ბარემ ყველას შეეხარბებოდა, მაგრამ თქმით ერთი ეტყოდა:

— რა ბედნიერი ხარ, რომ ბავშვებს აგრე უყვარხარ.

ელოდები, რომ აკაკი შემოსცინებს მთქმელს — გადაბადრული, გადაცისკრებული, სიამაყითაც რომ მოავლებს მზერას გარსშემოჯარულ, ანთებულ ყმაწვილებს, მაგრამ... იგი უნდა მონაღვლიანდეს კიდეც და გულდაწყვეტით მიუგოს:

— ჰე, წამოიზრდებიან თუ არა, ზურგს შემაქცევენ!..

შეცბუნდებოდა იმ წუთას პატარა ნიკოც, სახტად დარჩენილი, ვერაფრით რომ ვერ ახსნიდა მიზეზს აკაკის დანაღვლიანებისა და ამ გულნაკლული პასუხისა, თუმც მოგვიანე-

ბით საგულდაგულოდ უნდა მოეჩხრიკა მისი ფსიქოლოგიური სათავე და მიწვდომოდა იმ ფარულ საწყისს, რაც სიტყვებად ასე უნდა დალაგებულიყო:

ასე იჭვიანები არიან ნაზმგრძნობიარე ადამიანები— რაც უნდა პატივისცემით მოეპყროთ, რაც უნდა შეიყვაროთ, ისინი მაინც უმადურნი არიან, რადგან მათ თვითონ უფრო ღრმად და ძლიერად უყვარხართ, ვიდრე მათი შეყვარება საშუალო ადამიანს შეუძლიაო.

ნეტა ეს გადამეტებული ეჭვიანობა, ნაზმგრძნობიარობის ნაყოფი, იწვევდა ამ შემთხვევაში ფანტაზიების ამოქმედებას თუ ფანტაზიების ამოქმედება — გადამეტებულ ეჭვიანობას?..

ბათუმის ქართულ სკოლას წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება რომ დააარსებდა, საგანგებოდ ამიტომაც ჩადიოდნენ იქ სხვადასხვა ქალაქიდან საზოგადო მოღვაწენი, იმ მზიან დღეს კი კლასში სწრაფი ნაბიჯით რომ შევიდოდა მასწავლებელი, აღელვებას ვერ დაფარავდა და პატარებს მიახარებდათ: ჩვენთან მეტად საპატიო სტუმარი იმყოფება — აკაკი წერეთელიო. ყმაწვილები ხომ სწავლობდნენ მის ლექსებს, მღეროდნენ „სულიკოს“, იცოდნენ მისი „შრომის სიმღერა“. და ეს ამბავი უცნაურად ააღელვებდა ყველას, გული აჩქარებით აუძგერდებოდათ.

მგოსანი — როგორი სიდიადით აღვსილიყო ეს სიტყვა. და ენახათ მწერალი, იმ ლექსების შემოქმედი, რომელსაც სწავლობდნენ, მეტი ბედნიერება რაღა უნდოდათ?!.

ჯერ კიდევ სულ ნორჩებისათვის, რომელთაც ის-ისაა გადაეშალათ ცხოვრების წიგნის პირველი ფურცლები, ეს უდიდესი მოვლენა გახლდათ და ამიტომაც დარჩებოდა დაუვიწყარი, ყველას განწყობილებას მაირანოვსკი რომ შემოგვინახავდა.

მოუთმენლად მოელოდნენ მგოსნის შემოსვლას, ის კი სამასწავლებლოში იმყოფებოდა მოსიყვარულე მასწავლებლებით გარშემოხვეული. არა, ადვილად არ ემეტებოდათ აკაკი უფროსებს ყმაწვილებისათვის.

და აი კლასის კარიც უნდა გაღებულიყო და სასურველი სტუმარიც გამოჩენილიყო გამგესთან ერთად.

ბავშვები ფეხზე წამოიჭრებოდნენ, აკაკი მიუახლოვდებოდათ, პირველ რიგებში მსხდომთ ალერსიანად მიესალმებოდათ და ხელით ანიშნებდათ, დასხედითო, სახეს კი მომხიბლავი ღიმილი უნათებდა.

ცელქობას რომ არ იშლიდნენ ხოლმე, მაშინ ყველა გაისუსებოდა, პოეტს თვალს არ მოაშორებდნენ, ისე ჩუმად დაეშვებოდნენ მერხებზე.

თვითონ ის სიტყვები აღარ გაახსენდებოდა, აკაკი რომ მიმართავდათ, მაგრამ გულში სამუდამოდ ჩაებეჭდებოდა განცდა, რომ ეს გამოთქმები თბილი და გულშიჩამწვდომი იყო.

მასწავლებელი ერთ-ერთ მოსწავლეს გამოიძახებდა და ზეპირად ათქმევინებდა „შრომის სიმღერას“, მეორე „მერცხალს“ წაიკითხავდა. შემდეგ თვითონ მგოსანი დაუსვამდათ შეკითხვებს. მოსწავლეები სხარტად მიუგებდნენ პასუხებს. ბოლოს ჯერი მაირანოვსკიზეც მიდგებოდა და მასაც ჰკითხავდა რაღაცას აკაკი. ეს მოულოდნელობისაგან ისე დაიბნეოდა, შეკითხვაში ვერც გაერკვეოდა და ვერას მიუგებდა. მასწავლებელი ჩუმად გადაულაპარაკებდა მგოსანს: ეს ბავშვი ქართველი არ არისო, — და იგი მიუახლოვდებოდა, ალერსიანად გადაუსვამდა თავზე ხელს და ღიმილით რაღაც გამამხნევებელ სიტყვებს ეტყოდა, რაც დაახლოებით ამას ნიშნავდა:

— მთავარია სურვილი იყოს, თორემ ადამიანი ყველაფერს შეისწავლის.

და მალეც გავიდოდა კლასიდან.

კონსტანტინე ნიკოლაძეს აკაკი ადრეული ბავშვობიდან დაამახსოვრდებოდა, რაკიღა მათ ოჯახთან საკმაოდ ახლობლობდა — არამარტო ნიკოს სიყრმის მეგობარი გახლდათ, არამედ ანასტასიასთანაც მჭიდრო მეგობრული განწყობილება აკავშირებდა: კონსტანტინეს და-ძმასთან.

აკაკი და ნიკო ხშირად მთელი დღეები რომ საუბრობდნენ, ყმაწვილს განსაკუთრებით ჩარჩებოდა ხსოვნაში მათი საუბარი ქუთაისში 1871 წელს — საზღვარგარეთ ნიკოლაძეთა ოჯახის წასვლის წინ.

აკაკი უჩიოდა უფულობას, რაც ხელს უშლიდა მის გამგზავრებას საზღვარგარეთ.

ყმაწვილი გაკვირვებული დარჩებოდა: ნუთუ აკაკის სურს უცხოეთში წასვლა და უფულობა უშლის ხელსო?.. ეს ვითარება გაურკვეველი იქნებოდა მისი ბავშვური წარმოდგენისათვის.

საზღვარგარეთ — ჯერ ციურიხსა და შემდეგ ჟენევაში — რამდენიმე წელიწადს დარჩებოდა და იქაურ კოლეჯში ისწავლიდა, და თითქმის მის თვალწინ გაივლიდა იმხანად ჩვენი ახალგაზრდობის — „უღელის“ წევრთა — ცხოვრება. „უღელის“ სხდომებზე კონსტანტინეს, როგორც ყველაზე პატარას, ლექსებს აკითხებდნენ ხოლმე. და აქ დაიწყებდა პირველად აკაკი ლექსების შესწავლასაც. ამას განსაკუთრებით შეუწყობდა ხელს მისი დის — ოლიმპიადას — ქმრის, გიორგი წერეთლის ჩამოსვლა, რომელიც აკაკის ბევრ ლექსს ჩამოიტანდა, როგორც ამას დაამახსოვრდებოდა, გაზეთიდან ამოჭრილებს. ყველა ამ ლექსს გიორგი წერეთელი დაასწავლიდა და სათითაოდაც აკითხებდა ხან „უღელის“ სხდომებზე, ხანაც ცალკე შეკრებებზე.

როდესაც საზღვარგარეთიდან დაბრუნდებოდა კონსტანტინე ნიკოლაძე, აკაკი უკვე ეყვარებოდა შეგნებული სიყვარულით, როგორც ხალხის დიდი პოეტი. მითუმეტეს, რომ საზღვარგარეთ, ჩვენი ახალგაზრდობის გავლენით, კონსტანტინეს არსებაში მომწიფდებოდა პატრიოტული გრძნობა.

ამიერიდან აკაკის უკვე ხშირად შეხვდებოდა.

გარდა ნიკოლაძეების ოჯახისა, ქუთაისში აკაკის ჰყავდა კიდევ ორი მეგობარი ოჯახი: ხელთუფლიშვილებისა და სერგეი ბახტაძისა.

აკაკი მასაც გასაოცარ მოსაუბრედ ჩარჩებოდა მეხსიერებაში: მოხუციც, ჭაბუკიც და ბავშვიც მასთან უცებ რომ პოულობდა საერთო ენას.

ბავშვებთან მაინც სულ იცვლებოდა.

მათი ტოლი ხდებოდა.

მათთან ერთად იცინოდა, დაუზარებლივ უყვებოდა ამბებს, ზღაპრებს, უკითხავდა და მათაც აკითხებდა ლექსებს.

და ესეც რაოდენ ნიშანდობლივი გარემოებაა, მისი თავისებურებაც და ღირსებაც, ამოსავალი ყმაწვილებთან მისი ურთიერთობისა, თვითეულს ინდივიდად, პიროვნებად რომ აღიარებდა და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მათი სახელების დამახსოვრებას:

ბავშვების სახელები სათითაოდ ახსოვდა, თუგინდ ერთხელაც შეხვედროდა ესა თუ ის მათგანი.

ნუთუ... ერთი შეხვედრაც კი კმაროდა ამისათვის?!.

კონსტანტინე ნიკოლაძეს საკმაო დრო და საშუალება მოეპოვებოდა საამისოდ, ამ მხრივაც საგანგებოდ დაკვირვებოდა მგოსნისა და ყმაწვილების ურთიერთობის სტილს, და მის ამ მოწმობას ფასდაუდებელი მნიშვნელობა ამიტომაც ენიჭება:

ერთი შეხვედრაც კმარა, რათა ყმაწვილებს უშეცდომოდ მიმართოს თავთავიანთი სახელითო.

რუსუდან ნიკოლაძესაც, ნიკოს ასულს, რა გასაკვირია აკაკი ყრმობიდანვე რომ დამახსოვრებოდა, თუმც მისი ნამდვილი ბუნება უკეთ უფრო გვიან უნდა ეგრძნო, ქუთაისში, თავის მამიდებისას, კატო და ანიჩკა ნიკოლაძეებისას გიმნაზიაში რომ მიაბარებდნენ 1896-98 წლებში.

ოცამდე მოზარდი იმყოფებოდა მამიდების ცნობილ „რიონისპირა“ პანსიონში, აკაკის საყვარელ „მწვანე-ჯვეჯილურ“ გარემოში და ამავე დროს მისი ძველი, განსაკუთრებული მეგობრის, ანასტასია ნიკოლაძის გვერდით.

მხიარულ, მჭიდროდ შეკავშირებულ ახალგაზრდა „კომუნად“ წარმოდგებოდა კირილე ლორთქიფანიძისა და აკაკის მიერ ასე მონათლული ეს პანსიონი.

და როგორ უყვარდათ აკაკის ჩამოსვლა-გამოჩენა!..

მათთან ჩამოხტებოდა ხოლმე — მხიარული, ამყოლი და თითქოს მათზე უფრო ახალგაზრდაც ყოველგვარ ეშმაკობასა და ოინებში, ყველას ფეხზე რომ წამოაყენებდა ხოლმე გამოჩენის პირველივე წუთებიდან.

ხან ლექსს წაუკითხავდათ, ხან ამათ ათქმევინებდათ, ხან სიცილით ხოცავდა რისიმე მოყოლით, ხან პირიქით — დაცინვით რომელიმე ამათიანს კიდეც აატირებდა ხოლმე, ხა-

ნაც რაიმე დაუვიწყარი მოგონებით გაიტაცებდათ და თვითონაც აჰყვებოდათ ამ გატაცებაში.

იმ დროიდან ყველაზე უფრო ცოცხლად ასეთი სურათი დაუდგებოდა ხოლმე თვალწინ რუსუდანს:

თეთრი ხიდის სიახლოვეს, რიონის მაღალ ნაპირზე იდგა პაპამისის სახლი — ხისა, ძველი, ნახევრად დანგრეული, ოღონდ მშვენიერი, წყალზე გადამყურე აივნით. ძირს კი კლდეებზე აზვირთებული რიონი მოჩქეფდა, ურჩი და თეთრად აქაფებული.

როგორ უყვარდათ ყმაწვილებს მასთან თამაში და მისი ტალღების „წვიმა“.

მეტადრე — აკაკის ჩამოსვლის დროს, სულ სხვა მადლითა და ეშხით რომ გადანათდებოდა ყველაფერი.

დილაობით როგორ ელოდნენ, ნაპირზე მიმალულები, მისი კარის გაღებას — მისი ადგომის დრო რომ მოახლოვდებოდა.

პირმღიმარი და თმააბურძგნული, მხიარულად გამოდიოდა — მზით მოსილი — წყალზე გადაკიდებულ აივანზე.

სახესა და გულმკერდს დილის სიოს შეუშვერდა.

ყმაწვილებს — იმათ რომ ეგონათ, მალულად ვუმზერთო — მხიარულად აბრწყინებულ თვალებს გადმოავლებდათ და ყველას ერთად ჩამოსძახებდა თავისი ახალი ლექსის გადაკეთებით: გამარჯობა, ქუთაისო, სავარდო და სამაისოო!..

და მართლაც:

გინდ ზაფხული ყოფილიყო და გინდ შუა ზამთარი, ყინვა-თოვლიანი, აკაკის ჩამოსვლას ყოველთვის თან ია და ვარდი მოჰქონდა.

სულ პირველად კი, თავისი იმდროინდელი ბავშვური წარმოდგენით, რუსუდანს ამის საწინააღმდეგო გარემოში დაამახსოვრდებოდა აკაკი, როგორც პოეტი.

რას გულისხმობს?

ნიკოლო ბარათაშვილის გადმოსვენების დღეს ტფილისში — 1893 წლის 25 აპრილს.

8 წლისა იქნებოდა, როდესაც ეს მოხდებოდა, და იმ დღის შთაბეჭდილებებს სასწაულივით შეიტანდა თავის ბავშვურ, სამხაზიან „დღიურში“.

იმ ხანის საქართველოსათვის ეს გადმოსვენება იმდენად დიდ საზოგადოებრივ მოვლენად წარმოდგებოდა, რომ დედა რუსუდანსაც თან წაიყვანდა — ახალ ნაავადმყოფარს.

როგორ გაზრდიდა და გაამდიდრებდა გოგონას ის დღე:

პოეტის კუბო და მისი „მერანის“ შეგრძნება.

ბარათაშვილი რას ნიშნავდა ნიკოლაძეთა ოჯახისათვის?

რუსუდანის დიდედა ქეთევანი, დედა, მამა, დეიდები და ბიძა — დავით გურამიშვილი სულ იმისი ლექსებით მეტყველებდნენ, როდესაც მწერლობაზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი. ეს კი მუდმივი მოვლენა გახლდათ მათ ოჯახში.

განსაკუთრებით აფასებდა ბარათაშვილს ილია ჭავჭავაძე.

რუსუდანი ვერ გაიხსენებდა ილიას ვერცერთ შეხვედრას დიდედა ქეთევანთან, რომ ცალკე რუსთველზე, ცალკე ბარათაშვილსა და სხვა ძველ მწერლებზე არ ყოფილიყო სიტყვა ჩამოგდებული — მათი ლექსების წაკითხვითა და ურთიერთშედარებით.

ამიტომაც ადვილი მისახვედრია, რაოდენ დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა ოჯახის წევრებსა და მათ შორის რუსუდანზეც ილიასა და ნიკოს მიერ მოტანილი საოცარი ამბავი, რომ ნახევარი საუკუნის წინათ გარდაცვლილი პოეტის ნეშტს ტფილისში მოასვენებდნენ შორეული მიდამოების „ტიალ მინდვრებიდან“ და დიდუბეში უმზადებდნენ საფლავს: მისთა წინაპართ საფლავებს შორის.

გოგონას თითქმის არ დაეძინებოდა ამ დიდი მოვლენის წინა ღამეს და დილასისხამზე რომ წამოხტებოდა, ის და დიდედა ქეთევანი ერთად შეხვდებოდნენ აივანზე ნიკოს — მზის ამოსვლისას. აპრილის მშვენიერი დილა იდგებოდა და მზე მთაწმინდას გააბრწყინებდა თავისი პირველი სხივებით.

— ყოჩაღ, უკვე ამდგარხარ! — მიმართავდა მამა, რომელიც ადრე ადგომას აჩვევდა შვილებს, — რა მშვენიერი დილაა! — მიუბრუნდებოდა სიდედრს და სიხარულით წამოიძახებდა: ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტოო...

სულ რამდენიმე თვე გასულიყო, რაც აღტაცებულ გიორგი წერეთელს პირველად მიეტანა ნიკოსათვის აკაკის ეს ახალი ლექსი, დაწერილი „კვალის“ პირველი, სააღლუმო ნომრისათვის: და დიმიტრი ყიფიანის საფლავისათვის. და რუსუდანს არც არასოდეს დაავიწყდებოდა, როგორი აღტაცებით შეხვდებოდა ამ ლექსს მთელი მათი ოჯახიც და ყველა სტუმარიც.

სათაურიც — „განთიადი“ — საგანგებო მნიშვნელობით რომ შერჩეულიყო, ლექსი კიდეც ალივით მოსდებოდა მთელს იმდროინდელ ქართველ საზოგადოებას.

იმ დროს რუსუდანისა და დიდედა ქეთევანის საყვარელი ლექსი აკაკის „სიზმარი“ გახლდათ — სამი სათაყვანებელი გმირი ქალის — წმინდა ნინოს, თამარ მეფისა და ქეთევან წამებულის — სურათითა და ქართული ენისა და ერის დიდებით, ეს სამნი რომ აღავლენდნენ ლოცვას ღვთისმშობლის წინაშე: მოეც კურთხევა ზეცით, მაღალო, და გადმოსახე ძლიერად ჯვარი, რომ აღადგინო ქართველთა ერი, დღეს დაცემული და ცოცხალ-მკვდარიო!..

რუსუდანსა და გიორგის, მის პატარა ძმას, დიდედა ყოველ საღამოს უამბობდათ რაიმე შესანიშნავს ძველ ქართველთა გმირობიდან — სინამდვილიდან ან ზღაპრულიდან, და შემდეგ უსათუოდ ან „ვეფხისტყაოსნიდან“ წაუკითხავდათ რაიმე შესაფერისს, ან ახალი პოეტებიდან, რომელსაც, დიდედას აზრით, ბარათაშვილის თაობაც ეკუთვნოდა ილიასა და აკაკისთან ერთად, და მათ შორის ყველაზე მაღლა მაინც აკაკის აყენებდა.

აკაკის „სიზმარს“ იგი „ივერიის სამებას“ უწოდებდა, რადგანაც ეს ლექსი აკაკის თურმე ილიასათვის დაეწერა მისი გაზეთის — „ივერია“ — გასაუკეთებლად, როგორც აკაკის სჩვეოდა ხუმრობით თქმა.

დიდედა ქეთევანს თუ რაიმე უყვარდა, ეს ლექსი უყვარდა და მოუწყინრად იმეორებდა მის საუკეთესო ადგილებს.

„განთიადსაც“ ასევე შეაფასებდა. რუსუდანი გვერდით ედგომებოდა, როდესაც ილიას ეტყოდა ამ ახალი ლექსით აღტაცებული:

— შენი „ივერიისათვის“ შექმნილი „სიზმრის“ შემდეგ ჯერ ასეთი არა გამოუთქვამს რა მისი გულის კვნესას!..

— დიდი პოეტია აკაკი! — წამოიძახებდა აპრილის იმ დილას ნიკო ნიკოლაძე, — არ მომკვდარა ბარათაშვილი. ისა სჯობს მამულისათვის, რომ შვილი სჯობდეს მამასა.

აკაკი რომ შესწრებოდა, უთუოდ წაედავებოდა: რას ამბობ, სად ბარათაშვილი და სად მე, ეს ის შემთხვევა ნამდვილად არ არის, რომ შვილი სჯობდეს მამასაო, — მაგრამ არც ნიკო დაუთმობდა: შენი მოვალეობა ლექსების წერაა, ჩვენი მოვალეობა — მათი შეფასებაო.

ის ურჩევნია მამულსაო...

მას აქეთ აკაკის სახელი აელვარებული, ალისფერი ასოებით აინთებოდა რუსუდანის ბავშვურ წარმოსახვაში მთაწმინდის შავი სილუეტის ფონზე.

როდესაც ზღვა ხალხით გადავსებულ ქუჩებსა და დიდუბის მინდორში დიადი კუბოს გვერდით აკაკის ლომისებრ თავსა და მხარბეჭს დაინახავდა, ქარით ანიავებული თმით, იგი სასახლიდან წამომდგარ ბარათაშვილად მოეჩვენებოდა, მისი მერანის შავ ფრთებზე შემდგარად და თავისი განთიადის სხივებით კაშკაშად აბრწყინებულად...

ერთი-ორი წლის შემდეგ ნიკო ნიკოლაძეს ფოთში რომ მიიწვევდნენ სამუშაოდ, ცოლ-შვილიც თან წაჰყვებოდა. რამდენ საგულისხმო რაიმეს შეიტყობდნენ ბავშვები იმ წლებში უფროსების კამათიდან — ჯერ ტფილისში, ამათსას და „კვალის“ რედაქციაში, 1893-94 წლებში, შემდგომ კი ფოთსა და ჯიხაიშში.

ნიკო ნიკოლაძე საზღვაო მომავალს აყენებდა ყველაზე წინ საქართველოსათვის რუსული თვითმპყრობელობის მონობიდან თავდასაღწევად, აკაკი და გიორგი წერეთლები კი „ძველებურად“ ქუთაისის წარსულის „კვალს“ ანერდნენ ყველაზე მეტ მნიშვნელობას.

ასეთ გარემოში დაიბადებოდა აკაკის „ქუთაისი“ და „ზღვაო, აღელდი“.

რუსუდანი როგორ განსაზღვრავდა მათ ფსიქოლოგიურ საწყის-სარჩულს?

ორივე მისი მშვენიერი „იმერეთით ნამღერი“ და საგულისხმო კამათით „ცეცხლშენთებული“ ლექსიო.

გიორგი წერეთელი იმჟამად უკვე თავისი რომანის — „პირველი ნაბიჯი“ — შესავალ თავებს რომ ამზადებდა, ისინი ანარეკლი იქნებოდნენ ფოთის ძველი პორტის არქაული

მშენებლობისა და ძარცვა-მექრთამეობისა; ნიკო ნიკოლაძე ახალი მშენებლობის გეგმებს აგებდა, მაშინ, როდესაც აკაკი მას ძველად დაწერილი ლექსიდან „ფოთი“ დამცინავ ციტატებს აყრიდა სეტყვასავით.

რუსუდანი მეტად დამახასიათებლად მიიჩნევდა აკაკისათვის, რომ:

მას რაღაც ორგანული „ოპოზიცია“ უღვიოდა გულში ფოთის მიმართ.

ის კი არა ფოთის რიონსაც აითვალწუნებდა და... ამის გამო საგანგებოდ ნიკოსათვის შექმნიდა თავისი „ქუთაისის“ რიონ-ფაზისის ზღვასთან შეერთების ამ სურათს:

სადღა არის ოქროს სილა?..
შლამ-ტალახით ამოვსილა...

სულ ამას უმეორებდა აკაკი ნიკოს ფოთის ფაზისის შესახებ, რომელსაც ყოველთვის უპირისპირებდა ქუთაისის ურჩ და შეუპოვარ რიონს, ან კიდევ ბათუმის ჭოროხს.

ფოთის პორტს გარეთ შავად განრისხებული ზღვა კი აღაფრთოვანებდა და კიდეც უძღვნიდა დითირამბს 1894 წელს:

ზღვაო, აღელდი, აღელდი,
ქარტეხილს დაემორჩილე...
...
პოეტო, ნურც შენ ეკრძალვი
მრისხანე გულის ღელვასა...

აკაკი რას აღიარებდა გულღიად?

ამ ლექსის წყობა იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ „მზეო, ამოდი, ამოდის“ რიტმითაა წარმოშობილიო.

ამგვარი აღიარებანი არც არასოდეს უძნელდებოდა მისი ეთიკური მრწამსის კაცს.

რუსუდანის შეტყობით კი: ლექსის ბოლო სიტყვები ნიკო ნიკოლაძის ახალი გატაცების სანინააღმდეგო პროტესტს შეიცავდნენ — მწერლის კალამი მშენებლობაზე რატომ გაცვალეო!..

აკაკი რამდენჯერმე წაუკითხავდათ ამ პოეტურ ნიმუშს ნიკოლაძეთა რიონისზედა აივნიდან, გაზაფხულის წვიმებით აზვირთებული მდინარის წინ, და რუსუდანს საგანგებოდ დაუბარებდა: მამაშენს მისწერე ამის შესახებო.

პორტის მშენებლობა ნიკოს საზოგადოებრივ „ძილად“ მიაჩნდა აკაკის და მწერლის მოწოდების ღალატად.

ხოლო როდესაც გოგონას ქუთაისში მამიდებთან გაისტუმრებდნენ და იქაურ ქალთა პანსიონში მიაბარებდნენ, იმ დროს იქ ოცამდე მოსწავლე იქნებოდა: ორი ქალი — რუსუდანი და მამიდების ნათლული ელენე ჩხეიძე, დანარჩენი კი — ბიჭები, ერთიმეორეზე უფრო ცოცხლები და ეშმაკები, ზოგი გიმნაზიაში მოსამზადებლად რომ იყო მობარებული, უმრავლესობა კი უკვე სწავლობდა ამ სასწავლებელში — უმცროს ან უფროს კლასებში.

ერთ მთლიან, მჭიდროდ შეკავშირებულ ოჯახად წარმოდგებოდა ეს პანსიონი. და აკაკის ძალიან ეყვარებოდა ეს „ქაჯეთი“, როგორც ხშირად იხსენიებდა, როდესაც ყმანვილების ეშმაკობას აჰყვებოდა ხოლმე და მასაც ბავშვებთან ერთად მოხვდებოდა მამიდა კატოსაგან.

რუსუდანს უამისოდ ვერც წარმოედგინა აკაკი ქუთაისში!..

ეს რიონისპირა „ქაჯეთი“ და მისი „ნესტანი“ — მამიდა ანიჩკა: ეს ერთ-ერთი მართლაც „სავარდო და სამაისო“ ფურცელი აკაკის ასერიგად მდიდარ და მრავალფეროვან სიცოცხლეში.

— მიყვარს ფაცხა მე მეგრული, ზედ კორტოხზე წამოდგმულიო, — ამ სიტყვებით უნდა შემოებიჯებინა ამ ძველ სახლში და იმწამსვე ყმანვილებს უნდა მიბრუნებოდა და ეკითხა:

— როგორ ხართ, ქაჯებო? აბა გამოტყდით, ვინ რა იეშმაკეთ?..

და თან ისე უზამდათ „თვალს“ მამიდებისაკენ, რომ... მხიარული იმედებით უვსებდათ გულს ახალი ეშმაკობის მოლოდინში...

რა დიდი მიხვედრა უნდა, რამხელა დღესასწაული დაუდგებოდათ ხოლმე ბავშვებს მისი გამოჩენით — სულ კუდივით უკან დასდევდნენ ახალ-ახალ საგულისხმო თქმასა თუ მხიარულ „ნომერს“ მოწყურებულნი.

და ის გაუნელებელი შთაბეჭდილება, სიყმაწვილისასაც უკვე რომ გრძნობდა რუსუდანი და ხანის მომატების კვალობაზე დაბეჯითებით ჩამოუყალიბდებოდა:

არავის ჰგავდა ამაში აკაკი თავის თერგდალეულთა წრიდან.

ტფილისში — ნიკო ნიკოლაძე და ილია ჭავჭავაძე,

ქუთაისში კი — ნიკო ნიკოლაძე და კირილე ლორთქიფანიძე:

ყველგან მხოლოდ მწერლები და საზოგადო მოღვაწეები იყვნენ მათ ბავშვურ წარმოდგენაში — „დიდები“ და ამიტომაც მარტოდენ უფროსებისათვის მისაწვდომები. ესენი კი, უმცროსები, აღარც ახსოვდათ, თუ საქმით იყვნენ გატაცებულნი ან ცხარე, გაუთავებელი კამათით.

ერთადერთი მათ შორის ყმაწვილების საყვარელი სტუმარი და მეგობარი — გარდა აკაკისა — გახლდათ გიორგი წერეთელი, რომელიც საკმაოდ ხშირად ჩამოდიოდა ქუთაისში და ნიკოლაძეებთან ჩამოხტებოდა ხოლმე, მეტადრე მას აქეთ, რაც ცენზურა მის „გულქანს“ აკრძალავდა ტფილისში და ახლა რაღაც საბავშვო მოთხრობებს ბეჭდავდა ქუთაისში.

გიორგი წერეთელსაც ძალიან რომ უყვარდა ბავშვები და ახალგაზრდობა, თურმე სულ სხვანაირად, ვიდრე აკაკის.

და ესეც მეტად საგულისხმო განსხვავება, ერთი შეხედვით დაფარული, მაგრამ გონიერი ბავშვები იმთავითვე რომ გააცნობიერებდნენ კიდეც, თორემ გრძნობით ხომ ძალდაუტანებლად იგრძნობდნენ.

გიორგი წერეთელი — ბავშვებს, თვითეულ მათგანს, საბრძოლველად ამზადებდა.

აკაკი წერეთელი — ბავშვების ცელქობა და სიცხოველე უშუალოდ იზიდავდა.

გიორგი წერეთელში ყმაწვილები თავიანთ მეგობარ-მასწავლებელს გრძნობდნენ და არა თამაშობის ტოლ-ამხანაგს. რა არ გაუვლიდათ თვალწინ ამ ყველაფრის მცოდნე, გატაცებული მოამბის ჩამოსვლისას, განსაკუთრებით ჩვენი ხან შორეული და ხანაც ახლო წარსულიდან, რომელიც მას ასერიგად უყვარდა — ნამდვილიც და ლეგენდარულიც ერთნაირად.

ზოგჯერ აკაკიც ესწრებოდა ამ „მოყოლის“ საღამოებს, და მაშინ ზღაპარი და ლეგენდა იმარჯვებდა: ამირანი და ქართლოსი; არგონავტები და ფაზისი; აკაკის ნინო და თამარი; გელათის დავით აღმაშენებელი; მეორე დავითი და კონსტანტინე — ჩვენი მოწამეთის წყალწითელადან.

შესანიშნავი საუბარი რომ სჩვეოდა აკაკის — მეტწილად იუმორნარევი.

გიორგი წერეთლის გადმოცემა კი ყოველთვის „ცეცხლწაკიდებული“ გახლდათ და „ცეცხლისმომდებიც“.

მისი საუბრის თემებიც შესაფერისი: „უღელი“ და რუსეთის „ქალთა ფერეინი“ შვეიცარიაში. რუსეთის მებრძოლები და მათი გაცნობა ან შეხვედრა თერგდალეულებთან. იტალიის, საფრანგეთის, ამერიკის მებრძოლები. პარიზის კომუნა და კომუნარები. გარიბალდი და მისი რაზმი. მათი ბრძოლა და გამარჯვება.

რას აღარ უამბობდათ ტფილისიდან ახალჩამოსული. სტამბაშიც წაიყვანდათ ხოლმე, სადაც მისი საყმაწვილო მოთხრობა „ჩვენი გმირები“ იბეჭდებოდა მათთვისვე — და ესეც დიდი დღესასწაული იყო ბავშვებისათვის.

მაგრამ ყველა ამაში:

გიორგი წერეთელი წინა თაობიდან ჩამოსული სტუმარი გახლდათ მათი ნორჩი, გულაგზნებული რიონისპირა წრისათვის. რამდენი რამ ენახა, გამოეცადა, დაეწერა და გაეკეთებინა ამ წინათაობას თვით გიორგი წერეთელთან ერთად.

ხოლო აკაკი წერეთელი?

დროისა და სივრცის გარეშე იდგა მათ წარმოსახვაში:

ხან შოთას გვერდით ევლინებოდათ, როგორც ჩვენი „რჩეული ერის" „მზისტოლი" მგოსანი, ყმაწვილთათვის მიუწვდომელი ჩანგითა და გულის სიმებით.

და ხანაც პირიქით — თავიანთ ტოლ-ამხანაგად მიაჩნდათ, მათსავით ცელქად და ეშმაკობაში ამყოლად.

სასადილო ოთახში რომ შეიჭრებოდნენ საკლასო ოთახიდან, გაკვეთილებზე გარჯის შემდგომ, დამშეულები და აკაკი ოხუნჯობისათვის „კბილებგალესილები", პოეტსაც თითქოს ელდენი დაუვლიდა, ისე გამოცოცხლდებოდა ხოლმე:

ჩამოხტებოდა, 40 წელს ერთბაშად ჩამოიშორებდა მხრებიდან და სიცილით მიეგებებოდათ:

—შემოგვესივნენ ქაჯები, ხმალი ვიშიშვლოთ!..

და... შეჯიბრს გამოუცხადებდათ ცელქობა-ეშმაკობაში: აბა ბიჭებო, ვინ მაჯობებსო?!.

ესეც მათი მხიარული „ქაჯეთის" შინაცხოვრება.

და ესეც თვით აკაკი ამ „ქაჯეთში", რუსუდანის ძვირფასი მამიდების სტუმართმოყვარე, ძველ სახლში: მუდამ მცინარე, ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე და სულიერად ჩანგაჟღერებული.

თავი II

ნიკოლაძიანთა... და კიდევ ანიჩკა

კატო და ანიჩკა (ანასტასია) ნიკოლაძეები: თურმე ძნელად წარმოიდგენდი ერთსა და იმავე ოთახში მეტ ანტიპოდებს, ვიდრე ნიკო ნიკოლაძის ეს ორი და გახლდათ, ხუთი დიდან მარტო ესენი რომ დარჩებოდნენ უქმარშვილონი და მთელ თავიანთ სიცოცხლეს საზოგადო საქმეს შესწირავდნენ — ახალგაზრდობის აღზრდას. თავიანთ დაობლებულ დისწულებთან ერთად მთელი მოსწავლე ახალგაზრდობა რომ მიაჩნდათ საკუთარ ოჯახად, მეტადრე თუ რომელიმე ნიჭს გამოამჟღავნებდა და თვითმპყრობელური რეჟიმის ურჩობას.

სულ სხვადასხვა ბუნებისა და პიროვნული ხასიათის პატრონები იმავდროულად იმით იყვნენ ცნობილნი, რომ უერთმანეთოდ არ გაეძლებოდათ და ვერც ვერავინ წარმოიდგენდა მათ ცალ-ცალკე. თითქმის ერთ დღესაც გარდაიცვლებოდა ორივე და ერთადაც დაკრძალავდნენ თბილისში.

მამიდა კატო 77-წლიანი ცხოვრება-მოღვაწეობიდან მხოლოდ სამ წელს გაატარებდა უანიჩკოდ — 70-იან წლებში, როდესაც ნიკო მას და შუათანა დას, ოლიმპიადას, შვეიცარიაში წაიყვანდა ქართველ სტუდენტ-ქალების პირველ რაზმთან ერთად. მამიდა ანიჩკა კი არც მაშინ მოშორდებოდა მშობლიურ კერას, როგორც უფროსი და.

ყველაფერში „არქიპოლუსებად" წარმოდგებოდნენ კატო და ანიჩკა აკაკის მხიარული დახასიათებით:

ანიჩკას ნაზ იას ადარებდა ჩვეულებრივ, კატოს კი... ჭინჭარს, რომლისგანაც მასაც კარგად მოხვედროდა არაერთხელ: ვა ბეჩა აკაკი, ასე რამ გაგაგიჟაო...

კატოს ამგვარი „კომპლიმენტები" მეტად კარგ გუნებაზე აყენებდა ხოლმე აკაკის, მხიარულად გადაიხარხარებდა და წამოიძახებდა თავისივე ლექსს ოდნავი ცვლილებით: ოჰ, აკაკი... ჭინჭარში ნუ ვარდები... ნუ გგონია იქ ია და ვარდებიო...

ანიჩკას კი პირიქით, ხშირად გაუმეორებდა თავისი „გაზაფხულიდან": დავყნოს ვარდსა გადაშლილსა, ვუჭვრეტ ნაზად დახრილ იასო...

რაზედაც ანიჩკა უცვლელად საყვედურობდა დაბალი, ღელვით ჩაყრუებული ხმით:

— კაი აწი, აკაკი, ნუ იცი ეს...

მამიდა კატო ბუნებითა და მოწოდებით საზოგადო მოღვაწე რომ გახლდათ, და იმავდროულად თავისი ოჯახისა და პანსიონის ენთუზიასტიც, სხვაგვარი როგორი იქნებოდა, თუ არა: დაუცხრომელი, ენერგიით აღსავსე, მოუსვენარი მუშაკი და ახალ-ახალ საქმეთა წამომწყები.

რომელიმე საზოგადო საქმეს როგორ მოაკლდებოდა — თითქმის ყველგან მოთავეც ის იყო და წამოწყების სული და გულიც: ქართული თეატრიო, თარგმანები და გამომცემლობაო, მუშებისათვის იაფფასიან წარმოდგენათა მოწყობაო, სახალხო უნივერსიტეტის დაარსება და ხელმძღვანელობაო, სტიპენდიების დანიშვნაო, საიმედო ახალგაზრდებისა და დევნილების დახმარებაო — თურმე სად არ შეხვდებოდით 40-50-წლიანი მონაკვეთის ქუთაისში, 70—იანიდან 1920 წლამდე. ყველა ამ საქმიანობას ქალთა წრე წარმართავდა — კატო და მისი რამდენიმე მეგობარი, რომელთა შორისაც ძმისწულს 90-იან წლებში ყველაზე უკეთ დაამახსოვრდებოდა მელანია გველესიანი, ელენე ხელთუფლიშვილი და ნიცა წერეთელი.

და ამ ქალთა წრის საუკეთესო მეგობარი და ხელშემწყობი ვინ შეიძლება ყოფილიყო, თუ არა აკაკი, რომლის ჩამოსვლაც ქუთაისში უსათუოდ ამ წრის რაიმე წამოწყებას უნდა დაკავშირებოდა.

მამიდა ანიჩკა ბუნებით სულ სხვა რომ გახლდათ — პატარა, წყნარი და „ზამბახივით ნაზი“, ყმაწვილების თვალში ქაჯეთს დატყვევებულ ნესტანად მოჩანდა მხიარულად ახმაურებულ პანსიონში. და აკაკი მას „პატარა ქალბატონს“ რომ ეძახდა ალერსიანი ხუმრობით, ამ ეპითეტით დაწერილი მისი ბარათებიც შემოგვრჩებოდა.

რა გასაკვირია, რომ როგორც გარეგნულად, ისე მთელი თავისი ბუნებით ანიჩკა რაღაც ნაზ გრძნობებს რომ იწვევდა ყველაში, ვისაც შეხვდებოდა — მზრუნველობას, თბილ ალერსს. ახალგაზრდობისას ძალიან ლამაზი, მშვენიერ გარეგნობას დიდხანს შეინარჩუნებდა — პატარა და კოხტა.

ვერავინ წარმოიდგენდა მისი ხმის ამაღლებას, ნაბიჯის აჩქარებასა თუ მოთმინებიდან გამოსვლას.

და თუმც კატო ფიცხი და სწრაფი ბუნების ადამიანი გახლდათ, ყველა კარგად იცნობდა მისი ცხარე გულის საარაკო გულკეთილობასა და ავის არდახსომებას.

ანიჩკას ყოველი განცდა მისივე გულში რომ იმარხებოდა, ჩუმად და სამუდამოდ, ამიტომაც მისი ღიმილის ჩაქრობა და წარბების შეკვრა მეტი სასჯელი იყო, ვიდრე კატოს უცხარესი წუთიერი „ადღეება“ და ენამახვილი „დარტყმები“.

ანიჩკას მიმართ აკაკის ბუნება ყოველთვის „სამაისო“ დარჩებოდა მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში: მზიანი, ალერსიანი, არაჩვეულებრივად ნაზი და ახალგაზრდულად ხელუხლებელი, უშუალო.

რამდენჯერ ეთქვა აკაკის მათთან ჩამოსვლისას, ანიჩკას გვერდით რომ მოიკალათებდა ტახტზე სადილის წინ, ვიდრე ყმაწვილები საკლასო ოთახში სწავლობდნენ, ანდაც ეზოში თამაშობდნენ:

— რა მიყვარს ქუთაისში დაბრუნება!..

და თავის სტრიქონებსაც რომ მოადევნებდა:

გულში იფეთქა სიამემ,
სევდები უკუვყარეო,
ია და ვარდი დამჭკნარი
ხელახლად გამიხარეო...

ამასაც დასძენდა:

— ასეა, ჩემო ანიჩკა! აბა მითხარი ახლა თქვენი აქაური ამბები...

და კიდეც გააბამდნენ ხანგრძლივ მასლაათს, ვიდრე ბავშვები შემოესეოდნენ, შემოესეოდნენ და გაიტაცებდნენ, და კიდეც თავიანთ ტოლად აქცევდნენ.

ესეც აკაკისა და ანიჩკა ნიკოლაძის ის სრულიად თავისებური მეგობრობა, რომელიც გაგრძელდებოდა 60-იანი წლებიდან მისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე.

— მე რომ წიგნის წერას დავაგვიანებ, ის ნიშნავს, რომ ცუდ გუნებაზედა ვარ და საქმე დახლართული მაქვს! — მისწერდა დაუთარიღებელი ბარათით, მკვლევარები 1877 წლისად რომ ივარაუდებდნენ.

ამ სტრიქონების გაცნობისას ანიჩკას რომ ეკითხა:

როდის იყავი კარგ გუნებაზედ და როდის არა გქონია საქმე დახლართულიო?

ეს კი მართალი გახლდათ, მაგრამ ახლა ისე დახლართულიყო და მრავალგვარადაც დახლართულიყო მისი საქმეები, რომ გიორგი ყაზბეგი წავიდოდა გურიაში და აკაკი ვერასგზით ვერ მოახერხებდა.

მაგრამ რაღა ეს ეთქვა — სული მისდიოდა, ვიდრე კატოს მოინახულებდა და... ქუთაისშიც ვერ მოეხერხებინა ჩამოსვლა.

თუ როგორმე შეიძლებოდა წამოსვლას, რასაკვირველია დიდსიამოვნებათა და სევდის სამკურნალო შემთვხევადაც მიითვლიდა.

— არასოდეს ასე გულ-გატეხილი არა ვყოფილვარ; როგორც ახლა ვარ. აღარაფერი აღარ მახარებს. იმდენზედაც მიმიყვანა ამ გულ-გატეხილობამ, რომ გული მიღრენს ანუ, როგორც ჩვენი ფილოლოგები ეძახიან, ნერვები მძლევენ...

რა გუნებაზე დამდგარა და: რაკიღა უეცრად გამოებლანდებოდა, კიდეც წაჰკრავდა ყისტს ფილოლოგებს, ენის კანონმდებლებად რომ მიაჩნდათ თავი და... ერთი-ორჯერ ეგებ აკაკისაც შეჰბედეს და შეუსწორეს გამოთქმები.

ეს ისე, ყოველი შემთხვევისათვის, თორემ იმათთვის სად ეცალა:

ის ატირებდა, რომ ენერგია, რომელიც მუდამ თან ახლდა, ატყობდა, თანდათან ღალატობდა და... როგორ არ შესკდომოდა გულს: უამისოდ რაღა ვიქნებიო!..

მოკითხვას დააბარებდა კატოსთან, თუ ისიც რაიმეზედ არ შემოსწყრომოდა აკაკის: ისეთი დრო დამდგარიყო, კაცს ვერაფერი იხსნიდა შეურაცხყოფისაგან. და ბარემ ესეც ეკითხა დისათვის ანიჩკას:

— დაგამშვიდა თუ ვერა შეშლილმა?

ის კი მიხვდებოდა ნაგულისხმევს...

ანიჩკა ხომ აკაკის წერილებს უცდიდა ყოველთვის!.. ვიზიტების ანგარიშისა არ იყოს... რაღა იმასთან და რაღა ამასთან... სიცილის მეტს ვერას მოჰგვრიდნენ კაცს აქაური გაბერილები... სხვა რაღა მიეწერა, ხომ იცოდა ანიჩკამ აკაკის ხასიათი: რომ მიეწერა, უნდა ასი და ათასი ტომი ყოფილიყო, თორემ ისე სულ გაჩუმება სჯობდა.

მამიდა კატო ვერასოდეს იცლიდა ყმაწვილებისათვის გაკვეთილების გამოკითხვის საათების გარდა — ქალაქში ათასი საქმე ეხვია თავს, მამიდა ანიჩკა კი ბავშვების მხიარული სკის „დედაფუტკარი“ გახლდათ. ესაუბრობოდათ, უკითხავდათ, აკითხებდათ, უამბობდა ბევრ რაიმეს წარსულიდან... განსაკუთრებით ამიტომაც უყვარდათ უმცროსებს ეს საათები მასთან.

აკაკის ჩამოსვლისას კი — სხვაგვარად ანკი როგორ შეიძლება მომხდარიყო — ამ საათებში ისიც მონაწილეობდა და სად აღარ გადააფრენდა ყმანვილებს თავისი ფრთაშესხმული ენითა და წარმოსახვის უნარით.

ძალიან უყვარდათ უმცროსებს აკაკის ორი გუნება:

„დედაენის“ ლექსების კითხვა-გამოკითხვის სურვილი რომ მოუვლიდა

და

თავისი ბავშვობის თავგადასავლის მოგონებათა მორევში რომ გადაეშვებოდა — ჯერ სხვიტორის ხანაში, შემდეგ კი ქუთაისში, „როზგის მეფობის“ დროში.

იმავე გიმნაზიაში სწავლობდნენ ისიც და ნიკოც, ახლა სადაც თითქმის მთელი მათი პანსიონი მიემგზავრებოდა ყოველ დილას.

სულ სიცილით ატირებდათ აკაკი ამ შორეული წარსულის დაუჯერებელი ეპიზოდების გადმოცემით.

განსაკუთრებით კარგად ჰყვებოდა „დევიღორის“ ცნობილ ამბავს, შემდგომ ასე შესანიშნავად რომ აღწერდა „ჩემ თავგადასავალში“, აგრეთვე სკოლაში ჭადით დაჩოქების ეპოპეას, მახარობელა ბუზის გაშვებას კლასში, გაწკეპვლის შემთხვევებსა და თათრული ენის გაკვეთილების იმ ანეკდოტებს, რომელიც ნიკო ნიკოლაძესაც და გიორგი წერეთელსაც რატომღაც მასზე ბევრად უკეთ ახსოვდათ, გადმოცემას კი მათ ყოველთვის აკაკი ჩამოართმევდათ და პირდაპირ სიცილით ხოცავდა ბავშვებს.

გაგიჟებით უყვარდათ აკაკის ასე „მოგონებაზე დადგომა“, რასაც მასში ყოველთვის მამიდა ანიჩკა იწვევდა.

— გახსოვს, ნიკო როგორი ყურებაწითლებული დაგვიბრუნდა ერთ დღეს? — მიუბრუნდებოდა აკაკი ანიჩკას და... დაიწყებოდა კიდეც მათი საერთო მოგონებანი:

ქალებს როგორ ზრდიდნენ იმ დროს, ვიდრე მათ ძმებს ნიკოლოზ პირველისდროინდელ გიმნაზიაში ტანჯავდნენ და სამარცხვინოდ როზგავდნენ კიდეც... პირველი ქალები როგორ მიაბარეს რუსულ „პროღიმნაზიაში“ და მათ შორის ორი „ალჟირკიანი“ დეიდაშვილიც: ანიჩკა ნიკოლაძე და მაშიკო ხელთუფლიშვილი.

— გახსოვს ეს ამბავი, პატარა ქალბატონო? — ჰკითხავდა ალერსით აკაკი, რომელიმე ახალმოსულ ბავშვს კი ეს შეკითხვა გაუჩნდებოდა: ალჟირკა რა არისო? — და... კიდეც დაიწყებოდა ევროპის წარსულში გადაფრენა — ალჟირელთა ბრძოლაში, გარიბალდის ათასეულის გახსენებაში და სხვანი და სხვანი... რადგანაც „ალჟირკა“-წამოსასხამები და მათ-

თან ერთად უსათუოდ „გარიბალდიკა"-ქუდები რუსეთ-საქართველოში 60-იან წლებში ეტარებინათ ქალებს, როდესაც მაშიკო და კატო ჯერ მხოლოდ 6-7 წლის ბავშვები ყოფილან და ანიჩკა კი — 16-17 წლის ქალიშვილი.

— აქეთ მოდი, აქეთ მოდი, ქალო ხაბარდიანოო, — სიცილით უნდა მოეგონებინა ხშირად აკაკის იმდროინდელი ლექსი და სიმღერა და მიბრუნებოდა ანიჩკას:

— გახსოვს ის დრო?

— მახსოვს... — მიიღებდა მოკლე, დაბალი ხმით ჩალაპარაკებულ პასუხს.

და დაიწყებოდა კიდეც მოგონება სახლის მამამთავრის, იაკობ ნიკოლაძის ხანასა და აკაკისათვის განსაკუთრებით ძვირფას 60-იან წლებზე.

იაკობს „ჩემ თავგადასავალში" შესანიშნავი ჭკუის პატრონად მოიხსენიებდა, გამჭრიახად და წინდახედულად, დიდი სწავლაც რომ მიეღო, შესანიშნავი რამ იქნებოდა, მაგრამ რაც მამას მისთვის დაეკლო, იაკობს ის თავისი ვაჟისათვის მიეცა და რაც კი შეეძლო, თავი არ დაეზოგა ნიკოს გამოზრდაში.

ფულს ფულზე რომ უგზავნიდა ევროპაში მყოფს, ბევრჯერ ზედმეტიც მოსდიოდა გადაწყვეტილზე, ერთხელ კი ძალზე ნაღვლიან მოსწრებულსაც მისწერდა იმ მიმართვის პასუხად:

— ძვირფასო მამა.

და აი იაკობი:

— შვილო, ძვირფასი მე კი არა ვარ, შენა ხარ: ამდენი ხანია გყიდულობ და ვერ მიყიდნიხარ!.. ფულებს გიგზავნი და თვალით კი ვერა გხედავ, ისე დამაბერე.

წამოაგონდებოდა და... მის გახსენებაზე ვერასოდეს სიცილს ვერ იკავებდა აკაკი: ძვირფასი მე კი არა, შენა ხარო!..

ხან მოიგონებდნენ ეპიზოდებს კირილე ლორთქიფანიძისა და ნიკო ნიკოლაძის ურთიერთობიდან.

ხან ქალების სამეფოს დაუბრუნდებოდნენ, როდესაც... აშკარად პირველი სიყვარული განეცადა მათ ორივეს გულს...

— გახსოვს, პატარა ქალბატონო, ქალი ხაბარდიანი, ალჟირკებით რომ შემხვდით ბულვარზე შენ და მაშიკო და მე ტფილისიდან ახალჩამოტანილი სიმღერა გიძღვენით: ალჟირკა და კისტები, შენ რომ გხედავ, ვგიჟდებიო... გახსოვს, პატარა ქალბატონო, შენ რომ იწყინე ეს ხუმრობა, მაშიკომ კი მთელ ქუთაისს აცნობა ეს ჩემი „სერენადა"?..

ერთხელ რუსუდანი და ელენა მაისის ვარდებით დატვირთულნი დაბრუნდებოდნენ გიმნაზიიდან. აკაკის ეს იმწამსვე გაზაფხულის გუნებაზე დააყენებდა და მათ საყვარელ სა-პირველმარტო „მერცხალს" წამოაგონებდა: დღეს მერცხალი შემოფრინდა, ჭიკჭიკითა შემომძახაო...

ნიკო ხშირად უმტკიცებდა აკაკის:

ეს შენი „გაზაფხული" თავისთავად კი მშვენიერია, მაგრამ რევოლუციის გაზაფხულს არ წარმოადგენს, რადგანაც პირველი მარტის მეფის მკვლელობა თუ არ აგვიანებდა, არც აჩქარებდა რევოლუციის საქმეს; ილიას „გაზაფხული" კი — „ტყემ მოისხა ფოთოლი" — მიძღვნილი ჯუზეპე გარიბალდის ათასეულის გამარჯვებისადმი, მართლაც ნამდვილი გაზაფხული იყო, თუმც პეტერბურგის თოვლსა და ყინვაში შექმნილიყო 1861 წლის იანვარს, ნევისპირა სტუდენტობაში ნაგრძნობი, იტალიის 1859-60 წლების „გაზაფხულით" ნაკარნახევი.

ნიკოსა და აკაკის ამგვარ კამათს ყოველთვის ხარბად უსმენდნენ ყმაწვილები, მაგრამ, ცხადია, მათი სიმპათიები ურყევად აკაკის მხარეს იყო „გაზაფხულის" განხილვისას, მითუმეტეს ლექსი ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდა მოზარდებზე თავისი მშვენიერებით, და პირდაპირ თავიანთ ბედნიერ, მართლაც ტურფა ქვეყანაში გადააფრენდათ საკლასო ოთახის ცივი კედლებიდან, და თვით ამ ოთახსაც აღავსებდა ხოლმე მზითა და მერცხლის ჭიკჭიკით.

დავჰყნოს ვარდსა გადაშლილსა,
ვუჭვრეტ ნაზად დახრილ იას,
და ბულბულიც გამაგონებს
მისებურად „ტია-ტიას".

და ამ უკანასკნელ მარცვლებს ბულბულის ხმამიბაძვისას აკაკი ისე ოსტატურად წარმოთქვამდა, მოდი და ნუ აღფრთოვანდებოდი.

— კიდევ გინდათ ლექსი? — ჰკითხავდათ ერთხელაც აკაკი, როდესაც ბავშვების აღტაცებული შეძახილები შეწყდებოდა და სიწყნარე ჩამოვარდებოდა.

— კი, დიახ, გვინდა, — გამაყრუებლად შესძახებდა ოცეული ხმა.

— აბა კარგი, — უპასუხებდათ აკაკი და... მხიარულ კილოს ერთბაშად შეცვლიდა სერიოზულით, — ერთ კარგ დარიგებას წაგიკითხავთ — ბულბულის ნამღერს. კარგად დამიგდეთ ყური, ეს დარიგება უნდა შემისრულოთ.

და გადაშლიდა „ივერიის“ ახალ ნომერს და წაუკითხავდათ „დილას“, რომლის შეყვარება უკვე მოესწროთ ყმაწვილებს, აკაკის კი განსაკუთრებით მოჭდობოდა გულზე:

ვარდს გაეფურჩქნა კოკორი,
გადახვეოდა იასა,
ზამბახსაც გაღვიძებოდა
და თავს უხრიდა ნიავსა.

ერთი წუთით შეჩერდებოდა „ბულბულის ნატვრის“ წინ და შემდეგ ლომური ძალით წამოიძახებდა ლექსის ბოლო სტრიქონებს:

აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ივერთ მხარეო!
და შენ, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო!

აკაკი... სოსელოს სტრიქონების დეკლამატორი?!.

სოსელოსი თუ... კორნელი კეკელიძის?..

პირვანდელი მონახაზი კი იმის გახლდათ — სოსო ჯუღაშვილისა, მაგრამ იმ სახით ვერ დაიბეჭდებოდა და დაისაჭიროებდა საგულდაგულო რედაქციულ ჩარევას, სოსოს თანაკლასელი რომ შეასხამდა ხორცს — ის კორნელი, მოგვიანებით ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევარის ტვირთი რომ უნდა მოეგდო ზურგზე და დროდადრო ებუზღუნა, ის წუთები რომ აგონდებოდა, პოეტურს მიმგვანებული მონახაზისაგან ლექსს რომ ჩარხავდა: არ დამიფასა სოსომ ამაგი, იმისი ნაცოდვილარი უჩემოდ დასაბეჭდად არ ივარგებდაო!..

ვინ რა იცოდა, როგორი ცვლილება განეცადა „დილას“ ჩანაფიქრიდან საბოლოო დახვეწამდე: სოსელოს ვერსიიდან კორნელის ვერსიამდე. რაც ხელთ ჰქონდათ, ის კი მოსწონდათ: ილია ჭავჭავაძესაც — „ივერიაში“ რომ გამოაქვეყნებდა, იაკობ გოგებაშვილსაც — „დედაენაში“ რომ მიუჩენდა ადგილს, და აკაკი წერეთელსაც — დეკლამატორობასაც რომ არა თაკილობდა და განსაკუთრებით იმ სტროფისა, რომლითაც მამიდა ანიჩკა სკოლაში ისტუმრებდა ყმაწვილებს.

აგონდებოდა ბავშვობის ხანა და სიამაყეც გამოერეოდა ხმაში: ვინ შეხვედრია გაზაფხულს უციცინათელოდ დასავლეთ საქართველოშიო?.. ჰოი რარიგ უყვარდათ ყმაწვილებს ციცინათელების ხანა რიონისპირა კლდე-ბუჩქნარის სიბნელეში. და ამიტომაცაა ადვილი წარმოსადგენი, თუ რა ხშირად გაისმოდა მათი ქაჯეთის ციხე-გალავანში „ციცინათელას“ ის მშვენიერი ადგილები, რომელიც ხალხის ყურსა და გულს სიმღერად ექცია: ჩემო ცი-ცი-ნა-თე-ლა, რად მიჰფრენ ნე-ლა, ნე-ლაო...

იმ დროს განსაკუთრებით მოდური გამხდარიყო აკაკის ლექსების მღერა: „სულიკოსი“, „თაო ჩემოსი“, „ციცინათელასი“. მამიდების ნათლულს, ელენეს, ძალზედ სასიამოვნო ხმა ჰქონდა, გიტარაზე დაკვრაც მშვენივრად ეხერხებოდა, რუსუდანსაც ასწავლიდა თავის დასახმარებლად და ერთი ხანობა გაგიჟებული იქნებოდნენ მაისის ღამის მბჟუტავი ციცინათელებით და აკაკის ლექსებს ხო გატაცებით იმღერებდნენ და იმღერებდნენ.

ერთ-ერთ ასეთ საღამოს ნიკო ჩამოვიდოდა და პირდაპირ გააოცებდათ ყმაწვილებს დაუჯერებელი განცხადებით, რომელსაც მამიდა ანიჩკაც დაუდასტურებდა:

— „ციცინათელაც“ და „თაო ჩემოც“ საფრანგეთის კომუნის დამხობის ანარეკლია, რადგან უშუალოდ მოსდევს იმ მომენტს.

ნიკოც და კირილე ლორთქიფანიძეც ირწმუნებოდნენ: თერგდალეულები და „დროების“ რედაქცია ამ დამარცხებას ლამის თვით კომუნარებივით განიცდიდნენო.

ამიტომ:

როდესაც „დროება“ ამის შემდეგ ზედიზედ ორ ნომერში გამოაქვეყნებდა აკაკის ამ ორ ლექსს, ყველა, ვისაც ნაბეჭდი სიტყვის „შუა-შუა სტრიქონებიც“ აინტერესებდა, გადაწყვეტდა, „ციცინათელაც“ და „თაო ჩემოც“ საფრანგეთის რევოლუციის სიმბოლოა და მის შორიდან ნათობას გვიხატავენ, ისევე როგორც ილიას „გაზაფხული“ ჩვენთვისაც სანატრელ იტალიის გაზაფხულს გულისხმობდა ათი წლის წინათო.

კიდევ რას ირწმუნებოდა ნიკო ნიკოლაძე და რას ჩააგონებდა ყმაწვილებს?

რას და:

— ჩვენი საყვარელი „ციცინათელა“ არამარტო სამიჯნურო მიზნებს ემსახურება აკაკის იმდროინდელი გატაცების ლამაზი ლირიკული სიმბოლოთი, არამედ კომუნიზმის შორიდან გამონათებასაც გულისხმობს ჩვენი სინამდვილის სიბნელეში.

რუსუდანს ამგვარი ახსნა ძნელად გასაზიარებელი ეჩვენებოდა, თუმც შეწყნარებით იწყნარებდა, რაკიღა მამა ყველაფერს ევროპის პოლიტიკას უკავშირებდა.

ხოლო აკაკიზე, როგორც პოეტზე, ძალიან მაღალი აზრისა რომ იყო, ყოველთვის იმეორებდა:

— მოწოდებით პოეტი რომ არის, ხშირად სრულიად შეუგნებლად ეხმაურება ახალგაზრდობის ყოველ ამაღელვებელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენას: მეფის მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლას, კომუნას, იტალიის ამბებს.

ეჭვი არ ეპარებოდა, რომ:

აკაკის სტუდენტობისდროინდელი „სალამური“ ილიას „გაზაფხულის“ უშუალო ექო გახლდათ და ჯუზეპე გარიბალდის გამარჯვების ანარეკლი. „ჩანგური“ კი საფრანგეთის კომუნის გამარჯვებას უპასუხებდა.

რას აღნიშნავდა ხოლმე განსაკუთრებული ხაზგასმითა და აღტაცებით?

— რასაც მე, სერგეი მესხი ან გიორგი წერეთელი გრძელ-გრძელი წერილებით ძლივს გამოვთქვამთ ან სულაც ვერ გამოვთქვამთ მკითხველისათვის დღევანდელი ცენზურის კლანჭებში, იმას აკაკის ჩანგი „ერთი სიმის ჩამოკვრით“ აძგერებს და ანთებს მთელი ხალხის გულში.

კირილეც მხურვალედ უდასტურებდა ამ აზრის სისწორეს და ნიკოსთან ერთად ეხუმრებოდა აკაკის:

— ერთი უცვლელი ოცნებით გატაცებული შენი ჩანგი ყველაფერს ჩვენი გათავისუფლების სიმბოლოდ აქცევს — ყუმბარიდან ციცინათელამდე.

ეს ყოველივე ბევრად გვიან მიაღწევდა რუსუდანის ცნობიერებამდე. იმ დროს კი მაისის მშვენიერი ციცინათელებით აციმციმებული საღამოებით მოჯადოებულიყო და ყველაფერს მათ შუქში ხედავდა. აკაკიც მათი შარავანდით შთაიბეჭდებოდა გოგონას იმდროინდელ მესხიერებაში მამიდა კატოს „ქალთა წრის“ შეკრებასთან დაკავშირებით, რომელიც ერთ-ერთი ასეთი გამაგიჟებელი მაისის ღამეს მოხდებოდა — აკაკის თანდასწრებით.

იმ შეკრების მიზანს შეადგენდა მუშებისათვის რაღაც იაფფასიანი წარმოდგენის გამართვა ლადო მესხიშვილის თეატრში, რომელსაც აკაკიც უნდა დასწრებოდა. ხალხი ბევრი მოიყრიდა თავს ნიკოლაძეებთან იმ საღამოს. აკაკიც განსაკუთრებით კარგ გუნებაზე დადგებოდა და ლექსებსაც ბლომად წაიკითხავდა.

ხალხი რომ დაიშლებოდა და შინაურები მარტო დარჩებოდნენ, რუსუდანი და ელენე ბაღის ბნელ სიღრმეში გაისეირნებდნენ — ციცინათელების უკეთ სანახავად ღამის წყვდიადში, თითქოს აკაკის ლექსთა მოციმციმე ნაწყვეტები დასტრიალებდათ თავს...

— აკაკის შეხედე! — წამოიძახებდა უეცრად ელენე და... მართლაც რა დაუვიწყარი სურათი წარმოუდგებოდათ თვალწინ:

მათი ძველი სახლის კიბის თავზე აკაკი იდგებოდა, კაშკაშა მთვარით განათებული და ვარსკვლავებისაკენ ამართული სახით. შორს სიბნელეში კი რიონის ჩქეფა მოისმოდა სანა-

პირო კედლებიდან. ზევით ცა ბუუტავდა ვარსკვლავებით, ქვევით ციცინათელათა მნათი გუნდი ირეოდა ტრიალ-ციმციმით აკაკის ლომური ნაკვთების წინ, თითქოსდა მისი გულის სიმებიდან ამოფრქვეულა ნაპერწკლებიო...

ძვირფასო მამა!

შვილო, ძვირფასი მე კი არა, შენა ხარ, ამდენი ხანია გყიდულობ და ვერ მიყიდნიხარო...

ყმაწვილებს ძლიერ მოსწონდათ თამაში: „ანზე ვისი ყმა ხარ“. აკაკისაც ძალიან იტაცებდა ეს თამაში და დიდ სიმარჯვესაც იჩენდა მის ძნელ მომენტებში.

— ანზე ვისი ყმა ხარ? — იწყებოდა თამაში, თუ ეს ასო იყო არჩეული შეკითხვებისათვის.

— აბაშიძის.

— სახელი რა გქვია?

— ალექსანდრე.

— საიდან მოდიხარ?

— ანანურიდან.

— საით მიემგზავრები?

— აჭარაში.

— მშვილდი რისი გაქვს?

— ალუბლის.

— ისარი?

— ალვის ხის.

— რას მოჰკლავ?

— არწივს.

— სად მოარტყამ?

ბავშვები ვეღარაფერს იგონებდნენ ამ უკანასკნელი კითხვის საპასუხოდ. სამაგიეროდ აკაკის ამოუშრეტელი ფანტაზია არც აქ კრთებოდა და რამეს მოასწრებდა დროზე, მაგალითად: აწეულ ხელშიო, აშვერილ ფრთაშიო, ასოშიო, აქოჩრილ თმაშიო...

სულ სიცილით იხოცებოდნენ მისი ასეთი მოსწრებული პასუხით, მაშინ როდესაც დანარჩენები ვერას ახერხებდნენ.

— ვის მიართმევ?

— აკაკის.

— რას გიბოძებს?

— აბაზს. ანდა კიდევ: ახალუხსო, ატამსო, აქლემსო...

— რას გაჭმევს?

— რას გადალევინებს?

არა მთავრდებოდა შეკითხვები, აუცილებლად რომ უნდა შეგებებოდა დროული, მარჯვე, გონებამახვილური პასუხი.

აკაკი მათი ხათრით კი არ მონაწილებდა ამ გართობაში, ყმაწვილებს კი არ უსწორებდა ხასიათს, არამედ: თვითონაც ბავშვივით უყვარდა ეს თამაში და, რაკიღა ბავშვივით აენთებოდა ხოლმე, მაშ კიდეც პირველობა უნდა მოეპოვებინა — ამიტომაც არ უთმობდათ არაფერს. და ხშირად ისეთ აზარტში შევიდოდა და დანარჩენ მოთამაშეებსაც შეიყვანდა, რომ სახლს იკლებდნენ ათასნაირი ერთდროული ნამოძახილითა და სიცილ-ხარხარით.

უფროსთაგან აღარავის უკვირდა, აკაკის ასეთ ყოფაში რომ დაინახავდა ხოლმე.

აღარც, ცხადია, გრიგოლ რობაქიძეს, თავისი ფსიქოლოგიური დაკვირვებებისას აკაკის ამ თვისებას საგანგებოდ რომ ჩაუკვირდებოდა და სხვებსაც მიანიშნებდა — აქედან სცადეთ ამ რთულ, არაორდინარულ ხასიათში შეღწევა, აქედან გადაწიეთ ის ზოგიერთი ფენა, რომელთა გადაწევაც ასე თუ ისე შესაძლებელია ამ პიროვნული ხასიათის ლაბირინთშიო.

პირველობას არც აქ უნდა შელეოდა აკაკი, არადა ნიკო ნიკოლაძისა უკვირდა პირველობისაკენ დაუმცხრალი სწრაფვა, თითქოს თვითონ ნაკლებ ჟინიანობას იჩენდა პირველობის დასასაკუთრებლად — ყველგან და ყველაფერში. და ამიტომ პირველობას არც აქ უნდა შელეოდა — საბავშვო თამაშისას, თორემ როგორი გადასატანი იქნებოდა მისთვის,

თუნდ ერთ ყმაწვილსაც რომ გადაესწრო — ხომ შეიძლება ვინმეს გამართლებოდა?!. ამიტომაც მთელი არსებით უნდა ჩაფლულიყო და ისეთი კმაყოფილებით შეეშნოვებინა წარმატება, თითქოსდა ყველაფერი მოუგვარებია ყოფით ცხოვრებაშიო.

დიახ, იმ ყოფითობაში, სადაც ყველაფერი ხელიდან უსხლტებოდა!..

ჰოი რა ტკრციალში იძირებოდა „ანზე ვისი ყმა ხარ", სიცილ-ხარხარის ხმა შორს რომ გავარდებოდა ხოლმე და ექო-ექო უბრუნდებოდათ, ეშხში შესულები ხან ახალ, ჯერ არარსებულ სიტყვებსაც რომ იგონებდნენ, თუ სხვა არაფერი აღმოაჩნდებოდათ არჩეულ ასოზე, მაგალითად ასე შეთხზავდნენ იმ სიტყვას: საოცნებო!.. ხანაც პირიქით — ისეთ ძველ და ღრმა ქართულ ფორმას გამოძებნიდნენ, რომ თვითონვე დიდხანს იცინებდნენ თამაშის დამთავრების შემდეგაც.

სულხან-საბა ორბელიანის მთელ „სიტყვის კონას" შეისწავლიდნენ ამ გზით.

შენ თამაში და გართობა გეძახა — საბას ლექსიკონს კი გადააბულბულებდნენ, და ვინ იცის, კიდევ რა ტექსტებს აღარ ჩხრეკდნენ, რათა ლექსიკა გაემდიდრებინათ და ერთმანეთისათვის მაინც გადაესწროთ, თუ აკაკის ვერ ჩამოიტოვებდნენ.

ახალი სიტყვების შეთხზვა ხომ აკაკის საუფლო გახლდათ, აღტაცებულს რომ ტოვებდა ბავშვებს მათი ეფექტურობითა და მოხდენილობით.

მოულოდნელი სიტყვების გამოგონების გარდა უყვარდა მოწინააღმდეგის „დამღუპველი" ასოების ამორჩევაც — ღ იქნებოდა, ყ, ძ, ჰ თუ სხვა ამგვარები.

— ჰაეზე ვისი ყმა ხარ? — მოუბრუნდებოდა უეცრივ ყმაწვილებს.

— ჰე... ჰი... არ ვიცი!

და ეს როგორი ნიშნისმოგებით გაიხარებდა, თუ არა ბავშვივით!..

— საიდან მოდიხარ?

— ჰა... ჰაერიდან!

— ბიჭოს, ყოჩაღ! გამბეტასავით! ეს კარგია, — მოუწონებდათ და თამაშის შემდეგ პარიზის თავდაცვას აღუწერდათ, 1871 წლისას.

— სად მიდიხარ?

— ჰავლაბარში, — ერთხელ მოიფიქრებდა რუსუდანი რაღაც სასწაულით, რათა კვლავ არ ნაეგო აკაკისთან, ის კი მგონი სამი დღე იხარხარებდა ამის გამგონე: ეს „ჰავლაბარი" რამ გათქმევინა ჩვენი ძველი ისნის ნაცვლადო.

ამ თამაშს აკაკი კიდევ ერთ დამატებას გამოუგონებდა, რომელიც ყმაწვილებს ძალიან დააინტერესებდათ:

რაიმე შესაფერისი ლექსის თქმა არჩეულ ასოზე დასახელებული ადგილის შესახებ, მაგალითად: მორბის არაგვიო, მშვენიერო ქუთაისოო, წარვედ მტკვრის პირასო, ფულით ვერ ძღება დღეს ფოთიო...

არა, ფოთისათვის რომ არ ნაეკრა ყისტი, ისე ხომ ვერ მოისვენებდა, გუნებაში ისევ ნიკოს რომ უგებდა ნიშნს.

ძვირფასო მამა!

შვილო, ძვირფასი მე კი არა, შენა ხარო...

ყველაფერი ეყიდა იაკობს, რაც მოენდომებინა, მაგრამ ნიკოს ვერა და ვერ ასდიოდა, ამდენი ხანია მის ყიდვაზე გადამდგარიყო, მაგრამ ვერა და ვერ ეყიდა, ის იმდენ თანხას ითხოვდა განსწავლისათვის.

თუ ვინმეს განსწავლა, სწორედ ნიკო ნიკოლაძისა ღირდა!..

ამის მიხვედრას დროის გადასახედი არ ესაჭიროებოდა, თანამედროვენიც იმთავითვე აღიარებდნენ და აკაკისთვისაც ნიმუშად და ორიენტირად წარმოდგებოდა, და მითუფრო ვერ აეხსნა, რა დაეკარგა ნიკოს ამ მიყრუებულ ფოთში, რას დაეძებდა და რაში ხარჯავდა იმ უზარმაზარ ძალ-ღონეს, ნაცვლად იმისა, გაცილებით უფრო სასარგებლო საქმისათვის მოეხმარა.

იქ კი, ნიკოლაძიანთას დიდ ეფექტს გამოიწვევდა აკაკის მიერ ბავშვებისათვის მთლიანად წაკითხული მისი „მესტვირული" — გორისადმი მიძღვნილი. ცხადია, ეს „განზე" თამაშისას.

— საიდან მოდიხარ?
— გურიიდან.
— საით?
— გორში.
რაო, გორშიო? და აკაკის ბაგეს თავისთავად მოწყდებოდა: გორო, ქართლის შუაგულო, მეთაურო ქართლისაო...
ჩაამთავრებდა და... ბავშვები კარგა ხანს ისხდებოდნენ გაოგნებულნი უჩვეულო შთაბეჭდილებისაგან, ვიდრე გამოერკვეოდნენ და ისეთ ჟივილ-ხივილს ასტეხდნენ, შორიდანაც რომ მოაწყდებოდათ ექო...
ასე სწავლობდნენ საქართველოსა და ქართულ ენას აკაკის ყოველი ჩამოსვლისას.
90-იანი წლების ქუთაისის ცხოვრებას რა განსაზღვრავდა?
ორი „მბრძანებელი“:
ლადო მესხიშვილი თავისი თეატრით
და
აკაკი თავისი ჩანგითა და ქამანჩით.
თავის მხრივ კი მათი მბრძანებელი ქალთა წრე გახლდათ — როგორც აკაკი ირწმუნებოდა.
მრავალი საზოგადოებრივ-კულტურული საქმე რომ ჰქონდა ამ წრეს დაწყებული და აღსრულებულიც, მათ შორის — ქართული თეატრის დახმარებაც.
ამ წრის უფროსი წევრები 70-იანი წლებიდან რომ წამოიწყებდნენ მოღვაწეობას, ამ თეატრალურ საქმიანობაში უპირველესად ალექსი ჭიჭინაძე აგონდებოდათ — ლოლა და მაშო ყიფიანების შემდეგ. იგი კატო და ანასტასია ნიკოლაძეებსაც ჩააბამდა ამ წრის მუშაობაში, რაც გულისხმობდა თარგმნასა და დადგმას კლასიკური პიესებისა, მათ სახელს რომ დაუკავშირდებოდა პირველი ქალთა წიგნის გამომცემელი საზოგადოებაც, ბევრს რომ თარგმნიდნენ უცხოურ მხატვრულ ლიტერატურას.
90-იანი წლების მეორე ნახევარში ეს წრე ყოველკვირეულად იკრიბებოდა ნიკოლაძიანთას.
დილაობით მარქსის „კაპიტალის“ მკითხველთა წრე იყრიდა თავს გიორგი ზდანევიჩის ხელმძღვანელობით.
საღამოობით კი „მომწყობი“ ქალები სტუმრობდნენ — წარმოდგენების, ათასგვარი საღამოს, ლექციის, ლატარიის გასამართად და სხვა ამისთანებისა, რის გამოც ტფილისიდან ხშირად ჩამოდიოდნენ ნატო გაბუნიაც და აკაკიც. ამ წრეში ყმაწვილებსაც იყენებდნენ — რუსუდანსა და მამიდების ნათლულს — ხან მესხიშვილის თეატრში გაგზავნიდნენ სასწრაფოდ რაიმეს შესატყობად, ხან, უფრო გვიან, სახალხო უნივერსიტეტის გამგეობაში, რომელშიც მამიდა კატოც შედიოდა.
რუსუდანს ყველაზე უკეთ დაამახსოვრდებოდა ამ წრის საქმიანობის ის ხანა, როდესაც მუშებისათვის დაიწყებდნენ იაფფასიანი წარმოდგენების გამართვას.
აკაკისაც ძალიან ეყვარებოდა ასეთი შეკრებები.
ქალთა წრეს კი, რა გასაკვირია, მასზე კიდევ უფრო ახარებდა, თუ მის ჩამოსვლას დაემთხვეოდა მათი მორიგი შეკრება ნიკოლაძიანთას.
აკაკი ხან ლექსს წაუკითხავდათ და ცოტაოდენ ყურადღებას გამოიჩენდა მათდამი, ხან ოხუნჯობით გაამხიარულებდა ყველას, ხანაც თავის იმდროინდელ გატაცებაზე ჩამოაგდებდა ლაპარაკს — „ვეფხისტყაოსანზე“, რომლის ირგვლივაც იმჟამად ლექციებს კითხულობდა.
— ჩემი წერილი ხომ წაგიკითხავთ რუსთაველზე?
— როგორ არა?! — ერთიც არ იქნებოდა ქალთა წრიდან, ეს სტატია რომ არ წაეკითხა.
— ალბათ ილიას გარჩევაც გექნებათ წაკითხული, ჩემი წერილის გარჩევა.
ამასაც უდასტურებდნენ.
ერთხანს შთამაგონებლად იყუჩებდა.
— მერე იცით რა? მე ამ პასუხის პასუხი დავწერე. ილიას აზრები დავარღვიე.

— სადაა ეს პასუხი? — ყველას მოერეოდა ცნობისწადილი, პირველს რომ მოუნდებოდათ გაცნობა.

— წარმოიდგინეთ: ილიამ გაიგო ეს, მივიდა სტამბაში, შეისყიდა მთელი გამოცემა, — ილია მდიდარია, — და ცეცხლს მისცა.

ისე ჩაამთავრებდა, ვერავინ შენიშნავდა მის სახეზე ერთ ხაზსაც კი ღვარძლისა. ეგაა ფანტაზიის თამაშს ვერას უხერხებდა. თანაც ისე უნდა გაეთამაშებინა, ბოლოსდაბოლოს თვითონაც დაეჯერებინა.

ქალთა კრებული განსაკუთრებით ახალისებდა საამისოდ, რომ ლაღად გადაჭრილიყო ფანტაზიებში, ვიდრე კვლავ ყოფით რეალობაში ამოჰყოფდა თავს, ოღონდ მთლად მკაფიოდ ვეღარც შეეტყო, სად მთავრდებოდა ყოფითობა და სად იწყებოდა ფანტაზია, სად მთავრდებოდა ფანტაზია და სად იწყებოდა ყოფითობა...

ქალებისადმი ტრფიალებაში როგორც აკაკის, ისე ნიკო ნიკოლაძესაც პირუმტკიცობას სწამებდნენ?

არადა რუსუდანი სულ სხვას ირწმუნებოდა:

მათ ორივეს ერთი ძალიან იშვიათი თვისება ახასიათებდა ქალთან ურთიერთობისას, რომელიც თითქმის ყველას გამორჩა ყურადღებიდან, მაშინ, როდესაც ამ მხარეს დიდი ადგილი ეჭირა მათ გულსა და ცხოვრებაშიო.

რას გულისხმობდა?

„ჩერნიშევსკისებურ“ მეგობრობას რჩეული ბუნების, გულისა და გონების ქალთან, სიყვარულით სავსე პატივით აღბეჭდილს.

საგულისხმოდ ეჩვენებოდა, რომ:

ორივე თერგდალეული მეგობარი პირველივე დაბრუნებისას ჰპოვებდა ასეთ მეგობრობას იმ დროის საუკეთესო ქალებთან: აკაკი — 16 წლის ანიჩკა ნიკოლაძესთან, ნიკო კი — ჯერ თავის დეიდაშვილთან, ოლინკა ხელთუფლიშვილთან, 70-იანი წლებიდან კი ოლღა გურამიშვილთან, თავის მომავალ მეუღლესთან.

ანიჩკა ნიკოლაძესთან მეგობრობას, რასაც პოეტის ბარათები ადასტურებდა, ღრმა კვალი გაევლო აკაკის გულში, კერძო წერილებში პოეტი მას სანუგეშო მეგობარს რომ უწოდებდა და არც ნაზ მოსაფერებელ სიტყვებს იშურებდა.

ხოლო ანიჩკა... რუსუდანს შეეძლო თამამად ეთქვა, რომ: მთელი თავისი გული და პირადი ცხოვრება შეეწირა ამ მეგობრობისათვის — აკაკის ჩანგისა და პიროვნებისათვის, და შეეწირა მისებურად: სრულად და უნაშთოდ; და ისე ჩუმად და ისე გულჩათხრობილად, რომ ვერავინ შეიტყობდა დანამდვილებით, გარდა მისი და აკაკისა, თან რომ ჩაიტანდა საფლავში ამ საიდუმლოს, სრულიად არაჩვეულებრივს მისი განთქმული „მეფისტოფელური“ ხასიათისა და მხიარული უნდობლობისათვის ქალის გრძნობების მუდმივობის მიმართ.

რაკიღა ამ ნაზი ქალის გულში ყოველი განცდა ღრმად და სამუდამოდ იმარხებოდა, გარედან სრულიად უხილავი და მიუკარებელი, ამიტომაც მის მიერ გამოწვეული გრძნობები მტკიცე და ხანგრძლივი გახლდათ.

არც ის ეჩვენებოდა რუსუდანს შემთხვევით მოვლენად, რომ:

მისი გულის პირველივე გამოღვიძებიდან იგი ორი ჩვენი პოეტის ოცნებად ქცეულიყო: თვით აკაკისა, 1862-63 წლებიდან, და გიორგი ჭალადიდელისა, 1864-65 წლებიდან.

იყო ასეთი პოეტიც, რომლის თითქმის ყველა ლექსი, პირველიდან („სადაც რომ იყო, მოგძებნი“) ოსმალეთის 1878 წლის ომამდე ამ მის „ან“-სა და „ნარ“-ს მიეძღვნებოდა. მისი „ფაცხაც“ კი, და თვით „მოგონებაც“, რომლის ავტორადაც დარჩებოდა გიორგი ჭალადიდელი ქრესტომათიებსა თუ საყმაწვილო ანთოლოგიებში და რომელშიც ყველაზე ნაკლებადაა მოსალოდნელი ანიჩკას სახების გადაელვება, ამ ფარული მიძღვნით განათდებოდა.

„მახსოვს პირველად სასწავლებელში“ 1869 წელს შეიქმნებოდა ბავშვობის მოგონებებზე, რომელთა შორისაც, ვითომდა შემთხვევით, ჩაეწვნოდა გამჭვირვალე მინიშნება, თორემ თქვენვე განსაჯეთ:

ჯერ „ანი“ მკითხეს და მერე „ნარი“,
მაგრამ ყველაზე ვუთხარ უარი...

როდესაც გადაშლი იონა მეუნერგიას ნარკვევს გიორგი ჭალადიდელზე, ცხადია მოელი ანიჩკა ნიკოლაძის გამოჩენასაც, არამცთუ ეპიზოდად, არამედ სულაც გირლანდად რომ უნდა ჩაეწნა ცხოვრების აღწერას იმ პოეტისა, რომელზეც აკაკი დანანებით ამბობდა: თავისი ნიჭი ზარბაზნის კვამლში გახვიაო.

რას გულისხმობდა?

ბიოგრაფოსი ასე განგვიმარტავდა ამ ფრაზის შინაარსს: ნივთიერმა ხელმოკლეობამ და იმ გარემოებამ, რომ სალიტერატურო შრომა ჩვენში არ უზრუნველყოფდა მუშაკს, ჭალადიდელის ნიჭი მოაკლო ქართულ მწერლობასო...

ორი ლექსის წყალობით — „მიყვარს ფაცხა“ და „მახსოვს პირველად“ — ამ პოეტის სახელი ყოველთვის სმენოდა ქართველ მკითხველს, მაგრამ...

როგორ დაეფარა იონა მეუნარგიას, რომ:

ის, რაზედაც უნდა დამყარებულიყო თვით სახელი ჭალადიდელისა, როგორც მგოსნისა — მისი ლექსთ-კრება — არსად მოიძევებოდა და ამის გამო ყველა იმ მწერალსა თუ მწერლობის მოყვარულს, რომელთაც ეწერათ ან ელაპარაკათ ჭალადიდელზე და ქებით მოეხსენიებინათ იგი — აკაკი წერეთელსა თუ ნიკო ნიკოლაძეს, დიმიტრი ერისთავსა თუ ნიკო დადიანს, დავით ერისთავსა თუ ალექსანდრე ხახანაშვილს, იაკობ ფანცხავას, ილია ჭყონიასა თუ მოსე ჯანაშვილს — მხოლოდ ბანი მიეცათ ამ პოპულარობისათვის, რაც შეექმნა, გარეშე ჭალადიდელის სახელისა, „ფაცხის“ სიმღერასა და ერთ პატრიოტულ ლექსს!

და აი მისი ცხოვრების ქრონიკა უნდა გამოეცოცხლებინა და შეემკო თუნდ უნუგეშო ტრფობას ანიჩკა ნიკოლაძისადმი, მითუმეტეს მის ლექსებს თავით ბოლომდე გასდევდა უიმედო სიყვარულის კაეშანი და ანიჩკას ამაღლებული, გარომანტიკულებული სახება, რაც კანთიელად გამოიკვეთებოდა, როდესაც გიორგი ჭალადიდელის გარდაცვალებიდან ორი ათეული წლის თავზე შედგებოდა მისი პოეტური კრებული, თედო სახოკია რომ შეაგროვებდა, ბიოგრაფიულ ნარკვევს კი იონა მეუნარგია დაურთავდა განსვენებული პოეტის მეუღლისა და შვილის თხოვნით... და აბა მათი დაკვეთით დაწერილ ქრონიკაში როგორღა გამოიკვეთებოდა ანიჩკას სილუეტი და მისადმი პოეტის უნეგეშო სიყვარული?!.

რაყიფობა ხელს არ შეუშლიდა აკაკის, საქებარი სიტყვები და ეპითეტები გაემეტებინა გიორგი ჭალადიდელისადმი და ნაღვლიანადაც დაერთო, რომ: ყოფით გარემოს არ მიეცა საშუალება მისთვის, რათა სრულყოფილად გაემჟღავნებინა თავისი პოეტური ნიჭიერება.

ნიკო ნიკოლაძესაც ძალიან მოსწონდა ანიჩკას ეს „მყუდრო“ ხასიათი და მოკრძალებული მიდგომა ყველაფრისადმი. და ამასვე უნდათ დაეახლოვებინა ანიჩკას განუყრელ მეგობართან ოლინკა ხელთუფლიშვილთან, რომელიც ძალიან ჰგავდა ანიჩკას ხასიათითა და გულის სიანკარით. ამიტომაც რუსუდანიც და სხვანიც ასე აღიქვამდნენ ამ მეგობრობას: როგორც სრულიად განსაკუთრებულს.

რას ამბობდა ხოლმე ნიკო?

ამ განწყობილება-ამხანაგობის გამოუთქმელ პოეზიაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი ჩვენს, სტუდენტების, შეხვედრას ნიკოლაი ჩერნიშევსკისთან, და მეტადრე ციხიდან გათავისუფლების შემდეგ მის სიახლოვეს გატარებულ ზაფხულს პეტერბურგის მიდამოებშიო...

როდის მომხდარიყო ეს ამბავი?

1862 წლის ივნის-ივლისში, როდესაც ჩერნიშევსკი თავისი ცოლითა და ცოლის დით, დობროლიუბოვის საცოლით, პავლოვსკში გაატარებდა ორ თვეს, ნიკო და მისი ამხანაგები კი ექვს მანეთად დიდ სათივეს, დიახ, სათივეს, იქირავებდნენ იმავე ვადით მათ ახლო-მახლო და ყოველ საღამოს მიაკითხავდნენ მათთვის ასერიგად პატივსაცემ პიროვნებას.

იმ ზაფხულს აკაკიც ეწვეოდათ მათ რამდენიმე დღით...

ნიკო ამტკიცებდა:

აკაკიზეც დიდი გავლენა მოახდინა ჩერნიშევსკის შეხედულებამ ქალებზე, როგორც მის რომანებში გამოთქმულმა, ისე მისი პირადი გრძნობების მაგალითმა, მის ოჯახში არსებულმა მშვენიერმა ამხანაგურმა ატმოსფერომ და განწყობილებამ იმ რჩეულ ახალგაზრდობასთან, რომელიც თავს იყრიდა ამ ოჯახშიო.

გავიდოდა რამდენიმე კვირა და...

რუსეთიდან ახალდაბრუნებული მეგობრები, აკაკი და ნიკო, კვლავ რიონისპირას გაჩნდებოდნენ.

ერთი — ნევის ნაპირებიდან გამოძევებული „ბუნტარი“,

მეორე კი — „დინჯად“ სწავლადამთავრებული „კანდიდატი“, როგორც აკაკის სჩვეოდა თავისი თავის ხუმრობით დახასიათება იმხანად...

და აი ნიკოლაძეთა ოჯახს უნდა სწვეოდა, სასტუმრო ოთახის კარი გაღებულიყო და...

შიგნიდან ახალგაშლილ ვარდს შემოენათებინა — პატარა, ხაბარდაკაბიან, შავ წარბებშეკრულ ქალბატონს, რომელსაც მკაცრი, მუნჯი შეკითხვით უნდა მიებჯინა ახალმოსულისათვის თავისი ვარსკვლავებივით აბრწყინებული თვალები: აბა გვეჩვენე, რად გაქცია შენმა გასეირნებამ შორეულ პეტერბურგშიო?..

აკაკის არა წყინდებოდა და არა გახსენება ამ პირველი შეხვედრისა „ქალადქცეულ“ ანიჩკასთან, რომელიც 13 წლის ბავშვად დაეტოვებინა ნასვლისას.

რაღა აკაკის გაოგნება და... რაღა ტარიელისა, ასმათ ფარდაგს რომ აზიდავდა, და მას კი, გარეთ რომ იდგა მოფარდაგულსა, ქალის შემხედვარეს ლახვარი ეცემოდა გონებასა და გულსა...

მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითაო...

და აგერ ნიმუში ამ სიშმაგისა, ტარიელი — ზედმიწევნითი სიზუსტით რომ უნდა გამოეხატა მიჯნურის თვისებები და იდეალი.

აკაკიც ირწმუნებოდა, ანიჩკაც ირწმუნებოდა: ჩვენს შორის მსგავსი არაფერი ჩასახულაო.

ნაცვლად მიჯნურობისა — არაჩვეულებრივად მხურვალე და ნაზი მეგობრობა, ნახევარ საუკუნეზე მეტს რომ გაგრძელდებოდა.

რას უსახავდა გულში აკაკის ამ ქალის პიროვნება?

რაღაც გამოუთქმელ, უსიტყვოდ გამოწვეულ პატივისცემასაც და, იმავდროულად, განსაკუთრებული მზრუნველობისა და თბილი მოპყრობის წადილს.

ბარემ არა სურდა ანიჩკას, გახმაურებულიყო გიორგი ჭალადიდელის გატაცება მისით, მაგრამ ყველასათვის თვალნათლივ უნდა გაცხადებულიყო, როდესაც „დროებასა“ და „სასოფლო გაზეთში“ დაიბეჭდებოდა მთელი სერია ლექსებისა: „ჩემი ენა“, „ნეტარ არს კაცი“, „სიზმარი“, „ვუძღვნი ა. ნ.“ „ვუძღვნი ნ. სკანდელს“...

და კიდევ:

რამდენიმე მისი ნაბიჯითა და ლექსებით ყველასათვის საჩინო უნდა შექმნილიყო გიორგი ჭალადიდელისა და აკაკის რაყიფობა, გამოწვეული ორივეს გრძნობით ანიჩკასადი. ეს ამოიკითხებოდა „ქეიფსა“ და „მენავეში“, წარწერა რომ მიედევნებოდა: ვუძღვნი თავ. ა. წ., ინიციალთა გაშიფვრა არავის რომ არ გაუძნელდებოდა, და კიდევ რომელი აღარ: ეს „ელეგიაო“, ეს „არავისო“, ეს „მერცხალიო“, ეს „ფარვანაო“. განსაკუთრებით კი: „მიყვარს ფაცხა მე მეგრული“, რომელშიც თავის თავსა და თავის ნიჭს აკაკისას ადარებდა.

ამავეს წარმოაჩენდა მისი მიმოწერა ანიჩკასთან 1870-78 წლებში, ანიჩკას გარდაცვალებამდე ვერავინ რომ ვერ იხილავდა.

ხოლო აკაკის მეგობრული დამოკიდებულების დასტურად ანიჩკასადმი და ყველაზე დამახასიათებლად რუსუდანი მიიჩნევდა პოეტის ერთ საჩუქარს — გიშრის საათს, რომელსაც მამიდამისი გულიდან არ იშორებდა მთელი სიცოცხლის განმავლობაში და რომელზედაც უკანა მხარეს აკაკის ეს სტრიქონები ამოჭრილიყო ლამაზი ქართული შრიფტით:

ყრუ — სიმართლისათვის,
სიწმინდისათვის — ბრმა,
წყეულიც იყოს
მისი გულის-თქმა!

ეს საათი საგანგებოდ ანიჩკასათვის შეეკვეთა პოეტს და მიეძღვნა 70-იან წლებში, „თილისმა-საათად“ რომ მოენათლა და რაღაც განსაკუთრებული აზრიც ჩაეთქვა ამ საჩუქარში.

1914 წელს, როდესაც ნიკოლაძეებს ესტუმრებოდათ აკაკი ქვიშხეთიდან, სწორედ იმის გამოცხადების დღეებში, აქაც პოეზიით სავსედ დაამახსოვრდებოდა რუსუდანს მისი და ანიჩკას შეხვედრა — 70 და 75 წლის ორი თმასპეტაკი მოხუცისა, და ანიჩკას ძველებური ზრუნვა უკვე ძალიან მოტეხილ მეგობარზე, მათი ბაასი...

მოთხრობის მზამზარეული ქარგაა, დიალოგებზე აგებული მოთხრობის, იმ ბაასის შინაარსში ჩაწვდომა რომ შეიძლებოდეს და ქვეტექსტებისათვის მზერის მიდევნება.

მთავარი ძარღვი ამ ბაასისა ხელთა გვაქვს:

პოეზიით სავსეო.

ურთიერთობის იმ პოეზიით, რომლის ფონზეც ანიჩკა ნიკოლაძე არანაკლები მონუმენტურობით წარმოდგებოდა, ვიდრე აკაკი წერეთელი.

სცენიდანაც რა სიამოვნებით მოვისმენდით ამ ბაასს.

დამწერი სად არის, თორემ!..

და როდესაც ანიჩკა გარდაიცვლებოდა, მის სასთუმალში უნდა ეპოვნათ აკაკისა და გიორგი ჭალადიდელის ბარათთა კონა, და კიდევ ის გიშრის საათი, გულიდან რომ არ მოიშორებდა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე...

— ჰაეზე სად მიდიხარ?

— ჰავლაბარში.

და კვლავინდებურად ჩაესმოდა რუსუდანს ყურში აკაკის ხარხარი: „ეს ჰავლაბარი“ რამ გათქმევინა ჩვენი ძველი ისნის ნაცვლადო.

მაშ რა ელონა — ისევ ხომ არ უნდა წაეგო აკაკისთან, რომელიც ასე იტოლებდა და საშუალებას აღარ უტოვებდა არც მას და აღარც სხვას, რომ უფროსად აღექვათ.

ძვირფასო მამა!

შვილო, ძვირფასი მე კი არა, შენა ხარო...

არა, მაინც რა მარჯვედ მოუჭრიდა სიტყვას მამა, თუმც ფულს კი კვლავინდებურად მიაყრიდა ნიკოს, რომელსაც ამდენი ხანია ყიდულობდა და... ვერა და ვერ ეყიდა მაინც...

გიორგი წერეთელიც უყვარდათ, როგორ არ უყვარდათ და მის გამოჩენასაც ალტაცებულნი ეგებებოდნენ, მაგრამ... ვერც ბავშვებთან ურთიერთობისას გასწევდა გიორგი აკაკობას.

თუმც... აკაკობას ბარე ორი ვერ გასწევდა ვერც ყმაწვილებთან ურთიერთობის პოეზიაში და ვერც სხვა პოეტურ გამოვლინებებში — მიწიერსა თუ ზეციურში.

ასე რომ:

გიორგი წერეთელი არც მოინდომებდა თავის მოგვარეს ჩანაცვლებოდა, სავსებით კმაროდა, რომ თვითეულ მათგანს საბრძოლველად ამზადებდა და ნაკლებ გრძნობდა მათ ცელქობასა და სიცხოველეს.

ძვირფასო მამა!

და მამის ბარათს რომ მიიღებდა, სიცილით კი იცინებდა, მაგრამ იმასაც ჩაითქვამდა: აკაკიმ არ უნდა შეიტყოს, თორემ საქვეყნოდ გამიხიახებს და შთამომავლობასაც შემოუნახავსო.

თუმც ისე მოხდებოდა, რომ... თვითონვე უამბობდა: მაგის გაუგებარი მაინც არაფერი რჩება, ცხრა მთას გადაღმა ქვის ქვეშ რა დგას, ისიც იცის და... ბარემ ჩემგან გაიგოსო...

ნიკო ძალზე ახალგაზრდა გაათავებდა გიმნაზიას და შევიდოდა პეტერბურგის უნივერსიტეტში. და იქ წესწყობილებას რომ ვერ შეეგუებოდა, გადავარდებოდა საზღვარგარეთ, გაერეოდა ემიგრანტებში და, როგორც ნიჭიერი კაცი, ბევრ კარგს შეიძენდა ამ ხნის განმავლობაში, მაგრამ... ზოგიერთ მათ საწვრილმანო წუნსაც რომ შეითვისებდა?!.

რას გულისხმობდა აკაკი ამ „საწვრილმანო წუნში“?

აღარ დაგვიზუსტებდა. შესაძლოა იმის იმედად, რომ იმხანად ეს მინიშნებაც კმაროდა მკითხველისათვის მისახვედრად.

დაბრუნების ნება რომ არა ჰქონდა, ძალაუნებურად კიდეც უნდა დარჩენილიყო ევროპაში დავაუკაცებამდის. მთავარი კი ისაა, კეთილადაც მოიხმარდა იმ დროს.

იაკობი რომ წუხდა: ისე ვბერდები, შენს ნახვას ვერა და ვეღარ ვეღირსეო, — მგონი ბოლოსდაბოლოს ბარიატინსკის შემწეობით მოესწრებოდა შვილის ნახვას.

ნიკო სამშობლოში რომ დაბრუნდებოდა, ბევრად არაფრით ეპიტნავებოდა ახალთაობის მოღვაწეობა!..

თვითონ რომ მოინდომებდა მაგალითის ჩვენებას, როგორც მატერიალურად, ისე სულიერად თავს დასდებდა და დიდ ნაყოფსაც მოიტანდა, მაგრამ ეტყობა, რომ თვითონ არ იქნებოდა კმაყოფილი!..

საწინამძღოლოდ კარგად რომ გახლდათ მომზადებული და ყველაფერიც ხელს უწყობდა, ერთი რამ აკლდა, რითაც მამამისი მდიდარი იყო: ჩვენს ქვეყანასა და ხალხს ვერ იცნობდა.

არადა ეგონა: რაც ევროპაში ითესება და იმკება, ის უნდა იყოს ჩვენშიაცო. და ამიტომაც ნიადაგის მომზადებაზე, როგორც წვრილმან რამეზე, ცოტას ფიქრობდა...

საზოგადოდ კი დიდ შრომას გასწევდა!..

განსაკუთრებით ბანკების შემოღებას ჩვენში იმ პროგრამით, რითაც ფეხს მოიკიდებდნენ, დიდხანს შეებრძოლებოდა, ასე რომ, სასიკვდილოდაც გადადებდა თავს.

საკვირველად ეჩვენებოდა აკაკის, რომ:

ნიკოს ავიწყდებოდა, მთესველი რომ გახლდათ და ნათესი ხშირად არა ჩანდა ბნელს მიწაში, ხშირად ზედ ტალახი და თოვლიც ეყრებოდა, მაგრამ როცა გამოზაფხულდებოდა, მაშინ ხომ ერთბაშად იჩენდა თავს!..

ნიკო კი რას ესწრაფოდა?

მისი ნათესი მაშინვე ამოსულიყო და თვითონვე მოემკო კიდეც.

და სხვა რისა, თუ არა ამისი ბრალი უნდა ყოფილიყო, რომ:

უკიდურესობაში ჩავარდნილი მალე გაიტეხდა გულს და მიანებებდა ყველაფერს თავს.

იკისრებდა ფოთის მეთაურობას და... თუმც თითით საჩვენებელი ქალაქმთავარი შეიქნებოდა, მაგრამ აკაკის ეაფსუსებოდა, რომ მისთანა კაცი წვრილმან საქმეებს გამოსდგომოდა და, რაც შეეძლო, ის კი დაემარხა!..

და... აქ კიდეც მოათავებდა ნიკო ნიკოლაძის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტის შტრიხებს და მკითხველს შეპირდებოდა: წინაც ხშირად შეგხვდებაო.

ცხადია, წინაც შეხვდებოდათ ახალ-ახალი ეპიზოდები თუ დეტალები ნიკო ნიკოლაძის ბიოგრაფიიდან, თორემ მისი პიროვნული ხასიათი არსებითად აქ უკვე მოხაზულიყო, „ჩემი თავგადასავალის“ ამ ერთიბეწო ჩანაწერში, იმ იშვიათი ხელოვნებით რომ გამოიკვეთებოდა, მოსხლეტილ თქმაში ჩაწურული დიდი ტევადობით, აკაკის ბედნიერი ნიჭის კიდევ ერთი ღირსება რომ გახლდათ და ავტობიოგრაფიულ რომანში ასე თვალნათლივ და შთამბეჭდავად გადაგვეშლებოდა თვალწინ, ასეთი სილუეტები მთელ სერიას რომ შექმნიდა და... ამ მხრივაც რარიგ გვენანება ასე ნაადრევად შემწყდარი „ჩემი თავგადასავალი“, გაბმული თხრობის გარდა ამგვარი სილუეტების მთელი წყება რომ მოგვაკლდებოდა.

რას ნიშნავს მაინც ყველაზე ზუსტი და არსებითი რეალიების მიგნება პიროვნების ხასიათსა და მოღვაწეობის გეზში!..

რას ნიშნავს ის გენიალური უბრალოება, მარტოდენ ლექსებსა და პოემებში კი არა, ანდა ბელეტრისტულ თუ კრიტიკულ-ესთეტიკურ თხზულებებში, არამედ პორტრეტთა ნატეხებშიც არანაკლები ძალით რომ ცნაურდებოდა!..

შენ ნატეხი ეძახე!..

ამდენი ხანია გყიდულობ და ვერ მიყიდნიხარო...

ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის შტრიხია, ასე მარჯვედ რომ მიაგნებდა აკაკი და კიდეც მიგვახვედრებს, თუ რატომ ვერ გასწევდა ნიკო ნიკოლაძე ილიაობას, თუმც არც ნიჭით ჩამოუვარდებოდა, არც ენერგიულობით, არც ხედვის მასშტაბურობით... არც... არც... არც... და აგერ წინამძღოლობისათვისაც ჩინებულად მომზადებულიყო და ყველაფერიც ხელს უწყობდა, რაც მის გარშემო ტრიალებდა...

და მაშ... რაღა?..

ამოსავალი მისთვის დასავლური აზროვნება და ცხოვრების სტილი იქნებოდა, არა ბუნებრივად, არამედ ხელოვნურად რომ შეეცდებოდა დამყნობას ჩვენს ეროვნულ ხასიათზე, სწორედაც ხელოვნურად — ჩვენი ქვეყნისა და ხალხის თვითმყოფადობის გაუთვალისწინებლად.

უკიდურესობაშიც ამიტომ ჩავარდებოდა, თვითონ ვერაფრისდიდებით რომ ვერ აეხსნა, რა ხდებოდა, რატომ გაურბოდნენ მისი თვისტომნი მოსალოდნელ სიკეთეს, რატომ უყურებდნენ ისეთი ეჭვის თვალით, რომ ნიკოსიც ვეღარ დაეჯერებინათ, ამ უანგარო, თავისი სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის გადამდგარი კაცისა.

ვერ აეხსნა და... გულიც გასტეხოდა.

ისეც არა, ზურგი შეექცია თვისტომთათვის, აგერ მიზნად დაესახა ფოთის გადაქცევა ევროპულ საპორტო ქალაქად და წარმატებითაც შეესხა ხორცი ამ თითქოსდა დაუჯერებელი განზრახვისათვის, მაგრამ მისი დიდი ენერგია მაინც გამოუყენებელი რჩებოდა, სხვისთვის დიდებული საქმე ნიკო ნიკოლაძის პიროვნული მასშტაბურობის ფონზე წვრილმანად რომ ეჩვენებოდა აკაკის, ეგაა ქართველებზე მეტად ნიკოს ამტყუნებდა, სამშობლოსაკენ მისასვლელი გზები რომ ვერ მოენახა... ისე ვერ მოენახა, მისი ინტელექტისა და სულიერი ძალ-ღონის კაცს რომ შეჰფეროდა, თორემ...

გუნებაში შეუდარებდა მის მოღვაწეობის გეზს ილია ჭავჭავაძისას, თორემ მსჯელობისას სიტყვა არ დაცდებოდა ილიაზე. მინიშნებაზეც თავს შეიკავებდა. თუმც სტრიქონსა და სტრიქონს შუა იგრძნობა, ილიას ლანდი რომ მოძრაობს აკაკის თვალთახედვაში — ყველაზე სახიერ ფონად თუ საზომად.

თუმც... ესეცაა:

60-იანი წლების მოღვაწეებში ყველაზე წინ ეხატებოდნენ: გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი და ნიკო ნიკოლაძე.

და... ილია? ილია სადღაა? ეჰ, რა იქნებოდა მისი ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტიც რომ ჩახატულიყო „ჩემ თავგადასავალში“?

ამ მოსალოდნელი შეკითხვის პასუხი წინასწარვე გაემზადებინა: ესენი, როგორც ჩემთან ყველაზე უფრო დაახლოვებულებიო.

მაგრამ ეს წინასწარი დაზღვევა ვერ აქარწყლებს იმ შეკითხვას, რადგანაც: 60-იანი წლები ახსენო და... ილია გამოტოვო? ძნელი ასახსნელია, ძნელი.

თუმც... ეგებ არც ისე ძნელი ასახსნელი იყოს...

ყველაზე წინ ეხატებოდნენო...

მათზე წინ ილია უნდა გეხატებოდეს ადამიანს, როგორც მესაჭე და წინამძღოლი იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა, იატაკქვეშა და ოფიციალურ მოღვაწეობას შორის რომ მდინარებდა და ქმნიდა საფუძვლებს სახელმწიფოებრივი ინსტიტუტებისაც და მომავალი სახელმწიფოსიც, აღთქმული მიწასავით ამომზეურებულისა.

ასე თუ ისე: ნიკო ნიკოლაძის გარდა ყველაზე წინ გიორგი წერეთელი რომ ეხატებოდა...

ნიკოლოზ და ბესარიონ ღოღობერიძეები, ვახტანგ თულაშვილი და დიმიტრი ბაქრაძე რომ მოინდომებდნენ კვირაში ერთხელ ქართული გაზეთის — „დროება“ — გამოცემას; აიყოლიებდნენ ახალგაზრდა სტეფანე მელიქიშვილს, აკისრებინებდნენ გამომცემლობას და გაგზავნიდნენ ვენაში ტიპოგრაფიის ჩამოსატანად. და ეს მაშინ, როდესაც ჩვენში გაზეთი და საზოგადოდ წიგნის ბეჭდვა ახალი ხილი იყო.

ნებართვას გამოიტანდნენ და კიდეც უნდა შესდგომოდნენ გამოცემას.

პირველი ნაბიჯი გაძნელდებოდა, მაშ რა იქნებოდა, და აკაკიც გაუგებდათ, როდესაც ათასი რამ სიძნელე და ახირებულობა მოეხვეოდათ თავზე — აქეთ სტამბა და მესტამბე, იქით ცენზორი და ამისთანები — და მეტი გზა აღარ დარჩენოდათ, რომ რედაქტორის ძებნას შესდგომოდნენ, შესაფერისი კაცისა, ვისაც მიენდობოდა გამოცემა!..

სამაგიეროდ აქ გაუჭრიდათ გუმანიც და დაკვირვების უნარიც და შეარჩევდნენ გიორგი წერეთელს, რომელსაც — როგორც ნიჭიერსა და კარგადაც მომზადებულ ახალგაზრდას — აკაკი იმ მხრივაც გამოაცალკევებდა სხვებისაგან, რომ მათსავით დიპლომისათვის არა სწავლობდა — რათა მისი ხელთ მოგდების მერე შესულიყო სახელმწიფო სამსახურში და ჩინოვნიკობის გარდა ყველაფერზე ხელი აეღო.

მეტად საგულისხმო ფსიქოლოგიური შტრიხი მისი ხასიათისა:

გიორგი წერეთელი იმდენად მშრომელი გახლდათ, რომ თავს დაღალვას ვეღარ ატყობდა.

და პორტრეტის ავტორი მას შეადარებდა ოჯახში ხელმოკლე კაცს, ვერავის რომ ვეღარ ხედავს და ყველაფერს თვითონ ეპოტინება.

ასე გახდებოდა გიორგი:

რედაქტორიც, გამომცემელიც, დამწერი — პუბლიცისტური სტატიებისაც, კრიტიკული გარჩევებისაც, ლექსებისაც, მოთხრობებისაც, რომანებისა და კომედია-დრამებისაც. და იმავდროულად წანწდებოდა — ისტორიკოსობასაც, არქეოლოგობასაც, ფილოლოგობასაც და ბოლოს — კომერციასაც.

რაო, დაღალვას ვერ ატყობდა თავს?

აკაკი სწორედ ამით ხსნიდა, რომ მისი მოგვარის შრომას ორგვარი ბეჭედი ესვა — ზოგს ნიჭისა და ზოგსაც მოქანცვისა.

ამას ბევრჯერ ეტყოდა პირადადაც, მაგრამ რას გახდებოდა — ის თავისას არ დაიშლიდა და, ესეც, მეტი გზა რომ აღარა დარჩებოდა რა, ირონიას მოიშველიებდა: ორთავას დაუძახებდა.

იფიცება: ამით არც მისი წყენა მდომებია და არც დაცინვა, მინდოდა მხოლოდ, რომ მეტი შრომა მომეშლევინებინა მისთვისო.

მაგრამ რა გამოვიდოდა?

ის სიკვდილამდე ისევ იმ გიორგიდ დარჩებოდა და აკაკიზე კი სამარადისოდ გულნატკენი იქნებოდა.

ისე თავისი მოგვარისა რომ უკვირდა, თვითონაც რა, იმ ხელმოკლე კაცივით არ იქცეოდა, ვერავის რომ ვეღარ ხედავდა და ყველაფერს თვითონ ეპოტინებოდა?

რედაქტორიც იქნებოდა, გამომცემელიც, დამწერიც — პუბლიცისტური სტატიებისაც, კრიტიკული გარჩევებისაც, ლექსებისაც, პოემებიცსა, მოთხრობებისაც, რომანებისაც და კომედია-დრამებისაც, თარგმანშიც რომ საკმაოდ გამოიდებდა თავს. და იმავდროულად წანწდებოდა — ფილოლოგობასაც, რეჟისორობასაც და ბოლოს კომერციასაც.

მოღალვა და დაქანცულობა განა მასთანაც არ იჩენდა თავს?

ცხადია, გაცილებით უფრო ნაკლები სიმკვეთრით, რადგანაც დიდ ტალანტს თავისი გაჰქონდა, თუმც გული ვერც მას შეეჯერებინა ერთი რომელიმე სარბიელისათვის და ქვეყნის ყოფაც მოითხოვდა, რომ ერთბაშად ბევრ საქმეზე გადამდგარიყო.

ასევე სთხოვდა გიორგი წერეთელსაც — პიროვნული ხასიათიც და ქვეყნის მდგომარეობაც, პროზაიკოსობიდან კომერციამდე ყველაფრისათვის ერთბაშად მოეხვია ხელი.

ორთავაო...

თქმით ადვილად ითქმის, სახალისოდაც და სალაღობოდაც, მაგრამ ვერ მიიღებდა გიორგი ამ ეპითეტს მაინცდამაინც ხალისითა და ლაღობით.

აკაკი იმის ნაშრომ-ნაღვაწს ასე უყურებდა და სხვებსაც ამგვარ მიდგომას ურჩევდა: როგორც ოქროს მადნეულის ძარღვსო.

ეს კი ნიშნავდა, რომ: უნდა გაგერჩია, გაგერეცხა, რამდენიმე ფუთი სილა-ტალახი მოგეშორებინა, რომ მერე გამოგერჩია გიორგი წერეთლის ნაღვაწში რამდენიმე ოქროს მარცვალი.

და იმედს გამოთქვამდა, რომ:

გიორგის თხზულებებსაც, როცა გაიმტკიცებდა, ბევრი ხელიხელსაგოგმანებელი საგანი გამოაჩნდებოდა, რომელიც საბოლოოდ გასტანდა.

მის პირდაპირ დანიშნულებად მაინც პროზაიკოსობას მიიჩნევდა და ქართული რეალისტური სკოლის მამამთავრადაც მას დასახავდა და არა სხვა ვინმეს, რადგანაც:

გიორგი წერეთელი სხვებზე ადრე იყო.

სხვა თხზულებანი რომ არც ეხსენებინა, ამის დასამტკიცებლად მარტო „მამიდა ასმათი“ და „რუხი მგელიც“ იკმარებდა. ხოლო „მგზავრის წერილები“, შიგადაშიგ დაღალვა რომ არ დატყობოდა, ერთი უკეთესი თხზულებათაგანი გახლდათ ქართულ ენაზე.

ერთი სიტყვით:

ის ერთი პირველთაგანი იყო სამოციანელებში, მაგრამ ამჯერად აქ მოათავებდა მისი პორტრეტის ძერწვას, რადგანაც წინ კიდევ ბევრჯერ მოუხდებოდა მასზე საუბარი.

ხოლო სერგეი მესხის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტი... იმ ზარაფის ხსენებით დაიწყებოდა, რომელიც შვილს განათლებას მისცემდა და მილიონსაც ადრე დაუტოვებდა. შვილმა ცხოვრებისა არა იცოდა რა, რომ ეს თანხა შეენარჩუნებინა, მაგრამ გულკეთილი გახლდათ და საზოგადო კეთილ საქმეს თანაუგრძნობდა. და სწორედ ამ სტეფანე ზარაფოვს გაეგზავნა თავისი ხარჯით საზღვარგარეთ რუსეთში უნივერსიტეტდამთავრებული სერგეი მესხი.

სამშობლოში დაბრუნებული სერგეი გუბერნატორის კანცელარიაში რომ შევიდოდა, იქ კარგი თვალით შეხედავდნენ და მისი დაწინაურება აღარავის ეეჭვებოდა, მაგრამ გაითვალისწინებდა ნიკო ნიკოლაძის რჩევას: დაენებებინა სახელმწიფო სამსახურისათვის თავი, გამოსულიყო საზოგადო ასპარეზზე და ეკისრა „დროების“ რედაქტორობა გიორგი წერეთლის მაგივრად, რადგანაც ის საზღვარგარეთ მიემგზავრებოდა.

სერგეი სიამოვნებით იკისრებდა, რადგანაც გამომცემლის, სტეფანე მელიქიშვილის, დაც დანიშნული ჰყავდა და დღე-დღეზე უნდა შეერთო.

დიდი ხანი არ გაიელიდა, რომ გაზეთს გადააკეთებდა ყოველდღიურად და შეუდგებოდა დამჯაფველ შრომას.

და ესეც სერგეი მესხის ხვედრი, ასე ლაკონიურად ჩაწერული:

რადგანაც დამხმარე ბევრი არავინ ჰყავდა, შრომა სულ იმას დააწვა თავზე და ბოლოს კიდეც გადაიტანა იმ შრომამო.

იმ დროის კვალობაზე კარგად განვითარებული კაცი რომ გახლდათ, თუ საბოლოოდ არა დარჩებოდა რა მისგან, აკაკი ასე ახსნიდა: ეს იმით არ მოსვლია, რომ ნიჭი ჰკლებოდეს, არამედ წილად შავი მუშაობა ხვდაო.

როგორც საზოგადო საქმეთა თანამგრძნობს, მოიხსენიებდა უებროდ.

იმ საგულისხმო ფსიქოლოგიურ შტრიხსაც წარმოაჩენდა:

საზოგადო კარგი რამ რომ გაამხიარულებდა და მშვენიერი ყმანვილური სიცილი იცოდა; იმდენს და ისე გულიანად იცინოდა, რომ თვალებში ცრემლი წამოუვიდოდა ხოლმე.

და თუმც დიდი ხანი გავიდოდა მისი გარდაცვალების შემდგომ, მაგრამ აკაკის სერგეი მესხის გარეშე ვერანაირი საზოგადო საქმე ვერ წარმოედგინა: ცოცხალივით იდგა ძველ თანამებრძოლთა გვერდით და თანაგრძნობით იძლეოდა სიმხნევის მაგალითსო.

და კიდევ ერთი საგულისხმო დეტალი:

რადგანაც სხვა ადგილი არსად იყო, ახალგაზრდობა მის რედაქციაში იყრიდა თავს და რედაქტორი ყველას მეგობრულად ექცეოდა, მათ შორის ალექსანდრე ყაზბეგსაც, ამ ახირებულად შესანიშნავ კაცს.

კიტა აბაშიძე „მოამბის“ ფურცლებზე — 1897 წლის VII და X ნომრებში — სტატიას რომ გამოაქვეყნებდა: „ცხოვრება და ხელოვნება“ — კიდეც გამოეპასუხებოდა გიორგი წერეთელი წერილით „კიტა აბაშიძე და ჩვენი ახალგაზრდობა“ „კვალის“ ფურცლებიდან (61), აკაკი ძალიანაც რომ მოიწონებდა: შესანიშნავიო, — ოღონდ მოვალედ მიიჩნევდა თავს კრიტიკულად გამოხმაურებოდა იმ პასაჟს, სადაც ავტორი სხვადასხვა დასზე მსჯელობისას სხვათა შორის მასაც მოიხსენიებდა მეორე დასის მეთაურად.

წაიკითხავდა ამ სტრიქონს და... პირველად ეს განცდა გაუჩნდებოდა: რაც არ მერგება, არ შემერგებაო.

და ეს იმიტომ, რომ:

არათუ მეთაური, უბრალო წევრიც კი არა ყოფილა რომელიმე დასისა, მითუფრო, რომ ეს დასები... არც არსად ენახა.

შეენიშნა მხოლოდ ამ ორმოცი წლის განმავლობაში ჩვენს ახალგაზრდებში, თითო-ოროლა მოღვაწე რომელიმე საქმეს რომ ხელს ჰკიდებდა და მასთან ერთად სხვებიც ჯგუფდებოდნენ ფეხის აყოლით. მაგრამ ყოველივე ეს ხომ შემთხვევითი მოვლენა იყო, გარეშე მიმბაძაობით აღძრული, ხანმოკლე და უნიადაგო და თავისთავად კი ფეხმოუკიდებელი.

მათთან რა საერთო ჰქონდა?

გარდა შორეული თანაგრძნობისა და მეგანგაშეობისა — არაფერი: მათი კარგი ყოველივე უხაროდა, მოსწონდა და აქებდა... ცუდი წყინდა და წუნსა სდებდა.

იმთავითვე ისე, როგორც დღესაც, დარწმუნებული გახლდათ, რომ, ჩვენდა საუბედუროდ, ჯერჯერობით შეერთებული შრომა ჩვენში მოუხერხებელი იყო!..

ერთს შეეძლო გაეკეთებინა რამ, მაგრამ თუ იმავე საქმეში სხვებსაც ამოიყენებდა გვერდით და საზიაროდ გაუხდიდა, მაშინ კი სახეირო აღარა გამოვიდოდა რა და შეიძლება კიდეც, რომ იმ სასარგებლო საქმეს სავნებელიც გამოეწვია.

საამისო მაგალითს გარშემო ბევრს რომ ხედავდა, სწორედ ამ მოსაზრებით ამჯობინებდა განზე დგომას და სხვების ფერხულში არ ერეოდა. თუკი რაიმეს შეძლებდა და მოახერხებდა მისდათავად — შრომობდა. მიდიოდა თავისუფლად ერთხელვე არჩეული გზით, არცა რა ვისი ბატონობა სურდა და არც ყმობა; ვისაც იმავე გზით მიმავალს ნახავდა, ვიდრე ის ამის გვერდით იქნებოდა, ამასაც რასაკვირველია ამხანაგად და თავისიანად მიაჩნდა. ამის მტერ-მოყვარეობაც იმაშივე ისახებოდა, თორემ თამამად შეეძლო ეთქვა, საპირადო და კერძო არავისთან არა ჰქონია რა.

ეს მისი კვლევა-მორიდება და განმარტოება მაშინდელი წრეებისათვის გაუგებარი იყო და მათგან ათვალწუნების მიზეზადაც სწორედ ამას ივარაუდებდა.

ერთხანს უნიჭოდაც მიიჩნევდნენ და დასცინოდნენ. ბოლოს, როცა ხალხი მათ აღარ დაუჯერებდა, ნიჭზე აღარას იტყოდნენ, მაგრამ უმეცრებას, განუვითარებლობასა და სიზარმაცეს კი ძალზე შეთანხმებულად უკიჟინებდნენ. ესეც თავის მხრივ მათ ისე უყურებდა, როგორც... უდროოდ შემოსულ ხილს, რომლის ნაადრევი დამწიფებაც ხშირად ჭიის ბრალია ხოლმე. ძალზე მწარე შედარებაა, მაგრამ აკაკის ამისთანა გაიგივებანი — მახვილგონივრულად და მიზანში ჩარტყმული — გაუძნელდებოდა თუ რა!..

ეს ორი მიზეზი კმაროდა, რომ მათ შორის ერთობის კავშირი გაწყვეტილი ყოფილიყო.

ისინი მოღვაწეობდნენ ტფილისში — გამოსცემდნენ ჟურნალს, გახსნიდნენ სტამბას, გამართავდნენ ბიბლიოთეკას და თავისებურად შეუდგებოდნენ ახალგაზრდობის წვრთნა-განათლებას. ხოლო აკაკი იმ დროს... იმერეთისაკენ ჩხირკედელაობდა.

თავისებური ღიმილიც რომ არ დაეტანა, ისე როგორ იქნებოდა: ვჩხირკედელაობდიო!..

მაშინ სწორედ ის წრე ტრიალებდა ტფილისში, რომელსაც გიორგი წერეთელი მეორე დასად აღიარებდა და სათავეში აკაკის უყენებდა, ეს კი გააპროტესტებდა: იმ წრის მეთაურად ანუ უფრო მართალი იქნება ვთქვათ, მეუფროსედ ნიკო ნიკოლაძე ითვლებოდაო. და ხსენებისთანავე... ქიმუნჯსაც წაჰკრავდა: ვაი მისი ბრალი, ვინც მის ჭიანურზე ბუქნას არ დაუვლიდა და გადაუხვევდაო!..

საზოგადოდ ჩვენი ინტელიგენციის შესახებ ამ ორმოცი წლის განმავლობაში და კერძოდ ნიკო ნიკოლაძის წრის შესახებაც დაწვრილებით მოუთხრობდა მკითხველს ავტობიოგრაფიულ თხზულებაში „ჩემი თავგადასავალი“ და დაე იქ გაცნობოდნენ, აქ კი მხოლოდ გაკვრით იხსენიებდა მცირე რამეს იმის დასამტკიცებლად, იმ წრეში თვითონ რომ არა ყოფილა და აკი ამას გიორგი წერეთელიც ამბობდა: აკაკი მერე შემოგვიერთდაო, — მაგრამ ამის აღნიშვნასაც პატარა შეცდომად ჩამოაერთმევდა: მაშინდელი ჩვენი ერთად ყოფნა დროებითი, უცაბედი შეხვედრა იყო და არა შეთანხმებით შეერთებაო.

იმას გულისხმობდა: „დროებაში“ გაგზავნილ მის ხელმოუწერელ წერილს ნიკო ნიკოლაძისად რომ მიიჩნევდნენ, ის კი მიხვდებოდა, ვისი შეიძლება ყოფილიყო და ქუთაისში ჩასული კიდეც მონახავდა აკაკის, რათა თავისი ეს მიხვედრა დაებეჯითებინა და ნამდვილი ვტორიც გამოერკვია.

მაშინ ნიკოლაძე მე ძალიან მიყვარდა, როგორც ცოცხალი, ენერგიით სავსე და საიმედო ახალგაზრდაო, — ამას რომ აღნიშნავდა, დასძენდა, — ბევრი რამ არ მომწონდა მისი, ბევრშიც არ ვეთანხმებოდი, მაგრამ ვამბობდი: არაფერია, ჯერ კიდევ ყმაწვილია, სისხლი არ ასვენებს, ერთ დროს ჩადგება სწორ კალაპოტში, ეკალი გასცვივა და ვარდი დაგვრჩებამეთქი.

და ამ რწმენითაც აიხსნებოდა ამ ორის ერთსა და იმავე დროს მტერ-მოყვრული განწყობილება. და იმ დღესაც მტერ-მოყვრულად რომ შეხვდებოდნენ ერთმანეთს, ის სთხოვდა: გაზეთის საქმიანობაში მონაწილეობა მიეღო და ფელეტონები მიეწოდებინა.

და ეს იმ პირობით დაეთანხმებოდა, რომ:

არ უნდა დამორჩილებოდა რეაქციის „შიგნითურ“ კანონებს, მის ნაწერებს ხელს არ შეახებდა რედაქცია, ვერც გადაასწორებდა და ვერც გადააკეთებდა. და რომელზედაც თანახმა არ იქნებოდა, იმ სტატიის შესახებ დაე თავისი საკუთარი აზრი წარმოეთქვა იმავ გაზეთში.

და „დროების“ 1871 წლის 97-ე ნომერში კიდეც რომ დაიბეჭდებოდა მისი პირველი „ცხელ-ცხელი ამბები“, ნიკო ნიკოლაძე დაურთავდა სქოლიოს:

— თავადი აკაკი წერეთელი დაგვპირდა ჩვენ ხანდისხან ფელეტონების და სხვა-და-სხვა შენიშვნების გზავნას ამ რუბრიკით: „ცხელ-ცხელი ამბები“. ჩვენ სიამოვნებით ვაძლევთ და მივსცემთ კვალადაც ადგილს მის ნაწერებს, თუმცა ძლიერ ხშირად ისიც შეგვხვდება, რომ ჩვენ მის აზრს არ ვეთანხმებოდეთ და მის ნაწერებს არ თანავუგრძნობდეთ. მკითხველი ამ შემთხვევაში დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ჩვენ სხვათა შორის აზრათა გვაქვს ხმის ამოსაღები ასპარეზი მივცეთ იმისთანა მწერალს, როგორიც აკაკი წერეთელია.

ამის შემდეგ ეს თავის პირობაზე იდგებოდა და ისინიც თავისას არ მოიშლიდნენ: ხშირად ექნებოდათ ერთმანეთში კამათი რომელიმე საქმის თაობაზე. მათ მტერ-მოყვრობას ორი წლის განმავლობაში ხელს გარეშე არა შეუშლიდა რა. მხოლოდ 1873 წელს გაზეთის 46-ე ნომერში დაიბეჭდებოდა აკაკის შენიშვნა კაცხის გლეხების შესახებ. რედაქცია თეორიული მხრით შეხედავდა ამ საქმეს, ეს კი — თეორიისა საზოგადოდ არა უარმყოფელი — ამ შემთხვევაშიც პრაქტიკული მხრით უყურებდა. მათი უთანხმოება გამოიწვევდა უსიამოვნებას და, რადგანაც რედაქცია უარს განაცხადებდა ამის საპასუხო წერილების ბეჭდვაზე, აკაკიც სრულიად ჩამოშორდებოდათ და აღარას მიაწვდიდათ.

მხოლოდღა რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც რედაქციის წევრები წავიდ-წამოვიდოდნენ და „დროება“ დარჩებოდა მარტოდენ სერგეი მესხის ხელში, ესეც ისევ მიუბრუნდებოდა და შეეშველებოდა იმ კაცს, რომელიც ახლოს გაიცნობდა და თავის ადრინდელ საქციელს — სხვების ხმის აყოლას — თვითონვე იჩოთირებდა და მეგობრულად სთხოვდა, მასთან ეშრომა.

აი ესეც მისი მონაწილეობა წრეებში.

რაც შეეხებოდა დასობას:

კიდევ აღიარებდა, რომ ის ინტელიგენტური დასები, ხალხის ცხოვრებაში კვალს რომ ავლებენ და ჩამომავლობას ერთ რომელიმე გადაჭრილ გზაზე აყენებენ, ჯერჯერობით არც კი შეენიშნა და... მათ მეთაურობას როგორღა გაუწევდა ან ერთსა და ან მეორეს?..

ისე ნეტა ილიას სილუეტი როგორ ჩაიხატებოდა „ჩემ თავგადასავალში“?

ბევრ რამეზე გვაკლდება გულს ამ ავტობიოგრაფიული რომანის ნაადრევი გაწყვეტა და ერთი უპირველესი — ილიას გამოისობით... დაახლოებით კი შეიძლება მივუხვდეთ, მაგრამ რა ბედენაა ეს „დაახლოებით“, როდესაც შესაძლოა უშუალოდაც გადმოღვრილიყო ფურცლებზე ზუსტ და ტევად სტრიქონთა წყება, გამაოგნებელი თავისი სიღრმითა და უბრალოებით.

გიორგი ლასხიშვილს რომ ეამაყებოდა, აკაკის პირადად ვიცნობდი ბავშვობიდანვეო — ეს იმიტომ, პატარაობისას ხშირად რომ ხედავდა სწორედ ნიკო ნიკოლაძის ოჯახში, ესმოდა უფროსებისაგან: დიდი პოეტიაო, — და მეხსიერებაში გაუნელებლად ჩარჩებოდა ის შთაბეჭდილება, რასაც მასზე ახდენდა აკაკის ნახვაც და ეს ლაპარაკიც.

გიმნაზიის მეშვიდე კლასში რომ იმყოფებოდა, გარდაიცვლებოდა გრიგოლ ორბელიანი და გიმნაზიელები გადაწყვეტდნენ გვირგვინისა და სამგლოვიარო დეპეშის გაგზავნას. სასწავლებლის მთავრობა როგორღაც კეთილი თვალით შეხედავდა ამ განზრახვას: ნებას დართავდათ ფულის შეგროვებისასაც და დეპეშისა და გვირგვინის გაგზავნისასაც.

დეპეშას შეადგენდა გიორგი ლასხიშვილი და შეუტანდა დირექტორს — ასეთი იყო განკარგულება, რადგანაც ცენზორული თვალის გარეშე არაფერი გაპარულიყო. და დირექტორი ურჩევდა, რომ ნაცვლად „გენიალურისა“, დეპეშაში როგორც ეწერა, „მხცოვანი“ ჩაეწერა, და ეს იმ მოტივით: ნამეტანი არაფერი ვარგაო.

ამ მოთხოვნას ძალიან იწყენდნენ დეპეშის შემდგენელიც და მისი თანატოლებიც, ეროვნული გრძნობის შეურაცხყოფად ჩამოართმევდნენ, და გიორგი მხოლოდღა შემდგომში უნდა მიმხვდარიყო: სტოიანოვი მართალი ყოფილაო!..

გვირგვინს რომ გაამზადებდნენ, რამდენიმე გიმნაზიელი წაულებდა აკაკის. გაიგებდნენ, რომ აკაკი ტფილისში მიემგზავრებოდა გრიგოლ ორბელიანის დაკრძალვაზე დასასწრებად და სთხოვდნენ გვირგვინის წაღებასაც და მათ მაგიერ ორიოდე სიტყვის თქმასაც.

აკაკი განზრახვას მოუწონებდათ და ხმამაღლა წაიკითხავდა ლენტზე წარწერას: მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებასო.

შეპირდებოდათ თხოვნის შესრულებას და შემდეგ ღიმილით მიმართავდათ:

— ყმაწვილებო! დარწმუნებული ვარ, როცა მოვკვდები, მეც შემამკობთ გვირგვინით. მოდით ასე გავრიგდეთ: რაც გვირგვინისათვის ფული იქნება საჭირო, ახლავე მომეცით.

მოგვიანებით გიორგი ლასხიშვილი აკაკის მას მერე უნდა შეხვედროდა, როდესაც ციმბირიდან დაბრუნებული მარიამ დემურიას ესტუმრებოდა. და ახლაც, როგორც ყოველთვის ჩვენს მოღვაწე მწერლებთან პირველი შეხვედრის დროს, ლაპარაკს პოლიტიკისა და ჩვენი ქვეყნის მდგომარეობაზე ჩამოაგდებდა.

აკაკი სიტყვას ბანზე აუგდებდა, ლაპარაკში არ გამოჰყვებოდა.

დაიწყებდა თავისებურ ოხუნჯობასა და პოლიტიკური ანეკდოტების მოყოლას.

და ერთ მის ნაამბობზე გიორგი ბევრსაც რომ იცინებდა და სამუდამოდაც დაამახსოვრდებოდა, დაბეჯითებით ვერას იტყოდა, ნამდვილი ამბავი გახლდათ თუ ანეკდოტად შეთხზული.

რუსეთ-ოსმალეთის უკანასკნელი ომის დროს გიორგი წერეთელი სამხედრო კორესპონდენტად ყოფილიყო ფრონტზე, ქობულეთში მოქმედ არმიასთან ერთად. დიდი იმედებით აღფრთოვანებულიყო და ყველას არწმუნებდა:

— ომში ინგლისი ჩაერევა, გამოგზავნის ძლიერ ფლოტს შავ ზღვაზე და საქართველოს გაათავისუფლებს.

ამაში ისე დარწმუნებულიყო, რომ მოლაპარაკებებსაც გამართავდა ქობულეთის წარჩინებულ მაჰმადიან მმართველებთან. თან ჩვენს ინტელიგენციასა და საზოგადოებასაც ელაპარაკებოდა ამის თაობაზე — გამართავდა კრებებს ტფილისსა და ქუთაისში. და ერთ ამისთანა კრებაზე ქუთაისში რომ მოჰყვებოდა მტკიცებას:

— მალე ინგლისელები შემოვლენ ჩვენს ქვეყანაში.

იქ მყოფი ცნობილი გურული მემამულე სიო ბერიძე სიტყვას გააწყვეტინებდა ორატორს:

— თუ ღმერთი გწამს, გიორგი, თავი დაგვანებე. ძლივძლიობით ორი ღერი რუსული ვისწავლე და ახლა ინგლისურს რა მასწავლის... არ გვინდა, ბატონო, არა.

— მერე როგორ დაასრულა გიორგი წერეთელმა თავისი პოლიტიკური მუშაობა? — დაინტერესდებოდა იმისი სეხნია ლასხიშვილი.

— ცოტა დააკლდა, კინაღამ ჩამოახრჩეს, — მიუგებდა აკაკი და... კიდეც მიუბრუნდებოდა მარიამ დემურიას პატარა ვაჟებს და მათთან დაიწყებდა ხუმრობას.

„ან აქამდე როგორ გაძლოო“, რაღაც ამგვარს უთუოდ გაიფიქრებდა ნაციმბირალი სტუმარი, რაკიღა მასაც მოეხსენებოდა, რარიგ უყვარდა აკაკის პატარა ბავშვები და შემდეგშიაც ბევრჯერ ნახავდა პატარებში გარეულს.

თავი III

ღიღინი: ლექსის რიტმად, ლექსის მუსიკად

ნამდვილი ამბავი გახლდათ თუ ანეკდოტად შეთხზულიო...

ისე ოსტატურად რომ მოალამაზებდა ხოლმე ნაამბობს აკაკი, ისეთ იუმორისტულ იერს რომ მიანიჭებდა ხოლმე, ერთი შეხედვით დაშორებული მოჩანდა ნამდვილისაგან, თუმც ქარგა შენარჩუნებული გახლდათ, და თუ სხვები მანამდე ყურადღებას ვერ მიაქცევდნენ, ეს იმიტომ, აკაკისებური გონებამახვილობითა და სიღრმით ვერა წვდებოდნენ ამა თუ იმ დეტალისა ან ეპიზოდის კომიკურობასა თუ მოხდენილობას.

და კიდეც რომ შეეთხზა, ისეთი სიზუსტითა და სიღრმით წარმოაჩენდა ადამიანთა ხასიათებს, ისეთ შესაფერის სიუჟეტურ ქარგაში ყოფით სიმართლეს რომ ბევრად სჯობდა რეალიეფურობითაც და შთამბეჭდაობითაც.

ხოლო 1908 წელს ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის უფროსი კლასის მოსწავლეები სურვილს რომ გამოთქვამდნენ — გადაეხადათ აკაკის იუბილე აქაც, ამ შენობაშიც, ამ განზრახვას უფრო მეტად იმით ასაბუთებდნენ: აკაკი ხომ სწორედ ჩვენს გიმნაზიაში სწავლობდაო.

მათი განწყობილება იგივე იქნებოდა, რაც მთელი ქართველი ერისა, აკაკის სალიტერატურო მოღვაწეობის 50 წლისთავს წინასწარვე სანუკვარად რომ მიიჩნევდნენ, თავისთავადაც და... იმ ტრაგედიის გამოძახილად და ფავისებურ საპროტესტო გამოსვლადაც, წინამორბედ რომ მომხდარიყო: იქ ღრმად დაკოდილი ეროვნული სხეული ეგებ მცირეოდნავ მაინც მოშუშებულიყო ამ იუბილის გამართვით, სახალხო დღესასწაულად რომ უნდა გადაქცეულიყო.

და აკაკი შანიძე ასე აღადგენდა იმჟამინდელ საერთო განწყობილებას, რომლის უშუალო გამზიარებელნი მოწაფეებიც იქნებოდნენ:

აკაკის იუბილე ერთგვარი სალბუნი უნდა ყოფილიყო ამ დიდი ეროვნული ტკივილის დასაამებლად, რადგანაც აკაკი დროში იგივე ილიას დროშა გახლდათ და უკეთესი მომავლის იმედი მაინც ყველას უღვიოდა გულშიო.

ამ ჩანაფიქრს ქართული ენის მასწავლებელს მელიტონ ჩოგოვაძესა და იმხანად ხატვის მასწავლებელს, შემდგომ კი დამსახურებულ არტისტს ვასო ბალანჩივაძეს გაუზიარებდნენ, ორივე რომ მოიწონებდა ამ აზრს და დირექტორთან შუამდგომლობასაც შეპირდებოდნენ — მიხაილ გლუშაკოვთან, რომელიც ქუთაისის რეალური სასწავლებლის დირექტორ ლეონტიევთან ერთად ცნობილი გახლდათ როგორც გიმნაზიაში ქართველ მოსწავლეთა მიღებისა და ქართველთა მიერ გიმნაზიის დამთავრების დიდი შემფერხებელი. და ეს იმიტომ, რომ: ორივეს კავკასიის სასწავლო ოლქის მაშინდელი მზრუნველის — რუდოლფისაგან საიდუმლო დირექტივა ჰქონდათ მიღებული: გიმნაზიასა და რეალურ სასწავლებელში ნაკლებად მიეღოთ ქართველი ახალგაზრდობა, ხოლო ვინც უკვე სწავლობდა, მათთვის გაეძნელებინათ დამთავრება.

ორივე მოხელე გულმოდგინედ აღასრულებდა მთავრობის ამ იმპერიულ პოლიტიკას, და კიდეც დაწესებულ ვადაზე ადრე მიეცემოდათ „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის“ ჩინი.

სხვათა შორის, მიხაილ გლუშაკოვს წიგნიც რომ ექნებოდა გამოცემული რუსეთთან საქართველოს შეერთების თაობაზე, ადვილი მისახვედრია, რა შინაარსითა და სულისკვეთებითაც აღივსებოდა მისი მსჯელობა და შეფასებანი!..

ილარიონ ჟღენტი, იმხანად მოსწავლეთა შორის მყოფი, იმ ამბებს რომ გაიხსენებდა, საგანგებოდ ჩაურთავდა, რომ:

რამდენიმე წლის შემდეგ, მოსწავლეთა ორგანიზაციის დავალებით, მოსწავლე იონა ლორთქიფანიძე ტერორისტულ აქტს განახორციელებდა ორივეს მიმართ — რეალურ სასწავლებელში გამართულ საღამოზე — ბრაუნინგით შვიდ ტყვიას დაახლიდათ და მძიმედაც დაჭრიდათ. ამ თავდასხმისათვის იონას სულ მოკლე ხანში დააპატიმრებდნენ და თბილისში ჩამოახრჩობდნენ.

ამ გლუშაკოვს რომ მიმართავდნენ მასწავლებლები ნებართვისათვის, რა გასაკვირია, რომ ცივი უარით გამოესტუმრებინა ისინი. მაგრამ რაც ვერ მოხერხდებოდა 1908 წელს, შესაძლებელი გახდებოდა მომდევნო წელს, რადგანაც ახალგაზრდობა ცდას არ დააკლებდა და ბოლოსდაბოლოს გამოითხოვდა აკაკისადმი მიძღვნილი სალიტერატურო საღამოს ნებართვას.

საღამოს გამართვა გადაწყდებოდა 8 იანვარს.

1908 წლის დეკემბერში თუ სწორიდან სწორზე მოჰყვებოდა ერთმანეთს აკაკის საიუბილეო დღეები:

ტფილისში — 7-ში,

ქუთაისში — 14-სა

და ბაქოში — 21-ში,

ახალი წლის დადგომა ქუთათურ მოსწავლეთა თავგამოდებით უნდა შემატებოდა სახალხო დღესასწაულის ამ სერიას.

მოსწავლეები იფრთხილებდნენ და კრინტსაც არ დაძრავდნენ აკაკის მოწვევაზე, ეშინოდათ: მთლად უარი არ გვითხრან საღამოს ჩატარებაზეო.

ძლიერ ფრთხილად შეადგენდნენ პროგრამას:

მოხსენება აკაკის მოღვაწეობაზე რუსულად და ქართულად, „პატარა კახისა“ და „სცენა საპატიმროში“-ს დადგმა, აკაკის ლექსების წაკითხვა (ნაწილისა — რუსულად) და აპოთეოზი: აკაკის სურათი საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა შორის.

დირექტორი ამოშლიდა მხოლოდ „სცენას საპატიმროში“, და თუმც პროგრამის დანარჩენ ნაწილს დაამტკიცებდა, წინასწარ მოითხოვდა მოხსენების გაცნობას. ქართული ენა კი კარგად სცოდნოდა — დედა ჰყავდა ქუთათური.

აკაკის სურათს იმჟამად გიმნაზიის მოსწავლე, შემდგომში კი მხატვარი დავით კაკაბაძე დახატავდა: რუსთველური ფრთიანი ქუდით, ჭადრის ქვეშ მდგომარეს, და ასეთი მინაწერი: „გოჩა — აკაკი“ — იმიტომაც დაამშვენებდა ნახატს, რომ გოჩა, „თამარ ცბიერის“ მგოსანი, თვით აკაკის განსახიერებად მიაჩნდათ.

სურათის ჩარჩოს ქვედა არშიაზე მოათავსებდნენ ამ პიესის V მოქმედებიდან ამოღებულ სიტყვებს, მსაჯულთუხუცესის მიერ თქმულს მეფის წინაშე:

ტახტზე ასული ფარისევლობა
სისხლით და ცრემლით შავ პირს იბანდა
და დღევანდელმა დღემ არ იცოდა,
თუ ხვალინდელი რას მოიტანდა.
მაშინ გავიდა ხალხში მგოსანი,
საერო ცრემლით ჩანგზე დამღერა
და ხალხის გული მიძინებული
გამოაფხიზლა და ააძგერა.

სურათის უკან: გვერდზე მიკრული რომ იქნებოდა მერვე კლასისავე მოწაფის საკმაოდ მოზრდილი ლექსი, აკაკის პატრიოტულ ჰანგებზე გამართული, გოჩას მიმართვით რომ მთავრდებოდა ჭადრისადმი.

ეს სურათი გიმნაზიაში გასამართ საღამოზე უნდა გადაეცათ აკაკისათვის, მაგრამ რაკი ამის ნებართვის მიღებას დააგვიანდებოდა და შესაძლოა სულაც ვერ მიეღოთ, ამიტომაც 21 დეკემბერს თეატრში გამართულ საიუბილეო საღამოზე მიართმევდნენ.

„პატარა კახის“ მეორე მოქმედებას ვასო ბალანჩივაძე მოამზადებინებდათ. პროგრამა გამზადდებოდა და დღეც დაინიშნებოდა, მხოლოდ ამავე გიმნაზიის მოსწავლე-მასწავლებები და ადმინისტრაცია რომ უნდა დასწრებოდა, რადგანაც გარეშე პირებს შენობის კედლებს შიგნით არ უშვებდნენ. ვასო ბალანჩივაძე თეატრიდან ნაციონალურ ტანსაცმელსაც მოიტანდა, ქულაჯა-ჩაქურებსა და ამისთანებს, რომელშიაც გამოეწყობოდნენ როგორც „პატარა კახის“ მოქმედ პირთა შემსრულებელნი, ისე სხვა მოსწავლეებიც.

შეიტყობდნენ აკაკის ამოსვლას ქუთაისში იმ დღეს, მაგრამ... მისი მინვევის უფლება რომ არა ჰქონდათ?!. ისიც „გარეშე პირად“ შერაცხულიყო სკოლის ადმინისტრაციის მიერ.

გაიგებდნენ იმასაც, რომ: აკაკის სცოდნოდა მათი განზრახვა, და რაღა მოასვენებდათ, უთუოდ რაღაც უნდა მოეფიქრებინათ, რათა გიმნაზიაში აკაკის მისვლა მოხერხებულიყო.

და ამ ხერხს მიმართავდნენ — აკაკის მიუგზავნიდნენ მელიტონ ჩოგოვაძეს და შეთანხმდებოდნენ, რომ: პოეტი საღამოზე უნდა მისულიყო თავისით, ვითომდა დაუპატიჟებლად, ეშინოდათ, მათი მონაწილეობა ამ საქმეში არ შეეტყო დირექტორს. განდობით უფროსთაგან მხოლოდ გიმნაზიის ინსპექტორს გაენდობოდნენ — მიხეილ საღარაძეს, სჯეროდათ: არ გაგვთქვამსო. და ცოდნით მხოლოდ მოსწავლეთა მცირე ჯგუფს უნდა სცოდნოდა.

ამათ სასიხარულოდ აკაკი დათანხმდებოდა გიმნაზიაში „დაუპატიჟებლად“ მისვლას და საათსაც აცნობებდათ. კარიდან ხომ ვეღარ გამოაბრუნებდნენ!..

ესენი კარგად რომ არ იცნობდნენ, თორემ ის ყმაწვილები, რომელნიც აკაკის ხელში გაიზრდებოდნენ, იმთავითვე მიხვდებოდნენ, რომ აკაკის ეს „დაუპატიჟებლად“ სტუმრობა გაცილებით უფრო აღიტაცებდა — ყმაწვილობაში დააბრუნებდა თავისთავად და ძალდაუტანებლად, ძველებურ ოინებს წამოაგონებდა და დაუფასებდა მოსწავლეებს: ეს რა ჩინებულად მოგიფიქრებიათ, და რა კარგია, დირექტორის გაცურება რომ დაგვჭირდა, თორემ ჩვეულებრივი სტუმრობა რაღა ბედენააო!..

მოახლოვდებოდა — საათი, დრო აკაკის მოსვლისა.

გააფრთხილებდნენ სასულე ორკესტრის ერთ მონაწილე მოსწავლეს, რომ როდესაც დარბაზში ასასვლელ კიბეზე ტაშისცემას ასტეხდნენ, ორკესტრს შესახვედრი მარში დაეკრა.

ეროვნულ სამოსში გამოწყობილი მოსწავლეები გიმნაზიაში შემოსასვლელ მთავარ კართან და დარბაზში ასავლელ კიბეზე ჩამწკრივდებოდნენ. დანარჩენი მოსწავლეებიც იქვე იმყოფებოდნენ, თუმც არ იცოდნენ, თუ რა იყო მოსალოდნელი, ამათ ორიოდე წუთი ლამის საუკუნედ რომ მოეჩვენებოდათ და ეგონათ, თვალები დაგვაწყდება ქუჩისაკენ ცქერითო.

და აი გიმნაზიას მოადგებოდა ეტლი, რომელშიც აკაკი იჯდებოდა.

ჩამოხტებოდა მოხუცი, მივიდოდა კართან, დარაჯს მელიტონ ჩოგოვაძე კარს გააღებინებდა და... კიდეც ატყდებოდა ტაშისცემა და ვაშას ძახილი, მთელი მოსწავლეობა რომ აჰყვებოდათ და შესახვედრი მარშიც გაისმოდა.

იკადრებდა დირექტორი გამოქცევასა და შეხვედრას, აქეთ თვითონ რომ ამოუდგებოდა გვერდით პოეტს, იქით კი საღვთო სჯულის მასწავლებელი, მღვდელი ე. კანდელაკი და მელიტონ ჩოგოვაძე და შემოუძღვებოდნენ დარბაზში.

იშოვნიდნენ დროს ახალგაზრდები და იჯერებდნენ გულს.

დიდხანს არ შეწყდებოდა არც ფეხზე დამდგარი ხალხის ტაშისცემა და არც მუსიკა.

დირექტორი აკაკის წინ წამოიყვანდა და გვერდთი მოისვამდა სავარძელში.

აიხდებოდა ფარდა.

შუა სცენაზე აღმართული იქნებოდა აკაკის დიდი, ფერადი პორტრეტი.

სცენაზე გამოვიდოდა იმჟამად მერვეკლასელი, შემდგომ ქართული გრამატიკის მამა აკაკი შანიძე და რუსულ ენაზე წაიკითხავდა ვრცელ მოხსენებას აკაკის ცხოვრებასა და სალიტერატურო მოღვაწეობაზე, კერძოდ კი მოხსენება ეძღვნებოდა XIX საუკუნის ქართული მწერლობის განვითარების გზებს, რომანტიზმის მოტივებს აკაკის ისტორიულ პოემაში და ამ რომანტიზმის გამომწვევ მიზეზებს.

მართალია ეს მოხსენება დირექტორს წინასწარ წაკითხული ჰქონდა, მაგრამ — დაუკვირვებლობითა თუ რაიმე სხვა მიზეზით — მაშინ ვერ მიექცია ყურადღება იმ ადგილები-

სათვის, სადაც მომხსენებელი აღნიშნავდა ეროვნული თავისუფლებისათვის ქართველი ხალხის ბრძოლის მოტივებს.

და აი, როდესაც უმცროსი აკაკი თავისი სახელოვანი სეხნიის მთელი რიგი ლექსებისა და სხვა ნაწარმოებთა შინაარსს გადმოშლიდა, ანალიტიკურად განსჯიდა და ფრჩხილებსაც გახსნიდა, დირექტორს ფერი ეცვლებოდა, მაგრამ რაღას გააწყობდა?!. უხერხულად მიიჩნევდა ადგომასა და მომხსენებლის გაფრთხილებას.

დაასრულებდა აკაკი შანიძე თავის გამოსვლას, რომელსაც ტაშისცემით შეხვდებოდა მოსწავლეობაც და სათაყვანო სტუმარიც. და ჩამოეშვებოდა თუ არა ფარდა, დირექტორი შეიჭრებოდა კულისებში, ჩამოართმევდა მოხსენების დედანს და... გიმნაზიიდან გარიცხვითაც დაემუქრებოდა.

უფრო ნიშანდობლივ რა მომხდარიყო და:

აკაკი შანიძეს აღნიშნული ექნებოდა, რომ: რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხები XIX საუკუნის დამდეგს გადაწყდებოდა არა ისე, როგორც მოსალოდნელი გახლდათ მეფე ერეკლეს მიერ დადებული ხელშეკრულებით და როგორც კიდეც მოელოდა იმდროინდელი საზოგადოება, არამედ...

აქ „არამედ“-თან შეჩერდებოდა, აღარც წაიკითხავდა მომდევნო წინადადებებს, გადაფურცლავდა რვეულს და გააგრძელებდა, მაგრამ მიმხვედრი მიუხვდებოდა და... მაშინაა, უკანა რიგის მოწაფეები ტაშისცემას რომ ასტეხდნენ.

ეს ისე მოხდებოდა, რომ საღამოს მსვლელობა აშკარად დემონსტრაციულ ხასიათს მიიღებდა.

და ფარდის დაშვებისთანავე დირექტორი სცენაზე რომ აიჭრებოდა, ამ საყვედურით მივარდებოდა იუბილარის სეხნიას:

— იმედი გაგვიცრუეთ!..

— რითი გაგიცრუეთ იმედი, მიხაილ ვასილევიჩ? — არ დაუთმობდა ყმაწვილი და ვიდრე დირექტორი თავისას მოჰყვებოდა, ეს სიტყვას მოუჭრიდა, — რაც უნდა იყოს, ამაზე სალაპარაკო დრო აქ არ არისო.

მართალია, ის იქ კი თავს შეიკავებდა, მაგრამ...

ამის შემდეგ წაიკითხავდნენ მოკლე მოხსენებას ქართულ ენაზე ილარიონ ჟორდანიასი, ამას კი მოჰყვებოდა „პატარა კახის“ მეორე მოქმედების გათამაშება და აკაკის ლექსების დეკლამაცია ქართულად და რუსულად.

ილარიონ ჟღენტს შეხვდებოდა „პატრიოტი“ — სატირა ცრუპატრიოტიზმზე. და როდესაც დაამთავრებდა იმ სტრიქონებით: რომ მოგწონვართ, მეც კი გატყობთ, აბა, დამიკარით ტაშიო! — მის სიხარულსა და აღტაცებას საზღვარი არ ექნებოდა, როდესაც სხვებთან ერთად აკაკიც დაუკრავდა ტაშს და ღიმილსაც მიადევნებდა. ის კი არა, თვით დირექტორიც ვერ შეიკავებდა თავს ტაშისაგან.

დადგებოდა აპოთეოზის დროც.

რაღა სურათი მოეთავსებინათ შუაში და გარს შემორტყმოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილები, როდესაც თვითონ აკაკი აგერ ჰყავდათ — გათამამდებოდნენ, აიყვანდნენ სცენაზე და გარს შემოევლებოდნენ.

ასე დასრულდებოდა საღამო — დიდი იუბილის შესაფერის გამოძახილად.

აკაკის ტაშისცემითა და ვაშას ძახილით გააცილებდნენ.

მეტად კმაყოფილნი დარჩებოდნენ ახალგაზრდები საღამოთი და დიდი შთაბეჭდილებითაც გაეშურებოდნენ შინისაკენ. ეგონათ: ყველაფერი კარგად დამთავრდაო. თუმც შეცდებოდნენ — დირექტორი ამ საღამოდან გარკვეულ გადაწყვეტილებას გამოიტანდა: რადაც უნდა დაჯდომოდა, აკაკი შანიძე გამოერიცხა გიმნაზიიდან. ცხელ გულზე კი არ დაემუქრებოდა, არამედ უზომოდ შეურაცხყოფილი დარჩებოდა, როგორ თუ პატრიოტულ თემატიკაზე გაბედა საუბარი და ამ თემის ასე მკვეთრად წამოწევაო. წყალში ეყრებოდა დამსახურება ანტიქართული საქმიანობით. რას იტყოდა მზრუნველი? რას იტყოდნენ სხვა ჩინოვნიკები? ამიტომაც შური უნდა ეძია, მიუხედავად იმისა, რომ ამ თავხედ ყმაწვილს ყველა საგანში ხუთიანი ეწერა და რამდენიმე თვეში სულაც ოქროს მედალზე უნდა დაემთავრებინა გიმნაზია.

თუმც პოლიტიკური სარჩული გადაწონიდა და უსათუოდაც გადაწონიდა იმ ხუთიანებს. კინაღამ მართლაც გამორიცხავდნენ, ბეწვზე კი ეკიდებოდა მისი ბედი.

ეს უკვე იგრძნობოდა, რომ ამ ამბავს მისთვის რაღაც არასასიამოვნო შედეგი მოჰყვებოდა.

მეორე დღეს, საღამოს ფიცხლად მოიწვევდნენ გიმნაზიის პედაგოგიურ საბჭოს, რომელზეც იუბილეზე მომხდარი ინციდენტი (ასე შეაფასებდნენ!) გაირჩეოდა. სხდომაზე ძალიან იბობოქრებდა რამდენიმე მასწავლებელი, განსაკუთრებით კი ის გამოიდებდა თავს, მექრთამეობაში რომ ედებოდა ბრალი, მოითხოვდა აკაკი შანიძის გარიცხვას გიმნაზიიდან.

მართალია რეაქცია მძვინვარებდა, მაგრამ ჯერაც ცხოველი გახლდათ 1905 წლის რევოლუციის ამბები და მისი გამოძახილი, ეს კი ნიშნავდა, რომ ყმაწვილის გარიცხვა გიმნაზიიდან ძალიან გახმაურდებოდა და საზოგადოებაში უკმაყოფილებას გამოიწვევდა, მითუმეტეს — თვით აკაკი გამხდარიყო ამ ინციდენტის შემსწრე.

სხვადასხვა აზრის მოსმენის შემდეგ წამოდგებოდა მასწავლებელი მიხეილ საღარაძე, იმავდროულად გიმნაზიის ინსპექტორადაც რომ მუშაობდა, ორატორობაში დახელოვნებული, და ამიტომაც ტაქტიკურ გზას აირჩევდა, სიტყვას ისე ააგებდა, რომ: ჯერ გაკიცხავდა ყმაწვილს, და ამის შემდეგ შეეცდებოდა მის დაცვას: ჩინებულად სწავლობსო, აქამდე არაფერი დაუშავებიაო, თანაც რამდენადმე ჩვენც გვედება ბრალი — მოხსენება წინასწარ აუცილებლად უნდა გაგვესინჯათ, შანიძეს სასჯელი უნდა შეუმსუბუქდესო, გიმნაზიიდან მისი დათხოვნა არ იქნება სწორი გადაწყვეტილებაო.

დიდი ხნის მსჯელობის შემდეგ გადაწყდებოდა, რომ მისთვის ყოფაქცევაში სამი დაესვათ სასწავლო წლის მესამე მეოთხედში, რადგანაც ეს ამბავი იანვარში მომხდარიყო.

— რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის საკითხები XIX საუკუნის დამდეგს გადაწყდა არა ისე, როგორც მოსალოდნელი იყო ერეკლეს დადებული ხელშეკრულებით და როგორც მოელოდა იმდროინდელი საზოგადოება, არამედ...

ამ სამ წერტილში გამჭვირვალედ ნაგულისხმევი გაუხიახდებოდა ძალიან მწარედ ამ თავგამოდებულ ყმაწვილს.

იმპერიაში ასეთი წესი დამკვიდრებულიყო, თუ უფროსი კლასის მოწაფე, მეხუთე კლასიდან მერვემდე, რაიმეს დააშავებდა და ყოფაქცევაში მიიღებდა ოთხს ან სამს, მაშინვე ეს ამბავი ოლქის მზრუნველისათვის უნდა ეცნობებინათ სათანადოდ დასაბუთებული. და აი კავკასიის ოლქის მზრუნველს, რუდოლფს, ქუთაისიდან მისწერდნენ წერილს აკაკი შანიძის დანაშაულის შესახებ და გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს დადგენილებას: სამი დავუსვით ყოფაქცევაშიო.

ის მოიწერებოდა: არა კმარაო.

ამიტომაც გიმნაზიის დირექცია მკაცრი საყვედურის გამოცხადებასაც დაუმატებდა.

მზრუნველი აღარაფერს მოიწერებოდა, თორემ თუ კიდევ მოითხოვდა სასჯელის დამძიმებას, დირექციას განზრახული ჰქონდა, რომ... თავხედი მოწაფე კარცერში ჩაესვა.

დირექტორი რომ დაიბარებდა აკაკი შანიძეს, და ამ ყოველივეს აცნობებდა, ადრინდელისაგან განსხვავებით... თბილად დაელაპარაკებოდა:

— როგორც ვხედავთ, საქმე ასე შორს არ წავიდა. თქვენ უკვე ბავშვი აღარა ხართ, რომ დაგარიგოთ და ჭკუა გასწავლოთ, მალე გიმნაზიას გაათავებთ და მოწიფულობის მოწმობას მიიღებთ და აბა რაღა გითხრათ! საყვედურს თავი დავანებოთ და ამას გთხოვთ, რომ ამიერიდან მაინც ნურას დააშავებთ, გიმნაზიის გათავებამდე ცოტაღა გიკლია და, თუ შემდეგ მეოთხედში ყოფაქცევაში ხუთს მიიღებთ, ნლიურს ხუთს გამოგიყვანთ და ცუდი არა მოგივათ რა.

ეტყოდა ამას და მიაწვდიდა წართმეულ მოხსენებას, რომელიც ყმაწვილის დანაშაულის ნივთიერ საბუთად ეჭირებოდა მანამდე, ვიდრე დასძენდა: თავისუფალი ხარო.

მართლაც შემდეგ აღარაფერი მოხდებოდა ისეთი, რომ ყოფაქცევაში ნიშანი დაეკლოთ, თუმც აკაკი შანიძე დარწმუნებული არ გახლდათ, რომ რაიმე საფრთხე არ გამოტყვრებოდა და ხანდახან იმის ფიქრში იქნებოდა: თუ საქმე წახდებოდა და ცუდი ნიშანი გამოჰყვე-

ბოდა ყოფაქცევაში, რუსეთში ცხადია ვეღარ გააგრძელებდა უმაღლესი სწავლის მიღებას, და ეგებ მოხერხებულიყო, საფრანგეთში მაინც წასულიყო.

მაინც რას გამოენვია დირექტორის გულის მოლბობა?

ყმაწვილის გულშემატკივრები ამ ყოველივეს აცნობებდნენ აკაკის, რომელიც ძალიან გამოიდებდა თავს, მთელს თავის გავლენასა და ავტორიტეტს მოიშველიებდა და აკაკი შანიძეს იხსნიდა გარიცხვისა თუ სხვა მძიმე სასჯელისაგან.

მაგრამ ეს იყო და ეს... იმას კი ვეღარ შეძლებდა, რომ უმცროსი სეხნიისათვის ოქროს მედალი არ დაეკარგვინებინათ.

არ არის ეს წვრილმანი თუ რიგითი ეპიზოდი როგორც კერძო კაცის ცხოვრებაში, ისე საზოგადოებრივი ყოფის ისტორიაში, და არ უნდა იყოს მიყრუებული ილარიონ ჟღენტის მემუარულ ჩანაწერში. აუცილებლად უნდა აღინიშნებოდეს აკაკი შანიძის ბიოგრაფიაში — როგორი სქემატური და დაწურულიც უნდა იყოს ეს ბიოგრაფია: მისი ოქროს მედალი აკაკი წერეთლის საიუბილეო საღამოზე პატრიოტულ გამოსვლას რომ შეეწირებოდა.

მოხსენებით ეს გამოსვლა ბევრწილად განსაზღვრავდა აკაკი შანიძის ცხოვრებას.

ანკი რა გასაკვირია!..

ის კი არა:

თურმე მაკო საფაროვას ცხოვრებაც უნდა განესაზღვრა აკაკისთან შეხვედრას — მეტად კურიოზულს.

ალექსანდრეს ბაღში, მოგვიანებით კომუნართა სახელი რომ ეწოდებოდა, გაიმართებოდა დიდი, მშვენიერი საზაფხულო დარბაზი, საღამოობით დიდძალი ხალხი რომ იყრიდა თავს — მუსაიფობდნენ, თავს ირთობდნენ და თან ხილეულობის ცივი წყლითაც გრილდებოდნენ.

ერთხელ საფაროვებს სერგეი მესხის ოჯახობა ესტუმრებოდა და ყველანი სასეირნოდ წავიდოდნენ. მაკო პირველად მიდიოდა ამ ბაღში და საერთოდაც პირველად გადიოდა ქალაქის ასეთ დიდ საზოგადოებაში. ამიტომაც ბებია ნინო დაუძახებდა და დაარიგებდა, როგორ უნდა დაეჭირა თავი და როგორ მოქცეულიყო. სხვათა შორის ამასაც ეტყოდა:

— შვილო, დინჯად იყავი, გზაზე უცხოს არავის დაუწყო ლაპარაკი, თორემ ქალაქი ჯიბგირებითა და გარყვნილი ხალხით არის სავსე და ვინ იცის, რა ხათაბალას აეკიდები.

ეს სიტყვები ყველაზე მეტად დაამახსოვრდებოდა გოგონას და ცოტა არ იყოს შეეშინდებოდა კიდეც, მაგრამ იფიქრებდა, უცხოს არავის გავეკარები და განა რა ხათაბალა უნდა შემხვდესო.

წავიდოდნენ ბაღში.

უფროსები მაგიდის მოსაძებნად გაემართებოდნენ, ახალგაზრდები კი ამჯობინებდნენ ცოტა ხანს მოსეირნეთათვის ეცქირათ და ჩამოსხდებოდნენ იქვე გრძელ სკამებზე. უცებ მაკოსთან მოირბენდა პატარა ლამაზი ძაღლი და ლაქუცს დაუწყებდა. ესეც თავზე ხელს გადაუსვამდა და აკოცებდა.

და ამ დროს მოესმოდა ხმა:

— ოჰ, რას შვრები, ქალო, მაგისთანა ცუგრუმელა გოგონა ძაღლს როგორ ჰკოცნი?

აიხედავდა ზევით.

თავზე ადგა ბრგე, ლამაზი ვაჟკაცი, რომელსაც თეთრი გადაჭიმული შუბლი ჰქონდა. თავი ისეთი ხუჭუჭი თმით დაფარვოდა, რომ... არაბი გეგონებოდათ, სახის უზომო სითეთრე რომ არა. პალტო გადაეკიდა ხელზე და ღიმილით დასცქეროდა. ამას გაახსენდებოდა დიდედას დარიგება და ეს ფიქრი გაუელვებდა: ალბათ ეს ერთი იმ არამზადათაგანია, რომელმაც რაიმე ხიფათი უნდა ამკიდოსო, — და მკაცრად მიუგებდა:

— ზოგჯერ ძაღლის კოცნა უფრო სასიამოვნოა, ვიდრე ზოგიერთი ადამიანისა, ანდა თქვენისთანა კაცთან ლაპარაკი.

ამ პასუხზე იგი ერთს გულიანად გადაიკისკისებდა. ეგაა სიცილი მაინცდამაინც არ დაშვენდებოდა — მის ბრგე შეხედულებას არ მოუხდებოდა ქალური კისკისი. მაკო საშინლად გაჯავრდებოდა და კადნიერად ჰკითხავდა:

— რას ხედავთ აქ სასაცილოს?

ამაზე ის კიდევ გადაიკისკისებდა, მიუჯდებოდა გვერდით და ეტყოდა:

— შენ თუ ჭკუაც მაგისთანა მახვილი გაქვს, როგორც ენა გქონია, ძალიან კარგი აქტრისა გამოხვალ.

ის იუკადრისებდა უცნობისაგან შენობით ლაპარაკს, აგრეთვე იმ სიტყვებს: აქტრისა კარგი იქნებიო, — გაბრაზებული წამოხტებოდა და უხეშად მიახლიდა:

— ბატონო ჩემო, თქვენ ალბათ უპატრონო გოგო გგონივართ, მაგისთანა სიტყვებით რომ მელაპარაკებით, როგორ თუ აქტრისა, ვინა გგონივართ მე!..

— გაჯავრებაც რომ გცოდნია! ეგ უფრო გშვენის, ვიდრე დამშვიდებული სახე.

— ეგ თქვენი საქმე არ გახლავთ!

— მე ცუდს არაფერს გეუბნებით, გოგონი, მხოლოდ მინდა გავიგო, ვისი ხარ, ანდა რა გვარისა ხარ?

— რაში გეპრიანებათ ჩემი ვინაობა?! — მიუგებდა და გასცილდებოდა, ჩქარი ნაბიჯით გასწევდა იქით, სადაც მისიანები ისხდნენ. ღელვას ყველა შეატყობდა და დეიდა ლიზა, სერგეი მესხის მეუღლე, ჰკითხავდა:

— რამ აგაღელვა ასე, ვინ გაგაბრაზა?

— ვინ უნდა იყოს ის ოხერი კაცი, რომელიც აგერ მოდის! — და ხელს მიაშვერდა.

— რას მიჰქარავ, ესე რატომ უბღვერი, ეგ იცი ვინ არის?!.

— ვინ უნდა იყოს?

— ეს არის დიდი პოეტი აკაკი წერეთელი, — უპასუხებდა დეიდა ლიზა.

მაკო შეკრთებოდა, იგრძნობდა უხერხულობას. აკაკი მოუახლოვდებოდათ, ამან აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. და დეიდა ლიზას რომ გამოესწორებინა მაკოს უხეში საქციელი, აკაკის მიმართავდა:

— ნება მიბოძეთ გაგაცნოთ ჩემი დისწული, თქვენი პიროვნება მასაც კი აინტერესებს.

— ნუ წუხდებით, — ღიმილს ვერ შეიკავებდა აკაკი, — ჩვენ იმდენად კარგად ვიცნობთ ერთმანეთს, ვიჩხუბეთ კიდეც, — და მოჰყვებოდა მათი გამოლაპარაკების ამბავს.

აკაკის დეიდამისი „დროების“ რედაქციაში გაეცნო — სერგეი მესხთან ერთ-ერთი სტუმრობისას, მაკო კი მას მხოლოდ მწერლად იცნობდა, ხოლო პირადად...

შემდგომ აკაკი თითქმის ყოველ საღამოს სტუმრობდა მათ ოჯახს. მაკო ხშირად შენიშნავდა, რომ აკაკი და სერგეი მესხი ლაპარაკობდნენ მასზე, და ახსენებდნენ თეატრს, მაგრამ რადგანაც მაშინ არ იცოდა, თუ რა იყო თეატრი, ამიტომაც ვერ გაეგო, თეატრთან დაკავშირებით რად ახსენებდნენ მის სახელს.

ერთ საღამოს ალექსანდრე სარაჯიშვილი წვეულებას გამართავდა და მიიპატიჟებდა მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს: აკაკის, რაფიელ ერისთავს, სერგეი მესხს, გიორგი წერეთელსა და სხვებს. დიდი ლხინი გაიმართებოდა — და კახურ მრავალჟამიერსა და ხალხურ სიმღერებს ხომ საზღვარი არ ექნებოდა.

მაკო ძლიერ კარგ გუნებაზე დადგებოდა, ბევრს იმღერებდა, იცეკვებდა, იოხუნჯებდა და ამით სტუმრების გამხიარულებას ძალიან შეუწყობდა ხელს. რაფიელი, აკაკი და სერგეი სულ მას მისჩერებოდნენ და მასზე ლაპარაკობდნენ.

გათავდებოდა ქეიფი. სუფრიდან აიშლებოდნენ. სტუმრები ზალაში ჯგუფ-ჯგუფად დადგებოდნენ და მუსაიფს გააბამდნენ. მაკო და დეიდა კატო ერთ ჯგუფში ჩადგებოდნენ და საუბარში ჩაებმოდნენ. ამ დროს მიუახლოვდებოდათ აკაკი, გაერეოდა მათ ლაპარაკში და, როცა მოხერხებულ დროს იპოვნიდა, ეტყოდა:

— ჯამაგირი რომ დაგინიშნოთ, ჩვენს თეატრში არ წამოხვალ სამუშაოდ?

— მაგას ვინ მაღირსებს: 15 მანეთიც რომ მაშოვნინა ჩემი საკუთარი შრომით, თავს ბედნიერად ჩავთვლი და მეტი არა მინდა რა, — უპასუხებდა გოგონა.

— თუ თანახმა იქნები, მე მაგ საქმეს მოგიწყობ.

— ძლიერ მადლობელი ვიქნები.

ამ ლაპარაკს ყურს მოჰკრავდა დეიდა კატო, არ ესიამოვნებოდა, მუსაიფში ჩაერეოდა და აკაკის მიმართავდა:

— თქვენ ხუმრობთ, ეგ ბავშვია, მართალი ეგონება და გაბრიყვდება.

— როგორ თუ ვხუმრობ, — გაიოცებდა აკაკი, — სრულ სიმართლეს ვეუბნები.

— ერთი მიბრძანეთ, გასათხოვარი ქალის გამოყვანა სცენაზე რა საკადრისია და ეს ვის გაუგონია?!.

— რომ არ გაუგონია, ამიტომ აღარ გავიგონოთ? აბა როგორ შეიძლება, რომ თეატრს ასე ზიზღით უყურებთ? თქვენ სარკეში იხედებით?

— სარკე რა შუაშია?!. მერე რა, რომ ვიხედები?

— ნუ გეწყინებათ, მიპასუხეთ, რისთვის იხედებით?

— იმისათვის, რომ შიგ ვჩანვარ, რაც არ მომწონს ან არ მიხდება, იმას ვისწორებ.

— კარგი დაგემართოს, აი სწორედ ის, რაც ადამიანისათვის, კერძო პირისათვის სარკეა, ის მთელი საზოგადოებისათვის თეატრია, რომ ხალხმა შიგ ჩაიხედოს, თავისი ნაკლი და ღირსება დაინახოს და გასასწორებელი გაისწოროს. თეატრი სკოლაა ხალხისათვის, გამასწორებელი და არა უბრალო დროს გასატარებელი, განათლებულ ქვეყნებში თეატრი ამ მიზნით აქვთ მოწყობილი.

— ჩვენში კი ჯერ არ არის და:.. რა ვიცი!

— რომ არ არის, ოდესმე ხომ უნდა იყოს?

— მაშინ სულ სხვა იქნება, ნეტავი მაგას მოვესწრებოდე, თორემ მაშინ მეც გამოვალ სცენაზე, თუ საჭირო და სასარგებლო ვიქნები.

— უნდა დავიწყოთ, ჩვენი ვეცადოთ და ბოლოს გავიმარჯვებთ.

— თქვენი ნებაა, შეეცდებით, რითაც შეგვიძლია, დაგეხმარებით.

ეს მუსაიფი ასე დასრულდებოდა, მუსაიფი, რომლის სადავეების აღებასაც აკაკი სოკრატესებურად შეეცდებოდა და იმ უბრალოებითა და სიღრმითაც წარმართავდა, როგორც სჩვეოდა — გარეგნულ ეფექტს მოკლებული შინაგანი არტისტიზმით.

ამის შემდეგ კარგა ხანი გავიდოდა, და ასეთი ხასიათის ლექციებს მაკოანთა ხშირად გაიმეორებდა. ზოგიერთი ახლობელი მოლბებოდა, დიდედა კი ისევ ჯიუტობდა... მაგრამ აკაკიც და სერგეი მესხიც არ მოეშვებოდნენ და იერიშს იერიშზე მიიტანდნენ მის გადასარწმუნებლად და ერთხელაც დიდედა გაჯავრებული მოუტრიალდებოდა:

— კნიაზო აკაკი, არ გეკადრებათ, რაკი ობოლია, ასეთ გაუბედურებას უპირებთ.

— რას ბრძანებთ, რის გაუბედურება, კი არა დიდად ბედნიერი იქნება, საზოგადო საქმე სამსახურს გაუწევს, ჩვენი ხალხის გამოღვიძებას ხელს შეუწყობს, განა ეს უბედურებაა ?!. პირიქით — სასახელოა!..

— რადგან არ დაგიშლიათ, რაც გინდათ, ისა ჰქენით, ოღონდ ეს კი ვიცი, ახალგაზრდა ქალს სახელი გაუტყდება, და პატრონი კი არავინ ეყოლება.

აკაკიც და სერგეიც მტკიცებას მოჰყვებოდნენ: სახელი როგორ გაუტყდება, პირიქით, სასახელო საქმე დაევალებაო, — და კიდეც ათქმევინებდნენ თანხმობას, ოღონდ ამასაც დასძენდა: რადგან არ იშლით და განიზრახეთ ამის გაუბედურება, გათხოვებაც თქვენვე იკისრეთო.

— დიდი სიამოვნებით, მას არავის შველა არ დასჭირდება, იქ უფრო მალე გათხოვდება, — მიუგებდა აკაკი და მიუბრუნდებოდა სერგეის, — მე ხვალ არ მცალია და შენ წაიყვანე გიორგი თუმანიშვილთან და უთხარი, ეს ის ქალია, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობდითქო.

და სერგეი მეორე დღეს გიორგი თუმანიშვილს რომ წარუდგენდა, რომელიც ქართული თეატრის საქმეში მხურვალე მონაწილეობას იღებდა, დამხვდურს პირველი ნახვისას კი ეამებოდა ყმაწვილქალის ხილვა, მაგრამ როდესაც აათვალიერ-ჩაათვალიერებდა, აღარ ეჭაშნიკებოდა მისი ბავშვური შესახედაობა. ასეა თუ ისე გაუძღვებოდა ზაქარია ანდრონიკაშვილთან, რომლის შვილიც — იოსები — მფარველობდა და შემწეობას უწევდა ქართულ თეატრს.

ამ ოჯახს სხვა არისტოკრატულ ოჯახთაგან იმით გამოარჩევდნენ, რომ:

თუ სხვები არც იკადრებდნენ სცენისმოყვარეებს, აქ ისინი მამობრივ მზრუნველობასა და მეგობრულ პატივისცემას პოულობდნენ.

და იმხანადაც შეკრებილიყვნენ, გიორგი თუმანიშვილი მაკოს რომ წარუდგენდათ და განუცხადებდათ:

— აი მოვიყვანე ის ქალი, რომელსაც სასცენო ნიჭს ამჩნევენ.

ყველა ცნობისმოყვარედ მიაჩერდებოდა. ერთი ახალგაზრდა კაცი კი, რომელიც ვასო აბაშიძე აღმოჩნდებოდა, ტუჩებს დაუშვებდა, ალმაცერად შემოხედავდა და რუსულად ჩაილაპარაკებდა:

— ეგ ყველაფერი კარგია, მაგრამ აქ საბავშვო ბაღი ხომ არ არის?!.

ამას ძალიან ეწყინებოდა, როგორ თუ ბავშვი დამიძახესო, მაგრამ მოთმენით მოითმენდა, რადგანაც თუმც მეთვრამეტე წელში გადამდგარიყო, შეხედულება მართლაც ბავშვური შერჩენოდა.

პიესის კითხვას რომ დაიწყებდნენ სცენისმოყვარენი, ეს შეატყობდა, რომ ვერცერთი რიგიანად ვერ კითხულობდა, რატომღაც ქართული კილო არ ისმოდა.

ამასაც რომ წააკითხებდნენ, მოუწონებდნენ დეკლამაციის უნარს, წიგნში ერთ ადგილს წითელი ფანქრით ხაზს გაუსვამდნენ და დაავალებდნენ: აი ეს როლი ზეპირად ისწავლეო.

ეს წიგნს კი ჩამოართმევდათ, მაგრამ... ეს „როლი“ ნეტა რა ეშმაკებს ერქვა?!.

„ალბათ მთელი წიგნი უნდა ვისწავლო ზეპირად და ვინც კარგად ისწავლის, გამარჯვებულიც ის დარჩება...“

შინ დაბრუნებული მეცადინეობას რომ შეუდგებოდა, ორიოდე დღეში მთელს წიგნს დაიზეპირებდა — ყდიდან დაწყებული „დოზოლენო ცენზურომდე“ და გიორგი თუმანიშვილთან ერთად კვლავ მიადგებოდა ანდრონიკაშვილების სახლს, რომლის ზალაშიც სულ სხვა სურათი დახვდებოდა:

შუა ოთახში იჯდებოდა ერთი კაცი სავარძელში, წინ — მაგიდა, აქეთ-იქით — ანთებული შანდლები, შუაში — წიგნი, და ის კითხვას რომ დაიწყებდა, სხვები გაიმეორებდნენ.

მაკოს რა შთაბეჭდილება დარჩებოდა?

სხვა ანკი რა:

ზეპირად ვერ უსწავლიათ და ახლა ამიტომაც ეხმარებათ ეს კაციო.

როდესაც მისი ჯერიც დადგებოდა, ჯერ სათაურს იტყოდა, მერე კი სეტყვასავით დააყრიდა სიამით თვალებგაბრწყინებული: სხვებს ვაჯობე და გამარჯვებაც მე დამრჩებაო, მაგრამ... მის განცვიფრებას საზღვარი არ ექნებოდა, როდესაც შეაჩერებდნენ და ეტყოდნენ: არა, მაგრე არ უნდა, თქვენ მარტო თქვენი სიტყვები თქვითო.

ამას ცრემლები მოერეოდა, რადგანაც ვერ გაიგებდა, რას მოითხოვდნენ მისგან, და როდესაც დაუზუსტებდნენ: მხოლოდ შენი როლი უნდა თქვაო, — ეს კიდევ უფრო მეტ გაურკვევლობაში უნდა ჩავარდნილიყო.

„კიდევ რა ჯანაბა როლი, რა ეშმაკია ეს როლი, მეორედ მესმის!“

და კიდეც უნდა აეხსნათ, თუ რას ნიშნავდა როლი, რას ნიშნავდა რეპეტიცია, შემდგომ კი უკვე ნარმოდგენა, და... თვალახილული და გახარებული გამოესტუმრებინათ შინ.

და... ის დღეც უნდა დამდგარიყო, სპექტაკლის დამთავრებისას რამდენჯერმე რომ გამოიძახებდნენ სცენაზე და მქუხარე ტაშითაც დააჯილდოებდნენ. ამას კი გონებაში ეს სიტყვები უელავდა: რაკილა ტაშს მიკრავენ, მაშ როლი არ გამიფუჭებიაო!..

შინ მისულს დიდედა ერთს ხმამაღლა გამოიტირებდა და მაკოს მამას მისწერდა: დიდი უბედურება და სირცხვილი დაატყდა ჩვენს ოჯახს... ვიცი, შვილო, ეს თავზარს დაგცემს, მაგრამ როდემდი დაგიმალო, ხომ მაინც გაიგებ. შენს ქალბატონს მაკოს მე თავი ველარ დავუჭირე და გავარდა, — ვაი შენსაᲲ და ჩემს მოსწრებას! — გავარდა და პირდაპირ ტრიატში შევარდაო.

მამა ძლიერ გაბრაზდებოდა და მოიწერებოდა: თვალით აღარ დამენახოს ეგ ოჯახის შემარცხვენელიო, — მაგრამ ასეთი წერილები რაღას გაჭრიდა, როდესაც მაკო საფაროვას ბედი და თეატრი უკვე გადაჯაჭულიყვნენ მტკიცედ და სამუდამოდ.

ასე წაართმევდნენ დიდედას, მოსტაცებდნენ მაკოს თავს სერგეი მესხი და აკაკი, განსაკუთრებით კი მაინც აკაკი იბრძოლებდა ამისათვის, შემდგომ ყოველთვის მეგობრული დამოკიდებულება რომ ექნებოდათ ერთმანეთში, თუმც... ზოგჯერ უსიამოვნება და წალაპარაკებაც მოუვიდოდათ ხოლმე, და დაემდურებოდნენ ერთიმეორეს, კიდევ კარგი დაულაპარაკებლად ვერა ძლებდნენ და მალევე რიგდებოდნენ.

და ერთი ასეთი წალაპარაკების შემდეგ...

სხვა დროისათვის ხომ არ შემოვიტოვოთ?

თუმც... რაღა სხვა დროისათვის, როდესაც თვითონვე მოინევს ეს ეპიზოდი თხრობაში ჩასავარდნად:

ერთ დღეს კოტე მესხი მიიწვევდათ ვახშმად და შეიქნებოდა ჩვეულებრივი ქართული ქეიფი, მაკოს სადღეგრძელოც რომ დაილეოდა.

აკაკი აიღებდა ჭიქას და სადღეგრძელოს ასე დაიწყებდა:

— ქალო მ ა კ ო, ც ე რემონიას თავი დაანებე.

და სიტყვის გაგრძელებას აღარ დააცლიდნენ, მოსწრებულად ნათქვამი ზმა „მაკოცე" ყველას მოეწონებოდა, შეიქნებოდა ტაშისცემა და აქეთ-იქიდან მიაძახებდნენ:

— აკოცე, აკოცე!..

ესეც ადგებოდა, გადაეხვეოდა და გადაკოცნიდა.

ასე დაანებებდა თავს... მაკო ცერემონიას... და ასე შერიგდებოდნენ...

შაირების, ზმების ტყორცნაო, — ასე რომ აღწერდა „თორნიკე ერისთავში" დავით კუროპალატის მიერ გამართულ ნადიმს, თვითონაც საკუთარ თავს წარმოიდგენდა იმ პურობის შუაგულში და მისი პირადად მცნობი მკითხველებიც უპირველესად სწორედ აკაკის წარმოიდგენდნენ იმ ლხინის სულად და გულად და თან სიამითაც რომ გაივლებდნენ: ვინ დაუდგებოდა ან შაირობაში, ანდა ზმების ტყორცნაშიო!..

თუმც... ვინ იცის, ვინ ჩაკარგულიყო ჟამთა დინებაში, არამცთუ სტრიქონები, სახელიც რომ არ შემოგვრჩენოდა, არადა ხელში ეპყრა სუფრები და თავის გუნებისადაც ატრიალებდა მონადიმეთა განწყობილებას, დრო გაჩერებული რომ ეგონა და თავისი თავი — მისი სამუდამო მფლობელი: უსასრულობას შერწყმულ-შენივთებული, სხვანი რომ გარდავიდოდნენ, თაობა თაობას მიჰყვებოდა, თვითონ კი იქნებოდა და იქნებოდა ძველებურად სიტყვაალესილი, კალამბურების მტყორცნელი და ყველა ლხინის მეუფე...

რამდენიმე წელიწადს სულაც მაკოს სახლში მოუწევდა ცხოვრება-თავშეფარება.

ერთხელ მასპინძელი სტუმარს მიმართავდა:

— ბატონო აკაკი, თუ ნებას მომცემთ, მსახურს გავაფრთხილებ არავინ მიიღოს, თორემ ამდენ მთხოვნელს თქვენ კი არა, ნიკოლოზის ხაზინაც ვერ დააკმაყოფილებს...

ეგონებოდა, გავახარებ ამ შეთავაზებითო. არადა აკაკი გაუნაწყენდებოდა:

— მაკო, შენგან არ მიკვირს, კაცი რომ დახმარებას ითხოვს, ჩანს, უჭირს, უარით გასტუმრება როგორ შეიძლება. თუ ფული არ მექნება და ვერ დავეხმარები, კარგი, იმედიანი სიტყვით მაინც გავუშვებ... გთხოვ ეგ არ ჩაიდინო.

და ყოველი შემთხვევისათვის მსახურს მაინც გააფრთხილებდა:

— შინა ვარ ყველასათვის!..

თუ ფული ექნებოდა, კიდეც ბოლომდე ამოისუფთავებდა ჯიბეებს, აღარც დაგიდევდა, თვითონაც ძალიან რომ ესაჭიროებოდა, და... ეგებ ცოტა მაინც ჩაეტოვებინა.

ჰყვებოდა მაკო ამ ამბავს, დარწმუნებული, როგორ დამავიწყდება და ოდესმე აკაკიზე თუ მომიწევს მოგონების დაწერა, იქ ჩავურთავ მისი გულმოწყალების სახიერ ნიმუშადო.

მოისმენდა დავით ჩხეიძეც და... წლების შემდგომ თავის მემუარულ ჩანაწერში მიუჩენდა ადგილს. თავიდან იყოყმანებდა: მაკო ხომ აუცილებლად გაიხსენებს და ჩემგან რაღა აუცილებელია, — მაგრამ მერე მაინც ჩანიშნავს ამჯობინებდა, ჩემს მონათხრობს მოუხდება და შეავსებს, თანაც ჩემად ხომ არა ვყვები; მაკო საფყრავასაც ვახსენებ, ვისგანაც მომისმენიაო.

ბოლოსდაბოლოს განმეორება ხომ ცოდნის დედაა.

თურმე რა განმეორება, რომელი განმეორება — მაკოს მოგონების სურათებში არ აღმოჩნდებოდა ეს ეპიზოდი და... თურმე კიდეც დაიკარგებოდა, დავით ჩხეიძეს რომ არ გამოედო თავი.

მიეფარებოდა ერთის ხსოვნას.

სამაგიეროდ არ მიეფარებოდა მეორისას.

და კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რაოდენ აუცილებელია ყველაფრის ჩანიშვნა, რაც მეტ-ნაკლებად ღირებულად მოგვეჩვენება, არ უნდა შევატოვოთ სხვებს იმ იმედით, ამას ხელიდან ვინ გაუშვებს და არ გაქრებაო.

უნებლიეთ ყველაფერი ხდება, განა ვინაა დაზღვეული და... ამასობაში შესაძლოა ძალზე მეტყველი დეტალი თუ შტრიხი გაგვიქრეს ხელიდან.

ქუთაისში აკაკის ძალიან ხშირად რომ დაინახავდით ისიდორე კვიცარიძის ჟურნალ-გაზეთების კანტორაში, ანდა მაღაზიის წინ, სხვანიც და სოსიკო ფანცხავაც ამჩნევდნენ, რომ: მას თითქმის განუყრელად ახლდნენ: დავით კლდიაშვილი, გიორგი ზდანოვიჩი, გალაკტიონ ტაბიძე, კიტა აბაშიძე, იაკობ და რომანოზ ფანცხავები, ჯაჯუ ჯორჯიკია, გ. ფარქოსაძე, სერგო გერსამია, ხოლო გაკვეთილების შემდეგ მის გარშემო ბლომად შემოეწყობოდნენ ხოლმე მოსწავლეებიც.

აკაკის ძალიან რომ უყვარდა წიგნის მაღაზიის მეპატრონე ვასილ ბეჟანეიშვილთან ყოფნა და საუბარი, ხშირად ამიტომაც სტუმრობდა, ხოლო ვასილს მაღაზიასთან პატარა გამომცემლობაც რომ ჰქონდა, აკაკის ნაწერებს ცალკე მცირე წიგნაკებად სცემდა.

ივანე კილაძის სტამბაშიც შინაურულად გრძნობდა ხოლმე თავს.

საერთოდაც რაღაც განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდა იმ გარემოში ტრიალი, სადაც წიგნი, ჟურნალი, გაზეთი იბადებოდა, იქაური სურნელი სულ სხვა განცდებით რომ აღავსებდა და მხნეობასაც ჰმატებდა.

სოსიკოსა და მის ამხანაგებს ქართულ გიმნაზიაში ქართულ ენას ასწავლიდათ ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე სილოვან ხუნდაძე, ერთ დღეს „ბაში-აჩუკს“ რომ აუხსნიდათ, მისცემდათ გაკვეთილად და მიუთითებდათ კრიტიკულ წერილებზე — ხომლელის, იგივე რომანოზ ფანცხავასი, და კიტა აბაშიძისა:

— ისწავლეთ ნახევარი „ბაში-აჩუკი“ და იხილეთ კიტა აბაშიძის კრიტიკული ეტიუდი მის შესახებ.

და შემდგომ გაკვეთილზე მოსწავლეს რომ გამოიძახებდა, რომელიც გაჭირვებით მოყვებოდა „ბაში-აჩუკის“ დავალებულ ნაწილს, დაამთავრებდა ამგვარად:

— იხილეთ კიტა აბაშიძის კრიტიკული ეტიუდები.

და სილოვანი გაცხარდებოდა და უყვირებდა:

— როგორ, შე უგნურო, მე უნდა ვიხილო თუ შენ უნდა გეხილა და გესწავლა?

ეს ამბავი სიცილად არ ეყოფოდა მთელ კლასს და ყოველთვის ყველას პირზე ეკერებოდა.

სოსიკო ამ ინციდენტს უამბობდა თავის ბიძებს — იაკობსა და რომანოზს, რომელსაც ძალიან უყვარდა ამგვარი სახუმარო ამბები და იმდენს იცინებდა, ვიდრე ხველებას დაიწყებინებდა, მერე კი ძმისწულს ამცნობდა:

— აკაკიმ ის დაასრულა 1895-96 წლებში. იმ დროს, როდესაც „ბაში-აჩუკს“ ამთავრებდა, ცხოვრობდა თბილისში, სასტუმრო „ტილიპუჭურში“, რომელსაც ზემო სართულში ნომრები ჰქონდა.

ამ ნომერში ყოვნდებოდნენ აქ ჩამოსული ქუთაისელი ინტელიგენტები, პოეტები, მსახიობები, რევოლუციონერები... უმთავრესად ხელმოკლე ადამიანები. და აკაკიც ხშირად სტუმრობდა ამ სასტუმროს.

1895 წელს აქ რომ ცხოვრობდა, დიდხანს ნომრისა და ხარჯის ფული გადახდილი არა ჰქონდა. ალექსანდრე თოიძეს, ამ სასტუმროს პატრონსა და დიდად მომთმენ და თავდაჭერილ კაცს, არა სურდა პოეტის შეწუხება, მაგრამ რაღას იზამდა — თანაშემწე არ აძლევდა ნებას და დავალიანებებს სულ ალექსანდრეს აწერდა. რა გამოდიოდა — ალექსანდრე თვის ბოლოს ხელცარიელი უნდა წასულიყო შინ და ოჯახი უფულოდ დაეტოვებინა. მითუმეტეს, სხვანიც ვერ ახერხებდნენ ვალის დროულად დაფარვას — მიხა ცხაკაია თუ ლადო დარჩიაშვილი, კარლო ჩხეიძე თუ ისიდორე კვიცარიძე... და მეპატრონე დიდი მორიდებით აცნობებდა ამ ვითარებას აკაკის.

რა წყალს მისცემოდა აკაკი?

არ გადაიხდის და... მისი მიზეზით მეპატრონის ოჯახი გასაჭირში ვარდება.

კიდევ კარგი, „ბაში-აჩუკი“ უკვე მოეთავებინა, და ეს უბიძგებდა ამ ხერხის გამოსაძებნად — ვალის დასაფარავი ფულის შესაგროვებლად:

დაიბარებდა მეგობარ-ამხანაგებს თავის ნომერში, რათა მოესმინათ მისი ახალი მოთხრობა და „სალამურის“ — სასიმღერო ლექსების — ნაწილი, ოღონდ იმ პირობით, რომ: ვისაც რამდენი შეეძლო, შემოეტანა აკაკის ავადმყოფობის ხარჯების დასაფარ ფონდში.

იმ დღეებში მართლაც ავად გახლდათ, ასე რომ, ტყუილი ნათქვამი არ გამოდიოდა.

ეს ხერხი გაჭრიდა და... ფული იმდენი შეიკრიბებოდა, ვალსაც გაისტუმრებდა და ზედმეტიც დარჩებოდა.

შეკრების მონაწილენი როგორ იგონებდნენ იმ საღამოს?

ზაფხული იყო და აკაკი თეთრეულის ამარა, საწოლზე წამომჯდარი კითხულობდა. იმდენად ლამაზი იყო, ამგვარი პოზა ისე უხდებოდა — ქანდაკებას მოგაგონებდათო.

სოსიკო ფანცხავას ეგონა: აკაკი ყველას კი უყვარს, მაგრამ ჩემსავით — არავისო. ეს ალბათ იმიტომაც, რომ მისი ოჯახის წევრები ეთაყვანებოდნენ პოეტს, მისი ბიძებიც დიდ პატივს მიაგებდნენ. ეამაყებოდა, რომ მამამისი, რომელიც მუშაობდა ქუთაისი საურთიერთო ნდობის საზოგადოების საკრედიტო ბანკში და ერთხანს — დირექტორადაც, ვექსილზე სხვადასხვა პირის ხელმოწერით უგვარებდა აკაკის კრედიტის მიღებას.

1907 წელს ხომლელის მეუღლე აკაკის სადილად მიიპატიჟებდა. იაკობი ქუთაისში არ იმყოფებოდა, ქალაქის თვითმმართველობის საქმეების გამო თბილისში უწევდა ყოფნა. და აი სტუმარი იაკობზე ჩამოაგდებდა ლაპარაკს:

— მართალია, რომანოზ, იაკობი არჩეულია ქალაქის მოურავის, ქალაქის თავის თანამდებობაზე, მაგრამ მგონი გუბერნატორი მას, როგორც სოციალისტს, არ უპირებს დამტკიცებას. თუ ეს ასე მოხდება და არ დაამტკიცებენ, ჩემი წინადადება იქნება — იაკობი არჩეული იქნეს ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის დირექტორად.

— კარგია, მაგრამ იაკობი, ნუ გავიწყდებათ, თქვენო ბრწყინვალევ თავადო, რომ ფანცხავაა — არც აზნაურიშვილია და არც თავადი.

მაგრამ აკაკი არ დაეთანხმებოდა:

— იგი თავისი მომზადებით, დარბაისლობითა და ჭკუით ყველა დღევანდელ კანდიდატს იყიდის და გაყიდის, იგი დიდი ინტელიგენტია. ამგვარებია საჭირო ბანკის სათავეში.

და მართლაც მისი თავგამოდება და ზრუნვა იმხელა გავლენას მოახდენდა წვრილ მემამულეთა დამგირავებელ კლიენტებზე, რომ იაკობს 1909 წელს დირექტორად აირჩევდნენ.

ხოლო მოწაფეები...

მოწაფეები დაინახავდნენ თუ არა აკაკის, სასეირნოდ ან რაიმე საქმეზე გამოსულს, უსათუოდ აედევნებოდნენ, ხან წინ შემოურბენდნენ, ხანაც უკან ჩამორჩებოდნენ.

მას ნელი და დინჯი სიარული სჩვეოდა.

სოსიკოს როგორ ეკადრებინა ორი დიდი ადამიანისათვის, თორემ ახალგაზრდებს ეცინებოდათ ხოლმე, როდესაც წვიმიან დღეს ქოლგებით ქვაფენილზე მწყობრად მიმავალ აკაკისა და კირილე ლორთქიფანიძეს შეჰყურებდნენ.

კირილე უკვე წელში მოხრილიყო, აკაკი კი ბუმბერაზივით მოჩანდა ამ მოხრილი, ოდესღაც წარმოსადეგი ადამიანის გვერდი-გვერდ. და თუმც აკაკი უკვე მოხუცებულიყო, კირილე მაინც ასე მიმართავდა:

— ვაჟო, რას მიიჩქარი?

„ვაჟო“ კირილეს საყვარელი სიტყვა გახლდათ და არასოდეს ივიწყებდა, როდესაც მამაკაცს მიმართავდა.

ერთ დღესაც დაინახავდნენ:

თეთრ ხიდზე მოჰყავდათ დატუსაღებული გიმნაზიელი ჟორჟოლიანი, პოლიტიკურ საქმიანობაში რომ გარეულიყო. სამი საათი იქნებოდა. აკაკი ხიდის მეორე ყურთან შეჩერდებოდა და შეაცქერდებოდა ტუსაღს, არ ესიამოვნებოდა... უმცროსი კლასის მოსწავლეები მის გარშემო შემოიკრიბებოდნენ. ის გადმოხედავდათ და ღიმილით მიმართავდათ:

— განა თოვლის ბაბუა ვარ, რომ ჩვენი გიმნაზიის მოსწავლის დატუსაღება და ნაობახტში ჩაგდება არ მაცნობეს?

მართლაც ყველა თოვლის ფიფქში გახვეულიყო, აკაკის წვერ-ულვაშს კი... მეტიც არ უნდოდა.

სიმონ ქვარიანი საფრანგეთიდან რომ დაბრუნდებოდა, ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში მიიწვევდნენ საქართველოს ისტორიის მასწავლებლად.

ერთ დღეს, თავისი მეუღლის საპატივსაცემოდ, სადილს გამართავდა და აკაკისაც მიიპატიჟებდა. სადილზე იგი ძალიან გამხიარულდებოდა და, სხვათა შორის, მასპინძლის შვი-

ლიშვილს ათ შაურს აჩუქებდა. მოწაფეებიდან ორი ახალგაზრდა იჯდებოდა სუფრასთან და აკაკი სთხოვდათ:

— აბა რით შეგიძლიათ გაგვართოთ, ამბავი მოგვიყევით რამე.

სოსიკო ნებართვას აიღებდა სიმონ ქვარიანისაგან, რომ ნაამბობს საწყენად არ მიიღებდა.

აკაკი წინასწარვე განეწყობოდა სამხიარულოს მოსასმენად და სოსიკოს შეაგულიანებდა:

— აბა ყოჩაღად!

და ისიც ფრთებს გაშლიდა.

— სამშაბათს ისტორიის გაკვეთილი გვაქვს. პატივცემული სიმონი გვიყვება გიორგი სააკაძისა და მისი დროის ამბავს, და როდესაც მივიდა მისი გმირობის დახასიათებამდე, თქვა: ყმაწვილებო! გიორგი სააკაძე თავგანწირულად თავს დაესხა თრიალეთის მიდამოებში ვერაგ მტერსო, — და განსაკუთრებით აღელდა. ამ დროს ჭერიდან ჩამოცვივდა სილა, კირი და თავზე დაეყარა. მასწავლებელმა სასწრაფოდ დაიფარა ხელი თავზე და მორთო ყვირილი: რა ამბავია, ყმაწვილებო, რა მომდის, მე მესხმიან თავს?

აკაკი ბევრს იცინებდა და დასძენდა:

— მჯერა, ნამდვილად ასე იქნებოდა.

განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გიმნაზია ახალ შენობაში გადავიდოდა — ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე, გიორგი ზდანოვიჩის სახლ-კარისა და ეზო-გარემოს გვერდით, თითქმის ორ კვირაში ერთხელ გაიმართებოდა ლიტერატურული საღამოები ორი-სამი განყოფილებით. ამ საღამოების სულისჩამდგმელი იქნებოდა მეხუთეკლასელი მიშა შოთაძე და მისი თაოსნობით ზედა სართულების წინა დერეფანში ხშირად დაიდგმოდა სურათები „თამარ ცბიერიდან", „თორნიკე ერისთავიდან", „ბაში-აჩუკიდან", „ღვთის გვირგვინიდან", ამავე დროს სცენაზე კითხულობდნენ აკაკის ლექსებსაც.

ყოველთვის, როდესაც გათვალისწინებული იყო ლექსების კითხვა, უთუოდ აკაკისაც მოიწვევდნენ სილოვან ხუნდაძე ან თვით იოსებ ოცხელი, მაგრამ აკაკი ხშირად ვერ დაესწრებოდათ. მხოლოდ ორ საღამოზე მოახერხებდა მისვლას.

ერთხელ „პატარა კახი" უნდა დადგმულიყო — ხუთმოქმედებიანი ისტორიული დრამა. გადაწყდებოდა — ორნახევარ მოქმედებად შემოკლებულიყო.

აკაკის მიიწვევდნენ 6 საათისათვის. მასწავლებელი პეტრე ყიფიანი თავის დროზე გამოცხადდებოდა, მაგრამ... აკაკის გარეშე: ვერსად ვნახე, ვუცადე, მაგრამ არ გამოჩნდაო.

მოსწავლეები და მოწვეული მშობლები აღელდებოდნენ — აკაკის დაუსწრებლად საღამოს დაწყება არავის უნდოდა.

სილოვანი დაავალებდა სოსიკოს: წასულიყო და სასტუმრო „გრანდოტელიდან" ეტლით წამოეყვანა პოეტი. ეს ფიცხლავ შემოტრიალდებოდა, ჩამოვიდოდა სცენიდან, სავარძლებსა და სკამებს შორის შურდულივით გავარდებოდა დავალების შესასრულებლად.

ეს რამხელა პასუხისმგებლობა დაეკისრებინათ: ეს ვინ უნდა მიეყვანა იქ, სადაც ამდენი ხალხი ელოდა.

სასტუმროში აკაკი არ დახვდებოდა.

დარაჯი ამცნობდა სოსიკოსა და გიმნაზიის ულამაზეს დარაჯს, ჩოხა-ახალუხში კოხტად გამოწყობილ სევერიან ბარდაველიძეს:

— აკაკი დიდი ხანია გავიდა და ალბათ მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში იქნება, ან ისიდორე კვიცარიძის ჟურნალ-გაზეთების კანტორაში.

ისიდორესგან შეიტყობდნენ, რომ აკაკი იქ კი ყოფილიყო, მაგრამ წაეღო გაზეთი „იმერეთი" და ვასილ ბეჟანიშვილის მაღაზიაში აპირებდა შევლას.

მაღაზიაში არ აღმოჩნდებოდა, მაგრამ გამყიდველი მიასწავლიდა: მეორე ოთახშიაო.

ეს მორიდებით შეაღებდა კარს და... რას ხედავს — ზის აკაკი და მასპინძელს ჭადრაკს ეთამაშება.

სოსიკო ვასილს მოახსენებდა: სილოვანის თხოვნით, დიდი მგოსანი უნდა წამობრძანდეს გიმნაზიაში საღამოზეო.

აკაკი ამას რომ გაიგონებდა, მოიბოდიშებდა:

— მე მეგონა, უფრო გვიან იწყებოდა, თორემ დავიწყებით არ გადამვარდნია გულიდან.

ეტლს მიართმევდნენ და მეეტლეს ვასილ ბეჟანეიშვილი წინასწარვე გაისტუმრებდა.

პოეტი გზაში სულ გიმნაზიის ახალ შენობაზე ისაუბრებდა, სიხარულს გამოთქვამდა, რომ მოწინავე ახალგაზრდობის სამჭედლოს შესანიშნავი შენობა შეეძინა. როცა სკოლის ეზოში შევიდოდნენ და ეტლი სადარბაზოსთან გაჩერდებოდა, ჯერ სოსიკო და სევერიანი გადმოვიდოდნენ და შეეშველებოდნენ მგოსანს ეტლიდან ჩამოსვლაში.

დერეფანში რომ შევიდოდნენ და შუა ადგილას ანუ პარტერში შედგამდნენ ფეხს, ატყდებოდა ტაშის გრიალი. თანმხლებნი პირველად შეესწრებოდნენ ამგვარ ოვაციას. ყველა ადგომით შეხვდებოდა და მიესალმებოდა სტუმარს. შუა ადგილას იოსები და სილოვანი შეეგებებოდნენ და მიაბრძანებდნენ სავარძელთან.

წარმოდგენის დასასრულს ავიდოდა სცენაზე, მადლობას გადაუხდიდა და შუბლზე ორჯერ აკოცებდა პატარა კახის როლის შემსრულებელს — მიშა შოთაძეს, რომელიც პირველ ორ მოქმედებაში ხავერდოვან ქულაჯაში იქნებოდა გამოწყობილი, შემდეგ კი — თეთრ, მოკლე ჩოხა-ახალუხში.

დიდად ნასიამოვნებიც გამოემშვიდობებოდათ.

ცხრაასიანი წლების დამდეგს მეტწილად ტფილისში მოუწევდა ცხოვრება, სოსიკო მერკვილაძესთან რომ ჩერდებოდა ქაშვეთის ქუჩაზე, არჯევანიძის სახლში, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. სხვიტორში მხოლოდ ზაფხულობით ჩადიოდა.

მასპინძელს აკაკისათვის გამოყოფილი ჰქონდა წინა მხარეს პატარა ოთახი, რომელსაც აკაკის ოთახს ეძახდნენ.

მაშინ დავით ფაღავა ქართულ გიმნაზიაში სწავლობდა და სოსიკო მერკვილაძესთან ცხოვრობდა. როდესაც აკაკი ტფილისიდან მიდიოდა, ეს მის ოთახში წვებოდა, და როდესაც ჩამოდიოდა, გვერდით, მეორე ოთახში მიუჩენდნენ ხოლმე ადგილს.

დილაობით აკაკის ვერ ხვდებოდა, რადგანაც პოეტი გვიან იღვიძებდა, გაღვიძების შემდეგ კი უსათუოდ წერდა.

წერა დილაობით უყვარდა.

დღისით ან საღამოთი იშვიათად თუ წერდა.

უქმე დღეს ოთახიდან აკაკის გამოსვლამდე ჩაის არავინ სვამდა, როგორც წესი, უცდიდნენ მის გამოსვლას. ეს იცოდა აკაკიმაც და, თუ წერით ძალიან არ იყო გატაცებული, უფრო ადრე გამოდიოდა.

სადილად მხოლოდ ხანდახან რჩებოდა.

საღამოთი კი, თუ თეატრში არ იმყოფებოდა, უსათუოდ სტუმრად წასვლას ამჯობინებდა.

ღამით ყოველთვის გვიან ბრუნდებოდა.

ესეც მისი დღის რეჟიმი თუ დღის განრიგი, შემონახული დავით ფაღავას მიერ, რომელიც მაშინვე იღვიძებდა, როგორც კი შეაღებდა პოეტი თავისი ოთახის კარს, ძილში ჩაეყოლებინა და ამიტომაც გაახელდა ხოლმე თვალებს და გაფაციცდებოდა — უქეიფოდ ხომ არ არის ან რაიმე ხომ არა სჭირსო.

და ეს იმიტომ, რომ აკაკი ერიდებოდა ვინმეს შეწუხებას — ამგვარი შემთხვევა არავის მოაგონდებოდა თუნდ იმ ოთხი წლის განმავლობაში, რაც სოსიკო მერკვილაძის ოჯახში ბინადრობდა. მოსამსახურესაც არ დაუძახებდა და არ დაასაქმებდა, რაც უნდა დასჭირებოდა...

ოთახში პირსაბანი არ ედგა, და დილით მოსამსახურე გოგო პირსაბან წყალს რომ შეუტანდა, აკაკიმ აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. მაშინვე გამოელაპარაკებოდა და ოხუნჯობას დაუწყებდა: პირის დაბანის შემდეგ კი იწყებდა გაუთავებელი მადლობის გადახდას, თითქოს რაღაც განსაკუთრებული მომხდარიყოს.

და კიდევ ერთი მეტად საგულისხმო, ნიშანდობლივი ფსიქოლოგიური დეტალი:

ძილი ბავშვივით იცოდა — უთუოდ ან ბალიში უნდა ჰქონოდა გადავარდნილი ლოგინიდან და ან საბანი.

ყოველთვის დილდილაობით რომ წერდა, ვინც იმჟამად შინ იმყოფებოდა, ცდილობდა არ ეხმაურა. კარისათვის კლიტის ჭუჭრუტანა რომ დაეტანებინათ, დავითი ვერ ითმენდა და ხშირად იჭვრიტებოდა შიგნით და თვალს ადევნებდა, როგორ მუშაობდა პოეტი.

ვიდრე წერას შეუდგებოდა, ფაჩიფუჩს მოჰყვებოდა ხოლმე, ეს ფაჩიფუჩი მეორე ოთახშიც კარგად ისმოდა, მაგრამ სიტყვების გარჩევა არ შეიძლებოდა.

შემდეგ მოჰყვებოდა ძალიან დაბალი ხმით სიმღერას, თუმცა სიმღერისა არა გაეგებოდა რა.

მერე ფეხით იწყებდა ბაკუნს.

ესეც, რა მიხვედრა უნდა, შინაგანი მუსიკისა და რიტმულობის ნაწილია — რაც ღიღინისას აკლდება, ბაკუნმა უნდა შეუვსოს.

აქ არავინ ჰყავდა, ვინც ხელში დაირას აიღებდა და ზედ თითებს აათამაშებდა, რათა დაირის ხმიანობა აკაკის გულსა და გონებაში ლექსის მუსიკად და რიტმულ მდინარებად გარდასახულიყო.

განა ამასვე არ ირწმუნება გრიგოლ რობაქიძეც?

სასტუმროში, თავის გვერდით, მოესმოდა ერთხელ აკაკის სიმღერის მსგავსი მეტყველება, რომელშიაც ნამდვილ სიტყვას ვერ გაარჩევდი.

ეს იყო თითქო ღიღინი, უსიტყვო სიმღერა.

მერე შეიტყობდა, რომ:

აკაკის შემოქმედების წამი ასე იწყებოდა — ჯერ მუსიკალური გულნება, როგორც ფრიდრიხ შილერი ამბობდა, და შემდგომ უკვე „პოეტური იდეა“.

და დაიბეჯითებდა:

აკაკის ლექსში „ყურია“ უფრო, ვიდრე „თვალიო“.

მრავალი მაგალითის მოხმობა შეეძლო თვალსაჩინოებისათვის, მაგრამ ერთს ამჯობინებდა:

ყანაო, მუშის სამოთხე, გლეხის დიდებავ ყანაო!
ცისკრის სხივებმა შეგმოსეს და ნამმა გადაგბანაო.
დაგქროლა დილის ნიავმა, ალერსით გითხრა ნანაო,
ჟუჟუნა წვიმამ ზედ დაგკრა, ზურმუხტად აგამწვანაო.

და ყურადღებას მიგაქცევინებდა, რომ:

ალიტერაციით აქ ყანის შრიალი გაისმოდა — ყანაო, ნანაო, ნიავმაო, ნამმაო, გადაგბანაო, ჟუჟუნაო, აგამწვანაო. „ნარ“-ის ახმაურება აქ ნიავის გადარბენის ასოციაციას იწვევდა ყანაში.

„თვალი“ ნაკლები რომ იყო აკაკის ლექსებში, ეს გრიგოლ რობაქიძეს დიდად არ უკვირდა: როგორც საერთოლდ ქართულ პოეზიაშიო.

და იქაც კი, სადაც თვალს მეტი ადგილი უნდა ჰქონდეს — პროზაში, ქართველი მწერლის თვალი სისუსტეს იჩენდა.

ეს კი აოცებდა, რადგანაც: ქართველისათვის რაობა „ფერით“ ისაზღვრებოდა — ყველა-ფერი, არა-ფერი.

და უეცრად... ამგვარი ვითარების წინაშე დგებოდი!..

აკაკის ლექსს „ყური“ წარმართავდა?

მაშ შესატყვისი რიტმიც უნდა ჰქონოდა — და კიდეც ჰქონდა, ეგაა გრიგოლ რობაქიძეს არ გამორჩებოდა, რომ ხანდახან „ყური“ მასაც ჰღალატობდა, თუმც აქა-იქ, მაგრამ მაინც, და გულში გაიელებდა: ნეტა ამახსნევინა, რატომ ხდება ესო?

განა ამასვე არ ირწმუნებოდა პაპუნა წერეთელი თავისი ნათესავის ნაამბობზე დაყრდნობით?

ერთ დილას ის და მისი ბიძაშვილი ტყის გზას რომ დაადგებოდნენ სანადიროდ და აკაკის სახლს მიუახლოვდებოდნენ, ანა გამოეგებებოდათ, აკაკი და, და მიიხმობდათ:

— ბიჭებო, ღმერთი არ გაგიწყრეთ, თოფი არ ისროლოთ, ბიძია ლექსსა წერს.

ესენი შეეხვეწებოდნენ:

— მამიდა! ოღონდ დაგვანახე, ბიძია რომ წერს, და სიტყვას გაძლევთ, არათუ დღეს, მთელ კვირასაც აღარ ვინადირებთ.

და მამიდა ანა შეიყვანდა თავის ოთახში, სადაც ბევრი ფუჩეჩი ეყრებოდა.

აკაკის კარი გამოღებული იქნებოდა,

და იგი თმააბურძგნული და აღელვებული ივლიდა ოთახში და იღიღინებდა.

ძალიან გააოცებდათ ყმაწვილებს მისი ღიღინი, რადგანაც თავის დღეში მისგან სიმღერა არ მოესმინათ.

ჩაიღიღინებდა, შემდეგ ჩამოჯდებოდა, დაწერდა ცოტა რამეს და წაიკითხავდა, შემდეგ კვლავ მოჰყვებოდა სიარულსა და სიმღერას და შემდეგ ისევ ჩამოჯდებოდა და ცოტა რამეს დაწერდა და წაიკითხავდა და...

წერას რომ ჩაამთავრებდა, მთელ ლექსს თავიდან ბოლომდეც ჩაიკითხავდა.

ესენი ისე გამოიპარებოდნენ ოთახიდან, აკაკი ვერაფერს გაიგებდა.

არც აქ ჰყავდა არავინ, ვინც ხელში დაირას აიღებდა და ზედ თითებს აათამაშებდა, და დაირის ხმიანობის ნაცვლად ამჯერადაც სხვა საშუალება უნდა ეძია ლექსის მუსიკისა და რიტმული მდინარების მისაგნებად და გამოსაკვეთად.

დაირა — ელისაბედ მარჯანიშვილის ოჯახში, სადაც აკაკის ერთი საუკეთესო ოთახი საკუთრივ ჰქონდა გამოყოფილი — საწოლადაც და სამუშაოდაც. სახელად „ცისფერი ოთახი“ შეერჩიათ, რადგანაც იქ ყველაფერი გადაცისფრებულიყო: საბანიც, ლამპის აბაჟურიც, მუთაქებიც, კედლებიც ცისფრად გაჩითულიყო. და ალბათ საერთო შეხამებისა და ჰარმონიისათვის დიასახლისის სამოსელშიც ცისფერი ჭარბობდა.

და ამ ყოველივეს რომ მოისმენდა, თედო სახოკია დაასკვნიდა:

ეტყობა, პოეტის სიმპათია ყოფილა ეს ფერიო.

ანკი რა გასაკვირია, თუ ცისა ფერს, ლურჯსა ფერს, არაამქვეყნიურ ფერს ისიც ნიკოლოზ ბარათაშვილივით სიყრმიდანვე ეტრფოდა.

და აი ელისაბედს უნდა მოემარჯვებინა დაირა და აკაკიც მის ხმაზე მომართულიყო.

ბოლთისცემას მოჰყვებოდა.

და როდესაც მაგიდას უნდა მისჯდომოდა და კალამი აეღო, თითით ანიშნებდა დიასახლისს: შეჩერდიო, — და შეუდგებოდა წერას.

თედო სახოკიას ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა:

ეტყობა მისი მშვენიერი დიასახლისი ერთგვარ როლს თამაშობდა აკაკის პოეტურ შთაგონებასა და შემოქმედებაშიო.

ეს — თავისთავად.

მაგრამ დაირასაც თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, მისი ხმოვანება მოხდენილად ეწვნოდა აკაკის მხატვრულ ნარმოსახვებს და ეხმარებოდა, ეს ფრთამალი წარმოსახვანი ყალიბში რომ მოექცია.

იქ ღიღინისაგან თავს იკავებდა.

აქ — სხვა რა გზა ჰქონდა და ღიღინ-ბაკუნზე გადადიოდა.

და თუმც მუსიკალური სმენა არ მომადლებოდა, სამაგიეროდ მის პოეტურ სმენას არ გააჩნდა კიდეგანი და იმ უსასრულობას ერთვოდა, ღვთიური მელოდიებისაგან რომ აღარც გაგერჩევა.

უნდა გამოეძახა სულის იდუმალ შრეებში ჩაბუდებული ეს უკიდეგანობა-უსასრულობა, საამისოდ კი რაღაც-რაღაც გამაღიზიანებლები ესაჭიროებოდა — დაირის ხმა, ღიღინის-მაგვარი ბუტბუტი, ფეხის ბაკუნი...

მოათავებდა და... ძალიან უყვარდა ნაწერის წაკითხვა სხვებისათვის, ხშირად რომ გამოიტანდა ოთახიდან და უკითხავდა მასპინძლებს.

და მართლაც ადვილი წარმოსადგენია, თუ რა გულისფანცქალით ელოდებოდნენ აკაკის გამოსვლას ოთახიდან ნაწერით ხელში.

ერთ უქმე დღეს დავითიც სულგანაბული რომ უცდიდა აკაკის გამობრძანებას, ის გამოიტანდა ლექსს: „განდეგილია“ — შემდგომ „კრებულში“ რომ დაბეჭდავდა.

იმხანად ქუთაისის ბანკის თავმჯდომარის არჩევნებთან დაკავშირებით აკაკის ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდებოდა, რომელთა შორისაც ყველაზე მეტად კიტა აბაშიძისა და სილოვან ხუნდაძის მონაწილეობა აწუხებდა.

ჰოი ამჯერადაც როგორ ისარგებლებდნენ ენის მიმტან-მომტანნი!..

და მაშინაა, აკაკის კიტა აბაშიძეზე რომ ათქმევინებდნენ:

— კიტა ისეთი სოფლიდანაა, სადაც ხეებიც კი დაღრეკილი იზრდება და ადამიანს სწორს იქიდან რა გამოიყვანს.

ხოლო სილოვან ხუნდაძე დავით ფალავას ყოფილი მასწავლებელი რომ გახლდათ, ამიტომაც ძალიან წყინდა, აკაკი მის აუგს რომ იტყოდა ხოლმე, და გადაწყვეტდა პოეტის გულისწყრომა შეენელებინა:

— რაღაც გაუგებრობაა, ბატონო აკაკი, თორემ თქვენ სილოვანმა მშვენიერი ლექსი გიძღვნათ.

იმას გაეხარდებოდა და სთხოვდა: მიშოვნეო.

ამას ახსოვდა, რომ ლექსი „კვალში“ იყო დაბეჭდილი, გაიქცეოდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკაში, იპოვნიდა ჟურნალის იმ ნომერს, გადაწერდა ლექსს და აკაკის მიურბენინებდა.

ეს მაძლობას გადაუხდიდა, მაშინვე შეიტანდა თავის ოთახში და წერას შეუდგებოდა. დავითი მოუთმენლად ელოდა, რითი გათავდებოდა ყველაფერი ეს.

და... რარიგ განცვიფრდებოდა, როდესაც რამდენიმე წუთის შემდეგ აკაკი გამოიტანდა... საშინელ პასუხს. სილოვანის ლექსს სათაურად ჰქონდა „აკაკის“ და ქვეშ „სილოვანი“ ეწერა. საპასუხო ლექსს ამის მსგავსად სათაურად წაემძღვარებოდა „სილოვანს“, ქვეშ კი „აკაკი“ მოეწერებოდა.

შემდგომ ორივე ლექსი „აკაკის თვიურ კრებულში“ აღმოჩნდებოდა გვერდი-გვერდ.

რას იმეორებდა ხშირად აკაკი?

— ეს კანონია — არათუ ძველი მწერალი, ახალიც კი წერას ჩემი გინებით იწყებს.

ხან ასეც ხდებოდა, განა არა, მაგრამ ხანაც აკაკის თავისი ის გადამეტებული ეჭვიანობა და ფანტაზია უბიძგებდა, რომ ლანძღვა-გინება ეძებნა იქაც, სადაც ის არ არსებობდა.

სხვა მხრივ კი ის ეპიზოდი რაოდენ საგულისხმოა და ნიშანდობლივი:

დავითის ერთ ამხანაგს ძმა, რომელიც ზრდიდა, ფულის გამოგზავნაზე უარს შემოუთვლიდა. სწერდა: ჩემი საქმე ცუდად წავიდა და ვერავითარ დახმარებას ვეღარ გაგიწევ. უკვე მეექვსე კლასში ხარ და შეგიძლია აწი თავი შენითაც ირჩინოო.

ყმაწვილს კი სწავლის გაგრძელება სურდა და... მის მწუხარებას საზღვარი არ ექნებოდა.

დავითი ძია აკაკის უამბობდა ამხანაგის გასაჭირს, იცოდა, გულთან ახლოს მიიტანდა. და მართლაც ძალიან შეწუხდებოდა და დაავალებდა ყმაწვილს:

— უთუოდ მნახოს.

ის მეორე დღესვე მიადგებოდა. აკაკი დაწვრილებით გამოჰკითხავდა ყველაფერს და, როცა დარწმუნდებოდა, ბავშვს სწავლა ძალიან სწყურიაო, შეპირდებოდა:

— მე დაგეხმარები, ოლონდაც შენ ისწავლე და, თუ საჭირო იქნება, საზღვარგარეთაც გაგგზავნი.

მაშინვე გახსნიდა საფულეს, ამოიღებდა 65 მანეთს და მისცემდა.

თავისთვის არაფერს დაიტოვებდა, სრულიად არაფერს.

დავითმა საიდან შეიძლება ეს ასე დაბეჯითებით იცოდეს, ეგებ საფულეში ბლომად ფული ჩარჩებოდა?

დაკვირვება ამოაცნობინებდა:

როცა აკაკის ფული ჰქონდა, ეტლს გამოიძახებდა და იმით წავიდოდა ხოლმე, რადგანაც ფეხები სუსტი ჰქონდა და ბუნებრივია, ფეხით სიარულს ძალიან ერიდებოდა.

იმ საღამოს კი... ფეხით გაუდგებოდა გზას.

ეტლის ფულიც კი არ ჩაეტოვებინა, პირწმინდად ამოეცარიელებინა საფულე.

ამასთან:

ჰყავდა ღარიბი ნათესავები, ვიღაც ერისთავები (ისე როგორი სიტყვათშეთანხმებაა, არადა დროის სულისკვეთების გამომხატველი: „ვიღაც“ და „ერისთავები“), რომელნიც კვირაში ერთხელ მაინც მოდიოდნენ შემწეობის სათხოვნელად. და აკაკიც მუდამ ეხმარებოდათ, რადგანაც ძალიან წუხდა მათ უმწეო ყოფაზე.

ეს „ვიღაც ერისთავები“, ანუ მისი ცოლის დის ოჯახი, მადლიერი მაინც ჰყოლოდა.

თავი IV

„ნეტავი თქვენ, რომ ბრმეები ხართ...“

სოსიკო მერკვილაძე თავის მეუღლეს — ანას, რომელსაც აკაკი განსაკუთრებულად აფასებდა, ყოველწლიურად 3 თებერვალს დღეობას უმართავდა. ასეთ წვეულებას ერთხელ აკაკიც დაესწრებოდა, და მის გარდა მწერლებიც: სოფრომ მგალობლიშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე, ივანე როსტომაშვილი, გიგა ყიფშიძე, შიო მღვიმელი...

თამადად გიგა ყიფშიძეს აირჩევდნენ.

დიასახლისისა და მანდილოსნების შემდეგ თამადა აკაკის სადღეგრძელოს დალევდა. და ეს, მიუხედავად იმისა, რომ ყველას მოეხსენებოდა: აკაკის არ უყვარდა, როდესაც მის სადღეგრძელოს სვამდნენ და მითუმეტეს გრძელ-გრძელ სიტყვებს თუ ეუბნებოდნენ.

ამჯერად ზაქარია ჭიჭინაძე ითხოვდა სიტყვას:

— ბატონო აკაკი, მე თუ რამეს წარმოვადგენ, ეს მხოლოდ თქვენი საქმეა. მე, გზადაკარგული, ჯიბგირობას ვეწეოდი, შენთან მოვედი, შენ მიმიკედლე, მოსამსახურედ ამიყვანე, წერა-კითხვა შემაყვარე და იმის შემდეგ შევიქენი ის, რაც ახლა ვარ...

აკაკის ძალიან შეაშფოთებდა ეს სიტყვები:

— ზაქარია, რავა არ გრცხვენია, მე მოსამსახურე მისდღეში არა მყოლია და შენ მოსამსახურედ რანაირად მეყოლებოდი! ხომ გახსოვს, ერთხელ, შუაღამეს გადაცილებული იქნებოდა, მე და ჩემს ცოლს გვეძინა, შენ მოაკაკუნე კარს და დამიძახე: აბრაამის ცოლს რა ერქვაო.

ატყდებოდა საერთო სიცილი. ყველას ეგონებოდა, აკაკი აჭარბებსო, მაგრამ რარიგ განცვიფრდებოდნენ, როდესაც ზაქარია დაუდასტურებდა:

— კარგად მახსოვს.

— ჰოდა რომელი მოსამსახურე გინახავს, რომ ცოლთან მწოლიარე ბატონს ასეთ რამეზე აღვიძებდა?..

სიცილს ტაშისცემაც მოჰყვებოდა.

და აკაკი:

— ისიც ხომ გახსოვს, ზაქარია, ერთხელ ბალიდან რომ ჩამოვარდი და ქვას თავი დაჰკარი?

— კი მახსოვს.

— და აი, შენ, ხიდან ჩამოვარდნამდი მეტად ჩლუნგი იყავი და ვერაფერს ითვისებდი, იმის შემდეგ კი, რაც ქვას თავი დაჰკარი, რაღაც მოხდა შენს თავში და მეტად ნიჭიერი და მკვირცხლი შეიქენი. შენი ახლანდელი სიკეთის მიზეზი მე კი არა ვარ, არამედ შენი ჩამოვარდნაა ხიდან. რადგან მე და შენ ამდენი ხანია ერთად მოვდივართ, ხვალ დილით მეწვიე, სურათის გადაღებას ვაპირებ და ერთად გადავიღოთ.

ზაქარია სიხარულით ცას ეწეოდა. და მართლაც მეორე დღეს ერთად გადაიღებდნენ ფოტოსურათს სასახლის ქუჩაზე, ალექსანდრე როინაშვილის ფოტოგრაფიაში.

სურათი მშვენიერი გამოვიდოდა და დავით ფაღავას უკვირდა, რომ ვერცერთ ჟურნალში, ვერცერთ გაზეთში ვერ ჰპოვებდა ამ ფოტოს მოთავსებულს.

ანდა კიდევ ის ფოტოსურათი, აკაკისა და ივანე მაჩაბელს რომ გადაეღოთ ერთად...

თუმც სჯობს ეს სურათი უფრო შესაფერის დროს გავიხსენოთ.

ხოლო იმჟამად შემოღებული რომ გახლდათ სალიტერატურო საღამოები, ასეთ საღამოებს ესენიც მართავდნენ, ქართული გიმნაზიის მოწაფეები — ეს ხდებოდა მთაწმინდაზე, ხან ივანე როსტომაშვილისა და ხანაც თუმანიშვილის ბინაზე, და რაკიღა საამისოდ შაბათი დღე შეერჩიათ, ამიტომაც ამ საღამოებს „შაბათობადაც“ იხსენიებდნენ.

მაშინ გატაცებულნი იყვნენ პისარევითა და საერთოდ — ნიჰილიზმით, და საღამოებიც ამ თემატიკის ირგვლივ იმართებოდა: ერთ წელიწადს გასტანდა და მერე კი რა მიზეზით შეწერდებოდა, მემუარული ჩანაწერის ავტორს ვეღარ მოეგონებინა.

სოსიკო მერკვილაძის თაოსნობით მისივე ბინაზეც იმართებოდა ამგვარი „ავთანდილის ანდერძი“.

აკაკი თავს გამოიდებდა დეკლამატორადაც, და ამ შემთხვევაშიც: ძალიც შესწევდა ქადილისა.

ბევრს ილაპარაკებდა პოეტი შოთა რუსთველზე, „ვეფხისტყაოსანზე“, მის გმირებზე, შემდეგ აიღებდა ჟურნალ „მოამბის“ ახალ ნომერს, რომელშიც დაებეჭდათ ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი „სიმღერა“ და პარმენ ცახელის რომელიღაც ლექსი, და ყმაწვილებს განუცხადებდათ:

— აი მაგალითად ვაჟა მეტად ნიჭიერი მწერალია. იგი შეუდარებელი ენით წერს პროზად, ლექსის ენა კი მიუღებელია.

სთხოვდათ მიეტანათ ვაჟას პროზად დაწერილი რაიმე ნაწარმოები. ესენი შეურჩევდნენ „ფესვებს“.

აკაკი დაიწყებდა კითხვას.

ყველა სმენად გადაიქცეოდა.

და აკაკის წაკითხვის შემდეგ ეს ნაწარმოები კიდევ უფრო ლამაზი მოეჩვენებოდათ.

საგულისხმო ვითარებაა, არა? — აკაკი წერეთელი... ახლა უკვე ვაჟა-ფშაველას მინიატურის დეკლამატორის როლში.

თანაც როგორი ხელოვნებით გადმოსცემდა!..

ამ მხრივ ალბათ ვერცერთი მსახიობი ვერ გადააჭარბებდა.

ეგაა „ფესვების“ წაკითხვას კონტრასტისათვის დაისაჭიროებდა, რადგან ამის მერე აიღებდა „სიმღერას“ და მის ენობრივ სტილში იმდენ უმართებულობას დაანახვებდათ, ყველას ენა ჩაუვარდებოდა.

— ახლა ავიღოთ ბევრად უფრო პატარა მწერალი ცახელი, — განაგრძობდა ორატორი და ახლა ცახელის ლექსის დეკლამატორობასაც იკისრებდა, — მაგრამ ეს არაფერია. აი ახლა გიჩვენებთ, როგორი უნდა იყოს ენა და როგორი უნდა იყოს ლექსი.

მოატანინებდათ დავით გურამიშვილის „დავითიანს“ და წაუკითხავდათ მის „ანდერძსაც“.

დეკლამატორობის დღე ჰქონია და ეგაა!..

არადა მეტი საგულისხმო ვითარება რაღა გვინდა — აკაკი წერეთელი დავით გურამიშვილისა და შოთა რუსთველის ლექსთა დეკლამატორის როლში.

დაასრულებდა კითხვას და მიმართავდათ:

— აბა თუ გაგიგონიათ შოთას შემდეგ ამისთანა სიმშვენიერე? თუ ბიჭები ხართ, ერთი ასო ან მიუმატეთ და ან გამოაკელით.

ვაჟა-ფშაველასათვის ლიტერატურული მამა... აკაკი წერეთელი გახლდათ, პაპა კი — დავით გურამიშვილი. და მაშ აკაკისათვის მამა უნდა ყოფილიყო „დავითიანის“ შემოქმედი.

დავით გურამიშვილს დიდი სიამოვნებითაც მიითვლიდა მამად აკაკი, ეგაა ვაჟას არ აღიარებდა შვილად... მაგრამ ის კი აღიარებდა მამად? შორეული გადასახედიდან მკაფიოვდება მათი მამაშვილობა, თორემ იმჟამად არც ერთი დაიჯერებდა და არც მეორე, ვაჟა აკაკის გვერდით დასახელებას პატივად რომ მიიჩნევდა, ხოლო აკაკი — სულაც დამცირებად, თუკი ვაჟას თანაბრად მოხვდებოდა რომელიმე ჩამონათვალში.

იაკობ გოგებაშვილი არ დაგიდევდა აკაკის განწყობილებას და თანამედროვე ქართველ პოეტთა საუკეთესო ოთხეულში ერთსაც მიუჩენდა ადგილს და მეორესაც.

ნეტა ეშხში შესული აკაკი იმ დღეს ილიას იმ პოლემიკურ გამოხმაურებასაც ხომ არ გაიხსენებდა და ზედ თავის ფანტაზიასაც ხომ არ დაურთავდა?

მაშ დავით ფაღავა რატომ არ ახსენებს ამ პასაჟსაც?

ცნობიერებიდან ამოუვარდებოდა თუ... იმდენად დაუჯერებელი მოეჩვენებოდა, თავის თავს უფრო დააბრალებდა: ეს რა მოჩვენებები დამწყებიაო?..

აბა სხვა რა დაემართებოდა, ეს სიტყვები თუ ჩაესმოდა ყურთ:

მე ამ პასუხის პასუხი დაეწერე, ილიას აზრები დავარღვიე, მაგრამ ილიამ გაიგო, მივიდა სტამბაში, შეისყიდა მთელი გამოცემა, — იგი ხომ მდიდარი გახლდათ, — და ცეცხლს მისცაო...

ხოლო ძალიან რომ უყვარდა მუსიკა...

სოსიკო მერკვილაძესთან იმხანად თითქმის ყოველდღე დაიარებოდა შემდგომ დიდად ნიჭიერი კომპოზიტორი, მაშინ კი ერთ-ერთი სასწავლებლის გალობის მასწავლებელი ნიკო სულხანიშვილი, შინაურობაში — კიკოც და კიკუშაც.

იმჟამად წერდა ოპერას „პატარა კაცი". პირველი მოქმედება თითქმის მზად ჰქონდა, აგრეთვე რჩეული ადგილები სხვა მოქმედებებიდან. ამას დავითი ამცნობდა აკაკის, რომელიც მოისურვებდა მოსმენას, და კიდეც მიიყვანდნენ მასთან კომპოზიტორს.

კიკო პირველი მოქმედების დამღერებას გიტარაზე მოახერხებდა — ცხადია დიდი კრთომითა და კრძალვით.

აკაკი ძალიან მოიწონებდა მის მუსიკალურ ნამუშევარს და აღტაცდებოდა:

— ნამდვილი დახვეწილი ქართული ხალხური მოტივებია.

დავითსაც არ გააკვირვებდა ეს შეფასება, ყმანვილიც კი გრძნობდა და ხედავდა, რომ: ხალხური ხომ ყველაფერი აკაკის თავდავიწყებამდე უყვარდა.

ეს მხურვალე გამოხმაურება გაამხნევებდა კომპოზიტორს და, გათამამებული, სთხოვდა პოეტს:

— პირველ მოქმედებაში, იქ, სადაც მოხუცი გელა იძინებს, მინდა ქალიშვილს „ნანა" ვამღერო, მაგრამ პიესაში სიტყვები არ არის და არ ვიცი, როგორ მოვიქცე.

აკაკი მაშინვე შევიდოდა თავის ოთახში, სულ მცირე ხანში დაწერდა ოთხტაეპიან „ნანინას" და გადასცემდა.

მემუარული ჩანაწერის ავტორი შემდგომ ვერსად წააწყდებოდა ამ ლექსს და სინანულს გამოთქვამდა: ვაითუ დაიკარგაო.

კიკოსაგან კი ისწავლიდა „პატარა კახის" თითქმის მთელ პირველ მოქმედებას, ხოლო კომპოზიტორის გარდაცვალების შემდეგ ბევრ მუსიკოსს ხვეწნით შეეხვეწებოდა, გადაეღოთ მისგან ეს ნოტებზე, რათა არ დაკარგულიყო, მაგრამ არავინ მოისურვებდა.

თვითონ კიკო რომ მეტად დაუდევარი კაცი იყო? და დავითს ეჭვი გაუჩნდებოდა: ვინ იცის, ეგებ ნოტებზედაც არ გადაუღიაო.

ხოლო აკაკის ძალიან რომ სძულდა, როდესაც ქართულ ლექსებს არაქართულ ჰანგზე მღეროდნენ:

1901 წელი იქნებოდა თუ 902, ქართული თეატრის შენობაში მის ვაჟს, ალექსის, საოპერო დასი ეყოლებოდა ჩამოყვანილი. თითქმის მთელი გიმნაზიის მონაფეები დადიოდნენ ოპერაში. დავითს ძალიან მოსწონდა „ტრავიატადან" მამის არია. აიღებდა ამ არიას, ცოტა ქართულ ვარიაციას შეურევდა და... „ჩემო ციცინათელას" სიტყვებს მიუწერდა.

საჩხერეში ამ დროს ელისაბედ წერეთელი დიდ წვეულებას გამართავდა და ამასაც მოუწევდა ყოფნა, თორემ აკაკი ხომ იქ იქნებოდა და იქ. გაჩაღდებოდა ქეიფი. თამადად ვიღაც ძალზე მსუქან და ენამახვილ მაჭავარიანს აირჩევდნენ.

როდესაც იგი აკაკის სადღეგრძელოს დალევდა, ამ ახალგაზრდა კაცს მიუბრუნდებოდა და სთხოვდა:

— აკაკის პატივსაცემად რამე იმღერე.

ესეც მაშინვე მივიდოდა როიალთან და იმღერებდა თავის მიერ გადაკეთებულ „ციცინათელას".

დამსწრენი მოწონებით შეხვდებოდნენ, აკაკიც ტაშს დაუკრავდა და დაუძახებდა:

— დათიკო, მოდი ჩემთან.

და ეს რომ მიეახლებოდა, ეტყოდა:

— რომ მცოდნოდა, შენ ჩემს „ციცინათელას" არაქართულ ჰანგზე იმღერებდი, აღარ დავწერდი.

დამსწრე საზოგადოება ახარხარდებოდა, ეს კი დიდად აბუზული დაუბრუნდებოდა თავის ადგილს.

ისე საჭმელებში ყველაზე მეტად მაინც რა უყვარდა?

თურმე... ლობიო.

ერთხელ ეს სკოლიდან დაბრუნებული შინ შევიდოდა თუ არა, სამზარეულოდან აკაკის ძახილი შემოესმოდა:

— დათიკო, მოდი აქ.

მიირბენდა, დაინახავდა გობთან აკაკის. გობზე ეყრებოდა მოხარშული წვრილი ლობიო, რომელსაც იმერეთში მამაკალია ლობიოს ეძახდნენ.

— აი, დათიკო, უკვე მოხარშული წვრილი ლობიო გვაქვს. ანიკო კახელია და ამ ლობიოს გაკეთება არ იცის. მოდი მე და შენ გავაკეთოთ.

აკაკი... მზარეულად?

თავმომწონე თავადიშვილი, დედით — სულაც ბაგრატიონთა შთამომავალი და... სამზარეულოში ტრიალი?

უყვარს ეს ლობიო და...

თან რომ კიდეც ეხერხება მისი მომზადება, თორემ სიყვარულით ბევრი რამ შეიძლება გვიყვარდეს.

თან დიასახლისს ნიშნსაც რომ უგებს? კახელიაო, მამაკალია ლობიოს შესაფერისად ვერ მოგვიმზადებსო.

ხელს მოჰკიდებდნენ საქმეს. ყმაწვილმა იცოდა, რომ ლობიოს დანაყვა უნდოდა და კიდეც შეუდგებოდა მის ნაყვას, აკაკი კი საკმაზავს დანაყავდა და... რამდენიმე წუთში ლობიოც გამზადდებოდა.

გემრიელი თუ გამოვიდოდა?

ყმაწვილს რა დაავიწყებდა, თუ რა გულიანად შეექცეოდა აკაკი.

ლობიო არანაკლებ უყვარდა ზაქარია ჭიჭინაძესაც და რაღაც საარაკოდ ჩარჩებოდა ხსოვნაში მემუარული ჩანაწერის ავტორს, რომ: ზაქარია ერთ დაჯდომაზე სამ-ოთხ მათლაფასაც ათავებდა.

იმას რომ გამოედო თავი ლობიოს მოსამზადებლადაც და ხელმარჯვეობაც გამოეჩინა, რა გასაკვირია, მაგრამ... აკაკი?!.

მე, გზადაკარგული, ჯიბგირობას ვეწეოდი, მაგრამ შენ შემიკედლე და მოსამსახურედ ამიყვანეო...

მე მოსამსახურე მის დღეში არა მყოლიაო...

შუაღამეს გადაცილებულზე ზაქარიას კაკუნს რომ წამოეგდო ზეზე, არიქა, რაღაც საგანგაშო მომხდარა და ეგაააო, ის კი, კარს იქიდან: აბრაამის ცოლს რა ერქვაო?

— სარა ერქვა, სარა, შე შეჩვენებულო, — აბურტყუნდებოდა აკაკი და ბალიშზე თავს რომ მისდებდა, გაიფიქრებდა: „დილამდე ვეღარ მოიცადე?!.“

როდესაც ძალიან გაგიშინაურებენ, ვეღარც იგებ, მოსამსახურე ხარ თუ გულითადი მეგობარი, ზედმეტადაც შეხუმრებული. თუმც ამჯერად სახუმარო რა იყო, როგორღაც გადაქართულებოდა სარას სახელი ზაქარიას და რა თავი ემტვრია, როდესაც აკაკი იქვე ჰყავდა.

— რა იყო, რა მოხდა? — გაეღვიძებოდა მის ცოლსაც, შეშფოთებულსა და გაოცებულს, აკაკი კვლავ საბანს რომ გადაიხურავდა. საყველპურო ქართულიც არ იცოდა ნატალიამ და რას გაიგებდა, ეს გადაძახილ-გადმოძახილი რას ნიშნავდა.

— არაფერია, არაფერი, დაიძინე.

ზაქარიას ალბათ ახსოვდა ისაკის ცოლის სახელი, თორემ რა გგონიათ, მეორედაც წამოაგდებდა ფეხზე აკაკის...

ვინ იცის მესამედაც — იაკობის ცოლის — ან ერთის, ან მეორესი — სახელის დასაზუსტებლად...

ხოლო ანიკო კახელი გახლდათ და მამაკალია ლობიოს მომზადება აბა საიდან ეცოდინებოდა წერეთელ-ფაღავასავით!..

გრიგოლ რობაქიძეს ეს კი სმენოდა, ილიას რომ ჭამა ჰყვარებოდა, მაგრამ აკაკისაც თუ არანაკლებ უყვარდა, არც იცოდა და ვერც წარმოედგინა.

ხშირად რომ სტუმრობდა გიგო დიასამიძესთან, ეს იმიტომ, რომ: აკაკი მეგობრობდა გიგოს მამასთან — ნიკოსთან, და ამასაც ძალიან უყვარდა ეს ძვირფასი კაცი.

ერთხელ გრიგოლსაც მიინვევდა აკაკის სტუმრობისას და ერთად მოუწევდათ სადილობა.

აღმოჩნდებოდა, რომ — აკაკი ჭამდა... ლომივით.

და გაოცდებოდა გრიგოლი: მოხუცია და როგორ შეუძლია ასე „მაგრა“ ჭამაო.

შემდეგ მიიძინებდა აკაკი.

თხუთმეტი წუთის შემდეგ გაისმოდა ხვნეშა: მაგარი, ძალუმი, დევკაცის.

ეს კიდევ არაფერი.

ხვნეშა იქნებოდა რიტმდარღვეული. შიგადაშიგ კი ისე საშინლად ამოიქშენდა, გრიგოლს გული უსკდებოდა: გათავდა და ეგაო.

შეშინებული გიგოს ეტყოდა:

— რამე არ დაემართოს, მივხედოთ.

თავისებურად გაიღიმებდა მასპინძელი:

— არაფერია... აგრე იცის... კუჭი მოკალული აქვს...

ჭამა კარგი იცოდა, რაც სავსებით შეეფერებოდა მის აგებულებასო, — ივანე ელიაშვილიც ამასვე გვამცნობს და დასძენს: რაც თვალის უპე დაუდამბლავდა, ბევრ სმა-ჭამაზე ხელი აიღო და ზომიერად საზრდოობდა; ქართული საჭმელები მეტად უყვარდა, ვიდრე ევროპული, თუმც საერთოდ საჭმლის დაწუნება ან ამორჩევა არ იცოდაო.

ბარემ ისიც შეგვეტყო, რომ:

თამბაქოს არასოდეს ეწეოდა, ღვინოსაც სრულებით არ იკარებდა, მხოლოდ როდესაც ქეიფში მოხვდებოდა, წყლით სავსე ჩაის ჭიქაში წითელ ღვინოს ჩააწვეთებდა და ისე სვამდა ხოლმე სადღეგრძელოებს. ჩაი კი მუდამ ბაცი უყვარდა — რძიანი, დაშაქრული...

ნასადილევს ერთი-ორი საათით აუცილებლად უნდა მოესვენა.

აკაკის ჭამის მადა, ვიდრე თვალის უპე დაუდამბლავდებოდა, მაინც ორიოდ კაცის ხსოვნაში თუ დარჩებოდა, მისი მოკალული კუჭის ამბავი.

დავით ფაღავას მთელი ცხოვრება საამაყოდ ექნებოდა, აკაკისთან ერთად რომ მოემზადებინა ლობიო... და ყველა დეტალიც, მასთან ურთიერთობისა, სხვა რომც არაფერი, აკაკის ოთახში ათევდა ხოლმე ღამეს.

ხოლო დომენტი ყიფიანი...

პატარა ბიჭი იქნებოდა, ასე 9-10 წლისა და სწავლობდა საჩხერის ოთხწლიან სკოლაში, რომელიც მოეთავსებინათ ნაქირავებ შენობაში. ვალერი სამხარაძე რომ ცხოვრობდა, სწორედ იმ სახლში.

ერთ დღეს მათ სკოლას ეწვეოდნენ ელისაბედ წერეთელი და აკაკი.

გამოიყვანდა მასწავლებელი მოწაფეებს გარეთ, ეზოში და დასხამდა ცაცხვის ძირში, სადაც დახვდებოდნენ სტუმრები.

ელისაბედი ჰკითხავდა მასწავლებელს:

— აბა რომელმა ბავშვმა იცის აკაკის ლექსი, გვითხრას.

დომენტი თავს ვეღარ შეიკავებდა და იტყოდა:

— მე ვიცი!..

და ძალზე ხმამაღლა წაიკითხავდა „გაზაფხულს“.

ელისაბედს ძალიან მოეწონებოდა მის მიერ წაკითხული ლექსი, თავზე ხელს გადაუსვამდა და აჩუქებდა კონფეტს, რომელსაც ყმაწვილი თავის ამხანაგებს გაუნაწილებდა.

ერთი თხილის გულიო, რაღაც ამგვარი გამოვიდოდა.

რატომაც არა, კაცმა რომ თქვას?!.

და უეცრად აკაკი:

— ეხ, ქალბატონო ელისაბედ, მაგ ბავშვებს კონფეტი კი არა, სკოლა უნდათ, სკოლა.

ბავშვები ვერ შეატყობდნენ, ელისაბედს ეწყინებოდა აკაკის ეს ნათქვამი თუ გაეხარდებოდა, მაგრამ... სულ მალე ამ შემთხვევიდან ელისაბედი ძალიან კარგ სკოლის შენობას ააგებდა და იმ სკოლას დაარქმევდა ქალთა გიმნაზიას.

ხოლო დავით ჩხეიძეს, სოფელში მშობლებთან რომ იზრდებოდა, ბავშვობაში ყველგან და ყოველთვის ერთი და იგივე ესმოდა: ილია, აკაკი, აკაკი, ილია... რაკიღა მათი სიტყვა ხალხში ელვისსისწრაფით ვრცელდებოდა.

აკაკი მისი პაპის ძმის, დათა ჩხეიძის ახლო მეგობარი გახლდათ, იმ დროისათვის საკმაოდ განსწავლული კაცის, რომელიც ლექსებსაც წერდა. ისინი ისე ახლობლობდნენ, რომ აკაკი რამდენჯერმეც ეწვეოდა სოფელში.

პატარა დავითს სასწავლებელში მიბარების დრო რომ დაუდგებოდა, მალე თავს ქუთაისისაკენ უკრავდნენ მასაც და მის ორ ძმასაც, რომელთათვისაც თავდაპირველად გაძნელდებოდა დედ-მამასთან განშორება და სოფელთან გამოთხოვება, მაგრამ რა გაეწყობოდა — სწავლა ასე მოითხოვდა.

ქუთაისში დეიდასთან იზრდებოდნენ, გენერლის ქუჩაზე, ხუჯაძის სახლში. ზემო სართულში იდგა ჯაბა გურიელი — მამია გურიელის ძმა, რომლის მეუღლეც, ელეონორა თავდგირიძე, ყმაწვილებს ლამაზ და მეტად სათნო ადამიანად დაამახსოვრდებოდათ. უშვილო ცოლ-ქმარი დავითსა და მის ძმებს საკუთარი შვილებივით შეიყვარებდა.

ვის აღარ შეხვდებოდნენ ამ ოჯახში. პირველად აქ ნახავდნენ ილია ჭავჭავაძეს, გრიგოლ და კიტა აბაშიძეებს, კირილე ლორთქიფანიძეს. აქვე იხილავდნენ აკაკისაც — გურიელების ხშირ სტუმარს.

აკაკის ძალიან რომ უყვარდა ბავშვები, ესენი თავიანთ თავზე გამოცდიდნენ. განსაკუთრებული ალერსით მაინც დავითს მოეპყრობოდა — ძმებში ყველაზე უმცროსს.

შემდგომ ხშირად შეხვდებოდა პოეტს ქუთაისში, ოჯახებსა თუ სალიტერატურო საღამოებზე. მაშინ უკვე უფროსი კლასის მოსწავლე ბევრჯერ ნახავდა ქუთაისის ბულვარში მჯდარ აკაკის, და მასთან ერთად კირილე ლორთქიფანიძეს, კოტე ბაქრაძესა თუ სხვებს.

აკაკის იუბილე მთელი საქართველოს ზეიმად რომ იქცეოდა, ქუთაისი რას გამოაკლდებოდა ამ საქვეყნო დღესასწაულს და ქუჩები გადაივსებოდა ხალხით.

იმ თეატრალურ სეზონზე ქუთაისში მოინვევდნენ ჩვენი თეატრის დიდ მოამაგეს აკაკი ფაღავას, რომელიც „პატარა კახს“ დადგამდა, პატარა კახის როლს ცნობილი მსახიობი რომ შეასრულებდა — ნინო დავითაშვილი, ლევან ქვაბულაძისას კი — დავით ჩხეიძე. ამ წარმოდგენას აკაკიც დაესწრებოდა.

ერთხელ ქუთაისიდან მამასთან ერთად რომ მიემგზავრებოდა მატარებლით, სწორედ იმ კუპეში მოხვდებოდნენ, სადაც აკაკიც იჯდებოდა თავის ახლობელ კოტე აბდუშელიშვილთან ერთად. სხვიტორში მიდიოდა. როგორც ამათ სიხარულს არ ექნებოდა საზღვარი — ჩვენს საყვარელ მგოსანს შეეყურებთო, ისე სხვა მგზავრებისაც, ვაგონში მყოფნი სულ მის გარშემო რომ დაიწყებდნენ ტრიალს, სურდათ მასთან ახლოს ყოფილიყვნენ და ერთხელ კიდევ მოესმინათ აკაკის მოსწრებული სიტყვა-პასუხი.

ერთ-ერთი მგზავრი იმდენს აქებდა აკაკის, რომ გადააჭარბებდა. და როდესაც იგი კუპედან გადიოდა, აკაკი იტყოდა:

— ჩემი ამდენი ქებით თქვენც შეგაწუხათ და მეც დამღალა!..

ხოლო მიხეილ ქორელი...

8 წლისა იქნებოდა, როდესაც თბილისში მამასთან, ფილიმონ ქორიძესთან პირველად ნახავდა აკაკის.

ერთხელ ის და მისი ტოლ-ამხანაგები ოთახში ითამაშებდნენ, უფრო სწორად, იქაურობას აიკლებდნენ, ყველაფერს თავდაყირა დააყენებდნენ, სპექტაკლს მოაწყობდნენ. იმხანად ბავშვები ჯეიმზ ფენიმორ კუპერის სათავგადასავლო რომანებით იყვნენ გატაცებულნი და მიშა წითელკანიანს — „შევარდნის თვალს“ ითამაშებდა, ხოლო მისი ამხანაგები — ევროპელებს. ამ დროს მამა დაუძახებდა და ამას დასცეცხლავდა — უფროსის დაძახილზე დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადებულიყო, მაგრამ რანაირად? წითელკანიანის მოთამაშე ფეხშიშველა იქნებოდა, გული და სახე — წითელი და თეთრი საღებავებით მოთითხნილი. საჩქაროდ დაიწყებდა ჩაცმას. უცხო სტუმართან შესახვედრად აჩქარების გამო წონასწორობას დაკარგავდა.

— რა გაღელვებს, ლამის ცრემლები ჩამოგცვივდეს, — დამშვიდებას დაუწყებდა დედა და ხელს შეაშველებდა ჩაცმაში, — არაფერია, მამაშენს უნდა, სტუმარს შენი თავი გააც-

ნოს, აბა შენ იცი, თავი თავაზიანად დაიჭირე! ეს სტუმარი სულ სხვანაირია, ჩვეულებრივს არა ჰგავს.

სასტუმრო ოთახში რომ შევიდოდა, მოიბოდიშებდა მამის წინაშე და განზე გადგებოდა.

— აგერ, ბატონო აკაკი, ჩემი პატარა ვაჟი.

წინ წაიწევდა, როგორც წესი მოითხოვდა, და გაჩერდებოდა, იცოდა, ვიდრე უფროსი ხელს არ გამოუწვდიდა, თვითონ არ უნდა ეჩქარა.

— გამარჯობა, ყმაწვილო კაცო! — ხელს გამოუწვდიდა უცნობი ძია და მაგრადაც მოუჭერდა, როგორც თავის ტოლს.

ყმაწვილო კაცოო?!.

ამას გუნებაში გაეცინებოდა, სადაური ყმაწვილი კაცი ვარ, ძლივს რვა წლისა ვიქნებიო!..

თვალები ალერსიანად უღიმოდა სტუმარს:

— მეც ჩემო პატარა მეგობარო, ხანდახან ლექსებს ვწერ... ჩემი ლექსები პუშკინის ლექსებივით ლამაზი ვერ არის, მაგრამ ზოგი ჩემი მეგობარი, — გადახედავდა ფილიმონს და ეშმაკურად გადაუკრავდა, — ჩემს ლექსებს მოთმინებით კითხულობს.

— მისი იუმორი მაშინღა ვიგრძენი, როდესაც გავიზარდე, — ხშირად იტყოდა ხოლმე და არასოდეს ავიწყდებოდა აკაკის სიტყვები და ღიმილი.

აკაკი გვერდით მოისვამდა, მხარზე ხელს გადახვევდა და ესეც, გათამამებული, ჰკითხავდა:

— თქვენ მართლა ლექსებსა წერთ?

— მართლა!.. — დაუდასტურებდა სტუმარი, მამა კი დაუბეჯითებდა:

— შვილო! იცოდე და დაიხსომე: ეს ჩვენი სათაყვანო, საყვარელი პოეტია, აკაკი წერეთელი!..

მასთან ბაასით მოხიბლულ ყმაწვილს ენდომებოდა ბევრი რამ ეკითხა, მაგრამ დერეფანში ზარის ხმა გაისმოდა. მამა ბავშვს თავის ოთახში გაუშვებდა, აკაკის ხელს ჩამოართმევდა და გავიდოდა.

— კიდევ მალე მოვა ეს საყვარელი სტუმარი ჩვენთან? — ჰკითხავდა ყმაწვილი დედას, რომელიც დაამშვიდებდა:

— ახლა ხშირად იქნის.

ფილიმონ ქორიძე უკვე აღიარებულიყო საოპერო მომღერლად, ჯერ იტალიაში, შემდგომ კი თბილისის ოპერის სცენაზეც გამოდიოდა. საქართველოში დაბრუნებისთანავე ჩვენი ხალხური სიმღერა-გალობის შეკრებასა და ჩაწერას შეუდგებოდა და ევროპულ ნოტებზე გადაიტანდა, რათა ჩვენი მუსიკა კარგად და უცვლელად შენახულიყო.

ამ რთული შრომით დაღლილს აკაკი ამხნევებდა და ეუბნებოდა:

— ნუ გეშინია, ფილიმონ, ეს საქმე ბოლოსდაბოლოს კარგად დასრულდება!..

აკაკი ძველი ქართული სიმღერების აღდგენითა და შენახვით ძალიან რომ დაინტერესებულიყო, ეს გარემოება დააახლოებდა ფილიმონთან და მისი ოჯახის ხშირი სტუმარიც შეიქნებოდა.

ესწრებოდა ლოტბარისა და კომპოზიტორის მუშაობის პროცესს, ისმენდა ჩანაწერებს, დიდი ყურადღებით უსმენდა მომღერლებსაც და ზოგჯერ ისეც მოხდებოდა, რომ მის მიერ საჩხერესა და საერთოდ იმერეთში ბავშვობიდანვე გაგონილ კილოს უსწორებდა ფილიმონს.

ბავშვი კი ისე შეეჩვეოდა აკაკის კილოს, მის სასიამოვნო ღიმილს, მისი ასაკის შესაფერის და საგულისხმო თემებს, ეს ყოველივე ისე იზიდავდა, რომ როდესაც პოეტი წასვლას დააპირებდა, წუხდა ხოლმე.

შვილებსა და შვილიშვილებთან არასოდეს მოწყინდებოდა აკაკის გახსენება როგორც საყვარელი პიროვნებისა, რომ იმ წუთებში ვერც იგრძნობდი, რამხელა შემოქმედსა და მოღვაწეს შეჰყურებდი.

თუ ვინმე, კოლია ცქიტიშვილი და მისი სამეგობროც აედევნებოდა ხოლმე აკაკის, რათა კარგად დაენახათ მისი მართლაც ცასავით გაშლილი შუბლი და უშუალოდ მოესმინათ იმ

კაცის ნაუბარი, მთელი ქვეყანა რომ უგდებდა ყურს, ხელისგულზე ატარებდნენ და ეთაყვანებოდნენ.

მიჰყვებოდნენ და აკვირდებოდნენ.

ის კი მიდიოდა თავაწეული.

ერთხელ ბრმები შემოეყრებოდნენ და მოწყალებას სთხოვდნენ.

კოლიას ბავშვური ცნობისმოყვარეობა და მეხსიერება სადღაც სულსა და გულში ისე ღრმად ალბეჭდავდა აკაკის მოქმედებას, რომ აღარასოდეს დაავიწყდებოდა.

იგი მიუახლოვდებოდა უსინათლოებს, ჯიბიდან ფულს ამოიღებდა, დაურიგებდათ და თან გაბზარული, მთრთოლვარე ხმით დასძენდა:

— ე ნეტავი თქვენა, რომ ბრმები ხართ და ამქვეყანაზე ვერაფერს ხედავთ!..

გაოცება თქვენ ყმაწვილებისა უნდა გენახათ: ეს რა ხდება, აკაკი ბრმებს შენატრის, ის აკაკი, რომელიც ყველას სანატრელიაო!..

გვიან, როდესაც წამოიზრდებოდნენ და შეისწავლიდნენ მის შემოქმედებას, მიხვდებოდნენ იმ სიტყვების აზრს. ეს ხომ იგივე გულისტკივილი და ამონაკვნესი გახლდათ, ლექსად ასე რომ გაიწყობოდა: მაშ რაღად მინდა სიცოცხლე მე — აწმყოგამწარებულსა, თუ ვისაც ვეტრფი, ვინც მიყვარს, ვხედავ მას აოხრებულსაო?!.

და მაინც იმ წუთებს დროებით გულგატეხილობად ჩამოართმევდნენ, წამიერ იმედგაცრუებად, როდესაც პოლიტიკური სუსხი ძალიან მოეჭირებოდა ხალხს ყელში, თორემ განა მისივე ყიჟინი: არა, აყვავდეს იმედი! გულს ვერ გამიტეხს ჭაღარა! გმირებს ეძახის, უყივის ჩემი დაფი და ნაღარაო! — მართლაც მოწოდების ზარივით არა რეკდა?

და ვინც ხალხს გულში იმედისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის ჟინს უსახავდა, ბრმებს როგორ შენატრებდა?

არადა წრფელია იმ წუთას აკაკი.

მართლა ურჩევნია, თვითონაც დაბრმავებული იყოს, რათა მის დაუოკებელ ოცნებასა და ფანტაზიას ადვილად ველარ წაჰკრას ფრთა ყოფითმა რეალობამ და წარმტაცი და აღმამფრენი ილუზიებიდან არ გამოარკვიოს.

ისე რამდენი დროც უნდა გასულიყო, კოლია ცქიტიშვილს გუშინდელივით ახსოვდა აკაკის გაბზარული ხმაც და ამონაკვნესიც: ე ნეტავი თქვენაო!..

ბრმებს რომ ეგონათ, გულს გვიკეთებსო, თორემ როგორ შეიძლება დაეჯერებინათ, ვინმე ჩვენ შემოგვნატროდესო.

ეს ეპიზოდი რომ სცოდნოდა ხორხე ლუის ბორხესს, ჰოი რა აღტაცებით მიუჩენდა ადგილს თავისი ლექციების ციკლში, სიბრმავის აპოლოგიისას.

აღარც კი დარჩებოდა საქართველოში არცერთი ასე თუ ისე ცნობილი კუთხე, სადაც აკაკის იუბილე მისი თანდასწრებით არ მოეწყობოდა.

ზოგიერთ კუთხეს პირველად თავისი იუბილის დღეს ნახავდა.

და ეს ის კაცი, მოგზაურობის ჟინიც რომ არ ასვენებდა.

კიდევ კარგი, ახლა მაინც გადაავლებდა თვალს იმ სანახებსაც.

რაჭველები საყვედურს ჰკადრებდნენ:

— ჩვენი საამაყო აკაკი, რატომ აქამდე არ მობრძანდით ჩვენში?

ამას ჯიბეში ხელის ჩაყოფა არ დასჭირდებოდა პასუხისათვის:

— ადამიანი ტკბილეულს სადილის ბოლოსათვის შემოინახავს, და მეც ამ ულამაზესი კუთხის, რაჭის, ნახვა მოხუცებულობის დროისათვის შემოვინახე.

თბილისში გამართული პირველი იუბილისას გამოირკვეოდა, რომ:

ხელისუფლება მონაფეებს უფლებას არ აძლევდათ ამ საჯარო თავყრილობაში მონაწილეობა მიეღოთ.

ამის მიუხედავად ხონის საოსტატო სემინარიის მოწაფეები შეიკრიბებოდნენ და გადაწყვეტდნენ, რაც უნდა მოსვლოდათ, ქუთაისში აკაკის იუბილეზე თავიანთი დელეგატი გაეგზავნათ.

კრება დელეგატად ვარლამ ძიძიგურს აირჩევდა.

იმ დღესვე დაწერდა აკაკისადმი მისასალმებელ ლექსს.

სემინარიის მაშინდელი დირექტორის, ალექსი ჭიჭინაძის რჩევით, სემინარიელის ფორმას გაიხდიდა, ერთ-ერთ პარიკმახერს, სერაფიონ ბარაბაძეს, ჩოხას გამოართმევდა, მოირგებდა და „მათხოვჯელი გლეხის“ სახელით გამოცხადდებოდა იუბილეზე.

მთელი ქალაქი ფეხზე იდგებოდა.

პატარა თეატრი პატარძალივით მორთული წარმოუდგებოდა ყმაწვილს.

საზეიმოდ გამოწყობილი 80 დელეგატი სცენაზე მოიყრიდა თავს.

თეატრი მაყურებლით გადაიჭედებოდა.

ქუჩები ხალხს ვეღარ დაიტევდა.

აკაკის თეატრში ცნობილი მეეტლის, მელიას, ეტლით მიაბრძანებდნენ, იმ მეეტლისა, რომელიც სამუდამოდ უნდა შემორჩენოდა ისტორიას მამია გურიელის კალამბურის წყალობით, ჭიათურიდან ქუთაისში ჩამოსული პოეტი ფეხით რომ დაადგებოდა გზას სადგურიდან და ცარიელი ეტლი წამოეწეოდა, საიდანაც დაუძახებდნენ:

— ბატონო მამია, გთხოვთ ჩაბრძანდეთ!

ეს კი ახედავდა მეეტლეს და შეჰღიმებდა:

შენ რომ გინდა, მელიაო,
იგი შემომელიაო.

ითაკილებდა მეეტლე, თუმც ღიმილს არც ის დაიშურებდა:

— როგორ გეკადრებათ, ფულს ხომ არ გთხოვთ.

შენ რომ გინდა, მელიაო...

ზოგიერთი გადმოცემა ამ ექსპრომტს აკაკის მიაწერდა და მის თხზულებათა 15-ტომეულის შენიშვნებშიც ასე აღინიშნებოდა, თუმც უფრო სანდო წყაროები — მათ შორის დავით კლდიაშვილის ნაამბობი — ამ შეხუმრების ავტორად არა აკაკის, არამედ სწორედაც მამია გურიელს იხსენიებს.

აკაკის არავისი არაფერი ესაჭიროება და... ეს ორსტრიქონედი რაღა სათქმელია!..

ისე სულაც არ გვიკვირს არავის, აკაკის რომ მიეწერა მისი ავტორობაც, ისევე როგორც არაერთი მახვილი სიტყვისა თუ კალამბურის, ზოგი მოხდენილისა და ზოგიც ბლაგვისა და უგემურის.

იგი შემომელიაო...

შესაძლოა აკაკისაც ეთქვა ეს სიტყვები, მაგრამ არა როგორც ორიგინალური, არამედ მამიასეული ღიმილი გაემეორებინა და კიდევ ერთხელ შეეცბუნებინა მეეტლე, ამასღა რომ ჩაიბურტყუნებდა: ფულს როგორ მოგთხოვთო.

თუკი ასე იყო და:

— ბახტაძისას მივდივარ, — მეტი მისამართი რაღა საჭირო იქნებოდა, ისედაც კარგად მოეხსენებოდათ მასაც და ყველასაც ილია ხონელის ძმის ადგილსამყოფელი.

ახლა დიდწვერა მეეტლეც და მისი ეტლიც საგანგებოდ გახლდათ მორთული.

ცხენები ნელი ნაბიჯით ივლიდნენ.

წინ მეზურნეები გამოუძღვებოდნენ და საამურად დაუკრავდნენ.

„ვაშას“ ძახილს მთელი ქუთაისი უნდა გაეყრუებინა.

სცენაზე ამოიყვანდნენ აკაკის და ყვავილებით მორთულ სავარძელში ჩააბრძანებდნენ.

დაიწყებოდა დელეგატთა გამოსვლები.

ვარლამ ძიძიგურს ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, რომ:

ზოგს ენა პირველად მაშინ ამოედგმოდა, ზოგსაც ნავარჯიშები ენა დაებმოდა. ბევრი ორატორი წახდებოდა, ბევრი მუნჯიც ამეტყველდებოდა.

„მათხოვჯელი გლეხის“ ლექსი ამ სიტყვებით უნდა გათავებულიყო: კურთხეულ იყავ... უკუნისამდე სადიდებელო და სასახელო... აწ უკვდავი ხარ, შენი ძეგლია ქართველთა გული და საქართველოო.

მგოსანს იქვე ჩასჩურჩულებდნენ: სემინარიის წარმომადგენელიაო.

აკაკი თავის იუბილეზე? იცინებდა, იოხუნჯებდა, ყველას მოეხვეოდა და კოცნას ვეღარ აუვიდოდა.

მის სამადლობელ სიტყვას კი ყველა უნდა დაეშაქრა.

მეორედ ვარლამს პოეტი ხონში უნდა ენახა, იქაურებიც რომ გაუმართავდნენ საიუბილეო საღამოს და ხონის მაშინდელი მეცენატის ივანე შარაშიძის ეზოში ვახშამსაც მოუწყობდნენ. ვახშამზე ამასაც სთხოვდნენ: მიესალმეო. და ვარლამიც სახელდახელოდ შეადგენდა აკაკისადმი მიძღვნილ ლექსს, რომლის დაბეჭდვისთვისაც 1909 წლის მეოთხე ნომერში ვალერიან გუნიას ჟურნალ „ბურჯი“ კონფისკაციას ვერ აცდებოდა, რედაქტორს კი ექვსთვიან ციხეს გადაუწყვეტდნენ.

ამ რედაქციაში იმხანად იოსებ გრიშაშვილიც რომ მუშაობდა, კონფისკებული ჟურნალის რამდენიმე ცალს შემოინახავდა მალულად და ერთს მოგვიანებით ვარლამ ძიძიგურს გადასცემდა საჩუქრად.

წიგნის პალატაში „ბურჯის“ ორი ეგზემპლარი რომ დატეულიყო, ერთში კი მთლიანად იკითხებოდა ეს ლექსი, მაგრამ მეორეში ორ სტროფს — მეოთხესა და მეექვსეს — შავი ლაქით დაფარავდნენ.

მკითხველს აღარ უნდა ენახა ეს სტრიქონები:

დროა გამოსვლის, დიდო სარდალო,
პატარა კახი ტოკავს, არ სცდება!
ბრმაც ხალხს მოუხმობს, როცა შენ გრგვინვით
ქართველთ შეგვძახებ: „კმარა მონება!“

და აღარც ეს:

მაშ, გაიხარე, წინ გაგვიძეხი!
ან აღარა ვართ ღონემიხდილი,
და შენებურად კვლავ შემოგვძახე:
„ან გამარჯვება და ან სიკვდილი!“

გამკაცრებულიყო დროება, ოღონდ ეს ის გამკაცრება აღმოჩნდებოდა, აგონიას რომ დაემგვანებოდა, ბოლო გაფართხალებას ხელისუფლებისა, რამდენიმე წელიწადში ხელიდან რომ გამოეცლებოდა მართვის სადავეები და... ჩვენც გვებოძებოდა ის ნანატრი დამოუკიდებლობა, რომლის საძირკველშიც ჩაღვრილიყო ილია ჭავჭავაძის სისხლი, კვლავაც და კვლავაც რომ იხილებოდა, და წიწამურის შემდეგ ყველას ფიქრი და გულისთქმა — რა გასაკვირია, რომ — აკაკი წერეთელზე გადაინაცვლებდა, მას შეაჩერდებოდნენ იმედითა და მოლოდინით, როგორც ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მთავარსარდალს.

ისღა რჩებოდა ილიას შემდგომ!..

დროა გამოსვლის, დიდო სარდალოო...

ეს არ გახლდათ ყმაწვილური აღტკინების გამოხატულება, გადაჭარბებული პათეტიკა თუ ჰიპერბოლა, არამედ — დადასტურება საერთო განწყობილებისა და რწმენისა.

მოახლოებულიყო გადამწყვეტი ჟამი.

სულ უფრო მძლავრობდა მისი სუნთქვა, ვაჟა-ფშაველაც ასერიგად რომ აეყოლიებინა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების დაჩქარებასაც მოინდომებდა, ვიდრე წიწამურის ტრაგედია არ ჩაუშოშმინებდა მგზნებარებას და არ უკარნახებდა იმ სიბრძნეს, ლათინებს ასეთ ლაკონიურ ფორმულად რომ ჩამოექნათ: ნელა იჩქარეო!..

წიწამური მიახვედრებდა, რომ პოლიტიკური მდინარება გაცილებით რთული იყო, ვიდრე ერთი შეხედვით მოჩანდა და რევოლუციური განწყობილებანი ასე ადვილადაც არ გადაიზრდებოდა ეროვნულ აჯანყებაში.

რაღაც დარღვეულიყო საზოგადოებრივ ცნობიერებაში.

რაღაც ბარიერები მოშლილიყო.

გამრუდებას ჯერ მხოლოდ გაბრიელ ეპისკოპოსი და ილია ჭავჭავაძე თუ ხედავდნენ, ახლა ვაჟა-ფშაველაც უნდა შემატებოდათ: აჩქარებით უნებლიეთ ქვეყნის საზიანო არაფერი მოვიმოქმედოთო.

დრტვინვა კი გრძელდებოდა და გრძელდებოდა, რევოლუციური განწყობილება ხელისუფლების მწვავე რეაქციის შემდგომ წამიერად თუ შენელდებოდა, თორემ ფარულად კიდევ უფრო მომძლავრდებოდა და... ხალხი აქეთ-იქით რომ იხედებოდა, აკაკის მონუმენტური ფიგურა კიდეც ამშვიდებდათ შინაგანად და კიდეც ამხნევებდათ მომავალი ბრძოლებისათვის, რაღაც დიდ და გარდუვალ ცვლილებას თანდათანობით ყველა რომ გრძნობდა, ეგაა — როგორი იქნებოდა ეს ცვლილება, რამდენად სასიკეთო ქვეყნისათვის?!.

ამაზე დაე აკაკის ეტეხა თავი.

მთავარსარდლობა თუ ენება და იფერებდა კიდეც, მაშ ეწინამძღვრა აგზნებული ხალხისათვის და ის შეძახილიც გაემეორებინა, ჩვენი ისტორიული მეხსიერება და ყურთასმენა რომ შეჩვეოდა: ან გამარჯვება, ან სიკვდილიო!..

მეორე დღეს კი ალექსი ჭიჭინაძეს აკაკი სემინარიაში უნდა მიეყვანა და ვარლამისა და მისი მეგობრის, ილია გოგიასათვის წინასწარვე შეეთავაზებინა: პოეტის თანდასწრებით ჩაატარეთ გაკვეთილიო. მაშინ ასე ხდებოდა ხოლმე, რომ უფროსი კლასის მოსწავლეებს ავარჯიშებდნენ გაკვეთილების გადაცემაში.

ესენი სწრაფად მოემზადებოდნენ — გაკვეთილები უნდა ჩაეტარებინათ სემინარიასთან არსებულ ორკლასიან სასწავლებელში. ორ ჯგუფთან ერთდროულად უნდა ემეცადინათ.

გაკვეთილის პირველ ნახევარს ორივე ჯგუფთან ვარლამ ძიძიგური ჩაატარებდა, მეორე ნახევარს — ილია გოგია.

და ეს ერთ ჯგუფს რომ ასწავლიდა აკაკის „გაზაფხულს“: დღეს მერცხალი შემოფრინდა ჭიკჭიკითა შემომძახაო, — მეორე ჯგუფს ილიას „გაზაფხულს“: აყვავებულა მდელო, აყვავებულა მთებიო...

სწორედ იმ საპროგრამო ლექსს, რომელში გაელვებული მერცხლის ჭყივილიც აკაკის ყურსა ჭრიდა, ისევე, როგორც სხვა არაერთ მკითხველსაც: რამ ათქმევინა ეს ილიას, სად მერცხალი და სად ჭყივილიო.

ზარი დაირეკებოდა... და ვარლამს ისეთი განცდა გაუჩნდებოდა: ჩემი გულიც ზარივით რეკავსო.

შევიდოდა კლასში და კიდეც შემოჰყვებოდნენ: აკაკი, ივანე შარაშიძე, ალექსი ჭიჭინაძე და მთელი ამალა. რადგანაც საკლასო ოთახი ამდენ სტუმარს ვეღარ დაიტევდა — ვარლამის კლასის 21 ამხანაგიც შემოერთებოდათ (რაკიღა ერთმანეთის გაკვეთილებს, როგორც წესი, ესწრებოდნენ) — ისინი იძულებულნი შეიქნებოდნენ გარეთ გასულიყვნენ და გაღებული ფანჯრების გასწვრივ დამდგარიყვნენ.

გაკვეთილს დაწყებით კი დაიწყებდა, მაგრამ... 3-5 წუთის განმავლობაში მოწაფეების ყურადღებას ვერ დაიპყრობდა. რა გასაკვირია, რომ ყველა აკაკის მისჩერებოდა. ზოგს მალულად ამოეღო წიგნი და გადაეშალა იმ გვერდზე, სადაც აკაკის სურათი მოეთავსებინათ, და წამდაუწუმ ხან აკაკის უცქეროდნენ და ხანაც მის სურათს. ყმაწვილ პედაგოგს დასჭირდებოდა „ცხელი თვალის“ ჩვენება, რათა მონაფეები გამოთხოვებოდნენ თავიანთ სიამოვნებას და იმ წუთას მათთვის ნაკლებ საამო საქმეს — გაკვეთილის მოსმენასა და საჭირო პასუხის მიცემას შედგომოდნენ.

გაკვეთილი ჩატარდებოდა და მოწაფეები მასში ცხოველ მონაწილეობას მიიღებდნენ. ასევე მოთავდებოდა მეორე გაკვეთილიც.

აკაკი გადაეხვეოდა ორივეს — ვარლამსაც და ილიასაც, გადაკოცნიდათ და ეტყოდათ:

— გული დამწყვიტეთ, ყმაწვილებო! ჩემს დროში სად იყო ასეთი გაკვეთილები...

მერე ალექსი ჭიჭინაძესაც გადაუხდიდა მადლობას და გარეთ გავიდოდა, და ვარლამი იგრძნობდა, თუ როგორ მიჰყვებოდა აკაკის მისი გული და სიყვარული...

მეორე დღეს ქუთაისამდე გააცილებდნენ მგოსანს — უამრავი ეტლით გაჰყვებოდა დიდძალი თაყვანისმცემელი. გზად, გუბში, აკაკისთან ერთად სურათსაც გადაიღებდნენ.

მათთან ხონის რაიონის ბოქაულიც, ლიბერალად ცნობილი ავქსენტი ფაღავაც იმყოფებოდა, სურათის გადაღებისას აკაკის გვერდით რომ მოუჯდებოდა, მაგრამ... ეს არ იყაბულებდა და... დარცხვენილი ბოქაულიც იძულებული გახდებოდა უკან დამდგარიყო და ეპოლეტებიც მიემალა.

კიდევ ერთხელ რომ მოუწევდა აკაკის ნახვა ვარლამ ძიძიგურს, ვიღაცას პოეტისათვის უნდა გაეხსენებინა: ეს ის „მათხოჯელი გლეხიაო“.

თუმც მანამდე ამ ეპიზოდების გამოტოვება არ ივარგებს:

ხობის სემინარიელთა უმრავლესობა რომ რევოლუციონერობდა, თითო-ოროლა შავრაზმელიც უნდა გამორეულიყო მათ შორის, და აი ერთხელ ქართველი სემინარიელები თავიანთ არაქართველ ამხანაგებს — ოსებს, ბერძნებსა თუ თათრებს — აცნობდნენ აკაკის ვინაობას... ხელთ ეპყრათ ალექსანდრე ხახანაშვილის წინასიტყვაობით გამოცემული ბროშურა — აკაკის ლექსების თარგმანები. წაუკითხავდნენ ამ ბროშურას ამხანაგებს და აჩვენებდნენ ყდაზე მოთავსებული აკაკის სურათსაც.

ერთი მონაფე, ოსტროუხოვი, გესლიანად წამოიძახებდა:

— პრანჭია და მკვეხარა ყოფილა თქვენი აკაკი, რაა, თავზე რომ შემოუდვია ხელი და სურათი ისე გადაუღია? ვითომ რაო და შემომხედეთ, რა დიდი ჭკუა და თავი მაქვს.

ეს სიტყვები ისე გააბრაზებდათ, რომ ეცემოდნენ ამ სიტყვების მთქმელს, მაგრამ აქეთ-იქიდან ჩაერეოდნენ და გააშველებდნენ, მორიგე მასწავლებელი კი... ამათ დატუქსავდა.

იმავე ხანებში, 1909 წლის მარტში, ოფიციალურად დაევალებოდა ხობის სემინარიასაც, რომ გადაეხადათ ნიკოლაი გოგოლის ასი წლისთავი. და ვარლამ ძიძიგური უარს განაცხადებდა საიუბილეო ზეიმში მონაწილეობაზე. რუსები ითაკილებდნენ და სასწრაფოდ უჩივლებდნენ დირექტორთან, რომელიც თავის კაბინეტში გამოიძახებდა და „განდგომის“ მიზეზს ჰკითხავდა.

ამას პასუხი მზად ექნებოდა:

— მთავრობამ აკაკი წერეთლის იუბილეში მონაწილეობის ნება არ დაგვრთო, გოგოლის იუბილეს კი გვაძალებს.

მოგვიანებით ამგვარ პასუხს ასე ახსნიდა: უთუოდ აღელვებისა და წუთიერი აფექტის გავლენით მომიხდა, თორემ 19-20 წლის ყმაწვილმა, ცნობილი პედაგოგის იანოვიჩის მონაფემ, კარგად ვიცოდი რუს კლასიკოსთა წონა-ფასი, ის კი არა, ჩემეული თარგმანი მაქსიმ გორკის გახმაურებული ლექსისა „ტუსაღის სიმღერა“ ამაზე ამოდის, ისევ ჩადის, ჩემს საკანში მუდამ ბნელაო, — იმ დროს უკვე დაბეჭდილიც იყო „ნიშადურის“ ფურცლებზეო.

ალექსი ჭიჭინაძე გაიცინებდა:

— ასეთი შემთხვევის გამო იტყვიან: ცხენს ვერ მოერია და უნაგირს ამტვრევსო. რუსეთის მთავრობა და ჩინოვნიკები არიან ცუდები, თორემ გოგოლი და რუსი ხალხი კარგია.

და ურჩევდა: იუბილეში მონაწილეობა აუცილებლად მიიღეო.

ეს შეპირდებოდა, ოღონდ იმ პირობით: ნება უნდა დამრთოთ, გოგოლი ვაქო, ხოლო რუსი ჩინოვნიკები ვაქიაქოო.

და ნებართვას რომ მიიღებდა, კიდეც დაწერდა ასსტრიქონიან ლექსს, რომელსაც ასე იწყებდა: მგოსანო, როცა შენი ქვეყანა სულმთლად გაიხრწნა ბილწ ჩინოსნებით, ჩინოვნიკებმა, გოროდნიჩებმა, თავის გამოჰყვეს თვის ამალებით, — მაშინ გამოჩნდი, შორს ხარხარებდი ზნედაცემულთა გასასწორებლად... მთელი სიცოცხლე იშრომ-იღვაწე და ეს ნაღვაწი დიდგი ძეგლადო!..

შემდეგ ახასიათებდა ამ ჩინებული სატირიკოსის ღვაწლს კაცობრიობის წინაშე და ასე აგვირგვინებდა: შენს წინაშე ქედს იხრის მთელი რუსი ხალხი, მას უერთდებიან: კავკასია, პოლონეთი, ციმბირი, ფინეთი — შენი სახელი წმინდაა და დიდი ყველასათვის! შენ არა-მარტო შენი ერის სიამაყე ხარ, არამედ — მზე ყველასათვისო!..

ერთხელ სემინარიელებს საექსკურსიოდ ბაქოში რომ წაიყვანდნენ, იქიდან გამობრუნებულებს ორიოდე დღე ტფილისში გააჩერებდნენ. ვარლამი აქ ყოფნით ისარგებლებდა და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში შეივლიდა, სადაც მისი მეზობელი სამსონ ფირცხალავა მუშაობდა.

იქ ნახავდა აკაკისაც.

მასთან ერთად ისხდებოდნენ ორი შიო: არაგვისპირელი და მღვიმელი (ჯერ რომ ძმისაგან არ განერჩეოდათ ერთიმეორე, ვიდრე სამუდამოდ დაემდურებოდნენ და დაჰკარგავდნენ ერთმანეთს), და კიდევ სხვანი.

და სწორედ იმ წუთას შეაღებდა კარს, როდესაც შიო მღვიმელი აკაკის მეგობრულად გადახვევდა ხელს მხარზე და ეტყოდა:

უსამართლობის გულისთვის
შევებრძოლები ქვეყანას,
რას მომცემს, ან რას წამართმევს,
გული რომ დამწყდეს, მისთანას...

აკაკი იმ დღეს კარგ გუნებაზე იქნებოდა და ბევრსაც იოხუნჯებდა.

და მაშინაა სწორედ, სამსონ ფირცხალავა რომ გაახსენებდა მის იუბილეზე სიტყვით გამოსულ „მათხოვჯელ გლეხს“.

მგოსანი გაიღიმებდა და სემინარიის ამბავს გამოჰკითხავდა. და ესეც მოუყვებოდა სემინარიელთა გაფიცვებისა და ალექსი ჭიჭინაძის გამბედაობის შესახებ.

აბა სხვა რა ითქმის, როდესაც:

გენერალ ალიხანოვის თარეშის დროსაც კი სემინარიაში აწყობდნენ არალეგალურ საღამოებს, გაფიცვებს, მოჰყავდათ და უსმენდნენ პარტიულ პროპაგანდისტებს... და ყოველივე ამაში ხელს უწყობდათ მხცოვანი პედაგოგი და დირექტორი.

მალე აკაკი ისევ ოხუნჯობას წამოიწყებდა და ერთ ახალგაზრდა მწერალს რომ ახსენებდა, დასძენდა:

— მისგან რა პოეტი გამოვა, დღეში თორმეტ ლექსს წერს.

ყველა იცინებდა.

ამ დროს „ვიღაც“ კაცი, ცალთვალჩამოხეული, წვერგაპარსული, დაგლეჯილჩოხიანი და ყაბალახიანი ბოლთას დასცემდა ოთახში, აკაკის ყურს არ უგდებდა და თითქოს რაღაცაზე ფიქრობდა... და ვარლამი მიუტრიალდებოდა სამსონს:

— ნეტა ვინ არის ეს კაცი?

ის გაიკვირვებდა:

— ნუთუ არ იცნობ? გაგაცნობ. ეს ვაჟა-ფშაველაა.

ამას ვაჟა უნახავად უყვარდა და ზეზე წამოიჭრებოდა მის გასაცნობად. გაცნობის უმალ კი კითხვებს მიაყრიდა:

— სურათში სხვანაირი ხართ, წვერი რად მოგიპარსავთ? თქვენ ხომ დიდი მწერალი ხართ, ასე ღარიბულად რად გაცვიათ?..

ეს კი მოერიდებოდა ეკითხა: თვალი რამ წაგიხდინათო.

და ვაჟა:

— აბა საიდან ვიყიდი ფარჩებს, განა მწერლობა მაძლევს დიდ ფულს? აი ახლახან გამოვიდა ჩემი წიგნი „ცრემლები“, გამომიცა „სორაპანმა“, გამირიგდა, სამ მანეთს მოგცემო, წიგნები გაყიდა, ფული მოიგო და... ოცი მანეთის მეტი არ მარგუნა.

ვარლამს გული დაწყდებოდა. არც მთლად პატარა ბავშვი გახლდათ, მაგრამ მანამდე არ იცოდა, თუ მწერლის ნაღვაწი ასე მცირედ ფასდებოდა.

აკაკი წამოდგებოდა და გამოაცხადებდა:

— ტრამვაის ფული არა მაქვს, მასესხეთ ერთი შაური.

ეს მთლად დაიბნეოდა ამ სიტყვების მოსმენისას, დააპირებდა ფულის ამოღებას, მაგრამ ვერ გაბედავდა. ისევ სამსონ ფირცხალავა გამოიდებდა თავს, ვერცხლის ორშაურიანს ამოიღებდა და მიაწვდიდა:

— ჩემს „ფასკუნჯში“ გასულ კვირას შენი ლექსი რომ დაიბეჭდა, იმისი სათაურის ფასია.

აკაკი ამ შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებდა:

— მე შაური მინდა, მეორე შაური ვინმე მათხოვარს უნდა მივცე, მაგრამ ჩემზე მეტ მათხოვარს ვისღა ვნახავ...

სიცილით გამოართმევდა და გავიდოდა.

ვარლამი კიდევ რამდენჯერმე ნახავდა აკაკის:

ხან რკინიგზის სადგურზე სადღაც მიმავალს.

ხან სცენაზე — ლექსის თქმისას.

ერთხელ სცენაზე მდგარს ლექსი დაავიწყდებოდა და... ბავშვი პარტერიდან სიცილ-კისკისით უკარნახებდა.

ხშირად მოჰკრავდა თვალს ქუთაისის ბაღში, თავის საყვარელ პატარებში ჩამდგარს, მომღიმარსა და მოცინარს.

ხოლო ვასილ წერეთლისათვის...

აკაკი მკვიდრი ბიძა გახლდათ — ერთის მამა მეორის უფროსი ძმა იყო. და ძია აკაკის, ბუნებრივია, ბავშვობიდანვე იცნობდა. მეხსიერებაში არ აღებეჭდებოდა მისი პირველი ნახვის შთაბეჭდილება, და ალბათ იმიტომაც, რომ ხშირად ხედავდა — უყვარდა მასთან ყოფნა და მისი ლაპარაკის მოსმენა. ჯერაც იმხანად, როდესაც სკოლაშიც არ ყოფილა მიბარებული და წერა-კითხვაც კი არ იცოდა, აკაკი ახდენდა უდიდეს შთაბეჭდილებას თავისი მომხიბლავი ლაპარაკითა და გარეგნობით.

დაახლოებით შვიდი წლისა იქნებოდა, როდესაც ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტს გადმოასვენებდნენ და დაკრძალავდნენ დიდუბეში. შინ რომ მობრუნდებოდნენ ვასილის დედმამა და მახლობელი ნათესავები, დაიწყებდნენ საუბარს ბარათაშვილზე და მისი დასაფლავებისას ილიას, აკაკისა და სხვა მწერალთა მიერ წარმოთქმულ სიტყვებზე. და იმ დღიდან ყმაწვილმა უკვე იცოდა, რომ ბარათაშვილი, ილია, აკაკი იყვნენ დიდებული პოეტები.

ერთ საღამოს აკაკი რომ ესტუმრებოდათ სხვიტორში, 90-იანი წლების დამდეგს, კარგ გუნებაზე იქნებოდა და ძმასთან დიდხანს ისაუბრებდა გამარუსებელ პოლიტიკასა და შავრაზმულ მოქმედებაზე „პოპეჩიტელ“ იანოვსკისა და მღვდელ ვოსტორგოვისა. ყმაწვილი სულგანაბული მოუსმენდა ამ ფრიად სერიოზულ საუბარს. აკაკი მიუბრუნდებოდა, შემოხედავდა, ცხვირზე თითს წაუთათუნებდა და ჩააცქერდებოდა. ამის მიზეზი ის იქნებოდა, რომ ვასილი ჯერ სულ პატარა გახლდათ ასეთი ღრმა საუბრის მოსმენისათვის, მაგრამ მას არ გამოეპარებოდა მათი არცერთი სიტყვა და გულში მწარედ მოხვდებოდა. იმ დღეს გაიგებდა, თუ როგორ იდევნებოდა ქართული ენა სკოლებიდან.

დაამახსოვრდებოდა აკაკის ნათქვამი, რომ:

ქართველი საზოგადოების ერთ-ერთ წრეს, რომელშიც თვითონ მგოსანიც ერია, გადაეწყვიტა დაენიშნა იანოვსკისათვის ტერორი და ამ აქტის შესრულება მიენდოთ ერთი პიროვნებისათვის, მაგრამ მას ვერ შეესრულებინა დავალება. და მასზე გულდაწყვეტით იტყოდა აკაკი:

— იმოქმედა იანოვსკის კაკარდამ.

ერთხელ ქუთაისში, ბეჟან წერეთლისას, 1905 წელს აკაკი მოიგონებდა ძველ ამბავს და ახსენებდა ერთ გუბერნატორს, კოლუბიაკინს, რომლის წინააღმდეგაც გაილაშქრებდა საზოგადოებაში. ამ ადამიანის წინააღმდეგ ღონისძიებაც კი დაისახებოდა. ვიღაცა მიუტანდა ენას გუბერნატორს, რომელიც შეხვედრისას აკაკის ეტყოდა:

— გეტყობა, ჯერ კიდევ გამოუცდელი და ყმაწვილი ხარ.

ბევრჯერ მოესმინა აკაკისაგან გელათის გაძარცვაზეც გუბერნატორ ლევაშოვის მიერ, რომელიც, სხვა ძვირფას განძეულთა შორის, წაიღებდა თამარ მეფის ჯვარსაც, მოჭედილს ძვირფასი თვლებით.

ცხოვრებაში ძალიან თავმდაბალი რომ გახლდათ, ყველა მიმსვლელს განსაკუთრებული თავაზიანობით ხვდებოდა. ერთხელ ვასილი შეესწრებოდა: ნასადილევს აკაკის ერთი გლეხი ესტუმრებოდა, აკაკი უბრძანებდა მზარეულს, ქათამი დაეკლა და სტუმარს კარგად გამასპინძლებოდა.

1895 წელს სოფელ კორბოულში ერთ გლეხს, თევდორე სისვაძეს, ცოფიანი ძაღლი დაკბენდა. ის ჩააკითხავდა სხვიტორში დავით წერეთელს, რომელიც მისცემდა ფულს და გამოისტუმრებდა ტფილისში, სადაც მისი მეუღლე და ორი ვაჟი იმყოფებოდა — ვასილთან ერთად როსტომიც. რაკიღა ბავშვები პატარები იყვნენ, დედაც გამოჰყოლოდათ, მარიამ წერეთელი, რომელიც ბინას ივანე მაჩაბლის სახლში დაიქირავებდა. მეორე დღეს მარიამი მონახავდა აკაკის და ერთად წაიყვანდნენ გლეხს საავადმყოფოში და, ვიდრე სავსებით არ გამოაჯანმრთელებდნენ, იქ ეყოლებოდათ თავშეფარებული.

თევდორე ბევრჯერ იტყოდა:

— რა საქმე მიყავით, როგორ მომიარეთ ქალაქში, როგორ გადამარჩინეთ ამ უბედურებას. დიდებულმა აკაკიმ მომისვა გვერდით, ჩააბარა ჩემი თავი ექიმებს და მისი წყალობით განსაკუთრებული ყურადღებით მექცეოდნენ და მივლიდნენ.

ერთ საღამოს სხვიტორში სტუმრები რომ ეწვეოდნენ ვასილის ოჯახს და მათ შორის აკაკიც, ჩამოვარდებოდა ლაპარაკი ტერორის შესახებ. იმ დროს ქუთაისში ტერორისტებს ვიღაც მოეკლათ. სტუმრები ამ აქტის შემსრულებელს გულისწყრომით ახსენებდნენ და ამბობდნენ: რა მოსაკლავი კაცი ის იყოო.

ერთადერთი აკაკი იქნებოდა, რომელსაც არა წყინდა მომხდარი და აუხსნიდა დამსწრეთ:

— მოკლული ღირსი იყო სიკვდილისა, რადგანაც მათ მთავრობასთან რევოლუციონერები დააბეზღა.

ჯერ კიდევ ძველი წარმოდგენებით რომ უყურებენ ყველაფერს და... ვერა გრძნობენ და ვერა, დრო როგორ გამოცვლილა!.. არადა — ძალზე მკვეთრად!.. ძველი წარმოდგენები მიამიტობაზეა ამოზრდილი და ითვალისწინებს გარკვეულ წესებს, საზღვრებს, ჩარჩოებს, რომლის გადალახვაც არ ეფიქრებათ.

ახსნითაც ამ წესებისა და საზღვრების შუაგულში ეძიებდნენ ახსნას.

და აკაკისაც სრულიად უნდა გადასხვაფერებოდა მსოფლაღქმა წიწამურის ტრაგედიის შემდგომ, უკვე დაენახა ის, რაც შორს სცილდებოდა არამცთუ მორალურ კანონებს, არამედ მორალურ კანონთა მიღმაც დაუჯერებელი ჩანდა მანამდე.

ხოლო პაპუნა წერეთელი...

პაპუნა წერეთლისა და აკაკის სახლებს შორის, სხვიტორში, მდინარე გონჯურა ჩამორბოდა. გამოღმით ამათი სახლი იდგა, გაღმით კი, გორაკზე, აკაკის ციხისმაგვარი სასახლე. ბავშვობისას პაპუნას ხშირად გზავნიდნენ ხოლმე იმ შენობაში და ისიც ხტუნვითა და სირბილით მიიჩქაროდა, ანწლითა და ძეძვით მოდებულ ორღობეებში ცოტა არ იყოს შეშინებული მიხტოდა და თანაც გაიძახოდა: ქვა მოდის და თხილის ჯოხი, ქვა მოდის და თხილის ჯოხიო, — მაგრამ რაკიღა წლაროს მიაღწევდა, შიში უქრებოდა და შურდულივით აირბენდა აკაკის შეღმართს.

სახლის წინ მუდამ მრავლად ირეოდნენ ბაბუდა ანას „კლიენტები". ანას ექიმის სახელი განთქმოდა და არათუ ახლომახლო სოფლებიდან, შორიდანაც კი მოდიოდნენ მასთან სამკურნალოდ.

აკაკი ოხუნჯობდა ხოლმე:

— საოცარია ეს ჩემი და ანა, ყველა ავადმყოფობის წამალს ერთი და იგივე ქილიდან არიგებს.

დერეფანში ფუსფუსებდა ტანმორჩილი, მხრებში მოხრილი, შავებში გახვეული ნატალია, ანას მარჯვენა ხელი და მესაიდუმლე (პაპუნა 1936 წელს რომ ნახავდა აკაკიზე ამ ბევრად უფროს მოხუცს, გააოცებდა მისი უცვლელობა), ხოლო ძვალმსხვილი, ლოყებღაჟღაჟა და დიდღაბაბიანი ბაბუდა ანა წინა ოთახის კარის პირდაპირ, განიერ ტახტზე იწვა ხოლმე, იქვე მიეყუდებინა თავისი ყავარჯენიც.

ოთახში როგორი ავეჯი იდგა? ყოვლად უბრალო. და რამდენადაც მოგონების ავტორის მეხსიერებას შეეძლო აღედგინა, ის ავეჯი შეუცვლელად იდგა იმ ოთახში ამჟამადაც.

მაშინ კი დიდი მოკრძალებით ეახლებოდა ბაბუდას, ხელზე ეამბორებოდა და დაბარებულსაც მოახსენებდა, თან მოუთმენლად მოელოდა გემრიელი ჩურჩხელისა და ტკბილი კვერის მიღებას.

ყოველთვის მონიწებით შეჰყურებდა ამ მოხუცს, რადგანაც სმენოდა:

აკაკის მან ასწავლა წერა-კითხვაო.

ანას წამლების მარგებლობისა პაპუნას არა მოეხსენებოდა რა, თუმც ის კი ახსოვს, რომ დედამისს გამოულევლად ჰქონდა იმისგან გამზადებული „ყურსი", რომელსაც ხშირად აჭმევდა შვილს — მშვენიერს, მეტად არომატიანსა და გემრიელს.

აკაკი სოფლის ხალხის იმედი რომ გახლდათ, ამიტომაც უხაროდა ყველას მასთან საუბარი და მისი მოსმენა. უფრო ხშირად მაინც ძველი თაობის გლეხები ესაუბრებოდნენ პოეტს.

აკაკი სხვიტორში ხშირად ჩადიოდა — უყვარდა და ძალიანაც უყვარდა იქ ყოფნა, მშობლიურ გარემოში.

სამაგიეროდ მისი მეუღლე ნატალია ბაზილევსკაია სწყალობდა იშვიათად აქაურობას. ერთ ზაფხულს ჩამოვიდოდა და ჩამოიყვანდა მოხდენილ რუსის გოგოებს, რომლებიც წყაროზე რომ ჩაივლიდნენ, მთელი სოფლის ბიჭები იქ შეიყრებოდნენ და ულვაშების გრეხით აწონებდნენ თავს.

პაპუნას აკაკის მეგობრის — ივანე ელიაშვილის ცოლისაგან სმენოდა:

— აკაკის უყვარს თავისი ცოლი, მაგრამ მის მეტისმეტ მზრუნველობას ვერ იტანს.

იმ ზაფხულს კი, ნატალია სხვიტორს რომ ესტუმრებოდა, კარგი ამინდი იდგებოდა. აკაკისა და კოტე აბდუშელიშვილის აივანზე ექნებოდათ გაშლილი ლოგინი, ნატალია, ცხადია, ოთახში იძინებდა. და ერთ მშვენიერ ღამეს (მთვარიანი ღამეები ხომ საოცნებოა ამ სოფელშიო, — დასძენდა მემუარისტი) მას ძილი გაუკრთებოდა და დაუძახებდა ქმარს:

— აკაკი, აკაკი, რწყილები მჭამენ.

— მე რა გიშველო, ძვირფასო, — გაეპასუხებოდა აკაკი.

ის კვლავ შემოსჩივლებდა და აკაკი კოტეს მიუტრიალდებოდა:

— რას ჩამაცივდა ეს ჩემი ცოლი, რომელი მწევარ-მაძებარი მე ვარ, მაგის რწყილებს დასაჭერად რომ გამოვუდგე?!.

ცოტა ხნის მერე კვლავ მოისმოდა ძილგატეხილი ნატალიას ხმა:

— აკაკი, აკაკი, მითხარი რამე შარადა.

— რა უნდა გითხრა, როდესაც თვითონვე ხარ „შარ ადა“! — სიტყვათამაშის შესაძლებლობას მაშინვე ჩაავლებდა მისი მახვილი გონება და არ დაგიდევდა, ცოლს „ჯოჯოხეთის ბურთს“ რომ მიამსგავსებდა, მემუარისტი თავის მხრივ რომ დასძენდა: ეს ოხუნჯობა გასაგები გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ ნატალია დაბალი ტანისა და სიმსუქნისაგან დამრგვალებული იყოო.

სიდაბლესა და დამრგვალებას ანუ ბურთთან მიმსგავსებას რა უშავს კიდევ იმ სიტყვათშეთანხმებაში!..

იმ ზაფხულს ქუთაისიდან ახალგაზრდები ჩამოვიდოდნენ და პირველ ყოვლისა აკაკის მოინახულებდნენ. ყვავილებს მოკრეფდნენ და მშვენიერი თაიგულით ხელდამშვენებულნი წარუდგებოდნენ, მაგრამ მასპინძელი არ მიიღებდა საჩუქარს სტუმრებისათვის გამაოგნებელი მოტივით:

— არაფერი დროზე ადრე სიცოცხლემომსპარი არ მიყვარს!..

ასე ზუსტად და სხარტად ნეტა სხვა რას შეიძლება წარმოეჩინა აკაკის ფსიქიკის გულისგული, მისი პიროვნული ხასიათის ერთი ყველაზე ნიშანდობლივი თვისება, მეტად საგულისხმო შტრიხი, არსებობის სტილის განმსაზღვრავი.

არაფერი დროზე ადრე...

თაიგული სხვა რაღაა?..

არ უყვარს, ხელოვნურად რომ უსპობენ სიცოცხლეს ყვავილებს და რა ჰქნას?!.

ახალგაზრდები რომ ვერ გაუგებდნენ და წყენა შეეტყობოდათ, აკაკი მიუბრუნდებოდა ერთ-ერთ მათგანს და სთხოვდა, ყვავილები ლარნაკში ჩაეწყო.

აკაკის უბრალოებისა და გულკეთილობის გამოვლინებად იმასაც მიიჩნევდა პაპუნა წერეთელი: ძალიან უყვარდა პირუტყვებიო.

ფული როდესაც ჰქონდა, რომ არ დაიშურებდა, ეს კიდევ ცალკე, და პაპუნას არც ის სმენოდა, ფული ესესხოს ვინმესგან და არ დაებრუნებინოს.

ივანე ელიაშვილის ცოლი უამბობდა:

ერთხელ აკაკი ბაქოში ჩავიდოდა, ფული ძალიან სჭირდებოდა და უშოვნიდნენ და ასესხებდნენ, და ივანეც თავის მხრივ მისცემდა რაღაც თანხას. სწორედ დანიშნულ ვადაზე პოეტი გადაიხდიდა იმ ფულს, მხოლოდ ივანეს ვალის დაბრუნებას ვერ მოასწრებდა. მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქაღალდებში იქნებოდა აღნიშნული ეს თანხა — როგორც პირველ რიგში გადასახდელი.

მასთან ყოფნა რომ ყველას უხაროდა, იმიტომაც:

უღარიბესი გლეხის სუფრაზედაც ხშირად სიამოვნებით მოილხენდა და თავის ჩვეულ მშვენებასა და სიხარულს შეიტანდა. მისი ყოველი სიტყვა ძვირფასი თვალმარგალიტივით

უხვად იბნეოდა გარშემო. ყველგან აღტაცებითა და მოწიწებით რომ ეგებებოდნენ, თვითონაც ტოლს არ უდებდა ხოლმე მასპინძლებს გულის გადახსნაში.

თუ შინ ბავშვები იმყოფებოდნენ, პირველად იმათ შემოაგებებდნენ ყმაწვილების უზომოდ მოყვარულ პოეტს, სიამოვნებით რომ ისმენდა მათ ტიკტიკს. ბავშვებსაც თავი მოჰქონდათ, რომ ძია აკაკის ბევრი ლექსი იცოდნენ ზეპირად და თავს იწონებდნენ მის წინაშე.

სადმე რომ მივიდოდა, დამსწრე საზოგადოებას ყველა და ყველაფერი ავიწყდებოდა და ყურადღების შუაგულში, რა გასაკვირია, აკაკი მოექცეოდა ხოლმე. ყველა ცდილობდა მოესმინა მისი ენამზეობა, მისი ბრძნული აზრები, მოსწრებული სიტყვა, პოეტური აღმაფრენით სავსე მეტაფორები.

აკაკისადმი თაყვანება და მისი პიროვნებით აღტაცება იმდენად დიდი იყო, კურიოზამდე მიდიოდა.

პატარა ბიჭობისას პაპუნა მახლობელ სოფელში წავიდოდა გასვენებაზე. საჩხერეში ერთადერთი გასაქირავებელი ეტლი ჰქონდათ — ვასილას ფაეტონი. ამ ეტლით აკაკი მიბრძანდებოდა და პაპუნა თავმომწონედ წამოსკუპდებოდა მეეტლის კოფოზე: დამხვდურები შორს შემოეგებებოდნენ პოეტს. შორიდანვე ისმოდა საშინელი გოდება, მაგრამ მიაღწევდნენ თუ არა დიდ ეზოს, ერთბაშად შეწყდებოდა.

— აკაკი მობრძანდა, აკაკი მობრძანდა, — გაისმოდა გარშემო.

აკაკის წინ შემოეგებებოდა ჭირისუფალი, რომელიც დატირებისას... მის ლექსს წაიკითხავდა.

ეს ამბავი გასაოცარი ჩანს?

სულაც დაუჯერებელი თუ მიუნჰაუზენურად გაბუქული?

პაპუნას არც გაუკვირდებოდა და არც ეწყინებოდა, თუკი ვინმეს ასე მოეჩვენებოდა, მას, რომელსაც არ მოეხსენებოდა, თუ რა განუსაზღვრელი ავტორიტეტი და სიყვარული დაემსახურებინა პოეტს ხალხში, მისი ტალანტი, იმისი ოლიმპიური გარეგნობა და ენაწყლიანი და შთამაგონებელი საუბრები რამხელა იმედოვნებასა და სიმხნევეს ნერგავდა ყოველ ადამიანსა და მთელს საზოგადოებაში, კიდით კიდემდე რომ გადაწვდებოდა.

ისე უფრო ტრაგიკომიკური სურათიც რაღა გნებავს, თომას მანი აღფრთოვანებული რომ დარჩებოდა, ეს ამბავი რომ მოესმინა და პირველად იმას იკითხავდა: უკვე ხომ არავის გამოუყენებია ეპიზოდად რომანში, სწორედ საჭიროა, ახლა კი აღარავის დავუთმობო.

ვინც ტრაგიკომიკურობის ფასი იცის, ანკი სხვა რა შთაბეჭდილება დარჩება:

გამოსვენების წუთებია მოახლოებული, ჭირისუფალი კი გარეთ გამოვარდნილა და... აკაკის ლექსს კითხულობს პოეტის წინაშე მდგარი.

დეკლამაცია და... ამისთანა გარემოში?!.

თუმც — რატომაც არა.

და ნურავინ განაცხადებს: ამას მხატვრული ფანტაზიაც ვერ განჭვრეტდაო.

განა არსებობს ყოფით რეალობაზე უფრო დიდი და აღმამფრენი ფანტაზია?!.

1914 წლის მიწურულს პაპუნას, რომელიც ქუთაისში სწავლობდა, უნდა შეეტყო აკაკის ავადმყოფობა. იმ ოჯახში, სადაც ყმაწვილი ცხოვრობდა, ხშირად მიდიოდნენ საჩხერელები, ოღონდ საშიში ამბები ჯერ არავის მიეჭქონდა. ერთხანს იმასაც იტყოდნენ: აკაკის მდგომარეობა გაუმჯობესდაო, მაგრამ... იანვარიც მიიწურებოდა და...

აკაკი წუთისოფელს უნდა განშორებოდა.

ერთი თუ ორი დღის შემდეგ პაპუნას დიასახლისს მიუვიდოდა თხოვნა: ყმაწვილი საჩქაროდ გაეგზავნა საჩხერეში. და კიდეც ჩააბარებდნენ იქ მიმავალ ნათესავს და იმავე ღამეს სხვიტორში იქნებოდა. მეორე დილით ადრიანად აკაკის სახლში გადაიყვანდნენ. მთელს სახლსა და ეზოში არაჩვეულებრივი მიმოსვლა ატყდებოდა, მაგრამ ამ ფუსფუსშიც იგრძნობოდა დიდი მწუხარება — აქ ესვენა ქართველთა საამაყო ცხედარი.

ამ დღიდან ყოველ სისხამზე გადადიოდა ხოლმე აკაკისას და გვიან ღამით ბრუნდებოდა შინ. კარგი დარები იდგებოდა.

დღემუდამ საქართველოს ყოველი კუთხიდან სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენელნი ჩამოაკითხავდნენ. მთელი ეზო გადავსებული იქნებოდა შორიდან მოსული გლეხებითაც. სხვიტორელები ხომ, ქუდზე კაცი, ერთიანად აქ ტრიალებდნენ.

ბავშვები გარბოდნენ იქვე ტყეში, ჰკრეფდნენ აქა-იქ ამოჩენილ ტყის მორცხვ ყვავილებს: კორჩიოტას, იასა თუ სხვებს და აბნევდნენ აკაკის ცხედრის გარშემო, თან გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს, რაც ირგვლივ ხდებოდა. საღამოობით კი სულს უწუხებდნენ შინაურებს გამოკითხვებით.

ეყრებოდა ცხედარს ახალ-ახალი კონები ყვავილებისა, და არა სიამოვნებდა პოეტის აჩრდილს ყმაწვილთა ეს თავგამოდება, მაგრამ რა ეღონა, როგორღა შემოეთვალა მათთვის: არ მიყვარს არაფერი — დროზე ადრე სიცოცხლემომსპარიო.

დაე ყვავილებს მაინც ეცოცხლათ თავთავიანთ ბუნებრივ აღსასრულამდე — იასაც, კორჩიოტასაც... სხვათაც...

და ეცოცხლა ყოველ სულიერს — პეპლებს რა დაეშავებინათ, ან ჭიანჭველებს, ან თუნდ ქუნქლებსა და რწყილებს, ნატალია გამწარებული რომ გამოსძახოდა ოთახიდან: შემჭამეს და ეგ არისო. რომელი მწევარ-მეძებარი აკაკი გახლდათ, რწყილებს რომ დადევნებოდა, მაგრამ კიდეც რომ ყოფილიყო, არ მოუსპობდა არსებობას დროზე ადრე რწყილსაც...

აკაკი, აკაკი, მითხარი რამე შარადა...

მაინც ვეღარ დაეძინა და ეგებ ქმრის მახვილსიტყვაობით გაეყვანა საათები, ეს დროს რომ იხელთებდა და...

შარ ადა... შარ ადა...

თვითონ შარადა იშლებოდა ასე და... აკაკის რა ეღონა, თუკი მოსწრებული სიტყვის შეჩერების წინაშე უძლური გახლდათ. არავის დაინდობდა, არავის მოერიდებოდა, თუკი ის ადამიანი ფრთიანი სიტყვის შუაგულში მოექცეოდა და დაე ნატალია ბაზილევსკაიას თავი დაედანაშაულებინა: ეს „შარადა“ რამ მათქმევინა, ეს რა საკბილო მივეცი ჩემი ხელითვეო.

ყვავილები მიმობნეულიყო ცხედარზე, ნაადრევად თავამოყოფილნი და ნაადრევადვე შეწირულნი იმ კაცის ხსოვნას, ერთი რა არის, ერთი ყვავილიც რომ არ მოეწყვიტა თავის სიცოცხლეში: დროზე ადრე სიცოცხლე როგორ მოვუსპოო!.. და არც ჭიისათვის დაედგა ფეხი: ეგეც ღვთისაგანაა გაჩენილიო...

ხოლო პაპუნა წერეთელი აკაკის ავადმყოფობის ისტორიას რომ წარმოსახავდა...

თავი V

ყოფითობისა და ფანტაზიის გადაკვეთაზე

თუმც მანამდე ჯერ ადრეა და... თვალწინ ამოიზიდება კვლავ ის გრანდიოზული იუბილე, ქუთაისი რომ გადაიხდიდა აკაკის სამწერლო მოღვაწეობის 50 წლისთავთან დაკავშირებით.

და სერგო კლდიაშვილის თვალში ეს დღესასწაული გაიგივდებოდა შორეულ წარსულში გამართულ სახალხო მისტერიებთან.

სხვას ვერც ვერაფერს შეუდარებდა.

ყველა სხვა შედარება დაკნინებული და გაფერმკრთალებული მოეჩვენებოდა.

საზეიმო დილასაც და საღამოსაც, თეატრში რომ მოეწყობოდა, დავით კლდიაშვილის უხელმძღვანელებდა. იგი დილაადრიანვე გაემგზავრებოდა თეატრისაკენ და თან სერგოსა და მის მომდევნო ძმასაც წაიყვანდა.

მიუხედავად ადრიანობისა თეატრის ახლომახლო ქუჩებში და ბაღის ირგვლივ უკვე უთვალავი ხალხი მოიყრიდა თავს და ესენი გაჭირვებით თუ გაიკაფავდნენ გზას.

თეატრის დარბაზი და სცენა სადღესასწაულოდ იქნებოდა მორთული. სცენის შუა ადგილას, ნოხებით დაფენილ ამაღლებულზე განიერი სავარძელი იდგებოდა იუბილარისათვის. კულისებში თავს მოიყრიდნენ დელეგატები, რომელთაც დავალებული ჰქონდათ აკაკის მისალმებოდნენ.

და აი აკაკის მოსვლის დროც მოაწევდა.

სერგო მამასთან ერთად გამოვიდოდა თეატრიდან და... მის წინაშე დაუვიწყარი სანახაობა გადაიშლებოდა.

ჯერ კიდევ შორიდან მოჰკრავდნენ თვალს, რომ ხალხით გადაჭედილ ქუჩაში მოდიოდა ეტლი, რომელშიც თეთრი ცხენები შეებათ.

ისმოდა სიხარულის ყიჟინა.

ჰაერში ქუდებს ისროდნენ.

ყვავილებს ყრიდნენ აქეთ-იქიდან და ამ ყვავილებით მოფენილ გზაზე ნელა მოირწეოდა ეტლი.

არაფერი დროზე ადრე სიცოცხლემომსპარი არ მიყვარს...

ეჰ, ეს ვის ესმოდა, თორემ...

სერგოს კი ბოლოს ისიც უნდა დაენახა, ვისაც ხალხი ასეთი სიხარულით ეგებებოდა: ეტლში იჯდა აკაკი, რომელსაც უცებვე იცნობდა, რადგანაც სურათით მართლაც ვინ აღარ ცნობდა.

თეატრიდან ჯერაც შორს იქნებოდა, როდესაც ხალხი გამოხსნიდა ცხენებს და ეტლს ხელით გამოატარებდა.

ფარდის ახდამდე აკაკი მსახიობთა ოთახში დაისვენებდა.

დავითი ხელს ჩაჰკიდებდა თავის ვაჟებს — სერგოსა და სიმონს — და პოეტს წარუდგენდა.

აკაკი მიუალერსებდათ და გადაკოცნიდათ.

და სერგო არც იმ დღეს და არც მეორე დღეს არ დაიბანდა იმ ლოყას, რომელზეც აკაკი აკოცებდა.

როდესაც ზეიმი დაიწყებოდა, პოეტი მისთვის განკუთვნილ სავარძელში დაბრძანდებოდა. სერგოს კი არასოდეს დაავიწყდებოდა მამის გამოსვლა.

იმ დილით მამა უკვე სხვანაირი ეჩვენებოდა. და მიხვდებოდა: ალბათ იმიტომ, რომ სამოქალაქო ტანსაცმელში ვხედავო. საგანგებოდ ეცმეოდა არასამხედრო სამოსი, საგანგებოდ იმ დღისათვის შეკერილი — დავითი არ შეჰკადრებდა დიდ ქართველ პოეტს ამ საზეიმო დღეს მეფის რუსეთის „პაგონებით“ წარმდგარიყო მის წინაშე.

საზეიმო დილას დავითი გახსნიდა — იგი წარმოთქვამდა პირველ სიტყვას და... ჰოი რა ხანგრძლივი ოვაცია ატყდებოდა დარბაზში, როდესაც ორატორს აკაკი გადაეხვეოდა.

მილოცვები საღამოსაც გაგრძელდებოდა. და სერგოს ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა: ერი თავის გასაჭირსა და დალხინებაზე უამბობს თავის მამასა და ყველაზე დიდ გულშემატკივარსო.

დავით კლდიაშვილის სიტყვა იმდროინდელ პრესაში არ გამოქვეყნდებოდა.

მიზეზს ავტობიოგრაფიული რომანის „ორფეოსი“ შემოქმედი იმით ახსნიდა: მისი შინაარსი მიუღებელი იყო ცენზურისათვისო. და ეს ტექსტი დიდხანს მიიჩნეოდა დაკარგულად, ვიდრე სერგო სრულიად მოულოდნელად ერთი კერძო პირის ხელში აღმოაჩენდა მამის ხელნაწერს.

— დიდებულო მგოსანო, ბედნიერო ადამიანოო! — ასე იწყებოდა ეს სიტყვა, — შენი სულიერი შვილი, შენი დიადი ნიჭის გამათბობელ სხივებქვეშ აღზრდილი შვილი, მოგილოცავ შენს დიდებულ დღესასწაულსო.

თუ ძველი მისტერიების მსგავსი ზეიმი მეორდებოდა, მაშ თაყვანებაც ისეთივე უნდა ყოფილიყო, იმჟამად როგორც აღუვლენდნენ ხოტბას ღმერთებს და მათ შორის უზენაესს — მზეს, დავით კლდიაშვილი სავსებით ბუნებრივად და ძალდაუტანებლად სწორედ ამ განწყობილებით რომ აღვსილიყო და ამიტომაც მიიჩნევდა თავს აკაკის სხივებქვეშ აღზრდილად.

ქართველი ერის ჭირისუფლად მოიხსენიებდა, და გულდაჩაგრულად და დანაღვლიანებულად იმით, რომ თავისდა სანატრელად ვერა ხედავდა თავის ძვირფას სატრფოს, თავის ძვირფას სამშობლოს, რომელსაც სწირავდა სულსა და გულს, ბუნების ნიჭსა და ძალ-ღონეს, და ყოველწამს გულდაჩაგრული რომ დაეკითხებოდა ერთხელ, თუ რითი მოეგო სატრფოს მისთვის ამის სამაგიერო, ხმა არ გაეცა მაშინ სატრფოს... მაგრამ გაივლიდა დრო და... აჰა დაგვიანებული პასუხიც:

— თვალებახილული შენი დიდებულობით, მოხიბლული შენი ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტით სამშობლო წინ მომაგებებს ღიმილით მის მზეს, მის მთვარეს, გუნდდაგუნდ ვარსკვლავთა მოკაშკაშ-მოელვარეთა და შენს მამულთან ერთად მოგესალმებიან შენი სახელის გამგონნი გარეშენიც, მებრძოლნი კაცობრიობის ბედნიერებისათვის. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია შენი სახელის დიდებისა...

კაცობრიობა რომ აღასრულებდა თავის ნატვრას და შეერთდებოდა მოსიყვარულე ერთა კავშირში, ქართველი ერიც შეუერთდებოდა სხვებს და არა როგორც ფეხშიშველი დ თავზე ლეჩაქახდილი მონა, არამედ — თავისუფალი, გაბრწყინებული, პირნათელი, მოძმეთადმი სიყვარულით აღვსილი.

და იმ ბედნიერ ჟამს ქართველობა მიიტანდა იმ შეერთებაში აკაკის წმინდა სახელს, აკაკის წმინდა ხატებას!..

ჩვენს გრძელ ცხოვრებაში ბრწყინვალე დღეებიც გვენახა?

მაგრამ უფრო მეტი წამება და ვაება გამოგვევლო და ბრძოლით მოღალულნი, ღონეგამოლეულნი ერთ დროს სიკვდილის კარს მივადგებოდით, ქვეყანა აოხრდებოდა, უდაბნოს დაემსგავსებოდა, შეწყდებოდა სიცოცხლე. ქვეყნად თითქოს სიკვდილი გამეფდებოდა. და აი უნდა გამოჩენილიყო კაცი, რომელიც მძლავრად გადასძახებდა უდაბნოში: არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს!.. ავადმყოფს მოსვენება სჭირიაო!.. ხელთ აიღებდა ჩონგურს, ჭირისუფლად დაუჯდებოდა, ააჟღერებდა სიმებს, მოჰყვებოდა საოცარ ტკბილ სიმღერას — ხან ნაღვლიანსა და ხანაც იმედიანს და... სასიკვდილოდ გამზადებულ ავადმყოფს ძარღვებში სისხლს აუმოძრავებდა, სიცოცხლისაკენ პირს აბრუნებინებდა, ფეხზედ წამოაყენებდა!..

დაახლოებით ამგვარ სურათს ქართველი ერის ყოფისა რუსი პუბლიცისტები და ისტორიკოსები წარმოსახავდნენ XVIII საუკუნის მიწურულის ფონზე, ვიდრე იმპერია მოგვეელინე-

ბოდა მხსნელად და მფარველად, დავით კლდიაშვილი კი მათი დამკვიდრების შემდგომ ხანას გაუიგივებდა სულთმობრძავის მდგომარეობას და ათვალსაჩინოებდა, რა მხსნელიც და მფარველიც მოგვევლენოდა ჩრდილოეთიდან, სწორედაც რომ პირიქით — კინაღამ საბოლოოდ ჩაეკლა ჩვენი სულიერება და თვითმყოფადობა, ჩვენი რაობა და შინაგანი ენერგია.

და თუ ვინმე, აკაკი ამხნევებდა ყველას, გვაზიზღებდა მტრობას, უსიცოცხლოდ ყოფნას, გვაყვარებდა თავისუფლებას, გულში გვინერგავდა სიყვარულს, რათა მისით გულავსებულნი შევმდგარიყავით იმ გზაზედ, რომელსაც აკაკიმდე უნდა მივეყვანეთ, აკაკის უნდა შევერთებოდით, და მერე კი...

ახსოვდა, კარგად ახსოვდა დავითს ის გულსაკლავი რეალობა, საიდანაც თავდასაღწევად ასეთი თავგანწირვით ებრძოლა და ეღვაწა იმ თაობასაც, რომლის კრებით, სიმბოლურ ხატებადაც ამ წუთებში აკაკი წერეთელი წარმომდგარიყო, ერთი უპირველესი წინამძღოლი ამ გუნდისა, სახელმწიფოს კონტურები რომ გამოეკვეთა წარმოსახვაში, და ყველაზე დიდი ნატვრა და ოცნება თანდათან მიწაზეც რომ ჩამოჰქონდა.

ეხსომებოდა, აბა რა იქნებოდა, როდესაც თავის თავზე გამოეცადა, თუ რას ნიშნავს მშობლიური ენის დაკარგვა და ცნობიერების გაორება, ეს გაორებულიც კინაღამ რომ გაუქრებოდა ხელიდან და ჰადაჰა ის წუთებიც დადგომოდა, იმ მიჯნის გადალახვის მერე უკვე რომ ვეღარც გაიგებდა, მისი რა იყო, რომ ამშვენებდა მის დამღუპველს ჩრდილოეთსა!..

პირველად აკაკის 1880 წელს ნახავდა, როდესაც კიევში დაამთავრებდა გიმნაზიას, არდადეგებზე შინ მობრუნდებოდა და აგვისტოში კვლავ კიევში ეპირებოდა გამგზავრებას, რათა იქიდან წასულიყო მოსკოვში — სამხედრო სასწავლებელში.

რიონის სადგურზე მის თავს ჩააბარებდნენ ვინმე ანდრია კაპანაძეს, ტფილისში მიმავალს, კაცს — აკაკის პატივისმცემელსა და მეგობარს, რომელიც აკაკისთან ერთად იმ დროს ეფათურებოდა (რაოდენ მარჯვედ მიგნებული და ტევადი სიტყვაა!) პოეტის მიერვე ჭიათურაში აღმოჩენილი შავი ქვის მოწესრიგების საქმეს.

და ეს საოცრად ტკბილი ადამიანი გზაში ყმაწვილს უმეტესწილად აკაკის შესახებ ელაპარაკებოდა, ნათლად ეტყობოდა, რომ აკაკი უსაზღვროდ უყვარდა და ამიტომაც ხელს უმართავდა თავისი შეძლებითა და თავისი ქონებით.

ქუთაისში პოეტი უნდა ჩამოსულიყო საჩხერიდან, მაგრამ ვერ მოეხერხებინა და ანდრია ტფილისში უნდა გაბრუნებულიყო. დავითს თავის სახლში მიიყვანდა — ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, სადაც ჰქონდა სახელოსნოც — ხელობით თერძი გახლდათ.

მეორე დღეს საღამოს პირზე აკაკიც ჩამოვიდოდა.

ყმაწვილი გულისფანცქალით შეაცქერდებოდა მაღალ, რაღაც განსხვავებული ტკბილი ხმით მოლაპარაკე ადამიანს, რომელსაც მასპინძელიც, მისი მეუღლეც და მოსამსახურეც ასევე რაღაც განსხვავებული პატივისცემით ეპყრობოდნენ.

სტუმარი მეტად ხალისიან გუნებაზე იქნებოდა და ხალისიანადაც დაელაპარაკებოდა ყველას.

თავის სიხარულს ყმაწვილი დავით კლდიაშვილი საზღვარს ვერ დაუდებდა, რადგანაც უკვე კარგად იცნობდა მის ლექსებს.

სხვებთან ერთად მასაც გამოელაპარაკებოდა აკაკი: სად სწავლობ, სად მიდიხარო?..

— კიევში ვსწავლობდი და ახლა მოსკოვში მივდივარ სამხედრო სასწავლებელში, — მიუგებდა თუ არა, იმას მხიარულად უნდა შემოეძახა:

— გარუსების დასათავებლად?

— არა, მე არ გავრუსდები! — ითაკილებდა ყმაწვილი.

— ვნახოთ... ვნახოთ! — ისევ სიცილით ეტყოდა, საჯავახოელის ხუმრობით კი თან გაამხნევებდა, თან გააფრთხილებდა მოსალოდნელი საფრთხის არსებობაზე, რასაც მიამიტურად არ უნდა მოჰკიდებოდი, თორემ ვაითუ ისეთ დღეში ჩავარდნილიყავი, არდადეგებზე შინ მობრუნებულს შინაურებთან... თარჯიმანი დაგჭირებოდა...

შემდგომ აკაკის ხშირად ნახავდა ხოლმე ბათუმში.

და მისთვისაც სათაყვანო ამ პიროვნების დღესასწაულის გამართვისათვის თავს როგორ დაზოგავდა.

წინასწარი მუშაობა მართლაც სამძიმო იქნებოდა, თავის გასართმევი.

ყველა დაწესებულება, ყველა ჯგუფი მოწადინებული გახლდათ შესაფერისად გამოსულიყო დიდებული ადამიანის წინაშე და შნოიანად გამოეცხადებინა თავისი პატივისცემა და სიყვარული, გულში რაც უღვიოდათ. თითქმის ყოველ საღამოს გაიმართებოდა ამა თუ იმ ჯგუფის კრება გამოსარკვევად, თუ ვის რა მონაწილეობა უნდა მიეღო. ადმინისტრაცია ხელს არ შეუშლიდაათ, ესენი ატყობინებდნენ მხოლოდ, რომ კრებას აპირებდნენ ამა და ამ დღეს და ამა და ამ ადგილას და ნებართვას ადვილად ღებულობდნენ.

კრებები საგულისხმო აღმოჩნდებოდა — აქ გაისმოდა ერთგვარი სიტყვა, იხატებოდა ის გულწრფელი, ღრმა სიყვარული, რომელსაც ხალხი ატარებდა გულში მგოსნის მიმართ. ერთხელ ისე მოხდებოდა, რომ ნოქართა ერთი ჯგუფის კრებაზე რამდენიმე ნოქარი ცხარე საყვედურით გამოვიდოდა:

— განზრახვა ყოფილა, რომ საზეიმო ეტლში აკაკის ქალები ჩაუსვან; ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ ამგვარ სანახაობაზედ და მგოსნის დამამცირებლად მიგვაჩნია ამგვარი რამ თანხლება.

აუხსნიდნენ: ეს ქალები მუზებს გამოსახავენო, — და საჭირო შეიქნებოდა დამატებითი განმარტებაც, თუ რას ნიშნავდა მუზა ძველბერძნულ მითოლოგიაში და მისი ზეგავლენით დასავლურ სიმბოლიკაში.

და პროტესტანტებს შეეუხერხულებოდათ:

— ჩვენ არ ვიცოდით ამ მუზაზე არაფერი, გვწადდა, მგოსნის ზნეობა არ შელახულიყო...

რა გასაკვირია, რომ დავითი თავის სიტყვას კი არ გამოარჩევდა ავტობიოგრაფიულ რომანში „ჩემი ცხოვრების გზაზე", არამედ ბაღდათელი გლეხისას, მაღალი, განიერ მხარბეჭიანი, შუახნის, სასიამოვნო კილოზე მოლაპარაკე კაცი ასე რომ მიმართავდა პოეტს:

წიგნის უცოდინარი კაცი გახლავართ, მიწის მუშა. ბავშვები დამიდიან სასწავლებელში. სამუშაოდან დაღლილი რომ ვბრუნდები შინ, ხანდახან ბავშვები იქვე წიგნს კითხულობენ ხოლმე ხმამაღლა, ხშირად კაი რაღაც მომესმის, გულს რომ ეამება, და როცა მიკითხავს, თუ რა წაიკითხეს, ისე კარგი რომ იყო, პასუხად მიმილია — აკაკის ლექსიაო. ტკბილია ის თქვენი ნათქვამი, გულს ხვდება ძალიან; გლოცავთ საწყალი ხალხი თქვენი კაი თქმისათვის და გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, არც შემდეგ შეგძულებოდეს ჩვენისთანა საწყალი ხალხიო!..

ამას ისე მშვენივრად იტყოდა ის კაცი, რომ აკაკი უცნაურად აღელდებოდა, თვალები ცრემლით აევსებოდა, აღელვებული მხურვალედ გადაეხვეოდა და გადაკოცნიდა.

მეორე დღეს დავითი ივანე პურადაშვილთან ერთად მოინახულებდა აკაკის, რომელიც მეტად კარგ გუნებაზე დახვებოდათ და კიდევ უფრო კარგ გუნებაზე დადგებოდა, როდესაც გადასცემდნენ თეატრიდან შემოსულ ათას მანეთს.

— გარწმუნებთ, აქედან ხვალ ჩემს ჯიბეში ბევრი აღარაფერი დარჩება! — სიცილით ეტყოდათ მასპინძელი, თუმც რა მისი თქმა უნდოდათ, განა ისედაც არ იცოდნენ მათაც და სხვათაც, აკაკის ჯიბეში ფული რომ არ უჭერდებოდა?!. „ბევრ აღარაფერს" ვინ ჩივის, სულ აღარაფერი შერჩებოდა წამისუსწრაფესად — ვალები გასასტუმრებელი, გაჭირვებულები — მისახედი და ხელგასამართი...

ხოლო სცენაზე გადმომდგარი დავითი მთელი გზნებით ირწმუნებოდა, რომ:

მადლობას აკაკის მარტო მისი პატარა ერი კი არა, მთელი კაცობრიობაც მიუძღვნიდა, და მადლობას იმისათვის, რომ თავისი გმირული მოღვაწეობით თავისი ერი ძმად გაემზადებინა კაცობრიობისათვის, თავისუფლებისმოყვარე ძმები, და კაცობრიობა კიდეც შერაცხავდა თავის რჩეულ შვილებს შორის და მაშინ კი შეიმოსებოდა მისი წმინდა სახელი იმ დიდებით, რისი ღირსიც გახლდათ.

ის დღეც დადგებოდა, აკაკი სტუმრად რომ ეწვეოდა კლდიაშვილებს, და რაკიღა სერგო დავითის შვილებში ყველაზე უფროსი გახლდათ, მშობლები მხოლოდ მას დართავდნენ ნებას სადილის დროს უფროსებთან დამჯდარიყო.

სადილს გაუუგემურებდათ ერთი „შემოსწრებული", რომელიც აკაკისა და დავითის უბრალოებასა და თავაზიანობას ისე გაიგებდა, რომ თავისუფლად შეეძლო მოქცეულიყო. ძა-

ლიან ბევრს ილაპარაკებდა, საგულისხმოს კი არას იტყოდა. სადილი დასასრულს მიუახლოვდებოდა, როცა რაღაც საქმე მოაგონდებოდა და გავარდებოდა, მაგრამ რაღა დროს — აკაკისაც და სხვებსაც მოქანცავდა.

ნასადილევს სტუმარ-მასპინძელი ეზოში გავიდოდნენ. სახლი, სადაც ცხოვრობდნენ, ნაქირავები ჰქონდათ. როგორც მისი პატრონი ივანე ბაქრაძე ამბობდა: წინათ ამ ადგილას იდგა ის შენობა, რომელშიც სვანეთის უკანასკნელი მთავარი კონსტანტინე დადეშქელიანი ქუთაისის გუბერნატორს, გენერალ გაგარინს მოჰკლავდა.

ივანე ტანდაბალი კაცი გახლდათ, ძალიან ხალისიანი და გონებამახვილი, ეგაა ჩქარი ლაპარაკი იცოდა და თანაც ისე ებმოდა ენა, ხშირად მეტისმეტად უჭირდა ლაპარაკი და ზოგიერთ ფრაზას თუ არ წაიმღერებდა, ისე ვერ გამოთქვამდა.

ამ დახასიათებას რისთვის დაისაჭიროებდა მემუარისტი?

ივანე, რომელიც ქვედა სართულზე ცხოვრობდა, დაინახავდა თუ არა ეზოში გამოსულ აკაკის, მაშინვე მიეახლებოდა და იმერული თავაზიანობით თავს მდაბლად დაუკრავდა და მიესალმებოდა. და როგორც ყოველთვის, ახლაც დაებმოდა ენა. ამიტომაც ზოგიერთ ფრაზას წაუმღერებდა. ხშირად იმეორებდა სიტყვას „მგოსანო“ და ამას ისე წარმოთქვამდა თავისი წვრილი ტენორით, რომ მართლაც სიმღერას წააგავდა.

ივანე რომ გამოემშვიდობებოდათ, აკაკი ეტყოდა მასპინძელს:

— ჩინებული მგალობელი გყოლია შინ და უნდა მოგეწვია სადილზე, მოგვეღერებინა მაინც!..

ხოლო ქუთაისში გამართულ ერთ ლიტერატურულ საღამოზე აკაკიც რომ მონაწილეობდა, სერგო პირველად აქ მოისმენდა მის დეკლამაციას: „განთიადს“ წაიკითხავდა და კიდევ სხვა ლექსებსაც.

აკაკისადმი საყოველთაო თაყვანისცემა რომ აორკეცებდა შთაბეჭდილებას, ეს თავისთავად, მაგრამ სერგოს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ, უამისოდაც, ვინც კი აკაკის მოუსმენდა, სამუდამოდ ჩარჩებოდა მეხსიერებაში საყვარელი ხმაც და კითხვის თავისებურებაც.

მოხუც აკაკის ჩუმი, ლირიზმით სავსე ხმა ექნებოდა.

არავითარი მიმიკა.

წაიკითხავდა ნელა, ხმის აუმაღლებლად, თითქოს ლოცვას წარმოთქვამდა.

მეტად საგულისხმო და ნიშანდობლივი შტრიხია, აკაკი ლექსის კითხვისას მლოცველის შთაბეჭდილებას რომ ტოვებს, და ამიტომაცაა, რომ არა მხოლოდ ესთეტიკურ სიამოვნებას ჰგვრის მსმენელებს, სულიერ თრთოლვასაც განაცდევინებს.

ლექსის ზემოქმედების გასაძლიერებლად — და იქნებ კიდევ იმიტომაც, რომ მისი ბუნება მოითხოვდა ამას — ძველად ლექსს მუსიკალური აკომპანიმენტი რომ ახლდა, აკაკის კითხვაში ამ აკომპანიმენტის მაგივრობას სწევდა მისი ხმა, და კიდევ უფრო — მისი გარეგნობა.

და ამ სტრიქონების წერისას ის ძველი აღტკინება დაეუფლებოდა „ორფეოსის“ შემოქმედს:

— თქვენ ხომ ღმერთის შესადარ ადამიანს ხედავდით და უსმენდით იმ წუთში!

თბილისსა და ქუთაისში ხშირად რომ მოჰკრავდნენ თვალს ხან ეტლით და ხანაც ქვეითად მიმავალ აკაკის, ვერავინ შეეჩვეოდა იმას, რომ წინათაც არაერთხელ ენახათ, და ყოველთვის ყველა მოქალაქე შეჩერდებოდა და მზერასაც გააყოლებდა, რადგანაც ახოვანი მოხუცი-ორფეოსის სიარულს რაღაც საზეიმო იერი გადასდევდა.

და აკაკი ყველგან და ყოველთვის მომხიბლავ სანახაობას იმიტომაც წარმოადგენდა, რომ:

— თავის სინდისად თვლიდა ერი და ყველა თავისი კარგი თვისების ცოცხალ გამოხატულებად, უკეთეს გარეგნობას ვერ ინატრებდა ხალხი პოეტისათვის, რომელიც თავისი ქვეყნის სახედ მიაჩნდა.

ხოლო 1912 წლის დილა რომ გათენდებოდა, საჩხერიდან სხვიტორისაკენ ადრიანადვე გავიდოდა ქართული გიმნაზიის რამდენიმე მოსწავლე, რომელთა დიდი სურვილიც იქნებოდა, აკაკი თავის სახლში მოენახულებინათ.

— არ მიგვიღებს... — დაეჭვდებოდა ერთ-ერთი ამათგანი, — ვინაა ისეთი, რომ მისი ნახვა არ უნდოდეს და ყველას ხომ ვერ მიიღებს...

რატომღაც ძნელად წარმოედგინათ, რომ მასთან ჩვეულებრივად შეიძლებოდა შესვლა, ლაპარაკი, ახლოს ყოფნა, სუფრაზე მოლხენა.

ახალგაზრდების წარმოდგენაში პოეტები იყვნენ: ვახტანგ და გრიგოლ ორბელიანები, მამია გურიელი და სხვანი.

ხოლო აკაკი?

სულ სხვად ეჩვენებოდათ და, ილიასი არ იყოს, გაღმერთებული ეყოლებოდათ.

გზა ჯერ ყანებით მიიმართებოდა, მერე ტყიანი გორაკები იწყებოდა — ზემო იმერეთის ჩვეულებრივი პეიზაჟით მიუახლოვდებოდნენ აკაკის სახლს, რომელიც შორიდან ძველებურ კოშკად მოეჩვენებოდათ.

შალვა ამირეჯიბი საგანგებო ყურადღებას მიაქცევდა ესეის დასაწყისშივე, რომ:

ეს სახლი აშენებულიყო იმ განზრახვით, ზემოდან ეცქირა სოფლისთვისაც და მთებისთვისაც.

პოეტი თავის ავტობიოგრაფიულ რომანში არად აგდებდა ამ ნაგებობას?

მაგრამ შენობა აშკარად ფეოდალის ბინის ბეჭედს ატარებდა, ფეოდალის სახლის აგებულებაში კი მარტო არქიტექტორული გარეგნობა არა თამაშობდა როლს და მთავარი გახლდათ პოზიცია, რომელიც შენობას ამა თუ იმ პეიზაჟში ეჭირა. ამ მხრივ სახლი უკვე შორიდანვე მოჩანდა და დაპყურებდა არამარტო სოფელს, არამედ გარშემო ყველაფერსაც.

დაე ისიც ნუ გამოგვრჩებოდა, რომ:

სახლი, რომელშიც პოეტი დაიბადებოდა, არც ნაშენობით ყოფილა უფერული. მის შესახებ უკვე დაწერილიყო ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, რომ თავად როსტომ წერეთლის სახლი პირველი ქვის შენობა გახლდათ იმერეთში.

პირველი ქვის შენობაო!..

ესეც დიდი სიახლე იმერეთის ცხოვრებაში.

არც სახლს შემოკრული ბაღი ყოფილა ჩვეულებრივი ქართული ბაღი — ხეივნითა და ჩრდილიანი ხეებით. მასზე განსაკუთრებით პოეტის დედა, ეკატერინე აბაშიძე, ზრუნავდა, და შადრევნებითა და აუზებით ამიტომაც გაშენებულიყო.

საჩხერის მხარეს ასეთი ბაღი არსად მოიძევებოდა.

ხოლო ამ ყოველივეს თქმას შალვა ამირეჯიბი იმისათვის დაისაჭიროებდა, რათა გაენეცხადებინა:

ამრიგად სახლი, რომელშიაც აკაკი დაიბადა, ახალი გემოვნების, ახალი სტილის, ახალი ეპოქის სახლი იყო, ყოველ შემთხვევაში ისეთი, რომელშიაც გადაჰქონდა ქართველ თავადაზნაურობის დაწინაურებულ ნაწილს თავისი საცხოვრებელი ბინა XIX საუკუნის პირველ მეოთხედსა და პირველ ნახევარში, თორემ მათი ბინების იერი უწინ, ამერეთშიაც და იმერეთშიაც — და განსაკუთრებით მაინც იმერეთში — სულ სხვანაირი იყოო.

ხოლო სერგო კლდიაშვილსა და მის ტოლ-ამხანაგებს აკაკის სახლი შორიდან ძველებურ კოშკად რომ მოეჩვენებოდათ:

ჭიშკართან ჩოხიანი შუახნის კაცი შემოეგებებოდათ, პირველი შეხედვით დონ კიხოტს რომ ჩამოჰგავდა და გეგონებოდა, საქვეყნოდ ცნობილი ეს ესპანელი იდალგო ხელმეორედ მოვლინებულა იმერულ გრძელ და ფართოსახელოებიან ნაცრისფერ ჩოხაში გამოწყობილიო — ესეც კოტე აბდუშელაშვილი, აკაკის მოურავი.

სახეზე შეამჩნევდნენ აშკარა უკმაყოფილებას ამათი დანახვით:

— არა ბრძანდება სოფელში, შვილებო, თორემ თქვენი ნახვა ძალიან ესიამოვნებოდა. ვწუხვარ, რომ არ დაგხვდათ...

ამას თავაზიანად ეტყოდათ, თითქოსდა ალერსიანი სიტყვებით, რომელთაც არ აკლდა არც „შვილებო“ და არც „ვწუხვარ“, მაგრამ ესენი რატომღაც დარწმუნებულნი იქნებოდნენ, რომ აკაკი შინ იმყოფებოდა. მაგრამ რა უნდა ეღონათ — ძალით ხომ არ შეეჭრებოდნენ სახლში...

გამობრუნდებოდნენ ნირწამხდარნი.

იქვე მთის პატარა მდინარე ჩიხურა რომ ჩამორბის, მის ნაპირზე მოწყენილი ბეღურებივით ჩამოსხდებოდნენ. აქედანღა მიაჩერდებოდნენ სახლს, ეზოს...

ესეც დიდი პოეტის საყვარელი ადგილი — ამ ეზოში ის ხომ ხშირად მიმოდიოდა.

ეზოს ცქერით სურდათ ზიარებოდნენ აკაკის სახელს, ეგრძნოთ მასთან სიახლოვე.

სხვა სანუგეშო არარა დარჩენოდათ რა.

ბოლოსდაბოლოს აიშლებოდნენ და ქვემოთკენ დაეშვებოდნენ, სიმღერასაც დასძახებდნენ. ეს ალბათ თავიანთი თავის გასამხნევებლად დასჭირდებოდათ.

ჩაათავებდნენ აკაკის ეზოს მომყოლ გზას.

და უეცრად ყვირილი მოესმოდათ. მათკენ მორბოდა ახალგაზრდა გლეხი და მოსძახოდათ:

— დაბრუნდით, ბატონმა გთხოვათ!..

სიხარულით შემოტრიალდებოდნენ და გაცვივდებოდნენ აკაკის კარმიდამოსაკენ, და ჭიშკართან კვლავ კოტე აბდუშელიშვილი რომ დახვდებოდათ, ახლა მისი შეხვედრა სულ სხვაგვარი იქნებოდა:

— მობრძანდით, მობრძანდით! — ხალისიანად შეეპატიჟებოდათ, — გაიგო და გაეხარდა. მობრძანდით!..

რამდენიმე წუთის წინათ რომ აკაკი სოფელში არ იმყოფებოდა და ასე უეცრად საიდან გაჩენილიყო, ამაზე არას იტყოდა და აღარც ესენი მოაგონებდნენ. რა დროს საყვედურები იყო!..

აკაკი აივანზე შემოეგებებოდათ...

ბიბლიური გარეგნობის მოხუცი ევროპულ პიჯაკში...

იქვე იდგებოდა მისი უფროსი და ანა, მაღალი, გამხდარი მოხუცი ქალი — შავებში ჩაცმული და შავ თავსაფარითვე.

სერგო მთელი გზა იკვეხნიდა ამხანაგებთან: აკაკი უმალ მიცნობსო.

აკაკი ხალისიანად კი შეხვდებოდათ, მოეფერებოდა ყველას, მაგრამ... ამას ვერ იცნობდა... აივანზე დასხდებოდნენ. მასპინძელი ახალგაზრდების მოგზაურობის მიზანს იკითხავდა. ამხანაგები ჩუმად დასცინებდნენ სერგოს:

— აკი მაშინვე მიცნობსო?

ეს იძულებული შეიქნებოდა გასუდრულიყო და შეუმჩნეველი ყოფილიყო.

ბალახით დაფარულ ეზოს გადახედავდა. ბალახი საოცრად მწვანე ეჩვენებოდა. ეზოს ბოლოში ძველებურად აშენებული პატარა ეკლესია იდგებოდა. ალბათ საჯვარე. სოფლის დასასრული მაღალ ქედს ებჯინებოდა. იქ ჩამორბოდა მოდიდებული ღელის მსგავსი ჩიხურა.

— მაშ თქვენ აპირებთ გადახვიდეთ აქედან ოსეთში, შემდეგ მივლით ქართლს, კახეთს... კარგია, კარგი... ახალგაზრდა რომ ვიყო, მეც წამოვიდოდი, — იტყოდა აკაკი, — ჩინებული განზრახვაა... რუსეთი იმის უფლებასაც არ გვაძლევს, რომ ჩვენი ქვეყნის გეოგრაფია ვასწავლოთ ახალგაზრდობას. ამგვარი მოგზაურობით მაინც გაიცანით სამშობლო...

მისი თვალები უნებლიეთ სერგოზე შეჩერდებოდნენ. ერთხანს დაეჭვებით დააცქერდებოდა. სერგოს ანდამატივით მიიზიდავდა ეს შემოხედვა. ნაბიჯს გადადგამდა მისკენ და... უეცრად მოესმოდა:

— ბიჭო, შენ დათიკოს შვილი ხომ არა ხარ?

ამას სიხარული აიტაცებდა და ანგარიშმიუცემლად მოეხვეოდა. ისიც ხელს მოხვევდა, ლოყაზე აკოცებდა და ეს ნამიერი ტუჩების მოკარებას იგრძნობდა.

— მამაშენს კი ვემდური! — ისე ეტყოდა, თითქოს მართლა საყვედურობდა, — რამდენჯერ ვთხოვე ჩემთან ამოსულიყო და ერთხელაც არა მნახა აქ. იმაზე ნაკლები აზნაური არ გახლავარ. ეკალა აქაც მოიძებნება.

აღმოსავლეთ საქართველოში ალბათ ვერც წარმოედგინათ, თუ როგორ შეიძლება კაცს ეკალა ეჭამა. იმერეთში კი მისი კულტი არსებობდა. ნეტა რას გამოეწვია ასეთი სიყვარული — სიღარიბეს წარმოეშვა თუ გამახვილებულ პირისგემოს? სერგო ივარაუდებდა: ალბათ ერთსაც და მეორესაცო... როდესაც აკაკი მათთან იმყოფებოდა ოჯახში, დიასახლისი იმერული საჭმელებით გაუმასპინძლდებოდა და მათ შორის ეკალათიც. და ალბათ ახლა ის მოაგონდებოდა...

აკაკი დაინტერესებული რომ გახლდათ ქართული გიმნაზიის ბედით, ყურადღებით ამიტომაც ისმენდა სტუმრების ჭკვიანი მეთაურისაგან ცნობებს გიმნაზიის მდგომარეობის თაობაზე.

საუბარი თანდათან მწერლობაზე გადაინაცვლებდა.

ურჩევდათ: ხალხური პოეზია შეესწავლათ.

გამოთქვამდა სურვილს: ხალხური პოეზიის შესწავლა შემოეღოთ სკოლებში.

გამოიტანდა ხალხური პოეზიის კრებულს და რამდენიმე ლექსს წაუკითხავდათ. სერგოს მკაფიოდ ჩარჩებოდა ხსოვნაში, რომ ბოლო ტაეპებს აკაკი ზეპირად ამბობდა.

შემდეგ თავისი პატარა საწოლი ოთახიდან გამოიტანდა დიდ ფურცლებზე დაწერილ პოემას და კითხვას დაიწყებდა. პოემა საკმაოდ გრძელი და მოსაწყენი მოეჩვენებოდათ, მაგრამ მართლაც ვინ იტყოდა უარს, დიდხანს ესმინათ აკაკისათვის?

დაამახსოვრდებოდა, რომ პოემაში პოეტი დიდი სიძულვილით მიმართავდა რუს ხელისუფალთ.

— ახლა ამ პოემას არ დაბეჭდავენ, — იტყოდა ბოლოს აკაკი, — შთამომავლობას დარჩეს...

ვითომ რატომ არ უნდა ჰქონოდა უფლება დარწმუნებული ყოფილიყო, რომ თვითეული მისი სიტყვა საგულისხმო იქნებოდა მომავალი თაობისათვის!..

მაგრამ ერთხელ, როდესაც კლდიაშვილებთან იმყოფებოდა სტუმრად, დავითს ეტყოდა:

— რუსთაველის შემდეგ მხოლოდ ხალხურ შემოქმედებაში შეგვრჩა პოეზია. მე და ჩემისთანანი რა სახსენებელია...

და სერგო კარგა ხანს იმტვრევდა თავს: გულწრფელი სკეპსისია თუ წუთიერი დაეჭვებაო? და დაასკვნიდა, რომ: არც ერთი და არც მეორე, რადგანაც აკაკი წერეთელმა კარგად იცოდა თავისი ფასი.

მასპინძელი სადილად დატოვებდა ახალგაზრდებს და გულუხვადაც გაუმასპინძლდებოდათ. და მხიარულ გუნებაზე მყოფი ბევრ რაიმეს უამბობდათ ისეთს, რაც ახალგაზრდებს დიდ ხალისს მოჰგვრიდათ...

მოსაღამოვდებოდა, როდესაც დაემშვიდობებოდნენ და მხიარულად გაუყვებოდნენ სოფლის გზას, რა თქმა უნდა სიმღერ-სიმღერითა და ხმაურით.

როცა სოფელს ჩაათავებდნენ, დაბინდდებოდა და ღამისთევა დანგრეულ წისქვილში მოუხდებოდათ. სახურავი — სანახევროდ გადახდილი, კარი — ჩამოხსნილი, იატაკის ნაცვლად — რამდენიმე ფიცარი, რომლის ქვეშაც ღარში წყალი მოჩხრიალებდა. დღისით თუ ძალიან ცხელოდა, ღამით მოსკდებოდა, მაგრამ აკაკისთან ყოფნით ისე გახარებულნი და ძალაშემატებულნი იქნებოდნენ, სულ ადვილად გადაიტანდნენ იმ ღამის გასაჭირს.

— გთხოვთ ნუ მესტუმრებითო! — იხვეწებოდა ჰერმან ჰესე და რაკიღა ხვეწნით ბევრს ვერას გახდებოდა, აგარაკზე ჭიშკარზევე გამოაკრავდა უშველებელ წარწერას:

— გთხოვთ ნუ მესტუმრებით!

გაბეზრებულიყო, გასავათებულიყო მიმსვლელ- მომსვლელით და რაკიღა შეატყობდა, თავისით არავინ ჩამომცილდებოდა, ამგვარ ზომებს მიმართავდა.

ჟურნალისტები თუ ათასი ჯურის მკითხველი არ აკლდა ჰერმან ჰესეს, მაგრამ მათი რაოდენობა რა შესადარებელია აკაკი წერეთლისაკენ დაძრულ მთხოვნელთა რიგებთან, თითქოს მართლა ხელმწიფის ხაზინა ეპყრა ხელთ და გარშემო კი უთვალავი მსახური ეხვია, მისი ბრძანებების მაშინვე შემსრულებელნი.

ერთხელ ისე მოხდებოდა, რომ მაკო საფაროვა შესთავაზებდა, სულ ნუ გამოჩნდები და მსახური გაისტუმრებს მომსვლელთო? ეს მაშინ, როდესაც მასთან დაბინავებულიყო მგოსანი.

არამცთუ არ იყაბულებდა მასპინძლის ამ შემოთავაზებას, კიდეც განაწყენდებოდა აკაკი.

მოურავი შეიცოდებდა და შეეცდებოდა ჩამოეცილებინა ახალგაზრდა სტუმრები?

აგერ როგორ სასწრაფოდ დააბრუნებდათ სერგოსა და მის მეგობრებს.

კიდეც გაბეზრდებოდა, კიდეც გასავათდებოდა, მაგრამ არ დაიტყობდა და ყოველთვის ისე ხალისიანად და მხიარულად შეეგებებოდა უცხოებსაც, თითქოსდა მათი ნახვის ნატვრით გაეთენებინოს ის დღე და... აჰა კიდეც გამოცხადებოდნენ.

განსაკუთრებით მაინც ახალგაზრდებს.

და ბავშვებს ხომ...

თავს იბავშვებდა?

უფროსად რჩებოდა?

არა, იტოლებდა, იტოლებდა ბავშვს.

და ეს ხდებოდა ისე ბუნებრივად და ძალდაუტანებლად, თითქოს აღარც ახსოვდა, ოდესმე დიდიც თუ იყო: იანუშ კორჩაკის საყმაწვილო მოთხრობის — „როცა კვლავ პატარა გავხდები“ — მთავარი გმირივით. ერთბაშად ჩამოცურდებოდა ხოლმე ზეციდან, იბადებდა ხელახლა და ყმაწვილური ჟინით ანთებულ-აფორიაქებული შეერეოდა... ტოლ-ამხანაგებს, სწორედაც რომ ტოლ-ამხანაგებს.

დაე ნურავინ შეუშლიდა ხელს ბავშვებს, მიცვივოდნენ და გარს შემორტყმოდნენ თანატოლს.

ეცლიათ ყრმათა მათთვის მისლვად აკაკისთან, ყრმათა, რომელთაც ისიც კი არ იცოდნენ, რომ იგი წერეთელი იყო: იცოდნენ მხოლოდ, რომ იგი „აკაკი“ გახლდათ, და მეტი არაფერი.

გამოსვლა მარტო სახელით?

გრიგოლ რობაქიძე რაღაც ანტიკურს შეამჩნევდა ამ გამოსვლაში, აკაკი სახელით რომ გამოდიოდა და თავის გვარს ძვირად ახსენებდა. და მთელი საქართველო მას სახელით რომ იცნობდა უფრო, გრიგოლის ახსნით: გარდა ნიჭისა, აქ უთუოდ სიყვარული იმარჯვებდა. უამისოდ აკაკი ვერ „გაითქმებოდა“ ხალხში.

პირველად რომ იხილავდა პოეტს, როგორ იყო?

თავის ტოლებთან ერთად ვასილ ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიას რომ ჩაუვლიდა, ხმა მოესმოდათ:

— აკაკი.

და ეს ხმა გაუნელებლად შერჩებოდა გრიგოლ რობაქიძის ყურთასმენას, თითქოს ესაა და კვლავ იძახიანო.

მიიხედავდნენ და:

მაღაზიიდან გამოვიდოდა ახოვანი კაცი.

ესენი „დაფეთდებოდნენ“, მაგრამ ადგილიდან ვერ დაიძვროდნენ.

აკაკი ნათელი თვალებით გადმოხედავდათ.

ეს გამოხედაც კვლავინდებურად შერჩებოდა გრიგოლ რობაქიძის მზერას, თითქოს ესაა და ახლაც შეჰყურებსო.

მერე რომ გაიცნობდა და კიდეც დაუახლოვდებოდა, ეს პირველი შემოხედვა მაინც სხვა იქნებოდა.

დიდხანს გააყოლებდნენ თვალს მიმავალს.

მაშინ რა იცოდნენ მისი ყმაწვილებმა?

„კრილოვის“ არაკები. არ იცოდნენ მხოლოდ, რომ... კრილოვი კაცი იყო და მოარაკე.

ეცლიათ ყრმათა მათთვის მისლვად აკაკისთან.

ამათ სჭირდებოდათ ეს მიახლება?

რასაკვირველია, მაგრამ... იმასაც — არანაკლებად.

— ჰაე-ზე ვისი ყმა ხარ?.. საიდან მოდიხარ?

— ჰა... ჰაერიდან!

— ბიჭოს, ყოჩაღ! გამბეტასავით! ეს კარგია. და სად მიდიხარ?

— ჰავლაბარში.

და სამი დღე მაინც იხარხარებდა, ეს „ჰავლაბარი“ მაინც რამ მოგაფიქრათ ჩვენი ძველი ისნის ნაცვლადო.

ნეტა „ჩემს თავგადასავალს“ რომ გაეცნობოდა გრიგოლ რობაქიძე, რა შთაბეჭდილება დარჩებოდა?

ალბათ რაღაც იმგვარი, მოგვიანებით დავით წერედიანის ცნობიერებაში ამ დაკვირვებად და მიგნებად რომ ჩამოყალიბდებოდა:

— მის პროზაში რეალისტურს ზღაპრულ-რომანტიკული ელემენტი სჭარბობს, არა მხოლოდ „ბაში-აჩუკში“, არამედ „ჩემ თავგადასავალშიც“ კი, განსაკუთრებით ბავშვობის ეპიზოდებში.

რა უცნაური ფორმა და განწყობილება დაჰყოლოდა იმთავითვე ამ ავტობიოგრაფიულ რომანს, განსხვავებული ამ ჟანრის თხზულებათაგან, აკაკი მინდიაშვილი ნიშანდობლივად რომ წარმოაჩენდა აქ განივთებულ ერთგვარ იდეალიზაციას სინამდვილისა, და დაგვიბეჭითებდა, რომ:

ეს იდეალიზაცია გამონაგონი, ფანტაზია, რეალობიდან გაქცევა კი არა ყოფილა, არამედ პირიქით — მწერალს აახლოებდა მასთან.

ასე ქმნიდა მეორე სინამდვილეს, იმ მხატვრულ სამყაროს, რომელიც მასთან შესაძლოა უფრო რეალური და მართალიც იყო, ვიდრე ყოფითი სინამდვილის ფოტოგრაფიული აღწერა. მისთვის გარდასული ცხოვრება საფუძველი გახლდათ შემოქმედებითი წარმოსახვისა. და წარსული მის ცხოვრებაში ისე ცხოვრობდა, როგორც მხატვრული ნაწარმოები.

მეტი „სხვაც“ რაღა გვინდა, არა?

და „ჩემი თავგადასავლის“ ორიგინალობად და თავისებურებად ის არსებითი გარემოება უნდა მიეჩნია:

მწერალმა შეძლო ბავშვის ფსიქოლოგია შ ი გ ნ ი დ ა ნ ეჩვენებინა და იმავდროულად დაეხატა მისი შინაგანი, სულიერი სამყაროს განვითარება, ზრდის პროცესიო.

არც გვიკვირს.

ის უფრო გაგვიკვირდებოდა, სხვაგვარად რომ ყოფილიყო და ბავშვის ფსიქოლოგია უფროსის გულითა და გონებით გახსნილიყო ამ ავტობიოგრაფიულ რომანში და არა შიგნიდან და ჩვენს თვალწინ არ ჩაეცლო ბავშვის სულიერ განვითარებას, ზრდის პროცესს.

მის ტყუილსაც რაღაც სხვა იერი რომ ჰქონდა, ფანტაზიებში გადაჭრილი და თვითონვე რომ სჯეროდა, რასაც ლაპარაკობდა.

ამიტომაც ველარ დაებეჭითებინათ, რას ჰყვებოდა ზუსტად და რას — წარმოსახვით ავსებდა თუ ალამაზებდა, და ხან ისე მკვეთრადაც, სრულიად დაშორებოდა ყოფით სინამდვილეს.

სამსონ ფირცხალავა გულდასმით რომ ჩაუკვირდებოდა და დაგვიხასიათებდა აკაკის უბნობისა და ენის მიმზიდველობასა და მომხიბვლელობას, ლაპარაკის დროს რომ არ იცოდა წაბორძიკება, სიტყვების ძებნა, უხერხული გამოთქმა, უცხო სახელების ჩართვა და ენის აჭრელება, და რომ მისი ლაპარაკი იყო სადა, მარტივი, მოჩხრიალებდა წყაროსავით, ბუნებრივი დენივით და ტკბილმოსასმენი გახლდათ, მიუხედავად იმისა, თუ რა შინაარსისა იყო, და რომ რაც უნდა მაღალ საგანზე ესაუბრა, მისი ნათქვამი ადვილად გასაგები გახლდათ და ისეთი ტკბილი მოყოლა იცოდა ამბებისა, რომ მისგან უკვე გაგონილსაც სიამოვნებით ისმენდნენ მეორედაც და მესამედაც, დასძენდა:

რასმე რომ გადმოგვცემდა, ეს არ იყო ფაქტების უბრალო ჩამოთვლა, არამედ აკაკის მხატვრულ ქურაში გადამუშავებული ამბები, რომლებიც პოეზიის სამეფოს უფრო ეკუთვნოდნენ, ვიდრე მშრალ, ობიექტურ სინამდვილეს. იგი მუდამ პოეტი იყო, მხატვარი, შემოქმედი. ნანახსა თუ გაგონილს თავისებურად მოკაზმავდა და მორთავდა. რისიმე დასამტკიცებლად მისი მთავარი არგუმენტი იყო სათანადო არაკის თხრობა, როგორც „სიბრძნე სიცრუის წიგნშია“ ან „ქილილა და დამანაშიო“.

რაოდენ საგულისხმო დაკვირვებაა, არაკის თხრობაც რომ ძალიან იტაცებდა, მისი მოშველიება თვალსაჩინოებად და დამარწმუნებელ საბუთად.

თანაც შემთხვევიდან შემთხვევამდე კი არა;

აგერ „სიბრძნე სიცრუისა“ და „ქილილა და დამანა“ გაგახსენდებოდათ, რამდენჯერმე თუ მოუსმენდით მის ენაწყლიანობას.

და სამსონ ფირცხალავა რას წარმოიდგენდა, ამ შტრიხის აღნიშვნით მზამზარეულ ფორმას, თხრობის ზოგად არქიტექტონიკას თუ აწვდიდა ბიოგრაფოსს — უკეთესი აღნაგობა რაღა გინდა, თუ აკაკი წერეთელზე მონოგრაფიასა თუ ბიოგრაფიულ რომანს ჩაუჯდები:

გარკვეულ მონაკვეთთა დასაწყისისათვის შესაფერისი არაკის, იგავის გამოძებნაღა მოგიწევს — უკვე არსებულის გამოყენება, ანდა შენს შემოქმედებით ქურაში გამოვლილისა თუ სულაც შენ მიერვე შეთხზულის მომარჯვება.

და ხელიდან როგორ გავუშვებდი ამისთანა ხელსაყრელ შემთხვევას... უკვე რომ არ გამოეყენებინა ეს ფორმა აკაკი ბაქრაძეს მონოგრაფიაში „ტკბილი ოცნება და მწარე სინამდვილე", ოღონდ კარგი კი იქნებოდა სადმე აღენიშნა, თუ რა აღმოჩნდა მისთვის ამგვარი აღნაგობის გამომძებნის შთამაგონებელი: სამსონ ფირცხალავას მემუარების ის პასაჟი, ამ ნიშანდობლივი მანერის ხსოვნას სხვა არავინ რომ არ შემოგვინახავდა.

აკაკის პირადი საუბრების საგანი უმთავრესად რომ ეს იქნებოდა, რაც მთელი მისი პოეზიაა: საქართველოს ბედი, მისი სიკეთე, თავისუფლება — რა მიხვედრა უნდა, და ისიც საყოველთაოდ ცნობილია, ოხუნჯობაც რომ უყვარდა, მეგობრული შარჟებიც, ცოტა კბილის გაკვრაც, და ასეთ დროს არავის მოერიდებოდა — არც თავისიანსა და არც მეგობარს, მაგრამ სამსონ ფირცხალავას თხრობაში საგულისხმო ისაა, აკაკის ზოგიერთ ნაამბობს ისე რომ იხსენებს, ვერ დაუზუსტებია და არც ცდილობს დაზუსტებას, ანეკდოტია თუ მართალი ამბავი.

სამსონს რა მოვთხოვოთ, თვითონ აკაკიც ეელარ დაგვიზუსტებდა, ეელარ გაარჩევდა, ეელარ დააცალკევებდა, რა მომხდარიყო სინამდვილეში და თვითონ რა მიემატებინა — წარსული ხომ მის ცხოვრებაში ისე ცხოვრობდა, როგორც მხატვრული ნაწარმოები.

აკაკის ზოგიერთ ნაამბობსო...

თუნდაც ამას:

ახალჯვარდაწერილი რომ იქნებოდა, ტფილისში ჩამოვიდოდა. მოინდომებდა ცოლის სიამოვნებას და ბაზარში ღლავის (ლოქოს) ბოლოს იყიდდა, რაც საუკეთესო ნაჭრად ითვლება, და შინ მიიტანდა გასაკეთებლად, მაგრამ მეუღლე რომ დაინახავდა, აიღებდა და... თავში ესროდა: თევზის კუდი რა საჭმელიაო. სახტად დარჩებოდა, რაღას ეტყოდა, თავისთვის კი გაიფიქრებდა: რა იცის რუსმა, რომ ღლავის თავი უვარგისიაო!

ამას თუნდაც:

ერთ გორელ თავადიშვილს ციმბირში გადაასახლებდნენ და იქ ზამთარში ნახავდა, რომ გაყინულ რძეს ნაჭრობით და წონით ყიდდნენ ბაზარში. იფიქრებდა: მოდი ჩვენებს გავუგზავნი, გაუკვირდებათ და გაეხარდებათო. იყიდდა მოზრდილ ყუთს, გაავსებდა გაყინული რძით და რკინიგზით გამოუგზავნიდა თავისიანებს გორში. რძე რასაკვირველია გზაში დადნებოდა და დაიღვრებოდა და გორში ცარიელ ყუთსღა მიიღებდნენ.

— ვაი ჩვენი ცოდვა, ის ვაჟი სწორედ გაგიჟებულა, რომ ცარიელი ყუთი გამოუგზავნია ციმბირიდან, — დაიგმენდნენ იმ თავადიშვილის ნათესავები.

ან კიდევ ამას:

ერთი ახალგაზრდა თავის მოკვლას განიზრახავდა და აკაკის გაანდობდა თავის გადაწყვეტილებას. და ესეც... მოუწონებდა:

— თავის მოკვლა დიდი გმირობაა, ყველას არ შეუძლია, მაგრამ თავი ისე უნდა მოიკლა, რომ სასახელო გამოვიდეს.

და კიდეც ურჩევდა გზას ამ სასახელოსაკენ:

— წადი და ზღვაში დაიხრჩე თავი, ზღვა ნაპირზე გამოგაგდებს, ქვეყანა გაიგებს, შენზე დაიწყებს ლაპარაკს და გაზეთშიც კი დაბეჭდავენ შენს ამბავს.

ახალგაზრდა პირდაპირ გაიგებდა მის სიტყვებს და ძალიანაც ეამებოდა ეს რჩევა, და ფოთში გაემგზავრებოდა თავის დასახრჩობად. იქ ამხანაგები შეხვდებოდნენ, გაეხარდებოდათ მისი ნახვა, დაპატიჟებდნენ და კარგადაც აქეიფებდნენ. იქეიფებდნენ მეორე დღესაც. აქეთ გაატარებდნენ, იქით გამოატარებდნენ, რამდენიმე დღეში ისე გაართობდნენ, ახალგაზრდას სულ დაავიწყდებოდა თავის მოკვლის განზრახვა. დაბრუნდებოდა ისევ თბილისში, აკაკის მოძებნიდა და მადლობას გადაუხდიდა: სიკვდილს გადამარჩინეო.

ან ამას კიდევ:

ერთხელ, ტფილისურ სიცხეში, გოლოვინის პროსპექტზე რომ მიდიოდა, დავითის ქუჩის კუთხეში მყოფს უნდა დაენახა ზემოდან ჩამომავალი იაკობ გოგებაშვილი, მაგრამ რაღაც ახირებულად — ხან მარჯვნივ გადახტებოდა, ხანაც მარცხნივ, თითქოს ცეკვავსო. ამას ელდა ეცემოდა: ვაითუ გაგიჟდა იაკობიო. აუყვებოდა ქუჩას, შეეგებებოდა და ჰკითხავდა: რა მოგივიდაო? და ის მიუგებდა: ტროტუარი მოურწყავთ და დასველებულ ადგილებს ვერიდები, მეშინია, არ გავცივდეო.

ვისაც მოეხსენებოდა, რომ იაკობ გოგებაშვილს ფილტვები ჰქონდა საკმაოდ დაზიანებული და ყოველთვის ერიდებოდა ნოტიოს, სიცივეს, ქარს, არავის გაუკვირდებოდა, ოღონდ ესეცაა — ცოტა არ იყოს კომიკური ვითარება წარმოისახებოდა, გაშარჟებულს უფრო ჰგავდა მონათხრობი, ვიდრე ფოტოგრაფიულ სურათს, თუმც ფოტოგრაფიულობაზე აკაკი ანკი როდის სდებდა თავს... და სამსონ ფირცხალავა რომ შეფიქრიანდებოდა: ამ ეპიზოდის გახსენება ჩემს მოგონებებში როგორი რა გამოვაო, — თავს იმით იმართლებდა მკითხველის წინაშე: აკაკი და იაკობი დიდი მეგობრები იყვნენო.

ფანტაზიის თამაშს აკაკი მასთანაც ლაღად გაშლიდა ხოლმე და... რა გასაკვირია, ოდესმე ესეც რომ ეკითხა:

— ილიას გარჩევა წაკითხული გექნება, ჩემი წერილის გარჩევა.

— როგორ არა.

— მერე იცი რა? მე ამ პასუხის პასუხი დავწერე. ილიას აზრები დავარღვიე.

— სადაა ეს პასუხი?

— წარმოიდგინე: ილიამ გაიგო ეს, მივიდა სტამბაში, შეისყიდა მთელი გამოცემა და ცეცხლს მისცა.

კილო კი ისეთი ექნებოდა, რომ დაუეჭვებლად სწამდა თავისი მონათხრობი, მაგრამ გრიგოლ რობაქიძე ანდა სამსონ ფირცხალავა თუ მხოლოდ გუნებაში არ გაიზიარებდნენ, იაკობ გოგებაშვილი არ გაუწუმდებოდა:

— კარგი ახლა, აკაკი!..

— რა „კარგი ახლა“?.. ასე იყო და...

და იაკობი რომ დაკვირვებით შეხედავდა და... მის სახეზე ღვარძლის ერთ ხაზსაც ვერ აღმოაჩენდა, გაიფიქრებდა: ამის ფანტაზიებს ხომ საზღვარი არა აქვსო!..

და შეეხარბებოდა:

კვლავაც ბავშვად რჩება, ბავშვის ფსიქოლოგია კი არ იცის ზედმიწევნით, არამედ კვლავაც იმ გარსშია მოქცეული, ჩვენ პატარებად უნდა ვიქცეთ, თუ მოვახერხებთ, ხანდახან მაინც, აკაკის კი ბავშვად ქცევა არცა სჭირდება, ბუნებრივი ყოფა ესაა მისთვისო.

ძილიც ბავშვივით რომ სწვეოდა:

უთუოდ ან საბანი უნდა ჰქონოდა გადავარდნილი ლოგინიდან და ან ბალიში.

სიყმაწვილეს ინარჩუნებდა სიზმრებშიც.

სიყმაწვილეს ინარჩუნებდა ცხადშიც.

და სიყმაწვილეს ინარჩუნებდა სიზმარ-ცხადის მიჯნაზეც, სადაც ბოლომდე შლიდა ფრთებს მისი ფანტაზიებიც და შემოქმედებითი წარმოსახვაც, ის დაუოკებელი პოეტური ჟინი და სწრაფვა, ყველაფერში რომ იღვრებოდა — ლექსშიც, პროზაშიც, დრამატურგიაშიც, პუბლიცისტიკაშიც, კრიტიკულ-ესთეტიკურ ძიებებშიც, თარგმანშიც, რედაქტორობაშიც, გამოცემაშიც, რეჟისორობაშიც, შავი ქვის აღმოჩენაშიც, ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაშიც, ყოფით ურთიერთობებშიც და ბანქოსა და ჭადრაკის თამაშის დროსაც...

ისე სხვებისა რომ უკვირდა:

ვეღარავისა ხედავენ გარშემო და ყველაფერს თვითონ ეპოტინებიან, ყველა სფეროს თვითონ იჩემებენო!..

როდესაც გიორგი ლასხიშვილის „ივერიის“ რედაქციაში დაიწყებდა მუშაობას, აკაკი რამდენჯერმე ლექსებს მიუტანდათ დასაბეჭდად. ჰონორარს კარგს აძლევდნენ. მემუარისტი ზუსტად ვეღარ გაიხსენებდა თუ რამდენს, მაგრამ ჩვეულებრივზე ბევრად მეტს, მაგალითად: 3-4-ჯერაც მეტს, ვიდრე ვაჟა-ფშაველას.

თურმე ამის თაობაზე უსიამოვნო ინციდენტიც მოსვლოდათ ილიასა და აკაკის და... მას შემდეგ ილიას განკარგულება გაეცა:

— აკაკის მიეცით, რაც მოგთხოვოს.

მიუხედავად ამისა, აკაკი მაინც უკმაყოფილო იქნებოდა, და აგერ გიორგისაც არაერთხელ სმენოდა მისგან: „ივერიაში“ არაფერს მაძლევენო.

თუმც წყენით არა წყინდა ეს საყვედური, რაკილა იცოდა, რომ ეს ჩვეულებრივი სენი გახლდათ მგოსნისა, მუდამ რომ ჩიოდა: ნაკლებ ყურადღებას მაქცევენო.

არადა გიორგიც ირწმუნება: საქართველოში აკაკიზე მეტად არცერთი პოეტი არ უყვარდათ, არავის ისეთ პატივს არ მიაგებდნენ, როგორც მასო.

როდესაც აკაკის ჩააცივდებოდნენ და დაჟინებით მოსთხოვდნენ ამ უყურადღებობის საბუთებს, იგი ხშირად... უცნაურ რაიმეს შეთხზავდა, რაც არასოდეს მომხდარიყო. და ამ მის მიერ შეთხზულ ფანტასტიკურ ამბებს ხანდახან მეტად უსიამოვნო ხასიათიც ჰქონდა ხოლმე.

ერთხელ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის კრებაზე გიორგი ყაზბეგი ძალიან აღელვებული მივიდოდა, რადგანაც ერთ ოჯახში აკაკის დიდი ბრალდება წამოეყენებინა ამ საზოგადოების წინააღმდეგ:

ფული შემოჭამეს, გამოსცეს ჩემი თარგმანი — ივან კრილოვის „იგავ-არაკები“, გაჰყიდეს და მე კაპიკიც არ მომცესო.

და გიორგი ყაზბეგი წევრებს განუცხადებდათ:

— თუ ეს მართალია, მე ერთ წუთსაც ვეღარ გავჩერდები აქ.

ესენი... სიცილს ატეხდნენ და დამშვიდებას დაუწყებდნენ საზოგადოების თავმჯდომარეს:

— ეს ჩვეულებრივი ფანტაზიებია აკაკისა და არავინაც არ იჯერებს.

მაგრამ ის ასე ადვილად ვერ დამშვიდდებოდა. და მაშინ სამსონ ფირცხალავა მოიტანდა დავთრებს, საიდანაც აღმოჩნდებოდა, რომ: აკაკის მეტიც წაეღო წინასწარ ამ წიგნის ანგარიშში, ვიდრე ტირაჟის გაყიდვისაგან ერგებოდა.

მერე მიიყვანდა თავმჯდომარეს თაროსთან მაღაზიაში და უჩვენებდა ბევრ ჯერაც გაუყიდავ წიგნს, და ამასაც დასძენდა:

— ერთი ამდენი საწყობშიც გვაქვს.

გიორგი ყაზბეგი ძალიან გაწყრებოდა და იტყოდა:

— ბოდიში უნდა მოვახდევინო ასეთი მოგონილი ჭორისათვის.

მეორე დღესვე მიადგებოდა აკაკის და საკმაოდ უსიამოვნო ლაპარაკიც მოუვიდოდათ. ხოლო როდესაც თანამშრომლები ჰკითხავდნენ, როგორ გათავდა ის შეხვედრაო? — მიუგებდათ:

— მეტისმეტად ახირებული კაცია. იცით რა მითხრა? გიორგი, შენ ახალი კაცი ხარ იქ და არაფერი იცი მათი მახინაციებისაო. პირველი გამოცემა „იგავ-არაკებისა“ სულ გაიყიდა, ხოლო შენ რომ გაჩვენეს თაროებზე, ის შემდეგ საიდუმლოდ არის გამოცემულიო. როცა მოვთხოვე ამის დამტკიცება, სიცილით მიპასუხა: ჩემთვის ეს დამტკიცებულია და თუ შენ არ გჯერა, დამამტკიცებელი საბუთები შენ თვითონ ეძიეო...

გიორგი ყაზბეგს დიდხანს არ დაავიწყდებოდა ეს ამბავი, მაგრამ... მხოლოდ სიცილით მოიგონებდა ხოლმე.

უკვე მანაც იცოდა, რომ აკაკის ამისთანა ფანტაზიები არ დაელეოდა და... სად უნდა გედევნა, გერკვია და გეზუსტებინა — ტყუილუბრალოდ მოცდებოდი და დადგენით მაინც ვერას დაადგენდი.

ამიტომაც შემწყნარედ უნდა შეგეხედა მისი ამ ახირებისთვისაც, ბოლოსდაბოლოს აკაკი გახლდათ და უკიდეგანო წარმოსახვა რომ არა, ვერ შეძლებდა უამრავი რამ ექცია ოქროდ ხელის შეხებისთანავე, და ვერც საუკუნეებში გავიდგამოვიდოდა ასე ბუნებრივად და ძალდაუტანებლად, უსაზღვრო ფანტაზიას რომ არ ეკრა ხოლმე ფრთა მისთვის საკმაოდ ძალუმადაც და... თვითონაც ვეღარ გამოერკვია, სად გადიოდა ზღვარი მხატვრულ და ყოფით რეალობებს შორის.

ანკი რა თავი უნდა შეეწუხებინა ამის სარკვევად — ისედაც ცოტა საწუხარი და სადარდებელი ჰქონდა?!.

მოგონებებში რომ ჩაეფლობოდა ექვთიმე თაყაიშვილი, ორჯერ გაიმეორებდა:

აკაკი სააპეკო კაცი იყოო.

ვინმე პატრონი თუ არ ეყოლებოდა, რანაირად უნდა მოევლო თავისათვის — ცოლი გვერდით არასოდეს ჰყავდა და...

ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკი პენსიას რომ დაუნიშნავდა, თანხას წერა-კითხვის საზოგადოებას გადასცემდა, რათა ყოველწლიურად ეძლიათ განსაზღვრული რაოდენობით. ეს კი უხერხულ დღეში ჩააგდებდა საზოგადოებასაც და მის ხაზინადარსაც.

აკაკი ითხოვდა ბევრ ფულს.

ისინი არ აძლევდნენ განსაზღვრულ თანხაზე მეტს.

ატყდებოდა ერთი მითქმა- მოთქმა.

აკაკი ირწმუნებოდა:

— მე არაფერს მაძლევენ, ჩემს მაგიერ სხვები აწერენ ხელს და მათ მიაქვთ.

დაჯერებით ამას არავინ იჯერებდა, ვინაიდან დავით კარიჭაშვილი, რომელიც იმჟამად განაგებდა ამ საზოგადოების საქმეებს, უაღრესად პატიოსან კაცად იყო ცნობილი, და თუ ვინმე ეტყოდა: აკაკი ასე და ასე ამბობსო, — ის მთქმელს პოეტის ხელწერილებს აჩვენებდა და და... აკაკის კი საყვედურს სრულიად არა ჰკადრებდა.

მაგრამ აი გახდებოდა საზოგადოების თავმჯდომარე გიორგი ყაზბეგი და ის შეურაცხყოფად მიიღებდა ასეთ მითქმა-მოთქმას, და საზოგადოება კიდეც უარს იტყოდა აკაკისათვის გასანაწილებელი ფულის მიღებაზე.

შემდეგ ბანკი სხვას დაუნიშნავდა აპეკუნად პოეტს, მაგრამ ისიც უარს იტყოდა.

ბოლოს იაკობ გოგებაშვილს სთხოვდნენ, რომ ეგებ მას აეღო თავის თავზე ამ ფულის გამოზოგვა აკაკისათვის.

იაკობიც დიდ უარზე დადგებოდა, მაგრამ მერე იტყოდა:

— ვინმემ ხომ უნდა იკისროს ეს არასასიამოვნო საქმე? ისე აკაკი ვერაფერს მიიღებს. მე დაეთანხმები, თუ ექვთიმე თაყაიშვილი შემომიერთდება.

ექვთიმე გააფრთხილებდა:

— შენი არ იყოს, მეც დიდ პატივს ვცემ აკაკის, მაგრამ ესეც ხომ იცი, აკაკი არავის დაინდობს და ჩვენც კარიჭაშვილის ამბავი მოგველის.

— რა ვქნათ, უნდა გადავიტანოთ, — მიუგებდა იაკობი და... ორივე დათანხმდებოდა და ერთხანს კიდეც გაუძლებოდნენ ამ საქმეს. მათ მაინცდამაინც არ შეაწუხებდათ აკაკი, და თუ პირსუკან რაიმეს ამბობდა სასაყვედუროს, ექვთიმეს ყურამდე არ მოუღწევია.

ნატალია აზიანს უფრო მშვენიერი სანახაობა არც ახსოვდა, ვიდრე აკაკის მიერ დადგმული ის ერთგვარი მონოსპექტაკლები, თავისებურ ოხუნჯობას რომ მოჰყვებოდა ხოლმე ნაცნობ-მეგობრებში!..

ან სავარძელში რომ გადაწვებოდა, ნიბლიასებურ ქუთუთოებს დახრიდა თვალებზე და ჰყვებოდა და ჰყვებოდა უცნაურ ამბებს, რომლის სინამდვილეც... არავის სჯეროდა.

რატომ ვითომ?

რატომ და:

იქვე, მსმენელთან, სახელდახელოდ ითხზვებოდა.

ამას ყველა ხედავდა, მაგრამ ეს ამბები ყოველთვის ისე იქნებოდა შეზავებული მაღალი პოეზიითა და ენამახვილობით, რომ:

ძალაუნებურად მიჰყვებოდი უდაბნო ბილიკებით მის საოცნებო კოშკში.

იცინებდნენ, იხალისებდნენ სახელდახელოდ აგებული სიუჟეტებით, აკაკი თვითონაც ტკბობას რომ მიეცემოდა ამ ყაიდის ამბავთა ფოიერვერკით, მაგრამ სხვები თუ ასე გაიხსენებდნენ იმ წუთებს: თავბრუ დაგვახვია ფანტაზიის სილაღითა და სიცხოველითო, — თვითონ აკაკი... ადვილად იჯერებდა თავისივე შეთხზულს და შემდგომ და შემდგომ შესაძლოა სხვებთან ისე მოეგონებინა ხოლმე, როგორც ნამდვილად მომხდარი.

არ განარჩევდა ყოფით რეალობას მხატვრული რეალობისაგან.

სიზმარი და ცხადიც აღარ განერჩეოდა ერთმანეთისაგან.

აღარც სიკვდილი და სიცოცხლეო, — ეს უკვე გალაკტიონ ტაბიძეს უნდა მიეკვლია აკაკის ხასიათსა და ფსიქიკაში, მის იდუმალ პიროვნულ საწყისში, ნიცშესეული კვლავდაბრუნების იდეის ხორცშესხმულ ნიმუშად რომ წარმოდგებოდა.

ყოველ შემთხვევაში გალაკტიონს ეჭვიც არ ეპარებოდა მის ხელმეორე დაბრუნებაში დედამიწაზე — თვითონვე რომ გამოეძახებინა თავი საფლავიდან...

კი მაგრამ... ეს როგორ?

როგორ და...

თუმც... ამჯერად თხრობის გეზს ნუ გავამრუდებთ, გაშლილს იმ ფსიქოლოგიური შტრიხის ირგვლივ მის პიროვნულ ხასიათში, მის ტყუილს რაღაც სხვა იერი რომ ჰქონდა, და — გრიგოლ რობაქიძისა არ იყოს — შენც გიკვირდა მისი ფანტაზია, კიდევ უფრო მეტად კი ის გიკვირდა, თვითონვე რომ სჯეროდა, უთუმცაოდ და დაუეჭვებლად, რასაც ლაპარაკობდა.

უამისოდ — თვითონვე რომ არ ერწმუნა თავისივე ნაამბობი — ანკი როგორ იქნებოდა მისი ფანტაზია ასეთი ლაღი და ყოვლისმომცველი?!.

ნატალიას გული დაწყდებოდა, რომ ამ ნამდვილ პოეტურ თვისებას აკაკისა საკარიკატურო მასალად გახდიდნენ ფედერალისტები და „ცნობის ფურცლის“ ერთ-ერთ დამატებაში აკაკის დახატავდნენ პირში სტვირითა და ამ სტვირიდან გამომდინარე საპნის ბუშტებით, ქვეშ კი წააწერდნენ: სიბერის დროსა არ ვარგა საპნის ბუშტების სროლაო.

ეს კარიკატურა საშინელ გულისწყრომას გამოიწვევდა როგორც აკაკისას, ისე მისი თაყვანისმცემლებისას — ტყვიასებრ დაიძრებოდა საპროტესტო ნაკადი ლექსად თუ პროზად ფედერალისტთა მიმართ. თვითონ აკაკი გესლიანი ლექსით გამოეპასუხებოდა „ცნობის ფურცლის“ ერთ-ერთ მთავარ მესვეურს გიორგი ლასხიშვილს, რის შემდგომაც გაზეთის უახლოეს ნომერში მობოდიშებისმაგვარი ახსნა-განმარტება დაიბეჭდებოდა, დაახლოებით ასეთი შინაარსისა:

ევროპაში მიღებულია დიდებულ პირთა გაკარიკატურება და ეს სულაც არ ლახავს მათ ღირსებასო; ხოლო ჩვენ ჯერ არა ვართ შეჩვეულიო...

დიდებულ პირთაო, — საბოდიშოდ სავსებით კმაროდა, თუმც აკაკის თაყვანისმცემელთ არ დააკმაყოფილებდათ: პირის მოსანშენებლად დაჭირდათ, თორემ რა ხელი აქვს კარიკატურას პიროვნების ჭეშმარიტ პატივისცემასთანო!..

1913 წლის აპრილში ივანე ელიაშვილი მალარიით რომ დაავადდებოდა და ერთხანს ტფილისში მარტო დარჩებოდა, აკაკი თითქმის ყოველ საღამოს სტუმრობდა და ორ-სამი საათის განმავლობაში ართობდა თავისი ტკბილი საუბრით.

ახალი ამბები არ შემოელეოდა ხოლმე?

როგორ არა, და ასეთ დროს ძველსაც გაიხსენებდა, ივანეს უკვე მრავალჯერაც რომ მოესმინა, მაგრამ ისეთი ფერადებით მოქარგავდა, რომ... ახალთახალი გეგონებოდა. და ვერ აეხსნა მასპინძელს, აკაკის დიადი ნიჭის ეს თვისება — თხრობის გამშვენიერება მომხიბლავი ფერადებით — ზოგს სიცრუე რატომ უნდა ჰგონებოდა?!.

არადა ხშირად გაეგონა ხან ვისგან და ხანაც ვისგან:

— იმე, რა მშვენივრად მოიცრუებს ეს დალოცვილი.

თან აშკარად გრძნობდნენ თხრობის მშვენიერებას, თან... რაღაც ეჭვიც უჩნდებოდათ.

მისი თხრობის ხელოვნება უნდა დაგეფასებინა — ეს იყო და ეს მთელი საიდუმლო.

ერთ გარემოებასაც მიაქცევდა ყურადღებას ივანე:

აკაკი, როგორც დიადი ნიჭის პატრონი, ხშირად ისეთ რამესაც ამჩნევდა, რასაც უბრალო მოკვდავი მისი თქმის შემდეგაც კი იოლად ვერ წარმოიდგენდა, და ამიტომაც ეჩვენებოდა აკაკის მონაყოლი სიცრუედ.

ყმანვილურ ფანტაზია-ტყუილებს ჯონ სტაინბეკი საგანგებოდ ჩაუკვირდებოდა რომანში „ედემის აღმოსავლეთით“ და მისი შინაგანი მექანიზმის ახსნას შეეცდებოდა, როდესაც ერთ-ერთი პერსონაჟის ბოროტ ტყუილებს შეუპირისპირებდა:

ეს რა იყო ის უწყინარი ფანტაზია, რომელსაც ბავშვი თვითონ წარმოიდგენს ხოლმე და, რათა ყველა დააჯეროს, ისე ყვება, თითქოს სრული სიმართლე იყოსო.

ასეთი ტყუილი მაინც რა არის — ბავშვური და ალალი?

უბრალოდ რეალობისაგან წამიერი გადახვევა, მისი ცოტა ხნით დავიწყება და მეტი არაფერი.

გამოგონილ ამბავსა და ტყუილს რითი განარჩევდა ერთიმეორისაგან სტაინბეკი?

რითი და:

გამოგონილი ამბავი მოჩვენებით სიმართლეს შეიცავდა და ეს მოჩვენებითი სიმართლე მსმენელისა და თვით მთხრობელის ინტერესებში შედიოდა.

ასეთ დროს არავინ იგებდა?

მაგრამ არც არავინ აგებდა.

ტყუილი კი ყველგან და ყოველ დროში სარგებლის მიღების ან სასჯელისაგან თავის არიდების საშუალებაა.

თუ ასეთ განსაზღვრებას მკაცრად მივყვებოდით, ჯონ სტაინბეკი იძულებული შეიქნებოდა ელიარებინა, რომ:

მწერალიც მატყუარა გახლდათ, განსაკუთრებით მაშინ, თუ თავისი საქმიანობით ფულს შოულობდა.

უწყინარი ფანტაზია, რომელსაც ბავშვი თვითონ წარმოიდგენს და ისე ყვება, თითქოს სრული სიმართლე იყოსო.

ბავშვიც და... ის უფროსიც, რომელიც იტოლებს ბავშვს და თვითონაც ბავშვდება.

და უკვე ვეღარც მას გაურჩევია, მიუხედავად უკვე წლებით დამძიმებული ცხოვრებისა, რა ტრიალებს მის ფიქრში, ფანტაზიასა და ოცნებაში და რა ხდება ყოფით რეალობაში.

ეს ორი სამყარო ერთმანეთს ისე გადაკვეთს მის წარმოდგენაში, ვეღარც გაურჩევია, სად იწყება ერთი და სად მთავრდება მეორე, სად არის სინამდვილის საზღვარი და სად ფანტაზიისა.

ანკი... არსებობს განა ასეთი მიჯნა?

აკაკის შემხედვარე გრიგოლ რობაქიძეს ეჩვენებოდა, რომ ასეთი საზღვარი არც არსებობდა, ფანტაზია და რეალობა თვითონვე ენაცვლებოდნენ ერთიმეორეს და... აკაკისაც რა ეღონა, თავისი პიროვნული ბუნების ამ ჟინიან თამაშს უნდა აჰყოლოდა.

აჰყოლოდა რომელია!..

შენ კი თუ გინდა დამდგარიყავი და... რაღაც მიჯნები და საზღვრები გეძებნა...

* * *

ნეტა თუ უგრძნობდა გული, რაღაც განსაკუთრებული და შემძვრელი რომ უნდა მომხდარიყო მის ცხოვრებაში?

ფრეილინის ქუჩას გაუყვებოდა და წინ შემოხვდებოდა ვიღაც გამდელი, ხელჩაკიდებული რომ მოჰყავდა ამაყად ფეხადგმული ბავშვი. პატარა ძლივს მობაჯბაჯებდა. დაინახავდა თუ არა ის ბავშვი, შემოსცინებდა, გაბზეკდა თითს და ძლივს წაილულღულებდა: აი აკაკი!..

ეს გაშტერდებოდა. გამდელი მოუბოდიშებდა: ამა და ამ კაცის შვილია. თქვენ პირადად არ გიცნობენ, მაგრამ თქვენი სურათი უკიდიათ ოთახში და ბავშვმაც იმით გიცნოთო!..

თავის დღეში არ გამოეცადა და მაშინ კი გამოცდიდა სიამოვნების ოფლს.

საზოგადოების თანაგრძნობას მიჩვეოდა, ვინ მოთვლის რამდენი ტაში მოესმინა, რამდენი „ვაშა“ გაეგონა, რამდენი სასიამოვნო რამ ენახა, მაგრამ არცერთხელ ის არ ეგრძნო, რასაც იმ პატარა თითი და ნატიტინები აგრძნობინებდა.

ნეტა ან მაშინ თუ უგრძნობდა გული რაღაც განსაკუთრებულსა და შემძვრელს?

ამჯერად მოღრუბლულ ამინდში დაადგებოდა გოლოვინის პროსპექტს და უეცრად წვიმაც დაუშვებდა. ეს რადგანაც უპალტოოდ გახლდათ, გაეჩქარებოდა შინისაკენ. უეცრად უკნიდან ხმა მოესმოდა:

— ბატონო აკაკი, მოიცადეთ!

შეჩერდებოდა, მოიხედავდა და მასთან მოიჭრებოდა ქოლგით ხელში ვიღაც 12-13 წლის გოგონა და შესთავაზებდა ქოლგას:

— აი მიირთვით, და მერე მიბოძეთ!

— მერე თქვენ?

— მე არა მიჭირს რა, რომ დავსველდე, და თქვენ კი ვაითუ გაწყინოთ.

რომ აღარა და აღარ მოეშვებოდა, გადაწყვეტდნენ, რომ ორივე იმ ერთ ქოლგას შეფარებოდა და ისე მისულიყვნენ აკაკის სადგურამდის. სასტუმროს კარს რომ მიაწევდნენ, სა-

დაც აკაკი შედგებოდა, გოგონა გამოეთხოვებოდა და თავის ქოლგიანად გაუდგებოდა გზას. ვერასოდეს გაიგებდა მის გვარ-სახელს, მაგრამ იმისი უმანკო, ბავშვური სახე კი ყოველთვის თვალწინ ამოუტივტივდებოდა ხოლმე!..

სიცოცხლეში ბევრი სიმწარე რომ გამოეცადა, ერთიორად მეტი სიტკბოზედ, მაგრამ განეცადა ნეტარი წამებიც და მათგან ოთხ ეპიზოდს მაინც განსაკუთრებულად გამოარჩევდა, რომელთაგანც ორი ბავშვების სახეებით აღიბეჭდებოდა.

და ხანდახან რომ დაუფიქრდებოდა ხოლმე წარსულს და წარმოიდგენდა თავის უთვალავ ტანჯვას, ყველა იმათ შეუწონიდა ხოლმე ამ ოთხ შემთხვევას და... სასწორი ამ ოთხისაკენ იხრებოდა, ამ ოთხი უჩვეულო ეპიზოდისაკენ, ოთხ სიმბოლოდ რომ შემოენახა მეხსიერებას.

კარი მეორე

თავი I

ყველგან და არსად

იონა მეუნარგია ახალ ჟანრს რომ დაუდებდა სათავეს ქართულ ლიტერატურაში, ფრანგული მწერლობის ზეგავლენითა და შთაგონებით, გარშემო ბევრი დაფაცურდებოდა, ეგებ ჩვენი ცხოვრებაც გამოადგეს აღსაწერადო, და ეს იმიტომ, რომ ეს ახალი ჟანრი მხატვრულ-დოკუმენტური ყაიდისა გახლდათ და უშუალოდ კი ბიოგრაფიულ ქრონიკას წარმოადგენდა, ის, რაც ძველ დროში ჰაგიოგრაფიის სახელით იქნებოდა ცნობილიც და დამკვიდრებულიც, ახალი ეპოქა თავის კვალსა და ტვიფარს დააჩნევდა და ახლებურ ჟანრადაც გამოჰკვეთდა.

სულიერი სიახლოვე კანთიელია ჰაგიოგრაფიულ და ახალი დროის ბიოგრაფიულ თხზულებებს შორის, მაგრამ იონა მეუნარგიას უშუალოდ ფრანგ მწერალთა და მკითხველთა განსაკუთრებული ინტერესი უფრო აიყოლიებდა და კიდეც გადაეშვებოდა იმ უჩვეულო, გამაოგნებელ, დიადი წვრილმანებით გადავსებულ სამყაროში, ბიოგრაფიული ქრონიკების ნაკადი რომ ქმნის — იონას ხელში უფრო მოთხრობებად გამოკვეთილი, პირობითად რომ შეიძლება დაერქვას ბიოგრაფიული რომანები მის ქრონიკებს გრიგოლ ორბელიანსა თუ ნიკოლოზ ბარათაშვილზე, თუმც არსებითად კი განსაზღვრავდა ქართული ბიოგრაფიული ქრონიკის ზოგად სტილისტიკასა და სულისკვეთებას და აღძრავდა იმ ცნობისწადილს, სულ უფრო და უფრო რომ გაღრმავდებოდა ამ ჟანრის მიმართ, ვიდრე საბოლოოდ მოიპოვებდა მოქალაქეობას.

დავით ერისთავი სთხოვდა იონას: ეგებ მამაჩემის ცხოვრება აგეწერაო, — და როდესაც ბიოგრაფოსი გიორგის ერისთავზე ქრონიკის წერას ჩაუჯდებოდა, რას წარმოიდგენდა, რომ თვითონ დავითის ცხოვრების მეისტორიეც გახდებოდა ოდესმე.

მის უდროოდ დამიწებულ მეგობარს არ ეჭირა არც ჩვენს მწერლობაში, არც ჩვენს ხელოვნებაში, არც ჩვენს საზოგადოებაში იმდენად შესამჩნევი ადგილი, რომ იონა მეუნარგიას გულში გაევლო მისი ცხოვრების აღწერა ისე, როგორც ეს არაერთხელ მოსვლოდა ფიქრად აღეწერა ცხოვრება:

ილიასი, აკაკისა, ნიკოლაძის, გოგებაშვილის, სანდრო ყაზბეგის.

ამ ხუთეულს გამოარჩევს, რომელთა ბიოგრაფიული ქრონიკების შედგენაც თავის მოვალეობად მიაჩნდა და მასალებსაც გულმოდგინედ აგროვებდა, იმ წვრილმანებს, ბევრი რამ საგულისხმო და მნიშვნელოვანი რომ უნდა ემცნო თანამედროვეთათვისაც და შთამომავლობისათვისაც, ის დაფარული, რაც უამისოდ ისევე დაიკარგებოდა და გაქრებოდა, როგორც მანამდე დაკარგულიყო და გამქრალიყო არაერთი მწერლისა თუ მოღვაწის ცხოვრება, და იგივე იყო მოსალოდნელი მომავალშიც, თუკი იონა მეუნარგიას კვალს სხვანიც არ დაადგებოდნენ.

დასანანია, რაოდენ დასანანი, რომ ხუთივე განზრახვა ამ რანგის ბიოგრაფოსს აღუსრულებელი დარჩებოდა.

ხოლო დავით ერისთავის ზოგად ლიტერატურულ-ფსიქოლოგიურ სილუეტს როგორ მოხაზავდა?

როგორ და:

ბედნიერი კაცისას, რომელსაც ქონება ნებას აძლევდა ეცხოვრა თავისთავად, დამოუკიდებლად, საუკეთესო ქართველი საზოგადოების წევრისას, თეატრალისას, ფელეტონის-

ტისას, მოლექსისას, მოსწრებული სიტყვისა და ეპიგრამების პატრონისას, უებარი მკითხველისას ქართულ-რუსული ლექსებისა სალიტერატურო საღამოებზე, რომელიც ნარმოდგებოდა მისი დროის კაცად, რომლის მნიშვნელობაც მასთანვე იყო წარმავალი.

ამიტომაც, ვიდრე მწერლობაში ედგა ფეხი, იონას დავით ერისთავზე თითქმის არცერთი მოგონება არ ჩაეწერა თავის სამახსოვრო წიგნში, რომელსაც: შეუბრალებელი აკაკი როჭოს დაამსგავსებდა, ჯიხვის წყალობით სულდგმულს.

შეუბრალებელი აკაკიო...

სხვა შემთხვევაში ეს ეპითეტი — შეუბრალებელი — ადამიანის უარყოფით თვისებაზე მიგვანიშნებდა, იონა მეუნარგიას მიერ წარმოთქმული და სწორედ ამგვარ კონტექსტში... სიყვარულის გამომჟღავნება უფროა, მოწიწებისა და კრძალვისა.

და ეს იმიტომ, რომ ამჯერად ეს ეპითეტი ნიშნავს: დაურიდებლობას, პირშიმთქმელობას, გონებამახვილობას, სილაღეს, ამხანაგურ გათრევას...

ჯიხვის წყალობით სულდგმული როჭო.

ასეთი რამ აკაკის თუ მოაფიქრდებოდა.

რაკიღა არას ინიშნავდა დავითზე, ეს ნიშნავს, რომ არც აპირებდა თავისი მეგობრის ცხოვრების აღწერას, მაგრამ ისე მოხდებოდა, რომ დრამატული საზოგადოება განიზრახავდა დავით ერისთავის ნაწერების გამოცემას და მისი ბიოგრაფიის შედგენას სხვას ვის დაავალებდნენ, თუ არა იონას, რომელიც სიხარულით მიიღებდა ამ შემოთავაზებას და ჩვეული ოსტატობით გამოჰკვეთდა ამ კოლორიტული პიროვნების პორტრეტს — მოხდენილსა და რელიეფურს.

მეხსიერება აუნაზღაურებდა დღიურის ჩანაწერების არარსებობას.

მეხსიერებავე აუნაზღაურებდა იმ დანაკლისსაც, თავის სამახსოვრო წიგნში კარგა ხანს რომ არაფერი ჩაენიშნა ილიაზეც, არადა მისი გაცნობის დღიდან, 1879 წელს რომ მოხდებოდა, წინამურის ტრაგედიამდე არ მოკლებოდა ილიას კეთილგანწყობა. პირველ ოთხ-ხუთ წელს, როდესაც იონა ტფილისში ცხოვრობდა, ამ დიდებულ პიროვნებასთან უფრო ხშირი მიმოსვლა ექნებოდა ჯერ როგორც წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის წევრსა და საქმის მწარმოებელს და შემდეგ როგორც გაზეთების თანამშრომელს.

და არ ჩაენიშნა იმიტომ, რომ:

მაშინ ჯერ არ განეზრახა ჩვენი მწერლების ცხოვრების აღწერა...

და ახლა გაუხდებოდა სანანურად:

ბევრი რამ ილიას ცხოვრებიდან, რასაც შეეძლო მისი ბიოგრაფიის გახალისება, ამასობაში მიავიწყდებოდა.

და მხოლოდ შემდგომ, როდესაც ხელს მიჰყოფდა გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გიორგი ერისთავისა და სხვათა ცხოვრების შედგენას, ყოველ შეყრაზე ილიას უყურებდა და უსმენდა როგორც მსხვერპლს, „მუშტრის თვალით“, და როდესაც იმისგან შინ ბრუნდებოდა, მის ნალაპარაკევს მაშინვე იწერდა თავის სამახსოვრო წიგნში, აკაკი როჭოს რომ შეადარებდა, ჯიხვის წყალობით სულდგმულს.

და კიდეც მოუყრიდა თავს იმდენ მასალას, დაბეჭდვა რომ შეიძლებოდა, და მკითხველს ამცნობდა: რასაც აქ მოგახსენებთ, ან არის ამოღებული ჩემი სამახსოვრო წიგნიდან და ან ჩემივე მეხსიერებიდან და არაფერი ურევია ისეთი, რაც სხვის კალამს ეკუთვნოდეს, სხვისი ნაწერებიდან იყოს გადმოღებულიო.

ეს წყება ჩანაწერებისა უნდა დასდებოდა საფუძვლად ილიას ბიოგრაფიის სრულფასოვან აღწერას, და თუმც ეს ჩანაფიქრი არ აღსრულდებოდა, ნანახი და გაგონილი ილიას ცხოვრებიდან გარკვეულ კომპოზიციურ ქარგაში მაინც მოექცეოდა, რაც არ ეღირსებოდა ჩანაწერთა წყებას აკაკიზე, რომელსაც, ცხადია, ყოველ შეყრაზე ასევე უყურებდა და უსმენდა იონა, როგორც მსხვერპლს, „მუშტრის თვალით“, და როდესაც იმისგან შინ ბრუნდებოდა, მის ნალაპარაკევსაც მაშინვე იწერდა თავის სამახსოვრო წიგნ-როჭოში, ჯიხვის წყალობით რომ სულდგმულობდა.

და ივსებოდა და ივსებოდა მისი სამახსოვრო წიგნი ამ ყაიდის ჩანიშვნებით, იონა აღტაცებული რომ ჩაავლებდა ხოლმე მზერას: აი მართლაც ობოლი მარგალიტებიო, აი მართლაც ადამიანის აზრის ძვირფასი სამკაული და დაუფასებელი მახვილიო...

ისე მოხდებოდა, რომ იონას წიგნაკებში ყველაზე მეტ ადგილს აკაკის ცხოვრების ანალები, მისი მოსწრებული სიტყვები და ნაკვესები დაიკავებდა, სოლომონ ცაიშვილის შეფასებით: ჩინებული მასალა აკაკის ნაკვესებად ცნობილი ენამახვილობათა კრებულებისა, — და კიდევ: საყრდენი ფოთში გამართულ აკაკის საიუბილეო საღამოზე წაკითხული რეფერატისა.

არამცთუ ბიოგრაფიული ქრონიკა შექმნილიყო, რეფერატიც კი ვერ მოაღწევდა ჩვენამდე მთლიანი სახით და ფრაგმენტებსღა შევაჩერდებოდით.

და კიდევ იმ გამკილავ ფრაზებსა თუ ირონიულ გადაკვრებს, რომლის შუაგულშიც... თვითონ იონა აღმოჩნდებოდა.

გამოქვეყნდებოდა მისი ბიოგრაფიული ქრონიკა გრიგოლ ორბელიანზე და... ეს უკვე საკმარისი მიზეზი იქნებოდა აკაკისათვის, თავისი ენის სიბასრე იონას ტყავზეც შეემოწმებინა. გრიგოლ დადიანის ცხოვრების აღწერაც დამატებით საბუთს მისცემდა ქილიკობისათვის, თუმც ესეც რომ არა, გრიგოლ ორბელიანის ასერიგად დაფასებას რა მოათმენინებდა, იონასათვის გენერლების ადიუტანტი რომ არ ეძახა და წამდაუწუმ არ შეეხსენებინა ეს თითქოსდა საჩოთირო საქციელი, კეხს იქით რომ შეაბრუნებდა, ვითომდა ბიოგრაფოსს ეს თხზულება გენერლის ჩინის წინაშე მოწიწების გამოისობით შეექმნა და არა მისი მწერლური ღვაწლისათვის შესაფერისი ადგილის მისაჩენად.

არ ეთანხმებოდა ეს ქრონიკა აკაკის შეხედულებას გრიგოლ ორბელიანზე, სათაურიდანვე რომ აზიდავდა ბიოგრაფოსი მაღლა: ცხოვრება და ღვაწლიო — თითქოსდა იმ ძველთა მოღვაწეთა ტოლ-სწორი ყოფილიყოს, ამგვარი სახელწოდება რომ დაშვენდებოდა მათ გამოვლილ გზას, მაგრამ... გრიგოლ ორბელიანისაც?!.

ქრონიკა პირდაპირ იწყებოდა, ყოველგვარი შესავლისა თუ მკითხველის შემზადების გარეშე, რაკიღა ეს შემზადება უკვე მომხდარიყო ალექსანდრე ჭავჭავაძეზე შედგენილი ნარკვევით, ამ წუხილით რომ იხსენებოდა: ცხოვრების აღწერა ჯერ არ შედგენილა ჩვენში. სურათები, ლიტერატურული მოგონება, სილუეტი არც კი გაგონილა. თითქო იღბლად დაჰყოლია ჩვენს ლიტერატურას, რუსთველიდან დაწყებული, შესანიშნავი მწერლებისა და ადამიანთა ვინაობის უცოდინარობაო.

ეს ნაკლოვანება ქართული მწერლობისა ადრე თუ გვიან აუცილებლად რომ უნდა გამოსწორებულიყო, იონა მეუნარგია გამოსწორების დაწყებად მიიჩნევდა იმ პირთა ცხოვრებაზე დაკვირვებას, რომელთაც ამ საუკუნეში გადმოებიჯებინათ ფეხი, ან ამ საუკუნესთან ერთად დაბადებულიყვნენ და ოთხმოცი წლის სალმობა თავიანთი მაგარი ზურგით ეტარებინათ, ან კიდევ ამ საუკუნეში დაბადებულიყვნენ, ამავე საუკუნეში ეცხოვრათ და ემოღვაწათ და უდროოდ დაჰკარგოდნენ ჩვენს ქვეყანას.

და ალექსანდრე ჭავჭავაძეს აღიარებდა ერთ იმ შესანიშნავ კაცად, რომლის ხსოვნაც ჩვენს მწერლობას ესაჭიროებოდა, მწერლობას მარტო კი არა, ცოტა ჩვენს თანამედროვე ისტორიასაც, და რომ მისი ხანგრძლივი სიცოცხლე გახლდათ ნიმუში, რომლითაც შეიძლებოდა ჩვენს მომავალ თაობებს წარმოედგინათ, თუ რაც იყო მისი დროება.

რა ეთქვა ერთ ენამახვილ ფრანგ მწერალს?

როდესაც დანტონი ტანთ გაიხდიდა, რევოლუცია შიშველი იყოო.

და ამ ფრაზას მოიშველიებდა ქართველი ბიოგრაფოსი, რათა წინასწარვე განეცხადებინა მკითხველისათვის: ალექსანდრე ჭავჭავაძის ცხოვრების აღწერა მის დროს თუ მთლად შიშვლად არა, შინაურულად მაინც დაგვანახებსო.

და ძალდაუტანებლად უნდა გვეფიქრა, რომ:

გრიგოლ ორბელიანსაც ოთხმოცი წლის სალმობა თავისი მაგარი ზურგით ეტარებინა.

და ამ კიდევ ერთი შესანიშნავი კაცის ხსოვნაც ესაჭიროებოდა ჩვენს მწერლობას, მარტოდენ მწერლობას კი არა, ცოტა ჩვენს თანამედროვე ისტორიასაც.

და რომ მისი ხანგრძლივი სიცოცხლეც გახლდათ ნიმუში, რომლითაც ჩვენს მომავალ თაობებს შეიძლებოდა წარმოედგინათ, თუ რაც იყო მისი დროება.

და რომ ამ პიროვნების ცხოვრების აღწერაც მის დროს თუ მთლად შიშველად არა, შინაურულად მაინც წარმოგვიდგენდა.

და ისე მოხდებოდა, რომ თუ ალექსანდრე ჭავჭავაძის ცხოვრება იონა მეუნარგიას ხელში ბიოგრაფიულ მოთხრობად ჩამოინაკვთებოდა, გრიგოლ ორბელიანის ცხოვრება და ღვანლი

ჟანრობრივად უფრო ბიოგრაფიული რომანისაკენ გაიწევდა, მითუმეტეს მოგვიანებით თავისებური ეპილოგითაც შეიესებოდა — პოეტის გარდაცვალებასა და დასაფლავებასაც რომ გადაიტანდა თხრობაში, და თუ პირდაპირ რომანი მაინც ვერ დაგვირქმევია შედარებით მცირე მოცულობის გამო, ყოველ შემთხვევაში ამ ჟანრის ზოგადი სტრუქტურა კი ხელშესახებად გამოკვეთილა და კვლავაც იმ კალაპოტს მივყვებით ამ ჟანრის თხზულებათა შექმნისას.

არ ეთანხმებოდა ეს ქრონიკა აკაკის შეხედულებასო...

ანკი როგორ დაეთანხმებოდა, როდესაც „ჩემ თავგადასავალში“ არცთუ მოსაწონი იერით გამოჰკვეთდა გრიგოლ ორბელიანს, თავიდან ისე რომ იწყებდა, ეგაა და დითირამბს უძღვნისო:

დიდებული ჩამომავლობის, მთავრობის მაღალხარისხოვანი ხელჯოხიანი, ბუნებითაც დიდად ნიჭიერიო.

მეტი რაღა გვინდა, არა? ყოველმხრივ შემკულა პიროვნება და ეგაა.

მაგრამ... თურმე არცერთ ამ ღირსებათაგანს ნაყოფი არ მოეტანა სამშობლოსათვის.

როგორც საისტორიო გვარიშვილი: ისტორიულს არას დატოვებდა რას,

როგორც მაღალხარისხოვანი: ქვეყნისათვის არას გააკეთებდა რას

და როგორც დიდებუნებოვანი მგოსანი: მწერლობაში კვალს ვერ დააჩნევდა!..

რას მოაგონებდა მის მიერ გამოვლილი ცხოვრების გზა და:

მრავალი საუკუნის განმავლობაში, ათასში ერთხელ ცის ტატნობზე კვიმატი რომ გამოჩნდება ხოლმე, ყოველ მთიებზე უფრო ბრწყინვალე, სხივმფენი, საოცარ კუდს რომ იკეთებს და თანამედროვეთა ყურადღებასაც ძალაუნებურად იქცევს; ანათებს ერთხანს და მერე უეცრად გაქრება, გაუჩინარდება.

ბევრი მხურვალე სიტყვა რომ წარმოითქმოდა განსვენებულის კუბოზე, სხვათა შორის ითქმოდა ეს აღმატებული ეპითეტებიც: მზე ჩაესვენაო, მთვარე ჩავიდაო, ვარსკვლავები დაბნელდნენო, — მაგრამ არა, სინამდვილეში მზე კი არ ჩასვენებულიყო, მხოლოდ კვიმატი გამქრალიყო, გაუჩინარებულიყო...

ქვეყნისათვის არა მოეტანა რა და არც კვალი დაეგდო...

და ეს რისი ბრალი იყო?

რისი და:

იმას ხალხიცა და ცხოვრებაც ბიუროკრატიულად, ბატონკაცურად ესმოდა, იმდენად სწამდა საქართველო მხოლოდ, რამდენადაც საჭირო და გამოსადეგი იყო მისთვის და მისიანებისათვის, და თუ ეს არ იქნებოდა, ქვა ქვაზედაც ნუღა ყოფილიყო!!.

და მხოლოდ აქ უნდა გაეელვა ილია ჭავჭავაძეს აკაკის ავტობიოგრაფიული რომანის ფურცლებზე, ის მღელვარე ეპიზოდი რომ უნდა ამოზიდულიყო მისი ცხოვრებიდან, როდესაც დავით ერისთავი, გლუხარიჩის შვილი, მოუნდომებდა ბანკის მმართველობიდან გადაგდებასა და მისი ადგილის დაჭერას. ჩამოიყვანდა სულ ტივებით, რადგანაც მაშინ რკინიგზა არ იყო, ხალხს, შეიტანდა მათ მაგიერ ფულს და ითხოვდა, რომ ისინიც დამფუძნებლებად ჩარიცხულიყვნენ. ახალი მეკენჭეები ერთიორად მეტნი იქნებოდნენ ძველებზე და დაღონდებოდნენ ილიას მომხრეები: გვაჯობეს და ეგააო, — მაგრამ შორსმჭვრეტელი ილია ყურსაც არ გაიბერტყავდა და დიდი სიამოვნებით მიიღებდა ამ გამოწვევას. მერე მიუბრუნდებოდა ძველ ამომრჩევლებს და ეტყოდა:

— საზოგადო საქმისათვის, რაც მეტია ამხანაგი, ისა სჯობს და ჩვენც უნდა მადლი შევწიროთ ახალჩაწერილებს, მაგრამ ხმის უფლება ახლავე უნდა მივცეთ, რაც კანონს ეწინააღმდეგება, თუ შემდეგისათვის, კანონისამებრ?

ძველი ამომრჩევლები მიხვდებოდნენ და ერთხმად ასტეხდნენ ყვირილს:

— შემდეგისთვის! შემდეგისთვის!

და დარჩებოდნენ პირში ჩალაგამოვლებულები — როგორც ახალი არჩეულები, ისე ასარჩევებიც.

იმ დროს გრიგოლ ორბელიანს ილიას მხარე ეჭირებოდა და მშვენიერ, სატკაცატკუცო სიტყვასაც წარმოთქვამდა. და საზოგადოებაც სულგანაბული დაუგდებდა ყურს.

ამ ეპითეტებს — მშვენიერიო, სატკაცატკუცოო — თვითონ აკაკი შეარჩევდა, მაგრამ როგორღაც დაენანებოდა ეს აღმატებული შეფასებაც და ის ვითარებაც, საზოგადოება

სულგანაბული რომ დაუგდებდა ყურს ორატორს, და ირონიულად წაჰკრავდა: უმისობა ანკი როგორ იქნებოდა, რომ მაშინ ორბელიანს მთავარმართებლის ადგილი ეჭირაო?!.

ის სიტყვა კი ასე დაებოლოვებინა პოეტ-გენერალს:

— საქართველო შურმა და მეტოქეობამ დაამხო!.. ჩვენი დღევანდელი უბედურება ის არის, რომ მე, ყაფლანიშვილს, და ვიღაც ცალქალამანიძეს ერთი და იგივე უფლება გვაქვს მონიჭებული, ერთი და იგივე ძალა!.. იმასაც ჩემდენი შეუძლია ამ საკენჭო საქმეში!

და ამ მოსაზრების განმარტებას საჭიროდ აღარ მიიჩნევდა აკაკი: თავისთავადაც იგულისხმება, თუ რა შეხედულებისა ყოფილა საზოგადო საქმეზეო, — და პირდაპირ გადავიდოდა მის მგოსნობაზე:

მწერლობა ხელობად არ მიაჩნდაო.

ამას საიდან დაასკვნიდა?

ლექსის წერისათვის ისე რომ არ ეყურებინა, როგორც სახუმარო და სალაღობო რამისათვის, მაშინ თავის ხანგრძლივ ცხოვრებაში რამდენიმე გულისმოსაფხან ლექსს ხომ არ იკმარებდაო!..

და მისდგებოდა:

„ონიკოვის დარდები“, „ლოპიანას ვინაობა“ და „იარალის“ ქვეყნის ჭირ-ვარამი ეგონაო, მისი ფიქრი ლხინი იყო!.. მისი უბედურება — ულხინობაო, „კაზარმობის“ დროს მეამბოხეებში გამორეული (რა მწარედ და გამქირდავად არის შერჩეული ეს სიტყვა: გამორეული!) და ნოვგოროდში გაგზავნილი იქ რომ იგონებდა სამშობლოს და პეტერბურგში მყოფ იარალი შანშიაშვილს სწერდა: ჩემო იარალი, ნეტავი ოდეს ლხინით აღვსილნი ვსხდეთ ველსა მწვანესო, — საქართველოს ჭირ-ვარამზე კი არა ფიქრობდა, ლხინი აგონდებოდა, ქეიფსა ჰნატრობდა, შუბლის გამაგრილებელ კოჯრის ნიავს, ჯეირნის შუშხუნა მწვადსა და სადღეგრძელოებსო, იქვე ყურს უგდებდა იარალის ნაამბობ ძველებურ ამბებს, გულდაწყვეტილი იგონებდა მეფეს, მაგრამ იმდენად კი არა, რამდენადაც ის საჭირო და სასარგებლო იყო ქვეყნისათვის!.. არა, მხოლოდ იმას ისაკლისებდა, რომ მეფე აღარ ფარფაშებდა!.. იგონებდა მოედანს, ჯირითს!.. შუბის ტრიალს, ყურთმაჯთ ბრიალსა და ამგვარ შექცევებს!.. ყველგან ქეიფს ეძებდა და იმასა ტიროდა!.. ლხინი! ლხინი! და ლხინიო!

და შეუპირისპირებდა მომღერალთა ორ ტიპს:

ერთნი „მრავალჟამიერს“ კარგად გალობდნენ, „ძლისპირებს“ მშვენივრად აკაკანებდნენ, მაგრამ „ზარს“ ისე ქვითინებდნენ, რომ ჭირისუფალს იმისგან მოგვრილი შეგრძნება გულის სიღრმემდე უწევდა.

ამ პირველთ მიაკუთვნებდა გრიგოლ ორბელიანს, რომელსაც, აკაკის შეტყობით, თავისი თავი საქართველოს ბრძმედად მიაჩნდა.

მიხაილ ვორონცოვის პოლიტიკის მიმდევარი რომ გახლდათ, ამიტომაც იყო, რომ: ურუსებოდ ქართველის წარმოდგენა არ შეეძლო, მითუფრო, რომ რუსეთი პირადად მისი დიდი მწყალობელი იყო.

და დროს იხელთებდა აკაკი და გადაწვდებოდა სხვებსაც, შამილობის დროს საზოგადოდ ქართველებს, გარდა ერთი-ორისა, რომ ეგონათ, რუსის ნამოქმედარში წილს დაიდებდნენ.

გრიგოლს კიდევ რა სჭირდა?

მაინც თვით რუსზედაც უფრო სწამდა რუსი, რუსი ქართველში ჰყავდა განხორციელებული და ქართველი რუსში.

და ამით, პოეტი-გენერლის ამ პარადოქსული, გაორებული მსოფლაღქმით ხსნიდა აკაკი მის თავდადებულ ერთგულებას რუსეთის წინაშე.

60-იანი წლების სურვილ-მისწრაფებას ჩქარა რომ ვერ აუღებდა ალღოს, კიდეც ამიტომ გაილაშქრებდა მაშინდელ ახალთაობაზე...

გაილაშქრებდა, მაგრამ... და აკაკი კვლავ გაიმეტებდა აღმატებულ ეპითეტს: როგორც დიდბუნებოვანი კაცი, მალე კი გაიგებდა თავის შეცდომას და მოინდომებდა ახალთაობისაკენ გადმოკატუნებასო. ისეთ სიტყვას შეარჩევდა — გადმოკატუნებას — რომ კიდევ წაჰკრავდა ქიმუნჯს და თავისი ამ განწყობილების დასტურად აღნიშნავდა, რომ:

რუსი პოეტის მიხაილოვის ლექსს „მჭედელი“ გადმოაკეთებდა „მუშა ბოქულაძედ“, მაგრამ რაც უნდა ყოფილიყო, ამ ლექსს მაინც დაეტყობოდა ნაძალადეობა, ჟუკოვსკის მიბაძვით კი დაწერდა პოემას „სადღეგრძელო“, რუსების დროს რომ ეტრფოდა და ნიკოლოზ პირველს ცამდის აიყვანდა.

და მეტად საგულისხმო დეტალი, აკაკის მზერას რომ არ გამორჩებოდა და ძალდაუტანებლად განზოგადდებოდა:

სანამ ალექსანდრე ორბელიანი ცოცხალი იყო, ეს ნიკოლოზის მუნასიბი გამოტოვებული ჰქონდა და მერე ისიც შეიტანა მთელ პოემაშიო.

„ჩემ თავგადასავალში“ ალექსანდრე ორბელიანს საკუთრივ მიუძღვნიდა ლიტერატურულ-ფსიქოლოგიურ პორტრეტს და სხვაგანაც ყველგან და ყოველთვის განსაკუთრებული პატივით მოიხსენიებდა, მაგრამ სულ რომ არაფერი დაეწერა და სხვაც არა ვიცოდეთ რა ამ პიროვნებაზე, ეს დეტალი ისეთი მეტყველია, ერთბაშად წარმოგვისახავს ალექსანდრე ორბელიანის პიროვნულ ბუნებასაც და სულიერ ზეგავლენასაც გარშემომყოფებზე.

სანამ ის ცოცხალი იყოო...

ხოლო გრიგოლის ამქვეყნიური არსებობის დახასიათებას ასე შეაჯამებდა:

იყო ლხინისა და ქეიფის დიდ მღერალი, და ნეტავი იმ ხალხს — ეს საგულისხმოდ ეჩვენებოდა — რომელიც ამისთანა დიდბუნებოვან შვილს წარმოშობსო!.. მაგრამ თვით ამგვარ ბუნებოვან კაცს რაღა ეთქმის მის მეტი, რაც მისმა დისწულმა, მგოსანმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა იწინასწარმეტყველა: არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფელს კი არარა არგოსო.

სიკვდილის შემდეგ პირდაპირი მემკვიდრე არ დარჩენოდა.

დიდძალი ქონება კი დარჩებოდა, მაგრამ საქველმოქმედო ჩირის ფასიც არა დაეტოვებინა რა, რომ მით მაინც აღენიშნა ცხოვრების კვალი.

ეს რა უღმერთოდ გაემეტებინა პოეტი-გენერალი და ორწლიანი მთავარმართებელი, კვიმატთან გაიგივებული უკვალოდ გამქრალ-გაუჩინარებულად რომ შეერაცხა...

მისი დაკრძალვისას წარმოთქმულ სიტყვაში, როდესაც ყველა ორატორი ცდილობს რაც შეიძლება ღირსეულად წარმოადგინოს განსვენებულის მიერ გამოვლილი გზა და ცოდვა და ნაკლი საერთოდ არც ახსენოს, აკაკი თავს შეიკავებდა, თავისი განწყობილება აქაც საქვეყნოდ გადმოეშალა და მწარე სიტყვებიც გამოერია გარდაცვლილზე, მაგრამ გუნებაში ხომ იხითხითებდა: რა მზის ჩასვენება, რომელი მთვარის ჩასვლა და ვარსკვლავების დაბნელება, ამ სამარესთან დამთავრდა მისი არსებობა, ვიღა მოიგონებს, ვიღა გაიხსენებსო...

ჯერ კი თავისი ვალი უნდა მოეხადა ახალგაჭრილი საფლავის პირას.

და ესეცაა:

თვითონ არ ახსოვდა და არც ეგონა ვინმე ყოფილიყო მომსწრე, რომ სხვას ასეთი დიდებული გასვენება ღირსებოდეს საქართველოში.

გრიგოლ ორბელიანის ბრწყინვალე სახელს თვით სიკვდილიც გაედიდებინა, გაემრავალკეცებინა და გადაექცია რაღაც უჩვეულო მოვლინებად. და აქ რომ მოჩანდა სხვადასხვა რჯულის, წრის, წოდების, სქესისა და მიმართულების ხალხი, რას შეეკავშირებინა ისინი ერთ გრძნობად და დაეყენებინა ერთ გულისთქმაზედ?

ორატორი ამის მიზეზს ხედავდა იმაში, რომ გრიგოლ ორბელიანი ბედისაგან მრავალგვარად დაჯილდოებულიყო:

სიმდიდრე ნებას აძლევდა, რომ საიდუმლო ქველმოქმედებით ღარიბების, ქვრივობოლთა და საწყალთა გული მოეგო.

ხარისხი ხელს უმართავდა, რომ პირადობის მაძიებლისათვის შემწეობა მიეცა და წინ ბიჯი წაედგმევინებინა, ხოლო წინაპართა ისტორიული ღვაწლი ამ დროს შესაფერი ღირსეულობით ეპყრა ხელთ შეუბღალავად და ამით მაღლა ჩანდა.

და ის ნიჭი, რომელიც ღმერთს ებოძებინა ამ მისთვის რჩეულისთვისაც, ღირსეულად ესარგებლებინა, ზარმაც და ორგულ მონასავით კი არ დაემარხა უნაყოფოდ, მისადმი მინიჭებულ ტალანტს ვინც ასე უღვთოდ მოქცეოდა.

რითი დაემსახურებინა ასეთი დიდი სიყვარული იმ მოწაღმართე ჩვენი ქვეყნის შვილებისა, რომელთაც ახალთაობას უწოდებდნენ?

რითი და:

განსვენებული იყო კავშირი ძველ და ახალ თაობას შორის, სხვადასხვა დგმის შემაერთებელი ხიდი. როგორც ყოველ შემაერთებელს, მასაც ერთი თავი ერთი მხრისკენ ჰქონდა და მეორე — მეორისაკენ, მაგრამ მის გულზე არ გადმოსულიყო და არ გადასულიყო მცირე რამეც, ან ერთი მხარის შემაწუხებელი სავნებელი და სასაყვედურო და ან მეორისა. იგი მოყვარული გახლდათ და თანამგრძნობი ახალთაობელთა და ამგვარ მოწაღმართე პირებს ეძებდა როგორც ახლობლებში, ისე ძველებში.

გაივლიდა დრო, საუკუნეები საუკუნეებს შეცვლიდნენ, ერთი დგმა მეორეს შეენაცვლებოდა, მაგრამ მაშინაც შეხედავდნენ ამ საუკუნეს გონების თვალით და როდესაც მოწინავე რაზმში დაინახავდნენ დღევანდელ მამულიშვილს, მათი გულიც იმგვარივე გრძნობითა და მადლობით აღივსებოდა, როგორც დღეს ამათი გული აღვსილიყო.

ეს კი ადასტურებდა, რომ:

როგორც სიცოცხლე, ისე სიკვდილი გრიგოლ ორბელიანისა ყოფილა სანატრელი და ნეტავი მას, ვინც ამისთანა სიკვდილს ეღირსებოდა.

დიდხანს ეცოცხლა, მამაცად გამოევლო ეს ბოროტების საფრთხით სავსე ქვეყანა, არცერთხელ ფეხი არ წამოეკრა, და თუ წამოეკრა, ისე, როგორც მამულიშვილს. ჩირქისმომდებ სოფელს ვერ შეებღალა და აჰა, დღეს ეთხოვებოდა სააქაოს გულწმინდად, რათა პირნათელი წარდგომოდა იქ ჩვენს წინაპრებს.

ჩვენი მხრივ რაღა დაგვრჩენოდა მეტი?

გვესურვა, რომ შემდგომ საუკუნეებს გამოეზარდა ნამდვილი საუკუნეები, რათა მათთან ერთად საუკუნო ყოფილიყო ხსენებაც გრიგოლ ორბელიანისა.

დიდებული დაკრძალვის შესაფერი სიტყვა იქნებოდა, ენაწყლიან მოუბარს რომ სჩვეოდა, მის ქვეტექსტებშიც ვერ ამოიკითხავდით კვალს იმ განწყობილებისა, დიდად რომ არ ჩაჰქროდა გულში „სადღეგრძელოს“ შემოქმედი და მწარე-მწარეებიც ეკადრებინა სხვადასხვა დროს, განსხვავებით ილია ჭავჭავაძისაგან, რომელიც განსაკუთრებული მოკრძალებით შეჰყურებდა გრიგოლს და მხოლოდ „გამოცანებში“ წაცდებოდა ურიგო სიტყვა, ძველსა და ახალს შორის შემაერთებელ ხიდად რომ შერაცხავდა (აკაკი რასაც იმეორებდა სამგლოვიარო სიტყვაში), გულმოსული მისი არცთუ სანაქებო საქციელით, დასძენდა: ამ კარგსაც ქვეყანა ზოგჯერ ფეხებზე ჰკიდიაო.

ზოგჯერო...

რაღაც ამგვარივე იგულისხმებოდა აკაკის სიტყვაშიც, ფეხის წამოკვრას რომ ახსენებდა, თუმც გამართლებასაც მოუძებნიდა: ისე, როგორც მამულიშვილსო.

და თუ დაპირისპირებისას ილიაც ვერ შეიკავებდა თავს, სამაგიეროდ იმდენჯერ მოეხსენიებინა და დაემოწმებინა მისი სტრიქონები, აშკარად იგრძნობოდა, რარიგაც აფასებდა და სამგლოვიარო სიტყვის წარმოთქმის დროს სავსებით გულწრფელი იქნებოდა, რჩეულად რომ შერაცხავდა მის პიროვნებას და ცამდე აზიდავდა მის ღვაწლს იმ ექსპრესიით, ორატორობისასაც ასე ძალუმად და მძაფრად რომ სჩვეოდა და დენივით უვლიდა ხოლმე საზოგადოებას მისი სიტყვის მდინარება.

ხელთ გვაქვს ერთი გამოსვლაც და მეორეც და... როგორ გინდა გაიზიარო იონა მეუნარგიას უკმაყოფილება, გრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფიულ ქრონიკაში რომ გაამჟღავნებდა ილიასა და აკაკის მიმართ:

— ორმა ჩვენმა სასიქადულო მწერალმა, ჩემის ფიქრით, ვერ გაიგო ამ მომენტის მაღალი მნიშვნელობა ჩვენის პაწია ხალხისა და მწერლობისათვის.

და წარმოიდგინეთ, რა დაემართებოდა, „ჩემ თავგადასავალში“ ჩართულ სილუეტს რომ გაეცნობოდა, თავისივე სამგლოვიარო სიტყვას სულაც თავდაყირა რომ დააყენებდა აკაკი.

და აბა აკაკისათვის გეკითხათ, თუ გაეგო ბიოგრაფოსს გრიგოლ ორბელიანის პიროვნება და ცხოვრების სტილი, მაშინ ხომ უზომო მოწიწებით არ დაიწერებოდა ეს ქრონიკა და არ აღიმართებოდა იმ ძეგლად, რომლის ღირსადაც ვერა და ვერ მიიჩნევდა აკაკი იმ კაცს,

რომელსაც რუსი ქართველში ჰყავდა განხორციელებული და ქართველი რუსში, მწერლობა ხელობად არ მიაჩნდა, და კვიმატივით გაუჩინარება ემუქრებოდა.

და ამიტომ ვერც იონას აპატიებდა პანეგირიკული თხზულების შექმნას, აცდენილს რეალობისაგან.

გენერლების ადიუტანტად და გენერლების მწერლად რომ მოიხსენიებდა წამდაუწუმ, იონას სახელის ყოველი გაგონებისთანავე რაღაც ქილიკურს უსათუოდ ჩაჰკრავდა, თანაც გამეცადინებული, საკბილო მასალა უნებლიეთ არ გამომეპაროსო.

რაო, რა სჩვეოდა იონას ნაცნობებთან მისალმებისას? — ხელის „პოდკოზირიოკი"?

სად ესწავლა, თუ არა გენერლების ბიოგრაფიის წერისას.

იაკობ გოგებაშვილი ხშირდა მიაკითხავდა ხოლმე კლუბში?

რა ვქნა, ამ გოგებაშვილს გენერლობა როდის მიულიაო, — აკაკის ნათქვამს მაშინვე მიურბენინებდნე იონას, რომელიც ქალაქში ისე ვერ ჩამოვიდოდა ხოლმე, აკაკის გამქირდავი სიტყვა არ წამოსწეოდა:

— რომელ გენერალს ჩამოჰყვა, თუ იცით?!.

დავით ერისთავსაც არ მოერიდებოდა, ის კი არა, უფრო დიდი ხალისითაც შეესიტყვებოდა, რაკიღა იგი იონასთან მეგობრობდა და დიდადაც ემადლიერებოდა, მისი თხოვნა რომ გაეთვალისწინებინა და გიორგი ერისთავის ბიოგრაფიაც შეედგინა, მართალია ისეთი ვრცელი არა, გრიგოლ ორბელიანისათვის რომ ეძღვნა, მაგრამ ამას აღარ დაგიდევდა დავითი, მთავარია, რომ მამამისის ცხოვრება უკვე ბიოგრაფიულ ქრონიკადაც ჩამონაკვთულიყო და ისეთ ლიტერატურულ-ფსიქოლოგიურ პორტრეტად წარმომდგარიყო, მკითხველს ბევრ რაიმესაც რომ ამცნობდა საზოგადოებრივ-კულტურული ყოფიდან, და დროების სულშიც ჩაახედებდა, არამცთუ ერთი ღირსეული კაცის ამქვეყნიური არსებობისათვის მიედევნებინა მზერა.

თვითონ დავითიც თუ აღმოჩნდებოდა იონას ბიოგრაფიების სერიაში, ამას რას წარმოიდგენდა!.. ნაადრევად კი უნდა გასცლოდა საწუთროს, მის დაკრძალვაზე იონა რომ წარმოთქვამდა გამოსათხოვარ სიტყვას და... მოიხსენიებდა თუ არა გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანებს, მაშინვე უგრძნობდა გული: კიდევ ჩავვარდი აკაკის ყბაში და ეგ არისო.

და კიდეც გადაულაპარაკებდა ის გვერდით მდგომს, იმას ღიმილი რომ აჰკრავდა და ერთბაშად მომუწავდა პირს, რათა სიცილი შეეკავებინა ამ ნათქვამზე:

— უგენერლოდ აქაც ვერ გაძლო.

რა უნდოდა, რას გადაჰკიდებოდა, ერთი და ორი წაქიმუნჯება არა კმაროდა, ღდინამდე რომ ჩასდევდა?

ერთხელ უკვე ჩავუკვირდებოდი ამ განწყობილების მიზეზს, იონა მეუნარგიას ხვედრისა და ვალის გააზრებას რომ შევეცდებოდი ქართული მწერლობის წინაშე, და ისეთი შთაბეჭდილება დამრჩებოდა, აკაკის იმთავითვე ეგრძნო ამ ჯერჯერობით მარგინალური ჟანრის — ბიოგრაფიული ქრონიკის — განსაკუთრებული მნიშვნელობაც და მომავლის პერსპექტივაც, მარგინალურისა — დასავლეთშიც კი, სადაც სულ უფრო და უფრო მკაფიოვდებოდა მხატვრულ-დოკუმენტური პროზის ეს ნაირსახეობა, და რაღა უნდა თქმულიყო ჩვენში, როდესაც ჯერ მარტოდენ იონა მეუნარგია წარმომდგარიყო მის მიმდევრად და გზის გამკვალავად.

მარგინალურიო და: არც არად აგდებდნენ, დაე ელივლივა ამ ჟანრს თავისთვის.

მაგრამ აკაკი განჭვრეტდა, რომ საღივღივო არაფერი ჰქონდა ბიოგრაფიულ ჟანრს და ადრე თუ გვიან ისე წამოიწევდა, შესაძლოა სხვა ჟანრები კიდეც გადაეფარა, არამცთუ მათ ტოლ-სწორად წარმომდგარიყო. და საპატიო იქნებოდა და დიდადაც საპატიო, მისი მთავარი გმირი შენც თუ გახდებოდი, შენზეც თუ დაიწერებოდა ბიოგრაფიული ქრონიკა — მოთხრობად ანდა სულაც რომანად, თავის ცხოვრებას რომ მიმოავლებდა მზერას ამ გადმოსახედიდან, სწორედაც რომანის ღირსად მიიჩნევდა, და მის სავარაუდო შემქმნელსაც ხომ შეჰყურებდა, თუმც... ვინ რა იცის, იონას გულში რა ედო, ეგებ... ეგებ აკაკის არც ვარაუდობდა თავის მომავალ პერსონაჟად, ამქვეყნად წარჩინებულ პირებზე გადაგებული?

ამიტომაც აქილიკებდა და აქიაქებდა, და ამ ქილიკ-გაქიაქებით ამიტომაც შეახსენებდა, თვალი გამოახილე, მარტო გენერლები არ არიან ქვეყანაზე, აგერ გახლავარ ლიტერატურის არაოფიციალური გენერალი, თუ უფრო მეტიც არაო.

არც მოეშვებოდა, ვიდრე ამას არ ჩააგონებდა.

რა იცოდა, რომ იონას ჩაგონება სულაც არ ესაჭიროებოდა და თავის მომავალ გმირებს შორის აკაკიც დაბეჯითებით ეგულისხმა, და ამიტომაც ჩასაფრებოდა მასაც, როგორც მსხვერპლს და გაფაციცებული აგროვებდა იმ თითქოსდა წვრილმანებს, მის ხელთ რომ უნდა გამთლიანებულიყო და ბიოგრაფიულ ქრონიკადაც გარდასახულიყო, ჯერჯერობით კი სამახსოვრო წიგნის ფურცლებზე მიმობნეულიყო, მათ შორის თვით ბიოგრაფოსის გამაქილიკებელი ფრაზებიც — იონაც იქნებოდა, ასეთ მასალას ხელიდან გაუშვებდა.

ცალკეული ჩანიშვნანი რეფერატშიც აიკინძებოდა, იქიდან ესღა რომ გადაგვრჩებოდა, თვითირონიით რომ დაიწყებდა საჯარო საუბარს: თუ ხელობას არ ვუმტყუნე, აქ მხოლოდ აკაკის ცხოვრებაზე შემიძლია ვილაპარაკო, თუმც კი მკვდრებზე დაგეშილმა ცოცხალზე ან რა უნდა ვთქვა, მეტადრე ამ პაპანაქება იუბილის დროსო.

ამ 50 წლის იუბილეს მისივე 25 წლის იუბილე მოეგონებინა, აკაკის რომ ეთქვა:

— 25 წლის სამწერლო მოღვაწეობისათვის საჩხერიდან ერთი ქოთანი ლობიო გამომიგზავნეს.

და ეს სიტყვები კიდევ ერთხელ დაუდასტურებდა იონას: დრონი რომ იცვალნენ, თორემ საბერძნეთი უფრო ხელუხვობას გამოიჩენდა თავისი პოეტისადმი — ოდესღაც სიმონიდს იუბილეზე 56 ხარს მიართმევდნენ მისი თვისტომნი.

კახაბერივით აკაკიც სხვა კაცი გახლდათ:

ამ წუთისოფელში ყველას რომ მოეპოვებოდა: სახლიც, კარიც, ოჯახიც, აკაკი, რაც იონას ახსოვდა, სულმუდამ მარტოხელა კაცად, ობლად გამომწყვდეულიყო სასტუმროს ნომრებში თბილისსა და ქუთაისში — და თავის ჩემოდანს დაჰყურებდა ზემოდან, თითქოს საუკუნო სამგზავროდ გამზადებული.

აქაა სწორედ, რომ გაამჟღავნებდა აკაკის თვითირონიულ სიტყვებს, მხიარულ სამოსელში გახვეულ სატკივარს:

საკვირველი კაცი ვარ: ცოლი მყავს და... არა მყავს, შვილი მყავს და... არა მყავს, პენსია მაქვს და... არა მაქვსო.

ავად რომ გამხდარიყო აკაკი, ბიოგრაფოსს ვერ გაეგო, ხინკალი ვის უნდა მოეხარშა მისთვის, ან სკიპიდარი ვის უნდა წაესვა გულმკერდზე?

და რას იქმოდა მერე ეს გამოულეველი სტუმარი სასტუმროსი?

იქ, იონა მეუნარგიას რეფერატში გაიშლებოდა ეს მეტად საგულისხმო და ნიშანდობლივი ხაზი, ჩვენ კი ვინ გვეტყვის, ვინ გვამცნობს, თუ რას იქმოდა სასტუმროს ეს გამოულეველი სტუმარი?!.

მაშინ, როდესაც ჩვენი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი ან იყვნენ მასწავლებელნი, ან მოხელენი, ან სამხედრო მოსამსახურენი და თვისა და თვის თავზე ჯამაგირს იღებდნენ, აკაკი სულმუდამ თავისუფალი კაცი გახლდათ: იშთა-იშთა მღერალი, მწერალი, მოლაპარაკე, მოსიარულე.

თითქოს აკაკის ეპიტაფიას ადგენდეს, მისი ცხოვრების ყაიდა ყველაზე ლაკონიურად და ტევადად სადაც ჩაინურება... თუმც ერთი სიტყვა მაინც აკლია: უყვარდა!..

და თუ მაინცდამაინც მოვინდომებთ მისი ეპიტაფია სტენდალის ეპიტაფიის კვალობაზე გავაწყოთ, ფრანგულ: ცხოვრობდა, წერდა, უყვარდას — ქართული: იშთა-იშთა მღეროდა, დადიოდა, დალაპარაკობდა, უყვარდა — შეენაცვლება.

სიარული, მოგზაურობა, თავგადასავალი თუ ვინმეს, სტენდალს არა ჰკლებია, ნაპოლეონის სამხედრო ოპერაციებშიც რომ მონაწილეობდა, მაგრამ აკაკივით არ დადიოდა და დალაპარაკობდა — მისი დროის საფრანგეთს არ ესაჭიროებოდა ეს სიარული და ლაპარაკი, თანაც ხშირად იგავებით გაწყობილი — ასერიგად აუცილებელი აკაკის დროის საქართველოსათვის, დაკრძალვის წუთებიცა და სასაფლაოს მისადგომებიც ტრიბუნად რომ უნდა გვექცია საქვეყნო სატკივარის გადმოსაშლელად.

ერთადერთ თანამდებობას მაინც გამოარჩევს ბიოგრაფოსი, აკაკის რაც ჰქონდა, და ეს აღმოჩნდებოდა... ქართული დასის რეჟისორობა. და ღიმილით დასძენდა: გამბეჭდას იმდენ ხანს არ შერჩენია მინისტრობა, რამდენიც ამას ეს რეჟისორობაო.

ამასთან... დაე არც ეს დაფარულიყო („იტყოდეს ენა ჩემი კადნიერად, ანუ მივსცნე მე იმას ქებანი სიცრუისანი..."): აკაკის სულმუდამ ჩანგი არ ეჭირა ხელთ და სამშობლოსა და ერს არ უმღეროდა. ხანდახან, და ხანდახანზე უფრო ხშირადაც, იმას, როგორც ილიას — რამეთუ კაცნი ვართ — სათამაშო ქაღალდიც ეპყრა... თამაშის სიყვარული ადრიდანვე დაჰყოლოდა და ამ თამაშის შორეული შედეგი გახლდათ ის, ანაქორეტად რომ ცხოვრობდა სასტუმროებში და დიდი წერეთლის ოჯახის შვილი ხშირად მჟავე კიტრითა და ხაშით იკვებებოდა, როგორც ირწმუნებოდა მისი ცხოვრების მოწმე ზაქარია ჭიჭინაძე.

ამავე ვნების შედეგად უნდა დაგვესახა, რომ — ზაქარიასავე თქმისა არ იყოს — აკაკი გახლდათ გესლიანი, მკბენარი, მოუსვენარი და ცოტა არ იყოს ბოროტიც. და ეს ეპითეტი რომ შეენელებინა, მკითხველს შეჰღიმებდა: ეს ჩვენში დარჩესო...

პეტრე დადიანს სათვალე შუბლზე რომ დაედო, აკაკის მწარედ ეთქვა:

— ეს იმიტომ, რომ იგი ჭკუითაც არის ბრმა და არამარტო თვალებით.

როცა ერთ ჩვენს მწერალს — იონა სახელს არ ამხელდა, მაგრამ სოლომონ ცაიშვილი სქოლიოში გახსნიდა მის ვინაობას: ნიკო ნიკოლაძეო — ემუქრებოდნენ კალისტრატე ჩიკვაიძის ამომრჩეველნი, პოლიცმეისტერი ზალიკო ჭავჭავაძე ეტყოდა აკაკის:

— ამ კაცს ნუ მოიშორებთ თავიდან, თუ შენთან იქნება, კაცი ხელს ვერ ახლებს.

პასუხად კი:

— ბიჭო, მე თვითონ ორი წელია გასალახად დავდევ და ვერ მომიხერხებია.

აღარც იცოდა იონამ, რომელი ერთი ეთქვა... ზოგადად კი აღნიშნავდა:

ჩვენი საზოგადო მოღვაწე და მწერალი იშვიათად თუ გადარჩენია მის ბასრ კალამსა და ენას. იმას რომ არ უკბენია, ისეთი მარტო ქრისტეფორე მამაცაშვილი გადარჩა და ოდნავადაც დიმიტრი ყიფიანიო.

თანამედროვე კაცისა ხან რომ სწამდა აკაკის და ხანაც არა, ბიოგრაფოსი საილუსტრაციოდ გაიხსენებდა, რომ კითხვაზე: რომელი მწერლის პროზა უფრო მოგწონს და რომლისა პოეზიაო? — ალბომში ჯერ ჩაუწერდა: გოგოლისა და შექსპირისაო, — მაგრამ მერე გადაშლიდა და ზედ დააწერდა...

და იონა მცირე გამოცდას მოუწყობდა მკითხველს:

გამოიცანით, ვისო?

რაო, მკითხველის ფიქრში წამოტივტივდებოდნენ: ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე ყაზბეგი, გიორგი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი ან სხვა ვინმე ახალთაგან?..

არა და არა:

პროზას აირჩევდა ლავრენტი არდაზიანისას,

და პოეზიას — დავით გურამიშვილისას.

თუ მაინცდამაინც ძველი დროიდან უნდა შეერჩია, თითქოს შოთა რუსთველის დასახელება უფრო მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო აკაკისაგან — სადიპლომო ნაშრომიც ხომ „ვეფხისტყაოსანზე" შეექმნა და აგერ ლექციების ციკლიც ეძღვნა ამ ეპიკური ძეგლისათვის. მითუმეტეს შექსპირის სახელის ჩანიშვნასა და შემდგომ წაშლას სწორედ რუსთველის ლანდი უნდა გამოეხმო, მაგრამ... მზერა აერიდებინა იმისათვის და დავით გურამიშვილი ემჯობინებინა ამჯერად, თავისთავად დიდებული ეპიკური ქმნილების — „დავითიანი" — შემოქმედი, დიდად რომ არ მოგვჭრის ყურს მისი შერაცხვა ყველაზე საყვარელ პოეტად, მაგრამ... ლავრენტი არდაზიანი? გოგოლი წაშალო და... გვერდი აუარო თუნდ ალექსანდრე ყაზბეგს ან გიორგი წერეთელს?.. ილიას რომ არ აღიარებდა თავის საყვარელ პროზაიკოსად, ეს თავისთავად იგულისხმება. ეგ კი არის, ამ სიაში საიდან მოხვედრილა იაკობ გოგებაშვილი? „იავნანამ რა ჰქმნა?!." განა კმაროდა საიმისოდ, რომ „დედა-ენის" შემოქმედს აკაკის ამ პასუხში ამოეყო თავი? თუმც იონას კი გაემეტებოდა თავის მხრივ — ბოლოსდაბოლოს თუკი დანიელ ჭონქაძე ერთადერთი მოთხრობით შემორჩენოდა ლიტერატურის ისტორიას და საკმაოდ საპატიო ადგილიც დაეკავებინა, ვითომ რატომ არ შეიძლებოდა, რომ იაკობ გოგებაშვილის ის საყმანვილო მოთხრობაც — მართლაც ხელიხელსაგოგმანებელი — საწინდარი ყოფილიყო მისი ავტორის, როგორც პროზაიკოსის, სამუდამო დამკ-

ვიდრებისა პროზაიკოსთა პლეადაში? და მაშ ჩამონათვალსაც შეავსებდა, რატომაც არა — ლავრენტი არდაზიანი თუ შეიძლება გამხდარიყო აკაკის ყველაზე საყვარელი პროზაიკოსი, ვითომ საამისოდ რატომ არ ექნებოდა გარკვეული შანსი იაკობ გოგებაშვილსაც?

ასეა თუ ისე ბიოგრაფოსი გაოგნებით გაოგნებულა ამგვარი პასუხით, მითუმეტეს გოგოლს რომ გადაშლი და... „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის“ შემოქმედს ამჯობინებ, თავისთავად მშვენიერი მოთხრობისა, მაგრამ... შეათანასწორებს ვინმე ამ ორ სახელს? აკაკი არამცთუ შეათანასწორებდა, არდაზიანს გოგოლის ადგილს დააკავებინებდა — პალიმფსესტი ამას გვიდასტურებდა.

ნიკოლაი გოგოლი გულით ითქმოდა, იმწამიერი იმპულსით.

ლავრენტი არდაზიანი — აწონ-დაწონვის შემდგომ.

და მიზეზი რა შეიძლება ყოფილიყო ამგვარი შენაცვლებისა — ორიგინალობის სურვილი? არაფრად ესაჭიროებოდა.

საზოგადოების გამოწვევის ჟინი?

უფრო ეს, და იმიტომ, რომ იმ წუთებში კიდევ ერთხელ იგრძნობდა გულისტკივილს, ეს პროზაიკოსი უსამართლოდ რომ მივიწყებულიყო — არ იმსახურებდა არც ის მრავალმხრივ საგულისხმო მოთხრობა და არც მისი ავტორის საერთო ღვაწლი ასეთ მიყრუებას, და დაე ამ მკვეთრი სიტყვით გამოეფხიზლებინა მკითხველი და დაეინტერესებინა იმ მოთხრობის მოძიებით, ხელახლა გაცნობითა და მისთვის იმ ადგილის მიკუთვნებით ლიტერატურის თაროზე, სამუდამოდაც რომ უნდა შერჩენოდა.

აკაკი თავის უსაყვარლეს პროზაიკოსად აღიარებდა „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის“ შემოქმედს?

ეს გარემოება სავსებით კმაროდა საზოგადოებრივი ცნობიერების ასაფორიაქებლად და ჯანსაღი აჟიოტაჟის ასაფუთფუთებლად.

პროზაიკოსობა პროზაიკოსობად და, თუ ვინმე აგონდებოდა თავისი ცხოვრების გზაზე განსაკუთრებული სიყვარულით, ერთი სწორედ ლავრენტი არდაზიანი, იმთავითვე რომ გამოარჩევდა „ცისკრის“ თანამშრომელთა შორის, იმ ჟურნალისა, საიდანაც უნდა შემოედგა ფეხი მწერლობაში და ეერთგულა მაშინაც, როდესაც მისი თანატოლნი და თანამოაზრენი ილიას მიერ დაარსებულ „საქართველოს მოამბეში“ გადაინაცვლებდნენ, ჟურნალში, რომელსაც აკაკი გაკარებითაც არ გაეკარებოდა.

იმ დროს „ცისკრის“ მუდმივ თანამშრომლად ვინ იყვნენ?

თვითონ რედაქტორი — ივანე კერესელიძე, დიმიტრი ბერიშვილი, ალექსანდრე ორბელიანი, ნიჭიერი ქალი ბარბარე ჯორჯაძისა, პოეტ რაფიელ ერისთავის და, კომედია-დრამებსაც რომ წერდა, დიმიტრი მგალობლიშვილი, დიმიტრი მეღვინეთ-ხუციშვილი და ახალგაზრდა ქერელი ბექა ანუ ანტონ ფურცელაძე, რომელიც მაშინ დიდ იმედებს იძლეოდა. ხანდახან კი ბეჭდავდნენ: კოლხიდელი (დავით დადიანი) და ბაქარ ქართლელი (დიმიტრი ყიფიანი), აგრეთვე გრიგოლ რჩეულიშვილი, რომელსაც დიდი ნიჭი ჰქონდა უცხოდან გადმოქართულებისა და რომელიც დაგვიწერდა „თამარ ბატონიშვილს“, ივანე ბერიძე — დამწერი „ხანის ბეგისა“, „ტფილისის საიდუმლოებისა“ და სხვანი.

მაგრამ მათ შორის ყველაზე შესანიშნავი ნიჭის პატრონი გახლდათ ლავრენტი არდაზიანი — სადღაც ჩინოვნიკად მყოფი, ჩუმი კაცი და სათნო, მის ქართველობას ხომ საზღვარი არა ჰქონდა. ერთი შეხედვით არაფრით მოგეწონებოდა, მაგრამ შესანიშნავი მწერალი კი აღმოჩნდებოდა.

ამ საგულისხმო შტრიხებით დახასიათების შემდგომ აკაკი გაიხსენებდა იმ ეპიზოდს, თუ როგორ დადიოდნენ ქუჩაში ერთად ეს ორნი და მათთან კიდევ ანტონ ფურცელაძე. ათ საათზე გამოეთხოვებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ლავრენტი მოინდომებდა აკაკის მიცილებას სადგომამდე. გზაში ხმას არ ამოიღებდა და სახლის კარამდე რომ მიიყვანდა, მაშინ კი ეტყოდა:

— დიდი პატივისცემა მაქვს ახალგაზრდა ანტონის ნიჭის, მაგრამ წეღან რასაც ლაპარაკობდა, ის კი არ დამიჯდა გუნებაში. აბა, რა სათქმელია: ქვეყანა შემთხვევითმა მანქანებამ გააჩინაო? მაშინ იმას აღარა ვუთხარი რა და ახლა შენ უნდა გითხრა, უნდა გამოგიტყდე, რომ მიტომაც წამოგყევი; როგორც მკვიდრ შვილს, გთხოვ, რომ შენ არ აჰყვე მაგისთანა-

ებს, მოერიდე. პოეტს რწმუნება თუ არაფრისა აქვს, რა შვილი იქნება? შენც ორი რამ უნდა გახსოვდეს: ღმერთი და საქართველო.

ამ ყოველივეს დიდი ბოდიშით წარმოთქვამდა და გამოეთხოვებოდა.

მაშინ ახირებულად ეჩვენებოდა აკაკის, მერე კი მიეჩვეოდა.

არ დაიკარგოსო და, საგანგებოდ ამცნობდა მკითხველს: კრიტიკული სტატიები მისი „გ. ბარათაშვილის“ სახელით გამოდიოდაო; და — „სალაყბოში“, რომელსაც გაბო სულხანიშვილი წერდა, ბევრი ერია ხოლმე მისი ოხუნჯობაცო.

ამას ახლა ვიღა გამოარჩევდა, ვიღა დააზუსტებდა, დაე ასე ზოგადად გვცოდნოდა, ასე რომ ჩართულიყო სარედაქციო საქმიანობაში და უშურველად იმეტებდა მახვილსიტყვაობებსაც.

აკაკის კი განსაკუთრებით ის წყინდა და ვერ მოენელებინა, „საკვირველიაო“ — თვითონ ასე ამბობდა და საზოგადოებას ამუნათებდა, რომ:

ამ ნიჭიერ კაცს, „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის“ დამწერს, არც სიცოცხლეში ჰქონდა დიდი პატივი და არც ახლა ახსენებდა ვინმე!.. მაშინ როდესაც დანიელ ჭონქაძე, ავტორი ერთადერთი „სურამის ციხის“, თითქმის ბავშვური მოთხრობისა, გაჭიმულიყო როგორც დიდი ვინმე!..

თავსაც საყვედურობდა ფარულად, ამ „გაჭიმვაში“ თვითონაც რომ მიეღო მონაწილეობა ოდესღაც და ის „თითქმის ბავშვური მოთხრობა“ მნიშვნელოვან მოვლენად შეერაცხა საერთო განწყობილების გავლენით, პოლიტიკური კონიუნქტურისაგან გამოწვეულით. ან ეს გავლენა დაეძლია და დაე სხვებიც მოგებულიყვნენ გონს. ეს კი ნიშნავდა, რომ: მართალია ორ სხვადასხვა პოლუსზე უნდა მოთავსებულიყო ჩვენი პროზის ეს ორი ნიმუში — „სურამის ციხე“ და „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ — მაგრამ... პირიქით, სწორედაც პირიქით — ლავრენტი არდაზიანის მოთხრობა სადღაც ორმოში რომ გადაეგდოთ და დანიელ ჭონქაძისა ზემოთ აეზიდათ, ახლა ეს უნდა გადაესროლათ ორმოში, ის კი შესაფერისად წამოეწიათ და უკეთეს თხზულებათა შორის გამოეძებნათ ადგილი მისთვისაც.

მთლად პირველ ადგილს თუ არ მიაკუთვნებდნენ, ის პატივი ერგუნებინათ, რასაც იმსახურებდა და სიცოცხლეში სრულიად მოკლებულიყო.

საამისოდ საზოგადოებრივი ცნობიერება უნდა შეჯანჯღარებულიყო და... უკეთესი საშუალებაც რა გვინდოდა, ის მრავლისდამტევი პასუხი რასაც მოასწავებდა იონა მეუნარგიას შეკითხვაზე.

ეს გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ზედაპირული ახსნა ბიოგრაფიული ჟანრის დამამკვიდრებლის მიერ. თანამედროვე კაცი ხან სწამს და ხანაც არაო.

ხოლო აკაკისაგან განვლილი შორი გზა მწერლობისა რომ მოფენილიყო მისი ფერადოვნებით შეზავებული ლექსებით, ლექსზე არანაკლები და გამწე... მისი იუმორით მჩქეფარე „ცხელ-ცხელი ამბები“, „ნადუღი“ და სხვა მსგავსი წერილები გახლდათ.

იონა მეუნარგიას დაბეჯითებით:

ლექსში კიდევ ჰყავდა ბადალი აკაკის, მაგრამ მახვილსიტყვაობაში, იუმორში, ან როგორც იგი თარგმნიდა ამ სიტყვას — ხუმრობაში, ტოლ-სწორი არ მოეძევებოდა არც ადრე და არც იმჟამად. ამიტომაც ითქმოდა ერთი და იგივედ ყოველი მოსწრებული სიტყვა ჩვენში და აკაკის სიტყვა.

და ბიოგრაფოსი, კიდევ უფრო მეტი დამაჯერებლობისათვის, ამგვარ ანალოგიას მოიშველიებდა:

ყოველი მოსწრებული სიტყვა ჩვენში აკაკის ნათქვამია, როგორც ყოველი ძველი ციხე-კოშკი — თამარის ანაგებიო.

ქართველ მოლა ნასრედინს დამსგავსებოდა და ეგაა!.. და თვითონაც ძალდაუტანებლად წამოაგონდებოდა აღმოსავლური სამყაროს ეს კომიკური პერსონაჟი, როდესაც თედო სახოკიას გამოედავებოდა: შენს მიერ შედგენილ ჩემს ოხუნჯობათა კრებულში ბევრი რამ სულაც არ არის ჩემი ნათქვამიო. მაშინაა, რომ დასძენდა: მოლა ნასრედინსაც უამრავი რამ მიენერა და საწყალმა მოლამ უნდა ზღოს სხვათა სისულელეები თუ უკბილო ხუმრობანიო.

იქ უფრო სხვა ფსიქოლოგიური მიზეზი იყო თავის ნათქვამთა უარყოფისა, რადგანაც ზოგიერთი მწარე-მწარე სიტყვის გახსენება აღარ სურდა, როგორც იმწამიერი განწყობილების გამომხატველი, მერე რომ აღარ იზიარებდა, ანდა ზედმეტად მიაჩნდა ურთიერთო-

ბის გამწვავება, მაგრამ ზოგადად კი მართლაც მოლა ნასრედინის როლი უნდა ეკისრა ქართულ რეალობაში — ვინც რას იხუმრებდა თუ იოხუნჯებდა, საზოგადოების თვალში აკაკის ნათქვამად გასაღებულიყო.

მართლაც რაღა ძველი ციხე-კოშკები და რაღა ახალი მახვილსიტყვაობანი:

იქ თამარ მეფის სახელს შთაენთქა ყოველივე.

აქ — აკაკი წერეთლისა.

ბიოგრაფოსი კი თავისას განაგრძობდა და აკაკის შემოქმედებით მრავალფეროვნებაზე რომ ჩამოაგდებდა სიტყვას: რა აღარ უწერია ამ ნახევარ საუკუნეში — მოთხრობები, ფელეტონები, დრამატული თხზულებანი თუ კრიტიკული ეტიუდებიო, — დასძენდა:

— მაგრამ როცა სულ ყველა ესენი ჩაიძირება დროების მორევში, მისი ლექსები და მოსწრებული სიტყვები ამოტივტივდებიან და იცოცხლებენ. სამუდამოდ არა არის რა ამ ქვეყანაზე, მაგრამ სანამ ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობა ცოცხალი იქნება, აკაკის მახვილი სიტყვაც დავიწყებული არ იქნება. აკაკის ლექსი დარჩება სკოლაში ქრესტომათიაში.

აკაკის ლექსის უკედავების საწინდარდ მაინც სასკოლო ქრესტომათია ესახება, ხოლო იუმორი — ოოო, ეს უკვე სულ სხვა რანგის მოვლენაა, მისი ტალანტის სხვაგვარი ამოფრქვევა, რამაც უნდა დაიხსნას აკაკი დროების მორევიდან.

მის მახვილსიტყვაობას შეადარებდა ჰაინრიხ ჰაინესას — ხშირად მასავით სდევს თან მსხვერპლიო. და კიდევ: ერთიცა და მეორეც მახვილსიტყვაობისათვის ხშირად ჭეშმარიტებასაც ღალატობსო.

ჰაინესავით აკაკისაც აკლია სითბო, სიყვარული, ოღონდ ვისმე ისარი გაუყაროს გულმკერდშიო, — ჯერ კი დაწერდა, მაგრამ მერე გადაშლიდა.

თვითონ როგორ ამბობდა პოეტი: ტყუილასა, ბზუილასაო?.. და ტყუილას ხმას რომ დაუგდებდნენ აკაკის, იყო დრო, მართალსაც აღარ უჯერებდნენ.

საამისო ეპიზოდსაც მოიხმობდა:

განსვენებულმა თეიმურაზ ლეჟავამ არ დაიჯერა რაღაც იყო აკაკისა, დანაძლევდნენ, და აკაკი რომ მართალი გამოდგა, ლეჟავა ნახევარი საათით დააჩოქეს ნიკო ნიკოლაძის სახლშიო.

„თამარ ცბიერი“ რომ დაიბეჭდებოდა, აკაკი ერთ ცალს უსახსოვრებდა იონას და წიგნს რომ წააწერდა: სახსოვრად იონა მეუნარგიას აკაკისაგანო, — დააპირებდა რიცხვიც აღენიშნა, მაგრამ რომ მოაგონდებოდა: დღეს პირველი აპრილიაო, — კალამს ხელიდან გააგდებდა: არ დამიჯერებენო.

აქ არას იტყოდა აკაკის შემოქმედებით ძალაზე, მის პოეზიაზე. ის რომ უმაღლესი მწვერვალი გახლდათ თანადროული ლიტერატურისა და იგივე შარავანდედი ამშვენებდა ჩვენს ქვეყანაში, რა შარავანდედიც გარს ეხვია საფრანგეთში მასავით მოხუც ვიქტორ ჰიუგოს, ამის თქმა არავისთვის შეადგენდა ახალ ამბავს.

სხვათა შორის:

ეს პარალელი უდავო გახლდათ გრიგოლ რობაქიძისთვისაც და „ფაქტებისა და ფიქრების“ სერიას სულაც ამ შედარებით გახსნიდა, ქვესათაურად „ორ ნიღაბს“ რომ შეარჩევდა და გაიხსენებდა კუბოში ჩასვენებული აკაკის სურათსა და ამგვარიე სურათს ვიქტორ ჰიუგოსი და დასძენდა:

— მსგავსება ამ ორი ნიღაბის ისეთია, რომ გამორჩევა ძნელი ხდება.

ასე იბადებოდა უნებური პარალელი: აკაკი და ჰიუგო — და ის მსგავსება, აკაკის იმდენივე გავლენა რომ ჰქონდა საქართველოში, რამდენიც ჰიუგოს საფრანგეთში.

პოეტური შეპირისპირება მათი შესაძლოა მერმისს ეთავა, ანუ გრიგოლ რობაქიძე გუნებაში ჩაითქვამდა: საამისოდ როგორ ვერ მოვიცლი, თორემ ჩემს გარდა ვინ არის ამის დამწერიო.

ვეღარ მოიცლიდა.

იონა მეუნარგია კი თავისას აგრძელებდა, რომ:

ვინც ასპარეზზე იმყოფებოდნენ ახალგაზრდა მელექსენი, ესენი ყველა აკაკის შეგირდები გახლდნენ.

ილია ჭავჭავაძის ლექსს ნაჭედობა ახასიათებდა, და ნაჭედივე იყო ლექსები გრიგოლ ორბელიანისაც, ვახტანგ ორბელიანისაც, ნიკოლოზ ბარათაშვილისაც, რაფიელ ერისთავისაც.

და ლექსი აკაკისა?

მსუბუქი, ნარნარი, პეპელა, ფურჩქვნილი ვარდი, ნაზი ია.

ილიასაც, ორივ ორბელიანსაც, ბარათაშვილსაც, რაფიელსაც შეგირდები ცოტა ჰყავდათ. და აკაკის ზეგავლენა ახალ თაობაზე?

მისი სკოლა მთელი თანადროული ქართული მწერლობა გახლდათ.

ვინც აკაკის ენისა და კალმის მიმდევარი არ იყო, ხალხური ლექსის მიმბაძავი გახლდათ, რაზიკაშვილის ანუ ვაჟა-ფშაველას პოეზიის მიმდევარი.

ყველა ჩვენს მწერალზე უფრო ხალხის სალაპარაკო და სადა სამწერლო ენას აკაკი დაუახლოვდებოდა. კითხულობდი მის „ცხელ-ცხელ ამბებს“, მის სხვა ფელეტონებს და გრძნობდი, შიგ ენის მხრივ არაფერი იყო ნაძალადევი, ნათხზავი; ვის არ ენახა სოფლად ან ქალაქად უბრალო, უსწავლელი კაცი ლამაზად, ენაწყლიანად მოლაპარაკე? და აკაკი იმავ ხალხში ჩამდგარ მწერლად ჩამოსდგებოდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აკაკის ენას ამშვენებდა მისი პოეტური შემოქმედება.

გრიგოლ ორბელიანი აკაკის ნაწერს ხომ ისე არ წაიკითხავდა, რომ გვერდით ფანქრით არ მიეწერა:

— ბარაქალა აკაკიავ;

— ინშალლაჰ, აკაკი...

და მხოლოდ ერთხელ, როცა რაღაც ერთობ პროვინციული სიტყვა გამოეყენებინა ნაწერში აკაკის, გრიგოლს მიეწერა:

— აი, შე ღვიტკელა იმერელო.

თვითონ აკაკი რომ არავის აპატიებდა ქართული ენის დამახინჯებას, ბიოგრაფოსს სახელდახელოდ ეს ჩაენიშნა: ილიას რომ დაეწერა პოემაში — „მწველელი ძროხაო“, ამას გაესწორებინა — მწველელი კი არა, მეწველი ძროხაო.

პარიზში ყოფნისას და იქაურ ოჯახებში სტუმრობისას იონას აღმოეჩინა ის მეტად პოპულარული თავშესაქცევი, სტუმრებს კითხვარს რომ დაუდებდნენ წინ და მას კი პასუხები უნდა ჩაეწერა ალბომში. კითხვარის მოდელი საბოლოოდ შემუშავებულიყო და დახვეწილიყო და ალბომებიც ივსებოდა და ივსებოდა ათასგვარი პასუხით და ამ გარეგნულ გასართობს თავისებური ფსიქოლოგიური ტესტის დანიშნულებაც ჰქონდა, რაკილა ადამიანი ზოგჯერ ამჟღავნებდა რაღაც ხვაშიადს, გულისგულში ჩამარხულ აზრსა თუ განწყობილებას.

ეს ფსიქოლოგიური სარჩული ამ თავშესაქცევისა მოხიბლავდა სწორედ იონას და აფიქრებინებდა, რომ ძალიანაც გამოადგებოდა ბიოგრაფოსის საქმიანობისას, მწერალთა ცხოვრებისა და შემოქმედების ზოგიერთი „წვრილმანის“ გამოსავლენად და წამოსაკრეფად. მთავარია ფრანგული კითხვარიდან ისეთები შეერჩია, უფრო რომ გამოიწვევდა მწერალს სააღსარებოდ. დიახაც, სააღსარებოდ — ასე მიაჩნდა იონას და ასეცაა, თუ ჩაუკვირდები: ვითომდა იოლი შეკითხვები არაერთ საგულისხმო თუ მნიშვნელოვან დეტალსა და შტრიხს რომ წამოატივტივებდა.

მთავარია დაეთანხმებინა თავისი „მსხვერპლნი“, ისედაც მუშტრის თვალით რომ უტრიალებდა.

დასათანხმებელიც რა იყო?

ზოგი დაიზარებდა პასუხების ჩამოწერას და გადადებდა და გადადებდა.

ზოგიც მოერიდებოდა რაღაც დაფარულის უნებლიე გამჟღავნებას, შეატყობდნენ, ეს კითხვარი მთლად თავშესაქცევს რომ არა ჰგავდა და ადამიანის სულის იდუმალ შრეებს ჩასდევდა.

და ამიტომაც ვის აღარ მიადგებოდა ბიოგრაფოსი და ჩამოურიგებდა ამ კითხვარს, მაგრამ დათანხმებით ორად ორ კაცს დაითანხმებდა: მამია გურიელსა და აკაკი წერეთელს, რომელიც არც დაიზარებდა, არც გადადებდა და არც იმას მოერიდებოდა, ვაითუ რაღაც წამცდეს უნებურად და ხვაშიადი საქვეყნოდ გადმოვფინოო.

ის კი არა, ჩაებღაუჭებოდა კიდეც ამ შეთავაზებას, რადგანაც იგრძნობდა, იონას საბიოგრაფიო მასალად ესაჭიროებაო.

ქილიკს რომ არ აკლებდა ოხუნჯობათა გამჭვირვალე ქვეტექსტებით: სად არის ჩემი ბიოგრაფიული ქრონიკა, რაღაც ძალიან იგვიანებსო, — აჰა, კიდეც შემდგარიყო იმ რელსებ-

ზე იონა და დრო როგორ უნდა დაგეკარგვინებინა და ალალად არ მიგეგო პასუხები იმ კითხვარზე, პარიზის სალონები რომ გამოეცლო და იქაური მწერლებიც და მომავალი მწერლებიც ჩაეთრია თავის თავშესაქცეურ-ფსიქოლოგიურ წიაღში, და საქართველოში კი იონა მეუნარგაიას რედაქციულ ქურაშიც გამოწრთობილიყო.

ეს კითხვარი კარგა ხნით ადრე შედგებოდა და იტრიალებდა ფრანგულ ოჯახებში, ვიდრე მარსელ პრუსტიც გაეცნობოდა და მონაწილეობასაც მიიღებდა ამ თითქოსდა გასართობში — ჯერ კიდევ სიჭაბუკისას, წლების შემდგომ კიდევ ერთხელაც რომ შეავსებინებდნენ და თავისთავად საგულისხმო აღმოჩნდებოდა ამ სხვადასხვა დროის პასუხების შედარება.

ეს გარემოებაც ითამაშებდა თავისებურ როლს და უპირველესად მაინც ის, კითხვარის შემავსებელთაგან ყველაზე დიდ სახელს მარსელ პრუსტი რომ მოიხვეჭდა, როგორც დასავლური პროზის მოდერნიზაციის ერთ-ერთი თაოსანი და მამა, და ამ ფსიქოლოგიურ ტესტს შეერქმეოდა და შეერქმეოდა მარსელ პრუსტის ანკეტა.

აკაკი წერეთელი რომ შეავსებდა, იმჟამად ჯერაც უსახელო იქნებოდა ეს ტესტი, პირობითად იონა მეუნარგაიას ანკეტად რომ მოიხსენიებდა „თორნიკე ერისთავის“ შემოქმედი, იმ წუთებში კი ისეთი ხალისით შეავსებდა, გულიც დაწყდებოდა, ეშხში რომ შევედი, მაინცდამაინც მაშინ ამოიწურა კითხვებიო.

რომელი თვისება უფრო მოსწონდა კაცისა?

მამაცური სულგრძელობა.

რომელი თვისება უფრო მოსწონდა ქალისა?

გულწრფელი დაუდგრომლობა.

რა უფრო უნდოდა ეკეთებინა?

მისთანა საქმე, რომელიც თავაშვებულს ალაგმავდა და გულგატეხილს გაამხნევებდა.

რითი განსხვავდებოდა მისი ხასიათი?

საფუძვლიანში სიმტკიცით და წვრილმანში — უხასიათობით.

რა მიაჩნდა ყველაზე დიდ ბედნიერებად?

გარემოების ატანა.

და ყველაზე დიდ უბედურებად?

გულუმაძღრობა.

რა ფერი უფრო უყვარდა?

დროზე მოხდენილი.

რა ყვავილი?

ვარდი.

აკაკი რომ არა ყოფილიყო, ვისად ყოფნას ისურვებდა?

მაინც აკაკიდ.

სად უფრო სურდა ცხოვრება?

ყველგან და არსად.

და აქაა სწორედ, ყველაზე საყვარელ პროზაიკოსად ლავრენტი არდაზიანს რომ დაასახელებდა, ყველაზე საყვარელ პოეტად კი — დავით გურამიშვილს.

ვინ უფრო მოსწონდა კაცთაგან ისტორიაში?

გიორგი ბრწყინვალე.

რომანში ვინ ერჩივნა კაცთაგან?

ავთანდილი.

ქალთაგან ვინ მოსწონდა რომანში?

ნესტანდარეჯანი.

რა სახელები უფრო უყვარდა?

ელენე და არჩილი.

რა უფრო სძულდა ქვეყანაზე?

წვრილმანობა.

რა შეცდომას უფრო აპატიებდა კაცს?

ყოველგვარს, თუ შეინანებდა.

რა სასმელს უფრო ეწყობოდა?
წყალს.
ვინ გახლდათ ყველაზე ლამაზი ქალი ქუთაისში?
ის, რომელიც აკაკის შეუყვარდებოდა.
ცხოვრების დევიზად რა ჰქონდა?
შრომა და მოთმინება.
და რომელი ადგილი უფრო მოსწონდა „ვეფხისტყაოსნისა“?
ჩვენი კრიტიკოსებისაგან დაწუნებული.

ეჰ, ნეტა მართლა გაგრძელებულიყო და გაგრძელებულიყო შეკითხვები, კიდევ რამდენ საგულისხმო რაიმეს შევიტყობდით აკაკის თვითდახასიათებიდან, იონას ეს მონაპოვარიც ძალიან რომ უხაროდა ეამაყებოდა და ვიდრე ბიოგრაფიულ ქრონიკაში მიუჩენდა საბოლოო ადგილს, რეფერატში უკვე ჩართავდა, როგორც ნათელმყოფს აკაკის ხასიათის თვისებისა და შეხედულებებისა ჩვენს მწერლობასა და ხელოვნებაზე.

აქ უნებლიეთ გამორჩენოდა შეკითხვა: ვინ უფრო მოგწონს ქალთაგან ისტორიაშიო? — მამია გურიელს რომ დაუსვამდა... და ნეტა აკაკი ერთზე, ერთადერთზე შეჯერდებოდა თუ ინტერვიუერს ნებართვას სთხოვდა: ეგებ სამი დამასახელებინოო, — და ჩამოწერდა თავისი პოეტური და სულიერი წარმოსახვა-მისწრაფებების ამ ხატებას: წმინდა ნინოს, თამარ მეფესა და ქეთევან წამებულს?!.

ეს მაინც რა იყო, ამ შეკითხვის პასუხად:
საღ უფრო სურდა ცხოვრება?
პარადოქსს რომ შესთავაზებდა:
ყველგან და არსად.

და ზურაბ კიკნაძე ამ მდგომარეობას ყოფით ენაზე თუ განსაზღვრავდა მოუწყობლობად, ამავდროულად აშკარა ეკზისტენციურ საზრისსაც მიანიჭებდა, ისევე, როგორც მგოსნის იმ მწარე დასკვნას საკუთარ თავზე, იმავე იონა მეუნარგიასთან გამხელილს, ლიტერატურული ანკეტის პასუხებს ვისაც ჩამოუწერდა: საკვირველი კაცი ვარ — ცოლი მყავს და არა მყავს, შვილი მყავს და არა მყავსო...

და მკვლევარი არ გამორიცხავდა ამგვარი ყოფის განცდას ესქატოლოგიურ პერსპექტივაში, როგორც პავლე მოციქული ურჩევდა (1 კორ. 7:29).

— ხოლო ამას გეტყვი, ძმანო, ჟამი ესე შემოკლებულ არს ამიერითგან; და რაითა, რომელთა ესხნენ ცოლ, ესრეთ იყვნენ, ვითარცა არა ესხნეს...

და ამ ფონზე ყურადღებას მიაქცევდა საკვანძო სიტყვას აკაკის ლექსში „პოეტი“: შუაკაცს!..

და ნამოჭრიდა შეკითხვას:

ილიას პოეტიც ასევე შუაკაცი არ არისო?

რათა გაეცხადებინა მათ შორის არსებული ფუნდამენტური, სწორედაც ფუნდამენტური განსხვავება:

ილიას შუაკაცს მყარი ადგილი ეჭირა ცასა და მიწას შორის, ის განმტკიცებულიყო ცის მანდატით და ჩაფესვილიყო მიწაში, როგორც ორივ სინამდვილის ლეგიტიმური მოქალაქე.

აკაკის შუაკაცს კი, ერთი შეხედვით, თავისუფალი, მყარი ადგილი ვერ მოეპოვებინა, ის, როგორც ქანქარა, მოძრაობდა ცასა და მიწას, თითქოს შთაგონებასა და ხელმოცარვას შორის, არც ცასა და არც მიწაში მას მკვიდრი ადგილი რომ არ მოეპოვებოდა. ხან იქ, ხან აქ და არც იქ, არც აქ. მაშ სად? ასე ირხეოდა სიბრძნესა და უგუნურებას შორის. მაშ ვინ გახლდათ იგი? არავინ? მაშ რას ნიშნავდა მისი ეს — არავითარი შუალედური ადგილი ან მდგომარეობა?

და გრძელდებოდა განსჯა, რომ:

ჭკუის ქონება-არქონება არ განსაზღვრავდა მოქანავის არც სიბრძნეს — რადგანაც სიბრძნე გამოცდილების შედეგი არ არის — და არც მის უგუნურებას, რადგანაც ის სხვა განზომილების უ ჭ კ უ ო ბ ა ა, რომელშიც ალბათ პოზიტიური შინაარსი დევს. ეს არის პოეტის ხანაში დაყენებული სალოსის უჭკუობა და მასხარის სიბრძნეო.

არც მიწისა გახლდათ აკაკი წერეთელი და არც ცისა.
ვერსად მოეპოვებინა მკვიდრი ადგილი.
ხან იქ იმყოფებოდა და ხანაც აქ, არც იქ დაედგომებოდა და არც აქ.
და ცხოვრებაც სად შეიძლება ნდომებოდა, თუ არა:
ყველგან და არსად... არსად და ყველგან...

საგულისხმოა, რომ:
როდესაც „სულიკოს“ ანალიტიკურ განსჯას ყოველმხრივ ჩაჰყვებოდა, ემზარ კვიტაიშვილი ნიშანდობლივად მიიჩნევდა, რომ: სულიკოს კონკრეტული სახე და ადგილსამყოფელი შეგნებულად არა ჩანდა ლექსში. — იგი სუფევდა „ყველგან და არსად“, როგორც თვით აკაკის წარმოედგინა იდეალური არსებობა მზისქვეშეთში.
თუგინდ პარადოქსადაც ჩამოგვერთმია.

საიმედოდ ენიშნებოდა ეს კითხვარი აკაკის, წინ გადადგმულ ნაბიჯად მისი ბიოგრაფიული ქრონიკის შედგენის გზაზე, მაგრამ მაინც გული ეთანაღრებოდა: როდისღა?!. გადაყვა ამ სამხედრო გენერლებს და პოეზიის გენერლისა თუ უფრო მეტისათვის ვერა და ვეღარ მოუცლიაო!..
რაც არის და როგორც არის, ძვირფასი მასალა შემონახულა ამ კითხვარის წყალობითაც, ყველა მიგება საგულისხმო რომ არის, თუმც ამჯერად თუნდ იმ პასუხებს ჩავუკვირდეთ, რისი კეთება უფრო სურდა და რა მიაჩნდა ყველაზე დიდ ბედნიერებად.
ფრანგებიდან ხომ არავის მოაფიქრდებოდა რაღაც ამგვარი პასუხების გაცემა: თავაშვებულის ალაგმვა და გულგატეხილის გამხნევებაო, ან — გარემოების ატანაო.
და ჯერ მარტო ამით ცნაურდება ხვედრი და ყოფა დიდი და ძლევამოსილი სახელმწიფოს შვილებისა და სახელმწიფოებრიობადაკარგული და იმპერიის პროვინციად გადაქცეული ქვეყნის შვილისა, რომელიც, ფრანგ მოყვასთაგან განსხვავებით, თითქოს შუაგულ ბრძოლაში დგას, ან რაღა თითქოს — სწორედაც შუაგულ ბრძოლაში გადაშვებულა და ყველასა და ყველაფერს ამ თვალთახედვითა და განწყობილებით აღიქვამს.
თვით საფრანგეთშიც გავრცელდებოდა აკაკის ის სიტყვები, პასუხად თავისი თაყვანისმცემლებისა, რომელთაც ეიმედებოდათ, რომ მათ უსაყვარლეს პოეტს აუცილებლად მიანიჭებდნენ ნობელის პრემიას.
არადა ამას უნდა გაკვირვებოდა და ძალიანაც გაკვირვებოდა ამ თემაზე სიტყვის ჩამოგდება, რადგანაც ამ ჯილდოს მშვიდობის დამცველთათვის იმეტებდნენ.
— მე... ნობელის პრემია?!. — წამოიძახებდა, — მაშინ, როდესაც ყველა ჩემი ნაწარმოები იარაღის ჟღარუნად გაისმის?!.
საქართველოში ამ სიტყვების შინაარსსა და მიზანდასახულებას ადვილად ამოიცნობდნენ, მაგრამ რაკიღა ფრანგი ჟურნალისტი ქალი ეკითხებოდა იქაური გაზეთისათვის, აკაკის უსათუოდ უნდა დაერთო შესაფერისი განმარტება, რათა ფრანგი მკითხველი არ დაბნეულიყო:
— უწინარეს ყოვლისა მე სათნოების მომხრე ვარ და თუ ხოტბას ვასხამ იარაღს, ეს იმიტომ, რომ ჩვენ ვიბრძვით ჩვენი თავისუფლებისათვის...
ნეტა გაგრძელებულიყო და გაგრძელებულიყო შეკითხვებიო...
რაც უნდა იყოს, თავისებურ გზამკვლევად კი წაადგებოდა ბიოგრაფოსს, განზრახვა აღუსრულებელი რომ არ დარჩენოდა... თუმც ამ დანიშნულებით სხვებმა შეიძლება გამოვიყენოთ და... გული გვწყდებოდეს, ამ ანკეტის შემავსებელთა შორის რომ ვერა ვხედავთ: ილია ჭავჭავაძეს, იაკობ გოგებაშვილს, ნიკო ნიკოლაძეს, ალექსანდრე ყაზბეგს... ისე ნეტა ვაჟა-ფშაველას ხელთაც თუ მოხვედრილიყო ეს შეკითხვები?!.

თავი II

მარტოდენ ყეფა, ღრენა მარტოდენ

თქვენ ბიოგრაფიული ქრონიკის შედგენა თქვით, თორემ საამისოდ აკაკი ავტობიოგრაფიულ რომანსაც შემოგვაშველებდა და კიდევ არაერთ მემუარულ ჩანაწერსაც, „ჩემი თავგადასავალს" გულუხვად რომ ავსებს — ეპისტოლური მემკვიდრეობისა არ იყოს — და თვალნათლივს ხდის აკაკის ცხოვრების გარეგნულ ქარგასაც და სულიერ პორტრეტსაც, კვალდაკვალ მიყოლაღა რომ გვევალება და სხვათა მოგონებებიდან ამოკრებილ ცნობათა და დეტალთა ჩართვა შესავსებად თუ დასაზუსტებლად ზოგიერთი ეპიზოდისა თუ გარემოებისა...

განსაკუთრებული ადგილი ამ ხელიხელსაგოგმანებელ ქმნილებაში, „ჩემი თავგადასავალი" რომ არის, მაინც ის უნდა იყოს, აი ის...

რაო, გაძნელდება განსაკუთრებული ადგილის გამორჩევა, რადგანაც ყველა პასაჟი ერთიერთმანეთზე მნიშვნელოვანი და დამაფიქვრელია?

და მაინც, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით იმ მონაკვეთს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, აკაკი ასე ხატოვნად და სრულიად გაშიშვლებულად რომ წარმოაჩენს ავტოპორტრეტის ზოგად იერსა და უმთავრეს შტრიხებს.

რუსეთს რომ მიატოვებდა და ცოლ-შვილით დაბრუნდებოდა სამშობლოში, მაშინ ძალიან არეული და გამოურკვეველი დრო იდგებოდა. ბატონყმობა უნდა გადავარდნილიყო, ახალი რეფორმები შემოდიოდა და, რასაც ესეც იქ შეჰხაროდა, ისიც თავისთვის კუდს იტოვებდა. სახელით ყველაფერი კარგი კი იყო, მაგრამ... სახრავად არ ვარგოდა.

სანიმუშოდ მეტი თვალსაჩინოება რალა გვინდოდა და ბატონყმობის მოსპობად როგორ მიგვეჩნია ის მოსპობა, როდესაც: ბატონიც და ყმაც ჯაჭვით ერთმანეთზე გადაბმული ჩინოვნიკს ეჭირა ხელში და ორივეს ახრჩობდა — ღლეტდა? რალა ნაყოფს გამოიტანდა ის სამსჯავრო, სადაც ხალხის ენა აკრძალულიყო და ენის უცოდინაროის გამო ხალხი გამღლეტ-გამცვეთელებს უნდა ჩავარდნოდა ხელთ? ამ ყოველივეს რომ ხედავდა, ამიტომაც ვერ მოეპოვებინა მისი სრული თანაგრძნობა რეფორმებს — გარეგნულად არცთუ ურიგოს, ბევრი დიდი იმედითა და მოლოდინითაც რომ მიაჩერდებოდა — და მაშინ დაიწერებოდა: „ადვოკატი", „კატა და ძაღლი", „ვაის უნდა გავეყარო" და სხვანი.

ვერცერთ მხარეს ვერა ხედავდა საზოგადოებრივ დაჯგუფებებს შორის, რომ მიკედლება და გვერდში ამოდგომა შესაძლებელი ყოფილიყო,

და ამიტომაც ყველას ჩამოშორდებოდა და, როგორც იმედგაცრუებული, ახირებული დარჩებოდა მარტოდ.

ეს ახირებული დარჩენა მარტოდ რას მოუტანდა და:

ერთი მხრით — მაღლიდან რისხვა, მეორე მხრით — თავადაზნაურობის გაწყრომა და მესამე მხრით — სტუდენტების (მაშინ ინტელიგენციას „სტუდენტობას" ეძახდნენ) ენის ნაგრძელება მოსვენებას არ მისცემდა.

იმთავითვე ასე განისაზღვრებოდა აკაკის ცხოვრების სტილი, ყოველი მხრიდან შემოტევები რომ არ მოაკლდებოდა.

და არც თვითონ მოაკლებდათ — ყველა მხარეს რომ ერთდროულად და შეუპოვრად მიეტანებოდა.

ამაზე თვითონ არას ამბობს, მაგრამ თვალს მიმოავლებ თუ არა მის ამსოფლიურ ყოფას, სხვა შთაბეჭდილება არც დაგრჩება.

იმდროინდელ ხმის აყოლას რომ ახსენებს და მის მომძლავრებას, თვალსაჩინოებისათვის თავის მაგალითს გაგვაცნობდა: ძნელად ნახავდით მისთანა ახალგაზრდას, რომ ჩემზე ძვირი არ ეთქვას და ცილი არ შეეწამებინოსო.

ჰკითხავდით:

— შენი თვალით გინახავს ეგ ყველა, რასაც ამბობ? შენი ყურით მოგისმენიაო?

და გიპასუხებდა:

— არა, მაგრამ გაგონებით ვიციო!..

და ეს პასუხი იქნებოდა სავსებით გულწრფელი.

რა გამოდიოდა — გამგონე ყველა იყო და დამსწრე კი... არცერთი!..

ეს განწყობილება აკაკის ათქმევინებდა: ბრბო განა სიმართლეს დაეძებს? ის მხოლოდ წამხედურობით ბღავის ცხვარივით და, რად ბღავის და რას, თვითონაც არ იცისო.

ეჰ, ასე იყო თუ ისე, აკაკი კი დიდ გასაჭირში ჩავარდებოდა.

თითქოს სხვა გზა აღარ რჩებოდა: უნდა თავზე ხელი აეღო და სხვების ნება-სურვილს აჰყოლოდა.

მაგრამ აკაკი რისი აკაკი იქნებოდა, თუკი თავისთავს უღალატებდა.

და ამიტომაც გაკერპდებოდა.

ცოლ-შვილს გაისტუმრებდა სოფლად და... ულუკმაპუროდ, შიშველი, უსახლკაროდ დარჩენილი მაინც არავის შეეპუებოდა და თავისას არ დაიშლიდა. და მაშინდელ მის მდგომარეობას მშვენივრად გამოხატავდა გულმოსული ბესარიონ ღოღობერიძე:

— მაგასთან ბრძოლა შეუძლებელია! რა უნდა წაართვა და რა უნდა დააკლო, რომ არა აბადია რა?! ჭამა-სმას არ დაგიდევს და საწოლ-სახურავს!.. მარტო ჰყეფს და იღრინება.

ეგონებოდა: დავამცირე და გული მოვუკალიო.

მაგრამ ამ შედარებას აკაკი სულაც არ მიითვლიდა დამცირებად და შეურაცხყოფად და სიამაყითაც ადასტურებდა ამდენი ხნის შემდგომაც: დიახაც ვყეფდი და ვიღრინებოდიო, — და ის ათამამებდა, რომ ვერავინ იტყოდა, თითქოს ოდესმე თავის პირადობაზე ხელი აეღოს.

არავის უშინდებოდა და ძალიც შესწევდა ქადილისა!..

ყველასაგან მოძულებულს ბევრჯერ კარგ ადგილს (ღირსი რომ არ ვიყავი, მისთანაო, — ჩაურთავდა) შესთავაზებდა მთავრობა, მაგრამ რადგანაც კი ერთხელვე სხვა გზა აერჩია, არ იზამდა სამსახურში შესვლას და დარჩებოდა ობრად ანუ გიჟად, როგორც ზოგიერთები ამტკიცებდნენ.

ვერც გიჟის ძახილი შეაფიქრიანებდა, თორემ შეშინება ხომ რა სათქმელია!..

რამდენიმე წელიწადს დაჰყოფდა ამ დღეში და... თვითონ კი აღნიშნავს: როცა იქნებოდა, ეგება კიდევ გავტეხილიყავო, — მაგრამ ეს იმიტომ, რომ მხურვალე მადლიერება გამოხატოს იმ პირებისადმი, რომელნიც მხარში ამოუდგნენ და გაუადვილეს წუთისოფლის გზაზე სიარული, თორემ ის პიროვნება გახლდათ, შეეწირებოდა და თავის არჩევანს არ გადაუხვევდა, განზრახულს არ უღალატებდა, იდეალს თვითმოტყუებით არ გააფერმკრთალებდა თუ სულაც გააქარწყლებდა.

შინაგანი აკაკობის შენარჩუნება სიცოცხლეს ერჩია.

და თითქოს აუხდებოდა რუსთველური შეგონება, ოდნავ სახეცვლილს რომ დაიმოწმებდა: მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა სხვისგან განაწირსაო.

იმხანად სასტუმრო „კოლხიდა“ ეჭირებოდა გიორგი ჭელიძეს, რომელიც მოძებნიდა აკაკის და ეტყოდა:

— შენს მდგომარეობას ვხედავ და მინდა, რომ დახმარება გაგიწიო! ერთი ოთახი მისი მოწყობილობით, საჭმლითა და სასმელით მომირთმევია: გადმობრძანდით ჩემთან და იცხოვრეთ. არაფერსა გთხოვ! არ შეგაწუხებ, სანამ ცოცხალი ვარ და როცა ღმერთი ინებებს და თქვენი გარემოება შეიცვლება, იმედი მაქვს, თვითონაც არ დამივიწყებ.

აკაკი რასაკვირველია დიდი სიამოვნებითაც მიიღებდა ამ თანაგრძნობას და დადგებოდა გიორგისთან, რომელსაც პირველ ხანებში მისი ავისმოსურნენი ძალიან აწუხებდნენ: რად მიეცი ბინა და საზრდოო? — მაგრამ რომ ველარას გააწყობდნენ და გულს ვერ აუყრიდნენ აკაკიზე, ნელ-ნელა მინყნარდებოდნენ...

ასე და ამგვარად მოიპოვებდა საზრდოს და ლუკმა-პური აღარ ექნებოდა საძებარი, მაგრამ რაკილა არამარტო პურითა ცოცხალ არს კაცი: სულიერი საზრდოც, სულიერი თანაგრძნობაც ხომ ესაჭიროებოდა — და იმასაც მალე მოიპოვებდა იაკობ ნიკოლაძისა და ბესარიონ ხელთუფლიშვილის ოჯახებში.

ეს ორი ოჯახი გახლდათ, რომ ამხნევებდა, ხელს უწყობდა, გულს უკეთებდა და ესეც უფრო შეუპოვრად და გაბედვით მიდიოდა თავისი გზით მომავლის მოლოდინში...

იბრძოდა და, არცერთი მოვლენა არ მოხდებოდა ჩვენში, რომ მასაც თავისებურად მონაწილეობა არ მიეღო!..

რომ არც დაიღლებოდა, რომ არც გაბეზრდებოდა და სულის ამოხდომამდე არც შეიცვლებოდა მისი ცხოვრების ეს სტილი — ყველაფრისათვის ედევნებინა თვალყური, ყველაფერი გაეაზრებინა სიღრმისეულად და სრული მიუკერძოებლობით და საჯაროდაც შეეფასებინა, როგორც მის შუაგულში მყოფს.

კი მაგრამ, როგორ ახერხებდა, რომ ყველაფერს გაწვდომოდა?

თვითონაც დაინტერესდებოდა, მოგონებებში რომ ჩაეფლობოდა, და ამ მოვლენის ფსიქოლოგიურ ახსნასაც შეეცდებოდა, როგორ შეეძლო, რომ ყველაფრისათვის მოეხვია ხელი და სიღრმეებშიც ბოლომდე ჩასულიყო, და ამგვარად დაიბეჯითებდა:

პირადობაზე ხელაღებული ვიყავი, საპირადო არავისთან მქონია რა, მხოლოდ საზოგადო მახალისებდა, და მივდიოდი ჩემი გზითო.

რარიგ ეამაყება, ერთხელაც რომ არ გადასცდენოდა ფეხი სავალიდან, და მოუწყინრად ამიტომაც გაიმეორებდა გუნებაშიც და სხვათა გასაგონადაც: ჩემი გზა და ჩემი გზაო.

რაც კი რამ გასაკეთებელი შეხვდებოდა, თუკი მოახერხებდა, გინდ დიდი ყოფილიყო და გინდ პატარა, ჩაჰკიდებდა ხოლმე ხელს, და ეს გაურჩევლობა ისე გაიტაცებდა, არც მტერ-მოყვრობა და არც სისხლხორცობა აღარ იცოდა.

რას ეტყოდა ერთი ჭკვიანი კაცი?

— სწორედ რომ ახირებული კაცი ხარ: შენიან-სხვისიანობა არ იცი. შენიანს არ არჩევ შენი მწარე ენით და სხვისიანს უდგები?.. რომ ვინმეს უნდოდეს შენთან დაახლოება და დამოყვრება, ვერ ახერხებს.

განა სიმართლეს არ ეუბნებოდა!.. მაგრამ ამასაც რომ თავისი სიმართლე ჰქონდა?!.

— საზოგადო საქმეში მე არ მესმის მტერ-მოყვრობა!.. მე ჩემი გზით მივდივარ; ვინც გვერდით ამომიდგება, გინდ მტერი იყოს, გინდ მოყვარე, ჩემიანად მიმაჩნია და, ვინც წინ მეღობება, მტრად...

მაშინ, ახალგაზრდობისას ამ რწმენით რომ აღვსილიყო, მოგვიანებით, წლების მომატების კვალობაზე, ხომ არ გადააფასებდა?

არა და არა, და კვლავაც მტკიცედ ინარჩუნებდა იმ რწმენას.

იმ გაკერპებულ წინსვლაში დიდი ტანჯვაც რომ გამოეარა?

რაკიღა ღმერთს ამდენხანს ეცოცხლებინა, რომ რასაც მაშინ ფიქრობდა, აღსრულებულიყო, და მტრები მოყვრებად გადაქცეოდნენ, უკვე აღარას იტყოდა აღარც თავის თავზე და აღარც მათზე.

და მადლობას აღუვლენდა უფალს: დღეს, რომ არ დამიმსახურებია, მისთანა პატივისცემასა და სიყვარულში ვარო.

რა, მტრები აღარა ჰყავდა?

როგორ არა, უამისოდ ვინ ყოფილა, რომ ის დარჩენილიყო, მაგრამ უმეტესობისაგან კი სიყვარულის გარდა არას გრძნობდა და... ღრმად მოხუცი სამარისაკენ მიაბიჯებდა თავისი სამშობლოს ლოცვა-კურთხევით.

ამით უნდა მოთავსებულიყო თხრობა მისი თავგადასავლისა და დაწყებულიყო მისგან ნანახ და გაგონილ ამბავთა გადმოცემა, და იმ მოღვაწეთა პორტრეტებიც აკინძულიყო, იმ ორმოცდაათი წლის განმავლობაში ვინც ყოფილა და ვისთანაც ასე თუ ისე მასაც ჰქონოდა პირადი დამოკიდებულება.

დაწყებულიყო და... მალეეც შემწყდარიყო, რაღაც-რაღაც გარემოებანი რომ დააბრკოლებდა და დიდ შუალედსაც გააჩენდა პირველი და მეორე ნაწილების თარიღთა შორის, 1894-99 წლებში რომ უნდა მოთავებულიყო პირველი ნაწილი და... მხოლოდღა 1908-9 წლებში განახლებულიყო.

ჯერ განზრახვის მცირე მონაკვეთი ეჭირებოდა ხელთ, უკვე განსაკუთრებულად რომ შეუვარდებოდა გული ამ თხზულებაზე და თავის ყველა სხვა ნაწერს დაამჯობინებდა.

სხვებს თუნდ ექილიკათ: ყვავსაც თავისი ბახალა მოსწონსო.

შეიძლება დიდი არა იყოს რაო, — ჩაიღიმებდა, მაგრამ სიამაყით ეამაყებოდა, რომ წმინდა გული და წრფელი სული გამოეხვია შიგ — მოგონებანი როგორც უნდა იწერებოდეს.

და ყველაფერი მოეხსენიებინა, რაც კი ენახა და სარწმუნოდ გაეგონა. და თუმც თავმდაბლურად ჩაურთავდა: საკუთრად ჩემს შესახებ საინტერესო მაინცდამაინც იმდენი არა იყოს რაო, — მაგრამ სხვებიც ხომ ჩნდებოდნენ, სხვა ისტორიული პერსონაჟებიც? და წინდაწინვე ამცნობდა მკითხველს, თუ რა იყო მოსალოდნელი მისი ავტობიოგრაფიული რომანის ფურცლებზე:

ჩვენი მოღვაწეების წერილები, მაგალითად: გაბრიელ ეპისკოპოსის, დიმიტრი ყიფიანის, იაკობ გოგებაშვილის, გიორგი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, ვანო მაჩაბლისა და სხვათა მრავალთა, ვისი წერილიც კი საზოგადო საქმეს შეხებიაო.

ბიოგრაფია საზოგადო მოღვაწეებისა და ჩემი პირადი შეხედულება მათ შესახებო.

ბანკების დაარსება ჩვენში, წერა-კითხვის საზოგადოების, თეატრისა და მათ გამო გამოწვეული არჩევნები, ზედმოყოლებული ავანჩავანითო.

ბატონყმობის ამბავიო.

ძველებური ზნე-ჩვეულებანიო.

მათი გადავარდნა და სამაგიეროს შემოღებაო.

საისტორიო ანეკდოტებიო...

რა ჩამოთვლიდა „ჩემი თავგადასავლის“ თემატურ მრავალფეროვნებას, ცნობისმოყვარეობის გამოსაწვევად და სასიამოვნო მოლოდინისათვის კი ეს ჩამონათვალიც სავსებით კმაროდა, მითუმეტეს, გამოქვეყნებული ნაწილი ისეთი მრავლისაღმთქმელი გახლდათ, ისეთი, ისეთი, რომ!..

აკაკისეული შეფასებით:

ჩემი შეძლებისდაგვარად — ნამდვილი სარკე ნახევარსაუკუნისაო!..

„შეძლებისდაგვარად“-ს ამ შემთხვევაში რაკიღა საზღვარ-სამანი არ დაედებოდა (ვინ ამბობდა!), დასრულებული „ჩემი თავგადასავალი“ მართლაც მოიცავდა ყველასა და ყოველივეს და გვირგვინადაც დაადგებოდა აკაკის შემოქმედებით ნაღვაწს... და მითუფრო გულმტკივნეულად შევყურებთ სვეტებსა და მოუთავებელ კედლებს, გრანდიოზული სარკის ვეება, მაგრამ მაინც ნატეხებად რომ მოჩანს.

თვითონ სულაც არ ეგონა, თუ ასე ნაადრევად გაუწყდებოდა თხრობა და მკითხველს პირდებოდა: ეს ნაწარმოები, რომლის ხელმძღვანელობასაც თვით მე ვკისრულობ, რომ ჩემს გუნებისად გამოიცეს, მრავალტომიანი იქნებაო.

ხოლო რადგანაც ერთად მათი გამოცემა არ უხერხდებოდა, ჯერ უნდა გამოცემულიყო პირველი ტომი, რომლის ბეჭდვასაც იანვრიდან შეუდგებოდა.

„ნანახისა და გაგონილის“ ნაწილი იმ ეპიზოდის გახსენებით უნდა დაწყებულიყო, ერთხელ ქუთაისის თავადაზნაურობა თავს რომ მოიყრიდა მარშლების ამოსარჩევად. რასაკვირველია ჩვეულებისამებრ პარტიებად დაიყოფოდნენ და ატეხდნენ აყალმაყალს და ბევრ რაიმეს სასაცილოსაც ჩაიდენდნენ.

და საღამ-საღამოობით აკაკი ესტუმრებოდა ხოლმე ხან ნიკოლაძეებისა და ხანაც ხელუფლიშვილების ოჯახებს და მომხდარ ამბებს გადასცემდა მუსაიფისას.

ქალები სთხოვდნენ, რომ ერთი ფელეტონი დაეწერა და დაებეჭდა „დროებაში“.

ისე, სასხვათაშორისოდ აღნიშნავს: ქალებმა მთხოვესო.

არადა სთხოვდნენ იმიტომ, რომ იშვიათი ენაწყლიანობით, იუმორითა და ხალისით ჰყვებოდა, ისეთ დეტალებსა და გარემოებებს მიაქცევდა ყურადღებას, რასაც მისი მახვილი გონება თუ მიაგნებდა და გადმოცემისას შესაფერის სამოსშიც ჰხვევდა, და მასპინძლები შეწუხდებოდნენ: ეს ყოველივე კი ძალიან კარგია, მაგრამ მარტო ჩვენს მოსასმენად ცოდვაა და აფსუსი, აუცილებელია, ბევრმა გაიგოს, ბევრმა იხალისოს, კიდეც ჩაუფიქრდნენ და ამ მოვლენის სიღრმეც ფენა-ფენა წარმოიდგინონო.

ამიტომაც შეაგულიანებდნენ.

და ესეც ნარზე რომ იჯდა და ხელის აქნევასღა ელოდა.

ამიტომაც საჩქაროდ გამოაცხობდა ფელეტონს, დაარქმევდა „ცხელ-ცხელ ამბებს“ და ხელმოუწერლად გაუგზავნიდა რედაქტორს.

რედაქციაში ფელეტონს წაიკითხავდნენ, ძალიან მოეწონებოდათ და ნიკო ნიკოლაძეს მისწერდნენ, რადგანაც იგი იმხანად დროებით გახლდათ ქუთაისში ჩამოსული, ამ ვარაუდს რომ გამოთქვამდნენ:

— შენ თუ მოგვწერდი იმერეთიდან ამისთანა, ფელეტონს, თორემ სხვა ვინ მოახერხებდაო?

და აკაკის გული დაწყდებოდა და ეს განწყობილება ავტობიოგრაფიულ რომანსაც შერჩებოდა: არ ვიცი, რად იყვნენ დარწმუნებულნი, რომ მე, გარდა ლექსებისა, მეტი არა შემეძლო რაო?..

თუმც მის საიდუმლოს ნიკოს არც დები გაუმჟღავნებდნენ და არც დეიდაშვილები, ხელთუფლიშვილის ქალები, მაგრამ ის თავისითაც მიხვდებოდა: აკაკის დაწერილი უნდა იყოსო, — და კიდეც ესტუმრებოდა სასტუმროში, სხვათა შორის ამასაც რომ ჰკითხავდა:

— რა მიზეზია, რომ აჰყოლიხარ აქაურ აყალმაყალს და არ გინდა ტფილისში გადმოსელა, სადაც უფრო ადვილად შეგიძლია დააკმაყოფილო შენი ინტელიგენტური მოთხოვნილება?

— შეიძლება, — ამაზე კი დათანხმდებოდა აკაკი, რომ თავის ინტელიგენტურ მისწრაფებებს ტფილისში უფრო აღასრულებდა, თუმც ქუთაისში დასარჩენადაც საკმაოდ საფუძვლიანი მიზეზი ჰქონდა, — მაგრამ იქ უჩემოდაც ბევრი ხართ. ამ საცოდავ იმერეთს, რომელიც მართლა მეტი თუ არის ამერეთისაზე, თვარა ნაკლები არა, ყველა გაურბის და მე, როგორც იმერელი ქართველი, მოვალედ ვხდი ჩემ თავს, აქ ვემსახურო, რაც კი შემიძლია!..

ამ მიზეზს თანამოსაუბრე სავსებით ბუნებრივად აღიქვამდა, რადგან ადრე თვითონაც ასევე ფიქრობდა, მაგრამ თანდათან კი აზრი შეცვლოდა და დაე აკაკისაც ეს გაეთვალისწინებინა, რომ:

— აქ კაცი მოკლებულია ყველაფერს „ინტელიგენტურს“ და ადრე თუ გვიან გამოყრუვდება!.. აქ არც გაზეთია! არც ცენზორი! და სხვა რამ!.. იქ ყველაფერი გვაქვს. დამერწმუნე, რომ იქ მუშაობა შეიძლება!.. აქ კი შრომა ტყუილა იკარგება.

გაზეთთან ერთად ეს ცენზორი რაღა სახსენებელი იყო, ცენზორი, რომელიც მხოლოდ ურთულებდათ მწერლებსა და ჟურნალისტებს საქმიანობა-მოღვაწეობას, ნერვებს აწყვეტდათ და სულს უხუთავდათ?

რაღა სახსენებელი და:

მოგწონს თუ არ მოგწონს, ოფიციალური უწყებაა, გარდუვალი — გაზეთთან, ჟურნალსა და წიგნთან ერთად. ცენზორის არსებობა თავისთავად მოასწავებს, რომ იმ გარემოში ლიტერატურული საქმიანობა გაჩაღებულა. აი ქუთაისში ცენზორი რომ არ იმყოფებოდა, არც გამოცემები მოეპოვებათ და არც ლიტერატურული ცხოვრების მჩქეფარება.

იქ კი, მუსაიფისას ძალს აკაკი იქნებოდა და ძალს ნიკო, იმდენ საბუთს რომ მოუყვანდა, იმდენს ეჩიჩინებოდა, რომ... გულს გადაუბრუნებდა და ეს ამასღა ეტყოდა, ამ ხავსს მოეჭიდებოდა, ეგებ ამან მაინც გაჭრასო:

— ცხოვრება არ შემიძლია, არაფერი გამაჩნია!..

მაგრამ ნიკო ამ არგუმენტს მართლაც ხავსივით მოისროდა:

— კარგი, მეტი არ შემიძლია და ყოველთვიურად, სანამ ჩემი საქმეები გათავდებოდეს, მე გაძლევ ჩემი ჯიბიდან შვიდთუმან-ნახევარს და შენც დამჯერდი ამას და იმუშავე „დროების“ რედაქციაში.

აკაკის სხვა გზა აღარ დარჩენოდა და... კიდეც დაყაბულდებოდა.

ნიკო მისცემდა გზის ფულს და გამოისტუმრებდა ტფილისისაკენ, და თვითონ კი გაუდგებოდა საქმეების გამო საზღვარგარეთ.

— ეს ორი, სამი დღეა, რაც რიონში ტობი (ხრამული) შემოდის და ქუთაისში იყრის თავს ქვირითის დასაყრელადო, — ასე იხსნებოდა ფელეტონი, ასე ორიგინალურად, მკითხველსაც თანამოაზრედ რომ იხდიდა: ვინ არ იცის, რომ ყოველ გაზაფხულის პირზედ თევზი ქარავნობს და პატარა-პატარა წყლებს ეძებს, უმეტესად ქვიან ხვინჭკიან მდინარეებს ეტანება და, ქვირითის დაყრის დროს, მუცლით ხოხავს ხვინჭკარებზედო?..

ქუთაისშიც ამ მიზეზით შემოდიოდა.

მაგრამ: რადგანაც სამი წლის წინათ დიდწყლობას გადაერეცხა, რაც რიონში ხვანჭკა იყო, წელს კენჭები ძალზე ძვირი საშოვარი შექმნილიყვნენ და ამის გამოისობით უბედური თევზები, მუცელდამძიმებულნი, ხვინჭკების ნაცვლად სილა-ტალახში ხოხავდნენ და ისე ეძალებოდნენ ქვირითის დაყრას, ფიქრობდნენ, რომ თევზების ქარავანში გველ-ბაყაყნიც ბევრი ერივნენ... ახლა ქუთაისში ეძებდნენ ერთ კარგ მეთევზეს, რომელსაც მღვრიე წყალში უნდა დაეჭირა თევზები... და მეთევზეს კი დაიქირავებდნენ ვადით, თუკი ეს ღირსებები ექნებოდა.

მღვრიე წყალში თევზის დაჭერას რომ ახსენებდა, მკითხველი უკვე მიუხვდებოდა, იუმორი რომ გაანათებდა თხრობას. და აჰა კიდეც, მეთევზის ღირსებათა ჩამოთვლა ამ უმთავრესი თვისებით რომ დაიწყებოდა:

პირში ეგუბოს წყალი, რომ ლაპარაკის თავი აღარ ექნესო.

სხვა მხრივ კი, უნდა სცოდნოდა კარგი ყვინთვა ცურვის დროს, ყოფილიყო თვალტანადი და პირობის დასასკვნელად კი გამოცხადებულიყო ბულვარში და დაეძახა სამჯერ: მე გახლავარ! აქ გახლავარ! მზად გახლავარო!..

და აკაკის უეცრად უნდა გადაენაცვლებინა ისტორიაში და გაეხსენებინა ანტონ პირველი კათოლიკოსის სიტყვები: ჩემი გრამატიკა პირველი არ არის ქართულ ენაზედ, ადრევე გვქონია ქართველებს შედგენილი გრამატიკა, მაგრამ დღეს, დროთა ვითარების გამო, აღარსადა ჩანსო!..

იტყოდა ამას კათოლიკოსი და გულდაწყვეტით დაგვიწერდა ახალ გრამატიკას.

და აი კვლავაც უნდა გაგრძელებულიყო აკაკისეული იუმორ-ირონია: დღეს, სასიხარულოდ ყოველთა ქართველთა, ის დაკარგული გრამატიკა მოპოვებულა და შექმნილა ერთი ჩვენი მასწავლებლის საკუთრებად. ავტორი მისი ყოფილა ჯანი ბეჟან ადამსწინელიო.

დიდი ცოდნით შედგენილიყო ის გრამატიკა: ისეთი ღრმა ენით, რომ ცხონებულ ანტონ პირველსაც გაუჭირდებოდა გაგება, რომ წაეკითხა.

თვისება ამ თხზულებისა მაინც რა იყო?

ის, რომ სხვა წიგნებივით თავიდან არ იწყებოდა, ბოლოდან უნდა შემოვყოლოდით თათრულად, და ამ მიზეზით ანაბანას პირველკლასში კი აღარ იწყებდნენ, არამედ — უკანასკნელში, და უფრო დიდი წარმატებაც რაღა გვინდოდა. ასე რომ, „ანიდან" რომ მოჰყოლოდნენ სწავლას უკანასკნელი კლასის მოწაფენი, „ძილამდე" მისულიყვნენ, და გაისს ამ დრომდე, თუკი ასე ბეჯითად ასწავლიდნენ, „ჰა-ჰოიემდიც" მიაწევდნენ.

ამეებს რომ ელაპარაკებოდათ აკაკი, მასპინძლის ქალები სიცილით იხოცებოდნენ და სთხოვდნენ, ფელეტონად რომ აქცევ, ის დეტალებიც არ გამოტოვო, ამ მონათხრობს მოხდენილად რომ დააგვირგვინებსო.

ჯერ ის, რომ:

სამსჯავროდან გამოვიდოდა ორი მომჩივარი, ერთს რომ წაეგო საქმე და მეორეს კი მოეგო რასაკვირველია! წამგებს ცალ თვალზედ ჩამოსდიოდა ცრემლი და მომგებს — ორივეზედ; ადვოკატი კი სიცილით ორივეს უკან მისდევდა.

და მერე კი ეს:

დღემდე ქუთაისში საჟენი ქვა თორმეტ მანეთად იშოვებოდა და ქვითკირის სახლიც ბევრი აშენდებოდა. დღეს კი კენჭსაც საარაკო ფასი დასდებოდა და რაღა უნდა აშენებულიყო?..

ორიოდ სტრიქონით, ასეთი ლაკონიურობით რა სახიერი და ღრმააზროვანი სურათები იხატებოდა, მჩქეფარე იუმორით აღვსილი, პაწია ფელეტონი გაზეთის დამამშვენებელი რომ უნდა შექმნილიყო და იმ მხრივაც საიმედო, მთელი სერია რომ შეიძლება აბმოდა და გაზეთიც გამოეხალისებინა და მკითხველიც ბლომად შემოემატებინა: ახალი ძალა და თანაც რა ძალა გამოჩენილაო.

ჩაიკითხავდა სერგეი მესხი ამ ქუთაისურ კორესპონდენციას და თანამშრომლებს გაუწვდიდა სიცილით:

— ნახეთ ნიკო ნიკოლაძეს ეს რა მოხდენილი სტატია გამოუგზავნია, ხელი იმიტომაც არ მოუწერია, რომ ისედაც უნდა ამოგვეცნო მისი ავტორობა, და მე მგონი, არ უნდა მეშლებოდეს, ქუთაისში ანკი ვინ შეიძლება მოიძებნებოდეს ნიკოს გარდა ასეთი ბასრი კალმის პატრონი.

გადაიკითხავდნენ ისინიც და... დაუდასტურებდნენ:

— სხვა არც არავინ!..

აკაკი წერეთელზე ვერც მიიტანდნენ გუმანს, რაკიღა ეგონათ, რომ იმას ლექსების წერის გარდა მეტი არა შეეძლო რა.

ახალგაზრდა ქალებისაგან შეგულიანება თქვი და, ფელეტონი ფელეტონად იხილავდა „დროების“ ფურცლებს და ავტორს კი ტფილისისაკენ გაენალდებოდა გზა, თორემ ჯერ თუ ბედს არ ემდუროდა და ლიხს იქითაც მშვენივრად გრძნობდა თავს, მოსალოდნელი გახლდათ, რომ ადრე თუ გვიან გამოყრუებულიყო და მისი შრომა უკვე ტყუილადღა დაკარგულიყო, თორემ ამგვარი ფიქრი, იმერეთში ჩავრჩები და ჩემს ასპარეზს აქაც ვიპოვნიო, აკი ძირფესვიანად გადაეფასებინა ნიკო ნიკოლაძეს და მეგობარიც ენანებოდა კარჩაკეტილობისათვის.

გულითა და სულით ურჩევდა, და ეს იმ კაცს, რომლის გულისთვისაც... ხელი აეღო პოეტობაზე.

ამას აკაკი პირდაპირ არა წერს ავტობიოგრაფიულ რომანში, მაგრამ ძალდაუტანებლად ცნაურდება, თუკი სტრიქონებს შორის ამოკითხვა არ გაგვიძნელდება.

ნიკო ნიკოლაძის სტუდენტობის ხანას ამ სტრიქონებში რომ ჩაწურავდა: მაშინ ძალიან ახალგაზრდა იყო, მკვირცხლი, მოუსვენარი, ნიჭიერი და სულ სხვა მიმართულებისა, ვიდრე მეო, — მეტად საგულისხმო პასაჟს მოადევნებდა:

— იმას ყველაფერში პირველობა უნდოდა; რასაკვირველია, პოეზიაშიც, რადგანაც კრიტიკოსობას ჩემულობდა, პირველობა უნდოდა.

პირველობა პოეზიაში არ გაუვიდოდა, რადგანაც აკაკის პირველიეე ლექსები მიახვედრებდა, რომ მასთან ჭიდილი მარცხიანი აღმოჩნდებოდა. მეორე ადგილს კი — თუ იმას მაინც დაანებებდნენ — არაფრისდიდებით არ იყაბულებდა და... კიდეც აიღებდა ხელს პოეტობაზე. თუ არადა, აბა კიდევ ერთხელ გადაიკითხეთ აკაკის მოგონებათა ეს პასაჟი, თუ სხვაგვარი შთაბეჭდილება დაგრჩებათ.

— მე დიდად მაფასებდაო, — ამასაც ატყობდა და ასეც იქნებოდა, განა არა, ოღონდ:

— ის კი უნდოდა, რომ მეც მის ნებაზე ვყოფილიყავ; მაგრამ მე ჩემი გზით მივდიოდი და, ვგონებ, ამის მიზეზი უნდა იყოს ის მტერ-მოყვარეობა, რომელიც აქამდისაც არ თავდება მე და იმას შუა, თუმც ის კი ძალიან გამოიცვალა.

პოეტობას დაუთმობდა ნიკო ნიკოლაძე აკაკი წერეთელს. და ვერც თავისი გავლენის ქვეშ მოაქცევდა ასეთი პატივმოყვარეობით აღსილი, ყველაფერში პირველობას რომ ესწრაფოდა... და თუ მტრობითაც უმტრობდა ხოლმე — ყოველ შემთხვევაში აკაკი ასე ირწმუნება — არც კეთილგანწყობას მოაკლებდა და მეტი მოყვრობა რალა გამოეჩინა, თვითონვე რომ დაეფინანსებდა, ოღონდაც ბოლომდე გაეშალა ფრთები აკაკის, „დროების“ რედაქციაში დავანებულს.

სტუდენტობის დროს კი ნიკოსთან თუ მოიბრუნებდა ხოლმე სულს, და კიდევ კირილე ლორთქიფანიძესთან, რომელიც ყველასათვის საყვარელი გახლდათ და მართლაც კარგი პიროვნება, მაგრამ... საოცარი ჟინიანობა კი სჩვეოდა, ისეთი, რომ მისი ჟინიანობა უკვე სიგიჟესაც ჩამოჰგავდა.

თავშესაფრად მაინც ეს ორი სტუდენტი ეგულებოდა, სხვებს კი ყველას ჩამოშორდებოდა, თუმც ამ ჩამოშორებას არასოდეს ინანებდა: ბევრი არა წამიგია რა, პირიქით, კიდეც მოვიგე, რომ დროს არა ვკარგავდი ლაყბობაში და კეთილად ვიყენებდიო.

პოეტური ძიებებისას არც ნიჰილისტებს რომ არ აჰყვებოდა და არც იმ რწმენას გაიზიარებდა, თითქოს მწერლობა მარტოდენ მუსიკა და კეთილხმოვანება ყოფილიყოს, ამ ორ მიმართულებას, ორ უკიდურესობას შორის მყოფს ათვალწუნებით შეხედავდნენ და... ამხანაგები კიდეც ჩამოცილდებოდნენ.

თვითონ ასე ახსნიდა:

ორთაშუა მყოფმა ჩემი გზა რომ ავირჩიე და გამოვყევი წყნარად, ამის გამო აეხადა ჩემს მწერლობას პატივი მათ თვალშიო.

ერთ საღამოს მიაკითხავდნენ მოციქულებად ვასილ თუმანიშვილი, გრიგოლ ჯავახიშვილი და მიხეილ ჩოლოყაშვილი და გადასცემდნენ ამხანაგების დანაბარებს:

— შენი მწერლობით გვარცხვენ და ან ლექსების წერაზე აიღე ხელი და ან ჩვენს ნაცნობობაზე.

მტრობას მერეც არავისას ჩაიდებდა გულში, თორემ ახალგაზრდას ხომ არა სჩვეოდა და არა, და ეს მათი შემონათვალი ისარივით დაეძგერებოდა გულზე. ბუნებათაზიარს ყველასთან მეგობრობა და კეთილგანწყობა სურდა და... ახლა კი ერთიანად მთელი ამხანაგების მოშორება მისთვის სიკვდილს უდრიდა.

ჩავარდებოდა საგონებელში და დიდხანსაც იყოყმანებდა.

მაგრამ იმხანად მისთვის პირადად უცნობ „ცისკრის“ რედაქტორისაგან მიიღებდა წერილს:

— ძმაო აკაკი წერეთელო! იმერლობას ნუ გამოიჩენ და ნუ გაფხუკიანდები, რომ შენი სამაგალითო ლექსი „საიდუმლო ბარათი“ დავბეჭდე და უშენოდ შენი სახელი და გვარი მოვაწერე და არამარტო უმნიშვნელო ორი ასო. აი რა იყო მიზეზი: ჩვენი პლატონი, ფილოსოფოსი, ასწავლის ბარიათინსკის ქართულს. იმას ეჩვენებინა შენი ლექსი მისთვის და დიდად მოსწონებოდა; დამიბარა მე და, როდესაც გაიგო ჩემგან შენი ვინაობა, მიბრძანა, რომ მისი სახელი და გვარიც მოაწერეო. მეც რაღა გზა მქონდა?! მაინც რა არის ეს იმერული სიფრთხილე, რომ შენს ლექსებს სახელს არ აწერ? ყველას ძალიან მოსწონს შენი ლექსები, განსაკუთრებით ქალებს. იმღერიან კიდეცა. აბა, შენ იცი, თუ მომეშველები მალ-მალ, შენი ივანე.

ხანშიშესული კიდევ ერთხელ რომ გადაავლებდა თვალს ამ წერილს, გაუელვებდა: დღეს მის შინაარსს სულ სხვაგვარად გავიგებდიო, — მაგრამ მაშინ კი დაიჯერებდა და დიდ გავლენასაც განიცდიდა.

მითუფრო, რომ:

როდესაც დავით ჩუბინაშვილი წაიკითხავდა ლექსებზე აკაკის სახელს, რომელსაც ეს მანამდე არ ამხელდა, მოიხმობდა შინ და კვერს დაჰკრავდა ივანე კერესელიძის სიტყვებს.

და მერე ვინ — ეს თვალსაჩინო და აღიარებული ავტორიტეტი პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორებს შორის, ქართულ-რუსული სიტყვარის შექმნით მაინც განსაკუთრებულ ღვაწლს რომ დასდებდა ჩვენს ლექსიკოგრაფიას კერძოდ და ჩვენს მწერლობასა და კულტურას საერთოდ.

მაგრამ თქვენ ის თქვით, სად გადაწყვეტილიყო აკაკის ბედი — უმაღლეს წრეში, იმ ალექსანდრ ბარიატინსკის მიერ, გენერალ-ფელდმარშალი რომ გახლდათ და კავკასიის მეფისნაცვალი სწორედ იმ, 1856-62 წლებში, და რომლის სახელსაც უკავშირდებოდა იმამ შამილის შეპყრობა. ოღონდ ეს იმიტომ და მხოლოდ იმიტომ, არაფრისდიდებით, არა სურდათ გრიგოლ ორბელიანს ეგდო ხელთ შამილი, კავკასიური ომის მეთაური ვისაც მიემწყვდია ღუნიბში და ერთი იერიშიღა აკლდა, რათა დასრულებულიყო ეს ხანგრძლივი და მღელვარე ეპოპეა... მაგრამ ქართველს ხომ არ მოათავებინებდნენ, მას ხომ არ დაადგამდნენ გამარჯვებულის გვირგვინს — და ამიტომაც გრიგოლ ორბელიანს გამოიწვევდნენ წინა ხაზიდან და იმ საბოლოო იერიშის ალექსანდრ ბარიატინსკის მიანდობდნენ, და შარავანდითაც მას შემოსავდნენ.

უნებლიეთ კარგ სამსახურს გაუწევდნენ ჩვენს პოეტსა და გენერალს — ეს ცოდვა ხომ აღარ დაეკისრებოდა: კავკასიური ილიადის გმირის შეპყრობა. და ამ მხრივ მაინც აერიდებოდა ისტორიის მსჯავრს.

აკაკი თანაუგრძნობდა იმამ შამილს და გულისფანცქალითაც ადევნებდა თვალყურს კავკასიის ომის მსვლელობას, და ძალიანაც განიცდიდა მთიელთა მარცხს ოცდაათწლიანი ჰეროიკული წინააღმდეგობის შემდგომ... არადა მაინცდამაინც ის კაცი უნდა გარეულიყო მისი სახელის საქვეყნოდ გაცხადებაში, თავი ვისაც უნდა მოეწონებინა, მაინც ჩემი ხელით გატყდა ეს შეუვალი ციხე-სიმაგრეო.

ეხერხებოდა პარადოქსული ფრაზები აკაკის.

და თქვენ ის თქვით, პარადოქსებით კიდეც რომ გადაჭრელებულა მისი ცხოვრების გზაც.

ხოლო დავით ჩუბინაშვილი რომ კვერს დაჰკრავდა ივანე კერესელიძის სიტყვებს, ეს აღმოჩნდებოდა ის გადამწყვეტი რჩევა, აკაკის საბოლოოდ რომ განასაზღვრინებდა მოღვაწეობის გეზს — მწერლობას გამოსდგომოდა.

სხვა სიმხნევით აღივსებოდა, სხვა ძალას მოიძევდა თავის თავში, სხვა სწრაფვას აჰყვებოდა.

და... ყოყმანიც მოთავდებოდა, ვაიმე რა მეშველება უამხანაგებოდო. ჩამოსაშორებელნი დაე ჩამოშორებოდნენ, ვისაც მასთან ურთიერთობა არ ენება, აღარც ეს ინაღვლიდა, რობერტ ბერნსისა არ იყოს: თუ არავის ვენაღვლები, არც მე ვნაღვლობ არავისო!..

და ამის შემდეგ ძვირად თუ შეხვდებოდა ვინმეს, და ისიც უნივერსიტეტში.

ნიკო ნიკოლაძე და კირილე ლორთქიფანიძე ხომ მაინც შემორჩებოდნენ, სხვათა მიერ დაყრილ ხმას რომ არ აჰყვებოდნენ და აკაკის სხვებზე უფრო ნიჭიერადაც მიიჩნევდნენ, თორემ ნაკლებად — არაფრისდიდებით.

მაგრამ აკაკის თავის თავზე უნდა ეწვნია, თუ რას ნიშნავდა ბრბოს ჰიპნოზი: გაბედვითა და გამორკვევით ეს ორნი ვერას ამბობდნენ აკაკის სასარგებლოდ და მალულად უფრო უცხადებდნენ თანაგრძნობასა და თანადგომას.

იმხანად დაწერდა ლექსს „სიმღერა მკის დროს", ნახევარი საუკუნის გასვლის მერეც რომ არ დაიწუნებდა: დღესაც კიდევ წაიკითხებაო, — მაგრამ მისი ამხანაგები კი კიჟინას დასცემდნენ მაშინ:

— აი აქ აზრი არ ვარგა და ობროდობის მეტი არა არის რა!

მხოლოდ კირილე და ნიკო მოუწონებდნენ: კარგი რამ არის, როგორც ხელოვნებაო, — და ურჩევდნენ, ერთი რამ მისთანა მიემატებინა, რომ ცხოვრებაში გამოსადეგი ყოფილიყო.

ესეც აიღებდა და ბოლოში ამ ხანას ჩააკერებდა: უხვად მოვიდა წელს პური, მაგრამ ბედს მაინც ვემდური, რომ პურს ბატონი წაიღებს და მე კი ოფლსა ტყვილად ვღვრიო!..

ხელოვნების ნიმუში პროპაგანდისტულ იერს შეიძენდა და წახდებოდა, მაგრამ ის დამწუნებელ-მქიდავნი ამ სტრიქონებსაც რომ ნახავდნენ მიწერილს, ლექსს შეუქებდნენ და... კიდეც ამ მიკერებული, ნაძალადევი ფინალით დაიბეჭდებოდა. მემუარებში კი გამოტყდებოდა, რომ არც მიწერისას და არც მერე არ მოსწონებია ეს სტროფი და... მიტომაც მოშლიდა შემდეგში.

ერთ დილას კი მასთან შეიჭრებოდა ნაცნობი სტუდენტი და გადასცემდა:

— დღეს მეთორმეტე აუდიტორიაში ერთი ვიღაც ქართველი სტუდენტი უნდა გაასამართლონ: შეუტყვიათ, „შპიონი" არისო!..

ამას ეუცხოებოდა!.. ვერ დაიჯერებდა, რომ ქართველი ვინმე ამ ხელობას იკადრებდა. გული არ მოასვენებდა და წავიდოდა აუდიტორიაში, სადაც ათასზე მეტი სტუდენტი დახვდებოდა შეგროვილი, ოღონდ მათში ქართველი ერთიც არ ერია.

ამბიონზე შემდგარიყო ნეკლიუდოვი, შემდგომ სენატის პროკურორი და მინისტრის ამხანაგი რომ გახდებოდა, მას გვერდით ამოსდგომოდა ათანასიევი და ერთიც კიდევ სხვა, რომლის სახელსაც მოგვიანებით ვეღარ გაიხსენებდა... და ნეკლიუდოვი სიცილით ეტყოდა სტუდენტებს:

— ბატონებო, ეს შემთხვევა გვიმტკიცებს, რომ ფრთხილად მოვიქცეთ ხოლმე!.. აი, ახლაც რომ ჩვენ პირადად არ ვიცნობდეთ იმ კაცს, ხომ უნდა დაგვეჯერებინა და გაგვეწირა? და ის კაცი არის აკაკი წერეთელი.

ჩამოვიდოდა ამბიონიდან, ხელს ჩამოართმევდა და უამბობდა ყველაფერს: თურმე... თურმე მასზე ყოფილიყო ის ვაი-უშველებელი.

ერთხელ დავით ყიფიანი ესტუმრებოდა და ეტყოდა:

— ამ საღამოს კოხტა აფხაზისას უნდა მოხვიდე უეჭველად.

აკაკის გაუკვირდებოდა იმის შემოსვლა, რაკიღა მანამდე ის ერიდებოდა, და სტუდენტებში გარევა კიდევ უფრო ეუცხოვებოდა, მაგრამ სიტყვას მისცემდა: მოვალო, — და კიდეც შეასრულებდა.

ქართველი სტუდენტობა იქ შეიყრებოდა შინაურ საქმეთა გადასაწყვეტად და სხვათა შორის დიმიტრი ბაქრაძე ამხანაგებთან უჩივლებდა ილია სერებრიაკოვს:

— ჩემ წერილებს იღებს, ხსნის, კითხულობს და მერე ხევს.

ის შეხტებოდა და შემობზრიალდებოდა:

— დავით ნიკოლაძის სიტყვა რა დასაჯერებელია? ეგ არ იყო, რომ შარშან ყველას ჩამოგვიარა და დაგვარწმუნა, აკაკი წერეთელი შპიონი არისო?

ამ სიტყვებზე ყველა თვალებს გამოაჭყეტდა და განსაკუთრებით დავით ნიკოლაძე.

— მართალია, — აღიარებდა, — მე გავაფრთხილე სუყველა, მაგრამ ეს ხომ ჩემით არ მიქნია? ნიკო ღოღობერიძემ მიბრძანა.

მაშინ წამოდგებოდა ნიკო ღოღობერიძე და თავს იმართლებდა:

— მე მეგონა და სხვებიც გავაფრთხილე.

მხოლოდ დავითი მოუბოდიშებდა აკაკის:

— ნუ გეწყინება, რომ გერიდებოდით! ჩვენ, ქართველებმა რა ვიცოდით? და ჩვენც იმათ დავუჯერეთ!.. მოხარული ვართ, რომ ტყუილი გამოდგა!..

თქვენ ახლა აკაკის კეთილშობილება და მიმტევებლური ბუნება თქვით, იმ პირს, ამ ცრუ ხმის, ამ მძიმე ცილისწამების გავრცელებაში ასეთ აქტიურ მონაწილეობას რომ მიიღებდა, წლების შემდგომაც არა ჰკადრებდა უბრალო საყვედურსაც, არამცთუ დაეგმო მისი საქციელი:

დღესაც დარწმუნებული ვარ, რომ ნიკო ღოღობერიძე, რომელიც გავლენიანი იყო და მამაშვილურად გვეპყრობოდა ჩვენ, ნამეტანი სიფრთხილით შეცდა, თვარა ჩემთან არაფერი პირადობა არა ჰქონია, მხოლოდ მოვალედ ცნო თავი, რომ ყმანვილები გაეფრთხილებინაო.

მამაშვილურად გვეპყრობოდაო...

ნამეტანი სიფრთხილით შეცდა, თვარაო...

კი მაგრამ, კაცის ასე გამეტება, ჯაშუშის იარლიყს რომ მიაკერებ, თუნდ უნებლიეთ? ხომ წირავ ადამიანს ულმერთოდ... და აგერ, კიდევ კარგი ნეკლიუდოვი გამოიდებდა თავს, თორემ ჩაქოლვა არ აცდებოდა იმ ათასი სტუდენტისაგან ყოველად ალალმართალ და უცოდველ აკაკის, და სამუდამო მოკვეთა და ჯაშუშის დაღით სიარული, მორალურად რომ გაანადგურებდა და... რაღა ლექსები თუ სხვა თხზულებანი უნდა მოგვეთხოვა მისგან.

მაინც რამხელა რწმენაა ადამიანისა, რაღაც გამართლებას რომ უძებნის, სტუდენტებზე ზრუნვისაგან გამოწვეულ გადამეტებულ სიფრთხილეს აბრალებს ამ უპატიებელ საქციელს და... მსუბუქად აღიქვამს.

თუმც აღიარებით აღიარებს:

ცოტა არ იყოს კი მომიწამლა სტუდენტობა, ის სანატრელი დრო, როცა ადამიანს ეკალიც ვარდად ეჩვენებაო.

მამაშვილური მოპყრობაა, როგორ არა, ახალგაზრდა კაცს სტუდენტობას რომ მოუწამლავ და ვარდსაც კი ეკლად მოაჩვენებ, სწორედ პირიქით რომ უნდა ხდებოდეს!..

ეს იმგვარი სულიერი სისპეტაკე და მიამიტური რწმენაა, ბავშვური, ყმაწვილური აღქმა სამყაროსი და ადამიანისა, მოგვიანებით შიო არაგვისპირელი არაფრისდიდებით რომ არ იჯერებდა, მათი ფარული პოლიტიკური ორგანიზაცია ფილიპე მახარაძემ რომ გასცა, და თავსაც ირწმუნებდა და სხვებსაც აჯერებდა: უნებლიეთ წამოცდა, შემთხვევით გაამჟღავნა, თორემ შეგნებულად მაგას როგორ იკადრებდაო...

მანამდე კი ალექსანდრე ორბელიანი ვერ დაიჯერებდა ვერაფრისდიდებით, იასე ფალავანდიშვილი წინასწარი განზრახვით თუ იყო შეპარებული მათ ფარულ შეთქმაში საქართველოს გამოსახსნელად და პროვოკაციული მიზნითაც აქეზებდა შეთქმულებს მაშინაც, როდესაც ისინი — ამბოხებული ვარშავის დაცემის გამო — მოცდას ამჯობინებდნენ და უკეთესი დროისა და ვითარების დადგომას. ის კი არა გადასახლებიდან დაბრუნებულიც ამასვე ამტკიცებდა: იასეს ძმის, ნიკო ფალავანდიშვილის ბრალია ჩვენი განზრახვის გამჟღავნება, მან აიძულა იასე, ის ბეზღობის ბარათი დაეწერა პოლიციაშიო...

ბავშვურ რწმენა-წარმოდგენას შეინარჩუნებდა სიცოცხლის ბოლომდე ალექსანდრე ორბელიანი.

ბავშვურ რწმენა-წარმოდგენას შეინარჩუნებდა სიცოცხლის ბოლომდე შიო არაგვისპირელი.

და აკაკი წერეთელი ხომ შეინარჩუნებდა და შეინარჩუნებდა ბავშვურ რწმენა-წარმოდგენას, ძილისას ან ბალიში რომ უნდა გადმოვარდნოდა და ან საბანი, ყმაწვილებში გარეულს ხომ ვეღარც გამოარჩევდი მათგან და გეგონებოდა, თეთრი თმა-წვერი მხოლოდ ნიღაბია, საკარნავალოდ გამზადებულ ბავშვს რომ მოურგიაო.

მიუტევებდათ ჯაშუშის იარლიყის მიწებებას.

და ამის შემდეგ სამ წელიწადს კიდევ დარჩებოდა უნივერსიტეტში.

სწორედ იმხანად მოხდებოდა ის არეულობა ამ შენობის კედლებში, ავტობიოგრაფიულ რომანში ასე ზოგადად რომ აღინიშნებოდა:

— ჩვენებმა მიიღეს მონაწილეობა და კიდევაც იგემეს ციხე.

არეულობის მონაწილეთა შორის აღმოჩნდებოდა ნიკო ნიკოლაძეც, და თავსაც ამოჰყოფდა საპყრობილეში.

აკაკი მათში არ გაერეოდა.

და თვითონაც აცხადებს და არც მკითხველს ეპარება ეჭვი, რომ:

იმიტომ არა, თითქოს ციხისა შეშინებოდეს.

ბუნებით ფანატიკოსი არამცთუ ციხეს არ შეუკრთებოდა, სახრჩობელასა თუ გილიოტინასთან ხელებშეკრულად მიყვანილიც გულმშვიდად და ირონიულადაც შეავლებდა მზერას ყულფსაც და ალესილ ნაჯახსაც.

აბა მაშ რატომ გადგებოდა განზე თანატოლთა საპროტესტო გამოსვლებისაგან?

რატომ და:

მაშინაც ის რწმუნება ექნებოდა, რასაც სიცოცხლის ბოლომდე დაადგებოდა ისე, რომ არასოდეს უღალატებდა:

მოსწავლეს ჯერ უნდა ესწავლა, დაესრულებინა სწავლა და მერე კი აღარ დარიდებოდა არავითარ მსხვერპლს.

არადა როგორ არ შეწუხებულიყო, რომ: ჩვენში ეს უკუღმა ხდებოდა!..

ეს ვითარება სრულიად ჩამოაშორებდა სტუდენტობის ამხანაგებს და, მორჩებოდა თუ არა უნივერსიტეტს, გადავიდოდა მოსკოვში, სადაც იმავე წელს დაცოლშვილდებოდა კიდეც.

მერეა, რუსეთს რომ მიატოვებდა და ცოლშვილიანად დაბრუნდებოდა სამშობლოში.

და კვლავაც ყველას ჩამოშორებული და იმედგაცრუებული, ახირებული დარჩებოდა ბოლომდე.

ცოლ-შვილს კი შეაფარებდა თავის სოფელში, მაგრამ თვითონ:

არა ლუკმაპური.

არა სახლ-კარი.

მარტოდენ ყეფა და ღრენა.

და უეცრად: თითქოსდა უნებლიეთ, ნიკოლაძე-ხელთუფლიშვილთა ქალების ხათრით დაწერილი ფელეტონის წყალობით ცის გახსნა და ახალი პერსპექტივის გაჩენა.

ხოლო ივანე კერესელიძე...

მოღვაწენი ორ გუნდად გაიყოფოდნენ:

ახალთაობა ანუ სტუდენტობა, როგორც მაშინ ეძახდნენ, შემოიკრიბებოდა „დროების" გარშემო, ძველებს კი „ცისკარი" იწვევდა.

ამ ჟურნალს ხელისმომწერი ძალზე ცოტა ეყოლებოდა და, თუ არა ალექსანდრე ორბელიანი ფულით დამხმარედ (თვითონ რა ებადა, მაგრამ „ცისკრის" არსებობის გულისათვის ოჯახსაც რომ არა ზოგავდა), შეწყვეტით შეწყდებოდა მისი გამოცემა.

ორჯერ მთავრობაც შეეწეოდა:

ერთხელ — ბარიატინსკის დროს — სახლს დააგირავებდა „პრიკაზში" ივანე კერესელიძე და, როგორც ქართველ მოღვაწეს, შეაწევდა იმ ვალს ბარიატინსკი.

და მეორედ კი გრიგოლ ორბელიანი მოუხერხებდა ისე, რომ კიდევ აპატიებდნენ...

ივანე კერესელიძის პიროვნულ ხასიათს ამ ფორმულას მოუძებნიდა აკაკი:

იყო ნამდვილი ქართველი — მისი ნაკლითა და ნამეტნობითო.

ფული იმიტომ კი არა ჰყვარებია, რომ სხვებივით ქონება შეეძინა, მხოლოდ შესაჭმელად დაეძებდა — თვითონაც ჭამდა და სხვებსაც აჭმევდა; მოიგდებდა თუ არა ხელთ, მაშინვე სადილი უნდა გაემართა მუქთა თანამშრომლებისათვის.

გაშლილა სუფრას, მიაბნევ-მოაბნევდა მწვანილს, ყველს, მოთალს, ახალ თევზს; მოიტანდა საჭმელებსაც და კიდეც მოიღერებდა ყელს. ეშხში შესული წამოავლებდა ხელს თარს, კედელზე ჩამოკიდებულს ჩანგურთან, დაირასთან, ოროტოტოსა და სხვებთან ერთად, და შემოსძახებდა თავისებურად. სხვებსაც მოსწონდათ თუ არა? ოოო, ამას კი აღარ დაგიდევდა.

— ქართული პურისჭამა ეს არის!.. მწვანილი, მიყრილ-მოყრილი, მოთალი, თევზი, კარგი ბოზბაში და ცხელი მწვადი!.. თუ არ მოგწონს, ადექი და შინ წადი, — დაატანდა ხოლმე სიცილით.

დიდი მომლხენი კაცი კი გახლდათ, მაგრამ... ძვირი რომ უჯდებოდა თითო მოლხენა?!.

და აკაკი დაურთავს:

გარეთ ალექსანდრე ორბელიანი რომ არა ჰყოლოდა ხელისშემწყობად და შინ ეფთვიმე ხელაძე, მაშინ ახალგაზრდა მესტამბე და რედაქტორის მარჯვენა ხელი ყველაფერში, ცუდად იქნებოდა მისი საქმეო.

— აი, ასე გავუმასპინძლდი დიუმასაც, — თავს გამოიდებდა და ისეთი ენაწყლიანობითა და ხალისით მოჰყვებოდა ხოლმე იმ შეხვედრის ამბავს, აკაკისაც რომ არ დაუდებდა ტოლს თხრობაში.

როგორ უმასპინძლებდა და:

გაუშლიდა სუფრას ჩვენებურად ძირს, ზედ მიყრილ-მოყრილი სანოვაგით. ფეხს მოირთხამდნენ, ხელებს დაიკაპიწებდნენ და შეუდგებოდნენ — რა მადიანად და რა ეშხით!..

ალექსანდრე დიუმა ერთს კი შემოხედავდათ და ფეხს მოირთხამდა ამათსავით და დაუწყებდა მწვანილს ამათსავით ხრაშახრუშს!.. გაუსვამდა ხელს და... იმდენს ჭამდა, მწვადების მოტანასაც ველარ ასწრებდნენ. ყველას აჯობებდა ჩანთქმაში.

ეს თუ აქედან დაუმარცხებელი წავიდა, არ ივარგებსო, — გაიფიქრებდა ივანე და გადავიდოდა ალავერდს სამი დიდი ჭიქით. ის ჩამოართმევდა და... თვალის დახამხამებაში გამოცლიდა. მერე მოითხოვდა დიდ, უშველებელ ყანწს, აავსებდა კახური ღვინით და ისე გადაჰკრავდა, სულს არ ამოიღებდა; მერე გადმოვიდოდა ივანესთანაც ალავერდს, მაგრამ ეს როგორ მოერეოდა, რომ იმ ყანწში სამი დიდი ბოთლი ჩადიოდა.

მოაკაკვინებდათ თითს მასპინძლებს და სიცილსაც დააყრიდათ.

და გაოგნებული ივანე დასძენდა:

თუ წერაც ასე იცოდა, როგორც სმა... სწორედ ახირებული საქმე იყოო!..

მიუბრუნდებოდა ლავრენტი არდაზიანი და ეტყოდა:

— კაცო, რა შენი საქმეა ქართველობა, მერე მაგასთან, ევროპელთან? არა, რა გულბაათი შენა ხარ, რომ ალავარდს გადადიხარ?

მართლა, მე და ჩემმა ღმერთმაო!.. — ხელებს შლიდა გაოგნებული, — მაგრამ ვინ იცოდა, თუ ამდენს დალევდა და არ დათვრებოდაო!..

არა წყინდებოდა და არა იმ ამბის მოყოლა, მერე რა, რომ დამარცხებულიყო, დაუფასებდა ერთ ყველაზე პოპულარულ ფრანგ რომანისტს სმის ისეთ უნარსა და ძალ-ღონეს, ძველი ქართველი მსმელები თუ გაეჯიბრებოდნენ.

ჯერ მარტო ამ ნაამბობით ცნაურდება, მეტად საყვარელი და საამხანაგო კაცი რომ იქნებოდა ივანე კერესელიძე, და აკაკი მხოლოდ გვიდასტურებს: ასეც გახლდათო, — მაგრამ ეს როგორ დაეფარა: რედაქტორად კი ვერ იყო მომზადებულიო!..

გიორგი ერისთავის შემდგომ „ცისკრის“ განახლება რომ მოეწადინებინათ, ერჩიათ, ერჩიათ და... ბოლოს მაინც ამ პიროვნებაზე შეეჩერებინათ არჩევანი — გიმნაზიაში ზედამხედველია და ლექსებსაც წერსო.

ასეთი ორი ღირსება გარშემო სხვას არავის აღმოაჩნდებოდა და... ივანეც იყაბულებდა და კიდეც გაუძღვებოდა „ცისკარს“ და არცთუ ურიგოდ.

რაო, რას ამბობდა დედამისი?

რას და:

— ეგრე ნუ უყურებთ ჩემს ივანეს: მაგას თოთხმეტი კლასი აქვს გათავებული.

ეს 14 კლასი... ვითომ საიდან?

ჯერ სემინარიაში გაეთავებინა შვიდი კლასი და მერე გიმნაზიაშიც დაეჭირა კურსით... და დედა რომ ანგარიშობდა, კი გამოსდიოდა 14.

აკაკი ამ საირონიოს ხელიდან როგორ გაუშვებდა და:

ეს 14 კლასი კი ჰქონდა გათავებული, მაგრამ მის ჟურნალს მაინც არ გააჩნდა მიმართულებაო.

იმ ანეკდოტურ ამბავსაც ჩაურთავდა, ივანეს ერთხელ მისთვის რომ შემოეჩივლა:

— რას მერჩიან სტუდენტები, რომ ამტეხიან? როგორც კი მომწერეს: მიმართულება გამოუცვალე ჟურნალსო, აკი მეც გამოვუცვალე? მანამდე ხმელეთით ვაგზავნიდი და ახლა ზღვით ვაგზავნი ოდესისაკენ!.. მეტი მეხარჯება, მაგრამ რას დავეძებ!..

ეჭვი გიჩნდება, შეთხზული ხომ არ არისო?!. თუმც ასეც რომ იყოს, პერსონაჟი კი ანეკდოტისა ზუსტად შეურჩევიათ და...

ლექსებს როგორს წერდა?

აკაკის შეტყობით: ახირებულსა და სასაცილოს.

კახეთში იმოგზაურებდა, გომბორს გადაეცილიდა და დიდ შთაბეჭდილებასაც მოახდენდა მასზე ამ უღელტეხილზე გადასვლა, ერთ ყველაზე მძაფრ განცდად რომ ჩარჩებოდა და შეეცდებოდა ამ შთაბეჭდილების პოეტურ შემონახვასაც მოგზაურობის აღწერისას.

აკაკის დაისვამდა და გატაცებით შეუდგებოდა ლექსის კითხვას, და იმ ადგილას რომ მივიდოდა: მივალ, მივალ, მივდივარ, მივალ მამიხარია!.. ჩავალ, ჩავალ, ჩავდივარ, ჩავალ ჩამიხარია!.. ავალ, ავალ, ავდივარ, ავალ ამიხარია! — აღტაცებას ველარ შეიკავებდა და აკაკის გახედავდა კმაყოფილი იერით, ეჭვი არ ეპარებოდა, ისიც რომ მოწონებით დაჰკრავდა კვერს, მაგრამ ის... ამ სტრიქონებს იუმორისტულ პასაჟად აღიქვამდა და სიცილი აუტყდებოდა.

ჰოი რას განაწყენდებოდა ივანე კერესელიძე, რარიგ გაუჯავრდებოდა სტუმარს!..

მაგრამ რაკიღა ლაღი და უბოროტო კაცი გახლდათ, ჯავრი არც ამჯერად უნდა ჩარჩენოდა დიდხანს გულში. და ამიტომ იყო, მეორე დღესვე რომ დაავიწყდებოდა და არც მეგობრობას მოშლიდა ამ ახალგაზრდასთან, რომელიც ერთ ყველაზე საიმედო ძალად ეგულებოდა ჩვენს სალიტერატურო ასპარეზზე.

ღიმილი, სიცილი, სიხალისე არ აკლია „ჩემ თავგადასავალს“, მაგრამ ასე კომიკურად არცერთი პერსონაჟი არა ჰყავს წარმოსახული აკაკის. დასცინის? არა, უფრო ელაღობება, რადგანაც გრძნობთ, დამცინავ სტრიქონებშიც როგორ გამოხვეულა ის სიყვარული, რასაც უნდა განიცდიდეს ყოველი მადლიერი ადამიანი თავისი მოამაგის მიმართ — მოამაგისა პირადად მისი და საერთოდ ქართული მწერლობისა.

მიმართულება გამოუცვალე — მანამდე ხმელეთით ვაგზავნიდიო...

და მაინც, და უპირველესად:

ვისი ხელით აღსრულდა ის უმნიშვნელოვანესი, მეტიც — სასიცოცხლო საქმე, ერთადერთი ჟურნალის არსებობა რომ ჰქვია, ერთადერთი სარბიელისა არამარტო ლიტერატურულ-კულტურული, არამედ პოლიტიკური მოღვაწეობისთვისაც, თორემ ამ მხრივ სხვა ყველა კარი რომ დახშულიყო?!.

ვინ შეიძლო, რომ დიდებული წამოწყება იქვე არ ჩაკვდა, გიორგი ერისთავის განსაკუთრებული ღვაწლის მოთავებასთან ერთად?!. არადა შესაძლო გახლდათ ეს მცდელობაც ისევე შეწყვეტილიყო, როგორც „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ ვერ გასცილებოდა რამდენიმე ნომერს და აგერ ოცი გრძელი წელიწადი დასჭირებოდა, სოლომონ დოდაშვილის წამოწყების აღორძინებას, ამჯერად ხანმოკლე ვადას რომ იმყოფინებდნენ „ცისკრისათვის“ ახალი სიცოცხლის შთასაბერად.

ვინ შემოიყვანდა სამწერლო ასპარეზზე ილია ჭავჭავაძესა და მის თაობას და საიდან დაჰბერავდა განახლების დიდი სიო საქვეყნო ცხოვრებაში?!.

და 60-იანელებად სახელდებული მოღვაწენი რომ მოღონიერდებოდნენ და, „ცისკარს“ რომ აღარ იმყოფინებდნენ, ილიას მიერ დაარსებული ჟურნალის ფურცლებზე გადაინაცვლებდნენ, ვინ აღმოჩნდებოდა ის ერთადერთი ამ თაობის მოღვაწეთაგან, ვინც ახლოსაც არ გაეკარებოდა „საქართველოს მოამბეს“ და კვლავაც „ცისკრის“ ერთგული დარჩებოდა?!.

ვინ და:

დიახ, ის აკაკი წერეთელი, რომელიც ასე გულიანად იცინის: ივანე ხარჯს რას დაეძებდა, როდესაც სტუდენტების მოთხოვნა უნდა აღესრულებინა პირნათლად — ჟურნალისათვის მიმართულება გამოეცვალა და ნაცვლად ხმელეთისა, ახლა უკვე ზღვით უგზავნიდათო...

კი ვერ მოწყდებოდა იმ „ცისკარს“ და...

თავი III

სილუეტები: დაწურული რომანები

მარტოდენ ივანე კერესელიძე რომ ვერ შეიძლებდა ამ საქვეყნო საქმეს და ვიღაცის მფარველობის კალთა უნდა გადაფარებოდა თავისი რედაქტორული საქმიანობისას, ამას მისი ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური სილუეტის მოხაზვისასაც საგანგებოდ აღნიშნავდა აკაკი, ვიდრე კიდევ ერთი სილუეტი გამოჩნდებოდა „ჩემი თავგადასავლის“ გალერეაში, კიდევ ერთი 32-იანელისა, სოლომონ დოდაშვილსა და ელიზბარ ერისთავთან ერთად რომ ეპირებოდა საქართველოს გამოხსნას რუსთა მპყრობელობიდან და მონარქიული წყობილების აღდგენას, და ახლა „ცისკარიღა“ უნდა გადაერჩინა — ესეღა რომ შერჩენოდა სანაცვლოდ მის იმედისა დიდისა!.. შერჩენოდა და კიდეც დაადებდა თავს, ოჯახსაც რომ არა ზოგავდა და დაუნანებლად ყიდდა, რაც გასაყიდი შემორჩენოდა, ოღონდაც ჟურნალს ესულდგმულა და გზა დაელოცა ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების განმაახლებელთათვის.

ყოველთვის სხვაგვარი მოწიწებითა და კრძალვით წარმოთქვამდა ამ გვარ-სახელს აკაკი:

ალექსანდრე ორბელიანი.

და ვინ ეს — მოქილიკე, ყოველთვის იუმორისტულად და ირონიულად განწყობილი აკაკი, ოღონდაც კბილი გაეკრა ვინმესთვის და არას რომ არ დაგიდევდა?!.

მაგრამ მისთვისაც არსებობდნენ გამონაკლისები და... გარდა ალექსანდრე ორბელიანისა, აბა ამ თვალით გადახედეთ მის ნაწერებს დიმიტრი ყიფიანზე, გარდა კრძალვისა და მოწიწებისა გაკვრით თუ მაინც იჩენს თავს სხვა განწყობილება ირონიული თუ იუმორისტული.

თითქოს ხელაპყრობილი დგას ამ ორი სახების წინაშე — მათ სიცოცხლეშიც და აღსრულების შემდგომაც, მონუმენტურ ფიგურებად რომ ესახებოდა ორივე და ზნეობრიობის, ეროვნული სინდისის გამომხატველებად.

და ივანეს თუ რაიმეს ემადლიერება, იმასაც განსაკუთრებით, „ცისკრის“ რედაქტორი რომ ასტუმრებდა პირველად ალექსანდრე ორბელიანს — იმჟამინდელ ეგზარხოსის მოედანზე მდგარს, მის საკუთარ ძველებურ სახლებში.

მხიარულადაც მიიღებდა და დიდი პატივითაც 30-იანელთა წინამძღოლი:

— პატივით და მოწიწებით მიგიღებ, როგორც წერეთელს, და როგორც აკაკის კი მინდა გადაგეხვიო!..

ოჯახიშვილობასა და ჩამომავლობასაც დაუფასებდა და პიროვნულ ნიჭიერებასაც, მისი პირველივე ლექსები რომ ძალიან მოხიბლავდა და შეუმცდარად იგრძნობდა განსაკუთრებული ტალანტის მოვლინებას, დიდ გადაფასებას რომ გამოიწვევდა არამარტო თანადროულ სალიტერატურო პროცესებში, არამედ მთელ ქართულ მწერლობაში — ახალ ესთეტიკურ საზომებს მოიტანდა და ახალ წესრიგსაც დაამკვიდრებდა.

უფიქრია ამ ახალგაზრდა კაცზე, სიხარულითა და იმედით აღვსილა მისი სტრიქონების ხშირად და მოუწყინრად გადაკითხვისას და ამიტომაცაა, რომ ასე შინაურულად ღებულობს, როგორც კარგა ხნის უნახავ ახლობელს.

როგორც აკაკის კი მინდა გადაგეხვიოო...

და სტუმრის განცდა და განწყობილება როგორიღა იქნებოდა?

ამ ორთა შეხვედრის შესაფერისი:

პირველ ნახვისთანავე შემიყვარდაო.

და ეს იმიტომ, რომ თვალნათლივ იხილავდა ალექსანდრე ორბელიანის გულს — დიდსა და უშურველს, სიყვარულით პირთამდე გადავსებულსა და ამღელვარებულს საიმედო ახალგაზრდების ძებნა-პოვნა-გზაზედაყენებით.

აკაკის ასეთი აღტაცებით იმიტომაც შეხვდებოდა, რომ ქვეყნის გადარჩენის სახსარის მისაგნებად იმერეთისა უფრო ეიმედებოდა, ვიდრე ამერეთისა, ცოტა არ იყოს შემღვრეულად რომ მიაჩნდა ყველაფერი, რაც ლიხს აქეთ ხდებოდა — ზნეობაც, ადათ-წესებიც, კულტურაც... მაგრამ შეუბღალავად ხომ დარჩენილიყო ლიხს გადაღმა, საიდანაც გამოცხადებოდა ეს უცხო ჭაბუკი, თუმც... რატომ უცხო?.. მისიანი, ძალიან მისიანი, და... შვილივით ამიტომაც ჩაიკრავდა გულში!..

როგორც წერეთელს — პატივი და მოწიწება ეკუთვნოდა.

მაგრამ როგორც აკაკის? ოოო, მართლაც შვილივით მიღება.

და ამისთვისაც დიდი ხნის უნახავ მამასთან შეხვედრას დაემგვანებოდა ის წუთები, რასაც ბევრი რამ რომ უნდა განესაზღვრა მისი ცხოვრების გეზში — ჯერ მარტო იმიტომაც, რომ თვალდათვალ შეეცნო ახლო წარსულის ლაბირინთები, სხვაგვარად სამუდამოდ დაფარული რომ დარჩებოდა მისთვის, და ხელისგულზე ეხილა თავისი სამშობლოს ისტორია, განსაკუთრებით მაინც XVIII საუკუნის ბოლო და XIX საუკუნის პირველი ათწლეულები. და მართებულად განეჭვრიტა თვით აბურდული მოვლენებიც და რთული ხასიათებიც, თითქოს გზამკვლევი უჭირავს და ასე მიიკვლევს გზასო.

ან რაღა თითქოს:

ალექსანდრე ორბელიანი მოვლენოდა მოძღვრად, მის სახებას ამ ლიტერატურულ ფორმულაში რომ ჩაწურავდა აკაკი:

ის იყო ნამდვილი ქართველი კაცი, ბევრის მნახველი, ბევრის გამგონე და ნაღვაწიო.

მეტი რაღა ეთქვა, როდესაც ნიმუშად დასახავდა: ნამდვილი ქართველი კაციო.

ეს გულისხმობდა, რომ:

თვითონ მისთვის ხომ საზომად ქცეულიყო ალექსანდრე ორბელიანი ქართულ ეროვნულ ხასიათზე ფიქრისას და ისტორიულ პერსონაჟთა თუ თანამედროვეთა სახეების გააზრებისას, და სხვებსაც ამასვე ურჩევდა და შეაგონებდა: ეს პიროვნება გაიხადეთ საზომად და მის ფონზე უკეთ გაერკვევით ადამიანთა და მოვლენათა რაობაშიო.

ნამდვილი ქართველი კაციო...

და უთუოდ გაუელვებდა: ნეტა მეც თუ ვარ ნამდვილი ქართველი კაციო...

ალექსანდრესათვის რომ გეკითხათ აკაკიზე:

სულაც შეუბღალავად გამომხატველი ჩვენი ეროვნული ხასიათისა და თვითმყოფადი ბუნებისა, რაც თვითონ ალექსანდრეს დაკლებოდა, ამ ჭაბუკს უხვად რომ მომადლებოდა.

თავმდაბლობით თუ ვინმე გამოირჩეოდა, ალექსანდრე ორბელიანი, უნებლიეთ რომ აღმოჩნდებოდა ფარული პოლიტიკური მოძრაობის სათავეში, თორემ პირველობას არსად და არასოდეს დაიჩემებდა, განსხვავებით თუნდ ნიკო ნიკოლაძისაგან, რომელიც პირდაპირ ცახცახებდა პირველობის ჟინით, და რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, სწორედაც ალექსანდრეს და არა ვინმე სხვისი სტატია აღმოჩნდებოდა პირველბიძგი და შთამაგონებელი ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტური მოღვაწეობისა, ნიკო ამას ყოველთვის სიამაყითა და მადლიერებით რომ გაიხსენებდა ხოლმე.

ბევრნილად აკაკი წერეთლის შთამაგონებელიც ალექსანდრე რომ იქნებოდა, ეს თავისთავად — მისი ნაწერებიც და მისი საუბრებიც, სრულიად ახალ სივრცეს რომ გადაუხსნიდა და თვალწინ მდებარე ამერიკას აღმოუჩენდა — რა აკაკისა და რა სხვებს, თუმც ამჯერად აკაკის კვალს ვადგავართ და საგულისხმოც ეს არის, ამის ცნობიერებასა და მხატვრულ წარმოსახვებზეც რომ იმოქმედებდა სასიკეთოდ და ნაყოფიერად.

ცოტა დაშინებული რომ იყო 32-იანელთა მეთაური?

არც ამ გარემოებას დამალავდა აკაკი და მიზეზად იმას დაასახელებდა, ერთხელ იმამ შამილისათვის რომ მიეწერა საიდუმლო წერილი, რომელსაც მთავარმართებული იგდებდა ხელთ, მიხაილ ვორონცოვი, ალექსანდრეს რომ დაიბარებდა, ჯერ გადაკვრით ამცნობდა, იმ ფარული ბარათის შინაარსი მისთვის ცნობილი რომ იყო, მერე კი, ელდანაცემს, დაუყვავებდა და გააფრთხილებდა, მეორედ ამისთანა საქმე აღარ ჩაედინა.

მამაშვილური სიამტკბილობით გამოისტუმრა შინ დამშვიდებულიო, — ასე გვიყვება იმ ეპიზოდს აკაკი, და „მამაშვილობას“ რომ ახსენებს, უთუოდ იმიტომ, ვორონცოვის მიმართ თვითონ განსაკუთრებული პატივისცემით რომ აღვსილიყო და ეს განცდა არ გაუნელდებოდა სიცოცხლის ბოლომდე, თორემ მართლაც ასეთი სიამტკბილობით რომ გამოესტუმრებინა, ალექსანდრეს ამგვარი შიში არ დასჩემდებოდა. არა, გარეგნულად მართლაც გულთბილად მოექცეოდა, მაგრამ აგრძნობინებდა და მწვავედაც აგრძნობინებდა, მეორედ რომ აღარ აპატიებდა და მწარედაც აზღვევინებდა რუსეთის წინააღმდეგ გაშლილი ჰეროიკული ბრძოლის წინამძღოლთან ფარული ურთიერთობის გაბმას.

პოლიტიკაში ნამეტანი სიფრთხილეს რომ იჩენდა, მხოლოდ ამის მერე დაემართებოდა ეს გადამეტება თუ მანამდეც ასე იყო, გადასახლებიდან დაბრუნდებოდა თუ არა?

ყოველ შემთხვევაში ეს ეპიზოდი მძიმედ კი დააჩნდებოდა მის ფსიქიკას და, თუმც ამდენი რამ ძველი თუ ახალი სხვამ არც არავინ იცოდა, თვით მათთანაც ფრთხილობდა, რომელთაც სავსებით ენდობოდა და გულსაც გადაუხსნიდათ ხოლმე.

ოღონდ — არაფრისდიდებით დღისით.

და არაფრისდიდებით — თუნდ სანთლების მოპარპალე ალზე, სანთლებისა, რომლებიც აუცილებლად უნდა ჩაექრო.

— ბნელაში ჯობია.

პირველად ძალიან გაუკვირდებოდა აკაკის მისი ეს სიტყვებიც და სანთლების ჩაქრობაც, გაუკვირდებოდა ის ხმის კანკალიც, რითაც დაიწყებდა თხრობას ძველი დროების ეს საუკეთესო მცოდნე და მეგზური, მაგრამ მერე მონათხრობი ისე გაიტაცებდა, აღარ დაგიდევდა აღარც მთხრობელის ხმის კანკალსა და აღარც სიბნელეში ჯდომას, ირგვლივ ისე განათდებოდა და გაბრწყინდებოდა ყველაფერი.

ერთხელაც შეჰკადრებდა:

— სანთლებს რატომ აქრობ? რა საჭიროა?

— ბნელაში საუბარი მიტომ სჯობს, რომ ვეღარავინ დაგვინახავს და ვეღარას შეგვიტყობს, — დარწმუნებით მიუგებდა ის.

— ვინ რა უნდა გაიგოს, რაზე ვსაუბრობთ, უნებლიეთაც რომ მოგვკრას ფანჯრიდან თვალი?

მწარედ გაეღიმებოდა მასპინძელს:

— ერთხელ მეფე სოლომონი იჯდა ჭადრის ქვეშ, ოქროს ჩარდახთან: მაღლა, ზექედას გორაზე ორი კაცი იდგა და თავისთვის რაღაცას ლაპარაკობდნენ. აბა ხმა სად მოუწევდა? მაგრამ მეფეს მოახსენებდნენ იმერლები: ეს ორი კაცი თქვენს ძვირშიაო. მეფეც დააჭრინებდა იმ ორივეს და...

— და... — გაფაციცდებოდა სტუმარი.

— მართლაც მეძვირეები გამოდგებოდნენ. და მეფემ რომ ჰკითხა ხელქვეითებს: რა იცოდითო? — მოახსენეს: ხელისქნევასა და მოძრაობაზე შევატყეთო.

ჰოი რარიგ ეამებოდა სტუმარს იმერელთა გამჭრიახობა.

მასპინძელი კი:

— პაპაჩემმა ერეკლემ ყაენი გადაარჩინა სიკვდილს: ერთ უცხოსთან თავის დაკვრაში შეატყო, რომ გულში ღალატი ედო!

დაე ჩაექრო სანთლები, თუკი ასე ენება, დაე დარაბებიც ჩამოეფარებინა, ეს ხომ ყოვლად უწყინარი ახირება გახლდათ იმ კაცისა, ძალიან საყვარელი ვინმე რომ იყო და საქართველოც განსხვავებულად უყვარდა.

ვინც პირადად არ იცნობდა, დაე მისი ნაწერებიდან ამოეკითხა ეს უჩვეულო სიყვარული, იმ ნაწერებიდან, ბლომად რომ დარჩენოდა და არაერთი აკაკისთვისაც წაეკითხებინა საიდუმლოდ, ეგაა აღარსად ჩანდა ის თხზულებანი და ეს ახლაღა დაფიქრდებოდა: ნეტა რა იქნა ის ნაწერებიო?..

მე ახალგაზრდა ვიყავი, რომ ის ღრმა მოხუცებულობაში მოკვდაო, — ამასაც ჩაურთავდა მის სილუეტს, და... მართლა ახალგაზრდა რომ იყო და ასე ეჩვენებოდა, თორემ განა რა ღრმა მოხუცებულობაა 67 წელი?

პამფლეტში „ახმედ-ფაშა კახაბერი“ ირონიულ წკეპლებს რომ არ დაიშურებდა გრიგოლ ორბელიანის მიმართ, იქ უეცრად უნდა გაეელვა ალექსანდრე ორბელიანის სახებასაც, ისკანდერ-ბეგად საკმაოდ გამჭვირვალედ ნაგულისხმევს:

კაცი პატიოსანი და დიდად შესანიშნავი თავის ტომშიო.

და მაინც:

მშვენება ავტობიოგრაფიული რომანის კრიალოსანზე მიბნეული ამ ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური სილუეტისა ის პასაჟია, სანთლებს რომ აქრობდა ალექსანდრე ორბელიანი და ბნელში ხმააკანკალებული ჰყვებოდა ნაღვლიან, დრამატულ, ტრაგიკულ ამბებს თავისი ქვეყნის ცხოვრებიდან, რაღაც სულ სხვაგვარად რომ მოჭდობოდა გულზე და ხშირად უელავდა ფიქრი: ნეტა როგორლა ვარ ცოცხალი ხუნდებში ამდენხანს გამომწყვდეული საქართველოს შემყურეო!..

არამარტო გვირგვინად ადგას მის პორტრეტს ეს სურათი და სხვა შტრიხებს იკრებს თავის გარშემო, არამედ... ბიოგრაფიული რომანის ბირთვიც არის ალექსანდრე ორბელიანზე, მზამზარეულად რომ გიბოძებს: ფორმასაც, კომპოზიციურ აღნაგობასაც, სულისკვეთებასაც, ინტონაციასაც და რიტმიკასაც.

და შენ რაღა დაგრჩენია, თუკი ბიოგრაფოსობისაკენ მიგიწევს გული, ჩაეჭიდო ამ სურათს, შთაგონებით აღივსო და შეავსო და შეავსო მასალებით.

შემაგულიანებელი და შთამაგონებელი თვით აკაკია და იდუმალ თანაავტორად რომ გეგულება, რაღამ შეიძლება დაგაბრკოლოს ბიოგრაფიული რომანის შექმნისას.

ამისთანა შემოთავაზებანი არ დაელოდა.

აგერ ჩაიკითხავ დიმიტრი ყიფიანის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიურ სილუეტს და... ერთბაშად მოგხვდება თვალში ის პასაჟი, ყველაზე ძალიან რომ აგაფორიაქებს და ბიოგრაფიულ რომანსაც უკვე მოგალანდებს.

ხელისუფლება დიმიტრის გადასახლებას სტავროპოლში რომ მიუსჯიდა, რამდენიმე დღით ადრე იქ გაგზავნისა აკაკი ააკითხავდა გამოსამშვიდობებლად ქვიშხეთს, მოინახულებდა და... მისი მხიარული სახე გააოცებდა.

— ერთი იმ თავით და მეორე ამ თავით! — მოაყვირებდა სიცილით დიმიტრი ყიფიანი, — პატიმრობით დავიწყე ცხოვრება და პატიმრობითვე ვათავებ!..

და დაღრეჯილობას რომ შეატყობდა სტუმარს, სიცილითვე დასძენდა:

— ნუ გშურს ჩემთვის ეს ღვთის წყალობა! უკეთეს ჯილდოს მე ვერც კი მოვიფიქრებდი!.. ეს ერთი საუკუნეა, რაც ქართველები ცუდკაცობისათვის იგზავნებიან ციმბირში და ჯერ იდეურად არავინ დასჯილა, და დეე პირველი მერცხალი მე ვიყო!.. მართალია, პირველ მერცხალს ხანდახან სუსხი დაჰკრავს და გაზაფხულს ველარ ესწრება, მაგრამ მაინც პირველი მახარობელია და გაზაფხული მაინც მოვა.

იტყოდა და ჩაფიქრდებოდა.

და როგორ არ ჩაეჭიდები ამ სურათს, თუკი დიმიტრი ყიფიანს ბიოგრაფიული რომანის გმირად დაიგულებ, ესეც ის სულისშემძვრელი ბირთვი, მზამზარეულად რომ უნდა გიბოძოს: ფორმაც, კომპოზიციური აღნაგობაც, სულისკვეთებაც, ინტონაციაც და რიტმიკაც.

როგორი შემაგულიანებელი და შთამაგონებელი გამოგჩენია, როგორი იდუმალი თანაავტორი, და ისღა დაგრჩენია, გამზადებული ქარგა შეავსო და შეავსო მასალებით.

მართალია პირველ მერცხალს ხანდახან სუსხი დაჰკრავსო...

ეს მეტაფორა და ეს განწყობილება პირდაპირ გადაინაცვლებდა „ბაში-აჩუკში“, ბიძინა ჩოლოყაშვილის მიღმა დიმიტრი ყიფიანის ლანდი რომ ამოშუქდებოდა იმ ეპიზოდში, სპარსელთა სამსახურში ჩამდგარი ჯანდიერი თავის დისწულს — ბიძინას — რომ ურჩევს: იქ, სასახლის კარზე, ყაენთან ბედნიერება მოგელის და შენ კი აქ მოგიკეცია ნაცარქექიასავით!.. რას ჩააკვდი ამ ახმეტას? სად გაგექცევა, შენი არ არის? კაცობა ის არის, რომ შორიდან მოიხვეჭოო, — და შეაგონებს: შეხედე სხვებს, როგორ ხმარობენ დროს და რარიგად ცხოვრობენ!.. ღმერთმა ნუ მოგვიშალოს ყაენის თავის მზე!.. დღეს, მისი წყალობით, ავად თუ კარგად, ქვეყანა პურსა ჭამსო, — და აფრთხილებს: ძალა აღმართსა ხნავსო, არ გაგიგონია? ნათქვამია, ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო, — და პასუხად კი:

— გაზაფხულს ვერც ერთი მოიყვანს და ვერც ათასი! მაგრამ თვითონ გაზაფხული კი ერთსად მოიყვანს და ათასსაც. ეგებ ჩვენი გაზაფხულიც მოდიოდეს!.. დღეს მე ვარ ერთი, ხვალ ათი იქნება და ზეგ ათასი!..

ამაზე ბიძა კი ეთანხმება, მაგრამ ურჩევს გაითვალისწინოს, რომ: ხშირად ადრე მოფრენილ მერცხალს სუსხი სცემს და სიცივე ჰკლავს, — მაგრამ ბიძინა რისი ბიძინა იქნება, ამ საფრთხეს რომ შეუკრთეს და ცხოვრების ერთხელ არჩეულ გეზსა და სტილზე ხელი აიღოს:

— მესმის, ბიძაჩემო, მაგრამ მაინც მე ჩემდათავად გაზაფხულის მახარობლობის დროს სიკვდილი მირჩევნია ზამთრის წინასწარმეტყველებაში მედიდურად სიცოცხლეს!..

წარმოსახავდა ბიძინა ჩოლოყაშვილს და თვალწინ დიმიტრი ყიფიანი ედგა, და ამიტომაც ჩამოინაკვთებოდა ეს პერსონაჟი ასე სისხლსავსედ და კოლორიტულად, და სიუჟეტური ზამბარების ამამოძრავებლად. და შემთხვევითი კი არ არის, რომ მთავარი გმირი, ბაშაჩუკად სახელგანთქმული გლახუნა ბაქრაძე, უშუალოდ მასთანაა დაკავშირებული და არა შალვა და ელიზბარ ერისთავებთან.

ისე დიმიტრი ყიფიანის პორტრეტის გამოკვეთისას პლუტარქესავით მოიმარჯვებდა შედარება-შეპირისპირებისა თუ პარალელიზმის ხერხს, ზედვე რომ მოადევნებდა გრიგოლ ორბელიანის პორტრეტს და იმთავითვე განაცხადებდა:

ეს სულ სხვა ბუნებისა და გუნების კაცი გახლდათ, ვიდრე ისო.

სააბაშიო, საბატონო აზნაურიშვილი რომ იყო და უბრალო ჩამომავლობისა, რა გასაკვირია, რომ მეტი ნიჭი და მეცადინეობა ეჭირვებოდა, ვიდრე რომელიმე გვარიშვილს, რათა ცხოვრებაში ბიჯი გადაედგა!.. შთამომავლობით რომ არა მიუძღოდა რა და არც მომხრე ჰყოლია, თავისით უნდა გაეკვლია გზა მომავლისა.

და იმ პირველ ბიჯს... ციმბირისაკენ გადადგამდა — ახალგაზრდობას ვოლოგდაში გაატარებდა.

იუმორი ანათებს ამ ფრაზას: პირველი ბიჯი ციმბირისაკენ გადადგაო?

სხვა შემთხვევაში ეგებ მორიდებოდა ამ შეღიმილებას, მაგრამ ყურში ჩაესმოდა დიმიტრის სიცილი, ლაღი და მხიარული: ერთი იმ თავით და მეორე ამ თავით, პატიმრობით დავიწყე ცხოვრება და პატიმრობითვე ვათავებო!.. — და თავის იმ ფრაზას ღიმილს ამიტომაც ამოაკერებდა სარჩულად.

თითქოსდა სამუდამოდ უნდა ჩახშობოდა გზა მომავლისა, მაგრამ დაბრუნების შემდგომ ისეთი მხნეობა და ნიჭი უნდა გამოეჩინა, რომ ჩინოვნიკობას თავში დადგომოდა...

მთავარმართებლის კანცელარიის მმართველობა უნდა ჩაეგდო ხელთ, გაეთქვა სახელი და გაძლიერებულიყო.

ქართველობას მისთვის, გარდა სიცოცხლისა, არა მიეცა რა!..

ყველაფერი რუსობას მოეხვეჭინებინა!..

მაგრამ თვით ამ ფონზე სამშობლო მაინც არ დაავიწყდებოდა, და აკაკი აღტაცებას რომ ვერ დაფარავდა, მკითხველსაც თანამოაზრედ გაიხდიდა: ნახეთ მის გულგაუტეხლობასო.

ამიტომაცაა, რომ:

იმ თავიდან ამ ბოლომდე, სიყრმიდან სიბერემდე სულ თურმე საქართველოზე ფიქრობდა.

პირადობა ნაკლებ აღელვებდა.

დიდკაცობა და ძალა რისთვის ეწადა?

რათა ხალხში მეტი გავლენა ჰქონოდა და მეტი სარგებლობაც მოეტანა საქართველოსთვის.

რა ვითარება სუფევდა, რა დროება დამდგარიყო?

კაცი გენიოსიც რომ ყოფილიყო, თუ მის ადამიანობას რუსის ბეჭედი არ დაეკვროდა, არავინ არას გაუგონებდა.

და მის წინაშეც ორი გზა გამოიკვეთებოდა:

მარცხნივ — ბიუროკრატიული, მთავრობისაგან გატკეცილი, ია-ვარდით მოფენილი და პირადად საბედნიერო;

და მარჯვნივ — სამოციანელ მოღვაწეთა ნაჩხირკედელავები, უსწორმასწორო, სახიფათო და პირადად სავნებელი.

საპირადო ბედნიერების საფეხურზე შემდგარი დიმიტრი ყიფიანი უშიშრად გადავიდოდა იმ სახიფათოზე და ჩაირიცხებოდა ახალ მოღვაწეებში, სიტყვით, კალმით, საქმით, სულითა და გულით მათთან იქნებოდა ისიც.

რაო, ანდაზა რას შეგვაგონებდა: ორი ნესვი ერთი ხელით არ დაიჭირებაო?

ამჯერადაც უნდა გამართლებულიყო ეს ხალხური სიბრძნე და... დღესხვალიობით, თანდათანობით კიდეც ააყრევინებდა გულს მთავრობას, გაარისხებდა და... თავს მოაშორებინებდა.

ირაკლი ბაგრატიონისა არ იყოს, ქართულ ლიტერატურულ საღამოზე სალამურის დამკვრელად რომ გამოვიდოდა, მაშინ რომ დიმიტრი ყიფიანი მუნდირს გაიხდიდა და ჩერქეზულს ჩაიცვამდა, ზედ ვარსკვლავმიბნეულს, დღევანდელი თვალით თუ შევხედავდით, სასაცილო პროტესტად მოჩანს, მაგრამ იმჟამად საგულისხმო გახლდათ და ნიშნავდა, რომ ამით ბიუროკრატიას პირდაპირ ბრძოლას უცხადებდა.

სწორედ მაშინ დაწერდა ალეგორიულ ზღაპარს „არაბული ცხენი", რომელშიც თავის თავსაც გამოხატავდა და თავისი მომავალი ცხოვრების პროგრამასაც დაასურათებდა.

* * *

ოცტომეულის კომენტარებში მკვლევარები ზოგიერთ დეტალს შეასწორებდნენ თუ დააზუსტებდნენ აკაკის მონათხრობში:

ანტონ ფურცელაძის ფსევდონიმი ქართველი ბექა კი არ არის, არამედ: ქერელი ბექაო.

სინამდვილეში „გ. ბარათაშვილის" სახელით გამოქვეყნებული „კრიტიკული სტატიების" ავტორი იყო არა ლავრენტი არდაზიანი, არამედ: გიორგი ბარათაშვილიო.

„ცისკარში" გამოქვეყნებული „სალაყბო ფურცლების" ავტორზე („მოლაყბე") აზრთა სხვადასხვაობაა. ყოველ შემთხვევაში ამ ფსევდონიმით წერდნენ მიხეილ თუმანიშვილიც და ივანე კერესელიძეც. ხოლო უშუალოდ რომელი მათგანი რომელი „ფურცლის" ავტორია, სადღეისოდ გამორკვეული არ არისო.

როცა სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი დაარსდა, 1875 წელს, გრიგოლ ორბელიანს არათუ „მთავარმართებლის ადგილი არ ეჭირა", საერთოდ გასული იყო სახელმწიფო სამსახურიდან. ხოლო რაც შეეხება მის „სატკაცატკუცო" სიტყვას, ის გრიგოლ ორბელიანმა ბანკის წევრთა ერთ-ერთ კრებაზე წარმოთქვა 1876 წლის 19 მაისსო.

სინამდვილეში გრიგოლ ორბელიანი ნოვგოროდში კი არ გაიგზავნა (როდესაც ტფილისში შეთქმულების ამბავი გამჟღავნდა, იგი ისედაც უკვე ნოვგოროდში იმყოფებოდა), არამედ დასასჯელად ჯერ კავკასიის ხაზზე მოქმედ ჯარში განაწესეს, მოგვიანებით კი ქალაქ ვილნოში განლაგებულ ნევის საზღვაო პოლკში გადაიყვანესო.

გრიგოლ ორბელიანის ლექსი „იარალის" მართლაც ნოვგოროდშია დაწერილი, მაგრამ 1832 წლის 8 მარტს, ანუ შეთქმულების გაცემამდე და შესაბამისად პოეტის დაპატიმრებამდე — შეთქმულება აკი 1832 წლის დეკემბერში ჩავარდაო.

გრიგოლ ორბელიანმა მხოლოდ ალექსანდრე ორბელიანის გარდაცვალების შემდგომ კი არ შეიტანა ნიკოლოზის მუნასიბი პოემაში „სადღეგრძელო", ის საერთოდ არც დაბეჭდილა გრიგოლ ორბელიანის სიცოცხლეში. ეს შესხმა მოგვიანებით, პოეტის თხზულებათა 1884 წლის ზაქარია ჭიჭინაძისეულ გამოცემაში გამოქვეყნდა პირველადო.

დიმიტრი ყიფიანს ეკუთვნის არა ალეგორიული ზღაპარი „არაბული ცხენი", არამედ მოთხრობა „თურქმენური ცხენი", რომელშიც რამდენადმე ავტობიოგრაფიული ელემენტებია ჩაქსოვილიო.

ფაქტები ეს არისო, — მორიდებით განუმარტავდნენ მკითხველს.

მითუარესი ფაქტებისათვისო, — ჰოი რა სიცილის გუნებაზე დადგება აკაკის აჩრდილი ამ შენიშვნების ჩათვალიერებისას; ეს ისე, ჩვეული მხიარული განწყობილების შესაქმნელად, თორემ მასზე უკეთ ვის მოეხსენებოდა ამგვარ შესწორება-დაზუსტებათა მნიშვნელობაც და აუცილებლობაც.

თავისი მომავალი ცხოვრების პროგრამასაც დაასურათებდაო...

მაგრამ... რომ ფიქრობდა, ისე აღარ გამოუვიდოდა.

მთავრობა რომ ხელს აიღებდა, მისიანებიც ზურგს უჩვენებდნენ და დარჩებოდა მარტოდმარტო ბრძოლის ველზე.

მაშინ კი დაინახავდა, რომ თვითონ ვეღარ შევიდოდა სამკალში, ნაყოფს ვეღარ მოესწრებოდა და შეუდგებოდა მარტოდმარტო მხოლოდ თესვას, რათა მის ნათესს ოდესმე თავი ეჩინა, დამწიფებულიყო და სხვებისათვის მაინც აეღებინებინა ხელში ნამგალი.

მეტაფორებში რაოდენ ღრმად, სხარტად და ექსპრესიულად წარმოისახებოდა ის იდეური ბრძოლა, რომელიც არ ეტანება ხორციელ ძალმომრეობას.

ამ გზას დაადგებოდა დიმიტრი ყიფიანიც.

საგანგებოდ როგორ არ აღნიშნულიყო, რომ:

არცერთი ქართული დაწესებულება არ მოიპოვებოდა, რომლის მეთაურობაც მას არ ეკისრა — ბანკი იქნებოდა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თეატრი თუ სხვანი, სულ მისი ინიციატივით რომ დაწყებულიყო.

აქ შეიძლებოდა — და აუცილებელიც გახლდათ — იმის დართვაც, ყველა ეს წამოწყება დიმიტრი ყიფიანისა ილია ჭავჭავაძის ხელით რომ დაგვირგვინებულიყო, თითქოსდა განგებისაგან იმთავითვე ასე განსაზღვრულიყო — ერთს დაეწყო და მეორეს მოეთავებინა, ერთს საძირკველი გაეჭრა და მეორეს მოეგუმბათებინა, ეს ორნი ისე შეთამაშებულიყვნენ, შეთანხმებაც აღარ ესაჭიროებოდათ, ალღოთივე გრძნობდნენ ერთმანეთის აუცილებლობას.

სტრიქონებს შორისაც არ არის ილიას არსებობა ნაგულისხმევი, სტრიქონებს შორისაც!.. პირდაპირ გადავიდოდა თხრობა იმ ეპიზოდზე, ერთხელ აკაკი ქუთაისს რომ მიდიოდა რკინიგზით და, მესამე კლასს რომ გაივლიდა, იქ შეხვდებოდა დიმიტრის და მიუჯდებოდა გვერდით, ის მეტად დაღონებული, ბევრ რაიმეს რომ შემოსჩივლებდა და სხვათა შორის ამასაც ეტყოდა:

— ვფართხალებ, მაგრამ ფართხალსაც ძალა უნდა და მე კი შემომაკლდა.

მაშინ იმერეთის გუბერნიის მარშალი უნდა აერჩიათ და ეს ჰკითხავდა:

— იმერეთის მარშლობას არ იკისრებდი?

კისრებით რატომაც არ იკისრებდა, მაგრამ გულახდილად მოახსენებდა:

— ხელმოკლედა ვარ, საშუალება არა მაქვს და უქონლობა დიდი ხელისშემშლელია.

— საშუალება რომ გამოგიძებნოთ? — ეს შესთავაზებდა და ისიც დიდი სიამოვნებით მისცემდა სიტყვას და გაათავებდა.

ჩამოვიდოდა თუ არა ქუთაისში აკაკი, მაშინვე გიორგი ღოღობერიძეს მიაშურებდა, როგორც უხუცესი, ახალთაობის მეთაურად რომ მიიჩნეოდა. გაუზიარებდა თავის განზრახვას და კიდეც შეკრებდნენ იმ ღამესვე მეკენჭეებს და გადასცემდნენ გულში ნადებს.

იმერლები დიდი თანაგრძნობით მიეგებებოდნენ ამ ამბავს, გარდა ერთი-ორი ჩინოვნიკისა, რომელნიც ამაოდ გააფართხალებდნენ ხელ-ფეხს.

ნიშანდობლივია, ჩინოვნიკები უარზე რომ დადგებოდნენ — რაკილა იცოდნენ ხელისუფლებაში გაჩენილი უკმაყოფილება დიმიტრის მოღვაწეობით, ზემდგომთ საყვედურს ხომ არ ათქმევინებდნენ?

შედეგი კი ის იქნებოდა, რომ: ერთხმად აირჩევდნენ დიმიტრი ყიფიანს მარშლად და ჯამაგირსაც 400 თუმანს დაუნიშნავდნენ.

იმერეთში რომ ჩავიდოდა ახალგამარშლებული, აკაკიმ რა იცოდა, რას გამოელოდნენ დიმიტრისგან იმერლები, მაგრამ დიდი აღტაცებით კი დახვდებოდნენ — მთელი დღე ილიტანიებდნენ. სხვათა შორის, ჩასვამდნენ ფაეტონში, თვითონაც ჩასხდებოდნენ და „ვაშას“ ძახილით სამჯერ შემოატარებდნენ ირგვლივ ბულვარს.

მთელი ქალაქი საყურებლად გამოვიდოდა.

ეს გაამხნევებდა მოხუცს, განუახლებდა ყმაწვილურ ოცნებებს და ბევრ რაიმესაც დაპირდებოდა იმერეთს!..

ისეთი განცდა და შთაბეჭდილება გაუჩნდებოდა, რომ ის, რაც აღმოსავლეთ საქართველოში ვერ ენახა, ადვილად მოიპოვებოდა დასავლეთში, და მხნედაც შეუდგებოდა საქმეს!..

მაგრამ... ბარათაშვილური ასოციაცია გაუჩნდებოდა აკაკის: ეს სოფელი განა დიდხანს ვისმე ახარებსო? — და დიმიტრის წინაშეც უნდა გამქრალიყო ტაძარი და უდაბნო ამღელვარებულიყო.

იმხანად მოხდებოდა, რომ გულმოსული ეგზარხოსი პავლე, სემინარიის რექტორის მკვლელობის გამო, იოსებ ლაღიაშვილი რომ აღასრულებდა ამ აქტს, შეაჩვენებდა ქართველობას.

იმ წირვას ქართველი დიდებულებიც დაესწრებოდნენ, მაგრამ კრინტსაც არავინ თუ ვერავინ დაძრავდა და... დიმიტრი ყიფიანი კი შორიდან მისწერდა წმინდა მამას მრისხანე საყვედურს.

ეს წერილი ჩაუვარდებოდა ხელში მთავრობას — გასაგებია, საიდანაც და როგორაც — გაუხსენებდნენ წინანდელ უსიამოვნებასაც და... მაშინაა, სტავროპოლს გადასახლებას რომ მიუსჯიდნენ პატიმრად.

მერეა: აკაკიმ რომ უნდა ააკითხოს ქვიშხეთში და მისმა მხიარულმა სახემ გააოცოს.

მერეა: სიცილით რომ უნდა შემოეგებოს და თავისი ცხოვრების ჩარჩოდ პატიმრობა მოხაზოს.

მერეა: პირველი მერცხლის მეტაფორა რომ უნდა მოიმარჯვოს და მას გაუიგივდეს.

და აკაკის გული უკვე უგრძნობდა იმ წუთებშივე, მასპინძელი თავის ტრაგიკულ ხვედრს რომ წინასწარმეტყველებდა: და კიდეც მოჰკლავდნენ სტავროპოლში პატიმრობისას!.. იმ ტვინს, რომელიც საქართველოზე ფიქრობდა, თავზე გადაანთხევდნენ, და იმ გულზე, რომელიც სამშობლოსათვის ძგერდა, ცივ ხელებს დააკრეფინებდნენ!..

და ვინ? რად?..

სრულიად ზედმეტად მიიჩნევდა ამაზე ფიქრს მაშინ, როდესაც ვიცოდით — თუ რისთვისაც!..

ამას მომავალი უკეთ გამოიკვლევდა, და ეს მაშინ, ოდეს მისი ნათესი თავს იჩენდა, ნაყოფს მოიტანდა და დაწესებულებებს ჩვენც ისე ცალმხრივად აღარ დავუწყებდით ყურებას, როგორც დღესდღეობით: ბანკი მარტო სადახლო დუქანი აღარ გვეგონებოდა, წერაკითხვის საზოგადოება — ბიუროკრატიული რამ დაწესებულება და თეატრი — სასაცილო გასართობი!..

დღევანდელი ამბოხება, თუმც ჯერჯერობით კი უკულმართი და უთანასწორო, მაგრამ მაინც გამოღვიძების ნიშანი, თავდები გახლდათ ამისი.

„დღევანდელი ამბოხება“ გულისხმობდა 1905 წლის გამოსვლას, მარცხიან რევოლუციად რომ მოინათლებოდა, და აკაკი დიდი იმედით შეჰყურებდა იმ პოლიტიკურ დინებას, ამ ჯერჯერობით ყველაზე დიდი მღელვარებით რომ დაგვირგვინდებოდა.

რა აკაკი და რა სხვანი!..

ერთადერთი ილია ჭავჭავაძე არ ამართლებდა მოვლენათა ამგვარ მსვლელობას და ყოველნაირად ცდილობდა რევოლუციური განწყობილების დაშოშმინებას, აკაკიც სხვებივით რომ გაოცდებოდა: განა ასე რამ დააფრთხო, მთელი ცხოვრება ბრძოლას ითხოვდა, მთელი ცხოვრება რევოლუციას მოელოდა და აჰა ესეც ბრძოლა და რევოლუცია, გადამწყვეტ ჟამს განზე რატომ დგებაო!..

ახლა კი, ამ გადმოსახედიდან: ჯერჯერობით უკუღმართიო...

უკვე სხვა თვალით შეხედავდა იმ ყველაფერს, მთლად აღარ დაუჯდებოდა გონებაში ის მღელვარება, რაკიღა რევოლუციური სულისკვეთება ილიას განწირვას მოითხოვდა. და ეს გარდუვალობა ხელშესახებად აჩენდა ამ პოლიტიკური მოვლენის ულმობელ ბუნებას, სრულიად დაცილებულს ზნეობრიობისაგან. ზნეობაგამოცლილი მოვლენა კი რა შეიძლება ყოფილიყო, თუ არა დანაშაულებრივი, და დიდად სახიფათო ქვეყნისათვის.

ამის აღიარება ერთბაშად მაინც გაუძნელდებოდა — ისე ანთებულიყო, ისე აღგზნებულიყო რევოლუციური სწრაფვით, ერთი ხელის მოსმით როგორ გინდოდა გამოსცილებოდი... თუმც „უკულმართის“ ხსენება მოასწავებს, რომ მალე დადგებოდა ის დროც, როდესაც აკაკი ამ შემთხვევაშიც ჩადგებოდა ილიას კვალში და შეუპოვრად დაუპირისპირდებოდა რევოლუციებს, როგორც დამღუპველს ქართველობისათვის, რადგანაც არას გვარგებდა იმპერიის პოლიტიკურ თამაშებში ჩართვა.

ჯერ მაინც ჰგონია, რომ რევოლუცია შესაძლოა სწორი გზითაც წარიმართოს, და მაშინ აღარც ღირსეული პიროვნებანი გაიწირებიან ასე დაუნდობლად და უღმერთოდ.

ეს გულისჭიდილი გამოკრთის იმ სტრიქონებიდან, ის ამბოხება — სოციალური და არა ეროვნული — მაინც ხალხის გამოღვიძების ნიშნად, თავდებად რომ მიაჩნია.

პანეგირისტული სულისკვეთების სილუეტი კი თუ არა ასე, სხვაგვარად როგორ შეიძლება მოთავებულიყო, დიმიტრი ყიფიანს დევგმირად რომ მოიხსენიებდა და დასძენდა: სწორედ ასეთებზე ითქმის — მოვიდა ქვეყნად და ქვეყანასაც ბევრი რამ არგოო!..

ასე გამოიკვეთებოდა ამ პორტრეტში პანეგირისტული და დრამატული ნოტები.

გრიგოლ ორბელიანის პორტრეტში აკი კომიკური ნოტები იჭარბებდა.

თავისთავად და ძალდაუტანებლად გამოვიდოდა პლუტარქული პარალელური ყაიდის ბიოგრაფიული მონახაზები, და „ჩემი თავგადასავლის“ გაგრძელება-დასრულებას თუ დაიცლიდა არსთა გამრიგე, ადვილი მოსალოდნელია ამ ხერხს კვლავ და კვლავაც ეჩინა თავი — ამჯერად გაუმართლებდა და სხვა შემთხვევაშიც ვითომ რა გადაეღობებოდა განზრახვის წარმატებულ აღსრულებას?!.

იდუმალ თანაავტორად რომ გეგულებაო...

ამისთანა შემოთავაზებები არ დაელეოდაო...

აგერ ჩაიკითხავ ალექსანდრე ყაზბეგის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიურ სილუეტს და... როგორ არ მოგხვდება უმალვე თვალში ის პასაჟი, ამ ახირებულად შესანიშნავი კაცის სიკვდილიც უცნაური რომ აღმოჩნდებოდა.

ერთხელ ვორონცოვის ძეგლთან რომ იდგებოდა აკაკი, შენიშნავდა, რომ საზოგადოება მუშტაიდის ბაღისაკენ მიესწრაფებოდა. ეკიპაჟი ეკიპაჟზე გაბმულიყო და მიაქანებდნენ. და იქ თურმე წარმოდგენა უნდა გამართულიყო: ვირი აეყვანათ მაღლა აეროსტატით!..

სწორედ ამ დროს მივიდოდა მასთან დანაღელიანებული ზაქარია ჭიჭინაძე და ნაღელიანი თავის ქნევით დაეკითხებოდა:

— სად მიდის ეს ქართველი საზოგადოება სასეირნოდ? სულ ნახევარი საათი იქნება, რაც ჰოშპიტალში ყაზბეგი გარდაიცვალა და მეც იქიდან მოვდივარ!

ცხადია, ამ ამბის შეტყობა აკაკისაც დააღონებდა და შეწუხებული დაბრუნდებოდა შინისაკენ.

და როგორ არ ჩაეჭიდები ამ სურათსაც, თუკი ალექსანდრე ყაზბეგს ბიოგრაფიული რომანის გმირად დაიგულებ, ესეც ის სულისშემძვრელი ბირთვი, მზამზარეულად რომ უნდა გიბოძოს: ფორმაც, კომპოზიციური აღნაგობაც, სულისკვეთებაც, ინტონაციაც და რიტმიკაც.

ბიოგრაფოსობისაკენ მიგიწევს გული?

სხვა რაღა გინდა, ისღა დაგრჩენია ეს ბირთვი შეავსო და შეავსო მასალებით, და ბოლომდეც მიიყვანო თხრობა, ისეთი შემაგულიანებელი და შთამაგონებელი გამოგჩენია, თვით აკაკი მოგგვლენია იდუმალ თანაავტორად.

ერთი გარემოებაცაა, რომლის განმეორებაც არ გვაწყენდა, თუმც „ყაზბეგიანაში“ უკვე აღინიშნებოდა საგანგებოდ:

იმ კონტრასტს, იმ ტრაგიკომიკურობას, ალექსანდრე ყაზბეგის გარდაცვალებისას ვირი რომ აჰყავთ აეროსტატით და ამ უჩვეულო სანახაობის ფონზე სადღაც მიქარგულა მართლაც უჩვეულო და საკვირველი კაცის აღსასრული, ზაქარია ჭიჭინაძე მიაქცევდა ყურადღებას და აკაკისაც ის გააცნობიერებინებდა ამ ღრმა სატკივარს, ზოგადი მხარეც რომ აქვს და იმჟამინდელ რეალობაში ზნეობის სრულ მოშლას გვითვალსაჩინოებს.

რასაც ვრცელი მსჯელობა დასჭირდებოდა, ერთი დეტალი ხდის საცნაურს:

ზეცაში ვირის აჭრით აღგზნებულებსა და გონებამოცულებს, არც აინტერესებთ და არც ანაღვლებთ დიდებული მწერლის სულიც ის-ისაა რომ აჭრილა ზეცად.

არა, მაინცდამაინც იმ წუთებში რომ დაემთხვა ეს ორი კონტრასტული მოვლენა!..

დაემთხვა თუ... განგებამ მიგვანიშნა რაღაც დაფარულზე?!.

ეს... ეს უფრო შესაძლებელია, რადგანაც ასეთი რამეები უნებლიეთ არასოდეს დაემთხვევა ხოლმე და იდუმალი კანონზომიერებანი განსაზღვრავს მათ ამოჩენა-ამოტივტივებასაც.

ზაქარია ჭიჭინაძე მიაქცევდა ყურადღებასო...

აკაკისაც ის გააცნობივრებინებდაო...

არადა: ჩაიკითხავ ზაქარიას მემუარულ ჩანაწერებს ალექსანდრე ყაზბეგზე და... არსად იელვებს ეს სიმბოლური სურათი, ასერიგად ტევადი და შთამბეჭდავი, დროის ტრაგიკომიკურობის ხელშესახებად გადმომშლელი.

რა — სწორედ ზაქარიამ არ შენიშნა ეს კონტრასტი?

მან არ ამხილა აკაკისთან საუბრისას საზოგადოების ზნეობის დაცემა და ეკიპაჟიდან ეკიპაჟზე გაბმული ხალხის — უფრო კი ბრბოს — შინაგანი სიცარიელე, სულაც ჩიტირეკიაობა, მიზნის უქონლობა რომ იწვევს?..

მის ისედაც დიდ, განუზომელ ნაღველს, გამოწვეულს ამხელა მწერლის ნაადრევი აღსასრულით, განა კიდევ ერთ მწუხარე ნაკადად არ შერევია ამ აღტკინებისაგან გადარეული ბრბოს ხილვა?

და... თავის მოგონებებში კი აღუნიშნავი დარჩენია.

რისი ბრალი უნდა იყოს ეს გულმავიწყობა?

რისი და:

წამიერი განათება წამიერ განათებად დარჩენილა და თავისი ღრმააზროვანი მიგნება ბოლომდე და შესაფერისად ვერც გაუაზრებია და დაუფასებია. და ამიტომაც აღარ ამოტივტივებია გონებაში ის წუთები, ალექსანდრე ყაზბეგის სახების ირგვლივ გარდასული ამბების მოძიებას რომ შეეცდებოდა თავისი მეხსიერების სალაროში.

აკაკის არ დაავიწყდებოდა.

და არამცთუ დავიწყებოდა, სწორედ იმ მნიშვნელობას მიანიჭებდა, რასაც ეს მიგნება იმსახურებს — სიმბოლურ განზოგადებას, ეპოქის სატკივარის დამტევს ფორმულის სისხარტით.

ამიტომაც არ დაკარგავდა ამ მიგნების პირველმთქმელს!..

თორემ სხვაგვარად: მარტოდენ სასხვათაშორისოდ შეიძლება გაეხსენებინა ის ფრაზა და სულაც თავისად ჩაეწერა „ჩემ თავგადასავალში“. თუ ბევრს არას ნიშნავდა, რაღა საჭირო იქნებოდა პირველმთქმელის ვინაობის დაზუსტება.

მაგრამ ეს აკაკია — არაფერი რომ არ გამოეპარება, ყოველი ფრაზისა და სიტყვის მნიშვნელობას ჯეროვნად აფასებს და მახვილგონივრული მიგნების ავტორს წვლილს არაფრისდიდებით არ დაუკარგავს.

ზაქარიამ შენიშნა პირველად?

მაშ ზაქარიას სახელითვე ითქვას.

აკაკი ზაქარიას დაუფასებდა პირველმიმკვლეობას, ჩვენი მხრივ კი აკაკის მწერლური ხელოვნება გავისიგრძეგანოთ თუნდ ამ ერთ დეტალზე დაყრდნობით.

შენ დეტალი ეძახე!..

მწერლობა ასეთი დეტალებია, ასეთი „წვრილმანები“, მათი სიუხვე და იდუმალი მადლის ზემოქმედება — სხვა კი არაფერი.

ის, რაც უნებლიეთ, წამიერი გამონათებით წამოცდებოდა ზაქარია ჭიჭინაძეს, კიდეც მიუწენდა სათანადო ადგილს თავის მოგონებებში, აკაკის რანგის მწერალიც რომ ყოფილიყო და ასეთი დაკვირვებების ყადრი და მხატვრული ღირებულება სცოდნოდა.

მაგრამ აკაკის რანგის მწერალი... აკაკია!.. და ამიტომაცაა, თუნდ „ჩემი თავგადასავალი“ ასეთ გამაოგნებელ შთაბეჭდილებას რომ იწვევს, ამისთანა დეტალებითა და „წვრილმანებით“, ამისთანა ნიუანსებით მოკირწყლული. რაღაც-რაღაცების ამოცნობაპს ვახერხებთ, რატომაც არა, მაგრამ რაღაც-რაღაცების სიღრმეში წვდომა ჯერაც გვიძნელდება და ვკმარობთ მარტოდენ იდუმალ შეგრძნებას...

რა დრო იყო, ზაქარია უკვე კიდეც რომ დადგომოდა ჯიბგირობის გზას და უკეთესს ვერც ვერას ეწეოდა, აკაკის რომ არ შემოეკედლებინა და წერა-კითხვაც არ ესწავლებინა, და ისე არ გაეშინაურებინა, ზაქარიას თავისი ტოლ-სწორისაგან ველარც გაერჩია და ღამით მისი საძინებლის კარზე კაკუნიც აეტეხა: აბრაამის ცოლს რა ერქვაო?..

და თუ მწერლობაში ვერ შეუთანასწორდებოდა, საგულისხმო დაკვირვებას ხომ მაინც მიაწვდიდა, აკაკი ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური სილუეტის ბირთვად რომ აქცევდა და ბიოგრაფოს რომანისტებს კარს შეუხსნიდა ალექსანდრე ყაზბეგის მხატვრულ სამყაროში,

ახირებულად შესანიშნავი იერით აღბეჭდილში, სხვა მხრივაც რომ უხვად მოამარაგებდა იმისი ცხოვრების ქრონიკის შემდგენელთ ზუსტი და ტევადი დაკვირვებებითა და მოსაზრებებით.

სილუეტი კი გაიხსენებოდა იმ სტრიქონებით, რომ:

სანდროს დედ-მამას ადრევე იცნობდა, მამა გენერალი ჰყავდა და დედა — თარხნიშვილის ქალი, ძველებურად გაზრდილი.

თითქოს სასხვათაშორისოდ აღნიშნულა დედისა და მამის პოლარული განსხვავება. გენერალი და ძველებურად გაზრდილი ქალი ორი სხვადასხვა ხასიათია, მკვეთრად გამიჯნული, თუმც არ უძნელდებათ მშვიდობიანი თანაცხოვრება, წყნარი და უდრტვინველი. ეს „ძველებურად გაზრდილი" კი იმჟამინდელ მკითხველს ძალდაუტანებლად მიახვედრებდა ელისაბედ თარხნიშვილის ცხოვრების წესსაც და პიროვნულ ბუნებასაც — მიამიტურად რომ სჯერა ადამიანისა და აღვსილია სიცოცხლის სიყვარულით, იმ აღტაცებით გარემოსადმი, ბავშვურობას რომ ინარჩუნებს ცხოვრების ბოლომდე. და აღარც გიკვირს, ბაგრატიონთა შთამომავალს ეჭვიც რომ არ ეპარება და შვილსაც ამ რწმენით ზრდის, რომ: დავით წინასწარმეტყველი მათი წინაპარია, მარიამ ღვთისმშობელი და იესო მაცხოვარი კი — მათი უშუალო ნათესავები, და ამიტომაც სანდროს მათი მფარველობა არ მოეშლება, დედისერთა სანდროს ძალზე სათუთად და ნებივრად გაზრდილს, და რა უნდა აეჩემებინა, რომ მშობლებს, თუკი მოახერხებდნენ, და რას აღარ მოახერხებდნენ, არ აესრულებინათ მისთვის ნანატრ-საწადელი.

დაბალი ფენა იმთავითვე, ბავშვობაშივე რომ უყვარდა და სული ბიჭებში მიუდიოდა, აკაკი ამით ახსნიდა იმ საქციელს, რომ: რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ დიდი ხნით ცხვრის სამწყემსურში გადავიდოდა.

ფულის ყადრი? პატარა რომ იყო, მაშინაც არ იცოდა — გამოართმევდა მამას ვერცხლის ფულს, ჩაიყრიდა ჯიბეში და გაუდგებოდა გზას, და სოფლის ბიჭები რომ აედევნებოდნენ, იღებდა ჯიბიდან ფულს და გადაუყრიდათ, ისინიც დაერეოდნენ ერთმანეთს, ატყდებოდა ერთი წინკნა-გლეჯა და ყურთაზიაობა და ეს ამბავი ძალიან უხაროდა ყმაწვილს.

პატარაობის შემდეგ აკაკის ის აღარ ენახა, ისე გაიზრდებოდა! და აღარც მისი მშობლები!..

ერთხელ რუსის მსახიობი ქალი რალფი შემოსჩივლებდა:

— ძალიან კაი ოთახი მიჭირავს სადგომად, მაგრამ ჩემ პირდაპირ ოთახში ისეთი ვინმე დგას, რომ უნდა მივატოვო ჩემი ოთახი და გადავიდე სადმე.

— რატომ, რა მიზეზით? — გაიკვირვებდა ეს.

— ვიღაც ახირებული ახალგაზრდა ქართველი დგას, არც გადადის სახლიდან, არც აწმენდინებს ოთახს, არც პირს იბანს, რას შვრება, კაცმა არ იცის, და მისი ოთახიდან ჩემს ოთახშიაც მძიმე სუნი შემოდის.

ამ სასტუმროში იდგა ლუკა თარხნიშვილის ოჯახი და აკაკი მას ესტუმრებოდა. სანდროს დედა ლუკას და გახლდათ და ისიც იქ დაუხვდებოდა. ეს რალფის ნათქვამს გადასცემდათ და ჰკითხავდათ:

— ვინ ქართველია, ხომ არ იცით?

მაშინ შემოსტირებდა სანდროს დედა:

— არ გებრალები, რომ ის ჩემი სანდროა და რაღაცა ემართება, თვითონაც არა გაეგება რა. ეს ერთი თვეა, ოთახიდან აღარ გამოდის, არც ვინმეს იკარებს და არც თვითონ ეკარება. მამის სიკვდილის შემდეგ ადგილ-მამული გლეხებს დაურიგა და გამაღარიბა, და ახლა არის მაგრე!

ეს მაშინვე მის სანახავად გასწევდა. მისი ოთახის კარს რომ გამოაღებდა, მისთანა კვამლი იდგებოდა თუთუნისა, რომ დიდხანს ვეღარას გაარჩევდა რას.

ის იჯდებოდა ქვეშაგებში პერანგისამარა, საბანწამოხურული, და რაღაცას გამალებით წერდა.

შემოაჩერდებოდა ჯერ უკმაყოფილოდ, რაკიღა წერის შეწყვეტა მოუწევდა, მაგრამ მერე იცნობდა სტუმარს და მობოდიშებით ეტყოდა:

— წერამ გამიტაცა...

გადმოიღებდა და უჩვენებდა ნაწერებს, რომლის სიმრავლის შემხედვარესაც აკაკის ეს გაოცება აღმოხდებოდა:

— ღმერთო ჩემო!..

რამდენი რვეული აღარ იდებოდა მაგიდაზე და რეები აღარ იქნებოდა შიგ ჩაწერილი?! დრამები გინდოდა, კომედიები, ლექსები, პროზაული თხზულებანი და სხვანი.

მოგვიანებით ონში სტუმრობისას აკაკის — გარდა შოთა რუსთველისა — ალექსანდრე ყაზბეგზეც რომ ჰკითხავდნენ აზრს, ვასილ წერეთელს ასე დაამახსოვრდებოდა მისი სიტყვები და ზუსტადაც აღადგენდა, რადგანაც ეს მწერალი თვითონაც ძალიან უყვარდა და ყველაფერი აინტერესებდა, რაც მას შეეხებოდა:

— მართალია ალექსანდრე ყაზბეგი ვერ ახდენდა დიდი ტალანტის შთაბეჭდილებას, თვით მის ქცევაში ბევრი თავისებურება იყო, თითქოს ეჭვიც ეპარებოდა ზოგიერთს მისი შესანიშნავი თხზულებების ავტორობაშიც კი, მაგრამ მე თვითონ ვარ მოწმე მისი წერისა. ჩემი თანდასწრებითაც აქვს დაწერილი თავის თხზულებათა ზოგიერთი ადგილი. წერის დროს ალექსანდრე სულ იცვლებოდა ხოლმე და მისი დაფარული ნიჭი ამ დროს იგრძნობოდა.

ამას ზეპირად იტყოდა: თითქოს ეჭვიც ეპარებოდა ზოგიერთს მის ავტორობაშიცო, — მაგრამ სილუეტის გამოკვეთისას ზედმეტად მიიჩნევდა ამის აღნიშვნას — იმ ეჭვისას, უფრო ზუსტად — ამ ცილისწამებისას, საკმაოდ რომ აფუთფუთდებოდა და აკაკის გარდაცვალების შემდგომაც იტრიალებდა, ის კი არა, ვახტანგ კოტეტიშვილს დიდი თავგამოდება დასჭირდებოდა, რათა ეს ცრუხმები გაექარწყლებინა. დიახ, ზეპირად განაცხადებდა: ასე არ არისო, — მაგრამ წერისას ყაზბეგის ხსოვნის წინაშე დაეუხერხულებოდა ამის მტკიცება: მისი სახელით გამოქვეყნებული თხზულებანი ნამდვილად მისი დაწერილიაო. არადა ეჭვიც რომ ფუთფუთებდა? ამიტომაც გაიხსენებდა იმ ეპიზოდს, მისი წერის პროცესს უშუალოდ რომ შეესწრებოდა და ამ პროცესის ნაყოფსაც თვალნათლივ იხილავდა — უამრავ ხელნაწერს.

დაე წერის პროცესის ეს ვითომდა სასხვათაშორისო მოხსენიება ყოფილიყო საკმარისი აკაკის შეხედულების ნათელსაყოფად, თუ როგორ უყურებდა იმ ეჭვსა თუ დაყრილ ჭორებს ალექსანდრე ყაზბეგის სახელის ირგვლივ. დაე გამგებს გაეგო. და კიდეც გაიგებდნენ და ვახტანგ კოტეტიშვილისთვისაც ამ სილუეტის ეს პასაჟი აღმოჩნდებოდა ერთი ყველაზე მეტყველი და სანდო საბუთი ავისმოსურნეთა ხმების გასაბათილებლად და აღსაკვეთად.

იქ კი, სასტუმროს იმ ოთახში აკაკი მასპინძლის რვეულებიდან რამდენიმეს რომ გადაათვალიერებდა, ადვილად დარწმუნდებოდა, რომ: ახალგაზრდა ყაზბეგი შრომით მეტს შრომობდა, მაგრამ ჯერ ქართული არ იცოდა კარგად, წერაში არ გაჩვეულიყო, თუმც მის ნაწერებს ადგილ-ადგილ ნიჭი ეტყობოდა.

რომ შეატყობდა, მისი სტუმრობა რომ არა წყინდა, მიუხედავად მასპინძლის ახირებულობისა, ხშირად, თითქმის ყოველდღე დაიწყებდა მასთან სიარულს.

იმხანად აკაკი ქართულ სცენას განაგებდა და, ოთახიდან მის გამოსატყუებლად მოიგონებდა, რომ ერთი მსახიობი აკლდა და თუ სანდრო იკისრებდა, არ იქნებოდა ურიგო.

ის ჯერ იუცხოებდა, მაგრამ აკაკი ისე შეუჩნდებოდა, რომ აკისრებინებდა.

შვიდთუმანნახევარს დაუნიშნავდა თვეში და გადაიყვანდა დასში. მსახიობად არაფერიშვილი რომ არ იქნებოდა, აკაკის ეს წინდაწინვე მოეხსენებოდა, მაგრამ მსახიობებში რომ გაერეოდა და საქმე გაუჩნდებოდა, დღეს-ხვალეობით გამობრუნდებოდა და ძვირად მოუვლიდა ხოლმე ახირებულობა.

მისი არათუ ახირებულობა, ყოველგვარი მოქმედებაც რაღაც ბავშვური გახლდათ და ვისთვისაც უნდა ეწყენინებინა, გულში არავის ჩარჩებოდა. ყველა გრძნობდა, უნებლიეთ თუ მოუვიდოდა, თორემ განზრახ ვისი რა მწყენინებელი შეიძლება ყოფილიყო!..

ისე როდესაც სანდროს ხასიათის ამ თვისებას გამოარჩევს: მისი ყოველგვარი მოქმედებაც რაღაც ბავშვური იყოო, — ზედმეტი არ იქნებოდა, რომ ჩაერთო: ჩემი არ იყოსო.

აქტიორობაში სანდრო დიდ სიბეჯითეს გამოიჩენდა, ბევრ როლსაც შეისწავლიდა, მაგრამ არცერთში, გარდა ერთისა, არ ივარგებდა: გენერლის როლს როგორღაც კარგად შეასრულებდა ერთ პიესაში.

"როგორღაცო" ამ სიტყვას იყენებს აკაკი, თითქოს მართლაც ვერა ხვდებოდეს ბოლომდე, თუ რას გამოეწვია ამ ერთადერთი როლის კარგად შესრულება. არადა მკითხველს გამჭვირვალედ მიანიშნებს მიზეზს. სილუეტის დასაწყისშივე რომ გაიხსენებდა სანდროს მამის გენერლობას. ბავშვობიდანვე რასაც შესჩვეოდა და გაშინაურებოდა, აღარც გაუძნელდებოდა მისი ხორცშესხმა, თვით აკაკისაც რომ დაამახსოვრებდა თავს, თორემ მაყურებელს ხომ თავისთავად, კიდეც რომ უკვირდათ, ასეთი ჩინებული აქტიორი თუ არის, სხვა დროს და სხვა როლებში ნეტა რა ემართებაო?!.

ჩვენ ხომ ვხვდებით, რაც!..

აქ ერთი გარემოებაც ნუ გამოგვრჩება, ამ ფსიქოლოგიურ პორტრეტში რომ არ აღნიშნულა და... ურიგო არ იქნებოდა აკაკის აქაც გაემეორებინა, „ჩემ თავგადასავალშიც" ჩართულიყო, თორემ როგორღაც ჩაიკარგებოდა მის ოდესღაც დაბეჭდილ სტატიაში „დროების" 1880 წლის 3 ოქტომბერს: „ქართული თეატრი" — და იქ იმ განზოგადებას ვერ ჰპოვებდა, რასაც აქ განმეორებისას, სულ სხვაგვარად რომ გაბრწყინდებოდა და თავისთავად განზოგადდებოდა ალექსანდრე ყაზბეგის მხატვრული სამყაროს ამ თავისებურებაზეც, თავგანწირული სიყვარულის საგადაც რომ წარმოგვიდგება და რუსთველურ სიყვარულს თუ რაიმე, სწორედ ის მოგვაგონებს, ხელშესახებად რომ აღდგებოდა ის გონსგადასული სწრაფვა სატრფოსაკენ, რაც მარტოდენ გარდასული ჟამისად მოჩანდა, რაკილა „ვეფხისტყაოსნის" შემდგომ ვეღარსად დაგვედასტურებინა.

სტატიაში „კუდურ-ხანუმის" დადგმას დაახასიათებდა აკაკი, სათითაოდ რომ ჩამოჰყვებოდა თვითეულ მსახიობსა და როლების მათეულ შესრულებას, არც ქებას რომ არ დაიშურებდა და არც კრიტიკულ და გამკილავ სიტყვას, თუნდ მისთვის ძვირფასი არტისტიც ყოფილიყო, და ამ შეფასებებში მოჰყვებოდა ალექსანდრე ყაზბეგისაგან შესრულებული როლიც:

— მოხევემ იქ, სადაც ძნელია საზოგადოთ თამაში, ე.ი. სიყვარულისა და ტრფიალების როლში, იქ სამაგალითოთ ითამაშა; მაგრამ მაგიერათ მერე-და-მერე ბოლო მოუღო, მაგრამ ეს როლის გაუგებრობით არ მოსვლია: უთუოდ სხვა რამემ შეაკრთო და შეუშალა თამაში...

თანაგრძნობით რომ მოეკიდებოდა თამაშის შეშლას აკაკი, ეტყობა კიდეც იცოდა ან შეუმცდარად გრძნობდა მიზეზს, თუმც წარმატებით რომ ვერ შეასხამდა ხორცს მოხევე ვერც ამ როლს, რა გასაკვირია — სცენა აკი არა ყოფილა მისი შესაფერისი ასპარეზი, თუმც მთავარი ამ ერთიბეწო დახასიათება-შეფასებაში ის ფსიქოლოგიური შტრიხია:

სიყვარულისა და ტრფიალების როლს სამაგალითოდ რომ შეასრულებდა.

იქ, სადაც უკეთეს და ბევრად უკეთეს არტისტებს უძნელდებოდათ თამაში, ეს დიდი ხელოვნებით წარმოადგენდა, გაელვებით გაიელვებდა ეს ოსტატობა და მერე აგერ კიდეც ჩაინავლებოდა სპექტაკლის დასასრულამდე, მაგრამ ის გაელვება აკაკის მზერას როგორ გამოეპარებოდა და... ეს მახვილი დაკვირვება რაოდენ ღირებულია ჩვენთვის: შმაგი, თავგანწირული, ყოვლისმომცველი სიყვარული ალექსანდრე ყაზბეგის პიროვნების გულისგული რომ არის და მისი პიროვნული ბირთვის უმთავრესი ძარღვი, აგერ სცენაზეც ბუნებრივად და ძალდაუტანებლად უნდა გადმოეშალა...

და კალამს რომ მოჰკიდებდა ხელს და იმ სარბიელზე ჰპოვებდა საკუთარ თავს, იქ კი მთელი სისრულითა და სრულყოფილებით უნდა წარმოესახა თავისი გულის მდუღარება, ხან რომელ და ხანაც რომელ პერსონაჟზე გადატანილი.

თეატრალური სეზონი რომ გათავდებოდა და აკაკის საქმეც ცუდად წავიდოდა, მას მარტოკას სანდროს შველა აღარ შეეძლო და გადაიყვანდა „დროების" რედაქციაში სერგეი მესხთან.

გლახა გლახას აეკიდა, ღმერთო, ფარატინი გააგდებინეო, რომ ამბობდნენ, სწორედ ისე იქნებოდა მათი საქმეც. რედაქციაში ბინას კი უშოვიდა, მაგრამ საჭმელ-სასმელი თვითონ

რა ექნებოდათ ბევრი, მისთვისაც რომ ბევრი მიეცათ? მაგრამ... ეს სანდროს არ აწუხებდა. ბევრს შეჭამდა თუ ცოტას, მისთვის სულერთი გახლდათ!.. არ დაეძებდა!!

ერთხელ საგვარეულო ძვირფას სახარებას მიჰყიდდა წერა-კითხვის საზოგადოებას და იმავდროულად დედისაგან დანარჩენ ქირმანის შალსაც მეტად ძვირფასს, სულ 15 მანეთად გაჰყიდდა. მოაგროვებდა ფულს და... ბათუმში ამოჰყოფდა თავს. იქ რა ჩაედინა, აკაკიმ აბა რა იცოდა, მაგრამ რომ დაბრუნდებოდა, აღარა ებადებოდა რა, და ერთ პატარა ჟაკო-მაიმუნსაც ჩამოიყვანდა მხარზე შესკუპებულს.

შვილი არ ეყვარებოდა ადამიანს ისე, როგორც სანდროს ის მაიმუნი უყვარდა. ერთხელ როგორღაც დაეკარგებოდა და... იმაზე უსაცოდავესი აღარავინ იქნებოდა ქვეყანაზე!!

მაშინ რედაქცია გოლოვინის პროსპექტზე ბინადრობდა, მუხრანსკის სახლში. ზედა სართულში სასტუმრო იქნებოდა. ერთხელ გიორგი ყარანგოზიშვილი გვიან დაბრუნდებოდა თავის ოთახში და, როდესაც ასანთს ვეღარ იპოვნიდა, გაიხდიდა და ჩაწვებოდა. ბნელაში ფეხზე ხელს მოუსვამდა ვიღაცა, გამოახელდა თვალებს და ჩამოჯდებოდა; მოინდომებდა ლოგინქვეშიდან ფოსტლების გამოღებას, მაგრამ ხელს რომ შეჰყოფდა, ვიღაცა ჩამოართმევდა... შეშინებული წამოვარდებოდა ტიტველა, მოავლებდა ხელს ხანჯალს და მიაყვირებდა მტერს:

— გამოდი მანდედან, თუ ვაჟკაცი ხარ! ნუ იმალები!

ბევრს უყვირებდა ხან რუსულად და ხანაც ქართულად და... ბოლოს ჟაკო-მაიმუნი გამოდგებოდა — ყაზბეგს რომ გაპარვოდა, იქ ასულიყო და დამალულიყო. მაიმუნს რომ იპოვნიდა, სანდროს გახარებას საზღვარი აღარ ექნებოდა!.. მაგრამ ბოლოსდაბოლოს იმისთანა გაჭირვებაში ჩავარდებოდა, რომ თავის საყვარელ ჟაკოს თუმნად გაყიდდა.

წარმოიდგინეთ, რა გასაჭირი უნდა დადგომოდა!..

როდესაც „დროება“ ივანე მაჩაბლის ხელში გადავიდოდა, ყაზბეგიც თან გაჰყვებოდა. ვანო კეთილად მიიღებდა — მიუჩენდა ცალკე ოთახს, საწოლს, საჭმელ-სასმელს, მაგრამ კიდევ უჩიოდა ხოლმე:

— საწოლიცა აქვს, ქვეშაგებიც, მაგრამ მაინც გაუხდელი იატაკზე წვება.

ამის ახსნა არამცთუ ივანე მაჩაბელს, აკაკი წერეთელსა თუ სხვა ქართველ მწერლებს, არც არავის შეეძლო მთელს მსოფლიოში, თორემ იმჟამად ეს ფსიქოლოგიური მეთოდი აღმოჩენილი რომ ყოფილიყო, ონორე დე ბალზაკსაც უშველიდნენ და ნიკოლაი გოგოლსაც — ერთსაც ადვილად განკურნავდნენ ამ სენისაგან და მეორესაც, და ცხადია ალექსანდრე ყაზბეგიც გადაურჩებოდა გაწამებულ ცხოვრებასა და ნაადრევ და უღვთო აღსასრულს.

ჯერ ისედაც არ აკლდა დამცირება და შეურაცხყოფა საზოგადოებისაგან, განუკურნებელ სენს კიდევ ცალკე რომ არ გაეტანჯა და გაესავათებინა.

და ვერაფრისდიდებით ვერა ჩერდებოდა ერთ ადგილას.

და ვერაფრისდიდებით ვერა ჰგუობდა საწოლს და უსათუოდ იატაკზე უნდა დაწოლილიყო.

„დროების“ დახურვის შემდეგ სადღაც გაიქცეოდა ტფილისიდან და აკაკის ისე დაამახსოვრდებოდა, რომ: მგონი კახეთში გადაიკარგებოდა.

მას შემდეგ კიდევ ერთხელ შეხვდებოდა, მაგრამ... მაშინ სანდრო სულ აღარ იქნებოდა ჭკუაზე.

და დაძრახავდა ჩვენს საზოგადოებას აკაკი: ცოტა პირშავად არის მასთანო, — და ეს იმიტომ, რომ:

როდესაც მისი ნაწერები ათასობით იყიდებოდა და მკითხველი, როგორც მწყურვალი წყაროს, ისე ეწაფებოდა მის თხზულებებს, ალექსანდრე ყაზბეგი სამხედრო ჰოსპიტალში იწყებოდა ავადმყოფი, დიდ გაჭირვებაში.

მისი გარდაცვალების შემდგომ კი შეინანებდა საზოგადოება, მის კუბოს მზესა და მთვარეს დაახლიდნენ, მაგრამ... მართლაც რაღა დროს?..

მერეა ის ფინალი სილუეტისა და ბირთვიც მომავალი ბიოგრაფიული რომანისა.

რა იყო მაინც, ესეც რა მისი დამწვარი ბედი უნდა ყოფილიყო, მისი სულის ამოხდომისას მთელი ტფილისისათვის სხვა რამ მნიშვნელოვანი რომ აღარაფერი იქნებოდა, გარდა... ვირის აფრენისა აეროსტატით.

ნიცშეს ზარატუსტრაზე უარეს დღეში ჩავარდებოდა „ელგუჯას" შემოქმედი:

იმის გამოჩენა და სიბრძნისმეტყველება და ახალი რჯულის ქადაგება ჯამბაზს მაინც უნდა გადაეფარა, ამის აღსასრული და... აეროსტატით ცას შეთამაშებულ ვირს უნდა შთაენთქა...

ხოლო შენანება საზოგადოებისა მწარედ ჩააფიქრებდა 'აკაკის რჩეულ პიროვნებათა ხვედრზეც და წუთისოფლის პარადოქსებზეც, და უეცრად თავისი აღსასრულიც რომ მოელანდებოდა, მწარედ გაეცინებოდა: არც ჩემს ნეშტს მოაკლდება საზოგადოების სინანული და თვითგვემა და ჰოი რა მზისა და მთვარის დახლა ატყდება ჩემს კუბოზეცო.

ისე დალხინებული არც მის ყოფას ეთქმოდა, მაგრამ მთლად ალექსანდრე ყაზბეგივითაც არ ეთრია ცხოვრებას, შეშლილობამდე მაინც არ მიეყვანა და მის ნაწერებზე მაინც არ დაეყარათ ჭორი და ცილისწამება: მაგისი კი არა, მისი ბიძაშვილისაო!.. რა — წერეთლებში კი არ გამოიძებნებოდა ისეთი რესპექტაბელური კაცი, ვისთვისაც უფრო გაემეტებოდათ ეს თხზულებანი, ვიდრე აკაკისათვის?!. ამას ხომ მაინც გადარჩენოდა.

თუმც ერთხელ შეეხუმრებოდნენ, მხოლოდ შეეხუმრებოდნენ და იქვეც გაიფანტებოდა ყოველგვარი გაუგებრობა, მაგრამ ესეც კი რა მწარედ ჩარჩებოდა გულში — ის წამიერი განწყობილება, სხვისი ლექსის მისაკუთრებას რომ „დააბრალებდნენ".

ერთ-ერთი ავადმყოფობის შემდეგ საჩხერეში დაბრუნებულს მისი მოგვარეები სადილს გაუმართავდნენ. სადილს დაესწრებოდა პოეტი გრიშა აბაშიძეც, ყველას — და მათ შორის შალვა დადიანის — თვალშიც საკვირველი ნიჭის პატრონი, მშვენიერი ორატორი და მახვილი ენის კაცი.

აკაკის სთხოვდნენ:

— რაიმე ლექსი წაგვიკითხეთ, ბატონო, დაგვატკბეთ თქვენი ლექსის მელოდიით.

ისიც აღარ ახვენწინებდათ და ამ ნიმუშს შეარჩევდა, ყველაზე უკეთ მისადაგებულს მისი იმჟამინდელი სულიერი ყოფისათვის: „როცა ვიყავ ახალგაზრდა", გაჟღენთილს ერთდროულად უზომო სევდითაც და დაუშრეტელი სილაღითაც.

როგორც ყოველთვის ხდებოდა, ლექსის ჩამთავრება და მსმენელთა აღფრთოვანება ერთი იქნებოდა. და როდის-როდის რომ მინელდებოდა საზეიმო განწყობილება და ერთგვარი ბუნებრივი სიჩუმე ჩამოვარდებოდა, წამოდგებოდა გრიშა აბაშიძე და განაცხადებდა:

— ძალიან უიღბლო კაცი ვარ. აი ეს ლექსი, ახლა ბატონმა აკაკიმ რომ წაიკითხა, ჩემია, მაგრამ ვინ დამიჯერებს, ხოლო დასამტკიცებლად ახლავე ზეპირად წაგიკითხავთ ამ ლექსს...

და... ჩამოჰყვებოდა და ჩამოჰყვებოდა თავით ბოლომდე შეუმცდარად, სიტყვა—სიტყვით ჩააბულბულებდა ამ მართლაც საუცხოო პოეტურ ნიმუშს.

ყველა გაშტერდებოდა და ვეღარა ეწამებინათ რა. გრიშა რომ პოეტი გახლდათ და არცთუ ურიგო, ყველას მოეხსენებოდა, და მთლად ამ სიმაღლეს თუ ვერ უწევდა, აკაკი სადაც წამომართულიყო, ხომ შეიძლებოდა ეს ერთი პოეტური ნიმუში მაინც განსაკუთრებული გამოსვლოდა?!.

შეიქნებოდა მეტად და მეტად უხერხული მდგომარეობა.

იდგებოდა გრიშა გაბუტული ბავშვივით, ძვირფასი სათამაშო რომ წაართვეს, და თვალებსაც ისე მიამიტურად აახამხამებდა, გეგონებოდა, ადამიანთა მზაკვრობა დაუჯერებია და ვერც დაუჯერებიაო.

ყველას ეწყინებოდა და ერთმანეთს თვალებით ჰკითხავდნენ:

— ეს რა უკადრია ჩვენს დიდებულ პოეტს?!. რაში დასჭირდა გრიშასათვის ლექსი მოეპარა, განა თვითონ ვერ დაწერდა არანაკლებსა და უკეთესსაც?!.

იდგებოდნენ ასე გაოგნებულები და გათანგულები.

თქვენ აკაკის გაოგნება და გათანგვა უნდა გენახათ, ეგონა, ენას ვერც ვეღარასოდეს ამოვიდგამო. მისი იუმორისა და გონებამახვილობის კაცსაც ვერა მოეხერხებინა, რათა ეს მძიმე წუთი როგორმე გაექარწყლებინა.

ახსოვდა, ჯერ მეხსიერება არა ღალატობდა, რომ მისი ლექსი იყო, გრიშას მსგავსი სტრიქონებიც არ მოეძევებოდა, შთამაგონებელი და ბიძგის მიმცემი რომ გამხდარიყო აკაკისათვის, თორემ იმისი ლექსის მითვისება რა სათქმელია...

მაგრამ აგერ პირზე ადგებოდა ეს პატიოსნებით ცნობილი კაცი.

და ფრიად მტკიცე საბუთიც ეპყრა, ვერავინ რომ ვერ შეედავებოდა — სიტყვა-სიტყვით ზეპირად წარმოთქვამდა და... მაშ როგორ და რანაირად, თუკი მისი არ გახლდათ?..

წუთი თვეს კი აღარც, წელიწადსა და საუკუნეებსაც გაუგივდებოდა.

აკაკის თითქოს უროს ურახუნებდნენ თავში და ყურებიც ისე აუჟღრიალდებოდა...

ისევ გრიშას უნდა ეხსნა აკაკიც და სუფრის წევრებიც უხერხულობისა და გაოგნებისაგან, ღიმილით გადახსნოდა ბაგე და არტისტულად წარმოეთქვა:

— ნუ წუხდებით, ბატონო! ეს ჩემი უბედური ნიჭის ბრალია. ასეთი საკვირველი მახსოვრობა მაქვს, აკაკი რომ ამ თავის შედევრს გადმოგვცემდა, მე თვითეულ მის სიტყვას ვიხსომებდი და ის იყო, შემდეგ ზეპირად გადმოგეცით, თორემ ლექსი, რასაკვირველია, აკაკისაა და მე აქ არაფერ შუაში ვარ.

ჰოი რა შვებისა იქნებოდა ის ხარხარი და კისკისი!..

აკაკი მოიხმობდა გრიშას, გადაეხვეოდა და ეტყოდა:

— უბედური ნიჭი კი არა, ბედნიერი ნიჭი გქონია, ოღონდ...

შეყოვნდებოდა, შეაცქერდებოდა თან ხალისითა და თან საყვედურითაც:

— ოღონდ სხვასთან ეგ აღარ ჩაიდინო, თორემ მე არაფერი და სხვას კი გააუბედურებ!..

ხუმრობაში გაატარებდა, მაგრამ ნაწყენობასაც ვერ დაფარავდა, როდესაც აფრთხილებდა: ეს პირველიც იყოს და უკანასკნელიცო...

ამ დროს უნდა წამომდგარიყო ბიჭიკო წერეთელი, განთქმული თავისი ხუმრობით, და აკაკისათვის მოეხსენებინა:

— ეგ დარიგება მაგაზე არ გაჭრის, ბატონო აკაკი, დაუნდობელი აბაშიძეა, შენც კი არ დაგზოგა და სხვას რას უზამს. აბაშიძეები ხომ მუდამ წერეთლების მტრები იყვნენ. აგერ მე პოემა მაქვს დაწერილი ჩვენს ციხე მოდინახეზე და... გრიშას ხომ არ წავუკითხავ და არა, მაგრამ მომიტევეთ და, არც თქვენ, ბატონო აკაკი, რადგან პოეტები უცნაური ხალხი ხართ, წამართმევთ და გამაუბედურებთ.

ეს სიტყვები კიდევ უფრო მეტ სიცილს გამოიწვევდა, რაკიღა ყველამ იცოდა, ბიჭიკო წერეთელი პოემისა კი არა, ერთი სტრიქონის დამწერიც არ იყო.

თვითონ აკაკი ცოტა სხვაგვარად გაიხსენებდა სხვებისათვის დიდად სახალისო, მისთვის კი არცთუ სასიამოვნო ამ ეპიზოდს ერთიბეწო მოგონებაში „საოცარი ხსოვნა-მეხსიერება“, „თემის“ 1911 წლის 21 თებერვლის ნომერში რომ დაიბეჭდებოდა, გამოხმაურებად „ზაკავკაზიეს“ 290-ე ნომერში გამოქვეყნებული სტატიისა, რომელშიც გრიშა აბაშიძე ნიჭიერ პოეტად იხსენიებოდა.

მაგრამ კრინტი არ ყოფილა დაძრული მის იშვიათ მეხსიერებაზე, და აკაკის გულს რომ დააკლდებოდა, კიდეც მოადევნებდა იმ ამბავს:

ერთხელ ერთ ოჯახში თავმოყრილი ყმაწვილები რომ სთხოვდნენ მგოსანს: ახალი ლექსი წაგვიკითხეო. და აკაკიც თხოვნას რომ შეუსრულებდათ და წაუკითხავდათ ახალთახალ ლექსს, მისდა მოულოდნელად ყმაწვილები სიცილს ასტეხდნენ:

— კარგია, მაგრამ ეგ ხომ გრიშასია!..

მგოსანი დაუწყებდათ მტკიცებას:

— შემცდარნი ხართ, ნამდვილად ჩემია.

ამ დროს შემოვიდოდა გრიშაც.

ერთ-ერთი ყმაწვილი მას მიმართავდა:

— გრიშა! გუშინ რომ ლექსი წაგვიკითხე, თან ხომ არა გაქვს?

— არა, მაგრამ ზეპირად ვიცი.

და კიდეც ჩამოარაკრაკებდა ზეპირად იმ ლექსს, აკაკი რომ ირწმუნებოდა, ჩემიაო. და ახლა გაშტერდებოდა... და აღარ იცოდა, რა ეფიქრა.

და ისევ გრიშა დაამშვიდებდა და გამოიყვანდა უხერხულობიდან.

თურმე ეს რომ ლექსს კითხულობდა, გრიშა კარზე ყოფილიყო წამოყურებული და... ერთი ყურის მოკვრით ისე დაისწავლიდა იმ მრავალტაეპიან ლირიკულ ნიმუშს, რომ სიტყვა-სიტყვით გაიმეორებდა.

პეტერბურგში ყოფნისას აკაკი მოისურვებდა გრიშა აბაშიძის საფლავის ნახვას, შეწუხებული, რომ ქართველი პოეტი არ განისვენებდა თავის სამშობლოში. კოკი აბაშიძე მგოსნის ამ სურვილს იმით ახსნიდა: ალბათ უნდოდა ქართველი საზოგადოებისათვის გაეხსენებინა მისი ვალი პოეტის წინაშე და თან პატივი მიეგო თავისი მეგობრისა და ნათესავისთვისო.

ვოლკოვის სასაფლაოზე ეს სამარე მეტად უბრალო რკინის მოაჯირით შემოღობილიყო, ვიღაცას უშნო ხელით რომ მიეჩხაპნა: ფეხშიშველა ქართველიო. აკაკი საშინლად შეწუხდებოდა და აღელვებული მოუბრუნდებოდა თანამგზავრთ:

— თქვენი მოვალეობაა, რაც შეიძლება მალე დაუბრუნდეს სამშობლო მიწას პოეტის ნეშტი.

ამის თაობაზე დაელაპარაკებოდა მაშინდელ სტუდენტთა სათვისტომოს მესვეურთაც: პეტრე ქავთარაძესა და სხვებს, როგორც უფრო გამოცდილთ.

ოღონდ სხვასთან ეგ აღარ ჩაიდინო, თორემ მე არაფერი და სხვას კი გააუბედურებო...

თითქოს სრულიად ჩაიფარცხებოდა ის შეცბუნება და გულისწუხილი, მაგრამ ის განცდა ხანდახან ისე შეახსენებდა ხოლმე თავს აკაკის... გრიშა აბაშიძეს ეს რომ გაეთვალისწინებინა, მოერიდებოდა ამგვარ შეხუმრებას თვით იუმორის ასეთი უშრეტი უნარით დაჯილდოებულ კაცთან... თუმც იმ მხრივ მაინც აღმოჩნდებოდა დასაფიქრებელი აკაკისათვის, ბოლომდე შეეგრძნო, თუ რა დღეში ჩავარდებოდა ალექსანდრე ყაზბეგი, როდესაც მის ყურსაც მიწვდებოდა ავისმოსურნეთა მიერ დაყრილი ჭორი... მიმონწყდომა მაშინ გენახათ მისი; შეშლილობას აღარაფერი მიკლიაო, — ამასაც რომ გაიფიქრებდა და ვეღარ გაეგო, როდემდე უნდა გაგრძელებულიყო მისი უღვთო გვემა ცხოვრებისაგან.

და თითქოს მისი აჩრდილიც ივედრებოდა: დამიხსენით ამ უგვანი ჭირისა და ცილისწამებისაგანო!..

ვის-ვის და აკაკის კი ჩაესმოდა ეს ვედრება და ამიტომაცაა, სადაც ხმა მიუწვდებოდა, ყველგან იმეორებდა: მე თვითონა ვარ შემსწრე, როგორ წერდაო!.. და იმ სურათს ამ ახირებულად შესანიშნავი კაცისა საგანგებოდ ჩაურთავდა ასეთი ლაკონიზმით შედგენილ პორტრეტულ მონახაზში, ოთახიდან ჯერ თუთუნის კვამლი რომ გამოიჭრებოდა და მერეღა, როდის-როდის გამოიკვეთებოდა სანდროს სახება, ქვეშაგებში პერანგალა და საბანწამოხურული გაცხარებული რომ წერდა და... სტუმარს უკმაყოფილო მიაჩერდებოდა: ნეტა ვინ არის და რა უნდა, ახლა ამის გაწყვეტა იქნებოდაო?!.

ვასილ ბარნოვისადმი მიძღვნილ ბიოგრაფიულ რომანში ოთარ ჩხეიძე ალექსანდრე ყაზბეგსაც რომ წარმოსახავდა, ისე სისხლსავსედ, თითქოსდა აჰა, თვალდათვალ შეჰყურებო, ამისათვის დიდძალი მოგონების გადაკითხვა მოუწევდა, მაგრამ უპირველესად მაინც აკაკისეულ სილუეტს წაიმძღვარებდა მეგზურად „მოძღვარის“ შემოქმედის სულის ლაბირინთებში შესაღწევად.

ვინ აღარ გამოჩნდებოდა ამ რომანის ფურცლებზე, რომელი ისტორიული პერსონაჟიც განებავთ: გრიგოლ ორბელიანი თუ პლატონ იოსელიანი, ალექსანდრე ორბელიანი თუ ირაკლი ბატონიშვილი, ილია ჭავჭავაძე თუ გიორგი მუხრან-ბატონი, თედო სახოკია თუ შიო არაგვისპირელი, გიორგი ლეონიძე თუ სიმონ ჩიქოვანი... მაგრამ ასე დასრულებულად — არცერთი, და ისეთი შთაბეჭდილებაც შეიძლება დაგრჩეს: რომანია რომანშიო.

სულ რამდენიმე გვერდი მანძილზე მოქმედებს ალექსანდრე ყაზბეგი?

რამდენიმე გვერდიც კმარა ამგვარი შეფასებისათვის, იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებისა“ არ იყოს, რომანად რომ მოიხსენიებენ, არავინ იწყებს ფურცლების დათვლასა და რომანად სახელდებული ჟანრის მოცულობასთან შედარება-შეფარდებას.

და გათვითცნობიერებულ მკითხველს არც ამჯერად უნდა მოუნდეს ფურცლების თვლა, ალექსანდრე ყაზბეგის სახება რომ შემოანათებს ვასილ ბარნოვის ცხოვრების ქრონიკიდან... და კიდეც ძალდაუტანებლად გასდებს ხიდს ოთარ ჩხეიძის ამ ბიოგრაფიულ რომანსა და „ჩემ თავგადასავალს“ შორის ჯერ მარტო ამ კუთხით, იქაც რომ თავისუფლად შეიძლება ვიმსჯელოთ ამ ჟანრობრივ თავისებურებაზე, თანადროული ტერმინები მოვარგოთ ამ დიდებულ ავტობიოგრაფიულ თხზულებას: რომანში რომანებია ჩამორიგებულიო!..

ეჰ, კიდევ რამდენი რომანი უნდა შეგვხვედროდა მის ფურცლებზე!..

და გული გწყდება იაკობ გოგებაშვილის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური სილუეტის არარსებობაზე, კიდევ ერთი შედევრი რომ უნდა ჩარჩენილიყო აკაკის გონებაში და სამარეში ჩაეტანა, თუმც... ვარაუდით კი შეგვიძლია ვივარაუდოთ, რა იქნებოდა მშვენება ამ სილუეტისა — პასაჟად ჩართული ის ამბავი, სამსონ ფირცხალავა რომ შემოგვინახავდა, ეგაა მკაფიოდ ვერც გაერჩია, მართლა შესწრებოდა აკაკი იმ სურათს თუ მისი ფანტაზია ქმნიდა ამ ანეკდოტისდაგვარ შემთხვევას.

აი ის ეპიზოდი, იაკობ გოგებაშვილი დაღმართზე რომ ჩამოდის და... რაღაც ახირებულად, ხან მარჯვნივ გადახტება და ხანაც მარცხნივ, თითქოს ცეკვავსო...

ეს... რა ხდებოდა?

თურმე ტროტუარი მოერწყოთ და ეშინოდა, ვაითუ დასველებულ ადგილას ჩავდგა ფეხი და გავცივდეო. და როდესაც ადამიანი იმჟამად განუკურნებელი სნეულებით — ჭლექით — არის შეპყრობილი და ყოველი გაციება სიკვდილის კართან აახლოებს, ერთადერთ მშველელად კი სიფრთხილე და მხოლოდ სიფრთხილე ეგულება, საკუთარ ჯანმრთელობას ასე რომ დაჰკანკალებდეს, რა გასაკვირია, თუნდ კომიკური იერითაც წარმოდგებოდეს, მის მიღმა ტრაგიზმი რომ გამოსჭვივის...

მთავარი და უმთავრესი მაინც ისაა, რომ იაკობი გრძნობს, მხოლოდ გრძნობს კი არა, თვალნათლივაც ხედავს, თუ რამხელა მისია დაჰკისრებია განგებისაგან — სკოლის გაქართულება საამისოდ ყოვლად მძიმე და დრამატულ, ლამის სასოწარმკვეთ რეალობაში. და თავს თუ არ გაუფრთხილდება, ამ მისიის შემსრულებელი სხვა არც არავინაა — ყველას თავთავისი მისია და მოვალეობა დაჰკისრებია, ისედაც უამრავი საქმისათვის შემოუხვევიათ ხელი და სკოლას ვეღარ გაწვდებიან... ვეღარ გაწვდებიან და... გარუსებული თაობა შერჩებათ ხელში და საქართველოს აღსასრულიც მოახლოვდება...

ამიტომაც წარმოდგება დაღმართზე ჩამოსვლის ის სურათი სიმბოლურად და განზოგადებულად, მძაფრი შინაგანი დრამატიზმი აკაკისეულმა შეღიმილებამ რომ უნდა გაანათოს.

დასანანია, ამ მრავლისმეტყველ სურათს გარშემო რომ არ შემოწყობია საგულისხმო დეტალები, შტრიხები, კიდევ სხვა სურათები თუ ეპიზოდები?

მაგრამ ბირთვი ხომ მაინც გვაქვს ხელთ, თუნდ სხვის მიერ ჩანიშნული, მაგრამ მიგნებით აკაკის მიგნებული, და ბიოგრაფიული რომანისათვის მზამზარეულად გადმოგვცემია და ეგაა: ფორმაც, კომპოზიციური აღნაგობაც, სულისკვეთებაც, ინტონაციაც და რიტმიკაც.

თავი IV

ტრაგედია დეტექტივად

მაგრამ ბირთვი ხომ მაინც გვაქვს ხელთო...

და გული გწყდება ივანე მაჩაბლის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური სილუეტის არარსებობაზეც, თუმც... ვარაუდით ამჯერადაც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რა იქნებოდა მშვენება ამ სილუეტისა — ამ დიდებული მოღვაწის ტრაგიკული და აუხსნელი, უცნაური და დაუჯერებელი აღსასრული.

„ჩემი თავგადასავლის“ ტექსტს 1925 წლის გამოცემაში დაერთვოდა ორი სტატიაც: „თავ. ივანე მაჩაბლის შესახებ“ და „მე და ჩემი პენცია“, მაგრამ 15-ტომეულის გამომცემელნი უკვე აღარ გაიზიარებდნენ ამ დამოკიდებულებას იმ მოსაზრებით: ეს სტატიები ავტობიოგრაფიული რომანის ორგანულ ნაწილს არ შეიცავენო, — და ამიტომაც ორივე წერილს მოათავსებდნენ იმ ტომებში, აკაკი წერეთლის პუბლიცისტიკა სადაც მოიყრიდა თავს.

ამგვარ დამოკიდებულებას თავისი ლოგიკა აქვს, განა არა, მაგრამ არსებობს ერთი გარემოება, რომლის გაუთვალისწინებლობაც არაფრისდიდებით არ ეგების.

აკაკის სტილის თავისებურება ისიცაა, რომ გარდა „წმინდა“ სახის პუბლიცისტიკისა, იმ ყაიდის სტატიებიც ბლომად მოეპოვება, რომლებშიც რამდენიმე ჟანრია გაერთიანებული და ისეთი ხელოვნებით, მკაფიოდ ვეღარც გაგირჩევია, თუ სად მთავრდება პუბლიცისტიკა და სად იწყება მოგონება, სად მთავრდება მოგონება და სად იწყება ნოველა... ეს ჟანრული სიჭრელე უფრო მეოცე საუკუნის მწერლობისათვის არის ნიშანდობლივი, „წმინდა“ სახით რომ მოიშლებოდა ჟანრები და რომანებშიც ლამის ვეღარ დაგედგინა მიჯნები თუნდ თხრობით და ესეისტურ ნაკადებს შორის, სხვაგვარ აღრევაზე რომ აღარაფერი ითქვას. თუმც სიჭრელეც და აღრევაც ნაკლად კი არ წარმოდგებოდა, ეკლექტიზმის გამოვლინებად, არამედ — სინთეზის ხელოვნებად და შინაგანი ჰარმონიის ნათელყოფად.

და ამ სტილურ თავისებურებას, ამ არსებითად ახალ ესთეტიკას ვინ ძალდატანებით გაიზიარებდა, რაკიღა ახალი დროის ზოგად ნიშნად ცნობდა, და ვისთვის სავსებით ბუნებრივი იქნებოდა — ეს მოდადქცეული საერთო ნიშანი რომ არა, ისედაც ამგვარ სტრუქტურას რომ ამჯობინებდნენ, როგორც მათი ლიტერატურული სწრაფვისათვის ყველაზე შესაფერისს.

აკაკის რანგის ხელოვანს, რა გასაკვირია, ამჯერადაც გაესწრო დროისათვის და უფრო მომავლისათვის ნიშანდობლივი ზოგადსტილური მეთოდი მოემარჯვებინა.

ამიტომ ამ შემთხვევაშიც:

ის, რასაც პუბლიცისტიკის რუბრიკის ქვეშ მოათავსებდნენ მკვლევარ-გამომცემელნი, ავტობიოგრაფიული რომანის გვერდით უფრო შესაფერისად გამოჩნდებოდა — ძალდაუტანებლად რომ შეავსებდა მოგონებათა გალასა თუ ფარღულს. და განა მარტოდენ ეს ორი ნიმუში — არაერთი ამოიკრიბება აკაკის ნაწერთაგან ამგვარი „ჭრელი“ ჟანრის თხზულება, „ჩემ თავგადასავალს“ რომ შეავსებს, და თუ დამატებად დავურთავთ, შეავსებენ ისე, რომ უიმათოდ ამ მემუარულ ნაწარმოებს ვეღარც წარმოვიდგენთ.

ეს სტატიები ავტობიოგრაფიული რომანის ორგანულ ნაწილს არ შეიცავენო...

არადა სწორედაც ორგანულად მოერგებოდნენ — რა აუცილებელია, იმავე კომპოზიციურ ჩარჩოში მოქცეულიყვნენ: დიახ, ერთგვარი დამატების სახით დაერთვოდნენ, დამატების, აკაკის მემუარების სრულუფლებიან ნაწილად რომ წარმოდგებოდნენ ავტობიოგრაფიულ რომანთან ერთად.

სრული და შთამბეჭდავი პანორამა მაშინ გვენახა თუ გვენახა.

ამასთან: ვრცელი კომენტარები თუ ექსკურსებიც დაგვჭირდებოდა და დიდადაც წაგვადგებოდა, მის თუ სხვათა ეპისტოლეებსაც რომ მოვიშველიებდით და შესაფერის პასუებსაც სხვების მემუარებიდან.

თუ გამოცემაა, გამოცემა იყოს: რასაც თვითონ ბოლომდე ვერ მიიყვანდა, მასზევე დაყრდნობით შეიესოს; რაც თვითონ დაეფანტებოდა, ასევე დაფანტულად ნუღა გვექნება და ერთმანეთს გადავაბათ, მითუმეტეს, რომ საამისოდ დიდი რამ ჯაფა არ დაგვჭირდება — პუბლიცისტურ სტატიებად სახელდებული ის ნიმუშები, სინამდვილეში კი სტატია-მოგონება-ნოველები თავისთავად მოერგებიან და გააგრძელებენ ერთმანეთსაც და „ჩემი თავგადასავლის“ შემავსებლადაც გამოიკვეთებიან.

პირველი და მეორე ნაწილი ავტობიოგრაფიული რომანისა ხომ ისედაც განსხვავდებოდა სტილური მანერით — გაბმული თხრობა შეიცვლებოდა ნანახისა და გაგონილის პატარ-პატარა მედალიონებით — სილუეტებითა და ამბებით. და დამატებითი ნაწილიც — ბარემ მესამე და სამართალი! — ამავე სტილისტიკას გააგრძელებდა.

თან ერთიანი ავტობიოგრაფიული რომანი იქნება — პირობითად.

თან არცა — რაკიღა თვითონ ასე არ განესაზღვრა და ცოტა სხვაგვარად აპირებდა ავტობიოგრაფიული ტომების ჩამომწკრივებას.

ისე რა გასაკვირია ეს უცნაურობა, „ჩემი თავგადასავლის“ ის გამოცემა თან რომ იყო ავტობიოგრაფიული რომანი და თან — არცა.

ცოლი ჰყავდა და... არა ჰყავდა.

შვილი ჰყავდა და... არა ჰყავდა.

პენსია ჰქონდა და... არა ჰქონდა.

და ბარემ ავტობიოგრაფიული რომანიც ამავე რიგში ვიგულისხმოთ: თან რომ არის და თან არც არის. და კიდეც ვიგრძნოთ, როგორ შემოგვღიმის მისი აჩრდილი.

ავტობიოგრაფიული რომანის გვერდით უფრო შესაფერისად გამოჩნდებოდაო...

და ეს მოგონება, ასე სახელდახელოდ შედგენილი, იმას გამოეწვია, რომ ადგილობრივი გაზეთები ივანე მაჩაბლის გაუჩინარებაზე სხვადასხვა ცნობას იძლეოდნენ და... სიმართლე ხომ უნდა აღედგინა ვინმეს? ბოლოსდაბოლოს ნაცნობ-მეგობრებიდან უკანასკნელად მას ენახა და იმ ღამით სულაც მის ბინაში იმყოფებოდა ღამის გასათევად.

იქ რა უნდოდა და:

იმერეთიდან რომ ჩამოვიდოდა და მოინახულებდა ვანოს, ის კარგ გუნებაზე დახვდებოდა და მიახარებდა:

— ახლა კი იმედია, რომ სრულიად გამოვმრთელდე. ტკივილებს აღარ ვგრძნობ. თავისუფლად დავდივარ და კიდეც ვმუშაობ. შვილები საზაფხულოდ საჩხერეში გავისტუმრე და მე თვითონ ერთი თვით ან თვენახევრით აბასთუმანს ვაპირებ წასვლას და სახლის დასაქირავებლად გუშინ მე კიდეც გავგზავნე. ერთი სიტყვით, ახლა შიში აღარაფრისა მაქვს.

ცოლი კიდეც უსაყვედურებდა:

— ერთავად ნუ მიეძალები საქმეს, ბევრს ნუ წერ და მუშაობ.

უკანასკნელად ხუთშაბათს, 25 ივნისს, საღამოს 5-6 საათზე ასეთ ძალიან კარგ გუნებაზე დაუხვდებოდა და შესთავაზებდა ნარდის თამაშს, ოღონდ რადგანაც სტუმარი სუსტად გრძნობდა თავს, ერთი ხელის მეტს არ ითამაშებდნენ. შეწყვეტდნენ და დაიწყებდნენ ჩვეულებრივ ლაპარაკს.

მასპინძელი დიდხანს ილაპარაკებდა როგორც გორის მაზრის სინდიკატის შესახებ, ისე თავისი საქმეებისა და ორივესი კმაყოფილი იქნებოდა. და მხოლოდ თავის თავს ესაყვედურებოდა: ვაითუ ისეთი ენერგიით ვეღარ შევძლო შრომა, როგორადაც ბანკში ვშრომობდიო.

საზოგადოდ მომავალს იმედით შეჰყურებდა.

იმ საღამოსვე ესტუმრებოდნენ ვიღაცები სინდიკატის საქმის შესახებ, მოელაპარაკებოდა იმათაც და ისევ გამოვიდოდა სტუმარსა და მეუღლესთან.

ჯერ კიდევ ათი საათი არ იქნებოდა, აკაკი შინ წასვლას რომ დააპირებდა, მაგრამ მასპინძელი შეეხვეწებოდა: დარჩიო.

აკაკი წავიდოდა სასტუმრო ოთახში დასაძინებლად.

ვანო მაშინვე ვახშმად დავჯდებოდა ცოლთან.

11 საათზე ისიც დაწვებოდა.

კნეინა ხელსაქმეს შეჰყვებოდა, ორ საათზე დახედავდა ქმარს და გულისძილში ნახავდა.

4 საათი იქნებოდა სწორედ, რომ აკაკის ძილში რაღაც ხმაურობა და ცუდი სიზმრები გამოაღვიძებდა. რომ წამოდგებოდა, იგრძნობდა, გულისძგერა რომ ავარდნოდა.

ჯერ დააპირებდა მაჩაბელთან შესვლას, მაგრამ რადგანაც მალე გადაუვლიდა გაძლიერებული გულისძგერა, დარჩებოდა თავის ოთახშივე და ექვსის ნახევრამდე აღარ დაიძინებდა.

ამ ხნის განმავლობაში რომ ხმაურობა ყოფილიყო, ან ფეხის ხმა, ან ლაპარაკი, არ გამოეპარებოდა.

8 საათზე რომ გამოეღვიძებოდა, თავისი ოთახის განის კარი დაღებული დაუხვდებოდა, 6 საათამდე მოხურული რომ იყო.

იფიქრებდა: მაჩაბელი ამდგარაო.

და ეს იმიტომ, რომ: მხოლოდ ან იმის ოთახიდან გამოსულ კაცს შეეძლო გაეღო და ან კიბეზე გარედან შემოსულს, თუ ქუჩის კარი, რასაკვირველია, ღია იქნებოდა დარჩენილი.

ეს ისე, სხვათა შორის ითქმის, თორემ ქუჩიდან შემომავალ კარს დაუკეტავს ვინ დატოვებდა, ასე რომ, „ან-ან“ გამორიცხულია — კარი მაჩაბელს გამოეღო და ეგაა.

აკაკი შევიდოდა ზალაში, სადაც მასპინძელი დაეტოვებინა დაწოლილი, მაგრამ... იგი აღარსად იქნებოდა, ქვეშაგები კი მინგრეულ-მონგრეული დახვდებოდა.

რა უნდა ეფიქრა?

ალბათ პირის დასაბანად გავიდაო, — ჩამოჯდებოდა და დაელოდებოდა.

რამდენიმე წამის შემდეგ კნეინას ხმა მოესმოდა:

— ჩაი მზად არის, ვანო, შემოდი!

მერე თვითონაც მოდგებოდა და სტუმარს ჰკითხავდა:

— ვანო სად არის?

ამან აბა რა იცოდა:

— მე არ დამხვედრია, ალბათ მანდ არის, პირს იბანს.

დიასახლისი გაბრუნდებოდა და... ისევ შემოვიდოდა. აღშფოთებული დახედავდა ქვეშაგებს და... კიდევ უფრო შეშფოთდებოდა:

— იმას ჩვეულებად აქვს, ადგება თუ არა, ქვეშაგებს თვითონ გაასწორებს, და ახლა კი ასე მინგრეულ-მონგრეულია.

აკაკი მის დამშვიდებას შეეცდებოდა:

— რა ვუყოთ, სადმე წავიდოდა საქმისათვის და მოვა.

დიასახლისი მაინც გულს ვერ დაიმშვიდებდა, დაიწყებდა ძებნას და მაგიდაზე დატოვებულს რომ ნახავდა საათს, ძეწკვსა და პერანგის ოქროს ღილებს, მაშინ თითქმის შეიცხადებდა. იმავდროულად „გოროდოვოის“ დაუძახებდნენ და ის ეტყოდათ:

— ოთხი საათი არ იქნებოდა ჯერ, კნიაზმა გაჩქარებით გვერდი აგვიარა, ჩვენ ქუდი მოვუხადეთ და მე შევეკითხე: ასე ადრე სად მიბრძანდებით, თქვენო ბრწყინვალებავ-მეთქი, მაგრამ მან მხოლოდ თავი დაგვიკრა, ხმა არ გაგვცა და ჩაგვიარა გვერდით პირდაპირ გოლოვინსკის პროსპექტისაკენ.

თავის მხრივ რას დასძენდა აკაკი ამ სიტყვებს?

თუ ეს მართალიაო, ალბათ ხელახლა მობრუნებულა ისევ და შესაძლებელია ჩემი ოთახის კარი მას გაეღო და ხელმეორედ ისევ წასულიყოსო.

უცნაურობას ჰყვებოდა?

თვითონაც გრძნობდა, მაინცდამაინც რიგზე ვერ ლაგდებოდა მსჯელობა და ერთბაშად მოსხლეტდა და მოათავებდა:

ყოველ შემთხვევაში წინა დღეს იგი სრულ ჭკუაზე იყო. მეტად მხიარული და დამშვიდებული, ისე რომ თავზე ხელაღებული იმ მდგომარეობაში ყოველ ამას ვერასგზით ვერ მოახერხებდა.

როგორი დასაწყისია დეტექტიური მოთხრობისა თუ სულაც რომანისათვის?

აღტაცებულნი დარჩებოდნენ მისი გაცნობით ედგარ ალან პოცა და არტურ კონან დოილიც, აგატა კრისტიცა და ჟორჟ სიმენონიც: ვიღაცაა, ჩვენზე ნაკლები არ არის, თუ მეტი არაო.

და მართლაც ხელშესახებად გრძნობ, ამ ჟანრშიც რა წარმატებას მიაღწევდა აკაკი, დეტექტიური ლიტერატურითაც რომ დაინტერესებულიყო.

ვთქვათ და, ილია ჭავჭავაძის ჟანრი არ იქნებოდა და არა დეტექტივი, არც ვასილ ბარნოვისა თუ კონსტანტინე გამსახურდიასი, ალექსანდრე ყაზბეგი მოსინჯავდა „მოძღვარით“ და საგულისხმო აღმოჩნდებოდა მისი ეს მცდელობა ამ ჟანრში, და სხვათა შორის მიხეილ ჯავახიშვილსაც გაუმართლებდა, თავის ნებაზე დაიურვებდა დეტექტივსაც, თუკი ხელს მოჰკიდებდა.

ამ ჟანრშიც რა წარმატებას მიაღწევდაო...

მისი გონებამახვილობა და პარადოქსებისაგან სწრაფვა, მოულოდნელი სიუჟეტური სვლები და ფსიქოლოგიური ხელოვნება აქაც ძალდაუტანებლად გაშლიდა ფრთას და კიდეც მარჯვედ დახლართავდა თხრობას და კიდეც ეფექტურად გახსნიდა კვანძს.

ზედმეტი ხომ არ არის ამგვარი მსჯელობა?

სხვა შემთხვევაში შესაძლოა კიდეც არიდებოდი აკაკის დეტექტიურ უნარზე სიტყვის ჩამოგდებას, მაგრამ სტატია თუ მოგონება თუ ნოველის დასაწყისი „თავ. ივანე მაჩაბლის შესახებ“ ისე მიესადაგება ამ ჟანრს, გენანება, საამისო თხზულებაც რომ არ დაუტოვებია — სამაგალითო და გზისგამკვალავ ნიმუშად, მიხეილ ჯავახიშვილიც აუცილებლად რომ ჩაუდგებოდა კვალში, და კიდევ...

არადა უფრო დაძაბული და დრამატული ვითარება რაღა გვინდა, უფრო დამაინტრიგებელი და საიდუმლოებითმოცული — ბინაში იმყოფება სამი ადამიანი: ცოლ-ქმარი და ოჯახის მეგობარი... და მათგან ერთი, ოჯახის უფროსი და მასპინძელი, უგზოუკვლოდ ქრება. თანაც ეს გარემოებაც არ გამოგვრჩეს — ქმარიც და ოჯახის მეგობარიც გამორჩეული პიროვნებანი არიან, დიდ ზეგავლენას რომ ახდენენ საზოგადოებრივ ცნობიერებასა და ცხოვრებაზე თავიანთი მოღვაწეობის საერთო გეზითა და უმნიშვნელოვანეს ეროვნულ საქმეთა აღსრულებით, ერთი პოეზიაში რომ მიაღწევდა განსაკუთრებულ სიმაღლეს და მეორე — თარგმანის ხელოვნებაში. და ქალიც ცნობილი ფიგურაა — და არამარტო ივანე მაჩაბლის მეუღლეობით: იშვიათი სილამაზითაც და საზოგადო საქმიანობაში მონაწილეობითაც.

მოსალოდნელია, რომ გაოგნდებოდა და დაიზაფრებოდა საზოგადოება ამ ამბით, ანკი უფრო შოკისმომგვრელი რა შეიძლება მომხდარიყო?!.

ეს მემუარული ჩანაწერი „ცნობის ფურცლის“ 1898 წლის ივნისის ნომერში რომ დაიბეჭდებოდა, იქვე დაერთვოდა ვრცელი ინფორმაცია ამ იდუმალებაში გახვეულ ამბავთან დაკავშირებით:

უკვე მეხუთე დღე იყო, დაკარგული ივანე მაჩაბელი რომ ვერ ეპოვნათ, თუმც ყოველგვარ ღონეს ხმარობდნენ, პოლიცია და ჟანდარმერია დაეძებდა თვითონ ქალაქში და მიმოწერაც ჰქონდათ ყველა სხვა ქალაქთანაც. მათ ეხმარებოდნენ ნათესავები და მეგობრები დაკარგულისა. მენავენი და ცხენოსნები მტკვარში და მტკვრის პირას დაეძებდნენ.

შინაც ეძიებდნენ რაიმე ნიშანს, ბარათს, მაგრამ ჯერ ვერა ეპოვნათ რა.

თავადი გამოსულიყო შინიდან პარასკევს, დილის 4 საათამდე — ეს ნამდვილი და გამორკვეული გახლდათ, ამის მეტი კი, რასაც ლაპარაკობდნენ, ძნელად დასაჯერებელი და უსაფუძვლო.

ვითომ იყვნენ მისი მნახველნი პარასკევს, ნაშუადღევის 2 საათამდის, მაგრამ ვერცერთი მათგანი ვერ ამბობდა ამას დარწმუნებით.

ორი ამტკიცებდა: ვნახეთო. ერთს თითქოს ლორის-მელიქოვის ქუჩაზე — 2 საათზე, მეორეს კი პუშკინის ბაღთან, ერევნის მოედანზე — 11 საათზე დილით, მაგრამ როდესაც ჰკითხავდნენ: რა ტანისამოსი ეცვაო? — აღწერით ვერ აღწერდნენ.

კიდევ სხვანიც რომ ირწმუნებოდნენ: ვნახეთო?

თუმც ადვილი შესაძლებელია, ენახათ წინა დღეებში ანდა თვალი მოეკრათ მისი მსგავსი კაცისათვის, ყოველ შემთხვევაში ისეთი არავინ მოიძებნებოდა, რომელიც დალაპარა-

კებოდა დაკარგვის დღეს და ამის გამო იყო დაუჯერებელი იმ ბევრისაგან თითქოსდა მისი ნახვა. ძნელი წარმოსადგენი გახლდათ, რომ ისეთი ცნობილი კაცი, როგორიც თავადი მაჩაბელია, შუადღის 2 საათამდე დადიოდა ქალაქის ქუჩებში და ერთი ისეთი ნაცნობიც არ შეხვედროდა, რომ გამოლაპარაკებოდა.

ასეა თუ ისე პარასკევის 2 საათიდან ყოველგვარი კვალი ისპობოდა — აღარც აღარავის ენახა და აღარც აღარაფერი სმენოდათ მასზე.

არსებობდა კიდევ ერთი ჩვენება, რომელიც „ცნობის ფურცლის“ რედაქციას სარწმუნოდ ეჩვენებოდა:

თავად-მაჩაბლის სახლის პირდაპირ სახლობდა ვიღაც ქვრივი, რომელსაც 4 საათამდე დაენახა ივანე, ძალზე ფერმიხდილი რომ გამოვიდოდა თავისი სახლის აივანზე და დაიწყებდა ჩქარ სიარულს, აქეთ-იქით გაიცქირებოდა, ხელებს იმტვრევდა, მერე ისევ შევიდოდა ზალაში და ფანჯრიდან გამოჩნდებოდა, თუ როგორ იცემდა თავში ხელს. შემდეგ გამოვიდოდა ქუჩის კარიდან და ძალზე აჩქარებული გაეშურებოდა გოლოვინის პროსპექტისაკენ. ამ აღელვებასა და აჩქარებით სიარულს ადასტურებდა იქვე მდგარი პოლიციელიც.

ვიღაც მუშა მივიდოდა დაკარგულის ოჯახში და აჩვენებდა, რომ: პარასკევს, დილის 5 საათამდის ის და კიდევ ერთი მისი ამხანაგი მიდიოდნენ ვერის ხიდზე და დაინახეს, რომ ვიღაც კაცი მიჰქონდა მტკვარს — თეთრი ჩესუჩის სამოსი ეცვა და ჭაღარა წვერ-ულვაში ჰქონდა. ერთი-ორჯერ გადაატრიალა წყალმა და მერე კი აღარ გამოჩნდაო. ამათ ბევრი ეყვირათ, მაგრამ ახლომახლო არავინ იქნებოდა და... ესენიც თავიანთ გზაზე გასწევდნენ.

ტანსაცმლის აღწერა სიმართლეს მიემსგავსებოდა, მაგრამ... დარწმუნებით დასკვნა არც ამ ჩვენებიდან შეიძლებოდა გამოეტანათ.

თვით სახლში ყველა საქმე წესიერად დაეტოვებინა თავად მაჩაბელს: სინდიკატის ანგარიშები, კუთვნილი ფული და ყოველგვარი საბუთი, თავთავის ალაგას ჩაწერილი და შემოწმებული.

პარასკევ დღეს რომ არა ჰქონიყო განზრახული თავის მოკვლა ან სადმე გადახვეწა სამუდამოდ, იქიდან მტკიცდებოდა, რომ იმავ დღეს დაბარებული ჰყოლოდა რამდენიმე ტფილისელი ვაჭარი გორის სინდიკატის საქმეების შესახებ.

ისინი პარასკევს მიაკითხავდნენ შინ და იტყოდნენ:

— თავადს დღეს ჩვენთან საქმე ჰქონდა და სადა ბრძანდება?

დაკარგვის წინა ღამეს მისი კარგ გუნებაზე და მხნედ ყოფნა სარწმუნო ჩვენებით დასტურდებოდა.

ხშირად უძილობა აწუხებდა და თითქმის მთელი კვირაობით არ ეძინა.

თავადი ივანე მაჩაბელი იმდენი მეგობრისა და დიდად პატივცემული ოჯახის პატრონი გახლდათ, რომ ამჟამად მთელს ტფილისსა და თითქმის საქართველოში მხოლოდ ამ სამწუხარო ამბავზე ლაპარაკობდნენ. ხვალისათვის მოელოდნენ ახალ ამბებს და... რედაქცია პირდებოდა მკითხველს, რომ სასწრაფოდვე აცნობებდნენ.

მაგრამ ახალი ამბების მოლოდინში მეორე დღეც გულისფანცქალით ჩაივლიდა, მესამეც, მეოთხეც... ერთი თვეც, მეორეც, მესამეც, მეოთხეც... ერთი წელიც, მეორეც, მესამეც, მეოთხეც... ერთი ათწლეულიც, მეორეც, მესამეც, მეოთხეც... ერთი საუკუნეც, ოღონდ მეორე უკვე აღარ — ბოლოსდაბოლოს გაიხსნებოდა იდუმალებით შეკრული კვანძი, აკაკის ხელით შეკვანძული სიუჟეტური ქარგა...

აკაკის მიერ დაუწერელი, მაგრამ ზეპირად კი მოხაზული დეტექტივი საუკუნის თავზე ხომ მაინც უნდა წარმომდგარიყო მთელი თავისი სრულყოფილებით.

აკაკის მიერ შემოგარსული ლეგენდის საბურველი საუკუნის თავზე ხომ მაინც უნდა გადანეულიყო და შემოძარცულიყო კიდეც... თუმც შემოიძარცვებოდა ვითომ?.. განა აკაკის მიერ ხელდებული ლეგენდა ასე ადვილად დაემორჩილებოდა მიწიერ კანონებს და თავის დაფარულ გრძნეულებას კვლავინდებურად არ შეინარჩუნებდა?!.

გარდა ამ ლეგენდისა — უგზოუკვლოდ გამქრალი მოღვაწე წყლის განმაახლებელ სტატიას შერთვოდა თუ სულაც ცად ამაღლებულიყო — აკაკი ივანე მაჩაბლის მანამდელ საქმიანობასა და მღელვარე ცხოვრებასაც იდუმალების ნისლში გაჰხვეედა სტატიაში „ვანო

მაჩაბელი", „თემის" ფურცლებზე რომ დაიბეჭდებოდა (1914, 23 ივნისი) და დაუკავშირდებოდა გამორჩეული შექსპირელის დაბადებიდან 60 წლისთავს, ძველი და ახალი აღქმის სიტყვები გულისფიცარზე რომ აღბეჭდვოდა ამ დიდებულ პიროვნებას:

გული ჰქონდა წმინდა, სული — წრფელი და ჯვრით ხელში თავდადებით შედგომოდა სამოგადოებას... და თუმც ამ თავდადების დასამტკიცებლად ბევრი მაგალითი ეპყრა ხელთ, მაგრამ გამომჟღავნებას კი, როგორც სუსტი ვინმე, ვერა ბედავდა, რადგანაც ანდაზა აგონდებოდა: თევზმა თქვაო, სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ პირში წყალი მიგუბიაო, — და თანავე ის მამაპაპური გადმოცემაც აფიქრებდა: მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო, — ამას კი რა შეეკაზმა, რომ ცხენიც არა ჰყავდა?..

როგორც სუსტი ვინმეო...

ვინ — აკაკი და... სუსტი?

მეომრის გულოვნება მომადლებოდა, თავზეხელაღებული გახლდათ და... ამ კერძო შემთხვევაში სისუსტეს რატომ იჩემებდა?

რა იყო მაინც ამისთანა ის გამოსამჟღავნებელი ამბები, აკაკიც რომ კრთოდა და... გულს იუმორითლა იოხებდა: ცხენიც არა მყავს, თორემ შეკაზმვას ვინა ჩივისო!..

ავტობიოგრაფიული რომანის გვერდით უფრო შესაფერისად გამოჩნდებოდაო...

იმ ჩანაწერისა არ იყოს, სახელწოდებით „ის", რომელიც 15-ტომეულში „დამატების" რუბრიკას ვერ გასცდებოდა, როგორც დაუმთავრებელი, 20-ტომეულის მკვლევარ-გამომცემელნი კი — ნანა ფრუიძის მტკიცებაზე დაყრდნობით — ძირითად ნაწილში მიუჩენდნენ ადგილს, როგორც სავსებით დასრულებულ ნაწარმოებს. თხზულება ერთადერთი ხელნაწერით მოღწეულიყო ჩვენამდე, არსებითად „თეთრი" ავტოგრაფით, რადგანაც მასში ძალზე მცირე სწორება შეტანილიყო — რეალურად მხოლოდ ერთი ფრაგმენტი ამოღებულიყო ტექსტიდან.

მისი დატოვების შემთხვევაში მოთხრობა მართლაც დაუმთავრებელის შთაბეჭდილებას ტოვებდა, რადგანაც გაუხსნელი რჩებოდა ის სიუჟეტური კვანძი, რომელიც სწორედ ამ ნაშლილ ეპიზოდში იკვროდა — უსათუოდ უნდა ახსნილიყო, თუ რას გულისხმობდა „მეორე ბედის მწერლის" წინასწარმეტყველება და როგორ აღსრულებულიყო ის ნაქადები. ფრაგმენტის ამოღება კი სიუჟეტურ ქარგას აზრობრივად ჰკრავდა და ასრულებდა.

მაინც რა შეიძლება გვევარაუდა?

და რა:

ეტყობა, აკაკი მიიჩნევდა, რომ მოთხრობის ეგრეთწოდებული მოკლე ვერსიაც შესანიშნავად გამოხატავდა მის სათქმელს და მოვლენათა უფრო დაწვრილებით აღნუსხვა არათუ აღარაფერს შესძენდა, ბევრსაც დააკლებდა თხზულებას.

და ძალდაუტანებლად წამოაგონდებოდათ მკვლევარ-გამომცემლებს აკაკის საყვედური თანადროული ლიტერატორებისადმი: წერტილის დროულად დასმა არ იცითო!..

თხზულების ავტობიოგრაფიული შინაარსი ისეთი გამჭვირვალე გახლდათ, სულ იოლად ამოიცნობოდა მთავარ გმირთა პროტოტიპები.

ჟანრობრივად ეს სწორედ იმ ყაიდის ქმნილებაა, აკაკის სტილისტიკისათვის ნიშანდობლივი, მკაფიოდ რომ ეელარც გაგიმიჯნავს — სტატიაა, მოგონება, დოკუმენტური მოთხრობა თუ ნოველა.

თუკი ეს სინთეზური ჟანრის თხზულება დასრულებული იყო, განა რას შეიძლება შეეშალა ხელი დაწერისთანავე მისი გამოქვეყნებისათვის?

რა ჩანდება მწერლის გულის იდუმალ ზრახვებსა თუ ფიქრებს?

ნანა ფრუიძე ამის ახსნას არც შეეცდებოდა, ხოლო თუ რატომ მორიდებოდა ავტორი ნოველის პუბლიკაციას 1891 წლის — ანუ ივანე მაჩაბლისა და ანასტასია ბაგრატიონის დაქორწინების — შემდგომ, ამას კი ვარაუდით ივარაუდებდა: ეს უკვე არაკორექტულად მიიჩნია; მერე და მერე კი თხზულების გამოქვეყნება სავსებით გამოირიცხა, რათა კიდევ უფრო არ გამძაფრებულიყო ხელისუფლების გარკვეული წრეების ხელშეწყობით ინსპირებული არაჯანსაღი მითქმა-მოთქმა აკაკისა და ივანე მაჩაბლის ოჯახის შესახებო.

ხოლო „ის" იწყებოდა აფორისტული ყაიდის შედარებით: პატრუქს თუ ზეთი არ გამოელია, თოფს — წამალი და პოეტს — სიყვარული, ხანი ვერცერთს ვერას დააკლებსო!..

მაგრამ ზეთს ყველა დაასხამდა, თოფშიც ვინ არ ჩაჰყრიდა წამალს და ვინ არ გატენიდა? და სიყვარული კი გულისა და სულის სიწმინდეს მოითხოვდა, რაც იშვიათობა გახლდათ!..

— ის დაიბადა პოეტად.

„ის“ თვითონვეა — აკაკი, ნოველის სახელწოდებად სამთა უცნაური ურთიერთობისა უშუალოდ თავისი თავი რომ გამოუცალკევებია და მის გარშემო დაუტრიალებია მოვლენები.

პოეტად დაბადებულის გარშემო კი ბედის მწერლები ცაში ანგარიშს იქმოდნენ. პირველი სიყვარულში ბედს უქადებდა, მეორე — უბედურებას, და მესამე კი ორივეს თანახმა იქნებოდა. შეჰკრავდნენ განაჩენს, დაბეჭდავდნენ და დასდებდნენ ცხოვრების ტრაპეზზედ, რომ სიკვილამდე ვერავის გაეხსნა.

ყმაწვილი რომ იზრდებოდა და დღითიდღე სიკეთე ემატებოდა, ამირანივით მითოსურ საბურველში გაეხვეოდა და ერთი თვისა ერთი წლისას დაემგვანებოდა.

პირველი მისი სიყვარული იქნებოდა დედის შეხაფიფება და დედასაც ისე ეყვარებოდა, რომ ძუძუს ვერ გააშვებინებდა — სამი წლისა ჯერ კიდევ წოვდა.

ერთხელ დედა, სხვების რჩევით, გალესავდა ნაღველს ძირმწარეში და იცხებდა ძუძუსთავებზე, და ყმაწვილი რომ ძუძუს პირში ჩაიდებდა, ემწარებოდა და მიანებებდა თავს, მაგრამ საგონებელში კი ჩავარდებოდა: ე რა ჭირი შეჰყრია დედასო? — მიეპარებოდა მძინარს, მოჰბანდა თბილი წყლით ძუძუებს და ნახავდა, რომ სიმწარე მოცილდებოდა. მოუჭერდა ძუძუსთავს კბილს და დაეკითხებოდა დედას:

— მითხარი, რამ გაგიმწარა ძუძუები?

დედა გამოუტყდებოდა:

— ძუძუს გაშვებინება მინდოდა!

— მაშ მომატყუე? — ეტყოდა შვილი ნაღვლიანი ღიმილით და კიდეც დაანებებდა თავს წოვას.

იმ დღიდან მის მოცინარ სახეს შავი ღრუბელი გადაეფარებოდა. ხმას აღარ ამოიღებდა, მაგრამ სხვების საუბარს კი ყურს დაუგდებდა ხოლმე და შეატყობდა, რომ ორი წილი სიცრუე იყო. „ნუთუ უტყუილოდ ცხოვრება არ შეიძლება?“ — ფიქრობდა და გაუსვამდა კითხვას ხელს, მაგრამ... იქიდანაც ვერას გახდებოდა.

დავაჟკაცდებოდა, აემწვანებოდა ულვაშები, დაუსქელდებოდა ძარღვები, დაუხუჭუჭდებოდა თმა და აუელვარდებოდა თვალები!..

სიყვარული ეწვერებოდა, მაგრამ ის კი გაურბოდა: თუ დედაც კი იძულებულია, რომ ძუძუმწოვარი შვილი მოატყუოს, სხვა ქალს როგორღა რამე დაეჯერება და მითუფრო — სიყვარულიო?.. სიყვარული მიუწვდომელი უნდა იყოს და მხოლოდ მაშინ იქნება მართალიო.

გამოსახავდა იდეალს — თვალტანადად საკვირველსა და სულიერად კიდევ უკეთესს და... მას შეიყვარებდა.

და როდესაც ხორციელი სიყვარული მოაწვებოდა და გული აევსებოდა, მას ქაღალდზე ანთხევდა, როგორც პოეტი, და მით იქარვებდა ცეცხლს!..

გავიდოდა ხანი: დღე დღეს გაჰყვებოდა, თვე თვეს და წელიწადი წელიწადს შეცვლიდა, შემოეპარებოდა ჭაღარა და... ქვეყნიური სიყვარული მაინც არსად იქნებოდა!..

ერთხელ მეზობლისას მიმავალი მგოსანი თვალს მოჰკრავდა ღობის ძირას მიმჯდარ ორ ახალგაზრდა ქალს, რომელთაგან უფროსი 16-17 წლისა იქნებოდა, მაგრამ სავსებით მომწიფებული, საოცნებო რამ: თვალტანადს თითქოს ვარდისათვის მოეპარა ფეროვნება!.. გეგონებოდა, იის სინაზით შემკულა და ბულბულივით ჭიკჭიკებსო!.. შავი, ხუჭუჭი თმა ტევრად ეყრებოდა მხრებზე, გაღიაღებული გულ-მკერდი შუქსა ჰფენდა, აყაყაჩოებული ტუჩები ნუშივით ოდნავ გაპობოდა და იქიდან ცელქად გამოსჭვერდნენ მარგალიტი კბილები. მისი დიდრონი შავი თვალები სამოთხის სავანედ გამოიყურებოდნენ, გაიღიმებდა — ცა გაიხსნაო!.. მოიწყენდა და — იფიქრებდი, დედამიწა შეიკრაო!..

უფრო აღმტაცად რაღა შეემკო, უკეთესი დითირამბი რაღა მიეძღვნა, უფრო თავდაჭიწყებით რაღას შემსჭვალვოდა!..

წამოდგებოდა და წავიდოდა შინისაკენ. მისი სიარული არა ჰგავდა არც ჩვეულებრივ სიარულსა და არც ფრენას — რაღაც შუათანას მათ შორის, თითქოს ჰაეროვან ქმნილებას ქვეყნის სიკეთე წამოუკიდია და ცისკენ მიაქვსო...

ერთხელ დამნახავი თვალს ვეღარც მოაშორებდა და... პოეტიც რაღაცას იგრძნობდა!..

ან რაღა რაღაცას:

პირველად აუძგერდებოდა სხვანაირად გული!!..

ღმერთო ჩემო, ამას რასა ვხედავო!

ეს ხომ ჩემი იდეალია გარეგნობითო!

ის ხალი, მარჯვენა ლოყაზე რომ აღბეჭდვია, თითქოს ფარგლით შემოუხაზავს ხელოვნებას, განა ქვეყნიერის კუთვნილებააო?

არა, ეს ან გრძნეულია ჩემი იდეალის სახით და ან თვით იდეალი დაბლა ქვეყნად ჩამოსულიო.

წამოეშლებოდა ეს ფიქრები და განცდები და მოინდომებდა დაახლოებას.

ქალი თანდათან მაისის ვარდივით გაიშლებოდა.

ხოლო მგოსანს... ჭაღარა გაუმრავლდებოდა.

ოღონდ ისეთი შეგრძნება კი დაეუფლებოდა, როგორც მთვარე მზისაგან მიღებულ სხივებს აყრის დედამინას, ისე მეც, სათაყვანოსაგან აღფრთოვანებული და განმსჭვალული, ვუგალობ ჭაბუკური ძალით ქვეყანასო.

ამომავალს შუა გზაში შეეჩერებინა ჩამავალი; თითქმის გაექცავებინა ერთ ადგილას და ხელშესახებად ეგრძნობინებინა რუსთველის სიტყვები: შორით ჭვრეტა!.. შორით ბნედაო!..

სიუჟეტური დინება აქ ერთბაშად უნდა შემოტრიალებულიყო და აკაკის მკითხველისათვის უნდა შეეხსენებინა, თუ როდის აღარ ჰქონდა დედის სიხარულს საზღვარი — როდესაც პანია ყმაწვილი პირველად ფეხს აიდგამდა და დედაც დაიმედდებოდა, ჩემი ნაშობი საპყარი არ არისო!.. მართალია იმ საიმედო პირველი ფეხის ადგმისას მისი პატარა კაცუნა ჯერაც სუსტი იქნებოდა, უსწორმასწოროდ იბარბაცებდა და ხან იქით მიეხლებოდა და ხანაც აქეთ, მაგრამ ეს ხომ საზოგადო კანონი გახლდათ, რაც გულისხმობდა, რომ მხოლოდ სიფრთხილით უნდოდა ყურისგდება, ვიდრე წამოიზრდებოდა, ფეხებს მოიმაგრებდა და სწორ სიარულსაც დაიწყებდა.

ცხოვრებაში რაც ფეხასადგმელია, ყველაფერი ამგვარად რომ ხდება, ცხადია სამოციანი წლების ახალგაზრდობაც ფეხს რომ აიდგამდა, მასაც ასევე დაემართებოდა:

ძველების გზას მიატოვებდა და ახალი გზით წავიდოდა, მაგრამ ბარბაცს კი დაიწყებდა უსწორმასწოროდ.

ძველების გზას იმიტომ დააგდებდნენ, დარწმუნებულნი იყვნენ: ეს გზა ვერ მიგვიყვანს იმ უკვდავების წყარომდე, რომელიც ჩვენ უნდა მოვუპოვოთ ქვეყანასო.

და კიდეც სხვა გზას დაადგებოდნენ.

ბევრს ივლიდნენ თუ ცოტას ივლიდნენ — ჯადოსნური ზღაპრის ფორმულა ძალდაუტანებლად შემოერეოდა თხრობას — მიადგებოდნენ ორკაპალა გზას და იმ ორკაპალა გზასთან შეჩერდებოდნენ მგზავრები, რომელთა შორის მგოსანიც იქნებოდა გარეული.

ამ ორკაპალადან მარჯვნივ მიმავალს ეწერებოდა „საკუჭო და საბედნიეროო“ და იავარდიც მოჰფენდა.

მარცხნივ მიმავალს კი, ზედწარწერილს „საგულო და საუბედუროო“, შამბნარი და ეკლნარი წაიღებდა და ერთი ბიჯის გადადგმაც ხიფათს უქადდა მგზავრს.

მოგზაურები დაიწყებდნენ ბჭობას, რომელიც გზა აერჩიათ.

წამოდგებოდა წინ მოგზაურობის წინამძღოლი და იტყოდა:

— ბატონებო! უკვდავების წყაროა ბედნიერების ბუდე და სად იქნება, თუ არა საბედნიერო გზის სათავეში? წავიდეთ ამ მარჯვენა გზით და არ შევცდებით!..

მგოსანი მიუგებდა:

— ნუ აჩქარდებით, ბატონებო! ჯერ მე მომისმინეთ; როგორც ზღაპრები მოგვითხრობენ, გულადი გმირები უკვდავების წყაროს საძებრად რომ მიდიოდნენ, დიდ განსაცდელს განიცდიდნენ და ვაიუბედურებაში ვარდებოდნენ. ყოველი დიადი საქმე დიდ მსხვერპლს მოითხოვს. გაუჭირვლად ადვილად გასაველელი გზა სად მიგიყვანთ და რა სასარგებლოზე? მხოლოდ ხანდახან სისხლშერეული შრომის ოფლია ყოვლისშემძლებლობის გვირგვინი...

და სწორედ ეს გზა, ეს მარცხენა გზა, საძნელო და საჭირბოროტო, უნდა იყოს პირდაპირ მიმყვანი უკვდავების წყარომდე, წავიდეთ ამ გზით და თავი ვუმსხვერპლოთ შრომას!

უმეტესობას არ მოეწონებოდა მგოსნის სიტყვა, უნაყოფო, ფუჭ ოცნებად ჩამოართმევდნენ, უჩვენებდნენ ზურგს და დაადგებოდნენ საბედნიერო გზას. მგოსანი კი სამი-ოთხი ახალგაზრდით დარჩებოდა იქვე, „საუბედურო გზის“ პირად და, დრო რომ არ დაჰკარგოდათ, შეუდგებოდა მიწის ჩუჩქნას.

რაკიღა მინიშნებანი ამ ნოველასა თუ ლიტერატურულ ზღაპარში საკმაოდ გამჭვირვალეა, მოგზაურთა წინამძღოლიც არ უნდა იყოს ისე, ზოგადად ნათქვამი და მის მიღმა რეალური პიროვნების სახეა ამოსაცნობი, თუმც რა დიდი ამოცნობა ესაჭიროება, როდესაც ახალთაობის წინამძღოლობაზე ილია ჭავჭავაძე სდებდა თავს და კიდეც აღიარებდნენ თანადასელნიც, აკაკის ცოტა არ იყოს რომ უძნელდებოდა მისი ამგვარი აღიარება, ვიდრე საბოლოოდ არ გაემიჯნებოდა, როგორც უფრო რადიკალური ფრთა ამ მოძრაობისა.

ილიას ყოველთვის გადამეტებულ სიფრთხილეს უკიჟინებდა — ხან ვისთან და ხანაც ვისთან, თავისი თავი კი ზღაპრული და მითოსური გმირისაგან არც განერჩეოდა და ეს განწყობილებაა, ამ ნოველაშიც ასე თვალნათლივ რომ უჩენია თავი და ორი განსხვავებული გზის სიმბოლიკად ჩამოყალიბებულა.

იმას ურტყამს, იმას გაჰკრავს კბილს და საკმაოდ ბასრადაც, მითუმეტეს უკვე გაშლილა საბანკო ბრძოლა, მთელი საზოგადოება რომ ჩაუთრევია და აკაკი — რა გასაკვირია — ილიას მოპირდაპირე გუნდში ჩართულა, იმ უზარმაზარი ოპოზიციის წევრია, ილიას დამხობას რომ ესწრაფის და მის ადგილას ივანე მაჩაბლის აღზევებას, ცხადია არა მარტოდენ ბანკის მმართველად, არამედ საზოგადოებრივი აზრის მესაჭედ და წარმმართველადაც, არსებითად — არაოფიციალურ პრეზიდენტად. ილია რადაც აღიარებულიყო, ახლა ამ ტიტულსა და გვირგვინს ივანე მაჩაბლის შუბლი უნდა შეემკო — ვერ შეამკობდა თუ რა!..

აკაკის არ ენანება ილიას გარიყვა საზოგადოებრივი ასპარეზიდან — მაინც საკუჭო და საბედნიერო გზას ადგა, მაინც ია-ვარდით მოფენილი სავალი ამჯობინა შამბნარისა და ეკლნარის გაკაფვას, მე და ორიოდე ჩემი მომხრე რასაც შევბმივართ იმთავითვე, რაც ძველებს გავემიჯნეთო.

მერე აკი ახლებსაც გადგომოდნენ.

თუ პირიქით — ისინი გადგომოდნენ, რაკიღა იდეალი უკვდავების წყაროს მოპოვება გახლდათ, ეს წყარო კი სულაც არ ივარაუდებოდა სჯუჭო და საბედნიერო გზის ბოლოს, ია-ვარდით ფენილი...

ყოფით რეალობაში აკაკი ჩაირიცხებოდა ივანე მაჩაბლის დასში.

მხატვრულ რეალობაში — ივანე მაჩაბელი უნდა ჩაირიცხოს აკაკის დასში, ოღონდ ჯერ კი, ვიდრე ბეგლარ აჩაბეთელად გამოჩნდებოდეს თხრობაში:

მემარჯვენეებს დიდი გზა უნდა გაევლოთ ხელშეუშლელად, და მერე უკან რომ მოიხედავდნენ, დაენახათ შორს ჩამორჩენილი მგოსანი თავისი ორი ამხანაგითურთ და სიცილ-ხარხარით დაეცათ კიჟინა:

— აი, შენ ჩამორჩენილო ჩხირკედელავ! უგნურო, ოცნების მიმდევარო, უსარგებლოვ და უკუღმართო!..

და დაეძრახათ:

— რატომ ჩვენთან არა ხარ?!.

ეს იქნებოდა მათი უკანასკნელი დაძახილი და კიდეც უკანმოუხედავად გააგრძელებდნენ თავიანთ გზას.

იმ დღიდან ბევრი წყალი ჩაივლიდა და... ვინც კი მოვიდოდა ახალ-ახალი გუნდი, სულ იმ გატკეპნილ გზაზე დაადგამდა ფეხს, მითუფრო, რომ მემარჯვენეები ისე შორს წავიდოდნენ, აღარც კი ჩანდნენ, და მემარცხენეები კი იქვე ჩუჩქნიდნენ მიწას და ორი-სამი ბიჯი თუ გადაედგათ სიძნელის გამო: ხან ეკალი ესობოდათ მუშაობისას, ხან გველი ეხვეოდათ გარსა და ხანაც ხვლიკი გადაუცინცილებდათ წინ და... მაშინ იძულებულნი ხდებოდნენ, რომ შეეჩერებინათ ხოლმე დროებით მუშაობა.

გავიდოდა თვეები, თან მიჰყვებოდა წლები და უკვდავების წყაროსი კი არა ისმოდა რა.

და სწორედ ამ დროს უნდა დაბრუნებულიყო საზღვარგარეთიდან ახალგაზრდა ბეგლარ აჩაბეთელი — მომზადებული, გრძნობა-გონებით განვითარებული, ჯან-ღონით სავსე და სასამსახუროდ თავდადებული, და გამოუდგებოდა ისიც გულწრფელად უკვდავების წყაროს, და რადგანაც ვერ ასცილდებოდა, მიადგებოდა ორკაპალა გზასაც, ნახავდა მგოსანს და დაეკითხებოდა:

— ახალთაობის გუნდი სად არის?

— რომელი? — ის დაზუსტებას შეეცდებოდა და ბეგლარს ეს საპასუხო შეკითხვა ძალიან გააკვირვებდა, რადგანაც ახალთაობა მისთვის ახალთაობა გახლდათ, განუყოფელი, ერთიანი გუნდი, და მათი დაცალკევება ვერაფრისდიდებით ვერ წარმოედგინა:

— როგორ თუ რომელი?

და მგოსანი აუხსნიდა:

— ჩვენც ახალთაობას ვეკუთვნით!..

და ვერც აუხსნიდა, რაკიღა თანამოსაუბრის გაოგნება უნდა გამოეწვია.

— თქვენ?!. ორი-სამი კაცი?!!

არადა რეალობა ეს იყო, და თუ ბეგლარი იმ დიდ გუნდს გულისხმობდა, ასისა და ათასისაგან რომ შედგებოდა, ისინი ამ მარჯვენა გზით წასულიყვნენ.

გამოეთხოვებოდა ბეგლარი და გაუდგებოდა სიჩქარით საკუჭო გზას... მაგრამ იმ დროს ის კუჭზე არა ჰფიქრობდა (განსხვავებით წინამძღოლისაგან — რასაც ქვეტექსტი გამჭვირვალედ გვაგრძნობინებს), აჰყოლოდა გულს და მიეჩქარებოდა სხვებთან, რათა მათთან ერთად შესდგომოდა საქვეყნო მუშაობას... შეგნებულად კი არა, მიამიტობით დაემართებოდა, რაც დაემართებოდა, გულსაყოლილი კუჭსაყოლილთა შორის რომ მოხვდებოდა, მიამიტობითა და აჩქარებით, ყოველ შემთხვევაში ორ-სამ წელიწადს მისგან აღარა მოისმოდა რა მის მეტი, რომ იმ ახალგაზრდა მოგზაურებში თავი ეჩინა და სახელი გათქმოდა.

ალეგორიულად ასე გამოიხატებოდა ივანე მაჩაბლის პირველი ნაბიჯები სალიტერატურო და საზოგადოებრივ ასპარეზზე, ილია რომ დაიმოწაფებდა და ესეც აღფრთოვანებული შეჰყურებდა; ღმერთო, ეს ვის გვერდით მოვხვდი, ბედი მე მქონია თუ მქონია, ნეტა ამ კაცს ნაწილობრივ მაინც დავემგვანოო!..

და ერთად რომ შეუდგებოდნენ უილიამ შექსპირის „მეფე ლირის“ ამეტყველებას ქართულად, ამ შეამხანაგებას სიმბოლური მნიშვნელობაც ექნებოდა — მათ ერთად დგომას მიანიშნებდა და მოასწავებდა ყველა სასიკეთო საქვეყნო საქმეში, ილია რომ შებმოდა და... გამორჩეული ძალა ესაჭიროებოდა გვერდით უმცროსებიდან, რათა გამოეწვრთნა, გაეძლიერებინა, ყველაფერში ჩაეხედებინა და მერე კი... მერე ყველა საქვეყნო სადავე მისთვის გადაებარებინა.

ტახტის მემკვიდრედ ამზადებდა?

ასე გახლდათ სწორედ — თუმც თავს არც ერთი უტყდებოდა და არც მეორე, მაგრამ იდუმალად გრძნობდნენ სულიერ სიახლოვე-ერთიანობასაც და ერთად დგომა-მოღვაწეობის აუცილებლობასაც...

მაგრამ... ყოფითი სინამდვილე გაცილებით და გაცილებით უფრო მკაცრია და დაუნდობელი, ვიდრე ჩვენი გაიოლებული და შელამაზებული წარმოდგენა მასზე, და თუ ღმერთი არა წირავდა კაცს წუთისოფლისაგან განაწირსა, წუთისოფელი ხომ ექცეოდა უღვთოდ და... ამ ორთაც თავიანთ ტყავზე უნდა ეწვნიათ ყოფითი რეალობის სისასტიკე, თურმე იქ რომ ჩაბუდებულიყო, იმ გადაწყვეტილებაში, ილია თავის ამ რჩეულ მოწაფეს ბანკში რომ მიიწვევდა მოადგილედ...

მაჩაბელს აკაკიც დიდი იმედით შეჰყურებდა, ამიტომაც არ ეჭაშნიკებოდა მისი ასეთი დაახლოება ილიასთან და იმთავითვე ჯიბრში ჩაუდგებოდა მათ ერთობლივ საქმიანობას, ერთადერთი კაცი რომ აღმოჩნდებოდა, ვინც დაიწუნებდა „მეფე ლირის“ ქართულ ვერსიას, და თანაც რა ფონზე — მთელი საზოგადოება რომ აღტაცებით შეეგებებოდა ამ ერთობლივი გარჯის ჩინებულ ნაყოფს და ყველგან ამ თარგმანის ქება გაისმოდა, მთარგმნელებიც რომ აფოფინებულიყვნენ, რაკიღა შექსპირს მათი წყალობით ეპოვნა გზაც და და-

საყრდენიც ქართულ ენობრივ სივრცეში და უსათუოდ მთელი თავისი ძალმოსილებითაც დამკვიდრდებოდა, „მეფე ლირი“ უკვე ისეთ სიმაღლეზე ატყორცნილიყო.

დიმიტრი ყიფიანი უკვე გადაწყვეტდა, რომ ხელი აეღო შექსპირულ ტრაგედიათა გადმოქართულებაზე, რაკილა ამ სიმაღლეს ვეღარ შეემეტოქებოდა და ანკი რატომღა უნდა შემეტოქებოდა...

თავს ვერ შეიკავებდა აკაკი, სადაც კი ქართული „მეფე ლირის“ ქებას გაიგონებდა, იქვე არა სწვდომოდა ყელში მთქმელს... მაგრამ როგორ განვდებოდა ყველასა და ყველაფერს — ვერც დაძრახვით, ვერც გაქილიკებით... მთარგმნელთა ყურამდე კი მიაღწევდა მისი სიტყვები და გუნებასაც შეუმღვრევდა ორიევს, მაგრამ ეჭვით მაინც ვერ შეახედებდა თავიანთ ნამუშაკევზე.

აკაკის შეფასება აკაკის შეფასება გახლდათ და ყოველთვისაც გასათვალისწინებელი ილიასათვის, მაგრამ ამჯერად ვერ დაუჯერებდა — თავისი გულის კარნახისა უფრო ერწმუნა და მთელი საზოგადოების მსჯავრისა, აღტაცების სიტყვებად რომ მოედინებოდა.

ეჰ, მიუდგომლად რომ მოჰკიდებოდა ამ თარგმანს აკაკი, განა ისიც არ აღფრთოვანდებოდა?!. მისი ალესილი გონება და დახვეწილი გემოვნება მოწონების ბეჭედს დაჰკრავდა ქართულ „მეფე ლირს“, მაგრამ თავს ვერ მოერეოდა და ფარულ გულისწყრომას თარგმანის დაწუნებას ამოაფარებდა.

და რა დასამალია, ძალიანაც რომ გაეხარდებოდა ილიასა და მაჩაბლის საბანკო დაპირისპირება, ამ ჭიდილში თანდათან მთელი საზოგადოება რომ ჩაერეოდა... და აკაკის უკვე შეეძლო გულმშვიდად დამდგარიყო ივანე მაჩაბლის მხარეს: აქეთ და მხოლოდ აქეთაა საფინანსო-საბუღალტრო სიმართლეო!..

სულ საფინანსო-საბუღალტრო ნიუანსების დაზუსტება-გარკვევის ჯავრი არა ჰქონდა?!.

ნოველაში კი ეს — თურმე საბედისწერო ამბები — ისე გადაინაცვლებდა, რომ:

ერთ სუსხიან ზამთარს იჯდებოდა მგოსანი კარჩაკეტილ ოთახში ბუხრის წინ და თვალს მიადევნებდა ალის პარპალს. და უეცრად კარის რაკუნი მოესმოდა.

— ვინ ხარ? — დაეკითხებოდა.

— მე ვარ, ბეგლარი, — მოესმოდა გარედან და კიდეც შემოვიდოდა სტუმარი, მასპინძლის მიგებებისა და მცირე მოკითხვის შემდეგ ბუხარს რომ მიუსხდებოდა ორივე. ბუხარი ცოტა არ იყოს იკბინებოდა? სკამებს უკან დაწევდნენ და გააბამდნენ საუბარს.

— საიდან გაჩენილხარ? — დაინტერესდებოდა მგოსანი.

— გზიდან დავბრუნდი. ჩამოვშორდი მოგზაურებს. ვეღარც იმათ მიგუეს და ვეღარც მე შევეგუე მათ. ამიერიდან ჩვენში საერთო აღარა არის რა!..

— ნუთუ მართლა? — შეეკითხებოდა ღიმილით მგოსანი, ამ ღიმილით რომ გათქვამდა დიდ სიხარულს, — რა მიზეზია?

თურმე რა მიზეზი და:

იმ გზაზე ბეგლარიც საზოგადოს ვერას დაინახავდა!.. საპირადო ყოფილიყო და მართლა საკუჭო — დარწმუნებულიყო საკუთარი თვალით, მგოსანი რასაც აფრთხილებდა და ამას კი მაშინ ყურად არ ეღო. თვითონ კი გულწრფელად და თავდადებით შრომობდა, და ვინ იცის რამდენი შრომა აეტანა, სხვები კი... სხვები სარგებლობდნენ საზოგადო სახელით.

აკაკის წინამძღოლთან ჰქონდა საქმე, ის უნდა გამოეცალკევებინა მთელი გუნდიდან, რათა ბეგლარს პირადად მისი აუგიც ეთქვა, თორემ ბევრს არას ნიშნავდა, ყველას ერთ ბარაში თუ გაიყვანდა. და ამიტომაც ჩამოუგდებდა საგანგებოდ სიტყვას:

— მეთაურს კი მაინც მიჰყავს იმავე გზით?

და დაგროვილი ბრაზი ბოლომდე უნდა ამოენთხია სტუმარს:

— გაღმერთებული მეთაური თავაღებულია! მარჯვნით გადადგამს ბიჯს თუ მარცხნივ, სულერთია!.. მაინც მოუწონებენ და ვაშას მიაძახებენ მიმყოლები!

უფრო მწარედ რაღა უნდა ეთქვა: გაღმერთებული მეთაური თავაღერილიაო!..

მასპინძელმა ახლა მეთაურის მიმდევრებზე სალაპარაკოდ უნდა გამოიწვიოს, ვითომდა მიამიტურად რომ უნდა იკითხოს:

— ასე ბრმად?

და ამოსკდებოდა და რა ამოსკდებოდა ბეგლარ აჩაბეთელის გულიდან:

— არა!.. მართალია, ბევრი ბრმაა და გულწრფელად დაჯერებული, მაგრამ უმეტესობა კი კუჭის მიმდევარია... იციან, რომ თუ იმ გზით წაჰყვნენ მეთაურს, კალთაში ხელჩაკიდებული, კეთილდღეობა არ გამოელევათ: ხან ია-ვარდს ჰკონავენ და ხან საფუნდრუკოებში ლაზღანდარობენ და ბრბოს თვალში საზოგადო მოღვაწეებად ითვლებიან!.. გული გამისკდა ამ საქვეყნო თვალთმაქცობამ, თუმცა მეც კეთილდღეობაში ვიყავი მათთან ერთად და პირდაპირ საფუნდრუკოში შემიყვანეს, მაგრამ ახლა, რომ გავიფიქრებ, ჩემი თავი მეზიზღება და მზად ვარ შიმშილით სული ამომხდეს, ოღონდ კი სწორი გზით ვიარო! რისი შრომა? რისი ღვაწლი? რისი „უკვდავების წყარო"? იმათ მხოლოდ თავისი ლელო გაჰყავთ და ვითომ საზოგადოა, თვალს უხვევენ ხალხს!..

პირდაპირ საფუნდრუკოში შემიყვანესო...

სათავადაზნაურო ბანკში დირექტორის მოადგილეობა — იმჟამინდელი ტერმინოლოგიით: ამხანაგობა — ასე დაქარაგმდებოდა ნოველაში.

და მასპინძელი, შინაგანად ასერიგად კმაყოფილი, სიამით რომ ჩაეკითხებოდა:

— ჰმ! დარწმუნდი იმათ მატყუარობაზე და ახლა გამოშორდი?

სტუმარი დაუბეჯითებდა:

— გამოვშორდი.

კი მაგრამ, ხომ იცის, რომ არ აპატიებენ და მტრად გადაეკიდებიან?

იცის, მაგრამ მაინც არ დარიდებია.

მაშ როგორ უნდა აიტანოს?

როგორ და:

— ისე, როგორც შენ...

— მე? — უნდა გაიოცოს მგოსანმა და აუხსნას, — ნუ დაგავიწყდება, რომ ის, რისაც ატანა მე შემიძლია, შენთვის მოუხერხებელია!

ეს იმიტომ, რომ: მგოსანი უკვე ჭაღარაშერთულია, სისხლგაგრილებული, და ეს კი ახალგაზრდა... სავსე ახალგაზრდული მოთხოვნილებებით!..

— ყოველ ხანს თავისი მოთხოვნილება აქვს და შენთვის ძნელია მისი ატანა, რასაც მე ავიტან. გამოცდილებით გეტყვი, რომ იმათი გადაკიდება დიდი ჭირია!..

გამოცდილებით გეტყვიო...

გამოცდილებას კი ის დაედასტურებინა მისთვის, რომ... ილიას გადაკიდება დიდი ჭირი გახლდათ.

ასეა თუ ისე ბეგლარს იმათკენ მიბრუნება აღარ შეეძლო, რაც უნდა დამართოდა, მაინც სხვა გზით უნდა წასულიყო, იმ გზით, რომლითაც მგოსნის პატარა გუნდი მიდიოდა!.. მათთან ერთად სურდა გარჯილიყო, და თუ იმათ არ ეგებათ ამხანაგად, ბეგლარი მაინც მათი გზით წავიდოდა მარტოდმარტო.

კეთილი და პატიოსანიო, — მგოსანი უნდა დაყაბულდეს, მაგრამ შეახსენოს ხალხური სიბრძნე: სიფრთხილეს თავი არა სტკივაო, — და ურჩიოს: ჯერ კარგად მოიფიქრე, აწონ-გაზომე, შეისვენე და მერეც მოესწრებიო.

რაღას უნდა მორიდებოდა, როდესაც ბეგლარსაც იმავე იარაღით მიადგებოდნენ, რითაც მგოსანს.

მგოსანს უნდა გაკვირვებოდა: მეო? — რათა თვითონ კი არ განაცხადოს, არამედ პერსონაჟის პირით გამოიტანოს სააშკარაოზე:

— იმ მთელ გუნდში ვერავინ ვნახე, რომ შენზე გულნაკლული არ იყოს და ცუდს არ ამბობდეს. რას არ ამბობენ და პირველ ხანებში მეც მეჯერა და გერიდებოდი.

და მგოსანმა გულისწუხილი უნდა გადმოფინოს, მოჩვენებითსა და ნამდვილს შორის. გაავლოს მიჯნა და თანამოსაუბრესაც მათი გარჩევის აუცილებლობა უქადაგოს:

— გულწრფელად?!. გულწრფელი მტრობა სჯობია ნაანგარიშებ პირად მოყვრობას!.. განა ეთქმის იმას საზოგადო მოღვაწეობა, ვისაც საზოგადო საქმისთვის მხოლოდ მიტომ ჩაუვლია ხელი, რომ კერძო საპირადო რამ გამოიტანოს? მაგრამ ჩვენში ბრბო ამას არ უყურებს!.. მისთვის სულერთია!!.

რამხელა მნიშვნელობას მიანიჭებდა სიწრფელეს, ანდაზადაც რომ აქცევდა: გულწრფელი მტრობა სჯობია ნაანგარიშებ პირად მოყვრობასო.

და... მისი მგოსნობა თუ გახლდათ გულწრფელი?

შეეძლო დაექადნა, რომ:

შესაძლოა ბევრჯერაც შემცდარიყო, მაგრამ უგულწრფელობას ვერავინ შესწამებდა. საქვეყნოდ და საშვილიშვილოდ სდებდა ქვეყნის წინ თვის გულში ნადებს, რომ განაგონებს არ აჰყვებოდა.

ხოლო მისი წუნისმდებელნი?

ოოო, ყველა იმეორებდა: გაგვიგონია მხოლოდ, რომ ესა და ეს ჩაედინოსო, — დამნახველი კი მგოსნის რაიმე საძრახისი საქციელისა ერთიც არ შეხვდებოდა ბეგლარს, რომელსაც სოლომონ ბრძენის არაკი წამოაგონდებოდა.

რომელი არაკი და:

სოლომონ ბრძენთან მივიდოდნენ და ჰკითხავდნენ: რა მანძილია ტყუილსა და მართალს შუაო? — ვერც ის ახსნიდა და ვერც სხვა ბრძენნი. მაშინ მივიდოდა ვიღაც უბრალო გლახა და მოახსენებდა:

— მე ავხსნი — ერთი ხელის დადება, — და დაიდებდა ხელს ყურსა და თვალს შუა, — რასაც გაიგონებ, ტყუილია, ნუ გჯერა, და რასაც შენი თვალით ნახავ, ის მართალია.

და ბეგლარი თავის მხრივ მოადევნებდა: მე ის მაკვირვებს, რომ ქალები უფრო გულნატკენნი არიან შენზე, როცა, როგორც შენი ნაწერებიდან ჩანს, მათ შესახებ ყოველთვის კარგი აზრისა ყოფილხარო?..

მგოსანი გაუარაფრებდა: ქალები უფრო თანამედროვეობის მიმყოლნი არიან და იმას ამსახურებენ გულისთქმას. ვიცი, ჩემზე კარგს არას იტყვიან, მაგრამ მე კი მაინც მათზე იმედს არა ვკარგავო...

თუმც დღესდღეობით, საზოგადოდ, უვარგისნი იყვნენ, როგორც ვაჟებზე უფრო ბუნებათანაზიარნი, მაგრამ ჯერ კიდევ შერჩენოდათ ის სულიერი მასალა, რაც მათ მომავალს უქადდა და მგოსანსაც იმედი რატომ გადაეწურა.

და აი:

— ერთ მათგანს დღესაც ვიცნობ, რომელიც ჩემი სრული იდეალია მომავლის!.. როცა მისთანები ბევრი იქნებიან, მაშინ დადგება მკვდრეთით აღდგომა.

ინტონაციით, განწყობილებით, ზოგიერთი დეტალით „ის" ალეგორიულ ზღაპარს რომ მოგვაგონებს, თითქოს აღარაფერი უნდა გვიკვირდეს, მაგრამ ეს მაინც: როცა მისთანები ბევრი იქნებიან, მაშინ დადგება მკვდრეთით აღდგომაო, — კიდევ უფრო უჩვეულოდ და სასწაულებრივად გაისმის. ჰიპერბოლურობა და... ასეთი?!.

ბეგლარს რაღაც გაოცებით უნდა შეეხედა მგოსნისათვის ამ სიტყვების გაგონებაზე და ეკითხა: როგორც გეტყობა, შეყვარებული ხარო?!.

იმას უნდა დაედასტურებინა: რასაკვირველიაო, — ოღონდ დასძენდა:

— მიყვარს როგორც დედა, და და შვილი.

— მხოლოდ? — ვერ დაიჯერებდა თანამოსაუბრე.

დიახაც მხოლოდ!.. თორემ ხორციელი რომ რაიმე გულში გავლებოდა, აღარც ასე სავსებით ეყვარებოდა!.. უყვარდა, უყვარდა!.. და ქალსაც უყვარდა იგი, როგორც მოძღვარი, მაგრამ ეს მოძღვრული სიყვარული კი არა კმაროდა მარტო იმ ყმანვილქალისათვის. მისი ახალგაზრდა სისხლი მოითხოვდა სულ სხვა სიყვარულსაც და... პასუხის მიმცემს კი მგოსანი ვერავისა ხედავდა!.. მაშ იძულებული შეიქნებოდა ყმანვილქალი, გაჰყოლოდა ვინმე მოჩვენებულ იდეალს და... კიდეც გადარჯულდებოდა... მოძღვარსაც დაიეწყებდა და მოწაფესაც!.. აკი ყოველისშემძლეა ბუნების ულმობელი კანონი!..

ამას ამოთქვამდა და... კურცხალი გადმოუგორდებოდა ღაწვებზე მგოსანს. დიდხანს ხმაამოუღებლად ისხდებოდნენ და ბოლოს ჰკითხავდა ფიქრებისაგან გამორკვეული ბეგლარი:

— ეგ შენი იდეალი, ანგრე რომ გაუმსჭვალავხარ, რასაკვირველია, პოლშელი იქნება, მამით მაინც?..

მგოსანი იუარებდა, რადგანაც უცხო ტომისა მას ვერ გაიტაცებდა. ყმაწვილქალი ქართველი გახლდათ, ჩვენში დაბადებული და ჩვენშივე გაზრდილი, და როგორც ეტყობოდა, კერასაც დიდი გავლენა მოეხდინა მასზე!..

ამ საუბრის შემდეგ ბევრი ხანი გაივლიდა, მაგრამ მთხრობელი ბეგლარზე ველარას გაიგონებდა რას. იგი ხომ სოფლად წავიდოდა დასასვენებლად. წლის მიწურულს დაუბრუნდებოდა ტფილისს და შეივლიდა მგოსნის სანახავად. აღფრთოვანებული ბეგლარი გადაეხვეოდა მასპინძელს და სიტყვას აღარ დააცლიდა, მიაძახებდა:

— მართალი ხარ! გავიცანი, შენ რომ გიყვარს, ის ქალი! ვნახე თუ არა, მივხვდი, ვინც იყო!!.

— ცისკარისა?! — აღმოხდებოდა მგოსანს.

დიახ, სწორედ იგი, და ისე შეუყვარდებოდა, რომ უმისოდ სიცოცხლე აღარც შეეძლო ბეგლარს.

— ჰმ! გაიმსჭვალე, — ესღა უნდა ეთქვა მგოსანს.

გამსჭვალულიყო რომელია!.. სურდა, რომ ცოლად შეერთო და მასთან ერთად ხელიხელჩაკიდებულს ევლო საკადრისი გზით.

მგოსნისაგან მილოცვას მოელის, მაგრამ... თანამოსაუბრემ ეს გადაწყვეტილება უნდა დაუწუნოს: ვერ მოგსვლია კარგი სურვილიო.

რატომ?

იმიტომ, რომ ეს მოფიქრება პირწმინდა ეგოისტობას ჰგავდა და სხვა არაფერს:

— თუ სხვებსავით შენც უკუღმართობა დაიწყე, ის ქალიც გაუბედურდება, და თუ შენი არ მოიშალე, ხომ იცი, რამდენი უბედურება მოგელის ცხოვრებაში, და შენ რომ აიტანო, ის ვერ აიტანს!

მაგრამ საქმე ისაა, რომ ბეგლარს ეს ყველაფერი წინდაწინვე ეთქვა ქალისათვის და მას კი ასე ეპასუხა: მე ყველას შენ მირჩევნიხარ, ვინც უნდა იყოს!.. მიტომ, რომ ეგ შენი გზა მომწონს და მეც მაგ გზით ვივლი შენთან ერთად!.. ასატანი რაც უნდა იყოს, ავიტან, მხოლოდო...

— მხოლოდ რაო? — გაფაციცდებოდა მგოსანი.

და თურმე:

— მგოსანს უნდა დავეკითხო და თუ ისიც მირჩევს, მე მზადა ვარო!

და ბეგლარი შესთხოვდა მასპინძელს:

— ახლა შენს ხელშია ჩემი ბედიცა და უბედობაც.

მგოსანი, სიხარულით ცრემლებმოდენილი, უნდა გადახვეოდა ბეგლარს და ეთქვა:

— თუ არ ვცდები, ეგ თქვენი ქორწინების დღე იქნება უკეთეს დღეთაგანი მთელ ჩემ სიცოცხლეში!

ესეც ფინალური აკორდი, რომელიც თავიდან სულაც არა ყოფილა ნავარაუდევი ნოველის დასასრულად და წინ კიდევ სხვა ამბები იყო მოსალოდნელი, რადგანაც პირვანდელი ჩანაფიქრით, სიუჟეტური ხაზი ასე გრძელდებოდა, რომ:

გათხოვდებოდა ქალი, შეიქნებოდა სამაგალითო ცოლი და გამოიჩენდა საარაკო დედობას. ეს კიდევ უფრო აღაფრთოვანებდა მის მოთაყვანე მგოსანს, გულს აღუვსებდა სიყვარულით და გაუქრობდა ციურ იდეალს! ის სავსებით გადავიდოდა ქვეყნიურში. თავს ბედნიერად იგრძნობდა მგოსანი, მაგრამ ერთი რამ დააკლდებოდა: მუდამ ჭვრეტა!.. და აქაც ბედი ხელს გაუმართავდა და მით აღსრულდებოდა პირველი ბედისმწერლის დანაქადი!

მაგრამ სოფელი განა დიდხანს ვინმეს ახარებს? — პირდაპირ უნდა შემოჭრილიყო თხრობაში ბარათაშვილური სტრიქონიც და განწყობილებაც, გამჭვირვალე მინიშნება, რომ: გაქრებოდა ტაძარი და უდაბნო მისად ამღელვარდებოდა.

უნდა აღსრულებულიყო მეორე ბედისმწერლის წინასწარნათქვამიც და... კიდეც აღსრულდებოდა.

გახსოვთ? სიყვარულში უბედურებას რომ უქადდა.

მაგრამ სიუჟეტის განვითარებაზე ხელს აიღებდა და... ამ სტრიქონებსაც გადახაზავდა. თუკი მეორე ბედისმწერლის წინასწარმეტყველების აღსრულება თხრობის მიღმა უნდა

დარჩენილიყო, ზედმეტად მიიჩნევდა აღნიშვნას ქალის სამაგალითო ცოლობისაც და საარაკო დედობისაც. და იმის აღნიშვნასაც: თუ როგორ გაუქრებოდა ციური იდეალი და ქვეყნიურის მხილველიღა დარჩებოდა.

ოცტომეულის კომენტარებში შედარებისათვის მოხმობილია აკაკის ბარათი ტასო ბაგრატიონ-დავითაშვილთან: შინაარსობრივად ძალზე ჩამოჰგავს გადახაზულ ფრაგმენტსო.

და მართლაც ერთი ტექსტის ვარიაციები გეგონება:

— ვებრძოდი ბედის ვარსკვლავს ხანგრძლივ, მანამ ის, ოცნებით წარმოდგენილი იდეალი არ განხორციელდა შენში!.. ბევრი უსამართლობა გამოვსცადე... მაგრამ ავიტანე, რადგან ერთი შენი თანა-გრძნობით შემოხედვა, მეგობრული ღიმილი და ტკბილი სიტყვა მკურნავდა! მაგრამ „ეს სოფელი განა დიდხანს ვინმეს ახარებს“? მრისხანე ბედმა, ჩემ კვალში მდგომმა, გადამიყენა იდეალი და მხოლოდ მითი მძლია და მომეშხამა არა თუ აწმყო და მომავალი, წარსული მოგონებაც კი და „რა ვარ აწ სოფლად დაშთენილი უსაგნოდ მარტო, სულით ურწმუნო და გულით უნდო“?

არ ეშვებოდა და არა ბარათაშვილური სტრიქონები და განწყობილებანი.

გარეგნულად როგორ არა ჰგავს ერთიმეორეს ნოველისა და ბარათის ეს ადგილები, მაგრამ თუ ჩავუკვირდებით, სრულიად საპირისპირო მიზანდასახულებას ამოვიკითხავთ, საპირისპიროს იმდენად, რამდენადაც ნოველისეული აღტაცება და სიხარულის ცრემლები ბარათში შენაცვლებულია გულდაწყვეტითა და სასოწარკვეთილების ცრემლებით.

მომეშხამა არათუ აწმყო და მომავალი, წარსული მოგონებაც კიო...

რა ვარ აწ სოფლად დაშთენილი უსაგნოდ მარტო, სულით ურწმუნო და გულით უნდოო...

ნოველაში ხარობს ცისკრისას დაოჯახებით.

ბარათში — ცხოვრება ენგრევა ტასო ბაგრატიონის გათხოვებით.

ნოველაში ცდილობს თავს მოერიოს.

ბარათში — არცა ცდილობს, გადაუხსნია გული და თვალნათლივია მისი თრთოლვა და ძაგძაგი, მისი მჩქეფარება და იქიდან გადმოდენილი სისხლის წვეთები.

და ცრემლიც აკაკისა „ვეფხისტყაოსნური“ კურცხალია — სისხლისა ცრემლის თხევა!..

ნოველა აქედან უნდა დაწყებულიყო თუ უნდა დაწყებულიყო — ამ გულისჭიდილიდან, აქეთ-იქით ამაო მიმოწყდომიდან. ის, რაც ასეთი სიმძაფრით წარმოესახა ალექსანდრე ყაზბეგს „ელგუჯაში“ — მათიას თავგანწირული და გაუზიარებელი სიყვარულით, აკაკისათვის ყოფითი ბიოგრაფიის, სულიერი ცხოვრების ნაწილი გამხდარიყო და ვინ იცის, მოვლენები როგორ განვითარებულიყო...

ამ სწრაფვის ჩაკვლას, ყოველ შემთხვევაში ჩაშოშმინებას ლამობდა პოეტი და გულისჭიდილი ფურცელზე ამიტომაც გადმოჰქონდა, ეგებ გადმოღვრილმა გრძნობამ როგორმე არტახები ჰპოვოსო — არამარტო სხვები დაეჯერებინა თავისი სიყვარულის სიწრფელესა და უმანკოებაში, არამედ თავისი თავიც, ჯერ სიუჟეტის გაყოლას რომ აპირებდა და... მერე კი ერთბაშად მოჰკვეთდა, მოათავებდა თხრობას, აღარ ცნობდა საჭიროდ აღწერას, თუ როგორ აღსრულებულიყო მეორე ბედისმწერლის წინასწართქმული.

მაგრამ...

აქ კი გადახაზავდა და ხელს აიღებდა სიუჟეტის გაგრძელებაზე, მაგრამ ნოველის დასაწყისში რომ ნახსენები იყო უკვე ის მეორე ბედისმწერალი და მისი ის წინასწარი განჩინება?!

ეს ხსენება მეორე ბედისმწერლისა მოასწავებს იმ სიუჟეტურ გაგრძელებას, რაც საბოლოოდ თხრობის მიღმა უნდა დარჩენილიყო და ამბავიც ჰაერში გამოკიდებულიყო — მგოსნის სიტყვები, ცისკრისასა და ბეგლარ აჩაბეთელის დაქორწინებას თავისი ცხოვრების უკეთეს დღეთა შორის რომ მიუჩენს ადგილს, მოხდენილი აკორდი კი აღარ არის, არამედ სიუჟეტის ნაადრევად და აუხსნელად გაწყვეტის დასტური.

და თუკი მეორე ბედისმწერალს ამოაგდებდა თხრობის დასაწყისიდან, თავისთავად ამოვარდებოდა მესამეც და... პირველის ხსენებას რაღა აზრი ჰქონდა — და კიდეც დაინგრეოდა კომპოზიციური აღნაგობაც და თხზულების მხატვრული დანიშნულებაც — ის ვეღარც ალეგორიული ზღაპარი იქნებოდა და ვეღარც ნოველა, და წარმოდგებოდა რეპორ-

ტაჟად და პამფლეტად, რომელსაც დაეკისრებოდა არა აკაკის გულისჭიდილის წარმოჩენა, არამედ... ილია ჭავჭავაძისა და მის მიმდევართა გაბიაბრუება, გაღმერთებული რომ ჰყავდათ და მარჯვნივ გადადგამდა ნაბიჯს თუ მარცხნივ, სულერთი გახლდათ მათთვის — მაინც უნდა მოეწონებინათ და სულ „ვაშაც“ და „ვაშაც“ ეძახათ!..

ჯერ ეგონა, მარჯვე ფინალური აკორდი ვიპოვნეო.

ამადაც გადახაზავდა იმ გაგრძელებას.

და მერე ეს ვითომდა ფინალური აკორდი თხზულების დასაწყისის შეცვლასაც რომ მოსთხოვდა, უკვე აღარ დაუჯდებოდა გონებაში, რაკიღა მაშინ თხზულების პუბლიცისტურობა და პამფლეტურობა უნდა ეკმარა და სრულიად აცდენოდა იმ განზრახვას, რასაც აელეგბინებინა კალამი ხელში.

იყოყმანებდა, იჭოჭმანებდა და... შეელეოდა მის გამოქვეყნებას, ვიდრე მისი შესაფერისი შევსება-გადამუშავების დრო არ დადგებოდა... თუ არადა ბარემ ჩარჩენილიყო მის არქივში, თორემ ამ სახით დაბეჭდვა, გარდა პირწმინდად მხატვრული ნაკლულოვნებისა, იმ მხრივაც იქნებოდა გაუმართლებელი, ახალ სულს რომ შთაბერავდა ჭორებსა და მითქმა-მოთქმას — ძალიან ზედაპირზე აღმოჩნდებოდა ყველაფერი, ქარაგმისა და ნართაულის ადგილი აღარც დარჩებოდა და... არა ღირდა, არაფრისდიდებით არა ღირდა... და არც აკაკის თხზულებათა ძირითად ნაწილშია მისი ადგილი, ყოველ შემთხვევაში „მოთხრობების“ რუბრიკით — უფრო შესაფერისი „ჩემი თავგადასავლის" ბოლოს იქნება, იმ თხზულებათა გვერდით, სტატიებიც რომ გვგონია, მოგონებანიც, დოკუმენტური მოთხრობებიც და ნოველებიც და რაც მთავარია ჩინებულად შეავსებენ მის ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებს, რომელიც მოცულობით შესაძლოა მთლად რომანი ვერ იყოს (თუმც შინაგანი აღნაგობითა და სწორუპოვარი ხელოვნების წყალობით — რომანის სივრცეა შემოხაზული და სწორედაც რომანისა!), მაგრამ როდესაც ის პატარ-პატარა სტატია-მოგონება-ნოველებიც დაერთვის, გარეგნულადაც ხომ ეპიკურ ქმნილებად წარმოდგება და მკითხველსაც გაუადვილდება აკაკის მოგონებათა წიგნის სრულყოფილი აღქმა, მწერლის თვალთახედვაში არეკლილი ისტორიული პანორამის გასიგრძეგანება, თორემ სად ეძებოს დაფანტული, სხვადასხვა ტომში მიმობნეული ფურცლები თავის წარმოდგენაში შესაკონად.

თავი V

გამოხედვა მიცვალებულის სამზერიდან

ავტობიოგრაფიული რომანის დამატებაში „სიკვდილიც“ კი შეიძლება მოთავსდეს, თავისთავად ყოველმხრივ დასრულებული ნოველა რომ არის, მაგრამ ისეთი მკვეთრია ავტობიოგრაფიული იერი და ცალკეულ პერსონაჟთა პროტოტიპებიც ისე ადვილად ამოსაცნობია, სწორედაც რომ დააგვირგვინებს „ჩემი თავგადასავლის“ იმ სრულფასოვან გამოცემას, რომლის უკანასკნელ მოხდენილ აკორდადაც სხვა ანკი რა შეიძლება ვიგულისხმოთ, თუ არა „სიკვდილი“?!.

ისე რამ მოაფიქრა, არა, თავისი გარდაცვალებისშემდგომი სურათები წარმოესახა?

ეს ისე, რიტორიკულად ითქმის, თორემ აკაკის წარმოსახვის პატრონი — რელიგიური სულიერებისა და მხატვრული ფანტაზიისა — სწორედაც რომ იპოვნიდა ამ მისტიკურ თემასაც და იმ იუმორითა და გონებამახვილობითაც განმსჭვალავდა, მძიმე და მწუხარე განწყობილებანი რომ უნდა შეენელებინა და შეემსუბუქებინა მკითხველისათვის, რომელსაც ისიც უნდა ეგრძნო, რაღაც ღრმა და დამაფიქვრელიც, და ისიც — გარდაცვალება აკაკის სრულებითაც რომ არ აშფოთებდა და ანაღვლებდა, და ავთანდილური განცდისა არ იყოს: თამაშად და უჩნდა მღერად!..

მაშ ეს ყოფილიყო სიკვდილი, რასაც იმ წუთებში განიცდიდა, და... მეტიც არაფერი?!.

თვალები დახუჭოდა, მაგრამ ხედავდა; გული აღარ უძგერდა — და გრძნობდა კი. გონებაც ისევ თავისავე რიგზე გახლდათ. მხოლოდ სხეული დადუნებოდა: ადგომა ეწადა და... ხელ-ფეხს ვეღარ ანძრევდა, ხმის ამოღება სურდა და... ენა აღარ ემორჩილებოდა.

და ძველებურად კი გაეცინებოდა:

ჰეეე, მოდი და ირიკავე ახლაო!..

ღმერთს მადლობას შესწირავდა: რა გაეწყობაო!.. და დაინტერესდებოდა: ვნახოთ მაინც, კიდევ რაღა იქნებაო!..

რას ამბობდა ხალხი? სიკვდილი წერაააო.

და თვითონ სიკვდილი რაღას ირწმუნებოდა? უმიზეზოდ მე არავის ვერჩიო.

და მართალიც არისო, — ეთანხმებოდა მთხრობელი და უკვირდებოდა, მისი სიკვდილის მიზეზი რაღა იყო — ანთება?.. მაგრამ ეს ანთება რაღას გამოეწვია?..

და მაშ ყური დაგვეგდო, საზოგადოება რას ამბობდა:

— დაუდევარი კაცი იყო, თავის პატივი არ იცოდა, თბილად ვერ იცვამდა, ცივ ოთახში იდგა, საზაფხულო ტანისამოსით დადიოდა...

ფიე!.. — დაცდებოდა ნეშტადქცეულს, — ვერ უყურებთ?!. ბრალს მევე მდებენ, ახირებული თუ გინდათ, ეს არის, თქვენმა მზემო!..

განა ვის არ უნდოდა თავი მეფედ და ცოლი დედოფლად?!.

და განა ანგანსვენებულს კი სძულდა თავისი თავი? მაგრამ... საშუალება მეტ-ნაკლებად თავის მოვლისა?..

რაო, რას გაიძახოდნენ პასუხად, თანაც დარწმუნებით?

— არა, ეგ ტყუილია, მაგას რა ბევრი რამ უნდოდა?!! ჩვენთვის ეთქვა და ჩვენ მოვუხერხებდით მაგ საშუალებას!..

არადა ტყუოდნენ: მისებრ საწყლებს თვითონვე არას გამოართმევდა, და მდიდრებისათვის რომ მიემართა — გაკიცხავდნენ, სირცხვილში ჩააგდებდნენ, და სირცხვილს ისევ სიკვდილი უჯობდა!.. და ნეტა რას ბოდიშობდნენ? ან ადრე ვინ რას სთხოვდა მაგათ და ან ახლა ვინ რას ესაყვედურებოდა, რომ პირაქეთ — მკვდარს ამტყუნებდნენ?

მაგრამ ასეთი რომ არის ადამიანის ბუნება?!.

აკაკის ასე სჯეროდა და:

თავისი თუ არა ეხარჯება რა, თავის გამოჩენას არაფერი ურჩევნია, კუდაბზიკობა ცხოვრების ერთ ჭახრაკთაგანად ქცეულაო.

ეჰ, რაც იყო, იყო!.. ახლა დაგვიანებულიყო ყველაფერი.

და მადლს შესწირავდა უფალს, რომ... ჭირისუფლები არ დასწრებოდნენ, თორემ შეიქნებოდა ერთი ვაი-უშველებელი, ტირილ-ყვირილი, მოთქმა, თავცემა...

იცინებდა და რას იცინებდა იმ სურათის წარმოდგენაზე, რასაც უგულო ჩვეულება მოითხოვდა და... მტერს, რაც დღე ამას დაადგებოდა — კუბოში მწოლიარეს: სულით დაიტანჯებოდა. ახლა კი... მაგრამ ახლაც რომ არ გახლდათ მოსვენებით!.. ეს აუარებელი ხალხი რომ შეკრებილიყო, ვითომ რას ნიშნავდა? სიცოცხლეში არ მოეკითხათ, ავადმყოფი არ ენახათ და ახლა კი თავს იტეხდნენ.

არა სჯეროდა სიკვდილის შემდეგ სინანულისა, და ხელსაც აიქნევდა: სინანული კი არა და ის კიდევ!.. ყველას თავთავისი გულის საფხანი რამე აქვს და მკვდარს მიზეზად მიღებს... მამადლისო.

ზოგი მხოლოდ იმიტომ მოდიოდა, დარწმუნებულიყო: მართლა აღესრულა თუ არაო.

ზოგიც გუნებაში ამბობდა: ცოცხალი რომ მინახავს, მოდი ახლა მკვდარსაც დავხედავ, როგორიაო!..

ზოგი რას ფიქრობდა და ზოგიც რას!.. ზოგიც მარტო ფეხისხმას აჰყოლოდა!.. საზოგადოდ კი ყველა იმ აზრისა გახლდათ, უკანასკნელი ვალი უნდა მოვიხადოთო.

დიდება შენდა ღმერთოო, — აღმოხდებოდა, — პირველი ვალი როდის ახსოვდათ, რომ ამ უკანასკნელს აღარ ივიწყებენ? როგორც ჩანს, ეს მეორე უფრო ადვილი და გასართობი ყოფილაო...

ალბათ ამის მიზეზი იყო, რომ ხალხი თავს მოიყრიდა და სახლში ტევა აღარ იქნებოდა... საკვირველად ეჩვენებოდა, რომ ხმამაღლა ლაპარაკს ვერავინ ბედავდა მკვდართან... თითქოს ეშინოდათ მისი!.. და ამ საქციელს უკუღმართ სამართალს გაუიგივებდა: სიცოცხლეში არავინ მერიდებოდა, მიყვიროდნენ, უსამართლობითა და ცილისწამებით მაყრუებდნენ და... ახლა კი მართლის თქმასაც ვეღარ ახერხებენ ხმამაღლაო...

მხოლოდ ჩურჩულებდნენ!.. დიახ, ჩურჩულებდნენ, მაგრამ სული ფხიზელი რომ ყოფილა, ამიტომაც ვერაფერს გამოაპარებდნენ — ყველაფერი ესმოდა.

ტრივიალურ აზრებს რომ გამოთქვამდნენ ისეთი თავმომწონეობით, თითქოს საკვირველი რამ სიახლე ეთქვათ, ეს რა მოსატანია, როდესაც ერთი ბობოლა (სხვათა შორის: ამ სიტყვას აკაკი შემოიტანდა ქართულ მეტყველებაში და ეამაყებოდა მისი დამკვიდრება, „გაიძვერასა“ და „შეხმატკბილებისა“ არ იყოს) კიდეც დაძრახავდა:

— სამწუხაროა ახლანდელი ქართველების მდგომარეობა! აი, ახლა ეს: ნიჭიერი კაცი იყო, მაგრამ უკუღმართად გაატარა თავისი დღე და სოფელი! ვერც თავის თავს არგო რამე და ვერც ქვეყანას!.. შეეძლო დაწინაურებულიყო და კაცი გამხდარიყო! ახლა კი თითქოს არც ყოფილიყოს ქვეყანაზე!

ამაზე მეორე კვერს დაუკრავდა, ოღონდ განაზოგადებდა: ეგ საყოველთაო სენია დღესო.

კიდევ რას კილავდნენ?

ცუდი ენის პატრონი კი იყო: თვითონ არას გერჩოდა, მაგრამ თუ გამოიწვევდი, ერთს მისთანას გეტყოდა, გულიდან აღარ ამოგცილდებოდა!.. მაგის შიშით ხმა ვეღარ ამოგვეღო!.. ნამეტანი იყო, ნამეტანი!.. თავხედი, ბრიყვი, უზრდელი, შეუპოვარი!.. ეჰ, მადლობა ღმერთს, მოვრჩით... გადავრჩითო!..

მაგისი ნიჭის პატრონს შეეძლო ბევრი ნაყოფი მოეტანა ჩვენი ქვეყნისათვის, და უნაყოფოდ კი ჩაიარა მაგისმა შრომამ! ეგ სულ მისი ბრალია, რომ მე არას მიჯეროდა და თავის ნებაზე დადიოდაო.

კაცო, შენ ჩემი თქვი... არ დამიჯერა, არ იქნა, ვერ დავაწყებინე ჩემებურად წერა!.. ორმოც წელიწადს წერდა და ქართული კი მაინც არ იცოდა... ვერ ისწავლა!.. თუ არ გადავასწორეთ მაგის ნაწერები, კაცს არ წაეკითხება!.. რაღაც უცნაური ენაა, იმერულიო!..

ეეჰ!.. ღირს კი გადასასწორებლად? ისე არ მოიპოვება აზრი მაგის ნაწერებში, როგორც ურიის სახლში მირონი! ცარიელი ღლაბუცობა და ლაზღანდარობააო!..

ეგ ხომ ყველა მართალია, მაგრამ მაინც უნდა პატივით დავასაფლაოთ ქვეყნის დასანახად!.. მე სიტყვასაც კი ვამზადებო.

მეცო! მეცო! მეცო! — გაიმეორებდნენ სხვანი და გავიდოდნენ.

ლაღი იუმორი და გროტესკი თანდათან ირონიასა და სულაც სარკაზმში გადაიზრდებოდა და სატირული სურათიც წარმოისახებოდა დაცემული მორალისა, თუ როგორ შეიძლებოდა დაემცირებინათ და გაეხიბრუებინათ ღირსეული პიროვნება, და თანაც ზედ დასართული ეს ფარისევლობა — თუკი ასე უყურებდი, როგორც თავხედს, ბრიყვსა და უზრდელს, რომელსაც ქვეყნისათვის ვერა ერგო რა და უნაყოფოდ გამოეკვლო წუთისოფელი, ქართულიც ვერ ესწავლა და მისი ნაწერები არც წაიკითხებოდა, როგორც ცარიელი ღლაბუცობა და ლაზღანდარობა, მაშ რატომღა უნდა დაგესაფლავებინა პატივით და დაკრძალვაზე კი ქება-დიდებადაც დაღვრილიყავი?

საამისოდ ფრიად დამაჯერებელი, ეჭვ და წყალგაუვალი საბუთიც მოეძევებოდათ: ქვეყნის დასანახადო.

მოეკრიბა, რაც აუგი სმენოდა მასზეც და მის ლიტერატურულ მოღვაწეობაზეც, და კიდევ — რა შეიძლება თქმულიყო მოქიშპეთა თუ მოძულეთა მხრიდან და... ერთიანი სურათის აღდგენით საკმაოდ მძიმე ვითარება წარმოჩნდებოდა.

არა, ქართულზეც რომ ედავებოდნენ და ენას უწუნებდნენ: რაღაც უცნაური ენაა, იმერულიო.

რაო, კიდეც დასცინოდნენ? ეს იქით დასცინოდათ, ეს გამკილავი ფრაზა საგანგებოდ რომ ჩაერთო ყველერებათა ჩამონათვალში.

თუმც... განა მასაც იმავეს არ უძრახავდნენ, რასაც თვითონ ვაჟა-ფშაველას საყვედურობდა — რაღაც უცნაური ენაა, ფშავ-ხევსურულიო?!. ან ის კიდევ: მოიხევსურ-მოიბაჩანავებსო?!.

თვითონ მთის კილო სჭრიდა ყურს.

სხვებს — მისი იმერული.

ეგაა თვითონ მარგალიტების მთესველად მაინც აღიარებდა ვაჟას, სხვანი სასიკეთოს ვერც ვერას რომ ჰპოვებდნენ მის თხზულებებში — იოტისოდენასაც კი.

ესენი თუ მის ყველერება-დამცირებაში იყვნენ, ქალ-ვაჟს სულაც არშიყობა უნდა გაეგმართა მიცვალებულის სიახლოვეს: რა გშვენის ეგ შავი კაბაო, — ვიღაც ფრანტი რომ ჩაუკრავდა ახალგაზრდა ქალს და ის კი პასუხად: იჰ, რა დროსიაო? — სიამოვნებით გაწითლებული ცბიერად რომ შემოხედავდა ვაჟს, რომელსაც უნდა დაებეჯითებინა: სიყვარულმა უდროობა არ იცისო!..

ამგვარი ლაპარაკი ბევრიც რომ მოესმოდა, გულზე კი გასკდებოდა მიცვალებული, მაგრამ... სულს რომ გული არ გააჩნია?!.

აგერ პატარა ბავშვი ჰკითხავდა დედას: ახლა ლექსებს აღარ დაწერსო? — და დედის პასუხზე: ვეღარ დაწერს, აქ აღარ იქნება, ფუფუალასთან წავიდაო, — რომ დაინტერესდებოდა: იქ ლას გააკეთებსო? — ასე მიუგებდნენ:

— იქ... შეეხვეწება ფუფუალას, რომ ნიკო გააბედნიერე და კარგი კაცი გამოიყვანეო!.. შენი შვამდგომელი იქნება, შვილო, და შენც ილოცე!.. შეავედრე ღმერთს!.. პირჯვარი გამოისახე!..

სხვაგვარად ანკი როგორ წარმოიდგენდა აკაკი თავს ზეციურ სამფლობელოში, თუ არა იქაც ბავშვთა შუამდგომლად. და მასაც თუ ვინმეს ლოცვა-ვედრება მინდებოდა, უპირველესად ბავშვებისა.

აგერ მღვდლებიც გამოჩნდებოდნენ პანაშვიდის გადასახდელად.

და უფალს მადლს შესწირავდა სული-მთხრობელი: ეს ერთი ჭირისუფალი მაინც გამჩენია აქ!.. ეტყობა, სოფლიდან არის ჩამოსულიო, — და ეს სიხარული მალევე უნდა გაქარწყლდეს და უფლისათვის მადლის შეწირვა თურმე კონტრასტის ხერხდაა მომარჯვებული.

მღვდელი პანაშვიდის გადახდას... უცხო ენაზე აპირებს. ადვილი მისახვედრია, ეს „უცხო“ რასაც ნიშნავს, თუ რომელი ენა გაბატონებულა საეკლესიო ღვთისმსახურებაში

და ვერა და ვეღარ მოგვიცილებია იქიდან, მიუხედავად თუნდ აკაკის დიდი თავგამოდებისა და დაპირისპირებისა რუსულად აღვლენილ წირვა-ლოცვასთან.

და აი ერთ-ერთი ახალგაზრდა სულიერ მამას რომ სთხოვს: ნუ ინებებთ მაგასო, — იმან უნდა მიუგოს: კი მაგრამ, აქ ბევრია მისთანა, რომ ქართული არ იციანო, — და არად ჩააგდოს ახალგაზრდის გულისწყრომა: მე მგონია, თქვენ მკვდრისათვის იხდით პანაშვიდს და არა ცოცხლებისათვისო!..

მღვდლის გადაწყვეტილება კი არ იცვლება და...

აუგებდნენ წესს!.. გათავდებოდა!.. შეიქნებოდა ჩოჩქოლი. დაუპირებდნენ გასვენებას, მაგრამ უნდა წამომდგარიყო ისევ ის ახალგაზრდა და წაეკითხა განსვენებულის ლექსი-ანდერძი: ოთხ ფიცარს რომ ითხოვდა კუბოსათვის, უბრალოსა და შეუმკველს, არც გვირგვინებს, არც სიტყვას, არც რა ცერემონიას, რადგანაც მოლას ანდაზა ამასაც ბევრჯერ გაეგონა.

რა სურდა და:

ბაღში დაემარხათ, სადაც არ იქნებოდა სხვა მკვდარი!.. ზაფხული მწვანედ მოსავდეს და თოვლს აყრიდეს ზამთარი!.. მზე საფლავს სხივებს ტყორცნიდეს და დაჰქათქათებდეს ზედ მთვარე და ვარსკვლავებიც ჭიკჭიკა — მიბნედით მოსხივციასკარენი.

დილდილაობით გასაღვიძებლად შაშვს ესტვინა ზევსური, რომ მისი მაღალბან-სალამურისათვის სიკვდილსაც დაეგდო ყური. საღამოს ვარდის ჩიტუნას ჩასკვნით ჩაეკვნესა „ნანინა", მახლობელ ბუჩქებზევე დაბინავებულს!..

და ამდენი ნატვრის გვირგვინად ერთსად დასახავდა:

კაშვირსა სიკვდილ-სიცოცხლის, ორივე სოფლის სიამეს!..

ის ერჩივნა ძვირფას ძეგლსა და ყოველგვარ სანახაობას, იქ დღეუქმეებზე რომ ეხილა მოზარდ ქართველთა თაობა!.. იქ ეთამაშათ, ეცელქათ და... კიდეც შეხორცებოდნენ ქართველ ერს!.. და თავისებურად გაეგრძელებინათ ძველებური „მრავალჟამიერის" მღერა!..

ყველა ყურს დაუგდებდა ახალგაზრდას, მოსმენით კი მოისმენდნენ მიცვალებულის დანატოვარ ამ ლექს-ანდერძს, მაგრამ... სიცილს დაიწყებდნენ. ხოლო დაკრძალვის მოთავეები იტყოდნენ:

— ახლა გვიანღა არის, მომზადებული ვართ, ხალხი ცერემონიას ელის... უცდის — და ხომ ვერ მოვატყუებთ!

და ამას ყურს რომ მოჰკრავდა სული-მთხრობელი, გუნებაში გაეცინებოდა: არა, მეც თუ სულელი არა ვარ, სიცოცხლეში ვინ რა სურვილი ამისრულა, რომ სიკვდილის შემდეგ გამიგონონო!..

და კიდეც — დაავლებდნენ ხელს ცხედარს და გაიტანდნენ.

დიდძალი ხალხი მოიყრიდა თავს; ქუჩები სულ გადაიტენებოდა, მაგრამ... მწუხარებას კი ვერავის შეატყობდა — ისევ ქალებს, ბავშვებსა და უბრალო, დაბალ ხალხს, სხვები კი... მხოლოდ მოვალეობას თუ იხდიდნენ, ხოლო უფრო მეტი სეირის მოყვარული აღმოჩნდებოდა!..

ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა:

სახრჩობელაზე რომ ვინმე წაეყვანათ, მაშინ ისევ ეს და ამდენივე ხალხი მოგროვდებოდაო.

ამდენივე ამდენივედ, მაგრამ... ისევ ესენიც?..

ვაი და ვაგლახ, რომ... ისევ ესენიც...

სულ ტაატით წაასვენებდნენ, და ყველაზე ძალიან მაინც გვირგვინები მოჭრიდა მზერას — ეს რაღა ოხრობააო!.. გაგონილიყო ამდენი?!. სიცოცხლეში გაურბოდნენ და ახლა კი უკან გამწკრივებულიყვნენ.

— წმიიინდააააოლმეერთო, წმიიინდაააააოძლიიიეროოო! — გალობდა მოსწავლეთა გუნდი... და ეს კი არა წყინდა მიცვალებულს!.. მშობლიური რამ ხვდებოდა გულს!.. მაგრამ მაინც ნატრობდა: ნეტა მალე გათავდებოდესო!..

უჰ, როგორც იქნა, ძლივს არ მოასვენებდნენ საფლავამდის! მადლობა ღმერთს, ახლა მაინც ჩასდებდნენ პირღია სამარეში და — ესეც მორჩებოდა და მოისვენებდა!..

მაგრამ თურმე რა ბრძანებაა?! აქაც კიდევ ერთი ჭირი... და უარესიც დაემართებოდა: შემოეხვეოდნენ გარშემო, აამაღლებდნენ ერთ ადგილს, შედგებოდნენ ზედ ვიღაც-ვიღაცები და აასაქაქებდნენ ენას. რას აღარ იტყოდნენ: ესაო და — მზე ჩაესვენაო, ესაო და — მთვარე დაბნელდაო, ესაო და — მოწყდნენ ვარსკვლავნიო...

ასე გატლეკაც იქნებოდა?!.

მერედა ვინ ამბობდა ამ სიტყვებს ასე ურცხვად? სულ ის ხალხი, რომელსაც, ვიდრე ცოცხალი გახლდათ, მისი ლანძღვისა და ცილისწამების გარდა არა ეკეთებინა რა!..

ახლა კი მოასწრებდნენ და კუდაბზიკობდნენ!.. და ეს კი შეურაცხყოფად მიითვლიდა მათ ფარისევლურ სიტყვებსა და ცბიერ ალერსს!.. სურდათ, რომ მჭევრმეტყველებით თავი გამოეჩინათ და გული ეჯერებინათ.

უჰ, ძლივს არ გაათავებდნენ!..

აი დააჭედებდნენ კუბოს თავს, აკაკუნებდნენ, აკაკუნებდნენ და... ჩაუშვებდნენ სამარეში... მიწას მიაყრიდნენ და... ახლა კი გამოემშვიდობებოდა თავის სამშობლოს ცნობისწადილით აღსილი: ნეტა ი ქ რაღა იქნებაო?!.

მაგრამ სამარეშიც როგორ მოისვენებდა, მეზობელ მიცვალებულს რომ არ ამოჰყოლოდა და... ყველაზე უმალ სტამბისაკენ არ გაქანებულიყო.

აკაკიც იქნებოდა, სხვაგვარად მოქცეულიყო — თვით მიცვალებულის ფიქრიც და განცდაც კვლავ სტამბას უნდა დატრიალებდეს თავს, უიმისოდ სამარეშიც ვერ ისვენებდეს.

სტამბაში კი მუშები მოწყენით უნდა დახვედროდნენ და მასზე ჰქონოდათ ჩამოგდებული საუბარი.

— ჰე, ახლა ხომ გეშველა? სულ იმას წუწუნობდი, იმის ხელს ვერ ვარკვევ და ბევრ დროს მაკარგვინებსო! მორჩი და მოისვენეო, — ეტყოდა ერთი მეორეს, მაგრამ ის:

— შე კაცო, გულისწყრომის დროს რასაც კაცი იტყვის, განა ყველა მართალი? ნეტა ის არ მომკვდარიყო და მე შრომა ერთიათად მომმატებოდა!

და აქ მესამე უნდა ჩარეულიყო:

— მეც შემხვედრია მისი სტატიის აწყობა, გამჭირვებია ამოკითხვა. მაგიერად ბოლოს სიამოვნება მინახავს, ახლა კი ვეღარც მის სტატიას ავაწყობ და ვეღარც სხვას.

სხვას რატომ ვეღარ?

რატომ და: სტამბიდან გამოეგდოთ.

რა მიზეზით და: ისეთი სტატია მიეტანათ განსვენებულზე, რომ აწყობა შეზიზღებოდა და უარი ეთქვა. ჯერ ვითომ ქებით იყო დაწყებული, მაგრამ ბოლოს კი ისეთი ლანძღვით თავდებოდა, რომ ქებას აქარწყლებდა და გინებას აორკეცებდა. და თუ ახლა იშოვნიდა სამე ადგილს, ხომ კარგი, თუ არადა გაუდგებოდა გზას გურიისაკენ, ღომი ბევრი ეშოვებოდა და ღობიო.

სტამბიდან პირდაპირ ერთი რედაქციისაკენ გასწევდა სული-მთხრობელი, „ივერიას“ რომ იგულისხმებდა, და წაადგებოდა ერთად თავშეყრილ თანამშრომლებს, ერთ-ერთი რედაქტორის თანაშემწეს რომ ეჩხუბებოდა:

— მაშ არ დაბეჭდავთ? არა? რა მიზეზია?

— ის, რომ ურიგოაა ახლა მაგისთანა სტატიების წერა! ისევ თბილია, ჯერ კარგად არ გაციებულა, და შენ კი თავზე ქვა და გუნდას აყრი. ამას არც მტერი მოგიწონებს და არც მოყვარე.

— შენ სიცოცხლეშიც არ ყოფილხარ მაინცდამაინც წინააღმდეგი, და ახლა ხომ სულ... მომეცი ჩემი სტატი, რომ თვითონ რედაქტორს წავაკითხო.

და არტემ ახნაზარავად, იგივე ჩიორად, ნაგულისხმევი თანამშრომელი ვიდრე რედაქტორის კაბინეტში შევიდოდა, მანამდე სული-მთხრობელი უნდა გამძვრალიყო იქ და ყური მიეგდო, თუ რას ელაპარაკებოდა რედაქტორი თავის თავს მარტოდმარტოდ და მოწყენილი:

— რამდენი ხანი ვიცნობდი და ჩემს დღეში მისგან პირადი წყენა არ მახსოვს. საზოგადოდაც, მართალია, ერთი მიზანი გვქონდა, მაგრამ ის სულ სხვა გზით მიდიოდა და მე სხვით. ჩემი გზა იმას არცერთხელ არ დაუქოლავს, და მაშ რად მძულდა? რად მეჯავრებოდა? მაგრამ ენის მიტან-მოტანა რა საძაგლობა რამ არის! მუშას რომ გადაატანინო რამე

ერთი სახლიდან მეორემდის, განა იმას გზაში მტვერი არ ეყრება და არ ჩირქიანდება? ასეთივეა გადატანილი სიტყვა, სულ სხვა ფერად გადადის და სხვა ხორცად. გონებამ ეს ყველაფერი იცის, მაგრამ გული კი უსამართლო ენის ამყოლია. ეჰ, ვინ დაიჯერებს, რომ მისმა სიკვდილმა მე ასე გული მატკინა?

ოცტომეულის გამოცემის კომენტარებში შენიშნულია, რომ:

ეს მსჯელობა თითქმის სიტყვა-სიტყვით ემთხვევა აკაკის გამოუქვეყნებელი პუბლიცისტური სტატიის ტექსტს, სავარაუდოდ იმავე 1894 წელს რომ უნდა დაწერილიყო და უსათაუროც გახლდათ, პირობითად ასე რომ დასათაურდებოდა კრებულში „უცნობი აკაკი" შეტანისას: „ილია ჭავჭავაძესთან დამოკიდებულების გამო".

ეს — ამგვარი დამთხვევა რომ არსებობს, თორემ დასაზუსტებელი აქ არც არაფერია, რედაქტორად წარმოდგენილი პერსონაჟი ილიას რომ გულისხმობს, ადვილი მისახვედრია.

თავისთავად კი საგულისხმოა, როგორ წარმოედგინა აკაკის, თუ რას ფიქრობდა მასზე ილია, უმთავრეს მიზეზად მათი ურთიერთდაშორებისა ენის მიტან-მოტანას რომ მიიჩნევს და ამით გარკვეულად ამართლებს ილიას განწყობილებას მისადმი, განწყობილებას, თითქოს იმას სძულდა და ეჯავრებოდა აკაკი... თუმც... თუმც ილიას თავის განწყობილებას ხომ არ მიაწერს?!.

ფსიქოლოგიურად ამას თავისი ახსნა მოეძებნება: აწუხებს, ძალიან აწუხებს, ასე რომ ფიქრობს ილიაზე და... ამ შეგრძნებისაგან რომ გათავისუფლდეს, ურჩევნია იმაზე გადაიტანოს, სწორედაც ილიას მიაწეროს, თვითონ რასაც განიცდის...

ის ურთიერთობა, რაც მათ შორის სუფევდა, ირგვლივ ყველასაც აფიქრებინებდა, აკაკის აღსასრული — თუკი ასეთი რამ მართლაც მოხდებოდა — თუ ვინმეს, ილიასაც გაეხარდებოდაო, მაგრამ აკაკიმ ხომ იცის და დაბეჯითებითაც მოეხსენება, რომ გულში ილია მას დიდადაც აფასებს და აღიარებს და... აკაკის გარდაცვალება უზომოდ ატკენდა გულს.

სხვათა შორის:

შესაძლოა ნოველის ამ პასაჟით იყოს შთაგონებული ვახტანგ ჭელიძის ბიოგრაფიული რომანის „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა" ფინალური ეპიზოდი, როდესაც რედაქტორი — სახელი არც იქ იხსენიება, თუმც მინიშნება საკმაოდ გამჭვირვალეა — ძალიან და ძალიან განიცდის ივანე მაჩაბლის უგზოუკვლოდ გაქრობას და ნატრობს და ოცნებობს, ეგებ გამოჩნდეს ცოცხალი და საღსალამათიო.

იქ კი, „სიკვდილის" სიუჟეტში, ამ ფიქრებით მოცულ რედაქტორს უნდა მიადგეს ის თანამშრომელი — არტემ ახნაზაროვს რომ წამოგვაგონებს — და გადასცეს სტატია, რომლის რამდენიმე პწკარსაც გადაიკითხავს თუ არა დამხვდური, წარბები უნდა შეჭმუხნოს, უკანვე დაუბრუნოს და კიდეც გაუწყრეს:

— ამის დაბეჭდვა არ შეიძლება: შენ არ გესმის, რა დროს რა უნდა! ეს სტატია რომ დაბეჭდილიყო, მე შენ რედაქციაში არ დაგაყენებდი.

და კუდამოძუებული თანამშრომელი გარეთ უნდა გამოვიდეს ბუტბუტით: მოდი და გაიგე ახლა მაგათ თავი და ბოლო! ხან ასე და ხან ისეო. ჩემ ჭირს, თუ არ დაბეჭდავენ! ჩემთვის სულერთია: მარჯვნით ვიქნები თუ მარცხნივ! მეორე სტატიაც ხომ მზადა მაქვს ამ სტატიის წინააღმდეგი. იმას მეორე რედაქციაში წავიღებ — და სიხარულითაც დამიბეჭდავენო, — და კიდეც გასწიოს იმ მეორე ანუ „კვალის" რედაქციისაკენ.

სული-მთხრობელიც დაედევნებოდა.

„კვალის" რედაქციაში დიდიან-პატარიანა ყველა შეწუხებული დაუხვდებოდათ. ჯერ კიდევ თვალზე ცრემლი რომ არ შეშრობოდათ და რედაქტორს კრიჭაც არ ეხსნებოდა. და დანუნებული სტატიის ავტორი თამამად რომ შევიდოდა და ღიმილით გაუშვერდა ხელს რედაქტორს, ის არ ჩამოართმევდა: სხვა რომ არა იყოს რა, ორი შენი ხნის მაინცა ვარ და მაგრე მედიდურად რომ მიტურტურებ ხელს, როგორ არ იცი, რომ უზრდელობააო?!.

ცოტა შერცხვენილი სტუმარი ამცნობდა, რომ სტატია მიეტანა მიცვალებულზე, თანაც ქება, მაგრამ... რედაქტორი არ დაიტოვებდა იმ მოტივით:

— თქვენისთანა კაცების ქება-დიდება იმას სიცოცხლეშიც შეურაცხყოფად მიაჩნდა და ახლა ხომ სულ საფლავიდან ამოღება იქნება.

„კვალის“ რედაქტორი — გიორგი წერეთელი რომ იგულისხმება — გაცილებით უფრო წარმოდგება პოეტ-მთხრობელის პატივისმცემლად და დამფასებლად, ვიდრე რედაქტორი „ივერიისა“, და ნოველის მიზანი ესეც გახლდათ, ეს განსხვავებული დამოკიდებულება წარმოეჩინა.

იქ თუ რაღაც გაუგებრობანი მომხდარა, აქ — არავითარი.

ილია ჭავჭავაძე თუ გულისჭიდილში მაინც ჩავარდნილა, გიორგი წერეთელს საამისო არაფერი სჭირს.

და კიდეც უნდა ამოიყაროს აკაკის ჯავრი ჩიორაზე, ამ ფანტაზიითაც რომ ნეტარებს სული-მთხრობელი თუ როგორ გამოდის შერცხვენილი მწერალ-ჟურნალისტი გარეთ რეტდასხმული და ხვნეშის: ჰეეე? აღარც იქით და აღარც აქეთ!.. ახია ჩემზე: რას ვერჩოდი განსვენებულს? ერთი საწყალი ვინმე ვიყავი, მრუდი და მართალი ყველა თავში მიფაჩუნებდა; იმან პირველად შემნიშნა, თავზე ხელი გადამისვა, გზაზე დამაყენა და მე კი ყეფა-ღრენით გადავუხადე! სულ ლუკმაპურის ბრალია. ღმერთმა დასწყევლოს სიღარიბე! არცერთხელ საკუთრად ჩემთვის მათრახი არ გადუქნევია, მაგრამ მისი შორს გატყორცნილი შოლტი როგორც მე, ისე ჩემისთანებს ბევრს პირდაპირ ხვდებოდაო.

და სანიმუშოდ გაიხსენებდა იმ ლექსს, აკაკის წლების წინათ — კერძოდ 1888-ში — რომ გაეპამპულებინა ჟიულ მურიე, საქართველოში ფრანგულენოვანი ჟურნალის რედაქტორი — თითქოს პირდაპირ არ ახსენებდა, მაგრამ რა ხსენება უნდოდა, როდესაც მურიეს მურიად დააქარაგმებდა — ასე გამჭვირვალედ და ხელშესახებად, და არ მოაკლებდა დამამცირებელ ეპითეტებს, თავიდანვე აბუჩად რომ აიგდებდა: რას წუწუნებს, ხომ არ შია, ან ხომ არა სწყურიაო!.. — და თითქოსდა მიეფერებოდა კიდეც: ვისი არი და ან სადაურია? ქუცი! ქუცი! კუდქიცინა მურიაო!..

უმადურსაც უწოდებდა, ბრიყვსაც, სალახანასაც, შურიანსაც, სასაცილოსაც, რაკიღა მისი ხერხი ერთი ლუკმა პური გახლდათ, გადაუგდებდი და... კიდეც გაჩუმდებოდა; ვინც გააძღობდა, გაუშინაურდებოდა და დაემონებოდა კუდის ქნევით, ანკი რა ეღონა ბუნებით უძლურსა და საცოდავს?!. და ლაქუცობაც სჩვეოდა, თუ არ შიოდა და ან არა წყუროდა. ქუცი, ქუცი, — ერთხელ კიდევ დაუყვავებდა და... ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ეს მწვავე სტრიქონები მკითხველს გულიდან არ ამოშორდებოდა, ნოველაში კი განაზოგადებდა, არტემ ახნაზარავს რომ ათქმევინებდა: აი ახლა ეს არავის შეეხება, მაგრამ ბევრს კი მისი სარკე ჰგონია, და მეც გულში ისრად მესობა. ჩანს, რომ ალბათ მეც მურია ძაღლი ვარო.

თითქოს შეზარავდა ეს გაიგივება ჩიორას, მაგრამ ჩაფიქრდებოდა თუ არა, მაინც ამგვარ ყოფას ამჯობინებდა: ვიყო... ვიყო, ოღონდ კი თავი როგორმე გავიტანოო. პატრონი ძაღლს ხან თუ გაუჯავრდებოდა და კარშიც გააგდებდა, ხან ხომ ისევ დაუძახებდა და მოეფერებოდა, და ძაღლსაც რა უჭირდა, ვიდრე ყეფა შეეძლო და კუდის ქიცინი.

და ჟურნალისტი თავს რომ ინუგეშებდა: ეჰ! წავალ ისევ ჩემს ძველ რედაქციაშიო, — სული-მთხრობელი ზიზღით აღივსებოდა მისადმი, მაგრამ მაინც შეუნდობდა და გაექანებოდა „პურ-ღვინოსაკენ“, რადგან ამასობაში ვახშმობის დროც მოატანდა.

სულია, მაგრამ ჯერაც ბოლომდე ვერ გამოთხოვებია წუთისოფლურ ყოფას!..

სხვათა შორის:

როდესაც სასტუმრო „ორიანტში“ ლაქიად ნამსახურევი სანდრო თოიძე თავის ამხანაგთან ერთად საკუთარი რესტორნის გახსნას განიზრახავდა, მოაწყობდნენ ყველაფერს და ახლა ფიქრს დაიწყებდნენ, ისეთი რა სახელი დავარქვათ, რომ მოკლეც იყოს და მუშტარიც ბევრი მოიზიდოსო. ბევრგან იკითხავდნენ და ბოლოს აკაკისაც მიმართავდნენ.

— „მუქთი“ დაარქვითო, — მოუჭრიდათ პოეტი, — სიტყვა მოკლეც არის და მიმზიდველიც, მუშტარს ვეღარ აუხვალთ, ისე დაგეხვევიან, როგორც ბუზი თაფლსა.

აწონ-დაწონიდნენ, მაგრამ მერე მაინც „პურ-ღვინოს“ ამჯობინებდნენ სახელად, თუმც იაკობ მანსვეტაშვილი, ვინც ამ ამბავს შემოინახავდა, დიდად კმაყოფილი არ უნდა იყოს სანდრო თოიძის არჩევანით. პირდაპირ არას ამბობს, მაგრამ ქვეტექსტი საკმაოდ გამჭვირვალეა, როდესაც დასძენს: რესტორანს სანდრო რომ განაგებდა, აქაც უფრო ფილოსოფოსობდა, ვიდრე საქმიანობდაო.

მითუმეტეს, რომ: აკაკის შეთავაზებას გაიხსენებდა მისი მოლანასრედინობის ნიმუშად, მის მოსწრებულ სიტყვათა თვალსაჩინოებისათვის ერთ ყველაზე სახიერ მაგალითად.

მართალია ისინი ვერ დაუფასებდნენ, მაგრამ დაე ნუ დაიკარგებოდა ეს მახვილგონივრული სახელი და ოდესმე ვინმეს უსათუოდ გამოადგებოდა.

„მუქთი“ — უკეთესი სახელწოდება ანკი რა გინდა რესტორნისათვის?!.

და... ნოველაში მაინც მოენათლა ასე?..

ბოლოსდაბოლოს ყველასა და ყველაფერს აქარაგმებდა და რესტორანი რა გახდა?

რა გახდა და: რატომ უნდა შეეცვალა ანდა უსახელოდ მოეხსენიებინა, განა რესტორნის სახელწოდების განსაზღვრას რა ისეთი მნიშვნელობა ჰქონდა, მის დაქარაგმებაზეც ეზრუნა. დაე აღენიშნა ისევე, როგორც ერქვა, ყოფითი რეალობიდან ეს მაინც გადაეტანა პირდაპირი სახით თხრობაში.

სიუჟეტი კი ისე გრძელდება, რომ:

იქ ნაცნობები ვახშმად დამსხდარან და მასაც იგონებენ.

მის ნათქვამს გაიმეორებდნენ, იცინებდნენ, იხარხარებდნენ და დროს გაატარებდნენ.

ერთ-ერთი თანამესუფრე აავსებდა ჭიქას ღვინით, თავს ნაუქცევდა და იტყოდა:

— ღმერთმა საუკუნო განსვენება მისცეს: სამასი მანეთი კი გაყვა ჩემი საიქიოს, მაგრამ შენდობილი იყოს!..

სული-მთხრობელი შეხედვით კი შეხედავდა თვალებში ურცხვად მოტრაბახეს, მაგრამ... რაღას ეტყოდა, არადა ღმერთმა ხომ იცოდა, რომ თვითონ იმას გამოერთმია პოეტისათვის სამასი მანეთი და... აღარ დაებრუნებინა.

სხვები, ვითომ მის ნათქვამად, ანეკდოტებს გაიმეორებდნენ, მაგრამ ყველა ამისი არ იყო, და რაც იყო, ისიც დამახინჯებული, და: ღმერთმა შეგინდოთო, — გაივლებდა გუნებაში გულნატკენი და თავის დასამშვიდებლად გასწევდა პირდაპირ გულითად მეგობართან, შევიდოდა თუ არა მის ოთახში, იმას ნახავდა, რაც სიცოცხლეში ეჯავრებოდა — მის გულითად მეგობარს სხვა ვინმე ეჯდა გვერდით და ანუგეშებდა:

— კარგია, კმარა, არ გშვენის მოწყენა: შენ ცოცხლებზე იფიქრე და მკვდარი ღმერთს ჩააბარე! წავიდა, მორჩა — ხომ ვეღარ დააბრუნებ?

— შენ კარგად იცი, ჩემო სიცოცხლეო, რომ მე ის შენსავით არ მყვარებია: ის მიყვარდა ისე, როგორც მახლობელი ნათესავი და შენ კი... — მიუგებდა ალერსით ქალი და ჩაუდებდა ხელს ხელში, კაცი მაშინვე რომ დაუწყებდა ხელზე კოცნას.

ამას გული დაწყდებოდა და, სხვა რომ ვეღარაფერს მოახერხებდა, ფანჯარაზე დააკაკუნებდა. შეკრთებოდნენ და წამოცვივდებოდნენ ზეზე. კაცი მოადგებოდა ფანჯარას და, რომ ვერაფერს დაინახავდა, იტყოდა: ჩიტი უნდა ყოფილიყოსო, — გაბრუნდებოდა და კვლავ ალერსს დაუწყებდა ქალს.

ეს კიდევ, სული-მთხრობელი, პირვანდელზე უფრო ძალუმად მიეხლებოდა და მიეხლებოდა ფანჯარას.

მაშინ კი მართლა დაფეთებული ქალი გულში ჩაეკვროდა კაცს და ისიც გასამხნევებლად ხელებს მოხვევდა.

ეს სურათი სულ-მთხრობელს ძალზე შეაშფოთებდა და თავს გამოუტყდებოდა:

— თუ ასე ვაფრთხე ესენი, მე სანუგეშოს ვერას ვნახავ.

მოსხლტებოდა გულშეწუხებული და... ისევ საფლავში ამოჰყოფდა თავს.

ის გაკვირით გაელვებული პერსონაჟი, სამასი მანეთი მისი რომ მართებდა და იქით კი აბრალებდა: ჩემი ვალი გაყვა საიქიოშიო, — შესაძლოა განზოგადებული სახე იყოს და შესაძლოა ვინმეც ამოემიზნებინოს პროტოტიპად — როგორ გინდა ამოიცნო, ანკი რა აუცილებელია, ხოლო ის ქალი კი, ასეთი მღელვარება რომ დაუტრიალებია პოეტის გულში, სულაც არ უნდა იყოს განზოგადებული სახე და უშუალოდ უნდა იგულისხმებოდეს კერძო ადამიანი.

ნუ იკითხავთ: ვინო?

რა — ვითომ თქვენითაც ვერ ამოიცნობთ?

„გულითადი მეგობარიო“ — ხომ ასე იხსენიებს და არც სატრფოდ და არც შეყვარებულად. და მაშ ისე მძაფრად რატომ განიცდის, თავს თუ არ დაადებს ის ქალი მიცვალებულს და ეძებს ნამდვილ სიყვარულს?

ამისთვის თუ გულითადი მეგობარია, იმისთვის — მახლობელი ნათესავი.

და მეტი რაღა უნდა, რას მოითხოვს მისგან?

ჯერ სატრფო თუ შეყვარებულიც რომ ყოფილიყო, მაშინაც არ უნდა შეწუხებოდა ასერიგად გული, როგორ თუ ცხოვრების გაგრძელებას აპირებს და საფლავში არ ჩამომდევსო.

და ახლა — მითუმეტეს!..

მაგრამ აქ ლოგიკა აღარ ჭრის, რაკიღა ნოველის პერსონაჟი ქალი ზოგადი ქალი კი არაა, არამედ — ტასო ბაგრატიონი, და ან უკვე მაჩაბელიც.

სწორედ ის — სხვაგვარად რომ აუძგერებდა გულს, რადგანაც: ან გრძნეული გახლდათ მისი იდეალის სახით და ან თვით იდეალი — ზეციდან ქვეყნად ჩამოსული.

და აკი ამიტომაც უმტკიცებდა ბარათში მთელი გზნებითა და აღტკინებით, ექსტაზში რომ გადადიოდა:

— ამდენი ხნის განმავლობაში კამკამ წყაროსავით მქონდა თქვენ წინ გადაშლილი ეგებ პოეტურად ახირებული, მაგრამ მაინც წრფელი გული კი და თქვენც შეგეძლოთ თქვენის საკუთარის თვალით და არა სხვების სათვალეებით, ჩაგეხედათ შიგ და დარწმუნებულიყავით, რომ იქ ძირამდე სიწმინდის მეტი არა იყო რა საზოგადოდ და მით უმეტეს თქვენ შესახებ. შესაძლო იყო, მხოლოდ უსამართლო უგულობას მოსჩვენებოდა აქ რამე მღვრიედ... ბრბომ რა იცის საზენაო ტრფიალებისა? იმას ჰგონია, თუ ტრფიალება მხოლოდ სისხლის ღელვა და ხორცის ფხანვააო და არა წრფელი სული სიწმინდით წმინდა გულშივე დასადგურებული.

სურდა, განა არა სურდა, მისი ლტოლვა გულითადი მეგობრის ლტოლვას არ გასცილებოდა და ბოლომდე შეენარჩუნებინა სიკამკამე და სიწმინდე გრძნობისა, ის საზენაო ტრფიალება, რომლისაც ბრბოს არ გაეგება რაიმე, თორემ პოეტის გული შესაძლოა ამ განცდით პირთამდეც იყოს აღვსილი...

და მაინც, ყოფით რეალობაში როგორ გინდა შეინარჩუნო ეს სიწმინდე და სიანკარე?

არა, პირადი ურთიერთობისას კიდევ შეგიძლია ოდნავ, სულ ოდნავადაც არ გადაცდე საკრალურ ზღვარს, მაგრამ... გულს როგორ გინდა უბრძანო, რომ ნასახიც არ ჩაიხეიოს საზენაო ტრფიალების მიჯნას გადასული.

ეს გულისჭიდილია, ასე შემძვრელად რომ ცნაურდება ტასო მაჩაბლისადმი მიწერილ ბარათებშიც... და აგერ ნოველაშიც რარიგ უჩენია თავი.

კელავ ირწმუნებს თავს, რომ: გულითადი მეგობარია ეს ქალი მისთვის და სხვა არავინ... და მაშ რატომღა წყინს, როდესაც ქალი ირწმუნება მისთვის სხვაგვარად ძვირფასი კაცის წინაშე: განსვენებული მიყვარდა, მაგრამ როგორც მახლობელი ნათესავი?..

განა რა განსხვავებაა გულითად მეგობარსა და მახლობელ ნათესავს შორის?

მაგრამ განსხვავება ისაა, რომ:

ქალისათვის იგი მართლაც მახლობელი ნათესავია, თვითონ კი თავს იტყუებს და ვერც იტყუებს, გულითად მეგობრობას რომ უმტკიცებს.

ეგუება და ვერც ეგუება შორით ბნედას, შორით დაგვას... და გრძნობს, გულის სიღრმემდე გრძნობს, რომ ეს სატკივარი საიქიოშიც კი წაჰყვება... წაჰყვება და... იქაც არ მოასვენებს.

ამ გაუნელებელმა სადარდებელმა უნდა მოუთავოს პირველი დღის შთაბეჭდილებანი, ბევრი ვერაფერი რომ უნდა ისიამოვნოს. მეორე ღამეს კი, მესამეს, მეოთხეს... ორმოცი დღის განმავლობაში სულ დაივლიდა, რაც ამქვეყნად ნაცნობები ჰყავდა.

და გაოგნებული მიმართავდა ღმერთს:

რა არ ვნახე, რა არ გავიგეო?!.

მტრებსა და მოყვრებსაც სულ სხვა თვალით დაინახავდა, ავსაც და კარგსაც მხოლოდ ახლა გაარჩევდა.

და მკითხველს შეპირდებოდა: იმათ ამბავს, ერთხელაც იქნება, მოგახსენებთო...

ჰოი რა სურათები ჩამომწკრივდებოდა, „სიკვდილის" გაგრძელებაც რომ დაწერილიყო, პერსონაჟთა რა გალერეა გადაგვეშლებოდა თვალწინ — მისი მტრებისაც და მოყვრებისაც, უფრო კი მტერ-მოყვარეთა, რა სატირული პანორამა გადაიჭიმებოდა!.. გამჭვირვალე ქარაგმებს ადვილად რომ ამოვიცნობდით.

„ჩემი თავგადასავლის" ნაადრევი შეწყვეტა რომ გვაწუხებდა, „სიკვდილიც" თავის მხრივ დაგვანაღვლიანებდა — ვინ იცის, რა განძი წაიყოლა თანო...

მაგრამ თანადროული სურათები აქ უნდა მოთავებულიყო, ყველას შენდობას რომ შეუთვლიდა და... კიდეც გამოეთხოვებოდა ქვეყანას.

მეორმოცე დღეს მოიკითხავდა სულთამხუთავი, შეიგდებდა ფრთაზე და კიდეც გააქანებდა საიქიოსაკენ, მთვარეს რომ ასცილდებოდნენ, ვარსკვლავებს გვერდს აუვლიდნენ და მიაწყდებოდნენ ერთ მნათობს და წინამძღვარი რომ ეტყოდა:

— ეს არის ქართველების საკანე!

კიდეც შეუძღვებოდა წალკოტში, ქვეყნიურ ოცნებას რომ არ შეეძლო წარმოედგინა მისი სიკეთე!.. თვალგადაუწვდენელ ტალავერში ტახტზე ორპირად მსხდომნი დახვდებოდნენ მეფე-დედოფლები, კაცებში პირველი ადგილი დავით აღმაშენებელს რომ ეჭირებოდა და ქალებში — თამარ მეფეს. მათ მახლობლად იქნებოდნენ: ვახტანგ გორგასლანი, ორი ბაგრატი, გიორგი ბრწყინვალე... რიგრიგობით ჩამწკრივებულნი — ღირსებისგვარად... ზოგიერთები ისე შორს იდგებოდნენ, რომ ბუზისოდნავადაც აღარ გამოჩნდებოდნენ...

მეფე ერეკლეს — ირაკლიდ რომ მოიხსენიებს — ვერსად შენიშნავდა და, რომ იკითხავდა, ასე მიუგებდნენ:

— სარდლების გუნდში გადასვლა ინება!..

თითქოს ისეთიც რა, არა? სარდლებში უნებებია გადასვლა, მაგრამ ეს ფრაზა მძაფრი პოლიტიკური პროტესტითაა დამუხტული, საკმაოდ გამჭვირვალედ რომ ილანდება, თუმც ისეთი ხელოვნებით შენიღბულა, ცენზურა ადვილად ვერ გამოჰკრავდა კლანჭს.

არადა ეს გადასვლა სარდლების გუნდში უმტკივნეულოდ ვერ მოხდებოდა, ანუ — ნიშნავდა, რომ ერეკლე მეორის აჩრდილი საიქიოშიც თვითგვემას მისცემოდა, რაკიღა ვერ გამოეჩინა მეფური სიბრძნე და საქართველო ასეთ საზარელ კაბალაში ჩაეგდო, რუსეთის იმპერია რომ ერქვა და... გადაეჭარბებინა ყველა სხვა დამპყრობლისათვის, სამეფო ტახტიც რომ გაეუქმებინა ჩვენთვის და ეკლესიის დამოუკიდებლობაც...

განა აკაკის არ მოეხსენებოდა, რომ გეორგიევსკის ტრაქტატი თავისთავად სულაც არ წარმოადგენდა ჩვენთვის დამლუპველ დოკუმენტს და მისი პირობების პირნათლად შესრულება რუსეთის იმპერიის მხრივ მხოლოდ სიკეთეს მოასწავებდა ჩვენი ქვეყნისათვის... ეჰ, სად რუსეთი და სად შეთანხმების პირნათელი შესრულება, ხელშეკრულება პირდაპირი მნიშვნელობით რომ გაიგებოდა მათ მიერ — თითქოსდა ქართული ენის ნიუანსებში გათვითცნობიერებულნი ყოფილიყვნენ — და... ხელშეკრულებით კიდეც შეგვეკვროდა ხელები!..

სატირული ნოველა გახლდათ, ისტორიული ქრონიკა ხომ არა, ეს ყოველივე დეტალურად წარმოჩენილიყო და ერეკლე მეორეც აგვერიდებინა თვითგვემისათვის... რაც უნდა ყოფილიყო, მაინც მის კისერზე იდო რუსეთისათვის გზების გახსნა და მოყვრის ნიღბით დამკვიდრება იმ ისტორიულ მიწა-წყალზე, რომლის პატრონთა — ბაგრატიონთა საგვარეულოს — ეთნიკურ-ეროვნული ფესვებიც ბიბლიური ეპოქის მიღმა იკარგებოდა, წყალობით ღირსეულად მოეტანა თავი აქამდე — თავისი სახელმწიფოებრიობითა და თვითმყოფადი კულტურით და... ახლა ის შთანთქმა ემუქრებოდა გველეშაპის წიაღში, საიდანაც თავდაღწევა სასწაულსღა შეეძლო!..

სასწაულს ანუ — ფანატიზმს, შეუპოვრობას, თავგანწირვასა და ეროვნული ენერგიის რწმენას!..

სასწაულს ანუ — ამ თვისებებით შემკული თაობის გამოსვლას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე.

საამისოდ ყველაფერი უნდა გამოყენებულიყო და... აგერ მეფე ერეკლეც სარდლებში გადაბარგებულიყო თავისივე — არსებითად კი აკაკის — ნებით, მონოდებასავით რომ გაისმოდა მინიშნება მის მონანიებაზე.

წინაპართა აჩრდილებთან გაბაასება თითქოს ცვლის თხრობის რაკურსს, მაგრამ არა — კვლავაც თანადროულობის გულსაკლავი სურათები დაიხატებოდა, კვლავაც ირონია და სარკაზმი იმღელვარებდა და მკაცრ მუნათადაც დაატყდებოდა თავს იმ საზოგადოებას, რომელიც ის აღარ იყო, რაც ამათ დახვედროდათ, 60-იანი წლების თაობას, და მნიშვნელო-

ვანი და სასიკეთო ძვრებიც გამოეწვიათ საზოგადოებრივ ცნობიერებაშიც და საქვეყნო ასპარეზზეც, მაგრამ გადამწყვეტი ბრძოლები ჯერაც წინ იდო და მოდუნება არაფრისდიდებით არ იქნებოდა — ამიტომ არც გამხნევება თუ რომანტიკული შეგულიანება უნდა მოკლებოდა ხალხს და არც სატირული ისრები, აკაკი ერთსაც რომ მარჯვედ შეიძლებდა და მეორესაც.

როდესაც ჰკითხავდნენ ქვეყნის ამბავს: რასა იქმს დღევანდელი ქართველობა? ხომ ისევ ძველებურად არისო? — სინამდვილეს სად წაუვიდოდა და აღიარებდა:

— აღარ, ბატონო, თავი უწვრილდება, გული უპატარავდება და მუცელი უდიდდება.

ვაჟკაცებად კიდევ ვარგოდნენ?

რატომაც არა — თავისიანზე გულდიდი გახლდნენ და გარეშეებისა კი შიში ჰქონდათ.

იარაღს როგორ ხმარობდნენ?

ძალიან კარგად! ლხინში მყოფნი ძალზე გამბედავად აძგერებდნენ ერთიმეორეს, შინაურობაში თავს არ იზოგავდნენ, მაგრამ გარეშე თუ შემოუძახებდათ, მაშინ კი ხელის კანკალი მოუდიოდათ.

მაშ დღეს სახელგანთქმული გმირი აღარ მოიძებნებოდა?

როგორ არა! დარჩია, მიქელაიშვილი, დათუნაიშვილი, კურუა და სხვანი.

და დამხვდურებს რომ აღმოხდებოდათ:

— მადლობა ღმერთს! მათი ღვაწლი? მათი გმირობა?

იმედს არ გაუცრუებდათ ახალმისული:

დიდი და შესანიშნავი! თუ სადმე შეიგულებდნენ ქვრივ-ობოლს, უიარაღოს, უძლურ დედაკაცს, მაშინ ძალიან ვაჟკაცობას იჩენდნენ, თავს დაესხმოდნენ და ძარცვავდნენ.

კანონი და სამართალი?

აბრუნდ-ჩაბრუნდაზე ტრიალებდა, მითუფრო, რომ ცრუმოწმობა კანონით შემოვიდოდა და ცრუფიცი აბაზად ამიტომაც ღირდა.

და სარწმუნოება?

აღარც ლოცვა იყო და აღარც მარხვა!

და რას შერებოდნენ ქალები? ნუთუ აღარ მოიძევებოდნენ ცოლებიც თუ დედებიც თუ დებიც?

როგორ არა, მაგრამ... სულ სხვანაირად გაიმღეროდნენ.

და განათლებული თაობა?

განათლებული თაობა ჯერ ისევ ჩრდილში იდგა: რასაც გაიგონებდნენ სხვაგან, სულ იმას იმეორებდნენ, თავისთავად კი... ვერც ვერაფერს ახერხებდნენ. არცერთი მათგანი კატად არ ჩაიგდებოდა, მაგრამ ლომობას კი ჩემულობდნენ. როცა საქმე მოითხოვდა შრომას, ერთი ალთას გარბოდა და მეორე ბალთას. უბრალო თავმოყვარეობასა და თავიანთ პაწაწკუნა პირადობას ქვეყანასა და ქვეყნის საქმეს მსხვერპლად წირავდნენ! გული კუჭი ეგონათ და თავი — ფეხები!..

უფრო გულსაკლავი სურათი რაღა შეიძლება დახატულიყო?!.

თითქოსდა ილიას „ბედნიერი ერის“ ბელეტრისტულ ექსკურსი თუ გაგრძელებააო.

არ მოუთმენდნენ აკაკის ამ სატირულ ისრებს და წაესეოდნენ?

როდესაც რობერტ ბერნსი სასტიკ სარკეს აუყუდებდა წინ თანადროულ საზოგადოებას პოეტური სატირით „სიზმარი“, მინაწერს მიადევნებდა: ვიმედოვნებ, სიზმარს სახელმწიფო ღალატად არ ჩამომართმევთო.

და რაკიღა გონებამახვილობა არც აკაკის აკლდა, თავისებურ ხერხსაც გამოძებნიდა, რათა მკითხველთა გარკვეული წრეების გულისწყრომა შეენელებინა.

სული-მთხრობელი ლაპარაკის წყურვილს რომ გაუტაცია და ჰგონია, ერთ წელიწადსაც ვეღარ მოვათავებ მათ შესამკობელ იამბიკოებსო, უეცრად სულხან-საბა ორბელიანის აჩრდილს უნდა გაეწყვეტინებინა სიტყვა, გულდაწყვეტილი რომ მიუბრუნდებოდა მეფეებს:

— როგორ გეკადრებათ ამის ყურისგდება! არ იცით, ეს ვინ არის? მე რომ „სიბრძნესიცრუეში“ ყიამყრალი მყავს აღწერილი, ეს გახლავთ, და სულ უსიამოვნო რამეს ლაპარაკობს, თვარა ღმერთმა ნუ ქნას, რომ საიქაო ასე გაფუჭებულიყოს!

რაღა სულხან-საბა და არა ზოგადად ვინმე?

ამით აკაკი განსაკუთრებულ კრძალვას გამოხატავდა თავისი დიდი წინამორბედისადმი, თარგად და ნიმუშად რომ ესახებოდა მისი „სიბრძნე-სიცრუისა“ და მისი ბადალი თხზულების შექმნას ესწრაფოდა ახალ დროებაში — სილაღისა და სიბრძნის იმ მოხდენილი, დახვეწილი ნაზავის, ლაკონიურობისა და სტილური არტისტიზმის, იმ ფერადოვნებისა და მახვილგონივრული მონასმების განმეორებასა თუ გამოტარებას ახალ სულიერ-შემოქმედებით ქურაში, რათა ქვეყნის ბედი და უბედობა მთელი თავისი მრავალფეროვნებითა და ნიუანსობრიობით წარმოსახულიყო და არამარტო შეგვეგრძნო, სრულყოფილადაც გაგვეცნობიერებინა, თუ რანი ვიყავით და რა მოგვეთხოვებოდა ყოფილი საქართველოდან, დაცემულ-დაკნინებულიდან კვლავ საქართველოს სახელმწიფოდ რომ ვქცეულიყავით.

ერეკლე მეორე თუ მხოლოდ სარდლად გამოადგებოდათ ჩვენს მეფეებს, მე რუქად თუ ვივარგებდი „სიბრძნე-სიცრუისაშიო“, რაღაც ამგვარს ისედაც რომ ფიქრობდა ხოლმე აკაკი, ამჯერად მხატვრულ ხერხად მოიმარჯვებდა თავდასაცავად, სულხან-საბას მოსაზრება თამარ მეფესაც რომ უნდა გაეზიარებინა: სწორედ მართალი უნდა იყოს! ეს აქაურობასაც აურევს და ისევ გააგდეთ იქითკენ, საიდანაც მოსულაო...

და თქმა და გაგონება ერთი იქნებოდა: გამოცვივდებოდნენ იქიდან, აქედან ბოქაულები, სტაცებდნენ ხელს და ერთ მისთანა პანლურს ჩანთავდნენ, რომ სულ ბზრიალ-ბზრიალით წამოვიდოდა მაღლიდან და გაუხდებოდა თუ არა ბრეგვა მინაზე... კიდევაც გამოელვიძებოდა.

ვინ რას უნდა წასდავებოდა, როდესაც თვითონ ასე მკაცრად ეპყრობოდა თავის თავს: როგორც რუქას, პანლურსა და გამოძევებას რომ არ დააკლებინებდა თავისივე პერსონაჟებს!..

წადავებისა რა გითხრათ, მაგრამ გამოდებით კი გამოედებოდა ილია ჭავჭავაძე, „კვალთან“ აკაკის დაძმობილება ისედაც რომ არ ეჭაშნიკებოდა, ახლა ეს მისი ოდნავ, მაგრამ მაინც გაშარჟებული პორტრეტი სატირულ ნოველაში და... რა მოათმენინებდა, და „სიკვდილს“ კიდეც მოავლებდა ხელს სალაღობო-პაროდიულ პოეტურ თხზულებაში „ორ-ხმიანი საახალწლო ოპერეტი“, საახალწლო განწყობილებას რომ უნდა შეენელებინა რამდენადმე საერთო პათოსი, რუსთველურ სტრიქონებსა და ასოციაციებს რომ ამოაფარებდა თანადროულ მოღვაწეთა კილვას, თუმც ყველასი არა, ცხადია — აგერ იაკობ გოგებაშვილზე სულაც დითირამბული სტრიქონები ითქმოდა... სამაგიეროდ ივანე მაჩაბელი გამეტებულიყო, პერსონაჟად გარდასახულს რომ ათქმევინებდა: მე საქოჩრიდამ თვალთ მიჩანს, ჩვეულება მაქვს ბრმისაო; დავიარები ამ ქვეყნად ხელით მძებნელი ჭკვისაო. რაც ხელთ მხვდება, ჭკვა მგონია, აღარ ვუჩხრეკავ პირსაო...

განსაკუთრებით რა სჭირდა გასაქილიკებელი ივანე მაჩაბელს?

მეტიჩარა მაქვს ენანიო.

თავს ვერ იკავებდა, რომ არ ეთქვა, მერე კი იმ ნათქვამს ძალიანაც ნანობდა, მაგრამ წამოცდენილ სიტყვას რაღა ეშველებოდა.

და... რა ეიმედებოდა?

ეგებ თავხედ გაედოთ წკირი, ჩხირი. და თვითონაც ფასი არ მოაკლდებოდა, ვიდრე ჯერ კიდევ ხილად გადიოდა პანტის ჩირი.

„კვალს“ რაღას ათქმევინებდა ილია?

ორი წელია დავდივარ,
ბევრი ვთხზე მტრებზე არაკი,
ბევრსა შემწევდა ამაში
ზღაპრების უსტა აკაკი.

მწვავე ნათქვამია, არა: ზღაპრების უსტაო?

თვითონ ილიასაც გადამეტებული მოეჩვენებოდა ეს ირონია და პუბლიკაციის წინ ასე ჩაასწორებდა: ჩვენი პოეტი აკაკიო. „მტრების“ ხსენებაც ზედმეტი ხომ არ იყო? და დაე უფრო უწყინარი „სხვებით“ შენაცვლებულიყო.

თვითონ აკაკის რაღას ათქმევინებდა?

დავბერდი, დავჩაჩანაკდი,
წვერი შემექნა ჭაღარა...
ტყუილს ვინ სჩივის? მართალიც
ჩემი არ სჯერათ, აღარა.

აგერ ანტონსაც — ფურცელაძეს — წინ გაეგდო, გული დაესერა და დაეღარა მისთვის და ბუკ-ნაღარაც დაეკრა: რაცა ხარ, იმას გამხელო.

და მოემკვდარუნებინა თავი ცნობისწადილით ატანილს: აწ რას იტყვიან? ვნახოთ, რა ძაძას ჩაიცვამენ, როდესაც მკვდარს მიხილავენ?.. ან ვით მაქებ-მადიდებენ მე, ქართველთ ერთგულ ყმას, და რას ეტყვიან პასუხად მაგ ჩვენს კოჭლ ანტონასაო.

დაბერებულიყო, დაჩაჩანაკებულიყო, წვერი გაჭაღარავებოდა და:

ჩემი მევე ვთქვი ქებანი,
სხვამ რომ არა სთქვა არარა.

ვინც რომ გაეკაწრა ბასრი ენით, აწ აღარ დაინდობდნენ და... ახლა კი ბევრსაც ნანობდა: ეს რა ვქმენ რაღა თქმა უნდა, რაღა-რაო?..

თვითგანდიდებად ჩამოართმევდა ამ ნოველის შექმნას ილია. ასე პირდაპირ ეს რომ არ-სად ეწერა „სიკვდილში“, გამჭვირვალედ მოჩქეფდა იმ მონაკვეთიდან, სული-მთხრობელი პირისპირ რომ უნდა შეყროდა დიდებულ წინაპართა აჩრდილებს... თავისას ამბობდა, რო-გორც ენება — იმ სახელთა შორისაც გარეულიყო და თანადროულ ყოფით სინამდვილეს კი ერის მამის სიმაღლიდან გადაუვლიდ-გადმოუვლიდა და... მერე თუნდ პანღურის ცემი-თაც გამოეძევებინათ ზეციური სავანიდან, ბევრი არა აკლდებოდა რა მკითხველის თვალ-ში.

ეგაა მოსალოდნელ გაგულისებას უცხრობდა, თორემ თვითგანდიდება თვითგანდიდე-ბად რჩებოდა, იუმორი რომ ანელებდა და ვერც ანელებდა, სიამაყის ამგვარ გამჟღავნებას, ყოველ შემთხვევაში ილიას მზერას რა გამოეპარებოდა, მაინცდამაინც ეს რომ გამოპარ-ვოდა, და ამიტომაც არ მოარიდებდა კალამს.

ზღაპრების უსტა აკაკიო...

ოოო, ეს არ შეიძლებოდა, არ უნდა გამსხლტარიყო ნაბეჭდ ტექსტში. და „დავბერდი, დავჩაჩანაკდიო“ — ორჯერ რომ ამეორებინებდა, თავის პოეტურ მონოლოგსაც ამ სტრი-ქონებითვე დაიწყებდა ილია: დავბერდი, დავჩაჩანაკდი, წვერი გამიხდა ჭაღარაო... კიდევ და კიდევ რომ გაიმეორებდა...

და ეს იმიტომ:

რაც უნდა იყოს, მაინც ერთნი ვართ, ერთ უღელში შებმულნი და ერთი ვარსკვლავის მა-ძიებელნიო!..

იმას თუ ანტონ ფურცელაძე დაჰკრავდა ბუკსა და ნაღარას, ამას — ივანე მაჩაბელი... და გულის დასერვაცა და დაღარვაც განმეორდებოდა და ის სტრიქონიც: რაღა თქმა უნდა, რაღა-რაო.

რასაკვირველია შემთხვევითი არ არის ეს ამდენი შეხმიანება, პირველივე შთაბეჭდილე-ბას რომ ადასტურებს: მაინც ერთნი ვართო.

თავის თავსაც წაჰკრავ-წამოჰკრავდა: ჩემს ზარმაცობას, არცოდნასო; ისევ სჯობს სად-მე წავიდე ბანკში ურგებად გდებასაო... — რათა შენელებულიყო ადრესატთა მოსალოდნე-ლი გულისწყრომა — ოპერეტის სტილისტიკაა ასეთი — სალაღობო და სამხიარულო, იუმორისა და მსუბუქი ირონიის ფოიერვერკი, თორემ თავსაც ხომ არ გაიმეტებდაო.

და კიდევ ერთი საგულისხმო და გასათვალისწინებელი შტრიხიც:

პოეტური მონოლოგების წარმომთქმელნი გვარ-სახელით არიან მოხსენიებულნი: ეს გიორგი წერეთელიო, ეს სილოვან ხუნდაძეო, ეს ილია ხონელიო, ეს მიხეილ მაჩაბელიო, ეს ივანე მაჩაბელიო: და თვითონაც ილია ჭავჭავაძედ; ანდა ინიციალებით: ეს ნ.ზ. ცხვედა-ძეო, ეს ი. გოგებაშვილიო.

და... მარტოდენ აკაკია სახელით.

თვითონ აკაკი მხოლოდ ასე იხსენიებდა თავის თავს?

ილიაც რომ ასევე იხსენიებს, ეგაა სწორედ.

და ეს იმიტომ, რომ — იმ პირადი ბარათისა არ იყოს, ორიოდე სტრიქონით განსაკუთრებულ პიროვნებად, გამორჩეულ მწერლად რომ დასახავდა:

ეს მაინც სხვაა მისთვის, მაინც აკაკია.

შეხუმრება-შეღიმილებად აღიქმებოდა „ორ-ხმიანი საახალწლო ოპერეტი" მკითხველის თვალში, ყოველ შემთხვევაში აკაკი მაინცდამაინც „დაზარალებულად" არ გამოიყურებოდა, თუმც თვითონ მთლად იოლად ვერ ჩაატარებდა: მაინც წამკბინაო... — თითქოს თვითვე არ გამოეწვიოს სატირული თუ ფანტასმაგორიული ნოველით. „კიდევ გამოცანებში" რარიგ მოსწონდა ილიასაგან გრიგოლ ორბელიანის წაქიმუნჯება, მთლად გაბურთავებად რომ არ ითქმოდა — სხვებს რა დღეც დაწეოდათ, მაგრამ მწარედ კი მოხვდებოდა ადრესატს გულში და ეს სიამით იფშვნეტდა ხელებს: ეგრე მოუხდებაო, — ახლა თვითონაც რომ მოყოლილიყო ილიას ეპიგრამული კევრის ქვეშ... მთლადაც არა, მაგრამ მაინც რომ ითაკილებდა და გუნებაში ჩაითქვამდა: ჩემზე იყოსო...

თავი VI

ნაღიმი: ბელეტრისტულ ქარგად

ავტობიოგრაფიული რომანის გვერდით უფრო შესაფერისად გამოჩნდებოდა „ორი შეხვედრაც", ტფილისში დაბრუნების ამბავს რომ იხსენებდა 1862 წელს, მგზავრობით ისე რომ დაიღლებოდა, მარტო ერთი ღამის მოსვენება რას იკმარებდა მის გამოსაშუშებლად, მაგრამ აკაკიც იქნებოდა, მეორე დღესვე რომ წასულიყო „ცისკრის" რედაქტორის სანახავად, რომელსაც პირადად არ იცნობდა, თორემ მიმოწერით დიდი ხნის მეგობრებიც იყვნენ.

მას ჰქონდა საკუთარი სახლი ალექსანდრეს ქუჩაზე და სტამბაც იქავე.

კარს ახალგაზრდა, ტანმორჩილი ქალი გაუღებდა და, სტუმრის ვინაობას რომ შეიტყობდა, ნათესაურად შემოსცინებდა და ქმარს გასძახებდა:

— ივანე! ივანე! ყმაწვილო, გამოდი, ნახე, ვინ გვესტუმრა!

გამოვიდოდა შავგვრემანი, კარგი თვალტანადობის ვაჟკაცი; აათვალ-ჩაათვალიერებდა სტუმარს და, ეს თავის სახელს რომ ეტყოდა, მასპინძელი სიცილით გადაეხეთქა.

ესეც ივანე კერესელიძე, რომლის სახეც სტუმარს საკვირველად მწუხარედ ჩარჩებოდა ხსოვნაში — როდესაც იცინოდა, გეგონებოდა, რომ... მაშინაც თითქოს ტიროდა. მაგრამ ეს მოჭმუხვნა-სევდიანობა კიდეც შვენოდა და სასიამოვნო საყურებელს ხდიდა.

შეიწვევდა ოთახში, სადაც მოხუცებული ქალი დახვდებოდა და მასპინძელი მას მიმართავდა:

— დედი, ეს არის ის, რომ დაწერა: გულს პერანგი დაჰფართხალებსო. ხომ გახსოვს? აკი ნატრობდი, ნეტავი მაჩვენაო!.. აი, აგისრულდა კიდეც ნატვრა.

— უი, მართლა შვილო! — წამოიძახებდა მოხუცებული და გადაეხეთქა სტუმარს. დასვამდნენ და ისეთი შეხაფიფებით შემოუსხდებოდა სამივე გარს, თითქოს მათი დაკარგული შვილი ყოფილიყოს, და დაუწყებდნენ მუსაიფს.

გულს პერანგი დაჰფართხალებსო...

აკაკი ხომ არის და არის და... ის მოხუცებული ქალბატონი რომ სწორედ მისი რანგის მკითხველი აღმოჩნდებოდა — არ გამოეპარებოდა რაღაც დიდის მოვლინება, რადგანაც ეს სტრიქონი უჩვეულოდ მოხვდებოდა გულზე თავისი ლირიკული ხელოვნებით, სულ სხვა სიო რომ დაუბერავდა სიტყვათა იმგვარი წყობიდან და იმ ინტონაციიდან, სიოს კი უსათუოდ მოჰყვებოდა ქარიც და ქარიშხალიც.

ამ რაღაც დიდის შემჩნევა და მოლოდინი რომ არა, ცხადია ნატვრად არ გადაექცეოდა მისი ავტორის ხილვა — მოიწონებდა სტრიქონსაც, ლექსსაც და ეგ იქნებოდა, მაგრამ: ნეტავი მაჩვენაო?!. ეს ოცნებაა სწორედ, ივანე კერესელიძის დედაში უმაღლესი რანგის მკითხველს რომ ამოგვაცნობინებს, ერთ წევრს იმ აუდიტორიისა, მზად რომ არიან მძლე ტალანტთან შესახვედრად.

და კიდეც გამოეცხადებოდათ!..

რედაქტორი დაინტერესდებოდა, თუ რას იქმოდნენ და რას ამბობდნენ „ცისკრის" შესახებ პეტერბურგში სტუდენტები, მოხუცი დედამისი უფრო იმერეთის ამბების შეტყობას მოიწადინებდა, ახალგაზრდა ცოლი კი უფრო ლექსებზე ჩამოუგდებდა სიტყვას.

ამ დეტალითაც ცნაურდება, რომ ისიც ჩინებული მკითხველი უნდა იყოს, უკვე მაშინ რომ იგრძნობოდა, განსაკუთრებული სიხარულით რომ ამცნობდა ქმარს არაორდინარული სტუმრის მობრძანებას.

ერთდროულად სამივესთან საუბრით აკაკიც კი გაიბურებოდა და წამოსვლას დააპირებდა, მაგრამ ვინ გამოუშვებდა: თუ სტუმრობაა, სტუმრობა იყოს, სკვინჩაობა რა შენი

საკადრისია, სასტუმროში ერთი სადილი ერთი თვის ხარჯად დაგიჯდება და რას გაჭმევენ, იმასაც ვერ გაიგებო.

სადილად დარჩენაზე დაითანხმებდა ივანე და წინასწარვე გააცნობდა მენიუს, რადგანაც განთქმულიყო ქეიფ-დროსტარებით:

— კაი მწვადი, კაი ჩიხირთმა, ყველი, მწვანილი, ზედ კაი ღვინო, კაი პური და კაი გული...

და მსახურს გაგზავნიდა დიმიტრი ბერიშვილის, ალექსანდრე ორბელიანისა და ლავრენტი არდაზიანის დასაძახებლად.

ქალებს სამზარეულოში გაისტუმრებდა და სხვათა შორის ამასაც ეტყოდა:

— შენი უკანასკნელი ლექსი „შამილის სიზმარი“ ძალიან მომწონს, ეფრემ ალექსი-მესხიშვილსაც მოეწონა, მღვდელსა და ცენზორს, მაგრამ ჯერ მაინც ვერ დავბეჭდავ...

აკაკის გული აუფანცქალდებოდა, ამ ლექსს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მხატვრულადაც და საზოგადოებრივ-ეროვნული თვალსაზრისითაც, საერთო განწყობილებისა და ზოგადი ცნობიერების შემოტრიალებას რომ ესწრაფოდა ქართველებში, რადგანაც იმამ შამილის პიროვნებისა და ჰეროიკული ბრძოლების მიმართ აღტაცებით განმსჭვალულიყო და ჩვენს გმირად მიაჩნდა — კავკასიური ილიადას მთავარი პერსონაჟი ჩეჩნეთ-დაღესტნის თავისუფლებისათვის დაუღალავი და თავგანწირული ბრძოლით იმავდროულად საქართველოს გამოხსნისთვისაც რომ იღვწოდა, რაც თუ ვინმეს, ალექსანდრე ორბელიანს ესმოდა და სწამდა და აკი კიდეც აპირებდა ფარულად დაკავშირებას კავკასიური ეპოპეის წინამძღოლთან, განსხვავებით თავის ნათესავ-მეგობართაგან, რუსი მხედრობის მხარდამხარ რომ იბრძოდნენ შამილისა დასასმხობად და მის დამხობასთან ერთად წინააღმდეგობის იმ კერის მოსაშლელადაც, გუბერნიებად დაყოფილი საქართველოსათვის მალე გასახელმწიფოებრიობის იმედებს რომ ასამარებდა.

ამ ლაპარაკში რომ იქნებოდნენ, შემოვიდოდა ერთი შუახნის კაცი, ზრდილობიანად მიესალმებოდათ და, ამას რომ გამოემცნაურებოდა, ეტყოდა:

— მიამა.

და მიჯდებოდა გვერდით, ლავრენტი არდაზიანი რომ აღმოჩნდებოდა, და აკაკი, როგორც წამკითხველი და დამფასებელი მისი „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილისა“, სხვანაირად დაუწყებდა ყურებას.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდებოდა და... მასპინძელი შესცინებდა აკაკის:

— რას გაჩერებულხარ! თუ მაგას უცდი, ეგ დიდხანს არ ამოიღებს ხმას! მაგას არ უყვარს ლაპარაკი... ერთს იტყვის, მაგრამ კარგს. აი მაგას მოეწონა შენი ლექსი.

„შამილის სიზმარს“ იგულისხმებდა და კიდეც დააზუსტებდა, და ლავრენტი რომ დაუდასტურებდა მოწონებას, სხვათა შორის დასძენდა: იბეჭდებაო? — ეგონა, რიტორიკული შეკითხვაო, მაგრამ მოლოდინი უნდა გაქარწყლებოდა გაოცებულს, რაკიღა მასაც მოეხსენებოდა, ცენზორი რომ თანახმა გახლდათ.

მაშ რაღა აბრკოლებდა ლექსის გამომზეურებას?

რა და... თვითონ რედაქტორი ფრთხილობდა — ეგებ გადამეტებულად, ეგებ მართლაც ჰქონდა საფრთხილოდ საქმე, და ამიტომაც წაეკითხებინა... გრიგოლ ორბელიანისათვის.

რა შუაში იყო პოეტი-გენერალი?

გამოქვეყნებისას არც არაფერში, მაგრამ რედაქტორი თავისით მოერიდებოდა უარის თქმას აკაკისათვის და გრიგოლის ავტორიტეტს მოიშველიებდა, კაცისა, რომელსაც დაფიცებული ჰქონდა, რომ თავისი ხელით უნდა შეეპყრო შამილი და, რა გგონიათ, ამ დანაქადებს კიდეც აღასრულებდა, იმპერიული იდეოლოგია რომ არა — როგორ შეიძლებოდა კავკასიური ომების გმირი და წინამძღოლი „ნაცმენს“ შეეპყრო, დაე მიემწყვდია უკანასკნელ თავშესაფარში და ყოველივე გამზადებულიყო ამ თავშესაფრის შესანგრევადაც, ეს მოვალეობა, უკვე სრულიად გაადვილებული, აუცილებლად რუს გენერალს რომ უნდა შეესრულებინა და არა ქართველს, და გრიგოლ ორბელიანის მიერ მოგვარებული, ყოველმხრივ მომზადებული საბოლოო იერიშის აღსრულებას ალექსანდრ ბარიატინსკის მიანდობდნენ.

ისე გრიგოლს ბევრად ერჩივნა იმამ შამილის დევნა და თავზეხელაღებულ ბრძოლებში მონაწილეობა, ვიდრე აკაკის ყბაში ჩავარდნა, ივანე კერესელიძე თვითონ რომ მოიცილებ-

და პასუხისმგებლობას ლექსის დაბეჭდვისა და გრიგოლს აჰკიდებდა, ახლა სიტყვა-სიტყვით რომ უმეორებდა მის მოსაზრებას სტუმარს, პოეტ-გენერალს წაკითხვისთანავე ხელები რომ გაეტატანებინა:

— ნამეტანი გამბედავად არის დაწერილი და კილოც იმერულია.

რა აუცილებელი იყო ამის გამხელა, თუკი რედაქტორი მაინც აპირებდა ლექსის გამომზეურებას, აკაკის რომ პირდებოდა: ჯერ არ მინდა რომ ვაწყენინო და მერე კი უთუოდ დავბეჭდავო, — თითქოს სწორედ იმიტომაც არ წაეკითხებინა გრიგოლ ორბელიანისათვის, რომ იმას თავშეკავება ერჩია. ჯერ მართლაც რომ გამოექვეყნებინა, კი გადაჰკიდებდა ამ ახალგაზრდა პოეტს უკვე ხანშიშესულ პოეტ-გენერალს, თურმე მთელი ცხოვრებაც რომ ვერ მოინელებდა აკაკი ამ წყენას და აღარც მოეშვებოდა და აღარც, გამკილავ სტრიქონებს რომ არა და არ მოაკლებდა.

შეკითხვას მოერიდებოდა, ეს „მერე" რას ნიშნავდა, და ისევ ლავრენტი შეეცდებოდა გამორკვევას და ბუნდოვან პასუხს მიიღებდა ივანე კერესელიძისაგან: ჩემს საქმეს რომ მოვრჩებიო.

რა საქმე იყო ამისთანა, ასე უშუალოდ რომ გადაჯაჭვოდა „შამილის სიზმრის" პუბლიკაცია?

გამოუტყდებოდათ რედაქტორი, რომ მეტი გზა არა ჰქონდა, გრიგოლისათვის რომ არ დაეჯერებინა. რაღა დაეფიცა — თავისიანებად ეგულებოდა ორივე: ეს ოხერი სახლი შეეტანა „პრიკაზში" და ცდილობდა, ვალი ეპატიებინათ. გრიგოლიც პირდებოდა შუამავლობას: ჩვენი ყველაფერი მიაქვთ და ჩვენც რომ ყვავს კაკალი გავაგდებინოთ, რა ცოდვააო.

ასეთ დღეში თუ ჩავარდნილიყო, მითუმეტეს არ უნდა წაეკითხებინა ის ლექსი.

თუმც — არ წაეკითხებინა, მიამიტობით რომ მოსვლოდა, მაგრამ რომელი მიამიტი ივანე კერესელიძე გახლდათ.

აკაკი განა ამას ვერ მიხვდებოდა, მაგრამ ჯოხს მაინც გრიგოლ ორბელიანზე გადატეხდა, თავის ფარდ მეტოქედ იმას მიიჩნევდა და არა იმჟამინდელ მასპინძელს, ცენზორის ნებართვის შემდგომაც რომ უკანკალებდა გული და გენერლის მხრებს ეფარებოდა, ახლა მის თავისმართლებაზე ლავრენტი რომ ჩაიღიმებდა, და იუკადრისებდა და ძალიანაც იუკადრისებდა ივანე: რას იცინი, მძრახავ განაო?..

არა, არა ძრახავდა, ეგაა ერთი ამბავი წამოაგონდებოდა, პატარძალი საკენკს რომ აპნევდა და ქათმები ყოველი მხრიდან მიფრთქიალებდნენ მისკენ. მახლობელ ხეზე გარეული ქათამი იჯდებოდა და შინაურ მოძმეებს გადმოსძახებდა: ჰაი თქვე უბედურებო! არ იცით, რომ მაგ საკენკით მიგიტყუებენ, მიგიჩვევენ, გაგასუქებენ და, როცა დასჭირდებათ, ღიჭი-ღიჭის გიზამენ, თავს მოგჭრიან და შეგჭამენო.

მასპინძელი მიუხვდებოდა ქარაგმას და ვითომდა სიტყვას მოუჭრიდა:

— მერე ქათმებმა არ უპასუხეს, რომ სანამდი ჩვენ გავსუქდებით, შენ ხომ ორჯერაც მოკვდები შიმშილითო?

მაგრამ ლავრენტი არ დაუთმობდა:

— არა. ეგ რომ ეკითხათ, პასუხსაც მიიღებდნენ: მართალია ვერ გავსუქდები, მაგრამ შიმშილით მაინც არ მოვკვდები: სოფელი გონიერია, თავს დავირჩენო!.. ძალაუნებურად გასუქებას, ჩემს ნებაზე რომ მჭლედ ვიყო, ის მირჩევნიაო...

ქათმებიო და... ცხოვრების ორი სტილი კი გამოიკვეთებოდა, იმჟამინდელი საზოგადოების არჩევანი, ზოგი შინაური ქათმის ხვედრს რომ ამჯობინებდა, ივანე კერესელიძესავით, და ზოგიც — გარეულისა, ლავრენტი არდაზიანივით.

ეს პასაჟი იმ მხრივაცაა საგულისხმო და დამაფიქრელი, რომ აკაკი აქ პირველად შეესწრებოდა საუბრისას იგავის გამოყენებას და, როგორც ჩანს, ძალიანაც მოეწონებოდა ამ ხერხის მომარჯვება ახალ დროებაშიც, და მას შემდეგაა სწორედ, მასთან მუსაიფი იმითაც რომ ამახსოვრდებოდათ, იგავებს რომ იშველიებდა ხოლმე წამდაუწუმ — ხან ცნობილებს, ხან მის მიერვე გამოჩხრეკილებს, ხანაც თვითონვე შეთხზავდა სახელდახელოდ, გაუძნელდებოდა თუ რა?!. და თუ სულხან-საბა ორბელიანი წიგნად აქცევდა „სიბრძნე სიცრუისად" გამთლიანებულ არაკებს, აკაკი ზეპირად შექმნიდა და მიმოაბნევდა თავის „სიბრძ-

ნე სიცრუისას", მისი ზეპირმეტყველების განუყოფელი სამკაული რომ შეიქნებოდა, იესო ქრისტეს როგორც სჩვეოდა, იგავებით რომ შეამკობდა ახალი რჯულის ქადაგებას, და უფრო ჩაუფესვავდა გულში იმ ადამიანებს, რომელთაც ჰქონდათ ყურნი სმენად და თვალნი ხედვად!..

ცხადია ლავრენტი არდაზიანის მიერ იგავის მოშველიება ვერ განსაზღვრავდა აკაკის მუსაიფის სტილს, შინაგანად მახლობელი და მშობლიური რომ არა ყოფილიყო მეტყველების ეს მანერა ახალი დროის წინასწარმეტყველისთვისაც, მაგრამ ერთგვარი ბიძგი კი აღმოჩნდებოდა, ოთხთავის სტილისტიკას რომ შეახედებდა ახლებური მზერით — არა როგორც გარდასული ჟამის ნიშანს, არამედ — ზედროულ მოვლენას, კვლავაც რომ შეიძლებოდა მისი გამოყენება და საკმაო წარმატებითაც, თუკი ბუნებრივად მოიმარჯვებდი.

მასალა უხვად არსებობდა — წიგნისმიერიც და ხალხის წიაღიდან ამომზეურებულიც.

და თუ ფანტაზიაც შეეშველებოდა, მაშინ ხომ!..

თანადროული საზოგადოების ცნობიერება განიმსჭვალებოდა იგავ-არაკთა იმ ზეპირი სერიით, აკაკის სულიერ ბრძოლას რომ გამოიელიდა და შესატყვისი პეწითა და ლაზათითაც აღიბეჭდებოდა, პოეტურ ნიმუშთა შეთვისება-შეწოვის გარდა მსმენელნი არაკებითაც რომ მოითქვამდნენ სულს და გამჭვირვალე ალეგორიების მიღმა თვალნათლივ შეიცნობდნენ საქვეყნო საფიქრალსა და საწუხარს.

ბაასი გაგრძელდებოდა, ორი სტუმარი რომ არ შემოსულიყო — ერთი მუნდირით და მეორე ქართული კაბით, მუნდირიანი დიმიტრი ბერიშვილი რომ აღმოჩნდებოდა, მოლექსე, და ქართულკაბიანი კი — ალექსანდრე ორბელიანი.

მასპინძელი აკაკის ხუმრობით ვიღაც იმერლად წარადგენდა, ალექსანდრეს იმერლების ხსენებაზე ღიმილი რომ მოერეოდა, რადგანაც ძალიან მოსწონდა იმერეთი და უყვარდა იმერლები!..

ამას თავაზიანობის გულისათვის სულაც არ იტყოდა, რადგანაც აღმოჩნდებოდა, რომ ამ მხარეს ყოველთვისაც განსაკუთრებული პატივისცემითა და იმედით შეჰყურებდა.

რატომ და, იმ ფრიად სარწმუნო საბუთის მოშველიებით:

— ქართველობა ჯერ კიდევ იქ უფრო წმინდად არის შენახული.

და ამერეთს რომ ადარებდა, დაურიდებლად შეეძლო განეცხადებინა, რომ:

აქ ყველაფერი — ენაც, ზნეც, ჩვეულებაც — თითქმის გადასხვაფერებული გვქონდა. ასე გასინჯეთ, სიმღერასაც ვეღარ ვახერხებდით ქართულად... ბაიათებსა და შიქასტას გავკიოდით. ზურნა-დაფის ხმაზე ჩვენი საქრისტიანო ამოვარდნილიყო; მეფეები და ერი ნამებულიყო და... ჩვენ დღეს კიდევ მოგვწონდა და გვენატრებოდა ეს ხმა.

— მაგრამ სულ სხვა არის იმერული ჩანგური და ღიღინი...

ქართული გული იგრძნობდა, რომ იმ ხმებში ძალაც ქართული ჩამარხულიყო!..

ამგვარად და ამ კილოზე რომ ალაპარაკდებოდა მოხუცებული ალექსანდრე, თითქოს თავის თავს ესაუბრებაო, და თანდათან გაცხარებაც შეეტყობოდა. აკაკი გაოგნებული შეჰყურებდა ამ სურათს, მაგრამ დანარჩენები შეჩვეულიყვნენ და საშუალებაც იცოდნენ მისი დამშვიდება-დაცხრობისა, დიმიტრი მასპინძელს რომ წასჩურჩულებდა:

— ივანე, შეაჩერე, თორემ ხომ იცი მაგის ამბავი: თვითონაც ატირდება და ჩვენც აგვატირებს და რა დროსია?

ხვდები, ეს აქვითინება არაერთხელ მომხდარიყო — ალექსანდრე ორბელიანი ვეღარც თვითონ რომ იკავებდა თავს და სხვათაც ძალაუნებურად გადასდებდა თავის ნაღვლიან განწყობილებას, გულის ყველაზე სათუთ სიმებს რომ ეხებოდა თავისი უაღრესი სიწრფელითა და მღელვარებით, ასეთი გადახსნილობა დაუჯერებელიც რომ მოჩანდა თანადროულ რეალობაში, მაგრამ ბუნებრივად აღიქვამდა ყველა, ვისაც კი შეენარჩუნებინა საკუთარ არსებაში ბავშვი — მთელი თავისი სრულქმნილებით.

ალექსანდრეს მგზნებარე და ექსპრესიულ მეტყველებას მინებებული მასპინძელი ერთბაშად გამოფხიზლდებოდა დიმიტრის ნათქვამზე და:

— ბატონო ალექსანდრე, ეს რომ იმერელია, იცი, მაგრამ თავისთავად ვინ არის, ის ხომ არ იცი? აკაკია, აკაკი!

ამ სიტყვებზე ალექსანდრე წამოდგებოდა და გადაეხვეოდა.

აშკარაა — მანამდე არაერთხელ უსაუბრიათ რედაქტორსა და გამომცემელს აკაკის ლექსებზე და მოწონება-აღტაცებითაც. ეტყობა, ალექსანდრეც გამოთქვამდა სურვილსა თუ სულაც ნატვრას: ნეტა როდის გავიცნობ პირადად, რაღაც დიდი ტალანტის კაცი მოდისო, — და ამიტომაცაა, ივანე წინასწარ რომ ტკბება დროის გაჭიანურებით, ვიდრე ამცნობდეს, ის ნანატრი კაცი მოგვევლინაო — ნელ-ნელა აპარებს მის ვინაობას, და ეგებ კიდევ გადაედო გამჟღავნება, ალექსანდრული ექსტაზი რომ არა, დასასრული რომ არა და არ უჩანდა.

ამიტომაცაა, რომ გადაეხვევა, როგორც მონატრებულ ახლობელს.

მამა-შვილური შეხვედრაა და სულიერად კიდეც გახდებოდნენ მამა-შვილი, აკაკი თითქოს ხელმეორედ რომ დაიბადებოდა, როდესაც ალექსანდრესაგან მოისმენდა ახლო წარსულის სულ სხვა ისტორიას — საქართველოს ბედისწერას ისეთს, რაც სხვაგან არ გაეგონა და არ წაეკითხა, ერთბაშად გადაეხსნებოდა გულისა და გონების თვალი და ალექსანდრე ორბელიანთან ერთად თამამად დაუყვებოდა ისტორიის ლაბირინთებს.

ალექსანდრეს აღტაცებით აღვსილი საქციელის ფონზე ძალზე თავშეკავებული გამოჩნდებოდა დიმიტრი ბერიშვილის შემოგებება — მხოლოდ ხელს რომ გამოუწვდიდა.

საერთოდ კი:

ამ ადამიანების ქცევა, მათი გულგახსნილი ლაპარაკი და აღფრთოვანებული კილო სწორედ რომ გააკვირვებდა ჭაბუკს. ილაპარაკებდნენ ლიტერატურაზე, ჩვენს წარსულზე, მომავალსა და სხვა საზოგადო საქმეებზე. და თუმც ისინი შუახნის კაცები იყვნენ და ეს ჯერ სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ მაინც მათი ჭაბუკური აღტაცება გაიტაცებდა. სადილად მასპინძელიც და სტუმრებიც ისე გახალისდებოდნენ, რომ მთვრალებს დაემგვანებოდნენ, მაგრამ ისე ღვინით არ იქნებოდნენ მთვრალნი, როგორც სიამოვნებით.

კედელზე რომ ჩამოეკიდათ თარი, ჩონგური, დაირა, დიპლიპიტო, სალამური, ჭიანური და სხვა საკრავები, მასპინძელი ჩამოიღებდა თარს, დაუკრავდა და დაამღერებდა: ამა სოფლისა ცხოვრება ვერცხლით არ მოიპოვება, მდიდარიც ბევრი ნახულა — ოხრად რჩებოდეს ქონებაო, — და მიუბრუნდებოდა ალექსანდრეს:

— ბატონო, მართალია გძულს ეს სიმღერა, მაგრამ რა ვქნათ, რომ მაინც კარგია?..

— ვინ მოგახსენათ? ეგ სიტყვებიც კარგია და სიმღერის კილოც, — მიუგებდა ორბელიანი, — ეგ სწორედ ნამდვილი ქართულია. მე ვამბობ თათრულ კილოზედ და ბაიათებზე.

— ვიცი, ვიცი, — დაეთანხმებოდა მასპინძელი, — და რომ თქვენი ხათრი არა მქონდეს, აი, ჩემ დედაკაცსაც ვამღერებდი... — და აკაკის მიუტრიალდებოდა, — იცი, როგორ იმღერის ჩემი ცოლი? ბულბულია, ბულბული! ეს ხომ აქტრისად იყო ერისთვის დროს. მეც იქ ვიყავ. ამისმა სიმღერამა და თამაშმა გადამრია. ვინ იცის, რაები არ ჩავიდინე მაგის გულისთვის! რომ მოგიყვე, რომანია, რომანი... მაგრამ ახლა დრო არ არის, კვლავ გეტყვი როდისმე...

როდისღა?!. ბარემ მოეყოლა და მოეთავებინა, შესაფერისი მასალით მოემარაგებინა წერის ჟინით ატანილი ჭაბუკი, რომელიც ამ ნაამბობს პოემადაც გამოიყენებდა და მართლა რომანადაც აქცევდა — ბელეტრისტობა რა, განა ნაკლებ ემარჯვებოდა?!.

დასანანია, რომ ეს თავგადასავალი მხატვრულ ქარგაში არ მოქცეულა — არადა პროტოტიპები უნდა ყოფილიყვნენ თავისი დროის ცნობილი ხელოვანნი, თანაც: აკაკი რომ შეასხამდა ხორცს იმ ნაამბობს.

სუფრა დიდხანს გასტანდა და მხიარულება თანდათან იმატებდა. ნასადილევს ყველა ისე გამხიარულდებოდა, რომ მეტი აღარც შეიძლებოდა. ყველა სიყვარულით ეპყრობოდა და თანაც, როგორც ახალგაზრდას, დარიგებასაც აძლევდნენ.

ალექსანდრე ორბელიანი ქვეყნისათვის თავდადებას ურჩევდა.

ივანე კერესელიძე — ბევრ წერას.

ლავრენტი არდაზიანი ეტყოდა: არ აჰყვე ზოგიერთებს, რჯულზედ მტკიცედ იყავიო.

დიმიტრი ბერიშვილი განზე გაიხმობდა და აუხსნიდა მიზეზს, თუ რატომ ეცვა კვარტლის მუნდირი, რაკიღა იმთავითვე შეატყობდა, რომ აკაკის მისი დანახვა, ასე გამოწყობილისა, მაინცდამაინც არ ეამებოდა:

— არც მაგრე გამოაშკარავება ვარგა თავისი გრძნობისა. ეგების არც მე... მაგრამ არ გაგიგონია, ძალა აღმართსაც ჰხნავს. ვინ იცის, ამ მუნდირში მე სულ სხვა გული მიცემდეს, გარეგნობით კაცი არ გაისინჯება.

ამ ახალგაცნობილების დარიგება მოგვიანებით სასიამოვნოდ თუ მოაგონდებოდა, მაგრამ მაშინ, როგორც ყმაწვილს, არ ეპიტნავებოდა და დააპირებდა მკვახედ შეპასუხებოდა ყველას ერთობლივად, მაგრამ რედაქტორი აიღებდა ჭიქას და დაიძახებდა: ეს ღმერთმა აცხონოს და საუკუნო განსვენება მისცეს პაატა ციციშვილსო! — ყველა სიცილს რომ დაიწყებდა, გარდა ალექსანდრესი, ამ სიტყვებით რომ მიუბრუნდებოდა აკაკის:

— ნამეტანი არა ვარგა რა და ჩვენ ქართველებს კი ზომა არა გვაქვს!

ეროვნულ თვისებებზე ხანგრძლივ და ინტენსიურ დაკვირვებას ამ დასკვნამდეც მიეყვანა კაცი, რომელიც იდეალური რაკურსიდან შეჰყურებდა თვისტომთა თავგადასავალს უხსოვარი ჟამიდან და ეძებდა ყოველგვარ წყაროს, ყველანაირ ხელმოსაჭიდს სულიერი ენერგიისა და სიმხნევის განსამტკიცებლად.

არ ეჭაშნიკება, ქართველებმა რომ ზომა არ ვიცოდით.

არც არასოდეს ვიცოდით თუ... ჩვენს ასერიგად დრამატულ ყოფას ჩაენერგა ეს თვისება, მოზომვა რომ გვიძნელდებოდა?

სუფრაზე ამის შესახებ მსჯელობას აღარ გაჰყვებოდა, ჩვენი ეროვნული ხასიათის ამა თუ იმ თვისების გამორკვევას, და ჭაბუკს ამცნობდა იმ ამბავს, აქ ყველას რომ მოეხსენებოდა და ჭკუისსასწავლ ნიმუშადაც იშველიებდნენ, პეტერბურგიდან ახალჩამოსულისათვის კი გაუგებარი გახლდათ ამ გვარ-სახელის ხსენება და ცნობისწადილით ამიტომაც მიაჩერდებოდა თანამეინახეებს.

ალექსანდრე ორბელიანი ამბის მოყოლის საშუალებას გაუშვებდა ხელიდან?!.

პაატა ციციშვილი ძალზე პურადი ქართველი რომ ყოფილა და დღედაღამ სტუმრებზე გადაყოლილი, ერთხელ მუხრანბატონი შეუთვლიდა:

— ბეჩა, პაატავ! მე უფრო ბევრი შეძლება მაქვს შენზედ, მაგრამ შენსავით კი არა ვცხოვრობ. ერთხელაც არის, ხომ შემოგეჭმება ყველაფერი და მერე რაღას იზამ?

პაატას კი მიეგო:

— მაგის პასუხს ხვალ დილით მოგახსენებ.

მეორე დილით გაიხედავდა მუხრანბატონი ციციშვილის სახლისაკენ, მისი სახლის პირდაპირ რომ იდგა, და დაინახავდა ფიცარს ამ წარწერით:

— მოდით, სტუმრებო! სანამ მაქვს შეძლება, ჩემებურად სულ ასე ვჭამ და ასე ვიცხოვრებ, და როცა აღარა მექნება რა, მეც მუხრანბატონსავით დავრჩები.

არაკივით და ანდაზასავით დაშთენილიყო ეს ეპიზოდი, ივანე კერესელიძეს განსაკუთრებით რომ უყვარდა მისი გამეორება და მის უთქმელად არც ამ სუფრას ჩაატარებდა.

იმ დღეს ძალიან გვიან გამოეთხოვებოდნენ მასპინძელს და თავთავიანთ სადგომებს მიაშურებდნენ.

შემდგომ კიდევ უფრო დაუახლოვდებოდა ივანეს და დარწმუნდებოდა, რომ იგი გახლდათ ძალზე გულკეთილი და ქვეყნის ერთგული კაცი.

ცოტა ახირებული ლაპარაკი რომ სჩვეოდა?

თურმე ეს კიდეც შვენოდა... საკუთარ ფერს სდებდა!..

ვის ძალზედ აღიზიანებდა მისი ეს თავისებურება, აკაკისათვის კი აგერ, ღირსებადაც წარმოდგება, თავის პეწს რომ სძენს და კოლორიტულობას „ცისკრის“ რედაქტორს. მთავარი ისაა, რომ ძალიან გულკეთილია და ქვეყნის ერთგული და აქედან უნდა აღიქვა მისი ახირებულობაც — კიდეც უნდა მოგწონდეს, არამცთუ გაღიზიანებდეს.

დრო და ვითარება შემდგომ ერთმანეთს რომ დააშორებდათ, ოცდაათი წელიწადი გადაიკეცებოდა ისე, ვეღარც შეხვდებოდნენ, ვიდრე აკაკის ქუჩაში არ შემოეყრებოდა ვიღაც ბერიკაცი, გაჩერდებოდა და შემოსძახებდა:

— კაცო, ეს შენა ხარ?

ესეც შეჩერდებოდა, იცნობდა და... დაძრახავდა სიბერეს, ძალიან რომ ცვლის ადამიანს და ამასაც ძველი ნაცნობი კერესელიძისა ნიშანწყალიც აღარ შეეტყობოდა. და კიდევ — სახეზე ღრმად აღბეჭდოდა მწუხარების ბეჭედი.

— რას მიყურებ! გიკვირს განა, რომ ასე მხედავ?.. ასე სცოდნია ამ მუხთალ წუთისოფელს, — ეტყოდა და ამ სტრიქონებსაც მოადევნებდა, — დავბერდი, დავჩაჩანაკდი, წვერი შემექნა ჭაღარა. — შინ ცოლ-შვილს მოვძულებივარ, ბატონს უნდებვარ აღარაო!..

განა აკაკისაც არ დაუდგებოდა ეს დრო? თუმც ივანე ღმერთს შესთხოვდა, სიბერე სიბერედ, მაგრამ ამისი დღე მაინც აეშორებინა ამ ახალთაობელისათვის.

ის კურთხეული ჟამი წასულიყო და თან წაჰყოლოდნენ: ლავრენტი არდაზიანიც, დანიელ ჭონქაძეც, დიმიტრი ბერიშვილიც, ალექსანდრე ორბელიანიც და სხვანიც და ესღა დარჩენილიყო ობლად და აღარავინ ეგულებოდა გარშემო, თავისი გაჭირვება რომ შეეჩივლა გულის მოსაფხანად. სულ სხვა დრო მოსულიყო, სხვა კაცები მიმოდიოდნენ!..

— ჯვარცმული ვარ, სწორედ ჯვარცმული.

აი ახლაც სასამართლოდან მოდიოდა — ღარიბი ხომ ყველასთან მტყუანი გახლდათ. ასტეხოდა ერთი ვიღაც იუდა მოვალე და ახრჩობდა — ხან დილას შეათრევდა სასამართლოში და ხანაც საღამოს, უსამართლოდ ქაღალდი ჩაეგდო ხელში და სურდა კოტრად — „ნესოსტოიატელნად“ — გამოეცხადებინა. ამ აზრით მიეყვანა დღესაც სასამართლოში, მაგრამ ღმერთიც უშველიდა ლევან მღებროვს, ტყუილად კი არ უყვარდა სანყალ ხალხს. და ეს რომ ეტყოდა: არაფერი მაბადიაო, — და ხელობად ლიტერატორობას დაუსახელებდა, ისე ამგვარად განაჩინებდა:

— მაშ თუ მაგრეა, ნაწერები გექნება და ეგეც ქონებაა, და აქედან დაკმაყოფილდეს შენი მოვალე!..

ამ ერთ ჭირს გადარჩენოდა, მაგრამ სხვებს? რომელ ერთს გაუძლებდა? თუმც მოერიდებოდა, ქუჩაში რომ გააჩერებდა აკაკის, და მიიპატიჟებდა „ახალ გოლანდიაში“, სადაც ბინა დაედო. მის ოთახში რომ შევიდოდა სტუმარი, შეკრთებოდა... ძველებურად ვეღარას ნახავდა რას!.. ეგაა — თარი და ჭიანური ისევ კედელზე ეკიდებოდა. საერთოდ კი მისი ავლადიდება კატას აეკიდებოდა.

ერთი რაღაც საცოდავი მამული ებადა, იმასაც უყიდდა ბანკი. გუშინ მისულიყო, დაეჩოქა საზოგადოებისათვის: მაპატიეთ, ნუ გამიყიდითო, — და უარს ეტყოდნენ: „უსტავი“ ნებას არ გვაძლევსო. ვინ ივანე და ვინ მათხოვრობა, მაგრამ ამას კიდევ სხვა გააბედინებდა.

საზოგადოდ ქართველისაგან მამულის გაყიდვას ღვთის გმობას გაუიგივებდა, რადგანაც ჩვენი მიწები სხვათა ნეხვიან მიწებს კი არა ჰგავდნენ.

როგორ ამბობდა ხოლმე ალექსანდრე ორბელიანი?

— ჩვენი ქვეყანა გმირთა აკლდამაა.

და ივანე კერესელიძე დასძენდა: მე და ჩემმა ღმერთმა, რომ მართალიაო!..

ჩვენი მიწები თუ ქართველთა, ჩვენი მამა-პაპების სისხლით მორწყულიყო და ძვლებით დაპოხიერებულიყო, ახლა ვიგინდარას, უცხოს ჩავარდნოდა ხელთ და ჩვენი სიწმინდე ფეხით ეთრგუნა!.. ვისაც შამპანურის მეტი არა დაეღვარა რა, ის რასაკვირველია არას ინაღვლიდა.

— იმან რა იცის, თუ რა ნათესაური კავშირი აქვს ჩვენს მიწას ჩვენთან. — ჩემი დღე და სოფელი სულ ამას ვქადაგებდი და დღეს კი ჩემი თვალითვე უნდა ვნახო, როგორ ჩაიგდებენ ხელში ჩემს სიწმინდეს ვინმეები. — ამასა ვსწუხვარ, თორემ განა ქონების სიხარბე მაქვს?

ასეთ რამეებს ბევრს ილაპარაკებდა ბედის მომჩივანი.

ესეც თავის მხრივ ანუგეშებდა:

— სახელიც და დიდებაც კარგი რამეა.

და მასპინძელი წამდაუწუმ იმეორებდა:

— რად მინდა შენი დიდება, შიმშილით კუჭი მიხმება...

ბოლოს დასძენდა:

— ძალიან მეამა, რომ შემოხვედი. შენც უსახლკარო ხარ და მეც — არცარა შენა გაქვს და არცარა მე. მოდი ერთი ჩვენი არაფრები შევაერთოთ და პური ერთად ვჭამოთ.

ესეც დაეთანხმებოდა და დარჩებოდა სადილად.

სუფრაზე ნელ-ნელა გამხიარულდებოდა ივანე, დაავიწყდებოდა დარდი, ჩამოაგდებდა საუბარს საზოგადო საქმეებზე და სრულიად შეიცვლებოდა.

როგორ სწამდათ ძველ ბერძნებს?

ხანდახან მიწაზე განგებ ჩამოდიოდნენ ღმერთები და მათ რჩეულ კაცებს მშვენებას ჰმატებდნენ.

და აკაკიც იზიარებდა ამგვარ რწმენას და სხვათაც უბეჯითებდა: როდესაც კაცი მაღალი, ღვთიური რამეთია განმსჭვალული, მაშინ მისი შინაგანი ძლიერება გარეგნულადაც იხატება და მშვენება ემატებაო.

ეს დაემართებოდა მაშინ ივანე კერესელიძესაც — სახე გაუბრწყინდებოდა, სახე გაუდიდდებოდა, გაიმართებოდა წელში, ჩამოიღებდა დიდიხნის ხელუხლებ თარს, ჩამოჰკრავდა სიმებს და დაამღერებდა: ხან მაქვს ყველი და პური; ხანდახან მშიერი ვარ, მაგრამ ბედს არ ვემდური, მაინც ბედნიერი ვარო!..

იტყოდა და ამოიოხრებდა. იმღეროდა, მაგრამ ის სიმღერა ორაზროვანი და ორხმიანი იქნებოდა. სახეც აერეოდა... ცალი თვალით იცინებდა, მაგრამ მეორეთი იტირებდა... და ახლა აკაკი მის საფლავს რომ დაჰყურებდა, ორივ თვალი ცრემლით ევსებოდა.

ობლად რომ გრძნობდა თავს ივანე კერესელიძე, მისი ძვირფასი მეგობრები ალექსანდრე ორბელიანი და ლავრენტი არდაზიანიც აჩრდილთა სამეფოს რომ შეფარებოდნენ, აკაკისაც ძალიან დააკლდებოდა მათთან განშორება, განსაკუთრებით მაინც ალექსანდრესთან, რომლის ყოველი გახსენებაც სულ სხვა ძალითა და მხნეობით აღავსებდა და სასოწარკვეთილსაც სიცოცხლისა და მოღვაწეობის გაგრძელების ხალისსა და ენერგიას უბრუნებდა.

ისე იმ გარემოებას უსათუოდ მიაქცევდით ყურადღებას, მათთან დაკავშირებთი ზოგიერთი რამ ცოტა სხვაგვარად რომ არის მოთხრობილი „ჩემ თავგადასავალში“, ვიდრე „ორ შეხვედრაში“.

ავტობიოგრაფიულ რომანში აკი: ივანე კერესელიძეს აწვევს სტუმრად აკაკის ალექსანდრე ორბელიანთან, და ესაა ამ ორი პიროვნების პირველი შეხვედრა.

ამ მოგონებაში კი: თავისთან მოიპატიჟებს ივანე ალექსანდრეს და მის ოჯახში შეხვდებიან პირველად ერთმანეთს მომავალი მოძღვარი და შეგირდი.

ავტობიოგრაფიულ რომაში აკი: ლავრენტი არდაზიანი აკაკის რომ გააფრთხილებს, არ აჰყვე მაგისთანებს, პოეტს რწმუნება თუ არაფრისა აქვს, რა შვილი იქნებაო, ეს მოხდებოდა ანტონ ფურცელაძის მტკიცების საპასუხოდ: ქვეყანა შემთხვევითმა მანქანებამ გააჩინაო.

ამ მოგონებაში კი: ზოგადად რჩევად უზიარებდა, არ აჰყვე ზოგიერთებს, რჯულზე მტკიცედ იყავიო.

მეხსიერება ღალატობს აკაკის თუ?..

ასეც რომ იყოს, განა რა არსებითი მნიშვნელობა აქვს, ალექსანდრე ორბელიანს პირველად სად შეხვდებოდა — ივანეს ოჯახში თუ უშუალოდ ალექსანდრეს სადგომში, ანდა ლავრენტი არდაზიანი ზოგადად შეაგონებდა, ურწმუნო ადამიანებს არ აჰყვეო, თუ უშუალოდ ანტონ ფურცელაძის ნიჰილისტურ მტკიცებას გამოეკამათებოდა?

თავისთავად არც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ამგვარ ცვლილებებს, მთავარია, რომ ერთგანაც და მეორეგანაც პიროვნული ხასიათები წარმოჩნდება ნიშანდობლივი სიზუსტითა და კოლორიტულობით.

და მაინც — მეხსიერებამ უსუსტა თუ?..

მაგრამ მეხსიერების სისუსტე აქ არაფერ შუაში უნდა იყოს და ორივეგან შეგნებულადაა ასე არჩეული.

და... მაინც რატომ? რა მიზეზით?

როდესაც „ორ შეხვედრას“ წერდა, ჯერ ხომ არ იცოდა, რომ ცალ-ცალკე მოუწევდა ლავრენტი არდაზიანისა თუ ალექსანდრე ორბელიანის სილუეტების წარმოსახვაც — ავტობიოგრაფიული რომანი კი უკვე განეზრახა, მაგრამ ჯერ პირველმონახაზებს ამუშავებდა და ზუსტად განსაზღვრული არც ექნებოდა, როგორი უნდა ყოფილიყო ამ თხზულების საბოლოო სტრუქტურა, ან მოესწრებოდა თუ არა შექმნა თანამედროვეთა გალერეისა.

ამიტომაც ისარგებლებდა შემთხვევით და... ბარემ აქვე შემოიყვანდა იმ ორთაც — ივანე კერესელიძის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური სილუეტის წარმოსახვისას — სუფრა-

ზე შეჰყრიდა ყველას ერთად და რაც სხვადასხვა დროს მოესმინა მათგან, ბარემ აქ ათქმევინებდათ.

ქარგას ბელეტრისტულს შემორკალავდა.

ფონი და სილუეტები დოკუმენტური იქნებოდა.

და ამიტომაც, რაც ალექსანდრე ორბელიანს თავისი მასპინძლობისას ეთქვა აკაკისათვის, და კიდევ სხვა დროსაც, ბარემ შეკრებილიყო და ივანეს ოჯახში წარმოთქმულად გაეცნო მკითხველს.

და ლავრენტი არდაზიანი ანტონ ფურცელაძის ურწმუნობას რომ დაძრახავდა, დაე ესეც ივანეს სუფრაზე თქმულიყო ზოგად სატკივრად, თორემ „ზოგიერთების“ ხსენება „ორ შეხვედრაში“ ცოტა ამოვარდნილი მოჩანს, რაკიღა აკაკის საბაბი არ მიუცია უფროსი თაობის თანამოკალმისათვის, ეს გაფრთხილება აუცილებელი რომ ყოფილიყო.

თავისთავად კი:

სუფრაზე თავშეყრა მარჯვე საშუალება აღმოჩნდებოდა ბელეტრისტული ქარგის შემოსაფარგლად და ამოსახვევად!..

ალექსანდრე ორბელიანის სახება აკაკის კიდევ ერთ გახსენებაში გამოჩნდებოდა, ასეევე რომ დასათაურდებოდა — „გახსენება“, ბარბარე ჯორჯაძეს რომ მიეძღვნებოდა და ალექსანდრე იმდენად უნდა შემოსულიყო თხრობისას, რამდენადაც მას გაეცნო ამ ახალგაზრდა პოეტისათვის უფროსი თაობის ეს მწერალი-ქალბატონი, და აკაკი შემთხვევას არ გაუშვებდა ხელიდან, გამორჩეული სითბოთი არ დაეხასიათებინა 32-იანელთა ერთ-ერთი მეთაური, რომლის მსგავსს ქართველ კაცსაც ძვირად შეხვედროდა — სულითა და გულით მოყვარულს ჩვენი ხალხისა და ქვეყნისა და თითქმის თავდასადებლადაც მზადმყოფს. როგორც კი გაიგონებდა, ესა და ეს ნიჭიერი ვინმე გამოჩნდა საქართველოშიო, მის სიხარულს საზღვარი რომ აღარ უჩანდა და მამაშვილურად დაუწყებდა ალერსს.

აკაკის ეს არამარტო სმენოდა, არამედ თავის თავზეც გამოეცადა.

ძალიან რომ ჩვეოდა გულჩვილობა?

ამიტომაცაა, რომ ცოტა რამ ეამებოდა და ცოტა რამ სწყინდა და შუათანობა არ იცოდა — ან ძალზე მხიარული უნდა ყოფილიყო და ან ძალზე მოწყენილი.

ესეც კიდევ ერთი ნიშანდობლივი ფსიქოლოგიური შტრიხი ალექსანდრე ორბელიანის პიროვნული ბუნებისა, აკაკის რომ შეეძლო შეემჩნია.

მხოლოდ ერთხელ ნახავდა: თან მხიარულსა და თანაც მოწყენილს.

უჩვეულო საკვირველებად აღიქვამდა მის ამ განწყობილებას და მიზეზსაც გამოჰკითხავდა.

თურმე გიორგი მუხრან-ბატონს ეწყენინებინა იმ საჯარო მტკიცებით: პატარას ნება არა აქვს თავისთავადობისა და უნდა ცდილობდეს დიდში გადაიტანოს თავისი თავი და მასში განხორციელდესო.

გასაგები გახლდათ ის ქვეტექსტი, რაც მისი ბროშურის სულისკვეთებად და იდეურ მრწამსად უნდა გამოკვეთილიყო: დაე ქართველობა შეეგუოს მშობლიური ადათ-წესებისა და ენის დაკარგვას და რაც შეიძლება დროზე შეერწყას რუსეთს სულითაც და სხეულითაცო.

და... გახარებით რალას გაეხარებინა?

ამ დიდრაჯულობას რომ არ აპატიებდნენ თავმომწონედ მოყელყელავე მუხრან-ბატონს და შეახსენებდნენ, რომ იგი ტანმორჩილი ბრძანდებოდა, კახელი მოჭიდავე ოდრუგელა კი ზორბა და ამაზე ორ-სამჯერ დიდტანიანი და... ხომ არა ნებავდა, რომ გაოდროგულებულიყო?

სენატორი შეეცდებოდა ხუმრობაში გაეტარებინა შემოპასუხება და აუხსნიდა, რომ კერძო პირებზე კი არ ამბობდა, არამედ საერთოდ, საზოგადოდ. და ეგონებოდა, მარჯვედ მოვუჭერი სიტყვაო, მაგრამ არ შეარჩენდნენ:

მაშ აქლემები რომ უფრო დიდები იყვნენ კაცებზედ, ჩვენც გააქლემება უნდა გვესურვა და ეგაა.

ყველას რომ ეგონა, სენატორი თითქმის დაბჭობილიაო, ის მაინც შეეცდებოდა კიდევ ერთ აბრუნდს და წამოიძახებდა, რომ: მწერლებს გულისხმობდა და შეუძლებლად მიაჩნდა, რომ პატარა ხალხს დიდი მწერალი ჰყოლოდა, რადგანაც დიდ ხალხში ნიჭიც დიდი სუფევდა.

მაგრამ პასუხად მწვავე ირონია კვლავაც გაგრძელდებოდა და საბოლოოდ მიჩეხავდა პატარა ერებისა და ენების დიდში შთანთქმა-განზავების მოსურნე და მოიდეალე მუხრან-ბატონს:

მაგისი რა მოგახსენოთ, ეგ თქვენ უკეთ უნდა იცოდეთ, მეცნიერი და ნასწავლი კაცი ბრძანდებით, მაგრამ ეს კი შემინიშნავს, რომ პატარა ბულბული მშვენივრად გალობს და დიდი მამალი ყიყლიყოს მეტს ვერას ახერხებსო.

და რაოდენადაც დიდი იქნებოდა გულისტკივილი თავიდან ალექსანდრესი, იმდენადვე განუზომელი აღტაცება, ამ ბოლო არგუმენტით მთელ თეორიას რომ გაუნიორწყლებდა გულზვიად დიდკაცს ის ადამიანი, რომლის ვინაობასაც აქამდე უფარავდა თანამოსაუბრეს, რათა ერთბაშად გაეოცებინა, რაკიღა ის გუნებაში ალბათ არაერთ პიროვნებას მონიშნავდა, მაგრამ არაფრისდიდებით იმას, ვინც სინამდვილეში აღმოჩნდებოდა — ბარბარე ჯორჯაძეს, დას რაფიელ ერისთავისა, შინგაზრდილ ქალად რომ იხსენიებდნენ ცოტა ათვალწუნებით, მაგრამ სწორედ მას დაეცვა მშობლიური ენა და ქართველობა საჯარო პაექრობისას, როდესაც თავმომწონე კაცები გაუყურჩებოდნენ სენატორის მტკიცებას — ვინ რიდით, ვინ სიფრთხილით და ვინ მარჯვე და გონებამახვილური არგუმენტების მოძიების უუნარობით, თორემ გულში ყველა იგრძნობდა, ყოვლად არაბუნებრივს რომ იწმუნებოდა პატივდებული თვისტომი, უკეთესი გზა რომ ვერაფერი გამოეძებნა ჩვენს გადასარჩენად სრული განადგურებისაგან, და აღარ დაგიდევდა, სხეულით მოისპობოდი თუ სულით, დიდი რამ განსხვავება რომ არ იყო ამ ორ ტრაგიკულ გზას შორის.

აკაკის მოეწონებოდა თანამოსაუბრის ეს ხერხი — დრომდე ვინაობის დაფარვისა, პირდაპირ რომ გადაიტანდა მემუარულ ჩანაწერში, ისევე როგორც ალექსანდრეს საბოლოო შეფასებას:

— ახლა ხომ ხედავ, რად ვარ ერთსა და იმავე დროს მოწყენილიც და მხიარულიცა; ვერ მომინელებია განათლებულის კაცის აზრი და აღტაცებაში მოვყავარ შინ გაზრდილი ქალის გრძნობა-გონებას.

ეს ეპიზოდი, გვირგვინად რომ ადგას ბარბარე ჯორჯაძის პიროვნებასა და ბიოგრაფიას — გამარჯვება გიორგი მუხრან-ბატონთან ასერიგად მნიშვნელოვანი პაექრობისას, აკაკის წყალობით შემოგვენახა, თორემ მომხიბლავი სხივი მოაკლდებოდა ამ კოლორიტული ქალის სახებას.

მისი ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური სილუეტის მოხაზვას რომ შეეცდებოდა აკაკი, საკმაოდ ვრცელ ექსპოზიციასაც დაისაჭიროებდა, გაუღენთილს იმ საწუხარით, უკანასკნელ საუკუნეებში, საქართველოს დაუძლურებასთან ერთად, მისი მწიგნობრობაც რომ დასუსტებულიყო, ისე, რომ ზოგ ოჯახიშვილთაგანს კალმის მოსმაც აღარ ეცოდინებოდა. ანკი საიდან, როდესაც იმთავითვე, ბავშვობიდანვე, ბრძოლის ველზე ათენ-აღამებდნენ?

ქალები გადიასახლისდებოდნენ, ყოველგვარი საოჯახო საქმე ხელში ჩაუვარდებოდათ და მწიგნობრობაც მათ დარჩებოდათ. იშვიათად რომ ოჯახის ასული საღმრთო-საეროში განაფული არა ყოფილიყო და წერა-კითხვა ზედმინევნით არა სცოდნოდა, მაგრამ მაინც არცერთ ქალთაგანს მწერლობით თავი არ გამოეჩინა და მამაკაცთაგანი კი თითოოროლა მწერალი, მოლექსე და მოშაირე არ გამოლეულიყო.

აკაკი მკითხველს შეაგონებდა, რომ:

ამას ტყუილად ნურავინ მიაწერდა ქალების უნიჭობას, რადგანაც მიზეზი სულ სხვა გახლდათ: „ვეფხის-ტყაოსნის“ დედააზრი ბევრს დღესაც კიდევ არ ესმოდა, არათუ მაშინ, და სატრფიალო ზღაპარი ეგონათ. შაირების კაზმულობით კი ისე მოხიბლულიყვნენ და გატაცებულიყვნენ, რომ მის უარყოფას ვეღარ ახერხებდნენ, თუმცა მრჩეველნი ჰყავდათ და მათ რიცხვში — თვით ანტონ კათოლიკოსიც.

ისინი ამტკიცებდნენ: „ვეფხის-ტყაოსნის“ კითხვით ქართველი ქალები მოიხიბლნენ და კეკლუცობას მიჰყვეს ხელიო.

ეს ამბავი არცთუ ტყუილი გახლდათ და დაე ნუ დავივიწყებდით, რომ: არათუ ქალები ჰბაძავდნენ ნესტანსა და თინათინს, არამედ კაცებიც ტარიელ-ავთანდილობას ცდილობდნენ.

საამისო ნიმუში გვენება?

ყმაწვილკაცები მაჯას იხსნიდნენ, საკუთარი სისხლით წერდნენ სააშიყო ბარათებს და, ვიდრე სატრფოსაგან გადაწყვეტილი პასუხი არ მოუვიდოდათ, ბაღდადით გულზე ხელჩამოკიდებულნი დადიოდნენ.

რამდენად რეალური და დამაჯერებელი გახლდათ ეს გადმოცემა?

აკაკის ეჭვიც არ ეპარებოდა მის სანდოობაში და ხსნიდა ტარიელის მიბაძვის წადილით, სევდათა შემოწოლის შემდგომ მაჯა რომ გაეხსნა და ხელჩამოკიდებული ეჩვენა სატრფოს.

და გაიხსენებდა იმერეთში მიმოფანტულ საუცხოო ლექსის მწერალთ, რომელთაც პროზად მოკითხვის ბარათის დაწერაც არ შეეძლოთ!.. მაგრამ ესეც გახლდათ — თუ ლექსად, შაირად, გარდა სააშიყო ლათაიებისა, კიდევ სხვა რაიმეც დაიწერებოდა, წარმოდგენით ვერ წარმოედგინათ!.. ეს იმერეთში და... აღმოსავლეთ საქართველოში კიდევ უფრო გამძაფრებულიყო ეს განწყობილება.

„ვეფხის-ტყაოსანს“ დაემატებოდა სპარსული ლიტერატურა: ფირდოუსის, საჰადის, ჰაფეზის, ფეიზულასა და სხვა მწერალთა ნაწერები და ეს კიდევ უფრო დაარწმუნებდა ხალხს, ალბათ ყველგან ასეა და ლექსი მარტოდენ სასიყვარულო გრძნობის გამოსახატად ყოფილა გამოგონებულიო.

მაშინაც და ამჟამადაც კაცებს ეპატიებოდათ ქვეყნის თვალში სიყვარულისა და ტრფიალების გამოცხადება, მაგრამ ქალებისათვის დიდი ცოდვა და საძრახისი რამ გახლდათ, ლექსისა და შაირის შექმნაც სასირცხვილო, და აკაკის როგორ არ დაწყვეტოდა გული: ვინ იცის, რამდენი ყოფილა მოლექსე და „მოგეწერა, ნავიკითხე“ კილოზედ მშვენიერი შაირებიც ეწერა საიდუმლოდო?!.

პირველი ქალი, რომელიც საქვეყნოდ დაიწყებდა ლექსების წერას, იქნებოდა დარეჯან ბატონიშვილი, მეფე სოლომონ პირველის ასული, რომელსაც შეექმნა სხვადასხვა ძლისპირი და საგალობელი, ჩვენამდე კი მოეღწია მხოლოდ მის „ანბანთ ქებასა“ და „ღვთისმშობლის შესხმას“, რომლის დასაწყისსაც საგანგებოდ ჩაურთავდა ამ მოგონებაში, თუმც გამხელით არ გაამხელდა — პირადობაში რომ არ ჩამოერთმიათ — დარეჯან ბატონიშვილი მისი დიდი დიდედა თუ ბრძანდებოდა, დედა იმ ივანე აბაშიძისა, იმერეთის აჯანყებას ვინც ჩაუდგებოდა სათავეში, ჩვენი ისტორიის ერთ ნათელ და თავმოსაწონებელ ფურცელს.

* * *

— დიდი ივანე აბაშიძე აიკლეს და ახალციხეში მოიკლა... — ამ ფრაზას უნდა გაეელვა ისტორიულ ნოველაში „გრიგოლ წერეთლის ირემი“, გრიგოლ წერეთელი თავის სახლიკაც ბეჟანს რომ გადაემტერებოდა და არამარტო მას დაუწყებდა დევნას, არამედ მის მახლობლებსა და მოკეთეებსაც აღარ დაზოგავდა. ჩაბეზღებულ ბეჟანს დიდხანს მოუწევდა დამალვა ორღულის ტყეში... იქ გადავარდებოდა და სახლს ვეღარ გაეკარებოდა. ქუთათელი მისი ბიძა გახლდათ და ვიცით, რა დღესაც დააყენებდა. გენათელსაც თან მიაყოლებდა!.. რაღაი ერთხელ გაიგერშებდა გრიგოლ წერეთელი, გაუგემრიელდებოდა საშოვარი და სხვებსაც მიჰყოფდა ხელს.

მაშინაა სწორედ, ივანე აბაშიძის ტრაგიკული აღსასრულის ხსენება...

იქ კიდევ წულუკიძეები უნდა აეოხრებინათ... ნიჟარაძეები დაეჭირათ და სხვანი... სხვების დამცირება წერეთელს უფრო და უფრო აამაღლებდა. იქნებოდა დიდ საშოვარში და დღითიდღე გაძლიერდებოდა მისი ოჯახი. სხვები რომ იტირებდნენ, ის იქნებოდა ერთ ლხინსა და შექცევაში.

სხვა ისტორიულ ნოველაში „სოფელ ალის აოხრება“ კვლავ უნდა გაეელვა ივანე აბაშიძის ტრაგიკულ აღსასრულს, თან აქაც კვლავ იმ ეპითეტით უნდა მოხსენიებულიყო: დიდი.

მთხრობელის ასაკით რომ დაინტერესდებოდა მისი ნაამბობის ჩამწერი, კურტანიძეობა მისი სიცოცხლის ხანგრძლივობის გამოისობით მათუსალასავით რომ გასიმბოლოვდებოდა თანასოფლელთა თვალში, იმას, ახალი დროის მათუსალას, ეს მოგონებებიც უნდა წამოშლოდა: ჟამიანობა, შავ ჭირს რომ ეტყვიან, გამოვლილი მაქვს. მეფე რომ თათრებში გადავარდა, ტრაპიზონს ვახლდი ბატონს ჩემ წერეთელს!.. ვაი! ვაი! რა დრო დაგვიდგა მაშინო!..

— ქუთათელ-გენათელი რომ წაიყვანეს... — ჩაურთავდა „ჩამწერი", რის პასუხადაც:

— ქუთათელ-გენათელი რომ წაიყვანეს და, დიდი ივანე აბაშიძე მოკლეს ახალციხეში, ეს სულ გუშინ იყო...

აბა კი ყოფილიყო მართლაც კაი ხნის — უკვე გაქვავებულივით, და ნათესავადაც აღარავის ახსოვდა.

ივანე აბაშიძის მკვლელობა თავისებურ მიჯნად, ქრონოლოგიურ ათვლის წერტილადაც რომ დადგენილიყო ხალხის ცნობიერებაში, სწორედაც ხალხის და არამარტო მისი შთამომავლობის.

არ ეკუთვნოდა ასეთი აღიარება თუ რა:

ადვილი ჩასაქრობი არ აღმოჩნდებოდა მისი მეთაურობით წამოწყებული აჯანყება, ის კი არა, მეამბოხენი ჯერ ალექსანდრე ბატონიშვილს რომ გაუმზადებდნენ სამეფო ტახტს, რომლის აღდგენაც აღარ ეეჭვებოდათ, მერე ივანე აბაშიძეს დაასახელებდნენ მეფედ — აჯანყების წინამძღოლობითაც მიიჩნევდნენ ღირსად სამეფო გვირგვინისა და სოლომონ პირველის შვილიშვილობითაც.

დოსითეოს ქუთათელს — ერისკაცობაში წერეთელს — და ექვთიმე გენათელს აჯანყების დამარცხება დაპატიმრებად და სასიკვდილო განაჩენად დაუჯდებოდათ.

ივანე აბაშიძეს ადვილად ვერ მოიგდებდნენ ხელთ, გურიაში რომ გაასწრებდათ, მაგრამ იქაც რომ შეჰყვებოდნენ იმპერატორის ჯარები, ახლა უკვე ახალციხეს გადავარდებოდა.

იცოდნენ: არ მოისვენებდა და არც რუს მმართველებს მოასვენებდა, ჯერჯერობით თათართა დახმარებით მაგარ ციხეს რომ შეეფარებოდა სულის მოსათქმელად, ვიდრე ხელახლა გაშლიდა ფარულ სამზადისს და აამღელვარებდა იმერეთს.

ამიტომაც მკვლელი უნდა მიეგზავნათ და დროულად აღეკვეთათ მისგან მოსალოდნელი ხიფათი.

ნიკო დადიანის მატიანე შემოგვინახავდა ცნობას, რომ:

ივანეს მოკლავდნენ ვახტანგ ბატონიშვილის — დავით მეორის უკანონო შვილის, როსტომის, ვაჟის — მიერ მიგზავნილი კაცები.

აკაკი უშუალო მკვლელის ვინაობასაც გახსნიდა პოემაში „ასის წლის ამბავი", და გახსნიდა საგვარეულო გადმოცემაზე დაყრდნობით:

მაგრამ იქაც ვერაგებმა
ჭუმბურიძე შეუჩინეს,
უღალატეს და ურჯულოდ
საუკუნოდ დააძინეს.

რამდენიმე წლის წინათ სოლომონ ლიონიძეც ახალციხეში გამოესალმებინათ სიცოცხლისათვის მუხანათურად.

ახლა ივანე აბაშიძის ჯერიც დამდგარიყო.

პოლიტიკურ მკვლელობათა სიას ემატებოდა ახალი და ახალი მსხვერპლი.

რაღაც დიდი დასრულდებოდა ამ ტრაგიკული ეპიზოდით იმერეთის მხარის ცხოვრებაში, აკაკი იმ გაწყვეტილი ძაფის აღდგენა-გამრთელებას რომ ლამობდა გარიბალდური ქუდით მოსიარულე და გარიბალდის სახელის წამდაუწუმ მხსენებელი, გულში ივანე აბაშიძეს რომ გულისხმობდა, დიდ ივანეს, მუხანათური მკვლელობა რომ არა, ვინ იცის კიდევ რარიგ ააფორიაქებდა მშობლიურ მხარეს...

მრისხანე სატირაც რომ შეეთხზა დარეჯან ბატონიშვილს თეოფილაქტეზედ?

ტექსტი აღარ შემორჩენილიყო, მაგრამ თვითონ ფაქტი, რომ მის უშუალო წინაპარს სატირული პოეტური ნიმუშიც შეექმნა, აკაკის ძალიან ახარებდა და დაე მკითხველსაც შეეტყო ჯერჯერობით ლიტერატურის კულისებში ჩარჩენილი მწერალი ქალის ნიჭის მრავალმხრივობაც და... უშუალოდ კი სატირული თხზულებისაკენ მისწრაფებაც.

ამერეთიდან თეკლა ბატონიშვილს დაასახელებდა, ერეკლე მეორის ასულსა და ალექსანდრე ორბელიანის დედას, რომლის მუხამბაზსაც „ჩრდილოთ ვიხილე შავი ღრუბლები“ ბესიკის გახმაურებულ ლექსს დაუკავშირებდა — „სევდის ბაღს შეველ“: მის ხმაზეა დაწერილიო.

ორმოცდაათი წლის წინათ გავარდებოდა ხმა, დიდი ივანე ერისთავის ქალები მშვენივრად არიან გამოზრდილნი, საღვთო-საეროში გაწაფულნი, და ზედმიწევნით იციან პლატონის ფილოსოფია, რიტორება, არისტოტელეს „კატეგორია“ და სხვანი და სხვანიო. იმ დროს კიდევ შემორჩენილიყო ჩვეულება ქართლში, დიდი ოჯახი რომ დიდ ოჯახს უნდა დამოყვრებოდა, და წერეთლის ოჯახი მოინდომებდა ერისთავის ოჯახთან დამოყვრებას. ასე ითხოვდა გრიგოლ წერეთლის ვაჟი ალექსანდრე ივანე ერისთავის ქალთაგან ერთ-ერთს — ეკატერინეს.

ელიმებოდა აკაკის:

წერეთლები მოელოდნენ დედოფლურად გამოზრდილ ოჯახის ასულს, ყოველ შემთხვევაში თავდაჭერილს, მაგრამ წარმოიდგინეთ მათი გაკვირვება, როდესაც ხელში შერჩებოდათ პოეტური გრძნობით აღვსილი ახალგაზრდა ცქრიალა ქალი, რომელიც თავს არ იჭერდა, ყველაფერს თანაუგრძნობდა, კარგს შეფრქვევით მიეხაფიფებოდა, ცუდს ზიზღით ზურგს უჩვენებდა და შორდებოდაო.

ამგვარი პირდაპირობა, თავდაუჭერლობა და ზედ დართული მოლექსეობა რომ არ ესიამოვნებოდა ქმარს, ამიტომაც გამწარდებოდა მათ შორის ცხოვრება და პოეტი ქალი ლექსით გამოხატავდა თავის ტანჯვებს.

ეს ლექსი რომ მოედებოდა მთელს მხარეს და სასიმღეროდაც გადაიქცეოდა, აკაკი ყურადღებას მიაქცევდა იმ გარემოებას, რომ: ხალხი სიამოვნებით კი მღეროდა, მაგრამ ავტორს, როგორც ქალს, ქების ტაშს მაინც არ უკრავდა.

და თუმც გიორგი ერისთავი — ჩვენს გამოჩენილ კომიკოსად რომ მოიხსენიებს აკაკი — დიდ თანაგრძნობას გამოუცხადებდა ამ პოეტ ქალს, მაგრამ მაინც ვერას უშველიდა და ამის ბრალი იქნებოდა, რომ გულგატეხილი ეკატერინე ერისთავი ბევრს არას დაგვიტოვებდა. და იგივე დაემართებოდა არანაკლები ნიჭის მქონე მის დასაც — მარიამს.

და აი ოცდაათი წლის წინათ, როდესაც „ცისკარი“ გამოიცემოდა, პირდაპირ და შეუპოვრად გამოვიდოდა სამწერლო ასპარეზზედ ერთი ახალგაზრდა ქალი და ეს ქალი იქნებოდა კნეინა ბარბარე ჯორჯაძისა.

იგი ყურადღებას არ მიაქცევდა ძველი თაობის კიცხვა-გინებას და მშვენიერი ლექსებით გააცხადებდა თავის გულისპასუხს.

მშვენიერი ლექსებიო — თვით აკაკი რომ ასე შეგიფასებს!..

მოთქვამდა წარსულზედ, შეფრქვევით უგალობდა მომავალს და უსიტყვოდ არა ტოვებდა აწმყოს ავკარგიანობას.

ამგვარი მოვლინება რასაკვირველია სასიამოვნო გახლდათ და... მაშ ახალთაობაც სიამოვნებით უნდა მიგებებოდა და მხარიც მიეცა მისთვის, მაგრამ...

მისდა საუბედუროდაც მოტრიალდებოდა დრო ისე, რომ პოეზიისათვის მეტად ცუდი ჟამი დადგებოდა — როგორც რუსეთში, ისე საქართველოშიც ხელოვნებას ყურადღებას აღარავინ აქცევდა.

მწერლობაში რას ჰქონდა პატივი?

რას და: მხოლოდ ცარიელი სიტყვების ბრახაბრუხსა და თუთიყუშივით განმეორებულ სხვების აზრს.

ვინც ამ კანონს არ ემორჩილებოდა, იმაზედ ახალთაობას იერიში მიჰქონდა და ბევრსაც გააგდებინებდნენ კალამს ხელიდან.

მაგალითები გვენება?

აგერ თავადი რევაზ შალვას ძე ერისთავი, რომელიც წერდა ლექსებს და იმ დროის შესაფერისად არცთუ ურიგოს; სხვათა შორის ეთარგმნა კოზლოვის „შეშლილი“ და... ისე შეანანებდნენ ამ შრომას, რომ საუკუნოდ ხელს ააღებინებდნენ წერაზედ.

საკმაოდ გამჭვირვალეა ქვეტექსტი — ილიას გახმაურებული და რეფორმატორული სტატია „ორიოდ სიტყვა...“ შეანანებდა სწორედ რევაზ ერისთავს შემოქმედებით გარჯას

და ხელსაც ის ააღებინებდა წერაზე, რაც აკაკის სულაც არ მიაჩნია სწორად — იმ არცთუ ურიგო ლექსების წერა არ უნდა შეწყვეტილიყოო.

თავის დროზე მხარში ამოუდგებოდა ილიას, მაგრამ ამ გადასახედიდან ცოტა არ იყოს გადამეტებულ სიმკაცრედ მოეჩვენებოდა იმ სტატიის პათოსი და მთლად აღარ გაამართლებდა: ხომ შეიძლებოდა სათქმელი ეთქვა, მაგრამ წერის ხალისი კი არ დაეკარგვინებინა კაცისათვის, რომელსაც არც სიტყვების ბრახაბრუხი სჩვეოდა და არც თუთიყუშივით განმეორებათა სხვათა მოსაზრებებისაო. ეს რა — განა ცოტას ნიშნავდა?!.

აღარ ამართლებდა, რომ ამგვარივე დღე დაეყენებინათ ბევრი სხვისთვისაც.

ილიას მაშინდელ კრიტიკული ისრების ქარცეცხლში ბარბარე ჯორჯაძეც რომ მოჰყვებოდა და თანაც მთლად შუაგულში?

აკაკი ძალიან დაუფასებდა, რომ კნეინა ბარბარე იარაღს არ დააგდებდა და შეებაასებოდა ახალთაობის მეთაურებს და... კიდეც ამით ატყდებოდა ერთი ალიაქოთი ლიტერატურაში.

ქალის მხარეს დაიჭერდნენ ძველი მწერლები — ალექსანდრე ორბელიანი, ივანე კერესელიძე, დიმიტრი ბერიშვილი, ლავრენტი არდაზიანი და სხვანი. და ბევრისათვის თუ დაფარული რჩებოდა, აკაკის მზერას არ გამოეპარებოდა, რომ: საიდუმლოდ დიმიტრი ბაქრაძეც მხარს აძლევდა. ახალთაობიდანაც ერთი-ორი მიუდგებოდა, მათ შორის ანტონ ფურცელაძეც, მაგრამ ამათაც ძვირი დაუჯდებოდათ ეს მიდგომა.

ასეა თუ ისე მათი მომხრეობა მწერალ ქალს მაინც გაამხნევებდა, მიუხშირებდა წერას და სხვათა შორის ჩაუჯდებოდა დრამებსაც — ჯერ „შურს“ რომ დაწერდა და მერე „რას ვეძებდი და რა ვპოვეს“ და კიდევ სხვათაც.

როდესაც „ცისკარი“ დაიხურებოდა და მწერლობა გადავიდოდა მაშინდელი ახალთაობის ხელში, ბარბარე ჯორჯაძეს მოესპობოდა საშუალება, ებეჭდა სადმე თავისი ნაწერები. ამიტომაც წავიდოდა სოფლად და მას შემდეგ მის ნაწერს ვეღარას ხედავდა მკითხველი, თუმც, როგორც გამოჩნდებოდა, ჩვენი მწერლობისათვის თვალყური იქაც გულდასმით ედევნებინა.

სხვა მის თანატოლთ, პეტერბურგის უნივერსიტეტმოვლილებს დიდად არ აღელვებდათ, ბარბარე ჯორჯაძე კვლავაც წერდა რაიმეს თუ არა?

აკაკისათვის სულერთი არ გახლდათ და ამიტომაც სთხოვდა ალექსანდრე ორბელიანს, აუცილებლად ესტუმრებინა მწერალ ქალთან, როგორც კი იგი სოფლიდან ჩამოვიდოდა.

კნეინა ბარბარეს ივანე კერესელიძესთან აკავშირებდა ნათელ-მირონობა და ქალაქში ჩამოსული ამჯერადაც მის ბინაში ჩამოხტებოდა.

ესენი ივანეს რომ მიადგებოდნენ, მასპინძელს ძალიან ეამებოდა, საგანგებოდ რომ სტუმრებოდნენ მწერალი ქალის გასაცნობად და აკაკის მაკვარანცხულად შესთავაზებდა:

— ეს ქალი ახლა საკუთარ ოთახში ზის, წერს, და ისე შეგიყვან უცბად, რომ თვითონაც არ იცოდეს.

მოავლებდა ხელს და ძალათი შეიყვანდა.

როდესაც აკაკი ბარბარე ჯორჯაძის ლექსებს კითხულობდა, ავტორი სულ სხვანაირად წარმოედგინა:

ეს უნდა ყოფილიყო ტანმორჩილი, გამხდარი, მეტად მკვირცხლი, მოუსვენარი, სხაპასხუპით მოლაპარაკე და განსაკუთრებით წერის დროს მეტად აღელვებული.

და გაოცებით გაოცდებოდა, როდესაც მის ოთახში შეაბიჯებდა და...

მაგიდასთან იჯდებოდა ერთი საკმაოდ მსუქანი, მოსული, თვალტანადი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც მუხლი მუხლზედ გადაედო, ზედ ერთი ფურცელი დაედო და დინჯად წერდა ლექსს.

თურმე ეს უნდა ყოფილიყო მისი უკეთესი ლირიკული ნიმუში „არაგვი“.

და მაშინ უნდა შეეტყო სტუმარს, რომ თუ არა მუხლზედ, ძველებურად, ისე წერა არ ემარჯვებოდა კნეინას.

მაგიდასთან ზის და... ფურცელი კი მუხლზედ უდევს.

მაგრამ... თუკი ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია?!.

შენარჩუნებით ინარჩუნებდა ძველებურად წერის ტრადიციას.

და ამ თითქოსდა უმნიშვნელო, მაგრამ არსებითად დიდად საგულისხმო და კოლორიტული შტრიხის კიდევ უფრო გამოსაკვეთად სტატი-მოგონება-ნოველა ამ სურათით უნდა შეკრულიყო და ამ აკორდით დაგვირგვინებულიყო:

— ნეტავი ეხლაც ისე სწერს თუ არა?

შეკითხვა რიტორიკულია, ისედაც მიხვდებოდით, და გულისხმობს, რომ ბარბარე ჯორჯაძე კვლავაც მაგიდას უზის და... კვლავაც მუხლზე დადებულ ფურცელზე გამოჰყავს სტრიქონები, ილია რომ გააბიაბრუებდა და არად ჩააგდებდა მის არსებობას — გინდა ყოფილიყო ჩვენს სალიტერატურო მდინარებაში ეს ქალბატონი და გინდ არა, არც არა ემატებოდა ამით ქართულ მწერლობას და არც არა აკლდებოდა.

მაგრამ სხვაგვარად განსჯიდა აკაკი — დიდად რომ დაუფასებდა გაბედულებასაც, სიმხნევესაც და ნებისყოფის სიმტკიცესაც, გამოქვეყნების საშუალებას მოკლებული მაინც რომ არ შეეპუებოდა ბედს და კვლავაც შეინარჩუნებდა შემოქმედებით უნარს, თავისი ადგილი რომ უნდა დაეკავებინა ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში, ყოველ შემთხვევაში აკაკი მიუჩენდა ამ ადგილს, მითუმეტეს გიორგი მუხრან-ბატონისათვის რომ ჩაეჩარა პირში ბურთი საჯაროდ, იმას ზურგსუკან იმპერია რომ ედგა, ამას კი — თავისი უბედური ქვეყანა, ყოფილ საქართველოდღა სახელდებული, მაგრამ გული უცემდა ღირსეული და ენაც ბასრი მოსდევდა, იმ წუთას სატირიკოსებსაც რომ შეეხარბებოდათ: ასე მოსწრებულად მაინც როგორ ახერხებსო?!.

...და აკაკის ისიც უხაროდა და ეამაყებოდა, ბარბარე ჯორჯაძის წინამორბედთა შორის დარეჯან ბატონიშვილიც რომ იგულისხმებოდა, თავისი დიდი დიდედა, შვილს მეამბოხედ რომ ზრდიდა და მისი იდუმალი ზეგავლენა აგერ შვილიშვილსაც გადმოწვდენოდა.

თავი VII

გარიბალდური ქუდი

მათი ლანდები რომ უბორიალებდა გონებაში, დარეჯან ბატონიშვილისა და ივანე აბაშიძის, ეს სულისკვეთება მიაქანებდა სამხედრო სასწავლებლისაკენ — არა სწრაფვა, ხმლის ქნევით მასაც ახალი დიდება მოეხვეჭა რუსეთის იმპერიისათვის და ეფართოებინა მისი საზღვრები, არამედ ამ იმპერიის საზღვართაგან გამოეგლიჯა საქართველო.

ელიზბარ ერისთავისა არ იყოს: პეტერბურგში სამხედროგანათლებამიღებული... მთავარსარდლად რომ მოევლინებოდა 32-იანელთა ფარულ მოძრაობას.

მთავარსარდლობის ეს ჟინი აღანთებდა და აფორიაქებდა ყმაწვილ აკაკისაც, მის ოცნებასთან სრულიად შეუთავსებელი და მკაცრი რეალობა სათავეშივე რომ მოუსპობდა ამ წრფელსა და გულანთებულ განზრახვას და... მეამბოხურ ჟინს გარიბალდური მოძრაობისადმი თანაგრძნობის გამოხატვითღა მოაკვლევინებდა.

თანაგრძნობა, გარდა სიტყვიერი ამოთქმისა, გარშემო დაურიდებლად რომ იმეორებდა, იმ მკვეთრი გარეგნული იერითაც უნდა დაედასტურებინა, გარიბალდური ქუდით რომ დაიარებოდა ყველგან და ყოველთვის.

და მაშინაც, რუსეთიდან ახალჩამოსული ქუთაისის ბულვარში ამ ქუდით რომ გაისეირნებდა: ეროვნული და პროტესტანტული სულისკვეთების ნიშნად.

უეცრად კომენდანტი უნდა შემოყროდა, გაჩერებითაც რომ გააჩერებდა და ღრიალითაც ღრიალს დაუწყებდა:

— თავზე ქუდი რად გახურავს?

ამას... გიჟი ეგონებოდა ან მთვრალი და კიდეც გამოშორდებოდა, მაგრამ კომენდანტი მაინც არ მოუსვენებდა და ჟანდარმერიის პოლკოვნიკს შეატყობინებდა:

— თავზე გარიბალდის ქუდი ახურავს და დაიჭირეთ!..

ეს ჭირვეულობა და ახირებულობა კომენდანტისა რასაკვირველია უქმად ჩაივლიდა, მაგრამ დიდ აყალმაყალს კი გამოიწვევდა საზოგადოებაში, ყველაზე უფრო ვახტანგ გურამიშვილი რომ გამოიდებდა თავს, შეხვდებოდა კომენდანტს და ეტყოდა:

— უფალო პოლკოვნიკო, როგორც ჩანს თქვენ თქვენი მოვალეობა არ გესმით, რომ ქუჩაში აღარავის ატარებთ და არამკითხე მოამბესავით სასაცილო საქმეებში ეჩრებით. თქვენ თუ თავი გინდათ გამოიჩინოთ, ქუდებს კი ნუ ეძებთ ქუჩა-ქუჩა (და ამას არც არავინ გავალებთ), თუ გული გერჩით, მიბრძანდით და თვითონ გარიბალდი დაიჭირეთ!

შერცხვენილი რაინდი ამოლუღლუღებითაც ვერას ამოილუღლუღებდა და... მერე საკუთარი ქუდის ხელის მოკიდებაც დაეზარებოდა, არათუ სხვისი.

ეს ეპიზოდი ჩაერთვოდა მოგონებას ვახტანგ გურამიშვილზე, ასევე რომ დაშვენდებოდა ეს ნოველასებრ შედგენილ თხზულება „ჩემ თავგადასავალს“, ისევე როგორც მთავარი გმირის სახება — მის ისტორიულ პერსონაჟთა გალერეას.

რაო, რა წუხილს გამოთქვამდა აკაკი მოგონების დასაწყისში?

ვინც კი კალამს აიღებს ხელში, გინდ წარამარა მჯღაბნელიც იყოს ან სცენაზე მოკუნტრუშე, ყველა საზოგადო მოღვაწედ მიაჩნიათ ჩვენში, თითქოს ამ ორი ასპარეზის მეტი ჩვენს ცხოვრებაში აღარა იყოს რაო.

და ეს იმის ბრალი გახლდათ:

ჩვენში ჯერ კიდევ ბევრი ვერა სჯიდა და ვერ მოქმედებდა თავისთავად და უმეტესობას მარტო ნამხედურობა ამოქმედებდა.

თუმც იშვიათად, მაგრამ ყოველთვის რომ ყოფილიყვნენ ჩვენში სხვადასხვა სარბიელზე დიახაც შესანიშნავი კაცები?

ამჯერად გამოარჩევდა ვახტანგ გურამიშვილს, რომელიც დიდ მონაწილეობას მიიღებდა იმ ახალ მოძრაობაში, აკაკის სახელითაც რომ აღიბეჭდებოდა შთამომავლობის ხსოვნაში, და თანაგრძნობითა და მხრის მიცემით გაამხნევებდა ახალთაობის მოწინავე გუნდს.

ორიოდ სიტყვით დაახასიათებდა, როგორც:

საკმაოდ განვითარებულსა და კარგი ჭკუა-გონების პატრონს, გულკეთილსა და გულწრფელს, მაგრამ ამავდროულად თავშეუკავებელსა და ფიცხსაც, ოღონდ ამ სიფიცხეს ყოველთვის იწვევდა პატიოსანი მღელვარება. და როგორც ნიჭიერი და შესანიშნავი ჩინოვნიკი სამსახურშიც მეტად დაწინაურდებოდა, ამ სიფიცხესა და უფროსებთან შეუპოვრობას რომ არ შეეშალა ხელი.

და სანიმუშოდ გაიხსენებდა იმ ეპიზოდს გარიბალდური ქუდისა.

ხოლო ერთხელ, „სოვეტნიკობის" დროს, თავის ხელქვეით ჩინოვნიკს რომ გაუჯავრდებოდა, ის კი მართალი იქნებოდა, მაგრამ შიშით სიტყვას ვერ შეუბრუნებდა, მაგრამ ვახტანგი სიმართლეს რომ გამოარკვევდა, მოიხმობდა ყველა ჩინოვნიკს და მეტად საგულისხმო სიტყვით მიმართავდათ:

— თქვენც მისთანა კაცები ხართ, როგორც მე, მაგრამ დროთა ვითარებას თქვენი გული ისე გაუტეხია, რომ უფროსები მგლები გგონიათ და თქვენი თავი კი ცხვრები; ჩემთან ეს აღარ გაბედოთ! — გულგახსნით იყავით! ცუდს ნურას იზამთ და უსამართლობით თავს ნურავის დააჩაგვრინებთ!

სიტყვებად ხომ ოქროს სიტყვებია, მაგრამ ამ სიტყვებს დაამშვენებდა და თანაც რარიგ დაამშვენებდა საჯარო მობოდიშება შერისხული ჩინოვნიკის წინაშე, შერიგების ნიშნად სადილადაც რომ დაპატიჟებდა.

იმ დროს უფროსის ამგვარი მოქმედება ახირებულობად გამოიყურებოდა?

მაგრამ აკაკი სიამაყით მიითვლიდა, რომ ვახტანგი ამისთანებს არ დაგიდევდა და ყველგან და ყოველთვის თავისნება კაცად რჩებოდა.

იმისი არ იყოს, ერთ თავადიშვილს წვეულება რომ ჰქონდა და ვინც თვალსაჩინო იყო, არავინ აკლდებოდა სუფრას. დაუპატიჟებელი სტუმარიც მოხვდებოდა იქ, ცოტა არ იყოს შეშლილი, გვარად მაკალათია, და დაიწყებდა ლექსების კითხვას, და ერთი ვინმე ბობოლა სიცილით ეტყოდა ჭკუათხელ დეკლამატორს:

— ეგ შენი ლექსები დააბეჭდინე „დროებაში" და ქართველები პირველ პოეტს გიწოდებენ და ჭკვიანსაც დაგიძახებენ.

აკაკისა და იმ ბობოლას ერთმანეთში უსიამოვნება ექნებოდათ და ორი წლის განმავლობაში ხმასაც არ გასცემდნენ ერთიმეორეს, და რა გასაკვირია, რომ მისი სიტყვები აკაკის თავის თავზე მიეღო და გულიც მოსვლოდა. თუმც თავს შეიმაგრებდა და ღიმილით მიუბრუნდებოდა მაკალათიას:

— თქვენ მაგ ლექსებს „დროებაში" არავინ დაგიბეჭდავთ და პოეტსაც არავინ გიწოდებთ, მაგრამ სტამბის მმართველობა თუ გინდათ, ის კი შეიძლება იშოვნოთ, რადგანაც, როგორც ახლა ვხედავ, საზოგადო მმართველობას დიდი ჭკუა არა ნდომებია.

ბობოლა ამ სიტყვებს დიდად იუკადრისებდა, მითუმეტეს ყველა მას მიაჩერდებოდა, დაავლებდა ქუდს ხელს, გამოეთხოვებოდა მასპინძელს და სადილად აღარც მოიცდიდა.

აკაკის ჯავრიც ეს ყოფილიყო!..

ეგაა რეგულარული პოლკის ერთი ოფიცერი ბ.გ-ძე კუდაბზიკობით ხანჯალს ამოიღებდა და შეუტევდა აკაკის და არც ლანძღვას მოაკლებდა.

ეს მოულოდნელი ამბავი ყველას შეაკრთობდა, მაგრამ ამ დროს გამოვარდებოდა მეორე ოთახიდან ვახტანგ გურამიშვილი, რომელიც იმხანად ელისავეტოპოლის ვიცეგუბერნატორად მსახურობდა და შემთხვევით დაესწრებოდა ამ მეჯლისს. მიეჭრებოდა ოფიცერს, შეუყვირებდა, ჩააგებინებდა ხანჯალს, გალანძღავდა და მიწასთან გაასწორებდა. მერე მიუბრუნდებოდა სახლის პატრონს და განუცხადებდა:

— სადაც ქართველებს დასცინიან და ლანძღავენ, მე იქ პურს ვერა ვჭამ.

ნიკალაი კოლბიაკინს, ქუთაისის გუბერნიის გენერალ-გუბერნატორს, აკაკი წარმოაჩენდა შესანიშნავ კაცად, ყველას ძალიან რომ უყვარდა, მაგრამ... გული თუ მოუვიდოდა?

ოოო, ვეღარავინ მიეკარებოდა ხოლმე — ვერც რუსი და ვერც ქართველი, და ერთხელ ასეთი გულისწყრომისას შერისხავდა ვახტანგის ხელქვეით ჩინოვნიკს და სრულიად უსამართლოდ გაგზავნიდა ნაობახტში. და ვახტანგი, როგორც ჩინოვნიკის უშუალო უფროსი, თავს გამოიდებდა და მიმართავდა გენერალ-გუბერნატორს.

ამ ორ ერთი ხასიათის კაცს ლაპარაკი რომ მოუვიდოდა, არცერთი არ დაუთმობდა ერთმანეთს და ბოლოს ისე გამწვავდებოდა საქმე, კულბიაკინი შევარდებოდა კაბინეტში, მოიკეტავდა კარს და იქიდან დაუწყებდა ყვირილს; ვახტანგიც მიადგებოდა კარს და აქედან შეუღრიალებდა და შეუღრიალებდა. სხვა ჩინოვნიკებს შიშის ზარი აიტანდათ და მიიმალმოიმალებოდნენ.

ვახტანგი იქვე დაწერდა სამსახურიდან გამოსვლის თხოვნას და დაუტოვებდა გუბერნატორს.

მეორე დღეს გულმობრუნებული კულბიაკინი დაიბარებდა ვახტანგს, მასაც მოუბოდიშებდა და მის ჩინოვნიკსაც, დამატებით კი ვახტანგს ამასაც ეტყოდა:

— მე და შენ ორივე ერთი გულისა ვართ და თუ ღმერთი გწამს, როცა მე გუნებაზე არ ვიქნები, ნუ მომეკარები, და მეც ჩემი მხრივ, როცა გუნებაზე არ იქნები, არას გეტყვი!..

ამგვარი რამ ბევრჯერ გადახდებოდა თავს, და ცხადია ყოველთვის კულბიაკინები არ შეხვდებოდნენ.

თვითონ აკაკი უკანასკნელად ამ მოგონების დაწერამდე რამდენიმე წლის წინათ შეეყრებოდა ტფილისში, ღრმად მოხუცებულს, გული კვლავინდებურად ყმაწვილური რომ ექნებოდა. საუბარში შეეტყობოდა, რომ შორიდანაც თვალყური ედევნებინა ჩვენი ცხოვრებისათვის და არაფერი სამნიშვნელო არ დაეგდო უყურადღებოდ.

მოიგონებდნენ წარსულს და შეადარებდნენ ამ ახალ დროს, ზოგს ამას იტყოდნენ, ზოგსაც იმას, ბოლოს კი ვახტანგი მის გამხნევებას შეეცდებოდა:

— ეჰ ტყუილად გაგტეხია გული! რაც უნდა იყოს, ახლა მაინც უკეთესი სუნი დის. იმედი ხომ ჩაგყვება საფლავში და ისიც კაი ღვთის წყალობაა. ზოგიერთის ჩიჩიაობამ გული რომ უნდა გაგიტეხოს.

როგორ — აკაკისაც სხვისგან სჭირდებოდა გამხნევება და გულის გაკეთება?

მთელ ქვეყანას ეს ამხნევებდა და უკეთებდა გულს და მოუწოდებდა სულიერი სიმტკიცისა და შეუპოვრობისაკენ, და აგერ უეცრად...

მაგრამ დგება წუთები ხოლმე თვით ყველაზე მედგარი ადამიანების ცხოვრებაშიც, როდესაც სასონარკვეთილების ბაცილა შეეჭრებათ გულში, გადამეტებულად აღაშფოთებთ გარსშემოჯარული გულგრილობა და უმადურობაც, ყველა სხვა მანკიერებასთან ერთად, და ლამისაა ხელი ჩაიქნიონ ყველაფერზე.

იმხანად ეს განწყობილება დაუფლებოდა აკაკისაც და... აგერ ბედი მოუვლენდა იმ კაცს, რომლისაც ძალიან სჯეროდა და ამიტომაცაა მისი ყოველი სიტყვა მალამოსავით რომ იმოქმედებდა მის ფსიქიკაზე.

ამ ლაპარაკისას მუშტაიდის ბაღში ისეირნებდნენ.

და აი ვახტანგი მიიყვანდა ერთ ვაშლის ხესთან და ეტყოდა:

— ვერა ხედავ, რამდენი ვაშლი ყრია ძირს ქარისაგან მოწყვეტილი? მაგრამ იმედია, ამითი ხე არ გახმება. რაც კარგია, ისევ მაგრად შერჩენია მაღლა შტოებზე და მოსავალს უცდის.

ამ სიტყვების შემდეგ გამოეთხოვებოდა და ამასღა დასძენდა:

— ახლა მეტი აღარ მცალია, მიმეჩქარება; ჩვენი საუბარი ასე ჩქარა არ გათავდება, თუ მეწვევი განჯაში, ხომ კარგი, თუ არადა საიქიოს დავასრულოთ!..

და ეს აღმოჩნდებოდა უკანასკნელი სიტყვები აკაკისადმი იმ კარგი ქართველი კაცისა, რომლის მსგავსიც ძველთაგან ბევრი აღარ დარჩენილიყო ჩვენში.

შენ ჩინოვნიკი გეძახა!.. ღირსეული კაცი ყველგან ღირსეულია და ამიტომაც არის, აკაკი სანიმუშოდ რომ დასახავდა ვახტანგ გურამიშვილს და ნიშნს მოუგებდა ვაიმწერალ-ჟურნალისტებსა და უიარტისტებს: თქვენ მარტოდენ სარბიელის არჩევა გგონიათ საზოგადო მოღვაწედ თავის გამოდების საშუალება, თითქოს ან მწერლობაში და ან სცენაზე ღირსეული ქცევა და პროფესიონალიზმი არ მოგეთხოვებოდეთო.

ვახტანგ გურამიშვილს ჩინოვნიკი უნდა რქმეოდა და ამათ — მწერლები და აქტიორები?!.

თუ მეწვევი განჯაში, ხომ კარგი, თუ არადა...

სიცილით ეთხოვებოდა ბერიკაცი უმცროს თანამოაზრეს, პირველ პოეტად რომ დადგენილიყო და ილია ჭავჭავაძეც განსაკუთრებული პატივით ეპყრობოდა: შენ მაინც სხვა ხარ, შენ მაინც აკაკი ხარო!..

რის თქმასაც ახლა ვერ მოასწრებდნენ, საიქიო ხომ ხელთ ექნებოდათ და... იქ კი გულმშვიდად დაასრულებდნენ სათქმელს, ბოლომდე ამოიბერტყავდნენ გულს და... ფიქრიანი მზერით გამოხედავდნენ სააქაოს.

კონსტანტინე მამაცაშვილის სამარესთნა წარმოთქმულ სიტყვაში ასე რომ მიმართავდა განსვენებულს: სადაც კი ყოფილხარ, ნებით თუ უნებურად გახსოვდა სამშობლო, ყოველთვის და ყოველგან გულსა გწყვეტდა მისი წარსული, გაკვნესებდა აწმყო და ტკბილ საოცნებო იმედით გაღელვებდა მისი მომავალი! და აი რამ მოგაგებინა ქვეყნის გულიო, — დასძენდა:

— მართალია, ქვეყნის ამგვარნი მოტრფიალენი ჩვენში ყოველთვის ყოფილან, არიან და იქმნებიან, მაგრამ ამაზედ კიდევ ზედმეტ ღირსებად შენ და შენი წრის მოღვაწეებს... ის გეთვლებათ, რომ საზოგადოსა და საპირადოს ერთმანეთში არ ურევდით; სადაც კი შენიშნავდით ქვეყნისათვის გამოსადეგ ახალგაზრდა ნიჭს, სიხარულით ეგებებოდით, თანაუგრძნობდით, თუნდა ის კერძო ცხოვრებაში თქვენი უსიამოვნო და არა-სასურველი ყოფილიყოს!

კონსტანტინე მამაცაშვილის წრის მოღვაწეებს, მცირე გუნდს მარტოდენ ზოგადად კი არ მოიხსენიებდა, არამედ რამდენიმეს გამოაცალკევებდა მისთვის ნიშანდობლივი ზუსტი და მარჯვე ეპითეტების შერჩევით:

ასპეტაკებდა განსვენებული ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანი, შუქსა ფენდა დიმიტრი ყიფიანი და მათ თანა შექათქათებდა ლავრენტი არდაზიანიო.

თითო ეპითეტია, თითო მოხდენილად მოქნეული ზმნა, მაგრამ რაოდენ ღრმა და ტევადი, ერთბაშად შეიცნობ ამ პიროვნებათა სულიერ ღირსებასაც და ღვაწლის მნიშვნელობასაც.

ასპეტაკებდაო...

შუქსა ფენდაო...

შექათქათებდაო...

სადამდეა აზიდული ლავრენტი არდაზიანი, თან ეს „შექათქათებდა“ როგორ ამშვენებს მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის გეზსა და ნირს, განმსპეტაკებელი ალექსანდრე ორბელიანისა და შუქმომფენი დიმიტრი ყიფიანის გვერდითაც კი აყენებს მას აკაკი და კიდევ ერთხელ ჩაგვაგონებს, რომ არ ეგების ღირსეულ პირთა ღვაწლის მიჩქმალვა და ბავშვური მოთხრობების ავტორთა წამოსმა მათ ადგილას, დაე ყველას თავისი ღირსებისამებრ მიეგოს და შემქათქათებელთა მკაფიო დანახვაც შეგვძლებოდეს.

სწორედაც ყველა შემქათქათებლისა — ლავრენტი არდაზიანის ხსოვნის წინაშე მოვალეობა თავისთავად და ძალდაუტანებლად განზოგადდება და მზერას გულმოდგინედ მიმოგვატარებინებს გარშემო.

მითუმეტეს — ასეთი გზამკვლევი გვეგულება გვერდით, აკაკის სიტყვა და მოწმობა რომ არის.

* * *

ძმაო იონაო, — ასე რომ მიმართავდა 1887 წლის 30 ოქტომბერს ქუთაისიდან ზუგდიდს გამოგზავნილ ბარათში, თავშივე განმარტავდა სიცილ-სიცილით ამგვარი მიმართვის საჭიროებას: ბატონობა დიდი ხანია გადავარდა და ძმობაც აღარსად არის, მაგრამ მაინც სიტყვის მასალად მეორის გამოყენება სჯობიაო.

იონას წერილის პასუხად თუ აქამდე ვერ მიეწერა, მიზეზი ამის ავადმყოფობა ყოფილიყო, და კიდევ: ანკი რა უნდა მიეწერა?!.

ის ისეთ რაღაცას ეკითხებოდა, ამას პასუხი უძნელდებოდა.

ამისთანას მაინც რას?

ენის მხრით რომელი უფრო მოგწონს შენი ლექსიო?

ამას დღემდე ბევრი მოსწონდა, მაგრამ... დღეს „ივერიას“ ისე აერია მისი გონება, აღარც იცოდა რომელი გამოერჩია... და მწარედ დასძენდა, ილიას გაზეთის განწყობილებით გაღიზიანებული:

— მე მგონია, რომ აღარც ერთი აღარ ვარგა, რადგანაც ჩემი ენა თურმე მოიიმერლებს და არა მოიხევსურ-მოიბაჩანავებს!..

რა ირონიულად დაატრიალებდა ბაჩანა რაზიკაშვილის სახელს, შეფარვით ვაჟა-ფშაველასაც რომ გადაჰკრავდა.

ბევრი რამ ჰქონდა იონასთან მისაწერი, მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევასა და ქუთათურთა ქცევას ისე გაებრუებინა, თავტანისა აღარა გაეგებოდა რა...

და შენატრებდა იმას, ვინც... უაზროდა და უგრძნობლად გაჩენილიყო ჩვენში.

მომდევნო ბარათის დათარიღება გაძნელდებოდა და ფართო თარიღი შეირჩეოდა მკვლევართა მიერ: 1891-93 წლები — ის ხანა, როდესაც იონა მეუნარგია ფოთის ქალაქის თავი გახლდათ.

ამ სააღდგომოდ ქუთაისში დარჩენილიყო აკაკი და... თავისზე უცოდველად ძალიც კი არ ეგულებოდა, ისეთ მოწყენილობაში ჩავარდნილიყო. ამ დღეებში აქ ერთი ლექცია წაეკითხა და მისი წაკითხვის ნება გუბერნატორს დაერთო ფოთშიაც, მაგრამ რადგანაც ქალაქის თავად იონა ბრძანდებოდა, აკაკის არ შეეძლო არ შეკითხვოდა: როდისთვის უფრო მოსახერხებელი იქნება ეს საქმეო?..

და იმას იქნებ მალევე შეეტყობინებინა სასტუმრო „ფრანციაში“ მყოფისათვის.

ხოლო 1900 წლის 24 ნოემბერს ტფილისიდან შეეხმიანებოდა, რომ: თუ მეტად სამძიმო არ იქნებოდა იონასათვის, ეგებ ეცნობებინა პასუხი იმ ბარათზე, აკაკის რომ გაეგზავნა მისთვის 12 ოქტომბერს და სთხოვდა რამდენიმე მეგრული სახელისა და სიტყვის განმარტებას.

თუ ის ბარათი არ მიეღო ან შეუძლებლად მიიჩნევდა იმ სიტყვების განმარტებას, დაე დროზე ეცნობებინა.

კიდევ ერთი ბარათი შემორჩებოდა პოეტის შედგენილთაგან, წესისამებრ „ძმაო“-თი რომ მიმართავდა, ოღონდ მიადევნებდა: მე შენსავით „ბატონობით“ მინდოდა მომეწერა ეს წერილი, მაგრამ როგორც 60-იანი წლების ჭუკს, არ მეხერხებაო...

— ისევ ძმობით გწერ და ნურას უკაცრავად.

იმ დღეს აეღო ნებართვა, რომ ფოთში შაბათს ლექცია წაეკითხა და პარასკევს ღამით აპირებდა იქ ჩასვლას. რაც შეეხებოდა „აზნაურის სტუმრობას“, დიდი ხანია ხელი აეღო აზნაურობაზე და სტუმრობაც ძალიან ეზარებოდა. უფრო იონას ნახვა უნდოდა, რათა ცოტა რამ მასალა გამოეტყუებინა თავისი ახალი თხზულებისათვის „ვორონცოვი“. წვეულებას საჭიროდ სრულებითაც არ მიიჩნევდა. ხოლო თუკი ვინმეს მისი ნახვა ენდომებოდა და მოხუცის ჩიფჩიფის გაგონება, ლექციაზე ნახავდა.

ბარათისათვის დართულ შენიშვნაში აღინიშნებოდა, რომ:

აკაკი ლექციის წაკითხვის მეორე დღესაც — ანუ კვირასაც — დარჩენილიყო ფოთში და ამ ქალაქის საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად ფოტოსურათიც გადაეღო. და იონას უფროსი ქალიშვილისათვის — იმხანად პატარა სალომესათვის — ლექსი რომ მიეძღვნა: 1909 წლის 27 აპრილით დათარიღებული — ბარათის თარიღადაც 1909 წელს იყვარაუდებდნენ. და ისე მოხდებოდა, რომ პოემა „ვორონცოვსაც“ იმავე წელს დაასრულებდა პარიზში.

რათა ცოტა რამ მასალა გამოეტყუებინაო...

რაც აკაკიმ იცოდა, რასაც აკაკი აგროვებდა, რასაც აკაკი ჩხრეკდა და აღმოაჩენდა: იშვიათ, უცნობ, მიუკვლეველ ეპიზოდებსა თუ დეტალებს... მაგრამ სულ გაფაციცებულიყო, სულ ჩასაფრებულიყო, სულ მიყურადებულიყო — ვერა და ვერა კმარობდა, ვერა და ვერ შეაჯერებდა გულს თუნდ ასერიგად უზღვავ ცნობათა ნაკადს, მის მეხსიერებას ყველაფ-

რის შეწოვა და გადამუშავება შეეძლო და გონებისა და სულის კუნჭულებში ყოველივე-სათვის თავთავისი ადგილის მიჩენაც...

და ადრე თუ ალექსანდრე ორბელიანისა ეხარბებოდა, ახლა იონა მეუნარგიასი, ეჩვენებოდა, რომ მათ კიდევ უფრო მეტი ცნობა შეეგროვებინათ ჩვენს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასა თუ ისტორიულ პერსონაჟებზე, თანამედროვეთა გალერეაც თუ ვინმესაგან, მათგან უნდა გაცხადებულიყო ისეთი, როგორიც სინამდვილეში გახლდათ, უნიკალური, უმნიშვნელოვანესი „წვრილმანებით“ გადავსებული.

ეჰ, რა იქნებოდა ალექსანდრე ორბელიანის ცხოვრების ქრონიკა, იონა მეუნარგიას ხელით გამოკვეთილიო, — რაღაც ამგვარსაც უსათუოდ გაიელებდა ხოლმე გუნებაში, რადგანაც ენანებოდა გრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფიის აღწერას გადაყოლილი იონა, და თუ თავის ენამახვილობას მასზეც ლესავდა თუ ლესავდა, იმიტომ და მხოლოდ იმიტომ: კიდევ უფრო აეჩქარებინა, კიდევ უფრო აღევსო ახალ-ახალ ბიოგრაფიულ ქრონიკათა შექმნის სურვილით, ამ გაბმულ მატიანეში თავის თავსაც რომ ხედავდა ერთ-ერთ რგოლად: ისეთი განა რა ცხოვრება გამოვიარე, მაგრამ ეგებ მაინც საგულისხმო იყოს, ყოველ შემთხვევაში დასაკარგადაც არ გაიმეტებოდესო.

წაჰკრავდა და წამოჰკრავდა ხოლმე დროდადრო იონას სახელს და: შენც გენერალი ხომ არ გაგვიხდი, რაღაც ძალიან დამეგობრდით ამ ბოლო დროს შენ და იონაო, — ებუზღუნებოდა იაკობ გოგებაშვილს.

— კარგ საქმეს აკეთებს, რას ერჩი?!. — შემოჰღიმებდა იაკობი.

— კარგ საქმეს კი აკეთებს, მაგრამ ეს აღარ იცის, ვისი ცხოვრების აღწერა დააწინაუროს, — როგორ თუ რას ერჩოდა იმ ჟანრის — ბიოგრაფიული ქრონიკის — მამას ქართულ სივრცეში, სხვანი ათვალწუნებით რომ უყურებდნენ: ჯერ ეს ჟანრი რა არის და... მისი მამობა რაღა უნდა იყოსო.

აკაკისათვის ეკითხათ და ამასაც აუხსნიდათ და შეასმენდათ, ვისაც ყურნი ასხდა სმენად.

...ეს რამდენი რამ იცის, მაგის გაუგებარი და შეუტყობინებელი ხომ არაფერი რჩება, აკაკის თვალი და ყური რომ მომცა, აკაკის დაკვირვებისა და მეხსიერების უნარი, ბიოგრაფოსობა მაშინ დამეკვეხაო, — უკვირდა და ეხარბებოდა იონა მეუნარგიას.

კარი მესამე

თავი I

პენსია — თავში საცემად

რა იყო მაინც მისი ყოფა.
წუთისოფელი რა იყო მისი:
ცოლი ჰყავდა და... არა ჰყავდა.
შვილი ჰყავდა და... არა ჰყავდა.
პენსია ჰქონდა და... არა ჰქონდა.
ეს — თვითონ რასაც ჩამოთვლიდა.
და კიდევ:
უმაღლესი სასწავლებლის დასრულების დიპლომიც ჰქონდა და... არა ჰქონდა.

* * *

რამდენადაც ვიცნობთ აკაკის, წარმოუდგენელია, რომ ამ პარადოქსზე — პენსია თან რომ ჰქონდა და თან არა — სიუჟეტი არ ამოეხვია მისთვის ნიშანდობლივი სინთეზური ჟანრის სტილში: პუბლიცისტურ სტატიადაც რომ აღიქმებოდა, მოგონებადაც, დოკუმენტურ მოთხრობადაც და ნოველადაც.

და კიდეც გამოაქვეყნებდა „აკაკის კრებულში“ (1898, აგვისტო) ამ ყაიდის ნიმუშს „მე და ჩემი პენცია“, რომელსაც „ჩემი თავგადასავლის“ პირველი გამომცემელნი ამ ავტობიოგრაფიულ რომანს დაურთავდნენ დამატებად და... მართლაც ასე სჯობს და შემდგომში უსათუოდ უნდა გავითვალისწინოთ ამ თხზულებისათვის ყველაზე შესაფერისი ადგილი, პუბლიცისტური სტატიების რუბრიკაში სადღაც რომ ჩაიკარგება, ავტობიოგრაფიული რომანისა და დამატებად დართული სხვა ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური სილუეტების გვერდით კი უფრო თვალნათლივ გამოიკვეთება მისი მხატვრულ-პუბლიცისტური ღირსებანიც და განუყოფლობაც აკაკის პიროვნული ხასიათისა და ცხოვრების სტილისაგან.

იმ სტილისაგან, თვითონ თავსმოხვეულად რომ მიიჩნევდა და გული წყდებოდა: რაღა მე მოვყევი ამ პარადოქსთა რკალშიო?

რას ვიზამთ — უამპარადოქსებოდ, და საერთოდაც — უპარადოქსებოდ, უკვე ვეღარც აღვიქვამთ და გავიაზრებთ მის ბიოგრაფიულ ქარგას.

ანდაზად რა თქმულიყო?

ბატონის წყალობა ტალახიანი ჯოხიც კარგიაო.

ზოგადად ესეც ყაბულდებოდა: რატომაც არა, სწორედაც რომ ეგრეაო, — მაგრამ — ხანდახან კი ზოგიერთი ბატონის წყალობა ღვთის რისხვაზედაც უარესი რომ აღმოჩნდებოდა ხოლმე?

და ანდაზების სამყაროდან პირდაპირ გადაინაცვლებდა ზღაპრის სამყაროში. რაო ვითომ, ზეპირსიტყვიერი მასალა მოაკლდებოდა თუ თვითონ გაუძნელდებოდა ლიტერატურული ზღაპრის გამოძერწვა!..

ერთი ჩანჩურ-ბატონი ყოფილიყო ნამეტანი გულკეთილი და საზოგადოდ კეთილის მოსურნე, მაგრამ ცბიერ მოურავებს ისე დაებრიყვებინათ, მის ბრძანებას არაფრად აგდებდნენ. ერთხელ ეს ბატონი მოინდომებდა ნამსახური კაცის დასაჩუქრებას და უბრძანებდა მოურავებს:

— დღეიდან სიკვდილამდე ამა და ამ კაცისათვის სარჩო დამინესებია და თქვენც გიბრძანებთ, რომ ამიერითგან ის ჩემი ნაბოძები წყალობა მაგას თავთავის დროზე მალამოდ დაადვათ ხოლმე და მაგის საჭიროებას თაფლად სცხოთ!..

მოისმენდნენ მოურავები, მაგრამ რადგანაც ისე არას აკეთებდნენ თუ სამოურავოს არ ირგებდნენ, ახალ დაჯილდოებულსაც გაუტარებდნენ ამის თაობაზე სიტყვას, მაგრამ ის შორს დაიჭერდა:

— თქვენ რომ წილი დაგიდვათ, მე რაღა დამრჩეს?

— მაშ კარგი, — გულში ჩაიხვევდნენ მოურავები, — ახლა ჩვენ ვიცით!.. კაცნი არა ვყოფილვართ და ქუდი არა გვხურვია, თუ ვერ შეგანანებთ!..

ჯილდოს მიღების დრო რომ მოვიდოდა, მოიხმობდნენ მოურავები იმ კაცს, გაატიტვლებდნენ, მიაკრავდნენ ბოძზე, თვალებზე მალამოს დააკრავდნენ, რომ ვეღარა დაენახა რა, და ტანზეც თაფლს წასცხებდნენ. დაეხვეოდნენ საბრალოს ბუზები და კინაღამ სულს ამოხდიდნენ. მერე წავიდოდნენ მოურავები და ბატონს მოახსენებდნენ:

— თქვენი ბრძანება თქვენი სურვილისამებრ ავასრულეთ: თაფლიცა ვცხეთ და მალამოც დავადევით!..

დაჯილდოებული რომ დაინახავდა, ცუდად არის ჩემი საქმე და თუ მეორედაც ასე მიყვეს, ვეღარ გადავრჩებიო, მიანებებდა თავს ყველაფერს და გადავარდებოდა: არ მინდა ამისთანა წყალობაო!..

და მის ხვედრს მოურავები გაინაწილებდნენ.

ადვილად მიხვდებოდით, ეს ნაამბობი ხალხური საუნჯიდან რომ არ არის ამოღებული და აკაკისავე შეთხზულია საკმაოდ გამჭვირვალე ალეგორიად, რათა დაერთო: ახლა მისთანა ნამდვილს გეტყვით, რომელიც ამ ზღაპარზე უფრო საარაკოაო.

ამ ათი წლის წინათ ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის არჩევნებისას ბანკის დირექტორობას სთხოვდა ერთხმად კრება.

ეს ვერ იკისრებდა და მიზეზსაც აუხსნიდათ მას მერე, რაც უგულითადეს მადლობას მოახსენებდათ იმ პატივისათვის, მისთვის რომ სურდათ მიენიჭებინათ!.. საზოგადოების ამგვარი ყურადღება ყოველგვარ ჯილდოზე უტკბესად და უსასურველესად მიაჩნდა, რადგანაც თუ ვინმეს, მასაც ესმოდა საზოგადოების ფასი და შეგნებული ჰქონდა მისი თვითეული წევრის მოვალეობაც.

როდესაც საზოგადოება აკისრებდა მის თვითეულ წევრთაგანს რაიმე მოვალეობას, რაგინდ უმცირესიც უნდა ყოფილიყო ეს მოვალეობა, წევრს მაინც ნება არა ჰქონდა, რომ სიმდაბლითა და მორჩილებით არ მიეღო მინდობილობა, თუკი გრძნობდა, აღსრულება შემიძლიაო.

სწორედ ამგვარ მდგომარეობაში ჩავარდნილიყო აკაკი.

რომ მოეხსენებინა კრებისათვის: ბანკის დირექტორობა ჩემს ღონეს აღემატებაო, — ეს მისგან თავის მოკატუნება იქნებოდა და არც არავინ დაიჯერებდა.

მაგრამ წუხდა, რომ ურჩობა უნდა გაეწია მათი ბრძანებისა და სურვილისათვის იმ მიზეზთა გამო, რომელთაც გულახსნით გაამხელდა:

როდესაც ამ სათავადაზნაურო ბანკს აარსებდნენ, მაშინ ზოგიერთი მისი ამხანაგი და თვითონაც, მათ რიცხვში ერთი უმცირესთაგანი, ეწინააღმდეგებოდა იმ პირობებით ბანკის დაარსებას, რა პირობებითაც დაარსდებოდა.

ეს გამოიწვევდა დიდ უკმაყოფილებას, რის გამოც ბევრ უსამართლო ცილისწამებას აიტანდა და მრავალ უსიამოვნებასაც იტვირთებდა. მაგრამ ყველაზედ უფრო გულსატკენი ის იქნებოდა მათთვის, რომ ზოგიერთი პირადობას შესწამებდა: ვითომდა ამათ თვითონ სურდათ იმ ბანკში შესვლა ანუ, როგორც ისინი ეძახდნენ, ბანკის ჩაგდება ხელში.

ესენი, აკაკი და მისი თანამოაზრენი, თავიანთი გულწრფელობით ბევრ რაიმეს წარმოთქვამდნენ და მათ შორის ამასაც:

— ბატონებო, გაივლის რამდენიმე წელიწადი და ჩვენი სიტყვა წინ დაგიხვდებათ. ამგვარი ბანკი მძიმე უღლად დაგაწვებათ კისერზე, შეგაწუხებთ, შეგანანებთ და მაშინ კი უეჭველად ბრძანებთ: არ გვეგონა, თუ ასე დაგვემართებოდაო! მაგრამ დაგვიანებული „არ გვეგონა“, სწორე მოგახსენოთ, უსარგებლო მალამოა წყლულისა.

თუმც დიდი ხანიც გაიელიდა მას შემდეგ, რაც ეს წარმოითქმოდა, მაგრამ მაინც ახსოვდა. კერძო და საპირადო თუ ადვილი დასავიწყებელი გახლდათ და შესაძლოა დღევანდელი ხვალ აღარც გხსომებოდა, მაგრამ საზოგადო, გინდ მცირეც ყოფილიყო, ღრმად იბეჭდებოდა გულისფიცარზე.

ესეც — პიროვნული თვისებაც და სამოღვაწეო გეზიც აკაკისა, კერძო და პირადული თავისთავად რომ ქრებოდა მისი გულიდანაც და გონებიდანაც, საზოგადო საქმეში კი წვრილმანსაც განსაკუთრებით უფრთხილდებოდა და ინახავდა, რათა ის „წვრილმანები" მიმოსაბნევად არ განწირულიყვნენ და ადრე თუ გვიან აკაკის ხელითვე ერთ ფარღულზე აკინძულიყვნენ.

ასეა თუ ისე რაკილა თვალწინ ედგა ის მაშინდელი ნათქვამი, არ შეეძლო მისი გატეხა და ბოდიშობდა ურჩობისათვის.

კრებას შეეძლო მისივე სიტყვები შემოებრუნებინა და ებრძანებინა:

— როდესაც კაცი საზოგადო სარბიელზედ გამოდის, ის მონა არის საზოგადოებისა, კერძოობა-პირადობაზედ ხელაღებული.

მაშ აკაკისაც არა ეთქმოდა რა და უნდა დაყაბულებოდა საერთო გადაწყვეტილებას, მაგრამ ამ შემთხვევისათვისაც მეორე ფარი გაემზადებინა: კაცი ან არ უნდა ჰკიდებდეს ხელს საზოგადო საქმეს და თუ მოჰკიდებს, უთუოდ კიდეც უნდა მოანდომოს და შესწიროს მთელი თავისი გრძნობა-გონება და ჯანღონეო.

არა სჯეროდა ის ნათქვამი, თითქოს ვინმეს შეძლებოდეს ერთდროულად ბევრი საქმის კეთება ისე, რომ არცერთისათვის არა დაეკლო რა.

ამგვარივე გახლდათ ბანკის დირექტორობაც.

ზოგს რა გაადვილებულად წარმოედგინა ეს ხელობა, სამგვარი ხელმოწერა ევალება, ესაა და ესო: დააფასეთ სხვისი მამულიო, გაჰყიდეთ სხვისი მამულიო და მიბოძეთ ჩემი ჯამაგირიო.

აკაკური ირონიაც რომ არ გამოერია, ისე როგორ იქნებოდა!..

დაე იმათ თავიანთი წარმოდგენა ჰქონოდათ, სამგვარი ხელმოწერის იქით რომ არ მიდიოდნენ, ხოლო აკაკი ამჯერადაც გზის მანათობლად მოვალეობასა და პასუხისმგებლობას გაიხდიდა, რადგანაც:

დირექტორობა რომ ეკისრა, საკუთრივ ამ მოვალეობისათვის უნდა დაედო გული და ეგ იქნებოდა მისთვის ბორკილი.

ოქროსიო, რაღაც ხმა ჩასძახებდა?

დაე თუნდ ოქროსიც ყოფილიყო და პირადად მისთვის სარგებელიც, მაგრამ მაინც ბორკილი გახლდათ და იმ საქმეში ხელისშემშლელი, რომელსაც ამდენი ხანია ასეთი ერთგულებით ემსახურებოდა.

ეგებ ეთქვა ვინმეს, შემოხუმრებოდა თუ იმასაც ირონია გამოერია ხმაში:

რა საქმეა მაგისთანა? ჩვენ მხოლოდ აქეთ-იქით მოუსვენრად მოარულსა გხედავთ და შენი ფეხალაგობრივი არა შეგვინიშნავს რაო!

და მაშინ იძულებული შეიქნებოდა მოეშველიებინა მაგალითი, ოღონდ ჯერ წინდაწინ ითხოვდა, თავხედობად ნუ ჩამოართმევდნენ იმ შედარებას, რომელიც აქ უნდა მოეხმო სანიმუშოდ.

შეიძლება კაცს უმცირესი რამე უდიდესი საგნისათვის შეედარებინა და... აკაკიც ამ უმცირესობაზე აყენებდა თავს:

— ფუტკარი ყოველთვის დაბზუის, დაჰფრინავს იქით-აქეთ, ფეხ-ალაგობრივ მის მუშაობას ვერავინ ხედავს, მხოლოდ იმის ნამუშევრით სარგებლობენ... ის რომ ვინმემ დაიჭიროს, დაამწყვდიოს, დააბას და ის ისარიც ამოჰგლიჯოს, რომელსაც ფუტკარი ფარად ხმარობს ხელის შემშლელებზე მუშაობის დროს, ის შეიქნება მაშინ მშვიდობიან, მოსვენებულ, უწყინარ არსებათ, მაგრამ ჩვენ-კი იმავ დროს მოკლებული ვიქნებით იმ თაფლს, რომლითაც ხანდახან პირს ჩავიგემრიელებთ ხოლმე და იმ სანთელსაც, რომელიც ბნელს გვინათებს.

რაოდენ ზუსტად, მარჯვედ და მოხდენილად გამოძებნილი ემბლემაა, ძალდაუტანებლად რომ გაუიგივდებოდა ერთმანეთს... კი მაგრამ: კაცი და მწერი? რატომაც არა, თუმც

უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით: პოეტი და ჯადოსნური არსება, რომელიც კაცს თაფლით ამარაგებს, ღმერთს კი სანთლით!..

გარეგნულად რა — დაბზუის, დაფრინავს აქეთ-იქით... ფეხალაგობრივ გაჩერებულს ვერავინ ნახავს...

არადა რამხელა მოვალეობა დაჰკისრებია.

და... ისარიც რომ უბოძებია არსთაგამრიგეს მისთვის? უამისოდ მართლაც როგორ უნდა მოიგერიოს ხოლმე ხელისშემშლელები.

დაიჭერდი, დაამწყვდევდი, დააბამდი და... მშვიდობიან, მოსვენებულ, უწყინარ არსებად კი გარდაქმნილი, მაგრამ... შენ თაფლს ვიღა გიბოძებდა და ღმერთს კი — სანთელს?!.

უიმისოდ როგორ გინდოდა ჩაგეგემრიელებინა პირი და გაგენათებინა ბნელი?..

საჯაროდ ამის გაცხადებას მაინც მოერიდებოდა, საქვეყნო ფუტკრად რომ მოჰქონდა თავი, და ერთხელ კიდევ მოიბოდიშებდა ამგვარ შედარებაზე და კიდევ გაიმეორებდა, რომ ეს თავხედობით სულაც არ მოსდიოდა:

— თუმცა იმდენათ არა, მაგრამ შედარებით ცოტაოდნათ-კი ჩემი თავი მეც პატარა, ძალიან პატარა ფუტკრად მიმაჩნია...

ეგებ შემცდარიც გახლდათ?

არ გამორიცხავდა, მაგრამ მაინც დარწმუნებული იყო და ნება არა ჰქონდა, რომ ამ თავისი რწმენისათვის ეღალატა.

ყველა-ყველა და: ფუტკარს იობის მატლად მაინც რატომ მოიხსენიებდა? ერთ-ერთი დითირამბისას განა ასე არ მიმართავდა? — ფუტკარო, ჩემო ფუტკარო, იობის მატლო მცირეო! ჩანგი გთხოვს, მგოსნის სიტყვები მსხვერპლივით შეიწირეო!..

აკაკი ქართველ ებრაელთაგან რომ ჩაიწერდა თქმულებას ბიბლიურ იობზე, მის მიხედვით:

იობი ღმერთს სთხოვდა, ჩემს სხეულს დარეული მატლები იქნებ ადამიანებისათვის სარგებლობის მომტანნი გახდნენო. უზენაესი ამ უჩვეულო კაცის, რწმენისათვის თავგადაკლულის, თხოვნას რომ აღასრულებდა, ერთ-ერთი მატლთაგანი კიდეც გადაიქცეოდა ფუტკრად.

და აკაკისაც ეს ნაამბობი შთააგონებდა ლექსში ამ შესიტყვების, აწ უკვე მეტაფორის გამოყენებას: იობის მატლიო.

ემზარ კვიტაიშვილი ამ გარემოებასაც მიაქცევდა ყურადღებას: ძველი აღთქმის კანონიკურ ტექსტში ამაზე არაფერია ნათქვამი, და ამდენად აკაკის მიერ ჩანერილი ზეპირგადმოცემის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება. ის აპოკრიფულ თქმულებადაც შეიძლება ჩაითვალოსო.

ნება არა ჰქონდა, რომ ამ თავისი რწმენისათვის ეღალატაო...

დღეიდანაც იმ უსასყიდლო გზით უნდა ეარა, რა გზითაც აქამდე ევლო, რომ უფრო მეტი სამსახური გაეწია საზოგადოებისათვის — და აი კიდევ მიზეზი, თუ რად ენინააღმდეგებოდა კრებად თავშეყრილ ადამიანთა სურვილს.

და შეეცდებოდა მიეხედებინა იმ ყმაწვილკაცებისაკენ, რომელნიც ცოტანი არ მოიპოვებოდნენ და რიგიანად იყვნენ მომზადებულნი, დაე მათთვისაც შეეხედათ ამ თვალით, მათზედაც გადაეტანათ თავიანთი გულწრფელობა და... ამით გამოეწვიათ საზოგადოებისათვის სამსახურად, აკაკისათვის კი დაე ეპატიებინათ წინააღმდეგობის გაწევა ამ გამონაკლის შემთხვევაში.

ამ სიტყვას, რომელსაც თავის დროზე გიორგი წერეთელი მთლიანად ჩართავდა სტატიაში „ქუთაისის ბანკის კრება", აკაკი პირწმინდად გაიმეორებდა ამ ავტობიოგრაფიული ყაიდის თხზულებაში და სქოლიოში მიუთითებდა, 1889 წლის „ივერიაში" უკვე რომ გაცნობოდა მკითხველი, თვითონაც მას ეყრდნობოდა და მეხსიერებაზე დაყრდნობით სულაც არ აღადგენდა.

და გიორგი წერეთელი ამ ბიოგრაფიულ მომენტსაც რომ აღნიშნავდა, ბანკის დირექტორობაზე უარის თქმის შემდეგ კრებამ აკაკის პენსია დაუნიშნაო, — ამ თხზულებაშიც განმეორებულია: მოისმინა თუ არა კრებამ ეს სიტყვები, ერთხმადვე მოისურვა, რომ ჩემთვის, ვიდრე ცოცხალი ვიქნებოდი, დირექტორის ჯამაგირი დაენიშნა ყოველწლიურ პენსიადო.

ეს სამჯერ მოახსენებდათ უღრმეს მადლობას და სამჯერვე განაცხადებდა უარს, მაგრამ ბოლოს, როდესაც კრება საყვედურივით ეტყოდა:

— ეს დარწმუნებას ნიშნავს! მართალია შენი ნაშრომის სასყიდელი არ არის ეგ, მაგრამ მაინც ისე შეინირე, როგორც წვლილი მადლობის ნიშნად.

ამასაც მეტი რა გზა დარჩენოდა!..

და კიდეც დიდი სიხარულით მიიღებდა ალალად გამომეტებულ ჯილდოს და ამით გათავდებოდა საქმე.

ამ ამბავს ყველა დიდი ტაშისკვრითა და აღტაცებით მიიღებდა და არათუ ბანკში, ბანკს გარეთაც დიდი და პატარა ყველა კმაყოფილი დ თანამგრძნობი იქნებოდა!..

ეს კეთილი საქმე გაზეთებშიაც ჩავარდებოდა და არათუ ადგილობრივი და სატახტო გაზეთები, უცხო ქვეყნის გამოცემებიც დიდად მოიწონებდნენ ბანკის კრების ამ განაჩენს და იმერლობას ქებით მოიხსენიებდნენ!..

აკაკი პირადად ხომ კმაყოფილი დარჩებოდა, მაგრამ კიდევ უფრო — საზოგადოდ, რადგანაც მისი გამოისობით ასე შეამკობდნენ ჩვენს საზოგადოებასაც და იმერეთის მხარესაც.

და როგორ შეეძლო მაშინ წარმოედგინა, რომ:

ბანკში მოსამსახურე პირთა წყალობით ეს ყველაფერი სიყალბე გამოდგებოდა — აკაკიც გაიკიცხებოდა და... მასთან ერთად საზოგადოებაც უპიროდ დარჩებოდა მისდაუნებურად?!.

თურმე რამდენი შეძლებოდა სიყალბესა და ცბიერებას:

როდესაც დრო მოვიდოდა და ესეც ბანკს მიაკითხავდა ხვედრის მისაღებად, მმართველები შორს დაიჭერდნენ:

— ჯერ უნდა შევიტყოთ, კანონიერია თუ არა კრების გადაწყვეტილება? და ჰქონდა უფლება თუ არა პენციის დანიშვნისა?!.

ამის შეტყობას დიდხანს მოუნდებოდნენ (რასაკვირველიაო, — მოხდენილად ჩაჰკრავდა ფუტკარულ ნესტარს) და ბოლოს გადაჭრილ პასუხს რომ მიიღებდნენ:

— გადაწყვეტილება და დადგინება კრებისა კანონიერია, ვიდრე მეორე კრებაზე არ გააუქმებენ.

დააპირებდნენ ვითომ ზარზეიმით დანიშნული პენსიის მიცემას, მაგრამ მათ „ჯერ არა მცალიას" დასასრული არ დაადგებოდა.

ერთ თვეს ატარებდნენ ყოველდღე: აი ხვალ მიიღებ და აი ზეგო, — და ბოლოს ახარებდნენ:

— უკაცრავად, შენმა მოვალემ მოიყვანა ბოქაული და შენი ხვედრი ფულები დააკავა!

ამას გაუკვირდებოდა, რადგანაც ის მოვალე ნამდვილი მოვალე არა ყოფილა მისი და აკაკისაც ხელში ბათილობის წერილი ეჭირა. სამსჯავროზე რომ მიდგებოდა საქმე, აკაკი მოგებით მოიგებდა საქმეს, მაგრამ...

მეორედ რომ მივიდოდა მისაღებად, მაშინ კიდევ სხვა კრედიტზე მიუთითებდნენ:

— დავრწმუნდით, რომ ის ნამდვილი იყო და ფულებიც გავეცით!..

ამას გაკვირვებით გაუკვირდებოდა, რადგანაც დირექტორები იურისტები იყვნენ, ადვოკატები და... ის კი არ იცოდნენ, რომ ამგვარ ფულს მოვალე ხელს ვერ მოჰკიდებდა კანონის ძალით და, ჯამაგირიც რომ ყოფილიყო, მაშინაც ის მოდავე ორი მეხუთედის მეტს ვერ წაიღებდა?!.

კიდევ სამართალზე მიდგებოდა საქმე და მომრიგებელ-მოსამართლეც დაუმტკიცებდა დირექტორებს, რომ შემცდარნი იყვნენ!..

და კვლავ აკაკისებური ნესტარი:

მტრის ენა რას არ იტყვის? ეს ამბავი რომ გაიგეს, ზოგიერთები ამტკიცებდნენ, ბანკში არიან მისთანა ავანჩავანები, რომელთაც ამგვარ შემთხვევაში თვითონ მოჰყავთ კრედიტორები, როგორც კარგ მეძებრებსო. მაგრამ აბა ეს რა საფიქრებელია და ან მე როგორ დავიჯერებდიო?..

მითუფრო, რომ... რაღაი დარწმუნდებოდნენ, კრედიტორები ვერ წაიღებენო, არათუ მათ, ამასაც აღარ მისცემდნენ გროშსაც. პირდაპირ განუცხადებდნენ:

— საზოგადო კრება აღარ არის და უმათოდ, თუ არ მოვახსენეთ, როგორ მოგცეთ!..

და ამას ძალაუნებურად ებადებოდა კითხვა:

— თქვე დალოცვილებო! თუკი თქვენ იღებთ და სხვებსაც ყველას აძლევთ, არათუ იმათ, ვისაც საზოგადოება უნიშნავს, იმათაც კი, ვისთვისაც საზოგადოებას არა დაუნიშნავს რა, მე მარტო ერთმა რაღა დავაშავე, რომ არ მაძლევთ?

და ისინიც თავი რომ ემართლებინათ, ერთიმეორეს აბრალებდნენ.

რამდენჯერმე დაიბარებდნენ: მოგცემთო.

ჩაიყვანდნენ ქუთაისში, აცდევინებდნენ, აყურყუტებდნენ, უბრალო ხარჯში შეიყვანდნენ. ბოლოს მოახდენდნენ კრებას და... უარს ეუბნებოდნენ. თვითონ კი... თვითონ ჩაჯიბვით იჯიბავდნენ სხდომის ქირას.

განსაცდელში ჩააგდებდნენ — იმას დაახარჯვინებდნენ, რაც ბანკს არ მიეცა და სწორედ რომ ბუზებსაც კი დაახვევდნენ თავზე.

ბოლოს იფიქრებდა: ეს პენცია ჩემთვის საფრთხეა და მახე, რომ კიდევ უარეს გაჭირვებაში ჩამაგდონო, — და მიანებებდა თავს.

ხალხი დარწმუნებული რომ იყო, პენსია აკაკის უკლისად ეძლევაო?

ანკი როგორ არ დაეჯერებინათ, რომ ბანკში მოსამსახურენი ამას გაიძახოდნენ და ერთი-ორჯერ დაებეჭდათ კიდეც: ნამდვილად ეძლევაო.

აკაკის ამის გამოაშკარავება არ უნდოდა. სცხვენოდა უფრო ის, რომ იმერეთში ამგვარი საქმეები შესაძლებელი გახლდათ.

ბოლოს შემთხვევით დეკანოზი დავით ღამბაშიძე „მწყემსში“ დაბეჭდავდა სრულ წერილს, სააშკარაოზე რომ გამოიტანდა სიმართლეს, მაგრამ ყურადღებას არავინ მიაქცევდა და აკაკიც ხელს ჩაიქნევდა... მიანებებდა თავს და გულს პოეტის სტრიქონით დაიმშვიდებდა: სხვადასხვა ჭირი ჩემზედა არ ახალია, ძველიაო!..

იქნებოდა ასე გაჩუმებული.

როდესაც ავად გახდებოდა და სამსონ თოფურიას საავადმყოფოში მოუწევდა დაწოლა, ერთხელაც საუბარი გაიმართებოდა მას და პატივცემულ ექიმს შორის.

— ჭეშმარიტად დიდი ბედნიერი ხარ, — ეტყოდა მკურნალი, — რომ ქვეყანას ასე უყვარხარ!.. ამდენი ხანია მოსვენება აღარა მაქვს: დიდი და პატარა ყველა შენს ამბავს კითხულობს!.. საიდან და საიდან არ მოდის დეპეშები?! ერთი ურემი მაქვს დაგროვებული და რომ მოიკეთებ, მაშინ გადმოგცემ!.. წაგაკითხებ. მნახველებს ხომ რიცხვი აღარა აქვს... მაგრამ ჯერ კიდევ არ გაჩვენებ, რომ არ გაწყინოს აღტაცებამ.

ეს ნაღვლიანად გაიცინებდა:

— რა გამოვიდა?.. ქვეყანა ისე არის შექმნილი, რომ ათასი მოყვარე ხანდახან ერთი მტრისაგანაც ვერ გადაარჩენს კაცს. მართალია ქვეყანას ვუყვარვარ, მაგრამ ის კიდევ უფრო მიკლავს გულს, რომ ვერაფრით შემიძლია ვემსახურო და სიყვარული გადავუხადო. ჩემისთანა დასნეულებული კაცი გინდ იყოს და გინდ არა!..

მაგისი ნუ გეშინიაო, — ამშვიდებდა სამსონი და არწმუნებდა, რომ ღვთის მადლით გამოკეთდებოდა იმდენად, რომ საზღვარგარეთ გამგზავრებას შეიძლებდა და იქ სულაც გამოჯანსაღდებოდა, გამომრთელდებოდა, თუკი თავს ხელს შეუწყობდა, როგორც წესი და რიგი მოითხოვდა.

ხელისშეწყობას რომ შესაფერისი საშუალებაც უნდოდა?..

სამსონი არხეინად მიუთითებდა ბანკზე: იმას მივმართოთ და ხელსაც ის შეგიწყობსო.

გაეცინებოდა აკაკის, სულს კარგახანს რომ ვეღარ მოიბრუნებდა, იმ სიცილით, ცრემლზედ უფრო მწარეც რომ გახლდათ და აფორისტულ გარსში თუ მოაქცევდა, იმიტომაც, ბევრჯერ რომ გამოეცადა და წინაც არაერთი ელოდა იმედის გაცრუება:

— ბანკს!.. იმ ბანკს, რომელიც მოსისხლეთა მყავს გადაკიდებული და ცხრა წელიწადი არ მაძლევს იმას, რისი მიღების უფლებაც მაქვს?

გაოცდებოდა სამსონი, რაკიღა მასაც ისე ეცოდინებოდა, რომ აკაკი დირექტორის ჯაგაირს უკლებლივ ღებულობდა. თუმც წამით ჩაფიქრდებოდა და... ეს ვითარება კიდევ უკეთესიც მოეჩვენებოდა:

— გაკეთებულა ჩვენი საქმე: ახლა ერთად აიღებ და გასწევ საზღვარგარეთ!.. ახლავე დააწერინე განცხადება. მოაწერე ხელი და გათავდა!

მაინც მიამიტურად რომ უყურებდა ბანკსა და მის ხელმძღვანელეთ!.. აკაკი კიდევ უფრო მიამიტიც გახლდათ, მაგრამ ამ შემთხვევაში ისეთი გამოცდილება შეეძინა, რაღას აფოფინდებოდა ასე იოლად: ეგებ მართლაცო...

სამსონი თავისას უმტკიცებდა: როგორ შეუძლიათ? რა ნება აქვთ წაგართვან? რა უფლებითო?

მაგრამ თურმე:

შუბლის ძარღვის კანონით!..

ერთხელაც იყო ავად და საკმაოდ მძიმედაც და... ერთ დირექტორთაგანს ასე შემოეთვალა:

— ავად ჩვენცა ვხდებით, ჩვენცა ვკვდებით, მაგრამ საზოგადოებას კი ანგარიშს არ ვუგზავნით!.. არცა ვთხოვთ!..

თითქოს აკაკის მოწყალება ეთხოვოს მათგან და არა თავისი საკუთრება.

წონასწორობას დაკარგავდა სამსონ თოფურია:

— ეგ როგორ შეიძლება! აქ რაღაც სხვა ამბავია! განა შეიძლება, რომ ამისთანა დროს, გინდ შენი სისხლის მსმელებიც იყონ, ხელს როგორ შეგიშლიან? შევატანიოთ დღესვე განცხადება ბანკში და ნახავ თუ ორ დღეში არ გადაგიწყვიტონ!.. ეს ჩემი საქმე იყოს, მე მოვთხოვ!..

აღიარებულ პოეტს კი არად აგდებდნენ, მაგრამ იქნებ აღიარებული მკურნალისა შეესმინათ — სხვა თუ არაფერი, მეტად საჭირო კაცი გახლდათ!..

აკაკი მაინც არ დაიჯერებდა, თუმც შეწინააღმდეგებით არ შეეწინააღმდეგებოდა იმ უბრალო მოტივით:

— მე კარგად ვიცი, რომ არა გამოვარა, მაგრამ რომ შენ დაგარწმუნო, ბატონი ბრძანდები, შევიტანოთ და ვნახავთ...

და მართლაც შეიტანდა თხოვნას.

ერთი კვირის განმავლობაში ყურადღებასაც არავინ მიაქცევდა.

აკაკის რაღა ამის თავი ექნებოდა, მისვლა-მოსვლისა, და მისი მეგობრები გაირჯებოდნენ, ერთ მათგანს დაბეჯითებით რომ ეტყოდნენ: ეგრე საქმის გაკეთება არ მოხერხდება! აქ, ქუთაისში სულ სხვა წესია და რიგია, ვიდრე საზოგადოდ ყველგანო.

რა იგულისხმებოდა ქუთაისურ წესსა და რიგში?

აქ ის კაცები, რომელთაც უნდა გადაეწყვიტათ საქმე, უნდა ეშოვნათ ცალ-ცალკე და ამისათვის საჭირო იყო მიემართათ მათთან დაახლოებულთათვის და ისინი მოახერხებდნენ.

ამ ხანებშივე ერთი პიროვნება, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება სავალდებულო და პირდაპირი არ გააჩნდა ბანკთან, ურჩევდათ:

თუ ნახევარზე ხელს აიღებს აკაკი, ნახევარს ორ-სამ დღეში მიიღებს, თვარა ისე არ მოხერხდებაო!..

ზოგიერთი კიდეც ურჩევდა, რომ დათანხმებულიყო, რადგანაც მეტი გზა არ იყო, მაგრამ აკაკი ამ საქციელს ვერ დაინახავდა თავის საკადრისად და არც იკისრებდა: ქრთამის მიმცემი ისეთივე დამნაშავეა, როგორც მიმღებიო!..

ამ დღიდან ხომ სულ აღარა მოხერხდებოდა რა!..

კვირაში ორჯერ-სამჯერ დანიშნავდა კომიტეტის თავმჯდომარე სხდომას, მაგრამ წევრები არ მივიდოდნენ, რათა კრება არ შემდგარიყო.

ოთხ თვეს მაინც გასტანდა ეს ოინები,

თვით ისეთ გავლენიან პირთა მეცადინეობა, როგორებიც იყვნენ ბატონები: თოფურია, კვირკველია და სხვანი, უნაყოფოდ ჩაივლიდა!..

რამდენჯერმე ითხოვდა:

— არ მინდა, უარი მითხრათ, მაგრამ განჩინების პირი კი მაინც მომეცით, რომ სხვები დავაჯერო, რომ არას ვიღებ ბანკიდან და კერძოდ ეგება ვინმემ დამიმართოს ხელი.

ეს თხოვნა კიდევ უფრო გააჯიუტებდათ და არაფრისდიდებით არ შედგებოდა კომიტეტი, სხვებისაგან რომ იშოვნოს, ეს ხომ ჩვენთვის არ ივარგებსო.

სტატიაში იმის ასის თავიც არ აღენიშნა, რაც მომხდარიყო...

გაბეზრებულიყო, შეურაცხყოფილიყო, დამცირებულიყო იმ ხრიკებითა და მელაკუდობით, უამრავი რომ დაეხვეოდა თავს ამ ყოვლად უბრალო საქმის გამო, და უკვე გამოაშკარავებაც აღარ სურდა...

და კალამს აგდებდა ხელიდან!..

რაც ეთქვა, ისიც იმიტომ ეთქვა, რომ დაე სცოდნოდა საზოგადოებას, თუ რა ამბები ხდებოდა ჩვენში.

პირადად მის შესახებ უკვე სულერთი ეჩვენებოდა:

მორჩებოდა თუ ვეღარც მორჩებოდა, მაინც ბევრს ვეღარას გამოადგებოდა თავის ქვეყანას, მაგრამ შეიძლება ამგვარი რამ იმათაც გადახდენოდათ, ვინც საზოგადოებისათვის მასზე უფრო საჭირო და გამოსადეგი იქნებოდა... და მათი გაწირვის ნება არ უნდა მიეცა ქვეყანას თითოეროლა ვინმესათვის!!.

რარიგ გულნატკენი უნდა ყოფილიყო, ეს რომ ეთქვა: მოვრჩები თუ ვეღარც მოვრჩები, მაინც ბევრს ვეღარას გამოვადგები ქვეყანასო.

და ეს ფრაზა ამოსკდება გულიდან 1898 წელს, როდესაც შემოქმედებითი მოღვაწეობის მწვერვალზე იმყოფება!..

და ჯერაც რამდენი სასიკეთო საქმე და შედევრი მოელის მისი გულითა გონებით, მისი ხელით აღსრულებას...

და ფინალური აკორდი სტატია-მოგონება-ნოველისა კვლავაც აკაკისეული ღიმილით უნდა განათებულიყო, და ფუტკრის ნესტარსაც მწვავედ და მოხდენილად უნდა ეჩინა თავი:

— და მე-კი მარტო „სადღეგრძელოები“ და „პარაკლისებიც“ მეყოფა და მისთვისაც მადლობის შემწირველი ვარ საზოგადოებისადმი.

ამ სიმწვავეშიც მაინც ის რომ გამოსჭვივის: რაც უნდა ყოფილიყო და როგორც უნდა ყოფილიყო, ძველებურად თავს რომ არ დაზოგავდა და ყოველმხრივ მოემსახურებოდა თავის სამშობლოს.

ქართული ფონი რომ არა, „მე და ჩემი პენცია“ შესაძლოა... ფრანც კაფკას ნოველაც გეგონოთ, ჩინოვნიკური ყოფითობისა და პიროვნული უანგარობის უთანასწორო ჭიდილის სურათი, სულიერებას უღმერთოდ რომ უტევენ და გასაქანს არ აძლევენ ეშმაკეული ძალები, სადღაც-სადღაც ჩამალულნი, შეუმჩნეველნი, მაგრამ ძალმოსილნი და ადამიანის ბედის გადამწყვეტნი, თითქოსდა სულ უმნიშვნელო რამ რომ შესაძლოა გადაულახავ დაბრკოლებად გადაგიქციონ და მის მოსაპოვებლად ჭაპანწყვეტაში სულიც ამოგხადონ.

ასეა, სწორედაც ასე: „მე და ჩემი პენცია“ კაფკამდელი კაფკას დანერილს ჰგავს, გარეგნულად კანცელარიული მანერა შიგადაშიგ იდუმალი ღიმილით რომ მოკირწყლულა და ეს კონტრასტი დამატებით აძლიერებს მის შთამბეჭდაობას — ისედაც პირქუშ რეალობას კიდევ უფრო აპირქუშებს კანცელარიულს მიმსგავსებული სტილი და... ღიმილის გამონათებანი რომ არა, სასოწარკვეთაც შეგიპყრობდა და ყველაფერზე ხელს აგაღებინებდა, არამცთუ ერთ რომელიმე საქმეს ჩამოხსნოდი.

ჯერ არა მცალიაო...

თუ ნახევარზე ხელს აიღებო...

მის სიმხნევეს მაინც რა გასტეხდა, შემოქმედებით მღელვარებას რა ჩაუკლავდა, სანუგეშებლად კვლავ იმ სიბრძნეს რომ წაიმძღვარებდა: სხვადასხვა ჭირი ჩემზედა არახალია, ძველიაო...

მიჩვეულიყო.

და იცოდა, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არ მოაკლდებოდა ეს არახალი და ძველი ჭირი — სხვადასხვაგვარად გამოვლენილი, ამჯერადაც ბანკი რომ დარქმეოდა და თავის ულმობელობას აკაკიზეც მონდომებით ცდიდა.

ისე რა იქნებოდა, თავის დროზე დირექტორობას რომ დათანხმებოდა?

უარის ერთ-ერთ მოტივად აკი ის ჰქონდა:

დღეითგანაც იმ უსასყიდლო გზით უნდა ვიარო, რა გზითაც აქამდე მიველიაო...

ანუ:

ხელს არ იღებდა შემოქმედებით მოღვაწეობაზე.

კი მაგრამ... არც ილიას ჩაჰქროდა გულში შემოქმედების გაწირვა ბანკირის საანგარიშოსა და დავიდარაბისათვის, მაგრამ როდესაც სხვა იმედი აღარ ჩანდა, იძულებით გადადებდა გვერდით პოეტისა და ბელეტრისტის კალამს, მსოფლიო მიღწევებს რომ უქადდა, და ბანკის ყოველდღიურ ფუსფუსსა და რუტინაში ჩაეფლობოდა.

და მაშ აკაკიც შელეოდა იმ უსასყიდლო გზას, რა გზითაც აქამდე ევლო, თუკი ის საზოგადოება ითხოვდა მისგან ამ მოვალეობის შესრულებას, ვის სამსახურადაც გადაედო თავი.

საზოგადოებას აკაკიც ესაჭიროებოდა ბანკირის საანგარიშოთი ხელში და არა პოეტისა და ბელეტრისტის კალმით — არა, მთლად ხელის აღებას ვინ ითხოვდა, ილიასი არ იყოს, დროდადრო დაე მასაც ეწერა მხატვრული ნიმუშები, მაგრამ ეგაა, ძალ-ღონე უმთავრესად მაინც ბანკში უნდა ჩაეხარჯა.

და... მაინც არ დაყაბულდა საზოგადოების წადილს?

არა — და უპირატესად იმიტომ, რომ ბანკირობა თავის ხელობად ვერ წარმოედგინა, მისი პიროვნული ბუნებისა და ტემპერამენტის კაცისათვის შორს იდგა ეს საქმიანობა და გრძნობდა, ქვეყანას ბევრს ვერას არგებდა ამ ოქროს ბორკილის დადებით.

საპირადოს?

ოოო, იმას კი ძალიანაც წაადგებოდა მისი გადანაცვლება საწერი მაგიდიდან ბანკის დირექტორის მაგიდასთან.

და ისე გამოვიდოდა, რომ:

შემოქმედებით მოღვაწეობაზე ხელი უნდა აეღო არა საქვეყნო საქმისათვის, არამედ პირადი კეთილდღეობისათვის.

ეგაა თავი მოეტყუებინა: საზოგადოებას დავჭირდი დირექტორად და სხვა რა მეღონაო.

აკაკი და... თავის მოტყუება და ამისთანები?..

ეს რომ სდომებოდა, პირადობას გამოჰკიდებოდა, ამდენი ხანი რატომ გაიწვალებდა და გაიტანჯავდა წუთისოფელს, როდესაც დიპლომდაცულ კურსდამთავრებულს იმთავითვე შეეძლო ია-ვარდით მოფენილი გზის არჩევა, ნაცვლად ნარ-ეკლიანისა — ჩვეული ენერგიით რომ შემდგარიყო ჩინოვნიკური კარიერის პირველ საფეხურზე.

ერთბაშად ვერ დაწინაურდებოდა თუ რა, როგორც აღუთქვამდა გიორგი მუხრან-ბატონი.

როგორც დიპლომდაცულ კურსდამთავრებულს იმთავითვე შეეძლოო...

თუმც... შეეძლო ვითომ?

ან ეს „დიპლომდაცული“ რაღაა, ვთქვათ ბარელამ: დიპლომიანი. განა ერთსა და იმავეს არა ნიშნავს?!.

ნუ ვიჩქარებთ გაიგივებას.

1908 წელს დაწერილ პუბლიცისტურ სტატიაში — „მცირე რამე“ — სიის შედგენასაც დაისაჭიროებდა და ასე ჩამოთვლიდა:

ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი.

სხვებს მრავალწერტილში იგულისხმებდა, ოღონდ მთავარი აქ ისაა, მაინც რა ნიშნით გაეერთიანებინა ეს პიროვნებანი?

ამ შეკითხვის პასუხად უპირველესად იმას გაიფიქრებთ: მეტი რაღა ნიშანი გვინდა — როგორც თვალსაჩინო მწერლები და მოღვაწენიო.

ცხადია ეს დანიშნულებაც აქვს ამ სიას, გამორჩეულ სახელთაგან რომ შეუდგენია, მაგრამ უწინარესად იმიტომაც ჩამოუმწკრივებია, რომ ხუთივე პიროვნება... უდიპლომო ბრძანდებოდა.

ამიტომაც მოადევნებდა იმ ხუთკაციან სიას ამ ფრაზას:

სუყველა უდიპლომო იყოო.

და ამ ფონზე წამოჭრიდა რიტორიკულ შეკითხვას:

ახლა აბა თქვენ მიჩვენეთ დიპლომიანი მოღვაწეო?

ამით იმას კი არ ამბობდა: დიპლომი ნუ გინდათო!.. არამედ გამოხატავდა იმ საწუხარს, რომ: ცხოვრების გზა ისე უკუღმართად მიმართულიყო ჩვენში, რომ დღეანდელი დიპლომი ხელს უშლიდა საქვეყნო შრომას.

ვთქვათ, დიპლომიან იურისტს როგორ უნდა გამოეყენებინა დიპლომი?

როგორ და:

უნდა წასულიყო ადვოკატად: მხოლოდ თავის ჯიბეზე ეფიქრა და ხალხი ეტყავებინა!.. ანდა შესულიყო ჩინოვნიკად და... ეს ხომ კიდევ უარესი გახლდათ?!. აქაოდა ჩემიანების მიდგომა არავინ დამწამოსო, ხელს აიღებდა ქართველობაზედ.

თუ ექიმი იქნებოდა?

დრო აღარ დარჩებოდა, რომ საზოგადოზე ეზრუნა; მარტო მაჯის ნახვასა და ენის გამოყოფას უნდა მონდომებოდა!..

და თუ მასწავლებელი?

უნდა ეხელმძღვანელა იმ პროგრამით, რომელიც ქართველს ამახინჯებდა.

ასე რომ, დიპლომი ჯერჯერობით ხაფანგად რჩებოდა ჩვენთვის და სხვა არაფრად.

სუყველა უდიპლომო იყოო...

ახლა აბა თქვენ მიჩვენეთ დიპლომიანი მოღვაწეო...

და უეცრად წამოაგონდებოდა, რომ... თვითონ კი მოეძევებოდა დიპლომი?.. და მკითხველსაც შესაძლოა წამოჰგონებოდა, მიუხედავად იმისა, რომ დიპლომი აკაკის დაცვით წარმატებითაც დაეცვა, ეს არაფრად წადგომოდა და რაღა იმათი უდიპლომობა და რაღა ამის ვითომდა დიპლომიანობა!.. და მაინც რაკიღა ფორმალურად მაინც დაერთოთ ნება დაცვისა, საჭიროდ ცნობდა, ეს გარემოებაც გაეთვალისწინებინა, მითუმეტეს — დიპლომის მოპოვება ხომ არა ნიშნავდა, რომ სამუდამოდ გეკეტებოდა გზა საზოგადო მოღვაწეობისაკენ. ამიტომაც თავის დაზღვევა სჯობდა და დაზუსტება: ამას უმეტესობაზე მოგახსენებთ და არა საყოველთაოდო!..

ათასში ერთი ხომ მაინც გამოერეოდა დიპლომიანებშიც ნამდვილი მოღვაწე.

ეგაა ეს დიდ ღვთის წყალობად უნდა მიგვეჩნია და აღმოგვხდომოდა: დიდი ხარ შენ, უფალო, და საკვირველ არიან საქმენი შენნიო!..

რაღა ამისი ვითომდა დიპლომიანობაო...

ეს „ვითომდა“ რას გულისხმობს?

რას და... სწორედაც იმას:

თან რომ ჰქონდა დიპლომი და... თან არა ჰქონდა.

წარმატებით რომ დაეცვა „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის თემაზე, ეჭვქვეშ რატომღა უნდა დგებოდეს იმ აქტის კანონიერება?

რატომ და:

გიმნაზიის დამთავრების მოწმობა რომ არ გააჩნდა, უმაღლესის დასრულების დიპლომს ამიტომაც ვერ უბოძებდნენ.

დაცვის ნებას კი იმიტომაც დართავდნენ, ექსტერნად მოიპოვებდა თუ არა იმ მოწმობას გიმნაზიის დასრულებისა, დიპლომის დაცვა ოფიციალურადაც ჩაეთვლებოდა.

ასე რომ:

ცოტა თავი რომ შეეწუხებინა, უმაღლესის დიპლომი შეეძლო ჯიბეში დაეგულებინა.

არ მოინდომებდა.

ის კი არა, სახელმწიფო სამსახურში შესვლის მოწადინე აკაკის, თუკი ჩინოვნიკობას მოინდომებდა, გიმნაზიის მოწმობის გარეშეც არ დააბრკოლებდნენ: იმის მოპოვებას რაღა ენდომება და მის საქმეში ჩაკვრასო.

შენ ის თქვი:

საერთოდ ქართველს რომ არ გაეგებოდა საზოგადო ქველმოქმედების რაობა.

და ეს იმიტომ, რომ: ან კეთილი არ არის და ან გულუხვი?..

აკაკი ამის მიზეზსა თუ ფსიქოლოგიური საწყისს იქ ეძიებდა: ერთხელ აქვს გადაგდებული გულიდან „საზოგადოო“.

სტატია კი ნიჭის აპოლოგიით დაიწყებოდა და იმ სახიერი სურათით, რომ:

შესაძლოა კერა გამქრალი ყოფილიყო და ნაცარიც გაციებული, მაგრამ შუაგული გალივებულიყო და შინ ობოლ ნაკვერჩხალს დაედო ბინა მალულად, და თუ ვინმე გამოჩხრეკდა, შეუბერავდა სულს და აანთებდა, კიდეც ახალი კერა გაჩაღდებოდა.

და ნიჭიც სწორედ იმ ობოლ ნაკვერჩხალს ჩამოჰგავდა — შესაძლოა მიმალულიყო ხალხის გულში უჩუმრად და ნელ-ნელა გაქრობის პირასაც მისულიყო. და მასაც გამოძებნა ესაჭიროებოდა, რათა ხელშეწყობით სწორ გზაზე დაეყენებინა კაცს.

ბერძნული გადმოცემა: დიოგენე დღისითაც სანთლით რომ ეძებდა კაცს — სწორედაც ამას მოასწავებდა. ნიჭს ეძებდაო — დაგვიბეჯითებდა აკაკი და ჩაეღიმებოდა — თვარა ისე კაცის სახით პირუტყვს ყოველ ნაბიჯზეც შეხვდებოდაო.

ეს ჭეშმარიტება ზედროული და საყოველთაო გახლდათ?

მაგრამ როგორ არ დაგწყვეტოდა გული, რომ ეს ჭეშმარიტება ჩვენ, ქართველებს ჯერაც ვერ შეგვეგნო და ნიჭს არათუ დავეძებდით, ხელსაც კი ვუშლიდით მის მიგნებასაც და გამომზეურებასაც — საქმით თუ ვერა, ჭორებითა და ცილისწამებით მაინც!..

აგერ ორმოცდაათ წელიწადს აკაკის თვალსა და ხელს შუა გაეცლო — ამ ხნის განმავლობაში ბევრი ფული შეგროვებულიყო სხვადასხვა მიზნით საქველმოქმედოდ, მილიონზე ნაკლებიც არა, თუ არა მეტი, და... როგორ არ დაინტერესებულიყო და ეკითხა: სადღა არის დღეს ის თანხაო? არადა თავნი თავნად დაკარგულიყო და სარგებელი არ შემოგვსვლოდა!..

თუ თავისით ვერა ხედავდა, აბა მიეთითებინათ და ეჩვენებინათ, რომ რომელიმე ნიჭი ან საზოგადო მოღვაწე — მწარე ღიმილით ჩაჰკრავდა: თუკი სადმე არიან ჩვენშიო — საზოგადოებას გამოეზარდა და ქველმოქმედებისა მათ რაიმე შეხვედროდეთ? იმათ მხოლო თავისი ტანჯვით გაეკვლიათ გზა, როგორღაც გადარჩენილიყვნენ და სხვებივით არ დაღუპულიყვნენ!..

წინასწარვე იცოდა, მეთაურები თუ რა პასუხსაც გასცემდნენ:

ჩვენ ხომ არ შეგვიჭამიაო? ჩვენს ჯიბეში ხომ არ ჩასულა ის ფულიო? ჩვენ ხელს ვუწყობდით მოსწავლე ახალთაობას და განა ცოტა დაგბრუნებიათ დიპლომიანებიო?

მაგრამ ტყუილად იმედოვნებდნენ, რომ ამით სიტყვას მოუჭრიდნენ, რაკილა აკაკისათვის დიპლომი ჩირადაც არა ღირდა და იმ ანდაზას აგონებდა: რაღა მკვდარი და რაღა შინმოუსვლელიო.

არადა — თურმე რა პიროვნებებს არ რგებოდათ დიპლომი?!.

რა სახელებს მიკერებოდა ეს უდიპლომობა!..

ხოლო თვისტომთ მწარედ რომ გაჰკილავდა, ერთხელვე გადაგდებული გაქვთ გულიდან „საზოგადოო“, კონტრასტისა და დამუნათებისათვის მოიშველიებდა სომხების შეგნებულობის მაგალითს, ბოლოსდაბოლოს ჩვენი მეზობლებისა: მისთანა არვინ მოკვდება, გინდა ღარიბიც იყოს, რომ საქველმოქმედო არა დააგდოს რაო!..

რა დაავიწყებდა, სწორედ ცეცხლის ასოებით დაბეჭდოდა გულისყურზე ის შემთხვევა:

სარატოვის შიმშილობის დროს დიდძალი შეწირულობა რომ წავიდოდა საქართველოდან და ჩვენს ქიზიყშიც შიმშილობა იყო, კრინტიც არავის დაეძრა, თორემ შეწირულობის შეგროვება-გაგზავნას ვიღა ჩიოდა!..

რა იყო მაინც ეს, რა თვისება გაგვჩენოდა ამისთანა, შინ ბალღი რომ გვიტიროდა და ტაბლას გარეთ მივაქანებდით?!.

სარატოველების უბედურებაზე გული რომ გვიკვდებოდა, ეს განცდა უზომო სიკეთის გამოვლენად თუ უნდა ჩამოერთმიათ ჩვენთვის, ქიზიყელთა უბედურებას არაფრად რომ არ ვაგდებდით, ეს სადაურიღა რა სიკეთე გამოდიოდა?!.

რაღაც მოგვშლოდა ფსიქიკაში, ბავშვურობა და ინფანტილურობა ერთმანეთში გვერეოდა და არა ვნაღვლობდით, ვიდრე აკაკისნაირი კაცი არ გვითავაზებდა ალიყურს გამოსაფხიზლებლად, წამიერად მაინც რომ ეშველა, თორემ განა როდემდე გაგეყვებოდა ის თუნდ მწარე სილა — გავიდოდა რაღაც ხანი და... ისევ სარატოველებს მივაკვდებოდით და ქიზიყელებსა თუ ჩვენი სხვა კუთხის შვილებს ისევ მზერას ავარიდებდით, როგორღაც თქვენვე უშველეთ თქვენს თავსო, თითქოსდა მათი უბედობა საყოველთაო სადარდებელი არა ყოფილიყოს.

დიდი ხანია, რაც უნივერსიტეტებში სალაროები არსებობდა და იქიდან სტუდენტობისას ბევრს გაეტანა ფული, მაგრამ დაე ახლა მაინც ჩაფიქრებოდნენ აკაკის გულისტკივილს: აბა თუ მერე ცხოვრებაში რომ გამოსულა, ორი-სამის გარდა, ვინმეს გახსენებია დაბრუნებაო? და რას ნიშნავდა ეს — ან წამღებისა და ან მიმღების მხრივ — თუ არა დაუდევრობას?

ამ ბოლო დროს რომ გამოჩენილიყო ორიოდე ქველმოქმედი?

დავით სარაჯიშვილისა და ძმები ზუბალაშვილების ყოველწლიური შემოწირულობა საკმაოდ დიდი გახლდათ, მაგრამ... მათ შემოწირულობასაც რომ ვერ მოჰქონდა ის ნაყოფი, რაც მოსალოდნელი იყო?

თუმც შემომწირველთ ამაში ბრალი არ მიუძღოდათ, არამედ — იმ მეთაურებსა და წინამძღოლთ, რომელნიც „ჩემიან-შენიანობითა“ და „მისწრებით“ სარგებლობდნენ და არა ნიჭით.

საზოგადო ქველმოქმედება და სტიპენდია ხომ მისთანებს უნდა მოხმარებოდათ, რომელნიც რაიმეს აკეთებდნენ და ან მომავლისათვის იძლეოდნენ იმედს. და ისიც სესხად უნდა მისცემოდათ.

მაგრამ ჩვენში რომ ასე არა ხდებოდა?

როგორც სჩვეოდა, ამჯერადაც თვალსაჩინოებისათვის შესაფერის მაგალითს მოიმარჯვებდა:

ერთი ყმაწვილი, არა მდიდარი ოჯახის შვილი, უმაღლეს სასწავლებელში გამოიზრდებოდა სხვების დაუხმარებლად, წვითა და დაგვით. ხელთ რომ მოიგდებდა დიპლომს, სამსახურში შევიდოდა, მაგრამ... მაინც კიდევ ქართულად უცემდა გული:

ჩვენი წარსული გულსა წყვეტდა, აწმყო აღონებდა და მომავლის იმედს კი არა ჰკარგავდა.

ამას მისი კორესპონდენციები ამტკიცებდა, რომელსაც ა. ფრონელს აწერდა. სხვებივით კუჭს არ გადაჰყვებოდა, ისარგებლებდა შემთხვევით და ჯამაგირითა და საკუთარი ხარჯით გამოსცემდა ორ წიგნს: „ამბოხება კახეთისა“ და „მთიულეთი“.

როგორ განსაზღვრავდა ამ ორი წიგნის ღირსებასა და მნიშვნელობას აკაკისებური სისხარტითა და სიზუსტით?

ვისაც კიდევ ქართველობა სწამს, უნდა ჰქონდეს შეძენილიო.

უფრო აღმატებული შეფასება რაღა გვინდა!.. და აღტაცებული დარჩებოდა ამ გულუხვობით ავტორი — ფრონელის ფსევდონიმით ცნობილი ალექსანდრე ყიფშიძე.

ვისაც კიდევ ქართველობა სწამსო...

მაშ იმხელა ტირაჟიც უნდა ჰქონოდა ამ მონოგრაფიებს, მხატვრულ-დოკუმენტური რომანებიც რომ შეიძლება ეწოდოთ, სამუდამოდ აშენებულიყო ალექსანდრე ფრონელი.

მაგრამ... ყოფითი რეალობა სულ სხვაგვარად სჯიდა და აკაკი არც ამ სანუხარს დაფარავდა: წარმოიდგინეთ, რომ ხელსაც არავინ ჰკიდებსო!..

რა დიდი ტირაჟი და რომელი დიდი ტირაჟი — ორიოდ ცალიც ვერ გასაღებულიყო.

არადა ქართველობა თითქოს ბევრსა სწამდა — მთლად „ყველას“ უკვე ველარ ითქმოდა, რადგანაც სოციალ-დემოკრატთა ანტიეროვნულ ქადაგებებს სულ უფრო ემატებოდა მიმდევარნი.

ორიოდე ეგზემპლარიც დახლსა თუ ვიტრინაში ხუნდებოდა.

და რა მიზეზით?

აკაკი იმით ხსნიდა ამ გულდასაწყვეტ ვითარებას, რომ:

თანადროული მწიგნობრობის საქმე ცრუმოღვაწეთა გამოისობით უფსკრულში გადასროლილიყო — პატარა წიგნაკი, გინდ უგნურებაც ყოფილიყო, თუკი ფასად შაური ეწერა, სახალხო ეგონათ და ავრცელებდნენ. საპირისპიროდ კი სხვა წიგნს, გინდ სისხლითა და ცრემლითაც ყოფილიყო შედგენილი და გრძნობა-გონებით სავსე, თუ ზედ შაური არ ეწერა, ყველა გვერდს უვლიდა!.. ნაწერს არშინობით ზომავდნენ, თითქოს შეშა ყოფილიყოს!..

და ფრონელის წიგნებს კი ფასად მანეთი ეწერა, რაც იმთავითვე მოასწავებდა მათ განწირულებას წაუკითხაობისათვის.

და როგორ არ განეცადა აკაკის და როგორ არ დაენამუსებინა თვისტომნი:

ეს წიგნები რომ სადმე სხვაგან, სხვა ხალხში გამოსულიყო, ავტორი უზრუნველი გახდებოდაო.

აქ კი... ერთიც არ გაყიდულიყო და რაც დაეხარჯა, იმას ავტორი თავის დღეში ვეღარ აღიდგენდა!..

ალექსანდრე ფრონელს „საქართველოს უკანასკნელი დროებიდან“ მაგალითად „სოლომონ მეორე“ და სხვანიც დაემთავრებინა, მაგრამ... თვითონ რომ სამსახურში აღარ იმყოფებოდა და ჯამაგირი აღარ ეძლეოდა, აღარც შეეძლო თავისი საფასური მიეტანა მსხვერპლად და... რჩებოდა ისე დაუბეჭდავი ეს უმნიშვნელოვანესი თხზულებანი ჩვენი უახლესი ისტორიის სიღრმეებში ჩასახედადაც და ჩვენი ცნობიერების დადგენისთვისაც.

ასეთ დროს რას შვებოდნენ ჩვენი მეთაურები თუ წინამძღოლები?

და სიმწრით ჩაიქნევდა ხელს აკაკი:

ეჰ, აღარას ვიტყვიო.

დაიჩივლებდა მხოლოდ იმას: ვაი, რომ შეძლება არა მაქვს, თორემ ამ წერილით არც თავს შევიწუხებდი და არც მკითხველს შევაწუხებდიო!..

დრო კი იყო, რომ ფარისევლობას, საზოგადო საქმეში მაინც, ბოლო მოეღებოდა და გზაჯვარედინზე, სხვების დასანახად, ლოცვას აღარ გადავყოლოდით!..

საქმე სულ სხვას მოითხოვდა, ჩვენ კი მხოლოდ ენებად გადავქცეულიყავით და... იმასაც ვერ ვახერხებდით.

მოუწონებდნენ ამ სტატიას, „ნიშადურის“ 10 აგვისტოს ნომერში გაეცნობოდნენ თუ არა, მაგრამ განა რა აზრი ჰქონდა მათ აღტაცებულ სიტყვებს, ორიოდე კაცისა, რომელთაც ისედაც მოეხსენებოდათ ეს მწარე სინამდვილე და უხაროდათ, მათ სატკივარსა და გულისნადებს ამხელა გავლენისა და ავტორიტეტის კაცი ასეთ მოხდენილ პამფლეტურ ფორმად რომ ჩამოასხამდა, მაგრამ... ცალკე რჩებოდა გავლენა და ავტორიტეტი და ცალკე რჩებოდა აკაკი, ამაოდ რომ აწყდებოდა აქეთ-იქით და ივედრებოდა:

მთიულეთისა და კახეთის აჯანყებათა სურათებს მაინც ჩაუკვირდით, ჩვენი უბედო ბედი და ტრაგედია ამ შთამბეჭდავი, გულისშემძვრელი თხრობით მაინც გაისიგრძეგანეთ და უკეთესი მომავლისათვის ისე ვემზადოთ, ის სულისკვეთება შენარჩუნებული გვქონდესო.

ვიცოდეთ, რას შევუწყოთ ხელიო, მხარი რას დავუჭიროთო, ქველმოქმედება საით მივმართოთო.

ქვეყნის ფული რომ იპნევა უსარგებლოდ და ქარი მიხვეტავს, ეგებ ღირსეულ პიროვნებებს მოვახმაროთო.

დიპლომი ხელისშემშლელი უფროა საქვეყნო საქმისათვის, ვიდრე გამოსადეგიო.

და შინ ბავშვები რომ გვიტირიან, ტაბლებს გარე-გარე ნუღა დავაქანებთო.

და გულშეწუხებულს ღიმილი მაინც აეკიდებოდა ტუჩის კუთხეში: აქამდე არ ჩავფიქრებოდი და, რა იყო მაინც, არც ილიას, არც იაკობს, არც ნიკოს, არც გიორგის, არც სანდროს დიპლომი რომ არ ებადათო?!.

...იმას კი შენი თავი გაქეზებდა, გაძალებდა, სხვა არავინ, სარატოვში რომ გაგეგზავნა დიდძალი შეწირულობა, ქიზიყში კი — ფიორიც არა.

თავი II

როცა ოჯახში არ გაქვს სამშობლო

როგორც დიპლომდაცულ კურსდამთავრებულს იმთავითვე შეეძლოო...

არ შეეძლო და არა თურმე, გინდ ის დიპლომი „ვითომდა“ კი არა ყოფილიყო, არამედ გიმნაზიის მოწმობითაც განმტკიცებული.

ალექსანდრე ორბელიანთან მამაშვილურ ურთიერთობას მხოლოდღა უნდა დაედასტურებინა აკაკისათვის ის, რაც დაბადებამდე ჩადებულიყო მის არსებაში, რა მისიითაც მოვლენოდა ქვეყანას და ღვთიურ გადაწყვეტილებას ვერაფრისდიდებით ვერ უღალატებდა.

დაედასტურებინა და გაეადვილებინა ცხოვრების სტილიც და არჩევანიც.

ისე გაადვილებად აკაკისათვის ითქმის, უკეთეს ქართველ კაცად და ზნეობრივ გმირად რომ დაესახა ალექსანდრე ორბელიანი, თორემ სხვა მის ადგილას — დიდი და განსაკუთრებული მისიით რომ არ მოვლენოდა საქართველოს — კიდეც დაფრთხებოდა 32-იანელთა ერთ-ერთი მეთაურის შემხედვარე: აბა ეს რა ცხოვრებააო, — და მაშინვე მიაშურებდა გიორგი მუხრანბატონის გზას — ბევრად უფრო კეთილსაიმედოსა და მრავლისაღმთქმელს... მისწრებას საპირადოსათვის.

ამიტომაც რჩებოდა ფუტკრად!..

თორემ დირექტორობა, ხელმძღვანელობა, ორგანიზატორობა მისი საქმე რომ ყოფილიყო, მარგანეცის წარმოებას სხვებს კი არ ჩაუგდებდა ხელში, თვითონვე ითავებდა მის გაძღოლას.

რეალობა კი ის გახლდათ, რომ:

სხვები აშენდებოდნენ მისი ამ მიგნებით, ქართულ ეკონომიკას ახალ სადინარს რომ გაუხსნიდა.

თვითონ აკაკი კი... განზე დარჩებოდა და მცირე სარგებელსაც ვერ იშოვნიდა.

რაც სწამდა და რაც მისი შვილობილი იყო, იმას არ ჩამოეკიდებოდა და... რაც არა სწამდა მაინცდამაინც, იმ საქმიანობას სათავეში რატომღა მოექცეოდა?..

მაშინაც არ ინანებდა ამ არჩევანს, პენსიის ვითომდა დანიშვნით ამდენ უსიამოვნებას რომ მიაყენებდნენ და სულაც შეურაცხყოფილსა და გულმოკლულს დატოვებდნენ.

ამიტომაც გაიმეორებდა კრებაზე წარმოთქმულ სიტყვას ამ სტატია-მოგონება-ნოველაშიც იმავე რწმენით და არა გულდაწყვეტილი: ნეტა იმჟამად მეტი გონიერება გამომეჩინაო.

გული აკი იმაზე წყდებოდა, რამდენიმე კაცის გულისათვის მთელს იმერლობას რომ უტყდებოდა სახელი ქვეყნის თვალში — განა რა თანხა იყო ამისთანა, ასე რომ გამოჭენებულიყვნენ სასეიროდ, მაგრამ... ისინიც ისევე ვერ წაუვიდოდნენ საკუთარ თავს, როგორც აკაკი, იმ განსხვავებით, რომ იმათთვის სიტყვა და საქმე დაშორებოდა ერთიმეორეს, ეს კი რჩებოდა სახიერ ნიმუშად, თუ რას ნიშნავს სიტყვისა და საქმის ერთიანობა, მათი სრული ჰარმონია.

ცოლი ჰყავდა და... არა ჰყავდა.

და ურჩევდა და შეაგონებდა ყველას: ნურავინ დაიჩემებთ, მომავალში ამას ვიზამ თუ იმასო!..

თორემ აგერ თვითონ გადაწყვეტით გადაეწყვიტა გუნებაში:

ცოლს არ შევირთავო.

და თუ მაინც მოუწევდა ცოლის შერთვა, უცხოელი კი არაფრისდიდებით არ უნდა ყოფილიყო.

და ეს — აკაკის გადაწყვეტილებაა, მტკიცე ნებისყოფისა და პრინციპების მქონე პიროვნების, გილიოტინაზე რომ აიყვანო, ნათქვამს მაშინაც არ გადათქვამს, განზრახვას არ გაამრუდებს თუ შეცვლის.

და ეს რაოდენ მნიშვნელოვანი მოვლენაა ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში — ქორწინება. და მითუმეტეს, როდესაც შემოქმედი ხარ და თანაც გრძნობ, არამცთუ იდუმალი კარნახით, საკმაოდ ხელშესახებადაც, საგანგებო მისიით რომ მოვლენილხარ იმ უბედურ მიწა-წყალს, რომელიც გუბერნიებად და იმპერიის სამხრეთ პროვინციად დამცრობილა და შენ და შენისთანებმაღა უნდა შეახსენონ, ოდესღაც სახელმწიფო რომ ყოფილა და ოდესმე კვლავ უნდა აღიდგინოს არსებობისა და ყოფა-ცხოვრების ეს აუცილებელი ფორმა.

შიშობს, ოჯახი შემბოჭავს, თავისუფლებას შემომიზღუდავს და პიროვნულ სწრაფვასა და ცხოვრების სტილს რამდენადმე დამიზიანებსო.

და... ცოლად რუსი?..

მანამდე ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც ვერ წარმოიდგენდა.

ილიაც ხომ მთელი არსებით გახლდათ დაპირისპირებული რუსულ-იმპერიულ მმართველობასთან და ამ ბრძოლის გარეშე სიცოცხლე არად უღირდა, მაგრამ თვით ისიც არა ყოფილა ისეთი რადიკალური, როგორც... აკაკი წერეთელი და ალექსანდრე ყაზბეგი.

ამ მხრივ ეს ორნი გამორჩეულნი არიან თვით ანტირუსული წინააღმდეგობის ფონზე.

და... როგორ გინდა ახსნა, რომ:

ალექსანდრე ყაზბეგი კინაღამ მოიყვანდა ცოლად რუს ქალს.

ხოლო აკაკი... რაღა კინაღამ!..

თვითონ სასოწარკეთილი კაცის ხელჩაქნევით თუ გაიხსენებდა:

შემთხვევას ყოლიფერი შესძლებიაო!..

შემთხვევას აბრალებს და არა ფარულ კანონზომიერებას — ეს რომ დაეჯერებინა, შეესაძლოა ვერც გადაეტანა თავისი საქციელი გონზე მოსულს: ეს სად ჩავვარდი, სად ამოვყავი თავი, რაში გავები თუ გავიხლართეო!..

მოსკოვში ელიზბარ ერისთავისას (რა გვარ-სახელს აკნინებდა?!) გაეცნობოდა მოხუცებული კნიაჟნა ენიკეევისა და, ვინაობას რომ გამოჰკითხავდა აკაკის, გულითა სთხოვდა:

— მოდი ჩემსას!

ესეც ცოტა ხნის შემდეგ ეახლებოდა.

ვინ იცის, რამდენჯერ დაძრახავდა თავს გუნებაში და ეგებ კიდეც ასილაქებდა: რატომ ფეხი არ მომტყდა, იქ რომ არ მივსულიყავიო, — მაგრამ რაღას უშველიდა ბოლოჟამ სინანული და თითზე კბენანი.

წრე შეწერილიყო.

ბედისწერა უკანმოუხედავად მიაქანებდა.

და როგორღა გინდოდა წინ აღდგომოდი.

მისი სტუმრობა მოხუცებულს ძალიან ეამებოდა, დიასახლისს გააცნობდა და ეტყოდა:

— ეს ჩემი დისწულია: შვილობილადა მყავს აყვანილი; ეს ორი უფროსი ქალი პირველი ქმრისაგან დარჩა და ეს სამი, ორი ქალი და ერთი ვაჟი, კი ამ მეორე ქმრის ხელში ჰყავს. ეს მეორე ქმარი ჯერ ორენბურგში იყო გუბერნიის პროკურორად და ახლა მოსკოვში გადმოვიდა და მიტროპოლიტის კანცელარიის დირექტორად არის.

ამ ლაპარაკის დროს შემოვიდოდა ისიც და გაეცნობოდა. ლიტერატორი გამოდგებოდა და ძალიანაც კარგად შეეწყობოდნენ ერთმანეთს!.. რამდენიმე დღე რომ დაჰგვიანებოდა და არ სტუმრებოდათ, თვითონ მოიჭრებოდა ხოლმე აკაკისთან და წაიყვანდა თავის სახლში, თითქოს უამისობა აღარ შეეძლო!..

ან რაღა თითქოს — აღარ შეძლებია და ეგაა.

სამი თვის განმავლობაში სულ ამ ყოფაში იქნებოდა და ძალიანაც გაუშინაურდებოდა ამ ოჯახს.

უფროს ქალს, რომელიც ჯერ კიდევ არ ყოფილა სრულწლოვანი, შეუყვარდებოდა ეს ახალგაზრდა ქართველი.

მაშინ აკაკი ქალის სიყვარულს დიდ ყურადღებას არ აქცევდა საზოგადოდ, მაგრამ...

მაგრამ ის, რომ:

როდესაც დიდად შეწუხებული ქალი შემოსჩივლებდა თავის აღსარებას, მაშინ კი აკაკის გული ეტკინებოდა.

იგი ყოფილიყო დანიშნული და სრულწლოვანებას უცდიდა, რომ ტვერის გუბერნატორს გაჰყოლოდა. ქალს სიყვარულით არ უყვარდა, მაგრამ მისიანებს კი არა სურდათ სიტყვის გატეხა და ამისთანა სასიძოს გაშვება ხელიდან.

შემოჩივლებით კი ამას შემოსჩივლებდა:

— ქორწილის ღამეს თავს დავიხრჩობ, თუ შენ არ გადამარჩენ!..

უკანდასახევ გზას აღარ დაუტოვებდა აკაკის მისი პოეტური და რომანტიკული ბუნებით დაიმედებული: მოსალოდნელი თვითმკვლელობის ამბავს რომ გაიგონებს, რა გული გაუძლებს, გამიმეტესო.

აკაკიც — დაზაფრული ამ ტრაგედიის მოსალოდნელობით — ადგებოდა და... მეორე დღესვე იმ ქალს ითხოვდა.

დედა-მამინაცვალი დიდხანს ეხვეწებოდნენ:

— მეორე დანიშნე! მაგას ჰყავს საქმრო.

მეორე დანიშნე კარგია!.. რა — სათამაშოებს არჩევს და... ეგებ მეორე ამჯობინოს?!.

მაგრამ ეს გაჭირვეულდებოდა და როგორც შეატყობდა, აღარც იმათ ეწყინებოდათ, ის კი არა, სულსაც აღარ მოათქმევინებდნენ, ვაითუ გადაიფიქროსო, ამიტომაც სასწრაფოდ გადაწერდნენ ჯვარს.

ცოლის შერთვას არ აპირებდა.

მითუმეტეს — რუსს ვერ გააგონებდი.

და... მეორე დილით გაოგნებულს რომ უნდა აღმოეჩინა გვერდით მწოლიარე რუსის ქალი, რომელსაც უკვე მისი კანონიერი ცოლი ერქვა.

მისი ნაამბობის თანახმად:

სიბრალულს ებიძგებინა ამ ნაბიჯის გადასადგმელად და არა ტრფობისმაგვარსაც კი, არამცთუ სიყვარულს ან თუნდაც ვნებას, თორემ სტრიქონებს შორის მაინც იჩენდა თავს ეს განწყობილება, თუ მაინცდამაინც სტრიქონებად არ გადმოიღვრებოდა.

რაღაც განსაკუთრებული გარეგნული სილამაზითაც არ გამოირჩეოდა.

სულიერადაც არაფერი, სრულიად არაფერი აკავშირებდათ და ამ მხრივ რაღაც საერთო არც არასოდეს, არასოდეს, არასოდეს გაჩნდებოდა მათ შორის.

შერჩენით კი შერჩებოდნენ ერთიმეორეს.

ხოლო ჯვრისწერის მეორე დღესვე შევიდოდა აკაკისთან მისი ცოლის მამინაცვალი და ეტყოდა:

— ეს აქციებია ხუთი ათასი თუმნის, თუმცა ათი წლის კუპონები ნაჭრილი აქვს, მაგრამ როცა ვადა გავა, თავნად ელირება; ეს შენი ცოლის არის, ნათლიამ დაანათლიავა, რომ მონათლა, მაშინ; მიიღე და მე კი ხელწერილი მომეცი, რომ გასტუმრებული ხარ და ცოლისა ყველაფერი სრულად მიღებულია.

თანაგრძნობით გახედავდა ხანშიშესული აკაკი იმ ჭაბუკ აკაკის, რომელმაც მაშინ ცხოვრებისა ბევრი არა იცოდა რა და ფულსაც დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. ყველაფერი მართალი ეგონა და ეკალიც ვარდისფრად ეჩვენებოდა; ცხადია, რაც უნდა ყოფილიყო, მოაწერდა ხელს, მაგრამ იმ დროს შეესწრებოდა ერთი ქართველი — სამსონ აბაშიძე — და ქართულად მიაყვირებდა:

— არ გაგიწყრეს ღმერთი, ეგრე არ მოაწერო ხელი!.. რამდენიც არის, იმდენი დაწერე!

და ესეც ხუთი ათას თუმანზე მოაწერდა ხელს, თუმცა ნამდვილად კი ორი ათას ცხრასს თუმანზე მეტად არ ელირებოდა.

მისი ეს ხელისმოწერა მაინც არ ეამებოდა სიმამრს და წასვლის დროს სიტყვას ჩამოართმევდა, რომ ცოლს წაიყვანდა კავკასიას და იქ აღარ დადგებოდა.

მეორე დღეს კნიაჟნა შეუვლიდა და აკაკი გუშინდელ ამბავს, რაც გადახდენოდა, უამბობდა და ჰკითხავდა:

— სიმამრი უკმაყოფილო რად დამირჩა?

ის ჯერ ხატზე დააფიცებდა: ჩემად არსად წაგცდესო, — და მერე მოუყვებოდა საიდუმლოს:

— ჩემი შვილობილის პირველი ქმარი იყო ბაზილევსკი, მკვიდრი ძმა იმ ბაზილევსკისა, დღეს რომ სიმდიდრით არის განთქმული. ოქროს მადნებშიც და იმ სიმდიდრეშიაც ნახევარი წილი უძევს შენს ცოლსა და ცოლის დას, მაგრამ მაგათი მამა რომ მოკვდა, შენი ცოლი წლისა დარჩა და ცოლისდა — მუცლის; მაშინ იმ მეორე ძმამ, დღევანდელმა ბაზილევსკიმ, გამოძებნა ორენბურგის პროკურორი, მილიონი მისცა, ჩამოართვა ხელწერილი და სიმდიდრე კი დანარჩენი, რაც ამ ორ დას ეკუთვნოდა, თვითონ მიისაკუთრა; ახლა შენ საჩივარი უნდა აუტეხო ბაზილევსკის და, როგორც შენს ცოლს, ისე ცოლის დასაც დაუბრუნო კუთვნილება.

ეს ამბავი გახმაურდებოდა.

კნიაჟნა ამასთან გადმოვიდოდა და ცოლის მამინაცვალი კი გაგიჟდებოდა.

აკაკი ამ სიტყვას რომ დაწერდა, იფიქრებდა: მკითხველს არ ეგონოს, რომ მეტაფორულად ვამბობო, — და დაგვიბეჯითებდა: მართლა გაგიჟდა თუ მოიგონა, არ ვიცი, მაგრამ სიგიჟეში კი მოკვდაო.

დარჩებოდა თვითონ — აქ ჩაურთავდა: როგორც იმერელსო — პროცესი ხელში, რომელიც დიდ ხარჯს მოითხოვდა.

ვილაც ტრუბეცკოი ორ მილიონს შემოაძლევედა იმ პროცესში: მომყიდე და მერე მე ვიცი, — მაგრამ ამას რა ნება ჰქონდა დათანხმებულიყო, მითუფრო, რომ იქ ცოლის დაც ერია.

ასეა თუ ისე კრედიტი დიდი ჰქონდა მოსკოვში: დაიწყებდა პროცესს და... დიდ გაჭირვებაში ჩავარდებოდა, რადგანაც რომ ეგონა, ისე ადრე არ გათავდებოდა საქმე.

იძულებული გახდებოდა, თავი დაენებებინა რუსეთისათვის და წამოსულიყო სამშობლოში ცოლშვილიანად. საქმეს კი გადასცემდა თავის ქვისლს, რადგანაც იმხანად მისი ცოლის დაც გათხოვდებოდა, და ახლა ის დაიწყებდა საქმის წარმოებას. ექვსი თვის თავზე ცოლის და დაქვრივდებოდა და იმ თვეშივე შეირთავდა ქართველი თავადიშვილი ელიზბარ ერისთავი (დიდებული გვარ-სახელის წამხდენი!) და საქმეც იმას ჩაუვარდებოდა ხელში.

მაშინ საქმე პალატაში იქნებოდა გადატანილი, რადგანაც ოლქის სასამართლოში ესენი მოიგებდნენ. პალატაშიც ამათ სასარგებლოდ გათავდებოდა და დარჩებოდა მხოლოდ კასაცია.

სიმდიდრის ნახევარი უნდა მიეღო აკაკის ცოლსაც, მაგრამ... ვითარება ასე შეტრიალდებოდა: ჩამოვარდებოდნენ შუაკაცები და ელიზბარ ერისთავი სულ უბრალო რამეზე გაურიგდებოდა, რისი სრული უფლებაც ჰქონდა ვექილობის ძალით. ადვოკატები, რომ მოარიგებდნენ, საგამრიგლოს მიიღებდნენ: რუსები 75 ათასსა და 100 ათასს, ქართველი ვასილ მაჩაბელი — 30 ათასს, ხოლო აკაკის ცოლ-შვილი... სულ არაფერს!.. ასე ცარიელ-ტარიელზე დატოვებდნენ.

თურმე ადვოკატებს დაერწმუნებინათ ნატალია:

— ერისთავმა თავისი წილხვედრი მოიგო და შენს ქმარს რომ ვადა არ დაეკარგა, შენც მოიგებდი, მაგრამ ათი წელიწადი გაგიშვიათ!..

ეს ამ ამბავს, საქმე რომ გათავდებოდა, ორი თვის შემდეგღა გაიგებდა და მიაშურებდა აქედან ცოლ-შვილს.

მეუღლე ნახავდა თუ არა, უსაყვედურებდა:

— რატომ ყურადღება არ მიაქციე და დაგვიკარგე საქმე?

მაგრამ როცა აუხსნიდა, რომ ეს ყველაფერი ტყუილი გახლდათ — იმ დღიდან, რაღაი დისთვის გადაეცა ნატალიას უფლება და ვექილობა, ის, და, გამხდარიყო მემკვიდრედ და იმას უნდა გადმოეცა ნახევარი, რასაც მოიგებდა — მაშინ კი მიხვდებოდა ცოლი, რაც დამართოდა, და შემოიკრავდა თავში ხელს... მაგრამ რაღა დროს...

მზითვიდან მაინც არა ერგებოდა რა.

ასე რომ:

აკაკი ცოლს წამოიყვანდა, თორემ მზითევს... სხვები წაიღებდნენ.

მკითხველს მოუბოდიშებდა, რომ თავის შინაურ საქმეებზე ამდენს ლაპარაკობდა, მაგრამ იძულებული გამხდარიყო და სხვა რა ელონა, მოყოლით მაინც მოეყოლა, რათა სიმართლე გამრუდებით არ გამრუდებულიყო.

მისი მტრები და მათი ამყოლები, სხვას რომ ველარას მოახერხებდნენ, დაყრიდნენ ხმას:

— აკაკიმ ცოლის მზითევად მილიონები აიღო და გაფლანგა!.. წააგო!..

და ეს მაშინ, როდესაც აკაკის თვალითაც არა ენახა რა.

ეს ცილისწამება კვლავაც ბევრს ეგონა მართალი მის თვისტომთა შორისაც და პოეტს ვერა და ვერ გადაერწმუნებინა ისინი. ამიტომაც შიშობდა — ვაითუ ჩემი სიკვდილის შემდეგაც სიმართლედ გასაღდეს და სამუდამოდაც მომეკეროსო. ან რაღა „ვაითუ“ — სავსებით მოსალოდნელი გახლდათ. და აგერ ავტობიოგრაფიულ რომანში ეპოვნა შესაფერისი ადგილი იმ ამბების გასახსენებლად, რათა სწორედაც მისი გარდაცვალების შემდგომ ახალთაობათა საგულისხმიეროდ დარჩენილიყო მისი მონათხრობი და სიმართლე არ დაკარგულიყო.

მონათხრობი მონათხრობად, სიმართლე სიმართლედ, მაგრამ... მარტოდენ თანაგრძნობა გადაადგმევინებდა აკაკის ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანეს — და გარკვეულად თურმე საბედისწეროსაც — ნაბიჯს? და თანაც — თავისი პრინციპის წინააღმდეგ: ცოლი კიდევ მაინც რომ შეიძლება შეერთო, მაგრამ... რუსი?..

ეგებ მართლა აგულებდა მზითევს და... მთავარი მაინცდამაინც ეს მოლოდინი თუ არა ყოფილა, გულწრფელ თანაგრძნობას ეს ფიქრიც წაეხმარებოდა?..

მისი მტრები და მათი ამყოლებიო...

ამისთანა შემთხვევას ისინი ხელზე რომ დაიხვევდნენ, ყოველმხრივ გაბუქავდნენ და გააზვიადებდნენ, რად უნდა ლაპარაკი, მაგრამ... კირილე ლორთქიფანიძეც ხომ მისი მტერი არა ყოფილა?!. არამცთუ მტერი და მოქიშპე, გულითადი მეგობარი გახლდათ, აკაკის პიროვნებისა და ტალანტის დიდი თაყვანისმცემელი და ამასაც თუ ვინმესი ეიმედებოდა, მათ შორის უსათუოდ კირილესიც.

და როგორი ეჭვები უნდა გამოეწვია აკაკის ამ გადაწყვეტილებას მის მოყვარულთა და მეგობართა წრეშიც, თვით კრილე ლორთქიფანიძესაც ეს სიტყვები რომ დასცდენოდა ერთ კერძო წერილში:

— აქედან ადვილად შეიძლება დამეთანხმოთ შემდეგ სიტყვებში: რომ მე ისე ძლიერ არ ვიქნებოდი დამდურებული შენზე, ვინემ აკაკი წერეთელზე, — რადგანაც აკაკი წერეთელი ჩემი ახლობელი თანშეზრდილი ამხანაგი იყო გიმნაზიის სკამიდან, — თუ რომ კიდევაც ჩამეთვალა იმ ხალხის კატეგორიაში, რომელმაც ცოლის შერთვა ვაჭრობად გაიხადეს.

თუ რომ კიდევაც ჩამეთვალაო...

თავშეკავებულად ამბობს ცხადია... თუმც ამ თავშეკავებაში მაინც გამოსჭვივის ეჭვი და ყოყმანი, ცოლის შერთვა აკაკისათვის სარფასთან რომ შეიძლება ყოფილიყო დაკავშირებული.

ცოლის შერთვა ვაჭრობად გაიხადესო...

არც იაკობ მანსვეტაშვილი ყოფილა აკაკის მტერი და მოქიშპე, დიდად აფასებდა და აღიარებდა მის გამორჩეულობას და მოგონებათა წიგნში — „ნახული და გაგონილი“ — აღტაცებით წარმოსახავს მის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიურ პორტრეტსა და ღვაწლს, და ამ ფონზე აღნიშნავს, რომ:

აკაკის ცოლი გახლდათ ბელოსელსკის-ბელოზურსკის ოჯახიდან, რომელიც განთქმული იყო იმდროინდელ რუსეთში თავისი აუარებელი სიმდიდრით და ნატალიასაც დიდი სიმდიდრე მოჰყვა, მაგრამ...

პარიზსა და პეტერბურგში ხეტიალით ცხოვრება მალე მოუღებდა ბოლოს ამ მზითვად მოტანილ სიმდიდრეს.

იაკობი და ილიკო ბახტაძე ერთად ცხოვრობდნენ. აკაკი ხშირად შეივლიდა ხოლმე მათთან საღამოობით სალაყბოდ, მხოლოდ ათ საათზე გვიან კი არ დარჩებოდა.

ერთხელაც, ასე ღამის თერთმეტ საათზე ესტუმრებოდათ დიდად აღელვებული აკაკი და ეტყოდათ:

— ღამე თქვენთან უნდა გამატარებინოთ.

— რა ამბავია, აკაკი, რა მოგსვლია? — დაეკითხებოდნენ.

და ისიც გულს გადაუშლიდათ:

— ღმერთმა რომ ამოაგდოს ჩემი ცოლი: ისეთი ჩხუბი ამიტეხა, ისეთი ამბავი დამაწია, გვიან რად მოდიხარ შინაო, რომ ვეღარ გავუძელ და გამოვიქეცი.

აკაკი და... ასეთ ყოფაში, ცოლი შინაც არ აჩერებდეს?

წყენით ეწყინებოდა იაკობ მანსვეტაშვილს, მაგრამ — მიუხედავად თავისი პატივისცემისა — ძალაუნებურად წამოაგონდებოდა ჟან-ბატისტ მოლიერის სიტყვები: ეგ გინდოდა, ჟორჟ დანდენ! — ქართულად ეს ფრაზა ასე რომ გაიმართებოდა: ახია შენზე! — ან: რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო!..

თქმით არას ეტყოდა, მაგრამ გაფიქრებით ხომ მაინც გაიფიქრებდა და ამ ფიქრისათვის თავს ასე იმართლებდა:

აკაკი სიმდიდრეს ეძებდა და არა ცხოვრების თანა-მეუღლეს. სიმდიდრე მოიპოვა, მაგრამ ამ სიმდიდრეს მოჰყვა ისეთი ვარამი, ცოლი, რომელმაც აკაკის სიცოცხლე გაუმწარაო.

კი მაგრამ... ეს სიმდიდრეც სად იყო?..

მთლად ასე ერთბაშადაც როგორ გააქრობდა თუნდ ხეტიალით ცხოვრება პარიზ-პეტერბურგში?..

უღელი და ბეგარა კი აღმოჩნდებოდა მისთვის ეს ქორწინება და... ამ გამოძევებას ვინ ჩივის, ანდა სხვა ამგვარ შემთხვევებს ოჯახურ ყოფაში, ცოლისაგან მართლაც რომ გაუმწარდებოდა წუთისოფელი.

ექვთიმე თაყაიშვილამდე ის მითქმა-მოთქმა და ჭორები ამდენი წლის შემდგომ ასე მოაღწევდა: ცოლი აკაკის სიმდიდრის გამო რომ შეურთავს, ქონება რომ დახარჯვიათ, კიდეც გასცილებია, მაგრამ მის ყოფილ ცოლს ორჯერ დიდი ქონება რომ მიუღია გარდაცვლილი ნათესავებისაგან, აკაკი ისევ შერიგებია მეუღლეს და მასთან ერთად ყოფილა მოსკოვში, და როდესაც ის ქონებაც შეუჭამიათ, კვლავ საქართველოში დაბრუნებულაო.

ისე გამოდიოდა, თითქოს მეორედაც გასცილებოდეს.

არადა მათი ყოფა — მიუხედავად არაოჯახური ცხოვრებისა — გაცილებად არ ითქმოდა, რაკიღა აკაკი ცოლ-შვილთან ფულის გზავნას მთელი ცხოვრება ვერ აუვიდოდა.

და თუ ერთხელ არ გაუძნელდა გაცილება, მეორედ რაღა დააკავებდა, მითუმეტეს მას შემდეგ, ფულის გზავნით რომ გაბეზრდებოდა და თანაც ისე, ლამის სული რომ ამოხდომოდა?!.

ნატალია ბაზილევსკაიას ექვთიმე უკვე მოხუცებულობისას ნახავდა, როდესაც აკაკი ავად გახლდათ, და შეატყობდა, სიყმაწვილისას სანდომიანი გარეგნობისა უნდა ყოფილიყოო. და შვილიც რომ ლამაზი ჰყავდათ, აღარ გაუკვირდებოდა.

მართალია ავადმყოფ აკაკის სხვა ქალებიც უვლიდნენ — თუნდ ტასო მაჩაბელი — მაგრამ იმჟამად ნატალია მოვალედ მიიჩნევდა თავს ჩამოსულიყო და თავზე დადგომოდა.

ერთხელ ექვთიმეც მიაკითხავდა და ანუგეშებდა:

— არაფერი საშიში ავადმყოფობა არა გაქვს, მალე მორჩები.

ის შემოსცინებდა, სნეულება ხუმრობის ხალისს რომ ვერ დაუკარგავდა:

— რა მომარჩენს, ეს თუ არ მომაცილეთ.

და... ნატალიასაკენ გაახედებდა.

სხვა დროსაც არაერთხელ გაეხუმრებოდა ასე.

ერთხელ ქუთაისსა თუ საჩხერეში მცხოვრებნი აკაკის ზეიმს რომ გაუმართავდნენ, ნატალია ბაზილევსკაია თავს გამოიდებდა:

— ჩემი ქმარი თქვენთვის იგივეა, რაც რუსებისათვის ტოლსტოი.

და კალამბური თავისთავად მოწყდებოდა აკაკის ბაგეს:

— მე არა ვარ ტოლსტოი, მაგრამ შენ კი ხარ „ტოლსტაია“ — სიმართლე ესაა!..

ქალს ცხადია არ ესიამოვნებოდა მის სიმსუქნეზე გადაკვრა, თანაც ასე საჯაროდ, მაგრამ არ დაიმჩნევდა.

მაგრამ მაშინ კი...

ფუფუნებას მიჩვეული ნატალია მოსამსახურეებსაც რუსეთიდან ჩამოიყვანდა, რის გამოც აკაკი უკმაყოფილი გახლდათ, მაგრამ თავს იკავებდა საყვედურისაგან.

ცოლი ყოველდღე ბანაობდა, მოსამსახურე ქალები წელში წყდებოდნენ წყლის ზიდვით და უკმაყოფილებას კიდეც განაცხადებდნენ კუთხე-კუნჭულებში. ეს ჩურჩულ-ტუტუნი აკაკის ყურამდე მიაღწევდა და იგი მეუღლეს უსაყვედურებდა:

— რატომ აწუხებ ხალხს ამდენი წყლის ზიდვით?

ის შეეპასუხებოდა:

— ეს სისუფთავეა.

და აკაკი ნაღვლიანად ჩაილაპარაკებდა:

— თუ ეს სისუფთავეს წარმოადგენს, მაშინ ბაყაყები უფრო სუფთა იქნებიან.

ქალი განაწყენდებოდა, იმ წუთას თქმით აღარას იტყოდა, მაგრამ ისედაც საბაბს რომ ეძებდა აქედან ნასასვლელად, უკეთესი შემთხვევა რაღა უნდა მისცემოდა.

მას შემდეგ იქ სამ დღესაც არ გაჩერდებოდა.

აკაკის მკურნალი სევერიან ჭოლოშვილი ხშირად შეესწრებოდა მისი ცოლ-შვილის ჩამოსვლას საჩხერეში და... აკაკის ძლიერ ნერვიულობას, მოუსვენრად რომ იწყებდა მიმოსვლას ოთახში.

ვაი რომ მიზეზი ჰქონდა და იმიტომ.

ნატალია დაუსრულებლად ეჩხუბებოდა ქმარსაც და შვილსაც. ოთახიდან ოთახში გაისმოდა მისი რუსული ბუზღუნისა და რისხვის ხმაური.

ერთ სიტყვასაც კი ქართული საუბრისა ამ დროს აკაკის ოჯახში ვერავინ გაიგონებდა. და მკურნალსაც სხვა შემსწრეებივით უზომოდ სტკიოდა გული: ეს რა ხდება დიდი ქართველი პატრიოტის ოჯახშიო...

აკაკის ცოლი დაამახსოვრდებოდა კაპას დედაკაცად, უშნოდ, უხასიათოდ და ულაზათოდ და გაკვირვებით უკვირდა და ვერაფრისდიდებით ვერ აეხსნა, რომელ ბედს მიეყვანა მგოსანი ასეთი ტიპის ქალთან.

აკაკის ერთი საათითაც რომ დაეგვიანა შინ მისვლა?

ცოლი ოჯახში ჯოჯოხეთს დაუტრიალებდა. კარს ჩაუკეტავდა და შინ არ შეუშვებდა. და აკაკიც იძულებული ხდებოდა უკან გაბრუნებულიყო და ვინმესთან შეეფარებინა თავი.

საჩხერეში სტუმრობისას აკაკის ცოლის პირველი განკარგულება ის იქნებოდა, რომ... თავის მულს ანას ზედა სართულიდან ქვედაში ჩააყვანინებდა საცხოვრებლად: უსუფთაოა, რწყილები ასევია და ოთახებშიც გაავრცელებსო. ამასაც არ აკმარებდა და როდესაც რუსეთში გაემგზავრებოდა, ბრძანებას დაუტოვებდა შინამოსამსახურეებს: ზამთრობითაც ანამ ქვედა სართულში იცხოვროს, ზევით ღამეს ნუ გაათევინებთო.

აკაკის დიდძალი მოსაკითხი რომ მისდიოდა მეგობარ გლეხთა ოჯახებიდან, ჩვეულებრივ პირობებში, როდესაც მგოსანი შინ მარტო იმყოფებოდა, მოსაკითხი შინამოსამსახურეებს სამზარეულოში მიჰქონდათ და აკაკის მხოლოდ მცირე ნაწილს უტოვებდნენ. ხოლო როდესაც სახლში ნატალია ბაზილევსკაიას წესები გამეფდებოდა, მოსაკითხი მის სასადილო ოთახში შეჰქონდათ, ნატალია სადილის მონარჩენს ლიოლიას... ძაღლთან რომ ატანდა ხოლმე, ზორბასთან...

და რაღა გასაკვირია, როდესაც აკაკი მძიმედ დასნეულდებოდა, სულ ამას ეხვეწებოდა ექიმებსაც და სხვებსაც: ჩემს ცოლს ნურაფერს გააგებინებთ, თორემ ჩამოვა და მთლად გამიმწარებს უკანასკნელ დღეებსო.

ცოლისაგან მართლაც გაუმწარდებოდა წუთისოფელიო...

ჯერ მარტო: ქართულ გარემოს რომ ვერაფრისდიდებით ვერ შეაგუებდა. არამცთუ ქართული ესწავლა და ჩვენს სინამდვილეს მოშინაურებოდა, ისევე უცხო დარჩებოდა აკაკის ნათესავ-ახლობელთა წრისათვის, როგორც... თვითონ აკაკისათვისაც.

მათი ოჯახური ცხოვრების განმსაზღვრელი აღმოჩნდებოდა: სიცივე და გათიშულობა.

ზარალი და... ამისთანა?!.

მატერიალურს ვიღა ჩივის — უპირველესად: მორალურად და სულიერად.

ისე „ჩემი თავგადასავლის" ამ მონაკვეთს რომ ჩაიკითხავ, გაგეღიმება აბა რა იქნება: ნუთუ ფულში ასე გაცუცურაკებულ და მშრალზე დარჩენილ კაცს სთავაზობდნენ ბანკის დირექტორობასო?..

მართალია ცხოვრება გარკვეულ გამოცდილებას შესძენდა და მთლად ასეც ველარ გამოაცლიდნენ ხელიდან მართვის ბერკეტებს, მაგრამ თავის პიროვნულ ბუნებას სად წაუვიდოდა?!.

ამიტომაც შეაფასებდა მიუდგომლად თავის უნარსა და შესაძლებლობებს და არც კი იყოყმანებდა, ისე განუცხადებდა კრებას უარს — საქვეყნო საქმეს ველარ გავწვდებიო.

პირადი კეთილდღეობის მოლოდინს რომ აეცუნდრუკებინა, მაშინ აუცილებლად დაყაბულდებოდა, რაკიღა ამ მხრივ შეძლებდა თავისი საქმეების მოგვარებას, მაგრამ აკაკი გახლდათ და აკაკობიდან ვერ გადაუხვევდა.

და ეს მაშინ — უფულობასა და ქესეტობას ძალიან რომ გაებეზრებინა და განერვიულებულს დროდადრო სულაც სასოწარკვეთილება შეიპყრობდა ხოლმე: როდისღა მოვეწევი რამესო!..

თავისით უვარდებოდა ხელთ განძი, სხვები მის მოსაპოვებლად თავს რომ იკლავდნენ, და აკაკის ისღა რჩებოდა, თავი დაექნია თანხმობის ნიშნად — მეორე და მესამე შეთავაზებისას მაინც.

მაგრამ როდესაც საზოგადოსაკენ არის მიქცეული შენი გული და გონება, როგორღა შეიძლება ცთუნებამ აგიყოლიოს?!. ის კი არა, ოდნავადაც ვერ გაგკრავს ფრთას.

და ეს კაცი, კრებას უარს რომ განუცხადებდა მტკიცედ და შეუვალად, სიჭაბუკისას გადაუხვევდა აკაკობას?.. მითუმეტეს უსაზღვრო წარმოსახვისა და ფანტაზიის პატრონი, ბროლის კოშკებს რომ დგამდა ოცნებაში და ეკალი მართლაც რომ ვარდისფრად ეჩვენებოდა!..

რომანტიკული სულითა და ჟინით ატანილი შეწუხებულ ქალს დაიხსნიდა მოსალოდნელი თვითმკვლელობისაგან, და თუ თავს არ მოიკლავდა ნატალია — აუტანელი ცხოვრებისაგან ხომ მაინც.

ეს სწრაფვა ჩამოეფარებოდა გონებაზე.

ეს მიზანი გადაახვევინებდა იმ გადაწყვეტილებისაგან: რუსს ცოლად რა შემართვევინებს, კიდეც რომ მოვინდომო დაქორწინებაო.

და... თუ მზითევად მილიონებიც მოჰყვებოდა ქალს, ამას რაღა ემჯობინებოდა.

ოღონდ მილიონები — აკაკის გაურჯელად.

ის კი არა, კიდევ უფრო ადვილადაც გაიცურებდნენ, შემთხვევით ქართველი ნაცნობი რომ არ შემოსწრებოდა და ცოტაოდნავ მაინც არ გამოეფხიზლებინა... თუმც ბოლომდე მის გამოფხიზლებას ველარ შეძლებდა...

თავის პიროვნულ ბუნებას სად წაუვიდოდაო...

სასამართლო პროცესს ლაღად მიუდგებოდა და წამითაც არ შეეპარებოდა ეჭვი, ყველაფერი მისი ოჯახის სასარგებლოდ რომ დასრულდებოდა.

იმედიანად ამიტომაც მოსწერდა გიორგი ნერეთელს იმ დაუთარიღებელი ბარათით, რომელიც სწორედ იმ ხანებისა უნდა იყოს:

— პეტერბურგში ვარ. ჩვენი საქმეები კარგათ არის.

და ჩვეულ ირონიასაც გამოურევდა, სიმამრს როდესაც ახსენებდა:

— მაგრამ ჯერ ეს ბაზილევსკი ძალიან კარგათ არის, სიგიჟის გარდა არაფერი უჭირს რა.

სიგიჟის გარდა არაფერი უჭირსო...

თვითონ ცოტა უღონოდ გრძნობდა თავს გულის ტკივილით, მაგრამ ვიდრე თავის საქმეებს არ მორჩებოდა, სულს კბილით დაიჭერდა და: არა უშავს რაო!.. — თავს გაიმხნევებდა.

და შემოსცინოდა და შემოსცინოდა:

— რომ მნახო, ველარ მიცნობ, ისე გამამაიმუნეს... ისე გამომწკეპეს და მომრთეს — გამპრანჭეს, რომ ჩემ თავს ველარა ვცნობ!..

ამას წინათ სხვისას შევიდოდა და... მძიმედ მიესალმებოდა თავის თავს სარკეში — ვიღაც სხვა ეგონებოდა.

სიცილს რომ დააყრიდნენ, მოიბოდიშებდა:

— უკაცრავად! რომ შემოვედი აქ, მეფურად მოვიხედე და იმ ჩემ ლანდზე უფრო პატივსაცემი ვერავინ დავინახე და მიტომ მივესალმე პირველად.

ხუმრობად ჩამოართმევდნენ, არადა ამას მართლა შეცდომით მოსვლოდა და ახლა იუმორით ანელებდა უხერხულობის შეგრძნებას.

საქართველოს ამბებს ძალიან მოინატრებდა: შორს თურმე ფასი ჰქონიაო!..

კირილე ლორთქიფანიძეს მოიკითხავდა — როგორ არის და რასა იქს ამ ჭიჭყინობის თვეშიო.

სამსონ თოფურიასა და დიმიტრი ნაზარაშვილს თუ ნახავდა გიორგი, დაე გადაეცა, რომ აკაკი ძალიან შეეშინებინათ პეტერბურგელ ექიმებს, მაგრამ თავი არ ემეტებოდა და ამათი უფრო სჯეროდა, ქუთაისელი მკურნალებისა.

ანა კი, მისი უფროსი და, უსათუოდ მოენახულებინა და ეცნობებინა: ჯერჯერობით, ვიდრე საქმეებს მორჩებოდეს, ვერ ჩამოვა და ოჯახზე თვალყური გეჭიროსო.

ისე მაინც რა სახალისო სურათია:

აკაკი თავის ლანდს რომ ესალმება სარკეში.

თან ხუმრობს და თან... სულაც არა ხუმრობს: მეფურად მოვიხედე და იმ ჩემ ლანდზე პატივსაცემი ვერავინ დავინახეო.

როდესაც მეფურად მიმოიხედავ, შენს ლანდზე უფრო პატივსაცემს ანკი ვის შეამჩნევ?!.

ხუმრობა ხუმრობად და... დროდადრო შეუძლებელია არ დაუფლებოდა მეფური შეგრძნებანი — პოეტური სიმაღლითაც და გვარიშვილობითაც.

როდესაც სამეფო დინასტიის მთავარი შტო წყვეტს არსებობას ანდა განდევნილია თუ ჩამოცილებული ქვეყნის მმართველობას, გვერდითა შტოდანაც გაიწვდიან ხოლმე ხელს გვირგვინისაკენ. ან თვითონ თუ არც გაიწვდიან, ხალხის გულისთქმა სწორედ მათ დასტრიალებთ თავს, ეს გულისთქმა აგულიანებთ, ეს გულისთქმა უბიძგებთ, ადრე თუ გვიან განაცხადონ თავიანთი კანონიერი უფლება ტახტზე: ან სამუდამოდ, ანდა დროებით, ვიდრე ქარბორია ჩაწყნარდებოდეს და ტახტის უშუალო მემკვიდრეს უფლება მიეცემოდეს სამეფო გვირგვინის დაბრუნებისა.

რაღაც ამგვარი განწყობილება ტრიალებდა აკაკის თავზეც: ცნობიერად თუ ქვეშეცნეულად.

მითუმეტეს — პოეტთა მეფის სახელი ისე მოეპოვებინა, საამისოდ არც გარჯილიყო — აღიარებით აღიარებდნენ მის რჩეულობას, და ვინც ჩხიკინს დაუწყებდა სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლისთანავე, ესეც იმიტომ, მისი დამხობა რომ ეოცნებებოდათ, როგორც პოეზიის თვითმპყრობელისა, და მისი ადგილის მოგდება ხელთ, თორემ თუკი მარტოდენ პოეტად აღიქვამდნენ, მასთან საფარიკაო განა რა უნდა ჰქონოდათ?!.

აკაკის ყოველი ასეთი გამოჯიბრება ახალბედასი ისეთ მხიარულ გუნებაზე აყენებდა, მეტი რომ აღარ იქნება, თუმც გამტყუნებით არც არავის ამტყუნებდა და კიდეც მოელოდა ახალ რეფორმატორს, რომელიც სრულიად ახალ სადინარს მოუძებნიდა ქართული ლექსის მდინარებას, ისევე, როგორც თვითონ გამოეჩინა რეფორმატორობა და თამამად შეექცია ზურგი მანამდელი ნაკადებისათვის, რომელთაც აღტაცებით შეჰყურებდა როგორც მკითხველი, მაგრამ იმ გზას ვერ გაჰყვებოდა როგორც პოეტი — რუსთველური და ბარათაშვილური ნაკადები თავისთავად მოითხოვდა რაღაც ახლის გამოჩენას და ეს „რაღაც" აკაკისეული გამობრწყინება უნდა ყოფილიყო, ახალი მდინარების სათავედამდები.

ნიკოლოზ ბარათაშვილიც ბაგრატიონთა გვერდითი შტოდან რომ წარმომდგარიყო, ეს კი ყველასათვის გახლდათ ცნობილი, მაგრამ შოთა რუსთველის ბაგრატიონობა საიდუმლოებით მოცული რჩებოდა, ვიდრე პავლე ინგოროყვა გახსნიდა ამ იდუმალ კვანძსაც და

დაადასტურებდა, „ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედი სამეფო საგვარეულოს გვერდითა შტოს რომ ეკუთვნოდა, და კიდეც უნდა აღტაცებულიყო ამ აღმოჩენით ნიკო მარი და... ძალიანაც უნდა შეხარბებოდა ახალგაზრდა მკვლევარისა: ამას მე უნდა მივმხვდარიყავი, მე მეგრძნო, მე მეძია დასამტკიცებლად შესაფერისი საბუთებიო!.. — თან ისე ხშირად იმეორებდა და ისეთი გაბრწყინებული თვალებით, ერთგვარ სინანულს ხუმრობაში გამოატარებდა... თავი რომ ენუგეშებინა.

აკაკი რომ მოსწრებოდა ამ აღმოჩენას, ჰოი ისიც რარიგ აღტაცდებოდა, და თუ შეხარბებითაც შეეხარბებოდა, ხუმრობაში ის გამოატარებდა თუ გამოატარებდა, ეგებ შორიდანვეც რომ მიეძახა ახალგაზრდა მკვლევარისათვის: პაპის პაპის პაპის პაპა მაპოვნინე და ეგააო.

პოეტური წინაპარი სისხლისმიერ წინაპრადაც უნდა განეცადა უკვე — თურმე ეს სამივე ერთი ბუდისანი რომ ყოფილიყვნენ.

როდესაც პავლე ინგოროყვა ისე გამოჰკვეთდა შოთა რუსთველის პიროვნებასა და ბიოგრაფიას, რომ უმეფობის ხანაში ერის მეთაურად და ქვეყნის მამად სწორედ ის წარმოდგებოდა, გუნებაში უთუოდ გაუკრთებოდა ახალი დროის ერის მამათა სახებანი — ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლისა, და ეს სახებანიც გაუკაფავდნენ გზას რუსთველის გამქრალ ბიოგრაფიასთან მისაახლოებლად, ნამცეცებისა და კენჭების მოსაძიებლად, რათა ფეხის მოსაკიდებელი ჰქონოდა ეპიკოსის მონუმენტური პორტრეტის გამოსაძერწად.

ეს მიგნება კიდევ უფრო გადააჯაჭვავდა აკაკის ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოსთან — რუსთველსაც იქ რომ დაიგულებდა, და... მეფურადაც უფრო ხშირად მიმოიხედავდა ხოლმე — კიდევ უფრო მეტი სიამაყით აღვსილი.

და კიდევ უფრო კანთიელადაც და გულდასაწყვეტადაც გააცნობიერებდა, რომ:

სამეფო ტახტი ჰქონდა და... არა ჰქონდა.

და რომ:

ქვეყანა ჰქონდა და... არა ჰქონდა.

ეგაა ამის თაობაზე ვერა ხუმრობდა და ვერა, თორემ სხვა საჯავრელს რა გულიანი სიცილით გაიქარვებდა ხოლმე:

ცოლი რომ ჰყავდა და... არა ჰყავდა.

შვილი რომ ჰყავდა და... არა ჰყავდა.

პენსია რომ ჰქონდა და... არა ჰქონდა.

ეს პენსია მაინც რაღა იყო, ის მაინც რატომ უნდა გახდომოდა სადარდებელ-სადავიდარაბო...

ნატალია ბაზილევსკაიას ივანე ელიაშვილი დაახასიათებდა როგორც: ლამაზ ქალს, გულკეთილსა და ქმარ-შვილის მოსიყვარულეს, მაგრამ ამასთან... ნამეტნავად აბეზარს, ისე გადაჭარბებულად რომ ზრუნავდა ქმარ-შვილზე, აკაკი ვერც კი უძლებდა მის ამ ზედმეტ მზრუნველობას და... გაექცეოდა ხოლმე.

ეს აბეზრობა რითი გამოიხატებოდა და:

ცოლთან ყოფნისას აკაკის არ შეეძლო ისე დამჯდარიყო, როგორც სურდა, ისე ეჭამა, როგორც უნდოდა, ისე გაეტარებინა დრო, როგორც მოინებებდა.

ყოველ მის მიხრა-მოხრასა და სურვილს ნატალია სახიფათოდ, აკაკისათვის მავნედ რაცხდა და ესწრაფოდა თავის ნებაზე მოეწყო მისი ცხოვრება, თვით ყოველი წვრილმანიც.

პირად წერილებში ასე რომ ეფერებოდა ცოლს?

მის გვერდით კი ვერა ძლებდა და...

საქართველო ნატალიასა და ალექსის სულ არ უყვარდათ?

უყვარდათ, როგორ არაო, — გვამცნობდა ივანე ელიაშვილი, — ოღონდ... შორიდანო. და ამით ყველაფერია ნათქვამი.

აქაურობას რატომ ვერ შეეგუნენ?

ექიმისა და მწერლის აზრით: რუსეთში ნატალიას ბევრი შეძლებული ნათესავი ჰყავდა, რომელნიც ხელს უმართავდნენ, აქ კი რითი უნდა ეცხოვრათ, როდესაც აკაკიც მშიერ-მწყურვალი იყო?!.

ამ შემთხვევაში მემუარისტი დაეყრდნობოდა ნატალიას სიტყვებს, თორემ ყოფითი რეალობა სულ სხვაგვარი უნდა ყოფილიყო — ნათესავებს მისთვის ხელი რომ გაემართათ, აკაკის სულს არ ამოხდიდა დაუსრულებელი მოთხოვნით: ფული, ფული და ფული...

რა მემკვიდრეობა მიეღო აკაკის დედ-მამისაგან, ან რა შემოსავალი ჰქონდა მამულ-დედულიდან?

ბევრი არაფერიო, — გვამცნობს მემუარისტი, რათა იქვე დაურთოს, — ნატალია პეტრეს ასულს კი დიდი მზითვი ჰქონდა, რომელიც ცოლ-ქმარმა... თანაბრივ გაანიავეს, ეტყობა, მოკლე ხანშიო.

სულ ბავშვი მივთხოვდი აკაკისო, — შემოსჩივოდა ნატალია, — 17 წლისა, და ამიტომაც ჯერ კიდევ „კომპანიონკა“ მყავდა და რასაკვირველია ფულის ყადრისა და ანგარიშისა არა გამეგებოდა რა. ჯვრისწერის შემდეგ აკაკის ხშირად მოჰქონდა ხოლმე რაღაც ნახევრად დაბეჭდილი სახელმწიფო ქაღალდები, რომელზედაც ხელს მაწერინებდა. მაშინ არ ვიცოდი, ახლა კი ვიცი, რომ ის ყოფილა ვექსილები. დროგამოშვებით მიჰქონდა ჩემგან შინაგანი სესხის ოთხპროცენტიანი ობლიგაციები, რომლებიც ბლომად ელაგა ჩემს ყუთში. მაშინ არც ის ვიცოდი, რომ ეს ობლიგაციები აკაკის მიჰქონდა ვალების გასასტუმრებლად. მართალია ჩვენ მაშინ მდიდრულად ვცხოვრობდით, მაგრამ როგორც ახლა გამეგება, დიდ ფულს ხარჯავდა თვითონ აკაკი, ალბათ ბანქოს თამაშში კლუბებსა და კერძო ოჯახებშიო.

ერთ დღესაც ქმარი გამოუცხადებდა: საქართველოში უნდა წავიდეთო.

ამას ძალიან გახარებოდა და მოუთმენლად მოელოდა გამგზავრების დღეს.

აგერ ბილეთებსაც მიუტანდნენ და აკაკი ნატალიასა და მის „კომპანიონკას“ სადგურში რომ გაისტუმრებდათ, ცოლს ეტყოდა:

— რაღაც საქმეზე მივდივარ და სადგურში მოვალ.

ესენი მივიდოდნენ სადგურში, დალაგდებოდნენ და ნატალია მოუთმენლად დაელოდებოდა ქმარს. ჩამოჰკრავდნენ ზარს ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, მატარებელი დაიძროდა და... აკაკი კი არსად ჩანდა. ნატალია აღელდებოდა და ასე მღელვარებით გაშორდებოდა იქაურობასაც და მრავალ სადგურსაც, ვიდრე საკვანძო სადგურს მიაღწევდა, სადაც უნდა ჩამოსულიყვნენ და დალოდებოდნენ აკაკის, რომელიც დეპეშით ურჩევდა იქ დაცდას.

ლოდინი — რა გგონიათ — ორ-სამ დღეს მოუწევდათ.

სადგურისა და კვანძის ადმინისტრაცია დიდ პატივს სცემდა, როცა გაიგებდა ქალისა და მისი „კომპანიონის“ მდგომარეობას და პოეტის ასეთ დაუდევრობას.

აგერ აკაკიც გამოჩნდებოდა და... მხიარულად განაგრძობდნენ მგზავრობას.

ეს დაგვიანება დაუდევრობით მოსვლოდა?

რა დაუდევრობა, რომელი დაუდევრობა:

წამოსვლის დღეს... დაეტუსაღებინათ ვალის გადაუხდელობის გამო და მალევე კი გამოეშვათ თავდებობის წყალობით.

მემუარისტი დაუჯერებდა ამ ნაამბობს, რაკიღა ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ ნატალია ფრიად გულუბრყვილო გახლდათ სიბერეშიაც და... ახალგაზრდობისას ხომ გულუბრყვილო იქნებოდა, აბა რა იქნებოდა!..

მუდამ კონფეტებს ჭამდა და ცხოვრებისა არა გაეგებოდა, ნამდვილი „ინსტიტუტკა“ იყო და საქმეც რომანების კითხვის მეტი არა ჰქონია რაო.

შვილზე კი ძალიან, ზრუნავდა და დედა-შვილს უერთმანეთოდ არც გაეძლებოდათ. ისინი ჩვეულებრივ ფრანგულად ლაპარაკობდნენ, სხვების თანდასწრებით კი რასაკვირველია რუსულად.

თუმც აკაკისთან კარგა ხანია მეგობრობდა ივანე ელიაშვილი, მაგრამ ნატალია ჯერ არ ენახა. ერთიმეორეს შორიდან იცნობდნენ, ეგაა და ეგ. ერთ ზაფხულს, ბაქოში ცხოვრების დროს, ივანეს ცოლ-შვილი აბასთუმანში ეყოლებოდა. შუაზაფხულში ისიც გამოექცეოდა ბაქოს სიცხეს და ტფილისში შეჩერდებოდა, რადგანაც აკაკის ოჯახობა იქ ეგულებოდა —

„სეევრნიე ნომერაში" იდგებოდნენ. სწორედ შუადღისას, დიდი სიცხისას, მაინც შავ სერთუკში გამოეწყობოდა და გასწევდა აკაკისაკენ.

ნატალიას ფრიად ეამებოდა მისი ნახვა და მეგობრულად მიიღებდა:

— ჩემი აკაკის მეგობარი ჩემი მეგობარიც არის. იმდენი კარგი გამიგონია აკაკისაგან თქვენს შესახებ, რომ შორიდან პატივს გცემდით და თქვენს ნახვას ვნატრობდი, ოღონდ ის კი არ მომწონს, რომ ასე გაკვრით გხედავთ და საკმაო ხნით ვერ დავტკბებით თქვენი ყურადღებით.

მიუალერსებდა სწორედ იმ დროს, როდესაც ივანე ადგომასა და გაქცევას აპირებდა თავიდან ფეხებამდის ოფლში გაწურული. თავს შეიკავებდა კიდევ ცოტა ხნით და მერე კი ადგებოდა წასასვლელად. დიასახლისი სთხოვდა კიდევ ცოტა ხნით დარჩენას და ისიც დაემორჩილებოდა.

აკაკი გამოესარჩლებოდა:

— ნატალკა, ეს ხომ თავისუფალი კაცია, მოდი ნუღა შეაწუხებ ამ სიცხეში და გაუშვი. ვიცი, რომ იტანჯება სერთუკში და შენი ხათრით კი არ იმჩნევს.

წამოსვლისას აკაკი გამოაცილებდა და ეტყოდა:

— ახლა ხომ იგემე ჩემი ცოლის აბეზარობა, შენ რომ ასე გეპყრობა, აბა ჩემთვის რა დღე უნდა დაეყენებინა მთელს ჩემს სიცოცხლეში.

ეს თავაზიანად შეესიტყვებოდა:

— მე დიდად კმაყოფილი ვარ ამ შეხვედრით და ვწუხვარ, რომ ასე ჩქარა უნდა გაგშორდეთ.

— ეგ სხვა საქმეა, — მიუგებდა აკაკი.

...რა იყო მაინც, აკაკი ცოლის გვერდით ისე რომ ვერ დაჯდებოდა, როგორც სურდა, ისე ვერ ჭამდა, როგორც უნდოდა, ისე ვერ ატარებდა დროს, როგორც ენება?!.

* * *

1964 წელს საბჭოთა ხელისუფლება ქართული კულტურის წარმომადგენელთა ერთ ჯგუფს მიავლენდა დელეგაციად პარიზში. — ეს სტუმრობა, რომელიც პოლიტიკურ მიზანს ისახავდა — ქართველ ემიგრანტებთან დაახლოებისა, მათი განწყობილების შესწავლის და თანდათანობითი გადმობირებისაც, ამოეფარებოდა კულტურულ-ჰუმანისტურ მიზნებს. დავალება საპასუხისმგებლო გახლდათ და ამიტომ დელეგაციის წევრებად ყოველმხრივ შემონმებულ ადამიანებს შეარჩევდნენ, საბჭოთა რეჟიმისათვის სავსებით მისაღებ და ვალმოხდილ მწერლებსა და მეცნიერებს.

პარიზში მცხოვრებ ქართველთა რაოდენობას რომ იკითხავდნენ, ათას კაცს დაუსახელებდათ იქაური სათვისტომოს თავმჯდომარე ლევან ზურაბიშვილი, უმცროსი ვაჟი ივანე ზურაბიშვილისა და შვილიშვილი ნიკო ნიკოლაძისა. განათლებით სამთო ინჟინერი პირველი გამოსაუბრებისთანავე ჭკვიანი, სერიოზული, სოლიდურად განსწავლული კაცის შთაბეჭდილებას დატოვებდა დელეგაციის წევრებზე. იგი არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ ეკუთვნოდა და სწორედ როგორც უპარტიოს, ყველაზე შესაფერის კანდიდატად ამიტომაც ცნობდნენ სათვისტომოს თავმჯდომარის თანამდებობაზე.

პარიზულ დღეებში დელეგაცია შეხვდებოდა იქაურ თანამემამულეებს და ეს შეხვედრები ხან კერძო და პირადი ხასიათისა იქნებოდა და ხანაც უფრო „მასობრივი" და „კოლექტიური". შინ ესტუმრებოდნენ ზოგიერთ მათგანსაც, სადაც გულწრფელი ქართული სტუმართმოყვარეობით მიიწვევდნენ და დახვდებოდნენ.

რასაკვირველია სწორედ ამ მიზნით რომ არა ყოფილიყვნენ მივლენილნი, ეს გაცხოველებული ურთიერთობა კი არა, ერთ ქართველ ემიგრანტსაც ვერ მოჰკრავდნენ თვალს, და თუ რომელიმე ამათგანი — ფანტასტიკურ რაღაცას ვამბობ, ისეთი ადამიანები შეერჩიათ — მოინდომებდა კავშირის გაბმას რომელიმე ემიგრანტთან, ძალზე ძვირად დაუჯდებოდა უბრალო გასაუბრებაც კი.

ისიც წინასწარვე იყო გათვლილი და შესაფერისადაც ნამუშევარი, რომ საფრანგეთში ამათი ჩასვლის მეორე დღესვე — „შემთხვევით" კვირადღე რომ დაემთხვეოდა — ქართულ ეკლესიაში შეკრებილთ შეეტყოთ პარიზში მათი ყოფნა.

ეს პატარა ეკლესია ერთადერთი შესაკრები ადგილი გახლდათ პარიზელ ქართველთათვის. სხვა რაიმე დაწესებულება — კლუბი ან საკრებულო — მათ არ გააჩნდათ, ამიტომაც ერთმანეთთან შეხვედრის სურვილს კვირაობით მოჰყავდა ისინი ამ ეკლესიაში.

როდესაც ბესარიონ ჟღენტი ამ ყოველივეს გაიხსენებდა მემუარული ყაიდის ნარკვევში „ძვირფასი შენაძენი აკაკის ბიოგრაფიისათვის“, ეკლესიაში შეკრების ხსენებისთანავე ჩაურთავდა: არა იმდენად ღვთისმსახურების მიზნით, არამედ — წირვის დამთავრებისთანავე ერთმანეთს რომ ესაუბრონ და ზოგჯერ მის ეზოში კრებებიც გამართონ სხვადასხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი საკითხის განსახილველადო.

ესეც პირველი შემთხვევა საფრანგეთში ქართველ მოღვაწეთა ასე ერთობლივი ჩასელისა. და ცნობისწადილს ის გარემოებაც უძლიერებდათ, რომ:

— ჩვენ არათუ გავურბოდით პარიზელ თანამემამულეებთან შეხვედრასა და საუბრებს, — პირიქით, მზად ვიყავით ფართო ინფორმაცია მიგვეწოდებინა მათთვის საბჭოთა საქართველოს დღევანდელ სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაზე, სამშობლოში დარჩენილი მათი ნათესავებისა და ნაცნობ-მეგობრების შესახებ, მათთვის საინტერესო ყოველგვარ საკითხზე.

ადვილი მისახვედრია, რაც იქნებოდა ის „ფართო ინფორმაცია“, საგანგებოდ შემუშავებული პარიზელ ქართველთა დასაბნევად და მათ წრეში წინააღმდეგობისა და უთანხმოების გასაჩენადაც, არაერთს ეგებ დაბრუნებაც რომ მოეწადინებინა... ან იქვე დარჩენილიყო და დასაყრდენი გამხდარიყო საბჭოთა ხელისუფლებისათვის, ზოგიერთი უკვე აღიარებული სახელისა არ იყოს.

დელეგაციის დასაბინავებლად შერჩეული პატარა სასტუმროს ვესტიბიული აივსებოდა მათთან შესახვედრად მოსული ქართველობით. დელეგაციის წევრთაგან ზოგიერთი რომელიმეს პირადი ნაცნობი გახლდათ, ყოფილი თანაკლასელი თუ თანაკურსელი, მეზობელი თუ ამხანაგი, რომელნიც ორმოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში აღარ ენახათ და აღარც მიმოწერა თუ სხვა სახის ურთიერთობა ჰქონდათ.

ესენი შესთავაზებდნენ სტუმრებს მათთვის საგანგებოდ წამოღებულ „ვეფხისტყაოსნისა“ თუ „დედა-ენის“ ეგზემპლარებს, ქართველ კლასიკოსთა თუ თანამედროვე მწერალთა წიგნებს, საქართველოს ბუნებისა და მისი დღევანდელი ცხოვრების ამსახველ ფოტოალბომს, ფირფიტებს, რომელზედაც აღბეჭდილიყო ქართული სიმღერები, ხალხური თუ აკადემიური მუსიკის ნიმუშები.

იმ იმპროვიზებულ შეხვედრაზე თავიანთ ლექსებს წაიკითხავდნენ კარლო კალაძე და იოსებ ნონეშვილი, გივი გაჩეჩილაძე კი წაიკითხავდა ლადო ასათიანის პატრიოტული ლირიკის რამდენიმე ნიმუშს.

დასჭირდათ, არა, საბჭოთა იდეოლოგებს ლადოს ლექსები თავიანთი მიზნებისათვის, ოდესღაც პირველ პოეტურ კრებულს რომ დაუჭრიდნენ და კიდეც გადააყოლებდნენ იმ წიგნს, ნანინანატრს?!.

ხოლო გივი გაჩეჩილაძეს თავის მხრივ უხაროდა, ლადო ასათიანის ლექსები რომ გახმიანდებოდა პარიზის ცის ქვეშ, სამშობლოს დანატრებულ ქართველთა წრეში.

შეხვედრა შემდეგ გაგრძელდებოდა სახელგანთქმულ კაფე „როტონდაში“... გვიან ღამით კი დაათვალიერებინებდნენ პარიზს და პართენონის მახლობლად გიორგი ნოზაძე აჩვენებდათ კედელს, რომელზეც პირველი მსოფლიო ომის წინ საფრანგეთში მყოფი პაოლო იაშვილი ქართულად წააწერდა:

— გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

ეს წარწერა თითქმის ნახევარი საუკუნე გაუძლებდა ქარ-წვიმას, ახლა კი მისი კვალი ოდნავღა შეიმჩნეოდა და ძლივძლიობით თუ ამოიკითხებოდა.

საფრანგეთიდან გამომგზავრების წინა საღამოს ემიგრანტები დიდ შეხვედრას მოუწყობდნენ ქართულ-საბჭოურ დელეგაციას ერთ-ერთ მდიდრულ რესტორანში. ეს ნადიმი გაიმართებოდა პარიზის ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირის თაოსნობით, რევაზ გაბაშვილი რომ თავმჯდომარეობდა. ბესარიონ ჟღენტი მას მოიხსენიებდა ჩვენი სახელოვანი მწერალი ქალის ეკატერინე გაბაშვილის შვილად და მენშევიკური საქართვე-

ლოს თვალსაჩინო პოლიტიკურ მოღვაწედ, აგრეთვე ბურჟუაზიულ-ნაციონალური პარტიის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ყველაზე მემარჯვენე ფრთის წარმომადგენლად.

იმჟამად იგი ღრმად მოხუცებული გახლდათ და პოლიტიკურ სარბიელს ჩამოცილებული, უპირატესად ქართული კულტურის მსოფლიო მნიშვნელობის საკითხებს ამუშავებდა. საღამოს ვერ დაესწრებოდა და მის ნაცვლად უმასპინძლებდათ მისი მოადგილე გიორგი ყიფიანი. ლევან ზურაბიშვილიც რომ დაესწრებოდა ლხინის სუფრას, ეს თავისთავად.

პარიზელ ქართველთა კულტურული მოღვაწეობის განსაკუთრებით საყურადღებო და მნიშვნელოვან მოვლენად ნარკვევის ავტორი მოიხსენიებდა კალისტრატე და ნინო სალიების მიერ დაარსებულ ქართველოლოგიურ ჟურნალს „ბედი ქართლისა“, მთლიანად სამეცნიერო-საკვლევაძიებო ხასიათისა რომ გახლდათ და საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ხელოვნებათმცოდნეობის, ლიტერატურის ისტორიის პრობლემებს ამუშავებდა და აშუქებდა. იბეჭდებოდა ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე და ევროპელ ორიენტალისტთა წრეებში გარკვეული ავტორიტეტი და პოპულარობაც მოეპოვებინა. „ბედი ქართლისას“ თავის გარშემო შემოეკრიბა უცხოელი ქართველოლოგები და მისი ძირითადი თანამშრომლები და სარედაქციო საბჭოს წევრები უმთავრესად ეს მეცნიერები იყვნენ — ქართული კულტურის ეს უცხოელი მეგობრები და ენთუზიასტები.

განსაკუთრებულად მოიხსენიებდა ვიკტორ ნოზაძესაც: საქართველოს მეცნიერული და ლიტერატურული წრეებისათვის საკმაოდ ცნობილია ის დიდი კვლევითი მუშაობა, რომელსაც იგი ეწევა რუსთველოლოგიის დარგში — შარშანწინ თავისი კაპიტალური ნაშრომის მეხუთე ტომი გამოაქვეყნა, „ვეფხისტყაოსნის“ ღვთისმეტყველებისადმი მიძღვნილი, ამ ეპიკური ქმნილების რელიგიურ-ფილოსოფიურ შინაარსსა და მსოფლმხედველობას რომ იკვლევსო.

თვალსაჩინო წვლილიო.

დიდად დასაფასებელია ის იშვიათი თავდადებაო.

არამცთუ რაიმე მატერიალურ ანაზღაურებას არ მოელის ამ დიდი მეცნიერულ-კვლევითი მუშაობისათვის, არამედ თავისი ხელით ბეჭდავს, კინძავს სქელტანიან ტომებს, თვითონვე ზრუნავს შრიფტისა და ქაღალდის შეძენისათვის, გამოცემის გავრცელებისათვის, რომლის მკითხველთა წრეც და შესაბამისად ტირაჟიც მეტად შეზღუდული და მცირერიცხოვანიაო.

ვიკტორ ნოზაძის ლიტერატურული საქმიანობიდან მოიხსენიებდა ჟურნალ „კავკასიონსაც“.

პოეტური ოსტატობის თვალსაზრისით გამოაცალკევებდა გიორგი გამყრელიძის, გიორგი ყიფიანისა და ევტიხი აბულაძის ლექსებს.

მხატვრული პროზის დარგში საგანგებოდ აღნიშნავდა სტეფანე კასრაძის მოთხრობას „ბაჯადო“, რომლის წაკითხვასაც ბესარიონ ჟღენტის გულში გამოეწვია წრფელი სინანული, რომ ამ უეჭველად ნიჭიერ მწერალს უაზროდ დაეღუპა თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობანი ემიგრაციაში გადახვეწით.

ცხადია ვერ აცდებოდა გრიგოლ რობაქიძის ხსენებას. შესაძლოა დუმილით აევლო გვერდი, მაგრამ მწერლის გარდაცვალების შემდგომ ქართულ საზოგადოებაში გაჩნდებოდა ილუზია, რომ ახლა მაინც შეიძლებოდა ზრუნვა მისი რეაბილიტაციისათვის. რუსი მწერლები, შეურიგებლად დაპირისპირებულნი საბჭოთა რეჟიმსა და იდეოლოგიას, დასავლეთის ქვეყნებიდან რომ არ აკლებდნენ მწარე და მწვავე შემოტევებს კომუნისტურ რუსეთს, თუკი შევრდომილნი იქნენ მათი გარდაცვალების მერე, ვითომ გრიგოლ რობაქიძეს რა დაეშავებინა ისეთი — ოდესღაც დაწერილი პოლიტიკური პამფლეტები ადოლფ ჰიტლერსა და ბენიტო მუსოლინიზე რაღა ანგარიშში ჩასაგდები იყო?.. და მაშ მის მხატვრულ მემკვიდრეობასაც უნდა გახსნოდა კარი სამშობლოში დასაბრუნებლად.

მიამიტური ოცნება გახლდათ, კიდევ ვერ წარმოედგინათ, რომ რაც ნებადართული იყო რუს მოკალმეთათვის, მკაცრად იკრძალებოდა ქართველი მწერლის მიმართ, არამცთუ მისი შემოქმედების დაბრუნება, სახელსაც არ უნდა ეტრიალა და კვლავინდებურად მკაცრად გასაიდუმლოებული დარჩენილიყო.

გამონაკლისი აღმოჩნდებოდა ეს ნარკვევი, ოღონდ, რასაკვირველია, არასახარბიელოდ უნდა წარმომდგარიყო გრიგოლ რობაქიძე: სამშობლოსაგან განდგომილობის ტრაგედია მწვავედ იგემა ასეთი შემოქმედებითი პოტენციის მქონე მწერალმა, რამდენიმე საკმაოდ გახმაურებული რომანის ავტორი აუტანელ მარტოობაში, სულიერ ტანჯვასა და ნივთიერ გაჭირვებაში გარდაიცვალა ჟენევაში. ისე, რომ მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ გაუგიათ მისი სიკვდილი. შვეიცარიის მთავრობას დაუპირებია აუქციონით გაეყიდა მისი პირადი არქივი და ხელნაწერები იმ ხარჯების დასაფარავად, რომელიც მას მოწყალების სახით გაუღია გრიგოლ რობაქიძის სარჩენადო.

„კავკასიონის“ მასალებიდან განსაკუთრებული ყურადღებითა და მოწონებით აღნიშნავდა გიორგი ნოზაძის ვრცელ ნარკვევს „ივერიელთა მონასტერი ათონზე“, ავტორს საგანგებოდ რომ ემოგზაურა საბერძნეთში, დაწვრილებით დაეთვალიერებინა ათონის ივერთა მონასტერი და ღრმა ცოდნით, დაკვირვებით, ყოველმხრივ გაშუქებით აღეწერა ძველი ქართული კულტურის ეს ერთ-ერთი შესანიშნავი კერა.

ნარკვევის ენასა და სტილს შეეფასებდა როგორც საუცხოოს და... დასძენდა საბჭოური სუნთქვით გაჟღენთილ სტრიქონებს: მასში ნატამალიც არ არის წვრილმანი პოლიტიკანობისა, იმ უაზრო და უნაყოფო დემაგოგიისა, რომელიც ხშირად გვხვდება „კავკასიონის“ ფურცლებზე. ჟურნალში მოთავსებულ ნეკროლოგებში, ზოგიერთ კრიტიკულ წერილს, ლექსსა და სხვა ხასიათის მასალებში მკაფიოდ გამოხატული დრომოჭმული, იაფფასიანი და უაზრო ანტისაბჭოური გამოხდომები ცხადია ამდაბლებენ ამ გამოცემის ლიტერატურულ ღირებულებას და ვერც ამ მასალათა ავტორების შემოქმედებით უმწეობას ფარავენო.

გიორგი ნოზაძეს იმისთვისაც ემადლიერებოდა, რომ მისი წყალობით შეიტყობდა: ერთ ქართულ ოჯახში ინახება დღემდე უცნობი კოლექცია აკაკი წერეთლის წერილებისა ცოლისა და შვილისადმიო.

1943 წელს საფრანგეთში გარდაიცვლებოდა აკაკის ვაჟი ალექსი, რომლის პირად არქივსაც შემორჩებოდა პოეტის ხელით რუსულად დაწერილი 90-მდე პირადი წერილი თავისი სახლობისადმი.

ბუნებრივია, რომ ბესარიონ ჟღენტი დაინტერესდებოდა ამ ცნობით:

როგორიც უნდა ყოფილიყო ამ ბარათების შინაარსი, დიდი პოეტის ხელით შედგენილი ესოდენ მრავალრიცხოვანი დოკუმენტი თავისთავად უნდა მიგვეჩნია ძვირფას ისტორიულ ლიტერატურულ განძად, იშვიათ რელიკვიადო.

და სთხოვდა გიორგი ნოზაძეს, გამოერკვია: რამდენად შესაძლებელი იქნებოდა ამ წერილების ასლის გადაღება სამშობლოში წამოღებისა და გამოქვეყნების მიზნით.

პარიზიდან გამომგზავრების წინა საღამოს თავის პატარა საბაყლო სავაჭროში მიიწვევდა ვალიკო ჩუბინიძე, რომელსაც ნაცადი საბჭოთა კრიტიკოსი ბავშვობიდანვე იცნობდა როგორც თანასოფლელს. ჭიათურის მარგანეცის წარმოებაში მუშაობდა ვაგონების მტვირთავ მუშად, მენშევიკურ პარტიაშიც გაწევრიანებულიყო და სახალხო გვარდიაშიც მსახურობდა. საქართველოს დამოუკიდებლობის დამხობის — ნარკვევში ეს მოვლენა მოხსენიებულია საბჭოთა წყობილების გამარჯვებადა და მენშევიკური მთავრობის გახიზნად უცხოეთში — შემდეგ ერთხანს მონაწილეობას მიიღებდა იატაკქვეშა მოძრაობაში, 1924 წლის აგვისტოს ტრაგედიის — ნარკვევის მიხედვით: ანტისაბჭოთა ავანტიურა — მერე მოუწევდა უცხოეთში გაქცევა და შეერთება პარიზის მენშევიკურ ემიგრაციასთან.

ცხადია მოისურვებდა ყოფილ თანასოფლელთან შეხვედრასა და საუბარს ამ სოფლის დღევანდელ ყოფაზე, მის ნათესავ-ახლობლებზე, საერთო ნაცნობებზე.

იქ ბესარიონ ჟღენტსა და ეთერ გუგუშვილს დახვდებოდათ ორი ქართველი, რომლებიც მიიწვევდნენ მახლობელ კაფეში: ფრიად სერიოზული საქმის გამო გელოდებიანო.

იქ კი შეეგებებოდათ რამდენიმე ქართველი, მათ შორის მიხეილ სტურუაც, რომლის ოჯახშიც ინახებოდა აკაკის ბარათების კოლექცია. და ახალგაცნობილი ქართველები განუცხადებდნენ, რომ:

ისინი დაინტერესებულნი იყვნენ, რათა საქართველოს არ დაკარგვოდა ქართული მწერლობის ისტორიისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი საგანძური. დიდი ხანია განზრახული

ჰქონდათ ამ წერილების გამოგზავნა სამშობლოში, მაგრამ ელოდნენ ხელსაყრელ შემთხვევას, ასეთი საქმისათვის საიმედო და სანდო პიროვნებას. და აი ისინი ბესარიონ ჟღენტს, როგორც საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანს, გადასცემდნენ ამ მასალას, რათა ჩამოეტანა სამშობლოში და დაებინავებინა შესაფერის ლიტერატურულ თუ სამეცნიერო დაწესებულებაში და ღირსეული ადგილიც მიეჩინა ქართული კლასიკური მწერლობის ისტორიის პირველწყაროთა შორის.

ეს გულითად მადლობას მოახსენებდათ ასეთი ნდობისათვის, უფრო კი იმისათვის, რომ გულმოდგინედ დაიცვეს დიდებული პოეტის ეს მემკვიდრეობა და კუთვნილებისამებრ გამოუგზავნეს სამშობლოს.

სათანადო ხელწერილსაც მისცემდათ და ჩაიბარებდა ძვირფას განძს.

მართლაც იოლი მისახვედრია, თუ როგორი მოუთმენლობით, დაძაბული ყურადღებითა და მღელვარებით გაეცნობოდა მთელი ღამე აკაკის ეპისტოლური მემკვიდრეობის ამ ნაკადს.

პირველივე შთაბეჭდილება ის დარჩებოდა, რომ:

ბარათებში ლაპარაკი იყო უმთავრესად პირად-ოჯახური ურთიერთობის ირგვლივ და მხოლოდ იშვიათად, აქა-იქ თუ იჩენდა თავს ესა თუ ის საზოგადოებრივი მოვლენა, საზოგადოებრივი მნიშვნელობისა და აქტუალობის რაიმე საკითხი.

— ჩანს, ცოლსა და შვილს იმდენად შორეული კავშირი ჰქონიათ დიდი პოეტის საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან, მის შემოქმედებითს ცხოვრებასთან, მის მასულდგმულებელ იდეალებთან, მაღალ პატრიოტულ და ჰუმანისტურ იდეებთან, რომელთაც ასე მთლიანად შესწირა თავისი სიცოცხლე და ტიტანური ნიჭი აკაკი წერეთელმა, მაგრამ ყოველივე ამის შესახებ თითქმის სრულიად არაფერია თქმული ამ წერილებში.

და ამგვარ შთაბეჭდილებას ძალდაუტანებლად უნდა მოჰყოლოდა ეს შეფასებაც:

— უკვე ეს გარემოება საკმარისია იმისათვის, რომ გავითვალისწინოთ მთელი სიღრმე და სიმწვავე ტრაგედიისა, რომელსაც პირადი ცხოვრების, ოჯახური ურთიერთობის სფეროში განიცდიდა დიდი პოეტი — მას არ შეეძლო თავისი ყველაზე ძვირფასი და უწმინდესი აზრები და მისწრაფებანი გაეზიარებინა უახლოესი ადამიანებისათვის — ცოლისა და ერთადერთი შვილისათვის.

ბარათები ხელშესახებად ადასტურებდა პოეტის იმ მწარე გულისტკივილს, ხუმრობის საბურველში რომ გამოეხვია, რათა ცოტაოდნავ შეენელებინა მისი სიმწვავე:

ცოლი მყავს და არა მყავს, შვილი მყავს და არა მყავსო...

სხვა არაერთი რამეც არსებობდა, რაც ჰქონდა და არცა ჰქონდა — თუნდ ქუთაისის ბანკის მიერ დანიშნული პენსია, თუნდ უმაღლესის დამთავრების დიპლომი, თუნდ სახლ-კარი ქალაქად, ქუთაისი იქნებოდა თუ ტფილისი... პარადოქსებით დაქსელილ მის ცხოვრებას ამისთანა მოულოდნელობანი აღარ უკვირდა, მაგრამ ეს მაინც რაღა იყო, ამ მხრივ მაინც რატომღა გაემეტებინა ასე უბედო ბედს, რომ: ოჯახი ჰყოლოდა და არა ჰყოლოდა.

მთელი სიღრმე და სიმწვავე ტრაგედიისაო...

ამჯერად არას აჭარბებს ბესარიონ ჟღენტი.

ბარათებში ცოტა რამ რომ მოიპოვებოდა ისეთი, რაიმეს რომ ჰმატებდა ჩვენს ცოდნას პოეტის მსოფლმხედველობაზე, მისი შემოქმედებისა და მრავალმხრივი მოღვაწეობის ხასიათზე, აზრსა და შინაარსზე?

თავს ინუგეშებდა ნაცადი კრიტიკოსი და მკითხველსაც ამშვიდებდა:

მაინც ამ მხრივაც წერილებში ზოგი რამ საყურადღებო და მნიშვნელოვანი ამოიკითხებაო.

ზოგიც და... საკმაოდ ბევრიც, როდესაც დეტალებსა და ნიუანსებში უფრო ღრმად ჩახედვის საშუალება მოგვეცემოდა აკაკის პიროვნული ფსიქოლოგიისა და ცხოვრების ფონზე. რამდენ საგულისხმო და მნიშვნელოვან რეალიას ვაგნებთ უკვე და რამდენსაც თანდათანობით მივაგნებთ. და ნურც იმ გარემოებას დავივიწყებთ, რასაც ბესარიონ ჟღენტიც აღნიშნავდა: აკაკის ურთიერთობა ცოლსა და შვილთან და მასზე აღმოცენებული განწყობილებანი ცხადია გავლენას მოახდენდა პოეტის მთელ სულიერ ცხოვრებაზე და მაშასადა-

მე მისი შემოქმედებისა და მოღვაწეობის ხასიათზეცო, — მაგრამ სათანადოდ კი ვერ შეფასებინა ამ მოვლენის საზოგადოებრივი, სწორედაც საზოგადოებრივი და არა მარტოდენ პირად-სულიერი მნიშვნელობა, თორემ ბოლშევიკურ-კომუნისტური გადასახედიდან საზოგადოებრივი ის შეიძლება ყოფილიყო, „ის მღელვარე გულისწყრომა და წრფელი აღშფოთება, რომლითაც პოეტი მოუთხრობს თავის ადრესატებს რეაქციის წლებში ცარიზმის სისხლიანი სატრაპების მიერ ჩვენს ქვეყანაში დატრიალებული ჯოჯოხეთური ვაკხანალიის შესახებ“.

ქართველ კლასიკოსთა შორის აკაკი წერეთლის შემოქმედებითი ბიოგრაფია და პირადი ცხოვრების ისტორიაც ყველაზე ვრცლად და მრავალმხრივაც რომ შესწავლილიყო ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში, სანიმუშოდ მოიხმობდა ლევან ასათიანის წიგნს „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“, რომელსაც „შესანიშნავადაც“ მოიხსენიებდა და ამასთან დასძენდა: მისი ბადალი ამ თვალსაზრისით დღემდე არ დაწერილა არცერთი ქართველი მწერლის შესახებო.

კრიტიკოსის მეხსიერებაში სადღაც მიეფარებოდა იონა მეუნარგიას ბიოგრაფიული ქრონიკები გრიგოლ ორბელიანსა და ნიკოლოზ ბარათაშვილზე, არჩილ ჯორჯაძის ხსენება აკრძალული გახლდათ, მაგრამ ნებადართულიც რომ ყოფილიყო, ნაკლებ მოსალოდნელია მისი ბიოგრაფიული ქრონიკა წამოჰგონებოდა დიმიტრი ყიფიანზე. მაშინ ხომ ვეღარ იტყოდა: ლევან ასათიანის წიგნის ბადალი დღემდე არაფერიაო...

თვალს აარიდებდა ვახტანგ ჭელიძის ბიოგრაფიულ რომანს ივანე მაჩაბელზე.

თვალს აარიდებდა ოთარ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანს ვასილ ბარნოვზე.

აღმატებულ შეფასებას კვლავაც არ დაინანებდა „აკაკი წერეთლის ცხოვრების“ მიმართ: ამ მრავალმხრივად შესანიშნავ ნაშრომში, რომელშიც მკაფიოდ და ჭეშმარიტი შთაგონებით არის ასახული დიდი პოეტის იშვიათად ვრცელი და მდიდარი ცხოვრებისეული გზაო, — მაგრამ ესეც როგორ არ აღენიშნა: აკაკის პირად-ოჯახურ ყოფას, მის ურთიერთობას ცოლ-შვილთან მცირე ყურადღება ეთმობა, და სწორედ იმიტომ, რომ პოეტის ბიოგრაფიის ამ მხარეზე დღემდე არ მოიპოვებოდა სათანადო მასალები, მისი საუკეთესო ბიოგრაფი იძულებული გამხდარა მხოლოდ იმ ცნობებით დაკმაყოფილებულიყო, რომელიც მოგვცა თვით აკაკიმ თავის უჭკნობ ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში „ჩემი თავგადასავალიო“.

არამარტო ამ ბიოგრაფიულ რომანს აკლდა ბარათების ეს სერია.

ცოტა ხნის წინათ მოთავებულიყო აკაკის თხზულებათა აკადემიური გამოცემის თხუთმეტტომეული, რომელიც ასე თუ ისე სრულად მოუყრიდა თავს მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას, რელიგიური შინაარსის პოემები თუ ძალზე მწვავე პოლემიკური სტატიები რომ დარჩებოდა ცენზურის, ზოგადად კი საბჭოთა იდეოლოგიის ძალდატანებით ტომებს გარეთ, და... თურმე ეპისტოლეთა რა ნაკადიც მოწყვეტოდა, ამ კოლექციის გარეშე საგრძნობლად რომ მოაკლდებოდა სისრულე, ჯერ მარტო აკაკის ეპისტოლურ ნაღვაწს, ახლა ერთბაშად რომ უნდა შევსებულიყო, ჯერჯერობით კი ცალკე წიგნად გამოიცემოდა სახელწოდებით „წერილები ცოლ-შვილთან“ („ლიტერატურა და ხელოვნება“, 1966) — ვანო წულუკიძის მიერ თარგმნილი, ბესარიონ ჟღენტის რედაქციითა და შესავალი ნარკვევით, პაპუნა წერეთელი შენიშვნებს რომ დაურთავდა, თუმც ცალკეულ ადამიანთა ვინაობა გაუხსნელი დარჩებოდა.

მკითხველი ყურადღებას მიაქცევს, რომ ზოგიერთი ფრაზა უთარგმნელადაა დატოვებული, ბევრიც არა, მაგრამ 8 ნიმუში კი მოიკრიბება. ეს ის პასაჟებია, როდესაც აკაკი იყენებს ანდაზებსა თუ იდიომურ გამოთქმებს, მთარგმნელი კი ვერ უძებნის შესატყვისებს და ურჩევნია პირდაპირ რუსულადვე გადმოიტანოს.

ოღონდ აქ მთავარი ისაა, აკაკი რუსულადაც რომ ცდილობს იდიომებისა თუ ანდაზების მომარჯვებას. ცდილობს თუ... ძალდაუტანებლად მოედინება მისი გულიდან და გონებიდან? ალბათ უფრო მოედინება, რაკილა ამ ენის სტიქიაშიც შესულია, ენის სტიქიის შეგრძნება კი მისთვის — და საერთოდაც — სხვა არაფერია, თუ არა იდიომებისა და ანდაზების უშურველად გამოყენება.

არ არის აუცილებელი, მაინცდამაინც მხატვრულ თხზულებას ქმნიდე, თვით კერძო წერილშიც თავისთავად შეიძლება მოწყდეს ბაგესა და კალამს იდიომიც და ანდაზაც. და ეს მაშინ — თუკი აკაკი ხარ, ანდაზებისა და იდიომების გარეშე პირადი საუბარიც რომ ვერ წარმოგიდგენია ქართულად, არამცთუ ორატორული გამოსვლებისას მოიმარჯვებდე მხატვრულ ფიგურებს.

რუსულადაც თავისთავად მოადგებოდა კალამს და... კიდეც ჩამოწვეთდა, და რა ენაღვლა, მთარგმნელს ოდესმე თუკი გაუძნელდებოდა შესიტყვებების გამოძებნა.

ნარკვევში ისიც საგანგებოდ ითქმოდა, რომ:

ჩვენს თვალწინ პირველად გადაიშლებოდა პოეტის პირად-ოჯახური ცხოვრების სურათი, განმსჭვალული ღრმა დრამატიზმით, მღელვარე განცდებით, მწვავე გულისტკივილით, რაც თურმე ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ყოფილიყო იმ პირადი მწუხარებისა, იმ სევდისა და ცხოვრებით დაუკმაყოფილებლობისა, რაც უღრმესი ემოციური ძალით გამოიხატებოდა აკაკის არაერთ ლირიკულ შედევრში, რომელთაგან სანიმუშოდ ამ სტრიქონებს მოიშველიებდა:

აღარა აქვს ბოლო ამ ჩემს სატანჯველს,
არვინ მაძლევს სანუგეშოდ ძმურად ხელს;
ჩემს შარბათში ნაღველს ვსჭვრეტ და ვარდში გველს,
მისთვის ვწყევლი და ვემდური ამ სოფელს,
რომლისგანაც მე გზები ამერია!

რათა ის დასკვნა გამოეტანა:

ცოლ-შვილისადმი მიწერილი ბარათების გაცნობის შემდეგ ჩვენთვის ნათელი ხდება, რომ ამ დაუსრულებელი სატანჯველის ერთ-ერთი მიზეზი ყოფილა პირად-ოჯახური ცხოვრების მოუწყობლობა, მუდმივი სიმარტოვე, საყვარელი ცოლ-შვილისაგან დაშორებით უბინაოდ და მიუსაფრად ყოფნა, ნივთიერი გაჭირვება, მეუღლესა და შვილთან ურთიერთობაში დაუსრულებელი მღელვარება, მწვავე წინააღმდეგობანი და უსიამოვნებანიო.

რა — ოჯახური ყოფა მოწესრიგებული და სულაც დალხინებული რომ ჰქონოდა, მისი პიროვნების დამფასებელი და სულაც მაღმერთებელი ცოლი და შვილები დახვეოდა გარს, ეს და მსგავსი გულისშემძვრელი სტრიქონები აღარ დაიწერებოდა?..

ვინ გაუქარვებდა იმ ნაღველს, ქვეყნის ყოვლგნით ხელაღუპყრობელი ყოფა რომ უღვრიდა მთელს არსებაში და მძინარსაც ამ ტკივილებს აბოდებდა?..

რას მიქვიან პირადი მწუხარებაო!..

ეს არ ყოფილა მარტოდენ მოხდენილი სტრიქონი, აფორისტული ფრაზა, მხატვრული მიგნება.

პირადი მწუხარება რომ არად მიაჩნდა და მხოლოდ საქვეყნო სატკივარს დარდობდა, ეს აკაკის ზნეობრივი მრწამსია, ეთიკური იმპერატივი!..

ოღონდ ესეცაა:

რაკიღა მის მოუწყობელი და არასახარბიელო ოჯახური ცხოვრება მოგვეხსენება, უაღრესი სევდითა და ტკივილით გაჟღენთილი სტრიქონების წაკითხვისას სადღაც შორეულად ვგრძნობთ პირადი დრამის ანარეკლსაც, საქვეყნო სატკივარს გადაჭდობილ პირად ნაღველსაც, ეროვნულ ტრაგედიას რომ შეზავებია და ჩაწნულა, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. აკაკის რანგის პიროვნებისა და შემოქმედის პირადი ცხოვრება ანკი როგორ იქნებოდა სხვაგვარად, კერძო და საზოგადო რომ აღარც განერჩეოდა ერთიმეორისაგან.

ნარკვევში შეგვხვდება მტკიცება იმისა, თუ რა უაღრესად წრფელი გრძნობით ჰყვარებოდა აკაკის თავისი მეუღლეც და ერთადერთი შვილიც, და პოეტის უნაზესი გრძნობების გამომხატველად მიჩნეულია ხელმოწერა ყველა ბარათზე:

— გკოცნით თქვენი აკაკი.

— მარად თქვენი მოყვარული აკაკი.

— კუბოს კარამდე თქვენი აკაკი.

— კუბოს კარამდე თქვენი მოყვარული აკაკი.

და დაერთვის ისიც, რომ:

პოეტი მთელი ცხოვრება მოხიბლული ყოფილა თავისი მეუღლის ადამიანური ღირსებებით, დიდად აფასებდა თავისი ვაჟის ნიჭიერებას, განათლებას, უნარსა და ენერგიას და ორივესადმი წრფელი სიყვარულითა და კეთილმოსურნეობით განმსჭვალულიყო.

კეთილმოსურნეობით — უდავოდ, მაგრამ... მოხიბვლისა და სიწრფელისა რა მოგახსენოთ. ეს გამოთქმები ბარათების ბოლოს თავაზიანობის გამომხატველი უფროა, ეტიკეტის დაცვის აუცილებლობისა, ტრადიციულად აღზრდილი კაცის თავშეკავებისა, იმ საბედისწერო შეცდომას სხვას კი არა, უპირველესად თავის თავს რომ აბრალებს, და მიუხედავად სიცივისა და გათიშულობისა, მოვალედ რომ მიიჩნევს თავს — მთელი ცხოვრება ატაროს ეს ჯვარი, რასაც ჰქვია ყოველად შეუფერებელი ქორწინება და შეუმდგარი ოჯახური ცხოვრება.

აკაკი იმ ბუნების კაცია, არამცთუ XIX საუკუნის ზნეობრივი მოთხოვნების ფონზე, XX საუკუნეშიც რომ ეცხოვრა, როდესაც განქორწინება ძალზე გაადვილდებოდა, არაფრისდიდებით არ გაუშვებდა ცოლს ოფიციალურად — მისთვის ეს ყოვლად წარმოუდგენელი იქნებოდა.

არადა:

ყოფით რეალობაში უფრო მეტი დაცილება ცოლ-ქმარს შორის აღარც შეიძლება, აკაკი წერეთელსა და ნატალია ბაზილევსკაიას შორის რომ არსებობდა.

ცდით ცდილობდა აკაკი ამ ბარიერის გადალახვას, ამ გაყინულობის გალხობას, ეს ბარათებიც, ეს მიმართვებიც სხვას განა რას მოწმობს, მაგრამ შეუძლებლის შეძლება თვით აკაკის ძალ-ღონესაც აღემატებოდა.

კუბოს კარამდე თქვენი მოყვარულიო...

ეს ნიშნავდა, რომ ზრუნვით იზრუნებდა და არაფერს დაიშურებდა არც ცოლისა და არც შვილისათვის, მაგრამ ამისთვისაც ხარკის გადახდა გახლდათ ეს მზრუნველობა და... იმათთვისაც. და ამიტომაც არ ემადლიერებოდნენ და გაუთავებლად ითხოვდნენ და საყვედურობდნენ. ანკი განა ვინ ემადლიერება მოხარკეს, სულიც რომ ამოხდეს?!.

სტრიქონსა და სტრიქონს შორის ეს ყოველივე ისე კანთიელად, ისე ხელშესახებად ამოიკითხება!..

რას გადაფარავდა ამ შინაგან შეუთავსებლობას გარეგნული თავაზიანობა.

ვერც იუმორით შემოსვლა გადაფარავდა.

1884 წლის 12 ივნისის მიწერილი ბარათის ბოლოს ნიკო ნიკოლაძეს რომ მიმართავდა: სხვა რაღა მოგწეროო, — შეპირდებოდა: ენკენისთვეში რომ ჩამოვიყვან სახლობას მანდ, მაშინ გეტყვი ყოლიფერსო, — და ასე გამოეთხოვებოდა:

— მშვიდობით ჩემო ფოლადო.

იუმორით დაუწერდა, მაკვარანცხული ქვეტექსტით, რომელიც მაინცდამაინც გამჭვირვალე არ გახლდათ და ვაითუ ადრესატი ვერც მიმხვდარიყო აკაკის შემოღიმილებას. და ამიტომაც პოსტსკრიპტუმში დაურთავდა და იქ განუმარტავდა ამ ეპითეტის შინაარსს:

— ფოლადს მიტომა გწერ, რომ ძალიან მაგონებ რკინას ორ ცეცხლშუა! — რაღა რკინა ორ ცეცხლშუა და რაღა კაცი ორცოლშუა.

აი თურმე რა ყოფილა!..

ამ განმარტების გარეშე როგორ გინდა მიხვედრილიყავი.

განმარტება განმარტებად და... თავს ვერ შეიკავებდა ეს ფრაზაც არ მიედევნებინა:

— ჩემისთანას კი ერთიც გასრესს და გიორგის ხომ ნახევარიც ეყოფა.

თავისი მოგვარისათვის რომ არ გადაეკრა, ისე როგორ იქნებოდა. ნიკოსთან მიმოწერისას ძალდაუტანებლად ახსენდებოდა ხოლმე გიორგი წერეთელიც და ხან მეგობრული ყისტი რომ არ წაეკრა, როგორ გაძლებდა, თუნდ 1885 წლის 11 ნოემბერს რომ ხითხითებდა: გიორგის ურჩიეს ერთხელ, შენი დრამა გადააკეთე, თორემ მოძრაობა არ არის შიგო. იმანაც აიღო და რამდენიმე პირი ჩაურთო უხმოდ, რომელნიც ატეხილ კატებივით გარბი-გამორბოდნენ სცენაზე, ვითომ მოძრაობააო, და პუბლიკაც კმაყოფილი დარჩა, ბევრი იცინაო.

იმათ მხიარულ სიცილს აქედან ახლა აკაკის გულიანი სიცილიც ემატებოდა ნიკოს გასახალისებლად, ისევე როგორც პოსტსკრიპტუმის შედგენისას.

ჩემისთანას კი ერთიც გასრესსო...

ბარათებშიც, ავტობიოგრაფიულ რომანშიც მოერიდებოდა აკაკი თავისი ოჯახური ყოფის გარეთ გამოტანას, ასე შემთხვევით თუ წაცდებოდა რაიმე, ისიც ღიმილ-ღიმილით, თორემ ჩივილსა თუ წუწუნს როგორ მოჰყვებოდა.

და მაინც, მაინც...

ამ შელიმილებაშიც რამხელა ტკივილი გამოხვეულა, რამხელა დარდი, შორსაც რომ არა მოჩანს რაიმე სანუგეშო.

ჩემისთანას კი ერთიც გასრესსო...

მთლადაც თუ ვერ გასრესდა, ბევრი რამ ხომ ჩაესრისებოდა ოჯახად სახელდებულ ურთიერთობაში, სულიერი გათიშულობა ანკი კარგს რას მოსწევდა ბედსშერიგებულს, ნიკო ნიკოლაძის ხვედრს რომ შენატროდა, იმის ფოლადობას ორცოლშუა, აკაკის ბუნების კაცი ასეთ ყოფას, ნიკოს მსგავსს, კიდეც რომ გადაყვებოდა.

ჩემისთანას კი ერთიც გასრესსო...

იღიმოდა და ვეღარც იღიმოდა, იმსუბუქებდა და ვეღარც იმსუბუქებდა ზურგზე აკიდებულ ჯვარს.

და აი ეპისტოლეთა კოლექცია იხსნებოდა 1900 წლის 23 ოქტომბრით: უკანასკნელად თქვენთან განშორებამ ძალიან ცუდ გუნებაზე დამაყენაო.

რადგან ვაგონში შეუძლებელი გახდებოდა ჩვეულებრივი კითხვით გაერთო თავი, მეორე დღეს ხარკოვს ნერვებაშლილი ჩავიდოდა.

იწვებოდა საღამომდე, საღამოს კი იმ იმედით, ნაცნობებს შევხვდებიო, თეატრში წასვლას დააპირებდა. სასტუმროდან რომ გამოვიდოდა, შვეიცარი შენიშნავდა, უქუდოდ, თავშიშველი რომ მიდიოდა.

თურმე ეს კიდევ არაფერი — ეტლში ჩაჯდომისას ქურთუკის კალთებს რომ აიკრეფდა, აღმოაჩენდა, რომ შარვლის მაგივრად ფლანელი ჩაეცვა და ისე გამოსულიყო.

თეატრში ვერავის მიუსწრებდა და ძლივს იშოვიდა ბილეთს ოპერეტაზე, რომელსაც ასე გულმოდგინედ ესწრებიან ხარკოველები. ოპერეტა ყოველგვარ ბალაგანზე დაბლა იდგებოდა, მაგრამ კანკანს როგორ ცეკვავდა თვითეული მათგანი?!. ყველაფერს აჩენდნენ ფეხისგულიდან თავამდე. და მიხვდებოდა, თუ როგორი ხელოვნება იტაცებდათ აქაურ ბერიკაცებს!..

თეატრიდან წამოსული კანტორაში რომ გაივლიდა, თეატრის დირექტორი იქ დახვდებოდა, უაღრესად თვითკმაყოფილ ფაშასავით რომ ესაუბრებოდა იქმყოფთ. ანტრაქტის დროს მასთან შემოდიოდნენ სხვადასხვა პირნი, რომელთაც იგი აცნობდა აკაკის, მაგრამ რაღაც უცნაურად — არც სახელს ახსენებდა მისას და არც გვარს, ისე წამოიძახებდა:

— მამაა!..

და მაინც რატომღაც ყველა ხვდებოდა, თუ ვინ იყო ანუ ვისი მამა.

სასტუმროში დაბრუნებულს მოსამსახურე რომ ჰკითხავდა:

— როგორ ჩაგწეროთ?

და ეს მიუგებდა:

— მამა ვარ!..

ველარ გაგიგია, ბარათის პასაჟია თუ გროტესკული მოთხრობისა — არადა რა გაგვიკვირდეს აკაკისაგან, როდესაც მის ამ პასუხზე, მოსამსახურეც მიხვდებოდა მის ვინაობას.

ეს რა დრო დადგომოდა — მართალია უკრაინაში, მაგრამ შვილის სახელით ცნობდნენ, ისიც — მინიშნებით. მეტი არც სჭირდებოდათ და...

ყველაფერი ეს კეთილი და პატიოსანიო, — დასძენდა, — მაგრამ როგორც ჩანს, არ არის კარგი, როცა მამა შვილს ხარ მოშორებულიო.

მეორე დღეს ავად გახდებოდა და თავს მარტოდ იგრძნობდა... სასტიკად დაიტანჯებოდა... ნერვიულ ნიადაგზე გულში ტკივილი დაეწყებოდა და... აკიმენკოს ემადლიერება — ის რომ არა ყოფილიყო, გავწამდებოდიო. ახლა კი მოიკეთებდა. პეტერბურგიდან ის-ისაა ჩამო-

სულ ტროფიმოვსაც შეხვდებოდა. ის შეურაცხყოფილი დარჩენილიყო წერილებით, მაგრამ აკაკი დაარწმუნებდა, ჩემი ვაჟი არაფერ შუაშიაო, და ყველაფერს სხვას გადააბრალებდა.

ეს ყველაფერი მინის გაყიდვას უკავშირდებოდა და აკაკი ცოლს სთხოვდა, უჩემოდ არაფერი მოიმოქმედოთო.

მოინახულებდა... სამღებრო ქარხანასაც, ძალიან თავაზიანად გააცნობდნენ იქაურობას და აუხსნიდნენ ყველაფერს. თურმე ამათი ახალი საქმე — საღებავები ბევრად უფრო მნიშვნელოვანიც ყოფილიყო, ვიდრე მარგანეცი, და შესაფერისი ქარხნის გამართვას ათასი მანეთის გარდა სხვა არაფერი ესაჭიროებოდა.

ახლა კიდევ უფრო დარწმუნდებოდა, რომ ალექსის, ლიოლიად რომ მოიხსენიებდა (ნატალია როგორც ეძახდა), ვალებს მალე მოუღებდა ბოლოს, რამდენიმე თვეს სავსებით იკმარებდა. ოლონდაც ნურც ნატალია და ნურც ალექსი ამ მოკლე ხანში ნუ შეშინდებოდნენ და სულით ნუ დაეცემოდნენ.

მეორე დღეს აპირებდა გამგზავრებას და ბარათის გაგზავნა მასთან უკვე ბაქოში მოუწევდათ, ექიმ ივანე ელიაშვილის სახელზე.

ღვთის გულისათვის, ერთხელ მაინც დამიჯერეო, ეხვეწებოდა ცოლს, თავს ნუ იტანჯავ, დასძლიე შიში და მწუხარება, ღვთის მოწყალების იმედი იქონიე და ყველაფერი კარგად იქნებაო.

იცოდა, მარტოდენ ღვთის იმედი ნატაშას ვერ დაამშვიდებდა, და ამიტომაც უკიდურეს საშუალებას მიმართავდა:

— მე მზად ვარ გავაკეთო ყველაფერი ლიოლიასათვის, მზად ვარ სულიც კი მივყიდო მეფისტოფელს...

უნებლიეთ წაცდებოდა?

რაც უნდა ყოფილიყო, უფრო დამარწმუნებელ საბუთს რაღას უნდა დალოდებოდა ქალი, სულსაც კი გაწირავდა აკაკი, ოლონდაც შვილისათვის გუნება გამოეკეთებინა. წამიერად დაეუფლებოდა ეს განცდა? რაკიღა ვალების აღებას დაჩვეულიყო ლიოლია-ალექსი, ასე ადვილადაც ვერ მოიშლიდა და მამა იმ თანხის გასტუმრებასაც ვერ მოასწრებდა, ეს უკვე ახალი ვალით დაიტვირთებოდა? თუნდ ასეც ყოფილიყო, აკაკი არ დაგიდევდა — ზრუნვა ზრუნვა გახლდათ და ვიდრე მეფისტოფელი სულს ამოართმევდა, თავს არ დაზოგავდა.

მიხეილ კვესელავას „ფაუსტურ პარადიგმებში“ აკაკი წერეთელიც მოხვდებოდა, როგორც უშუალო მონაწილე ამ უაღრესად დრამატული, რთული და მღელვარე პრობლემატიკისა, და ეს ბარათი მანამდე რომ ყოფილიყო ჩამოტანილი და გამოქვეყნებული, ამ მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ორტომეულის შემოქმედი ხელიდან როგორ გაუშვებდა ამ ფრაზას: მზად ვარ, სულიც კი მივყიდო მეფისტოფელსო...

სამი წლის თავზე გაგზავნილ ბარათს იმით დაიწყებდა, როსტოვში მთელი დღე რომ მოუწევდა ყურყუტი მატარებლის ლოდინში.

და ჰოი როგორ მოიწყენდა!..

უთქვენოდო, — ცოლს უმტკიცებს, — არასოდეს ასე არ ვყოფილვარ. თქვენთან ახლო რომ ვიყავი, კარგად ვიყავი... თქვენგან დაშორებულმა არც კი ვიცი, როგორ დავიმშვიდო თავიო.

როგორ და... როგორც აქამდე იმშვიდებდა.

რა — სულ დაშორებული არ იყო?!.

თუმც რა — აღარ ყოფნის ის დამშვიდება?.. ვითომ მოსალოდნელია გადაილახოს ის ბარიერი?..

ოხ, რა მძიმეა ჩემი ცხოვრება მუდმივ განშორებაშიო, — თითქოს გამოტირებაშია მანამდელი ოჯახური ცხოვრების წესისა, არადა სულიერი გათიშულობა რომ არა, ან ასეთ წესს რატომ აირჩევდა ნებაყოფლობით და ან შვილის გაუცხოებას როგორღა შეურიგდებოდა?!.

აქამდე ვოცნებობდიო, — განაგრძობს მტკიცებას, — როცა ღვთის შეწევნით ცხოვრებას მოვაწყობ, მაშინ მაინც ვიცხოვრებთ ერთად-მეთქი. მაგრამ ვაგლახ, ახლა ეს ოცნებაც გაფრინდაო.

თითქოსდა ცოლ-ქმრის ერთად ყოფნას რაღაც განსაკუთრებული პირობები ესაჭიროებოდეს.

— ვიცი, რომ მე არა ვარ გაჩენილი პირადი ბედნიერებისათვის.

ესა თქვი და!..

ამიტომაც მიიჩნევდა ბედისწერის განაჩენად იმ — ითქვას პირდაპირ — გაუგებარ, მისთვის მოულოდნელ და აუხსნელ ქორწინებას და აღარც მოინდომებდა ამ მკაცრი განაჩენის წინააღმდეგ ამხედრებას.

გრძნობდა იმთავითვე: პირად ბედნიერებას მაინც ვერა ვპოვებო, — და რაც იყო, ბარემ ოჯახურ ყოფად ეს მიეღო, რაც ერგუნა ბედისაგან.

და ამ ბარათში რომ პირდება:

— იმას მაინც ვეცდები და მაქვს ღვთის იმედი, რომ თქვენ მაინც გაგხდით ბედნიერს, თქვენ მაინც ნუ გაიტანჯავთ თავს უკეთესი მომავლის მოლოდინში.

მოვალეობის ის შეგნებაა, რომელიც უფლებას არ მისცემდა ოჯახის დანგრევისა — ჯერ კიდევ შექმნისთანავეც.

ნატაშა სულ შეწუხებული რომ იყო და ალექსი-ლიოლიაც.

აკაკი განიცდიდა, რომ გარშემო არავინ ჰყავდათ და სთავაზობდა: ხომ არ გამოვგზავნო თქვენთან შენი და ან მისი ქალიშვილი, ვიდრე ყველაფერი მოგვარდებოდესო.

მათი შენახვა არ დასჭირდებოდათ, აკაკი შეეცდებოდა გამოეტანებინა მათთვის სამოთხი თვის საგზალი.

დაპირებულსაც მალე გაუგზავნიდა, ნუ ეშინოდა. ლიოლიაც დაემშვიდებინა, ნურაფერს აწყენინებდა, გონივრულად გარჯილიყო!.. მოეწერა ყველაფერი, ოღონდ მხოლოდ ფაქტები.

— გულის გამგმირავი პოემის წერას თავი დაანებე, ცუდად მოქმედებს ჩემზე.

იმყოფებოდა სამღებრო ქარხანაში და იქაც, როგორც ყველგან, სანუგეშო ნაყოფი ეხილა.

— საღებავები კარგი რამეა, მხურვალედ მოვეკიდები ამ საქმეს. კაცს თუ ბედი არ წყალობს, ყველა ზურგს აქცევს.

ხარკოვში ლიოლიას მეგობრებისათვის ვერსად მიეგნო. თვით ის სანდომიანი ბ. ლ-იც, როგორც შეემჩნია, ნაწყენი ყოფილიყო სხვადასხვა მოჭორილი ამბების გამოისობით, თუმც აკაკის დაემშვიდებინა.

როგორც ეტყოდნენ: ლიხოდიმს სურდა ლიოლიას ჩასმა ციხეში, მაგრამ მისი ვალი სწორედ ბ.ლ-ს გაესტუმრებინა.

აკაკის ასე მიეგო მისთვის, ვისაც ეს ამბავი ეცნობებინა:

— კანონები კარგად ვიცი, ლიოლიას დიდხანს ვერ დააკავებდნენ, მაშინაც კი მე არავის არაფერს გადავუხდიდი და კანონის ძალით მშრალზე დარჩებოდნენ.

ყველა დაეთანხმებოდა, მერე კი ურჩევდნენ: არ აჩქარდე და არაფერი გაყიდო, ვიდრე კარგ ფასს არ შემოგაძლევენო.

ამან თვითონაც კარგად იცოდა, თუ რა უნდა გაეკეთებინა.

21 იანვარს უპასუხებდა 9 იანვარს გამოგზავნილ ბარათზე, მისი წაკითხვით ცოტა არ იყოს ნაწყენი რომ დარჩებოდა.

— ღმერთია მოწმე, რომ პირადად მე ყველაფერი მომბეზრდა, თვით ჩემივე ღვიძლი ინტერესებიც კი აღარ აღელვებს ჩემს გულს, და სიამოვნებით არ ვიცოცხლებდი თავს, თქვენ რომ არა მყავდეთ. მხოლოდ თქვენ გეკუთვნით ჩემი სიცოცხლე, მხოლოდ თქვენით არის აღსავსე ჩემი გული და თავი...

მაშ რას ნიშნავდა ის, რომ ნატალია ყოველდღე მოაგონებდა ფულის გაგზავნას?

ორში ერთი: ან აკაკის გულს არ ენდობოდა და ან თავს.

— რასაკვირველია, არასაყვარელმა არსებამ რაც უნდა ილაპარაკოს, სულერთია, მაგრამ მეგობარმა, რომელთანაც სულიერად მუდამ განუშორებელი ხარ და რომლის სახეც მუდამ თვალწინ გიდგას, შეიძლება უცებ ერთი გადაკრული სიტყვითაც გაწყენინოს.

რომელთანაც სულიერად მუდამ განუშორებელი ხარ და რომლის სახეც მუდამ თვალწინ გიდგასო...

იმ წუთას შესაძლოა გულწრფელიცაა — სწორედ მოვალეობის შეგნებით და არა უშუალო განცდით, მაგრამ ნატალიას რას დააჯერებდა და... შემდგომში შემთხვევით ხელთ რომ მოხვედროდა ეს ბარათი აკაკის, სულ სხვა გუნებაზე მყოფს, გაელიმებოდა და მწარედაც გაელიმებოდა... ისევე როგორც სხვა არაერთ ბარათსა და პასაჟზე, და თუნდ იმ სტრიქონების უშუალო გაგრძელებაზე:

— მე ისე შეგეჩვიე, რომ მგონია, შენ ყველაფერი იცი ჩემი — არამარტო საქმეები, არამედ აზრებიც და უსაიდუმლოესი სურვილებიც.

აკაკის საქმეები ძალიანაც რომ აინტერესებს — გარკვეული მიზნით, ეს კი უდავოა, მაგრამ... აზრებიც?.. და მითუმეტეს — უსაიდუმლოესი სურვილებიც?..

ლამობს ილუზია სინამდვილედ ირწმუნოს, დაუჯერებელი დაიჯეროს, ამ თვალთახედვით კი:

უმჯობესიც იყო, სხვებს რომ ამისა არა გაეგებოდათ რა, მაგრამ — ნატალია თავით ბოლომდე ჩახედულიყო ყველაფერში და:

— აი რატომ არის, რომ შენი არსებითად კარგი და ჭკვიანი შეგონებანი ჩემთვის სასიამოვნოც არის და საწყენიც ერთსა და იმავე დროს...

იქნებ ერჩია ნატალიას ლიოლიასათვის: ხელს ყურადღება მიაქციეო, — თორემ ისე წერდა, როგორც ვანიუხა. დაე დედას თავისი ეთქვა და აკაკიც აპირებდა საგანგებოდ მიეწერა ამის თაობაზე.

ფულზე კი... ფულზე ჯერ ვერაფერს აცნობებდა, იმიტომ, რომ ჯერ კიდევ გარეთ არ გამოსულიყო და არავინ მოენახულებინა. ხუთშაბათიდან ანუ სამი დღის მერე აუცილებლად გამოვიდოდა გარეთაც და ინახულებდა ყველასაც, ვინც სჭირდებოდა.

— ღვთის გულისათვის, თავს გაუფრთხილდი და ნუ მოიწყენ. იყავ საკუთარი თავის ღირსი. გახსოვდეს, რომ მხოლოდ კარგი მიზნისაკენ სწრაფვა ამხნევებს და ახარებს ადამიანს.

სინანულს გამოთქვამდა, რომ ნატალიას არ გამოეგზავნა ის საჩუქარი, რომელიც ამას ეთხოვა — ჩემოდანში არ ჩაედო.

და უეცრად უნდა მომსკდარიყო გრძნობათა ნაკადი:

— ჩემო ძვირფასო და საყვარელო, მითხარი, თუ ოდესმე გყვარებივარ ისე, როგორც ახლა მე მიყვარხარ. გამაგებინე, ეს რა მემართება? ჭკუაზე ხომ არ ვიშლები. თუ ეს პოეტის საღი გონებისა და გრძნობის ნაყოფია? მე მგონია, ეს უკანასკნელი უფრო სწორი უნდა იყოს.

დაე ლიოლიას ელიზბარ ერისთავისა და ამატა ბაზილევსკაიასათვის აკაკის მოკითხვა გადაეცა და ეცნობებინა: ძალიან ცუდად არისო... ავადმყოფობდა, მაგრამ რას იზამდა — რევმატიზმები თურმე უარესიც ყოფილიყო, ვიდრე...

12 თებერვალს აცნობებდა, რომ:

როდესაც ისინი წამოვიდოდნენ, ეს უგროშოდ დაშთენილიყო და იანვრამდე აღარსად არაფერი დარჩენოდა მისაღები. კოტე აბდუშელიშვილის იმედიღა ჰქონდა, დაპირებოდა მოურავი: რამდენიმე თუმანს გადაგიგზავნიო, — მაგრამ მის დაპირებას რა ფასი ჰქონდა. აკაკი თვითონ წასულიყო საჩხერეში, რათა გაეგო, რა ხდებოდა, მაგრამ მისი მგზავრობა დამთავრდებოდა იმით, რომ...

უტიფრად ამოცინცლავდნენ 40 მანეთს და იძულებული გახდებოდა მესამე კლასით დაბრუნებულიყო უკან. კოტე ფიცი-მტკიცით დაპირდებოდა: რამდენიმე დღეში ტფილისს გეახლებით და ფულსაც უთუოდ ჩამოგიტანთო, — მაგრამ მერე კვლავინდებურად არეულ და აწეწილ მდგომარეობას მოიმიზეზებდა.

ბოლოს როგორც იქნა დეკემბერში ჩააკითხავდა აკაკის და... მერე რა?! გამოუცხადებდა: ხვალ თუ ბანკში ფული არ შეიტანე, გონჯისხევი დაიკარგებაო. იგულისხმებდა სხვიტორის თავზე მოქცეულ ტყიან მთას. და იმასაც დასძენდა: ფულს კი მხოლოდ სამი დღის მერე მივიღებო.

ასე გამოსტყუებდა უკანასკნელ გროშებს იმ პირობით, რომ სამ დღეში უკან დაუბრუნებდა, თუკი ეს საჩხერეში ავიდოდა. ამის მერე ისევ დაიწყებოდა: ხვალ მოგცემო... ხვალ თუ არა, ზეგ მაინცო...

ასე მოუწევდა მოცდა პირველ იანვრამდე.

პირველ იანვარს მოთოვდა ბარაქიანად. არასოდეს ყოფილიყო აქეთ საუენახევარი სიმაღლის თოვლი. მისვლა-მოსვლა შეწყდებოდა და აკაკიც თებერვლამდე გამოემწყვდეოდა ოთახში.

3 თებერვალს დიდი გაჭირვებით ჩააღწევდა ქუთაისში, სადაც იმედგაცრუება ელოდა: სამინისტროდან ბანკს ბრძანება მიეღო, არავის, თვით სათავადაზნაურო გიმნაზიასაც კი არ მისცეთ ფული.

დავით ხელუფლიშვილისათვისაც, ქუთაისში მოღვაწე იურისტისათვის, არ გადაეხადათ და აკაკი იმდენს მაინც მოახერხებდა, რომ მის ვალს მთლიანად გაისტუმრებდა და ვაჭარ ფილიპოვსაც მისცემდა 108 მანეთს. კოტეს ველარ დაუჯერებდა... ნატალია როდესაც ჩამოვიდოდა, ყველაფერს შეიტყობდა. და აკაკის უხაროდა, რომ შემთხვევით მისცემოდა შეძლება ცოლ-შვილისათვის გაეგზავნა 300 მანეთი, მაგრამ მეტისმეტად კი გადაიღლებოდა და... თან მკლავსაც იღრძობდა.

ამჟამად ტფილისში იმყოფებოდა.

ექირავა ბინა მაკო საფაროვა-აბაშიძისაგან 50 მანეთად სრულ კმაყოფაზე.

აპირებდა, ორ კვირას გარეთ არ გამოსულიყო, დაესვენა და მერე კვლავ შედგომოდა საქმეს. მოსალოდნელი იყო სიახლე იმერეთში...

საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ ნატალია და ალექსი ნუ დააჩქარებდნენ წამოსვლას, ვიდრე ყველაფერი არ მოეწყობოდა და ზამთარიც არ მიიწურებოდა. საეჭვოა, მაისამდე რაიმე მოხერხებულიყო. ცდით ეცდებოდა ეშოვნა სამგზავრო ფული და გაეგზავნა მათთვის.

მისაწერი ძალიან ბევრი ჰქონდა, მაგრამ ნაღრძობი ხელი საშუალებას არ აძლევდა.

ერთი კვირის თავზე ახალ ბარათს მიადევნებდა:

წელებზე ფეხს ვიდგამ, ჩემო მეგობარო, რომ სურვილი შეგისრულოთ და გამოგიგზავნოთ ის, რაც მომთხოვეთო.

სეზონი დამთავრებულიყო, მაგრამ აკაკი მშრალზე დარჩენილიყო. არათუ ჯამაგირი არ მიეღო, არამედ ბენეფისიდანაც გროში არ მიეცათ. თავს იმით იმართლებდნენ: ლიოლიას ჩვენი ვალი აქვსო.

— ახლა წადი და იჩივლე.

მდგომარეობა დამძიმებოდა. აღარ იცოდა, რა ეღონა...

ამ დღეებში დურანდინა ჩამობრძანებულიყო და... ისეთი სკანდალი მოეწყო აკაკისათვის, ამას საშინელი პროცენტებით აეღო სესხი და პეტერბურგს გაესტუმრებინა.

ცოლ-ქმარი დურანდინები ალექსისთან რომ დაუახლოვდებოდნენ, აკაკისკენაც გამოიკვლევდნენ გზას და სხვიტორში სულაც ჩაუსახლდებოდნენ. მასპინძელი თან წუხდა: ველარ მომიშორებიაო, — და თან თავს ინუგეშებდა: რატომ უნდა გავაგდო, სამადლო საქმეაო... — მაგრამ ამ სიკეთისთვისაც ისეთ უმადურობას მოიმკიდა, ისეთს, რომ!..

— ღმერთო ჩემო, რატომ უნდა ვიტანჯებოდე ასე და ამდენ ხანს?

ნერვიულობით ავად გახდებოდა, და თუ რატომ:

ხმას გაავრცელებდნენ, ქალბატონი ვანდენბრანტი, მომღერალი, ყელის სნეულებით მოულოდნელად გარდაიცვალაო, და ამის შესახებ დეპეშაცაა მიღებულიო. ერთ ოჯახში სადილად ყოფნისას დაარწმუნებდნენ ამაში და, შინ რომ დაბრუნდებოდა, დახვდებოდა ლიოლიას ბარათი, რაღაც დიდ უბედურებას იწერებოდა, და ეს წარმოიდგენდა, რომ... ვანდენბრანტი მართლაც გარდაცვლილიყო და ლიოლია, რომელმაც იცოდა, რომ ეს ამბავი მამას თავზარს დასცემდა, არაფერს ატყობინებდა, მხოლოდ გამოსამგზავრებელი ფულის მიწოდებას სთხოვდა.

ფიქრობდა: ამან ყველაზე უფრო შეუწყო ხელი ჩემს დაავადმყოფებასო.

მადლობა ღმერთს, ცოლის ბარათიდან დაენახა, რომ ეს ჭორი ყოფილიყო.

არადა ისე შეთვისებოდა მას, რომ მეტი აღარ შეიძლება!.. დაახლოებოდა თავისი ცოლ-შვილის გულისათვის, ესენი კი ტოვებდნენ ბედის ანაბარად.

— ეჰ, დროა პირი დავმუწო და დავდუმდე!..

როგორც კი ფულს იშოვნიდა, მაშინვე გაუგზავნიდათ.

— ჩემს თავზე უკვე არა ვფიქრობ.

თითქოს ოდესმე ფიქრობდა ცოლ-შვილისაგან გაბეზრებული!..

არასოდეს სიხარული არ ღირსებოდა და არც მოელოდა, რომ ოდესმე ეღირსებოდა!..

— ალბათ ასეთია ზეცისაგან დაწყევლილთა ხვედრი.

როგორ უნდა იყოს სნეულებამორეული და განერვიულებული, როგორ უნდა იყოს სასოწარკვეთილების მიჯნამდე მიღწეული, ეს რომ დასცდენოდა: ზეცისაგან დაწყევლილთა ხვედრიო...

თვითონ აქ იყო ავადმყოფი, ცოლ-შვილი — იქ, სადღაც იმყოფებოდა, დურანდინებიც აქ ჩასახლებოდნენ და... ენანებოდა, ჰოი როგორ ენანებოდა, მთელი ქონება რომ ეკარგებოდა.

დასაყრდენის მაგიერ... ნერვიული ადამიანილა შერჩენოდათ. დიახ, ასე იყო!.. ცოლ-შვილისათვის კი... სულერთი გახლდათ!.. და ამოსკდებოდა გულიდან ის მუნათი, ამდენი ხანია რომ დაგროვებოდა:

— თქვენ გინდათ ფული. თუნდაც შუაზე გასკდი. ოღონდ იშოვე. ვეცდები რამე ვიღონო! თქვენგან საყვედურების მეტს სხვას ვერაფერს მოისმენს კაცი.

რამდენიმე დღეში შეეცდებოდა როგორმე გადაეყარა თუ გაექარვებინა ნერვიულობა და 23 თებერვალს თავს მოიხალისებდა:

— ჩემო ძვირფასო ნატაშა! არასოდეს ასე არ მომწყურებია თქვენი ნახვა, როგორც ახლა.

ყოველდღე ფიქრობდა მათთან გამგზავრებას — ჩემო სიხარულოო, ჩაურთავდა — მაგრამ არ უხერხდებოდა... უმთავრესად მაინც იმიტომ, რომ: ცარიელი ხელით წასვლა ეუხერხულებოდა. საქმეები კი... საქმეები ჭიანურდებოდა და ბოლო აღარ უჩანდა, თუმც ეს ძალ-ღონესა და ენერგიას არა ზოგავდა.

მოურავი — რომელიც, უნდა ეღიარებინა, ძალიან კარგი გამომდგარიყო — გაიწვევდა საქმეების მოსამთავრებლად, როგორც ჩანდა, პირადად არ შეეძლო თავი გაერთვა, და აკაკი ხვალ უკვე ეპირებოდა წასვლას მამულში. არ იცოდა, რამდენ ხანს მოუწევდა იქ ყოფნა, ეს საქმეზე ეკიდა, მაგრამ ფიქრობდა, რომ დიდხანს არ დარჩებოდა...

ყველაფერს, რაც მამულში დღემდე შეეგროვებინათ და რის შოვნასაც მოასწრებდა, ფოსტით გაუგზავნიდა და ფულის კვალზე თვითონაც გაემგზავრებოდა. ჩემო მეგობარო, ჩაურთავდა და... ამ ნოტაზეც გადაეწყობოდა: გკოცნი მაგრად, ჩემთვის დღემდე ისევ სანუკვარო ნატაშა. იმედი მაქვს, მალე მოვუღებ ბოლოს შენს ტანჯვა-წამებასო.

დაე გადაეცა ყაჩაღისათვის (სიყვარულით ასე მოიხსენიებდა ალექსის), რომ ფული მიეღო, სურათს კი აკაკი თვითონ მიაკითხავდა, როდესაც ჩავიდოდა.

27 თებერვალს კი აცნობებდა, რომ:

ვილაცას მოეტანა გზიდან გამოგზავნილი ნატაშას ბარათი, რასაც ძალზე დაემშვიდებინა. თუმცა გარემოების გამო აკაკის თვითონვე ეთხოვა ცოლისათვის, ნასულიყო, მაგრამ მის გამგზავრებას ძალიან დაელონებინა და დაენაღვლიანებინა.

— შენი აქ არყოფნა ტირილის გუნებაზეც კი მაყენებს. არავინ მებუზღუნება და სულ მარტოდ ვარ.

რარიგ მარტოდ უნდა ეგრძნო თავი, ცოლის ბუზღუნიც რომ ენატრება.

მიუხედავად ამისა თავს ძალიან კარგად უვლიდა, წამლებს წესიერად და თავის დროზე სვამდა. საჩხერეში არ აპირებდა წასვლას, ვიდრე იქ ყველაფერი არ დაწყნარდებოდა.

— ჩემი ჯანმრთელობა ისეთივეა, როგორც დამტოვე.

ცოლის გამგზავრების მერე ფული მიეღო. ნაწილი ვალებისა გაესტუმრებინა და იმდენიც მოეხერხებინა, რომ ამ ფულიდან ათი მანეთი ნატაშას დისათვის მიეცა.

— ჩემი ჯავრი ნუ გექნებათ. ეს მე ვარ მოვალე მუდამ თქვენი ჯავრი ვიქონიო.

გულითა სთხოვდა — თუ ღმერთი გწამსო — მოეწერა ყველაფერი ლიოლიას შესახებ. ნეტა ის ნადეჟდა ანასტასიევნა ვიღა იყო, რომლის ჯანმრთელობაც ასე აინტერესებდა?

ბარათის ბოლოს მოუბოდიშებდა:

მეტის მოწერა აღარ შემიძლია, მიჭირსო.

16 მარტის ბარათს ბოდიშებით დაიწყებდა: დღემდე ვერაფერი გამოგიგზავნეთო.

თვითონ აკაკი ისეთ სასონარკვეთილ ყოფაში ჩავარდნილიყო — ძალიან აეწეწ-დაეწებოდა საქმეები. როცა ჩამოვიდნენ, კიდეც შეიტყობდნენ, თუ ვინ იყო დამნაშავე. ცოლ-შვილის მდგომარეობა ისე აწუხებდა, ღამეები არ ეძინა. ხვალ აპირებდა ჩასვლას საჩხერეში, რათა გაეყიდა ყველაფერი, რაც ხელთ მოხვდებოდა, და თანხა იმათთვის გადაეგზავნა. უკვე დროც იყო ჩამოსულიყვნენ — ეს თავს მაინცდამაინც კარგად ვერა გრძნობდა.

ეჰ, ტყუილუბრალოდ აცოდებდათ თავს — მათთვის ეს ვითარება, აკაკი მაინცდამაინც კარგად რომ ვერა გრძნობდა თავს, ბევრს არას ნიშნავდა, ყოველ შემთხვევაში ამ მიზეზის გამოისობით არ გამოეჩქარებოდნენ აქეთკენ.

24 მარტს კვლავ მძიმე განცდებში მყოფი მისწერდათ: რომ იცოდეთ, როგორ ვარ შეწუხებული, ფიზიკურად და მორალურად, მაშინ ასე არ მისაყვედურებდით და არ მიმართავდით ჩემი თავმოყვარეობის შეურაცხმყოფელ ვარაუდებსო.

ადვილი მისახვედრია, თუ როგორ დაემუნათებინათ საპასუხო ბარათით!..

არადა მეტი რაღა ეცნობებინა: სასოწარკვეთილ მდგომარეობაში ვიმყოფებიო... თავს მაინცდამაინც კარგად ვერა ვგრძნობო...

რაო, კარგად, მთლად ფუფუნებით ვერა ცხოვრობდნენ ნატალია და ალექსი?

ერთი ისიც ეკითხათ, ეს როგორღა ცხოვრობდა:

ყველასაგან, თვით საკუთარი ოჯახისგანაც მიტოვებული და მუდამ ფარისევლებითა და მტაცებლებით გარშემორტყმული, მწარე სიკვდილის მოლოდინში...

თუმც... უჯობდა გაჩუმებულიყო, არა ღირდა ამაზე სიტყვის გაგრძელება.

ო, რარიგ სურდა სიბერის ჟამს უკანასკნელი დღეები მაინც გაეტარებინა ცოლ-შვილთან. ისე უნდოდა, ისე, რომ მზად იყო აქ ყველაფერი მიეტოვებინა და მათთან გაქცეულიყო.

ყოველი ზედმეტი დღე აქ ყოფნისა მისთვის მუდმივი, გაუთავებელი წამება გახლდათ, მაგრამ ამისდამიუხედავად მაინც აყოვნებდა მათთან გამგზავრებას — საქმე ისაა, რომ ექიმები ნებას არ აძლევდნენ ზამთარში რუსეთს წასულიყო, თუმც უკვე დიდიხანია თბილი ტანსაცმელი და ქურქიც კი მოემარაგებინა... ახლა, მადლობა ღმერთს, ნებას რთავდნენ აპრილის შუა რიცხვებში გამგზავრებისა, მაგრამ არ იცოდა, ცოლ-შვილი სად იქნებოდა იმ დროს და ეხვეწებოდათ: შემატყობინეთ, ღვთის გულისათვისო...

ტროფიმოვის რწმუნებული ჩამოსულიყო და აკაკის თვითონ მოენახულებინა, იმედოვნებდა სამსახურს გაუწევდა და იმაზე მეტს გააკეთებინებდა, ვიდრე სხვები აკეთებდნენ, გადასახიდ საშუალებათა გაიაფების მეოხებით.

დანერილებით ამის შესახებ პირადად ეტყოდა. წერა აღარ შეეძლო... ცუდ გუნებაზე იმყოფებოდა.

გაზეთებიდან შეიტყობდა ლიოლიას თეატრალურ წარმატებას და ძალიან გაიხარებდა, ღმერთს შესთხოვდა, ის მაინც არ გატანჯულიყო მემკვიდრეობით!..

ჰკოცნიდა ძვირფას მეგობარს — ისე, როგორც 30 წლის წინათ: მხურვალე, წმინდა და წრფელი გულით.

პოსტსკრიპტუმში შეატყობინებდა, რომ ამატას საქმეები ვერ იყო კარგად და აკაკის ვაითუ ვერ მოეხერხებინა მათი სრული უზრუნველყოფა.

— ისინი გამოუსწორებელნი არიან, მათ არ გაჩნიათ ჩემი იდეალური ნატაშას არც სიმამაცე და არც მოთმინება.

როგორც კი ამაზე დაფიქრდებოდა ხოლმე და ნატაშას იმათ შეადარებდა, ანუ დებს გვერდი-გვერდ წარმოიდგენდა, უნებლიეთ აგონდებოდა, რომ ხისგან ჯვარიც შეიძლება გამოთლილიყო და ბარიც. მართლაცდა გამოუსწორებელნი იყვნენ — მათ სჭირდებოდათ მილიონები და... აკაკის სად უნდა ეშოვნა ეს მილიონები? ათეული და ასეული თუმნიანი მათთვის არაფერი გახლდათ.

26 მარტს უფასს მადლობას შესწირავდა, რომ ბოლოსდაბოლოს როგორც იქნა დამშვიდდებოდა!.. ნატაშას გამგზავრების დღეს მოიხსენიებდა ყველაზე დამტანჯველ დღედ თავის სიცოცხლეში: პირველ ყოვლისა ფაციფუცში არ მიეცემოდა საშუალება დამშვიდობებოდა, ღამის ცრემლმორეული დაბრუნდებოდა შინ და... მაგიდაზე აღმოაჩენდა გაზეთს ცნობებით, გზაზე საშინელება ტრიალებსო.

გარდა ამისა შეიტყობდა, რომ მინისტრს გაეუქმებინა საბანკო კრებები გაუთვალისწინებელ დღეებში და ამისი წასვლაც ქუთაისში ზედმეტი შეიქნებოდა.

სემინარიის ისტორიასაც ამას აჰკიდებდნენ, მაშინ როდესაც ეს — ნატაშასაც მოეხსენებოდა — არც სულითა და არც ხორცით დამნაშავე არ გახლდათ.

მაგრამ ყოველივე ეს არაფრად მოჩანდა ნატალიას გამგზავრებასთან შედარებით...

როცა ღამით შინ დაბრუნდებოდა და ცოლის საწოლი ცარიელი დახვდებოდა, კინაღამ ჭკუაზე შეიშლებოდა...

მარტოდენ ეს ბარათი რომ იცოდე და წარმოდგენა არ გაგაჩნდეს აკაკისა და მისი მეუღლის ურთიერთობაზე, რა გასაკვირია გეგონოს, სულ ერთად იყვნენ, ერთიმეორეს შესისხლხორცებულნი და ერთმანეთის მზის მოფიცარნი და ქალს შემთხვევით მოუნია ორიოდ დღით მონყვეტოდა ქმარსო.

ის საწოლი რა — თითქმის სულ ცარიელი არ იყო, ლამის მთელი ცხოვრების განმავლობაში, რაღაც-რაღაც გამონაკლისების გარდა?!.

თვალწინ წარმოესახებოდა, რომ ნატალიას თოვლი ფარავდა. გავიდოდა დღეები და მისგან არავითარი ცნობა არ მიუვიდოდა, დაიწყებდა ყველგან დეპეშების გაგზავნას განუსჯელად და, როდესაც არსაიდან პასუხი არ გამოჩნდებოდა, ლამის გაგიჟდებოდა.

ეს განცდა უკვე გასაგებიცაა და ბუნებრივიც.

ბოლოს გზა გაიხსნებოდა.

ეს მოელოდა ამბავს ვლადიკავკაზიდან, მაგრამ არც იქიდან ჩამოუვიდოდა არაფერი. დღეში ათჯერ მაინც მირბიმორბოდა ფოსტაში, სადაც ეუბნებოდნენ: კონდუქტორი არ დაბრუნებულაო. ეკითხებოდა კავკაზიდან მოსულებს და მხოლდო ერთი ეტყოდა: ვნახე მსხვილი ქალბატონი კავალერთან ერთადო.

სხვა დროს ეს ეპითეტი ძალიანაც ეწყინებოდა, „მსხვილი ქალბატონის" გაგონება გააღიზიანებდა და მთქმელს უსათუოდ გადაუხდიდა სამაგიეროს რაღაც მწარე შეპასუხებით, მაგრამ ამჯერად ეს სიტყვები ცოტა კიდეც დაამშვიდებდა.

საერთოდ ყოველივე ეს ისე იმოქმედებდა მის ფსიქიკაზე, რომ... სიკვდილის პირამდე მივიდოდა.

ახლა თითქოს ჯანმრთელად იყო და თავს ასეთ კითხვას მისცემდა:

რისთვის მიყვარს არსება, რომელსაც ჩემთვის უბედურების მეტი არაფერი მოუტანიაო?

ეძიებდა, ჩხრეკდა, ჩხრეკდა, ეძიებდა... და:

ალბათ სწორედ იმისთვის, რისთვისაც ჩემი თავი მძულს ანუ ჩემი ჭაბუკური შეცდომებისა და შეცოდებისათვისო.

მაგრამ ეს შეცდომები ხომ აკაკის ეგოიზმისა და ცუდკაცობის შედეგი არა ყოფილა, არამედ — მისი საუკეთესო ადამიანური მისწრაფებისა.

აკაკი ხომ არა ყოფილა დამნაშავე, რომ ახალშექმნილ ოჯახს გარს შემოერტყნენ ეგოისტი ნათესავები და მატყუარა, ფარისეველი მეგობრები?..

— განა ადვილია ცხოვრება ყმანვილი კაცისა, რომელსაც არც გამოცდილება აქვს და არც ხელმძღვანელი ჰყავს?

ამ რიტორიკული შეკითხვის გადასახედიდან სულაც ის აკვირვებდა, რომ ცოლთან ერთად არ დაიღუპა — როგორც ზნეობრივად, ისე ფიზიკურადაც.

ამიტომაც ამ შეცდომებისათვის ნატალიას საყვედური რომ ეთქვა, არ იქნებოდა სამართლიანი.

და ძალაუნებურად წამოაგონდებოდა პირველქრისტიანთა ყოფა პირველ საუკუნეებში — ზოგიერთი მათგანი სამლოცველოს რომ ეძებდა და უნებურად კი ლაბირინთში ხვდებოდა და იღუპებოდა. და მოადევნებდა შეგონებას, რომ: ადამიანს მსჯავრს დებენ წაქეზებისა და შეგულიანებისათვის და არა უნებური მარცხისათვის.

ნატალია დაკავშირებული იყო აკაკისთან და მოდიოდა მის მხარდამხარ.

და ეს ამას არასოდეს დაუვიწყებდა და ყოველთვისაც დაუფასებდა...

მაგრამ... უცნაურად ის ეჩვენებოდა, რომ:

როდესაც თვითონ ეს ორნი უკვე სხვების დაუხმარებლად გადარჩებოდნენ და მზის სინათლეზე გამოვიდოდნენ, ნატალია მაშინღა გამოფხიზლდებოდა, შეფრთხიალდებოდა და... ყველაფრის გამო აკაკიზე დაიწყებდა შურისგებას.

„უცნაური" ძალზე რბილი და თავშეკავებული შეფასებაა.

ეს იქნებოდა აკაკის გულში ისეთი ლახვრის ჩაცემა, რომელსაც ყველა კაცი როდი გაუძლებდა.

მაგრამ ეს დაფიქრებულიყო და გადაეწყვიტა:

ნატაშა ჯერ ახალგაზრდაა, გამოუცდელი, იცხოვრებს, გაეცნობა ქვეყანას და მერე დამიბრუნდება, და მეც უსაყვედუროდ, გაორკეცებული სიყვარულით შევეგებებიო.

სწორედ ეს იმედი იხსნიდა იმჟამად სასოწარკვეთილებისაგან...

თუმც... უკანასკნელი წლები დაუმტკიცებდა, რომ ცდებოდა.

ნატალია გამოდგებოდა უძლური თავისივე აულაგმავი ნერვების წინააღმდეგ და... ახლა აკაკი მას შეჰყურებდა, როგორც ავადმყოფს.

გმობს? კიცხავს? ოფიციალურ განშორებაზე გადაუკრავს სიტყვას?

სათქმელს პირდაპირაც ეტყოდა, შეულამაზებლად და დაურიდებლად, თუმც ეს პასაჟი მაინც უნდა განათებულიყო იმ სტრიქონით, აკაკი წერეთლის პიროვნული ბუნება და ეთიკური მრწამსი მთელი სისავსით რომ წარმოდგება:

— მაინც მიყვარხარ, კიდევ უფრო მეტად და პირადად არაფრის იმედი აღარ მაქვს.

ესეც ოჯახური დრამა, და საერთოდაც დრამა აკაკის ცხოვრებისა.

პიესის მზამზარეული ქარგაც.

მზამზარეული ქარგაც რომანისა.

ხასიათები გამოკვეთილია, ზოგადი სიუჟეტი მოხაზული, კომპოზიციური ჩარჩო ადვილი ამოსახვევი, ღრმა ფსიქოლოგიური ხვეულები გადახსნილი, ვითარება და ფონი კანთიელად მინიშნებული, ამ ყოველივეს შესაფერისი შევსებაღა რომ ესაჭიროება.

არაფრის იმედი აღარ მაქვსო...

ერთი იმედიღა შემორჩენოდა: გახარებულიყო ლიოლიას ბედნიერებით, მაგრამ...

სად არ ჩაეჩხირება ხოლმე ეს „მაგრამ", თუ... თვით ასეთ დროსაც, მამა-შვილის ურთიერთობაშიც?..

ვაი, რომ არც ამ იმედს ეწერა აღსრულება.

— როგორც ჩანს, მე მისთვის უცხო ვარ და არავითარი სარგებლობა არ მომაქვს. რა მწარე დაცინვაა ბედისა: მთელი ქალაქისათვის მე თავისიანი ვარ, შვილისათვის კი — უცხო; სხვებისთვის ვახერხებ სასარგებლო რამე გავაკეთო, საკუთარი შვილისათვის კი ვერაფერს.

ბედის უფრო მწარე დაცინვა მართლა რა შეიძლება ყოფილიყო?!.

რა ქალაქისა და რა მთელი ქვეყნისათვის არა — აკაკის თუ რაიმე ტიტული შეეფერებოდა, სწორედ ის, ოდესღაც სულხან-საბა ორბელიანს როგორც უხმობდნენ: საქართველოს მამა.

იგი მამაა ყველა ქართველისა.

ერთადერთი, ვისი მამაც არ არის, ვინც გაუცხოებულა და გაკიდეგანებულა მისგან — ალექსი წერეთელია, ის ლიოლია, აკაკის სისხლი და ხორცი რომ არის.

თუმც... აკი მამა ყველა ქართველისო.

და ლიოლიას კი... ლიოლიას გვარი აქვს მარტოდენ ქართული.

ასეთ ვითარებაში — ცოლისა და შვილის ამგვარი გაუცხოების პირობებში — აკაკის სიცოცხლეც აღარ უღირდა და... კიდეც ამიტომ დაიჩივლებდა ასე მწარედ, და თუ ხელს არ იღებდა წუთისოფელზე, ეს იმიტომ, რომ:

არ უყვარდა ქედის მოხრა გარემოებათა წინაშე და სულით არ ეცემოდა.

— მივიტან ჩემს ჯვარს სამარის კარამდე...

ეს მძიმე განცდა მასზე დამთრგუნველად მაინც არ მოქმედებდა, რადგანაც გაესიგრძეგანებინა, რომ:

ტანჯვის ჭირვეულობაში გახლდათ ერთგვარი პრომეთესებური მიზანი სიამაყისა.

და მაშ ისიც ემორჩილებოდა ბედს.

ეს შეგრძნება ბედს დამორჩილებაც არის და იმავდროულად — ბედის წინაშე დაუმორჩილებლობაც, რაკილა თვით პრომეთეს ლანდი დასტრიალებს გარშემო, იმის მიზანი აკაკის მიზანს რომ გადაჯაჭვია.

სხვა შემთხვევაში თავისი ყოფის ერთგვარ ემბლემას ამირანად მოიხსენიებდა, მაგრამ ამირანისას ნატალია ბაზილევსკაია აბა რას გაიგებდა!..

ანდა ლიოლია — სულ ამირანის მითოსით არ იყო გაზრდილი?!.

მთელი ქართველობა მიჯაჭვული ამირანის აშვების რწმენით განემსჭვალა, ფოლკლორული წარმოდგენები პოლიტიკურ მითოსად გარდაესახა და ხალხიც აღენთო და აღეფრთოვანებინა, ერთადერთი ლიოლია დარჩენილიყო ამ რწმენის გარეშე... თუმც: აკი მხოლოდ მთელი ქართველობაო!..

კმარაო, — თავს შეუძახებდა აკაკი, და ცოლს მოუბოდიშებდა, — მაპატიე ეს მრავალსიტყვაობა, მაგრამ ეს უკანასკნელიაო.

ახლა კი საქმეებისას აცნობებდა: პეტერსი ყოფილიყო მასთან. ავანსზე არა თანხმდებოდნენ, მაგრამ ცუდ პირობებს როდი სთავაზობდნენ: იჯარით ღებულობდნენ 40 ათასს წელიწადში. მეორე დღეს უნდა წასულიყო სტუმარი იქ, ადგილზე. აკაკის ნიკალა კანდელაკისათვის შეეთვალა, რადგან თვითონ მთლად გამოჯანმრთელებული ჯერაც არ იყო, და გამცილებელსაც გააყოლებდა. ყველაფერი ეს ცოტა როდი უჯდებოდა. ამიტომაც ჯერჯერობით ცოლ-შვილს ვერაფერს უგზავნიდა. დაწერილებით მიწერას— თუ მაინცდამაინც — შემდეგ ბარათში შეპირდებოდა.

ნატაშას საპასუხო წერილის წაკითხვის მერე ისეთი აგონია დაეწყებოდა, რომ აღარ იცოდა, რა მიეწერა და როგორ. თუმც დარწმუნებული იყო, რომ არც ცოლი და არც შვილი არ დაუჯერებდნენ, რაც გინდა ეცნობებინა.

— მაინც გწერთ.

საქმე ისაა, რომ ცოლიც და შვილიც ჰიპნოზის გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ, ვიღაც სატანას ჩაეგონებინა მათთვის, რომ აკაკისათვის არ დაეჯერებინათ, და ამისათვის ღმერთი სჯიდათ.

სამიჯნაო სამუშაოების დროს მინდობილობა ღოღობერიძისათვის გამოეგზავნათ და... დაზარალებულიყვნენ.

სტიჩკევიჩი გამოეგზავნათ და... დაზარალებულიყვნენ.

დაეჯერებინათ პოლტორაცკისათვის და... დაზარალებულიყვნენ.

დაეჯერებინათ ელიზბარ ერისთავისათვის და... დაზარალებულიყვნენ.

მეტი სიმკვეთრისათვის ამ ჩამონათვალს დაუნომრავდათ კიდეც, ამასაც რომ მიადევნებდა: ასე შემდეგო.

მაგრამ რად გინდა — ეს ამდენი უსიამოვნება გაკვეთილად ვერ გამოეყენებინათ ვერც ცოლსა და ვერც შვილს.

კვლავ არ უჯერებდნენ აკაკის და... უჯერებდნენ პირველ შემხვედრს, ყოველ გამვლელ-გამომვლელს.

ჩვენი მარგანეცი ძალიან კარგი იყო, და თან საკმაოდ ბევრიც, და ამაში დაეჭვება ნიშნავდა ჯიუტობასა და სულაც იმ აბსურდის მტკიცებას: აქლემი ნემსია და არა აქლემიო.

მასზე ვერავინ შემოედავებოდათ — მიჯნა გავლებულიყო, მდებარეობდა არა ვაკეზე, არა დაბლობში, არამედ მთაზე — ზღვის დონიდან 1600 ფუტის სიმაღლეზე. ხოლო მთას რომ გვერდით სიბრტყეები აქვს, ეს ყოველმა გიმნაზიელმაც იცის, მაგრამ ეს როდი ნიშნავდა დაბლობს, სადაც თითქოს მარგანეცი არ მოიპოვებოდა.

ნატალიასა და ალექსისათვის ინჟინრებიც არ ინჟინრობდნენ — მათთვის ინჟინერი გახლდათ ვიღაც როსტოველი აბელბერგი, თაღლითი, რომელსაც აკაკიც იცნობდა და იცოდა, რომ: არაფერი დაეჯერებოდა. ტროფიმოვი შესაძლოა სულაც იდეალური კაცი ყოფილიყო, მაგრამ საქმისა კი არაფერი გაეგებოდა.

ორი ათასი მანეთით საქმის დაწყება რომ შესაძლებელი ყოფილიყო, განა აკაკი აქამდე არ დაიწყებდა?..

ეს თანხა სამუშაო იარაღების შესაძენადაც კი არ იკმარებდა.

სულ უბრალოდაც რომ დაეწყო, სულ მცირე 20 ათასი მაინც ესაჭიროებოდა.

ჭიათურაში ფუთი მარგანეცი 7 კაპიკზე ნაკლებ არ შეიძლება გაყიდულიყო, ფოთში — 24, საზღვარგარეთ კი — 40 კაპიკნაკლებ. სხვანაირად მხოლოდ იზარალებდნენ.

სთხოვდა ნატაშას, რომ უამისოდ ნუ დადებდნენ ნურავითარ პირობას. ეს მალე ჩააკითხავდათ, სადაც უნდა ყოფილიყვნენ. სურდა უიმათოდ ჩასულიყო კონსტანტინეპოლში, იქნებ — ღვთის წყალობით — რამე გაეკეთებინა და როგორმე ისევ ამათ შეშველებოდა.

1 ივნისს დიდად პატივცემულ კნეინა ლიუბოვ პეტროვნას შეეხმიანებოდა, ნატალიას დას, და დიდი მღელვარების შედეგს შეატყობინებდა:

მთელი თვე გავიტანჯე ამ ჩემთვის აუტანელ ქალაქ ქუთაისში და ბევრი ვაი-ვაგლახისა და ჯახირის მერე შევძელი დამებრუნებინა სახლიც და მამულიც, რომლებიც, როგორც მოგეხსენებათ, კინაღამ დავკარგეო.

მხოლოდ დღეს ჩამოვიდოდა ყვირილაში (მოგვიანებით ზესტაფონი რომ დაერქმეოდა) და აქ, რედაქციაში დახვდებოდა ნატაშას ორი ბარათი ლიუბოვის მინაწერებით.

როგორც ამ ბარათებიდან ჩანდა, მათ არ მიეღოთ ორი წერილი, მოსკოვის ერმიტაჟის საოპერო თეატრის მისამართით გაგზავნილი. ეს ამბავი საოცრად ეჩვენებოდა, რადგანაც აქ არ შეიძლებოდა ის ორი წერილი დაკარგულიყო: მე თვითონ პირადად მივიტანე ფოსტაშიო.

აღარ იცოდა, როგორ და რა მისამართით ეპასუხა, ან რა მაქნისი იქნებოდა პასუხი:

— სულერთია, არასოდეს მათ ჩემი არა სჯერათ. არ მიჯერებენ!

მათი ვერაფერი გაეგო და ვერა. რატომ ეგონათ, თითქოს აკაკის არ შეეძლო მათთვის გონივრული რჩევა გაეზიარებინა, რატომ ეგონათ, რომ აკაკი სულ ატყუებდათ?!.

აი თუნდ მარგანეცის საქმე:

ამასთან შეუთანხმებლად და ამისი სურვილის წინააღმდეგ რაღაც სულელური პირობა დაედოთ ვიღაც ტროფიმოვისათვის და ეს ისე საზარალო აღმოჩნდებოდა, აკაკი სულ თმას დაიგლეჯდა.

სწორედ რამდენიმე დღით ადრე კონტრაქტით შეეკვროდა ფრანგულ კომპანიას „ავგეგრინო“, რომელიც პრეტენზიას განაცხადებდა „ნეუსტროიკაზე“ აკაკის მხრიდან კონტრაქტის დარღვევის გამო და ძალიან გააწამებდა. კნეინა ლიუბოვს თავისი თვალით ენახა აკაკის იმედგაცრუება და შეწუხება იმის გამო, რომ ბედი სრულიად უადგილოდ შემოჩხერდა ტროფიმოვს, ადამიანს, რომელსაც მის ცოლ-შვილი პატიოსან და იდეალურ მეგობრად მიიჩნევდა. მისგან რომ ნატალიასა და ალექსის ხელი არ შეშლოდათ, განზე გადგებოდა, მაგრამ ახლა რა გამოდიოდა? ისინი მაინც უსაყვედურებდნენ: შენი ბრალიაო.

სად არის აქ სამართლიანობაო? — როგორ არ შეწუხებულიყო აკაკი და გულმოსული დასძენდა, — მაგათ ამ ცხოვრებაში არაფერი გაეგებათ გარდა მაგ სულელური თეატრისა, დასწყევლოს ეშმაკმაო.

იმათ რაღაც თავისებური წარმოდგენა გამოემუშავებინათ ადამიანებზე, სინდის-ნამუსზე, პატიოსნებაზე... და თავგზა ერეოდათ როგორც უჭკუო ბალღებს, რომელნიც „ოპეკუნს“ საჭიროებდნენ. და ასეთ ვითარებაში, ნაცვლად იმისა აკაკისათვის დაეჯერებინათ, ხელებში უვარდებოდნენ იმათ, რომელნიც ვერავითარ სარგებელს ვერ მოუტანდნენ. ანკი სარგებელს ვინ ჩივის!..

— მადლობა ღმერთს, თქვენ თვითონ ხედავთ, კნეინა, როგორც მიყურებენ აქ, როგორ მთხოვენ რჩევა-დარიგებას. მე სხვებს ვუკეთებ და ვუწესრიგებ საქმეებს, და ნუთუ არ ვინდომებ სარგებლობა მოვუტანო ჩემს ოჯახს?!.

მაგრამ რა ეღონა, როდესაც არც ცოლსა და არც შვილს არაფრისდიდებით არ სურდათ დაეჯერებინათ მისთვის.

დახასიათებისათვის ლიუბოვს მისწერდა ყველაფერს, რაც ახლა მათი მარგანეცის გარშემო ხდებოდა: ტროფიმოვს მოენახა, მისი აზრით, ძალზე საქმიანი და პატიოსანი კაცი კოვალევსკი და აქ გამოეგზავნა, რათა საქმეები მოეგვარებინა. ეს კოვალევსკი პოლონელი ებრაელი გახლდათ, ცოლად ტფილისელი სომხის ქალი რომ ჰყავდა. და აკაკის არ გაუკვირდებოდა, იგი სტიცკევიჩის ტყუპისცალი რომ აღმოჩნდებოდა, ოღონდ უფრო ეშმაკი.

ნაცელად იმისა მარგანეცის საქმეს შედგომოდა, ხელს მიჰყოფდა პირად საქმეთა მოჭახრაკებას — იქირავებდა სახლს და ძალზე მდიდრულადაც მოაწყობდა თავის ბინას ქუთაისში, მერე ჭიათურაშიც, და ვარაუდობდა სხვების ხარჯზე წარემართა საქმეები ისე, რომ სრულიად არ ეზრუნა არც ლიოლიასა და არც მარგანეცზე.

აკაკი აქ რომ ჩამოვიდოდა, იმას პირადად ინახულებდა და გააფრთხილებდა:

— ჩემთან შეუთანხმებლად საქმე არ დაიწყო, რადგან აქაურებმა შეიძლება მოგატყუონ.

მადლობას კი გადაუხდიდა კოვალევსკი, მაგრამ იმ დღიდან აკაკი თვალსაც ვეღარ მოჰკრავდა. და ხმას გაავრცელებდა: მუშაობის საშუალებას არ მაძლევენო.

ეს სოსიკო მერკვილაძეს, ერთი ხანობა აკაკის მოურავად რომ დაუდგებოდა, უბრძანებდა და რამდენიმე დღეში ჩააბარებდნენ კოვალევსკის გეგმასაც და უფლებასაც — ანუ სამთო სამმართველოს ნებართვას. ეს ყველაფერი ფუჭი ფორმალობა გახლდათ, მაგრამ აუცილებელი კი.

ეს მოხდებოდა მაისის დამდეგს და იგი აქედან კმაყოფილი წავიდოდა, მაგრამ ახლა რაღაც სხვას მოიგონებდა: ხუთ მუშას დააყენებდა სამუშაოდ, ცოტა ხანს რომ თხრიდნენ — რაღაც რამდენიმე ათეული მანეთისას, და ამის მერე მოინდომებდა დაერწმუნებინა აკაკიც და სხვანიც: აქ მარგანეცი არ არისო.

აკაკის მოატყუებდა ის ვიღაც კოვალევსკი გახლდათ? ეს ამ ყოველივეს ჩმახვად და სისულელედ რომ მოიხსენიებდა და ბარათის ადრესატს მიზეზსაც განუმარტავდა, თუ რა მომხდარიყო სინამდვილეში:

ლიუბოვიც იცნობდა აქაურებს და იცოდა მათი ოინბაზობის ამბავი. გამოჩნდებოდნენ ვიღაც მარგანეცის მფლობელნი, რომელნიც — იმისათვის, რომ აკაკისთვის ხელი შეეშალათ — ფუთ მარგანეცს კოვალევსკის, ნაცვლად კაპიკნახევრისა, შესთავაზებდნენ კაპიკად, სადგურის ახლოს. პირადად მას დიდ წილს დაპირდებოდნენ. კოვალევსკიც ასეთი შინაარსის ბარათს მისწერდა ტროფიმოვს.

ტროფიმოვთან დადებულ კონტრაქტში „ნეუსტოიკა“ რომ ყოფილიყო გათვალისწინებული, აკაკი ცხადია იჩივლებდა სასამართლოში, დაანიშნინებდა ექსპერტს, დაამტკიცებდა, რომ მათ ნაკვეთში იყო მარგანეცი, და აიძულებდა შედგომოდა მუშაობას, ანდა გადაახდევინებდა „ნეუსტოიკას“, მაგრამ რაკიღა კონტრაქტში ეს გათვალისწინებული არ გახლდათ, არაფრის გაკეთება აღარ შეიძლებოდა.

შეეძლოთ მიეტოვებინათ სამუშაო და ესაყვედურათ კიდეც აკაკისათვის.

პირადად იგი მოხარულიც იქნებოდა, ამ საქმეზე თუ ხელს აიღებდნენ.

მაშინ თვითონ გააკეთებდა რამეს.

რეტი ესხმოდა ამ საშინლად არეულ-დარეული საქმისაგან და გამოსავალი ვერ ეპოვნა ამ მუდმივი გაუგებრობის გამოისობით.

ეცოდებოდა საწყალი ნატაშა, რადგანაც იგი ყველაზე მეტად იტანჯებოდა ამ არევდარევით. რა უნდა ეღონა აკაკის? პირადად უნდა მოენახულებინა ნატაშა — სხვა გზას ვერ ხედავდა. როდესაც ეცოდინებოდა თუ სად იმყოფებოდა მისი ცოლ-შვილი, საჩხერიდან პირდაპირ გასწევდა მათთან. ლიუბოვს ბარათი რედაქციაში უნდა გამოეგზავნა.

თითქოს აკლდა საწუხარ-სადარდებელი, ესეც რომ არ მიმატებოდა, მეხის დაცემისაგან რომ არაფრით განასხვავებდა, და ასეც აცნობებდა ნატაშას.

დიდი ხნის — რამდენიმე წლის წინათ, როდესაც ინსტიტუტში ვიღაც ქალიშვილი უნდა მოეწყოთ, ლიოლია სხვებთან ერთად თავდებად დაუდგებოდა გოგოს მშობლებს სწავლის ქირისა და შესანახი ხარჯების გადახდის საქმეში. ქალიშვილი სწავლობდა, მშობლებს კი გადასახადი არ შეჰქონდათ. სხვა თავდები პირები ფულის გადახდას თავს აარიდებდნენ და... ყველაფერი კისერზე დააწვებოდა მხოლოდ ლიოლიას.

და ახლახან, ამდენი წლის გასვლის შემდეგ აქაური ადმინისტრაცია მიიღებდა მოწერილობას: ყველაფერი მთლიანად გადაახდევინეთ ალექსი წერეთელს მისი ქონებიდანო.

ლიოლია რისი გადამხდელი იყო, და ამიტომაც...

— ეს მეხი თავზე დამეცა მოულოდნელად, ისე როგორც ყველა დანარჩენი სიურპრიზიც, მაგალითად, პოლტორაცკის, სტიცკევიჩისა და სხვათა ამბავი.

აკაკი ჩვეულებისამებრ მდუმარედ იტვირთავდა ამ მძიმე ჯვარსაც, და არათუ ვინმესთვის ესაყვედურა, არც კი იფიქრებდა ცოლ-შვილისათვის მაინც ეცნობებინა. და გაოცებას იყო — იმათ ვისგან და როგორ შეეტყოთ? მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩებოდა, ხოლო თუ ყველაფერი ეს მოჭორილი გახლდათ, მაშინ ლიოლიას, თუკი თვითონ არ ეცალა, დაევალებინა ვინმე თავისი კაცისათვის, რათა ეცნობებინა აკაკისთვის, რა მომხდარიყო, და ეს შეიტანდა განცხადებას ყალბისმქნელობის შესახებ. მაგრამ თუკი ასეთი შემთხვევა მართლა მომხდარიყო და ლიოლია ამას გაიხსენებდა, მაშინ რაღად დასჭირებოდათ აკაკის შეურაცხყოფა და აბუჩად აგდება?..

და დასძენდა:

შეიძლება ადამიანი გძულდეს, მაგრამ უსამართლოდ შარის მოდებაც არ არის კარგი საქციელიო.

რაც შეეხებოდა ცოლ-შვილის გასაჭირს, აკაკის ესმოდა თუ ესმოდა მათი მდგომარეობა, მაგრამ როგორ დახმარებოდათ, როდესაც გარდა პირადი შრომისა არაფერი გააჩნდა.

— პირადი შრომა კი მოითხოვს ჯანსა და ენერგიას, რომელიც უკვე შელახული მაქვს თქვენი წერილების წყალობით!

ჩივილიც არის, ყვედრებაც, გულისდაწყვეტაც... უკვე მერამდენედ... მაგრამ ვინ უსმენს, ვის ადარდებს, ვინ შეეცდება საწუხარ-სადარდებელი შეუმსუბუქოს... ის ბარათები, ნაცვლად სიხარულისა თავზარს რომ სცემენ ქვეყნის მოჭირნახულე ადამიანს, კვლავაც და კვლავაც მოუვა და ყოველთვის ასეთ დღეში ჩააგდებს — ყოვლად დამამცირებელი ბარათები, ხან სიკვდილსაც რომ ანატრებინებს ხოლმე...

ჯანი და ენერგია უკვე შელახული მაქვსო...

თქვენი წერილების წყალობითო...

ოჯახიც რომ აღარ გეგულება თავშესაფრად... თუმც ან ოჯახი სად მოეძევება, თორემ... უფრო ზუსტად — თან ჰყავს და თან არა ჰყავს...

ამატასთან დაკავშირებით რასაც იწერებოდნენ, არც აქ იყვნენ მართლები — აკაკი რომ არ დახმარებოდა დროდადრო, ნატაშაც და ალექსიც უკვე მგლოვიარენი იქნებოდნენ მასზე და... ბავშვებიც დაიღუპებოდნენ — მათდა სამარცხვინოდ!..

მაგრამ აკაკი ჯახირობდა, წელებზე ფეხს იდგამდა, რომ ასეთი რამ არ მომხდარიყო, და ამას აკეთებდა მხოლოდ და მხოლოდ ცოლ-შვილის გულისათვის, თორემ რა აკაკის საზრუნავი და სადარდებელი იყო ბაზილევსკაიასა და ერისთავის ნაშიერი.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ! დანვრილებით არაფერს გწერთ. თქვენ არ გინდათ გამიგოთ ადამიანურად, თქვენთვის სულერთია ყველაფერი.

ბანკში კიდევ დაჭირდებოდა ჯახირი...

გამოჩნდებოდა კაცი, რომელიც მარგანეცში შესთავაზებდა 50 ათას მანეთს. ეს უარზე დადგებოდა, მაგრამ... რას იტყოდა მისი ცოლ-შვილი, ამ უარს რომ შეიტყობდა? მაინც რომ იმათ უთანხმებს, მათ გარეშე მაინც რომ ვერ წარმოუდგენია გადაწყვეტილების მიღება!.. ნეტა იმათაც უამისოდ არაფერი გადაეწყვიტათ ხოლმე...

მიწის ნავთობიანი ნაკვეთი მიეღო და ახლა საჭირო იყო შემდგარიყო კომპანია და დადგმულიყო ჭაბურღილები, მაგრამ მერე რა იქნებოდა, აღარ იცოდა. სხვები მდიდრდებოდნენ, მილიონერები ხდებოდნენ, მაგრამ აკაკის ამის იმედი არა ჰქონდა:

ბაზილევსკების ცოდვებმა მოშხამა ჩემი ბედნიერებაცო.

და კვლავ კნეინა ლიუბოვ პეტროვნასთან მოუწევდა წერილის გაგზავნა და ნებართვას სთხოვდა ყოფილიყო გულახდილი, რათა მის მეგობრულ, ნათესაურ ბარათზე ეპასუხა — პირდაპირ, საბოლოოდ, ერთხელ და სამუდამოდ.

დიდი ხანია მისულიყო იმ დასკვნამდე, რომ:

ბაზილევსკები ყველანი შექმნილნი იყვნენ ავი სულისაგან იმ მიზნით, რათა ეტანჯათ ადამიანები და გაეუბედურებინათ თავიანთი ახლობლები.

მათი თავდაუჭერელი, ეგოისტური ბუნება მოითხოვდა, რომ განუწყვეტლივ მოემკათ ყოველგვარი სიამოვნება და სარგებლობა მოეტანათ მხოლოდ თავიანთი მსგავსი ეგოისტებისათვის — ღირსეულთა საზიანოდ.

მათ შორის მარტოდენ ნატაშა გახლდათ გამონაკლისი.

ნატაშა — სრულიად არაეგოისტური არსება, მზადმყოფი თავგანწირვისთვისაც კი, მაგრამ მიუხედავად ამისა, თავისი ავადმყოფური, უცნაური ხასიათის გამოისობით სამწუხაროდ სულმუდამ იტანჯებოდა და უნებურად სხვებსაც ტანჯავდა ისე, რომ ამას პირადად მისთვის არავითარი სარგებლობა არ მოჰქონდა.

ლიოლიას, აკაკისდა საუბედუროდ, ყოველივე ეს დედისაგან მიეღო მემკვიდრეობად.

თავისი ნიჭიერებით, მომზადებით, შრომისმოყვარეობითა და ყოველგვარ სიკეთით მას თითქოს უფლება ჰქონდა უკეთესი მდგომარეობა მოეპოვებინა ცხოვრებაში, მაგრამ... პირად უხასიათობასა და მემკვიდრეობად მიღებულ „ბაზილევშჩინას“ (რაც განზოგადებულიყო, როგორც: წინ ნურავინ აღუდგება ჩემს ზნესა და ხასიათსო) მიჯაჭვული ჰყავდა ამ დაწყევლილ ბუტაფორულ ცხოვრებაზე და ყოველმხრივ ხელს უშლიდა.

აბა სად იყო ის იღბლიანი კაცი, რომელიც ცხოვრებაში მხოლოდ და მხოლოდ ვარდყვავილებს ჰკრეფდა?

ვის არ დასდებოდა ვალები?

მაგრამ არავინ თავს არ იკლავდა და არ მოჰქონდა არც თავისთვის და არც სხვებისათვის უსარგებლო მსხვერპლი.

— როცა მონადირეები შემთხვევით ჭანჭრობში მოხვდებიან ხოლმე, ცდილობენ როგორმე დააღწიონ თავი იქაურობას და არც ისწრაფიან სიღრმისაკენ, რომ კიდევ უფრო ღრმად ჩაეფლან.

მაგრამ ეს ჭეშმარიტება არ გაეგებოდა ალექსი-ლიოლია წერეთელს.

განა ეპატიებოდა ლიოლიას, ასეთი პირადი შესაძლებლობების მქონეს, არ მოენდომებინა გასაჭირიდან თავის დაღწევა, ანდა ვერ გამოენახა შესაფერისი სახსრები?

აკაკი ამ შეკითხვას რიტორიკულად წამოჭრიდა, შვილის დასამუნათებლად, და მწარე ღიმილით დასძენდა: არ შეიძლება ცხოვრებას უყურო თეატრალური თვალსაზრისითო!..

სულ უფრო და უფრო ეჭირებოდა გულზე ის განცდები, ისედაც რომ ძალიან აღელვებდა, მაგრამ სიბერის მოახლოების კვალობაზე რა გასაკვირია ძალიან და ძალიან რომ გამწვავებოდა, თან მანამდე ილუზიებსაც ასდევდა, ახლა რომ შემოეძარცვებოდა შვილთან ურთიერთობისას და იძულებული ხდებოდა თვალი გაესწორებინა მკაცრი რეალობისათვის:

რატომ გაურბოდა ჩვენს მხარეს?

განა მას, ყველა მისი ღირსებისათვის, აქ ნაკლები პატივისცემით მოეკიდებოდნენ?

და ყოველივეს აქ უფრო ადვილად არ მიაღწევდა?

კარგი დროსია!..

ეს ყოველივე იმთავითვე უნდა გაეთვალისწინებინა, დედის ხელში რომ ტოვებდა ბაშვს, დედისა, რომელსაც არაფერი, სრულიად არაფერი აკავშირებდა საქართველოსთან, ეგზოტიკურ ქვეყნადაც რომ ვერ შეიგრძნობდა და ვერც ქმართან ეპოვნა სულიერი ძაფები.

აკაკი შვილსაც საყვედურობს და... თავსაც საყვედურობს გადაულახავი ბარიერის არსებობას ალექსი წერეთელსა და მის სამშობლოს შორის, კაცმა რომ თქვას, სამშობლოდ რომ აღარც ითქმოდა ლიოლიასათვის, და მაშ გაექცევა აბა რა იქნება — სავსებით საკმარისია მისთვის, ფული რომ ჩასდის და მისი ვალები იფარება... და ველარც იფარება, რაკიღა ახალ-ახალი ემატება.

აკაკი გულს აწყდებოდა და ლიუბოვის დასტურსაც გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებდა: თქვენ თვითონ მოგეხსენებათ, თუ რა კარგი, შესაძლოა გადაჭარბებული „რენომეთიც“ კი სარგებლობს იგი ჩვენში, თუმც პირადად ცოტა ვინმე თუ იცნობს. სარგებლობს იმიტომ, რომ „აკაკის შვილიაო“.

ეს რა — განა ცოტას ნიშნავდა. სწორედაც აკაკის შვილობით შეეძლო მტკიცედ და საიმედოდ დამკვიდრებულიყო საქართველოში, ეს ყოველივე აკაკის იმთავითვე რომ აეღო თავის თავზე და თვითონ გაეზარდა, მიმს შვილს როგორც შეჰფეროდა.

ახლა გვიანღაა შეგონება: განა არ შეგეძლო აქ მოგენახა ღირსეული პარტიაო?

ახლა ისიც აწუხებს, უცოლშვილოდ რომ რჩებოდა ალექსი-ლიოლია, არადა თვით ტ-ქ მონადინებულიყო მის სიძეობას. და მაშ რად აყოვნებდა და უცდიდა სიბერეს?

ოღონდ... თუ სურვილი არა ჰქონდა, მაშინ აკაკი უკვე აღარ ურჩევდა ცოლის შერთვას.

— პირადი ბედნიერება არასოდეს მქონია, შვილის ბედნიერებაში მაინც მინდოდა მე-პოვნა ის. ამიტომ თუ ოჯახური ცხოვრება არ მოუტანს ბედნიერებას, დე ნურც იფიქრებს მასზე.

ეს სტრიქონები აკაკის ოჯახური დრამის გამოტირებაა!..

პირადი ბედნიერება არასოდეს მქონიაო...

და ესეც ნაყოფი მისი პირადი ბედნიერების უქონლობისა — თურმე ველარც შვილის ბედნიერებაში უნდა ეპოვნა პირადი სიხარული.

დაე ამ ფიქრსა და ოცნებაზე აელო კიდეც ხელი — შვილის ბედნიერებას მაინც შეემსუბუქებინა მისთვის მორალური შეჭირვება... მაგრამ ხომ შეიძლებოდა რაღაც საშუალებანი გამოძებნილიყო საქმის გამოსასწორებლად — საკმარისია ლიოლიას დროებით მაინც გაეწყვიტა კავშირი ამ შეჩვენებულ ხარკოვთან და აქ, საქართველოში დაეწყო ახალი ცხოვრება, რათა მოეგვარებინა თავისი საქმეები და მტერ-მოყვრის თვალში დარჩენილიყო ისეთივე წესიერ კაცად, როგორც ახლა იცნობდნენ.

თუკი უწიგნური და შრომაში ცუდად გაწაფული კაცისათვის შოულობდა აკაკი ბაქოს ქარხნებსა და ფაბრიკებში ადგილს, განა არ შეეძლო მოეწყო საკუთარი შვილიც და მერე ისეთი, როგორიც ალექსი გახლდათ?.. ბაქოს ნავთის გარშემო დატრიალებული ამგვარი ციებ-ცხელების დროს ფანრით ეძებდნენ ისეთებს, ლიოლია რომ იყო, და ამისათვის არავითარ ფულს არ იშურებდნენ. ასე მაგალითად, ეს არის ახლა დაბრუნებულიყო უნივერსიტეტიდან ახალგაზრდა თუმანიშვილი, და მხოლოდ იმიტომ, რომ იცოდა უცხო ენა, მაშინვე დაუნიშნავდნენ თვეში 500 მანეთს და... წინ კიდევ რამდენიმე იმედი მოჩანდა.

იმის მაგივრად, რომ მუდამ ტანჯვაში ყოფილიყო და აღარც კი ჰქონოდა იმედი კრედიტორებისაგან თავის დაღწევისა, განა არ აჯობებდა ჩამოსულიყო აქ, მოწყობილიყო ადგილზე, თავიც დაემშვიდებინა და მამაც? ამასობაში კი მათი საქმეებიც მოგვარდებოდა!.. მადლობა ღმერთს, მასალა დიდებული მოეპოვებოდათ, და რომ ესარგებლათ ამ მასალით, საჭირო იყო მოქმედება, აკაკის კი, აწ უკვე მოხუცსა და ავადმყოფს, ძალ-ღონე აღარ ჰყოფნიდა მარტოკას გაერთმია თავი საქმისათვის.

ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა რომ გაეკეთებინა აკაკის — ეს იყო მამულისა და სხვების მიერ წაგებული მარგანეცის დაბრუნება. მორჩა და გათავდა!..

სხვებზე საყვედურების ლაპარაკი ადვილი გახლდათ, მაგრამ აკაკი აქეან ვერანაირ ხეირს ვერა ხედავდა. ბაზილევსკებს კი თავიანთი არაგონივრული საყვედურებით იმ ზომამდე მიეყვანათ იგი, რომ მთლად დაეკარგა ენერგია და ყველაფერზე ხელი ჩაექნია.

თქვენს დას ჰგონიაო — ნატალიას გულისხმობდა — რომ საქმის კეთება ისევე ადვილია, როგორც აფიშების ბეჭდვა, და აი რატომაა, რომ ასეთი სიმართლისმოყვარე ქალი ვერასგზით ვერ გარკვეულა ცხოვრების საქმეებში და თავისი ტანჯვა-წამებითა და უსამართლო საყვედურებით სულსა მხდისო.

ვერ იჯერებდა, რომ ლიოლიას მიერ გაუსტუმრებელი ხაზინის ვალის გამო ყადაღა დაედოთ ყველაფრისათვის და, ვიდრე ეს დახლართული საქმე არ გაიხსნებოდა, აკაკის საშუალება არ ექნებოდა რაიმე სასარგებლო გაეკეთებინა მათთვისაც და აგერ თუნდ ლიუბოვისთვისაც.

— მაგრამ, თუ ღმერთი გწამთ, მითხარით, განა თქვენ არ გიტალახებდნენ კარს „ოკოლოდოჩნიკები“, ვიდრე მე ჩამაბარებდნენ უწყებას და ყადაღას დაადებდნენ ყველაფერს? ეჰ! რას იზამ! სიღარიბე და გაჭირვება ისეთი რამეა, რაც სამართლიანობაზე ხელს აღებინებს ადამიანს.

და ბარათის ბოლოს ერთხელ კიდევ მოუბოდიშებდა გულახდილობისათვის.

ხოლო ნატაშას რომ შეეხმიანებოდა, წერილს იმით დაიწყებდა, რომ: მისთვის ყველა უქმე-დღესასწაული მძიმე ასატანი გახლდათ, მაგრამ ამჯერად განსაკუთრებით მძიმედ დაწვებოდა, რადგანაც ვერ შეძლებდა ცოლ-შვილისათვის გაეგზავნა ის, რასაც სთხოვდნენ.

ყველგან უიღბლობა სდევდა: საბანკო ყრილობა მაისამდე გადაიდებოდა, კომედიას არ მიიღებდნენ, რა თქმა უნდა იმიტომ, რომ ფული არ მოეძევებოდათ... მისაღებს არსაიდან ელოდა, ხოლო მათი რიცხვი, მისგან რომ სურდათ თანხის მიღება, არ დაითვლებოდა...

იმდენად ცუდ გუნებაზე იმყოფებოდა, რომ... შეშურდებოდა სანდრო წერეთლისა, რომელიც რამდენიმე დღის წინათ... მომკვდარიყო ფილტვების ანთებით და უკვე დაესაფლავებინათ კიდეც.

როგორც კი ფულს მიიღებდა, მაშინვე გაუგზავნიდათ, ოღონდ, თუ ღმერთი სწამდა ნატალიას, ნუ სწერდა სასოწარკვეთილ და გულგასახეთქ წერილებს. თუნდ ერთხელ მაინც დამტკიცებინა, რომ ადამიანი იყო და არა დაუძლურებული დედაბერი.

პეტერსი ყოფილიყო ჭიათურაში და: ბევრი და კარგი ხარისხის მარგანეცი აღმოჩნდაო. მაგრამ პირადად აკაკი არ მოენახულებინა და ამან არ იცოდა, რას დაებრკოლებინა, სტუმრობა რომ ვერ მოეხერხებინა. თუ ხვალაც არ მოვიდოდა, მაშინ აკაკი თვითონ გაგზავნიდა მასთან კაცს.

და... ცოლს მოუბოდიშებდა, რომ წერას ვეღარ აგრძელებდა:

მიჭირს და ისე დარდიანად ვარ, რომ ხელიდან კალამი მივარდება. ბოლოს მეც მიღალატა ენერგიამო.

14 ივნისს აცნობებდა, რომ ძლივს ეშოვნა 150 მანეთი და ისიც ხელზე 20 ივნისზე ადრე არ ექნებოდა. ნატალიას მიაწვდდა ას მანეთს, 50-ს კი ლიოლიას, რომლის წერილიც ახლახან მიეღო.

თვითონ აკაკი საშინელ დღეში იმყოფებოდა — ავადმყოფობას, რომელიც ამდენ ხანს საწოლს მიაკრავდა, სულ დაეგრიხა.

მარიამ დემურიას განზრახ ედეპეშა ნატალიასათვის ისე, რომ არ შეშინებოდა. აკაკის აბა როგორ შეეძლო სანდრო წერეთლის დასაფლავებაზე წასულიყო? უცნაური ეჩვენებოდა, რომ ნატალია კოსტიასა და ზინუშკას დაერწმუნებინათ, თითქოს მათ აკაკი ენახათ.

მეექვსე დღეა, რაც გარეთ გამოდიოდა და ჯერ კიდევ ყველაფერში გარკვევა ვერ მოესწრო.

მისი იღბალი კიდევ, რომ აქ, ტფილისში უჩვეულო ზაფხული იდგა — უპალტოოდ გარეთ გასვლა არ შეიძლებოდა, ისე ციოდა!..

ამ დღეებში მიემგზავრებოდა გორდში — ნიკო დადიანთან.

ამიტომაც ბარათი აკაკის სახელზე ყოველთვის დაე „კვალის" რედაქციაში გამოეგზავნა — იქიდან მიანვდიდნენ, სადაც უნდა ყოფილიყო.

ნუ იფიქრებდა ნატალია, რომ იმ 150 მანეთზე მეტს ვერ გაუგზავნიდა... როგორც კი საშუალება მიეცემოდა, ყოველთვის მიაწვდიდა მასაც და ლიოლიასაც ისე, რომ მათი მხრიდან შეხსენება არ დასჭირდებოდა.

პეტერსი ისევ მიაკითხავდა და ისევ უცდიდა კომპანიას... გულახდილად რომ ეთქვა აკაკის, მისი ნაკლებად ეიმედებოდა. ცოლს კი სთხოვდა: შენს წერილებს ვერ ვარჩევ, წერე უფრო გარკვევით და წესიერადო.

მომდევნო ბარათში ღმერთს მადლობას შესწირავდა, ცოლ-შვილი ცოცხალი რომ ჰყავდა — აგერ უკვე რამდენი ხანია მათი ამბავი არა იცოდა რა!.. ორი ბარათი გაეგზავნა და არცერთზე პასუხი არ მიეღო, და არ უწყოდა, სად იყვნენ და როგორ იყვნენ.

თვითონ ამ დღეებში დაბრუნებულიყო საჩხერიდან. თან გულმოკლული: ყველგან საძაგლობააო!.. საქმეები ვერ მისდიოდა კარგად, მაგრამ ამისდა მიუხედავად ივნისის ბოლომდე აქ უნდა დარჩენილიყო, მერე კი მათი მორჩილი მსახური მათკენ გასწევდა.

— მიიღეთ საწყალი ბერიკაცი, როგორც წესი და რიგია. აი ასე, მაინც ვტოვებ სამშობლოს და მოვდივარ, ვინ იცის, სად!

საარაკო რამ შემთხვეოდა, მოსაყოლად გრძელი ამბავი გახლდათ, თუმც მისი სტატიიდანაც გაიგებდნენ, რა მომხდარიყო.

ღვთის გულისათვის, მოეწერათ პირდაპირ სასტუმრო „ფრანციაში". ეს შედარებით ჯანმრთელად იყო, დაე ნატალიას მისი ჯავრი ნუ ექნებოდა.

წყენას გამოთქვამდა ამატაზე — არამცთუ თვითონ არ მწერდა არაფერს, შენთან რაც ჩამოვიდა, აღარც შენ იწერებიო.

19 ივნისის ბარათი საყვედურით დაიწყებოდა: არ ვიცი, რას მივაწერო თქვენი ასეთი გულცივობაო.

შვილი იყო და... დროს ვერ პოულობდა ბარათის მოსაწერად.

ცოლი იყო და... იწერებოდა მხოლოდ და მხოლოდ გესლიან ბარათებს.

რა გაეწყობოდა — გულს ვერ უბრძანებდი!.. მაგრამ საქმეზე მაინც ნუ დაიზარებდა წერას ნატალია.

მარგანეცის ფასი, მას შემდეგ, რაც ტარიფს დაუკლებდნენ, უკვე აიწევდა. მასზე უდიდესი მოთხოვნილება იყო, სხვებს მილიონი შემოსავალი მიეღოთ, ესენი კი... ნეტა რას ელოდებოდნენ გულხელდაკრეფილნი?..

ეჭვს გამოთქვამდა: ხომ არ მუხანათობს თქვენი აგენტი რომელიმე ფირმის სასარგებლოდო? საერთოდ კი თუ გული არა, გონიერება მოითხოვდა, რომ ბედზე და საერთოდ უსარგებლო ჩივილის გარდა ნატალიასა და ლიოლიას თავიანთ თავზეც შეეტყობინებინათ რაიმე.

ხოლო ლიოლიას იმ ვალდებულებას, რომ ინსტიტუტში მიაღებინებდა ვიღაც ქალიშვილს და ფულის გადახდასაც იკისრებდა მისი აღზრდისათვის, დიდ დავიდარაბაში ჩაეგდო აკაკი. დაე ეცადათ გაეხსენებინათ თუ რა მომხდარიყო სინამდვილეში. თუ აღმოჩნდებოდა, რომ ათი წლის წინათ ასეთი რამ არ ყოფილიყო, მაშინ შეიძლება ეფიქრათ, რომ აქ რაღაც სიყალბე ტრიალებდა — ალექსის მაგივრად სხვას მოეწერა ხელი, და მაშ შესაფერისი განცხადებაც უნდა შემდგარიყო იქ, სადაც ჯერ არს!..

ამიტომ სთხოვდათ: შეცდომაში არ შემიყვანოთ, მინდა აღვძრა საქმე სისხლის სამართლის წესითო.

მამულის თაობაზე მოხსენება ყოველმხრივ დამთავრებული იყო — ტაქსაციაც და შეფასებაც. მალე, არა უგვიანეს ერთი თვისა, რომელიმე ბანკიდან პეტერბურგში გაგზავნიდნენ განცხადებას ნებართვის თაობაზე და აკაკი თვითონ უნდა წამოსულიყო, თუ... თუ მანამდე იცოცხლებდა.

და კიდევ ერთ ბარათს მიადევნებდა და ამცნობდა, რომ: მეორე პირისათვის დოკუმენტის გაცემისას აუცილებელი იყო გამოერთმია ხელწერილი, რომ პირველივე მოთხოვნისთანავე ვალდებული გახლდათ დაებრუნებინა ესა თუ ის დოკუმენტი.

დიდი ჯაფა და წვალება დასჭირებოდა, რომ ეს დოკუმენტები ჩაეგდო ხელთ და აფრთხილებდათ: არ დაკარგოთ, თორემ მერე ველარ ვიშოვი და ყველაფერს დავკარგავთო.

მისი მდგომარეობა? ძალზე ცუდი იყო. როგორც კი იშოვიდა ფულს, გაუგზავნიდა. ძალიან უჭირდა, რომ მარტოკას გაერთმია თავი ყველაფრისათვის. ისე მოშლოდა ძარღვები, წერაც კი უჭირდა. მამულში ყველაფერი თავდაყირა იდგა. ერთ წელიწადს მაინც თუ კიდევ იცოცხლებდა, ეიმედებოდა, რომ ყველაფერს გამოასწორებდა.

23 ივნისს ებოდიშებოდა, რომ ას მანეთზე მეტს ვერ უგზავნიდა.

ძალიან დიდი უბედურება დასტეხოდა თავს — ქუთაისში გამგზავრების დღეს ფეხი ეღრძო და ახლა იწვა. ტკივილი საშინლად ტანჯავდა და გულსაც შემოყროდა — არაფრის გაკეთება არ შეეძლო, მკურნალობას კიდევ აუარებელი ფული მიჰქონდა.

აგერ უკვე მეორე კვირაა იწვა და ღმერთმა იცოდა, კიდევ რამდენ ხანს მოუხდებოდა წოლა.

ემადლიერებოდა „კვალის“ რედაქციას — იქ გაემართათ მისთვის საწოლი და კარგადაც უვლიდნენ.

უნდოდა ლიოლიასათვის გაეგზავნა 50 მანეთი, მაგრამ არ იცოდა, სად იმყოფებოდა — ხარკოვსა თუ სევასტოპოლში!.. დაე ნატალიას შეეტყობინებინა მისი ადგილსამყოფელი.

საშინელი გამომდგარიყო მისთვის ეს წელიწადი — სულ დაეკარგა ენერგია. და თუ ეს დროებითი არ გახლდათ, მაშინ ყველაფერი გათავებულიყო.

— სჯობია არ იყო, ვიდრე იცოცხლო უიმედოდ და უენერგიოდ...

მერამდენედ უნდა ინატროს სიკვდილი!..

პეტერსი აქამდე სულ აიმედებდა და ესეც თანხმდებოდა ყველა მის კაპრიზს... მაგრამ წინა დღით პირდაპირ გამოუცხადებდა: არაფრის გაკეთება არ შემიძლიაო. როგორც ჩანდა, სერიოზული საქმე აზრადაც არა ჰქონოდა, მხოლოდ აკაკის უბნევდა გზა-კვალს და ფუჭ ხარჯებს აწევინებდა...

— დავიღალე! — აღმოხდებოდა გულშემოყრილს.

26 ივნისს უჩვეულო გუნებაზე იდგებოდა და განსაკუთრებულ მადლობასაც გადაუხდიდა ბარათისათვის: პირდაპირ მკვდრეთით აღვსდგები ხოლმე, როცა შენს წერილს ვღებულობო.

გული წყდებოდა, რომ ნატალიასთან არასწორ ცნობას მიეღწია.

თავისი მხრივ აკაკის პეტერსის ყველა კაპრიზი შეესრულებინა — იმას ოთხჯერ შეეცვალა თავისი წინადადება და ეს ოთხჯერვე დათანხმებოდა, მეტი რაღა ეღონა. ბოლოს იმას მაინც მოეთხოვა: საქმე გადადეო, — იმ მოტივით, რომ ინგლისელები უხალისოდ ჰკიდებდნენ ხელს კავკასიის საქმეებს.

— მე აქ არაფერ შუაში ვარ.

რაც შეეხებოდა ტფილისის საადგილმამულო ბანკის არჩევნებს, აკაკის მასში არავითარი მონაწილეობა არ მიეღო და ამის შესახებ ორი კვირით ადრე განეცხადებინა პრესაში, რადგანაც არცერთ მხარეს არ თანაუგრძნობდა. და ეს იმიტომ, რომ: ოპოზიცია სულელურად იქცეოდა, ხოლო ბანკის გამგეობა — უმსგავსოდ.

გაზეთი „კვალი“, სადაც აკაკი მუშაობდა, სასტიკად გაკიცხავდა როგორც ერთ, ისე მეორე დასსაც.

ეს მოთმინებიდან გამოიყვანდა ბურჟუაზიულ ინტელიგენციასა და საერთოდ სომხებს და ამას შემოუტევდნენ, როგორც გაზეთის წარმომადგენელს.

— ისინი არაფერს ერიდებიან, მაგრამ შენ ხომ იცი, ჭიაღუები ვერაფერს იზამენ.

დე რამდენიც სურდათ ეყაყანათ, ბოლოს იძულებული გახდებოდნენ, რომ აკაკის დათანხმებოდნენ.

გამგზავრების დღეს ფეხს იღრძობდა და აგერ უკვე ორი კვირაა იწვებოდა. მარცხენა ფეხი ჯერ სულ არ მოქმედებდა... საშინელი ტკივილები ტანჯავდა, მკურნალობას ბევრი ფული დასჭირდებოდა და ამიტომაც სიდედრს ძლივს გაუგზავნიდა 100 მანეთს. ნატალიასაც პირდებოდა, მალე გამოგიგზავნიო.

პეტერბურგში ხოლერა მძვინვარებდა და ამის გამო:

— დედაშენის დიდი ჯავრი მაქვს.

რომ დაუკვირდებოდა, აღმოაჩენდა, რომ: ასეთი მძიმე წელიწადი არასოდეს ყოფილიყო მის სიცოცხლეში.

მის ძიძიშვილს, სანდროს, ყაჩაღობისათვის 115-წლიან კატორღას მიუსჯიდნენ.

ამასაც მოესწრებოდა!..

ახლა კი დაღლილობა მოერეოდა და წერას ვეღარ გააგრძელებდა.

19 ივლისსაც კვლავ მადლობას მოახსენებდა წერილისათვის, ბოლოსდაბოლოს როგორც იქნა რომ ეღირსებოდა ერთხელ მაინც მიეღო გონივრული ბარათი და არა ექსცენტრული, რომელსაც ჩვეულებრივ ღებულობდა და რომლისგანაც მხოლოდ რეტი ესხმოდა ყოველად უმიზნოდ და უსარგებლოდ.

ძალიან უხაროდა ნატალიას გამო — რომ გამხდარიყო უფრო მშვიდი, უფრო გონიერი, თორემ ბოლო დრომდე ქალის ცხოვრებას, ყოველგვარი გადასვლების გარეშე, წარმართავდა ორი უკიდურესობა: მისი გულკეთილობა და ავგულობა ყოველთვის უკიდურეს ზღვარს აღწევდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ კეთილი იყო სხვების მიმართ, და ავი — საკუთარი თავისა და ქმრის მიმართ.

მაგრამ დაე დაენებებინა თავი ყოველივე ამისათვის: ნატალია დიახაც მართალი იყო, გონივრულად მართალი!.. ასეთი ვაჟიშვილის დედას დიახაც ჰქონდა უფლება მოეთხოვა პატივისცემა.

თავისი წლოვანებისათვის ლიოლია უფრო მეტი იყო, ვიდრე წარმატებული. მთავარი კი ისაა, რომ მას მომადლებოდა ყველა ის თვისება, რათა დღითიდღე სრულეყო თავი, რაც ყოველი გონიერი არსების მიზანია!..

აკაკის მოსწონდა იგი არა როგორც მამას, არამედ — როგორც მკაცრ მსჯავრმდებელს. — ეს კი ბევრი რამ არის.

ზრუნავდა მისი საქმეების გამო, რაც სამწუხაროდ დიდ დროს ართმევდა და არ აძლევდა საშუალებას მასთან ერთად ხანგრძლივად ყოფნისა.

ნატალია ძალიან გულუხვი რომ გახლათ კოცნაში, აკაკიც კოცნიდა მას, როგორც კარგი ბიჭის დედას და როგორც მეგობარს, მაგრამ როგორც ცოლს... რა მოეხსენებინა — მითუმეტეს, რომ სიბერეს მოედრიკა და ახალგაზრდობას თავისას გრძნობდა მხოლოდ იმ ახალგაზრდა ქალიშვილებთან, რომელნიც თავიანთი დაუსრულებელი ალერსით ხიბლავდნენ, და არა იმასთან, ვისაც... ნესტორები არაბული ცხენივით ებერებოდა და შხამიან სიტყვებს ბომბებივით ისროდა პირიდან.

არ დაატეხა თავისი მწარე ენა მთელი სისავსით თავზე ცოლს, რომელიც ჰყავდა და... არცა ჰყავდა?!.

რაც კი რამ სწყენოდა მისგან, რაც კი რამ გულისტკივილი დაგროვებოდა, ამ უალრესად სხარტ დახასიათებაში ჩაწურავდა, მახვილივით მოქნეული შედარებანი აზღვევინებდა ნატალიას შხამიან სიტყვათა დაუსრულებელ სერიას, და ბარემ ეს გაქილიკებაც არ ჩაეტოვებინა გულში: ვიმედოვნებ, შენ უკვე აღარ ეკუთვნი ტურფა ასულთა უკანასკნელ კატეგორიასო.

5 აგვისტოს ბარათში გაოცებას გამოთქვამდა: ნუთუ ფიქრობ, რომ შენზე ნაკლებ მაწუხებს ლიოლიას წარუმატებლობაო?

წელებზე ფეხს იდგამდა, მაგრამ რა ელონა, თუკი მალე ვერაფერი კეთდებოდა.

ლიოლიას წერილსა და დეპეშაზე ეპასუხა და ახლაც იმეორებდა, რომ: საქმე იმ მამულის თაობაზე, რომლისგანაც დიდ თანხას ელოდა, ვიდრე სასამართლო შედგებოდა, ჭიანურდებოდა დავითისა და მისი ცოლის, ანუ აკაკის ძმისა და რძლის, გამოისობით.

მეორე მამულიდან 10-15 ათასი მანეთის აღებას ფიქრობდა, მაგრამ აქაც საქმეს აფერხებდა წყეული რ... ამაზე ნატალიასათვის არაფერი მიეწერა, ცუდ.გუნებაზე არ დავყენოო, და ტყუილად გაეხსენებინა მის დას ეს საძაგელი საქმე.

სულ 5 ათასს აიღებდა, რომელსაც ლიოლიას გადასცემდა, მაგრამ ყველაფერი ეს ამ თვეში არაფრისდიდებით არ მოესწრებოდა.

გუშინ ბანკიდან ისევ შეეტყობინებინათ, რომ ამ დღეებში გაიგზავნებოდა წარდგენა პეტერბურგს. და რაღას იზამდნენ, უნდა მოეცადათ, სულიერად არ დაცემულიყვნენ, პატარა ენერგია კიდევ და... ყველაფერი კარგად იქნებოდა.

ბოლოსდაბოლოს დავით წერეთელთან დავა ხომ უნდა გათავებულიყო? მისმა ცოლმა ჩინებულად იცოდა, რომ საქმეს წააგებდა, მაგრამ განზრახ აჭიანურებდა, რათა ხელი შეეშალა მამულის დაგირავებისათვის.

რას იზამდნენ! უნდა მოეცადათ, და როდესაც დამთავრდებოდა, ფული ხომ წარდგენილი იყო? აკაკის თავისთვის კაპიკიც არ უნდოდა. ხოლო ნატალია ტყუილუბრალოდ ეჭვობდა სანყალ სოსიკო მერკვილაძეზე, რადგანაც უიმისოდ აკაკი დაიღუპებოდა. იგი აკაკიზე ნაკლებად არა ზრუნავდა და არა წვალობდა მოურავად ხელობაშეცვლილი გამომცემელი, და მხოლოდ იმისათვის, რომ ლიოლიას დახმარებოდა.

კურმაკოვის გეგმა აკაკის არ გააჩნდა. მარგანეცის დამუშავებას თვითონვე აპირებდა და, თუ სადმე 10 ათას მანეთს იშოვიდა, მაშინ გადარჩენილები იყვნენ და ეგაა!..

მარგანეცის ფასს ისევ აეწია, მაგრამ უქნარა კაცი არ გამდიდრდებოდა. ბაქოელი სომხები კომპანიას სთავაზობდნენ, მაგრამ ამას ვერ გადაეწყვიტა: რაღაც გროშებისათვის რომ მივცე ასეთი სარფიანი საქმე, ცოდვას ჩავიდენო. იქნებ როგორმე უიმათოდაც გაერთმია თავი. დაე ცოლ-შვილს ღვთის იმედი ექონია, სასოს ნუ წარიკვეთდა, რამდენიმე თვე როგორმე გაეძლოთ და... კიდეც ბატონებივით იქნებოდნენ (პანებივითო, — პოლონურ-ჩეხურ-ბელორუსულ-უკრაინულ ფორმას ამჯობინებდა).

5 სექტემბერს მისწერდათ ბორჯომში რამდენიმედღიანი ყოფნის ამბავს, ძალიან კარგად რომ გამხდარიყო და არავითარ ტკივილს აღარ გრძნობდა. აქ, ტფილისში ჩამოსვლისთანავე ვარაუდობდა ნატალიას დისაგან მიეღო თავისი კუთვნილი დაპირებული თანხა,

რათა ნატალიასთან გადაეგზავნა, მაგრამ დახე რას წაწყდომოდა: იმას შინამოსამსახურენი აბუნტებოდნენ და გროშ-კაპიკიც აღარ გააჩნდა, აღარც კრედიტი...

კიდევ კარგი, რომ მიუსწრებდა.

აი სად გამოჩენილიყო ხელი უფლისა:

ელიზბარ ერისთავი, რომელსაც აკაკი და მისი ოჯახობა გაეძარცვა, ქედმაღლურად დაჰყურებდა, დასცინოდა აკაკის პატიოსან სიღარიბეს; არათუ დახმარებოდა, პირიქით, მოახერხებდა ამისათვის კიდევ წაეგლიჯა, არა იმიტომ, რომ სჭირდებოდა, არამედ — ეს რომ გაეწამებინა. თუმც აკაკის საამისოდ არავითარი საბაბი არ მიეცა. ბედნიერებით მთვრალი ნატალიას დაც ვერ არჩევდა, სად იყო სიმართლე და სად სიმრუდე; ურიგებდა ათასებს ვიღაც-ვიღაც მირმონოზ-ვირმონოზებს. და... ახლა სად იყვნენ ეს თარხანოვები, გაგარინები და კომპანიები?

ყველაზე ნაკლებ ეს უნდა ყოფილიყო კეთილგანწყობილი ელიზბარის ახლობლებისადმი, მაგრამ რას იზამდა — ნატალიას და გახლდათ, აკაკიც ხათრიანი კაცი იყო და... იმას, რაც ნატალიასა და ლიოლიას ეძვირფასებოდათ, გულგრილად გვერდს ვერ აუვლიდა.

ბაზილევსკებზედაც სერიოზულ იმედს ვერ დაამყარებდა. ბოლოსდაბოლოს ხომ უნდა მომხდარიყო ის, რისიც ახლა ასე ეშინოდა ნატალიას. მაგრამ აკაკი ნანობდა, რომ ასე მალე მომხდარიყო, სწორედ მაშინ, როცა ასე ბევრი საქმე და ამდენი ხარჯი აწვა.

ელისაბედისათვის მამული მოეგო საბოლოოდ და ეს უბრალო საქმე როდი იყო!..

გულისხმობდა ტყეს, რომელიც აკაკის მამას, როსტომს, მიხეილ წერეთლისათვის — ელისაბედ წულუკიძის მამამთილისათვის — დაეგირავებინა. ეს ტყე, საფალავანდიშვილოდ წოდებული, სადავო გახდებოდა და ელისაბედი დაისაკუთრებდა, მაგრამ აგერ აკაკის ვითარება თავისდა სასიკეთოდ შემოეტრიალებინა. და ახლა საჭირო იყო ტყის ტაქსაცია, შეფასება და დაგირავება. ეს დიდ ხარჯებსა და რამდენიმე თვეს საჭიროებდა, მაგრამ ამისდა მიუხედავად აკაკისა და მისი ოჯახისათვის დიდი ბედნიერება გახლდათ.

მადლობას უძღვნიდა ორი გულითადი ბარათისათვის და სთხოვდა, რომ ლიოლიასათვის გადაეცა ბროშურა.

21 აგვისტო ახსოვდა... აკოცებდა კიდეც დაუსწრებლად, დეპეშას კი იმიტომ ვერ გაუგზავნიდა, რომ არ იცოდა, სად იმყოფებოდა.

დაე ნატალიას მოეწერა უფრო ხშირად „კვალის“ რედაქციის სახელზე.

და აკაკი ჰკოცნიდა პაწია ტუჩებში, თუმც ნატალიას ეს არ უყვარდა.

19 სექტემბერს მადლობას მისწერდა მისი ხსოვნისა და მიწევისათვის, მაგრამ ვერ შეძლებდა ესარგებლა ამით!..

უკვე ის აღარ იყო, რაც ნატალიას დაეტოვებინა გამგზავრებისას.

არამედ: ფიზიკურად დაუძლურებული, ნერვებაშლილი, ისე უნებისყოფო და უენერგიო, რომ... თავი ეზიზღებოდა. ამ უკანასკნელ წელიწადს ხომ სულ ბოლო მოეღო მისთვის დურანდინის გამოისობით.

ნატალიამაც იცოდა: რა ძნელი იყო აკაკი ვინმეს გაემტყუნებინა ხასიათის შეუწყობლობაში, ვისთანაც უნდა ყოფილიყო... შეგუებოდა რეგვენებს, საკუთარ სახლში შემოეშვა გარეწრები და არამზადები, მაგრამ დურანდინებს, ამ ჯოჯოხეთის მხეცებს, რომ შეწყობოდა, ძალა არა ჰყოფნიდა. უიმათოდაც ამისი სახლი ისედაც ძნელი ასატანი გამხდარიყო და ახლა კი ნამდვილ ჯოჯოხეთს დამსგავსებოდა. მისი ბოროტი ენისაგან ყველა გარბოდა სახლიდან. ყველაფერი უკულმა დატრიალებულიყო.

— გეფიცები, ჩემთვის ამ სიბერის წლებში უფრო იოლი ასატანი იქნებოდა საპყრობილეში ვმჯდარიყავი, საკატორღო სამუშაოებზე ვყოფილიყავი, ვიდრე ერთი დღე დავრჩენილიყავი მასთან მარტოდ.

აი რატომ იყო, რომ აკაკიც, მოხუცი და ავადმყოფი, გარბოდა შინიდან და როგორც პურს, ისე ეძებდა სხვებთან თავშესაფარს.

გუშინ ამოსულიყო საჩხერეში სნეული, ძარღვებაშლილი, რომ აქ დაესვენა, მაგრამ ზეგ ისევ უნდა გაქცეულიყო აქედან, თუმც არ იცოდა — სად და ვისთან? ეჰ, ყველაფრის მიწერა შეუძლებელი იყო და სჯობდა გაჩუმებულიყო.

ერთი სიტყვით, ბოლო მოელოთ მისთვის, დაეკარგა უკანასკნელი ენერგია. შინ არაფერი გააჩნდა, გარეთ რომ რამე გაეკეთებინა, აღარც ეს შეეძლო და ამიტომაც არათუ ნატალიასებს ვერ ეხმარებოდა, თავიც ვეღარ ერჩინა, არაფერი გააჩნდა, არაფერი... მაგრამ ხომ ამბობდნენ: ყველაფერი ღვთით იქნებაო... და ეგებ როგორმე გამოკეთებულიყო და ღმერთიც შესწეოდა, რათა ცოლის მკერდზე ჯვარიანი გული ტირილით მოეოხებინა.

ვინ მოთვლის, რამდენჯერ გამოეცინცლათ უკანასკნელი გროშები მისთვის, რათა აქედან წასულიყვნენ, მაგრამ სულ კი ატყუებდნენ. და გადაწყვეტილი ჰქონდა: ვიდრე ისინი არ წავლენ, საჩხერეში არ დავბრუნდები, თუნდაც დავრდომილთა თავშესაფარში მომიხდეს ყოფნაო.

და ამოიკვნესებდა:

ღმერთო ჩემო, სად და როგორ პოულობს ლიოლია ასეთ ადამიანებს? ღმერთი იყოს შენი და შენი შვილის მფარველიო.

ისედაც განერვიულებულს ესღა აკლდა, იძულებული რომ გახდებოდა ნატაშა ამიტომაც დაემუნათებინა:

ვხედავ გადაგიწყვეტია სული ამომხადო და ჭკუაზე შემშალო, გრცხვენოდეს! ნუთუ არ შეგიძლია დაწეროთ წერილი ისე, რომ წაიკითხებოდეს და რამე გაიგებოდეს? სად ხართ? პარიზში? მილანში? თუ სად? ღმერთს გეფიცები, თქვენს მაგივრად მე მრცხვენია. ნუთუ არ არსებობს თქვენთვის არც ღმერთი, არც შეგრძნება ადამიანური მოვალეობისა., არც სიბრალული სხვებისაო?

დაე დაფიქრებულიყო ნატალიაც და მასთან ერთად ლიოლიაც, რას ჩადიოდნენ: აკაკისათვის თავზე დაესვათ ვიღაც არამზადა, რომელსაც ამისი სახლი სამეძაოდ ექცია. თურმე ქვიფებს მართავდა და ყველას შესჩიოდა: შიმშილით მკლავენო.

ყოველნაირად უშლიდა ხელს მასპინძელს, ყველას არწმუნებდა: როდესაც აკაკი მოკვდება, ეს კი მალე მოხდება, მთელი ქონება ჩემს ხელში გადმოვა, როგორც ლიოლიას კრედიტორისაო.

ვის აკაკის სახლს დაპირდებოდა, ვის — აკაკის ტყეს, ვის კიდევ — აკაკის დანარჩენ ქონებას.

სხვის ხარჯზე არ ენანებოდა ხელგაშლილობა.

არ იკმარებდა, რომ საჩხერეში ყველაფერს გააჭუჭყიანებდა, ჩამოვიდოდა აქ და დაბინავდებოდა სასტუმროში აკაკის ხარჯზე. როდესაც ეს უკანასკნელ ფულს მისცემდა მხოლოდ იმისათვის, რომ როგორმე თავი დაეღწია მისგან, არადა „სტუმარი“ ამ ფულით „ფინთიპლიუშკებს“ იყიდდა თავისი საჩხერელი მეგობრებისათვის.

ამატაც აკაკის აეკიდებოდა თავის ბავშვებიანად.

ნუთუ შეიძლება ნატალიასა და ლიოლიას ასე გაეწამებინათ სნეული ბერიკაცი?

რას ეუბნებოდათ თავიანთი სინდისი?

ახლა კი ხედავდა, რომ ცოლ-შვილს არ ებრალებოდა, და ხელის ჩაქნევისა და ბედთან შერიგების მეტი რაღა დარჩენოდა: რა გაეწყობაო!..

და აი აკაკის უკანასკნელი გადაწყვეტილება:

რას დაწრიალებდნენ ნატალია და ლიოლია ერთი ადგილიდან მეორეზე, როგორც კატა თავის კნუტებიანად! ამოერჩიათ სადმე საცხოვრებელი ადგილი, რომ სცოდნოდა, სად იმყოფებოდნენ... გაერკვიათ თვითონვე, რამდენი ეყოფოდათ საცხოვრებლად? ან თუ აქ წამოვიდოდნენ, მოეწერათ, რამდენი გაეგზავნა?

მკაცრად დასძენდა, რომ:

თუ ყველა ამ კითხვაზე არ მისცემდნენ ადამიანურ — და არა ჩვეულებრივ, „ციგნურ“ — პასუხს, ეფიცებოდათ, საქმეს ისე გაგიხდით, ამიერიდან ველარასოდეს ველარ მომმართოთო.

— ჩემი თავაზიანობა და გულკეთილობა ადამიანებს მხოლოდ სიცილს ჰგვრით და უფლებას აძლევთ აბუჩად ამიგდონ, მაგრამ გეყოფათ! ახლა აღარც მე მინდა ჩვარი ვიყო.

არ მისცემდა ნებას ვიგინდარა დურანდინებს თავზე დასხდომოდნენ. ერთ თვეს კიდევ მოითმენდა ასეთ პამპულაობას და მერე კი, ცოლ-შვილს წინდაწინვე აფრთხილებდა, იმ არამზადას თავის ადგილს მიუჩენდა.

5 ოქტომბერს კი მადლობით დაიწყებდა ბარათს, რომ ნატალიას წერილს დაემშვიდებინა, მითუფრო, რომ აკაკი შეშფოთებულიყო ადგილობრივ გაზეთში დაბეჭდილი სტატიით: ლიოლიას შუამდგომლობა ვალის ჩამოწერისა და კონსერვატორიის დათმობის თაობაზე არ მოხერხდაო...

აკაკი პირდაპირ მიისწრაფოდა მათკენ, რათა როგორმე დაეღწია თავი ამ დაწყევლილი მხარისათვის, ძალიან მოსწყენოდა უცოლშვილოდ და სურდა სიბერის წლები მაინც გაეტარებინა მათთან ერთად.

დაე წარმოედგინათ, რომ თავის კომპანიას ისევ უცდიდა, ცოტა ხანს კიდევ დაელოდებოდა და მეტ ცდას უკვე ვეღარ შეძლებდა... უთუოდ გასწევდა იმათკენ, თუმც ქურქი მოეპარათ.

ერისთაები, როგორც იქნა, გაესტუმრებინა და, გამოუტყდებოდა, თვითონაც ოდნავ დამშვიდებულიყო. საცოდაობა იყო საჩხერეში მათი ყურება, მითუმეტეს, რომ მგონი არცა სჯეროდათ, ზოგჯერ აკაკისაც ძალიან რომ უჭირდა და ხშირად შიმშილობდა კიდეც.

და მაინც ისევ შესთხოვდა:

— ნატაშა, ღვთის გულისათვის, კარგად დაფიქრდი და მომეცი რჩევა.

მალე დაიწყებოდა „დუმის“ ახალი დეპუტატების არჩევნები და იმის გამო, რომ აკაკის სურდა ცოლ-შვილთან ერთად ეცხოვრა, და გარდა ამისა დაწესებოდა დღეში 10 მანეთი ანუ თვეში სამასი მანეთი ჯამაგირი, ფიქრობდა დათანხმებოდა ამ თანამდებობას, მაგრამ ესაჭიროებოდა წინასწარ სცოდნოდა მეუღლის აზრიც, განსაკუთრებთ მაშინ, როდესაც ნატალია დამშვიდებული იქნებოდა და არა გაჯავრებული, რაც მათი იღბლის გამოისობით არც ისე იშვიათად ხდებოდა.

იღბალს დააბრალებდა!..

რაკიღა სრულიად არ მიაჩნდა უჭკუო ქალად და შეიძლებოდა რჩევაც ეკითხა, ამიტომაც სთხოვდა, გულდამშვიდებით განესაჯა ეს საქმე...

— მე არავის ვეთათბირები, მაგრამ შენი გადაწყვეტილება ჩემთვის კანონი იქნება.

საშკათი — ამატასა და ელიზბარის ვაჟით — ძალზე უკმაყოფილო დარჩენილიყო — ისე წასულიყო, რომ აკაკისთვის არ შეეტყობინებინა. და იქნებ შეგნებულადაც მოქცეულიყო ასე?

თუ ლიოლიას წარმატებები არა ჰქონდა, ძალიანაც ნუ იჯავრებდა ნატალია — ახლა ისეთი დრო იდგა, ყველას ცუდად მისდიოდა საქმე.

17 ოქტომბერს ორივეს ერთად მისწერდა და შესჩივლებდა:

არ არსებობს იმაზე უსასტიკესი სასჯელი ღვთისა, როგორც ხელმოკლეობა სიბერის წლებშიო.

დღემდე კვლავ სასტუმრო „ვეტცელში“ გამოკეტილიყო როგორც ტუსაღი და ისმენდა უსიამოვნო სიტყვებს, ვალები კი იზრდებოდა და იზრდებოდა.

იმ დღიდან, რაც ესენი წასულიყვნენ, მოურავ კოტე აბდუშელიშვილისაგან არაეითარი ცნობა არ მიეღო გარდა ერთი ბარათისა, და ისიც ასეთი ბრძანებით: წადი იქ! გაყიდე ესა და ესაო... და ამისთანები... საქმეზე კი კრინტსაც არა ძრავდა და ამას მოუსვენრობა შეიპყრობდა და ამ ღამით უკვე აპირებდა საჩხერეში გამგზავრებას, რათა გაეგო, რა ხდებოდა იქ და რას აკეთებდა კოტე.

იქ რამდენიმე დღეს დარჩებოდა, და დაბრუნდებდა თუ არა, გასწევდა ბაქოში. აქამდე არ ჩასულიყო, რადგანაც ივანე ელიაშვილისაგან არათავაზიანი ბარათი მიეღო. იწერებოდა: ვაპირებ სახლის სრულ გადაკეთებას — დროებით ვქირაობ ოთხ ოთახს, სადაც მეც ძლივს ვეტევი, და ამიტომაც ვერ მიგიღებო.

ამრიგად უნდა ჩამომხტარიყო სასტუმროში, სადაც ყველაფერი ძვირი იყო...

— დანარჩენი ღვთის ნებაა.

ყველა ნივთი ნატალიასა და ლიოლიასი, აკაკის ჩემოდნების გარდა, მაკო საფაროვასთან ინახებოდა. აქ უკვე დაზამთრებულიყო, ციოდა, ზამთრის ტანსაცმელი კი ნატალიას ჩემოდნებში ჩაელაგებინა და ჩაეკეტა.

— არ ვიცი, რა ვქნა. საერთოდ საქმეები ვერ მიდის კარგად. შენმა წასვლამ ხელი შეუშალა ჩემს გეგმებს, ეჰ, რა უნდა ვქნა?

საპასუხო ბარათი შეურაცხყოფილს დატოვებდა, თითქოს შეურაცხყოფა აკლდა, და ასეც მისწერდათ დაურიდებლად. რაღაცაში სდებდნენ ბრალს ადამიანს, რომელიც საშინელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამას არ უნდოდა თავისი დარდებით ცოლ-შვილის გამწარება, ისინი კი ამგვარ საქციელს წაყრუებად უთვლიდნენ.

ახლა კი დაე ესმინათ ხმა სიმართლისა:

იანვრამდე გროშ-კაპიკი არ ექნებოდა, და რამდენიც უნდა ეცადა, ვერაფერს იშოვნიდა. ჩავიდოდა საჩხერეში, მაგრამ არც იქ გამოსულიყო რამე. კოტე ეტყოდა: საქმეები აირდაირია და ვერაფერი ავიღე გლეხებისაგანო. ხელთუფლიშვილისათვის დღემდე არაფერი გაეცათ და ისიც იცდიდა. ერთი სიტყვით, აკაკის ასვლა საჩხერეში დაგვირგვინდებოდა იმით, რომ ძლივს დაბრუნდებოდა უკან... მესამე კლასის ვაგონით...

რატომ დარჩებოდა „ვეტცელში"?

რას საყვედურობს ნეტა ნატალია — იმიტომ დარჩა, რომ მეტი სახსარი არ გააჩნდა და მხოლოდ გუშინ გადავიდოდა „პალეროიალში", სადაც ესენი წინათ ცხოვრობდნენ. სასტუმრო „ვეტცელთან" უსიამოვნება შეემთხვეოდა. სურდა ბაქოში ჩასვლა, მაგრამ საშუალება არ მოეპოვებოდა. პირადად უნდა ენახა ივანე ელიაშვილი და გაეგო, რა დამართოდა. სხვებთანაც ცდიდა ბედს. საერთოდ იანვრამდე საიმედო არაფერი იქნებოდა... ცდას არ დააკლებდა, თუმც იყინებოდა ამ საზაფხულო კოსტიუმში, რადგანაც საზამთრო სამოსი ნატალიას აკი სადღაც ჩაეკეტა.

სხვათა შორის აცნობებდა, რომ მისი ბარათი და დეპეშა არ მიეღო, რადგან ტასო მაჩაბელს ისინი საჩხერეში გადაეგზავნა მაშინ, როდესაც ეს უკვე წამოსული იყო. და ახლა ელოდა მათ მიღებას.

არ შეეძლო ნატალიას ეშოვნა კომპანია „გლაუბერის მარილზე", ვიდრე იქ იმყოფებოდა? — ეს ნაღდი საქმეაო, — არწმუნებდა ქმარი, რომელიც — ესღა აკლდა — კიბიდან გადმოვარდნილიყო და ამიტომაც გამხდარიყო ავად.

ლიტერატურულ საღამოს დასწრებოდა მხოლოდ იმისათვის, რომ 25 მანეთი მიეღო.

ეს რაღა უბედურება იყო მის თავს, რომ მის ბარათებს ცოლ-შვილი ვერ ღებულობდა. აგზავნიდა ამ მისამართით: „ომონ" და „ტეატრ ბუფ". აღარ იცოდა, ეს წერილი მაინც თუ მიაღწევდა იქამდე. თვითონ უკვე ტფილისში იმყოფებოდა და მზადაც იყო წამოსასვლელად, თუ ხელს არ შეუშლიდა სიცივე, რისიც ასე ეშინოდა.

საგზაო ფული ეშოვნა, მაგრამ ფიქრობდა, უმჯობესი ხომ არ იქნება ეს ფული მათ გავუგზავნო, მე კი ცოტა ხნით გადავდო წამოსვლაო? კარგად მოეფიქრებინათ და ედეპეშათ: ტფილისი, სასტუმრო „ფრანცია", აკაკი წერეთელს.

მათი საქმეები ჩვეულებისამებრ საძაგლად მიდიოდა. შორე ჭიათურაში ყოფილიყო, აკაკისთან კი არ ამოევლო საჩხერეში. მერე როგორ ელოდა!.. საერთოდ ცოლ-შვილისა დიდი ჯავრი ჰქონდა, რადგანაც მათი ამბავი თითქმის არ იცოდა.

და გამოემშვიდობებოდათ კოცნით მალე ნახვის მოლოდინში.

და კიდეც მიადევნებდა ახალ ბარათს: მშობლიურ ოჯახს დაშორებულს უკვე მომწყინდა, სული ჩემი სულ თქვენკენ მოისწრაფისო.

ამ საღამოს მიემგზავრებოდა ბაქოს, სადაც მხოლოდ ორ დღეს დარჩებოდა, მაგრამ საღამომდე დიდი დრო იყო და შეიძლება ბევრი რამ შეცვლილიყო. წერილს ნუ მოსწერდა, მაინც ვერ მიიღებდა, რადგან ფიქრობდა, თვითონ ჩამოსულიყო, და ვიდრე ერთ ადგილას დაბინავდებოდა, ნატალიას წერილი ვერ მიაგნებდა.

მოენახულებინა ქეთევან ანდრონიკაშვილი, დრამატული თეატრის მსახიობი, და უკან დაბრუნებისას კვლავ აპირებდა შევლას მასთან.

წინასწარ ხედავდა სრულ წარმატებას.

დაწვრილებით ყველაფერს აცნობებდა ტფილისში ჩამოსვლისთანავე.

დაე ნატალიას ეთქვა ამატასათვის: ჯავრი ნუ გექნებაო. აკაკი არავის მისცემდა ნებას თავისი ნატაშას დისათვის ეწყენინებინა. და უეცრად ქადილის გუნებაზე დადგებოდა: მისი გულისათვის თვით ეშმაკსაც კი ცახცახს დავაწყებინებო.

კოცნიდა მაგრად, მაგრად... ისე მაგრად, რომ ეშინოდა დაბუჟენილი კბილები არ გადმოსცვენოდა. სურდა ხელზე ეკოცნა ნატალიას დისათვის, მაგრამ რაკიღა იცოდა, რასაც

ეტყოდა: რა სინაზეაო, — ამიტომაც კმაყოფილდებოდა იმით, რომ მდაბლად, ძალზე მდაბლად ხრიდა თავს მის წინაშე.

2 ნოემბერს აცნობებდა, რომ:

ცოლ-შვილის ბარათის მოლოდინში ტყუილუბრალოდ დარჩენილიყო აქ, ბაქოში რამდენიმე დღე და ხვალ გააგრძელებდა გზას — ტფილისში ეპირებოდა.

ზოგი რამ ცნობა შეეკრიბა ბაქოში:

თეატრი აქ იძლეოდა მთლიან შემოსავალს, დაახლოებით 2 ათას მანეთს, არა უმეტეს. ოპერა მხოლოდ ერთ წარმოდგენას თუ გაუძლებდა.

ყორღანაშვილს, როგორც შეატყობდა, გასაოცარი წარმატება ექნებოდა. თუმცა სომხები არ ემადლიერებოდნენ, რადგანაც ქართველებთან ერთად ემღერა და არ დათანხმებოდა ბაქოს წვეოდა. მის ჯიბრზე სურდათ წამოეწიათ პაპაიანი. ზურაბოვი, ანტრეპრენიორი, ეპირებოდა შემოეტარებინა ეს ქალი რუსეთში, მაგრამ აკაკი ფიქრობდა: ამაოდო... და ეს იმიტომ: სრულყოფილებამდე ჯერ კიდევ ბევრი აკლიაო.

თავისი საქმეების გამო აქაც ჰქონდა შეხვედრები, ზოგიერთთან მოლაპარაკებაზე დიდ იმედებსაც ამყარებდა და... ღმერთის მოწყალებისაც სწამდა!..

ტფილისიდან შეუსრულებდა ნატაშას სურვილს, ჯერჯერობით კი ემშვიდობებოდა, ვიდრე 3 ნოემბერს ისეთი აღელვებული მისწერდა: შენმა წერილებმა იმ ზომამდე მიმიყვანა, რომ ყოველთვის, როდესაც შენს ბარათს ვღებულობ, კრუნჩხვა მეწყებაო.

ამას წინათ ნატალიას გამოისობით კინაღამ დაღუპულიყო და ახლაც თითქმის იგივე მოუვიდოდა.

— იხსენებ ჩემს ჭაბუკურ შეცდომებს, უნებურ შეცოდებებს, ხოლო შენი საკუთარი, ნიანსწარგანზრახულიც კი არაფრად მიგაჩნია და ლამის სული ამომხადო საყვედურებით...

ნუ გეწყინებაო და: აი შე ასეთ-ისეთოო, — ეუბნებოდა ყოველ პწკარში და სურდა გაეგო, რომ ეს უსამართლო და მწარე აბები იყო. ბუნებით კი კეთილი იყო ნატალია, მაგრამ არსებითად სჩადიოდა ბოროტებას და ყველაფერი ეს ხდებოდა იმიტომ, რომ გული მისი აკაკისაკენ არ მოიწევდა, არადა უგულოდ, მარტოდენ თვით ქალი ყოველთვის ეგოისტი ყოფილა და იქნებოდა.

— ეჰ, რაღა ბევრი ვილაპარაკო, ვგრძნობ, როგორც საერთოდ ყველასათვის, ასევე თქვენთვისაც მე, როგორც ადამიანი და მეგობარი, ზედმეტი ვარ. ეს ვიცი და ამიტომაც აღარ ღირს სიტყვა გავაგრძელო.

როგორც საერთოდ ყველასათვის, ასევე თქვენთვისაცო...

საერთოდ ყველასათვისო — უთუოდ აჭარბებდა, ეჭვი მორეოდა, დარდი გაძლიერებოდა და რა გასაკვირია, არავის იმედი აღარ შერჩენოდა.

ასევე თქვენთვისაცო — ამ შემთხვევაში არც გადაჭარბებაა და არც ბერიკაცის წუწუნი, ის მკაცრი რეალობაა, რომლისთვისაც თვალის არიდებას ლამობდა მთელი სიცოცხლე, მაგრამ დროდადრო მაინც ამოსკდებოდა ხოლმე ბარათებშიც.

დაეხმარებოდათ ყოველთვის იმდენად, რამდენადაც ძალ-ღონე ეყოფოდა და ამისათვის სულაც არა სჭირდებოდა მათი საყვედურები.

ამჟამად მისი მისამართი იყო: სადგური ყვირილა, ა/კ რკინიგზა, „კრებულის“ რედაქცია.

და თხოვნა, უფრო ზუსტად — განმეორება თხოვნისა: წერე გარკვევითო.

7 ნოემბერს შეატყობინებდა, რომ ზამთარი დამდგარიყო, უჩვეულო ზამთარი ჩვენში!.. გზები ყველგან წამხდარიყო. ეს დიდხანს გაჩხერილიყო ქუთაისში და დღესღა ბრუნდებოდა... გლეხებს წაუყენებდა 20 ათასი მანეთის სარჩელს, რადგანაც ნებაყოფლობით არ ისურვებდნენ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას. ფიქრობდა, დავიყოლიებო.

ალელოვს, ქუთათურ ვაჭარს, 3 ათას მანეთს გადაუხდიდა. დანარჩენის მიღებას რამდენიმე თვეს დაუცდიდნენ. გეგმა მამულისა, რომელიც უნდა დაეგირავებინა, მზად იყო. ახლა ისღა რჩებოდა, აეყვანა ტაქსატორები და მოეხდინა ტყის ტაქსაცია. შემდეგ შეაფასებდნენ და კიდეც დააგირავებდა. ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ საშინლად ბევრი ფული დაეხარჯებოდა და ამიტომაც 15-თვის ვეღარ გაუგზავნიდათ, რაც ერგებოდათ.

ცოლ-შვილისაგან ცნობები არ მოსდიოდა, მაგრამ რაკიღა რუსეთიდან ფოსტას ვერ ღებულობდნენ გზების უვარგისობის გამო, ამით ცოტაოდნავ თავს იმშვიდებდა. მაგრამ... როგორ მიდიოდა მათი საქმეები?..

12 ნოემბერს საჩხერიდან უკანვე მიეღო ნატალიას წერილი და დეპეშა, პასუხს რომ მოითხოვდა.

მოურავს ვერაფერი აეღო გლეხებისაგან, ბანკშიც არაფერი შეეტანა. თურმე აკაკისა ეიმედებოდა, აკაკის კი ისეთი ყოფა დასდგომოდა, როგორც არასდროს — ეფიცებოდა ცოლს, მარტო პურსა და ძეხვზე გადავდივარო.

ივანე ელიაშვილი პეტერბურგს ისე წავიდოდა, პასუხს არ გასცემდა. ცოლ-შვილის მდგომარეობა სასოწარკვეთილებაში აგდებდა, იანვრამდე მათი შველა არ შეეძლო. ერთი სიტყვით, ძალიან მოშვებულიყო და აღარ იცოდა, რა ეღონა.

ნატალიას დედა რომ არაფერს სწერდა, აკაკის სულ ეგონა: ავად არისო, — და ეს კიდევ უფრო ტანჯავდა. მარტო ნატალია იყო აკაკის იმედი, მაგრამ ხედავდა, რომ ესეც ამაო იმედი გახლდა. იქნებ ღმერთი შეწეოდათ და იანვრამდე როგორმე გაეძლოთ, თუმც არც მაშინ ელოდათ რაიმე განსაკუთრებული, გარდა უმნიშვნელო პენსიისა.

რაც შეეხებოდა ტყეს: არც ელისაბედი და არც ანეტა არა თანხმდებოდნენ დესეტინა 200 მანეთზე ნაკლებ გაეყიდათ. ტყე მოიცავდა სულ 5-6 დესეტინას და აქედან მხოლოდ მეათედი თუ იქნებოდა მუხა, მაგრამ ისეთი მუხა, როგორიც არ მოიპოვებოდა მთელს კავკასიაში.

4 დეკემბერს დიდ წუხილს გამოთქვამდა, ყველაზე უფრო ის რომ ადარდებდა: ჩემი ნატაშა ავად არის და მე მის ახლოს არ ვიმყოფებიო.

მისი ბარათი მიეღო და ამშვიდებდა: ტყუილად დარდობო, — პატიოსან სიტყვას იძლეოდა, რომ რაც ცოლ-შვილი გაესტუმრებინა, ბანქო ხელში არ აეღო. ლოტოს კი თამაშობდა და ისე იღბლიანად, რომ მხოლოდ ამით ცხოვრობდა; სხვა სახსარი არ გააჩნდა.

ლოტოთი ლოთობისათვის სხვებს რომ დასცინოდა აკაკური სიცილით, ახლა თვითონაც გალოთებულიყო ლოტოთი თუ რა დამართოდა?!.

სახსრად ეს კი გამოსჩენოდა და...

დღესასწაულებზე საჩხერეში აპირებდა წასვლას. აქ საშუალება არ ჰქონდა ეცხოვრა, და გარდა ამისა გაიგებდა, თუ რა ხდებოდა იქ.

ტყის თაობაზე ჯერ არაფერი გაკეთებულიყო. იქ ამ საქმესაც მოაგვარებდა. ელისაბედი 200 მანეთზე ნაკლებად არ გაყიდდა დესეტინას. ამ თანხაზე აკაკის შეეძლო ყველა დაეთანხმებინა და ამგვარად შეგროვდებოდა დაახლოებით 5000 დესეტინა.

თუ ნატალიას ეიმედებოდა, რომ საქმეს გააკეთებდა, დაწვრილებით მოეწერა ტასო მაჩაბლის სახელზე, და ტასოც, სადაც უნდა ყოფილიყო აკაკი, მონახავდა და ცოლის ბარათს მიაწვდიდა.

დღეს ერთი გაზეთი იუწყებოდა: ბათუმში კაცი მოკვდა ბუბონის ჭირისაგანო. ეს ჭირი ბაქოშიც ყოფილიყო.

აი კიდევ ერთი უიღბლობა.

აბდუშელს პირში წყალი ჩაეგუბებინა და არაფერს იტყობინებოდა. აკაკიმ აღარ იცოდა, რა მოეფიქრებინა. თუმც თავს დაიმშვიდებდა: არაფერია, ვეცადოთ თავი დავიძვრინოთ ამ მდგომარეობიდანო.

ივანე ელიაშვილს ჭლექი შეჰყროდა და წასულიყო სამკურნალოდ. და ესეც აკაკის უიღბლობა.

არ იცოდა, რას მოუტანდათ მომავალი წელი, ჯერჯერობით კი საქმე ვერ იყო ხეირიანად.

29 დეკემბრის ბარათით ცოლ-შვილს მიმართავდა: არ ვიცი, თქვენ როგორი დღესასწაული დაგიდგათ, მაგრამ ჩემთვის კი სასიხარულო ვერ არის თქვენი საქმეების გამოისობითო.

ეს რომ სხვებს შემთხვეოდათ, არ იჯავრებდა, მაგრამ ნატალიაც და ლიოლიაც ხომ ბავშვები იყვნენ, ცხოვრების ყოველგვარ გამოცდილებას მოკლებულნი და ამასთან კიდევ — ჭირვეულებიც.

ჯერჯერობით არაფერი გააჩნდა, მაგრამ როგორც კი ფულს იშოვნიდა, მიაწვდიდათ. მანამდე კი ნატაშას უგზავნიდა გაყრის ქაღალდს — ანუ საზღვარგარეთ გამგზავრების ნებართვას.

ცოტას სწერდათ, რადგანაც უჭირდა წერა — ხანდახან მარჯვენა წაერთმეოდა ხოლმე. ამასობაში კიდეც დადგებოდა 1904 წელი.

ლიოლიას ავადმყოფობის ცნობა ცოტა არ იყოს იმოქმედებდა მამის ჯანმრთელობაზეც, მაგრამ ახლა უკეთ იყო და იმედოვნებდა 15 იანვარს გასწევდა მათკენ.

მარგანეცის შესახებ აქაც კარგად ეწყობოდა საქმე, მაგრამ ამაზე მაშინ ილაპარაკებდნენ, როდესაც მოინახულებდათ.

გამოსჩენოდნენ მყიდველები და ფიქრობდა გაეყიდა და ერთხელ და სამუდამოდ მოეშორებინა თავისი ცოდვები.

ჩვენში უჩვეულო, საშინელი ზამთარი დამდგარიყო და მიწისძვრაც მოჰყოლოდა, მაგრამ საჩხერეში არაფერი მოეწეოდათ, მხოლოდ შიშს კი ჭამდნენ!..

ბევრის მინერა არ შეეძლო, ჯერ კიდევ სუსტად იყო და მეტიც რა საჭირო გახლდათ, მალე თვითონ ჩააკითხავდათ.

მომდევნო ბარათით აცნობებდათ: მინდოდა დღეს წამოვსულიყავი, მაგრამ საქმე 12 თებერვლისათვის გადადეს, რადგან მხოლოდ 1 რიცხვიდან დაიწყება მიმოსვლა პეტროვსკზე გავლით, ეს კი უფრო მოსახერხებელი და ნაკლებ სარისკოა, ვიდრე ახლა ზღვით ან საქართველოს სამხედრო გზატკეცილით წამოსვლაო.

იმ კომპანიის თაობაზე, რომელიც აკაკისაგან მარგანეცს ყიდულობდა, ამას წინათ უკვე დაწვრილებით მიეწერა და ახლა ზედმეტად მიიჩნევდა განმეორებას: ყოველ შემთხვევაში, ვიდრე პირადად არ მოეთათბირებოდა ცოლ-შვილს, საბოლოო გადაწყვეტილებას არ მიიღებდა. და ისინიც მოიცდიდნენ.

კიდევ ახალი ბარათით ის უნდა შეეტყობინებინა, რომ:

მიუხედავად საშინელი ტანჯვა-წამებისა და ყოველგვარი ადამიანური ღონისძიებისა, ბანკში ვერაფერი გაეხერხებინა.

დარდისაგან მკვდარი იყო. ხვალ მიემგზავრებოდა ისევ საჩხერეს, რომ იქ მაინც რამე გაეხერხებინა. ყოველთვის ცუდად ჰქონდა საქმე, ნათელ დღეებს ველარც კი იხსენებდა, მაგრამ ასეთ სასოწარკვეთილებაში არასოდეს ჩავარდნილიყო. მთელს ქუთაისში ეძებდა და ვერ ეშოვნა 5-6 მანეთი, რომ მალე წასულიყო საჩხერეს. ხოლო იქ შეეცდებოდა სულ მცირე ფასად გაეყიდა ყველაფერი, თუკი მყიდველს იშოვნიდა.

— ახ, ღმერთო ჩემო! როგორ გაჭირდა ცხოვრება! არ ვიცი, რითი და როდის დამთავრდება ყოველივე ეს?..

ბანკთან ეს დავიდარაბა ცოტა ფული როდი დაუჯდებოდა, ბლომად დაეხარჯა და... სულ ტყუილუბრალოდ!..

ასეთი მარცხი და ასე მოულოდნელად?!

და ნერვები უმტყუნებდა:

დაიწყევლოს ქუთაისიო!..

ხვალ მიაშურებდა საჩხერეს და იქ შეეცდებოდა ეშოვნა იმდენი მაინც, რომ მიეწოდებინა ცოლ-შვილისათვის და ცოტა რამ ამატასთვისაც. სიტყვა მოიტანდა და დაინტერესდებოდა: ხომ არაფერი იცით მათიო?..

13 თებერვალს ნატალიას შეატყობინებდა, რომ:

ამ დაწყევლილი მარგანეცის საქმე დასასრულს უახლოვდებოდა.

დაპირებოდნენ, რომ საოლქო სასამართლოში საქმეს თებერვლის დამლევს გაარჩევდნენ. მისი პირადი დასწრება აუცილებელი გახლდათ და აი რატომ ვერ გაემგზავრებოდა მათთან მარტზე უფრო ადრე. გზაზე საქმისათვის ბაქოში შეუხვევდა და იქ დარჩებოდა სამ-ოთხ დღეს, ამდენივე ხანს დაჰყოფდა მოსკოვში და მერე ცოლ-შვილთანაც გასწევდა.

— ნუ გეშინიათ, თავს არ მოგაბეზრებთ — გულს არ გადაგიშლით, რაკი მივხვდი, თუ რა თვალითაც მიყურებთ.

რამხელა ტკივილი და დარდი მსჭვალავს ამ სტრიქონებს. მიემგზავრება მათთან, მაგრამ არა სულის მოსათქმელად თუ სევდის უკუსაყრელად, არამედ მოვალეობის შეგრძნება აიძულებს ამჯერადაც ისევე, როგორც მთელი ცხოვრება.

განა მერამდენედ შეიძლება ამოსკდეს გულიდან ეს სატკივარი, ცოლ-შვილს მისგან ფულის გარდა რომ არაფერი უნდა?..

მერამდენედ და... მერამდენედაც ზურგზე მძიმედ დაწოლილი ჯვარი მოსთხოვდა, რომლის ქვეშაც იდრიკებოდა და არც იდრიკებოდა.

4 მარტს მისწერდა, რომ:

დღემდე საქმეები აჩერებდა, ხვალ კი მიდიოდა ტფილისს. ეიმედებდა, მარგანეცს მოვიგებო, ტყიდან კი ბრძოლით დაებრუნებინა 100 დესეტინა, რომელშიც 5 თვის შემდეგ მიიღებდა 10 ათას მანეთს. საერთოდ კმაყოფილი იყო, მაგრამ წინ კიდევ დიდი წვალება მოელოდა. გადაეწყვიტა წამოსულიყო. ის და ივანე ელიაშვილი ეპირებოდნენ ყველიერში წამოსვლას, მაგრამ ვერ მოხერხდებოდა — საქმეები დააკავებდა.

არ იცოდა, რას ეტყოდა ტფილისი!..

თუკი იქ არ დააბრკოლებდა საქმეები, აუცილებლად გამოემგზავრებოდა.

ფულს ვერ უგზავნიდათ, რადგანაც საშინლად დიდი ხარჯი მოსვლოდა. მარტო სასამართლო გადასახადები, რომელსაც წარადგენდა, 400 მანეთს შეადგენდა და გამოსაგზავნი აღარაფერი დარჩებოდა... მაგრამ მაინც მალე გაუგზავნიდათ.

დაწერილებით ტფილისიდან მისწერდათ.

16 მარტს გაიხსენებდა კოტე აბდუშელიშვილის ჩვეულებრივ თქმას: რთული საქმეაო, სერიოზული საქმეაო... — და ახლა თვითონაც უნდა მიემართა მისი გამოთქმებისათვის.

მართლაც მარგანეცის საქმე აღმოჩენილიყო ძალიან რთულიც, სერიოზულიც და საწვალებელიც.

დაე წარმოედგინათ:

ერთ მხარეს სომეხი მილიონერები,

ხოლო მეორე მხარეს ღატაკი აკაკი, რომელიც კაპიკსაც ძლივს შოულობდა.

და მაშინ ადვილად გაიგებდნენ მისი ორი წლის ტანჯვა-წამებას.

აი რატომ იყო, რომ მიუხედავად დიდი მონდომებისა და წვალებისა ვერ მოუხერხდებოდა ცოლ-შვილის ჯეროვანი დახმარება.

— ახლა მადლობა ღმერთს, ხუთი წლით მაინც ბოლო მოეღო ტანჯვას.

12 მარტს გაირჩეოდა საქმე ქუთაისის საოლქო სასამართლოში და ის აკაკისა და მისი ოჯახის სასარგებლოდ შემოტრიალდებოდა.

ახლა საჭირო იყო დამტკიცებულიყო, რომ როდესაც მიწას იძენდა, მადათოვმა იცოდა, ეს მიწა რომ სხვას ეკუთვნოდა, და მაშასადამე არაკეთილსინდისიერად მოქმედებდა. მაშინ შეიძლება მას გადახდომოდა ზარალიც — დაახლოებით 5 ათასი მანეთი.

აკაკის ეთხოვა სასამართლოსათვის: დაენიშნა მოწმეები. მოპირისპირე მხარე ამის წინააღმდეგი იქნებოდა, მაგრამ სასამართლო შეიწყნარებდა აკაკის თხოვნას და მოწმეთა დაკითხვას დანიშნავდა. აი რატომ გადაიდებოდა საქმე 8 მაისისათვის.

ამ საქმეს მართლაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აკაკისა და მისი სახლობისათვის — შეეძლო სამუდამოდ უზრუნველეყო მათი ცხოვრება.

ამრიგად:

მათ ჩააკითხავდა მაისის თვეში და აქ ჩამოიყვანდათ, რათა ყველაფერი მათთვის ჩაებარებინა და მერე დამშვიდებული გულით გამგზავრებულიყო საიქიოს.

რა განწყობილებაზე უნდა იყოს, რა ფიქრებით შეპყრობილი, საიქიოს რომ ახსენებს... თანაც ისე — თითქოს რომელიმე ქვეყანაში მიემგზავრებოდეს და არა წუთისოფლის მიღმა. ოღონდ ოჯახური მოვალეობის შეგნება ავალებს, ჯერ ცოლ-შვილს მოუგვაროს ამქვეყნიური ყოფა, უზრუნველყოს სამუდამოდ, და თვითონ სხვა რაღა დარჩენია ამქვეყნად?!. უხარია და რარიგ უხარია, რომ მიღმა სამყაროში გამგზავრება დამშვიდებული გულით მოუწევს და საფლავში არ ჩაჰყვება ნატალია ბაზილევსკაიასა და ალექსი ლიოლია ნერეთლის ჯავრი.

20 მარტს ამცნობდათ, რომ:

დასვენებით კი დაესვენა, მაგრამ დიდი დარდი კი ტანჯავდა, რომ მათი არავითარი ამბავი არ იცოდა. სულ მოეშვებოდა... ღვთის გულისათვის ემუდარებოდათ, შეეტყობინებინათ, რა დამართოდათ.

— ნუ მაწამებთ ასე საშინლად. უამისოდაც უბედური ვარ!

ვიდრე მათგან ცნობას არ მიიღებდა, თავი არ ექნებოდა რაიმესათვის მოეკიდა ხელი. და ამაში... თავის თავს ამტყუნებს:

აი რას ნიშნავს კაპრიზები და მარტოობაო.

ნერვები ისე აშლოდა, ველარ შეძლებდა წერის გაგრძელებას.

ბარათის შედგენა რაღა იყო და...

21 მარტს უფრო ხალისიანად შეეხმიანებოდათ, რადგანაც ჯანმრთელად იგრძნობდა თავს. ეგაა მოუცლელობას არაფერი ეშველებოდა. ტფილისს დაეყო ათი დღე და დაბრუნებულიყო ისევ ქუთაისში, სადაც დარჩებოდა ცოლ-შვილის ჩამოსვლამდე.

— საქმე კარგად მიდის.

რაკილა ამის თქმის საშუალება მიეცა, სულ იმას რომ დარდობდა, ცუდად მიდის საქმეები და ცუდადო!.. ახლა იცოდა, რომ ბოლოსდაბოლოს რამდენიმე ათასს მიიღებდა. ამას დასჭირდებოდა სამი-ოთხი თვე და მერე შეიძლება ნატალია და ლიოლია ისევ წასულიყვნენ, თუკი მოისურვებდნენ და სადაც მოინებებდნენ. ენატრებოდა ორივე, მაგრამ თვითონ ჩასვლას ვერ ახერხებდა, ფიქრობდა, რომ საქმე უფრო მალე დამთავრდებოდა.

ერთხანს აპირებდა ჩასულიყო და მორიგებით მოეთავებინა საქმე — დასჯერებოდა 4 ათას მანეთს მარგანეცში, მაგრამ ახლა ხედავდა, რომ ეს არ იქნებოდა ხელსაყრელი!..

— აჩქარება რა საჭიროა!..

მოეთმინათ კიდევ რამდენიმე თვე და უკვე კარგა მოზრდილ თანხას მიიღებდნენ.

ელოდებოდათ თავის მონრეპოში, რათა ერთად გაეტარებინათ რამდენიმე თვე.

თუ მათ შემდეგ შორე ჩამოვიდოდა, კიდევ უკეთესი, მანამდე ლიოლია თვითონვე მოეწყობოდა.

24 მარტს მათი ბარათებიდან შეიტყობდა, რომ მისი უკანასკნელი წერილი, რომელშიც დაწერილებით იყო აღწერილი ყველაფერი, იმათ არ მიეღოთ. სულ რომ ეკითხებოდნენ: სად იმყოფებიო? — განა საქმის ვითარება ნებას აძლევდა ერთ ადგილას მჯდარიყო? დღეს აქ იყო და ხვალ იქ. დარბოდა დარეტიანებული, რომ ეშოვნა რამე: ნებისმიერი ხერხით.

აი ესაა ჩამოსულიყო ტფილისს და აღდგომის მეორე დღესვე უნდა მიეშურებინა იმერეთისათვის, რათა ცოლ-შვილის სამგზავრო ფული შეეგროვებინა. როცა ამ ფულს მიიღებდნენ, ღვთის გულისათვის, წამოსულიყვნენ, რადგანაც ეს უკვე ძალიან ცუდად გრძნობდა თავს. ეცდებოდა ნაადგომევს გაეგზავნა სამგზავრო ფული, მაგრამ მანამდე მოეწერათ ყველაფერი დაწვრილებით. ღვთის გულისათვის, ეწერათ გარკვევით, რადგანაც სანახევროდაც ვერ არჩევდა მათ ნაწერს.

დღეს მოენახულებინა ტასო მაჩაბელი, რომელსაც გადაეცა მათი ბარათები და აეხსნა: პარიზში იმყოფებიანო. ამას კი ეგონა, ნიცაში იყვნენ. იმედოვნებდნენ, რომ მისი ეს წერილი უკანასკნელი იქნებოდა — მალე ჩამოვიდოდნენ და დაამშვიდებდნენ გაწამებულ ბერიკაცს.

როგორც კი შეაგროვებდა ფულს, ქუთაისიდან გაუგზავნიდათ.

ისინი ჩამოაკითხავდნენ ტფილისში, სადაც დარჩებოდნენ ერთ თვეს, რადგან საქმეების გამო ეს ხან ტფილისში უნდა ყოფილიყო და ხანაც ქუთაისში. მერე კი საზაფხულოდ საჩხერეში მოეწყობოდნენ და იქ აკაკიც დაისვენებდა.

1 აპრილს გაუგზავნიდათ უკანასკნელ 200 მანეთს გამოსამგზავრებლად. 20 აპრილზე ადრე ნუ წამოვიდოდნენ. ეს ახლა მიდიოდა საჩხერეს, სადაც გარდაქმნის მიზნით გენერალური წმენდა მიმდინარეობდა.

გამომგზავრება შეეტყობინებინათ საჩხერეში და ეს ტფილისში დახვდებოდათ. ბაქოსაკენ ეპირებოდა, მაგრამ დროის უქონლობის გამო გადასდებდა. მოკლე ბარათისათვის კი მოიბოდიშებდა: არა მცალიაო!..

5 აპრილის წერილს საყვედურით დაიწყებდა: ესღა მაკლდა, რომ კიდევ გამტანჯოთო.

სამგზავრო ფული ბერლინში გაეგზავნა, ისინი კი პეტერბურგში ყოფილიყვნენ...

მოუხდებოდა ფულის გამოთხოვა და როგორც კი მიიღებდა, გაუგზავნიდათ ახალი მისამართით.

— ღვთის გულისათვის, ჩამოდით!..

ხომ იცოდნენ, რომ აკაკი ტასო მაჩაბელს დაშორებოდა და... ესენი მაინც მის მისამართზე აგზავნიდნენ ბარათებს.

საჩხერეში მიდიოდა და იქ მიეწერათ. 20 აპრილზე ადრე ნუ წამოვიდოდნენ, მაგრამ აუცილებლად კი წამოსულიყვნენ. ლაპარაკით გულს აქაც იჯერებდნენ, უსარგებლო წერა რის მაქნისი იყო?..

კიდევ ერთ წერილსაც მიადევნებდა, დიდ გარჯად და წამებად რომ დაჯდომოდა მათთვის 300 მანეთის გაგზავნა, მაგრამ მადლობა ღმერთს, მოეხერხებინა. 100 მანეთს 15 აპრილისათვის გაუგზავნიდათ ტფილისში წამოსასვლელად. უფრო ადრე მათი წამოსვლა კი, ამისი აზრით, არ შეიძლებოდა.

აქამდე ისევ ქუთაისში იჯდა და ტყუილუბრალო ხარჯს ეწეოდა, რადგან დღემდე სასამართლოს მათ საქმეზე საბოლოო ფორმით გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ გამოეტანა. საქმე ისევ გაჯანჯლდებოდა და გაჭიანურდებოდა.

— ღმერთო ჩემო, როგორ გავიტანჯე!..

კიდევ კარგი საქმეს დროზე მოუსწრებდა რუსეთიდან. ასე რომ არ მომხდარიყო, საბოლოოდ დაიღუპებოდნენ, მაგრამ ახლა იმედოვნებდა, რომ არამარტო თავის თავს, ნატალიასაც იხსნიდა. კიდევ ორ-სამ თვეს მოუხდებოდა წვალება, მეტი არა... თუმც ყველაფერი ღვთის ნება გახლდათ.

როდესაც ჩამოვიდოდნენ, ნატალიას მჟავე წყლებზე წაიყვანდა სამკურნალოდ. კარგად მოწყობილი ვერ იყო იქაურობა, მაგრამ ჯანმრთელობის გულისათვის ცოტა შეიძლება მოეთმინა ადამიანს.

12 აპრილს აღდგომის მილოცვით დაიწყებდა: ქრისტე აღსდგა, ჩემო ძვირფასებოო!..

ეიმედებოდა, რომ უკანასკნელად სწერდათ ბარათს, რადგანაც მაისის დამლევს ისინი უნდა ყოფილიყვნენ აქ და შემდგომ უკვე აღარასოდეს დაშორებოდნენ ერთმანეთს.

მათი აქ ჩამოსვლა გადაედო და გადაედო აი რა მიზეზით:

მაისი ყველაზე გახურებული და აკაკისათვის საჭირო თვე გახლდათ, როდესაც ტფილისშიც და ქუთაისშიც მიმდინარეობდა ბანკის სხდომები და სათავადაზნაურო კრებები, რომელთაგან ზოგ რამეს გამოელოდა, და დასჭირდებოდა ხან იქ წასვლა და ხანაც აქ ჩამოსვლა. ამ კრებების დამთავრებისთანავე მაისის მიწურულს სულ თავისუფალი იქნებოდა.

აქ რომ ჩამოვიდოდნენ, გააცნობდათ საქმეებს, რომელთაც აკაკი ასე გაეწამებინათ, და კიდეც დაისვენებდა თავის ნატაშასთან ერთად. სხვა თუ არაფერი, მატერიალურად მაინც აღარ გაუჭირდებოდათ...

მოეთმინათ კიდევ ერთი თვე და ღვთის შეწევნით ყველაფერი მოწესრიგდებოდა.

ტფილისში ჩამოსულიყო გუშინ საღამოს და დღესვე ეპირებოდა ბათუმში, ფოთში, ხონში და სხვაგანაც გამგზავრებას, რათა ლექციები წაეკითხა და ფულიც მიეწოდებინა მათთვის.

— მაგრამ ღვთის გულისათვის, აუცილებლად ჩამოდით!..

მანდ ნურაფერს იყიდიდნენ, აქ შეეძინათ ყველაფერი — უფრო იოლი იქნებოდა.

უამრავი საქმე ეყარა თავზე და ნატალიას აქ ყოფნა აუცილებელი გახლდათ.

ამ ბარათს ალალბედზე სწერდა: არ იცოდა, სად იმყოფებოდნენ, ნიცასა თუ პარიზში? და... ნუთუ არ შეეძლოთ წესიერად მოეწერათ?

მიეღო ნატალიას ორი წერილი, მაგრამ ვერაფერი გაეგო გარდა იმისა, რომ უჭირდათ, მაგრამ ეს ხომ უიმათოდაც იცოდა და ამიტომაცაა, რომ წელებზე ფეხს იდგამდა მიუხედავად სიბერისა და ავადმყოფობისა.

25 აპრილს ღმერთს მადლობას შესწირავდა, რომ ბოლოს როგორც იქნა მიეღო მათი ბარათი, მაგრამ... სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილიყო და ნერვები სულ აშლოდა...

ღმერთმა უწყის, რას არ წარმოიდგენდა!..

იმ წერილიდან ის დასკვნა გამოეტანა, რომ დედა-შვილი ცუდად იცნობდა ცხოვრებასა და ადამიანებს. და ამიტომაც იყო, რომ ყველაფერში ამტყუნებდნენ აკაკის — ისედაც უბედურ ბერიკაცს!..

მათი წამოწყებისა არაფერი იცოდა, ისაია პიტოევს, თეატრალურ მოღვაწეს ეთქვა: თქვენმა შვილმა და ჩემმა შვილმა საქმე წამოიწყეს, იტალიაში წავიდნენ კოსტიუმების შესაძენად, მაგრამ უბედურების მეტს არას მოველი ამ საქმისაგან — ჩემი ძმა ამან გააკოტრა და ახლა შვილიც მეღუპებაო.

აკაკიმ ამისა არაფერი იცოდა, ნუგეშისცემას კი დაუწყებდა: ყველაფერი ღვთის ნებააო...

ახლა უკვე თანდათან იკურნებოდა და თუ ღმერთიც შეეწეოდა, შეუდგებოდა საქმეს, რომელიც აბდუშელიშვილისნაირი მოურავის ხელში კუს ნაბიჯით მიჩანჩალებდა.

თუ მარგანეცის საქმეს დააბოლოვებდა, უმალვე გასწევდა მათკენ, თუმც კი ძალიან უმძიმდა — სნეულ ბერიკაცს. ხომ არ წამოეღო თან ის ნივთები, მაკო საფაროვასათვის რომ მიებარებინათ? ღმერთს ხელი მოემართა მათთვის იქ თავიანთ საქმეში, ამისთვის კი — აქ. ეს უკვე მათი უკანასკნელი იმედიღა იყო.

კოცნას უთვლიდა, თუმც:

— როგორ ვხედავ, თქვენ არ გიყვარვართ მე უბედური.

27 აპრილს 300 მანეთს გაუგზავნიდათ, მაისის დამლევისათვის კიდევ მიაწვდიდათ ამდენივეს და დაე გამომგზავრებულიყვნენ. მაისის მიწურულს, ანუ 29-ში, ესეც გათავისუფლდებოდა და მზად იქნებოდა მათდა სამსახურად.

უკანასკნელ ბარათში ლიოლია სისულელეს სწერდა, და განა რისი ეშინოდა? განა სულერთი არ იქნებოდა, სადაც უნდა ჩამომხტარიყო მამასთან!.. საშიში არაფერი ჰქონდა... რაკი ამას მოეკიდა ხელი და ეკისრა შვილთან ერთად მოეგვარებინა საქმე, და მაშ ლიოლიას სადარდებელიც არაფერი ექნებოდა...

ამას სულითა და გულით სურდა ბოლოს მაინც ერთად ეცხოვრათ და აღარასოდეს დაშორებოდნენ ერთმანეთს.

ვრცელ მინაწერში კი:

ვის შეეტყობინებინა მათთვის, თითქოს ამას ტყე გაეყიდოს, მიეღოს ფული და გაეფლანგოს?

რა წყაროების ძალით დარწმუნებულიყვნენ ამაში და ასეთ საყვედურებიან წერილებს რატომ იწერებოდნენ?

ყოველივე ეს აკაკის შეურაცხყოფა იყო და ცოლ-შვილის მხრიდან — უკადრისი საქციელი.

რა მომხდარიყო და:

ანა დადიანი-დადეშქელიანის კრედიტორებს ტყე გაეყიდათ, ბე მიეღოთ და დანარჩენს ელოდებოდნენ ორი თვის თავზე, ნასყიდობის ქაღალდის შესრულების შემდგომ.

აკაკი რა შუაში იყო?

მას ხვდომოდა მხოლოდ ზრუნვა და ჯახირი, რათა მიეღო თავისი კუთვნილი მაინც, და მეტი ჯახირი ალბათ ანი დასჭირდებოდა. ეს იყო და ეს!..

რაც შეეხებოდა მადათოვს, ეს ისეთი საქმე გახლდათ, არ შეიძლებოდა მისი მიგდება. ოთხი თვალი უნდა გამოგება და თვალყური გედევნებინა დღისითაც და ღამითაც. მხოლოდ ღმერთმა უწყოდა, რამდენი შრომა და ტანჯვა გადახდენოდა მის გამო...

ყველა სიძნელე გადალახულიყო და ახლა საჭიროღა იყო მისი ღირსეულად დაბოლოვება.

ერთხელ უკვე მოესმინათ ეს საქმე ქუთაისის საოლქო სასამართლოში და მაშინ ამის თხოვნით დაედგინათ: დაეკითხათ მოწმეები და გამოეთხოვათ მოწმობა სამთო სამმართველოდან...

საქმე დაინიშნებოდა 23 მაისისათვის, მაგრამ მოწმეების გამოუცხადებლობის გამო გადაიდებოდა 13 ივლისისათვის. მოწმეები აკაკის უნდა მიეყვანა თავის ხარჯზე და აი იჯდა აქ, საჩხერეში, რადგანაც მოწმეთა ერთი ნაწილი დაიკითხებოდა ჭიათურაში, ნაწილი კი — ტფილისში.

ამის შემდეგ საქმეს უკვე საბოლოოდ მოისმენდნენ, მაგრამ უკმაყოფილო მხარეს შეეძლო საქმე პალატაში გადაეტანა. ასეა თუ ისე დიდი ნაწილი გაკეთებულიყო და დაბოლოვებაღა აკლდა.

მიეტოვებინა აქაურობა და მათთან წასულიყო — ეს ნიშნავდა საქმის დაღუპვას.

ამიტომაც გადაწყვეტდა, რომ:

უნდა მოეცადა და საქმის დამთავრებისას ყველაფერი გამზადებული ჩაებარებინა ცოლ-შვილისათვის, და მერე წაბრძანებულიყვნენ, საითაც ენებათ. მანამდე მოეცადათ თუნდ ბაბო ბაგრატიონთან, ტასო მაჩაბლის დასთან, ან შემოდგომამდე დაექირავებინათ სადმე ოთახი. ეს კი ეცდებოდა შეძლებისდაგვარად სახარჯო ფული გადაეგზავნა ყოველგვარი შეხსენებისა და „გემუდარების“ გარეშე.

თუკი მისი ეს გეგმა არ მოსწონდათ, მაშინ ჩამობრძანებულიყვნენ და თვითონვე გაეკეთებინათ რაც ნებავდათ და როგორც ნებავდათ, ხოლო ეს ეხსნათ ჯახირისა და ტანჯვისაგან.

მოაწევდა 9 ივნისი.

და ასე დაიწყებოდა იმდღევანდელი ბარათი:

— დღეს ჩემი დაბადების დღეა. 64 წელი შემისრულდა.

მაინც როგორი დაბადების დღე ექნებოდა 64 წლის აკაკი წერეთელს — თანამედროვე საქართველოს უპირველეს პოეტად და სულაც უგვირგვინო მეფედ აღიარებულსა და ქვეყნის ყველა სატკივარისა და ჭირ-ვარამის გულთან მიმტანსა და წყლულების მკურნალს?

მისი გულისცემისა და მაჯაშისა შემტყობარს?

არამარტო მხატვრულ შემოქმედებაში აღმომჩენს საგანძურისა, არამედ ყოფით რეალობაშიც — მარგანეცის მიმგნებსა და ახალი სივრცის გადამხსნელს ჩვენი ეკონომიკური ცხოვრებისათვის?

მაინც როგორი?

მართალია ცოლ-შვილი აქ არა ჰყავდა, მაგრამ ხომ შეიძლება იქიდან გაეთბოთ მისთვის გული, სადაც იმყოფებოდნენ?

ის იყო გათენდებოდა და... გამოეცხადებოდა ამატა ბაზილევსკაია-ერისთავი დაჩვეული ფრაზით: ფული, ფული, ფულიო...

გარდა ამისა, იმ მოსაზრებით, რათა გაეხარებინა მასპინძელი, რაღაცას შეატყობინებდა ნატაშაზე და მის ბარათსაც გადასცემდა.

ნატალია ბაზილევსკაია მეტისმეტად ევროპელი გახლდათ,

აკაკი წერეთელი კი — მეტისმეტად აზიელი,

რათა ერთმანეთისათვის გაეგოთ.

და ამიტომაც, როგორც ჩანს, ნატალიას ვერც გაეგო აკაკის სახუმარო წერილი.

ამასთან:

ნატალია რელიგიური ფანატიკოსი გახლდათ,

ხოლო აკაკი — უბრალო ღვთისმოსავი,

და ერთნაირად როდი უყურებდნენ ყველაფერს.

ნატალიას დედას თავისი ჭკვიანური კაპრიზებით რამდენჯერმე შეშლილობამდე და სრულ გაღატაკებამდე მიეყვანა აკაკი, მაგრამ ეს, როგორც თვინიერი, მომთმენი და ყოვლისმიმტევებელი, არამარტო ივიწყებდა გულისტკენას, ერთხელაც არ გადაუკრავდა სიტყვას ამაზე ხათრისა გამო.

შრომობდა, წვალობდა ოჯახსა და მეგობრებს მოკლებული, და რაც შეეძლო ყველაფერს აკეთებდა ცოლ-შვილისათვის.

აკაკი არ გახლდათ ბაზილევსკი, რომ მილიონები ეძლია ნატალიასა და ლიოლიასათვის, მაგრამ ფიქრობდა, რომ უფრო მნიშვნელოვანი და დასაფასებელი იყო, როდესაც უკანასკნელ კაპიკსაც სხვას აძლევ, თვითონ კი მათხოვრობ.

ცოლ-შვილს მაინც შესაძლებლად მიაჩნდა ესაყვედურა მისთვის?

გაეძარცვათ კაცი, ხელ-ფეხი შეეკრათ და... მერე აბუჩადაც აეგდოთ!..

განა ნატალიას მეგობრები, სტიცკევიჩები იქნებოდნენ, ვოსკრესენსკები თუ სხვანი, ხელ-ფეხს არ უბორკავდნენ საქართველოს უგვირგვინო მეფეს?

ამათ რა ეგონათ, მიეტოვებინა აკაკის და არაფერს ფიქრობდა მათზე?

სად არის სამართალიო! — გმინავდა — განა რამე დავიშურე თქვენთვის?.. განა რაც მქონდა, სულ თქვენ არ გაძლევედითო?

სნეულ კაცს სიბერისას სულაც მარყუჟში გაეყარა თავი, რამე რომ ეშოვნა ცოლ-შვილისათვის, და თუ ვერ ეშოვნა მათი მადის დამაკმაყოფილებელი, ვისი ბრალი იყო?

მაგრამ დაე თავი დაგვენებებინა ყოველივე ამისათვის.

ისეთი ბოროტება შეეყვანათ მასთან სახლში, რომლის უარესსაც კაცი ვერ წარმოიდგენდა. ერჩივნა საკატორღო სამუშაოზე მჯდარიყო, ვიდრე აეტანა თავის სახლში მისი ყოფნა: მისი ბილწი ენისა და სიმურტლის გამოისობით აკაკი დაღუპულიყო, ყველაფერი თავდაყირა იდგა მისას. აკაკი გაიქცეოდა საკუთარი სახლიდან და, როგორ ფიქრობდნენ ნატალია და ალექსი, მათი სიყვარული რომ არა, განა მოითმენდა ყოველივე ამას?.. მაგრამ აღარ სურდა სიტყვა გაეგრძელებინა ამ არამზადებზე...

ლიოლიას კი მათთან, ამ არამზადებთან, მეგობრული მიმოწერა ჰქონდა მაშინ, როდესაც არ შეეძლო მამისათვის მიეწერა რაიმე, და მხოლოდ კვებავდა თუთიყუშური ფრაზებით: გემუდარები, დამეხმაროო; არ მცალია, რომ მოგწეროო; დრო არა მაქვსო; გკოცნი მაგრადო...

კარგად დაფიქრებულიყო: განა ასეთი უნდა ყოფილიყო შვილის მეგობრული გრძნობა მამისადმი?..

ეჰ, ლიოლიაო, — შვილიც ამოაკენესებდა, — აღარ მინდა კიდევ რამე გითხრა! რა აზრი აქვს? ჩვენ ერთმანეთს მაინც ვერ გავუგებთო!..

ეხვეწებოდა უფალს, რომ ცოლ-შვილი ბედნიერები ყოფილიყვნენ, თორემ თვითონ მასზე ფიქრიც არ ღირდა... დურანდინი კი შორიდანაც არ ასვენებდა, მუქარის წერილებს უგზავნიდა და უგზავნიდა.

იმ თავხედის წერილს ნატალიასა და ლიოლიას გადაუგზავნიდა, სიმართლის ერთი სიტყვაც რომ არ მოიპოვებოდა. დაე წაეკითხათ და ეგებ ახლა მაინც მიმხვდარიყვნენ, რა სულიერთანაც ჰქონდათ საქმე!.. ყოველდღე წვეულება კი ჰქონდა — ლაღობდა და იხარებდა აკაკის გამწარების ხარჯზე.

უკეთესი დაბადების დღე ძნელად დაგიდგება ადამიანს!..

64 წელი შეგისრულდეს და... ასეთ მძიმე, მწარე, სასოწარკვეთილ გუნებაზე შეხვდე?!. ილუზიებსაც ვეღარ მობღაუჭებიხარ, ხანდახან რომ გინდა იმას მაინც შეაფარო თავი სულის მოსათქმელად. მაინც მოახერხებდნენ და შორიდან კვლავ გამოიყვანდნენ წყობიდან...

20 ივნისს აცნობებდა ნატალიას, რომ:

აქამდე კვლავ ქუთაისში იმყოფებოდა. შავი ქვის მრეწველთა ყრილობა ჯერ კიდევ მუშაობდა. და ალბათ რამდენიმე დღესაც გაგრძელდებოდა.

აქედან ეპირებოდა საჩხერეს.

უკანასკნელად რამდენიმე განკარგულებას გასცემდა და მერე პირდაპირ ცოლ-შვილთან გასწევდა, რათა სამუდამოდაც მათთან დარჩენილიყო.

მათი ბარათები აქ უკვე ვეღარ მოუსწრებდა, ამიტომაც აზრი არა ჰქონდა, რომ მოეწერათ. მალე მოინახულებდათ და ყველაფერს ეტყოდათ, რასაც აკეთებდა აქ, რა შეიძლო და რა ვერ შეიძლო. საერთოდ არაფრით შეეძლო გაეხარებინა ამ მძიმე დროს.

იმ რწმენამდე მივიდოდა, რომ დარწმუნდებოდა:

ნატაშას გარდა ყველაფერი სისულელე ყოფილაო.

მაგრამ ეს გვიანღა გაეგო.

კვლავ ილუზიებს რომ ებღაუჭებოდა, კვლავ წარმოსახვით სამყაროში რომ ესწრაფის თავის შეფარებას...

გვაზავა ტფილისში არ იმყოფებოდა, საზღვარგარეთ წასულიყო, მაგრამ აკაკი ცნობას მაინც თან წამოილებდა.

18 ივლისს დაბრუნდებოდა ბორჯომიდან და რედაქციაში დახვდებოდა ორი ბარათი:

ერთი ნატალია პეტროვნასაგან, დაბერილნესტოიანისა,

და მეორე — მისი ნატალკასაგან, ანგელოზივით თვინიერისა.

ადვილი ამოსაცნობია, ეს რომ მისი მეუღლის ორი სახეა — მრისხანისაც და ლმობიერისაც.

აკაკი მადლობას მოახსენებდა ერთი ბარათის დამწერსაც და მეორისაც.

და ეს იმიტომ, უნდა ეღიარებინა, რომ:

მაშინაც, როდესაც ნატალია უსამართლოდ ბერავდა ნესტოებს და ემსგავსებოდა სოფია პლატონოვნას, აკაკის სულის სიღრმეში მაინც მის იდეალურ ნატალკად რჩებოდა. ჩინებულად ესმოდა, რომ ნატალია პეტროვნა დაბერილი ნესტოებით ბუნებრივი კი არ იყო, არამედ გარემოებათა უნებური ქმნილება, რომელიც მიუხედავად ქმრის ცდისა და მონდომებისა, დღემდე ვერ დაძლეულიყო.

აკაკის მთელი სწრაფვა და მიზანი ის გახლდათ, რომ სიბერისას მაინც შეესხა ხორცი თავისი იდეალისათვის: ეცხოვრა თავის ოჯახში, აღტაცებას მისცემოდა თავისი იდეალური ნატაშათი (რომელმაც თვითონაც არ იცოდა თავისი ფასი და დაულაგებელი ნერვების გამოისობით ხშირად ისახიჩრებდა თავს), ეგრძნო თავი ლიოლიას ახლო, ეხარა მისი სიხარულით...

ეს მიზანი რომ არა ჰქონოდა, აქამდე თავს არც იცოცხლებდა.

იმედოვნებდა, რომ ბოლოსდაბოლოს მაინც გაიმარჯვებდა, და ამ გამარჯვებაში თავისი შრომით მცირე წვლილი როდი ექნებოდა შეტანილი სოსიკო მერკვილაძეს, რომელიც მისი ერთგული კაცი იყო და... რარიგ ნანობდა, რომ ნატალიასთან უხერხულ მდგომარეობაში ჩაეყენებინა თავი.

ამჟამად აკაკის პრაქტიკულად არაფერი შეეძლო განეხორციელებინა უიმისოდ, სოსიკო იყო მისი გეგმების საუკეთესო შემსრულებელი, თუმც ეს საკმაოდ ძვირად უჯდებოდა.

— მაგრამ რას იზამ, უამისოდ ყველაფერი დაგვეკარგება.

მტრები მზად იყვნენ ესარგებლათ აკაკის უძლურებით, მაგრამ სოსიკო გასაქანს არ მისცემდათ და ეშინოდათ კიდეც მისი.

ფიქრობდა, რომ წელს ყველაფერს გამოასწორებდა.

მისი სამუშაოები დასასრულს უახლოვდებოდა.

იმედოვნებდა, რომ ცოლ-შვილი შემოდგომაზე მოინახულებდა.

მაღაროებს უმარგანეცოდ რა თავში იხლიდა. რაც ებადა, ისიც ეყოფოდა!..

ღმერთმა დაგლოცოს და გიწინამძღვროს ჩემო მეგობაროო, — ამ სიტყვებით გამოეთხოვებოდა მეუღლეს.

მოაწევდა 1905 წელი და...

100 მანეთი გაეგზავნა ლიოლიასათვის პარიზში, 100 მანეთსაც ნატალიას უგზავნიდა და ებოდიშებოდა: ჩემი ჩამოსვლა თქვენთან არ მოხერხდაო.

სამი მიზეზი აყოვნებდა:

მაისამდე, როცა ცოლ-შვილი თვითონ უნდა ჩამოსულიყო, ცოტა დრო რჩებოდა.

ზედმეტი ხარჯი მოუვიდოდა — ჩასულიყო და მაშინვე უკან გამობრუნებულიყო.

და საქმეც არ უშვებდა.

რა საქმე და: სამყურაშვილები, შავი ქვის საბადოების მიდამოებში მცხოვრები გლეხები, მარგანეცის გაყიდვას აპირებდნენ და ეს უნდა ჩასულიყო ჭიათურაში, რათა ხელი შეეშალა მათთვის. ეს აუცილებელი იყო.

ცოლ-შვილი ყოველმიზეზგარეშე უნდა ჩამოსულიყო მასთან.

ძალიან დაბერებულიყო და მოვლას საჭიროებდა.

ვიდრე ცოცხლობდა, ლიოლია მასთან უნდა ყოფილიყო.

აქ ერთად მოითათბირებდნენ, როგორ მოეწყოთ ცხოვრება ისე, რომ ლიოლია არ გატანჯულიყო.

მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებდა შეხვედროდა სიკვდილს, როგორც მოსვენებას.

შეეტყობინებინათ, რამდენი თუმანი დასჭირდებოდათ მაისის დამლევამდე და სამგზავროდ, მაგრამ, ღვთის გულისათვის, ეგებ მომჭირნედ ეხარჯათ გამომგზავრებამდე და... მერე რაღაც გამოჩნდებოდა სასიკეთო.

25 თებერვალს მადლობას მოახსენებდა წერილისათვის და დასძენდა: ჩემზე და ჩემს ტანჯვა-ნამებაზე არ მინდა რამე მოგწეროთო.

დაიწყებდა საქმით.

8-ში უნდა გამოეცხადებინათ რეზოლუცია, მაგრამ 15-თვის გადადებდნენ, რადგანაც ხმები ორად გაიყოფოდა და... აკაკი კინაღამ წააგებდა. 15-ში კი ერთსულოვანი დადგენილებით მის სასარგებლოდ გადაწყვეტდნენ. ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას 1 მარტს გამოუცხადებდნენ.

მოპირისპირე მხარეს საჩივარი გადაჰქონდა პალატაში, მაგრამ აკაკის ახლა ნაკლებ ეშინოდა, ვიდრე ოდესმე...

ეცდებოდა და იმედოვნებდა, რომ საქმე მალე დანიშნულიყო და ამით დამთავრდებოდა ყველაფერი.

ამაზე საგრძნობი ხარჯი გაეწია და ამიტომაც ვერ გაეგზავნა დაპირებული. მარტის შემდეგ 300 მანეთს მიაწვდიდათ, მერე გამოსამგზავრებლად — კიდევ 200 მანეთს. თუ ღმერთი სწამდათ, მაშინვე წამოსულიყვნენ, როგორც კი ამ 200 მანეთს მიიღებდნენ.

უიმათოდ აქ თავს ობლად გრძნობდა და არავინ ჰყავდა, რომ დანდობოდა.

ტასო მაჩაბლის მისამართზე წერილებს ნუ გამოუგზავნიდნენ. დაგირავებული ნივთების გამო საბოლოოდ დაშორებოდა მას!..

მისი პირდაპირი მისამართი ეს იყო: ტფილისი, სასტუმრო „ფრანცი".

რაც შეეხებოდა პირადად მას — ლიოლიას, დარდი ნუ ექნებოდა, რამდენი ვალიც უნდა დასდებოდა, აკაკი საქმეს ისე მოაგვარებდა, რომ აქ ვერავინ გაბედავდა იმის შეწუხებას. ოღონდაც ჩამოსულიყო!.. ამ საქმეების გადასცემდა კოტე აბდუშელიშვილს, რომელსაც ასეთ რამეებში დიდი გამოცდილება შეეძინა.

საერთოდ აქ უკეთ იქნებოდნენ, ვიდრე სადმე. ამას უკვე აღარ შეეძლო უიმათოდ ყოფნა. თუმც სულ ბუზღუნებდა, მაგრამ უნატაშოდ ძალიან მოწყენილი გახლდათ და... ღმერთს შეავედრებდა ცოლ-შვილის თავს...

12 მარტს იმით დაიწყებდა ბარათს:

ახლა მე თვითონ გწერთ — მაშასადამე უკეთ ვარო.

ესაა მიეღო მისი წერილი, რომელიც ლიოლიას შესახებ არაფერს ახალს არ შეატყობინებდა. ამას მოელოდა. აქ ყველაფერი საზიზღრად მიმდინარეობდა — მეორდებოდა 1793 წელი ანუ საფრანგეთის რევოლუცია აქ ჰპოვებდა განახლებას.

გლეხები გამოდიოდნენ მემამულეთა წინააღმდეგ და ყველაფერს ართმევდნენ მათ. წყლის მომტანიც კი აღარავინ იყო... ერთიღა რჩებოდა — წასულიყავი საზღვარგარეთ, რასაც აპირებდა კიდეც, მაგრამ არ იცოდა ჯერჯერობით, როდის წასულიყო.

ჩინელებს მუკდენიდან აკაკის ფონდში 1000 მანეთი გამოეგზავნათ. ამას რომ ამცნობდა ცოლს, ჩაურთავდა: სცხვენოდეთ ჩვენებსო!.. ასე რომ, შეეძლო წასულიყო და მიეღო იქ თვიურად 150 მანეთი მანამდე, სანამ ეს მღელვარება დაცხრებოდა.

ლიოლიას წერილს გაუგზავნიდა, ნატალიას კი — ნებართვას. თუ არ დასჭირდებოდა მათთან წამოსვლა, წამოიღებდა ხელშეკრულებებს და შეხვდებოდნენ ერთმანეთს საზღვარგარეთ, რათა იქ ეცხოვრათ.

საშკა ჯანმრთელად იყო. ამატა აღარ სჯერდებოდა თევში 10 მანეთს და მუდამდღე დაიარებოდა აკაკისთან.

რაკიღა აკაკი ტასო მაჩაბელს აღარაფერს აძლევდა, ახლა შეეძლო ამატასათვის მოემატებინა თანხა, თუმც ძალიან კი უჭირდა თვითონაც.

ჩემზე ნუ იჯავრებო, — მაინც ამას ეტყოდა და ურჩევდა, რომ: მოქცეულიყო უფრო ჭკვიანურად და საღად.

დინისა ძალიან ეიმედებოდა: თქვენზე უფრო გამოცდილია ცხოვრებაშიო.

— დავიღალე, — სულზე უკვე დაღად დაჩნეული ამ სიტყვით უნდა გათავებულიყო ბარათი.

29 მარტს მადლობას მოახსენებდა წერილისათვის, რომელიც უკეთ მოქმედებდა მასზე, ვიდრე ყველა ელექტროაპარატი. ლიოლიასათვის გაეგზავნა ბარათი და მასთან ერთად ნატალიასთვის განკუთვნილი წერილიც იყო. ალბათ უკვე მიიღებდნენ.

თვითონ ჯერჯერობით ისევ აქ იმყოფებოდა — საჩხერეში ვერ მიდიოდა.

„ბუნტი" უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

მათთან შეხვედრა ალბათ კისლოვოდსკში მოუწევდა და იქიდან საზღვარგარეთ გაემგზავრებოდნენ. ამჟამად უკეთ გრძნობდა თავს და ნელ-ნელა გამოდიოდა მძიმე მდგომარეობიდან...

ახლა მასთან იყო ამატა... და გულწრფელად რომ ეთქვა, აკაკის შეძლებას აღემატებოდა, თვეში ათ მანეთზე მეტი ეძლია, მაგრამ როგორც ჩანდა, ამას იგი აღარ ჯერდებოდა. ნატალიას გამორჩეულად საყვარელი და რომ არა ყოფილიყო, ცხადია, აკაკი ვალდებულად არ მიიჩნევდა თავს, მისთვის ყურადღება მიექცია... მიეღო მანიას ბარათიც პეტერბურგიდან. უნდოდა პასუხი მიეწერა, მაგრამ ნატალიასთან წერილების გაგზავნასაც ძლივს ახერხებდა. ძალიან უჭირდა წერა, თანაშემწე კი არავინ ჰყავდა.

ესაა ახლა კიდევ მიეღო ცოლის წერილი, — ამას პოსტსკრიპტუმში აღნიშნავდა, და ლიოლიას შეუთვლიდა: ნუ გეშინიაო!..

არადა... ყველა საქმე საძაგლად მიდიოდა.

რა ადგილს ამოურჩევდნენ ექიმები, ზუსტად არ იცოდა. ის იცოდა მხოლოდ, რომ: სადღაც მუავე წყლებზე გაგზავნიდნენ.

ქრისტე აღსდგაო, — ეს უკვე ახალი ბარათის დასაწყისი იქნებოდა, აღდგომით აღტაცებული და გამხნევებული მადლობას რომ უხდიდა ნატალიას გულითადი წერილისათვის. ეჩქარებოდა და ძალიანაც ეჩქარებოდა მათთან გამგზავრება, მაგრამ საქმე ისე მოწყობილიყო, ივნისამდე ვერაფრისდიდებით ვერ შეძლებდა თავი დაეღწია ამ უბედური კუთხისათვის.

გუშინ გათენებისას გაეჩხრიკათ.

ცხადია კანონის საწინააღმდეგო ვერაფერი ეპოვნათ, მაგრამ მათთვის ეს სულერთი გახლდათ, ოღონდაც ადამიანი შეეწუხებინათ; ხოლო ცოლ-შვილს ყოველივე ამის შემდეგ მაინც ეგონათ, რომ აკაკი ნებაყოფლობით რჩებოდა აქ?!. თვითონაც მოუთმენლად მოელოდა ივნისს, რომ ცოტათი დამშვიდებულიყო და მათკენ დადგომოდა გზას. არ შეეძლოთ 10 ივნისისათვის ბილეთი გამოეგზავნათ?

გვაზავა მოენახულებინა და ეთქვა ყველაფერი, რაც ნატალიას მოეწერა, მაგრამ იმას როგორღაც ორჭოფულად ეპასუხა: მე კნეინას დავპირდი, რომ ვიქნებოდი მისი ვექილი და არა მმართველი, საამისოდ დრო არ გამაჩნიაო.

29 მაისს დანიშნულიყო შავი ქვის მრეწველთა ყრილობა, რომელსაც აკაკიც უნდა დასწრებოდა. და ნაყრილობევს გაემგზავრებოდა.

მომდევნო ბარათში ცოლ-შვილის წერილებს ცის მანანას გაუიგივებდა და ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ ღებულობდა.

რაც შეეხებოდა მის ყოფას, ძალზე ცუდი ვითარება დამდგარიყო.

იმათ იქ მხოლოდ სოციალისტები აწუხებდნენ, აქ კი ამათ სოციალისტებთან ერთად კაზაკებიც.

ქუთაისის გუბერნია გავერანებულიყო...

იწვოდა სახლები, იძარცვებოდა დუქნები და მაღაზიები.

ადამიანებს ხოცავდნენ ბუზებივით, არ არჩევდნენ მტყუანსა და მართალს.

საჩხერე დარბეულიყო — გადარჩენილიყო მხოლოდ მათი სახლი და აკაკის უკვირდა: ნეტა რატომ? — და ცოლს თავს მოუქონავდა: ალბათ ღმერთმა შეგვიბრალა შენი კეთილი გულისა და კარგი ქალობისათვისო...

თვითონ აკაკი საძაგელ დღეში ჩავარდნილიყო. აპირებდა აქედან წასვლას, მაგრამ უფულობის გამო ვერ ახერხებდა და ვერა. მამულიდან ჯერ კაპიკი არ მიეღო, ხოლო ფონდი სექტემბრიდან გროშსაც აღარ მისცემდა.

ამიტომაც გაზეთ „კავკაზის" რედაქციაში მუშაობდა, მაგრამ ღებულობდა იმდენს, რომ ძლივს ყოფნიდა პურისა და წყლისათვის, და კიდევ — ნატალიასიანების შესანახად, რომლებიც უამისოდ შიმშილით ამოწყდებოდნენ, მაგრამ იმედოვნებდა, რომ მალე ყველაფერი გამოკეთდებოდა და მალევე იხილავდა თავის ჭირვეულ ანგელოზ ნატაშას და გადაეხვეოდა.

მომდევნო ბარათში წუხდა, რომ იმ ოთხ წერილზე, რომელთაგანაც ორი ლიოლიას სახელზე გაეგზავნა თეატრში და ორიც ნატალიას ბინის მისამართზე, დღემდე პასუხი არ მიელო. ნატალიას ახლახან რომ გამოეგზავნა ბარათი აკაკისთან ამატას სახელზე, იმას დაზარებოდა სიძესთან შემოვლა და ფოსტით გადმოეგზავნა, მაგრამ არა და არ მოსულიყო აკაკიმდე. გუშინ კი მოეტანათ ნატალიას ერთი წერილი.

აქ ბევრად უარესი მდგომარეობა სუფევდა, ვიდრე ნატალიას მხარეში. ლაქიებსა და მზარეულებს შეენყვიტათ მუშაობა. შინ ნასულიყვნენ. დათიკო აბდუშელიც კი გასცლოდა აკაკის, ხელზე მოსამსახურე.

ვინც თავის ბატონს არ დატოვებდა, ჰკლავდნენ.

საშინელება იყო, რაც აქ ხდებოდა — იძინებდნენ და არ იცოდნენ, ღამით რა დაემართებოდათ.

ფაეტონები აღარ მოიძევებოდა. უკვე ორი კვირაა კონკებიც გამქრალიყვნენ. ყოველმხრივ მძიმე მდგომარეობა იყო. ამ საყოველთაო არეულობის გამოისობით აკაკის საქმეებიც ანეწილ-დანეწილიყო. ასე რომ, არაფრისდიდებით არ შეეძლო 20 მაისზე ადრე გამომგზავრება. ამ რიცხვებში კი პირდაპირ პარიზისაკენ გამოსწევდა, ხოლო იქიდან წავიდოდა იქ, სადაც ექიმები ურჩევდნენ.

რაც შეეხებოდა ფულს, ეცდებოდა მიეწოდებინა იმდენი, რამდენსაც შეძლებდა, მაგრამ ჯერ უნდა მოეწერა ნატალიას, სად გაეგზავნა — კისლოვოდსკსა თუ პიტერში?..

21 ივნისს აცნობებდათ, რომ:

ფულის მიღების მოლოდინში — აი დღეს, აი ხვალაო — წერილებს აღარ სწერდათ, ვიდრე ბოლოს ყველაფერი არ გამოირკვეოდა.

— საძაგელი დროა! ყველაფერი ის, რაც აქ ხდება, კალმით არ აიწერება.

ერთი მანეთის შოვნაც კი შეუძლებელი გამხდარიყო!.. ჯახირობდა ეშოვნა 3000 მანეთი ანუ სინამდვილეში 1600 მანეთი, რადგან იძლეოდნენ მხოლოდ აქციებით, აქცია კი იყიდებოდა ნახევარ ფასად, მაგრამ ვინაიდან ბანკის თავმჯდომარე პეტერბურგში იმყოფებოდა და 15 ივლისამდე ვერ დაბრუნდებოდა, ამ ვადამდე ვერაფერს მიიღებდნენ.

5 ივლისს ცოლ-შვილთან ეპირებოდა გამგზავრებას.

კიდევ ერთი სადარდებელი გასჩენოდა: ჩამოსულიყო კომპანია, რომელიც მარგანეცის მიწებს ყიდულობდა, დაეთვალიერებინა ნატალიას ნაკვეთიც და სურვილი გამოეთქვა ყიდვისა, მაგრამ აკაკის თან არ ჰქონდა დოკუმენტები და აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. კომპანია ყაბულს იყო 1 აგვისტომდე მოეცადა და იქნებ ნატალიას მოეხერხებინა დოკუმენტების ან მათი ასლების გამოგზავნა. თუ ამას შეძლებდა, გადარჩენილიყვნენ და ეგაა ერთხელ და სამუდამოდ — ფულს მაშინვე გადაიხდიდნენ.

15 ივლისს შეატყობინებდა, რომ:

უკვე საჩხერეში იმყოფებოდა. თუმც აქ არც ისე კარგი მდგომარეობა სუფევდა, მაგრამ შედარებით მაინც უკეთესი, ვიდრე ქალაქებში. იქ არ იცოდი, როდის მოგკლავდნენ, აქ კი, თუმც საძაგლობაში იმყოფებოდი, ეს უბედურება მაინც არ მოგელოდა.

ამას წინათ რომ სწერდა: საქმეების გამო აქ ათ დღეს დავრჩებიო, — აღარ იცოდა, მოასწრებდა ამ ყველაფერს ასე მალე თუ ვერა. ყოველ შემთხვევაში აქედან პირდაპირ მათთან გასწევდა. ამიტომაც წერილებს აქ ნუღა გამოუგზავნიდნენ, შესაძლოა ველარ მოესწრო ჩამოსვლა ბარათებს.

სარგებლობდა შემთხვევით და აქ ზოგიერთ ცნობას აგროვებდა ანეტას მამულის თაობაზედ, მაგრამ ამას აკეთებდა სხვათა შორის.

ნატალია ძალიან რომ ცდილობდა გაემართლებინა ლიოლია: დრო არა აქვსო, — აკაკის ეს როგორ დაეჯერებინა: ნუთუ მთელი წლების განმავლობაში 5 წუთიც ვერ გამონახა, რომ მოეწერა მამისათვის? მაგრამ არ ვუყვარვარო!..

თუმც... ისიც უნდა თქმულიყო: რატომ უნდა ჰყვარებოდა?

მამის მიერ გამოვლენილი პლატონური სიყვარულისათვის?

მაგრამ ეს რომ ცოტა იყო მეოცე საუკუნეში?!.

ამრიგად მეტს ნუღა მოსწერდა ნატალია — როგორც კი საქმეებს მოათავებდა, გაეშურებოდა მათკენ. აქ დიდხანს დარჩენა აღარც შეეძლო!.. ო რარიგ სურდა მალე გადახვეოდა ყველას.

15 აგვისტოს მწარედ დაიჩივლებდა: ეს რა წყეული წელიწადია ჩემთვისო!..

მოეკლათ ნიკო დიასამიძე, მისი ვაჟი გიგო კი გადარჩენილიყო. დღეს მიდიოდა იქ სურამიდან. დაკრძალვას კვირას აპირებდნენ და აკაკი რასაკვირველია უნდა დარჩენილიყო...

ვაითუ ძალიან შეშინებოდა ნატალიას, ამიტომაც დაამშვიდებდა: თუ ღმერთი გწამს, ჩემი ჯავრი ნუ გექნებაო.

მკვლელები დაეპატიმრებინათ. საცოდავი მხეცურად მოეკლათ მისივე გლეხებს და მერე თვითონვე გამოცხადებულიყვნენ პოლიციაში.

ესეც აქაური წესები!..

მომდევნო ბარათი ისეთი წუხილით დაიწყებოდა:

ქუთაისი ყოველთვის საპყრობილე იყო, მაგრამ ახლა მაინც რაღაც საშინელებაა — ჯოჯოხეთზეც უარესიო!..

სამხედრო წესები და ირგვლივ გაფიცვები — აღარ იყო აღარც მიმოსვლა, აღარც ტელეგრაფი, აღარც წერილები, აღარც გაზეთები, ქუჩებში დღისით-მზისით ძარცვა-გლეჯა, მკვლელობა, საშინელება. სახლებში ხულიგნები იჭრებოდნენ და... ამისთანებს რა დალევდა.

და აკაკის უკვირდა: როგორ გადავრჩიო?!.

მაგრამ თავის თავზე არა ფიქრობდა, ის უფრო აწუხებდა, ცოლ-შვილისაგან რომ ვერ ღებულობდა და არც შეიძლება მიეღო რაიმე ცნობა, ახლა მოსულიყო ნატალიას დეპეშა, მაგრამ ეს არა კმაროდა!..

ძლივს ჩამოსულიყო ტფილისში, მაგრამ არც აქ იყო კარგი მდგომარეობა!.. სურდა აქედან წამოსულიყო, მაგრამ ამბობდნენ, მალე ისევ გაფიცვები დაიწყებაო, და ეშინოდა, სადმე გზაზე არ გაჩხერილიყო. სჯობდა ისევ მოეცადა, ვიდრე შესაძლებელი იყო და ყველაფერი არ დამშვიდდებოდა.

— თუ ღმერთი გწამთ, თქვენც ღვთის იმედი და მოთმინება იქონიეთ.

იმედოვნებდა, რომ ლიოლია ალღოს აუღებდა დროს და ისე მოაწყობდა თავის ცხოვრებას.

ჩამოვიდოდა თუ არა, მოინახულებდა ამატას. მადლობა ღმერთს, ნატალიას და არც ისე ცუდად ცხოვრობდა!.. სიმართლე რომ თქმულიყო, უკეთაც ცხოვრობდა, ვიდრე აკაკი. მიუხედავად ამისა ჩვეულების ძალით მაინც დაუტოვებდა ხუთ მანეთს. არც ისე უჭირდა ამატას, მაგრამ მიჩვევით მისჩვეოდა მუდმივ წუწუნს. ახლა ისეთი დრო დამდგარიყო, ვეღარც მდიდრები ცხოვრობდნენ მაინცდამაინც კარგად. თავიანთ ოჯახურ საქმეებზე უამბობდათ, როგორც კი ჩააკითხავდათ. აქ დიდხანს არ დარჩებოდა. უმძიმდა სიცოცხლე, როდესაც მის გვერდით არ იმყოფებოდა მისი ბუზღუნა ქალბატონი. დღესასწაულებისათვის კი უსათუოდ ჩააკითხავდათ!..

როგორც ნატალიას წერილებიდან ჩანდა, უწყრებოდა ცოლი, და ახალ ბარათს ამ თხოვნით დაიწყებდა: გეყოფაო!.. ცოლ-შვილს ხომ წარმოდგენაც არა ჰქონდა კავკასიასა და აქაურ ამბებზე. დღემდე რომ მათთან ვერ ჩასულიყო და ასეთი ტერორის პირობებში წერილებიც ვერ აღწევდა ნატალიამდე, რა გასაკვირი იყო.

— არ არის დღე, რომ სიკვდილს არ ველოდე.

მისი ნაცნობებიდან ნახევარი ამოხოცილიყო ბარბაროსულად.

ხოცავდა ყველა პარტია და ამას გარდა პროფესიონალი ყაჩაღებიც — ისინი საშინლად მომრავლებულიყვნენ და დაუსჯელადაც მოქმედებდნენ.

აკაკის ჯერჯერობით ღმერთი სწყალობდა და მისთვის ეს სასწაულს უდრიდა!..

აქ ყოველგვარი საქმე შეჩერებულიყო და ყველას შიმშილით სიკვდილი მოელოდა — ღატაკებსაც და მდიდრებსაც. არავინ არაფერს იხდიდა და გროშის შოვნაც კი ჭირდა... აი აკაკისაც რამდენიმე თვე და დაახლოებით 200 მანეთი ფუჭად დაეკარგა: ჯახირობდა მიეღო რაიმე ქუთაისის ბანკიდან. გაირკვეოდა, რომ ბანკი ნაღდ ფულს კი არ იხდიდა, არამედ აქციებს იმეტებდა, ხოლო აქციებში არავინ არაფერს იძლეოდა. ახლა იქნებ ისევ ტფილისში გაეხერხებინა რაიმე. ვიდრე ნატალიას ხელშეკრულებას არ გამოისყიდიდა, ნასყიდობის შესრულება არ შეიძლებოდა, მაგრამ ვინც ამ საქმეს აგვარებდა, დაპირებოდა: წინასწარ გამოვართმევ კომპანიას 5 ათას მანეთს და მოგცემ, რომ ხელშეკრულება გამოისყიდოო. ეს კაცი 10 აგვისტოდან უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ... ჯერაც არა ჩანდა. ჯერჯერობით

არც კომპანია ჩანდა, მაგრამ მისი მაინც ეიმედებოდა. უცდიდა და ამიტომაც ვეღარ დაძრულიყო აქედან. საჩხერეში ყოველგვარ სიმართლითა და სიმრუდით 500 მანეთის შეგროვება მოეხერხებინა, აქედან 300 მანეთს ნატალიას გაუგზავნიდა, 100 მანეთს კი ამატასათვის გადასდებდა. ამ გარემოებასაც ითვალისწინებდა, რომ: 50 მანეთი უკვე გადაეცა, დანარჩენს კი გამომგზავრებისას მისცემდა, რათა არ შემოხარჯოდათ.

თავისთვის 100 მანეთიღა დაეტოვებინა.

როგორც კი ღვთის შეწევნით საქმეებს მოათავებდა, გამოემგზავრებოდა. გული ძალიან მიუწევდა მათკენ. ძალიან უნდოდა გადახვეოდა თავის საყვარელ ბუზღუნა ქალბატონს.

ბაბო იმყოფებოდა მასთან. აი ნამდვილი მეოჯახე ქალიო! — აღტაცებას გამოთქვამდა და... იქვე ჩაიფერფლებოდა, — მაგრამ ვაი, რომ ჩვენ იღბალი არა გვაქვსო.

პოსტსკრიპტუმში დაურთავდა, რომ: სურდა 21 აგვისტოს მიელოცა დაბადების დღე, მაგრამ არაფერი აღმოაჩნდებოდა და ამიტომაც 100 მანეთს უგზავნიდა. ნატალიას დაიკოსა და დისწულს კიდევ გამოერთმიათ 50 მანეთი, ასე რომ, აკაკი მთლად უგროშოდ დარჩენილიყო.

დღეს ბანკში მიეკითხებინა ცნობების მისაღებად: თურმე გამგეს გადაეწყვიტა, ამიერიდან გირაოთი ფული აღარ გაეცა. ესეც ამათი უიღბლობა!.. ახლა ამაზე ფიქრიც ზედმეტი იყო. ისღა დარჩენოდა, კომპანიისათვის ეცადა, მაგრამ თუ იმასაც დააგვიანებდნენ, მაშინ რაღა ელონა?!. ბარათს თუ გამოუგზავნიდნენ, ტფილისში, ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მისამართზე.

9 სექტემბერს მისწერდა: ღვთის გულისათვის, ჩემი ჯავრი ნუ გექნებათო.

შეეძლო ყოფილიყო ფრთხილი, რამდენადაც ეს შეიძლებოდა და საჭირო იყო ამ არეულობის დროს. მთავარი ისაა, რომ არავის საქმეში არ ერეოდა და იყო თავისთვის.

ხვალ მიდიოდა საჩხერეს, სადაც ჯერჯერობით სიმშვიდე სუფევდა და აკაკის იქ, ისევე როგორც სხვა ადგილებში, ხელს არავინ ახლებდა.

ძალიან უნდა იფრთხილოს, არავის საქმეში არ ჩაერიოს, თორემ... არავინ მოერიდებოდა. ხელსაც ახლებდნენ და მხეცურადაც გაუსწორდებოდნენ — მის აკაკობას არ დაგიდევდნენ. დაგიდევდნენ კი არა, სწორედაც აკაკობისათვის გაინირებოდა.

კითხულობ ამ სტრიქონებს და... ხელშესახებად გრძნობ, როგორ იგრაგნება შავი ღრუბლები... ილია ჭავჭავაძის თავზე...

მის ძმისწულს ოტოს ანუ როსტომ წერეთელს დაასაფლავებდნენ კვერეთში და აკაკი დაკრძალვასაც ვერ ჩაუსწრებდა. არადა ძალიან განიცდიდა მის გარდაცვალებას.

დაბრუნდებოდა თუ არა, უდეპეშებდათ და მათ კი ბილეთი უნდა გამოეგზავნათ, რადგანაც აკაკის გადაეწყვიტა ეს ზამთარი პიტერში გაეტარებინა.

სამი დღე იწვებოდა — ეავადმყოფა.

„უპრავაში“ სასაკლაო დატრიალებულიყო, რასაც ამ ბროშურიდანაც შეიტყობდნენ. იგულისხმებდა 29 აგვისტოს პოლიციელთა და კაზაკთა მიერ ტფილისის ქალაქის თვითმმართველობის სხდომათა დარბაზში მოწყობილ ხოცვა-ჟლეტას.

მომდევნო ბარათი ამცნობდათ, რომ:

ხუთი დღე დაეყო ტფილისში და მხოლოდ მეხუთე დღეს მოენახულებინა ამატა. არასწორი მისამართის გამოისობით დიდხანს დასჭირებოდა ძებნა. მადლობა ღმერთს, ისინი უკეთ დაუხვდებოდნენ, ვიდრე ნატალია წარმოიდგენდა. საშკას არ დაანებებდა, მაგრამ ფულს კი მიიღებდა აკაკისაგან. როგორც შეატყობდა, ის ტფილისიდან არსად წასვლას არ აპირებდა და რიგიანადაც მოწყობილიყო. ასე რომ, ნატალიას მისი დარდი ნუღა ექნებოდა.

აკაკიზე ხომ ფიქრიც ზედმეტი იყო: ძალიან კარგად უვლიდა თავს.

სამაზრო არჩევნები დამთავრდებოდა მის ჩასვლამდე.

ხვალ ეპირებოდა საჩხერეს და დარჩებოდა იქ ოტოს ორმოცამდე ანუ 5 ოქტომბრამდე. მერე ჩამოვიდოდა ტფილისში და აქედან გასწევდა ცოლ-შვილთან.

11 ოქტომბერს უკვე ტფილისში იმყოფებოდა — წინადღით ჩამოსულიყო საჩხერედან. ამატა და მისი ოჯახი ჯანმრთელად და კარგად გრძნობდა თავს. ამატას არა სურდა პე-

ტერბურგს წასვლა, ხოლო საშკას ახალი ტანსაცმელი შეეკვეთა მკერავისათვის და აკაკის ეტყოდა: ვიდრე იმას არ გამოისყიდი, აქედან ფეხს არ გადავდგამო.

ამას კი არაფერი გააჩნდა და... ნეტა როგორ უნდა გამოესყიდა?.. იმის გამო, რომ უხდებოდა მათთვის უკანასკნელი გროშების გაზიარება, ეგონათ ბევრი ფული აქვსო, არ სურდათ გაეგოთ, რომ მის საკუთარ ოჯახს მათზე უფრო უჭირდა.

ხვალ ეპირებოდა ქუთაისს და როდესაც დაბრუნდებოდა, მათკენ გასწევდა, საშკასაც თან წამოიყვანდა, მაგრამ ეშინოდა სადმე გზაში არ გაჩხერილიყო, რადგანაც ამბობდნენ: რუსეთში რკინიგზელთა გაფიცვებია მოსალოდნელიო.

ნება დაერთოთ გაზეთის გამოცემისა.

თუმც ვიდრე ცოლ-შვილს არ მოეთათბირებოდა, ვერაფერს გადაწყვეტდა.

მათი ბარათები ამატას გადმოეცა და... გახარებული მადლობას უძღვნიდათ: არ მივიწყებთო.

მომდევნო წერილით აცნობებდა, რომ:

აგერ უკვე ოთხი დღე იყო საჩხერეში იმყოფებოდა. მოსულიყო დიდი თოვლი და დამდგარიყო დიდი ზამთარი, მაგრამ არა რუსული, არამედ პირწმინდად ქართული: წვიმა, თოვლ-ჭყაპი, ტალახი და ყოველგვარი გასაჭირი. ასეთ ვითარებაში უნდა მჯდარიყავი ბუხართან და გამთბარიყავ, მაგრამ თურმე ესეც შეუძლებელი ყოფილიყო — როდესაც ბაზარს ცეცხლს წაუკიდებდნენ, ერთბაშად ყველა ამათ სახლს მოაწყდებოდა იმ იმედით, აქ ხელს არავინ გვახლებსო. გაავსებდნენ ყველა ოთახს ისე, რომ საძრაობა აღარ ექნებოდათ, თან ისე ააქოთებდნენ ყველაფერს, აკაკისაც გაუჭირდებოდა აქ დარჩენა.

ერთი ებრაელი ქალი მათსას ბავშვსაც გააჩენდა.

ამ დღეებში ისევ ეპირებოდა ტფილისს და როგორც კი საქმეებს მოათავებდა, გასწევდა მათკენ. ამატა და საშკა უკვე ველარ ჩერდებოდნენ აქ და პეტერბურგისაკენ მიიწევდნენ, და აკაკიმ აღარ იცოდა, რა ეღონა!..

მოუბოდიშებდათ მოკლე წერილისათვის: საძაგელი დროაო!..

4 დეკემბერს კი ნატალიას მადლობას გადაუხდიდა სასიამოვნო ბარათისათვის, ახლახან ჩამოსულიყო საჩხერედან და მიეღო წერილი ნატაშასაგან და ქვითარი ამატასაგან, მაგრამ უფულობის გამოისობით ალბომის გამოსყიდვა ჯერჯერობით არ შეეძლო.

მისი „ფრანცუზი" ჯერ კიდევ არ გამოჩენილიყო და... აღარც უცდიდა. ღვთის გულისათვის, დაე ნატალიას თვითონვე გაეყიდა თავისი მარგანეცი, მხოლოდ გაეთვალისწინებინა, რომ ფასს ახლა 23 კაპიკამდე აეწია.

დეპეშა გაეგზავნა ლიოლიასათვის — სთხოვდა რამდენიმე დღით ჩამოსულიყო, მაგრამ პასუხი არ მიეღო, რაც ძალიან აწუხებდა. ხოლო თავის მხრივ: როგორც კი სამგზავრო ფულს იშოვიდა, გასწევდა მათკენ უეჭველად.

პოსტსკრიპტუმში ერისთავებს მოიკითხავდა: როგორ არიანო?..

25 დეკემბერს შეატყობინებდა, რომ:

შობის წინადღეს ესტუმრებოდა ამატას და ის გადასცემდა ნატალიას წერილს. როგორც ჩანდა, აკაკის რამდენიმე ბარათიდან მათ მხოლოდ ერთი მიეღოთ!.. ამისათვისაც მადლობას შესწირავდა უფალს!.. ამდენი გაფიცვებისა და ბოიკოტის შემდეგ რა გასაკვირია ვერც ვერაფერი მიეღოთ.

აქ ისეთი საშინელება ტრიალებდა, კალმით არ აიწერებოდა.

ქალაქში სამხედრო წესები სუფევდა და ამ დღეებში საალყო წესებსაც გამოაცხადებდნენ. არც მიმოსვლა, არც არსად გასასვლელი.

ანარქისტები და კაზაკები საშინელ ამბებს სჩადიოდნენ. ახლახან დაერბიათ და აეწიოკებინათ სომხის ბაზარი. ქალაქის ცენტრში ზარბაზნებს ისროდნენ და განურჩევლად გაწყვეტდნენ ხალხს. დაიღუპებოდნენ უდანაშაულონი. გუშინ აიკლებდნენ ნაძალადევის მთელს უბანს და დღეს ქუჩებში ეყრებოდა რამდენიმე ასეული ადამიანის გვამი და დამმარხველიც არავინ იყო.

საერთოდ საკმარისი იყო ვინმე ხულიგანს ან გიჟს ფუჭად თოფი გაესროლა, რომ კაზაკებს განურჩევლად დაეწყოთ ჟლეტა მშვიდობიანი გამვლელ-გამომვლელებისა. რასაკ-

ვირველია ასეთ დრო შინიდან არ გახვიდოდი, მაგრამ შინაც არავინ გახლდათ დაზღვეული და იქაც ყოველ წუთში მოელოდი სიკვდილს.

კაზაკები სახლებს გარედან ასხამდნენ ნავთს და ისე უკიდებდნენ ცეცხლს.

არსად მთავრობა, არსად პოლიცია!..

გაფიცვები, ყველგან გაფიცვები, ყველაფერი დაკეტილიყო და ზოგჯერ სამ-ოთხი დღე უპუროდ ისხდა ხალხი და შიმშილობდა. არაფერი ამის მსგავსი პორტ-არტურში არ მომხდარიყო.

დისწულისაგან, ანა დადიანი-დადეშქელიანისაგან, მინდობილობის ქაღალდი მიეღო, მაგრამ... რის მაქნისი იყო ეს ქაღალდი? დიდიხანია ფონდიდან აღარც არაფერს აძლევდნენ.

რედაქციებიც დახურულიყო.

ერთი სიტყვით, საშინელება სუფევდა!..

ისეთი დრო იდგა, შეგეძლო წმინდა სინდისით წაგეკითხა „მამაო ჩვენო" და გეთქვა: იყავნ ნება შენი, და — პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღესო.

როგორც კი მიმოსვლა გაიხსნებოდა, როგორმე ფულს იშოვნიდა და კიდეც წამოვიდოდა ცოლ-შვილისაკენ.

1908 წელიც მოაწევდა და...

ფული სულ შემოელეოდა და იქნებოდა უგროშკაპიკოდ.

ამ მხრივ არაფერი, ოდნავადაც არაფერი იცვლებოდა მის ცხოვრებაში.

უქმეები კარს მოსდგომოდა და არავინ იყო, რომ დასესხებოდა. მაისის დამლევამდე არსად არაფერი ჰქონდა მისაღები.

ამისათვის მათ ჩამოსვლას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა და ამიტომაც ეგებ რაიმე ეღონა ნატალიას და მოშველებოდა. საგზაო ფული ვინმესგან ესესხა და მერე ქმარი უსათუოდ გაისტუმრებდა. შორეს დაპატიჟება არ დავიწყებოდა.

მალე ტყეს გაყიდდა და გადაუხდიდა, რაც ერგებოდა.

ამასობაში ნატალია და ალექსიც დაისვენებდნენ მასთან საჩხერეში. აქ დიდ ფუფუნებაში არ ეყოლებოდა, მაგრამ მაინც უკეთესად იქნებოდნენ, ვიდრე საზღვარგარეთ.

რამდენ წამებად დაუჯდებოდა, რომ მოეშორებინა ეს 100 დესეტინა მუხნარი, მაგრამ მადლობა ღმერთს, აქაც ყველაფერი დამთავრებულიყო.

მალე შედგებოდა შავი ქვის მრეწველთა ყრილობა და ამისი ცოტაოდნავ ეიმედებოდა, მაგრამ არ უყვარდა წინასწარ ლაპარაკი საქმეზე, რომელიც ჯერ კიდევ ოდნავ საეჭვოდ ეჩვენებოდა.

საერთოდ ვერ იტანდა რისკს, იმის მსგავსს, როგორიც თეატრალური გახლდათ.

აგერ როგორც იწერებოდნენ, ცოლ-შვილს უკვე დაეკარგა 17 ათასი მანეთი.

ღმერთო ჩემო! — აღმოხდებოდა, რადგანაც ამ კაპიტალით ჩვენში, კავკასიაში თურმე სასწაულების მოხდენაც კი შეიძლებოდა.

დადიანებისაგან ინგლისელები ტყეს 80 ათას მანეთად იყიდიდნენ, ხოლო სამი წლის წინათ იგივე მამული აკაკისათვის 50 ათას მანეთად შემოეთავაზებინათ.

ამ ხუთი წლის წინათ იაკობ მანსვეტაშვილს ბაქოში დაეწყო ნავთზე მუშაობა ისე, რომ ჯიბეში 5 ათას მანეთზე მეტი არ გააჩნდა, ახლა კი წელიწადში 170 ათას მანეთს წმინდა შემოსავალს ღებულობდა.

აი რატომ უნდოდა, რომ შორე ჩამოსულიყო და დარჩენილიყო მასთან რამდენიმე ხანს, მიიხედ-მოიხედავდა და თვითონვე მიხვდებოდა, სად რა გაეკეთებინა, და აკაკიც თავის მხრივ შეეშველებოდა. ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ შორეს თავისი ენერგიით შეეძლო გამდიდრებულიყო და საკმაოდ მალეც, და გამდიდრებულიყო ისე, რომ ნატალიასათვის მიცემული სესხი აღარც კი გახსენებოდა.

რას ჭვრეტდა წინასწარ, ეს რა გათვლები აეწყო!..

ასეა თუ ისე იმედოვნებდა, რომ შორე მასთან არ მოიწყენდა, მაგრამ კიდეც რომ მოეწყინა სასარგებლო საქმის გულისათვის, არა უშავდა რა.

საშემოდგომოდ ყველა ამათი საქმე მოთავდებოდა და შეეძლებოდათ ერთად გამგზავრებულიყვნენ იქ, სადაც მოეპრიანებოდათ.

ყველაზე მძიმე მდგომარეობა ექნებოდა მხოლოდ მაისის მიწურულამდე. გადაწყვეტილიყო 1 ივლისიდან მიეცათ თვიურად 300 მანეთი პენსია ბანკიდან და წერა-კითხვის საზოგადოებიდანაც. რაც შეეხებოდა შავი ქვის მრეწველთა ყრილობას, იმედოვნებდა, რომ იქაც რაიმეს მოაგვარებდა.

15 ივნისს შეატყობინებდათ, რომ:

ჯანმრთელად კი იყო, მაგრამ მისი მგზავრობა უიღბლო გამოდგებოდა — გარნიზონში გაქურდავდნენ და ტფილისს ფეხშველი ესტუმრებოდა.

შეუდგებოდა საქმეებს, შედეგებს შემდგომ აცნობებდათ, მანამდე კი მიდიოდა იმერეთს.

გაზეთებში უკვე დაიწყებდნენ ლაპარაკს მის იუბილეზე, რომელიც გადახდილი იქნებოდა ხუთი თვის თავზე.

საერთოდ პენსიის შესახებაც ლაპარაკობდნენ და საიმედოდაც, მაგრამ ვიდრე ჯიბეში არ დაიგულებდა, ვერაფერს იტყოდა.

უხაროდა, რომ კარგად და ჯანმრთელად გრძნობდა თავს.

სასტუმრო „ფრანციაში“ მეტს ვეღარ იცხოვრებდა და დაბრუნდებოდა თუ არა, კერძო ბინაზე მოეწყობოდა. ტასო მაჩაბელი არ იზამდა, არ მისცემდა ოთახს...

დარდით ძალიან დარდობდა ცოლ-შვილზე. ღვთის იმედითღა ცოცხლობდა. მოკითხვა გადაეცათ შორესათვის და ეთქვათ, რომ აქ ყველაფერზე აკაკი იზრუნებდა, რაც კი შესაძლებელი იყო, ხოლო ბერლინში მისი ეიმედებოდა.

მოიბოდიშებდა მოკლე ბარათისათვის.

28 ივნისს აცნობებდათ, რომ:

გუშინ ჩამოსულიყო იმერეთიდან. რამდენიმე დღე დაეყო საჩხერეში, უამისოდ იქ ყველაფერი თავდაყირა დამდგარიყო. საერთოდ გახურებული ტერორი მძვინვარებდა. ახლახან თვით ეგზარხოსიც კი მოეკლათ, მაგრამ... ამ მხრივ აკაკის ჯავრი ნუ ექნებოდათ.

ტფილისისა და ქუთაისის ბანკები 150-150 მანეთ პენსიას დაუნიშნავდნენ, მაგრამ მათ მიცემას იუბილეს მიუსადაგებდნენ. იუბილის გადახდას კი აპირებდნენ 27 ნოემბერს, მაგრამ აკაკი ფიქრობდა, რომ მასაც მოუწევდა ეთქვა: ერთობ ბევრი ყვავილებიაო!..

რისი გაკეთებაც აქ შეიძლებოდა, ყველაფერს იღონებდა.

რაც შეეხებოდა ცოლ-შვილს, იქ ცხადია მოეწყობოდნენ.

ვექილი აეყვანა და იმედოვნებდა, რომ ანეტას ნახევარს მაინც გამოართმევდა.

როგორც კი ფულს იშოვნიდა, პეტერბურგს გასწევდა ფუტკრის საქმის მოსაგვარებლად, ხოლო იქიდან ცოლ-შვილისაკენ დაიძრებოდა, მაგრამ ეს აგვისტოზე ადრე არ მოხდებოდა.

აკაკიც იქნებოდა და... ფუტკრის საქმის მოგვარებაზე არ იზრუნებდა!..

იუბილესათვის უკანვე უნდა დაბრუნებულიყო.

ღვთის გულისათვის, ნუ ინერვიულებდნენ, უკეთესი მომავლის იმედი ჰქონოდათ, ღმერთი მოწყალებას გამოიჩენდა!.. არასოდეს არ უნდა დაეკარგათ იმედი და ენერგია.

ხვალ გაუგზავნიდათ 200 მანეთს. როგორმე დაკმაყოფილებულიყვნენ. სიდედრის ავადმყოფობა ძალიან აწუხებდა. ღვთის გულისათვის, ისევ სთხოვდათ, წუწუნისათვის თავი დაენებებინათ, როცა ბარათს სწერდნენ. შორე ჩამოსვლით ჩამოსულიყო, მაგრამ ამას ჯერ არ ენახა.

26 ივლისს შეატყობინებდა, რომ:

ახლა საჩხერედან ბორჯომს მიემგზავრებოდა: ლიოლიას საქმის გამო უნდა ენახა ერთი კაცი, და თუ ვერ ჩაუსწრებდა, დასჭირდებოდა ცოტა ხანს ლოდინი... მერე უნდა გაჩქარებულიყო ბაქოში იმავე საქმის გამო.

მათთან ჩასვლას თავისი იუბილის დამთავრებამდე გადადებდა, და ახლა ამაზე უთანხმდებოდა. იუბილე გაიმართებოდა სამი თვის მერე, ნოემბერში, და აკაკის გარეშე როგორ იქნებოდა!.. მითუმეტეს იუბილეს რაღაც მატერიალური სარგებლობაც მოჰყვებოდა. ამათ მდგომარეობაში აქ არაფერი იყო სათაკილო. ამიტომაც ფიქრობდა, გადაეხადა იუბილე და მერე მალევე სტუმრებოდა ცოლ-შვილს.

ხოლო შემდეგ რა უნდა ეღონათ — ამაზე დაე სამივეს ერთად მოელაპარაკა.

თუ ლიოლიას საქმე კარგად მოეწყობოდა, უკანვე დაბრუნდებოდნენ, თუ არადა — დარჩებოდნენ ნიცაში. რას იზამდა ნატალია?.. მანამდე ეცდებოდა კიდევ რამე გაეგზავნა და ღვთის გულისათვის, იმათაც შეეწყოთ ხელი მისთვის — ექონიათ მოთმინება იუბილემდე.

ეს ჯანმრთელად და... დიდ დავიდარაბაში გახლდათ. წერილებს ტასო მაჩაბლის სახელზე ნუღა გამოაგზავნიდნენ — რუსეთს წასულიყო. აი აკაკის მისამართი: ტფილისი, გუნიბის შესახვევი, 1. ერისთავის ბინა. აქედან მიაწვდიდნენ, სადაც უნდა ყოფილიყო.

ძვირფასო კნეინაო, — ამას უკვე ტასო მაჩაბელი მისწერდა. ჩაივლიდა, გაქარწყლდებოდა უთანხმოება აკაკისთან. ერთხანს თუ ნატალიას აფრთხილებდა ქმარი: მასთან აღარ გადაგზავნოთ ბარათებიო, — რაკიღა გაეწყვიტა ურთიერთობა, ამას წინათ აკი აცნობებდა: ტასო რუსეთს გაემგზავრა და მის მისამართზე ამიტომ ნუ მომწერთ წერილსო. და აგერ ტასო სულაც ჩაერთვოდა ცოლ-ქმრის მიმოწერაში, ნატალიას რომ აცნობებდა: ახლა აკაკი იყო ჩემთან და დავაწერინე ბარათი თქვენს სახელზეო.

მას თურმე ოჯახობისათვის გაეგზავნა უფრო მეტი, ვიდრე ნატალია იწერებოდა და ფიქრობდა. შესაძლოა არასწორი მისამართი ეცნობებინა და ფული დაკარგულიყო. დღეს აკაკი სტუმრებოდა კომერციულ ბანკს, რათა მათთვის ფული გადაეგზავნა. ძალიან წუხდა, მეტის მოწოდება რომ არ შეეძლო, მაგრამ რა ეღონა?!. იქნებ საქმე უკეთესობისაკენ შემოტრიალებულიყო და ამ ოჯახის ყველა ტანჯვა-წამება დავიწყებას მისცემოდა. ტასოს ძმა ჰყავდა ავად და სასთუმალთან ეჯდა. იქ ბაბოს ავადმყოფობა აწუხებდა დისა, და აქ კიდევ ძმის. როდის იქნებოდა, რომ ტასოსაც ამათთან ერთად მოესვენა.

ნუთუ... ცოლ-შვილი აკაკის იუბილეს არ დაესწრებოდა?

თავის შესახებ ვერაფერ სანუგეშოს ვერ შეატყობინებდათ ტასო. ხოლო კნეინა დაე ნუ მოერიდებოდა, მოეწერა და ესეც დიდი სიამოვნებით შეასრულებდა მის დავალებებს.

აკაკი ხომ ერთ ადგილას არ იჯდა — ხან ქუთაისში იმყოფებოდა, ხან საჩხერეში და ხანაც კიდევ სად აღარ...

— გკოცნით მხურვალედ. გულითადი სალამი ლიოლიას! ველი მისგან ქართულ წერილს! მგონია, პირველად მე აღვუძარი ეს აზრი. ჩემი ბავშვები სალამს გითვლიან.

7 ოქტომბერს აკაკი მისწერდათ:

როგორც კი ნიცაში ჩახვედით, მაშინვე ურთიერთკრედიტის საშუალებით 150 მანეთი გამოგიგზავნეთ და დავმშვიდდიო.

მაგრამ ჰოი საშინელებავ — ეს არის ამ დღეებში შეეტყო, რომ ეს ფული მათთვის არ მიეტანათ მისამართის უქონლობის გამოისობით. ნუთუ არ შეეძლოთ სწორად და გარკვევით დაეწერათ მისამართი? ამიერიდან მაინც დაეწერათ უფრო გარკვევით. გაეთვალისწინებინათ, რომ აკაკიც ცუდად არჩევდა მათ ხელს და ნუღა დატანჯავდნენ თავიანთი ნაჩხაპნით.

კვლავ გაეცა განკარგულება, მიეტანათ ფული ახალ მისამართზე, და ალბათ ახლა უკვე მიღებულიც ექნებოდათ.

ნუთუ ფიქრობდნენ, რომ აკაკი არა ზრუნავდა მათი სიმშვიდისათვის? როგორც იტყვიან, წელებზე ფეხს იდგამდა, მაგრამ ისინი ვერც წარმოიდგენდნენ, თუ რა მძიმე დრო დამდგარიყო.

ახლა ისევ მიდიოდა საჩხერეს და 20 ოქტომბერს კვლავ გაუგზავნიდათ 200 მანეთს. და მერე ეცდებოდა კიდევ მიეწოდებინა ჩამოსვლამდე, ანუ იუბილემდე, რომელიც 27 ნოემბერს გაიმართებოდა.

დაე ნატალიას ეთხოვა ლიოლიასათვის, მიშველებოდა მამას, რომ საქმისათვის თავი გაერთმია მცირე ხანს მაინც და მერე, სჯეროდა აკაკის, ყველაფერი მოგვარდებოდა.

იუბილესათვის დიდი მზადება მიმდინარეობდა, არ იცოდა, იქნებოდა თუ არა მასზედ ღვთის წყალობა.

ისეთი უიღბლო კაცი იყო, აღარაფრისა სჯეროდა, გარდა თავისი ტანჯვა-წვალებისა.

ფულს გაუგზავნიდათ ფოსტით, ტელეგრაფით ძვირი ჯდებოდა.

კვერეთი დაეკარგათ, სამაგიეროდ მათ გონჯხევში აღმოჩენილიყო მინერალური წყარო, რომელიც შემოსავალს მისცემდათ.

ეს უკვე შედგომოდა შენებას, მაგრამ ამაზე არაფერი წამოსცდენოდათ შორესთან, თუ ვინიცობაა სადმე შეხვდებოდნენ.

თუმც ფიქრობდა, რომ 27 ნოემბერს შორე თვითონ ჩამოვიდოდა მასთან და ჩაუშხამებდა იუბილეს!.. მაგრამ ყოველივე ეს მაინც ვარაუდი იყო.

ფიქრობდა, რომ იუბილე უზრუნველყოფდა მის სიბერეს 100-150 მანეთით თვეში, რაც საშუალებას მისცემდა ოჯახს ეცხოვრათ ნიცაში. ხოლო რასაც ის და ლიოლია გამოიმუშავებდნენ, ეს კიდევ სხვა იქნებოდა. საცხოვრებლად კი 150 მანეთი ექნებოდათ თვეში. რაღა ეს და რაღა მეხის გავარდნა მოწმენდილ ცაზე.

და ეკითხებოდათ: როგორ ცხოვრობდით უფულოდ, როცა ჩემგან ვერაფერს ღებულობდითო? — როგორც ირკვეოდა, აკაკის ანგარიშით, მათ მიღებული ჰქონდათ 650 მანეთი. შეეცდებოდა კიდევ გაეგზავნა 350 მანეთი ორ ჯერზე, რაც შეადგენდა 1000 მანეთს. ძალიან ეცოდებოდა ისინი, მაგრამ დაე მათაც შესცოდებოდათ აკაკი!..

და აჰა დაიწყებოდა მისი იუბილე, 17 დეკემბრის ბარათით რომ აცნობებდათ:

7 დეკემბერს გამართულიყო ტფილისში, 14 დეკემბერს — ქუთაისში, და ამათ სხვა ქალაქებიც მიჰყვებოდათ.

— მე ტყვე ვარ. ღმერთმა ჰქნას, რომ გავუძლო!..

ხდებოდა რაღაც უჩვეულო, რისი აღწერაც არ შეეძლო.

ზოგიერთი რამ გაზეთებიდან შეეძლოთ შეეტყოთ.

მის ჩასვლას ცოლ-შვილთან იანვრის დამლევამდე დააგვიანდებოდა. ურიგო არ იქნებოდა, თუკი ლიოლია ჩამოვიდოდა და მოაკითხავდა.

— ღვთის გულისათვის, თქვენც მომეშველეთ.

300 მანეთი უკვე გაეგზავნა, 200 მანეთსაც ამ დღეებში მიაწვდიდათ.

21 დეკემბერს ბაქოში იქნებოდა — ბაქოელებსაც ეთხოვათ მისი იუბილის გადახდა.

დრო არა ჰქონდა, მეტი მიეწერა.

საერთოდ კარგად გრძნობდა თავს.

ლიოლიას ცალკე კიდევ სთხოვდა: დედაშენს ჩემი ჯავრი ნუ ექნება, შენი ჩამოსვლა კი რამდენიმე დღით საჭიროა. მიიხედ-მოიხედავ, ყველაფერს ერთად მოვაგვარებთ და იანვრის მიწურულს გავემგზავრებით ნიცას; იქ მთელს ზაფხულს დავრჩებით და მერე ყველა ერთად ჩამოვალთ აქო.

მართლაც რომ გრანდიოზულად აღინიშნებოდა აკაკი წერეთლის იუბილე, მთელი საქართველო რომ მონაწილეობდა — ქართველიც და არაქართველიც, აგერ ბაქოც მთელი ძალმოსილებით რომ შემოუერთდებოდა ეროვნულ დღესასწაულად გადაქცეულ პოეტის იუბილეს, თორემ ჩვენი ქვეყნის ქალაქებიცა და კუთხე-კუნჭულიც რა სათქმელია — ასეთი სახალხო-საზეიმო ერთიანობა და ერთსულოვნება აღარ ახსოვდა საქართველოს ოქროს ხანის შემდგომ, წამიერად თითქოს ის ხანა რომ შემოქრიალებულიყო და სულიერად იმ განწყობლებას ეზიარებოდა დაბეჩავებული, გაუბედურებული, ილაჯმიხდილი, იმპერიის სამხრეთ პროვინციად გადაქცეული, დაქსაქსული საქართველო. ილუზია იყო? ილუზია, მაგრამ ხელშესახები, რადგანაც ბუნებრიობიდან ამოზრდილიყო და პოეტთა მეფეს მართლაც რომ მეფური პატივი მიგებოდა, მისი ხილვა მეფის ხილვას რომ გაიგივებოდა.

გალაკტიონ ტაბიძე გვემოწმება, რომ:

ბევრი პირველად დაინახავდა იმ დღეებში აკაკის.

და ჩამოყალიბებით ასე ვერ ჩამოაყალიბებდნენ თავიანთ უცნაურ განცდებს ამ ხილვისას, გალაკტიონურად ანკი რანაირად, მაგრამ შეგრძნებით რაღაც ამგვარს ყველა შეიგრძნობდა, თუნდ სცენაზე და თუნდ ვაგონის ფანჯრიდან რომ შემოანათებდათ: ღმერთივით გამომზირალი, ბამბის ქულასავით ჭაღარა, ოლიმპიურად ამაყი სახის მოხუცი.

და ამ ეროვნულ ზეიმში, საყოველთაო დღესასწაულში არ მონაწილეობს მხოლოდ... იუბილარის ოჯახი — არც ცოლი და არც შვილი, თუმც ლიოლიას დამატებით კიდევ ეხვეწებოდა: ჩამოდი და ჩამოდი, შენ მაინც და შენ მაინცო!..

და სახალხო სიყვარულით გარემოსილი, ეს სიყვარული და აღფრთოვანება ასე თვალნათლივაც რომ გამოიხატებოდა, კვლავ იმას სწერს გადაკარგულ ცოლ-შვილს, მანამდეც რითაც ამოერთმიათ სული: 300 მანეთი გამოგიგზავნეთო, 200-საც მალე მოგაწვდითო.

რამხელა ტკივილით არის აღსავსე ეს ერთიბეწო ბარათი.

ეს ტკივილი გამოსდევს ცოლ-შვილთან მიწერილ წერილთა კოლექციას თავით ბოლომდე, მაგრამ იმ დღეებში მაინც ცოტა სხვაგვარად უნდა ყოფილიყო ყველაფერი — მიწერა არაფრისა დასჭირებოდა და გვერდთი ჰყოლოდა ერთიცა და მეორეც... შვილი მაინც...

ზოგიერთი რამ გაზეთებიდან შეეძლოთ შეეტყოთო...

ამას აკაკი ურჩევდათ — ისე, სასხვათაშორისოდ, თუკი თავს გამოიდებდნენ, თორემ მათი დაინტერესების იმედი რომ ჰქონოდა, საერთო შთაბეჭდილებას მაინც მისწერდათ, თავის განცდებს, განწყობილებებს.

საამისოდ ხალისი წაუხდებოდა.

ნაცვლად ამისა:

— ღვთის გულისათვის, თქვენც მომეშველეთ.

ეს ვედრება იმისაა, ძალიან ნუღა მახრჩობთ ფულის მოთხოვნით, ისედაც მახსოვს, ისედაც მაწუხებს და სხვა არც არაფერს ვაკეთებ, გარდა იმისა, თქვენ გიგროვოთ ფული და გიგზავნოთ და გიგზავნოთო.

გასაკვირია ეს ყოველივე?

ეჰ, გასაკვირი ის უფრო იქნებოდა, ცოლ-შვილი რომ ჩამოსვლოდა და დღესასწაულში ისინიც გარეულიყვნენ... ეგებ მიხვედრილიყვნენ, რაღაც მაინც ეგრძნოთ, სხვა კაცი რომ იდგა მათ გვერდით, ქვეყნის თვალივით ამომზევებული.

რომელ წინასწარმეტყველს ჰქონია დაფასება თავის ოჯახში?

ეს კი ასეა და წუთისოფლის ტრაგიზმის ერთ-ერთი განმსჭვალავიც და დამადასტურებელიც, მაგრამ დაუფასებლობაც არის და დაუფასებლობაც — გარეგნულად მაინც ეტრიალათ აქ, ფორმალურად, მარტოდმარტო არ შეეტოვებინათ ბერიკაცი იმ მღელვარე განცდებისათვის, ტყვესაც კი რომ შეადარებდა თავს და ღმერთს შესთხოვდა: იქნებ გამაძლებინოო!..

ჭირ-ვარამს უძლებდა, ტანჯვა-წვალებას აუდიოდა, მაგრამ დღესასწაული, მართლაც და უჩვეულო და მოულოდნელი, მასშტაბებს წინასწარ ვერაფრისდიდებით რომ ვერ განჭვრეტდი, უფრო ძნელი გადასატანიც კი შეიქნებოდა მისთვის და ეს ვედრებაც ამისაა...

ცოლ-შვილის ეს ჩამოუსვლელობა პარადოქსულ გვირგვინად უნდა დადგომოდა თავს მათ ისედაც პარადოქსულ ურთიერთობას.

300 მანეთი ის-ისაა გადასაცემოდათ.

აგერ 200 მანეთსაც მალე მიიღებდნენ.

და... მეტიც არა უნდოდათ რა, გარდა ფულის ახალ-ახალი გზავნილებისა.

1909 წლის დამდეგი კვლავაც ზეიმით უნდა გაგრძელებულიყო და 8 იანვრის ბარათით უნდა ეუწყებინა ცოლ-შვილისათვის, რომ:

ახლახან დაბრუნებულიყო ბაქოდან, სადაც მისი იუბილე აღენიშნათ. დაბრუნებულიყო დაქანცული და შემდგომ — საიუბილეო — გამგზავრებას მაზრებში უკვე გადასდებდა. მხოლოდ 14 იანვარს ესტუმრებოდა ბათუმს და... ეს იქნებოდა უკანასკნელი საზეიმო დღე, ვიდრე... მათთან ერთად ისევ უკანვე არ დაბრუნდებოდა სამშობლოში.

იგულისხმება, რომ მანამდე თვითონ ჩააკითხავდათ.

დაე გაკვირით, სასხვათაშორისოდ მაინც სცოდნოდათ, რომ:

— ეს არ არის უბრალო იუბილე, რომელიც ერთ დღეს თავდება, ეს არის ხანგრძლივი სახალხო დღესასწაული.

და ერთბაშად მოუნაცვლებდა:

— ზაფხულამდე რომ ჩამოხვიდეთ, ახლა აზრი არა აქვს, ეს ძალიან ძვირი ჯდება და უსარგებლოც იქნება.

მართლაც რაღა აზრი აქვს ახლა ჩამოსვლას — დღესასწაული ამოთავებულია და კუდსაც ველარ ჩამოუსწრებენ.

ამიტომაც უკვე უმჯობესი იქნებოდა აკაკი თვითონ ჩასულიყო მათთან და ერთად მოეთათბირათ, მერე როგორღა მოქცეულიყვნენ.

ფიქრობდა, იანვრის ბოლომდე აქ დარჩენილიყო და შემდეგ გამგზავრებულიყო მათკენ, ცოტა ხნით კი მოსკოვსა და პეტერბურგში შეყოვნებულიყო. ეს იმიტომ, რომ: პირველ

ყოვლისა იქ საქმეები ჰქონდა, და მეორეც — უნდა მოენახულებინა ისინი, რომელთაც მილოცვის დეპეშები გამოეგზავნათ.

მოსკოვიდან და პეტერბურგიდან 500-ზე მეტი ამ შინაარსის დეპეშა მიეღო და ყველასთვის რომ ეპასუხა, საშუალება არ გააჩნდა. ცოლ-შვილისაკენ მიმავალი ინახულებდა ბევრ მათგანს და პირადად გადაუხდიდა მადლობას.

ეს იაფიც დაჯდებოდა და... ლამაზიც იქნებოდა!..

პეტერბურგიდან მომავალი თანამგზავრსაც იშოვნიდა. როგორც კი მათ ბარათს მიიღებდა, კიდეც გაეშურებოდა.

საერთოდ ჯანმრთელად გრძნობდა თავს და მდგომარეობით — კმაყოფილად.

ღვთის წყალობით მალე მოეწყობოდნენ.

რომ დაპირებოდათ: 9-ში ფულს გამოგიგზავნითო, რა მისი ბრალი იყო, თუ 14-ზე ადრე არა ხერხდებოდა.

მომდევნო წერილით შეატყობინებდათ, რომ:

ქუთაისში სამი დღე დაეყო, სახლი დაებრუნებინა, გადაეხადა, რაც გადასახდელი ჰქონდა და... ამიტომაც მათთვის ვერაფერი გაეგზავნა.

ახლა უკვე საჩხერეში იმყოფებოდა და, მადლობა ღმერთს, ყველაფერი არც ისე არეული დახვედროდა, როგორც მოელოდა. ის კი არა, ზოგი რამ გაეკეთებინათ კიდეც: აეშენებინათ ცალკე სამზარეულო, ეყიდათ ძროხა და მიეშენებინათ ქათმები, მაგრამ სამაგიეროდ გზა რჩებოდა კვლავინდებურად ჯოჯოხეთური.

საჩხერის სადგურიდან მის სახლამდე ვერსნახევარი იყო, მაგრამ ამ მანძილზე უფრო გაიტანჯებოდა, ვიდრე პარიზიდან საჩხერემდე.

ამასაც ხომ მოსწრებოდა: პარიზი მოენახულებინა და საჩხერეში მხოლოდ ქუთაისიდან, ტფილისიდან, პეტერბურგიდან კი არ დაბრუნებულიყო, — არამედ საფრანგეთის დედაქალაქიდანაც!..

და ჩვეული სიცილითაც ეცინა: პარიზიდან საჩხერემდე იმდენი დრო არ დამჭირებია, რაც საჩხერიდან ჩემს სახლამდეო!..

თავადაზნაურთა ყრილობა ტფილისში მაისის მიწურულს განზრახულიყო. და ამას უკვე მოესწრო ზოგი რამ გაეკეთებინა — იმედოვნებდა, რომ მამულს არ დაკარგავდა.

ამინდი დიდებული დამდგარიყო — ნამდვილი გაზაფხულის!..

რაღაც არაჩვეულებრივი წელიწადიც დამდგარიყო — ხილი მეორედ დამწიფებულიყო. ბალიც კი შემოვიდოდა.

ცოლს ჭკუას შეუქებდა — ქაღალდებში, რომელიც მას გადაეცა, აღმოჩნდებოდა მარგანეცის თაობაზე გლეხებთან დადებული პირობის დედანი და... რაკიღა ეს ჰქონდა, საქმის მოგებაც აღარ ეეჭვებოდა.

ეპოვნა აგრეთვე ალელოვის ქვითარი — აკაკისაგან მას ფული მიღებული რომ ჰქონდა. არადა ეგონა: დავკარგეო.

საერთოდ ჩამოსვლით ძალიან კმაყოფილი გახლდათ — პარიზსაც ვერ გაენელებინა მშობლიური კუთხისა და სახლის მონატრება. ჯანზეც კარგად გრძნობდა თავს და ხვალ საქმისათვის ეპირებოდა ქუთაისს. 25-მდე დარჩებოდა და მერე დაბრუნდებოდა ტფილისში.

იქ, ქუთაისში ერთი საქმე ჰქონდა მოსაგვარებელი და, თუ მოასწრებდა, კიდეც გასწევდა ცოლ-შვილისაკენ.

— უთქვენოდ მომენყინა.

და მოკითხვასაც დააბარებდა შორესთან.

9 ივნისს კვლავ და კვლავ უნდა გამეორებულიყო ძველი და გაუნელებელი საწუხარ-სადარდებელი: ფულის გამოგზავნის ვადებს ზუსტად ვერ ვიცავ, მაგრამ რომ იცოდეთ რა ძნელია მისი შოვნა, შეხვიდოდით ჩემს მდგომარეობაშიო.

ამ დღეებში მიიღებდნენ 400 მანეთს და... ღვთის გულისათვის, ბარემ კიდეც წამოსულიყვნენ.

ეპატიჟებოდნენ: ჩვენთან ჩამოდიო?

რატომ ავიწყდებოდათ, რომ აკაკი უკვე 69 წლისა იყო, ავადმყოფი, და არ შეეძლო საქმეებისათვის ხელი ეკრა და მიეტოვებინა.

დაე ჩამოსულიყვნენ რამდენიმე თვით, დაესვენათ და, როდესაც გააცნობდათ აქაურ საქმეებს, მერე მათი ნება იყო, შეეძლოთ კვლავაც გაბრუნებულიყვნენ უკანვე და მათთან ერთად აკაკიც გამგზავრებულიყო.

შვილს მაინც განსაკუთრებით ენუკვოდა: შენი აქ ყოფნა აუცილებელიაო.

ვიდრე აკაკი ცოცხალი იყო, აქაური კრედიტორებისა ლიოლიას ნუ შეეშინდებოდა!..

საქმეები ენერგიულ მოქმედებას მოითხოვდა, ეს კი ძალიან დასუსტებულიყო საამისოდ. ესაჭიროებოდა თანაშემწე, და ლიოლიას გარდა არავინ იყო, შემშველებლად რომ აეყვანა.

აქ ახლა გლეხებს გაეყიდათ ამათი მარგანეცი, მაგრამ აკაკის მყიდველისათვის არ დაენებებინა დამუშავება. საჭირო იყო ხელშეკრულების დედანი, ამას კი არ გააჩნდა. ღვთის გულისათვის, ჩამოსულიყო ლიოლია — მოაგვარებდნენ, ლიკვიდაციას გაუკეთებდნენ ყველაფერს და მერე, თუკი ღმერთიც იქნებოდა მათი შემწე, ყველა ერთად გაემგზავრებოდა.

— ნუ გეშინია, აქ კარგად დაისვენებ.

თორემ ასეთი სიცოცხლე სიცოცხლედ კი არა, წამებად წარმოუდგებოდა.

რაც შეეხებოდა ნატალიას, იქ ისიც და ლიოლიაც მალე განიკურნებოდნენ.

ესეც უკანასკნელი ნიმუში ბარათთა ამ კოლექციისა, რომელიც არსებითად ერთ ლარსა და ხაზზე აწყობილა და არსებითად სულაც ვერ გვახედებს ავტორის სულში, ნიშანდობლივი რაც არის ეპისტოლეებისათვის, ზოგჯერ აღსარებაშიც რომ გადაიზრდება ხოლმე გულის გადაშლა.

ეჰ, რომელი სულში ჩახედვა და გულის გადაშლა.

აღსარება ან თუნდ რაღაც მისი მაგვარი ბარათების ამ წყებას როგორ გაეკარებოდა — ის ლარი და ხაზი, რომელზედაც აწყობილიყო, პირწმინდად გამორიცხავდა სულისმიერს.

თავის მოტყუებას კი ლამობდა აკაკი ამ წერილებითაც.

გარშემო ხომ ფარავდა და მალავდა მეუღლესთან ნამდვილ ურთიერთობას, მაგრამ...

დადგებოდა ის დროც, როდესაც უკვე აღარავისთან მალავდა ცოლთან ურთიერთობის შინაარსს.

აგერ თუნდ მაშინ, ქუთაისის სასტუმროში მყოფს ვარინკა წერეთელი რომ ესტუმრებოდა და იქ სხვა მნახველებიც დახვდებოდა.

შემოვიდოდა ფოსტალიონი და შემოიტანდა წერილს. აკაკი კონვერტს დახედავდა და გვერდით გადასდებდა.

— ხომ არ გიშლით, ბატონო აკაკი? მგონი წაკითხვას აპირებდით, — მიმართავდა ერთი სტუმართაგანი.

— არა, ბატონო, ამ წერილის შინაარსი წაუკითხავადაც კარგად ვიცი. ეს დაზღვეული ეპისტოლე ჩემი ცოლისაგან გახლავთ და ზეპირად ვიცი, რომ შიგ „პერევოდის“ მეტი არაფერი ეწერება. მოგეხსენებათ, ფული იშვიათად მაქვს და „პერევოდსაც“ იშვიათად ვაკეთებ ხოლმე, — ასე უნდა დაემშვიდებინა თავაზიანი სტუმარი და დაწყებული საუბარი გაეგრძელებინა.

ყოფითობას არა სცილდება ბარათთა შინაარსი, მკაცრ ყოფითობას, და მაინც — რაც ძირისძირობამდე ჩაეყვევით და ყველა ნიუანსიც გავითვალისწინეთ — ისეთი რეალობა უნდა გადაგვშლოდა თვალწინ, სულიერ ცხოვრებაზეც კანთიელად რომ მიგვანიშნებს, ირიბად, ქვეტექსტურად, მაგრამ მაინც კანთიელად, და თუ ერთი შეხედვით წამოგვაცდენინებდა: ნეტა რაში გამოგვადგებაო, — მერე კი მივხვდებოდით, რომ ეპისტოლეთა ამ კოლექციის გარეშე რაღაც მოაკლდებოდა იმ უცნაურ სამყაროს, რასაც აკაკი წერეთლის ცხოვრების დრამატიზმი და პარადოქსულობა ჰქვია.

და ოჯახური ცხოვრების დრამაც მთელი სიცოცხლე უნდა ეთრია მძიმე ჯვარივით.

თავი III

და სამშობლოში არ გაქვს ოჯახი

შვილი ჰყავდა და... არა ჰყავდა.

ხარკოვში თეატრის დირექტორი უცნობებს რომ წარუდგენდა აკაკის, გახსოვთ, რაღაც განსხვავებულად და სრულიად უცნაურად, არც სახელს რომ არ ახსენებდა მისას და არც გვარს, მხოლოდ ამას წამოიძახებდა: მამააო!.. — და ყველა მიხვდებოდა, ვისი მამაც გახლდათ. და ერთბაშად თუ გააკვირვებდა და ყურს მოჭრიდა ასეთი წარდგენა, მერე კიდეც მოეწონებოდა, კიდეც სიამაყით აღავსებდა და... სასტუმროს მოსამსახურეს თავის ვინაობას ასე უკარნახებდა დავთარში შესატანად, სწორედაც ოფიციალურად გაფორმებისათვის:

— მამა ვარ!..

თავს იმშვიდებდა თუ... უფრო იტყუებდა?

აკი ეს სატკივარი დასცდებოდა კიდეც ცოლთან მიწერილ ბარათში, რომ:

ალექსისათვის უცხო იყო, და ამას ბედის მწარე დაცინვად ღებულობდა — მთელს ქალაქს თავისიანად რომ მიაჩნდა, შვილსა და მას შორის კი გამთიშველი ზღუდე აღმართულიყო, და ყველასათვის ახერხებდა სარგებლის მოტანას, შვილისათვის კი — ვერა.

მეტი რაღა სარგებლობა უნდა მოეტანა — მთელი ცხოვრება მისი ვალების დაფარვას უნდებოდა, მისთვის კეთილდღეობის შესაქმნელად იდგამდა წელებზე ფეხს და იტანდა ათასგვარ ტანჯვა-წამებასაც და უკიდურეს გაბეზრებასაც, ის მაინც რომ... უმადური ჰყავდა, და ვერ იცლიდა, ვერაფრისდიდებით ვერ იცლიდა, მამასთან ბარათები რომ მაინც გაეგზავნა ხოლმე. იშვიათზე იშვიათად მიწერილი წერილი აკაკის გულს ვერ ულღობდა და ეჭვი ეპარებოდა: არ ვუყვარვარ და ეგაო!.. და მას კი არა, ისევ თავის თავს ამტყუნებდა და ადანაშაულებდა: ანკი რატომ უნდა ვუყვარდეო?!.

იაკობ მანსვეტაშვილი აკაკის შვილს რომ ახსენებდა, უპირველესად იმას გაიხსენებდა: ეს ის ალექსია, რომელსაც აკაკიმ უძღვნა საბავშვო პოემა „ალექსი", ასე რომ იწყება: შვილო, ალექსი, მსურს გითხრა ლექსიო...

როგორი აღზრდა ეძლეოდა ამ ალექსის?

დაე გვცოდნოდა, რომ: აქ აკაკის არავითარი გავლენა და მნიშვნელობა არ გააჩნდა. მისმა შვილმა ქართული ენა სრულებით რომ არ იცოდა და სხვაფრივაც ქართველობისა არაფერი ეტყობოდა, ამას იაკობს ათქმევინებდა პირადი დაკვირვება, რადგანაც შემთხვევა მიეცემოდა აკაკის ოჯახის გაცნობისა.

ერთხელ აკაკი თავისთან მიიპატიჟებდა სადილად იაკობსა და ილია ბახტაძეს, მაშინ კიდევ ყველაფერში სიუხვე და სიმდიდრე რომ ეტყობოდა.

მიიწვევდნენ სასადილო ოთახში.

აკაკის ცოლის და და მათი სტუმარი, ვიღაც ოფიცერი, დიდხანს არ გამოვიდოდნენ მეორე ოთახიდან. ორჯერ გაგზავნიდნენ ალექსის მოსაწვევად, მაგრამ ისინი მაინც იგვიანებდნენ. და დედა ჰკითხავდა შვილს:

— რას აკეთებენ ნეტა, რომ აღარ შემოდიან?

— ერთმანეთს ეხვევიან და ჰკოცნიან, — მიუგებდა გულუბრყვილოდ შვიდი-რვა წლის ყმაწვილი.

— რა სისულელეს როშავ? — გაუწყრებოდა დედა.

— მაშ განა ეგრე არ უნდა? — გაიკვირვებდა შვილი, — დეიდა ყოველთვის სადილის წინ სტუმრებს ეხვევა და ჰკოცნის.

იაკობ მანსვეტაშვილი ამ ეპიზოდს სავსებით იკმარებდა, რათა მკითხველი თავისითაც მიხვედრილიყო, როგორი იყო აკაკის შვილის აღზრდა და ზნეობრივი განვითარება. ნურც იმას დავივიწყებდით, რომ აკაკი ხშირად მთელი წლობით ვერა ხედავდა ხოლმე თავის ოჯახს.

და ან ქართული საიდან შეიძლება სცოდნოდა ალექსი წერეთელს?!.

და ან საქართველოზე საიდან შეიძლება ყოფილიყო მიჯაჭვული?!.

დიდგვაროვნება და მამის სახელი, საერთოდაც დიდი კაცის შვილობა არა კმაროდა საამისოდ, და ვერც ვერას გაიგებდა, ვინმეს რომ ეთქვა მისთვის: საქართველოს მეფეთა დინასტიის შთამომავალი ხარო.

ეს საქართველო რა იყო განა — ორ გუბერნიად გაყოფილი, და მხოლოდღა ყოფილი სახელმწიფო — და მისი მეფეების დინასტია რაღა უნდა ყოფილიყო.

და მაინც:

ეგებ... როგორმე ჩამოეტყუებინა საქართველოში ისე, რომ იგი კარგახანს შერჩენოდა აქაურობას და გულიც დაეყარა აქამდე დაკარგულ, ან კი დაბრუნებულ სამშობლოზე?!.

ეგებ... საქმეებით მაინც დაება, იმ ფულის მოლოდინით, ერთხელ და სამუდამოდ რომ მოუგვარებდა ყოფით ცხოვრებას ძე შეცთომილს, თუკი გულიანად გაუძღვებოდა ჯერ მარტო მარგანეცის წარმოებას, აკაკის ამ საკვირველი აღმოჩენის წყალობით... არაერთ ადამიანს მილიონები რომ ეშოვნა... და მამაპაპეული მამულიც საკმაო შემოსავალს უბოძებდა...

აქ ჩარჩენა მერე და მერე ძალდაუტანებლად გამოიწვევდა მისი ინტერესის გაღვივებას ქართული კულტურის მიმართ საერთოდ და ქართული ხელოვნებისადმი კერძოდ, მაშინ აქაურ თეატრალურ ცხოვრებასაც ისევე რომ დააჩნევდა სასიკეთო კვალს, რუსული საოპერო თეატრისათვის რომ დაეჩნია და კიდეც შესულიყო რუსული საოპერო ხელოვნების ისტორიაში თვალსაჩინო წვლილით, ეს გამოცდილება ახლა თავის ქვეყნისთვისაც რომ მოეხმარა.

ჯერ კიდევ როდიდან გაუჩნდებოდა აკაკის ახალი სადარდებელი და სათავშისაცემო, ჯერ კიდევ როდიდან უნდა დაეწყო გადახდა შვილის ვალებისა, მთელი ცხოვრება რომ ვერ აუთავდებოდა.

1890 წლის იმ დღეს რომ ესტუმრებოდა აკაკი ბაქოში, ივანე ელიაშვილი პირველივე შეხედვაზევე შეამჩნევდა არაჩვეულებრივ მღელვარებას და მარტონი რომ დარჩებოდნენ, მიზეზს ჰკითხავდა, ის კი პასუხად ამოიღებდა თავისი ვაჟის წერილს, ალექსი კიევიდან რომ ენუკვოდა: თუ 2500 მანეთს არ მომაშველებ მოკლე ხანში, თავი უნდა მოვიკლა, რადგანაც ოპერის არტისტების ვალი დამედოო.

ამას გულს შემოეყრებოდა: სადა მაქვს ამდენი ფულიო?..

მაგრამ აკაკი დაამშვიდებდა: შენ ნუ შეწუხდები, მე ჩამოვედი მანთაშევთან, რომელიც ამხანად აქ არის, როგორც ტფილისში მითხრესო.

ივანე გაუგებდა მის მისამართს და აკაკიც ესტუმრებოდა მილიონერს, რომელიც ნახევრად დააიმედებდა:

— ვწუხვარ, რომ სომხის პოეტი არა ხარ, ან მე არა ვარ ქართველი. საჩუქრად ამდენი ფულის გაცემა არ შემიძლია, მაგრამ თუ მართლა მასეთი გასაჭირი გადგია, შემიძლია ბანკიდან მოვაცემინო ეს თანხა, თუ სანდო ვექსილს მომიტან.

— ვინ მომცემს ამ სანდო ვექსილს?

— ინჟინერი ბრაილოვსკი.

იმას აკაკი არ იცნობდა და ისევ ივანეს მიადგებოდა, შენ თუ მიშუამდგომლებო.

მეტი გზა რახან აღარ იყო, ესეც იმწამსვე გაქანდებოდა ეტლით ბრაილოვსკისთან, სადაც დახვდებოდა დავით ჯორჯაძეც, და ეს რომ უამბობდათ აკაკის გასაჭირსა და მანთაშევის ნათქვამზე, და ამასაც დასძენდა: თითქმის გამორიცხულია, სამ თვეში აკაკიმ ეს ვალი გადაიხადოს, ამიტომაც ჩვენ უნდა გავინაწილოთ თანაბრად და ჩვენვე გავისტუმროთო, — გადაწყდებოდა, რომ ივანეს წილად გადაედოთ 500 მანეთი, ას-ას თუმანს ისინი იკისრებდნენ, იქვე შეადგენდნენ ვექსილს და მეორე დღეს უკვე ფულსაც მიიღებდნენ.

აკაკის ძალიან ეჩქარებოდა შინისაკენ და ალექსისთან ფულისა და დეპეშის გაგზავნას ივანეს მიანდობდა. სამი თვის თავზე ტფილისიდან გამოუგზავნიდა 1500 მანეთს, ხოლო 1000 მანეთი დარჩებოდა გადაუხდელი. ახლა ბრაილოვსკი აღარ იკისრებდა ვექსილზე ხელმოწერას და ხელსაც ივანე მოაწერდა და ვალსაც ის გაისტუმრებდა.

და ღიმილით გაიხსენებდა ხოლმე: განაწილების პირობა, რომელიც ყინულის დავთარში იყო ჩაწერილი, დადნა და გაქრაო.

აკაკი ისე ღელავდა ამ ვალის გამო, მეგობარი დაამშვიდებდა: მე უკვე გადავიხადეო.

ეს არის სწორედ ის ვალი, აკაკი რომ აღნიშნავდა თავის ანდერძში.

რასაკვირველია ივანეს ეს ფული არ მიუღია, და საერთოდაც ანდერძში ჩამოთვლილ პირთაგან თანხას გადასცემდნენ მხოლოდ მის ყოფილ მსახურს სპირიდონ ზამბახიძეს. ხოლო არც ივანე და არც ექიმი გიორგი ელიავა და არც სხვები ფულის აღებას იმიტომაც არ მოისურვებდნენ, რადგანაც ვალის დასაფარავად საზოგადოებისათვის ნაანდერძევი მამული უნდა გაეყიდათ, სხვა გზა არა რჩებოდა... და აბა რანაირადღა მოითხოვდნენ თავიანთ ფულს?!.

აკაკის კეთილშობილება კეთილშობილებად, სხვა მხრივ კი...

ეგებ... როგორმე ჩამოეტყუებინა საქართველოშიო...

ეგებ... საქმეებით მაინც დაებაო...

გვიანღა შეეცდებოდა ალექსისათვის საქართველოს სიყვარულის გაღვივებას, უკვე ვეღარაფრისდიდებით რომ ვეღარ გამოგლეჯდა რუსულ ენობრივ წიაღსა და ცნობიერებას, ხოლო მამის ხათრი შვილს აქამდე თუ ეყოფოდა, ამას იქით კი ვეღარ გადააღწევდა:

— მე ქართული ისცავლე, სხვიტორში რომ ჩამოხვალ, ხაჩაპური ჩამე.

ქართველების ხსენება კი დაბეგვილ გვერდებს წამოატკივებდა ხოლმე: როგორ ბედავს ეს ვიღაც გადამთიელი, აკაკის შვილობას რომ იჩემებს, სად რუსი და სად ჩვენი ერის მამა, ყველა ჩვენგანის მშობელი, გარდა ამ თვითმარქვიასიო.

და ჰოი რას უჟაპუნებდნენ „ცრუპენტელობისა“ და „თვითმარქვიობისათვის“!..

ცოლთან გაგზავნილ ბარათებში ხშირად ლიოლიასაც მიმართავდა, მაგრამ ცალკეც ხომ სწერდა სულიერი ძაფების გადასაბმელად, როგორც თუნდ 1903 წლის 12 მარტს:

მე ახლა უკეთ ვარ, მაგრამ მაინც შენზეა დამოკიდებული ჩემი ჯანმრთელობაო.

როდესაც ლიოლია თავს კარგად ვერა გრძნობდა, მაშინ აკაკიც ცუდად იყო ხოლმე.

უფრო მეტად და მძაფრად როგორღა ეგრძნობინებინა სულიერი ერთიანობის აუცილებლობა და გარდუვალობა, შვილის შეჭირვება იდუმალი ძალით რომ გადმოედებოდა.

თუ ღმერთი სწამდა, დაენებებინა თავი იმ თეატრისათვის. და თუკი სურდა ამ დახლართული მდგომარეობიდან გამოსულიყო, მამასთან ჩამოეკითხა საცხოვრებლად.

აპრილის დამლევიდან აპირებდა აკაკი საზღვარგარეთ ცხოვრებას. და ლიოლიაც მანამდე უნდა დარჩენილიყო მასთან, სანამ ყველა ქაღალდს არ გადახედავდნენ ერთად.

დაე სცოდნოდა, რომ მამა უკეთ მოაწესრიგებდა მის საქმეებს, ვიდრე თვითონ ეგონა.

— გამოცდილი კაცი ვარ.

იმ მხრივაც შეეცდებოდა მის ნუგეშისცემასა და ვითარების გაიოლებას:

მეც ამეწყნა მდგომარეობა, როცა 23 წლისა ვიყავიო.

არავინ მიშველებოდა. ტყუილუბრალოდ 200 ათასი დაედებოდა ვალად, მაგრამ მარტოდმარტო გამოასწორებდა მდგომარეობას.

— შენ კი გყავს მამა, რომელიც ყველაფერში დაგეხმარება.

ეს აქამდეც დაემტკიცებინა და კვლავაც არაერთხელ მოუწევდა ამის დამტკიცება, ის მამა რომ იყო, შვილს ყველაფერში რომ ეხმარებოდა.

ეგაა — შვილი ჰყავდა და... არცა ჰყავდა.

იმავე წლის ივნისში ბარათს იმით დაიწყებდა:

ძალიან მინდა შენი ნახვა. მინდა ბევრ რამეზე გულწრფელად გელაპარაკოო.

ახლა მზად იყო გამოსამგზავრებლად, მაგრამ... ჯერჯერობით ტანსაცმელი ვერ მოერგო შესაფერისი და... ჩამოძონძილი ხომ არ ეწვეოდათ?!.

— თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ ვიტანჯები უთქვენოდ.

ეგონა, ჭკუიდან ვიშლებიო.

შვილს უმტკიცებდა: დღისით და ღამით სულ ნატაშა მელანდებაო. ეგებ ამით მაინც მოეგო მისი გული, რაკილა ის დედას ძალიან მიწებებოდა და იშვიათი დედაშვილობა ჰქონდათ?..

უქმეებზე უსათუოდ მათთან იქნებოდა — თუ ცოცხალი არა, მკვდარი მაინც.

ალექსი-ლიოლიას უნდა მიეკითხებინა რკინიგზის სადგურის უფროსთან და გამოერთმია ამანათი და აკაკის პორტრეტი. უგზავნიდა ზედნადების დუბლიკატსაც. გადაეცა ნატაშასათვის, რომ აკაკის უკვე გამოერთმია ქაღალდები გვაზავასათვის და უქმეებზე თან წამოიღებდა.

მანამდე თუ ასე მიმართავდა, ბარათის დასაწყისში: ძვირფასო და ჩემო ძვირფასო, — ამჯერად ასე ამჯობინებდა: ჩემო კარგო მეგობარო!..

ეს არის ახლა მიელო ნატალიას პირველი წერილი ოდესიდან და ვერ წარმოიდგენდა ლიოლია, რა საშინელ გუნებაზე დადგებოდა მამა.

ნუთუ არა სცხვენოდა ახალგაზრდა კაცს, რომ უმნიშვნელო ამბების გამო ასე დაცემულიყო სულით და ჩაეკლა მამის ენერგიაც?

მიეხედ-მოეხედა გარშემო, როგორ ცხოვრობდა მთელი ქვეყანა — ლიოლია რატომ უნდა ყოფილიყო გამონაკლისი?

ურჩევდა: კრედიტი არ დაგეკარგოს ბანკშიო, — მაგრამ თუ დაკარგავდა, რა გაეწყობოდა!.. და წინასწარვე ანუგეშებდა და უიოლებდა: ვის არ დამართნია ეს? ვის არა ჰქონია ვალიო?..

სამარცხვინო ის იქნებოდა, თუკი ვალს ვერასოდეს გაისტუმრებდა, მაგრამ რაკი ბოლოს მაინც მისი გადახდის შესაძლებლობა ჰქონდა, რატომ უნდა მისცემოდა სასოწარკვეთას?.. და ყველას პატიოსნად რომ გადაუხდიდა ვალს, ამის თავდებობას აკაკი კისრულობდა.

— თავს ვდებ ყველაფრის, რაც მომეპოვება.

თუ ახლა ასე ზრუნავდა და ცდილობდა, არა თავისი თავის, არამედ ცოლ-შვილის გულისათვის.

თუ ახლა გაყიდდა ყველაფერს, რაც საჩხერეში ებადათ, რასაკვირველია, არავინ არაფერს მისცემდათ, და ლიოლიაც ვერასოდეს გაისტუმრებდა თავის ვალებს, მაგრამ რაკიღა თვითონ აკაკი ცდილობდა ამ საქმის მოგვარებას, მალე — ღვთის შეწევნით — კიდეც შეძლებდა შვილის დახმარებას ისე, რომ არაფერი დაეკარგა.

მაგრამ ნატალიასა და ლიოლიას სურდათ, რომ ყოველივე ერთ წამში მოგვარებულიყო — ეს კი შეუძლებელი გახლდა... წერილებით აეხსნა მათთვის ყველაფერი — შეუძლებელი იყო, რადგან იმათ არა სურდათ გაეგოთ და შეესმინათ.

ჯობდა აკაკი თვითონ ჩასულიყო მათთან, როგორც კი აქ საქმეს მორჩებოდა.

ტროფიმოვი რატომ ვერ ენახა, ერთხელ ხომ მიეწერა და... რა შუაში იყო აქ უდარდელობა? თუ იგი იქ დაეხმარებოდა ლიოლიას, მაშინ გაეკეთებინა ის, რაც სურდა, აკაკისათვის კი განა რა სახეირო შეიძლება ყოფილიყო, ასეთი მცირე კაპიტალით დაეწყო კამპანია.

ცდილობდა სხვებისაგან ავანსი მიეღო, რათა ლიოლიას დახმარებოდა. 3 ათასი მანეთით თვითონაც შეეძლო საქმე დაეწყო სხვების დაუხმარებლად ისე, რომ ეს წამოწყება არ გაჯანჯლებულიყო.

სოსიკო მერკვილაძე ტფილისს წასულიყო და აქ მარტო აკაკი იმყოფებოდა — საშინლად მოუცლელი.

გუშინ ისევ დაედოთ ყადაღა ყველაფრისათვის ლიოლიას ვალების გამო, და კიდევ აი რა მიზეზით:

— 1891 წელს „ნადვორნი სოვეტნიკის" ქვრივმა ქსენია ბუდამ, მეორე ქმრით ლუგანსკაიამ, სანკტ-პეტერბურგის ინსტიტუტში პანსიონერად მოაწყო თავისი ქალიშვილი ლიდია ბუდა, იკისრა რა ვალდებულება საპანსიონორო ქირა ეხადა წესიერად და თავისი ვალების უზრუნველსაყოფად წარმოადგინა ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის დაბა საჩხერის მკვიდრის — მიწათმფლობელის თავად ალექსი აკაკის ძე წერეთლის თავდებობა. ვინაიდან ბუდას დღემდე არაფერი გადაუხდია, გადაწყვეტილ იქნა გადახდეს თავდებს.

აი რაში იყო საქმე. დაე გაეხსენებინა ალექსის და, თუ სიმართლე გახლდათ ეს ყოველივე, რაღას იზამდა, უნდა გადაეხადა!..

ბანკიდან ჯერ არაფერს იძლეოდნენ. ნატალიას კი ეგონა — და მოსალოდნელია შვილსაც ასე არწმუნებდა — რომ აკაკი არას ცდილობდა, ანდა ატყუებდა.

ამის მერე სიცოცხლე არა ღირსო, — თავს ვეღარ იკავებდა პოეტი, — უამისოდაც რეტი მესხმის და ამას ზედ ერთვის კიდევ ეჭვები და შეურაცხყოფაო.

დაე მოეწერა ლიოლიას ყველაფერი გულახდილად. მამა ხომ მისი მტერი არ იყო? რა ხდებოდა და როგორ მიდიოდა საქმე? ერთად მოეთათბირებინათ. ღმერთს ნუ გაარისხებდა — ასე უნდობლად ნუ უყურებდა იმ პირებს, რომელთაც მისთვის სიკეთის გარდა არაფერი სურდათ.

მომწერე მალეო, — სთხოვდა, — ღვთის გულისათვის, მოუცლელობას ნუ მოიმიზეზებო.

მიიწურებოდა ის წელიწადი და 10 დეკემბრის ბარათით აცნობებდა, რომ:

ბაქოდან ტფილისში ჩამოსვლისთანავე ჩვეულებისამებრ ავად გამხდარიყო და თითქმის დღემდე ვეღარ გამოკეთებულიყო. ექიმების განკარგულებით წასაკითხს არაფერს აძლევდნენ და ამიტომაც ყველა კორესპონდენციას ახლაღა მოუტანდნენ — რამდენიმე კვირის შემდეგ. ასე რომ, პასუხის გაცემა მათზე, განსაკუთრებით დეპეშებზე, რცხვენოდა კიდეც.

ახლა შეუდგებოდა საქმეებს ქუთაისში. ჯერჯერობით ეპისკოპოსს ესტუმრებოდა და კვერეთის მიყიდვას შესთავაზებდა. ის დაპირდებოდა: მალე მოვაგვარებო, — მაგრამ ეს „მალე" — აკაკის ვარაუდით — ალბათ დიდხანს გაჭიანურდებოდა.

რაც შეეხებოდა მარგანეცს, უნდა თქმულიყო, რომ მისი ფასი, საზამთრო სეზონის გამოისობით, დაცემულიყო, რადგანაც გაზიდვა ჭირდა. ეს — დროებით, და გაზაფხულამდე უნდა მოეცადათ.

თავისი წილი მარგანეცის გაყიდვას რაც შეეხებოდა, შეეცდებოდა მალე გაეყიდა.

დაწერდა ამ ფრაზას და... გაეღიმებოდა და ლიოლიას აუხსნიდა: ეს „მალე" თეატრალური „მალე" კი არ არის, რომელიც ერთი საღამოს დროით განისაზღვრება, არამედ კომერციული „მალეო".

მაგრამ ცოლ-შვილის წილი მარგანეცის გაყიდვა, აკაკის აზრით, იმათ არ უნდა დაეჩქარებინათ — სწორედ ზედ მარგანეცის გამოსასვლელთან ან მის სიახლოვეს პოლიკოვსკის, შავი ქვის მრეწველს, გზა გაჰყავდათ, და თუ ეს მოხდებოდა, მაშინ ფასი ათჯერ მაინც აიწევდა. ამიტომაც ფიქრობდა, რომ მოცდა სჯობდა, მითუფრო, რომ გზა პლატფორმამდე ექვს ვერსზე მეტი არ იქნებოდა. თუმც... დაე ლიოლიას თვითონ გადაეწყვიტა, ოღონდ მოთათბირებოდა კონსტანტინე სიმონის ძე აკიმენკოს. იგი, როგორც აკაკის შეემჩნია, კომერციულ საქმეებში არ შეცდებოდა.

არტისტების მიზეზით თითქმის რამდენიმე ათეული ათასის დაკარგვას არავითარი გამართლება არ მოეძებნებოდა. ამიტომაც არ ღირდა აჩქარება. ახლა მართებდა ლიოლიას, უფრო ფრთხილად და მოფიქრებით ემოქმედა.

აი ახლაც, ეს წერილი დამთავრებულიც არ ექნებოდა აკაკის, რომ სასტუმროში ატყდებოდა ხმაურ და ღრიანცელი... მთელი სკანდალი!..

ამატა თურმე აქ იმყოფებოდა, ამავე სასტუმროში, სადაც აკაკი. თავს გვერდწითელის დად ასაღებდა. აქ თითქოს საქმისათვის ჩამოსულიყო. ექეიფა, მაგრამ წარდგენილი ანგარიში არ გადაეხადა და აკაკი, რათა სკანდალი აეცილებინა (იგი ხომ ცოლის დად ეკუთვნოდა!), იძულებული გახდებოდა იმისი დანახარჯი გაესტუმრებინა.

ადვილად წარმოიდგენდა ლიოლია, რარიგ გაბრაზდებოდა მამა, მაგრამ რა უნდა ეღონა?

რაც იყო, იყოო, — თავს ამითღა დაიმშვიდებდა.

ლიოლიას ჯანმრთელობას უსურვებდა და კიდევ: არ დაეკარგა ენერგია და გულთან ახლოს ნუ მიიტანდა წარუმატებლობასა და უსიამოვნებას.

ყოველმხრივ ამხნევებდა, ამაგრებდა, რუსულ ანდაზასაც მოიშველიებდა, დრო ყველაფრის მკურნალიაო, ამას რომ გულისხმობდა, თორემ ლიოლია აბა რას გაიგებდა, აკაკის რომ რუსთველურად შეეგონებინა: ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვიტკირსაო.

ეს სკოლა გახლდათ ჭკვიანებისათვის სამერმისოდ: მთავარია ლიოლიას ნუ დაავიწყდებოდა, რომ მომავალი მისი იყო და მისი.

1905 წლის 11 სექტემბერს მამა შეატყობინებდა, რომ:

ძლიერ სასიამოვნოდ დარჩენოდა გუშინ მიღებული მისი ბარათი: მიხარია, რომ გახსოვარო.

დღეს უნდა წასულიყო ქუთაისში, მერე საჩხერეში, მაგრამ ჯერჯერობით ისევ გადაედო. ასეთი არეულობის დროს დიდი სიფრთხილე მართებდა.

საჩხერეში რომ ავიდოდა და დეპეშას გაუგზავნიდა, დაე მაშინვე მოეწოდებინა ბილეთი ლიოლიას, რათა მათთან გამგზავრებულიყო. ამ ზამთარს თან მიჰყავდა დათიკო აბდუშელიც, რადგანაც უიმისოდ პიტერში ყოფნა გაუჭირდებოდა.

წერილები გამოეგზავნა ტასო მაჩაბლის სახელზე, თუმც აკაკი მასთან არ იმყოფებოდა ბინაზე, მაგრამ წერილებს მეეზოვე მიუტანდა, სადაც უნდა ყოფილიყო.

თუმც შვილისა ძალიან ეიმედებოდა, მაგრამ მაინც ურჩევდა: ღვთის გულისათვის წარუმატებლობას გულთან ნუ მიიკარებდა. არ არსებობდა მარცხი, რომელიც ბოლოსდაბოლოს არ დაიძლეოდა. ამიტომაც გულს ნუ გაიტეხდა!..

დედაშენის ბარათიო, — ამასაც დასძენდა, — თუმც ძალიან ვცდილობდი, სანახევროდაც ვერ გავარჩიე, მეტისმეტად ნერვიულად არის დაწერილიო.

მომდევნო ბარათიც იმ დიდი სიხარულით იწყებოდა, ლიოლიას წერილს რომ გამოეწვია. გუშინ ამოსულიყო საჩხერეში აკაკი ქუთაისიდან, სადაც ყოველდღე რამდენიმე მკვლელობა ხდებოდა. მისი გამომგზავრების წინა დღეს სამ პრისტავს ესროდნენ. და ამას სჩადიოდნენ ვიღაც ხულიგნები, ხალხი აქ არაფერ შუაში იყო. ეს ხულიგნები აქაურები არც იყვნენ. ეშმაკმა იცის, საიდან მოსულიყვნენ, არადა ხალხს ისევ შიშის ზარს სცემდნენ, აკეთებინებდნენ ყველაფერს, რაც მოეპრიანებოდათ. მათი წაქეზებით ხალხი აჯანყებოდა მესაკუთრეებს და გლეხები აღარაფერს აძლევდნენ მემამულეებს.

მე არავითარი საფრთხე არ მემუქრებაო, — თავსაც იმშვიდებდა და ცოლ-შვილსაც ამშვიდებდა, რაკიღა ეს ვითარება ძალაუნებურად შეაფიქრიანებდათ.

ჯანმრთელად ვარ და თავს კარგად ვუვლიო, — ამასაც დასძენდა, — კარგი ექნი, საჩხერეში რომ ამოვედიო.

თურმე რატომ და: აქ ყველაფერი თავდაყირა იდგა და გასაკეთებელიც ბევრი იყო.

აქედან ეპირებოდა ტფილისს და აცნობებდათ, როცა გაემგზავრებოდა.

პოსტსკრიპტუმში შესჩიოდა:

დედაშენი თუმც შეურაცხყოფას მაყენებს, როცა მასთან ვარ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც მინდა მე სულელს მუდამ მის ახლოს ვიყოო.

1908 წლის 11 სექტემბერს მიეღო შვილის ბარათი, წინა დღით საჩხერეში ამოსულს. ბარათი 11 აგვისტოთი დათარიღებულიყო და ტასო მაჩაბელს მოეწოდებინა ტფილისიდან. ამასაც სწერდა: გიგზავნი ნატაშას დეპეშასაცო, — მაგრამ დეპეშა კი არა ჩანდა, კონვერტში ჩადება თუ დავიწყნოდა.

ლიოლიას წერილს ცოტა არ იყოს გაეკვირვებინგა და იძულებული ხდებოდა მწვავე რეალობა მკაფიოდ გაეცნობიერებინა მისთვის:

აქ ახლა, ამ არეულობის დროს, ერთი მანეთის შოვნაც კი გაძნელებულიყო და,ღმერთი იყო მოწმე, თუ რა შრომად უღირდა აკაკისაც ყოველი მანეთის მოპოვება. თვითონაც გაოცებას იყო, როგორ შოულობდა.

რაო, რას იწერებოდა ლიოლია?

ჩამოდი და მერე წადიო.

თითქოს ჯანმრთელ კაცს სწერდა და არა მამას, ავადმყოფ ბერიკაცს...

იქნებ ამ იუბილეს მიეცა რამე მისთვის და რატომ გაენია რისკი და ჩასულიყო მათთან?..

არ აჯობებდა იუბილე გადაეხადა და მერეღა სწვეოდათ? მანამდე ხომ სულ ცოტა დრო რჩებოდა.

ძალიან უნდოდა ცოლ-შვილიც დასწრებოდა მის იუბილეს, მაგრამ თვითონ ეს არ უხერხდებოდა და ლიოლიას განუმარტავდა, რა დღეშიც ჩავარდნილიყო:

თავის იუბილემდე ხომ კიდევ უნდა გაეგზავნა მათთვის ფული, მერე თვითონაც ჩასულიყო და წამოეყვანა ნატალია მუავე წყლებზე.

ბაქოშიც უნდა შეევლო, მაგრამ ჯერ ვერა ბედავდა — ხოლერისა ეშინოდა, და იჯდა საჩხერეში, სადაც, როგორც ირკვეოდა, მისი ყოფნა აუცილებელი იყო, თუმც პირადად მისთვის — მძიმე ასატანი.

ღვთის გულისათვის მოეწერათ — 10 მანეთის გარდა ადრე გაეგზავნა 50 მანეთი და ნუთუ შვილს არ მიეღო? ცნობისათვის მიეკითხებინა კომერციული ბანკისათვის და იქ ეთქვათ: გადავგზავნეთო. დედა-შვილი კი ერთ სიტყვასაც არ იწერებოდა...

ლიოლიას ქართულ წერილს გაეხარებინა და სთხოვდა: ივარჯიშე ჩემს ჩამოსვლამდე და მერე, ღვთის წყალობით, ჩვენი საქმე უკეთ წავაო.

ფეხები აკაკისაც სტკიოდა, თითქმის ვეღარც ამოძრავებდა, ასე რომ, ლიოლიას საზრუნავი ხდებოდა დედაც და მამაც.

უკანასკნელი ბარათი ცოლ-შვილთან გაგზავნილი კოლექციისა 1909 წლის 8 ივნისით თარიღდებოდა, არა? უკვე 69 წლისა ვარ, ავადმყოფიო, რომ შესჩიოდათ.

ერთი კვირით ადრე,1 ივნისს, შეედგინა... პოეტური ანდერძი შვილისათვის, ასევეც რომ დაასათაურებდა: „ანდერძი ჩემს შვილს“ — და იმ თხოვნით იწყებდა: გულს ნუ გაიტეხ, იყავ მხნე, რაც უნდა ჭირში ჩავარდეო. და დაე ცხოვრების დახლართული გზა უშიშრად გაენავარდა.

ყველა ჰყვარებოდა და ცოდვაც შეენდო წრფელი გულითა, მით ამაღლდებოდა მდაბალი სხვებისგანაც სიყვარულითა. მარტოდენ თავის თავზე ნუ იზრუნებდა, სხვებიც ხსომებოდა მარად. შრომა მოემარჯვებინა მახვილად და მოთმინება კი — ფარად!..

ესეც ზნეობრივი მრწამსი აკაკი წერეთლისა, მრწამსი, რომლითაც გამოევლო ცხოვრების დახლართული გზები, და მიუხედავად დიდი ჭირ-ვარამისა, ამგვარ სტილსა და გეზს რომ ერგუნებინა, კვლავაც მის ერთგულად რჩებოდა, იმ ეთიკური იმპერატივის მიმდევრად, შვილში რომ სურდა ამ სტილის გაგრძელება ეხილა, რაც უნდა ყოფილიყო მაინც მის სისხლსა და ხორცში. აკი მაინც იმას ოცნებობდა, ლიოლიასათვის შეექმნა შესაფერისი პირობები ცხოვრებისა, რათა გაიოლებოდა არსებობა და მამასაც გული საგულეში ჰქონოდა. და სიკვდილს უკვე ისე შეხვედროდა, როგორც მოსვენებას.

შვილსაც უტოვებდა ამ პოეტურ ანდერძს და... სულიერ შვილებსაც რასაკვირველია, არა შიშველ შეგონებად, არამედ თვითონ დაედასტურებინა და ხორციც შეესხა თავისი ცხოვრების წესით, გულს რომ არ იტეხდა, ყველა უყვარდა და ცოდვებსაც მიუტევებდათ, მარტო თავის თავზე რომ არასოდეს ეზრუნა და ყოველთვის ახსოვდა სხვები: მახვილად შრომამომარჯვებულსა და ფარად — მოთმინებისა!..

განა მთელი ცხოვრება სხვებისათვის არ გადამდგარიყო?!.

განა უშურველად არ გასცემდა, თუკი რაიმე მოეძევებოდა?!.

დაე გულსა და გონებაში აღგვებეჭდა ეს ანდერძი, როგორც ამქვეყნიური შვება და ბედნიერება და უკვდავების მარადი, უჭკნობი მშვენიერება!..

იმ სადარდებელს მაინც არ გაიყოლებდა საფლავში, შვილის უნახავად წამოველ აქეთო.

ცოლი თუ არ ადგა თავს მომაკვდავს, შვილის ხელში ხომ მაინც დალევდა სულს.

ვარინკა წერეთელი დაუჯდებოდა თავთით თვალდახუჭულსა და მშფოთვარეს, ეს თვალცრემლიანი რომ დაჰყურებდა და ხშირად შეუსწორებდა ყურთბალიშს.

ამ დროს შემოვიდოდა ნამტირალევი ალექსიც.

აკაკი თვალს ცოტათი გაახელდა და ვარინკას რაღაცას ანიშნებდა...

ალექსის კვლავ ტირილი აუტყდებოდა.

ვარინკა აკაკის თავზე ხელს გადაუსვამდა და რამდენჯერმე ჩასძახებდა: რა გსურთ, რა გსურთო!..

ორი სამყაროს მიჯნაზე მდგარი და უფრო იქით მიმსწრაფი შემოხედვით შემოხედავდა მასაც, უფრო კი ალექსის, რაღაცის თქმასაც დააპირებდა, მაგრამ ვეღარ მოახერხებდა...

* * *

ექვთიმე თაყაიშვილი ალექსის დაახასიათებდა როგორც ერთობ სიმპათიურ ადამიანს, ზრდილს, კაცთმოყვარეს, ლამაზსა და კეთილი გულის პატრონს, ქართულის უცოდინარობის მიუხედავად მამის თხზულებათა შინაარსი ზედმიწევნით რომ ჰქონდა შეთვისებული.

ეს ფსიქოლოგიური შტრიხი — თითქოსდა მამის ნაწერების შინაარსი ალექსის შეეთვისებინა და თანაც ზედმიწევნით — ექვთიმეს გულკეთილობით ხომ არ არის შეთხზული?..

რეალობის შელამაზების სურვილით, ალექსიზე უკეთესი წარმოდგენის შესაქმნელად ხალხის თვალში?

მამა-შვილის ურთიერთობა, მათი ბარათებითა თუ თანამედროვეთა მემუარული ჩანაწერებით გამორკვეული და დადასტურებული, სულ სხვას გვამცნობს და... ზედმიწევნითობას ვინღა ჩივის, ისე მოჩანს, რომ ალექსის მეტად და მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა მამის სულიერ სამყაროსა და მხატვრულ მონაპოვარზე, რაოდენ ზრდილი, კაცთმოყვარე და კეთილი გულის პატრონიც უნდა ყოფილიყო.

ოპერის მოყვარულთა დასს რომ შეადგენდა და ერთხელ გასტროლებით საქართველოსაც ესტუმრებოდა, და აკაკი ძალიან რომ ეხმარებოდა შვილს, ლუკმას გამოიღებდა პირიდან და იმის საქმიანობას მოახმარდა, ექვთიმეს ესეც მოეხსენებოდა და ისიც, მოგებას რომ ვერა ნახავდნენ და ვალებში ჩაცვივდებოდნენ. მაგრამ ამ საოპერო დასს რომ გააუმჯობესებდა ალექსი და პარიზში ჩავიდოდა, იქ დიდი წარმატებით გაუძღვებოდა საქმეს და ისეთ შთაბეჭდილებას მოახდენდა ფრანგებზე, ისინი იჯარით აიღებდნენ ამ დასს და მისი მონაწილენი, გარდა საფრანგეთის ქალაქებისა, ბრიუსელსა და ბელგიის სხვა ქალაქებშიც მართავდნენ საღამო-კონცერტებს, რომელთაც აუარებელი ხალხი ესწრებოდა.

დასს მართალია შემოსავალი დიდი ჰქონდა, მაგრამ ალექსი — პირდაპირ იდეალური და უანგარო კაცი — შემოსავლის ანგარიშში არც კი ერეოდა და რასაც დასი მისცემდა, იმას კმარობდა — უთქმელად და ულაპარაკოდ.

დასის წევრები ხელმძღვანელს აღმერთებდნენ და ოდნავი უსიამოვნებაც არასოდეს მოუვიდოდათ მასთან.

უჩვეულო ამბავია, არა, თეატრალური ცხოვრების ისტორიაში?..

ნატალია რომ დასნეულდებოდა და ორ წელიწადს ლოგინში იწვებოდა, შვილი დასტრიალებდა თავზე და არაფერს აკლებდა, მაგრამ იმ სნეულებას როგორ გაუმკლავდებოდა?

დედის გარდაცვალება გამოუთქმელ მწუხარებაში ჩააგდებდა და — ექვთიმე პირდაპირ არას ამბობს, მაგრამ გამჭვირვალედ კი მიანიშნებს — ერთ თუ ორ წელიწადში ალექსიც დედის კვალს გაჰყვებოდა — პარიზშივე მიიცვლებოდა.

დარჩებოდა დიდძალი საოპერო დეკორაცია, ტანისამოსი და ბიბლიოთეკა, ეს ყოველივე მილიონნახევრად რომ შეფასდებოდა.

და ამ ყველაფერს:

ქართულ საზოგადოებას დაუტოვებდა ანდერძით.

მაგრამ... ოპერის დასის წევრები საჩივარს აღძრავდნენ: მთელი საოპერო ქონება ჩვენ გვეკუთვნისო, — და კიდეც დაინარჩუნებდნენ.

ასე გაუქმდებოდა სასამართლოს წესით ის ანდერძი.

არადა — ქართველობას რომ დაუტოვებდა!..

რას ნიშნავდა მისი სიკვდილისწინა გადაწყვეტილება — ამხელა ქონებას სადღაც ბურუსში ჩაძირულ, მის სამშობლოდ სახელდებულ, მაგრამ უცხოდ დარჩენილ ქვეყანას რომ უანდერძებდა:

სისხლის ყივილს?

მამის წინაშე მონანიებას?

თუ მისი ხსოვნისადმი პატივის მიგებას?

იქნებ ერთსაც, მეორესაც, მესამესაც, იქნებ რაიმე მეოთხესაც თუ მეხუთესაც, ახსნით ძნელად ასახსნელსა და სულის ყველაზე იდუმალ კუნჭულში ჩამალულს?!.

ისე ესეც რა ჩვენი ბედია, ნაანდერძევ ქონებას, მილიონნახევრისას, იქვე რომ დაითრევდნენ და გაინაწილებდნენ, გაინაწილებდნენ და პირწმინდადაც გამოჭამდნენ?!.

ფრენსის სკოტ ფიცჯერალდის დიდი გეტსბის ბედისწერისა არ იყოს, ამავე სახელწოდების რომანის გმირისა, არც ალექსი წერეთელს შერჩებოდა ვინმე მადლიერი, თორემ მის ანდერძს ასე დაუნანებლად როგორ გადაფხრეწდნენ?!. თუმც ქონების დასაკუთრების ჟინი ისეთი მძაფრია და ულმობელი, თუკი წართმევის საშუალება მიეცემათ, როგორ არ გამოიყენებენ ამ შესაძლებლობას!..

ცოლ-შვილთან გაგზავნილი ბარათები აკაკისა „მნათობის" ფურცლებზე გამოქვეყნებისთანავე შეძრავდა მიხეილ ქვლივიძეს, არა მარტოდენ ერის მამის, არამედ საერთოდაც

პოეტის ტრაგედიად რომ აღიქვამდა და ამ ტკივილებს სამნაწილიან ლექსში გადმოღვრიდა, „სამი წერილი“ რომ დაერქმეოდა და აკაკის ბაგით ითქმოდა — ის იქნებოდა ლირიკული გმირი, მის ღაღადისს მიხეილ ქვლივიძის პირადი განცდები რომ შეერეოდა, რაკიღა ეს სატკივარი თავის თავზეც გამოეცადა და აკაკის ტრაგედიის გათავისება ამიტომაც დიდად აღარ გაუძნელდებოდა.

სამი პოეტური ბარათი წარმოსახვით გაეგზავნებოდათ: შვილს, ცოლსა და უცნობ მეგობარს.

რად უნდა გერქვას ლოლია, ბიჭო, ქართველ კაცს — უცხო ქალის სახელიო? — იმთავითვე ასე მწვავედ და შეულამაზებლად დაიწყებოდა პირველი ლექს-ბარათი, იმ მუნათით, ბევრ რაიმეს რომ მიგვანიშნებდა და ამაოებადღა მოგვეჩვენებოდა პოეტის ვედრება, — იქნება ერთხელ მაინცა სინჯო და გახდე ჩემი თანამზრახველიო.

იქნებ ჩამოსულიყო და ენახა სხვიტორი. ეარა მის ოლროჩოლრო გზებზე?!

იქნებ გაეცნო ყველა თვისტომი და მათი ბედი გაეზიარებინა?!

იქნებ ერთხელ... იქნებ ერთხელ მამას მის სათაყვანო თბილისშიც შეხვედროდა, გაეგო მისი უთქმელი სევდა, და თუკი მართლა მისი ღვიძლი გახლდათ, მიხვედრილიყო, რომ — მამასაც ჰყავდა დედა (სამშობლოს იგულისხმებდა), რომლის დათმობაც არაფრისდიდებით არ შეეძლო.

თუკი ღვიძლი ხარო...

ხორციელად კი... მაგრამ როდესაც სულიერი ძაფები გაწყვეტილა და... უნუგეშოდაც გაწყვეტილა?!.

მაშინ როგორლა გინდა გაიგო მამის უთქმელი სევდა, ანდა მიზეზი — რატომ არ შეუძლია დედის დათმობა!..

მეორე ლექს-ბარათი არანაკლები სიცხარით განიმსჭვალებოდა და დაურიდებლობით, ცოლის პორტრეტი ასე რომ წარმოისახება: შენ ისევ რისხვით ნესტოებს ბერავ, გაკერილს გიგავს ტუჩების ჭრილი, მეძახი „უშნოს“, მეძახი „ვერაგს“ და ერთად მიტევეთ დედა და შვილიო!..

წამოგაგონდათ, არა, შესაბამისი პასაჟები აკაკის წერილებიდან?..

მაინც რას ემართლებოდნენ? გულმოსაკლავად რატომ უცქერდნენ ხარბი თვალებით, როგორ ეგონათ, რომ მათზე კარგად იყო, შეეძლო და არ ეხმარებოდათ?!. როგორ ეგონათ, რა მიზეზით გაეხადა სახლად „ვეტცელი“, გადავიწყებოდა სულ პოეზია და ემჯობინებინა ლექსებისათვის ვექსელი?!

სხვას ანკი რას ღაღადებდა ბარათების ეს კოლექცია, ოჯახის ჯვარიც სათრევი რომ გახდომოდა.

ხან ბაქოში იყო და ხანაც ქუთაისში ჯერ მარტო მათი გადამკიდე — ვერ შეეგროვებინა მათთვის ფულები, ისინი კი განცხრომას მაინც არ იშლიდნენ და ისევ ავსებდნენ საყვედურებით!..

ერთხელ მაინც სტუმრებოდნენ, ნუ დაიზარებდნენ, ნუ იყვნენ ყველაფრის უარმყოფელნი, და ნაპეტერბურგალ-ნაპარიზალებს იქნებ სიამოვნებოდათ ამის სოფელიც — სილაჟვარდესა და სიმწვანეში წყაროსთვალივით გადამალული... მხოლოდ ეჩქარათ, ვიდრე ვალებში გაიყიდებოდა მათი მამული!..

ვერ შევარიგე სატრფო (სამშობლო) და ცოლიო, — ამას უკვე მეგობარს მისწერდა, — ვერ მოვაწონე უცხოს თვისტომი, ვერ დავამოყვრე მოსკოვის თოვლი და გაფოთლილი ჩემი სხვიტორიო.

ანკი როგორ?!.

შეუძლებლის შეძლება, გადაულახავის გადალახვა ვის მოეხერხებინა, მაინცდამაინც აკაკი რომ სწეოდა სანადელს?..

ცოლი მეჯლისში მაზურკას იცეკვებდა.

სატრფო-სამშობლო ციხიდან გასცქეროდა სარკმელს.

ერთი სიყვარულს მოითხოვდა მისგან.

მეორე ელოდა საგმირო საქმეს...

ასეთი ბედი ღმერთმა გაშოროსო, — დაენანებოდა მეგობარი თავისი მსგავსი ხვედრისათვის, რაკიღა სხვა ვერ გაუძლებდა, როგორი ყოჩაღი და შეუპოვარიც უნდა ყოფილიყო, რადგანაც სანუგეშოს არას გიტოვებდა ეს მწარე, გულისმომკვლელი, გაუსაძლისი რეალობა:

როცა ოჯახში არ გაქვს სამშობლო
და სამშობლოში არ გაქვს ოჯახი!

მართლაც რომ აფორიზმივით ჩამოინაკვთებოდა და განზოგადდებოდა ეს სტრიქონები, მთელს ლექსს რომ შეჰკრავდა მოხდენილად და თავისებურ პოეტურ რეზიუმედაც შეიძლება ამიერიდან დაერთოს ცოლ-შვილთან გაგზავნილ აკაკის ეპისტოლეთა კოლექციას, საიდანაც მიხეილ ქვლივიძე გამოარჩევდა ამ ფრაგმენტს და მინაწერად მიადევნებდა „სამ წერილს“:

— ასეთ ვითარებაში სიცოცხლე არ ღირს, მაგრამ მე არ მიყვარს გარემოებათა წინაშე ქედის მოხრა და სულით არ ვეცემი. მივიტან ჩემს ჯვარს სამარის კარამდე... ტანჯვის ჭირვეულობაში არის ერთგვარი პრომეთესებური მიზანი სიამაყისა და მეც ვემორჩილები ბედს.

აკაკი კომიკური იერით შეაფერადებდა თავისი ყოფითი ცხოვრების დრამას:

ცოლი მყავს და არა მყავს, შვილი მყავს და არა მყავსო...

მიხეილ ქვლივიძე დრამატიზმით განმსჭვალავდა:

როცა ოჯახში არ გაქვს სამშობლო და სამშობლოში არ გაქვს ოჯახიო...

მიეზიდებოდა თავის წილ ჯვარს სამარის კარამდე, რაკიღა ტანჯვის ჭირვეულობაში ჭვრეტდა ერთგვარ პრომეთესებურ მიზანს სიამაყისა.

ასეთ ბედს კი დაემორჩილებოდი, თუ ესეც მორჩილებად ითქმის: სიამაყის პრომეთესებური მიზანი!..

კარი მეოთხე

თავი I

პაექრობა საკუთარ თავთან

საქართველოში ჩამოსვლის მეორე დღესვე... რას წარმოიდგენდა, რომ ეს ქვეყანა მისთვის მეორე სამშობლოდ იქცეოდა, ასე შეიყვარებდა და შეითვისებდა... ჯერ კი ის-ისაა ჩამოსული არტურ ლაისტი ილია ჭავჭავაძესთან გაიცნობდა აკაკი წერეთელსა და რაფიელ ერისთავს და ერთი შეხედვითვე შეატყობდა, ეს სამი მგოსანი ერთმანეთს არაფრით რომ არა ჰგავდა.

არცთუ ისე მაღალი, მაგრამ მკვრივი აგებულების ილია შესახედავად მეტად მშვიდი მოგეჩვენებოდა მაშინაც, როცა სული და გული ეწვოდა.

აკაკი სხარტი იყო, მოგვიანებით გერმანელი სწავლული ამას მისი იმერლობით რომ ახსნიდა, აგებულებით ისიც მაგარი, მაგრამ შედარებით სუსტი ნებისყოფის, მისი სიტყვები ილიაზე უფრო სწრაფად რომ მოჩქეფდა.

რაფიელ ერისთავი უფრო მძიმე მოეჩვენებოდა: დინჯად, აუჩქარებლად მოლაპარაკე.

და გაცნობის პირველივე დღეს მიხვდებოდა, რომ:

ეს ორი მწერალი — ილია და აკაკი — საქართველოს მთელ მაშინდელ გონებრივ ცხოვრებას განასახიერებდა.

მოგონებას მათ შეპირისპირებით დახასიათებაზე მთლად არ ააგებდა, თუმც შედარება მაინც გადასდევს თხრობას.

აკაკი ეჭვით უყურებდა ლაისტის შეხედულებას მის პოეზიაზე, ეგონა: თავს აძალებს, რომ მიუკერძოებელი იყოს და ამიტომ აქებს ჩემს ლექსებსო, — მაგრამ გერმანელი სწავლული ბოლოსდაბოლოს დაარწმუნებდა თავის გულახდილობაში და განუცხადებდა:

— როგორც ჭეშმარიტი ლირიკოსი, მაღლა დგახარ ილიაზე, შენ მომღერალი ხარ, ილია კი იდეური პოეტია.

ასეც არისო, — მოგვიანებით დაუბეჯითებდა მკითხველს, — პირწმინდად გრძნობითი ლექსების გარდა ილიას პოეზიაში მუდამ ჭარბობს აზრი, გრძნობა კი უფრო მკრთალად გამოსჭვივისო.

აკაკის რომ გაიცნობდა, იგი დაახლოებით 44 წლისა იქნებოდა და თმა-წვერში უკვე ჭაღარაც ეპარებოდა. პირველი პოეტური ძალმოსილება რასაკვირველია უკვე თუ არ მიქრებოდა, მისუსტდებოდა მაინც, მაგრამ შემოქმედებით ძალას კიდევ შერჩენოდა ახალგაზრდული გატაცება, მაშინ, როდესაც ილიას პოეტური შემოქმედება იმ წლოვანებაში უკვე გაქრობას იწყებდა.

ხოლო როდესაც მოიხსენიებდა მის გარდაცვალებას იმერეთში, მის მშობლიურ კუთხეში, საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ:

დასაფლავებით დედაქალაქში დაასაფლავებდნენ თავისი დიდების რაყიფის ილია ჭავჭავაძის გვერდით.

მართლა იყვნენ ისინი რაყიფნიო? — ამას მხოლოდღა რიტორიკულ შეკითხვად წამოჭრიდა, რათა დაუეჭვებლად განეცხადებინა: დიახ, ეს ასე იყოო.

ყურადღებას მიაქცევდა, რომ:

აკაკი და ილია ახლო მეგობრები არასოდეს ყოფილან, მაგრამ წინააღმდეგობის მიზეზებს აშკარად როდი ამჟღავნებდნენ. ამიტომაც იყვნენ ორივენი პატივსაცემნი.

ორივეს კარგად იცნობდა და პირადი დაკვირვება უფლებას მისცემდა ეს შთაბეჭდილება გამოეთქვა:

ისინი მალავდნენ თავიანთ გრძნობებს. უნდა ითქვას, რომ ორივე, როგორც ნამდვილი ფილოსოფოსი, ისე ეპყრობოდა ერთმანეთსო.

სხვა მოგონებაში კი გაიხსენებდა, რომ:

ნიკოლოზის ქუჩაზე ცხოვრებისას ილიასთან უფრო ნაკლებად დადიოდნენ სტუმრები. ივანე მაჩაბელი უკვე ცხადლივ უპირისპირდებოდა ილიას, რადგანაც ასე სურდათ მის მეგობრებს, რომელნიც მრავალი წელი ოპოზიციაში ედგნენ „ოთარაანთ ქვრივის“ შემოქმედს. ეს დაპირისპირება საქმისათვის უსარგებლო რომ გახლდათ, ივანე მაჩაბლის ჯანმრთელობისათვის კი — სულაც საზიანო.

ლაისტი ილიას საუბარში შეამჩნევდა, რომ უკმაყოფილო იყო და ამაზე ლაპარაკსაც ერიდებოდა.

აკაკიც მოუკლებდა ილიასთან სიარულს.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ორივე კვლავ ხშირად ხვდებოდა ერთმანეთს დავით სარაჯიშვილის სახლში, წინანდებურად საუბრობდნენ, თუმც... მათ საუბარს თავდაჭერილობა დაემჩნეოდა.

განზოგადებით კი ამგვარად განაზოგადებდა მათ ღვაწლსა და ადგილს უცხოელი სწავლული:

ნახევარი საუკუნის განმავლობაში ისინი თითქმის მხარი მხარს იდგნენ ქართული გონებრივი ცხოვრების ასპარეზზე, მაღლა ეჭირათ და იცავდნენ მის იდეალებს! ორივე ერთნაირი გულისწყრომითა და თავდავიწყებით ებრძოდა ყველას, ვინც კი ზურგს აქცევდა თანამემამულეთა და სამშობლოს მომავლის რწმენას; და თვით უმძიმეს დროსაც არა ჰკარგავდნენ იმედს ქართველი ერის კულტურული ცხოვრების მომავალი აღორძინებისაო.

თითქმის მხარი მხარსო...

თავშეკავებითაც კი ასე ითქმოდა, არადა „თითქმის“ მოსაშლელია და ილია და აკაკი მხარი მხარს წარმოგვიდგებიან, მათი რაყიფობა ისტორიის კულუარებში რომ ჩაკარგულა და ჰორიზონტზე კი ამოზიდულა ორი მონუმენტური სახება — თავიანთი მამულის თანამდევ უკვდავ სულებად...

იაკობ მანსვეტაშვილი როგორც კი აკაკის ახსენებდა, მაშინვე თვალწინ ამოესვეტებოდა: ახოვანი, ტანოვანი, გულმკერდიანი და ხუჭუჭთმიანი, დიდრონი, ცეცხლისმფრქვეველი თვალებითა და განუშორებელი ღიმილით ტუჩებზე.

და ისე მოეწონება ეს დახასიათება, რომ დასძენდა:

აი ნამდვილი, უტყუარი სურათი აკაკისაო.

სიბერისას რომ დიდად შეეცვლებოდა იერი?

ხუჭუჭი თმა აღარა ჰქონდა, თვალის ქუთუთოების სიდამბლესავით რაღაც დაემართებოდა, თვალები ეხუჭებოდა და მათ გასახელად თავი უკან უნდა გადაეგდო.

ეს იქნებოდა სიბერის უძლურება და უკუმიქცევა და... სწორედ ეს უკანასკნელი მომენტი აკაკის სიცოცხლისა უნდა გამოხატულიყო იმ ქანდაკებაში, რომელიც საოპერო თეატრის პატარა ბაღში დაიდგმოდა.

პირველ შეხედვაზე — გამოტეხილად უნდა ეთქვა მემუარისტს — დედაკაცი ეგონებოდა — თავგამწლიკული და ძუძუებგადმოყრილი, რაღაც ძველბერძნული ქანდაკების მსგავსი. და მხოლოდ შემდგომ და შემდგომ უნდა აღმოეჩინა, რომ აკაკი სრული ხატება გახლდათ ნამდვილი ვაჟკაცური სილამაზისა, მშვენიერებისა.

— მისი ხორციელი სილამაზე და სულიერი სავსებით იყო შეფერებული, შეხამებული. და ასეთი უნდა უჩვენოთ იგი ხალხს, მზარდ თაობას: გარეგან სილამაზესაც დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

აკაკის მოგონებაზე იაკობსაც ისევე გაუელიდა გულში უნებლიეთ ილიას ხსენებაც, როგორც სხვებს, და რაკიღა ეს ორი სახელი განუშორებელი რჩებოდა საზოგადოებრივ ცნობიერებაში, მათ შედარებასაც მოინდომებდა.

ილიას შინ ჯდომა, კარჩაკეტილობა უყვარდა.

აკაკი გარეთ ყოფნას, ხალხში გარევას რჩეობდა.

ვისაც ილიას ნახვა უნდოდა, ან მასთან შინ უნდა მისულიყო, ანდა ბანკში. აგერ თუნდ იაკობს ქუჩაში სასეირნოდ გამოსული ილია არასოდეს ენახა.

აკაკის ყველგან და ყოველჟამს ნახავდით.

ილია გულდახურული გახლდათ, მიუკარებელი, ძნელად თუ ვინმეს დაიახლოვებდა.

აკაკი პირიქით, გულგახსნილი იყო, ყველას ადვილად გადაუშლიდა გულს, მიიახლოვებდა.

მემუარისტი ვერ იტყოდა, რომ პირველს ეს სიამაყით მოსდიოდა და მეორეს — თავმდაბლობით. არა, პიროვნული ბუნება ჰქონდათ ასეთი. და ამითვე ხსნიდა, რომ ილიას მდაბიო ხალხში ისე არა ჰქონდა სიყვარული მოპოვებული, როგორც აკაკის.

დიდ ზღვარს რომ დასდებდა ილიასა და აკაკის პოეტურ ნიჭს შორის, იმიტომაც:

ილიას პოეზიაში ყოველთვის ჭკუა სჭარბობდა.

აკაკის პოეზია კი პირწმინდად ხალასი გრძნობა იყო, სავსებით რომ შეეფერებოდა ის სიტყვები, რაც ბესარიონ ბელინსკის ალექსანდრ პუშკინზე ეთქვა: ცეცხლია პოეზიისა, მასში წვეთიც არ არის პროზისაო.

და აქ დასძენდა: აკი ამიტომაც არ უყვარდა აკაკის პროზით წერა და არც ძლიერ ეხერხებოდაო.

— პოემები და უფრო კი წვრილი ლექსები, აი სად იყო მისი მიმზიდველი ძალა, აი რითი გვხიბლავდა და გვატყვევებდა ყველას.

ასეთ გრძნობას განიცდიდა, როდესაც ხანგამოშვებით, წვრილ-წვრილად კითხულობდა მის ლექსებს, მაგრამ დაიბეჭდებოდა მისი ნაწარმოებების სამი ტომი, დაეწაფებოდა მათ კითხვას სიამოვნებისა და აღფრთოვანების მოლოდინში, მაგრამ... დაე წარმოვიდგინოთ მისი გულისწუხილი, როდესაც მოლოდინი გაუცრუვდებოდა და არამცთუ გრძნობა არ გაეღვიძებოდა, არამედ გულის სიგრილეშიც კი ჩავარდებოდა. ეწყინებოდა, გულნატკენი დარჩებოდა, სინამდვილე არ გაამართლებდა მოლოდინს — გახურებული გული ცივ წყაროს წყალს ნატრობდა და... ამის მაგიერ დუბელა წყალი აღმოჩნდებოდა.

მიმართავდა ილიას ნაწერებს, იმავდროულად სრულად რომ დაიბეჭდებოდა. იკითხავდა და დატკბებოდა, თუმც ლექსი აქაც არ აგრძნობინებდა ძლიერ აღფრთოვანებას, მაგრამ სულს გაუნათებდა, ჭკუას მძლავრად აუმოქმედებდა და სულს სიამით დაუტკბობდა. ჩაუჯდებოდა ილიას პროზას — მისი პროზა ხომ იგივე პოეზიააო, დასძენდა — და კვირობდა მისი ჭკუის სიდიადეს, სიმდიდრეს, რომელიც უსაზღვრო სიუხვით მოფენილიყო ყოველ მის ნაწარმოებში. დაასრულებდა ყველა ნაწერის კითხვას და მხოლოდ ერთი ფიქრი შეაწუხებდა, ერთი სინანული გაუჩნდებოდა: ნეტა რად გათავდა, ნეტა რატომ მეტი არ დაწერა ილიამ?

იაკობ მანსვეტაშვილი ამას ახსნიდა ილიას სამსახურებით — ჯერ დუშეთში მომრიგებელ მოსამართლედ რომ მოუწევდა ყოფნა, შემდგომ კი ბანკის დირექტორად, იქ მოღვაწეობას კი მემუარისტი შეუფასებდა... თავის დამტვრევად და დაღუპვად, ბევრ სხვასაც რომ ჩაიყოლებდა. ამიტომაც გამოთქვამდა წუხილს: სხვა გამოსავალი უნდა მოენახა და არა ბანკი. და იქნებ ეს გამოსავალი არც ისე ძნელი საპოვნელი ყოფილიყო, ოღონდ გული გულობდესო, მაგრამ... აქ შედგებოდა: დაუკრეფავში არ შევტოპო და არ მითხრან: სხვა სხვის ომში ბრძენიაო.

აქაც ცილობას არ დაიწყებდა, მაგრამ რა ექნა, როდესაც ვაჟა-ფშაველას მაგალითი მოსვენებას არ აძლევდა?

თუმც ღარიბი და გაჭირვებული გახლდათ ვაჟა, მაგრამ როდესაც დაინახავდა, რომ სამსახური და თვით გაზეთშიც ყოველდღიური მუშაობა ხელს უშლიდა მის უზენაეს მოწოდებას, მაშინ ყველაფერს თავს მიანებებდა და გასწევდა თავის მთაში. და იმავე მაჯით, რომლითაც წერდა „მოხუცის ნათქვამს“, „გოგოთურ და აფშინას“, ამუშავებდა მიწას ლუკმაპურის შესაძენად და უკან კი აღარ დაიხევდა, არ უღალატებდა იმ უმაღლეს მოვალეობას, მიწაში არ ჩაფლავდა თავის ქანქარს, მომადლებულ ნიჭს.

და აკი ნაყოფსაც დიდს გამოიღებდა მისი ცხოვრების წესი. ხანგრძლივი სიცოცხლე არ ეღირსებოდა, მაგრამ ამ მოკლე ხანშიაც რამდენ სიმდიდრესა და ძვირფას განძეულობას შესძენდა ქართული მწერლობის სალაროს.

ასეთივე მაგალითს გვიჩვენებდა იაკობ გოგებაშვილიც.

როდესაც ისიც და ნიკო ცხვედაძეც მასწავლებლობდნენ სასულიერო სასწავლებელში და დიდად უწყობდნენ ხელს სემინარიელთა განვითარებას, მათი ნაციონალური გრძნობის გაღვიძებას, სასულიერო მთავრობა ორივეს არასაიმედოდ ცნობდა და სამსახურიდან გამოაძევებდა. და კიდეც გაიყრებოდა მათი გზები — ნიკო ცხვედაძე ისევ მასწავლებლად შევიდოდა საქალებო ინსტიტუტში, ხოლო იაკობ გოგებაშვილი სრულიად სხვა გზას აირჩევდა, აგერ მისი სეხნია სანიმუშოდ რომ დასახავდა:

სამსახურს სამუდამოდ მიანებებდა თავს და სავსებით საქვეყნო საქმეს შეუდგებოდა სამოსწავლო ასპარეზზე. განიზრახავდა ქართული სახელმძღვანელოებისა და სახალხო წიგნების შედგენა-გავრცელებას და ეს ნაბიჯი უფრო ღვაწლშემოსილებას, განწირულებას დაემსგავსებოდა.

და ნუ დავივიწყებდით, რომ:

საცხოვრებლად არაფერი გააჩნდა, სამსახურიდან გამოდევნილი ულუკმაპუროდ დარჩებოდა, შემწეობას კი არსაიდან მოელოდა და არც მიიღებდა — მეტად თავმოყვარე და ამაყი კაცი გახლდათ. მაგრამ არ შეუშინდებოდა შიმშილს, არ შედრკებოდა, მტკიცედ დაადგებოდა ცხოვრების ეკლიან გზას და მედგრადაც გაუმკლავდებოდა უმადურ წუთისოფელს, ოღონდაც თავისი დედააზრისათვის არ ელალატა.

ხომ შეიძლება იაკობ მანსვეტაშვილისათვის აკაკიზე მიეთითებინათ: მას ხომ თავის სიცოცხლეში არასოდეს უმსახურია, მაგრამ მანაც მალე შეწყვიტა შემოქმედებითი მუშაობა და ათასში ერთხელ თუ გამოიმეტებდა ქვეყნისათვის რაიმე პატარა ლექსსო?!.

ამაზე ჟურნალისტს ის პასუხი მოეპოვებოდა:

აკაკის პოეზია ცეცხლივით აენთო, ელვასავით თვალებში შემოგვანათა და ელვასავით მალევე ჩაქრა. შემოქმედებითი ცხოვრების გზაზე შედგა, დიდი მანძილი მიიზომა გასავლელად, მაგრამ თავისი ღონე ვერ შეუთანაწონა ამ მანძილს, საგზალი მალე შემოაკლდა და შედგა შუა გზაზე, ვეღარც წინ წავიდა და ვეღარც უკან დაიხია. ჭურჭელში რაც ჰქონდა, სავსებით გაგვიზიარა, მაგრამ ეს ჭურჭელი არც ისე დიდი აღმოჩნდა და არც ისე პირთამდე სავსე. ერთი სიტყვით, აღასრულა ყველაფერი, რისი შეძლებაც ჰქონდა, შექმნა სიმღერა მესტვირული, მწუხარების მსგავსი და სულიერად სამუდამოდ განისვენაო.

ერთ არასასიამოვნო ზნესაც აღნიშნავდა აკაკისა: შურიანი იყო, იჭვიანიო.

თურმე: ვაი შენი ბრალი, თუ მასთან ვინმეს აქებდი, ლექსს ან ნაწერს მოიწონებდი. იჭვშეპყრობილი დიაცივით გაკაპასებული მოგვარდებოდა და თავისი ღვარძლიანი ენით ისეთ ამბავს დაგაწევდა, თავბედს გაწყევლინებდა.

აგერ თუნდ ის ამბავი, მომხდარი პეტერბურგში, სტუდენტობისას:

მიუვიდოდათ ჟურნალი, სადაც დაბეჭდილი იყო ილიას ახალდაწერილი ისტორიული პოემა „დიმიტრი თავდადებული“. ქართველ სტუდენტთა წრეში განიზრახავდნენ ხმამაღლა წაკითხვას ამ პოემისა. აკაკიც იქ იმყოფებოდა. გათავდებოდა კითხვა. ყველა აღტაცებით ალაპარაკდებოდა ილიას მკვეთრ ლექსსა და მდიდრულ შინაარსზე. უეცრად წამოდგებოდა აკაკი გაფითრებული სახით და მიაძახებდათ:

— რა ჴნახეთ მანდ მოსაწონი? მაგაზე უნიჭო ჯერ არა დაუწერია რა ილიას!

ამომძრავებდა ენას და არ დააცხრობდა, ვიდრე გულიდან მთელ ნაღველს არ ამოანთხევდა.

ეს გულის ზაფრა ისეთი მოულოდნელი იქნებოდა, რომ ყველა გაშეშდებოდა და ხმის ამოღებას ვეღარ მოახერხებდა. არამცთუ ვინმე შეკამათებოდა.

ამავე მიზეზით ახსნიდა მემუარისტი, რომ აკაკი არ იწყნარებდა ვაჟა-ფშაველას, არა ცნობდა ნიჭიერ პოეტად.

რატომო? — რომ ჰკითხავდნენ, პასუხობდათ: ენა არ მომწონს მისი, არ მესმის, სიტყვებს განგებ ამახინჯებსო.

შეკამათებას ვერ შებედავდა იაკობ მანსვეტაშვილი, გუნებაში კი გაივლებდა: სიტყვის დამახინჯება რა შუაშია, ვაჟას კი არ ამახინჯებს, არამედ იყენებს ისეთ სიტყვებსა და მათ ისეთ მიხრა-მოხრას, რაც მიღებულია მთელ მთაში. ეს დამახინჯება კი არა, გამდიდრებაა

ქართული ენისა. ესეც რომ არ იყოს, განა სათქმელია, რომ ამასა და ამას პოეტად არა ვცნობ, რადგანაც ჩემთვის გასაგები ენით არა წერსო? მაშ თუ ეგრეა, რუსებს არ უნდა შეეწყნარებინათ თავიანთი უდიდესი მწერალი ნიკოლაი გოგოლი, რადგან ბევრ მის ნაწერში ხშირად შეგხვდებათ უკრაინული სიტყვებიო.

ჯერ ეჭვიანობა თქვით და მერე კიდევ შურიანობა!..

ძალზე არასახარბიელოდ წარმოგვიდგება აკაკი — ეჭვს კიდევ რა უშავს, მითუმეტეს, როდესაც ქვეყანა ასეთ მძიმე დღეშია ჩავარდნილი და ყოველი მხრიდან მზაკვრობაა მოსალოდნელი და მახეს გიგებენ, ოფიციალური ბრძანებები და მოთხოვნები ყოველთვის იმგვარია, როგორმე თვალი აგიბან და გარეგნული სიკეთის მიღმა აგრძელონ ავი საქმენი და ვინ იცის ქვეყნისათვის ისე საბედისწერონიც ერთი თუ თვალი მოუხუჭე, ეელარც დააღწიო თავი უფსკრულისაკენ დაღმასვლას.

ამიტომაა აუცილებელი თვალის გაფაციცება, ყველაფრის გულდასმით ჩხრეკა და ეჭვიანი მზერით ჭვრეტა, ხან ეგებ გადამეტებული ეჭვიანობაც გამოიჩინო, მაგრამ მაინც კიდევ ესა სჯობს თავის დასაზღვევად, ვიდრე წამიერად თვალის მოხუჭვა თუ გულის დაარხეინება: ისეთი სახიფათოც განა რა უნდა იყოს მოსალოდნელიო!...

ასე რომ: ეჭვიანობა პიროვნული თვისება კი აღარ არის, არამედ — სოციალური, და ბუნებითაც რომ არ მოგდგამდეს, როგორმე უნდა შეიძინო, თუკი საქვეყნო ასპარეზზე გამოსულხარ და ჭირ-ვარამის წინააღმდეგ შემართულად დაუგულებიხარ ხალხს.

მაგრამ... შურიანობა?

ეს უკვე ვერასგზით ვერ ჩაითვლება სოციალურ მოვლენად და პიროვნული ნაკლია, არცთუ ადვილად მისატევებელი.

მაგრამ... თუ მართლა ახასიათებდა აკაკის?

რას ვიზამთ, უნდა შევეგუოთ, რომ ეს პიროვნული ზადი ჰქონია, რაკიღა გვიმოწმებს მისი დიდი პატივისმცემელი და მაღიარებელი.

არადა როგორ გინდა დაიჯერო, რომ ამხელა იუმორის პატრონი თავს ვერ ერეოდა, რათა ვინმეს შური არ მოჰკიდებოდა — ასეთი ლაღი ბუნებისა და თავის თავში უზომოდ დარწმუნებული პიროვნება როგორ უნდა შეჭმევინებოდა შურს?..

მაგრამ რასაც იაკობ მანსვეტაშვილი გვამცნობს, თითქოს სხვა შთაბეჭდილება არც დაგრჩება და... შესაძლოა წამოგვაცდენინოს კიდეც: რას ერჩოდა ან ილიას იმ პოემას და ან ვაჟა-ფშაველას ენობრივ სტილსო?!.

თუმც... ეგებ გვეცადა უფრო ღრმად ჩავყოლოდით აკაკის ამ „გამოხდომებს“ და უფრო დაკვირვებული ახსნა მოგვეძებნა?

იქნებ ვინმეს კიდეც ეცადა ეს ახსნა და ძალიანაც გამოგვადგეს მისი დაკვირვება?

რაღა ვინმეს: აგერ სოფიო ჩიჯავაძე-კედიას თავის ავტობიოგრაფიულ რომანში „ნასმენ-ნახული“.

სოფიო ძალიან დაუახლოვდებოდა ტასო მაჩაბელს, რომელთანაც ხშირად ჩამოდიოდა იმერეთიდან აკაკი წერეთელი და ხანგრძლივადაც რჩებოდა.

ერთხელ შეიყვანდა ტასო იმასთან და ასე წარუდგენდა:

— აი ეს კახელი ქალი ილიას დიდი თაყვანისმცემელია.

აკაკი გაიღიმებდა და ჰკითხავდა, რას და როგორ ასწავლიო? უკვე იცოდა, რომ ქართულ გიმნაზიაში მასწავლებლობდა.

სოფიო ჰკითხავდა ჩვენი ენის ზოგიერთ საკითხზეც, ეთქვათ, პროვინციულ გამოთქმებსა და ტერმინებზედ, თუმც გიმნაზიაში ჰყავდა პეტრე მირიანაშვილი — როგორც მეტრი ქართული ენისა, მაგრამ რა გასაკვირია, აკაკის აზრი უფრო მნიშვნელოვანი ყოფილიყო მისთვის.

ისიც დიდი სიყვარულით აუხსნიდა და მოისმენდა მის შეკითხვებს.

ერთი სიტყვით ხშირად ხვდებოდნენ და, როდესაც სოფიო ვერ შევიდოდა მეგობართან, აკაკი ეუბნებოდა ხოლმე ტასოს:

— ის ქალი ვეღარა ვნახე, არცერთი ქართველი ქალი არ შემხვედრია, ასე მოწადინებული ქართულის შესასწავლად და ასეთი კითხვებიც არავის მოუცია.

მაგრამ ეს ტკბილი საუბრები სოფიოს ერთ საღამოს ძალიან ჩამწარდებოდა, როდესაც აკაკი სხვათა შორის ჰკითხავდა:

— აი შენ გიყვარს ილიას შემოქმედება, აბა ერთი მითხარი, რა მოგწონს ან რასა წერდა?

და ვიდრე ეს უპასუხებდა, ის განაგრძობდა:

— მაგრამ შენ რა გეცოდინება, როდესაც თვითონ იმანაც არ იცოდა, რასა წერდა.

ეს სიტყვები საშინლად ააღელვებდა ქალს და თავშეუკავებლად მისებურად მიახლიდა:

— მაშ დასაფლავების დღეს თქვენ სიტყვაში რადა თქვით: უკვდავი ხარ, ილიავო?

ილიას დასაფლავებისადმი მიძღვნილი ის კრებული სოფიოსათვის მოსკოვში გაეგზავნა თამარ ფალავანდიშვილს, ყველას მიერ წარმოთქმული სიტყვა შესწავლილი და შეფასებული ჰქონდა, და ყველაზე მეტად მოსწონდა ილია ზურაბიშვილის სიტყვა: „საქართველოს ჭირისუფალო, ილიავ!“

ამაზედ აკაკი გაიღიმებდა და ეტყოდა:

— იმიტომ ვუწოდე უკვდავი, რომ ისეთ პირობებში განშორდა ამ სოფელს, ხალხი ამას არ დაივიწყებს.

ქალი წამოდგებოდა და გაანჩხლებული მიაძახებდა:

— მაშ თქვენ იმერულად მოგსვლიათ.

და კიდეც გამოიკეტავდა კარს. და შემდგომშიც აღარ შევიდოდა და აღარც დაელაპარაკებოდა. გონზე ვერ მოსულიყო, ვერაფრისდიდებით ვერ აეხსნა, რად უნდა ეთქვა აკაკის ის სიტყვები. ხან ამასაც იფიქრებდა: იქნება მცდიდა, უნდოდა გაეგო, როგორ დავიცავდი ილიას, მის ნაშრომებსო... გულს აწყდებოდა, მაგრამ... როდესაც აკაკის დასაფლავებას მთელი საქართველო დაესწრებოდა, მხოლოდ სოფიო ჩიჯავაძე დარჩებოდა შინ სავსებით შეგნებული — ვერ აპატიებდა და ვერა იმ სიტყვებს: თვითონ იმანაც არ იცოდა, რასა წერდაო.

ამისდა მიუხედავად მის პოეზიას შემდეგში ბევრ ახალგაზრდას შეაყვარებდა, და ეს არ გაუძნელდებოდა, რაკიღა მტკიცედ სწამდა: ნამდვილი პოეტი ესა გვყავსო, — მაგრამ გულიდან კი იმ მწარე გრძნობას ვერ განდევნიდა. ბარემ ძალიანაც უნდოდა დაევიწყებინა, მაგრამ მის ნებაზე იყო რო?!.

მაშ თქვენ იმერულად მოგსვლიათო...

იმერულობით უფრო ხსნიდნენ ამ პიროვნულ თვისებას, თუმც საერთოქართული უფროა და ზოგადადამიანურიც, მაგრამ ეტყობა ამა თუ იმ კუთხეში უფრო იჩენს ხოლმე თავს ხასიათის ესა თუ ის შტრიხი, უფრო მკვეთრად ცნაურდება და თვალშისაცემიც ამიტომაააა, ჩვენში კი იმერლებს მიაწერდნენ: მზად რომ იყვნენ, ყოველთვის საპირისპირო ემტკიცებინათ, და მითუფრო მონდომებითა და ენერგიულად, რაც უფრო მეტი მომხრე ეყოლებოდა ამა თუ იმ პიროვნებას, მოვლენასა თუ შეხედულებას; ანდა — რაც მეტი მაძაგებელი!..

და... აკაკისაც ეს თვისება ხომ არ მოსდგამდა?

* * *

ნინო დადიანი, რომელსაც გრიგოლ რობაქიძე მოიხსენიებს ცოცხალ მატიანედ ჩვენი ახლო წარსულისა, ერთ ისეთ ამბავს მოუყვებოდა, მწერალი მიიჩნევდა სნორუპოვარ დეტალად ადამიანის ფსიქიკისა.

ერთ გონებამახვილ იმერელ აზნაურს ეთქვა მეორისათვის:

— შენ იმდენ მიქებ „იმ“ კაცს, რომ იგი უთუოდ შემომელანძღება.

გრიგოლ რობაქიძეც იმ იმერელ აზნაურად იქცეოდა ერთხელ.

აკაკი წერეთელი — არაერთხელ.

მოსდგამდა და ეგაა!..

ყოველ შემთხვევაში სოფიო ჩიჯავაძე-კედია ამ მხრივ იმერეთის ტიპურ წარმომადგენლად მიიჩნევდა, თვით მისი დიდი ინტელექტიცა და ერუდიციაც რომ ვერ ფარავდა ამ ყმაწვი-

ლურ ჟინს, ამ თავისებურ არტისტიზმს საერთო აზრისა და მდინარების წინააღმდეგ სვლისა, სულ კამათის გუნებაზე ყოფნისა და შეხედულებათა ჯახაჯუხისა.

ის კი არა, კამათისა და ჯახაჯუხისა საკუთარ თავთანაც, ერთ თვალსაზრისზე დგომა რომ უძნელდებოდა და შესაძლოა მაშინვეც შემოეტრიალებინა ნათქვამი.

ყველას მოსწონს „დიმიტრი თავდადებული“ და... აკაკი ყელში უნდა წვდეთ.

ყველას მოსწონს „მეფე ლირის“ ქართული ორეული და... აკაკიმ უნდა აითვალწუნოს და ენობრივი შეცდომები ეძიოს მთელი მონდომებით.

ყველა აღტაცებულია ვაჟა-ფშაველას პოეტური სამყაროთი და... აკაკიმ უნდა წაჰკრას ყისტი და მაინცდამაინც იქ მიიტანოს იერიში, ვაჟას ყველაზე ძალიან რაც ეამაყება თავის მხატვრულ ნააზრევში.

ყველა აღფრთოვანებულია ალექსანდრე ყაზბეგის ბელეტრისტული თხზულებებით და... აკაკიმ უნდა უყუროს გამკილავად, ხოლო როდესაც ცილისწამებისა და შეურაცხყოფის ქსელში გაჰხვევენ კავკასიური ილიადას შემოქმედის სახელს:

უპირველეს ქომაგად აკაკი უნდა მოევლინოს.

კამათისა და ჯახაჯუხისა საკუთარ თავთანაცო...

თუნდ იმ დღეს, ახალგაზრდა პოეტებზე რომ ჰკითხავდნენ თავის აზრს, ერთბაშად ისე ჩამოარიგებდა ბრწყინვალე ეპითეტებს, ალექსანდრე აბაშელს შთაბეჭდილება დარჩებოდა: თითქო ბავშვებს შობის ხის საჩუქრებს ურიგებსო.

ვარლამ რუხაძე იყო და: უთუოდ ნიჭიერი პოეტია, კარგად აქვს მოზომილი სიტყვის ძალა და დაყინებით ერთ წერტილს უმიზნებს. იცის, რომ პოეტს მიჯნურივით უნდა „ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშიკობდესო“.

გიორგი ქუჩიშვილი იყო და: ნამდვილი ტრიბუნია, ხალხიდან გამოსული მედროშეო.

სანდრო შანშიაშვილი იყო და:

ჩინებულად ეხერხება „ლექსთა გრძელთა თქმა“ და აქვს პოეტური შემოქმედების ხვავიო.

იოსებ გრიშაშვილს ტოლი არა ჰავს „სააშიკო, სალაღობო“ პოეზიის დარგში, მისი ლექსები საღამოს ციცინათელებივით დაფრინავენ ყვავილებშიო.

ალექსანდრე აბაშელი იყო და: სწორ და ნათელ გზაზე დგას და ღმერთს მოუმადლებია მისთვის „მართლად ცემის და მარჯვედ ქნევის“ ნიჭი. იაროს ამ გზით და უთუოდ გაიმარჯვებსო.

თანაც მათი დახასიათებისას სულ რუსთველური სტრიქონებიც რომ ეკერა პირზე, რითაც ქებას კიდევ უფრო განამტკიცებდა.

თუმც... უეცრად უნდა შეეხვია და ახალგაზრდა მგოსნებს ზოგადად რომ დაუწუნებდა დაკვირვების უნარს, ცხოვრების სიღრმიდან გარიდებას, შრომისმოყვარეობას, მზამზარეული ყალიბების გამოდევნებას — რაც პირზე მოადგებოდათ და რასაც გაიფიქრებდნენ, მაშინვე ლექსად რომ გადმოანთხევდნენ, კიდეც სათითაოდ უნდა მისდგომოდა თავისვე ნაქებ პოეტებს და ყველასათვის უცერემონიოდ აერთმია შობის ხის საჩუქარი.

ვარლამ რუხაძე იყო და: ღარიბი იმერელი გლეხის პატარა ეზოსავით ვიწროდ შემოეზღუდა შემოქმედების არე და სოფლის დიაკვანივით გაუთავებლად ემეორებინა ერთი და იგივე „მამაო ჩვენო“.

სანდრო შანშიაშვილი იყო და: მის ლექსს არც თავი ჰქონდა, არც ტანი და არც ბოლო.

იოსებ გრიშაშვილი იყო და: „ოქროს ფეხიო“, რომ ამბობდა, ის „ოქროს ფეხი“ ყვითელი იქნებოდა და ამ ფერის ფეხი — მტრისას — მხოლოდ მკვდარს თუ ექნებოდა, და თუ ცოცხალს, მაშინ რაღაც სიბინძურეში ჩაეკრა.

ალექსანდრე აბაშელი იყო და: სიტყვების აკვიატება უყვარდა — მზის სხივები ჩავაქსოვეო, შუქი მთვარეს ჩავაქსოვეო, სხივი წვიმას ჩავაქსოვეო... რატომ არ ეშვებოდა ამდენ ქსოვას?

გიორგი ქუჩიშვილი როგორღაც ხელიდან დაუძრებოდა, ალბათ იმიტომ, რომ ამათზე კიდევ უფრო დაბალი რანგის მგოსნად მიიჩნევდა... იმ ნამდვილ ტრიბუნსა და მედროშეს... და აწ უკვე მოხსენიებადაც აღარ უღირდა...

წამიერად წარმოვიდგინოთ ილია ჭავჭავაძე, რომელიც ერთბაშად ცელის აღმატებულ ეპითეტებს დამაკნინებელ შეფასებებზე.

წამიერი წარმოდგენაც გაგიძნელდათ, არა?..

აკაკისათვის კი ეს ჩვეულებრივი რამ არის, იმ წუთებში კი არ დაემართა რაღაც და უნებლიეთ კი არ შეახვევინა საპირისპირო მიმართულებით.

მისი პიროვნული ბუნებაა ასეთი.

და სოფიო ჩიჯავაძესაც ამიტომ გამოეპასუხებოდა, ილიას თაყვანისმცემლად რომ გაეცნობდნენ, თორემ მაჩაბლისტი რომ ყოფილიყო, აკაკი აუცილებლად შეეცდებოდა მის გადარწმუნებას: ილიაზე ეგრე ლაპარაკი არ შეიძლება, სად ილია და სად ვანო, რამ გაგამაჩაბლისტაო!..

ამიტომაცაა აკაკის ეს პიროვნული თვისება გაცილებით უფრო რთული მოვლენა, ვიდრე შურიანობის დანამებაა.

იმპულსურად ხდებოდა ეს ყოველივე, მისთვისაც აუხსნელად, ეგებ მართლაც იმერული არტისტიზმისაგან მომდინარედ: ეს რა მემართებაო, — მარტო დარჩენილს კიდეც რომ ეღიმებოდა — და უსათუოდ ეღიმებოდა — თავის თავზე... მაგრამ საკუთარ ბუნებას განა ვინ წასვლოდა, მაინცდამაინც აკაკი რომ დასხლტომოდა?!.

აგერ კიდევ:

არ დაიღლებოდა აკაკი 60-იანი წლებისა და იმჟამინდელი ახალგაზრდობის ქება-დიდებით, ყოველგვარი აღმატებული ეპითეტი რომ გაემეტებოდა მათთვის, როგორც მდორე კალაპოტში მიმდინარე ცხოვრების შემომტრიალებლებისა და გამყვანთა დიდსა და მჩქეფარე ასპარეზზე, მაგრამ აი დაიბეჭდებოდა მისი სტატია „განთიადი“ 1896 წლის „კვალის“ 12 მაისის ნომერში და...

ჯერ რუსეთის 60-იანი წლების შეფასებას მიჰყოფდა ხელს და საკმაოდ გროტესკულ სურათადაც გამოჰკვეთდა დაპირისპირებას მწერალთა ორ ბანაკს შორის, ერთნი რომ ამტკიცებდნენ: ხელოვნება მხოლოდ ხელოვნებისათვის უნდა იყოს და არა ცხოვრებისათვისო, — მეორენი კი ირწმუნებოდნენ: ხელოვნება ცხოვრებისათვისო.

აიშლებოდნენ და ბრძოლა ისე გამწვავდებოდა, ორივე მხარე უკიდურესობაში ჩავარდებოდა და გზა და კვალი აერეოდათ: წმინდა ხელოვნების მიმდევარნი ჰაერში მოინდომებდნენ ფრენას და მინას ფეხს აღარც დააკარებდნენ, ყოველდღიურ ავკარგიანობას ზურგს შეაქცევდნენ და მხოლოდ „ტკბილხმოვანებასა“ და „საამო ფერადობას“ მოიქარგავდნენ დროშაზე!.. და მეორე მხარეც ისეთი ვიწრო ფარგლით შემოზღუდავდა ცხოვრებას — თითქოს ადამიანი პირუტყვზე მაღლა აღარც მდგარიყოს — რომ ყოველივეს, რაც სულით ამაღლებდა ადამიანს და უახლოებდა ციურს, მტკიცედ უარყოფდა!.. და თამამად და გულწრფელად ამტკიცებდა, რომ: მოცარტისა და ბეთჰოვენის მუსიკაზე უფრო სასიამოვნოდ გასაგონი გოჭის ჭყივილი გახლდათ, ორფეოსის სიმღერას კი ძაღლის ყეფა სჯობდა და მჭევრმეტყველებას — ბლოყინსიტყვაობა, როგორც ცხოვრებაში უფრო გამოსადეგი.

ხოლო ის, ვინც ორივე მხარეს განზე გაუდგებოდა და მათ უკიდურესობას უარყოფდა, არც იქით იქნებოდა და არც აქეთ და შუათანობას აირჩევდა, ორივე გუნდისაგან შეურაცხყოფილი დარჩებოდა, როგორც ივან ტურგენევი თუ ალექსეი ტოლსტოი.

ეს უცნაური და უკუღმართი მოვლინება იმ დროში რომ შეაფერხებდა რუსეთში ყოველგვარ ხელოვნებას, დაე იმათ თავისი ედარდათ და ეთავშიცემათ, ხოლო აკაკი თავისას წუხდა, რომ: ეს საშიში სენი ჩვენც გადმოგვდებოდა მაშინ, ქართველებს, და უფრო მეტი ვნებაც ჩვენი ქვეყნისათვის მოეტანა, ვიდრე რუსეთისათვის.

და ეს იმიტომ, რომ:

ნიჰილიზმად წოდებული ეს სენი რუსეთში კანონიერი მოვლინება გახლდათ, როგორც მაშინდელ დროთა ვითარების ძალით რუსეთისვე ცხოვრებიდან გამოწვეული, მაგრამ ჩვენში კი წამხედურობით გადმოტანილიყო და ნაძალადევად და ამიტომ მეტი ვნებაც მოეტანა.

და შეგვახსენებდა აკაკი, რომ:

ზოგიერთ სახადს, მაგალითად ყვავილს, განგებ აუცრიდნენ ხოლმე კაცს, რათა ნამდვილისათვის ძალა დაეკარგვინებინათ. და ის სენი ანუ სახადი სწორედ აცრა გამოდგებოდა ძროხის ყვავილივით რუსეთში, მაგრამ ჩვენში კი ნამდვილ ჭირბოროტად შემოვიდოდა, დაგვასახიჩრებდა და დაგვაწყლულებდა.

რუსეთი ათ წელიწადში მოინელებდა ამ სენს, მაგრამ ჩვენ...

— თითქმის ნახევარი საუკუნე გადის და, ვერ მოგვიხდია. ყოველგვარი ხელოვნება დღემდისაც შეფერხებულია ჩვენში და ხალხმაც სწორ-მხედველობის სასწორი დაჰკარგა. ჩანგურ-სალამურის ადგილი „ბუზიკამ" დაიჭირა, მშობლიური ხმები, საიდანაც ჩვენი წარსულის კვნესა-სიცილი გამოისმოდა, საუკუნოებით იყო გადმოცემული, — როტიდან გამოსულმა სიმღერებმა გააძევა.

სანიმუშოდ მოიხმობდა „მრავალჟამიერს", რომელსაც დიდი და პატარა იმღეროდა და ლამის ძაღლებიც კი მის კილოზე ზუოდნენ და ისე შესისხლხორცებოდა მთელ ქვეყანას, თითქოს მისი ცხოვრების ნაყოფი ყოფილიყოს.

მხატვრობაზე სულ აღარაფერი გეეთქმოდა და... რაც შეეხებოდა მწერლობას, ის ხომ სათვალთვალოდ გადაუკუღმართებული და დამახინჯებული გახლდათ და: დამპალი ჯირკებივით და ხმელი ფიჩხივით აქა-იქ მოკრეფილი სხვისი ნაწყვეტი აზრები და ღაზლის ძაფით შეკონვილნი, საკუთარი სიბრძნე-მეცნიერება გვეგონა, სიტყვების უსიამოვნო ბრახაბრუხი — მუსიკა ჰარმონია, და გაბერილი აზრების ფართიფურთი — პოეზია!..

ეს მკაცრი მუნათი სხვაგვარად როგორ მოთავდებოდა, თუ არა ამ შეფასებით:

— შეცდომით ვეძახით მესამოცე წლებს ჩვენში წარმატების და აყვავების ხანას ხელოვნების მხრით: ეს თითქმის ნახევარი საუკუნე შავ ლაქათ დარჩება ჩვენს სალიტერატურო ისტორიაში.

მოელოდა, რომ ეტყოდნენ:

— თუ ყველა არა, ორიოდე შესანიშნავი მნათობი მზე ჩვენცა გვყავდაო.

მაგრამ ამ აზრს წინდაწინვე გამოეკამათებოდა:

ეს თავის მოტყუებაა, მე მგონია, რომ ფუტურო მივიღეთ ნამდვილ მნათობად, თორემ სადაც ძლიერი მზე არის, იქ სხვა მნათობებიც იჩენენ თავს და მთვარეც ანათებს მზისვე წყალობით სხივებშესხმულიო.

ფუტუროდ იმიტომ მოიხსენიებდა მზედ გამოცხადებულთ და ასე ზემოთ შეტყორცნილთ, რომ:

თუ მართლა ასეთი ძლიერი წარმომადგენელნი გვყავდნენ მაშინ ლიტერატურისა, მათივე მოფენილი სხივების წყალობით გარს რატომ ვერ შემოეხვიათ მთელი დასი?

პასუხი ერთი შეიძლება ყოფილიყო:

ალბათ ჰკლებოდათ ძალა და მხურვალება.

გულწრფელად კი ეს ითქმოდა თუ ითქმოდა:

ნამდვილი განთიადი ხელოვნებისა მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში დგებოდა.

ამას კი ამტკიცებდნენ ახალგაზრდა მწერლები თავიანთი პატარ-პატარა ფსიქოლოგიური ეტიუდებით, რომელთა რიცხვშიც პირველ ადგილს იკავებდა შიო არაგვისპირელი.

რაო, ბევრი გაიოცებდა შიო არაგვისპირელის დასახვას ორიენტირად და შეეკამათებოდა: მაგრე პატარა რამეებზე არა ღირს ლაპარაკიო?

მაგრამ დაე შეეგნოთ, რომ: ხელოვნებამ ზომისა და წონის მხრივ არ იცოდა დიდი და პატარა.

თვალსაჩინოებისათვის მოიშველიებდა გამოჩენილი ესპანელი მხატვრის მურილიოს ნახატს, პატარა ტილს რომ გამოსახავდა. როდესაც მას გამოფენდნენ მსოფლიოში სანიმუშოდ და ქვეყანა აღტაცებოდა, ერთი უნიჭო მხატვარი დახატავდა სპილოს და ჩამოუკიდებდა გვერდით... და გაიკვირვებდა, ყურადღებას რომ არავინ აქცევდა: როგორ, ჩემი ნახატი უფრო დიდი არ არისო?!.

აკაკი ბოდიშის მოხდით, მაგრამ მაინც განაცხადებდა:

უმეტესობას ჩვენშიაც ასე ესმის ხელოვნებაო.

გახარებით კი ის ახარებდა, რომ:

— ეს დღევანდელი პატარ-პატარა ფსიხოლოგიური ნაწყვეტები მამლის ყივილით განთიადის წინამორბედი არიან ჩვენი ცხოვრება-ლიტერატურაში.

არამცთუ შიო არაგვისპირელის მცირე თხზულებანი აიზიდებოდა მამლის ყივილივით განთიადის წინამორბედად, აგერ ერთი ამგვარი რამ იმ დღეებშიც დაბეჭდილიყო საყმაწ-

ვილო ჟურნალში „ჯეჯილი“. როგორ ამბობდა ვოლტერი? ყმაწვილებისათვის ის არის კარგი და სასარგებლო, რაც არც დიდებს აწყენსო.

და პატარა ბოტანიკური მოთხრობა თედო რაზიკაშვილისა „ფითრი“, როგორც ხელოვნების მხრივ, ისე თავისი კილოთი გახლდათ გამტაცი ახალგაზრდა გრძნობა-გონებისა და იმავდროულად დიდად საგულისხმო დიდებისთვისაც.

და ურჩევდა ყველას აკაკი: აუცილებლად წაიკითხეთო.

აქ გამოხატულიყო ჩვენი ქვეყანა და ძველთაგანვე მის გულში შემოხიზნული ერი. ეს გახლდათ ისტორია ჩვენი ცხოვრებისა და იმავდროულად ებრაული წინასწარმეტყველება მომავალზე. და ვინც გულდადებით წაიკითხავდა, აკაკისთან ერთად იტყოდა:

ახალი ხანა დგება ჩვენს მწერლობაში და მისი განთიადიც მოახლოებულიაო.

შიო არაგვისპირელის ნოველებისა და ეტიუდების და თედო რაზიკაშვილის „ფითრის“ ბადალი ვერა ეპოვნა რა მანამდელ ლიტერატურაში, და ეს იმ „მანამდელში“, რომლის საქებრადაც სხვა დროს სიტყვები და ეპითეტები არა ჰყოფნიდა!..

ამჯერადაც იმპულსურად მოხდებოდა ეს ყოველივე, მისთვისაც აუხსნელად.

რაც მთელი არსებით უპირისპირდებოდა მანამდე და არავის პატიობდა, სამოციანელებს განსაკუთრებულ პატივს ვინც არ მიაგებდა, ახლა ლამის იმათთვისაც გადაეჭარბებინა, თორემ მათ შორის ხომ ჩამდგარიყო და ჩამდგარიყო, იმ მოწინააღმდეგეთა, და აგერ შეცდომად აცხადებდა სამოციანი წლების შეფასებას წარმატებისა და აყვავების ხანად, და მოიხსენიებდა... სულაც შავ ლაქად. ეს მაინც რა არის, არა? — შავ ლაქად. და აღიარებულ სახელებს, მზესთან შეთანაბრებულთ, ფუტუროსთან თუ გააიგივებდა.

აკლდათ ძალა და მხურვალებაო...

და მათ შორის უპირველესად თუ ვინმეს, ილია ჭავჭავაძეს იგულისხმებდა, როგორც აღიარებულ — თუმც აკაკის მიერ არა! — მეთაურს იმ მოძრაობისა, რეფორმისტული სულით რომ აღიბეჭდებოდა.

მოჩვენებითი განთიადი ნამდვილ განთიადად ვითომ რატომ უნდა დაედასტურებინა?

რა ხდებოდა:

საბოლოოდ გადააფასებდა თავის წინანდელ შეხედულება-შეფასებას?

რასაკვირველია — არა!..

მალევე დაუბრუნდებოდა თავის იმ ზურგშექცეულ მტკიცებას და 60-იან წლებს კვლავაც მიიჩნევდა წარმატებისა და აყვავების ხანად, იმ მოღვაწეთ კი ნამდვილ მნათობებად, რომელთაც არც ძალა ჰკლებიათ და არც მხურვალება.

მაშ... ამ შემთხვევაში რა მომხდარიყო?

აკი — იმპულსურადო.

აკი — მისთვისაც აუხსნელადო.

როგორც გენებოთ, ისე ახსენით, მაგრამ გული კი არ მოუთმენდა, თავისივე მტკიცების საპირისპირო შეხედულებანი ადრე თუ გვიან რომ არ გამოერია: ერთხელ მაინც.

კიდევ აგერ:

ავტობიოგრაფიულ რომანში „ჩემი თავგადასავალი“ საგანგებოდ წარმოაჩენდა ძიძაობის ინსტიტუტს, როგორც სოფელში ყმაწვილის გაბარების ისტორიულ ჩვეულებას, საკუთარ თავზეც რომ გადაეტანა და ამიტომაც ამ ჩვეულებასა და ამ ინსტიტუტს შიგნიდან, გულისგულიდან იცნობდა:

მეფეები და მთავრები ერისთავებს აბარებდნენ და აზრდევინებდნენ თავიანთ შვილებს, ერისთავები და დიდებულები — აზნაურებს, და აზნაურები კი — გლეხებს, უფრო ხშირად თავადებიც გლეხებს რომ აზრდევინებდნენ.

დაე მკითხველს სცოდნოდა, რომ: მაშინდელი მშობლები უგულონი სულაც არ იყვნენ და შვილებიც დღევანდელ დედებზე ნაკლებ არ უყვარდათ!..

აქ სულ სხვა მიზეზები და საფუძველი არსებობდა და აკაკი კიდეც გაგვითვალსაჩინოებდა, რომ:

ეს გაზრდილ-გამზრდელობა აკავშირებდა ერთმანეთთან სხვადასხვა წოდებას. და გარდა ნათელმირონობისა, თითქმის სისხლხორცობა არ მიაჩნდათ ისეთ მტკიცე კავშირად, როგორც

გამზრდელ-გაზრდილობა. ამიტომაც იყო, რომ არათუ ძიძის შვილები და მათი ახლო მონათესავენი, მათი შორეული მოყვრებიც კი მზად იყვნენ ყოველ შესაფერ შემთხვევაში თავი დაედოთ გაზრდილის გულისათვის და გაზრდილიც ყოველთვის ექომაგებოდა ამ ხალხს, და ამის გამოისობით ხდებოდა სწორედ, რომ ამ უკანასკნელ საუკუნემდე ჩვენს ქვეყანაში უფრო კაცური და კეთილი განწყობილება სუფევდა მაღალ და დაბალ წოდებას შორის, ვიდრე სხვა ქვეყნებში.

ამ უკანასკნელ საუკუნემდეო...

გამჭვირვალე ქვეტექსტი მიანიშნებდა, რომ ამ „უკანასკნელ საუკუნეში" მოშლილიყო ეს კაცური და კეთილი განწყობილება, მორღვეულიყო ტრადიციული ჰარმონიული და ბუნებრივი ურთიერთობა თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის, და თუ რატომ მაინცდამაინც „ამ უკანასკნელ საუკუნეში", ისედაც მკაფიოდ ცნაურდებოდა და ზედმეტი განსჯა აღარც სჭირდებოდა, თუნდ ცენზურის ჩარევის შიში არცა გქონოდა.

საერთოდ კი ეს განსჯა ძიძაობის ინსტიტუტისა არამარტო კეთილად მოიხსენიებოდა, არამედ სულაც დითირამბში გადაიზრდებოდა, აკაკის ბედის წყალობად რომ ესახებოდა, თვითონაც რომ მოესწრებოდა ამ ტრადიციის მოქმედებას.

— რა თქმა უნდა, რომ ამ გონივრულ ჩვეულების მიზეზი იყო ჩემი სოფელში გაბარებაც. და კურთხეულიმც იყოს ეს ჩვეულება!.. არ შემიძლია არ გამოვტყდე, რომ თუკი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხის შვილებთან ერთად ვიზრდებოდი.

ასეთი აღმტაცი სტრიქონების გაცნობის შემდგომ განა შეიძლება იფიქრო, რომ აკაკი ოდესმე წუნს დასდებდა ძიძაობის ინსტიტუტს? და თავის გაძიძავებას მწარე გულისტკივილით გაიხსენებდა?

დაუჯერებელია... მაგრამ რეალობაა!..

და ეს მოხდებოდა მაშინ, როდესაც ძიძაობაზე სიტყვას ჩამოაგდებდა გალექსილ „ჩემ თავგადასავალშიც".

რაც პროზაულ ვერსიაში ბედნიერებად და ღვთის წყალობა-კურთხევად ესახება, პოეტურ ვერსიაში სრულიად საპირისპიროდ შეაფასებდა და თავის ბედს დაგმობდა, ეს რა დღეში ჩამაგდეო... ბედსაც და...

პოეტური ვერსია აკაკის სიცოცხლის უკანასკნელ ხანაში შეიქმნებოდა და გამოქვეყნებით მხოლოდ მოგვიანებით გამოქვეყნდებოდა: მის თხზულებათა სრული კრებულის შვიდტომეულის მეორე ტომში, პავლე ინგოროყვა და ალექსანდრე აბაშელი აქ რომ მიუჩენდნენ ადგილს და... როგორ არ გაოცდებოდი, როდესაც გაძიძავების პასაჟი გამოჩნდებოდა, ლამის ზეპირად დასწავლილი მოგონებათა პროზაული ვერსიიდან... სულ სხვას ელოდებოდი და... სულ სხვა რამ კი შეგრჩებოდა ხელთ:

...თუ ერთი ვინმე ყოფილა,
მეცა ვყოფილვარ შობილი,
მაგრამ — კი საჭირბოროტოდ
ამ ქვეყნად გამოხმობილი:
ჩემამდე ყოლა შვილისა
დედა-ჩემს უძნელდებოდა,
თავს მკურნალები ეხვიენ,
იტანჯებოდა... კვდებოდა.
და მე-კი ისე ვშობილვარ,
ფრჩხილიც არ წამომტკენია.
გახარებია ეს ყველას,
მაგრამ თვით დედას სწყენია.
თურმე რაც მეტი ტანჯვაა,
იქ სიყვარულიც მეტია!..
მე-კი უწყინრად ვშობილვარ
და გული დამიკეტია.

არ ვყვარებივარ დედასა,
როგორც სხვა შვილი, ისე მე...
ბიჭ-ბუჭაებში გამაგდეს,
ეს იყო ჩემი სიამე.

ის ზოგადი აზრი: სადაც მეტი ტანჯვაა, იქ სიყვარულიც მეტიაო, — აკაკის წარმოდგენაში, მათ ოჯახზეც გავრცელებულიყო, დედას სხვა შვილები ტანჯვით რომ ეშობა და აკაკი უწყინრად, ამიტომაც შეელეოდა ასე ადვილად და „ბიჭ-ბუჭაებში გადააგდებდა“ — ამ და მხოლოდ ამ მიზეზით და არა იმის გამო, ისტორიული და კურთხეული ჩვეულება რასაც მოითხოვდა. თორემ თუკი ასე იყო, ეს ისტორიულობა და კურთხეულობა სხვა შვილებზე რატომღა არ გავრცელებულიყო?!.

მიხეილ ქურდიანი ფსიქოლოგიური თვალთახედვით დაუკვირდებოდა ამ მკვეთრ, სულაც პოლარულ განსხვავებას ნარკვევში „ცნობიერი და არაცნობიერი აკაკი წერეთლის პროზასა და პოეზიაში“, უმთავრესად „ჩემი თავგადასავლის“ პროზაული და პოეტური ვერსიების შეპირისპირების მაგალითზე რომ განსჯიდა, და ვარაუდით ივარაუდებდა, რომ:

ეს იმ ფსიქოლოგიური ტრამვის ბრალი უნდა ყოფილიყო, რაც პოეტს ადრეულ სიყრმეში მიეღო, იმ შთაბეჭდილებისა, რომ: დედას იგი სხვა შვილებივით არა ჰყვარებია, თორემ სხვებსაც ხომ გააძიძავებდა.

კი მაგრამ... ბავშვობისდროინდელი ტრავმა — თუკი ასეთი რამ არსებობდა — პოეტურ ვერსიაში რომ აირეკლებოდა, პროზაულში მისი კვალი რატომ არა ჩანდა? ის კი არა, დითირამბულ სტრიქონებში მიახლოებითაც ვეღარ ამოიცნობდა სიყრმეში მიყენებული სულიერი ტკივილის რაიმე ნაშთს.

მიზეზი ის და მხოლოდ ის შეიძლება ყოფილიყო, პოეზია უფრო ღრმად ინტიმური რომ არის, ვიდრე პროზა, უფრო ახლოს გულსა და საერთოდ გრძნობებთან, და რასაც პროზაულ ვერსიაში შეალამაზებ, მკვეთრად თუ სულ ოდნავ, პოეტურში ეს ვეღარ მოგიხერხდება და სიმართლე თავისთავად ამოხეთქავს მთელი თავისი სიშიშვლითა და სიმწვავით.

როგორც თუნდ ამ შემთხვევაში.

— მთელი ცხოვრების განმავლობაში ცნობიერებიდან ამ მიზეზის განდევნას, რეპრესირებას ცდილობდა... „ჩემი თავგადასავლის“ პროზაული ვერსიის წერისას... კარგად აკონტროლებდა ქვეცნობიერში განდევნილ თავის ბავშვობისდროინდელ ტკივილს, ოჯახთან და, უპირველეს ყოვლისა, დედასთან გარშორებით გამოწვეულ უსიამოვნო იმპულსებს, მაგრამ მას მაინც გაეპარა ამ რეპრესირებულ განცდათა ამსახველი სტრიქონი.

პოეტური ვერსიის არსებობა მხოლოდ მან, ერთადერთმა რომ იცოდა, რაკილა მისი თანამედროვე მკითხველისათვის სამუდამოდ დაფარული დარჩენილიყო?

მკვლევარის დაკვირვებით:

— ამით უფრო სჭირდება არა იმდენად მკითხველის, რამდენადაც საკუთარი თავის დარწმუნება იმაში, რომ სწორედ პროზაული ვერსიაა სანდო, რომ მასშია უტყუარი, ჭეშმარიტი ინფორმაცია, და რომ მაინცდამაინც „წმინდა გული და წრფელი სული აქვს შიგ ჩადებული“.

აკი ასე აფასებდა აკაკი თავის ამ ყველაზე საყვარელ თხზულებას, როგორც წმინდა გულისა და წრფელი სულის ნაყოფს.

ხოლო მკვლევარის დაკვირვებაში საგანგებოდაა გამახვილებული ყურადღება ფორმის ორგანიზაციის თვალსაზრისით პროზისა და პოეზიის შეპირისპირებაზე და დახასიათებულნი არიან ისინი, როგორც მინიმალურად და მაქსიმალურად ორგანიზებული ტექსტები.

შესაბამისად:

რაც უფრო ორგანიზებულია ტექსტი, მითუფრო ძლიერია მის ორგანიზაციულ მხარეზე ცნობიერების კონტროლი, რომელიც ტექსტის ორგანიზაციაზე კონტროლის გაძლიერებისას იძულებულია შეასუსტოს კონტროლი ტექსტის რომანტიკულ მხარეზე, რაც განსაზღვრავს ქვეცნობიერში რეპრესირებული იმპულსების შეჭრას ცნობიერში და: რევანშს.

სწორედ ასეთი რევანში უნდა აელო „ჩემი თავგადასავლის“ პოეტურ ვერსიას აკაკის ცნობიერებაზე მისი ბავშვობისდროინდელი შთაბეჭდილების ამოხეთქვით.

რის დაფარვასაც მეტ-ნაკლები წარმატებით შეეცდებოდა პროზაულ ვერსიაში, აქ საბოლოოდ უნდა გამჟღავნებულიყო: თავისი გაძიძავება მშობლების უგულობისათვის უნდა მიეწერა, სიყრმისას როგორც ერწმუნა.

ფსიქოანალიტიკური კვლევა იმასაც აფიქრებინებდა მიხეილ ქურდიანს, რომ:

აკაკი ჩვეულებრივ ახერხებდა ხოლმე ქვეცნობიერში მყოფი იმპულსების კონტროლს, მაგრამ სალექსო ფორმაზე ზრუნვა აიძულებდა ქვეცნობიერზე კონტროლის შესუსტებას, მითუმეტეს „ჩემი თავგადასავლის“ პოეტური ვერსიის შექმნისას პოეტს თავისი ცნობიერისათვის საგანგებოდ დაესახა მიზნად განსაკუთრებული კონტროლი თხზულების ვერსიფიკაციულ ანუ ფორმალურ მახასიათებლებზე: სიბერევე, გამომიჭედე ფოლადად ლექსი წყობილიო...

ფსიქოანალიზის მეთოდი, რაც ხშირად ხელოვნურად არის ხოლმე მოშველიებული მხატვრულ ქმნილებათა განსჯისას, ამჯერად საგულისხმოდ წარმოდგება და მსჯელობის ამგვარი გაგრძელებაც გარკვეულ ლოგიკას ეყრდნობა. ასე რომ, მიხეილ ქურდიანისეული ახსნა საესებით დამაჯერებლად გამოიყურება.

თუმც... მარტოდენ აქ ნუ შევჩერდებით და ის ფსიქოლოგიური საწყისიც აუცილებლად გავიხსენოთ, აკაკის რომ გული არ უთმენდა თავისივე მოსაზრების საპირისპირო მოსაზრებაც გამოეთქვა ხოლმე ადრე თუ გვიან.

სიყრმეში მიღებული ტრავმა რომც არა, მაინც წაჰკრავდა ქიმუნჯს, იმ ადრე იქნებოდა თუ იმ გვიან, ძიძაობის ინსტიტუტსაც — აბა მარტოდენ ქებას ხომ არ აღუვლენდა და აღტაცებად ხომ არ დაიღვრებოდა. ახლა ეს ტრავმა სწორედ სულზე მიუსწრებდა, ირონიული მზერაც მიმოეტარებინა ამ ისტორიულ ჩვეულებაზე, კურთხევასაც რომ უთვლიდა და ირწმუნებოდა: რაც კარგი და კეთილი დარჩენილიყო მასში, იმის წყალობით, სოფელში რომ გაებარებინათ.

თავი II

რეიტინგ-ლისტი და დიალოგი „ვეფხისტყაოსნური“

აკაკი წერეთელი აღტაცებული რომ შეეგებებოდა კირილე ლორთქიფანიძის მიერ გამოცემულ ლექსთა კრებულს „ჩანგური“ და ამ სიხარულს გაუიგივებდა პირმშო შვილის ძეობას, პირმშოსი იმიტომ, რომ „ჩანგური“ წარმოდგებოდა პირველ ნიგნად, რომელსაც ესხა ქართული ხორცი და ედგა ქართული სული, ტიროდა და კვნესოდა ქართველთა კვნესით და ყოველი რიგიანი ქართველთ ნათესავისათვის სანუკვარი უნდა ყოფილიყო... დიახ, როდესაც აღტაცებით შეეგებებოდა, მიზეზი ამგვარი განცდისა იქნებოდა ორი პირველი მწერალთაგანი როგორც ღირსებით, ისე რიცხვით: ნიკოლოზ ბარათაშვილი და ილია ჭავჭავაძე.

აქ მკითხველი ვერ შემოხედავდა წყალობის თვალით, რადგანაც „პირველი“ ორივე შემთხვევაში გააკვირვებდა და აფიქრებინებდა: როგორ თუ პირველი ღირსებით?! ვთქვათ, თუ ბარათაშვილი დიდი მწერალია, მაგრამ იმასთან ჭავჭავაძეს რა უნდაო? ვინ აძლევს იმას ბარათაშვილის გვერდით ალაგსო?..

რაო, მაინც რას სწამებდნენ ილია ჭავჭავაძეს?

ჭაპანწყვეტით ლექსების მწერალიო, რომლის ლექსებშიაც არც სულის განმაცხოველებელი პოეზია იპოვება და არც სასმენელის დამტკბობი ჰარმონია ისმისო.

და ერთ ტახტზე გვერდით როგორლა უნდა მისჯდომოდა ბარათაშვილს?

რაკილა თავისით ვერა გაერკვიათ რა, მაშ დაე აკაკის სიტყვისთვისაც დაეგდოთ ყური:

იმათ მიერაც ნაქები და შემკული ბარათაშვილი და ჭავჭავაძე სწორედაც ერთ ტახტზე სხდომის ღირსნი გახლდნენ, ერთგვარი დამსახურება ჰქონდათ ჩვენს ლიტერატურაში, ერთგვარად დაუვიწყარნი იყვნენ და ერთი გაუწყვეტელი ჯაჭვით გადაბმულნი.

ერთი უმეორესოდ ძნელად გაიგებოდა.

და წარმოდგებოდნენ მოსედ და აარონად ჩვენი ლიტერატურისა.

წაკითხვით ბლომად წაეკითხათ ძველი ნიგნები, საქართველოშიც კიდით კიდემდე ყოფილიყო და არათუ მოესმინა ბესიკისა და მისი ამქრის თხზული ლექსები, კიდეც ეღიღინა. იყო დრო, როდესაც მის „ტანო ტატანოს“, „შავ შაშვს“ და „სევდის ბაღს შეველს“ აღტაცებაშიც მოჰყავდა და ისინი მოცლილი კაცის სასმენელს ყოველთვისაც დაატკბობდნენ, ისეთი ჰარმონიულობით შეთხზულიყვნენ.

მაგრამ ნიკოლოზ ბარათაშვილს კი უნდა ეხილა ხალხის ცხოვრების დაბალი დონე, აღელვებოდა გული, ეეღარ დამონებოდა მათ პირუტყვულ საზოგადო კანონებს, გადაედგა დიდი ბიჯი, მოშორებოდა მათ და დაენახა თავი მარტოდ უდაბნოში.

და ეს აზრი სულიერი სიმარტოვისა მეორე ჩვენს სასიქადულო მწერალს ილია ჭავჭავაძეს სხვა სიტყვებით უნდა გამოეთქვა: ამდენ ხალხში კაცი არ არი, რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გავუზიაროო, — და თავი გადაეტანა ბარათაშვილისდროინდელ ქართველებში და თავისი ბეჭედითაც დაეკრა, რომ: მართლაც ძნელი გახლდათ სულით ობლობა!..

ლექსებს წერით ბევრი წერდა, მაგრამ რაგვარს: ზოგი ლოცვებს, ზოგი მოდებს, ზოგი რას და ზოგიც რას, მაგრამ მათი მღერა რასაკვირველია ჩხავილი იყო და არა სტვენა, რადგანაც თვითონაც არა ბრძანდებოდნენ ბულბულები.

და აი ამ სიკოტრის ჟამს უნდა გამოჩენილიყო ილია ჭავჭავაძე.

პირველად რასაკვირველია თარგმნა დაეწყო პუშკინით, ლერმონტოვითა და სხვანით, მაგრამ ბოლოს დაეგდო ეს გზა და შედგომოდა ბარათაშვილის კვალს და, რაკიღა დროც ხელს გაუმართავდა, ტირილით დაეწყო ხალხისათვის შეჩივლება:

— აი რა უნდა ეთქვა თქვენთვის ბარათაშვილს! აი რას მოასწავებდა და რას ნიშნავდა მისი კვნესაო!..

ერთი სიტყვით:

ჭავჭავაძე აღმოჩნდებოდა ბარათაშვილის მოკანანახე და მისი დიდი ღირსებაც ამაზედ დაეფუძნებოდა. ყოველ მის ლექსში გამოჩნდებოდა ქართველთა ტანჯვა და გოდება, მაგრამ რა საგანიც უნდა აეღო ტანჯვის გამოსახატავად, მოქმედ პირად მაინც თვითონ გახლდათ.

აკაკი აგრძელებდა განსჯას და გვიმოძღვრებდა, თუ როგორ უნდა აღგვექვა და შეგვეცნო ილიას პოეზია:

მის ერთ სტრიქონს, ფუთობით რომ მიბაძოთ, ჩვენი ბულბულების ნაწერში, რომელშიც პოეზიაც იქნება, მარცვლებიც და რითმებიც, არ გავცვლი და მიზეზი ის არის, რომ ამ ლექსებში ოცნებას კი ვერა ვხედავთ, მაგრამ ყოველდღიურ ჭეშმარიტებას, ჩვენს ნაკლულოვანებასა და ჩვენს საჭიროებას ეპოულობთ და ამისთვის მოგვწონს პოეტი და ამაში მდგომარეობს მისი მაღალი ღირსებაცო.

თუ ჭავჭავაძის ლექსებში მარტო ხელოვნებას მივაქცევდით ყურადღებას, მაშინ ამ ნიმუშებს არ ექნებოდათ დიდი ღირსება, მაგრამ რაკიღა ხელოვნებით გამოთქმული სისულელე და ოცნება მაინც სისულელე და ოცნება იქნებოდა, უნდა გვეძებნა ჭკვიანი აზრები და კიდეც უხვად ვიპოვნიდით.

კრიტიკულ ისარსაც არ მოერიდებოდა.

უპირველესად მაინც გამოედავებოდა ქართულზე: ვერ დავფარავ, რომ ამახინჯებ ენას, სიტყვებს კვეცავ, რათა ძალდატანებით ლექსი გამოიყვანო და... რა საჭიროაო!..

ურჩევდა: შენთვისაც უკეთესი იქნება, რომ რასაც ლექსად გვეუბნები, პროზად გვითხრა, დარბაისლურად გვემუსაიფო, ჭკვიანი აზრები ამით არათუ დაჰკარგავენ ღირსებას, კიდეც მოიმატებენ, და ეს კიდეც დაგვიმტკიცე შენი პროზითო!..

აქ ილია ძალას აღარ ატანდა თავის ნიჭს და საკუთარ გზაზეც იდგა.

გაყოლით ვეღარ გაჰყვებოდა მის პროზაულ თხზულებებზე მსჯელობას, რაკიღა „ჩანგურით“ და ილიას პოეტური ნააზრევით იფარგლებოდა, მაგრამ აღნიშვნით როგორ არ აღენიშნა, რომ:

„კაცია-ადამიანიც?!“ და „გლახის ნაამბობიც“ ობოლ მარგალიტებად რჩებოდნენ ჩვენს ლიტერატურაში.

და ნუთუ ახლა მაინც ვეღარ ხედავდა მკითხველი, რომ ჭავჭავაძე თუმც ჭაპანწყვეტით წერდა ლექსებს, მაგრამ მაინც მის პოეზიას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის?!.

რას ამბობდა ილია „პოეტში“?

მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო ვით ფრინველმა გარეგანმაო...

რომ ხალხისა მოძმედ ვიყო ჭმუნვასა და სიხარულშიო...

ხალხის წყლული მაჩნდეს წყლულად, მეწოდეს მის ტანჯვით სული, მის ბედით და უბედობით დამედაგოს მტკიცედ გულიო...

და აკაკი აღტაცებით მიადევნებდა:

აი, რას ამბობს პოეტი! ჭავჭავაძის გარდა უთქვამს ვისმეს ეს აზრი? აი რას ნიშნავს კაცობა და არა ბულბულობაო!..

რისთვის გამოერჩია „ჩანგურიდან“ ნიკოლოზ ბარათაშვილი და ილია ჭავჭავაძე?

ეგებ ჩვენს განათლებულ სწავლულთ — ირონიითა და სულაც სარკაზმით წაუქიმუნჯებდათ — ჯიბეში ხელები რომ ჩაეწყოთ და დაცინვის მეტს არას აკეთებდნენ, ხელი მოეკიდათ და კრიტიკულად გაერჩიათ ჩვენს მწერალთა ნაწერები.

რა ესმოდა ყველას ამ ყაიდის სწავლულთაგან?

ჯერ უნდა იყოს რამე, რომ მერე კრიტიკოსი გამოჩნდეს და დაწეროს მის განხილვაო.

მაგრამ აკაკი ამ აზრს სულ ტყუილ თვალისახვევად მიიჩნევდა:

ის კაცი, რომელსაც წინ ედო რუსთველი, ბარათაშვილი და ჭავჭავაძე, ტყუოდა და უღმერთოდაც ტყუოდა, თითქოს არაფერი გაგებაჩნდა.

სულ სხვა მსჯელობისას, მისთვისაც მოულოდნელად, მაგრამ თავს კი იჩენდა აკაკის პოეტური ტრიადა:

შოთა რუსთველი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე.

ამ სამეულს თავის თავსაც ხომ არ მიათვლიდა გუნებაში მეოთხე წევრად?

რატომაც არა!.. სწორედაც მათ გვერდით ელირსებოდა თავი!..

და ამასობაში დავით გურამიშვილი და მისი „დავითიანი“ რომ უნდა აღმოეჩინათ და სალიტერატურო მიმოქცევაშიც დატრიალებულიყო, თუ ვინმე, ერთი უპირველესი აკაკი რომ იწამებდა მის პოეტურ სიმაღლესა და გამორჩეულობას, და ნიშანდობლივია, რომ იონა მეუნარგიას მიერ შემოთავაზებულ ლიტერატურულ ანკეტაში ყველაზე საყვარელ პოეტად სწორედ მას დაასახელებდა.

ასე რომ, სამეული ხუთეულამდე გაიზრდებოდა.

და ასეც დარჩებოდა აკაკის აღსასრულამდე: ვაჟა-ფშაველას აქ გარევას, ამ რჩეულ სახელთა შორის არც იფიქრებდა, არც კი აწონ-დაწონიდა, ღირს თუ არაო. გალაკტიონ ტაბიძის „თავის ქალას არტისტული ყვავილებით“ კი ვერ მოესწრებოდა, რათა თავისი რეიტინგ-ლისტი ამ სახელითაც შეევსო და უეჭველადაც შეევსო.

მარტოდენ ვაჟა-ფშაველას შეფასებაში ვერ შეთანხმებოდნენ ის და გალაკტიონი, სხვა მხრივ კი „ლურჯა ცხენების“ შემრქმედი თავის რეიტინგ-ლისტის შვიდეულში ამ ხუთეულს უკლებლივ მიუჩენდა ადგილს, ეგაა შეავიწროებდა ამ ორი სახელით: ვაჟათი და გალაკტიონით.

ხოლო რა იწვევდა ცინიკოსთა გულისშემაზარებელ გულგრილობას?

გვიჩვენეთ გზა და კვალი და თუ ვერ გამოგყვეთ, მაშინ დაგვცინეთ და მაშინ შეგვრისხეთო!.. — ექადნებოდათ, რაკიღა ძალიც შესწევდა ქადილისა — მაგრამ ეს კი უნდა იცოდეთ, რომ თუკი თქვენ თვითონ დაცინებისა და უსაქმობის მეტს არას გაგვიკეთებთ, მაშინ არა გვწამს თქვენი წინასწარმეტყველობა. თქვენც გვიჩვენეთ ისეთი შრომა, როგორც თავადმა ჭავჭავაძემ, ანდა როგორც იმათ, რომელთაც პანსიონები გახსნეს და ზრდიან ყმაწვილებს და ან მასწავლებლებად შევიდნენ სასწავლებლებში, ერთი სიტყვით, რითაც შეიძლოთ, კეთილი სიტყვით მაინც, და თუ ვერ დაგაფასებთ, მაშინ დაგვიძახეთ უმადლო ქართველებიო.

რეცენზია უნდა მოთავებულიყო კირილე ლორთქიფანიძის იმგვარი შექებით: დაიმსახურა საზოგადო მადლობა და არა ვკარგავ იმედს, რომ ამ ჩემს აზრს დაამტკიცებს საზოგადოებაო...

დაე ისიც სცოდნოდა ყველას, რომ გამომცემელი იმ ფასად ჰყიდდა წიგნს, რამდენიც თვითონ დაჯდომოდა, ასე რომ, მოგებას სრულიადაც არ ელოდა... და დაე ღმერთს მოემართა ხელი სხვა ამგვარ საზოგადო საქმეებშიც.

* * *

ნატალია აზიანს, შემდგომ დრამატურგობას რომ უნდა მოჰკიდებოდა, აკაკი და ილია შეაყვარებდნენ ქართულ ლიტერატურას.

ახსოვდა, რარიგ ეთაყვანებოდნენ აკაკის არამარტო ქართველები, არამედ გაქართველებული სომხებიც, რომელნიც ბლომად მოსახლეობდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში — გორი იქნებოდა, სიღნაღი, თელავი, ქუთაისი თუ...

გორში სომხობამ თავისი ენა აღარც კი იცოდა და სულ ქართულად ლაპარაკობდა. მარტო საყდარში თუ გაიგონებდით სომხურ ენას — ისიც წირვა-ლოცვისას, თორემ ქადაგებით მღვდელი ქართულად ქადაგებდა.

მჭევრმეტყველებით განთქმული ტერ-სტეფანა ქადაგებისას თავის სიტყვას ხშირად რუსთველური სტრიქონებით რომ მოქარგავდა ხოლმე, მის მოსასმენად დაიარებოდნენ არამარტო სომხები, არამედ ქართველებიც.

და ამისთანა სომხებში აკაკის მუზას ისეთივე ღრმა სიყვარული და აღტაცება რომ მოეპოვებინა, როგორც ქართველებში, ამიტომაც შემოცურდებოდა უნდ ნატალიას ცნობიერებაში ბავშვობიდანვე აკაკის დაუვიწყარი სიმღერები — დედის წყალობით.

დაიწყებდა თუ არა დედა სიმღერას: ჩემო თავო, ბედი არ გიწერიაო, — ნატალიასაც და მის და-ძმებსაც თვალებში ცრემლი მოადგებოდათ ხოლმე და ბოლოს ბღავილსაც ამოუშვებდნენ ამ სტრიქონების მოსმენისას:

დამწვარი ვარ ისე, როგორც აბედი!
აჰა, ღმერთო, რა უდროოთ დავბერდი,
საფლავისკენ ფეხი გამიშვერია!..
და ღმერთს ვეედრებ: ღმერთო, მომეცი ნება,
რომ მეღირსოს საფლავში დაძინება!

გულუბრყვილო ბავშვებმა არც კი იცოდნენ თუ რას ნიშნავდა სიტყვა „სატრფო“, ეგონათ: დედა გვიკვდება და იმიტომ ახსენებს საფლავსო, — და ეხვეოდნენ, კოცნიდნენ და ეფერებოდნენ... დედა ამ ლექსის ფსიქოლოგიური ზეგავლენით ისარგებლებდა და როგორც კი ყმაწვილები წაიჩხუბებდნენ ან იცელქებდნენ, მაშინვე ამ სიმღერას იწყებდა და... ფიცხლავ ჩააჩუმებდათ.

დედისგან ესმოდათ „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტებიც, მაგრამ შოთას ისე ადვილად ვერ ითვისებდნენ, როგორც აკაკის ხალხურ, გასაგებ ენას.

გორის პროგიმნაზიაში რომ მიაბარებდნენ და იქ სომეხ მოსწავლეებს გამოუცხადებდნენ: ვისაც გსურთ, ქართულ გაკვეთილებზედ შეგიძლიათ იაროთო, — ნატალია სიხარულით ჩაეწერებოდა ნიკო ლომოურის გაკვეთილებზე და ერთი-ორი წაკითხვით იმახსოვრებდა აკაკის მიერ მშვენივრად თარგმნილ ივან კრილოვის არაკებს.

ხოლო როდესაც ტფილისში პირველად იხილავდა სპექტაკლებს — „პატარა კახი“ და „თამარ ცბიერი“ — გაუთავკეცდებოდა ღრმა სიყვარული და პატივისცემა აკაკისადმი და ციურ მანანასავით მოელოდა მის გაცნობას.

ეს ნატვრა კიდეც აუხდებოდა, რადგანაც იმხანად ცხოვრობდა ანასტასია თუმანიშვილწერეთლის ოჯახში, სადაც თითქმის ყოველდღე დაიარებოდნენ მწერლები და საზოგადო მოღვაწენი, კვირაში ერთხელ კი „ჯეჯილის“ ირგვლივ მუდამ იმართებოდა საღამოები, რომელსაც იაკობ გოგებაშვილი და არჩილ ჯორჯაძეც ესწრებოდნენ.

და აი ერთ საღამოს, როდესაც ჩაის შეექცეოდნენ სასადილოში, კარი ვიღაცას უნდა შემოეღო დერეფანში, დიასახლისს გაეხედა და სიხარულით წამოეძახა:

— ო... ო! აკაკი! აკაკი! მობრძანდით, მობრძანდით!

ნატალიას ისე აუკანკალდებოდა გული, კინაღამ საბუდარიდან ამოუვარდებოდა.

კარში ნელი ნაბიჯით შემოვიდოდა თვალწარმტაცი გარეგნობის მოხუცი, რომლის მაღალ-მაღალი, წარმოსადეგი ტანიც გვირგვინდებოდა ზევსისებური თავით. მაღალი შუბლი და ტბილი, მომღიმარი სახე, თოვლივით თეთრი თმა — წვერ-ულვაშით, ახალგაზრდა ქალს ისეთ შთაბეჭდილებას შეუქმნიდა, თითქო ოლიმპიელი ჩამოსულა მათთან, მიწიერებთანო.

ძალიან თავმდაბალი, გულკეთილი და ზრდილი კაცის შთამბეჭდილებასაც დაუტოვებდა, ის კი არა გადაჭარბებით თავმდაბალისაც... თუმც მოქცევაში შესამჩნევად ავლენდა არისტოკრატულ ჩვევებს. და თითქოს მზეაო, ცდილობდა ყველა გაეთბო ირგვლივ, გამოეცოცხლებინა, გაემხიარულებინა... და როდესაც ნატალიას გააცნობდნენ პირადად, ის ღიმილით მოუბრუნდებოდა:

— ქალო, შენ სანახავად გორში მოვდიოდი.

ეს საშინლად გაწითლდებოდა, მთლად აირეოდა სიხარულისაგან, 23-24 წლისა დაიჯერებდა ამ ქათინაურს, მაგრამ მაინც როგორც იყო მოახერხებდა პასუხს:

— თქვენ შეიძლება დამცინით, ბატონო აკაკი, მაგრამ მე კი მართლაც თქვენს სანახავად ტფილისში გიახელით.

მთელი საღამო ყური და თვალი საყვარელი პოეტისაკენ რომ ექნებოდა მიპყრობილი, ეს ფიქრი არა შორდებოდა: ბუნებამ ალბათ მარტო შენზე მოიცალა, რომ გონებითაც აგრე უხვად დაგაჯილდოვაო.

ილია ზურაბიშვილი თავს გამოიდებდა:

აკაკის იმდენად კარგად ვიცნობდი, რომ თუ ჟან ბრუსონს მივბაძავ, რომელიც ანატოლ ფრანსს „დილის ხალათში“ აგვიწერს, ანუ შინაურ ცხოვრებაში, თამამად შემიძლიან ვთქვა, რომ აკაკისთან ძალიან ახლო ურთიერთობა მქონდაო.

მიუხედავად ამისა ყოველთვის ახსოვდა, რომ მის წინ დიდი აკაკი იდგა, ქართველი ხალხი თავის მესაიდუმლედ რომ მიიჩნევდა, რაც მას უკვდავების შარავანდით მოსავდა. მის თვალში აკაკი მზესავით მანათობელი გახლდათ, ამიტომაც გული ძალიან დაწყდებოდა, თუ ვინიცობაა ამ მანათობელს ისეთ ლაქებს შენიშნავდა, რასაც შეეძლო ჩრდილი მიეყენებინა მისი ელვარებისათვის.

რასაკვირველია ცდილობდა, რომ მათი ურთიერთობა იმ ფარგალს არ გასცილებოდა, სადაც ერთი მხრივ უნდა ყოფილიყო თაყვანისცემა უდიდესი მგოსნისადმი და უღრმესი პატივისცემა მხცოვანი ადამიანისა და დიდად დამსახურებული საზოგადო მოღვაწისადმი, გარნა მეორე მხრივ — მხოლოდ იმის რწმენა, რომ ყოველივე ეს სრულიად გულწრფელი იყო, უანგარო და ბუნებრივი.

მაგრამ... აკაკისთან ასეთი მოკრძალებული მანძილის შენარჩუნება რომ ძნელდებოდა? და ეს იმიტომ:

მეტისმეტი გულხალვათობა რომ სჭირდა დალოცვილს.

გულხალვათობას თავისთავად რა სჯობს, მაგრამ როდესაც გადამეტებულია?!. და ამიტომაც მიიჩნევდა ილია ზურაბიშვილი ამ თვისებას მის დიდ ნაკლად — ძალიან ადვილად რომ იმეგობრებდა მათაც, ვინც არცთუ ისე დაახლოებული უნდა ყოფილიყო მასთან.

ცხადია ამას „ბრუდერშაფთი“ არ დაულევია აკაკისთან, არც ურთიერთმეგობრობაზე ჩამოვარდნილა მათ შორის ლაპარაკი, მაგრამ გრძნობდა, რომ პოეტი სიმპათიით უყურებდა, გულახდილობას იჩენდა მასთან, შენობით მიმართავდა და მთელი საათობით შაშს ეთამაშებოდა — ამ თამაშს სულაც აკაკი ასწავლიდა. ერთი სიტყვით უყურებდა როგორც ახლობელ ადამიანს.

სხვანაირად ანკი როგორ უნდა ყოფილიყო:

ჯერ კიდევ სულ პატარას იცნობდა, ხშირად ხედავდა თეატრში, რომლის ავანჩავანიც ილია ზურაბიშვილი იქნებოდა. მათ ოჯახშიც დაიარებოდა და საზოგადოებაშიც ხშირად შეხვდებოდნენ. დაბოლოს წელინადნახევარი ერთ ჭერქვეშაც მოუწევდათ ცხოვრება მაკო საფაროვა-აბაშიძის სახლში, სადაც — როდესაც აკაკი შინ იმყოფებოდა — სადილ-ჩაიზე ერთად იქნებოდნენ. საღამოობით კი იშვიათად თუ დაჰყოფდა შინ მგოსანი — კლუბში თითქმის განუწყვეტლივ დაიარებოდა, ხოლო როცა შინ რჩებოდა, ამან იცოდა: აკაკი უფულოდაა, ან შეუძლოდ გრძნობს თავსო.

აკაკი წერეთელი დილის ხალათში.

უჟანბრუსონოდაც მოიფიქრებდა ილია ზურაბიშვილი აკაკის წარმოსახვას შინაურ გარემოში, მაგრამ ანატოლ ფრანსზე შექმნილი მემუარული ყაიდის წიგნი კიდევ უფრო შეაგულიანებდა საამისოდ.

და რაკილა აკაკის დილის ხალათში წარმოიდგენდა, მოვალედ მიიჩნევდა თავს, ამ რაკურსიდან გაეაზრებინა და განესაჯა მისი ურთიერთობა ილია ჭავჭავაძესთან.

რაო, რას ირწმუნებოდნენ?

აკაკის ავი ენა ჰქონდა, არავის დაინდობდა, არავიზე კეთილ სიტყვას არ იტყოდა, პირში ქება იცოდა, ზურგსუკან კი — კილვაო.

განსაკუთრებით კი იმას აღნიშნავდნენ ქარაგმულად: ილია არ უყვარდა და ყოველთვის ავად იხსენიებდა როგორც პოეტს და როგორც საზოგადო მოღვაწესო?

მაშ პირდაპირ განაცხადებდა მემუარისტი:

არავისი კილვა აკაკისაგან არასოდეს გაეგონა, მაგრამ მაინც ერჩივნა უფრო ილიაზე მოეხსენებინა — ამჯერად ყველაზე საგულისხმოსა და დამახასიათებელზე.

იმის მტკიცებას არ მოჰყვებოდა: აკაკის ილია თვალისჩინად მიაჩნდა და გაგიჟებით უყვარდაო.

ამას ვერც ერთს მოსთხოვდი და ვერც მეორეს.

და მართლაც: ქვეყნის საქმეში თანამოსაგრის სიყვარული ვისთვის რა სავალდებულოა, განსაკუთრებით თუ თანამოსაგრენი ძირითადად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავიანთი ადამიანური ბუნებით.

— სიყვარული, მეგობრობა მეტად ინტიმური გრძნობაა, ყველას ფიანდაზად ვერ გაუშლი მას, თუნდაც საზოგადოებრივი სამსახური ერთ უღელში გაბამდეთ.

ამ მოკლედ გამოთქმული „საეგებისო“ მოსაზრების თვალსაჩინოებისათვის გაიხსენებდა ერთ საუბარს აკაკისთან ილიას „განდეგილზე“, რომელიც იმას საუკეთესო ნაწარმოებად მიაჩნდა და თავისთავადაც შესანიშნავად, მხოლოდ — ადგილ-ადგილ გაზვიადებულად.

რას გულისხმობდა?

პოემის დასაწყისშივე რომ ეწერა: სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა ორბნი, არწივნი ვერ შეხებიან... გამოუქვაბავთ მუნ მონასტერიო, — აკაკის დაუჯერებლად ეჩვენებოდა და არ გაიზიარებდა მოსაზრებას, თითქოსდა ეს პოეტური ჰიპერბოლა ყოფილიყოს:

— ჰიპერბოლა სინამდვილის გაზვიადებაა, გადაჭარბებაა, მაგრამ იქ, სადაც სინამდვილე არ არის, იმის გადაჭარბებაც არ შეიძლება. ყოველ შემთხვევაში მე ასე არ დავწერდი...

„განდეგილის“ დასაწყისის ამ სტრიქონებს აკაკი მაშინაც დაიწუნებდა, ალექსანდრე აბაშელის ლექსების ირგვლივ რომ გაიმართებოდა სახელდახელო კამათი და პოეტთა მეუფე კრიტიკულად შეეხებოდა უმცროსი თანამოკალმის ცალკეულ სტრიქონებსა თუ მეტაფორებს. და როდესაც წამოდგებოდა და წასასვლელად მოემზადებოდა, ალექსანდრეს შეწუხებულ სახეს რომ შეხედავდა, ცოტა შეეუხერხულებოდა და ტკივილის დასაამებლად ეტყოდა:

— თქვენთვისთანა ახალგაზრდას ანკი რა გაემტყუნება, როდესაც ისეთი გამოჩენილი და საყოველთაოდ აღიარებული დიდი მწერალი, როგორიც ილია ჭავჭავაძეა, არ თაკილობს გადამეტებულ შედარებებს. ისეთ მიუკარებელ ადგილას, რომელსაც ორბნი და არწივნიც ვერ შეჰხებიან და სადა წვიმა-თოვლი, ყინულად ქმნილი, მზისაგან არდეს დნება და სადაც მეუფება შთენია მარტოდენ ჭექა-ქუხილს, ყინულსა და ქართა, კაციც მისულა, მონასტერიც გამოუქვაბავს და ცხოვრობდა თურმე შიგ. წარმოიდგინეთ, საშინელ ჭექა-ქუხილსა და ქარიშხალში იქ მიდის თურმე მწყემსი ქალიც და პოულობს თავშესაფარს. ასე რომ, არწივებისათვის არც ისე მიუწვდომელი იქნებოდა ის ადგილი, როგორც ავტორი აგვიწერს გადამეტებული გაზვიადებით...

და კიდეც გამოემშვიდობებოდათ და გაიხურავდა კარს, გრიგოლ დიასამიძე რომ გაჰყვებოდა და ეტლამდეც მიაცილებდა.

ყოველ შემთხვევაში მე ასე არ დავწერდიო...

და ილია ზურაბიშვილი აკაკის ამ ნათქვამს რომ გაიხსენებდა, დასძენდა: არ დაწერდა იმიტომ, რომ მისი მხატვრული წარმოდგენა თვით ბუნების ძალთა ბუმბერაზობაზე სულ სხვანაირი იყო, ვიდრე ილიასი. მის პოეტურ ხილვას ესა თუ ის მოვლენა იტაცებდა მეტად „მსუბუქ ფრთითა“ და ამიტომ იმ ხილვის ნაყოფი ყოველთვის უფრო ჰაეროვანი იყო, უფრო რეალურიო.

მაგრამ... აკაკის პოემა „გამზრდელი“? მისი დასაწყისი, სადაც „განდეგილის“ შესავლის მსგავსი სურათი იელვებს?

მემუარისტი მიიჩნევდა, რომ აქ მოისმის ილიას სურათის გამოძახილი, თუმც არა იმ ზვიადობით, როგორც „განდეგილში“.

ხოლო როდესაც თანამოსაუბრე შეეცდებოდა აკაკისათვის დაემტკიცებინა: ზავთიანობასთან ერთად ილიას ამ პოემაში ულამაზესი და უნაზესი მოვლენის ხილვაც მდიდარი აქვსო, — და სანიმუშოდ მოიხმობდა იმ ადგილს, მწყემს ქალს ცეცხლის პირას რომ ჩასძინებია და საოცარ შთაბეჭდილებას ტოვებს მისი სიტურფე და მშვენიერება, თითქოს მის შექმნას ერთად ცდილიყვნენ თვით სიყვარული და ნეტარება, და თითქოს მადლს მშვენებისას თვისი საუნჯე იქ დაბნეოდა, და ეშხს, ვით იადონს ვარდზედ, სული მის ღაწვზე დაელია, პასუხად აკაკის ეს უნდა ეთქვა:

— მშვენიერია, განა მე კი არ ვიცი, როცა ილიკო მოინდომებს, ყველაფერს ლამაზად იტყვის, მაგრამ დამეთანხმე, აქაც ცოტა არ იყოს ჭკუით დამძიმებული სინაზეა.

ეს არ დაეთანხმებოდა, თითქოს აქ ჭკუით დამძიმებული სინაზე ყოფილიყოს, მაგრამ არც აკაკის გაამტყუნებდა მისი პოეტური ბუნების მიდრეკილებითა და გამოთქმის უნარის თვალსაზრისით, და არ უკვირდა, რომ აკაკის ჰაეროვან მუსიკალურ სმენას ემძიმებოდა „იგი სიტურფე, იგი შვენება“, რაკიღა იგი სულ სხვა კილოკავს მიჩვეოდა და თვით უღრმეს აზრსაც ხშირად მსუბუქი მეტაფორული გამოთქმით სთავაზობდა მკითხველს.

ვერ დავიქადნებ, რომ აკაკისათვის კარგი გამგონი ვიყავიო, — მორიდებით აღნიშნავდა ილია ზურაბიშვილი, — მაგრამ არც მის მიერ გამოთქმულ აზრებში, არც ხმის კილოში არ შემინიშნავს არავითარი გულძვირობა და უარყოფითი დამოკიდებულება ილიასადმიო.

პირიქით, მასზე სულაც მშვენიერ შთაბეჭდილებას მოახდენდა, რომ აკაკი უნებურად ილიას „ილიკოს“ უწოდებდა, რაც არც მისგან სხვა დროს და არც სხვა ვინმესგან არასოდეს გაეგონა, არადა:

რაღაც სათუთი რამ, რაღაც ინტიმური გრძნობა გამოისმოდა ამ „ილიკოში“ და თითქო ამჟღავნებდა, რომ ახლა თუ არა, ოდესღაც მისთვის ილია მართლაც „ილიკო“ ყოფილიყო.

ილია ზურაბიშვილის ადგილას რომ სხვა ყოფილიყო?

სხვა — წინასწარ განწყობილი საიმისოდ, რომ თუ სიამით არა, არცთუ გულისტკივილით მოესმინა აკაკისაგან ილიას ძაგება, ანდა იმ აკვიატებით შეპყრობილი, რომ აკაკი ილიაზე კარგს არას იტყოდა, არადა ვის აღარ ჰქონდა იმჟამინდელ საზოგადოებაში ეს აზრი აკვიატებული.

ის სხვა აკაკის ამ ნათქვამს თავისებურ განმარტებას მისცემდა, ბევრს თავისასაც წაუმატებდა და ილიამდე პირადად თუ ვერ მიიტანდა ამ „კილვას“, გავრცელებით ხომ ისე გაავრცელებდა, რომ უეჭველად მიაღწევდა ილიას ყურამდეც.

ის კიდევ სხვა კი არ დაგიდევდა, თუ როგორ მიმდინარეობდა საუბარი, მთავარია, რომ დაწუნების ელემენტი ერია და... კიდეც გამოიჩარხებოდა გულუბრყვილო, მაგრამ აჩქარებული, განუკითხველი დასკვნა — მართალი ყოფილა, რომ აკაკი ილიაზე ცუდის მეტს არას ლაპარაკობს, საცა ისეთ დიდებულ ნაწარმოებსაც იწუნებს, როგორიც „განდეგილიაო“.

და ილია ზურაბიშვილს ძალიან კი წყდებოდა გული, მაგრამ გაკვირვებით დიდად აღარ უკვირდა იმ ცრულეგენდის შექმნა, თითქოს აკაკი, სადაც ხელსაყრელ შემთხვევას იშოვნიდა, ძირიანფესვიანად თხრიდა ილიას და ყველაფერი ეს შურით მოსდიოდა.

სინამდვილეში კი მიზეზი ის იყო მხოლოდ, რომ აკაკი ყოფით ცხოვრებაში ილიასავით პირმოკუმული კაცი არა ყოფილა, თანაც ორლესული სიტყვის დიდი მწყალობელიც გახლდათ და არც იმას დაგიდევდათ, ვინ რა მიზნით ელაპარაკებოდა, ვის რა გუმანი ედო გულში, მის გულღიაობას კი აგერ რა შეიძლება მოჰყოლოდა თუნდ ილიას არაკეთილმოსურნეთა თუ ზერელე ადამიანთა გამოისობით.

ყველას მოეხსენებოდა, რომ საადგილმამულო ბანკის გარშემო გაჩაღებულ ბრძოლაში აკაკი ივანე მაჩაბლის მხარეზე იყო, თუმც კრებებში მონაწილეობას ვერ იღებდა, როგორც ბანკის არაწევრი.

და ყველას რომ ეგონა, აკაკი იმიტომ იჭერს მაჩაბლის მხარეს, ილია სძულსო, ილია ზურაბიშვილი გულისტკივილით გაიხსენებდა: ის კი გვავიწყდებოდა, რომ მაჩაბლის ბევრი მომხრე იმავდროულად ილიას თაყვანისმცემელიც იყო, როგორც დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწისა. ეგაა ამ კერძო შემთხვევაში — ბანკის საქმეში — არ იზიარებდა მის პოზიციასო.

კრებებზე აკაკი ყოველთვის ლოჟაში იჯდა, უმეტესად ნიკო დიასამიძის სახლობასთან ან ივანე როსტომაშვილის ახლობელთან. ილია ზურაბიშვილი ქურდულად რომ დაიარებოდა კრებებზე, გალერეაზე იმყოფებოდა ხოლმე და ამიტომაც დარბაზში ერთმანეთს არასოდეს შეხვედრიან.

ერთ საღამოს აკაკის მაკო საფაროვა-აბაშიძისას რომ შეხვდებოდა — და იქვე იმყოფებოდა მისი დაც, ქეთევან ზურაბიშვილი-ანდრონიკაშვილისა — ლაპარაკი ცხადია ბანკის ბრძოლასაც შეეხებოდა. ისაუბრებდნენ უფრო ქალები, აკაკი თითქმის არავითარ მონაწილეობას არ მიიღებდა ბაასში და მხოლოდ ღიმილით დაუგდებდა ყურს ბანკის საქმეებით დაინტერესებულ მანდილოსნებს. საუბარი შეეხებოდა იმასაც თუ რომელ პარტიას — მაჩაბლისტებს თუ ჭავჭავაძისტებს — ჰქონდა მეტი შანსი არჩევნებში გამარჯვებისა.

ილია ზურაბიშვილს რატომღაც წამოცდებოდა:

— რა გასაკვირველია მაჩაბლისტებმა გაიმარჯვონ, იმოდენა ამომრჩევლები სულ ტივებით ჩამოუზიდნიათ ქართლიდან.

აკაკი გულიანად გაიცინებდა.

სამაგიეროდ თავისი და გამოეხმაურებოდა, მისი სიმპათიები ცოტა არ იყოს მაჩაბლისაკენ რომ იხრებოდა, ეს კი პირწმინდა ჭავჭავაძისტი გახლდათ.

— ახლა რაო! — ეტყოდა ქეთევანი, — კახელებმა კიდევ ამომრჩევლები დილიჟნებით ჩამოზიდეს!

აკაკი უფრო გულიანად გაიცინებდა და სიცილითვე მიმართავდა ილია ჭავჭავაძის თავგამოდებულ მომხრეს.

— ხომ ხედავ, ალაზანი რომ მტკვარივით ტფილისში მოდიოდეს, ალბათ ტივს არც კახელები დაიწუნებდით...

ეს იქნებოდა და ეს — მთელი საღამოს განმავლობაში აკაკი კრინტსაც აღარ დაძრავდა არც ბანკზე, არც ილიაზე, არც მის მომხრეებსა თუ მოწინააღმდეგეებზე.

აკაკის ეს სრულიად უბრალო შენიშვნა ჭავჭავაძისტს, იმჟამად წინასწარ აზრაკვიატებულს, იმის ნიშანდობლივ საბუთად მოეჩვენებოდა:აკაკი მართლა მტრულადაა განწყობილი ილიასადმიო, და მგოსანი რომ წავიდოდა, ეს თავის დას წაეჩხუბებოდა:

— რად მიეცი აკაკის საბაბი მთელ ქვეყანას მოსდოს, ვითომ ილიას მომხრეები საგანგებო დილიჟნებით ჩამოჰყავთ?..

ამ უმნიშვნელო ეპიზოდს იმიტომ გაიხსენებდა, რათა დაედასტურებინა, რომ აკაკის სიტყვაც არ უთქვამს ილიასა და ბანკზე იმ — უეჭველად სამართლიანი — რეპლიკის გარდა, და თუ გულში ღარღლი უტრიალებდა ილიას წინააღმდეგ, ცხადია ისეთ კვიმატ და ორლესულ აზრებსა და სიტყვებს წარმოთქვამდა, ირონიის ფოიერვერკს მოაწყობდა.

და კიდევ იმიტომ:

თვითონ იგი, გუშინდელი ღლაპი, რომელსაც არა გაეგებოდა საზოგადო საქმეებისა და მითუფრო ბანკისა, აკაკის ისე უყურებდა, როგორც ილიას ნამდვილ მტერს და მის წინაშე ილიას პარტიის საიდუმლოების — თუკი არსებობდა ასეთი საიდუმლოება — გამჟღავნებას დიდ დანაშაულად მიიჩნევდა.

და შორეული, უკვე მოწიფულობის გადასახედიდან კი დასძენდა:

აი რამდენად იყო მოწამლული მაშინდელი საზოგადოების აზრი და საერთო ატმოსფერო აკაკისა და ილიას მტრულ ურთიერთობაზეო.

სად და რაში გადაჯვარედინებულიყო მათი გზები?

მხოლოდ ერთში:

სამშობლო ქვეყნის სიყვარულში, მისთვის მტლედ დადებაში!..

და გაკვირვებით უკვირდა ილია ზურაბიშვილს:

განა ამას — ქვეყნისადმი თავგანწირულ სიყვარულს — თუ მჭიდრო შეკავშირება არ შეეძლო სხვადასხვა ბუნების ადამიანებისა, იქამდეც ხომ არ განათვისებდა მათ, რომ ურთიერთისადმი პატივისცემა დაეკარგათო?!.

და პარალელურ თხრობას განაგრძობდა, რომ:

არასოდეს ილია აკაკის და აკაკი ილიას არ შესცილებოდა საპირადო საქმეში, არსად ერთმანეთის წინააღმდეგ არ გამოსულიყვნენ არც პირად და არც საზოგადოებრივ სარბიელზე.

ყველამ იცოდა, რომ:

ილია უფრო ფართო მასშტაბის საზოგადო მოღვაწე იყო, ვიდრე აკაკი, და ეს მასშტაბურობა ისეთი თვალშისაცემი გახლდათ, ვის გამორჩებოდა, ილია აგერ: მწერალი, რედაქტორი, გამომცემელი, ბანკირი და თითქმის ყველა საზოგადოებრივი დაწესებულების თავმჯდომარე.

მაგრამ ყველამ ისიც იცოდა, რომ:

აკაკი არცერთ ამ „დიდებას“ არ ეტანებოდა, გარდა მწერლობისა. დაიწყებდა თავის საზოგადო მოღვაწეობას მწერლობით და დარჩებოდა მარტოდენ მწერლად. ასევე ჩავიდოდა სამარეში, როგორც ერთადერთი ნამდვილი პროფესიონალი მწერალი იმჟამად.

ხოლო ამ ასპარეზზე აკაკი რომ ილიაზე უფრო პოპულარული და საყვარელი პოეტი გახლდათ საქართველოში, თორემ ნაკლები არა, ვერავინ უარყოფდა.

ამ გარემოებას მემუარისტი აღნიშნავდა არა კრიტიკის თვალსაზრისით, არამედ როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენას, რომლის შემოწმებაც არავის გაუძნელდებოდა.

სხვადასხვა ჯურის შემოქმედნი რომ იყვნენ?

ერთი თუ ვიოლინოსავით გამჭვირვალედ წკრიალებდა,

მეორე ვიოლონჩელოსავით მხნედ ღღერდა.

ერთი თუ წუხილით ოხრავდა,

მეორე ღრმად შფოთავდა.

მაგრამ მთავარი ხომ ისაა, რომ ოხვრაც და შფოთვაც ერთი განცდიდან მომდინარეობდა და სხვადასხვა ტემპრის ორი შესანიშნავი ხმა კეთილხმოვნად და ძლიერად გაისმოდა ჩვენს ქვეყანაში ვით სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ხასიათის დიდებული მუსიკა.

და ამიტომაც მემუარისტი სავსებით ბუნებრივად მიიჩნევდა ქართველი ხალხის აღქმას, ილიასა და აკაკის საქვეყნო საქმეში თანამებრძოლებად რომ აღიარებდა და... სულაც ტყუპ ძმებად, ერთი დედის მუცლით ნაშობებად, და სადაც ილიას იტყოდნენ, შეუძლებელია იქვე აკაკიც არ ეხსენებინათ, აკაკის ხსენებისას კი ილიას სახელიც გაისმოდა — თავისთავად და ძალდაუტანებლად.

ვთქვათ და, გაიმართებოდა რაიმე საქველმოქმედო საღამო და ვინმე იტყოდა:

— ილიამ ლექსი წაიკითხა.

მსმენელს უეჭველად უნდა ეკითხა:

— აკაკიმ რაღა წაიკითხა?

და ეს იმის მიუხედავად, მონაწილეობდა თუ არა იმ ლიტერატურულ საღამოში აკაკიც.

მეტად საგულისხმო და დამაფიქრებელი ფსიქოლოგიური განწყობილებაა წარმოჩენილი: ხალხს ვერ წარმოედგინა, რომ იქ, სადაც ილია იმყოფებოდა, შეუძლებელია აკაკიც არ ყოფილიყო. და სადაც აკაკი — იქვე ილიაც.

და ამ გარემოებას ასე განაზოგადებდა:

ვეჭვობ, სხვა მაგალითი კიდევ მოიპოვებოდეს არამცთუ ჩვენში, არამედ სხვაგანაც, რომ ორი თანამედროვე მგოსანი, ესოდენ თავისთავადი და თავისებური ადამიანური ბუნებითაც და პოეტური მეტყველებითაც, ასე გაერთიანებულიყო ხალხის წარმოდგენაშიო.

მაგრამ... ხომ იყვნენ კაცუნებიც, ილია ზურაბიშვილი ადამიანის ანაფხეკებად რომ მოიხსენიებს, ზოგი აკაკისაგან ნაწიპურტევი და ზოგიც ილიასაც ნაქიმუნჯევი, ზოგი კიდევ მაამებლად და ენატანიად დაბადებული, რომელნიც არაფერს დაზოგავდნენ, რათა ყოფით ცხოვრებაში მაინც დაეშორიშორებინათ ქვეყნის ეს ორი დიდი მესაიდუმლე.

განა ილიასაგან ვინმეს ძვირი სიტყვა გაეგონა აკაკიზე?

არსებობდა ერთადერთი მოსწრებული თქმა, რომელშიც — მემუარისტის შეფასებით — გულისტკივილი უფრო გაისმოდა, ვიდრე სარკაზმი.

ანტონ ფურცელაძე ჰკითხავდა ილიას:

— რა არის, კაცო, შენ სულ აკაკის ქებაში ხარ, ის კი ზეზეურად გთხრის.

ილია კი პასუხად:

— შეიძლება ორივე ვცდებით.

და მემუარისტს ეჭვიც არ ეპარებოდა, ეს მახვილი სიტყვა აკაკიმდე უმანკო სახით რომ მისულიყო და მზითვად ბევრი ნართაული არ მიჰყოლოდა, სულ სხვაგვარი და სხვა მნიშვნელობისა, აკაკი ძალიანაც მოიწონებდა, როგორც მოსწრებული, მახვილგონივრული თქმის დამფასებელი ადამიანი, და სიცილით თვითონვე უამბობდა სხვებს:

— ილიას ჩემზე ასე და ასე უთქვამს.

მაგრამ როდესაც მახვილ სიტყვას დაუსართავდნენ: მქირდაობას, კილვას, ჭორს, შურს, მტრობას, ძულვასა და ყოველგვარ ცოდვას ამა ქვეყნისა?!.

და სწორედაც ამ ფონზე მოიხმობდა მემუარისტი ილიას ბარათს აკაკისადმი, გაგზავნილს 1886 წლის 5 იანვარს, მცირე ნაწყვეტი ილიაზე მოგონებაშიც რომ ჩაერთო, ამჯერად

კი მთლიანად გადმოწერდა, რათა მკითხველი ერთხელ კდევ დამტკბარიყო ამ საუცხოო დოკუმენტის გაცნობით.

— ძმაო აკაკიო, — ასე იხსნებოდა ბარათი, — მე შენ ვერ გაგიკადნიერდი და ვერ მოგართვი ის დაბეჭდილი წერილი, რომლებიც სხვებს გავუგზავნე. სხვები სხვანი არიან და შენ ერთადერთი აკაკი ხარ. ამიტომაც, გარდა ჩემი საკუთარი წერილისა, მოვალეობამ მამულიშვილობისამ — მაიძულა ჩვენი ქვეყნის რჩეულისათვის რჩეული, განსაკუთრებული წერილი მომეწერა და მეთხოვნა გაგემშვენიერებინა ჩვენი გაზეთი შენი ნიჭის ნაშუქითაო.

სხვები სხვანი არიან და შენ ერთადერთი აკაკი ხარო...

ჩვენი ქვეყნის რჩეულისათვისო...

აქამდე რომ არ მიეწერა ეს ბარათი?

დაე აკაკი ამას ნურც ილიას განთქმულ ზარმაცობას მიაწერდა და ნურც რომელიმე ავგუნებიან მოძრაობას მისი გულისა, რომელსაც აკაკი ყოველთვის სასიქადულოდ ეყოლებოდა, როგორც უკეთესი მეგობარი, ჩვენი ქვეყნის ბედნიერებისათვის თავგანწირული.

აბა მაშ რა იყო მიზეზი?

რა და:

არ იცოდა, თუ სად იმყოფებოდა. ჯერ აქ ეგონა, ახალწლის წინა ღამეს მიეწვია და... პასუხად მიეტანათ: ქალაქში არ არისო. დღეს შეეტყო, რომ ჩამოსულიყო და აჰა კიდეც მისწერდა.

მისწერდა და... არ იცოდა, რა ეთხოვა და როგორ ეთხოვა.

რაც ხანი „ივერია“ ჟურნალად გამოდიოდა, აკაკი ხომ ძალიან შორს უვლიდა, არ ეკარებოდა, და თუმც ეს ილიასათვის დიდი დანაკლისი იყო, მაგრამ საწყენი კი არა, რადგანაც ფიქრობდა: იქნება ჩემი მიმართულება არ მოსწონსო.

და ეს ისეთ სამართლიან საბუთად ეჩვენებოდა, რომ ვერარა გონიერი და პატიოსანი კაცი წუნს ვერ დასდებდა, წინ ვერ აღუდგებოდა, სიტყვას ვერ შეუბრუნებდა. და რაკიღა ამას იგულისხმებდა, ესეც „კისრად იღებდა და დადუმდებოდა“.

დღესაც ამ ყოფაში გახლდათ მის წინაშე, რადგან ახალ გაზეთს იგივე მიმართულება ექნებოდა, რაც ძველ ჟურნალს ჰქონდა, და ილიასაც იგივე, რაც უწინ, გულითადი წადილი ამოძრავებდა, რომ აკაკის სახელს დაემშვენებინა ეს გაზეთი.

— გული მერჩის გთხოვო შემწეობა და გულის ხმით აღებული საბუთი კი მაფრთხილებს: ვაითუ ეს თხოვნა ზნეობით ძალდატანება იყოს და იმ კაცს ჰოს თქმაც გაუძნელო და არასიც-მეთქი.

და მაინც:

თავის სათქმელს ასე გულახდილად ეტყოდა.

და გულახდილადვე დასძენდა, რომ უაკაკობა მისი გაზეთისათვის დიდი დანაკლისი იქნებოდა... ახლა კი დაე აკაკის გადაეწყვიტა გადასაწყვეტი...

ბარათი სხვაგვარად როგორ შეიძლებოდა დასრულებულიყო, თუ არა ასე:

— მაინც და მაინც გთხოვ დარწმუნებული იყო, რომ შემეწევი თუ არ შემეწევი, ორსავ შემთხვევაში სხვათა შორის მეც ერთი გულწრფელი მადლობელი და დამფასებელი შენის 25 წლის ღვაწლისა ვყოფილვარ, ვარ და ვიქნები.

საგულისხმიერო გამოთქმები კურსივით ხომ არ უნდა აწყობილიყო?

ილია ზურაბიშვილი ამას ზედმეტად მიიჩნევდა, ვინაიდან იქ ყველაფერი საგულისხმიერო გახლდათ, და მიადევნებდა, რომ:

ვინც ილიას იცნობდა და მოეხსენებოდა მისი მტკიცე ხასიათი და პრინციპულობა საქმეში, განსაკუთრებით კერძო ხასიათის მიმოწერისას, უეჭველად ირწმუნებდა, რომ ამისთანა ბარათს არავის მისწერდა, მითუფრო აკაკის, თუკი მისადმი ამ გრძნობას არ განიცდიდა, რაც ამ წერილში ასე კანთიელად და მთელი გულგადახსნილობით ღაღადებდა.

მითუფრო აკაკის რატომ?

ილიას მართლა რომ ეგრძნო მისადმი აკაკის მტრობა და აკაკიზე ჰქონოდა ის შეხედულება, არამკითხე მაამებელნი გულმოდგინედ და დაჟინებით რომ უხატავდნენ, ცხადია თავს არ დაიმცირებდა და აკაკის საქირდავად არ გახდიდა თავის კეთილშობილურ გრძნობას მისადმი.

მემუარისტი მოიშველიებდა აკაკის სიტყვასაც, წარმოთქმულს თელავში 1897 წელს, რომელშიც ილიასადმი უზენაეს ეპითეტსაც კი არ დაიშურებდა:

— საკვირველია, მესამოცე წლებშიაც, როდესაც მამათა სქესის ახალთაობა გამოფხიზლებას აპირებდა, ის პატარა ცისარტყელა კახეთში გამოჩნდა და ის ღრუბლის ნაგლეჯიც აქეთ დაგვინახეთ. რასაკვირველია, მიხვდებოდით, რომ აქ იგულისხმება თქვენივე შვილი ბატონი ილია ჭავჭავაძე... სჩანს, რომ ეს საქართველოს ყოველ კუთხეზე მეტად წამებული კახეთი ჩვენთვის ბეთლემად დაუნიშნავს განგებას.

და სამგლოვიარო სიტყვასაც, როგორც მეტად დამახასიათებელს.

ახალმოძრაობის წინამორბედი, მაგრამ საწაღმართოსი და არა საუკუღმართოსი, უკუღმართად მოკლული რომ იწვა კუბოში და თითქო ეკითხებოდათ:

— რა დაგიშავეთ, რომ ეს დღე დამაყენეთ?..

ქართველებს თავის სამართლებელი ვერა მოგვეხერხებინა რა და აკაკისაც, როგორც ქართველს, მწუხარების გარდა სირცხვილიც ენას უბამდა, ვეღარას ამბობდა და გადადიოდა საპირადოზე:

— მშვიდობით, ძმაო! გარემოებამ გადაგვაბა ჩვენ ერთმანეთზე: ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთ უღელს ვეწეოდით; ერთის გზით დავდიოდით. ახლა ჩემი მარტოდ დარჩენა, დაობლება საძნელოა, მაგრამ ეჰ, არა ღირს პირადობაზე რაიმეს თქმა და ისიც ჩვენში დღეს!..

ილიას კი თავისი ქვეყნიური ვალი მოეხადა და განესვენა სამუდამოდ. და ამიერიდან ისტორიის კუთვნილებად ქცეულიყო. მისი საქმეები და ღვაწლი თავისთავად იღაღადებდნენ. იმათ ჩვეულებრივი მითქმა-მოთქმა ვეღარც ვერას დააკლებდა და ვეღარც რაიმეს მიუმატებდა!

თუ საქართველოს სიკვდილი არ ეწერა, მაშინ იმასთან ერთად ისიც უკვდავი იქნებოდა. და თუ სასიკვდილო გახლდათ, როგორც ზოგიერთებს სურდათ და ეგონათ, მაშინ... ნეტავი მას, რომ თავისი სიკვდილით წინ გაესწრო ქვეყნის სიკვდილისათვის და თვალით ვეღარ იხილავდა ამ ტრაგედიას!..

როგორც სიცოცხლე, ისე სიკვდილი მისი გამხდარიყო მიზეზად ხალხის ამოძრავებისა და აჰა, საქართველოს ყოველი კუთხიდან თავმოყრილნი ეხვეოდნენ გარს!..

და ვინ იცის, ეგება სიკვდილით მაინც განემტკიცებინა ის, რისთვისაც სიცოცხლე შეეწირა: ერთობა, თანასწორობა და სიყვარული!..

მშვიდობით, ძმაო, — ბოლოს ეს აღმოხდებოდა, — საუკუნოდ იყო ხსენება შენიო!..

თითქოსდა ლიტერატურული ფორმულების ნაკრებს ვეცნობოდეთ, ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა გულმოდგინედ რომ არის აწონილ-დაწონილი და მძაფრი შინაგანი მუხტით გადაქცეულა ილიას მოქალაქეობისა და ღვაწლის სხარტ, დაწურულ დახასიათებად, იმ საძირკვლად, რომელზეც უნდა დაშენებულიყო ამ ცხოვრებისა და სულიერი მონაპოვრის შეფასება-გააზრებანი, ამ ჩარჩოს რომ ვერ გაცდებოდა და ანკი რატომ უნდა გაცდენილიყო.

გზამკვლევს გვიტოვებდა აკაკი იმ გამოსათხოვარი სიტყვით.

ვერგილიუსივით შეგვიღებდა ამ გრანდიოზული სამყაროს ჭიშკარს, ილია ჭავჭავაძის მწერლური მემკვიდრეობა რომ ჰქვია და იქამდეც გამოგვყვებოდა, სადამდე შეღწევის თავიც გვექნებოდა.

ყოველ შემთხვევაში ამ გრანდიოზულობას შეგვახედებდა და ხელშესახებადაც განგვაცდევინებდა.

როგორ შეიძლებოდა ილიას დაკრძალვაზე — 1907 წლის 9 სექტემბერს — აკაკის გამოსათხოვარი არ წარმოეთქვა — თუნდ სნეულს, დასუსტებულს, თუნდ აკანკალებული ხმითა და ლამის ჩურჩულით, ძაძებში შემოსილი წერა-კითხვის საზოგადოების სადგომიდან რომ გადმოდგებოდა რამდენიმე კაცის დახმარებით. ეს ჩურჩული, ქვითინით გათავებული, მიაწყდებოდა და მოიცლიდა საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭულს და სამუდამოდაც ჩაიბეჭდებოდა ჩვენს საზოგადოებრივ და ისტორიულ მეხსიერებაში.

გარემოებას თვითვე გადაეება ისინი ერთმანეთზე.

ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთ უღელს ეწეოდნენ.

ერთი გზით დადიოდნენ.

და ახლა მარტოდ დარჩენა, დაობლება ჰოი რარიგ ეძნელებოდა აკაკის...

და კიდეც უნდა ავარდნოდა ქვითინი.

და მისი ქვითინის გაგონებაზე ხალხშიც უნდა ამოხეთქილიყო მოთქმა-ტირილი.

მცირე პანაშვიდის შემდეგ კი პროცესია კვლავ რომ დაიძრებოდა, აკაკი ვეღარ გაჰყვებოდათ სამარემდე, უკანვე რომ შეაბრუნებდნენ ჩოჩიალ-ჩოჩიალით, ეს მღელვარე წუთები კიდევ უფრო რომ მოუმატებდა სისუსტეს.

დაობლება ამას ეთქმოდა თუ ეთქმოდა!..

ლექსითაც დაიტირებდა: ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობასო!..

მაგრამ რეალობა გაცილებით უფრო მკაცრი გახლდათ და აკაკის გრძნობის მოწამვლას რას დაერიდებოდა, და ის დაიჯერებდა თუ არც დაიჯერებდა, აგერ თვალდათვალ კი წყდებოდა საქართველოს ბედისწერა წიწამურში გასროლილი ტყვიით.

ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობასო, — ეს სტრიქონი სათაურად უნდა შერჩეოდა იმ მდუღარებიდან ამოვარდნილ სტატიას, 8 სექტემბრის „ისარი“ რომ მოჰფენდა საზოგადოებას აკაკის მწარე გულისწუხილად, იმ მგოსნისა და მოღვაწისა, და დაუმცხრალი მოგზაურისა, ბევრი ქვეყანა რომ დაეევლო, გასცნობოდა და შეედარებინა სხვადასხვა ერი ქართველთათვის და: ბუნებრივ გრძნობა-გონების სისპეტაკეში უპირატესობა ჩვენზე არა ენახა!..

და ამით ხსნიდა იმ ისტორიულ საკვირველებას, ჩვენს წინაპრებს რომ გადმოეცათ ჩვენთვის: მაჰმადიანობას მუსრი გაევლო ქრისტიანობისათვის — დიდებული ბიზანტია სრულიად დაემხო, სლავიანეთ ქვეყნები დაეპყრო და ევროპის კალთებისათვის ზარი დაეცა, მაგრამ ეს პატარა სამეფო, ეს ერთიმუჭა ხალხი კი გაუჭირებდა საქმეს, ყოველი კუთხით მომდგართ მაინც რომ გაუბედავდა გამკლავებას. იტყოდა: ჭირსა შიგან გამაგრება ისრე უნდა, ვით ქვითკირსაო, — და გულს გაიმაგრებდა: სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანიო.

შეუკავშირებდა რჯულს ეროვნებას — პირველი მის გონებას რომ შეადგენდა და მეორე კი — გრძნობას. და ამ შეკავშირების მეოხებით XIX საუკუნის კარამდე მოიტანდა ორივეს შეუბღალავად...

და ნუთუ ამგვარი ხალხი, ამდენ ტანჯვაგამოვლილი და ამდენის ამტანი ისე დაეცა ას წელიწადს, რომ თავისი მოღვაწე, ახალმოძრაობის წინამორბედი, მესვეური, რომელიც ყოველ საქმეს წინამძღოლობდა, თავისი ხელით გაემეტებინა?

არა! ამას ვერ დაიჯერებდა და... ნუ უწამლავდნენ მოხუცს გრძნობას!..

მოღალატენი ძველ დროშიაც ჰყოლოდა საქართველოს. მამელუკები და იანიჩრები უმეტესად გადარჯულებული ქართველები ყოფილიყვნენ, ძირეულ თათრებზე მეტად ისინი რომ ემტერებოდნენ საქართველოს, დევნიდნენ რჯულსა და ეროვნებას, მაგრამ ამით საქართველო არ შებღალულიყო და ქართველობას სახელი არ გასტეხოდა!..

დღევანდელ სკოლებშიაც, რომელსაც ასე ებრძოდა აწ უკვე განსვენებული ილია და ასე ალმაცერად შეჰყურებდა შეგნებული ქართველობა, სადაც ახალგაზრდობისათვის გმირები საბერძნეთიდან და რომიდან მოჰყავდათ სამოქმედოდ, აზეპირებინებდნენ ტაციტუსს და... იმავე დროს ავიწყებინებდნენ ჩვენს ისტორიას, ჩვენს წარსულს, ქართველ გმირებს, და ამისთანა სასწავლებლებში რომ ერთი-ორი ჩვენი დროის შესაფერი მამელუკ-იანიჩარიც გამოსულიყო, ქვეყნის მტერი და მოსისხარი — რაღა გასაკვირველი გახლდათ.

და სწორედ იმათაც ჩაედინათ ეს დღევანდელი საზიზღარი საქმე!..

და არა გლეხობას ან რომელიმე დასს, რომელზედაც სულ სხვა წარმოდგენა ჰქონდა და... ტყუილა ნუ უწამლავდნენ მოხუცს გრძნობას დღევანდელი მითქმა-მოთქმით.

და არა რომელიმე დასმაო...

თითქოს არა სჯერა, მესამედასელნი რომ გარეულან ამ მკვლელობაში და თითქოს კიდეც გაურბის ამ მითქმა-მოთქმას, მაგრამ... პრესის ფურცლებზე ადასტურებს, რომ ამგვარი მითქმა-მოთქმა არსებობს და... გარკვეული დასისაკენაცაა მიმართული.

ჰაერში რჩებოდა ეს ფრიად საფუძვლიანი ეჭვი?

აკაკი ჰაერში არ დატოვებდა და საქვეყნოდაც გააცხადებდა მართლაცდა მამელუკიანიჩართა ამ საზარელ ცოდვა-დანაშაულს, ისტორია და წარსულდავიწყებულთა და გადაჯიშებულთა ამ ულმობელობას.

დაე გაეცნობიერებინა ყველას, რომ:

შარაგზის ყაჩაღებს კი არ მოეკლათ ერის მამა და ერთი უპირველესი ჭირისუფალი წიწამურის გზაზე, ტლუ გლეხებს კი არ მოეღოთ მისთვის ბოლო, არამედ — დღევანდელ სასწავლებელში გამოზრდილნი მოთავეობდნენ ამ ტრაგედიას, ცალმხრივად განსწავლულნი და ეროვნებადაკარგულნი.

და არა რომელიმე დასმაო...

ეს ფრაზა ისეთივე მიამიტობით წარმოითქმოდა, როგორც ილია ჭავჭავაძის ნოველის — „სარჩობელაზედ“ — ფინალური ფრაზა, ვითომდა გულუბრყვილო შეკითხვა: მართლაცდა ჩვენი ბებერი პეტრე რა შუაში უნდა იყოსო?!.

სწორედა რომ შუაში გახლდათ ჩვენი ბებერი პეტრე.

და „რომელიმე დასიც“ ვერ შეიმალებოდა თუ დაიფარავდა თავს, ის პოლიტიკური დასი, რომელიც შუაშიც იყო, ბოლოშიც და თავშიც.

და კიდეც ამოკიაფებულიყო კახეთის ბეთლემობა, ყვარელის ბეთლემობა ამოკაშკაშებულიყო!..

თავი III

აკაკი —
საზომად ერის შესვლისა ასპაკში

იოსებ იმედაშვილსაც ორი ადამიანის ხატება ჩაესვენებოდა ღრმად გულში, როგორც თავისებურება და ერთსახეობა მისი სამშობლოსი.

პირველი — ილია: მუდამ სევდიანი, ფიქრჩაღრმავებული, კოპებშეკრული...

მეორე — აკაკი: მუდამ მღიმარე, სახენათელი, გულღია, ზეაღმტაცი!..

ვისაც არ ენახა აკაკის ღიმილი, ამ მხრივ ურჩევდა და გაუადვილებდა: შეხედეთ ამომავალ მოჭიატე მზეს — აკაკის სიცილიც წარმოგიდგებათო.

მზე რომ ასულდგმულებდა და მოქმედების ხალისსაც უცხოველებდა იოსებს, ასეთი გახლდათ მისთვის აკაკიც: ყოველი მისი შემოხედვა ძალ-ღონეს უორკეცებდა, კაცთაგან უთქმელს, უმაღლეს გრძნობას აღუძრავდა, ბრწყინვალე მომავლის რწმენას განუმტკიცებდა...

ილია კი თვითმოქმედების, საკუთარი უნარის გამოჩენის ნიათს ულვიძებდა, ცხოვრების დამაბრკოლებელ მოვლენათა წინააღმდეგ საბრძოლველ ძალას ჰმატებდა.

ორივ ერთად — ერთიმეორის დამატებით — საქართველოს ხასიათს გამოხატავდა...

ერთი უმეოროდ ვერც ამას წარმოედგინა, მითუმეტეს — საქართველო უაკაკოდ და უილიაოდ...

ესეც პირველი ნაკვთი.

შედარებითი დახასიათება აქ მოთავდებოდა — ლაკონიური შეფასებებით.

და ბარემ მეორე ნაკვთისაც ითქვას?

ვისაც აკაკის დეკლამატორული კითხვა არ მოესმინა, ვერც წარმოიდგენდა.

აკაკი მკითხველი — უბრალო, სადა, ჩვეულებრივი მოსაუბრე, დინჯი, წყნარი, მეხმაურე ტკბილ-მუსიკალურ ხმათა, არც ხმის უშნოდ აწევ-დაწევა, არც წარამარად ხელების შლა, თითქოს არც ისა — ავაღელვო ვინმეო... მაგრამ ამ უბრალოებით უფრო დიდ შთაბეჭდილებას ტოვებდა, მსმენელის გულისგულსა წვდებოდა...

ასეთივე გახლდათ ლექტორადაც, და იოსებ იმედაშვილი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ:

ქართულ სივრცეში პირველად აკაკი წაიკითხავდა სამ ლექციას „ვეფხისტყაოსნის" შესახებ, და თუმც იმხანად ლექციები მიღებული არა ყოფილა, აკაკი მთელი საზოგადოების ყურადღებას მიიპყრობდა — ოვაციებს, თაიგულებსა და დაფნის გვირგვინს დაიმსახურებდა...

მესამე ნაკვთისაც ითქვას ბარემღა:

ბაასი, საუბარი, თავმდაბლობა, მაგრამ ამავდროულად უამაყო დიადობა, თავაზიანობა, დიდებული სვლა, მძიმე ნაბიჯი, თითქოს ცას მიბჯენილი თავი, შორს, იდუმალობისკენ გამქცევი თვალნი...

და ბარემღა მეოთხისაც:

ახოვანება, ბრგე ტანადობა, ხუჭუჭა თმა — თავზე მზის ბუჩქივით მოხვეული, ფართო და ნათელი შუბლი...

და კიდეც აღტაცდებოდა იოსებ იმედაშვილი:

არა, იგი ამქვეყნიურს არა ჰგავდა — ჩვეულებრივ მომაკვდავთაგან განსხვავებული აპოლონი იყოო.

აპოლონი — პარნასის მწვერვალზე?

თურმე პარნასის მწვერვალზე სულაც არა, არამედ — მარად შრომაში, ოფლისმღვრელი ხალხის გულში მჯდომარე, თვითეული გულთა სიმების მიზრაფი...

* * *

დაუსრულებლივ ტრიალებდა ეს პარალელი — აკაკი და ილია?

გრიგოლ რობაქიძეს მტკიცედ სჯეროდა: მუდმივადაც დარჩება ჩვენს ლიტერატურაში, და კიდევ უფრო — ჭირვეული დაეჭვება: რომელი უფრო მაღლა დგასო!..

თვითონაც აკაკიზე ფიქრებისა და ფაქტების ნაკრებთა ერთ ქვეთავს სწორედ ასე დაასათაურებდა: „აკაკი და ილია“.

თვითონ გრიგოლი მათ მოიხსენიებდა ტყუპებად, ანუ იზიარებდა ამგვარ განსაზღვრებას, ტყუპებად — რომელნიც დაცილებოდნენ ერთიმეორეს. მაგრამ „ტოლები“ კი დარჩებოდნენ, არჩევანი ხან ერთს რომ ერგებოდა და ხანაც მეორეს — როგორც ეს ჩვეული ამბავია „ტოლებში“.

არამცთუ საზოგადოებაში, ხშირად ერთი და იმავე პირის გუნებაშიც ხდებოდა ხან აკაკის არჩევა და ხანაც ილიასი.

აქ... უშუალოდ გრიგოლის განცდა-განწყობილებაც ხომ არ იჩენს თავს, თვითონაც რომ ვერ გადაეწყვიტა საბოლოოდ, რომლისათვის მიენიჭებინა უპირატესობა და... ირჩევდა ხან ერთსა და ხანაც მეორეს?

პირადი განცდა რომ არა, ალბათ ასე დაბეჯითებითაც ვერ განაცხადებდა.

ამგვარი გულისჭიდილისათვის არც სხვას ძრახავდა და არც თავის თავს, რაკიღა სავსებით ბუნებრივად მიაჩნდა, ხოლო ტოლების საზომს ასე ჩამოაყალიბებდა:

სხვანაირნი, მაგრამ ერთფასეულნი.

და თუ ვინმე აირჩევდა ხან ერთსა და ხანაც მეორეს, ეს არც პირველის ბრალი გახლდათ და არც მეორესი.

და შეგვახსენებდა, რომ რუსეთშიც ასევე ხდებოდა, როდესაც ადარებდნენ ერთიმეორეს — ლევ ტოლსტოისა და ფიოდორ დოსტოევსკის.

ილია და აკაკი — ეს პარალელი მუდმივადაც რომ დარჩებოდა ჩვენს ლიტერატურაში, პირწმინდად შემოქმედებითი თვალსაზრისით მათი შეპირისპირება მეტად საძნელო გახლდათ გრიგოლ რობაქიძის თვალთახედვითაც: მათი მხატვრული ბუნება სულ სხვადასხვააო.

აკაკი მსუბუქი გახლდათ, ილია — მძიმე.

აკაკი დაჰქროლავდა, ილია მძლედ მიემართვოდა.

აკაკი ჩქეფდა, ილია დუღდა.

აკაკი ჰქმნიდა და არ ცდილობდა, ილია ცდილობდა და ჰქმნიდა.

აკაკიმ არ იცოდა და თხზავდა, ილია თხზავდა და იცოდა.

აკაკი შეჰქმნიდა და მიზანს მერე იხილავდა, ილია ჯერ მიზანს ხედავდა და მერეღა შეჰქმნიდა.

აკაკი უფრო ბუნებრივი იყო, ილია უფრო „ხელოვნური“.

იქ, სადაც აკაკი სულს შეუბერავდა და წააქცევდა, ილიას ძლიერი მოქნევა სჭირდებოდა.

აქედან მომდინარეობდა მათი პოეტური შემოქმედების განსხვავებაც:

აკაკის ლექსში სიმბოლო და აზრი თითქმის ერთიანდებოდა: აქ შინაარსის გამოყოფა ფორმისაგან შეუძლებელი ხდებოდა, მის პოეზიაში იდეა და სახე განუყრელი რჩებოდნენ, სხვავდებოდნენ კი.

ამიტომაც ფიქრობდა ხშირად დაუკვირვებელი მკითხველი, როცა აზრს ვერა ხედავდა ფორმიდან გამოყოფილს: აქ მარტოდენ ლამაზი ფორმაა, შინაარსი კი ცოტააო.

ილიას ლექსი კი სხვა გახლდათ, სიმბოლო და აზრი აქ ერთი და იგივე სულაც არა ყოფილა: ფორმისა და შინაარსის გამოყოფა აქ ამიტომაც იყო შესაძლებელი. მის პოეზიაში იდეა და სახე არათუ სხვავდებოდნენ მარტო, კიდეც განიყოფებოდნენ.

ამიტომაც ფიქრობდა ხშირად დაუკვირვებელი მკითხველი, როცა აზრს ხედავდა ფორმისაგან გამოყოფილს: თუმცა ფორმა არ არის აქ სავსებით ლამაზი, სამაგიეროდ ღრმა აზრიაო.

ჩვენი მხრივ დაე დაკვირვებული მკითხველისათვის მოგვესმინა, მათი ლექსის თავისებურებასა და სინამდვილეს ამგვარად რომ გაგვიცხადებდა:

იმ დროს, როცა აკაკიმ აზრი ფორმაში გაადიდა და მით იდეა და სახე განუყრელ, მაგრამ განსხვავებულ ჰქმნა, — ილიამ აზრი ფორმაში ასე ღრმად ვერ ჩამოასხა და მით იდეა და სახე განსხვავებულ ჰქმნა, მაგრამ განუყრელი ვერაო.

არ მოსწონდა და ძალიანაც არ მოსწონდა აკაკისა და ილიას შედარება შალვა ამირეჯიბს: ეს ხომ სრული ლიტერატურული მოვეტონობაა, ანუ: ცუდი ტონიო. და ეს იმიტომ, რომ: პოეტებსა და ხელოვანებს არსად ადრიდნენ ერთმანეთს მარტოდენ იმიტომ, რომ ერთი მეორეზედ მაღლა დაეყენებინათ. გერმანიაში არ ადრიდნენ გოეთესა და შილერს, იტალიაში — და ვინჩისა და მიქელანჯელოს, რუსეთში — პუშკინსა და ლერმონტოვს. ადრიდნენ მხოლოდ მათ შორის სხვადასხვაობის აღმოსაჩენად, რათა ამით გამრავლებულიყო იდეათა და შემოქმედებითი უნარის ეროვნული ჯამი, და არა დასამცირებლად — ერთისა მეორის ხარჯზედ.

განსჯა გრძელდებოდა, რომ:

60-იანი წლების საქართველოში მოხდებოდა მოვლენა, რომლის სიღრმეცა და მნიშვნელობაც ჯერ კიდევ ვერ შეფასდებოდა ღირსეულად — რადგანაც ამ მოვლენის მონაწილე პირნი უმთავრესად მწერლები იყვნენ, მოვლენაც უმთავრესად განისაზღვრებოდა როგორც ლიტერატურული განახლების ეპოქის დასაწყისი და მისი შეფასებაც ჩვეულებრივი ლიტერატურული კრიტიკის შეფასებას არცთუ დიდად გასცილდებოდა.

სინამდვილეში კი მოხდებოდა უფრო მეტი, ვიდრე ლიტერატურული განახლებაა.

როდესაც ილია ჭავჭავაძე, რომელიც წლებითა და საზოგადო ასპარეზზე გამოსვლით აკაკი წერეთელზე უფროსი გახლდათ, ქართველობას შეასახელებდა, დასავლეთ საქართველო აკაკით უპასუხებდა.

— აი მაშინ დაიბადა ჩვენში შესანიშნავი და განუყრელი სიტყვა: „ილია და აკაკი“, რომელსაც სხვა ერთა მწერლობაში მუდამ ბადალიც არა აქვს.

და გული წყდებოდა შალვა ამირეჯიბს, რომ:

თუმც ამ სახელებს გასაყოფი არაფერი ჰქონდათ, საერთო კი — ყველაფერი, მაგრამ შეგნებული თუ შეუგნებელი ადამიანები მხოლოდ იმას ცდილობდნენ, რომ ეს სახელები ერთმანეთისთვის დაეშორებინათ, და არამცთუ დაეტოლებინათ, არამედ დაეპირისპირებინათ კიდეც.

არადა:

დაე ყველას გაგვესიგრძეგანებინა, რომ:

აკაკი გახლდათ არამარტო პოეტი, არამედ ისტორიული პირიც, რომელიც საქართველოს სხვადასხვა მიწა-წყლის შვილთა დიდ პაემანზე იმერეთს თავისი მხრებით მოიტანდა. და საქართველო ამ დღიდან გაერთიანდებოდა მხოლოდ და შემდეგი თაობანი მარტოდენ ილიასა და აკაკის მიერ დაწყებული საქმის მიმდევარნი იქნებოდნენ.

ამიტომაც მოხდებოდა, რომ:

ილიასა და აკაკის სახეს ვერავითარი პოლიტიკური პარტია, შემდგომ გაჩენილი, ვერავითარი პოლიტიკური ლიდერი, შემდგომ მოვლენილი, ვერ წაშლიდა, ვერ გააბათილებდა, ვერ გაიმეორებდა და... ვინც უნდა ყოფილიყო ამ ბედნიერების მედროშე, მადლიერი ქართველი ერი ყველაზედ უწინ მაინც ილიასა და აკაკის მოიგონებდა.

და კიდევ ერთხელ იტყოდა შალვა ამირეჯიბი სრული დაბეჯითებით:

აქედან იყო, რომ ქართველ ერში წარმოიშობოდა სიტყვა — „ილია და აკაკი“, სიმბოლო ქართველთა სულიერი გაერთიანებისაო.

საერთო თვისება, არსებითი ილიასა და აკაკის მწერლობისა არის მოძღვრება და წინასწარმეტყველებაო, — კიტა აბაშიძე ხაზსაც რომ გაუსვამდა ამ სიტყვებს, ზურაბ კიკნაძე მიადევნებდა:

„მოძღვრება“ და „წინასწარმეტყველება“ ანუ რჯული (თორა) და წინასწარმეტყველნი (ნებიიმ) ძველი აღთქმის ფუძემდებლური წიგნებია. და ავტორი არაორაზროვნად ჩვენს პოეტებს ბიბლიის დონეზე განიხილავსო.

ხოლო კიტა აბაშიძის იმ სიტყვებს:

— მათ ჩანგში გაისმა პირველად მძლავრი და მომხიბლავი წინასწარმეტყველება და მოძღვრება... ჩვენ ღვთივკურთხეულ მოძღვრებს შუბლზედ აქვთ მკაფიდ გამოსახული სხივოსანი შარავანდედი მოძღვრისა და წინასწარმეტყველისა...

დანანებით დასძენდა, რომ:

ეს ასპექტი ილიასა და აკაკის შემოქმედებისა, მისი პროფეტული მხარე, ყურადღების გარეშე დარჩათ შემდგომდროინდელ ავტორებს, თუმცა ის მკვეთრად არის გამოხატული ორი პოეტის არა მხოლოდ შემოქმედებაში. მათი მნიშვნელობა სცილდება სიტყვიერი შემოქმედების სფეროსო.

ამ თვალსაზრისის დასტურად, რომ მათი მნიშვნელობა სცილდებოდა სიტყვიერი შემოქმედების სფეროს, ზურაბ კიკნაძე იმოწმებდა იმ გარემოებებს:

აკაკი თავს რომ განიცდიდა სიმონ მოხუცებულად.

ილია კი ირწმუნებოდა: მე ცა მნიშნავსო, — რითაც უკანა პლანზე გადაჰქონდა პოეტის, როგორც პოეტის (მესიტყვის), როგორც ესთეტიკური სამყაროს შემქმნელის, ფუნქცია. — სად არის შენი სამშობლო? — ამ შეკითხვას პასუხად პოეტი ცას რომ ასახელებდა, ცა ხომ არსებითად წინასწარმეტყველის სამშობლო გახლდათ.

ზურაბ კიკნაძე საგანგებოდ მიაქცევდა მკითხველის ყურადღებას იმას, რომ:

წინასწარმეტყველი მაინცდამაინც არ გულისხმობს მომავლის წინასწარჭვრეტას, ხილვას იმისა, რაც ჯერ არ მომხდარა, და ამის გამოცხადებას ხალხისათვის, რომელიც აწმყოზეა დაბმული.

მაშ ვინ არის თავისი დანიშნულებით წინასწარმეტყველი?

— ...ადამიანი, რომელიც სწორედ აწმყოს, რომლის ნამდვილი სახეც დაფარულია დემოსისთვის, განჭვრეტს; აწმყოს ნაჭუჭში ხედავს მომავლის ნაყოფს. წინასწარმეტყველი არის მღვიძარების სული, რომელიც ხედავს, რომ ქვეყანას სძინავს და მოწოდებულია მის გამოსაღვიძებლად. ის აღძრულია ისტორიის სულით, ის ხედავს, რომ ქვეყანას დავიწყებული აქვს თავისი გაკვეთილები; წინასწარმეტყველი სინდისის ხმაა, რომელიც ხედავს ქვეყნის დაცემას და მოწოდებულია დაცემულის აღსადგენად.

მთავარი ნიშანი წინასწარმეტყველისა — მკლევარის დაკვირვებით — მაინც ის არის, რომ:

— ...არ ქადაგებს თავის საკუთარ სათქმელს, თავის შეხედულებებს, თაყის მრწამსს; არ სთავაზობს გადარჩენის ერთ-ერთ შესაძლებელ გზას, არამედ ერთადერთს. ის კატეგორიულია. ის აცხადებს ჭეშმარიტებას, რომელიც არ არის დამოკიდებული მის პირად გამოცდილებაზე, რომელიც შეიძლება იყოს ჭეშმარიტების წყაროც და სიცრუის წყაროც. წინასწარმეტყველი იმასაც გრძნობს, რომ რასაც აცხადებს, ეჭვმიუტანელი ჭეშმარიტებაა, და რომ ის ნამდვილად არ არის საამური მოსასმენი ხალხისთვის, რომელიც უფრო ხშირად ცრუწინასწარმეტყველს უჯერებს.

ხოლო რაკილა:

— წინასწარმეტყველის მოწოდება მხილებაა.

ამ ეთიკური იმპერატივის სიმაღლიდან — ვერ შეეპუება ამა ქვეყნის ძლიერთ და პირში მიახლის სიმართლეს.

და ამ რეალობის დასტურად ზურაბ კიკნაძე აკაკის იმ სტრიქონებს რომ მოიშველიებდა:

— სულ სხვა ჰყავს ხელისუფალი ამ ჩემ გონება-გრძნობასაო.

ბოლომდეც გახსნიდა პროფეტული სულის არსს, როგორც წინასწარმეტყველისათვის შეუვალ ავტორიტეტს, რომელსაც იგი ვერაფრისდიდებით ვერ გაუწევს წინააღმდეგობას. და დუმილსაც ვერ შეაფარებს თავს, რადგანაც:

— მისი არა მხოლოდ პიროვნება — გული-გონება (მათ ერთიანობაში) — არის ავსილი სათქმელით, არამედ მთელი მისი ფიზიკური არსებაც, მისი სხეული, სხეულის შიგანი, ნაწლავები იწვის სათქმელით.

და თურმე უფრო მეტიც:

— მისი ძვლები განმსჭვალულია ჭეშმარიტებით, ძვლები, რომელიც თითქოს ადამიანის სხეულის მხოლოდ ნივთიერი ნანილია. „ძვლების ცეცხლი“ არ არის მეტაფორა, ის ონტოლოგიური ძალისაა, ყოველი წინასწარმეტყველის შინაგანი გამოცდილების ფაქტია.

ესეც ის საერთო თვისება, არსებითი ილიასა და აკაკის მწერლობისა — მოძღვრება და წინასწარმეტყველება, ორივ ღვთივკურთხეულ მოძღვარს შუბლზე მკაფიოდ რომ გამოსახვოდა მოძღვრისა და წინასწარმეტყველის სხივოსანი შარავანდი.

...გინდა თუ არა, რომელს უფრო მეტადო, — არა და არ ეშვებოდნენ ამ დავა-კამათს მათ ირგელივ მოფუსფუსე ადამიანები.

* * *

და გრძელდებოდა და გრძელდებოდა ასე:

ხან ილიას არჩევა და ხანაც აკაკის, ხან აკაკისა და ხანაც ილიასი...

ჩადგომით იმთავითვე ჩაუდგებოდა კვალში აკაკი ილიას — რამდენიმეწლიან განსხვავებას მათ შორის სიჭაბუკისას ცხადია გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

კვალში ჩაუდგებოდა და:

შთაგონებასა თუ პირველბიძგსაც მისგან მიიღებდა.

პაროდიული გამოპასუხების გუნებაზეც ის დააყენებდა.

„აჩრდილს" ილია მძაფრი პოლიტიკური სულისკვეთებით განმსჭვალავდა, იმ ეროვნული ტკივილებით, თავისებური პოლიტიკური პროგრამის იერიც რომ უნდა შეეძინა და არანაკლებად, ვიდრე „მგზავრის წერილებს". და რაკიღა მის შერბილება-გადაკეთებას არ იყაბულებდა იმ ნორმების შესაფერისად, ცენზურას რომ დაედგინა, ამიტომაც შეეგუებოდა მარტოდენ ფრაგმენტის გამოქვეყნებას „ცისკრის" ფურცლებზე, იმ მონაკვეთისა, რომელსაც ასე თუ ისე შეინყნარებდნენ მოდარაჯენი: ჩემო არაგვო, რარიგ მიყვარხარო, — მდინარეს რომ შეფრფვინავდა და მის ტალღათა სრბოლაში ჭვრეტდა ქართლის დამხობილ დიდებასაც და კვლავაღორძინების ძალასა და მადლსაც.

ნეტა ხელნაწერს თუ გააცნობდა აკაკის?

საამისო ცნობა არსად დასტურდება, მაგრამ სავსებით დამაჯერებელ ვარაუდად გამოითქმოდა ლევან ასათიანის ბიოგრაფიულ რომანში, მისთვის მთავარი ის გამოძახილი რომ გახლდათ, პოემის ამ ფრაგმენტს აკაკი რომ გამოეხმაურებოდა ლექსით „ამაო ძებნა" — „ცისკრის" 1860 წლის აპრილის ნომერში, „საიდუმლო ბარათით" უკე იმხელა სახელი და პოპულარობა რომ მოეპოვებინა, მეტად იშვიათად რომ სდევს თან დებიუტანტის გამოჩენას სამწერლო ასპარეზზე.

თუმც „საიდუმლო ბარათის" წამკითხველი მას დებიუტანტად ვერაფრისდიდებით ვერ მიიჩნევდა.

დასრულებული პოეტი წარმომდგარიყო ამ ერთი ლექსითაც: ლექს-მარგალიტით!..

და ერთბაშად უკან დარჩებოდა ის ხანა, პუბლიკაციაზე გვარ-სახელის მოწერას რომ ერიდებოდა, ვაითუ არ გამართლებოდა და ტოლ-ამხანაგებში რატომ გაემასხრებინა თავი, ისედაც კეთილი თვალით რომ არ უმზერდნენ და რაღა გააჩერებდათ, ხელჩასაჭიდს რომ იშოვნიდნენ.

და ილიასაც უკვე თამამად ჩაუდგებოდა კვალში და გამჭვირვალედაც, ყველა ადვილად რომ ამოიცნობდა შთაგონების წყაროს, რომელსაც აკაკი დაეწაფებოდა და თავისებურადაც გააგრძელებდა იმ სატკივარსაც და შეუპოვარ განწყობილებასაც, კირილე ლორთქიფანიძე ჩანაწერში „ცნობა კრებულ „ჩანგურის შესახებ" საყოველთაო თვალსაზრისს რომ გამოხატავდა:

— აკაკის ნაწარმოები ჭავჭავაძის არაგვის გამო არის დაწერილი.

მაგრამ... „გაზაფხულს" რას ერჩოდა, პოეტურ გამოპასუხებას „სახუმარო გასართობად" რომ მონათლავდა, მაგრამ სახელწოდება ვერ შეანელებდა მწარე გაკილვას, რითაც გამოპასუხება განიმსჭვალებოდა, და გიორგი შატბერაშვილი მიზეზად იმას ივარაუდებდა: ალბათ „მერცხლის ჭყივილი" მასაც სხვებივით ეუცნაურაო.

მარტო ამ გამოთქმას არ უნდა მოეჭრა მისთვის ყური — ვერ დაინახავდა ლოგიკურ კავშირს ლირიკულ განწყობილებასა და ფინალურ აკორდს შორის, ანდა დაინახავდა, მაგრამ ამჯობინებდა გაემკვეთრებინა თითქოსდა ალოგიკურობა „გაზაფხულის" ფინალისაც და მხატვრული მრწამსისაც და „ჩვენი პოეტების მიბაძვად" რომ ჩაიფიქრებდა იმ არცთუ სახუმარო გასართობს, მერცხლის ჭყივილს ბულბულის კივილსაც რომ შეუზავებდა, აყვავებული ვარდიდან კი მზერას დამწიფებულ ნესვსა და ღობეში გაკვეხებულ მსუნაგ ღორზე გადაიტანდა, ერთბაშად გროტესკული სურათიც რომ უნდა შემოეჭრილიყო: ღორზე ამხედრებული მებაღე დიდი ჯოხით — რათა ამ სამასხარაო სტრიქონებს უშუალოდ მიბმოდა ზედ თითქოსდა ომახიანი შეძახილი: გაუმარჯოს სამშობლოს, მტერიც დამარცხებულაო! — რითაც კიდევ უფრო გაძლიერდებოდა პაროდიული ეფექტი.

1895 წელს რაღა დროს „გაზაფხულის“ ასეთნაირი ამოწევა გახლდათ?

რაღა დროს და:

შემოვლით უნდა გამოეხატა თავისი ყოფნა ივანე მაჩაბლის ბანაკსა თუ პარტიაში, საბანკო ორომტრიალში უშუალოდ თუ ვერ მიიღებდა მონაწილეობას, ასე ხომ შეეძლო გაპაექრებოდა მოპირისპირე ბანაკის მეთაურს, თავისი განწყობილების გამოსახატავად ლიტერატურული სარბიელი ემჯობინებინა, თორემ იმჟამად, როდესაც სამწერლო სარბიელზე გამოსელისთანავე დიდ პოლემიკურ შეხლა-შემოხლაში ჩაბმულ ილიას მოპაექრენი „გაზაფხულსაც“ გაუკილავდნენ და ირონიულად მოიხსენიებდნენ ლექსის ფინალურ აკორდს: რატომ არ უნდა დაინახოს, რარიგ ამწვანებულა საქართველოს მთა-ველიო, — აკაკი იქ იდგებოდა, ილიას გვერდით, მის თანამოაზრედ და თანამებრძოლად, ლიტერატურულ-საზოგადოებრივი დავიდარაბის შუაგულში რომ შეიჭრებოდა და თავის მწარე ენასა და გონების სიმახვილეს, ირონიულ და პაროდიულ ძალმოსილებას ილიას მოწინააღმდეგეებისაკენ მიმართავდა, და კიდეც მწვავედ დაამახსოვრებათ თავს, ახლა — გარემოებათა გამოისობით — ილიას რომ უნდა შეხლოდა, თუმც პირდაპირ შეტაკებას მოერიდებოდა და ირონიულ სიმძაფრესაც თითქოსდა ხუმრობაში გაატარებდა.

გარემოებამ გადაგვაბა ჩვენ ერთმანეთზე: ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთ უღელს ვეწეოდითო, — გარდა სულიერი ერთიანობისა და ტყუპისცალობისა უშუალოდ ის დიდი ორომტრიალიც იგულისხმება, ყველას თვალში რომ გამოჩნდებოდნენ თანამდგომებად და ერთი უღლის გამწევებად.

სულიერ თანაზიარობას რეალური ხატიც დაადასტურებდა.

თუმც პოეტური გამოპასუხება იმჟამადაც უნდა მომხდარიყო, სიჭაბუკის წლებში, და ილიას აღმტაც განწყობილებას აკაკის ირონია და სარკაზმი შერეოდა, რაკიღა იმ დროის სტუდენტობას ერთნაირი თვალით არ უმზერდნენ, ყოველ შემთხვევაში ქართველ სტუდენტთა სიმღერის ილიასეულ ვერსია, სიამაყითა და თავმომწონეობით აღსავსე: დედამ რომ შვილი გაზარდოს — ემაგრე ჩვენისთანაო, ძმურად გამოსადეგი ვართ ყველგან და ყველასთანაო, — აკაკისეული ვერსიით ასე უნდა ჩანაცვლებულიყო: დედამ რომ შვილი გაზარდოს და მერე თქვენისთანაო?! ნაცარქექია რამე ხართ ყველგან და ყველასთანაო.

ერთი მხრივ:

ლხინში მოლხინოს მოულხენდნენ, ჭირში მომჭირნეს უშველიდნენ, ფიქრის, საქმისა და შრომის დროს ბრძენსაც არ დაუვარდებოდნენ. დიდს არ გაექელვინებოდნენ და მხარს მისცემდნენ პატარასა, ძალას გულდაგულ დახვდებოდნენ და თაყვანს სცემდნენ სამართალსა.

მეორე მხრივ კი:

არც ლხინში ვარგოდნენ და არც ჭირში, ზარმაცნი და ენატარტალანი; და მხოლოდ კუჭით უყვარდათ სამშობლო, როგორც ფლავი და არტალა. სიტყვით სულ სხვა იყვნენ და საქმით სხვა, ორფოჭობდა მათი გონება; თანასწორობას ქადაგებდნენ და... სურდათ კი გაბატონება.

ერთი მხრივ:

წინ წასვლაში არ დაიხევდნენ, არ გაწირავდნენ უკან დარჩენილს, იცოდნენ, რომ შველა ესაჭიროებოდა უღონოსა და დავრდომილს. უანგაროდ ვიდოდნენ წინა, მარტო ის ჰქონდათ გულში ფიქრად, რომ წინანი უკანათათვის უნდა ქმნილიყვნენ გზად და ხიდად.

მეორე მხრივ კი:

თუ რაიმეს მოელოდნენ, წინ მიიწევდნენ გაბედვითა და იერიშითა, და თუ არა, იხევდნენ სულ უკან-უკან შიშითა!.. მუდამ სხვას ეძებდნენ, სხვა უნდოდათ საქმის დროს გზად და ხიდადა! მზა საქმეს ეპატრონებოდნენ და თავი მოჰქონდათ დიდადა.

ერთი მხრივ:

მამულის შვილნი ესენიც იყვნენ და მიტომ ზრდიდნენ ჭაბუკ სულსა, რომ ოდესმე გამოდგომოდნენ დაობლებულ თავიანთ მამულსა. მაგრამ ახლაც საქმით, სიმხნით სხვას არც ესენი დაუვარდებოდნენ; ბრძოლად რომ მამულს ეხმოთ, ახლაც კი გამოადგებოდნენ.

მეორე მხრივ კი:

ესენი იყვნენ მამულიშვილნი? აბა რა დასაჯერებელი იყო!.. თუ არა მათთვისვე, მათ გულს ერთხელაც არ ეძგერა. საბრალო ჩვენი სამშობლო ყურს რომ უგდებდათ გულისძგერითა, ესენი კი ატყუებდნენ მომხიბლავი სიტყვა-წერითა.

და იკვროდა აღფრთოვანებული, მხნე, ძალგულოვანი სიტყვათდინება შესაფერისი დაგვირგვინებით:

ეგრე გამოსადეგნი ვართ
ყველგან და ყველასთანაო:
თუ დედამ შვილი გაზარდოს, —
ემაგრე ჩვენისთანაო.

და პაროდიული, ირონიული, საქილიკო სიტყვათდინებაც შესაფერისად უნდა შეკრულიყო:

დედამ რომ შვილი გაზარდოს
და მერე თქვენისთანაო!
ნაცარქექიად დარჩებით
ყველგან და ყველასთანაო.

ილია სული და გული გახლდათ სტუდენტობისა, აკაკი გაენაპირებინათ და თვითონაც განაპირებოდათ, და მწვავე სიტყვასა და ირონიას რომ არ იშურებდა მათდამი, კიდევ უფრო გამწვავდებოდა ეს ურთიერთობა და იქამდე მივიდოდა, რომ აკაკის ახალგაზრდობა მოენამლებოდა მათგან წამოსული ქვა-გუნდით, ეჭვებითა და სულაც ცილისწამებით, მაინც რომ არ შეეპუებოდა არავის, არ დათმობდა თავის არჩევანს და ოდნავადაც არ შეეცდებოდა მახვილ კუთხეთა გაქლიბვას, დაბლაგვებაზე რომ არაფერი ითქვას.

ეს ვითარება გამოიწვევდა, რომ:

უფრო თავდაჭერილი და გონებით მჭვრეტი ილია აჰყვებოდა სტუდენტურ არეულობას და... უდიპლომოდ მოუწევდა შინ დაბრუნება უნივერსიტეტიდან გამოძევებულს.

და უფრო ემოციური და გრძნობების ამყოლი აკაკი არც გაეკარებოდა შფოთსა და ალიაქოთს და კურსსაც დაასრულებდა და დიპლომსაც წარმატებით დაიცავდა, მთლად ისეც ვერა, როგორც სამი ათეული წლის წინათ სოლომონ დოდაშვილი — იმისი დიპლომი ლოგიკის სახელმძღვანელოდ რომ დამკვიდრდებოდა რუსეთის იმპერიის უმაღლეს სასწავლებლებში, მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის პრობლემას ჩაუჯდებოდა, ეპიკურ ძეგლს, რომელიც მისთვის არამარტო პოეტურ მწვერვალად და ესთეტიკურ ორიენტირად დარჩებოდა და მისი შთაგონების ერთ უმთავრეს წყაროდ, არამედ ამ კვლევა-ძიებას კვლავაც მიუბრუნდებოდა წლების შემდგომ და მისი დაკვირვებანი და ანალიტიკური განსჯა რუსთველის პერსონაჟებისა აღმოჩნდებოდა ბიძგი ილიასათვის, პოლემიკურად რომ გამოხმაურებოდა და თავისებურად შეევსო და გაეღრმავებინა აკაკის ნარკვევი, საჯარო ლექციების სახით მიღწეული მკითხველ აუდიტორიამდე.

ერთი შეხედვით ილიას საპასუხო სტატია გააუქმებდა აკაკის დასკვნებს, რაკიღა უნივერსალურის გადასახედიდან გაიაზრებდა რუსთველის პოემის ზოგად შინაარსსაც და პერსონაჟთა რაობასაც, განსხვავებით აკაკისაგან, რომლის ძიებანიც ამ ფონზე თითქოსდა ეთნოგრაფიულ ჩარჩოებს ვერ გასცილდებოდა, მაგრამ გარეგნული შეუთავსებლობის მიუხედავად ისინი სწორედაც რომ აგრძელებდნენ და ავსებდნენ ერთიმეორეს, ეგაა ილია ამ შემთხვევაში პირწმინდად ლიტერატურული თვალთახედვით გაიაზრებდა ყოველივეს, აკაკისათვის კი უმთავრესი პოლიტიკური მუხტი და სულისკვეთება გახლდათ.

ილია ზურაბიშვილი საგანგებო ყურადღებას მიაქცევდა, რომ:

არსად აკაკისა და ილიას პოლემიკაში ფარგალი ლიტერატურული კილოს ზომიერებისა და ურთიერთისადმი თავაზიანობისა გადაცილებული არა ყოფილა, მაშინ, როდესაც ერთიცა და მეორეც სხვებისადმი ხშირად მიმართავდა მოწინააღმდეგის გამაწბილებელ სიტყვა-პასუხს.

ამ მხრივ თვალსაჩინოებად დაიმოწმებდა პოლემიკას „ვეფხისტყაოსანზე“ აკაკის ლექციების ირგვლივ.

თუმც ილია ამ ლექციებს დიდი უარყოფით შეხვდებოდა, მის გამოპასუხებაში ვერსად ნახავდით ვერც დაცინვას, ვერც აგდებას ან რაიმე ორლესულ გამოთქმას. ყველაფერში დაცულიყო პრინციპულობა და ეგრეთწოდებული პარლამენტური კილო.

და ამავე კილოთი დაიწერებოდა აკაკის პასუხიც, და ეს ზომიერი კილო ისე გააოცებდა მემუარისტს, მკითხველის მოსალოდნელ გაკვირვებასაც წინდაწინვე იგრძნობდა. მითუმეტეს აკაკის ერთი გარემოება ხელს უწყობდა ირონიისა და მახვილსიტყვაობისათვის მიემართა, რაკიღა მის ლექციებს ილია არ დასწრებოდა და სხვათა ნაამბობ-გადმოცემის კვალობაზე შექმნოდა უარყოფითი აზრი და... გამოდავებით კი გამოდავებოდა.

სხვას ასეთ შემთხვევაში თავისი მახვილი სიტყვისა და ირონია-სარკაზმისა ფოიერვერკს დააფრქვევდა, ამჯერად კი...

იმ მოვლენის ექოდ შემოგვრჩებოდა ესეც:

დაუთარიღებელ ბარათში, მკვლევართა დაკვირვებით 1887 წლის მარტის მიწურულს რომ უნდა იყოს დაწერილი, აკაკი მადლობას მიაგებდა ეკატერინე გაბაშვილს იმ წერილისათვის, რომლითაც დიდად ესიამოვნა:

— რა საჭიროა ან ბედაური და ან სხვა ხერხი, როდესაც მართლის მთქმელს თქვენისთანა თანამგრძნობი და აზრების მოზიარე ეყოლება.

იმასაც დასძენდა: თქვენი ქმარი თუ იყო, მისი შეხედულება რომ ვიცოდე, ძალიან მიამებაო, — და იგულისხმებდა ალექსანდრე გაბაშვილს, რომელიც სოფლის მეურნეობით საფუძვლიანად დაინტერესებულიყო და სტატიებსაც აქვეყნებდა პერიოდიკაში ამ თემატიკაზე.

სერგი გორგაძე მგოსნის ბიოგრაფოსობას რომ მოინდომებდა, ამ ბარათის შინაარსის განათებასაც მოიწადინებდა და ეკატერინე გაბაშვილს სთხოვდა, ბარათის მეორე გვერდზე განმარტება მიეწერა, და ისიც შეუსრულებდა ამ თხოვნას 1915 წლის 5 მაისს.

აღმოჩნდებოდა, რომ:

აკაკი „ვეფხისტყაოსანზე“ რუსულად საჯარო ლექციას რომ წაიკითხავდა ქართულ თეატრში და მთელი ქალაქის ინტელიგენცია დაესწრებოდა განურჩევლად ეროვნებისა, და პირველი ნაწილი ლექციისა ლამაზი გამოდგებოდა, გაბედული და აკაკისათვის ჩვეული მანერით ანუ აფორიზმებით შემკულ-გაწყობილი, ეკატერინეც აღტაცებული დარჩენილიყო და მიეწერა ბარათი, რომლის პასუხადაც მოსვლოდა მგოსან-ლექტორისაგან ეს პაწია წერილი.

მაგრამ ეს კია:

მეორე ნაწილი ლექციისა ძლიერ უფერული გამოდგებოდა და ქართველ საზოგადოებას დიდად შეაწუხებდა, სხვა ეროვნების წარმომადგენელთა თვალში კი „ვეფხისტყაოსანს“ შეურაცხყოფდა რაღაც უმზგავსი თარგმანებით და... მაშინაა, ილია ჭავჭავაძე პასუხს რომ დაუწერდა.

აშკარაა: ეკატერინე გაბაშვილი სავსებით იზიარებდა ილიას პასუხის პათოსს, რაკიღა ლექციის მეორე ნაწილი თვითონაც ძალიან ეხამუშებოდა და მოწონებას ვერც სხვა მსმენელებს შეატყობდა.

ხმაური კი ხმაურად მოჰყვებოდა ამ მეორე ნაწილში გამოთქმულ ორიგინალურ შეხედულებებს და ეს აჟიოტაჟი იყო სწორედ, ილიას რომ ველარ გააჩუმებდა და, თუმც ყოველთვის ერიდებოდა აკაკისთან საჯარო გაპაექრებას, ამჯერად მოვალედ ცნობდა თავს შეეფასებინა და თავისი ადგილი მიეჩინა იმ შეხედულებებისათვის, მის თვალშიც უნებლიეთ რომ აკნინებდა „ვეფხისტყაოსნის“ განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და სულიერ ღირებულებას.

„აკაკი წერეთელი და „ვეფხისტყაოსანი“ გაგრძელებებით გამოქვეყნდებოდა 1887 წლის „ივერიის“ სამ ნომერში: 18, 19 და 21 აპრილისა, ილია წლის ერთ იშვიათ ამბად რომ მოიხსენიებდა ამ საჯარო ლექციას რუსულ ენაზე და დასძენდა: ის აზრი, რომ რუსებსაც აცოდინოს კაცმა — რა ღირსებისაა იგი სულიერი განძი, რომელიც სამკვიდროდ და სასახელოდ უანდერძა ჩვენმა წარსულმა ჩვენს ერსა — მეტად მოსაწონი აზრია და დიდი თანაგრძნობისა და მადლობის ღირსი ჩვენ მიერო.

სამწუხაროდ ილიას ხელთ არ გააჩნდა იმ ლექციის ტექსტი, რათა ლექტორს კვალდაკვალ მიჰყოლოდა და მის მიერ თქმული ისე მოეყვანა, რომ არც მეტი გამოსულიყო და არც ნაკლები, ზოგადად კი სამივე ლექცია წარმოადგენდა იმ დედააზრის აკიდოს, რომ რუსთველს გამოესახა თავის პოემაში სამი, საქართველოს სხვადასხვა ნაწილის, ქართველი: ტარიელი, როგორც ზარმაცი, ქართლელი გახლდათ, ავთანდილი, როგორც ცბიერი — იმერელი და ფრიდონი კი — ვეღარ გაეხსენებინა ილიას რა მიზეზითა და რის გამო — ზღვისპირის ქართველი, იქნებ იმიტომ: ცოტა აქვს, მაგრამ ყოველგან სიკეთემიუწვდომელიო.

— ამ აკიდოზედ ბევრი მართალი მარგალიტები აასხა ლექტორმა გონება-მახვილობისა, ლამაზი შედარებისა, როგორც ბ-ნ აკაკის ბედნიერი ნიჭის ამბავი მოგეხსენებათ, მაგრამ...

მაგრამ ის, რომ:

თვითონ აკიდოს ღერო მეტისმეტად სუსტი რამ გახლდათ და თუმც ზედ ასხმულ მარგალიტებს ზიდავდა, მაგრამ კრიტიკის ხელშეხებას კი ვერ გაუძლებდა.

ორჯერ იმეორებდა „მარგალიტს“ პოლემიკურ გამოხმაურებაში, აკაკისა არ იყოს, ვაჟას „მარგალიტების მთესველად“ რომ მოიხსენიებდა პოეტური გაპაექრებისას.

მარგალიტებს ვერ დაუკარგავდნენ ერთიმეორეს.

ილია საგანგებოდ მოიხსენიებდა აკაკის გონებამახვილობასა და ლამაზ შედარებებს, და რაც მთავარია: მის ბედნიერ ნიჭს.

ხოლო აკაკი თავის გამოპასუხებაში ჩვეულებისამებრ მოიშველიებდა ანდაზას: კარგ მთქმელს გამგონიც კარგი ეჭირვებაო, — რათა მიედევნებინა:

— მაშასადამე, ბატონ ჭავჭავაძის სიტყვით, როგორც საგულისხმოს და ყურად-საღებს, ცალყბად მიგებება არ შეჰფერის და ჩვენც, ჩვენი შეძლებისა და გვარათ, გულწრფელად მივეგებებით.

თავისი ლექციების მსმენელთა შორის არ ეგულებოდა ისეთები, რომელთათვისაც საჭირო გახდებოდა განმეორებითი უბნობა, მაგრამ ახლა ილია ჭავჭავაძის წერილიდან ჩანდა, რომ თურმე ჩიჩინიც ყოფილიყო საჭირო!.. არა, ამას როგორ შეჰკადრებდა საზოგადოდ მსმენელს და მითუფრო ჭავჭავაძეს — საჩიჩინოდ მიაჩნდა მხოლოდ ის მცირე გუნდი ზოგიერთებისა, რომელთაც მისი სიტყვები თავისებურად გაეგოთ და რომლის აყოლითაც ბატონ ჭავჭავაძეს სამსჯავროზე გადმოეგდა ფეხი ბანის მთქმელად.

აკაკის თავისი პატარა აზრი წარმოეთქვა „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთ რაზედმე; და შეიძლება, რომ — ჭავჭავაძის თქმისა არ იყოს — მართლაც გალიფულ გზაზე დამდგარიყოს და ფეხიც ასხლტოდეს, საუბარიც მეტისმეტად უგემური გამოსვლოდა და მსმენელთათვისაც ძლიერ მოსაწყენი, მაგრამ იმას კი აღიარებდა, რომ: რაც ეთქვა, გულწრფელად ეთქვა და ახლა დიდი სიამოვნებითა და ნატვრით ელოდა იმ დროს, როდესაც იმავე საგანზე ილია ჭავჭავაძე წარმოთქვამდა თავის აზრს. და აკაკი პირდებოდა:

— დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მე დიდი სიამოვნებით ჩემი საკუთარი ყურით მოვისმენ მის საუბარს და შემდეგაც დიდი დაკვირვებისა და მოფიქრების შემდეგ დავაფასებ შეძლებისდაგვარათ და ცხრა თავიან დევივით ისრებს არ გავტყორცნი ძლევამოსილი უეჭველობით. ამას მოითხოვს, როგორც რუსთველის დიდი ვინემობა და ბატონ ჭავჭავაძის ღირსება, ისე ჩემი საკუთარი თავის პატივისცემაც.

დასძენდა იმასაც:

ჩემი საუბარი რუსთველსა და მის „ვეფხისტყაოსანზე“ დაბეჭდილი რომ ყოფილიყო, ყურადღებასაც არ მივაქცევდი იმ ხმას, რომელსაც ზოგიერთები ავრცელებენო, — მაგრამ დღეს კი იძულებული შექმნილიყო, რადგანაც თვით ბატონ ჭავჭავაძეს ბანი მიეცა საჯაროდ და... ნურას უკაცრავად!..

მონოგრაფიაში „ქალდეას მონატრება“ ერთმანეთს რომ შევუდარებდი ამ ორ პოლემიკურ თხზულებას — და ცხადია თვითონ ლექციის ტექსტსაც — ძალდაუტანებლად მივიდოდი იმ დასკვნამდე, რომ... ისინი ერთიმეორეს კი არ ეწინააღმდეგებოდნენ, არამედ უფრო ავსებდნენ და ერთიან წიგნადაც წარმოგვიდგებოდნენ, ორი ავტორი რომ ჰყავდა.

თანამშრომლობით ილიასა და აკაკის არაფერი დაეწერათ?

აგერ თუ არ დაეწერათ. თუნდ თვითონ ვერც წარმოედგინათ, საერთო წიგნს თუ ქმნიდნენ — დიალოგურ პრინციპზე აგებულს, შინაგანი ჭიდილით რომ უნდა ეძიათ და ეპოვნათ ის ჭეშმარიტება, ილიას მიერ მყარად გამაგრებულ აკიდოზე აკაკისეული მართალი მარგალიტები გონებამახვილობისა და ლამაზი შედარებისა მტკიცედ და ლაღად რომ იგრძნობდნენ თავს.

დიალოგური სტრუქტურა ვერ აიგებოდა, თუ არა ის პრინციპულობა და პარლამენტური კილო, რითაც ასე მოიხიბლებოდა ამ პაექრობის გაცნობისას მკითხველი და მათ შორის ილია ზურაბიშვილიც, განსაკუთრებით რომ დაინტერესდებოდა და ფსიქოლოგიურადაც ჩაუღრმავდებოდა ილიასა და აკაკის შორის არსებული ურთიერთობის ხვეულებს.

აქ დაე ნუღარც ითქვას, აკაკი წერეთლის ის ორიგინალური დაკვირვებანი — რასაკვირველია ილიასეული განსჯის ფონზე — რომ გახდებოდა შთამაგონებელი პავლე ინგოროყვასათვის, რათა ამოეცნო და დაედგინა „ვეფხისტყაოსანში“ საქართველოს ისტორიული სინამდვილე.

თუმც რატომ არ უნდა ითქვას.

ბოლოსდაბოლოს პავლე ინგოროყვა მარტოდენ ზოგადად კი არ მოხაზავდა იმ ისტორიულ რეალობას, აკაკისეული მსჯელობით შეგულიანებული გულდასმით ჩაჰყვებოდა ცალკეულ რეალიებსა და პასაჟებს და შოთა რუსთველის დაბადების თარიღის დასადგენად მოიმარჯვებდა იმ პასაჟს პოემისა, რომელიც გვამცნობდა, რომ: ტარიელი ნესტან-დარეჯანზე ხუთი წლით გახლდათ უფროსი.

შემთხვევით გამოყენებულიყო თხრობაში ეს „ხუთი წელი“ და არაფერს მიგვანიშნებდა?

პავლე ინგოროყვა შლიმანივით მიენდობოდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს და ამჯერადაც ამ ასაკობრივ სხვაობაში გამჭვირვალე ქარაგმას დაინახავდა, რომლის ამოხსნაც საძნელო სულაც არ გახლდათ, თუკი ვიწამებდით, რომ: რუსთველის ეპოსი მართლა სპარსულ ამბავს კი არ იყენებდა სიუჟეტურ ქარგად, არამედ ქართველთა სამეფო კარის დრამატულ თავგადასავალს წარმოსახავდა, იმჟამინდელი მკითხველი არაერთ საგულისხმო ნიუანსს რომ ამოშიფრავდა და დაიდასტურებდა.

ამჟამად ბევრი რამის მიხვედრა გაძნელებულია, მაგრამ ყველაფრისა — არა, ყოველ შემთხვევაში პავლე ინგოროყვას დაკვირვების უნარი და გუმანი რაღაც-რაღაცებს გამოარკვევდა და პოეზიისა და სინამდვილის მონაცვლეობასა თუ ურთიერთშერწყმას ზოგად ხაზებში — თვითონ როგორც უყვარდა თქმა — მაინც მიადევნებდა მზერას.

აკაკი წერეთელი ზედმეტად ამიწიერებდა „ვეფხისტყაოსნის“ ისტორიულ ფონს?

სამაგიეროდ ილია ჭავჭავაძე მიეზიდებოდა განზოგადებისაკენ და... სწორედ მათ გადაკვეთაზე პოულობდა პავლე ინგოროყვა იმ ხელმოსაჭიდს, არიადნეს ძაფივით რომ გაუძღვებოდა შოთა რუსთველის ბიოგრაფიული ქრონიკის აღსადგენად.

ილიასა და აკაკის შორის არსებული ურთიერთობის ხვეულებსო...

და ილია ზურაბიშვილი ამ ურთიერთობის ხვეულებს რომ მიადევნებდა მზერას, ძალდაუტანებლად აგონდებოდა ილიას ის შესანიშნავი აფორიზმი: პატიოსან მტერთა შორის მოციქული ნამუსიაო.

მითუმეტეს ითქმოდა ეს პატიოსან ტყუპისცალებზე.

ამ ურთიერთობის ხვეულებში უნდა მომხდარიყო ისიც:

ძლივს ფეხზე დააყენებდნენ თეატრს და... უკვე ისე გაურთულდებოდა ყოფა ახალფეხადგმულს, მსახიობთა ერთი გუნდი — კოტე მესხი, ვასო აბაშიძე, აქვსენტი ცაგარელი, კოტე ყიფიანი თუ სხვანი — კულუარებშიც დაუპირისპირდებოდნენ ქართული სცენის დროებით არჩეულ გამგეობას და კამათს საჯაროდაც გამოიტანდნენ — „დროების“ ფურცლებზე, 1880 წლის თებერვალში ახალი გამგეობის არჩევას რომ მოითხოვდნენ: ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ნიკო ნიკოლაძეს, დიმიტრი ყიფიანს, სერგეი მესხს, რაფიელ ერისთავსა და კიდევ რამდენიმე პიროვნებას, — მაგრამ ისე მოხდებოდა, რომ ვერც ეს გამგეობა ითავებდა ამ უმნიშვნელოვანეს მისიას.

ცოტა ბევრნი ხომ არ იყვნენ ასეთი საქმის აღსასრულებლად?

ეგებ... ერთი ან ორი კაცი სჯობდა წარმმართველებად?

რაკილა ერთსა თუ ორზე მიდგებოდა გადასაწყვეტი, უკვე გრძნობთ, თუ ვინ შეიძლება ყოფილიყვნენ ის ერთი თუ ორი.

და აი ერთხელაც ილია უნდა შესულიყო აკაკისთან და მღელვარედ ეთქვა:

— დავიღუპეთ!.. თეატრი ხელიდან გამოგვაცალეს და ასე კარგად დაწყებული საქმე უნდა შევაჩეროთ ამ სეზონში და ეს ხომ დაღუპვაა.

ილიასათვის საერთო ნიშანდობლივი არა ყოფილა პათეტიკური კილო თუ დრამატული ფრაზეოლოგია, მაგრამ ამ წუთას სხვას ვერას აწამებდა, გარდა იმისა, რომ უკიდურესად შეშფოთებულიყო და, რაც მთავარია, გამოსავალი დროულად ეძია, თორემ საბედისწერო ჟამი რეკდა თეატრის თავზე.

დავიღუპეთო...

აკაკიც თავის გულდაწყვეტას გამოუცხადებდა, და საქმის წახდენის მიზეზსაც მოახსენებდა:

— ტყუილა კი არ არის ნათქვამი: საზიარო ყანა თხამ შეჭამაო! ბევრი მეთაური რომ ჰყავდა, ერთმანეთის ჯიბრით გააფუჭეს საქმე.

— ერთმანეთის ჯიბრით თუ დაიმედებით, არ ვიცი, მაგრამ ე თეატრი კი დავკარგეთ და!..

აკაკის ახლა ის სატკივარი ამოუჩნდებოდა, ჩვენი ხასიათის ზოგად თვისებად რომ მიიჩნევდა:

— მე დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი როცა რამეს აკეთებს, გმირია, მაგრამ მეორე თუ ამოუდგა გვერდით, აღარცერთი აღარ ვარგა, ერთიმეორეს ხელს უშლიან და აღაყებენ...

— კარგი ერთი! რა დროს ხუმრობაა?!

— არა, მე არ ვხუმრობ! — ეს არათუ დღეს... ისტორიულადაც ეგრე ყოფილა ქართველებში: დიდი მოურავი გიორგი სააკაძე და არანაკლები გმირი ზურაბ ერისთავი რომ ორივე ერთსა და იმავე დროს არ ყოფილიყვნენ, ვინ იცის, საქართველოს საქმე უკეთ წავიდოდა.

— და მაგითი რა გინდა რომ თქვა თეატრის შესახებ?

— ის, რომ სანამდის ბევრი მეთაური იქნება... კომიტეტი და ქველმოქმედებაზე შემდგარი საქმე, თეატრიც ვერ იხეირებს. საჭიროა ერთმა ვინმემ აიღოს ანტრეპრიზა, შემოიღოს დისციპლინა, რომ არტისტები თავაღებულნი არ იყვნენ და ნელ-ნელა გამობრუნდება საქმე.

— მაშინ ხომ არტისტებს გადაწყვეტილი ჯამაგირი უნდა დაენიშნოთ?

— რასაკვირველია...

— ჰოდა ვინ გაბედავს იკისროს?

— მე ვიკისრებდი, რომ შეძლებული ვიყო.

ილია როდესაც მოადგებოდა აკაკის, თითქოს მხოლოდ საწუხარ-სატკივარს შემოსჩიოდა და წინასწარ გარკვეული გეგმა შემუშავებული არა ჰქონოდა — ისე მოჩანს ამ დიალოგიდან.

მაგრამ ილიას უკვე ეპოვნა გამოსავალი ჩიხიდან და პათეტიკა და დრამატიზმიც იმისათვის დაესაჭიროებინა და აკაკიც იმიტომ ჩაეთრია მღელვარე საუბარში, რომ ის შეთავაზების მერე უარზე არ დამდგარიყო, ვინ მე და ვინ საქმის ჩამს თავზე აღებაო.

ეპოვნა გამოსავალი და... უკვე პირდაპირაც მოახსენებდა:

— მოდი ერთი შენ მოჰკიდე ამ საქმეს ხელი, იმერელი ხარ და ეგებ მოახერხო რამე!..

მის თავმოყვარეობაზეც ითამაშებდა და მის იმერლობაზეც ილია, რადგანაც შეუმცდარად გრძნობდა, რომ რაოდენ მძაფრადაც უნდა ყოფილიყო განმსჭვალული აკაკი საერთოქართული სულისკვეთებითა და სახელმწიფოებრივი რწმენით, თავისი კუთხური წარმოშობაც არ ავიწყდებოდა და ძალიანაც ეამაყებოდა გულის სიღრმეში, მოგვიანებით ისტორიულ მოთხრობაში „ბაში-აჩუკი“ ბახტრიონის ბრძოლის შუაგულში მაინცდამაინც და სწორედაც იმერელს რომ მოაქცევდა და მის თავგანწირვასა და ხერხიანობას გადააწყვეტინებდა ციხის აღების ბედს, გლახუნა ბაქრაძე თავისებურ ავთანდილად რომ წარმოედგინა და ავთანდილურ საქმესაც აღასრულებინებდა.

ილიას იდუმალ მზერას რა გამოეპარებოდა და „ბაში-აჩუკის“ შექმნამდე ამდენი წლით ადრე აგერ კიდეც შეუმცდარად მიაკვლევდა აკაკის სულში ფარულად მობორიალე

კუთხურ თავმომწონეობას, ამ მხარისათვის ისედაც რომ გახლდათ ნიშანდობლივი — თავადისა და აზნაურისათვის ისევე, როგორც გლეხობისათვის და... კიდეც მაშინვე აიყოლიებდა და ფუნქციებს ასე გადაინაწილებდნენ:

ილია იკისრებდა თეატრისათვის ფინანსების გამონახვასა და მატერიალურ უზრუნველყოფას დასისა.

ხოლო აკაკი — დასის ხელმძღვანელობასა და წარმოდგენების გამართვას ანუ: დირექტორობასაც და სამხატვრო ნაწილის გამგეობასაც.

პირველად უწევდა სამსახურში ჩადგომა.

ვითომ ილიას მარტოს რომ აეღო თავის თავზე ეს ყოველივე, ვერ გაწვდებოდა?

მარტოდენ თეატრალურ მოღვაწეობაში რომ ჩაფლულიყო, გაწვდებოდა რომელია, მაგრამ საქმეები არ აკლდა და მარტოკაცად თეატრის გადარჩენა უკვე მის ძალ-ღონესაც აღემატებოდა.

აკაკისა ისედაც სჯეროდა და მისი იმერლობაც სწორედ გამოსადეგი იქნებოდა თეატრალურ დასთან ურთიერთობისას — მისი თილისმური უნარი ადამიანების მოხიბვლისა, მოქნილობა, არტისტიზმი სწორედ მისწრება იქნებოდა და... კიდეც გამოიღებდა სასიკეთო ნაყოფს, თეატრს თავშესაფარსაც რომ უშოვნიდა და სეზონსაც გახსნიდა თავისი ახალი პიესით „კუდურ-ხანუმ", მოჩვენებითად რომ გათამაშდებოდა სამაჰმადიანო საქართველოს გარემოში და პერსონაჟებსაც თურქული სახელები ცენზურის გასაცურებელ-მოსაგერიებლად შეერქმეოდათ, თორემ მაყურებელი ადვილად მიუხვდებოდა მწვავე და გამჭვირვალე პოლიტიკურ მინიშნებებს.

გასტროლებზეც წაიყვანდათ გორსა და ქუთაისში.

და მომზადდებოდა საფუძველი ქართული დრამატული საზოგადოების შესაქმნელად, ეს ორნი რომ უთავკაცებდნენ და კიდეც გადაინაწილებდნენ საზოგადოების თავმჯდომარისა და მისი ამხანაგის თანამდებობებს.

ამ ურთიერთობის ხვეულებში ესეც უნდა მომხდარიყო:

მაინც რას მიიჩნევდა ილია ერის შესვლად ასაკში?

მისი „შინაური მიმოხილვა" — 1882 წლის სექტემბრის თვისა — მთლიანად ამ ძარღვზე აიგებოდა, გორსა და თელავში აკაკის სტუმრობით რომ შთაგონებულიყო, ოღონდ ვიდრე ამაზე იტყოდა მოწონებისა და სიხარულის სიტყვას, მანამდე ისეთ ფონს შეუქმნიდა ამ მოვლენას, მკითხველს მთელი სისავსით რომ შეეცნო და შეეგრძნო მისი მნიშვნელობა და შესაფერისადაც დაეფასებინა.

ერის შესვლას ასაკში მაინც რა მოასწავებდა?

რა და:

როცა ერი ყოველ მოვლინებასა და საქმეს მის გარშემო მომხდარს, ყოველ ნანახს, გაგონილსა და ყოფილს საზოგადო მნიშვნელობისას — გონებით დააკვირდებოდა, ღირსსახსოვარს, ავსა თუ კარგს, ხსოვნისათვის აღნუსხავდა, გულში ჩაირჩენდა და სასწორზეც ასწონიდა ფასის დასადებად.

მაშინ პირდაპირ და უტყუვრად შეგეძლო გეთქვა, რომ ერი გონებითად ასაკში შედიოდა, ჭკუა, გული და ცნობიერება აღძრობოდა მოქმედებისათვის და ფეხი შინიდან გარეთ გამოედგა კაცური ცხოვრებისათვის.

ეს ნიშანი მაშინ უფრო ნამეტურად უტყუარი გახლდათ, როდესაც ასეთი ყურადღება ერისა მიიქცეოდა იმისთანა კაცზედ, ვისაც რაიმე ღვაწლი მიუძღოდა ქვეყნის წინაშე. ამისთანა კაცის დაფასება და დამსახურებული პატივისცემა ცხადად ადასტურებდა, რომ ერს გონების თვალი ახელოდა.

განათლებულ ევროპას დიდი ხანია ჩვეულებად მიეღო ამისთანა კაცებისადმი პატივისცემისა და სიყვარულის გამოცხადება საჯაროდ, საქვეყნოდ.

ვის არ ახსოვდა ჯუზეპე გარიბალდის სადღესასწაულო მსვლელობა იტალიაში, ვიდრე ცოცხალი იყო; და ვის არ ახსოვდა საქვეყნო გლოვა, როდესაც ეს დიდებული გმირი იტალიისა მიიცვლებოდა?

ვის არ ახსოვდა ვოლტერის სახსოვრად გამართული დღესასწაული საფრანგეთში?

ან კიდევ ვიქტორ ჰიუგოს 80-წლოვანობის იუბილე?

ჰოი რა დიდებით, თავმოწონებით, საქვეყნოდ აღიარებდა საფრანგეთი თავის გულითად პატივისცემას, რა მხურვალე გრძნობით გამოაცხადებდა თავის გულწრფელ მადლობას ამა თვისთა მოღვაწე კაცთადმი — მადლიერებით სავსე გული მთელი საფრანგეთისა.

ვის არ ახსოვდა შილერის დღეობა გერმანიაში? სწორედ დღეობა გახლდათ მთელი გერმანიისა და ამ დღეობით დიდებულ პატივს სცემდა თავისი დიდებული პოეტის ნეშტსა და მტვერს.

ინგლისში ცალკე სასაფლაო სუფევდა, სადაც ვერც სიმდიდრე, ვერც გვარიშვილობა, ვერც დიდკაცობა ადგილს ვერ შოულობდა, და სადაც მარტოდენ სახელოვან ინგლისელებს, გამოჩენილთ ლიტერატურაში, მეცნიერებაში, ერის სამსახურში, ეძლეოდათ უკანასკნელი სადგური მადლიერი ერისაგან, სადაც დასაფლავება ყოველ ინგლისელს სანატრელად და სასახელოდ მიაჩნდა და სადაც ყოველი ინგლისელი თაყვანებით თავს იხრიდა და მუხლს იდრეკდა თავისი ერის დიდებულ წარმომადგენელთა მტვრის წინაშე.

რუსეთი თავის გამოჩენილ კაცებს მანამდე არავითარ ყურადღებას რომ არ აქცევდა, ნიკოლაი ნეკრასოვისა და ფიოდორ დოსტოევსკის დასაფლავებაზე მოსკოვი და პეტერბურგი დიდ გულისტკივილსა და მადლობას გამოაცხადებდა მათდა ღვაწლისათვის. ახლაც ივანე ტურგენევის იუბილეს საქვეყნოდ იდღესასწაულებდნენ, მათ ღვაწლს ლიტერატურაში თავმოწონებით გათქვამდნენ და ადიდებდნენ. ალექსანდრ პუშკინის სახსოვრად მადლიერი რუსეთი ძეგლს აღმართავდა მოსკოვში და ამ ძეგლის აღმართვის დღეს დიდი ყოფითა და ამბით გადაიხდიდნენ..

და ჩვენდა სასიხარულოდ ჩვენშიც თითქმის ჩვეულებად შემოდიოდა პატივისცემა ერისათვის გარჯილი კაცისა, საჯაროდ მადლის გადახდა — ვისაც ერისათვის სამსახური რამ გაეწია, შრომა დაედო, სიტყვითა თუ საქმით შესწეოდა თავის მამულსა და თანამემამულეს.

ამის მაგალითი გახლდათ აკაკი წერეთლის მოგზაურობა ამას წინათ გორში და ამ ბოლო ჟამს კახეთში.

ერთგანაც და მეორეგანაც შესაბამისი პატივით დახვედროდა ქართველობა თავის პოეტს და პირუთვნელი სიტყვით გამოეცხადებინა თავისი მადლობა და პატივისცემა მისთვის, ვისაც ტკბილი და გრძნობიერი სიტყვით ეს ოცდახუთი წელიწადი დაეტკბო ქართველის ყური, გამოეფხიზლებინა გონება და წარემართა ქართვლის გული ქართვლისა და საქართველოს სიყვარულისათვის.

ამ სიყვარულის აღფრთოვანებაში ბატონ აკაკის გამოჩენილი ადგილი ეჭირა ჩვენს ლიტერატურაში.

— ბედნიერია, ჩვენის ფიქრით, აკაკი, რომ იღვაწა და თავისის ღვაწლის ნაყოფი სიცოცხლითვე თავისის საკუთარის თვალით ინახულა. ვამბობთ ინახულა, იმიტომ, რომ საქართველოს და ქართელის სიყვარულისაგან არის წარმომდგარი ის პატივისცემა, რა პატივისცემითაც დახვედრიან ჩვენს პოეტს გორსა და თელავში, და ამ სიყვარულის აღორძინებისათვის თითონ აკაკი წერეთელს არა ერთხელ დაუკვნესებია თავისი ტკბილი ქნარი, უმოქმედებია თავისი მიმზიდველი ნიჭიერება, თავისი მარილიანი სიტყვა, თავისი სიტურფით სავსე ქართული. საცა წავიდა ბ-ნი აკაკი, წინ დახვდა მისგან ფრთაასხმული და გაღონიერებული სიყვარული საქართველოსი და ქართვლისა, წინ დახვდა გულწრფელის პატივისცემითა და მადლიერებით აღსავსე გულითა. აგრეთ თითონვე იგემა ბ-ნმა აკაკიმ ნაყოფი თავის დანერგულისა და დათესილისა.

კალმის სხარტი და ლაზათიანი მოქნევით წარმოისახებოდა აკაკი წერეთლის მონუმენტური პიროვნებაცა და ღვაწლიც, დანურულად და ტევადად გადაგვეშლებოდა თვალწინ ის, რასაც გაშლა და საილუსტრაციო მასალებით შევსებაღა დასჭირდებოდა ბიოგრაფიული რომანის ასაგებად.

ილია ჭავჭავაძეს ეპითეტებისა თუ სახოტბო სიტყვების გამოსაძებნად დიდი რამ ფიქრი არც მოუნდებოდა, თავისთავად დაიძვროდა ეს ნაკადი — ბოლოსდაბოლოს ფურცელზე ხომ უნდა გადმოღვრილიყო მისი დამოკიდებულება და უკეთესი საშუალებაც რაღა უნდოდა — ქართველი ერი აკაკის ღვაწლის დაფასებით მარტოდენ ერთ პიროვნებას კი არ მია-

გებდა შესაფერის პატივს, არამედ ევროპული ქვეყნების მწკრივშიც დგებოდა, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი, ამ მხრივაც რომ აღარ ჩამორჩებოდა.

და სიმბოლურია, რომ მაინცდამაინც და სწორედ აკაკი წერეთელი უნდა აღმოჩენილიყო ამ მოვლენის შუაგულში.

შინაური მიმოხილვა კი გრძელდებოდა, რომ:

ასეთი მიღება აკაკი წერეთლისა ჟურნალის მიერ აღინიშნებოდა როგორც სანუგეშო ამბავი, როგორც სასიხარულო მაგალითი და ნიშანი ჩვენი ცხოვრების წარმატებისა.

მაგრამ ამ შემთხვევაში ერთი ფრიად შესანიშნავი საგანიც მოჩანდა.

ეს გახლდათ სიტყვა აკაკი წერეთლისა, თქმული თელავში კახელების წინაშე, და ილია განაცხადებდა:

ამაზედ მშვენიერი სიტყვა ჩვენ არ გვახსოვს ქართულ ენაზედო.

და ეს იმიტომ, რომ:

კითხულობთ და გიკვირთ, გიკვირთ და კითხულობთ. არ იცით, რა რას დაამჯობინოთ, სიტყვა აზრს თუ აზრი სიტყვას, — ისე შეზავებულია, ისე შეხამებულია, ისე შეხორცებულია სიტურფე სიტყვისა აზრის მშვენიერებასთან. ყოველი წესი ორატორის ხელოვნებისა დაცულია და ხმარებული, რომ სიტყვამ ისე გასჭრას, როგორც მთქმელს განუზრახავს, და აზრმა და გრძნობამ იმ გზით მიაღწიოს დანიშნულ ადგილამდე, როგორც მთქმელს სურვებიაო.

როგორ ეთქვათ თელაველებს ბატონი აკაკისათვის?

— ღმერთმა ჰქნას, შენ და შენისთანები მომავალშიაც ბევრი გვყოლოდეს.

და იმას კი პასუხად:

— ღმერთმა ნუ გაამართლოს ეგ თქვენი სიტყვა, რასაც დღესა ვჯერდებით, ის ხვალ საკმაო აღარ არის ხოლმე.

როგორ გინდა თავი შეიკავო და არ მიადევნო თვითონ ილიასეულ შეფასებას, რომ: ესეც ნიმუში გონების სიმახვილის, ენამოსწრებულობის, სიბრძნისა და სილამაზის, ბუნებით ღაღმა და გულით უშურველმა კაცმა რომ შეიძლება წარმოთქვას.

და ილია კი თავის მხრივ დაურთავდა:

დიაღ, ბატონებო, ხვალე დღევანდელს უნდა სჯობდეს, მერმისი აწინდელს. კანონი განვითარებისა და ბედნიერების იმედისა ამაშია და სხვა არაფერშიო.

ამ იმედით, რომ ხვალე უკეთესი უნდა ყოფილიყო, გულს იმხნევებდა ამ დღევანდელი დღის ვაი-ვაგლახითა და ნაცარტუტით წელში მოხრილი ადამიანი. ხვალე არ უნდა ჰგვანებოდა დღევანდელს, თუ კაცს პროგრესი, წინსვლა ადამიანისა ფუჭ სიტყვად არ მიაჩნდა. რაც იყვნენ აწინდელი მოღვაწენი ჩვენი ერისა — ღმერთს ემრავლებინათ, დიდი დღე და გამარჯვება მიეცათ, მაგრამ — აკაკისა არ იყოს — ნუ ვიკმარებდით მას, რაც დღეს მოგვეპოვებოდა!.. ჩვენ გვჭირდებოდა ამათზედ ბევრად ძლიერნი, ბევრად ნიჭიერნი, ბევრად მოქმედნი.

ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო, — ასე დაეგვირგვინებინა თავისი სიტყვა ბატონ აკაკის

და ასეც ეანდერძათ ჩვენს მამა-პაპებს, რომელთაც ჩვენთვის თავი დაედოთ, რომელთა ძვლებითაც ჩვენს ქვეყანას ზღუდე შემოვლებოდა, რომელთა სისხლითაც ჩვენი ქვეყანა მორწყულიყო.

თუ ის დევგმირნი, რომელთა საქმენიც სწორედ რომ დაუჯერებელი გახლდათ, ამბობდნენ: ის ურჩევნია მამულსა, რომ ჩვენი შვილები ჩვენა გვჯობდნენო, ჩვენ რაღა გვეთქმოდა, ჩვენ, რომელნიც იმათ წინაშე ქონდრიკაცებად თუ ჩავითვლებოდით!..

და შინაური მიმოხილვის ეს ნიმუში როგორ შეიძლება დასრულებულიყო, თუ არა დითირამბული სულისკვეთებისათვის შესაფერისი აპოთეოზით:

— ღმერთმა ადიდოს, ასახელოს, გაუმარჯოს იმ შვილს, რომელიც მამას დაემჯობინება ქვეყნის სამსახურში და რომელიც ეგრე ეჭირვება ჩვენს მშვენიერს მიწა-წყალს, ჩვენს საყვარელს საქართველოს! გაუმარჯოს აკაკი წერეთელსაც, რომლის სამსახურს და ღვაწლს ქართველი გულში ჩაირჩენს სამუდამო სახსოვრად, და რომლის მშვენიერი ლექსებით არა ერთხელ დაიტკბობს ყურს და გრძნობას, და არა ერთხელ გულს მოიცემს მამულის-შვილობისათვის.

ამ ურთიერთობის ხვეულებში უნდა მომხდარიყო ესეც:

ღია წერილით მიემართა აკაკის ილიასათვის თავისი „კრებულის“ 1899 წლის ოქტომბრის ნომრიდან — გულისტკივილითა და მუნჯათით:

— იმდენი იცოცხლეთ, რამდენი თქვენი შესახები წერილი „კრებულის“ რედაქციას მოსვლოდეს და მოდიოდეს დღესაც, მაგრამ ჩვენ-კი არ გამოგვქონდეს საქვეყნოდ!.. არ ვბეჭდავთ, რადგანაც ზოგი მათგანი უმნიშვნელოვაო და ზოგიც ისე წვრილმანი, რომ იმათ გამო თქვენისთანა კაცის უზრდელად შეხება და უკადრისად მოხსენება უმართებულობად მიგვაჩნია. თქვენი რედაქცია კი, თქვენო ბრწყინვალებავ...

მაინც რას ჩადიოდა „ივერია“ ამისთანას, „კრებულის“ მოქმედების სრულიად საპირისპიროს და აკაკისათვის ასერიგად საწყენს?

— ჟინჟღილითა და კელაპტრებით ეძებს ამგვარ რამეებს ჩემ შესახებ და ჟინ-მორეულ კორძუალივით მწევარ-მეძებარივით გამოდის სანადიროდ, რომ, შემოკვლეული და ნიშანში ამოღებული მსხვერპლი, — ყეფა-კიყინით გამოიმინდვროს და, თუ კურდღელი ვერა, კატა მაინც დაიჭიროს, თავი და კუდი წააჭრას, გაატყავოს და კურდღლად შეაპაროს მკითხველებს.

ძალზე მძიმე სურათი წარმოისახება, არა?

მაგრამ იქნებ... აკაკის ეჭვიანი ბუნება აზვიადებს ვითარებას?

ცხადია ასეც უნდა იყოს, თორემ როგორი დასაჯერებელია, რომ ილია ლამობდეს თავისი ტყუპისცალის გამომინდვრებას ჟინჟღილითა და კელაპტრებით... და კატის კურდღლად შეპარებას მკითხველისათვის... მაგრამ ისიც აშკარაა, აკაკი რარიგ მწარედ განიცდის „ივერიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებს — უშუალოდ იქნება დასახელებული თუ ვარაუდობს, მე მგულისხმობენო. და შეიგრძნობს ბევრად უფრო მწარედ და მძაფრად, ვიდრე სხვა გამოცემა განაცდევინებდა.

ის დეტალიც რაოდენ დამაფიქრებელია, ილიაზე კრიტიკული თუ ცილისმწამებლური წერილების სერია რომ დაძრულა ჯერ მარტო „კრებულისაკენ“ და თუნდ იქ გზა გადაეკეტოთ, სხვაგან ხომ მაინც მონახავენ შესაძრომს, მთავარი კი ის განწყობილებაა, ილიასადმი რომ გამეფებულა ქვეყანაში და რაღაც ცუდსა და ეგებ საბედისწეროსაც უკვე მოასწავებს. თუ მთლად მკვლელობას არა, მისთვის ხელფეხის გაკვრასა და სამოქმედო არეალის უკიდურეს შემოზღუდვას.

იმდენი იცოცხლეთ, რამდენი თქვენი შესახები წერილი მოგვსვლოდეს და მოდიოდეს დღესაცო...

როგორც ჩანს — აურაცხელი, და დღეში რამდენიმეც, ნაკადს საშველი რომ არა და არ ადგება. და ასევე სხვაგანაც, სოციალ-დემოკრატები ნეტარებით რომ იფშვნეტდნენ ხელებს, ეგ არის და ჩვენი საქმე, ცოტასთვის არ მიგვიღწევია და აწი კიდევ ნახოს, ჩვენთან დაპირისპირება რა ხეირსაც დააყრისო!..

აკაკი კი თავის საყვედურებს განაგრძობდა: ამგვარი მაგალითი ბევრი ყოფილა როგორც სხვების, ისე ჩემს შესახებ, მაგრამ დღემდე, საზოგადო მოსაზრებით, ამიტანია მოთმინებით და ხმა არ ამომიღიაო!..

დღესაც აიტანდა, პირადად მას რომ შეხებოდა და არა საზოგადოსაც, რომლის წაყრუებაც აღარ შეეძლო.

ითხოვდა, ისე ნუ გაუგებდნენ, თითქოს იმას ამბობდა, რადგან მე თქვენს შესახებ არასა ვბეჭდავ ჩემს ჟურნალში, ნუღარც თქვენ დაბეჭდავთ ჩემზე თქვენს გაზეთშიო. პირიქით — დიდადაც დაავალებდნენ, თუკი არ დაივიწყებდნენ და გამოაქვეყნებდნენ ხოლმე, რადგანაც თავის სიცოცხლეში მისთანა არა ჩაედინა რა არც საზოგადოდ და არც კერძოდ, რომ მისი გამოაშკარავებისა შერცხვენოდა!.. მაგრამ იმას კი ითხოვდა, რომ მხოლოდ ის ყოფილიყო გამოქვეყნებული, რაც ნამდვილად მას მოემოქმედა და ჩაედინა და არა ის, რაც შურსა და ბოროტებას შეეთხზა.

„მოამბის“ ფურცლებზე დაბეჭდილი წერილიდან — „აკაკი წერეთელი და ქუთაისის ბანკი“ — ამოეკრიბათ ობოლ-მარგალიტებად სანიმუშო ადგილები და მკითხველს უზიარებდნენ იმ დაეჭვებით: თუ ეს მართალია და დავუჯერებთ კიტა აბაშიძესაო, — რომლის ქვეტექსტსაც აკაკი ასე კითხულობდა: სწორედაც რომ დასაჯერებელიაო.

ამ არცთუ მცირე საპასუხო სტატიაში შეეხებოდა რამდენიმე წლის წინანდელ ჭავჭავაძისა და მაჩაბლის პარტიობას და თვითონ სრულიად გარეშე რომ იდგა იმ შეხლა-შემოხლისა: არამცთუ ბანკის დარბაზში, იქაც კი, სადაც მწერლებს ნება ჰქონდათ შესვლისა, არ შესულიყო და მხოლოდ ხანდახან ლოჟაში შედიოდა სხვებთან ერთად როგორც გარეშე მაყურებელი. არც ბანკის პარტიის კერძო კრებებს და არც ოპოზიციისას არ დასწრებოდა. ამის უარს ცალ-ცალკე ვერცერთი პარტია ვერ იტყოდა. მხოლოდ გარეშედ, სადმე გარედ ან ოჯახში, როდესაც ჩამოვარდებოდა ხოლმე კერძო საუბარი მაშინდელ ბანკობიობაზე, ეს არ ემოწმებოდა ზოგიერთებს და არ იმეორებდა იმას, რასაც ისინი ამბობდნენ ივანე მაჩაბლისა და ოპოზიციის შესახებ!.. მას თავისი აზრი და შეხედულება ჰქონდა, და თუმც ამის უფლება არავის უნდა ჩამოერთვას, აკაკის მაინც დიდ ცოდვად ჩაუთვლიდნენ და იმას მიაწერდნენ, რაც არა ყოფილა:

— მაჩაბელსა და ოპოზიციას აკაკი წერეთელი აბრიყვებს (თითქოს მართლა ჩემი გასაბრიყვებელი იყოს ან ერთი და ან მეორეო! — ჩაურთავდა) და მით ქართლი და კახეთი ერთმანეთს გადაჰკიდაო.

არადა აკაკის ყოველთვის სწამდა, რომ:

ჭეშმარიტება ღრმადაც რომ დაემარხა უსამართლობას, ოდესმე მაინც იჩენდა თავს და სიმართლე ისე არ დაიმალებოდა, როგორც შუბი ხალთაში!.. ამას მხოლოდ დრო უნდოდა და მოთმინება და ამასაც მაშინ ყურადღება არ მიექცია იმ ხმებისათვის, რათა თავი ემართლებინა, მაგრამ დავიწყებით კი ის შემთხვევა არ დავიწყებოდა და წელსაც მიტომ არა სურდა ქუთაისურ ბანკობიაში ჩარევა და მონაწილეობა, და მართლაც ვიდრე რამდენჯერმე მოციქულები არ მიაკითხავდნენ, ხმას არ ამოიღებდა თვით ბანკის დარბაზშიც!.. იყო თავისთვის და ყურს უგდებდა სხვებს. ხოლო რაც შეეხებოდა იმას, რომ ვითომც გარეშე ბანკისა ჩუმ-ჩუმად დაძვრებოდა აქეთ-იქით და კალისტრატე ჩიკვაიძის სასარგებლოდ მოქმედებდა, ეს არ შეეფერებოდა სიმართლეს. მას სმენოდა: ჩიკვაიძე წვეულებებს მართავსო. აგრეთვე: ოპოზიცია სადილებს აკეთებსო, მაგალითად „იაკორის“ რესტორანშიო, მაგრამ აკაკი არც ერთგან დასწრებოდა და არც მეორეგან და თავისი თვალით არა ენახა რა.

ბანკის არჩევნები რომ გათავდებოდა ქუთაისში, ეს რამდენიმე ხნის შემდეგ დაბრუნდებოდა საჩხერეში და იქ დახვდებოდა მის სახლში სტუმრად მისული თავისი ერთი ძვირფას ნათესავთაგანი, რომლისთვისაც მის მეზობლებსა და სახლიკაცებს პატივი ეცათ!.. და რა საკვირველია ესეც ვალდებული გახლდათ მათთვის სამაგიერო პატივი მიეგო და მიეწვია თავის ოჯახში. ეს ხომ შინაური საქმეა და რა შეიძლება ყოფილიყო აქ წესრიგისა თუ ზნეობისა თუ ბუნების საწინააღმდეგო? ნუთუ ყოველ კაცს უფლება არა ჰქონდა, თავის სახლში პური ეჭამა და ვინც სურდა, ის მიეწვია?

არადა საქვეყნო საქმედ გაუხდიდნენ ჩუმჩუმელა კორესპონდენტები ამ წვეულებას და ისე მიაწვდიდნენ მკითხველს: აკაკიმ თავისი ქცევითა და უკანასკნელი მოქმედებით, ვინც კი პატიოსანი და რიგიანი კაცია იმერეთში, ყველა მოიმდურაო, ჩავარდა საგონებელში, მაგრამ კალისტრატე ჩიკვაიძემ ასწავლა ხერხი: ჩემსავით შენც სადილი გამართე, ლხინი გადაიხადე, მოიწვიე მომდურავები და შეგირიგდებიანო. ეს რჩევა დაუჯდა ჭკუაში და კიდეც აღასრულაო.

თანაც ის სიმართლისმოყვარე და გულწრფელი კორესპონდენტი ოხუნჯობასაც რომ მოჰყვებოდა?

აკაკის თავის დღეში სტუმარი არა ჰყოლია და ჩიკვაიძეს რომ არ ესწავლებინა, არც ახლა ეყოლებოდაო, სუფრაზე მენიუ იდო საჭმელებისაო, ნასადილევს ფოტოგრაფმა სურათი გადაიღოო...

არ ვიცი სხვაგან როგორ არისო, — გაოცებით შლიდა ხელებს აკაკი, — მაგრამ საჩხერეში კი წერეთლები უჩვეულო არც ოდესმე ყოფილან და არც არიან პურღვინის! იმათ ოჯახებში ლხინი, ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა, ერთად სიამტკბილობით პურის ჭამა და შექცევა თითქმის ყოველდღიური მოვლენააო.

და რად უნდა გაჰკვირებოდა დალოცვილ კორესპონდენტს აკაკის შესახებ ამგვარი რამ? თანაც ისე აღწერდა იმ სუფრას, როგორც დამსწრე: მაშასადამე აკაკის ის მიეღო თა-

ვის ოჯახში პატივსაცემო სტუმრად და ის კი შემოსულიყო ვითარცა მეზვერე (ჯაშუში) და აქაც კიდევ ვერ ევარგა: მეზვერე ხომ ვალდებულია, რომ თავისი სამარცხვინო ხელობა სიმართლით ეჭიროს ხელთ და ისა თქვას, რასაც ნამდვილად ნახავს, და არა ის, რასაც საკუთარი ოცნება წარმოუდგენს!.. კორესპონდენტ-მეზვერეს კი ეს უკანასკნელი ჯაშუშობის მოვალეობაც ვერ დაეცვა რიგიანად და იმას წერდა, რაც არ ყოფილიყო...

ის კი მართალი გახლდათ, რომ ნასადილევს ფოტოგრაფს აკაკის სახლი გადაეღო და, ვინც მოისურვებდა, სტუმრებიც. მაგრამ თვით ფოტოგრაფს შეეძლო დაემოწმებინა, რომ აკაკის მისი მისვლისა არა სცოდნოდა რა და შემთხვევით ყოფილიყო იქ მოხვედრილი. მასპინძელი დიდხანს არ აძლევდა ნებას, რომ გადაეღო მისი სახლი და კარმიდამო, მაგრამ სხვები რომ მოინდომებდნენ და ძალასაც დაატანდნენ, ესეც ვეღარ გაუტეხდათ ხათრს. მაშინ ბევრს გაუკვირდებოდა მისი სიჯიუტე, მაგრამ ეს არ გაუმხელდათ მიზეზს, ახლა კი აცხადებდა: იცოდა გამოცდილებით, თუ რა სიფრთხილე მართებდა ყოველი ბიჯის გადადგმაზე, რათა მასზე შემოსეულ მწევარ-მეძებრებს ყეფა არ დაეწყოთ!..

გაეგონა და იცოდა, რომ:

ჩვენი სახელოვანი თავადი ილია ჭავჭავაძე სხვათა შორის ყოველ წლობით ოც მკათათვეს იხდიდა დღესასწაულს!.. ყოველთვის მიდიოდნენ ხოლმე ფოტოგრაფები, რომ მისი სტუმრებიანად გადაეღოთ... ეს რომ იცოდა, იფიქრებდა: მეც თუ ახლა ფოტოგრაფს დავრთე ნება, ის მყეფარი დასი, რომელიც აგერ ორმოცი წელიწადია შორიდან მიღრენს და საკბენად არა მზოგავს, ამ უბრალო შემთხვევას დაიხვევს ხელზე და ღრეჭით გაავრცელებს ხმას ხალხში, რომ მეც ვითომ ილიას მიბაძვით მიმეყვანოს იმ დღეს ფოტოგრაფიო!.. ეს შეუკადრისებოდა და მიტომაც არ მინდოდა ნებართვის მიცემა. მადლობა ღმერთს! ეს აღარ ეთქვა მოწონებულ კორესპონდენტს, მაგრამ სხვა უფრო საზიზღარ რამეს კი წამოროშავდა: აკაკიმ ფოტოგრაფი მიტომ მიიყვანა, რომ ჯიბით ატაროს მათი სურათი და ქვეყანა დაარწმუნოს, ესენი ყველა ჩემი მეგობრები არიანო. საკვირველი იყო ჭეშმარიტად! ეს ვაუბატონები ამ ორმოცი წლის განმავლობაში სულ იმას ამტკიცებდნენ სხვათა შორის, აკაკიმ მეგობრობა არ იცის და არც მეგობრები სწამსო, და ახლა კი ბრძანებდნენ: ჯიბით ატარებსო.

ეცინებოდა: ჯიბითა და კუჭით რომ მეტარებინა მეგობრები, მაშინ თვით მოწონებული კორესპონდენტი და მისი მსგავსნი ჩემი შემომყეფარი და მკბენარები კი აღარ იქნებოდნენ, პირიქით, ისე დამიწყებდნენ მეც ფეხთა-ლოკვას, როგორც დღეს სხვებს ულოკავენ, მაგრამ ღმერთმა მაშოროს მათი სიახლოვეო!..

აკაკის თავისი მეგობრები ყოველთვის გულით ეტარებინა და ატარებდა კიდეც სიკვდილამდე!.. პურ-ღვინითა და მოწყალებით მოპოვებული მეგობრები ღმერთს თვალითაც ნუ დაენახვებინა მისთვის!..

ყველა ის, ვინც მისი აზრისა და გულისთქმის თანამოზიარე იყო ჩვენი ქვეყნის შესახებ, მეგობრებად მიაჩნდა — განურჩეველად გვარტომობისა, სქესისა და წოდებისა, გინდ თვალითაც არ ენახა.

და მტკიცედ სჯეროდა:

ვინც კი იცნობდა, ყოველი სიმართლისმოყვარე და რიგიანი ქართველი, ან გაიცნობდა, მისი მტერი არასოდეს არ იქნებოდა!..

— ეგებ ეს ოცნებაც იყოს, მაგრამ ასე-კი მყავს ჩემი თავი დაჯერებული და კმაყოფილია ვარ!..

პუბლიცისტს ოხუნჯობისათვის მიეყო ხელი — აქაოდა ილია ჭავჭავაძემ იცის ერთი და იმავე ფრაზის რამდენჯერმე განმეორებაო, იმას ჰბაძავდა და ერთსა და იმავეს რამდენჯერმე გაიმეორებდა დაცინვით: აკაკი წერეთელმა თქვა, ბანკი წვრილმან რამედ მიმაჩნია და ვისაც დიდი ჰგონია, ზედაც ის დააკვდესო!..

და ჩვეული ღიმილი უნდა გადაჰფენოდა აკაკის სახეზე:

იმ დალოცვილს დავიწყებია, რომ ოხუნჯობასაც თავისი კანონები აქვს და უნაგირი ყველას თანასწორად არ დაშვენდებაო!..

ნეტა რა იყო აქ საოხუნჯო, რომ ბანკი არ მიაჩნდა დიდ საქვეყნო საქმედ? შედარებით სხვა საქმეებთან ბანკი დიახაც პატარა საქმედ მიაჩნდა და ფიქრობდა: ნუთუ დღეს ქართ-

ველებს სხვა აღარა გვაქვს რა საზრუნველი და უნდა მარტო ბანკს გადავყვეთო?.. მოჭახრაკე ავტორს რატომღაც ეგონა, აკაკი დასახელებას ვერ გაბედავს და თუ გაბედავს, ინანებსო!.. არადა შემცდარიყო — ათასი რამ მოიპოვებოდა ბანკზე უფრო დიდი!.

აქაც დაშორებოდნენ ერთიმეორეს ილია და აკაკი.

აკაკისათვის ბანკი თუ მცირე მოვლენად მოჩანდა, ილია ქვეყნის ერთ უპირველეს გადარმჩენად მიიჩნევდა და თავისი მოღვაწეობითა და თავდადებითაც დაამტკიცებდა ბანკის სწორედაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

ამ ურთიერთობის ხვეულებში მომხდარიყო უნდა ესეც:

მურიე თავის ჟურნალში ქართველებზე უხამს სტატიას რომ გამოაქვეყნებდა, ილია არტემ ახნაზაროვს შეაგულიანებდა: აბა შენ იციო! — და ისიც თავის „სახელდახელოში“ ირონიულად გაჰკრავ-გამოჰკრავდა კბილს ფრანგი რედაქტორ-ჟურნალისტის ამ ნაკალმარს, რომელიც უპასუხოდ არ უნდა დარჩენილიყო.

იმას ემწვავებოდა და ძალიანაც ემწვავებოდა ჩიორას ნისკარტი და პროტესტს გაუცხადებდა „ივერიის“ რედაქტორს.

ფრანგია და... რაც ენება, ის უნდა მოემოქმედა, თორემ ამ ქართველებს რა უფლება ჰქონდათ მისი გამასხრებისა!..

რა უფლება ჰქონდათ და... კიდეც ჩაერეოდა ამ შეხლა-შემოხლაში აკაკი, „ივერიის“ რედაქციას რომ ესტუმრებოდა და გადასცემდათ სატირულ ლექსს „პატარა მურია“, რომელსაც ხმამაღლაც წაუკითხავდათ და ბევრსაც აცინებდათ რედაქტორსაც და თანამშრომლებსაც, თუმც... ილია მაინც იფრთხილებდა იმ პოლიტიკური ბეზღობის გათვალისწინებით, რაც ასეთი ადამიანებისაგან სავსებით მოსალოდნელი გახლდათ და ილიაც და აკაკიც, იაკობ გოგებაშვილისა, სერგეი მესხისა, ივანე მაჩაბლისა და კიდევ ბევრი მოღვაწისა არ იყოს, ისედაც ამ დასმენების ალში გახვეულიყვნენ.

დიმიტრი ყიფიანი რა — პოლიტიკურ დასმენას არ შეეწირებოდა?!.

და ილია იძულებული შეიქნებოდა თავი შეეკავებინა გამოქვეყნებისაგან:

— მურიემ შეიძლება ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი წერილის ამბავი საფრანგეთის კონსულს აცნობოს, კონსულმაც თავის მხრივ მთავარმართებელთან დაგვასმინოს და საქმე გართულდეს. ამიტომ სჯობს, რომ მაგ დაბეჭდვით საკითხი უფრო არ გავამწვავოთ.

„შეიძლებაო“ ამბობდა და... „აუცილებლადო“ — გულისხმობდა.

იმ წუთას მურიე-მურიას ფონეტიკური მსგავსება თვალშისაცემი იქნებოდა და ადვილადაც ხელმოსაჭიდი, ხანი რომ გამოხდებოდა, თანაც ნოველაში ჩაერთობოდა, გამგები კი გაიგებდა, მაგრამ შარს ადვილად ვეღარ გადაჰყრიდნენ, თანაც ამ ნოველაში მოიარებით გაკენწლილი იყო ის არტემ ახნაზაროვი, რომელსაც ამ ლექსით უშუალოდ ექომაგებოდა, საერთოდ კი არტემთან არცთუ მეგობრული ურთიერთობა ხელს ვერ შეუშლიდა, რომ მისი იუმორისტული ნიჭი და ფელეტონისტური უნარი დაეფასებინა, ის კი არა, შენატკრასაც არ მორიდებოდა: მე რომ ჩიორას იუმორი მომცაო...

ცხადია ეს პირდაპირ არ უნდა გავიგოთ, აკაკის განა ვისი იუმორი შეიძლება შეხარბებოდა, მაგრამ მოწონებასა და თანადგომას ასე გამოხატავდა — ასე უშურველად.

ამ ურთიერთობის ხვეულებში კიდევ ესეც უნდა მომხდარიყო:

რაფიელ ერისთავის სამწერლო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავი დიდი ზარზეიმით რომ აღინიშნებოდა 1895 წლის 22 ოქტომბერს, ეს იქნებოდა პირველი იუბილე მწერლისა ჩვენს სინამდვილეში.

მანამდე ხელისუფლება კი აღნიშნავდა გრიგოლ ორბელიანის იუბილეს, მაგრამ არა როგორც პოეტის, არამედ — როგორც სამხედრო პირის.

ჯერ კიდევ 1878 წელს სტატიაში „მცირე რამ შენიშვნები“ აკაკი დიდად რომ დააფასებდა რაფიელ ერისთავის ღვაწლს: ერთი მწერლის მეტი არ გვეგულება, რომ თავისი სამშობლო ქვეყანა იცოდეს მისებრი ცოდნით და გადაჭარბებულად არ წერდესო, — საზოგადოებას შეაგონებდა, რომ საჭირო იყო ყურადღება მიექცეოდა მის ნაწერებს.

გამოხდებოდა ხანი და „კვალის“ 1895 წლის 21 მაისის ნომერში წამოჭრიდა საკითხს ამ პოეტის იუბილის გამართვისა, ამ მოწოდებას მაშინვე რომ გამოეხმაურებოდა ილია და კი-

დეც მოებმოდა თავი საიუბილეო ზეიმს, რომელზეც ორივე წარდგებოდა სიტყვით, და მათთან ერთად გიორგი წერეთელიც და ივანე მაჩაბელიც...

და აი საიუბილეო ნადიმზე რუსი პოეტი ვასილ ველიჩკო, მთარგმნელი აკაკი წერეთლის ლექსებისა, თავს უფლებას მისცემდა განეცხადებინა:

— ვისურვებ, რომ აკაკის ილია უყვარდეს და ილიას აკაკი!

ამის პასუხად აკაკი ყველას გასაგონად იტყოდა:

აქ ბატონმა რუსის მწერალმა უადგილოდ და უსაფუძვლოდ ინატრა, ქართველ მოღვაწეთა შორის თანხმობა და სიყვარული სუფევდესო.

ცხადია — ამბობდა განაგონებით, ეს კი ნიშნავდა, რომ ჩვენშიც ყოფილიყვნენ ზოგიერთები ამავე აზრისა.

მაშ დაე აკაკისთვისაც მოესმინათ:

ეს დიდი შემცდარი აზრი გახლდათ!..

რაღა საჭირო იყო მისი ნატვრა, რაც ისედაც არსებობდა და ხელთ ეპყრათ.

როგორ ამბობდნენ ძველები?

მცირე რამ სამდურავი მოყვარეთა წესიაო.

და ჩვეულებისამებრ სახიერ ნიმუშს მოიშველიებდა:

როდესაც დიდ ოჯახებში, შევიწროების დროს, გარდა გამდელებისა ბევრი აღარავინ რჩებოდა და მათაც სამუშაო უმრავალკეცდებოდათ, მაშინ ისინი ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ, ეწინააღმდეგებოდნენ და ესაყვედურებოდნენ: იმდენს და ისე ვერ აკეთებდნენ, როგორც გარემოება მოითხოვდა. ამ ვაიუშველებელში ხშირად კიდეც წყევლიდნენ ერთმანეთს, მაგრამ ეს პირადობითა და შურ-ბოროტებით კი არ მოსდიოდათ!.. ოჯახის ერთგულება ამწარებდათ!.. სურვილის სიდიდეს მათი ჯან-ღონე ვეღარ წვდებოდა და როგორც თავის თავს, ისე ერთიმეორეს ესაყვედურებოდნენ.

სწორედ ამ მდგომარეობაში ჩაცვენილიყვნენ დღევანდელი ჩვენი მოღვაწენიც და ერთმანეთთან მათი უკმაყოფილება საშიში და ხელწამოსაკრავი არ გახლდათ!..

ქვეყნის ერთგულებით აღშფოთებულ-აღელვებულებს ეს კინკლაობა ხელს ვერ შეუშლიდათ, რომ საჭიროების დროს ქვეყნისათვის ერთად დაედოთ თავი.

ასე გრძნობდა ყველა ნამდვილი მოღვაწე და ვინც ასე არა ფიქრობდა, ის მხოლოდ თვალთმაქცობდა და არც ჩაითვლებოდა მოღვაწედ!..

ეს ყველასათვის ცხადი უნდა ყოფილიყო და ნათელი.

ვისთვისაც აქამდე ასე არ გახლდათ, დაე ახლა მაინც შეეგნოთ და გაესიგრძეგანებინათ და ილიასა და აკაკის ურთიერთობა არ განესაჯათ ვიწრო სარკმლიდან, ჭუჭრუტანიდან თუ თავიანთი პაწია ინტერესებიდან, არამედ საქვეყნო გადასახედიდან, მამულის ერთგულება რასაც მოითხოვდა.

ამიტომაც ნუ წამოკრავდნენ ხელს ადვილად მათ უკმაყოფილებას.

ნუ შექმნიდნენ აურზაურს: ერთიმეორეს დაპირისპირებიან და რაღა გვეშველებაო.

საჭიროების დროს ერთად დაედოთ თავიო...

უკეთეს პერსპექტივას არა გთავაზობდა ულმობელი სინამდვილე, ზედ რომ უნდა შეხლოდი, თუკი სასიკეთო ცვლილებას ესწრაფოდი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მდინარებაში — თავდადების იქით აღარ გიტოვებდა გასაქანს და... სულს იმით ითქვამდნენ ერთიცა და მეორეც: თუ გამეტება გველოდება და ტრაგიკული აღსასრული, სისხლის სასწაულმოქმედი ძალა და მადლი ხომ მაინც იჩენს თავს, იესო ქრისტესგანაც ეს გადმოგვცემია ანდერძად და წმინდა მოწამეთაც თავგანწირვით დაუდასტურებიათ ეს ჭეშმარიტებაო.

თითქოს ყველაფერი ნათელია, ისე ამომწურავადაა განმარტებული.

და მაინც:

რაღაც დამაფიქვრელი თუ გარკვეული ეჭვის გამომწვევი დარჩებოდა გალაკტიონ ტაბიძისათვის, იმ გალაკტიონისათვის, რომელიც ლამის ბრმად ენდობოდა აკაკის და მის ყოველ სიტყვას ეჭვშეუვალ ჭეშმარიტებად აღიარებდა.

არადა ამ შემთხვევაში...

ვასილ ველიჩკოს სადღეგრძელო ყველა იქ მყოფზე უსიამოვნო შთაბეჭდილებას კი მოახდენდა, მაგრამ... ამგვარი სადღეგრძელოს თქმას ალბათ ჰქონდა თავისი მიზეზი, თუნდაც ის, რასაც იმავე იუბილეზე გრიგოლ აბაშიძეც გამოთქვამდა საყვედურად:

— ეს რა ამბავია, ჩვენი ორი გამოჩენილი პოეტი სხედან და ხმას არ იღებენ, მაშინ, როდესაც ამდენ ყოველი მხრიდან შეკრებილ საზოგადოებას ისინი ძვირად ნახავენ.

და ამ გულისტკივილს გალაკტიონი თავისი მხრივ მიადევნებდა:

აკაკისა და ილიას ამნაირ დამოკიდებულებას იდეური ხასიათი ჰქონდა. მაგრამ ეს ხომ წარსულიაო.

მისთვის ყველაფერს ნიშნავდა ის დღე და ის წუთები და დაე ყველასაც გაესიგრძეგანებინა, რომ:

თვით ილიას დასაფლავებისას აკაკი მწარე ცრემლებით ტიროდა.

და დარწმუნებული გახლდათ, ასევე მოიქცეოდა ილიაც, აკაკის ცხედარი რომ დაენახა.

ანკი რა გასაკვირი უნდა ყოფილიყო:

სასაფლაო ხომ საყოველთაო შერიგებისა და მშვიდობის სიმბოლოდ რჩებოდა. და ამ ორ რჩეულს შორის არსებულ გაუგებრობასაც ის მოუღებდა ბოლოს, ის ამოავსებდა ნაპრალს, ის გამოარიდებდა ამქვეყნიურ შფოთვას და შეაყენებდათ იმ მწვერვალზე, მარად და ყველგან საქართველოს ბედისწერას რომ გადაეჯაჭვებოდნენ...

იქ კი, მაშინ ყველა გულნაკლული რომ მიაჩერდებოდათ, თვითეულის გულისნადებს გრიგოლ აბაშიძე გამოხატავდა, ბარემ დაეუხერხულებოდა საყვედურის გახმიანება, მაგრამ რა იყო მაინც ეს — ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი მდუმარედ რომ ისხდებოდნენ. არა, დამდურება რა სათქმელია, მაგრამ... არაფერი რომ არა ჰქონდათ ერთმანეთისათვის გასაზიარებელი?!.

მისჩერებოდათ მთელი სუფრა, რას იტყოდნენ, როგორ იტყოდნენ.

და დუმილს არჩევდა ერთიც.

და დუმილს არჩევდა მეორეც, ვიდრე ვასილ ველიჩკო არ გააღიზიანებდა აკაკის და კიდეც იწვნევდა მის ნესტარს.

ამ ურთიერთობის ხვეულებში კიდევ უნდა მომხდარიყო ესეც:

ჰოი რარიგ ხალისობდა ხოლმე აკაკი, როდესაც იმ ეპიზოდის გახსენება მოუწევდა, თუ როგორ გამოვიდოდნენ ერთხელ სცენაზე ლექსის წასაკითხად ის და ილია.

საღამო ქართული თეატრის შენობაში გაიმართებოდა წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ.

ჯერ აკაკი წაიკითხავდა ლექსს.

შემდეგ ილიას ჯერიც დადგებოდა.

ილიას ლექსის დაზეპირება ძალიან რომ ეძნელებოდა, ამიტომაც თან მოიტანდა საერთო რვეულს, რომელშიც ეწერებოდა მაშინ ახალდაწერილი მისი ლექსი „ერთს ბედ ქვეშა ვართ, ლაბავ, მუ და შენ“, მაგრამ... აკაკი მალულად ამოხევდა ამ ლექსს ილიას რვეულიდან.

გამოვიდოდა სცენაზე ილია, გამოიტანდა რვეულს, დაიწყებდა ზეპირად: ერთს ბედ ქვეშა ვართო, — და შეუდგებოდა ფურცლის ძებნას, მაგრამ... რაღას იპოვნიდა. და სცენიდან გადმოსძახებდა გიგა ყიფშიძეს:

— ბიჭო, გიგა! ვინ ამოხია ჩემი ლექსი? ეს უსათუოდ აკაკის საქმე იქნება.

და კიდეც უნდა შეღებულიყო კარი და გამოცხადებოდათ აკაკი იმ ფურცლით ხელში.

ყველა გახალისდებოდა, გამხიარულდებოდა.

ბედი მისი, რომ აკაკი გახლდათ, თორემ სხვას ვის მოუთმენდა ილია ასეთ შეთამამებაშელაზღანდარებას, მაშინვე დუელში გამოიწვევდა და ბოდიშებსაც ახდევინებდა, თუკი იმას გადარჩენა ენება... თუმც სხვა ვერც ვერავინ გაუბედავდა.

აკაკის... ეპატიებოდა.

ყოველ შემთხვევაში ილია ადვილად მიუტევებდა, თვითონაც ხუმრობაში რომ გაატარებდა, როგორც ვოდევილის სურათს.

იხალისებდა აკაკი, რატომაც არა, ამ ეპიზოდს ყოველი გახსენებისას, დაˇ ეამაყებოდა, ილია იმწამსვე რომ მიხვებოდა, ვინ შეხუმრებოდა ასე თამამად — ვინ იყო გამბედავი, დაუსჯელად რომ ჩაუვლიდა ცოტა უხეში ხუმრობა.

ვერ გაიმეტებდა, ვერა, აკაკის სადუელოდ.

ნიკო ნიკოლაძე რომ გაემეტებინა სულ უბრალო წყენისათვის? და მხოლოდ ბოლო წამს გათავებულიყო შერიგებით მათი ლამის გარდუვალი სისხლისღვრა...

ეს უსათუოდ აკაკის საქმე იქნებაო, — უკვე იღიმოდა ილია, რათა დაეშოშმინებინა თავი და თვითონაც გულიანად ეცინა, აკაკი იმ ფურცლით ხელში წამი-წამზე რომ შემოაბიჯებდა დარბაზში.

კიდევ ესეც უნდა მომხდარიყო ამ ურთიერთობის ხვეულებში:

„თორნიკე ერისთავი“ რომ გამოქვეყნდებოდა 1984 წელს „ნობათის“ მიერ, ქუთაისიდან ახალდაბრუნებული ანტონ ფურცელაძე მივიდოდა ილიასთან ჟურფიქსზე და, თავისი ვარაუდით, ახალ ამბად ახარებდა:

მთელი ქუთაისის ინტელიგენცია აღელვებულია, ასეთი სისულელე რომ შეუთხზავს აკაკისო.

სტუმრის მოლოდინის საწინააღმდეგოდ ილია ძალიან გაჯავრდებოდა:

— შენ თვითონ რას სულელობ?!. ღმერთმა ნუ მომასწროს, რომ ქუთაისის ინტელიგენცია ისე გამოტვინებულიყოს, „თორნიკე ერისთავი“ სისულელედ ეღიარებინოს.

ივანე ელიაშვილი აქ დამახასიათებლად იმას მიიჩნევდა, რომ:

ანტონს თავისი ფლიდობით სურდა ესიამოვნებინა ილიასათვის, მაგრამ წაუხდებოდა ნახტომი და მეტს ვერას იხეირებდა — შერცხვენილი დარჩებოდა.

საგულისხმო აქ კიდევ ისაა, რომ ივანეს ამ ამბავს გადასცემდა თავისი სეხნია — ივანე მაჩაბელი.

სწორედ ის, შვილივით რომ უნდა გამოეზარდა ილიას.

სწორედ ის, თავიდან ძალიან რომ ებაძებოდა და იმეორებდა ილიას, თითქოს მისი ასლიაო.

სწორედ ის, ილია თავის მემკვიდრედ რომ ამზადებდა.

სწორედ ის, ილიასთან მისი დაახლოება ძალიან რომ გააღიზიანებდა აკაკის და ჯავრს „მეფე ლირის“ მათ ერთობლივ თარგმანზე იყრიდა — სადაც ხმა მიუწვდებოდა, ყველგან წუნს დასდებდა.

სწორედ ის, ყველაზე სახიფათო მეტოქედ რომ მოევლინებოდა ილიას და... კინაღამ დასცემდა, იმხელა გავლენასა და პოპულარობას მოიხვეჭდა, ისე გადაიბირებდა თავის მხარეს საზოგადოების უმეტესობას.

სწორედ ის, ამ დაპირისპირებასა და... მოულოდნელ და სავალალო მარცხს ლოგინად რომ უნდა ჩაეგდო — უფრო კი იმას, ილიას განმაქიქებელი წიგნაკის გამოცემა რომ მოუხდებოდა და... ადვილად ვეღარ გადაიტანდა, ხელი როგორ არ მომტყდა, ილიაზე ამეების დაწერა როგორ შეიძლებოდაო.

სწორედ ის, მის ტრაგიკულ ხვედრში უნებლიეთ აკაკიც რომ გაერეოდა და... ლეგენდის ქარგასაც ის მოხაზავდა და... თითქოდა ყველაზე უკეთეს ვერსიად დაუტოვებდა შთამომავლობას.

სწორედ ის, ვისი აღსასრულის ლეგენდაც საბედისწეროდ უნდა გახდომოდა ილიას.

თავი IV

ხილვა იაკობ გოგებაშვილისა

დიდ ეროვნულ დღესასწაულს შეთანაბრებული აკაკის საიუბილეო საღამო რომ გაიხსნებოდა, პირველად იაკობ გოგებაშვილი მიესალმებოდა საიუბილეო კომიტეტის სახელით, თავმჯდომარის — გიორგი ყაზბეგის — ამხანაგად ანუ მოადგილედ რომ აერჩიათ, მდივნებად კი სოფრომ მგალობლიშვილი და სამსონ ფირცხალავა.

სულგანაბული დარბაზის თვალწინ აკაკი რომ გამოჩნდებოდა და ტაში იგრგვინებდა და არც შეძახილები მოაკლდებოდა: გაუმარჯოს აკაკისო! — როდის-როდის რომ ჩაცხრებოდა აღტკინება, დადგებოდა იაკობის დროც, და მისი აღმტაცი გამოსვლისაც... მანამდე ნაჩქარევად რომ მიიჩნევდა იუბილის გამართვას დეკემბერში და ითხოვდა: მაისისათვის გადავდოთ და უფრო კარგადაც მოვემზადოთო.

გული წყდებოდა, მის შეთავაზებას რომ არ გაიზიარებდნენ და საბოლოო თარიღად მაინც 7 დეკემბერს დაადგენდნენ, მაგრამ სადღესასწაულო შეხვედრა რომ ჩათავდებოდა, მაშინვე გაუნელდებოდა ყოველგვარი წყენა და თეატრიდან შინისაკენ მიმავალი თანამგზავრს გადაულაპარაკებდა:

— კარგი, რომ ჩემი წინადადება — მაისისათვის იქნას გადადებული აკაკის იუბილეი-მეთქი, არ იქნა შეწყნარებული, თორემ თუ ასეთ ყინვაში ამ იუბილეიმ დააყენა გრძნობათა ტროპიკული ატმოსფერა, ცხელ მაისში ცეცხლს წაუკიდებდა თვით ცასა.

აღსავსე მრავალი სანეტარო შთაბეჭდილებით, იგი ნელი ნაბიჯით აგრძელებდა გზას, თითქოს ეზარებოდა განშორება იმ ადგილთან, სადაც მომხდარიყო სასიქადულო აქტი მთელი მისი სამშობლოსათვის.

სხვაგვარად ანკი როგორ გაიაზრებდა და შეაფასებდა, თუ არა სწორედ ასე:

სასიქადულო აქტი მთელი ჩემი სამშობლოსათვისო...

ეს გახლდათ ის სხარტი, დაწურული სტრიქონი, ის ლიტერატურული ფორმულა, რომელიც იქვე ასეც უნდა გაშლილიყო იაკობ გოგებაშვილის ფიქრშიც და მემუარისტულ ჩანაწერშიც, გადმოფრქვევად მისი ღრმა სიამოვნებისა, რომ:

ჩვენს ერს, უკიდურესად შევიწროებულს ყოველი მხრით, მოეხერხებინა ღირსეულად დაეჯილდოებინა — ზნეობრივად მაინც — თავისი ღირსეული შვილი. ამოზიდვად იმ აღტაცებისა, სათაყვანებელი მამულიშვილის გარშემო რომ შემოკრებილიყო თავის წარმომადგენელთა სახით მთელი ქართველობა სრულიად და სავსებით, — ქართველობა საქართველოსი, რუსეთისა, ევროპისა, ოსმალეთისა, სპარსეთისა, ციმბირისა და ყველა სხვა მხრისა, სადაც მოიპოვებოდა მცირედი რიცხვი ქართველთა... დიახ, შემოკრებილიყო მთელი ქართველობა ერთი ღრმა გრძნობით და ერთი მაღალი მისწრაფებით განმსჭვალული და აღვსილი.

— ამით მან, ქართველობამ, ყველასათვის, მთელი დუნიისათვის, ცხად ჰყო, რომ იგი შეადგენს ორგანიულს ერთეულს, ნამდვილ ერსა, ნაციასა, და სავსებით გააცრუა იმათი აზრი, რომელნიც ამბობენ, ვითომც ქართველობა მარტოოდენ უკულტურო თემთა მექანიკური კრებაა და სხვა არაფერიო.

და უკვე აღარც უკვირდა, რომ:

ქართველობის ამ კულტურული ერთიანობისათვის, ნაციობისათვის კვერი დაეკრათ, ბეჭედი დაესვათ სხვადასხვა ერის წარმომადგენელთაც: რუსებს, სომხებს, თათრებს, პოლონელებს, გერმანელებს, ებრაელებს, ოსებსა თუ სხვებს, რომელნიც კეთილშობილურად ეჯიბრებოდნენ ქართველებს სიყვარულისა და პატივისცემის გამოცხადებაში სახელოვანი იუბილარისა და თვით ქართველი ერისადმი.

მაგრამ...

იაკობ გოგებაშვილის ულრმეს კმაყოფილებას ერთი რაღაც გამოურკვეველი ნაკლი რომ ამცირებდა და ასუსტებდა?

ეს ნაკლი შავი ყორანივით რომ ჩასჩხაოდა გულში და ნეტარებაში ნაღველს ურევდა?

და თავის ბინაში მისული სავარძელში რომ ჩაეფლობოდა, კიდეც მისცემდა თავის ტკბილ-მწარე ბურანს.

შეცურდებოდა ბურანში და... ხელახლა გაჩნდებოდა თეატრში.

და კიდეც იხილავდა უნეტარეს სურათს:

აგერ აკაკის დიდებული რაინდული სახე მიუღია და ეუბნება აშლილ საზოგადოებას:

— ერთ წამს, მხოლოდ ერთ წამს კიდევ მოითმინეთ. ცოდოა, დიდი ცოდო, რომ ამისთანა სასახელო, საარაკო იუბილე დაუგვირგვინებელი დაგვრჩეს...

საზოგადოება ერთბაშად წყნარდება, სხდებიან და სმენად იქცევიან.

და აკაკი:

— ბედნიერი ვარ, უზომოდ ბედნიერი ამჟამად, მაგრამ ერთი რამ სწამლავს ამ ბედნიერებას.

— რა? რა? — სიმწუხარით ეკითხება სამი ათასი პირი ერთად, ერთხმივ.

თურმე ის, რომ:

— ჩვენ ვერ ვეღირსეთ იმის იუბილეს, რომელიც იყო დიდი პოეტიც, დიდი მამულიშვილიც და დიდი ადამიანიც და რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა თავისი დაჩაგრული სამშობლო.

ურიცხვ მსმენელს შორის ერთსაც არ მოსდის აზრად იკითხოს: ვინ იგულისხმებაო? — რადგანაც ელვისისწრაფით ყველას გონებაში ისახება ერთი და იგივე დიდებული სახელი.

და აკაკი აგრძელებს:

— დიახ, ჩვენ ვერ ვეღირსეთ ილია ჭავჭავაძის იუბილეს. მეტი უბედურებაც დაგვატყდა თავს. ჩვენ არამცთუ ვერ შევამკეთ მისი გენიოსური თავი დაფნის გვირგვინებით, არამედ ხელი ვერ შევუშალეთ ჩვენი ერის მტრებს, რომელთაც ილიას ეკლის გვირგვინი დაადგეს, მსგავსად მაცხოვრისა... მთელი ნახევარი საუკუნე ილია და მე ტოლად ვეწეოდით მეტად მძიმე უღელს სამშობლოს სამსახურის, — მომიკლეს, ჯვარს მიცვეს ტოლი და დამარჩინეს ცალად, უტოლოდ, ობლად... დიდება და თაყვანისცემა მოწამე ილიას უკუნითი უკუნისამდე.

ამთავრებს სიტყვას და მწუხარე თვალებიდან მდუღარე ცრემლთა ნაკადული მოსჩქეფს.

— ამინ! — შესძახის სამგლოვიარო ხმით სამი ათასი მსმენელი და ფეხზე უმალ წამოჭრილი თავს იდრეკს.

ამ რაინდულ სიტყვებსა და საქციელს მოსდევს აუწერელი მოვლენა, იმისთანა მოვლენა, რომელსაც მოციქულნი თუ ეღირსნენ სულიწმინდის მოფენის ჟამს.

აკაკის თავზე ჩნდება ვეებერთელა აპრიალებული კელაპტარი, ყველა მსმენელის თავი იმკობა პატარ-პატარა კელაპტრებით და თეატრი კიდეც საარაკო კაშკაშს იწყებს.

მერე დაიძვრის აკაკის კელაპტარი და შუა თეატრში მაღლა ჰაერში ჩერდება.

მისკენ მოისწრაფის ყველა სხვა კელაპტარი, გარს ეხვევიან და იქმნება მომხიბლავი სურათი.

ბოლოს ამ ურიცხვი ჩირაღდნის კრებულს აკაკის კელაპტარი მიუძღვის წინ, თეატრის ბანი ირღვევა და კელაპტართა გუნდი მიდის მაღლა, მაღლა ზეცაში.

— კელაპტართა გუნდს მიაქვს ილიასთან საიქიოს მთელი ქართველი ერის უმხურვალესი საუკუნო თაყვანისცემა, — იძახის იაკობი ისეთი მაღალი ხმით, თითქოს სურს ილიას გააგონოს ზეცაშიო, და...

კიდეც გამოიღვიძებდა.

— დარჩა, დარჩა რაინდულ გვირგვინს მოკლებული ჩვენი ეროვნული დღესასწაული, — ამოიკვნესებდა და ცრემლსაც ვეღარ შეიკავებდა იმის გამოც, რომ... მთავარი ბრალი ამ დიდი ნაკლისა ედებოდა თვითონ მას, იაკობს.

თავს რატომ იმუნათებდა?

რატომ და:

აკაკისთან რომ კრინტი დაეძრა, ის თავის სახელოვან იუბილეს უსათუოდ დაადგამდა ისეთ რაინდულ გვირგვინს, რომ სამაგალითო შეიქნებოდა თვით კაცობრიობისათვის.

მაგრამ... თვალი დადგომოდა სამოცდამეცხრე წელს, იმ ჭირს, რომელსაც რუსთველი ყველა ჭირზე ძნელს ეძახდა...

მანამდე ეს ფიქრადაც არ გაევლო, თორემ აკაკისათვის თქმას წინ რა დაუდგებოდა — ბოლოსდაბოლოს ის არ იყაბულებდა, თორემ სხვა რა!.. ეს ისე ითქმის, ეგებ არ იყაბულებდაო, თორემ ვითომ რატომ არ უნდა დათანხმებულიყო?..

ხომ ერთ მძიმე უღელს ეწეოდნენ ის და ილია მამულის სამსახურისა.

და ახლა, ცალად, ობლადდარჩენილს, საშუალება ეძლეოდა მისი აჩრდილის გამოხმობისა.

თვითონ ეს ვერ მოეფიქრებინა?

იაკობი ჩააწვეთებდა თუ არა, მაშინვე აიტაცებდა და იუბილის ფინალს იმ სახელის გამხმობითა და მჭევრი სიტყვით დააგვირგვინებდა.

არამცთუ წინასწარ მოთათბირებოდა იაკობი, იუბილის მსვლელობის დროსაც რომ გაკრთომოდა ეს აზრი და ენიშნებინა, აკაკის მეტიც არ დასჭირდებოდა იმ შესაფერისი გვირგვინის დასადგმელად სახალხო დღესასწაულისათვის.

ახლაღა დაკლებოდა გულს იაკობს, ახლაღა შემორეოდა ნეტარების ნაღველი.

ახლაღა ამუნათებდა და ვერ პატიობდა თავს.

ახლაღა ინუგეშებდა თავს ზმანებით, იმ ტკბილ-მწარე ბურანით, მის წარმოსახვაში მაინც რომ გამოაქანდაკებდა ამ სურათს, ოცნების სხივებით მოქსოვილსა და კელაპტართა გუნდით აბრიალებულსა და ზეცად აჭრილს.

არ დაგვირგვინებულიყო ასე დიდებულად ყოფით რეალობაში გამართული იუბილე?

სამაგიეროდ იაკობ გოგებაშვილის წარმოსახვაში გამოკვეთილიყო და... უშუალოდაც გადეუჯაჭვებოდა სიმბოლური სურათი ყოფით-რეალურს, გააგრძელებდა, გააღრმავებდა და... განმსჭვალავდა იმ სისავსით, მოციქულნი რომ ღირსებოდნენ სულიწმინდის მოფენის ჟამს...

ანკი რა გასაკვირია სულიწმინდის მოფენა, როდესაც ილია ჭავჭავაძეს ჯვარცმა ეტვირთა და ეს გარდუვალობა წინასწარვე თუ გამოეცხადებინა აკაკი წერეთელს, იაკობ გოგებაშვილი ახლა ადასტურებდა, იმ წინასწარჭვრეტის აღსრულების შემდგომ, ყველასათვის მაინც რომ არ გახლდათ ბოლომდე ნათელი, თუ რა მომხდარიყო წიწამურში, და იაკობსაც უნდა შეეშველებინა ხელი ამ სიმბოლიკის გასაცნობიერებლად, გასაცნობიერებლად და დასამკვიდრებლად საზოგადოებრივ შეგნებაში.

დაეტირებინა მთაწმინდისაკენ მიმავალი ნეშტი აკაკის და... იქ მოთავებულიყო ვითომ მათი ტყუპისცალობა?

რაკიღა აკაკის სახელით აღბეჭდილ დღესასწაულში ილიას აჩრდილი არ მიეწვიათ და შესაფერისი პატივი არ მიეგოთ, ნებით თუ უნებურად დაშორებულიყო მათი სახელები და ეგაა?

არა, დაშორებით როგორ დაშორდებოდა, რადგანაც — გარდა იაკობისა — სხვაც არაერთი მონაწილე იმ გრანდიოზული იუბილისა მოისაკლისებდა იქ ილიას, მის არყოფნას იმ წუთებში თუ ვერ გააცნობიერებდა, შინისაკენ გზად მიმავალი იგრძნობდა ნეტარებაში შერეულ ნაღველს და... შინ შესულსა და სავარძელში ჩაშვებულს ეგებ ტკბილ-მწარე ბურანივით დაუფლებოდა რაღაც, ილიას აჩრდილს რომ მოალანდებდა და უჩვეულო სიკაშკაშესაც, შარავანდად შემორტყმულს გონებაში გაშლილ საღამოს სურათებზე.

ასეა თუ ისე, რაც იმ საზეიმო საღამოს დაკლებოდა, აკაკი რამდენიმე წლის შემდგომ მაინც შეავსებდა:

ილია ჭავჭავაძის პანაშვიდზე სიტყვით რომ წარდგებოდა 1910 წლის 29 აგვისტოს და განაცხადებდა: ნაცარქექიების ფართიფურთზე ძვალთაგან ერთი ანდაზა გვაქვს დარჩენილი: შორიდან მტერს უხეთქს გულს და ახლო — მოყვარესო. ჩვენდა საუბედუროდ ეს ანდაზა შესისხლხორცებული გვაქვს დღევანდელ ქართველებსო.

ენით ყველაფერი ვიყავით და საქმით კი — არაფერი.

ჩვენი საზოგადო მოღვაწეები სიტყვით ცამდინ აგვყავდა და საქმით კი განზე გავურბოდით.

ამას დღევანდელი დღეც გვიმტკიცებდა!..მას აქეთ სამი წელიწადი გასულიყო, როცა ეს დიდბუნებოვანი ქართველი საარაკოდ დაგვემარხა და ვინ იცის რა პირობა აღარ დაგვედო მაშინ — დღეს კი რასა ვხედავდით, აგვესრულებინა ერთი მაინც?

სად იყვნენ დღეს ის ქართველები, რატომ არსად ჩანდა ის მაღალი წოდება, რომელსაც ჭავჭავაძის სუფრაზე პირველი ადგილი ეჭირა და განსვენებულისა ვითომ თაყვანისმცემელიც იყო?

დღეს რატომ აღარ იყვნენ ერთი-ორის მეტი, მაშინ, როდესაც ერთი ვინმე ჩინოვნიკისათვის თავისმტვრევასაც არ ერიდებოდნენ, რათა უმაღლესად ესიამოვნებინათ?

სად იყვნენ ჩვენი სხვადასხვა დაწესებულების მეთაურნი?

ვაი ქართველთა გულგრილობასა და მარტო ენის გადაყოლებას!..

მაგრამ რას ამბობდა — ხალხისა რა ბრალი იყო, ჩვენი დაბალი, ღარიბი ხალხი კეთილი გრძნობებით განმსჭვალულიყო, რაც კი შეეძლო თავს არ იზოგავდა, მაგრამ მეთაურები არა ჰყავდა შესაფერი!

ტყუილა კი არა თქმულიყო: ხელი ხელსა ბანსო.

ის ვაჟბატონები, რომელთაც ჩვენი დაცემული ცხოვრების სათავე ეჭირათ ხელში, ერთიერთმანეთს მიდგომით ირჩევდნენ და საზოგადოებაზე არა ფიქრობდნენ!.. საკუთარი, საპირადო ხაზი და ლარი გაჰყავდათ ცხოვრებაში და საქმის მაგიერ ენას ატრიალებდნენ.

და მაშ როდისღა, როგორღა უნდა დამდგარიყო ის დრო, რომელსაც ნატრობდა განსვენებული და რომლისთვისაც თავი შეეწირა?

დიახ, თავი შეეწირა და კურთხეულიც ყოფილიყო მისი სახსენებელი.

და კიდევ:

ილია ჭავჭავაძის ძეგლის გახსნაზეც სიტყვით რომ წარდგებოდა 1913 წლის 5 მაისს და განაცხადებდა: მრავალმეტყველება და ბევრი მითითება არ არის საჭირო იმისთვის, ვინც სიცოცხლეშივე ძალაუნებურად ჩაესახა თვალსა და გულში მის თანამედროვეობასო.

ამისთანას ეკუთვნოდა ისიც, ვის პატივსაცემადაც დღეს აქ შეკრებილიყვნენ.

თვალწინ ყველას ამოსახოდა მისი ვერაგული სიკვდილი და უკვირდათ, თუმც გასაკვირიც რა უნდა ყოფილიყო:

ქრისტე მაცხოვარს თორმეტი მოციქული აერჩია მთელს კაცობრიობაში და იმათგან ერთი იუდა გამომდგარიყო.

სადაც ვარდი იფურჩქნებოდა, იქ განა ეკალიც არ ამოდიოდა?

და ადამიანებშიც ასე გახლდათ:

შეგნებულთ შეუგნებელნიც რომ უდგანან გვერდით, სწორედ ამისთანებს ჩაედინათ უსამართლობა.

დიახ, ჩაედინათ, მაგრამ... მათდაუნებურად შეეძინათ კიდევ ერთი გვირგვინი მწუხარებისა და გულდაწყვეტისა, რადგანაც მთელი შეგნებული ქართველობა იგლოვდა და ტიროდა თავისი დაუვიწყარი შვილის დაკარგვას.

ხოლო იდეის მხრივ დიდი გახლდათ ეს ქანდაკება და ამას ახლავ ყველა თავისი თვალითაც იხილავდა.

და კიდეც ჩამოხსნიდა საბურველს იაკობ ნიკოლაძის მიერ ნაქანდაკევ „მწუხარე საქართველოს“.

ილია და აკაკი — ამ სახელების ერთიმეორის დაშორება არ უდგება გონებასო, — სამსონ ფირცხალავაც ამასვე ირწმუნებოდა და იმეორებდა, რადგანაც: ერთს რომ ახსენებდი, მეორეც ძალდაუტანებლად მოსდევდა თან.

რომელი უფრო უყვარდა ქართველ ხალხს?

ამის პასუხი სამსონს არ გააჩნდა, რადგანაც ილია და აკაკი ძნელი გასარჩევი გახლდათ: ორივ ერთნაირად საყვარელი და... არ მოიპოვებოდა ქართველი მოღვაწე, უდიდესი თუ უმცირესი, რომლის გულიც არ ატოკებულიყოს მათი ქნარის ხმით, რომლის სისხლ-ხორცშიც არ გამჯდარიყოს მათი მოწოდება მაღალი ადამიანობისა და მამულიშვილობის.

და დაუეჭვებლად აცხადებდა იმას, რაც ისედაც მოსალოდნელი გახლდათ ადრე თუ გვიან:

მადლიერმა ქართველმა ერმა ერთი ძეგლი უნდა აუგოს მათ, ორივეს ერთად, თბილისის ერთ-ერთ საუკეთესო ადგილზეო.

კიდევ არაერთი პასაჟი შეიძლება ამოიკრიბოს, სხვადასხვა მოღვაწის შეხედულების დასტურად — ამ ორ სახელს ერთნაირად რომ ეთაყვანებოდნენ და სულიერ ტყუპისცალებად აღიარებდნენ, ოღონდ როგორც უნდა გაგრძელდეს ეს სერია, საბოლოო ბეჭდად თუ გვირგვინად რა შეიძლება დაშვენდეს, თუ არა ლადო ასათიანის უბის წიგნაკის ის ჩანაწერი:

სულმნათნო, მადლი თქვენს გამჩენს,
დიდება ერსა, თქვენს მშობელს, —

ეს სიტყვები უნდა წაეწეროს ილიასა და აკაკის ერთობლივ ძეგლსო.

* * *

გახსოვთ?

ეს საქართველოს ყოველ კუთხეზე მეტად წამებული კახეთი ჩვენთვის ბეთლემად დაუნიშნავს განგებასო!..

სად აეტყორცნა ილიას სახელი, რარიგ განეზოგადებინა და გაესიმბოლოვებინა.

და ეს რა დროს: 1897-ში.

ჯერ ახალი დაწყებულია საბედისწერო იერიში ილიას წინააღმდეგ, სოციალ-დემოკრატები ჯერ მხოლოდ მოთელვას გადიან, და თუმც მოთელვაზეც ეტყობათ სისასტიკე და დაუნდობლობა, ჯერ მაინც ჰორიზონტზეც არ მოჩანს ტრაგიკული აღსასრული.

ამას ვერავინ ხედავს.

ჯერ — ვერც ილია.

ჯერ — ვერც აკაკი.

აბა მაშ... რამ წამოაცდენინა ის სიტყვები: კახეთი ჩვენთვის ბეთლემად დაუნიშნავს განგებასო?!.

რაღაც გრძნობა დაუვლიდა, რაღაც ხილვა გაუკრთებოდა წამიერად და მაშინვე გადაუვლიდა. წინასწარმეტყველური გუმანი მიახვედრებდა რაღაცას, რისი დაჯერებაც არაფრისდიდებით არ ენდომებოდა.

და არც ილია დაიჯერებდა ასე ადვილად, თუმც ბეთლემის ხსენებას შეუძლებელია ჟრუანტელად არ დაევლო მის არსებაში და სულის ყველაზე ღრმა და შორეულ კუნჭულში მობორიალე ეჭვი არ დაედასტურებინა.

ბეთლემის ბაგაში დაბადება იმთავითვე მოასწავებდა გოლგოთასა და ჯვარცმას.

და ყვარელში ჭავჭავაძიანთ კოშკში დაბადებაც იმთავითვე გულისხმობდა წინამურს.

1907 წლის 30 აგვისტოს შემდგომ ყველასათვის მეტ-ნაკლებად კანთიელი შეიქნებოდა, წინამურში დათხეული სისხლი აწცა რომ იხილვების და სამარადისოდაც.

მაგრამ... ათი წლით ადრე?!.

მაშინ ეს შეიძლება მხოლოდ აკაკის ეგრძნო, როგორც ტყუპისცალები გრძნობენ რაღაც იდუმალი ძალითა თუ კარნახით ერთიმეორის მოსალოდნელ აღსასრულს.

ეგრძნო და... კიდეც ეთქვა ასეთი დაბეჯითებითა და გადახსნილი გულით, განგების ნება ეღაღადა...

და კიდეც განესაზღვრა სიტყვის ერთი მისებური მოქნევით ბიოგრაფიული რომანი ილია ჭავჭავაძეზე: მისი ფორმაც, კომპოზიციური აღნაგობაც, სულისკვეთებაც, მხატვრულ-იდეური მრწამსიც, იდუმალი რიტმიც და სტილური დინამიკაც...

ამდენი მხატვრულ-დოკუმენტური რომანის მთავარი ბირთვი დაუნანებლად ებოძებინა ჩვენთვის და ისე აბა როგორ იქნებოდა, ეს სერია ბიოგრაფოსთათვის შთამაგონებელი სტრიქონებისა ილია ჭავჭავაძის სახებით არ დაეგვირგვინებინა.

...ჰოი რამდენი ადამიანი გაოგნდებოდა ამ ფრაზის მოსმენისას, იმასაც კი იფიქრებდნენ, ხომ არ მოგვეყურაო, მაგრამ რაკიღა დაადგენდნენ, რომ აკაკის ეს შედარება მართლაც მოეშველიებინა, მხრების აჩეჩვას მოჰყვებოდნენ: ყველა–ყველა და... კახეთი ბეთლემი როგორღაა, ალბათ რაღაც სხვის თქმას თუ აპირებდა და სიტყვა გაებლანდაო...

* * *

აკაკიც იქნებოდა, სიტყვა გაბლანდვოდა, ეს კი ნიშნავს, რომ უსათუოდ გრძნობდა, გრძნობდა რაღაცას... ავბედითსა და გარდუვალს... და ღრმა სიმბოლიკით განმსჭვალულს...

გრძნობდა აკაკი.

და კიდევ: ჭავჭავაძიანთ კოშკი.

კარი მეხუთე

თავი I

ვერ ვნახე, დაკარგულიყო...

ამ უჩვეულო, გამაოგნებელი, გრანდიოზული პოეტური სამყაროს გზა-ბილიკების მოხილვისას, აკაკის ლირიკა რადაც წარმოგვიდგება, დავით წერედიანი საგანგებოდ ჩაუკვირდებოდა იმ გარემოებას, რომ:

აკაკისთან გამქრალია გარდამავალი, ნიუანსური ფერები, ასე უხვად რომ არის ნიკოლოზ ბარათაშვილთან, და რჩება დაპირისპირება თეთრისა და შავისა, რაც არამარტო სისადავეს, არამედ გაუბრალოებასაც გაუხსნიდა გზას როგორც ფორმით, ასევე შინაარსულადაც, და ამ გზით ატარებდა XIX საუკუნის მთელი მეორე ნახევრის პოეზიას, რადგანაც აკაკი თითქმის სიცოცხლის ბოლომდე მისი ერთადერთი მბრძანებელი და სრული ხელისუფალი იქნებოდა.

ზუსტად იმავეს დამართებდა ქართული პოეზიის მდინარებას, რასაც თავის დროზე შოთა რუსთველი: სრული გავლენის ქვეშ მოიქცევდა და აუცილებელი შეიქნებოდა მისგან თავდაღწევა, რათა მიმბაძველ-ეპიგონებს სამუდამოდ არ დაესამარებინათ სალიტერატურო პროცესი.

ეს რეალობა ასე გამოითქმოდა ნარკვევში „ცოტა რამ აკაკის ლირიკაზე“:

აკაკის ლირიკაზე დაკვირვებისას ემზარ კვიტაიშვილსაც ასეთივე შთაბეჭდილება და შეხედულება რომ გაუჩნდებოდა, იმ უპირველეს ნიშან-თვისებას წამოსწევდა, რაც მის მთელ შემოქმედებას, განსაკუთრებით კი პოეზიას მსჭვალავდა თავით ბოლომდე: დაპირისპირებულთა ერთიანობის ანუ კონტრასტის უბერებელი და უნიველსალური ხერხი, ქართველ მწერალთაგან მასავით ხშირად და მარჯვედ რომ ვერავინ იყენებდა.

თუ რამდენად მნიშვნელოვანი და ეფექტურია კონტრასტულ ხატებზე დამყარებული აზროვნება, ამის ნათელსაყოფად უამრავი მაგალითიდან აქ მხოლოდ ერთს დასჯერდებოდა: ფედერიკო გარსია ლორკას ძმა — ფრანსისკო გარსია ლორკა — „ბოშური რომანსეროს“ ავტორის სწორედ ამ თვისების გამო საგანგებოდ რომ აღნიშნავდა:

— მის პოეზიაში ეს პოლუსები რომ არ იყოს, ფედერიკო დიდი ლირიკოსი ვერ გახდებოდა.

ხოლო დავით წერედიანის მოსაზრებით:

თვითონ აკაკი ამ ნაკლს უამრავი სხვა ღირსებით ინაზღაურებდა, მაგრამ დანარჩენები? ეს გზა კი, სრული ეპიგონობის გარდა, სხვა პერსპექტივის პოვნას ძალიან აძნელებდაო.

განსჯა კი ამ კალაპოტში წარიმართებოდა, რომ:

აკაკი თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების უმთავრეს მიზნად სამშობლოს გაიხდიდა და მთელი სიცოცხლე თავდაუზოგავადაც ემსახურებოდა ამ უმთავრეს მიზანს. დრო კი მისი შემოქმედებისაგან არა იმდენად მაღალმხატვრულობას, რამდენადაც ყოველგვარ სატკივარზე დაუყოვნებლივ გამოხმაურებას მოითხოვდა. ისიც უყოყმანოდ იხდიდა ამ ვალს და თავისი შემოქმედების ძირითად დანიშნულებად სწორედ ეს მოვალეობა ესახებოდა. და ამ გზაზე მრავალ უშეღავათო ბრძოლასაც გადაიხდიდა.

აკაკი გარიდებით რომ გაერიდებოდა ყველა სამსახურს, სახელმწიფოსა თუ საზოგადოებრივს, შალვა ამირეჯიბს ეჭვიც არ ეპარებოდა:

რათა თავისი პოეტობა არ წაეხდინაო.

და არცერთ პოლიტიკურ პარტიაში რომ არ შევიდოდა:

პარტია ხომ ნაწილს ჰქვია, მას კი მთელ ერთან სურდა ყოფნაო.

მაგრამ ამ პოეტსა და უპარტიო კაცს — დაე თქმულიყო თუნდ უხეშადაც — მხოლოდ პოლიტიკური ლექსები და პოემები შეექმნა.

და თუმც არც შალვა ამირეჯიბი დაიშურებდა აღმატებულ ეპითეტებს:

მათში ბევრია პოეზია, დიდი მხატვრობა, უშრეტი ენამზიანობა და დაუსრულებელი ლირიზმიო.

მაგრამ ესეც როგორ არ დაერთო:

სიტყვაკაზმული მწერლობის ყველა ეს თვისება პატრიოტიზმის პრიზმაშია გატარებულიო.

და შესაფერის ლიტერატურულ ფორმულასაც მოუძებნიდა:

აკაკის პოეზია დამონებული ერის გარითმული პოლიტიკააო.

რა დაესახა ეთიკურ მრწამსად ილია ჭავჭავაძეს პოეტისათვის?

არა მხოლოდ ტკბილ ხმათათვის გამომგზავნა ქვეყნად ცამაო.

დავით წერედიანის დაკვირვებით:

აკაკი ბუნებით ერთი იმ უიშვიათეს პოეტთაგანი იყო, ვინც სწორედაც და მხოლოდ ტკბილ ხმათათივს გამოეგზავნა ქვეყნად ცას.

არადა:

მისი მრწამსი ამგვარი ფუფუნების ნებას არ აძლევდა. თავს ვალდებულად მიიჩნევდა, „გარემოების საყვირი“ ყოფილიყო და ამ ორი, ურთიერთგამომრიცხავი ტენდენციის შერწყმა ეცადა.

— და საოცარია, ზოგჯერ კიდევაც გამოსდიოდა!

მაგრამ:

— ხშირად კომპრომისებზე, დღეს მხატვრულად ძნელადგასაგებ კომპრომისებზე, უხდებოდა წასვლა.

ეს მოსაზრება რას გულისხმობს და:

საერთოდაც, ეპოქის მაშინდელი გემოვნების მიხედვით — და ფრჩხილებში ჩართულია, რომ: სხვაგვარად მხოლოდ „დეკადანსურ“ საფრანგეთში ფიქრობდნენ — ლექსს საზოგადოებრივად სასარგებლო საქმე უნდა ეკეთებინა. ხოლო აკაკის პოეზიისათვის ძვირადღირებული და ძალიან სპეციფიკური ნიჭი ჰქონდა — ალოგიკურობისა და არაფრისაგან, თითქმის არაფრისაგან, ძლიერი ლირიკული ეფექტის შექმნისა. მაგრამ იგი ამ უნარს გასაქანს არ აძლევდა. ლამობდა, ლოგიკურობისა და „საზოგადოებრივად სასარგებლო საქმის“ მარწუხებში მოექცია.

თვალსაჩინოებისათვის უკეთესი მაგალითი რა შეიძლება მოეხმო, თუ არა „ციცინათელა“, პირწმინდად ღვთითბოძებულ ლირიკულ იმპულსს რომ ებიძგა მისთვის დასაწყებად, მაგრამ გონების ხმას მაშინვე ლოგიკური, „საქმიანი“ მხრისაკენ გადაეხვეინებინა.

ჩემო ციცინათელა,
დაფრინავ ნელა-ნელა,
შენმა შორით ნათებამ
დამწვა და დამანელა.

და მიედევნებინა, რომ:

ეს სრულიად მარტივი, თითქოსდა ტრაფარეტული სტროფი უცნაურ ინტიმს იწვევდა და ლირიკულ სიმს, აუხსნელია რითი და რა მანქანებით, ნაზად და თანაც ძლიერად არხევდა. საჭირო იყო ასეთი, თითქმის არაფრისაგან მოქსოვილი ერთი-ორი სტროფიც, რომელთა მოქსოვაც აკაკისათვის დიდად საძნელოც არ იქნებოდა და.. ლექსი შედევრად წარმოდგებოდა. მაგრამ... ფიქრი მაინც „საზოგადოებრივად სასარგებლო“ მწერებისაკენ, ფუტკრისა და აბრეშუმის ჭიისაკენ გარბოდა... და თუ ეს ლექსი მაინც კარგი ლექსი გახლდათ, ისევ იმ პირველი სტროფის წყალობით. და არც შემთხვევით აეტაცათ სიმღერად ეს სტროფი.

აქვე როგორ არ გაგახსენდება ტარიელ ჭანტურიას ის დაკვირვება:

აკაკის მიერ სამიჯნურო სიმბოლოდ ციცინათელას გამოყენება წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით, მეტი რომ არა ვთქვათ, გულუბრყვილობააო.

და ეს იმიტომ, რომ:

დაფრინავს მხოლოდ მამალი ციცინათელა. რაც შეეხება დედალს — რომელსაც სიმბოლოდ იყენებდა აკაკი — ის მხოლოდ დაცოცავდა და, რაც მთავარია, არ ანათებდა, ანუ კაცმა რომ თქვას, მას არც კი უნდა რქმეოდა ციცინათელა, რასაც გვამცნობდა მარსელ მინარტის „სინათლე და ფერი ბუნებაში“.

დიახ, ასე კი არის მეცნიერულად, მაგრამ რას აკლებდა ეს აკაკის ლექსს?

ტარიელ ჭანტურიას რწმენითაც: არც არაფერს!..

დავით წერედიანი კი თვალსაჩინოებისათვის კიდევ ერთ მაგალითსაც მოიშველიებდა:

აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა,
სერზე შევდექ, ჭმუნვის ალი მენელა...

როგორც იმავე იმპულსით დაბადებულ სტრიქონებს, ისევ აზრით მოუხელთებელ ინტიმსა და ლირიკულ ვიბრაციას. და თუ შესასრულებლად ძნელია, მისახვედრად საკმაოდ იოლი გახლდათ, განწყობილება თუ რა მხარეს უნდა წარმართულიყო: თუკი დადებითი ემოციისაკენ არ წავიდოდა, მსუბუქი სევდის საზღვრებს მაინც არ უნდა გადასცდენოდა.

მაგრამ... გონება მაშინვე თავის მკაცრ ულტიმატუმს რომ აყენებდა: რა დროს დადებითი ემოციაა, რა დროს მსუბუქი სევდაა, სამშობლო თავზე გვენგრევაო?

და დაუყოვნებლივ შემოდიოდა დამდაბლებული, ლეჩაქახდილი სატრფო-სამშობლოს ალეგორია, რომელიც პირველი სტრიქონების განწყობილებიდან არამცდაარამც არ გამომდინარეობდა.

— ეს ალეგორია, ლექსიდან ლექსში რომ გადადის, შესაძლოა, იმ დროს საზოგადოებრივად საჭირო რამ იყო, მაგრამ დიდ შემოქმედებით მიღწევად ვერ ჩაითვლება. ეს ლექსიც, პირველ ყოვლისა, დასაწყისის გამო ზის მკვიდრად ქართულ კლასიკაში.

სიტყვა მოიტანდა და, როგორ არ დაერთო:

მის პირველ სტრიქონთა განწყობილება სრული ემოციური სიზუსტით ბოლომდე არის მიყვანილი გალაკტიონ ტაბიძის ლექსში: „წამყე ბეთანიისაკენო“.

ხოლო თუ ისევ ალეგორიას მივუბრუნდებოდით, ნარკვევის ავტორი საყვედურს გამოთქვამდა უწინდელ მკვლევართა დიდი ნაწილის მიმართ: აკაკის სატრფიალო ლექსებში ყოველთვის სამშობლოს ალეგორია არა დევს, არადა ისინი დაჟინებით ცდილობდნენ ყველგან ეს ალეგორია დაენახათ, სხვაგვარი ახსნა, როგორც ჩანს, წარმოუდგენლად მიაჩნდათ. დაენახათ თვით „სულიკოშიც“ კიო...

ეს ყველაზე ძალიან აოცებდა, რადგანაც აქ აკაკი ხომ თავის პირველ ლირიკულ იმპულსს ბოლომდე მიჰყვებოდა და „საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობას“ ცოტა ხნით ივიწყებდა.

არადა:

მართლა როგორ უნდა წარმოგვედგინა დამარხული სამშობლო, რომლის საფლავიც კი დაკარგულიყო და მონახვის პერსპექტივაც ბუნდოვნად გამოიყურებოდა?!.

და ძალაუნებურად წამოაგონდებოდა ედგარ ალან პოს ესეიდან „კომპოზიციის ფილოსოფია“ („ყორანის“ შექმნი პროცესს დეტალიზებული თანმიმდევრობით რომ აღადგენდა) ის შეხედულება: ჭეშმარიტი ლირიკული ლექსის ერთადერთი ნამდვილი თემა სატრფოზე მგლოვიარე ვაჟის განცდებია, მათთან დაკავშირებული სიტუაციების გადმოცემაო.

და თუმც სხვა საქმე იყო, დავუჯერებდით თუ არა ედგარ პოს, მაგრამ აგერ „სულიკოს“ ამოსავალი სიტუაცია სწორედ ეს გახლდათ.

ოღონდ მეორე სტროფიდანვე სატრფოს სახე სიმბოლურობისაკენ მიილტვოდა: მივეხმატკბილე ჩიტუნას: შენ ხომ არა ხარ სულიკოო? — და თანდათან უფრო და უფრო მეტი სიმბოლურობით იტვირთებოდა.

— აკაკისეული სიმსუბუქე და გამჭვირვალება არ გვანებებს, განყენებული, ზოგადი ალეგორია ვეძებოთ და ვცდილობთ, რაიმე ზუსტ ალეგორიას მოვეჭიდოთ. მაგრამ აქ სატ-

რფოს სახე უეჭველად ღრმა და ტევადი სიმბოლოა, ხოლო სიმბოლო ალეგორიისაგან იმით განსხვავდება, რომ მისი სრული დაკონკრეტება შეუძლებელია, იგი რაიმეს ბოლომდე კი არ ხსნის, მხოლოდ მიგვანიშნებს. ამდენად, აქ არც სამშობლო და, მით უმეტეს, არც ქრისტიანული სამება არ უნდა იგულისხმებოდეს.

ის კი არა, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ:

ვარდ-ბულბულ-ვარსკვლავად სამების წარმოსახვა ღვთის განდიდებისაკენ კი არა, უფრო მკრეხელობისკენ იხრებოდა. და თან, მთავარი რაც არის, ესთეტიკურდა გახლდათ გაუმართლებელი, პეპელასავით მოფარფატე ლექსისათვის ასეთი ემოციური სიმძიმის ალეგორია დაგვეკიდა, რადგანაც ამით ის უშუალო ზემოქმედების უნარს, თავის მთავარ ფუნქციას დაკარგავდა.

და დავით წერედიანის დაბეჯითებით:

აკაკი აქ პირველ მუსიკალურ-ლირიკულ იმპულსს მიჰყვებოდა და წინასწარ მოაზრებულ სქემასთან არა გვქონდა საქმე, ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანდა და ლირიზმს ესეც აძლიერებდა:

მშვენიერება, როგორც შინაგანი განცდა, რომელსაც სიყვარულში, მონატრებაში, იქნებ წარმავლობაშიც უდევს სათავე, და მშვენიერება, ჩვენს ირგვლივ, ბუნებაში განფენილი, ერთიანდებოდა და ერთ ხატად ერწყმოდა, პოეტურ შთაგონებას ჰქმნიდა და ამავდროულად კიდეც მოიცავდა.

ბულბულს ყურს ვუგდებ, ვარდს ვყნოსავ,
ვარსკვლავს შევყურებ ლხენითა
და, რასაცა ვგრძნობ მე იმ დროს,
ვერ გამომითქვამს ენითა.

მგოსნის სული სწორედ შთაგონებით ივსებოდა და ეს: ვერ გამომითქვამსო, — უნდა ახსნილიყო როგორც პოეტური სიმბოლოს პირველი დამახასიათებელი ნიშანი.

ამ კონტექსტში პარალელი სრულიად განსხვავებულ პოეტთან შესაძლოა მთლად მართებული არ ყოფილიყო, მაგრამ ნარკვევის ავტორი მაინც მოიხმობდა როგორც მსგავსი პოეტური მდგომარეობის გამომხატველს, მარინა ცვეტაევას იმ სტრიქონებს: აღსდექ, სამერთიანობავ ჩემს სულში — შროშანო, გედო და ლირავო!..

არც ქრისტიანული სამება არ უნდა იგულისხმებოდესო...

აკაკი ბაქრაძის შეხედულებას მიანიშნებდა, ცალკე თავად რომ ჩაერთო მონოგრაფიაში „ტკბილი ოცნება და მწარე სინამდვილე“ და ამითაც აგრძნობინებდა მკითხველს, ამ ახლებურ გააზრებას საგანგებო მნიშვნელობას რომ ანიჭებდა და მიგნებად მიითვლიდა. ეს თავი — „სულიკოდვე“ სახელდებული — მოცულობით მცირეა და თავისუფლად შეიძლებოდა რომელიმე სხვა თავს რომ შერეოდა, მაგრამ მაშინ შესაძლოა მისი მნიშვნელობის განსაკუთრებულობა გამორჩენოდა მკითხველს.

დასაწყისში მონოგრაფიის ავტორი გაიხსენებდა აკაკისეულ სტრიქონს, ირონიანარევი კილოთი ამოთქმულს: მაგრამ რადგანაც პოეტი ხარ, უნდა იყო გამოცანაო, — რათა დაერთო, რომ: მართალია მას მკაფიოდ საუბარი უყვარდა და მის პოეზიაშიც და პროზაშიც თითქოს ყველასათვის ყველაფერი გასაგებია, იოლი და მისაწვდომი, მაგრამ ხშირად მისი ლექსი ისეთ სიღრმეს იჩენდა, რომ იდუმალებით იმოსებოდა.

ეს იდუმალება მსჭვალავდა „სულიკოსაც“.

და მანამდე ამაოდ ეცადათ მისი საიდუმლოს გახსნა, თუმც თავი არ დაეზოგათ საამისოდ.

აკაკი ბაქრაძე ვერ გაიზიარებდა ვასილ ბარნოვის თვალსაზრისს, თითქოს ამ პოეტურ ნიმუშში გამოხატულიყოს სატრფო-სამშობლოს ძებნის ტკივილი:

მიჰმართავს სამშობლოს ველზედ ობლად ამოსულ ვარდს გადაფურჩქნილს და კოკობი უსმენს მას, უპასუხებს, შეირხევა ნიშნად თანხმობისა, დახრის თავს და ციურ თვალმარგალიტს ცრემლად აფრქვევს მის წინ. ევედრება ოცნებისშვილი ფოთლებში მიმალულ ბულბულს: შენ ხომ არა ხარ, სულიკოო? — და ისიც ხმატკბილად უგალობებს მას: დიახ, დიახო! — შეღაღადებს შუქურვარსკვლავებს, წყვდიადის გასაშუქებლად რომ დაჰქათქა-

თებენ მის სამშობლო მხარეს, და მაღალნიც თანაუგრძნობენ მას, პასუხს აძლევენ, სხივთ აფრქვევენ ნიშნად დასტურისა. სამშობლოს ნიავიც ჩასჩურჩულებს მას სანატრელ სათქმელს და კვალს უჩვენებს სახეს იმ სატრფოისასო.

და ვერც გრიგოლ რობაქიძის ვარაუდს, თითქოს ეს ლექსი სატრფო-მშვენიერების ძიება ყოფილიყოს:

პოეტი დაეძებს საყვარლის საფლავს და ჩივის გულამოსკვნილი: სადა ხარ, ჩემო სულიკო!.. იგი ხვდება ვარდს ეკალნარში ამოსულს, — და შეკითხვის წამს ვარდი შეირხევა თანხმობის ნიშნად და დაჰყრის ცრემლად ცვარსა ციურსა... ნახულობს სულგანაბულს ბულბულს, ფოთლებში მიმალულს, — და პოეტის გულის კითხვას კვნესა-სტვენით „დიახ-დიახ“-ს შეჰყეფს. მზერს მაღლა ვარსკვლავს, ლურჯი ცის ფსკერზე მოციალეს, და ვარსკვლავიც დასტურს აძლევს ალერსიანი ციმციმით... და ნიავი კი, ცელქი და კეკლუცი, ჩურჩულით ახარებს: ეგ არის, რასაც ეძებდიო... ყველგან, სადაც კი მშვენიერება მიმალულა, საფლავია საყვარლის... პოეტი თხრის იმ საფლავსა და აღადგენს მთვარეულ ლანდს მშვენიერებისასო...

თავის მხრივ კი განაცხადებდა:

„სულიკო“ დაკარგული ღმერთის ძიებააო.

გაიხსენებდა, რომ: საქართველოში ღმერთის დაკარგვის გამო წუხილი ერთ-ერთ ძირითადი თემა გახლდათ აკაკის შემოქმედებისა, რასაც თუნდ „რაჭა-ლეჩხუმის“ ის სტრიქონებიც ადასტურებდა. იმპერიული რუსეთი ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებისთანავე დაუზოგავად რომ გაძარცვავდა ყველგან მონასტერ-ტაძრებს და იმ ნაძარცვით აავსებდა საუკუღმართო ბაზრებს, ხალხზე კი ძალზე მძიმედ იმოქმედებდა და ფსიქიკას გაუმრუდებდა შეგნება იმისა, რომ ხატს არ ჰქონიყო ძალა და არა, თორემ თავის გაგლეჯას სხვას როგორ დააცლიდა:

დღეს-ხვალეობით ცოტ-ცოტად
გადაუბრუნდა ხალხს გული:
აღარც ხატი სწამს, არც ჯვარი,
დაკარგული აქვს მას რჯული!

ღმერთი განრისხდებოდა, მთელი ქვეყანა რომ დაკარგავდა სარწმუნოებას, და სასჯელად ხოლერას გამოუგზავნიდა („ხოლერა“). გადაგვარებულიყო ყველა — თავადაზნაურობა, გლეხობა, ვაჭრები, ქალი, ვაჟი... და თვით წმინდა გიორგისაც შეაძრწუნებდა ამ თავზარდამცემი რეალობის ხილვა, თუმც ღმერთს მაინც სთხოვდა: დავიწყებია ქართველებს შენი სესხი და ვალია, გადაცდენია ძველ გზასა და დაბნევია კვალია; მაგრამ იმისი გაქრობა ჯერ მაინც ცოდვა... ბრალიაო, — და ღმერთიც რომ შეისმენდა ამ ვედრებას და ნებას დართავდა წმინდა გიორგის, ეხსნა საქართველო ხოლერისაგან... მაგრამ საბოლოო საშველი მაინც რომ არა ჩანდა და არა ათასგვარი სატკივარ-საწუხარისაგან?

ჩახედავდი აკაკის ნაწერებს, „სანამ ვიყავ ახალგაზრდა“ იქნებოდა, „ყვითელი სანთელი“, „მღვდელი და ექიმი“, „ნინოობას“ თუ სხვანი, და თვალწინ გადაგეშლებოდა გულსაკლავი სურათი:

აღარც წირვა, აღარც ლოცვა, აღარც ქართული ლაპარაკი.

სანთელსაც კი აღარ უნთებდნენ ხატს ძველებური წესით. მამაპაპური ყვითელი სანთელი გადავარდნილიყო და ხელოვნური თეთრი სანთლით შენაცვლებულიყო, და ხსოვნითაც კი აღარ ახსოვდათ, რა მნიშვნელობა ჰქონდა ყვითელ სანთელს.

მღვდელს უხაროდა, უვიცი ექიმები ადამიანებს ბუზებივით რომ ხოცავდნენ, და წყევლის მაგიერ ასეთ ექიმებს კიდეც ლოცავდნენ ეკლესიის მსახურნი: ისინი რომ არ გვშველოდნენ, რაღას გვარგებდა მღვდლობაო.

აღარც ერმა და აღარც ბერმა აღარ უწყოდა, როდის რა საეკლესიო დღესასწაული უნდა გამართულიყო, და აგერ კახეთის ერთ სოფელში, ახმეტაში აღდგომა კვირის მაგივრად სამშაბათს გაეთენებინათ, მხოლოდ იმ დღეს შემოევლოთ ლიტანია, ქრისტე აღსდგაო, — მაშინ ეთქვათ და მაშინღა გაეხსნილებინათ.

და სარწმუნოების დაკარგვის გამოისობით ერთ დროს თავაზიანობით ცნობილი და ქებული ერი პირველყოფილ ადამიანებს დამსგავსებოდა.

და მოთქმა-გოდების გარდა სხვა რაღა დაგრჩენოდა: წმინდა საფლავიც და ჯვარიც დაეკარგეთ!.. სხვების ხელშიაო!..

მაგრამ რაკიღა ეს მხოლოდ წამიერი განწყობილება თუ შეიძლება ყოფილიყო, უიმედობა არ შეჰფეროდა ღვთის შექმნილ არსებას იმ რწმენის ძალით, რომ არაფრისდიდებით არ უნდა დავიწყებოდა თავისი დანიშნულება: მე მგონია მისთვის ვართ ქვეყნად მოვლინებული, მაცხოვარი რისთვისაც იქნა ჯვარზე ვნებულიო!..

— ამ დანიშნულების შესრულებას მტკიცე რწმენა სჭირდება. ღმერთის დაკარგვა შეუძლებელია. უფალი ყველგან არის, მართალია ადამიანი მას ვერ ხედავს, მაგრამ იგი მარადიულად სუფევს ხილულ და უხილავ სამყაროში, სულიერ და უსულო საგნებში... ყველაფერში, რაც ადამიანს გარს არტყია და ახვევია.

და... აკაკიც იწყებდა ღმერთის ანუ საყვარლის ძიებას.

საყვარელი რომ ღმერთს გულისხმობდა, ამის ნათელსაყოფად აკაკი ბაქრაძე მოიშველიებდა „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგ მეექვსისეულ კომენტარებს, სასულიერო მწერლობის ნიმუშებსაც, მაგრამ უპირველესად მაინც აკაკის სტრიქონებს, ამ ქრისტიანული თვალთახედვის გამზიარებელს: სიყვარული კავშირია ამ ქვეყნის და იმ ქვეყნის; იგივეა მაცხოვარი... „მადლი“ კაცთა გამოხსნისაო.

და ბუნებრივად მიიჩნევდა, რომ: პოეტი ერთნაირად მიმართავდა ქრისტესა და სიყვარულს, ერთნაირად უწოდებდა ორივეს: ქვეყნისა და ცის შუამავალსა და კავშირს, ერთი მხრივ „ქრისტე აღდგას“ რომ დაიმონმებდა და მეორე მხრივ „ქებათა ქებას“.

და ასევე ბუნებრივად — ეს ძებნა უნაყოფოდ რომ არ ჩაივლიდა და პოეტი საყვარელს ანუ ღმერთს კიდეც იპოვნიდა ვარდში, ბულბულსა და ვარსკვლავში.

სულ უბრალო კითხვას წამოჭრიდა მკვლევარი:

რა შეიძლება იყოს, გარდა ღმერთისა, დამარხული, შენახული ვარდში, ბულბულსა და ვარსკვლავშიო?

და დაბეჯითებით მიუგებდა:

ცხადია არაფერი. ერთადერთი, რისი საფლავიც — ანუ შემნახავიც — შეიძლება გახდეს სამივე, არის უზენაესი, რადგან იგი ყველგან სუფევსო.

არსებით მნიშვნელობას მიანიჭებდა იმ გარემოებასაც, რომ ძიება მიმდინარეობდა ვერტიკალურად — ქვევიდან ზევით, მიწიდან ზეცისაკენ. ეს კი ამაღლების პროცესის წარმოჩენას ნიშნავდა და კიდევ ერთ თვალსაჩინოებას, აკაკის პოეზიაში მოძრაობა ყოველთვის ქვევიდან ზევით რომ მიმართულიყო. და ესეც განაპირობებდა, აკაკის ლექსების დიდი ნაწილი საგალობლებად რომ წარმოგვიდგებოდა.

უყურადღებოდ როგორ დატოვებდა „სულიკოში“ გამოხატულ იმ თვალთახედვას: სამად დაშლილა ის ერთი: ვარსკვლავად, ბულბულ, ვარდათო, — და შეათანასწორებდა ქრისტიანულ კონცეფციასთან: ღმერთი სამპიროვანი ერთარსებააო, — რათა დაებეჯითებინა: ლექსი ამის პირდაპირი მინიშნებააო.

ამჯერად უშუალოდ ამ სტრიქონში მოძრაობა ზევიდან ქვევით, ციდან მიწისაკენ რომ მომდინარეობდა?

ჯერ ვარსკვლავი, მერე ბულბული და მხოლოდღა მერე ვარდი!..

ეს კი უფლის მოვლინების სურათად იკვეთებოდა.

საყვარლის პოვნა პოეტს უდიდეს სიხარულს რომ ჰგვრიდა: და რასაცა ვგრძნობ მე იმ დროს, ვერ გამომითქვამს ენითაო, — თუ ადრე უიმედობა და სასოწარკვეთილება იპყრობდა, აწ უკვე სხვა სულიერ სივრცეში გადანაცვლებულიყო: ისევ გამეხსნა სიცოცხლე, დღემდე რომ მწარედ კრულ იყოო...

რას შეიძლება მიენიჭებინა ადამიანისათვის ესოდენ უზომო სიხარული?

აკაკი ბაქრაძეს ეჭვიც აღარ ეპარებოდა, რომ მხოლოდ ერთს:

დაკარგული ღმერთის პოვნას.

და ამ სიხარულის ლექსი გახლდათ „სულიკო“. .

ვარდ-ბულბულ-ვარსკვლავად სამების წარმოსახვა ღვთის განდიდებისაკენ კი არა, უფრო მკრეხელობისკენ იხრებაო, — ვერაფრისდიდებით ვერ გაიზიარებდა ამ თითქოსდა ურყევ

დასკვნას დავით წერედიანი და ყველას აფრთხილებდა, მკვლევარებსაც და მკითხველებსაც: პეპელასავით მოფარფატე ლექსს ნუ დავკიდებთ ასეთი ემოციური სიმძიმის ალეგორიასო.

მაგრამ... ეგებ ჩვენ კი არა ვკიდებთ ამ ალეგორიას, არამედ ლექსი თვითვეა განმსჭვალული ამ სულისკვეთებითა და გამჭვირვალე მინიშნებებით და მათ ამოუცნობლად და გაუშიფრავად ვაითუ ბუნდოვანი დარჩეს „სულიკოს“ თითქოსდა ასე მკაფიო და ყველასათვის ხელმისაწვდომი შინაარსი?

აკაკი მინდიაშვილი მონოგრაფიულ თხზულებაში — „ღმერთი, სამშობლო და ადამიანი აკაკი წერეთლის პირად ცხოვრებასა და შემოქმედებაში“ — აკაკის მსოფლმხედველობას ასეთი მოკლე ფორმულით განსაზღვრავდა: ქრისტიანული პატრიოტიზმი — და საყვედურს გამოთქვამდა წინამორბედი მკვლევარებისადმი, რომ: მის მსოფლშეგრძნებას სწავლოდნენ ყველა ასპექტით — ეს სოციალურ-პოლიტიკურიო, ეს მხატვრულ-ესთეტიკურიო, ეს ფილოსოფიურ-ეკონომიკურიო, ეს პოლიტიკურ-ეროვნულიო... და გასაგებ მიზეზთა გამოისობით, ყურადღების მიღმა რჩებოდა და იჩქმალებოდა რელიგიური კუთხე.

და ეს მაშინ, როდესაც:

ის ძირითადი სარკმელი, საიდანაც აკაკი ჭვრეტდა და შეიმეცნებდა სამყაროს — როგორც ყოფით-რეალურს, ისე მხატვრულს — ბიბლიური, ქრისტიანული მოძღვრება გახლდათ.. და ამდენად მისი მსოფლმხედველობაც უმთავრესად ამ ფუნდამენტზე ამოშენებულიყო!..

და მონოგრაფია ძირითადად ამ რელიგიური ნაკადის წარმოჩენას მიეძღვნებოდა აკაკის მხატვრულ და პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში, ამ კუთხით ნიუანსობრივ კვლევა-ძიებას, ყოველი საგულისხმო რეალიისა თუ დეტალის შესაფერისად ამოზიდვასა და ერთიან პანორამად წარმოსახვას; და თითქოსდა მოელი, რომ „სულიკოც“ ასე და მხოლოდ ასე უნდა აიხსნას: დაკარგული ღმერთის ძიებად — ანუ აკაკი ბაქრაძის შეხედულება ძალდატანებლად გაზიარდეს, მაგრამ... ამ ლექსიდან ამონარიდი ერთადერთხელაა მოხმობილი და ისიც მაშინ, როდესაც მონოგრაფიის ავტორი ერთმანეთს შეუპირისპირებს პეიზაჟთა ორგვარ ხედვას: ილიასეულსა და აკაკისეულს.

თუ ილიას მზერა პეიზაჟების წარმოსახვისას უპირატესად ახლობელ, მიწიერ საგნებს დასტრიალებდა;

აკაკის მზერა განუწყვეტლივ ზევით, შორს, ზეცისაკენ, ვარსკვლავეთისაკენ მიპყრობილიყო. მასთან ცა და მიწა, ზეციური და მიწიური მოვლენები ცალ-ცალკე კი არ არსებობდნენ, არამედ — ურთიერთგანუყოფლად.

და მათში ისეთივე შეთანხმებულობა, „თანაგრძნობა“ და ჰარმონიულობა არსებობდა, როგორიც ბუნების ცალკეულ მოვლენებს შორის: ცა დედამიწას დაჰხარის, და ცას შეჰნატრის ძირს მიწაო, — „ნათელასი“ არ იყოს.

და იქ, სადაც პოეტი მიწიერ საგნებსა და მოვლენებს ასახელებდა, მაშინვე ახსენდებოდა ზეციური მოვლენებიც:

როგორც „სულიკოში“: ბულბულს ყურს ვუგდებ, ვარდს ვყნოსავ, ვარსკვლავს შევყურებ ლხენითაო;

და როგორც „განთიადში“: ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტოო...

აკაკისთან ყველაფერი ზეცას რომ შეჰყურებდა, ზეცისაკენ მიილტვოდა და მიისწრაფოდა:

როგორც „განთიადში“: მთაწმინდა ჩაფიქრებულა, შეჰყურებს ცისკრის ვარსკლავსაო.

როგორც „ნათელაში“: ამაღლდით გრძნობავ-გონებავ! ასცილდით მზეს და მთვარესა! შეუკავშირდით ვარსკვლავებს, მოციმციმ-მოელვარესა, შეიტყვეთ საიდუმლობა ზეციურ ტკბილი ხმებისა და შეისწავლეთ კანონი იმათი შეთანხმებისაო.

და როგორც „სალამურში“: გამიგონია, ვითარც ლერწამი ობლის საფლავზე ამოსულიყოს და თავის ქნევით დამუქრებული მაღლა ზეცისკენ ის წასულიყოსო.

თავის მხრივ, ცა მიწისაკენ რომ მოილტვოდა:

როგორც „თორნიკე ერისთავში“: ზეცა დაჰყურებს ქვეყანას თვალითა ლმობიერითაო.

და როგორც იქვე კიდევ: და ვარსკვლავებიც იმავ დროს დაჰყეფენ, დასჭიკჭიკებენო.

ეს ყოველივე კი ცხადყოფდა, რომ:

აკაკის — ნიკოლოზ ბარათაშვილისა არ იყოს — მთელი ცხოვრების განმავლობაში აწვალებდა ჩაუქრობელი, დაუმცხრალი ლტოლვა უმაღლესის, ზეციურის, მარადიულის, დიადისა და სრულყოფილისადმი.

და ეს გახლდათ როგორც ერთი, ისე მეორე შემოქმედის სულის გულწრფელი პოეტური აღმაფრენანი „ზენაართ სამყოფს“, რათა „დაეშთოთ“ იქ ამქვეყნიური ამაღლება და შეესწავლათ:

ზეციური ტკბილი ხმების... შეთანხმების კანონი.

ეს კანონი — ზეციურ ტკბილ ხმათა შეთანხმებისა — ეს აკაკისეული მხატვრულ-ეთიკური ფორმულა ცხადია განმსჭვალავდა „სულიკოსაც“ და უფლის სულიც დაივანებდა ამ ლექსში, მაგრამ... არა უფრო მეტად, ვიდრე მორწმუნე ქრისტიანი პოეტის მხატვრული წარმოსახვანი თავისთავადაა ზიარებული ღვთიურ უბეს.

ზეციური მონაბერი აქ შორეულად, ძალზე შორეულად თუ შეიგრძნობა და... ერთბაშად გამარტივდება მისი საიდუმლოც და გამოცანურობაც, თუკი ამ — სრულიად განსხვავებულ — ფორმულაში მოვინდომებთ „სულიკოს“ მხატვრულ-ეთიკური მრწამსის ჩაწნეხვას: დაკარგული ღმერთის ძიებაო.

ძლივს თავი დაეღწია წინასწარ მოაზრებული სქემისათვის.

ძლივს ბოლომდე მიჰყოლოდა პირველ მუსიკალურ-ლირიკულ იმპულსს და...

და რა: აქაც არტახების ამოჭერას ვუპირებდით?!.

პეპელასავით მოფარფატე ლექსს ემოციურად მძიმე ალეგორიის ქვეშ ვაქცევდით?!.

საგულისხმოა, რომ:

„სულიკოს“ ემზარ კვიტაიშვილი აღიქვამდა ძიებად ყოველივე წმინდის, სანატრელის, სანუკვარის, რასაც აკაკი „საყვარლის საფლავად“ (რეალური საფლავის, სამარის შეგრძნება იმთავითვე ეფემერული გახლდათ ამ შესიტყვებაში) წარმოადგენდა. ის თითქოს ძებნაც იყო იმ სამოთხისებრი წიაღისა, ედემიდან გამოდევნილი პირველი კაცი არსებობის გარიჟრაჟზევე რომ დაკარგავდა. „სულიკო“ ამასთან უკიდეგანო სამყაროში განფენილი მშვენიერების თავმოყრადაც წარმოსდგებოდა და... გაუმართლებელი ხდებოდა მისი მიჩნევა კონკრეტული შინაარსის ლექსად, ალეგორიად. და ზედმეტი ხდებოდა, საგანგებოდ ჩავკვირვებოდით თვითეულ ხატს და თავთავისი სახელებიც დაგვერქმია.

პეპელასავით მოფარფატე ლექსს ემოციურად მძიმე ალეგორიის ქვეშ ვაქცევდითო...

არა კმაროდა ღვთითბოძებული ლირიკული იმპულსები ასე უხვად რაც გადახრილიყო „საზოგადოებრივად სასარგებლო საქმეებისაკენ“ თუ წინასწარვე შემუშავებული სქემებისაკენ?!

* * *

საყვარლის საფლავს ვეძებდი, ვერ ვნახე, დაკარგულიყოო...მგლოვიარებას მისცემოდა, ერთიანად ამ განცდაში ჩაძირულიყო ლირიკული გმირი:

ეს — „სულიკოსი“.

და მგლოვიარებას მისცემოდა, ერთიანად ამ განცდაში ჩაძირულიყო ლირიკული გმირი:

ეს — „ყორანისა“.

და ნაბიჯ-ნაბიჯ რომ მიჰყვებოდა ამ ლექსის შექმნის პროცესის აღდგენას, ედგარ ალან პო მიადგებოდა იმ რგოლსა თუ ეტაპს, როდესაც გაუჩნდებოდა იდეა ყორანისა — ავისმომასწავებელი ფრინველისა, მონოტონურად რომ იმეორებდა ერთ სიტყვას — „აღარასოდეს“ — ყოველი სტროფის დასასრულს, დაახლოებით ასი სტრიქონის ოდენობის მელანქოლიური განწყობილების ლექსში.

და ახლა კი, რათა არ დაეკარგა უ მ თ ა ვ რ ე ს ი რამ, ანუ სრულყოფილება ყოველი დეტალისა, თავის თავს ჰკითხავდა:

— ყველა მელანქოლიური თემიდან, კაცობრიობის ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო აზრით, რომელია ყ ვ ე ლ ა ზ ე მელანქოლიური?

— სიკვდილი, — იქნებოდა მკაფიო პასუხი.

— და მაშინ, — ამ მხრივ მიმართავდა ფიქრსა და განსჯას, — არის ყველაზე მელანქოლიური ყველაზე პოეტურიც?

აქედან უკვე გამოიტანდა გარკვეულ, ცხად პასუხს.

ასე მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც სიკვდილი მ შ ვ ე ნ ი ე რ ე ბ ა ს უკავშირდებაო.

და ამრიგად:

ულამაზესი ქალის სიკვდილი ყველაზე პოეტურ თემად წარმოდგებოდა მსოფლიოში.

და ასევე უეჭველი შეიქნებოდა მისთვის, რომ:

ყველაზე უკეთ ამას სატრფოდაკარგული მიჯნურის ბაგენი იღაღადებდნენ.

და ასე შეიქმნებოდა „ყორანი“ — სატრფოდაკარგული მიჯნურის ღაღადისად.

და ასე შეიქმნებოდა „სულიკოც“ — ღაღადისად სატრფოდაკარგული მიჯნურისა.

ეგაა აკაკი თავისტეხას არ მოჰყვებოდა: ნეტა რომელია ყველაზე მელანქოლიური თემა კაცობრიობის საყოველთაო აზრითო, — და ასე სულაც არ მიადგებოდა მშვენიერებასთან დაკავშირებულ, გადაჯაჭვულ სიკვდილს, არამედ ღვთითბოძებული მუსიკალურ-ლირიკული იმპულსი ძალდაუტანებლად გაიყოლიებდა და გახვევდა იმ იდუმალებაში, მერე ბევრიც რომ ეცადა, ვერაფრისდიდებით ვერ აღადგენდა ლექსის შექმნის პროცესს, ზოგად მონახაზადაც კი, არამცთუ დეტალურად გაეხსენებინა თვითეული რეალია თუ გარემოება... და ნაბიჯ-ნაბიჯ გამოჰყოლოდა თავით ბოლომდე.

ასეა თუ ისე:

იქ, სივრცეებში ამგვარად გადაეჯაჭვებოდნენ ერთიმეორეს „ყორანი“ და „სულიკო“, ედგარ ალან პოსა და აკაკი წერეთლის სახელები... და არა აკაკისა და... ფრიდრიხ ნიცშესი, რადგანაც არ გამოდგება „სულიკო“ „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ პოეტურ კომენტარად თუ სულაც შეჯამებად.

საყვარლის საფლავს ვეძებდი, ვერ ვნახე, დაკარგულიყოო...

თავი II

მცირე ძღვენი პირველ შენანირად

როგორ იყო, ძველად უფალს რომ სწირავდნენ ყოველ პირველ ნაშობს, პირველ ნამკალსა და პირველ ნაკრეფს?

იმის კვალობაზე გამოეგზავნა დავით ბაქრაძესაც მარგანეცში პირველად აღებული თანხა, მცირე ძღვენი პირველ შენანირად.

ამ ბარათის მიღება ისეთ სიამოვნებას აგრძნობინებდა აკაკის, რომლისდაგვარიც იშვიათად განეცადა ცხოვრებაში!.. და შემცდარი და ძალიანაც შემცდარი იქნებოდა ის, ვინც ამ სიამოვნებას მიაწერდა აკაკის პირად თავმოყვარეობას და ან სიხარბეს!..

— მიზეზი სხვა არის და კიდევაც უნდა აღვიაროო აქ.

ეს ბარათი შთააგონებდა იმ განცხადების შედგენას, რომელიც ამ ჟანრის ფარგლებს შორს გასცდებოდა და გიორგი წერეთელი ამიტომაც ისარგებლებდა, აკაკის გულისტკენასაც აღარ მოერიდებოდა და მემუარულ ჩანაწერად გამოაქვეყნებდა „კვალის“ 1893 წლის 15 აგვისტოს ნომერში: „მოგონება მარგანეცის გამო“.

აკაკი პირველად რომ შეუდგებოდა მარგანეცის საქმეს, ხალხს არათუ არა ეცოდინებოდა რა, კიდეც იუცხოებდა და ყბადაც აიღებდა მის ასეთ თავგამოდებას.

არადა:

იმათ არასა სთხოვდა, მათი არა იხარჯებოდა რა, მაგრამ მაინც კიჟინას დასცემდნენ, თითქოსდა რაღაც მომაკვდინებელი ცოდვის ჩამდენი ყოფილიყოს.

სიტყვა რომ არ გაგრძელებოდა, სახასიათოდ მოიხმობდა ერთ იმდროულ წერილს, როსტომ წერეთელთან მიწერილს:

— შენი შვილი რომ რუსეთიდან დაბრუნდა; ჩვენ ყველანი სიხარულით მივეგებეთ: გეგონა, რომ ოჯახს ფეხზე დააყენებდა და ჩვენც, მისიანებს, ბევრად გვარგებდა, მაგრამ მის ნაცვლად, რომ სამსახურში შესულიყო და წინ ბიჯი წაედგა, ან ადვოკატობით სხვებსავით მოეხვეჭა რამე, ეგ დალოცვილი მესტვირობას გამოუდგა და ლანძღვით ქვეყანა გადაიკიდა!.. ახლა კიდევ აუჩემებია რაღაც შავი-ქვა და თურმე იძახის: „ქვეყანა უნდა გავამდიდროო“ და ქვეყანას თავს ყბად აღებინებს.

ამას იწერებოდა კონსტანტინე აბაშიძე, ჯოყოეთის მემამულე, რომელსაც ხუთშაბათს სწვეოდა მიხაილ წერეთელი და ისიც ძალიან წუხდა:

— რა ვქნა, სიგიჟე არაფერში ატყვია და ასე ახირებულად კი იქცევა!..

კიდევ კარგი, მხოლოდ ახირებას მიაწერდნენ და უარესი ეპითეტებისაგან თავს იკავებდნენ. ჯერჯერობით მაინც.

აგერ სალომე წერეთელს 80 თუმნად სულ ეძლია, რაც შავი ქვა მოეპოვებოდა, მაგრამ აკაკის ეთქვა:

— თქვენი უმეცრებით ამ შემთხვევაში მე არ შემიძლია ვისარგებლო.

და იჯარით აეღო წელიწადში 500 თუმნად.

მიხაილს იმისთვისაც მოეკრა ყური: ერთი წლისა კიდეც მიუცია წინდაწინო, და ახლა კონსტანტინეს შემოსჩივიოდა: ნეტავი ფულს მაინც რათა ღუპავდა. მე კი განა ცოტა მაქვს ქვა-გუნდა? რგანისა და მღვიმევის ხრიოკები სულ შავი ქვა არ არის? წაიღოს, ღმერთმა მოახმაროს და თუ შევეცილო, იუდას თანაზიარი ვიყო. დათია ჩიხრიხისათვის უთქვამს: ჭიათურაში ადგილები იყიდე, რადგანაც იქ ერთ დროს რკინიგზა უნდა მოვიდესო, და ეს კი ნამეტანიო.

მიხაილი კონსტანტინესთან იქნევდა სინანულით თავს, კონსტანტინე კი როსტომს ებუზღუნებოდა:

— მართლა ძალიან საკვირველი სანახავი არ იქნება მღვიმევზე რკინის გზა! ადვილი იქნება, მერე კიდევ თუ ჯოყოეთზედაც გამომიარა! რაღა გვიჭირს მე და შენ? შენ მაინც გეზარება ცხენზე ჯდომა და მაშინ ერთს თვალის დახამხამებამდი შეგიძლია ჩემსა ამოიბრიგინო!.. ეჰ, სასაცილოა, რომ ყველა ეს სამწუხარო არ იყოს!..

ჯოყოეთელ თავადს დავით კლდიაშვილივით არ მოუქნევია ფრაზა?!.

სასაცილოა, რომ ყველა ეს სამწუხარო არ იყოსო...

კონსტანტინე აბაშიძე კი ახლა კვლავ აკაკის შემოუტრიალდებოდა და გულისჯავრს ბოლომდე ამოიყრიდა:

— ეგ დალოცვილი რას მიედებ-მოედება? მტრებს რაზე ახარებს? მისთანა რამეს რათ ამბობს, რომელიც არც ღვთის არის და არც კაცის?..

ეგება ხუმრობსო, — ამასაც იფიქრებდა, მაგრამ...

— რომ აღარც ხუმრობასა ჰგავს!.. და ან კი რა ხუმრობაა... აქ იმერეთია... მაგრე ხომ არ იტყვიან? ქვეყანა დასცინის, რიგი რას ამბობს და რიგი რას!.. ვერსა შევხვდი, თვარა ვაწყენინებდი სწორედ... ურჩია რამე და თუ საჭიროთ დაინახო ეს წერილი გადაეცი.

ეიმედებოდა, ისეთი საბუთები მომაქვს. წყალი არ გაუვა და ისიც დამიჯერებს და შეეშვება თავის ახირებულ მისწრაფებებს, სხვა რომ არაფერი, ქვეყნის სასაცილო რომ შეიქნა, ეს აღარ მოეწონება და გონზე მოვა, ხუმრობაში გააატარებს იმ არაფრისმაქნის მიდებ-მოდებას და სამუდამოდაც ჩამოეხსნებაო.

ცალკე შავი ქვით გამდიდრების ცრუილუზიას და ცალკე მღვიმევსა და ჯოყოეთზე რკინიგზის გადმოტარების ფუჭ იმედებს.

აკაკიც იქნებოდა, რაიმეს შეუკრთებოდა და ან სიტყვას მოუგებდა ვინმე.

რაო, ქვეყანა იცინისო?

სიცილი ამისი გენახათ — ლაღი, გულიანი, თავდავიწყებული, ირონია და სარკაზმგარეული, დაურიდალი და... ლამის დაუსრულებელი, საბოლოოდ მაინც შემწყნარებელი, იმ მოცინართ რომ გაიბურთავებდა და ხმას ჩააკმენდინებდა.

ქვეყნის ეკონომიკის ძარღვსა და ღონეს მარგანეცის წარმოებაში დაინახავდა და აზირ თავის გულსა და გონებას მიჰყოლოდა და არა მიამიტი, საქმეში ჩაუხედავი ადამიანების ქილიკსა თუ ათვალწუნებას, ამხელა სიმდიდრის პატრონებს თავი ხრიოკთა მფლობელები რომ ეგონათ და ძრახავდნენ წუთისოფელს, ეს ხრიოკები რა თავში ვიხალოთ, ანდა ეს შავი ქვა რა შავ ქვად გვინდაო?!.

შეინახავდა აკაკი იმ ბარათს, ოდესმე რაღაცაში გამომადგებაო, და აჰა ის დროც, პირველი ნაყოფი შრომა-გარჯისა მას რომ მიერთმეოდა იმ დამსახურებისათვის, საზოგადოებრივი აზრი რომ შემოებრუნებინა სასიკეთოდ და უკვე თამამად შეეძლო შემოეტანა ჟურნალისტურ მიმოქცევაში ჯოყოეთელი მემამულის ბარათი დასტურად იმისა, რომ ეს აზრი მარტო ერთსა და ორ ვინმეს კი არ ეკუთვნოდა... ასეთი გახლდათ მაშინ საყოველთაო შეხედულება და რასაკვირველია, არათუ მხარს არავინ აძლევდა და ამხნევებდა იმ გაბედული, ლამის თავზეხელაღებული წამოწყებისას, პირიქით — ყველა ხელს უშლიდა, თუ საქმით არა, სიტყვით მაინც...

— ძნელი იყო ჩემი ყოფა, მაგრამ ცამეტი წლის განმავლობაში, სხვა-და-სხვა იმედებით განმსჭვალულს მომავალზე, საქმისათვის თავი არ დამინებებია!

და დღეს კი, როდესაც სასაცილო „შავი ქვის“ საქმე დიდ საქმედ გადაიქცეოდა, და ქვეყანა სარგებლობდა, აკაკის ხშირად გააგონებდნენ:

— რა ქნა ამ კაცმა! საქმე მაგან დაიწყო, გააჩაღა, ქვეყანა კეთდება და თვითონ კი თავი დაიღუპა.

და ამ მართალ სიტყვას ზოგი დაცინვით ამბობდა და უფრო მეტი კი გულმტკივნეულობით, რადგანაც არ იცოდნენ და ვერც ვერაფრით მიმხვდარიყვნენ, თუ რა იყო ამისი მიზანი და რად ჩაბმულიყო ამ საქმეში.

პირადი ანგარიში აქ რომ არა ჰქონდა, თვითონაც რომ არ ირწმუნებოდეს, ჩვენითაც ამოვიცნობდით, მაგრამ ის განწყობილებაა საგულისხმო:

ოღონდაც ის იმედები, რომლითაც მაშინ ხელმძღვანელობდა, განხორციელებულიყო და მზად იყო — და ამ მზადყოფნას კვლავაც ინარჩუნებდა — მთელი სიცოცხლე სიღარიბეში გაეტარებინა, გინდ ხელგაშვერილის დღიური ლუკმის მოსაპოვებლად!..

რა იყო ის მიზანი და ის მიზეზები, ამაზედ ლაპარაკს ამჯერად ზედმეტად მიიჩნევდა და სახელდებით მხოლოდ ერთს მოიხსენიებდა, რომელიც თითქმის მძიმე ტვირთად მიჰყვებოდა საფლავში და რომლის გამოც საკუთრად იწერებოდა ეს მოგონება.

რას გულისხმობდა და:

ხალხურ ლექსებს, შაირებს, ზღაპრებს, თქმულებებს, ლეგენდებს, იგავ-არაკებსა და სხვათ, რაც კი შეადგენს ზეპირსიტყვიერებას, საზოგადოდ ყოველი ხალხისათვის ძვირფას განძს, როგორც მტკიცე საძირკველს მისი ისტორიისა და უტყუარ სარკეს მისი წარსული ცხოვრებისა.

— თუ არ მომაკვდავი ხალხი, ისე ამ განძზედ ხელს არ აიღებს ვერც ერთი სიცოცხლის მოსურნე ერი!

საქართველოს ხანგრძლივ ცხოვრებაში ამგვარი განძი დიდძალი შეგროვებულიყო, დიდი სიმდიდრე დახვავებულიყო, მაგრამ როდესაც ცხოვრებას პირი ებრუნა და ფერი ეცვალა, ეს განძიც — ზეპირსიტყვიერება, მივიწყებას ეძლეოდა თანდათან და ვაითუ საბედისწეროდ და სამუდამოდაც.

— საქმე მისწრებაზეა და თუ დავაგვიანეთ ერთ ათ წელიწადს იქით ხსენებაც აღარ იქნება!

მართლაც რომ მისწრებაზე იყო და რამდენიმე წლის წინათ უკვე გამოექვეყნებინა სტატია „დროებაში“ ამ აუცილებლობის თაობაზე და: ზოგიერთები კიდეც შედგომოდნენ შეგროვებას... მაგრამ აღმოჩნდებოდა, რომ ამგვარი გაკვრა-გამოკვრით, გზა-გზა შემთხვევით მოგროვილი მასალა ზეპირსიტყვიერებისა საქმეს თუ ავნებდა, თორემ არას არგებდა.

ამიტომაც ძიება-მოპოვება მკვიდრ საძირკველს უნდა დაფუძნებოდა და ამას ირწმუნებოდა და შეაგონებდათ აკაკი: საჭიროა საკუთარი, გულდაგული შრომა და მოღვაწეობაო.

შავი-ქვის ანუ მარგანეცის საქმე მის გუნებისად რომ წარმართულიყო, აპირებდა ამ დიდებული და დიახაც საჭირო საქმისათვის შეედგინა საყოფი თანხა: ჩვენში ბევრი ყმაწვილკაცი მოიძებნებოდა ნასწავლი და მომზადებული, რომელთაც სულითა და გულით სურდათ ჩვენი ქვეყნის სამსახური, მაგრამ დღიური საზრდოს საშოვნელად, ლუკმაპურისათვის ვინ იცის სად აღარ გადაკარგულიყვნენ. იმათ რომ შრომისათვის საყიდელი დანიშნოდათ, სიამოვნებით იკისრებდნენ ამ განძის ანუ ზეპირსიტყვიერების შეგროვებას, სიხარულით მოედებოდნენ ჩვენი ქვეყნის მთა-ბარს და რამდენიმე წელიწადში ხელთ გვექნებოდა ყოველგვარი მასალა ამ საშვილიშვილო განძისა.

იმედი რომ არ გაცუდებოდა, თვითონვე ფიქრობდა ამ ჩანაფიქრის აღსრულებას სხვების დაუხმარებლად, მაგრამ როდესაც მარგანეცის საქმე ისე ვერ აეწყობოდა, როგორც ეწადა და სურვილ-იმედები წაუხდებოდა, მაშინ ეს უკანასკნელიც ეკლად დაესობოდა გულზედ.

და როდესაც დავით ბაქრაძის ბარათს მიიღებდა, იმედი ისევ იფეთქებდა გულში და აკაკიც ამ ფულს მძევლად დაუდებდა ამ საქმეს...

იმედს გამოთქვამდა, რომ:

ჩვენში გამოჩნდებოდნენ სხვებიც, რომ თანაუგრძნობდნენ ამ საგანს — არ გულისხმობდა მაინცდამაინც მარგანეცის პატრონებს და არც მის მწარმოებლებს — და გამოიღებდნენ მცირეოდენ შესაწირს ისე, როგორც სწირავენ ხოლმე სხვადასხვა საზოგადო საქმეს.

დიდი შესაწირავი აუცილებელი არ იქნებოდა, თვით გროშებითაც კი შეიძლება შეგროვებულიყო ის თანხა, რომელიც ესაჭიროებოდა ამ საქმეს, და დამტკიცებულიყო ანდაზა: თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმევაო.

დავით ბაქრაძის ის პირადი წერილი, ერთიბეწო, ერთი მხრივ თუ აკაკის შთააგონებდა მემუარულ ჩანაწერს, ნოველის კვალობაზე შესრულებულს, მეორე მხრივ გიორგი დეკანოზიშვილსაც, მის სტატიასაც კვლავ აკაკი რომ უნდა გამოხმაურებოდა და არსებითად ის მოგონება-ნოველა გაეგრძელებინა და შეევსო.

გიორგი დეკანოზიშვილი ასე ადვილად არ გაიზიარებდა დავით ბაქრაძის ბარათის შინაარსს და შეეცდებოდა დაეზუსტებინა, თუ ვინ იყო პირველი შემომღები შავი ქვისა და მარგანეცის წარმოებისა ანუ პირველი ბარის დამკვრელი და შემშფოთებელი უძრავი ბუნებისა, რადგანაც ქართველები ამ თაოსნობას თუ აკაკი წერეთელს მიაწერდნენ, რუსები — ბარონ ფონ მერცენფელდს, მაგრამ გიორგი არცერთ ამ მოსაზრებას არ გაიზიარებდა: არცერთს არ ეკუთვნის ამათში სახელი შავი ქვის აღმოჩენისაო.

თურმე: ამათზე უწინ აღწერილი ჰქონოდა თავის მიმოხილვაში აბიხს 1858 წელს ორი შავქვიანი ბექი: ერთი — ბასილის კლდის ძირი და მეორე — შაგაურის ბოლო. შემდეგ ის ცნობა შევსებულიყო გამოკვლევით სიმონოვიჩისა, ბაცევიჩისა და საროკინისაგან.

აკაკი გულდასმით ჩაუჯდებოდა ამ სტატიას, მაგრამ ამ პასაჟს რომ მიადგებოდა, გაიფიქრებდა: ეს სარჩულ-კუდიანი სიტყვები ჭოლოქურად ჩემსკენ არის გამოტყორცნილიო.

და მაშ აუცილებელი ხდებოდა ეამბნა მკითხველისათვის, თუ როდის და როგორ აედგა ფეხი ჩვენში შავი ქვის წარმოებას.

სამშობლოში დაბრუნებული რამდენიმე წლის შემდეგ დარწმუნდებოდა, რომ:

ჩვენს შრომას ჯეროვანი ნაყოფი ვერ მოჰქონდა და ამის მიზეზი კი უმთავრესად ჩვენი საზოგადო სიღარიბე იყო, მაგრამ სიღარიბე ფულითი და არა ქონებითი!..

დღესაც ამავე აზრზე იდგა და მაშინ კიდევ უფრო სწამდა, რომ:

ვიდრე ეს, ჩვენი ქვეყნის ბუნება, არ გამოცვლილიყო და მიწა-წყალიც ჩვენს ხელთ რჩებოდა, ქართველები მდიდრები ვიყავით, მაგრამ ვერ ვახერხებდით, რომ ეს ბუნებითი სიმდიდრე, ეს ქონება ფულად გვექცია...

— და ფული ისეთი მანქანაა, რომ უიმისოთ ბრძოლა ცხოვრებაში შეუძლებელი და მოუხერხებელია.

და შეაგონებდა მკითხველს, რომ:

ჩვენი მამა-პაპანი შემოსეულ მტრებს ვერ მოიგერიებდნენ, თუ გმირთა გმირებიც ყოფილიყვნენ, თუ იარაღი არ ექნებოდათ და ფარ-ხმალი ხელთ არ ეჭირებოდათ!..

დღეს ცხადად შემომსევ მტრებს ველარ ვხედავდით?

მაგრამ ბრძოლა კი, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური, მაინც ისევ საჭირო გახლდათ და ამათი ფარ-ხმალიც ერთი იყო მხოლოდ — ფული!..

ვიდრე ფული არ გეეექნებოდა ქართველებს და სხვისი შემჩერე-შემყურე ვიქნებოდით, ყოველთვის ხელფეხშეკრულ მონებად დავრჩებოდით!..

— ვართ კიდეც!..

რატომ მოგვეტყუებინა თავი, რატომ გამოვკიდებოდით ილუზიებს, რაც სასიკეთოს არას მოგვიტანდა და ამ შემთხვევაშიც აკაკი ჩვეულ დაურიდებლობას გამოიჩენდა, რათა გაგვესიგრძეგანებინა გარემომცველი რეალობა და ღვთის ბოძებული სიმდიდრე, ქონება შესაფერისადაც გამოგვეყენებინა — სხვა არა ყოფილიყო რა, ეს აუარებელი მადნეულობა, რომელიც ჩვენს ურგებ მთებში იმარხებოდა, საკმაო კი არა, მეტიც იქნებოდა ჩვენი ქვეყნის გასამდიდრებლად.

მთავარია ენერგიულად მოეკიდა ვინმეს ხელი რომელიმე მათგანის წარმოებისათვის და... ვინ მოთვლის, რამდენი ქართველი იშოვნიდა ლუკმაპურს ადგილობრივ პატიოსანი შრომით და რამდენი ნასწავლი ახალგაზრდა დაუბრუნდებოდა სამშობლოს... არადა ლუკმაპურისათვის სად აღარ გადაკარგულიყვნენ და დაეწოწებოდნენ!..

ასე ფიქრობდა იმჟამად და... ტკბილი ოცნებით გატაცებული, გამოუცდელობის წყალობით ხან ქვას ახლიდა თავს გაბედვით და ხანაც ხეს!..

ერთხელაც სოფლად იქნებოდა საზაფხულოდ, ჯერ კიდევ ბატონყმობისას, და მამამისი უბრძანებდა მოურავს:

— თუ ღმერთი გწამს, წირქვალული პური არ აურიო სხვა პურებში, არ დამღუპო!

ამ სიტყვებს ეს ყურს რომ მოჰკრავდა, ჩაუგულისყურდებოდა, მიზეზს გამოიკითხავდა და შეიტყობდა:

— წირქვალული პური თავისთავად, პურად, მსხვილმარცვლიანი და კარგია, მაგრამ შავი მიწა თუ შეჰყვა, აღარაფრად აღარ ღირს!.. ერთი ნამცეციც რომ მოჰყვეს პირში, ისე გაატალახიანებს და ისე გააშავებს, მეტი აღარ შეიძლება.

ვილაც გულგრილად გადაატარებდა ამ სიტყვებს ერთ ყურში შეუშვებდა და მეორედან გაუშვებდა, მაგრამ აკაკი? მისი მაძიებელი ბუნება ყოველთვის და ყველაფერში იჩენდა თავს და რა გასაკვირია, მეორე დღესვე წასულიყო წირქვალში, რათა ადგილობრივ გაეგო ის რაღაც შავი, უცნაური მიწა.

მართლაც ნახავდა მრავლის უმრავლეს შავ ქვას, რომელიც უბრალო ქვას არა ჰგავდა და ხალხიც ქვა-გუნდას ანუ მწირ-ქვას ეძახდა.

რაო, რას ირწმუნებოდა გიორგი დეკანოზიშვილი?

ამ ლითონს ჩვენში შავ-ქვას ეძახიან და საზღვარგარეთ მარგანეზს, და ქვა-გუნდა კი მწერლობამ გამოიგონაო.

პასუხად აკაკი განუმარტავდა:

შავი-ქვა ახლა დაერქვა და ადრე კი შავი-ქვა სასაფლაოს ქვას ერქვა და ამ ლითონს კი ქვა-გუნდასა და მწირ-ქვას ეძახდნენ. აქედან სოფელსაც წირქვალი ჰქვიაო.

სახელის ეტიმოლოგიასაც განუმარტავდა.

მაშინ კი იმ ქვა-გუნდას ატრიალებდა ხელში და ვერ აეხსნა მისი უცნაურობა.

„საღებავისგანაა თუ რა?..“

უფრო აქეთ გადაიხრებოდა, საღებავობისაკენ, მაგრამ ასე ადვილად რას მოეშვებოდა, რამდენიმე ნატეხს წამოიღებდა და ტფილისში გეოლოგ სიმონოვიჩს აჩვენებდა, რომელიც აუხსნიდა:

— ეს უბრალო ლითონია, რომელსაც მარგანეცი ჰქვია. ის გაკვრით აბიხსაც აქვს მოხსენიებული, მაგრამ წირქვალში კი არა, მხოლოდ ბასილის კლდის ძირას და შაგაურის ბოლოს.

— თუ რამედ გამოსადეგია პრაქტიკულად? — აკაკის უპირველესად ეს ცნობისწადილი ჰკლავდა.

სიმონოვიჩის საქმე მარტო თეორია გახლდათ, მაგრამ მაინც მიუგებდა:

— მაგას სადღაც საზღვარგარეთ ქარხნებში იყენებენ, მაგრამ ვერ გეტყვი: როგორ და რად.

ამ დღიდან ჩაუდგებოდა ესეც კვალში, ეძიებდა, ეძიებდა და... გამოარკვევდა, რომ:

ქვა-გუნდა მართლაც გამოსაყენებელი და სასარგებლო ყოფილიყო... საზღვარგარეთ არსებობდა მთელი საზოგადოება, რომლის წარმოებაც წელიწადში რამდენიმე მილიონს ჭრიდა. შეიტყობდა იმასაც, რომ იქაური მარგანეცის მადნები, როგორც ღირსებით, ისე რაოდენობით ბევრად ჩამორჩებოდა ჩვენი შავი-ქვის მადნებს და მეტოქეობას ვეღარ გაუწევდა ჩვენს მადანს, თუ ვინიცობაა აქ წარმოება დაწყებულიყო.

ამისათვის კი საჭირო იყო ჩვენი მადნისათვის სახელის მოპოვება და გამოქვეყნება, რათა თავი ღირსეულა ეჩინა.

დაბრუნდებოდა თუ არა მშობლიურ მხარეში, წაიყვანდა სიმონოვიჩსაც და გაასინჯებდა იმ მადნებს. ღმერთიც უშველიდა გეოლოგს, როდესაც აკაკის მოსაზრებას მოისმენდა, ისეთ თანაგრძნობას გამოუცხადებდა, ყოვლის უსასყიდლოდ გამოიკვლევდა იმ მადნებს როგორც ღირსებისა, ისე რაოდენობის მხრივაც. და კიდეც შეადგენდა ბროშურას, სამეცნიერო შენიშვნებით სავსეს.

ზედ თავის მოსაზრებასაც დაურთავდა აკაკი, თუ როგორ შეიძლებოდა პრაქტიკულად წარმოება შავი ქვისა, რა გზით შეიძლებოდა გატანა და რამდენად, და სხვა ამგვარებს.

ამ აღწერილობას დააბეჭდინებდა პეტერბურგში: რუსულ, ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე — და მოჰფენდა ყოველ კუთხეში.

და მაშინ გაიგებდნენ საზღვარგარეთ, რომ კავკასიაში მარგანეცის მადნები აღმოჩენილიყო შესანიშნავი ღირსებისა.

ეს ამბავი არაფრად ეპიტნავებოდა „ტერ-ნუარის“ საზოგადოებას, მეტოქეობისა შეეშინდებოდა და მიმართავდა ყოველგვარ ღონისძიებას, ეგებ როგორმე ჩაექოლა და დაეფოლა, რითაც კი შეიძლებოდა, ჩვენი შავი ქვა. ამიტომაც გადაივსებოდა მაშინდელი საზღვარგარეთული ჟურნალ-გაზეთები სხვადასხვა წერილებით, სადაც ურიგოდ იხსენიებდნენ არათუ შავ ქვას, არამედ მთელს ჩვენს მხარესაც და ამტკიცებდნენ: მთვარიდან უფრო ადვილი მოსატანი იქნება მარგანეცი, ვიდრე კავკასიიდან, რადგანაც აქ ავაზაკობა

და კაცისკვლაც რომ არ იყოს გავრცელებული, ისიც საკმარისია ევროპელისათვის, რაც იქ სხვადასხვა სნეულებაა და განსაკუთრებით საოცარი ციებაც, რომელსაც თუ არა ადგილობრივი, ისე უცხო ვერავინ აიტანსო.

ამგვარად დააშინებდნენ მექარხნეებს და ჩაუკლავდნენ ყოველგვარ ცნობისწადილს. ამიტომაც აუცილებელი იყო და სასწრაფო — გატანილიყო აქედან რამდენიმე გემი შავი ქვა და თავი ეჩინა ევროპის ბირჟაზეც.

ამას რასაკვირველია ესაჭიროებოდა დიდი ხარჯი, რასაც მოკლებულიყო აკაკი.

ვისაც მიმართავდა, ყველა კიჟინას დასცემდა.

ხალხი საცინლად იგდებდა და თუ საქმით არა, სიტყვით მაინც ხელს უშლიდა. და ინტელიგენციაც ბანს მისცემდა ამ განწყობილებას. რამდენიმე წერილიც დაიწერებოდა — აკაკის გასაკიცხი.

საზღვარგარეთელი კაპიტალისტები ცოტა არ იყოს შეშინდებოდნენ. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ფოთში მოჰკლავდნენ ინგლისელ სვინსონს. რუსეთის ვაჭრები კავკასიას ერიდებოდნენ. და როგორ არ ჩაეღიმა აკაკის, ირონიულადაც და გულდაწყვეტითაც: იმათ მაშინ ეგონათ, ყოველ ოჯახში თითო შამილი იმყოფებაო.

და... ჩვენებური ფულის პატრონი ვაჭრები?

ესენი ხომ საეჭვო საქმეს, თუ არა ნაღდს, ხელს არა ჰკიდებდნენ. ოქრო და ვერცხლი რომ მიგქონდა გირაოდ, მაშინაც კი ეძნელებოდათ და ეეჭვებოდათ ქაღალდის ფულის შეღება: ასჯერ აწონიდნენ და ათჯერ მაინც უსუნავდნენ იმ სათვალთვალო ნივთს ოქრო-ვერცხლისას, ვიდრე დაყაბულდებოდნენ გირაოდ აღებას. და ამისთანა ხალხი ახალ საქმეში გაჰყოფდა თავს? ყველაზედ უფრო გამჭრიახი და გამბედავი მაშინდელ ვაჭრებში შაბუროვი გახლდათ და... ისიც კი შორს დაიჭერდა ამ შეთავაზებას.

აკაკი მაინც არ დაანებებდა თავს ამ წამოწყებას...

ამასობაში ხანი გავიდოდა. ცამეტ წელიწადს აცლიდა ამ საქმეს — არც ხარჯს დაზოგავდა და არც შრომას შეძლებისდაგვარად. შედეგი კი არა ჩანდა და არა. და დიდი ხნის უნაყოფობა უფრო დაარწმუნებდა ხალხს აკაკის ახირებულობაზედ და ხშირად პირშიც აღარ ერიდებოდნენ:

— რასა იქთ შენ და შენი შავი-ქვა?..

ბოლოს როგორც იქნებოდა მონახავდა ერთ რუსს, ნაფიც ვექილს ოსტრიაკოვს, რომელიც მოინდომებდა აკაკისთან საქმის დაჭერას და შეეკვროდნენ ერთმანეთს პირობით.

ეს მაშინვე დაიწყებდა მუშაობას, რათა ორი მილიონი ფუთი დაემზადებინა და ჩაებარებინა ოსტრიაკოვისათვის დროზედ. რადგანაც უფრო ეადვილებოდა, სალომე წერეთლის, ანდრონიკაშვილის ცოლის, მამულებს აიღებდა იჯარით და პირველად იქ დაიწყებდა მუშაობას. გლეხები მუშაობდნენ, ქირასაც იღებდნენ, მაგრამ დაჯერებით კიდევ მაინც ვერ იჯერებდნენ, თუ რამეში გამოდგებოდა შავი-ქვა.

წლის მიწურულს ოსტრიაკოვი ჩამოვიდოდა კისლოვოდსკიდან მადნების სანახავად და იახლებდა 25 ყაზახსა და ერთ ოფიცერს — ფურმანს.

ჩვენში რომ ამას ნახავდნენ, მაშინ კი პირველად დაფიქრდებოდნენ: ალბათ ეს შავი-ქვა ხუმრობა აღარ უნდა იყოსო, — და დაფაცურდებოდნენ...

მაგრამ დაფაცურდებოდნენ ჩვენებურად, — ირონიულად როგორც ჩაურთავდა აკაკი.

ეს კი ნიშნავდა, რომ: გამართავდნენ დავიდარაბას და საჩივრებს — ეს ადგილები, სადაც შავ-ქვასა თხრიან, ჩვენია და არა სალომე წერეთლისაო.

აკაკის შეუკრავდნენ გზებს და დამზადებულ შავ-ქვას აღარ გაატანინებდნენ.

ამან კი იცოდა, რომ ეს ყოველივე ხრიკები იყო, მაგრამ რაღა უნდა ეღონა? მისწერდა წერილს ადგილის პატრონს, შეატყობინებდა გარემოებას და სხვათა შორის სთხოვდა:

— ერთი წლისა და ნახევრის იჯარა გამორთმეული მაქვს, ამდენი ხარჯი გამიწევია. დღეს გატანა მინდა, რომ იჯარით მყიდველს ჩავაბარო და მე კი ასეთი საქმე მემართება.

პასუხად მოუვიდოდა:

— მე თვითონ ჩამოვალ ამ დღეებში და გავასწორებ საქმეს.

თვენახევარს მოუწევდა ლოდინი და ბოლოს მეორე წერილი მოუვიდოდა:

— რადგანაც თქვენ მეოთხე იჯარის ვადა გაუშვით და დანიშნულ დღეს ხვედრი ფული არ შემოიტანეთ, მეც ავიღე და მადნები ივანე მუხრან-ბატონს გადავეცი, რადგანაც ის მეტს მაძლევს.

აკაკი წლიურად 500 თუმანს უხდიდა.

ყველაფერს მოიფიქრებდა, მაგრამ ამისთანა მოტყუებასა და ხრიკებს კი არ მოელოდა. და... დარჩებოდა მშრალად რიყეზედ... ამდენი წვალება, ცამეტი წლის ტანჯვა და მოუსვენრობა ტყუილუბრალოდ ჩაუვლიდა.

ამასაც რომ აღარ აკმარებდნენ, ამოღებულ და დამზადებულ ქვასაც კი გაუყიდდნენ და... დარჩებოდა ხელთ მხოლოდ „სუდები“ და პროცესები, რომელსაც, რა გასაკვირია, აკაკი სიამოვნებითა და ხალისით ვერ მიეტანებოდა.

მოკლედ ასე ითქმოდა:

ამ საქმის დევნასა და წარმოებაში ცამეტი წლის განმავლობაში ათი ათას თუმანზეც მეტი ჩაყრებოდა: და ეს ხარჯი არც არავის გაუკვირდებოდა, ვინც კი საქმე იცოდა...

ამისთანა დიდ საქმეს კი არა, სულ უბრალო და პატარა რამ საქმესაც დიდი ხარჯი რომ ესაჭიროება, თვალსაჩინოებისათვის მკითხველს ამცნობდა, რომ:

აგერ ტყიბულის ქვანახშირში მილიონები ჩაყრილიყო, მისთანა კაცები, როგორებიც ნიკო ნიკოლაძე, ნოვოსელსკი, კლეინი, მასლოვი, პრინცი, შაბუროვი, ალელოვი, წივიანოვი და სხვანი გახლდნენ, თავს ევლებოდნენ და წამითაც არ უნდა მოედუნებინათ ყურადღება.

რკინიგზასაც მთავრობა საკუთრად გაუკეთებდათ, მაგრამ დღესაც ეგ საქმე ფეხზე ვერ იდგა, თუმც მომავალი კი კარგი უნდა ჰქონოდა აკაკის შეტყობით.

თუნდ ამით დასტურდებოდა, რომ საქმის გაკეთება ადვილი არ გახლდათ და... შავი-ქვის საქმე კი დიდი ხანია გაჩაღებულიყო და ქვეყანაც ავად თუ კარგად სარგებლობდა!..

— მართალია, მე-კი თან გადამიტანა ამ შავმა-ქვამ: დავიღუპე, მაგრამ ნუგეშად ის მაინცა მრჩებოდა და მრჩება, რომ ქვეყანა სარგებლობს!..

ყოველივე ეს, რაც ეამბნა, მართალი იყო და უარს ვერც მტერი იტყოდა და ვერც მოყვარე!.. საბუთები ხელთ მოეპოვებოდა და, საბუთებიც რომ არა, განა მოწმე ცოტა დარჩენილიყო? ვისაც არ ახსოვდა, დაე თვითონ იმ ინჟინრებისათვის ეკითხა, გიორგი დეკანოზიშვილი რომ ასახელებდა თავის წერილში: სიმონოვიჩის, ბაცევიჩისა და საროკინისათვის — და ისინი დაამოწმებდნენ აკაკის მონათხრობს.

და ძალაუნებურად იკითხავდა:

მაშ რა საფუძველი ჰქონდა მთამადნის ინჟინერს ბ-ნ დეკანოზიშვილს, როდესაც წერდა: ჩვენ არ ვიცით პირველი ბარი ვინ დაჰკრა, წერეთელმა თუ მერცენფულდმაო; მაგრამ გამოჩენით კი არცერთს არ გამოუჩენია, გარდა აბიხისაო?..

მერცენფელდი ერთი წლის შემდეგ იმ ფურმანს ჩამოეყვანა, ოსტრიაკოვს რომ ახლდა. ის მერცენფელდი ვახტერის პრიკაშჩიკი იყო და თავი არც მარგანეცის გამოჩენაზედ შეეწუხებინა და არც მის წარმოებაზედ. ვაჭრად მისულიყო მზამზარეულზედ — ისე, როგორც სხვები.

პირველად შავი-ქვისათვის ვითომ აბიხს მიეგნო?

მართალია ოდესღაც გაკვრით მოეხსენიებინა, იმერეთში მარგანეცი არისო, მაგრამ ვინ იცოდა რაღაცა მისი გერმანული ბროშურა?

აკაკი მეტსაც იტყოდა: კიდეც რომ სცოდნოდათ, რა გამოვიდოდაო?

ეს იმიტომ, რომ: აბიხს არ უთქვამს, რაში გამოდგებოდა ეს მარგანეცი და რა სარგებელს მოიტანდა.

იგი ასახელებდა მხოლოდ როგორც მინერალს სხვა მინერალებთან ერთად: სიენიციო, გნეოსიო, კონგლომარატიო, კონგლო-ბაზალტიო, დოლორიტიო, ანამეზიტიო... მარტოდენ ასახელებდა და მათ ვინაობასა და სარგებლობაზე არას ამბობდა. და მაშ ვის გაეგო, ეს სიტყვები რას ნიშნავდა: შილაფლავს, ბოზბაშს, ტაფამწვარს თუ სხვა რამეს?.. და ამას, სხვათა შორის და სულ სხვა მიზნით ხსენებას, განა შეიძლება გამოჩენა დარქმეოდა?..

იქვე სქოლიოში ჩაურთავდა: ბაცევიჩსა და საროკინს რომ ასახელებს ბ-ნი დეკანოზიშვილი, იმათ გამოიკვლიესო, რატომ იმას კი აღარ ამბობს, რომ მათ მაშინ გამოიკვლიეს, როდესაც წარმოებაც კი იყო დაწყებული შავი-ქვისაო.

მსჯელობა და არგუმენტაცია ამ საყვედურით უნდა ამოხვეულიყო:

ამითი სურდა გიორგი დეკანოზიშვილს, რომ აკაკი წერეთლის ღვაწლი გაექარწყლებინა ქვეყნის თვალში?

რაო აბიხსაც სცოდნოდა?

რა ვუყოთ მერე — ასე ხომ ჩვენმა ხალხმაც იცოდა უხსოვარი დროიდან, მაგრამ მარგანეცის მაგივრად ქვა-გუნდს ეძახდა.

და შეახსენებდა მკითხველს, რომ:

რომაელი და ბერძენი მწერლები ქრისტეს დაბადებამდეც უჩვენებდნენ კოლხიდაში, ალბანეთსა და იბერიაში, ანუ ჩვენს ქვეყანაში, სხვადასხვა მადნეულს. მაგრამ დღემდისაც ისევ იქვე გახლდათ ის ლითონები და ზედაც არავინ უყურებდა.

სამაგალითოდ გამოდგებოდა თუნდ წედისის რკინის მადანი.

დღეს რომ ერთი მათგანისათვის ხელი მიეყო ვინმეს, საქმე დაეწყო და ფეხზედაც დაეყენებინა მისი წარმოება, ნუთუ მისთვის კიჟინა უნდა დაგვეცა და გვეთქვა: შენ ვისი ტიკტომარა ხარ!.. ეს რა გამოგიჩენია? ეგ ხომ სტრაბონმაც იცოდა, ჰეროდოტეც იხსენიებს და პლინიუსიც გვითითებსო?

და განა ეს სამართლიანი სიტყვა იქნებოდა?

მაგრამ სწორედ ასე რომ ექცეოდა აკაკის მთა-მადნის ინჟინერი დეკანოზიშვილი?!

აკაკის შეტყობით: ამას ვრცლად არ ესმოდა სიტყვა „გამოჩენა“ და ამიტომაც გაკვირვებოდა დავით ბაქრაძის ის მადლიერებით სავსე ბარათი!..

და ამ ფონზე უნდა მოეხსენიებინა ჩვენს ქვეყანაში არსებული ერთი საზიზღარი სენი, რომელსაც გულგატეხილობა ერქვა — ახალ საქმეს ყველა ერიდებოდა, არათუ თვითონ არავინ კისრულობდა, სხვას თუ ვინმეს დაინახავდნენ ათასში ერთს, რაღაცის გაკეთებას ცდილობსო, მაშინვე კიჟინას დააყრიდნენ და თუ საქმით ვერა, სიტყვით მაინც შეეცდებოდნენ ხელის შეშლას.

ხოლო როდესაც კეთილად დაბოლოებულს დაინახავდნენ იმ საქმეს, ოოო — მაშინ კი თვითონაც მოინდომებდნენ იმის ხელში ჩაგდებას ან ძალმომრეობით, ან სასამართლოს ხრიკებით და ან მათხოვრობით.

ცხადია შეძენის სურვილი ჰქონდათ, მაგრამ გზები არ იცოდნენ და გულგატეხილობაც ხელს უშლიდათ.

რაოდენ ძნელი ასაღიარებელიც უნდა ყოფილიყო, აკაკის სხვა რა გზა დარჩენოდა, ამჯერადაც სარკე რომ არ აეყუდებინა წინ საზოგადოებისათვის და მკაცრადაც არ დაემუნათებინა, რომ:

დღემდისაც ვერ წარმოედგინათ, პატიოსნად, სხვების დაუზარალებლად რამის შეძენა თუ მოხერხდებოდა.

მდიდარი, ვინც უნდა ყოფილიყო, მათ თვალში პატივისცემას იხვეჭდა!.. საშუალებას კი არ არჩევდნენ. ხედავდნენ შეძლებულს, გინდა ავაზაკობითა და ცუდკაცობით ეგდო ხელთ ქონება, და მორჩილად ეთაყვანებოდნენ, ჭკვიანადაც მიიჩნევდნენ და მისი სიცრუე-სითაღლითეც სჯეროდათ.

ეს ხალხს ბოროტებით მოსდიოდა თუ უგნურებით, ანდა გაუგებრობით?

როგორღაც უნებურადო, — გვიბეჯითებდა აკაკი, — რაღაც მანქანებას ჰიპნოზურად გაუღალავსო.

ამ სენს ბოლო როგორ უნდა მოღებოდა?

და პოეტი და მოღვაწე ავალდებულებდა შეგნებულ ნაწილს ჩვენი ხალხისა, ინტელიგენციას, ემხილებინა ხალხის ეს შეცდომა, კიჟინა დაეცა და ჩაეგდო გულისხმაში.

ამის ნაცვლად რას ვხედავდით?

ზოგიერთი ინტელიგენტი პირიქით — ბანს აძლევდა ხალხის სამწუხარო ჩვეულებას და ამით თავიც მოჰქონდა.

შორს რომ არ წასულიყო, კვლავ შავი-ქვის ამბავს მოიშველიებდა თვალსაჩინოებისათვის:

რომ ცამეტი წელიწადი საცინლად იგდებდნენ,

რომ ყოველნაირად ხელს უშლიდნენ,

რომ არა სჯეროდათ და ცრუსა და მატყუარას ეძახდნენ სახალხოდ,

და რომ როდესაც ყველაფერი გამართლდებოდა, მაშინ კი, თითქოს არაფერიო, გადააფუჩეჩებდნენ.

ადამიანობა რას მოითხოვდა ანუ ზნეობრივი საზოგადოების წევრები როგორ მოიქცეოდნენ?

როგორ და — ჩაიხედავდნენ თავიანთ გულში და იტყოდნენ:

— რას ვერჩოდით ამ კაცს? თურმე მართალი ყოფილა, რასაც ამბობდა, რასაც აკეთებდა. თავი შემოგვწირა და ჩვენ კი უმართლოდ ვეკიდებოდით, ხელს ვუშლიდით.

არადა ამის მაგიერ კიდევ სხვა რამეს გაიძახოდნენ:

— რა მისი საქმე იყო შავი-ქვა და მისი წარმოება? პოეტებს რა გაეგებათ პრაქტიკული საქმისა? თვითონ დაიღუპა და სხვები კი გაკეთდნენ.

ამას არათუ უბრალო ხალხი, ის ინტელიგენტებიც კი ბრძანებდნენ, რომელნიც ადრე დასცინოდნენ და დღეს კარგა ლამაზად ეტანებოდნენ შავ-ქვას და უსარგებლოდაც არა რჩებოდნენ.

ერთ მათგანს ორი წლის წინათ ამის გასაკიცხი სტატიაც დაებეჭდა და სხვათა შორის ამბობდა:

— პოეტი ვარსკვლავებს უნდა შეჭიკჭიკობდეს და რა მისი საქმე იყო, რომ აკაკი წერეთელი მადნეულის საქმეს გამოუდგა. თავის-თავი დაიღუპა და სხვები გაკეთდნენ. ამით აკაკიმ ერთხელ კიდევ დაამტკიცა ანდაზა: ხარაზი რომ ხაბაზობას დაიჩემებს, პური კუტი გამოუვაო!..

და ამ სტრიქონების გახსენებაზე აკაკისაც უმტყუნებდა ნერვები და ნაცვლად მახვილი ირონიისა თუ სარკაზმისა, ლანძღვასაც არ დაიშურებდა: ამ ვაჟბატონს რომ ტვინი გაენძრია, ჩაფიქრებულიყო ცოტა და ხალხის ფეხის ხმას არ აჰყოლოდა, ამგვარ სისულელეს არ წამოროშავდაო!..

როგორ? აკაკი უტეხ ტყეში შესულიყო, ახო აელო, დაეხსნა, დაეთესა, მოემკა, გაელეწა, გაენიავებინა, დაეფქვა და... როდესაც გამოცხვებოდა, სხვებს მისი კერძი პური ხელიდან გამოეგლიჯათ, მაგრამ თვითონ კი ლამაზად გეახლებოდნენ და მზამზარეულზე ლხინიც გაემართათ. და ახლა ამ ჭკვიანი ვაჟბატონის აზრით, გამოდიოდა, რომ: აკაკი უმეცარი და უხერხული ყოფილიყო და ისინი კი ჭკვიანი და პრაქტიკული კაცები!..

ეჰ, რა გაეწყობოდა!.. უმეცრება ყოველთვის ძნელი ასალაგმავი ყოფილა!.. მაგრამ აკაკის ის აკვირვებდა, რომ მეცნიერი, მთა-მადნის ინჟინერი დეკანოზიშვილიც სხვებს აჰყოლოდა და ბანს აძლევდათ!..

რუსები მერცენფელდს ანერენო, — რომ ბრძანებდა მთა-მადნის ინჟინერი, აკაკი ამ სიტყვას მარჯვედ გამოიყენებდა: სწორედაც ანერენ და თავიც ექებათ ამითიო.

და მოიშველიებდა ერთ დამაფიქვრელ ადგილს წლიური ანგარიშიდან:

— ღარიბ ქუთაისის გუბერნიას ჩვენ მივეცით საზრდო ცხოვრებისა მარგანეცის გამოჩენითა და მისი წარმოებით, რომლის წყალობითაც თითქმის ორ მილიონამდე რჩება წლიურად ხელში.

და ჩვეული ირონიით დასძენდა: ეს მართალია და უნდა დავიჯეროთო.

ერთი დარბაისელი უცხოელი ელაპარაკებოდა რკინიგზაზე და ამასაც ეტყოდა:

— უმადური იქნებით, რომ ჩვენი შრომა და ზრუნვა არ დაიწახოთ და არ დააფასოთ: სხვა რომ არა იყოს რა, მარგანეცის წარმოებას მაინც შეხედეთ და იგულისხმეთ.

და აკაკი რომ მიუგებდა:

— ეგ საქმე საკუთრად ქართველის ნაკისრებია და მისი ნაშრომი.

ის ხარხარს ასტეხდა:

— განა ქართველები ჯერჯერობით ჭამა-სმისა, „მრავალჟამიერისა" და წარამარა ხანჯლის ტრიალის მეტს მოახერხებთ რასმე, რომ შეიძლოთ?!.

იქ რა პასუხი გაეცა, აღარ გვამცნობდა, რადგანაც მთავარი ამჯერად აკაკისათვის ქართველი მკითხველის ჩაფიქრება გახლდათ: ალბათ კარგი საქმე უნდა იყოს, რომ სხვები იჩემებენ და პირაქეთ კიდე, გვამადლიანო!.. და ჩვენ კი, თითქოს ცუდი რამე იყოს, ვფარავთ და სხვებს ვაწერთო.

და როდესაც ზოგიერთი ირწმუნებოდა:

— ეს წამოწყება ქართველი კაცის საქმეა, იმან ითავა და იმანვე დააბოლოვაო.

უმეტესობა კერპივით გაიძახოდა: არა, ტყუილიაო...

უფრო სამწუხაროდ ის ეჩვენებოდა, რომ ინტელიგენტებიც ერივნენ იმ უარმყოფელებში. და მითუფრო სასიამოვნოდ დაურჩებოდა დავით ბაქრაძის ბარათი — გულწრფელი და წინდახედული.

დიახ, სასიამოვნოდ დაურჩებოდა არა იმიტომ, რომ ეს სტრიქონები მის თავმოყვარეობას ზეთსა სცხებდა — სრულიადაც არა!.. აკაკი უკვე იმ ხანში იმყოფებოდა და იმ გარემოებაში იდგა, რომ პირადად მისთვის სულერთი გახლდათ: სულ ბრძენთა ბრძენი რომ ეძახათ, არ დაიჯერებდა და თავს მაღლა არ აიღებდა, და სრულიად გამოტვინებულადაც რომ ჩაერიცხათ, არ შეშფოთდებოდა და სულით არ დაეცემოდა.

მის თავმოყვარეობას ვერცერთი ვერ დარევდა ხელს...

— მაგრამ დღეს ჩვენ ვართ და ხვალ სხვები იქმნებიან!..

ძნელი გადასატანი იყო ხალხის უსამართლობა... მოღვაწეს გულს უტეხდა, მხნეობას უკარგავდა და საზოგადო საქმისადმი აგულგრილებდა!..

ხოლო მისთანა თანაგრძნობითი ბარათები კი, დავით ბაქრაძისა რომ გახლდათ, უსამართლოდ გატეხილ გულს უმრთელებდა კაცს და ახალისებდა ახალი შრომისათვის!..

აი რად ესიამოვნებოდა ის კერძო წერილი, რომელსაც საზოგადო და არა კერძო თვალით შეხედავდა: და კიდევ ერთხელ დარწმუნდებოდა, რომ კაცს გული არ უნდა გაეტეხა — სიმართლე და კარგი საქმე მაინც თავისას გაიტანდა.

დასასრულ ვერ დაფარავდა, რომ... გიორგი დეკანოზიშვილის სტატიას ესიამოვნებინა მისთვის.

ირონიით ამბობს ამას თუ?..

ჩაიკითხავ მომდევნო სტრიქონებს და დარწმუნდები, რომ სტატიის ფინალურ მონაკვეთში ირონიის მისხალიც არ ურევია და აკაკი იმ გამოხმაურებას არა პირადი, არამედ — როგორც სჩვეოდა — საზოგადო გადმოსახედიდან განსჯის.

და ამიტომაც გამოთქვამს იმედს: ეტყობა, რომ ის კაცი ჩვენთვის ოდესმე გამოსადეგი იქნებაო.

— ახალგაზრდა როცა მოხუცს სწუნობს და დასცინის, სჩანს, რომ იმას სურვილი აქვს მეტის გაკეთებისა და იმედი ალაპარაკებს!..

თავისი თავი გაახსენდებოდა სიჭაბუკისას, კრიჭაში რომ ჩაუდგებოდა მოხუცებს და დაურიდებლადაც შეუტევდა — ხომ თვალნათლივ ჩანდა, რომ ქვეყანას სასარგებლოდ ნადგომოდა მისი ეს თავგამოდება, და ახლა ამ ახალგაზრდა კაცის წარმატება თუ აკაკისთან პაექრობაშიც უნდა გამოწრთობილიყო, დაე კამათისას ზედმეტიც მოსვლოდა, ოღონდაც შემდგომ და შემდგომ საქვეყნო საქმეები ეკეთებინა.

და რწმენასაც გამოთქვამდნენ: მთა-მადნის ინჟინერი დეკანოზიშვილი ერთ-ერთ მადნეულთაგანს, რომელიც ჩვენშია, მოჰკიდებს ხელს, არ დაერიდება არც შრომას, არც უფუულობას და არც ხალხის უთანაგრძნობლობას, დაიწყებს წარმოებას და ერთ დროს ფეხზე დაყენებულს ჩააბარებს ხალხს, ისე როგორც შავი-ქვა ჩაბარდაო.

ეს მითუფრო ადვილი და მოსახერხებელი იქნებოდა მისთვის, რომ მეცნიერი გახლდათ და სპეციალისტი!..

— გულწრფელად აღვიარებ, რომ ეს მჯერა მისგან...

იმედოვნებდა, რომ გიორგი დეკანოზიშვილი მალე გაებმოდა საქვეყნო, საზოგადო საქმეში და არ მიბაძავდა იმ ვაჟბატონებს, რომელთაც ცალ ხელში დიპლომი ეჭირათ და ცალიც ოცი რიცხვისაკენ გაეშვირათ, რომ თვე და თვე თავიანთი სუსტი შრომის მრავალკეცი სასყიდელი ჩაეჯიბათ და თანაც ეძახათ: ჩვენა ვართ და ჩვენი ნაბადიო!..

უმართებულო კრიტიკული სტატიის მიღმა შეუმცდარად განჭვრეტდა კაცს, რომელიც ორდინარული მოვლენა არ იქნებოდა და თავისი მასშტაბურობით დიდ კვალსაც დააჩნევდა საქართველოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებას.

როგორც მთა-მადნის ინჟინერიც გამოიჩენდა თავს, მაგრამ კიდევ უფრო მეტად, როგორც პოლიტიკური ლიდერი, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთი დამ-

ფუძნებელი, საფრანგეთში ორ ენაზე — ქართულად და ფრანგულად — გამოცემული ჟურნალის — „საქართველო“ — ფურცლებზე არჩილ ჯორჯაძესთან ერთად რომ წამოჭრიდა საქართველოს ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნასაც და უხელმძღვანელებდა გემ „სირიუსით“ იარაღის ფარულად შემოტანასაც ჩვენს ქვეყანაში.

საამისოდ დიდხანს არ ალოდინებდა მის შემყურე თანატოლებსა თუ უფროს თაობას და ეს ყოველივე აკაკის თვალწინაც აღსრულდებოდა, სიხარულით რომ მიითვლიდა გიორგი დეკანოზიშვილის ყოველ საქვეყნო ნაბიჯს: ტყუილად არა მჯეროდა მისი, ამაოდ არ ვიმედოვნებდი, უმნიშვნელოვანეს საქმეებს რომ აღასრულებდაო.

პირადადაც გაიცნობდა.

ეს მაშინ, როდესაც ქართულ თეატრში მიიწვევდნენ... რეჟისორად, ხოლო ნატალია აზიანს იქ ბიბლიოთეკა ჩაბარდებოდა.

1904 წელია.

ქართული დრამატული საზოგადოების წევრთაგან იქ ხშირად იტრიალებდნენ ნიკო ქართველიშვილი, სვიმონ კლდიაშვილი, ვასო სულხანიშვილი და ის-ისაა ჩამოსული საზღვარგარეთიდან გიორგი დეკანოზიშვილი, ყველა ესენი ნატალიას განათლებულ, ხელოვნების კარგ მცოდნე, უანგარო მუშაკებად და იშვიათი ხასიათის ადამიანებად რომ დაამახსოვრდებოდა.

და აი წარუდგენდნენ გიორგის, როგორც სამთამადნო ინჟინერს, და კიდეც მიუბრუნდებოდა აკაკი დანარჩენებს:

— ძვირფასი იაგუნდ-ზურმუხტები სხედხართ დრამატულ საზოგადოებაში და ერთი „გორნი“ ინჟინერიც მოგინდებოდათ, ეგება თქვენისთანა ბრილიანტები კიდევ აღმოაჩინოს.

ყველას სიცილი წასკდებოდა.

ანკი აკაკიც იქნებოდა, ხელიდან გაეშვა ამისთანა მარჯვე შემთხვევა სახალისოდ და ამხანაგთა სათრევლად.

ღარიბ ქუთაისის გუბერნიას ჩვენ მივეცით საზრდო ცხოვრებისაო...

როგორ არა — ის თითქმის ორი მილიონი წლიური შემოსავალი სულ იმათი ნაჩუქარი გახლდათ.

ამოესუნთქა აკაკის — უკვე ისე გაკვალვოდა გზა მარგანეცის წარმოებას, ისეთ მკვიდრ საფუძველზე მისრიალებდა, უკვე ვეღარაფერი დააბრკოლებდა და ცამეტი წლის ჭაპანწყვეტა ფუჭად არ გადაგებულიყო.

თვითონ რა რჩებოდა სარგებლად, თორემ?!.

თვითონ... ქვეყნის ეკონომიკის საუფლოში სასიკეთო, დიდად მნიშვნელოვანი სიახლის დამკვიდრება რჩებოდა და მისი კიდევ უფრო მოლონიერების იმედი.

და გზას უსახავდა ახალგაზრდა კაცს, სამოქმედო პროგრამის ზოგად ქარგასაც აძლევდა ხელთ და გულსაც უმაგრებდა, რათა ისიც მედგრად დახვედროდა უფულობასაც და ხალხის ქილიკსაც, ამ გარდუვალობას საქვეყნო თავგამოდებისას.

ვარსკვლავებს შეჭიკჭიკებდა აკაკი, როდესაც ცისა იყო, და შავი-ქვის წარმოებასაც არ დაერიდებოდა, როდესაც მიწისა ხდებოდა!..

თავი III

სადღეგრძელო — პოემის შთამაგონებლად

ენატრებოდა აკაკის ხილვა მოსწავლე-ახალგაზრდობას, და სოფრომ მგალობლიშვილი ამ განცდას შეადარებდა მწყურვალისას, ნატვრა თანდათან მოუთმენელ ოცნებად რომ გადაექცეოდათ მასაც და სხვებსაც.

და უნდა დამდგარიყო ის ბედნიერი წამი, როდესაც პირველად იხილავდა აკაკის.

იმ დროს, 70-იანი წლების დამდეგს საზოგადოებაში უკვე გამოსულიყო ერთი მათი ამხანაგი — იოსებ ბაქრაძე, პოეტი და ანტონ ფურცელაძის ნათესავი, ვის ბინაშიც ხვდებოდა ხოლმე ჩვენს მწერლებს სოფრომიც. და იოსები დაპირდებოდა მეგობრებს: მე გიჩვენებთ აკაკისო, — და მათ სიხარულს საზღვარი არ ექნებოდა, მაგრამ დღეს-ხვალეობით მოთმინება გულს გადაულევდათ...

კვირაობით მთელი ტფილისის ახალგაზრდობა ალექსანდრეს ბაღს სტუმრობდა, შემდგომ იმ ადგილას დიდების ტაძარს რომ აღმართავდნენ, ვიდრე დაანგრევდნენ და მოასწორებდნენ მთავრობის სასახლის ასაშენებლად. ბაღში ჩადიოდა ფართო კიბე, რომლითაც დაიარებოდა მოსეირნე ხალხი ბაღში და იმ კვირა დღეს ახალგაზრდების ის ჯგუფი იოსებ ბაქრაძის მეთაურობით დაუდარაჯდებოდა ჩვენს მწერლებს.

აი გამოჩნდებოდნენ ისინიც — ხელგაყრილნი.

ორ მოწინავეზე იოსები მიუთითებდათ:

— აი ეს მაღალი, გრუზათმიანი, აკაკია, ის მეორე, შავწვერა, გიშრის თმა-წვერ-წამწამიანი, ცქვიტი, ნიკო ნიკოლაძე.

ის ორნი კი სერგეი მესხი და გიორგი წერეთელი აღმოჩნდებოდნენ.

სოფრომს დიდებულ სანახავად ჩარჩებოდა ხსოვნაში აკაკი: მაღალი, ბრგე, მხარბეჭიანი, ხუჭუჭი თმა ბუჩქივით რომ ადგა თავზე და შემოსჯარვოდა ფართე და ნათელ შუბლს.

ახალგაზრდები გამოლენჩდებოდნენ, პირღია დარჩებოდნენ, გრძნობდნენ, თითქოს მიწას აცდენოდნენ, ცად ამაღლებულიყვნენ და იქიდან იყურებოდნენ, ისე მიიზიდავდათ აკაკის სახე და მთლად ჩვენი დიდებული მწერლების ხილვა.

ის იქნებოდა და ის:

აკაკი სამლოცველო ხატად გადაექცეოდა უკვე დაჭაბუკებულ მოწაფეებს, ხარბად რომ დაეწაფებოდნენ ახალ ლიტერატურულ მოძრაობას, თავიანთ სულიერ მასწავლებლებს — მწერლებს ბაძვას დაუწყებდნენ, ხელნაწერ ჟურნალებსაც გაიჩენდნენ და თავიანთ ნაწერებს იქ მოათავსებდნენ.

ცხოვლად შემორჩებოდა ის განცდა, რომელსაც გამოიცლიდა „დროების“ რედაქციაში თავისი ერთი წერილი მიტანისას — 1872 წლის მარტში: იქ კვლავ იხილავდა — აკაკისაც, ნიკოსაც, სერგეისაც და გიორგისაც!.. როგორც „ბურსაკს“, გამბედაობა, სითამამე რომ აკლდა, ამიტომაცაა, რომ თვალი აუჭრელდებოდა, ოფლად გაიღვრებოდა, ენა ჩაუვარდებოდა და წერილს ისე გაუშვერდათ.

შეატყობდნენ შეკრთომას, აკაკი ხელს გაუწვდიდა, სკამს მიუდგამდა, ეს მორცხვად დაეშვებოდა, თითქოს ეკალზე მჯდარიყოს — ქურუმთა გვერდით თავი არ ეღირსებოდა. მოელოდა მათ მსჯავრს და გულში ნატრობდა, ნეტა მალე გათავდებოდეს ეს ყოველივეო.

სერგეი წერილს ჩაათვალიერებდა და ღიმილით გადმოხედავდა: დავუბეჭდავთო!..

სოფრომს გულზე მოეშვებოდა, ჭირისოფლის ალი შეუნელდებოდა.

აკაკი მიეტკბილებოდა:

— იარე რედაქციაში, ამხანაგებიც მოიყოლე ხოლმე.

გულისფანცქალით მოელოდნენ პროვინციაში „დროების“ კვირის ნომრებს, რათა აკაკის ფელეტონები — „ცხელ-ცხელი ამბები“ — და მის ყვავილ-სურნელოვანი ლექსები წაეკითხათ. ყველა იზეპირებდა ამ ლექსებს, ჩანგსა და ფანდურზე ამღერებდნენ, და ასე თანდათანობით უჯდებოდა ძვალ-რბილში მკითხველ საზოგადოებას, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობას, აკაკის პოეტური და პუბლიცისტური ნააზრევი.

აკაკი ხშირი სტუმარი რომ შეიქნებოდა ქართლისა და გამორჩეულად გორისა, ბინას ხან სოფრომ მგალობლიშვილთან დაიდებდა ხოლმე და ხანაც მათე კერესელიძესთან და... კვირაობითაც რჩებოდა.

სოფრომს ეამაყებოდა, რომ:

მაშინდელი გორის ინტელიგენცია ქებული იყო თავისი ენერგიული მოქმედებით, სააწმყოო და სამყობადო მისწრაფებებით. და აკაკის სტუმრობა გორში დღეობისაგან არ გამოირჩეოდა — გარს ერტყმოდა ინტელიგენცია, ქართული ოჯახები, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილიყო ძველი ოჯახური სული, ფაქიზი ზნეობა და მამულის სიყვარული.

საოსტატო სემინარიის მოსწავლეები ხომ!.. ისინი უშუალოდ ისმენდნენ აკაკის ტკბილ, მოსწრებულ ნალაპარაკევს, მის სახელდახელოდ, ვითარების შესაფერისად წარმოთქმულ ლექსებს, ითვისებდნენ მამულიშვილურ აზრებსა და ახალ მიმართულებას.

მისი მუდმივი მსმენელნი შეიქნებოდნენ: ლუკა რაზიკაშვილი, დიდებულ ვაჟა-ფშაველად რომ უნდა გარდასახულიყო, ნიკო რაზიკაშვილი — ბაჩანად რომ დამკვიდრდებოდა, სანდრო ნათაძე — უებრო მასწავლებელი და მწერალი, თეოფილე ხუსკივაძე — ბელეტრისტი, ალექსანდრე ციმაკურიძე — ჰაინრიხ ჰაინეს ლექსთა მთარგმნელი ფსევდონიმით „სა“, ნიკო ლეონიძე...

ნადიმი ნადიმს გადაებმოდა ხოლმე და ყველაფერი აკაკის ირგვლივ ტრიალებდა, ვითარცა მზისა — გაუთავებელი სროლა ნაკვესებისა, ზეაღტაცებული სიამოვნება და განუზომელი მხიარულება, აკაკი ექსპრომტს ექსპრომტზე რომ ამბობდა და... არავის აფიქრდებოდა მათი ჩაწერა — ისედაც ადვილად ვიმახსოვრებთო... მერე კი დაენანებოდათ გორელებსაც უშურველად მიმოფანტული მარგალიტები, დრო-ჟამი რომ გადაშლიდა მათი ცნობიერებიდანაც და ამაოდღა მოინდომებდნენ მათ აღდგენას, ისევე როგორც სანადიმო სიტყვებისა, რაც გადარჩებოდა, მჭევრმეტყველების ჩინებულ ნიმუშებად რომ შემორჩებოდა და... აბა სრული სახით წარმოვიდგინოთ!..

აკაკის თანადროული ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენისათვის უნდა შეერჩია ისტორიული ამბავი, და ერთხელაც ჩვენს დედებზე რომ ჩამოვარდებოდა სიტყვა, უამბობდათ ცოტნე დადიანისა და მისი მეუღლის თავგანწირვას მამულისა და თვისი სატრფოს დახსნისათვის.

ცოტნეს მეუღლეზე ქართლის ცხოვრება დუმდა?

სამაგიეროდ აკაკის უნდა აღედგინა მისი სახება, და სუფრაზე დუმილი რომ ჩამოვარდებოდა და ყველას სევდის ცრემლი ჩამოეკიდებოდა წამწამებზე, ეს წუთებიც უბიძგებდა, რომ ეს ნაამბობი გარდაექმნა მშვენიერ პოემად „ნათელა“.

ნეტა გულსა და გონებაში ისედაც უტრიალებდა ეს სიუჟეტი და სუფრაზე მხოლოდ გაამჟღავნებდა თუ... იმპროვიზებული სადღეგრძელო შთააგონებდა პოემის შექმნას?

ერთიც შესაძლებელია და მეორეც, თუმც მე პირადად ის მეორე უფრო მხიბლავს: სადღეგრძელო რომ უნდა აღმოჩნდეს ამ შესანიშნავი პოემის შთამაგონებელი.

ნადიმების გარდა ცხადია ლიტერატურულ საღამოებს უმართავდნენ და ხალხის ტევა აღარ იქნებოდა, აკაკის ყოველი გამოსვლა სცენაზე ოვაციას რომ იწვევდა და აღფრთოვანება არა და არ ნელდებოდა...

სოფრომი უმალვე ამჩნევდა, აკაკის თუ რაიმე აზრი დაებადებოდა — ისედაც ბადრი, ბრწყინვალე სახე მზეებრ გაუბრწყინდებოდა, თვალები დაურბოდა და ხელსაც მალიმალ ისვამდა ულვაშებზე, ისწორებდა, თითქოს წმენდდა. გაბრუებული იდგა ხოლმე, გართული ოცნებაში და ვინ იცის სად აღარ დაჰყავდა იმ ოცნებას, ამქვეყნად კი აღარ იყო და!..

სოფრომი ამ ყოფაში ტოვებდა ხოლმე და ფეხაკრეფით გაეცლებოდა სიამით ანთებული, რაღაც ახლისა და დიდებული დაბადების შემსწრე შევიქენიო!..

— განა დაგვიდგება ხანა თავისუფლებისა? — ერთხელ ესეც უნდა ეკითხა და პასუხად აკაკის დაემუნათებინა: შენ რა პესიმისტი ყოფილხარო, — რადგანაც თვითონ მტკიცედ და შეურყევლად სწამდა, რომ ჩვენს ერში იმხელა ნიჭიერება არსებობდა, ისეთი დაფარული სულის ძალა, რომ ჩვენი აღსასრული შეუძლებელი გახლდათ.

— თუმც ჩვენ უკვე ანდერძი აგვიგო გიორგი მუხრან-ბატონმა, მაგრამ სტყუის უბედური, ჩვენს სიკვდილს ვერავინ მოესწრება.

ამ ლაპარაკისას მატარებელი წამოეწეოდათ და... ცოტა გაწყდებოდა კინაღამ აკაკის გაიტანდა. შეიქნებოდა მის ამალაში ჟრიამული, უი-ს ძახილი... ერთბაშად შეწყვეტდნენ საუბარს და აკაკის შემოეხვეოდნენ, მისი გადარჩენით გახარებულნი „მგზავრულს“ რომ შესძახებდნენ და ოვაციით მიაცილებდნენ ვაგზლამდე.

გარდა გორისა ქართლად გასვლაც ძალიან რომ უყვარდა, და ზაფხულობით ვის ესტუმრებოდა, თუ არა ივანე მაჩაბელსა და ნიკო დიასამიძეს.

იმ დღესაც:

საზღვარგარეთიდან ახალდაბრუნებული ვანო ტფილისიდან ამოივლიდა გორს, თან იახლებდა აკაკისა და ნიკო დიასამიძეს, აქედან კი სოფრომიც გაჰყვებოდათ თამარაშენისაკენ. და გზად გაივლიდნენ ისტორიულ სოფელ ნაჭარმაგევს, აწ უკვე კარალეთად წოდებულს.

გორიდან მოკიდებული სოფელ ძევერამდე, მდინარე ლიახვის ნაპირებზე, აყრილი ჭალა ყოფილიყო ნადირ-ფრინველით სავსე, სოფრომიც რომ მოესწრებოდა ყმაწვილობისას გორიდან სამი ვერსით დაშორებულ ჭალას. ეს ადგილი ჩვენს მეფეებს სანადიროდ ჰქონოდათ დაცული თავის დროზე და როდესაც ამ მიდამოებს დაუპირდაპირდებოდნენ, აკაკი გაიხსენებდა გადმოცემას:

— აქ იყო, დავით აღმაშენებელს რომ ეწვივნენ შვიდნი მეფენი!..

ამჟამად? ეს ადგილი წარმოადგენდა ტიტველა სახნავ მინდორს.

ტყვიავში ელოდათ იასე ფავლენიშვილი, რომლის დილიჟნითაც მიდიოდნენ, ყველა კი იასე რამანიჩად იცნობდა ამ ერთობ პურად, მხიარულ, მოქეიფე, მარილიანად მოლაპარაკე, წარმოსადეგ, თითქმის ერთი საჟენის სიმაღლე ჭარმაგ მოხუცს, რომელსაც აკაკი ისე წარმოედგინა, თითქოს დიდ პოეტობასთან ერთად რაღაც უზარმაზარი ტანისაც უნდა ყოფილიყო.

აი გაჩერდებოდა დილიჟანი და გამოეგებებოდნენ მასპინძლები.

ვანო გააცნობდა იასე რამანიჩს აკაკის. ის კი შუბლზე ხელს მოიჩრდილავდა და გაიოცებდა:

— ეს არის ჩვენი აკაკი?!. მე იალბუზისოდენა მაინც მეგონა და... ჩემი სიმაღლეც არა ყოფილა...

ბევრს იცინებდნენ და იმხიარულებდნენ.

იასე რამანიჩის მოსწრებული ლაპარაკი, პურადობა, გულგაშლილობა, დაუსრულებელი მხიარულება აღაფრთოვანებდა აკაკის და მას მერე ივანე მაჩაბელთან სტუმრობისას ამ არემარეზე ისე არ აივლ-ჩაივლიდა, იასე და მისი ოჯახი რომ არ მოენახულებინა.

გორის ახალგაზრდობა ნიკო დიასამიძეს რომ სთხოვდა აკაკის მოწვევას „ვეფხისტყაოსანზე“ ლექციის წასაკითხად, მოაწყობდნენ კლუბის დიდ დარბაზს და დაიდგმოდა პატარა სცენაც. იმჟამად კლუბის მამასახლისად ნიკოსთან ერთად სოფრომ მგალობლიშვილიც იქნებოდა. დღე დაინიშნებოდა. კლუბის მსახურთ დაევალებოდათ მოეწყოთ ყველაფერი საღამოსათვის. შევიდოდნენ მამასახლისები და... რას ნახავდნენ: ხელიც არავის გაენძრია.

— რაშია საქმე? — ჰკითხავდნენ კლუბის ოფიციანტს.

— მამასახლისმა სემენოვმა აგვიკრძალა, არ შეიძლება ლექციის წაკითხვა, კლუბის ხალხი სადღა წავიდესო, — თავს იმართლებდა ის, არადა რა ეღონა, საოსტატო სემინარიის დირექტორის განკარგულებას სად წასვლოდა.

ნიკო დიასამიძე, ბუნებით ერთობ ჩქარი, აენთებოდა სიბრაზისაგან და აყვირდებოდა:

— კბილით დავგლეჯ, თავს მოვჭრი, თუ ეს მართალი გამოდგა.

სოფრომი რაც შეეძლო ამშვიდებდა. სემენოვს დარბაისელ კაცად იცნობდა და დაეჭვდებოდა: აქ რაღაც ხრიკი უნდა იყოსო.

და მართლაც:

გამოჩნდებოდა სემენოვი და აპილპილებულ ნიკოს რომ დაინახავდა, გაოცებით ჩაეკითხებოდა:

— რა მოხდა, ნიკოლოზ დავითიჩ! რამ აგაღელვათ, რად გარჯილხართ?!

— თქვენ მოგიხსნიათ დღეს აკაკის ლექცია. მაკვირვებს თქვენი საქციელი.

სემენოვი... პირჯვარს გადაიწერდა, ნიკოს მხარზე ხელს დაადებდა და წყნარად ეტყოდა:

— მე თუმც ქართული არ ვიცი, მაგრამ მაინც დავესწრები, აი ბილეთი; არავითარი განკარგულება არ გამიცია, ვერც მივცემდი, ვინაიდან დღეს მორიგე მამასახლისი არა ვარ. აქ რაღაც ხრიკია ვისიმე, როგორ შეიძლება გადადება, უბრძანეთ, დაამზადონ ყველაფერი.

აღმოჩნდებოდა, რომ:

მამასახლის ტერ-მინასოვს სემენოვის სახელით ებრძანებინა ოფიციანტებისათვის ლექციის მოხსნა. ამის გამგონე ნიკო დიასამიძეს ვეღარ შეამაგრებდნენ. ტერ-მინასოვი თოჯა კაცი იყო, დაავლებდა ხელს ნიკო და მაღლიდან ქუჩაში დაუპირებდა გადაგდებას, მაგრამ ხელიდან გამოაცლიდნენ. ძმა რომ წამოეშველებოდა ტერ-მინასოვს, მაშინ კი ვეღარავინ დააოკებდა ნიკოს — ორივეს მიტყიპავდა, დაასისხლიანებდა და პანღურით გაუძახებდა კლუბიდან.

ქარიშხალი გადაივლიდა.

ლექცია უამრავ ხალხს მიიზიდავდა და დიდ შთაბეჭდილებასაც მოახდენდა.

ლექციის შემდგომ ნადიმი რომ გაიმართებოდა, სუფრაზე აკაკი იოხუნჯებდა:

— რუსთაველის ტარიელმა, ლომისაგან გაჯავრებულმა, ნადირთა მეფე მიწას დაანარცხა და სიცოცხლეს გამოასალმა, ვით აკადრე სატრფოს — ვეფხვს წყენაო, მაგრამ მერე ვეფხვსაც ლომის საქმე დამართა და მასაც სიცოცხლე მოუსპო. და ნიკომაც პატარა ტარიელობა გამოიჩინა დღეს: ლომ-ვეფხვის ნაცვლად კატები ააჩხავლა.

სოფრომ მგალობლიშვილი მოვალედ მიიჩნევდა თავს, ერთი გარემოება დაეზუსტებინა:

სომეხთა ის ოჯახები, რომელნიც XI საუკუნიდან მოსახლეობდნენ გორში, ქართველებისაგან არც განირჩეოდნენ, ჭირსა და ლხინში ერთად იყვნენ; ქართულ წარმოდგენებს უკლებლივ ესწრებოდნენ, სხვა ქართულ საქველმოქმედო საქმეებს კიდევ ხელს უმართავდნენ; მხოლოდ XIX საუკუნეში გენერალ ვასილ ბებუთოვისაგან ქართლში გადმოსახლებული „სანჭრაქა“ ანუ ჩარჩი სომხები შოვინისტობდნენ, და ტერ-მინასოვიც მათ წრეს ეკუთვნოდა და ამიტომაც მოინდომა საღამოს ჩაშლაო.

რა მოიგო მერე?!.

ნიკო დიასამიძე აკაკისათვის თავს დასდებდა და ჯარს არ შეუკრთებოდა, და ორი ქარაქუცა სომხის მიბერტყვა მისთვის რაღა უნდა ყოფილიყო?!.

...ისე საგმირო ეპოსსა და რაინდულ ეპოქაზე მსჯელობას თავისებურ პრელუდიად წაემძღვარებოდა და მოხდენილადაც წაემძღვარებოდა ნიკოს მუშტების ტრიალი.

გორში ერთხანს დიდხანს რომ დარჩებოდა აკაკი, წაღები შემოაცვდებოდა და გარეთ ვეღარც გამოვიდოდა. საზოგადოდ ძალზე ბელეშად რომ ჩვეოდა ჩაცმა-დახურვა, ხშირად ხუმრობდა:

— როგორც უნდა ჩავიცვა, სულერთია, ნათქვამია: მღვდელი ჭილობში იცნობაო.

არც ფული გააჩნდა საყიდლად, სოფრომი დაიყოლიებდა და შეუკერავდნენ. წაღები ვიწრო კი მოუვიდოდა, მაგრამ მაინც ჩაიცვამდა როგორღაც და... ამასობაში გამომშვიდობების დროც მოაწევდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ ესტუმრებოდა გორს „თამარ ცბიერის“ დასადგმელად, თან რომ მოჰყვებოდნენ ლადო ალექსი-მესხიშვილი, საუცხოოდ რომ თამაშობდა მგოსანი გოჩას როლს, და სოსიკო მერკვილაძე.

სად ჩამოხტებოდნენ, თუ არა სოფრომთან.

ეს რარიგ გაიხარებდა ძვირფასი სტუმრების მისვლით, გადაეხვეოდათ და გადაკოცნიდათ. და მასპინძელი მუშტრის თვალით შეათვალიერებდა აკაკის თავით ფეხებამდე.

ის შეამჩნევდა და:

— ფეხზე ნუ მიცქერი, ახალი წაღები მაცვია, თქვენმა ვიწრო წაღებმა ისე გამაფრთხილეს, გორს რომ მოვდივარ, უწინ წაღებს ვისინჯავ, დახეული არ იყოს და გორელებმა ვიწრო წაღებით ისევ არ დამიკოჟიჟონოთ ფეხები.

დაიწყებოდა მზადება „თამარ ცბიერის“ დასადგმელად.

წარმოდგენას აუარებელი ხალხი რომ დაესწრებოდა, ისედაც იოლი მისახვედრია, და ლადო მესხიშვილის თამაში რომ აღაფრთოვანებდა საზოგადოებას, მთელი წარმოდგენა გაბმულ ოვაციად გადაიქცეოდა მწერლისა და მსახიობისა.

ერთ სადილზე სოფრომი მთელს ინტელიგენციას მოუყრიდა თავს.

შემოემატებოდათ ნადირობიდან დაბრუნებული ანდრია ღულაძე, „ნობათის“ რედაქტორი. ქართული სუფრა და — უღვინოდ, უსიმღეროდ, განსაკუთრებით კი უმრავალჟამიეროდ?.. ლადო მესხიშვილი იმ დროს სწორედ რომ ხმაზე იქნებოდა და ისეთი მრავალჟამიერი გაიბმოდა, თქვენი მოწონებული!.. და ღვინო რომ შეახურებდათ, ყურისწამღებად დაიწყებდნენ კივილს:

— ყანწით ვსვამ ღვინოს, შენს სადღეგრძელოს და გაუმარჯოს ჩვენს საქართველოს.

და ზედ მიაყოლებდნენ:

— მიმინო მყავდა, მიყვარდა... მიმინო მყავდა, მიყვარდა...

აკაკის რომ ღვინის სმა და მითუმეტეს ასეთი ხმიანი ღრეობა არ უყვარდა?

ძალიან შეაწყენდნენ თავს, ერთხანს ითმენდა, ითმენდა, აი ახლა დაწყნარდებიან და აი ახლაო, მაგრამ მათ დაშოშმინებას საშველი არ დაადგებოდა და... ისიც სიტყვას ითხოვდა.

გაისუსებოდნენ და ცნობისწადილით მიაჩერდებოდნენ, ნეტა რას გვეტყვისო.

და ის კი აკაკურად:

— ყანწით რომ ღვინოს სვამთ, ამას ვხედავ, მაგრამ უმიმინოობას კი გამჩნევთ, მიმინო რომ გყავდეთ, ამდენი მწყრები აღარ გეყოლებოდათ!..

თავისი კრებულის 1898 წლის მაისის ნომერში „ბიბლიოგრაფიულ შენიშვნას“ რომ გამოაქვეყნებდა და მოიწონებდა თედო სახოკიას სამგზავრო წერილებს „გურია-აჭარა“ და დავით კლდიაშვილის მოთხრობას „მრევლში“, სიტყვას ჩამოაგდებდა მწერლურ ოსტატობაზე: ნიჭიერ ნაწარმოებებსაც ხელოვნების მხრივ დიდი ნაკლი აძევთ, ჩვენმა მწერლებმა არ იციან კანონი თხზულების შეფერადებისა, სწორი ლარის გაყვანისა, დროზე შეჩერებისა და ადგილზე წერტილის დასმისა. და ამიტომაც მათი ნაწარმოებები, გინდ ნიჭიერიც და აზრიანიც, ხელოვნების მხრივ მოიკოჭლებენ და შიგადაშიგ დამახინჯებულნიც არიანო.

გაიხსენებდა, როგორ დაამახინჯებინებდნენ ლექსს „სიმღერა მკის დროს“, აუტყდებოდნენ, ეს უნაყოფო ბულბულობააო, და ბოლოში მიაწებებინებდნენ ხორცმეტს. და ეს რომ აგონდებოდა, ამასაც ითვალისწინებდა: შესაძლოა დღესაც კიდევ ამგვარი რამ უშლიდეთ ხელს ჩვენს ახალგაზრდა მწერლებს და სამწუხაროა, რომ ამდენ ხანს უმეცრებისათვის თავი ვეღარ დაგვიღწევიაო.

ადრეც ეთქვა და ახლაც გაიმეორებდა, რომ:

ახალ მწერლებში ყველაზე უფრო საყურადღებო შიო არაგვისპირელი გახლდათ თავისი ფსიქოლოგიური ეტიუდებით. მისი ზეგავლენა მიმბაძველობით ბევრს გამოიწვევდა და თითქმის სკოლასაც შექმნიდა. პირველი ბიჯით ეს დიდი რამ იყო, მაგრამ აკაკის ისიც აფიქრებდა, რომ არაგვისპირელი ჯერ ამდენ ხანს უფრო დიდსა და უფრო იდეურზე ვერ გადადიოდა... თუმც ამის თაობაზე განსჯას შემდგომისათვის შემოინახავდა და ამჯერად კი გადაინაცვლებდა იმ ახალგაზრდა მწერლებზე, რომელთაც ხალხისათვის მიემართათ და ცდილობდნენ სოფლის ცხოვრება გაეთვალისწინებინათ მკითხველისათვის. და ნიკო ლომოურსა და ეკატერინე გაბაშვილთან ერთად სოფრომ მგალობლიშვილსაც დაასახელებდა, თუმც დასძენდა:

— მაგრამ იმათ ნახევრადაც ვერ გაგვიმართლეს იმედები.

და თუ რისი ბრალი იყო ეს გაცრუება მოლოდინისა, სწორედ მაშინ უნდა აეხსნა: რეალიზმის არასწორი გაგებისაო.

ზოგიერთები, როგორც სხვაგან, ისე ჩვენში — რადგან ჩვენები მხოლოდ მიმბაძავები არიანო, მწარედ ჩაურთავდა — საზოგადოდ მოითხოვდნენ მხოლოდ პროტოკოლურ აღ-

წერილობას უმეტნაკლებოდა, ისე როგორც ხედავდა და ესმოდა მწერალს, ისე რომ იქ თაეისი არა უნდა გაერია რა.

ვთქვათ, სოფლის ცხოვრების აღწერა გენება?

მისულიყავი გლეხისას, რასაც ნახავდი ან რასაც გაიგონებდი, უტყუვრად ჩაგეწერა და... ნამდვილი ხელოვნებაც ეს იქნებოდა.

სასაცილოდაც არა ჰყოფნიდა ეს შეხედულება აკაკის, რადგანაც: მაშინ ხომ ფოტოგრაფიულ სურათებს უპირატესობა ექნებოდთ ხელოვნებით მხატვრობასთან შედარებით.

და მერე კი მსჯელობაში დავით კლდიაშვილის სახელი და მისი ნოველა უნდა შემოსულიყო.

ხოლო ორიოდ წელიწადში აკაკი საჯაროდ გულის გადმოშლისა და თავისი ქმედების ზოგიერთი გარემოების გამომზევების გუნებაზე რომ დადგებოდა, ადრესატად არა სხვა ვინმეს, არამედ სოფრომ მგალობლიშვილს შეარჩევდა და „ივერიის" 1901 წლის 13 მაისის ნომერში დაბეჭდილ სტატიას სათაურსაც შესაფერისს მოუნახავდა: „წერილი მეგობარს" — ისედაც გულთბილ მანერას საუბრისა ამ სახელწოდებით კიდევ უფრო მეტ ინტიმს შესძენდა, და დაე მკითხველსაც მიექცია ყურადღება, რომ მეგობრობა ხელს არ უნდა უშლიდეთ ადამიანებს, პირუთვნელად მოახსენონ ერთიმეორეს თავიანთი მოსაზრება. სათაური კი მიმართვას უნდა განემტკიცებინა: ძმაო სოფრომო!..

თავის გამოვლილ გზას გახედავდა და... ცხოვრების იმ სტილს წამოსწევდა, იმ გეზს: როდესაც კარგ რაიმეს ხედავდა ჩვენში ან გაკეთებულს და ან დაწერილს, გინდ მისი მოსისხარი მტრისაც ყოფილიყო, აღტაცებას რომ ვერ იოკებდა!..

ავიწყდებოდა ყველაფერი საპირადო და მზად იყო მტერიც კი გულში ჩაესვენებინა და წინ ფიანდაზად გაფენოდა!..

უნიჭოდ დაწერილი და უხიაგად ჩანადენი კი გულს უკლავდა და აბრაზებდა, და მისთვის თავდადებული მეგობარიც რომ ყოფილიყო, ხელს ვერ დააფარებდა და წუნს პირისპირ დასდებდა.

არადა დღევანდელი ცხოვრების ფონზე ეს ახირებულობა საწამლავი გახლდათ.

მოყვარეს არა ზოგავდი? გაუტანელიაო.

მტერზე კარგს ამბობდი? უხასიათოაო.

ეს ყველაფერი მართალია კარგად ესმოდა, მაგრამ... განა გულს შეეძლო ეღალატა, რაც ადამიანს შეესისხლხორცებინა და რჯულად გადაექცია?

არც სურდა და, კიდეც რომ მოენდომებინა, ვერც მოახერხებდა გულგრილად აეღლო გვერდი ჩვენი ქვეყნის ავისა და კარგისათვის, გინდ მცირედიც ყოფილიყო, საქმით თუ ვერა, სიტყვით მაინც ჩაერეოდა და... კიდეც ეს იყო მისი ცხოვრების ნარ-ეკალი!..

და... გაღიზიანდებოდა:

— სიტყვა ერთგან თქმული და მეორეგან სხვებისაგან გადატანილი იგივეა, რაც ნამდვილი და მისი აჩრდილი: ერთი ხორცშესხმული და მეორე-კი ხელში ვერ დასაჭერი, კაცუნა ნაცარქექიების დამფრთხობი და ამაყაყანებელი ლანდი.

ბავშვობისას ერთ მთიულ გლეხს როგორ დაელოცა აკაკი?

გაგზარდოს და გაგადიდოს უფალმა, ისე, როგორც მაღლიდან დაგორებული თოვლის გუნდა და ან სოფლის ჭორიო.

მართლაც და: რამდენი ჭეშმარიტება და სიბრძნე იფარებოდა ამ ორ სტრიქონში!..

განა ხშირად არ ყოფილიყო, რომ:

ერთ რომელიმე პატარა მთის ჩიტს უცაბედად შეერხია შტო, უნებურად ჩამოეგდო თოვლის ნაგურჯალი, ის დაკოტრიალებულიყო თავდაღმართისაკენ და თანდათან გაზრდილიყო, გადაქცეულიყო დიდ, უშველებელ ზვავად და უცნაური ხმაურობით ჩასულიყო ბარად. იქ კი გაშლილიყო ათას სხვადასხვა თოვლის გუნდად და, ვიდრე გაზაფხული არ გააქარწყლებდა, ყველას წინ დახვედროდა... თვალში შეჩხეროდა!..

უფრო ხატოვნად როგორლა წარმოესახა გადატანილ-გადმოტანილი სიტყვაც და სოფლის ჭორიც!.. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ: ბარს გაზაფხული რამდენიმე თვის შემდეგ დაუდგებოდა ხოლმე, ჭორებით ყბადაღებულ ადამიანს კი გვიან — სიკვდილის შემდეგღა.

— ჰერიჰაა! ესეები რა დროსიაო? — ვაითუ ეთქვა სოფრომს, — ახალი ნააღდგომევია, მე ჩემს კონსისტორიაში ყელამდე საქმეებში ჩავფლულვარ, წამ-წუთი თვეებად მიღირს და... ამას კი ჭიანური გაუბამსო?!.

მართალიაო, — ეთანხმებოდა აკაკი, — მაგრამ შენიღე ბრალია, რად გაუბი შენდა უნებურად სიმები ჩემს ჭიანურსო?

იმ ნათქვამისა არ იყოს: ნუ შეხვალ, ნუ ებანები, ნუ გამოხვალ, ნუ თრთიო.

და სოფრომსაც მეტი რა გზა დარჩენოდა, ყური უნდა დაეგდო, სატაბლო საქმეებს მერეც მოესწრებოდა.

სულ პირველად სოფრომის „ცეცო“ წაეკითხა და მოსწონებოდა.

მართალია ნაცადი ხელის შალაშინი ძალიან აკლდა, სხვადასხვა ნაწილის დაკავშირება ერთმანეთთან ხელოვნებით ვერ ხერხდებოდა, მაგრამ შიგადაშიგ, ცალ-ცალკე კი კიაფობდა ავტორის ნიჭი და შემოქმედებითი ძალა. და აკაკის აღტაცებასაც რაღა შეაკავებდა: აი ვისგან უნდა გამოველოდეთ ბევრს, თუ გრძნობა-გონებას საზრდოს არ გამოულევსო.

მაგრამ გაივლიდა დიდი ხანი და... მოლოდინი არ გაუმართლებდა!..

ხელოვნება ადგილს დაუთმობდა პუბლიცისტურ ქადაგებას სოფრომის მწერლობაში და აღმაფრენას ფრთები შეეკვეცებოდა!.. და მიუხედავად მისი დიდი ნიჭისა, სოფრომსაც დაიხელთებდა და დაიმორჩილებდა ის სენი, უცხოეთიდან რომ შემოგვპარვოდა — ანუ: კაზმული სიტყვით ქადაგება — რომელიც ისე მიესადაგებოდა და უხდებოდა ჩვენს ცხოვრებას, ზნესა და ჩვეულებას, როგორც... „ვოდკა“ — კახურს და „კვასი“ — ოჯალეშს!..

არადა:

ხელოვნება თავისთავად მარტივად მშვენიერება და ძლიერება გახლდათ — როგორც მზეთუნახავს არ ეჭირვებოდა ფერუმარილი და მორთვა-მოკაზმვა, ისე არც ხელოვნების ქმნილებას — ზედმეტი სიტყვაკაზმულობა და გაცვეთილი აზრებით გაელფერება.

ეს უბრალო ჭეშმარიტება სოფრომს აკაკიზე ნაკლებად არ ესმოდა, მაგრამ... წამხედურობა რომ ძნელი იყო, ის შეგონებაც ადასტურებდა: წამხედაობამ წაახედაო, სხვისი თვალით გაახედაო!..

და მაშ მოესმინა აკაკის დაურიდებელი სიტყვა:

შენ გული სხვების მიხედვას გადააყოლე და მე მომიკალ გულიო!..

ეს იმის ბრალიც იყო: როცა ვინმესგან ბევრს გამოელი და ცოტას მეტს ველარ ღებულობ, გინდ სულაც არ მიგეღოს, ისე გწყდება გული ადამიანს.

და აი შარშანდელი მოთხრობა სოფრომისა „წარსულიდგან“ მოულოდნელად ისევ მიუბრუნებდა აკაკის გულს მისკენ, რადგანაც აქ ყველაფერი იყო, რაც კი ნიჭს მოეთხოვებდა: სიტყვა, კილო, აზრი, ცალ-ცალკეობაც და გაერთიანებაც.

ესეც უფურჩო სარკე ჩვენი მამების ცხოვრებისა.

მღვდელი, ერი, ბატონი, ყმა, ქალი, კაცი, მოხუცი და ყმაწვილი — ყველა თავთავისი სახით დაუდგებოდა წინ მკითხველს. და აკაკი შეატყობდა, რომ: ავტორს სამხატვრო საგანი შეესისხლორცებინა და ძალდაუტანებლად, დიდხანს ეტარებინა გულით, ვით დედას შვილი მუცლით, და მერე წარმოეშვა დროზედ კანონიერად.

ნეტა სოფრომს თუ ახსოვდა, მაშინ აკაკის რომ ერჩია მისთვის:

— ეს პირველი ნაწილი თავისთავად დამთავრებული რამ არის და ზედ ნუღარას გადააბამ!..

ის თავისით თუ ვერ მიმხვდარიყო, თხრობის გაგრძელება რომ აღარ ღირდა, აგერ ასეთი გემოვნებიანი მკითხველი და კომპოზიციური ხელოვნების ასეთი მცნობი ეუბნებოდა, მაგრამ... წინასწარ გათვლილ სქემას აღარ გადაუხვევდა და მიაკერებდა მეორე ნაწილს — „ჩემი ცხოვრებიდან“ დასებურ „პროტოკოლებს“ — და... მით ჩააშხამებდა პირველი ნაწილის სიტკბოებას!.. სალხინო მაყრულს სამგლოვიარო ზარს მიაყოლებდა და ეგაა!..

ამით აკაკის იმის თქმა კი არ უნდა: ის მეორე ნაწილი არ ვარგაო! ცალკე, თავისთავად ისიც არ იქნებოდა ურიგო, მაგრამ აქ კი უადგილოდ გამოდგებოდა.

და დაე სოფრომსაც და სხვათაც გაეთვალისწინებინათ, რომ:

ზარსაც და მაყრულსაც თავთავისი დრო და ადგილი აქვს, პირველს — ჭირში, ტირილისას, და მეორეს — ლხინში, ქორწილზეც. ეს უადგილობა არ ეჭაშნიკებოდა აკაკის და... რო-

დესაც შემდგომ მას თან მიჰყვებოდა შემონაკვეთი და ნაფაცაფუცებად გამონასხარტი საკვირაო ფელეტონები... მაშინ კი სრულიად გადაიწყვეტდა იმედს.

მაგრამ... დალოცვილიყო ძალთა-ძალით!..

აღდგომის კვირას მეგაზეთე შესულიყო აკაკისთან, ჩვეულებისამებრ ემახარობლა: ქრისტე აღსდგაო! — და მიეწოდებინა „ცნობის ფურცელი“, ეს ჩამორთმევისთანავე რომ გადაშლიდა, თვალს მოჰკრავდა ახალ ნოველას „უკვდავების წყარო ვარ“ და შეუდგებოდა კითხვას.

თხრობა გაიტაცებდა.

თედო რაზიკაშვილისა ან ვაჟა-ფშაველას დაწერილი ეგონებოდა, რადგანაც ისინი საქართველოს ბუნებასთან, როგორც მთიულები, თანშენაზარდნი გახლდნენ.

თანდათან უფრო და უფრო დაატკბობდა მოთხრობა და... ბოლოს რომ დახედავდა, მაშინ კი გაუორკეცდებოდა სიხარული, რადგანაც იქ სოფრომ მგალობლიშვილის გვარ-სახელი იქნებოდა მოწერილი, და უნებურად წამოიძახებდა:

— ჭეშმარიტად აღსდგა!..

ნუ დამძრახავო, — დასძენდა, — კაცი ვარ სუსტი და თავმოყვარეობა მომეცა, რომ ჩემი წინანდელი იმედები შენს შესახებ არ გამიმტყუნდაო.

და მისი საბოლოო მსჯავრით:

ეს პატარა თხზულება სწორედ ძვირფას მარგალიტის მანიაკად დარჩებოდა ჩვენს მწერლობაში, და აკაკისაც, ამის მკითხველს, მეგრული ღიღინი მოადგებოდა ენაზე: ყელსაბმელო მარგალიტო, ნეტავ მარად ჩემთან იყო! ნამეტანი სიყვარულით მეშინია არ ჩაგკვნიტოო!..

კარგი რამეა, კარგიო! — კიდევ ერთხელ დაუბეჯითებდა, ოღონდ... ბეწვისოდენა, პატარა რამ ფურჩი რომ შეპარვოდა, ის კი უნდა გაწმენდილიყო: წყარო რომ ამბობდა — ბერძნები ტყუილად კი არ მაღმერთებდნენო, ამას აკაკი ცოტა არ იყოს... წაკუდაბზიკაობად ჩამოართმევდა ავტორს: სად ჩვენებური წყარო და სად ბერძნების მითოლოგიაო... და შესთავაზებდა, რომ წყაროს ასეთი რამ ეთქვა, უკეთესიც ეს იქნებოდა და უფრო ნამდვილიც: ტყუილად კი არ შემომტრფის და შემომხარის ქართველიო, — და ან სხვა რამე ამგვარი, ადგილობრივი და არა უადგილოდ შორისად ხელწანაპოტინები.

ეს არც კი ღირდა აღსანიშნავად?

მაგრამ სოფრომსაც რომ სმენოდა მოტრფიალეს ჟინი: ჩემს სატრფოს მუმლიც ნუ დააჯდებაო!..

და შეაგულიანებდა:

— ეხლა-კი ვხედავ, რომ შენს ნიჭს შესაფერი გზა აურჩევია და თუ აღარ გადაუხვევ, შენ იცი!

და სათქმელს ასე განაზოგადებდა:

თვითეულ ერს თავისი საკუთარი, ერთიმეორისაგან განსხვავებული სახე აქვს და მათ ლიტერატურასაც, როგორც სარკეს ამა თუ იმ ერისას, განსაკუთრებული ელფერი უნდა ედოსო.

და ჩვენი მწერლობაც უტყუარი სარკე უნდა ყოფილიყო ქართველობისა — შიგ უნდა ჩასახულიყო საქართველოს მრავალფეროვანი ბუნება მისი მიწა-წყლით, მთა-ბარით, ტყე-ველით... და ქართველის გრძნობა-გონებას ხორცშესხმულად უნდა ემოძრავა შიგ უმეტნაკლებოდ, ზომიერად; აწმყო წარსულს უნდა შეთანხმებოდა და ორივე ერთად კი მომავლისაკენ წასწრაფებულიყო.

უამისოდ ჩვენი მწერლობაც უმნიშვნელო იქნებოდა, როგორც უსახო ლანდი.

და სამწუხაროდ მიითვლიდა, რომ: ჯერჯერობით მაინც ასე იყო და თუმც ნიჭიერები არ გვაკლდნენ, ჩვენი ლიტერატურა გადასხვარჯულებული და გახუნებული მოჩანდა.

ლიტერატურას თავისი მშობლიური სარჩულ-საპირე ეჭირვებოდა და რაც გვაკლდა, არადა აუცილებელი იყო, მის გადმოყვანასა და გადმონერგვაზე უნდა გვეზრუნა, მაგრამ ამ შრომასაც შესაფერისი კანონი და წესრიგი უნდა ჰქონოდა: ჯერ ნიადაგი უნდა მოგვემზადებინა, თორემ უიმისოდ ნერგი ვერ იხარებდა. და ნიადაგი კი მზადდებოდა საზოგადოდ

მხოლოდ იმგვარი თხზულებებით, რომელნიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეს დაგვიხატავდნენ და მათთან სულიერად დაგვაკავშირებდნენ.

ესეც პირველი საფეხური ლიტერატურისა.

ჯერ ეს უნდა გამაგრებულიყო, განმტკიცებულიყო და მერე თან სხვაც მოჰყოლოდა.

თანდათანობასა და ზედიზედობას ვინც გაურბოდა, იმას ნახტომი ეშლებოდა.

„უკვდავების წყარო ვარ" სწორედ სანიმუშო გახლდათ ამ შემთხვევაში და როცა ჩვენი ახალგაზრდა მწერლები ამავე გზას დაადგებოდნენ, მაშინ აკაკიც მეტი სიამით იტყოდა: აწ განმიტევეო.

მანამდე კი... მანამდე მასაც ისე უნდა ეგალობა, როგორც ანჩისხატის დეკანოზი გალობდა, როდესაც უცხო მკვდარს წინ მიუძღოდა:

არ ვიცი, ჩვენიაო, არ ვიცი, სხვისიაო, ღმერთმა იცის თუ ვისიაო.

უფრო გააზრებულად, უფრო კანთიელად რაღა უნდა თქმულიყო და... ვისაც ყურნი ახდა სმენად, დაე შეესმინათ!..

თავი IV

ლირიკული მისტიფიკაცია

1913 წლის 30 მარტს ალექსანდრე აბაშელი სალიტერატურო საღამოს რომ გამართავდა ქართული თეატრის შენობაში, აკაკისაც სთხოვდა მონაწილეობის მიღებას და ისიც მაშინვე დათანხმდებოდა და მოხსენებად შეარჩევდა ხალხური ზეპირსიტყვიერების მნიშვნელობას. როდესაც ალექსანდრე მოგონების წერას ჩაუჯდებოდა აკაკიზე და იმ საღამოსაც გაიხსენებდა, შეეცდებოდა მოეძევებინა ამ მოხსენების ტექსტი, მაგრამ ვეღარ მიაგნებდა და იმასაც ვეღარ დააზუსტებდა, დაბეჭდილიყო კიდეც თუ არა. თუმც მეხსიერებით აღიდგენდა ზოგიერთ პასაჟს, უმთავრესად კი იმას, რომ:

ჩვენში ზეპირსიტყვიერების გასაოცარ სიმდიდრეს აკაკი ახსნიდა ჩვენებური ბატონყმობის განსაკუთრებული ხასიათით — გლეხებს ბატონების ბეგარა რომ ემართათ, ზოგს ღვინო და ზოგსაც პური, დაე გვცოდნოდა, რომ იყვნენ ისეთი გლეხებიც, რომელთა ბეგარად... ზღაპარი ემართათ. ზღაპრით დაბეგრილ გლეხებს ამგვარი ვალდებულება შთამომავლობით ჰქონდათ დაკისრებული და მათ ოჯახებში თანდათანობით გროვდებოდა დიდძალი ზეპირსიტყვაობა. და ამ წესის მადლიერნი უნდა ვყოფილიყავით, რომ საქართველოში ამდენი ზღაპარი და ლექსი შემონახულიყო.

სანიმუშოდ რამდენიმე ლექსსაც წაიკითხავდა ჩვეული დეკლამატორული ხელოვნებით. და მათ შორის:

ხომალდში ჩავჯექ, ზღვას გაველ,
ფრანგის ქვეყნები ვნახეო,
სულ დავიარე ხმელეთი,
ვერ ვნახე შენი სახეო.
ანთებულ სანთელს გამსგავსე,
დილით ცისკარზე გნახეო,
ხელში გეჭირა ყმაწვილი,
ფარსაგ ვერ დაგინახეო.

და მიადევნებდა, რომ:

ქართველ ხალხს ამ მშვენიერი ლექსით გამოეხატა ღვთისმშობლის კულტი და ეს ლექსი ისევე შესანიშნავი გახლდათ, როგორც დიდებული რაფაელის მიერ დახატული მადონა.

არც ამის თქმას მოერიდებოდა:

— არათუ დღევანდელ მჯღაბნელებს, და მათ რიცხვში მეც, თქვენს უმორჩილეს მონას, თვით რუსთაველსაც კი არ შერცხვებოდა ამ ლექსზე ხელის მოწერა!..

მოხსენების შემდგე ერთი მწერალი — რომლის ვინაობასაც მემუარისტი არ გაგვიმჟღავნებდა — ეტყოდა მგოსანს:

— ბატონო აკაკი! თქვენ რომ ბატონყმობის დროს გლეხი ყოფილიყავით, ბატონი თქვენზე უკეთეს მეზღაპრეს ვერ იპოვნიდა.

შეხუმრებით უნდა იყოს ნათქვამი და ამიტომაც არ მიუგებდა რაიმეს პასუხად აკაკი, თორემ ირონიად რომ აღექვა, ჰოი რა მწარედ აზღევინებდა ირონია-სარკაზმის ქარცეცხლით, ახლა კი ალბათ გულიანადაც გაიცინებდა და გუნებაში კიდეც ესიამოვნებოდა ეს სიტყვები, სულაც ქებად რომ მიითვლიდა.

„მაშ არადა ადვილად იპოვნიდნენ უკეთეს...“

და ლაღად მიმოიხედავდა გარშემო.

არ გაამხელდა „მზის სიცილის" შემოქმედი იმ მწერლის ვინაობას?

სამაგიეროდ... გრიგოლ რობაქიძე გაამჟღავნებდა თავს ამ საღამოსადმი მიძღვნილ რეპორტაჟში, რომ აკაკის ლექციის შემდგომ ვერ მოეთმინა, გაკადნიერებულიყო და ხუმრობით ეთქვა მგოსნისათვის: თქვენ რომ ბატონყმობის დროს გლეხი ყოფილიყავით, ბატონი თქვენზე უკეთეს ზღაპრის მომყოლს ვერ მონახავდაო.

ამით გამოხატავდა თავის აღტაცებას იმ ჭეშმარიტად მშვენიერი თხრობით, აკაკი იმ დღესაც ისევე რომ გამოირჩეოდა, როგორც სჩვეოდა.

რეპორტაჟის ამ მონაკვეთში აღნიშნავდა, რომ:

საღამოს ამშვენებდა ჩვენი საყვარელი მგოსანი აკაკი, რომელიც მოკლე ლექციას წაიკითხავდა შესახებ ქართული ზეპირსიტყვიერებისა. მშვენიერი ქართული, ნელი და ტკბილი კილო წარმოთქმისა, თვითონ მისი საუცხოო სახე, ყველა ეს ძალზე მიიზიდავდა მსმენელს. შეუდარებლად თუ რაიმეს, მიიჩნევდა მის მონათხრობს, რომ: ზოგიერთი გლეხი ზღაპრის თხრობით იხდიდა ბატონყმობის დროს თავის ბეგარას.

და აკი კიდეც შეეხუმრებოდა.

მოხსენება გამოქვეყნდებოდა გაზეთი „თემის" იმავე წლის 8 აპრილის ნომერში, და ის, რაც შეკუმშულად არის გადმოცემული მოგონებაში, იქ ასეა გაშლილი:

მსოფლიო გენიოსმა მხატვარმა რაფაელმა, როდესაც მშვენიერების გამოხატვა უნდოდა, უკეთესი ვეღარა მოახერხა რა და მშვენიერ მადონას მისცა ხელში უმშვენიერესი ყრმა, რომელსაც სიყვარულით ზე დაჰქათქათებს დედა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ შაირის დამწერს არც ეს სურათი უნახავს და არც რაფაელი გაუგონია, მაგრამ ზეგარდმო შთაგონებამ მიიყვანა რაფაელის აღმაფრენამდიო!..

და კვლავაც მოჰყვებოდა სტრიქონი სტრიქონსა და სტროფი სტროფს და ბოლომდე ჩამორაკრაკებოდა ლექსი, რუსთაველიც რომ მოაწერდა შეურცხვენლად ხელს:

შენს ლოყას ვარდი ჰყვაოდა,
გშვენოდა ღია ფერია,
ღაწვს მოციმციმე ხალივით
ხამი ცით მონაბერია.
შურით დაგფრფენდა ნიავი,
გირხევდა დალალ-კავებსა;
ნარბი-ნამწამი ყორნისა
ბურავდა გიშრის თვალებსა.
თვალსა, რა თვალსა, ცისმნათსა,
წყვდიადში მოელვარესა,
მოვლინებულსა ამ ქვეყნად,
ნუგეშად დამამშვრალებსა.
ტუჩს დაკვდომოდა ღიმილი
ალისფრად მოღადღადესა;
კბილ-მარგალიტი აფრქვევდა
შუქურს მიდამოს და ველსა.
რა თამარ? რაა ქეთევან?
ვით შეგადარო ეთერსა?
ისარს დაუსობ გულს მნახველს,
ხელად გარბოდეს ტყე-ველსა.
ფრანგის ქვეყნები დავაგდე,
მივძარ-მოვძარი ზღვებია,
ვერსად ვერ შევხვდი სიტურფეს
მაგრეთსა, შენ რომ გხლებია.

ჩაიკითხავდა ლექსს და სიამაყით განაცხადებდა, რომ:

ამგვარი მარგალიტი იშვიათი არ გახლდათ ჩვენს ზეპირსიტყვიერებაში. და თვით ია კარგარეთელის მიერ შეგროვებულ ნიმუშთა შორისაც მოიპოვებოდა არანაკლები მხატვრული შთამბეჭდაობის შედევრები.

ამ სახით გაეცნობოდა საზოგადოება „აკაკის კრებულის“ ფურცლებზე ხალხურ ლექსს „ხომალდში ჩავჯექ, ზღვას გაველ“ და ასეც მიიღებდა ამ მარგალიტს, მითუმეტეს მგოსანი საჯარო მოხსენებით კიდეე ერთხელ დაადასტურებდა ტექსტის სანდოობასა და ხალხურ წარმომავლობას.

მაგრამ...

დადგებოდა დრო, როდესაც დააშორიშორებდნენ ხალხურსა და აკაკისეულს.

და დავით წერედიანი დაბეჯითებით განაცხადებდა, რომ:

ზეპირსიტყვიერების ამ ნიმუშს აკაკი გააგრძელებდა და ამ გაგრძელებასაც ხალხურად გამოაცხადებდა, არადა... ხალხური მხოლოდ პირველი ექვსი სტრიქონი გახლდათ, დანარჩენი კი, ოცზე მეტი, მთლიანად აკაკის კალამს ეკუთვნოდა. და ზერელე გადახედვაც კი კმაროდა იმის მისახვედრად, რომ აქ ორი შეუთავსებელი რამ შეთავსებულიყო.

— თუ აკაკი ვარაუდობდა, რომ ზოგიერთ მკითხველს შეაცდენდა, მისი ვარაუდი სავსებით სწორი გამოდგა, უახლეს ფოლკლორულ გამოცემებშიც ლექსი ხშირად ამ სახით იბეჭდება, ხოლო თუ ვარაუდობდა, რომ ხალხური და მისი ლექსი ინტონაციურად იდენტურია, მაშინ მისი ვარაუდი სიმართლისაგან ძალიან შორს დგას.

ასე უნდა გახსნილიყო აკაკის პოეტური მისტიფიკაცია, დიდი რამ ჩხრეკა და სკრუპულოზური ანალიზი რომ არ დასჭირდებოდა.

და ასე მოიარებით უნდა შეეთანასწორებინა თავისი ლექსი რუსთველის ლექსთან. თავის თავს იქვე „მჯღაბნელად“ კი მოიხსენიებდა, მაგრამ ხალხურის სახელს ამოფარებული რუსთველის საკადრისად შეაფასებდა თავის ლირიკულ სტრიქონებსაც.

დავით წერედიანი ამ მისტიფიკაციას ჩართავდა იმ მსჯელობაში, რომელიც მიეძღვნებოდა აკაკის პოეტური ენის ლაკონიურ დახასიათებას:

ის პოეტური ენა, რომელიც მის მხატვრულ მიზნებსა და ამოცანებს შეესაბამებოდა და ამავე დროს აიცდენდა ქართველ რომანტიკოსთა ფორმისეულ „ნაკლოვანებებს“, ხალხურ მეტყველებაში რომ იყო საძიებელი, მის მოქნილობასა და ბუნებრიობაში.

მიიჩნევდა, რომ:

აკაკის სიახლოვე ხალხურ პოეზიასთან ჯერაც დასამუშავებელი გახლდათ.

და არ გაიზიარებდა ხშირად გამოთქმულ იმ ზოგად შეხედულებას:

თითქოს აკაკის ხალხური ლექსი „აეღო“, ხალხურს „დასესხებოდა“.

რადგანაც ეს თვალსაზრისი სინამდვილეს არ შეესატყვისებოდა.

დაე ახლებურად, უფრო ღრმააზროვნად შეგვეხედა ამ ურთიერთმიმართებისათვის და გვერწმუნა, რომ:

— აკაკის ლექსსა და ხალხურ ლექსს შორის დიდი ინტონაციური სხვაობაა, ისინი ერთმანეთში არ შეიძლება აგვერიოს, გარდა იმ ორიოდე შემთხვევისა, როცა აკაკი ლექსს სათაურად ან ქვესათაურად „მესტვირულს“ აწერს და ინტონაციურად სავსებით ამგვანებს ხალხურს.

მაშ რას წარმოადგენდა აკაკისათვის ხალხური ლექსი?

დამხმარე საშუალებას ან, უფრო სწორად, იმ ფუნდამენტს, რომელზეც მას თავისი შენობა აეგო, მაგრამ ის მხოლოდ ხალხური მასალით სულაც არ აგებულიყო.

პოეტი და მკვლევარი იგულისხმებდა ძირითად ფორმისეულ მხარეს და ყურადღებას მიგვაქცევინებდა, რომ:

ერთხელ ხალხური ლექსისათვის ნიკოლოზ ბარათაშვილსაც მიემართა — „მადლი შენს გამჩენს, ლამაზო“, ოღონდ უნდა გვცოდნოდა, რომ ეს იყო ხალხურის მშვენიერი იმიტაცია, მაგრამ მხოლოდ იმიტაცია, ლიტერატურული თამაში.

ხოლო აკაკისათვის:

— ხალხურს მიახლოებული ლექსი მისი ძირითადი მეტყველებაა, სრულიად ინდივიდუალური და სრულიად არაგათამაშებული.

მაინც რა აქვს საერთო აკაკის პოეტურ მეტყველებას ხალხურთან?

დავით წერედიანის დაკვირვებით:

სისადავე და დემოკრატიზმი.

თუმც ეჩვენებოდა, რომ ხალხური ლექსი თავის უმთავრეს გამოვლინებაში აკაკისაზე ნაკლებ სადად გამოიყურებოდა. და ასეა თუ ისე ამ ორ მომენტს დადებითთან ერთად გარკვეული უარყოფითი შედეგიც მოეტანა.

მაშინაა, რომ განაცხადებდა:

აკაკისთან გაქრა გარდამავალი, ნიუანსური ფერები, ასე უხვად რომ არის ნიკოლოზ ბარათაშვილთანო.

საერთოდ კი აკაკის მრავალი ბრწყინვალე ლექსი რომ დაეტოვებინა ჩვენთვის, ნარკვევის ავტორი აღარ გაჰყვებოდა თვითეულის ანალიტიკურ განსჯას, უსიტყვოდ შეუერთდებოდა მათდამი აღვლენილ ხოტბას და აღნიშნავდა, რომ:

აკაკი ქართულ ლექსს მოქნილობას, სისხარტესა და გამჭვირვალებას დაუბრუნებდა — თუ... კიდეც შესძენდა?.. და მას ეროვნული ძირებისაკენ შემოატრიალებდა.

და აქ ერთ საკმაოდ უცნაურ მოვლენას რომ ვაწყდებოდით?

დაე ერთიანობაში მიმოგვეველო მზერა და გაგვესიგრძეგანებინა, რომ:

რომანტიკოსები, ისევე როგორც აკაკის შემდგომი, სიმბოლისტებად თუ სხვა მსგავსი სახელებით მონათლული პოეტები, ძალიან დიდ ინტერესს იჩენდნენ უცხოენოვანი პოეზიის მიმართ, რუსული და — ძირითადად რუსული ენის მეშვეობით — ევროპული პოეზია მათთვის მუდამ გარკვეული ორიენტირი შეიქნებოდა — ილიასეული „ევროპეიზმის“ პროცესი განუწყვეტლივ გაგრძელდებოდა.

აკაკი და მისი სკოლის პოეტთა რამდენიმე თაობა კი ამ მხრივ სრულ გულგრილობას გამოიჩენდა, ნაკლებ რომ დაინტერესდებოდნენ, რა ხდებოდა სხვაგან.

რუსულ პოეზიაში იმხანად მხატვრულად ახალი ბევრიც არაფერი ხდებოდა?

ეს კი ასე იყო, მაგრამ ამგვარ ახსნას ნარკვევის ავტორი უმართებულოდ მიიჩნევდა, რადგანაც ასეთი მიმართება თვითონ აკაკის შინაგანი სულისკვეთება გახლდათ და მიზეზი გარეთ აღარ უნდა გვეძია. ერთ-ერთ მიზეზად კი საკუთარი ძალების ღრმა რწმენა უნდა გვეღიარებინა.

და ასეთ კარჩაკეტილობას თავისი აღმავლობის ხანაში ჩვენი პოეზიის არცერთი პერიოდი რომ არ იცნობდა:

— ეს, ერთი მხრივ, საკუთარ ნაჭუჭში გამოკეტვასაც ნიშნავდა, მაგრამ, მეორე მხრივ, თავისთავადობის მაჩვენებელი იყო. აკაკი წერეთელი არავის შეგირდად არ გამოდგებოდა. სწორედ ეს თავისთავადობა იყო „ევროპეიზმის“ გზაზე, ეპიგონობის საფრთხით მოკირწყლულ გზაზე, მოსაპოვებელი და აკაკი წერეთელი ახალი ქართული პოეზიის განვითარებაში ამ თავისთავადობის დამფუძნებლად და მედროშედ გვევლინება.

დაე ამ კონტექსტშიც ასე მკვეთრად თქმულიყო, რომ:

ამ მხრივ აკაკის უეჭველად მოეხდინა გავლენა ვაჟა-ფშაველაზე.

ვაჟა სწორედ ამ გავლენას უარყოფდა, როდესაც რაფიელ ერისთავისაგან მიღებულ ბიძგზე ლაპარაკობდა?

შინაგანად ვაჟა არა გრძნობდა აკაკის არავითარ გავლენას?

მაგრამ აგერ დაბეჯითებით განგვიმარტავდნენ, რომ:

ამგვარი გავლენის სასიკეთო შედეგს სწორედ ის განაპირობებს, რომ ის შეუცნობლად მოქმედებს, მხოლოდ საერთო მიმართულებად აღიქმება და შემოქმედზე არავითარ დაღს არ ტოვებს. და ვაჟა-ფშაველას უზარმაზარი ფიგურა აკაკისაგან ლამის კანონად ქცეულ ამ ეროვნული თავისთავადობის ფარვატერში მოძრაობდა. ამიტომაც ვაჟა ფორმალურად — ხაზგასმით გაიმეორებდა: ფორმალურადო — აკაკის სკოლის პოეტებში დიდი სიძნელის გარეშე თავსდება — ვაჟას პოეტიკაში არაფერი, ან თითქმის არაფერია ისეთი, აკაკისთვისაც მისაღები და ორგანული რომ არ იყოს. მკვეთრად გამოხატული ეროვნულობაც, ხალხურ ლექსთან დამოკიდებულებაცა და ხაზგასმული დემოკრატიზმიც ორივესათვის საერთოა. ვაჟას შაირი — მისთვის მთავარი, ის კი არა ერთადერთი სალექსო ფორმა — აკაკი-

სას სრულებით არა ჰგავს, ამავე დროს, ისიც საკმაოდ განსხვავებულია ხალხური ტონალობისაგან, თუმც უფრო ახლოსაა.

ენას რომ უწუნებდა?

იმ ლექსს, იმ ლირიკულ გაპაექრებას, პარადოქსულად და მრავალწამებულად მოიხსენიებს დავით წერედიანი და უფრო იმის ნიმუშად... აკაკი ვაჟას ნიჭიერებაზე ძალიან მაღალი აზრისა რომ იყო, თორემ ამგვარ ქებას არავისთვის იმეტებდა, მარგალიტების მთესველად სხვას არავის იხსენებდა.

მისი ენის დაწუნებისას კი თავისი სიმართლე, თუნდაც სუბიექტური, აკაკისაც ჰქონდა: რაკიღა XIX საუკუნის მეორე ნახევარი ახალი სალიტერატურო ენის მშენებლობას მოხმარდებოდა და დიდი ძალისხმევითა და აგურ-აგურ აშენდებოდა, და აკაკი წერეთელი კი, ილია ჭავჭავაძესთან ერთად, ამ მშენებლობაში ლომის წილს დაიდებდა, ვაჟა-ფშაველა... ამ პროცესს ფაქტობრივად გაერიდებოდა:

— თავისი პოეზიის სასარგებლოდ და ჩვენდა საბედნიეროდ.

აკაკის თვალში ეს მაინც გაქცევას გაუტოლდებოდა და:

— ერთ მძიმე საყვედურს უეჭველად იმსახურებდა.

ხომალდში ჩამჯდარიყო უცნობი პოეტი, ქალის იდეალს დადევნებული და მოგზაურობის ჟინითაც ატანილი, ფრანგის ქვეყნები მოევლო და ხმელეთი შეეჯერებინა, მაგრამ მ ი ს ი სახე ვერსად ეპოვნა, იმ ანთებული სანთლისა, ნესტან-დარეჯანის ორეულისა... და მის ფიქრსა და სულიერ სწრაფვას თავისასაც მიადევნებდა აკაკი, იმ ლექსთმდინარების გაგრძელებას რომ მოინდომებდა დაიმედებული: მაინც ჩემი მშობლიური გარემოა ხალხური ლექსი, მაინც ამ რკალში ვტრიალებ ინტონაციურადო.

არა ტრიალებდა.

მოჩვენებითი სიახლოვე ნამდვილ ერთობას ანკი როდის გულისხმობს და ამჯერადაც მხოლოდ ფოლკლორისტთა გარკვეულ წარმომადგენელთ აუბამდა თვალს, თორემ ყველას — აბა რანაირად.

თამარისა და ქეთევანის ხსენებას მაინც მორიდებოდა ეთერის გვერდით, კიდევ უფრო შებურვის ნაცვლად მთლად თვალშისაცემად რომ ამოჩნდებოდა ამ სტრიქონთა ლიტერატურული წარმომავლობა.

თამაში სჩვეოდა აკაკის — ბანქოს მაგიდასთანაც, ჭადრაკის დაფასთანაც, ყმაწვილებთან ხომ სჩვეოდა და სჩვეოდა, საერთოდაც — ყოფით რეალობაშიც არანაკლებად, მისტიფიკაციების წადილი ისე რომ აიტანდა, თავისთავადაც გადმოჩქეფდა და გადმოჩქეფდა მისი არსებიდან, დუღდა და გადმოდუღდა, ყოველგვარ გარემოს ერთი მსახიობის თეატრს რომ დაამსგავსებდა ხოლმე.

მიუხვდებოდნენ ადრე თუ გვიან, ალღოს აუღებდნენ მის მისტიფიკაციებს: ზოგს სახალისოსა და ზოგსაც გაცილებით უფრო მეტს — სახალისოს.

სმენით სიამოვნებით უსმენდნენ და სიცილ-ხარხარითაც ასდევდნენ, მაგრამ დაჯერებით აღარ იჯერებდნენ. ის კი არა, ხან უკვე მის მართალსაც ეჭვით უმზერდნენ: არ მოვტყუვდეთ, შეთხზული ემანდ ჭეშმარიტებად არ შემოგვასაღოსო.

თვითონ რომ სჯეროდა თავისი მისტიფიკაციებისა?

თვითონ რომ ველარც არჩევდა — ყოველთვის თუ არა, ხანდახან მაინც — რა გადახდენოდა თავს და რა მიემატებინა და შეელამაზებინა? ანდა სულაც პირწმინდად გამოეგონებინა?

ამჯერადაც ასე დაემართებოდა.

შეავსებდა ხალხურ მარგალიტს იმავე სულისკვეთებით, მაგრამ ინტონაციურად — აღარ თუ ველარ, და... რუსთველსაც კი გახედავდა მაკვარანცხული მზერით: ხომ ვიღაც უცნობი მელექსეა, შენც ვერ დაიწუნებ და ალბათ სიამოვნებითაც შეიტანდი „ვეფხისტყაოსანში“, თუკი შენი გული და გონება შობდა ამ სტრიქონებსაცო.

გაიღიმებდა შორეული და ახლობელი ღიმილით რუსთველის აჩრდილი — იმას არავისაგან ესწავლებოდა ხალხურისა და ლიტერატურულის გარჩევა ერთიმეორისაგან.

არც ლიტერატურული თამაში ესწავლებოდა.

და არც მისტიფიკაციების დაფასება.

თავი V

თეატრი აკაკი წერეთლისა

თეატრი საზოგადოდ სასკოლო სარბიელი რომ გახლდათ, ამის დაჟინებული განმეორება არ მოწყინდებოდა და არა, და არც კიდევ ამისა:

აქედან ხელოვნურად შეზავებულ, სასიამო და ამავდროულად სასარგებლო რამეებს მსმენელ-მაყურებლის გრძნობა-გონება უნდა მოეხიბლა და ცხოვრების ბრძმედში გამოეტარებინა, და თუ ეს ღირსება არ ექნებოდა, მაშინ სალაზღანდარო-საფუნდრუკოდ თუ გადაიქცეოდა.

და დაე ისიც შეეხსენებინა ყველასათვის, რომ:

გიორგი ერისთავის მაღალ ნიჭს თავდაპირველადვე უტყუარ გზაზე დაეყენებინა ქართული სცენა და მიტომაც მაშინდელ თეატრს მშობლიური სული ედგა და ხორცი ესხა.

მაგრამ... მურავიოვს დღე დაემოკლებინა ძლივს ფეხადგმულისათვის და მას შემდეგ ქართველებს თეატრი აღარც გვღირსებოდა.

წინასწარვე გრძნობდა, ამ აზრს ბევრი რომ იუცხოებდა და გამოეკამათებოდნენ: სად მაშინ და სად ახლა, როდესაც საკუთარი შენობა გვაქვს სათეატრო ყოველგვარი საჭირო მასალით სავსე, სახელოვანი აქტიორ-აქტრისები გვყავს და პიესებიც არ გვაკლია, ის კი არა, უთვალავიც მოგვეძევებაო.

თვითონაც უდავოდ მიაჩნდა, ქართულ თეატრს თავისი შენობა რომ ეშოვნა და მკვიდრადაც ნაშენი, თორემ რაც იქ „ვაშა“ და „ვაშა“ გაისმოდა, კედლები უნდა დანგრეულიყო. მსახიობთა გუნდსაც წუნს არ დასდებდა და პიესების სიმრავლეც თვალს უჭრელებდა, განსაკუთრებით ნათარგმნისა.

ხოლო გიორგი ერისთავის დროს თეატრს არც სახლი გააჩნდა, არც სცენის მოწყობილობა, არც პიესები, გარდა ზურაბ ანტონოვისა და გიორგი ერისთავის ვოდევილ-კომედიებისა, მაგრამ მაინც შედარებაზე თუ მიდგებოდა საქმე: მაშინდელი სჯობდა დღევანდელს.

მაშ როგორლა სჯობდა?

როგორ და:

რაც იყო მაშინ, ქართველისათვის სანიშნო და სათვალთვალო გახლდათ და დღეს კი ყველაფერი: გარეთ მტერს უკლავდა გულს და შიგნით მოყვარეს.

და ეს იმიტომ, რომ დღეს ქართულ თეატრში, ქართულ სცენაზე დედა ენა განსაცდელში ჩავარდნილიყო და გულითაც რომ მოენდომებინა კაცს, ჩიქორთულის მეტს ვერას გაიგონებდა, მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნებში, სხვა ხალხებში ახალგაზრდობა თეატრში მიტომ უფრო დაიარებოდა, რომ მშობლიური ენა საფუძვლიანად შეესწავლა. ჩვენში კი — პირიქით, რაც იცოდა, იმასაც ივიწყებდა და გასწორების მაგივრად სრულიად იმახინჯებდა ენას.

ამ ჭეშმარიტებას ხედვით ყველა ხედავდა, მაგრამ მაინც თავს მართლულობდნენ და ერთიმეორეს აბრალებდნენ:

ესაო და — მწერლები ვერ წერენ კარგი ენითაო,

ესაო და — ცუდად თარგმნიანო,

ესაო და — დრამატული საზოგადოების კომიტეტი ყურს არ უგდებს და არას დაეძებსო,

ესაო და — რეჟისორი არა გვყავსო,

ესაო და — აქტიორები როლს ვერ იზეპირებენო,

ესაო და...

ეს ყველა თუმც მართალი გახლდათ, მაგრამ გამტყუნებით აკაკი ყველაზე უფრო არტისტებს ამტყუნებდა: მწერლობა და კომიტეტი საქველმოქმედო სარბიელია, უსასყიდლო, არტისტები კი სასყიდელს იღებენო. ამას გარდაც ბევრჯერ შესწრებოდა, რომ კარგი ენით დაწერილი პიესა ავტორს ვეღარც ეცნო... აქტიორთა ყბაში ჩავარდნილი.

სასცენო სამკაულები გადამთიელი უფრო იყო, ვიდრე ჩვენებური. ისტორიული პიესებისათვის ათიოდე დაგლეჯილი ქულაჯა მოეპოვებოდათ, რამდენიმე ქუდ-ბოხოხი და ორიოდე უქარქაშო დანა-ხანჯალი — და ამით აფერადებდნენ ისტორიულ პიესებს, რომელი საუკუნისაც გინდა ყოფილიყო, შორეულისა თუ მახლობელის.

პიესების რაოდენობას არ ვუჩიოდით, განსაკუთრებით თარგმნილისა, მაგრამ ეს ბიორნსები, მეტერლინკები, იბსენები თუ სხვანი სცენას რომ მოიკავებდნენ, მათი დეკადენტური ხელოვნება თანადროული ქართველის გრძნობა-გონებას ბევრს ვერას ეუბნებოდა, რადგანაც ახალ პიესებზე მეტად ანტონოვ-ერისთავის ნაწერები უფრო ახლოს იყვნენ მათ გულთან.

აკაკის ძალიან წყდებოდა გული, რომ გიორგი ერისთავის დასის ხსენებაც აღარსად იყო, მაშინდელ აქტიორთა სახელებიც დავიწყებას მისცემოდა, ახლანდელებს კი მოწონებით ახსენებდნენ ჟურნალ-გაზეთებში. მათში ნიჭიერები განა არ მოიძევებოდნენ, მაგრამ მაინც ქართველი აქტიორ-აქტრისები არსად იყვნენ. რაც ადამიანს ბუნებითად არ შეესისხლხორცებინა, იმას როგორღა დაასურათებდა?.. და მიტომაც ეჩვენებოდა ჩვენი ნიჭიერი მოთამაშეები საბრალონი ევროპულ დეკადენტურ პიესებში. და დასძენდა: რა უნდა იყოს გაბუნიას ქალი გრეტხენის როლში და ჩერქეზიშვილის ქალი რუსის მათუშკასი? აქ იმათ ნიჭიც უმტყუნებთ და შემოქმედებაცო.

მოკლედ თუ რაიმე უნდა თქმულიყო, ეს ითქმოდა:

თანადროული ქართული თეატრი სასარგებლოს დაშორებოდა და... თუ სხვა გზას არ დაადგებოდა და მიმართულებას არ გამოიცვლიდა, ბევრ ვნებასაც მოგვიტანდა.

და მოიხმობდა სახიერ, თვალსაჩინო ნიმუშს, თუ როგორ შეედგინა კრაპივნიცკის თეატრალური დასი, რათა თავშესაქცევი წარმოდგენები გაემართა დაბალი წოდებისათვის, რომელიც უქმე დღეებში უსაქმურობის გამო ლოთობით იხრჩობდა თავს. სურვილი კი კარგი იყო, მაგრამ საქმე საძნელო, როდესაც ერთი ვოდევილის გარდა არა მოეპოვებოდათ რა მათ კილოზე დაწერილი, მაგრამ კრაპივნიცკი ხელს მოჰკიდებდა რუსული პიესების გადმოკეთებას, ჩაუდგამდა უკრაინულ სულს, მიანიჭებდა მშობლიურ ფერხორცს და... ათ გუნდზე მეტადაც გაიშლებოდნენ და არათუ სამშობლოს, მთელს რუსეთსაც კი მოედებოდნენ.

რითი გაითქვამდნენ სახელს და რა მანქანებით?

აკაკი მიზეზს ადვილად ახსნიდა:

იმით, რომ ამ საქმეს ისე შეხედავდნენ უკრაინელები, როგორც საზოგადო წმინდა მოღვაწეობას და არა საბავშვო საბურჭალო რამ გასართობს, როგორც ჩვენში ეგონათ. იმათ დასებში უმაღლეს სასწავლებელდასრულებულიც ბევრი ერია — ზოგი ექიმი, ზოგი იურისტი და რა პროფესიისა აღარ. ნათარგმნ პიესებს ხელს არა ჰკიდებდნენ და მისთანას არას წარმოადგენდნენ, რასაც უშუალო დამოკიდებულება არ ექნებოდა მათ სამშობლოსთან — ან ისტორიულად, ან თანადროულად და მომავლისდა საგულისხმოდ.

რუსებს შეეთავაზებინათ ზანკოვეცკის ქალისათვის:

— თუ ჩვენს თეატრში გადმოხვალ და რუსულად დაიწყებ თამაშს, წელიწადში თორმეტი ათას მანეთს მოგცემთ და სახელი და დიდება კიდევ სხვა იქნება. შენს დიდ ნიჭს რად ხარჯავ მაგ პატარა საქმეში?

ამ შეთავაზებას უკრაინელი მსახიობი ქალი შეურაცხყოფად მიიღებდა და მკაცრადაც მოუჭრიდათ:

— მილიონიც რომ მომცეთ, ჩემი სამშობლოს სამსახურს მისი გაჭირვებით არ გავცვლი სხვა რამეზე.

აკაკის ვასო აბაშიძის, მაკო საფაროვასა და ვალერიან გუნიას გარდა არ ეგულებოდა ჩვენებური არტისტი, რომელიც სასხვათაშორისოდ არ უყურებდა ქართულ სცენას და, თუ უკეთეს რასმე იშოვნიდა, წიხლს არა ჰკრავდა ჩვენს თეატრს.

და დაამუნათებდა ნიჭით სავსესა და ჩვენგან ცამდე აყვანილ არტისტს ლადო მესხიშვილს: აბა თუ ერთი როლი მაინც შეუქმნია, ჩვენი ცხოვრებიდან რომ იყოს აღებული და ქართული სული ედგასო? ამ მხრივ მას ბალანჩივაძეც კი სჯობდა.

და... კიდეც უმტყუნებდა ნერვები, გაღიზიანებულსა და გაგულისებულს ჩვეული იუმორიც რომ აღარ ეყოფოდა და ულმობელ ეპითეტსაც არ დაინანებდა:

და თუ უკეთესი ჩვენი არტისტები, ჩვენი მხატვრებისა არ იყოს, გარეწრები არიან ყოველივე მშობლიურისა, სხვებზე რაღა გვეთქმისო.

ამ გარეწრობის გასამართლებლად ჩვენი ეგრეთწოდებული მოღვაწენი წარამარა გაიძახოდნენ: ჩვენ რა ვიცითო, რომ ქართველებში არა მოიპოვება რა, საყურადღებო რომ იყოსო.

რაო — ან სამხატვრო რა არის და ან პიესები სადა გვაქვსო?

აკაკი იქვე მოუჭრიდათ სიტყვას:

ვისაც გული უშლის, ის ვერც ამას ნახავს და ვერც გაიგებსო...

და კვლავაც უკრაინელთა მაგალითს მოიშველიებდა:

რა მიზეზი იყო, რომ იმათ სულ ათი თუ ოცი პიესა მოეპოვებოდათ, ისიც გადმოკეთებული, მეტი არა, და ამდენი ხანია იოლად გადიოდნენ: თითო პიესას წელიწადში ოც-ოცჯერ დგამდნენ და ხალხი მაინც სიამოვნებით ესწრებოდა, და ჩვენები კი გვარწმუნებდნენ: ქართველი კაცი ერთხელ ნანახ პიესას მეორედ აღარ ნახავსო?!.

ამ ტყუილს ნუკი დაუჯერებდნენ, აკაკისა დაეჯერებინათ, რომ:

ხელოვნება ისეთი რამ გახლდათ, ვისაც ის ხიბლავდა, მისგან მოხიბლული კი არ გარბოდა, პირიქით, ცდილობდა, რომ ხშირად ედევნებინა თვალყური და ენეტარა...

რაღა ბევრი გაეგრძელებინა, ბარემ უკვე განეცხადებინა გადაჭრით.

გადათვალიერებულიყო ჩვენი პიესები და რაც სასარგებლო არ იყო, გამოგვილიყო რეპერტუარიდან.

ენობრივად გასწორებულიყო.

რეჟისორს ჯერ უნდა ნაეკითხა არტისტებისათვის თავით ბოლომდე პიესა, გაეცნო დედააზრი, აეხსნა თვითეულისათვის მოქმედი პირის ხასიათი და ყველასთვის მისთანა როლი დაერიგებინა, მის ნიჭს რომ შეჰფეროდა.

მოთამაშეებს ჯერ უნდა გაეზეპირებინათ თავთავისი როლი და მერეღა დაეწყოთ რეპეტიციები. ინტრიგებსა და კულისებში მითქმა-მოთქმას მორიდებოდნენ და სუფლიორთა იმედად არა ყოფილიყვნენ.

თუკი ამ გზას დაადგებოდნენ, აკაკის ეჭვიც არ ეპარებოდა:

ჩვენი თეატრი სახელს გამოიბრუნებდა და მაშინ ესენი კი აღარ შეეხვეწებოდნენ პუბლიკას: იარეთ ღვთის გულისათვისო... საქველმოქმედო საქმეაო... — არამედ თვითონ პუბლიკა ეცდებოდა მათ ხშირად ნახვასაც და სცენისათვის თვალყურის დევნებასაც.

ისე კი რაღაც უცნაურად ემსგავსებოდა ქართული თეატრის ბედი აკაკი წერეთლის პარადოქსულ ხვედრსა თუ ბედისწერას: ცოლი რომ ჰყავდა და... არა ჰყავდა, შვილი რომ ჰყავდა და... არა ჰყავდა, პენსია რომ ჰქონდა და...

და ჩვენი თეატრიც არსებობდა და... არც არსებობდა, რაკიღა უღონო ფოჭიალი თუ ხანგამოშვებითი სუნთქვა არც აკაკისა და არც თეატრის სხვა გულშემატკივარ-ჭირისუფალთა თვალში სრულფასოვან არსებობად არ მიიჩნეოდა.

თუკი ვერ მოღონიერდებოდა, თუკი დიდსა და განსაკუთრებულ ზეგავლენას ვერ მოახდენდა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზეც, არამცთუ კულტურული პროცესის მდინარებაზე, რაღა ბედენა გახლდათ, გარეგნულად თუ დასი ეთქმოდათ და დროდადრო სპექტაკლებითაც — და მათ შორის წარმატებული დადგმებითაც — შეარხევდნენ გარემომცველ სინამდვილეს, სასიცოცხლოდ რომ ესაჭიროებოდა მძლავრი თეატრი, „სამშობლოს“ დადგმის ჰეროიკულ წუთებსა და უჩვეულო სახალხო აჟიოტაჟს კვლავაც რომ გაიმეორებდა, გაიმეორებდა და დიდ იმედოვნებასაც ჩაუსახავდა რაღაც მკვეთრი, გარდამტეხი და სასიკეთო ცვლილების მომლოდინე ერს.

აკაკი თეატრალური ყოფის ყველა წვრილმანსა და მსხვილმანს იცნობდა, რაკიღა მარტოდენ მაყურებელი კი არ გახლდათ, არამედ უშუალო მონაწილეც ამ მღელვარე და

მტკივნეული პროცესისა, ქართული თეატრის დაარსება-დამკვიდრება რომ ერქვა, შიგნიდან შემცნობი ყველა ნიუანსისა, თავისი კალთითაც რომ ეტარებინა ბევრი რამ, რაც ამ ხელოვნების წიაღში ტრიალებდა... ამ ფერფლიდან მის რამდენიმეგზის აღდგენასაც ამიტომ დასდებდა იმ ამაგს, რომელსაც დაფასებით თითქმის არავინ დაუფასებდა, და ყოველთვის რჩებოდა გულნატკენი, გუნებაში პირობას რომ სდებდა, თეატრისაკენ აღარც გავიხედავო, მაგრამ არ უთმენდა ის ატკიებული გული.

პოლიტიკური თეატრის იერი დასდებოდა ჩვენში ამ ხელოვნებას და ამ სულისკვეთების შენარჩუნება იყო სწორედ სასიცოცხლო იმ ქაოტურ გარემოში, სასიკეთოს რომ არას გვიქადდა და... მითუფრო არ უნდა ჩაგვექნია ხელი, თუკი კაცნი გვერქვა, შვილნი სოფლისა...

ქართული თეატრის დაარსების ისტორიის აღდგენას რომ შეეცდებოდა, ამჯერადაც სტატია-მოგონება-ნოველას გამოჩარხავდა და ყველაზე შესაფერისად ცნობდა, წაკითხვით მაკო საფაროვას პატივსაცემად გამართულ დილაზე წაიკითხა 1912 წლის 15 იანვარს, აკაკისებური მოხდენილობით რომ დაიწყებდა, იმ სურათის წარმოსახვით, თუ როგორ ესტუმრებოდა ერთხელ გიორგი ერისთავი დიმიტრი ყიფიანს, რომელიც დივანზე გადაწოლილი წიგნს კითხულობდა და გულით იცინოდა.

სტუმარი დაინტერესდებოდა:

— რა ამბავია, მაგრე რატომ ხარხარებ?

მასპინძელი მოუბოდიშებდა, რომ კითხვას გაეტაცა და სტუმარი გვიანღა შეენიშნა, წიგნი კი აღმოჩნდებოდა რუსი მწერლის, ვინმე პისემსკის, კომედია „გაყრა“, რომელშიც საუცხოოდ ჩასახულიყო ხასიათი, ზნე და ჩვეულება რუსი მებატონეებისა. მონაწილეები, ერთმანეთისათვის მეტ-ნაკლებობა რომ არ დაეთმოთ, შალს, წამოსასხამ შალს შუაზე ჭრიდნენ!.. და სტუმარს შესთავაზებდა:

— საზოგადოდ ძალიან ხელოვნურად, მოსწრებულად და სასაცილოდ არის შეთხზული. ჩემო მგოსანო! შენც დაგვიმტკიცე, რომ ტყუილად არ ყოფილხარ ვარშავაში გაგზავნილი, პოლონეთის მწერლობას გავლენა ჰქონია შენზე და შენც ამგვარი რამ დაგვიწერე, თუ შეგიძლია, ჩვენი ცხოვრებიდან!

სტუმარი მოუსმენდა, ჩამოართმევდა წიგნს და გაუდგებოდა გზას სოფლისაკენ, და არ გაივლიდა დიდი ხანი, რომ კვლავ ქალაქში დაბრუნებული ჩამოუტანდა და აჩვენებდა დიმიტრი ყიფიანს ქართულად შეთხზულ კომედიას „გაყრა“, რომელსაც — აკაკის დაბეჯითებული რწმენით — დღესაც კიდევ საპატიო ადგილი ეჭირა რეპერტუარში.

დიმიტრი გადაიკითხავდა თუ არა ამ შესანიშნავ ნაწარმოებს, იმავე დღეს შეატყობინებდა მთავარმართებელს — მიხაილ ვორონცოვს, რომლის ხსენებისას აკაკი თავს ვერ შეიკავებდა, იქვე არ მიედევნებინა: ქართველების დიდი მოყვარული და მწყალობელიო.

ის დიმიტრის გადაათარგმნინებდა ამ პიესას რუსულად და კიდეც აღტაცდებოდა, ამ სიხარულს მეუღლესაც რომ გაუზიარებდა:

— ელიზავეტა ქსავერიევნა! აი როგორ მართლდება ჩემი შეხედულება ქართველებზე! ისინი, როგორც ძველი, განსაკუთრებული ხალხის ჩამომავალნი, მარტო სამხედრო სარბიელზე კი არ იჩენენ ნიჭს, სამოქალაქო სარბიელზედაც შეუდარებელნი არიან!.. აი ახლაც ერთ ერისთავს დაუწერია კომედია ქართული ცხოვრებიდან და მოლიერის და გრიბოედოვის სიმაღლემდე ასულა!.. მე მინდა, რომ ეს ჩემი აღტაცება მთელ ქართველობას გავუზიარო! უნდა როგორმე წარმოვადგინოთ ეს პიესა!!.

რაკიღა ჩვენი თეატრის ისტორიაზე წერდა, სტატია-მოგონება-ნოველასაც დიალოგების სტრუქტურაზე ააგებდა აკაკი და პიესის გარეგნობას შემოურევდა, დიალოგები კი — რა გასაკვირია — შესათხზველი ჰქონდა და პერსონაჟებად გარდასახული ისტორიული პირები ლაპარაკობენ იმას, რასაც პიესაში ილაპარაკებდნენ — ყველა თავთავისი ხასიათისა და ბუნების შესაფერისად, უფრო ზუსტად — აკაკის რა წარმოდგენაც ჰქონდა მათ ბუნება-ხასიათზე. და რადგანაც 1912 წელს ფიქრობდა, რომ მიხაილ ვორონცოვი ისე აღარ ეხსომებოდათ და მისი ღვაწლიც საკადრისად არ ექნებოდათ გასიგრძეგანებული, ამიტომაც მის ამ მონოლოგს დაურთავდა დითირამბულ სტრიქონებს, თითქოსდა: ვორონცოვის დროს ქართველობა თავისუფლად სუნთქავდა. ის იყო მათი სულის ჩამდგმელი!..

ეს კი სრული ჭეშმარიტება გახლდათ, რომ მისი მოჩვენებითი, ფარისევლური, მზაკვრული პოლიტიკის გამოისობით: თითქმის აღმერთებდნენ ვორონცოვს ქართველები და მისი გამოისობით მთელი რუსეთიც უყვარდათ! იმ დროს ქართველისათვის რუსი იდეალი იყო და რასაკვირველია, რომ ვორონცოვის სურვილს, რაც უნდა მძიმე ყოფილიყო, წინააღმდეგობას აბა ვინ გაუწევდა!..

და კიდევ ერთხელ გწყდება გული, რომ აკაკის — რომელიც ჩვენი უცთომელი მეგზურია საქართველოს ახალი თუ ძველი ისტორიის ლაბირინთებში — ამ შემთხვევაში გარეგნული საბურველი როგორღაც უშლიდა სინამდვილის გამოცალკევებას მოჩვენებითობისაგან, არადა თუ ვინმესაგან, აკაკისაგან გვისწავლია თუ რას ნიშნავს და როგორ უნდა განვასხვაოთ ჭეშმარიტი და ყალბი, მზაკვრული და ალალმართალი, წრფელი და ფარისევლური, სწორი და მრუდი.

იმ ვითომდა თავისუფალ სიტყვას რაც მოჰყვებოდა, რა სავალალო და ტრაგიკული შედეგი, ადვილი წარმოსადგენია, თუკი იაკობ გოგებაშვილსა და მის საარაკო ღვაწლს სკოლის გასაქართულებლად, წამიერად ამოვაგდებთ ჩვენი გონების თვალსაწიერიდან.

აბა ის არა გვყოლოდა!.. თვალის ასახვევად შემოთავაზებული წყალობანი რატომ უნდა ჩავუთვალოთ მიხაილ ვორონცოვს საქართველოსა და ქართველების სიყვარულად და მის მიღმა არ დავინახოთ იმპერიულ-დერჟავული მზაკვრული გეგმა, ცბიერი და ჭკვიანი პოლიტიკოსის მიერ კინაღამ განხორციელებული. კინაღამ იმიტომ, რომ ამ მზაკვრულ გეგმას ეროვნული მოძრაობა დაუპირისპირდებოდა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით და ამ დაპირისპირებაში ერთი უპირველესთაგანი იქნებოდა ის აკაკი წერეთელი, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე ვერ გამოერკვეოდა ვორონცოვის პიროვნების გარეგნული ხიბლისაგან.

მთავარმართებელი კი მეორე დღესვე დაიბარებდა გიორგი ერისთავს და გადასცემდა, რასაც ეპირებდა: ჩემს სასახლეს დაგითმობ, შეჰყაროთ სცენისმოყვარეები, შენ ითავე მათი მომზადება და „გაყრა“ წარმოვადგინოთ, ისე როგორც პოლონეთში გექნება ნანახიო!..

ის მოახსენებდა:

— კაცებს ადვილად ვაკისრებინებ სცენაზე გამოსვლას, მაგრამ ქალებისა კი რა მოგახსენოთ!.. ქართველი ქალი საზოგადოდ მორცხვია და სცენა ეთაკილება!..

— ეგ არაფერი, — მიუგებდა მთავარმართებელი, — განათლებულ ევროპის ქვეყნებშიც ეგრე ყოფილა, მაგრამ დღეს უპირველესი გვარიშვილები გამოდიან სცენაზე და ემსახურებიან ხელოვნებას... აქაც მე ვთხოვ კნეინა ქეთევან ორბელიანისას, გადავცემ ჩემს განზრახვას მანანა ორბელიანისას და ისინი ითავებენ!..

მართლაც შედგებოდა გუნდი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდნენ თვით ავტორი გიორგი ერისთავი სომხის როლში, დიმიტრი ყიფიანი , მიხეილ ჭილაშვილი, ილიკო ორბელიანი, შანშიაშვილი, ქეთევან ორბელიანი, ტასო ორბელიანი და სხვანი და: კიდეც წარმოადგენდნენ პირველად „გაყრას“ სასახლეში...

და აკაკის აღარ უკვირდა, წარმოდგენა მშვენივრად რომ ჩაივლიდა, მითუფრო, რომ ეს სანახაობა აღმოჩნდებოდა საქართველოში პირველი და აღტაცებას მოჰგვრიდა არამარტო მაყურებელს, არამედ ელვისსისწრაფით მოეფინებოდა ამბავი მთელს დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს, ყველგან და დიდხანს სულ ამ უცხო რამეზე რომ ილაპარაკებდნენ ოჯახებში და ადვილი მისახვედრია, ამას რა დიდი გავლენა ექნებოდა!..

აკაკი მაშინ თორმეტი წლისა გახლდათ, ცხადია თეატრი არსად ენახა, მაგრამ ნაამბობი ისე გამსჭვალავდა, რომ ისიც ვითომ კომედიას დაწერდა — „მოურავი“, სადაც თავისი ოჯახის შინაურ ამბავს გამოჰფენდა კითხვა-მოგების ფორმით.

მთავარი ძარღვი იმ ყმაწვილური მცდელობისა ის იქნებოდა, თუ როგორ აწვალებდა მათი მოურავი ხალხს, მერე ბატონს აბეზღებდა, ბატონიც მოთმინებიდან გამოდიოდა, ჯავრობდა და ამისთანები.

ეს ბავშვური სცენები სასახლეში ყველას მოეწონებოდა, გარდა... ცხადია მოურავისა, რომელიც ძალიან გაგულისდებოდა, მაგრამ ჯავრს აბა როგორ იყრიდა ავტორზე, ეგაა იბუზღუნებდა და იბუზღუნებდა:

— ჩემი დაცინება არაფერია, მაგრამ ვნახავ, თუ ამ ყმაწვილმა მთელი ქვეყანა არ გადიმტეროს, და ნუ აქეზებთ.

ეს მისი სურვილი იყო თუ... წინასწარვე გრძნობდა, აკაკი თავისი მწარე და კვიმატი ენით უამრავ ადამიანს რომ გაანაწყენებდა?!.

ასე კი მოხდებოდა და...

ნეტა მოურავი თუ მოესწრებოდა ამ დროს და ამოვიდოდა თუ არა აკაკის ოხტში?

გაგულისებული კაცი სიმართლეს კი ამოთქვამდა, თუნდ თავისდაუნებურად.

ნუ აქეზებთო...

სულ იმას დაუჯერებდნენ, წააქეზებდნენ და შეაგულიანებდნენ რომელია, თუმც აკაკის ანეკდოტი ვისი წაქეზება-შეგულიანება ესაჭიროებოდა, ენამწარობას მოიშლიდა, ხუმრობა-ირონიას აიკრძალავდა თუ რა?!.

და თუ რაიმესი არ შეეშინდებოდა, იმ ადამიანების გადაკიდებისა, მისი მახვილი და დაუნდობელი ენის ქარცეცხლში რომ აღმოჩნდებოდნენ. ის კი არა, მისთვის ძვირფას და პატივსაცემ პიროვნებებსაც არ მოერიდებოდა, თუკი კალამბურსა თუ მოხდენილ გახუმრებას გამოიწვევდნენ — უნებლიეთ საკბილოს ჩაუგდებდნენ ხელთ.

ვნახავ, ამ ყმაწვილმა მთელი ქვეყანა თუ არ გადიმტეროსო...

ყმაწვილობისასაც არ ინაღვლებდა მისი დამცინავი ენისაგან მოსალოდნელ ამ არცთუ სასიამოვნო შედეგს და... მერე და მერე სულ გაილაღებდა და აინუნშიც არ ჩააგდებდა.

აკაკის ამ პირველ ნაწარმოებს დედა შეინახავდა და ვაჟი რუსეთიდან რომ დაბრუნდებოდა, უჩვენებდა. და აკაკი მოგვიანებით ინანებდა და თავის იმ საქციელს სიბრიყვესაც კი უწოდებდა, მაგრამ მაშინ იუკადრისებდა, გამოართმევდა იმ ფურცლებს დედას, დახევდა და ცეცხლში ჩაყრიდა. დედას კი ძალიან ეწყინებოდა და უსაყვედურებდა კიდეც. აკაკი გაიცნობიერებდა, რაც ჩაედინა, ყოველ შემთხვევაში დედის უნებლიე წყენინება ძალიან შეაწუხებდა, მაგრამ ჩაფერფლილ ფურცლებს როგორღა გაამრთელებდა?!.

ანა წერეთელი როგორ გაიხსენებდა ამ ეპიზოდს, აკაკის ყმაწვილური დებიუტისა დრამატურგიის ჟანრში?

როგორ და:

ქართლიდან სტუმრები გვეწვივნენ. ისინი მიხაილ ვორონცოვის სახლში დასწრებოდნენ გლუხარიჩის კომედიას „გაყრა“ და თითო კაკლად გადმოგვცეს, რაც ენახათ და გაეგონათ. ათი წლის აკაკი ამ მუსაიფს სულგანაბული უგდებდა ყურს და მეორე თუ მესამე დღეს თვითონაც დაწერა ბატონყმობაზეო.

ნახვით არ ენახა ის სპექტაკლი, მაგრამ სტუმრების საუბარი ისე აღანთებდა, სავსებით საკმარისი აღმოჩნდებოდა მისი ფსიქიკისა და მხატვრული წარმოსახვის გასაღიზიანებლად.

თავისი სულიერი ინტერესის შესაფერისად ცნობდა ნაამბობსა და თუნდ ასეთ შორეულ შთაბეჭდილებას „გაყრაზე“ და იმავე ჟანრის თხზულებას შეებმოდა, დიალოგებზე აგებულს, თუმც იმხანად — რა გასაკვირია —მხატვრული ჟანრები ერთიმეორისაგან ვერც გაერჩია.

ასე შორეულად შეეყრებოდა თეატრის ბაცილაც და დრამატურგობის ჟინიც, მთელი ცხოვრება რომ ვერ მოეშვებოდა, და რაღაც განსაკუთრებულ ნარმატებას თუ ვერ მიაღწევდა ამ ჟანრში, რაც უნდა ყოფილიყო, დიდ ამაგს კი დასდებდა ქართული თეატრის აღორძინება-წინსვლას, მის ორიგინალურ პიესებს შეშველებით რომ შეეშველებოდა: თარგმნილი თუ გადმოკეთებული დრამატული თხზულებანიც, რეჟისორობაც, ხანმოკლე დროით არტისტობაც, თეატრის ხელმძღვანელობაც და დრამატული საზოგადოების კომიტეტში მოღვაწეობაც.

და მის ამ გზას გაანათებდა გიორგი ერისთავისაგან მოფენილი იდუმალი შარავანდი.

თავისდაუნებურად ის უბიძგებდა ყმაწვილს სამწერლო ასპარეზისაკენ.

ალექსანდრე ორბელიანი აკი ნიკო ნიკოლაძეს შთააგონებდა, აღანთებდა და ლიტერატურული სარბიელისაკენ გაისტუმრებდა, და ისიც თავისდაუნებურად: რას წარმოიდგენდა, მისი ერთი სტატია ასეთ გამოძახილს თუ ჰპოვებდა და ასეთ ცეცხლს დაანთებდა ახალგაზრდა კაცის გულში.

ნიკო ნიკოლაძე ისე ახლოს არასოდეს იქნებოდა ალექსანდრე ორბელიანთან, როგორც აკაკი, მაგრამ მისი ლიტერტაურული მოძღვარი სწორედ ის აღმოჩნდებოდა, ისევე როგორც აკაკისათვის გიორგი ერისთავს უნდა მიეტანა 32-ის სუნთქვა, ფარულ საზოგადოებაში დატრიალებული განწყობილებებისა და სულისკვეთების, ყმაწვილი ჯერ რომ ვერც გააცნობიერებდა თუ რას ზიარებოდა.

სამაგიეროდ ძალიან მალე კიდეც გააცნობიერებდა იმ სუნთქვას, კიდეც შეიწოვდა და შეითვისებდა და კიდეც ერთ უპირველეს გამგრძელებლად მოევლინებოდა იმ თითქოსდა მივიწყებულ და დაკარგულ წლებს ჩვენი ტრაგიკული ისტორიისა.

ამ ყველაფრის მნახველი ვორონცოვი მოინდომებდა უმეტესსაც.

და მის ფიქრებს აკაკი ასე გაახმოვანებდა: მაკვირვებს დღეს ამ რიცხვმცირე ხალხის, მაგრამ ოდესმე ძლიერის, ერთი უძველეს ერთაგანის, ამ ქართველების ცხოვრება!.. იმთავითვე მოპოვებული ქრისტიანობის წყალობით მან შეიმოსა კულტუროსნობა და ჩაიდინა ის ისტორიული საკვირველება, რომელსაც მართლმადიდებლობა ვერასოდეს დაივიწყებს: გაძლიერებულმა მაჰმადიანობამ განსაცდელში რომ ჩააგდო მსოფლიო ქრისტიანობა, ეს პატარა საქრისტიანო სამეფო აზიაში კი გაუმკლავდა, მოიგერია და თავისი ეროვნება, გამშვენიერებული დედა-ენა და შეუბღალავი სარწმუნოება XIX საუკუნის კარამდე მოიტანა და გადასცა საპატრონოდ შორეულ საქრისტიანოს, რათა ცოტა შეესვენა, გამოშუშებულიყო დიდი სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ და მერე მასთან ერთად მეტი ძლიერებით განეგრძო თავისი დანიშნულება და თავისი გეგმა!!. გააღო დარიალის ხეობა, მოგვიწვია მეგობრულად, დაგვიხვდა მოყვრულად და ჩაგვიდო თავი კალთაში სრულიად მონდობილმა. ჩვენ კი როგორ გავუმართლეთ მოლოდინი? შემცდარნი იყვნენ ჩემი წინამოადგილენი, რომ ალმაცერად შეხედეს!.. ცოდვაა ამისთანა ხალხის სიკვდილი!.. შეცდომაა მათი გაქრობა!! ხალხი ამაყი წარსულით წელგამაგრებულია აწმყოში და სწორად წარმოიდგენს მომავალს. მე დავუმონებ სიმართლით სულითა და გულით და არა მარტო ენით, ქართველობას რუსეთს — პოლიტიკურად გარუსებულს, მაგრამ თავისი სარწმუნოებით, ენითა და ეროვნული ელფერით. ეს იქნება უკეთესი თვალი ჩასმული რუსეთის გვირგვინში.

და მოიხმობდა დიმიტრი ყიფიანს, რომელსაც აფასებდა და ხშირადაც ესაუბრებოდა ქართველების შესახებ და გადასცემდა თავის განზრახვას:

— დიმიტრი ივანიჩ, გახსოვს ერთხელ შენ რომ რუსთაველის სიტყვები გადმომითარგმნე: სიმართლის ჩადენა გამხმარსაც გაანედლებსო?! მე მინდა, რომ დღეს შემკრთალი და მიძინებული ქართველობა გამოვაღვიძო!

— სწორედ მაგას მოელოდა ისიც, როცა თქვენ მოგმართა, — მიუგებდა თანამოსაუბრე.

და აკაკი მიხაილ ვორონცოვს კვლავაც ისე აალაპარაკებდა, თვითონ როგორც წარმოედგინა — გაიდეალებული პიროვნება თუ რა აზრებს გამოთქვამდა, და ამიტომაცაა, რომ ამ სტატია-მოგონება-ნოველის პერსონაჟი მთავარმართებელი არამარტო სიყვარულს გვიმტკიცებს, არამედ იმასაც აცხადებს: ქართველების მწერლობა მაშინ ყოფილა ყვავილოვან მდგომარეობაში, როცა ჩვენ, სლოვიანები, ხსენებაშიც არ ვყოფილვართ. ქართველებს კი ჰქონდათ თავისი მდიდარი ენა, საკუთარი ეროვნული ცხოვრება, რჯულისდება, სარწმუნოება და სხვანიო.

და აღთქმით აღგვითქვამს: მე სურს, რომ ეს ბედნიერი წარსული აღვუდგინო და მომავლისათვის აწმყოში წავიყვანო ისინი საევროპულო სწორი გზით... დროის შესაფერისად მივცე სწავლა-განათლება და სხვათა შორის დავუარსო ჟურნალ-გაზეთები და სცენა... იყოს ჩემი სურვილი და მეცადინეობა! თქვენი ნიჭი და შრომა! დარწმუნებული ვარ, რომ თქვენც დამეხმარებით, ვისაც გაქვთ თვალისჩინი, რომელშიაც გრძნობა-გონება გამოიხატებაო!..

დაიბარებდნენ გიორგი ერისთავს და მთავარმართებელი გადასცემდა ბრძანებას:

— მე გნიშნავ შენ ჩემი განსაკუთრებული მინდობილობის ჩინოვნიკად მისი ჯამაგირით, რომ უზრუნველგყო და სამსახური კი სულ სხვა გექნება: უნდა გამოიცეს ჟურნალი და შენ იკისრო მისი რედაქტორობა. სტამბა მუქთი გექნებათ, სახელმწიფო სტამბა... აგრეთვე უნდა შედგეს მუდმივი თეატრი და შენთვისვე მომინდვია დასის შედგენა და მისი გაძღოლა.

თქმა და აღსრულება ერთი იქნებოდა. გიორგი ერისთავი მორჩილად მადლობას მოახსენებდა და შეუდგებოდა საქმეს. ჩავიდოდა გორის მაზრაში, შეაგროვებდა მოთამაშეებს, შეადგენდა სრულ დასს, ჩამოვიდოდა ტფილისში და დააარსებდა თეატრს. მოთამაშეთა ნიჭი იჩენდა თავს და გამოიწვევდა დრამატულ მწერლობას, მწერალთა შორის კი გამოერეოდა იმისთანა შესანიშნავი დრამატურგიც, როგორიც იყო ზურაბ ანტონოვი!.. სცენა დღითიდღე წარმატებას მიაღწევდა და საეჭვო აღარა იქნებოდა რა. მიხაილ ვორონცოვი არათუ ქართულ წარმოდგენებს, რეპეტიციებსაც კი დაესწრებოდა, ამას გარდა ბევრჯერ ამოიღებდა უბიდან ოქროს საათს და აჩუქებდა ამა თუ იმ მსახიობს!..

ყველაფერი უქადდა ქართულ სცენას წარმატებას, მაგრამ... უეცრად ბედი უმტყუნებდა.

ამის უმთავრესად მიზეზად აკაკი მიიჩნევდა, რომ: მიხაილ ვორონცოვი მოშორდებოდა საქართველოს და თან გაჰყვებოდა მისი მმართველობის გეგმაც.

მის შემცვლელად რომ მურავიოვი დაინიშნებოდა?

იმას სულ სხვა შეხედულება აღმოაჩნდებოდა და ყველაფერს, რაც კი ქართველობის სასარგებლოდ დაწყებულიყო, ალმაცერად შეხედავდა. და წიხლსა ჰკრავდა ქართულ თეატრსაც: ჩამოართმევდა უსასყიდლო შენობას, მოუსპობდა სუბსიდიას და ულუკმაპუროდ დატოვებდა ყველას.

გიორგი ერისთავი ტფილისიდან სოფელშივე წავიდოდა.

მაშინ ახალგაზრდა ივანე კერესელიძე იკისრებდა მათ მეთაურობას და იქირავებდა შუაბაზარში ქარვასლას, გაამზადებდა სცენას და შეუდგებოდა წარმოდგენებს. დაბალი წოდების ღარიბი ხალხი ბევრს ვერას მოუტანდა თეატრს და მაღალი წოდება რომ დაინახავდა, მთავრობა აღარ წყალობსო, თეატრს აღარც შეხედავდა და ივანე კერესელიძის მცდელობა ერთ სეზონსაც ვეღარ გასტანდა!.. უკიდურესობაში ჩაცვენილი მსახიობები გაიფანტებოდნენ: კარძაია გადაიკარგებოდა სცენისათვის, ელიოზიშვილი სიღარიბეში დალევდა სულს, დვანაძე ციმბირში გაიგზავნებოდა, შესანიშნავ დრამატურგს ზურაბ ანტონოვს, მებამბის შვილს, ორმოში ჩააგდებდნენ და როცა იქიდან მტირალი ამოზუოდა, ხმას დაუგდებდნენ: ცოფიანმა ძაღლმა დაკბინა და გაბრაზიანდაო!.. მოკვდებოდა ორმოში. უკეთესი ბედი მაინცდამაინც არც ქალებს ეწვეოდათ, გარდა ერთისა, რომელსაც ივანე კერესელიძე შეირთავდა ცოლად.

ამ დღიდან მოისპობოდა ტფილისში ქართული თეატრი და ქართველებსაც გულიდან გადაუვარდებოდა ეს დიდებული, სასიცოცხლო წარმოდგენა. და მის ადგილს დაიჭერდა რუსული წარმოდგენები.

60-იანი წლების დამდეგს აკაკი რუსეთიდან დროებით რომ ჩამოვიდოდა ქუთაისში და იქ დაიწყებდა ცხოვრებას, არაფერი გასართობი იმ დროს ამ ქალაქში არა იქნებოდა რა. დიდი მოწყენილობა სუფევდა. და აი გიმნაზიის მასწავლებელი მოსიძე მივიდოდა აკაკისთან და ეტყოდა:

— მოდი ერთი ვსინჯოთ და „მზის დაბნელება საქართველოში“ წარმოვადგინოთ როგორმე! და თუ ქალები არ გამოვლენ სცენაზე, ახალგაზრდა ვაჟები გამოვიყვანოთ მათ მაგიერ!..

ზურაბ ანტონოვს კი მოჰკლავდნენ, მაგრამ მის ხსოვნასა და მის პიესას — ვეღარ!..

აკაკის ისედაც რომ უღვიოდა გულში ეს სურვილი, მაგრამ შესაფერისი სახსარი ვერ მოეძებნა და ამიტომაც თავსაც ვერ აბამდა, ახლა შეიძლებოდა რეალური ნაბიჯის გადადგმა, და კიდეც გადასცემდა ამ განზრახვას ახალგაზრდა აბაშიძის ასულს, შემდგომ ნინო ორბელიანისა რომ შეიქნებოდა, და აკაკის მამიდად ერგებოდა. ის იკისრებდა სცენაზე გამოსვლას. დაიყოლიებდა მის მეგობარ ქალს კეკელა აგიაშვილს და კიდეც შეუდგებოდნენ საქმეს.

ეს პირველად მოხდებოდა იმერეთში ქართველ ქალთა გამოსვლა სცენაზე და ისიც ოჯახიშვილებისა.

მანამდე კი, სპექტაკლის მზადებისას, ხან ერთისას მოიყრიდნენ თავს და ხანაც მეორისას და დროს გაატარებდნენ ქართულად: ლხინითა და მხიარულებით. წარმოდგენამდე რამდენიმე დღით ადრე რეპეტიცია პარასკევს მოუწევდათ და მასპინძელი ვახშმად სულ სამარხვოს მიუტანდათ. და ნავახშმევს... ყველა ავად შეიქნებოდა. ხოლერა ეგონებოდათ და შეშინდებოდნენ. თურმე მზარეულს ფლავისათვის ნიგვზის ზეთის მაგიერ სასაქმებელი

ზეთი ექნა. ეს გარემოება რამდენიმე დღით კიდევ გადაადებინებდათ წარმოდგენას. ბოლოს როგორც იქნა გაიმართებოდა სპექტაკლი. მართალია ძველი კაცები ჯავრობდნენ: ჯამბაზობა და მაიმუნობა რა საკადრისია, — მაგრამ უმეტესობა კმაყოფილი დარჩებოდა.

წარმოდგენები კარგად ჩაივლიდა და ცუდიც რომ ყოფილიყო, ხალხს უჩვეულო მაინც კარგად მოეჩვენებოდა. და ისე მოხდებოდა, რომ იმ ზამთარს სამჯერ გაამეორებინებდნენ.

გაზაფხულზე აკაკი წავიდოდა ისევ რუსეთს და რამდენიმე წელიწადს იქ დარჩებოდა. ხოლო მეორედ რომ დაბრუნდებოდა, იმ დროს ქუთაისში მომრიგებელ მოსამართლედ იქნებოდა რაფიელ ერისთავი და მისი მეცადინეობით შედგებოდა სცენისმოყვარეთა წრე. მუდმივი მოთამაშენი ქალთაგან იქნებოდნენ ეფროსინე კლდიაშვილი და ყიფიანის ქალი. კაცთაგან — აკაკი და ზაქარია ჭეიშვილი, სხვები, ხან ვინ და ხანაც ვინ, ეხმარებოდნენ. რეპეტიციები ხან რაფიელ ერისთავის სახლში გაიმართებოდა და ხანაც ეფროსინე კლდიაშვილისა. თვითონ რაფიელი ისუფლიორებდა, დაწერდა პიესებს და ორ-სამჯერ ითამაშებდა კიდეც.

ეს თავისთავად არ მოხდებოდა და უშუალო საბაბი — რა გასაკვირია — აკაკი და მისი დეკლამატორული გამოსვლა რომ აღმოჩნდებოდა.

ქუთაისში ქალთა უფასო სკოლა რომ გაიხსნებოდა, მოინდომებდნენ, რითაც კი შეიძლებოდა: შემოწირულობით, ქველმოქმედებით თუ სხვებრ — როგორმე ამ სკოლისათვის მოეგროვებინათ რაიმე და ამ მიზნით ერთხელაც სალიტერატურო საღამოს გამართავდნენ, რაც იმხანად ჩვენში არ გაგონილიყო: ბილეთებს მიაჩეჩებდნენ საზოგადოებას და ზალაც გაივსებოდა... მკითხველები გიმნაზიის მასწავლებლები იქნებოდნენ და წაიკითხავდნენ თავთავისი საგნებიდან: ვინ ისტორიიდან, ვინ ზოოლოგიიდან, ვინ ბოტანიკიდან და ამგვარად... და მაყურებლებსა და მსმენელებს ძილი შემოეპარებოდათ.

ბოლო გამოვიდოდა სცენაზე აკაკიც.

„სცენები საპყრობილეში" ახალი დაწერილი ექნებოდა და დაიწყებდა მის წაკითხვას ზეპირად სხვადასხვა ხმით — იმსახიობებდა და ეგ არის.

ის კითხვა დიდი არა იყო რაო, — თავმდაბლურად გაიხსენებდა მოგვიანებით, მაგრამ დამსწრე საზოგადოებას ერთბაშად რომ გამოაფხიზლებდა, მოეწონებოდათ და სიცილ-ხარხარსაც ასტეხდნენ, ეს ის რეალობა გახლდათ, მნიშვნელოვანი როლი რომ უნდა შეესრულებინა ჯერ ქუთაისის და მერე ტფილისის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში ჩაფერფლილი თეატრის აღორძინებით.

მოწონება მაყურებლისა ისეთი აღმტაცი იქნებოდა, რომ: გამეორებას მოითხოვდნენ — ბისზე გამოძახებაც არ ასცდებოდა.

თავიდან, როდესაც განახლებული თეატრის საფუძვლები ის-ისაა იქმნებოდა და მოთამაშენი ძვირად მოიპოვებოდნენ, ეფროსინე კლდიაშვილთან ერთად აკაკისაც მოუწევდა მსახიობობა რაფიელ ერისთავის ერთ სამმოქმედებიან პიესაში, რომელიც რვეულებად იყო დაწერილი და... ისე მოხდებოდა, რომ მეორე მოქმედება რაფიელს შინ დარჩებოდა და აბა რაღას ისუფლიორებდა. ხოლო ამ კაზუსს მაშინ შეიტყობდნენ ეს ორნი, როდესაც უკვე გამოსულნი იქნებოდნენ სცენაზე.

რადგანაც დედააზრი პიესისა აკაკის შეგნებული ექნებოდა... დაიწყებდა თავისი სიტყვებით ლაპარაკს, ეფროც არ დაიბნეოდა და ისიც თავისი სიტყვებით მისცემდა შესაფერის პასუხს. და მაყურებელი არათუ ვერ გაიგებდა, იმპროვიზაციის შემსწრენი რომ აღმოჩნდებოდნენ, კიდეც დიდად მოუწონებდნენ.

ნეტა მაშინ ჩაწერა შესაძლებელი ყოფილიყო — მშვენიერი იმპროვიზებული დიალოგი ხომ აღარ დაგვეკარგებოდა.

წარმოდგენები გაიმართებოდა ხანგამოშვებით, მაგრამ უსუსტარად. ხალხი დიდძალი ივლიდა. თეატრი გადაივსებოდა ხოლმე. ამას რომ ნახავდა გრაფინია ლევაშოვისა, მეუღლე ქუთაისის გუბერნატორისა, დაიბარებდათ და ეტყოდათ:

— მე გაგიმართავთ სცენას სახელმწიფო სახლში (აკაკი ჩაურთავდა: დღეს რომ სასამართლოებია რიონის პირადო). თქვენ ყოველ კვირა-უქმეს წარმოადგინეთ ხოლმე და შემოსავალი უფასო ქალთა სკოლის სასარგებლო იყოს.

ესენი დათანხმდებოდნენ და მთელი სეზონი გასტანდა წარმოდგენები და ხალხიც სიამოვნებით ივლიდა თეატრში.

ამ დროს ტფილისში ხსენებაც აღარ იქნებოდა თეატრისა.

მხოლოდ ერთხელ დაიბარებდნენ დედაქალაქში, რათა ქუთათურებს ეჩვენებინათ მიეწყებული მათგან თეატრი. ესენიც ჩამოვიდოდნენ — ეს ის დროა, რკინიგზა რომ ჯერ არ გაეყვანათ — და სცენისმოყვარეთ დახმარებით წარმოადგენდნენ „ყვარყვარე ათაბაგს“. ყვარყვარე ათაბაგის ცოლს, მენახშირე ქალის როლს შეასრულებდა შესანიშნავი მსახიობი ეფროსინე კლდიაშვილი და ისე ჩაითრევდა მაყურებელს, რომ ზოგიერთ ქალს ლოჟაში ისტერიკა დაემართებოდა. მაშინ იყო, რომ ყაფლან ორბელიანი, პირველ წრეში მჯდომი და ბატონკაცურად მუხლზეფეხშემოდებული, დაიყვირებდა:

— დაანებეთ თავი მაგ წარმოდგენას, თორემ ქალები დაგვეხოცებიან!..

მიხაილ ვორონცოვის შემდგომ ეს იქნებოდა პირველი წარმოდგენა ტფილისში.

მეორე წელიწადს რომ ენვეოდა დედაქალაქს, ახალგაზრდები, რომელთა რიცხვშიც გახლდათ ნიკო ავალიშვილი, მიაკითხავდნენ აკაკის და სთხოვდნენ, რომ წარმოდგენა რამ ქართულად მოეხერხებინათ. სცენა რომ არსად მოიპოვებოდა, არჩილ მუხრანბატონის ქვრივი დაუთმობდათ დიდ ზალას და ესენიც აქ სახელდახელოდ შეხანხლავდნენ სცენას: შეუდგებოდნენ საქმეს — ფიცრებს სატივეზე იყიდდნენ სცენისათვის და მოტანით რომ ძვირი არ დაჯდომოდათ, ახალგაზრდობა მოზიდავდა ღამე ზურგით. და ასეთი ტანჯვითა და ვაივაგლახით წარმოადგენდნენ აკაკის პიესას „ძველსა და ახალს შუა“. ქართველი ქალი რომ ვერავინ გამოვიდოდა სცენაზე, მაშინ სომხის ქალს ნინო ნაზაროვისას, მერე იზმიროვის მეუღლე რომ შეიქნებოდა, გამოიყვანდნენ, როგორც იქნებოდა, ას მანეთად.

წარმოდგენა რასაკვირველია აღიტაცებდა მაყურებელს და — თუმც შემოსავალი მაინც ვერ დაფარავდა ხარჯს და გაგრძელებას ვეღარ შეძლებდნენ — ეს დადგმა მაინც წაახალისებდა ახალგაზრდობას, რომელიც ერთი ნლის თავზე შეადგენდა წრეს ნიკო ავალიშვილის თაოსნობით და „ნემეცების კლუბში“ დროდადრო გამართავდნენ წარმოდგენას. ნიკო გამოიყვანდა სცენაზე თავის ცოლს, დებსა და ახლობლებს.

ეს მცდელობა ცოდვილობას უფრო ჰგავდა და მაშინდელი სცენაც შემდგომდროინდელთან შედარებით აჩრდილად თუ გამოიყურებოდა?

მაგრამ ეს ხომ პირველი ნაბიჯები გახლდათ და გამოიწვევდა სცენისმოყვარეთა წრეს, როდესაც მაკო საფაროვაც მათში გამოერეოდა.

მარჯანიშვილის ქვრივი ლიზა და მისი და კატო აბელაშვილისა მეუღლით ჩამოვიდოდნენ საზამთროდ ტფილისში და მათ ჩამოჰყვებოდათ ახალგაზრდა დისწული მაკო საფაროვა. ერთხელ სადილად რომ მიიპატიჟებდნენ აკაკის, ჩვენებური ლხინი გაიმართებოდა, დიდი მოლხენა და ამ მოლხენის მიზეზი ცქრიალა ყმაწვილქალი აღმოჩნდებოდა: შემოსძახებდა სხვადასხვა კახურ სიმღერას, შეადგენდა ათასგვარ სცენას და იოხუნჯებდა. ნასადილევს აკაკი მიუახლოვდებოდა და შესთავაზებდა:

— სცენაზე არ გამოხვალ?

ის გაკვირვებით მიაჩერდებოდა:

— სცენა რა არის?

და ესეც აუხსნიდა, თუმც ის მთლად კარგად ვერ გაერკვეოდა:

— კი მაგრამ... რისთვის და ვისთვის?

და აკაკის პასუხს რომ მოისმენდა, აღელდებოდა:

— როგორ თუ ჯამაგირი მექნება?! განა მაგისთვის მე ფულს მომცემენ? ნეტავი მართლა ჩემი შრომით თვეში თხუთმეტი მანეთი ვიშოვო, რომ იმით ძმები გამოვზარდო! მაგრამ დეიდები არ მომცემენ ნებას!..

აკაკი მის დეიდებთანაც მოილაპარაკებდა და ბევრი ჩიჩინის შემდეგ დაიყაბულებდა, მაგრამ ამას კი ეტყოდნენ:

— მაკოს პასუხებიდან თქვენც მიხვდებოდით, რომ ცხოვრების არა გაეგება რა, და თეატრში შესვლის ნებას თუ მივცემთ, იმ პირობით, რომ მისი ძიძა-გამდელი არ მოვაშოროთ.

ამ თხოვნას აკაკი გადასცემდა ნიკო ავალიშვილს და მეორე დღესვე გასწევდა ქუთაისში. ერთი თვის შემდეგ რომ ჩამობრუნდებოდა, ნახავდა, რომ მაკო მართლა გამოეყვანათ სცენაზე და მის თამაშს აღეფრთოვანებინა საზოგადოება. დიდხანს სულ ამაზე იქნებოდა ლაპარაკი. მისი მეორე და მესამე გამოსვლა კიდევ უკეთესი აღმოჩნდებოდა. რაფიელ ერისთავი თავის შესანიშნავ ვოდევილს „ბიძიასთან გამოხუმრება“ ქართულად რომ გადმოაკეთებდა, ამ ყმაწვილქალის გულისათვის, რომელზეც ამასაც ამბობდა ხოლმე: მისი ძვლებიც ლაპარაკობენო.

ეს აღტაცება კი გამოიწვევდა სურვილს, რომ მუდმივი სცენა გამართულიყო. დაიქირავებდნენ საზოგადო თეატრს და კვირაში ერთხელ მთელს სეზონს გასტანდნენ.

შთამაგონებელი ამ ენერგიული მოქმედებისა სწორედ მაკო საფაროვა და მისი არტისტული ხელოვნება აღმოჩნდებოდა.

ყველაზე უფრო ამ ხელოვნებით გატაცებული დავით ერისთავი უნდა ყოფილიყო, ვაჟი გიორგი ერისთავისა და ყოველგვარი სიახლით ანთებული და მისი ხელშემწყობი თუ თაოსანი, და რაღა გასაკვირია, თუ გადაწყვეტდა, რომ მამისათვის მიებაძა და მასაც შეედგინა სათეატრო წრე. და კიდეც შეუდგებოდა საქმეს — ჩამოიყვანდა გორიდან მეორე ნიჭიერ ქალს ნატო გაბუნიას, შემოიშველებდა კორინთელის ქალსაც, და გააჩაღებდა საქმეს. და ეს პროცესი იმიტომაც წარიმართებოდა მარჯვედ და ბუნებრივად, რომ:

ამ სეზონშივე გამოუჩნდებოდნენ თეატრს და გვერდში ამოუდგებოდნენ ახალგაზრდა მსახიობ ქალს სცენის იმისთანა დეევგმირები, როგორნიც იქნებოდნენ: გაბუნიას ქალთან ერთად — კოტე ყიფიანი და ვასილ აბაშიძე!.. მაკო საფაროვა მალე შეიქნებოდა თეატრის დედაბოძად და საზოგადოებაც თვალყურს მიადევნებდა!.. იმ სეზონშივე გაუმართავდნენ ბენეფისს და ეს გამოიწვევდა იმ ინციდენტს, რომელიც ნიშანდობლივი გახლდათ იმჟამინდელი სოფლელი ქართველობისათვის: საფაროვის ქალს, რომლის იდეალიც თვეში 15 მანეთი იყო, ბენეფისზე საჩუქრად შემოუვიდოდა... 500 მანეთი. ახალგაზრდა ქალი ფულს გაუგზავნიდა მამას და მისწერდა:

— მამაჩემო, აი რა ბედში ჩავვარდი, ერთ ღამეს 500 მანეთი ავიღე!..

აღშფოთებული მამისაგან კი ასეთი პასუხი მიუვიდოდა:

— შვილო, ხომ არ გადარეულხარ? რა ხელობაა ეგ ხელობა, რომ ღამეში 500 მანეთს გაძლევენ და დღე კი არაფერს? მე შენ გირჩევ, მიატოვო ეგ ხელობა, მანდაურობა და ახლავე კახეთშივე დაბრუნდე ჩემს ღარიბ ოჯახში!..

და ამ მიმოწერას აკაკი დასძენდა: აი ნიმუში თუ როგორ ესმოდათ საზოგადოდ თეატრი და რამდენი უსაბრთლობა ეღობებოდა წინ თეატრსო!..

და რარიგ ეამაყებოდა აკაკის, რომ ყოველივესათვის გაეძლო მოთამაშეს და შესვლისთანავე თავი შეეწირა ქართული სცენისათვის!.. დღითიდღე მეტ წარმატებას მიაღწევდა მსახიობი ქალი, აღაფრთოვანებდა თავისი შეგნებული თამაშით საზოგადოებას და საზოგადოებაც თანაგრძნობით გაახარებდა ახალგაზრდა მსახიობს.

ქართული სცენის სეზონი მხიარულად ჩაივლიდა!..

* * *

— ქუთაისს ისევ დაუბრუნდა მისი აკაკი, — ამას 1881 წელს „დროებას“ შეატყობინებდა მისი კორესპონდენტი, რომელიც ვერას იტყოდა, ხანგრძლივი იქნებოდა თუ არა პოეტის აქ ყოფნა, მაგრამ სიხარულით როგორ არ ეუწყებინა მკითხველისათვის, რომ მგოსანი ამჯერად ამ საშვილიშვილო საქმეს — თეატრს ჩადგომოდა სათავეში.

— სახუმროდ არ მოჰკიდა ხელი და კიდეც მკვიდრ ნიადაგზე დააყენებს, ამას ყველა ჰხედავს და ყველა შეჰხარის „ბაგრატ დიდის“ ავტორს...

ქუთაისს დაუბრუნდა მისი აკაკიო...

რა უნდა იყოს უფრო აღმატებული ეპითეტი, უფრო მხურვალე განსაზღვრება, ვიდრე ამ კონტექსტში ეს „მისია“!..

სწორედ მისი აკაკი.

ქუთაისისაც და მთელი საქართველოსიც — ცხადია:

ყველა ქალაქისა და სოფლისათვის, ყველა ოჯახისათვის — მ ი ს ი...

და ისე როგორ გაჩერდებოდა, ეს ჩამოსვლაც რაღაცით არ აღებეჭდა იმ გარემოში.

ეს „რაღაც" — თვითონ იუმორითა და იმერულად „რაცხას" რომ უწოდებდა — ამჯერად დრამატული დასის გაძღოლა უნდა ყოფილიყო.

ყველა ხედავდა და ყველა შეჰხაროდა: მკვიდრ ნიადაგზე დააყენებსო.

და ორ კვირაში კიდეც ორ წარმოდგენას უჩვენებდა ქუთათურებს.

* * *

ჩვენი ხასიათის ერთ თვისებას კი აკაკი ამ ვითარებაზე დაკვირვებითაც ასე წარმოაჩენდა: ქართველი, ისტორიულად მებრძოლი ხალხი, ხელდახელ პირდაპირობას არის ჩვეული და პირველი ბიჯი, სახვალიო, სამერმისო საქმეზე ფიქრი კი ეჩოთირებაო!..

და ამ ზოგადი თვისებიდან შეხედავდა, გაიაზრებდა იმ ვითარებას, რომ:

ასე მოუვიდოდათ ქართული სცენის მეთაურებსაც — ერთიმეორის შემყურეობითა და იმედით მეორე სეზონში ხელს შეუშვებდნენ თეატრს, და თეატრს რუსის აქტიორი პალმი დაიკავებდა და ქართველებს აღარცერთ დღეს აღარ დაუთმობდა. დარჩებოდნენ ქართველები უთეატროდ და უკეთესი რაღა — უნდა დაშლილიყო ასე მშვენივრად პირველ სეზონში წაყვანილი საქმე.

ის ერთადერთი წუნი, ჩვენს თეატრს რომ დაჰყვებოდა — ბევრი მეთაურის არსებობა, ასე სავალალოდ იმიტომაც დასრულდებოდა, რომ: სადაც ბევრი მეთაურია, იქ საქმე ყოველთვის უთაურიაო, — აკაკის შეგონებისდაკვალად, ხალხურ ანდაზას ასე რომ გამოეხატა: საზიარო ყანა თხამ შეჭამაო.

მაშინაა, ილია ჭავჭავაძე რომ შევიდოდა მასთან და შესჩივლებდა: დავიღუპეთო!..

მაშინაა, აკაკის რომ შემოსთავაზებდა: მოდი ერთი შენ მოჰკიდე ამ საქმეს ხელიო!..

მისი თავგანწირულობისაც ეიმედებოდა და... მისი იმერლობისაც, ანუ ხერხიანობისა — ორივე ერთად უეჭველად გაჭრისო!..

მაშინაა, ხელმძღვანელობის ფუნქციებს რომ გადაინაწილებდნენ და... კიდეც სასიკეთოდ შემოაბრუნებდნენ ლამის ჩაფერფლილ საქმეს თეატრალური ცხოვრებისა.

თეატრის განახლება დრამატურგებსაც დაბადებდა და შემოიკრებდა, მაგრამ აკაკი გაუნელებლად მისტიროდა ზურაბ ანტონოვს და არა სჯეროდა, არაფრისდიდებით არა სჯეროდა, თითქოს ცოფიან ძაღლს დაეკბინოს და ამისათვის გაეწირათ სასიკვდილოდ, ვაითუ გაცოფიანდესო. გარემოებანიც აეჭვებდა და ალღოც კარნახობდა, რომ დრო ეხელთათ, უბრალო ნაკბენი გაებუქათ და პოლიტიკური მკვლელობა კი ჭორებით შეებურათ.

ვის კიდეც აუხვევდნენ თვალს ამ მაქინატორობით, მაგრამ... აკაკის?..

ხმა დაუგდესო, გამჭვირვალე მინიშნებად გვიტოვებდა, რომ გულდასმით გვეძია სიმართლე, მისი მკვლელობის ნამდვილი მოტივი და სათავე და... ეგებ კიდეც გამოგვეკვეია ამ ჩინებული დრამატურგის ტრაგიკული აღსასრულის ჭეშმარიტი მიზეზები.

ბოლოსდაბოლოს რა დაფარულიყო, ამ ტრაგედიის შენიღბვა სამუდამოდაც რომ მოეხერხებინათ...

გრიგოლ არწრუნი, „მშაკის" რედაქტორი, შეპირდებოდა ილიას, რომ თავის დიდ ზალას გადააკეთებდა თეატრად, გაუკეთებდა ლოჟებს, მორთავდა სცენას და გადასცემდათ, მხოლოდ იმ პირობით, რომ: ყოველ წარმოდგენაში 40 მანეთი ეძლიათ. როცა შემოსავალი არ იქნებოდა? დააცდიდათ. და ამას გარდა, სომხები თუ შეადგენდნენ დასს, მათაც იქვე ეთამაშათ.

გაიმართებოდა მუდმივი სცენა.

ქართველთა დასში ნიჭიერი მსახიობები რომ მოიყრიდნენ თავს: ეს მაკო საფაროვაო, ეს ნატო გაბუნიაო, ეს კოტე ყიფიანიო, ეს ვასილ აბაშიძეო და სხვანიც კიდევ... ამავე დროს გაბრიელ სუნდუკიანციც მიაშველებდათ თავის იმ დროისათვის დიახაც საინტერესო პიესებს და საზოგადოების თანაგრძნობასაც მოიპოვებდნენ.

სუნდუკიანცის პერსონაჟებში აკაკის განსაკუთრებით მაინც პეპო ხიბლავდა ამავე სახელწოდების პიესიდან და მიიჩნევდა ჩვენი ქვეყნის საზოგადო ტიპად: საქართველოს მინის შვილი ძვირად მოიპოვება მისთანა, რომ ცოტად თუ ბევრად პეპოობაში წილი არ ედოს — ის ყველა წრეშია და ყოველ წოდებაში, პეპოობის საძირკველი ყველასი ერთია, მხოლოდ თვით შენობა ანუ ხორცშესხმულობა წრისა და წოდების შესაფერად სხვადასხვაგვარად იხატებაო.

რას წარმოადგენდა საზოგადოდ პეპო?

რას და: სახარების იმ ქრისტიანს, რომელიც — მაცხოვრის ბრძანებისამებრ — ხვალისთვის არა შფოთავდა, არა ზრუნავდა და სჯერდებოდნენ მარტოდენ დღევანდელ დღეს: ეს დღე ხომ ჩემს ხელთ არის, „ხვალესაც“ ვნახავთ და შესაფერადაც მოვექცევითო!..

ეიმედებოდა ჯერ ღვთისა და მერე თავისი ჰალალ-მარჯვენისა. რასაც იშოვნიდა და მოიმკიდა დღიურად, მით კმაყოფილდებოდა, ცოტა იქნებოდა — დასჯერდებოდა, ბევრს კი სხვებსაც გაუზიარებდა და გუნებაში იმღეროდა: სანამ ცოცხალ ვარ, ასე ვსჭამ, დავჰკრეფ ვარდსა და იასა... მოვჰკდები, გაეხარდება სამარის კარსა ჭიასაო...

პეპოს ხელობა რომ მეთევზეობაა, იმას რომ შესტრფის და შეჰხარის, აკაკის თვალთა წინაშე ძალდაუტანებლად უნდა ამოისახოს პეტრე მოციქული და მისი მორევი და მკითხველსაც ამთავითვე დაუბეჯითოს, სახარების ქრისტიანობა შემთხვევით რომ არ უხსენებია, და რომ პეპოს ყოფითობა — გულმკერდზე რომ გრილი თელხი ანუ წყლის ნიავი სცემს და თავზედაც ვარსკვლავნი დაჰფეთქ-დასჭიკჭიკებენ — იმ სიხარულის ამონაშუქია, საძირკვლად წმინდა საქმიანობა რომ უდევს — და ამ ხასიათის ამგვარი განზოგადებაც რაღა გასაკვირია.

და კიდეც განასხვავებდა გაბრიელ სუნდუკიანცის კინტო-პეპოს გრიგოლ ორბელიანის მოქეიფე კინტო-ლოპიანასაგან, რომელიც მხოლოდ მაშინ თუ გრძნობდა ნეტარებას, როდესაც საყვარელი ზედ წამწამზე ეჯდა და ორთაჭალის ბაღებში ქეიფობდა. მარტოდენ მაშინ თუ აჰკრავდა თავს ზეცას. პეპო კი ყველგან პეპოდ რჩებოდა, სადაც კი ჰალალი შრომა ამოძრავებდა!.. არც არავის ფეხს დააჭერდა, მაგრამ არც არავის გაეთელინებოდა, მაღლა ღმერთი სწამდა და დაბლა ადამიანობა, და მისი მოქმედება ლოცვა გახლდათ, მაცხოვრის მონიჭებული „მამაო ჩვენო“.

დღეს, როცა ძველებურს ყველაფერს ეცვალა სახე, კინტოობაც გახუნებულიყო და პეპოც გაძვირებულიყო, მაგრამ ადრე მისი იყო ბურთიც და მოედანიც, ის კი არა, მეთევზე პეპო მოღვაწე ინტელიგენტის იერითაც შეიძლება წარმომდგარიყო.

რაღაც მოულოდნელსა და უცნაურს ამბობდა აკაკი?

და მართლაც: თითქოსდა სად ერთი და სად მეორე, რა საერთო შეიძლება იყოს მათ შორის?

აკაკის რა, ანკი ამის პასუხი გაუძნელდებოდა?

პატიოსანი მუშა ყველა სასურველიაო!..

მართალია ცხოვრებაში ზოგი დიდს ეპოტინებოდა და ზოგიც პატარასაც ჯერდებოდა, მაგრამ ერთიცა და მეორეც საჭირო გახლდათ და გამოსადეგი ქვეყნისათვის.

პეპო-კინტო ბადეს აკი... პეტრეს მორევში ისროდა და შიგ აბამდა ფართხალა თევზებს... მაგრამ ხანდახან გველ-ბაყაყიც რომ ჩაუძვრებოდა ბადის სიღრმეში? თუმც არც ამას ერიდებოდა — ორივეს თავთავის შესაფერის გზას აძლევდა და არ იშლიდა ხელობას, ვიდრე არ მიდგებოდა საფლავის კარზე, რათა იქ ჭია ეხარებინა.

და დაე გვცოდნოდა, რომ ნამდვილი საზოგადო მოღვაწეც იგივე პეპო გახლდათ — ჩვენი ცხოვრების მორევის პირად მიმდგარი. და რომ მისი შეუპოვარი და სამართლიანი, ქვეყნის გამოსაფხიზლებლად განატყორცნი სიტყვა იგივე ბადე იყო, სადაც თევზებიც ებმებოდნენ და გველ-ბაყაყნიც.

და შეგვახსენებდა, რომ:

თვით უდიდეს მოძღვარსაც მეთევზეები აერჩია პირველ მოწაფეებად!..

დღეს თქვენ სათხეველით იჭერთ თევზებს და ამიერიდან მე დაგაჭერინებთ კაცებს მათივე საბედნიეროდ.

და უკვე სავსებით მოამზადებდა წინაპირობებს, რათა ყველასათვის თვალნათლივი გაეხადა, რომ: არაფრით განსხვავდებოდნენ ჩვენი 60-იანი წლების მოღვაწენი პეპოსა და მისი ძმაბიჭებისაგან.

სახელდებით გვინდოდა გვცნობოდა ისინი?

აგერ თუნდ: სერგეი მესხი, ალექსანდრე ყაზბეგი და გიორგი წერეთელი.

და ეს იმიტომ, რომ: საპირადო „ხვალესათვის“ არც მათ ეფიქრათ და ეზრუნათ... და მართალია სიცოცხლეში ვერცერთს პეპოს „ია“ ვერ ეკრიფა, მაგრამ „ჭია“ მაინც პეპოურად ეხარებინათ.

ხოლო ის მაშინდელი ახალგაზრდობა, რომელიც თავიანთი მეგობრული გრძნობით გულს უკეთებდა და ამხნევებდა მათ, რაიმეთი განსხვავდებოდა პეპოს ძმაბიჭი კაკულასაგან?

დღეს პეპო-კაკულობა გაიშვიათებულიყო, სამაგიეროდ აღა-არუთინობა და ზიმზიმოვობა გამართულიყო წელში და გამრავლებულიყო. ეს ვაჟბატონები ვინ ბრძანდებოდნენ? ის ინტელიგენტები, რომელნიც მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე ფიქრობდნენ და ყოველივე საზოგადო საპირბადოდ და საფარისეველოდ ექციათ. დღეს ჯერ კიდევ მათი კოჭი ალჩუზე ჯდებოდა და... ნატრობდა აკაკი ადრინდელ პეპო-კაკულებს, რომ ცხვირპირში მიერტყაო ხოლმე მათი სიყალბე.

და თუ თითოროლა აქა-იქ, კანტიკუნტად კიდევ შერჩენოდა ცხოვრებას, ის ძველებური პირდაპირი, გამბედავი შეუპოვრობა მაინც აღარ გააჩნდათ და გადაკრულ-მათრახულებითღა იქარვებდნენ გულის ჯავრს.

სხვებს ახსენებდა პეპოს მსგავს ინტელიგენტ მოღვაწეებად და... შეგნებულად თუ უნებლიეთ საკუთარ თავსაც გამოხატავდა, არასოდეს რომ არა ფიქრობდა და ზრუნავდა „ხვალესათვის“, და თუ ბადეს ისროდა, მხოლოდდამხოლოდ პეტრეს მორევში და მის კვალობაზე, თითქოს მისთვისაც მაცხოვარს შთაეგონებინოს ამ გზაზე შედგომა და ბადის სროლა ჯერ თევზების დასაჭერად და შემდგომ უკვე — როდესაც შესაფერისადაც გაიწაფებოდა — ადამიანთა სულების მოსახელთებლად: მათივე საბედნიეროდ!..

თუმც... რაღა თითქოს — შთაეგონებინა და ეგაა, კიდეც აეყოლიებინა და მთელი ცხოვრება ამ „უზრუნველობით“ გამოეტარებინა, პირადი კეთილდღეობისა რომ არც გაეგებოდა, არამცთუ მისთვის შეეწირა ამაღლებული იდეალები.

ერთადერთი ის აწუხებდა, მისებრნი — ანუ პეპო-მოღვაწენი — ძალიან რომ დაცოტავებულიყვნენ და ერთიან გუნდად ველარ შეკრულიყვნენ, 60-იანი წლებიდან რომ ახსოვდა, და აკი კიდეც შემოატრიალებდნენ ცხოვრების მდინარებას, მდორეს, აუჩქარებელს ერთბაშად რომ აასწრაფებდნენ შეუპოვარი და სამართლიანი, ქვეყნის გამოსაფხიზლებლად განატყორცნი სიტყვით, და უფსკრულის პირას მიმდგარ ყოფილ საქართველოს საკუთარი თავის რწმენასა და მხნეობას დაუბრუნებდნენ, და იმ სახელმწიფოებრივი აზროვნებით განმსჭვალავდნენ, რომლის დამკვიდრებასაც სახელმწიფო უნდა ამოჰყოლოდა, ოცნება რეალობად გარდასახულიყო, ნატვრა ყოფაში აცხადებულიყო და მესათხევლენიც იმ სულიერი განძით წარმომდგარიყვნენ, ეროვნულ თავმოყვარეობასა და თვითდადგინებას ციხე-ბურჯივით რომ უნდა შემოემტკიცებინა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა.

ეს რარიგ განზოგადებულიყო აკაკის ხელში პეპოს სახება!.. უკვე ტიპადაც გამომზირალი — სახარების ქრისტიანად ამაღლებული, ვერანაირი შემღვრეულობა რომ ვერ შეწვდებოდა.

გაიოცებდა გაბრიელ სუნდუკიანცი: პიესის წერისას მე ესენი არ მიფიქრიაო, — მაგრამ აკაკისათვის განა რა მნიშვნელობა ჰქონდა, იმას რა ეფიქრა და როგორ გამოეძერწა ეს პერსონაჟი, მთავარია, რომ ხასიათი პეპოსი ძალიან წააგავდა 60-იანი წლების მოღვაწეთა რომანტიკულ სულს, და თვითონ აკაკისაც, ყვავილებს რომ დაბზუოდა ფუტკარივით და... ხვალე მიენდო ხვალისათვის... დღევანდელი დღე ხომ მის ხელთ იყო, „ხვალესაც“ ნახავდა და შესაფერისადაც მოექცეოდა, ხოლო ამასობაში თეატრალური დასი თავს მართლაც მსახიობებად რომ იგრძნობდა, შემოსავალი კიდეც ბევრად გადააჭარბებდა გასავალს!..

და აღარ დაისაჭიროებდნენ აღარც გრიგოლ არწრუნის ვალს და აღარც სხვების დახმარებას, მითუფრო, რომ დასი მცირერიცხოვანი იქნებოდა.

არათუ ქონებრივად, ზნეობის მხრივაც არაჩვეულებრივად რომ წარიმართებოდა სეზონი, საზოგადოება დიდ პატივს მიაგებდა არტისტებს და დიდ მოღვაწეობადაც მიუთვლიდა სცენაზე გამოსვლას. ერთხელ ნატო გაბუნია გახდებოდა ავად და მნახველი და მომკითხავი იმდენი გაუჩნდებოდა, ექიმი კაუჩარიანცი იტყოდა:

— ამდენი მნახველი კარგად მყოფსაც შეაწუხებს, არათუ ავადმყოფს.

ტფილისში რომ კვირაში ერთხელ წარმოადგენდნენ სპექტაკლს, მერე გორში გავლისას ითამაშებდნენ და მერე კი ქუთაისში ჰკრავდნენ წრეს. ასე რომ, კვირაში სამჯერ უწევდათ სხვაგან და სხვაგან გამოსვლა და შემოსავალიც დიდი ექნებოდათ.

საზანდრები მთელი დასტით თან დაჰყავდათ. რასაკვირველია თეატრალური დასის ხარჯითა და ქირით. საზანდარიც გარეშე დაექირავებინათ და ყველა ამას არამცთუ ეყოფოდა, არამედ კიდეც გადააჭარბებდა შემოსავალი.

დეკემბერში იმერეთის თავადაზნაურობა ქუთაისში მოიყრიდა თავს ბანკის დასაარსებლად და იმხანად იქ თორმეტი დღე ზედიზედ ითამაშებდნენ და... წმინდა შემოსავალი 8 ათასი მანეთი დარჩებოდათ!.. სხვაგან ხუთას თერთმეტ თუმნად მოიხსენიებდა ამ თანხას. საერთოდ კი ამხელა შემოსავალი ჰაერშიც კი ააფრენდა აკაკის და აფიქრებინებდა, რომ თუკი ასევე გაგრძელდებოდა, მერმისისათვის არტისტებს ჯამაგირს გაუორკეცებდნენ და შეიძლება თეატრალური სცენაც გამართულიყო ისეთი, სცენას ყოველმხრივ რომ შეჰფეროდა, მაგრამ...

მის ოცნებას მალე უნდა შეკვეცოდა ფრთები.

ეს წარმატება მოულოდნელად გამოიწვევდა იმ უსიამოვნებას, რომ... აკაკის ანტრეპრიზაზე ხელს ააღებინებდნენ და დასი — შიშნიაშვილის გამოკლებით, აკაკის რომ გამოუცხადებდა თანადგომას — მოინდომებდა ამხანაგობის შედგენას, წავიდოდა ტფილისს და მას შემდეგ სულ ამხანაგობის ხელთ იქნებოდა თეატრი, ვიდრე დიმიტრი ყიფიანის მეცადინეობით შედგებოდა და დამტკიცდებოდა წესდება. მაშინ დრამატული საზოგადოება მიჰყოფდა ხელს და ხან ერთი შეიქნებოდა წინამძღოლი და ხანაც მეორე. საზოგადოება გულს აიყრიდა სცენაზე და დასს ბევრი უსიამოვნება შეხვდებოდა, ვიდრე ბოლო დრამატული საზოგადოების თავმჯდომარეობას იკისრებდა ნიკოლოზ ქართველიშვილი.

ერთხელ სოფლად მყოფ აკაკის მიუვიდოდა ტასო მაჩაბლის ბარათი, საიდანაც შეიტყობდა, რომ გამგეობის თავმჯდომარე სთხოვდა ამოსვლასა და... მსახიობ-რეჟისორობას. ამას მოჰყვებოდა თვით ქართველიშვილის თხოვნაც და... აკაკიც დაყაბულდებოდა, მაგრამ აღმოჩნდებოდა, რომ ეს მისი რეჟისორობა მსახიობთა სურვილი არა ყოფილიყო და დასი თითქმის დაიშლებოდა — ჩვენი სასიქადულო არტისტი ლადო მესხიშვილი ქუთაისში გადავიდოდა, მას თან გაჰყვებოდნენ ვალერიან გუნია და სხვანი და სხვანი და იქ ფილიალურ განყოფილებას დააარსებდნენ.

მაინც რა იყო უსიამოვნებათა თავი და თავი — აკაკის ამისთანას რას მოუდებდნენ მიზეზად?

რას და:

ჯამაგირს არ გვაძლევდაო.

ეს მაშინვე მიიჭრებოდა ხაზინადართან, — რომელიც ვალდებული იყო ჯამაგირი დაერიგებინა და დავთარში ხელი მოეწერინებინა არტისტებისათვის, — და მოსთხოვდა იმ დავთრის ჩვენებას, რის პასუხადაც მიიღებდა: დავთარი დამეკარგაო.

— როგორ თუ დაგეკარგა? — გაოგნდებოდა და აღშფოთდებოდა აკაკი, — ახლა ხომ უფლება აქვთ არტისტებს, თუ მოინდომებენ, კიდეც დაამტკიცონ, რომ ფულს არ იღებდნენ?!

ხაზინადარი კი:

— აკი თქვენ ამოწმებდით ხოლმე ყოველთვის, რომ ვაძლევდი?!

ხოლო ამ შეკითხვის პასუხად:

— მაშ შენ შეგიძლია დაამოწმო, რომ მიღებული აქვთ?

დიდად ვერ დაამშვიდებდა:

— სიტყვიერად კი, მაგრამ საბუთით ვეღარ.

მიხვდებოდა აკაკი, რა ამბავიც იყო, და... გაჩუმდებოდა — მეტი რაღა გზა ექნებოდა. სამწუხაროდ ბევრი დაიჯერებდა, რომ არტისტები ჯამაგირს არა ღებულობდნენ.

ერთხელ ხაზინადარი შევიდოდა მასთან, გამოუტყდებოდა: დავთარი არ დამკარგვია, მე მაქვსო, — და გადასცემდა კიდეც.

აკაკი სასწრაფოდ გაექანებოდა „დროების“ რედაქციისაკენ და სთხოვდა სერგეი მესხს, რომ არტისტები შეეყარა და დაეპირისპირებინა მისთვის. დანიშნულ დროზე ყველა რომ მოიყრიდა თავს და აკაკი იკითხავდა:

— მართლა არ მიგიღიათ ჯამაგირი?

მხოლოდ მაკო საფაროვა და ვასილ აბაშიძე მიუგებდნენ: ჩვენ არა დაგვკლებია რაო, — დანარჩენები კი უარს განაცხადებდნენ.

აი მაშინ კი გამოაჩენდა მანამდე დაფარულ დავთარს და აღმოჩნდებოდა, რომ: არამცთუ რაც ერგებოდათ, ზოგიერთს წინა თვისაც კი ჰქონდა მიღებული, მხოლოდ ალექსანდრე ყაზბეგს აკლდა 15 მანეთი... და ისიც იმიტომ, რომ: „კოლხიდაში“ გამოერთმია სამ თუმან-ნახევარი.

ამ ყოველივეს თურმე მეორე ოთახიდან ყურს უგდებდა რედაქტორის მეუღლე ეკატერინე მელიქიშვილი, რომელიც გამოვარდებოდა გაფითრებული და მიმართავდა არტისტებს:

— არ მეგონა, თუ მაგას იკადრებდით, ახლა რაღას ეტყვით თქვენ ხელმოწერილ დავთარს?

არტისტები მოიბოდიშებდნენ, მაგრამ აკაკი კი ამ დღიდან ჩამოშორდებოდა თეატრს.

მაგრამ დრამატული საზოგადოების თავმჯდომარეობას რომ იკისრებდა ნიკოლოზ ქართველიშვილი და სთხოვდა რეჟისორობას, აკი მას ვეღარ გაუტეხდა ხათრს, მიუხედავად იმისა, რომ დარჩებოდა ხელმოკლედ ახალგაზრდების ამარად!.. და მაშინ გამოვიდოდნენ სცენაზე: პირველად ქალბატონი დავითაშვილისა, შალიკაშვილი, იმედაშვილი და სხვანი...

ლადო მესხიშვილზე, მიუხედავად მისგან მოყენებული გულისტკივილისა, ალალად და მიუდგომლად იტყოდა:

რასაკვირველია დიდი სარგებლობა მოუტანა ქუთაისის თეატრსო.

ხოლო თვითონ აკაკი და მისი გარჯილობა... დაე გამოტეხილად თქმულიყო: ტფილისი რა თქმა უნდა ბევრს ვერას შესძენდა, მაგრამ ტანჯვას კი ბევრს განიცდიდა: არტისტებს მოიხსენიებდა ჯიუტებად, როგორც მათ ზოგად თვისებას, როდესაც თავისი გაუდით და შეუვალები ხდებიან... აკაკის დროსაც არ მოიშლიდნენ თავისას!.. ხშირად თვით წარმოდგენის მსვლელობისასაც მოიმიზეზებდა რაიმეს ესა თუ ის მსახიობი და არ გამოვიდოდა სცენაზე. მის მაგიერ იძულებით ჩააყენებდნენ სხვა მოუმზადებელ არტისტს და სუფლიორის შემწეობით ათამაშებდნენ!.. და აბა წარმოდგენა როგორღა ჩაივლიდა მწყობრად.

უმეტესობა არტისტებისა როგორ უყურებდა თეატრს?

როგორც საპირადო საკუჭო ასპარეზს!..

და განსაკუთრებით მაინც ერთი უნდა გამორჩეულიყო მათში, ის ერთი, რომლისთვისაც სცენა შეადგენდა წმინდათა წმინდას — ტაძარსა და სამოძღვრო ასპარეზს!.. რომ დაიწყებდა, იმ თავიდან ამ ბოლომდე არ უღალატებდა ამ რწმენას!.. ხშირად ერთსა და იმავე პიესაში, სადაც შესაძლებელია იყო, ორ როლსაც ითამაშებდა — და ეს გახლდათ საფაროვის ქალი, აკაკის თვალთახედვაშიც არტისტობის იდეალს შეთანაბრებული.

სცენას უკვე სულ სხვა მზერით, სულ სხვა ყურადღებით აკვირდებოდა აკაკი და დაკვირვება დაკვირვებაზე და მოსაზრება მოსაზრებაზე ებადებოდა.

ახალი სივრცე სულ უფრო გამოიკვეთებოდა და გამოიკვეთებოდა მის თვალსაწიერში.

ადამიანი სუსტი ქმნილებაა, ადვილად მოსახიბლავიო, — ივანე გომართელთან გამოკამათებისას აკაკი წერეთელი საგანგებოდ ჩაუფიქრდებოდა ბუნებრიობისა და ხელოვნურობის შედარება-შეპირისპირებას და ადამიანის სისუსტის გამოვლინებად მიიჩნევდა იმ გარემოებას, რომ: ძვირად იპოვებოდა მისთანა კაცი, კარგი მომღერალისთვის რომ მოესმინა და... შემდეგ თვითონაც არ მიებაძა და არ წაეხმახრინწიანა იმ იმედით, მეც არა მიშავს რა, მგონი კარგად ვმღერიო.

არადა: მიმბაძაობა ხშირად ნიშანი გახლდათ უნიჭობისა და მგოსნისათვის ხელი უნდა შეეწყო მხოლოდ მის საკუთარ შემოქმედებით ძალას. ყოველგვარი ხელოვნური ნაწარმოები შესისხლხორცებული უნდა ჰქონოდა არტისტს, გულით ნატარები და შემდეგ ღვიძლ შვილივით წარმონაშობი და არა სხვაგან, გარეშე დაგდებული და სხვის შვილად აყვანილი, თორემ უამისოდ თაღლითობა გამოვიდოდა.

სათვალსაჩინო — აკაკის თქმით: სათვალდათვალო — მაგალითი გვნებავდა?

აგერ ნატო გაბუნია და მისი აქტიორული კრიალოსანი:

როგორც არტისტი — სწორედაც რომ სწორუპოვარი, როდესაც ჩვენი ცხოვრებიდან აღებულ ტიპებს — მაჭანკლებს, გლეხის ქალებს, ქვრივებს, გამდელებსა და სხვათ გვითვალისწინებდა, მაგრამ...

აქაც უნდა გამოჩხერილიყო ეს უსიამოვნო „მაგრამ":

როცა უილიამ შექსპირისა და ფრიდრიხ შილერის პიესებს წაეპოტინებოდა ხოლმე, რათა მარკიზები და გრაფინიები დაეხატა, მაშინ კი...

რა მოგახსენოთო, — მაინც თავშეკავებით დასძენდა, მაგრამ სათქმელს მაინც ამბობდა ჩვეული მიუკერძოებლობით იმ მსახიობზე, რომელსაც ძლიერ აფასებდა და სულაც ეთაყვანებოდა, და აგერ არც „სწორუპოვარის" ხსენებას მოერიდებოდა და არც სხვა აღმატებული ეპითეტებისა, მაგრამ სიმართლე სიმართლე გახლდათ და... მისი როლების ერთი წყება — მარცხიანი — უნუგეშოდ დაშორებოდა მეორე წყებას მისივე როლებისა: წარმატებულის.

ამ დაშორების მიზეზსაც განგვიმარტავდა აკაკი:

რაც თვალით უნახავს, თან შეზრდია და შეუთვისებია, იმას კიდევაც ახორციელებს შესანიშნავად, და რაც მხოლოდ შორიდან წარმოსადგენად გახდომია, იქ რასაკვირველია ღალატობს შემოქმედებითი ძალა, ნასესხული მიმბაძობა გამოუდისო.

როლების ამ ციკლში, მარკიზ-გრაფინიების შესრულებისას, ვერ აღწევდა ნატო გაბუნია განსაკუთრებულ აღმაფრენას?

სამაგიეროდ მეორე ციკლი ხომ მთლად მისი გახლდათ, თავის ნებაზე რომ იურვებდა ყველა როლს მაჭანკლებისა, გლეხის ქალებისა, ქვრივებისა, გამდელებისა და სხვა მისთანათა, და ხელთ ეპყრა მაყურებელი, რომელთა შორისაც აკაკი წერეთელიც დაუდგებოდა მხურვალე გულშემატკივრად და მეხოტბედ, თუნდ დითირამბებში კრიტიკულ შენიშვნებიც გამოერია ისევ და ისევ მსახიობისა და საერთოდაც თეატრალური ხელოვნების სასიკეთოდ.

ასე თუ ისე ქართული სცენა მოაწევდა იმ მდგომარეობამდე, როგორსაც ხედავდნენ, ეს კი ნიშნავდა, რომ სხვა ერებთან ერთად ჩვენც შეგვეძლო გვეთქვა:

ქართველებს თეატრი გვაქვსო.

გვყავს გამოჩენილი არტისტებიო.

გაჩნდნენ საიმედო დრამატული მწერლები: გედევანიშვილი, შიუკაშვილი, რამიშვილი და სხვანიო.

დღესდღეობით ისე შეჩვეოდა თეატრს ქართველობა, რომ უმისობა პროვინციაშიც აღარ შეეძლოთ და როგორც მეთაურები, ისე საზოგადოებაც შეთანხმებითა და თანაგრძნობით შეჰყურებდა ერთმანეთს.

და აკაკი შეახსენებდა და შეაგონებდა მკითხველს, რომ:

ყოველ საქმეში პირველი ბიჯი გახლდათ საგულისხმო!..

და ქართული თეატრის დაარსების მიზეზიც მრავალგვარი რომ იყო, დაე ყველას სცოდნოდა, რომ თავი და თავი მიზეზი მაინც საფაროვის ქალი გახლდათ — იმას ჩაედგა სული და აედგმევინებინა ფეხი!.. ის იყო ქვაკუთხედი, რომელზედაც აშენებულიყო თეატრი და ამიტომაც: ვიდრე ქართული თეატრი იარსებებდა, მისი სახელიც არ მიეცემოდა დავიწყებას!..

22 იანვარს გადაწყვეტილიყო მაკო საფაროვას იუბილის გადახდა და დაე ახალგაზრდებიც ისევე მიგებებოდნენ ამ დღესასწაულს, როგორც მოხუცებულები, რომელთაც ენახათ სცენაზე საფაროვის ქალის ხელოვნება.

და მაკო საფაროვას იუბილეზე თვითონაც რომ წარდგებოდა იმ 1912 წლის 22 იანვარს, სიტყვას დაიწყებდა... წყალში ნაშობი მარგალიტის ხსენებით, ზღვის სარდაფში გამომწყვდეული რომ არაფრად ღირს, მაგრამ გახსნიან თუ არა ხოჭიჭს, გამოიღებენ და ადამიანის თვალი მოხვდება, განძად გადაიქცევა: ეს სამოსელის გამოსაჭედადო, ეს ქობის შემოსაველებადო, ეს ქინძისთავადო, ეს ყელსაბამის ასასხმელადო... მაგრამ ხანდახან ყელსაბმელ მარგალიტებში მსხვილი ვითომდა მარგალიტიც რომ გამოერევა, შორიდან კი თვალისმომჭრელია, მაგრამ ახლოდან გასინჯვისას... ხელოვნურად გაბერილი თაღლითი აღმოჩნდება ხოლმეო.

და დაე ყველას გაესიგრძეგანებინა, რომ სწორედ ასეთივე გახლდათ საზოგადო მოღვაწეობაც:

ვიდრე ადამიანს არ გამოცდიდნენ, არც არავის ეცოდინებოდა მისი არსებობა, მაგრამ როგორც კი გამოვიდოდა საზოგადო სარბიელზე და ისახელებდა თავს, იმ დღის შემდგომ ისე აფასებდნენ, როგორც მარგალიტს. და აი მიზეზი, თუ რად ცდილობდა ყველა, რომ თავი გამოეჩინა.

მაგრამ რადგანაც ჭეშმარიტი საზოგადო მოღვაწე ძვირად გამოერეოდა, როგორც წმინდაწყლის მარგალიტი, მის ადგილს იჭერდნენ თაღლითები, კუჭს რომ ვერ ასცილებოდნენ და მხოლოდ მეგანგაშეთა და მებუკეთა წყალობით გაბერილიყვნენ. ამ ვითარების გამოისობით ზოგჯერ საზოგადოება ტყუვდებოა და თაღლითებით მოტყუებული თვალს არიდებდა ობოლ მარგალიტს.

ეს შესავალი რისთვის დასჭირებოდა?

რისთვის და:

დაბეჯითებით განეცხადებინა, საფაროვის ქალი ერთი ამ წმინდა მარგალიტთაგანი რომ გახლდათ. და ვიდრე ქართული სცენა იხსენიებოდა, მისი სახელიც არ გაქრებოდა.

მას გამოეხვია პირველად ხოჭიჭში ქართული თეატრი, დაერწია აკვანი და აეღგმევინებინა ფეხიც სხვებთან ერთად... უამისოდ ეს ყველაფერი მოუხერხებელი რომ იქნებოდა.

32 წელი ემსახურებოდა სულითა და გულით თეატრსა და ქვეყანას, ვიდრე სამსახურშივე სმენას დაჰკარგავდა და მსახიობობას ვეღარ შეძლებდა, მაგრამ სხვაგვარად კი კვლავაც გააგრძელებდა მსახურებას, და ყველას უნდა გაეცნობიერებინა, რომ ამისთანა მოღვაწის დაუვიწყარობა და იუბილის გადახდა ეროვნული მოვლენა გახლდათ — და ამიტომაც აღარც ვიცოდით ვისთვის უნდა მიგველოცა: მისთვის, ვისაც უხდიდნენ იუბილეს, თუ მათთვის, რომელნიც უხდიდნენ.

ზურაბ ანტონოვს არ ეშველებოდა, თორემ...

ვერა და ვერ მოენელებინა აკაკის ვერც ეს ტრაგედია და ვერც ამ საქმის გაუხსნელობა — პოლიტიკური მკვლელობის ისე ჩაფარცხვა, მკვლელებს როგორც ეიმედებოდათ. და გულს ულრღნიდა ამ ამბის გამოყენების სურვილი ნოველის ან პიესის სიუჟეტურ ქარგად. ასე მაინც ეზღვევინებინა მკვლელობის მოთავისა და შემსრულებელთათვის.

ისეთი განცდითაა დაწერილი სტატია-მოგონება-ნოველის ის პასაჟი, ერთიბეწო, მაგრამ რარიგ შემძვრელი!..

თანაც:

ყოველად წარმოუდგენელია აკაკის არა სცოდნოდა ზურაბ ანტონოვის დაღუპვის ადგილი — თავისივე ოთახში რომ გამოკეტავდნენ, ცოფიანმა ძაღლმა დაკბინა და საშიშია თვითონაც არ გაცოფდეს და ადამიანები არ დაკბინოსო. იქიდან ივედრებოდა საბრალო: რადა მკლავთო?!. იქიდან ზუოდა და ვალალებდა, იქაურობა გადაექცეოდა აკლდამად.

აკაკის მოგონებაში ოთახი არ არის ნახსენები, და მის ნაცვლად კი:

ორმოში ჩააგდეს და ორმოშივე მოკვდაო.

რატომ არის შეცვლილი ოთახი ორმოთი, რატომ არის მოქმედების არე გადატანილი ერთი ადგილიდან სულ სხვაგან?

რატომ და:

ეს უკვე იმ სიუჟეტის ბირთვია, ნოველად თუ პიესად რომ ივარაუდებოდა: მეტი სიმძაფრისა თუ მეტი სიმბოლური შინაარსის გამოსახვევად — ან ერთიცა და მეორეც — სწორედაც ორმოსა და მის გარემოს განიზრახავდა სამოქმედო სივრცედ.

ეს შენაცვლება გვიდასტურებს, რომ აკაკის უდავოდ განეზრახა დეტექტიური ყაიდის თხზულება.

და როდესაც მოგვიანებით ოთარ ჩხეიძეც ჩაიფიქრებდა ნოველად თუ პიესას ზურაბ ანტონოვის ტრაგიკულ აღსასრულს, საგანგებოდ რომ ჩახაზავდა ფრჩხილით აკაკის მოგონების იმ პასაჟს მისი თხუთმეტტომეულის XIV ტომის 459-ე გვერდზე, ჩაითქვამდა, რომ თუკი ამ ჩანაფიქრს აღსრულება ეწერა, აკაკის სიუჟეტური ბირთვი გაეზიარებინა და არა ოთახის, არამედ სწორედაც ორმოს გარშემო დაეტრიალებინა მოქმედება.

თხუთმეტტომეულის კომენტარებში არაფერია ნათქვამი ამ პასაჟის თაობაზე, მკვლევარ-გამომცემელნი არ შეუსწორებდნენ თუ დაუზუსტებდნენ აკაკის: ზურაბ ანტონოვი ორმოში კი არა, თავისივე ოთახში გამოკეტილი აღესრულაო. და ნურც ამიერიდან მოინდომებს ვინმე ამგვარ შესწორება-დაზუსტებას. ნაცვლად ასეთი უხეში ჩარევისა, დაე მკითხველისათვის განიმარტოს ამ შენაცვლების ჭეშმარიტი მიზეზი და აკაკის განზრახვა დეტექტიური ყაიდის ნოველისა თუ პიესის შექმნისა.

პირდაპირ ეს არსად წერია?

სამაგიეროდ ისე კანთიელად, ისე ხელშესახებად გამოსჭვივის სტრიქონებს შუა, ისეთი გამჭვირვალეა მინიშნება, რომ იმ შესაძლო პირდაპირ ნათქვამს, დოკუმენტურად დატოვებულ ცნობას კიდეც აჭარბებს.

და ამ განზრახვის არსებობას ადასტურებს ოთარ ჩხეიძის ასევე აღუსრულებელი ჩანაფიქრი, თუმც დაკარგვით არაფერი იკარგება სამყაროში და თითქოსდა უნუგეშოდ გამქრალი ჩანაფიქრები ადრე თუ გვიან მაინც ჰპოვებენ ბუნებრივ ყალიბსა და ხორცშესხმას: იმ მუხტით, იმ შთაგონებით, იმ იდუმალი შეგულიანებით.

თქვენს მონა-მორჩილს მოუწევდა ამ განზრახვის აღსრულება — აკაკისაგან მონაბერისა და ოთარ ჩხეიძის ფიქრშიც გამოტარებულის, ჯერ ბელეტრიზებულ ნარკვევად თუ დოკუმენტური ყაიდის ნოველად რომ იბრუნებდა ჩემს გონებაში, ვიდრე საბოლოოდ მაინც პიესის სახეს შეიძენდა — „ჩემი გზა ჩემი აკლდამა“, დეტექტიურ ქარგაზე აგებულის, ის საიდუმლოებითმოცული საქმე ილია ჭავჭავაძეს რომ უნდა გაეხსნა, ის ყოფილიყო დეტექტივი, ოგიუსტ.დიუპენის, შერლოკ ჰოლმსისა თუ ერკიულ პუაროს ყაიდის მაძებარი... რა, მათზე ნაკლებად მოიმარჯვებდა დედუქციურ მეთოდს თუ მათზე ნაკლებ ალღოსა და გეშს გამოიჩენდა, ანდა მათზე ნაკლებ შეუპოვრობასა თუ გაბედულებას, რაკიღა პოლიტიკური მკვლელობის გახსნას ადვილად არ აპატიებდნენ ხელისუფალნი თუ მათთან დაახლოებული პირნი...

ეს მოსალოდნელი საშიშროება განასხვავებდა ჩემი პიესის პერსონაჟ ილია ჭავჭავაძეს თავისი ლიტერატურული წინამორბედებისაგან, მარტოდენ დეტექტიური უნარის გამჟღავნება რომ ევალებოდათ, დედუქციური მეთოდის ღრმააზროვანი მომარჯვება, რაკიღა დიდ და ძლევამოსილ ქვეყანათა შვილებს სხვა სადარდებელი ანკი რა შეიძლება ჰქონოდათ!..

ესეც თავისთავად მოხდებოდა, აკაკისაგან შთაგონებული გახსნა დეტექტიური ხლართისა მაინცდამაინც ილიას რომ მიეწერებოდა „ჩემი გზა ჩემი აკლდამის“ სიუჟეტურ ქარგაში: აწ უკვე მაძებარსაც.

ეგაა სამოქმედო არედ ორმოს გავერიდებოდი, მის სიმბოლურ დანიშნულებასა და განზოგადებაზე უარის თქმა მომიწევდა და ვამჯობინებდი იმ ოთახს, სადაც მართლაც ამოხდიდნენ სულს ზურაბ ანტონოვს მისი ვითომდა შესაძლო გაცოფიანების მომიზეზებით, კაცმა რომ არც იცის, იყო თუ არა ის ძაღლი ცოფიანი, და რომც ყოფილიყო, ესენი გადაჭარბებდნენ თვით ძაღლსაც გესლიანობითაც და ულმობელობითაც, სმენას რომ უტკბობდათ სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე მყოფი დრამატურგის გმინვა-მოთქმა: რას მერჩით, რას მემართლებით, რადა მკლავთო?!.

ისჯებოდა და სასტიკადაც ისჯებოდა გაბედულება ამ ქვეყანაში.

პოლიტიკური განაჩენი კასაციას არ ექვემდებარებოდა.

თავისი ტრაგიკული ხვედრი მოეწეოდა ზურაბ ანტონოვსაც.

თავისი ტრაგიკული ხვედრი მოეწეოდა დიმიტრი ყიფიანსაც.

თავისი ტრაგიკული ხვედრი მოეწეოდა ილია ჭავჭავაძესაც.

და თუ აკაკი წერეთელს ასცილდებოდა ასეთივე ტრაგიკული ხვედრი, ეს იმიტომაც, რომ უნებლიეთ გაასწრებდა იმ გარდუვალობას — არც დამოუკიდებლობამოპოვებული მამულის ბენიერება რომ არ ეღირსებოდა და არც მისი ხელმეორე დაკაბალების გულსულდამთუთქავი სიმწარე.

ვაჟა-ფშაველაც რა, მხოლოდდამხოლოდ ამავე მიზეზით არ ასცდებოდა პოლიტიკურ მსხვერპლთა შორის მოხვედრას?!. იმავე რკალში აღმოჩენას, ახალ დროებაში ლევან ბატონიშვილს რომ დაესობოდა პირველად რუსეთიდან გამოტყორცნილი შხამიანი ისარი და პოლიტიკურ მსხვერპლთა სიას ის მოექცეოდა სათავეში...

სოლომონ ლიონიძეც პოლიტიკური მკვლელობის მსხვერპლი უნდა შექმნილიყო; და ივანე აბაშიძეც — ვისი შთამაგონებელი მაგალითიც ასერიგად ამხნევებდა და შიშს არ აკარებინებდა გულში მის შვილიშვილს; და სოლომონ დოდაშვილიც — გარეგნულად მოურჩენელი სნეულებით რომ შეინილებოდა მისი უღვთო გამეტება, და კიდევ... ეჰ სად განვდებოდი მათ სიმრავლეს, XX საუკუნე ამ მხრივ განსაკუთრებით რომ გამოიდებდა თავს და... აკაკისაც უთუოდ და დაუნდობლადაც გაუსწორდებოდა, კიდევ ექვსი-შვიდი წელი რომ ეცოცხლა.

არ შეიძლებოდა თუ რა, ის წლებიც რომ გამოემეტებინა მისთვის არსთა გამრიგეს...

* * *

პირადი გაცნობის პირველ ორ წელს არტურ ლაისტი აკაკის ხშირად ხედავდა ქართულ თეატრში, რომელიც იმ დროს ყოველთვის როდი იყო სავსე, თუმც მაშინდელი მთავარი მსახიობები, რომელნიც საძირკველს ჩაუყრიდნენ ქართულ სასცენო ხელოვნებას, ბუნებრივი ნიჭით იყვნენ დაჯილდოებულნი.

ქართული თეატრალური საზოგადოება ჯერ კიდევ მცირე იყო და რეპერტუარიც ღარიბი ჰქონდა.

აკაკი ხშირად მარტო იჯდა. გერმანელი სწავლული ხანდახან რომ ეწვეოდა ხოლმე, მასპინძელი მასთან არა ფარავდა, რომ ქართული თეატრის სიღარიბე აწუხებდა, მაგრამ იმედს არა ჰკარგავდა და ირწმუნებოდა:

— წლითიწლობით გაუმჯობესებასაც ვამჩნევ.

ვარაუდობდა, რომ საუკუნის მიწურულამდე თეატრი მომაგრდებოდა. და მართლაც ასე მოხდებოდა — მაყურებელთა აუდიტორია ყოველ წელს გაიზრდებოდა.

როდესაც თეატრის შესახებ ლაპარაკობდა, ლაისტი ხედავდა, თუ რა ძლიერ უყვარდა აკაკის თავისი სამშობლო და როგორ ზრუნავდა მისი კულტურის ამაღლებისათვის.

მუდამ ახლოს რომ იდგა თეატრთან, რამდენიმე დიდი ლიტერატურული ღირსების პიესასაც მიაწვდიდა და მსახიობებს ხომ ამხნევებდა და ამხნევებდა გულმოდგინედ.

მისი პიესები სავსებით ეთანხმებოდნენ სცენური ხელოვნების მოთხოვნებს?

ლაისტს მიუდგომლობა აიძულებდა, რომ ცოტა იჭვნეულად შეეხედა აკაკის პიესების ამ მხარისათვის, თუმც სიამოვნებით აღნიშნავდა, რომ ისინი უხვად შეიცავდნენ ესთეტიკურ ღირსებებს. მათში იყო ადამიანის თავისებური განჭვრეტა და ეს და კიდევ სხვა გარემოებანი სიამეს ჰგვრიდა მკითხველს.

უყოყმანოდ სჯეროდა გერმანელ სწავლულს, რომ ქართველებს არც არასოდეს მოწყინდებოდა ამ პიესების კითხვა, და არამარტო იმიტომ, რომ მათში მდიდარი, ცოცხალი და მომაჯადოებელი პოეზია სუფევდა, არამედ — მათი შინაარსიც არ გახლდათ უბრალო თხრობა ამბებისა და წარმოდგებოდნენ ნაყოფად მდიდარი მხატვრული ფანტაზიისა.

მოერიდებოდა აკაკისათვის ამის გამხელას, მის პიესებს ლიტერატურულ მოვლენად რომ უფრო აღიარებდა, ვიდრე სცენურად, თუმც მისი ეს აზრი რომ მოესმინა, აკაკი არ გაუნაწყენდებოდა და შემოჰღიმებდა: სცენურად კი არა, ლიტერატურულადაც რომ ვერა ბრწყინავდეს, რა ბედენაა, რომელი დრამატურგი მე ვარ, უბრალო დღიური მუშისაგან კი მეტს რას მოელით, მარტოდენ ის რომ მევალება, ყოველდღიურ სამუშაოს გვერდი არ ავუარო, გინდ წვრილმანიც იყოსო.

და ამჯერადაც სამუშაო იარაღებადაც სხვას რას მოიმარჯვებდა, თუ არა: ყვედრებასაც და ვედრებასაც, წყევლა-კრულვასაც და ლოცვა-ვედრებასაც.

აკაკის ეს უკიდურესი თავმდაბლობა განა არტურ ლაისტს კი არ მოეხსენებოდა, მაგრამ მაინც სიფრთხილესა და თავშეკავებას ამჯობინებდა: ვაითუ რა გუნებაზე შემხვდეს და ნესტარი ისე დამასოს, კარგა ხანს გონს ვეღარც მოვიდეო.

არადა, რა შეიძლება ეთქვა ისეთი თუნდ „კუდურ-ხანუმზე“, მასზე უარესად თვითონ აკაკის რომ არ შეეფასებინა თავისი დრამატურგიული ნახელავი.

თავს მოისაწყლებდა: მისთანა მოსაწყენი პიესაო.

და მოიგულუბრყვილოვებდა კიდეც, თითქოსდა: ამ დრამაში ყოფილიყოს გამოსაცდელი ის დრო, როდესაც ოსმალებმა ხელთ იგდეს საქართველოს ნაწილი და ცდილობდნენ მცხოვრებთათვის დაევიწყებინათ მათი ვინაობა, მოეკლათ მათი ერობა და გამოეცვალათ რჯული — გაეთათრებინათ. და ეს აზრი რომ აღესრულებინათ, იმადლიერებდნენ დიდი გვარის შვილებს, იერთგულებდნენ და მათი შემწეობით კიდეც აღწევდნენ თავისას. ეს დიდი წოდებისა და დიდი გვარის შვილები თავიანთი ბედნიერების გულისათვის ჰყიდდნენ ქვეყანასა და მამულს და ხელს უწყობდნენ ოსმალოს პოლიტიკას.

დიდი რამ მიხვედრა არ ესაჭიროება, რატომაც აეღელვებინა აკაკი მარტოდენ თავიანთი პირადი კეთილდღეობისათვის მზრუნველ ადამიანთა მოქმედებას, ქვეყნის გაყიდვა ჩირადაც რომ აღარ მიაჩნდათ.

რა ოსმალეთი და რომელი გათათრება — პირდაპირ გადაშლილიყო თვალწინ დატრიალებული მოვლენები და პერსონაჟთა ის გალერეაც ძნელი ამოსაცნობი არ გახლდათ, ეს ადამიანები არა წარსულში, არამედ ახლა რომ წირავდნენ თვისტომთ, უშუალოდ ყოფითი რეალობიდან იყვნენ გადახატულნი და... კიდეც მოხვდებოდათ გულზე თვალწინ აყუდებული სარკიდან გამომზირალი თავიანთი სახეები, აკაკის რომ „უკვირდა“, ზოგიერთებს ამ დრამაში გამოყვანილ ტიპებში რატომ ეცნოთ თავიანთი თავი და მეგობრები მაშინ, როდესაც იმათზედ კალამი არავის მოეცალა.

აბა სულ ოდესღაც მომხდარი გათათრების პროცესის ჯავრი ჰქონდა!..

„გათათრებაში“ ისე კანთიელად იკითხებოდა და ამოიცნობოდა ხოლმე „გარუსება“, დამატებითი მინიშნებანი აღარც ესაჭიროებოდა, თორემ აკი იმასაც არ მოერიდებოდა, რითმით რომ დააკვალიანებდა მკითხველს: „უნამუსოთო“-ს რომ მიურითმავდა „გავათათროთო“-ს და მკითხველი ძალდაუტანებლად მოძებნიდა იმ წამსვე შესაფერის რითმას: გავარუსოთო.

და აკაკი თავდასაცავად მოიშველიებდა იმ თავისთავად მართებულ დაკვირვებას, რომ: კაცი ყოველთვის კაცია და ერთი საუკუნის კეთილი ანუ ბოროტი კაცი ყოველთვის ემსგავსება მისთანავე მოქმედ მეორე საუკუნის კაცს. აგერ დაბადებაშიც შევხვდებოდით ჩვენს მსგავსს, მაგრამ ეს ხომ არა ნიშნავდა, რომ ებრაელებს ჩვენ ავეწერეთ?.. ეს მხოლოდ იმას გვიმტკიცებდა, რომ: ის ტიპები, რომელნიც პიესაში გამოხატულიყვნენ, ყოფილან ნამდვილი ცხოვრებიდან აღებული აზრები და არა ოცნებითი. და ამისთანა პირები ყოველთვისაც ყოფილიყვნენ, კვლავაც იყვნენ და იქნებოდნენ კიდეც!..

ოღონდაც რომ!..

დადგებოდა ახალი საუკუნე და:

სულ თავის სიბერისას მოთქვამდა.

სულ თავის ავადმყოფობას ჩიოდა.

მაგრამ აი ქართული დრამატული საზოგადოება ქართული დასის რეჟისორად მიიწვევდა 1903 წელს და... ისეთი ხალისითა და ენერგიით ჩაერთობოდა ამ საქმეში, აგერ და ესაა სიჭაბუკე დაბრუნებიაო.

მსახიობებს რა ევალებოდათ?

დაენახვებინათ ერთგულება, მხნეობა და გამრჯელობა ქართული თეატრისადმი.

და აკაკის რაღა?

ეჩვენებინა მაგალითი თეატრის სიყვარულისა.

ეს თავის მოვალეობას პირნათლად რომ აღასრულებდა, წინასწარ თქმა და დაპირება არც უნდოდა.

მათგან კი მოითხოვდა:

გამტკიცულ-გასპეტაკებულ ქართულ ენას და არა ჩიქორთულს.

როლების დაზეპირებას, რათა კარნახის — სუფლიორის — იმედად არა ყოფილიყვნენ.

პიესების მთავარი აზრის შეგნებას,

თავთავის როლების დაკვირვებით შესწავლასა

და

რეჟისორის სურვილთან მათი სურვილის შეთანხმებას, რათა აღარავის ეთქვა: ეს დიდი როლია, ეს პატარა როლიაო, — და ამისთანები.

უკეთესი სამოქმედო პროგრამა რაღა გინდა უმცროსი, საშუალო და უფროსი ასაკის მსახიობებისა და რეჟისორებისათვის, ის თეატრალური მცნებანი, ურომლისოდაც თეატრი ვერასოდეს იქნება თეატრი, რამდენიც უნდა ამტკიცონ დრამატული სპექტაკლების პანტომიმად გარდასახვის მიმდევრებმა, თითქოსდა პოსტმოდერნისტული ან რაიმე სხვა სტილისტიკა ამას და მსგავს ორიგინალობებს მოითხოვდეს.

უპირველესად მაინც:

გამტკიცულ-გასპეტაკებული ქართული ენა.

თავის პიესებსაც დადგამდა — „პატარა კახსა“ და „თამარ ცბიერს“, აბა ამისთანა ხელსაყრელ და მადლიან შესაძლებლობას ხელიდან როგორ გაუშვებდა, სხვა რეჟისორთა შემყურე რომ აღარ იქნებოდა, მაგრამ გახსნით სეზონს 27 სექტემბერს დავით ერისთავის „სამშობლოთი“ გახსნიდა და ლეგენდის გაცოცხლებასაც შეეცდებოდა, საზოგადოებრივ და ისტორიულ ცნობიერებაში სამუდამოდ აღბეჭდილი ამაღლებული და სიმხნევის მიმნიჭებელი წუთებისა.

იმ ისტორიულ დადგმასა და რუსი რედაქტორ-პუბლიცისტის თავდასხმასთან დაკავშირებით ყოველთვის გაიხსენებენ ხოლმე ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური ესეისტიკის შედევრს „კატკოვის პასუხად“, და როგორღაც მიიკარგებოდა აკაკის მწვავე გამოხმაურება, უპასუხოდ არც ის რომ არ დატოვებდა ქართული დროშის, საერთოდ ქართველი ერის ღირსების შეურაცხმყოფელს „დროების“ 4 მარტის ნომრიდან, და დიპლომატიურ ხერხსაც მარჯვედ მოიხმარდა.

არა გეგონია, რომ პატიოსან და რიგიან რუსს მოეწონოს ის კორესპონდენცია, სადაც ყოველს უმიზეზოდ ლანძღავენ ქართველებს და აწმყოს გაკიცხვას რომ აღარ აკმარებდნენ, მამა-პაპის საფლავსაც კი უბრუნებენო, — გულისტკივილს რომ გამოთქვამდა, დასძენდა:

— ქართველების დროშას ცოტა სამსახური არ მიუძღვის ქრისტიანობასთან. მის ქვეშ რჯულისათვის სისხლი იღვრებოდა!.. ეს რომ არ იცოდენ იმ ზემოხსენებულმა ბატონებმა, არ გვიკვირს, რადგანაც ეს ამბავი წარსულს საუკუნოებს ეკუთვნის! მაგრამ ეს როგორღა დაავიწყდათ, რომ ისევ დროშა, რუსეთისაგან უმაღლესად ბევრჯერ დაჯილდოებული, დღეს რუსეთს ემსახურება?! და მაშ გოდფრუას ცირკში მისი გაგზავნის მრჩევლები თვითონ უნდა იყვნენ საეჭვო კაცები...

ასე თამამად მაინც რატომ გვწამებდნენ ცილს?

ამის მიზეზი ძნელი გამოსარკვევი არ იყო:

იცოდნენ, რომ რისი ღირსნიც იყვნენ და რასაც ვემართლებოდით, მისთანა პასუხს არავინ გვათქმევინებდა, თორემ მაშინ კი დაუმტკიცებდნენ, რა შვილებიცა ბრძანდებოდნენ და... რადგანაც აქაურობა არ მოსწონდათ, უჩვენებდნენ ქართველები, სად შეჰფეროდათ ბინა.

მისთანა პასუხს არავინ გვათქმევინებდაო...

არადა:

ყოველად შეზღუდულ პირობებში მაინც ცოტა არა ხერხდებოდა — აგერ ჯერ ილიას გაეძრო ტყავი მიხაილ კატკოვისა და მისი დამქაშებისათვის და არც აკაკი აკლებდათ ხელს, პირდაპირ რომ უცხადებდათ: თუ არ მოგწონვართ, ნება თქვენია, ოღონდ აქაურობას შეეშვით და თქვენს ქვეყანას მიხედეთო.

თავი VI

ქუთაისური ბანკობიადა

როგორ დაარსებულიყო ჩვენში საადგილმამულო ბანკები — ამ თემაზე და ამ სათაურით კვლავ აკაკის უნდა გაეშალა სტატია-მოგონება-ნოველა, მონათხრობის მთავარ გმირად დიმიტრი ყიფიანი რომ წარმოდგებოდა, რუსეთისაკენ მიმავალი აკაკი მასთან რომ შეუხვევდა და მოხუცი მოწყენილი და რაღაც ფიქრით გატაცებული დაუხვდებოდა.

ბატონყმობა ახალი გადავარდნილი იყო და მასპინძელი იმას დაეფიქრებინა: თავად-აზნაურობას გლეხები რომ გამოეცალა ხელიდან, ვაითუ ქართველობა დაიღუპოსო.

სტუმარს დიდად გაუკვირდებოდა: ეს უკუღმართი მოვლენა რომ აღესრულა, უნდა გამხიარულებდეთ, კი არ უნდა დაეჯავრიანებინეთო.

არადა მასპინძლის ფიქრით: ბატონყმობა ისე უნდა გადავარდნილიყო, რომ არცერთი წოდება არ დაზარალებულიყო, ახლა კი თავად-აზნაურობა იღუპებოდა და ვაითუ თვით ქართველობაც თან გაჰყოლოდა!..

დიმიტრი ყიფიანის სურვილი და მისწრაფება კი ის იყო, რომ ეს მოვლენა უმსხვერპლოდ განხორციელებულიყო, რადგანაც ჩვენი იმჟამინდელი ყოფა, როგორც დამონებულების, სულ სხვა გახლდათ, ვიდრე სხვებისა, და რაც იმათ არგებდათ, ჩვენთვის გამოსადეგი არ იქნებოდა!.. დაუფიქრებლად თუ მივყვებოდით და ჩავეთრევინებოდით იმ პროცესს, რუსეთი რა გზასაც დადგომოდა, საბედისწეროდ გაგვიხდებოდა და გვიანღა იქნებოდა თითზე კბენანი.

აკაკის ვერა გაუგია რა?

მაშ მასპინძელი აუხსნის და გააგებინებს.

ისეთი დრო დამდგარიყო, ცხადი მტერი აღარსად ჩანდა, მაგრამ სამაგიეროდ, უჩინარი მტერი, საუკუღმართოდ ჩვენზე მომავალი, ბევრი გვეხვია, და მათთან უნდა გვებრძოლა თვალგამოხელით და წინდახედულად, რომ ჩვენი ქვეყნის წარსული შეგვესწავლა, აწმყო აგვეზომ-აგვეწონა და მომავალი გაგვეთვალისწინებინა.

ესეც საგანი დიმიტრი ყიფიანის მწარე ფიქრისა.

ძველად, როდესაც გარეშე მტერი ყოველ კუთხით თავს გვესხმოდა, ჩვენი ერი ორ წოდებად გაყოფილიყო: თავად-აზნაურობა-მხედრობად და გლეხობა-მიწათმოქმედად. პირველი თუ ბრძოლის ველზე ათენ-აღამებდა, მეორე საზრდოს აწვდიდა; როგორც მიწის მუშა, მუდმივ მხედრობას არ შეადგენდა და მხოლოდ აუცილებლობისას ჩაერეოდა ხოლმე ომში. მაშინ ახლანდელივით სამეფოს მიერ დანიშნული ჯამაგირი ან პენსია არ არსებობდა, რათა ამით შეძლებოდათ ცოლ-შვილის რჩენა. ყმა და მამული ჰქონდათ მიჩენილი და იმ დროში ხელად მეტი არც არა მოხერხდებოდა რა!..

ამ მდგომარეობაში იმყოფებოდა ჩვენი ქვეყანა, როდესაც რუსებს მომხრედ შემოვიყვანდით (დიმიტრი ყიფიანი ამ ოფიციალურ ვერსიას იზიარებდა!), მაშინ კავკასიის მთები ჯერ არ დაეპყროთ, შამილობა ნახევარ საუკუნეზე მეტსაც გასტანდა და თუ ქართველობა იმ ბრძოლაში თავს არ იჩენდა, ვინ იცის დღემდისაც კიდევ არ გათავებულიყო მთიულების ომი!.. გათავდებოდა თუ არა ომიანობა, ცხოვრებაში კიდეც სხვაგვარი წეს-წყობილება უნდა შემოსულიყო და ფულს დაეჭირა ხმლის ალაგი, რისთვისაც ქართველობა სრულებით არ იყო, მომზადებული, არც მეურნეობის და არც სხვა რამ საზოგადო მოღვაწეობისა, სადაც კი ფული ეჭირვებოდა, არა გაეგებოდა რა.

— დღევანდელი დღის შესაფერ მუშაობის უმეცარი, რიყეზე დარჩა თევზივით, რომ ცოტა ხანს კიდევ იფართხალოს და მერე სული დალიოს! ისტორიის კანონს ვერავინ მოშლის.

ისტორიის კანონი კი ის იყო, რომ ისინი უნდა წასულიყვნენ და მათ ნაცვლად სხვები, დროის შესაფერისი მეთაურები გამოსულიყვნენ: წერეთლის მაგიერ გოშაძე, აბაშიძის მაგიერ მოდებაძე, ორბელიანის მაგიერ ჩიტაძე, ერისთავის მაგიერ გრძელიშვილი და ამგვარად.

ამით ხალხი არას დაჰკარგავდა — ორივე შემთხვევაში მაინც ისევ ქართველი იქნებოდა, თუკი ხელისშეუშლელად წავიდოდა საქმე, მაგრამ...

მაგრამ ის, რომ უჩინარი მტერი ძლიერი გახლდათ!.. და ვაითუ დასწოლოდა თავს იმ ახალნერგსაც და თავად-აზნაურობას თან გლეხობაც გაეყოლებინა — სამაგიეროს მიუცემლად.

— და მაშინ-კი მშვიდობით ქართველობავ!

ეს ყოველივე არ გაეთვალისწინებინა მთავრობას?

თითქოს როგორ არა — ვითომ ხელსაც მიაწვდიდა დასაღუპავად მომზადებულ თავადაზნაურობას: პირად დამოკიდებულებას ჩამოართმევდა ბატონებს, მაგრამ ქონებრივად კი უფრო დაუმონავებდა. საკუთრებას არ მისცემდა გლეხს, მიწა საბატონო დარჩებოდა — გლეხს უნდა ემუშავა და მეოთხედი შემოსავლისა ეძლია მიწის პატრონისათვის!..

და ცარიელ სიტყვად რომ არ დარჩენილიყო ეს განჩინება, შუაში თავის ჩინოვნიკს ჩაუყენებდა. ჯაჭვის ერთ თავს მიწის პატრონს ჩააბამდა ყელში, მეორეს — გლეხებს და შუაში ჩააყენებდა მომრიგებელ-შუამავალს, პოსრედნიკს, ეს ხელჯოხიანი იქითაც რომ ექაჩებოდა და აქეთაც. მიწის პატრონს რომ ეტკინებოდა, გლეხს აბრალებდა, და გლეხს რომ ემწვავებოდა — მიწის პატრონს. ამგვარი ხერხი კი ამ ორ წოდებას შორის — რა გასაკვირია — მტრობას ჩამოაგდებდა და ცუდი ბოლოც ექნებოდა.

— მერედა მთავრობა ვერ ხედავს ამ შეცდომას? — გაიოცებდა აკაკი, მაგრამ მასპინძელი განუმარტავდა, რომ: ეგებ ეს შეცდომა არც ყოფილიყო, არამედ — წინდაწინვე გამოანგარიშებული გეგმა!.. იმ სენტენციისა არ იყოს, ვისთვის სახეიროსი და ვისთვის სავალალოსი: წამკიდებელი წაჰკიდე, ორივეს თავი წასწყვიტეო...

— მაშ უსაშველო ყოფილა ჩვენი საქმე... დავღუპულვართ, — ძლივს უნდა ამოეთქვა სტუმარს ამ მწარე რეალობის სიღრმეში ჩახედვის შემდგომ, მაგრამ რაკიღა ხერხი სჯობდა ღონესა, თუ კაცი მოიგონებდა, დიმიტრი ყიფიანსაც უკვე გამოეძებნა რაღაც გზა თუ სახსარი, მის მახვილ, ალესილ გონებას ეპოვნა ხელმოსაჭიდი მთავრობის იმ გადაწყვეტილებაში, გათავისუფლების დროს მებატონეებს გლეხებში სულზე 20-25 მანეთს რომ დაუნიშნავდა და საბოლოო თანხა რამდენიმე მილიონიც შედგებოდა.

ახლა დიმიტრი ეცდებოდა, რომ თავად-აზნაურობას, იმ ფულს რომ მიიღებდა, 10 პროცენტი დაეტოვებინა საზოგადო საქმის მოსახმარებლად. ეს კი რამდენიმე ასი ათასი იქნებოდა.

რას უნდა მოხმარებოდა ის ათი პროცენტი და:

საადგილმამულო ბანკს, სადაც თავად-აზნაურობას ადვილად შეეძლებოდა მამულის დაგირავება.

— როგორ?! ხაფანგს უგებთ?.. ხომ დაჰკარგეს?.. — არ ეჭაშნიკებოდა ეს განზრახვა სტუმარს, მაგრამ მასპინძელი ამასაც აუხსნიდა, რომ:

ადრე თუ გვიან მაინც დასაკარგავად განწირულიყო, უამისობა არ იქნებოდა, მაგრამ ახლა თავად-აზნაურობის დანაკარგს ისევ ჩვენი გლეხობა შეიძენდა და, როგორც მუშა, კიდევაც შეირგებდა!..

და დიმიტრი აპირებდა წესდებაში ამ მუხლის შეტანას:

თუ თავად-აზნაურმა ველარ გამოიხსნას დაგირავებული და დროზე სარგებლის შეტანა ველარ მოახერხოს ბანკში, მაშინ უპირატესობა გლეხებს მიენიჭოთ, იმათ გადაეცეთ იმ პირობით, რა პირობითაც თავდაპირველად დაგირავებულაო!...

გლეხები, როგორც მუშები, სარგებელს ყოველთვის დროულად შეიტანდნენ და ოდესმე მესაკუთრეებიც გახდებოდნენ.

ასე რომ, უცხო ტომისა ველარავინ შემოგვეჩხირებოდა და მიწა-წყალი კვლავ ქართველობას დარჩებოდა ხელთ!.. თორემ ერი, რომელსაც მიწა-წყალი აღარ გააჩნდა, აღარც ერად ჩაითვლებოდა!..

კი მაგრამ... ამისთანა წესდებაზე ნებას დაგვრთავდნენ? ეგ ხომ მთავრობის პოლიტიკის საწინააღმდეგო იქნებოდა?

დიმიტრი ყიფიანს ეიმედებოდა, რომ არ დაგვიშლიდნენ, თუკი თავდაჭერილად ვიმოქმედებდით:

— ჩვენ ვეცადოთ და, თუ არ მოხერხდა, მაშინ ნურც ბანკი გვინდა! უამმუხლოდ ბანკი ვნების მეტს ვერას მოგვიტანს და უეჭველადაც დაგვლუპავს!.. მე კი იმედი მაქვს, რომ ამგვარ წესდებას დაგვიმტკიცებენ, მითუფრო რომ მაგ ერთ მუხლს ყურადღებასაც არავინ მიაქცევს!..

მოხუცის საუბარი ჭკუაში რომ დაუჯდებოდა აკაკის, გულდამშვიდებით ამიტომაც გამოეთხოვებოდა დიდებულ ქართველს და გაუდგებოდა თავის გზას...

რუსეთიდან დაბრუნებული კვლავ რომ მოინახულებდა მის ასერიგად ძვირფას და სამაგალითო პიროვნებას, ის მოუსამძიმრებდა:

— ბანკი დაარსდა, მაგრამ ჩვენ რომ გვინდოდა, ისე კი არა. ჩემი წესდება არ მიიღეს... დამიწუნეს და წესდებაც სულ სხვაგვარი დაამტკიცა მთავრობამ!.. მისთანა, რომელიც ჩვენ გვაშინებდა და ვაითუ ამგვარმა ბანკმა ვნება მეტი მოგვცეს შვებაზე!..

ასე ენებებინათ წვეროსნებს — ანუ რუსეთმოვლილთ, სტუდენტობას, რადგანაც იმ დროში ქართველი, იმათ მეტი, ვინც მგლოვიარობდა, წვერს არ იყენებდა — რომელნიც გაეტაცა ნიკო ნიკოლაძეს და დაეჯერებინა: ამგვარი რამ ახალი საქმე ხალხში ახალთაობის სახელით, ინიციატივით უნდა შემოდიოდეს და არა ძველების მეოხებითო.

და იმითაც ჩამოეყვანათ დუშეთიდან ილია ჭავჭავაძე, იქ მომრიგებელ მოსამართლედ რომ იმყოფებოდა, ეკისრებინათ მეთაურობა და კიდეც შეედგინათ უიმმუხლოდ სხვა წესდება.

— კი მაგრამ ნუთუ იმ ჩვენი მუხლის მნიშვნელობა არ ესმოდათ? — შეფიქრიანდებოდა სტუმარი.

და პასუხად მასპინძელი:

— უთუოდ ესმოდათ, მაგრამ იფიქრეს: ვაითუ იმ ერთი მუხლის ბრალობით სულ აღარ დაგვრთონ ნება და მთელი წესდება, სადაც სხვა მუხლებიც კარგია, მაგალითად ის, რომ: წმინდა შემოსავალი ბანკისა თავად-აზნაურობას უნდა ეკუთვნოდესო, — სულ დაგვაკარგვინონო. ის კი აღარ გასჭვრიტეს, რომ თუ თავად-აზნაურობა გირაოს დაჰკარგავდა და თვითონ აღარ იქნებოდა, შემოსავალი ვის უნდა წაეღო? მაშინ ხომ ხმის უმეტესობით უნდა გადაწყდეს ყოველივე საქმე და წესდების შეცვლა რა ძნელი იქნება?..

მაშ ბანკისაგან მაინცდამაინც ბევრის იმედი აღარ უნდა გვქონოდა?..

დიმიტრი ყიფიანის ვარაუდით: ამ წესდებით — არა!.. თუ ვერ იხეირებდა ბანკი და კარგად ვერ აეწყობოდა საქმე, ხალხს მალე დაღუპავდა, და თუ იხეირებდა, მაშინაც კიდევ ხეირს ვერ დაგვაყრიდა!..

— ორ ცეცხლშუა ვართ გამომწყვდეული!..

ეგებ ტყუილი შიშიც იყო ეს ყოველივე?

ღმერთმა ჰქნასო, — თავის დამშვიდებას ცდილობდა მასპინძელიც, — მაგრამ სიფრთხილეს თავი არა სტკივაო.

ჯერ კიდევ იმერეთის იმედი ჰქონდა — იქ ქართველობა ერთიორად მეტი იყო და შემოწირულობაც მეტი უნდა ყოფილიყო, და ამიტომაც უნდა ცდილიყო, რომ თავისი წესდება იქ მაინც შეეტანა, თორემ თუ იქაც ტფილისისთანა ბანკი დაარსდებოდა, დიდი სიფრთხილე გვმართებდა, რომ მთლად არ დავღუპულიყავით.

ასეთი იქნებოდა დიმიტრი ყიფიანისა და აკაკი წერეთლის უკანასკნელი საუბარი ბანკის თაობაზე, ეს რომ გამოეთხოვებოდა და გასწევდა იმერეთისაკენ.

იმერელთა საქველმოქმედო შენაწირი ფული დიდძალი კი იყო, მაგრამ ის ფული ხაზინაში ინახებოდა რამდენიმე წელიწადს უსარგებლოდ და ყურისმგებელი არავინ ჰყავდა. ადგილობრივი მთავრობა, რაღაც მოსაზრებით, ვერ უყურებდა კარგი თვალით ამ საქველმოქმედო შენაწირს და სურდა როგორმე გაექარწყლებინა.

ერთ დილას მაშინდელი სათავადაზნაურო დეპუტატთა საკრებულოს მდივანი გიორგი იოსელიანი შევიდოდა აკაკისთან და საიდუმლოდ გაენდობოდა:

— ჩვენი, საქველმოქმედოდ გადადებული, ფული იღუპება: გუშინ უფროსი მოელაპარაკა მარშალს, იმან უნდა გაუგზავნოს იმერეთის თავად-აზნაურობის სახელით ერთ ვინმეს მისალოცი ტელეგრამა...

— რას ამბობ? რისი მისალოცი?.. — აკაკი გაოგნებული შეაჩერდებოდა.

— მას აქეთ, რაც ის ჩამობრძანდა ჩვენში, ათი წელიწადი სრულდება და ამ ბედნიერების აღსანიშნავად თავად-აზნაურობა ფულს წმინდა ნინოს სასწავლებელს სწირავს. ასე აპირებენ, რომ მოაკვარახჭინონ საქმე.

— მერედა როგორ იქნება, თუ მაგისთვის საგანგებო კრება არ დაინიშნა? და ხალხი კი მაგაზე, მგონი, არ დათანხმდეს!.. — მაინც მიამიტურად რომ განსჯიდა აკაკი, მაგრამ უგვანი ვითარების არსში რომ ჩაახედებდნენ:

— ამ დეპეშას კი გაუგზავნიან და მერე კაი სული ედგმის ვისმე, რომ უარი თქვას... არ მინდაო, გაამხილოს.

შეფიქრიანებული და აღელვებული მაშინვე გაქანდებოდა მარშალთან და ურჩევდა, რომ ეს საქმე არ ჩაედინა:

— თავადაზნაურობის სახელით მილოცვა და დეპეშის გაგზავნა, მაშინ, როცა თვითონ იმან-კი არა იცის რა, უკანონობაა და კეთილად არ ჩაიელის.

ეს საქმე დიდ ამბავს გამოიწვევდა. მართალია აკაკი დიდ უსიამოვნებებში გაეხვეოდა, მაგრამ პირად უსიამოვნებას აღარ დაგიდევდა, რადგანაც მილოცვას ამოფარებული თაღლითობა უკვე ვეღარ მოხერხდებოდა და გადარჩებოდა განსაცდელს საქველმოქმედოდ გადადებული თანხა!..

როდესაც ადგილობრივი მთავრობა დარწმუნდებოდა, იმ ფულით ბანკს გახსნიანო, თავისივე მოსამსახურეს, პოლკოვნიკ ნიკოლაი პეტროვიჩ პრინცს გამოახტუნებდა (თითქოსდა უბრალო მონათხრობის დროსაც რაოდენ ზუსტ და ტევად სიტყვებს გამოძებნის ხოლმე აკაკი!) და იმას შეადგენინებდა წესდებას — კისრის მომტეხსა და დამღუპავს.

აირჩევდნენ კომისიაში 30 კაცს, დიდ მემამულეებს, და იმათ უნდა გადაეწყვიტათ, მიეღოთ თუ არა პრინცის წესდება. ამ კომისიაში არავის შეუშვებდნენ ინტელიგენტთაგანს, გარდა გიორგი ღოღობერიძისა. დანარჩენებს სრულიად არა გაეგებოდათ რა და უმეტესობას რუსულიც არ ეყურებოდა — ძალიან ცოტა აჩიქორთულებდა კანცელარიაში ნასწავლ რუსულს. ცხადია ისინი მხოლოდ ფორმისათვის იყვნენ არჩეულნი, რათა საქმის წარმოებას კანონიერი იერი შეეძინა.

კიდეც ააწყობდნენ თავიანთ ნებაზე იმ კისრის მომტეხ და დამღუპავ წესდებას, და კომისიას სულ „ბალი აღას" აძახებინებდნენ, და ბულვარში აკაკის კომისიის ერთ-ერთი წევრი რომ შემოხვდებოდა, კმაყოფილი განუცხადებდა:

მადლობა ღმერთს, ბანკის წესდება მივიღეთ და მოვრჩით!.. ერთადერთი წინააღმდეგი გიორგი ღოღობერიძე იყო, მაგრამ არა გაუვიდა რა, სად წაუვიდოდა უმეტესობას? მითუფრო, რომ პრინცი მთავრობის კაცია და ჩვენი მხრივ ურჩობა წინააღმდეგობა იქნებოდაო.

ამოსავალი მათთვის ეს იყო, პრინცი მთავრობის კაცი რომ გახლდათ, და მაშ მისთვის ყველაფერზე თავი უნდა ეკანტურებინათ.

— ასე რომ, თქვენ იმ წესდებისა ბევრი არა გაგიგიათ რა, ისე მიეცით დასტური?! — მოინდომებდა აკაკი თანამოსაუბრის დანამუსებას, მაგრამ ის თავს გამოიდებდა: მურმანყრუები კი არ ვიყავით, რომ არა გაგვეგო რაო!..

რა კარგად სცოდნოდა საქართველოს ისტორია, მურვან-ყრუ ფიზიკურად რომ ეგონა ამ ნაკლის მატარებელი და არა მორალურად — უკიდურესი სისასტიკის გამო თხოვნა-ვედრებას ოდნავადაც რომ არ იკარებდა გულზე. და აბა... სად ის და სად რუსულის უცოდინარი წევრები კომისიის!..

თუმც თანამოსაუბრე აღიარებდა, რომ... ერთი სიტყვაც კი ვერ გაეგოთ წესდებისა და სირცხვილითაც ვერ ეკითხათ, და ახლა აკაკის ჰკითხავდა:

— პრინცი ხშირად იმეორებდა: პრინციპი, პრინციპიო, — და რას ნიშნავს ეს რაღაც პრინციპია?

რამდენი მახვილი სიტყვა შემოგვრჩენია აკაკისაგან, რამდენი მოხდენილი ხუმრობა, რამდენი ნაკვესი, მაგრამ ასეთი — არცერთი, შესაძლოა ყველა ერთადაც რომ გადაწონოს თავისი სოციალური და საზოგადოებრივი მნიშვნელობით.

აქ რომ გამოადგებოდა აკაკის თავისი დაუშრეტელი იუმორი, მაინც სულ სხვა იქნებოდა, ოღონდ რასაკვირველია სახეზე არაფერი, სრულიად არაფერი შეეტყობოდა და ისეთი სერიოზულობით გასცემდა პასუხს კომისიის წევრს, თითქოსდა უფრო სერიოზული თემა არც ეგულებაო. ისე კაცმა რომ თქვას, სერიოზულზეც სერიოზული გახლდათ მართლა, ფარულად და მოულოდნელად კომიკური იერით რომ შეიფერებოდა და... მიზანსაც მიაღწევდა.

პრინციპი რას ნიშნავდა და:

— როგორ თუ რას? პრინცი ხომ იცით ვინც არის?

— ბანკის შემდგენი... ჩვენი პრინცი... პოლკოვნიკი, — მოწიწებით წარმოთქვამდა თანამოსაუბრე.

— ჰოდა თქვენ მაინც როგორ ვერ მიხვდით? პრინცი რომ ის არის, პრინციპები შვილები იქნებიან მისი.

თანამოსაუბრე თავს გამოიდებდა:

— ეგ მეც ვიფიქრე, მაგრამ ვეღარ გავამხილე... მერედა რა ხელი ჰქონდათ შვილებს ჩვენ ბანკთან?

აკაკი რარიგ გახალისდებოდა, წამოვიკიდე და ეგააო, და მარჯვე თამაშს ეფექტურად გააგრძელებდა:

— ის, რომ მამას, ესე იგი თვითონ პრინცს, რომ შრომისთვის სასყიდლად 800 თუმანი მიეცით, იმდენივე მის შვილებს, პრინციპებს დაენიშნებათ პენსიად ყოველწლიურად. და აი რაზედ ყოფილა ლაპარაკი.

ამას რომ გაიგონებდა, შეკრთებოდა კომისიის წევრი, ფერი გადაჰკრავდა და მიაძახებდა:

— ნუ ხუმრობ!.. მაშ დაელუპულვართ და ეგ არის?! იმას დარჩენია ეგ ჩვენი ბანკი!..

აკაკი ცეცხლზე ნავთს დაუსხამდა:

— რაღაი კი დათანხმებულხართ და ხელი მოგიწერიათ, რასაკვირველია!

ის ცოტა ამოისუნთქებდა:

— კი მაგრამ, ჯერ ხომ არ დაგვიმოწმებია? ამაღამ უნდა გადაათეთრონ და ხვალ უნდა მოვაწეროთ ხელი.

მაგრამ აკაკი ასე ადვილადაც არ ამოასუნთქებდა:

— ცხადია უნდა მოაწეროთ ხელი. იმას ხომ ვერ გაამხელთ, ფულს აღარ ვიძლევითო? ეს რა საკადრისია იქნება თავად-აზნაურობის?

ის თან გაგულისდებოდა, თან სასოებით მიაჩერდებოდა, ეგებ რაიმე სასარგებლო მირჩიოსო:

— ღმერთია მოწამე, ეგ გუნებაშიც არ მოგვსვლია, და როგორ უნდა მოვიტყუოთ თავი? რაც იმას ერთბაშად მივეცით, ისიც მეტია!.. მაშ ახლა აღარა გვეშველება რა?

რაკიღა აქამდე მივიდოდა საქმე, აკაკის უნდა გადაეწყვიტა თუ როგორ მოქცეულიყო კომისია, მარჯვედაც ამოუჭერდა საბელს და გზასაც უჩვენებდა თითქოსდა გამოუვალი ყოფიდან თავდაღწევისა:

— არის ერთადერთი ღონე, მაგრამ საფრთხილო კი არის!.. რომ გახმაურდეს, ვეღარ გასჭრის: ხვალ რომ მოვა კომისია, ნუღა მოაწერს ხელს. იმას კი ნუ იტყვის, ფულის მიცემა არ გვინდაო. სულაც ნუ ახსენებს პრინციპებს. მიზეზად ის აიღონ, რომ სულ აღარ გვინდა ბანკი და ჩვენი ფული უკანვე მიგვაქვსო. პრინცმა შრომის ფასი თუ მოითხოვოს, ასე შეგიძლიათ უთხრათ: ჩვენ არც გვითხოვია თქვენთვის წესდების შედგენა და ბანკიც არ გვინდაო.

— ისემც კარგი დაგემართოს, — მოაყვირებდა მხიარულად ის, — ამაღამ კომისიის წევრები თავს იყრიან მიხეილ წერეთლისას, მეც იქ ვიქნები და შევატყობინებ სხვებსაც.

აკაკი სიფრთხილეს ურჩევდა, ფარულ მოქმედებას:

— კი მაგრამ, ვაითუ გახმაურდეს ეგ ამბავი და მაშინ კი აღარ მოხერხდება რა!..

— ეგ ჩემ კისერზე იყოს! იმათ მე მოველაპარაკები. მართლა ხომ თავის მტერი არა ვართ, შე დალოცვილო! — ამას მიუგებდა, გამოეთხოვებოდა და ძალიან დაჩემებული გაშორდებოდა.

ამ უბრალო ხუმრობამ მართლა გასჭრაო, — აკაკი ასე შეაფასებდა იმ მახვილგონივრულ საუბარს.

რაღა უბრალო ხუმრობა, ამხელა წამოწყებას კი შემოუტრიალებდა უკუღმა მთავრობას და ხახამშრალს დატოვებდა, რადგანაც მეორე დღეს კომისია წესდებას აღარ მიიღებდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ პრინცი გაიგებდა მიზეზს და ისე გაგულისდებოდა აკაკიზე, რომ გაზეთ „კავკაზში“ მოათავსებდა სტატიას, რომელშიც მას მთავრობის მოღალატედ და ხალხის მაშფოთრად დასახავდა.

აკაკი ზედმეტად მიიჩნევდა იმ ბრალდებებზე გამოპასუხებას, მხოლოდ „დროების“ ფურცლებზე სასაცილოდ აიგდებდა მისი წესდების ზოგიერთ მუხლს.

პირადად აკაკის ძვირად დაუჯდებოდა პრინცის გადაკიდება, როგორც საგლეხო დაწესებულების წევრს, როდესაც შორაპნის მაზრას მას ჩააბარებდნენ, მაგრამ რას დაგიდევდა, რაკიღა საზოგადო ფული გადაურჩებოდა ხიფათს მეორედაც.

აი მესამედ კი... ხიფათი მაინც თავისას გაიტანდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ხმა გავარდებოდა: ბესარიონ ღოღობერიძე მოდის იმერეთში ბანკის დასაარსებლადო, — და მართლაც ჩამოვიდოდა და თან ჩამოჰყვებოდნენ: ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი და სხვანი.

ჯერ ერთად იმოქმედებდნენ, მაგრამ კვირის თავზე უთანხმოება მოუვიდოდათ და განზე გაუდგებოდნენ ერთმანეთს.

ბესარიონ ღოღობერიძე უკუაგდებდა დიმიტრი ყიფიანის წესდებას და მოინდომებდა საკუთარის შედგენას, ანუ ხერსონის ბანკის წესდებას გადმოწერდა, რომელსაც ადგილობრივი მთავრობაც თანაუგრნობდა, და წარადგენდა დასამტკიცებლად!

ბესარიონს წარმოსახავდა როგორც იმ დროის შესაფერისად კარგად ნასწაელსა და ნიჭიერს, მაგრამ ცოტა ჟინიანს, დიმიტრი ყიფიანისოდენი შორსმჭვრეტელობაც რომ აკლდა. და ამას მკითხველს იოლად დაუმტკიცებდა, როდესაც გაიხსენებდა მასთან სტუმრობას მოსალაპარაკებლად, მასპინძელი გულმოსული რომ დახვდებოდა და ნიკოლაძის, წერეთლისა და მესხის ძრახვას მოჰყვებოდა, აკაკი კი მათ გაამართლებდა და ბესარიონს წესდებას დაუწუნებდა, ყველაფერს თავისი ტრადიცია უნდა და ჩვენებმა, ქართველებმა ჯერ ფულისა არა იციან რაო!..

— ბანკიდან ფულს ადვილად გამოიტანენ, მოხმარებით კი ვერ მოიხმარენ!.. ადვილადაც გაჰფანტავენ. დაგირავებულ ადგილ-მამულს დაჰკარგავენ და დარჩებიან მშრალზე. ჯერჯერობით, ვიდრე ფულის წარმოებაში განვითარდებოდეს ჩვენი ხალხი, ამგვარი ბანკი სწორედ მახეა და ხაფანგი მისთვის!.. გამატყავებელი რულეტკა. ვინ იტყვის, რომ სამართებელი კარგი არ იყოს დიდებისათვის წვერის მოსაპარსად, მაგრამ ბავშვებს კი არავინ ჩაუგდებს ხელში ყელის გამოსაჭრელად.

ის იუკადრისებდა: პოეტი ხარ და პოეტურადაც უყურებ საქმეს! მე კი პრაქტიკულად ვსჯიო, — მისი პრაქტიკული განსჯა და თვალთახედვა კი ის გახლდათ, რომ:

ყოველი იმერელი მინისტრად გამოდგებოდა და მიხეილ მიქელაძე კი ბისმარკად!..

და ამ უბრალო რამეს ვეღარ მოიხმარებდნენ ამხელა ძალმოსილების იმერლები?

— არა, მე ჩემი აზრი მაქვს და გზასაც გავაკვლევ!.. — ყელყელაობდა ბესარიონ ღოღობერიძე, და აკაკის ამ დანაბარებით გამოისტუმრებდა, — უთხარი იმ ყმაწვილებს, რომ მე იმათთან საერთო არა მაქვს რა!.. იმათ ვერ ავჰყვები, ყიფიანის უსტავს ვერ მივიღებ, და თუ წინააღმდეგობას გამიწევენ, მათი ნებაა!.. ჩვენ კი მაინც ჩვენსას არ დავიშლით.

მაშინ ორად გაიყოფოდნენ: ღოღობერიძის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად.

რაჭის მაზრა, ლეჩხუმისა და ზემო იმერეთის ნაწილი — წინააღმდეგნი იქნებოდნენ!.. გურია, სამეგრელო და ქვემო იმერეთი — მომხრეები, რომელნიც დარწმუნებულნი იყვნენ: ბანკს ფულის გამოტანის მეტი არა უნდა რაო.

ვნებათაღელვა ისე გაიტაცებდა ყველას, რომ საქმე პირადობაზე მივიდოდა და თავმოყვარეობა კინაღამ სისხლს დაღვრიდა. მაშინ იქნებოდა, რომ ზოგს ფრაკს დაახევდნენ, ზოგს შეურაცხყოფდნენ და ზოგს მოკვლასაც მოუნდომებდნენ. ახალი თაობაც ორად გაიყოფოდა და იმ დღიდან გადაემტერებოდნენ ერთმანეთს.

უმეტესობას მთავრობა თანაუგრძნობდა და... რასაკვირველია გაიმარჯვებდა: სამეგრელოს საკუთარ დირექტორს მისცემდნენ მეგრელს, რადგანაც მაზრულ პატრიოტობაზე მიდგებოდა საქმე (აკაკი ირონიულად გაჰკრავდა კბილს), გურიას — თავის საკუთარს და ბესარიონ ღოღობერიძეს კი თავმჯდომარედ აირჩევდნენ.

და მას ბანკისა რომ არა გაეგებოდა რა, აკაკი ამ გარემოებასაც წარმოაჩენდა:

ერთს, სხვებზე მეტად შეგნებულ დირექტორს, მიენდობოდა ხაზინადარობაც და ფულს იძლეოდა გარდა ორშაბათისა, რადგანაც ამაოდ-მორწმუნეს ეგონა: ორშაბათი მძიმე დღეა და სესხი რომ ვინმეს მივცე, ბედი ხელს გადაჰყვება და ბანკი დაიღუპებაო. დღე რომ არ გამცდარიყო, ამხანაგები ასწავლიდნენ და ისიც მისაცემ ფულს მუხლზე იდებდა და ასე აძლევდა მუხლისთავით მსესხებლებს... ხალხს მაინც ათავისუფლებდა.

ასე რომ მთელი შრომა მარტო ღოღობერიძეს დააწვებოდა კისერზე. კიდეც მოაწესრიგებდა თავისი წესდების შესაფერისად ბანკს, მაგრამ მომეტებული შრომა კი თან გადაიტანდა.

ბანკის დაარსებასთან ერთად საერთო ეკალიც დაითესებოდა და, როცა ამოიყრიდა, მაშინ ეჩხვლიტებოდა ყველას, განსაკუთრებით დიდ მემამულეებს!.. დადიანებს, გურიელებს, ჩხეიძეებს, ნულუკიძეებსა და სხვებს თვალსადახელშუა გამოეპარებოდათ ადგილმამული. რაც დღე გავიდოდა, ბანკი უფრო და უფრო საშიშ ყოფაში ჩავარდებოდა და დაადგებოდა საუკუღმართო გზას. ასე რომ, ბანკი როდესაც კალისტრატე ჩიკვაიძეს ჩაუვარდებოდა ხელთ, მაშინ ის ახალს სრულიად არაფერს შემოიტანდა, ანკი ზედმეტად რატომ შეეწუხებინა თავი: მეკენჭეების გადაბირება, გამასპინძლებს და სხვა ყოველგვარი საარჩევნო ხრიკი წინადვე ყოფილიყო შემოღებული.

ირონიას გამოურევდა თხრობისას და კიდეე უფროც გაამკვეთრებდა:

ჩიკვაიძემ მხოლოდ უფრო გაბედული, პირდაპირი და აშკარა, დაუფარავი ხასიათი მისცა საბანკო ხრიკებსო.

მოუნდომებდნენ გადაგდებას კალისტრატე ჩიკვაიძეს, მაგრამ რომ ვეღარ აჯობებდნენ, მთავრობას მიმართავდნენ, მათ თხოვნას რომ შეიწყნარებდა და სამინისტრო გამოგზავნიდა თავის მოხელეს, რომელსაც რასაკვირველია დიდ ჯამაგირს დაუნიშნავდნენ.

— რა ენაღვლებოდათ?!

ახალი თავმჯდომარის ხელში, ჩვენი ქვეყნისა რომ არა გაეგებოდა რა, როგორც დედინაცვლის ხელში, ბანკის საქმე უფრო ცუდად წავიდოდა. რაც სურდა, იმას სჩადიოდა და ხმის გამცემი არავინ ეყოლებოდა!..

თავმობეზრებული საზოგადოება საჩივარს შეიტანდა სამინისტროში: არ გამოგვადგა და მოგვაშორეთო!.. და ისინი კი შუამდგომლობას ამ საქმის შესახებ... თვითონ იმ თავმჯდომარეს დაავალებდნენ და გაგზავნიდნენ პეტერბურგს: ეცადე, რომ გადაგაყენონო!..

ნოველა რომ იყოს, იფიქრებდი — გამკეთრებულია კომიზმი, გროტესკშიც გადასულა მხატვრული დანიშნულების გამოისობით, თორემ ყოფით რეალობაში ასე როგორ შეიძლება მომხდარიყოო, რაკიღა წინდაწინვე თვალნათლივ ხედავ, თუ რა მოჰყვებოდა თავმჯდომარის გამგზავრებას... თავის დასასჯელად. ან ჩინოვნიკური სისტემა როგორ უნდა ყოფილიყო აწყობილი, ან ესენი როგორ უნდა ყოფილიყვნენ ასეთი მიამიტები, ეს ასერიგად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება სამართლიანად შერისხული და გასაძევებელი ადამიანისათვის მიენდოთ.

მწარედ ეცინებოდა ამ ვითარებაზე აკაკის, ძალაუნებურად ის ანდაზა რომ მოადგებოდა ენის წვერზე: ვნახე სოფელი უძაღლო, უჯოხოდ დავიარებიო.

და ის მოხელეც სოფელს რომ ნახავდა უძაღლოს, ჰოი რა დაიმედებული გაემგზავრებოდა პეტერბურგში და რვა თვესაც იქ დარჩებოდა. ჯამაგირის გარდა დღეში 24 მანეთიც ეძლეოდა და აქ კი ბანკი დახურულივით იქნებოდა. ათი თვის თავზე დაბრუნდებოდა და განუცხადებდა მისი გადაყენების მსურველთ:

— ბევრი ვეცადე, მაგრამ მინისტრმა არ გადამაყენა!..

და ეს ეპიზოდი ნოველურად უნდა დაგვირგვინებულიყო, აკაკი შესაფერის აკორდს ჩვეული ხელოვნებით რომ გამოძებნიდა:

და საზოგადოებამ შრომისათვის ბადალი გადაუხადაო.

ანკი როგორ არ დარჩენოდნენ მადლიერნი, როდესაც ცდილიყო თავის გადაყენებას, და თუ მინისტრი არ დაყაბულდებოდა, აბა რა ამისი ბრალი გახლდათ?!.

ასე და ამგვარად უარ-უარ წარიმართებოდა ბანკის საქმე — ტფილისისა და ქუთაისის ბანკები ტყუპისცალებივით დაემგვანებოდნენ ერთიმეორეს. განსხვავება მხოლოდ ის იყო, სათანხო ფული ქუთაისს ბევრად მეტი რომ მოეპოვებოდა, მაგრამ მაინც უფრო ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა და იმთავითვე მიმართავდა „მომავალ მოსალოდნელ მოგებას“ ანუ ჯანდაბის კიდობანს, როგორც ხალხი შეარქმევდა.

მიზეზი? — ტფილისის ბანკს შეგნებული მმართველები ჰყავდა და ქუთაისისას მხოლოდ კუჭზე მოფიქრალნი. სხვა რომ არა ყოფილიყო რა, ტფილისის ბანკი ჯერ მარტო გრიგოლ არწრუნის ქარვასლის შეძენით ისე გაიმაგრებდა წელს, რომ აღარა გაუჭირდებოდა რა!..

ამგვარი ხელსაყრელი შემთხვევა ქუთაისის ბანკს კი არ გამოუჩნდებოდა?

როგორ არა, მაგრამ ვერ გამოიყენებდა სასარგებლოდ და აკაკი ამაში დაადანაშაულებდა მათ კუჭის ამყოლობასა და ჩემიან-შენიანობის მიმდევრობას.

აგერ თუნდ:

გრიგოლ მირზოევის სახლი, სასტუმრო „გრანდ-ოტელი“ და გაღმა-გამოღმა, ხიდის გაყოლება დუქნები სულ მას დარჩებოდა, მაგრამ ყოველწლიურ ზარალს ნახავდნენ და ბოლოს გაყიდდნენ დიდი ზარალით. და ეს იმიტომ, რომ ყურისმგდებელი არავინ ეყოლებოდა და ჩემიან-შენიანობა გადაწონიდა ყველაფერს.

ნიკო დიასამიძე აკაკის პირით სთხოვდა ბანკს:

მე ჩამაბარეთ მირზოევისეული მამულები! სხვა რომ გიყენიათ ყურისმგდებლად და ჯამაგირსაც აძლევთ, მე ჯამაგირს არა გთხოვთ, პირიქით — საწინდარს შემოვიტან და რაც დღევანდელისაზე მოგებამ მოიმატოს ჩემს ხელში, მისი მეოთხედი მიბოძეთო!..

ხელიდან გასაშვები შეთავაზება არ არის, მითუმეტეს შუამავლად თვით აკაკია გარეული, მაგრამ... ამ წინადადებას არ მიიღებდნენ და სიცილით განუცხადებდნენ: მაგგვარი რამ წესდებაში არ გვიწერიაო!1..

აგერ კიდევ თუნდ:

დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკი შემოუთვლიდა თავად-აზნაურობას, რომ:

აჯამეთს ჰყიდდა და ივანე ონანოვი ყიდულობდა, ოღონდ ესენი თუ მოინდომებდნენ, ამათ დაუთმობდა, თანაც ონანოვი რომ აძლევდა, იმათ კიდევ 5 ათას თუმანს დაუკლებდათ.

კიდევ თუნდ აგერ:

გლეხები შეიტყობდნენ, ჩამოვიდოდნენ და ითხოვდნენ, რომ: ბანკს დაეგირავებინა მათ სახელზე და ისინი არათუ სარგებელს, რამდენიმე წელიწადში თავისაც გაისტუმრებდნენ: დღესაც ხომ ჩვენი შრომა და ოფლი მუშაობსო?!.

და აკაკი როგორ არ გაოგნებულიყო და შეწუხებულიყო, რომ ბანკი ვერ მოისაზრებდა, თუ რა ძვირფასი განძი იყო იმერეთისათვის მისი შუაგული — აჯამეთი და უარზე დადგებოდა... და ხელთ ჩაუგდებდა რამდენიმე მილიონის საღირალ ადგილ-მამულს უცხოს სულ უბრალოდ და... დღეს დღიურ მუშებად ჩამდგარი ჩვენი გლეხები პროლეტარულ ოფლსა ღვრიდნენ სხვისთვის, მაშინ, როდესაც მისი ფასი რამდენიმე მილიონამდე აიწევდა!..

და თუნდ კიდევ აგერ:

პავლე თუმანიშვილი და გიორგი აკოფოვი შესთავაზებდნენ ბანკს თავიანთ სახლს, რომელშიც გიმნაზია მოთავსებულიყო, ასი ათას მანეთად, და სანაცვლოდ გირაოს ფურცლებს მოითხოვდნენ. მთავრობას რომ რაღაც მოსაზრებით ეს არ ეპრიანებოდა, აკაკი ამას არად ჩააგდებდა, მაგრამ ის კი გაუკვირდებოდა, რომ შეერთებული სხდომა ბანკისა და ზედამხედველ-კომიტეტისა წინააღმდეგი გახდებოდა ასეთი სასარგებლო შეთავაზებისა.

იმ სხდომაში მონაწილეობას მიიღებდა მისთანა წევრი კომიტეტისა, რომლისგანაც თავად-აზნაურობა სკოლისათვის სახლს ქირაობდა და გაფორმებული პირობით წლიურად 350 თუმანს აძლევდა, მაშინ, როდესაც ის სახლი საქირაოდ... 40 თუმნადაც არა ღირდა და ის წევრი სახლის შეძენის წინააღმდეგი რომ ყოფილიყო, რაღა გასაკვირია.

ეს გარემოება მოხსენდებოდა საზოგადო კრებას და მოსარჩელენიც გამოვიდოდნენ და იტყოდნენ:

— სააზნაურო სკოლისათვის რომ სახლს ვქირაობთ, 350 თუმანს ვიხდით, ბანკისთვის — 120-ს, დეპუტატთა საკრებულოსათვის — 90-ს, ეს ყველა შეადგენს 560 თუმანს. შეგვიძლია, რომ ყველა ეს სახლი ამ ახალნაყიდ ერთ სახლში მოვათავსოთ და ოცი დუქანიც კიდევ გიმნაზიის გვერდით ჩვენივე იქნება. გირაოს ფურცლებში კი ამდენი არ გამოგვივა და დიდ მოგებას ვიქნებით, მერე კიდევ ოცი წლის შემდეგ მუქთად დაგვრჩება სახლი!..

კრება გადანყვეტდა ყიდვას, მაგრამ... შეერთებული სხდომა მაინც თავისას გაიტანდა და კრების გადაწყვეტილება, რაც უნდა უეჭველად აღსრულებულიყო, დარჩებოდა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსაშინა.

მეტი თვალსაჩინოება რაღა გვინდოდა ქუთაისის ბანკის ცოდვების გასათვალისწინებლად, აკაკის მოწმობით, რომ არც დაითვლებოდა.

და რაც დღე გადიოდა, ბანკიც უკან-უკან იმიტომ მიდიოდა, რომ: საზოგადო ხასიათი არ ეტყობოდა — დაგირავებული მამულების, ზოგი და ზოგის შემოსავალს კერძო პირები ჭამდნენ შეუპოვრად. ასე რომ, ბანკი გადაიქცეოდა მხოლოდ კერძო გუნდის საპირადო დაწესებულებად და გუნდის წევრებიც ერთმანეთს მხარში ამოუდგებოდნენ.

— ყველასაგან ხელ-აღებული ბანკი უფსკრულის კიდემდი მივიდა და პატრონი, ხმის გამცემი არსად იყო შარშანდლამდე...

შარშან კი — ანუ 1911 წელს — იმას ჩაიდენდა ახალშემდგარი ოპოზიცია, რასაც არავინ მოელოდა: ჩადგებოდნენ ოპოზიციაში სერგო ბახტაძე, იაკობ ფანცხავა, ალექსანდრე საყვარელიძე და სხვანი, მიიმხრობდნენ ვაჭრებს და სულ სხვანაირად წარიმართებოდა საქმე. სულ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარებდნენ ბანკის მოქმედებას და აგრძნობინებდნენ ყველას, რომ ძველებურად ვეღარ გაგრძელდებოდა.

ბანკი შეუდგებოდა ჩვეულ ხრიკებს: ხან ამას მოსდებდა, ხან იმას, უმეცარ მეკენჭეთა იმედი ექნებოდა, მაგრამ ვეღარაფერს გააწყობდა, მითუფრო, რომ თვალგამოხელილი კრება დაინახავდა ოპოზიციას საზოგადო საქმის მოსარჩლედ და არა კერძო რაიმე ანგარიშის მიმდევრად!..

ის აღარ გაისმოდა ამ კრებაზე, რაც წინათ:

— აქამდი მაგათ უჭამიათ და ახლა ამათაც, სხვებმა ჭამონ!

ისეთ ყოფაში ჩაცვივდებოდნენ ბანკის მეთაურები, რომ გამოაცხადებდნენ: მართალია, რასაც გვეწამებით, მაგრამ უკუღმართობას ნუ მიაწერთ!.. ეგ მოგვივიდა გაუგებრობითა და წინდაუხედაობითო!

ეს სიტყვები კრების ოქმში ჩაინერებოდა, ოღონდ აკაკი რომ მოიხმობდა, ორივე ამ სიტყვას — გაუგებრობასაც და წინდაუხედაობასაც — წინწკლებით შემოსავდა, რადგან ოდნავადაც არა სჯეროდა, უნებლიეთ რომ მოსცლოდათ შეცოდებანი და არა წინასწარი განზრახვით; თუმც ასეც რომ ყოფილიყო, ბანკის მეთაურებისათვის ან ეს განა რა გამართლება უნდა ყოფილიყო — რა, ეპატიებოდათ გაუგებრობა და წინდაუხედაობა?!.

ოპოზიცია გაიმარჯვებდა და ზედამხედველ კომისიებში ჩააყენებდა ორ თავის წევრს მეთვალყურედ.

აკაკი ამ გამარჯვებას მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნევდა, მაგრამ არა გადამწყვეტად, რადგანაც: ორი რას გააწყობდა ჯართან?

მეტის მიღწევა იყო აუცილებელი, სანდო პირთა მომრავლება, საქვეყნოდ მოფიქრალთა და მოჭირისუფლეთა, თორემ ადვილი მოსალოდნელი გახლდათ, რომ ხალხი — როგორც დამგირავებელი, ისე თავად-აზნაურობაც — დაღუპულიყო ბანკის მეთაურთა ხრიკების გამოისობით...

კარი მეექვსე

თავი I

წყაროსებრ ამომჩქეფარე

აკაკი წერეთლის ხსენება უპირველესად ტკბილ ქართულ მუსაიფსა და გრძნობით სავსე ლამაზი სიტყვის ხელოვნებას გაახსენებდა ნიკოლოზ კანდელაკს, ჩვენი მჭევრმეტყველების ისტორიის მკვლევარს, და იმთავითვე განაცხადებდა:

დიდი პოეტის მახვილი და ნათელი აზროვნება თანაბარი ძალით ბრწყინავდა წერილობითი და ზეპირი შემოქმედების სფეროებში, ლიტერატურასა და მჭევრმეტყველებაშიო.

და ბუნებრივად მიაჩნდა, რომ: მისი მოსწრებული სიტყვები, ელვარე ნაკეცები და ფრთიანი გამონათქვამები ღირსეულად ამშვენებდნენ XIX საუკუნის მხატვრულ მემკვიდრეობას.

და რომ: პოეტური ენამზეობის დიდი ოსტატი არ ივიწყებდა მშობლიურ მჭევრმეტყველებასაც და ათეული წლების განმავლობაში ქმნიდა ზეპირი სიტყვის შესანიშნავ ძეგლებს.

განა რა აუცილებელი იყო, რომ ამ ქმნილებებს ებრწყინათ პათეტიკური ოქროპირობით, მგზნებარე მხურვალებითა და ესთეტიკური სინატიფით.

სამაგიეროდ გვხიბლავდნენ:

მაღალი უბრალოებით, მშვიდი დინებითა და წარმტაცი ჰარმონიით.

აკაკის მჭევრი სიტყვა უკიდურესი სისადავით რომ ხასიათდებოდა, ნიკოლოზ კანდელაკი ფენა-ფენა წარმოაჩენდა ამ თავისებურებას, რომლის საწყისიც ის გახლდათ, რომ:

აქ წაშლილიყო ზღვარი ორთაშუა საუბარსა და საჯარო მეტყველებას შორის; ორატორული მეტყველება გაიგივებოდა ჩვეულებრივ მუსაიფს და შემოსილიყო სრულიად სადა, მარტივი და უპრეტენზიო ელფერით.

ორატორი საგანგებოდ ცდილობდა მოესპო მანძილი მეტყველსა და მსმენელს შორის და თავისი მოალერსე, თბილი და მიმზიდველი ტონით შემოეერთებინა, ან უკეთ, შერწყმოდა სმენადქცეულ დარბაზს.

ასეთ მეტყველებას ხარბად ეწაფებოდა და მთელი გულისყურით ითვისებდა მსმენელი, იქცეოდა შემოქმედის საქმის მონაწილედ და მასთან ერთად განიცდიდა საერთო აღმაფრენას. აქ მყარდებოდა სრული განუყოფლობა მეტყველსა და მსმენელს შორის და მათი ერთიანი აღმაფრენის ნაყოფი პირადი საკუთრების სახით ეჩვენებოდა ყოველ მონაწილეს.

ესეც აკაკის საჯარო მეტყველების თავისებური პროცესით მოგვრილი შთაბეჭდილება, არსებითად ერთგვარი განცდა, რასაც იწვევს ორატორის ღრმად ჩამწვდომი და უაღრესად გულწრფელი უშუალობა. და ამგვარი განცდის წრეში მოქცეული მსმენელი აკაკის მეტყველებას შეიცნობდა როგორც სავსებით ჩვეულებრივ საუბარს, რაც არაფრით განირჩეოდა ყოველდღიური საყოფაცხოვრებო ორთაშუა ლაპარაკისაგან.

— ასეთი შეცნობის წყაროა აკაკის ორატორული ხელოვნება, საიდანაც მომდინარეობს ჯერ მსმენელისაკენ მიმართული, შემდეგ მსმენელისაგან უკუქცეული და, დასასრულ, გაერთიანებული შემოქმედებითი აღმაფრენა, დიდი შედეგი მაღალი ოსტატობისა.

ამგვარი სულიერი ურთიერთობის წყაროს წარმოადგენს აკაკის ორატორული შემოქმედება, ქართული მუსაიფის ეს უმაღლესი მწვერვალი.

საჯარო ლექციები იყო და:

ხშირად რომ კითხულობდა, ბევრგან და ყოველთვის დიდი წარმატებით, განსაკუთრებულ ცნობისწადილს გამოიწვევდა მისი გამოსვლები „ვეფხისტყაოსანზე", თუმც მათ ფონზე არ უნდა ჩაკარგულიყო ლექციები: ხალხური სიტყვიერების, ქართველი ქალისა და სხვა საჭირბოროტო თემებზე.

რაო, როგორ გამოხმაურებოდა „დროება" რუსთველის ეპიკურ ქმნილებაზე მსჯელობას 1881 წელს?

— აკაკი წერეთელს ორატორული ნიჭი, მართალია, არა აქვს; ის გემუსაიფება, გელაპარაკება, თითქოს ამბავს რასმე გიამბობსო; მაგრამ ეს ლაპარაკი და მუსაიფი ისეთი ტკბილია, ისეთი საამოა, რომ არ შეგიძლიათ ყური მოაშოროთ.

ერთი წლის თავზეც ამავეს გაიმეორებდა გაზეთი:

— ყველამ იცის, ვისაც კი შარშანდელი ლექციები „ვეფხის-ტყაოსნის გმირებზე" გაუგონია აკაკი წერეთლისა, თუ რა ტკბილ-მოუბარი ლექტორია ის, რა ჩინებულის ქართულით, რა გარკვევით და ყველასთვის გასაგონად ლაპარაკობს და რა მშვენიერის, მოხდენილის, მახვილის მაგალითებითა და ეპიზოდების მოყვანით აცხოველებს ხოლმე ის თავის ლექციებს.

ნიკოლოზ კანდელაკი თავის მხრივ რომ მიადევნებდა:

ამ სიტყვებში აკაკის ორატორული პორტრეტია წარმოდგენილიო.

სადღესასწაულო სიტყვა იყო და:

ბუნებრივი მახვილგონიერება და მოსწრებული სიტყვის უნარი უწყობდა ხელს ხშირად სრულიად მოუმზადებლად — სუფრასთან, მოულოდნელი შეხვედრისას ან ვინმეს საპასუხოდ წარმოეთქვა მჭევრი სიტყვა, ამის საუკეთესო მაგალითებად რომ შეიძლება გვეგულისხმა შესანიშნავი სამადლობელი სიტყვები, წარმოთქმული თელავში — 1882 და 1911 წლებში; ანდა ქართველ მუსულმანთა შემოერთების გამო — თქმული ნადიმზე 1878 წელს; ამავე წრეს უკავშირდებოა სამგლოვიარო ქმნილებაც, თქმული ილია ჭავჭავაძის დაკრძალვაზე 1907 წელს.

ქართველ მუსულმანებთან შეხვედრისას სუფრაზე წარმოთქმულ მის სიტყვას სერგეი მესხი რომ გამოაქვეყნებდა 1878 წლის 23 ნოემბრის „დროებაში", შეფასებით ასე შეაფასებდა: ყველაზე მომეტებული აღტაცება გამოიხმოო, — ნიკოლოზ კანდელაკი კი უფრო დეტალურად ჩაუკვირდებოდა და მკითხველის ყურადღებას მიაქცევინებდა, რომ:

სიტყვის გულდათქმულ დინებაში იგრძნობოდა აკაკის შინაგანი მღელვარება, რასაც ნელი და წყნარი შესიტყვებით გვიმხელდა, და საგანგებო თავდაჭერით უფრო გონებას დაიმორჩილებდა, ვიდრე გულს. თანმიმდევრული და ლოგიკური ძალით უმთავრესად მსმენელთა ინტერესებს ამოძრავებდა და არა ემოციებს. მჭევრმეტყველების ენობრივი საუნჯე აქ მთლიანად აზრის სრულად გამოხატვას მოემსახურებოდა. ორატორულ სამკაულებს მოკლებული სიტყვა მხოლოდ არსებითი მნიშვნელობით გამოიყენებდა ცნებებს და მათი ძირითადი აზრებით ჩამოაყალიბებდა შინაარსს. ყოველგვარი შემოვლითი გზის გარეშე, პირდაპირ და შეუფარავად გაგვიზიარებდა თავის იდეურ მოსაზრებებს.

დღეს ჩვენ შეგვეძლო მივსულიყავით ჩვენი წინაპრების საფლავებთან და ჩაგვეძახა, თქვენი ანდერძი ჯერ კიდევ არ გაგვიფუჭებიაო, და მაინც რა იყო ეს ანდერძი?

რა იყო და:

დედა-ენა და ერობა!..

მათ სადიდებლად ხომ ბევრი შრომა გაეწიათ და დიდი მსხვერპლიც შეეწირათ ჩვენს ნეტარსახსენებელ მამა-პაპებს.

სადღესასწაულო გამოსვლებიდან ის რამდენიმე ეპიზოდი სახელდახელოდაა გახსენებული, თორემ აღნუსხვა რომ გამხდარიყო საჭირო, იქ ცხადია არც ეს ნიმუში გამოიტოვებოდა.

ნადიმზე ერნესტო როსის, საქართველოში საგასტროლოდ ჩამოსულ იტალიელ მსახიობს, განთქმულს განსაკუთრებით შექსპირულ ტრაგედიებში მონაწილეობით, „მეფე ლირი" იქნებოდა თუ „ოტელო", „ჰამლეტი" თუ „მაკბეტი", და თუ კიდევ სხვანი, ქართულად რომ მიმართავდა შესხმითი სიტყვით, დაე ის მარტო ენის უცოდნელობას ნუ მიაწერდა,

რადგანაც აკაკის ზედმიწევნითაც რომ სცოდნოდა უცხო ენა, მაინც ქართულს ვერ უღალატებდა, რაკიღა ეს მისი დედა ენა გახლდათ — ყოველ ენაზე უფრო უტკბესი და უძვირფასესი მისთვის, და ამიტომაც მოინდომებდა გულითად სარჩულად დაედო იმ აზრებისათვის, რომელსაც ამ სანატრელი სტუმრის მიმართ წარმოთქვამდა.

მხოლოდ სტიქიურ მოვლინებას შეეძლო ეგრძნობინებინა უხმოდ-უსიტყვოდაც ქვეყნისათვის თავისი ძალაც და იმავდროულად მოეგონებინა ყოვლისშემოქმედის ძლიერებაც.

და ერთ ამგვარ ძალთაგანად მოვლენილიყო ერნესტო როსიც:

რადგანაც უსიტყვოდ — ქართველთათვის მართლაც უსიტყვოდ, რაკიღა მისი ენა არ ესმოდათ — მხოლოდ სახის გამომეტყველებითა და გარეგანი მიმოხვრით ეგრძნობინებინა მაყურებლისათვის თავისი ძალა და თანვე შეესმენინებინა შექსპირის შემოქმედებითი ძლიერებაც.

— დღეს ჩვენ, დღიურ ვარამისაგან გარეშემოზღუდული და წვრილმანობისაგან გატაცებული, ისე დავჩიავდით, რომ ვეღარ ვსწვდებით ჩვენდა თავად იმ სიმაღლემდე, საიდამაც საოცარი გულთა-მხილავი და გულთა-მხიბლავი პოეტი გვიქუხს და გვიელავს.

საჭირო იყო გამოჩენილიყო გოლიათი, რომელიც აიყვანდათ და მიაწვდენდათ იმ სიმაღლემდე, და ამგვარ გმირად გამოგვჩენოდა კიდეც ქართველობას ერნესტო როსი.

იმ ულუმბიურ ხასიათებსა და ჯოჯოხეთურ ვნებათაღელვას, რომელიც პოეტს გამოეხახა და ჩაებეჭდა სხვადასხვა გვამში, იტალიელი მსახიობი დაგვანახვებდა თვალდათვალ და შეგვასწავლიდა, და დღეს არათუ ვიცოდით, არამედ კიდეც ვგრძნობდით, თუ როგორ იტანჯებოდა სიბერემდე ზვიადი, უკადრი და თავგასული მეფე ლირი, როდესაც წვრილმანი უმადურობა გველივით გარს ეხვეოდა. დავინახავდით და შევიტყობდით, თუ სადამდე მიიყვანდა უსაზღვრო თავმოყვარეობა და პატივისმიმდევრობა მაკბეტს და რა უკიდურესობაში ჩააგდებდა მისი საზიზღარი შედეგით.

თვალწინ დაგვეხატებოდა დიდბუნებოვანი ჰამლეტი, უკიდურესი გრძნობა-გონების მექონი, მაგრამ რადგანაც ამ ორ ძალას ერთიმეორეს ვერ შეუთვისებდა, ვერ შეუთანხმებდა და ვერც დაუმონებდა, ორჭოფობდა, ბორგავდა და შემთხვევის მსხვერპლად ამიტომაც ხდებოდა.

გავიცნობდით ნერონს, იმ ძლიერ ქვეყნისმპყრობელს, რომელსაც შემთხვევითი, შთამომავლობითი დიდება ვერ აკმაყოფილებდა — სურდა თავისთავადაც რამე ყოფილიყო და მზად გახლდათ ამისათვის სამეფო გვირგვინი არტისტის გვირგვინზე გადაეცვალა, მაგრამ უვარგისი მეფე უნიჭო არტისტის როლში უფრო სასაცილო ხდებოდა, ვიდრე უნიჭო არტისტი მეფის როლში სცენაზე.

როსიევ გაგვაცნობდა... მაგრამ ეს რას ამბობდა?!. და მოუბოდიშებდა: უკაცრავად, კი არ გაგვაცანი, არამედ მოგვაგონე ჩვენი რომეობა, ჩვენი სიჭაბუკე!.. ის ნეტარი დრო, როდესაც ეკალი ვარდად გვეჩვენებოდა და ჩვენი პირველი სიყვარულის საგანი, ჯულიეტა, რჯულად მიგვაჩნდა და სიცოცხლედ გვიღირდა. გაგვახსენე ის პირველი კოცნა, რომლის უტკბესიც სამარეში თან აღარა ჩაგვყვებოდა რაო.

— ეჰ, რომელი ერთი ჩამოვთვალო? ეს ერთი ხანია შენ მიიპყარ ჩვენი გრძნობა-გონება, თვალი ვეღარ მოგვიშორებია, გული სხვა ნაირად გვიძგერს და გრძნობა სხვა გვარად გვიღელავს...

და შედეგიც ყველა ამისა ის გახლდათ, რომ:

ერნესტო როსის სახელი ამიერიდან ქართველობის გულისფიცარზე აღიბეჭდებოდა და რაგინდ შორს ყოფილიყო ჩვენგან, მაინც გვეხსომებოდა, და ლხინი ისე აღარ იქნებოდა, რომ გულში მისი სადღეგრძელო არ დაგველია ისე, როგორც ახლა სვამდა აგერ აკაკი ამ სასმისით.

დაე გამარჯვებული ყოფილიყო და მრავალჟამიერ ერნესტო როსის სიცოცხლე!..

სამეფო გვირგვინი არტისტის გვირგვინზე გადაეცვალაო...

იტყოდა და... გულში კი ჩაეღიმებოდა: მაშ არადა!.. უგვანობისა და უზნეობის მიუხედავა ნერონი ამას მაინც მიმხვდარიყო, იმპერატორის სახელი ხელოვანის სახელს რომ ვერ შესწვდებოდა და, არჩევანი რომ ჰქონოდა, დაუნანებლად გადაცვლიდა ხელმწიფის გვირგვინს ხელოვანის გვირგვინზე.

უნიჭო არტისტი მეფის როლში სცენაზეო...

ამას ისე, ზოგადად იტყოდა, მაგრამ უნებურად გაუელვებდა გონების თვალწინ ალექსანდრე ყაზბეგის მსახიობობა და... გულის სიღრმეში რომ ჩაეღიმებოდა, წამიერად შეშფოთდებოდა: ემანდ სახეზეც არ დამემჩნევს, როგორ გინდა სახელოვან იტალიელს აუხსნა, რომ გამაღიმაო.

ერნესტო როსიც თავის მხრივ ენამზეობად დაიღვრებოდა ასერიგად აღტაცებული, ქართველი საზოგადოება დიდი ხალისით რომ ესწრებოდა მის წარმოდგენებს.

სპექტაკლების დროს ცხადად ამჩნევდა, მაყურებელი რა სულგანაბული უგდებდა ყურს თვითეულ დადგმას და კარგად ესმოდა დიდებული ინგლისელი პოეტის ნამოქმედარი, მისი მაღალი პოეზია და ღრმა აზრები. და ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა სახელოვან მსახიობს:

ასე მოუმზადებია საზოგადოება და შეუთვისებია შექსპირის უკვდავი ქმნილებანი ორ დიდ პოეტს საქართველოსას, რომელნიც დღეს ჩვენს შორის იმყოფებიანო.

რაკიღა ისიც პოეტს დიდ მასწავლებლად მიიჩნევდა, შესვამდა ამ ორი ქართველი პოეტის სადღეგრძელოს და უსურვებდა დიდხანს და კეთილად ელვაწათ თავიანთი ქვეყნისა და ერის სასარგებლოდ და სადიდებლად.

ყველა ადვილად მიხვდებოდა, თუ ვინ იგულისხმებოდა ამ „ორ დიდ პოეტში“ და მინიშნების გახსნა-გაშიფრვა სრულიად ზედმეტი გახლდათ.

ერნესტო როსიც ძალდაუტანებლად დააწყვილებდა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის სახელებს.

სამოსამართლო სიტყვა იყო და:

ხშირად რომ მონაწილეობდა ისტორიული პირებისა და ლიტერატურულ პერსონაჟთა გასამართლებაში, ოფიციალურ სასამართლო პროცესშიც მოუწევდა ჩარევა და... დახელოვნებულ დამცველადაც უნდა მოგვევლინოდა.

თითქოს გადასულიყო აჯანყებების ხანა, მიყრუებულიყო, მინავლებულიყო ის ნაკვერჩხალი, საუკუნის დასაწყისში ხან სად რომ აბრიალდებოდა და ხანაც სად, ლიხს აქეთ გინდოდა თუ ლიხს იქით.

სვანეთი როგორღაც გამოთიშვოდა ამბოხებათა ამ სერიას?

ბოლოსდაბოლოს იქაც ხომ უნდა აბრიალებულიყო ხანძარი, და ეს უნდა მომხდარიყო 1876 წელს, დრტვინვასა და უკმაყოფილებას რომ უნდა მოჰყოლოდა 16 სვანის დატუსაღება და მკაცრი გასამართლება.

რამდენიმე მეამბოხე შეძლებდა თავდაღწევასა და მიუვალ მთებში თავშეფარებას, მაგრამ მათ ხელისუფლება ადვილად არ მოეშვებოდა და სვანეთში მიავლენდა პოლიციასა და ჯარის ნაწილებს.

სოფელ ხალდეში მათ გამოეცხადებოდათ სვანების სამკაციანი დელეგაცია მოსალაპარაკებლად, მაგრამ... რუსებთან მოლაპარაკება?

ორ მოციქულს ხიშტებზე წამოაგებდნენ.

მესამე გაქცევას შეეცდებოდა, მაგრამ რომ გაეკიდებოდნენ, შემობრუნდებოდა, ხანჯალს გააშიშვლებდა და რამდენიმე ჯარისკაცს კიდეც დაჩეხავდა, თუმც თვითონაც უნდა შეწირვოდა მათ ხიშტებს.

რუსების ეს გაუგონარი საქციელი განარისხებდათ ისედაც გაღიზიანებულ სვანებს და თავიანთი კოშკებიდან სროლას აუტეხდნენ მოძალადეებს, წინააღმდეგობა ძალდაუტანებლად რომ გადაიზრდებოდა შეიარაღებულ აჯანყებაში — დახოცავდნენ ჯარისა და ადმინისტრაციის მეთაურებს, რამდენიმე ჯარისკაცსა და პოლიციელს.

ჯარს ესღა უნდოდა?

ხალდეს ზარბაზნებს დაუშენდნენ და რამდენიმე დღეში მიწასთან გაასწორებდნენ მის კოშკებსაც და სხვა ნაგებობებსაც. სვანები სოფელს მიატოვებდნენ და მთებს შეეფარებოდნენ.

მოგვიანებით მურმან ლებანიძეს ხალდე რქამოტეხილი წიქარასათვის უნდა შეედარებინა და დროის გადმოსახედიდან ისე დაეკვნესა, თითქოს ეს ტრაგედია აგერ მის თვალწინ ხდებოდა: შენ ვინ დაგტოვა უკოშკოდო!..

ხელისუფლება ხელთ იგდებდა ცხრა სვანს, სასწრაფოდ რომ გაასამართლებდათ სამხედრო სასამართლო ქუთაისში. ამასობაში კი ცხარე ბრძოლების შემდეგ ღალატითა და მუხანათობით შეიპყრობდნენ სხვა აჯანყებულთაც — 22 კაცს, სამხედრო სასამართლოს რომ გადასცემდნენ და ეს პროცესი 27-30 ნოემბერს გაიმართებოდა.

და სვანების ამ პროცესში — მჭევრმეტყველების მკვლევარის მტკიცებით — აკაკის უნდა გამოევლინა ფართო იურიდიული მომზადება და მაღალი სამეტყველო კულტურა. ეს სიტყვა წარმოითქმოდა რუსულ ენაზე, მაგრამ თავისი ღრმა აზრითა და მწყობრი აგებულებით ხელს შეუწყობდა არამარტო რუსული, არამედ ქართული სამოსამართლეო მჭევრმეტყველების წარმატებასაც და განსაზღვრულ ისტორიულ ფაქტად წარმოგვიდგებოდა.

თუნდ ილიასაგან განსხვავებით აკაკის იურიდიული განათლება რომ არა ჰქონია მიღებული?

საგანგებოდ ჩაუჯდებოდა, შეისწავლიდა ამ საქმესაც და მთელ კანონმდებლობასაც და... უკვე აღარცერთ იურისტს აღარ ჩამოუვარდებოდა.

ერთ დაუფასებელ ფაქტსაც გვამცნობდა „ქართული მჭევრმეტყველება“:

აკაკი ერთადერთი გახლდათ ქართველ ორატორთა შორის, რომელიც ჩვენამდე მოაღწევდა ავტორისეული წარმოთქმის ფონოგრაფული ჩანაწერით. და ამ მართლაც ბედნიერი შემთხვევის წყალობით სამუდამოდ დარჩებოდა დაცული პოეტის ხავერდოვანი და მოაღერსე ხმის ლამაზი ჟღერა, რომლითაც აღბეჭდილიყო რამდენიმე ლექსი და ის ორატორული ორიგინალი, აკაკი, უკვე მიმავალი, ახალუხლებს რომ ეთხოვებოდა და საგულისხმო ანდერძად ვერას უტოვებდა, გარდა ხვენწა-მუდარისა:

— გიყვარდეთ თქვენი სამშობლო, თქვენი ერი, როგორც პირველი საფეხური კაცობრიობის თვითარსებისა, რადგანაც სიყვარულშია ადამიანის ბედნიერება, მაგრამ იმისთანა სიყვარულში კი, რომელსაც სარჩულად სიმართლე და გულწრფელობა უდევს, უამისოდ ყოველგვარი შრომა ამაოა!

და ნიკოლოზ კანდელაკი თავის მხრივ დასძენდა, რომ:

ფონოგრაფული ანაბეჭდიდან ისმოდა აკაკის მომხიბლავი ხმა. რიტმული რხევით მომდინარე საამური ტემბრის ტალღები სიმშვიდისა და სილაღის განცდით იმორჩილებდა მსმენელის ყურადღებას; გულშიჩამწვდომი გრძნობის სინათლე ეფინებოდა ცნობიერებას. ამ გზით იქმნებოდა ჰარმონიული სისრულისა და მთლიანობის კმაყოფილება, რაც შთაგონების ხალისით ავსებდა ადამიანს.

და იქვე აკაკის შერაცხავდა ქართული კლასიკური მჭევრმეტყველების უკანასკნელ დიდ წარმომადგენლად, რომლის შემოქმედებაც ესაზღვრებოდა უახლეს ქართულ ორატორულ ხელოვნებას.

დასახელებით აღარავის დაასახელებდა უახლეს ორატორთაგან, თუმც გულისხმობით უთუოდ იგულისხმებდა, ერთი მხრივ, არჩილ ჯორჯაძეს, მიხაკო წერეთელს, შალვა ნუცუბიძეს, გრიგოლ რობაქიძეს, კონსტანტინე გამსახურდიასა თუ პავლე ინგოროყვას, მეორე მხრივ კი, ნოე ჟორდანიას, კარლო ჩხეიძესა თუ ირაკლი წერეთელს, ამოზრდილს იმ ოჯახიდან, აკაკის გულითად მეგობრებად რომ იწოდებოდნენ: გიორგი წერეთლისა და ანასტასია თუმანიშვილისა, იმ გიორგის, მთელი ცხოვრება უახლოესი ურთიერთობა და თანამშრომლობა რომ აკავშირებდა აკაკისთან და კიდეც აკაკის მოუწევდა მისი დატირება გამოსათხოვარი სიტყვით; ილიას კი თანდათანობით და საბოლოოდ მკვეთრადაც დაუპირისპირდებოდა და მის ყველაზე დაუნდობელ მოწინააღმდეგეებს სწორედ გიორგი წერეთლის მიერ დაარსებული „კვალი“ გამოზრდიდა.

ხოლო ისტორიას ისე უნდა განესაჯა, რომ აკაკი უნდა დაეშორებინა გიორგი წერეთლისაგან და ილიას გვერდით მოეხვედრებინა, როგორც სულაც მისი სიამის ტყუპი.

ისტორიისათვის ანკი რა ბედენაა პირადი მეგობრობა, რაკიღა გადამწყვეტი მისთვის სულიერი თანაზიარობაა, ერთნაირი მისწრაფება და ერთ უღელში შებმა... უმადური ვინმე კი არის ისტორია, მაგრამ ყოველთვის ხომ არა!..

ნიკოლოზ კანდელაკი აკაკის ორატორულ ნიმუშებსა და თვითმხილველთა მოგონებებზე დაყრდნობით აღადგენდა მისი მჭევრმეტყველური ხელოვნების ზოგად შტრიხებსა და

სილუეტს. ივანე ელიაშვილსა და ილია ზურაბიშვილს კი შეეძლოთ თვითვე დაკვირვებოდნენ ამ მხრივ და მკვლევარებიც მოემარაგებინათ შესაფერისი მასალით.

აკაკის ხმა სიბოხით დაამახსოვრდებოდა ივანე ელიაშვილს, ღრმა ბარიტონს რომ მიამსგავსებდა, ფრიად ხავერდოვანსა და საამურს. და ხმაც ისეთივე სრულიად თავისებური და მომაჯადოებელი დაჰყოლოდა, როგორც თხრობის მანერა.

მოწყენის დროს უყვარდა ასეთი ამონაკვნესი:

— ჰეი, ჰეი, ფიქირ ბეი!

ხოლო თანხმობის ნიშნად ხშირად იყენებდა სიტყვას.

— ბაშუსტა!

ქართულ ენაზე ბაასისას არასოდეს ჩართავდა რუსულ სიტყვასა თუ ფრაზას, და თუ საჭიროება მოითხოვდა, სულ რუსულად ილაპარაკებდა.

და ივანეს არ გამორჩებოდა, რომ:

ორივე ენაზე მომხიბლავი საუბარი სჩვეოდა — ხმის ტემბრითაც და მხატვრული თხრობითაც.

აკაკის ხმას სიღრმე რომ არ ჰქონდა, არც მოდულაციებით იყო მდიდარი და არც მჭევრმეტყველური პაუზები სჩვეოდა, ილია ზურაბიშვილს როგორღაც გულს დააკლდებოდა, იმას კი სხვათა შორის მიაქცევდა ყურადღებას, შინაური საუბრისას იქნებოდა თუ საჯარო გამოსვლისას, ჟესტიკულაციას ძუნწად რომ იყენებდა.

მხოლოდ ერთი ჩვეულება ჰქონდა აკაკის:

გაჩერების დროს დიდი და სალოკი თითებით ნიკაპის ღარების ოდნავ ნერვიული ფხანა სჩვეოდა, თითქოს ფიქრებშია წასულიო, და ამ დროს მის სახეს ისეთი მეტყველება აღებეჭდებოდა, გრძნობდი, რაღაც მნიშვნელოვანი რამ უნდა თქვასო.

და ამ მოძრაობას კიდეც უნდა მოჰყოლოდა: ან ნაკვესი და ან პოეტური მეტაფორა.

და ილია ზურაბიშვილიც და სხვა მსმენელებიც ამჩნევდნენ, რომ ერთიც და მეორეც წინასწარ ნავარაუდევი არ უნდა ჰქონოდა და იქვე, სიტყვიერ პროცესში ებადებოდა.

სულაც წყაროსებრ ამომჩქეფარი.

პათეტიკური პათოსი და მგზნებარება თუ უჩვეულო გახლდათ მისთვის, სამაგიეროდ მისი სიტყვა თავისუფლად მოედინებოდა, არა სჩვეოდა ზოგიერთივით აზრისა და სიტყვის ძებნის დროს შორისდებულ ბგერათა აზმუილება. გამოთქმა მკაფიო ჰქონდა და მის მეტყველებაში იმერული კილო მოისმოდა, თუმც მკვეთრად არა. წერისას თუ ყოველთვის არა, ლაპარაკში კი მუდამ „ყოლიფერს“ იყენებდა. და საშინლად სძაგდა სიტყვა... „ვაინაჩრობა“.

ერთხელ მასთან საუბრისას რომ წამოცდებოდა ეს სიტყვა ილია ზურაბიშვილს, აკაკი აუჯანყდებოდა:

— კახელებმა ეგ რა უშვერი სიტყვა იცით. რა არის „ვაინაჩრობა“?!.

ის თავს იმართლებდა:

— შეიძლება ჩვენს გამოთქმაში მართლა ულამაზო იყოს, მაგრამ კახელები სწორად წარმოვთქვამთ ორივე კომპონენტს — „ვაისა“ და „ლაჩარს“ შეერთებულად და საუცხოო სიტყვა გამოდის.

და აკაკი დათანხმებით დაეთანხმებოდა, მაგრამ:

— ურიგო არ არის, მაგრამ ისე მივეჩვიე მათ სიტყვის ჩემებურად გაგებას, რომ შემდეგშიაც ვერ ვიხმარ.

და ეს ილია თვალს რომ მიმოავლებდა აკაკის ნაწერებს, იქ ამ სიტყვას ვერ აღმოაჩენდა. ალბათ ბევრი სხვა მწერლის თხზულებებშიც არ მოიპოვება, მაგრამ ამ ილიას ისე მოსწონდა ეს „ვაინაჩრობა“, რარიგ გაეხარდებოდა, აკაკის რომელიმე ნაწარმოებში რომ დადასტურებულიყო.

აკაკის დეკლამატორულ უნარზე მაინცდამაინც დიდი აზრისა არ იყო, თუმც საზოგადოება აღტაცებით ეგებებოდა ხოლმე. ამ აღფრთოვანებას მაშ როგორღა ხსნიდა? ამ გარეგან ტრიუმფში მის დეკლამატორულ უნარს დიდი ხვედრითი წონა არა ჰქონდაო.

სავსებით კმაროდა თურმე, რომ:

აკაკი მონაწილეობდა ამა თუ იმ ლიტერატურულ საღამოში და კითხულობდა თავის მშვენიერ ლექსებს... და ვიღა დაგიდევდა, თუ როგორ კითხულობდა?!.

— მარტო მისი დიდებული ფიგურისა და ღვთაებრივი სახის გამოჩენა — ისევე, ვით ილიასი — იმგვარ ენთუზიაზმს იწვევდა დამსწრე საზოგადოებაში, რომ თვით დეკლამაციის ნამდვილი შეფასება ვისღა ახსოვდა?!

აკაკის სუსტ დეკლამატორობას რომ აღნიშნავდა — როგორც თითქმის ყოველი პოეტისას — დააზუსტებდა, რომ: ამისათვის მას არც ხმა გააჩნდა, არც მგზნებარე ტემპერამენტი, არც ამ ხელოვნებისათვის აუცილებელი შინაგანი მუსიკალობა.

და კითხულობდა ლექსს მკაფიოდ, ცოტა არ იყოს მოსიმღერო მელოდიურობით და მნიშვნელოვანი ადგილების განსაკუთრებული ინტონაციური განფენილობით, რის გამოც მისი ხმა საკმაოდ წვრილდებოდა.

და ეს ილია იმ წუთებს რომ იხსენებდა, ისეთი განცდა ეუფლებოდა, თითქოს ახლაც იქ იმყოფებოდა, თუ როგორ უკრავდა სხვებთან ერთად გაგიჟებით ტაშს, ვინაიდან მოწყურებულიყო, რაც შეიძლება მეტხანს მდგარიყო სათაყვანებელი ადამიანი სცენაზე, რაც შეიძლება მეტხანს ეცქირა მისი მშვენიერი სახისათვის, მოესმინა მისი „უიმისოდაც“ მუსიკალური ლექსები.

ვინმე ხელოვანი დეკლამატორი უფრო მეტი ექსპრესიითა და გამომეტყველებით წაიკითხავდა მის მართლაცდა სადეკლამაციო თვისებებით მდიდარ ლექსებს?

მაგრამ აკაკის რომ ვერ გააფასებდა საზოგადოების თვალში, გრძნობით ბევრი გრძნობდა, ახსნით კი ეს ილია ახსნიდა მიზეზს:

ვინაიდან იმ წამს მსმენელზე მოქმედებდა არა წამკითხველის უნარი, არამედ სულ სხვა საიდუმლო ძალა, სულ სხვა სულთაძვრაო.

განსაკუთრებით საამურ მოსასმენად აკაკი მაშინ ჩარჩებოდა მეხსიერებაში, როდესაც კარგ გუნებაზე მყოფი თავისი ბავშვობის თავგადასავალს ჰყვებოდა ხოლმე, მეტადრე გიმნაზიაში სწავლის ხანისა:

ერთიერთმანეთს მიეწყობოდა პატარა ჰუმორული სურათები, უაღრესად მხატვრული, თანაც სასაცილო, მაგრამ იმავდროულად სკოლის რეჟიმისა და ამ რეჟიმის აღმსრულებელთა დამახასიათებელი.

რა დაავიწყებდა იმ ერთ კვირას, რომელსაც საჩხერეში გაატარებდა 1911 თუ 12 წლის ზაფხულს ბეჟან და ნიცა წერეთლების ოჯახში.

აკაკიც სხვიტორში ბრძანდებოდა და ყოველდღე ბეჟანისას ჩადიოდა პატარა ურმით, რომელშიც შებმულიყო სწორედ ურმის ტოლსწორი, საკმაოდ მჭლე უღელი ხარი. ეს ხარები მეტად ცქვიტნი იყვნენ და შეინავარდებდნენ ბეჟანის უშველებელ, მთლად მწვანე მოლით დაფენილ ეზოში, ვით სწრაფი ჩორთით მსრბოლი ბედაურები.

— არ მოგწონს, კახელო, ჩემი ლანდო? — ჰკითხავდა ერთხელ სიცილით აკაკი ამ ილიას, — არა ჰგავს თქვენს კახურ ზლაზნია საბარო ურემს, კუსავით რომ მიცოცავს!..

— ვერ დასცინებთ, ბატონო აკაკი, ჩვენს საბაროს, — მიუგებდა ეს სიცილითვე, — თქვენ თქვენი ურმითა და ხარებით თავისუფლად მოთავსდებით ჩვენს საბაროში... საძნე ურმისას ხომ არას მოგახსენებთ...

— სამაგიეროდ სამი დღე-ღამე მოვუნდები ჩემი სხვიტორის აღმართს იმ თქვენი ნაქები საბაროთი. დრო ფულია! — ჩაიკისკისებდა თავისი კუჭკუჭა სიცილით აკაკი.

და საარაკო სანახახად დაამახსოვრდებოდა ამ სოფლურ იდილიაში. დიდებული მგოსანი ამ ილიას — თავისი პაწია მამა-პაპური ურმითა და მჭლე ხარებით არანაკლებ, ვიდრე ზევსი რაშებშებმულ ეტლში.

და აი იმ ცხენის გაჭენება ეზოში, საიდანაც გადაშლილიყო ალაზნის ხეობის მსგავსი მშვენიერი ლანდშაფტი ფართო ჰორიზონტით, სადმე ხის ქვეშ, ნოყიერი საუზმის შემდეგ, აუცილებელი პოხიერი ხაჭაპურებითა და ჯუჯა გომიჯებით, და უფრო მაძღარი სადილის მოლოდინში ხალიჩაზე ნახევრად წამოწოლილი აკაკი მართლაც რომ გრძნეული ხელით შლიდა თავისი წარსულის საოცნებო კაბადონებს. ბევრი რამ იმ ამბავთა შორის შევიდოდა „ჩემს თავგადასავალში“, მაგრამ ის ორი სურათი ავტობიოგრაფიულ რომანში არ ჩაერთვოდა, წერისას შეესაძლოა უნებლიეთ გამორჩენოდა და „ჩემი თავგადასავალი“ ნაადრევად რომ არ განყვეტილიყო და რედაქციული გადამუშავებისას კი წინა ნაწილებიც თანდათანობით ამოვსებულიყო, ის ორი ამბავიც იმ ავტობიოგრაფიული რომანის ეპიზოდები იქნებოდა და არა ილია ზურაბიშვი-

ლის მემუარული ჩანაწერების ერთი მონაკვეთი, რამდენადაც შეიძლებოდა ზუსტად რომ აღადგენდა აკაკის თხრობის მანერას, თუმც იმას თვითონვე რომ დაეწერა, კიდევ რაღაც მაღლს დაატყობდა — უხილავად და შეუმჩნეველად, მაგრამ განმსჭვალვით კი გაგმსჭვალავდა.

ერთი ის:

რუსეთის ისტორიის მასწავლებელი, დიდი შოვინისტი, აღფრთოვანებით რომ ლაპარაკობდა რუსეთის არმიის გამარჯვებებზე, ხშირად იყენებდა იდიომურ გამოთქმას: „პუხ ი პრახ", რაც ქართულად გაცამტვერებას ნიშნავს, მაგრამ გიმნაზიელ აკაკის სარდლების საკუთარი სახელები ეგონა და, თავის გამოჩენის სურვილით ანთებული, ერთ-ერთი გაკვეთილის მოყოლისას პუხს და პრახს მხედართმთავრებად მოიხსენიებდა, რის გამოც გაგულისებული მასწავლებლისაგან ხუთიანის ნაცვლად ნოლიანს მიიკრავდა.

და მეორე ის:

ერთი „ზუბრიაკი" მოსწავლე სიტყვა-სიტყვით რომ გაიმეორებდა გაკვეთილის ტექსტს, თავმოწონებით დაურთავდა: ზრრ, სტრრ, შესტნაცატ! და ეს იმიტომ, მაშინდელ სახელმძღვანელოში ყველა ამბის ბოლოს მიწერილი რომ იყო შემდეგი ამბის გვერდი შემოკლებით: ზპ. ყიპ. — სათანადო ციფრით ანუ ზპმ ყიპთნმჯუ ითკუბ ირ, რაც მოსწავლეს ფინალური სიტყვები ეგონა და განსაკუთრებული გამომეტყველებით ამიტომაც წარმოთქვამდა, ორჯერ თავს ენერგიულადაც დაიქნევდა და თანაც ჩექმის ქუსლებს ერთმანეთს მიაბაკუნებდა. მაგრამ მთავარი ისაა, რომ... მასწავლებელი მოუწონებდა ასეთ ცოდნას და ხუთიანით დაასაჩუქრებდა.

ხოლო აკაკის სიცილი როგორ შეეკავებინა იმ სურათის აღდგენისას: ასეთნი იყვნენ ჩვენს დროს მეცნიერნი და უმეცარნიო.

ისე იუმორი არც ილია ზურაბიშვილს აკლდა, თორემ ამას რა ათქმევინებდა: ქართული პოეზია აკაკის უნდა უმადლოდეს, რომ ჩვენს პოეტთა პლეადას არ შეემატა ჩემი სახით კიდევ ერთი უნიჭო მოშაირე. თვით მე ხომ პირდაპირ უბედურებისაგან მიხსნა, რადგანაც უნიჭო პოეტზე უბედური რაღა და ვიღა შეიძლება იყოსო?

აკაკის როგორღაც რომ დაიმარტოხელებდა, მოწინებით, მაგრამ იმედითაც ნარჯდგენდა თავის ლექსს, ნაცარტუტის ამდენს ყველასათვის, ვისაც იგი გამოცდაზე ჩაეჭრა.

ის ჯერ ზეპირად მოუსმენდა, მერე — რაკიღა დეკლამაცია არ დააკმაყოფილებდა და იფიქრებდა, შესაძლოა დანერილი უკეთესი იყოს, ვიდრე ნარმოთქმულიო — გამოართმევდა ხელნაწერს და გადიკითხავდა. ხელი ძალიან კარგი რომ ჰქონდა, ეს ილია მოგვიანებით ამასაც საიუმოროდ გამოიყენებდა: ეს უკვე აშკარა მაჩვენებელი იყო ჩემი უნიჭობისა, რადგანაც ყველა ნამდვილი პოეტი საძაგელი ხელის პატრონია, ან განგებ იფუჭებს ხელსო.

როგორც ჩანდა, არც ამ ილიას დეკლამაციას დაეკლო რამე ლექსისათვის და არც კარგ ხელნერას მოემატებინა.

აკაკის დამწყები პოეტებისათვის არ ენანებოდა საქებარი და წამახალისებელი სიტყვები, სულ ოდნავი, ერთიბენო ნიჭიც რომ შეემჩნია, გულს არ ატკენდა და წერაზე ხელის აღებას არ ურჩევდა, მაგრამ ამჯერად იმაზე მეტს ვერას მოახერხებდა, რომ განტევების ღიმილით ეთქვა:

— აი ამ ლექსზე გატყობ, უკეთესი დაწერა შეგიძლია...

ეს იქნებოდა და ეს!.. ამით გათავდებოდა ილია ზურაბიშვილის და პოეზიის მოყვარეობა. ბავშვი გახლდათ, მაგრამ თავდაცვის ინსტინქტი იხსნიდა განსაცდელისაგან. იგრძნობდა, რომ ლექსის წერა კეთილს არას დააყრიდა და... იმ დღიდან რითმას რითმაზე აღარ გადააბამდა ტყუილადაც კი, საკუთარი ჭიის გასახარებლად.

და მკითხველს სთხოვდა: შურში ნუკი ჩამომართმევთ და... ბევრი სხვისთვისაც ინატრებდა თქვენისთანა მკითხველი ასეთ ბედნიერ შემთხვევასო.

სამაგიეროდ ილია ზურაბიშვილი მხატვრულ-დოკუმენტური პროზის ოსტატად წარმოგვიდგება და ამიტომაცაა თუნდ აკაკი წერეთლის ფსიქოლოგიური პორტრეტიც და ცხოვრების სურათებიც ასეთი უბრალოებით, ინტიმური წვდომითა და შინაგანი ექსპრესიით წარმოსახული, თითქოსდა თვით აკაკის ეჯიბრებაო!..

ამ ლექსზე გატყობ, უკეთესის დაწერა შეგიძლიაო...

მართლაც რომ სანიმუშო ფრაზაა — ტაქტიანობის ქრესტომათიული ნიმუში და იმ ფარული იუმორითაც განათებული, აკაკის მსოფლიო საუკეთესო იუმორისტთა შორის რომ მოაპოვებინებს ადგილს — როგორც წერის, ასევე ზეპირმეტყველების ხელოვნებითაც.

ხოლო ილია ზურაბიშვილს, როგორც დამწყებ პროზაიკოსს, „ივერიის“ რედაქციაში რომ შეხვდებოდა, კარგა ხნის უნახავს მაინც მაშინვე იცნობდა, თუმც ამას ჯარისკაცის ფორმა ეცმეოდა, იცნობდა და გულიანადაც შემოსცინებდა:

— კაცო, მეგონა შენ ჭკუა მარტო ფეხებში გქონდა და თურმე თავშიაც გქონია!..

„ფეხების ჭკუად“ იგულისხმებდა ქართულის თამაშს, ყრმობისას სცენაზე რომ ხედავდა ხოლმე და ეს ილია ირონიული ღიმილით იგონებდა თავის ამ „ცოდვას“ ასაკში შესვლამდე და თავს იმართლებდა: რომელ კახელს ნახავთ ამ მხრივ უცოდველსო?!.

„თავში ჭკუა“ კი სხვას რას ნიშნავდა, თუ არა: პროზაიკოსობისათვის რომ აგულიანებდა, და აკი არც უმტყუნებდა ალღო, ილია ზურაბიშვილი მხატვრულ-დოკუმენტურ ჟანრში წარმატებულ კვალს რომ აღბეჭდავდა.

თუ ვინმე იცნობდა აკაკის თხემით ტერფამდე, უთუოდ ივანე ელიაშვილიც და უპირველესად თუ რაიმეს გამოჰყოფდა მისი პიროვნული თვისებებიდან:

ძალიან მოძრავი კაცი იყოო.

ყურს მოჰკრავდა თუ არა, ამა და ამ ადგილას ხალხის რომელიმე წოდება იკრიბება, ან ბანკის კრებაა, ან სკოლას ხსნიანო, აკაკიც იქ უნდა გაჩენილიყო, და უმეტესწილად საზოგადოების თხოვნთი სიტყვაც წარმოეთქვა.

მისი არაერთი ასეთი სიტყვაა შემონახული, მაგრამ ივანე ელიაშვილს გული წყდებოდა, ყველას თავმოყრა რომ ველარ მოხერხდებოდა — მისი მჭევრმეტყველების დიდებული ნიმუშებისა.

ყველგან რომ პატივისცემით ხვდებოდნენ და მისი სტუმრობა ეამაყებოდათ, ეს თავისთავადაც იგულისხმება, მაგრამ მნიშვნელოვანია ერთი დეტალი:

რაც უნდა კრება ყოფილიყო, აკაკის ყოველთვის ფეხზე ადგომით ეგებებოდნენ.

ისიც... დაგვიანებას ამჯობინებდა ხოლმე.

ძალიან არა, სულ რამდენიმე წუთით, მაგრამ მაინც სხვებზე გვიან უნდა შესულიყო, როდესაც დარბაზი გაივსებოდა და ის-ისაა გაიხსნებოდა თავყრილობა.

შევიდოდა და... კიდეც ერთიანად უნდა წამოშლილიყენენ.

ამ წუთის სიამეს ხელიდან ვერ გაუშვებდა.

ბოლოსდაბოლოს რამდენიმე წუთით დაგვიანება ხელს ოდნავადაც არ უშლიდა კრების დაწყებას, აკაკისათვის კი ბევრს ნიშნავდა.

ესეც ის ბარომეტრი, რომელიც თვალსაჩინოდ ამცნობდა: ზეგავლენა კვლავაც შენარჩუნებული გაქვს ხალხზეო.

და მის პატივმოყვარეობასაც ელამუნებოდა — პოეტთა მეფისა და სიტყვის თვითმპყრობელის სახელს გამუდმებით ესაჭიროებოდა განმტკიცება და ესეც ის შესაფერისი გარემო საამისოდ.

ამიტომაც უნდა ყოფილიყო ყველგან, სადაც ადამიანები შეიკრიბებოდნენ — ყურს მოჰკრავდა და... მაშინვე იქა ჩნდებოდა.

მოძრავი კაცი ვინ აღარ იყო, მაგრამ აკაკი იმათშიც გამოირჩეოდა და... ხან ისეთი შთაბეჭდილებაც რჩებოდათ, რომ ერთდროულად იმყოფებოდა სრულიად სხვადასხვა ადგილას. აბა როგორ ასწრებდა იქაც გამოსულიყო სიტყვით, იქაც და კიდევ იქაც?!.

ეს საიდუმლო კი მარტო აკაკის მოეხსენებოდა.

* * *

ზეპირი სიტყვის შესანიშნავ ძეგლებსაც რომ ქმნიდა, აბა ხელისუფალთათვისაც გეკითხათ თუ რა ძეგლები გახლდათ ის ძეგლები, აკაკის ნაწერისვე თანაბარი ძალით რომ ბრწყინავდა და ვის გონებაშიც ნაწერით ისერიგად ვერ აღწევდა, მჭევრმეტყველებით უფორიაქებდა სულსა და გულს.

ნიკოლოზ კანდელაკი ცალ-ცალკე რომ დააჯგუფებდა აკაკის ორატორული მემკვიდრეობის ნიმუშებს, საგანგებო ადგილს არ მიუჩენდა მის გამოსათხოვარ სიტყვათა წყებას, იმ ნაკადს, რაც განსაკუთრებით აგულისებდა ხელისუფალთ და აკაკის ძრახვის „დანოსებს“ რომ აგზავნიდნენ პეტერბურგში, მის ცოდვა-დანაშაულთა შორის უსათუოდ გამოარჩევდნენ მის გამოსვლებს ახალგაჭრილ სამარეთა პირას.

რა იყო, რას აეჩემებინა ეს ადგილი — რა საორატორო ტრიბუნა გახლდათ საფლავი და ისიც ახალგაჭრილი?!.

არადა მარტოდენ ტრიბუნად კი აღარ, სულაც სარბიელად გადაექცია: გარდაიცვლებოდა ესა თუ ის საპატიო პიროვნება, ყველას მიერ აღიარებული და დაფასებული, ანდა ახლა მაინც ასაღიარებელი და დასაფასებელი, და... აკაკი მის გადახსნილ საფლავთან უნდა მდგარიყო და გამოთხოვებოდა ისე, რომ მისი ღვაწლი და დამსახურება ლაკონიურად და ტევადად წარმოეჩინა, როგორც სამაგალითო, რომლის გაგრძელებაც ევალებოდათ ცოცხალთ, ჯერ კიდევ აქ დარჩენილთ...

იმ ზნეობრივი და სულიერი უწყვეტობის შენარჩუნება.

იმ ნაშრომ-ნადაგის მოფრთხილება და გაგრძელება.

ოჰ ეს სასაფლაოების ორატორიო, — გულში მჯიღს იცემდნენ ჩინოვნიკები, მეფისნაცვლიდან და გუბერნატორიდან დაწყებული და ყველაზე წვრილფეხა მოხელით დამთავრებული, და საპეტერბურგო „დანოსებში“ გულს ამ ირონიული შესიტყვებით მოიოხებდნენ. ირონიული იმათ ეგონათ, თორემ აკაკისათვის ეს ის შეფასება გახლდათ, მის ყურამდეც რომ მიეღწია, უსათუოდ კვერს დაჰკრავდა: დიახაც რომ სასაფლაოების ორატორი გახლავართო!.. — და ამით დაადასტურებდა, რომ არ აპირებდა ამ საქმეზე ხელის აღებას.

მისი გამოსათხოვარი სიტყვებიც ორატორული ხელოვნების იმ ჩვეული მანერით განიმსჭვალებოდნენ: მაღალი უბრალოებით, მშვიდი დინებითა და წარმტაცი ჰარმონიით.

ეგაა — თემატიკა განსხვავებულიყო.

და ეს განსხვავება თუ თავისებურება დაჰკლებია ნიკოლოზ კანდელაკის მიერ ასეთი რელიეფურობით მოხაზულ ორატორულ პორტრეტს აკაკისა, რაკიღა ვერ წარმოიდგენდა, ასე სათავშისაცემოდ თუ ქცეოდა ხელისუფლებას აკაკის ყოველი გამოჩენა დაკრძალვის ცერემონიაზე.

დაუშლიდნენ თუ რა!..

შეზღუდავდნენ თუ რა!..

დაკრძალვის რიტუალი აღესრულებოდა — აუცილებელი და გარდუვალი, კიდევ ერთ პატრიოტს მოიცილებდა ასე უმტკივნეულოდ ხელისუფლება, მაგრამ შვებით ვინ ამოასუნთქებდათ — გამოილანდებოდა ჭირისუფალთა შორის აკაკის ბრგე, ახოვანი ფიგურა და... გული უჩერდებოდათ — დაიწყებს ახლა და ცალკე განსვენებულის მამულიშვილურ სილუეტს გამოხატავს და ცალკე თანამედროვე ცხოვრების შავბნელობას მისდგებაო.

მოწყენით რომ არა და არ წყინდებოდა იქ დგომა.

ყველა ასეთი პიროვნების წინაშე თავს მოვალედ რომ რაცხდა, ყველას ღვაწლშიც რომ გულმოდგინედ ჩახედულიყო და ზუსტ და მეტყველ შტრიხებსაც ამიტომ უძებნიდა თვითეულს, გარდა იმ ზოგადი შეფასებისა, თითქოსდა თავშეკავებულ, მაგრამ ხელისუფლების საკმაოდ გამჭვირვალე კრიტიკად რომ გაისმოდა.

ეს ხალხიც როგორ მიყურადებოდა.

და სად აღარ აღწევდა მისი ნათქვამი ამჯერადაც, ოჯახ-ოჯახ რომ დაივლიდა, სოფელ-სოფელ და ქალაქ-ქალაქ.

საიმედო ტრიბუნად დაეგულებინა სასაფლაო და ახალგაჭრილი სამარის პირი.

სანდო, საიმედო და ვრცელ სარბიელად.

იმათ, გაცოფებულთა და დუმრეულთ, დაე ეძახათ სასაფლაოების ორატორი.

ამას კი თავისი საქმე ამ მხრივაც გაეგრძელებინა, და ემეორებინა და ემეორებინა, თუ რა იყო საქვეყნო ვალი ქართველი კაცისათვის, რითი უნდა ესულდგმულათ, როგორ უნდა გარჯილიყვნენ და როგორ დაედოთ ღვაწლი თავიანთი ლამის უნუგეშოდ დარჩენილი ქვეყნისათვის, რათა იმედი და მხნეობა ჩაესახათ, მოელონიერებინათ, განემტკიცებინათ

და იმ მომავლის საყრდენად და საფუძვლად ექციათ, აღდგენილი სახელმწიფო რომ ერქვა, ფენიქსებრი ამომზევება კინაღამ დაფერფლილი ყოფიდან.

ამ სულს ზრდიდა ახალგაჭრილი სამარის პირიდანაც.

ამ სულს ელოლიავებოდა, ამ სულს ამაგრებდა და საწინდრად სახავდა მკვეთრი და სასიკეთო შემობრუნებისა.

ყველაფერს რომ ეჭიდებოდა საამისოდ, აგერ გამოსათხოვარი სიტყვაც ეპოვნა იმ ციხე-გალავნად, ადვილად რომ ვერ შეუვიდოდნენ და ვერც ცენზურა ჩატანტრავდა ხელებს უხეშად.

ამიტომაც ვერ იოკებდნენ ბრაზს ხელისუფალნი, ამ სარბიელის აღკვეთას რომ ვერ უხერხებდნენ.

სასაფლაოების ორატორიო...

დიახაც რომ!..

ამათ ბრაზი არ უნელდებოდათ.

იმას ხომ ენაზე ჭალი არ მოედებოდა!..

მიჰყვებოდა პროცესია კიდევ ერთ სასახლეს, მისტიროდნენ კიდევ ერთ ღირსეულ კაცს, მაგარმ უნუგეშოდ არა რჩებოდნენ, რაკიღა მათ შორის თავდახრილი მიაბიჯებდა აკაკიც, შინაგანად შემართული, გონებით განსვენებულის ღვაწლსა და პიროვნებას რომ უტრიალებდა და ნელ-ნელა და მარცვალ-მარცვალ უკვირდებოდა და ისიგრძეგანებდა, რათა გადახსნილი საფლავის წინაშე მდგარს არც არა მიემატებინა და არც არა გამოეკლო მიცვალებულთა პიროვნებისა და ცხოვრების გზისათვის.

ყველაზე ზუსტ და გამომსახველ სიტყვებს რომ პოულობდა ამჯერადაც და თვით ასეთ წუთებშიც, რომელიც ეგებ გარეგნულ ეფექტსაც მოითხოვდა, პათეტიკასა და მგზნებარებასაც, მაგრამ აკაკი კვლავინდებურად ჩვეულ სადინარს მიჰყვებოდა ოქროპირობისა, ჭირისუფალთა სულსა და გულში რომ აღწევდა და ჰპოვებდა იმ გამოხმაურებას, ახალგაჭრილი სამარის პირას მდგარსაც იმედს რომ უძლიერებდა: ყველაფერი სულაც არ დაკარგულაო.

რა ვუყოთ, აქ მაინც რანაირად გავაჩეროთო, — გულს ასკდებოდნენ ხელისუფალნი.

რა ვუყოთ, აქ მაინც რანაირად ჩავერიოთო, — გულს ასკდებოდნენ ცენზორები.

აკაკი მიჰგელავდა, მიაჭენებდა, გულუშიშარ სიტყვას აბნევდა ირგვლივ და ნეშტსაც შეასმენდა, თვით ნეშტსაც შეასმენდა და იმედითაც გააცილებდა.

„აქ ხომ მაინც ვერ შემბოჭავენ“...

არა, კი არა ფიქრობდა, განცდად ასდევდა — თავისთავად და ძალდაუტანებლად, ამ გრძნობითა და რწმენით იმსჭვალებოდა და სასაფლაოების სიახლოვეს ჩავლისას ისე შეუტოკდებოდა ხოლმე გული, მშობლიურმა სანახებმა რომ იცის.

გამშობლიურებოდა და ეგაა!..

და აკლია, უთუოდ აკლია მის გამოსათხოვარ სიტყვათა შეფასება-დახასიათება ნიკოლოზ კანდელაკისეულ პორტრეტს, სხვა ყველა ორატორულ-ფსიქოლოგიური შტრიხი მოხდენილად რომ აღბეჭდილა და ძალაუნებურად უბიძგებს ახალ ნიკოლოზ კანდელაკს, შეავსოს ის პორტრეტი ამ ნაკადითაც, ხალხს სულსა და გრძნობას რომ უფორიაქებდა და ხელისუფალთ — გონებას!..

თქვენ ახალი აკაკი წერეთლის გამოჩენა თქვით, თორემ ახალი ნიკოლოზ კანდელაკი კი უნდა მოგვევლინოს ადრე თუ გვიან.

რა, ვითომ ახალი აკაკი წერეთელი კი არ გამოჩენილაო?! — გაკვირვებით გაიკვირვებს და... კიდეც განაწყენდება გალაკტიონ ტაბიძის აჩრდილი, თუკი ეს სიტყვები საიდანმე ჩაესმის...

თავი II

ოცნება ქართულ „დონ კიხოტზე“

არტურ ლაისტი საგანგებოდ ჩაუკვირდებოდა ქართველი ხალხის კომიკურ სულსა და ბუნებას, მის მხიარულებასა და ოხუნჯობას, ლაღობას, ამხანაგთა თრევას — რუსთველური სტრიქონიც რომ შემოეშველებოდა ჩამოთვლისას — ნაკვესების სროლას და... თამამადაც განაცხადებდა, რომ: იუმორს საქართველოში დიდი გასავალი ჰქონდა.

— ყოველდღიურ ცხოვრებაში იუმორი აქ უფრო ხშირია, ვიდრე სხვა ხალხში.

და ამას ამბობდა კაცი, რომელიც ღრმად ჩახედულიყო ევროპის ყოფით სინამდვილეში და ჩინებულად მოეხსენებოდა სხვა ხალხთა ზნე-თვისებანიც, შედარება რომ არ უძნელდებოდა სხვადასხვა ერთა კომიკური სულის თავისებურებებისა.

მაინც რომელ ფენასა თუ წრეში გავრცელებულიყო უფრო იუმორი ქართველობაში?

არტურ ლაისტი არ განარჩევდა: რომელი წრეც გნებავთ, ხუმარა და დამცინავი ყველგან ურევიაო!..

უცნობ-ნაცნობთა ნაკლი, ქცევა, ჩვეულება, აზრი და გრძნობა — ყველა ესენი დაცინვის საგანი ხდებოდა, რასაც სხვისი ხარჯით მხიარულებას ეძახდნენ.

ქართველს დაუცინავი არ გადურჩებოდა სხვადასხვა ამბავი, შემთხვევა, თვით ცხოველები და უსულო საგნებიც კი.

ის ჭეშმარიტება, რომ: იუმორი და მოსწრებული სიტყვა-პასუხი ბუნებით აქვს მომადლებული ადამიანს და ყველას კი არ შეეძლო ლაზათიანი ოხუნჯობა, — იმის დასტურად გამოადგებოდა, რომ: ვისაც ბუნებით არ მოსდგამდა ეს ნიჭი, ოხუნჯობა ნაძალადევი გამოსდიოდა, ტლანქი, უგერგილო. ქართველთა შორის კი ბუნებით ნიჭიერი ოხუნჯი საკმაოდ ბევრი მოიპოვებოდა და ოხუნჯობის მარილიც არ აკლდათ.

ბუნებრივი იუმორისა და ოხუნჯობის განხორციელებად ბევრს რომ მიაჩნდა ტფილისელი კინტო, ლაისტის შეტყობით: ეს სახელი კინტოს შეიძლება იმიტომაც ჰქონოდა დამსახურებული, რომ თავისი ხელობა აიძულებდა გამოჰქომაგებოდა საქონელს ძუნწ მყიდველთა წინაშე. ერთგვარი მჭევრმეტყველება და მოხერხებულობა ესაჭიროებოდა — მონდომებით ექო თავისი საქონელი და მიეჩეჩებინა მყიდველისათვის. მაგრამ ტფილისელ კინტოს ჰქონდა თავისი, ოდითვე შემუშავებული ენა, მემკვიდრეობით გადმოცემული ოხუნჯობა და მოსწრებული სიტყვები, რომელთაგან ყველას კი არ შეეძლო ძველი ახლისაგან გაერჩია. ყველა კინტოს არ შეეძლო, რომ თავისი ჭკუითა და მიხვედრილობით დაეცინა მუშტრისათვის, რომელსაც სურდა საქონლის ყიდვა, ამიტომაც ძველ გაცვეთილ ფრაზებსა და ოხუნჯობას მიმართავდა ხოლმე.

რაკილა კინტოების შორსმჭვრეტელობა მეტად შემოზღუდულიყო, ახალი ოხუნჯობა მათ შორის იშვიათად ჩნდებოდა და ნამდვილი იუმორის მაგიერ მუშტარს უმეტეს შემთხვევაში ლაზღანდარობით უმასპინძლდებოდნენ: მეორე მხრივ კინტო თავისთავად კარგ მასალას წარმოადგენდა იუმორისათვის, რადგან მისი ხერხი ლაპარაკისა, ქცევა და ზნე-ჩვეულება ხშირად დიდ სიცილს იწვევდა და ლაისტს ისეთი შთაბეჭდილებაც რჩებოდა: აღმოსავლეთ საქართველოში ამჟამად კინტოს გარდა ძალიან ცოტაა იუმორისათვის გამოსადეგი ტიპიო.

გიორგი ერისთავი კომედიების წერისას კომიკურ მხარეებს ადვილად რომ პოულობდა ქართლის მებატონეთა ცხოვრებაში, გერმანელ სწავლულს ეს არ აკვირვებდა, რადგანაც იმ დროს ისინი ძველი მდგომარეობიდან ახალში გადადიოდნენ და, სხვა რომ არა ყოფილიყო რა, მარტო ამ გარემოებას შეეძლო გამოემზევებინა მრავალი სასაცილო მხარე ცხოვრებისა.

და მაინც მიიჩნევდა, რომ:

ნამდვილი იუმორი ერისთავის კომედიებში მაინც ცოტა იყო, და კიდევ უფრო ცოტა — შიგ გამოყვანილი ნამდვილი კომიკური ტიპები, თუმც ასეთები მის დროს უეჭველია იქნებოდნენ და ერისთავს რომ ასეთი ტიპები მოხერხებულად გამოეყვანა, მისი კომედიები დღესაც მიიზიდავდნენ მაყურებელს, როგორც იზიდავდა ხალხს კომედიები ჟან-ბატისტ მოლიერისა საფრანგეთში და კარლო გოლდონისა იტალიაში.

მათთან შედარებით გიორგი ერისთავის გმირები მეტად თანამედროვე ტიპისანი, შემთხვევითნი და თან მოძველებულნიც ეჩვენებოდა და საყვედურობდა: იმდროინდელ მებატონეთა შორის უსათუოდ შეგეძლო უფრო მკაფიო და დამახასიათებელი ტიპები აღმოგეჩინა, ეს ტიპები თავიანთი კომიზმით ულეველ მასალას მისცემდნენ შენს იუმორისტიკასაც და საერთოდაცო.

და მკითხველს ყურადღებას მიაქცევინებდა, რომ:

მებატონეთა გვერდით მთელი გალერეა არსებობდა სხვა ტიპებისა, რომელნიც ღირსნი იყვნენ კომიკური დამუშავების, როგორც მაგალითად — მოურავები, სხვადასხვა ჯურის მუქთახორები, ყოველ შეძლებულ მებატონეს გარს რომ ეხვივნენ, და ათასი სხვა მსახური. საკმარისია წუთით წარმოგვედგინა შეძლებული მებატონის სახლი წარსული საუკუნის მეორე ნახევრის დამდეგისა და... თვალწინ გადაგვეშლებოდა ბევრი საგულისხმო, თუმც შესაძლოა უმეტესწილად საცოდავი პიროვნება: ლაქუცა, ხუმარა, მასხარა, მოლაყბე, მეჭორე, მომღერალი, ზარმაცი თუ სხვა ჯურისანი.

ენანებოდა ლაისტს, რომ ყველა ეს ფიგურა ისე გამქრალიყო, მათი კვალიც კი არ დარჩენილიყო ქართულ მწერლობაში: იმათ ქართული კულტურის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდათო.

მთლად ასე არა ყოფილა და უკვალოდ სულაც არ გამქრალიყვნენ ეს ხასიათები, მაგრამ გერმანელ სწავლულს ყველაფერზე ხელი არ მიუწვდებოდა, თვითონ ხომ ვერ დაიწყებდა ამ მიმართულებით კვლევა-ძიებას, შესწავლილი და დამუშავებული ამჟამად არა ყოფილა ჩვენი ლიტერატურა ამ კუთხით, მზერის ზედაპირული მიმოვლებით კი რა შთაბეჭდილებაც რჩებოდა, ცდილობდა არაფერი გამორჩენოდა და ქართული იუმორის ღირსება და გამორჩეულობა მახლობელი გაეხადა ევროპელი მკითხველისათვის.

საგანგებოდ მოიხსენიებდა ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანს?!“ და აღნიშნავდა, რომ: ლუარსაბი და დარეჯანი, უაღრესი კომიზმით აღვსილი ტიპები, ნათელს ჰფენდნენ მთელ მაშინდელ ცხოვრებას, თუმც მოთხრობას დიდად სერიოზული ხასიათი ჰქონდა.

არტურ ლაისტი ხშირად შესწრებოდა ილიას — კარგ გუნებაზე მყოფს, ბევრს რომ ოხუნჯობდა და იუმორით სავსე ლაპარაკით ართობდა მსმენელს.

ლიტერატურაში იუმორის მნიშვნელობის თაობაზე ილიას მეტად გარკვეული და მკაფიო წარმოდგენა რომ ჰქონდა, გერმანელ სწავლულს მისი ნატვრაც კარგად ახსოვდა, არაერთხელ განმეორებული:

ნეტა საქართველოში დაიბადოს მწერალი, რომელიც შეძლებდა ამა თუ იმ თხზულებაში თავი მოეყარა ქართველთა ყველა კომიკური ტიპისათვისო.

და ისიც:

ჭკვიან ადამიანს კარგი დაცინვა ან ნაკვესი თავის დღეში არ ეწყინებაო.

ამიტომაც უსმენდა ხოლმე ილია სიამოვნებით ნიკო ხიზანიშვილის, ურბნელის ფსევდონიმით ცნობილის, სიტყვამოსწრებულ ლაპარაკს, რომელსაც თავის დღეში არ ელეოდა საოხუნჯო სიტყვები და, ლაისტის დაბეჯითებული რწმენითაც, თავის დროზე საქართველოში ბადალი არა ჰყავდა იუმორსა და მახვილსიტყვაობაში.

ლაპარაკისას ნიკო ხშირად რომ იყენებდა გამოთქმას „ქართული ლობიო“, ლაისტი ვერ იტყოდა, ვინ გამოიგონა ეს სახელი, მაგრამ ის კი ახსოვდა, რომ გამოიყენებოდა ქართლელისა ან კახელის ერთგვარი სიტლანქისა და სიზანტის დასახასიათებლად.

ნიკო ხიზანიშვილს შეაფასებდა დიდი დაკვირვებისა და მიხვედრილობის კაცად და ენანებოდა, რომ სიზარმაცე შეუშლიდა ხელს ამ იუმორით სავსე კაცს, თორემ სწორედ მას შეეძლო დაეწერა რამე ქართველი დონ კიხოტის შესახებ, რომელთა ასახვასაც ასე ნატრობ-

და ილია ჭავჭავაძე. ამასთან — თავისი ენამოსწრებულობით შეეძლო ეშმაკი ანგელოსად გადაექცია, მაგრამ ამავდროულად თავისი გესლიანი ენით დაესამარებინა, რაც უნდა ძლიერი მტერი ყოფილიყო.

და ამ მსჯელობის ფონზე უნდა ამოზიდულიყო აკაკი წერეთლის მონუმენტური ფიგურა, როგორც იმერეთის მხარიდან მოვლენილი მწვავე იუმორისტული ნიჭის პოეტისა და პროზაიკოსის, თუმც ლაისტს სამწუხაროდ ესახებოდა, რომ:

აკაკი თავისი იუმორით თვითონ ერთობოდა, კერძო ცხოვრებაში ლევდა ამ ნიჭს „სალაღობოდ, ამხანაგთა სათრეველად" და ვერ გამოეყენებინა მთლიანი ლიტერატურული ნაწარმოებისათვის.

გერმანელი სწავლულიც ადასტურებდა, რომ:

აკაკი მეტად ენაკვიმატი გახლდათ და მისი ნაკვესები ხშირად ძალიან მოსწრებული იყო, მაგრამ...

მაგრამ ის, რომ:

ნაკვესებს შუშხუნასავით უშვებდა და მწერლობაში მის ოხუნჯობას რაიმე კვალი არ დაუჩნევია.

და ეს მით უფრო საოცრად ეჩვენებოდა, რომ: აკაკი ერთი მათგანი გახლდათ, რომელნიც ამტკიცებდნენ — ძალუმ ჭკუას თან უნდა სდევდეს გონების სიმახვილეო.

— მაშასადამე ამ დიდ, მაღალნიჭიერ მწერალს დიდი დანაშაული მიუძღვის თავისი ერის წინაშე, რადგან სავსებით არ გამოიყენა ბუნებისაგან მომადლებული ტალანტი. ისიც ყველამ ვიცით, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არცერთ ქართველ მწერალს არ უვლია იმდენი, რამდენიც აკაკის, იმასავით სხვას არავის ჰქონია შემთხვევა ახლო გასცნობოდა ქართულ ცხოვრებას. ეს ხომ ასე იყო, მაგრამ აკაკი მაინც თითქოს საჭიროდ არა თვლიდა ყველა ეს ცნობა, დაკვირვება და შემთხვევა ერთიანი ლიტერატურული ნაწარმოების სახით აეკინძა.

სავსებით არ გამოიყენა ბუნებისაგან მომადლებული ტალანტიო...

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არცერთ ქართველ მწერალს არ უვლია იმდენი, რამდენიც აკაკისო...

მაინც თითქოს საჭიროდ არა თვლიდა ყველა ეს ცნობა, დაკვირვება და შემთხვევა ერთიანი ლიტერატურული ნაწარმოების სახით აეკინძაო...

მეტი რაღა გამოეყენებინა, იუმორი მთელი თავისი მრავალფეროვნებით რომ გადაგვეშლება თვალწინ მის ნაწერებში — მხიარულებადაც, სიმახვილედაც, ირონიადაც, პაროდიადაც, სარკაზმადაც, სატირადაც.

ლექსებში ცალკე ნაკადად მოჩქეფდა ირონიული და სატირული რკალი, დრამატულ ხილვებსა და განწყობილებებს კონტრასტულ ფონს რომ უქმნიდა.

პროზასაც არანაკლებ მომხიბვლელობას ანიჭებდა მისი იუმორის მრავალშრიანობა.

პუბლიცისტიკა თუ პოლიტიკური ესეისტიკა სულაც ამ მრავალშრიანობაზე აიგებოდა, ამ მხრივ „ცხელ-ცხელი ამბების" ციკლს რომ გამოარჩევენ, თუმც მისი მძაფრი გამოხმაურებანი თანადროულ საზოგადოებრივ მოვლენებზე განა სულ ცხელ-ცხელი ამბების დემონსტრირება არ არის?!. და რა აავარვარებდა ასე იმ გამოხმაურებებს, უჩვეულო და დაუშრეტელი ტალანტი რომ არა იუმორის და გონებამახვილობისა, ასე დაუნანებლად რომ იფრქვეოდა გარშემო და უკვე ისეთი განწყობილება ტრიალებდა, კომიკოსი მსახიობები რომ იწვევენ — უბრალოდაც რომ გამოჩნდნენ სცენაზე, ხალხი უკვე სიცილ-ხარხარით რომ იხოცება, ვიდრე ესენი რაიმეს იტყვიან ან მოიმოქმედებენ. და პანაშვიდებსა და დაკრძალვებზე მისვლას რომ ერიდებიან და ძალიანაც ერიდებიან, უნებლიეთ სახალისო და მხიარული განწყობილება არ შევქმნათო.

მართალია თვითონ შუშხუნებივით უშვებდა ფრთიან ფრაზებსა და ნაკვესებს, მაგრამ ნუ ვიტყვით, ანკი როგორღა, თითქოს მისი გონების სიმახვილეს მწერლობაში კვალი არ დაეტოვებინოს, ამ დროს მისი ასერიგად ლაღი, მხიარული ვოდევილები თუნდ ანგარიშშიც არ ჩავაგდოთ, მიუხედავად იმისა, რომ სილაღისა და მხიარულების მიღმა მძაფრი ეროვნული ტკივილები ბრუნავდა და ტრიალებდა და თავაწყვეტილ მხიარულებას ძალაუნებურად შეერეოდა ხოლმე დარდი და ტკივილი.

და თუმც თვითონ ლაღად მიმოაბნევდა მოსწრებულ სიტყვებს, გარშემომყოფნი იმთავითვე გრძნობდნენ, რომ მათი დაკარგვა გაუმართლებელი იქნებოდა და არ ეპატიებოდათ. ამიტომაც იწერდნენ, ინიშნავდნენ კიდეც, არამარტო ზეპირად იმეორებდნენ და მის სიცოცხლეშივე უყრიდნენ თავს კრებულებად, აკაკი ცოტა ათვალწუნებით რომ უყურებდა თანამედროვეთა ამ გარჯას და თავს მოლა ნასრედინისაგან აღარც განასხვავებდა: რაკიღა ცნობილი ოხუნჯი და იუმორით სავსე კაცი იყო შუა საუკუნეთა ცხოვრებაში, ბევრი ამბავი თუ თქმა სულაც მიეწერა, არაერთი ყოვლად მდარე და გამოფშუტული, და საბრალო მოლამ ახლა პასუხი უნდა აგოს შთამომავლობის წინაშე იმ არაერთი უმარილო სიტყვისა თუ სულაც უგვანობისთვის, მის სახელს რომ მიეკერაო.

რას ვიზამთ, ესეც წუთისოფლის ცოდვა-ბრალის ერთ-ერთი დასტურია, სხვისი სიმდიდრე და გუდაფშუტობაც შენ რომ უნდა აგეკიდოს და ზიდო და ზიდო, თორემ ზეპირმეტყველებას ვინ ჩივის, თვით „ვეფხისტყაოსანსაც“ გამოუჩნდებოდნენ „შეესების“, „დახვეწისა“ და „გაუკეთესების“ მსურველნი და ტექსტში ჩატანტრავდნენ ხელებს... კეთილი განზრახვით: რუსთველმა რაც დააკლო თავის ქმნილებას, ჩვენ რისთვისა ვართ, თუ არ გამოვასწორეთ და „ვეფხისტყაოსანი“ სრულყოფილ ეპიკურ ძეგლად არ ვაქციეთო.

და მაინც, მოლა ნასრედინის ნაკვეს-ოხუნჯობებშიც არაერთი შემორჩებოდა მარგალიტად და აკაკის ნაკვეს-მოსწრებულ სიტყვებშიც ადვილად ვერ დათვლი მარგალიტებს.

შუშხუნებიც კი დატოვებდა კვალს ქართულ იუმორისტულ მწერლობაში, თორემ აკაკის ნაწერების გადაკითხვა იუმორის მწვერვალებს მოგვახილვინებს და თვალნათლივ დაგვიდასტურებს, რომ ყოფით ცხოვრებაში მისი ენაკვიმატობა მხატვრულ რეალობაშიც არანაკლები ძალით იჩენდა თავს.

მაშ რაღაზე წყდებოდა გული არტურ ლაისტს, უყაირათობად და სულაც დანაშაულად რომ ჩამოართმევდა: სავსებით არ გამოიყენა ბუნებისაგან მომადლებული ტალანტიო?..

ამ თვალსაზრისით დაკვირვება სულ სხვა სურათს წარმოაჩენს, არა?

მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ გერმანელი სწავლული აკაკის დიდი პატივისმცემელი და დამფასებელია და დიდი სიმაღ ლიდან განსჯის მის პიროვნებასაც და ლიტერატურულ ღვაწლსაც.

ამ სიმაღლიდან კი:

აკაკისაგან ქართული „დონ კიხოტის“ შექმნას მოითხოვდა, უფრო ნაკლებისას — არა.

ეს ოცნება რომ ჰქონდა ილიას და სულის კანკანითაც მოელოდა რაღაც ამგვარ ამობრწყინებას ქართული ლიტერატურული ცის კაბადონზე, მსოფლიოს რომ გადაწვდებოდა, ყველაზე შემძლე ამ ოცნების აღსრულებისა აკაკი წერეთელი გახლდათ, სწორედაც აკაკი, მაგრამ...

რაოდენ მნიშვნელოვანიც უნდა იყოს მისი იუმორისტული ნიჭის ამოფრქვევანი ლირიკაშიც, პროზაშიც, დრამატურგიაშიც, პუბლიცისტიკაშიც, „დონ კიხოტის“ ფონზე ეს ყოველივე მაინც დაფანტვად ითქმის, ერთ გრანდიოზულ ქმნილებად რომ არ შეიკრა.

არადა თუ ვინმე... თუ ვინმე...

აგერ იმ გარემოებასაც საგანგებო მნიშვნელობას მიანიჭებდა გერმანელი სწავლული, საქართველოს კუთხეებში აკაკისდენი არცერთ მის თანამოკალმეს რომ არ ევლო და არც საშუალება მისცემოდათ, ყველა მხარის იუმორს გაცნობოდნენ და შეეთვისებინათ, არამცთუ შეეწოვათ აკაკივით.

ჯული გაბოძის ხელთ თავს რომ მოიყრიდა აკაკის ეპისტოლური მემკვიდრეობა, გაცილებით მეტი, ვიდრე თხუთმეტტომეულის მკითხველები იცნობდნენ, ბევრგვარად ჩაუკვირდებოდა იქ გაბნეულ ათასგვარ რეალიას, ზოგს მსხვილმანსა და ზოგსაც თითქოსდა წერილმანს; და მგოსნის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტის შევსებას რომ შეეცდებოდა; იმ მთლად უცნობი თუ არა, ნაკლებად ცნობილი მხარის გამოკვეთას, მის მიმოსვლის მარშრუტსაც საგანგებოდ დაუკვირდებოდა.

ხან ზევსივით დაბრძანდებოდა?

ხანაც მწირივით დაეხეტებოდა.

ზევსობასაც შეიშნოვებდა.

მწირის გარეგნობასაც მოიხდენდა.

ხან მიწისა რომ იყო და ხან ცისა, ანუ — არც მიწისა და არც ცისა, ამითაც უნდა გამჟღავნებულიყო, ამ უჩვეულო გარდასახვითაც: ზევსობა-მწირობითაც, ჰარმონიულად რომ შეეზავებინა ერთიმეორისათვის — თავისთავად და ძალდაუტანებლად.

მოსდებოდა საქართველოს მთა-ბარს:

ხან იმერეთში უნდა ყოფილიყო, ხან სადღაც მუხიანში, ხან გორში, ხან ფოთში, ხან ბათუმში, ხან თელავში, ხან ყვარელში, ხან ქუთაისში, ხან ზუგდიდში, ხან ჭიათურაში...

გადიოდა საქართველოს ისტორიული საზღვრების მიღმაც:

ხან ოდესაში, ხან მოსკოვში, ხან პეტერბურგში, ხან ხარკოვში, ხან ვლადიკავკაზში, ხან ბაქოში...

დგებოდა დრო, უკვე ხანმორეულს იმპერიის ფარგლებს მიღმაც გადაეხედა:

ეს სტამბოლიო, ეს ჟენევაო, ეს პარიზიო...

გზადაგზა კიდევ სად აღარ... დათვლას აუხვიდოდი თუ რა.

იქ ყველგან — შეხვედრებიო, თავყრილობებიო, ლიტერატურული საღამოებიო...

და ყველგან — მჭევრმეტყველებად უნდა დაფრქვეულიყო.

მოასვენებდნენ და სიტყვის უთქმელად გამოუშვებდნენ თუ რა, ორ განზომილებაში რომ შეჰყურებდნენ გაოგნებულ-გაოცებულნი:

ყოფითობაშიც ჩაფესვილსაც და სიმბოლურობის შარავანდით შემოსილსაც.

ამიტომაც იმყოფებოდა: ყველგან და არსად.

და ზევსივითაც შემოგაშუქებდა.

და მწირივითაც შემოგანათებდა.

გარეგნული იერიც ეს გახლდათ მისი და შინაგანი აკაკობაც.

მოსდებოდა ჩვენი ქვეყნის მთა-ბარსო...

ალექსანდრე ყაზბეგიც რომ არანაკლებ მოსდებოდა ჩვენი ქვეყნის მთა-ბარს?..

მაგრამ იმას იუმორი არა ჰქონდა, და რა ტალანტიც მომადლებოდა, კიდეც გადმოღვრიდა ქართულ „ილიადად“, ამ მხრივ აკაკიც ცოტას რომ არ იღვწოდა — ჰეროიკული სულის გამოსახატად და ჩვენი ეროვნული ტრაგიზმის წარმოსაჩენად, მაგრამ „დონ კიხოტური“ რანგის ქმნილება ხელიდან ეცლებოდა და... განიცდიდა არტურ ლაისტიც: ნეტა საამისოდ ჩაეხარჯა ძალ-ღონე და თავისი შემოქმედება შესაფერისადაც მოეგუმბათებინაო.

უილიამ ფოლკნერი დანანებით რომ გახედავდა ჯეიმზ ჯოისსა და მის მხატვრულ-ესთეტიკურ მონაპოვარს, იმიტომაც: მას ჰქონდა უფრო დიდი ტალანტი, ვიდრე უნარი ამ ტალანტის მოვლისა და... კიდეც დაჰბუგა ღვთაებრივმა ცეცხლმაო, — ნეტა აკაკი წერეთელსაც ეს ხომ არ დამართნოდა — მასაც უფრო დიდი ტალანტი მომადლებოდა, ვიდრე უნარი ამ ტალანტის მოვლისა და... ისიც ღვთაებრივ ცეცხლს დაებუგა?!.

ან... ეგებ სულ სხვაა ამ შემთხვევაში ფსიქოლოგიური თუ სოციალური მიზეზი?..

არტურ ლაისტმა ჯერ ჯოისის მოვლინებისა რა იცოდა, მითუმეტეს მისი ღვაწლის ფოლკნერული შეფასებისა, გულაჩქროლებული რომ მოელოდა ქართული „დონ კიხოტის“ ხილვას და, რაკიღა აკაკისა აღარ ეიმედებოდა, დავით კლდიაშვილს მიაჩერდებოდა გულისფანცქალით: იქნებ ამან მაინცო!..

არადა ხედავდა, რომ კლდიაშვილისათვის ბედს გაცილებით მძიმე ცხოვრება ერგუნებინა და — როგორც სამხედრო პირს — ძალზე იშვიათად ეძლეოდა შემთხვევა თავისი სამშობლოს ყოფას დაკვირვებოდა, მაგრამ როგორ არ დაეფასებინა ლაისტს, რომ: იგი მაინც ახერხებდა თვალყური ედევნებინა ამ ყოფისათვის და კიდეც დაესურათებინა თავის მოთხრობებში, მშვენიერი აღმწერი რომ გახლდათ ამ ყოფა-ცხოვრებისა, მაგრამ... ნამდვილი იუმორისტის ღირსება მაინც აკლდა და მის მოთხრობებში იმერული იუმორის გამომხატველნი ნაკლებად გვხვდებოდნენ.

თუ ვინმეს, ისევ დავით კლდიაშვილს თუ შეეძლო შემოგარსული სივრცის გარღვევა და ქართული იუმორის აზიდვა „დონ კიხოტურ“ სიმაღლეზე, მაგრამ... გერმანელი სწავლული მისგან ამგვარ სასწაულს უკვე აღარ გამოელოდა და დანანებით დასძენდა იმერული იუმორის ხსენებისას:

— ასე რომ, ეს მდიდარი განძი ჯერაც დამარხულია და ქართველი სერვანტესი, რომელმაც ეს განძი უნდა გამოამზეუროს, ჯერ კიდევ არ მოვლენილა.

იმერული იუმორი, როგორც მდიდარი განძი, ჯერაც დამარხული და გამოსამზეურებელი რჩებოდა მთელი თავისი სრულქმნილებით.

სცენა და თეატრიო? — ვინმეს რომ ეკითხა.

პასუხად ის ჰქონდა:

დიახ, ქართული თეატრი გაჩენის დღიდანვე იუმორისა და ენამახვილობის მცველი ყოფილა და თავისებური ნიჭის მსახიობებს ყოველთვის გაუცხოველებიათ ქართულ სცენაზე დადგმული კომედიები კომიზმის, იუმორისა და მოსწრებული სიტყვის მჩქეფარე ნაკადულით, მაგრამ ის ტიპები, რომელთა გამომხატველნიც ქართველი არტისტები ყოფილან, სხვა ერებს ეკუთვნოდნენ, ასე რომ, ქართული კომედიების რიცხვი ჯერ კიდევ მეტად მცირეაო.

გამორჩევით გამოარჩევდა ავქსენტი ცაგარელს:

მარტო მან შეძლო გამოერჩია რამდენიმე სახე, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ სიმშვენიერე და მომხიბვლელობაო.

და იმედს გამოთქვამდა:

მე მგონია, რომ ხალხში, სადაც იბადებიან ასეთი საუცხოო კომიკოსები, დაიბადება საუცხოო კომედიების შემოქმედიც და, ბოლოს — ქართველი სერვანტესიც, მითუფრო, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ცოცხლობენ დონ კიხოტები და მოუთმენლად მოელიან თავიანთი მხატვრის გამოჩენასო.

ილია მიახვედრებდა გერმანელ სწავლულს, საქართველოში ჯერაც რომ ცოცხლობდნენ დონ კიხოტები, და გულში კი რაღაც ამგვარს უთუოდ ფიქრობდა: ახ, ნეტა მეცალოს საამისოდ, მე თვითონვე რომ მომეკიდა ხელი ქართული „დონ კიხოტისთვისო"!..

არტურ ლაისტი კი უკვე თავისითაც აღმოაჩენდა დონ კიხოტურ გამოვლინებებს გარშემო, ოღონდ ყველაზე გამოჩენილი დონ კიხოტი ჯერაც არ მოჩანდა საზოგადოებრივ-სალიტერატურო სარბიელზე, მზამზარეული მასალა ქართველი სერვანტესისათვის. ისე სერვანტესობას — თვითვე იკისრებდა ის დონ კიხოტი, იუმორი რომ ჰქონოდა, მაგრამ მისი დიდი მხატვრულ-შემოქმედებითი ტალანტი ამ მადლს სრულიად მოკლებოდა, და ბიოგრაფია კი ისეთი დრამატიზმით აღსავსე აღმოაჩნდებოდა, როგორ გინდა კომიკური თუ პაროდიული მზერით შეხედო — ჯერჯერობით მაინც.

და ამიტომაცაა კონსტანტინე გამსახურდიაზე — მიხვდებოდით ისედაც მის ვინაობას — შექმნილი ბიოგრაფიული რომანები დრამატული სულით განმსჭვალული, პაროდიული თუ კომიკური სურათები აქა-იქღა რომ იელვებს, მაგრამ წამიერადვე იკარგება საერთო ფონზე.

იუმორიც რომ ჰქონოდა კონსტანტინე გამსახურდიას, სულაც ავტობიოგრაფიულ რომანს აქცევდა ქართულ „დონ კიხოტად", თანამედროვენი დავით კლდიაშვილს რომ ამუნათებდნენ: შენი სიზარმაცე რომ არა, პლატონ სამანიშვილს ლიხს აქეთაც გადმოიყვანდი, მთელს საქართველოსაც შემოატარებდი და მსოფლიო რანგის კომიკურ რომანს შეგვიქმნიდიო.

ისე „სამანიშვილის დედინაცვალი" — თავისი ნოველური აღნაგობის გამოისობით — თუ ვერ გაწვდებოდა ეპიკური ქმნილების ჟანრს, სიუჟეტს სხვასაც მოიფიქრებდა საამისოდ დავით კლდიაშვილი, დრო და მოცალეობა საძებარი რომ არა ჰქონოდა, მაგრამ ყოფითი სინამდვილე არ დაანებებდა თავის ნებასა და გუნებისად წერას და რასაც მიაღწევდა, კი გამოხატავდა ჩვენს კომიკურ სულს იშვიათი ხელოვნებითა და შთამბეჭდაობით, კლდიაშვილის მხატვრულ სამყაროდ რომ დაგვიმკვიდრებდა და მთელს ლიტერატურულ მიმდინარეობასაც დაუდებდა სათავეს.

ხოლო ლაისტი დრამატურგთაგან ავქსენტი ცაგარელს რომ გამოაცალკევებდა რამდენიმე უკვდავი სახის მიგნებით, ამ მხრივ დიდად არ დააფასებდა აკაკის დრამატურგიულ მოღვაწეობას, ის კი არა, კინტოზე, როგორც კომიკურ ტიპზე, ამდენს რომ იმსჯელებდა, სანიმუშოდ არ მოიხმობდა აკაკის ამ სახელწოდების პიესას, ნატო გაბუნიას საბენეფისოდ რომ დაიწერებოდა სახელდახელოდ.

სახელდახელოდ იმიტომ, რომ მანამდე ბენეფისისათვის ისეთ პიესას შეარჩევდნენ, სადაც ორი ქალი იქნებოდა მონაწილე, მაგრამ მაკო საფაროვა-აბაშიძე ავად გახდებოდა და... სცენაზე კი ამ ორი ქალის გარდა ვერავის შეებედა. ნატო გაბუნია იძულებით უნდა დაჩაგრულიყო მორალურადაც და მატერიალურადაც და... აკაკი მასთან ერთად გულმოდგინედ რომ დაეძებდა შესაფერის დრამატურგიულ ნიმუშს, რომელშიც ერთი ქალი იქნებოდა მონაწილე, ვერას იპოვნიდა.

ხელი უნდა ჩაექნიათ და ეგაა!..

და გაბუნიას ქალის დაღონება აკაკისაც ძლიერ რომ შეაწუხებდა, არ იკმარებდა თანაგრძნობის გამოცხადებას და... თავის მხატვრულ ხელოვნებას რომ მოუხმობდა, ერთ ღამეში დაწერდა „კინტოს“ სცენებს, ერთადერთი ქალი მონაწილე რომ ეყოფოდა და თვითონ მებენეფისე ითამაშებდა. ცენზურა არ გააწბილებდათ, მეორე დღესვე მოიპოვებდა აკაკი ნებართვას და სამ დღეში კიდეც გამზადდებოდა სპექტაკლი.

ბენეფისი კარგად ჩაივლიდა, ნატო გაბუნია კმაყოფილი დარჩებოდა და აკაკი რარიგ გაიხარებდა, ამ დიდად ნიჭიერ ახალგაზრდა არტისტ ქალს გული რომ არ დაეჩაგრებოდა.

რაკიღა ამ პიესას მეტ მოვალეობას არ აკისრებდა, გარდა იმისა, რომ ბენეფისი არ ჩაშლილიყო, აღარც მის დაბეჭდვას იფიქრებდა და აღარც ხელმეორედ წარმოდგენას, და თავის არქივში შეინახავდა სამუდამო ჩასატოვებლად.

იმხანად რუსეთში მოუწევდა გამგზავრება.

უკან რომ დაბრუნდებოდა, ნახავდა, რომ „კინტო“ სახალხო პიესად გადაქცეულიყო და არათუ ქალაქებში, სოფლებშიაც კი წარმოადგენდნენ. მას აქეთ აგერ ოცი წელიწადი გავიდოდა და არ ყოფილა, რომ სხვადასხვაგან, ქალაქებშიც და სოფლებშიც, რამდენჯერმე არ დაედგათ.

საკვირველი მხოლოდ ის იყო, რომ დედანი პიესისა აკაკის ჰქონდა, პირი არავის გადაეწერა და... ის დადგმები საიდან და რანაირად გამომტყვრალიყო?

ივარაუდებდა: ალბათ როლები მიაკერ-მოაკერეს და ისე შეადგინესო.

რამდენჯერ დაესწრებოდა ამ სპექტაკლს, რომელსაც მისი სახელით წარმოადგენდნენ, და ყოველთვის და ყველგან სულ სხვადასხვაგვარი ყოფილა — ხან აკლებდნენ და ხანაც თავისას უმატებდნენ, ასე რომ, თავით ბოლომდე თავის დაწერილად ვეღარ ცნობდა. ამიტომაც ეს გარემოება აიძულებდა ამ პიესის გამოქვეყნებას — რაკიღა მისი სახელით ტრიალებდა, ბარემ დედანი ჰქონოდათ ხელთ რეჟისორებს და გადასხვაფერებას ჩამოხსნოდნენ.

ეს მიზეზი რომ არა ყოფილიყო, „კინტო“, როგორც ბევრი მის ნაწერთაგანი:

— რომელთაც მხოლოდ დროებითი მნიშვნელობა ჰქონიათ — წარმავალი, ვერ ეღირსებოდა სტამბას და დარჩებოდა მხოლოდ „ჩემი თავგადასავალი“-ს მასალად.

როგორ ადვილად იმეტებდა თავის თხზულებათა ერთ, თანაც საკმაოდ მოზრდილ ნაწილს: მხოლოდ დროებითი მნიშვნელობა ჰქონიათ, წარმავალიო...

ყალბი თავმდაბლობა ყოველთვის შორს ყოფილა მისგან, და ამასაც ალალად ამბობდა, როგორც დღიური მუშა, თავისი საქმიანობა იმწამიერად სასარგებლოდ რომ მიაჩნდა, მაგრამ... ეგ იყო და ეგ, და გადაჭარბებული მნიშვნელობა რატომ მიენიჭებინა იმ ყოველივესათვის, თავდაუზოგავი ჟინით რომ ქმნიდა?

ისე „ჩემი თავგადასავალი“ ძალიან რომ ეძვირფასებოდა, ამ ფრაზითაც თვალნათლივ ცნაურდება — თავის ერთ მთავარ თხზულებად მიიჩნევს და მისთვის მასალებს გულდასმით აგროვებს, მის შევსება-გამდიდრებაზე ზრუნავს, ეიმედება, რომ ამ ქარგაში დროებითიც და წარმავალიც თავის როლს შეასრულებს და საქვეყნო მნიშვნელობასაც მოიპოვებს — კონტექსტი, ფონი თავისთავად განსაზღვრავს ამ მნიშვნელობას.

ისე რა არის, „კინტო“ ასეთ პოპულარობას რომ მოიხვეჭდა — რამდენი მისი პიესა — დრამატული თუ კომიკური — ვერ ეღირსებოდა წარმატებულ სცენურ სიცოცხლეს, „კინტო“ კი, მარტოდენ საბენეფისოდ და სახელდახელოდ შეთხზული, სცენიდან აღარ ჩამოვიდოდა და ქალაქები და სოფლები ერთმანეთს შეეცილებოდნენ მის დადგმას.

თუ დადგმაა, საკუთრივ ჩემი მაინც დადგან, თორემ ეს რა არის, ვეღარც მიცვნიაო, — ბოლოსდაბოლოს დაფაცურდებოდა აკაკი.

„კინტოზე“ გული რომ ეთანაღრებოდა, თორემ 1879 წელს ცალკე წიგნაკად ხალისითაც გამოსცემდა წინა წელს დაწერილ ვოდევილს „ბუტიაობა“, რომელიც ასევე — ჯერ კიდევ ხელნაწერად გავრცელებისას — ჰპოვებდა სცენურ სიცოცხლეს.

ახალციხეში ქართულ-რუსული სცენისმოყვარენი ქობულეთელთა სასარგებლოდ რომ წარმოადგენდნენ კრეჩინსკის „ქორწილსა“ და აკაკის „ბუტიაობას“, ეს ვოდევილი ისე ახარხარებდა მაყურებელს, რომ ხანდახან მსახიობების ხმა აღარც ისმოდა.

იოსებ გრიშაშვილი მიიჩნევდა, რომ:

არცერთი სხვა პიესა არა ყოფილა „ბუტიაობასავით“ პოპულარული — 1879 წლიდან მოყოლებული სცენას რომ არ მოშორდებოდა. და სავსებით ბუნებრივად მიაჩნდა ჟურნალ „თეატრში“ ამოკითხული: პროვინციაში ისე წარმოდგენა არ გაიმართება, რომ „ბუტიაობა“ არ ითამაშონო.

ი. კავთელი ანუ ივანე ჯაჯანაშვილი რას წერდა?

მხოლოდ აკაკის მჭევრმეტყველ ჭკუას შეეძლო დაეხატა ამგვარი მარილიანი ხუმრობა, რომელიც სინამდვილესაც არ არის დაშორებული. ყველა სცენა შემთხვევით ხდება და ხელოვნურად არის დახატული, ერთი სიტყვით ყველაფრით სრულია ეს ვოდევილი და მის მოსმენას თავის დღეში არ მოუწყინებიათ მაცქერალიო.

არ დარჩებოდა არცერთი ქალაქი თუ დაბა-სოფელი „ბუტიაობის“ წარმოდგენის გარეშე: ეს ტფილისიო, ეს ქუთაისიო, ეს ფოთიო, ეს ახალციხეო, ეს ხვედურეთიო, ეს... სად აღარ, და ბავშვთა საშინაო სპექტაკლებისთვისაც მოუმზადებიათ, დავით მესხის მოგონებისა არ იყოს:

კოლექტიური უსტარით ნიკო დადიანს რომ გამოსთხოვდნენ ზალას წარმოდგენისათვის, და ისიც სიამოვნებით რომ დაუთმობდათ დარბაზს და თვითონაც დაესწრებოდა პატარა შალვასთან ერთად. სიცილით ისინიც ბევრს აცინებდნენ დამსწრე საზოგადოებას, ეგ არის ნასპექტაკლევს, შექების შემდეგ, ამასაც ურჩევდათ მასპინძელი:

— სათქვენო პიესის არჩევისათვის უფროსებს დაეკითხეთ.

„ბუტიაობას“ მაინც შეუფერებლად მიიჩნევდა პატარებისათვის.

შალვა დადიანს ბავშვობიდანვე გამოჰყვებოდა ის შთაბეჭდილება და უკვე თეატრალად ჩამოყალიბებული გადაწყვეტდა მის დადგმას, ოღონდ ეს სპექტაკლი სხვა დადგმებს არ უნდა მგვანებოდა და უნდა ყოფილიყო გროტესკული და ახლებური.

რა დაავიწყებდა, რა გულით იხარხარებდა აკაკი ქუთაისში „ბუტიაობის“ წარმოდგენაზე. განსაკუთრებით მოეწონებოდა იმერლის როლში ვასო ბალანჩივაძე, მაგრამ ამ ვოდევილის შესრულებისას მოხდებოდა ერთი კურიოზი.

ვოდევილში ორი წყვილი ცოლ-ქმარი რომ არის, შალვა, როგორც რეჟისორი, შეუკვეთდა, რომ: ქმრებიც და ცოლებიც ერთნაირად ყოფილიყვნენ გამოწყობილნი, და ქმრებიც — ერთნაირი პარიკებით — ერთნაირი პაწია „ბაკებით“, მაგრამ უულვაშონი. სულ დაავიწყდებოდა, რომ ორივე ქმარს თავთავის ადგილას ჰქონდა ასეთი ფრაზა:

— მაშინ შემირცხვეს მე ულვაში.

მერე უკვირდა, რომ არც მსახიობებს გაახსენდებოდა მათი ულვაშების ამბავი და... გამოვიდოდნენ — რეჟისორის მითითებით — უულვაშებოდ. მოვიდოდა დრო ამ ფრაზის წარმოსათქმელად, კიდეც წარმოთქვამდნენ მაშინალურად: შემირცხვეს მე ულვაშიო, — და... სახტად კი დარჩებოდნენ, რაკილა მაშინღა აღმოაჩენდნენ, რომ ულვაში არ გააჩნდათ.

დარბაზში საშინელი ხარხარი ატყდებოდა. რასაკვირველია სიცილს გამოიწვევდა არა პიესის ვითარება ან მსახიობთა შესრულება, არამედ რეჟისორისა და მსახიობთა დაუკვირვებლობა, მემუარისტი მეტსაც რომ იტყოდა თავის თავზე განაწყენებული: ჭკუისათვის ძალის დატანებაო.

აკაკიც ბევრს იცინებდა, თუმცა წარმოდგენის შემდეგ ავიდოდა თეატრალურ დასთან და ანუგეშებდათ:

— ეგ არაფერია. შეიძლება კაცს ულვაში არა ჰქონდეს და მაინც თავისი ულვაშის შეურცხვენლობაზე ილაპარაკოს. აი გიორგი ღოღობერიძეს ხომ იცნობ? ამჟამად ერთადერთი კაცია ჩვენში, რომელიც ულვაშებს იპარსავს, მაგრამ იმას თამამად შეუძლიან თავისი ულვაშის შეურცხვენლობაზე ილაპარაკოს.

და შალვა დადიანი სიხარულით დასძენდა:

მართლაც იმ დროს ამ საპატიო პიროვნების გარდა საქართველოში თითქმის არავინ იპარსავდა ულვაშებს და ცნობილი იყო, როგორც ყოვლად უმწიკვლო პატიოსნების პატრონიო.

რა გგონიათ, „ბუტიაობის“ კიდევ ერთი წარმოდგენაც ვერ გადარჩებოდა უკურიოზოდ. 1898 წელს ვასო აბაშიძისაგან მათე იანქოშვილს მიუვიდოდა ბარათი:

— ჩვენი დრამატული დასი გთხოვს ამ სეზონშიაც მიიღო მონაწილეობა.

და ესეც სიამოვნებით მიიღებდა მიწვევას და მთელი სეზონი ითამაშებდა, რასაც კი დაავალებდნენ.

„ბუტიაობას“ რომ დადგამდნენ, იმერელი ლაქიის როლს მათეს მიანდობდნენ, ხოლო მოახლისას — მაკო საფაროვა-აბაშიძეს. პიესაში ისე იყო, რომ ერთ ადგილას ლაქია ეარშიყებოდა მოახლეს და ეხვეწებოდა:

— ერთი ტყლაშან-ტყლოშანი მაქნევინე.

გოგო ჰკითხავდა:

— რა არის ტყლაშანი?

ამ დროს ლაქია მივიდოდა, ლოყაზე აკოცებდა და ეტყოდა:

— ჰა! ეს არის ტყლაშანი.

გოგო ჯერ ვითომ შეფხუკიანდებოდა, თუმც გულში კი გაეხარდებოდა, და ამიტომაც მიუბრუნდებოდა და ღიმილით ჰკითხავდა:

— ტყლოშანი რაღა არის?

ლაქია ახლა მეორე ლოყაზე აკოცებდა და ეტყოდა:

— ჰა! ესაა ტყლოშანი.

რეპეტიციების დროს მათე რასაკვირველია მაკო საფაროვას არა კოცნიდა, მხოლოდ ერთ მტკაველზე მიუახლოვდებოდა ხოლმე და ტუჩებს გააწკმატუნებდა ხან ერთ ლოყასთან და ხანაც მეორესთან.

წარმოდგენის დროს ცოტა შეკრთებოდა და მაშინაც ისე მოიქცეოდა, როგორც რეპეტიციებზე: ტუჩებს ერთ მტკაველზე გააწკმატუნებდა. ამაზე მთელ დარბაზს სიცილი აუტყდებოდა. მეორე ლოყისაკენ რომ მოურბენდა, კიდევ შორიახლო გაუწკმატუნებდა ტუჩებს. დარბაზში უფრო ლონიერი ხარხარი გაისმოდა. ამას გაეხარდებოდა, ეგონებოდა, კარგად მომივიდაო. არადა საზოგადოება თურმე მის გაუბედაობაზე იცინოდა.

იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ცხვედაძე, ეს განუშორებელ ტყუპებივით მუდამ ერთად მყოფნი, ახლაც აქ პირველ რიგში ისხდებოდნენ და თურმე ისინიც გულიანად ახარხარდებოდნენ, თუმც სხვა დროს იმათ სახეზე ღიმილსაც კი იშვიათად ნახავდა კაცი.

ფარდას რომ ჩამოუშვებდნენ, მივარდებოდა მათეს რეჟისორი ვასო აბაშიძე და შემოუტევდა:

— სცენა რად გამიფუჭე! რატომ ნამდვილად არ აკოცე?

მერე დათიკო აწყურელი გამოივლიდა და რომ შემოხედავდა, გაიცინებდა:

— კაცო! მაკოს ბუნჩულა ლოყების კოცნა ქვეყანას ენატრება და ვერაფერს გახდნენ, შენ ბედმა გარგუნა და ერთი ლამაზად ვერ ჩაჰკოცნიდი!

როგორც შემდეგ რეპეტიციებზე უამბობდნენ, თურმე თვითონ მაკოც ბევრს იცინებდა პარტნიორის ასეთ გაუბედაობაზე.

კურიოზები კურიოზებად, მაგრამ ნეტა თუ გაიხსენებენ რეჟისორები ამ ვოდევილს და თანადროულ მაყურებელსაც ისევე არ მოაწყენენ და ისევე გულიანად აცინებენ, როგორც წლიდან წლამდე სიცილ-ხარხარისაგან იგუდებოდნენ თაობები „ბუტიაობის“ ცქერისას?!.

* * *

როგორღაც მხოლოდ დრამატურგიისა და ვოდევილისაკენ გახრილა და ეგაა აკაკის უზღვავი იუმორისტული ნიჭის ირგვლივ განსჯა-საუბარი, არტურ ლაისტს გული რომ წყდებოდა: სავსებით არ გამოიყენა ბუნებისაგან მომადლებული ეს ტალანტიო...

მისი მოსწრებული, მოხდენილი, მახვილი სიტყვა მარტოდენ ჰაერში კი არ იფრქვეოდა, შესაფერისად გადაინაცვლებდა ნაწერშიც, რომელი ჟანრიც გინდა ყოფილიყო ერთნაირი

ძალმოსილებითა და სიცხოველე-სიკასკასით, და მათ შორის — რა გასაკვირია — კომედიებშიც, პიესა იქნებოდა თუ ვოდევილი.

გულს აკლდა არტურ ლაისტს, შუშხუნასავით ამოფრქვეული ნაკვესები აკაკის მწერლობაში კვალის დაუჩნეველად რომ გაბნეულიყო.

ეს სტრიქონები რომ წაეკითხა, უსათუოდ დაეთანხმებოდა იონა მეუნარგია: მეც ხომ მაგას ვამბობდი, დროის მორევი მის მოთხრობებსაც რომ ჩაძირავს, ფელეტონებსაც, დრამატულ და კრიტიკულ ეტიუდებსაც და ლექსებთან ერთად მხოლოდ ნაკვესები გადარჩება აკაკისაო.

ის, რაც გაბნევასა და დავიწყებას გადაურჩებოდა.

ის, რაც სხვებს უნდა მოეძიათ, ჩაენიშნათ, ეგროვებინათ და... აკაკის გულიც დაწყვეტოდა მათი გადათვალიერებისას: რაღა მე და რაღა მოლა ნასრედინი, ეს რეები მომეწერა, და მეც მასავით რატომ უნდა ვაგო პასუხი სხვების სისულელეებსა და უმარილო ოხუნჯობებზე, ჩემს ნათქვამად რატომ ასაღებენ და ჩემს ნაკვესებს რატომ ეძახიან ისეთ ფრაზებს, პირველად რომ მესმის ხოლმეო.

რაო, ვერ მოევლო თავისი იუმორისტული ტალანტისათვის?

ეჰ, განა პოეტური ტალანტისათვის კი მოევლო შესაფერისად?

გაეწირა ერთიც, მეორეც ქვეყნისათვის დღიური საქმეების შესასრულებლად გადაგებულს. გაეწირა იმდენად, რამდენადაც სხვა ქვეყანასა და სხვა პირობებში — უზრუნველში, დალხენილში — კიდევ სხვა სიმაღლეებს მიაღწევდა თხემით ტერფამდე ლიტერატურაში ჩაძირული და პოეტური და იუმორისტული ტალანტის აელვარებით მოცული... მაგრამ აქ გადაწყვეტილიყო მისი დაბადება, საქართველოში უნდა მოვლენოდა ქვეყანას აკაკი წერეთელი — ჩვენდა საბედნიეროდ და თავისი უზღვავი, უკიდეგანო ნიჭის საზიანოდ, მთლად რომ არ ჩაიბუგებოდა და გაქარწყლდებოდა, მაგრამ მის თაყვანისმცემელთ კი გულს უნდა დაკლებოდათ, რომ დაუწერელი რჩებოდა ქართული „დონ კიხოტი“, არადა თუ ვინმეს, აკაკის ედო ხელის გაწვდენაზე... სწორედაც ხელის გაწვდენაზე... არადა... არადა...

* * *

აკაკისადმი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მოსდიოდა გერმანელ სწავლულს ის მკაცრი დამუნათება:

დიდი დანაშაული მიუძღვის თავისი ერის წინაშე, რადგან სავსებით არ გამოიყენება ბუნებისაგან მომადლებული ტალანტი, კერძო ცხოვრებაში გაფლანგა იუმორის ნიჭიო.

არადა:

დანაშაული მაშინ გვენახა აკაკისა თავისი ერის წინაშე, სავსებით რომ გამოეყენებინა ბუნებისაგან მომადლებული ტალანტი და იუმორისტის ნიჭი მარტოდენ კერძო ცხოვრებასა და ცალკეულ ლექსებსა, მოთხრობებსა, კომედიებსა თუ ფელეტონებში კი არ ეფლანგა, არამედ ქართული „დონ კიხოტის“ შესაქმნელად გადაედო თავი.

პარადოქსებით დაქსელილა აკაკის ცხოვრება?

მაშ ეს პარადოქსიც მიემატოს დანარჩენებს.

* * *

ისე ვითომ ილია ჭავჭავაძეს ძალიან ეხალისებოდა ბანკში საქმიანობა და საანგარიშოს ჩხაკუნი, რა — ის კი ვერ გადაეშვებოდა მთელი არსებით ლიტერატურის მორევში, იქიდან შესაფერის განძს რომ ამოზიდავდა?

ეგ კია:

„დონ კიხოტის“ ბადალი ქართული წიგნის შექმნას თუ გაივლებდა გუნებაში, მალევე იქით გაიხედავდა, მაინც იქით, მაინც უფრო აკაკისაკენ: მისთვის უფრო საფეროაო...

თავი III

მკვლელის მიგზავნა... და კიდევ დავიდარაბანი ცენზურასთან

სოსიკო მერკვილაძე 26 წელიწადი გულში ინახავდა და არავის უმხელდა იმ საზარელ ამბავს, რომლის უშუალო მოწმეც შეიქნებოდა და რომლის მოგონებაც კვლავ ტანში ჟრუანტელს ჰგვრიდა, მაგრამ ახლა კი, ამ დღესასწაულისას, აღარ შეეძლო გულისნადები მთელი ქვეყნის საზოგადოებისათვის არ გაეზიარებინა.

1882 წლის 25 სექტემბრის დილას აკაკი იმერეთიდან ჩამოვიდოდა ტფილისს და ჩამოხდებოდა სასტუმრო „ივერიაში“, ელისაბედისა და რიყის ქუჩების კუთხეში, ძმებ ორახელაშვილებს რომ ეკუთვნოდათ.

დაიკავებდა მეოთხე ნომერს.

სოსიკოც იმჟამად მეხუთე ნომერში იდგებოდა, მის გვერდით მისი ნათესავები — ბარნაბა ნემსაძე და ვიქტორ ლეჟავა — რომ მოთავსდებოდნენ.

იმ ღამეს თორმეტ საათამდე ეს ყველანი ძმებ ორახელაშვილებსა და კიდევ ორ სტუმართან ერთად — აკაკისთან დაჰყოფდნენ და დატკბებოდნენ მისი მოსწრებული და მჭევრმეტყველური საუბრით, შემდეგ გამოეთხოვებოდნენ და თავთავიანთ ოთახებს მიაშურებდნენ მოსასვენებლად.

სოსიკო წამოწვებოდა ახალუხის ამარა ლოგინზე და გააგრძელებდა კითხვას ხოზე მარმოლის ახალმიღებული პოლიტიკური რომანისა, რომელიც იბეჭდებოდა ჟურნალ „ივერიის“ ფურცლებზე სათაურით „ციხე შიგნიდან გატეხილი“, იოსებ ბაქრაძის მიერ თარგმნილი.

ჩვენსავით დაჩაგრულ-დამონებული ერის თავგამოდებული და მედგარი ბრძოლა სამშობლოს გათავისუფლებისათვის ასეთი ხელოვნებით რომ აღწერილიყო, ისე გაიტაცებდა, ძილს დაუფრთხობდა.

სამი საათი შესრულდებოდა. ყველას ეძინა. იქაურობას სამარისებური სიჩუმე მოიცავდა, მხოლოდ ორი ფარანი ანათებდა ოდნავ საერთო მოაჯირს.

უეცრად რაღაც ფაჩუნი მოესმოდა.

თავს ასწევდა და ყურს მიუგდებდა, მაგრამ კვლავ სიწყნარე დაისადგურებდა.

ორი წამის მერე კვლავ მოესმოდა ფაჩუნი, თითქოს ვიღაცის ფეხის ხმას რომ წააგავდა.

იფიქრებდა: ალბათ კატა თუ არისო, — რადგანაც წინა კარი დაკეტილი იყო და ყოველთვის მეკარე იდგა, ეზოში კი არავითარ ადამიანს არ შეეძლო შემოსვლა, იმგვარად გარშემოკრულიყო... და ისევ მისდებდა თავს.

მაგრამ... მალე კვლავ შემოესმოდა ფეხის ხმა და... შემდეგ კარის ჭრიალიც.

წამოხტებოდ ზეზე, გავარდებოდა მოაჯირზე და უეცრად თვალს მოჰკრავდა, თუ როგორ შეძვრებოდა აკაკის ოთახში ვიღაც კაცი.

ელვისსისწრაფით გაექანეოდა და ესეც აკაკის ოთახში შევარდებოდა.

და ღია კარში შემოჭრილი სინათლის შუქზე დაინახავდა აკაკის საწოლთან მდგარ ავაზაკს — ხელში აღმართული გაპრიალებული ბებუთით...

და... ის იყო კიდეც უნდა ჩაეკრა გულში მშვიდად მძინარე მგოსნისათვის, რომ ეს მივარდებოდა, მარცხენა ხელს სტაცებდა საყელოში და უკან გადმოზნექილს მარჯვენა მუშტს დაარტყამდა სახეში, მერე ერთბაშად სტაცებდა მარჯვენა მაჯაში და შესძახებდა:

— დაადგე ხანჯალი, თორემ გაგათავებ!..

ისიც ხელს უშვებდა იარაღს და... აკაკის ლოგინის წინ წკრიალს მოიღებდა ბებუთი.

მძინარე მგოსანი შეკრთებოდა...

სოსიკო იმწამსვე გამოათრევდა გარეთ ავაზაკს, ხმაურობაზედ კი გამოცვივდებოდნენ ნემსაძეც, ლეჟავაც, ორახელაშვილებიც და სხვებიც და მათ აღშფოთებას საზღვარი არ ექნებოდა... თავს ვეღარ შეიმაგრებდნენ, დაეტაკებოდნენ ავაზაკს და კინაღამ დაახრჩობდნენ... მაგრამ მერე ამჯობინებდნენ, რომ გაეთრიათ მოსამსახურეების განაპირა ოთახში.

ავაზაკი ტირილით შეევედრებოდათ:

— შემიბრალეთ, ნუ მომკლავთ... მე სიმართლეს გეტყვით... ან წაიღეთ ეს ხუთი ათთუმნიანი, რომელიც ამ კაცის მოსაკლავად მომცეს... აი კიდევ ქამარი... ყველაფერი წაიღეთ, ოღონდ ნუ მომკლავთ... ნუ დამახრჩობთ...

— ხმა, კრინტი, შე წუპაკო! შენა გსურს შენებრ ჩვენც ფულთ შეგვისყიდო?! არა, მაგ ფულს საიქიოს გაგატანთ, თქვი ჩქარა, ვინ მოგაგზავნა? ვინ მოგისყიდა? რათა? რისთვის?! — შემოსძახებდნენ აქეთ-იქიდან.

ანაზდად კი კარიდან მოისმოდა მწუხარე, აკანკალებული ხმა:

— რას სჩადიხართ, მართლა არ მოკლათ ეგ კაცი!

იქ... აკაკი იდგებოდა.

სამოსი სასწრაფოდ მოეცვა ხმაურზე და ახლა თავზე დადგომოდათ.

მის დანახვაზე ესენი შეკრთებოდნენ, სახტად დარჩებოდნენ, მისი ფერშემკრთალი სახე ყველას ჩააფიქრებდა, მაგრამ მალევე მოეგებოდნენ გონს:

— თქვენ მიბრძანდით, ბატონო, თქვენს ოთახში, დამშვიდდით, მოისვენეთ, ამაზე ნუ სწუხართ, ამას ჩვენ მოვუვლით!..

მაგრამ ის პასუხად:

— როგორ დავმშვიდდე ამისთანა მდგომარეობაში? გაათავისუფლეთ, თუ გიყვარდეთ!..

ესენი აუხსნიდნენ ვითარებას, ეგონათ, წარმოდგენაც არა აქვს, რა მოხდაო:

— როგორ, ბატონო! თქვენი მკვლელი, ავაზაკი გავათავისუფლოთ?

მაგრამ ის:

— გეუბნებით, არ შეიძლება კაცის ცემა, კაცის წვალება და სიკვდილი-მეთქი!.. გთხოვთ ახლავე, ჩემი თვალის წინ გაათავისუფლოთ ეგ შემცდარი ადამიანი და გაუშვათ უვნებლად.

ესენი თვით აკაკისაც არ შეეპუებოდნენ იმ მოტივით:

— ბატონო! თქვენ უნდა მოეკალით ამ...

მაგრამ თურმე ის ერთბაშად გარკვეულიყო მომხდარში:

— დიახ! მე უნდა მოვეკალი, ხანჯალიც ჩემს საწოლთან გდია, მაგრამ მაინცა გთხოვთ უთუოდ გაათავისუფლოთ და უვნებლად გაუშვათ, გთხოვთ ნუღარცა სცემთ და ნურც პოლიციას გადასცემთ!..

ავაზაკი დაიჩოქებდა აკაკის წინაშე და ტირილით ამოთქვამდა:

— ბატონო! მე ხომ თქვენ არ გიცნობდით, თქვენი თავი მხოლოდ ვაგზალში მაჩვენეს, თქვენთან ხომ თავის დღეში არავითარი საქმე არა მქონია, ღმერთმა მოჰკითხოს იმათ რომელთაც შემაცდინეს და აი ამ ხუთი ათთუმნიანით ჭკუა და ნამუსი დამაკარგვინეს!.. გთხოვთ, გეევედრებით...

— ჩაიდე ეგ ფული და წადი შენთვის, ღმერთმა მშვიდობა მოგცეს! — მიუგებდა წყნარად მგოსანი.

ავაზაკი ამ სიტყვების შემდეგ მთლად დაიბნეოდა, მოეხვეოდა მუხლზედ აკაკის და ქვითინს მორთავდა.

— ნუ სტირი, ადექი, წადი მშვიდობით, — ლმობიერად ეტყოდა მგოსანი.

ავაზაკი კი განაგრძობდა ტირილს და ზლუქუნით ამბობდა:

— ვაჰ მე ამისთანა კაცისათვის ხელი უნდა შემეხო?!. ეს უნდა მომეკლა?!. მე სწორედ შეშლილი, გაგიჟებული ვიყავი... ახლა კი მართლა სიკვდილის ღირსი ვარ!.. მომკალით ბარემღა, უნამუსო ცხოვრებას სიკვდილი მირჩევნია.

მოთქვამდა და ჰოი რას მოთქვამდა.

ესენი აბა აკაკის თხოვნასა და სურვილს როგორ გადაუდგებოდნენ!..

ავაზაკს ხელს კი შეუშვებდნენ, მაგრამ მოთხოვნით მტკიცედ მოსთხოვდნენ, სრული სიმართლე ელიარებინა მათ წინაშე.

თავის ვინაობას კი გაუმჟღავნებდათ, მაგრამ ვისაც ამ ბატონის მოსაკლავად გამოეგზავნათ, იმათგან არცერთს არ იცნობდა, არც მათი ბინადრობა მოეხსენებოდა და არც გვარ-სახელი. ხოლო მოსვლით აქ დღისით მოსულიყო, წინაკარიდან შემოპარულიყო მალულად და ჩაპარულიყო ეზოში, იქ დახურულ დილიჟანში ჩაწოლილიყო და იქიდან ეთვალთვალა, რომელ ოთახში იქნებოდა ის ბატონი.

ავაზაკი შუა ტანისაზე ცოტა მომაღლო გახლდათ, ჩასხმული, მხარბეჭიანი, წაბლისფერ წვერ-ულვაშიანი, ხნოვანებით ოცდაათი წლისა, გარეგნობით ავლაბრის კინტოს წააგავდა, სამოსი ყარაჩოღლური ეცვა — ბუხრის ქუდი, გულგადახვეული მოკლე ახალუხი, ბრტყელი, ერთიანი ვერცხლის დიდი ქამარი, მონაოჭებული ჭუპნა ჩოხა, განიერი შარვალი, ჩაბალახი და ყელჩაკეცილი ჩუსტები.

ასე ცხადლივ როგორ დამახსოვრებოდა სოსიკო მერკვილაძეს?

თუმც ისეთი შემძვრელი ამბის მონაწილე გამხდარიყო უნებურად, ახლაც თითქოს თვალდათვალ შეჰყურებდა, მოგონების წერისას, და აღარც ავაზაკის აღწერა გაუძნელდებოდა.

აკაკის მოთხოვნის თანახმად: ავაზაკს გატეხილ თავსა და თვალ-წარბს შეუხვევდნენ, მერე თვითონ მგოსნის თანდასწრებით გაუღებდნენ წინაკარს და გაუშვებდნენ.

კარში გასვლისას ის დაიფიცებდა:

— დედა შემერთოს ცოლად, თუ დღეის იქით ქალაქში ჩემი ფეხი იქნეს და ან ეს ფული მე მოვიხმარო!..

ცა მოწმენდილიყო და განთიადის შუქი უკვე მოტანებული.

ესენი დარჩებოდნენ საშინლად აღელვებულნი, ძარღვები სიბრაზით უთრთოდათ, აღარ იცოდნენ რა ექნათ, რომ ავაზაკი ხელიდან გაუშვეს და ვერც მის მომსყიდველთა გვარ-სახელები შეიტყეს.

აკაკის შეთავაზებით:

ესენი გადაწყვეტდნენ და იქ დამსწრეთაც ყველას სთხოვდნენ ეს ამბავი საიდუმლოდ დაცულიყო და არავის გაეხმაურებინა.

მაგრამ ბოლოსდაბოლოს დამდგარიყო ისეთი დღე და წუთი, რომ იმ შემთხვევის კიდევ ბურუსში დატოვე შეუძლებელიღა იქნებოდა და სოსიკოც ამიტომ დაარღვევდა ფიცსა და აღთქმას და გაამჟღავნედა ამდენი ხნის გულში დამარხულს — მართლაცდა რა საშინელ შემთხვევას!..

შენ კი... დადექი და ამაოდღა იმტვრიე თავი, ვინ იყვნენ დამკვეთნი, რისთვის მიეგზავნათ მკვლელი, რას ემართლებოდნენ მაინც ამისთანას აკაკის?!.

* * *

ნუთუ აკაკისაც აფრთხობდა რაიმე?

თურმე:

ცხადადაც და სიზმრადაც, და საფლავშიაც ქარ-ცეცხლად მიჰყვებოდა.

რას გულისხმობდა და:

ცენზურისა ვინც მომსწრე არა ყოფილიყო და არ გამოეცადა მისი ულმობელობა, ის მარტო გაგონების მეშვეობით წარმოდგენითაც ვერ წარმოიდგენდა, თუ რა იყო წინათ ის საოცარი ცენზურა!..

და მაშ ათასიდან თითოროლა მაგალითი მაინც გაეხსენებინა, ცოტათი რომ გაეთვალისწინებინა მკითხველს ის დრო:

60-იან წლებში რუსეთიდან დაბრუნებულს ქართული ენის ცენზორად დაუხვდებოდა ყაითმაზაშვილი. როგორც კაცი — კარგიც კი გახლდათ, მაგრამ... როგორც ცენზორი? აუტანელი — მშიშარა, მფრთხალი და სასტიკი, მითუფრო, რომ ქართული საცენზურო არ იცოდა.

ერთხელ აკაკის გურული სცენები დაეწერა. გაზეთში დასაბეჭდად გამზადდებოდა და მეორე დღეს უნდა გამოსულიყო.

ეს იმ დღეს უსადილოდ დარჩებოდა — თავადიშვილობა სადილს ვერ აჭმევდა.

ამდროინდელი შეხედულებით ამგვარი რამ გასაკვირად მოჩანდა?

მაგრამ მაშინ კი, სამოციანი წლების მოღვაწეთაგან, ვინც კი სახელმწიფო სამსახურში არ იმყოფებოდა, ხშირად რჩებოდა უსადილოდ — გიორგი წერეთელი იქნებოდა, სერგეი მესხი, ნიკო ნიკოლაძე თუ სხვანი.

ამასაც იმ დღეს ძალიან მოშივდებოდა.

წავიდოდა რედაქციაში და მაშინდელ დროებით რედაქტორს — სერგეი მესხს — მიმართავდა, რომ ერთი მანეთი ესესხებინა მისთვის, მაგრამ ის უარს ეტყოდა.

აკაკი იწყენდა.

„როგორ, — აბობოქრდებოდა გუნებაში, — მე მთელი დღე მოვუნდი სცენების წერას, უსასყიდლოდ გადავეცი და ის კი ერთ მანეთსაც არ მაძლევს სესხად, მაშინ როდესაც, ვიცი, ჯიბე სავსე აქვს?“

და კუჭის დაწვას გულის დაწვაც რომ დაერთვოდა, სამაგიეროს გადახდის ჟინით ანთებული გაექანებოდა ცენზორისაკენ, რომელიც ტკბილად დახვდებოდა და მოაძახებდა:

— წავიკითხე შენი სცენები! კარგი იყო და ბევრიც ვიცინე.

მაგრამ ეს ეტყოდა: აქ ერთი რამ გამოგპარვიათ და საშიშია, მეც მეშინია და მიტომაც გიახელით, იქ რომ „ტინტილა“ მიწერია, ეს პოლიტიკური ტერმინიაო!..

არადა ტინტილას იმერეთში და განსაკუთრებით გურიაში ჯოჯოს ეძახდნენ და აკაკისაც იმედი ჰქონდა, რომ ყაითმაზაშვილს ეს არ ეცოდინებოდა... და მართალიც გამოდგებოდა. გაჭრიდა აკაკისეული მაკვარანცხობა და: პოლიტიკური ტერმინის ხსენებისთანავე ის წამოვარდებოდა ზეზე გააფთრებული და მაშინვე განკარგულებას მოახდენდა, რომ აღარ გაეყიდათ გაზეთის ის ნომრები და სხვა ახალი შეედგინათ.

— სირცხვილი შენთვის, — მიუბრუნდებოდა აკაკის, — მე რომ მღუპავდი!..

— აკი შევინანე და თვითონვე გიახელი, — ეს თავს მოიკატუნებდა, მაგრამ ის მაინც დატუქსავდა და მიატოვებდა, მეორე ოთახში შევიდოდა.

იმ საღამოს რედაქციაში შეივლიდა და დროებითი რედაქტორი ყურებჩამოყრილი დახვდებოდა.

— კაცო, ამისთანა იქნება, რომ იმ ოხერს სახვალიო ნომერი აუკრძალავს, — მოაყვირებდა, — ხელახალი ნომერი უნდა დავბეჭდო... იმ არამზადას ადვილი ჰგონია ახალი ნომრის გამოშვება? სხვა რომ არა იყოს რა, ხარჯია! ქაღალი ხელახლა უნდა ვიყიდო, დასაბეჭდი ქირა მივცე და სხვანი.

და ეჭვით შემოხედავდა აკაკის:

— მგონია, შენმა სტატიამ კი მიყო ეს საქმე!

ეს გაუპროტესტებდა: იქ სანინააღმდეგო არა ყოფილა რაო, — თუმც შეთავაზებით შესთავაზებდა: თუ მაგრეა, მე წავალ და ავაშვებინებ აკრძალვასო.

ოღონდ...

ოღონდაც ის, რომ შიმშილით ფეხები ეხლართებოდა და სიტყვას ვეღარ მოახერხებდა სათქმელად! და ამიტომაც: რას გაიმეტებდა რედაქტორი, აკაკის ეს საქმე რომ მოეგვარებინა?

— რა უნდა მოგცე? — იმას ჭკუაში არ დაუჯდებოდა, — განა საზოგადო საქმე არ არის?

მაგრამ აკაკი:

— ეგ არას უშლის. ერთი კაი ვახშამს თუ მაჭმევ, წავალ.

რედაქტორი პატიოსან სიტყვას მისცემდა, და ეს რომ გაექანებოდა ცენზორისაკენ და კიდეც გამოუტყდებოდა ყველაფერში, ის ბევრს იცინებდა და ეტყოდა:

— შე შეჩვენებულო. გული რად გამიხეთქე, ისეც ფრიალი მაქვს ატეხილი! გეთქვა და ხუთი სადილისას გადავიხდიდი, ის მერჩია!..

იმ ღამეს აკაკი და დროებითი რედაქტორი სასტუმროში ივახშმებდნენ. რედაქტორი კარგ გუნებაზე იქნებოდა, იმხელა ხარჯს რომ გადარჩენოდა. როდესაც აკაკი გემოზე გამოძღებოდა, მერე გამოუტყდებოდა ყველაფერში. მაშინ კი მოიღუშებოდა სერგეი მესხი და კბილების ღრჭენით მიაძახებდა:

— იმერლები ყველა საძაგლები ხართ და შენ კი იმერელზე უიმერლესი.

მას აქეთ ნახევარი საუკუნე გავიდოდა და... ის კი დღესაც არ უყურებდა აკაკის კარგი თვალით. ამ შემთხვევას კი მიტომ გაიხსენებდა მგოსანი, რომ: რაც იყო თუ როგორც იყო, ტინტილის შესახებ ცენზორის უვიცობას გამოეწვია მთელი ეს ამბავი.

ცენზორის უვიცობა ცენზორის უვიცობად და: რითი არ არის ეს ნაამბობი ვოდევილის სიუჟეტური ქარგა?!. ასე შიშველადაც რომ გვაცინებს და აკაკისებურად თუ შეიმკობოდა ლაღი იუმორითა და კომიკური დიალოგებით, გულიანადაც ახარხარებდა დარბაზს, სიცილს... მძაფრი ტკივილიც რომ შეერეოდა, რაკიღა ეპოქის ტრაგიზმი ხელშესახებად აირეკლებოდა და მაყურებლის გულის ყველაზე სათუთ სიმებსაც რომ მძლავრად შეაძოძგინებდა.

რედაქტორს ეგონა, მწარედ გავკიცხეო, იმერელზე უიმერლესად რომ მოიხსენიებდა, არადა აკაკისათვის ეს იქნებოდა აღმატებული ეპითეტიც და შეფასებად, თავისი კუთხის სულს თურმე უაღრესი რელიეფურობითა და კანთიელობით რომ გამოხატავდა.

იმ გულკეთილ ცენზორს კი მართლა გულის ფრიალი გადაიყოლებდა — ვენას წავიდოდა საექიმოდ და იქ უეცრად გაუსკდებოდა გული.

მას შემდეგ უამრავ ცენზორს გამოიცვლიდა აკაკიც და უმეტესობა იმაზე უარესი თუ იქნებოდა, თორემ არა ნაკლები. ზოგნი მისთანებიც გამოერეოდნენ, რომ ცენზორობას არა სჯერდებოდნენ და მაბეზღარობასაც არ ერიდებოდნენ.

ერთ მათგანს საიდუმლო მიმოწერაც ჰქონოდა მიხაილ კატკოვთან და ტფილისში რომ „სამშობლოს“ წარმოადგენდნენ, იმპერიის დედაქალაქში დიდ აყალმაყალსაც გამოიწვევდა პატრიოტულ აქციად გადაზრდილი სპექტაკლი.

გელათს რომ გაძარცვავდნენ, ვიღაც გამოგზავნიდა კორესპონდენციას ამ უმძიმესი დანაშაულის თაობაზე, ვითომდა სიზმრად ნანახს, მაგრამ ნამდვილად კი აღწერდა. და რადგანაც ხელმოუწერელი გახლდათ, აკაკის დაბრალდებოდა და დიდ ტანჯვა-წვალებასაც გამოატარებდნენ.

1 მარტს რომ ხელმწიფეს მოჰკლავდნენ, 3-ში აკაკის ლექსი დაიბეჭდებოდა: დღეს მერცხალი შემოფრინდაო, — და კიდეც მოსდებდნენ ხრიკს: ალექსანდრე მეორის ტრაგიკული დაღუპვა გაგეხარდაო და... კინაღამ ციმბირში ამოაყოფინებდნენ თავს, რომ ვლადიმირ სტაროსელსკი, მაშინდელი მთავარმართებლის კანცელარიის უფროსი არ გამოსარჩლებოდა.

ერთხელ კიდევ ის მოხდებოდა, ცენზორს პოემას რომ წარუდგენდა, დაიბარებდა იგი მეორე დღესვე კომიტეტში და დატუქსავდა:

— რა დაგინერია ეს? როგორ არ გრცხვენია?

თურმე ასე ძალიან რას გაეღიზიანებინა და:

ერთ ტაეპში ეწერა: და გარყვნილი დედოფალიც გამოვიდა საბჭოზედაო.

— რას ნიშნავს ეს უკანასკნელი სიტყვა? — იღრიალებდა.

ეს განუმარტავდა:

— „საბჭო“ წარმოსდგება სიტყვიდან „ბრჭობა“ და ნიშნავს მსჯავრის დადებას... გასამართლებას.

— შე დალოცვილო, — ეტყოდა უკვე ხმადაშვებით ცენზორი, — ამ ძველ სიტყვებს რას ეტანები! ვიხმარდი სუდს და ის იქნებოდა, ყველა გაიგებდა!..

გაჰკრავდა კალამს და გადაასწორებდა იმ სიტყვას „სუდად“...

დაე ახალთაობის მკითხველს ისიც სცოდნოდა, რომ:

იმ დროში არათუ შლიდნენ ნაწერებს ცენზორები, თავისასაც ჩაწერდნენ ხოლმე სამაგიეროს და ისე იბეჭდებოდა.

ერთხელ ივანე კერესელიძესთან რომ შევიდოდა, ის გახარებული დახვდებოდა:

— გავაშვებიე შენი ლექსი! დიდ უარზე კი იდგა, სანამ სათაური არ გამოვუცვალე და „სიმღერის“ მაგიერ ასე დავაწერე: „დიდი მთავრის მობრძანების დროს ახალთაობა უგალობს საქართველოს“. აი ხერხს რა შეუძლიან!.. ლექსი სრულად გავაშვებიე და სათაური რაც უნდა, ის იყოს!..

და ამ სახელწოდების ფონზე მოჰყვებოდა კითხვას: სამეფოო ძველთა ძველოო!..

ადვილი წარმოსადგენია, რა გუნებაზეც დადგებოდა აკაკი ამ დიდებული ლექსის წახდენით, ამ სამარცხვინო სახელწოდების განწყობილებით მკითხველი სულ სხვაგვარად რომ აღიქვამდა მის შინაარსს: დაკნინებულად და პაროდიულად.

„ნავი“ ამ რანგის პოეტური ქმნილება არა ყოფილა, მაგრამ მისი წახდენაც გულს შეუწუხებდა აკაკის, მასაც სრულიად საპირისპირო შინაარსით რომ გაეცნობოდა მკითხველი.

ლექსის ქარგა იმ გამჭვირვალე ალეგორიაზე ამოეხვეოდა, შუა ზღვაში, ქარიშხალში მოხვედრილ ნავს ჩანთქმა რომ ემუქრებოდა და... მშველელად ხომალდს უნდა მოესწრო, ნავის თხოვნით ჯაჭვს რომ ჩაუბამდა და გამოიხსნიდა გარდუვალი დაღუპვისაგან. და ქარიშხალი რომ ჩაცხრებოდა, ნავს ეს დიდად ეამებოდა, ხომალდს ისე რომ დაუწყებდა ყურებას, ვით კეთილ მამას: თუ ესა მყავდეს და ეს მფარველად, მე ვერაფინ ვერ მომერეოდეს. და დაემორჩილებოდა ხომალდს ნებით, დიდი სურვილითა და განსვენებით. მას შემდეგ კი... ვითომ დაუდგებოდა მშვიდობა ნავს და მავნებელიც აღარავინ ეყოლებოდა, მაგრამ რაი, რომ... დიახ, სწორედაც:

მაგრამ რაი, რომ თვით ის ხომალდი
მას თავზე აყრის მტვერსა და ნაგავს.

გამჭვირვალეა, აბა რა არის, საქართველოსა და რუსეთის იმპერიის პოლიტიკური ურთიერთობის ზოგადი სურათი, ალეგორიას არავითარი გახსნა-გაშიფრვა რომ არ ესაჭიროება, და ივანე კერესელიძეც ადვილად ამოიცნობდა და ცენზურაც, „ნავის“ ამ სახით დაბეჭდვას არაფრისდიდებით რომ არ იყაბულებდა, ვიდრე რედაქტორი ფინალურ ორ სტრიქონს არ ამოშლიდა და მათ ასე არ შეანაცვლებდა:

მისსა შემდეგ აქუს მშვიდობა ნავს
და მავნებელი არავინ ჰყავს.

სტრიქონთა გაუმართაობას ვინ ჩივის, აკაკის სტილისტიკისა ნასახიც რომ აღარ დარჩენილა, მთავარი ისაა, რისთვისაც დაინერებოდა „ნავი“, სრულიად საწინააღმდეგო მრწამსს რომ გამოხატავდა მისი პუბლიკაცია — ნაცვლად იმპერიალისტური ძალმომრეობის დაგმობისა, აღტაცებით რომ უგალობდა რუსეთის პოლიტიკას საქართველოს მიმართ, თითქოსდა მშვიდობას რომ მოუხვეჭდა და აღარავინ დაურღვევდა მყუდროებას.

არადა: რა მშვიდობა შეიძლება ყოფილიყო ის მშვიდობა, თავზე რომ გეყრებოდა მტვერი და ნაგავი და ნაცვლად აბობოქრებული ზღვისა, ახლა ის მტვერ-ნაგავი გემუქრებოდა შთანთქმით.

მაშინ ჯერ კიდევ გამოუცდელი გახლდათ აკაკი და კოშმარულ სიზმარშიც ვერ წარმოიდგენდა, თუ შეიძლებოდა ცენზორ-რედაქტორს ლექსის იდეური მრწამსი ასე შეეტრიალებინათ, სანანებელი რომ გაუხდებოდა, ნეტა სულ არ გამეგზავნა „ცისკარში“ და მხოლოდ ნაცნობ-მეგობრებისათვის მისი გაცნობა მეკმარაო.

და ის წუთები რომ აგონდებოდა, ცენზურასთან ამაო შეხლისა, ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს კვლავაც იქ იმყოფებოდა და ხელახლა განიცდიდა იმ სიმწარეს, არაფრისდიდებით რომ არა მთავრდებოდა.

ცენზორთა შორის ყველაზე უფრო საშიში... დიმიტრი ბაქრაძე აღმოჩნდებოდა, ისტორიკოსი და არაერთი სასიკეთო საქმის აღმსრულებელი, მაგრამ ქართული კარგად რომ იცოდა, ვერც ვერას გამოაპარებდი. საოცარ სიფრთხილეს კი იჩენდა, ხშირად რომ წაიკითხავდა აკაკის ნაწერს და, ჩაკირკიტების მიუხედავად, შიგ ვერას ნახავდა საშიშოს, ამასვე დაეკითხებოდა ხოლმე:

— თუ ძმა ხარ, მითხარი: დაფარული, საორჭოფო ხომ არა არის რა აქ?

ყველა ცენზორს შედარებით ამ ნახევარ საუკუნეში რაფიელ ერისთავი სჯობდა.

და პართენ გოთუას დროს კი თავისუფლად ამოისუნთქებდა მწერლობა!..

ისე... მთლად არც ცენზორებს გაამტყუნებდა: იმათაც უფროსები საქმეს უჭირებდნენ, სულ უბრალო რამეზე უჯავრდებოდნენ. საკმაო იყო ერთი ვინმე ბიუროკრატის სიტყვა, რომ სამსახურიდან დაეთხოვათო.

სახიფათო იყო ცენზორობა და... აკაკის ვეღარ აეხსნა, ყველა რატომ ეტანებოდა ამ ადგილს.

ამ პასაჟს „საქართველოს" რედაქცია შენიშვნას დაურთავდა: ასე წარმოიდგინეთ, ანტონ ფურცელაძესაც კი უთხოვნია ცენზორობაო.

აკაკიმ კი ერთადერთი შემთხვევა თუ იცოდა, რომ ცენზორობას შეაძლევდნენ კაცს და... ის არ მიიღებდა.

ცენზორის ადგილი დაიცლებოდა, ეძებდნენ მაგიერს, მაგრამ ვერ გამოერჩიათ!..

მაშინ კომიტეტს თავმჯდომარეობდა დიმიტრი ფურცელაძე, რომელიც აკაკის შემოსტირებდა: ეგებ შენ ვინმე იცოდეო, — და ესეც საზღვარგარეთიდან დაბრუნებულ ახალგაზრდა ალექსანდრე სარაჯიშვილზე მიუთითებდა სავსებით დარწმუნებული: ბედსა ვწიეო!..

იმ კვირაში შეხვდებოდა ფურცელაძე, შეაჩერებდა და უსაყვედურებდა:

— კაცო, რა მიყავი, რომ პამპულად გამხადე! დავიბარე ის შენი მოწონებული კაცი, მივულოცე ცენზორობა, იმან კი საცინლად ამიგდო: ჯერ ისე „პალაჩობაც" რა არის, რომ გრძნობა-გონების „პალაჩად" დავდგეო, — გამიტრიზავა და გამშორდა.

აკაკის გაკვირვებით გაუკვირდებოდა ახალგაზრდა კაცის საქციელი, მაგრამ მოწონებით მოეწონებოდა კი და... ახლაც რომ შეხვდებოდა ხოლმე, პატივისცემას გრძნობდა მისადმი!..

დღეს ცენზურა აღარ არსებობდა, მაგრამ ეს სასიკეთოს არას ნიშნავდა — სამაგიეროდ სხვას მიენიჭებოდა უფლება: ჯარიმა გადაეხდევინებინა რედაქტორისა და დამწერისათვის — დაეჭირა, სამშობლოდან გაეძევებინა და სხვანი.

ერთი სიტყვით:

რომ ამბობდნენ: ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო, — ეს იყო სწორედ და...

საბჭოზედ გამოსვლაც ამას ერქვა.

რა მოხდენილად შეჰკრავდა და დააგვირგვინებდა პოლიტიკურ ესეი-მოგონება-ნოველას ოდესღაც ცენზორისაგან დაწუნებულ-შერისხული გამოთქმით: ამ ძველ სიტყვას რას ეტანები, ჩაგეწერა სუდი და ყველა გაიგებდაო.

იმ თხზულებაში ყველა მაგალითს რა ჩატევდა, ის კი არა, ბევრად ვრცელი ნაშრომიც ვერ დაიტევდა, ცალკეული ნიმუშები კი სავსებით კმარა განზოგადებისათვის.

თუნდ იმ ლექსს რომ გამოაქვეყნებდა — „ავადმყოფი" — სულიერი სიმხნევითა და იმედოვნებით აღსავსეს, ნიშნს რომ უგებდა საქართველოს უმთავრეს მტერს: არ მომკვდარა!.. მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებსო! — მთლად მუქარასაც გამოურევდა, თანაც კულმინაციურ აკორდად:

ვინც შენატრის იმის სიკვდილს,
უმალ მასვე დაამიწებს.

მაგრამ ასეთ მუქარას ცენზურას რას დათანხმდებოდა და ამ სტრიქონებს ლექსის იდეის გამომხატველს, მაშინვე გადაუშლიდა.

კიდევ კარგი საპირისპირო შინაარსით მაინც არ შეუცვლიდა, ლექსის მხატვრულ-იდეურ კონცეფციას მთლად რომ ამოუყირავებდა.

ამისთანა შემთხვევები არ დაითვლებოდა აკაკის ბიოგრაფიაში, სულს რომ ხდიდა ცენზურა და ხან თუ გამოგლეჯდა ცალკეულ სტრიქონებსა თუ პასაჟებს მათი ცხაურიდან, უფრო ხშირად მრავალწერტილებით აჭრელდებოდა მისი ნაწერებიც.

მაშინდელი ცენზურა კიდევ რაღაცას რომ თმობდა მწერლობის წინაშე — მკითხველს მრავალწერტილები ძალაუნებურად მიანიშნებდა ათასთავიანი ჰიდრას უხეშ ჩარევას ტექსტებში, და თავისი ფანტაზიით ავსებდნენ ამოშლილ ადგილებს — მთლად იმ ხელოვნებით თუ ვერა, მწერლებსა თუ ჟურნალისტებს რაც და როგორც ეგულისხმათ, ხელისუფლების პოლიტიკის მხილება-კრიტიკას რომ ღაღადებდა ის გამქრალი სტრიქონები, ეს ხომ აშკარა გახლდათ და იგრძნობოდა, რომ ბევრი რამ ხდებოდა დასაწუნი და საშიში ქვეყნისათვის, და ეს ვითარება სიფრთხილეს მოითხოვდა მკითხველისაგან, რათა ხელისუფლების მიერ დაგებულ მახეში არ გაბმულიყვნენ, და კიდევ სიფხიზლესა და სიმტკიცეს.

ნაშლილი სტრიქონების ამოკითხვასა და სტრიქონებს შორის კითხვაში გაწაფვა კიდევ ცალკე.

ლუკა ისარლიშვილი განსაკუთრებულ ჯალათად მოვლენოდა ლიტერატურულ პროცესს?

უსულგულობის სიმბოლოდ შემორჩებოდა სამწერლო ცხოვრებასა და მის ისტორიას?

და აკაკისაც სულს ის უხუთავდა თუ უხუთავდა?

ვალში არც ეს დარჩებოდა და ისეთ რაიმეს დამართებდა, სახტად დატოვებდა: ეს მაინც რამ მოაფიქრაო.

ვის — აკაკის? ნეტა თუ არსებობდა გონებამახვილური ოინი, მას რომ არ მოსვლოდა აზრად მაკვარანცხული ფიქრებისას. და ახლა მიეცემოდა ხელსაყრელი საშუალება, მწარედ გადაეხადა ლუკა-მელასათვის, როგორც მოიხსენიებდა და თიკუნადაც დაუმკვიდრებდა.

ის „ხანჯალის“ დაბეჭდვაზე ხელებს გაასავსავებდა, როგორც რევოლუციური სულისკვეთების ლექსზე, ხანჯალი შეიარაღებული აჯანყების მოწოდებად რომ გასიმბოლოვებულიყო და ისედაც დამუხტულ და ამღელვარებულ ვითარებას კიდევ უფრო ააფორიაქებდა და გაამძაფრებდა.

თანაც ვინ მოუწოდებდათ — ვისაც ისედაც მიყურადებოდნენ, ვის სიტყვასაც ასდევდნენ და ორიენტირად სახავდნენ. და... ეს მოწოდებაღა აკლდათ!..

ამიტომაც არ უნდა გაჭაჭანებულიყო ეს ლექსი თუნდ შეკვეცილი სახით.

ტფილისში ვერ ეღირსებოდა დაბეჭდვას?

ფოთში მაინც გაუკვალავდნენ გზას მალულად და ავტორად... ლუკა ისარლოვს მიანერდა აკაკი.

მთლად იმას აჰკიდებდა!..

სამაგიერო და... ასეთი?!.

აკაკის ყველაზე მოხდენილ, ყველაზე მწვავე ხუმრობა-ნაკვესებს ემატება ეს ეპიზოდი, მკითხველს რომ ახარხარებდა, რაკიღა სტილზე ყველა ადვილად ამოიცნობდა ნამდვილ ავტორს, და მის ნაცვლად ცენზორის გვარ-სახელი ამბოხებისაკენ მომწოდებელ ლექსზე იუმორისა და სიმახვილის შედევრთა შორის თუ შეირაცხებოდა.

რაც უნდა ყოფილიყო და როგორც უნდა ყოფილიყო, ცენზურის იქით გზასავალი რომ არა გქონდა.

მაინც იმას უნდა მიდგომოდი კარს, მაინც მისი ნებართვის მომლოდინე უნდა ყოფილიყავი.

მითუმეტეს — გაზეთის ან ჟურნალის გამოცემას თუ მოინდომებდი.

აკაკის რეჟისორობა მოესინჯა, მსახიობობა მოესინჯა და... რედაქტორობის მოსინჯვას აღარ შეეცდებოდა?!.

1882 წლის 31 დეკემბერს საცენზურო კომიტეტი კავკასიის სამოქალაქო ნაწილის უფროსს გადაუგზავნიდა აკაკის მიერ ხელმოწერილ შუამდგომლობას.

პოეტი ითხოვდა ნებართვას ყოველკვირეული გაზეთის — „გზა“ — გამოცემისა.

განცხადებას დაერთვოდა აკაკის მიერ შედგენილი პროგრამა გაზეთის სტრუქტურისა.

ამ განცხადებას რომ შეისწავლიდა და, რაც მთავარია განმცხადებლის პიროვნებას გაითვალისწინებდა, საცენზურო კომიტეტი ისეთ დასკვნას გააშანშალებდა, რომლის მიხედვითაც: თან ნებას რთავდნენ და თან...

თითქოსდა შორს აღარ გაჰყვებოდნენ და მარტოდენ გაზეთის „შრომა“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ მის წერილებს იგულისხმებდნენ, მაგრამ ესეც სავსებით კმაროდა აკაკის ლიტერატურული მიმართულებისა და მრწამსის წარმოსაჩენად, და ამიტომაც აუკრძალავდნენ, რომ გამოსაცემად განზრახულ გაზეთში არ ყოფილიყო ეს განყოფილებები:

კანონების პოპულარიზაცია;

საერობო თვითმმართველობის ქრონიკა;

პედაგოგიური და სკოლის შესახებ წერილები;

ადგილობრივი ცნობები;

სასამართლოს ანგარიშები.

დანარჩენი? რაც გენებოსო.

მაგრამ... რაღა რჩებოდა ის დანარჩენი?

ამის ადგილას სხვა უკვე ხელსაც ჩაიქნევდა: ასეთი გაზეთი გინდა მქონია და გინდა არაო, — მაგრამ მთაარმართებელი მაინც ძალიან შეშფოთდებოდა, აკაკის სახელი რომ მოესმოდა: ამ პირობებშიც რაღაცას იზამს, რაღაცას მოამაკვარანცხებს, ეგ იმისთანააო, — და მისი კანცელარია ყოვლად შეზღუდულ ვითარებაში მოქმედების საშუალებასაც არ დაანებებდა და უარს ისეთი ბეჭდით დაბეჭდავდა, სად წაუხვიდოდი:

— მისმა ბრწყინვალებამ მიიღო რა მხედველობაში, რომ წერეთელმა გაზეთ „შრომაში“ თანამშრომლობის დროს თავისი ლიტერატურული ნაშრომებით გამოააშკარავა მთავრობის საწინააღმდეგო მიმართულება — შესაძლებლად არ დაინახა წერეთლისათვის გაზეთის გამოცემაზე ნებართვის ბოძება.

შესაძლებლად არ დაინახავდა, თორემ სულხან-საბა ორბელიანის იმ იგავის — „მეფე და მხატვარი“ — პერსონაჟ მხატვარზე არანაკლებ — თუ მეტს არა — შახვილგონიერებას აკაკი გამოიჩენდა და მართლაც იმისთანა მაკვარანცხობებს გამოძებნიდა და სიტყვასაც ისე დაატრიალებდა ხოლმე, ველარც მიხვდებოდი, ცენზურა გულმოდგინედ თუ უკრავდა ხელ-ფეხს.

ძალს ცენზურა და ძალს აკაკი თავისი გონებამახვილური მიგნებებით!..

აგერ თუნდ „წვრილმანიც“ რომ იყოს:

„გურულ ნანინად“ დასათაურდებოდა და შინაარსითაც შესაფერისად განიმსჭვალებოდა ის ლექსი, დედა აკვანში ჩაკრულ შვილს რომ დამღერდა, გასალტულსა და... ნაწვალებს, როგორც ბავშვის წესია, მაგრამ დედა თუ მონობის დროს დაბადებულიყო და მონობაშიც დაღლილიყო, შვილი სულ სხვა ბედისა უნდა ყოფილიყო. ის, რაც იყო, აღარ იქნებოდა, შეიცვლებოდა დღეს თუ ხვალე, და ყმაწვილს გზატკეცილი დაუხვდებოდა. დედა სხვანაირ „ნანას“ ეტყოდა და შვილსაც მარცვალ-მარცვალ უნდა დაესწავლა, და მხსნელს გზახსნილიც მიგებებოდა. რაც დედას ტანჯავდა, ნუღა ჰკითხავდა, ოღონდ ის ოდესმე დაე კიდეც დაეთვალა შვილს და პასუხიც ეგებინებინა დედის გამწვალებლებისათვის... მაგრამ ჯერ აკვანში იმყოფებოდა და გაიზრდებოდა მალე, მალე, რათა შვილებისათვის მასაც მოეთხრო...

მონობისა და ტანჯვა-წვალების ხსენება თუ შეაცბუნებდა ცენზურას, ცვლილების გარდუვალობა დღეს თუ ხვალე, პასუხი ადვილი მოსანახი გახლდათ: ძველთაგან მოსდევს ეს „ნანინა“ ჩვენს ყოფას, მარადიულ საფიქრალ-სატკივარს გამოხატავს და არა ამა თუ იმ უშუალო დროისაო.

სხვა მხრივ კი სადავო განა რა შეიძლება ყოფილიყო, ის რეფრენი ხომ არა:

ოი, ამას ვენაცვალე!..

ყოველი სტროფის ბოლოს რომ მეორდებოდა და ფინალურ აკორდადაც — რა გასაკვირია — ის შერჩეულიყო.

„ნანინას“ შინაარსს უხდება, სწორედაც რომ შესაფერისია ამგვარი რეფრენული განმეორება — დედას შვილს უნდა ენაცვალოს, მის გაზრდას შემოევლოს თავს, აბა სხვაგვარად როგორ!..

ყოვლად უწყინარი ლექსია, საყმაწვილო სულისკვეთებისა, ხალხური „ნანას“ ლიტერატურული ვარიაცია.

და ახლა, ამ გადასახედიდან დიდადაც გაიოცებ და ვერ დაიჯერებ, თუკი ვინმე გეტყვის: სამოქალაქო ლირიკის ნიმუშია, მძაფრი სულისკვეთებით განმსჭვალული და პოლიტიკური მოწოდებითაც გაჟღენთილიო.

განა სად... სად იგრძნობა ეს ყოველივე?

სად და:

„ოი, ამას ვენაცვალეო“ რეფრენად რომ მოემარჯვებინა აკაკის, თანადროული მკითხველი ასე აღიქვამდა: ვენაცვალე იაპონელ გენერალ ოიამას, რომელმაც სასტიკი დამარცხება აგემა რუსის ჯარსო.

რუსეთ-იაპონიის ომს გაფაციცებული მიყურადებოდა ქართველი საზოგადოება იმ ისედაც წინააღმდეგობით აღსავსე 1905 წელს, განსაკუთრებით რევოლუციური პარტიები, რაკიღა თავიანთ მომავალ ბრძოლებს ამ ომსა და მის შედეგებს დაუკავშირებდნენ.

რუსეთის მარცხს შესაძლოა მოჰყოლოდა სახელმწიფო კრიზისი და უკვე რევოლუციონერებზე ეკიდა, როგორ გამოიყენებდნენ ამ კრიზისს.

გამორჩეულად აღმტაცი აღმოჩნდებოდა მათთვის გენერალ ოიამას წარმატება.

და აკაკის მახვილი გონება მაშინვე იპოვნიდა საერთოს იაპონელი გენერლის გვარსა და იმ ქართულ გამოთქმას შორის, რაც შესაძლებელია „ნანინას“ რეფრენადაც გამომდგარიყო და... ახდილად, საჯაროდ, საქვეყნოდ ექო და ედიდებინა იაპონელი გენერალი ცენზურისათვის თვალის მარჯვე ახვევით.

განაფუსული მკითხველი, აკაკის ლექსისა და პუბლიცისტიკის ძარღვზეც მოღონიერებული და ყველა ნიუანსისა და გამჭვირვალე ქვეტექსტის შემგრძნობი და შემცნობი, ამჯერადაც , თან ამ სიგნალის მერე: მარცვალ-მარცვალ დაისწავლეო, — ადვილად მიუხვდებოდა პოეტს და ისეც გაიმეორებდა რეფრენს, როგორც განზრახულიყო მგოსნის მიერ:

ოიამას ვენაცვალეო!..

და თავიანთი მხრიდანაც დასტურს დასცემდნენ:

ჩვენც ვენაცვალეთო!..

და ამ კალამბურული სტრიქონის ფონზე კიდევ უფრო ხელშესახებად გამოიკვეთებლოდა ყოველი ტაეპის შინაარსიც და ნამდვილი აზრიც: დიდ და სასიკეთო ცვლილებათა გარდუვალობა, მონობიდან დამხსნელი და გზატკეცილზე გამყვანი იმ თაობისა, რომელსაც უშუალოდ უნდა გადმოწვდომოდა და დღეს თუ ხვალე კიდეც მოემკა რუსეთ-იაპონიის ომის ის შედეგი, რაც ქართველობას ასერიგად ეოცნებებოდა და ეს ოცნება აკაკის ასეთ აღმტაც პოეტურ მოწოდებად ექცია.

და კიდეც დაფაცურებულიყო საზღვარგარეთ მყოფი გიორგი დეკანოზიშვილი — ვისიც აკაკის ასერიგად ეიმედებოდა — იაპონელთაგან იარაღის შესაძენად და საქართველოში ფარულად შემოსაზიდად, გემ „სირიუსის“ გასიმბოლოვებული სახელით რომ უნდა აღბეჭდილიყო ეს მღელვარე აქცია, ეპიზოდი თუ თავგადასავალი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

* * *

რედაქტორობის ლოდინი კი კიდევ კარგა ხანს მოუწევდა აკაკი წერეთელს, ვიდრე მისი მახვილი გონება ამ შემთხვევაშიც არ გამოძებნიდა მარჯვე გასაძრომს ცენზურის კლანჭთაგან თავდასაღწევად.

ასეთს რას მიაგნებდა და...

თავი IV

ეპისტოლეთა იაკობური რკალი

ბარათს იაკობ გოგებაშვილთან მხოლოდ 4 ივლისს მოაწერდა, გამომცემლები წელსაც რომ დააზუსტებდნენ: 1891 უნდა იყოსო.

ბარათი პირდაპირ იწყებოდა იმ გარემოების ხსენებით, როდესაც ადამიანი მადლობის გადახდასაც ველარ ახერხებს. ეს იმიტომ: იაკობის მოსაკითხს სიცოცხლის წონად რომ მიიღებდა, იმდენად დააკმაყოფილებდა აკაკის ზნეობით მხარეს.

— ეს სიამოვნება უბრალო თავმოყვარეობის ნიშანი ნუ გეგონება!.. მე შენ თავს დიდათ აქამდისაც არ ვაფასებდი და ახლა ხომ სულ აღარად მეღირება ამ ავადმყოფობის გამო...

„ნიშანი" რას გულისხმობდა?

რას და:

მისი გამოისობით იყო, ქართველი რომ უყვარდა მის წარსულში, და მისი გამოისობითვე საყვარლად და სასურველად წარმოიდგენდა მომავალში.

ამ ნიშნებს ეძებდა ახლანდელებშიც, ატყობდა — არ ყოფილიყო გამქრალი და მაშასადამე წარსულისა და მომავლის კავშირი გაუწყვეტლობას ინარჩუნებდა.

ესეც ის იმედი, სიკვდილის წინათაც რომ დიდი ნეტარებაა.

— მე ძალიან ავათა ვარ...

თუმც საუკეთესო ექიმები უვლიდნენ, მაგრამ დიდ იმედს მაინც ვერ აძლევდნენ.

თქმით დაბეჯითებით ეუბნებოდნენ:

— საზღვარგარეთ წადი და იქ იექიმე, ცოტა მაინც რომ მოგეშვას...

პირადად მისთვის სულერთი გახლდათ, დღეს აღარ იქნებოდა თუ ხვალ, მაგრამ ის კი წყინდა, რომ როდესაც დამწიფებულიყო და ჩამჯდარიყო გრძნობა-გონებაში, თურმე მაშინ უნდა შექმნილიყო უძლური და ურგები ქვეყნისათვის.

მეორე კიდევ — იმასაც ვერ დაუფარავდა, რომ: დავით ჩუბინაშვილის სიკვდილს შეეშინებინა.

განა თვითონ სიკვდილს, იმას უფრო, რომ გაეფიქრებინა: ვაითუ მეც ასე დამაძახონ თავზე და წამპილწონ კაკალი კაციო.

„ივერია" აღარ წაეკითხა 15 აპრილს აქეთ, აღარც „ჯეჯილი" და ცოტა გული წყდებოდა და არც გააჩნდა საშუალება, რომ გამოეწერა.

ასე რას გამოეცარიელებინა მისთვის ჯიბე?

— ამდენ მგლებს, ესე იგი ექიმებს და აფთექებს რაღა გადაურჩებათ?

ამ ბარათში მხოლოდ ასე მიმართავდა იაკობს: ძმაო!..

სხვა ბარათში კი, 1 იანვრით რომ დაათარიღებდა და გამომცემლები წლად 1896-ს ივარაუდებდნენ, ამგვარ მიმართვას ამჯობინებდა:

— წარსულის შვილო, მომავლის მამავ და მყობადის გადიავ, ძმაო იაკობ!..

„ძმა" კვლავ რჩებოდა განსაკუთრებული სულიერი თანაზიარობის ნიშნად, ისევე როგორც სხვა კერძო წერილებშიც, მაგრამ აქ აკაკის უნდა ეპოვნა ის მარჯვე ფორმულა, იაკობ გოგებაშვილის საქვეყნო ღვაწლი ასეთი სისხარტითა და სიღრმით რომ ჩაიწურებოდა.

წარსულის შვილი ყველა ვერ იქნებოდა, რაკიღა ისტორიული წარსული შენი სამშობლოსი თავისთავად და ხელის გაუნძრევლად სულაც არ გადმოგეცემა და მხოლოდ დიდი და თავდადებული გარჯის წყალობით თუ მოიპოვებ.

და მაინც არაერთი პიროვნება შეიძლება მოიძებნებოდეს, წარსულის შვილის სახელით რომ მოვიხსენიებთ.

მაგრამ... მომავლის მამა და მყობადის გადია?!.

ამ გადასახედიდან ისედაც არცთუ ფართო წრე კიდევ უფრო ვიწროვდება და თითოოროლა ადამიანამდე შეიძლება შემცირდეს, ანდა სულაც ერთამდე, ერთადერთამდე.

და ამ თითოოროლას შორის ანდა სულაც ერთადერთად წარმოუდგება აკაკი წერეთელს იაკობ გოგებაშვილი.

და თავისი ამ შეხედულების დასტურად ტოვებს დოკუმენტს.

სწორედაც დოკუმენტს, რადგანაც იაკობ გოგებაშვილი ის პიროვნებაა, რომლის პირად არქივსაც საგანგებოდ მოუფრთხილდებიან და შემოინახავენ — მის დაწერილსაც ყველაფერს და მასთან მიწერილსაც.

და უსათუოდ იპოვნიან აკაკის ბარათსაც.

და ამოიკითხავენ, რომ:

თვითონ ამხელა პიროვნება, ქვეყნის მამად სახელდებული, პოეზიის მეფედ და... საერთოდ — მეფედაც, ქართული პედაგოგიკის მამას კიდევ უფრო აღამაღლებს და მომავლის მამისა და მყობადის გადიის ტიტულებს ანიჭებს.

თუკი მეფეა, მაშ ტიტულების მინიჭების უფლებაც აქვს.

და თუკი უფლება აქვს, მისი მახვილგონიერება ამ შემთხვევაშიც იჩენდა თავს და ასეთ ზუსტ და შთამბეჭდავ ფორმულირებას გამოძებნიდა.

მაშ არადა!..

მიულოცავდა დღესასწაულებსა და ახალ წელს, მიულოცავდა იმ პირობით კი, რომ ეს ახალი წელი, მათ როგორიც სურდათ, მისთანაც დადგომოდათ!..

მაგრამ:

ვაი შენს მტერს, იჭვი კი მაქვსო!.. — შეფიქრიანებული მოადევნებდა — ჩვენთვის კარგი რამ როგორ მოიცლისო?

მოიკითხავდა: რასა იქ და როგორა ხარო?.. თავისას კი ასე ამცნობდა, რომ: ეს ერთი ხანია აქ იჯდა, ამ დასაქცევ ხარკოვში და სიცივეების გამო ჯერ კარში ვერ გამოდიოდა, მხოლოდ საღამოობით იმყოფებოდა ოპერაში, რადგანაც მუქთი გახლდათ — მის ვაჟს ეჭირა, ალექსის.

დილიდან საღამომდე კი თავისუფალი იყო და წერა-კითხვით იქცევდა თავს.

— როგორც დაძველებული და ახალ რისმესთვის გამოუსადეგარი, მეც ჩემ ძველ ნაწერებს, რომელნიც არ ყოფილან ჯერ დაბეჭდილი (და ამგვარი რამ მეტად ბევრია), გასაშალაშინებლად მივყავ ხელი.

ამგვარი რამ მეტად ბევრია...

რატომ უნდა დაჰგვიანებოდა გამოქვეყნება?

სწორედ ამიტომ — უკანასკნელი შალაშინის გაკვრა ვეღარ მოესწრო, საამისოდ გული ვეღარ დაედო, ახლის შექმნა ერჩივნა, კიდევ ახლისა და კიდევ ახლის. მისაბრუნებლად დრო აღარ რჩებოდა საბოლოო რედაქციის გასამზადებლად და... გროვდებოდა და გროვდებოდა ის თხზულებანი, რომელნიც ერთი შეტევითვე დასრულებულ ქმნილებებად ვერა და ვეღარ ექცია.

აჰა ეშოვნა საამისო დროც და თავს იქცევდა გაშალაშინებისას.

ჯერჯერობით „მედია“ დაესრულებინა. კარგი იქნებოდა თუ არა, რა მოეხსენებინა, მაგრამ თვითონ კი მეტად კმაყოფილი გახლდათ.

ეგებ იმიტომაც, რომ ამდენი არცერთ თავის თხზულებაზე არ ეშრომა... მაგრამ ვაითუ იმ დედასავით მოსდიოდა, რომელიც ამტკიცებს: ჩემი ეს შვილი ყველა შვილებზე უკეთესი უნდა იქნეს, რადგანაც ძალიან დიდხანს მტკიოდა მუცელიო.

ამთავრებდა „ბაში-აჩუკს“ და მერე აპირებდა შედგომოდა „ევფხისტყაოსანზე“ შენიშვნების წერას.

ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ დრო ბევრი ჰქონდა და „მანდაურობას“ მოშორებული და ოპერით გულგადაფერილი, წერის გუნებაზეც მოდიოდა!..

სტუდენტები დახვედროდნენ ვაგზალზე, როდესაც ჩამოვიდოდა, და გაჰკვირებოდა: რა იცოდნენ ჩემი მოსვლაო. ბევრი ყოფილიყვნენ — აქ სულ ორმოცამდე, მაგრამ ეს ჯერ მათთან არ მისულიყო, ისინი კი სტუმრებოდნენ!..

სხვათა შორის „მოამბის" მე-11 ნომერი გადაეკითხა და ძალიან მოსწონებოდა.

— სწორედ კარგი ნომერია.

მაგრამ გვირგვინი კი ყველა სტატიისა ნაცნობის ფსევდონიმით გამოქვეყნებული „სახალხო განათლების შესახებ" გახლდათ, იაკობის წერილად რომ ეგულისხმა და ახლა აზუსტებდა ყოველი შემთხვევისათვის: მართალია თუ არაო?..

გუმანს რომ ემტყუნა და იაკობისა არ გამომდგარიყო?

უფრო მოხარული იქნებოდა!..

უფრო მოხარული რატომ უნდა ყოფილიყო?

რატომ და:

მაშინ ერთის მაგიერ ორი იაკობი გვეყოლებაო!!!..

არ იცოდა, რამდენ ხანს დარჩებოდა იქ, და თუ დიდხანს მოუწევდა და საშუალებასაც ჩაიგდებდა ხელში, სურდა აქაური არქივიდან, რაც კი რამე ცნობა მოიპოვებოდა ვახტანგის დროს გადმოსახლებულ ქართველებზე, სულ გადმოეწერინებინათ და თანაც ის ქართული ოჯახები პოლტავის გუბერნიაში ერთიანად მოეარა.

სმენოდა, რომ: ზოგიერთებს კიდევ შემორჩენოდათ ოჯახებში, როგორც საოჯახო რამ ნივთი, ქართული ხელნაწერები.

სასაფლაოებზეც ყოფილიყო ქართული წარწერები და... ეგებ დავით გურამიშვილის საფლავსაც წაწყდომოდა.

ანკი როგორ გაუძლებდა გული, პოლტავის გუბერნიაში მყოფს ამ საფლავის კვალი არ ეძებნა.

ძებნა-ძებნაში ლამის კიდეც მიაგნებდა.

იაკობისათვის კი სხვა რაღა მოეწერა:

ჩვენი სიცოცხლე სულ ცარიელი სურვილიაო.

თუ ვინიცობაა მოიცლიდა იაკობი და მოუნდებოდა აკაკისთან წერილის მიწერა, იმას სასიამოვნოდ რომ დაურჩებოდა, იმ დროებით მისამართს ამცნობდა.

თუმც რა — აკაკისათვის ყველა მისამართი განა დროებითი არ იყო, გარდა სხვიტორისა?

წარსულის შვილო, მომავლის მამავ და მყობადის გადიავ, ძმაო იაკობო...

ეს მიმართვას საგანგებოდ მოიხმობდა ლევან ბრეგაძე სტატიაში „რამდენიმე ციტატა კომენტარებითა და დასკვნით", იქვე რომ მოადევნებდა იმავე წელს იაკობ გოგებაშვილის მიერ აკაკისთან გაგზავნილი ბარათის დასაწყისს:

— ძვირფასო აკაკი! მოგილოცავ მშვიდობით დაბრუნებას სამშობლოში და ვინატრი შენს გამარჯობას ყოველს ავადმყოფობასა და სენზედ — პირადსა და საზოგადოებრივზედ.

და კიდევ ამონარიდს იაკობის დაკრძალვისას აკაკის მიერ წარმოთქმული სიტყვიდან:

— უკანასკნელად დაგყურებ ორკეცად მგლოვიარე: გიგლოვ, როგორც პირად მეგობარს და უფრო მეტად კიდევ, როგორც საზოგადო მოღვაწეს... დარჩება სამარადისოდ შენგან გატკეპნილი გზა და ვინც ამ გზას არ გაივლის, ის არც ქართველად იხსენიება. კურთხეულ იყოს სამარადისოდ ის წმინდა გზა და მასთან ერთად სახსენებელი შენი...

შეიძლებოდა იმ ფრაგმენტის მოშველიებაც, განსაკუთრებულად რომ აღამაღლებს აკაკი თანადასელის პიროვნებასა და ღვაწლს და იმ სრულიად გამორჩეულ ადგილს მიაკუთვნებს, თანამედროვეთ უკიდურესად რომ უძნელდებათ ხოლმე ამგვარი უშურველობა, ასეთი აღმატებული ეპითეტების გამომეტება:

— მთელს საქართველოში იაკობ გოგებაშვილი ერთადერთი ქართველი მოღვაწეა, რომელიც თავისი შრომით და ენერგიით, თავისი მძლავრი კალმის ნაწარმოებით უდიდეს სამსახურს უწევს მთელს ქართველობას. იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი ქართული სახელმძღვანელოებით მოფენილია მთელი საქართველო. ვინაა ისეთი ქართველი, რომ იაკობ გოგებაშვილის დედაენაზე არ აეხილოს თვალები. ჩემი და ილიას ღვაწლი რა მოსატანია იმ დიდ ღვაწლთან, რომელიც იაკობ გოგებაშვილს მიუძღვის ქართველი ერის წინა-

შე, ქართველი მწერლების ნაწერებს დღესდღეობით თუ გასავალი აქვს, იაკობ გოგებაშვილს უნდა ვუმადლოდეთ. იაკობ გოგებაშვილმა ქართველ ხალხს ქართული ენის სიტკბოება ყურში ჩააწვეთა, ქართველ ხალხს ქართული ენა შეაყვარა. განა ეს პატარა საქმეა! იაკობ გოგებაშვილი ღირსია, რომ მას ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე ძეგლი დაუდგას. ეს ღირსეული მამულიშვილი შეუპოვარ დარაჯად უდგას ქართველ ერს და სიტყვით, საქმით, მწერლობის საშუალებით მედგრად იგერიებს ჩვენზედ მოსეულ მტერს...

ესეც იშვიათი ნიმუში და დასტური მაღალთა უზომო თავმდაბლობისა!..

ამ ამონარიდში მარტოდენ იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი და პიროვნება კი არ წარმოისახება, არამედ — თვითონ აკაკისაც: არანაკლები სისავსითა და რელიეფურობით.

და არამარტო მისი თავმდაბლობა და უშურველი ბუნება:

ის პრინციპები რომ ცნაურდება, თუ რა მიაჩნია მოღვაწის ზნეობრივ მრწამსად, განა მისი მოღვაწეობაც ზუსტად არ მოერგება ამ პრინციპებს?

ისიც თავისი შრომითა და ენერგიით, თავისი მძლავრი კალმის მოსმით უდიდეს სამსახურს არ უწევდა მთელ ქართველობას?

ვინ იყო ისეთი ქართველი, რომ აკაკის ნაწერებზეც არ აეხილა თვალები?

განა მანაც არ ჩააწვეთა თვისტომთ ქართული ენის სიტკბოება?

განა მანაც არ შეაყვარა ქართული ენა და შეუპოვარ დარაჯად არ ედგა მშობელ ერსა და მშობლიურ სიტყვას?

ეს უნებურად მოხდებოდა, რადგანაც როცა იაკობ გოგებაშვილის ღვაწლს ისიგრძეგანებდა, ნაკლებად ახსოვდა თავისი თავი, მხოლოდ იმდენად, ყისტი რომ წაეკრა: ჩემი ღვაწლი რა მოსატანიაო...

იაკობ გოგებაშვილის გვარ-სახელს კი რამდენჯერ იმეორებს ერთიბეწო ფრაგმენტში — კრძალვასა და მოწიწებას, პატივისცემასა და სიყვარულს ჯერმარტო ამითაც გამოხატავს, ისედაც რომ არ მოაკლებდა:

ერთადერთიო...

მის მიერ შედგენილი ქართული სახელმძღვანელოებით მოფენილია მთელი საქართველოო...

მას უნდა ვუმადლოდეთო...

ღირსია, რომ ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე ძეგლი დაუდგასო...

მედგრად იგერიებს ჩვენზედ მოსეულ მტერსო...

ამისთანა ამონარიდები სხვანიც შეიძლება დავიმოწმოთ აკაკის ნაწერთაგან, ოღონდ მთავარი ისაა, რისთვის დაესაჭიროებინა ლევან ბრეგაძეს ამ ალმატებულ შეფასებათა მოხმობა.

რა ფონია მაინც ის ფონი?

რა და:

აკაკის პოლემიკური სტატია „არ ცოდნა, არ ცოდვაა“, დაბეჭდილი 1894 წლის „კვალის“ ფურცლებზე, წლინახევრით ადრე, იაკობს წარსულის შვილებად, მომავლის მამად და მყობადის გადიად რომ მოიხსენიებდა.

სტატია იმის გახსენებით იწყებოდა, რომ:

მას, კოტე დოდაშვილსა და გიორგი წერეთელს დაედოთ პირობა, ამ ჟურნალისათვის კიდევ ერთი განყოფილება მიემატებინათ: „სასწორ-მეტყველო“, და ჩვენს მწერლობაში როცა შენიშნავდნენ ურიგო ქართულის გამოვლენას, ემხილებინათ ხოლმე.

პირველ სანიმუშო ისარს აკაკი გატყორცნიდა და ეს ისარი ყურთან გაუზუზუნებდა იაკობ სიმონიძეს ანუ გოგებაშვილს.

— ბატონი იაკობი მისთანა კაცია, რომ ბუზსაც არავის ააფრენინებს, თვარა ყურთან ისრის გაზუზუნებას როგორ აიტანდა? ეს ჩვენ წინდაწინვე ვიცოდით, მაგრამ მაინც პირველად სიმონიძეს იმიტომ გამოვეთამაშეთ, რომ ის სხვებზე უფრო შესამჩნევია: ისა ზრდის და ისა წვრთნის ქართველ ახალგაზრდობას! ენასაც ყველა მისგან სწავლობს და, მაშასადამე, იმის მცირე შეცდომასაც უფრო მეტი ვნების მოტანა შეუძლია, ვიდრე სხვისას.

თავის ამ აზრს აკაკი მოიხსენიებდა უმანკოდ და განზრახვას — კეთილად, და გაამტყუნებდა იაკობს: პირადობად ჩამომართვაო.

და მკითხველს გააცნობდა „დედა-ენის“ შემოქმედის საპასუხო სტრიქონებს:

— აკაკიმ მორიელსავით კუდი მოიქნია, ჩემი გათახსირება მოინდომა, მოუმიზეზებია. უნდა დაბალ-ღობეთ მნახოს, დამჩაგროს, უსაფუძვლოდ მკბინოს და სხვანი: თვარა მე ქართულში უცოდველი ვარ და სხვები კი ყველა დამნაშავეო და მათ რიცხვში, რასაკვირველია, აკაკიცო, რადგან მის პატარა წერილში ათი მსხვილი და უტყუარი შეცდომა ვიპოვეო!

მიამიტ, საქმეში ჩაუხედავ ადამიანს რა შთაბეჭდილება შეიძლება დარჩენოდა ერთისა და მეორის ამ სტრიქონების წაკითხვით?

მხოლოდ ეს — ორი დიდებული მოღვაწე ქართული კულტურისა მტრად მოჰკიდებოდა ერთმანეთსო.

მაგრამ ის ორიოდე ამონარიდიც სხვას რას გვიდასტურებდა, თუ არა მათ ურთიერთპატივისცემასა და დაფასებას ერთიმეორის ნიჭისა და პიროვნებისა — პოლემიკამდეც და პოლემიკის შემდგომაც.

იქ ეს აღმატებული შეფასებანი, უშურველად გამეტებული, და... აქ ეს:

მისთანა კაცია, რომ ბუზსაც არავის ააფრენინებს, თვარა ყურთან ისრის გაზუზუნებას როგორ აიტანდაო...

მორიელსავით კუდი მოიქნიაო...

უნდა დაბალ-ღობეთ მნახოსო...

ამ გარეგნული უცნაურობის, ამ პარადოქსის ერთგვარ გასაღებად ლევან ბრეგაძე მოიშველიებდა იაკობ გოგებაშვილის ესეის „ქართული პოეზიის იალბუზი“, აკაკის საიუბილეოდ რომ გამოქვეყნდებოდა 1908 წელს და მიეძღვნებოდა ილიასა და აკაკის შორის არსებულ დამოკიდებულებას:

— როგორც დიდს გულს დიდივე გული იცნობს სავსებით... ისე დიდის ნიჭის ღირსება სრულიად ესმის მარტო დიდს ნიჭსა... აკაკის და ილიას შორის პირადს მეგობრობას ადგილი არა ჰქონია, მაგრამ იდეური ურთიერთობა და პატივისცემა კი დიდი იყო... წაიკითხეთ თელავში ნათქვამი სიტყვა აკაკისა, კამათი მისი ილიასთან ვეფხისტყაოსნის შესახებ, ბოლოს მისი სიტყვა ილიას დაკრძალვის დროსა და თქვენ დიდს სიამოვნებას იგრძნობთ, რდესაც დარწმუნდებით, რომ აკაკი უპირატესობას აძლევს ილიასა. და ეს მომხიბლავს შთაბეჭდილებას მოახდენს ჩვენს შთამომავლობაზე.

იაკობის მიერ ჩამოთვლილ ფაქტებს სტატიის ავტორი დაუმატებდა ილიას ბარათს აკაკისთან, გაგზავნილს 1885 წლის 5 იანვარს, რათა მკითხველს ერწმუნა, როგორ ეჯიბრებოდა ეს ორი დიდი ადამიანი ერთიმეორეს ურთიერთპატივისცემაში, თუმცა იმავდროულად, როდესაც საქმეში მოითხოვდა, პრესის ფურცლებიდან საკმაოდ მწვავედაც შეესიტყვებოდნენ ხოლმე ერთიმეორეს.

ეს ყოველივე ლევან ბრეგაძეს რამდენიმე საყურადღებო დასკვნის გამოტანის საშუალებას მისცემდა:

რომ ჭეშმარიტი მამულიშვილები საზოგადოებრივ ინტერესებს უყოყმანოდ აყენებდნენ პირად ურთიერთობებზე მაღლა, არ ერიდებოდნენ ახლობელ თუ ძვირფას ადამიანებთან მწვავე საჯარო შეხლა-შემოხლასაც, თუკი ამას, მათი აზრით, მოითხოვდა ესა თუ ის ეროვნული, საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმე;

რომ ჭეშმარიტ მამულიშვილთა პირად კეთილგანწყობილებას ვერ ვნებდა მათი უთანხმოება ამა თუ იმ საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხის გამო, და პირიქით: პირადი ურთიერთობებით არ განისაზღვრებოდა მათი მოქმედება საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე;

რომ ჭეშმარიტ მამულიშვილებს შესანიშნავად მოეხსენებოდათ ისიც, რომ პოლემიკას თავისი ისტორიულად შემუშავებული და ნაცადი ფორმები მოეპოვება, საკმაოდ მწვავე ფორმებიც, და უიმისობა არ იქნება; არ იქნება თუნდაც იმის გამო, რომ როცა კამათი გარეგნულად ჩამტკბარ-ჩაშაქრებულად მიმდინარეობს, მკითხველმა შეიძლება მთელი სიგრძე-სიგანით ვერც იგრძნოს წამოჭრილ საკითხთა მნიშვნელობა და სიმწვავე, საჯარო პოლემიკა კი, ვისთანაც უნდა გვიხდებოდეს, საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებას, მხარდამჭერთა და მომხრეთა მოპოვებას ისახავს მიზნად;

და რომ მეტის თქმაც შეიძლებოდა: ჭეშმარიტი მამულიშვილები ზოგჯერ საგანგებოდაც ირჩევდნენ ერთმანეთთან კამათისას ძალზე მძაფრ ფორმას, რათა უფრო დაეინტერესებინათ მკითხველი, სააზროვნოდ და სამოქმედოდ აღეგზნოთ.

უფრო თვალსაჩინო მაგალითი რაღა გვენება:

აგერ აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის პირადი ურთიერთობა და... აგერ მათი საჯარო პაექრობა.

ლევან ბრეგაძისათვის ამ ყველაფერს ქრესტომათიული მნიშვნელობა ჰქონდა და ცდილობდა ეს შეეხსენებინა, ზოგისთვის კი სულაც ჩაეგონებინა — მკითხველისათვისაც და კიდევ უფრო მეტად — ლიტერატურის ასპარეზზე მოღვაწე თუ მოფუსფუსე თანამოკალმეთათვის:

ამ სფეროშიც ძვირფასი ტრადიციის პატრონნი ვართ, რასაც ღირსეული გაგრძელება ესაჭიროებაო.

ჩვენ ყველა ვცოდავთ ჩვენს საყვარელ ენასაო, — წუხდა ილია და ეს საწუხარი გახლდათ, ერთმანეთისათვის ურიგო ქართულის შემჩნევისა და შესწორების სურვილს რომ იწვევდა. მუშავდებოდა სალიტერატურო ენა, იხვეწებოდა, ზუსტდებოდა ცალკეული ფორმები თუ გამოთქმები და ეს მღელვარე, დაძაბული, მტკივნეული პროცესი ვის აღანთებდა უპირველესად, თუ არა იმ ადამიანებს, რომელთათვისაც ბედსა და გარემოებას დაეკისრებინა ენის კანონმდებლობა.

ენის კანონმდებელი, რა, განა ხალხი არ იყო?

ცხადია ხალხი ქმნიდა ენის იდუმალ საწყისებსაც და მისი შენარჩუნების პირობებსაც, მაგრამ დროდადრო ვინმე თუ არ ითავებდა გარკვეულ ორგანიზებას და გრამატიკულ წესებად ჩამოსხმას, ენას ძალიან გაუძნელდებოდა მდინარებაც და თავისი თავის შენარჩუნებაც, და შესაძლოა თანდათან ისე შემოდნობოდა ერს ხელში, ან პირწმინდად გაქრობოდა და ან შინაურობაშიღა გამოეყენებინა.

ქართული ენის დიდი განახლების ჟამი დამდგარიყო.

ენის რეფორმატორები სწორედ დროულად გამოჩენილიყვნენ და სულზე მოესწროთ რუსული ენისაგან ჩვენი მშობლიური მეტყველების დევნა-შევიწროებისა და დათრგუნვის ჟამს და, ეს მისია ილიასთან ერთად აკაკი წერეთელსა და იაკობ გოგებაშვილსაც რომ ედოთ თავს — და კიდევ ივანე მაჩაბელსაც — ასეთ ვითარებაში წვრილმანი და მსხვილმანი აღარ არსებობდა და თვითეულ დეტალს, ცალკეულ ნიუანსებს არანაკლები მოფრთხილება ესაჭიროებოდათ და შესაფერისი მოწესრიგებაც, ვიდრე იმ პრობლემებს, რაც გარეგნულად შესაძლოა უფრო დიდმნიშვნელოვნადაც გამოიყურებოდა.

ამიტომაც მოინდომებდა აკაკი საგანგებო რუბრიკის შემოღებას „კვალის" ფურცლებზე ურიგო ქართულის გამოსააშკარავებლად და წამლობისათვის.

ამიტომაც აღმოჩნდებოდა „სასწორ-მეტყველოს" პირველი მსხვერპლი იაკობ გოგებაშვილი, რომ ენას ყველა მისგან სწავლობდა და რაღა გასაკვირია, მის მცირე შეცდომასაც უფრო მეტი ვნება მოეტანა, ვიდრე სხვის მსხვილმანს.

ბატონი იაკობი მისთანა კაციაო...

დიახაც, ბატონიო — და ასე მოიხსენიებს დიდგვაროვანი თავადი, დედით სულაც მეფის შთამომავალი, გლეხური, დიახ — გლეხური წარმოშობის ადამიანს.

და ესეც დასტური არამარტო აკაკის დიდბუნებოვნებისა და პიროვნული ღირსების, არამედ იმჟამინდელი საზოგადოებრივი ყოფისა და საყოველთაო ზნეობრივი ნორმების, რომელსაც უკვე ისე აღასრულებენ, ისე უბრალოდ, ბუნებრივად და ძალდაუტანებლად, რომ სულაც არ მიაჩნიათ რაღაც განსაკუთრებულად თუ იქცევიან.

ასევე მიმართავდა იაკობს ილია ჭავჭავაძეც — ბატონო!..

იქნებ „დედა-ენისა" და „ბუნების კარის" შექმნამ, სკოლის გაქართულებამ მიანიჭა იაკობს ის გამორჩეულობა და შარავანდი თანამედროვეთა თვალში, რომ აღარ დაგიდევდნენ მის გლეხურ წარმომავლობას და „ბატონის" რანგში აჰყავდათ?

მაგრამ ასევე მიმართავდა ილია თედო რაზიკაშვილსაც.

დოკუმენტურად არ დასტურდება, მაგრამ უთუოდ — ბაჩანა რაზიკაშვილსაც.

ვაჟა-ფშაველას ხომ მითუმეტეს.

და საერთოდ აღარ იყო გარჩევა სოციალური წარმოშობისა — გვერდი-გვერდ მოღვაწეობდნენ, გვერდი-გვერდ საქმიანობდნენ უჯიათად და მუხლჩაუხრელად და ოფიციალურ შეკრებებსა თუ მიმოწერისას ვეღარც წარმოედგინათ სხვაგვარად მიემართათ ერთმანეთისათვის, თუ არა „ბატონობით“.

არ განარჩევდა სოციალური წარმოშობის მიხედვით არავის ერეკლე მეორე.

არ განარჩევდა ალექსანდრე ბატონიშვილიც.

არ განარჩევდნენ ალექსანდრე ორბელიანიც და ელიზბარ ერისთავიც, არც ალექსანდრე ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი... არც გიორგი ერისთავი... ალექსანდრე ყაზბეგი ხომ არა და არა...

აკაკი მხოლოდ პოლემიკისას არ მოიხსენიებდა იაკობს „ბატონოთი“, ერთ კერძო წერილსაც ამ მიმართვით დაიწყებდა, გამომცემელთა მიერ 1902 წლით რომ თარიღდება.

მაინც რას გამოეწვია ეს ოფიციალური მიმართვა, მაშინ, როდესაც სანამდე სულ ასე: ძმა და ძმაო?..

რას და:

განაწყენებულია აკაკი და ამ განწყობილებას თავიდანვე არ დამალავდა: მიკვირს და გამკვირვებიაო.

რას გაეკვირვებინა ასე ანდა იაკობს რა პასუხს სთხოვდა, თუ ის გაზეთი — „ივერიას“ გულისხმობდა — კიდევ მაინც ასე წინდაუხედავად წაიკუნტრუშებდა ხოლმე?!.

იაკობს იმას საყვედურობდა: ამ გამოცემაში შენ მხურვალე მონაწილეობას იღებო, — და თუ იგი მართლაც მხურვალედ ჩართულიყო სარედაქციო პროცესში, მაშ პასუხიც უნდა ეგო, რომ გაზეთი მკითხველს ჯერ ივან ვოსტორგოვის ქებით გააყრუებდა, სასულიერო პირის, ქართული კულტურის დაუძინებელ მტრად რომ აღიარებულიყო, და ახლა კი ქებათა-ქებას უძღვნიდა ახალნაკურთხ კერპ-მთავრებს: ამისთანა ნასწავლი და ამგვარად ნამსახურები არიანო!..

მკითხველს უმახარებლებდა თითქოსდა საბედნიერო რასმე.

და მერე რა დროს?

მაშინ, როდესაც ქართული ეკლესია განსაცდელში ჩავარდნილიყო და მასთან ერთად ენისა და კულტურის გაქრობასაც გვიქადაგებდნენ და გვიქადოდნენ...

და რა დაერქმია ამგვარი მოქმედებისათვის აკაკის, თუ არა: პოლიტიკური მახინჯობა და „გოჩიაური“ მეთაურობა!..

და როგორ არ წასდავებოდა რედაქციას: მაშინ როდესაც უფლება არა გაქვს, ისკარიოტელს გამცემი დაუძახო, იმას მაინც რა გრჯის, რომ იმავე ქვეყნის მტერს მოციქულთა შორის იხსენიებო?!.

— მაგრამ ჩვენი არამკითხე მეთაურები განა გაარჩევენ სად რა სთქვან და როდის? მტრები ცეცხლს გვიკიდებენ და ჩვენ, რომ გავაქროთ, წყლის მაგივრად, ნავთს კი ვასხამთ!..

ჰო მართლა, ცეცხლის წაკიდებაზე მოაგონდებოდა:

ამ დღეებში, ღამის სამ საათზე წაუკიდებდნენ ცეცხლს მის სახლკარს — თავლიდან დაწყებული თუკი რამე ნამშრალობა მოეპოვებოდა, სულ გადაუბუგავდნენ.

სახლს კი სოფელი გადაურჩენდა.

და ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ: დაზღვეული არა ყოფილა, თორემ თავისი ბედი რომ იცოდა, უცნაურ რამესაც აუტეხდნენ და... სულაც სამართალში მისცემდნენ...

გაუძნელდებოდათ ცილის დაწამება თუ რა?!.

გამომძიებელი გადმოვიდოდა და გლეხკაცებსა და მოსამსახურეებში დაიწყებდა დამნაშავის ძებნას.

— სულ ტყუილად, — ეტყოდა აკაკი, — ესენი მე არას მერჩიან. თვალშიაც რომ ჩავუვარდე, ხელსაც არ ამოისვამენ.

და გამომძიებელიც თავს დაანებებდა ამ მიმართულებით ძიებას.

ისე აკაკისათვის მნიშვნელობა რომ აღარც აქვს ვითარებას — თუკი სახუმარო, სალაღობო, გასაცინებელი მოუვა თავში, ენამ თვითვე უნდა ამოთქვას, და მის დაოკებას არამცთუ არა ცდილობს, სულაც ნებაზე ჰყავს მიშვებული.

და აი ახლაც:

— ეს მტრობით კი არ არის ნაქმნარი, არამედ მოყვრობით.

— ეს როგორ? — გაოგნდებოდა გამომძიებელი. თუმც მოეხსენებოდა აკაკის გონება-მახვილობის ამბავი, მაგრამ აქ ვერას დაინახავდა სახალისოს, პარადოქსის აზრს კი ვერ ჩახვდებოდა.

— როგორ და: ორმოცდაათი წლის იუბილის ჩირაღდანი გამიკეთეს და ეს უფრო შეგნებულების საქმე იქნება, თვარა დაბალი ხალხი რას მიხვდებოდა?!.

იცინებდა და რას იცინებდა?!. თუმც ეს მაინც აოცებდა გამომძიებელს, რომ თვითონ უფრო წუხდა, ვიდრე აკაკი. რა — თავს იმშვიდებდა და იმხნევებდა, რათა ჭირსა შიგან ასე გამაგრებულიყო და გაქვითკირებულიყო?!.

ეს ფსიქოლოგიური საწყისიც უნდა ამოქმედებულიყო, და კიდევ — სასოწარკვეთილება რომ დარევდა ხოლმე ხელს დროდადრო და ხანძარს ბედის მინიშნებად მიითვლიდა, სასიკეთოს რომ არას უწინასწარმეტყველებდა.

ყურიც არ გამიბერტყიაო, — ამ განწყობილებისაა, იაკობს რომ სწერს, და კიდევ ის ფრაზაც, — დაიწვას ყოლიფერი, მაინც დასაწვავიაო!..

და გააგრძელებდა და გააგრძელებდა:

ნეტავი სახლიც არ გადაერჩინათ, ერთ ჭირს გადავრჩებოდიო.

და გაიხსენებდა ანდაზას: ვერიდებოდი ჭინჭარსაო, ამომივიდა წინ კარსაო!..

რა შუაშია ეს შეგონება და მის უბედობას რითი უკავშირდებოდა?.. ან სახლის დაწვას რატომღა ნატრობს?..

ეს ერთი ხანია ერთი რუსი, მისი ვაჟის ნაცნობი, ჩაუდგებოდა სახლში და ვეღარ მოეშორებინა. — მომწონს აქაურობაო! — გაიძახოდა, მასპინძელს კი აღარ ჰკითხავდა!.. იმის ლოლიაობას უნდებოდა აკაკი და ვეღარა გაეკეთებინა რა!..

ასე უნაყოფოდ თავისდღეში არ ყოფილიყო, არ დარჩენილიყო სოფლად. ოციოდე ნიმუში დარჩენოდა ივან კრილოვის იგავ-არაკებიდან და ისიც ვეღარ მოეთავებინა...

და კვლავ ანდაზას მოიშველიებდა: თვით არ იყო ძმარია და ჩაერია წყალიო, — რათა გულმტკივნეულად დაერთო: მე რაღა ხელისშემშლელი მეჭირებოდაო!..

გაურკვეველი ხელის გამო ნუ დაემდურებოდა იაკობი: როცა გუნებაზე არა ვარ, ვეღარას ვახერხებ ხოლმეო.

ის გაზეთი, სადაც შენ მხურვალე მონაწილეობას იღებო...

9 აპრილს გაგზავნილ საპასუხო ბარათს იაკობი ასე რომ დაიწყებდა:

— ბატონო აკაკი, მივიღე თქვენი დეკადენტური ეპისტოლე: სამ სიტყვაში ერთი ძლივს-ძლივობით ამოვიკითხე...

მერე კი გაოცებას გამოთქვამდა: რომელმა ჭორიკანა ჭინჭრაქამ დაგარწმუნა, ვითომ „ივერიაში" მხურვალე მონაწილეობას ვიღებდეო.

არამცთუ მხურვალეს, ცივ მონაწილეობას მოკლებულიყო, რადგანაც იქ სხვა ჭკუის სულიერნი თვითმპყრობელობდნენ. ამიტომაც „ივერიის" სხვადასხვა მძიმე შეცდომასა თუ დანაშაულში იაკობს იმდენივე ბრალი ედო, რამდენიც... თუნდ აკაკის სახლკარის გადაბუგვაში.

ქართლელ გლეხებს სცოდნოდათ თქმა: ქონების ცეცხლით გადაბუგვა პატრონის დღეგრძელობას მოასწავებსო, — და მაშ ამ ტკბილი იმედით მაინც ენუგეშებინათ თავი.

ისე ანდაზები აკაკის სულ პირზე რომ ეკერა, წლების წინათ — კერძოდ 1898-ის 27 სექტემბერს — მიწერილ ბარათშიც მოიხმობდა მას შემდეგ, რაც ამცნობდა ძმად დაგულებულ იაკობს, რომ წელს ორჯერ ჩასულიყო ბორჯომში რამდენიმე დღით, რადგანაც გარემოება მეტ დროს არ აძლევდა საკუთრივ მის მოსანახულებლად, მაგრამ... იაკობსაც რომ სმენოდა: უბედო კაცს ქვა აღმართში მიეწევაო, — აკაკის პირადი სიამოვნება, გინდ მცირეც ყოფილიყო, არ წერებულიყო ბედის ვარსკვლავზე!..

ორჯერვე გულდაწყვეტილი გამობრუნებულიყო და ახლა აქ იმყოფებოდა, თავის საჩხერეში, სადაც სამუდამო ბუდეს იკეთებდა, თუ დასცალდებოდა.

რაც უნდა ყოფილიყო, აქ უფრო უძლებდა თავის სენსა და სატკივარს.

ახლა მაინც მეწუხობა იდგა და გულს აყოლებდა მუშაობას. დაღამდებოდა თუ არა, რომ მოიცლიდნენ, მუშები შემოუსხდებოდნენ გვერდით და ცა და მიწა, მთა და ბარი გაერთიანებული ჰქონდათ. ვერ იტყოდა, რომ მოწყენით ყოფილიყო!..

უსიამოვნო სტუმრებისათვის შინ არ გახლდათ, მაგრამ ხანდახან კი მოენატრებოდა ხოლმე, როგორც მარტოხელს, ზოგიერთი თავისი ნაცნობის ნახვა და მათ რიცხვი იაკობისა — ყველაზე უმალ.

დაე ნუ იფიქრებდა ადრესატი, რომ: ამას იმერულადა სწერდა!..

აკაკურადა სწერდა, მხოლოდ გულის აყოლით.

მაგრამ ისიც იცოდა, რომ არცთუ სახარბიელო ჯანმრთელობის პატრონ იაკობს აქეთ რა წამოიტყუებდა, ამ სიშორეს?

არადა დაე სცოდნოდა, რომ სურამსაც და ბორჯომსაც სჯობდა საჩხერე!.. განსაკუთრებით ის ადგილი, სადაც აკაკი სახლობდა: არც ქარი იცოდა, არც სიცხე, არც სიცივე.

თუ მოვაწიე გაისამდეო, — არა და არ ეშვებოდა ეს მრუმე შეგრძნება, ეს უცნაური აკვიატება, ყოველი წელი, თვე, კვირა და მგონი დღეც ნაჩუქარივით რომ იყო მისთვის. სნეულება მასაც გაუნელებლად ჩაფრენოდა, თუმც ისეც არა, იაკობი ჭლექისაგან მართლაც სამარის კართან რომ იდგა მთელი ცხოვრება, და ახლა აკაკის სევდიან დაპირებას რომ ისმენდა, — ეგება გაგაბედინო, როგორმე რამდენიმე დღით ჩამოტყუებაო!..

დიდად კი არ ეიმედებოდა, მაგრამ თავს მაინც იტყუებდა და... იაკობს უმზადებდა ოთახებს, სწორედ მისი გემოს საკადრისს. და მეგობრულად უწყრებოდა: რა არის, ნუ ხარ ეგოისტი, ერთი აქეთკენაც დაენახვე თვალით ჩვენებურ ბავშვებსო!..

აგერ წინადღით მეზობლის პაწაწუნა გოგოცუნა ეკითხებოდა:

— ბელატია თუ არა იაკობ გოგებაშვილი? შვილები თუ ჰყავს? გაწყრომა თუ იცის?

და ნატრულობდა:

— ნეტავი მაჩვენა.

აკაკი შეპირებოდა იაკობის პორტრეტს და დიდადაც გაეხარებინა. თან მაინც ეთხოვა: ცალკე მინდა, თვარა „ფერხულიანი“ არის ჩვენს სახლშიო.

ეს ვერ მიმხვდარიყო, თუ რას გულისხმობდა გოგონა, და ის აუხსნიდა: „ფერხულიანი“ სხვებთან ერთად რომ არის, იმ ფოტოსურათს ნიშნავსო.

და იაკობს თუ ჰქონდა თავისი პატარა სურათი, ბარემ მალევე გაეგზავნა აკაკისათვის, რომელიც ისეთი აღტაცებითა და გულამოვარდნილი მიურბენინებდა ამ ფოტოს გოგონას, თითქოს თვითონაც ბავშვი ყოფილიყოს.

თუმც... რაღა თითქოს — პატარებთან ხომ ბავშვდებოდა, ისე, რომ თავის მობავშვიანება სულაც არ ესაჭიროებოდა.

იქ ჭორები დადიოდა: ვანო მაჩაბელი უნახავთო. და იაკობს ეკითხებოდა: მართალია თუ ჩვენი ბისმარკების განძრახ-გამოგონებული რამო?

ამ დღეებში მარიამ დემურიასაგან მიეღო წერილი: საყმაწვილო წიგნები უნდა გამოვცეთ ქალებმა და დაგვეხმარეო!..

და ამასაც იაკობს ეკითხებოდა: მე რა ავტორიტეტი ვარ, რომ აქ მომწვდნენ? შენ მანდ არა ხარ? შენ უკეთ არ მოუხერხებ საყმაწვილოსაც და სავაუკაცოსაცო?..

პასუხად აკაკის გამოტეხილი მიეწერა:

— მე სიბერემ ყოველგვარად დამაუძლურა, აღარც გრძნობა მიჭრის და აღარც გონება თქვენ საკადრისათ.

და იაკობს სთხოვდა: გეთაყვა, თუ მოგმართონ, ზურგს ნუ უჩვენებო!..

ხოლო წლების შემდგომ, 1907-ში, პეტერბურგს იმ განზრახვით გაემგზავრებოდა, რომ როგორც უსაშუალო კაცი როგორმე სამსახურში შესულიყო; და მართლაც ეშოვნა ასმანეთიანი ადგილი ერთ სააგენტოში, მაგრამ ჰაერი აწყენდა, ავად გახდებოდა და ექიმები ურჩევდნენ: საჩქაროდ თბილი ქვეყნებისკენ გასწიე, ან საზღვარგარეთ — ნიცაში იცხოვრე, და ან ისევ კავკასიაშიო.

და იაკობ გოგებაშვილს რომ ატყობინებდა ამ ყოველივეს ბარათით, დასძენდა: აბა საზღვარგარეთ ცხოვრება სად შემიძლია და ისევ მანდეთკენ უნდა წამოვეთრეო, — და

სთხოვდა, აკაკის მაგივრად შეხვეწნოდა წერა-კითხვის საზოგადოებას: ეგებ იმას მიეშველებინა ფული, წამოსასვლელი ფული და ეცდებოდა როგორმე გადაეხადა.

— ეგ ერთად-ერთიღა ნუგეში დამრჩენია და თუ დამიგვიანდა აქ, ცუდათ იქნება ჩემი საქმე.

სიხარულით აუწყებდა, რომ: ნიკოლაი დურნოვო გამოსარჩლებოდა თავგამოდებით ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიას. ორი ბროშურა გამოეცა, სადაც ივან ვოსტორგოვს ცუდად იხსენიებდა და ვოსტორგოვი უჩივლებდა, აკაკის შეტყობით, ხულიგნობის იმედად.

სთხოვდა, გამოეყენებინა იაკობს მთელი თავისი გავლენა და ჩვენი ინტელიგენციის სახელით ადრესი თუ არა, ტელეგრამა მაინც გამოეგზავნა დურნოვოსათვის. ამჟამად მოსკოვში იმყოფებოდა. მართალია თვითონ აკაკის ლექსი მოეწოდებინა მისთვის, მაგრამ მიიჩნევდა, რომ ამას ის მნიშვნელობა მაინც არ ექნებოდა, და სულ სხვაგვარად აღიქვამდა ქართველთა რუსი გულშემატკივარი და თანამდგომი, როდესაც ქართველი ახალთაობა გამოეხმაურებოდა მოწონებითა და თანადგომის აღთქმით.

სხვა პეტერბურგული ამბები არა იცოდა რა, რადგანაც ეს ოცი დღეა ოთახიდან არ გამოსულიყო.

საქართველოდან წერილი მოსვლოდა: წერა-კითხვის საზოგადოება თავმჯდომარეს ირჩევსო.

აკაკის ბარემ იაკობ გოგებაშვილი ერჩივნა და ეგულებოდა საუკეთესო ხელმძღვანელად, მაგრამ თუკი ეს არ მოინდომებდა, და არც ნიკო ცხვედაძე, მაშინ ამ მოსაზრებას გაუზიარებდა: მაშინ სხვა ყველას გიორგი ყაზბეგი აჯობებსო.

აკი კიდეც ასე მოხდებოდა, რომ გიორგი ყაზბეგს ამჯობინებდნენ, კაცს, რომელიც ოდესღაც თერგდალეულთა რაზმში იდგა და ისტორიული ნარკვევიც დაეწერა ძველი ლაზისტანისა და მესხეთის შესახებ, მაგრამ ისე მოხდებოდა, რომ სამხედრო კარიერა მოწყვეტდა მშობლიურ მხარეს და მხოლოდ მოხუცებული დაუბრუნდებოდა საქართველოს.

იპოლიტე ვართაგავა მის სილუეტს რომ წარმოსახავდა მოგონებათა წიგნში, რომელიც — „ჩემი თავგადასავლისა“ არ იყოს — სტრუქტურულად თხრობასა და ლიტერატურულ-ფსიქოლოგიურ პორტრეტებზეა აგებული, აღნიშნავდა, რომ: „ჩრდილოეთის სუსხს“ ვერ ჩაეკლა მასში „სული ცხოველი“, ეროვნულ ლეშად ვერ გადაექცია — შეენარჩუნებინა ქართული სული და ქართული ენა.

ამიტომაც მიუტევებდა სულგრძელად ქართველი საზოგადოება გატაცებას სამხედრო კარიერით, მიიღებდა როგორც უძღებ შვილს და დიდად საპატიო სარბიელსაც მიუჩენდა.

როდესაც მემუარისტი ახსენებდა გიორგი ყაზბეგის გატაცებას სამხედრო კარიერით, საგანგებოდ დასძენდა, როგორც მის გამამართლებელ საბუთს: ძველად ეს ხომ მოდა იყო — აკი ნიკოლოზ ბარათაშვილიც და აკაკი წერეთელიც ცდილობდნენ სამხედრო სამსახურში შესვლასო.

ხოლო საქმიანობას ახალი — და როგორც აღმოჩნდებოდა: უკანასკნელი — თავმჯდომარე წერა-კითხვის საზოგადოებისა საღი აზროვნებით, ნათელი გონებითა და ღრმა ანალიზის უნარით რომ უძღვებოდა, ყველას უხაროდა: ახალგაზრდობა დავუბრუნეთო, — როდესაც გიორგი ყაზბეგი უკლებლივ დაესწრებოდა გამგეობის სხდომებს და შესასწავლად ნაღებული საქმეებიც შეპირებულ ვადაზე მოჰქონდა.

იპოლიტე ვართაგავა ამასაც დაურთავს:

როგორც საათი, ისე სწორი იყო — დანიშნულ დროს ყველა ჩვენგანზე ადრე მოდიოდა კრებაზეო.

მართალია აკაკი უშუალოდ ვერ მიიღებდა მონაწილეობას გიორგი ყაზბეგის არჩევაში, მაგრამ მისი შემონათვალი: მაშინ სხვას ყველას აჯობებსო, — მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა ამ გადაწყვეტილების შემუშავებასა და აღსრულებაში.

1909 წელს პარიზში გამგზავრება რომ მოუხდებოდა, ვის შეეხმიანებოდა იქიდან, თუ არა ძვირფას მეგობარ იაკობს, ვის გაუზიარებდა შთაბეჭდილებებს, რომელიც სამწუხაროდ ვერც ცალკე წიგნად დაიწერებოდა სულხან-საბა ორბელიანის სამოგზაურო თხზულების კვალობაზე (საფრანგეთსა და იტალიაში ყოფნას რომ აღწერდა და... საფრანგეთის

ნაწილი კი დაგვეკარგებოდა), და ვერც ავტობიოგრაფიულ რომანში ჩაერთვოდა მრავალმხრივ კოლორიტულ და მნიშვნელოვან მონაკვეთად, აკაკი ამ ჟანრსაც, სამოგზაუროსაც, რომ უეჭველად დაატყობდა ხელს — ცალკე თხზულებად იქნებოდა თუ რომანის ნაწილად.

14 ივლისს გამოსულიყო ცეცხლის გემით ბათუმიდან პირდაპირ მარსელამდე და მონდომებოდა სულ ზღვით 29-მდე.

ზღვა კარგი იქნებოდა, მაგრამ გემზე არავინ იმყოფებოდა ფრანგებისა და ინგლისელების გარდა და... აკაკი თავისი დამტვრეული ფრანგულით შორს ვერ წავიდოდა.

თუმც უფრო „შორს" რაღა გვინდა — პარიზში კი ჩააღწევდა და...

გემი, როგორც სავაჭრო, ყოველ ქალაქში ჩერდებოდა ზღვის პირად და აკაკიც ძალაუნებურად შემოივლიდა: სათათრეთს, საბერძნეთს, იტალიას...

ტრაპიზონშიც რომ მოუწევდა შეევლა, რა გული გაუძლებდა, რომ არ მოენახულებინა იქ დამარხული იმერეთის მეფის სოლომონ მეორის საფლავი. ეპიტაფიასაც გადმოიწერდა.

მარსელში შვილი დაუხვდებოდა და... აკაკი ღიმილსა და მსუბუქ ირონიას ვერ შეიკავებდა: არ ვიცი, მე მომეგება თუ ჩემს ჯიბესო?

თუ ჯიბეს... შემცდარიყო, რადგანაც:

— მე ყოველთვის და ყოველგან კნიაზური ჯიბით დავდივარ!..

მასუკან აქ იმყოფებოდა, პარიზში, მაგრამ ჯერ ოთახიდან არ გამოსულიყო, ვერა გრძნობდა თავს კარგად და ექიმის საშუალებაც არ გააწნდა.

უშარი, მისი დოქტორი გახლდათ, მარტო გასასინჯს იღებდა სამას ფრანკს და... მერე კიდევ საკურორტო სხვა იქნებოდა. ეს კი სულ სამასი მანეთით წამოსულიყო და იქიდანაც ნახევარი გზის ქირად დაეხარჯა. დარჩენოდა თხუთმეტი თუმანიღა და ისიც მალე შემოეხარჯებოდა ღვთით: არ უჩერდებოდა ეს ფული ჯიბეში და არა.

კიდევ ერთხელ გაიმეორებდა: რომ ვიექიმო, საშუალება არა მაქვსო, — და ერთბაშად უნდა შერეოდა ერთმანეთს აკაკური ღიმილი და აკაკური სევდა-ტკივილი, სულ რომ ეგონა — და რაც უფრო შედიოდა ხანში, კიდევ მეტი სიმძაფრითა და სიმძაფრით — ჩემი მთავარი საქმე განუხორციელებელი მრჩება, ამქვეყნიური მისია — აღუსრულებელიო:

— ღმერთთან სწორი სჯობს, არცა ვღირვარ! ის აღარა ვარ, რაც ვიყავ.

პოეტური სტრიქონი გადმოდიოდა ბარათში თუ ჩვეულებრივი სამეტყველო ფრაზა გადაქცეულიყო აკაკის ხელში პოეტურ სტრიქონად?

თვითონ ამის გარჩევას არც დაიწყებდა, რატომ ენაღვლა, როგორ მონაცვლეობდა სასაუბრო მეტყველება და ლირიკული ფრაზები მის ნაწერებში. როგორ ფარავდა ერთიმეორეს. დაე კრიტიკოსებსა და ლიტერატურისმცოდნეებს ემტვრიათ თავი და ეკვლიათ და ეზუსტებინათ ეს იდუმალი მადლი, სალაპარაკო ენა როგორ ადიოდა დიდ პოეტურ რანგსა და რეგისტრში, თან რომ ის იყო და თან რაღაც სხვა, სულ სხვა ძალმოსილებით შემკული.

ის აღარა ვარ, რაც ვიყავო...

წინა დღით გაესრულებინა პოემა „ვორონცოვი" და შეეტყო თავისათვის, რომ:

— ძალიან შორს ჩავგორებულვარ თავდაღმართში.

როგორც ეიმედებოდა და როგორი ჟინით აღვსილიც დაიწებდა წერას, ის ვერ გამოსულიყო, ვერ მიეღწია იმ მხატვრული სიმაღლისათვის, „ბაგრატ დიდი", „თორნიკე ერისთავი", „ნათელა", „გამზრდელი", „კოლას ნაამბობი", „კოლა გლდანელი და ნესტორ ესებუა" რომ შესთამაშებდნენ და ეპიკური ჟანრი ახალი სუნთქვითა და შთაგონებით გაებრწყინებინათ.

სიბერე სძლევდა?.. თუ არც ისე უნუგეშოდ იყო საქმე — მხოლოდღა წამიერად დაშრეტოდა შთაგონება და კვლავ შეიძლება აღვსილიყო ძველებური ძალით?..

არადა როგორი შესაგრძნობია, სიხარულით რომ დასვამ ბოლო ნერტილს, დაიმედებული, კიდევ ერთი შესაფერისი ნიმუში შევმატე ჩემს პოემათა სერიასო და... უეცრად აღმოაჩენ, რომ... თავდაღმართში ჩაგორებულხარ და... თანაც ძალიან შორს, იქიდან ამოსასვლელად ძალა რომ აღარც გეყოფა და... ამიტომაც წაგცდება: განსაკურნებლად აღარც ვღირვარო.

ღმერთის მოტყუებას განა რა აზრი ექნებოდა?

ის კი არა, თავის თავსაც აღარ უქმნიდა ილუზიებს, თორემ ყოველთვისაც მწარედ აცინებდა იმ ადამიანთა საქციელი, ღმერთთანაც რომ ცდილობდნენ სიტყვის ჭახრაკობას, თუნდ ამის ჩამდენი მისი საყვარელი მეფე სოლომონიც ყოფილიყო — ეს უკვე პირველი და არა მეორე, რომლის საფლავსაც გულშეძრული დაჰყურებდა ტრაპიზონში და ძალაუნებურად დაუტრიალდებოდა გონებაში რუსთველური სტრიქონები, თურმე ეპიკოსის გონების ნაყოფი კი არა, უფრო ლირიკოსის ამონაკვნესი რომ გახლდათ, პავლე ინგოროყვას როგორც უნდა მიეკვლია: სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსაო...

იქ, შორეთში კვნესოდა რუსთველი, აქ აკაკისაც რომ გადასდებოდა მისი განწყობილება და, მკურნალობა რომ ძალიან ეძვირებოდა, სნეული და ხანშიშესული თავს შესჩივლებდა: სად მოვდიოდი, რომ მოვდიოდი, მაგრამ მეც სოფელმა გამომიმეტა და ემანდ არ ამიხდეს: სად აღუფხვრი სადით ძირსაო...

ოოო, ამის გადატანა კი აღარ შეეძლო — ძვლებიც რომ იკვნესებდნენ, უცხოეთში რომ დაელია სული. აკი ღმერთთანაც და სამშობლოსთანაც ეს სათხოვარი და სავედრებელი ჰქონდა, თავდადებული, თავგანწირული გარჯის საზღაურად სხვას არც არას ითხოვდა, რომ: მშობლიურ მიწაში ჩასვენებულიყო.

ამ სწრაფვასა და ოცნებას დიმიტრი ყიფიანის ბაგით გამოთქვამდა და შიგ თავის ფიქრსა და განცდასაც გამოახვევდა: დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო!..

და ედავებოდა მისთვის ძვირფას ნიკოლოზ ბარათაშვილსაც: ნუ დავიმარხო ჩემსა მამულშიო, — ის ამ სწრაფვასა და ოცნებას რომ ასდევნებოდა.

თუმც ის „ნუ დავიმარხო“ და ეს „შენს მიწას მიმაბარეო“ სადღაც სივრცეში უთუოდ ჰკვეთდნენ ერთმანეთს და... ჯვრადაც კი გამოისახებოდნენ, რადგანაც ძირი და სატკივარი ორივე ვედრებისა ერთი გახლათ, ერთი სიყვარულიდან და სიშმაგიდან ამოზრდილი, ყველაზე დიდ ტრაგედიად ორივე პოეტს მშობლიური მიწიდან მოშორება და უცხო ცის ქვეშ სულის ამოხდომა რომ მიაჩნდა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი პირდაპირ შეაბიჯებდა ტრაგედიაში.

აკაკი წერეთელი ტრაგედიის გარდაქმნას ესწრაფოდა დრამად და უშუალოდ ამიტომაც გასდებდა ხიდს შოთა რუსთველთან, როგორც მისივე თანამედროვე და არა შთამომავალი.

შთამომავალი ხომ ნიკოლოზ ბარათაშვილიც გახლდათ, ისევე როგორც ყველა შემდგომი ხანის პოეტი, იმისდა მიუხედავად, მუშაირა გაემართათ რუსთველთან თუ არა.

თუმც მუშაირა: ახდილად — თეიმურაზ პირველივით და „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლატორ-გამგრძელებლებივით, თორემ ფარულად — და ხან თვით ამა ფუ იმ პოეტისთვისვე ფარულადაც — ყველა იმას უყელყელავდებოდა და ეტოქებოდა: „ვეფხისტყაოსანს“.

თუმც რატომაც არა — შედარების საზომი რეალურად მოვლენოდათ, ქართული ენობრივი სივრციდან ამოზრდილი ეს უჩვეულო ეპოსი და დაე მასთან ახდილ თუ ფარულ ჭიდილში ეცადათ ძალა, ბოლოსდაბოლოს — ზედ გადაჩეხილიყვნენ, ჭაბუკი ვაჟა-ფშაველასა და გოგოთურის ლოდისა არ იყოს, კოპალას ხატის კართან რომ დაგდებულიყო და დიდსა და პატარას იზიდავდა: ამწიეთ, თუ ბიჭები ხართო... ჰოი რას იზიდავდა!..

სად აღუფხვრი სადით ძირსაო...

და თუკი ასე მოუწევდა — ბოლო ნიმუშად რა რჩებოდა ხელთ, რითი ეთხოვებოდა საწუთროს — „ვარანცოვით“?

და ძალზე კრიტიკული თვალით რომ განსჯიდა, ამიტომაცაა ასეთ ცუდ გუნებაზე რომ დადგებოდა და... თავდაღმართში ჩაგორებულისაგან აღარც განერჩეოდა თავი.

ნუთუ ეს უნდა ყოფილიყო მისი პოეტური რეკვიემი?!.

თუმც... მხატვრულად თუ ვერ აზიდავდა ძველებურ სიმაღლემდე, თავს ინუგეშებდა: მისი იდეური კონცეფცია მაინც გამოადგება ჩემს ხალხს, იმ მხრივ მაინც წაადგება, ჩვენი ქვეყნისათვის სასიკეთოდ მოწადინე უცხოელთა ჯეროვანი დაფასება ისწავლოსო.

მიხაილ ვორონცოვი და მისი მთავარმმართველობის ხანა საქართველოსათვის ბევრივით მასაც ოაზისად მიაჩნდა და დაე ამ ოაზისით რაც შეიძლება ბევრი დარწყულებულიყო, ყოველ შემთხვევაში ის მაინც გაეგოთ და ჩაებეჭდათ გულსა და გონებაში, დავალებულნი რომ ვიყავით რუს მმართველთა შორის ამ გამორჩეული კაცისაგან.

დაჰყურებდა პოემის ფურცლებს, ხელში ატრიალებდა, ხან სად ჩაჰკრავდა მზერას და ხანაც სად და... ძალაუნებურად აგონდებოდა ის ხანა და წუთები თავისი ცხოვრებისა, როდესაც ქვეყანაში თვალგაუხელელი, გამოუცდელი და ოცნებით გაბერილი აპრილის დამლევს დაადგებოდა რუსეთის გზას.

ორპირამდე — ანუ მარნამდე — ცხენით ივლიდა, იქ ნავში ჩაჯდებოდა და მიანდობდა თავს გადარეულ რიონს. ფოთამდე ორ დღეს მოუნდებოდა სიარულს; აქაც სამ დღეს დარჩებოდა, დაესწრებოდა ფოთის კურთხევას და მერე კი სამხედრო ცეცხლის გემით გაეშურებოდა ოდესისაკენ.

პეტერბურგისაკენ პირდაპირ მიმავალისათვის ხმელეთით წასვლა უფრო მოსახერხებელი არ იყო და თანაც ნაკლებ საშიში, ვიდრე ზღვით?

რასაკვირველიაო, — დაგვიბეჯითებდა.

და თუკი ეს მოეხსენებოდა, მაშ რატომღა ერჩიათ უფრო მოუხერხებელი და საშიში გზა?

რატომ და:

იქ მიხაილ ვორონცოვის ქვრივი ეგულებოდათ და მის მონახულებას დაავალებდნენ.

ტრადიციასავით დამკვიდრებულიყო.

იმ დროს საზოგადოდ ქართველებს ისეთი სიყვარული და ხსოვნა ჰქონდათ ვორონცოვისა, რომ თუ რუსეთში მყოფი ან მიმავალი ქართველი ვორონცოვის ქვრივს არ გაუვლიდა და არ მოინახულებდა, ვერც კი წარმოიდგენდნენ.

ტრადიცია სხვა კი არაფერია.

და — რიტუალიც.

ერთი და ორი კაცის თავგამოდება კი აღარ არის, არამედ საყოველთაო ნორმა, სწორედაც რიტუალს გაიგივებული — მიხაილ ვორონცოვის ქვრივის მონახულებით მთავარმართებლის ხსოვნას რომ მიაგებენ პატივს და შთამომავლობასაც უტოვებენ აღსასრულებლად: კვლავ და კვლავ და დაუსრულებლივ.

კი მაგრამ... განა როდემდე იცოცხლებდა მთავარმართებლის ქვრივი?..

ის აღარ იქნებოდა და... რაიმე ახალი გამოიძებნებოდა საკულტოდ, ბოლოსდაბოლოს ქანდაკება აღიმართებოდა მთავარმართებლისა და... ამიერიდან მის ირგვლივ შესრულდებოდა თავისებური კერპმსახურება.

ახალგაზრდა აკაკი უნებლიეთ გაერეოდა საქართველოსათვის ყოვლად მიუღებელ ტრადიციასა თუ რიტუალში?

მისი მახვილი გონებისა და იშვიათი ალღოს პიროვნება ადრე თუ გვიან მაინც ამოიცნობდა, მთავარმართებლის ვითომდა კეთილ საქმეთა მიღმა რამხელა მზაკვრობა იფარებოდა?

და მაშ რა ხდება, სიცოცხლის მიმწუხრზე ისევე რომ შეჰყურებს და აფასებს მიხაილ ვორონცოვის მმართველობის სტილს, როგორც სიჭაბუკისას ჩაუნერგეს?

სხვა თუ არაფერი — ყოველი სიტყვა რომ სჯეროდა ალექსანდრე ორბელიანისა, ნეტა ესეც დაეჯერებინა, ვორონცოვი ვითომდა კეთილ საქმეთა მიღმა გაცილებით უფრო ენერგიულად და მიზანმიმართულად რომ ხელმძღვანელობდა ქართველთა გარუსების პოლიტიკას, ვიდრე მისი წინამორბედნი ცეცხლითა და მახვილით!..

ნეტა ესეც დაეჯერებინა... დაეჯერებინა ნეტა ესეც...

თორემ ის რა მოხდა, ახალგაზრდა კაცი მშობლების დავალებით საგანგებოდ რომ ესტუმრებოდა კნეინას, მათ მაგიერ გადასცემდა მოკითხვას და ძღვნად მიართმევდა ერთ დიდ გიშრის ჯვარს, ზედ ჯვარცმაგამოსახულს.

ოცნებაში ზღვაცა და ხმელეთიც ნამდვილზე მეტად წარმოედგინა და მიტომაც აღარა გაუკვირდებოდა რა!.. გართობით კი ისე გაართობდა ახალ-ახალი, უცხო სანახაობა, რომ დროს ვეღარც გაიგებდა. მისი პოეტური ოცნება ისე გაიზრდებოდა მგზავრობისას, ისე აჭრელდებოდა და აფერადდებოდა, რომ გაბრუებული ცასა და ქვეყანას, ზღვასა და ხმელეთს საჭადრაკო ფიცრად გაიხდიდა და თავის ნება-სურვილზე ახტუნებდა მეფესაც და ლაზიერსაც.

და დროის გადასახედიდან შემწყნარე ირონიით გახედავდა თავის სიჭაბუკეს:

რას მივხვდებოდი მაშინ, რომ გამოუცდელობა მატყუარა ნატვრის თვალიაო?!.

ვორონცოვის კნეინა შვილივით მიიღებდა და დედაშვილურად მოექცეოდა. გამოჰკითხავდა ყველას ამბავს და ბოლოს, გიშრის ჯვარს რომ გადასცემდა სტუმარი, მასპინძელი დიდ სიამოვნებას დაიმჩნევდა:

— ვახსოვართ ქართველებს და ჩანს, რომ ჩემ ქმარს მალე არ დაივიწყებენ!

— სანამ საქართველოს სახსენებელი არ მოისპობა, ვორონცოვის სახელიც არ დავიწყდება, — წამოიკნავლებდა აკაკი უფროსებისაგან ჩვენში ბევრჯერ ნათქვამსა და მისგან გაგონილს და გულში ჩარჩენილ სიტყვებს.

მოხუც კნეინას ცრემლი მოერეოდა, ღიმილით შემოხედავდა და აკოცებდა. ხოლო მის მიერ მიტანილი ჯვარი სტუმრების ხელიდან ხელში გადავიდოდა. ყურადღებით გასინჯავდნენ: გიშერი შავი ქარვა ეგონებოდათ და მოეწონებოდათ, მაგრამ ჯვარზე გამოქანდაკებული ქრისტეს სახე, როგორც შეატყობდა, ვერ დაკმაყოფილებდა მათ ესთეტიკურ მოთხოვნილებას.

ერთ სტუმარ ქალთაგანს მიუბრუნდებოდა კნეინა და ეტყოდა:

— იტალიაში ხომ არ გგონიათ თქვენი თავი? ნუ დაივიწყებთ, რომ ამისთანა რამეებს უბრალო მეგობრები აკეთებენ იმერეთში! ისინი გლეხები არიან და არსად რაიმე უნახავთ, გარდა გარდამოხსნისა და ხატებისა ეკლესიაში; მათი სამხატვრო გალერეა, მათი სკოლა — მარტო ბუნებაა საქართველოსი, მაგრამ ბუნება საოცნებო და აღმტაცი. ეს უბრალო ხელოვნება განა არ ამტკიცებს, რომ იმათ, თუ გარემოებას ხელი არ შეეშალა, თვისი საკუთარი რაფაელები და მიქელანჯელოები ეყოლებოდათ? განსვენებულ თავადს აღტაცებით უყვარდა ქართველები, დიდ პატივსა სცემდა მათ წარსულს და მომავალზე იმედობდა. სულ იმას ამბობდა: ეს პატარა საქართველო დიდი რუსეთის ქარგაში უმშვენიერესი ფერადი და უმტკიცესი ოქროქსოვილი იქნებაო! მხოლოდ ჩვენ კი უნდა მივუშვათ ნებაზე, ვუწინამძღვროთ და გარედან ხელი შევუწყოთო.

ერთ საათზე მეტს ილაპარაკებდა სულ ქართველებსა და საქართველოზე. და აკაკი წამოსვლას რომ დააპირებდა, გამოთხოვებისას ღიმილით ეტყოდა:

— აი ახლა თქვენ, ახალგაზრდა ქართველებმა უნდა გაამართლოთ ჩემი ქმრის იმედები!

და დასძენდა:

— რამდენ ხანს დარჩებით ოდესაში?

— რამდენიმე დღეს.

და ამას რომ შეიტყობდა, მეორე დღისათვის სადილად დაპატიჟებდა.

რამდენი წელიწადი გადაკეცილიყო მას აქეთ? ორმოცზეც მეტი, მაგრამ აკაკის ასე ეგონა, ეს ყველაფერი ახლა ხდებაო, ისე ნათლად ჩარჩებოდა ვორონცოვის ქვრივის ალერსიანი სახე გულში და სიტყვებიც ტკბილად ყურში უწიოდნენ.

სასახლიდან დაბრუნებული მთელს დღეს ოდესის დათვალიერებას მოანდომებდა. ბევრ საუცხოო რამეს ნახავდა, მაგრამ დიდად არ შეიმჩნევდა — არც მრავალსართულიან სახლებს, არც განიერ ქუჩებსა და არც ზედმავალი ხალხის გაცეტებულ მისვლა-მოსვლას. მხოლოდ ბოლაზში თავმოყრილი გემები გააოცებდნენ!..

ან რა მიაქვთ ნეტა ამდენი და ან რა აქვთ წასაღები, რომ ზღვაზე ძლივს ეტევიანო? — ამბობდა გუნებაში და თანაც გულს აყოლებდა ზღვის ფრთვინვას.

მეორე დღეს ვორონცოვის კნეინასთან რომ აპირებდა წასვლას, სწორედ იმ დროს სასტუმროს მსახური შემოუტანდა წერილს, რომელშიც ექიმი ანდრიევსკი ატყობინებდა:

— კნეინა ავად გახდა, დღეს არავის მიღება არ შეუძლია და მის მაგიერ მე გთხოვთ, ჩემთან მოხვიდეთ სადილად. მითუმეტესად, რომ კნეინა ვორონცოვის დაალებით ერთი რამ უნდა გადმოგცეთ!

აკაკიმ მისი მისამართი არ იცოდა და შეწუხდებოდა, მაგრამ აღმოჩნდებოდა, რომ ექიმს თავისი კარეტა გამოეგზავნა. ესეც ჩაჯდებოდა და ეახლებოდა.

ანდრიევსკი ვორონცოვის სასახლის მკურნალი გახლდათ, შინაური კაცი, და სადაც უნდა ყოფილიყო ვორონცოვი, ყველგან თან ახლდა. ცოლად ქართველი ქალი რომ ჰყავდა,

აკაკი ორმხრივი კეთილი დამოკიდებულებით ახსნიდა: ქართველები დიდ პატივს სცემდნენ და ისიც მათ სიყვარულს იჩენდაო.

რა, ვორონცოვის დროსაც არ იქნებოდნენ ქართველთა მოძულარი რუსები?

აკაკის ეჭვი არ ეპარებოდა, რომ იქნებოდნენ, მაგრამ ისიც მტკიცედ სჯეროდა: ვერ გაბედავდნენ გამოცხადებასო!..

საზოგადოდ ხელქვეითები უფროსის ნება-სურვილს რომ უთანხმებენ თავიანთ გრძნობა-გონებას... ფარისეველურად ხელში იჭერენ ორივეს რიკტაფელასავით და, დროის აყოლით, ხან მარჯვნივ გაჰკრავენ, გააზუზუნებენ ხოლმე და ხანაც მარცხნივ?

ანდრიევსკის იმიტომ დააფასებდა, რომ: იგი არ ეკუთვნოდა ამგვარ ხელქვეითებს...

ხელგაშლილად მცხოვრები ანდრიევსკი იმ დღესაც, აკაკი რომ ეწვეოდა, სახლს სტუმრებით აავსებდა. და ვორონცოვის ქვრივის სახელით რომ გადასცემდნენ ლეღვის ჩირივით ქაღალდში გრძლად გახვეულ რაღაცას, ამას ხელში ემძიმებოდა და... ნახავდა, რომ სულ ბაჯაღლო ოქროები ყოფილიყო.

განითლდებოდა, ჭირის ოფლი დაასხამდა და... სხვებს კი ეგონებოდათ: სიხარულმა აიტაცაო. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ აკაკი მადლობას გადაიხდიდა და საჩუქარს უკანვე დააბრუნებდა.

— სწუნობთ? — შეკრთომით ჰკითხავდა ანდრიევსკის მეუღლე, — საჩუქრის მიუღებლობა ვის გაუგონია? ეს სახსოვრად გამოგიგზავნა კნეინამ.

და ეს პასუხად მოახსენებდა:

— დაწუნება რა ბრძანებაა, სახსოვრად რომ სხვა რამე ებოძებინა, დიდი სიმდაბლითა და მადლობით მივიღებდი, მაგრამ ფული კი სწორედ არ მეხერხება.

სტუმრებიც და მასპინძლებიც გაოცებით დაუწყებდნენ ყურებას. ცხადია უგნურ ბრიყვად ჩააგდებდნენ, მაგრამ თვითონ ანდრიევსკი კი სიცილით ეტყოდა ცოლს:

— ბაბალა, აკი გითხარ, რომ არ მიიღებდა?! — და მიზეზსაც აუხსნიდა, — მაგას ჯერ ისევ საქართველოში ჰგონია თავი და ასე მალე მამა-პაპის წესსა და რიგს ვერ მოიშლის.

მერე მივიდოდა აკაკისთან, ბეჭზე დაადებდა ხელს და ღიმილით დასძენდა:

— ჩემო ახალგაზრდა მეგობარო! ტყუილა ნუ დაგირცხვენია, აქ საწყენი არა არის რა! ჩვენში ეს მიღებულია და ხომ გაგიგონია თქვენებური ანდაზა: რა ქვეყანაშიაც მიხვიდე, იმ ქვეყნის ქუდი დაიხურეო. ისიც მართალია, ვინც გაჩუქა, და შენც მართალი ხარ, რომ არ მიიღე ეს საჩუქარი. ამას მე უკანვე გადავცემ კნეინას, ვუთამბობ ყოველიფერს და ბევრსაც ვაცინებ, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით კი: ერთი წელიწადიც არ გაივლის, რომ შენ სულ სხვა თვალით შეხედავ ცხოვრებას, დღევანდელ შენს შეცდომას იგრძნობ და მაშინ სიტყვა მომეცი, რომ მომწერო და შემატყობინო!..

მართლაც წელიწადი კი არა, ოთხი თვეც არ გაივლიდა, აკაკი გულმტკივნეულოდ რომ მოიგონებდა ამ შემთხვევას და გონებაში იტყოდა: ეს რა გამოუცდელი ვიყავიო?! გულიც კი დაწყდებოდა, მაგრამ... აღარას მისწერდა რას ანდრიევსკის.

სტუმრებში ერთი ვიღაც პუწკია ახალგაზრდაც რომ ერია, რომელიც სულ საულვაშეზე ისვამდა ხელს, ახლა კი მივიდოდა აკაკისთან, გვერდით მიუჯდებოდა და ჰკითხავდა...

გაელიმებოდა აკაკის იმ სურათის გახსენებაზე, თუმც აღარ ჩაჰყვებოდა ერთბაშად წამოშლილ მოგონებას: სხვა დროს აღვიდგენ იმ სურათს, თუკი რაიმეში დავისაჭიროებო.

რაო, რას ამტკიცებდა მიხაილ ვორონცოვი?

საქართველო უმშვენიერესი ფერი და უმტკიცესი ოქროქსოვილიაო, არა?

ოღონდ... ცალკე და დამოუკიდებლად კი არა, უთუოდ და უთუმცაოდ: დიდი რუსეთის ქარგაში, რომლის ფონზეც საქართველოს სავსებით დამსახურებულად ერგებოდა ეპითეტი „პატარა“.

თითქოს ნებაზე მიშვებასაც ახსენებდა, მაგრამ ეს ისეთი ნებამიშვებულობა გახლდათ, რუსეთს რომ უნდა ეწინამძღვრა და ხელი შეეწყო. „გარედანო“ — თითქოს ამასაც ამბობს, მაგრამ მოჩვენებითია ეს სიტყვა იმ უბრალო მიზეზით, რომ საქართველო მის წარმოდგენაშიც რუსეთის ქარგაშია მოქცეული. ქარგაში მოქცეულს კი გარედან კი აღარ უწინამძღვრებ და შეუწყო ხელს, არამედ... მძლავრად ჩაიჭერ, აქედან გაღწევა რომ აღარც ფიქრით იფიქროს და აღარც ოცნებით იოცნებოს.

დიდ პატივს სცემდა მათ წარსულს და მომავალზე იმედოვნებდაო...

ის წარსული საქართველოსი — ვორონცოვის გულმოდგინე მეცადინეობითაც — რუსეთს უნდა შეერწყა და სულაც თავისად გაესაღებინა, თავიანთი ისტორია მითებამდე დაეგრძელებინა, ოთარ ჩხეიძის ზუსტი და მახვილგონივრული შეფასებისა არ იყოს, და მომავალი კი ის უნდა ყოფილიყო ამ ქვეყნისა, გიორგი მუხრან-ბატონი ახდილად რომ გამოთქვამდა, მიხაილ ვორონცოვი კი შეფარვითა და ფარისევლურად მიჰყვებოდა ქართველთა გარუსება-გადაჯიშების გზას.

ანდერძადაც ეს დაეტოვებინა.

აკაკი სულ სხვაგვარად გადმოგვცემდა მის ანდერძს პოემაში, ავტობიოგრაფიულ რომანში კი მისი მთავარმართებლობის ხანას აკი ამ ფორმულაში დაწურავდა: სანამ საქართველოს სახსენებელი არ მოისპობა, მიხაილ ვორონცოვის სახელსაც არავინ დაივიწყებსო.

რას ვიზამთ, აკი ჰომეროსიც ჩათვლემდა ხანდახან!.. ბარემ ჰორაციუსსაც არ ენება ამის აღიარება, მაგრამ რეალობას სად წაუხვალ ადამიანი, როდესაც ერთი პირი ძილი წყალსაც კი ეწევაო ხოლმე.

ამცნობდა იაკობ გოგებაშვილს ამ პოემის დასრულებას და წინდაწინვე იზღვევდა თავს და თავდაღმართში შორს ჩაგორების ხსენებასაც არ ერიდებოდა, თუკი ის არ მოიწონებდა ამ თხზულებას, და საერთოდაც — მისი დაწერის გადაწყვეტილებას.

ჰო მართლა: სტამბოლში ნამორაძეც მოენახულებინა, პატრების მონასტერში რომ მოეკალათებინა.

ახასიათებდა, როგორც თავდადებულს, მაგრამ ცოტა ფრთხილს, და ირონიულადაც გადაჰკრავდა: შიშობს, კუჭი არ მეტკინოსო.

თვითონ აკაკი, როგორც კი საშუალებას ჩაიგდებდა ხელთ, რომში ეპირებოდა წასვლას, საქართველოსაკენ ხომ მაინც ვეღარ გამობრუნდებოდი, ისე იყო ავად, და ეგებ იქ რაიმე სასიკეთო გაკეთებულიყო, ვინ იცის! და აგონდებოდა ანდაზა: ცდა ბედის მონახევრეაო.

იაკობის მოსაზრებანი ძალიან აინტერესებდა ამ ყველაფერზე და სთხოვდა შემატყობინეო, და მისამართსაც უტოვებდა — ალექსი წერეთლის ბინას.

მინაწერში დაურთავდა, რომ: წაეკითხა იაკობის წერილი ანტონ ფურცელაძეზე და უპირველესი შთაბეჭდილება ეს დარჩენოდა: რას იხარჯებოდი? ვინ შენ და ვინ ანტონიო?..

ლეონიდ ოქროპირიძის, მომავალში საქართველოს მეორე კათოლიკოს-პატრიარქისა ავტოკეფალიის აღდგენის შემდგომ, გადაყვანა ამოეკითხა გაზეთში და ერთი მხრივ არც სწყენოდა: ახლა უფრო ადვილად დათანხმდებაო.

მიხეილ თამარაშვილის წერილს რომ მიიღებდა რომიდან, მეორე დღესვე თავის ბარათს აფრენდა იაკობთან: ალბათ სტამბოლიდან მიუწერიათ ჩემი ჩამოსვლაც პარიზში და აქაური მისამართიცო.

დიდი იმედებითაც იწერებოდა და აღტაცებითაც იბარებდა რომში.

ეს ჩასვლის დასტურს მისწერდა, მაგრამ ჯერ ვერ უხერხდებოდა, რადგანაც... საგზალზე ნაკლებად გახლდათ და სტამბოლიდანაც ნიკოლოზი უნდა დაებარებინა, რასაკვირველია თავისი ხარჯით.

ასე რომ, არ იცოდა, როდის მოუხდებოდა წასვლა. მიხეილ თამარაშვილი კი იწერებოდა: ჯერ სიცხეებია და იმ თვის პირველში მოგელითო.

ახლა კი რჩევას ეკითხებოდა იაკობს:

ვენეციაში აპირებდა შეეხვია და იქ ალექსანდრე ზუბალაშვილი მოენახულებინა, მდიდარ ზუბალაშვილთა ბიძა და დიდად შეძლებული, უცოლშვილო კაცი.

ფიქრობდა, რომ იმასთან მოლაპარაკება არ იქნებოდა ურიგო.

თუმც გული არ მიუწევდა მათკენ, მაგრამ იაკობი თუ ურჩევდა, იმ ზუბალაშვილებსაც ნახავდა, ეს უკვე გამოერკვია — შვეიცარიაში იმყოფებოდნენ.

კვლავ იმ ანდაზას მოიშველიებდა: ცდა ბედის მონახევრეაო. მითუმეტეს, რომ აქ საპირადო არა იყო რა.

თუ ურჩევდა მათ ნახვას, მაშ იქნებ მათი ადრესიც იაკობსვე ეშოვნა, ადრესი, რომელსაც ისინი გულმოდგინედ მალავდნენ: ან ნიკო ცხვედაძე დაეხმარებოდა შეტყობაში და ან მისი სიძე.

— სხვას ყოლიფერს თვითონვე მიხვდები.

სიფრთხილით სწერდა და სთხოვდა, იქაც იმას სიფრთხილე გამოეჩინა, თორემ ხომ მოეხსენებოდა, რომ ჩვენი ინტელიგენციის ენას ცენზორი არა ჰყავდა.

ამ წერილს მიტომ ვერ სწერდა პირდაპირ, რომ იაკობის მისამართი არ იცოდა, და წერა-კითხვის საზოგადოების სახელზე მიტომ ვერა გზავნიდა, რომ იმათი ძალიან ეშინოდა!.. ვაითუ არ გადაეცათ, ანდა გაეხსნათ, აკაკისად რომ დაინახავდნენ.

ხოლო აკაკი, ვიდრე რჩევა არ მიუვიდოდა, ფულიც რომ ეშოვნა, არ წავიდოდა.

ძალიან გავხდიო, — ამცნობდა, — ასე რომ, გუშინ ქუჩაში კინაღამ შარვალი და მისი თანაშემწე ჩამვარდა, და არც გასაკვირია, რომ ვერ შეეჩვიე ფრანგულ საჭმელებს... ისე აკეთებენ ყოლიფერს სოუსად, რომ ველარ გამირჩევია: წინილაა თუ ბაყაყი, და ამგვარადო.

ბარათს კი ასე დააბოლოვებდა:

— ეჰ, შენ იყავი კარგად და ბედნიერადა და ჩემზე აღარა ჰღირს ლაპარაკი.

ხოლო მიხეილ თამარაშვილს მისწერდა, რომ: დიდად ესიამოვნებინა მის გამოგზავნილ ბარათს!.. მართლა რომ ძალიან გულით სურდა რომში ჩასვლაც და მიხეილის მონახულებაც, რადგანაც მისი რჩევა აკაკისათვის დიდად საჭირო იქნებოდა, მაგრამ ჯერჯერობით ამ თვეში არ უხერხდებოდა და, როდესაც დააპირებდა, წინასწარ შეატყობინებდა.

სთხოვდა: თქვენი ნაწერები კათოლიკობის შესახებ ფასდადებით გამომიგზავნეთო.

და კიდევ: ეგებ ალექსანდრე ზუბალაშვილის ადრესი შეეტყობინებინა. ის დიდი ხანია გადმოსახლებულიყო იტალიაში, მაგრამ აკაკიმ აღარ იცოდა, ნეაპოლში იმყოფებოდა თუ ვენეციაში.

მომდევნო მოკლე ბარათით აცნობებდა: როგორც კი მივიღე თქვენი წერილი, მაშინვე მოგწერეთ და პასუხი კი არ მიმიღია, არ ვიცი, მიიღეთ თუ არა, თქვენი წერილი როგორც კი მომივა, მაშინვე წამოვალო.

სურვილი სურვილად რჩებოდა — რომში ჩასვლისაც, მიხეილ თამარაშვილის ნახვისაც, იმ არასაპირადო საქმის მოგვარებისაც, ალექსანდრე ზუბალაშვილის მონახულებას რისთვისაც ეშურებოდა და იაკობ გოგებაშვილს მიახვედრებდა და ბოლომდე არც უმხელდა, ვაითუ მისი ბარათი სხვებს ჩაეგდოთ ხელთ და ჩვენს ინტელიგენტთა ახსნილ ენას რა დაეოკებდა.

სიფრთხილე, სიფრთხილე და სიფრთხილეო, ამიტომაც შეაგონებდა თავის თავსაც და იაკობსაც.

არა, მაინც რა საიდუმლო უნდა ყოფილიყო ასეთი?..

ჯერჯერობით უნდა გადაედო ის ვიზიტი, რაკილა კავკასიაში უწევდა დაბრუნება, გარემოებას ასე მოეტანა და 24 ოქტომბერს მიხეილ თამარაშვილს აცნობებდა: ველარ ჩამოვალ სამ თვეზე ადრე, და მაშინ კი პირდაპირ რომში ჩამოვალ უფრო დიდი ხნითო.

მიხეილს ტფილისში თუ მოუწევდა წერილის მიწერა აკაკის დაბრუნებამდე, წერა-კითხვის საზოგადოებაში მიეწერა და გადასცემდნენ.

ველარ ჩამოვალ სამ თვეზე ადრეო...

არადა: ვერც სამ თვეში და ველარც ველარასოდეს.

რამდენი ოცნება დარჩენოდა აღუსრულებელი და... დაე ესეც იმათ მიმატებოდა.

მძიმე კი გახლდათ ეს შეგრძნება, რაც დრო გავიდოდა, სულ უფრო და უფრო რომ მოეჭირებოდა გულზე და ჩასერავდა ხოლმე, თან ზეცასაც მიაჩერდებოდა, მაინც თავგადაწეულსა და ცისაკენ მომზირალს უწევდა სიარული და ბარემ წყალობაც გამოეთხოვა იმ განცდით: საპირჭდო ხომ არა არის რაო!..

საპირადო ანკი სხვა სურვილებსა და ოცნებებში რა ჰქონდა, ბევრი რამ რომ გვერდით რჩებოდა და გულმტკივნეული გაიფიქრებდა: რისთვის დავიბადე, თუ ასე ფუჭად უნდა გამომეველო წუთისოფელიო.

იაკობთან ხანდახან გამოლაპარაკება უკეთებდა ხოლმე გულსა და გუნებას და უბრუნებდა სიმხნევესაც და რწმენასაც.

და აი ახლაც ამას ემადლიერებდა 1910 წელს, გამომცემელთა დათარიღებით, გაგზავნილ ბარათში: შენმა წერილმა და თანმოყოლებულმა წიგნმა გულს გადამყარა მოწოლილი სევდაო!..

გადაიკითხავდა, გადაათვალიერებდა მუშტრის თვალით წიგნს, ანონ-დაწონიდა და შიგ ჭეშმარიტებისა და სიკარგის მეტს ვერას იპოვნიდა რას.

და აღტაცებით დასძენდა, იმ უშურველობით, იაკობის მიმართ რომ ემეტებოდა:

— კურთხეულ იყოს არათუ მარტო შენი შრომა, ყოველი ბიჯის გადადგმაც კი!..

პროსტსკრიპტუმად თუ სააშიოდ იუმორით დასძენდა: „ძვირფასობით“ მინდოდა მომეწერა, მაგრამ ნიკო ნიკოლაძე გამახსენდაო.

და იმ ამბავს მოადევნებდა, ავტობიოგრაფიულ რომანშიც რომ შეიტანდა:

ნიკო საზღვარგარეთ რომ ჩარჩებოდა და ვეღარ დაბრუნდებოდა, და მამას რომ მოსწერდა: ძვირფასოო, — იაკობ ნიკოლაძე კი ამის პასუხად: შვილო, ამდენ ფულებს გიგზავნი, გყიდულობ და ვეღარ მიყიდიხარ, თვალით ვეღარა გხედავ და ძვირფასი შენა ხარ, მე კი არაო!..

ამ თვის 15-ს ბორჯომში აპირებდა გავლას და გადაწყვეტილი ჰქონდა, ბარემ იაკობსაც მოვინახულებო, მაგრამ სახლობა მიჰყავდა ცემში, ვახტანგ ღამბაშიძესთან და ბორჯომში გავლა ვეღარ უხერხდებოდა.

...ამასობაში კი უნდა დამდგარიყო ის მწუხარე დღეც, უკანასკნელად რომ უნდა დაეხედა აწ უკვე იაკობ გოგებაშვილის ნეშტისათვის და გამოთხოვებოდა ორკეცად მგლოვიარე:

იგლოვდა როგორც პირად მეგობარს და უფრო მეტად კიდევ — როგორც საზოგადო მოღვაწეს.

და მიადევნებდა სტოიკური სიმშვიდით:

— ჩვენი მეგობრობის კაეშირი, მაგ შენი სიკვდილით გაწყვეტილი, ხანგრძლივ არ იქნება, ჩემი დღეებიც დათვლილია და მალე დაგეწევი!

გული უგრძნობდა... და კიდეც მალევე დაადგებოდა იაკობის გზას. ჯერჯერობით კი დაე აკაკის ბაგით გაცხადებულიყო, რომ:

იაკობ გოგებაშვილის დაკარგვას, როგორც საზოგადო მოღვაწისას, სამარადისო ხაზი დაესვა გულზე ყოველი შეგნებული ქართველისათვის. და წამოდგომა რომ შეძლებოდა ახლა იაკობს, დაინახავდა თუ რა გრძნობით ყოფილიყო განმსჭვალული მისადმი ამერ-იმერი!.. გულწრფელად იგლოვდნენ დიდები და ჩაბღაოდა საფლავში მოზარდი თაობა, როგორც საერთო მამას.

— ამგვარი სიკვდილი სანატრელია!!.. შენზე აღსრულდა საღმრთო წერილის სიტყვა: სიკვდილი მართალთა განასვენებსო. შენ წარსდგები პირ-ნათლად ჩვენ სახელოვან წინაპართა წინაშე... და ამოუდგები მათ გვერდში, საუკუნო განსვენებით!..

აქ კი იღაღადებდნენ იაკობის ნაშრომნი და დარჩებოდა სამარადისოდ მისგან გატკეპნილი გზა, და ვინც ამ გზას არ გაივლიდა, ის არც ქართველად მოიხსენიებოდა.

და დაე კურთხეულ ყოფილიყო სამარადისოდ ის წმინდა გზა და მასთან ერთად სახსენებელი იაკობ გოგებაშვილისა...

თავი V

ყოფნა თუ არყოფნა?..

რაღაც ისე აეწყობოდა, დავით, უფრო კი დათა, ბაგრატიონს სულ თავის ავადმყოფობის ამბებს შესჩივლებდა.

ჯერ იყო და:

სნეულებას ისე დაერია ხელი, მას ველარც ესტუმრებოდა, მიუხედავად შეპირებისა, და პირდაპირ ცემში გასწევდა ვახტანგ ღამბაშიძესთან, სისხლისაგან იწრიტებოდა და ექიმები ურჩევდნენ ოპერაციას.

— უნდათ თევზივით გამფატრონ და მეშინია.

საზღვარგარეთ რომ წასულიყო, სახსარი არ გააჩნდა, აქ კი — რა გასაკვირია — ეშინოდა.

და ეშინოდა განა სიკვდილის?..

— ჩემთვის პირადად დიდი აღარაფერი გამოსადეგია სიცოცხლე, მაგრამ ჯერ კიდევ შემეძლო ცოტა შრომა და რამეს გაკეთება!..

სევდიან კილოზე ამთავრებდა ბარათს: თუ გადავრჩი, შევხვდებით ერთმანეთსო.

მერე იყო და:

ძალიან ავად იგრძნობდა თავს. ეპირებოდა ვახტანგ ღამბაშიძესთან მისვლას ოპერაციის გასაკეთებლად, მაგრამ გადარჩებოდა თუ ვერა, ეჭვით შეჰყურებდა მოსალოდნელ „თევზივით გამოფატვრას“. ამიტომაც ჯერ დავითთან ჩავიდოდა 9-ში ამ თვისას. საქმეები ძალიან დახლართული დახვედროდა და, რომ დაეწყო გამოწყობა, ავად გამხდარიყო. რას იზამდა — ასეთი გახლდათ ბედი მისი!..

დავითის ბარათი რომ არ მიეღო, გული დაწყვეტოდა.

კიდევ მერე იყო და:

მადლობას გადაუხდიდა მოკითხვისათვის და ამცნობდა, რომ როგორც იქნა გადარჩენოდა სიკვდილს, მაგრამ ძალიან სუსტად გრძნობდა თავს და ეს პირველი წერილი იყო, რომ წერდა ხელის კანკალით. ნიცა წერეთელს ემადლიერებოდა, დავითისა და ტასო მაჩაბლის უფროს დას: ის რომ არ შემსწრებოდა, ძნელი იქნებოდა გადარჩენაო. აგრეთვე ანემპიდისტო მაჩაბლის ცოლიც!.. ერთი სიტყვით, ისე მოუვლიდნენ,რომ სიკვდილს გამოგლეჯდნენ მის თავს.

იმედოვნებდა, თუკი მომჯობინდებოდა, ამ ერთ თვეში უსათუოდ მოინახულებდა.

კიდევ მერე და მერე იყო და:

ძაღლის გუნებაზეაო, რომ იტყოდნენ, სწორედ მას ემართებოდა ასე: გაიტაცებდა მწუხარება და ისეთ ნაღველში ჩავარდებოდა ხოლმე, რომ თავტანისა აღარა გაეგებოდა რა!..

— დღეში ასჯერ ვეკითხები თავს „ყოფნა თუ არყოფნა?“ მეთქი და რომ არ მეშინოდეს ჩვენ ქვეყანაში სიკვდილის, სადაც მკვდრის შეურაცხყოფა და გაკიცხვა იციან ხოლმე სხვა და სხვა სამასხარაო მალაყებითა და უტიფარი ტიტინით, არ ვიცი, რას აუტეხდი ჩემს თავს?

ღმერთს შეაჩერდებოდა წუხილით — ამ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო კიდევ, ვინ იცის, ორ-სამ თვეზე მეტიც, ვიდრე ბანკიდან მისცემდნენ გირაოს. მოდი და გაგეძლო ამდენ ხანს?!.

დავითის ბაგრატიონულად ახირებული (აკაკი ასე ჩამოართმევდა) წერილი ცოტახნობით კი მოუბრუნებდა გულს: გაგხსენებივარო, — სიამოვნებით რომ ესიამოვნებოდა, მაგრამ შველით ისიც ვერ უშველიდა.

ნიცა წერეთელთან ხშირად დადიოდა და იქ ყმაწვილებთან ღლაბუცობით თავს ძალას ატანდა, რომ მწუხარება შეემსუბუქებინა, მაგრამ დიდი არა გამოდიოდა რა!..

აკაკი და... ყმანვილებთან ურთიერთობასაც ვერ გამოეკეთებინა მისთვის გუნება?

მაინც მათ ემადლიერებოდა, მართალია ყოფას შემსუბუქებით ვერ შეუმსუბუქებდნენ, მაგრამ უარესისაგან ხომ მაინც დაიფარავდნენ:

კიდევ კარგი, თორემ ესენიც რომ არ იყვნენ, გავგიჟდებოდი სწორედო.

აღარ იცოდა, სად დამალეოდა ამ ავადმყოფობას... ამ გაუსაძლის სევდას?.. დავითის ნახვისაც ეშინოდა, თავისებურად რომ მოაძახებდა: ნეტავი შენ, დარდი არა გაქვსო! — და ახლა ამგვარი დაცინვა სულ ბოლოს მოუღებდა.

რა ემართებოდა — იუმორიც აღარ ჰყოფნიდა თუ რა?!.

ზეგ ხომ ხუთშაბათი იყო? ჩამოვიდოდა, მაგრამ სად უნდა ჩამომხტარიყო, კი არ იცოდა. სასტუმროებში კრედიტი არა ჰქონდა და... კერძო სახლებში, ნაცნობებში კი... და გულისტკივილით ამოთქვამდა:

— არავის ვუნდებვარ!..

როგორ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილა, ეჭვები რარიგ მორევია, როგორ ჩაუქნევია ხელი ყველასა და ყველაფერზე, ეს სიტყვები რომ დაცდებოდა.

მეტი რაღა ეღონათ — თავზე დაჰკანკალებ-დაჰფარფატებდნენ, ზრუნავდნენ, იქით ეხვეწებოდნენ და ემუდარებოდნენ კიდეც: არა მე მესტუმრე და არა მეო!.. — მაგრამ როდესაც აღარავისა გჯერა და გგონია, რომ ეს განწყობილება ფარისევლობაა და არა წრფელი განცდის გამოხატულება?!.

ბარათის ეს პასაჟები ხომ შეგძრავთ და... თქვენ შემდგომი სტრიქონები უნდა ნახოთ, ვაითუ გულის სიმი ჩაგწყდეთ:

— ზაფხული რომ იყოს, როგორც იქნებოდა ბულვარში, სკამზე გაათევდა კაცი ღამეს, მაგრამ ახლა ზამთარია და გაციების მეშინიან!

გაციების შიში რომ არა, ვინ იცის... ვინ იცის მართლაც ჩასულიყო ქუთაისში და ბულვარში სკამზე გაეთია ღამე.

ამით გამოხატავდა პროტესტს იმ გაუსაძლისი სინამდვილის მიმართ, პირველ პოეტად შერაცხული კაცი აქამდე რომ მიეყვანათ, მათხოვრის ყოფაც ნებით ეტვირთა.

მათხოვრის ყოფაც!..

წარმოდგენაც კი შეგზარავთ:

სკამზე მოკრუნჩხული აკაკი წერეთელი ღია ცის ქვეშ ათევს ღამეს — ერთს, მეორეს, მესამეს... და არაფრისდიდებით არა თანხმდება არავის მიპატიჟებას, რაკიღა არავის სიწრფელისა აღარ სჯერა.

თუმც... გამონაკლისად მაინც წარმოუდგებოდა ლიზა თარხნიშვილი, ის რომ მაინც ყოფილიყო ჩამოსული, იმასთან კი ჩამოხტებოდა და მოიკრუნჩხებოდა როგორმე.

— ის კეთილი გულის არის და შემიბრალებდა!

და ღიმილი გამოერეოდა:

ღმერთი, რჯული, კოლა ფავლენიშვილზე უფრო საშიში არ ვიყოო...

— და არაფერი წაგვიხდებოდა.

კნეინა ტასოს დიდ მადლობას შესწირავდა გახსენებისათვის: თუმც დიდი ბოდიშით, მაგრამ მაინც ორი სიტყვა რომ მოეძღვნა!..

და სთხოვდა დავითს დისშვილების დაკოცნას: ნიკუშა და ელა მაჩაბლებისა.

დღეში ასჯერ რას ეკითხებოდა თავის თავს?

ყოფნა თუ არყოფნაო?..

ჰამლეტური დილემის წინაშე დამდგარიყო და ეგაა.

და კიდევ უფრო გაუსაძლის ყოფაშიც ეგრძნო თავი, ვიდრე დანიელ უფლისწულს, რადგანაც დღეში ასჯერ ჰამლეტიც არ იდგებოდა ყოფნა-არყოფნის წინაშე.

თანაც იმას, უილიამ შექსპირის ერთგვარ ალტერ ეგოს, ის შეაკრთობდა: იქ რა მოელოდა, იმ უცნობსა და საშიშ მხარეს, საიდანაც არცერთი მგზავრი უკან აღარ ბრუნდებოდა, — და ეს დახშული საიდუმლოება ააღებინებდა ხელს ტრაგიკულ განზრახვაზე.

ხოლო აკაკის გულისჭიდილი რატომ არ დასრულდებოდა ხანჯლის ერთი დაკვრით?

მისი დაკრძალვისას მოსალოდნელი ფარისეველური, არაგულწრფელი ქება-დიდება, მისი სიტყვებით: სამასხარაო მალაყები და უტიფარი ტიტინი — შემოაბრუნებდა წუთისოფლისაკენ და ნაადრევად შესაძლო არყოფნას განაშორებდა.

ხშირად ვატრიალებთ გალაკტიონ ტაბიძის ჩანიშვნებს თვითმკვლელობის თაობაზე და არასოდეს მიგვიქცევია ყურადღება აკაკი წერეთლის ცხოვრებაში თავჩენილი ამ განწყობილებისა თუ მისწრაფებისათვის.

რა — მაინცდამაინც თავისი ხელით უნდა მოესწრაფა სიცოცხლე?

გულისჭიდილს რომ შეუპყრია, ეს ვითომ ცოტაა?

ვითომ გულგრილად უნდა გადავატაროთ მზერა ამ განწყობილების გამომხატველ პასაჟებს, რომელთაგან ყველაზე მკვეთრი მაინც ეს ბარათია?

ყმაწვილებთან ურთიერთობა მისთვის სიხალისესა და სიცოცხლის განახლებას თუ ნიშნავდა, ამჯერად ხელმოსაჭიდი თუ ფეხისმოსაკიდებელია იმ ზღვარის წინ, რომლის იქითაც შესაძლოა გონს გადავიდეს, გონსგადასული კაცისათვის კი რაღა უნდა იყოს შემაკავებელი თვითმკვლელობის ამა თუ იმ საშუალების გამოსაძებნად.

ყოფნა თუ არყოფნაო?..

ჰამლეტი ამ სულიერი ჭიდილის გარდა სხვა მხრივაც შეახსენებდა ხოლმე თავს, უკვე გაშინაურებული ქართულ სინამდვილეში, უკვე ქართველ პრინცადაც გარდასახული ივანე მაჩაბლის მთარგმნელობითი ხელოვნების წყალობით, უილიამ შექსპირის ტრაგედიებს ბიბლიის მთარგმნელთა მსგავს მადლს რომ შესძენდა და როგორც მთაწმინდელები ჩამოაყალიბებდნენ ქართული ბიბლიის მადლითა და ძალით ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმებსა და კანონებს, ისე ივანე მაჩაბელი მიიღებდა მონაწილეობას ქართული შექსპირით ახალი ქართული სალიტერატურო ენის დადგინებაში, თავისდაუნებურად ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელსა და იაკობ გოგებაშვილს რომ ამოუდგებოდა გვერდით; თავისდაუნებურად იმიტომ, რომ ასეთი მიზანი და განზრახვა მას არ გააჩნდა და მხოლოდღა იმას ესწრაფოდა, მსოფლიო რანგის დრამატურგისათვის ქართულ ენობრივ სივრცეშიც გაეკვალა გზა, რადგანაც ჩვენს ლიტერატურასაც და ჩვენს თეატრსაც ძალიან და ძალიან ესაჭიროებოდა ის პიესები, ურომლისოდაც დასავლეთის ცივილიზებული სამყარო ვერა ძლებდა და თუ ვინმეზე, შექსპირზეც აფუძნებდნენ თავთავიანთი მწერლობისა და თეატრალური ხელოვნების წინსვლა-გაღრმავებას.

ეს სასიკეთო ზეგავლენა იჩენდა თავს ჩვენშიც.

ივანე მაჩაბლის გარეშე ეს სიმაღლე მიუღწეველი იქნებოდა.

და ივანე მაჩაბელი კი ძალზე ძნელად იპოვნიდა თავს, ძალზე ძნელად მიაკვლევდა შექსპირის გაქართველების გზას, თავიდან ილია ჭავჭავაძე რომ არ ამოსდგომოდა გვერდით და ერთად არ ეძიათ შექსპირის სტილისტიკის შესაფერისი სალექსო საზომი და სტილური კამერტონი ქართულ ენობრივ სივრცეში, ერთადვე არ მიეგნოთ და გამოეჩარხა-გამოეკოპიტებინათ ის, რაც შემდგომ მაჩაბელს ასერიგად უნდა დაეხვეწა და მოქნილი გაეხადა, რაკიღა „მეფე ლირის“ ქართული ორეული ლამის ორჯერ აღემატებოდა ინგლისურ დედანს, მომდევნო თარგმანებში კი — მაჩაბელი აწ უკვე მარტო რომ გაუძღვებოდა — უფრო დაუახლოვდებოდა სტრიქონი სტრიქონს, უფრო ჩაწვებოდნენ ერთიმეორეში ინგლისური ორიგინალი და ქართული შესატყვისები.

ეს შინაგანი მოლოდინიც ექნებოდა განათლებულ საზოგადოებას, როდესაც აღფრთოვანებით შეეგებებოდნენ „მეფე ლირის“ ქართულ ვერსიას, იგრძნობდნენ, რაღაც დიდი და მნიშვნელოვანი რომ უნდა აღსრულებულიყო ამ წამოწყებით.

ერთადერთი — აკაკი გაემიჯნებოდა საყოველთაო განწყობილებასა და შეფასებას.

დაიწუნებდა და ისერიგად დაიწუნებდა, თავის მხრივ ხელსაც კი მოუთავებდა.

და... ეს ის პიროვნება, რომლის გემოვნებაც და ალღოც ერთნაირად გახლდათ საარაკო და უცთომელი.

ამ შემთხვევაში კი...

ილიას გადაჯაჭვოდა ივანე მაჩაბელი, უერთმანეთოდ აღარც გაეძლებოდათ და იმ წარმოსახვით სახელმწიფოში, ილიას რომ დაეფუძნებინა და უპირველეს ხელისუფლადაც

წარმომდგარიყო, ივანე ნელ-ნელა მის თანამმართველად გამოიკვეთებოდა, ვიდრე დადგებოდა ის დრო, როდესაც ილია მართვის სადავეებს სულაც მას გადააბარებდა, თვითონ კი განზე გადგებოდა და მხოლოდღა ხელს შეუწყობდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ბუნებრივ მდინარებას.

ის მეფე გახლდათ?

ეს თანამეფედ იკვეთებოდა.

ის პრეზიდენტად მოიაზრებოდა?

ეს თანაპრეზიდენტის მანტიით იმოსებოდა ხალხის თვალში.

„ივერიაშიც“ ჩაეზიარებოდა ილიას, ბანკის ხელმძღვანელობაშიც, და ეს ფორმალური თანამშრომლობა-ერთიანობა სულიერ პლანში კიდევ უფრო მეტს გულისხმობდა და ქვეყნის წინამძღოლის რანგამდე მაღლდებოდა.

ადვილად რიგდებოდნენ, ადვილად რომელია, როდესაც ილია თვითონვე ამზადებდა თავის შემცვლელად ივანე მაჩაბელს და მოზომილად და მიზანდასახულად უკაფავდა გზას და ამკვიდრებდა საზოგადოებრივ ასპარეზზეც და განსაკუთრებით მაინც იმ წარმოსახვით სახელმწიფოში.

მაგრამ... დიდხანს ეს სოფელი გაახარებდა ვინმეს განა?!. და თაფლში აქ შემოიჭრებოდა თუ შემოიჭრებოდა მწარე ნაღველი და... მტერიც შეგებრალებოდა მისი გამოცანისათვის, ამ ორთა განხეთქილება თანდათან სამოქალაქო ომს რომ გაუიგივდებოდა და ის წარმოსახვითი სახელმწიფოც აგურ-აგურ და თავდადებით ნაშენები, თავზე დაგვემხობოდა.

აკაკი წერეთელი ამ შეუპოვარი, მეტიც — ულმობელი დაპირისპირებისას ივანე მაჩაბლის გვერდით რომ ამჯობინებდა ყოფნას, მათი მიმოწერაც მერე გაიშლებოდა, თორემ მანამდე სავსებით კმარობდნენ პირად შეხვედრებს — შემთხვევიდან შემთხვევამდე და აუცილებლობით გამოწვეულს.

პეტერბურგში მყოფი 1891 წლის მაისში მოსწერდა ივანეს, შეჭირვებას სიხალისით რომ იქარვებდა:

— დიდგულობა სხვებისაც მეჯავრება და დღეს გამოდგა, რომ თვითონ მე ვყოფილვარ გულდიდა.

ექიმებს დაემოწმებინათ და... იმედიც გადაეწყვიტათ მისთვის.

ეს უმტკიცებდათ:

— თუ არაფერი მიჭირს, დიდ მდგმურს სადგურიც დიდი ეჭირება!.. დიდი გრძნობა მაქვს და გულიც დიდია საჭირო, რომ დაატიოს.

მაგრამ არ დაუჯერებდნენ, გინდა თუ არა ბადენ-ბადენში გასწი ახლადახლავეო.

იმ დალოცვილებს რა გაეგებოდათ, რომ ამის მერანს ნალები აყროდა, დაუჭედელიყო და ველარსაც მიჰყავდა.

მასთანაც იმერელის არაკი მოაგონდებოდა:

კუთხეში რომ მიიყვანდნენ საუზმეზე, ანუ უკეთ — საწუწკარზე, და ეტყოდნენ: ჯერ აქ მიირთვით და მერე სუფრაზე მობრძანდითო, და იმას დაუკვირდებოდა. აქნის აქნობამდი რაღა საგზალი მეჭირვებაო.

იმ იმერელისა არ ყოფილიყო, თუ მართლა დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დარჩენოდა, ბადენ-ბადენში გავლა რაღას მიეხმარებოდა... რომ მომკვდარიყო, მაშინაც არ დაუჯერებდნენ ამ... თუმც ჩუდნოვსკიც, ბოტკინის მოადგილე, ამავეს ეტყოდა, რასაც სხვა...

ხუმრობაგაშვებით იყოსო, — დასძენდა, — და თუ მართლა რამე მამივიდეს, აქ კი არ დამაგდოთო...

თორემ მაშინ აღსრულდებოდა მის თავზეც: ვერიდებოდი ღოლოსაო, დამიხვდა ბაღის ბოლოსაო!..

სხვა რას შვებოდა ადრესატი? რა ამბები იყო აქეთ? თუ მოიცლიდა ივანე, მოეწერა, ძალიან მადლს იზამდა. კნეინა ტასო მოეკითხა პატივისცემით. მოკითხვებს სხვებთანაც დააბარებდა, ცოლის და-ძმებთან. ლუარსაბს შეიბრალებდა — მეტად ატკენდა გულს მისი სიკვდილი.

გულს კიდევ ბევრი რამის მიწერა სურდა, მაგრამ ეს გაუთავებელი თავბრუ ნებას რომ არ აძლევდა?..

ეს ბარათიც პეტერბურგიდან გამოიგზავნებოდა იმავე წლის ივნისსა თუ ივლისში, უფრო ნიშანდობლივად კი გაუძნელდებოდათ დათარიღება.

მიუსამძიმრებდა დამარცხებას ძვირფას ძმასა და მეგობარს ვანოს, ილიასთან მძაფრი შეხლა-შემოხლის მერე სათავადაზნაურო ბანკის კრებაზე 1891 წლის 14-19 მაისს მაჩაბელი უარს რომ განაცხადებდა გამგეობის წევრობაზე და ბანკს მიატოვებდა. და აკაკი ახლა ამ დამარცხებას რომ უსამძიმრებდა, იმავდროულად... გამარჯვებასაც ულოცავდა.

კი მაგრამ, ეს როგორ?

როგორ და:

სამწუხარო ის იყო მხოლოდ, რომ უმეტესობა ძალმომრეობას ეთაყვანებოდა და ადვილი შესაძლებელი გახლდათ ბევრი სუსტი მეგობარი ჩამოშორებოდა (მაგალითი, ვგონებ, კიდეც ნახეო, — ჩაურთავდა) და მოულოდნელი ღალატი ატკენდა გულს თუ ატკენდა.

აკაკის კი პირადად ძალიანაც უხაროდა ძმისა და მეგობრის ასეთი თავგადასავალი: უფრო გულდასმით დაუკვირდებოდა, უფრო უკეთ გაარჩევდა ნამდვილსა და მოჩვენებულს, თორემ ეს დალოცვილი აჩქარებით თვითონვე შესვამდა ხოლმე ბედაურზე ზოგიერთებს, მაგალითად, თუნდ „ღირს მეგობარსა და თანამშრომელს“ ანუ ცეტ-ბასილა ხაჩატუროვს, ბანკის მთავარ ბუღალტერს, რომელსაც ძალიან დაახლოვებოდა, თვითონვე გამოეყვანა საჯირითო მოედანზე და ბოლოს უნდოდა, რომ ფეხდაფეხ გამოდგომოდა და გადმოეგდო ცხენიდან უღირსი რაინდი!.. რად გაეჭირვებინა თავისი ნებით საქმე?

მაგრამ ნათქვამი ხომ იყო: წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო.

და აკაკიც მთლად ვერ ამტყუნებდა ვანოს:

ისე ძვირია ჩვენში საზოგადო მოღვაწე, რომ შენ გინდა მატყუარებიც ნამდვილად მიიღოო!..

ახლა კი იმედოვნებდა, რომ ვანო გაფრთხილდებოდა და... აკაკის სხვა რა უჭირდა.

და ამხნევებდა:

მომავალი რომ თქვენი დასისა იქნება, ეჭვიც არ მეპარებაო.

მაგრამ აი „ივერიისათვის“ რომ მიემართა ვანოს, აკაკი ამას ვერ მოუწონებდა:

მტრის ოჯახში მასპინძლობა შეუძლებელია. დარწმუნებული ვარ, რამეს გიხრიკებენ იქო.

რას გულისხმობდა?

„ივერიის“ 1891 წლის 5 ივნისს ნომერში მაჩაბელს გამოექვეყნებინა „წერილი რედაქციის მიმართ“, რომელშიც გულისტკივილს გამოთქვამდა: გაზეთში დაბეჭდილი სათავადაზნაურო ბანკის კრების ანგარიში შეცდომებით არის სავსე და გთხოვთ უცვლელად დაბეჭდოთ ყველაფერი, რასაც კი გამოვუგზავნი გაზეთს ბანკის საქმეებისა და იქ მომხდარი ბაასის შესახებო.

ასეთივე განცხადებით მიმართავდა „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქციასაც, რომლის ფურცლებზეც ივნისის თვეში გამოქვეყნდებოდა კიდეც მისი ვრცელი რეპორტაჟი ბანკის კრებათა შესახებ და დაწვრილებით გაეცნობოდა მკითხველი მის მიერ კრებაზე გამოთქმულ შეხედულებებს.

ამ გაზეთში განცხადების გაგზავნას უფრო მოწონებით შეხვდებოდა: „ობოზრენიეში“ ჰო, კიდევ და კიდევ რა გაეწყობაო.

— თუ მოახერხო, გამოძებნე სანდო პირი, რომ ბოლოს არ გადგეს და გაზეთი ათხოვინე. მე იმედი მაქვს, რომ იქ ნება დამრთონ. დაპირებას არიან ჩემთან. მხოლოდ სანდო კი უნდა იყოს.

აკაკი ძალიან ავად გრძნობდა თავს, ისე, რომ ტკივილები გულს უწუხებდნენ. კარგი ექიმები ადგნენ თავს და აღარ იცოდა, თუ გაუძლებდა ღვთის შეწევნით, შეიძლება ერთი წლის თავზე კვლავ ჩამობრუნებულიყო საქართველოში.

მისიანებთან მოკითხვას აბარებდა ვანოს, კნეინა ტასოს ძმური სიყვარულით ხელკოცნას უცხადებდა... ნატალიასგან სიყვარულითა და პატივისცემით მოკითხვასაც გადასცემდა. ნიცა წერეთლის ამბავი აღარა იცოდა რა — როგორ იყო თავის შვილებიანად.

უგზავნიდა ვასილ ველიჩკოს ლექსს „გორის ციხე“: მეც ვითომ გადავთარგმნეო. ბაბოს ხომ მაინც უყვარდა კითხვა და რამდენიმე წამით თავს შეიქცევდა ამ ლექსით.

ნიკო დიასამიძეს ლავაშები გაეგზავნა აკაკისათვის, მაგრამ კიკო ჩოლოყაშვილის რძის საქმე დამართნოდა.

აქ კვლავ ხაჩატუროვს წაჰკრავდა კბილს, წინწკლებში რომ იგულისხმებდა ღირსეულ მეგობრად: ნიკო მასზე ძალიან გაბრაზებულიყო. მისი ცოლი წამოსულიყო გუშინ აქეთ და აკაკი ვანოს ამცნობდა და ავალებდა: საქმე უნდა გაარჩიონ და უთხარი, ნიკოს სტენოგრაფიული ანგარიში მისი საქმისა მანდ თუ არ დაბეჭდონ, ჩემთან გადმოგზავნოსო.

აკაკი უთუოდ მოახერხებდა და დააბეჭდინებდა პეტერბურგში და მაშინ კი გამოჩნდებოდა ნიკო დიასამიძის ღირსეულობა.

ბევრის მიწერის სურვილი კი ჰქონდა, მაგრამ ეს ოხერი გული რომ არ აძლევდა ნებას გუნებისად წერისა?..

და ამ სიტყვებით გამოეთხოვებოდა: იყავ მშვიდობით და შენებურადო.

იმავე წლის ნოემბერში კვლავ შემოეხმიანებოდა პეტრეს ქალაქიდან თავის საყვარელ ძმას ვანოს.

დიდი ხანია, რაც ამის წერილი არ მისვლოდა და აკაკისაც აღარ გამოეგზავნა. ვანოს ალბათ არ ეცალა, იმას კი სნეულება უშლიდა ხელს. მართალია ერთიხანობა ცოტათი გამოკეთებულიყო, მაგრამ ახლა ისევ შებრუნებოდა ავადობა.

დაღონდა, მაგრამ ვაი ამისთანა ფეხზე დგომას, რომ ყოველ წუთას გულის გახეთქვას ელოდა!..

ურჩევდნენ: ან საზღვარგარეთ გადი და ან კავკასიაში დაბრუნდიო.

პირველისა — საშუალება არ გააჩნდა.

მეორეზე კი გული არ აძლევდა ნებას: იქ მომკვდარიყო, ის ერჩივნა, საქართველოში სიკვდილს, რომ დასაფლავების დროს სამაიმუნოდ არ გამხდარიყო.

ნუ გაიკვირვებდა ვანო აკაკის ამ სურვილსა და ამ გულისწყრომას!..

მართალია სამშობლო ტკბილი გახლდათ, ხალხსაც უყვარდა და პატივს სცემდა, ისე, რომ თვითონ თავი ათისთავისა და ასისთავის ღირსადაც არ მიაჩნდა, მაგრამ რა გამოდიოდა, როდესაც ეს ქვეყანაც და ეს ხალხიც იმ გაიძვერების ხელთ იყო, რომელთაც ინტელიგენტ-მეთაურებს ეძახდნენ და მათ ნებაზე დადიოდნენ. და ამ ფარისეველ-მეთაურთა მცნებაც, ორივემ ხომ იცოდა, რაც იყო სინამდვილეში:

სიცოცხლეში გდევნიდნენ, მახეს გიგებდნენ, სიკვდილამდე მიგიყვანდნენ, გატირებდნენ, და რომ მოკვდებოდი, მაშინ ზარს იტყოდნენ თავიანთი თავის გამოსაჩენად, იმერელი მოზარეებივით!..

ეძნელებოდა ამის თქმა, მაგრამ რა ეღონა, რომ გულს ვეღარ დაეტია ამდენი ნაღველი და ვანოსათვის რაღა დაეფარა?

როდესაც აქ ეგდო — სწორედ ამ სიტყვას მოიხმობდა: ვეგდეო, და არა: ვიმყოფებოდიო, — გაჭირვებული — ექიმისა და წამლის სასყიდელი არ მოეპოვებოდა, რად უნდოდა მაშინ აქაური პარაკლისები და დამცინავი სიტყვები: ჩვენი საყვარელი აკაკიო, და ამისთანები. უცნობი რუსები, რომელთაც მხოლოდ სახელი გაეგონათ მისი, მოინახულებდნენ და ანუგეშებდნენ... საქართველოდან ჩამოსულები კი მის ამბავსაც არ იკითხავდნენ...

მხოლოდ გარედან ცდილობდნენ ამბის შეტყობას იმ მიზნით: როდის მოკვდება? რაღას აგვიანებს, რომ ბარემ გაზეთში გამოვაცხადოთ და ჩვენი ფარისეველ-მაიმუნობა ქვეყანას ჩვენივე სასარგებლოდ დავანახოთო.

იმ გაჭირვების დროს ქუთაისის ბანკის გამგეობას, ინტელიგენციისაგან შედგენილს, გაუგზავნიდა თხოვნას, რომ კრებისათვის გადაეცათ და ერთი წლის პენსია წინდაწინ მიეცათ მისთვის და გაჭირვებაში ხელი მოემართათ. ზედაც კერძო წერილებს დაურთავდნენ აკაკიც და დავით მიქელაძეც წევრებთან, რათა თხოვნა კიდევ უფრო გაემყარებინათ, და ისინი კი — თხოვნის შესრულების ნაცვლად — განჩინებას დაადგენდნენ:

ფული აღარ არის და პენსია მოუსპეთ აკაკის, რადგანაც მაინც აღარას აკეთებსო.

და მთელ ქართველ ხალხს საცინლად ააგდებინებდნენ რუსულ გაზეთებს — იმათ ამისთანა საკბილო მიეცემოდათ და ხელიდან როგორ გაუშვებდნენ!..

როდესაც კრება არ მოუსმენდა გამგეობას და მაინც გადაუწყვეტდნენ წინდაწინ პენსიის გაგზავნას, ახლაც კიდევ იგივე გამგეობა უარს განუცხადებდა...

რასაკვირველია აკაკი აპირებდა მომავალ მაისს მადლობა შეეწირა და უარი განეცხადებინა მაგ ვითომ პენსიაზე...

ეჰ, რომელი ერთი მოეთვალა!..

ღმერთმა ხელი მოუმართოთო! — მწარე ღიმილით დასძენდა, — არც მაგათი დაცინება მინდა და არც მაგათი შემწეობაო.

მაგათი ღვთის წყალობაც ღვთის რისხვად მიაჩნდა... და მაგათი ქებაც — ლანძღვად!!!.. — სწორედ ასე, სამი ძახილის ნიშნით შეამკობდა ამ ფრაზას.

სხვა რაღა მოეწერა — ეგება ვანოს კიდეც შეტყობილი ჰქონოდა, რომ აკაკის ზოგიერთი თხზულება რუსულად თარგმნილიყო, მათ შორის — „თამარ ცბიერი“ და „პატარა კახი“. ეს ორი ხომ მაინც მოწონებულიყო. განსაკუთრებით „პატარა კახი“ მოსწონდათ ძალიან და მალეც დაიბეჭდებოდა, თუმც პროზად ეთარგმნათ...

და ისე მწარედ გადაჰკრავდა ილიას:

საკვირველია, რომ „ივერიის“ დევგმირის გოშიების ყეფამ და წუწკუნმა არ თუ ვერ გასჭრაო?!. ალბათ ნასუფრალი მეტი მოსვლოდათ, მუცელი სტკენოდათ და იმას აეწუწკუნებინა ეს გოშიები.

თუ სნეულება ხელს არ შეუშლიდა, აღარც მატერიალურად უჭირდა რა: იანვრიდან თანამშრომლად მიეწვია ზოგიერთი იქაურ დიდ გაზეთ-ჟურნალებს.

აბა ვანოს იაკობ გოგებაშვილისათვის ეკითხა: მისცემდა თუ არა ნებას აკაკის, თარგმნილიყო მისი „იავნანამ რა ჰქმნა?!“ რომელიც იქ ალექსი ოსტროგორსკისაც ძალიან მოსწონდა, მწერალსა და პედაგოგ-ლიბერალს.

პატიებას სთხოვდა, გრძელი წერილით რომ შეეწუხებინა, და დაავალებდა: ჩვენები მომიკითხე და შენს სახლობას უგულითადესი პატივისცემა გადაეციო.

12 დეკემბერს, კვლავაც იმ წლისა, საყვარელ ძმასა და ძვირფას მეგობარს დაუბეჯითებდა: ვიცი, რომ პირადად ბედნიერი ხარ, მაგისთანა ოჯახობა და ნათესავები გახვევია გარსო!.. ამას გარდაც, ვინც კი რიგიანი იცნობდა ვანოს, ყველა მისი მეგობარი გახლდათ და ურიგოებს კი თვალში ეჩხირებოდა და მისგან გარბოდნენ!.. და ამას მიულოცავდა: ესეც უკეთესი ღვთის წყალობაო!..

ადგილიც თავისუფალი ეჭირა, მაგრამ გული კი მაინც არ ექნებოდა გამძღარი.

— შენისთანა კაცები განა კერძოობით კმაყოფილდებიან?

ყაზაზ-ბოლოზებში ტრიალი კერძო საქმე იყო და საზოგადოც რომ ყოფილიყო, მაშინაც ისეთი წვრილმანი გახლდათ, ნაცარქექიებს რომ ეკადრებოდათ და არა ვანოს.

მაჩაბელი გაეგონა: სარდალი, მოურავი, მსაჯული და არა... ქვრივ-ობლების „ზედამხედველი“.

ეს იმის პასუხად, 1 დეკემბრის ბარათში ივანე რომ სწერდა: შეიტყობდი, თუ აქაურ გაზეთებს თვალყურს ადევნებ, რომ მე ქალაქში ამომირჩიეს ობოლთა სასამართლოს მდივნადო.

ეგ ძველად ჭყონდიდელთა საქმე იყო — ან ძალიან სულის კაცი უნდოდა, რომ ობლებისათვის ეზრუნა, და ან ძალიან ხორცის, რომ ამავ დროს ქვრივებშიც ეტრიალა, და ივანეს კი არცერთი ეს უკიდურესობა არა სჭირდა.

და დაამუნათებდა, რათა შეენჯღრია და სასოწარკვეთილებიდან გამოეხსნა:

ამისთანა დროს, როდესაც უმეცრებს სულის სიღარიბესთან გადაკრიმანჭულებული (რა მოხდენილად მიგნებული და აკაკისებურად დატრიალებული გამოთქმაა ეს „გადაკრიმანჭულებული“) ინტელიგენციის სახელით გამოდიოდა მოედანზე, მეთაურობდა და ვნება მოჰქონდა საქვეყნოდ, მაჩაბლისთანა კაცები განა ღობის გადაღმა უნდა ყოფილიყნენ დარჩენილნი და გულხელდაჭდობილთ ემზირათ გარედან?

ვანოს ხნისა რომ ყოფილიყო, ან ტანმრთელი, განა აკაკი იმათ განზე გაუდგებოდა?

სხვას თუ ვეღარას მოახერხებდა, იმდენს კი შეჰყეფდა, ვიდრე ხმა ჩაუწყდებოდა, მაგრამ იმათაც კი გულ-ღვიძლს გაუსიებდა და ცხვირიდან ნაღველს ადენდა...

თუ ქადილია, ქადილი ყოფილიყო, მითუმეტეს, არას აჭარბებდა:

იყო დრო, რომ სწორედ მაგისთანა გზას ვადექი და ქვეყნის მგლებს ვაფრთხობდიო.

ოღონდაც!..

მაგრამ... დღეს?

დღეს კი აღარც ცოცხლებში ერია და აღარც მკვდრებში!..

სასო წარკვეთია და ეგაა!..

არაფერს აკარებდნენ — არც პურს, არც ღვინოს, არც რამეს, გარდა რძისა და მშრალი ხორცისა.

პირველს გაებავშვებინა (ნეტა მეტი რაღა გაბავშვება უნდოდა!), მეორეს კი... გაემხეცებინა, და ისე შესძულებოდა თავი, რომ სარკეც კი გაეტანინებინა თავისი ოთახიდან.

გულწრფელად რომ ეთქვა — დროებით კი ჩამოვიდოდა... იმდენად ენატრებოდა ზოგიერთის ნახვა, რამდენადაც ეზიზღებოდა უმეტესობის დანახვა, მაგრამ... რა პირით უნდა სჩვენებოდა თავის მოყვარულთ და პატივისმცემელთ, რომ...

— ის ვეღარა ვარ, რაც ვიყავ...

ეჰ, მისი „ზეესური" გათავებულიყო და ამ ლექსით დაბოლოებული:

გული წყლული, სული კრული,
სახე მჭკნარი, თმა-ჭაღარა...
ამისთანა სიცოცხლე კი
გინდ იყოს და გინდა არა...

მახლას!!

დაე ვანო ყოფილიყო მშვიდობით და თავისი ოჯახობა ერთობით სიმდაბლითა და სიყვარულით მოეკითხა.

პატარა მაჩაბელს რად დაეგვიანა? გიორგი ბაგრატიონისათვის შუამავლობა მიეცათ თუ არა? დავით ბაგრატიონი სოფლად იმყოფებოდა თუ ტფილისში? ამ ზამთარს ხომ არავინ ჩავარდნილიყო წყალში? თუ ვინმეს, ბაბო ბაგრატიონს კი ეცოდინებოდა.

20 დეკემბერს ივანე მაჩაბლის საპასუხო ბარათი რომ დაინერებოდა, იქ ეს სტრიქონებიც აღიბეჭდებოდა:

— მეკითხები, რად დაიგვიანა პატარა მაჩაბელმაო, როდესაც ის დიდი ხანია აქვე ჩემ გვერდით გასჭყვირის და გაჰკივის. ტასოს ვაჟი ეყოლა 6 დეკემბერს.

ამ პასაჟის ამოკითხვა აკაკის თან გაახარებდა — ახალი სიცოცხლის მოვლინება, და თან... რაღაც უცნაური განცდა დაუვლიდა მთელს სხეულში და დაარეტიანებდა, და თითქოს თვალდათვალ შევყურებდეთ ამ გულისჭიდილში გახვეულს, საამისოდ კი არავითარი დოკუმენტური დადასტურება არ გვესაჭიროება — დღიურსა თუ ეპისტოლეში გამკრთალი. ის კი არა, დოკუმენტური ჩვენება რაღაცით კიდეც გააფერმკრთალებდა ამ მღელვარე, სულისა და გულის შემძვრელ განცდასა და განწყობას... და დაჩივლებასა თუ სულაც გმობას წუთისოფლისა: ამისთანა სიცოცხლე კი გინდ იყოს და გინდა არაო...

გული წყლულიყო...

კრულიყო სული...

ბარათთა ამ სერიაში სულ პეტრეს ქალაქი ხომ არ იტრიალებდა, საჩხერეც უნდა შემოსულიყო, ის ეპისტოლე გამომცემელთა ვარაუდით 1893 წლის აგვისტოთი რომ დათარიღდებოდა და... თავიდანვე წონასწორობადაკარგული აკაკი შერჩებოდა ხელთ ვანოს: რაიც იმერეთში გადმოვედი, მასუკან ისეთ გუნებაზე ვარ, რომ... მტრისასო!..

და თურმე უარესიც უნდა დამართნოდა.

უარესი განა რაღა შეიძლება ყოფილიყო?

რა და:

დღეს სულ გამოსულიყო მოთმინებიდან, ოთახიდან ოთახში გარბი-გამორბოდა გიჟივით და თავის ჩვეულებისამებრ რუსულად ილანძღებოდა. „კვალი" აღარ მისდიოდა, სწორედ იმ დღეს ენათხოვრა სხვისაგან და გადაეკითხა და... ის შთაბეჭდილება დარჩენოდა, რომ ზოგიერთი სიგლახე ადამიანისა მხოლოდ სიგიჟით თუ აიხსნებოდა!..

— რა ფულებზე ამბობენ? იმ ფულებზე ხომ არა, რომელიც შენ, ანდაზის წინააღმდეგ, უკულმა კისერზე ვალათ დაგაწვა? და ან რას ნიშნავს კასის გატეხა და „აქშის" შეძახება კაჭკაჭთან? მაგრას ეს საწყენი კი არ არის, სასაცილოა, როგორც გიჟური რამ როშვა!.. ვიცი, მაგრამ მაინც თავი ვერ შემიმაგრებია და გული მომდის.

გამომცემლები განმარტავდნენ ამ პასაჟს და მიზეზს აკაკის ასეთი აღშფოთებისა, „კვალის" 1893 წლის 33-ე ნომერში დაბეჭდილ მასალებს რომ მოიშველიებდნენ, ერთი მხრივ ალექსანდრე ჭყონიას ცნობას:

სერგეი მესხის დროს „დროებამ" რუსთაველის ძეგლის ასაგებად ორას თუმნამდე ფული შეაგროვა და ეს თანხა, გაზეთთან ერთად, ივანე მაჩაბლის ხელში უნდა გადასულიყოო.

და მეორე მხრივ ფელეტონს ლექსად, მაჩაბლის შეურაცხმყოფელს:

კაჭკაჭს უწოდებდნენ და „კვალის" სალაროს დაპატრონებას აბრალებდნენ.

ამითლა მოიოხებდა გულს აკაკი: გიჟური რამ როშვაო!..

ისე ვანოს მაინცდამაინც ნუ გაუკვირდებოდა ასეთი გამოლაშქრება, ასეთი დამდაბლება მეტოქეებისა, რადგანაც აგერ აკაკის როგორ მოქცეოდნენ.

შენიშვნა რომ გაეგზავნა გაზეთში, განეზრახა განცხადებად, ფულსაც რომ გადაიხდიდა გამოქვეყნებისათვის. რედაქციაში კი აელოთ და სათაური გამოეცვალათ და „განცხადების" მაგიერ შეერჩიათ „მოგონება". აკაკის ვარაუდით, ეს იმიტომ ჩაედინათ, რათა მკითხველი მოეტყუებინათ: ვითომდა ამ სათაურით ადრეც წერდა აკაკი და ახლაც ისევ აგრძელებს თანამშრომლობასო!

— ამ უზუიტობამ მაინც ისე ამაღელვა, რომ აღარ ვიცოდი რა მექნა...

ამ პასაჟის განსამარტავად კი მოხმობილია ბარათი, რომელსაც აკაკი მიიღებდა შავი ქვის ერთ-ერთი მწარმოებლისაგან:

— გუშინ ჩამომივიდა მარგანეცში აღებული 50 მანეთი, რადგან მარგანეცის საქმე ჩვენში თავდაპირველ შენგან არის აღძრული, ამიტომ და მრავალ სხვადასხვა უფრო გულითადის მიზეზების გამო, დამიდევს შენს საკურთხეველზე ნათაური შემოსაელისა, როგორც ძველად იჰელოვას სწირავდნენ ყოველს პირველს ნაშობს, პირველ ნამკალს და პირველ ნაკრეფს. აკურთხე და შეინირე მცირე ძღვენი პირველი შენაწირი, წრფელის გულით და სიყვარულით შენის ერთგულის დავით ბაქრაძისაგან.

„განცხადებას" რომ გადაუგზავნიდა გიორგი წერეთელს, ამ წერილსაც მიადევნებდა:

ფულს ცალკე მიიღებ, 25 მანეთია. ეს განცხადება დაბეჭდე. მანდაური ამბები მომწერე! წერილი პირდაპირ საჩხერეს გამოგზავნე. „მედიას" ეწერ და მეორე ნაწილს შევუდექი, ავად კი ვარო.

მიუხედავად სიმოკლისა, თვალსაჩინოა, ბარათს ახლობელ ადამიანს რომ უგზავნის და არა მარტოდენ რედაქტორს, რომელიც ამ შემთხვევაში ანგარიშს არ გაუწევდა აკაკისაგან მოსალოდნელ გულისწყრომას და განცხადების სახელწოდების შეცვლით — „მოგონება მარგანეცის გამო"— პუბლიკაციას მიზანდასახულებას გამოუცვლიდა.

ხომ თითქოს უწყინარი ჩარევაა, „განცხადების" მაგივრად „მოგონება" — თანაც: მარგანეცის გამოო — უშუალოდ რა თემასაც ეხებოდა, მაგრამ ავტორის გარეშე ეს არ უნდა მომხდარიყო, რადგანაც პოეტს სულ სხვა რამ ამოქმედებდა და დაე ის მიზანი არ გაბუნდოვანებულიყო მკითხველის თვალში. არადა განცხადებასაც ისე რომ დაწერდა, პუბლიცისტური სტატია იყო, მემუარული ჩანაწერი თუ ნოველა, ვერ გაარჩევდი, ეს მის მწერლურ ხელოვნებაზე ეკიდა და უხეშად არ უნდა ჩარეულიყავი ჟანრის განსაზღვრება-დაზუსტებაში.

აგერ რარიგ განაწყენებულა და აღელვებულა: იეზუიტობაო, აღარ ვიცოდი, რა მექნაო...

ჯერ ისედაც უნდა მოერიდო აკაკის ტექსტში ჩარევასაც და სახელწოდების ხელყოფასაც, რაკიღა ის ყოველ სიტყვას, ყოველ ნიუანსს თავის მნიშვნელობას ანიჭებს და კრიალოსანივით აგებს, და მითუმეტეს, როდესაც მის მეგობარ-ახლობელთა წრეს ეკუთვნი და მოგეხსენება მისი გადამეტებული ეჭვიანი ბუნებაც, მის თვალში ბევრი რამ ისედაც რომ ზვიადდება, მოერიდე ნაწერსაც და მის უკან მდგომ შემოქმედსაც და დაუტოვე ყველაფერი ისე, თვითონ როგორც სწადია.

თანაც ის კაცი, რომელიც სულ ფულის გასაჭირშია და თითოეული მანეთის შოვნა მონაპოვრად მიაჩნია, 25 მანეთს იმეტებს პუბლიკაციისათვის.

და ეს ყოველივე იმიტომ, რომ ამ სტატია-მოგონება-ნოველას ერქვას სწორედაც „განცხადება“ და არა სხვა რამ.

მოგონებას მარგანეცის თაობაზე სხვა დროსაც დაწერდა, ოღონდ მაშინ ამ მიზანდასახულებით, და სათაურს როგორმე თვითონაც შეურჩევდა.

წვრილმანია ვითომ?

რა წვრილმანიცაა, აგერ ეს ბარათიც გვიდასტურებს, ვანო მაჩაბელთან გამხელილი გულისწყრომა.

და როდესაც აკაკი ასერიგად აღელვებულიყო, სწორედ იმ დროს მიეტანათ მისთვის ერთად ივანე მაჩაბლის ორი წიგნი!.. და ეს მაშინ, თვითონ რომ აპირებდა კაცის გაგზავნას ვანოსთან ან გიორგი ბაგრატიონთან.

კარგია, არაფერიაო, — თავს ინუგეშებდა და... ნიშნსაც მოუგებდა „კვალსაც“ და მის რედაქტორსაც, — ვნახოთ, როგორ იფარფაშებს მომავალ წელს ხელისმომწერლებითო.

ახლა რაც შეეხებოდა საქმეს:

რადგანაც ვანოსათვის „აქში“ ეთქვათ, როგორც კაჭკაჭისათვის, და აკაკი თუმც არ დაეთხოვათ, მაგრამ... ვირად კი მიეწეიათ მუქთად სახედნელად, აკაკის თავის მხრივ იმათთან საერთო აღარა ექნებოდა რა და... ვირობას ვერ იკისრებდა!..

როგორ განაწყენებულა, როგორც ჩაწყვეტია გული!..

მწერალი რომ გქვია, ამხელა ფსიქოლოგი კი უნდა იყო, ამდენი განჭვრიტო, და კეთილი გულით — ეჭვიც ნურავის შეეპარება, რომ გიორგი წერეთელი არავითარ ხრიკს არ უმზადებდა სახელოვან მოგვარეს — წონასწორობა არ უნდა დააკარგვინო და ეს სიტყვები არ აძახებინო თავის თავზე, შეფარული თვითყვედრება, აქამდე „კვალი“ მეგობრად და თანამდგომად რომ ეგულებოდა და ვერ ხვდებოდა, თუ რა იყო მათგან მოსალოდნელი!..

რაც შეეხებოდა მის შრომას, აკაკი იმედოვნებდა, რომ ისე მაინც დაფასდებოდა, როგორც თვითონ გიორგი წერეთლის შრომა, მითუფრო, რომ ის...

ტექსტის დაზიანების გამო აქ ერთი სიტყვა არ ამოიკითხებოდა, თუმც დიდად აუცილებელი შესაძლოა არც იყოს მისი ამოკითხვა, ისედაც შეიძლება ივარაუდოს მკითხველმა.

ბარგი აეკრა აკაკისთვისაც და ვანოსთვისაც?

აკაკი წარსულისათვის სრულ სასყიდელს ითხოვდა და ეიმედებოდა კიდეც, რომ არ დაეკარგებოდა!..

ვანო ეგებ სულგრძელი გახლდათ და არ სურდა სასყიდელი, მაგრამ აკაკი ამ სულგრძელობაზე ხელს იღებდა და თავისას თხოულობდა, მითუფრო, რომ ძალიან ესაჭიროებოდა!..

ეჰ, სხვა რაღა მიეწერა — ქვეყანა სულ ასე უკუღმა ტრიალებდა, მაგრამ ღმერთის მონყალების იმედი არ უნდა დაეკარგათ და გამოჩნდებოდა საბოლოოდ რა იქნებოდა.

— თქვენები მომიკითხე ერთობით ყველა.

„კნეინა ტასოსაც“ ამ ერთობითში იგულისხმებდა.

1896 წლის 1 იანვარს ხარკოვიდან ბარათს რომ გამოუგზავნიდა, რითი დაიწყებდა, თუ არა ერთობითი დღესასწაულების მილოცვით. პატარა ლიტას მოიკითხავდა, ნიცა წერეთლის გოგონას, იმ წელს რომ ვეღარ გაატანდა, არადა აკაკი იმედს ებღაუჭებოდა: ხომ უკეთ არისო?..

თვითონ კარგად გრძნობდა თავს, კარგ ყოფაშიც:

— მაგრამ რათ გინდა?

თურმე სამშობლოს სიმწარე უფრო ადვილი ასატანი ყოფილიყო მისთვის, ვიდრე იქაური სიტკბო!..

მშვენიერ ოპერაში როდესაც იმყოფებოდა, ნიკუშასა და ელას ჭუჭყუნი აგონდებოდა და... ეს ჭუჭყუნი ერჩივნა საოპერო სპექტაკლს!..

როდესაც აქ ტკბილსა და ალერსიან სიტყვებს ეუბნებოდნენ, მაშინაც თავისი ნათლიდედის — ნიცა წერეთელს იგულისხმებდა — შემოტევები და „პროტივნი“ აგონდებოდა!! და არც შეადრიდა ერთიმეორეს ნოსტალგიაში ჩაძირული.

ამ დღეებში აქ წარმოედგინათ „ბანკირის კანტორა". პიესის ერთ სცენაში ფულს აშრობდნენ და ამას სიცილი აუტყდებოდა: ნიცაც მოაგონდებოდა და ბეჟან-არჩილიც, რომელთაგანაც ბეჟან წერეთელი, აკაკის ნათესავი, ნიცას ქმარი იყო, არჩილს კი ცოლი არა ჰყავდა და მთელ სიცოცხლეს ძმის ოჯახში გაატარებდა.

ნატვრით კი ინატრებდა: ნეტა გიორგი აქ იყოსო!.. — და ბაგრატიონს იგულისხმებდა. ისე ვანოს წრე რას იქმოდა? მოკითხვა გადაეცა ყველასათვის. კოლა ფავლენიშვილი რას აპირებდა? მიშო მაჩაბელი ისევ „დიკად" გახლდათ თუ მოთვინიერებულიყო?..

გულახდილად მოსწერდა:

ერთი მხრივ სიხარულს ვერ იოკებდა, აქაურობას რომ მოშორებოდა, და მეორე მხრივ მაინც გული წყდებოდა.

ამჯერადაც აკაკისათვის სავსებით ბუნებრივი შინაგანი ჭიდილის შემსწრენი ვხდებით.

თავისი საქმეებისა ჯერ არა იცოდა რა, რადგანაც გარეთ გამოსვლა უძნელდებოდა სიცივეების გამოისობით.

თავისი ცოლ-შვილის დანაბარებ მოკითხვასაც გადასცემდა ვანოს: ყველა ერთად დღეგასნაულს გილოცავთო. უხარია, რარიგ უხარია, საშუალება რომ მისცემია, ნატალიასა და ალექსისთან ერთად მოიკითხოს ახლობელი პიროვნება, რომელსაც გრძელი წერილით აღარ შეაწუხებდა: ვიცი, ბევრი საქმე გაქვსო.

ხოლო ამ ბარათს უკვე საჩხერიდან გამოუგზავნიდა, მოწყენილი რომ იჯდა, რადგანაც ზამთარს დიდი თოვლი მოეტანა. თვითონ ვერავისა ხედავდა, ქვეყნიერებისა არა იცოდა რა, მაგრამ ეს ვითარება ისე არ აწუხებდა, როგორც ვანოს ამბების უცოდინარობა!..

ბანკში რა ხდებოდა?

შექსპირს მორჩენილიყო?

თავები ასამდე ვერ შეესრულებინა?

ბაბო წერეთელი როგორ გრძნობდა თავს და... კნეინა ტასო როგორ ბრძანდებოდა?

და უეცრად გახალისდებოდა: ნიკუშასა და დათას ხომ ჯერ ჩხუბი არ მოსვლიათ მემკვიდრეობაზეო? ანუ — ვანოს პაწია ვაჟსა და ცოლისძმას.

გიორგი ბაგრატიონს ფეხი როგორ ჰქონდა და ელა როგორღა იყო?

ნიცა და ბეჟანი ერთხელ ენახა და ძალიან წუხდნენ ვანოსაგან უწიგნობას, ანუ: ბარათის მიუწერლობას.

ამ ათ დღეში აკაკიც აპირებდა იქიდან გამომგზავრებას, მაგრამ აღარ ესიამოვნებოდა კი ქალაქში ჩამოსვლა.

— მე ვერ წარმომიდგენია უთქვენოთ ჩემი ქალაქში ყოფნა.

ტასოს ხელზე აკოცებდა, ბაბოს — თავზე, თორემ — და ჩვეულ ღიმილს გამოურევდა — მაგის გათხოვებასა და ხელზე კოცნას თუ დაელოდებოდა, დარჩებოდა მშრალზე და ეგ იქნებოდა. ლიზა თარხნიშვილი თუ იქ იმყოფებოდა, იმას კი პირდაპირ უბოდიშოდ აკოცებდა, თუნდა პაპამისს ეკოცნა.

— ყველანი მომიკითხე.

და ამ ბარათსაც ისევე წააწერდა, როგორც სჩვეოდა: შენი მარადო.

მაგრამ... სადღა იქნებოდა ეს „მარად"...

თითქოსდა არა ემუქრებოდა რა მათ გულითად და მეგობრულ მიმოწერასა და შეხვედრებს, რომელიც უნდა გაგრძელებულიყო და გაგრძელებულიყო, ვიდრე აკაკი განეშორებოდა წუთისოფელს, და ვის, თუ არა ივანე მაჩაბელს უნდა ეზრუნა მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობასა და სახელის უკვდავებაზე, თვითონაც წაეშველებინა ხელი — და სხვებზე მეტადაც — ამ ისედაც ბუნებრივი პროცესისათვის, აკაკი წერეთელი გარდაცვალების შემდგომაც არანაკლებ რომ დასჭირდებოდა ქართველობას, ვიდრე სიცოცხლისას ედგა ქომაგად და მფარველად, გზის გამკვალავად და წინასწარმეტყველად...

მაგრამ წუთისოფელი თავისას განსჯიდა და თავის ნებაზე დაატრიალებდა მოვლენებს, და აკაკის კიდევ კარგა ხანს უნდა ეცქირა მზისათვის, რომელიც მაჩაბელს ასე ნაადრევად ჩაუქრებოდა... და ასე უცნაურად და უჩვეულოდ, თითქოს რეალური პიროვნება კი არა ყო-

ფილიყოს, არამედ მითოსური თუ ბიბლიური გმირი, გაუჩინარება თავისებურ გვირგვინად და შარავანდად რომ უნდა დადგომოდა მის ხანმოკლე, მაგრამ დიდი ვნებათაღელვითა და მიღწევებით აღსავსე არსებობას ამა ქვეყნად.

უნდა დამდგარიყო ის საბედისწერო განთიადიც!..

და აკაკი გახვეულიყო იმ უცნაურობისა და აუხსნელობის შუაგულში — ვისთვის რო-გორც პერსონაჟი, ვისთვის — სულაც როგორც ავტორი თუ შემოქმედი...

უილიამ შექსპირისა მთელი ცხოვრება შემოიგარსებოდა საიდუმლოებით.

ივანე მაჩაბლისა — ცხოვრების ნაადრევი მიმწუხრი, წესითა და კანონით შუადღე რომ უნდა რქმეოდა.

შექსპირისაგან გადმოსდებოდა მის მეგზურს ქართულ სივრცეში საიდუმლოებით შე-მოგარსვის აუცილებლობა?

სხვებს რატომ არ გადასდებოდათ — მის ასევე წარმატებულ მეგზურთ სხვა ენობრივ სამყაროში, ერთს მაინც იმათგან, მაინცდამაინც ივანე მაჩაბელი რომ უნდა გამორჩეული-ყო და... იდუმალების ტვირთიც ეტვირთა?!.

ასე კი მოხდებოდა და...

თავი VI

აკაკი დილის ხალათში

აკაკის გარეგნული პორტრეტის აღდგენა-წარმოსახვას რომ შეეცდებოდა ილია ზურაბიშვილი, ამასაც ილია ჭავჭავაძესთან შეპირისპირებით შეასხამდა ხორცს — უშუალოდაც ახსენებდა, მაგრამ რომც არ ეხსენებინა, ნებით თუ უნებლიეთ მაინც მასთან შედარება უბიძგებდა აკაკის ხორციელი პორტრეტის გამოსაკვეთად.

დიდ ჯარად თავმოყრილ საზოგადოებაში ილიას პოვნა თუ არც აგრერიგად ადვილი იყო: დიახ, სწორედ ილიას მოხსენიებით იწყებოდა... აკაკის გარეგნული პორტრეტის შტრიხების წარმოჩენაც და ზოგიერთი ფსიქოლოგიური რეალიისაც, უშუალოდ რომ შერწყმოდა მის გარეგნობას.

და ილიას პოვნა ადვილი რომ არ იყო, აკაკისა როგორღა?

მას თურმე მაშინვე, ერთი თვალისგადავლებითაც შევნიშნავდით, რადგანაც მეტად იმპოზანტური ფიგურა ჰქონდა — ნამდვილი სასკულპტურო.

და ეს მარტო იმიტომ არა, რომ ბრგე აგებულებისა გახლდათ.

იმაზე ბუმბერაზული ტანადობისა სხვაც ბევრი დაიარებოდა, მაგრამ ისინი აკაკისებურ შთაბეჭდილებას ვერ ახდენდნენ გარშემომყოფებზე, და ეს იმიტომ, რომ:

იშვიათი ჰარმონიულობა სუფევდა მის ტანსა და თავს შორის.

ტანად სრული იყო, ხორცსავსე და მხარბეჭიანი.

თავიც საკვირველი მოყვანილობისა ჰქონდა:

მრგვალი, თარაზოში გამოყვანილი, არსად შეზნექილი ოდნავადაც კი, არსად ზედმეტად გამოწეული, თმაც რომ არა ჰქონოდა, მარტო ეს იშვიათად სწორი მოყვანილობა მიიქცევდა ყურადღებას.

თმა — გრუზა და ხშირი, ერთმანეთში ისე გადახლართულ-გადატმასნილი, ნაპენტ მატყლს რომ აგონებდა მნახველს. მისი თმის ფერი თვით სიცოცხლის უკანასკნელ წლებშიც იმ სითეთრემდე არ მივიდოდა, თოვლის სისპეტაკეს რომ უწოდებენ. ჭაღარა უფრო იყო, ვიდრე თეთრი, და ეს იმიტომ, რომ — ილია ზურაბიშვილის შეტყობით — თმის ღეროთა ხვეულები ერთმანეთში გადახლართვის წერტილებში კვანძივით უფრო მუქი ფერის შთაბეჭდილებას ტოვებდნენ, ვიდრე სწორად გაშლილი თმა.

და ასეთივე ხშირი, შუათანა სიგრძის წვერი, ნიკაპზევითა ღარებში ოდნავ შეთხელებული. ასევე ოდნავ თხელი ულვაშები.

და მემუარისტი ღიმილით დასძენდა: კიდევ კარგი თმასა და წვერს იკრეჭდა, თორემ ვერავითარი კბილგანიერი სავარცხელი მის თმაში ვერ გაატანდაო.

და ეს ბუნებაუხვი თმა შარავანდივით ედგმებოდა მის საკვირველ — არამარტო მაღალ, განიერ — არამედ სწორედაც დიად შუბლს, ერთსა და იმავე დროს ბრძენისაც რომ იყო და პოეტისაც.

ასეთ უტეხ გაბარდულობას დიდი ფარეზობაც ეჭირვებოდა?

მაგრამ აკაკი ამას არ დაგიდევდა და მის თმა-წვერ-ულვაშს ყოველთვის ამიტომაც სდევდა ეგრეთწოდებული პოეტური — „ნეგლიჟეს“ იერი.

სხვებს, რომელთაც ბუნების ასეთი წყალობა ღირსებოდათ, სარკეს ვერ მოწყვეტდით?

აკაკი ერთს კი გადივარცხნიდა კბილგანიერი სავარცხლით თმას, ჩამოივარცხნიდა წვერს, ხელს გადაისვამდა ულვაშებზედ და... ესეც მისი ტუალეტი თავით ბოლომდე.

ზოგს რომ სჩვეოდა ლაპარაკშიაც, საქმეშიაც ერთთავად წვერის დაუთოება ან თმის წვალება, აცა კულულები არ დამეშალოსო, აკაკის მსგავსიც არა სჭირდა რა და ვერც კი ამჩნევდა, სახის გარშემო ასეთი სიმდიდრე რომ ეხვია.

სახე იყო და:

მსხვილნაკვთიანი, დიდრონთვალება. ბაგე — მკვეთრად მოხაზული, მაგრამ ვნებიანობის არამჩენი ტუჩები... არც ირონიისა.

ზეციური მირონი რომ გადასდევს აკაკის სახეს, მის გარეგნობას — ეს ასე პირდაპირ თუ არ არის ნათქვამი ილია ზურაბიშვილისეულ დახასიათებაში, გრძნობით მაინც იგრძნობა, თუმც გალაკტიონი ამას სწორედაც მკვეთრად იტყოდა და იმასაც შეამჩნევდა, რაც ამ ილიას მზერას გამოეპარებოდა: ტუჩის კუთხეში გამკრთალ ღვთაებრივ ირონიას.

ნაკვთთა სწორი მოხაზულობით, თვალთა წყლიანი მეტყველებით, სახის კანის სისუფთავითა და ფერით ილია ჭავჭავაძე აკაკი წერეთელზე უფრო ლამაზიც გახლდათ?

მაგრამ ამ დასკვნამდე მხოლოდ მაშინ მივიდოდა მნახველი, თუ მათ სახეს დაჟინებით ჩააკვირდებოდა, თორემ საერთო შთაბეჭდილებით აკაკის მთელი არსებიდან ისეთი თვალისმომჭრელი, რაღაც საიდუმლო ძალით აღსავსე სხივნართი შუქი გამოკრთოდა, რომ... რომ ილიას სახის იშვიათ სინატიფეს ჩრდილში აქცევდა.

მემუარისტს ეჭვიც არ ეპარებოდა:

სადმე საზოგადოებაში, სადაც აკაკიც იქნებოდა და რომელიმე ულამაზესი ქალიც, ნამდვილი მზეთუნახავი, მათი ერთად მნახველი უცხო ვინმე უეჭველად ჯერ აკაკის ვინაობას იკითხავდა და მხოლოდ შემდეგ იმ ქალისა, რადგანაც თავისდაუნებურად განცვიფრება აიტანდა: ეს მართლა ადამიანია თუ ოლიმპოდან ჩამოსული ღმერთკაცი.

ნიშანდობლივად მიიჩნევდა იმ გარემოებასაც, რომ:

გამუდმებით ხუმრობისა და სიტყვამახვილობის სტიქიონში იოლად მცურავ აკაკის თითქოსდა თავისი ბუნების უნებურად მართლა ოლიმპიური სიდინჯე და მონუმენტუროზა ახასიათებდა — წყნარი მიხრა-მოხრა, მძიმე ნაბიჯი, თითქმის სრულიად შეზღუდული ჟესტიკულაცია და თითქოს რაღაც ზევსურ გარინდებაში ყოფნა მდუმარებისას.

და კიდევ ერთი საგულისხმო დეტალი:

რაც უფრო ხანში შედიოდა და რაც უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევდა თავის გარეგნობას, თუნდ სამოსის მოხდენილად ტარებას — მეტწილად სერთუკს იცვამდა — მისი გარეგნობა მით მეტი სილამაზით იმოსებოდა.

და... წვეთის დაცემის შემდეგ? როდესაც ცალი თვალის ქუთუთოს მოძრაობა დაუმძიმდებოდა და ცალ ფეხსაც ოდნავი გაქლასუნებით გადადგამდა?

მის გარეგნობას თითქოს ახალი რამ გამომეტყველება შეეძინებოდა, მეტად ლამაზი მხცოვანებისა: გეგონებოდათ, სადღაც შორს გაიცქირება და სულ სხვა მსოფლიოს ხილვას ლამობსო.

და ამ ილიას არ გამორჩებოდა, რომ:

ეს ზექვეყნიური ჭვრეტა დიდი ოსტატობით გადმოეცა იაკობ ნიკოლაძეს აკაკის ბიუსტში, ოპერის თეატრის ბაღნარს რომ დაამშვენებდა, როგორც საუკეთესო ნაწარმოები ამ მოქანდაკისა.

თუმც აკაკის პატარაობიდანვე იცნობდა, მაგრამ მისი უკანასკნელი ოცი წლის გარეგნობა ისე გამოდევნიდა ამ ილიას მეხსიერებიდან იმჟამინდელ წარმოდგენას, რომ ვეღარ მოახერხებდა მაშინდელი პორტრეტის წარმოსახვას, მითუმეტეს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ახალგაზრდა და შუახნის აკაკი ისე ლამაზი და მომხიბლავი არ უნდა ყოფილიყო, როგორიც მოხუცებულობისას. თუ არადა — აგერ მისი ფოტოგრაფიული სურათები ამ მოსაზრების დასტურ-დამამტკიცებლად.

აკაკი ძალიან ჯანმრთელი რომ იყო, ამიტომაცაა, რომ ვერც ერთგვარად ბოჰემური ცხოვრება — თუმც ქეიფი და ღვინის სმა არ უყვარდა, ვერც ერთთავად სასტუმროების უგემურ ვითარებაში ყოფნა, ვერც დაუდევრობა თავის თავზე ზრუნვისას, ვერც რამდენჯერმე სერიოზული დაავადება ვერ გატეხდა მის ღონიერ ბუნებას.

ჯერ მარტო ეს რად ღირს:

თითქმის სიკვდილამდე ისეთი მაგარი კბილები რომ ჰქონდა, თანაც უკლებლივ, კბილით კაკლის მტვრევაში ამ ილიასაც ეჯიბრებოდა ხოლმე და... კიდეც ჯობნიდა. ნედლი კაკალი უყვარდა და სამტვრევს კი არასოდეს იყენებდა, რაგინდ კირკიტი ნაჭუჭიც ჰქონოდა: საკუთარი კბილით გაუტეხავ კაკალს გემო არა აქვსო!..

სულ სიბერეს რომ უჩიოდა, განსაკუთრებით სატრფიალო ლექსებში?

ილია ზურაბიშვილიც და სხვებიც, მისი მცნობნი, ამას პირდაპირ სულაც არ აღიქვამდნენ: ეს პოეტური ჩივილი უფროა, ვიდრე ნამდვილი უძლურებისაო.

აკაკის საუბრის მომხიბვლელობას იმით ხსნიდა და მის უდიდეს ღირსებას ასე წარმოაჩენდა:

თავის მსმენელს, ვინც უნდა ყოფილიყო — ნასწავლი, უსწავლელი, ქალი, კაცი, დიდი თუ პატარა — ყველას თანასწორობის თვალით უყურებდა და ამიტომაც მის საუბარს დიდაქტიზმს, ჭკუის სწავლებას ოდნავადაც ვერ შეამჩნევდითო.

თხრობა ეპიკური ყაიდისა ახასიათებდა — დინჯი, წყნარი კილო, ხმის სულ მცირედი აწევ-დაწევა. და სათხრობიც მეტწილად ეპიკური ჰქონდა — ჩვენი ქვეყნის წარსული, რომლის ერთ საუკეთესო მცოდნედაც აღიარებულიყო.

გალაკტიონი რომ ირწმუნებოდა: წარსული არავის ესმის, პოეტის გარდაო, — ამ ზოგად შეხედულებაში... უპირველესად თავის თავს გულისხმობდა და აკაკის, უფრო ზუსტად — ჯერ მაინც აკაკის და მერე თავის თავს!..

ილია ზურაბიშვილის შეტყობით კი:

თითქმის ყველა საისტორიო წყარო აკაკის უკრიტიკოდ, ეჭვმიუტანლად აეთვისებინა და ჭეშმარიტებად მიაჩნდა ამ წყაროების მიერ გადმონაცემი ამბავი. და ამიტომაც ამა თუ იმ მეფის მემატიანის მონათხრობში მარტოდენ ამ მეფის ღვაწლის აღწერას კი არა ხედავდა, არამედ იმავდროულად მთელი ხალხის ისტორიასაც, ვინაიდან, მისი აზრითაც, მეფე შენაკრები სახე გახლდათ ხალხისა.

ილია ჭავჭავაძე რომ ჩიოდა: ქართულ საისტორიო თხზულებებში ხალხი არა ჩანსო?

ზოგიერთ მეფეს აკაკი ნამდვილად ხალხის მეფედ მიიჩნევდა და უმეორებდა და უმეორებდა მსმენელთ:

— როდესაც თოფისა და ზარბაზნის დროს მეფე ხალხს კი არ აომებს, არამედ თვითონაც ჯარის წინა რიგში იბრძვის ხმალამოწვდილი, როგორც პატარა კახი იბრძოდა, მაშინ იგი სისხლსა ღვრის არამარტო თავისი მეფობისათვის, არამედ მთელი თავისი ქვეყნისათვის, ვით ნამდვილი შვილი ხალხისა, მისი წინამძღოლი.

თხრობის ის მანერა, რაც ნიშანდობლივი გახლდათ აკაკის ზეპირმეტყველებისათვის, რასაკვირველია გარკვეულ ცვლილებას განიცდიდა პოემებად თუ დრამებად გარდასახვისას — ამ ჟანრების შესაფერისს, „ბაგრატ დიდი“, „თორნიკე ერისთავი“, „ნათელა“, „კიკოლას ნაამბობი“ თუ „ასის წლის ამბავი“ ერთ რკალში რომ მოექცეოდა და „მედია“ თუ „პატარა კახი“ — მეორე რკალში, და თუმც პროზაიკოსის ხელით აღბეჭდავდა ვრცელ მოთხრობას „ბაში-აჩუკი“, მთელს სერიას შექმნიდა ისტორიული ნოველებისა: „კორინთელი“ იქნებოდა თუ „ოთია მესხი“, „დათუნა გოცირიძის“ ერთი ვერსია თუ მეორე ვერსია, სათაური რომ აერთიანებდათ, მაგრამ — ლევან ბრეგაძე როგორც გამოარკვევდა — ერთი თხზულების ვარიანტებად კი არ წარმოდგებოდნენ, არამედ დამოუკიდებელ ქმნილებებად, „წმინდა გიორგის რაზმი“ თუ „რაჭის ერისთავი როსტომ“, „გრიგოლ წერეთლის ირემი“ თუ „ქართული ფულის თავგადასავალი“, ამ რკალით აკაკი რომ შეჰკრავდა იმგვარ სურათებს ჩვენი წარსულისა, იაკობ გოგებაშვილის საყმაწვილო ნოველების ციკლი რომ არის, „ქართლის ცხოვრებიდან“ ამოკრეფილი ისტორიული ეპიზოდები.

მივუმატოთ ამ ორ ციკლს ილია ჭავჭავაძის „ნიკოლოზ გოშტაშაბიშვილიც“.

და ხელთ გვექნება „საქართველოს საყმაწვილო ისტორიის“ ფრაგმენტული, მაგრამ შინაგანად სავსე და მასშტაბური პანორამა, იმ ყაიდისა, ჩარლზ დიკენსს რომ შეექმნა ინგლისის ისტორია ბავშვებისათვის და თარგად და ნიმუშად დაედო, თუ როგორ უნდა დაწერილიყო ამა თუ იმ ქვეყნის ისტორია მოზარდი თაობისათვის — ზღაპარივით მომხიბლავად საკითხავი, ქართულ სინამდვილეში ლადო ასათიანი რომ ოცნებობდა დიკენსის თხზულების მსგავსი ისტორიული მატიანის შექმნას და საბოლოოდ ვახტანგ ჭელიძეს რომ უნდა მოეკიდა ხელი ამ იდეის ხორცშესხმისათვის, ლადოც მასვე რომ აეყოლიებინა საამისოდ და ზღაპარივით მომხიბლავი თხრობითაც წამოეწყო უშორესი წარსულის სურათების აღდგენა-წარმოსახვა.

ჩარლზ დიკენსის „ინგლისის საყმაწვილო ისტორია“ უცნობი გახლდათ ქართულ სინამდვილეში, როდესაც ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი თუ იაკობ გოგებაშვილი ამ ყაიდის ისტორიულ ეპიზოდებს გაამოთხრობებდნენ და გაანოველებდნენ, ცალკეულ სურათებს იკმარებდნენ და ვერც ვერასოდეს იფიქრებდნენ, მათი ეს თხზულებანი ერთ გარეკანში თუ შეიძლება მოქცეულიყო ერთმანეთის შემავსებლად და... სულაც ერთიანი თხზულება შეედგინა და არა ანთოლოგიური ტიპის გამოცემა.

უცნაურია გზანი უფლისანი.

და უცნაურია გზანი ლიტერატურისანი.

მაგრამ ისე კი მოხდებოდა, რომ: ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის პოლემიკა „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი პერსონაჟების ირგვლივ... ერთიან თხზულებადაც წარმოდგებოდა, თავისთავად და ძალდაუტანებლად რომ ერთიანდებიან, თითქოს ორი პიროვნების კამათს კი არ გადმოგვცემდეს, არამედ ერთი პიროვნების მიერ შინაგან დიალოგურობაზე აგებულ განსჯა-ანალიზს გვთავაზობდეს.

და ახლა, ისტორიული ეპიზოდების აღდგენა-წარმოსახვისას, იაკობ გოგებაშვილიც უნდა შემატებოდათ.

თვითონ არ უფიქრიათ ამგვარი რამ?

შთამომავლობას ყოველთვის ექნება უფლება ჩაყვინთოს გარდასული ჟამის ლიტერატურული პროცესების სიღრმეებში და ამოზიდოს ისეთი გარემოებანი, რაც იმ წუთას არც ჩანდა და გაცნობიერებულიც არა ყოფილა, მაგრამ დროის გადასახედიდან რაღაც ერთიანის ცალკეულ ნიშნებად ცნაურდება და ერთიერთმანეთს თუ გადაებმის, კიდეც კანთიელად გამოიკვეთება შინაგანი სწრაფვა ურთიერთისაკენ.

ასე გამოიკვეთებოდა თავისით ილიასა და აკაკის ცალკეულ თხზულებათა: მხატვრულ-დოკუმენტურ-ისტორიულისა და კრიტიკულ-ესთეტიკურის — შინაგანი მთლიანობა, ერთ შემთხვევაში აგერ იაკობ გოგებაშვილის შემოერთებასაც რომ დაისაჭიროებდნენ.

ისე — ილია და აკაკი და... უიაკობოდ?!.

ის ისტორიული რკალი აკაკისა სწორედ იმით განსხვავდებოდა „ბაში-აჩუკისაგან“, რომ მათ ქრონიკების დანიშნულებაც ჰქონდათ და შეთხზული პერსონაჟების ნაცვლად ისტორიული პირები მოქმედებდნენ, თანაც ისე, მწერალი თავის ნებისად რომ ვერ შეცვლიდა და გარდასახავდა მათ ხასიათებსა თუ ბიოგრაფიებს — გარკვეულ ჩარჩოს ვერ გადასცილდებოდა, რაოდენ ძნელიც უნდა ყოფილიყო ეს მისთვის, უსაზღვრო ფანტაზიას ლაღად ვერა ჰკრავდა ფრთას.

იმ თხზულებისა არ იყოს: „სოლომონ პირველი დიდი, იმერეთის მეფე“.

მაგრამ... არის კი ის ისტორიული მონათხრობი აკაკის კალმის ნაყოფი?

მის თხზულებათა აკადემიურ გამოცემებში — თხუთმეტტომეული იქნებოდა თუ ოცტომეული — დაბეჭდვით კი დაიბეჭდებოდა, მაგრამ რუბრიკით: „სავარაუდო“ — გამომცემელნი ერთ შემთხვევაშიც და მეორეშიც სიფრთხილეს რომ ამჯობინებდნენ.

თვითონ აკაკის როგორ მიაჩნდა?

როგორ და:

— ერთი შესანიშნავი ხელნაწერი შევიძინე... ჩვენში მრავალი თქმულებაა დიდ მეფე სოლომონზე... მაგრამ სულ ნაწყვეტ-ნაწყვეტად. ახლა კი ხელში ჩაგვივარდა დამსწრეს დღიური, სადაც ყოველი თავგადასავალი ამ მეფისა მშვენივრად არის აწერილი. ამ ხელნაწერს დიდი ისტორიული მნიშვნელობაცა აქვს და მალეც გამოვა ჯერ „კვალში“ და მერე ცალკე წიგნად.

ამას „კვალის“ 1895 წლის მე-14 ნომრიდან ამცნობდა მკითხველს.

და კიდეც:

ეს ქრონიკა ჯერ ამ ჟურნალის ფურცლებზე იხილავდა მზის სინათლეს და მერე ცალკე წიგნადაც დაისტამბებოდა და ამ მხრივაც გამოიკვეთებოდა მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა, მითუმეტეს მისი სანდოობა აკაკის ამ მინაწერითაც აღინიშნებოდა:

— ზეპირგადმოცემული თანამედროვისაგან, რომელიც იყო სიკო კანდელაკის პაპა და ჩაწერილის მისი შვილიშვილის, სიკო კანდელაკის მიერ.

გაცხადებულია ყველაფერი და ეგაა: წინასწარაც და გამოცემის დროსაც.

აკაკი არ მიიკუთვნებს ამ თხზულებას და სავსებით მკაფიოდ და დაბეჯითებით აცხადებს, რომ:

ჩანაწერი სიკო კანდელაკისაა, მონათხრობი კი მისი პაპისა.

მაშ... რატომღა დაეჭვებულან მკვლევარები?

რატომ დაუკავშირებდნენ ამ ქრონიკას აკაკის ისტორიულ ნოველებს — „რაჭის ერისთავი როსტომ“ იქნებოდა, „წმინდა გიორგის რაზმი“ თუ სხვანი, საქართველოს საყმაწვილო ისტორიის სხვა ფრაგმენტები?

რატომ უკირკიტებდა გულდასმით პავლე ინგოროყვა, არა და არ ეშვებოდა, და რატომ რჩებოდა იმგვარი შთაბეჭდილება, ამ დასკვნად რომ ყალიბდებოდა?

— აკაკის რედაქტორული მუშაობა ტექსტზე არ უნდა სცილდებოდეს სტილისტური გადამუშავების ფარგლებს (სტილისტური რედაქციის ფართო გაგებით). აკაკი თანამედროვის ზეპირგადმოცემას უცქეროდა როგორც ერთგვარ ისტორიულ დოკუმენტს და ცხადია, მოთხრობის შინაარსი, მთელი ფაქტიური მხარე, უცვლელად არის დატოვებული აკაკის მიერ გამოქვეყნებულ ტექსტში.

თხზულების ოცტომეულისეული პუბლიკაციისათვის დართულ შენიშვნებში ნანა ფრუიძე ნაწილობრივ დაეთანხმებოდა მკვლევარის პოზიციას იმ მოტივით:

— რაკილა დღეისათვის დაკარგულად ითვლება სიკო კანდელაკის ჩანაწერები, ალბათ, ძნელია იმის გარკვევა, „მოთხრობის შინაარსი და მთელი ფაქტიური მხარე უცვლელად არის დატოვებული“ თუ არა. თუმცაღა, ვფიქრობთ, „შინაარსისა და ფაქტიური მხარის შენარჩუნებითაც“ შეიძლება ორიგინალური მხატვრული ნაწარმოების შექმნა.

სიკო კანდელაკის ჩანაწერები არ გაგვაჩნია და შედარების საშუალებასაც მოკლებულნი ვართ, მაგრამ ნუთუ თვითონ ტექსტი თხზულებისა არას გვამცნობს ისეთს, აკაკის ავტორობა ან ვირწმუნოთ და ან არ ვირწმუნოთ?

თვითონ რომ უარყოფდა თავის ავტორობას?

არ მიიჩნევდა რედაქტორულ ჩარევას მნიშვნელოვნად, უბრალო ხელის გაკვრად იგულისხმებდა და მაშ მართლაც რატომ უნდა შესცილებოდა სიკო კანდელაკს ავტორობაში?

საჩხერეკიც არაფერი იქნებოდა, ეს თხზულება თხრობის სტილით, არქიტექტონიკითა და პერსონაჟთა ხატვის მანერით — ძუნწი, ოღონდ საკმაოდ ტევადი შტრიხებით — ასე თვალნათლივ რომ არ დამსგავსებოდა აკაკის ისტორიულ ნოველებს.

რა შეიძლება იწვევდეს ამ აშკარა მსგავსებას?

რა და:

ან სიკო კანდელაკია იმ ისტორიული ნოველების შემქმნელიც, აკაკის სახელით რომ ვიცნობთ, და ან აკაკი წერეთელია „სოლომონ პირველი დიდი, იმერეთის მეფის“ ავტორი!..

რა ხდება — კვლავ მოჯადოებულ წრეში მოვექეცით?

აკაკი სხვას გადაულოცავდა და... ჩვენ კი მაინცდამაინც მის გაავტორებას ვლამობთ?

კი მაგრამ... რა გვრჯის საამისოდ?

ის ეჭვი არ გვეშვება, თხრობის სტილიც და არქიტექტონიკაც, და პერსონაჟთა ხასიათებიც აკაკის ხელით რომ აღბეჭდილა, და უსათუოდ მის სულიერ ბრძმედში გამოვლილა.

სწორედაც სულიერ ბრძმედში და... მთავარიც ესაა.

თითქოსდა ბევრი არაფერია ჩასწორებული, რაკილა აკაკი თანაავტორადაც არ შემატებია სიკო კანდელაკს, მაგრამ აკაკისეული ხელის გაკვრა-გამოკვრაც ის მადლია, უბრალო ჩანაწერს ისტორიულ მოთხრობად რომ აზიდავს.

აგერ სტენდალს, როგორც მკლევარები ირწმუნებიან, ბევრი არა ჩაუსწორებია რა იტალიური ქრონიკების მომზადებისას ნოველებად, და ის არც მწერლური მისტიფიკაციაა — მართლაც არსებობდა ასეთი ნიმუშები და მართლაც გამოატარებდა მათ სტენდალი თავის სულიერ ბრძმედში... და უბრალო ქრონიკებს, არქივის მდუმარებაში ჩაკარგულთ, კიდეც აქცევდა ნოველისტიკის შედევრებად, ისევე როგორც აკაკი იმ ისტორიულ გადმოცემებს აზიდავდა ნოველისტიკის მწვერვალზე, და მათ რკალშივე უნდა ვიგულისხმოთ „სოლომონ პირველი დიდი, იმერეთის მეფეც“, თუ არადა... თუ არადა დავიჯეროთ, რომ სიკო კანდელაკი აკაკის რანგის მთხრობელია, მისი ტოლსწორი.

ამ ერთ, ერთადერთ შემთხვევაში, მაგრამ მაინც...

ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ ამ მასალას უთუოდ დაატყო თავისი ხელი და ოსტატობა აკაკი წერეთელმა, რის გარეშეც მას ასეთი დიდებული იერი და ზემოქმედების ძალა არ ექნებოდაო — დაბეჯითებით შეეძლო განეცხადებინა ემზარ კვიტაიშვილსაც და არცთუ იშვიათ მომნუსხველ დეტალთაგან თუნდ ეს პასაჟი გაეხსენებინა:

— მეფე სოლომონს თვალს უჭრიდა და ხალხი დარწმუნებული იყო, რომ ოთხი თვალი აქვსო. მართლაც, პირდაპირ მისი შეხედვა და თვალის გამართვა შეუძლებელი იყო.

რათა დაერთო:

ამ სისხლიან მოთხრობაში თვალი შემთხვევით არ არის ნახსენები, მალე ვნახავთ, რომ განრისხებული მეფე სოლომონი რაჭის ერისთავ როსტომსა და მთელ მის სანათესაოს სასტიკად დასჯის — ყველას თვალებს დასთხრის. მათ კი, ნაბდებწაფარებულთ და ულმობლად დასახიჩრებულთ, მედიდური შესახედაობა წამების მერეც აქვთ შერჩენილიო.

იმასაც მიანიშნებდა მკითხველს:

შემაძრწუნებლად აღწერილი წამების სურათებით ისეთი დამთრგუნველი განცდა გეუფლებათ, თითქოს ამ ველური ქმედების მხილველნი იყოთო:

— როსტომი, მეთოდი, ცაგუნი, კუხნოტი, გივი, ბარძიმი და სვიმონ, თოკებით შეკრულნი, ხედავდნენ გიორგის თვალების ამოჭრას და თვითონაც იმავე სატანჯველს მოელოდნენ. ახლა სხვებსაც მიჰყვეს ხელი. პირველად როსტომი დააწვინეს გულაღმა, ბევრი აცოდვილეს და მაშინ თვითონვე ურჩია, თვალის კილოები ჩამჭერით და მერე თავისით გადმოცვივდებიან თვალის კაკლებიო, და მართლაც, სხვებსაც ადვილად მოთხარეს თვალები.

კვნესა ერთსაც არ დასცდებოდა!.. მაგრამ როსტომ ერისთავის სიმშვიდე და ის ფრაზა სულაც სტოიციზმის მწვერვალია, ქრესტომათიული ნიმუში.

ეს ტრაგედია რომ აღსრულდებოდა, მეფე შეტრიალდებოდა სახლში და გარეთ აღარ გამობრძანდებოდა. იახლებდა შიგ წერეთელს და მეფეს რომ შეწუხებულს ნახავდა, თვალცრემლიანს, გაკვირვებული მოახსენებდა:

— თუ მაგრე სანანებლად დაგრჩებოდათ, ნეტავი არ დაგესაჯათ ეგ ცოდვილები...

და მეფე წყენით ბრძანდებოდა:

— მებრალება კაცი და დავსაჯე კი ღვთისა და ქვეყნის ორგული მოღალატე...

და პოეტი და მკვლევარი ამ მკაცრი ანალების მონათესავე ინტონაციებს იგრძნობდა ნიკო ლორთქიფანიძის საუცხოო მოთხრობაში „მრისხანე ბატონი“, „სოლომონ პირველ დიდს, იმერეთის მეფეს“ კი სტილის სისადავითა და შთამბეჭდაობით რამდენადმე სტენდალის „იტალიურ ქრონიკებსა“ და ისლანდიურ საგებს შეადარებდა.

თითქოს ყველაფერი გარკვეულია, მაგრამ ოდნავ მაინც რომ გვიფაჩუნებს ეჭვის ჭია: ხელი მკვეთრად რომ დაეტყო აკაკის, ნუთუ იმას აღარ გაგვიმჟღავნებდა, თუნდ რედაქტორულად რომ დაემუშავებინა ის ხელნაწერი, დამსწრის დღიურს, უშუალო შთაბეჭდილებებს რომ წარმოადგენდაო?

და ბოლოსდაბოლოს მოერიდებოდა აღმატებულ ეპითეტებსა თუ შეფასებებს: შესანიშნავიო, მშვენიერიო, დიდი ისტორიული მნიშვნელობისაო, მეფე სოლომონის ყოველი თავგადასავალია აღწერილიო. თავმდაბლობა არ მისცემდა ნებას ამგვარი უშურველობისა. ასე რომ, ადვილი მოსაგერიებელი არ იქნება სკეპტიკოსთა გამოკამათება: აკაკის თავისიც თავზესაყრელად მოეპოვება და სხვისას ნუღა მივაკუთვნებთ, დარჩეთ იმ პაპა-შვილიშვილს ეს ისტორიული ქრონიკა — მთხრობელსა და ჩამწერს — თავიანთ მონაპოვრადო.

და ეგებ კიდეც შევყოყმანებულიყავით, რომ არა მაგალითი იმ ხალხური ლირიკული ნიმუშისა „ხომალდში ჩავჯექ, ზღვას გაველ“, აკაკი რედაქტორულად ჩაერეოდა კი არა, ოთხ იმდენსაც რომ მიუმატებდა და ერთიან პოეტურ ქმნილებად გამოაცხადებდა, მარგალიტად და თვით რუსთველური სტროფების დასადარად.

რატომ არ მოერიდებოდა ამ ეპითეტებს?

თვითონვე ირწმუნებდა თავის მისტიფიკაციას, თვითონვე აღიქვამდა და მიიღებდა ერთიან ქმნილებად უცნობი პოეტისა და თავისი მხატვრული ნააზრევის შერწყმას, ხალხუ-

რად დაადგენდა მკითხველის ცნობიერებაში და... ეპითეტებს ვითომ რატომღა უნდა მორიდებოდა — თავისას ხომ არ აქებდა, არამედ კიდევ ერთხელ გამოხატავდა აღტაცებას ჩვენი ზეპირსიტყვიერების ნიმუშებით.

თანაც პირწმინდა გამონაგონი ხომ არა ყოფილა — ისიც, რაც ხალხურის სახელით დარჩენილიყო, იწვევდა მკითხველის მოწონებას, ეპითეტთა ზომიერებას მაინცდამაინც რომ აღარ მოინდომებდი.

საბოლოო ვერსიაა მისტიფიცირებული, თორემ...

და ამჯერადაც, სოლომონ პირველის თავგადასავლის აღწერისას საბოლოო ტექსტი უნდა იყოს აკაკის მიერ მისტიფიცირებული და გამოცხადებული ისტორიული ხელნაწერის ზუსტ, უცვლელ განმეორებად, თორემ თავით ბოლომდე მისი შეთხზული არა ყოფილა და ვერც იქნებოდა ასეთი დეტალიზებული თხრობა, მართლაც თვითმხილველის ნაამბობად რომ წარმოგვიდგება.

კომპოზიციურ სრულყოფილებას უსათუოდ აკაკი მიანიჭებდა, თორემ როგორ გინდა დაიჯერო, სიკო კანდელაკი, როგორც მთხრობელი, აკაკის სიმაღლემდე რომ აღწევდა.

თუნდ ერთი, ერთადერთი შემთხვევა რა — ცოტაა?!.

და უკვირდა და ვერ აეხსნა სერგო კლდიაშვილს: ეს მოთხრობა, ნამდვილი შედევრი, აკაკის გენიის დაღს რომ ატარებდა, ავტორს თავადური გულუხვობითა და უდარდელობით რატომ გადაელოცა ვინმე სიკო კანდელაკისათვის. და ფიქრობდა: ალბათ იმიტომ, რომ აკაკი თავის შემოქმედებაში უფრო ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა პროზას, ვიდრე პოეზიასო.

თავისას განაგრძობდა ილია ზურაბიშვილი, თავის ფსიქოლოგიურ დაკვირვებებში ჩაფლულიყო და ახლა იმის გამორკვევას ცდილობდა მეხსიერებაში შემორჩენილი სურათების ფონზე: იყო თუ არა აკაკი რელიგიურად მორწმუნე ადამიანი და შეადგენდა თუ არა ეს მის შინაგან, სულიერ მოთხოვნილებას?..

ნანერებში იშვიათად რომ არა გვხდებოდა აკაკის რელიგიურობის გამომხატველ-დამამტკიცებელი ადგილები, ეს კი ყველასათვის თვალნათლივი გახლდათ, მაგრამ აი პირად ცხოვრებაში ამის დამადასტურებელი ნიშნები ამ ილიას პირადად არ შეენიშნა:

ეკლესიაში არ დაიარებოდა. არც ლოცვად დგომა ჰქონდა ჩვეულებად. მარხვას არ ინახავდა, არც წმინდა საიდუმლოს იღებდა, ერთი სიტყვით რელიგიურ რიტუალს ძალიან დაშორებოდა.

მხოლოდ რამდენჯერმე შენიშნავდა:

მთქნარების დროს მარჯვენა ხელს პირთან ისე მიიტანდა, თითქოს მოკლედ პირჯვარი გადაისახაო.

და ახსნით ასე ახსნიდა მის ამგვარ მოქმედებას:

ეს პატარაობიდან დაყოლილი ჩვეულება თუ იყო, უფროსებისაგან მექანიკურად ათვისებული, როგორც ვიცით მისივე მოთხრობილი თავგადასავლიდანო.

ეს პატარაობიდან დაყოლილი ჩვეულება ის გახლდათ, უფროსები მასაც რომ გააფრთხილებდნენ: მთქნარებისას ეშმაკი გიძვრება პირში და ამიტომაც აუცილებელია მაშინვე პირჯვარი გადაიწეროო და ასე გამოდევნოო. ამგვარ საქციელს ცრურწმენასაც უწოდებდნენ, თუმც სხვა სახელი უფრო მოუხდება: წინასწარრწმენა!.. და ამჯერადაც სწორედ ეს წინასწარრწმენა იყო, აკაკის სიბერემდე რომ გაჰყვებოდა.

ამ ილიასაც უნდა აღენიშნა, რომ:

აკაკი ოჯახში რელიგიურად დიდად გახლდათ დამწყსილი. და ამიტომაცაა, რომ მშვენივრად იცოდა საღვთო წერილი, განსაკუთრებით კი ფსალმუნი, რომელსაც დიდ პოეტურ ქმნილებად მიიჩნევდა.

ამ ილიას შეტყობით:

სარწმუნოება ანუ ქრისტიანობა აკაკისათვის ზნეობრივ-ფილოსოფიური სისტემა უფრო იყო, ვიდრე რელიგიური დოგმა, ხოლო ეროვნულ შემეცნებაში — პოლიტიკური ფაქტორიც, ვინაიდან აკაკი ფიქრობდა: თავისი არსებობის დაცვის ინსტინქტურ გრძნობას ქართველმა ხალხმა ქრისტიანობა იდეურ საფუძვლად დაუდოო.

ასე წარმოიდგენდა სარწმუნოების მნიშვნელობას აკაკის აზროვნებასა და ცხოვრებაში.

და კიდევ ერთხელ რომ აწონ-დაწონიდა, რამდენად ზუსტად და მიუდგომლად განვსაჯეო, საბოლოოდ მაინც ამავე თვალსაზრისზე დარჩებოდა და მას ამ ფსიქოლოგიური დაკვირვებით შეამაგრებდა:

მეტად რეალისტი იყო საიმისოდ, რომ სარწმუნოებრივ მისტიციზმს მისცემოდაო.

კი მაგრამ... რეალისტური მსოფლხედვა განა ასე უშლის ხელს სარწმუნოებრივ მისტიციზმს? ანდა მითუფრო — მისტიციზმის გამოვლინებებს დროდადრო თუ შემთხვევიდან შემთხვევამდე?

საღვთო წერილის ზედმიწევნით ცოდნა ზედმიწევნით ცოდნად, მაგრამ თვით ეს რელიგიური ერუდიციაც არ იკმარებდა იმ ყოვლისმომცველი ქრისტიანული შეგრძნებებისა და წარმოსახვებისათვის, რითაც გაჟღენთილია, გაჯერებულია, გამსჭვალულია აკაკი წერეთლის მხატვრული მემკვიდრეობა.

ქრისტიანობა მისთვის ღრმადინტიმურია, შიგნითის უშიგნითესია, მისი არსების შთანთქმელია და ხელახლა მშობი — ნათლობის საიდუმლო რასაც გულისხმობს და სიმბოლურად გამოხატავს, აკაკისათვის ხელშესახებადაა განცდილი და იმ მადლით პირთამდე აღსილი, ეს რჯული რასაც მოითხოვს მის მიმდევართაგან სრულყოფილი გამოვლინებისას.

და... ცხოვრების წესი აკაკისა?

სახლი, სადგომი არსებითად არ გააჩნია, აქვს და... არცა აქვს, რაკილა მთელ საქართველოს მოსდებია და ხან სად უწევს ღამის გათენება და ხანაც სად.

დადის, დადის, დადის აღმა თუ დაღმა, მთასა თუ ბარში — არა ჩერდება.

ხვდება და ხვდება ადამიანებს — ყველა ასაკის, ყველა ხელობის, ათასგვარი ინტერესისა და მისწრაფების.

განსაკუთრებით მაინც ბავშვებისაკენ მიუწევს გული და ივედრება: აცალეთ ყრმათა მაგათ მოსვლად ჩემდაო.

ხორციელ მკურნალობას არ იჩემებს.

სამაგიეროდ სულიერი მკურნალობა ისედაც მისი უპირველესი ხელობაა, როგორც მწერლის.

და არ იშურებს სიტყვა-წამალს, სიტყვა-მუნათს, სიტყვა-ნუგეშს, სიტყვა-იმედს.

და მისი მჭევრმეტყველება — ერთი კაცის წინაშე ამოიფრქვევა თუ უამრავი ხალხის — შეზავებულია ხელოვანებითა და იგავებით, ანდაზები თუ სხარტი, აფორისტული გამოთქმები გირლანდად რომ ეწვნის მის ღაღადისს და უფრო ძალუმადაც ამიტომ ეჭდობოდა გულსა და გონებაზე მსმენელს.

რაო, იესო მაცხოვრის ცხოვრების წესი ხომ არ მოგაგონდათ?

და... უნებლიეთ ხდება ეს მსგავსება თუ სავსებით შეგნებულად და გააზრებულად?

ცხოვრების წესს უნებლიეთ არავინ ირჩევს, მითუფრო — აკაკი წერეთლისდარი სულიერი სიღრმისა და სიმაღლის პიროვნება.

იგი იმთავითვე გაცნობიერებულად ირჩევს ამ გზას — საეროს და არა სასულიეროს, მაგრამ იესოს მოღვაწეობის მსგავსსა და ალიკვალს.

ილია ჭავჭავაძე მოწამებრივი აღსასრულით უნდა დამგვანებოდა ქრისტეს.

აკაკი წერეთელი — მოღვაწეობის მანერით, ცხოვრების გარეგნული და შინაგანი წესით.

ერთიმეორეს ავსებდნენ ამ მხრივაც?

ასე გამოდის.

ილიას ყოველთვის ჰქონდა მკვიდრი ბინა და მთელ საქართველოსაც ასე არ მოდებოდა, ნაბიჯდაუდგმელი ადგილი რომ არ დარჩენოდა მის მიწა-წყალზე, არც წამდაუწუმ ჰქონდა შეხვედრები ადამიანებთან. იგი უფრო კაბინეტიდან წარმართავდა მოვლენებს, იქიდან ესაუბრებოდა ხალხს — კალმით, გაზეთით, ამათუიმ დაწესებულების ხელმძღვანელობით. ამას უფრო ამჯობინებდა, ვიდრე უშუალო შეხვედრებს, რაც თითქოს არ აკლდა, მაგრამ აკაკი წერეთლის ცხოვრების წესთან შედარებით — შეიძლება ითქვას — შინაყუდობას ამჯობინებდა.

საერო მოღვაწე გახლდათ და გარეგნულადაც საერო მოღვაწის ცხოვრების წესს მიჰყვებოდა.

არადა — ამ მოღვაწეობის შედეგი ის უნდა ყოფილიყო, რომ: ჯვარცმა რგებოდა საზღაურად.

ამ გარდუვალობას ილიას ამქვეყნიური სიცოცხლის დასასრულისა ყოველთვის გრძნობდა აკაკი, მაგრამ კახეთის მიწაზე ფეხის დადგმისას კიდევ უფრო ხელშესახებად უნდა განეცადა და... ხილვაც სწვეოდა, უჩვეულო და გამაოგნებელი, ყვარელს ბეთლემად რომ მოალანდებდა.

ჰოი რარიგ უფორიაქდებოდა გული და არა და არ გაუნელდებოდა ეს სულიერი შფოთვა-მღელვარება.

მითუმეტეს, რომ: მისი აცილება შეუძლებელი გახლდათ.

ჯვარცმა იმის ჯვარცმაა, გარდუვალად რომ უნდა აღსრულდეს.

სხვიტორსაც მიაყურადებდა და არაერთხელ, მის იდუმალ გულისფეთქვას ძირისძირობამდეც ჩაჰყვებოდა, მაგრამ საამისოს არას ამცნობდა იქაურობა — ბეთლემობისა არა ეტყობოდა რა სხვიტორს... თუმც იმ მხრივ ხომ მაინც წაადგებოდა, თავშესაფრად რომ ეგულებოდა და... არც ეგულებოდა, უფრო სულისმოსათქმელად, რათა იქიდან ხან სად ამოეყო თავი და ხანაც სად და ელაღადა, ელაღადა, ელაღადა იგავებით, იგავებით, იგავებით...

თავი VII

სილამაზე — ამქვეყნიურ იდეალად

პიესას რომ ჩაუჯდებოდა, „მედიას“, არაერთხელ ესტუმრებოდა ნიკო დადიანს. მასთან ერთად ამოწმებდა ზოგიერთი ძველი სიტყვის მნიშვნელობასაც და მედიას ამბების უფრო ქართულ ვარიანტებსაც.

შალვა უკვე წამოჩიტული გახლდათ და კარგად დაამახსოვრდებოდა ზოგიერთი რამ. მაგალითად თვით სახელი: მედეია — და მისი ეტიმოლოგია.

აკაკიც და ნიკოც იმ აზრისა იყვნენ, რომ:

მედეია ქართულიდან გაბერძნულებულიყო და ქართულად კი გამოითქმოდა: მედიად. „დია“ მეგრულად ქართულ „ქა“-ს რომ უდრიდა, ანუ „ქალოს“, თან გაკვირვების დროსაც იყენებდნენ წამოძახილად.

აგრეთვე განმარტება ქალაქის სახელწოდებისა: აე, და მეფის სახელისა: ოეტეს თუ აეტეს.

ქართულად „იათა“ ქალაქი უნდა ყოფილიყო, „ოეტესიც“, ამჟამად იშვიათად, მაგრამ მაინც გამოყენებული სახელი „ოტია“, თურმე ამ „იათა“-დან წარმომდგარი.

ასე რომ, აკაკი სწორედ ასეც, ამ ფორმით გამოიყენებდა „მედიაში“.

საყურადღებოდ შალვა კიდევ იმას მიიჩნევდა მაშინდელი შთაბეჭდილებებიდან, რომ:

პიესას პირველად რომ წაუკითხავდა აკაკი მასპინძელს, ის ვერსია პროზად იქნებოდა დაწერილი, და მხოლოდ შემდგომ გალექსავდა თავით ბოლომდე.

ეს შემთხვევა ავარაუდებინებდა, რომ:

აკაკის ასეთი მანერა ჰქონიყო დიდტანიან ნაწარმოებთა წერისას — ჯერ პროზად დაამუშავებდა და მერეღა გალექსავდა.

და ამ აზრს განუმტკიცებდა აკაკის თხზულებათა სრულ კრებულში მოთავსებული პროზაული ვერსია „პატარა კახისა“: გალექსვამდე ასე რომ ამჯობინებდა მის შექმნას.

ნეტა... შოთა რუსთველს როგორიღა რა მანერა შეიძლება ჰქონოდა ეპოსის შესაქმნელად?

იმასაც ჯერ პროზად დაემუშავებინა „ვეფხისტყაოსანი“ და მერეღა გაელექსა თუ იმთავითვე ლექსად წამოჩქეფდებოდა გულიდან და გონებიდან?

როგორ გინდა მიხვედრილიყავი?

თუმც... როგორ და:

დავჯექ და ლექსად გარდავთქვიო, — განა თვითონვე არ გვამცნობდა პოემის პროლოგში?.. მაგრამ: ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანებიო, — ამასაც რომ გვაუწყებდა?..

თუმც უკვე დადასტურებულადაც წარმოგვიდგება, რომ ეს სტრიქონი — თითქოს სპარსული წარმომავლობა ამ გამორჩეული სიუჟეტისა — გარკვეული კონსპირაციისათვის ესაჭიროებოდა, ასე რომ, საბურველი რეალობად არ უნდა მიგვეღო, ხოლო ჯერ პროზაული ვერსიის შექმნა და მერე მისი გარდათქმა ლექსად... ოოო, ეს უკვე...

ყოველ შემთხვევაში ის სტრიქონი შესაძლოა გვიბიძგებდეს ამგვარი ჰიპოთეზისაკენ.

აკაკი ძალიან კი გაიხარებდა ამის შეტყობით: როგორ, ისიცო?..

ტრილოგიად განიზრახავდა მედეას — მისთვის მედიას — თავგადასავალს, მაგრამ პირველ ნაწილს ვერ გაცდებოდა. არადა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ თხზულებას — არამარტო პირწმინდად დრამატურგიული და მხატვრული თვალსაზრისით, არამედ იმ მხრივაც, მისი შემწეობითაც ჩვენი ერის პრეისტორიულ ხანას რომ უნდა ჩაკვირვებოდა, ჩაკვირვებოდა და წარმოეჩინა, წარმოეჩინა და... წინარებერძნულ ცივილიზაციადაც დაესახა.

ჩაუჯდებოდა ძველ წყაროებს, ჩაეფლობოდა ისტორიულ ანალებში, სადამდეც ხელი მიუწვდებოდა, გაიფხავებდა ინტუიციასა და წარმოსახვას, სადამდეც გაატანდა ისტორიის ლაბირინთებში, შეადარებდა, შეაჯერებდა, ცალკეული მარცვლებიდან თუ ბუნდოვანი მინიშნებებიდან შეეცდებოდა ყველაფრის გამოწურვას, მათ შევსებას, გადაბმას, ზოგადი კონტურების აღდგენას, მეცნიერული საფუძვლის მომზადებას, გარკვეული გზამკვლევის შემუშავებას და ისე შებედვას იმ თემისათვის, რომელიც — ჩვენდაუნებურად — საკაცობრიოდ ქცეულიყო და ვის აღარ მოესინჯა და ვინ აღარ მოსინჯავდა.

საჯილდაო ქვასავით გამოიყურებოდა.

ან რაღა გამოიყურებოდა — საჯილდაო ქვა გახლდათ და ეგაა, და ვინ უნდა დასტანებოდა ასაზიდად, თუ არა ქართველი მწერალი, ჯერჯერობით ჩვენს გარეშე რომ მიედინებოდა ეს ნაკადი, არგონავტების სახელქვეშ რომ მოქცეულიყო და ეპოქათა სივრცეებშიც ისევე თამამად შემოცურებულიყო ეს ხომალდი, როგორც კოლხეთისაკენ მოისწრაფოდა ბერძნულ ახალშენთა დასაფუძნებელ-გასაშლელად.

რაო, როგორ დამკვიდრებულიყო კაცობრიობის შეგნებაში?

ისტორიის წინასწართქმულობისა და მითების სამშობლო საბერძნეთიაო.

ისინი შეჰქმნა ელინთა აღტკინებულმა ფანტაზიამ და მათგან გადმოგვცემია ყველასო.

აკაკის კი დარწმუნებით შეეძლო განეცხადებინა:

სწორედაც პირიქით, ბერძნებმა გაიტანეს სხვა ქვეყნებიდან სულ სხვა ხალხების ამბები, შეისისხლხორცეს, თავისებურად გადააკეთეს და ფერცვლილი უკანვე დააბრუნესო.

ამას ნამდვილად გვიმტკიცებდნენ ძველისძველი მითები პრომეთეოსსა და იაზონ-მედიაზე. ერთიცა და მეორეც ჩვენი ქვეყნის შვილი გახლდათ — აქ შობილიყვნენ, აქ გაზრდილიყვნენ და კოლხეთით ასე გადასულიყვნენ ზღაპრულად ელადაში.

რას გვიამბობდნენ ბერძნები?

მთავარღმერთისაგან პრომეთესიო, მისი ურჩობა რომ განარისხებდა ზევსს, კავკასიის ქედზე აღმოჩნდებოდა მიბმულ-მიჯაჭვული, და მიუჩენდნენ მტანჯველ ქორსაც ანუ ორბსაც, რომელსაც ღვიძლი უნდა ეწიწკნა მისთვის, მაგრამ გმირი არა კვდებოდა, წყლული კვლავდაკვლავ უმრთელდებოდა, რათა ხელახლა ეგლიჯა მის ჯალათს — უზარმაზარ ქორს — და საბრალო ტყვის სატანჯველს დასასრული არა ჰქონოდა.

ეს ამბავი საქართველოს, მთელ კავკასიას სხვადასხვა ვარიანტად რომ მოსდებოდა, განსხვავება მხოლოდ ის გახლდათ, რომ: აქ პრომეთეოსს ამირანი ეწოდებოდა.

ბერძნულად სიტყვა „პრომეთეოსი“ შორს მჭვრეტელს რომ ნიშნავდა, აქაც ამირანს შორსმჭვრეტელობას მიაწერდნენ: ცაში არა გამოეპარებოდა რა და ქვესკნელშიც ჭიანჭველას ხედავდაო.

ბერძნები აღარ ამბობდნენ, თუ რა მანქანებით უმრთელდებოდა წყლული პრომეთეოსს?

ჩვენში უფრო სრულად გადმოცემულიყო ეს ლეგენდა — ერთი ვერსიით პატარა ფინია ძაღლი ულოკავდა წყლულს და ურჩებოდა. მეორე ვერსიით, ქორის შემდეგ ყოველთვის ფასკუნჯი მოდიოდა, ფრთას უსვამდა და ჰკურნავდა.

ბერძნების გმირი დაუბმელი დარჩებოდა, რომ ხერხიან კოჭლ ჰეფესტოს — ერთ ღმერთთაგანს — არ შეეყარა მისთვის ბორკილი. და ჩვენს გმირსაც ვერავინ მიაკრავდა ქედზე, რომ არ გამოჩენილიყო ერთი გრძნეული კოჭლი მჭედელი. ამიტომაც მჭედლებზე განრისხებული ამირანი დღესაც ცდილობდა თავი აეშვა, აეწყვიტა და რაც ქვეყანაზე მჭედლები იყვნენ, ყველასათვის ერთიანად მუსრი გაევლო!.. ეს ისე სწამდათ, რომ დღესაც კიდევ მჭედლები ჩვენში დიდხუთშაბათ დილას სამჭედურში უზმოდ და უბრად სამჯერ ზედიზედ ურტყამდნენ უროს გრდემლზე, რომ ამირანის საჯაჭვო პალო ყოველწლობით გაემაგრებინათ და თავი არ აეშვებინებინათ!..

ბერძენ მწერალთა მტკიცებით: პრომეთეოსი ამარანტის მთაზე ყოფილიყო მიკრული კავკასიაში. III საუკუნეში ქრისტეს წინათ აპოლონიოს როდოსელი ირწმუნებოდა: მდინარე ფაზისი ამარანტის მთიდან გადმოდისო.

მაინც რომელი მთა იყო ეს ამარანტი, ბერძნებისაგან მოხსენიებული, დღეს რომ აღარ ვიცოდით?

რომელი და... რომელსაც ჩვენი ზეპირსიტყვიერება „ამირან-მთას" ეძახდა და სადაც ამირანი მიბმულიყო.

აღარ გამოუდგებოდა წვრილმანებს აკაკი, რადგანაც რაც ითქვა, მისი აზრის დასამტკიცებლად ისიც კმაროდა.

შედარებითი მეთოდი მოემარჯვებინა, პარალელებზე აეგო საერთოს ძიება ამ ორ თქმულებას შორის — ბერძენი პრომეთეს ამბავსა და ქართველი ამირანის თავგადასავალს შორის, ერთის მითი ბერძნული ტრაგედიებიდან რომ ამოკრებილიყო და გადაბმულიყო, მეორის მითი კი გაზღაპრებული ვერსიების გაწმენდას უნდა მიეგნებინებინა ჩვენთვის, აკაკი პროფესიონალი ფოლკლორისტივით რომ შეისწავლიდა ამ ვერსიებსაც, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დადასტურებულს, და პარალელების დაძებნასაც საგულდაგულოდ შეეცდებოდა, რათა ბერძნული პრომეთე ქართველი ამირანის ორეულად წარმოეჩინა, მისგან ამოზრდილად და ბერძნულ ყაიდაზე სახეცვლილად, პირველწყაროს მიკვლევა ცოტა რომ გაძნელებულიყო, მაგრამ არც ისე, ძიებაზე ხელი აგველო, არ ავიღებდით, არ მოვეშვებოდით და... კიდეც უნდა გაშიშვლებულიყო წინარებერძნული ციველიზაციის ქართული კვალი და საწყისი.

დიდხანს დამკვიდრდებოდა ეს მტკიცება ქართულ ფოლკლორისტიკაში, ჯერაც ადვილად რომ ვერ ურწმუნიათ ამირანისა და პრომეთეს მითების მხოლოდდამხოლოდ გარეგნული მსგავსება, თავისთავად ძალზე მაცთურიც ღრმა შინაგანი ერთობისა და კავშირის გამოვლენა-დამტკიცებისათვის, მაგრამ ზედაპირი ზედაპირზევე უნდა დარჩენილიყო და პრომეთე და ამირანი ორი სრულიად განსხვავებული მითის გმირი უნდა აღმოჩენილიყო, ერთმანეთთან დაუკავშირებელისა თავიანთი ფესვებით.

ამირანის მითოსის პირველსაწყისის აღდგენას ვაჟა-ფშაველა შეეცდებოდა, კიდეც რომ შეიგრძნობდა და ჩვენც შეგვაგრძნობინებდა იმ უშორესი ფენის ინტუიციური შეწოვის წყალობით, აკაკი წერეთელი ამდენს აღარ გაჰყვებოდა, მისთვის სავსებით კმაროდა, რაც მიეკვლია თუ ევარაუდა, სავსებით კმაროდა — პოლიტიკური მითოსის შესაქმნელად, დიახ, იმ პოლიტიკური მითოსისა, ჰაერივით რომ ესაჭიროებოდა თავისუფლების წყურვილით სულ უფრო და უფრო განმსჭვალულ ხალხს.

ილია ჭავჭავაძე ბაზალეთის ტბის ლეგენდას ქმნიდა პოლიტიკურ მითოსად.

აკაკი წერეთელი — ამირანის სახებას, საქართველოს ბედისწერასთან გასიმბოლოვებულს და ჯაჭვების გაწყვეტის მძაფრი მოლოდინით გაჟღენთილს.

ბერძნულ ვერსიაში ჰერაკლეს უნდა აეყარა ჯაჭვები პრომეთესათვის, მას დაეხსნა ერთხელ და სამუდამოდ ზეცას შეტოქებული გმირი არნახული სასჯელისაგან.

ქართულ პოლიტიკურ მითოსში კი თვითონ ამირანს უნდა დაელეწა ჯაჭვები და კიდეც სიხარულით შეეცვალა ამდენი ხნის გასაჭირი.

უფრო გამჭვირვალედ და შთამბეჭდავად, უფრო მძაფრად და ექსპრესიულად როგორღა უნდა თქმულიყო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გარდუვალობა?!.

და აკაკი მეტი თავდაჯერებით განაგრძობდა მსჯელობას, რადგანაც მიაჩნდა, რომ:

იაზონ-მედიას ამბავი კიდევ უფრო განამტკიცებდა მის მოსაზრებას თავისი უეჭველობით.

ელინთა გმირი, თესალიელთა ბატონიშვილი იაზონი თავის გმირ ამხანაგებს რომ შეჰყრიდა და ნავ „არგოთი" წამოვიდოდნენ კოლხიდისაკენ, ვითომც — სწორედაც ეს „ვითომც" — მათი ქვეყნიდან დაკარგული ოქროსმატყლოვანი ვერძის საძებრად, შემოცურდებოდნენ ფაზისის მდინარეში შავი ზღვით, იმ მდინარის პირად კი საუცხოო ქალაქი გაშენებულიყო, რომელსაც ეა ეწოდებოდა. იქ მეფედ იჯდა აეტი და ჰყავდა ერთი ქალი მედია, გრძნეული მამიდის გაზრდილი. მამიდას სახელად ერქვა თირთეია ანუ ცირცეია. მას ესწავლებინა მედიასათვის გრძნეულება და სხვადასხვა სამკურნალო თუ სანამლავი ბალახის ხარშვა... და აქვე, აეტის სამთავროშივე იმწყსოდა ის ოქროსმატყლოვანი ვერძი, რომლის საძებნელადაც წამოსულიყო იაზონი, მედიას დახმარებით კიდეც რომ მოიტაცებდა იმ ვერძს და მედიასაც თან წაიყვანდა ცოლად.

ამ ბერძნულ გადმოცემაში როგორც ადგილის სახელები, ისე თვით ქალაქებისაც ერთი ყურის მოკვრით უცხოდ მოგეჩვენებოდა, მაგრამ თუ აკაკის რჩევას დავუჯერებდით და

ჩავუკვირდებოდით, აღმოჩნდებოდა, რომ ყველა ჩვენებური გახლდათ, ქართული, მხოლოდ მათებურად, ბერძნულად გადაჩიქორთულებული.

რა წყალი იყო ის ფაზისი, რომელიც დღეს აღარსად იხსენიებოდა?

რა და: რიონი, რომელიც ფასის მთიდან გამოედინებოდა და რომელსაც იმ სათავეში ახლაც ფასის წყალს ეძახდნენ.

რა იყო და რა ქალაქი ბერძნების ეა, სადაც წლის განმავლობაში მცენარე ჰყვაოდა?

ნაქალაქევი ანუ ზღაპრული იას ქალაქი, ის იას ქალაქი, სადაც — ზღაპრის სიტყვით — ღვთისავარ მონადირე მისულიყო და ენახა, რომ ზამთარში იქ ია და ვარდი იშლებოდა. და ამიტომაც: ბერძნული ეა და ჩვენებური ია ერთი და იგივე უნდა ყოფილიყო.

ვინ იყო აეტა მეფე?

კოლხეთის მთავარი, იას ქალაქში მჯდომარე იათა მამასახლისი. ამგვარ შემთხვევაში ქართული ენის თვისება გახლდათ მრავლობითი რიცხვის გამოყენება. თავის დღეში არ ითქმოდა: ზღვის მეფეო, ხმელის მეფეო და მისთანანი. ნაცვლად ამისა: ზღვათა მეფეო, ხმელთა მეფეო, ვარდთა მეფეო, იათა მეფეო... და აეტა და იათა ერთსა და იმავეს ამიტომაც ნიშნავდა.

ცირცეია და თირთეიაც ერთსა და იმავეს გულისხმობდა?

რასაკვირველია — რადგანაც უცხოელები „თანს“ „სანად“ გამოთქვამდნენ. მაგალითი გვენება? აგერ პლინიუსი ამბობდა: კოლხიდაში არის მდინარე ცირუსი, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი ცირის წყალს ეძახიან, და შიგ რაც უნდა ჩააგდოთ, გაქვავდებაო.

არადა ეს წყალი დღესაც არსებობდა შორაპნის მაზრაში, ჭიათურის მახლობლად და კვლავაც ის თვისება მოსდგამდა. თირი ძველებური ქართულით ქვას ნიშნავდა, გათირვა — გაქვავებას. იათას დას სწამებდნენ გრძნეულებას: ადამიანისა როგორც განკურნება, ისე გათირვა-გაქვავება შეუძლიაო, და მიტომაც დაერქმიათ მისთვის თირა ანუ თირთეია, ადვილად რომ იგულისხმებდი ცირცეიასთან მის ერთიდაიგივეობას.

ამგვარად აიხსნებოდა სახელი მედიაც.

სიტყვა „ქალი“ მხოლოდ VIII საუკუნიდან შემოსულიყო ჩვენში — არაბულად „ქალიმ“ დედაკაცს ნიშნავდა. მანამდე ქართულად დედაკაცს „დია“ ერქვა, საიდანაც წარმოდგებოდა სიტყვა „დიასახლისიც“ და კნინობითი „დიაცი“. დღესაც ბევრი მოიძებნებოდა ჩვენში, რომ „კაცია“ ანუ „მევარ კაცი“ ერქვა, და „ქალია“ ანუ — „მევარ ქალი“. და თუკი „მევარ ქალი“ შეიძლებოდა სახელად, რატომ „მედია“ კი არ შეიძლებოდა, იმავეს რომ ნიშნავდა?

და ჩვენი მედია მედეად გადაკეთებულიყო ბერძნულად.

და ცალკეული ძველი სიტყვის მნიშვნელობას ნიკო დადიანთანაც რომ შეამოწმებდა, განსაკუთრებით ამ საკუთარი სახელის — მედიას — ირგვლივ აინტერესებდა მისი აზრი და... ისიც უდასტურებდა: სწორედაც ქართული წარმომავლობისა უნდა იყოს ბერძნული მედეა, მაგრამ როგორც უნდა გადაებერძნულებინათ, ხელშესახები კვალი მაინც დარჩენილაო.

ანდა იათა ქალაქი რომ გახლდათ და ოეტესი საკუთარი სახელი, განა ამჟამადაც არ ტრიალებდა ქართულ ონომასტიკონში ოტიად გაფორმებული?

ჰოი რას იწოვდა და ყლაპავდა პატარა შალვა დადიანი მამისა და აკაკის ნალაპარაკევს, მათ ყოველ სიტყვას, განსაკუთრებით მაინც მედეასა და აეტის განმარტება რომ ხიბლავდა და მის წარმოსახვასაც იმ ფრთას ჰკრავდა, ძალუმად რომ აიყოლიებდა მის ისედაც დამყოლ ფანტაზიას და შორეულ სივრცეებსაც ისევე მოატარებდა, როგორც ეზოში დაჭნაობდა ხის ცხენით და... სამყაროს კი ურბენდა...

გიმნაზიაში სიარული რიღასთვის ესაჭიროებოდა შალვას, როდესაც მამის ნაუბარს უსმენდა, აკაკის უსმენდა... და კიდევ ვის აღარ უსმენდა — უაღრესად განსწავლულთა და გონიერთ... გიმნაზიასაც მათსას დაამთავრებდა და უმაღლესსაც...

უმაღლესი განათლება ის იყო თუ იყო!..

აკაკის კი რომელი ერთი მოეთვალა, ბერძენთა მიერ გადათარგმნილი თუ გადაკეთებული ქართულიდან:

ჩვენი ქვეყნის ერთი მდინარეთაგანის ბერძნული სახელი „ჰიპიუს“ იგივე ცხენისწყალს არ ნიშნავდა?

ის „კვენაკარი“, რომელიც დასავლეთით უბერავდა კოლხიდას ანუ ჩვენს კოლხეთს, იგივე ქვენაქრი ანუ ქვენაქარი არ გახლდათ?

„მოლი“, სამკურნალო ბალახი, რომელსაც მელია აგროვებდა, იგივე ჩვენებური მოლი არ იყო?

ძილის მომგვრელი წამალი მცენარეაო...

ეს იგივე ძილისგუდა სოკო არ გახლდათ, ჩვენ რომ ვეძახდით? და მეგრელები ლურსის გუდას უწოდებდნენ, რადგანაც „რული“ ანუ „ლური“ ძველებური ქართულია და მცირე ხნით წაძინებას ნიშნავდა!..

ამგვარ რამეებს რომ გამოსდგომოდა, შორს მოუწევდა წასვლა და... ამიტომაც ჯერ თავს ანებებდა უფრო დაწვრილებით გამოკვლევას!..

ბოლოსდაბოლოს ეს ყოველივე ტრილოგიის მოსამზადებელი სამუშაო გახლდათ, წინასწარვე რომ ამცნობდა მკითხველს სამივე ნაწილის სათაურს და მიანიშნებდა თვითეულის ზოგად შინაარსს: „მედია კოლხიდაში“, „მედია ელლადაში“ და „მედია სამშობლოში დაბრუნებული“.

და როდესაც სამივეს ერთად გამოსცემდა, მკითხველს იმ დროისათვის უფრო ვრცელ გამოკვლევას დაპირდებოდა, ამჯერად კი მხოლოდ იმას შენიშნავდა, რაც ესაჭიროებოდა ამ პირველ ნაწილს.

დაე ტრილოგიის ამ დასაწყისის მკითხველს გაეთვალისწინებინა, რომ:

როცა გამწარებული ამირანი ჯაჭვის გაწყვეტასა და თავის აშვებას მოინდომებდა და გაინძრეოდა, მაშინ იძვროდა ხოლმე დედამინაც, — ძველად კავკასიელნი როგორც ფიქრობდნენ.

ძველად კოლხელნი ცის მნათობებს აღმერთებდნენ და მთიებსა სცემდნენ თაყვანს: მზეს, მთვარეს, ვარსკვლავთა გუნდს, ცის ბურჯებს, დილას, განთიადს. და თვითეულს შესაფერად უგალობდნენ ლოცვისას „მზეშინას“, „თინას“, „ოდილას“, „შავ-დილას“... და ეს მაშინდელი საგალობელნი დღესაც სიმღერებად დარჩენილიყო ჩვენში.

კერპთაყვანისმცემლობის დროს მოფიცარს კერპის წინ ჩამოკიდებული ზვარაკისათვის ტყავი უნდა გაეძრო ანუ ანთებული ლამპარი გაექრო სულის შებერვით. „ფუ“-ო: უნდა შეებერა სული... და აქედან წარმომდგარიყო სიტყვა „ფუცი“ ანუ „ფიცი“, და აგრეთვე ხატებისა და სალოცავების ჩამოტყავება, რასაც ხალხში დღესაც ხშირად ამბობდნენ.

პიესაში ზოდიაკები თუ ცის ბურჯები სახელდებოდა. „არეი“ ანუ „ვერძი“ განსაკუთრებული სალოცავი იყო კოლხელებისა და მარტო მის სახედ ჩამოსხმული ოქროს ვერძი ედგათ ბომონში. მოსისხლე ღმერთს უწოდებდნენ „მარეხს“ და სჯეროდათ, რომ ის თუმც მრისხანე გახლდათ, მასთანვე თავმდაბალიც და... მათ ვერძსაც მწყემსავდა ცის ლაჟვარდში.

აპოლონიოს როდოსელის ცნობით: როდესაც კავკასიის მთები გამოჩნდებოდა, არგონავტებს თავზე გადაუფრენ-გადმოუფრენდათ უზარმაზარი ქორი, მათ არგოს რომ დაჩრდილავდა. და ვინ უნდა ყოფილიყო ეს უზარმაზარი არსება, თუ არა პრომეთეს მტანჯველი ქორი.

ძველად სწამდათ, რომ: ვისაც უეცრად ორბი თავზე დააჯდებოდა, მეფობას იშოვნიდა.

ხალიბები ბერძნულად და ჩვენებურად კი ქლიბები, ქართველთა ტომის ხალხი, კოლხეთში ცხოვრობდა ერთ ხეობად. ყველაზე პირველად ისინი დაიწყებდნენ რკინის ხელობას. და ესქილე აი რას ამბობდა მათზე:

— პონტის მარცხენა მხარეზე ცხოვრობენ რკინის მოხელები ხალიბები. აკეთებენ რკინის იარაღს, რომელსაც ქლიბი ჰქვია, და მოაქვთ ელადაში გასაყიდად.

ამასვე ამტკიცებდა არიან ნიკოდიმელიც:

— ყველაზე ადრე ხალიბებმა შეისწავლეს რკინის ხელობა.

დღესაც არსებობდა ჩვენში, რაჭის მაზრაში, ერთი მთა — გული რკინის მადნისა გადახსნოდა და უხსოვარი დროიდან ირგვლივ მცხოვრებნი მჭედლობის მეტს არას აკეთებდნენ. და ამ მთას ერქვა „წედისი“ ანუ „ჭედისი“.

ფსევდო პლუტარქეს ცნობით: კავკასიაში იზრდებოდა პრომეთეოსის ბალახი. და როგორც კლეანტი ირწმუნებოდა: მედია ამ სამკურნალო ბალახსა ჰკრეფდა. კლავდიოს

კლავლიანეს მტკიცებით კი: ზოგიერთი ბალახისა და მცენარის შხამიან წვენს, კავკასიაში რომ იზრდებოდა, აგროვებდნენ სასტიკი მედია და ცბიერი ცირცეია.

კაბდელებს ეძახდნენ ჩვენში კერპის დროს მღვდლებს. ზორვისას ანუ კმევის დროს ისინი გალობდნენ და იქიდან წარმოდგებოდა ჩვენებური „ზარი“ და „კაბდური“, რომელსაც დღესაც კიდევ აქა-იქ სამეგრელოში მღეროდნენ.

მთვარე სიყვარულის ღმერთად მიაჩნდათ და საცოლქმრო პირობასაც ძველად მის წინაშე დებდნენ.

აპიანეს მოწმობით: ადგილობრივი მცხოვრებნი კოლხიდაში ცხვრის ტყავებით იჭერდნენ ოქროს სილას და ეს იყო ოქროსმატყლოვანი ვერძი.

აპოლონიოს როდოსელი მოგვითხრობდა, რომ:

როდესაც კი შეენიშნა მედიას ცისკარი, დაეწნა თმა, ეცხო სურნელება და ჩაეცვა ძვირფასი ტანსაცმელი. თავი მოებურა თეთრი თავსაბურველით, ტანზედაც სურნელოვანი ზეთი ეცხო, ეახლა თორმეტი მოახლე, შეებმევინებინა თეთრი ჯორები, ვითომდა გექადას საყუდარში სალოცავად მიდიოდა, მაგრამ გაპარულიყო და პრომეთეს ცრემლებისაგან შეზავებული წამლებიც თან წაეღო.

ძველად კოლხები მხოლოდ ქალებს მარხავდნენ მიწაში და მამაკაცებს კი ხეზე ჩამოჰკიდებდნენ ხოლმე. ამას მოწმობდნენ ელიანე და ნიკოლოზ დამასკელი.

ხელი ეცმადუნებოდა, კიდევ და კიდევ გაეგრძელებინა, შეჰყოლოდა ძიებასა და ახალ-ახალი ცნობების გამომზეურებას, ახალ-ახალი დაკვირვებების გაზიარებას მკითხველისათვის, მაგრამ ისე ვერ აეწყობოდა ტრილოგიის წერის პროცესი, როგორც ეოცნებებოდა.

მოფიქრებით ყველაფერი მოფიქრებული ჰქონდა.

თანაც აუცილებლობად ესახებოდა, მედიას თავგადასავალი მაინცდამაინც ტრილოგიად მოეთხრო, რათა ბოლომდე გაეშალა სათქმელი და მედიას სახებაც წარმოედგინა ისე, მის ტრაგიკულ პიროვნებას რომ შეშვენოდა, არაფრისდიდებით — ერთ განზომილებაში. დაე ბოლომდე გადახსნილიყო მისი ხასიათის სირთულეც და წინააღმდეგობრიობაც. ისტორიული ფონიც რაც შეიძლება მიახლოებული ყოფილიყო იმ გარდასული ჟამის რეალობას, რომლის წიაღში შესაღწევადაც მთელი თავისი ალღო და წარმოსახვა უნდა მოეშველიებინა, მთლიანად ჩაეხარჯა ძველთაძველ ბილიკებზე სიარულში.

მაგრამ... სურვილი სურვილად უნდა დარჩენილიყო.

არადა თუ რარიგ მონდომებულიყო მის გასრულებას, წინასწარი სამუშაოს ხანგრძლივობაც მოწმობს: ოთხ წელიწადზე მეტი ჯერ მარტო მასალების შეგროვებას რომ მოუნდებოდა.

ივანე მაჩაბელს ბარათით ამცნობდა ამ ხანგრძლივობას წინასწარი მზადებისა.

უჩვეულო ჩანს მის ბიოგრაფიაში ამგვარი წინასწარი სამზადისი — თუმც რა გასაკვირია: განზრახვა გახლდათ ისეთი გაბედული, სხვაგვარად ვერც მოხერხდებოდა ხელის შეხება ამ ხასიათისა და ეპოქისათვის, მაგრამ... ვაი რომ აქაც ეს „მაგრამ“ უნდა გამოჩხერილიყო...

და დანანების გარდა სხვა რაღა დაგვრჩენია...

არაფრისდიდებით — ერთ განზომილებაშიო...

მთავარი გმირის ხასიათის სირთულეც და წინააღმდეგობრიობაცო...

მედეა — მოღალატე და გამწირველი მამის, მოღალატე და გამწირველი ძმის, მოღალატე და გამწირველი თვით სამშობლოსი... მოღალატე არა, მაგრამ გამწირველი შვილებისაც...

მაგრამ აკაკის ხელით ისე უნდა გამოიძერწოს მისი ფსიქოლოგიური და სულიერი პორტრეტი, გამართლება მოეძებნოს მის ამგვარ ქმედებებს. არა თანაგრძნობა და შებრალება, არა შეწყნარება, არამედ სწორედაც გამართლება.

კი მაგრამ... რანაირად?

რანაირად და:

თავგანწირულმა სიყვარულმა უნდა გააკეთილშობილოს და აღამაღლოს მედეას სახება, მის სილამაზეს, ამ ღვთიურ ნიჭს — როგორც აღიქვამდა აკაკი ყოველგვარ მშვენიერებას, შარავანდად უნდა დაადგეს ყოვლისგამმეტებელი, ყოვლისწამლეკავი სიყვარული, როგორც აღმატებული ყველასა და ყველაფერზე.

ტრილოგიის ბოლომდე მიყვანა სხვას არას გადაგვიშლიდა თვალწინ, ახლა იდუმალადღა რომ ავდევთ აკაკის ფიქრთა დენას და ამგვარი შთაბეჭდილება გვრჩება, და მაინც შთაბეჭდილება, და მაინც ვარაუდი, რაც ბოლომდე გასრულებული ტექსტითა და თვალნათლივ გამოკვეთილი მხატვრულ-იდეური მრწამსით არ არის დამტკიცებულ-დადასტურებული.

ყოველ შემთხვევაში ცხადია და უცხადესი:

აკაკი უსათუოდ დამცველად დაუდგებოდა მედეას.

ისევე როგორც დამცველად დაუდგებოდა თამარ ბეგრატიონს, ისტორიულ პირსა და მისი პიესის „თამარ ცბიერი“ მთავარ გმირს. და ეს მაშინ, როდესაც 1911 წლის 30 აპრილს ქართულ თეატრში გაიმართებოდა ამ პერსონაჟის ლიტერატურული გასამართლება.

ვიდრე უშუალოდ განსჯიდა და შეეცდებოდა მსაჯულთათვის შეეევედრებინა ეს პერსონაჟი, რათა მკაცრი სასჯელი აეცილებინა მისთვის, ზოგად მსჯელობას მოჰყვებოდა, რომ:

ყოველ კაცს თავი თვისი გადამეტებულად უყვარს სხვისაზე, და თავს იმას აპატიებს, რასაც სხვას არ შეუნდობს, და მიტომაც თავი უკეთესი ჰგონია, ვიდრე არის.

მაგალითისათვის გაიხსენებდა ვიქტორ ჰიუგოს, პარიზიდან გაძევებულს, ჯერსეიში რომ იტყოდა ხოლმე, პარიზში რომ რამე საქმე აღსრულდებოდა მის დაუსწრებლად:

— ეს სწორედ ასე უნდა მომხდარიყო იქ, რადგანაც აქ ჩემს გულში ასე ვფიქრობდი.

და ჩაიღიმებდა აკაკი:

მაშ თუკი გენიოსებსაც სჩევიათ გადაჭარბებული აზრის შედგენა თავის თავზე, ჩვენ, პატარა კაცუნებს, რაღა გვეთქმის, როცა არათუ ჩვენ თავს, ჩვენსას უბრალო ნივთსაც კი მეტად ვაფასებთ და დარწმუნებულნი ვართ, რომ თუ ჩვენმა მამალმა არ დაიყივლა, ისე არ გათენდებაო?!.

ეს სენი ბუნებითი გახლდათ და მისი არსებობისათვის აკაკი... ღმერთს მადლობას შესწირავდა:

ასე რომ არ იყოს, მაშინ ცხოვრების ტალღა წაგვლეკავდა!.. გულს გაგვიტეხდა და უიმედოდ დავრჩებოდითო...

ეს რაღაცა თავის მოტყუება — ეს სენი... ჩამომავლობით პირველკაციდან მომდინარეობდა... ადამიანის მემკვიდრეობა გახლდათ და მიტომაც დედაკაცებში მეტად ისახებოდა, ვიდრე მამაკაცებში!..

თუ დავუჯერებდით ბიბლიურ მითოლოგიას, — და აკაკი მას ბრძნული სარჩულისად აღიარებდა — პირველი ქალი, ევა, ადამის ნეკნიდან გამოღებულიყო და ჩვენ კი, მამაკაცები, მერე მათგან წარმოვშობილიყავით და მაშასადამე ადამის მემკვიდრეობაც იმათ მეტი ეკუთვნოდათ ჩვენზე, რაც გამოიხატებოდა გადაჭარბებულ თავის მოწონებაში.

მამაკაცის თავმომწონეობას ბევრი დარგი მოეპოვებოდა და ქალისას კი — ერთი: მისი თავმომწონეობა მთლიანად მხოლოდ სილამაზეში გადატანილიყო.

დაგვედო მამაკაცისათვის ერთ მხარეს სილამაზე და მეორე მხარეს — სიმდიდრე, და არჩევანი შეგვეთავაზებინა.

იგი სიმდიდრეს მოჰკიდებდა ხელს.

იმავე არჩევანის წინაშე დაგვეყენებინა ქალი.

და იგი უეჭველად სილამაზეს... მშვენიერებას წაეპოტინებოდა.

ასე რად სწყუროდა ქალს მშვენიერება?

აკაკი თავის მოსაზრებას ამ ლიტერატურულ ფორმულებში ჩაწურავდა:

მიტომ, რომ სილამაზე გზა და ხიდია სიყვარულისაკენ, რაც ქალისათვის ყველაფერია, თვით სიცოცხლე და სიცოცხლეზედაც მეტიო!..

სიყვარული მამაკაცისათვის სიტკბოება გახლდათ... ნეტარება! მაგრამ იმდენადაც ვერ გაიტაცებდა, რომ გონება დაეკარგვინებინა!.. და ყოველგვარი მოვალეობა მსოფლიური დაევინყებინა!..

(ამ დასკვნის გამოტანისას, როგორც ჩანს, არ გაახსენდებოდა არც შოთა რუსთველისა და არც ალექსანდრე ყაზბეგის პერსონაჟები).

ქალისთვის კი ყველაფერი იყო... წმინდა წმინდათა!.. ვინც უყვარდა, იმას სწირავდა თავის სულისდგმას... თავის გულისთქმას... აღიარებდა მის რჯულს და მიდიოდა იმ გზით, რა

მიმართულებისაც მისი სათაყვანო გახლდათ — იგულისხმებოდა ნამდვილი სიყვარული და არა გაფოლორცებული.

მისთანა მახინჯ ქალს ვერა ვნახავდით, თავი ლამაზი არა ჰგონებოდა და... რაღა უნდა ყოფილიყვნენ მართლა ლამაზი ქალები და რა უნდა ეფიქრათ თავიანთ თავზე, როდესაც ყოველი მხრიდან და ყოველ წამს ესმოდათ ქება-დიდება და სარკეც ამასვე უდასტურებდათ? რასაკვირველია მთვრალები იქნებოდნენ მეტი წარმოდგენით!..

და ახლა უკვე გადაინაცვლებდა თამარზე — იმ მშვენიერებითის ზექალზე, იმ საზღაპრო მზეთუნახავზე, რომელიც მოვლენოდა იმერეთს სამასი წლის წინათ.

თეიმურაზ პირველი მიათხოვებდა თავის ქალს დარეჯანს იმერეთის მეფეს ალექსანდრეს, და მას თან მოჰყვებოდა პატარა ობოლი ბაგრატიონის ქალი თამარი. რადგანაც იმხანად საზოგადოდ ადრე ათხოვებდნენ ქალს, სულ ათი-თორმეტი წლისასაც, თამარსაც ადრე მოუნდომებდნენ გათხოვებას, ჯერაც სულ ბავშვს. უნდა მიეცათ რაჭის დიდებული ერისთავისათვის და აიყვანდნენ ბარაკონს.

ამ ერისთავის ძმა გენათლად იქნებოდა და ეჭირებოდა მთელი დასავლეთ საქართველოს ეგზარხოსის ადგილი. წავიდოდა ძმის ქორწილზე დასასწრებად, მაგრამ როდესაც იხილავდა პატარა თამარის უცნაურ მშვენიერებას, გაიკრიჭავდა და... თვითონ შეირთავდა ცოლად სარძლოს!.. ეს უცნაური ამბავი მიაღწევდა მეფის ყურამდე, ჩაერეოდა საქმეში და გაათავებდა იმით, რომ მოიტაცებდა და თვითონ შეირთავდა ცოლად.

რამდენადაც გაიზრდებოდა და ასაკში შევიდოდა ეს მზექალი, იმდენად უფრო და უფრო გალამაზდებოდა და მოხიბლავდა მთელ სამეფოს, და გახდებოდა მიზეზად ქვეყნის ამბოხებისა: მეფე, მთავრები, დიდებულები და თვით წმინდა მამებიც ერთმანეთს შეეჯახებოდნენ, ოღონდაც კი ის, თამარი, ჩაეგდოთ ხელში.

სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი იმერეთის მეფეს რომ დაამარცხებდა, მოსტაცებდა თამარს. ბოლოს კი როგორც იქნებოდა დაიბრუნებდა ისევ თვალდათხრილი ბაგრატი.

ასე და ამგვარად: ხუთჯერ თუ ექვსჯერ აქორწინებდნენ ცოცხალი ქმრების ხელში.

ბოლოს ჩაუვარდებოდა ხელთ გიორგი გურიელს მთავარს, მისივე სიძეს, რომელიც გახდებოდა იმერეთის მეფედ.

ამბოხება დიდხანს გასტანდა და დადგებოდა ის დრო, როცა ქალს შიში ეპარება ხოლმე გულში.

საზოგადოდ ქალებს ორჯერ უყვართ თავის სიცოცხლეში ცეცხლმოკიდებითო, — ასე სწამდა და ასეც შეგვაგონებდა აკაკი.

ერთი — სულ პირველად, როცა გამოუცდელია და ჰგონია თუ მისთანა უცნაური რამ ემართება, რომელიც არც ყოფილა და არც განმეორდება.

მაგრამ... გაივლიდა დრო, ბუნების კანონი აღსრულდებოდა და... ცეცხლიც განელდებოდა... მეორე, მესამე და სხვა სიყვარული ვეღარ განმსჭვალავდა!.. ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსაო, — რუსთველურად იფიქრებდა ქალი და თავისი იმედი ექნებოდა... და ეს ხანა გასტანდა იმ დრომდე, ვიდრე სიბერე მოახლოვდებოდა და... შიშიც შეეპარებოდა გულში!.. როდესაც სილამაზე, სიყვარულის ეს გზა და ხიდი, წაიშლებოდა, და კიდეც შეჩქვიფდებოდა ქალი: ვაითუ სიყვარულიც თან წაიყოლოსო, — და მწარედ ჩაავლებდა ხელს უკანასკნელ სიყვარულს და აღარ ენდომებოდა მისი მოშორება!..

სწორედ ამ ხნოვანებაში უნდა გადამდგარიყო თამარიც, მაგრამ გული არ გაეტეხა და ჰგონებოდა: სიკვდილამდე ვერ მიღალატებს მშვენიერება და არც თაყვანისმცემელთა გუნდი გამომელევაო.

და ქადილითაც გახედავდა წუთისოფლის მდინარებას, რაკიღა მისი მშვენება სრულქმნილი კვლავინდებურად ინარჩუნებდა სხივოსნობას: ხანიც ვერ შესცვლის... არ გამრუდდება ჩემის შვენების ხაზი... ეს მჯერა და სიკვდილამდე ხარკად მექნება თვით ცის და ქვეყნის გულისა ძგერაო...

რას მიეყვანა ეს მზეთუნახავი ამგვარ დასკვნამდე?

რას და — გარემოებას: მის წინაშე ემხობოდნენ მეფენი, მთავრები, დიდებულნი და მთელი სამეფო...

მაგრამ მაინც, მიუხედავად ამისა, უცნაური რამ უნდა შემოსწოლოდა გულზე და განეცადა მისთანა რამე, რაც აქამდე არ ეგრძნო: სულ სხვანაირი სიყვარულით შეჰყვარებოდა ერთი ვინმე უგვარტომო, არაფრის მქონი გარდა ოცნებისა, უხარისხო მგოსანი. და იმას კი... ყურადღებაც არ მიექცია არც ამის თვალების ელვარებისა და არც გულმკერდის მღელვარებისათვის!..

ეს ვერ დაეჯერებინა თამარს... ვერ მოენელებინა... და საჭიდაოზედაც აპირებდა გამოსვლას, რათა დღესვე გაეგო: „ჰო“ თუ „არა“?!. და დაიბარებდა მგოსანს ვითომ საქმისათვის!..

და აქვე ჩაურთავდა აკაკი-ორატორი:

საზოგადოდ მწერლებსა და მგოსნების გულსაც ისე ვერაფრით მოიგებს კაცი, როგორც მათი ნაწერების თანაგრძნობითო!..

ეს კარგად იცოდა თამარმა და მიტომაც აიღებდა ხელში „გოჩაიანს“ და... ვითომ ამით გატაცებული დიდხანს ვერ შენიშნავდა თავზემდგარ მგოსანს. მერე უცებ აიხედავდა, მოიბოდიშებდა და მასვე უსაყვედურებდა:

— თუ ვერ შეგნიშნე, შენივე ბრალია!.. აი შენ თხზულებას ვერც თვალსა და ვერც გულს ვერ ვაშორებ!..

ნელ-ნელა შეაპარებდა საუბარს და ბოლოს ჰკითხავდა:

— რა არის სიყვარული?

და პასუხად გოჩასაგან:

შეყვარებული დიაცის გული თურმე ერთობლივ ყოფილა სასუფეველი და ჯოჯოხეთი გრძნობის კავშირით შეერთებული. საუნჯე — ავის და კარგის უმეტნაკლებოდ ამოკრებილი; თვით უკვდავების წყარო ნექტარი ნაღველ-სამსალით გამწარებული; მხიბლავი ძალა, ანდამატური, თავში საამო, ბოლოში მწარე, წამერთ აკვანი სიხარულისა, ხანგრძლივს კუბო და ცივი სამარე!..

ამის გამგონე თამარი უნდა შემკრთალიყო და გაკვირვება გამოეთქვა, თუკი ასე იყო და სიყვარული მხოლოდ ეს გახლდათ, მაშ მგოსნები ასე ტკბილად რად უგალობდნენ და ქალთა სმენას რატომღა ხიბლავდნენ?

თურმე:

მგოსნები მხოლოდ უგალობდნენ იმ ზენა სიყვარულს, რომელიც კაცს აღამაღლებს და ასპეტაკებს გრძნობა-გონებას, და არა იმ საქვეყნო სიყვარულს, რომელსაც უბედურება და ცრემლები მოსდევდა!..

ამის გამგონე მზეთუნახავს ღიმილით უნდა ეთქვა:

— მგოსნები ახირებული რამა ხართ.

და კვლავ თავისი უნდა ჩაერთო აკაკი-ორატორს:

და მართლაც — ჩვენც უნდა გამოვტყდეთ — ახირებულები არიან — ორი საგნის ცქერა ერთსა და იმავე დროს შეუძლებელია და მგოსნებიც მაღლა რომ იყურებიან, ცას უმზერენ და ვარსკვლავებს ეჭიკჭიკებიან, იმავდროულად კი დაბლა ვეღარ ხედავენ, ცხვირის წინ ფეხს წამოჰკრავენ ხოლმე და ეცემიან!.. ცხოვრებაში მთელი სიცოცხლე ბავშვებად რჩებიანო!!.

ამ განზოგადებასა და გასიმბოლოვებაში აკაკი თავისი ხასიათის თავისებურებასაც მოხაზავდა, იმ ერთ უმთავრეს ნიშანს, მთელი სიცოცხლე ბავშვად რომ რჩებოდა, და ცის მზერასა და ვარსკვლავებთან ჭიკჭიკისას ხან ცხვირწინ ფეხსაც რომ წამოჰკრავდა... თუმც სწორედაც „ხან“ და არა ყოველთვის, რადგანაც მიწას არ მოწყვეტოდა და არც მოწყდებოდა, და მიტომაც ზეცაზე არანაკლებ ის მიწა გაეღმერთებინა, ხელიდან გამოცლას რომ უპირებდნენ ასეთი ჟინითა და სიშმაგით, ასეთი მიზანსწრაფულობითა და სისასტიკით.

ამდენს აღარ გაჰყვებოდა თამარის დაცვისას და შემოიფარგლებოდა მგოსანი გოჩას ხასიათის იმგვარი წარმოჩენით, თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო პოეტი, რომელსაც მიწას არავინ ედავება და მარტოდენ თავის მხატვრულ წარმოსახვებში გახვეულა.

და თამარი „ახირებულს“ რომ უწოდებდა გოჩას, იგულისხმებდა: შორსმჭვრეტელი კი ხარ, მაგრამ ახლომახლო ვერაფერს ხედავ. შენ რომ სიყვარულზე ლაპარაკობ, მეც იმ სიყვა-

რულს ვეძებ და თუ ჯერ ვერ მიპოვნია, ჩემი ბრალი არ არის. ფუტკარი თუ პეპელა, ვიდრე ნამდვილ ყვავილს იპოვიდეს, ძებნის დროს მყრალ ბალახებსაც თავს ევლება. მე ჯერ არავინ მყვარებია, პირველად შენ შეგხვდი, რომ აღმაფრენით სიყვარულს ქადაგებ, და შენ მომხიბლე, და აჰა ჩემი ხელი, წამიყვანე იმ გზით, რა გზითაც მიდიხარ, და შეერთებული ძალით განვახორციელოთ ის. ვინც თამარის გული ააძგერა, იმას დაცემული ქვეყნის განკურნებაც შეუძლია და ჩემი წარსული თუ ბნელი იყო აქამდე, დღეიდან შენ აცისკროვნეო!..

მშვენიერების უარყოფა რომ არ შეუძლიათ მგოსნებს, აკაკის არ უკვირდა, რომ მზეთუნახავსაც ტკბილ-ტკბილი სიტყვებით მოებრუნებინა გოჩას გული, წამიერად გაეტაცა და ეთქმევინებინა სილამაზისა და თამარის საგალობელი:

ენამ უძლურმა მომაკვდავისამ
ღირს-შესაფერი ვით შეგძღვნას ქება?
როდესაც გიჭვრეტ, ცას ვხედავ გახსნილს
და სასუფეელის მშვენიერებას!..
შენა ჰგრეხ სიმებს ჩემი ჩანგისას
და მეც უცნაურს ვგრძნობ ნეტარებას!
მაშინ ვემხობი შენ წინ სიმდაბლით,
და გრძნობით გიხრი თავს, დედოფალო...

აქ უეცრად უნდა გამორკვეულიყო და სხვა კილოზე მოჰყოლოდა, რომ:

იმ დროს თვალწინ ეხატვოდა თამარის ნაღვაწი სისხლისა კალო: მომაკვდავთ კვნესა, ქვრივ-ობლის წყევა, ქვეყნის ღაღადი, ერთა ყვედრება, ესმოდა და წინა ტკბილი ოცნება ვითა სიზმარი ისე უქრებოდა. და მაშინ სასიყვარულოდ აღელვებული გული შურით ევსებოდა და გასაკიცხ ლექსად იცვლებოდა მომზადებული ქებათა-ქება.

ჰკრავდა ხელს და ეტყოდა: მომშორდიო! — და რომ არ უჯერებდა, აკაკის ძალაუნებურად ახსენდებოდა სვიმონ მოციქული, ხასიათის სიმაგრისათვის პეტრედ წოდებული, რომელიც არ დაიჯერებდა ქრისტეს აღდგომას, რადგანაც თვალწინ ეხატვოდა მისი წარსული!.. და ამავე მიზეზით არ დაუჯერებდა მგოსანიც თამარის შენანებას და უკუაგდებდა!..

რაკიღა ქალებისათვის საზოგადოდ ისე მწვავე არა არის რა, როგორც სიყვარულის უარყოფა, რა გასაკვირია თამარიც გამწარებულიყო... გამწარდებოდა და კიდეც განმეორდებოდა ის, რასაც ბიბლია მოგვითხრობდა: ფარაონის მეუღლე ცილს რომ დასწამებდა იოსებ მშვენიერს და ჩააგდებინებდა ჯურღმულში. აქაც თამარი დააბრალებდა გოჩას: გაუპატიურება მომინდომაო, — და დააჭერინებდა და ჩაასმევინებდა ციხეში!..

იმავე ხანებში ღალატი რომ იჩენდა თავს, დედოფლის მოკვლას მოინდომებდნენ ცირას დახმარებით, მაგრამ გამჟღავნდებოდა შეთქმულება და ცირასაც დაიჭერდნენ.

სამსჯავრო ცირას დაკირვით მიუსჯიდა სიკვდილით დასჯას და გოჩას — ჩამოხრჩობით.

მგოსანი ყველას რომ უყვარდა და სასიკვდილოდ დაენანებოდათ: სახლთუხუცესსაც, მსაჯულთუხუცესსაც, დარბაისელთაც და მასხარასაც კი, ყველაზე მეტად სულაც მეფე რომ წუხდა, გამოძებნიდნენ მისი გადარჩენის გზას, მაგრამ გოჩა უარზე დადგებოდა და ცირასათვის ითხოვდა სიცოცხლის მინიჭებას. თვითონ კი ამჯობინებდა შერთვოდა წმინდა გუნდს, სამშობლოსათვის მსხვერპლად შეწირულთ, საფლავიც რომ არ ღირსებოდათ, მაგრამ შთამომავალთა გულში დამარხულიყვნენ.

ეს უცნაური სიტყვები უნდა მოესმინა დედოფალს, კარზე მიყურადებულს, და ახალი გრძნობით გატაცებული შემოსულიყო მედიდურად დარბაზში და ებრძანებინა:

— შეჩერდით!.. მგოსანს არა აქვს ბრალი!.. მე ვტყუი, როგორც ქალი, და ამას ვამოწმებ, როგორც დედოფალი!..

ძლიერი ბუნება გატყდებოდა... გაისრისებოდა, მაგრამ მოდრეკითა და მოღუნვით კი არ მოიღუნებოდა!..

თამარიც შენანებული ფიქრობდა მწარე რამეს: მისი სინანული არა სჯერათ! ახალ საღმაფრენო გზაზე არ გაჰყავთ და ძველი გზა კი ახლა თვითონაც ეზიზღება!

თუ დავრჩიო — იფიქრებდა — ის არ გამეორდება ჩემ გამოო (თუმც მე ბრალი არა მაქვს, არავინ არა მკითხავს მეო), — და სიკვდილს არჩევდა... თავს მოინამლავდა და ეტყოდა მეფეს:

— გცოდე როგორც ქმარს და როგორც მეფეს. ბნელი მივაყენე სამეფოს და შენდობას ითხოვს მაგდალინელი! ამიერიდან თავი სამშობლოს შეწირე და გახსოვდეს მგოსანიც!..

ხოლო მგოსანი, რომელსაც თამარისაგან არა ენახა რა სათაყვანო, მოიხიბლებოდა და იტყოდა:

— აი სად ვხედავ მე სათაყვანო მშვენიერებას! და ვაი რომ ახლა კვდება!..

ამჯერად კი დაიჯერებდა მგოსანი თამარის შენანებას და შეუნდობდა წარსულს.

თამარსაც არ ეხსენებინა უმიზეზოდ მარიამ მაგდალელი — ისიც ხომ ერთი მოტრფიალეთაგანი იყო, ვიდრე მოვიდოდა ქვეყნად მაცხოვარი ახალი აღთქმით!.. მოიტანდა ზენა სიყვარულს და მაგდალელს რომ მოესმოდა ქადაგება ზენა სიყვარულისა, დააგდებდა ძველ გზას და შეუდგებოდა ქრისტეს!.. და ეკლესია არათუ მიუტევებდა მარიამ მაგდალელს ძველ ცოდვებს, არამედ წმინდანადაც შერაცხავდა...

ამოათავებდა მსჯელობას დამცველის როლში წარმომდგარი ავტორი, სხვა პერსონაჟთა ფონზე გამოჰკვეთდა თამარის ხასიათს, კიდევ ერთხელ წარმოაჩენდა მის ცოდვებსაც და მის მონანიებასაც და საგანგებოდ გაიმეორებდა პიესაში გაკვრით მინიშნებულ პარალელს მარიამ მაგდალელთან და ორატორობისას გაამკვეთრებდა ამ ხაზს, რათა ლიტერატურულ მსაჯულთა ყურადღების მიღმა არ ჩაკარგულიყო და ამ, სწორედ და აუცილებლად ამ გადასახედიდან გაეაზრებინათ თამარის თავგადასავალიც და ბედიც.

და მღელვარედ მიმართავდა მსაჯულთა და ნამუსზეც შეაგდებდათ:

თუ არ შეუნდობთ შენანებულ-თამარს წარსულს, ამით შეურაცხყოფთ თვით შემოქმედებასაც, რომელმაც თამარში ჩასახა საოცნებო მშვენიერება, რაშიაც თვით თამარი უდანაშაულოა, და არ ეთანხმებით ეკლესიას, რომელმაც წმინდა ჰყო მაგდალელიო.

ხედავთ, რარიგ მტკიცედ მოითხოვს თამარის გამართლებას?!.

გააიგივებდა მარიამ მაგდალელთან და განუცხადებდათ: ისევე უნდა მოეპყრათ თამარს, როგორც ეკლესია მაგდალელსო.

მოსამართლეები გულდასმით მოუსმენდნენ აკაკის, მაგრამ თამარ ცბიერს მაინც დამნაშავედ ცნობდნენ. არ გაიზიარებდნენ მის გაიგივებას მარიამ მაგდალელთან, არც მის მონანიებას დაუჯერებდნენ.

ავტორის ნების წინააღმდეგ მოიქცეოდნენ.

ამაოდ ავედრებდათ აკაკი პიესით.

ამაოდ ავედრებდათ ორატორული ხელოვნებით.

ისტორიული თამარის მონანიება არაფრით დასტურდებოდა?

მაგრამ აკაკი ხომ მხატვრულად სრულიად სხვაგვარად გაიაზრებდა მის ბედისწერას — ისტორიულ რეალიებსაც გადმოიტანდა თავის პიესაში, მაგრამ მგოსანი გოჩა პირწმინდად მხატვრული გამონაგონი გახლდათ და არსებითად კი დედოფლისა და გოჩას ირგვლივ უნდა დატრიალებულიყო სიუჟეტური ქარგაც და გადამწყვეტიც ეს ამბები უნდა ყოფილიყო დრამატურგიული თხზულების მხატვრული მრწამსის გამოსაკვეთად.

მოსამართლეებსაც ამ თვალთახედვით უნდა განესაჯათ ეს ხასიათი.

მითუმეტეს — აკაკი სულაც მოითხოვდა, და თანაც როგორი არგუმენტაციით, თამარ ცბიერის გამართლებას.

მაგრამ — არა.

და ალბათ ძალიანაც დაწყვეტდნენ გულს, აკაკი თავისი ორატორული და ადვოკატური ხელოვნების უუნარობას რომ მიაწერდა ამგვარი მსჯავრის გამოტანას და არა პერსონაჟს, რომელიც — მისი რწმენით — სავსებით იმსახურებდა ცოდვების შენდობას როგორც საერო, ისე სასულიერო სამსჯავროსაგან.

წრფელი მონანიება მართლაც უნდა იწვევდეს ამ ჰუმანურ გადაწყვეტილებას, მაგრამ ამჯერად მოდი სხვა რაიმეს დავუკვირდეთ, სხვა კუთხიდან შევხედოთ:

რა რჯიდა აკაკის საიმისოდ, ისტორიულ პირს — ცოდვებითა და დანაშაულებებით დამძიმებულს — სიცოცხლის დასასრულს ასერიგად რომ უცვლიდა და მონანიების გზაზე

აყენებდა, რათა მგოსანი გოჩას ბაგით თავისი განწყობილება გამოეხატა და ცოდვილი წმინდანობამდე აღემაღლებინა?!.

რა რჯიდა და:

ქალის საარაკო მშვენიერება, ეს საფუძველთა საფუძველი სიყვარულისა.

გარეგნული სილამაზე და ყოვლისწამლეკავი სიყვარულის უნარი უნდა ყოფილიყო მის ცოდვათა შემამსუბუქებელიც და მიტევება-შენდობის გამომწვევიც, საარაკო სილამაზეს — როგორც ღვთაებრიობასთან წილნაყარს, წუთისოფლური გამრუდება ისე რომ ვერ დააზარალებდა, მისი ხორცშემოსილი გამოხატულება აკაკის ხელით ახლებურად არ აელვარებულიყო.

ამიტომაც შეეცდებოდა მის დამკვიდრებას ამაღლებულ სახებათა შორის.

ლიტერატურული სამსჯავრო არ გაიზიარებდა და თამარ ცბიერს აკაკის მიერ აგებული კვარცხლბეკიდან ჩამოაგდებდა?!.

აკაკის შთამომავლობის იმედიღა დარჩებოდა: ისინი მაინც გამიგებენ, ისინი მაინც გაიზიარებენ პიესის მხატვრულ მრწამსს, ისინი მაინც დააბრუნებენ თამარს კვარცხლბეკზეო...

* * *

ნეტა იქ რაღა მოხდებოდა, მედეას ლიტერატურული გასამართლებაც რომ გამართულიყო და აკაკის კვლავაც დამცველის როლი ედო თავს?

როგორ შეეცდებოდა მის გამართლებას?

ოღონდ ჯერ ტრილოგია უნდა მოთავებულიყო.

ისე ნეტა ტრილოგია რატომ განეზრახა, როდესაც დილოგიაშიც სავსებით ჩაეტეოდა მედეას თავგადასავალი: მისი ცხოვრება კოლხეთსა და ელადაში კიდეც ამოწურავდა მის მღელვარე, გულისშემძვრელ, ტრაგიკულ ბიოგრაფიას და ბერძნული მითოსი — ტრაგიკოსთა მიერ აღდგენილი სურათის მიხედვით — უფრო შორს აღარც მიდიოდა. იმ ვერსიებისათვის სრულიად უცნობი გახლდათ და ყოვლად უინტერესოც სამშობლოში დაბრუნებული მედეას ბედი.

არადა აკაკი არამცთუ დაინტერესდებოდა და ძალიანაც დაინტერესდებოდა უძღები ქალიშვილის შინდაბრუნებით, აკი სულაც ცალკე პიესად ჩაეფიქრებინა ეს თემა.

თავიდან ბოლომდე მისი გამოსაგონი იქნებოდა სიუჟეტი ამ დამამთავრებელი დრამისა?

ვერ მოიმარჯვებდა შესაფერისად თავის უშრეტ წარმოსახვას თუ რა!..

აბა მარტოდენ ევრიპიდულ თუ სხვა ძველბერძნულ ვერსიებზე ხომ არ იქნებოდა დამოკიდებული.

შვილებს რომ არ დაახოცინებდა მედიას, ამას დიდი რამ მიხვედრა არ უნდა სჭირდებოდეს. თვითონ ძველბერძნული გადმოცემებიც სდებდნენ ბრალს ევრიპიდეს: ფული აიღო მედეასათვის სახელის გასატეხად და ეს ცოდვა ამიტომაც აჰკიდა, თორემ ტრაგედიის ფინალი ასეთი შემზარავი აღარ იქნებოდა და შვილების მკვლელის სახელი მაინც ასცილდებოდაო.

ამ გადმოცემას, ბერძენი ტრაგიკოსის მიმართ წაყენებულ ამ ბრალდებას მოეჭიდებოდა აკაკი.

იმას რა უშველიდა, იმ უმძიმეს ცოდვებს რა გადაწონიდა, მამაც რომ უღვთოდ გაეწირა, ძმაც და მშობლიური კოლხეთიც?

რაღა პირით უნდა დაბრუნებულიყო მისგანვე ასე მწარედ უარყოფილ სამშობლოში, მისი დაკნინება-დაცემისათვის ხელი რომ შეეწყო იაზონის სიყვარულისაგან ანთებულსა და გონსგადასულს?

რას უშველიდა მის გამართლებას ყოვლისწამლეკავი სიყვარული?

რას უშველიდა გარეგნული მშვენიერება, თუნდ საარაკოც?

აკაკის მტკიცე რწმენით:

სწორედაც რომ უშველიდა.

გარეგნულ სილამაზეს, არაამქვეყნიურს, და სიყვარულის უნარს უნდა გაეღვივებინა მის არსებაში სულიერი მშვენიერების ნამცეცები, ამოეზარდა, მოეღონიერებინა და მონა-

ნიების გუნებაზეც დაეყენებინა, მომნანიე ადამიანისათვის კი სულ სხვაგვარად უნდა შეგვეხედა, ისევე, როგორც იესო მაცხოვარი უყურებდა — და მის კვალზე ეკლესიაც — თუნდ მარიამ მაგდალელს.

ტრილოგიის დამამთავრებელ ნაწილში აუცილებლად გამოჩნდებოდა მგოსანიც (უამისოდ ანკი როგორ იქნებოდა!), რომელსაც უნდა გამოეთქვა და დაედასტურებინა აკაკის გულისნადებიც და ტრილოგიის მხატვრული კონცეფციაც, მთლად იმ სიტყვებით არა, მგოსანი გოჩა როგორც ამბობდა „თამარ ცბიერში", მაგრამ აზრი იგივე იქნებოდა:

აი სად ვხედავ მე სათაყვანო მშვენიერებას! და ვაი რომ ახლა კვდებაო!

და შენდობილი და ცოდვათაგან განწმენდილი გადაინაცვლებდა მედეაც იმიერსამყაროში და აკაკის ხელით ასე შეუერთდებოდა უკვდავ პერსონაჟთა გალერეას.

ჩაანაცვლებდა კი ევროპიდულს ეს ახლებური გააზრება?

ყოველ შემთხვევაში აკაკი თავისას შეეცდებოდა, და საამისოდ ელოდებოდა იმ სულიერ აღმაფრენას, შემოქმედებით ძალთა ისეთ მოზღვავებას, მსოფლიოში აღიარებულ დრამატურგთან შეჯიბრისას თავის მხარეს გადაეწონა ის სასწორი, მკითხველის გემოვნება რომ განსაზღვრავდა მის სრულყოფილებას.

და ლიტერატურული სამსჯავროს წინაშე წარმდგარი სხვა სიტყვებით, მაგრამ იმავე სულისკვეთებითა და პათოსით შეეცდებოდა შეეგონებინა მოსამართლეთათვის:

თუ არ შეუნდობთ შენანებულ-მედიას წარსულს, შეურაცხყოფთ თვით შემოქმედებასაც, რომელმაც მედიაში ჩასახა საოცნებო მშვენიერება, რაშიაც თვით მედია უდანაშაულოა, და არ ეთანხმებით ეკლესიას რომელმაც წმინდა ჰყო მაგდალელიო.

მოსამართლეებს ამჯერადაც ნაკლებმოსალოდნელია გაეზიარებინათ აკაკის ეს ღაღადისი, არამცთუ ამ მესამე ნაწილისა და საერთოდ ტრილოგიის მხატვრული მრწამსი, და მედიასაც ისევე გადაუწყვეტდნენ დამნაშავისათვის შესაფერის ყველაზე მკაცრ სასჯელს, როგორც თამარი გაემეტებინათ.

მასაც დაუნანებლად ჩამოაგდებდნენ აკაკის მიერ აგებული კვარცხლბეკიდან.

მაგრამ... ამჯერად შალვა დადიანი რომ მიეწვიათ მთავარ მოსამართლედ?

ოოო, მაშინ უკვე იოლად ნუღა დავიჯერებთ, რომ მედიაც თამარ ცბიერივით გაიწირებოდა, რადგანაც შალვა დადიანი იმასვე გაიმეორებდა და მოითხოვდა წინასწარი თათბირისას, აკაკი რასაც ივედრებოდა ასეთი გულმხურვალებით: მართლა ისე არ მოგვივიდეს, რომ არ ვეთანხმებოდეთ ეკლესიას, რომელმაც წმინდანად შერაცხა მარიამ მაგდალელიო.

— სილამაზე, სიყვარული მაინც გადაწონის ყოველივეს, როგორც ღვთაებრივთა წილნაყარიო, — რაღაც ამგვარად შეეცდებოდა აკაკი მისთვის მადლობის გადახდას, ლიტერატურული სამსჯავრო რომ მოთავდებოდა და ხალხი ცხარე დაეა-კამათით გამოიშლებოდა გარეთ.

— წილნაყარია და კიდეც გადაწონის, აბა რა იქნება, სილამაზეა განმსაზღვრავი ყველაფრისა, სილამაზე და სიყვარულიო, — დაუდასტურებდა შალვა და ოდნავი თვალმოჭუტვით გახედავდა შუაღამეზე გადმომდგარ მზეს.

თავი VIII

„ბაში-აჩუკი“ კინოსამზერიდან

— ეს სადაური რა გამოდისო, — მღელვარებას ვერ დაიოკებდა აკაკი წერეთელი, — ქართლის ცხოვრება თითქოს არც არსებობდეს და არც არაფერს გვაუწყებდეს ბახტრიონის ბრძოლაზე, არც ზაალ არაგვის ერისთავზე გვსმენოდეს რაიმე და არც იმ სამ წამებულ გმირზე, ბიძინა ჩოლოყაშვილსა და შალვა და ელიზბარ ერისთავებზეო.

ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის“ წაკითხვას აეღელვებინა ასე ძალიან.

რა — ვითომ ასაღელვებელი არ იყო?!.

დაეძებდა და... პოვნით კი ვერსად პოულობდა პოემის სიუჟეტში მისთვის უფრო ნაცნობ, გაცილებით უფრო მშობლიურ სახელებს, ვიდრე თუნდაც ზეზვა გაფრინდაული გახლდათ. ზეზვას საწინააღმდეგო განა რამე ჰქონდა, არც მისი ჰეროიკული ღვაწლი უნდა დაჩრდილულიყო და პოემის მხატვრულ სურათებში მისი მონუმენტური ფიგურაც შესაფერისად წარმომდგარიყო, მაგრამ ამ წამებულთა შემცველად კი არა!..

იმათ დაჩრდილვას ვინ ჩივის, საერთოდ გამქრალიყვნენ „ბახტრიონის“ მხატვრული სცენიდან — ვითომც ყოფილან და ვითომც არაო.

ვითომ ასე პირწმინდად უნდა გადაეყლაპა აღმოსავლეთ მთიანეთის ხალხურ პოეზიასა და გადმოცემებს ისტორიული ქრონიკები?..

რატომაც არაო, — თავისი დაებეჯითებინა ვაჟა-ფშაველას და... „ქართლის ცხოვრების“ ანარეკლსაც არ გააჭაჭანებდა თხრობაში.

გაელვება რაღა იყო, გაელვებითაც ვერ მოხვდებოდნენ საისტორიო ქრონიკის გმირები პოემის ქარგაში.

სახალხო გმირების იქით არ გაიხედავდა, თითქოს ჯერაც საყმოს შვილი ყოფილიყოს, იმ ტრადიციული საზოგადოების, რომლის მიღმაც მის წევრებს არაფერი, სრულიად არაფერი ეგულებოდათ, გარდა მითოსური ქაოსისა.

წესრიგი მხოლოდ საყმოს სივრცეში სუფევდა — მის ყოფასა და მითოსურ-რელიგიურ წარმოდგენებში. და ისტორიაც მხოლოდ ეს იყო, რასაც ამ ტრადიციული საზოგადოების ცნობიერება ინახავდა, მითოსური დროის კვალობაზე დალაგებული, ეპოქები თავისებურად რომ ერწყმოდა ერთმანეთს და ქრონოლოგიური ჟამისაგან განსხვავებულად წარმოდგებოდა, მაგრამ საყმოს შვილთათვის ეს უფრო სარწმუნო ისტორია გახლდათ, ვიდრე ის ქრონოლოგიური, რომელიც პირწმინდადაც გაქრებოდა ხალხის ხსოვნიდან, მატიანეებს რომ არ შემოენახათ.

ვაჟა-ფშაველას საგმირო ეპოსი რაკილა ტრადიციული საზოგადოების გარემოდან ამოზრდილიყო, ახალი ჟამის ეპიკოსი ბოლომდეც მიენდობოდა ამ სივრცეს, მის წიაღში ჩაეფლობოდა თხემით ტერფამდე, მხოლოდ ამ ხმებს მიაყურადებდა და კიდევ ერთხელ იგრძნობდა, რომ ამ გარემოდან ოდნავი გადახედვაც კი რაღაცას დაურღვევდა სულში, ხოლო ეს „რაღაცა“ უბრალო რამ არ გახლდათ, რაკილა საგმირო ეპოსს გამოაცლიდა ხელიდან.

ამიტომაც გახედავდა დანანებით „ქართლის ცხოვრების“ ქრონიკებს და გუნებაში მოუბოდიშებდა მისთვისაც სათაყვანებელ გმირებს: მხატვრული თავისებურების ბრალია, თორემ თქვენ დასავიწყებლად როგორ გაგიმეტებდითო.

აკაკი წერეთელი არ დაგიდევდა ამ მხატვრულ თავისებურებას. ვერავითარ აუცილებლობას ვერ დაინახავდა ისტორიული ქრონიკებისათვის გვერდის ასავლელად და ბახტრიონის ბრძოლის ამგვარ გააზრებას ვაჟა-ფშაველას ახირებას მიაწერდა: ენობრივი მიკერ-

ძოება აღარ იმყოფინა და მხოლოდ სალიტერატურო ქართულს კი არ აქცია ზურგი ასე კადნიერად, არამედ ნამდვილ ისტორიასაცო.

რა გამოდიოდა —

ერთი კუთხე დაემჯობინებინა მთელი ქვეყნისათვის?

ვაჟა სხვაგვარად განსჯიდა — ნამდვილი ქართული მეტყველება ფშაურმა კილომ შემოინახა და ეროვნული, ჰეროიკული სულიც მთაში უფროა გადარჩენილი, ვიდრე ბარში, ამიტომაც ზოგადქართული ენაც და ნარმოდგენებიც ამ გარემოდან უფრო განზოგადდება, სწორედ ეს წვეთი აირეკლავს ყველაზე ღრმად და სრულყოფილად ჩვენს ეროვნულ ცნობიერებასაც და გარდასულ თუ სულაც გამარადიულებულ ჟამსაცო.

გარეგნულად ხომ ასერიგად დაცილებულიყვნენ, და ვაჟა-ფშაველა ვერც წარმოიდგენდა, უნებურად აკაკი წერეთლის მხატვრულ ძიებებსა და მიგნებებს თუ აგრძელებდა — საკუთარ ქურაშიც აწრთობდა, კალაპოტსაც ახალს გაუჭრიდა, მაგრამ პირველსათავე მაინც ის იყო.

არც აკაკი წერეთელი ჩაკვირვებია ამ ვითარებას და არც დაიჯერებდა, ვინმეს რომ შეემჩნია და ეს მოსაზრება მისთვისაც გაეზიარებინა: ვაჟა-ფშაველას სახით ლიტერატურული მემკვიდრე გამოგიჩნდა, ოღონდ სრულიად განსხვავებული შენს ეპიგონთაგან, თვითმყოფად მოვლენად ჩამოყალიბდა, დაცილებითაც ბევრგან დაგცილდა, მაგრამ მისი მხატვრული სამყაროს პირველბიძგი შენს შემოქმედებაში იძებნებაო.

რა გასაკვირია, მტკიცედ თუ უარყოფდა აკაკი წერეთელი:

ჩემთვის მიუღებელი სტილურ-ენობრივი თავისებურება ჩემი მხატვრული ძიებებით როგორ უნდა იყოს შთაგონებულიო?!.

და ის შეხედულებაც აღიზიანებდა და ვერა და ვერ ეპატიებინა ილია ჭავჭავაძისათვის:

მე და აკაკიმ კალამი ძირს უნდა დავდოთ და გზა ვაჟას დავუთმოთო.

დებიუტანტის გამოჩენას განა ასე როგორ აღეფრთოვანებინა, რომ სიტყვა ვეღარ მოეზომა და ახალგაზრდა კაცის სახელი ერთბაშად მწვერვალზე აეტყორცნა?..

გაუძლებდა კი ჭაბუკის შეგნება ასეთ აღმატებას სახელოვანი კაცისაგან?

ვაითუ სულაც დაელუპა, თუკი პატივმოყვარეობა ძალუმად დარევდა ხელს და დაიჯერებდა, მისაღწევისათვის უკვე მიმიღწევია და შემიძლია ზემოდანაც ვუყურო ლიტერატურაში მოფუსფუსე-მოჩხირკედელავე ადამიანებსო.

დაიღუპებოდა თუ არა, აკაკი წერეთელს ამასთან რა ხელი ჰქონდა. ეგაა, ილიას სიტყვებით გაგულისებული არ დაახანებდა და მაშინვე შეუთვლიდა: მე არ ვაპირებ კალმის ძირს დადებას და, თუ მაინცდამაინც ასე მოხიბლულხარ, დაე შენი კალმის დადება იკმარეო.

და ეგებ გუნებაში ისიც გაევლო: ნეტა ადრევე მოგეფიქრებინა და ლექსებს ჩამოხსნოდი, „მერცხლის ჭყივილს“ რომ წერდი, იმწამსვე უნდა დაგედო კალამი ძირსო. და თავმომწონედაც გაეღიმა, რადგანაც ილია ჭავჭავაძის იმ ლექსს აკი მალევე გამოეხმაურა პაროდიული სტრიქონებით — ნაჰკრა და ნამოჰკრა ნესტარი.

შეთვლით კი შეუთვლიდა, შენს კალამს მიხედეო, მაგრამ გულს მაინც ვერ შეაჯერებდა და მწარედ ჩარჩებოდა ილიას ის უცნაური აღტაცება. რა, შესაფიქრიანებელი არ იყო? ვინ იცის, სხვებსაც გაეზიარებინათ ვაჟა-ფშაველას პოეზიის ეს უზომოდ გადაჭარბებული შეფასება და ეს თავისთავად არცთუ ურიგო შემოქმედი აკაკი წერეთლისათვის შეეტოლებინათ.

როგორი მოსათმენია?

და აკაკი ეჭვითაც ადევნებდა თვალს ვაჟა-ფშაველას მოძრაობასაც სალიტერატურო სარბიელზე და იმ გამოხმაურებებსაც, რასაც მისი ცალკეული პუბლიკაციები იწვევდა — ძალიან ზემოთაც არ აზიდონ, თვითონაც მოეხსენებოდეს და სხვებმაც კარგად იცოდნენ მისი ნამდვილი ადგილიო.

გრიგოლ რობაქიძე მოზაიკური მანერით აგებულ იმ სტატიაში „აკაკი (ფაქტები ფიქრები)“ საგანგებოდ რომ ჩაურთავდა ერთ ასეთ მინიატურასაც — „აკაკი და ვაჟა“ — დაბეჯითებით განაცხადებდა:

— ოცი წლის წინად ასეთი დაპირისპირება — აკაკი და ვაჟა — მაკედინებელ ცოდვად ჩაითვლებოდა: ისე მაღლა იდგა აკაკი და ისე დაბლა ვაჟა.

და თავმომწონედ დასძენდა:

— დღეს კი ასეთი დაპირისპირება არა თუ შესაძლოა, არამედ... რა საჭიროა წერტილის დასმა?

თავმომწონეობა რა შუაშია?

ქვეტექსტი ისედაც გამჭვირვალეა, მითუმეტეს, გრიგოლ რობაქიძე ყოველთვის აღნიშნავდა თავის განსაკუთრებულ წვლილს ვაჟას კულტის დამკვიდრებაში და ცისფერყანწელებიც მოუწყინრად უდასტურებდნენ — მისი საჯარო გამოსვლებითა და წერილებით დაიწყო ვაჟას სახელის აღზევებაო.

მისი წვლილი ამ მხრივაც მართლა მნიშვნელოვანია, მაგრამ ვაჟას სახელი მანამდე უკვე აეწიათ ისე, რომ აკაკისთვისაც შეეთანაბრებინათ და უკვე ის პიროვნება არ შეშინებია „მაკვდინებელ ცოდვას“, ეს ვინც გაბედა.

გახსოვთ „ბუნების კარში“ იაკობ გოგებაშვილი ოთხ ფოტოსურათს რომ მოათავსებდა ამგვარი წარწერით — „მთავარი ქართველი მგოსნები ახალის დროისა“?

ოთხად ოთხი ფოტო ნიშნავს, რომ საკმაოდ მკაცრი საზომით უხელმძღვანელია მის ავტორს.

ეს სიმკაცრე კი უკარნახებდა, რომ რეიტინგ-ლისტიდან არაფრისდიდებით არ გამოეტოვებინა ვაჟა-ფშაველა და იგი — რაფიელ ერისთავსა და ილია ჭავჭავაძესთან ერთად — აკაკი წერეთლის გვერდითაც ეგულისხმა.

ილიასეულ შეფასებას ეს გაგრძელება ეპოვნა — უკვე ხელშესახები დადასტურებაც და, საზოგადოებრივ აზრსაც, სხვა რაღა დარჩენოდა, ანგარიში უნდა გაეწია იაკობ გოგებაშვილის ამ მტკიცე გადაწყვეტილებისათვის.

გრიგოლ რობაქიძეც ამ კვალში ჩამდგარიყო და პირველობას ამაოდ იჩემებდა: მხოლოდ ჩემი ნარკვევების შემდეგ გახდა „ასეთი დაპირისპირება“ შესაძლოო.

პიროვნულად აკაკი წერეთელი უფრო ნიჭიერიც შეიძლება გამომდგარიყო?

გრიგოლ რობაქიძე სადავოს არ გახდიდა ამ მოსაზრებას, მაგრამ თავის მხრივ დასძენდა: პოეტურ ნამოქმედარს ეს ვერ არკვევს ბოლომდეო.

და მოადევნებდა ვაჟას დითირამბს:

— ვაჟა პირია უპიროვნო შემოქმედების. იგი ჰომერის ნატეხია საქართველოს არეზე. აქ არის მისი სიძლიერეც.

ცხადია, „ალუდა ქეთელაურის“ შემოქმედი ჰომეროსის ნატეხად ვერაფრისდიდებით ვერ ჩამოყალიბდებოდა, თუკი ფშაეხევსურული, მითოსური დრო-ჟამის განზომილებას გამოეცლებოდა და ისტორიული დრო-ჟამის განზომილებაში ამჯობინებდა გადანაცვლებას. ანუ: მისთვის ყველაზე ბუნებრივს, ყველაზე ღრმად ინტიმურს ხელოვნურით შეანაცვლებდა. უნდოდა თუ არ უნდოდა, საკუთარ სიძლიერეს მოწყდებოდა და ველარც მარადისობის მკვიდრი შეიქნებოდა მხოლოდღა კომეტასავით გაელვებული.

ჰომეროსის ნატეხობა უბიძგებდა საისტორიო ქრონიკებისათვის გვერდის ავლას — თითქოს ისიც იმ ჟამის შემოქმედი ყოფილიყოს, წერა-კითხვა ჯერ რომ არ იცოდნენ და ზეპირად თხზავდნენ საგმირო ეპოსებს, ამ ვეება ქმნილებებს. ცხადია, არც საისტორიო მატიანეები მოეძევებოდათ და მარტოდენ თქმულება-გადმოცემებს უნდა დაყრდნობოდნენ. ჰომეროსს აკი სხვა გზა არც გააჩნდა.

ვაჟა-ფშაველას — ვითომ არ გააჩნდა, ოღონდაც ამ მხრივ იმის კვალში გადასულიყო.

ეს რანაირი რა გამოდისო, — ვერ აეხსნა აკაკი წერეთელს.

თუმც სად ედევნა ამისი ახირებებისათვის.

ბახტრიონის აღების ამბავი კი ძალიან დაეინანებოდა ცალმხრივი გააზრებისათვის, საისტორიო ქრონიკის გმირებიც არ გაემეტებოდა მხოლოდ „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე ჩასატოვებლად, მხატვრული ხორცშესხმა მაინც სულ სხვა რამ გახლდათ, სხვა ძალისა და მადლისა საზოგადოებრივ ცნობიერებაში დასამკვიდრებლად, და ეს წადილი შთააგონებდა „ბაში-აჩუკს“, როგორც თვითკმარ ქმნილებასაც და როგორც ფარულ გამოკამათებასაც ვაჟა-ფშაველასთან.

ეს პოლემიკა მართლაც ძალზე ღრმადაა შემალული.

თუ სხვადასხვა გარემოებანი, ფსიქოლოგიური ფონი არ გაითვალისწინე, ვერც იფიქრებ, გამოკამათების ჟინმა თუ გამოიწვია მისი შექმნა.

ეს რომ მეოცე საუკუნის დასავლური თხზულება იყოს, შინაგანი მონოლოგი, განსჯა, კრიტიკული რეფლექსიები ჩვეულებრივი მოვლენა რომ გახდებოდა თხრობისას, საამისო პასაჟები უთუოდ ჩაერთვოდა — და საკმაოდ ბლომადაც — „ბაში-აჩუკსაც“, კრიტიკულ-ესთეტიკური ნაკადი მთლიანად ამ განწყობილებითა და მრწამსით განიმსჭვალებოდა, ხოლო რაკიღა ამ ზოგადსტილური მანერის დრო ჯერ კიდევ არ დამდგარიყო, აკაკი წერეთელი თავის დამოკიდებულებას იმით გამოხატავდა, რომ სახალხო გმირთაგან არცერთს არ გააჭაჭანებდა სიუჟეტში.

გაელვება რაღა იყო, გაელვებითაც ვერ მოხვდებოდნენ მოთხრობის ქარგაში.

ის გარემოებაც არ გამორჩებოდა, ვაჟა-ფშაველამ მთავარ გმირებად ფშაველები რომ გამოიყვანა — ლელა და კვირია, შეთხზული პერსონაჟები, მათ შეახსნევინა ციხის კარი და მერეღა დაუტოვა ასპარეზი პოეტურ და პროზაულ გადმოცემათა გმირებს. ამიტომაც თვითონ იმერელ ჭაბუკს მოაქცევდა მოვლენათა შუაგულში, გლახუნა ბაქრაძეს არგუნებდა ბრძოლის გადაწყვეტას, შეთხზულ პერსონაჟს, ურომლისოდაც ბახტრიონი აუღებელი დარჩებოდა.

მოთხრობის ლოგიკით ასეა და მხოლოდ ასე.

აბა ფშაველებისათვის რატომ დაეთმო გამარჯვების პატივი.

გრიგოლ რობაქიძე აინუნშიც არ ჩააგდებდა ამ ფარულ პოლემიკას და არც იმას დაგიდევდა, ფშაველებმა გადაწყვიტეს ბახტრიონის ბედი თუ იმერლებმა. ეგებ სხვა გარემოებანი გაცილებით უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნდა აკაკი წერეთლის მხატვრულ სამყაროში და ჯერ იმათ უკვირდებოდა. ეგებ არც არასოდეს დაინტერესებულიყო ვაჟასთან იმის ახდილი თუ შეფარული დავა-კამათით.

დიდხანს კი უტრიალებდა აკაკის მხატვრულ ნააზრევს და ცალკე რკალადაც გამოიკვეთებოდა მის ესეისტიკაში ეს დაკვირვებანი და მიგნებანი.

მსჯელობა მსჯელობად, შეფასება შეფასებად და არაერთხელ მიგვანიშნებს, ზოგიერთი თემისა თუ მოტივის გაყოლას რომ აპირებდა, გაცილებით ვრცელ და საფუძვლიან დამუშავებას, თუკი საამისო მოცალეობა ექნებოდა.

ასეთ მოსაზრებას რომ გამოთქვამდა: აკაკის შემოქმედებითი ინდივიდუალობა შეუცნობელი გენიალობაა — მან ვერ მიაღწია გენიალურ შეცნობილობას. ეს არის მიზეზი, რომ მისი გენიოსური ბუნება გენიოსად ვერ იქცაო, — დასძენდა:

— აი თემა, რომელიც ჯერ-ჯერობით უცდის თავის ავტორს.

დაებადებოდა თუ არა უნებლიე პარალელი: აკაკი და ჰიუგო, — და გაახსენდებოდა, რომ აკაკის იმდენივე გავლენა ჰქონდა საქართველოში, რამდენიც ჰიუგოს საფრანგეთში, — მოადევნებდა:

— პოეტური შეპირისპირება მათი შესაძლოა მერმისმა ითავოს.

ვაჟა გადასძლევსო, — დაიბეჯითებდა თუ არა, აკი გამორკვევასაც შეეცდებოდა: ნიჭითო? მაგრამ ნიჭი აკაკის ამ „მიგდებულ“ ნაწარმოებშიც — „ჭიდაობა ნესტორ ესებუასი და კულა გლდანელისა“ — ხომ თვალსაჩინოდ იკვეთებოდა? და ესეც ხომ ხალხის შემოქმედების ნატეხი იყო? და რომ მიხვდებოდა: აქ სხვაგანაა საიდუმლო, — და ბილიკსაც მიაგნებდა: ის უფრო მასალაში უნდა ვეძიოთო, — დაურთავდა:

— ეს კი სხვა თემაა.

ამ ყოველივეს სხვა ლიტერატორებს ანდობდა?

თუ თვითონ დამუშავება ვეღარ მოუხერხდებოდა, რატომაც არა — გულუხვად დაარიგებდა თემებს, მაგრამ უპირველესად მაინც თავისთვის შეერჩია და ფიქრობდა: საამისო დროს როგორ არ გამოვძებნიო.

ცალკე რკალადაც გამოიკვეთებოდა მის ესეისტიკაში ეს დაკვირვებანიო...

ამასობაში ისეთ ძარღვს მიაკვლევდა, ვრცელი ნაშრომის მთავარ საყრდენადაც რომ გამოდგებოდა, საიდანაც უამრავი ბილიკი ძალდაუტანებლად განიტოტებოდა, მაგრამ გაფანტვის შიში არ ექნებოდა, ისეთ მტკიცე კომპოზიციურ ღერძს დაიგულებდა ხელთ.

მაინც რა კომპოზიციურ ღერძს?

აკაკის იუბილეს იმიტომ კი არ ვდღესასწაულობთ, რომ იგი პოეტია, როგორც ეს უმრავლესობას ჰგონია, არამედ იმისთვისაც, რომ აკაკი ქართველობის იდუმალი თან მეტყველი სახეაო, — ასე განაზოგადებდა, ამ სიმბოლიკის სიმაღლემდე აზიდავდა მგოსნის სახებას და შესაფერის კონცეფციასაც მოადევნებდა:

— ქართლის მომავალი ბედი ამ სახის გამოცნობაშიაც სდევს.

რაოდენ მრავალფეროვნად და ყოვლისმომცველად წარმოუდგებოდა გრიგოლ რობაქიძეს აკაკი წერეთლის მხატვრული სამყაროც და მისი პიროვნული სიდიადეც, რომ ქვეყნის მომავლის განსაზღვრა ამ მხატვრული სამყაროს თავისებურებათა ამოხსნაში ეგულებოდა.

რუსთველის შემდგომ ქართული სიტყვის პირველ ხელოვნად ვინ ჩაითვლებოდა?

ვინ წარმოდგებოდა რუსთველის მოციქულად?

საამისოდ აკაკი შეერჩია, „როგორც მქმნელი ქართული სიტყვისა, ქართველთა სულის ენტელეხიის სხეულება ნამდვილი“:

— სარო ტანი, მოხდენილი ქედი, მრავალფეროვანი ფრთა, მსუბუქი ფრენა, — აი, მოხაზულობა აკაკის სიტყვისა...

ხატოვანი გამოთქმების ფონზე ყველაზე უკეთ გამჟღავნდებოდა აკაკის სიტყვის ჯავარი და მადლი, რაკიღა ასეთ დროს მკაცრი მეცნიერული ტერმინოლოგია მხოლოდ მის ზედაპირთან მიგაახლოებს და იქ გატივტივებს. უფრო მეტს კი ამაოდღა მოიწადინებ.

ნიშანდობლივია, რუსთველის სახელის ხსენება ასე აუცილებელი რომ გამხდარა აკაკის მხატვრულ სამყაროზე ფიქრისას.

აკაკისათვის „ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედი მარტოდენ პოეზიის საზომი კი არა ყოფილა, მარტოდენ უწმინდესი სახელი, რომლისთვისაც — თავისი ირონიისა და ენამწარეობის მიუხედავად — ოდნავადაც არასოდეს გაუკრავს კბილი, არამედ უშუალო წინამორბედი, რომლის სულის აღდგენაც დავალებოდა უაღრესად მღელვარე ჟამს — ქართველობის ხელმეორე შობიერებისას.

მსჯელობისას ალექსანდრ პუშკინის სახელსაც მოიხმობდა მრავალმხრივ საგულისხმო შეპირისპირებისათვის, რისი დამოწმებაც ამჯერად ზედმეტია, მხოლოდ იმას დავუკვირდეთ, რომ აკაკი იბადება მაშინ, როდესაც ქართველობა საღამოს ბინდითაა მოცული, და ქართველთა სულს აკაკიმდე მზე რომ უხილავს, აკაკის დროს იგი უკვე ჩასულა და აკაკი მეორე სიტყვაა ხელახლა გაღვიძებული ხალხისა.

— იგი შეუცნობელ გრძნობს, რომ საქართველოს სულის სხეული დამსხვრეულია, — და ცდილობს შეუცნობელ მის ფერფლისაგან მისი ლანდი წარმოშობოს...

ამ მხატვრული სამყაროს მთავარი ძარღვი მიგნებულია.

ასპარეზიც შემოფარგლულია.

და გრიგოლ რობაქიძეს სხვა არა დარჩენოდა რა, გარდა იმისა, რომ დაკვირვებანი და მიგნებანი მონოგრაფიის თემად ექცია, მონოგრაფიის, რომელსაც ამ გადასახედიდან ქართლის მომავალი ბედიც უნდა განეჭვრიტა.

ბევრგვარია მიზეზი, რაც აბრკოლებს ხოლმე განზრახული თხზულების შექმნას, ოღონდ ამჯერად ის აუხსნელი გარემოებაც ხომ არ გადაიქცა ბარიერად, აგერ საუკუნე გადის და აკაკი წერეთლის მონუმენტური სახება რომ ვერა და ვერ გამოგვიკვეთავს — პიროვნების ბიოგრაფია და ხვედრი მისი სამშობლოს ბედს ხელშესახებადაც რომ წარმოაჩენდეს და სრულადაც — სწორედაც სრულად, ფრაგმენტულად კი არ აირეკლავდეს.

ღრმა, მახვილგონივრულ თეზისთა ჩამოყალიბებაც დიდად დასაფასებელია, შთამომავალთ რომ წაადგებათ შთაგონებისათვის.

აკაკის ლანდი იმთავითვე რომ სდევდა თან გრიგოლ რობაქიძეს, დიდხანს უპირველესად მაინც პოეტად მიიჩნევდა, პოეტურ აზროვნებაში ხედავდა მის უმთავრეს ძალას, პროზაული ნაწერებიც წაეკითხა სიყმაწვილისას და... ხელახლა გადაკითხვა აღარც მოუნდომებია, რაკიღა ვერც შეადრიდა მის პოეტურ მიღწევებს ვერც სტილისა და ვერც კომპოზიციის მხრით.

მრავალი მისი პროზაული ნაწერი დავიწყებას მისცემოდა?

მკითხველს ბავშვობაში გაცნობა ეკმარა და შემდეგ შემთხვევით თუ აუღია ხელში, შემთხვევით თუ გადაუფურცლავს, შემთხვევით თუ გადაუვლია თვალი?

გრიგოლ რობაქიძე მკითხველს არ ამტყუნებდა, რადგანაც თვითონაც დავიწყებისათვის მიეცა ეს თხზულებანი.

ეგაა, სხვათა მსგავსად შემთხვევით მოუხდებოდა „ბაში-აჩუკის" გადაკითხვა.

და... სხვათაგან განსხვავებით, კითხვას რომ ჩაამთავრებდა, გაოცებული დარჩებოდა „პირდაპირ კლასიკური ნაწარმოებით. განსაკუთრებით ამბავის საოცარი ხვეულებით".

პირწმინდად ლიტერატურული თვალსაზრისით რომ დარჩენოდა ამგვარი შთაბეჭდილება, ჯერ ესეც რაოდენ მნიშვნელოვანია — მოხდებოდა მისთვის აკაკის, როგორც დიდებული პროზაიკოსის, აღმოჩენაც... მაგრამ აქ სხვა რამ უფრო მნიშვნელოვანია — „ბაში-აჩუკი" კინორომანად რომ წარმოუდგება. თანაც, ვარაუდად კი არ დაებადა ეს მოსაზრება, არამედ დაბეჯითებით ირწმუნებს და სხვებისათვის გაზიარებასაც მოინდომებს.

სტატიის სათაურშივე ამიტომაც გაიტანდა მის კინორომანობას.

* * *

1895 წელს, როცა პოეტი 55 წლისა იყო, დაწერა „ბაში-აჩუკიო", — შალვა ამირეჯიბი საგანგებოდ აღნიშნავდა მის ასაკს, რათა ეს აღტაცებული სტრიქონები მიედევნებინა, — მართალია არა პოემა, არა ლექსად და მხოლოდ პროზით, მაგრამ ისეთი მხატვრული პროზით, და მოკლე პროზის ისეთი ეშხით, რომელიც მხოლოდ აკაკიმ იცოდაო.

და მერე კიდევ ერთხელ:

მოთხრობაში გადაშლილია საქართველოს ტრაღიკული მდგომარეობის აკაკისებური მხატვრული ფონი, შაჰ-აბაზის საშინელი ხანისაო.

შალვა ამირეჯიბისათვის ეს უმაღლესი შეფასებანია: მხოლოდ აკაკიმ იცოდაო... აკაკისებურიო...

სერგო კლდიაშვილის თვალთახედვაშიც:

აკაკი დიდი გახლდათ პროზაიკოსადაც. და „ბაში-აჩუკს" ახალი ქართული პროზის უბრწყინვალეს ნიმუშად რომ მოიხსენიებდა, ამასთან — ერთი ამოსუნთქვით დაწერილადაც.

— პირველი შთაბეჭდილება მისგან ისეთი რჩება, თითქოს ავტორი წერდა მას ნათელ წუთებში, დიდი ხის ჩრდილში მოსვენებული და მის თითებს შთაგონების ღმერთი დაატარებდა ქაღალდზე.

ამასაც დასძენდა:

პროზაში აკაკის შეეძლო არაერთი შედევრი შეექმნა, მაგრამ იქნებ ის ნაკლებ მნიშვნელობას აძლევდა პროზას თავის შემოქმედებაშიო.

რატომ გაუჩნდებოდა ამგვარი მოსაზრება?

აკაკი მრავალ მკრთალ ლექსს მიაწერდა თავის სახელს, ხოლო ავტორობას „რაჭის ერისთავი როსტომისა" (უნდა იყოს: „სოლომონ პირველი დიდი, იმერეთის მეფე"), რომელიც უეჭველად მისი გენიის დაღს ატარებს, თავადური გულუხვობითა და უდარდელობით გადაულოცავდა ვინმე სიმონ კანდელაკს.

ლეო ქიაჩელი სულაც ცალკე მიუძღვნიდა ლიტერატურულ ნარკვევს „ბაში-აჩუკს", სანიმუშო შედევრად რომ შერაცხავდა, დამადასტურებლად აკაკის დიდი და თვალსაჩინო დამსახურებისა ქართული პროზის წინაშეც.

მის მრავალნაირ ღირსებათაგან გამოჰყოფდა ამ რომანტიკული მოთხრობის იშვიათ კომპოზიციასა და შესრულების იმ ოსტატობას, რაც სავსებით ეთანაბრებოდა ამავე ჟანრის ნაწარმოებთა გამოჩენილ, საყოველთაოდ ცნობილ ოსტატთა ხელოვნებას.

დაე ესეც გვცოდნოდა, რომ:

თუმც თემატურად „ბაში-აჩუკი" იმეორებდა აკაკისავე ცნობილ პოემებს, ხოლო თხრობის ხერხებისა და კომპოზიციური წყობის მხრივ ემყარებოდა ამავე ჟაიდის ცნობილ ეროპულ ნაწარმოებებს, მოთხრობა მაინც არა ჰკარგავდა თავის ორიგინალობასა და მაღალმხატვრულ ხარისხს.

და ესეც:

შეიძლება „ბაში-აჩუკი“ რამდენჯერმეც წაგვეკითხა თავით ბოლომდე და... ერთხელაც არ მოგვსვლოდა აზრად, რომ ავტორი რაიმე ხერხს მიმართავდა იმ მხატვრული ემოციების გამოსანვევად, რაც ასერიგად გვიპყრობდა კითხვისას.

მოთხრობის კომპოზიცია ჯერ მარტო იმით მიიპყრობდა მის ყურადღებას, თავისი სირთულით უფრო დიდტანიან რომანს რომ შეეფერებოდა, ვიდრე ასეთი მცირე ზომის თხზულებას.

ხუთ მთავარ რკალადაც რომ გაშლილიყო, ხუთივე რკალი ისეთი მხატვრული მიზანშეწონილობითა და პროპორციით მოქცეულიყო მოთხრობის პატარა ფარგალში, ისე შეკრულიყო ერთი გეგმითა და იდეით, რომ მთელი თხზულება სამაგალითო ლიტერატურული კომპოზიციის ნიმუშს წარმოადგენდა.

ავტორის გამარჯვება რას გულისხმობდა?

რას და:

კომპოზიციის სირთულე მოთხრობის კითხვის დროს სრულიად არ იგრძნობოდა. თვითეული რკალიც შეუმჩნეველი რჩებოდა მკითხველისათვის, რომელსაც ორგანულად მთლიან მოთხრობასთან ჰქონდა საქმე. სირთულე მჟღავნდებოდა მხოლოდ ნაწარმოების კრიტიკული ანალიზის მეშვეობით.

და იგივე ითქმოდა თხრობის ხერხებზეც, სრულებით რომ არა ჩანდნენ, როგორც ავტორის მიერ განსაკუთრებულად მოფიქრებული საშუალებანი მკითხველის დაინტერესებისა და სიუჟეტის განვითარებისათვის.

როდესაც ლეო ქიაჩელი აღნიშნავდა, რომ:

ავტორი მოთხრობას აგებდა საიდუმლოებათა კვანძების თავისებურ გაშლაზე, რაც მოულოდნელ ცხადებათა მორიგეობით მიმდინარეობდა.

დასძენდა, რომ:

ეს ხერხი არა ყოფილა საკუთრივ აკაკისა და ისევე ძველი გახლდათ, როგორც ისტორიული მოთხრობა საზოგადოდ. ევროპულ ლიტერატურაში ეს ხერხი დახვეწილიყო და კანონიზებულიყო ისტორიული რომანის მამამთავრის უოლტერ სკოტის მიერ. სიუჟეტის საიდუმლო კვანძები, მათ მოულოდნელ გახსნაზე დამყარებული ეფექტები ისტორიული რომანის აუცილებელ ატრიბუტებად ჩამოყალიბდებოდა და ათასგვარი ვარიაცია და სახეც გაუჩნდებოდა.

ყველაზე ხშირად სიზმარს რომ მიმართავდნენ, როგორც საიდუმლოების ელემენტარულ სახეს?

ჯერ კიდევ ჯადოსნური ზღაპრები გვთავაზობდნენ სიზმართა კრიალოსანს, და დაბადებაშიც მოემარჯვებინათ ბიბლიურ ავტორებს, ახლა აკაკიც რომ გამოიყენებდა ამ ნაცად ხერხს, თუმც მის ხელოვნებას ეს გაცვეთილი სიუჟეტური დეტალი თუ რგოლი თავის ბრძმედში უნდა გამოეტარებინა — აკაკისებურში.

რას გულისხმობდა ლეო ქიაჩელი და:

ისე ჩააქსოვდა სიზმარს მოთხრობის სხეულში, რომ სავსებით გააბუნებრივებდა, ხერხის სახეს დაუკარგავდა და სიუჟეტის განვითარების ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად აქცევდა. უბრალო მკითხველს კიდეც გამორჩებოდა, მაგრამ პროფესიული თვალი ადვილად ამოიცნობდა, რომ დასაწყისის მთელი ამბავი იმისათვის მოხმობილიყო, რათა ყურადღება ერისთავიანთ მოძღვრის — კირილეს სიზმარზე გამახვილებულიყო და მისადმი განსაკუთრებული ცნობისწადილიც გაღვივებულიყო.

შემდგომ ეპიზოდებს თითქოს სრულიად უნდა მიეჩრდილათ ეს სიზმარი, მაგრამ როგორც კი ზაალ არაგვის-ერისთავს ქსნის ერისთავები ესტუმრებოდნენ, შალვა და ელიზბარი, კირილეს კიდეც წარუსწრაფესად უნდა წამოჰგონებოდა თავისი სიზმარი, თურმე ესენი რომ ეხილა წინასწარვე რაღაც იდუმალი ძალით და... თხრობის ეფექტიც სრულყოფილი უნდა გამხდარიყო.

და ძალდაუტანებლად ეთანხმები ესეის ავტორის მოსაზრებას, ამ სიზმარზე აკაკის მეტად საგულისხმო ლაბორატორიული მუშაობა რომ გაეწია. თანაც მისი როლი ამით არა მთავრდებოდა და მოთხრობას თითქმის ბოლომდე გასდევდა.

გლახუნა ბაქრაძის გამოჩენა, როგორც უცნობისა, უშიშრად რომ უნდა გამოარღვიოს არაგვის საშინელი მორევი, სხვები რომ ვერ შებედავდნენ, და იმთავითვეც გვაგრძნობინოს, გმირი ეს უნდა იყოსო, გაცნობის ამგვარი ხერხი, პირველადვე რომ მოიხაზება მთავარი ხასიათი და ერთხელ და სამუდამოდაც აღიბეჭდება მკითხველის წარმოდგენაში, ლეო ქიაჩელს გაახსენებდა უოლტერ სკოტის რომანს „კვენტინ დორვარდი“, მთავარი გმირი იქაც გაუვალი მდინარის გადაცურვით რომ ამჟღავნებდა თავის გამორჩეულობას.

ამ კომპოზიციურ დამთხვევას როგორ ახსნიდა?

არცთუ ისე იშვიათი მოვლენაა ლიტერატურაში დიდ მწერალთა ფანტაზიის დამთხვევა, განსაკუთრებით ისტორიულ-ავანტიურული რომანის სფეროში, რომელსაც ახასიათებს მხატვრული ხერხების ერთნაირობაო.

საერთოდაც როგორ არ წარმოჩენილიყო ნარკვევში, რომ:

საიდუმლოებათა კვანძი, რომელშიც ბაში-აჩუკად მონათლული გლახუნა ბაქრაძე მოქცეულიყო, შესანიშნავად შეკრულიყო, და ნამდვილი ოსტატობის თვალსაზრისით ურთულესი შემოქმედებითი ამოცანა უნაკლოდ ამოხსნილიყო როგორც მხატვრულად, ისე ტექნიკურად. და ამიტომაცაა, რომ მოთხრობა ასე ხიბლავდა და იზიდავდა მკითხველს პირველი სტრიქონიდან უკანასკნელამდე.

საგანგებოდ გამოარჩევდა იმ პასაჟს, აბდუშაჰილი რასაც ლაპარაკობდა ქართველებთან შერიგების პირველივე დღეს:

— მე ერთი უთვისტომო კაცი ვარ: არ ვიცი, ვინ ყოფილა ჩემი მამა-პაპა... ძლივს მაგონდება და ოდნავ მახსოვს, რაც საბრალო დედაჩემისაგან გამიგონია!.. ოდესმე, ერთ სოფელს, სადღაც ლეკები დასცემიან... ჩვენი ოჯახიც ამოუწყვეტიათ, ასე რომ მე დავრჩენილვარ ძუძუმწოვარი და დედასთან ერთად ტყვედ წავუყვანივართ; მყოლია კიდევ ერთი უფროსი დაც. მაგრამ ის სხვა სოფელში ყოფილა გაბარებული... და გადარჩენილა. ამის მეტი არა ვიცი-რა.

რათა დაერთო, რომ:

ეს გახლდათ თავგადასავალი მთელი ქართველი ხალხისა, ავტორის მიერ ასე უბრალოდ, ასე მოკლედ, ზედმიწევნილი სიზუსტითა და სისავსითაც მოთხრობილი სულ რამდენიმე სტრიქონში.

აქ სიტყვის ოსტატობის უკანასკნელ საზღვართან რომ გვქონდა საქმე, თურმე ესეც არა კმაროდა აკაკის ხელოვნების სრულად წარმოდგენისათვის.

როცა აბდუშაჰილი თავის თავგადასავალს ჰყვებოდა, მისი უფროსი, შემთხვევით გადარჩენილი და, მელანო, სულგანაბული რომ უგდებდა ყურს, უცბად მიაყვირებდა:

— ექვსი თითი ხომ არა გაქვს ფეხზე?

და დასტურს მიიღებდა თუ არა, მივარდებოდა და გადაეხვეოდა... მაგრამ ლეო ქიაჩელი გვთხოვდა, სიუჟეტურ ხაზს კი არ გავყოლოდით, ერთხელ კიდევ დაგვეგდო ყური ამ სიტყვებისათვის: ექვსი თითი ხომ არა გაქვს მარცხენა ფეხზეო? — ყური დაგვეგდო და სმენითაც კარგად გაგვესინჯა: ეს ხომ ნამდვილად ხალხური ზღაპრის სიტყვები გახლდათ, სტილიც ზღაპრისა ეჭვმიუტანლად, ხერხიც ხალხური, თითქოს ხალხი უშუალოდ თავისი პირით მოგვითხრობდა აკაკის მიერ შეთხზულ ამბავს.

და კვლავ აღტაცებული შეფასება:

აი იშვიათი მაგალითი ფოლკლორის ბრწყინვალე გამოყენებისა მხატვრულ თხზულებაშიო.

დამატყვეველი თხრობის სანიმუშო უბრალოებისათვის სხვა შემთხვევაშიც რომ გამოიყენებდა უბადლოდ სტილსა და ხერხს ხალხური სიტყვიერების ულევი განძიდან, შეგვახსენებდა აბდუშაჰილისა და პირიმზისას შეხვედრის სცენას, უნებლიეთ რომ ემთხვეოდა XVIII საუკუნის ფრანგი მწერლის მარი დე ფრანსის მოთხრობაში აღწერილ სურათს სატრფოსთან გმირის მოულოდნელი შეხვედრისა. და ამ უნებლიე დამთხვევას იმით ახსნიდა: ორივეს საერთო სათავე აქვსო.

დიდი მხატვრის ჯადოსნურ თვისებად კიდევ რას მიიჩნევდა?

მოგონილის წარმოსახვას მართალი, დამაჯერებელი სახით და მკითხველის ემოციათა სადავის დამორჩილებას.

და აკაკის ეს იშვიათი თვისება „ბაში-აჩუკში“ სავსებით გამოეაშკარავებინა.

აღარ გაჰყვებოდა ლეო ქიაჩელი სხვა კომპოზიციურ ხვეულებს, თუნდ:

ბაში-აჩუკისა და აბდუშაჰილის პირველ შეხვედრას — ჭიდაობის სცენით რომ დაიწყებოდა, სცენით, რომელიც ასერიგად მოხიბლავდა მიხეილ ჯავახიშვილს და „არსენა მარაბდელის“ სიუჟეტურ ქარგას აკი არსენასა და გიორგი კუჭატნელის ჭიდაობის ეპიზოდზე ამოახვევდა, როგორც მათი დაუსრულებელი და შეურიგებელი დაპირისპირების დასაწყისზე, უკვე რომ გრძნობდი, ამ ეპიზოდს აუცილებლად მოჰყვება შესაფერისი გაგრძელება-ფინალიცო.

მეტად მარჯვე კომპოზიციური ხერხისათვის მიეგნო აკაკის, მიხეილ ჯავახიშვილის ხელთ კიდევ ახლებურად რომ აელვარდებოდა და სულაც კომპოზიციურ ჩარჩოდ ჩამოიქნებოდა.

რამდენი ასეთი ხვეული თუ სვლა ჩამალულიყო ამ მოთხრობაში იმ უბრალოებით, ჯადოსნურ საიდუმლოებებს რომ იფარავდა... და თურმე ხელოვნების სრულიად ახალ დარგსაც მარჯვედ უნდა მორგებოდა.

გრიგოლ რობაქიძე სტატიის სათაურშივე ამიტომაც გაიტანდა მის კინორომანობასო...

სტატია გამოქვეყნდებოდა ჟურნალ „დროშას“ 1925 წლის მე-20 ნომერში.

ეს ის დროა, როდესაც ხელოვნების ეს ახალი დარგი ისე მომძლავრებულა და ისეთი ზეგავლენა მოუხდენია საზოგადოებრივ აზრზე, რომ ამა თუ იმ თხზულების ხვეულები უკვე კინოს ხაზებით იზომება.

შეფასების კრიტერიუმი ამ ხელოვნების მოთხოვნილებანი გამხდარა.

ამ საერთო ტენდენციას გრიგოლ რობაქიძეც აჰყოლია — თანამდებობითაც (განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული მთავარი სახელოვნო კომიტეტის თავმჯდომარეა) და სულიერი მიდრეკილებითაც — და შეგნებულად თუ უნებლიეთ ყველაფერს ამ კრიტერიუმით უდგება. და ამჯერად სწორედ უნებლიეთ მიუსადაგებდა შემთხვევით ხელთ მოხვედრილ „ბაში-აჩუკს“ კინოს ხაზებს, თორემ აკაკი წერეთლის ამ ნაკლებმნიშვნელოვან (როგორც მანამდე ეგონა!) თხზულებას რატომ უნდა გამოეწვია ამის სურვილი?

უნებლიეა თუ რა, დასკვნა ასეთი გამოაგნებელი აღმოჩნდებოდა:

— თუ ამ ხაზებით გავზომავთ „ბაში-აჩუკს“, მივიღებთ იდეალურ კინორომანს.

ზოგიერთი ნიშანი, ესა თუ ის საერთო კი არა, თურმე სულაც იდეალური.

ყველაზე ნიშანდობლივ ადგილებს გამოარჩევდა.

უპირველესად აღნიშნავდა კინორომანის უმთავრეს თვისებას, რომ ის გაკვირვებით უნდა იწყებოდეს.

და თურმე:

— აკაკიმ იცის ეს საიდუმლო და ამბავს გაკვირვებით იწყებს.

და დეტალურად ჰყვება მოთხრობის დასაწყისს — აჯანყებისათვის სამზადისი, არაგვის ერისთავის ცოლის სიმბოლური სიზმარი, უცნობი ჭაბუკის მოულოდნელი გამოჩენა, მისი ვინაობის გამჟღავნება, მასზე გამიჯნურებული თავადის ასული, საგმირო საქმეთა აღსრულებას რომ სთხოვს ჭაბუკს, მისი წასვლა კახეთში ბიძინა ჩოლოყაშვილთან, ქალის გულის მოსაგებად — რათა არამარტო სიუჟეტის სათავის დიდი ხელოვნებით წარმოსახვას მიაქციოს მკითხველის ყურადღება, არამედ მის არტისტულობასაც.

და რაც მთავარია, აღნიშნოს ამგვარი დასაწყისის უაღრესი კინემატოგრაფიულობა.

აღნიშნავდა კინორომანის კიდევ ერთ თვისებას — ფართო არეს საჭიროებას.

ეს არეც შესაფერისად შემოფარგლულიყო.

თეიმურაზ პირველი ჩრდილოეთისაკენ გადახრილიყო ერთმორწმუნეობის იმედად, და შაჰ-აბასი მუქარით სავსე წერილებს რომ გამოუგზავნიდა, კიდეც ცეცხლითა და მახვილით გაანადგურებდა კახეთს. ბიძინა ჩოლოყაშვილი არ ემორჩილება ყიზილბაშებს, მაგრამ საწადელის მისაღწევად მოსაჩვენებლად გადადის მათ მხარეს და ემსახურება ალიყული-ხანს. იბადებიან მეამბოხეთა გუნდები და ბიძინა ფარულად მოთავეობს ამ გუნდებს.

— აი საერთო არე.

შიგადაშიგ გამოარჩევს ნამდვილ კინოეპიზოდებსაც.

ყაენის ტახტზე აბრძანების დღეობისას გამართული ჭიდაობა.

ჯირითი, ყაბახობა, მაღალი ჭადრის წვერიდან ისრით თასის ჩამოგდება.

ჭიდაობაში გამარჯვებულმა გლახუნა ბაქრაძემ ამჯერადაც უნდა გამოიჩინოს თავი, შემდეგ კი თასი ვითომ მაყაშვილს უნდა გადასცეს, ქართველთა მოღალატე და ყიზილბაშთაგან დიდად დაფასებულ თავადს, ოღონდ ის რომ მიეახლება, ხმლის ერთი მოქნევით თავი მოჰკვეთოს და გასხლტეს. მაყაშვილის სხეული ჯერაც ფეხზე დგას, თავი რომ მიწაზე კოტრიალობს. ყიზილბაშები კი მხედარს მისძახიან: ბაში-აჩუკ! ბაში-აჩუკ! — მის ფაფანაკს ვერ შეამჩნევენ და ამიტომაც თავშიშველი ჰგონიათ.

სიუჟეტის ამგვარი განვითარებით კუნთების დაჭიმვა საზღვარს რომ აღწევს, აკაკი:

— შესვენებას იძლევა. მაგრამ შესვენებაში შეჰყავს სხვა ხაზი.

იმერეთში სტუმრად მყოფ ქართლის მეფეს ათ ქალიშვილს რომ მიართმევენ საჩუქრად, მათ შორის იმყოფებიან გლახუნა ბაქრაძის დებიც. გზად მეფის ამალას თავს დაესხმიან და ქალებს ათავისუფლებენ. ცხადია, ეს თავდასხმა ბაში-აჩუკის გარეშე არ მოხდებოდა.

თხრობაში უნდა გამოჩნდეს სიყვარულის სილბილეც, როდესაც აბდუშაჰილს შეუყვარდება გლახუნა ბაქრაძის — ვისაც გამწარებული დაეძებს სამაგიეროს მისაზღველად ჭიდაობაში დამარცხებისათვის — დებისაგან ერთ-ერთი ტყუპისცალი.

გრიგოლ რობაქიძე აბდუშაჰილის „ველად გაჭრას" ახსენებს თუ არა, საგანგებოდ გამოჰკვეთს:

— აქ აკაკის შეაქვს რომანტიული ხაზი ფანტასტური ელვარებით. კინოსთვის ეს ხაზი ულამაზესია.

დებისაგან ერთ-ერთი ტყუპისცალიო... მეორე და თავს რომ გასწირავს, ოღონდაც ყიზილბაშების ხელთ არ ჩავარდეს, აბდუშაჰილს ის ჰგონია მისთვის სანატრელი ქალი და ხშირად ატარებს ღამეს ძვირფას სამარესთან.

— აქ აკაკის შეაქვს კიდევ ერთი ულოდნელობა, რომელიც კიდევ უფრო რომატიულია და კიდევ უფრო კინემატოგრაფიული.

აბდუშაჰილს უნდა გამოეცხადოს სწორედ ის სანატრელი ქალი და მისი შიში, გაოცების კანკალი — ჰგონია, მიცვალებული მომევლინაო — უეცრად სიტკბილედ გადაიქცეს, რაც უნდა მოჰყვეს სიყვარულის უზომო, ნაპირებგადაღვარული ფიცი.

აკაკის ფანტაზია აქ რომ არ ჩერდება, ამიტომაც უნდა გამყღავნდეს ყველასათვის აბდუშაჰილის ვინაობა — მისი ქართული წარმომავლობა. თანაც მაინცდამაინც მელანოს ძმა უნდა აღმოჩნდეს, ამბოხებულთათვის თავგადადებული ქალისა და ბაში-აჩუკის ნანდაურის.

— კიდევ ულოდნელობა და გაოცება. როგორც კინოში ყოველთვის...

გრიგოლ რობაქიძემ „შესანიშნავის" ეპითეტით უნდა შეამკოს „ბაში-აჩუკის" კინორომანობა და დაბეჯითებით განაცხადოს: არ არის არცერთი ელემენტი, კინოს მახასიათებელი, რომელიც არ იყოს აქ უხვად მოცემულიო:

გმირობა, სიყვარული, საოცრება, ამბავთა ერთიმეორეში პარალელური შეჭრა, ბუნება, შეთქმულება, ძმადფიცულობა, ხალხის ვარამი, ინტრიგის საოცარი ხლართი, დინამიურობა თანდათანი, მაგრამ შესვენებისათვის არა პირდაპირი, არამედ მიკიბულ-მოკიბული, და არ ვიცი, კიდევ სხვა რაო.

სტატიის ფინალში „ბაში-აჩუკის" მხატვრულ ღირსებებს დითირამბი უნდა შეესხას („ფანტაზიის მხრით ამ მოთხრობას ქართულ ლიტერატურაში არა ჰყავს ტოლი. მე მაქვს მხედველობაში სხვადასხვა ხილვის ტეხილები. შემოქმედება აქ უფროა. მე მგონია, ბევრს უცხო განთქმულ ნაწარმოებსაც გაუტოლდება იგი ამ მხრით. ამ ნაწარმოებით აკაკი წერეთელი ერთი ორად იზრდება") და რატომღაც (ეგებ არა რატომღაც) ილიას მოთხრობებს შეუფარდდეს, მაგრამ მთავარი აკი ამ მოთხრობის კინემატოგრაფიულობაა, აკაკი წერეთლის შინაგანი შეგრძნება და წინასწარი ხილვა ამ სიახლის, ისევე, როგორც ყოველგვარი სიახლისა.

ერთი მხრივ: გარდასულ ჟამში ჩაძირული, ისეთ განცდასაც რომ გიჩენს, თითქოსდა XII საუკუნის მკითხველისათვის წერდა, ყოველ შემთხვევაში, გალაკტიონ ტაბიძე ასე და სწორედ ასე აღიქვამდა მისი პოეტური მემკვიდრეობის ერთ რკალს.

მეორე მხრივ კი: სიახლეთა წინაშე გულგადახსნილი, გუმანიც რომ უკიდურესად გამახვილებოდა.

სხვაგვარად არ მოინდომებდა, მასზეც შექმნილიყო მხატვრულ-დოკუმენტური ყაიდის თხზულება — იმჟამად მეორეხარისხოვნად, მარგინალურად მიჩნეული ჟანრისა.

არც ავტობიოგრაფიულ რომანს მოჰკიდებდა ხელს („ჩემი თავგადასავალი"), როგორც ასევე მარგინალურ ჟანრად შერაცხილს.

არც შავი ქვის მრეწველობით დაინტერესდებოდა ასერიგად, საქართველოს მარგანეცს რომ აღმოუჩენდა და მისი შესწავლა-დამუშავების პირველსაფუძვლებსაც რომ შექმნიდა, და ეს მაშინ, როდესაც საზოგადოების თვალში მრეწველობა, ვაჭრობისა არ იყოს, ქართველთათვის შეუფერებელ საქმიანობად მიიჩნეოდა.

ჯერაც ბევრ რამეში გაურკვეველი, დაბნეული საზოგადოების თვალში!..

არც პირველი ქართული დოკუმენტური ფილმის მთავარი გმირი შეიქნებოდა — არადა, მისი პერსონაჟობით, რაჭა-ლეჩხუმში მისი მოგზაურობით დაიწყებდა ქართული კინემატოგრაფი არსებობას.

აქეთ კი გრიგოლ რობაქიძე:

— დღეს რომელიმე ნაწარმოების ხვეულებს კინოს ხაზებით ვზომავთ.

საგულისხმო სწორედ ესაა, საყოველთაო შეხედულებად და მისწრაფებად რომ გადაქცეულა ბელეტრისტულ თხზულებათა მორგება კინემატოგრაფის მოთხოვნებისათვის, თხრობაში სცენარის ნიშების მიგნება, სურვილი — სიუჟეტური ქარგის თუნდაც საფუძვლიანი გადაკეთებისა, ოღონდაც ამ მასალაზე კინოსცენარი ამოიზარდოს.

და ასეთ დროს აკაკი წერეთლის მოთხრობას არც საფუძვლიანი და არც ოდნავი გადაკეთება არა სჭირდება.

„ბაში-აჩუკი" მზამზარეული სცენარიცაა.

და გაოცებით გაოცდებოდა გრიგოლ რობაქიძე, აბა რა იქნებოდა — რაც მეორეხარისხოვან თხზულებად ჩარჩენოდა ხსოვნაში, არამარტო ჩინებული მხატვრული ქმნილება აღმოჩნდებოდა, არამედ ასერიგად გაუსწრებდა დროს და კინემატოგრაფიული ეპოქის სრულფასოვანი ნაწილი გახდებოდა.

ჩინებული თარგი კინორომანთათვის.

ეს ხომ ის დროა, როდესაც ის-ისაა აცახცახდა გამოსახულება ეკრანზე.

ფოტოს ამოძრავება ვერაფრისდიდებით რომ ვერ წარმოედგინათ, ძმები ლიუმიერები კიდეც გადარევდნენ პარიზს სინემატოგრაფის პრემიერით. ამოძრავება ამოძრავებად და... მატარებელი რომ გამოქანდებოდა ეკრანზე, ერთბაშად დამფრთხალი და დაზაფრული მაყურებელი ყვირილითა და კივილით მიაწყდებოდა გასასვლელებს — აცა, გავასწროთ, ემანდ არ გაგვიტანოსო!..

1895 წელია.

„ბაში-აჩუკი" კი მომდევნო წელს უნდა შეიქმნას.

კინოხელოვნების საწყისად ეს პრემიერა რომ არის მიჩნეული, ყველა ენციკლოპედია თუ ცნობარი გვაუწყებს, რომ ძმები ლიუმიერების 15-20 მეტრიან ფილმებში ჯერ მხოლოდ მომავალი კინოხელოვნების ელემენტები გვხვდებოდა. ერთი წერტილიდან გადაღებული ეს მასალა თეატრალურ სპექტაკლს უფრო ჰგავდა, ვიდრე კინოკამერის წინ გათამაშებულ მოქმედებას. ხოლო უხმოობის სანაცვლოდ ისეთი გადაჭარბებული მნიშვნელობა მიენიჭებოდა მიმიკას, მსახიობთა თამაში აშკარად თვითმიზნური ხდებოდა და მაყურებელზე მთლად სასურველ ეფექტს ველარც ახდენდა.

მხოლოდ 1908 წლიდან დაეტყობოდა კინემატოგრაფს საკუთარი სპეციფიკის, თავისი ენის, უშუალოდ მისთვის ნიშანდობლივ მხატვრულ ხერხთა თუ საშუალებათა დამუშავება-გამოკვეთის მცდელობა.

თუმც ხელოვნება ჯერაც ვერ დაერქმეოდა.

და კინოსცენართა სპეციფიკის დამუშავება-დახვეწაც თანდათან თუ მოხდებოდა.

ამასობაში სადღაც შორს დარჩებოდა „ბაში-აჩუკის“ შექმნა.

აკაკი წერეთელი ამ დროს რომ მოსწრებოდა, მაშინ გვენახა მის კინორომანთა მთელი წყება.

კინემატოგრაფიული ეპოქის სრულფასოვანი ნაწილი გახდებოდაო...

არადა, თუ სიახლეთადმი აკაკის შინაგან ლტოლვას, მის უჩვეულო აღღოს გავითვალისწინებთ, გასაოცარი განა რა შეიძლება იყოს?!.

ჭიდაობის სცენა ნამდვილი კინოეპიზოდის ნიმუშად რომ არის მოხმობილი, იმ მხრივაც არანაკლებ — და კიდევ უფრო მეტადაც — მნიშვნელოვანია, შიდასიუჟეტურ ჩარჩოს რომ ქმნის. „შიდა“ ამჯერად რიგითს სულაც არ გულისხმობს, რადგანაც ეს სიუჟეტური ხაზი მოთხრობაში ყველაზე მკვეთრიცაა და შინაგანი დრამატიზმის წარმმართველიც.

ეს ჭიდაობა ხომ თავისთავადი სცენა არ არის — აქ უნდა დაიწყოს შეურიგებელი ჭიდილი გლახუნა ბაქრაძესა და აბდუშაჰილს შორის, და ეს ჭიდილი ადრე თუ გვიან აუცილებლად უნდა შემორკალულიყო, ღიად ვერ დარჩებოდა: ან ერთი უნდა დაღუპულიყო, ან მეორე, ანდა ორივეც იმ დაუნდობელი შეტაკებისას... მაგრამ აკაკიმ გამოძებნა ყველაზე ეფექტური დასასრული ამ სიუჟეტური ხაზისათვის, პერსონაჟთა ხასიათებისთვისაც და კინოდრამატურგიისთვისაც შესაფერისი — აბდუშაჰილი ბაში-აჩუკს დაეძებს როგორც მტერს, მაგრამ უნდა შეხვდეს როგორც მოყვარეს. მისი ქართული წარმომავლობის უეცარი გამჟღავნება ყველაზე ბუნებრივად აგვირგვინებს ამ ხაზსაც და სავსებით ამართლებს გაყიზილბაშებული ქართველის თავდადებულ მონაწილეობასაც ბახტრიონის ციხის აღებაში.

სწორედ ეს შიდასიუჟეტური ჩარჩოა, მიხეილ ჯავახიშვილს რომ უბიძგებდა, „არსენა მარაბდელის“ ერთიანი კომპოზიციური ჩარჩო ამ საყრდენზე აეგო, საკმაოდ მტკიცე, მიმზიდველ საყრდენზე, დინამიზმითა და ექსპრესიით აღსავსეზე.

ამხელა რომანი დაეშენებოდა აკაკი წერეთლის მიგნების გაღრმავებას.

ცხადია, მიხეილ ჯავახიშვილის რანგის ხელოვანი და კომპოზიციის ოსტატი სჭირდება ამ მიგნების გამორჩევას, გაძლიერებას, განზოგადებას და შესაფერისად მომარჯვებას.

გრიგოლ რობაქიძეს ეს მიგნება რომ არ გამორჩენოდა, კინორომანის ნიშნებზე მსჯელობისას მართალია მხოლოდ გაკვრით აღნიშნავდა, ოღონდ მისთვის მნიშვნელობის მისანიჭებლად აუცილებლად დასძენდა: მაგრამ ეს უკვე სხვა თემააო.

ჩვენც ასე დავიბეჯითოთ, რომ ეს მართლაც სხვა თემაა.

ამისთანა „სხვა თემა“ აკი უამრავი მიმობნეულა აკაკი წერეთლის მხატვრულ მემკვიდრეობაში, ზოგი უკვე აღნიშნული, ზოგიც მისაგნები და გამოსარჩევი, თანდათან ყოველივე შესაფერისადაც რომ გაცხადდება და, რაც მთავარია, შეიქნება აუცილებელი ნაწილები თუ რეალიები იმ ბიოგრაფიული ყაიდის ერცელი თხზულებისა, რომელსაც აკაკი წერეთელი ჯერ კიდევ როდის ნატრობდა და... ჯერაც ვერ მოგვიბამს თავი მისი მონუმენტური სახების შესაფერისად.

არადა, ყველაფერი აქეთ გიბიძგებს!..

იმ წამს კი აკაკი ამ ჟინით ანთებულიყო და გამოკამათებას აუცილებლად მიიჩნევდა: აბა თუ არ არსებობს ქართლის ცხოვრების ქრონიკები და მხოლოდ სახალხო მთქმელთა იმედად უნდა ვიყოთ!.. აბა თუ ზეზვა გაფრინდაული მიუძღოდა ამბოხებულთ და ბიძინა ჩოლოყაშვილი არაო!.. იმ ისტორიული ნიშანსვეტის მხატვრულ გააზრებას მარტო „ბახტრიონი“ რას გაწვდება, თუ „ბაში-აჩუკიც“ არ ამოქმედდებაო...

ნეტა ვაჟა-ფშაველა რას გაიფიქრებდა, ამ მოთხრობას რომ ჩაამთაერებდა და უთუოდ მოიხიბლებოდა თხრობის ხელოვნებით?..

ბარაქალა ჩემო პოემავო, — ვინ იცის ილიასავითაც გაეღიმა, — ეს რა კარგი მოთხრობა აშოვნინე ქართულ ლიტერატურასო.

კარი მეშვიდე

თავი I

ღირსება და ხიბლი ქართული ბატონყმობისა და ნათელმოსილი აჩრდილი

ხარკოვში სულ მოხრაკვა კი არ ემუქრებოდა, წლის მიწურულს რომ ჩააკითხავდა, — 1895 წლის 23 დეკემბერს, ყინვა და სუსხი ძვალ-რბილშიც გაატანდა. უმეტესად შინ იჯდებოდა წერაში ჩაფლული და საღამოობით ოპერას მიაკითხავდა ხოლმე ვასილ კირვალიძის თანხლებით, ბედნიერი რომ იყო, ეს ვისი მომსახურეობა მარგუნა ბედმაო.

პირველად რომ წავიდოდნენ თეატრში, მაყურებლით გადაჭედილში, ვიღაცას სცენიდან უნდა განეცხადებინა:

— დღეს აქ ბრძანდება ქართველების პუშკინი, თავადი აკაკი წერეთელი, მამა თეატრის დირექტორისა.

და მიუთითებდა ყველას ლოჟაში მჯდომზე.

საზოგადოება პატივს მიაგებდა და ისიც მადლობას გადაუხდიდათ.

ნადიმს რომ გაუმართავდნენ, წამიერად ისეთ ბედნიერებას შეიგრძნობდა თანამესუფრეთა ტკბილი და ალერსიანი სიტყვების გამგონე, მოუნდებოდა თავის მხრივაც გულგახსნით ეთქვა აღსარება:

თუ არ მეტად, ნაკლებ ბედნიერი არა ვარ დღეს აქ თქვენთან ყოფნით, ვიდრე ჩემ საკუთარ ოჯახშიო.

ამით იმის თქმა კი არა სურდა, თითქოს თავისი ცოლ-შვილი და ოჯახი არ უყვარდა. ვინც ამას იფიქრებდა, შემცდარი იქნებოდა, რადგანაც ჩვენი თავიდათავი, პირველი ოჯახი გახლდათ გამომხატველი მთელი საქართველოსი, სადაც — ყოველი რიგიანი ქართველი — თავისზე უხნესი აკაკის მამად მიაჩნდა, ტოლი — ძმად და უმცროსი — შვილად, და ამ მრავალ ძმაზე, შვილსა და მამაზე მეტი მართებდა ყველას, და მათ რიცხვში აკაკისაც, ზრუნვა და ფიქრი, ვიდრე მარტოდენ თავის საკუთარ ერთსა თუ ორზე.

მეტი მართებდა ყველასო...

აკაკი თავის თავს „ყველაში“ გულისხმობს, თუმც ცხადია და უცხადესი — ყოვლად შეუძლებელია, რომ მთელი მოსახლეობა ამდენს წვდებოდეს: მთელ ქვეყანაზე, ყოველ თვისტომზე ფიქრობდეს და ზრუნავდეს. ეს მოვალეობა დაჰკისრებია უპირველეს ხელისუფალს, იმ მეფეს, რომელიც დაკარგვია საქართველოს — სამეფო ტახტის ძალმომრეობით გაუქმების გამოისობით, მაგრამ დარჩენილა მისი ნაშთი... და ამ ნაშთმა კი უნდა შეიძლოს, რათა სამეფო დინასტიის ხსოვნა ხელშესახებად შემოინახოს, სულიერად გაწვდეს ქვეყანას და იყოს თვითეული ქართველის პატრონი და ნუგეშისმცემელი.

ცნობიერად თუ ქვეშეცნეულად აკაკი სწორედ ასე შეიგრძნობს თავს — ყველას პატრონად და ნუგეშისმცემლად, და ამიტომაც მიაჩნია თავის მოვალეობად იფიქროს და იზრუნოს თვითეულ მოსახლეზე, ვინც ამ ქვეყნის შვილად აღიარებს თავს და მოწადინეა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ამოგებისა.

შეიგრძნობს — როგორც მწერალი.

შეიგრძნობს — როგორც ბაგრატიონთა შთამომავალი, ამ საგვარეულოს გვერდითი შტოს წარმომადგენელი.

შეიგრძნობს — როგორც ივანე აბაშიძის შვილიშვილი, იმერეთის ამბოხების მეთაურისა, თავი რომ გადაეღო ქვეყნის გამოსახსნელად და კიდეც შეეწირებოდა.

მეტი მართებდა ყველასო...

გამჭვირვალეა ქვეტექსტი — განზრახული თუ უნებლიეთ გადმოსროლილი:

მე მმართებს მეტიო, მე ვარ მოვალე, რომ არა ვფიქრობდე და ვზრუნავდე მარტო ჩემს ერთსა და ორზეო.

უპირველესად თავს შეაგონებდა და ამჯერადაც ცდილობდა მსმენელებშიც გაემძაფრებინა მამულიშვილური შეგნება:

ჩვენც ბევრი დრო რომ ვერ გადავურჩინოთ ჩვენ-ჩვენ ოჯახებს სასამსახუროდ, დიდ ცოდვად და დანაშაულად არ უნდა ჩაგვეთვალოსო!..

რაც შეეხებოდა უშუალოდ მის შრომასა და ღირსებას, როგორც საზოგადო მოღვაწისას, თავმდაბლობა არ მისცემდა უფლებას სხვაგვარად ეთქვა:

გადაჭარბებულად არის დაფასებულიო.

მართალია აგერ ორმოცი წელიწადიც შესრულებულიყო, რაც ემსახურებოდა თავის ქვეყანას, მაგრამ შესაძლოა ბევრჯერაც შემცდარიყოს და რომ ეწადა, ის ნაყოფი ვერ მოეტანოს.

მაგრამ პირადობას კი ვერავინ დასწამებდა, რადგანაც საზოგადო საქმეში ყოველთვის გულწრფელი და პირდაპირი გახლდათ!..

მართალია ბევრი ტანჯვაც და უსამართლობაც გამოევლო, მაგრამ სამაგიეროდ ვერ იტყოდა, რომ სიამოვნებაც არ ენახა.

დატრაბახებად ნურავინ ჩამოართმევდა და: ბევრს უყვარდა.

და ვისაც არ უყვარდა?

სრულიად, ხელმოწყვეტით არც იმათ სძულდათ!..

მისი მტრებიც კი, როცა გაბრაზებით გმობდნენ, ვერ ახერხებდნენ, რომ ესეც არ დაემატებინათ: ეგეები რომ არა სჭირდეს, რა კარგი იქნებოდაო...

და ეს რას ნიშნავდა, თუ არა სიყვარულში ძალაუნებურად გამოტეხას?

და მტრებისაგან ესეც დიდი ჯილდო გახლდათ მისთვის!..

ამ მხრივ კმაყოფილი იყო და ბედის მადლიერი.

რაც შეეხებოდა აქ წარმოთქმულ აზრს, თითქოს იგი დღეს აქ მათთან პირველად იმყოფებოდა, ეს აზრი შემცდარი გახლდათ, რადგანაც:

აკაკი არათუ აქ, სადაც ჩვენი ქვეყნის მოსწავლე შვილები მოდებულიყვნენ, ყველგან იმყოფებოდა გულითა და ფიქრით, და ისეთი განცდა ჰქონდა: ისინიც უნდა მხედავდნენო. და ხშირად რომ იმყოფებოდა მათთან და ოცნებით ებაასებოდათ, ამ ოცნებას ახლა საჯაროდაც განაცხადებდა:

დარწმუნებული ვარ, რომ თვითეული თქვენგანი მოციქულად ამზადებს თავს და განმსჭვალულია იმ აზრით, რომ სამშობლო ქვეყნის სამსახურს მოანდომოს მთელი თავისი ძალ-ღონე. საუბედუროდ, როდესაც სამშობლოში ბრუნდებით, ეს აზრები გავიწყდებათ, ახლანდელი იდეალები ჰქრებიან და ცხოვრება მალე დაღს გასვამთ. და ამიტომაც გისურვებთ, რომ ცხოვრებას დღეიდან თქვენი აზრები არ შეეცვალოს და გულმოდგინედ გემსახუროთ მამულის სასარგებლოდო!..

ვასილ კირვალიძეს აკაკის გვერდით ყოფნა ხომ ეამაყებოდა, და ახლა წარმოიდგინეთ მისი სიამაყეც და აღტაცებაც, როდესაც აკაკის კარნახით უნდა ჩაეწერა „ბაში-აჩუკის“ და „მედიაც“, პიესის წერა ხარკოვში რომ მოთავდებოდა, მოთხრობა კი საგრძნობლად წაიწევდა წინ ამ ქალაქში, ხან მოხრაკვასაც რომ გიქადდა.

და საგანგებოდ გაიხსენებდა, „ბაში-აჩუკის“ დაწყებისას როგორ ესტუმრებოდა პოეტი საჩხერეში თავის მეგობრებს — ბეჟან და ნიცა წერეთლებს, ძალიან რომ გაახარებდათ. მოსამსახურეს დაამახსოვრდებოდა მწვანით მოსილი დიდი ეზო, სადაც სტუმარს დიდი ამბით გამოეგებებოდნენ. და იქვე იმყოფებოდა მეტად თავაზიანი, დიდი მოღვაწე (ვასილ კირვალიძე ეპითეტებს არ დაიშურებდა) ივანე მაჩაბელი...

იმ ღამით იქ დარჩებოდნენ და მეორე დღეს გავიდოდნენ სხვიტორში, სადაც მთელი ზაფხული ვინ მოასვენებდა აკაკის, წერის საშუალებასაც არ აძლევდნენ... სხვადასხვა მნახველებიც განუწყვეტლივ დაიარებოდნენ.

დრო უნდა ეხელთა, როდესაც მარტო რჩებოდა, და მაშინვე შედგომოდა წერას.

წერას რა — კარნახს.

ჰოი რა სასოებით გამოჰყავდა აკაკის ბაგიდან მომდინარე ყოველი სიტყვა და ასოც კი ვასილ კირვალიძეს, რომელიც ერთ-ერთი უნდა აღმოჩენილიყო მათ შორის, ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ გაჩაღებულ ვაკხანალიაში მონდომებით რომ ჩაებმოდა და საკმაო უსიამოვნებასაც მიაყენებდა, მის სტატიას ხელზე რომ დაიხვევდა ნოე ჟორდანია და ილიას... ხალხის აბუჩად აგდებასაც კი უკიჟინებდა — დემაგოგიისათვის მარჯვე საფანელი მისცემოდა და როგორ არ აამოქმედებდა იმ დაუნდობლობით, რომლის ბოლოშიც წიწამური უნდა გამოლანდულიყო.

მაშინ ჯერ კიდევ ვერა ხედავდნენ მოსალოდნელ ჯვარცმას, აკაკი რომ უკვე გრძნობდა... გრძნობდა, მაგრამ თავს არ უტყდებოდა, ვიდრე ეს ხილვა უეცრად არ ამოსკდებოდა გულიდან და კახეთში მყოფი ყვარელს ბეთლემთან გააიგივებდა, თუმც... ყურადღებასაც არავინ მიაქცევდა მის წინასწარმეტყველებას...

გაივლიდა და ჩაივლიდა ის სიტყვა, თითქოსდა რაღაც საბედისწეროს არ მიანიშნებდა... რაღაც დიდ ტრაგედიას, მეოცე საუკუნის ათვლა საიდანაც უნდა დაწყებულიყო.

* * *

გორის საქალებო პროგიმნაზიის დასრულების შემდეგ, ნაცვლად იმისა, რომ ანასტასია ერისთავი სწავლის გასაგრძელებლად ტფილისს წასულიყო, მოუხდებოდა თავის აღმზრდელ სნეულ მოხუცებულებთან სოფლად დაბრუნება... და ერთადერთ ნუგეშად, სულის მასაზრდოებელ, დაუშრეტელ წყაროდ გადაექცეოდა მოგონებანი ძვირფას მასწავლებლებზე — მიხეილ ყიფიანსა და ნიკო ლომოურზე, მათი დაუვიწყარი გაკვეთილები.

ასწავლიდა აკაკის ლექსებს ღარიბ გლეხთა შვილებს და ივსებოდა კმაყოფილებით, როდესაც ხედავდა, რომ მისი ამაგი უქმად არ იკარგებოდა და თვალებგაბრწყინებული ბეჯითი მოწაფეები წკრიალა ხმით იმეორებდნენ: ცა — ფირუზ, ხმელეთ — ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო!..

მის სოფლურ, კარჩაკეტილ ცხოვრებას შუქსა ჰფენდა ტფილისში ჩასვლის იშვიათი შემთხვევები. განსაკუთრებით ჩარჩებოდა ხსოვნაში დედაქალაქს გამგზავრება 1887 წელს, რაღაც უჩვეულო ამბის მოლოდინში რომ შეაღებდა ძალო ამატა ბაზილევსკაიას — ანასტასიას ბიძის, ელიზბარ ერისთავის ცოლის — სახლის კარს და... იდუმალი განცდა არამცთუ არ უღალატებდა, ყოველგვარ მოლოდინსაც გადააჭარბებდა, რაკიღა ამატას ისედაც მომხიბვლელ, სათნო სახეს ბედნიერი ღიმილი უზომოდ ამშვენებდა.

— სულიკო ტასო! შენ ნამდვილად ბედის ვარსკვლავს ჩამოუყვანიხარ ჩემთან! — შეჰყვირებდა აღტაცებული ამატა და საჩქაროდ შეიყვანდა სასტუმრო ოთახში, — აკაკი, იცნობდე ჩემს მაზლისწულს. ეს არის ახლა ჩამოვიდა სოფლიდან. მხოლოდ შენს ნახვაზე ოცნებობდა, შენი ლექსები კი თითქმის ყველა ზეპირად იცის.

აკაკი ალერსიანი ღიმილით გაუწვდიდა ხელს... და ანასტასიას კიდეც უნდა ეგრძნო სიდიადე წამისა. მოწიწებით შეაცქერდებოდა საყვარელ მგოსანს, რომელიც განაგრძობდა მის პატარა ბიძაშვილებთან გართობას — როგორ თავისუფლად ნებივრობდა ხუთი წლის ბიჭი მის მუხლებზე, რა სიამოვნებით ეჟღურტულებოდა მგოსანს მისი ალერსით გათამამებული სამი წლის გოგონა...

აკაკის სახე წარუშლელად აღებეჭდებოდა გონებაში და თითქოს ამხნევებდა, მოუწოდებდა — აჰყოლოდა გულისთქმას, გაბედულად მოეკიდა ხელი კალმისათვის, და ესეც დაუჯერებდა ამ იდუმალ ხმას: ბავშვებთან მეცადინეობისაგან თავისუფალ დროს მოანდომებდა კითხვასა და წერას.

ერთხელ სამწერლო მაგიდასთან გართულს თავს წამოადგებოდა თავისი სიყრმის მეგობარი და მეზობელი დათა ბაგრატიონი:

— ტასო! მიანებე ყველაფერს თავი და წამოდი, აკაკი ჩამოვიდა, ჩვენთან არის, ვიცი, შენზე ძალიან არავის გაეხარდება მისი ნახვა.

ისეთი აღტაცებით ეუბნებოდა, სულს ძლივს მოითქვამდა. ანასტასია ერთბაშად აენთებოდა და დათაზე არანაკლებ აღფრთოვანებული გაჰყვებოდა გარეთ, მაგრამ რაღაც

მოაგონდებოდა, ან რაღა რაღაც — მოინდომებდა თავისი მოწაფეები წარედგინა მგოსნისათვის.

მისასვლელად უკეთეს საათს ვერც შეარჩევდა — საზოგადოება ის იყო მოხერხებულად მოეწყობოდა ნასაუზმევს დროის გასატარებლად, და აკაკი, ბავშვებშემოხვეული, ყველაზე მეტად იმხიარულებდა, თავისებური ხუმრობით არავის მოაწყენდა... უეცრად საერთო ყურადღება უნდა მიეპყრო ანასტასიას რაზმს — სუფთად ჩაცმულ, თითქოსდა სადღესასწაულოდ გამოწყობილ გლეხის ბავშვებს, მორცხვად თავდახრილნი რომ ჩამომწკრივდებოდნენ მგოსნის წინაშე.

და ანასტასიას მათთან ერთად უნდა განეცადა მოკრძალებული თაყვანისცემის ნეტარება.

პირველი წუთების უხერხულობა ბავშვებში მალე წრფელი მხიარულებით შეიცვლებოდა და, თითქოს ერთმანეთთან შეჯიბრებულნი, შეეცდებოდნენ ეთქვათ რაც შეიძლება მეტი ლექსი და რაც შეიძლება უკეთესად. და აკაკი გაოცებას გამოთქვამდა: არ მეგონა, თუ შენი წრის ახალგაზრდა ქალი ასე გულდადებით მოეკიდებოდა ამ საქმეს და ბრწყინვალედაც დააგვირგვინებდაო.

ტასოზე არანაკლებ გახარებული დათა მოინდომებდა მის კიდევ უფრო ამაღლებას აკაკის თვალში და ამცნობდა, რომ ტასო ლექსებსაც მშვენივრად წერდა. და ეს ხმის ამოღებასაც ვერ მოასწრებდა, რომ უკვე გადასცემდა მგოსანს ტასოს ორ ლექსს, ის იქვე რომ გადაიკითხავდა და მხიარულად მიმართავდა:

— არ გირჩევ ლექსების წერას, ისევ სოფლის ბავშვებთან მუშაობას დაუდე გული, დღევანდელმა მათმა გამოსვლამ თვალსაჩინო გახადა ყველასათვის, რამდენი გამოუმჟღავნებელი ნიჭი იკარგება ჩვენს ხალხში...

დათა უხერხულობის გაფანტვას მოინდომებდა და აკაკის ახლა იმასაც ამცნობდა, რომ ტასო მოთხრობებსაც წერდა, და იმედიანად დასძენდა: დარწმუნებული ვარ, მოგეწონებაო.

აკაკი გაიღიმებდა და ახალგაზრდა ქალს რომ შეატყობდა დაჯავრიანებას, გულის გასაკეთებლად ეტყოდა:

— შესაძლებელია მოთხრობა უკეთესი დაწერო და თუ მართლაც ასეა, მე პირველი მოგიმართავ ხელს გზის გაკვალვაში.

ქალს ერთმანეთის საწინააღმდეგო გრძნობები დაუკარგავდა საღი აზროვნების უნარს. აღელვებული გამოემშვიდობებოდა მგოსანს, საღამოს კი მის მოთხრობას — „ბატონებმა არ დაიწუნეს“ — დათა წაუღებდა აკაკის. მთელი ღამე არ დაეძინებოდა ტასოს, რადგანაც მიაჩნდა, რომ წყდებოდა არამარტო მისი შემოქმედებითი ცხოვრების, არამედ მისი სიცოცხლის ბედიც.

დათა დილასისხამზე დაადგებოდა თავს აელვარებული თვალებით და... ნაძალადევი გულგრილობით ეტყოდა: აკაკი გიბარებს საჩქაროდ!..

მგოსანი აივანზე მიიღებდა. ეტყობოდა, მზის ამოსვლას აქვე რომ შეხვედროდა სავარძელში მჯდარი. და ახლა კარებშივე უნდა მიეგებებინა სტუმრისათვის სიტყვა:

— ტასო, შენი მიზეზით წუხელი მთელი ღამე ვერ დავიძინე! ძილი თავიდანვე გამიტყდა. ამ დროს გამახსენდა შეპირება და დავიწყე შენი მოთხრობის კითხვა. ვიდრე არ დავასრულე, ვერ შევწყვიტე. ძალიან მომეწონა, გადავწყვიტე თან წავიღო და ტფილისში ჩასვლისთანავე „კვალში“ დავაბეჭდინო ანასტასია თუმანიშვილს.

ეს უსიტყვოდ მიაჩერდებოდა მზის სხივებით გაბრწყინებულ მის სახეს, თმის შეევრცხლილი კულულებით მოვარაყებულს, გადაშლილ შუბლს, აწეულ წარბებქვეშიდან ალერსიანად გამომყურე თვალებს და... განიცდიდა ცხოვრების უბედნიერეს წუთებს.

აკაკი მოთხრობას „კვალის“ რედაქტორს რომ წარუდგენდა, ანასტასია თუმანიშვილი მონონებით მოიწონებდა, მაგრამ... დაბეჭდვაზე უარს ეტყოდა იმ მიზეზით:

— ცუდად გამოყვანილი დედინაცვალი ჩემს გერებს ჩემს თავსაც შეაძულებს.

აკაკი ბოლოს მაინც დაითანხმებდა, რადგანაც დაემუქრებოდა:

— წინააღმდეგ შემთხვევაში თვითონ ავიღებ ხელს „კვალში“ თანამშრომლობაზე.

ასე შედგებოდა ანასტასია ერისთავის მწერლური დებიუტი.

გავიდოდა რამდენიმე წელი და... აკაკი უნდა გადაქცეულიყო მისთვის ახლობელ ადამიანად.

1897 წელს სოფელ მეჯვრისხევში ანასტასია ჯვარს დაიწერდა დუტუ მეგრელზე, ჯვრისწერას კი დაესწრებოდნენ — აკაკი: მამად, დუტუ მეგრელის მხრიდან, და გიორგი წერეთელი: ანასტასიას მხრიდან.

ანასტასიას მამა, იმჟამად ავადმყოფი, რაღაც თილისმით თითქოს გაჯანსაღებოდა, რომ მისი თანამედროვე მწერლები — აკაკი, გიორგი და დუტუ, მანამდე მხოლოდ შორეული მოკეთეები — აწ უკვე მისი ოჯახის ნევრთა და მახლობელთა სიას შეემატებოდნენ.

საგანგებოდ გაწყობილი სუფრა შემოიკრებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ თანამედროვე მოღვაწეთ — თითქოს აკაკის სტრიქონებს განუსაზღვრავთ სუფრის შინაარსიცო: სხვადასხვა კუთხის შვილები, ოდელა-დელა-დელაო!.. ან რაღა თითქოს, სწორედაც აკაკის ლექსი ჰკრებდათ, აკაკის ხედვა და ხილვა აერთიანებდათ და თვითონაც იქ რომ არ ეტრიალა, მისი ლანდი იდუმალად მაინც იქნებოდა ნადიმის მონაწილეც და მისი სულისკვეთების განმსაზღვრელიც.

მასპინძელი, სუფრის ღირსეული თამადა, უსაზღვრო კმაყოფილებას იგრძნობდა თავის სტიქიაში მყოფი, და მისი მჭევრმეტყველება უმაღლეს წერტილს მიაღწევდა. მას არ ჩამორჩებოდა დუტუ მეგრელის ბიძა — ბლაღოჩინი თედო ხოშტარია, სხვა მაყრებთან ერთად ჩამოსული სამეგრელოდან.

ნეფე-დედოფლის დამლოცველნი — აკაკი და გიორგი წერეთლები — სიტყვამოსწრებულობითა და სულის სიღრმემდე ჩამწვდენი მგრძნობიარე სიტყვებით მთელს სუფრას გაამხიარულებდნენ.

აკაკის თანდასწრებით ქართული სიტყვისა და ქართული ნადიმის ზეიმი ტფილისშიაც გაგრძელდებოდა — გიორგი და ანასტასია წერეთლების მიერ ნეფე-დედოფლისათვის საგანგებოდ გამართულ ვახშამზე, რომლის შემდეგაც გააცილებდნენ და ანასტასიაც გამოემშვიდობებოდა ყველა მახლობელსა და საყვარელ მეგობარ-მასწავლებლებს.

რას წარმოიდგენდა, რომ სამუდამოდაც ემშვიდობებოდა თავის ძვირფას მოამაგეს, მისი ცხოვრების ჩირაღდნად მოვლენილ აკაკის, რომელსაც იმ სამახსოვრო საღამოს შემდეგ ცოცხალს ვეღარ იხილავდა — მხოლოდღა სასახლეში მდებარეს, თავზარდაცემული გორის სადგურს რომ მიაშურებდა იმ მატარებლის შესახვედრად, რომელშიც...

ქორწილის ზეიმს კი იმით დაუგვირგვინებდა აკაკი და კიდევ ერთ ზეიმს საკუთრივაც აჩუქებდა, მალევე რომ გამოაქვეყნებდა რეცენზიას ანასტასიას რომანზე „მოლიპულ გზაზე", გარდა პირწმინდად ლიტერატურული დაკვირვებებისა ამ სტატიას განზოგადებულ მნიშვნელობას რომ მიანიჭებდა და თანადროული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყოფის თავისებურ სარკედაც გაიაზრებდა.

ბუნებითად ნიჭიერსა და ჭკვიანს, მაგრამ გაუწვრთნელ, უსწავლელ და უმეცარ კაცს ჯაჭვით დაბმულ ლომს რომ შეადარებდა, ნიჭ-ნაკლებ და ჭკუამჩატე, მაგრამ ნასწავლ და განვითარებულ კაცს კი — თავისუფლად მფრინავ კაჭკაჭს, ამ შედარებას მიუსადაგებდა ერთი მხრივ ჩვენს ინტელიგენციას და მეორე მხრივ — სოფლელებს, და უზომო გულისტკივილით დასძენდა, რომ:

დღევანდელ ქართველობას სახლი — ოჯახი — აღარ გააჩნდა, რომ დედის რძედ მიგვეწოდებინა რამ შვილებისათვის!.. ნაცარქექიებად გადაქცეულნი სხვისი შემყურე-მოიმედენი გავმხდარიყავით და იმთავითვე ვაკარგვინებდით მშობლიურ ნიადაგს!.. ფეხს აღარ ვადგმევინებდით, უსუსურად შეგვყავდა პირდაპირ საკაჭკაჭოში და ღვთისაგან მონიჭებული, თანშობილი ცხოვრების საგზალი, გრძნობა-გონება სასხვისშვილოზე უობდებოდათ.

— თუ კაცი სწორი გზით არ მიდის და მიხვევ-მოხვევა ეჭირვება, ის მაშინ არ გზას დაჰკარგავს და ან გვიანობამდე ვერ მიაწევს იქამდე, სადაც მიდის.

და ჩვენი ახალგაზრდობაც უგზოუკვლობის გამოისობით უნაყოფოდ ხეტიალობდა.

ზოგი ისე გაქარაფშუტებულიყო, აღარაფერს სადროვოს აღარ ადევნებდა თვალყურს!.. თავისი აღარც სმენა ჰქონდა და აღარც მხედველობა და სხვათა ჩაგონებით წამოიძახებდა ხოლმე: შია შოშიასო!..

ზოგიერთები კი ებრძოდნენ გარემოებას! არ სურდათ დროს ჩამორჩენოდნენ, მაგრამ მაინც ნაყოფი ვერა მოჰქონდათ რა და ამაოდღა იტანჯებოდნენ.

წყალი თუ სათაევში იმღვრეოდა, ბოლოს მას რაღა გაწმენდდა?!

მაგრამ ხომ არსებობდა ის უტყუარი სარკე, ლიტერატურა რომ ერქვა?..

თუმც... არსებობდა კი?

აკაკის მიერ შემოთავაზებული სურათი მკაცრ რეალობას თვალნათლივ წარმოაჩენდა და თავის მოტყუებისა და ილუზიების გამოდევნების საშუალებას არ გიტოვებდა:

ჩვენ, ქართველებს, მართალია ნაწერებიც ბევრი გვაქვს, წიგნებიც ბლომად იბეჭდება, ჟურნალ-გაზეთებიც გამოდის, მაგრამ... ლიტერატურა კი მაინც არ გაგვაჩნიაო.

ეს... როგორ?

როგორ და:

როგორც უბრალო მძივებისაგან ასხმულ ყელ-საკიდს არ ეწოდებოდა „მანიაკი“ და თაღლით-მარგალიტს „შადა“, გინდ შიგადაშიგ, აქა-იქ ობოლი მარგალიტებიც გარეოდა, ისე ჩვენი თანადროული ლიტერატურაც ლიტერატურად არც კი ითქმოდა.

მაგრამ რაკიღა თქმულიყო: ავია თუ კარგიაო, მაინც შენი ქმარიაო, — ჩვენც კიდევ მაინც ჩვენი მწერლობისათვის უნდა გადაგვეცლო თვალი.

ზოგნი როდესაც შინაურობაში, ახლომახლოზე რაიმეს შეეხებოდნენ, სადამდეც კი საბელი გაუშვებდათ, სიძლიერეს იჩენდნენ, და შორს მოინდომებდნენ თუ არა გაწევას, მაშინვე ძირს ეცემოდნენ.

და ნასწავლ-განათლებულებად ვისაც მოჰქონდა თავი და გვიწერდნენ კრიტიკულ, პუბლიცისტურ, პოლიტიკურ თუ სხვა ყოველგვარ „ტიკურ“ რამეებს, ევროპული ავტორიტეტები სულ ბურთივით გაჰქონდ-გამოჰქონდათ, მაგრამ მუშტრის თვალით თუ გასინჯავდით, შიგ საკუთრივ მათი არაფერი აღმოჩნდებოდა და... მარტო „შია შოშიას“ გამოდიოდა.

მაგრამ ამაზე საუბარს სხვებს მიანდობდა, იმედს გამოთქვამდა, რომ ბატონი ხომლელი — რომანოზ ფანცხავა — მათ უყურადღებოდ არ დააგდებდა, ხოლო თვითონ აკაკი გაკვრით შეეხებოდა რომანს „მოლიპულ გზაზე“, შექმნილს იმ ანასტასია ერისთავის მიერ, რომლის თავდაპირველი ორი მოთხრობაც — „ბატონებმა არ დაიწუნეს“ და „ლაზარემ გადააჭარბა“ — ახალგაზრდა მწერლის პირობაზე უფრო მეტ ყურადღებასაც დაიმსახურებდა მკითხველისაგან.

ავტორს მართლაც დიდი ნიჭის პატრონობა ეტყობოდა და საიმედოც გახლდათ მომავლისათვის, მაგრამ... თანაგრძნობა წაათამამებდა, ცოტა არ იყოს აჩქარდებოდა და უდროოდ შეეჭიდებოდა დიდ რამეს: გლეხების ცხოვრებას რომ აღარ დასჯერდებოდა, მთელი ქართლის გამოხატვას მოინდომებდა და... აქა-იქ რომ ფეხი არ ასხლტოდა, განაღა შეიძლებოდა?.. ამისთანა დიდ ტვირთს, ნიჭს გარდა, დიდი გამოცდილებაც ეჭირვებოდა და თუ არა ხანშიშესული და ბევრისმნახველი, უტყუვრად ამწონ-გამზომი მწერალი, ახალგაზრდა ვერ მოახერხებდა. და ეს მწერალიც დღევანდელი ქართლის ყოფას, როგორც თავად-აზნაურობის, ისე გლეხებისასაც, ახალი თუ ძველი თაობისას დიდი ხელოვნებითაც გვითვალისწინებდა, მაგრამ... როდესაც კი წარსულსა და მომავალში გადადიოდა, აქ კი „საკაჭკაჭო“ ემართებოდა და სხვის სიტყვებს იმეორებდა უსწორმასწოროდ.

ცალ-ცალკე რომ არ ჩამოჰყოლოდა, გამოარჩევდა მარტოდენ ერთ ადგილს რომანიდან, მწერალი გარდასულ ბატონყმობაზე რომ მსჯელობდა და... კიჟინასა სცემდა, რასაც აკაკი ვერ მოუწონებდა.

ჯერ ერთი ის, რომ:

ძველი დრო სიმართლით ვერ წარმოედგინა, ცილსა სწამებდა!..

და მეორეც:

ვისთვის რაღა საჭირო იყო, რაც აღარ არსებობდა და მნიშვნელობაც აღარა ჰქონდა იმაზე რისხვა-გოდებას?..

მაგრამ ეს იმის ბრალი გახლდათ, რომ:

ბატონყმობაზე ჩმახვა — სწორედაც ჩმახვა: აკაკიც იქნებოდა ვინმეს ან რაიმეს მორიდებოდა, როდესაც ძალზე მნიშვნელოვან მოვლენას ეხებოდა, საჭირბოროტოდ და სათავ-

შისაცემოდ გადაქცეულს — მოდად დამკვიდრებულიყო ჩვენში და... მოდას კი ჩვეულებისამებრ ისეთი ჰიპნოზური ძალა მოსდევს, გონიერებსაც რომ იმორჩილებს ხოლმე.

არადა უნდა შეეგნოთ და აუცილებლადაც უნდა შეეგნოთ, რომ:

ბატონყმობაზე წუწუნი სწორედ რომ კაჭკაჭური „შია-შოშიაობა“ იყო!..

ამის გამო აზრი ბევრჯერ ვრცლად გამოეთქვა და ახლა კიდევ გაკვრით იტყოდა, რომ:

ბატონყმობის ისტორიას ჩვენში ცოტა არ იყოს ცილსა სწამებდნენ და აწმყოში რომ გადმოჰქონდათ, ამითი დიდი ვნება მოჰქონდათ ქვეყნისათვის. არადა ყოველგვარი მოვლინება, რომელიც კი ფეხს იკიდებდა ცხოვრებაში, როგორც დროთა ვითარებისაგან გამოწვეული, კანონიერად უნდა მიჩნეულიყო. ამ რიგს ეკუთვნოდა ძველებური ბატონყმობაც საზოგადოდ ყველგან და მითუფრო ჩვენში, სადაც ეს „ბატონყმობა“ საუფროს-უმცროსო შეთანხმებით შეკავშირებულიყო და არა ძალმომრეობითი ბორკილით გადაბმული.

— და ამ უფროს-უმცროსობას უნდა უმადლოდეთ, რომ საქართველომ მეცხრამეტე საუკუნემდე თავი შეინახა.

მაშინდელ პოლიტიკურ მდგომარეობას ორად გაეყო ქართველი ერი: მეურნედ და მეომრად.

პირველი გუნდი მტერს იგერიებდა, სისხლს ათხევდა საქართველოს კიდეებზე, რათა ქვეყნის თვითარსებობა, თავისუფლება დაეცვა!..

მეორე შიგნით ტრიალებდა, ოჯახს ეკიდა და პირველ გუნდს საზრდოს აწოდებდა!..

პირველი თავადობდა და ბატონი ანუ პატრონი ერქვა!

მეორეს ყმას ანუ გლეხს ეძახდნენ!

დღესდღეობით ყველგან გაწვრთნილი ჯარი რომ იდგა, სადაც უფროს-უმცროსობა სასტიკად დაცულიყო, უბრალო პაიკებსაც, სალდათებსაც, და აგრეთვე მათ მეთაურს-უფროსებსაც, აფიცრებსაც, ხაზინა ინახავდათ და არჩენდათ.

ძველად ეს შეუძლებელი გახლდათ და ამიტომაც ერისთავები და თავად-აზნაურები იგივე სარდლები, გენერლები და სხვადასხვა ხარისხის აფიცრები იყვნენ — რა კუთხიდანაც მოადგებოდნენ მტრები საქართველოს, იმ კუთხის თავადები იმაგრებდნენ საერისთაოს!.. პირველ საფარს ისინი უკეთებდნენ და მერე სხვებიც მიეშველებოდნენ ხოლმე.

და XIX საუკუნემდე ეს წეს-წყობილება აუცილებელი იყო ჩვენთვის, რადგანაც უკეთესი აღარა მოხერხდებოდა რა!.. მაგრამ ამ საუკუნეში კი მნიშვნელობას დაჰკარგავდა და საზოგადო სიკარგიდან კერძო სიცუდეზე გადავიდოდა: კავშირი ბორკილად შეიცვლებოდა და შეთანხმება — ძალმომრეობად.

პირდაპირ თქმას მოერიდებოდა ცენზურის კლანჭებ-არტახებისა გამო, მაგრამ გამჭვირვალედ მიანიშნებდა, რომ ეს ძალმომრეობა რუსულ უღელს მოეტანა თან, და მართლაც აუცილებელი შექმნილიყო ამ უსამართლობას მალე ბოლო მოღებოდა და მიტომაც სამოციანი წლების მწერლები იერიშს მიიტანდნენ მასზე, რათა ერთი მხრივ ჩაგრულთათვის თვალი აეხილათ და მეორეთი მჩაგვრელთათვის ემხილებინათ მათი უსამართლობა.

როგორ ამბობდა ანდაზა? მოქნეული და მოზომილი არ გაგონილაო.

და ამ ანდაზისა არ იყოს, ისინიც რასაკვირველია გააზვიადებდნენ და ბევრ რაიმეს გადაჭარბებულად დაწერდნენ: იმას შესწამებდნენ ჩვენებურ ბატონყმობასაც, რაც არ ყოფილიყო და მხოლოდ სხვა ხალხის — უპირველესად გასაგებია თუ ვისიც! — ზნე-ჩვეულებისა და ხასიათის წარმონაშობი გახლდათ. გააზვიადებდნენ, მაგრამ ამას გარემოება მოითხოვდა მაშინ, და დღეს კი, როდესაც ბატონყმობა გადავარდნილიყო, იმაზე ლაპარაკი უბრალო წყლის დღობვას ემსგავსებოდა.

— ეს არ ესმისთ ჩვენ კაჭკაჭებს და წოდებათა შორის შურსა და მტრობას აგდებენ უსამართლო მისისინებით. აბა, ამაზედ არის ნათქვამი: „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასო, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო“.

თავად-აზნაურობაზე დღეს იერიშის მიტანა მხოლოდ იმიტომ, რომ ოდესმე, ერთ დროს მათი წინაპრები დიდი კაცები იყვნენო, უსამართლობად წარმოდგებოდა!..

და აკაკი უფალს მადლობას შესწირავდა, რომ:

ქართველობას იმთავითვე გაეშინაგანებინა: თუ კაცი თვითონ არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობაო. და დღესდღეობით კიდევ უფროც შეეგნოთ ეს სენტენცია.

მაშ... აქ გვარიშვილობასა და ჩამომავლობაზე რისთვის და ვიღასთვის იყო საჭირო ლაპარაკი? უბრალო ენის ქავილად მოჩანდა და სხვა არაფრად!..

მართალია დღესაც იყვნენ ზოგიერთი ტუტუცები, თავი რომ მოჰქონდათ გვარიშვილობით, მაშინ როდესაც თვითონ ღირსნი არ იყვნენ ამ გვარიშვილობისა, მაგრამ განა ხალხი საცინლად არ იგდებდა მათ?

და ვინც ღირსი გახლათ თავისი წინაპრებისა და გვარს არ არცხვენდა, იმისთვის რაღად უნდა დაეცათ კიჟინა?

ეს არ ესმოდათ ჩვენს კაჭკაჭებს და... თავადაზნაურობა ბიწიერება ეგონათ და გლეხობა კი — დიდი სავაშავაშო მოვლინება.

არაერთხელ მოისმენდა ჩვენში კაცი, რომ ერთი უხეირო ვინმე, რომელიც არაფრად ღირდა, გინდ ძველი თავადის ნაშთი ყოფილიყო და გინდ გლეხისა, ასე ტრაბახობდა:

ჩემს წინაპრებში გამოჩენილი და ქვეყნის ნამსახური არავინ ყოფილა, უბრალო გვარისა იყვნენ, მაგრამ რადგანაც მე მათი ნაშიერი ვარ, პატივცემული და ყველასთან გათანასწორებული უნდა ვიყოო!..

აი ამგვარი ხალხი იყო, დღეს რომ ფარ-ხმალი აეღო და კიჟინას სცემდა თავადაზნაურობას, რომელიც ისეც თავისთავად და კანონიერად ფერს იცვლიდა, რათა სხვაგვარი თავადობისათვის გადაელოცა თავისი უფლება!

ამათ ყველაფერი ეპატიებათო, — ირონიულად დასძენდა აკაკი, მაგრამ ისეთ პირს, როგორც ტასო ერისთავი გახლდათ, ვერ მოუწონებდა ფეხის აყოლასა და საკაჭკაჭოზედ გამოსვლას.

და მწერლის მრწამსსაც იქვე განსაზღვრავდა:

შენი მოვალეობაა, რომ საქები ყველგან აქო და საძაგი დაჰგმო წოდების მიუხედავადო.

ესეც აკაკის მორალური საზომი: წოდების მიუხედავადო.

დაე ყველას აღებეჭდა გულის ფიცარზედ რომ:

ნიჭი რაც უფრო დიდი იყო, უფრო მეტი ზრდა და წვრთნა ესაჭიროებოდა, რომ თავის დროზე ჯეროვნად გაწვრთნილიყო და შეცდომა არა მოსვლოდა რა!..

და ამას ურჩევდა მაღალნიჭიერ ავტორს „მოლიპული გზისას“, რომ მომავალი იდეალების ხატვისათვის ჯერჯერობით თავი დაენებებინა და რისიც მორევა და შესისხლხორცება შეეძლო, იმისთვის მოეკიდა ხელი.

აკი ძველთაგანაც გადმოგვცემოდა: აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამიაო!..

ანასტასია ერისთავი-ხოშტარიას რომანის მნიშვნელობასაც შეაფასებდა, კიდეც შეაგულიანებდა აწ უკვე პრესის ფურცლებიდანაც, და მწვავე პოლიტიკურ ესეიდაც გამოჰკვეთდა თავის მსჯელობას, მარქსისტულ მსოფლმხედველობას რომ უნდა დაპირისპირებოდა და შეუპოვრადაც დაპირისპირებოდა ალექსანდრე ორბელიანის შეხედულებასა და სულაც თეორიაზე დაყრდნობით: წოდებათა შორის მამაშვილური ურთიერთობის არსებობას რომ ირწმუნებოდა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და ცდილობდა ყველასთვის შეეგონებინა ეს სიმართლე.

თხუთმეტომეულის XIII ტომში ამ სტატიის ხელმეორე პუბლიკაციის ნებართვას მთავლიტად სახელდებული ცენზურა როგორ დართავდა გამომცემელთ, შენიშვნაში რომ არ დაერთოთ კრიტიკული შეფასება:

ძველ საქართველოში ბატონყმობის რაღაც განსაკუთრებული, ჰუმანური ხასიათის შესახებ თავის მცდარ შეხედულებას აკაკი სხვა წერილებშიაც იმეორებსო.

ყოვლად მიუღებელი გახლდათ ეს თვალსაზრისი საბჭოთა რეჟიმისათვის, დაუმცხრალი ჟინით რომ აყალბებდა საქართველოში ბატონყმობის ისტორიას, რათა ეს მოვლენა თუ წყობილება ძალდატანებით მოერგო მარქსისტული სქემებისა და უშუალოდ კი კლასობრივი თეორიისათვის.

ჩვენი ისტორიული რეალობა არ ეთანხმებოდა ამ კიდევ ერთ ცრუთეორიას?

მაშ კიდეც უნდა გამქრალიყო სიმართლის სახსენებელი.

ანდა — უსათუოდ კრიტიკული შენიშვნა დაერთოთ: თვით აკაკისაც არ დაუჯეროთ ამ შემთხვევაშიო. ქვეტექსტურად მიანიშნებდნენ: თავადურმა წარმომავლობამ მაინც იჩინა თავი და ასეთი მცდარი თვალსაზრისი შეამუშავებინაო.

არადა — ჭეშმარიტება ეს გახლდათ, ალექსანდრე ორბელიანისაგან შეთვისებული და ასერიგად აუცილებელი კლასობრივი თეორიის შემოტევის ჟამს, რათა დაბნეულობა გაეფანტა, გარეგნულად მიმზიდველი, არადა მაცთური შეხედულებებისაგან გამოწვეული.

ვერ იკმარებდა მისი გაბრძოლებანი?

თვით აკაკის გაელენა და ავტორიტეტიც ვერ შემოაბრუნებდა უკუღმართად გახრილ გეზს?

თავისი ხომ მაინც უნდა ეცადა, მიმოწყდომოდა აქეთ-იქით გაშმაგებული ყალბისმქნელობის პირობებში, ჯერ მაინც კიდევ რომ არ ჩამქრალიყო იმედი, ჩასატეხად გამზადებული სულიერი და მორალური ხიდის შეკეთება-გამრთელებისა.

XIV ტომში განმეორდებოდა 1911 წელს წაკითხული ლექცია „თანამედროვე ჰაზრები, რუსთველისაგან მე-12-ე საუკუნეში ნაწინასწარი“ და... კვლავ კრიტიკული შენიშვნა დაერთვოდა:

აქაც, ისევე როგორც სხვა თავის წინანდელ სტატიებში, აკაკი კვლავ იმეორებს მცდარ შეხედულებას, თითქოს ძველ საქართველოში ბატონყმობას არ ჰქონია ისეთი მკაცრი ფორმები, როგორიც ჩვენში დამყარდა მე-19 საუკუნის დამდეგიდან, რომ ის ძველად მხოლოდ „პატრონყმობას“ წარმოადგენდა და იძულებულ მონობასა და ძალმომრეობაზე არა ყოფილა დამყარებულიო.

მთავარია, რომ საბჭოთა ეპოქის მკითხველს საშუალება ეძლეოდა გაცნობოდა პირუთვნელ, შეუფერადებელ, სიყალბის საბურველს არიდებულ სურათს სწორედაც პატრონყმობისა და არა იმ გამრუდებულ ვითარებას, რუსული მმართველობის დამკვიდრებას რომ მოეტანა თან და ისეთი წინააღმდეგობაც გაეჩინა ორ წოდებას შორის, რაც ასე სავალალოდ უნდა დასრულებულიყო ჩვენი ქვეყნისათვის.

თამამად იქნებოდა აკაკი ამ შეხედულებათა ქადაგებისას, თანამდგომად იმხელა ავტორიტეტი ეგულებოდა, შოთა რუსთველი რომ გახლდათ.

და მოუწყინრად იმეორებდა და იმეორებდა, რომ:

ქართველები ერთ უძველეს ხალხად რომ წარმოვდგებოდით, რისთვის შეიძლება მიგვეწერა ჩვენი არსებობის ხანგრძლივობა, თუ არა მისი შინაგანი წეს-წყობილების სიმტკიცისათვის, ეს კი ადასტურებდა, რომ წოებათა შორის ზნეობრივად დიდი განსხვავება არა ყოფილა და ყველა ერთად, ერთი მიზნით განმსჭვალულიყო.

სხვა სახელმწიფოები — ასურეთი იქნებოდა, ბაბილონი, ეგვიპტე, არაბეთი თუ ბიზანტია — წოდებათა უთანხმოებას დაემხო, გამოწვეულს მაღალი წოდების შთამომავლობითობით, მაღალი წოდება მედიდურად რომ გადმოჰყურებდა დაბალს, დაბალი კი შიშითა და სიხარბით შეჰყურებდა მაღალს, რომელიც ვეღარ ასრულებდა მისი წინაპრების საქვეყნო ვალს და ამიტომაც მათ შორის კავშირი წყდებოდა.

მაღალი და დაბალი წოდება ჩვენს სამეფოშიაც რომ არსებობდა, არა იმ ძალითა და უფლებით, როგორც სხვაგან.

დაე შესაფერისად შეგვესწავლა ჩვენი წარსული.

და მაშინ ისტორია გვეტყოდა, რომ ჩვენში ამაღლება არავის აძლევდა უფლებას, რომ დაბალი დაემონებინა, დაეჩაგრა.

ყველა მხოლოდ თავთავის მოვალეობას აღასრულებდა საქვეყნოდ.

მართალია მაღალ წოდებას შეადგენდნენ თავადები, ანუ ისინი, რომელნიც სათავეში უდგნენ რომელიმე საერო საქმეს, ერისთავები და დიდებულები, მაგრამ მათი ნაშიერები იწოდებოდნენ მხოლოდ თავადიშვილებად, ერისთავიშვილებად და დიდებულიძეებად. ეს მხოლოდ გახლდათ უბრალო წოდება და არ აძლევდა იმათ იმ საერთო უფლებას, რაც მათ გამოჩენილ წინაპრებს ჰქონოდათ ოდესმე, ერთ დროს.

და მიტომაც:

ერთ რომელიმე საუკუნეში რომ თავადებად გარკვეულ გვარებს ვხედავდით, შემდგომ საუკუნეებში თავადებად სულ სხვა გვარები გამოდიოდნენ.

და დაძრახავდა XIX საუკუნეს, რომელიც — რაკიღა სხვას შევერთებოდით — მარტო იმას ცდილობდა, რომ დაერღვია ჩვენი ძველი წესწყობილება, დაეევიწყებინა ჩვენთვის წინაპრების ყოველგვარი ანდერძი, რომ მათ მაგიერ თავისი შემოეტანა.

არ გაამართლებდა ეს „თავისი“.

მაგრამ თანადროული მოძრაობა აკაკის იმედს უღვივებდა, რომ ქართველს ჯერაც არ დავიწყებოდა ძველი ჭეშმარიტება და რუსთველთან ერთად კვლავაც გაიძახოდა: თუ კაცი თვითონ არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობაო.

როგორც სხვა ხალხებში, ისე ქართველებშიაც არსებობით კი არსებობდა ბატონყმობა, მაგრამ არა ისე ფეხმოკიდებული, როგორც სხვაგან, სადაც ადამიანი პირუტყვივით იყო დამონებული. ხოლო ჩვენში ეს არასასურველი მოვლენა, ბატონყმობა, გახლდათ პირობითი და არა ძალმომრეობითი. და მონობა თითქმის არა ყოფილიყო.

გლეხებს ერთხელვე ჰქონდათ გადაჭრილი პირობითი გადასახადი — ბეგარა, და მხოლოდ იმას იხდიდნენ. ადგილ-მამული შეადგენდა გლეხის საკუთრებას; ბატონს შეეძლო გლეხი გაეყიდა მხოლოდ იმ პირობითა და უფლებით, რა უფლებითაც თვითონ ჰყავდა, და ადგილ-მამულს კი ვერც ბატონი შეეხებოდა. გადასახადი ანუ ბეგარა ზუსტად და იმთავითვე განაწილებულიყო გლეხობაში: ზოგს მარტო პური ემართა, ზოგს მარტო შინაყმა და ამგვარად რაც ერთხელვე დაწესებული არა ყოფილა, იმაზე მეტს ვერავინ მოსთხოვდა მათ რაიმეს კანონით:

მონობითი ბატონყმობა კი შემოეტანა XIX საუკუნეს, როდესაც ჩვენი წესყობილება დაირღეოდა და უცხოეთით ახალი კანონი შემოვიდოდა.

აკაკი მომსწრე გახლდათ იმ არასასურველი ბატონყმობისა და დაე მისგან მოესმინათ ერთი შემთხვევა, რაც თავისი თვალით ენახა:

სიკო წერეთელს გლეხი გადაუშენდებოდა, და დარჩებოდა იმას მხოლოდ ათი წლის ქალი, რომელსაც ბატონი გადმოიყვანდა სასახლეში. ამას იუკადრისებდა სოფელი, შეატყობინებდა სხვა ახლომახლო სოფლებსაც ამ უსამართლობას და რამდენიმე ათასი გლეხი მიადგებოდა მებატონეს მუქარით:

— ჩვენი გლეხები ვართ და არა მონა-მოჯალაბე, რომ მოახლე გვემართოს! ამ მცირეწლოვან ქალზე სოფელმა უნდა იზრუნოს, ადგილ-მამულსაც მოუაროს და ქალიც გაათხოვოს!..

და მებატონე იძულებული შეიქნებოდა, რომ ქალი მათთვის დაებრუნებინა.

დაე მეორე შემთხვევაც მოესმინათ:

იმავე ხანებში ქართლის ერთ მებატონეს სამუშაოდ უნდა მოხმარებოდა მისი გლეხი ერთი უღელი ხარით, მაგრამ იმას ცალი ხარი მოუკვდებოდა. ბატონი განრისხდებოდა და უბრძანებდა გლეხს:

— იშოვნე სადმე უღლის ცალი და ან შენ გაები ხარის მაგიერ უღელში! ხომ იცი, რომ ახლა სხვა კანონია.

ეს გამოიწვევდა მთელი სოფლის აღელვებას და მებატონეს ცოლშვილიანად ამოწყვეტდნენ იმ ღამესვე.

დაე მოესმინათ კიდევ ერთი შემთხვევა და მასაც შესაფერისად ჩაკვირვებოდნენ:

ნესტორ წერეთლის მამა, დიმიტრი, დეკაბრისტი, რომ დაბრუნდებოდა სამშობლოში, მეურნეობას მიჰყოფდა ხელს. ერთ დღეს ნახავდა, რომ ძროხები არ შეერეკათ საჩეხში და გარეთ დარჩენილიყვნენ. და გაკვირვებული მოსამსახურეებს რომ გამოჰკითხავდა მიზეზს, ისინი მიუგებდნენ:

— მწყემსი ავად გახდა და ვიღას უნდა შემოერეკა?

გაგულისდებოდა რუსეთში გაზრდილი მებატონე:

— თქვენ რაღა, რომ უსაქმოდ იყავით და რა გაგიჭირდათ ძროხების დამწყვდევა? არა, ჩემს ოჯახში დღეიდან ის ნუღარ იქნება, რომ გაგინაწილებიათ შრომა: ზოგს წყალ-ტაშტი მოგაქვთ, ზოგს პირსახოცი, ზოგს სავარცხელი და ამგვარად. ეს მმართებია, ის არ მმართებია, მე არ ვიცი! როცა უსაქმურად ხარ, ყველაფერი უნდა გააკეთო!..

მეორე დილას მებატონეს ტყვიით გახვრეტილს ნახავდნენ საწოლ ოთახში.

ეს ყოველივე რას მოასწავებდა?

რას და:

ქართველს არა ჰქონოდა გამჯდარი ძვალსა და რბილში მონობა, ძალდატანებით არ იკისრებდა რამეს. და მხოლოდ ასრულებდა იმ მოვალეობას, რაც წინაპრებისაგან გადმოსცემოდა.

ჩვენს ძველებს სხვაგვარად რომ ესმოდათ ბატონყმობა, ამას თვით სახელიც გვიმტკიცებდა, და აგერ აკაკისათვის დაგვეგდო ყური:

სიტყვა „ბატონი" წარმოდგებოდა სიტყვიდან „პატრონი", რაც ნიშნავდა მზრუნველს, ხელმძღვანელსა და მომვლელს.

„ყმა" ნიშნავდა ახალგაზრდას, გასაწვრთნელსა და გასაზრდელს.

და მაშასადამე გამოთქმა „ბატონყმობა" არა გულისხმობდა იძულებით მონობასა და ძალმომრეობას.

არსებობდა მხოლოდ თანხმობითი კავშირი ძმური, მამობრივ-შვილობრივი და არა უფალ-მონური, რაც უკანასკნელ მე-19 საუკუნეში სხვებს შემოეტანათ.

გახურებული მონობის დროს, მე-12 საუკუნეში, შოთა რუსთველი „ვეფხისტყაოსანში" იმ რეალობას წარმოსახავდა, რომ:

როსტევან მეფეს შვილივით უყვარდა მისი ყმა ავთანდილი, მისგან გაწვრთნილი და გამოზრდილი, ქალსაც აძლევდა და სამეფო ტახტზეც აჰყავდა თავის მაგიერ.

და ავთანდილი ტარიელის საძებრად რომ დაადგებოდა გზას, თავის მოადგილედ თავის ყმას შერმადინს დატოვებდა და კიდეც მიანდობდა ყოფა-ცხოვრებას.

ფრიდონი გამარჯვებული რომ დაბრუნდებოდა ქაჯეთიდან თავის სამეფოში, თვალცრემლიანი ეტყოდა ჭირისუფალთ: ძვირად მიზის გამარჯვება! ჩემს სიცოცხლეში სამწუხაროდ და საგლოვოდ ის მეყოფა, რომ ჩემი ყმები ზოგიერთები ჩხუბში დაიხოცნენ, და ცოტა ნუგეში ისღაა, აქ სახელი ნახეს და იქ პირნათლად წარსდგებიანო.

ტარიელი ისე ექცეოდა მოახლე ასმათს, როგორც უძვირფასეს მეგობარს...

ამისთანა ნიმუში სხვაც არაერთი დაიძებნებოდა.

და ყოველივე ამის შემდეგ მართლაც რაღა გასაკვირველი უნდა ყოფილიყო, რომ რაც სხვაგან არ ითქმოდა იმ დროში, ის გამოითქმოდა ავთანდილის ანდერძში: ათავისუფლე მონები, მიღწვიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონებიო!..

და გული წყდებოდა აკაკის, რომ:

ეს „მოვეგონები" დაკარგულიყო.

და შესჩიოდა ყველას, ვისაც ყურნი ასხდა სმენად და თვალნი ხედვად, რომ:

სამწუხაროდ ჩვენში წარსულს ფასი აღარ ედო, მაშინ, როდესაც „წარსულს" ბევრი რამ სანდერძო დაეგდო ჩვენთვის. და ის შესაფერისად შესწავლილი რომ გვქონოდა, გვეცოდინებოდა, თუ რანი ვიყავით ძველად ქართველები და რა უმნიშვნელო შევქმნილიყავით დღეს.

მაგრამ ამ უნუგეშობაშიც კიდევ ნუგეშსა გვცემდა და გვამხნევებდა რუსთველი.

ბატონყმობის ისტორიული სურათის აღსადგენად ხომ ასერიგად შემოგვშველებოდა, პოეტური წინასწარმეტყველებაც ის გახლდათ!..

ასე გაიაზრებდა აკაკი „ვეფხისტყაოსანს" — პოეტურ წინასწარმეტყველებად, და ასეც შეგვაგონებდა დაჟინებით, რუსთველურ ფიქრს თავისასაც რომ მიადევნებდა:

ჩვენ შეგვეძლო გვეგულისხმა, რომ ქაჯთაგან დამონებული და წაყვანილი ნესტან-დარეჯანი საქართველო გახლდათ და მისი მაძებარი მისივე შვილები — ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი — წარმომადგენელნი იყვნენ მთლიანი საქართველოსი. და ისინი ძალას ერთმანეთს თუ არ შეუერთებდნენ, ცალ-ცალკე ვერას გახდებოდნენ და ვერ გამოიხსნიდნენ ნესტან-დარეჯანს.

სწორედ ასე ამერ-იმერსა და შავი ზღვის პირს უნდა შეეერთებინა ძალა და ძმური თანხმობით მიდგომოდნენ ქაჯეთს — დაცალცაკება დასუსტებას ნიშნავდა... სიკვდილს, XIX საუკუნისაგან გამოანგარიშებულს.

და კვლავ მწარედ გადაჰკრავდა ამ ასწლეულს:

დიახ! XIX საუკუნემ შემოიტანა ჩვენში ის, რაც წინათ არა ყოფილა: განამტკიცა ბატონყმობა და დააბეჭდავა ხალხი. ძალმომრეობამ ყველა გააჩუმა. რაღაც ძილმა წაიღო ქართველობა, მაგრამ თურმე ის ძილი ყოფილა საღათას ძილი და არა მკვდრისა, როგორც ზოგიერთებს ეგონათო!..

დღეს თავისთავად გამოეხილა თვალი ქართველობას, გამოეღვიძა. და ნელ-ნელა კიდეც გამოერკვეოდა, მიმოავლებდა მზერას აწმყოს, შეისწავლიდა წარსულს და ისე გაითვა-

ლისწინებდა მომავალს, რაც წარსულს ჩვენთვის დღეისათვისაც გამოსადეგი და სასიკეთო ეანდერძა, იმაზე ხელს ვერ აიღებდა!..

რამდენიმე ათასი წელიწადი, მთელი მისი სიცოცხლე სისხლი ეღვარა მოწამებრივი, რომ მონობა თავიდან აეცდინა და ვერც დღეს იკისრებდა მონობას...

ძმობა, ერთობა და სიყვარული:

აი ამისათვის დასდებდა თავს.

და თუ ვერა, რუსთველთან ერთად გაიმეორებდა:

სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანიო!..

რუსთველი უნდა დაპირისპირებოდა მარქსიზმის მოძალებას, ძალმომრეობის გამოცხადებას ჰუმანიზმად, სიცრუისას — სიმართლედ, დამონებისას — თავისუფლებად.

და აკაკის ხელითა და ბაგითაც ჩადგომოდა ბარიერად სოციალისტური დოქტრინის ექსპანსიას.

პატრონყმობის მომხიბლავი სურათებიც აეელვარებინა, როგორც გარდასული ჟამის მიერ ნაბოძები ანდერძი, სანდო და შეუბღალავი, და მომავლისათვის განზრახული, ოქროს ხანის მოლანდებას კიდევ უფრო რომ უნდა გაეცხოველებინა და გაემძაფრებინა სწრაფვა იმ ოცნების საქართველოსაკენ, რომლის შორეულ კონტურებსაც — ილია ჭავჭავაძესთან ერთად — ასე ხელშესახებად აქანდაკებდა აკაკი წერეთელი, რანდავდა, ხვეწდა, აპრიალებდა, შარავანდით მოსავდა...

და ამ რთულ, წინააღმდეგობებითა და ათასგვარი მოულოდნელობით აღსავსე გზაზე ბატონყმობის ინსტიტუტის მართებული სურათიც უნდა გამოკვეთილიყო, როგორც ერთერთი საყრდენი იდეოლოგიურ ბრძოლაში.

დაწერილ სიტყვას დაწერილ სიტყვად უნდა მიეღწია მკითხველის გულსა და გონებამდე.

ზეპირ სიტყვას ზეპირ სიტყვად უნდა ეპოვნა ბილიკები მსმენელის გონებასა და გულამდე.

„ალექსანდრე ორბელიანი რომ არ გვყოლოდა, რა გვეშველებოდა", რაღაც ამგვარს უთუოდ გაიფიქრებდა ხოლმე დროდადრო აკაკი და მადლიერი მზერით გახედავდა ნათელმოსილ აჩრდილს.

თავი II

აკაკის ჟურნალი: ნანინანატრი

ასეთ რამეს აკაკის მახვილი გონება თუ მოიფიქრებდა:

თავისი, საკუთრივ თავისი ჟურნალი გამოეცა.

მოფიქრება მოფიქრებად და... რასაკვირველია ასეთი ნაბიჯის გადადგმას ვერ გაბედავდა, შემოქმედებით ნაყოფიერებასთან ერთად ჟანრობრივი მრავალფეროვნებითაც რომ არა ყოფილიყო გამორჩეული.

მაინც ვერ გაწვდებოდა?

ზეპირსიტყვიერების ნიმუშებსაც დაიხმარდა — მაინც ასერიგად აღელვებდა ამ სულიერი საუნჯის გადარჩენა, მაინც წლებია განაწყობდა განათლებულ საზოგადოებას საამისოდ, მაინც შემუშავებული ჰქონდა პროგრამაც ამ განძის შეკრებისა და ცალკეული ნიუანსებიც გათვალისწინებული, და ბარემ მიზანდასახულადაც მოეკიდა ხელი ამ საქმისათვის, მითუმეტეს საკუთარი ჟურნალი დაეგულებინა და მის აღმაფრენას რაღა დააბრკოლებდა.

მართალია საზოგადოებრივ-სახელოვნებო გაზეთის გამოცემა ერჩივნა, კვალდაკვალ რომ მიჰყოლოდა თანადროულ პროცესებს — „დროებისა“ და „ივერიისა“ არ იყოს, მაგრამ ამ მიზანს გუბერნატორი ისე გადაელობებოდა, გასაქანს არ მისცემდა და ჩანაფიქრშივე ჩაუხშობდა.

სულხან-საბა ორბელიანის მხატვრის ყოფაში აღმოჩნდებოდა:

რაღაც უნდა მოეფიქრებინა, რადგანაც გაზეთისა თუ ჟურნალის გამოცემა ძალიან ეწადა... და კიდეც მიაგნებდა: მარტოდენ ჩემს ნაწერებს დავბეჭდავ, ლექსებსა და მოთხრობებს და არა პუბლიცისტურ სტატიებსო, — ითხოვდა. თავის ნაწერებს — ახლებსაც და იმ ძველებსაც, რომელთაც გადაამუშავებდა და საბოლოო რეაქციის სახით შესთავაზებდა მკითხველს.

ამასობაში ზეპირსიტყვიერების ნიმუშებსაც შეარჩევდა გამოსაქვეყნებლად და ამაზეც აღარ აუხირდებოდნენ — იქ განა რა შეიძლება ყოფილიყო მთავრობის საწინააღმდეგო?

მერე და მერე სხვების თხზულებათა დაბეჭდვის ნებასაც დართავდნენ — მთავარია პუბლიცისტიკა არა ყოფილიყო და ლექსებსა და მოთხრობებში კი აშკარა გამოსვლა ხელისუფლების დასამხობად.

რედაქცია თვითონ აკაკი იქნებოდა და კიდევ თედო კიკვაძე, მუდმივ თანამშრომლად რომ მიიწვევდა. მერე დომენტი თომაშვილიც რომ უნდა ამოსდგომოდა გვერდით.

ჟურნალი რუხ ყდაში ჩაისმოდა და... აკაკისაც მეტიც ხომ არა უნდოდა: ჩემი ნაცარა კრებულიო, — დაჰფოფინებდა, დანარნარებდა, მზერითა და ხელით ეალერსებოდა.

რედაქცია თავიდან ტფილისში დაიდებდა ბინას, 1899 წლიდან ზესტაფონში რომ გადაინაცვლებდა და ამ ქალაქის ისტორიას დიდმნიშვნელოვან და საამაყო მოვლენად შემორჩებოდა, მიუხედავად „აკაკის თვიური კრებულის“ ხანმოკლე არსებობისა.

არც დედაქალაქში და არც იმერეთში ათას ორას ეგზემპლარზე ნაკლები არ დაიბეჭდებოდა და აკაკის ეს გარემოება ძალიანაც უხარებდა გულს მაშინდელი ტირაჟების ფონზე. ეგაა ჟურნალის ხელმომწერთა უმეტესობა მუშა ხალხი იყო, დაბალი ფენა და არა „ინტელიგენტ-მაღალი წოდება“, როგორც ირონიულად ნაჰკრავდა ნესტარს აკაკი.

ასე მალე რატომ უნდა მოთავებულიყო „კრებულის“ სიცოცხლე?

და ეს მაშინ, ხელისმომწერლები სულაც რომ არა ჰყოლოდა, თავისი ნებით აკაკი მის გამოცემას არ შეწყვეტდა იმ იმედით, დღეს თუ არა, ხვალე მაინც გამოიღებს სასურველ ნაყოფს, ოდესმე მაინც მოისაკლისებს და მოძებნის მკითხველიო.

ვერ შეაკრთობდა ის გარემოება, ზოგიერთი აგენტი რედაქციის ფულს რომ ითვისებდა, ვერც ის, ხელისმომწერნი წესისამებრ რომ ვერ უხდიდნენ ნომრების საფასურს, და აგერ იმის შემსწრეც რომ შეიქნებოდა, ერთ ქორწილში ერთი ხელისმომწერი რომ მოუბოდიშებდა: ამდენი ხანია ვერ გამოვგზავნე რედაქციაში ხვედრი ფული, — და იმ საათშივე მეთარეს ოქროს გადაუგდებდა.

მაშ ძლივს გარედაქტორებულს ჩარხი რატომ გადაუტრიალდებოდა ბედუკუღმა?

რატომ და:

თავიდან მორჩილად აღასრულებდა დანაპირებს: პუბლიცისტიკას, მითუმეტეს პოლემიკას მოერიდებოდა, მაგრამ როდესაც „ცნობის ფურცელი“ და „მოამბე“ მის სადევნელ წერილებს გამოაქვეყნებდნენ, ესეც თავის ჟურნალში მიჰყოფდა ხელს საპასუხო სტატიების ბეჭდვას და პოლემიკური ქარიშხალის დატრიალებას.

არ აპატიებდნენ წინასწარი პირობიდან გადახვევას.

და კიდეც მიუხურავდნენ „თვიურ კრებულს“.

დროებით შეჩერდაო, — თავს ინუგეშებდა მისი განახლების მოლოდინში, მაგრამ... ეს მოლოდინი ძალიან გაგრძელდებოდა და გაჭიანურდებოდა, და... ისე ჩავიდოდა სამარეში, ერთ აღუსრულებელ ოცნებად ესეც დარჩებოდა: „აკაკის კრებულის“ აღდგენა-განახლება.

* * *

აღდგომის წინა დღეებში მიტროფანე ლაღიძე მისწერდა სოფლად მყოფ დომენტი თომაშვილს: აკაკის შენი ნახვა უნდა და ჩამოდიო.

ეს... გაოცდებოდა, უცნაურად ატოკდებოდა... და მეორე დღესვე გაემგზავრებოდა მიტროფანესთან ერთად პოეტთან — თრთოლვითა და აღტაცებით, კადნიერებითა და მოკრძალებით...

ჯერ არ უშვებდნენ ავადმყოფთან, მაგრამ როდესაც შეიტყობდნენ, აკაკის სურვილით ესტუმრნენო, შეუძღვებოდნენ ოთახში, სადაც სნეული პოეტი მაშინვე საქმიან საუბარს გაუბამდა დომენტის და ურჩევდა, რომ ბევრი ეკითხა, წერით კი ეწერა ყველაფერზე, რასაც გული უჩურჩულებდა და გონება ურჩევდა — ეწერა უბრალოდ, სადად, ნაძალადეობა მაშინვე დაეტყობოდა ნაწერს და აღარ ივარგებდა.

რჩევა ერთგვარ თვითდახასიათებასავითაც კი გამოუვიდოდა:

— ლექსის წერა ადვილია, მაგრამ იმდენადვე ძნელი, თუ აზრის უბრალოდ გამოთქმა გინდა და არა მისი გაბუნდოვანება... წერე, წერე, როცა ხალისი გექნეს. აი ევდოშვილი... ის სახელმოხვეჭილი მწერალია, მაგრამ მის ლექსებს ზოგჯერ ნაძალადეობა ნიშანდობლივად ეტყობა. ალბათ შეკვეთით ბევრი რამ დაუწერია.

ლაპარაკისას თანდათან მხნევდებოდა, თვალები და სახე თანდათან უბრწყინდებოდა და კვლავ საოცარი ღიმი დასთამაშებდა ბაგეზე.

— მთავრობის სამსახურში არ შეხვიდე, სადმე კერძოდ მოეწყე, თუ მოვმჯობინდი, მოგეხმარები, მაგრამ სამსახური საზოგადოდ ღუპავს კალმის მუშაკს. ეგაა ჩვენი უბედურება, რომ უსახსრონი ვართ და ბევრი საიმედო ახალგაზრდა იღუპება სამსახურის ჭაობში. კალმის მუშაკისათვის სამსახური ნამდვილი ტყვეობაა იმ განსხვავებით, რომ ტყვეს შეიძლება ექნეს მოცალეობა კალამს ემსახუროს და დღიურად უკეთესი ნუთები ამ საქმეს მოახმაროს; სამსახური კი ამის ნებას არავის მისცემთ.

და ძალაუნებურად წამოაგონდებოდა ცახელი, მეტად ნაზი და მგრძნობიარე პოეტი, მისგან ბევრი რამ რომ იყო მოსალოდნელი და კიდეც ამოთქვამდა, ვიდრე ჩაებმოდა...

— მაგრამ რაღაი წყალწითელას ჭალა გაუჩნდა საჭირბოროტოდ, კიდევაც დაიღუპა, როგორც მწერალი. შენ მაინც გულს ნუ გაიტეხ, დადგება დრო და თავს იხსნი მაგ ტყვეობიდან...

და შესთავაზებდა, რომ ცოტა წაემუშავებინათ, რადგანაც „კრებულისათვის“ მასალა უნდა გაემზადებინა.

სტუმარი კედელთან მიდგმულ პატარა მაგიდას პოეტის საწოლთან მისწევდა და ფანქარსაც მოამზადებდა.

აკაკი უკარნახებდა და ეს გამალებით ჩაიწერდა. და თაბახი რომ აივსებოდა, ის ჰკითხავდა:

— აბა რომელ ფრაზაზე შევჩერდი?

და უმალ განაგრძობდა. სიტყვა სიტყვას მიჰყვებოდა, ფრაზა ფრაზას და იჩქეფებდა საოცარი შადრევანი.

სამ დღეს გაგრძელდებოდა ეს ერთობლივი მუშაობა, და როდესაც დასრულდებოდა, წაიკითხებდა, აქა-იქ შესწორებას შეიტანდა და სთხოვდა:

— ვისმე გადამიწერინე.

რაღა „ვისმე"— და ამასაც დომენტი იკისრებდა.

ამ დღეებში დაიწერებოდა: „წმინდა გიორგის რაზმი" — იმერეთის მეფის სოლომონ პირველის ძმის, არჩილ გიჟად წოდებულის მიერ რაზმებით თავდასხმების ამბები ამ მხარეში ოსმალთა მომხრეთა ოჯახებზე; „მოტყუებული ტერტერა" და ზოგიც სხვა.

ამ დღეს სამსონ თოფურიას განკარგულებით აკაკის საუზმედ შემწვარ ბატკნის ხორცსა და ნახევარ ჭიქა „ხვანჭკარას" მიართმევდნენ. პოეტი დახედავდა საუზმეს, თეთრი პურის ნაჭერს აიღებდა და ორიოდე ლუკმას გაუსინჯავდა გემოს, ღვინოსა და ხორცს კი ხელსაც არ ახლებდა და უკანვე გააბრუნებდა.

რატომ არ შეჭამდა?

— დღეს ხორცს როგორა ვჭამ და ღვინოს როგორ დავლევ? მშობლებმა ასე ჩამინერგეს გულში და მეც არ მინდა მათთან სულიერი კავშირი გავწყვიტო...

პოეტი მალე მომჯობინდებოდა და მნახველებისაგან მოსვენებაც აღარ ექნებოდა. და კვლავ რომ ესტუმრებოდა დომენტი თავის ერთ მეგობართან ერთად, იქ ხუთი თუ ექვსი ქალი და კაცი დახვდებოდა, მათ შორის ნიკო ნიკოლაძეც. აკაკის ეამებოდა ამათი დანახვა და საუბარს გააგრძელებდა. უეცრად ანტონ ჭყონდიდელზე ჩამოაგდებდა ლაპარაკს და მოიხსენიებდა დიდ ორატორად და მოქართულედ.

და იმ გადმოცემას გაიხსენებდა, ერთხელ რომ ჰკითხავდნენ ანტონს:

— ბატონო, სამოთხესა და ჯოჯოხეთზე რომ ხშირად გვესაუბრები, ნეტა რა უნდა იყოს ან ერთი, ან მეორე?

— იქიდან დაბრუნებული არავის უნახავს, — მიუგებდათ მიტროპოლიტი, — ჩემი წარმოდგენით კი სამოთხე არის სურათის ცვლა სურათზე განუწყვეტლივ და შეუჩერებლივ: თუ სურათს დაუგვიანდა, ჯოჯოხეთიც ეგ იქნება.

ამას რომ იტყოდა აკაკი, ნიკო ნიკოლაძე ფეხზე წამოიჭრებოდა და მიმართავდა:

— შენი ჭირიმე, აკაკი, მაგ შენს ნათქვამს მე განვმარტავ და არ უარჰყო, თუ სწორი იქნეს.

და მასთან ერთად მისულებს მიუბრუნდებოდა:

— ეს, ბატონებო, აკაკიმ ჩვენ დაგვითხოვა — წაბრძანდით და თქვენს აქ ყოფნას ჯოჯოხეთად ნუ გადამიქცევთო...

ამ განმარტებაზე პოეტი გადაიხარხარებდა და პირს კედლისაკენ მიიბრუნებდა.

1899 წლიდან „აკაკის კრებულის" პროგრამა რომ გაფართოვდებოდა, დომენტი თომაშვილიც რამდენიმე ლექსსა და ფოლკლორულ მასალას დაბეჭდავდა მის ფურცლებზე, ხოლო ქუთაისის თეატრში გამართულ სალიტერატურო საღამოებზე მასაც მოუწევდა სცენაზე გამოსვლა თვით აკაკის გვერდით.

1905 წელს გაზეთ „ივერიის" რედაქციაში რომ დაიწყებდა მუშაობას რედაქტორის — ფილიპე გოგიჩაიშვილის — მიწვევით, აკაკი იქ ხშირად შეივლიდა ხოლმე და თანამშრომელთა შორის დომენტის რაღაც თავისიანივით უყურებდა, იმედიანად დაებჯინებოდა ცალი ხელით და ასე მიაცილებდა იგი რედაქტორის კაბინეტამდე.

ის ეპიზოდიც წარუშლელად დაამახსოვრდებოდა:

კოტე მესხი „პატარა გაზეთს" რომ გამოსცემდა, რედაქცია სათავადაზნაურო ქარვასლის ერთ-ერთ ოთახს შეეფარებოდა. აკაკი შევიდოდა და კოტე მესხს რედაქტორის სავარძელში რომ დაინახავდა, ერთს თავისებურად გადაიხარხარებდა:

— საქართველოში ამდენხანს რედაქტორის სახელი მარტო ილიას ჰქონდა...

და ის ეპიზოდიც:

სომეხ-თათართა შეტაკების დროს აკაკი სასახლის ქუჩაზე რომ ცხოვრობდა სასტუმროში, პროვოკაცია ისე გაძლიერდებოდა, შესაძლო იყო მოჩხუბართა ერთ-ერთ მხარეს აკაკის ბინაზეც მიეტანა იერიში, მითუმეტეს სროლა უკვე ერევნის მოედნიდან გოლოვინზე გადმოინაცვლებდა და... ვაითუ ქართველობაც ჩაეთრიათ ძმათა სისხლისღვრაში.

დომენტიც იზრუნებდა, რომ აკაკი სასტუმროსათვის მოეშორებინათ და დაებინავებინათ ერთ-ერთი დაწყებითი სკოლის დარბაზში, ელისაბედის ქუჩის შესახვევში.

სწორედ ამ დარბაზში მოინახულებდა პოეტს სოსიკო მერკვილაძესთან ერთად 1906 წლის 1 იანვარს, ახალწელიწადს.

ქალაქში საშინლად ყინავდა.

დარბაზის ერთ კუთხეში აკაკის მოეხურა თავისი ციმბირული ქურქი და ლექსს წერდა.

ახალ წელს მიულოცავდნენ, ვაშლებს მიართმევდნენ და სთხოვდნენ:

— ჩვენთან გადმოდი მთაწმინდაზე.

მაგრამ ის იუარებდა:

— მოყინულზე იქ ამოსვლას ვერ შევძლებ, ეტლი კი არ იმუშავებს და როორ წამოვიდე?!.

ესენიც ვეღარას ეტყოდნენ და მასპინძელი იქვე დარჩებოდა.

მთაწმინდისაკენ თვალი არასოდეს მიურბოდა: არც დასაბინავებლად და... არც სამუდამოდ დასაბინავებლად და თავისივე ეზო შეეგულებინა საამისოდ სხვიტორში, ეგაა დროდადრო მძაფრად წამოუვლიდა ის ფიქრი და განცდა, და ერთხელ ფურცელზეც გადაიტანდა: რა იქნება გელათში დამკრძალონ, დავით აღმაშენებლის სამარის ბოლოსო...

ეს ისე, ოცნებად, თუკი გაითვალისწინებდნენ და თავსაც მოაბამდნენ, ამას რა ემჯობინებოდა, თორემ თავისი ეზო-კარი ყველაფერს ერჩივნა უკანასკნელ სადგომად: კარის ეკლესიის სიახლოვესა და ტყემლის ქვეშ, გული რომ უტოკავდა, როდესაც წარმოიდგენდა, თუ როგორ გადმოჰყურებდა აყვავებული ხე მის სამარეს, მერე კი ყვავილები და ფოთლები როგორ ეფინებოდა ზედ. უკეთესი შემამკობელი ანკი რა შეიძლება ყოფილიყო?!.

მთაწმინდა აინუნშიც არ მოსდიოდა.

რა აკაკი:

მთაწმინდაზე მცხოვრებ იაკობ გოგებაშვილსაც არასოდეს დაეგულებინა მთაწმინდა თავის ძვალშესალაგად და დიდუბის ეკლესიის გალავანში მოიზომავდა თავისთვის ადგილს იმ იმედით: ამას მაინც როგორ დამამადლიანო!..

ვარიანში დაკრძალვა რაღაც არ უჯდებოდა გონებაში.

რას იფიქრებდნენ, ორივეს საბოლოო განსასვენებელი მთაწმინდის გული თუ აღმოჩნდებოდა.

თუმც ჯერ იქამდე შორია.

აკაკიმ თავაზიან მიპატიჟებაზე უარი უნდა მოახსენოს თავის ახლობლებს, რაკიღა მოყინულ აღმართზე ასვლაც ძალიან გაუძნელდება და ჩამოსვლაც.

ძველ წელს სევდიანად აცილებს, ახალს კი იმედით ეგებება: ეგებ ამან მაინც გამიმართლოს და ჩემი ჟურნალის აღდგენა აღარ გადაიდოს, თორემ კიდევ თუ გაჭიანურდება, კაცმა არ იცის მერე ვივარგებ კიდევ რედაქტორად თუ არაო?!.

* * *

არტურ ლაისტს აკაკის ერთ მთავარ ღირსებად მიაჩნდა ის, რომ:

ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლის პირველი დღიდანვე ამათრახებდა ყველაფერს, რაც არ მოსწონდა არსებულ ზნესა და ხასიათში. და ყველაფერ იმის გაკიცხვა, რასაც შეეძლო შეეფერხებინა საღი განვითარება ერის ორგანიზმისა, მას სატირამდე მიიყვანდა... ასეთი იყო მისი განწყობილება, და როდესაც რაიმე შემთხვევა ან მოვლენა გააღიზიანებდა ან დაასვედიანებდა, მაშინ სატირაში შხამ-სამსალასაც გაურევდა და უხვადაც გაურევდა...

გაიხსენებდა:

როცა აკაკი „კრებულს“ გამოსცემდა, ხშირად ბეჭდავდა თავის ისეთი ხასიათის ლექსებსაც, რომლებიც მხოლოდ მაშინ იყო გასაგები, თუ მკითხველი იცნობდა ამ ლექსთა გამომწვევ გარემოებებს.

გერმანელი სწავლული მიაქცევინებდა აკაკის ყურადღებას ამ მხარისაკენ და ურჩევდა, კვლავ აღარ დაებეჭდა კრებულში ასეთები.

აკაკი გაიღიმებდა და მიუგებდა:

— არჩევანი ჩემთვის ძნელია.

მაგრამ კმაყოფილი კი დარჩებოდა, ლაისტი არამცთუ მოწონებას, აღტაცებასაც რომ გამოთქვამდა მისი ლექსების ერთ ნაწილზე.

თუ მკითხველი იცნობდა ამ ლექსთა გამომწვევ გარემოებებსო...

მაშინდელი გათვითცნობიერებული მკითხველი ადვილად მიუხვდებოდა აკაკის გულისნადებს და შეუმცდარადაც ამოიცნობდა გამჭვირვალე ქვეტექსტებსა თუ კანთიელად მინიშნებულ ადრესატებს, ბაგიდან ბაგეზე რომ გადავიდოდა ეს მართებული მიხვედრანი.

ხოლო დღესდღეობითაც არ იქნება დაკარგული მათი შეფარული შინაარსი — მოგონებანი, ეპისტოლეები, დღიურები ყოველთვისაც მიაგნებინებდა და მიაგნებინებს მკვლევარებს ქვეტექსტთა და მინიშნებათა გასაღებს და... კომენტარები და ექსკურსები შეუქმნიდა და შეუქმნის კიდეც შესაფერის ფონს ლექსთა ამ წყებას: ისტორიულ-დოკუმენტურს, მეტად ცოცხალი და სახალისო საკითხავი რომ იქნება კვლავ და კვლავ აკაკის შთაგონებით. მის ლექსებს მოსაწყენ შენიშვნებს ანკი რანაირად დაურთავ?!.

ის კი არა, ეს ლექსები გიბიძგებს სწორედ ნავლწაყრილ მოვლენათა თუ ადამიანთა შემოსაყვანად ისტორიის ანალებში, ერთ მთლიან პანორამად რომ უნდა წარმოისახოს უამრავი დაფანტული თუ დაშორიშორებული რეალია თუ დეტალი და უფრო ხელშესახებადაც გამოიკვეთოს იმჟამინდელი ცხოვრების მდინარება თავისი მრავალფეროვანი დანაშრევებითა და კუთხე-კუნჭულებით.

სწორედ ამ თვალთახედვით გაიაზრებდა გრიგოლ კიკნაძე აკაკის ნართაულს, როგორც დაცინვის ერთ-ერთ ხერხს და მის ტევადობასა და მრავალშრიანობას აკაკის ხელში („ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის“), და მოიხმობდა როგორც მისი პოეტური სატირის არაჩვეულებრივი პირდაპირობისა და გამბედაობის დასტურს.

კი მაგრამ... ნართაული რომ არაპირდაპირი გამოსახვის ხერხია, გადაკვრითი მეტყველებაა?

და მაშ ამ პირობებში როგორღა იყო შესაძლებელი პირდაპირობის შთაბეჭდილებათა შექმნა?

ზოგადად ეს კი ასეა, მაგრამ ამჯერად საქმე ის გახლდათ, რომ:

— აკაკის სატირაში ნართაული ერთობ გამჭვირვალეა. მის მიერ გამოყენებული ალეგორიული სახეები ძალიან ნათელია, რადგან მათში სულ ადვილად შეგვიძლია ჩავსვათ კონკრეტული პიროვნება და მათი მოქმედება... აკაკის ნართაულის გაშიფრვა, მისი ალეგორიის გახსნა არავითარ დაბრკოლებას არ ხვდება, ამიტომ ძალიან ადვილია ადამიანზე გადატანა იმ დახასიათებისა, რომელსაც აკაკი ალეგორიული სახის მიმართ გვაწვდის. ხოლო როგორც კი ასეთი გადატანა განხორციელდება, მაშინვე არაპირდაპირი, ნართაული დახასიათება პირდაპირი შეფასებისა და მძაფრი დაცინვის სახეს მიიღებს.

უკვე თავისთავადაც მძაფრი რომ იყო დაცინვა, როდესაც გაირკვეოდა, ვირისა თუ მელიის, ძაღლის, კატისა თუ ხარაბუზას სახეში ესა და ეს ადამიანია ნაგულისხმევიო:

— კიდევ უფრო მატყლობდა ეს სიმძაფრე, როდესაც ამ ცხოველების მიმართ გამოყენებულ ეპითეტებს ადამიანზე გადავიტანდით. ამიტომაა, რომ აკაკის ნართაული პირდაპირი დახასიათების სიმაღლემდე ადის და თუმცა შეურაცხყოფას არ წარმოადგენს, მაგრამ დაცინვის მეტად მწვავე ფორმას კი ღებულობს.

და სქოლიოში დაურთავდა გრიგოლ კიკნაძე:

აკაკის ალეგორიული სატირა კიდევ უფრო მძაფრ შთაბეჭდილებას ტოვებდა იმიტომ, რომ ის წარმოადგენდა უშუალო პასუხს თანამედროვე ვითარების ამა თუ იმ შემთხვევაზე და კონკრეტული ადამიანის მოქმედებათა შეფასებას იძლეოდაო.

ზოგს კუდს უქნევს, როგორც მელაო, — გაისროდა ისარს პირდაპირ გრაფ მიხეილ ლორის-მელიქოვისაკენ („ჩვენი მიხაკა“).

ანდა:

მაიმუნს რომ წარმოსახავდა „არაკში“ და მწარე-მწარე ეპითეტებსაც არ მოაკლებდა: კუდიანი, პაწაწინა, სასაცილო რამე იყოო... იკბინება ის პირმყრალი, ის წუწკი და საძაგელიო... განა როგორი მიამიტი და საქმეში ჩაუხედავი მკითხველი უნდა ყოფილიყო, რომ ამ გამჭვირვალე ალეგორიაში ლუკა ისარლიშვილი არ ამოეცნო.

არ იკარგებოდა, არა, აკაკის ლექსთა იმ წყების შეფარული შინაარსი.

* * *

მწერალს რა ეჭირვებაო? — შეკითხვას გაუგზავნიდა ერთი ახალგაზრდა მწერალი და აკაკი მასაც გაეპასუხებოდა და ყველა იმ ყმაწვილკაცასაც, ამ ასპარეზზე გამოსვლას რომ ესწრაფოდა.

ნიჭი რომ უნდა ჰქონოდა, ეს თავისთავად, დრო და ჟამის შესაფერისადაც რომ უნდა ყოფილიყო ნასწავლი და განვითარებული, და შესწავლილი ჰქონოდა ის ენაც, რომელზედაც აპირებდა წერას.

და კიდევ არანაკლებ, თუ მეტად არა: გულწრფელი უნდა ყოფილიყო და კალამი ისე არ აეღო ხელში, რომ არ გახსენებოდა დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნიდან:

— გული წმინდა დაბადე ჩემთანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა.

და ამ სტრიქონებს ბუნებრივად უნდა მოჰყოლოდა:

თავის თავს ისე უნდა უყურებდეს, როგორც მოციქულსა და ქვეყნის მოძღვარსო.

ეს რას ნიშნავდა?

რას და:

უშიშარი უნდა ყოფილიყო, შეუპოვარი, მტერ-მოყვრობის გადუყოლელი, და რასაც ხალხს ეტყოდა, გულისწმინდით უნდა ყოფილიყო ნათქვამი — როგორც აღსარება ქრისტეს წინაშე, პირადობა შეეწირა საზოგადოსათვის და მზად ყოფილიყო, რომ გაჭირვება და უსამართლობა აეტანა.

თუ ამას ყოველივეს გრძნობდი შენში, მაშინ კიდეც უნდა აგერჩია საზოგადო ასპარეზი, თორემ უამისოდ რა სარგებელი იქნებოდა, შენც რომ ნახირში გამორეულიყავ მეცამეტე გოჭივით?

და თუ საზოგადო მოღვაწეობას ისე უყურებდი, როგორც ცხოვრებაში გამოსადეგ იარაღს, რომ ამით ქვეყნის თვალში ძალა შეგემატებინა, უმეტესობისათვის თვალი აგეხვია და ზოგიერთივით მარტო შენს პირად კეთილდღეობაზე გეფიქრა, ეს ხომ ყოველგვარ დამნაშავეობაზე უარესი იყო და... ღმერთს ეშორებინა შენთვის!.. ამასთან — ამგვარად მოპოვებული ღირსება და დიდება ხანგრძლივი საგზალი ვერ იქნებოდა... საშვილიშვილო ბარგად არავის გამოადგებოდა და სჯობდა ასე თავის საკუთარ, საოჯახო და საპირადო საქმეებზე ეფიქრა კაცს მშვიდად და კეთილად.

ის შენიშვნაც საგულისხმოა, პირადად მის ლექსებზე რომ უზიარებდა დამწყებ პოეტს, რადგანაც დაკვირვება-მოსაზრება განზოგადებას იძენდა:

ნიჭი გეტყობათ, მაგრამ განვითარება გაკლიათ და გაუწვრთნელად ნიჭი კი რა გამოსადეგიაო.

თუ არ სმენოდა ეს შეგონება, დაე ახლა აკაკისაგან მოესმინა:

უჭკუო, მაგრამ ნასწავლი და განვითარებული — მაღლა-მაღლა მფრინავი კაჭკაჭია ჭკვიანი, მაგრამ უსწავლელი და უვიცი — ჯაჭვით დაბმული ლომიაო!..

ის პირველი ღმერთს აეცილებინა ამ დებიუტანტისათვის, როგორც მისი ნაწერებიდანა ჩანდა, და მეორე კი მის ხელთ გახლდათ და... დაე ცდილიყო, რომ თავი აეშვა.

უკეთესი გზამკვლევი და სამოქმედო პროგრამა რაღა უნდოდა ყოველ ახალგაზრდა მწერალს:

და აჰა ესეც მწერლის აკაკისეული მოდელი.

არა რაღაც შორეულ, მიუწვდომელ იდეალად, არამედ სავსებით ხელშესახებ რეალობად, იდეალში გადაზრდილად, მაგრამ სავსებით ხელმისაწვდომად.

აკაკი უნებურად თავის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიურ პორტრეტსა და მოღვაწეობის გეზსაც რომ წარმოაჩენდა!..

თუ მოციქული და ქვეყნის მოძღვარი არ იქნებოდი, თუკი ამხელა მოვალეობას არ იკისრებდი, მაშ კიდეც დროულად უნდა ჩამოხსნოდი ლიტერატურას და უფრო შესაფერისი საქმე გეძია — აღარც შენ გაიტანჯებოდი და აღარც სხვას გატანჯავდი იმ მოყვარული პოეტივით, ახალსენაკის სასულიერო სასწავლებლის პედაგოგ სტეფანე ძიმისტარაშვილივით, აკაკის ცხენს რომ ათხოვებდა და ლექსების რვეულსაც გაატანდა თავის შესაქცევად და პირუთვნელი აზრის გამოსათქმელად, და მერე რომ ჰკითხავდა მოგზაურობის ამბავს სოფრომ მგალობლიშვილი, ეს მწარედ ამოიოხრებდა:

შენი მტერი, მე საქმე დამემართა, გზაში ჩაქჩაქა ცხენმა კუკუზნაქი შემიდრიკა. იქ კი სტეფანეს ლექსთა რვეულმა ტვინი გამომილაყა.

ძიმისტარაშვილს ჩასთუთქავდა ამისთანა მსჯავრი, აკაკი შეატყობდა და ნუგეშს სცემდა:

— არა, სტეფანე, გემასხარავე. არის თითოროლა მარგალიტიც შენს რვეულში, აი მაგალითად ზღაპარი ლექსად „ჩიტ-ბეღურა“. მშთვენიერია ბავშვების საკითხავად.

ხოლო ფსალმუნის სიტყვები ხშირად უნდა გაგემეორებინა ლოცვასავით, რათა გული წმინდა დაბადებულიყო შენთან და სული წრფელი განახლებულიყო გვამსა შენსა.

და ყოველი სტრიქონი ისე გადმოგეღვარა ფურცელზე, თითქოს იესო ქრისტეს წინაშე წარმდგარიყავი აღსარებით!..

თუ როგორ და რანაირად უნდა აღსრულებულიყო ეს ყოველივე, რასაც აკაკი მოითხოვდა ახალგაზრდა მწერლებისაგან, ერთ საუკეთესო ნიმუშად და დასტურად თვითონ მისივე ნაწერები გამოდგებოდა და უკეთესი ქრესტომათიაც რაღა უნდოდათ იმათ, რომელთაც საქვეყნო საქმისათვის ელირსებოდათ თავი.

გული წმინდა დაბადე ჩემთანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსაო...

შეკითხვები და შენიშვნები არ მოაკლდებოდა „კრებულის“ ფოსტას, და აკაკი მათგან ამოარჩევდა იმათ, რომლებზეც პასუხის გაცემაც საზოგადოებრივი მნიშვნელობისა იქნებოდა, და კიდეც გაალამაზებდა ჟურნალს ამ ორიგინალური გირლანდითაც.

საერთოდ კი სიხარულსა და მადლიერებას გამოხატავდა ყოველი მხრიდან დაძრული წერილების ნაკადისათვის: რაც ჭკუაში დაგვიჯდება, მორჩილად მივიღებთ და ვიხელმძღვანელებთ შემდეგი ნომრების გასაუმჯობესებლადო. რაც არა და, იმაზე ჩვენს აზრს გამოვთქვამთ და ვუპასუხებთ ჩვენს კეთილის მოსურნეებსო.

„მეგობარი“ რას სწერდა — შენს ნაწერს თითქოს რაღაც აკლიაო?

აკლია კი არა, მეტიც არისო, — მიუგებდა და შეახსენებდა ანდაზას: არარაობას ცხრა უღელი ხარი სჯობიაო.

და ამბავსაც მიადევნებდა: ერთ გაკეთებულ გლეხს ბოსელში ფოცხვერი რომ შევარდნოდა და ისე წაეხდინა ნახირი, თვრამეტი ხარის მეტი აღარა დაეტოვებინა. მეორე დღეს პატრონი ბოსელში რომ შეიხედავდა, ღმერთს მადლს შესწირავდა: არარაობას კიდევ ცხრა უღელი ხარი სჯობიაო.

„მეც პოეტს“ არ მოსწონებოდა მისი ლექსი „ფუტკარი“?

აკაკი ყასიდად გამოთქვამდა წუხილს: როცა მას ვთხზავდი, თქვენ არ მიგულისხმიხართ, ხოლო „ფუტკარი“ წვრილმანად რომ მიგაჩნიათ, ახლა თქვენ დაწერეთ დათვზე და ეგება მსხვილმანი გამოვიდეს. მე კი აღარ მაწერინებენ დათვებზეო.

გურული იწერებოდა: „ბაში-აჩუკი“ ძალიან კარგია, მაგრამ სათაური არ უვარგა, „აჩუკი“ კი არა, „აშიყი“ უნდა იყოს, რადგანაც თავშიშველს „აშიყი“ ნიშნავს და არა „აჩუკიო“?

ადვილი შესაძლებელია ეგ მართლა მაგრე იყოსო, — მიუგებდა, — მითუფრო მჯერა, რომ როგორც თქვენს ქართულ წერილს შეეატყე, თათრული უკეთ უნდა იცოდეთო.

და ერთ ამბავს გაიხსენებდა: ერთი ჩვენებური თავადი ვაჟს მონათლავდა და ადმირალს დაარქმევდა, მეზობელი კი დაუწუნებდა: ზღვაში ან ზღვის პირად რომ დაბადებულიყო ეგ შენი შვილი, მაშინ უნდა დაგერქმია ადმირალი და რადგანაც ხმელეთზე დაბადებულა, „ღენერალი“ სჯობდაო, — რაზეც ვაჟის მამა უპასუხებდა: როცა შენ გეყოლოს ხმელეთზე ვაჟი, ღენერალი იმას დაარქვიო.

გამოცდილი პედაგოგი რას ახირებოდა, მის ეპისტოლეზე ბევრიც რომ ეცინა აკაკის, განსაკუთრებით იმ ადგილზე, ის რომ საყვედურობდა „ზეპირ-სიტყვაობის“ განყოფილე-

ბის შემოღებას ჟურნალში: თქვენგან გამოსაღვიძებელს რამეს ველოდით და არა დასაძინებელს. ზღაპრებს განა სხვაგან კი ვერ გავიგონებთ? სოფლებში მაგის მეტი რა იციან? აბა რა დასაბეჭდი იყო მისთანა უშინაარსო და უთავბოლო რამ, როგორც „ბროწეულის წყაროა“! მაგგვარი რამ ჩვენ ცოტა გაგვიგონიაო?!.

და ამის გამოც ამუნათებდა პედაგოგი: ადგილი არ უნდა ჰქონდეს თქვენს გამოცემაში ამაო მორწმუნეობას. მაშინ, როდესაც ეკონომიკური საკითხები თვალში გვეჩხირება, თქვენ გამომდგარხართ და ხალხში ამაო მორწმუნეობას ავრცელებთ, უაზრო შელოცვებს ბეჭდავთო.

აკაკისდარ ირონიას არც პედაგოგს მოაკლებდა, დიდი სიხარულს რომ გამოთქვამდა, იმას ინსტიტუტი რომ დაემთავრებინა და დიპლომიც ხელში მოეგდო... დაე კარგად შეენახა!.. და აკაკი და მისი თანამდგომნი კი მისთანა დიპლომს უფრო უჯერებდნენ, რომელიც ტვინზე დაწერილიყო და:

— ნურაფერს უკაცრავად, თუ თქვენი შენიშვნები ვერ მივიღოთ...

ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ პედაგოგს ზღაპრები ადრევეც ექნებოდა გაგონილი, მაგრამ მაგარი ის გახლდათ, რომ: „გაგონება“ და „შეგნება“ სულ სხვადასხვა ზმნა იყო. და „ბროწეულის წყარო“ უთავოდ არ მოეჩვენებოდა იმ თავისი პედაგოგიური გადმოსახედიდან... ნეტა სარკის წინ რომ არა მდგარიყო.

რაც შეეხებოდა დაძინებას, შესთავაზებდა:

მოდი მოვიყვანოთ ყმაწვილები, ეგ „ბროწეულის წყაროც“ ნავუკითხოთ და თქვენი პედაგოგიური ნაწერებიც და... რომელმაც უფრო ადრე დააძინოთ, ის დარჩეს გამტყუნებულიო!..

ის ვინღა იყო, ზეპირსიტყვიერების შეკრებაში თავის დახმარებას რომ სთავაზობდათ?

დიდი სიამოვნებითაც შეუსრულებდა ამ სურვილს აკაკი... შეძლება რომ ყოფილიყო, მაგრამ თვალი დადგომოდა სიღარიბეს!.. ოთხი საკუთარი შემკრები ჰყავდა და მათ სასყიდელსაც თუ აუვიდოდა, ისიც დიდი ღვთის წყალობა იქნებოდა. თუ მომავალში საშუალება გაჩნდებოდა, პირველს იმას მიმართავდა. მანამდე კი ის მკითხველი ნუ დაივიწყებდა ანდაზას: აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამიაო!..

კეტის დრო გადავიდაო, — იწერებოდა ერთ-ერთი მკითხველი, — და ჩვენც იმავე იარაღით უნდა ვიბრძოლოთ, რა იარაღითაც მტერი გვებრძვისო!..

და როგორ არ გაკვირვებოდა აკაკის:

მკბენარი რომ გვაწუხებდეს, ჩვენც მკბენარებად უნდა გადავიქცეთო?

კიდევ რას იწერებოდა?

ფილოქსერა ვენახს რომ აფუჭებს, დიდ-პატარა ყველა ფეხზე დგება, რომ ჭირს გადავრჩეთ, და იმაზე უფრო დიდსა და მავნებელს მოვლენას კი სჯობს გავუწუმდეთო.

და ვერ აეხსნა აკაკის, სად იყო აქ ლოგიკა? თუკი პატარა მტერს, პატარა ჭიას საჭყაპელებით ვუშხაპუნებდით შაბიამანს, უფრო დიდი მავნებელი ონავარისათვის რომ ერთხელ შეგვეშხაპუნებინა, ვითომ რა ცოდვა იქნებოდა?!.

რადგანაც ყველას პასუხს ცალ-ცალკე ვერ გაწვდებოდა, დაე ეს ამბავი მოესმინათ მისგან:

ერთ კაცს თვალი ასტკივდებოდა, შეხვდებოდა ერთი მეგობარი და ეტყოდა:

— კაცო, სიცივე დაგკრავს, გაწყენს და რატომ თვალს არ აიხვევ?

დაუჯერებდა და აიხვევდა. გაივლიდა ცოტას კიდევ და შეხვდებოდა მეორე და გაიკვირვებდა:

— ჩემო ძმაო, როგორ არ იცი, რომ მხურვალება აწყენს თვალს, სიგრილე ურჩევნია და აიხსენი!

დაუჯერებდა იმასაც და აიხსნიდა.

მესამე ურჩევდა: თბილი წყლით იბანეო.

მეოთხე კიდევ: ცივი იხმარეო...

და ისიც ყველას რომ დაუჯერებდა, ისე აწვალებდა თვალს, რომ... ბოლოს სულ დაუდგებოდა. და სიკვდილის წინ შვილებს ანდერძად დაუტოვებდა:

— რჩევა ყველას ჰკითხეთ, მაგრამ დაჯერებით კი ბევრს ნუ დაუჯერებთ.

და იმისი არ იყოს, აკაკიც რჩევას ყველას სთხოვდა, მაგრამ თუ ყველას ვერ დაუჯერებდა, არ გაემტყუნებოდა.

არ მოაკლდებოდა „კრებულის“ ფოსტას წერილები.

ლეჩხუმიდან ვინმე სვანი ჩიოდა, რომ: „კრებულის“ გამოწერა კი სურდა, მაგრამ შეძლება არ აძლევდა ნებას ერთად შემოეტანა ფული. ეს სურვილი სხვებსაც გამოეცხადებინათ და ამიტომაც აკაკის წესად დაედო: მსურველს შეეძლო მიემართა პირდაპირ რედაქციისა ან მისი აგენტებისათვის და წვრილ-წვრილად, წლის განმავლობაში, როცა ემარჯვებოდათ და ეხერხებოდათ, ცოტ-ცოტაობით შემოეტანათ თანხა.

აგრეთვე: ვინც ისე ღარიბი გახლდათ, რომ ვერც ამას შეძლებდა და არავითარი საშუალება არ გააჩნდა, იმას დაე თვითონვე ეკისრა მხოლოდ ფოსტის გასაგზავნი ფულის გადახდა და „კრებული“ უსასყიდლოდ მიერთმეოდათ ყოველთვე.

სახალხო ბიბლიოთეკებს კი დაეთმობოდათ მთელი წლისა ნახევარ ფასად — 4 მანეთად.

ერთი თავის აგენტთაგანი ურჩევდა: ვეცადოთ დიდსა და პატარას ყველას მოსწონდეს ჩვენი „კრებული“ და შიგ საწყენი არავისი არ იბეჭდებოდესო?

რჩევა თითქოს კარგი იყო, მაგრამ აკაკის იმ არაკს მოაგონებდა: ერთი ვინმე ბატონკაცი მისთანა მოურავს რომ ეძებდა, სამოურავოში ყველა მოემადლიერებინა.

ერთი იკისრებდა მის მოურავობას, თუ ბატონკაცი ამ კითხვებზე უპასუხებდა: დარი სჯობდა თუ ავდარი? და — დღე უკეთესი იყო თუ ღამე?

იმას გულუბრყვილოდაც კი მოეჩვენებოდა ასეთი შეკითხვები: რა თქმა უნდა დღე ღამეზე უკეთესია და ავდარს დარი სჯობსო.

მაგრამ აგერ: წვიმიანი ამინდი მეჭურჭლის ოჯახს დააზარალებდა, რადგანაც იმას ჭურჭლის გაშრობა ეჩქარებოდა, მებაღისას კი გაახარებდა, რადგანაც გვალვისა ეშინოდა.

და კიდევ: ღამურები დიდად შეეწუხებინა დღეს და კედლებზე და თაღზე მკვდრებივით ჩამოკიდებულიყვნენ, სხვა ფრინველები კი გარეთ მოილხენდნენ და ჟრიამული გაჰქონდათ, მაგრამ დაღამდებოდა თუ არა, ის ჩიტები ხმას ჩაიწყვეტდნენ, ღამურები კი აფრთქიალდებოდნენ.

და მიუბრუნდებოდა ბატონს მოურავი:

— ახლა ხომ ხედავ? თუკი ყოვლისშემძლებელსაც ვერ მოუხერხებია, რომ ერთსა და იმავე დროს ერთი და იმავეთი ქვეყანაზე ყველა დააკმაყოფილოს, შენი მოურავი როგორღა მოახერხებს ყველა მოიმადლიეროს?..

და ამ იგავის მოშველიებით აკაკი მოახსენებდა თავის აგენტსაც და ყველა მკითხველსაც:

— შექსპირსაცა ჰყავს დამწუნებელი და ჩვენი „კრებული“ როგორ შეიძლებს, რომ ყველას მოსწონდეს და ყველა მოიმადლიეროს? კაცმა თავისი მოვალეობა უნდა გულწრფელად მოიხადოს და — საკმარისი იქნება, თორემ თუ იმას გამოუდგა და აჰყვა, ვინ რას ამბობს, ვის სწყინს და ვის არაო, ველარას გააკეთებს!..

ტფილისიდან ვიღაც დიდკაცი ითხოვდა, რომ: დღეიდან „კრებული“ მისი მსახურის სახელზე გაეგზავნათ?

თქვენი ნება გახლდესო, — ამცნობდა აკაკი, ნესტარს რომ შეათამაშებდა, — აქამდე პირდაპირ თქვენ იმიტომ გიგზავნიდით, რომ თქვენი სახელით იყო გამოწერილი, თორემ დარწმუნებულნი მაშინაც კი ვიყავით, რომ ლაქიას მიუდიოდაო.

ხოლო იმ კრიტიკულად განწყობილ ადამიანს ზეპირსიტყვაობის შესახებ რაც მოეწერა, აკაკის ის დასკვნა გამოეტანა, რომ: ისიც სხვებივით „ვითომდა ინტელიგენციურ“ ენის ქავილს გაეტაცა!.. გამკეთებელი გეთქვა, თორემ გამფუჭებელი და ხელის შემშლელი ბევრი იყო. ჩვენი უბედურება ის გახლდათ, რომ თუ ვინმე საქმეს მოჰკიდებდა ხელს, სხვები მოხმარების ნაცვლად ხელს უშლიდნენ!..

და ბარათის ავტორი აკაკის რომ საყვედურობდა:

სახალხო ნაწარმოების გამოცემა თქვენი საქმე არ იყო, რადგანაც არც პროგრამა მოგეპოვებათ და არც სისტემა და უმჯობესი იქნებოდა სხვებისათვის დაგეცლიათო!..

ნეტა საიდან დაესკვნა, რომ პროგრამა არ მოეპოვებოდათ?

აკაკის პროგრამა ხომ გასაგებად იყო გამორკვეული „კრებულის“ პირველივე ნომერში და კრიტიკოსის შენიშვნებიც იქიდან გახლდათ ამოწერილი, მაგრამ რადგანაც ბოლომდე არ ნაეკითხა, მიტომაც კოჭლობდა მისი რჩევა-დარიგება.

კიდევ რას საყვედურობდა?

უსისტემოდ ბეჭდავთო.

გაეგონა, რეკავენო, და სად და როდის, ის კი აღარ იცოდა!..

აკაკი მხოლოდ მასალას აგროვებდა ზეპირსიტყვაობისას და ბეჭდავდა, რომ ერთად ყველასათვის ხელმოსაკიდებლად შეგროვებულიყო, და მერე, თუკი აკაკი თვითონ ვეღარ მოესწრებოდა, გამოჩნდებოდნენ სხვანი, მათზე უფრო კარგები და გაარჩევდნენ სისტემურად.

ჯერ მასალა არ მოგროვებულიყო და ის კი შენობას თხოულობდა!.. აბა რომელი ჭკუათმყოფელი ეტყოდა ხუროთმოძღვარს, როცა ის ჯერ მარტო მასალას აგროვებდა, შენ უგეგმოდა და უსისტემოდ შედგომიხარ საქმესაო?

და რაც შეეხებოდა იმის მესამე დარიგებას: სხვებს აცალეთო.

ესეც უსაფუძვლო რჩევა იყო და აკაკის ერთ არაკს მოაგონებდა:

ერთ სახლში ქურდი შეიპარებოდა, ყველას ეძინებოდა და ბებერი გაიგებდა; და მეტს რომ ვეღარ შეიძლებდა, ყეფას დაიწყებდა და გააბრუნებდა შეშინებულ ქურდს. მეორე დღეს შვილები უსაყვედურებდნენ: ყეფა რა შენი საქმე იყოო? — რა მექნაო, — მიუგებდათ ბებერი, — თქვენ ყველას გეძინათ და ის ოხერი ძაღლებიც არა ყეფდნენ, და მეც რომ მანამდე მომეცადა, სანამ ან თქვენ გამოიღვიძებდით და ან ძაღლები გაიგებდნენ, აღარაფერს შეგვარჩენდნენ ქურდებიო.

იმისი არ იყოს, აკაკისაც როდემდე უნდა ეცადა? სხვებს ამდენი ხანია ხელი არაფრისათვის მიეყოთ, და თუკი მიეყოთ, ნაყოფი, ნაყოფი სად იყო?..

აკაკის ახსოვდა და სხვებსაც მოეხსენებოდათ, რომ მის სიყმაწვილეში ერთი ახალგაზრდა ქართველი შეაგროვებდა ბევრ ხალხურ ზეპირგადმონაცემს.

ერთხელაც ეს დაეკითხებოდა:

— ეს კარგი, რომ შეგიგროვებია, მაგრამ რაღას უცდი, რატომ არ გამოსცემ?

ის დინჯად ხელს მაღლა აიღებდა და მიუგებდა:

— ფაფა გგონია?.. ჰალა-ჰალა ხომ არ არის მისი გამოცემა?! ამას გარჩევა უნდა, გარკვევა, შესწავლა და მერე დაბეჭდვა.

მას აქეთ აგერ ნახევარი საუკუნე გაირბენდა, სიბერით აკაკისაც და იმასაც წვერ-ულვაში დასცვიოდათ და... „ფაფა“ კი ისევ უხარშავი გახლდათ!

სწორედ ამ დღეებში შეხვედროდა და ეთხოვა აკაკის:

— თუ შენ არას აპირებ, მე გადმომეცი და დავბეჭდავ.

ის დარბაისლურად მოუბოდიშებდა და ეტყოდა:

— ნუ გეწყინება და ვერ გადმოგცემ — მე თვითონ მინდა გამოვცე.

ამას ჭეშმარიტად რომ ეამებოდა და ჰკითხავდა:

— მალე გამოვა?

ის დალოცვილი ისევ ისე ძველებურად დინჯად აიღებდა ხელს მაღლა და მიუგებდა:

— ვა! ფაფა გგონია?! ჰალა-ჰალა ხომ არ არის იმის გამოცემა? ამას გარჩევა უნდა, გარკვევა, შესწავლა და მერე გამოცემა!

ამას გაეცინებოდა და გაახსენდებოდა ჰაჯის აბანო:

ერთი ჰაჯია იყო, აბანოს აშენებდა და არ იქნა, აღარ გაათავებდა! რომ ჰკითხავდნენ:

— რას შვები, რატომ არ დაამთავრებო?

ის სულ იმას იძახდა:

— მოიცადეთ, გავათავებ!

თურმე მკითხავს ეთქვა:

— ვიდრე ეგ შენი შენობა არ გათავდება, არც შენ მოკვდები.

და ეს მიტომაც აგვიანებდა.

ღმერთს დიდხანს ეცოცხლა ეს ჩვენი ქართველი, მას შეგროვებით შეგროვებული მაინც ჰქონდა ფოლკლორული გადმოცემები და... აკაკის კრიტიკოსებს ჯერ ხელიც რომ არ მიეყოთ, ამას განა როდემდე უნდა ეცადა?!. რა ხეირი რო?!.

ზეპირსიტყვაობა ისეთი დაულეველი ზღვა გახლდათ, არამცთუ ერთი-ორი, ათასი შემკრებელიც ვერ დააშრობდა. და... ისინიც შედგომოდნენ და ემუშავათ — ვინ უშლიდათ?! იმ

განზრახვით კი ნუ გამოდიოდნენ, რომ სხვისთვისაც ხელი შეეშალათ და თვითონაც არა გაეკეთებინათ რა!..

თავის მხრივ კი აკაკი კიდევ და კიდევ სთხოვდა ყველას, ვისაც ამ დიდ საზოგადო საქმეში დახმარება შეეძლო: ნუ აჰყვებოდნენ ცუდ მითქმა-მოთქმას და შემწეობას ნუ მოაკლებდნენ „კრებულს“.

რჩევა-დარიგებებს უხვად რომ მიაყრიდნენ, აკაკი იძულებული შეიქნებოდა განემარტა კრიტიკოსთათვის, რომ:

მათი ხნისა თვითონაც მეტი აზრისა გახლდათ თავის თავზედ!.. უბრალო რამ აკვირვებდა, ცოტაც დიდად მიაჩნდა და სხვებს არად აგდებდა, ყველას წუნსა სდებდა!.. რასაც თვითონ ვერ მინვდებოდა და ვერ გაიგებდა, ის ყოველივე სისულელე ეგონა. მაგრამ იმდენი ზრდილობა კი ჰქონდა, რომ ამ ყოველივეს გულში ინახავდა, თავხედურად არა ყვიროდა და, მადლობა ღმერთს, რომ ასე იქცეოდა. თორემ დღეს, როდესაც შეიგნებდა მაშინდელ თავის სიყმაწვილეს, სანანებელი გაუხდებოდა იმჟამინდელი თავხედობა!..

და დაე ისინიც ცდილიყვნენ, რომ: არ გაეწბილებინათ დღევანდელ მეტიჩრობას... და შეეგნოთ, ზრდილობა და კრძალვა კარგი თვისება რომ გახლდათ!..

დაე ყური დაეგდოთ აკაკისათვის და შეესმინათ:

შემცდარნი ბრძანდებოდნენ, ვისაც თავმდაბლობა სულმდაბლობად მიაჩნდათ და ხეპრული, თავშეუკავებელი პირდაპირობა სიმართლისმოყვარეობა ეგონათ. ორიოდე გაცვეთილი წიგნის წაკითხვა და ისიც წარამარად გაგებული, არა კმაროდა, რომ თავი დიდად მიგვეჩნია და სხვების სამოძღვროდ გამოვსულიყავით.

— ჯერ ისწავლეთ, ისწავლეთ და თუ ღმერთმა შეგნება მოგცესთ, მაშინ მოგვთხოვეთ პასუხი და მაშინ დასდეთ წუნი ჩვენს მოქმედებას. მაშინ ეგება ჩვენც ბევრი რამ დაგიჯეროთ და ჯერ კი ტყუილათ ნურც მარკების ფულსა ხარჯავთ და ნურც ჩვენ გვაცდენთ!..

ერთი ალილო მღვდელსაც შეეშლებაო, — ამ ანდაზას იმიტომ მოიხმობდა ერთ-ერთი ბარათის ავტორი, რათა ემტკიცებინა: ნამსახურ კაცსა და ნაერთგულარს ერთი-ორი დანაშაული როდი უნდა მოეუხსენიოთო!..

ვერ დაეთანხმებოდა აკაკი ამ რჩევას, რადგანაც: დანაშაულიც იყო და დანაშაულიც!..

თუ კაცი უნებურად ან იძულებით შემცდარიყო, ეს საქციელი სხვაგვარად განისჯებოდა, მაგრამ თუკი განზრახვითა და გაუჭირვებლად, მხოლოდ პირადი ანგარიშით გადაეხვია სწორი გზიდან, ამისთანა მოღვაწისა აღარა დაიჯერებოდა რა!..

აგერ იუდა: დიდად ერთგული და თავდადებული მოციქული გახლდათ და მხოლოდ ერთხელ შემცდარიყო — გასცემდა ქრისტეს და გაჰყიდდა ჭეშმარიტებას... ისევ მალე შეინანებდა და თავსაც ჩამოიხრჩობდა, მაგრამ მაინც „იუდად“ დარჩებოდა ქვეყნის თვალში სამარადისოდ.

ახალგაზრდა მეგობარი რომ იწერებოდა: გამოცანები ავხსენიო, — აკაკი მიულოცავდა, ხოლო რაც შეეხებოდა „მუზის“ გაგზავნას, აახლებდა, განა არა, მაგრამ ვაი თუ ახლაც ისევე მოსვლოდა, როგორც ადრე. ზოგიერთს რომ აახლებდა თავის „მუზას“, უკანვე მოადგებოდა ხოლმე კარზე პოეზიის ქალღმერთი, დაბრუნებული: კარგად ვერ მიმიღო მასპინძელმა, მწყრალად დამიხვდა და ვეღარც მე მოვუცადეო!..

სილაღე გადასდევდა ყოველ პასუხს, იუმორი რომ არ მოაკლდებოდა, სილაღეც არ დაუბრკოლდებოდა, მაგრამ ხანდახან მაინც გაბეზრდებოდა ხოლმე ფოსტის თვალიერებითა და კრიტიკული შენიშვნებისა და რჩევა-დარიგებების ნაკადით, შიგადაშიგ გაღიზიანებაც დაეტყობოდა, ირონიისა და სარკაზმის მოშველიებით რომ იქარვებდა. რას ინესტრებოდნენ, რომ ინესტრებოდნენ!.. ნესტარი ამისი ენახათ, მწარედ ნაჩხვლეტი დიდხანს რომ არ დაავიწყდებოდათ...

ეჰ, თურმე რა სჯობდა იმ დროს:

იმ გაბეზრებასაც, იმ გაღიზიანებასაც...

მოინატრებდა ერთსაც, მეორესაც, და ძალიანაც მოინატრებდა, „კრებულის“ გადავსებულ ფოსტაზეც ხშირად წაიოცნებებდა მას შემდეგ, ჟურნალს რომ მიუხურავდნენ.

ოლონდაც აღდგენის საშუალება მისცემოდა და... ღმერთს დაიფიცებდა, რომ ოდნავადაც აღარაფერს დაიჩივლებდა — გაბეზრება ნეტარებად მოეჩვენებოდა, გაღიზიანება — მხიარულებად, ჟურნალის სავსე ფოსტა, თუნდ ერთიერთმანეთზე უმართებულო შენიშვნებით გადავსებული — თავშესაფრად და სავანედ...

ვიღა დაუბრუნებდა, თორემ!..

— როდის აღდგება „კრებული"? — შეაჩერებდნენ ნაცნობებიც, უცნობებიც, ახლა გახსნოდათ მაინცდამაინც ამ ჟურნალის კითხვის მადა, ახლა მოინებებდნენ, ახლაღა მოისაკლისებდნენ.

— მალე, მალე, — იმათ ანუგეშებდათ თუ თავს უფრო ინუგეშებდა ათრთოლებული, ანთებული, ახალ-ახალი ნომრები რომ ელანდებოდა, მაგრამ რეალობას ისე მკაცრად უნდა გაეკრა ხოლმე ფრთა, გაეკრა და შეეძოძგინებინა: ნეტა რომელი ნატვრა აგხდომია, ეს რომ აგიხდესო!..

და კვლავინდებურად დარდის ბილიკებს უნდა გაჰყოლოდა აკაკი წერეთელი... უჟურნალოდ კიდევ უფრო მძაფრსა და გაუსაძლისს...

თავი III

ლეგენდა ივანე მაჩაბლისა

ბანკში იმ დღეს ყველაფერი რომ ეფიქრათ, ყველაფერი წარმოედგინათ, ამას მაინც ვერ გაწვდებოდა მათი წარმოსახვაც, ყველაზე გაბედულიც და ყველაზე დაუოკებელიც.

რა ბანკი და რა სხვაგან.

მთელ ტფილისში ვერ მოძებნიდით კაცს, ვინც ამას წარმოიდგენდა ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც.

რა ტფილისში და რა სხვაგან.

კარგახანს ხუმრობა ეგონებოდათ, ყოვლად უშნო ხუმრობა, მაგრამ ივანე მაჩაბლის კვალსაც რომ ვერ მიაგნებდნენ ვერსად, გაოგნება დაზაფრავდა ჯერ ტფილისსა და მერე მთელ საქართველოსაც.

— რა იყო, რა მოხდა? — იკითხავდა იაკობ მანსვეტაშვილი, ჩოჩქოლი რომ ატყდებოდა და გნიასი ბანკში. და აღმოჩნდებოდა, რომ: ივანე მაჩაბელი წუხელის შუაღამისას შინიდან გასულიყო და აღარ დაბრუნებულიყო.

მისი მახლობელნი და მეგობრები უკვე აქეთ სცემოდნენ, იქით მიხლილიყვნენ, თუმც სულ ამაოდ: მიწას ჩაეყლაპა თუ ცას შთაენთქა?!. გუმანიც ვეღარ მიეტანათ.

განსაკუთრებით ვასილ მაჩაბელი დაფაცურდებოდა, ვანოს უფროსი ძმა და მამასავით გამზრდელი, მთელ ქალაქს რომ შეძრავდა და აატრიალებდა, მაგრამ ვერას გახდებოდა.

სხვა რაღა ეფიქრათ:

მტკვარში თუ გადავარდა და თავი დაიხრჩოო.

დაიქირავებდნენ მენავეებს და თითქმის მთელ მტკვარს აჩხრეკ-დაჩხრეკდნენ, მაგრამ არსად არა გამოჩნდებოდა რა.

და აქ აკაკის ვეღარ უნდა მოეთმინა და თავისებური ოხუნჯობით კლანჭი გაეკრა — რა შთაბეჭდილებაც იმ წუთას დარჩებოდათ ყველა იქ მყოფს — უკვალოდ გამქრალი მაჩაბლისათვის:

— მენავეები რა საჭიროა. თუ ვანო მართლა მტკვარშია გადავარდნილი, ილია ჭავჭავაძე მოიწვიეთ და კუკიის ხიდზე დააყენეთ: სადაც უნდა იყოს ვანო, იმის დანახვაზე მაშინათვე წყლიდან ამოვარდება.

მერე კი ინანებდა და ძალიანაც ინანებდა, ნეტა ილია არ მეხსენებინაო, ეს მაშინ, როდესაც ნოე ჟორდანია ილიასაკენ მიმართავდა შხამიან ისარს: ინგლისური ანდაზისა არ იყოს, ვანო მაჩაბლის მკვლელობაში გარეული ის იქნება, ყველაზე ძალიან ვისაც აძლევდა ხელს მისი დაღუპვაო.

არადა აკაკისაც რა ელონა: სახუმარო, საოხუნჯო სიტყვა თუ მოადგებოდა პირზე, რომ არ ამოეთქვა, დაიხრჩობოდა.

რას ვიზამთ, აქვს მახვილ სიტყვას ეს ულმობელი მხარეც — ყველასა და ყველაფრის გამმეტებელი, ოლონდაც იუმორით დაიფეროს.

ერთ ნაკადს მახვილსიტყვაობა-ოხუნჯობებისა შავი იუმორი ამიტომაც დარქმევია.

ილია ჭავჭავაძე მოიწვიეთ და კუკიის ხიდზე დააყენეთო.

სადაც უნდა იყოს ვანო, იმის დანახვაზე მაშინათვე წყლიდან ამოვარდებაო.

თითქოს მობანავეზე ლაპარაკობდეს და არა წყალში გაუჩინარებულზე.

გარეშე კაცი იმასაც იფიქრებდა:

ეტყობა დიდად არ ანაღვლებს ივანე მაჩაბლის უგზოუკვლოდ დაკარგვაო.

არადა: ანაღვლებდა რომელია!..

ჯერ მისი უაღრესად ფაქიზი, ტკივილითა და თანაგრძნობით აღსავსე გულის პატრონს.

მერე ივანეს მეგობარს, თანაც ერთ ყველაზე უახლოესს, წუხელისაც გვიანობამდე მასთან რომ იმყოფებოდა სტუმრად, და ოჯახის წევრების გარდა უკანასკნელად სწორედ მას, სწორედ აკაკის ენახა მაჩაბელი.

მაგრამ მოადგებოდა პირზე ეს მაკვარანცხული სიტყვა და... ველარც დააოკებდა.

შავი იუმორი გახლდათ თუ რაც იყო, ორიოდ ფრაზაში ასე ხელშესახებად კი ჩაწურულიყო ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის საბანკო დაპირისპირება და მათი ორატორული გამოსვლები, დაუნდობლად რომ შეებმოდნენ ხოლმე ერთმანეთს, და ერთხელაც ილია ივანესაგან ზურგშექცევით რომ იდგებოდა, უეცრად შედგებოდა და იტყოდა:

— აი ახლაც მაჩაბელი უკვე წამოხტა ზეზე და საპასუხოდაც მზად არის.

ზურგსუკან რას ხედავდა, ივანე ხომ თავისთვის იყდა?

ეგონათ ამით სიტყვას მოვუგებთო: ზურგსუკან რას ხედავო? — რომ მიაძახებდნენ.

მაგრამ ილიას მოსწრებულად უნდა ეპასუხა:

— სულერთია წამოხტება, ვერ მოითმენს. აი, ბატონებო, რუსებს ერთი სათამაშო აქვთ, „ვანკა ვსტანკას“ ეძახიან — როგორც გინდათ გადააბრუნეთ, საითაც გინდათ გადააგდეთ, ის მაინც წამოხტება და ტანში გასწორდება. აი სწორედ ასეთი ბუნება აქვს ჩვენ ვანოსაც, იმ სათამაშოს სეხნიას.

აკაკის ოხუნჯობაში ილიას ის ნათქვამი გამეორდებოდა თავისებურად, თანაც შავად შეფერადებული.

აფორიაქებულიყო ქალაქი.

რაღა ფუტკრების სკა და რაღა ტფილისი, ზუზუნსა და ფორიაქს წაელეკა აქაურობა.

...ილია დააყენეთ კუკიის ხიდზეო — თაეისას არ მოიშლიდა აკაკი წერეთელი.

* * *

რაღა მკვდარი და რაღა შინმოუსელელიო, — ეს ხალხური ანდაზა და მწარე სიტყვები სწორედ ზედგამოჭრილი გახდებოდნენ ივანე მაჩაბელზე, ამ ანდაზის გახსენებით უნდა დაეწყო კიდეც აკაკის ერთი სტატია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების იმ უჩვეულო, საიდუმლოებითმოცულ ეპიზოდზე, „თვიური კრებულის“ 1898 წლის აგვისტოს ნომერში რომ გამოქვეყნდებოდა და საყოველთაო გაოგნებას თავის ხმასაც შეუერთებდა: ეს ერთი ხანია, რაც დაიკარგა, თვალსადახელშუა მიგვეფარა და ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ველარა გავიგეთ რაო!..

ათასნაირი ხმა რომ დადიოდა, ზოგი ამბობდა: წყალში გადავარდა, თავი მოიკლაო; ზოგს ეგონა, ცოცხალია და სხვაგან წავიდაო... ზოგი რას ამბობდა და ზოგიც კიდევ რას, მაგრამ რაც უნდა ყოფილიყო, ის მაინც დაკარგული შექმნილიყო მისიანებისათვის და უფრო მეტად კიდევ საზოგადოებისათვის.

ხოლო რომაული ანდაზა რომ ირწმუნებოდა: მკვდარზე ან სულ ნურას იტყვი და ან კარგი თქვიო, — ეს შეგონება აკაკის მაინცდამაინც არ უჯდებოდა გონებაში: მკვდრისათვის სულერთია, გინდ ავად მოიხსენიე და გინდ კარგად! მაგრამ დანარჩენ ცოცხალთათვის კი საჭიროა, რომ სამაგალითოდ მკვდარზე მიუთითონ და მისი ავიცა და კარგიც დაანახონო!..

და თვითონ აკაკი ივანე მაჩაბლის გახსენებისას ამ გზას დაადგებოდა.

რუსეთიდან რომ დაბრუნდებოდა, ახალჩამოსულობაზე ყველგან და ყველასაგან ესმოდა, თავად გიორგი მაჩაბელს კარგი შვილები ეზრდება და უმცროსი მაინც მეტად საიმედო რამ არისო: ქართული, როგორც ხუცური, ისე მხედრულიც, ზედმიწევნით იცის და უცხო ენებსა და საგნებსაც საზოგადოდ ადვილად იმორჩილებსო.

იმხანებში ტფილისში თავად სოლომონ ერისთავის სახლში საშინაო სპექტაკლს გამართავდნენ, წარმოადგენდნენ გიორგი ერისთავის „გაყრას“ და მონავარდისას როლს ითამაშებდა ჯერ სულ ახალგაზრდა მკვირცხლი და სიცოცხლით სავსე ივანე მაჩაბელი.

მაშინ აკაკი მას პირველად ნახავდა.

მაშინდელ მის სახეს საოცრად აგონებდა დღეს მისი ძმისწული, პატარა გიორგი, სააზნაურო სკოლაში რომ იზრდებოდა.

უპირველესად გარეგნული მსგავსება მოხვდებოდა თვალში აკაკის — ყმაწვილ გიორგის რომ დაინახავდა ხოლმე, ყმაწვილი ვანო დაუდგებოდა ხოლმე თვალწინ, მაგრამ გარდა გარეგნული მსგავსებისა, სულიერ ერთიანობას უფრო შეიგრძნობდა ბიძა-ძმისწულს შორის. რა გასაკვირია იერისა და შინაგანი მსგავსება უახლოეს ნათესავებს შორის? არც არაფერი, ეგაა რაღაც განსაკუთრებული იმედით შეაჩერდებოდა გიორგი მაჩაბელს, რაღაც დიდს რომ გამოელი ყმაწვილისაგან მომავალში, ისეთი მზერით მიადევნებდა თვალს მის ნაბიჯებს.

ჯერ ვინ იცის გიორგი მაჩაბლის არსებობა?

არც არავინ, ნათესავ-ახლობლებისა და ტოლ-ამხანაგების გარდა, მაგრამ დაე ყველამ უწყოდეს, უცნობებსაც უკვე მოესმათ მისი სახელი, და მკითხველიც იმედით დაელოდოს ამ ახალგაზრდა კაცის გამოსვლას საზოგადოებრივ ასპარეზზე.

გული უგრძნობდა აკაკის, ალღო კარნახობდა, გამოცდილება აგულიანებდა საამისოდ.

და აი გიორგი მაჩაბლის ხსენება პრესის ფურცლებზე არა ვინმე სხვის, არამედ სწორედ აკაკი წერეთლის ხელით უნდა მომხდარიყო.

იმ გიორგი მაჩაბლის, რომელსაც ლომის წვლილი უნდა შეეტანა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაში, მსოფლიოსათვის კი ცნობილი ყოფილიყო პრინცი მაჩაბლის სახელითა და პარფიუმერიის ბიზნესში მიღწეული განსაკუთრებული წარმატებებით, თვალსაჩინო ფიგურად რომ წარმოდგებოდა ევროპის ქვეყნებშიც და ამერიკის შეერთებულ შტატებშიც..

სად განჭვრეტდა აკაკი, სად ამოიცნობდა ყმაწვილში ბიძის მსგავს მასშტაბურ მოღვაწეს, იმისი ოცნების უშუალო აღმსრულებელს.

თუმც ანკი რა გვიკვირს!..

ამ კონტექსტში გიორგის ხსენება თავისებური ნათლობაა მისი — მისი სიმკვირცხლის, მისი მგზნებარების, ბიძასთან გარეგნული და სულიერი მსგავსების გაცხადება საქვეყნოდ.

და პირველბიძგიც და შთამაგონებელიც ბიოგრაფიული რომანისა გიორგი მაჩაბელზე, ფორმასაც რომ მიგაგნებინებს, კომპოზიციურ აღნაგობასაც, მხატვრულ კონცეფციასაც, დასაწყისი აკაკის სახელითა და სახებით რომ დამშვენდება და თავით ბოლომდე აღავსებს თხრობის რიტმსა და დინამიკასაც ეს თავისებური დალოცვა აკაკის მიერ.

ხოლო პატარა ვანო მაჩაბელს აკაკი მაშინ პირველად რომ ნახავდა:

შვიდი-რვა წლის შემდეგ მეორედ მოუწევდა მისი ნახვა, პეტერბურგში სტუდენტად რომ იქნებოდა. იმდროინდელ სტუდენტობას დღევანდელს რომ შეადარებდა აკაკი, ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, რომ ახლანდელმა სტუდენტობამ წინდაწინვე იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა მომავალში!.. გამოზომილი და გამოანგარიშებული ჰქონდა, რისთვისაც ემზადებოდა! ჯერ თავო და თავოო, მერე ცოლო და შვილოო, ფიქრობდა, ძველები კი...

ძველები იდეალისტები იყვნენ, ადვილად გაიმეტებდნენ თავს: ერთი უმნიშვნელო რაიმეს გულისათვის კედელს შეეხლებოდნენ, სამშობლოსათვის მოციქულ-მოწამეებად ამზადებდნენ თავს!..

სამშობლოში დაბრუნების შემდგომ უმეტესობას რომ შუა გზამდისაც აღარ მიჰყვებოდა ხოლმე წინასწარგანზრახული?

მაგრამ აკაკის ის ესახელებოდა: მაინც იმ პირველ ხანებში მათი ნახვა სასიამოვნო იყოო.

და ივანე მაჩაბელიც სწორედ ამგვარ წრეში ჩადგებოდა.

ერთი თვალის გადავლებით როგორც შეატყობდა, ის იმ წრეში პირველთაგანიც გახლდათ.

„თვალის ერთ გადავლებას“ იმიტომაც ახსენებდა, რომ იმ დროში პირადად არ იყო დაახლოებული ახალგაზრდობასთან, თუმც საზოგადო საქმით მიჯაჭვულზედაც მეტი გახლდათ მათზე!.. არც ამას ჰქონდა გული მათთან მინდობილი და არც არაფრად იმათ ეპიტნავებოდათ. ამის მიზეზი ბევრი იყო, რომელთაც ავტობიოგრაფიულ თხზულებაში მოიხსენიებდა, მაგრამ ერთ უპირველეს მიზეზს აქაც გააცხადებდა: ჩემი წინდაუხედავი ხასიათი გახლდათო.

რას გულისხმობდა?

რაც გულში ჰქონდა, ის ენაზეც ეკერა და მტრისა და მოყვრის გარჩევა არ იცოდა.

მაშინ ვერ წარმოედგინა, რომ ამით მისი პირადი განწყობილება ვინმესთან დაირღვეოდა!.. მაგრამ საქმე სულ სხვას დაანახვებდა: დღესაც ბევრი მოიპოვებოდა იმათში, აკაკი ჭირივით რომ ეჯავრებოდა, თუმც არაფერი საპირადო იმათთან არა ჰქონდა და შემდგომშიც, როგორც საზოგადო სარბიელზე უმნიშვნელო ფიგურებზე, აღარც კი უფიქრია მათზე.

— ძვირათ ვინმე მინახავს ჩვენში, რომ კერძოს, საპირადოს უფრო მაგრად არა სჭიდებდეს ხელს, ვიდრე საზოგადოს. რაც იმათ მოსწონთ პირადად, საქვეყნოთაც კარგი ისა ჰგონიათ! და თუ ვინმე თანახმა არ გაუხდათ, შეიძულებენ.

და აკაკი ივანე მაჩაბელს ჯერ მარტო ამიტომაც დააფასებდა, რომ სრულიად არა ჰქონდა ასეთი ხასიათი!..

რაც მასზე საწყენი და არასასიამოვნო რამ ეთქვა, ვინ მოთვლიდა, მაგრამ — დაე წარმოედგინა მკითხველს, რომ — მაჩაბელს არცერთი გულში არ ჩარჩენოდა.

ასი და ათასი მაგალითიდან ორიოდეს მოიხმობდა და... ესეც იკმარებდა დასტურად და თვალსაჩინოებად.

დაბრუნდებოდა თუ არა ივანე მაჩაბელი უცხო ქვეყნებიდან, მაშინვე სათავადაზნაურო სკოლის უფროსად გაამწესებდნენ. მისი მეტოქე გახლდათ ალექსი ჭიჭინაძე, რომელთანაც აკაკის პირადი განწყობილება არ გააჩნდა, მაგრამ მაინც სიმართლე ააღელვებდა და დაიწყებდა ამრჩევთა ძვირსა და ყვედრებას საჯაროდ:

საზოგადო საქმეში განა ამისთანა ჩემიან-შენიანობა იქნება?! სად ჭიჭინაძე და სად მაჩაბელი ამ საქმეში? მაჩაბელი შეიძლება გენიოსიც იყოს, მაგრამ საქმეს გამოცდილებაც ეჭირვება, ეგ ახლა მოშორდა სასწაელებლის კრებას, პედაგოგი არ არის, სულ სხვა ფაკულტეტზე იყო და მაგისთანა რთულ და სპეციალურ საქმეს როგორ გაართმევს თავს, მაშინ, როდესაც ალექსი ჭიჭინაძე გამოცდილია მაგ საგანში და თავისი სკოლაც ჰქონდა?!.

ერთ გავლენიან პირზე მიუთითებდნენ:

— იმან მოინდომა!..

ეს კიდევ უფრო გაგულისებდა და აღარაფერს დაერიდებოდა:

— როგორ თუ იმან მოინდომა?!. განა აქ საზოგადო საქმეში ბატონყმობა გვიარსდება?.. არ-კი ძველებურ ბატონყმობას გმობთ და კიჟინასა სცემთ და აქვე კი ინტელიგენტობაში იგივე დესპოტური, გარემოების შეუფერებელი ბატონყმობა შემოაქვთ?

იმ ანდაზისა არ იყოს: მოქნეული და მოზომილი ვის გაუგონიაო, — აკაკისაც ამ ცხარე საყვედურების დროს თვითონ ივანე მაჩაბელზე, ბევრი რამ საწყენი შემოეხარჯებოდა!.. გადაჭარბებულს რამეებს ამბობდა, მაგრამ ის კრინტსაც არ დაძრავდა, მხოლოდ შორს თუ იჭერდა ამისაგან თავს და აკაკიც არა ნაღვლობდა, რადგანაც ის იმ წრეში ჩადგებოდა, რომელსაც ეს არ თანაუგრძნობდა. ცოტა ხნის შემდეგ მაჩაბელი თვითონვე დაანებებდა თავს ამ ინსპექტორობას, რაც აკაკისათვის ნიშნავდა, რომ გამართლებულიყო მისი ვარაუდი.

ანდა ის:

ერთხელ აკაკი სადილად იმყოფებოდა მასთან და სუფრაზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი უილიამ შექსპირზე. და ვანო სიამაყით განაცხადებდა:

— „მეფე ლირი" პირდაპირ ინგლისურიდან არის ნათარგმნი და კარგი ენითაც არის ქართულად გადმოღებული!..

მაგრამ აკაკი მწარედ გადაჰკრავდა:

— პირდაპირ ინგლისურიდან რომ არის ნათარგმნი, ეტყობა, მაგრამ ქართული ენა კი ძალიან კოჭლობს.

გაცხარდებოდა მასპინძელი, წამოვარდებოდა ზეზე, შეიჭრებოდა მეორე ოთახში, გამოიტანდა წიგნს და დაუგდებდა წინ:

— აბა გვიჩვენე შეცდომები!..

ეს პირველ გვერდზევე მიუთითებდა. გადაშლიდა მეორეს, აქაც ამოჩნდებოდა... ჩაჰყვებოდა ამგვარად და, რომ გამტყუნდებოდა ვანო, უკმაყოფილოდ ეტყოდა:

— რა ვუყოთ მერე, განა შენ ნაწერებში არ არის შეცდომები თუ?..

ეს სიცილს დაიწყებდა:

— აქ სიტყვა ჩამოვარდა „მეფე ლირზე“ და მეც მიტომ ვამბობ!.. და როცა ჩემ ნაწერებზე გადახვალთ, რა იცით, რომ იქაც არ დაგეთანხმებით? მერე კიდევ, განა ერთის უვარგისობა ამართლებს მეორისას? მე რომ ქართული კარგად არ ვიცოდე, ნუთუ სხვებმაც აღარ უნდა ისწავლონ? ამგვარი ბაასი ინტელიგენტური ბაასი კი არ არის, მოახლური გაქიშპებაა.

მასპინძელი გაჩუმდებოდა, ხმას აღარ ამოიღებდა.

ან კიდევ ის:

ჟურნალ „ივერიის“ რედაქტორის მაგიერ რომ მოუწევდა ყოფნა მაჩაბელს, მაშინ აკაკი საქმის გამო ესტუმრებოდა. ის შეწუხებული დახვდებოდა და ეტყოდა:

— ახლა მაგის თავი აღარა მაქვს. ისეთ გუნებაზე ვარ, რომ თავ-ტანისა აღარა გამეგება რა.

აკაკიმ იცოდა, რა მიზეზიც იყო, ეწყინებოდა და უსაყვედურებდა:

— მერედა არც კი გრცხვენია, რომ მაგას ამბობ? თუ საზოგადო ასპარეზზე გამოსულხარ, წვრილმან რამეებს რათ გადაჰყოლიხარ?!. გულის გადაყოლა ნაცარქექიობა და ლაჩრობაა!.. და სხვას მაინც რათ ეღობები საზოგადო გზაზე?..

მოუვიდოდათ ცხარე ლაპარაკი. აკაკი არ მიხედავდა, რომ მასპინძელი ცუდ გუნებაზე იყო და მწარე-მწარეებს ეტყოდა. ვანო საოცრად შეიმაგრებდა თავს და ამასღა მიუგებდა:

— რა გინდა, რომ ჩემ სახლში მოსულხარ და მოსვენებას აღარ მაძლევ?

აკაკიც იქნებოდა, რაიმე დაეთმო:

— რედაქცია შენი სახლი ნუ გგონია! — მიაძახებდა და გამობრუნდებოდა.

მეორე დღეს მაჩაბელი თვითონ მოაკითხავდა:

— გუშინ არეულ გუნებაზე ვიყავი და საწყენი ხომ არაფერი მითქვამს შენთვის?

ამას გაუკვირდებოდა, მითუფრო, რომ თვითონ გრძნობდა თავს დამნაშავედ: იმას თავისი დარდები აწუხებდა, მე კი უდროო დროს კიდევ მუგუზალს ვუჩხიკინებდიო!..

ამგვარი შემთხვევა არავისთან იმდენი არა ჰქონოდა, რაც მაჩაბელთან, მაგრამ მკითხველს ნუ გაუკვირდებოდა და, ის არათუ გადაემტერებოდა სხვებივით, პირიქით, დიდი პატივისმცემელი იქნებოდა აკაკისა!..

ეგება ეკითხა ვინმეს: ან მაჩაბელი რად ივიწყებდა ამ ხშირ უსიამოვნებას და ან აკაკი რად აცივდებოდა ასეო?!.

მაჩაბლისა რა მოეხსენებინა, თავის პასუხად კი ესა ჰქონდა:

კერძო, საპირადო მეგობრობა სხვა არის და საზოგადო კიდევ სულ სხვა!.. ბევრი ვინმე გვყავს მისთანა ნათესავი თუ ნაცნობი, რომელიც სულსა და გულს გვირჩევნია, ვენდობით, გვიყვარს და უიმათოდ ცხოვრება გვეძნელება!.. მაგრამ ამავე დროს ესენი საზოგადო საქმეების შესახებ სულ სხვა აზრისა და მიმართულებისანი არიან, თითქო სულ სხვა რჯულისანი იყვნენ, ჩვენი თანაგრძნობა საზოგადო საქმეში არ ეხერხებათო!.. აგრეთვე გვყვანან მისთანა საყვარელი კაცები, რომელნიც ეგება თვალით არც კი გვენახოს, მაგრამ როგორც ჩვენ თანამოაზრეებს, გულიდან ვერ ვიშორებდეთ. პირველები არიან კერძო მეგობრები და მეორენი — საზოგადოო!..

ესეც აკაკის ეთიკური კრედო, მისი ზნეობრივი იმპერატივის კიდევ ერთი გამოვლინება, სიტყვას საქმითაც რომ ადასტურებდა და ვერ წარმოედგინა ამ მრწამსიდან ოდნავი გადახვევაც კი!.. იმ მტკიცებისა არ იყოს: მე, სწორე მოგახსენოთ, კერძო მეგობრებზე უფრო საზოგადოს ვეძებდი და მაჩაბელშიაც მინდოდა მეპოვნა საზოგადო მეგობარი!.. და მაშასადამე საზოგადო საქმეში მორიდება და პირფერობა, აქაოდა კერძოდ არ ვაწყენინო რაო, დიდი შეცდომა იქნებოდაო.

მაჩაბლის მაგივრად ვერას იტყოდა, მაგრამ მათი ურთიერთობიდან თავისთავად გათვალსაჩინოვდებოდა, რომ იმასაც ასევე ესმოდა კერძოსა და საზოგადოს არსი და მნიშვნელობა და ამავე ეთიკური მრწამსითა და ზნეობრივი იმპერატივით მოქმედებდა, სადაც კი მიდგებ-მოდგებოდა, არადა სფერო აღარა რჩებოდა, მაჩაბელს თავისი სასიკეთო კვალი რომ არ დაეჩნია.

ის ეპიზოდი კი გადამწყვეტ როლს ითამაშებდა მათ ურთიერთობაში და ყოველგვარ ბარიერს მოშლიდა, აი ის, „დროების“ რედაქტორობისას მაჩაბელს აკაკი რომ მიაკითხავდა

და შეესწრებოდა, თუ როგორ მიუტანდნენ ლექსებს პოლკოვნიკი კვინიტაძე და ალექსანდრე ყაზბეგი, ის — რაღაც უბადრუკობას, ყაზბეგი კი თავისი მოთხრობებისა და რომანების შესაფერისს ვერა, მაგრამ დაბეჭდვა თავისუფლად შეიძლებოდა და რედაქტორი როგორ დაამადლებდა პუბლიკაციას!..

არადა აკაკი ჩაერეოდა და პოლკოვნიკს იმ უბადრუკ ლექსებს... მოუწონებდა: მშვენიერია და საუცხოო, — თუმც რედაქტორს უხერხულ მდგომარეობაში არ ჩააგდებდა და განუცხადებდა მოყვარულ მელექსეს: ის შეჩვენებული ცენზურა არ გაუშვებსო.

ალექსანდრე ყაზბეგის ლექსებს კი საცინლად აიგდებდა და თვითონ მასაც იქვე ისეთ პაროდიას შეუთხზავდა, განაწყენებული სანდრო წამოავლებდა ხელს თავის ნაწერებს და გავარდებოდა, მათ დაწუნებას კი აკაკის სიხარბესა და შურიანობას მიაწერდა.

და აკაკი ასე აუხსნიდა გაოცებულ მაჩაბელს თავისი ამ თითქოსდა უცნაური საქციელის მიზეზს:

კვინიტაძე თავის ჭიას ახარებს, არავის არაფერს უშავებს და დაე ისიამოვნოს, აბა რომელი მკურნალი გინახავს, ავადმყოფი არ ანუგეშოს, გინდ მომაკვდავი, და მიახალოს: განწირული ხარო. სანდრო კი სულ სხვაა, ქვეყნისათვის სასარგებლოა, კარგ პროზას აღარ სჯერდება, ახლა ლექსებს გამოსდგომია და მთელი დღე ჩხირკედელაობს!.. მე მინდა, რომ რაც არ ეხერხება, იმაზე ხელი აიღოს და ისევ თავის გზას მიუბრუნდესო.

ეს სიტყვები მაჩაბელს ჩააფიქრებდა და ათქმევინებდა:

— ახირებული აზრისა ხარ და მიკვირს, რომ ამდენხანს ცხოვრებას ვერ გამოუცელიხარ, ვერ გადაუკეთებიხარ! არ ვიცი, მაგ შენ ხასიათში კეთილობა მეტი იხატება თუ ბოროტება?

სიცილით ეტყოდა და კიდევ ჩაფიქრდებოდა. იმ წუთას რას გაარკვევდა აკაკი, თუ რასა გრძნობდა მასპინძელი მასზე, მაგრამ ამ საუბარს ის მოჰყვებოდა, რომ თუკი მანამდე პირადი არა აკავშირებდათ და საერთამანეთოდ გული არცერთს არ ეხსნებოდა, იმ დღიდან უფრო და უფრო დაახლოვდებოდნენ და კიდეც გაიცნობდა მას აკაკი როგორც საზოგადოდ, ასე კიდევ უფრო კერძოდაც.

და აღმოაჩენდა, რომ:

სწორედ საუცხოოდ ყოფილიყო გაზრდილი — თავმდაბალი, ზრდილობიანი, ტკბილად მიმღები და ბუნება-თანაზიარი!.. ამხანაგებისათვის თავდადებული, მოსისხარ მტერსაც კი ხელს მიაწვდენდა საჭიროების დროს!.. სხვის დანაშაულს გულში არ ჩაირჩენდა და თავის შეცდომას კი, გინდ მცირედიც ყოფილიყო, აღიარებდა და სინანულშიც ვარდებოდა. ადამიანის წყენას ერიდებოდა კერძოდ და საზოგადო საქმეში კი ულმობელი იყო.

ხოლო საზოგადო საქმისათვის თუ როგორ მომზადებულიყო:

ქართულის გარდა უცხო ენებიც კარგად იცოდა, ისე რომ თამამად შეეძლო იქიდან თარგმნა. შრომისმოყვარე იყო, მოუსვენარი, უსაქმოდ ვერ დადგებოდა და ბევრის ატანაც შეეძლო, რა საზოგადო საქმესაც იკისრებდა, სულითა და გულით ეძლეოდა. მისგან არათუ ღალატი, ოდნავი გულის აცრუებაც კი არ შეიძლებოდა.

რაოდენ თვალნათლივ და რელიეფურად წარმოისახება ამ რჩეული, კოლორიტული კაცის პორტრეტი, მისი ხასიათის თავისებურება ხელშესახებად რომ გამოსჭვივის, თუმც დითირამბული განწყობილება აკაკის ხელს ვერ შეუშლიდა, მისი დიდი წუნიც არ დაეფარა:

როგორც ბუნება-თანაზიარი კაცი ზოგჯერ მეგობრების რჩევას გადაჰყვებოდა ხოლმეო.

ეს არ მოსწონდა აკაკის და ალბათ ამის მიზეზი იყო, რომ ერიდებოდა მაჩაბელს და თუ ის თვითონ არას ჰკითხავდა, რჩევა რაიმესი ამას ეზარებოდა, მითუმეტეს რომ საზოგადო საქმეებში მაინცდამაინც რჩევა არ ესაჭიროებოდა. ყოველივე საზოგადოს თვალს ადევნებდა ვანო — შეუძლებელია მისთანა საზოგადო რამ მოვლინება, თუგინდ მცირეც ყოფილიყოს, იმას გულგრილად გვერდი აექცია და თავის მხრივ ავზე ავი არ ეთქვა, გინდ მოყვრებზე, და კარგზე — კარგი, თუნდ მისი მტრების სასახელოდაც!..

ამგვარი კაცები საჭირონი რომ არიან ოპოზიციაში, კიდევაც თვითონვე მიაგნებდა მაჩაბელი ამ გზას და ჩადგებოდა შიგ — 60-იან წლებს ჩვენში აქა-იქ ვარდები რომ დაერგო, სამაგიეროდ იმავდროულად ეკალიც ბევრი დაეთესა. ნამუშევარზე ბალახ-შამბს გადაევლო და გამმარგლავი კი არსად მოიძებნებოდა. ორმოცი წლის განმავლობაში ერთი დგმა

რასაც კი ამბად და არაკად გადასცემდა მეორეს, ისიც იმაზე დგებოდა და ყველა ერთად ისევ იმ ძველებურ ლათაიებს გაიძახოდა, ზოგს „ვაშა-ვაშას“ შეღრიალებდნენ და ზოგსაც „ჰკა მაგას!“

— საჭირო იყო გამორკვევა, თვალების ახელა და დაკვირვებით სწორ გზაზე გავლა.

და ამას კიდეც იკისრებდა ივანე მაჩაბელი: გააჩენდა ოპოზიციას.

აკაკი საგანგებოდ შეგვახსენებდა, რომ:

საზოგადოდ ყველგან, სადაც უნდა ყოფილიყო, ოპოზიციის პირველი ხანები საეკლო გზაა, რადგანაც შეუძლებელია, რომ ქვეყნის უმეტესობას უჩვეულო მოძრაობა და მოთხოვნილება ოპოზიციისა თვალში არ ეჩხიროს და ეკლად არ ეჩხვლიტოს. ამიტომაც ყოველგვარი ოპოზიცია უმეტესობისაგან უკმაყოფილებას იწვევს ხოლმე და... ცხოვრების კანონის ძალით უმისობაც არ შეიძლებოდა.

თვალსაჩინოებისათვის მოიშველიებდა ტბისა თუ აუზის ხატებას, დიდი ხნიდან რომ ჩამდგარ-ჩაგუბებულიყო წყალი. თვითონ ტბა დამშვიდებულია მოკამკამე სარკესავით. კიდეები ამწვანებულია და სხვადასხვა ყვავილით აფერადებული. ერთი შეხედვით მის ნახვას არა სჯობს რა და მნახველნიც კმაყოფილნი არიან. მაგრამ... ნუ დაგვავიწყდებოდა პოეტის ნათქვამი: სულ ბნელია, რაცა ელავსო! — და მივმხვდარიყავით, რომ ის ტბა იტყუება — ზედაპირი რომ სასიამოვნოა, მის ძირში გველ-ბაყაყი ბუდობენ და ათასგვარი ქვეწარმავალიც ფუსფუსებს. იქვე დალექილი სიდამპლე და სიმყრალეა, რომელიც უხილავად წამლავს ჰაერს და სხვადასხვაგვარ სატკივარს აჩენს. უმეტესობა თუ ამას ვერა გრძნობს, რამდენიმე შორსმჭვრეტელი კაცი დაინახავს და მოინდომებს შველას. აიღებს თოხს, ბარს, ნიჩაბს და ყოველგვარ საჭირო იარაღს, მიადგება პირდაპირ კიდეს და მოინდომებს მის გაჭრას, არხის გაყვანას, რომ დიდი ხნით დაგუბებული წყალი გამოუშვას, განმინდოს, გაასუფთაოს და შიგ წყალი ხელახლა ჩააყენოს. პირველ ხანებში, როდესაც ტბა დაიძვრის, რასაკვირველია წყალიც აიმღვრევა და სიმყრალეც სუნს გამოსცემს. და ეს ქვეყნის უმეტესობას ააღელვებს და ააშფოთებს და გულწრფელად იტყვიან: ეს რა გვიყვეს ამ შეჩვენებულებმა? მოვიდნენ, აგვიმღვრიეს წყალი, აამყრალეს აქაურობა და ჩვენ თანაგრძნობასაც თხოულობენ? გიჟები არიან და ოხრებიო!!

არადა დასკვნა ამ შემძვრელი სურათისა ის გახლდათ, რომ:

ეს დღე ადგება თავდაპირველად ოპოზიციასაც, რადგანაც ხშირად ცხოვრებაში ზოგი რამ დაძველებული დაწესებულება სწორედ ის მატყუარა ტბა და აუზია!..

შესაძლოა გარკვეულ ვითარებაში ეს და ამგვარი სურათი შეუმცდარიც იყოს, მაგრამ ამ კერძო შემთხვევაში ცოტა არ იყოს ტენდენციურია და არა მიუდგომლად განსჯილი. გრძნობ, ხელშესახებად გრძნობ, რომ აკაკი ზემოდან კი არ დაჰყურებს ორი მხარის ჭიდილს, ერთ მხარეს დგას, იმ ოპოზიციისა, რომლის არსიც და დანიშნულებაც უსათუოდ უნდა სცოდნოდა ივანე მაჩაბელს, როდესაც ამ გზაზე ასე უშიშრად შედგებოდა, შემოიხვევდა გარს ახალგაზრდებს და კვირაში ერთხელ თავს იყრიდნენ ერთად, რათა საქვეყნო ავ-კარგზე ჰქონოდათ საუბარი და მსჯელობა.

ტენდენციურობა რომ არა, როგორი სათქმელია, რომ იმ მატყუარა ტბასა თუ აუზს დამგვანებოდა... ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა, მის მომხრეთა და თანამდგომთა მონდომება, ბანკისათვის მის მიერ გაჭრილი საძირკველი.

ასე უშუალოდ ცხადია მოერიდებოდა შედარებას, მაგრამ გამჭვირვალე მინიშნება განა სხვას რას ღაღადებს?!.

ილიას მიერ გაჭრილ საძირკველსა და ამოშენებულ და მოგუმბათებულ კედლებში გაჩენილა გველ-ბაყაყი და ათასგვარი ქვეწარმავალი?

და ივანე მაჩაბელი და მისი მოდასენი რომ არა და მათ მიერ გაჭრილი არხი, თურმე ტბა კვლავინდებურად მატყუარა დარჩებოდა, გარეგნულად კამკამა, ძირში კი...

რაკილა უშუალოდ არ ასახელებდა ილიასა და მის თანამოდასეთ, ამიტომაც მისცემდა თავს უფლებას ამგვარი განზოგადებისა, თუმც რაც უნდა იყოს, დაპირისპირების სურათი ისეთია, თითქოსდა რაინდი ებრძოდეს გველეშაპს, ოღონდ — განსხვავებით მითებისა და ჯადოსნური ზღაპრებისაგან — მარცხდებოდეს ამ ჭიდილისას!..

დამარცხება გახლდათ თუ რაც იყო, აკაკი მაინც დაუფასებდა რაინდს უშიშრობასა და თავზეხელაღებულობას, და მიიჩნევდა მეორე ბიჯად ჩვენს ჩია ცხოვრებაში — ამ ორმოცი წლის განმავლობაში.

მართალია ზოგიერთები დაარსებისთანავე კიჟინას დასცემდნენ და „შავ კაბინეტსაც" უწოდებდნენ ამ ახალგაზრდა ოპოზიციას, მაგრამ ის მაინც თავისას გაიტანდა, როდესაც იერიშით მიეჭრებოდა სამოქალაქო საბჭოს: თითქმის ყველასაგან მოულოდნელად გვირაბს გაიყვანდა იმ პატარა გორაკში, რომელსაც სამოქალაქო საბჭო ერქვა და ბევრ სამართლიან რაიმეს კი წინ ეღობებოდა.

ამ გამარჯვებით წათამამებული ოპოზიცია ბოლოს ერთხმად მეტს მოინდომებდა და სიძნელეშიაც ჩაიგდებდა თავს, როდესაც ჩვეულებრივი იარაღებითა და ხერხით, რომელსაც პატარა გორაკზე გამოიყენებდნენ, დიდ იალბუზსაც მიადგებოდნენ გასაჭრელად...

ილიას სახება აქ უკვე იალბუზს გათანაბრებია, თუმც მაინცდამაინც სასიამოვნო იერით არ წარმოისახება.

და იალბუზთან შერკინებისას პირადად რომ დამარცხდებოდნენ, აკაკი დამარცხების მიზეზს ასე ახსნიდა:

ოპოზიცია თავდაპირველად წესად შემოიღებდა, რომ რასაც ხმის უმეტესობა დაადგენდა, ის უეჭველად თვითეულ წევრსაც უნდა ეკისრა, და ეს ზოგჯერ იძულებულს გახდიდა მაჩაბელს, რომ თავისი სურვილის წინააღმდეგ ემოქმედა ბრძოლის დროს.

აკაკი აქ იგულისხმებდა საპირადო საქმეებს და არა საზოგადოს, როგორც, მაგალითად, დირექტორად ამორჩევის შემდეგ ივანე მაჩაბელი უმეტესობის სურვილს რომ ვერსაით ვეღარ ნაუვიდოდა და დარჩებოდა, თუმც კი წინააღმდეგი იყო აქ დარჩენისა...

აკაკი იმასაც მიიჩნევდა, რომ თუკი საზოგადო თვალით შევხედავდით და არა საპირადოთი:

აქაც ამ დიდ ბრძოლაში ბანკის არჩევნების დროს გამარჯვება მაინც ოპოზიციას დარჩებოდა!.. სამი მხრით ძლიერი მოწინააღმდეგენი ეხვეოდნენ ოპოზიციას!.. თვითეულ მათგანში სხვადასხვა სფეროს გოლიათები მონაწილეობდნენ, და მაინც კიდევ — მათი სურვილის წინააღმდეგ — ივანე მაჩაბელი იქნებოდა არჩეული!..

— ამაზე მეტი საზოგადო გამარჯვება წარმოსადგენადაც ძნელია.

და... რაც შეეხებოდა კერძო დამარცხებას?

ის სულ სხვა არისო! — გვიმტკიცებს აკაკი და იშველიებს ანდაზას: ძალა აღმართსაც ხნავსო.

ასეა თუ ისე ეს ოპოზიცია კი რომ აღარსად ჩანსო, — ზოგიერთები რომ იტყოდნენ, აკაკი ყელში წვდებოდათ:

ეს შემცდარი აზრია — დროებითი უჩინარობა სრულიად გაქრობასა და მოსპობას არა ნიშნავსო.

და კვლავ სახიერი მაგალითი:

როცა ხნულში ნათეს ხორბალს ზევიდან შავი მიწა აყრია, ერთხანს არც ისა ჩანს, მაგრამ დროზე კი ჯეჯილი ამობიბინდება ხოლმეო.

ასე რომ: საზოგადოებისათვის არც ეს ეგრეთწოდებული მაჩაბლის ოპოზიცია გამქრალიყო.

და კერძოდ კი... ეგაა საპირადოდ ვერ დაეყენებინა კარგი დღე ვერცერთ წევრთაგანს და ყველაზე მეტად — თვით მაჩაბელს.

რაოდენ ძნელიც უნდა იყოს ასატანად ცხოვრების მარცხი საზოგადოდ, მაინც არა უჭირს რა იმას, ვინც ოჯახში ცოლ-შვილით, მოყვრებითა და მეგობრებით ბედნიერია და... მაჩაბელსაც ეს ანუგეშებდა, ამხნევებდა და აძლებინებდა, ვიდრე სნეულება დაიგდებდა და არ დაჩაგრავდა...

და წელიწადი კიდევ იტანჯებოდა, მაგრამ მაინც კიდევ გაუძლებდა...

აიტანდა აუტანელს და... თითქმის სიკეთეში რომ შევიდოდა:

— მაშინ გამოუტყვრა გაწირულსაც უცნაური ბედი და თვალსადახელშუა დაგვეკარგა! ვფიქრობთ და ვერ წარმოგვიდგენია მიზეზი და ერთმანეთს ვეკითხებით: რამ აიძულა ის კა-

ცი? — კითხვა უპასუხოდ რჩება და ეს ვიცით მხოლოდ, რომ, რასაც უნდა აეძულებია, თავდაპირველი მიზეზი იძულებისა და ფესვი უბედურების მისი საზოგადო მოღვაწეობა იყო!!

ივანე მაჩაბლის უგზოუკვლოდ გაუჩინარების ტრაგედია ამ ფორმულად დაიწურებოდა:

თავდაპირველი მიზეზი იძულებისა და ფესვი უბედურებისა — მისი საზოგადო მოღვაწეობაო.

— იმას ემსხვერპლა, თვარა...

თვარა ის, რომ:

მისი ნიჭისა და ცოდნა-შრომის პატრონს საკუთრად რომ თავის თავზე, ცოლ-შვილსა და საპირადო საქმეებზე ეფიქრა, კვლავაც დიდ კეთილდღეობაში იქნებოდა ჩამდგარი უმრავლესობის მოსაწონად, და თუ თითოოროლა ახირებული წუნს დასდებდა, ამით მის ტკბილ ცხოვრებას არა დააკლდებოდა რა ქვეყნის თვალში!..

— მაგრამ ჩანს, რომ ასე არ ესმოდა მაჩაბელს ადამიანის ქვეყნად მოვალეობა!..

აბა როგორ?

როგორც თუნდ აკაკის:

საზოგადო, საქვეყნო საქმე იგივე რჯული და სარწმუნოება რომ არის, და როგორც ნამდვილ-მორწმუნე სარწმუნოებას ვერ უღალატებდა, ისე საზოგადო მოღვაწეც საერო საქმეს ვერ უმტყუნებდა... გინდ სამსხვერპლოდაც გახდომოდა საქმე... და რა რჯულისაც უნდა ყოფილიყო ქართველი: მაჰმადიანი, კათოლიკე თუ მართლმადიდებელი — მაინც მტკიცედ იდგა ზედ.

ამის მაგალითი ეჩვენებინათ წინაპრებს, რომელთაც ურჯულოებთან ცხოვრებას თავდადებას არჩევდნენ.

— მაჩაბელიც ქართველი იყო და დროთა შესაფერ მსხვერპლად იქმნა შეწირული.

სტატია-მოგონება-ნოველა დასასრულისაკენ გადაიხრებოდა და... აკაკი კიდეც შეფიქრიანდებოდა: ვაითუ ზოგიერთებმა ამ ჩემს ნაწერს რაღაც კუდი გამოაბანო.

ჭრილობასავით გადახსნილ თემაზე წერდა ჩვეული მოურიდებლობით და, რაკილა ამ უჩვეულო მოვლენის განსჯა-შეფასებაში, გამოჩენილი მოღვაწის გაქრობა რომ ერქვა, მთელი საქართველო მონაწილეობდა, ამ სტატიასაც ყოველმხრივ ჩაუკირკიტდებოდნენ და გაუსინჯავდნენ კბილს, და ასეთ დროს ვინ რას მიაწერდა განზრახ თუ უნებურად და ვინ რას.

და კუდი რომ არ გამოებათ, არწმუნებდა მკითხველს: ამას არავის საწყენად და საპირადოდ არა ვწერ. ჩემი სურვილია მხოლოდ შვილებს გავაცნო ის დაღუპული მოღვაწე, რომ მისმა შვილებმაც არ დააგდონ მამის გაკვალული გზა! თამამად იარონ ზედ, რომ მამა შვილით ითავსებოდეს და საერთო საქმე წინ მიდიოდესო.

გამოხდებოდა 15 წელი ამ უცნაური, თავზარდამცემი, ბურუსში გახვეული ეპიზოდიდან და „თემის“ 1913 წლის 8 აპრილის ნომერში უნდა გამოქვეყნებულიყო აკაკის „მცირე რამ განცხადება“, საზოგადოებას რომ სთხოვდა: ეზრუნათ ივანე მაჩაბლის მიერ თარგმნილი უილიამ შექსპირის ტრაგედიების გამოსაცემად 1000 ეგზემპლარად.

მანამდე ბუნება-თანაზიარ კაცად უნდა მოეხსენიებინა, თავის მახსოვრობაში ძვირად რომ ენახა ჩვენში ასეთი თავდადებული და გულწრფელი მოღვაწე, რომელიც თუკი სადმე დაინახავდა საზოგადო კარგს, გინდა მტრის ხელიდანაც ყოფილიყო (უნებურად) გამოსული, აღტაცებით მიეგებებოდა და ივიწყებდა პირადობას. და ვერც კარგსა და ვერც ავს გულგრილად ვერ აუვლიდა გვერდს, რომ თავთავისი საკადრისი პასუხი არ მიეცა.

— დიდი ბუნება-თანაზიარი კაცი იყო და მიტომაც გახდა მისი მსხვერპლი.

ქართველთა ახირებულ ბუნებას ერთხელ კიდევ რომ წაჰკრავდა ქიმუნჯს:

არათუ ნამდვილს, წარმოდგენილ მოღვაწეებსაც კი ზედმეტად ვეგებებით და ცამდი აგვყავს ლხინით, ღვინითა და კეცა-კეცა სიტყვებით, და სიკვდილის შემდეგ ხომ საზღვარი აღარა აქვს ჩვენს ფართიფურთსა და უნაყოფო ხარჯსო!..

გულმოკლული დასძენდა:

არც პირველი და არც მეორე არ ღირსებია ვანო მაჩაბელს... სიცოცხლეში როგორც მებრძოლს და მერე კი — როგორც უცნაურად ჩვენთვის დაკარგულსო.

ჯერ კიდევ გადაწყვეტით ვერ გვეთქვა: მკვდარი იყო თუ ცოცხალი?

ასეა თუ ისე ჩვენ მაინც პირშავად ვრჩებოდით მისი ხსოვნის წინაშე და ეს უმადურობა ბოლოსდაბოლოს თავიდან ხომ უნდა აგვეცილებინა.

და ყველაზე უკეთეს ძეგლად მოიფიქრებდა შექსპირის იაფფასიან გამოცემას, ადვილად ხელმისაწვდომს მსურველთათვის.

ვინმეს რომ ეკითხა: კი მაგრამ, თანხა სად არისო?

სად და:

ყველას, ვანოს თანამგრძნობთ, ძალდაუტანებლად, მხოლოდ თავისი სურვილით მცირე წვლილი რომ გამოეღო, არაუმეტეს თითო მანეთისა, ნაკლებიც კი შეიძლებოდა, შედგებოდა მისთანა თანხა, რომელიც გამოცემას სავსებით ეყოფოდა. და რაც მორჩებოდა და მეტი იქნებოდა, ის მოხმარებოდა რომელიმე საქველმოქმედო საქმეს მის სასახელოდ, თუგინდ ზეპირსიტყვაობის მოგროვებას, რომელსაც ასე თანაუგრძნობდა ვანო მაჩაბელი.

პოსტსკრიპტუმად კი მიადევნებდა:

თუ სამართლიანად ცნობდნენ სხვა გაზეთებიც ამ განცხადებას, დაე გადაებეჭდათ.

ამასობაში მოაწევდა ივანე მაჩაბლის დაბადებიდან 60 წლისთავი და ამ თარიღსაც აკაკი უნდა გამოხმაურებოდა „თემის“ 1914 წლის 23 ივნისის ნომერში და სევდიანი განსჯა-შეფასება „საზოგადო მოღვაწის“ შინაარსის განმარტება-განსაზღვრებით დაეწყო.

საამისოდ ძველი აღთქმაც უნდა მოეშველიებინა:

— გული წმინდა დაბადე ჩემთანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა.

და ახალი აღთქმაც:

— უარჰყავ თავი თვისი, აღიღე ჯვარი შენი და შემომიდეგ მე.

რათა შეგონებით შეეგონებინა ყველასათვის:

ეს ორივე საღმრთო წერილის სიტყვები თუ კაცს გულისფიცარზედ არა აქვს დაბეჭდილი და არ აღასრულებს, არა აქვს უფლება, რომ საზოგადო მოღვაწედ იწოდებოდესო.

თავისი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში ბევრი ენახა „საზოგადო მოღვაწედ“ წოდებული, მაგრამ რომ დაკვირვებოდა, ფარისევლები გამომდგარიყვნენ. როგორც კუჭის მიმდევარნი, ისინი ჯერ სამსახურში შესულიყვნენ და რომ ვეღარ გამომდგარიყვნენ, გადმოსულიყვნენ აქეთ და დაეწყოთ ვითომდა საზოგადო მოღვაწეობა იმდენად კი, რამდენადაც სასარგებლო და საკუჭო ყოფილიყო მათთვის მოღვაწეობის სახელი, გულწრფელობას კუჭის გასუქების სურვილი რომ ჰყლაპავდა და ისინიც თვალს უხვევდნენ მოტყუებულ ქვეყანას.

თუმც იშვიათად, მაგრამ მაინც თავის მახსოვრობაში აკაკისაც ენახა გულწრფელი საზოგადო მოღვაწე და მათ რიცხვში პირველთაგანი — ივანე მაჩაბელი. აკაკი მას კარგად იცნობდა და თავის მხრივ აწონილ-გაზომილი ჰყავდა როგორც სწორედაც საზოგადო მოღვაწე.

აქ აღარც იცოდა, როგორ მოეხსენიებინა:

მკვდრად თუ დაკარგულად?

და რაკილა ივანე მაჩაბელი დღეს აღარ გვყავდა და ვერავინ ხედავდა, ხალხისათვის დაკარგული გახლდათ და ესეც იმიტომ იგონებდა გარდასულ მოღვაწედ, თუმც მისი გარდასული მოღვაწეობა კვლავაც გრძელდებოდა და მისაბაძად რჩებოდა.

ამ დაკნინებულ დროში იშვიათი და სამაგალითო მოვლინება გახლდათ.

ნიჭიერები კვლავაც მოიპოვებოდნენ ქვეყანაში, მაგრამ აკაკი იმათ ისე არ შეჰხაროდა, როგორც ივანე მაჩაბელს. და ეს იმიტომ, რომ: ჭკუის ძალა და ნიჭი ორგვარია — ერთი დემონიური ანუ ეშმაკეული და მეორე — ანგელოზებრივი.

პირველის აკვან-ბუდე უმაძღარი კუჭი გახლდათ და მეორისა — წმინდა გული. ბოროტი ნიჭი მხოლოდ თავის თავს ემსახურებოდა და საზოგადოს კი საპირადოდ გარდაქმნიდა — იმდენად ეპოტინებოდა, რამდენადაც მისი კერძოობისათვის ცნობდა გამოსადეგად. და აკაკის გული კი წყდებოდა, მაგრამ გაკვირვებით აღარ უკვირდა, რომ: ამისთანა ეგოისტები გარეგნულად გაბრწყინდებოდნენ კიდეც ხოლმე და თვალხარბი და კუჭგაუმაძღარი ბრბოს სათაყვანებელნიც ხდებოდნენ.

ხოლო ის ნიჭი, რომელსაც ანგელოსებრივს ვეძახდით...

ის ხომ თავის თავზე ცოტას ფიქრობდა... და თაესა სწირავდა საზოგადოს. ამით მისი გარეგნობა იჩაგრებოდა და ბრბოს თვალში ნაკლები გასავალიც ჰქონდა, ვიდრე თვალთმაქცს.

ამ მეორე გუნდს ეკუთვნოდა ვანო მაჩაბელიც.

იმას მარტო თავის თავზე რომ ეფიქრა?

სხვებივით შეძლებდა თავისი კერძოობის გაუმჯობესებას და ხანგრძლივ არსებობასაც.

ამას აკაკი იმდენად ჭირისუფალთა სანუგეშოდ და სასიამოვნოდ არ ამბობდა, რამდენადაც იმ ახალგაზრდების გასაგონად, რომელთაც ჯერ კიდევ წინ ედოთ ცხოვრების ორკეცი გზა: ერთი საპირადო, ია-ვარდით მოფენილი, და მეორე საზოგადო, ეკლიანი და საჭირბოროტო.

ვანო მაჩაბელს აღბეჭდოდა გულზედ საღმრთო წერილის სიტყვები:

გული წმინდა ჰქონდა, სული — წრფელი, და ჯვრით ხელში თავდადებულადაც შეუდგებოდა საზოგადოებას.

ამის დასამტკიცებლად ბევრი მაგალითი ეპყრა ხელთ აკაკის, მაგრამ გამომჟღავნებას, როგორც სუსტი ვინმე, ვერა ბედავდა, რადგანაც ანდაზა აგონდებოდა: თევზმა თქვა, სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ პირში წყალი მიგუბიაო.

თანვე აგონდებოდა მამაპაპური გადმოცემაც: მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო.

აკაკის კი რა შეეკაზმა, როცა ცხენიც არ მოეპოვებოდა?

მხოლოდ ამას იტყოდა, რომ:

ვანოსთანა მოღვაწენი, როგორც თანამედროვეთა მებრძოლნი, არსად თავიანთ სიცოცხლეში უმეტესობისაგან არ დაფასებულიყვნენ, მაგრამ როდესაც თანადროული, ბიუროკრატიული წესწყობილება და მოძრაობა მიწყნარდებოდა, მოვიდოდა სულ ახალი თაობა, რომელიც ჰიპნოზთავიდანაცილებული, ხმის აუყოლებლად, თვითვე განსჯიდა ფაქტებზე დამყარებულ წარსულს და ისე დასდებდა მსჯავრს ავსაც და კარგსაც.

და მხოლოდ მაშინ გამობრწყინდებოდა სავსებით ვანოსთანა მოღვაწეების ცისკარი.

არ ენანებოდა უკეთესი და უკეთესი სიტყვები.

აღმატებული ეპითეტები არ ეშურებოდა.

იდეალისაგან არ განერჩეოდა ივანე მაჩაბელი, რამდენადაც კი შეიძლება ხორცქმნილი ადამიანი ამაღლებულ იდეალს უახლოვდებოდეს.

ისე გამომჟღავნებას მაინც რისას ვერა ბედავდა ან რატომ ვერა ბედავდა?

სისუსტეს რატომ ჩემულობდა ეს ასერიგად გაბედული, სულაც თავზეხელაღებული ადამიანი?

თევზივით პირი რატომ ავსებოდა წყლით?

ან შეკაზმულ ცხენს რატომ ნატრობდა და ასე მწარედ რატომ განიცდიდა, შეკაზმულს ვინღა ჩიოდა, ცხენი საერთოდაც რომ არ გააჩნდა?!.

გაურკვეველობაში ტრიალებდა საზოგადოება, ათასგვარი ჭორი, ერთიერთმანეთზე უფრო უცნაური და დაუჯერებელი ბურავდა სიმართლეს, რომელიც თითქოსდა მტკვარში უნებლიე გადავარდნას უკავშირდებოდა, მაგრამ ეს ვარაუდიც ძალზე მყიფე გახლდათ, დაუდასტურებელი... და სხვაზე უფრო დამაჯერებლად მაინც ეს გამოიყურებოდა.

რაც უნდა ყოფილიყო, ყველას რომ ერწმუნა ეს ვარაუდი, აკაკის გონების კაცი ასე ადვილად ვერ გაიზიარებდა — მისი სიმახვილის, მისი შორსმჭვრეტელობის... და მისი გუმანის პატრონი.

არადა...

ეს ლეგენდა — ივანე მაჩაბლის შთანთქმისა წყალში — სწორედ აკაკის შეექმნა და ეგაა, მას მიემართა იქით საზოგადოების ცნობიერება.

მტკვარი მიენიშნებინა მისი ტრაგიკული დაღუპვის ადგილად.

თან — რაკიღა ეს ვერსია მთლად დამაჯერებლადაც ვეღარ გამოიყურებდა მას შემდეგ, რაც კასპიის ზღვამდე გადაჩხრეკდნენ ამ მდინარეს — იმ ვერსიასაც სულს უბერავდა, ცოცხალია თუ მკვდარი, დანამდვილებით ვერც გვითქვამსო.

გაქრობით გამქრალიყო და ეგ არის.

და... ეოცნებებოდა აკაკის ასეთი ბედი: ნეტავი მე(ცო!..
რა საოცნებო ესაა — უგზოუკვლოდ გაქრობა?
ეოცნებებოდა კი და...

გახსოვთ ტასო მაჩაბელს რომ შესჩიოდა პირად წერილში: ვაითუ საკუდაბზიკო მაიმუნობა ჩემზეც გამოსცადონო? — და უმხელდა იმ ფარულ ოცნებას: არ მინდა მათ მკვდარი ჩავუვარდე ხელთ და მონატრული ვარ იმ ჩემი მეგობრის ხვედრს, რომელიც მათი წყალობით დაიღუპაო.

სამაგიეროდ უგზოუკვლოდ გამქრალიყო და გვამი ვერსად ეპოვნათ.

მე ვინ მაღირსებს ასეთ ხვედრსო, — გულს აწყდებოდა აკაკი წერეთელი.

სოსიკო მერკვილაძესთან გაგზავნილ ბარათშიც უნდა გაეელვა ივანე მაჩაბლის გაქრობის ამბავს, და იმავე სურვილთან გადაჭდობილს, ტასო მაჩაბელთან მიწერილი წერილი რასაც ღაღადებდა.

საყვედურით საყვედურობდა სოსიკოს: ჩემი ბედის ამბავი რომ ვიცოდი, მიტომაც გეხვეწებოდი თვალცრემლიანი: მიშველე რამე, დამაჩქარებინეო. გული მიგრძნობდა, რომ ჩემ სამარადისოდ დაღუპვას არ ეწერა შველა. ყოველიფერი მდევნის მე ქვეყნიერად. ყოველდღე გელოდი და ლოდინმა ზაფრა ამიშალა. შვიდი კაპიკის მარკაც კი დაგეზარა ჩემთვის, რომ დაგემშვიდებინე, მაგრამ რა გაეწყობა, ძალით არაფერი შეიძლება და მითუფრო გულის მოგება საამხანაგოდა და სამეგობროდაო.

როგორ უნდა ყოფილიყო გულაყრილი ყველასა და ყველაფერზე, სოსიკო მერკვილაძეშიც რომ შეეპარებოდა ეჭვი, კაცში, რომელიც იჯერებდა და ვერც იჯერებდა, აკაკის თუ პირადად იცნობდა, ღმერთკაცისაგან რომ არც განერჩეოდა, და მისთვის თავს ისე დასდებდა, ნარბსაც არ შეიხრიდა.

მაგრამ როდესაც ეჭვები ძალიან შემოგესევა და სასოწარკვეთილებამდე მიდიხარ, როდესაც ისეთი შეგრძნება გიჩნდება, რომ ყველა და ყოველივე შენს სადევნელად მომართულა, ესეც შეიძლება გეგონოს, რომ... შვიდკაპიკიანი მარკაც დაეზაროს შენთვის თავგადადებულ ადამიანს.

არადა ხელი ჩაუქნევია მასზეც:

ღმერთმა გაბედნიეროს შენდა გუნებისად, ჩემთვის ნუღა შეიწუხებ თავს. მე ვისთვის რა გამოსადეგი ვარ, შენ გამოგადგეო.

სასონარკვეთილება სხვა რაღას ჰქვია: მე ვისთვის რა გამოსადეგი ვარო.

მხოლოდ იმასა ტიროდა, რომ აქ უნდა მომკვდარიყო ქვეყნისაგან გაკიცხვით, მაშინ, როდესაც ერთადერთი ნატვრა ის ჰქონდა, რომ:

— მალე ფული ამელო, გადავკარგულიყავ ვანო მაჩაბელივით — კვდარიც და ცოცხალიც უგზო-უკვლოდ.

ჩერქეზიშვილი ისეთი გულბოროტი როგორ უნდა ყოფილიყო, რომ სოსიკოს გადაეცა აკაკის გაჭირვება და... იმას კი უარი ეთქვა.

— ეხლა ყოლიფერი გათავდა. ჩემთვის საჭირო აღარ არის აღარც ცოლ-შვილი, აღარც ნათესავები და აღარც მეგობრები!.. მე ძალიან ცუდათა ვგრძნობ ჩემ თავს და მზათაცა ვარ...

ისე ცუდად გრძნობდა თავს, რომ ისიც კი აღარ იცოდა, მიაღწევდა ხვალამდე თუ ვერა.

* * *

ჭორებსა და მითქმა-მოთქმას ჯერ ისედაც რა დააოკებს — ენაულაგამო ადამიანთა ნაკლებობას არცერთ დროსა და არცერთ ქვეყანაში არ განიცდიდა კაცობრიობა... და მითუმეტეს — როდესაც ესა თუ ის მოვლენა საიდუმლოებით იფარება, ესა თუ ის პიროვნება იდუმალებაში ინთქმევა...

ივანე მაჩაბლის აუხსნელი და შეუცნობელი გაქრობის შემდგომაც ჭორები რომ დაიყრებოდა, უკიდურესობამდე მიაღწევდა და:

ცალკე ილია ჭავჭავაძეს რომ დასდებდნენ ბრალს სოციალ-დემოკრატები — ვისთან დაპირისპირებასა და ბრძოლაშიც ჩავარდა ლოგინად ეს ყველასათვის საყვარელი პიროვნება, ბოლოსაც ის მოუღებდა თუ მოუღებდა, რათა აღეკვეთა მისგან ადრე თუ გვიან მო-

სალოდნელი ხელახალი გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე და ტრიუმფული სვლა ზემოთ და ზემოთ, ბანკსაც ის რომ გადაიბარებდა და ყველა საქვეყნო საქმის სადავესაც დაისაკუთრებდაო.

და ცალკე აკაკი წერეთელსაც არ დაინდობდნენ:

რა დიდი მიხვედრა ამას უნდა, ივანე... აკაკიმ და ტასომ რომ მოკლესო.

აკაკიმო — ზოგი ირწმუნებოდა: აკაკიმ კი არა, პირადად ტასომო — თავში ჩაარტყა შანდალიო.

მერე სარდაფში დამარხესო.

ამ შემაძრწუნებელ ჭორს — იმჟამინდელ განწყობილებათა გასათვალსაჩინოებლად — გაიხსენებდა და შემოიტანდა სალიტერატურო მიმოქცევაში თამარ ახვლედიანი ორიგინალური შინაარსის წიგნში: „აკაკი წერეთლის სატრფიალო ლირიკა და მისი ადრესატები“, სამ თავად დაყოფილში, პირველი — „ჭირვეული ანგელოსი“ — ნატალია ბაზილევსკაიას რომ მიეძღვნებოდა, მეორე — „მონუალების და“ და „პატარა ქალბატონი“ — ანა ნიკოლაძეს, მესამე კი — „გედის სიმღერა“ — ტასო მაჩაბელს, ამ შემთხვევაშიც ნაბიჯ-ნაბიჯ რომ აღდგებოდა მათი ურთიერთობა ყველა იმ რეალიასა და დეტალზე დაყრდნობით, აკაკის ბარათები, ლექსები, თანამედროვეთა მოგონებანი რასაც იუწყებოდა თუ აირეკლავდა.

ასეთ დროს — რა გასაკვირია — არც ეს ჭორი უნდა დაფარულიყო, რაოდენ საზარელი და დაუჯერებელიც უნდა გვეჩვენებოდეს. დამაფიქვრელი და გასათვალისწინებელი იმ მხრივ, რარიგ ეადვილება გარკვეულ კასტას ადამიანებისა, რომ თუნდ ერისათვის უსაყვარლეს პიროვნებას მოსცხონ ჩირქი, ლაფი შეასხან მის სახელს, განადგურება და გაცამტვერება დაუპირონ... და გაიხარონ, გაიხარონ, გაიხარონ!..

ჯერ ცამოწმენდილზეც შეიძლება ვერ გადაურჩე ყოვლად უგვან ცილისწამებასაც და... მითუმეტეს, თუკი რაღაც აქვთ ხელმოსაჭიდი, თუნდ ნამცეცი ან ნამცეცის ნამცეციც...

აქ კი მეტი ხელმოსაჭიდი რაღა უნდოდათ — არ ყოფილა აკაკი წერეთლისა და ტასო ბაგრატიონ-მაჩაბლის ურთიერთობა მთლად ორდინარული და მეგობრობის საზღვრებით შემოფარგლული.

პლატონურ სიყვარულს ოდნავადაც არ გასცილებია?

ამას დაიჯერებდნენ სწორედ, ვისაც დაჯერება არ ენებათ.

ვინც საჭოროდ მომართულიყვნენ.

ვისთვისაც დიდებული სახელის ლაფში ამოსვრა სრული ნეტარება გახლდათ.

და აგერ სულაც...

თამარ ახვლედიანიც ამაოდ შეეცდებოდა ახსნას ამ იდუმალებითმოცული ამბისა, მკითხველს იმითღა რომ ანუგეშებდა:

ტასოსადმი აკაკის სიყვარულის შედეგად დარჩა უმშვენიერესი სატრფიალო ლირიკა, ნამდვილი შედევრები და... იქნებ XIX საუკუნის ერთ-ერთი გაუხსნელი დეტექტივიო.

და ამ კონტექსტში ხელახლა დაატრიალებდა ვალერიან გაფრინდაშვილის იმ შთაბეჭდილებას, ამ ამბავს დონ ჟუანის მოდელს რომ მოარგებდა, უშუალოდ კი კომანდორის ძეგლის გაცოცხლების ვერსიას, და ორეულებს ასე დააწყვილებდა:

აკაკი დონ ჟუანი გახლდათ,

ტასო მაჩაბელი — ანა,

ივანე მაჩაბელი კი — კომანდორი.

და მკვლევარი თავის მხრივ დასძენდა:

ეს ამ ამბავის მართლა ღრმა წაკითხვაა, აკაკი თავისი გრძნობის უსაზღვრობით, პიროვნულობით, სიყვარულის წყურვილით მართლაც დონ ჟუანია. ივანე მაჩაბელს კი ნამდვილად გაუჭირდებოდა მისი პატიებაო.

როდესაც ლორდ ბაირონი დონ ჟუანის მღელვარე თავგადასავალს თავისი პოემის შთაგონებად აქცევდა, მოარულ სიუჟეტურ ქარგას საკუთარ ბიოგრაფიას ჩაუფენდა და „დონ ჟუანს“ ლამის ავტობიოგრაფიულ რომანად წარმოგვიდგენდა.

და... ნეტა როგორ მოიქცეოდა აკაკი, მასაც რომ მოენდომებინა დონ ჟუანის ლეგენდარული ამბის ახალი ლიტერატურული ვერსიის შექმნა? ნეტა ისიც ავტობიოგრაფიულ თხზუ-

ლებას დაამსგავსებდა? კარგი კი იქნებოდა, შესანიშნავი და უშესანიშნავესი — რამდენი ფარული რეალია თუ იდუმალი ხლართი გაცხადდებოდა ჩვენთვის მისი სწორად წაკითხვისას, გამჭვირვალე ქვეტექსტებისა თუ ქვეცნობიერის ამოვარდნების ამოცნობისას!..

თამარ ახვლედიანი დიდხანს რომ უტრიალებდა საიდუმლოების კარიბჭეს, რამდენიმე შესაძლო ვერსიას მოსინჯავდა ამ არაორდინარული ურთიერთობისა, სამთა შორის რომ სუფევდა.

ესაო და:

ივანე მაჩაბელს არ შეუმჩნევია, მისი ცოლი აკაკის რომ უყვარდა, ან სავსებით მისაღებად მიიჩნევდა მის იდეალურ მიჯნურობას. საზოგადო საქმეში არ გაუმართლა, ან ავად იყო, დიდი ვალებიც დაერთო, საერთო კრიზისი გაუმწვავდა და... წავიდა, გადაიკარგა, ან თავი მოიკლა. ქვრივი ტასო კვლავინდებურად უყვარს აკაკის, იგი კი ქმრის ერთგულია. აკაკისთან, როგორც ახლო მეგობართან, ჩვეულებრივზე უფრო ეგზალტირებული ურთიერთობა აკავშირებს. აკაკი ქმნის შედევრებს, მაგრამ მათი ურთიერთობა იდეალურ მიჯნურობას არა სცდებაო.

და დასძენდა, რომ: ამ ვერსიის რეალურობას ირწმუნებოდნენ აკაკიც და ტასოცო.

ესაო და:

ივანე მაჩაბელს მოეჩვენა, რომ აკაკის მისი ცოლი უყვარდა და ტასოც უთანაგრძნობდა. ეს დაემატა მის მარცხს საზოგადო საქმეში და გადაიკარგა. ვანოს აკაკის — როგორც დიდი პიროვნების — მიმართ მცირედი უღირსობის განცდაც აქვს, ცოლის წინაშე კი დანაშაულის შეგრძნება, რომ ვერ გააბედნიერა. ისინი კარგები ეჩვენება და არა სურს ეკალივით ჩაეჩხიროს მათ სიყვარულს და... გულისმომწყვლელი სევდით მიდისო.

მკვლევარს წამოაგონდებოდა ნიკოლაი ჩერნიშევსკის რომანი „რა ვაკეთოთ?“ — რომლის სიტუაციაც ქართულ ყოფით რეალობაში განმეორდებოდა. და კიდევ ის, რომ რაღაც მსგავსს აღწერდა თვითონ აკაკიც პიესაში „სიყვარული“.

ან შესაძლოა მოღალატე მეგობარსა და მოღალატე ცოლს ტოვებდა სიყვარულისა და მეგობრობის ამაოებაში დარწმუნებული, გულგატეხილი მაჩაბელი.

ტასო გრძნობს, რომ ვანოს გადაკარგვაში რაღაც ბრალი ედებათ მასაც და აკაკისაც. აქვს დანაშაულის მოურჩენელი ტკივილი. ნუთუ ასეთი ცოდვა ჩაიდინა, აკაკი უახლოეს ადამიანად რომ ეგულებოდა და მასთან ურთიერთობით ტკბებოდა. ქმრისათვის ხომ არაფერი დაეკლო — ერთგული და გამტანი ცოლი გახლდათ. განა რაში შეცდა? მაგრამ აკაკისთან მეგობრობას მაინც არ გაწყვეტდა, არ უნდოდა ეს შერჩენილი ერთადერთი ძვირფასი ადამიანი დაეკარგაო.

აკაკი მეტს ცდილობს ტასოსთან ურთიერთობისას, მაგრამ ქალი ახერხებს გააგებინოს, რომ ქმრის ხსოვნას არასოდეს უღალატებს. გულში მაინც ეამაყება, რომ ასეთ დიდ პოეტს სწორედ იგი უყვარს. მაგრამ ქმრის მიმართ დანაშაულის გაურკვეველი და მტანჯველი გრძნობა და აკაკის სიყვარულით ტკბობა არეულია ერთმანეთშიო.

ესაო და:

აკაკისა და ტასოს შორის იყო სიყვარულის მსგავსი რაღაც, მაგრამ ვანოს დაკარგვის მერე ტასოს დანაშაულის შეგრძნება გაუჩნდა თავისი გატაცების გამო და აკაკისთან ურთიერთობისას თავი ცოტა შორს დაიჭირაო.

და მკვლევარს ამჯერად წამოაგონდებოდა სტენდალის „პარმის სავანე“ — კლელია კონტი ფიცს რომ დასდებდა: ფაბრიციო დელ დონგოს მხოლოდ ღამით შევხვდებიო, — ტასომაც რაღაც ამის მსგავსი აღთქმა დასდო და ამიტომაც გაურბოდა აკაკის. და იქნებ ამასაც გამოეწვია 1898-1900 წლებში ტასოსადმი მიძღვნილ სატრფიალო ლექსებში სიცარიელეო.

ესაო და:

ტასო აკაკის საყვარელი იყო. ეს გაიგო ქმარმა და თავი მოიკლა. ტასომ და აკაკიმ გააგრძელეს ცოდვიანი ურთიერთობა. ტასოს მობეზრდა აკაკი და ზოგჯერ სხვებისკენაც გაურბოდა თვალი. თანამედროვეთა მოგონებანი ამ წაკითხვის შესაძლებლობასაც იძლევა. სხვათა შორის აკაკი ხშირად ჩივის, რომ ტასო მას აეჭვიანებს და მის თავს ახალგაზრდები ურჩევნიაო.

ესაო და:

აქ ამოტივტივდებოდა სწორედ ის უგვანი ჭორი, თითქოს აკაკისა და ტასოს მოეკლათ ივანე მაჩაბელი თავში შანდლის ჩარტყმით... და შემდგომ ერთმანეთში რომ ჰპოვებდნენ თავშესაფარს, ითამაშებდნენ უდანაშაულოთა როლს. და აკაკი არამარტო თანამედროვეებს, შთამომავლობასაც მოატყუებდა და ისეთ დოკუმენტებს დატოვებდა, რათა არავის არაფერი შეეტყო მისი ამ უმძიმესი ცოდვის შესახებ.

შიშის გამოა, რომ იგონებს მისი და ტასოს სიყვარულის პოეტურ ისტორიას — პოეზიაში ტასოს წმინდა სახეს ჰქმნის და ხელოვნებას მსახურად უყენებს ტასოს, მაგრამ სიკვდილის წინ ღვთის შიშით აღსარებას ამბობს, ან ტოვებს წერილს, რომელიც 10 წლის შემდეგ — იქნებ ტასოს სიკვდილის მერე უნდა გახსნან, რათა მას სიცოცხლეში სასჯელი არ დაადონ. აღსარების მსმენელები მალავენ მისი უკანასკნელი წუთების შესახებ სიმართლეს, რათა აკაკი წერეთლის წმინდა სახე შეუნარჩუნონ ერსო.

ანდა აკაკის არც არაფერი გაუმხელია — არა საკუთარი თავის გამო შიშის, არამედ უფრო იმიტომ, რომ დასაცველი და გადასარჩენია მისი თანამონაწილე ტასოო.

და მკვლევარისათვის კიდეც ამოიწურებოდა ყველა შესაძლო ვერსია — პოეტურიდან და ამაღლებულიდან დაწყებული და ყველაზე დაცემულითა და დანაშაულებრივით დამთავრებული.

აქ უნდა გვეძებნა საიდუმლოების კარიბჭის გასაღები, ამ მრავალფეროვან ჩამონათვალში.

ერთ-ერთზე უნდა შეგვეჩერებინა არჩევანი — გუმანით ან რაიმე ნამცეცის გამოჩხრეკით, მანამდე შეუმჩნეველის, არადა უზომოდ მნიშვნელოვანის.

ვერ გაცდებოდა და ვერა აკაკის სახელსა და სახებას ივანე მაჩაბლის უცნაური ხვედრი, აუხსნელი და მიუკვლეველი.

ანკი როგორ შეიძლება გაცდენოდა — არსებობდა აკაკის ლექსები, ბარათები, თანამედროვეთა მოგონებანიც არსებობდა: ტასო მაჩაბლისადმი პლატონური თუ... არაპლატონური სიყვარულის დამადასტურებელი...

შემოისალტებოდა, შემოიგრაგნებოდა ეს გამაოგნებელი ამბავი მარტოდენ აკაკით.

ესეც ის ჩაკეტილი საზღვარი, რომელიც არც მის მიღმა გიშვებდა და არც რაიმე დამაჯერებელს გამცნობდა, და გამყოფებდა ასე მოჯადოებულ წრეში.

ესეც ის დეტექტივი, რომლის გახსნის გასაღებიც მიკარგულიყო და საიდუმლო საიდუმლოდ რჩებოდა.

და... აღარცსად ოგიუსტ დიუპენი.

აღარცსად შერლოკ ჰოლმსი.

აღარცსად ერკიულ პუარო.

მაგრამ ადრე თუ გვიან უნდა გარღვეულიყო ეს მოჯადოებული წრეც, მის მიღმა უნდა გადაგვეხედა, თუკი სიმართლის გამორკვევა გვსურდა და არა ჩაკეტილ სივრცეში დაუსრულებელი და ამაო ტრიალი, გაურკვევლობაში ბორიალი.

გარღვეულიყო და...

აკაკი კვლავაც მოექცეოდა მის შუაგულში, მაგრამ უკვე აღარ მთავარ მონაწილედ, გვერდით უფრო რომ გადაინაცვლებდა და მხოლოდღა გაერეოდა ამ ტრაგიკულ შემთხვევაში — უკვე მომხდარში, მოთავებულში.

ის ან ასევეც უნდა გაცხადებულიყო — შიშველ, შეუფერადებელ სიმართლედ, რაც უნდა მტკივნეული და დამთრგუნველი ყოფილიყო ეს განცხადება სიმართლისა.

ანდა შემობურვილიყო და ლეგენდური იერით აღბეჭდილიყო.

რაკიღა აკაკი უნდა გაკარებოდა, მაშ კიდეც შემოიბურებოდა და ლეგენდურობითაც გაჟიმსჭვალებოდა.

რაღა მკვდარი და რაღა შინმოუსვლელიო...

ნეტა მეც გადავკარგულიყავ ივანე მაჩაბელივით — მკვდარიც და ცოცხალიც უგზოუკვლოდო...

მართლა სხვებივით გაოგნებულიყო აკაკი წერეთელი მეგობრის გაუჩინარებით თუ?.. თუ?.. თუ?..

მაინც რა აუხსნელი და გონებამიუწვდომელია გზანი უფლისანი!..

* * *

დილასისხამზე მაჩაბლების მსახური ბიჭი უნდა დადგომოდა თავზე და გაეღვიძებინა სასტუმროს ნომერში მყოფი.

რა ხდებოდა მაინც ამისთანა?

რას აღარ წარმოიდგენ ასეთ წუთს კაცი.

მაგრამ ყველაფერი რომ ეფიქრა, ყველაზე კოშმარული სიზმარიც აღედგინა გონებაში და წარმოესახვაც მიეშველებინა, მაინც გაუძნელდებოდა იმ უკიდურესობამდე მიწვდენა, რეალობა რასაც შემოსთავაზებდა — ასეთი სასტიკი და დაუნდობელი.

და იდგა მაჩაბლების სასტუმრო ოთახში წამუსწრაფესად იქ მივარდნილი და... გონს ვერა და ვერ მოსულიყო.

იატაკზე ვანო ეგდო, თავგაჩეხილი და სისხლის გუბეში, სიცოცხლის ნიშანწყალი რომ აღარ ეტყობოდა.

აქეთ — აქვითინებული ტასო, სულაც ისტერიკაში ჩავარდნილი.

და აკაკის მისი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზებითა და თავისი გუმანითა და ფანტაზიით უნდა აღედგინა მომხდარი.

თუ რატომ დასცემოდა ვანოს თავზე უთო და კიდეც გადაეყოლებინა.

არადა თითქოსდა ყველაფერი ჩვეული უშფოთველობით უნდა მოთავებულიყო.

ტასო კიდევ ერთხელ გააუთოვებდა მუნდირს, და ის ოფიცერი, რომელიც წელზემოთ შიშველი იჯდა სკამზე, გადაიცვამდა, გამოინკიპებოდა, გამოთხოვების ნიშნად ერთს კიდევ აკოცებდა დიასახლისს და... ისე გაძვრებოდა დილაბნელზე სახლიდან, თვალსაც ვერავინ მოჰკრავდა.

მაგრამ ერთხელაც თურმე უნდა დარღვეოდა ეს იდილია, საბედისწეროდ რომ გადაექცეოდა ოჯახის უფროსს.

ვანო თავის ოთახში გამოკეტილიყო, ფეხზე წამოდგომაც რომ უძნელდებოდა, უძალიანდებოდა სნეულებას, მაგრამ სნეულებაც არ ეშვებოდა და არა, და ეს ძლივძლიობით აითრევდა ხოლმე წელს, ის კვლავ ჭანგებს რომ ჩაასობდა მთელ სხეულში და კვლავ ქვეშაგების ბინადრად აქცევდა.

იყო ქვეყანაზე და აღარც იყო.

ყოველ შემთხვევაში — ტასოსათვის უკვე აღარ. და კიდეც უნდა გაჩენილიყო მის ცხოვრებაში ის ოფიცერი, რომელთან ცოდვიანი ურთიერთობაც ისე აეწყობოდა, ვანო ბაიბურშიც არ იქნებოდა — რას წარმოიდგენდა, ალღოც ვერას უკარნახებდა, ისე ენდობოდა და აღიარებდა ცოლს სიწმინდისა და ერთგულების ნიმუშად.

აიდეალებდა და ეგაა.

და ეს იდეალი უნდა დამსხვრეოდა ერთბაშად, სიწმინდისა და ერთგულების სიმბოლო უნდა შებღალულიყო უეცრად, როდესაც თავისი ოთახიდან ჩოჩიალ-ჩოჩიალით გამოსული იმ სურათს იხილავდა — თავზარდამცემს, დაუჯერებელს... და მაინც, მაინც დასაჯერებელს, რადგანაც ბევრიც რომ ეფშვნიტა თვალები და ბევრიც ეჯანჯღარებინა თავი, ეს სურათი არ გაქრებოდა. ანკი რა გააქრობდა...

მუნდირის გაუთოებაში გართული ტასო... ტასო... თვით ტასო...

და წელზემოთ შიშველი ვიღაც ჯეელი, გაფართოებული თვალებით რომ შემოხედავდა და უნებურად ფეხზე წამოიჭრებოდა.

საიდან დაიძვროდა ძალა ივანე მაჩაბლის არსებაში, თვითონაც რომ ვერას გაიგებდა, მაგრამ დაიძვროდა კი, ერთბაშად რომ აღივსებოდა მისით და უთოს მიწვდებოდა, მიწვდებოდა და ხელიდან წაგლეჯდა ცოლს, ნამსხვრევებადქცეულ იდეალს, წააგლეჯდა და შემართავდა, შემართავდა და... აღარ დასცალდებოდა კიდეც დაერტყა ოჯახის შემარცხვენელისათვის, ის ელვისსისწრაფით წაწვდებოდა მაჯაში უთოს წასართმევად და... ჯაჯგურაობა უკვე ველარ გაიმართებოდა, ის ერთბაშად დაძრული ძალ-ღონე კიდეც მაშინვე რომ ამოეწურებოდა მაჩაბელს და მაჯაზე მოჭერილი თითები აღარ დაანებებდა განზრახვის აღსრულებას... არამცთუ განზრახვის აღსრულებას, სულაც ხელიდან გაუვარდებოდა უთო, თავზემოთ შემართული, გაუვარდებოდა და... კიდეც დაეცემოდა თავზე...

ეს ყოველივე წამებში მოხდებოდა.

ის ოფიცერი აღარც დაყოვნდებოდა, სასწრაფოდ გადაიცვამდა ნახევრად გაუთოებულ მუნდირს და დილაბნელში გაქრებოდა.

და შეატოვებდა ტასოს სისხლში ამოსვრილ ცხედარს... იატაკამდე სულიც აღარ დაჰყოლოდა ივანე მაჩაბელს.

და ახლა კი დაჰყურებდა ნეშტადქცეულს აკაკი ადუღებული გულით, რა ეღონა, რომ აღარ იცოდა...

თუმც უპირველესად რაც გაუელვებდა გონებაში და მძაფრადაც დაუტრიალდებოდა, ოჯახის სიწმინდის გადარჩენის აზრი იქნებოდა.

ოჯახი შეუბღალავი უნდა დარჩენილიყო საზოგადოების თვალში — ივანე მაჩაბლის ოჯახს ჩირქი არ უნდა მოსცხებოდა.

და ტასო მაჩაბლის სახელს ხომ არ წაცხებოდა და არა ოდნავი მწიკვლიც.

იდეალი იდეალად უნდა შენარჩუნებულიყო.

საზარელი გულისტკივილი უნდა ჩაეხშო აკაკის, ჩაეხშო, ჩაეკირა, ოღონდაც ტასოს სახელი დარჩენილიყო შეუბღალავი.

ამისათვის კი უთუოდ და უთუმცაოდ:

გვამი უნდა გამქრალიყო უგზოუკვლოდ.

დაღუპულს მაინც აღარა ეშველებოდა რა.

და ტასოსაც ისევე უნდა ეთამაშა გაოგნებული, გაოცებული, საიდუმლოების კოშკის წინაშე მდგარი მეუღლის როლი, როგორც აკაკის — გაოგნებული, გაოცებული, საიდუმლოების კოშკის წინაშე მდგარი მეგობრისა.

საბურველში უნდა გახვეულიყო შექსპირის მთარგმნელისა და მართლაც რომ შექსპირული, ტრაგიკული სიკვდილით აღსრულებულის სიცოცხლის ნაადრევი მიმწუხრი.

თითქოსდა მოჩვენებითი გახლდათ ვანოს სნეულება და უცხოეთში გასამგზავრებლად და გადასაკარგავად ემზადებოდა ამდენი ხანი, რაკიღა საზოგადო ასპარეზიდან გაერიყათ და მწარე მარცხი ეწვნევინებინათ?

შესაძლო იქნებოდა ასეთი ვერსიაც, რატომაც არა.

მაგრამ კიდევ უფრო შესაძლო იქნებოდა მტკვარში გადავარდნის ვერსია.

თავს არ მოიკლავდა ივანე მაჩაბელი, მართლმადიდებლური ქრისტიანობა მისი ცხოვრების წესი რომ გახლდათ და არამარტო რჯული?

მაგრამ თავს არ მოიკლავდა განზრახ, შეგნებულად, თუნდ სასოწარკვეთილიც ყოფილიყო, მაგრამ აგონიაში ჩავარდნილსა და საღ ჭკუას გადაცდენილს — რაღა გასაკვირია — უნებლიეთ მტკვრის ფსკერი ეპოვნა განსასვენებლად?!.

თვითონაც ვერ გაეგო, ისე.

მტკვარი ახლოს ჩაუდიოდა მის სახლს.

ხომ შეიძლება წამოდგომა მოეხერხებინა როგორმე, გარეთ გამოსვლაც, ჩაფოჟიალებაც, შემთხვევით მდინარის მოაჯირთან რომ აღმოჩნდებოდა, უნებლიეთ მიაწყდებოდა, მტკვრის დენა კიდევ უფრო რომ აუჭრელებდა მზერას, ისედაც აჭრილსა და დაბინდულს და...

ჰა — ვითომ რატომ არ შეიძლებოდა?!.

გვამი!.. გვამი!.. გვამი უნდა გამქრალიყო უგზოუკვლოდ და სასწრაფოდ.

სოსიკო მერკვილაძეს მოიხმობდა აკაკი — ყველაზე სანდოსა და ერთგულს, კრინტი რომ არ უნდა დაეძრა არავისთან, არც უნებლიეთ წამოცდენოდა რაიმე... და ზრუნვით კი იმას უნდა ეზრუნა გვამის გაქრობაზე.

ჯერ კიბის ქვეშ ჩამარხავდა.

მერე კი, მომდევნო ღამის სიბნელით ისარგებლებდა და... საკირეში დაფერფლავდა, იქვე რომ იყო ის საკირე, სახლთან, ვიდრე მტკვარს მიადგებოდი.

დაე ვისაც სურდა უცხოეთში მალულად გამგზავრების ვერსია ერწმუნა;

ვისაც სურდა — მდინარეში შთანთქმისა.

ლეგენდაში გადავიდოდა ივანე მაჩაბლის სახელი ორივე შემთხვევაში — უფრო მაინც მდინარეში შთანთქმა შებურავდა შარავანდით მის სახელსა და ხსოვნას, თუმც საიდუმლო

გამგზავრებაც, არსაიდან რომ აღარ მოაღწევდა ხმა, თავის მნიშვნელობას მოიპოვებდა და ხელს შეუწყობდა ტრაგიკულად აღსრულებული შექსპირელის სახელის გაზღაპრებასა და ამაღლებას.

თანაც:

შეუბღალავი რჩებოდა მისი ოჯახის სიწმინდე.

უმწიკვლო რჩებოდა ტასო ბაგრატიონ-მაჩაბლის სახელი.

თითქოსდა ყველაფერი მოგვარდებოდა, თუ ამას მოგვარება შეიძლება დაერქვას...

მაგრამ...

ეს „მაგრამ“ აქაც რომ უნდა ჩაჩხერილიყო, აკაკის მიერ მომზადებულ იმ მთავარ, შარავანდშემოსილ ვერსიაში — ხიდან მტკვარში უნებლიეთ, გაუაზრებლად გადავარდნისა.

აკაკი იფიქრებდა, რომ ახლომახლო კი მოჩხრეკდნენ მტკვარს, მაგრამ გვამს რომ ვერ იპოვნიდნენ, კიდეც ხელს აიღებდნენ — გაიტაცა დინებამ და სად ვეძებოთო!..

და ასეც მოხდებოდა, უგზოუკვლოდ გამქრალი ვინმე სხვა და თვით ივანე მაჩაბელი რომ არა ყოფილიყო.

გავლენითა და პოპულარობით მეორე კაცი ქვეყანაში ილია ჭავჭავაძის შემდგომ.

ბოლოსდაბოლოს ივანე მაჩაბელი კი არ არის აკაკი წერეთლის დასში, არამედ აკაკი წერეთელია ივანე მაჩაბლის დასში.

თანაც მკვეთრადაა დაპირისპირებული ხელისუფლებასთანაც.

ასე რომ, ადვილად ვერ მოეშვებოდნენ მისი ნეშტის ძებნას, გაჰყვებოდნენ, გაჰყვებოდნენ, გაჰყვებოდნენ და... კასპიის ზღვამდე მოუჩხრიკავს არ დატოვებდნენ მტკვრის კალაპოტს.

როგორ გაწვდებოდნენ?

ჩარევით ჩაერეოდნენ და მთელი ენერგიით:

ივანე მაჩაბლის მომხრენიც.

ილია ჭავჭავაძის მომხრენიც — რაკიღა ეჭვი მის მიმართაც აფუთფუთდებოდა და საკმაოდ მონდომებითა და მიზანდასახულადაც.

და მომხრენიც და მსახურნიც ხელისუფლებისა — ბრალს მათაც რომ დასდებდნენ და თავი ხომ უნდა ემართლებინათ.

თქვენითაც შეგიძლიათ ივარაუდოთ და იანგარიშოთ, თუ რამდენნი იქნებოდნენ. და რაოდენ თავგამოდებულნი, დღედაღამეს რომ გაასწორებდნენ...

და რა — ვითომ კასპიის ზღვამდე ვერ გაწვდებოდნენ?..

და... კიდეც დადგებოდა ეჭქქვეშ მდინარეში შთანთქმის ვერსია, უკვე ისეთიე მყიფე რომ აღმოჩნდებოდა, როგორც უცხოეთში საიდუმლოდ გამგზავრებისა.

და... რაკიღა აკაკი მონდომებით უბერავდა სულს მტკვარში გაუჩინარების ვერსიას — მანამდეც, ვიდრე კასპიის ზღვამდე ჩააღწევდნენ ძებნელნი, და მერეც, რაკიღა უკანდასახევი გზა აღარ ჰქონდა და იმ ხავსს ებღაუჭებოდა მტკიცებისათვის: ეგებ ისე გაიჩხირა სადმე, ისე ჩაეფლო ფსკერზე, რომ მიკვლევა ყოვლად შეუძლებელი აღმოჩნდაო... დიახ, რაკიღა მონდომებით აკაკი უბერავდა სულს, ეჭვი მისკენაც მწვავედ შეტრიალდებოდა — ყველას მოეხსენებოდა მისი არცთუ გულგრილი დამოკიდებულება ტასო მაჩაბლის მიმართ, აკაკის მხურვალე მტკიცებით: პლატონური და რომანტიკული, მაგრამ... ბოლომდე დაიჯერებოდა კი მისი?.. იქნებ გადაცდენოდა და შორსაც გადაცდენოდა პლატონურისა და რომანტიკულის საზღვრებს...

იფუთფუთებდა ეს ეჭვი, ივლიდა, ივლიდა და... აგერ ჩვენს დრომდეც მოაღწევდა, და მოაღწევდა ისე, რომ კაციშვილი აღარ იფიქრებდა, ვინმე სხვა ადამიანიც თუ შეიძლება ყოფილიყო გარეული ამ უცნაურ მოვლენაში, ივანე მაჩაბლის უგზოუკვლო გაქრობით რომ შევიდოდა როგორც ჩვენი ლიტერატურისა და კულტურის, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ისტორიაში.

გაილანძღებოდა აკაკი წერეთელიც.

გაილანძღებოდა ილია ჭავჭავაძეც.

გაილანძღებოდა მთელი ინტელიგენციაც — ასეთი სახელოვანი და მოღვაწე კაცი შუაგულ ქალაქში ასე როგორ დაგეკარგათ, კვალიც ვერ მოგიძებნიათ და გუმანიც ვერ მიგიტანიათო.

მარტოდენ ახლომახლო რომ ეძებნათ მტკვარში და ხელი მალევე ჩაექნიათ, ცხადია ადვილად ირწმუნებდნენ მდინარეში გაუჩინარების რეალურობასაც და ლეგენდურობასაც.

ხოლო ახლა...

არადა როგორ გინდოდა ძებნის მასშტაბები გაგეთვალა.

აკაკის ყველაზე ძალიან რაც აღელვებდა, ის თითქოსდა გადარჩებოდა:

ტასო მაჩაბლისა და უცნობად დარჩენილი ოფიცრის ფარული ურთიერთობა არ შემოვიდოდა საზოგადოებრივ ცნობიერებაში, მაგრამ... იმ ოფიცრის ცოდვა აკაკის რომ აეკიდებოდა, ველარც ტასო დარჩებოდა უმწიკვლოდ.

თავისი თავი არ ენაღვლებოდა აკაკის.

ენაღვლებოდა კი არა, ულმობლადაც კი გაუსწორდებოდა, როდესაც საფარ-ბეგად გაიაზრებდა პოემაში „გამზრდელი“, რომლის მოქმედებასაც წარსულსა და აფხაზეთის მთებში გადაიტანდა, მაგრამ სიუჟეტურ ქარგაში ჩაუფენდა ერთი თვის წინანდელ ტრაგედიას.

კი მაგრამ... ამ პოემის გამომცემელი მიტროფანე ლაღიძე რომ ირწმუნება:

„გამზრდელის" ამბავი აკაკის უამბო ჯანსულ დადეშქელიანმა. ეს ნამდვილი ამბავიაო?

ნამდვილი შესაძლოა იყო, რა ხელს გვიშლის ამის აღიარება, ეგაა, როდესაც თავის დროზე მოისმენდა, ნაამბობი შემოქმედებითად ვერ აღანთებდა აკაკის, იქნებ კიდეც გაეფიქრა: პოემის სიუჟეტად ზედგამოჭრილიაო, — მაგრამ ფიქრი ფიქრადვე დარჩენილიყო, ვიდრე ეს ტრაგედია არ წამოეწეოდა, იმ სიუჟეტურ ქარგას ახლებური განცდებითა და ვნებებით რომ აღავსებდა, და კიდეც ისე აიყოლიებდა, თავისთავადვე რომ მიებმოდა სიტყვა სიტყვასა და სტრიქონი სტრიქონს.

ივანეს დაღუპვა მძაფრად შეაგრძნობინებდა თუნდ პლატონური და რომანტიკული სიყვარულის გაუმართლებლობას ეთიკური, ზნეობრივი იმპერატივის თვალსაწიერიდან!..

სულიერად სპეტაკად წარმოსახავდა ტასო-ნაზიბროლას.

სულიერად სპეტაკად წარმოსახავდა ივანე-ბათუს.

სამაგიეროდ მისდგებოდა და რას მისდგებოდა საფარ-ბეგს — საზარელი ცოდვის ჩამდენად რომ გამოიყვანდა და იმ სენტენციასაც მას მოარგებდა: მაგრამ მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამც არ უშველაო!..

სოსო სიგუა ფსიქოანალიზური მეთოდით შევიდოდა ამ პოემის სიღრმეებში და კიდეც გაუმართლებდა — ფროიდიზმი სხვა შემთხვევებში თუ მეტად ხელოვნურია და ხან კომიკურიც კი, ამჯერად გაჭრიდა და თვალნათლივ ამოზიდავდა ზედაპირზე აკაკი წერეთლის ქვეცნობიერში დატრიალებულ ქარიშხალს, „გამზრდელად“ რომ უნდა გადმოღვრილიყო — ისეთი განცდით აღვსილ პოეტურ ძეგლად, მოულოდნელი რომ ჩანს ამ ხნის კაცისაგან, აკაკი რომ გახლდათ იმჟამად, მაგრამ ისე აღივსებოდა პირთამდე სულიერი მშფოთვარებითა და გულისჭიდილით, თხრობის ექსპრესიად გადატანილი განცდის ეს სიმძაფრე რაღა გასაკვირია.

არადა პოემის ეს ფარული, შთამაგონებელი საწყისი რომ არ ვიცოდეთ, იოლი მოსალოდნელია აკაკის ალტერ ეგოდ არა საფარ-ბეგი, არამედ ჰაჯი-უსუბი მიგვეჩნია — ბრძენკაცი, რომელიც განთქმულია არა სიმდიდრითა და ქონებით, არამედ ჭკუითა და გონებით.

მორჩილებით უშვერდა გულმკერდს მის დამბაჩას საფარ-ბეგი?

ეს აკაკი წერეთელი უშვერდა მორჩილად გულმკერდს ღვთის სასჯელს... სხვისი ცოდვის მტვირთველი, თუმც იმ ადამიანისა, რომლისთვისაც თავს დასდებდა და... აგერ დაედო კიდეც...

თავი თუ არა, ის ხომ ენაღვლებოდა — იდეალამდე ამაღლებული სახებაა ქალისა, ტასო მაჩაბლად მოვლენილი...

აკაკი წერეთლისთვისაც იდეალი.

იდეალი ივანე მაჩაბლისთვისაც.

ისე მოხდებოდა, რომ თქვენს მონა-მორჩილს მოუწევდა ამ დეტექტივის გახსნაც და ამ იდუმალების გაფანტვაც პიესაში „26 ივნისის საიდუმლო“ იმ ყველაზე სანდო და დამაჯერებელ ვერსიაზე დაყრდნობით, შალვა დადიანისა, თედო სახოკიასა და გერონტი ქიქოძი-

საგან ვახტანგ ჭელიძესა და ოთარ ჩხეიძეს რომ გადმოწვდებოდათ, მათგან კი ჩემამდეც გამოიკვლევდა გზას.

გამოიკვლევდა და... ბოლოსდაბოლოს კიდეც შეიმოსებოდა მხატვრული სამოსით, იატაკქვეშეთიდან პირველად რომ ამოაღწევდა მზის სინათლეზე და ლიტერატურულ მიმოქცევაშიც დატრიალდებოდა.

შეავსებდა ბიოგრაფიული რომანიც ვახტანგ ჭელიძეზე: „საგა ვახტანგური".

შეავსებდა ბიოგრაფიული რომანიც თედო სახოკიაზე: „მოციქული".

და თავის ადგილას დადგებოდა ყველაფერი, რაოდენ მტკივნეული და გულსაკლავიც უნდა იყოს.

საეჭვო აქ უკვე აღარაფერი რჩება.

და ასე უნდა გაცხადებულიყო ის, რაც თავის დროზევე ვარაუდით ევარაუდა ილია ჭავჭავაძეს:

მიზეზი ივანე მაჩაბლის უგზოუკვლო გაუჩინარებისა ანუ სინამდვილეში — დაღუპვისა: ოჯახური დრამააო.

გაზეთის ფურცლებიდან მოერიდებოდა ამის თქმას?

თავს გადასდებდა ცილისწამებისა და ლანძღვა-გინების შუაგულში მოსახვედრად და არაფრისდიდებით არ განაცხადებდა ხმამაღლა იმასა, რასაც უახლოეს ადამიანებთან გაამხელდა?

ძნელი მისახვედრი არაა და დიდი რამ ვარაუდიც არ ესაჭიროება, თუ რატომ შეიკავებდა თავს.

ერთი, ერთადერთი მოტივია შესაძლებელი:

აკაკი წერეთელს გაუწია ანგარიში, მის პირად თხოვნას, რომ ივანე მაჩაბლის ოჯახობა არ ეხსენებინა, ტასო მაჩაბლისაკენ არ მიეტრიალებინა საზოგადოების მზერა.

საამისოდ არავითარი დოკუმენტი არ მოგვეპოვება, მათი ეს შეხვედრა არსად არეკლილა — მინიშნებითა და ქარაგმულადაც კი, მაგრამ რაკიღა შეეძლო ილიას ლანძღვა და ცილისწამება აერიდებინა იმ მოსაზრების საქვეყნოდ გაცხადებით, თუნდ ტრიფონ ჯაფარიძეს რომ გაუმჟღავნებდა, და მორიდებით მოერიდებოდა ტასოს სახელის შებღალვას, მხოლოდ და მხოლოდ აკაკის გულისათვის გაიმეტებდა ასე თავს, არსებითად — თავს გაწირავდა.

„26 ივნისის საიდუმლოს" გამოქვეყნების შემდგომ უნდა მიეკეცლია ციცინო მუშლაძეს ტრიფონ ჯაფარიძის მემუარებში ამ პასაჟისათვის და დაედასტურებინა პიესის იმ სცენის შესაძლებლობა, ალღოთი მიკვლეული სიმართლე, ილიასა და აკაკის დიალოგს რომ უნდა გაეცხადებინა.

სწორედაც რომ უნდა დაედასტურებინა პიესის სიმართლეს ყოფითი სიმართლე.

აკაკი წერეთელი ტასო მაჩაბელს გადაეფარებოდა.

ილია ჭავჭავაძე ორივეს უნდა გადაფარებოდა — ტასოსაც და აკაკისაც.

და თავისი ხელითაც დაებეჭდა მდინარეში შთანთქმის აწ უკვე მყიფე, და მაინც შარავანდმოსილი ლეგენდა.

როგორ უნდა ყოფილიყო გულდაწყვეტილი, როგორ უნდა ყოფილიყო ლამის სასოწარკვეთილებამდე მისული, ტასო მაჩაბელთან 12 მაისს გაგზავნილ ბარათში ეს სიტყვები რომ დაცდენოდა, მწარეც და გამაოგნებელიც ერთსა და იმავე დროს, თითქოსდა ძნელად დასაჯერებელი, მაგრამ ყოფითი რეალობის სიმკაცრესა და გაუტანლობას სად წაუხვიდოდი, თუნდ აკაკი წერეთელიც ყოფილიყავი:

— წერით, რასაკვირველია, რომ მეც ბევრსა ვსწერ, მაგრამ რა გამოსადეგია? მხოლოდ თავს ვიტყუებ და ვიქცევ. დასაბეჭდი ადგილი არსადა მაქვს და რომ დაიბეჭდება, მაშინაც წამკითხველი ცოტაა.

აჭარბებს და ძალიანაც აჭარბებს?

უმნიშვნელო წვრილმანს უმოქმედია ასე მძაფრად მის წამიერ განწყობილებაზე და... ეგაა და ეგ?!.

როგორ: აკაკის ნაწერებია „რა გამოსადეგი“?

როგორ: წერით მხოლოდ თავს იტყუებს და იქცევს?

როგორ: დასაბეჭდი ადგილი არსად მოეპოვება?

და თუ მაინც მოუხერხდა გამოქვეყნება, ესეც რა ბედენაა: დაბეჭდილსაც ცოტა თუ კითხულობს?

გრძნობს, გაუძნელდებათ დაჯერება და ტასოც მის წამიერ გუნებაცვალებადობას მიაწერს ამგვარ განწყობილებას, და ამიტომაც თვალსაჩინოება ყველაფერს სჯობს. აქ გამოჩნდება, მართლაც რაღაც წარმოუდგენელ ყოფაში ჩავარდნილა თუ აზვიადებს რაღაცას, ბოლოსდაბოლოს შესაძლოა აკაკურადაც ხუმრობს და ხალისობს და მხოლოდ გარეშე ადამიანს თუ ეგონება ეს შემოღიმილება სიმართლე.

ესეც ის მაგალითი, ამ ყველაფერში რომ უნდა გაგვარკვიოს:

მოენდომებინა „ჩემი თავგადასავლის“ დაბეჭდვა და რადგანაც თვითონ საშუალება არ გააჩნდა თავისი ფულით გამოექვეყნებინა, გამოაცხადებდა:

ვისაც სურს შეძენა, ხელი მოაწეროს და ერთი მანეთიც წარმოადგინოსო.

ეიმედებოდა, რომ ამგვარად შეგროვდებოდა რამე და გაუსტუმრებდა ქაღალდისა და სტამბის ხარჯს.

წარმოიდგინეო, — კიდევ მაინც უკვირდა.

შეგროვილი თანხა ქარვასლებს რომ ვერ დაუდგამდა და სულსაც ვერ მოათქმევინებდა, ამაში კი წინდაწინვე დარწმუნებულიყო, მაგრამ ქაღალდისა და სტამბის ხარჯი ხომ მაინც შეიძლება გაესტუმრებინა?!.

გადაიკეცებოდა დღეები, ჩაივლიდა კვირები, თვესაც თვე მიჰყვებოდა და...

უკვე ამდენი ხანი გამოხდებოდა, შვიდი თვეც მიეფარებოდა თვალს და...

მთელ საქართველოში მხოლოდ... 38 ხელისმომწერი და მსურველი გამოჩნდებოდა, მეტი არა.

ავტობიოგრაფიული რომანის პირველი ნაწილი უკვე გამოქვეყნებულია ჟურნალის ფურცლებზე, მემუარული ლიტერატურის შედევრის, მომდევნო ნაწილები არანაკლები ძალისა რომ უნდა ყოფილიყო და კიდევ უფრო შთამბეჭდავიც, რადგანაც თანამედროვეთა პორტრეტებიც ჩამომწკრივდებოდა, ლიტერატურული, თეატრალური, საზოგადოებრივი ცხოვრების კულუარები გადმოიშლებოდა და ეს ყოველივე — მთელი სისავსითა და სიხალისით აღბეჭდილი, გარდა უამრავი კულუარული ამბის გამოტანისა სამზეოზე, ავტორის გონებამახვილობაც უხვად რომ შემოეფრქვეოდა მკითხველს და წამითაც არ მოაწყენდა.

და... მთელს საქართველოში ამის მნიშვნელობა ესმის მხოლოდ... 38 ადამიანს, მეტს არა.

და გუნებაწამხდარს ამგვარი სინამდვილის კიდევ ერთხელ გასიგრძეგანებით როგორ არ აღმოხდომოდა ის მწვავე განცდა, აქამდეც არაერთხელ რომ დაეჩივლა, მაგრამ ამ ჩივილს გულგრილად გადაატარებდნენ ხოლმე:

— ამის შემდეგ მოდი და ნუ იტყვი, რომ ჩვენი ხალხი მხოლოდ პატივს სცემს უფლებასა და ქონებას, თორემ ზნეობრივი იმას ყოლიფერი სამასხარო ჰგონია და მათი ღარიბი მოღვაწეების სიკვდილის შემდეგი ქება-დიდება და გვირგვინები მხოლოდ თავშესაქცევარი და საკუდაბზიკო მაიმუნობაა!..

მის თავზე ასე გახლდათ სწორედ და...

ამას მოსდევდა კიდევ უფრო მძაფრი სიტყვები, მტკიცედ რომ აცხადებდა: ამას წამიერი გულისწყრომა კი არა, სარწმუნო შეგნება მალაპარაკებსო.

რა სიტყვებია მაინც ამისთანა და:

— მიტომაც არ მინდა, რომ მკვდარი მათ ჩავუვარდე ხელში. ამ მხრივ, მეც მონატრული ვარ იმ ჩემი მეგობრის ხვედრს, რომელიც მათი წყალობით დაიღუპა.

ჩემი მეგობრის ხვედრსო...

ივანე მაჩაბლის უგზოუკვლოდ გაქრობას იგულისხმებდა და... შენატრებდა: ეჰ, მაგის ბედი მე ვინ მომცაო!..

ამის შემდეგ ტასო კიდევ ეკითხებოდა:

— ახალი რა დაწერე?

ეჰ, აბა რა უნდა დაეწერა გულით ამგვარი სინამდვილის შემყურეს!..

თუ მოესწრებოდა ბანკიდან ფულის გამოტანას, უნდა აქედან გადაკარგულიყო სამარადისოდ, და მაშინ შეიძლება კიდევ დაეწერა რაიმე, რადგან მასალა დამწიფებული ბევრი გახლდათ მის თავსა და გულში.

მონატრული ვარ იმ ჩემი მეგობრის ხვედრსო...

მწვავე სულიერ განცდებში გახლართულა — ტასოსთან მიმოწერას უკიდურესი მღელვარებით რომ აღუვსია და აქეთ-იქით აწყდება... გაუკუღმართებული ცხოვრება ჯოჯოხეთად ეჩვენება, მტანჯავად, თუმც თავს ირწმუნებს: გონიერებამ უნდა მოთმინებით აიტანოს და შორს აღარ წაართმევინოს თავი ფიქრებსო, — ოღონდ ესეცაა — ამას ვინ შეიძლებდა თუ აიტანდა, თუ არა მეგობრის თანაზიარობითა და თანაგრძნობით გამხნეებული კაცი, მისთანა მეგობრის, რომელთანაც საიდუმლო ციური კავშირით საორქვეყნოდ სულითა და გულით შესისხლხორცებოდი, და აკაკი კი...

აკაკი ყოველთვის საითაც გაქცეულიყო, იქით ნაქცეულიყო!..

უკეთეს გზას ვერც ამჯერად ჭვრეტდა ვერსაით და... მისი დაუკმაყოფილებელი სიცოცხლე განთიადსაც კი სიკვდილს შენატროდა!..

განცდები პირთამდე მოაწვებოდა გულს ყელში მოუბჯენდა, სუნთქვას შეუკრავდა და... რომ ვეღარ გაუძლებდა, ერთბაშად შეაჩერებდა კალამს: ეჰ, კმარა... მეტს აღარ ვიტყვიო...

ხვალ მიდიოდა ისევ საჩხერეს და ისურვებდა, რომ ვინმეს დაევალებინა ტასოსათვის კიდევ, რომ ის იძულებული შექმნილიყო ბარათი მოეწერა.

ახლაღა ჩაუკვირდებოდა, რომ:

როგორც მაისის ვარდი სხვადასხვა ყვავილს შორის, ასე მაისის ოცნებაც განსხვავებული ყოფილიყო:

მაისის დამდეგი საჩხერეში გაეტარებინა და იქ მთვარიან ღამეებში მარტოდმარტო, სარკმლის წინ ოცნებით გარინდებული ითვალისწინებდა თავის სალოცავს, „ცივად-შუქმფინარ“ იდეალს და თან ყურს უგდებდა ბულბულთა საბონაჩიჩო ტკბილხმოვანებას.

იტალიელი ტენორის ბონაჩიჩის გვარს ასე დაატრიალებდა და ნეოლოგიზმივით გამოჩარხავდა, იმ მომღერლისა, რომელთანაც დაახლოებულიყო და კიდევ ელოდა მის სტუმრობას საჩხერეში 1903 წელს, იმას ოთხი წლის შემდეგ რომ მოუწევდა ტფილისში ჩამოსვლა საგასტროლოდ.

ბულბულთა საბონაჩიჩო ტკბილხმოვანებაო...

ყმაწვილკაცი ხომ აღარ არის?

მაგრამ ეტყობა სწორედაც ყმაწვილკაცია — სარკმელთან ოცნებით გარინდებული და მთვარეს მიჩერებული, ამით მაინც რომ გაიქარვოს ყოველდღიური უსიამოვნებანი... მაგრამ ხანგრძლივად არც ეს ნეტარება შერჩებოდა: გადასცემდნენ, რომ ქუთაისში საადგილმამულო ბანკის კრებები დაიწყებოდა და „ცივად-მოკაშკაშესაც“ იქ შეხვდებოდა.

ჩამოვიდოდა და... რა დაუხვდებოდა:

„ცივად-მოკაშკაშის“ ნაცვლად ცხლად მოლაპლაპე ამინდები და ბულბულთა წილ ქვემძრომებივით მოყიყინ-მოსისინე გველ-ბაყაყები!.. ნახავდა და ელდა ეცემოდა...

მაგრამ ეტყობა მთლადაც არ განწირულიყო ბედისაგან:

მიიღებდა ბარათს, რომელიც მისწრება იყო მისთვის და ამიტომაც ეთაყვან-ეამბორებოდა იმ ადგილს, სადაც „ხოლოდნობლესჩუჩია“ ამოჩნდებოდა.

ის, ბარათი მართლა განზრახ-გაციებული გრძნობითა და ან უნებურად-გაფიცხებული გონებით იქნებოდა სავსე.

რაო, ის ადგილი როგორ გამოიყურებოდა?

— გული მიწუხს, აქ, ამ კრებებში, რომ „მას“ ვეღარ ვხედავ და მისი სახელი აღარ ისმის, რასაც ჩვეული ვიყავი.

და ეს სიტყვები თითქოს აკაკის საგულისხმოდ ყოფილიყოს გაკერით ნათქვამი.

ამას წინათ ძველ ქაღალდებს რომ ჩხრეკდა, იმ სიტყვას წააწყდებოდა, ივანე მაჩაბლისა და ტასო ბაგრატიონის ქორწილში რომ წარმოეთქვა. გადაიკითხავდა და... გული დაწყდებოდა!..

— ეჰ, მეც უფრო ბედნიერი ვიყავი მაშინ და თქვენც!..

პატიებას სთხოვდა, რომ ამგვარი წერილით შეენუხებინა, მაგრამ გულს მოეთხოვა მისი გამომყღავნება, რაც საფლავში საიდუმლოდ ჩასატანი იყო.

და განცდათა ამ ქარბორიაშიც კვლავ და კვლავ შემზარავად ეჩვენება ის თავშესაქცევი და საკუდაბზიკო მაიმუნობა, მის კუბოსაც მზესა და მთვარეს რომ დაახლიან... უთუოდ და გარდუვალად...

და ასეთ ადამიანებს გარდაცვლილიც როგო უნდა ჩაუვარდეს ხელთ!..

და როგორ არ ენატრა და ეოცნება უგზოუკვლოდ გაქრობაზე, პირდაპირ ლეგენდაში რომ შეაბიჯებდა, საიდუმლოებით მჭიდროდ შემოგარსულსა და დაგმანულში. ერთხანს მაინც, თორემ განა რომელი საიდუმლო ყოფილა, ადრე თუ გვიან რომ არ გაცხადებულიყო?!.

ისე ნეტა მართლაა მაისის ოცნება განსხვავებული სხვა ოცნებათაგან?!.

ალბათ ამჯერადაც: ვისთვის როგორ...

მოსინჯვით ეს ჟანრიც უნდა მოესინჯა აკაკის — მინიატურა ანუ ლექსი პროზად, და საგულისხმოა, რომ ორთაგან ეს მეორე ნიმუში პარიზული შთაბეჭდილებით შეიქმნებოდა და ასევეც დასათაურდებოდა: „ეიფელის კოშკი“.

ქვესათაურად ისევე მიაწერდა: ლექსი პროზადო, — როგორც შარლ ბოდლერს ემჯობინებინა, პოეზიისა და პროზის მიჯნაზე მდგარ ამ ჟანრსაც რომ დაიურვებდა თავის ნებაზე და საუკეთესო ნიმუშებსაც შესძენდა, „პარიზის სპლინის“ ციკლად რომ გააერთიანებდა.

საქართველოში ვაჟა-ფშაველასა და შიო არაგვისპირელს შეექმნათ ერთიერთმანეთზე ჩინებული ნიმუშები მინიატურის ჟანრისა, მაგრამ აკაკისათვის ბიძგისმიმცემი პარიზი და ბოდლერი აღმოჩნდებოდა — ამ გამონაკლის შემთხვევაში, რაკიღა ევროპეიზაცია იმთავითვე მისი ინტერესების მიღმა დარჩენილიყო და თუნდ იმავე ბოდლერის „ბოროტების ყვავილებს“, პოეტური აზრის თავისებურ ქრესტომათიას, ოდნავი გავლენაც არ მოეხდინა აკაკის ლირიკის მდინარებაზე.

მანამდე „ოცნება“ რომ შეექმნა ამავე ჟანრისა, მთლად დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ მიენიჭებინა მისთვის და წარემძღვარებინა ლექსისათვის „გამხიარულდი ბუხარო...“ — „ივერიის“ 1905 წლის პირველივე ნომერში რომ გაეცნობოდა მკითხველი.

მინიატურა იმ განწყობილებაზე ამოზრდილიყო, ბერიკაცს უკან მოხედვის სურვილი რომ გაუჩნდებოდა და რჩევის გაზიარებისა კვალში მიმყოლთათვის, გზასავალი კი მაღლობისაკენ მიისწრაფოდა, ოღონდ ეგაა — ფეხს იქ მარტო რჩეულები ადგამდნენ. ზოგი ადგილიდან არ იძროდა და ზოგიც უკან მიბრუნებას ამჯობინებდა. და დაე ყველას სცოდნოდა, თუ რა მშვენიერი გახლდათ მწვერვალი, რადგანაც იქიდან ყველაფერი მოჩანდა: მომავალიც და წარსულიც!..

და ვინც ამჟამად ამაღლებულიყო, ნუ გაუკვირდებოდა თავი თვისი.

იგი ხომ სხვებს აეყვანათ და დაეყენებინათ იქ — ეს ბედნიერი!.. გაეკვალათ გზასავალი მისთვის და კეთილად უნდა მოეხსენებინა ისინიც... სხვები!..

დრო იყო, მთხრობელიც იდგა იქ, ლირიკული გმირი ანუ თვითონ აკაკი, და ახლა ის სხვა დამდგარიყო მის მაგიერ, ეს კი ჩადიოდა მეორეს მხარეს — დაღმართისაკენ ჩადიოდა, რადგანაც ემონებოდა ბუნების კანონს... მაგრამ ღიმილით კი... და იღიმოდა მიტომ, რომ ვალი მოეხადა და ტვირთად აღარ მიჰყვებოდა... მოვიდოდა დრო, ესეც, ეს ამჟამად ამაღლებულიც, მასავით დაეშვებოდა ქვემოთ!.. მაგრამ უნდა ცდილიყო, რომ ღიმილს მისთვისაც არ ეღალატა!..

აი ეს — მიჩანჩალებდა და... მაინც ვეღარ მოშლოდა ღიმილი.

მიდიოდა სიმღერითა და ჩანგურის დაკვრით, თანვე უკან იხედებოდა.

მიილტვოდა გაზაფხული ამჟამად ამაღლებულისაკენ, ლირიკულ გმირამდე კი... მარტოდენ შორიდან მისი სუნი აღწევდა...

და მაინც, არ შეეძლო არ დაემღერა!..

ესეც ის ზნეობრივი მაგალითი, ის ეთიკური იმპერატივი, მწვერვალზე შემდგარს შეგნებული და გასიგრძეგანებული რომ უნდა ჰქონოდა, თუკი მართლა ღირსი გახლდათ იქ შედგომისა და არა შემთხვევით მოხვედრილი ბედის პარადოქსულობისა თუ ირონიული გუნებისდა წყალობით.

სტოიკურად უნდა შეხვედროდა დაღმართზე დაშვებასაც და თავისი ადგილის დათმობასაც სხვისათვის, რათა ისიც დამორჩილებოდა ბუნების კანონს, და არც ღიმილი მოეშალა და არც სიმღერა.

აკაკის ღიმილს რომ ყველგან უნდა შემოენათებინა, მწვერვალიდან ლაღად და სიმღერით ჩამომავალი აკაკის ღიმილსაც.

ისე მაინც რა იყო ეს ეიფელის კოშკი — სოკოსავით ამოსულიყო დედამიწიდან თუ ციდან გადმოკიდებულიყო? ეს რამსიმაღლედ აზიდულიყო, მთხრობელი მის მწვერვალზე რომ იდგა და გადმოჰყურებდა ხელისგულივით გადაშლილ პარიზს, სახლები წერტილებად რომ ეჩვენებოდა, ქუჩები — ვიწრო არშიებად და ზედ ადამიანების მიმოსვლა კი — ჭიანჭველების ცოცვად. აქ, ამ სიმაღლეზე სულ სხვანაირად ფიქრობდა კაცი და სხვაგვარადაც გრძნობდა... და მასაც ჯერჯერობით მეტი არა უნდოდა რა, რომ მარტოდმარტო, თავისუფლად მისცემოდა ოცნებას... გახვეულიყო მის ზვირთებში, ვიდრე ქვემოთ მოუწევდა დაშვება.

მაგრამ ეს ვიღაც მანდილოსანი აჰკვიატებოდა და ეს რომ ამოდიოდა, ისიც მალევე გაჩნდებოდა ხოლმე იქვე. დღეს კი დაასწრებდა, იქ დაუხვდებოდა და პირველად კიდევაც გამოესაუბრებოდა, და რომ შეიტყობდა, კავკასიელი ყოფილაო, ჯერ ჩერქეზად იგუმანებდა და მერე სომხად, საქართველო კი... გაგონებითაც არა სმენოდა, და მთხრობელი გულისტკივილით მიუგებდა: ძალიან უგანგაშო ქვეყანაა საქართველო, თვითონ ქართველები ხმას არ იღებენ და სხვები კი მათ არ ახსენებენო.

ამ სიშორეს რას მოეყვანა ეს კავკასიელ-ქართველი?

ავადმყოფობას. არა, კი არ მობეზრებოდათ იქაურ ექიმებს და თავიდან კი არ მოეშორებინათ, არამედ ერჩიათ: იქ, საზღვარგარეთ უკეთესი ექიმები არიანო.

ქალიც უცხოქვეყნელი გახლდათ, ამერიკელი, წელიწადია, რაც აქეთ გადმოსულიყო, შემოევლო მთელი ევროპა, ეძებდა და ჯერ ვერ მიეგნო... ვერ მიეგნო და ვერც დაშოშმინებულიყო... მაინც რას ეძებდა ასეთი თავგამოდებით?

რას და: სიყვარულს.

სიყვარულს — უბიწოსა და თავისუფალს.

და გაკვირვებით უნდა გაკვირვებულიყო მთხრობელი, რადგანაც ამერიკა დიდ ქვეყნად წარმოედგინა და... ნუთუ იქ, ამ უზარმაზარ ქვეყანაში სიყვარული ვერ უნდა მონახულიყო?!.

თურმე — ვერა, რადგან იქ ხელოვნებას დაეჩრდილა სიყვარული და ტრფიალება მედიდურობად გადაქცეულიყო, ისევე, როგორც აქ, ევროპაში, სადაც ფული გაღმერთებულიყო და სიყვარულიც სავაჭრო საგნად გადაქცეულიყო...

მომხიბლავი გარეგნობა უსულო გახლდათ, და სიყვარულს კი თავისი მოთხოვნები და კანონები ასულდგმულებდა, კანონები, რომლებიც მარტოდენ გარეგნობაში ვერ იხარებდნენ. როგორც ყვავილს ნამი, ისე ესაჭიროებოდა ქალს სიყვარული, მაგრამ ვერსად ჰპოვებდა. ამერიკისა და ევროპის დიდ ქალაქებში სიყვარულს არ გააჩნდა ნიადაგი, იმ სიყვარულს, რომელიც ადამიანს ააღელვებდა, აღამაღლებდა...

ხოლო საქართველოში როგორღა ესმოდათ სიყვარული?

და მთხრობელსაც გული უნდა გადაეშალა თანამოსაუბრისათვის, რომ:

მართალია ამ უკანასკნელ მონობის საუკუნეს თავისი ელფერი დაედო მისი სამშობლოსთვისაც, მიმბაძაობის ხანა დამდგარიყო იქ, მაგრამ ჯერ კიდევ არ მომკვდარიყო — მხოლოდ დასნეულებულიყო, და სნეული ზოგიერთ ძველ აღთქმას ვერ უარყოფდა და მათ რიცხვში სიყვარულსაც. და უცნობი ქალი რომ ჩიოდა, ესეც გულდაწყვეტით ეთანხმებოდა: აქაურ ქალს განა სიყვარული მოეთხოვება? ის მორთულ-მოკაზმული, ფერნაცხები და სარკის წინ დაქანცული გამოდის, რათა აქეთ-იქით ქსელი გააბას და ბუზიც დაიჭიროს... ოღონდ ბუზი კი იყოს და მისთვის სულერთია, ვინ იქნებაო.

როგორც ქართველს, არ ესმოდა ეს — სიყვარულის გადაქცევა ქსელის გაბმად.

მისთვის სამშობლოში ხელოვნებას ჯერ კიდევ არ დაეჩაგრა ბუნება, ვარდი თავისუფლად, სურნელოვნად იშლებოდა და იაც თავს ნაზად ხრიდა და ყაყაჩოც მედიდურობდა... ხოლო სადაც ეს სამი ყვავილიანობა ვერ შეთანხმებულიყო, იქ ვერც იკიდებდა ფეხს სიყვარული... ბოლოსდაბოლოს თვით სიყვარული გახლდათ ყოვლისშემძლებელი ხელოვნება და სხვა რამ ხელოვნება აღარც ეჭირვებოდა.

— სიყვარულია ღმერთი.

და იყო დრო, როდესაც ქართველ ქალთა უმეტესობას, გარეგნობით შემკულს, შინაგანობაც უკავშირდებოდა — სული სცემდა ხორცს ნათელს და ხორციც სულს შექათქათებდა.

— დღესაც კიდევ თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც აქა-იქ სადმე კიდევ მოიპოვება ნამდვილი ქართველი ქალი და ერთს მათგანს მე კიდეც ვეთაყვანები, და ეს თაყვანია უხმო ლოცვა-დიდება შემოქმედებისა. ჯერ სანამ მთა-გორს მოფარებული მზე მწვერვალზე თავს ამოჰყოფდეს, გაისმის ცისკრის ზარივით ტკბილად, გულის სიღრმემდე ჩამწვდომი მისი ხმის წკრიალი.

ეჰ, გაეღვიძა მის სატრფოსაც, ხელპირი დაებანა, დაევარცხნა გულ-მკერდზე დატევრებული თმა, ჩაეცვა უბრალოდ და შვილებს ისტუმრებდა სასწავლებელში, რომ მერე საოჯახო საქმისათვის მოეკიდა ხელი და დაღამებამდე ფეხზე მდგარიყო.

— მთელი დღე მოძრაობს და მისი მოძრაობა საარაკოა. ყოლიფერი ჰშვენის: გაიღიმებს, თითქო ცა გაიხსნაო, მოიჭვმუხნის, თითქო დედამიწა შეიკრაო.

ენახა მის წამწამებზე კურცხალი ჩამოკიდებული, ენახა და... ძლივს გადარჩენოდა დადნობას...

დღიური შრომით დაქანცული ღამით ქვეშაგებში რომ მოისვენებდა ხოლმე, თითქოს მთვარეს მოეყვანოს.

და მთხრობელი მიდიოდა ათრთოლებული, მუხლს იყრიდა მის წინაშე და ზეგარდმო შთაგონებული ეამბორებოდა მის ფეხებს. ეამბორებოდა იმიტომ, რომ იმ ფეხებზე იდგა მთელი დღე და იმ ფეხებს მიმოჰქონდა იქით-აქეთ მაშვრალი... და წმინდა გახლდათ ის ამბორი, როგორც დედის ცრემლები, და იმ ამბორთან ერთად თავდებოდა მთხრობელის სიცოცხლეც...

ასე იტყოდა აღელვებული, ასეთი სპეტაკი გულით, და მომხიბლავი ოცნებით გატაცებული გაიყურებოდა იქით, სადაც თავისი სამშობლო ეგულებოდა. სულგანაბული ამერიკელი ქალი ყურს დაუგდებდა დიდხანს და ბოლოს წამოიძახებდა:

— აი სად ყოფილა სიყვარულის ბუდე და მე კი სად ვეძებდი? უნდა წავიდე...

და საით ეპირება — პარიზიდან საქართველოში? ეს ხომ იგივე იქნება, რომ დიდებული დარბაზიდან გლეხის ბოსელში გადავიდეს ადამიანი...

მაგრამ ქალმა სულ სხვაგვარად უნდა შეხედოს ამ ყოველივეს, ნაამბობით შეძრულმა ახლებურად რომ უნდა გაიაზროს თავისი დაუმცხრალი ძებნის გზაკვალი:

— არა... იქ, სადაც წამხედურობა და მიმბაძაობა არის გამეფებული, გინდ დარბაზიც იყოს, არ მინდა. იქ კი, სადაც ორიგინალობაა, გინდ ბოსელიც იყოს, მომავალი მოსალოდნელია. იქ სიყვარული იხარებს და, სადაც სიყვარულია, ღმერთიც იქ არის. მე უნდა ენახო შენი სამშობლო და ისიც...

ადვილი მისახვედრია, ვისაც გულისხმობს ამერიკელი ქალბატონი, მაგრამ მთხრობელი მაინც უნდა ჩაეკითხოს:

— ვინ ისიც??..

რათა უცნობის ბაგეთაგანაც მოისმინოს ის, რაც ნეტარებით აღუვსებს სულსა და გულს:

— ის... ის, ვისაც შენ მაგრე იხსენიებ.

და აქ, ამ კულმინაციურ ადგილას უნდა მოთავდეს ეს ლექსი პროზად, ეიფელის კოშკიდან წარმოითქვას საკმაოდ გამჭვირვალე მინიშნებად, არა ქალისა და სიყვარულის ზოგად იდეალად, არამედ ხორცშესხმულ გამოვლინებად და დადასტურებად, რადგანაც მინიატურაში ხელშესახებად ჩნდება ბიოგრაფიული დეტალები:

ქალი შვილებს სასწავლებელში ისტუმრებს.

მარტოხელაა — მეუღლე აღარ ჰყავს.

და ამაღლებულ იდეალს რომ შესტოლებია და გაიგივებია, ეს ხომ იმ ნოველაშიც ცნაურდებოდა — „ის“, იქაც სამყაროს სუნთქვას რომ გამოხატავდა და მოიცავდა და მგოსანს უთვალსაჩინოებდა, რომ იდეალი შესაძლოა ხორცქმნილიც ყოფილიყო, და თუ ადრე ამაოდ ეძებდა, ახლა ხომ მაინც გამოცხადებოდა საზეო აღმაფრენად — სიბერეში გადამდგარს.

კვლავ ტასო ბაგრატიონ-მაჩაბლის სახებას უტრიალებდა „ეიფელის კოშკშიც“.

იმ ტრაგედიის შემდგომაც ვერ მოშვებოდა მის სახებას, მოშვებოდა კი არა, კიდევ უფრო გამძაფრებოდა მღელვარება, კიდევ უფრო გაცხოველებოდა ტრფიალება და ეიფელის კოშკიდან გადმოსძახოდა საქართველოსაც და მთელ ევროპა-ამერიკასაც ამ ქალის განსაკუთრებული მშვენიერების, სულიერი და ხორციელი ჰარმონიულობისა და სიყვარულის ყოვლისმომცველობის ამბავს.

სადაც სიყვარული სუფევდა, ღმერთიც იქ დავანებულიყო!..

სიყვარული თვით ღმერთი გახლდათ!..

და ეს შორეულ მოლანდებად, მიღმურ ოცნებად კი არ უნდა გვცოდნოდა, არამედ დავლოდებოდით მის ხორცშესხმულობას — აგერ მთხრობელს რეალურ ყოფაში მოვლენოდა და სხვებსაც არ დატოვებდა გულნაკლულთ, ოღონდაც უნდა ეწამათ სიყვარულის ღვთაებრიობაც და სიწმინდეც და ზეგარდმო შთაგონებაც ამბორისა, ვით დედის ცრემლებისა, და დაე იმ ამბორთან ერთად გათავებულიყო სიყვარულით შეპყრობილთა სიცოცხლეც — და მათ შორის მთხრობელისაც, ლირიკული გმირისაც... აკაკისაც...

შარლ ბოდლერივით ამოახვევდა მინიატურის ქარგას — მარტოდენ განწყობილებაზე კი არ ააგებდა, სიუჟეტურ მონახაზსაც ჩაუფენდა, პერსონაჟებსაც აამეტყველებდა და... ფინალურ აკორდად კი ჰპოვებდა იმ ხილვას, ასერიგად რომ უნდა ამაღლებულიყო და განზოგადებულიყო: სამყაროს გადაწვდენოდა.

ტასო კი, ხორცშესხმა ამ იდეალისა, „ივერიის“ 1906 წლის მე-6 ნომერში უნდა გასცნობოდა ამ დითირამბს.

ამ ჟანრს ვერ შეაჯერებდა გულს აკაკი და გალექსვითაც გალექსავდა, როგორც საერთოდაც სჩვეოდა — პიესებისას ჯერ პროზაულ ვერსიებს რომ ქმნიდა და მერე, მათ საფუძველზე, პოეტურადაც გარდათქვამდა ხოლმე... თუმც პიესა ვრცელი სარბიელი გახლდათ და ესაჭიროებოდა ამგვარი წინასწარი მზადებაც, მაგრამ „ეიფელის კოშკი“ განა რა იმხელა ლექსად განეზრახა, ამგვარივე სამზადისი რომ დაესაჭიროებინა?

ლექსებს აკი პირდაპირვე ქმნიდა, ყოველგვარ უპროზაულვერსიოდ, დაირის რიტმსა თუ შინაგან მუსიკას აყოლილი?

ეტყობა ეს სიუჟეტური ქარგა განსაკუთრებით ააფორიაქებდა, რაკიღა ორ ვერსიად ჩამოასხამდა და ორივეს თავთავის ადგილს მიუჩენდა პუბლიკაციებში. სწორედაც თავთავის ადგილს, თორემ პროზაულ ვარიანტს არქივში შეინახავდა, როგორც შემოქმედებითი ლაბორატორიის ნაწილს და არა უფრო მეტს.

ის კი არა:

ამ თემას კვლავ დაუბრუნდებოდა ორიოდე წლის შემდგომ და „უცხოელი ქალის“ სახელით „ეიფელის კოშკის“ შეკვეცილ ვერსიას მოამზადებდა, როგორც უფრო სხარტსა და დაწურულს, იდეურადაც იქნებ ცოტა განსხვავებულსაც, თუმც მთავარი და უმთავრესი უცვლელად შენარჩუნდებოდა „ეიფელის კოშკიდან“ ამ თითქოსდა ახალ ლექსში პროზად:

სული ხორცს რომ სცემდეს ნათელს და ხორცი სულს შეჰქათქათებდეს, ამგვარ ქართველ ქალს რომ კიდეც ეთაყვანებოდა და ეს თაყვანება გახლდათ უხმო ლოცვა-დიდება შემოქმედებისა.

მისი გაღვიძებაც და შვილების გაგზავნაც სასწავლებელში.

მისი ყოველი მოძრაობა საარაკოს რომ ემსგავსებოდა.

გაღიმება ცის გახსნას რომ ედარებოდა და მოჭმუხვნა — დედამინის პირის შეკვრას.

ქვეშაგებში მოსვენებულს ეს რომ მიუახლოვდებოდა ათრთოლებული, იჩოქებდა და ზეგარდმო შთაგონებით ეამბორებოდა მის ფეხებს.

და ეს ამბორი წმინდა რომ იყო, ვით დედის ცრემლი, და იმ ამბორთან ერთად თავდებოდა ავტორისა თუ ლირიკული გმირის სიცოცხლეც.

ეგაა — ამ მინიატურაში უცხოელი ქალი აღარ მოისწრაფოდა ამ საოცარი და საოცნებო ქართველი ქალის სანახავად და განსხვავებაც ეს გახლდათ „ეიფელის კოშკთან“, თუმც ესეც იმისათვის დაესაჭიროებინა აკაკის, კვლავ და კვლავ ემეორა თავისი ოცნებაც და ხოტბა-დიდებაც — მოუწყინრად და დაუსრულებლივ... მერე ეს ლექსიც პროზად თუ მინიატურა კვლავ ოდნავ რომ გადაეკეთებინა, რათა თითქოსდა ახლიდან მიეძღვნა ქებათა-ქება იდეალის ხორცქმნილებისათვის... მერე კიდევ ოდნავ... მერე კიდევ...

* * *

გამოხედავდა თავის ცხოვრებას აკაკი წერეთელი, გამოხედავდა დიდი მღელვარებითა და დრამატიზმით აღსავსეს და... სანუგეშოს ბევრს ვერას ჰპოვებდა — ტანჯვას და ვაებას გადაეფარა სხვა ყოველივე. და პოეტურ ფორმულაში რომ მოინდომებდა მის ჩაწნეხვას, ამ მეტაფორულ გააზრებას მოიმარჯვებდა:

ამირანის ჯაჭვებით დაბმული უკვდავებაო!..

ბედს დაეწვა, დაედაგა, გადაესხა მდუღარე!.. და უკეთესს არც ამიერიდან მოელოდა, მაგრამ გაუძლებდა ამ ტანჯვას, გაუძლებდა ერთ, ერთადერთ შემთხვევაში — თუკი თანაგრძნობას ჰპოვებდა ტასო მაჩაბლის მხრიდან:

შენ თუ მისხივცისკარეო!..

შესთხოვდა, ენუკვოდა, ემუდარებოდა ვითა ხატს ღვთაებისა, მის იქით რომ აღარც აღარაფერი არსებობდა მსასოებლისათვის.

ოღონდაც ხატს გადმოეხედა წყალობის თვალით და... ბედის სასტიკ განაჩენს დაგიდევდა აკაკი წერეთელი?!.

არის ამქვეყნად სურო და სვია, არის ამქვეყნად სიკვდილი ქალითო, — ძალაუნებურად შეიძლება გამოჰგონებოდა თავისი ეს სტრიქონები გალაკტიონ ტაბიძეს, ივანე მაჩაბლის გაუჩინარების ამბავსა და ამ — იმჟამად გაუხსნელ — დეტექტივს თუ მიადევნებდა მზერას, გუმანი რომ რაღაცას ამცნობდა, რაღაცას უკარნახებდა, საიდუმლოს ძაფსაც მიაჩეჩებდა ხელთ, რადგანაც განა ვის ესმის გარდასულისა პოეტის გარდა...

და იყო მაშინაც ამქვეყნად სუროც და სვიაც.

და იყო მაშინაც ამქვეყნად სიკვდილი ქალითაც... ქალით... ქალით... მოსხივცისკარით...

თავი IV

კუდაბზიკობა, ჩვენი ხასიათის თვისებად

შეეხარბებოდა გიორგი წერეთლისა.

აკაკისაც რომ ვინმესი რაიმე შეეხარბებოდა, მაგრამ... ასე კი მოხდებოდა და...

ეს კუდაბზიკობა მე უნდა აღმომეჩინა ჩვენს ხასიათში და იმან როგორ დამასწროო, — მაგრამ დაფასებით დაუფასებდა და თავის მხრივ ზღაპრის ყაიდის მოთხრობას შექმნიდა, „კუდაბზიკეთად" სახელდებულს, საქართველოს რომ იგულისხმებდა ამ სახელწოდებაში, ოდესღაც სახელგანთქმულს, მაგრამ ბოლოს ისე დაცემულსა და დაჩიავებულს, მისი მკვიდრნი ნაცარქექიობის მეტს რომ ვეღარას ახერხებდნენ, უსხდნენ კერას და ერთმანეთს უჩუჩხურებდნენ.

და მკბენარის თაყვანისცემას რომ მოინდომებდნენ — აბა ლომს ან ვეშაპს სად გაწვდებოდნენ — აღარ იცოდნენ ვისთვის მიეცათ უპირატესობა: ტილისათვის თუ რწყილისათვის? ზოგს ის მოსწონდა და ზოგსაც ეს!.. და არჩევნებზე რომ მიდგებოდა საქმე, კუდაბზიკელები ორად გაიყოფოდნენ: ერთი მხარე ტილს გამოიყვანდა თავის კანდიდატად და მეორე — რწყილს.

ვერ შეთანხმებოდნენ, მოუვიდოდათ ჩხუბი და ნაცარმტუტს აადენდნენ. დაერეოდნენ ერთმანეთს და აღარ დაზოგავდნენ.

ამ საბრალოებს სულ კერის ძირას ეძინებოდათ, არაფერს გამოედევნებოდნენ, არაფრით დაინტერესდებოდნენ და მხოლოდ სამ წელიწადში ერთხელ, არჩევნების დროს, გამოაჭყეტდნენ თვალებს და ისიც — ბეცად, ახორხოზდებოდნენ, აჭიჭყინდებოდნენ, ერთმანეთს ნაცარს შეაყრიდნენ თვალებში და... არჩევნებს რომ მორჩებოდნენ, ჩვეულებისამებრ მიეგდებოდნენ კერის ძირას...

ცარიელი გუდა ადვილი გასაბერი რომ არის, კაციც ასევე — რაც უფრო ცარიელი თავი და გული ებადა, უფრო მალე იბერებოდა და თავიც დიდ რამედ მოჰქონდა.

კუდაბზიკების ქვეყანაში ეს სენი საერთოდ მოდებულიყო: ათში ცხრა იბერებოდა და სხვის თვალში რომ ბეწვს ეძებდა, თავისაში დვირესაც ვეღარ ხედავდა. დიდი და პატარა ენად გადაიქცეოდა: ტიტინსა და ლაქლაქში ჩაეფლობოდა!.. ერთი რომ იტყოდა: შარშან ზამთარში კურდღელი მოთოვაო, — მეორე დაუმოწმებდა: მართალია! და შიგადაშიგ შველიც გამოურიაო. ყველა ტრაბახობდა, ყველა თავის თავზე ლაპარაკობდა და განუწყვეტლივ: მე, მე, მე — რომ გაისმოდა, ბრმას რომ ყური დაეგდო მათთვის, იფიქრებდა: აქ სადღაც თხის ჯოგი უნდა იმყოფებოდესო.

და თუმც თითო-ოროლა შეგნებული და ქვეყნის გულშემატკივარი მათშიც ერია, მაგრამ იმ არევდარევასა და საერთო ხორხოზში ვინღა რას გაიგონებდა, რომ ყურთასმენა აღარ-სად იყო?!.

ქვეყანას რომ ნადირ-მხეცები შემოსეოდნენ და ლამის გაენადგურებინათ, და ერთი ტყვილა შემქაქანებელიც რომ არსადა ჩანდა და... ამათ კი ჭიანჭველეთში სურდათ ესახელებინათ თავი და ისიც უკუღმართობით?

რას დაუჯერებდნენ ნაცარქექიები: სხვებს თუ ჰყავთ სათაყვანო და არჩევნებშიც შედიან, ჩვენ რაღა ვართო?..

დაე აერჩიათ, მაგრამ მისთანა კი, რომ ვარგებულიყო რამედ და ქვეყანასაც გამოდგომოდა!.. და თუ მართლა მწერ-ბუზების იქით გზა აღარა ჰქონდათ, ფუტკარი აერჩიათ: თაფლსა და სანთელს მაინც აკეთებდა; ან აბრეშუმის ჭია, დარაიას რომ აძლევდათ! ან ბოლოსდაბოლოს წურბელა — ცუდი სისხლის გამომწოვი სხეულიდან...

რას მოინდომებდნენ ან ერთს, ან მეორეს და ან მესამეს:

ფუტკარი მოუსვენარია, გარეთ დაბზუის აქეთ-იქით და ჩხვლეტაც მწარედ იცისო, ყაჭის ჭია მყრალიაო, წურბელა — მოსისხარიო...

ვინ აჯობებდა ბატონ ტილსა და ბატონ რწყილს, განუშორებლად დღემუდამ სულ მათთან რომ იყვნენ და მხოლოდ ამ ორ გვარს შეშვენოდა მათი თაყვანისცემა!.. ამ ორს იქით გზა არ მოჩანდა, ან ერთი უნდა აერჩიათ და ან მეორე და... საქმე მხოლოდღა ჯობნაზე მიმდგარიყო.

ამ არჩევნებისას კი კუდაბზიკეთი აღარ ინახოდა, გეგონება ქვეყანას მტერი შემოსევია და ხალხიც საომრად მომზადებული დახვედრას უპირებს სამშობლოს გადასარჩენადო. არადა... მხოლოდ რწყილობია-ტილობიას თამაში იყო!..

ამ არეულობით გარეშე მტერი ისარგებლებდა და სიცილით მოჰყვებოდა ძახილს: წამკიდებელი წაჰკიდე, ორივეს თავი წასწყვიტეო!..

და მართლაც კუდაბზიკეთი დღითიდღე სიგლახაკეში ჩავარდებოდა: ტურა-მელები ფრინველებს მოიპარავდნენ, მგლები ოთხფეხს გაიტაცებდნენ და დათვიც მთლად დატოვრავდა და გაანადგურებდა იქაურობას.

და... ატირდებოდა დიდ-პატარა: გვიშველეთ, ვინა ხართ მამაციო?! მაგრამ დაგვიანებული ვაივაში ვერაფერი მალამო გამოდგებოდა წყლულისათვის და საბრალო ნაცარქექიათა სატკივარსაც აღარა ეშველებოდა რა!..

მაშინ კი ჩაფიქრდებოდნენ, ჩახვდებოდნენ გონებაში და შემლოცველის მოძებნას მოინდომებდნენ: ეტყობა თვალი გვკრეს და დაგვაჩაჩანაკესო, — და ბოლოსდაბოლოს მონახავდნენ ერთ მკითხავს და გამოალოცვინებდნენ „თვალყვისა-თვალნაკრავისას“.

ბოლომდე ვერ გაიმეტებდა კუდაბზიკეთს აკაკი, რაკიღა გამომლოცველს მოუვლენდა, სახალხო შელოცვას რომ ჩაუფენდა ფინალად და ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას ღვთისმშობლის გამოჩენითა და ღიმილით გააცისკროვნებდა და იმედის გზაჭრილსაც დაუტოვებდა.

ზღაპრულ მოთხრობად ამიტომაც ჩაიფიქრებდა და არა მოთხრობად, სადაც სატირას უკვე ვეღარაფერი შეაწყვეტდა და სანუგეშოც არსაიდან არაფერი გამოკრთებოდა.

თავისი სათქმელი ეთქვა ასეთი დაურიდებლობით და... გულს მთლადაც აღარ მოუკლავდა თვისტომთ.

ილია რასაც „ბედნიერი ერით“ გამოთქვამდა, აკაკი „კუდაბზიკეთით“ გამოხატავდა, ლექსს ზღაპრული მოთხრობა შეენაცვლებოდა და... აქაც ხმლის ელვარებას კიდეც შევიგრძნობდით და კიდეც ვიხილავდით — ყოველი სტრიქონი ასე რომ განგაცდევინებდა თავს.

„ნეტა მიგნებითაც მე მიმეგნო!.. პოვნითაც მე მეპოვნა ჩვენი ხასიათის ეს თვისება!.. არადა აღმოჩენის მერე რა სახიერად მოჩანს ეს კუდაბზიკობა!..“

ერთ აღნიშვნას არ იკმარებდა ამ მიგნებისა თუ მიმგნების ვინაობისა და საგანგებოდ ჩაუკვირდებოდა და ანალიტიკურადაც გაიაზრებდა „ჭრელი ფიქრების“ ციკლის ერთ-ერთ ნიმუშში, მწვერვალამდე რომ აზიდავდა და ისეთ დიდთა სახელთა ხსენებასაც არ მოერიდებოდა მის გვერდით, მიგელ დე სერვანტეს-საავედრა და უილიამ შექსპირი რომ გახლდნენ.

შორიდან კი დაიწყებდა, ჩვენი ზეპირსიტყვიერების იმ ზღაპრული ტიპით, ნაცარქექია რომ ერქვა და ისეთივე სასაცილო იყო, როგორც: დონ კიხოტი, ფალსტაფი და ივან დურაკი, თუმც ეს უკანასკნელი ყველასაგან განსხვავდებოდა.

დონ კიხოტი, ეს ფერმიხდილი რაინდობის სახე, სასაცილო გახლდათ თავისი გამოჩურჩუტებულობით, როდესაც ქარის წისქვილებს ებრძოდა, ვითამც დევების წინააღმდეგ ვიბრძვიო, ცხვრის ფარაში ფარ-ხმლით ჩაერეოდა და ჟლეტას დაუწყებდა სავსებით დარწმუნებული: სარკინოზებს ვავლებ მუსრსაო.

ეს დონ კიხოტი თუ გულწრფელი და პატიოსანი კაცი გახლდათ, გატაცებული კაცთმოყვარული იდეით, ამისთანა ვერ იყო მეორე ტიპი — ფალსტაფი — ცრუ, ბაქია, მატყუარა, უძლური, ტრაბახა და ამავდროულად თავისი კუჭის მონა. სულ რაინდულ რამეებსა და პატიოსნებაზე თუ ლაპარაკობდა ეს ყოვლად მხდალი და ლაჩარი არსება, მხოლოდ იმ განზრახვით, თავისი შინაგანი სილაჩრე მიემალა და ბაქიბუქობით სხვის ლუკმა გამოეტაცა.

ეს ორივე ტიპი ნაციონალურიც გახლდათ და მსოფლიოც.

სულ სხვაგვარად წარმოგვიდგებოდა ივანე დურაკი — მხოლოდ ნაციონალური ტიპი, საკუთრივ რუსეთის ნიადაგის ნაყოფი, რომელიც თავის კუზა-კვიცზე იჯდა, თვითონაც არ იცოდა, სად მიდიოდა და რისთვის მიდიოდა, მაგრამ მისი ბედი, რაღაც გარეშე ძალა, ყველგან და ყოველთვის ეხმარებოდა და ამარჯვებინებდა.

და ჩვენი ნაცარქექია?

სწორედაც საკვირველი ტიპი გახლდათ.

მერე რა, რომ ფიზიკურად უძლური იყო და სული რომ შეგებერა, ცხრა მთას იქითაც გადავარდებოდა; ამას თვითონაც კარგად გრძნობდა და იქით არავის ეტანებოდა: მაგრამ ფარს კი დროულად იყენებდა და ეს ფარი გახლდათ მისი ჭკუა-გონება. მოსწრებული ხერხიანობით არათუ იგერიებდა დევებს, ამ საოცარი ფიზიკური ძალის წარმომადგენელთ, არამედ კიდეც იმორჩილებდა მათ.

ესეც ძველისძველი ტიპები, ძველი კაცობრიობის კულტურის ნაყოფი.

და ახლა კი გადავსულიყავით და შესაფერისად გაგვესიგრძეგანებინა ის ახალი ტიპი, რომელიც ჩვენს თვალწინ ხორცშესხმით დაეყენებინა „მგზავრის წიგნების“ ავტორს: კუდაბზიკა.

თუ დონ კიხოტი დაძველებული რაინდობის ტიპად წარმოგვიდგებოდა, ეს კუდაბზიკა უსუსური და სწორად ვერგაგებული კულტურის ნაყოფად გვეველინებოდა.

როდესაც კუდაბზიკა თავის გახრეკილ ბახზე იჯდა, თავს უქინჩავდა, დეზებს ფერდებში უჩხუკურებდა და ახტუნებდა, სრული დარწმუნებული გახლდათ, რაშზე ვზივარ და უნდა თავი ზეცას მიაჭიროსო; მაგრამ როდესაც მისი რაში, მუცლის ტკივილით გამწარებული, მიწაზე კოტრიალს იწყებდა, კუდაბზიკაც, სასოებადაკარგული, დედამიწაში აპირებდა ჩაძრომას.

— ამ გვარი ტიპები, რასაკვირველია, მსოფლიო ტიპები არიან, მაგრამ, კერძოთ კი, ნამდვილი ნაციონალური ტიპია დღევანდელი ჩვენი ცხოვრებისა.

და დასამტკიცებლად თვალს მიმოავლებინებდა მკითხველს ოცდაათი წლის ხანას ჩვენი ყოფისა და... ნებისმიერ ასპარეზზე შეახედებდა და შეაცნობინებდა დონ კიხოტებსაც, ფალსტაფებსაც და კუდაბზიკებსაც.

აგერ თუნდ ჩვენი ლიტერატურა — სულ ამგვარი რაინდებით არ აღესილიყო?

ის ჩვენი პუბლიცისტები, ის მწერლები, რომელნიც სხვა ქვეყნის იარაღით შეჭურვილნი მტერსა და მოყვარეს ვერ არჩევდნენ, დღეს ქარის წისქვილებსა და ცხვრის ფარას არ ებრძოდნენ?

და ის პუბლიცისტები, რომელნიც თითქოს ასკი-კუკუს თამაშობდნენ, დღეს აქ იყვნენ და ხვალ იქ, წინდა-პაიჭივით იცვლიდნენ აზრსა და მიმართულებას მხოლოდ კუჭის მიმდევრობით და ფარად სხვადასხვა წმინდა იდეას იყენებდნენ, განა იგივე საზიზღარი ფალსტაფები არ იყვნენ?

და ის ახალგაზრდა მწერლები, რომელნიც პირველად დიდი თავმოწონებით გამოინადირებდნენ ხოლმე ჩვენში, მაგრამ ისევ მალევე უკუიქცეოდნენ და თავს ანებებდნენ არათუ მწერლობას, ქართველობასაც კი, და მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მათი სათავმოყვარო იმედები გაუცრუვდებოდათ, რითი არა ჰგავდნენ კუდაბზიკას — ცხენის მუცლის ტკივილის გამოისობით დედამიწასთან გასწორებულს?

და თვით ჩვენი მკითხველი საზოგადოება?

დაე ნურც მას მოერიდებოდა, რაკიღა მკითხველიც ძალიან სცოდავდა, როდესაც ქების ტაშს უკრავდა ამ რაინდებს და: ჩვენი სჯობია სხვისასაო, — გაიძახოდა.

ისიც განა რა იყო, თუ არა იგივე შემკრებლობითი კუდაბზიკა?

და მადლობას უძღვნიდა უფალს აკაკი, რომ გარკვეული ნიშნები მოასწავებდა ისეთი ტიპის გაჩენას, რომელსაც ამდენი ხანია სვიმეონ მოხუცებულივით მისარქმელად უცდიდა, სახარების იმ პერსონაჟივით,არაერთხელ რომ ახსენებდა ხოლმე და თავსაც უიგივებდა.

მომავალი ამ ტიპისა გახლდათ და დღევანდელი კუდაბზიკობაც მაშინ კუდს ამოიძუებდა.

და მაინც ვინ იყვნენ პირველი მერცხლები მომავალი გაზაფხულისა?

ის ახალთაობა, რომელიც თავს იჩენდა — ეგნატე ნინოშვილი იქნებოდა თუ დუტუ მეგრელი, თედო რაზიკაშვილი თუ ანასტასია ერისთავი-ხოშტარია — და ის ახალგაზრდა პუბლიცისტები, რომელთაც თავიანთი ქვეყანა შეესწავლათ, თავიანთი დედა ენაც, ევროპული კულტურის მომავალი იდეებიც შეესისხლხორცებინათ, რათა გულწრფელად ემსახურათ თავიანთი სამშობლოსათვის და არა კუდაბზიკური მხნეობითა და თავგამოდებით.

მათზე ჯერ კრიტიკულ სტატიას არა წერდა, მაგრამ რაკიღა სიტყვას მოეტანა, გაკვრით მაინც იტყოდა, რომ: ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასა და თედო რაზიკაშვილს — რომელთაც ისეთი მომზადება არ გააჩნდათ, როგორც განსვენებულ ეგნატე ნინოშვილს ეტყობოდა და აგრეთვე დუტუ მეგრელს — მაგრამ ბუნებითი ნიჭი მართლაც შესანიშნავი მომადლებოდათ და ბევრი კარგიც გახლდათ მოსალოდნელი მათგან მომავალში, თუკი თავიანთ ნიჭს შესაფერის საზრდოს არ დააკლებდნენ და გულის ფიცარზედაც დაიწერდნენ იმ მცნებას, ურომლისოდაც რაც უნდა ნიჭიერი მოღვაწე ყოფილიყო, ვერ აცდებოდა ფალსტაფობასა და კუდაბზიკობას.

ამჯერად მათ გვერდით არ დააყენებდა დონ კიხოტს, როგორც კომიკურ ხასიათს კი, მაგრამ გულწრფელობასა და პატიოსნებას დაუფასებდა და ყალბ და ბაქია პერსონაჟებს შორის არ გარევდა.

ეჰ, ეს კუდაბზიკობა მე უნდა მიმეკვლია, მე უნდა აღმომეჩინაო...

გზასავალს კი მისცემდა თავის მხრივ და იდუმალი მოლოდინითაც მიაჩერდებოდა იმ მწერლის მოვლინებას, ამ მიგნებას მარჯვედ რომ ჩასჭიდებდა ხელს და მეგზურად გაიხდიდა თავისი მხატვრული ძიებებისას.

დავით კლდიაშვილის მოვლინებას იდუმალად გრძნობდა და არც გამორჩებოდა ამ მწერლის გამოჩენის განსაკუთრებული მნიშვნელობა, კუდაბზიკობას — თხრობაში გადატანისას — სატირულ სიმწვავეს რომ შეუნელებდა, მეტ მხიარულებას მიანიჭებდა და ირონიას ცრემლში გააზავებდა, რათა ეს ხასიათი მონუმენტური სამყაროს ქვაკუთხედად ექცია და ახალი სტილისტიკაც დაემკვიდრებინა პირველბიძგით ასერიგად შთაგონებულსა და გამხნევებულს.

ეს ახალი სტილისტიკაა, ამ მხატვრული სამყაროს ხილვა-შეცნობისას უფრო დონ კიხოტისაკენ რომ მიგვირბის მზერა და მის დრამატულ-კომიკურ თავგადასავალთან მეტ საერთოსაც ვპოულობთ, თუმც ნუ გამოგვეპარება მისი პირველსაწყისიც, ჩვენი ეროვნული ხასიათის იმ შრისა თუ ფენის გამომამზეურებელი და მკვეთრადაც გამომამზეურებელი, წერეთლების სახელებით რომ დამშვენებულა: გიორგისა და აკაკისა.

ჯერ შორს იყო ამ სამყაროს აგება-მოგუმბათებამდე და ჯერჯერობით ერთი ნოველა უნდა გამოექვეყნებინა დავით კლდიაშვილს — „მრევლში“, აკაკის რომ უკვე უნდა გამოერჩია და მხატვრობისა და ფოტოგრაფიის ზოგადი შედარების შემდგომ — შემოქმედების საიდუმლო ძალას უფრო სწრაფ-გადამღები, მაგრამ უსულო ფოტოგრაფია ვერ მიწვდებაო — ძალდაუტანებლად რომ გადავიდოდა მწერლობაზე: ნიჭიერმა მწერალმა სტენოგრაფიულად კი არ უნდა გადაიღოს ყველაფერი, რაც გაიგონა, ნახა, არამედ ჩაწეროს, ასი ათასი სიტყვა-ფრაზისაგან უნდა აირჩიოს მასალები, რომელნიც უკეთ დაახასიათებენ მისგან აღებულ საგანს, რასაკვირველია შემოქმედებითი ძალითო, — ამასაც დასძენდა, რომ ეს ძვირად თუ შეეძლო ვინმეს.

და ამ მცირერიცხოვან ჯგუფში მოიხსენიებდა დავით კლდიაშვილს, როგორც ჩვენსას და ამ შემოქმედებითი ძალით უხვად დაჯილდოებულს.

„მრევლში“ სწორედ ამგვარი ნიმუში გახლდათ და სამაგალითოც.

სრულიად უბრალოდ, თითქოს თვითონაც არ ანიჭებდა რაიმე მნიშვნელობას, ისე გაკვრით და გზადაგზა გვიხატავდა ნოველისტი სოფლის ცხოვრებიდან ერთ სურათს: რა იმედებითა და სასოებით მიდიოდა ახალგაზრდა მღვდელი სოფელში, როგორ დაუხვდებოდა მრევლი, როგორ იტანჯებოდა საბრალო, და ბოლოს როგორ უნდა დაენებებინა თავი სულის მოძღვრებისათვის და გამხდარიყო „კანჭიათის“ ხუცესი.

— თავიდან დაწყებული იმ ადგილამდის, როდესაც მღვდელმა აზიარა მომაკვდავი გლეხი, დაბრუნდა შინ ცოლ-შვილში და დაქანცულმა თავი მისცა ძილს, — სწორეთ ძვირფასი რამ არის...

და რჩევასაც უზიარებდა თხრობის კომპოზიციური აგების თვალსაზრისით: აქვე უნდა გათავებულიყო მოთხრობაო.

მიზეზად კი თხრობის გაჭიანურებისა ანუ ორი სხვადასხვა ამბის ხელოვნურად გადაბმისა მიიჩნევდა იმ ფსიქოლოგიურ გარემოებას, რაც ყოველთვის აწუხებდა და აფიქრებდა: ჩვენმა მწერლებმა დროზე წერტილის დასმა არ იციანო.

შენიშვნას შენიშვნად გამოთქვამდა და ზოგადი კუთხითაც შეხედავდა ამ ხელოვნურ გადაბმას:

პოეტები, როგორც ბუნებათანაზიარი და ადვილად გამტაცებელი ხალხი, ხშირად ისეთ რამეს გადაჰყვებიან ხოლმე, რომ ვიდრე იმ თავიანთ შთაბეჭდილებებს სხვებსაც არ გაუზიარებენ და არ გამოაქვეყნებენ, ვერ მოისვენებენ; და შეიძლება ამგვარი რამ შეემთხვა ავტორსაც იმ ხანებში, სადამდინაც ის შესაზარი სურათია გლეხის სიკვდილისაო.

...არა, მაინც როგორ განჭვრიტა ასე შორიდან და შორითშორიდანაც დავით კლდიაშვილის მოვლინება?

თუმც რა — შიო არაგვისპირელის მოვლინებაც მანვე არ განჭვრიტა?

ორი სრულიად განსხვავებული სტილისტიკა — ერთ მხარეს: ჩვენი ერის კომიკური სულის წარმოჩენა, მეორე მხარეს — დრამატული, ტრაგიკული სულის წარმოჩენა ჩვენი ერისა, უერთმანეთოდ რომ არ გაეძლებოდა ამ ორ სტილისტიკას, ერთიმეორესთან ჭიდილშიც რომ უნდა გამოწრთობილიყვნენ და სრულყოფილიყვნენ.

მერე როგორღაც მიყრუებდებოდა გიორგი წერეთლის როლი, დავით კლდიაშვილი უწინამორბედოდ რომ დაისახებოდა ჩვენს ლიტერატურისმცოდნეობაში... არადა აკაკის ნაწერებს უფრო გულდასმით რომ ვკითხულობდეთ და ვუკვირდებოდეთ, უკეთესი იქნებოდა ქართული ლიტერატურის მდინარებისა და სათანადო შეფასებისათვის... და საერთოდაც — ჩვენი კულტურისა და სახელმწიფოებრიობისათვის...

დადგებოდა ახალი საუკუნე და:

ორიგინალურად დასათაურებულ სტატიაში — „ჯერ „ხა-ხა-ხა" და მერე „ვაი-ვაი-ვაი" — თათრულ ანდაზას რომ გაიხსენებდა: ვის უნახავს ცხვრის ლეკვი ან ძაღლის ბატკანიო, — ამ ანდაზის ზოგად სიმართლეს დათანხმებით კი დაეთანხმებოდა, მაგრამ უპატრონობისაგან მოსალოდნელ შედეგსაც ცხადლივს გახდიდა საზოგადოებისათვის: აი მაშინ კი შესაძლოა ბატკანი ძაღლივით გაკუდქეციანდეს და ლეკვმა პატივში ცხვარივით ქონი ღარად დაისვას და კუდი გაიდუშოს და მით ჩამომავლობითი სახე შეიცვალოს, და ამგვარ ცვლილებას ანუ გადასხვაფერებას მაინცდამაინც ათას-ათასი საუკუნე არ ეჭირვება, ერთი საუკუნეც საკმარისი ყოფილაო.

ამის მაგალითი ჩვენვე ვიყავით:

ჩვენი მამები ფაფრიანი ლომები იყვნენ და ჩვენ კი ამჟამად კუდაბზიკა კაჭკაჭებს დავმსგავსებოდით.

და კვლავ პატივისცემით მოიხსენიებდა გიორგი წერეთელს, როგორც ამ მოვლენის გამომაზიურებელს, „მგზავრის წერილებში" ერთ შესანიშნავ ტიპად რომ დაეხატა კუდაბზიკა, რომელიც არც შექსპირის ფალსტაფსა და არც სერვანტესის დონ კიხოტს არ ჩამოუვარდებოდა.

განსხვავება მხოლოდ ის გახლდათ, რომ:

ფალსტაფი უზნეობის ნაყოფი იყო, დონ კიხოტი უჭკუობისა და ჩვენი კუდაბზიკა კი — ბავშვური გატაცების.

მაგრამ შედეგი ყველას ერთგვარი მოჰყვებოდა:

ცხოვრებისათვის გამოუსადეგარი და ბევრჯერ მავნებელიც.

— ჩვენი დღევანდელი კუდაბზიკობა, როგორც ბავშვური რამ, სასაცილო იქნებოდა, რომ დრო და ჟამი ჩვენვე გვეჭიროს ხელში, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ სხვები ჩვენ კუდაბზიკაებს განძრახ მხარს აძლევენ, გამოჰყავთ ცხოვრების სარბიელზე და იქ, სადაც სხვა დროს ხორბალი უნდა დათესილიყო, ეკალი ითესება. დღევანდელი ჩვენი ცხოვრების

სარბიელი იმ კუდაბზიკა კაჭკაჭების ხელშია, რომელთაც თავისთავათ არა ეხერხებათ-რა და მხოლოდ სხვისას ჩხავიან. და იქ, სადაც ასი და ათასი კაჭკაჭი ერთხმად გაიძახის, რომ კიდეც გამოჩნდნენ თითო-ოროლა ბულბულ-იადონები, ვიღას მიანვდენენ ხმას?

დაე მკითხველი დაფიქრებულიყო და თავისითაც გაეხსენებინა ის უამრავი მაგალითი, როცა ეკალი და ღვარძლ-გორვალა ითესებოდა, ზოგიერთი შეგნებული მწუხარებით თმას რომ იგლეჯდა და ხალხს აფრთხილებდა, მაგრამ იმავდროულად კაჭკაჭა-უმეტესობა სულ სხვას ეუბნებოდა და არწმუნებდა ქვეყანას:

— ნუ დაუჯერებთ მაგათ, ჩვენ ვართ თავმდები, რომ ხორბალი და ბრინჯი ითესება, რომელსაც ია და ვარდი თან მოჰყვება.

ხალხიც, უმეტესობის ამყოლი, მათთან ერთად იხარხარებდა და კიჟინას დასცემდა მართლის მთქმელებს.

გავიდოდა ხანი და... იმ ზოგიერთის წინასწარმეტყველება გამართლდებოდა:

იქ, საიდანაც ია-ვარდს მოელოდნენ, ეკალნარი ამოვიდოდა, უჩხვლეტდა ქვეყანას და წინანდელი მათი წინდაუხედავი „ხა-ხა-ხა!“ „ვაი-ვაიზე!“ გადაინაცვლებდა.

გულს არ გაიტეხდნენ მხოლოდ კაჭკაჭები და იმთავიდან მოტყუებული ხალხი ამთავითაც შეცდომაში შეჰყავდათ და არწმუნებდნენ:

— ეს ღვარძლი და ეკალი არ ამოვიდოდა, იმ ზოგიერთს ჩვენთვის ხელი რომ არ შეეშალა და ჩუმად ყოფილიყვნენ.

და აკაკის როგორ არ ნამოჰგონებოდა ის ანდაზა: ადამიანის შუბლის კანი ხახვის გარსზედაც უთხელესია, მაგრამ თუ გამაგრდა, კამეჩის ტყავსაც გადააჭარბებსო.

გადაიკეცებოდა ათი წელი და... „ნადუღში“ კვლავდაკვლავ უნდა მიბრუნებოდა გიორგი წერეთლის იმ აღმოჩენას, კუდაბზიკას გამოსახვას ერთგვარ ტიპად, გულისტკივილით რომ დასძენდა: შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო. და ეს იმიტომ, რომ: კუდაბზიკა არც სერვანტესის დონ კიხოტს ჩამოუვარდებოდა და არც შექსპირის ფალსტაფს!..

სერვანტესს დონ კიხოტობით მომაკვდავი რაინდობა დაეხატა?

გიორგი წერეთელს კუდაბზიკათი მთელი დღევანდელი დავარდნილი ქართველობა დაესახა!..

მართლადა ვინ იყო ამისთანა კუდაბზიკა?

ყოვლად უძლური ვინმე, გამხმარ-გაფხეკილი, არაფრის მქონი და ვერაფრის შემძლე, უფროსთან მფრთხალი და თავდახრილი, უმცროსთან ყოყოჩი, თავაწეული და ტოლების მატყუარა!..

ამგვარი უძლური ტიპი ძველადაც ყოფილიყო და, როდესაც ჩვენს გულგაუტეხელ წინაპრებს საგმირო და სავაჟკაცო საქმეები წინ ედოთ, ამ უძლურებისათვის საცინლად აგდებით ეწოდებინათ ნაცარქექია.

მაშინ მცირე ყოფილიყო ნაცარქექიების რიცხვი, მაგრამ დღეს კი ეს ნაცარქექიობა, კუდაბზიკობად გადაქცეული, საერთოდ მოსდებოდა ყველას, როგორც დამონებულთ!..

კუდაბზიკას ყველა უნდა ელანძღა, რაც მისი არ იყო — ყველაფრისათვის წუნი დაედო, სხვისი ბედაურისათვის ათვალწუნებით ეცქირა და თავისი გამხმარ-მუნიანი ბახისათვის თავი ექანჩავებინა, რომ სხვებისათვის რაშად მოეჩვენებინა!..

და... განა ასეთივენი არ იყვნენ თანადროული ქართველებიც?

მათ გარდა ჩემიან-შენიანობისა არა სწამდათ რა და საზოგადო რომ არ გაეგებოდათ, ვისი ბრალი იყო?

ვისი და... მეთაურების — საქმეს რომ თავში ედგნენ, სადავე ხელთ ეჭირათ და საქვეყნო საქმეებსაც განაგებდნენ.

დღეს — მონობის დროს — ყველაფერი გაუკუღმართებულიყო და მეთაურებიც დაკნინებულიყვნენ, თორემ აბა შეგვედარებინა დღევანდელი მეთაურები გარდასული, ძველი მეთაურებისათვის მათი დროის შესაფერად და... დღევანდელები ბევრს წააგებდნენ!.. და აღარ იქნებოდნენ მეთაურებიც... ახალთავებად სახსენებელნი...

დღეს, როდესაც შემოსეული მტრის ნაცვლად უჩინარი სისხლისმწოვარი მტრები გვერტყმოდნენ გარს, მეთაურებიც სხვაგვარი გვესაჭიროებოდა. ის ძველი თავადები, რომელ-

ნიც იმ დროის შესაფერად პირნათელნი იყვნენ, დღეს აღარ გამოდგებოდნენ მათი მაგარი ხმლით და... მათ ნაშიერებს კიდევ თავი მოჰქონდათ...

ეს ხომ მართლაც კუდაბზიკობა გახლდათ და სხვა არაფერი!..

და ეს საცოდავები აკაკის მოაგონებდნენ... იმ ბატებს, რომელთაც თავი მოჰქონდათ: ჩვენმა წინაპრებმა რომი გადაარჩინეს განსაცდელსაო.

არა! დღეს სულ სხვაგვარი მეთაურები... თავადები გვესაჭიროებაო! — ირწმუნებოდა და ივედრებოდა, მოითხოვდა და ყველას ნამუსზე აგდებდა. და სულერთი იყო, თუ რომელი წრიდან იქნებოდნენ გამოსულნი, ოღონდ კი ქვეყნისათვის ემსახურათ სიტყვით, კალმითა თუ საქმით... და ამგვარ ვინმეებს გამოელოდა ინტელიგენციისაგან.

მაგრამ... სად იყო ინტელიგენცია?

ჩვენს ცხოვრებას თავში რომ ედგნენ და საქმით სადავეც ხელთ ეპყრათ, ერთი-ორის მეტი განა ინტელიგენტებად მიიჩნეოდნენ? მხოლოდ თავს აჩვენებდნენ ინტელიგენტებად და სინამდვილეში საქმით კი პირადობისა და კუჭის მიმდევარნი გახლდნენ და მიტომაც ჩემიან-შენიანობის მხრივ მიჰყავდათ საქმე.

უცხო ვინმე რომ მოსულიყო ჩვენში და ჩვენი კუდაბზიკობა შესჩხიროდა თვალსა და ყურში, იტყოდა: ამისთანა ქვეყანა, როგორიც საქართველოა, დედამიწის ზურგზე არა ყოფილაო!..

ისე არავინ მოკვდებოდა ჩვენში, რომ... საზოგადო მოღვაწე არ გამომდგარიყო!..

ვმარხავდით როგორც სწორუპოვარს, შეექმნიდით ერთ ვაჟუშველებელს, და საქვეყნოს რომ არა ვჯერდებოდით, ზეციდან მზე და მთვარე ჩამოგვექონდა და კვნესით ვახლიდით თავზე!..

ახლა ცოცხლებში:

ვინც კი საპირადო ანგარიშით სარბიელზე გაიკუნტრუშებდა, ვაშათი ვეგებებოდით და საკუნტრუშო იუბილეებს ხომ ვეღარც დავითვლიდით!.. და ეს მაშინ, როდესაც მართლა დამსახურებული და ღირსეული გარიყული რჩებოდა!.. ეს კი იმის ბრალი იყო, რომ ხალხს დაეკარგა შეგნება და აღარ ესმოდა თუ ვისთვის უნდა ეწოდებინა საზოგადო მოღვაწე.

და რა მოეთხოვებოდა ქვეყნისათვის მოღვაწეს?

ხშირად შეგხვდებოდა ვინმე, ვისაც დიდი სახელი დავარდნოდა საზოგადო მოღვაწისა და... გაკეთებით კი არა გაეკეთებინა რა.

ეკითხებოდა აკაკი ხან ვის და ხანაც ვის:

— მითხარით ერთი, რითი ხელმძღვანელობთ, მაგ კაცს რომ აქებთ და ყოველ დაწესებულებაში წამოატუტურებთ ხოლმე? ეგ კაცი დაბერებულა და აბა მიჩვენეთ, თუ რამე გაუკეთებია საზოგადო.

და პასუხად:

— ქვეყანა ამბობს და მე რა, სხვებზე ნაკლები ვარ, რომ ჩამოვრჩე?

და მწარე გულისტკივილით მიადევნებდა აკაკი: არჩევნების დროს სადილ-ვახშამსა და ტკბილ სიტყვას აქვს ფასი და გასავალი და არა ღირსებასო.

და სწორედ ამ კუდაბზიკობის ბრალი გახლდათ, რომ საქართველოში ვეღარ პოულობდნენ ასარჩევ კაცებს ვერცერთ დაწესებულებაში, მაშინ, როდესაც ახალგაზრდები მრავლად ჰყავდათ და მათში ბევრიც ერია საიმედო.

და დაბეჯითებით იმეორებდა და იმეორებდა აკაკი:

ვიდრე ეს კუდაბზიკობა და უკუღმართი ბიუროკრატიული მიმართულება არ მოისპობა ჩვენში, არაფრის იმედი არა მაქვსო!..

და ვინ უნდა ყოფილიყო მომსპობი?

რასაკვირველია — ახალგაზრდობა!..

მაგრამ ახალგაზრდობა — უფრო სიმართლით გამოზრდილი და სწორი გზით მიმავალი!..

და ჩაეღიმებოდა, ის ანდაზა რომ წამოუტიტივდებოდა გონებაში: მარტო წვერზე რომ იყოს დამოკიდებული, მაშინ თხებიც დეკანოზები იქნებოდნენო!..

და... ახალგაზრდობაც, ახალთაობაც მარტო წლოვანებაზე კი არ უნდა ყოფილიყო დამოკიდებული!.. იმათ სულ სხვაგვარი აღზრდა ესაჭიროებოდათ და სხვა რამეც უნდა მოეთხოვათ მათგან.

რას გულისხმობდა?

განმარტებასა და გაშლას შემდგომისთვის გადასდებდა, ჯერჯერობით კი დაე კიდევ ერთხელ ეცხუნებინა მწარე სიტყვა საზოგადოებისათვის კუდაბზიკობისა და კუდაბზიკეთის ხსენებით, მათი შეგნებისა და თავმოყვარეობის შენჯღრევით, ილუზიების გაფანტვით და გარდამტეხ ჟამს მეტი სიფხიზლისა და გონიერებისაკენ მოწოდებით, მეტი სიფრთხილისა და გამბედაობისაკენ, ერთმანეთში ბუნებრივად და ძალდაუტანებლად რომ გადასულიყო და საფუძველი შეექმნა, მყარი საფუძველი ცხოვრების იმგვარი მდინარებისათვის, თავისთავადობის შენარჩუნებისა და სახელმწიფოებრიობის ამოგებისაკენ მიმსწრაფ ქვეყანას რომ შეშვენოდა და მოეთხოვებოდა.

ახალგაზრდობა, ოლონდ: სულ სხვაგვარად აღზრდილი!..

თუ არადა კვლავაც კუდაბზიკეთად დავრჩებოდით და ილუზიები რეალობა გვეგონებოდა, ყმაწვილური, უფრო კი ინფანტილური წარმოდგენები — ახდენილი ოცნებანი, ხელის განძრევას რომ აღარც მოითხოვდა ხალხისაგან, რომელიც ბედაურებს ათვალწუნებით გახედავდა, და იმათ კი მოწონებით თავიანთ გამხმარ-მუნიან ბახებს თავს ისე რომ მოუქანჩაებდნენ, სხვებს რაშებად მოსჩვენებოდათ.

სხვა განა რა, მაგრამ ეს კი ეხარბებოდა გიორგი წერეთლისა, ამ თვისების — კუდაბზიკობის — მიგნება და გამომზეურება არა რომელიმე გუნდსა თუ ფენაში, არამედ ჩვენს ზოგადეროვნულ ხასიათში, და თანაც როგორი ხელოვნებით გამოხატვა, მკითხველს სულს რომ აუფორიაქებდა და საკუთარ თავს თითქოს სარკეში შეახედებდა... თუმც რაღა თითქოს... ოლონდ მესარკეს ტყუილუბრალოდ უწყრებოდნენ — მას ნუ ძრახავდნენ, მას ნუ ედავებოდნენ, მას ნუ დააბრალებდნენ თავიანთ ცოდვას.

აკაკი არ ჩატოვებდა მოგვარისა და თანამოკალმის იმ მიგნებას მის იმ მოთხრობაში, კიკოლიკის, ჩიკოლიკისა და კუდაბზიკას პორტრეტები რომ მოიწყო ერთიერთმანეთისათვის, და დროდადრო შეაფუცხუნებდა ხოლმე საზოგადოებრივ ცნობიერებას კუდაბზიკასა და კუდაბზიკობის ხშირი ხსენებით... და თან მწარედაც გაიფიქრებდა: ეჰ, ჩვენი ბედი რა ვთქვი, და კიდევ — შინაურ მღვდელს რომ შენდობა არა აქვს, თორემ რომელი **ფალსტაფი** თუ დონ კიხოტი მოვა ჩვენს კუდაბზიკასთან, რომელს ჩამოუვარდება ეს ჩვენი პერსონაჟიო...

თავი V

ზნეობრივი ვალი კრიტიკოსისა

გაღიზიანდებოდა კიტა აბაშიძეზე, მერე სულაც ბრაზი მოეკიდებოდა და კიდეც: კეთილგანწყობას ფარისეველობად ჩამოართმევდა, სიდარბაისლეს — მოჩვენებითობად, მიდგომ-მოდგომას — ფაფხურად და... ორლესულსაც მოუქნევდა:

— კაცხში ხე არ იზრდება სწორი და კაცი როგორ გაიზრდებოდა!..

და... ხეებს მოუბოდიშებდა გუნებაში: თქვენ კი შემომეხარჯეთ ჩემდაუნებურად, მაგრამ ის ყველაფრის ღირსიაო.

სოფელ კაცხის არცთუ მომხიბლავ ბუნებას კოკი აბაშიძეც აღიარებდა: თუმცა მთიან ადგილას არის გაშენებული, მაგრამ ხეც და ყოველი მცენარეც მეტად უსწორმასწოროაო.

ვერა და ვერ მოიბრუნებდა გულს კიტა აბაშიძეზე, როგორც ოდესღაც გრიგოლ ორბელიანზე, და ამის სახესაც განაზოგადებდა და რაც რამ უსიამოვნება შეხვდებოდა, მის მიღმა უკვე კიტა აბაშიძის ლანდს ხედავდა, როგორც მისი მოწინააღმდეგის სიმბოლური სახეებისა.

აკაკი შანიძეს, რომელიც პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე და 1910 წლის გაზაფხულზე მეორე კურსის სტუდენტი გახლდათ, აცნობებდნენ: აკაკი წერეთელი აქ იმყოფებაო.

პარიზიდან ბრუნდებოდა მგოსანი გერმანიაზე გამოვლით.

მისი უმცროსი სეხნია ძალიან გაიხარებდა, ენატრებოდა მისი ნახვა და სასწრაფოდ გაეშურებოდა იმ ბინაზე, სადაც აკაკი ჩამომხტარიყო. რამდენადაც ახსოვდა, ეს უნდა ყოფილიყო მიქელაძის ოჯახი.

მიესალმებოდა მოწიწებით.

პოეტი იცნობდა, გაახსენდებოდა მისი მოხსენებაც და ის ალიაქოთიც, რაც ამ მოხსენების ეროვნული სულისკვეთებით განმსჭვალულის, წაკითხვას მოჰყვებოდა, კინაღამ სასწავლებლიდან გამორიცხვად რომ დაუჯდებოდა ყმაწვილს... ესიამოვნებოდა მისი მისვლა, დაჯდებოდა და ამასაც გვერდით მოისვამდა. შეყვებოდნენ საუბარს, რომელიც... უმცროსი აკაკისდა სამწუხაროდ მოკლე აღმოჩნდებოდა.

პოეტი საუბრისას ამასაც იტყოდა:

— კიტა აბაშიძე ისეთი კაცია, რომ ჩემი სისხლის შესმაზე უარს არ იტყვის.

უმცროსი აკაკისათვის სრულიად მოულოდნელი იქნებოდა ასეთი რამის გაგონება. კიტა აბაშიძეს მაშინ პირადად არ იცნობდა, მაგრამ წაკითხული ჰქონდა მისი ერთ-ერთი კრიტიკული წერილი და კარგი შთაბეჭდილებაც დარჩენოდა. მერე ვეღარ გაიხსენებდა, რას გამოეწვია კიტას ხსენება, მაგრამ „სისხლის შესმა" თავზარს დასცემდა და გაიფიქრებდა: რას ამბობს ეს ბუმბერაზი კაციო, — და შეშფოთებულს უნებლიეთ იმწამსვე აღმოხდებოდა:

— რას ბრძანებთ, ბატონო!

მისი განცვიფრება არ ესიამოვნებოდა აკაკის და... წარბს შეიკრავდა. ამას ენა ჩაუვარდებოდა, საუბარს ვეღარ გააგრძელებდა. აკაკიც აღარას იტყოდა, მაგრამ გამეფებულ სიჩუმეს ისევ დაარღვევდა. წამოდგებოდა. სტუმარიც მიბაძავდა. მასპინძელი მოუბოდიშებდა:

— უკაცრავად, შეუძლოდა ვარ და ბოდიშს ვიხდი, რომ სამაგიერო დარბაზობას ვერ გადაგიხდი.

გამოუწვდიდა ხელს და უმცროსი აკაკი უხმოდ რომ გამოემშვიდობებოდა, თავის ბინაზე დაბრუნდებოდა გულმოკლული და მოშხამული.

სამი წლის თავზე თავისი ეს შეურიგებელი დამოკიდებულება პრესის ფურცლებიდანაც უნდა გამოეთქვა აკაკის:

— თუმცა არც სიტყვით და არც საქმით არა მიწყენიებია რა, მაგრამ მყავს ერთი მტერი, რომელიც, რომ შეეძლოს, სასიკვდილოდ არა მზოგავს. ეს კაცი არის კრიტიკოს ბრუნეტიერის წყალობით ცნობილი კიტა აბაშიძე.

მწარედ წაუქიმუნჯებდა: თავით ბოლომდე სახელოვან ფრანგ კრიტიკოსზე ხარ მორგებულიო.

აკაკი თვითონაც საუკეთესო მჭევრმეტყველი რომ გახლდათ და ამ ჟანრის ნიუანსებიც ღრმა და ყოველმხრივ გარკვეული, სხვათა ოქროპირობასა და ორატორობასაც ძალიან აფასებდა და აგერ კოკი აბაშიძეც მიაქცევდა ყურადღებას, რომ: მგოსანს უყვარდა კარგი ქართული სიტყვის მოსმენა, ორატორის ყურისგდება. და მიუხედავად იმისა, რომ კიტა აბაშიძის დიდი მოყვარული არასოდეს ყოფილიყო და მერე აგერ სამკვდრო-სასიცოცხლოდაც გადაეკიდებოდა, მაინც ვერ უარყოფდა მის მჭევრმეტყველურ ნიჭს და იტყოდა ხოლმე:

— ამ სიტყვის წარმომთქმელი კიტა რომ არ იყოს, გეგონებათ დიდ ორატორს უგდებთ ყურს.

მოწონებით რა მოსწონდა კიტა აბაშიძის საჯარო გამოსვლაში?

არამარტო მანერა ლაპარაკისა და ტემპერამენტი, არამედ ქართული ენის მშვენიერების გადმოფენაც.

ოღონდ ამასაც უსათუოდ დასძენდა:

— კარგი ორატორია, მაგრამ გრიშა აბაშიძეს მაინც ვერ შეედრება.

და თან ვრცლად გადმოსცემდა გრიშა აბაშიძის ორატორული ნიჭის დამადასტურებელ ფაქტებს.

პირადი გაღიზიანების გამო ვერ აღიარებდა კიტა აბაშიძეს უპირველეს ორატორად?

შესაძლოა პირადი ურთიერთობა არც არაფერ შუაში იყოს და გრიშა აბაშიძის ოქროპირობა ისედაც გაემჯობინებინა მისთვის, ეგაა იმის თქმას მოერიდებოდა: ამ სიტყვის წარმომთქმელი კიტა რომ არ იყოსო...

კაცხში ხე არ იზრდება სწორი და კაცი როგორ გაიზრდებოდაო...

„ეტიუდების“ შემოქმედი არ აურევდა ერთიმეორეში საქვეყნოსა და საპირადოს და აკაკის გაზვიადებულ-გადამეტებული გულისწყრომა ხელს ვერ შეუშლიდა შესაფერისი ადგილი მიეჩინა მისთვის XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის გააზრებისას.

ჯერ მარტო ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ ნარკვევში მოიხსენიებდა ორჯერ, როგორც პოეზიაში რეალისტური მიმართულების დამამკვიდრებელს, რომლის წაცილებაც შეუძლებელი იქნებოდა ჩვენი მწერლობისათვის, და კიდეც დაუდებდა სათავეს რომანტიკული ელემენტებით შეფერადებულ რეალისტურ ლექსებს იმჟამინდელი ახალგაზრდა პოეტებისას.

არც კიტა აბაშიძე დააშორებდა ილიასა და აკაკის და ორივეს ერთად დააყენებდა ამ მიმართულების სათავეში...

მახვილი სიტყვა მახვილ სიტყვად და, საგანგებო სტატიაშიც გადმოხეთქავდა აკაკის გულისწყრომა, სათაურითვე ასერიგად მკაცრი: „ორ კიტაობა“.

თავის „კრებულში“ კიტა აბაშიძის სტატიის საპასუხოდ „საზღვარგარეთელის“ წერილს რომ გამოაქვეყნებდა, მოპირისპირენი ამ ფსევდონიმს ასე გაშიფრავდნენ: თვითონ აკაკი უნდა იყოსო, — და კიდეც მიმართავდნენ მისკენ ანწლის მშვილდ-ისარსა და დიდგულას თოფს.

მართალია ბრძოლის დროს შეთქმულებს ყველაფერი ეპატიებათო, — ირონიას გამოურევდა გამოპასუხებაში აკაკი, — მაგრამ მაინც რად იკადრეს იმ დალოცვილებმა სიმართლის გადგომა და რად იხმარეს ფარად ზნეობრივი ქვენაობაო?

რა ეკადრათ მაინც ამისთანა და:

საზღვარგარეთელს თუ პასუხს გასცემდნენ, იმან ხომ ბევრი რამ იცოდა მათ შესახებ (აკი დაუწერდათ: ადრე თქვენს ფერხულში ვიყავი ჩაბმული და თქვენი ჩაგონებით ვროკავდიო!) და ვაითუ ყველაფერი გამოემჟღავნებინა. ამიტომაც ეს როგორმე უნდა გადაე-

ფუჩეჩებინათ და აკაკიზე გადაეტანათ პირდაპირ საუბარი იმ იმედით: რასაკვირველია მხილებას.დაგვინყებს და იტყვის — მე კი არა, აი ვინ არის საზღვარგარეთელიო, — და ჩვენ საშუალება მოგვეცემა ჩვეულებრივად ხელი ჩავკიდოთ ამას და საქვეყნოდ ვიყვიროთ: ბატონებო! აი რა კაცია აკაკი!.. თავისი რედაქციის საიდუმლო ვერ შეუნახავს და თანამშრომელიც ვერ გაუტანია, მის სახელსა და გვარს ამჟღავნებსო.

ესეც კიტა პირველის — კიტას ორსახეობიდან ერთ-ერთის — მზაკვრული ჩანაფიქრი აკაკის გადმოსახედიდან.

ხოლო აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილ ნარკვევში ბრუნეტიერის მიმდევარი ქართველი კრიტიკოსი თავიდანვე აღნიშნავდა, რომ:

იგი გამომხატველი გახლდათ საზოგადო, საერთო ჭირ-ვარამისა და სევდისა. მისი ტანჯვა ხალხის უმეტესობის ტანჯვა იყო, მისი სევდა და მწუხარება — ერის კვნესა და გოდება, მისი სასოება და იმედები კი — ერის ლტოლვილება და სურვილები.

ისტორიულად და ფსიქოლოგიურად სავსებით ბუნებრივად და მისახვედრად ესახებოდა, რომ აკაკის მარტო ერთი ფიქრი და აზრი უტრიალებდა გონებაში. ეს მწერლის მოქალაქეობრივ სიკეთესაც ამტკიცებდა, ხოლო ესთეტიკურად — კრიტიკოსის რწმენით — პოეტის ხელოვნება მითუფრო მაღლა უნდა აზიდულიყო, რამდენადაც ერთსა და იმავე საგანს ღრმად და ყოველმხრივ ასურათებდა.

ამით იმის თქმა სულაც არა სურდა, თითქოს აკაკის პოეზიის საგნის მრავალგვარობა ჰკლებოდეს, ანდა მისი მწერლობა მარტოდენ ერთ საგანს ეხებოდეს. არა, თუნდ მისი პატარა ლექსები, რიცხვით მეტი, სხვადასხვა საგანს უტრიალებდა და არა ერთსა და იმავეს, მაგრამ საუკეთესო ნაწილს აკაკის პოეზიისა და ამ საუკეთესო ნაწილის უმეტესობას საგნად ერთი და იგივე აზრი და ფიქრი დასდებოდა, რომელიც მთელი მოაზრე და გონიერი საქართველოს აზრი და ფიქრი გახლდათ.

ხოლო იმჟამად, იმ პოლემიკური გამოხმაურებისას, აკაკი ხმას რომ არ გაიღებდა, ამასაც იმედოვნებდა: უჩემოდაც სხვა ვინმე გამოჩნდება და გაკიცხავს მათ უსაქციელობასო, — და მისი მოლოდინი დიდხანსაც არ გასტანდა, და აი კიტა პირველისა და მისი დამქაშების მამხილებლად გამოვიდოდა... კიტა მეორე, რომელიც „ივერიის“ ფურცლებიდან განაცხადებდა: ფსევდონიმის გამომჟღავნება სხვისაგან, წინაალმდეგ თვით ავტორის სურვილისა, ზნეობითი ბინძურობააო...

არათუ გამჟღავნებასა და გამოაშკარავებას, უბრალო სურვილსაც კი, რომ ავტორს თავისი გვარ-სახელი გამოეცხადებინა, ეთიკის დარღვევად, უწესრიგობად და დიდი სისაძაგლედ მიიჩნევდა და ბრალს სდებდა ნოე ჟორდანიასა და „კვალის“ თანამშრომლებს: ეს უბრალო ჭეშმარიტებაც არა სცოდნიათო. თორემ როგორ შეჰკადრებდნენ და როგორ ურჩევდნენ „ახალმოსულს“: თავს ნუ იმალავო!.. გამოგვეცხადეო!..

და დაიმოწმებდა აკაკი კიტა მეორის ამ სტრიქონებს:

— ნიღაბი აიხადეთ, ნიღაბი აიხადეთ, უყეფენ აქეთ-იქით „ახალ-მოსულს“ განსვენებული გიორგი წერეთლისაგან მოწონებული ლეკვები. რად დასჭირდათ ნეტა ეს ნიღაბის ახდა? რასაკვირველია იმიტომ, რომ ჩვეულებრივ ხერხს — ჭორიკანაობას მიჰყონ ხელი და განაცხადონ: მაგისთანა კაცთან ღირს ლაპარაკი? მან ესა და ეს კაცი გაძარცვა, ამას ცოლი წაართვა, ამას შვილი მოუწამლა, ამას ჯიბიდან ფული ამოაცალა და სხვანი. ამისი, რასაკვირველია, ბატონ „ახალ-მოსულს“ არ შეეშინდება, მაგრამ ერთი ავიწყდებათ „კვალის“ სულის-ჩამდგმელთ, ეს, რომ ტალახში სიარულის დროს კალოშები გვჭირია და მაგათთანა მოდავესთან ნიღაბი ერთგვარი კალოშია: როგორ ვერ წარმოუდგენიათ, რომ ყველას არა ჰსურს თავისი სახელი და გვარი გააჩირქიანოს და მაგათ სახსენებლად და სათრევად გაასაღოს.

აი ჭეშმარიტებას რომ იტყვიან, სწორედ ეს არისო, — თავისი მხრივ მიადევნებდა აკაკი, — და ვაშა-ვაშას შესძახებდა კიტა მეორეს, რადგანაც კიტა პირველისა და მისი დამქაშებისათვის მათი ურიგობისა და უსაქციელობის სარკე ცხვირწინ მიეტანა!..

მიამიტი მკითხველი ნუ იფიქრებდა: აქ კიტა პირველსა და მისიანებზე ხომ არ არის ლაპარაკი, ნოე ჟორდანიასა და „კვალის“ სულისჩამდგმელთ ეუბნებაო?!.

მაგრამ აკაკი მკითხველთა ამ კატეგორიას შეახსენებდა ანდაზას: დიდს ეუბნებოდნენ და პატარას ასმენდნენ და აგულისხმებდნენო.

და ნოე ჟორდანიაც და „კვალის“ თანამშრომლებიც სხვის საიგავოდ იყვნენ ნახსენებნი, თორემ რაც აკაკის უნდა ეპასუხა ამ ვაჟბატონებისათვის, სწორედ იმას ეუბნებოდათ კიტა მეორე და... აკაკი მისებურ ირონიას მოიშველიებდა და... დიდ მადლობასაც შესწირავდა კიტა მეორეს ამ გამოსარჩლებისათვის.

ხოლო ნარკვევი კიტა აბაშიძისა აკაკის დასახავდა იმ „სატრფოს“ მგოსნად, რომელსაც საერთო არა ჰქონდა რა ხორციელ სატრფოსთან, მაგრამ რომელიც პოეტის საოცარ ნიჭს უნდა განეხორციელებინა, სული ჩაედგა, ნამდვილ „ცხრაკლიტულში დამწყვდეულ ნესტან-დარეჯანად“ გაეხადა და მისი ტარიელობა თავს ედო და დღემდე ისეთივე სიცოცხლით, ისეთივე გატაცებით თავს შემოვლებოდა ამ „სატრფოს“.

ძლიერ ადვილი გასაგებიც გახლდათ, რომ მგოსანი ხშირად გვიხატავდა მუსიკის გავლენას მის განწყობილებაზე. მუსიკა თავისთავადაც რომ არა ყოფილიყო ერთი უწარჩინებულესო შტო ხელოვნებისა და ღვიძლი ძმა პოეზიისა, აკაკის მუსიკის გამომსახველი იარაღნი, ჩანგი და სალამური, პოეზიის სიმბოლოდ ექნებოდა მიღებული და მაშინაც მათი შემწეობით გვამცნობდა დიდ მნიშვნელობასა და ძალას პოეზიისა.

ჭეშმარიტად სადიდებელი იყო პოეტისათვის მისი ჩანგური, მისი პოეტური ძლიერი ნიჭი, რომელიც მართლა რომ უკვდავს გახდიდა მას ჩვენი ერისათვის; მართლაც რომ მის გადამკიდეს სიკვდილი ვეღარ მოერეოდა, ვიდრე ქართული ენა იარსებებდა.

ხოლო პოლემიკური გამოპასუხება აკაკისა ცხარედ გრძელდებოდა:

რა გვეშველებოდა, რომ ქვეყანაზე მარტო პირველი ნომრის კიტაები ყოფილიყვნენ და მათ მოპირდაპირედ მეორე ნომრის კატაები არ გამოდიოდნენ ხოლმე? მაგრამ ტყუილად კი არა თქმულიყო რუსული ანდაზა: რამაც გატკინოს, იმანვე მოგიშუშოსო, — და კიტა პირველის უკუღმა ხნულს კიტა მეორე წაღმა ფარცხავდა და... ღმერთიც უშველიდა ამ წაღმა ფარცხვისას...

ხოლო ნარკვევი კიტა აბაშიძისა უკვდავად მოიხსენიებდა აკაკის პატრიოტულ ანუ სალირიკო ლექსებს, სადაც სიყვარული სულიერიდან უსულოზე გადატანილიყო, თუმც ეს უსულოც კონკრეტული გახლდათ და ადვილადაც გასაგები. იგი — და მასთან ერთად ილია ჭავჭავაძეც — ამ ერთ დიდ არსებას — თავის საყვარელ სამშობლოს, ისეთი ენით ელაპარაკებოდა, თითქო ნამდვილი, გულწარმტაცი და მომხიბვლელი სატრფო ეჯდა გვერდით, და აბა რა შეედრებოდა მის ტანჯვას, მის სასოწარკვეთილებას, მის სევდას, როცა ხედავდა, რომ მის სატრფიალო „თავ-შეხვეულ“ მიჯნურს შეიყვარებდა და გულსაც მისთვის ააძგერებდა. და რომელი პოეტის სევდას ჩამოუვარდებოდა, თუ არ აჯობებდა აკაკის სევდა მის „აღმართ-აღმართში“?!.

პოლემიკური გამოხმაურების მინაწერს აკაკი ვითომდა ასოთამწყობის შენიშვნად მიაყოლებდა, ეს „ასოთამწყობი“ თითქოსდა აკაკის რომ „ედავებოდა“: შორსმჭვრეტელობა გკლებია, თუ ჯერ კიდევ ვერ შეგინიშნავს ჩვენში ახალმოვლენილი სენი, რომელსაც ორკიტაობა უნდა ეწოდოს, კიტა პირველი და კიტა მეორე ერთი და იგივე კიტაა, მაგრამ რაკილა მისთანებს სახელმძღვანელო მცნებაში ისე უწერიათ, რომ ცხოვრებაში ხან მარცხნივ დგებოდნენ და ხანაც მარჯვნივ, დღეს ერთს ამბობდნენ და ხვალ მეორეს ერთი და იმავე საგნის შესახებ, კიდეც ღირსეულად აღასრულებენ თავიანთ მოვალეობას: სიტყვით სხვა და საქმით კი სულ სხვა გადად-გადმოდიან იქით-აქეთ, სადაც პირადად მათთვის სჯობს და ამგვარად მოგვაგონებენ უკვდავ ფიგაროს „სევილიელი დალაქიდან“ — ფიგარო აქეთ, ფიგარო იქითო!.. კიტაებისთანა მოხელე დალაქებმა ოღონდაც ხეირი კი ნახონ და, ხახამს გაჰკრეჭნენ თუ მოლას, მათთვის სულერთიაო.

ხოლო ნარკვევი კიტა აბაშიძისა დიდად აფასებდა, პოეტს ბუნება თავის თანამოაზრედ რომ მიაჩნდა, მისი ფიქრისა და აზრის სრულ მეგობრად, ისე როგორც ჩანგი და ზურნა — თავისი სევდისა და კვნესის გამომსახველად: ბუნებას თითქოს ესმოდა მგოსნის კვნესა და გოდება, თითქოს ისიც ლეჩაქმოხდილი სატრფოს სიყვარულით ყოფილიყოს გაგიჟებული, თითქოს მასაც შეეძლო ჰყოლოდა ასეთი სატრფო და ამ სატრფოს ნესტან-დარეჯანი რქმე-

ოდა. ბუნება კიდევ უფრო სიცხოველესა და გრძნობიერებას იჩენდა, კიდევ მეტად განსულიერებული და განხორციელებული ნამოდგებოდა პოეტის ხელში, როდესაც: გულში იხუტებდა საშვილიშვილო სამარეს, მამა დავითსა ავედრებდა, აბარებდა ქვეყნის მოყვარეს.

სქოლიოში კიტა აბაშიძე შენიშნავდა, რომ:

პოეტი აქ გულისხმობდა დიმიტრი ყიფიანს, მაგრამ მას შემდეგ ამ საფლავს მეორე სამარეც მიემატებოდა — ილია ჭავჭავაძისა, რაც ამ ადგილს სამარადისო სათაყვანო ადგილად გახდიდა ქართველი ერისათვის.

პოლემიკური სტატია კი აკაკი წერეთლისა მეტი სიმძაფრისათვის ლექსით — თვითონ ლათაიად რომ მოიხსენიებს — უნდა გასრულებულიყო, თავში რომ უჩაკუნებდა: კიტა აქეთ! კიტა იქით!.. კიტავ ასკი-კუკუო! სხვის ბუდიდან გუგულივით ნუ იძახი „კუკუო".

არ შეჰშვენოდა შევარდნობა ძერას, ჩიტ-კირკიტას! არ შეჰფეროდა სიბრძნის კვერთხი „ივანუშკა" კიტას. ჩიტმგალობლად არ ვარგოდა კაჭკაჭ-თუთიყუში, და ერჩიენა ოც-ოცი რიცხვებისათვის ხელი არ შეეშვა.

და კვლავ პირველი სტროფი უნდა განმეორებულიყო, ერთგვარი ვარიაციით: კიტა მარცხნივ!.. კიტა მარჯვნივ!.. კიტავ, ასკი-კუკუო!.. შენისთანა შორსმჭვრეტელსა თვალში ასი „კუკუო"!

ხოლო ნარკვევი კიტა აბაშიძისა აკაკის შერაცხავდა ერთ-ერთად იმ სამ დიდ პოეტთაგან, რომელნიც აცისკროვნებდნენ ჩვენს XIX საუკუნის ლიტერატურას: მასთან ერთად — ნიკოლოზ ბარათაშვილი და ილია ჭავჭავაძე.

ოთხეულსა და ხუთეულს აღარ გადაწვდებოდა და ამ სამად სამ სახელს იკმარებდა.

არ გაიზიარებდა კიტა აბაშიძე თუნდ იაკობ გოგებაშვილისეულ კლასიფიკაციას და დიდ სამეულში არ გაურევდა რაფიელ ერისთავს — როგორც ამათზე დაბლა მდგომ პოეტს, და არც ვაჟა-ფშაველას, როგორც ილიასა და აკაკის სკოლის წარმომადგენელს, და არა უფრო მეტს.

ხოლო მაშინ:

თითქოს სულ სხვა ამბავი ატყდებოდა, მაგრამ კამათში ჩაბმულ აკაკის მსჯელობა მაინც იქით უნდა გაელუნა, კიტასათვის წამოეკრა ხელი, როდესაც ალექსანდრე აბაშელს ამ მეტაფორებს დაუწუნებდა — ყოფნის სევდას, ყოფნის საფლავსა და ყოფნის წალკოტს:

რომ სევდა საფლავი ყველას ჰყოფნის, ეს რა თქმა უნდა ცხადია, მაგრამ წალკოტი ჯერ-ჯერობით რომ ყველასათვის საკმარისი არ არის, ესეც უეჭველიაო.

მიხეილ წულუკიძეს ეგონებოდა, ეგაა და გამოვიჭირეო:

— არა „ჰყოფნის", ბატონო აკაკი, არამედ „ყოფნის", უჰაოდ.

— ჰაე და ჰოე არაფერს უშველის ბუნდოვან სიტყვას. ნურასოდეს გამოიყენებ ლექსში ისეთ სიტყვასა და წინადადებას, რომლის აზრიც ნათლად და მკაფიოდ არა გაქვს წარმოდგენილი. ასეთი მარცხისაგან მწერლის დაცვა შეეძლო საღ კრიტიკოსს, რომ ასეთი არსებობდეს ჩვენში, — შეუტევდა აკაკი მოპაექრეს და მკაცრადაც გააგრძელებდა განსჯას, რაკიღა ითაკილებდა ამგვარ გამოპასუხებას კრიტიკოსისაგან:

— ჩვენში კრიტიკა არის ბურთის თამაში: ყოველთვის უნდა წაესარჩლო და მოეხმარო შენს ბანაკში მყოფს, და მოწინააღმდეგეს კი, რაც უნდა მოხდენილად და თვალის წარმტაცად მოაქროლებდეს ბურთს, წიხლი უნდა ჰკრა და გააგორო. კიტა აბაშიძე არასოდეს იტყვის კარგს მისი მოწინააღმდეგე ბანაკის მწერალზე, თუ ცუდის თქმა მეტისმეტად უხერხული იქნება, კრინტს არ დაძრავს, თითქოს მისთვის ესა თუ ის მწერალი არც კი არსებობდეს. ასევე მეორე ბანაკის კრიტიკოსებიც — აქებენ თავიანთი მრევლის დიაკენებს და აძაგებენ მოწინააღმდეგე ნრიდან გამოსულ ოქროპირსაც კი.

კიტა აბაშიძე არასოდეს იტყვის კარგს მისი მოწინააღმდეგე ბანაკის მწერალზეო...

და... თუ ცუდის თქმა მეტისმეტად უხერხული იქნებოდა?

კრინტსაც არ დაძრავდა.

და მისთვის განა რა შელავათი უნდა ყოფილიყო, რომ სხვანიც ვერ დაიტრაბახებდნენ უანგარობითა და მიუკერძოებლობით, თავიანთ დიაკვნებსაც რომ აქებ-ადიდებდნენ და სხვათა ოქროპირსაც რაღაც ნაკლოვანებებს, არარსებულსაც კი, გამოუძებნიდნენ.

ხოლო ნარკვევი კიტა აბაშიძისა იმ აპოთეოზით უნდა მოთავებულიყო, რომ:

აკაკი გახლდათ თვისტომთა სასოებისა და უიმედობის, ტირილისა და სიცილის „სარკე“, მათი სევდა-ოხვრისა და სიმღერა-გალობის მეჩანგურე და მესალამურე, ბულბული — დღედაღამ განუწყვეტლივ მყეფარი სატრფო ვარდის „დაზრობის“ გამო, უნუგეშო ტარიელი, ფუტკარი — ბზუილა მოუსვენარი, ხატის ბუზი, ზეცის მუშა, რომელიც სულსა სწირავს და გულს უძღვნის ღვთისა და კაცის ტკბილ სამსახურს, და ხელისშემშლელთა მკბენარი, სანთელი — საიდუმლო პარპალით ბნელს რომ ჰფანტავს თავისი ნათელით და მყუდროდ, უხმოდ და უძრავად დნება, ვით მსხვერპლი დიადი, მადლით განმსპეტაკებელი უწდომელი წყვდიადისა.

და მაშ რაკიღა ასე იყო:

მთელი მისი ქვეყანა ანუ მთელი მისი ერის გული, მადლიერებით აღსავსე, გადიქცეოდა კიდეც მგოსნის სახატედ, რომელშიც დაიმკვიდრებდა სამარადისო და ხელუხლებ ბინას — ერის თანაგრძნობისა და სიყვარულისაგან აგებულს და ერის თაყვანისცემისა და დიდებისაგან შეხურებულს.

„ორ-კიტაობა“ ძალაუნებურად იწვევს ასოციაციას „დათვ ორ-ბელიანთან“.

წინამორბედ პოეტს მომდევნო თაობის კრიტიკოსით რომ ჩაანაცვლებდა აკაკი და იმაზე გულისწყრომას ახლა ამაზე გადმოიტანდა, შეგნებულად თუ უნებლიეთ ეს გაიგივება გარეგნულადაც იჩენდა თავს: ორბელიანობის კალამბური ორკიტაობის კალამბურად უნდა გარდასახულიყო.

დაბარებით არ დაიბარებდა: კიტა აბაშიძე ჩემს გასვენებას არ გააკაროთო.

იმას რომ არ დაიბარებდა: ჩემს დაკრძალვაზე სიტყვა არ ათქმევინოთო, — რა გასაკვირია, ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ არც არავინ შესთავაზებდა გამოსათხოვარი სიტყვის თქმას კიტას და, რომც შეეთავაზებინათ, ის აუცილებლად, უსათუოდ, უთუმცაოდ იუარებდა, მაგრამ სამგლოვიარო პროცესიაში მონაწილეობა? იქ ხომ კიდეც შეიძლება გარეულიყო ჭირისუფლის ნიღბით? არა, ვინმეს დასანახავადაც არ აეკრობა სამგლოვიარო მსვლელობასო — ამაშიც დარწმუნებულიყო აკაკი, თორემ როგორ არ დაიბარებდა, ის კი არა, ანდერძშიც შეიძლება შეეტანა ერთ-ერთ მუხლად: კიტა აბაშიძე აარიდეთ ჩემი დასაფლავების ცერემონიასო.

მაგრამ... კიტა უნდა მისულიყო აკაკი წერეთლის დაკრძალვის პროცესიაში მონაწილეობის მისაღებად.

საფლავამდეც გაჰყოლოდა მგოსნის სასახლეს.

და გზად... გზად რამდენიმე სიტყვას რომ წარმოითქმოდა, ერთ-ერთი სწორედ მისი უნდა ყოფილიყო.

შესთავაზებდნენ და... არ იუარებდა.

ის კი არა, შესაძლოა წინასწარვეც მოემზადებინა სიტყვა, „შესაძლოა“ ანკი რა მოსატანია — თუმც ერთი საუკეთესო ორატორი გახლდათ, აკაკის დასაფლავებისას იმპროვიზებული გამოსვლის იმედად ვერ იქნებოდა, ყოველი სიტყვა და ფრაზა გულმოდგინედ უნდა ყოფილიყო აწონილი და ლიტერატურული ფორმულებივით ჩამოსხმული, მათგან ყველაზე ძალიან ის შედარება რომ დაამახსოვრდებოდა ყველას, ის აღმტაცი სტრიქონები:

— აჰა დაიმსხვრა სასმისი ძვირფასი, რომელშიაც საუკეთესო სასმელი ესხა, მაგრამ ნექტარი კი არ დაღვრილა, არამედ წვეთ-წვეთად გაიფანტა ყოველი ქართველის გულში.

მშვენიერი სიტყვაო, — ასე გაიხსენებდა ვარლამ ძიძიგური.

სამსონ ფირცხალავა მეტსაც გაიმეტებდა:

— უკეთესი მე არასოდეს გამიგონია. ვერცხლის ზარის ხმასავით გაისმა... ერთბაშად დაატყვევა ყველა და სულგანაბულნი აღტაცებით უსმენდნენ დასასრულამდე.

კიდეე კარგი აკაკის ვერ წარმოედგინა, კიტა აბაშიძე სამგლოვიარო სიტყვით თუ გამოვიდოდა იმჟამინდელი ერევნის მოედანზე გამართული მიტინგისას, თორემ დაიბარებდა, სულს ხელში ჩაუდებდა ყველას: ჩემს გასვენებას არ გააკაროთო.

რაო, სიტყვის წარმოთქმაო? ვის უნდა ფარისევლის უგულო სიტყვაო — აჩრდილიც კი აღშფოთდებოდა მისი.

არადა რა ფარისეველი და რომელი ფარისეველი — ასეთ სიტყვას უგულოდ, მოსაჩვენებლად ვერავინ წარმოთქვამს: წრფელი უნდა იყო, ალალი და ძირისძირობამდეც გაგეგებოდეს განსვენებულის ღვაწლი და გემეტებოდეს ყველაზე დითირამბული შეფასებანი.

* * *

კაცხში ხე არ იზრდება სწორი და კაცი როგორ გაიზრდებოდაო...

და მაინც:

კიტა აბაშიძეს ვერაფერი შეუშლიდა ხელს, რომ აკაკის მოთაყვანედ დარჩენილიყო და მისი სახელი ასერიგად აეზიდა: უკვდავიო, ნიკოლოზ ბარათაშვილსა და ილია ჭავჭავაძესთან ერთად XIX საუკუნის ლიტერატურის გამაცისკროვნებელიო, თვისტომთა სასოებისა და უიმედობის, ტირილისა და სიცილის სარკეო, ფუტკარიო, ბულბულიო, ძვირფასი ჭურჭელი, საუკეთესო სასმელით სავსეო; კიდევ: მისი ნექტარი წვეთ-წვეთადაა დაფანტული ყოველი ქართველის გულშიო; და კიდევ: სანთელი — საიდუმლო პარპალით ბნელის გამფანტავიო...

და უნებლიეთ საკუთარ თავსაც აზიდავდა მაღლა კიტა აბაშიძე აკაკი წერეთლისადმი აღვლენილი აღმტაცი, უშურველი ქებით, რაკიღა სიმბოლოდ შემოგვრჩებოდა კრიტიკოსის ღირსებისა.

კარი მერვე

თავი I

აკაკის პუბლიცისტიკა: ახალ „ძართლის ცხოვრებად“

— წასვლა და აღარ მოსვლა შენიც, წინ წყალი და უკან მეწყერიო! — ასე გააცილებდა „ჩემი აღსარებით“ XIX საუკუნეს, მისი საყვედურის მეტი რომ არა მართებდა რა. სხვებს თუ მფარველ ანგელოსად მოვლენოდა, ამას ცბიერ დალილად შემოპარვოდა: სამსონისა არ იყოს, მძინარს მიხდიდა ძალს და დღეს თმაგადაკვეცილი მისი წისქვილის ქვას აბრუნებდა; მის საფქვავს ამზადებდა და... ის კი დასცინოდა?!. აიძულებდა, რომ დაეწყო წმინდა სიონის გალობა და ფილისტიმელურად ემღერ-ეღიღინა. კურთხეულ ყოფილიყო გონება, სიკვდილ-სიცოცხლის მომცემი და ავ-კარგის მომნიჭებელი! მას ემაგალითა „მოთმინება იობისა“ და „ტანჯვა ამირანისა“, მაგრამ მასვე მოემადლა „სიკვდილის დათრგუნვა“ და „საფლავების შინათა ცხოვრების მინიჭება!..“

როგორც მორწმუნე ქრისტიანს, უფლება არა ჰქონდა, რომ გული გაეტეხა!.. მასაც სწამდა და მოელოდა, რომ XIX საუკუნის დანაკლისს XX ასწლეული შეუვსებდა. მართალია თვითონ კი ვეღარას მოესწრებოდა, მაგრამ მისი შვილები ხომ ეღირსებოდნენ და ესეც კარგი ღვთის წყალობა და დიდი სანუგეშო იმედი იქნებოდა. ტყუილად კი არ ეთქვათ ჩვენს ძველებს: მამა შვილისაგან ითავსებაო. მასაც ისინი დასძახებდნენ საფლავში და მიახარებდნენ სამარეში ჩანაყოლი სურვილის განხორციელებას.

ამთავითვე ასე ეჩურჩულებოდა ოცნება და მომავლის იმედი დღევანდელ მის წყლულს მალამოდ ედებოდა. ბევრს აღარას ინაღვლიდა, გინდ ყეფითაც მიეცილებინათ საფლავის კარამდე, ოღონდ კი მომავლის აკვანს „მზე შინათი“ შეგებებოდა ჩვენი ერი!..

მაგრამ რას ამბობდა?

ოცნებებში გართული უეცრად გამოფხიზლდებოდა და... კიდეც აუტყდებოდა ხარხარი:

ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ, არ მოვმკვდარვარ და მკბენენ, და სიკვდილის შემდეგ მარტო ყეფას ვინ მაკმარებსო?

ასე რომ, ეს XIX, მისი თანამდევი საუკუნე მისთვის საუბედურო, სახიფათო და უსამართლო გახლდათ, და ცხოვრებისაც ვეღარა გაეგო რა: ვისაც თვითონ უყეფდა, ისინი არას ერჩოდნენ, და ვისაც უგალობდა, ისინი კი უყეფდნენ.

და სინანული გაჰკრავდა:

ნეტა მეც ყველასათვის მეყეფა, თუკი ხელისშემშლელი აღარავინ მეყოლებოდა და მოსვენებითაც ვიქნებოდიო!..

მაგრამ რაღა დროს — გვიანღა იყო ყველაფერი, ტყუილად კი არ ეთქვათ: ყოლიფერი ნაადრი სჯობს, სიკვდილის მეტიო.

და გულღიად გაიღიმებდა:

ახლა რომ კიდეც ავყეფდე, რაღას მომეხმარებაო.

თავსაც ირწმუნებდა და სხვებსაც არწმუნებდა, რომ უსაშველო არა იყო რა, და ამიტომაც არ იტეხდა გულს.

რაო, რას ამტკიცებდნენ ზოგიერთები?

აკაკი ეგოისტია და მარტო თავის თავზე ლაპარაკობს, სხვა არა აგონდებაო რაო.

ვითომ აკაკის აჯობებდნენ ამ ცილისწამებით, კაცს, რომელიც იუმორის გრძნობას არასოდეს ჰკარგავდა?

არ მინდა იმათ სინდისი გავუმტყუნოო, — ერთს მისებურად წაუქიმუნჯებდათ და ნესტარსაც აამოძრავებდა, — და რადგანაც გამოხვრას მიპირებენ, მეც უნდა მოვიმარჯვო ჩემი სახნისის პირი და საკვეთად მტერთა ჩემი კალამი მოვიშველიოო.

ცხადია ბევრს არ დარჩებოდა სასიამოვნოდ ეს, მაგრამ მეტ გზას რომ აღარ უტოვებდნენ?!. როდესაც მტრები სასიკვდილოდ ხმალს უქნევდნენ, ნუთუ ამას ფარიც აღარ დაეჭირა ხელში?..

მოთმინებასაც თავისი საზღვარი ჰქონდა!..

თუ XIX საუკუნე მოთმინების საუკუნე იყო, დაე XX ასწლეული პირდაპირობისა და შეუპოვრობის საუკუნედ გადაქცეულიყო და აღსრულებულიყო ჩვენი ძველების ანდაზა: მტერმა რომ გიკიჟინოს, შენც შეუკიჟანე, თორემ ნაცარქექია ეგონებიო!..

მოკიჟინე არ აკლდა — არც საქვეყნოში და არც საპირადოში.

და არც თვითონ აკლებდა „შეკიჟანებას“ — დაე სადაც თავისას დაიკვეხნიდნენ, იქ ამისიც ეთქვათ.

წასვლა და აღარც მოსვლა შენიც, ნინ წყალი და უკან მეწყერიო, — ასეთი მუნათით აცილებდა XIX საუკუნეს და XX-ს ენუკეოდა: მე თუ ვერ ვეღირსე, ახალუხლებს მაინც ჩამოაძახებინე საფლავში იქ ჩაყოლილი ჩემი უმთავრესი ოცნების აღსრულებაო...

შეცვლით ჯერჯერობით არაფერი იცვლებოდა მის ცხოვრებაში — ძველებურად განაგრძობდა ყეფასაც და გალობასაც კვლავაც იმ პარადოქსულ ვითარებაში გახვეული: ვისაც უყეფდა, ისინი რომ გაუყურჩდებოდნენ, და ვისაც უგალობდა, აქეთ შემოჰყეფდნენ.

რაც იყო თუ როგორც იყო, მაინც რაღაცას ნიშნავდა მის თვალში, ძველ საუკუნეს მოუსავლეთში რომ ისტუმრებდა, და მინავლებული იმედიც უღვივდებოდა: ნუთუ XX ასწლეული რაღაც სიახლით არ გვანუგეშებსო?!.

საწუხარს ვინ მოთვლიდა, აკაკი ქვეყნის საჭირბოროტოდ რომ ხედავდა და რაც შეიძლება დროზე გამოსასწორებლად, მაგრამ ერთი უპირველესი მაინც მიმბაძველობისაგან თავდაღწევა უნდა ყოფილიყო, თორემ თუ არას ისაშველებდი, სულაც ნიპილიზმის ჭაობი ჩაგითრევდა თანდათანობით.

მიმბაძველობის სატკივარს, ეპიგონობის სადარდებელს იმ სტატიებშიც დაუბრუნდებოდა კიდევ ერთხელ: „ჯეჯილის ათი წლისთავის გამო“ — ახალი ასწლეულის მიჯნაზე რომ დაეწერა და აღარც ამ მკაცრ შეფასებას მოერიდებოდა:

— ის მეცხრამეტე საუკუნე ჩვენთვის, როგორც საზოგადოთ ცხოვრებაში, ისე ლიტერატურაშიაც მხოლოდთ მიბაძობითი ხანაა და არა თვითარსებითი.

მიზეზს იმით ახსნიდა, რომ:

თანადროულ ქართველობას არც წარსული გამოეკვლია და არც აწმყო შეესწავლა ისე, რომ თავისი ნაწარმოებისათვის ეროვნული ფერხორცი მიენიჭებინა.

და ამავე მიზეზით უცხოდანაც ვეღარ ახერხებდნენ გადმომყნას და... რაღაც კარიკატურა გამოდიოდა.

და თუ გულდასმით დააკვირდებოდნენ ამ ნახევარ საუკუნეში ჩვენს მწერლებს, სხვა გზა აღარ დარჩებოდათ, უთუოდ უნდა დათანხმებოდნენ აკაკის, რომ:

გარდა გიორგი წერეთლისა და ალექსანდრე ყაზბეგისა ყველას ნაწარმოები სხვების ნასუფრალი გამოდგებოდა.

და ეს ცოდვა უფრო სათვალთვალოდ ჩვენს კრიტიკოსებსა და პუბლიცისტებს ემჩნეოდათ.

მხოლოდ მიბაძობითი ხანაა და არა თვითარსებითიო...

აქ უფრო წინასწარმეტყველი ღაღადებდა, ვიდრე ლიტერატურის კრიტიკოსი, და ამიტომაც მუნათს უფრო უნდა ეჭარბა, ვიდრე ზუსტად წარმოჩენილიყო რეალური სურათი, მუნათს — რათა არ გვეკმარა მიღწეული და შორსა და შორს ნავსწრაფებულიყავით, თორემ კრიტიკოსის მანტიით აკაკი გაცილებით უფრო მეტ მაგალითს მოიძევდა, ვიდრე ეს ორი ბელეტრისტი გახლდათ.

თუმც ამჯერად ამ ორი სახელის მოხსენიებას იმ კუთხიდან შევხედოთ:

თუ რარიგ აფასებს აკაკი გიორგი წერეთელსა და ალექსანდრე ყაზბეგს, თვითარსებითობის ნიმუშად რომ სახავს ორივეს და ეროვნულ-ესთეტიკურ ორიენტირად, და ცხადია ზნეობრივადაც — აბა როდემდე შეიძლება სხვისი ნასუფრალით გამოკვება, მითუმეტეს, რომ გვერდით უნდა გეგულებოდეს თვითარსებობის სრულქმნილებად და სიმბოლოებად გამომხატველი სახელები, რომელთა შორისაც თუნდ გიორგი წერეთელი და ალექსანდრე ყაზბეგი ერთ უპირველესს აკაკი წერეთელს დაასახელებდნენ...

წარსულის კვლევას ჩაუჯდებოდი, აწმყოს შეისწავლიდი და... მიბაძობითობისა აღარავითარი შიში აღარ გექნებოდა.

და აღარც წინასწარმეტყველს დასჭირდებოდა მკაცრი საყვედურების ღაღადი.

ამ მხრივ, თორემ დასამუნათებელი განა ცოტა გრჩებოდა, აკაკის თვალშიც საზოგადოებისაგან გამოჩენილი უმადურობა ერთ მძიმე ნაკლად რომ ისახებოდა და იმ დამაბრკოლებლად, რომლის გადაულახავადაც ცხოვრებას უძნელდებოდა შესაფერისი დინება.

ვისაც მეტი შეუძლია, მეტიც მოეთხოვებაო, — ხშირად რომ ესმოდა, ვალერიან გუნიასთან გამოკამათებისას განაზოგადებდა და მუნათს იქით დასდებდა გარშემომყოფთ:

ვისაც მეტი შეუძლია, მეტიც რომ უნდა იშრომოს, სამაგიერო, გარდა ტაშისა, რა უნდა მიიღოს? და ეს მაშინ, როდესაც თქვენს ნაშრომს მცირესაც დიდად აფასებთ და სხვებისაგან კი დიდ შრომასაც მუქთად თხოულობთო.

უფრო მკაცრადაც გამოთქვამდა ამ საყვედურს:

გაჭირვებაში რომ იყოს კაცი ჩავარდნილი და შენ სიცილ-ხარხარით გვერდი აუარო და გაჭირვება აუტრიზეო, დევნა თუ არ არის, მაშ ხელშეწყობააო?!.

ვითომ რაფიელ ერისთავს ამგვარი არა მოსვლოდა რა და პატივში მყოფი კიდეც ცხოვრობდა დიდებულად და პოეტურად?..

და აკაკი სახეზე ააფარებდა საზოგადოებას ამ ჩინებული პოეტის ყოფითი ცხოვრების გაუსაძლისობას:

ჰაერდახშულ სარდაფში გამომწყვდევა, ღვინის გაყიდვა და მწვადების მომზადება სხვებისათვის — ნუთუ ამას უთვლიდნენ პოეტურ შრომად და ბედნიერებად?!.

კიდევ კარგი ლევან მელიქიშვილს მისთვის ცენზორის ადგილი გამოეძებნა, თორემ საზოგადოებისაგან მიღებული ტაში და ბარაქალას ძახილი — მარტოდენ და მხოლოდ ეს — დიდხანს ვერ გააძლებინებდა.

და ეს იმიტომ, რომ ნათლი-ჯალაბობისა და ჩვენიან-სხვისიანობის გარეთ იდგა, ასეთ რამეებში არ ერეოდა და... მასზე ამიტომაც არავინ ზრუნავდა. ერთხელ აკი ბანკის არჩევნებშიც გაეშავებინათ.

საერთოდ კი რა საჭირო იყო ამეებზე ლაპარაკი, რაღას არგებდა მიცვალებულს ამ საზოგადოებისადმი საყვედურები?

მკვდრებსა და ძველებს ვეღარ არგებდათ, მაგრამ... განა ახლებშიც არ ერივნენ რაფიელისთანა კაცები? და იმათთვის მაინც მიექცია საზოგადოებას ყურადღება, რათა ისინიც ძველებივით მსხვერპლად არ შეწირვოდნენ უნიჭო და თაღლით-მყვირალა ვითომდა მოღვაწეებს.

ამის თქმისას ძალაუნებურად წამოეშლებოდა ოპონენტთა ირონიული სახეები: ვიცით, რადაც ლაპარაკობ მაგას, შენს თავს გულისხმობ, იმ საღამოსაც შენს თავზე ლაპარაკობდი: შენ თავს ფუტკარი დაარქვი და სხვებს ბუზები და ხარაბუზებიო!..

ირონიითა და სარკაზმით ისინი აჯობებდნენ? სიცილით ისინი გადააჭარბებდნენ?

და არც ამჯერად მოუთმენდათ:

რომელი კარიდან შევიდა ეგ თქვენი გენიოსობა სხვის გულში, რომ დაფარულიც კი ამოგიკითხავთო?!.

აბა ერთი ეთქვათ, როდის ვინმე ეხსენებინა და თავისი თავი როდის დაესახელებინა?.. განყენებულად, საზოგადოდ ლაპარაკობდა და... ამათ კი სულ სხვა დაენახათ. და ნეტა ვის და როგორ ჩაეხედა იმ ოცნების სარკეში, სადაც აკაკი ფუტკრად წარმოდგებოდა და ისინი კი ხარაბუზებად: რატომ და რისგან ხდებოდა, რომ სხვის სიმართლეს კიჟინას დასცემდნენ ხოლმე და თავიანთი სიცრუე კი სურდათ ჭეშმარიტებად გაეყვანათ ხალხში?!.

აგერ აკაკისაც რომ წამოუყელყელავდებოდნენ და... სხვებს რაღას უზამდნენ — ეს მართლა ხარაბუზები, ხარების ნაშრომ-ნაკეთების მითვისებას რომ ლამობდნენ და კიდეც იჩემებდნენ.

და ყელში უნდა გწდომოდნენ, ეგებ მამხილებელი სიტყვა არ ამოგცდენოდა და სხვათა ნაშრომ-ნაჯაფი საბოლოოდ დაენარჩუნებინათ.

გაკვრა-გაგლეჯვაზე დამდგარიყო უმეტესობა და ძნელდებოდა მათი შეკვრა და შენივთება ერთპირად, შეკავება ღვთის სახელითა და ზნეობის აუცილებლობის შეგონებით.

კვლავაც თავისი უნდა ეცადა აკაკი წერეთელსაც, კვლავაც მარადიული სულიერი ღირებულებანი უნდა ექადაგა, თვალდათვალ რომ ცხადდებოდა დრომოჭმულად და ახალი მსოფლიო წესრიგისათვის შეუფერებლად.

სოციალისტური დოქტრინა მოჰკვალავდა გზას, მოარღვევდა და მობრდღვინავდა ძალამოცემული სატანური ჟინითა და ვნებით და დიდ, ხალხმრავალ სახელმწიფოებს ემუქრებოდა შთანთქმით, არამცთუ სახელმწიფოებრიობადაკარგულ ქვეყანას და ისიც მცირერიცხოვანს, მწერლობას რომ უნდა ეტვირთა ერის მეთაურობა და ამ ახალ პოლიტიკურ ძალმომრეობასაც მწერლობა რომ უნდა შეხლოდა, მისი უკეთესი წევრები, და მასთან ჭიდილში უნდა ეცადათ გადარჩენა ქართველობისა, ცუდად გაგებული კოსმოპოლიტიზმი ბევრს თავგზას რომ ურევდა და მსოფლიო მოქალაქეობას ჩააგონებდა, როგორც აუცილებელ პირობას ახალ მსოფლიოში გადასასვლელად.

და კიდევ იმასაც, ეროვნული ტრადიციებისათვის რაც შეიძლება დროულად შეექციათ ზურგი და მტრად დაესახათ ყველა, ვინც ადათ-წესების მარადიულობაზე ეჩიჩინებოდათ, იმ მთავარი ძარღვის შენარჩუნებაზე, რომელსაც უნდა გამოეხსნა გონება მიმბაძველობის ხიბლისაგან და მიენიჭებინა სულისათვის ის მხნეობა და სიმტკიცე, ასერიგად რომ ესაჭიროებოდა დაკარგული სახელმწიფოებრიობის ამოგებას.

...წინ წყალი, უკან მეწყერიო, — მისძახოდა გადაკეცილ ასწლეულს აკაკი და რაღაც საწუგეშოს, რაღაც საიმედოს მოელოდა ეს-ესაა ჩამომდგარი XX საუკუნისაგან.

* * *

გზად მიმავალ ვარლამ რუხაძეს კაცი დაეწეოდა და მიაბრუნებდა: აკაკი გეძებსო, — და ის რომ დაინახავდა მისკენ მოტრიალებულს, გახალისებულ მოაძახებდა:

— აბა, ჩემო ვარლამ, თუ რამე გემეტებათ ჩემთვის, მისაგძლე, კლუბში მივდივარ და ერთი გროში არ მიჭყავა ჯიბეში.

ესეც ამოიღებდა და მიართმევდა სამ თუმანს, და აკაკი მაშინვე კლუბისაკენ რომ გასწევდა, ესეც უკან დაედევნებოდა, მოინდომებდა გაეგო, თუ რა მოხდებოდა, რისი რა მებანქოე გახლდათ აკაკი წერეთელი.

კლუბის გმირები პოეტს რომ დაინახავდნენ, პირზე სიამის ვარდი გადაეფინებოდათ და ერთმანეთს გადაურჩურჩულებდნენ:

— მოვიდა ჩვენი ქობალი.

შემდეგ დიდი თავაზით მიიწვევდნენ მწვანე მაგიდასთან და, ვიდრე აკაკი დაბრძანდებოდა, ისინიც ფეხზე იდგებოდნენ, თითქოსდა პატივისცემის ნიშნად, არადა რა სიამით იფშვნეტდნენ ხელებს აკაკის ჯიბეების მოსალოდნელი ამოცარიელებით გალაღებულნი.

გაჩაღდებოდა ბაქარა, ათამაშდებოდა მოთამაშეთა თვალები და რამდენიმე საათის შემდგომ... კიდეც ჯიბეცარიელი გამობრძანდებოდა აკაკი კლუბიდან. ანკი მართალაც რა სიკეთეს დააყრიდნენ ეს თაღლითები მხცოვან მგოსანს?!. სიბერისა და სიდამბლის გამო ნახევრად რომ დაბრუციანებულიყო, ხშირად ხელმნიფეს ჯარისკაცისაგან ვეღარც კი არჩევდა, მისი მოპირდაპირენი კი — პირიქით, როგორც იტყვიან ხოლმე, ჩითავდნენ ბანქოს და... ხრიადნიდან ტუში ისე გამოჰყავდათ, როგორც არაფერი.

ამას სულ ვერ ხედავდა თუ ანგარიშს არ უწევდა აკაკი?

ბოლოსდაბოლოს ხომ იცოდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე და შულერებს როგორლა ენდობოდა?

მაგრამ მის საქციელს ვარლამ რუხაძე ასე ახსნიდა: ოღონდაც თამაშის ჟინი მოეკლა და სხვას არას დაგიდევდაო.

და ამასაც დასძენდა:

მისთვის ფულს დაღი არ ესვა — დღეს რომ ათასი მანეთი მიგეცათ, ხვალ კაპიკიც არ ექნებოდა, მაგრამ ამაზე ძალიან ცოტას ფიქრობდაო.

როგორ თამაშობდა ქაღალდს?

სიყვარულით რომ უყვარდა, ყველას მოეხსენებოდა, მაგრამ რა რანგის მებანქოედ ითვლებოდა იმ წრეში?

რა რანგისად და:

კლუბის გმირებს სიამე რომ ეფინებოდათ სახეზე მისი დანახვისას, აკი იმიტომაც: გაგვიტყავებია და ეგააო.

დასაკლავი ცხვარივით ეჩეჩებოდათ ხელში.

მაგრამ ეს უკვე დასნეულებული, კარგადაც რომ ვეღარ ხედავდა, თუმც ბანქოს მაგიდას კი მაინც ვერა და ვერ ეშვებოდა.

მაგრამ ადრე, როდესაც ყოჩაღად გრძნობდა თავს და მზერაც გადაცისკრებული ჰქონდა? ვითომ მაშინაც ადვილად გააცურებდნენ ხოლმე? მაშინაც იმათ ჯიბეებში უნდა გადანაცვლებულიყო პირწმინდად ამისი ფული?

აბა გრიგოლ რობაქიძემ ამისთანებისა რა იცოდა — თვითონ ქაღალდის თამაში არასოდეს ჰყვარებოდა და როგორ შეეძლო თქმა, თუ როგორ თამაშობდა ბანქოს აკაკი.

მხოლოდ ერთ დეტალს კი შენიშნავდა:

ბევრჯერ ენახა კლუბიდან დაბრუნებული აკაკი და მოინდომებდა მის სახეზე ამოეკითხა: ნეტა წააგო თუ მოიგოო.

ძნელი აღმოჩნდებოდა გამოცნობა.

ერთხელ რა არის, ერთხელაც არ გაუმართლებდა — ვერაფრისდიდებით ვერ იგუმანებდა.

აზარტმა იცის ამისთანა ჩათრევა, წაგება-მოგებასაც არავითარ მნიშვნელობას რომ არ ანიჭებ, რადგანაც თვითონ პროცესი თამაშისა გგვრის განუზომელ სიამოვნებასა და ნეტარებასაც კი. ამიტომაც მოდიხარ სავსებით კმაყოფილი და ვინ რა უნდა შეგატყოს გამარჯვება-დამარცხებისა.

თამაშისას ეს განწყობილება ძალიანაც გეხმარება, რათა დანარჩენებმა ვერ ამოიცნონ, რა კარტი გიპყრია ხელთ, მონდომებით გაკვირდებიან, აქეთ-იქიდან გატრიალებენ, მაგრამ...

ვისთვის ეს დახვეწილი ოსტატობის ნიშანია.

აკაკის ქაღალდის თამაშში ამ ოსტატობისათვის არასოდეს მიეღწია და, მიუხედავად ერთგვარი აზარტულობისა, სახიფათო მოწინააღმდეგედ არც არასოდეს მიუჩნევიათ.

მაშ ეს გაქვავებული სახე რას უნდა მიგვანიშნებდეს — უშუალოდ თამაშისას თუ თამაშის შემდგომ?

უფრო მნიშვნელოვანი მიზანი აიყოლიებდა კლუბში სასიარულოდ, ვიდრე ბანქოთი დაღლილობის გაქარვება გახლდათ, ანდა აზარტულობის ჭიის მოკვლა — მისთვის ეს საზოგადოებაში ტრიალს ნიშნავდა უპირატესად, ჭრელ, მრავალფეროვან გარემოში ყოფნას და ათასგვარი აზრისა და განწყობილების შეტყობას — თემებს შოულობდა და უხვადაც პუბლიცისტური სტატიებისათვის, და კიდეც უშუალოდ ეხმაურებოდა ყველა სიახლეს, ყველა ფენის საფიქრალ-სადარდებელს.

და... შენ გინდოდა შეგეტყო: მოგებული ბრუნდებოდა შინ თუ წაგებული?..

ხშირად თვითონაც აღარ ახსოვდა.

ოოო, კლუბს კი ემადლიერებოდა და ძალიანაც ემადლიერებოდა, რაკიღა ახალ-ახალი თემებით დატვირთული გამოდიოდა იქიდან.

განა ექვთიმე თაყაიშვილიც ამას არ გვამცნობს და ამავეს არ მიგვანიშნებს?

ილიასავით რომ უყვარდა აკაკისაც კარტის თამაში და ხშირად ღამესაც ათენებდა და ვიდრე ჯიბეს არ ამოიცარიელებდა, თამაშობას არ მიატოვებდა, ყველა ამჩნევდა, რომ ილია უმეტეს შემთხვევაში კარტში ფულს იგებდა, ხოლო აკაკი თითქმის ყოველთვის აგებდა.

და აი ექვთიმე ერთხელაც ჰკითხავდა ბანქოს მოთამაშეებს:

— რა მიზეზია, რომ ილია იგებს და აკაკი სულ აგებს?

პასუხად კი:

— შეუძლებელია აკაკიმ მოიგოს, რადგან მან „ფასი“ არ იცის, ქაღალდი მოუვა თუ არა, მისთვის სულერთია, მაინც თამაშობს.

ამიტომაცაა, რომ მის პარტნიორებს „ბურდუჩნი“ კლუბში დავა ჰქონდათ ხოლმე ერთმანეთში, აკაკის რომ დაინახავდნენ:

— დღეს მე ვეთამაშები და არა შენ. შენ გეყო, რაც წინათ მოუგე, ახლა კი მოგება მე უნდა მხვდეს.

ასე იცოდნენ წინდაწინვე რომ აკაკისთან თამაში მათთვის ყოველთვის მოგებას ნიშნავდა.

ქაღალდი მოუვა თუ არა, მისთვის სულერთიაო...

შეტყობით ატყობდნენ, მაგრამ ფსიქოლოგიური მიზეზის ახსნა უჭირდათ და... არც გამოიდებდნენ თავს საამისოდ, რა თავი ემტვრიათ, როდესაც ფული მგოსნის ჯიბიდან მათ ჯიბეებში ინაცვლებდა და ინაცვლებდა და ინაცვლებდა.

მოვიდა ჩვენი ქობალიო...

იფიქრებ: არად აგდებდნენ როგორც პოეტს, არც არა გაეგებოდათ მისი მგოსნობისაც და მისი განსაკუთრებული პოპულარობისაცო.

ყველას გაეგებოდა და არც შულერები თუ აზარტული მებანქოეები ყოფილან გამონაკლისთა შორის, ის კი არა, ძალიანაც ეამაყებოდათ, თვით აკაკი წერეთელი რომ უყადრებდათ თავს და მათთან თამაშს კადრულობდა. ხშირად დაუტრაბახიათ: აკაკისთან ბანქო გვითამაშია და არაერთხელაცო, — მაგრამ რა ექნათ, როდესაც ფულის შოვნის ასეთი ადვილი საშუალება თავისით უვარდებოდათ ხელში. აუკანკალდებოდათ სული მისი ყოველი გამოჩენისას, აბა რა იქნებოდა, და ისე მოეფხანებოდათ ხელისგულები, ლამის ერთიმეორეს წვდომოდნენ ყელში: დღეს არა ჩემია და არა ჩემიო.

ის — მოდიოდა.

ჯერ ყოჩაღად, მხნედ, ფეხაჩქარებით, მერე და მერე — დროის კვალობაზე — ნაბიჯი სულ უფრო რომ უნდა შეენელებინა და მზერაც ზემოთ მიეპყრო, რათა ლანდებად თუ ზეციურის ანარეკლად მაინც აღექვა ის გარემომცველი სინამდვილე, რომლის გადასარჩენადაც თავი არ ეზოგებოდა.

მოვიდა ჩვენი ქობალიო...

ხედავდა მათ გაბრწყინებულ სახეებს, მათ მოუთმენლობას, მათ აცუნდრუკებას, მაგრამ რა შეაჩერებდა, როდესაც თამაშში უნდა გადაშვებულიყო და ესიამოვნა და ენეტარა ამ უჩვეულო მოვლენით, რასაც კაცი-მოთამაშის ფენომენი და განცდა ერქვა და რაღაც სხვა სუნთქვაც იხსნებოდა მის წინაშე, რაღაც სხვა კარიც იღებოდა, რაღაც სხვა პეიზაჟებიც ილანდებოდა.

თან უკეთესი ადგილი სად უნდა დაგეგულებინა, სადაც ასეთ ჭრელ საზოგადოებაში მოხვდებოდი და რას აღარ გაიგონებდი — თავისით გიცვიოდა ყურთასმენაში ახალ-ახალი ამბები, ამდენი ადამიანის ფიქრი, სწრაფვა, შეჭირვება, სიხარული შენსკენ ინაცვლებდა და გაცხრილვაღა გევალებოდა და გონებაში აღბეჭდვა, რათა შესაფერის გარსში მოგექცია და დროულად, სახელდახელოდვე გემცნო მკითხველებისათვის შენს სულიერ ბრძმედში გამოვლილნი და ახლებურად აელვარებულნი.

თემები ეყარა, ჰოი რა უხვად ეყარა თემები, მათ შეწოვასა და შერჩევა-დახარისხებას თუ ვინმესი, აკაკის გონება რომ გაწვდებოდა და... ხელებს იშფვნეტდა კლუბის კარის შეღებისთანავე: დღესაც რა გამდიდრებული გამოვალ აქედანო!..

შეჰყურებდა გრიგოლ რობაქიძე კლუბიდან მომავალს და: ნეტა მოიგო თუ წააგოო, — ვარდებოდა საგონებელში, რადგანაც არაფერი, სულ არაფერი ეტყობოდა სახეზე აკაკის... ისე: უნდა მიმხვდარიყო, გრიგოლ რობაქიძე კი უნდა მიმხვდარიყო.

მოვიდა ჩვენი ქაბალიო...

მზე ჯერ არც ამოწვერილიყო, ვარინკა წერეთელი რომ შეხვდებოდა სასტუმრო „გრანდ ოტელთან“ — სახედაღლილს, ეტყობოდა, უძინარი რომ იყო.

— სად ბრძანდებოდით, ბატონო აკაკი, ასე დილაადრიან? — გაკვირვებით ჰკითხავდა, და იმას კი ნათელი უნდა გადაჰფენოდა სახეზე:

— ჩემო ვარინკა, მთელი ჩემი სიცოცხლე სულიერ სიწმინდეზე ვზრუნავდი და მგონი ამ მხრივ მიზანს მივაღწიე კიდეც. ახლა, ამ ცინცხალ დილაზე, ხორციელადაც სრულიად გან-

წმენდილი გახლავარ: წუხელ მთელი ღამე ბანქოს ვთამაშობდი და რაც ფული მებადა, მთლად წავაგე. ასე რომ, სრულიად გასუფთავებული მივდივარ ჩემს საკანში.

თავის პატარა ნომერს ასე იხსენიებდა ხოლმე. არადა იმდენს იძახებდა ამ საკანს, ვიდრე... მართლა არ ამოჰყოფდა თავს საკანში.

მართალია ერთ ღამეზე მეტს იქ არ გაატარებდა, მაგრამ საკანი მაინც საკანია და დაპატიმრებაც დაპატიმრებაა!.. თანაც პოლიტიკური სარჩული რომ უდევს და არა ვალის გადაუხდელობა.

გაფაციცებულიყო, თვალი და ყური ისე გაემახვილებინა, აცა არაფერი გამომრჩესო, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ნაამბობსა თუ შემთხვევიდან შემთხვევამდე წამოსროლილ ფრაზებსაც რაღაც უნდა ემცნო მისთვის, რაღაცის მიმანიშნებელი, და მათი გამთლიანება ეცადა, რათა საბოლოოდ ყველაფერი გადაბმულიყო და ცალკეული სურათები ერთიან პანორამადაც გადაჭიმულიყო.

პიროვნულ ცნობისმოყვარეობას გადაჯაჭვოდა პუბლიცისტის შეგნებაც და მემატიანის მოვალეობაც.

არა ხამუშ-ხამუში გამოხმაურებანი მტკივნეულ მოვლენებზე, მსხვილმანი იქნებოდა თუ წვრილმანი... თუმც წვრილმანი არც არას ეთქმოდა, რაკიღა წამლობა მათაც არანაკლებ ესაჭიროებოდათ, ვიდრე გაბევრდებოდნენ, გაიზრდებოდნენ და... ვაითუ მოურჩენელსაც დამგვანებოდნენ... დიახ, არა ხამუშ-ხამუში გამოხმაურებანი, არამედ კვალდაკვალ მიყოლა ყველაფრისათვის, ლამის უკლებლივ ყველაფრისათვის, ან რაღა ლამის...

თუ ვინმეს, ერთ უპირველესს აკაკისაც გაჰყურებდნენ ხოლმე გუნებაში, როდესაც კი რამე ხდებოდა, როდესაც კი რამე შეაფიქრიანებდათ და მითუმეტეს — შეაწუხებდათ: ის როგორ განსჯიდა, როგორ გამოარჩევდა მზაკვრულ განზრახვებს, როგორ ამხელდა, როგორ ამოუდგებოდა გვერდით კარგსა და სასიკეთოს, რა ნუგეშის სიტყვას გამოძებნიდა, რა იმედისა, სადარდებელს როგორ შეუმსუბუქებდათ, ოცნებას რარიგ აღუნთებდათ.

ამიტომაც უნდა გაფაციცებულიყო.

ამიტომაც უნდა გაემახვილებინა თვალი და ყური ყოველწამიერ.

ამიტომაც უნდა მოჰბღაუჭებოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტ ნაამბობებსაც და შემთხვევიდან შემთხვევამდე წამოსროლილ ფრაზებსაც, რომელნიც ვინ იცის რას მიანიშნებდნენ, იქნებ ძალზე საგულისხმოსაც, ეგებ სასწრაფოდ მოსაგვარებელსაც.

პუბლიცისტობას დრო მოითხოვდა მისგან.

საზოგადოებრივი მოვლენები და მათი მდინარება სწორედ იმ დროულ რეაქციას ავალებდა, დაგვიანებას ვაითუ საბედისწერო ნაყოფიც რომ მოეტანა. ის კი არა წინაც უნდა გაესწრო მოვლენებისათვის, ალღო ალღოდ გაემკვეთრებინა, ყნოსვა ყნოსვად გაემძაფრებინა, გულის თვალიც გამუდმებით ფხიზლად ჰქონოდა, არ დაღლილიყო, არ გაბეზრებულიყო, ერთი პირი ძილი წყალმაც რომ იცოდა, მას ეს უნდა დაევიწყებინა და ის ერთი პირი ძილიც ისე დაეფრთხო, ახლოსაც ველარ მოკარებოდა, თორემ ვაითუ წამიერ ჩათვლემას ქარისათვის გაეტანებინა ამდენი ხნის ნაჯაფ-ნაჯახირევი.

ეს — პუბლიცისტის შეგნება.

და... მემატიანის მოვალეობა?

ამაზე თვითონ არას ფიქრობდა, მემატიანეობასა და ისტორიკოსობას არცა ჩემულობდა. ეგაა სასკოლო სახელმძღვანელოებში საქართველოს ისტორიის კურსი რომ არ მოიძევებოდა, ყმაწვილებს ამ მხრივ დამპურებელი ხომ ესაჭიროებოდათ და... ეს აუცილებლობაც უბიძგებდა ისტორიული პოემებისა და ნოველების შესაქმნელად, რათა ახალგაზრდობას — არც უფროს თაობას მოსჭარბებებოდა — წარსული წარსულად შეეტყო და მისი სიყვარულიც ეგრძნო, ეგრძნო და შეესისხლხორცებინა, შეესისხლხორცებინა და მომავლისათვის გადაეღო თავი.

აკი ისე წერდა, ახალგაზრდებისათვის ხელმისაწვდომი და გულისშემძვრელი ყოფილიყო გარდასული ამბები, აკაკის მიერ ქართლის ცხოვრების ქრონიკებშიც ამოკითხული და მხატვრულ ქარგაში ჩამოსხმული — პოეტურად, ბელეტრისტულად თუ დრამატურგიულად.

XIX საუკუნის დასაწყისამდე აღწევდა „ქართლის ცხოვრების" დრამატიზმითა და ტრაგიზმით აღსავსე ფურცლები და იქ წყდებოდა, ერთმანეთს გადაჭდობილი და შემავსებელი თხრობა სხვადასხვა უამთააღმწერლისა გაგრძელებას მოითხოვდა და ასე აშკარად გამგრძელებელი არა ჩანდა, ვიდრე ალექსანდრე ფრონელი ითავებდა ისტორიულ ქრონიკათა შედგენას: ეს მთიულეთის 1804 წლის ამბოხებაო, ეს კახეთის 1812 წლის აჯანყებაო, ეს ალექსანდრე ბატონიშვილის დრამატულ-ჰეროიკული თავგადასავალიო...

მანამდე ალექსანდრე ორბელიანს კი გაემზადებინა „ახალი ქართლის ცხოვრების" მისეული ვერსია, ერთიანი მატიანე, თავისთავად რომ გადაებმოდა ლეონტი მროველისა თუ ჯუანშერის, უცნობ მეისტორიეთა თუ სეხნია ჩხეიძისა და ბერი ეგნატაშვილის თხრობას, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდღა ფრაგმენტებად გამომზეურებულიყო ისტორიული ქრონიკისა თუ მხატვრულ-დოკუმენტური პროზის ეს დიდებული ნიმუში, აკაკისათვისაც კარგად ნაცნობი, სული და გული რომ უფორიაქდებოდა მათ გახსენებაზე: ნეტა რა იქნა ის ნაწერებიო?!.

ადრე თუ გვიან ელირსებოდა ალექსანდრე ორბელიანის საისტორიო ქრონიკასაც ერთ მთლიანობად და სრულყოფილი გაცხადება?

მაგრამ მასაც ხომ უნდა მოჰყოლოდა თავისი გაგრძელება.

და გამგრძელებელთა შორის აკაკი წერეთელიც უნდა ჩამდგარიყო თავისი მონუმენტური ხედვითა და იმ ძალ-ღონით, ვერც ეს მოვალეობა რომ შეაკრთობდა და ვერც ეს ტვირთი გადრეკდა.

მემატიანეობასა და ისტორიკოსობას არცა ჩემულობდაო...

მაგრამ ცხოვრება თვითონვე უბოძებდა ხელთ ჟამთააღმწერლის კალამსაც.

რაკიღა არ იფარგლებოდა მარტოდენ განსჯით, მარტოდენ ღაღადისითა თუ მხილებადამუნათებით და თხრობასაც გაშლიდა და სურათებსაც ჩამოამკრივებდა, და პერსონაჟთა სილუეტებსა და პორტრეტებსაც მოხაზავდა ზუსტად და კოლორიტულად მიგნებულწარმოჩენილი თვისებებისა თუ ფსიქოლოგიური შტრიხების წყალობით, თავისთავად და ძალდაუტანებლად მიედგმოდა ერთმანეთს ყველა ის მონათხრობი, შეავსებდა და... ესეც ის „ახალი ქართლის ცხოვრება", ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი ძველ მემატიანეთა ნაჯაფისა, ჟამთააღმწერელთა, რომელთა ნაღვაწსაც, ვახტანგ VI-ისა და მის მიერ შეკრებილი სწავლულ კაცთა კომისიის წყალობით შეკრულ-შედუღაბებულს, გრიგოლ რობაქიძე ეპოსს შეარქმევდა იმ სიღრმისა და შთამბეჭდაობის, იმ სიცხოვლისა და დინამიკა-ექსპრესიის გამოისობით, სრულიად რომ დაშორებოდა მშრალ თხრობას, ოქმურ ჩანაწერებს და დიდებულ მხატვრულ-დოკუმენტურ ქმნილებად გამოკვეთილიყო — უზარმაზარად და თავშეუდგემად შინაგანი სივრცის უკიდეგანობის წყალობით.

არ გინდოდა „ქართლის ცხოვრების" გაგრძელება — ამ სიმაღლის შენარჩუნება?

თუ ვინმეს, აკაკის შესწევდა ძალიც ქადილისა. ეს ისე ითქმის, თორემ რომელი ქადილი და რა ქართლის ცხოვრების გამგრძელებლის ხელობა, ისე რომ გასცილდებოდა წუთისოფელს, ამაზე არც დაფიქრდებოდა, და ვინმეს რომ ეთქვა: ახალი დროის ჟამთააღმწერელიც ხარო, — გაიცინებდა მისებური სიცილით, რაღაც იდუმალი მადლი რომ დაჰყვებოდა: ჟამთააღმწერლობასთან რა ხელი მაქვს, მხოლოდ უბრალო დღიური მუშა ვარ და დღიურ მუშადაც ვრჩები, ამიტომაც ნება არა მაქვს ყოველდღიურ სამუშაობას გვერდით ავუარო, გინდ წვრილმანიც იყოსო.

შენი პუბლიცისტური სტატიები, ნოველებივითაც საკითხავი და ერთად შეკრებილნი, უდავოდ ხუროთმოძღვრის ქმნილებააო, — ის თუ არ მოეშვებოდა?

სახუროთმოძღვროდ სად მეცალა ანდა როდის უნდა მოვიცალოო, — კვლავ თავისაზე იდგებოდა ნირშეუხრელად, თან რაღაც ამგვარსაც გაიფიქრებდა: რა უნდა, რას გადამკიდებია, განა რა საქმე მაქვს „ახალ ქართლის ცხოვრებასთანო".

მიმოფანტულიყო მისი სტატია-მოგონება-ნოველები სხვადასხვა გამოცემების ფურცლებზე, ერთიან ციკლადაც არ მოჩანდა, თორემ ქართლის ცხოვრების მატიანეობას ვინ ჩივის, მაგრამ როდესაც ამოთავდებოდა და ოდესმე აკაკის ტომებშიც მოთავსდებოდა გვერდიგვერდ, დიდი რამ დაკვირვება და მიხვედრა აღარც ესაჭიროება, თუ რა ჟანრის ქმნილება გვაქვს ხელთ.

თვითონ ასე არ ჩაეფიქრებინა, ასე არ გაეაზრებინა და მარტოდენ სტატიებად, სახელდახელო გამოხმაურებად მიიჩნევდა იმ ფურცლებს, დღიური მუშის გარჯად?

ხშირად მომხდარა, სხვაგვარად განუზრახავთ და შედეგი სხვაგვარი ყოფილა — კიდევ უფრო მასშტაბური, ვიდრე ავტორი ფიქრობდა — ნიჭს გაცილებით მაღლა აეზიდა განზრახვა, გაცილებით მეტი სივრცე მიეჩინჭებინა, გაცილებით მეტი სულიერებით აღევსო.

აგერ მიგელ დე სერვანტესი არც რაღაც განსაკუთრებულს იზრახავდა „დონ კიხოტის“ შექმნით და არც მერე შეუფასებია ჯეროვნად, როდესაც მოათავებდა და ხელთ ეს გრანდიოზული ქმნილება შერჩებოდა. მისი თვალთახედვით: რა გრანდიოზული და რომელი გრანდიოზული, რაინდული რომანების დაცინვა მოენდომებინა, მათი პაროდიული ორეულის შეთხზვა და მოცლილობის ჟამს კიდეც კარგად გართობილიყო და იმედოვნებდა, მკითხველსაც გავამხიარულებო. ეს იყო და ეს, რაც სიამედ ელვრებოდა გულში, და ეამაყებოდა „პერსილესისა და სიგიზმუნდას ყარიბობის“ შექმნა: ეს რომანი შეინახავს თუ შეინახავს ჩემს სახელსო, ეს უკვდავყოფს თუ უკვდავყოფსო.

თუმც ესპანეთში სად მივილტვით — ისე არც გაგვემტყუნება ეს ლტოლვა ბერი იოანეს სამოგზაუროდ აღძვრის შემდგომ, ლეგენდასავით რომ შემოგვინახავდა „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება“, იბერთა ნათესავების საძებნელად რომ გაეშურებოდა ესპანეთისაკენ — როდესაც თვალწინ გვაქვს მაგალითი, ვაჟა-ფშაველას ხუთი პოემისაგან შემდგარი ციკლი, ერთიან საგმირო ეპოსად რომ მთლიანდება და ჰომეროსის მოლანდებას იწვევს, არადა თვითონ ვაჟა „გველის-მჭამელს“, „გოგოთურ და აფშინას“, „ბახტრიონს“, „ალუდა ქეთელაურსა“ და „სტუმარ-მასპინძელს“ ცალკეულ პოემებად მიიჩნევდა სხვა ამ ჟანრის ნიმუშებივით და ვერც იფიქრებდა, „გილგამეშიანის“ შუმერული პირველწყაროს მსგავსი აღნაგობის ეპოსი თუ შეექმნა და უნებლიეთ თვით ჰომეროსთანაც გაედო ხიდი.

ანდა ვასილ ბარნოვი ისტორიულ მოთხრობებსა და რომანებს რომ ჩამოამწკრივებდა, რას წარმოიდგენდა, „ქართლის ცხოვრების“ მხატვრულ ანალოგს თუ ქმნიდა, ისტორიულ ქრონიკებს რომ უნდა ამოდგომოდა გვერდით მამასახლისების დროიდან მოკიდებული. ნაყოფი გადააჭარბებდა და შორს გასცილდებოდა განზრახვას ცალკეულ ისტორიულ თხზულებათა შექმნისა, მონუმენტურ შენობად რომ გამოიკვეთებოდა და ტოლს არ დაუდებდა „ქართლის ცხოვრების“ ეპოსამდე ატყორცნილ სიდიადეს.

საამისო ნიმუში თვალსაჩინოებისათვის სხვაც არაერთი მოიკრიბება, მაგრამ ესეც სავსებით უნდა კმაროდეს, რათა არ გავიზიაროთ აკაკის ის მოკრძალებული შეფასება თავისი სტატია-მოგონება-ნოველების ციკლისა და ერთხელ და სამუდამოდ დავუმკვიდროთ მათ ერთობლიობის სახელი „ახალი ქართლის ცხოვრებისა“.

ამ „ახალ ქართლის ცხოვრებას“ არც სიმძაფრე მოაკლდებოდა, არც სიმწვავე, არც დრამატიზმი, ტრაგიკულ სურათებს კი გაერიდებოდა, უფრო სწორად ცენზურა არ დაანებებდა ახდილად, მხატვრულად შეუბურავი სახით წარმოესახა საზარელი სურათები, რომელიც ყოფითი რეალობიდან პირდაპირ გადმოიტანდა ტრაგიკულ ამბებს.

ალექსანდრე ყაზბეგსაც კი შეუშლიდნენ ხელს წლების წინათ, რათა 1804 წლის ტრაგიკული სურათები შეუფერადებლად შემოეტანა თხრობაში, „ელგუჯას“ გამოცემას რომ აკრძალავდნენ ცალკე წიგნად.

ეს ამ მწერლის განსაკუთრებული პოპულარობის გამო მოხდებოდა, მის ნაწერებს მკითხველი მთელი არსებით რომ ეწაფებოდა. ამიტომაც ხელ-ფეხი უნდა შეეკრათ მისთვის. ხოლო ალექსანდრე ფრონელს ის გაუმართლებდა, მისი სახელი შესაფერისად რომ არ გახმაურებულიყო, მკითხველი ნაკლებად ასდევდა, და ამიტომაც დიდად აღარ დააბრკოლებდნენ მისი ისტორიული ქრონიკების გამოცემას, იქ ჩართული დოკუმენტური მასალა ტრაგიკულ სურათებად რომ გადაიჭიმებოდა.

აკაკის რა გული მოუთმენდა, 1905 წლის რევოლუციის მომდევნო საზარელი ამბები ფურცელზე არ გადაეტანა, თუმც მხატვრულ საბურველს მოიშველიებდა მათ გასაცხადებლად. რაც უნდა ყოფილიყო, ეს ნაწერებიც — პოეტური, ბელეტრისტული თუ დრამატურგიული — შესაძლოა „ახალი ქართლის ცხოვრების“ აკაკისეული ვერსიის ერთგვარ შენაკადად ვიგულისხმოთ, ყოფითი რეალობა უშუალო სახით რომ შემოგვრჩებოდა, ყო-

ველგვარი მხატვრული გაზვიადების გარეშე. მხატვრული მარტოდენ ქარგა იქნებოდა, რუსული ძალმომრეობის ეპიზოდები საუკუნის თავზე ისევე რომ შეგეძრავდა შემზარაობით, როგორც მთიელთა თუ კახელთა საჩივართა წყება, დროების ტრაგიზმს ხელშესახებად და რელიეფურად რომ ამოზიდავდა.

რას გვამცნობს აკაკი და:

ქალების ნამუსის ახდას რომ შეჰყურებდნენ — მამა შვილისას, ძმა დისას და ქმარი ცოლისას, ხმასაც ვერ გაიღებდნენ, რადგანაც იქვე მოჰკლავდნენ და მშველელი კი არსაით მოიპოვებოდა.

კაზაკთა რაზმი ულმობლად დაერეოდა გიმნაზიის ეზოში მოთამაშე ბავშვებს და ტყვიების წვიმით სისხლს რომ ადენდნენ, იქაურობას მთლად გადააწითლებდნენ. პატარა ბიჭი თავის გადასარჩენად სარდაფში დაიმალებოდა? არ მოეშვებოდნენ, იქამდე ჩაჰყვებოდნენ და განგმირავდნენ. ასე საბედისწეროდ უნდა დასრულებულიყო ის ყმაწვილური გართობა — კოჭაობა.

ჯარისკაცები თავზე უნდა წადგომოდნენ წყაროსთან მყოფ ყმაწვილქალს, ცხრა-ათი წლის გოგონა რომ ახლდა და შეშინებულს უნდა ეკივლა: დედა, რუსებიო! — და ქალი რომ გაიქცეოდა, ჯარისკაცები გოგონას სტაცებდნენ ხელს. თავზარდაცემული დედა უკანვე რომ მოვარდებოდა, შეევედრებოდათ: მე რაც გინდა მიყავით, ოღონდ ბავშვი გაუშვითო, — მაგრამ ან იმას ვინ გაუშვებდა უვნებლად და ან ამას...

ქვრივს სახლს რომ დაუწვავდნენ, თვითონ მას საჯაროდ, ყველას თვალწინ ახდიდნენ ნამუსს და... კიდეც შეშლიდნენ ჭკუიდან.

ამ გულსაკლავ სურათებთან შედარებით ეს ეპიზოდი ისეთი თავზარდამცემად არ გამოიყურება, მაგრამ სულიერ გაპარტახებას კი ცხადად ნათელყოფს კაზაკ-რუსთა იმ რაზმისაც და საერთოდაც, ოცდაათკოკიან ქვევრს რომ მოხდიდნენ თავს, და თუმც მასპინძელი ორშიმოს მიაწვდიდათ, გვერდზე მოისროდნენ, მაღალყელიან ჩექმებს გაიხდიდნენ, იმით ამოიღებდნენ ღვინოს და შეხვრიპავდნენ და შეხვრიპავდნენ...

აკაკი ბაქრაძე ამ მაგალითებს მოიხმობდა არამარტო ხელისუფლების სისასტიკის გასათვალსაჩინოებლად, არამედ რევოლუციის არსის გადმოსაშლელადაც, ამ მოვლენით თავდაპირველად დიდად გატაცებულ აკაკის იმ კაცს რომ შეადარებდა, ხიდზე მდგარი აქაფებულ მდინარეს რომ დასცქეროდა და... თვალი აუსიორდებოდა. მაგრამ ასიორება მზერისა არ შეიძლება ყოფილიყო სამუდამო — საკმარისია ასეთ დროს გვერდზე გაიხედო ან თვალი დახუჭო და... საღი მხედველობა დაგიბრუნდეს.

აკაკიც მალე მიხვდებოდა 1905 წლის რევოლუციის ნამდვილ არსს და: კიდეც შეიცვლებოდა „ჩემი რწმენა“ „ჩემი ჭმუნვით“:

— რევოლუციამ ყველა ჭკუათამყოფელს ნათლად დაანახვა კლასობრივი ბრძოლის დაუნდობლობა, სისასტიკე და უაზრობა, მოხდა ეროვნული პრობლემის უგულებელყოფა და, ათეიზმის სახელით, არამარტო რელიგიის უარყოფა, არამედ საერთოდ ზნეობისაც. ეს კი ცალკეულ პიროვნებასაც და მთელ საზოგადოებასაც კატასტროფით ემუქრებოდა. აკაკიმ გაისიგრძეგანა მომავალი საფრთხე.

და ყველაზე კანთიელ დასტურად უნდა გახსენებულიყო ის სტრიქონები ლექსიდან „ჩაფიქრება“:

თავი მოაქვთ მშრომელ მუშად, სამშობლოს რომ სჭრიან ყელსაო.

თავისითაც მიხვდებოდა ამ ყოველივეს აკაკი, თავისითაც გადაუვლიდა აღტკინება-აფოფინება და გააცნობიერებდა, თუ რა იდგა დემოკრატიის, თავისუფლების, ადამიანის უფლებათა დაცვის მიღმა, მაგრამ მისი მზერისათვის ჩვეული სისაღის დაბრუნება უნდა დაეჩქარებინა წიწამურის ტრაგედიას: იმ მასშტაბის პოლიტიკურ მკვლელობას, ქვეყნის ტრაგედიას რომ უნდა გაეგივებოდა და... აკი ასეც დაბეჭდავდა თავისი ბეჭდით აკაკი.

ესეც გვირგვინი „ახალი ქართლის ცხოვრების“ აკაკისეული ვერსიისა, ცრემლსა და მწუხარებაში განბანილი ეპიზოდი, უფრო კი მოვლენა, ქვეყნის ბუნებრივ სვლას ძალიან რომ დააბრკოლებდა და სულაც უფსკრულისაკენ დააქანებდა.

ამ თვალით შესაცნობი და შესასწავლი გვაქვს, ჯერაც ჩასაღრმავებელი და გასააზრე-

ბელი აკაკის პუბლიცისტიკა, ეს მეორე მხარე და დანიშნულებაც რომ აღმოაჩნდებოდა, მეგზურად და გზამკვლევადაც რომ გვეგულება და მის გაგრძელებასაც დავეძებთ მომდევნო ხანაში, ძალზე კანთიელად და თვალსაჩინოდ რომ ამოიზიდება მისი ეს უშუალო გაგრძელება.

ქართლის ცხოვრების მატიანეს ყოველთვისაც დასჭირდება და კიდეც გამოუჩნდება ახალ-ახალი შემავსებელნი.

თუმც დაე ხვალემ იკითხოს ხვალისა, ამოსაზიდი თავის სანთელ-საკმეველს ჰპოვებს, ჯერ კი ის ვიცოდეთ, აკაკის პუბლიცისტური ნაღვაწი ორმაგად რომ უნდა შევაფასოთ — ამ ჟანრის თავისებურებითაც და ამ ჟანრის საზღვრებს მიღმა მკვეთრი გაღწევითაც.

მოვიდა ჩვენი ქობალიო...

ეჩეჩებოდათ ხელში... ახალ-ახალ ამბებს მიყურადებული, ყველა წვრილმანსა და ნიუანსზე გაფაციცებული, ანთებული და დახარბებული, ფულს უკანასკნელ გროშამდე იქ რომ ტოვებდა, მაგრამ ჰოი რა სიმდიდრეს მოეზიდებოდა ჯიბეების პირწმინდად ამოცარიელების სანაცვლოდ.

მარტოდენ თამაშში რომ ჩაფლულიყო, რაღა ლოტოთი ლოთობა და რაღა ლოთობა ბანქოთი, ახლა ეს ვითომდა ლოთობა გზა-ბილიკი რომ გახლდათ მისთვის ცხოვრების შუაგულში, მის მორევებში ტრიალისათვის.

ამიტომაც არა ჰქონდა მისთვის მნიშვნელობა, ქაღალდი მოუვიდოდა თუ არა, მაინც უნდა ეთამაშა და ეთამაშა, დიდხანს, დიდხანს, დილამდეც უნდა შემორჩენოდა სათამაშო მაგიდას და... დღიური მუშის ჭაპანი ეწია და... ამასობაში ჟამთააღმწერლობაც ეტვირთა.

ვითომ საქმე აკლდა.

რაღას იზამდა, ამ ნიშნით დაბადებულიყო ისიც — ყველაფერს უნდა გაწვდომოდა, ყველაფრისათვის შემოეხვია მკლავები, ყველაფერი ეტვირთა.

და აუცილებელ საქმეთა ამ წყებაში თავისთავად გამოუჩნდებოდა მემატიანის მოვალეობაც, ცხოვრების ყოველდღიურ მდინარებას აკაკისებურად რომ აქცევდა ახალი ჟამის ეპოსად.

ნეტა მოიგო თუ წააგო? — კლუბიდან გამოსულს ცნობისმოყვარედ რომ მიაჩერდებოდა გრიგოლ რობაქიძე, დიდხანს და ამაოდ იმტვრევდა თავს ამ კითხვაზე.

იცინებდა და რას იცინებდა აკაკი, ეს რომ შეეტყო, და მასაც აუხსნიდა, რომ: მთელი სიცოცხლე სულიერ სიწმინდეზე რომ ზრუნავდა, ბანქოს თამაშისას ხორციელადაც იწმინდებოდა, გროშიც აღარ რჩებოდა ხოლმე ჯიბეში და... განა ეს ცოტას ნიშნავდა?!.

იუმორისტულ სარჩულს თუ არ ამოაკერებდა, ისე როგორ იქნებოდა.

...და ამასობაში კი ივსებოდა, ივსებოდა, ივსებოდა ფურცლები „ახალი ქართლის ცხოვრებისა“.

თავი II

ლექსებზე — მიწის სურნელი

შალვა დადიანს დიდი რამ ფიქრი არ დასჭირდებოდა, როდესაც აკაკის ლექსის თავისებურების წარმოჩენას შეეცდებოდა:

მსუბუქია და ფრთამალი, როგორც მერცხლის ფრენა, გამამხნევებელი და ზეამყვანი, როგორც ტოროლას გალობა, „ტკბილი და საამური", როგორც ბგერა მწემსის სალამურისა უბიწო ჰაერში მთის კალთებზეო.

ხშირად თუ ტკბილად უსტვენდა სალამურივით, ზოგჯერ მოთქვამდა და კვნესოდა, მაგრამ იმავდროულად ამხნევებდა და იწვევდა საბრძოლველად, როგორც საყვირი.

აკი თვითონაც ირწმუნებოდა აკაკი : გარემოების საყვირი ვარო.

ატკბობდა, მაგრამ არ ამშვიდებდა, ხიბლავდა, მაგრამ არ აბრუებდა.

ძალიან ხშირად რომ მიმართავდა ხალხურ თქმებს, ზოგჯერ პირდაპირ ხალხური ფრაზითაც იწყებდა ლექსებს.

მისი ლექსების სისადავეს ამით ახსნიდა უმცროსი თანამოკალმე. და თუმც უმრავლესობაში სრულიად ჩვეულებრივი სიტყვები იყო გამოყენებული, ასე ყველა ვერ იტყოდა.

ვისაც ეს არ გაეგებოდა, დაე შალვა დადიანის შეგონება აღებეჭდა გონებაში:

სისადავეს დიდი ხელოვნება სჭირდებაო.

და აღარ უკვირდა, რომ აკაკის ასეთ ხელოვნებას დაეფრქვია ვარდთა სურნელება შალტამით ნაღებულ უდაბურებაში.

თვითონ აკაკი ხელოვნებას ნაკლებ ყურადღებას რომ აქცევდა და მწერლობა მიაჩნდა ერთ უბრალო იარაღად დღიური ავკარგიანობის საბრძოლველ-სამსახურად, და იმასაც ირწმუნებოდა: თუ რაიმე ღირებული გამომსვლია ხელიდან, ძალაუნებურად და შემთხვევით, თორემ ჩემს დღეში არა მქონია ფიქრად მომავლისათვის მეწერაო, — შალვა დადიანი თავისას მიადევნებდა:

რასაც აკაკი უწოდებს ძალაუნებურსა და შემთხვევითს, სწორედ ეგ არის, რომ ამჟღავნებს უწინარეს ყოვლისა მის პოეტურ ბუნებასო.

თითქოს ბოდიშობდა: ძალაუნებურადო?

მაგრამ აკაკი თავის თავს მართლაც როგორ გაექცეოდა და იმ ძალაუნებურითა და შემთხვევითით მაინც დარჩებოდა ქართული პოეზიის უდიდეს წარმომადგენლად.

თითქოს ერთხაზოვნებას რომ იჩენდა?

„უბედური რუსის" შემოქმედის თვალში ეს მაინც არ იქნებოდა ხელისშემშლელი, რათა მისი ლექსი ყოფილიყო მრავალფეროვანიც და სურათოვანიც.

ვერცერთი ქართველი პოეტი XIX საუკუნეში ვერ სჭარბობს აკაკი წერეთელს ლექსის მელოდიურობითო, — გერონტი ქიქოძე რომ აღნიშნავდა საამისოდ განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიანიჭებდა პოეტის ჩვევას: კარგახანს რომ გადიგამოდიოდა ოთახში და ღიღინებდა, და მხოლოდ შემდეგ ჯდებოდა და იწყებდა წერას.

ყურადღებას მიაქცევდა ერთ საგულისხმო ფსიქოლოგიურ შტრიხსაც:

თუ რაოდენ უშუალოდ გადადიოდა ერთი უკიდურესობიდან მეორეში — იმედიდან სასოწარკვეთილებაზე.

აგერ ეს ორი ლექსი: „გამოფხიზლება" და „სასოწარკვეთილება".

ერთსა და იმავე დღეს რომ დაწერილიყო: 1881 წლის 2 იანვარს, — მაგრამ ამის მიუხედავად მათში გამოხატული სულიერი განწყობილებანი ერთიმეორის საწინააღმდეგო გახლდათ.

გულგაუტეხლობა, შეუპოვრობა, სინდისის ერთგულება, სიცოცხლის განწირვა სამშობლოსათვის, ბნელეთის განათება იმედის ტალკვესით — აი რას მოითხოვდა თავისი თავისაგან, როგორც მოქალაქე-პატრიოტისაგან, „გამოფხიზლებაში“.

და „სასოწარკვეთილებაში“ პირიქით: უარს ამბობდა უმადური სამშობლოს შემდგომ სამსახურზე, და უსამართლობით, მტრობითა და დევნით გულგატეხილი პოეტი სამშობლოს კიდეც ემშვიდობებოდა, როგორც პირშავ დედინაცვალს.

განცდისა და ფიქრის მონაცვლეობა რომ სჩვეოდა, ამ დეტალში ყველაზე კანთიელად, ყველაზე ხელშესახებად აირეკლება — თვით ერთ დღესაც შეიძლება ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდეს.

და ამის შემდგომ რაღა გაგვიკვირდეს, თუნდ გაძიძავების თაობაზე ურთიერთსაპირისპირო შეხედულებებსა და შეფასებებს რომ გამოთქვამდა „ჩემი თავგადასავლის“ პროზაულ და პოეტურ ვერსიებში.

ანდა უეცრად შეექცია ზურგი თავისი თაობისათვის და არ მორიდებოდა შემუსვრას იმისა, რასაც თვითონაც დაბეჯითებით და თანაც ცხარე კამათისას ამტკიცებდა. ამჯერად კი ლამის გადააჭარბებდა იმ ლიტერატურულ მოწინააღმდეგეთ, კრიტიკულად რომ შეხვდებოდნენ და არ დაუთმობდნენ ილია ჭავჭავაძესა და მის თანამოდასეთ გამოლაშქრებას ამათი მხატვრული პრინციპებისა და ენობრივი პოზიციის აღსაკვეთად.

თვითონ აკაკი რომ ჩაავლებდა ხოლმე მზერას ამ ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებებსა თუ განწყობილებებს თავის ნაწერებში?

ეღიმებოდა და, სარკესთან თუ მოხვდებოდა, თვალსაც უკრავდა თავის ორეულს: რა ვქნა, ასეთები ვართ მე და შენაო!..

დაკანონებულიყო ეს თვალსაზრისი და აღარც განისჯებოდა, XIX საუკუნის პოეტთა შორის აკაკი წერეთელი ყველაზე მუსიკალური და მელოდიური რომ გახლდათ და ამ მხრივ მასთან შედარებას ვერ უძლებდა თვით ილია ჭავჭავაძეც.

მაგრამ აღმოჩნდებოდა, რომ ეს შეხედულება ყველასთვის სულაც არ იქცეოდა ნორმად და კანონად.

ვახტანგ კოტეტიშვილი საგანგებოდ დაუკვირდებოდა აკაკის სალექსო საზომებს და აღნიშნავდა, რომ: პოეტს ლექსის ახალი ფორმა არ შეექმნა და გადმოცემული მემკვიდრეობიდან სულ ოთხ თუ ხუთნაირ ზომას იყენებდა. ეს კი აიხსნებოდა იმით, რომ: როგორც იმდროინდელი სხვა ჩვენი პოეტები, ლექსის გარეგნულ მხარეს არც იგი აქცევდა დიდ ყურადღებას.

იდეურ შინაარსიანობას სწირავდნენ ყოველივეს და არც გადაუხვევდნენ ამ გზიდან.

რაც შეეხებოდა ლექსის მუსიკალობას:

ამ კუთხითაც აკაკი გამონაკლისად არ გვეელინებოდა.

ამ მხრივ დაცემას XIX საუკუნისა აკაკიც განიცდიდა.

და კიდეც უნდა დაპირისპირებოდა ვახტანგ კოტეტიშვილი მოარულ აზრს: თითქოს აკაკი ლექსის ვირტუოზი გახლდათ და ილია ჭავჭავაძეზე მაღლა იდგა:

ელემენტარულ კრიტიკას ვერ უძლებსო.

და:

ილიას ლექსის მუსიკალობა ნაკლები არ არის აკაკისაზეო.

შეადარებდით აკაკის ლექსს შოთა რუსთველისას, ბესიკ გაბაშვილისას, დავით გურამიშვილისას, ალექსანდრე ჭავჭავაძისას და... მიიჩნევდა, რომ: მოქნილობითა და მერხეობით ყველას ჩამოუვარდებოდა.

და დაბეჯითებით გაიმეორებდა, რომ:

აკაკი წერეთელი XIX საუკუნის დეკადანსის წარმომადგენელი გახლდათ ილია ჭავჭავაძესთან ერთად. მათ პოეზიას სხვა მხარეები ჰქონდა ახალი და ღირსსაცნობი. და თუ შინაარსი დაიმორჩილებდა ფორმას და გადაჰქელავდა კიდეც, ეს ეპოქის ტენდენცია იყო.

აქ შეიძლება დავძინოთ, რომ:

ერთიც და მეორეც სხვებს კი არ აჰყოლიან, არამედ სწორედ მათ განსაზღვრეს ეპოქის ეს ტენდენცია, როგორც აუცილებელი შერწყმა პოეტური წარმოსახვისა და პოლიტიკური აზროვნებისა, წარმმართველი პოლიტიკური მიზანდასახულება რომ უნდა ყოფილიყო.

მიუხედავად ამ მცდელობისა ძვრასაც ვერ უზამდა დამკვიდრებულ შეხედულებას აკაკის ლექსის განსაკუთრებულ მუსიკალობასა და მელოდიურობაზე?

ვახტანგ კოტეტიშვილი მოვალე გახლდათ წრფელად და ალალად გამოეთქვა, რასაც ფიქრობდა, და თუ ყურსაც არ ათხოვებდნენ, ეს დაე მათი ნება ყოფილიყო.

* * *

სიმონ ჩიქოვანი ილია ჭავჭავაძეს — ნიკოლოზ ბარათაშვილთან ერთად — ინტონაციური ბუნების სიტყვის ოსტატად რომ მოიხსენიებდა, აკაკი წერეთელს უფრო მელოდიების შემქმნელ მელექსედ შერაცხავდა. ამიტომაც ლოგიკურად მიაჩნდა, რომ „სულიკოს“ შემოქმედის ლირიკულ ნაღვაწში აღწერითი ადგილები იშვიათად შეიმჩნეოდა, მისი ლირიკული ლექსები უფრო პოეტური საგალობლები გახლდათ, ვიდრე პოეტური სურათები, რაკიღა მისი შინაგანი პოეტური მიდრეკილება მელოდიისკენ იხრებოდა.

* * *

მიგელ დე უნამუნო პროგრამული ხასიათის ესეში „პოეტის კრედო“ პირდაპირ, შეულამაზებლად რომ ამბობდა: მე გრძნობით ვფიქრობ, აზრით კი ვგრძნობო, — ემზარ კვიტაიშვილის დაბეჯითებით: ამ გამონათქვამს უყოყმანოდ დაეთანხმებოდა აკაკი, რომელიც მუდამ აზრისა და გრძნობის შეთანადების მომხრე იყო და რომელიც მსგავს შეხედულებას პოეზიაზე არაერთხელ გამოხატავდა, უპირველესად თუნდ მისი ის ცეცხლოვანი სტრიქონებიც რომ გაგვახსენდებოდა: მაგრამ ლექსი რა ლექსია, თუ რომ გულს არ დაესობაო.

და ემზარ კვიტაიშვილი უნამუნოს იმ ესეში ამ სტრიქონებსაც რომ ამოიკითხავდა, გაიკვირვებდა, თითქოს აკაკიზე ეთქვასო:

— პოეზია ბულბულის გალობაა, პოეტს არ ძალუძს ახსნას აზრი თავისი სიმღერისა და არც ის, რატომ მღერის ასე, ცხოვრებაში იგი ნამდვილი ბულბულია.

* * *

აკაკი სრულიად რომ არ დაგიდევდა ევროპელთა აზრს საერთოდ და კერძოდ მის პოეზიაზე, ევროპა ნეტა როგორღა გამოაპარებდა მზერას მისკენ თავისი ერთ-ერთი სწავლულის მეშვეობით?

აკაკის არტურ ლაისტი თვითმპყრობელ მეუფედ რომ მოიხსენიებდა პოეზიის ხელოვნების სამკვიდროში, უპირველესად მაინც 80-იანი წლების ის წუთები დაუდგებოდა თვალწინ, როდესაც ამ თვითმპყრობელ მეუფეს შეხვდებოდა ქუთაისის ერთ-ერთ ქუჩაზე.

ივნისის მშვენიერი დღე იდგებოდა, მზის სხივებს მოეფინა ქალაქის ყოველი კუნჭული. გერმანელ სწავლულს დღისით გელათი მოენახულებინა და გონებით ჯერაც იქ იმყოფებოდა ხილული ბუნების სიკეკლუცისა და სიძველეთა შთაბეჭდილებით დატვირთული.

აკაკი გახალისდებოდა და ენაწყლიანად, გატაცებით ისაუბრებდა გელათზეც, ქუთაისზეც, საქართველოსა და ქართველი ქალების სილამაზეზეც.

ესენი წყნარად მისეირნობდნენ ტფილისის ქუჩაზე გორაკისაკენ, სადაც მწვანეში კოხტად გამოიყურებოდა ბაგრატის ტაძრის ნანგრევები.

ყოველ ხუთ ნაბიჯზე ჩაუვლიდათ აკაკის ნაცნობი რომელიმე ტურფა ასული და ჯადოსნური ღიმილთი ესალმებოდა პოეტს.

— ბედნიერი კაცი ხარ! — ეტყოდა გერმანელი სწავლული.

აკაკის სიამე ელვრებოდა გულში იმ ჯადოსნურ ღიმილთა შემყურეს, მაგრამ გარეგნულად არ შეიტყობდა და ხუმრობაში გაატარებდა:

— ისინი მგოსანს აძლევენ სალამს და არა მე, — ღიმილით მიუგებდა და გააგრძელებდა ამწვანებული სამშობლოს ქებას.

უნებლიეთ წამოგაგონდება — კონტრასტულ ფონად — 1633 წლის ყაზვინის ის დღე, შირაზის ხანი იმამყული-ხან უნდილაძე სეფიანთა ახალგაზრდა ხელმწიფესთან შაჰ-სეფისთან ერთად რომ მიაბიჯებს და ქალაქის ქუჩებში გამოფენილი უამრავი ხალხი ისეთივე პა-

ტივისცემით ესალმება შირაზის ხანს, როგორც ირანის შაჰს, რომელიც გაიოცებდა და იუკადრისებდა კიდეც ამგვარ გათანაბრებას და თანამგზავრს მოუბრუნდებოდა:

— ამას რას ეხედავ?! შენა ხარ ირანის შაჰი თუ მე? რატომ გეგებება ასეთი სიყვარულით ხალხი?

პასუხად იმამყული-ხანი გონებამახვილურ პასუხს შეაგებებდა:

— ვინ იქნება, ჩემო ბატონო, ისეთი ჭკუადაკარგული და თავხედი, რომ თქვენთან გამატოლოს. მე რომ მესალმებიან, ამით თქვენ გცემენ თაყვანს, რადგან ყველასთვის ცნობილია თქვენი უამრავი წყალობა ჩემდამი.

თამაზ ნატროშვილი ისტორიულ ესეში „შირაზის ხანის ქებასა“ მოხდენილად ჩაურთავდა ამ იუმორისტულ პასაჟსაც და დასძენდა, რომ: „ალაჰის ჩრდილი“ ვითომდა დაკმაყოფილდებოდა ამ პასუხით, მაგრამ გულში უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა შირაზის ხანის ბედი, და კიდეც იმავე დღეს დაადგებოდნენ თავზე იმამყული-ხანს, თავის ჰარამხანაში მყოფს, და აცნობებდნენ შაჰის საბედისწერო განაჩენს...

შაჰ-სეფის იუმორის დაფასების უნარი რომ ჰქონოდა, ჯალათებს ერთი კვირის თავზე მიუგზავნიდა, ერთი დღე ყოფილიყო თუ გინდა... რა ხეირი, მაგრამ მაინც, მაინც... მახვილგონიერების გამომჟღავნებას სჭირდება შესაფერისი დაფასება...

სიმწრისგან ხუმრობდა იმამყული-ხანი: ჩემდამი მისალმებით თქვენ მოგაგებენ პატივსო!..

სილაღისაგან ხუმრობდა აკაკი: მგოსანს ესალმებიან და არა მეო!..

სხვა მგოსანი რომ ყოფილიყო, მასაც მიესალმებოდნენ ასეთი მოწიწებითა და ჯადოსნური ღიმილით?

თუკი ისიც თვითმპყრობელი მეუფე იქნებოდა პოეზიისა ხელოვნების სამკვიდროში, რატომაც არა.

ასეთი კი — ეს ერთი გახლდათ: აღიარებული სწორედაც თვითმპყრობელად და პოეტთა მეფედ, თითქოსდა შოთა რუსთველსაც რომ ჰქონდა ოდესღაც ეს ტიტული, და მოგვიანებით გალაკტიონ ტაბიძე რომ მოინდომებდა პოეტთა მეფის გვირგვინით თავის შემკობას, აკაკის გახედავდა გუნებაში და დაიბეჯითებდა: მისგან გადმომელოცა, მისი აჩრდილია უპირველესი მომხრე და მოსურნე, ახლა მე რომ ვატარო ეს ტიტულიო.

ის განწყობილება ისე იმოქმედებდა არტურ ლაისტზე, რომ შემდგომში ამგვარად აღადგენდა იმ წუთებს: მასთან საუბარში ისე არასოდეს მიგრძვნია ყველა მისი ბრწყინვალე მხარე, როგორც მაშინო. და დითირამბიკოსად შეიმართებოდა:

დიახ, იგი გახლდათ ჭეშმარიტი მგოსანი, მდიდარი ფანტაზიის პატრონი, ენაწყლიანობითა და გრძნობით აღსავსე, მხატვარი და ჭკუამახვილი მჭევრმეტყველიო.

როცა უსმენდა და სახეში შესცქეროდა, უნებლიეთ აგონდებოდა მისი რამდენიმე ლექსი და დრამა. უდიდეს სიამოვნებას განიცდიდა, რომ თავის წინაშე ხედავდა ამ მდიდარი პოეზიის წყაროს.

სეირნობისას მას ყველა დიდი პატივისცემით რომ ესალმებოდა, ლაისტი მიხვდებოდა: მას შეუძლია იამაყოსო.

საამაყო კი როგორ არ უნდა ჰქონოდა ისეთ დიდებულ და ბრწყინვალე მგოსანს, რომ მისთვის არ დაგენანებოდა ეს ეპითეტიც:

ახალი ცხოვრების გამომაფხიზლებელი.

და არც ამგვარი აღმატება:

— ბუნებამ მასში თავი მოუყარა გონების ყოველგვარ ღირსებას.

მაგრამ ბუნება რომ არასოდეს ქმნის ადამიანს სრულყოფილად და თავის რჩეულებსა და ნებიერებსაც უტოვებს ნაკლსა და სისუსტეს?

არტურ ლაისტი აკაკის არამარტო ბედის, არამედ ბუნების ნებიერადაც მიიჩნევდა და საკუთარ კანონიერად დაჯერებულადაც თავის უპირატესობებში.

აკაკის თავისი ხალხისათვის რომ მიეცა დიდი და მრავალრიცხოვანი განძი, გერმანელი სწავლული იქედნურადაც განუცხადებდა მის მეტოქეთ თუ მოშურნეთ:

წაართვით საქართველოს აკაკი და... დარჩება ლირიკის ადგილი, რომელიც ალბათ დიდხანს ვერ შეივსებაო.

მისი შეხედულებითა და დაკვირვებით:

აკაკი ყველა თავის პოეტურ თხზულებაში ლირიკოსი ანუ გრძნობის მგოსანი იყო. მისი დრამები და ეპიკური პოეტური თხზულებანიც ლირიკული ხასიათისა გახლდათ. აკაკის ცოცხალი ბუნება ვერ იტანდა ეპიკური ობიექტურობის ბორკილებს და ამიტომაც მისი პოემები და დრამები, ბაირონის თხზულებებივით, სავსე გახლდათ ლირიზმით. და ეს გრძნობებზე ძლიერად მოქმედი ლირიზმი მკითხველში არ ასუსტებდა მოთხრობილი ამბის შთაბეჭდილებას, პირიქით, აცხოველებდა კიდეც.

როდესაც აკაკის პოეტურ ნაწარმოებს კითხულობდი, განა შეიძლება ხელოვნების წესებზე გეფიქრა?

ეცინებოდა ამის წარმოდგენაზე ლაისტს, ვიღაცას ხელოვნების წესების მორგება რომ მოენდომებინა მათზე: კითხვით გატაცებული ხარ, ვიღას ახსოვს ის რაღაც წეს-კანონებიო.

მკვეთრი ლირიზმი, რაც აკაკის ეპიკურ თხზულებებში გადასდევს, ერთი შეხედვით შესაძლოა მართლაც იწვევდეს განცდას, რომ იგი ეპიკურ თხზულებაშიც კვლავ ლირიკოსად რჩებოდა, მაგრამ მთლად ასეც არა ყოფილა და მარჯვედ ატრიალებდა ეპიკურ სიუჟეტურ ქარგასაც და ხასიათებსაც — ამ ყაიდის თხზულებას რომ ევალება.

განა ლორდ ბაირონიც ასევე არ არის?

მერე რა, რომ მისი პოემები სავსეა ლირიზმით — იგი ეპიკოსადაც სწორუპოვარია და მოჩვენებითია შთაბეჭდილება, თითქოს ეპიკაშიც ლირისად რჩებოდეს.

„ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობას“ ასე თუ ისე მიესადაგება ეს შეფასება, მაგრამ ვითომდა „დონ ჟუანი“ ვერ შეირაცხება კლასიკურ ეპიკურ ქმნილებად? ან თითქოსდა ლირიზმს შთაენთქას „მანფრედი“, „კაენი“, „სარდანაპალი“, „აბიდოსელი საცოლე“ თუ სხვა დრამატული პოემები?

ამ მხრივ აქვს მასთან სულიერი საერთო და თანაზიარობა აკაკის და არა იმ თვალსაზრისით, თითქოსდა ვერცერთი ვერ იტანდა ეპიკური მიუდგომლობის ბორკილებს.

ისინი ამ ჟანრის კანონებს არავითარ ბორკილებად არ შეიგრძნობდნენ.

ბორკილები გალაკტიონ ტაბიძისათვის იქნებოდა, ვერც ვერასოდეს რომ ვერ გადალახავდა და ეპიკაშიც ლირიკოსად დარჩებოდა, ანთუ გნებავთ — იმ მოდერნისტ ეპიკოსად, სიუჟეტისა და ხასიათების დაშლა რომ ერჩივნა, თორემ ეპიკურ გარსში სული ეხუთებოდა და უღმერთოდაც ეხუთებოდა.

და მაინც რა ქმნიდა აკაკის პოეზიის უდიდეს ღირსებას?

ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემას გერმანელი სწავლულიც რომ მოინდომებდა, მისი აზრითა და გემოვნებით:

იგი ყველაზე უფრო ლამაზად და ძლიერად საქართველოს სიყვარულს დამღეროდა; მის სევდიან ხვედრსა და მომავლის სასოებას ისეთი მომხიბვლელობით წარმოსახავდა, რომ სულსა და გულს წვდებოდა...

ყურადღებას მიაქცევდა იმ გარემოებასაც, რომ:

ბუნების მშვენიერების აღწერაში მაღალ ხელოვნებამდე ადიოდა. მისდევდა არა წვრილმანებს, არამედ მთლიანობა ხიბლავდა.

და კიდევ იმას:

მარტოდენ სილამაზისა და სიყვარულის მგოსანი რომ არა ყოფილა, არამედ დაბეჩავებულთა, დამცირებულთა და შეურაცხყოფილ ძმათა მეგობარიც. მეხად ევლინებოდა ფარისეველთ, მჩაგვრელებსა და კაცობრიობის სხვა მტრებს, გესლიანი დაცინვით რომ ამათრახებდა. და დროშასავით რომ აღემართა ზნეობრივი მხარე, ამით კიდევ უფრო მტკიცედ დარჩებოდა ხალხის ხსოვნაში.

მოხუცებულობის ჟამს რამდენიმე ხნით საზღვარგარეთ რომ გაემგზავრებოდა და გერმანიასა და საფრანგეთს მოინახულებდა, იქიდან დაბრუნებული დაწვრილებით ესაუბრებოდა არტურ ლაისტსაც თავის შთაბეჭდილებებზე, და თან სინანულით დასძენდა:

— მეტად გვიან მომიხდა მოგზაურობა.

დაწყდებოდა გული, ჰოი რარიგ დაწყდებოდა!..

და ლაისტსაც დაენანებოდა:

აკაკის რომ 20-30 წლით ადრე ემოგზაურა გერმანიასა და საფრანგეთში, თავის დაკვირვებებს გამოიყენებდა ლიტერატურული მოღვაწეობისათვისო.

ამიტომაც შესჩივლებდა გერმანელ თანამოძმეს: მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა მაქვს საზღვარგარეთზეო.

როდესაც ქართველობა მის იუბილეს იდღესასწაულებდა, ლაისტის დაკვირვებით: მას უკვე შეემჩნეოდა თავისი სამწერლო მოღვაწეობის შესუსტება. და შემდეგ ნელა, მოხუცებულობის სნეულებასთან ბრძოლაში დაასრულებდა თავის ხანგრძლივ სიცოცხლეს.

იმ მწერლებზე, რომელნიც თავიანთი სამშობლოს ბეჭედს ატარებენ, გერმანელები როგორ ამბობდნენ ხოლმე?

თავისი მიწის სუნი დაჰკრავსო.

და არტურ ლაისტი ამ გამონათქვამს აკაკიზე გადმოიტანდა ბუნებრივად და ძალდაუტანებლად: მასაც ხომ თავისი სიცოცხლის განმავლობაში თან სდევდა იმერეთისა და იმერული მიწის სურნელებაო.

მისალმებისას რაღაც თავისებურად თავის დახრა სჩვეოდა, კარგ ნაცნობს კი უთუოდ გაუღიმებდა იმ თავისებური, შუქმფინარე ღიმილით. ვინც შესჩვეოდა მისი სახის მოძრაობას — და თუ ვინმე, ივანე ელიაშვილიც — კარგი კაცის შეხვედრისას კიდეც შეამჩნევდა მის თვალებში გამოსახულ სიამოვნებას. პირადად ყველას პატივისცემით ეპყრობოდა, ხოლო საზოგადო საქმეში ცუდად მოქმედს არავის რომ არა ზოგავდა, თუნდ ფრიად ახლობელსაც, ამიტომაც წყრებოდნენ მასზე მოგვარე-მონათესავენი, როდესაც მათ ამხელდა: ენამოშხამულია და გაუტანელ-დაუნდობელიო.

სულ მოკლე ხანში შეეჩვეოდა ხოლმე ისეთ ადამიანს, რომელიც მის სიმპათიას გამოიწვევდა, თუმც დიდი ეჭვის თვალით კი უყურებდა მეგობრებს. და ხშირადაც სჩვეოდა თქმა:

მტრებისგან იმდენი სიმწარე არ განმიცდია, რამდენიც მეგობრებისაგანო.

რაო — მასაც ღალატობდნენ... ძველი რითმები?..

ღალატობდნენ... ღალატობდნენ... ანკი რა გამონაკლისი იქნებოდა ამ მხრივ აკაკი წერეთელი?

* * *

ზოგი სიბოროტით, ზოგიც უმეცრებითა და ფეხის ამყოლობით აკაკიზე ისეთ ხმებს რომ ავრცელებდნენ: არ უყვარს წიგნების კითხვაო, აკლია განათლებაო, და ამისთანებს, — და ეს ჭორები იკვებებოდა ისეთ პირთაგან, რომელთაც ახლო არც კი ენახათ აკაკი, ის კი არა, გაზეთებშიც ბეჭდავდნენ ჭორებს ჭორებზე, ივანე ელიაშვილი გულისტკივილს რომ გამოთქვამდა ამ ყოველივეს გამო, გაიხსენებდა ერთ დამაფიქრებელ ამბავს.

მას ჰყავდა გულითადი მეგობარი, ექიმი ექვთიმე ვაშაკიძე, რომელსაც დაახასიათებდა როგორც ფრიად განვითარებულ კაცსა და ფრიადვე პატიოსანსაც.

ბაქოდან ტფილისში რომ გადმოსახლდებოდა, ექვთიმე აქ დახვდებოდა.

ერთხელაც ივანე მოინდომებდა მისი და აკაკის გაცნობას, ჩემი მეგობრები ბარემ ერთმანეთსაც დაუახლოვდნენო. და რარიგ გაუკვირდებოდა, ის უარს რომ ეტყოდა: არა ვარ ღირსი მისი გაცნობისაო.

თურმე რატომ და:

ერთხელ გაზეთში გაეწერა რაღაც-რაღაცები აკაკის საწინააღმდეგო — ვიღაცების ჩაგონებით.

ივანე აკაკის გადასცემდა ამ წუხილს თავისი მეგობრისა და ჰკითხავდა:

— თუ წაიკითხე და ხომ არა გწყენია?

გაეცინებოდა აკაკის:

— სად უნდა დავიხსომო ან ვიწყინო ასეთი ამბები? შენ ხომ კარგად იცი, რომ შვილები დედ-მამის გინებით იწყებენ ხოლმე ენის ამოდგმას და ჩვენშიც ბევრი იწყებს წერას ჩემი გინებით, მაგრამ როგორც დედ-მამას უხარია, ჩვენმა შვილმა ენა ამოიდგაო, მეც ისე მიხარია, წერას რომ ეჩვევიან ყმანვილები. ოღონდაც შემდეგში წერონ რიგიანად და ჩემი გინებით ვის რა დაუშავდება.

რამხელა იუმორი უნდა გქონდეს, ასე ლაღად რომ უყურებდა ერთიერთმანეთზე სათაკილო და დაუსრულებელ შემოტევებს?!. თუმც... რაღა რამხელა იუმორი — აკაკისოდენა!..

ივანე ელიაშვილს ის უხაროდა, აკაკის უარმყოფელთ დიდი გასავალი რომ არა ჰქონდათ საზოგადოებაში.

აკაკი ამასაც არად აგდებდა — დღეს არა, ხვალე არაერთი იმათგანი მოეგებოდა გონს, აგერ ექვთიმე ვაშაკიძისა არ იყოს, შემცდარი ადამიანებიდან ბევრი გამოიბერტყავდა გონებას და... ვინც ვერ გამოიბერტყავდა, ამას რატომღა ეწუხა მათი გონების დაბინდვა, ბოლოსდაბოლოს ძალიანაც რომ სდომებოდა წუხილი, უშრეტი იუმორი არ დაანებებდა.

აკაკის ბევრიც რომ ჰქონდა წაკითხული და ბევრსაც კითხულობდა, ივანე ელიაშვილისთვისაც გეკითხათ:

ხანდახან მთელი ღამეობითაც ჩაეფლობოდა კითხვაში. წიგნები ბიბლიოთეკიდანაც გამოჰქონდა და ნაცნობ-მეგობრებისგანაც თხოულობდა. ქართული ნაწარმოები ხომ არასოდეს გამოეპარებოდა. ჟურნალ-გაზეთებსაც ყველა უგზავნიდა.

თავისი მტკიცების დასტურად მის მეგობარს ეს არგუმენტიც მოემარჯვებინა, უამრავ მოწმეს რომ იშოვნიდა, თუკი დასჭირდებოდა:

სად ენახათ ან ვის გაეგონა, რომ აკაკის, საცა უნდა ყოფილიყო და რაზედაც უნდა გამართულიყო მსჯელობა, საუბრისას მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს?

ერთხელ ძლიერ აღტაცებული ესტუმრებოდა — ნიკო მარის „ძველი ქათრველი მეხოტბენი“ წაეკითხა და შთაბეჭდილებას გაუზიარებდა. თანაც სთხოვდა:

— უთუოდ უნდა შემახვედრო, როცა ჩამოვა. ვნახოთ და მადლობა ვუთხრა, თანაც ბოდიში მოვუხადო მის წინაშე იმ ორიოდე სტრიქონის დაწერისათვის, მის წინააღმდეგ რომ იყო მიმართული.

საბოდიშო განა რა ჰქონდა — სამართლიანად მოსთხოვდა პასუხს, პეტერბურგელი სწავლული უსაბუთოდ რომ განაცხადებდა: ლონდონის ბიბლიოთეკაში „ვეფხისტყაოსნის“ სპარსული დედანი მაქვს ნანახიო. ან გაეცნო საზოგადოებისათვის ის დედანი, თუკი მართლა არსებობდა, ან არადა ასეთ უაპელაციო განცხადებებს შემდგომში მაინც მორიდებოდა, ქართველთათვის თავმოსანონებელ ქმნილებაზე ცოტა უფრო ფრთხილად დაეძრა სიტყვა, ისე ემსჯელა, რომ მის სიტყვებში ამ ეპოსის დამამცირებელი ნოტები არ გამკრთალიყო — ნებით იქნებოდა თუ უნებურად.

აკაკისაც გული აყროდა ქართული წარმოშობის მკვლევარზე, მაგრამ ეს ორი წიგნი მოაბრუნებდა მისკენ და... უკვე იმასაც კი ბოდიშობდა, მართალი რაშიც იყო. იმ ორ სრულფასოვან გამოკვლევას თუ ვინმე გამოუჩნდებოდა დამფასებელი, ერთი უპირველესი სწორედაც აკაკი უნდა ყოფილიყო, კითხვაში რომ შთაინთქმოდა ამჯერადაც და რარიგ გახარებული ამოყვინთავდა ღრმა შთაბეჭდილებათაგან.

მეორედ არნაკლებ აღტაცებული ესტუმრებოდა ივანეს, ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის ტრაგედიას რომ გაცნობოდა, რუსულ ენაზე შექმნილს, მაგრამ ქართულ თემატიკაზე:

უნდა იმ მარჯვენას ვემთხვიო, რომელმაც „ღალატი“ დაგვიწერაო.

და კიდეც მოჰკიდებდა ხელს მის ამეტყველებას ქართულად.

როდესაც ივანეს „უკვდავების ხეს“ წაიკითხავდა და მოიწონებდა, ურჩევდა: ებერსის მსგავსად წერეო.

გეორგ ებერსი იმჟამად საკმაოდ პოპულარული მწერალი გახლდათ, ჩვენს სინამდვილეშიც ნაცნობი, და მასთან შედარება, მის კვალზე მიყოლა დიდ დაფასებას გულისხმობდა.

ბევრ რაიმეს უამბობდა პეტერბურგში ცხოვრების დროიდან ლიტერატურული გამოცემების შესახებ, პოლონსკისა და სხვებზე, მაგრამ მეგობარი იმ წუთას იმ ყოველივეს არ ჩაინიშნავდა იმის იმედად: ეს არც არასოდეს დამავიწყდებაო, — მაგრამ გამოხდებოდა ხანი, ჩაუჯდებოდა მოგონებებს აკაკიზე და... აღმოჩნდებოდა, რომ გაუძნელდებოდა იმ საუბრების შინაარსის აღდგენა.

ხოლო აკაკი თავის დროზე ნამდვილ და ვითომმწერლებს რომ შეაპირისპირებდა, ნამდვილის ნიმუშად, რომელთაც ქართული სული უდიოდათ, როგორც ჩვენს ქვეყანაში აღზრდილთ, ივანე ელიაშვილს დაასახელებდა და მის საყმაწვილო წიგნაკს „სამშობლო ბუნების სარკე“, რომელშიც მწერლობის ყოველგვარი კანონი დაცულიყო.

* * *

ის ვინ იყო, საქვეყნოდ რომ აცხადებდა: აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე ორივე დიდი პოეტია, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ილია, ვიდრე რამეს დაწერდეს, ემზადება, ამუშავებს თავის გონებაში მასალას და როცა დაამზადებს, მაშინღა მიუჯდება მაგიდას და დაწერს დიდებულ რასმე, ხოლო აკაკი მოუფიქრებლად მიუჯდება მაგიდას და აგრეთვე დიდებულ რაიმეს დაწერსო?

ვინც უნდა ყოფილიყო, აზრი კი უგვანობად მოეჩვენებოდა ივანე ელიაშვილს და აღშფოთება დააწერინებდა საყმაწვილო ნოველას „ბულბულის ამონაკვნესი“, ხომლელი შედევრს რომ უწოდებდა „შინაური საქმეების“ 1911 წლის 21 აგვისტოს ნომერში, და რაც მთავარია, აკაკის მოეწონებოდა ძალიან.

ეს ნოველა — მოთხრობების კრებულში განმეორებამდე — დაიბეჭდებოდა „ნაკადულის“ ფურცლებზე და, როდესაც ეს ნომერი ბაქოში ჩაუვიდოდა ივანეს, აკაკი სწორედ მაშინ მასთან იმყოფებოდა სტუმრად. ივანეს ავადმყოფებთან მოუწევდა დარჩენა და შინ რომ დაბრუნდებოდა, აკაკი დახვდებოდა „ნაკადულის“ ნომრით ხელში, ტახტზე წამოწოლილი სასტუმრო ოთახში.

მასპინძლის შესვლისთანავე წამოდგებოდა ზეზე და აღელვებული ხმით ეტყოდა:

— ეს რა დაგიწერია, კაცო! იცი, რომ ასეთები ოც, ორმოც, ას წელიწადში ერთხელ იბეჭდება?

ღელვა თანდათან მოემატებოდა, ხმამაღლა შეუდგებოდა ნოველის კითხვას და მოწონების ნიშნად არაერთხელ გაიმეორებდა:

— ვიშ! ვიშ!

მთელი დღე ვერ მოისვენებდა, შინაურსა თუ მომსვლელს სულ ამ ნოველაზე დაუწყებდა ბაასს. მერე და მერე ისიც მოხდებოდა, რომ ვიღაც გაუბედავდა ამის თქმას:

— ივანე ელიაშვილის ნაწერების ქება თქვენი მეგობრობის ბრალია და არა ჭეშმარიტი აზრი.

გაბრაზდებოდა აკაკი:

— მე დაგიმტკიცებთ, რომ მეგობრობა აქ არაფერ შუაშია.

და კიდეც უნდა დაბეჭდილიყო „თემის“ ფურცლებზე ის სტატია, ივანეს საყმაწვილო ნოველების კრებულს — „სამშობლო ბუნების სარკე“ — მარგალიტების ყელსაბამადაც რომ შერაცხავდა და სამაგალითოდაც, ყველას ოჯახში განძივით რომ უნდა დაბინავებულიყო.

* * *

ეს გამოცემა არამარტო ყმაწვილებისათვის გახლდათ გამოსადეგი და სასარგებლო, არამედ არც დიდებს აწყენდათ!.. ამ კალაპოტზე გამოჭრილ წიგნაკში მოთავსებულიყო რვა ორიგინალური მოთხრობა და ერთიც თარგმნილი — და როგორც ობოლი მარგალიტი თანასწორად ასხმული ყელსაბამად, აქაც ყველა მოთხრობა უმეტნაკლებოდ იყო შენათხზი. სიტყვები აზრს და აზრიც გარემოებას ეთანხმებოდნენ. შიგადაშიგ შესაფერის ადგილებზე ქართული ანდაზებიც სწორედ დროზე გახლდათ ჩანაქსოვი.

მცენარე, პირუტყვი: ოთხფეხი თუ ფრინველი, თითქოს მარტივად მოგვითხრობდნენ თავიანთ თავგადასავალს და იმავდროულად წინ გვიშლიდნენ თავთავის განსაკუთრებულ ბუნებას, და ამ ვითომდა ბავშვური ტიტინით ბევრი რამ იხატებოდა — და სწორედაც საგულისხმო დიდებისთვისაც.

— კითხულობ, უბრალო რამ გგონია და იმავე დროს იხიბლები... იმსჭვალები!.. მაღალის ნიჭით უნდა იყო მწერალი და ნიჭიც განვითარებული უნდა გქონდეს, რომ ასე ტკბილად ჩასჩურჩულო ყმაწვილს და იმავე დროს დიდებიც გაიტაცო!..

უნებურად თავის სტილისტიკასა და თხრობის თავისებურებასა და საიდუმლოებას წარმოაჩენდა აკაკი, მოწონებულ მოთხრობებზე დაყრდნობით იდეალს რომ უფრო წარმოსახავდა, ამ იდეალის რეალური ხორცშესხმა სწორედაც მისი ნაწერები გახლდათ და მის საყმაწვილო თხზულებების სიღრმეში შესაღწევად უკეთესი გზამკვლევი ანკი რა უნდა გვინდოდეს, ვიდრე ეს მსჯელობაა?!.

ივანე ელიაშვილის მოთხრობებიდან კი საგანგებოდ მოიხსენიებდა „ბულბულის ამონაკვნესსა“ და „ნაძვის აღსარებას“: თუ არა დიადი ნიჭი, ამისთანა რასმე ასე ხელოვნურად შექმნიდა რაიმეო?!.

ისე ეს „დიადი“ თვითონ აკაკის უფრო შეჰფერის, გახარებული აღმატებულ ეპითეტს რომ ვეღარ მოზომავდა.

შეფასებით კი ასე შეაფასებდა მისი გამოცემის მნიშვნელობას:

ეს სამაგალითო წიგნი ყოველი ქართველის ოჯახში უნდა იყოს შეტანილი განძად და საწიგნეს დასამშვენებლად, როგორც... „ვეფხისტყაოსანიო“.

მარტოდენ იმ განსხვავებას აღნიშნავდა, რომ:

„ვეფხისტყაოსანი“ მხოლოდ დიდებისათვის დაწერილიყო და „სამშობლო ბუნების სარკეა“ ერთნაირად ყმაწვილებისთვისაც და დიდებისთვისაც.

ამ შემთხვევაშიც რა გასაკვირია უნებურად თვითშეფასება რომ გამოსელია:

სამაგალითო და ყოველი ქართველის ოჯახში შესატანი განძად და საწიგნეს დასამშვენებლად მისი ნაწერებია საგულვებელი, „ვეფხისტყაოსანს“ რომ ამოუდგებოდა გვერდით, თვითონ როგორც უნდა ესავსავებინა ხელები უარის ნიშნად, იოსებ იმედაშვილისა და „ვეფხისტყაოსნის“ შემსწავლელი წრის სხვა მონაწილეთა შექების პასუხისა არ იყოს, ისინი აკაკის თვით შოთასთან რომ გააიგივებდნენ, საქართველოს მკვდრეთით აღდგენის მოციქულად დასახავდნენ, ის კი:

— როგორ შეიძლება მიწიერი ზეციურს შემადაროთ!..

იოსები მაშინ გაუყუჩდებოდა, მაგრამ ერთხელაც ვეღარ მოითმენდა და შეეკამათებოდა:

— განა თქვენი „თორნიკე ერისთავი“, „პატარა კახი“, „ბაგრატ დიდი“ ნაკლებია?

ის... გაიღიმებდა და ამჯერადაც მოკლე პასუხს იკმარებდა:

— როგორც ვარსკვლავი მზეს ვერ შეედრება!..

იოსები არ გაიზიარებდა ამ პროტესტს.

მოგვიანებით არც ლადო ასათიანი გაიზიარებდა აკაკისეულ ხელების გასავსავებას და ძალდაუტანებლად დააწყვილებდა ამ ორ თავმოსაწონებელ სახელს ჩვენი ლიტერატურისა და ისტორიისა, სიმბოლოებად რომ დასახავდა შოთა რუსთველსა და აკაკი წერეთელს და მათი სახელების მოშველიებითაც განუცხადებდა მკითხველს, თუ რატომ გახლდათ ძვირფასი სამშობლო:

ტკბილი, როგორც დედის რძით ტუჩშეუშრობელი ბალღი.
ტკბილი, როგორც ცის ნამი, როგორც მშობლის ალერსი.
ტკბილი, როგორც ველებზე ჯეჯილის მწვანე ფაფარი.
ტკბილი, როგორც ძილისპირს ძველი ქართული ზღაპარი
ტკბილი, როგორც სურნელი ახალმოხდილი ღვინის.
ტკბილი, როგორც სურნელი ახალგამომცხვარი პურის.
ჩამოჰყვებოდა, ჩამოჰყვებოდა და:
ტკბილია როგორც რუსთველი, ტკბილია როგორც აკაკიო!..
ვარსკვლავი მზეს ვერ შეედრებოდა?
ვისთვის როგორ...

არაერთი მწერალი რომ ეძვირფასებოდა ლადო ასათიანს, ამ ეპითეტს — ტკბილი — მარტოდენ ამ ორს მიუსადაგებდა.

და თუ ოიკოფობი არა ხარ და საქართველოს ხსენება ყოველთვისაც გაღელვებს და გაფორიაქებს, იმავდროულად ნეტარების ეს განცდაც გეუფლება და გრძნობ, ხელშესახებად გრძნობ, ეგ შენი სამშობლო რარიგ ტკბილია:

როგორც რუსთველი და როგორც აკაკი!..

ყოველი ქართველის ოჯახში შესატანი განძი.

...ისე ნეტა რუსთველსაც დღიური მუშა ხომ არ ეგონა თავი, საქვეყნო საქმეებში ჩაფლული დროდადრო სულის მოსათქმელად „ვეფხისტყაოსანსაც“ რომ ჩაუჯდებოდა და... ხან ნაღველიც შეიპყრობდა: ნეტა ვის დასჭირდება, ნეტა რისთვის ვიკლავ თავსო...

* * *

უთუოდ უნდა შემახვედრო, როცა ჩამოვაო...

დავით კარიჭაშვილის შეფრქვევითი შექება აღუძრავდა სურვილს გადაეთვალიერებინა ნიკო მარის უკანასკნელი შრომა შავთელისა და ჩახრუხას შესახებ და დიდი მოწონებითა და კმაყოფილებითაც გამოეხმაურებოდა „ივერიის“ 1902 წლის 21 ივლისის ნომერში.

— ეს უკანასკნელი შრომა მართლა რომ მოსაწონია; რვა საუკუნის განმავლობაში გადამწერლებისაგან დაბურდული და დახლართული ტექსტი ორივე პოემისა ბატონ მარრს წესიერად აღუდგენია და შესაფერი ლექსიკონიც ჩაურთავს...

თუმც ამ სამაგალითო შრომას დამთავრებულად მაინც ვერ მიიჩნევდა, რაკიღა პროფესორს ვერ გაეთვალისწინებინა, რომ რაც მეცნიერისათვის ცხადი გახლდათ, ის უბრალო მკითხველისათვის შესაძლოა ბნელი ყოფილიყო და ძნელად გასაგები. საჭირო იყო, რომ ტექსტის აღმდგენელს იქვე გვერდით პროზადაც დაეწერა ყველასათვის გასაგებად, რასაც ლექსები იუწყებოდნენ, და აეხსნა ჩახრუხაულისა და მაჯამების მნიშვნელობაც, რადგანაც ისინი პოეტურ გამოცანას შეადგენდნენ და დიდ ისტორიულ ცოდნასაც მოითხოვდნენ, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მათში გარკვევა.

გაიხსენებდა ნიკოლოზ დადიანის, ძველი მწერლობის დიდი მოტრფიალის, არაერთგზის ნათქვამს: შავთელის „აბდულ-მესია“ ჩვენ საგვარეულო წიგნსაცავში ინახებოდა, ჩემამდეც მოაღწია და როდესაც ნოქალაქევში სახლი დამეწვა, სხვა წიგნებთან ერთად ის ეგზემპლარიც დაიღუპაო.

მთლად თავიდან ბოლომდე კი აღარ ახსოვდა ის თხზულება, მაგრამ ზოგ-ზოგ ადგილებს კი იმოწმებდა ხოლმე ზეპირად და რამდენიმე ტაეპი აკაკისაც აგონდებოდა.

ნიკო მარი რომ ირწმუნებოდა: ეს თხზულება დავით აღმაშენებლის ქებააო, — აკაკი ამ მოსაზრებას ვერ გაიზიარებდა: დავით სოსლანს, თამარ მეფის მეუღლეს, უფრო შეეხება, თორემ წინაალმდეგ შემთხვევაში ზოგიერთი ადგილი ამ ჰარმონიული თხზულებისა გაუგებარი დარჩებაო.

რაც შეეხებოდა ჩახრუხაულის ახსნას, საგულისხმოდ ეჩვენებოდა პროფესორის აზრი: ეს არ არის ერთიანი პოემა, არამედ სხვადასხვა დროს ნაწერ სასიმღერო მაჯამებისა და ჩახრუხაულთა კრებული, ერთმანეთზე გადაკინძულიო.

ჩახრუხაძე რომ არა ყოფილიყო მწერალი, ამაში ეჭვიც არ ეპარებოდა, რადგან მარი ბროსეც ასევე ფიქრობდა: ჩახრუხაული ლექსის გვარია — ისევე როგორც ბაიათი, შაირი, ფისტიკაური, მაჯამა, მუხამბაზი და სხვა — და იმ წყობისა, რომელიც თავშივე ერთი და იმავე სიტყვით იწყებაო.

თავის მხრივ აკაკი მიადევნებდა, რომ:

ჩახრუხაული იმავეს ნიშნავდა, რასაც კრიმანჭული და ეს ორივე სასიმღერო და საგალობელი ტერმინი გახლდათ ძველად. სასულიერო გალობისას კრიმანჭული იმ წვრილ ხმას ერქვა, რომელიც ბანს, მაღალბანს, თქმულსა და სხვებს ერთმანეთს უკავშირებდა, გადააბამდა. ახლა კი კრიმანჭულს საერო სიმღერებშიაც იყენებდნენ, მაგალითად, გურია-იმერეთში კრიმანჭულს ერთი და იმავეს ხმის სულმოუბრუნებლად ამოსკვნას ეძახდნენ; იმას ნიშნავდა, რასაც ტრელი, და ჩახრუხაულიც ამავე ტრელს თუ გულისხმობდა იმ განსხვავებით, რომ სიტყვები უნდა ყოფილიყო ჩართული.

ნიშანდობლივად ეჩვენებოდა, რომ:

ამ საუკუნის გამოჩენილი მგალობელ-მღერალი და ავთანდილის მაგვარი ტიპი დათა გუგუნავა კრიმანჭულით შეკაზმულ სიტყვებს ჩახრუხაულს ეძახდა.

რაც შეეხებოდა ნიკო მარის თვალსაზრისს: ჩახრუხაულის სახელით დაწერილი თამარის ქება რუსთველისაა და ჩახრუხას ეძახის თავის თავსაო, — აკაკი სავსებით ეთანხმებოდა და, ის კი არა, უფრო შორსაც მიდიოდა: არათუ თამარის ქებას, ჩახრუხაულით დაწერილ დავითის ქებასაც, რომელსაც პროფესორი შავთელს მიაწერდა, აკაკი რუსთველს მიაკუთვნებდა.

„ვეფხისტყაოსანიც“, „თამარიანიც“ და „აბდულმესიანიც“ რუსთველს რომ დაეწერა, ამას — აკაკის რწმენით — არათუ აზრის თანხმობა, თვით სიტყვების ერთგვარი ხმებიც კი ამტკიცებდა.

და თუ მართლა ერთი და იმავე ავტორის ნაწარმოებები არ გახლდათ და სხვადასხვა პოეტს შეექმნა ეს პოემები, მაშინ ერთიმეორისაგან გადმოეღოთ და ეგაა, მოეპარათ, ბრმად მიებაძათ და... ამას როგორ იკადრებდა რომელიმე, მაშინ როდესაც თავისთავად შემოქმედებითი ძალა უმწვერვალესობამდე მიეყვანათ.

ამას ყველაფერს გულდაგული შრომა და გამოკვლევა რომ ესაჭიროებოდა, აკაკისაც მიტომ გამოეთქვა თავისი აზრი, რომ სხვებსაც მოეკიდათ ხელი ამ პოემების შესწავლისათვის, ჩაკვირვებოდნენ, თავთავისი შენიშვნები მოეწოდებინათ და არ გადაეგდოთ გულიდან სამუდამო დასავიწყებლად ის, რაც ქართველთათვის ისევე საგულისხმო იყო, როგორც ინგლისელთათვის ჯონ მილტონი, იტალიელთათვის დანტე და სხვა ერებისათვის კი სხვანი.

* * *

თუ კიდევ მომიწევს რუსთველსა და „ვეფხისტყაოსანზე“ საჯარო ლექციის წაკითხვა, ვითომდა შავთელ-ჩახრუხაულის, სინამდვილეში კი რუსთველისავე ეს თხზულებანიც ძალიან გამომადგება, რამდენ მასალას მაძლევს სალაპარაკოდო, — რაღაც ამგვარს უსათუოდ გაიფიქრებდა აკაკი წერეთელი, ანთებული და აღგზნებული ახალი კარის შეხსნით წარსულის ლაბირინთებში, თვითონ ჩახრუხაულის სალექსო ფორმაც ძალიან რომ დააინტერესებდა.

მაგრამ ისე მოხდებოდა, წლების შემდგომ რომ მოუწევდა ლექციით გამოსვლა „ვეფხისტყაოსანზე“, ვერსიფიკაციაზე სამსჯელოდ აღარ ეცლებოდა — იმ წუთას ზედმეტ ფუფუნებად მოეჩვენებოდა და უმთავრესად სოციალურ და პოლიტიკურ მხარეებსა თუ მოტივებზე გაამახვილებდა ყურადღებას.

თავი III

კომიკური ნიღბები: ბენია და ბეშტია

— ბენია და ბეშტია, როგორც ძველი კაცები, არ იშლიან ჩვეულებას და ხანდახან კიდეც აპირებენ, რომ ვინც ღირსია, ულვაშები აუწიონ ხოლმე, ჩვენც ჩვენის მხრივ ვაფრთხილებთ ყველას და უფრო კი ხელმწიფის მოურავებს, — დაბეჯითებით განაცხადებდა და... ჯერ მარტო ამ გაფრთხილებას, უფრო კი მუქარას არ აპატიებდნენ, მითუმეტეს, თუ პირველივე ნომრიდან მწვავედ მოჰკიდებდა ხელს ამ მუქარის აღსრულებას.

ესეც აკაკის უნდა მოეფიქრებინა: იუმორისტული ყაიდის პერიოდული გამოცემა.

ასე დაარსდებოდა 1907 წლის 11 თებერვალს „ხუმარა“, მისი გამოცემის ნებართვა ჯერ კიდევ ორი წლის წინათ რომ მიეღო — 1905 წლის 27 სექტემბერს, თუმც აქამდე თავს ვერ მოაბამდა გაზეთის ამოქმედებას.

არეული ჟამი დადგებოდა და, ვიდრე ხელისუფლება ხელს გამოიღებდა და რევოლუციური განწყობის ჩაქრობა-გაქარწყლებას შეეცდებოდა პოლიტიკის გამკაცრებით, აკაკი დროს იხელთებდა და იუმორისტული ყოველკვირეული გაზეთის (იოსებ გრიშაშვილი ჟურნალად რომ მოიხსენიებს) გამოცემის ნებართვას მოიპოვებდა.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთის გამოცემის სურვილს აკი იმთავითვე ჩაუკლავდნენ.

საკუთრივ მისი ჟურნალის განახლების უფლებასაც არ დართავდნენ — მაშინ გადაეხვია პირობისათვის და ახლა მითუმეტეს რაღას იზამდა — ამ აფორიაქებულ და ამღელვარებულ ვითარებაში.

იუმორისტულ გაზეთს უფრო შემწყნარედ შეხედავდნენ: განა რა დაშავდება, თუკი იხუმრებს და იხალისებსო.

ადრე ამასაც მოერიდებოდნენ, მაგრამ სახალხო შფოთი და არეულობა რაღაც-რაღაც დათმობებს უკარნახებდათ.

აკაკიც იქნებოდა, ხალისსა და ხუმრობაში მწარე ნესტარიც არ გამოერია და იუმორი ხან ირონიად, ხან სარკაზმად და ხანაც სატირად არ გაეშალა.

იოსებ გრიშაშვილი ქართული იუმორის ისტორიის შესწავლას რომ გადაწყვეტდა, პირველად აკაკის ამ იუმორისტულ ჟურნალს ჩაუჯდებოდა, „ხუმარას“, როგორც პირველ ასეთ გამოცემას. გამოუკვლეველი დარჩებოდა ეს ისტორია, მაგრამ ამ ერთის შესწავლა-შეფასებას ხომ მაინც მოასწრებდა. და მკითხველს მოუთხრობდა, რომ:

ჟურნალი ძველად კერძო გამომცემელთა ხელთ იყო და 16 გვერდს არ აღემატებოდა. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენდა „პატარა კაცის“ ფსევდონიმით ვალერიან გუნიას მიერ 1894 წელს გამოცემული კარიკატურებიანი ჟურნალი „ჩვენებური რამერუმე“, რომელსაც არ გააჩნდა საზოგადოებრივი ხასიათი — ეხებოდა მხოლოდ ჭავჭავაძე-მაჩაბლის ცნობილ ბანკობიადას და, როგორც პირადი ინტერესის გამომხატველი, მალეც დაიხურებოდა — ერთადერთი ნომერი გამოვიდოდა.

ძველად იუმორისტული ჟურნალის მაგივრობას გაზეთებში მოთავსებული ფელეტონები რომ ასრულებდა, თავთავიანთი ნუმერაციაც ჰქონდათ და რედაქციაც ისევე მიიჩნევდა, როგორც პოეტი-მკვლევარი: გაზეთად გაზეთში.

„ივერიაში“ ხშირად რომ იბეჭდებოდა ასეთი ფელეტონები თუ პატარა ფელეტონები, საერთო სახელწოდებად შერჩეული ჰქონდათ: „დუდუკი“ — აქვსენტი ცაგარელი რომ ხელმძღვანელობდა. ხოლო „შურდულის“ სათაურის ქვეშ მოქცეული სერია სოფრომ მგალობლიშვილის ხელმძღვანელობით მზადებოდა.

„კვალი“ გახსნიდა ივანიკასა და გოჯასპირის სალაღობო განყოფილებას.

ორშაბათული „იერია“ შემოიღებდა „წკიპურტს“ — იოსებ გრიშაშვილი რომ ჩაუდგებოდა სათავეში.

კარიკატურა უფრო სერიოზულ მნიშვნელობას შეიძენდა, როცა „ცნობის ფურცელი“ დასურათებულ კვირეულ „დამატებანს“ გამოუშვებდა: 1901-6 წლებში.

და აკაკი რომ აამოქმედებდა „ხუმარას“ (გამოცემას იკისრებდა სტამბა „სორაპანის“ პატრონი მიხეილ გაჩეჩილაძე), სარედაქციო წინათქმაშივე განაცხადებდა, რომ ეს არ გახლდათ რომელიმე პარტიის ორგანო და ყველასთან ერთნაირად ითანამშრომლებდა:

— „ხუმარა“ ერთი რომელიმე პარტიის ორგანო არაა, ისაა კარლია გაზეთი. აზრთა შეჯახება — აი რაა ჭეშმარიტების გამომრკვეველი. დეე, დაეჯახონ სხვადასხვა მიმართულების შეხედულებანი ერთმანეთს — ეს საჭიროა და კარგი. „მოყვარეს პირში უძრახე“, თუ ზნეობრივი სიბრძნეა, „მტერს რომ პირში უძრახო“ ეს ხომ კიდევ მეტი ხარისხის სიბრძნე იქნება.

კარს რომ ყველას გაუღებდა, თანამშრომლებს ჰონორარსაც შეპირდებოდა.

თამამად გახლდათ, ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ნომრებს დაიტაცებდა მკითხველი და გაზეთის ტირაჟის გაზრდაც მალე მოუწევდა... კიდევ გაზრდა და კიდევ გაზრდა... და აქ ექმნებოდა თუ ექმნებოდა ასპარეზი მიზანში ამოღებული პირის განადგურების აკაკისეულ გზას.

აკაკისეული გზა რას გულისხმობს მაინც ამისთანას?

განმარტებისათვის გრიგოლ კიკნაძე ილია ჭავჭავაძის სახებას გამოიხმობდა, რათა შედარებითი დახასიათების ფონზე უფრო კანთიელად წარმოჩენილიყო აკაკის სატირული ხელოვნების ერთი ნიშანდობლივი თავისებურება. ნიშანდობლივიც და არსებითიც. აქ დაცინვა ხომ უფრო სხვაგვარად ვლინდებოდა, ვიდრე ამას ვხედავდით, ვთქვათ, ილიას პოეზიაში.

ილიას დაცინვა:

დინჯი, ამასთან მუდამ თან რომ ახლავს მრისხანების ბეჭედი.

კლასიკური ნიმუში ბობოქარი სატირისა, იმდენად მწყრალი, პირქუში და მოღრუბლული, რომ ხშირად სიცილისათვის ადგილიც კი აღარ რჩება.

დაცინვა აკაკისა:

მოკისკისე და თავშეუკავებლად მოხარხარე სატირის ბრწყინვალე ნიმუში.

იცინის ყოველთვის, როდესაც კი ცუდსა და მახინჯ მოვლენას ხვდება.

თავისი სატირის საგანს პირდაპირ სახეში უცქერის და ისე ხარხარებს.

და ესეც ის გზა, აკაკისეული გზა მიზანში ამოღებული პირის განადგურებისა.

სხვა რაღა დაგშთენია მწარე, თავაწყვეტილი სიცილის გარდა, როდესაც ეძებ, ეძებ, აფორიაქებულ-ანთებული ეძებ იდეალს და... გულსაკლავი რეალობის წინაშე მწარედ იმედგაცრუებული რჩები.

ნახვით ბევრი ენახა ჩამოსული, ჩვენში ბრძოლა რომ განეზრახა, მაგრამ შემოძარცვოდათ ამაღლებული მისწრაფებანი, გადაბრუნებოდათ გული და...»

დაე აკაკის ცრემლზე უფრო მწარე სიცილი მოესმინათ, ვერსად რომ ვერ დაემალებოდნენ და ვერც ნამდვილ ხვაშიადს დაფარავდნენ: ხა, ხა, ხა, ხაო!..

კაცი ყოფილიყო და გინდა ქალი, ჩვენში ყველა გახლდათ გლახა, და რიღასთვის გვეძებნა იდეალი? არა სჯობდა გვეცინა და გვეცინა: ხა, ხა, ხა, ხაო?!.

გრიგოლ კიკნაძე იმ გარემოებასაც მიაქცევდა ყურადღებას, რომ:

აკაკის მრავალი სატირული გამოხმაურება მხიარულ კილოზეც აწყობილიყო, თუნდ „კოლო-ბუზების“ პასუხი: მიმავალნო, მშვიდობით! გზა ზვიტიეთ მომავალს!.. რად სწუხდებით რჩევისთვის! ჩვენ ვპოვებთ ჩვენ გზა და კვალსო.

მაგრამ განსაკუთრებით მაინც ცრუმოფუსფუსეთა, ცრუგულშემატკივარ-ჭირისუფალთა, მოწუწუნეთა გუნდი აღიზიანებდა და მათგან მკვეთრად გამიჯვნისათვის თავის გზას მიმართავდა თუ მიმართავდა: ქვეყნისათვის რომ სტიროდნენ, აკაკურად მიცინიაო!..

აქ ექმნებოდა თუ ექმნებოდა ასპარეზიო...

ბენიასა და ბეშტიას ნიღბების გამოხმობასაც საგანგებოდ დაისაჭიროებდა, რათა თავისი სათქმელი მათთვის გადაებარებინა და მათ დიალოგში პილპილი უხვად მიმოებნია.

გამოვიდოდა პირველი ნომერი და... დასაწყისი მაშინვე დასასრულად იქცეოდა.

ნეტა აკაკის რა ეიმედებოდა — ასე ერთბაშად აკრძალვას მოერიდებიანო?!.

არადა ხელისუფლების თვალში: ყოველგვარ საზღვარს გადავიდოდა ის პირველივე ნომერი.

გიგო ზაზიაშვილს შეუკვეთდა კარიკატურას, პირველივე გვერდზე რომ მოათავსებდა: თბილისის გუბერნატორი რაუშ ფონ-ტრაუბენბერგი წარმოისახებოდა... ვირად, გუბერნატორის მუნდირი რომ ეცმეოდა, სატირულ ლექსში კი აირეკლებოდა ის კონფლიქტი, თავადაზნაურთა მარშალ ბაგრატიონ-დავითაშვილთან რომ მოუვიდოდა. და ისე გამჭვირვალედ, მკითხველს დიდი რამ მიხვედრა არც დასჭირდებოდა: მარშალი ნიშადურს ულესავდა გუბერნატორ-სახედარს, ამ ამბის შემყურე კინტო კი სიცილით იჭაჭებოდა...

მაშინდელ მკითხველს კი არ დაჭირდებოდა დიდი რამ მიხვედრა, მაგრამ შემდგომ თაობებს?

და იოსებ გრიშაშვილი შემოგვინახავდა სატირული ლექსის ისტორიულ ფონს, ოღონდ მანამდე გვამცნობდა, რომ:

რაუშ-ფონ-ტრაუნბერგს, ერთ რაღაც ქარაფშუტა ადამიანს, უყვარდა „ჩაღლევაც“ და, როცა ღვინო თავში შეუჯდებოდა, კიდეც ათასგვარ უტაქტობას ჩადიოდა.

და აი: 1906 წელს მცხეთის საგვარეულო აკლდამაში რომელიღაც ბაგრატიონს რომ ასაფლავებდნენ, დაკრძალვას ფონ-რაუშიც დაესწრებოდა, ქელეხზე კი ძალიან გამხიარულდებოდა, ღვინო გონებას გაუფიცხებდა და... მრავალჟამიერსაც შემოსძახებდა. ეგონა, რომ ქართველები ყველგან და ყოველთვის, ჭირსა თუ ლხინში, მრავალჟამიერს მღეროდნენ... არადა ქელეხში მისი ამღერება ქართველებში უსიამოვნებას გამოიწვევდა.

სწორედ იმხანად ტფილისის სამხედრო ტაძარში საიმპერატორო გვარეულობის რომელიღაც წევრის პარაკლისს იხდიდნენ და მთელი გენერალიტეტი იქ იმყოფებოდა. ამისთანა შემთხვევებში ტაძრის არენაზე ყოველთვის პირველ პლანზე ჯერ ტფილისის თავად-აზნაურთა წინამძღოლი უნდა მდგარიყო, მერე გუბერნატორი და ასე და ამ თანმიმდევრობით. არადა ფონ-რაუში მოინდომებდა წინ წადგომას და თავად-აზნაურთა მარშალს ბაგრატიონ-დავითაშვილს ცხვირწინ აეტუზებოდა. ბაგრატიონი წინ გაიწევდა, მაგრამ ფონ-რაუშიც წინ წადგებოდა და კვლავ აეფარებოდა.

გაჩაღდებოდა ბრძოლა „პირველობისათვის“.

აქ პოეტი-მკვლევარი ჩაურთავდა, რომ: ძველად თავად-აზნაურთა მარშალს დიდი უფლებები ჰქონდა მინიჭებული.

ბაგრატიონი ისედაც გულაჩხრეკილი რომ გახლდათ ამ გუბერნატორზე, ახლა ეს ეტიკეტის დარღვევაც ზედ დაემატებოდა და... როდესაც პარაკლისი გათავდებოდა და ფონ-რაუში ბაგრატიონ-დავითაშვილს ხელს გაუწოდებდა ჩამოსართმევად, ვითომდაც არაფერი მომხდარაო, ის... საჯაროდ ხელს არ ჩამოართმევდა და ზურგსაც შეაქცევდა...

აქედან დაიწყებოდა მათი უმძრახობა და საქმე თითქმის დუელამდე მივიდოდა.

„თითქმის“, თორემ აბა რომელი დუელი მომხდარიყო ჩვენში!..

ამ ამბავს მეფისნაცვალიც შეიტყობდა, გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი და... შედეგი ის იქნებოდა, რომ ფონ-რაუშს გადააყენებდნენ თავისი თანამდებობიდან.

აკაკიც იქნებოდა, ამისთანა ხელსაყრელი შემთხვევა გამოპარვოდა და სულაც მწვავე სატირისა და საზოგადოების გამხიარულების თემად არ ექცია.

ასე დაიბადებოდა ის ლექსი ასეთი მახვილგონივრული ფინალური აკორდით:

დიდ-ყურაანთ ყროყინას
ჩვენები ეჯავრება,
საიდანაც მოსულა,
იქით მიექაჩება.
და ნიშადურს ულესავს
გულმოსული მარშალი,
რომ აქ აღარსად დარჩეს
იმ ვირის გზა და კვალი,

კინტო კი გაოცებით
შესცქერია ამ ამბავს
და ხმამაღლა იძახის:
— ამოუსვით რაუშა-ვს.

მკითხველი რომ მიაქცევდა ყურადღებას კალამბურულ აკორდს და დიდადაც მოიხიბლებოდა და ბევრსაც იცინებდა „რაუშა-რაუშავს"-ის გათამაშებაზე, ყურადღებას ხელისუფლებაც მიაქცევდა, ოლონდ არც მოიხიბლებოდნენ და არც სიცილის გუნებაზე დადგებოდნენ.

ოოო, ამის პატიება უკვე აღარ შეიძლებოდა, თუნდ მისი ჩამდენი სახელოვანი კაციც ყოფილიყო, პოეტთა მეფედ და ქართული სიტყვის თვითმპყრობელად აღიარებული.

რაო, აკაკის რა ეგონა — გაზეთს იოლად ვერ შეეხებიანო?..

მარტო გაზეთს რომ შეხებოდნენ, კიდევ რა უშავდა — 16 თებერვალს... რედაქტორსაც დააპატიმრებდნენ.

როცა ციხეში მიიყვანდნენ, მთელი ციხე აფორიაქდებოდა, და იოსებ გრიშაშვილს რა დაავიწყებდა იმ განწყობილებას, ერთბაშად რომ დაეუფლებოდა ქალაქს და აკაკი წერეთლის დატუსაღების ამბავსაც დაწვრილებით შეიტყობდნენ, დიდიან-პატარიანად ყველა ამაზე რომ ილაპარაკებდა.

პატიმრები, განურჩევლად მათი დანაშაულის ხასიათისა, დემონსტრაციულად გამოვიდოდნენ ეზოში, დაიწყებდნენ ყვირილს, მთელს ციხეს ააზანზარებდნენ და მოითხოვდნენ საყვარელი პოეტის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას.

ეს პროტესტი სამხედრო გუბერნატორის ტიმოფეევის ყურამდეც მივიდოდა — და მოახსენებდა თუ არა კანცელარიის გამგე, შეშფოთებული ტიმოფეევი მაშინვე გასცემდა განკარგულებას აკაკის გათავისუფლებისა.

ციხე ციხედ და მთელი ქალაქი და ქვეყანა ისე ამღელვარდებოდა, ხალხის დაშოშმინება ყოვლად შეუძლებელიც შეიქნებოდა, აკაკის გასამართლება და პატიმრობაში დატოვება რომ მოენდომებინათ.

ამიტომაც დაფაცურდებოდნენ და ქაღალდს დაბინდებისასვე მიიტანდნენ ციხეში.

პოეტს შეეძლო უკვე გამოსცილებოდა იქაურობას, მაგრამ... ღამიანად სად ეელო და სად ეძებნა თავშესაფარი?!. ამიტომაც თვითონ არ მოისურვებდა ნამოსვლას და განუცხადებდათ:

— არა... ნუ მაწუხებთ, ამაღამ მე აქ დავრჩები და ხვალ დილით წავალ.

ნუ მაწუხებთო, — ღიმილიც რომ არ გაერია, ისე როგორ იქნებოდა, თავისი გაზეთის ფურცლებზე აღარ გაატანინებდნენ ტუჩის კუთხეში გამკრთალ ღვთაებრივ ირონიას, თორემ საზოგადოებრივ მდინარებას არ მოაკლდებოდა არც მისი ღიმილი და არც მისი მწარე-მწვავე ორლესულები.

ასე გადაითენებდა იმ ღამეს ციხეში და მეორე დღეს ტუსაღები დიდი ზარზეიმით გამოაცილებდნენ.

კაცმა რომ თქვას, ამითაც ხომ უნდა დამშვენებულიყო მისი ბიოგრაფია!..

ლიტერატურულ-პოლიტიკური მოტივით რომ მოხვდებოდა გისოსებს მიღმა, თორემ ვალის გაუსტუმრებლობის გამო ეს სიამე საკნისა ოდესღაც აკი გამოეცადა!..

* * *

ბენია და ბეშტია, როგორც ძველი კაცები, არ იშლიან ჩვეულებასო...

იმ ძველად, როცა თეატრები, კონცერტები, ბალები და სხვა გასართობები არ არსებობდა, სასახლეებში ხუმარები ჰყავდათ და ისეთი უფლებაც მინიჭებოდათ, რომ მეფეებსაც იმას უბედავდნენ, რასაც სხვა ვერ გაბედავდა, და ბევრჯერ კეთილადაც იყენებდნენ თავიანთ ძალას.

საქართველოს, როგორც ერთ ძველ სამეფოთაგანს, მოსდგამდა ეს ჩვეულება და ჩვენს მეფეებსაც ჰყოლოდათ ხუმარები, მხოლოდ იმ განსხვავებით:

თუ მოსწრებული და მჭევრმეტყველი გვარიშვილი გახლდათ, ხუმარას ეძახდნენ.
და თუ უბრალო ჩამომავლობისა — მასხარას.
უკანასკნელ დროს სახელი გაეთქვათ:
ქართლში ბენია-კუზიანს
და
იმერეთში ბეშტია-კოჭლს.
და მათი ნამოქმედარი ბევრი რამ დარჩენილიყო ხალხში.
დღეს ბენია-ბეშტიაობის დრო რომ აღარ იყო?
მაგრამ საქმე კი ბევრი დაგროვებულიყო საიმათო და... აკაკიც გადაწყვეტდა, რომ ხანდახან, დროის შესაფერისად, ეს ბენია-ბეშტია ახალი სიცოცხლით აღევსო და გამოეყვანა სცენაზე სალაპარაკოდ.
ძველად კი:
მეფეების მიბაძვით დიდი ოჯახებიც ცდილობდნენ ხუმარა შეეძინათ, მაგრამ სად იქნებოდა იმდენი ხუმარა და მათ ნაცვლად გლახებს სჯერდებოდნენ: სალოსი-გლახა ღვთის მონაა, მადლი თან დასდევთ და ოჯახშიც შეიტანენო.
ძვირად მოიპოვებოდა იმისთანა დიდკაცის სასახლე, რომ იქ გლახასაც არა ჰქონოდა თავშესაფარი, და ნიკო დადიანსაც, შხეფელს, ჰყავდა ერთი ასეთი სვიმონა გლახა.
ამ გლახას ერთი ნათქვამი ანდაზად გადაქცეულიყო ჩვენში.
ღამისთევას ძველად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ — დააწვენდნენ მელოგინეს ცალკე ოთახში და გადააფარებდნენ ძველ ბადეს, როგორც ნაკურთხს, რომ მავნეს ვეღარ მიებედნა და თვითონ კი, როგორც ჭირისუფალნი, ისე სტუმრები ღამეს უთევდნენ... ფხიზლობდნენ, რომ მტერი მოეგერიებინათ. გათენებამდე დაძინების უფლება არავის ჰქონდა, მერე კი, როცა ინათლებდა, „სირისკუდსა“ ჭამდნენ და დაიშლებოდნენ ხოლმე, იყო მთელი ღამე ერთი ხრიალი, მხიარულება და კისრისტეხა! ძილი რომ არავის მორეოდა, იგონებდნენ სხვადასხვა სათამაშოს, შაირებსა და ამისთანებს.
ასეთი ყოფა იმდენხანს გასტანდა, ვიდრე მელოგინე ფეხზე წამოდგებოდა.
და ნიკო დადიანსაც რომ ჰქონოდა ღამისთევა, ისე გათავდებოდა, რომ ერთი მისი გლეხთაგანი არ მიეკარებოდა. ბატონი გაწყრებოდა და დაიბარებდა და ბრაზმორეული შეახსენებდა, რომ: საკმაო ადგილ-მამული ებოძებინა მისთვის, სულ მისი გახლდათ, ამ ყმაგლეხისა, გადასახადი ამოკვეთილი ჰქონდა და ბატონის შიშით ბუზსაც ვერავინ აუფრენდა. და... განა რა მოეთხოვებოდა საპასუხოდ?..
— ასე ნებივრადა მყავხარ. გმართებს მხოლოდ შინაყმობა. ჩემთან უნდა იყო ხოლმე სასახლეში, რომ ჩემი ჭირი და ლხინი გაიზიარო, და შენ კი ღამისთევაში მოსვლასაც მამადლი.
აკვრევინებდა პანღურს და გააგდებდა სასახლიდან: თვალით აღარ დამენახოო!..
მაშინ ბატონის რისხვა ხუმრობა არ გახლდათ და გლეხი დაიმარტოხელებდა და შეეხვეწებოდა მოურავს: როგორმე შემარიგე ბატონთანო!..
მოურავი, ანტონ ჩიქოვანი, გლეხს დაპირებით დაპირდებოდა შერიგებას, ოღონდ მას ბატონისათვის კარგი ცხვარი უნდა მიერთმია, მოურავისათვის კი, საგამრიგებლოდ, კარგი ძროხა უნდა მიეგვარა!..
არ უნდა დავიწყებოდა გლეხს: ცხვარი ბატონს და ძროხა — ანტონს!..
და მოურავი ამ ფრაზას რამდენჯერმეც გაუმეორებდა, იმჟამად საფარეშოში მათ მეტი რომ არავინ იმყოფებოდა გარდა სვიმონა გლახასი, თავისთვის რომ ეგდო კუთხეში, მაგრამ მას, როგორც გლახას, ვინ მიაქცევდა ყურადღებას.
მეორე დღეს მოურავი დროს შეურჩევდა ბატონს და შეავედრებდა გლეხს. იმ დროს სვიმონა გლახაც სასახლეში იმყოფებოდა. მოურავი რომ ახსენებდა: ცხვარს მოგართმევსო,
— გლახას მოაგონდებოდა გუშინდელი ნათქვამი და წამოიძახებდა:
— ცხვარი ბატონს, ძროხა ანტონს!.. ცხვარი ბატონს, ძროხა ანტონს!..
ნიკო დადიანი დაეჭვდებოდა, დაიბარებდა გლეხს, გამოჰკითხავდა და სიმართლეს რომ შეიტყობდა, დაუძახებდა შინაყმებს, ანტონს ცალ ულვაშს აუწევდა, გადააყენებდა მოურაობიდან და შინ გაისტუმრებდა.

იმ დროში ულვაშის აწევა უფრო ზნეობითი სასჯელი რომ იყო, ვიდრე ფიზიკური და წვერ-ულვაშის შერცხვენა ვაჟკაცისათვის დიდი უბედურება რომ გახლდათ და ხალხში თავს ვეღარც გამოჰყოფდა, აკაკი ამის გახსენებისთანავე ირონიულად დასძენდა: მაღლობა ღმერთს, რომ დღეს ეს ჩვეულება გადავარდნილია, თორემ თქვენს მტერს, საზოგადოდ მოურავებს წვერ-ულვაში აღარ შერჩებოდათო!..

და ბენია და ბეშტია რომ არ იშლიდნენ ძველ ჩვეულებას და ხანდახან კიდეც აპირებდნენ, რომ ვინც ღირსი იყო, ულვაშები აეწიათ მათთვის, აკაკი თავის მხრივ აფრთხილებდა ყველას და უფრო კი ხელმწიფის მოურავებს!..

არ ჩააგდებდნენ ამ გაფრთხილებას აინუნში?

მაშ თავიანთი თავისთვის დაებრალებინათ.

იოსებ გრიშაშვილი ამ ნიღბების გაცოცხლების მნიშვნელობას ასე შეაფასებდა:

მსგავსად „კვალში“ დახატული ივანიკასა და გოჯასპირისა, აკაკიმ ბენიასა და ბეშტიას მონოლოგებში გადაიტანა მაშინდელი ყოველდღიური მტკივნეული საკითხებიო...

რაკილა ეს ძველი კაცები ახალ დროებას მორგებოდნენ, მათ პირველ — და თურმე უკანასკნელ — დიალოგს აკაკი ტელეფონით ნალაპარაკევად გაასაღებდა.

ბეშტია ამცნობდა ბენიას, რომ:

ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკი გამოტყდომოდა საურთიერთობო ნდობის ბანკს:

— ფულები არა მაქვს!

და იმასაც მიეგო:

— მეც მაკლია!

მაშინ ორივეს ტირილით მიემართა სამოქალაქო საბჭოსათვის და... იმასაც ტირილი დაეწყო:

— მე სულ არაფერი გამაჩნია და მისთანა თავს ვეძებ, რომ საბჭოს ფეხები გამოაბას და აამოძრაოს.

და მართლაც გადაწყვეტდნენ:

— თუკი რუსეთმა ვარიაგებს მიმართა და მეფე მოითხოვა, ჩვენც რომ ქალაქის თავი ტფილისიდან გამოვიწეროთ, განა რა ცოდვა იქნება?!.

აირჩევდნენ მოციქულებს და გამოგზავნიდნენ.

ბენია თავის მხრივ აუწყებდა ბეშტიას, რომ:

ჩამოსულიყვნენ აქ, ტფილისში მოციქულები, მიდგომოდნენ ახალმოვლენილ რიურიკს და ეთხოვათ:

— ასეა ჩვენი საქმე... ქუთაისელები თავს დავეძებთ და აქ ვერ გვიპოვნია. მართალია თავები აქაც არიან, მაგრამ იქაურები სულ იმასა ცდილობენ, ერთმანეთს ტვინი გაულაყონ და ტვინგალაყებული თავი რაღას ვარგა. ახლა შენთან მოვსულვართ. თაობასა გთხოვთ და ნუ გაგვაწბილებ!..

ახალმოვლენილ თავადს ეგონებოდა ეს ვედრება და ეტყოდა მოციქულებს:

— ცუდ მდგომარეობაში მაყენებთ: ეგ ჩემთვის პატარა საქმეა! ხელმოსაკიდებელი არ არის, მაგრამ თქვენისთანა დარბაისელ-მოციქულებს უარი როგორ გაებედებათ!..

გულში კი — აკაკი გულთამხილავობით შეატყობდა — მოციქულის ანდაზა აგონდებოდა.

სამ საათამდე სთხოვდათ დროს მოსაფიქრებლად, მაშინ კი მობრძანებულიყვნენ მისას, სადილი მიერთვათ და მასპინძელიც ყველაფერს მოახსენებდათ!..

დააიმედებდა მოციქულებს, თვითონ კი გაქანდებოდა შინისაკენ და სტუმრობას გამართავდა. მიიწვევდა: გუბერნიის მარშალს, ქალაქის თავს, „სეკრეტარს“, ბანკის თავმჯდომარეს და სხვა ამგვარ დიდ-დიდ ვინმეებს. მაგრამ სტუმართმოყვარეობითა და პატივისცემით კი არა, არა! მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ ისინი მოწმედ დაესწრო, თავი გამოეჩინა და ეთქმევინებინა მათთვის:

— ბიჭოს, რა ყოფილა ეს კაცი, ჩვენ რომ თურმე კიდევ ვერ ვაფასებთ კარგად. აი, როგორ ეხვეწებიან...

მართლაც სადილზე ბევრი მომზადებული სიტყვა წარმოითქმოდა მასპინძლის გასაბერავი, და ბოლოს... უარით გამოისტუმრებდა შინისაკენ მოციქულებს.

ბეშტია ტელეფონის მეორე ბოლოდან ამცნობდა ბენიას, რომ:

ჩამობრძანებულიყვნენ მოციქულები მეტად დაღონებულნი. და ქუთაისელებს სიცილი დაეყარათ: სად მირბოდით, რომ მირბოდითო... მეტიჩრებოო...

და ერთი ვითომპოეტი (აკაკი თავის თავს იგულისხმებდა მისებური ჩაღიმებით) ლექსსაც კი გამოუთქვამდათ: როცა უნდა პროკოფია და როცა უნდა ვლადიმირი, ხან იანცი პოღოზ-ყაზაზ, ხან ქართველი, ვითომგმირიო!.. იქაც იქნებოდა, აქაც იქნებოდა, მაგრამ გულით კი — არსად, იმერეთის ეშმაკად წარმოდგებოდა, ანგელოსის არსადარად! ახალი დროის შესაფერი კაცი უნდა ყოფილიყო ამისთანა, ხელთ რომ ეპყრა მომარჯვებით მოსაკლავი სხვისი დანა!.. დაჭირდებოდა — პროკოფი გახლდათ, დაჭირდებოდა — ვლადიმირი!.. იმერეთში დიდი... დიდი, ტფილისში კი გმირთაგმირი...

* * *

ეჰ, ბენია და ბეშტია, როგორც ძველი კაცები, თავისით კი არაფრისდიდებით არ მოიშლიდნენ ჩვეულებას, აკაკის ამომწურავი წარმოსახვა და ჰოი რა ფრთებს გაშლიდა და იუმორის რა ფოიერვერკი გადმოილვრებოდა „ხუმარას“ ფურცლებიდან, მაგრამ ვინ დააწებებდათ ნომრიდან ნომერში სატირული ვოდევილ-სპექტაკლები დაედგათ და ძლიერნი ამაქვეყნისანი ემასხრებინათ და ექილიკებინათ, აბუჩად აეგდოთ და მთელი ქვეყანა მათზე ეხარხარებინათ.

ასეთი ხანმოკლე აღმოჩნდებოდა აკაკის ეს ახალი და... უკანასკნელი რედაქტორობა?

მაგრამ იოსებ გრიშაშვილი ამ წამოწყებას მაინც ძალიან დაუფასებდა:

„ხუმარამ“ ხალხში გააღვიძა იუმორისტული ჟურნალის ინტერესი და მოთხოვნილება... დაიბადნენ ახალი იუმორისტი მწერლებიც, რომელნიც შემდგომ სათავეში ჩაუდგნენ ამ ჟანრის განვითარებასო.

ებარტყა და რა ებარტყა აკაკის წამოწყებას:

და „ხუმარას“ კიდეც მოჰყვებოდა — ეს „მასხარაო“, ეს „ეკალიო“, ეს „ტარტაროზიო“, ეს „ჯოჯოხეთიო“, ეს „ოხუნჯიო“, ეს „ბზიკიო“, ეს „ნიანგიო“ და... ასიოდე სახელწოდების სხვადასხვა ჟურნალი და ალმანახი, რომელთა შესწავლა-დამუშავებასაც იოსებ გრიშაშვილი აბა რას გაწვდებოდა და ამიტომაც შეაგულიანებდა სხვებსაც: ეს გამოცემები თავიანთ მკვლევარს ელოდებიანო...

თავიანთ მკვლევარს ბენია და ბეშტია დაელოდებოდნენ თუ დაელოდებოდნენ, ხელისუფლება რომ არ გამკაცრებულიყო და ეს ორი ნიღაბი არ შეეწირა ამ სიმკაცრისათვის, ამაოდღა რომ უნდა გაეფართხალა დიდი და გარდუვალი რღვევის წინ, იმ რღვევისა, აკაკიც იმედიანად რომ შეჰყურებდა და თავისი წილის დადებასაც ესწრაფოდა ამ მდინარებაში, წიწამურის ტრაგედია რომ დააეჭვებდა, შეაფიქრიანებდა და მიახვედრებდა, რომ გაცილებით უფრო საზარელი პოლიტიკური რეჟიმი იყო მოსალოდნელი, ვიდრე ეს თუნდ გამკაცრებული მმართველობა გახლდათ.

ხოლო „ხუმარა“ თავის კვალს ტოვებდა.

და თავიანთ კვალს ტოვებდნენ ბენია და ბეშტიაც, აქეთ ერთს რომ შერჩებოდა გაწყვეტილი ყურმილი ხელში და იქით — მეორეს.

და უკვე აღარ იცოდა აკაკი წერეთელმაც, საით მიწყდომოდა და საით მოწყდომოდა.

თავი IV

მთარგმნელური შედევრები

იოსებ გრიშაშვილი პირველად 1907 წელს ნახავდა პოეტთა მეუფეს, ვალერიან გუნიას ჟურნალ „ნიშადურის“ რედაქციაში, სადაც ეს მდივნის მოვალეობას ასრულებდა და მის თავს რედაქტორი ასე გააცნობდა აკაკის:

— ეს ახალგაზრდა პოეტია თქვენი მიმდევარი, მაგრამ ჯერ დედის რძე არ შეშრობია პირზე და სულ ქალებზე წერს.

აკაკი ჩაიღიმილებდა, ხელს დაჰკრავდა მხარზე და ოდნავი იუმორით ეტყოდა:

— რედაქტორს, შვილო, ყურს ნუ უგდებ, წერე, რაც გულში გაქვს. ახალგაზრდა ხარ და გეპატიება. განა სიყვარულზე წერა საძრახისია, თუკი კეთილშობილი და წმინდაა. მე ცხოვრებაში იმდენი ავი შემხვედრია, ბავშვებისა და სამშობლოს სიყვარული რომ არა მქონოდა, თავს მოვიკლავდი.

და ამასთან ერთად ლექსსაც შთააგონებდა:

ვინ არა სწერს ჩვენში ლექსებს,
ვის არ უნდა მელექსობა,
მაგრამ ლექსი რა ლექსია —
თუ რომ გულს არ დაესობა?!

ბოლოს კვლავ დარიგებით დასძენდა:

— ყველაფერზე წერე, ოღონდ გულიანად და პატიოსნად.

აკაკის ამის შემდეგ ყოველდღე შეხვდებოდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მაღაზიაში, რომლის თანამშრომელიც გახლდათ იოსებისათვის მარად დაუვიწყარი შიო მღვიმელი.

ქუჩაშიც ბევრჯერ დაინახავდა მარტო მიმავალს, ხელში ყავარჯნით, თავაღმართულს.

— ამ დროს აკაკი ღმერთკაცს ჰგავდა.

ხალხი გუნდად რომ მიჰყვებოდა, ესეც იმ გუნდში ერია ხოლმე. თუმც პირადად იცნობდა, მაგრამ შინაურულად გამოლაპარაკებას როგორ გაბედავდა — ქუჩის მეორე მხარეს გადავიდოდა ხოლმე, წინ რომ არ გაესწრო.

მოგვიანებით, როდესაც აკაკის საიუბილეო კომიტეტის დავალებით მოუხდებოდა პოეტის თხზულებათა მესამე ტომის რედაქტორობა, გულდასმით გადაათვალიერებდა მის ყველა ავტოგრაფს, დაცულს ჩვენს მუზეუმებსა და არქივებში, აბა მარტოდენ პოემების შედარება-შესწავლას ხომ არ იკმარებდა, ის ტომი რასაც მოიცავდა.

ამ მუშაობისას წააწყდებოდა ერთ ფურცელს, სადაც აღმოჩნდებოდა აკაკის ხელით გადაწერილი: ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, თვით აკაკისა და... იოსებ გრიშაშვილის ლექსები. ოთხივე სასიყვარულო ყაიდისა: „სიყვარულო, ძალსა შენსა“, „საყურე“, „თვალად, ტანად“ და „შენ ხარ ღვთაება“.

ამ ფურცლის მომზადება ხომ მაშინ დასჭირდებოდა აკაკის, უმცროსი თანამოკალმის საღამოში რომ მიიღებდა მონაწილეობას. იოსები სიამაყით აღნიშნავდა, მხცოვანი მგოსანი ამის მიერ გამართულ საღამოებში ხშირად რომ მონაწილეობდა. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი კი იქნებოდა ორი ლიტერატურული შეხვედრა: ერთი ქუთაისში — 1912 წლის 11 მარტს, და მეორე თბილისში — 1914 წლის 23 აპრილს.

ამ საღამოზე მისვლას რომ შესთავაზებდა ქართულ თეატრში, აკაკი დაუზარებლად დათანხმდებოდა:

— მოვალ და პატარა სიტყვასაც ვიტყვი.

ამ მცირე მოგონებაში დაწვრილებით აღარ მოყვებოდა თავიანთ შესიტყვებას, თავიანთ პოეტურ მასლაათს და გადადებდა ავტობიოგრაფიული წიგნისათვის, რომლის სათაურადაც აპირებდა განმეორებას აკაკის ავტობიოგრაფიული რომანის სახელწოდებისა „ჩემი თავგადასავალი“... თუმც განზრახვა სამწუხაროდ განზრახვადვე უნდა დარჩენილიყო... და ამჯერად კი აღნიშნავდა მხოლოდ იმას, რომ: მგოსანი პირობას შეასრულებდა და სცენიდან მართლაც პატარა და აზიზ სიტყვას წარმოთქვამდა საღამოს გამმართველზე.

შეეხებოდა სიყვარულის თემას.

წაიკითხავდა ადგილებს „ვეფხისტყაოსნიდან“.

შემდგომ გადმოინაცვლებდა ახალ პოეზიაზე და სანიმუშოდ, პარალელისათვის სამი ავტორის პოეტურ ნიმუშებს მოიხმობდა.

— წაგიკითხავთ სამ ლექსს, სადაც გამოხატულია ულამაზესი, იდეალური სიყვარული.

და ჩამოჰყვებოდა ქრონოლოგიურად:

ჯერ ალექსანდრე ჭავჭავაძისას, მერე ნიკოლოზ ბარათაშვილისას, მერე თავისასაც.

დასასრულს კი:

— ახლა წაგიკითხავთ გრიშაშვილის ლექსს.

იოსებს თავისი გვარის გაგონებაზე ტანში ელდენი დაურბენდა. და სულგანაბული მიაჩერდებოდა.

ერთ ადგილას შებორძიკდებოდა აკაკი — სტრიქონი დაავიწყდებოდა და შედგებოდა.

იოსები ძველ პროფესიას გაიხსენებდა — უსუფლიორებდა.

ის გაიღიმებდა, მადლობას მოახსენებდა და განაგრძობდა.

რა გასაკვირია ახალგაზრდა კაცის სიხარულს საზღვარი რომ არა ჰქონდა — აკაკი მის საღამოს დაესწრო, აკაკიმ მისი ლექსი წარმოთქვა, აკაკის მისი ლექსი შეეშალა!..

იმ საღამოს ერთიორად გაიზრდებოდა საკუთარ თვალში, თითქოს სიმაღლეც მოემატებოდა.

აკაკის გამოჩენა სცენაზე და ტაშის ტყვია ამჯერადაც ერთი იქნებოდა, მაგრამ როგორც კი ლექსის წარმოთქმას იწყებდა, პარტერში ისეთი სიჩუმე დაისადგურებდა, როგორც ამბობენ ხოლმე, ბუზის გაფრენასაც გაიგონებდი.

და მერამდენედ ჩაათვალიერებდა იოსები შიო დავითაშვილის რეცენზიის იმ ადგილს, სადაც აღნიშნული იყო, რომ აკაკის მიერ წაკითხული გრიშაშვილის ლექსები — ყველა ის ნიმუში ამისი ეგონა — გამოირჩეოდა უბრალოებითა და დახვეწილობით.

დავიწყებით სხვა ლექსებიც დაავიწყდებოდა ადგილ-ადგილ და პარტერიდან მსახიობი კონო ანდრონიკაშვილი მიაწვდიდა სიტყვებს... მაინც ხანი რომ მორეოდა, თორემ აგერ ის ფურცელიც მოწმობდა, რომ წინასწარ გულდასმით ემუშავა მათ დეკლამირებაზე.

ორატორული გამოსვლებისას, წინასწარვე მოემზადებინა თუ სახელდახელოდ, იმპროვიზებულად წარმოთქვამდა, არასოდეს არაფერი შეშლია — ნაკადულივით მოედინებოდა მისი მჭევრი სიტყვა, თორემ სადმე რომ წაბორძიკებულიყო, რომელიმე მოგონებაში აუცილებლად აღიბეჭდებოდა მისი ეს შეყოვნება.

ლექსის წაკითხვისას კი სხვა დროსაც ამოვარდებოდა მეხსიერებიდან უეცრად რომელიმე სტრიქონი. თუნდ მაშინაც, ივან კრილოვის არაკის თარგმანს რომ წარმოთქვამდა სცენიდან და... დარბაზიდან შეშველება დასჭირდებოდა — ეს იმ საღამოზე, ვაჟა-ფშაველასა და ბაჩანასთან ერთად რომ მოუწევდა გამოსვლა, რაკიღა იოსებ გრიშაშვილი — რომლის გვარ-სახელიც აფიშაში იყო გამოცხადებული — მოულოდნელად ავად გახდებოდა და... ვაჟას მისი შემცვლელის ძებნა დიდად აღარ დასჭირდებოდა, რადგანაც შემთხვევით ბაჩანა აღმოჩნდებოდა დედაქალაქში, თავისი მოსწავლეები რომ ჩამოეყვანა და მალევე აპირებდა უკან გაბრუნებას მთაში, ძმას რომ არ ეთხოვა: ეგებ შენი ლექსი წაგეკითხა საღამოზე, ერთი კაცი გვაკლიაო.

აკაკისაც და ვაჟასაც თითო ლექსი უნდა წარმოეთქვათ, დამსწრენი მოწონებით რომ შეხვდებოდნენ და ტაშითაც გააცილებდნენ, მაგრამ ბაჩანასას ერთს არ იკმარებდნენ და... წააკითხებდნენ და წააკითხებდნენ, ტაშისცემა კი იქაურობას გააყრუებდა... და ბაჩანა თა-

ვიდან თუ მორიდებულად იდგებოდა სცენაზე, თანდათან ისე გაიზრდებოდა საკუთარ თვალში, შეეშინდებოდა: ემანდ ჭერს თავი არ ავარტყაო!..

პარადოქსების მეტი რა იცის ლიტერატურის ისტორიამ და თურმე ესეც უნდა მიმატებოდა პარადოქსთა კოლექციას: პოეზიის მოყვარული საზოგადოება ადვილად შელეოდა აკაკისაც და ვაჟასაც, მეორე ლექსის წაკითხვაც კი არ ეთხოვათ მათთვის, ხოლო ბაჩანა აღარც ჩამოეშვათ სცენიდან.

პარადოქსების დიდოსტატი თვითონვე აღმოჩნდებოდა პარადოქსული ეპიზოდის პერსონაჟი.

ჩემი ენა არ მოიბაჩანავებსო, წლების წინათ რომ წაუქიმუნჯებდა, ის კი არა, ვაჟა-ფშაველასა და თედო რაზიკაშვილთან ერთად მასაც შერისხავდა ქართული ენის დამახინჯებისათვის — თუმც ზოგიერთ პოეტურ მარგალიტს მასაც დაუფასებდა, რაც ბაჩანას სამუდამო საამაყოდ დარჩებოდა — ახლა მის გვერდით გაფერმკრთალებულიყო და სულაც გამქრალიყო... ვაჟა-ფშაველასთან ერთად.

ქუხდა დარბაზი, აღტაცებად იღვრებოდა და... მთავარი გმირი ბაჩანა გახლდათ, რომელსაც მეტჯერ აღარც მოუწევდა არც თბილისსა და არც საქართველოს სხვა ქალაქებში სცენაზე გადმოდგომა, თორემ ბარემ ბევრს დაუკარგავდა მის გვერდით გამოსვლის სურვილს, თუნდ იოსებ გრიშაშვილსაც, რომლის პოპულარობაც სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და მისი დეკლამაციითაც ძალიან იხიბლებოდა ხალხი, არამარტო სატრფიალო თემატიკითა და სიტყვათა მოხდენილი შეწყობით, მისი სტილისტიკა აკაკის პოეზიიდან რომ ამოზრდილიყო, თუმც თავისი ინტონაციაც შეემატებინა და ორიგინალურობისათვის მიეღწია, თავისი მხრივაც რომ გაიჩენდა მიმდევრებს — თვითონაც სხვისი მიმდევარი, იმ აკაკისა, რუსთველური ძალ-ღონის ზეგავლენა რომ უნდა მოეხდინა პოეზიის მდინარებაზე — რაც იმას შუა საუკუნეებში, ამას — ახალ დროში, დებიუტიდანვე რომ აიტყორცნებოდა ზემოთ და საუკეთესო პოეტთა მწკრივს ბუნებრივად და თავისთავად შეემატებოდა, დეკლამაციითაც მონუსხული რომ ჰყავდა ხალხი, ეგაა მამია გურიელსა და გრიშა აბაშიძესთან ერთად წარდგომას გაურბოდა, მათი დეკლამატორობის გვერდით დაჩრდილვა რომ ემუქრებოდა, და... ახლა კი ეს ბაჩანა საიდან გამომტყვრალიყო, აკაკისა და ვაჟასთან ერთად გამოსვლა მოულოდნელად თავის საღამოდ რომ გადაექცია. ესეც რა აკაკის ბედი იყო, რაღა ახლა მოენდომებინა რაზიკაანთ შუათანა ძმას ბავშვების ჩამოყვანა მიყრუებული მთებიდან ტფილისის დასათვალიერებლად.

...ისე ჩვენც რომ ყოფითი რეალობის უცნაური აბრუნდები თუ პარადოქსულობა რომ გაგვიკვირდება.

გადასახლებიდან დაბრუნებულ გიორგი შატბერაშვილს შინაპატიმრობას რომ მიუსჯიდნენ და სოფელ კავთისხევის საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლობასაც დასჯერდებოდა, იქიდან იოსებ გრიშაშვილს ასეთ ბარათს მოსწერდა:

— მე ქართულ ლიტერატურას ვასწავლი და ბავშვები აკაკი წერეთლის „მუხამბაზის“ („ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე“) შესწავლის დროს ხშირდა მთხოვენ განმემარტა, რა არის „სამნაირი“ სიცილი („მაგრამ მე მაინც ვიცინი სამნაირად“). მე აკაკის ხელთნაწერებს არ ვიცნობ, მაგრამ აქ „სამნაირად“ არაფერ შუაშია, აქ უთუოდ იქნება „სხვანაირი“ სიცილი და ტექსტიც მაშინ გასაგები გახდება...

ეს აზრი იოსებ გრიშაშვილს მანამდეც არაერთხელ სმენოდა და თუმც აკაკისა მხოლოდ მესამე და მეხუთე ტომებს — ანუ: პოემებსა და დრამატულ ნაწერებს — რედაქტორობდა, მაინც მოვალედ მიიჩნევდა თავს, ამ ლირიკულ ლექსზედაც ჩამოეგდო სიტყვა და გაერკვია თუ რომელი იყო სწორი:

„სამნაირი სიცილი“ თუ „სხვანაირი სიცილი“?

საქმე ისაა, რომ ჩვენი საზოგადოება ამ ლექსს იცნობდა ნაწყვეტის სახით. პირველი რედაქცია შეიცავდა 36 სტრიქონს, შემდგომ კი ცნობილი გახდებოდა მხოლო 20 სტრიქონი. ასე რომ, „ნახევარი ცხოვრების გზა გავლიეს“ მოეგლიჯებოდა თითქმის ნახევარი: 16 სტრიქონი.

და ნარკვევში მთლიანად რომ დაიმონმებდა „მუხამბაზს“, შავი შრიფტით ააწყობინებდა იმ მონაკვეთიდან, ამ ტაეპით რომ იწყებოდა: მე ვიცინი იმის გამო სამგვარადო, — და დაურთავდა:

მკითხველი შეამჩნევს, რომ ხაზგასმული სიტყვები უცნობია მისთვის. უცნობს იმიტომ ვამბობ, რომ ეს ლექსი გამოქვეყნების დღიდან („კრებული“, 1872-3, 10-12, გვ. 189) აკაკის არცერთ ტომში აღარ შესულა. გადაიბეჭდა მხოლოდ „ჯიბის კალენდარში“: 1882 წლის გამოცემა, გვერდი 59-ო.

რატომ მომხდარიყო ასე?

რატომ და:

უპირველეს ყოვლისა ცენზორს მიუძღოდა ბრალი — ამ ლექსის პირი ცენტრალურ არქივში შემოინახებოდა, ხოლო თვით „კრებულიდან“ ცენზორს ამოეხია ამ ლექსის მთელი ფურცელი და „კრებულის“ რედაქციას არც სარჩევში ექნებოდა ნაჩვენები.

მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლარი გადარჩებოდა გამოუშიგნავი — ერთი ასეთი ეგზემპლარი, რა გასაკვირია, იოსებ გრიშაშვილს რომ მოეპოვებინა — საიდანაც გადმოიწერდა ამ მუხამბაზს. ეს ლექსი გაჟღენთილი რომ იყო პატრიოტული ლირიზმით, პოეტი-მკვლევარი დაბეჭდითებით განაცხადებდა, რომ: აქ მოხსენიებულ „სატრფოში“ ნართაულად იმდროინდელი საქართველო იგულისხმებოდა: „ძველი ტურფა, დღეს მკვდარივით მძინარი“ — რომელსაც ჭირისუფალივით დასტრიალებდა თავს მგოსანი.

ლექსის თავით ბოლომდე გაცნობის შემდეგ გასაგები ხდებოდა, თუ რატომ ამბობდა აკაკი: მაგრამ მაინც ვიცინი სამნაირადო, — რაკიღა ამ სამნაირ სიცილში გულისხმობდა თავისი სამშობლოს წარსულს, აწმყოსა და მომავალს:

მე ვიცინი იმის გამო სამგვარად,
რომ სატრფოზედ ვფიქრობ უსუსტრად, მარად,
მის წ ა რ ს უ ლ ს ა ვიგონებ და გულსა მწყვეტს,
ა წ მ ყ ო მტანჯავს და გულს მინვავს, ვით აბედს,
მ ო მ ა ვ ა ლ ი კი მპირდება მე იმედს
და სამგვარად მით დავცინი ამით ბედს...

როგორ უნდა მოიქცეს აკაკის ნაწერების რედაქტორი?

იოსებ გრიშაშვილის მოსაზრებით:

თუ ეს ლექსი მთლიანად — ანუ 36 სტრიქონი — შევიდოდა აკაკის ტომებში, მაშინ უნდა დარჩენილიყო სიტყვა „ს ა მ ნ ა ი რ ა დ“.

ხოლო თუ მას მეორე ნახევარი — ანუ 16 სტრიქონი — მოვარდებოდა, როგორც ამჟამად გავრცელებულიყო — მაშინ უნდა შენაცვლებულიყო „ს ხ ვ ა ნ ა ი რ ი თ“.

სწორედ ასე მოიქცეოდა თვითონ აკაკი, როდესაც ამ ლექსს შეიტანდა თავის პირველ პოეტურ კრებულში „სალამური“, მერე და მერე ბიბლიოგრაფიული იშვიათობა რომ აღმოჩნდებოდა.

როგორც დაბეჭდილიყო ეს ლექსი აკაკის სიცოცხლეში, მართლაც რატომ არ უნდა გამოგვეყენებინა ეს ვარიანტი — ავტორის ბრწყინვალე გასწორება?

იოსებ გრიშაშვილის დაბეჭდითებით:

აკაკი ამ ლექსს სამართლიანად მოაცილებდა მეორე ნახევარს... თუმც შინაარსობრივად ლექსის გაგრძელებაში — სადაც მგოსანი სახავდა მომავლის დიდ იმედს — უფრო ღრმავდებოდა მისი დედააზრი, მაგრამ ლექსიკური აღნაგობის თვალსაზრისით ჭიანურდებოდა, აკლდებოდა დახვეწილობა და სინათლე.

ამ ოპერაციის დროს აკაკის არ დაავიწყდებოდა ერთი სიტყვის შეცვლაც, რომელიც ტექსტს აღარ ეფარდებოდა.

ესეც ის სიტყვა: სამნაირად.

და რომ რითმისათვის აზრი არ შეეწირა, „სამნაირს“ შეცვლიდა „სხვანაირი“.

აქ, ჯერ ერთი, „სამნაირად“ უკვე ზედმეტობდა, და მეორეც — „სალამურში“ დაბეჭდილი ახალი რედაქცია ერთი მთლიანი ჩუქურთმა გამოვიდოდა. მიენიჭებოდა მეტი სიმტკიცე ფოლადისა და აბრეშუმის სილბო.

არადა:

აკაკის არცერთ ტომში — ძველ თუ ახალ გამოცემებში — ამ ლექსის არც მეორე ნახევარს ახსენებდნენ და არც „სალამურის“ რედაქციულ ცვლილებას იყენებდნენ.

ასეთი გახლდათ ამ ლექსის ბედი.

და იმედოვნებდა იოსებ გრიშაშვილი, რომ ამის შემდეგ გიორგი შატბერაშვილი, რომელსაც ნიჭიერ პოეტად და პედაგოგად მოიხსენიებდა, აღარ შეესიტყვებოდა — რომელია სწორი: „სხვანაირი“ სიცილი თუ „სამნაირი“ სიცილიო?..

აკაკის აჩრდილი კვლავაც არაერთხელ გამოეცხადებოდა.

მართალია შედარებით მოზრდილი ნარკვევი არ შეუქმნია მასზე, როგორც, ვთქვათ, ილია ჭავჭავაძისა და ქართული თეატრის ურთიერთობის ისტორიას გაშლიდა ეპიკურად, მაგრამ პატარ-პატარა სტატიებით ნელ-ნელა შეავსებდა მკითხველის წარმოდგენას აკაკი წერეთლის პიროვნულ ბუნებასა თუ შემოქმედებით ლაბორატორიაზე, საგანგებოდ რომ ჩაუჯდებოდა ივანე კრილოვის იგავ-არაკთა აკაკისეულ თარგმანებსაც, მაღალი პოეტური ღირსებებით აღბეჭდილს. ლექსწყობის მრავალსახეობა ამ თარგმანებში თუმცაღა გამართებულიყო ორიგინალთან შედარებით, მაგრამ აზრის უბრალოდ გაშლასა და მკვეთრად გადმოცემაში აკაკის ბადალი რომ არ მოეპოვებოდა, ეს ნიმუშებიც ადასტურებდა.

— აქ გამოკრთის აკაკის პირადი ხასიათის სტიქია და მისი შემოქმედების თანამგზავრი — ნაზი ჰუმორი.

პოეტი-მკვლევარი დაისაჭიროებდა შედარებას რაფიელ ერისთავისა და აკაკი წერეთლის თარგმანებისა მათი განსხვავების წარმოსაჩენად.

რაფიელისეული ორეულები ფორმის მხრივ დედანს უფრო უახლოვდებოდა. აქ ზუსტად დაცულიყო კრილოვის ლექსწყობის კანონი: იმავე სტრიქონთა არათანაზომიერი გაშლა, რითმის ზუსტი დაცვა — ჯვარედინი თუ მოღვედილი... მაგრამ საერთოდ ეს თარგმანები უფრო მწიგნობრული გახლდათ, ხშირად გაჭიანურებულიც, და ამიტომაც ზოგიერთი მისი ლექსი ხალხში ვერ გადავიდოდა...

ხოლო აკაკის თარგმანები თუმც ფორმით არ გახლდათ კრილოვისებური თუ ერისთავისებური, სამაგიეროდ გამთბარიყო შინაგანი ცეცხლით და სავსე იყო აკაკის ირონიის ნაპერწკლიანობით. აქ თავმოყრილიყო ქართული ხალხური მეტყველების უამრავი ნიმუში... და ხალხიც ამიტომ მიიღებდა ორივე ხელით აკაკის შემოქმედებით ემბაზში გამოტარებულ კრილოვს.

საგულისხმო წარმოდგებოდა ამ ორი პოეტის ლიტერატურული ურთიერთობა კრილოვის თარგმნისას:

აკაკი, როგორც ჩანდა, არა ყოფილა უარყოფითად განწყობილი რაფიელის თარგმანებისადმი. და ამას იოსებ გრიშაშვილის თვალში ადასტურებდა ამ ორი პოეტის თარგმანთა ნუსხა: აკაკის რაფიელ ერისთავის რომელი თარგმანიც მოსწონებოდა, იმ ლექსისათვის ხელი არ ეხლო, მეორედ აღარ გადმოეღო... თუმც ამ პრინციპს ბოლომდეც ვერ იცავდა.

აკაკი კრილოვის იგავ-არაკთა თარგმანებზე ბევრს რომ მუშაობდა, დასტურდებოდა იმ გარემოებით, რომ მგოსნის ქაღალდებში ამ თარგმანთა რამდენიმე ვარიანტი შემონახულიყო.

გასწორებით დიდხანს ასწორებდა ტექსტს?

პოეტი-მკვლევარი მკითხველს თანაზიარად იხდიდა, რომ:

წაკითხვის დროს ეს სრულიად არ მოჩანდა და მისი ზოგიერთი თარგმანი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს ეს შედევრებიც ერთი ამოსუნთქვით შექმნილიყოს.

პოეზიის საიდუმლოებას სწორედ ამ გარემოებით ხსნიდა:

ის ლექსი იკითხებოდა, ასე ვთქვათ, წყალივით, რომელსაც დიდხანს ეთია ღამე პოეტის შინასკნელში და მერე ერთბაშად გადმოღვრილიყო ქაღალზე — დიდხანს ნატანჯ-ნამუშევარი!..

კრილოვის ქართულ ვერსიას აკაკი ხუთჯერ გამოსცემდა და ზოგიერთ ლექსს ძველ გამოცემასთან შედარებით გააშალაშინებდა — საზომად რვამარცვლოვან შაირულ ფორმას აირჩევდა და სტრიქონებს მიანიჭებდა სილბოსა და სინატიფეს.

ორიგინალთან შედარება ცხადყოფდა, რომ:

რაფიელიც და აკაკიც მეტად თავისუფლად მოპყრობოდნენ რუს თანამოკალმეს, მაგრამ ეს იოსებ გრიშაშვილს სულაც არ მიაჩნდა საძრახად, რადგანაც თარგმანი ზოგჯერ უფრო ელასტიურიც გამოდიოდა, როცა დედანს ოდნავ აცილდებოდა.

„ოდნავს“ რატომ ამბობდა?

რადგანაც რითმა ყველა ენაზე ირაციონალურია და მისი თარგმნა შეუძლებელია.

და ძალდაუტანებლად აგონდებოდა ჟუკოვსკის აფორისტული ფრაზა:

— პროზად მთარგმნელი მონაა ავტორისა, ხოლო ლექსად მთარგმნელი — მეტოქე!..

კრილოვის სტილს აკაკი რომ გაათავისებურებდა და მიანიჭებდა სწორედაც აკაკისებურ ელფერს, იოსებ გრიშაშვილი სანიმუშოდ ამ ნაწყვეტებს მოიხმობდა არაკიდან „გუგული და მამალი“:

— შენი ყივილის ჭირიმე,
რა კარგად ჰგალობ, მამალო,
ნეტავ, სულ შენთან მამყოფა,
ყური დაგიგდო მალმალო!
— შენ რაღა ჩემზე ნაკლე ხარ,
მაგას რას ამბობ, გუგულო,
ვინ დაგიწუნებს გალობას,
თუ არ უგრძნობი, უგულო!

„ჭირვეულ თამადას“ ისე ოსტატურად რომ გადმოიღებდა, მისი შინაარსი ქართული ქეიფის შთაბეჭდილებას დატოვებდა, პოეტი-მკვლევარი თუნდ ერთ დეტალს რომ მიგვაქცევინებდა ყურადღებას:

კრილოვი ჭამას აძალებდა სტუმრებს.

აკაკი — ღვინის სმას.

ნურც ის გამოგვრჩებოდა, არაერთი ანდაზა თუ გამოთქმა ჩვენი ფოკლორიდან რომ გადმოღებულიყო: მოჰკლას ხარი თივამაო. თუ გული გულობს, ქადა ორი ხელით იჭმევაო.

და მოიხმობდა ცალკეულ ნიმუშებს, თითქმის ყველა თარგმანში გამოყენებულს:

მგელი წაიღებს ყოველთვის დედის წინ წასულ კვიცსაო.

რა გაჩქარებდა, უტკივარს რისთვის იტკენდი თავსაო.

შენ გეუბნები, რძალო, და, მულო, შენ გაიგონეო.

სუყოველთვის ვერ მოიტანს კოკა წყალსო.

საიდან სადაო, წმინდა საბაო.

ზოგიერთ თარგმანს არ აკლდა არც ჩვენებური „ლეკური“ თუ „დავლური“, არც „აზარფეშა“ და არც ქართული „მწვადები“, ის კი არა ერთგან კანდელაკთა ცნობილ გალობასაც მოიშველიებდა აკაკი: ჰგონიათ, რომ გალობენ ნამდვილ კანდელაკურებსო.

რუსთველსაც რომ დაესესხებოდა, მის აფორიზმებს?

ყველას აქვს თავთავისი დრო,
სალხენს თუ სამწუხაროსა!
„იგი წავა და სხვა მოვა
ტურფასა საბაღნაროსა“.

ანდა:

„სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა,
შუა უზის დიდი ზღვარი“,
და მიტომაც გასაჭირში
კაცს გაურბის მეგობარი.

კრილოვიც გარუსთველებულიყო?

აკაკის ხელში მოხვედრილი რატომაც არა?!.

დაე იმისთვისაც მიგვექცია ყურადღება, რომ:

აკაკი კრილოვის არაკების დასკვნით ნაწილს — მორალს — თავისებურად იყენებდა, რუსი მეიგავე ზოგჯერ ლექსის ფინალს სამ-ოთხ ხანაში რომ ათავსებდა, ქართული ვერსიის ფინალი კი ყოველთვის მოკლე გახლდათ — ერთი ხანა.

აკაკი იგავ-არაკის ფინალს ხშირად გვერდსაც რომ უვლიდა — არა თარგმნიდა?

ეს მაშინ, როდესაც არაკის აზრი ისედაც ნათლად ჩანდა, და დასკვნას მკითხველის გონებას ანდობდა.

ხან კი — პირიქით, თვითონ რომ უმატებდა, თუ დედანში ასეთი რამ არ მოიპოვებოდა, პოეტი-მკვლევარი სანიმუშოდ შემოგვთავაზებდა მართლაც მშვენიერ ლექსს „ცხვრები და ძაღლები“, ერთი მეცხვარე მგლების შესაშინებლად ძაღლებს რომ გაიმრავლებდა და მსუნაგ მგლებს კიდეც ჩამოაშორებდა ცხვრის ფარას, მაგრამ ძაღლებში ბევრი ავი ქოფაკიც გამოერეოდა და... მეცხვარეს ფარა ნელ-ნელა შეუთხელდებოდა. და კრილოვის ლექსი აქ რომ მთავრდებოდა, აკაკის მიერ მიბმული ფინალური აკორდი ასე მოხდენილად გაიჟღერებდა:

და მაშინა სთქვა მეცხვარემ:
მგლებს რაღად ვდებდი ბრალსაო?
თუნდა მგელს შევუჭამივარ
და თუნდა მგლისფერ ძაღლსაო.

„სამცოლიანში“ კრილოვი ნამდვილ ამბავს გალექსავდა. როცა ეს საქმე სასამართლოში გადავიდოდა, დაესაჯათ თუ არ დაესაჯათ სამცოლიანი ყმაწვილი, ერთი მსაჯული იტყოდა: ჩვენ რაღა გვეთქმის, როდესაც კრილოვმა ჩვენზე ადრე გამოუტანა განაჩენიო, — და იგულისხმებდა არაკისეულ ფინალს: დამნაშავემ სამივე ცოლთან ერთად იცხოვროს და ეს იქნება მისი სასჯელიო.

ხოლო ქართული ვერსიის ფინალი ამგვარად რომ გახმიანდებოდა:

ამ ამბავმა მთელი ხალხი
იმნაირად შეაშინა,
რომ არათუ სამი ერთად —
ძლივს მიჰყავდათ ერთიც შინა!

ეს შეფასებაც მიედევნებოდა იოსებ გრიშაშვილისაგან:

რა თქმა უნდა ამ ქართულ თარგმანში უფრო მეტი გონებამახვილობაა და წმინდა აკაკური ღიმილიო.

და „ორ ძაღლს“ ასევე ვირტუოზულად რომ გადმოიღებდა აკაკი, პოეტი-მკვლევარი ჩაურთავდა: ეს ალბათ იმიტომაც, რომ ამ ლექსში თავისი პირადი ამბები აქვს ჩაქსოვილიო.

საერთოდ კი აკაკის გატაცებას კრილოვის არაკებით ახსნიდა იმ გარემოებით: ორივე პოეტს ახასიათებს ნამდვილი იუმორი, ამ მხრივ ისინი გასაოცრად ენათესავებიან ერთმანეთსო, — და შეგვახსენებდა აკაკის საკუთარ იგავ-არაკებს (და არამარტო იგავ-არაკებს!): „ღამურა“, „კატა და ლომი“, „დათვი და შინდი“...

დაე ისიც გვცოდნოდა, რომ:

აკაკი კრილოვის არაკებს თარგმნიდა გუნება-განწყობილების კვალობაზე (იოსებ გრიშაშვილი „მოხასიათებას“ ამბობს), არა სისტემატურად.

პირველად მოსინჯავდა არაკს „გამვლელი და ძაღლები“ 1862 წელს — 22 წლის ჭაბუკი რომ გახლდათ.

მოგვიანებით კი, ჯერ წერა-კითხვის საზოგადოების დავალებითა და მერე უკვე იაკობ გოგებაშვილის თხოვნითაც, ხელს მოჰკიდებდა სხვა არაკების გადმოქართულებასაც. მი-

სი ეს დაინტერესება ისეთ სასიამოვნო ხმაურს გამოიწვევდა, „კვალი" სიხარულით აუწყებდა მკითხველს: აკაკის დაუსრულებია კრილოვის 300 ლექსის თარგმანიო.

არადა: სულ 152 ნიმუშია.

300 იგავ-არაკი თვითონ ივან კრილოვსაც არ გააჩნდა და... როგორღა ითარგმნებოდა?

ზოგადი მიმოხილვაც ადასტურებდა, რომ: აკაკი არა ყოფილა კრილოვის ჩვეულებრივი მთარგმნელი.

რუს მეიგავარაკეს 15 გადმომქართულებელი მაინც ჰყავდა, მაგრამ ვერცერთი ვერ მივიდოდა ხალხის გულამდე აკაკივით — შთამომავლობა მხოლოდ მის თარგმანებს რომ გამოარჩევდა და დაიმახსოვრებდა.

რას წერდა ბესარიონ ბელინსკი თანამოკალმეზე?

— კრილოვმა შეჰქმნა ნაციონალური რუსული იგავ-არაკი, და ამით პირველმა შეიტანა რუსულ ლიტერატურაში ხალხურობის ელემენტი.

იოსებ გრიშაშვილი თავის მხრივ დასძენდა, რომ:

ასევე ითქმოდა აკაკი წერეთელზეც.

და ბუნებრივად მიაჩნდა, რომ მათი სიტყვების ძარღვი ანდაზებად გადავიდოდა ხალხში.

რაო, არა ყოფილა თარგმანი აკაკისათვის დიდად მახლობელი სფერო?

არ გაუმართლებდა ლირიკის თარგმანები, არ გაუმართლებდა დრამატურგიულ თხზულებათა თარგმანები — ამ ყოველივეს, არცთუ უხვს, ისტორიული მნიშვნელობა უფრო შერჩებოდა, ვიდრე მხატვრულ-ესთეტიკური ზემოქმედების უნარი. აგერ თუნდ ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის ტრაგედიას „ღალატი" აკაკიც რომ გადმოიღებდა და გრიგოლ ყიფშიძეც, სცენაზე ფეხს ყიფშიძისეული ვერსია მოიკიდებდა.

დიდი წარმატებებით ვერ აღიბეჭდებოდა ილია ჭავჭავაძის მთარგმნელობითი საქმიანობა.

დიდი წარმატებებით ვერ აღიბეჭდებოდა მთარგმნელობითი საქმიანობა ვაჟა-ფშაველასი.

მაგრამ აკაკი წერეთელს აქაც უნდა გაებრწყინა მისებურად, იმ სარბიელზეც, რომელიც მთლად მისი არ გახლდათ.

ივანე კრილოვის იგავ-არაკთა ქართული ორეულებით კი დაგვიტოვებდა ჭეშმარიტ შედევრებს და...

ძნელია და უძნელესი პოეტური თარგმანები. აკი ის თეორიაც არსებობს: აზრიც არა აქვს ლექსის გადმოღებას ლექსადვე, იმთავითვე მარცხისთვისაა განწირული და ამიტომაც სჯობს მთარგმნელმა პროზაული ვერსია იკმაროსო. მაგრამ ყველა მთარგმნელი არა ყაბულდება ამ თეორიის მოთხოვნას და თავისას ცდილობს, და... კიდეც ამიტომ მოგვეპოვება ქართულადაც უცხოური ლირიკის ბრწყინვალე ქართული ორეულები.

და ამ დიდებულ თანავარსკვლავედში აკაკისაც სამუდამოდ აქვს დამკვიდრებული ადგილი, როგორც ქართული მთარგმნელობითი ხელოვნების ერთ უკეთეს გამომხატველს ქართველი ივან კრილოვის დაბადებით.

აკაკის აჩრდილი კვლავაც არაერთხელ გამოეცხადებოდაო...

ცალკეულ სტატიებს რომ უძღვნიდა, ამას გარდა სხვადასხვა ძიებებსა თუ მოგონებებშიც შემოუცურდებოდა აკაკის სახება — იქ ტარას შევჩენკოსთან ქართული მწერლობის ურთიერთობის კვალს რომ დაეძებდა, იქ აკაკის საიუბილეო საღამოზე თავისი გამოსვლა რომ ამოუტივტივდებოდა... აკი მთარგმნელადაც უნდა მოგველენოდა აკაკის რუსულად გამოქვეყნებული მოგონებისა, თუ როგორ დააგორებდა ვაჟა-ფშაველა რუს ავანტიურისტ აშინოვს „დროების" რედაქციის კიბეზე, როდესაც იგი მუქარით მიუვარდებოდა ამ გაზეთის რედაქტორს სერგეი მესხს, ამ შემთხვევას კი უნებურად შეესწრებოდა ვაჟაც.

აკაკის დამკრძალავ კომისიაში ალექსანდრე აბაშელთან, სანდრო შანშიაშვილთან, გიორგი ქუჩიშვილთან ერთად ისიც რომ იქნებოდა წევრად, ყველას სახელით აბაშელი წაიკითხავდა მშვენიერ ლექსს საჩხერეში — დედაქალაქისაკენ დაძვრის წინ.

წინასწარი გადაწყვეტილებით იოსებ გრიშაშვილსაც უნდა ნაეკითხა ლექსი, მაგრამ... იქ ვერაფერს იტყოდა.

გული... გული შეეკუმშებოდა, და მდუმარედღა დააცქერდებოდა სიმშვიდის შარავანდით მოსილ ძვირფას ცხედარს. და როდესაც მის ნეშტს თბილისისაკენ გამოაცილებდნენ, თითქოს გული დარჩებოდა იქ, სადაც აკაკის უკანასკნელი წუთები უნდა დაფერფლილიყო.

და როდესაც ამ ამბავს 25 წელი გადაფარავდა, იოსებს თვალწინ ამოესახებოდა ქართული თეატრის ძველი შენობა, თავისი საღამო, სცენაზე აკაკის ჭაღარა თავი, მისი მჟღერავი ხმა, მისი სასიყვარულო სიტყვა, რომელიც იოსებს, ჯერ კიდევ ახალგაზრდა პოეტს, გაამხნევებდა, გაანებივრებდა, გაახალისებდა.

— არა, საჩხერეში გული არ დამიტოვებია. მე იგი თან წამოვიღე, რომ დიდი პოეტის სიყვარული ყოველთვის თან მეტარებინა.

ვინ იფიქრებდა, იოსებ გრიშაშვილი — სულ სცენაზე ასარბენად მზადმყოფი — ლექსის წარმოთქმაზე რომ თავს შეიკავებდა!..

მითუმეტეს — წინასწარ განწყობილიყო საამისოდ... ულექსოდ არ უნდა გაეცილებინა აკაკის ნეშტი უკანასკნელი სადგომისაკენ.

მაგრამ... რაღაც დათრგუნავდა და კრიჭას შეუკრავდა... და მადლიერებით მიაჩერდებოდა ალექსანდრე აბაშელს: კიდევ კარგი, შენ მაინც გვიხსენიო, — და მისი ლექსის მგლოვიარე დენა ისე ჩაესმოდა ყურში, თითქოს მის სათქმელს ამბობდა... არა თუ?!.

თვალწინ არიალებული კადრები კი მონაცვლეობდა ნეშტიდან თეატრის შენობაზე, თეატრის შენობიდან ნეშტზე...

თავი V

წაგებული არჩევნები: გარდუვალ პარადოქსად

1908 წლის შემოდგომა იწყებოდა.

დილის 10-11 საათი იქნებოდა. წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში სამსონ ფირცხალავასთან ერთად რამდენიმე კაციც იმყოფებოდა, საქმისათვის თუ ისე შემოსული.

გამოჩნდებოდა აკაკიც.

ყველა წამოიშლებოდა და მიესალმებოდა. აკაკი ჯერ კიდევ არ დაჯდებოდა, რომ ერთნაირი საყვედურით მიმართავდათ:

— თუ მართლა აპირებთ იუბილის გამართვას, მითხარით, თორემ მე უცხოეთში ვაპირებ წასვლას სამკურნალოდ.

ყველა ყურებს დაცქვეტდა და გაკვირვებით მიაჩერდებოდა აკაკის, რომელიც გაახსენებდათ, რომ:

50 წლის წინათ დაბეჭდილიყო „ცისკრის“ მე-11 ნომერში მისი პირველი ნაწარმოები — თარგმანი მიხაილ ლერმონტოვის ლექსისა „რტო პალესტინისა“.

ესეც ნახევარი საუკუნის გადაკეცვა სალიტერატურო ასპარეზზე აკაკი წერეთლის გამოსვლიდან.

ყველას თან შერცხვებოდა და თან გაეხარდებოდა.

რისა შერცხვებოდათ და:

რომ არ ახსოვდათ ასეთი ღირსშესანიშნავი ფაქტი, თუმც შესაძლებელია სხვა წრეებში ჰქონოდათ ამ იუბილის გამართვის თაობაზე ლაპარაკი.

რა გაეხარდებოდათ და:

ილიას სამგლოვიარო დღეების შემდეგ ქართველ ხალხს საშუალება მიეცემოდა სამხიარულო დღესასწაული მოეწყო თავისი საყვარელი მგოსნის პატივსაცემად და შემოკრებილიყვნენ მის გარშემო ერთ მთლიან ერად. და ეს ყოფილიყო ერთნაირი პოლიტიკურ-ნაციონალური დემონსტრაცია.

მაშინვე შეადგენდნენ ქაღალდს რამდენიმე კაცის ხელმოწერით და თხოვნით მიმართავდნენ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას, ხელში აეღო აკაკის იუბილის გამართვა.

გამგეობა ამას ვერ იკისრებდა იმ მიზეზით: ჩემი წესდება ამის ნებას არ მაძლევსო, — მაგრამ მოწვევით მოიწვევდა ქართულ დაწესებულებათა წარმომადგენლების თათბირს, რომელზეც აირჩეოდა საგანგებო საიუბილეო კომიტეტი: გიორგი ყაზბეგის, იაკობ გოგებაშვილის, სოფრომ მგალობლიშვილისა და სამსონ ფირცხალავას შემადგენლობით — დაუყოვნებლივ რომ შეუდგებოდა მუშაობას და მთავარ ბინად, „შტაბკვარტირად“, ამჯობინებდა წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას.

ორი თვის განმავლობაში მთელი საქართველო იუბილის სამზადისში ჩაებმოდა. სხვადასხვა ქალაქსა თუ დაბაში შედგებოდა მცირე კომიტეტები, რომელთაც დახმარება უნდა აღმოეჩინა თბილისის კომიტეტისთვისაც და ეზრუნათ ადგილობრივი იუბილეების გასამართადაც.

დაიწერებოდა ადრესები, მომზადდებოდა საჩუქრები, შეიკრიბებოდა საფონდო ფული და შეითხზვებოდა ლექსებიც, ურომლისოდაც ქართულ ლხინსა თუ ტირილს ვერავინ წარმოიდგენდა. ემზადებოდნენ არამარტო ქართველები, არამედ: სომხებიც, ებრაელებიც, უკრაინელებიც, რუსებიც, სხვადასხვა ეროვნების მაჰმადიანებიც. დიდი მონდომებითა და ცნობისწადილით რატომ ჩაბმულიყვნენ და რას ელოდებოდნენ? ყველას ჩინებულად მო-

ეხსენებოდა, რომ დღესასწაული განსაკუთრებული იქნებოდა, რაკიღა აკაკი საუკეთესო გამომსახველი გახლდათ ქართველი ერის ზრახვათა.

მშვენიერი დღე გამოვიდოდა, გარეგნულადაც გაბრწყინებული, მიუხედავად ზამთრის დამდეგისა.

დედაქალაქი მოირთობოდა და მოიკაზმებოდა.

ავსებით აივსებოდა ქართველებით.

წინათაც რომ გამოჩენილიყო აქ ქართველობა — დიმიტრი ყიფიანისა და განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძის დასაფლავების დროს?

სამსონ ფირცხალავა დაისაჭიროებდა ამ შეპირისპირებას იმ დღეების გახსენებისას, რადგანაც მაშინ იყო გლოვა და მწუხარებას შეეყარა ერი, ახლა კი ლხინით, სიხარულით შენაცვლებულიყო და ნადიმზე ჩამოსულიყვნენ ქვეყნის შვილები ყოველი კუთხიდან, ნამდვილ სახალხო დღესასწაულად რომ გადააქცევდნენ იუბილეს, მუშებიც და გლეხებიც არანაკლები მონდომებით რომ მიიღებდნენ მონაწილეობას დღეობაში. ყველა მთვრალი შეიქნებოდა სიხარულით, იმედით და სრულ გასაქანს მისცემდნენ თავიანთ გრძნობებს.

— თუ ილიას დატირებამ ერთ არსებად აქცია ქართველი ერი, გააფართოვა და გააღრმავა მისი ნაციონალური შეგნება, ამ მხრივ აკაკის დღეობამ კიდევ უფრო დიდი როლი ითამაშა ილიას შეფასებაში. ზოგიერთები კი ორჭოფობდნენ, აკაკის გარშემო კი გაერთიანდნენ ყველა პარტიები და ჯგუფები. ითქვა თამამად, დაურცხვენლად ქართველი ხალხის მთლიანობა, როგორც ერის, და აკაკი გამოცხადდა მთელი ერის საუნჯედ, სასიცოცხლო სულის ჩამდგმელად. ეს იმ დროს დიდი პოლიტიკური მოვლენა იყო, რადგან პარტიების გამწვავებულმა ურთიერთობამ თითქმის მთლად წაშალა ქართველობის სახე.

აკაკი გამოცხადდა მთელი ერის საუნჯედო.

სასიცოცხლო სულის ჩამდგმელადო.

ქართველობის თითქმის ნაშლილი სახის აღმდგენელადო.

პირველი იაკობ გოგებაშვილი მიესალმებოდა კომიტეტის სახელით და ზეიმიც ოფიციალურად გაიხსნებოდა.

სავანელებს ისე ამაყად ეჭირათ თავი, თითქოს ამბობდნენ: აკაკი ყოვლის უწინარეს ჩვენია, ჩვენ გამოვზარდეთო. გამდელის ქალიშვილი აკვანს რომ მიართმევდა, უბრალოს, გლეხურს, რომელშიაც იზრდებოდა მომავალი პოეტი, აკაკი ცრემლს ვერ შეიკავებდა.

გამოჩნდებოდნენ სცენაზე მაჰმადიანი ქართველებიც — მესხებიც.

გამოჩნდებოდნენ ქართველი ებრაელებიც.

გულითადი მილოცვები, სიტყვები საერთოდ ერთნაირი იქნებოდა, მხოლოდ ზოგიერთი მიიქცევდა ყურადღებას. სამსონ ფირცხალავას განსაკუთრებით ჩარჩებოდა გულში სენაკის წარმომადგენლის ლუარსაბ ლოლუას სიტყვა, მეტად დახვეწილი ქართულითა და საუცხოოდ წარმოთქმული.

აკაკი ყოველ მილოცვას მადლობის გადახდითა და ხელის ჩამორთმევით უპასუხებდა, მაგრამ სომეხ ლალაიანცს კი სიტყვით მიმართავდა:

— სომხებს და ქართველებს ეკონომიკურ საკითხებში მცირეოდენი უთანხმოება გვაქვს, მაგრამ პოლიტიკურ და კულტურულ საქმიანობაში ერთად, ძმურად უნდა ვიმუშაოთ.

ზოგად შინაარსად ასე დაამახსოვრდებოდა ის წუთები მემუარისტს, თუმც ბარემ ისიც ჩავურთოთ, რუსთველურ სტრიქონსაც რომ მოიშველიებდა აკაკი: მცირე რამე სამდურავი მოყვარეთა წესიაო, — დაწყებით კი ასე დაიწყებდა:

ნურაფერს უკაცრავად, რომ თბილისში, ამ საქართველოს დედაქალაქში, მეც ქართულად უნდა გიპასუხოთ, მითუფრო, რომ თქვენ, როგორც აქ დაბადებული, გაზრდილი და მცხოვრები, ქართულადაც გაიგებთ ჩემს გულისნადებსო.

ასევე შინაარსიანი სიტყვით მიმართავდა სპარსელსა და მუსლიმანთა წარმომადგენელს:

— ძველად ჩვენ და თქვენ შუა გალესილი მახვილი იდვა, დღეს განათლებამ და განვითარებამ წინ ისეთი ბიჯი წაგვადგმევინა, რომ ის მახვილი კავშირად არის გადაქცეული, სარჩულად უდევს ერთობა და სიყვარული.

ისე როგორ იქნებოდა, ყმაწვილებისათვისაც საგანგებოდ რომ არ მიემართა და არ ეთქვა, რომ... თვითონ ერთი დიდი ნაკლი ახასიათებდა — მუსიკისა არა გაეგებოდა რა, თუმც გრძნობით კი გრძნობდა. და ამ ნაკლს ყოველთვის უვსებდა ახალ თაობათა ტიკტიკი. აი ახლაც ყმაწვილების სიტყვა მუსიკასავით წვდებოდა გულის სიღრმემდე და დიდ მადლობასაც სწირავდათ და სთხოვდათ, რომ არ დაევიწყებინათ დღევანდელი დღე:

— მიტომ კი არა, რომ ჩემის მიზეზით არის გამოწვეული, არა, უფრო სხვა მიზეზებით: აი, ხომ ხედავთ ხალხში აღძრულა ეროვნული გრძნობა და უნდა, რომ ჰყვანდეს მას ნამდვილი მოღვაწე და გმირი და არა ჩემსავით მოჩვენებული. და ეს გმირი თქვენმა თაობამ უნდა წარმოშობოს და ეს მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ მუდამ ეროვნულ ნიადაგზედ გედგმებათ ფეხი.

ვინც თავის გვარტომობას უარყოფდა, ის ვეღარც სხვებს გამოადგებოდა, უვარგისი იქნებოდა შინაც და გარეთაც. დაე ჰყვარებოდათ ყმაწვილებს თავიანთი ქართველობა, მაგრამ შოვინისტური გრძნობით კი არა — ანუ სხვისი დაკლებით რამე შევძინოთ ჩვენს ეროვნებასო. არა! იმ და მხოლოდ იმ სიყვარულით, რომელსაც სარჩულად უნდა სდებოდა ძმობის, ერთობისა და სიყვარულის სურვილი. და დაე გადაეცათ ეს სიტყვები თავიანთი პატარა ამხანაგებისათვისაც.

მოთავდებოდა დღესასწაული და სამადლობელი სიტყვა იმით უნდა დაეწყო იუბილარს, 50 წელიწადი უსამართლობას რომ ებრძოდა, განსაკუთრებით მაინც შინაურ უკუღმართობას — იარაღად იყენებდა სიტყვასა და კალამს, სადაც მცირეოდენ, ძალზე მცირეოდენ თაფლთან ერთად ბევრი ნაღველიც იყო მისივე ცრემლებში ჩალესილი.

ამნაირი სამზადისი ბევრს რასაკვირველია მწარედ მოეჩვენებოდა.

თუ ვინმე მუშტრის თვალით გადაათვალიერებდა ამ ნაწერებს და გაიხსენებდა გადაუსხვაფერებლად აკაკის სიტყვებს, იქ საპირადოს ვერას ნახავდა ვერცერთში, მაგრამ თავმოყვარეობა იქ დაინახავდა იმას, სადაც არ იყო, და... ადამიანი კი საზოგადოდ თავმოყვარეა.

— ასე თუ ისე, ამ ჩემმა ხელობამ ბევრი სიმწარე გამომაცდევინა და ვინ იცის რამდენჯერ გამისქდებოდა გული, რომ აქა-იქ თანამგრძნობლები არა მყოლოდა, უმეტესათ ქალები მათის გულკეთილობით და ახალგაზრდები მათის გულუბრყვილობით, რისთვისაც საჯაროთ ვსწირავ მათ მადლობას.

თავი ყოველთვის რომ მიაჩნდა პატარა დღიურ მუშად, ძალიან მცირედ, და ამიტომაც არ ეგონა, თუ მის შრომას ვინმე ყურადღებას მიაქცევდა. არ ეგონა, მაგრამ ახლა ხედავდა, რომ თურმე შემცდარი ყოფილა და დღეს მისი შრომა ერთიათასად ფასდებოდა.

და... რისთვის მიეწერა ეს?

იმისთვის, რომ: ხალხში აღძრულიყო ეროვნული გრძნობა, რომ მას ჰყოლოდა ნამდვილი მოღვაწე და გმირი:

— რისაც მე მხოლოდ მოჩვენებულათა ვარ. მაგრამ ამ დიად გრძნობას შევუერთებ ჩემ ნატვრასაც, რომ მოვლინებოდეთ ის სანატრელი გმირი და მე კი...

და მოადევნებდა იმ ლექსს — „ჭაღარა“ — სწორედ ამ აზრითა და სულისკვეთებით გაჟღენთილს:

ის არ ვარ, თქვენ რომ გგონივართ, ძნელი ყოფილა ჭაღარა, თამამად ველარ გაჰკივის ჩემი დაფი და ნაღარაო.

გული კი არ იშლიდა გულობას, მაგრამ... ველარ მოსდევდა ძალ-ღონე, იყო ბევრი „ვაის“ მნახველი და ბევრი „უის“ გამგონე. ავსებოდა გული წვეთ-წვეთად ნაღველითა და შხამითა, ისევე ვით საუკუნენი სხვადასხვა მრავალ წამითა. და... რაღად უნდოდა სიცოცხლე აწმყოგამწარებულსა, თუ ვისაც ეტრფოდა, ვინც უყვარდა ხედავდა მათ აოხრებულსა... მაგრამ იმედი, ცის ნიჭი რომ გაუელვებდა გლახ გულსა, თავი ტარიელად წარმოუდგებოდა ოცნებით გარემოცულსა. და მოუხმობდა ფრიდონსა და ავთანდილს, მხარი მხარს მიეცათ, ხელი — ხელს, ნესტან-დარეჯანი ქაჯებს ჰყავდათ და მოელოდა ტურფა გამომხსნელს.

და უეცრად ჯავარზე დადგებოდა:

რა ვუყოთ, თეთრი თმა მქონდეს, სისხლით შევღებავ ჭაღარას და საგმირო ხმას ვაძახებ ჩემსა დაფსა და ნაღარასო.

მაგრამ ვაი, რომ ეჭვი გამოეგზავნა ჯოჯოხეთს, მაცთურ სარკეში ჩაახედებდა და... ოცნებასაც მოუწყლავდა და გულსაც გაუხეთქდა.

რას ჩასძახოდა ამისთანას ჯოჯოხეთის მოციქული?

რაღა რას:

ფრიდონ და ავთანდილი ჯერ ვერ გადიხდიან ომსაო, და შენც ტარიელს ისე მოჰგავხარ, ვით კატა ლომსაო.

მართალიც არისო! — მწარედ და მწუხარებით დასძენდა.

მაგრამ... რისთვის გაეტეხა იმედი, როდესაც წუთისოფლის ტრიალი ესეც ყოფილა: გმირს წინ რომ უძღოდა ყოველთვის უძლური წინამორბედი.

ამიტომაც არა ჰკარგავდა იმედს და ვეღარც ჭაღარა შეაშინებდა, და გმირებს მოელოდა ამ ამღელვარებული ხალხისაგანვე მისი დაფი და ნაღარა.

თვითონაც რარიგ ანთებულიყო და ხალხსაც გადასდებდა მხნეობასა და შეუპოვრობის ჟინს, ქვეყნის გამოხსნის გარდუვალობას კვლავინდებურად რომ ჩაუბეჭდავდათ გულსა და გონებაში — თუ მთლად საქართველო შეეკრიბა მის იუბილეს, მაშ დგებოდა ის სანეტარო წუთიც, როდესაც დაგროვებული ეროვნული ენერგია ამოხეთქავდა და საუკუნოვან ოცნებას ყოფით რეალობად აქცევდა. არეულიყო გონება? დაბნეულიყო გულისთქმა? თავისას ესწრაფოდა აკაკი წერეთელი, მეფური სულითა და ძალმოსილებით აფორიაქებული და დაბნეულობისა და არეულობის გადაწმენდასა და გაქარწყლებას შეეცდებოდა.

აგერ სამსონ ფირცხალავას ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა:

თუ ილიას დატირებას ერთ არსებად ექცია ქართველი ერი, დაეფართოვებინა და გაელრმავებინა მისი ნაციონალური შეგნება, ამ მხრივ აკაკის დღეობას კიდევ უფრო დიდი როლი ეთამაშა ილიას შეფასებაში.

ალბათ სხვებსაც გაუჩნდებოდათ ასეთი განცდა, რომ იდუმალ ფონად ამ დღესასწაულს გასდევდა ილიას სახება.

თუმც ყველას არა.

და ამიტომაცაა, დაფიქრებული და შეწუხებული რომ მიაბიჯებდა შინისაკენ იაკობ გოგებაშვილი. ჯერ მაინც უფრო ნეტარებაში გახვეული, იუბილარის გარშემო მთელი ქართველობა რომ შემოკრბებოდა სრულიად და სავსებით თავის წარმომადგენელთა სახით... აკაკი გამოცხადდებოდა მთელი ერის საუნჯედ, სასიცოცხლო სულის ჩამდებლად, და მართლაც შეესაფერისი, სწორედაც სამაგალითო კულტურული დღესასწაული აღსრულებულიყო.

შინ მისულს კი გულისჭიდილი უნდა ასტეხოდა და თავი დაემუნათებინა, როგორ თუ ერთი სიტყვა არ წამომცდა მანამდე აკაკისთან ილიას გახსენების აუცილებლობაზე, რათა სახელოვან იუბილეს რაინდული გვირგვინი დადგმოდაო.

უსათუოდ უნდა გახმიანებულიყო ილიას სახელი.

გახმიანებულიყო ყველაზე საფერო დროს და განსაკუთრებული ელვარებითაც.

ხსენებული ყოფილიყო მისი თავის შემკობა ეკლის გვირგვინით, მსგავსად იესო მაცხოვრისა.

მაინც აკაკი წერეთელს გაეიგივებინა ყვარელი ბეთლემთან, მაინც აკაკის ეწინასწარმეტყველა წლებით ადრე წინამორის ტრაგედიაც და მისტერიაც, მაინც აკაკის განესაზღვრა ზუსტი და ტევადი ლიტერატურული ფორმულებით ილიას ღვაწლი და ბარემ... ბარემ მისი იუბილეც ილიას აჩრდილის გამოცხადებით დაგვირგვინებულიყო.

იდუმალად მაინც იქ ტრიალებდა ეს აჩრდილი?

არა კმაროდა იდუმალება, რაკიღა საშუალება გაჩენილიყო ილიას სახების სიმბოლური აზიდვისა მაღლა, სულ მაღლა, იაკობ გოგებაშვილის თვალთახედვაში ოცნების სურათი ასე რომ ჩამოინაკვთებოდა:

კელაპტართა გუნდს მიჰქონდა ილიასთან საიქიოს მთელი ქართველი ერის უმხურვალესი საუკუნო თაყვანისცემა.

ჩემი ბრალია, მე უნდა მეზრუნა, მე უფრო მევალებოდა, თორემ აკაკი ისე იყო აფორიაქებული და ამღელვარებული, ყველაფერს ვეღარ გაითვალისწინებდაო, — ვერ მოენელებინა იაკობს, სხვა მხრივ სიხარულითა და სიამაყით რომ აღავსებდა დიდებულებაც და უჩვეულო, საარაკო შინაარსიც ამ დღისა.

* * *

იოსებ გრიშაშვილს „კოცნის პოეტს" რომ შეარქმევდნენ კრიტიკოსები, ამას უკვირდა: საიდან მოიგონესო?..

იმიტომ ხომ არა, მის პირველ პოეტურ კრებულს „ოცნების კოცნა" რომ ერქვა?

არადა: მხოლოდ ოცნების!..

რაც იყო თუ როგორც იყო, თვით აკაკი წერეთელიც ასე ფიქრობდა და ამიტომაც მოხდებოდა, რომ იუბილის შემდგომ კულისებში თავისებური ირონიით შეეხუმრებოდა:

— მაინც კოცნა გამოურიე, არა? როცა დაიწყე: და მეც ხალხის აღმაფრენამ შენთან მგოსნად ამომტყორცნაო, — მაშინვე გულში გავივლე, აი ნახე თუ აქაც „კოცნით" არ გაათავოს-მეთქი...

მართლაც რითმა გამოვიდოდა: კოცნა-ამომტყორცნა.

ის კი არა ნუცა ჩხეიძესაც მხიარულ გუნებაზე დააყენებდა გრიშაშვილის ეს მეტსახელი და მოგონებაში ჩაწერდა: ჩემს სიტყვაში მეც კოცნა უნდა მეძღვნა ლადო მესხიშვილისათვის, მაგრამ სოსოს კოცნას ვინ დაასწრებდაო!..

აკაკის შენიშვნა ისე იმოქმედებდა იოსებ გრიშაშვილზე, რომ ამ ლექსიდან ბოლო სტრიქონს, სადაც „კოცნას" ახსენებდა, მთლად ამოიღებდა და თავის პირველ ტომში სხვა ვარიანტით დაბეჭდავდა.

გამოხდებოდა ხანი და... ეს ფიქრი აეკვიატებოდა:

მქონდა თუ არა უფლება, — როცა სხვა მიმლოცველები იუბილარს ხან ფულს სთავაზობდნენ, ხან რასა და ხანაც რას, მე, როგორც მის შეგირდსა და სცენის უმცროს ამხანაგს, მხოლოდ პოეტის წრფელი კოცნა მიმერთმიაო?..

და ბევრი ბჭობის მერე გადაწყვეტდა:

რასაკვირველია ამის უფლება მქონდაო.

აკაკის იმ გახუმრებას კი კვლავაც და კვლავაც სიამოვნებით გაიხსენებდა და გაიმეორებდა ხოლმე გუნებაში: კოცნა-ამომტყორცნა...

ზეიმს, დღესასწაულს რარიგ უხდება იუმორი, ფრთიანი სიტყვა, რარიგ ამშვენებს ღიმილიც და სიცილიც. და ვინ იცის რამდენი მიმოიფრქვეოდა გარშემო 7 დეკემბრის იმ დღესაც, შუშხუნებივითაც რომ აიტყორცნებოდა მაღლა.

მითუმეტეს — აკაკის ფრთიანი სიტყვა, აკაკის სიცილი და ღიმილი.

რა თვითონ დღესასწაული და რა მისი სამზადისი, არანაკლებ რომ ალამაზებს და ახალისებს მოხდენილი, დახვეწილი ხუმრობა-შელაღობებანი.

მიტროფანე ლაღიძე რომ განიზრახავდა აკაკის პოემის „საქართველოს გაქრისტიანება ანუ წმინდა ნინო" ცალკე წიგნად გამოცემას თავისი ხარჯით ხუთი ათას ეგზემპლარად და მიძღვნას იუბილარისათვის, ბეჭდვასაც უკვე შესდგომოდა.

ეს ცნობა ეგებ ვალერიან გუნიასაც გამოდგომოდა თავის ჟურნალში.

და აგრეთვე ის სანაკვესო ამბავიც:

ერთი ახალგაზრდა მასწავლებელი ისტორიკოსობას რომ ჩემულობდა და დიდადაც მოჰქონდა თავი. ერთხელ მისი ამხანაგები დაუწყებდნენ ქებასა და რა ქებას: ნამდვილი ჩვენი დროის პლუტარხიაო. იქ შეესწრებოდა აკაკიც და... დაეთანხმებოდათ:

— პლუტარხია, მაგრამ... თავ-ბოლო შექცეული.

მაშ რაღა გამოდიოდა?

ვაი რომ: არხიპლუტი.

ამისთანა კალამბურის შესაძლებლობას ხელიდან ანკი როგორ გაუშვებდა!..

ვალერიანს სხვას აღარას მისწერდა: არ მინდა აჭია-ბაჭიათი მოგაცდინოო. ამ დღეებში კი მიანდიდა ერთ ლექსს თურქების შესახებ.

მიტროფანე ლაღიძეს რაღაც შემთხვევით კი არ მოენდომებინა ამ პოემის გამოცემა, სხვა პოემების დასტამბვაზეც რომ იზრუნებდა — „ნათელა" იქნებოდა თუ „გამზრდელი".

და სწორედ მიტროფანისეული გამოცემა ეჭირებოდა ხელთ აკაკის, ავადმყოფი მამაპაპეულ ტახტზე გაშლილ ლოგინში რომ იწვებოდა და გიორგი ქუჩიშვილი ესტუმრებოდა მწერლებსა და მსახიობებთან ერთად, ჭიათურაში რომ იქნებოდნენ მოწვეულნი ადგილობ-

რივი მუშათა ორგანიზაციის სასარგებლოდ დანიშნულ სალიტერატურო საღამოებში მონაწილეობის მისაღებად, და იქ შეიტყობდნენ თუ არა: აკაკი ავად ყოფილა და საჩხერეში იმყოფებაო, კიდეც გაეშურებოდნენ მის მოსანახულებლად.

მასპინძელს ერთობ გაეხარდებოდა მათი სტუმრობა და გულთბილ საუბარსაც გაუბამდათ. და ისე როგორ იქნებოდა, თვითირონიაც არ გამოერია:

— ეჰ, მოვხუცდი, ყმაწვილებო... აი, ეს წიგნაკი ჩემი დაწერილი ყოფილა და მე კი აღარ მახსოვდა...

„ნათელას“ არსებობა დავიწყნოდა თურმე!..

ამაზეც კი იხალისებდა — მთავარია სულიერი მხნეობა და იუმორის ძარღვი შეენარჩუნებინა და სიბერე ვითომ ისეთს რაღას დააკლებდა, კიდეც რომ არ მოისაკლისებდა სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იუმორსა და იმ სილაღეს, სხვა ქვეყანასა და პირობებში ახალი „დონ კიხოტის“ შექმნასაც რომ შეაძლებინებდა.

რა დღესასწაული და რა მისი სამზადისიო...

თუნდ აგერ ამ ზეიმის წინა დღეებში ერთი მათი საერთო ნაცნობი ქალი სთხოვდა სამსონ ფირცხალავას:

— გადაეცით აკაკის, რომ მას ახლა მოსვენება და მშვიდობა ესაჭიროება, რათა იუბილეს მხნედ და მაგრად შეხვდეს. დაბინავდეს ჩემთან, ცალკე ოთახს მივცემ, კარგად ვაჭმევ და ვასმევ, და ისე გავასუქებ, როგორც ყველულს.

სამსონიც გადასცემდა ამ დანაბარებს, რის პასუხადაც აკაკი შემოსძახებდა:

— ჰოო, როგორც ყველულს, როგორც ყველულს!.. აბა მამლად რომ აღარ ვვარგივარ, მეც კარგად ვიცი!..

დღესასწაულისას კი ჟურნალ-გაზეთები რომ გადაივსებოდა წერილებით სულ აკაკის შესახებ, ცალკე ალმანახებიც გამოიცემოდა და სხვა ერების გაზეთებიც მონდომებით გამოეხმაურებოდნენ ამ იუბილეს, სამსონი „ფასკუნჯის“ 7 დეკემბრის ნომერს თავით ბოლომდე აკაკის მიუძღვნიდა — ლექსებსა და სტატიებს. თავის ერთ წერილში კი იტყოდა:

— აკაკი ქართველი ხალხის სულიერი მეფეა.

ამის გამო აკაკი ხუმრობით უსაყვედურებდა:

— რატომ დამლუპე, ჩემი მევალე ურიები დამესივნენ: მეფე ყოფილხარ თურმე, ფული ბევრი გექნება და ვალი გადაგვიხადეო.

მართალია ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკიც დაეხმარებოდა, ჭიათურის შავი ქვის მწარმოებელთა კრებაც, იუბილის შემდგომ მისი სახელობის ფონდიდან პენსიაც ეძლეოდა, მისი ნაწერებიც იყიდებოდა, მაგრამ მეტწილად მაინც გაჭირვებაში რომ იყო, სამსონი ამ გარემოებას იმ მიზეზით ხსნიდა: ფულის უანგარო მხარჯველი იყო, ბავშვი ნამდვილიო. ყოველთვიურად რომ ათასი, ხუთი, ათი ათასი მანეთის შემოსავალი ჰქონოდა, მისი ჯიბე ძალიან ხშირად მაინც ცარიელი იქნებოდაო.

სამსონს ეამაყებოდა, მასთან აკაკის კარგი დამოკიდებულება რომ ჰქონდა და მის სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალს „მზე“ — მერე „ფასკუნჯი“ რომ დაერქმეოდა — ხალისით მიაწვდიდა „ჩემი თავგადასავლის“ გაგრძელებასაც და ლექსებსაც.

ერთ დილასისხამზე აკაკი ესტუმრებოდა წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში და საიდუმლოდ ეტყოდა:

— ძალიან მესაჭიროება და ასი მანეთი უნდა მასესხოთ.

პირადად სამსონს ეს თანხა არ მოეძევებოდა, მაგრამ უარის თქმა როგორ შეეძლო. გაეღებდა ყუთს და საზოგადოების ფულიდან მაშინვე ჩაუთვლიდა იმ ას მანეთს.

თუ დაუბრუნებდა, ხომ კარგი, თუ ვერა, სამსონი თავისი ჯამაგირიდან დაფარავდა ნაწილ-ნაწილ და ეგ იქნებოდა. საბედნიეროდ — და სავსებით ბუნებრივადაც — მეორე დღესვე მიადგებოდა აკაკი, მხიარულ გუნებაზე მყოფი, და სესხს დაუბრუნებდა.

* * *

ბევრს და მათ შორის ივანე ელიაშვილსაც ახსოვდა, დიდი უფულობა როცა დაუდგებოდა, როგორ იწყებდა აკაკი პატარა ბავშვივით ჟინიანობას, მიზეზიანობას. ყველაფერში

დამნაშავე იყო... ინტელიგენცია, რომელსაც... რომელსაც თურმე სურდა მისი სიკვდილი და არათუ ხელს არ უწყობდა გაჭირვების დროს, არამედ ცდილობდა, რომ ყოველმხრივ დაემშია და ასე გამოესალმებინა სიცოცხლისათვის.

მაშინ მოუვლიდა ხოლმე ოსმალეთში გადასახლების ჟინიც.

— რა უნდა გააკეთო ოსმალეთში? — ჰკითხავდა ივანე.

თურმე რა და:

— იქ, სტამბოლში არის წმინდა მარინეს მონასტერი, რომელშიაც მოღვაწეობენ ქართველი კათოლიკე ბერ-მონაზვნები, მივალ იმათთან, იქ წყნარად და დამშვიდებულად ერთიორად ნაყოფიერად ვიმუშავებ, დარწმუნებული, რომ ბერები მამაშვილურად მომივლიან.

ამასობაში გაუჩნდებოდა საიდანმე თუნდ ცოტაოდენი ფულიც და... ოსმალეთზე ფიქრიც უკვალოდ ქრებოდა და ბავშვური უხიაგობაც.

და მაინც ივანეს მიაჩნდა, რომ აკაკის ჰქონდა გულისწყრომის საბაბიც და სრული უფლებაც, რაკიღა მათგან არაერთი უსიამოვნება ეწვნია, განსაკუთრებით კი ჭორებისა და ცრუხმების გავრცელება.

ჯერ იყო და მოუგონებდნენ:

აკაკიმ შორაპნულ ხალხურ მგოსანს ბლიაძეს ლექსების მთელი რვეული მოჰპარა და ახლა თავისი სახელით ასაღებსო.

ის ბლიაძე ნეტა აკაკის... ბიძაშვილი ხომ არ იყო, ნაწერების ქურდობაც რომ აჰკიდეს მწარედ გამეტებული ალექსანდრე ყაზბეგისა არ იყოს?!.

მერე იყო და:

ქვეყანას ყვლეფს, ფულს სესხულობს და არავის აღარ უბრუნებსო.

მერე კიდევ იყო და:

ადამიანის შეურაცხმყოფელია, გაუტანელი, და მაშინაც კი, როდესაც შენსას ჭამს და სვამსო.

მერე ესეც იყო და:

ბანკიდან ყოველთვიურად პენსიას იღებს, და ხშირად იმასაც ელრიტინება ბანკის გამგეობას, ავანსად მომეციო რამდენიმე თვისაო.

ვინ თხზავდა და ავრცელებდა ამ ცრუხმებსა და ჭორებს?

ის ჩინოვნიკური ინტელიგენცია, რომელიც ჯამაგირსაც ღებულობდა, ავანსებსაც და პენსიასაც, და ეს იმ ვითომდა მათთვისაც საზიზღარი მეფის მთავრობისაგან, რომლის წინაშეც ხშირად კი არა, მუდამდღეც თავს იმცირებდნენ და თავიანთ ქვეყანასაც ყიდდნენ.

და ივანე ელიაშვილი მწარედ წაჰკრავდა ამ მეჭორეებს, რომელთაც ფიქრადაც არ მოსდიოდათ ის ამბავი, რომ განათლებული ერები მოვალედ რაცხდნენ თავს, საშვილიშვილოდ უზრუნველეყოთ ქონებრივად თავიანთი მოღვაწეები.

სახელდახელოდ შეიძლებოდა გაეხსენებინა, რომ:

ლოტბარ აგრენევ-სლავინსკისათვის, რომლის გუნდიც რუსულ ხალხურ სიმღერებს მღეროდა, მოსკოვს მიერთმია ნახევარი მილიონის ქონება. მსახიობ პრავდინისათვისაც — იმდენივე ღირებულებისა, ხოლო რომანისტ ჰენრიკ სენკევიჩისათვის მის ქვეყანას — პოლონეთს — ებოძებინა მილიონზე მეტი ღირებულების მამული.

— თქვენ, ბატონო ობივატელებო, — თავს ვეღარ შეიკავებდა ექიმი და მწერალი, — რითი ისახელეთ თავი ასეთი დიდი მოჭირნახულის წინაშე, როგორიც იყო აკაკი?! უხიაკი ჭორების გავრცელებით! აფსუს!

არ ემეტებოდათ მისთვის არაფერი და... ნუ ემეტებოდათ, ცილისწამებას მაინც რაღას ემართლებოდნენ?!. რას ჩასძიებოდნენ, რას უკირკიტებდნენ, რას უჩხრეკდნენ, რის გაზვიადება-გაბუქვას ლამობდნენ?!.

კიდევ კარგი: იუმორი არ აკლდა, არც ირონიული ნესტარი და იქითაც მწარედ აზღვევინებდათ, და გულს ხომ იქარვებდა და იქარვებდა ნაჩურჩულ-ნატუტუნარისა და ულაგამო ჭორაობისაგან მოგვრილს.

არც დიდსულოვნება აკლდა.

არც მიტევების უნარი.

ეგაა: ფული აკლდა, აკლდა, რარიგ აკლდა, სულ მის ძებნაში რომ გალევდა სიცოცხლეს.

ამაზეც ხუმრობდა ხოლმე, თავის ქესეტობაზეც, განა არა, მაგრამ... ყოველთვის მაინც ვერა.

რარიგ მონდომებულიყო ივანე ელიაშვილი, ეგებ როგორმე მოუგვარო ყოფაო, და მიუთითებდათ ჰენრიკ სენკევიჩის დაფასებაზე თვისტომთა მხრიდან, აკაკის მწარედ რომ ელიმებოდა მეგობრის სიალალისა და მიამიტობის შემყურეს: მილიონზე მეტი ღირებულების საბოძვარს ვინ ჩივის, ნეტა მეჭორეებს მაინც ამოედოთ ლაგამიო!..

* * *

ფული აკლდა, აკლდა, რარიგ აკლდაო...

„ერთი ვექსილის ისტორია“, თითქოსდა მხოლოდ დოკუმენტური ჩანაწერი, სინამდვილეში პამფლეტიც არის, ნოველაც და ეგეც იგავიც, ფრანც კაფკა პირდაპირ რომ შეიტანდა თავის თანამედროვე იგავთა ციკლში დიდად კმაყოფილი: გვერდნახევარში ბევრის ჩატევა მოვახერხე, პირადი სატკივარი ამჯერადაც საზოგადოებრივ დრამად გარდავსახეო.

ორი წლის წინათ აკაკი სამსონ თოფურიას საავადმყოფოში რომ ინვებოდა მძიმე ავადმყოფი, ხალხი ჩვეულებისამებრ დიდ თანაგრძნობას გამოუცხადებდა: მივიდოდა უთვალავი მნახველი მისი ამბის გასაგებად, გაუგზავნიდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ურიცხვ დეპეშას და სოფლებშიც პარაკლისებს გადაიხდიდნენ. იმ დროს ავადმყოფს ამეებისა არა გაეგებოდა რა და საუკუნოდაც შეუტყობელი დარჩებოდა, თუ სამსონ თოფურია ქართველურ-პლატონური თანაგრძნობის ნაცვლად რეალურ შემწეობას არ აღმოუჩენდა.

აკაკისებური მოხდენილი იუმორი, მძიმე განწყობა სილაღეს რომ უნდა გაენელებინა და გაენათებინა.

სნეულებისა გამო იძულებული შეიქნებოდა, რომ სახლი დაეგირავებინა ბანკში და სარგებელი ეხადა. რადგანაც ბანკზე მისი ირიცხებოდა ათას ხუთას თუმნამდე და ვერ უხდიდნენ, ითხოვდა:

— გირაოს სარგებელში მაინც გადმორიცხეთ და მე გამათავისუფლეთ სარგებლის გადახდისაგან.

აღუთქვამდნენ, დააიმედებდნენ და ასე გამოისტუმრებდნენ.

თურმე... ატყუებდნენ.

ტფილისში დეპეშას მიიღებდა: ბანკი ხვალ მამულს გიყიდისო.

მაშინვე მიხვდებოდა, რა ხრიკებიც დაეხლართათ, მაგრამ გვიანღა გახლდათ: ისე მალე რაღას ისაშუალებდა?

თავის სიცოცხლეში ბევრისათვის გაემართა ხელი გაჭირვებაში და არათუ გადაეხდევინებინა, არც კი გაეხსენებინა. იფიქრებდა: მოდი ახლა, მეც სხვებს მივმართავ, ერთი მათგანი ვინმე მომიწერს ხელს სამასი მანეთის ვექსილზე და ბანკიდან ვივალებო, — მაგრამ...

ერთი მათგანი, რომელსაც მისი ექვსასი თუმანი შეერჩინა, სიცილით ეტყოდა: ეგ როდინდელი მოვლენებააო?

მეორე, რომელსაც მისი შემწეობით უნივერსიტეტი დაესრულებინა, ხელს არ მოუწერდა.

მესამე... მეოთხე... მეხუთე... ცალ-ცალკე სადღა ჩამოჰყოლოდა, ერთი სიტყვით, ყველა, ვისაც კი მისი ემართა, საცინლად აიგდებდა და გაწბილებულს გამოისტუმრებდა.

ქალები საზოგადოდ კაცებზე უფრო კარგები რომ იყვნენ ყველგან, განსაკუთრებით მაინც ჩვენში.

მარიამ დემურია მიიყვანდა მასთან ერთ მდიდარ პირს, რომელიც აღუთქვამდა, ხვალვე მოგართმევო. მაგრამ... ისიც მოატყუებდა. ასე მიუტანდნენ ენას აკაკის თუ თვითონ ივარაუდებდა, მაგრამ ამგვარად კი ჩაინიშნავდა თავისთვის: კიტა აბაშიძის მოყვრებს დაეშალათო.

მეორეც არ მოუწერდა ხელს — და ისიც სხვისი შეგონებით.

და ვერსად ვერას რომ გახდებოდა, კიდეც გადაუწყდებოდა იმედი.

ამ ამბავს შეიტყობდა როგორღაც მაკო საფაროვა-აბაშიძე. დააგირავებდა, რაც რამ ებადა, ზოგს ძმისაგან ისესხებდა და მიუტანდა სამას მანეთს:

— თქვენგან ბევრი შემწეობა მახსოვს და ახლა ჩემგანაც მიიღეთ მაგიერი.

გაუკვირდებოდა აკაკის, მაგრამ ბოლოს გაახსენდებოდა: იგი ხომ თანამედროვე ქართველი არ არისო...

ეს ორლესული აკორდი ქმნიდა ჩანაწერის ნოველურ დასასრულსაც და იგავურ შინაარსსაც, ზედ მორგებულს აბსურდული ვითარებისათვის.

ამ პამფლეტს გიორგი ლეონიძე რომ გამოაქვეყნებდა 1935 წელს, მინაწერსაც დაურთავდა და საგანგებოდაც აღნიშნავდა:

— ვექსილის მეორე გვერდზე მინაწერი აკაკის უსათუოდ ისტორიისათვის აქვს გათვალისწინებული — მხოლოდ მიტომ, რომ მადლობა გადაუხადოს მაკო საფაროვა-აბაშიძეს. ასე იცოდა აკაკიმ მეგობრების დაფასება.

ვექსილი — 300 მანეთისა — შედგებოდა 1900 წლის 5 მაისს და შაქრო საფაროვი, ძმა მაკოსი, რომ წააწერდა: მივიღე ოცი თუმანიო, — იქვე აკაკიც მიადევნებდა: სრულად მივიღე, რისთვისაც დიდად ვმადლობო.

რა სჯობს, უთვალავი მომნახულებელი რომ დაგეხვევა თავს.

დეპეშა დეპეშაზე მოდის.

და პარაკლისსაც პარაკლისზე იხდიან შენს გამოსაჯანმრთელებლად.

მაგრამ...

ცოტა რეალურ შემწეობაზეც რომ იზრუნონ, ეგებ ურიგო არ იყოს!..

და ტრაგიკომიზმის ერთი ფრაგმენტი ასეც უნდა შემოგვრჩენოდა: ვექსილად სახელდებული.

ისე ესეც ხომ თავისებურად დამაფიქრებელია:

ერთადერთი ბარათი შემოგვრჩებოდა მაკოსთან მიწერილი და აკაკის მიერვე დათარიღებული, რაც ძალზე იშვიათი მოვლენაა მის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში: 1904 წლის 8 მარტი.

და ისიც ქვესტობით ნაკარნახევი:

სტუმრობას ეპირებოდა მასთან, მაგრამ:

— ეს ერთი ხანია მძიმე ავათა ვარ და ვწევარ.

შენის კომიტეტის წყალობითო, — დრამატულ კომიტეტს იგულისხმებდა, — ისეთ ყოფაში ჩავვარდი, რომ თითქმის დირექტორის მისაცემი აღარა მაქვსო.

ამიტომაც ეგებ გადაეცა შაქროსათვის, თავისი ძმისათვის, — რაკილა პირადად მაკოს შეწუხება აკაკის ერიდებოდა, — რომ მოეგონებინა არტისტებისათვის ამის გაჭირვება. სხვა საშუალება რომ ჰქონოდა, არ შეაწუხებდა ლადო მესხიშვილს, მარიამ მდივნიშვილს, კოტე მესხსა და ნატალია ჯავახიშვილს, რომელთაც ამხანაგობა შეედგინათ და ფულს იღებდნენ, და თუ აკაკისაც არ დაივიწყებდნენ, ისე მიიღებდა, თითქოს პირაქეთ დაევალებინოთ.

რაღაც განსაკუთრებულ პატივს ხომ არ ითხოვდა.

ნურც მე დამივიწყებთო, — ეგაა და ეგ.

რაიმე სახსარი გაეჩინათ სნეულისათვის, რაიმე სახსარი, ნუკი მიზღვავდებოდნენ მოსაკითხად, სამსონ თოფურიაც და სხვა ექიმებიც საგონებელში რომ ვარდებოდნენ: ამდენი მომსვლელი და მომკითხავი ჯანმრთელს დააავადებს, თორემ ავადმყოფს რას დამართებსო!..

* * *

აკაკი დღემუდამ ფულის ძებნაში რომ იყო, გიორგი ლასხიშვილის არ უკვირდა: რას ეყოფოდაო. ხარჯვით ბევრს ხარჯავდა — ცხოვრობდა ხან ქუთაისში, ხან საჩხერეში, ხანაც ტფილისში, მოგზაურობასა და ხშირად სასტუმროებში ცხოვრებას ბევრი ფული უნდოდა, კარტის თამაშიც ნიკოლაი ნეკრასოვივით უყვარდა, რუსი პოეტივით, და თამაშში ხშირად ღამეებსაც ათენებდაო.

მაგრამ ამ ყოველივეს იმის ფონად მოიხმობდა მემუარისტი, აკაკის ხასიათის ერთი უმთავრესი თვისება რომ აღენიშნა:

მეტად გულკეთილი იყო — ფულს, თუ გაჭირვებულებისათვის იყო საჭირო, არ დაიშურებდა, უკანასკნელსაც მიაწოდებდაო.

თვითონვე შეიქნებოდა გიორგი ასეთი ამბის შემსწრე.

და ეს მაშინ, მარიამ დემურიას რომ მიაკითხავდა და შესჩივლებდა, რომ:

არჩილ ჯორჯაძის გაგზავნა გახლდათ აუცილებელი აგარაკზე. ამ ზაფხულს თუ აქ დარჩებოდა, ცუდად იქნებოდა მისი საქმე. ფული კი არ გააჩნდათ: კომიტეტი ძველებურად ველარ იძლეოდა არჩილისათვის, რედაქციასაც არა მოეპოვებოდ რა და... მარიამსღა მიაჩერდებოდნენ სასოებით: ეგებ ამან მაინცო...

შემთხვევით ამ გულისტკივილს აკაკი შეესწრებოდა. ეს იმას არცა სთხოვდა: განა რა ექნებაო... მაგრამ ის თვითონ მოუბრუნდებოდა და:

— რამდენია საჭირო?

ამას გული შეუტოკდებოდა, იგრძნობდა, ცნობისმოყვარეობით არ ეკითხებოდა მგოსანი, მაგრამ... გაწვდებოდა კი აკაკის ჯიბე ამდენს?..

ასეა თუ ისე სათქმელი უნდა თქმულიყო:

თხუთმეტი-ოცი თუმანი — აგარაკის ქირისა და მგზავრობისათვის, და რაღაც-რაღაცეებიც უნდა ეყიდათ.

და აკაკის მაშინვე უნდა გადაეწყვიტა გადასაწყვეტი:

— გიორგი, წაიღეთ ჩემი ფონდიდან ოცი თუმანი. ბარათს მიგიწერთ წერა-კითხვის საზოგადოებაში, როცა შეძლებთ, სესხს მაშინ დააბრუნებთ.

ეგებ ვერც ვერასოდეს მოეხერხებინათ ვალის გადახდა?

აკაკი წინასწარვე გაუარაფრებდა და დაამშვიდებდა:

— თქვენი ჭირიც წაუღია.

და ბარათსაც იქვე გაუმზადებდა.

ეს მითუფრო სასიამოვნო აღმოჩნდებოდა, რომ:

წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას აკაკის დაუკითხავად დროებით ესესხა კიდეც მისი ფონდიდან ასი მანეთი იმავ არჩილ ჯორჯაძისათვის. ახლა წამოიღებდნენ კიდევ ას მანეთს. შემდგომ კი მარიამ დემურია რაღაც საღამოს გამართავდა და... აკაკის ფონდი შეივსებოდა.

ეს რომც არ მომხდარიყო, აკაკი ალალად იმეტებდა იმ თანხას, რომელსაც თვითონ ასე მღელვარედ მოელოდა ხოლმე... მაგრამ ასეთ დროს ყოველთვის ავიწყდებოდა თავი, და ახლა მითუმეტეს, როდესაც საქმე მისთვის დიდად დასაფასებელი პიროვნების ჯანმრთელობას ეხებოდა, იმ არჩილ ჯორჯაძისა, რომელთანაც კინაღამ გაუგებრობა — მეტი რომ არ ითქვას — მოუხდებოდა.

კიდევ კარგი გაუგებრობა იყო თუ რაც იყო, დროულად რომ გაიფანტებოდა.

„თემის“ 1913 წლის 7 იანვრის ნომერში უნდა გამოქვეყნებულიყო აკაკის ღია წერილი სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წინამძღოლთან.

სწორედაც ეპისტოლურ ფორმას ამჯობინებდა, რათა გულისტკივილი ამით შეენელებინა და მოეკლო ის სიმწვავე, რაც პუბლიცისტურ სტატიაში, გინდა-არგინდა, უფრო მკვეთრად იჩენდა თავს. შორს წასვლა არც დაგეჭირდება შესაძლო პათოსის ამოსაცნობად, ამავე გაზეთის 1912 წლის 8 ოქტომბერს სილოვან ხუნდაძეს წინ რომ გაიგდებდა და გაიბურთავებდა აკაკი სათაურიდანვე სარკაზმით აღბეჭდილ წერილში: „შესანიშნავი მოღვაწე და დიდი გენიოსი“, დასაწყისიც არანაკლები ირონიით რომ განიმსჭვალებოდა, როდესაც გვარ-სახელს უკულმა გადაუტრიალებდა: ხუნდოვან სილოვანიძეო... და ამ ისრებსაც გაუზუზუნებდა: ეს ის გენიოსია, იაკობ გოგებაშვილს ქართულ ენას რომ ასწავლიდა და ილია ჭავჭავაძეს — ჭკუასო!.. და აბა რაღა გასაკვირია, თუკი იმისი გადმოსახედიდან, აკაკი მოჩანდა: ქვეყნის ორგულად, შინაურ მტრად, ყოველად უკუღმართად...

სილოვან ხუნდაძე იმასაც ირწმუნებოდა:

აკაკიმ თქვა: დამიდგით ყუთი, რომ კიტას შავი მივცეო. და კიდეც რომ არ ეთქვა, ყველა დარწმუნებული იყო ამაზეო.

აკაკი პასუხად ირონიას არ დაიშურებდა: ამისთანა გულწრფელ მოღვაწეს, როგორიც ბატონი სილოვანია, არ ეკადრება საქმის გადასხვაფერება და ცილისწამებაო.

თავისი მხრივ კი ასე მოჰყვებოდა:

ავიდოდა საჩხერეში, რათა არავითარი მონაწილეობა არ მიეღო სადეპუტატო არჩევნებში. როდესაც მეკენჭეები ააკითხავდნენ საჩხერეს კენჭის საყრელად, სამივე პარტია პირველად აკაკის დაასახელებდა. წინა დღეს გადაწყვეტდნენ, რომ: სწორედ აკაკი ამოერჩიათ ერთხმად და უკენჭოდ.

ასეც ამცნობდნენ.

ეს არც მაშინ მოინდომებდა წასვლას, მაგრამ სხვები ურჩევდნენ:

— ეგ უმადურობა იქნება შენი მხრიდან, გადადი, მადლი გადაუხადე და ისე მოშორდი.

ესეც დაყაბულდებოდა და გადავიდოდა მეორე დღეს მადლობის გადასახდელად.

ეახლებოდნენ მოციქულები და... რაღაც თვალების პრანვით ეტყოდნენ:

— გადი ამ კრებიდან, თორემ გაგაშავებთ!..

ეს სულ სხვას ელოდა და მიტომაც გაუკვირდებოდა: რად გავიდეო?..

— ყუთის დადგმა არ გაბედო, რადგანაც კიტასათვის შავი გინდა, თორემ გადაწყვეტილია, უნდა გაგაშაოთ.

აკაკი გაღიზიანდებოდა:

— მე არც ყუთის დადგმა მსურვებია და არც კენჭში ჩარევა!.. არც არავისთვის შავი მდომებია და არც არავისთვის თეთრი!.. მაგრამ ახლა კი, თქვენი სიტყვის შემდეგ, რადგანაც მემუქრებით, იძულებული ვარ, დავიდგა ყუთი, გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ მე არავისთვის შავი არ მსურვებია, მაგრამ ახლა კი, თუ ამირჩევთ, კიტას შავს მივცემ!..

ამ სიტყვის მერე გაბრუნდებოდა შინ დარწმუნებული, რომ გააშავებდნენ!.

მართლაც იმ დღეს უყრიდნენ კენჭს და კიდეც არ ასცდებოდა გაშავება!..

ამას რომ შეიტყობდა, მხოლოდ გაიღიმებდა. კრინტსაც არ დაძრავდა!.. რაკიღა მიაჩნდა: კენჭი სინდისისა და კენჭის საქმეაო. ყველას თავის ნებაზე უნდა ემოქმედა და... განა როგორ შეიძლებოდა, რომ აკაკი ამის წინააღმდეგი ყოფილიყო — არჩევანის თავისუფლებისა?!.

ხოლო რაც შეეხებოდა სილოვანს:

— მე მიზეზი არ მიმიცია გარისხების, მაგრამ რადგან უნებებია, იყავნ ნება მისი!.. იმის ჭკუა-გონებას და პატიოსნებას აბა ვინ მისწვდება, რომ უპასუხოს.

კიდეც ასე, პამფლეტის სტილისტიკის შესაფერისადაც უნდა დაგვირგვინებულიყო ეს მძაფრი გამოკამათება.

მაგრამ არჩილ ჯორჯაძესთან კი...

ნაწყენობის კვალი მოჩანდა, მთლად დაფარვაც ვერ მოუხერხდებოდა აკაკის, მაგრამ დაე მკითხველს თვალნათლივ ეგრძნო, თუ რა სიმაღლიდან ხდებოდა არჩილ ჯორჯაძესთან ამ ყაიდის გასაუბრება.

თავიდან შეახსენებდა, რომ:

როდესაც არჩილს პირველად გადმოედგა ფეხი სამწერლო სარბიელისაკენ, აკაკის იმედიანად შეეხედა მისი მომავლისათვის და... ამ განცდით განმსჭვალულს ჩვეულებისამებრ კიდეც აუძგერდებოდა გული და აღფრთოვანებით მიმართავდა წერილით და რჩევასაც გაუზიარებდა, თუ რა გზას უნდა დადგომოდა მისი უმცროსი თანამოკალმე.

არჩილს მაშინ არაფერი ეპასუხა და... აკაკის ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა:

ალბათ ის უმანკო რჩევა-დარიგება იუკადრისა და ამიტომაც არ გამომეხმაურა არც სიტყვით — კერძოდ და არც წერილობითო.

მაშინ პირადად არ იცნობდა და რამდენიმე წლის შემდეგ ერთხელ ნახავდა სასტუმროში ავადმყოფს. ის იქნებოდა და ის!..

მერე აღარსად შეხვედროდა, მაგრამ:

არჩილ ჯორჯაძის გულწრფელობასა და სიმართლისმოყვარეობაში ყოველთვის დარწმუნებული იქნებოდა.

მაგრამ მისი უკანასკნელი წერილი, რომელშიც არჩილი ეთანხმებოდა სილოვან ხუნდაძეს, სხვანაირად ჩააგულისხმებდა — თუმც ახლაც კიდევ ფიქრობდა, რომ მოტყუებით მოეტყუებინათ და ამიტომაც ის დაეჯერებინა შინაური მოყვრებისათვის, რაც არ ყოფილიყო და სიმართლესმოკლებული გახლდათ.

ეს ერთი ხანია გაზეთებში ერთი აურზაური ატეხილიყო აკაკის გამოისობით და მის საქციელს კიცხავდნენ, მაშინ, როდესაც ხელზე იხვევდნენ იმას, რაც არ მომხდარიყო.

და ამჯერადაც კვლავ გაიმეორებდა იმ ეპიზოდს, სილოვან ხუნდაძესთან გაპაექრებისას რომ გაეხსენებინა. და ახლა გულით მოწადინებულიყო, რომ არჩილს შეეტყო სიმართლე და... მიტომაც მიიწვევდა პირადად მას სამედიატორო სამართალში.

აკაკის თავის მხრივ მოწმეებად დანიშნავდა არჩილ ჯორჯაძისავე წრის კაცებს: იაკობ ფანცხავასა და ექიმ ივანე ელიაშვილს. არჩილსაც დაე თავის მხრივ შეერჩია მოწმეები და...

რასაც ისინი გადაწყვეტდნენ, აკაკი ყველაფრის თანახმა იქნებოდა.

თუ გამტყუნდებოდა, პირობას აძლევდა: ხელს ვიღებ მწერლობაზეო.

როგორ უნდა ყოფილიყო გულნატკენიც და იმავდროულად თავის სიმართლეშიც ურყევად დარწმუნებული, ეს რომ ეთქვა.

მაგრამ თუ აკაკი გამართლდებოდა და არჩილის ნაწერი ტყუილი გამოდგებოდა?

ელოდები, რომ მისგანაც ამასვე მოითხოვს: მაშინ შენ აიღე ხელი მწერლობაზეო.

მაგრამ... აკაკი იმის აკაკია, რომ მისგანაც საიმედოდ შერაცხილი კაცისაგან ასეთ რაიმეს მოითხოვს კი არა, გულშიაც არ გაიტარებს, ხუმრობითაც კი არ წაცდება.

და ამიტომაც:

ჩემთვის ისიც საკმაო იქნება, რომ თქვენ პირადად გაიგებთ, თუ როგორ შეუცდენიხართო.

* * *

ლევან ასათიანი ცოტაოდენ წყენად მოიხსენიებდა აკაკის მარცხს 1912 წლის შემოდგომაზე: მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში კენჭს რომ იყრიდა რწმუნებულობაზე (რწმუნებულები შემდგომ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებს რომ ირჩევდნენ) საჩხერეში.

პოლიტიკური პარტიები არად ჩააგდებდნენ მის „ერის მამობას“ და თავთავიანთ კანდიდატებს შეუწყობდნენ ხელს.

შეიტყობდა თავის გაშავებას აკაკი და... ნაღვლიანად გაიხუმრებდა:

— უზომოდ მიხარია, იმასაც მოვესწარი, რომ ჩემს სამშობლოში ყველაზე უღირსი მე აღმოვჩნდი.

გელა საითიძე მოგვიანებით აღნიშნავდა: ალბათ კონიუნქტურულ მოსაზრებათა გამო მოერიდა ბიოგრაფოსი უფრო ვრცლად საუბარს ამ თემაზე — ემიგრაციაში მყოფ მენშევიკური პარტიის წევრთა ხსენება იმხანად ხომ ტაბუდადებული იყო — თორემ მას კარგად ექნებოდა გააზრებული ის რეალობა, რომელიც არც ისე საღიმილო და საოხუნჯო გახლდათ ჯანმრთელობაშერყეული მოხუცი მგოსნის ისედაც მტკივანი გულისათვის — აქედან დაიწყო უსიამოვნებათა მთელი კასკადი, რომელიც უამრავ ჭუჭყსა და ნაგავს მიუზიდებოდა მისი სახელის შესაბღალავადო.

და ასე შეიქმნებოდა ნარკვევი „აკაკი წერეთელი და არჩევნების საკითხი“, რომელშიც დეტალურად წარმოისახებოდა ის პერიპეტიები, შორს რომ გასცილდებოდა კერძო შემოქმედის — თუნდ აკაკი წერეთლის რანგის — ხვედრს და განზოგადდებოდა და გასიმბოლოვდებოდა ეპოქის სულის გამომხატველადაც და მარადიულ სატკივრადაც: შინაურ მღვდელს შენდობა რომ არა აქვს და არც წინასწარმეტყველია დაფასებული მშობლიურ მხარეში.

ნარკვევში უხვადაა მოშველიებული პერიოდიკის მასალები სრული და მიუკერძოებელი სურათის გამოსაკვეთად, მათ შორის „ონავარის“ ფსევდონიმით დაბეჭდილი სტატია „ფაზელი ჰეროსტრატე“, სილოვან ხუნდაძეს რომ შეუტევდა და მახვილგონივრულადაც გაამასხრებდა მის ჰეროსტრატულ მიდრეკილებებს, სახელის უკვდავყოფას ილიას, აკაკის, იაკობის წინააღმდეგ გალაშქრებით რომ ლამობდა.

სილოვან ხუნდაძე პასუხად ყოველგვარ ზღვარს გადავიდოდა და არამარტო „ონავარს“ მიაყრიდა შეურაცხმყოფელ ეპითეტებს, აკაკისაც... მასხარად მოიხსენიებდა და აბუჩად აიგდებდა: „თემს“ თავისი სათაყვანეელი ბუმბერაზი მგოსანი სამასხარაო ჯოხზე წამოუსკუპებია, მაგრამ „ბუმბერაზი“ ზედ ვერ დატეულა, გადმოვარდნილა და... ტალახში ამოთხუპნულაო!..

იმასაც დასძენდა:

აკაკისთან საპირადო არა მაქვს რა, მიყვარს კიდეც, როგორც ტკბილი მგოსანი და სასიამოვნო მოსაუბრე, ისევე როგორც ყველას — ქართული ენისა და ქართული პოეზიის მოტრფიალეს — რასაკვირველია არა ისე გაზვიადებით, „თემი“ რომ იჩენს — მაგრამ მძაგს მისი მალულობა და ორჭოფობა ჩვენი საზოგადო მოღვაწეებისადმი სიმპათია-ანტიპათიაშიო...

აკაკის უნდა გამოქომაგებოდა ქრისტინე გელოვანიც, სილოვან ხუნდაძეს რომ უწოდებდა რომანტიკულ არშიყს გენიოსობისა, რომელიც პედაგოგიური, პოეტური, პუბლიცისტური, მეცნიერულ-ფილოსოფიური მოღვაწეობის კაბადონზე ვერას მოიპოვებდა ისეთს, დიად ბედნიერებამდე მიმყვან გზად და ხიდად გამოსდგომოდა, ამიტომაც ისეთი რამ უნდა გამოეგონა თავისი სახელის უკვდავსაყოფად, რაც მთელს მსოფლიოს თუ ვერა, ქართველ ერს მაინც განაცვიფრებდა და...

აკი მიაღწია კიდეც — დღეს აღშფოთებული ქართველი ერი სილოვანზე კამათობს, სილოვანზე ფიქრობს, სილოვანს განსჯისო.

მის ამ უღირს გამოხდომას როგორ შეაფასებდა?

როგორც ნაყოფს გამძვინვარებული ფსიქოზისა.

ყველაზე თავგამოდებულ დამცველად უსამართლოდ განქიქებულ მგოსანს უნდა დადგომოდა გაზეთი „თემი“ და მისი რედაქტორი გრიგოლ დიასამიძე, თუმც მის ამ თავგამოდებას მაინცდამაინც გონივრულ საქციელად ვერ მიიჩნევდნენ ჟურნალ „კლდის“ გარშემო შემოკრებილი მოღვაწენი: ნებით თუ უნებლიეთ ხელი შეუწყო არჩევნებში აკაკის გაშავების ირგვლივ აჟიოტაჟის ატეხვასო.

შალვა ამირეჯიბი ფარსმან-ფარუხის ფსევდონიმით განაზოგადებდა ამ მოვლენას და წარმოაჩენდა დიდებული ადამიანისა და არარაობის ურთიერთობის გროტესკულ სურათს, სულის სიდიადეს, უმაღლეს გონიერებას მუდამ რომ სძაგდა არარაობა, სძაგდა მისი ქომაგობა, მისი სარჩელი, მაგრამ ტრაგედიაც ის გახლდათ, რომ არარაობა მუდამაც ვექილობდა მას.

მართალია წარსულ არჩევნებში გაეშავებინათ აკაკი წერეთელი, მაგრამ შალვა ამირეჯიბისათვის რომ გეკითხათ, ყველაზე დიდი სიურპრიზი არჩევნებისა ის იყო, რომ სოლოლაკის ბურჟუაზია სოციალ-დემოკრატ კარლო ჩხეიძეს აირჩევდა დეპუტატად, მაგრამ რაკიღა მოიპოვებდნენ ისეთებიც, რომელნიც ამ სიურპრიზზედ უდიდეს სიურპრიზად აკაკის გაშავებას მიიჩნევდნენ, ამის თაობაზეც გამოთქვამდა თავის მოსაზრებას.

თავისთავად ეს ფაქტი სწორედაც კურიოზი გახლდათ, განა არა, მაგრამ...

ამ დამარცხებითა და გაშავებით არც ჭეშმარიტება შებღალულიყო და არც თვით აკაკი წერეთელი.

ეს, დაე გვცოდნოდა, ერთგვარი ეფექტიც გახლდათ!..

ეფექტი, როდესაც კოზირი ხალხს მოუვიდოდა და... ეს კოზირი სხვა მასტის ხელმწიფეს მოჰკლავდა!..

უფერულად და მოსაწყენად აღიარებდა შალვა ამირეჯიბი იმ ხალხის ცხოვრებას, დროზედ ხუმრობა რომ არ იცოდა, და აკაკი წერეთელიც ამ არჩევნებში ის „სხვა მასტის ხელმწიფე იყო“, რომელსაც ხუმრობით მოჰკლავდა სულ პატარა კოზირი.

ეს რომ სხვაგან მომხდარიყო, რომელიმე სხვა ქვეყანაში?

პოეტსა და პუბლიცისტს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ:

გაზეთები მხოლოდ აღნიშნავდნენ ამ კურიოზს, რადგან არცთუ მოკლებოდა მნიშვნელობას, მაგრამ წარმოდგენით ვერაფრისდიდებით ვერ წარმოიდგენდა ისეთ საზოგადოებას, რომელიც ამის გამოისობით ჯვაროსნულ ომს გამოაცხადებდა.

ჩვენში კი სულ სხვა რამ მოხდებოდა.

დიდებული ადამიანის დასაცავად, მის საქომაგოდ ამხედრდებოდა ჩვენებური არარაობა.

არარაობა — ვატმანების სახით!

არარაობა — მამულიშვილების სახით!

არარაობა — დასელების სახით!

— ზეცის მოციქული გააშავეს! — გაჰყვიროდა არარაობა.

და ჭვარტლიან ჭრაქს სურდა მზის განათება.

პატარა წუმპეს — ზღვის მორწყვა.

და ამ საზოგადო ზარსა და ზეიმში, ამ საეროვნო, ვითომდა საეროვნო მწუხარებაში, თვით უგონიერესი ადამიანებიც კი ვერ ამჩნევდნენ, რა ანგარი გრძნობა დამალულიყო, რა ფისკალური ზრახვა გახვეულიყო ამ გოდებაში.

დემაგოგიას რომ სჩვეოდა ხალხის გულში მუდამ სიმი ეძებნა, რათა თავის ქვენა მისწრაფებათა აღსასრულებლად აეჟღერებინა ის, რა დღეს შევსწრებოდით?!.

და შალვა ამირეჯიბს გულს უკლავდა, რომ:

აგერ კიდეც ეპოვნა დემაგოგიას ჩვენი ხალხის გულში ყველაზედ უტკბილესი სიმი — აკაკი წერეთელი.

და ფარსმან-ფარუხული სარკამზმი ამგვარი სტრიქონით თუ დაბოლოვდებოდა:

ჩამოდექით! დღეს დემაგოგია უკრავს ამ სიმზედო!..

მწვავე ირონიადაც და გაფრთხილებადაც.

არარაობა — დასელების სახითო...

შალვა ამირეჯიბსაც და არჩილ ჯორჯაძესაც უწინარესად ის ჩაწყვეტდათ გულს, აკაკი წერეთელი — რომელიც არცერთ პოლიტიკურ პარტიაში არ გაერთიანებულიყო — ამ არჩევნებში... სოციალ-დემოკრატთა მხარდაჭერით გამოვიდოდა მისთვის ისედაც მარცხით დაწყებულ სარბიელზე. თითქოს არა კმაროდა რამდენიმე წლის წინანდელი გაშავება პირველი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში, ეს მეორე წარუმატებლობაც ზედ რომ არ დართვოდა.

სოციალ-დემოკრატებს იმიტომაც დაყაბულდებოდა, მათი სახელით მიეღო მონაწილეობა პოლიტიკურ ჭიდილში, ყველაზე ორგანიზებულ პარტიად სწორედ ის რომ წარმოდგებოდა და კიდეც შეძლებდა თავისი კვალი დაეჩნია არჩევნების შედეგებზე, მაგრამ... აკაკის არჩევისას არ გაჭრიდა არც მათი მეცადინეობა, არც თვითონ აკაკის გამორჩეული სახელიანობა და პოპულარობა და... ასე სავალალოდ დასრულდებოდა ერის მამად შერაცხილი მგოსნის მიმოწყდომა დეპუტატობის სამოსის მოსარგებად.

ამჯერად სწორედაც თავისი ის გამორჩეული სახელიანობა და პოპულარობა ხომ არ შეუშლიდა ხელს?

უპირველესად მაინც პოეტად განთქმულიყო, უნინარესად მაინც ზეცის ბინადრად, ოცნებებში მოლივლივე-მობორიალედ სახავდნენ და ვერ წარმოედგინათ, თუ შეიძლებოდა პრაქტიკულ საქმიანობაში ენერგიულობა და მარიფათიანობა გამოეჩინა. თვით მის მიერ წამოწყებული მარგანეცის წარმოება გამოეცლიათ ხელიდან და სხვა საქმეებშიც ვითომ რას მიაღწევდა ქვეყნისათვის სასიკეთოს — ვაითუ ყოველთვისაც მშრალზე დაეტოვებინათ.

და არ გაითვალისწინებდნენ მთავარსა და უმთავრესს:

განსხვავებით ყველა სხვა მონანილისაგან, აკაკის ნამცეციც რომ არ ამოძრავებდა პირადი სარგებელ-გამორჩენისა.

და ეროვნულ სულისკვეთებასაც ისე გააღვივებდა, ყველა საქვეყნო სატკივარსაც ისეთი ღრმა ცოდნით, შეუპოვრობითა და თავზეხელაღებულობით გამოეხმაურებოდა, როგორც სხვა ვერცერთი დეპუტატი, უკვე სათათბიროს ტრიბუნიდანაც რომ იღალადებდა და აქედანაც მიაწვდენდა ხმას თავის უბედურ სამშობლოსაც და რუსეთის კაბალაში მოქცეულ სხვა ერებსაც, პოეტურ აღმაფრენასა და სახისმეტყველებას პოლიტიკურ ამბიონსაც რომ შეაშველებდა.

ბოლოსდაბოლოს როდემდე ყოფილიყო მისი ტრიბუნა საზეიმო სუფრები თუ... სასაფლაოები და ახალგაჭრილი სამარეები?

ეჰ ნეტა სოციალ-დემოკრატებს არ გაკარებოდა, აკაკის ამ მარცხს საარჩევნო კომპანიაში ხელზე რომ დაიხვევდნენ და შეეცდებოდნენ თავიანთ სასარგებლოდ შეეტრიალებინათ, ფარისევლურად რომ მოინდომებდნენ გამოქომაგებას.

ამ აჟიოტაჟში არაერთი წესიერი ადამიანიც ჩაებმოდა, გული რომ დაეწვოდა ამ მართლაც კურიოზული ამბით, მაგრამ მათ თავგამოდებასაც სოციალ-დემოკრატები მოებღაუჭებოდნენ ორივე ხელით და... ამიტომაცაა, შალვა ამირეჯიბი რისხვას რომ დააფრქვევდა მესამედასელებს სწორედ იმ ფარისევლობის მხილებით, და არჩილ ჯორჯაძეც უნებლიეთ

აღმოჩნდებოდა სილოვან ხუნდაძის მხარეს, ეს აკაკივით ყოვლად უანგარო კაცი და საქართველოსათვის უკეთესი ხვედრის ძიებას შეწირული, გულისტკივილით რომ გამოისროდა კრიტიკულ ისარს:

— ზეცის მოციქულობა მართლაც წმინდა საქმეს უნდა ემსახურებოდეს, ეს უტყუარი ჭეშმარიტებაა... ბ-ნ აკაკის უფლებაა „დასელებს“ გამოუცხადოს თანაგრძნობა, მაგრამ ამგვარი იდეური სოლიდარობა (თუ არის იგი), არამცთუ ეწინააღმდეგება ბ-ნ აკაკის მსოფლმხედველობასა და მისწრაფებას, არამედ ყალბიც არის... იგი არასდროს უთანაგრძნობდა ისეთი ტიპის მოღვაწეებს როგორიც არის გეგეჭკორი...

მიანიშნებდა იმ მწვავე სატირულ ლექსზე „ვაშა დეპუტატს!“ — აკაკი პორტრეტულ შტრიხებს რომ მოხაზავდა კერძო ადამიანისაც — ევგენი გეგეჭკორისაც, და ზოგადად სოციალ-დემოკრატიული პარტიისაც, რაკიღა ეს პირი რიგითი წევრი კი არ გახლდათ ამ გუნდისა, არამედ მარქსიზმის ერთ-ერთი დაუცხრომელი პოპულარიზატორი, კლასობრივი ბრძოლისა და ყალბად გაგებული კოსმოპოლიტიზმის მხურვალე მქადაგებელი, აკაკისაგან ამგვარ შეფასებას რომ დაიმსახურებდა: ნამდვილ რუსის შოვინისტი, მტკიცე ისე ვით მარკოვი; არარუსთა მოძულარი, სხვა ხალხების სისხლისმწოვიო!..

ისიც რას გაიძახოდა?

რას მიქვიან ეროვნება?
სჯობს მოისპოს ნაციაო,
და დამყარდეს ქვეყნად მხოლოდ
პროლეტარიზაციაო!

პურიშკევიჩისა და მარკოვის მოაზრე და თანასწორი — და ამ დახასიათებითაც უკვე კანთიელად წარმოდგებოდა თუ რა კაციც ყოფილა დეპუტატი გეგეჭკორი.

დაწერით დაწერდა ამ დამსუსხავ სტრიქონებს, ოღონდ ჯერჯერობით დაბეჭდვას სულაც არა ჩქარობდა, მაგრამ ისე მოხდებოდა ამ ლექსს გაზეთ „იმერეთის“ რედაქციას გადასცემდა სერგო ბახტაძე, აკაკი თავისი ანდერძის ერთ-ერთ აღმსრულებლად რომ დანიშნავდა. და მგოსნისდა მოულოდნელად რომ იხილავდა „ვაშა დეპუტატს!“ მზის სინათლეს 1912 წლის 26 ოქტომბერს, თან ეს სარედაქციო შენიშვნაც მიედევნებოდა, ხელმოუწერლად რომ მიეღოთ ეს ლექსი, მაგრამ კილო და სილამაზე ამ სტრიქონებისა დაუდასტურებდათ, ნამდვილად აკაკის კალამს რომ ეკუთვნოდა.

— და თუ ეს ასეა, დღეს მარჯვე შემთხვევა გვეძლევა გამოვაქვეყნოთ ეს ლექსი, რომ ამით დავადასტუროთ, თუ რამდენად იზიარებს იმათ მსოფლმხედველობას.

„იმათ“ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას გულისხმობდა.

ეს პუბლიკაცია აკაკის გაანაწყენებდა და „თემის“ ფურცლებიდან (1912, 26 ნოემბერი) მოიბოდიშებდა, მითუმეტეს, რომ პირადი შეხვედრისას ევგენი გეგეჭკორი მასზე კარგ შთაბეჭდილებას მოახდენდა და... ესეც ინანებდა: რამ დამაწერინა ის ლექსი, ასე რატომ ავჭარდიო. დახვეასაც მოინდომებდა: ვინმემ თავის სასარგებლოდ არ გამოიყენოსო, — მაგრამ ქაღალდებში ვეღარ იპოვნიდა და ხელს აიღებდა ძებნაზე. ანკი როგორღა უნდა ეპოვნა, როდესაც ეს მწვავე სატირა უკვე „იმერეთის“ რედაქციისაკენ მიიკვლევდა გზას.

ცალკე ეს უხერხულობა, ცალკე კიდევ გაზეთ „მერცხლის“ აჭყლოპინება, 1913 წლის დადგომას ასე რომ მიულოცავდნენ, თითქოსდა მხიარულ შელაღობებაში ნესტარსაც რომ გამოურევდნენ: სათუო შაირს რომ დასწერ, დაუმალე კარგად სერგოს, ისეთი კლიტე დაადე, გასაღები რომ არ ერგოსო!..

რაც უნდა ყოფილიყო და როგორც უნდა ყოფილიყო, აკაკის ყველაზე ძალიან არჩილ ჯორჯაძის კრიტიკული გამოხმაურება რომ ააღელვებდა, რაკიღა მას განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა, და სამედიატორო სასამართლოზეც მას მიიწვევდა, „თემი“ უკვე მანამდე შეუტევდა სოციალისტ-ფედერალისტთა წინამძღოლს და დაამუნათებდა:

— ბ-ნ არჩილ ჯორჯაძეს სურს მიჩქმალოს ის, რომ ეროვნულ იდეალის მატარებელმა ჯგუფმა გააშავა უბრალო ქართველი მგოსანი კი არა, არამედ ეროვნული იდეალის გამომ-

სახველი პოეტი, რომელმაც გაგვიღვიძა სურვილი საქართველოს ბედ-იღბლისათვის ზრუნვისა და მის მომავალზე ფიქრისა.

და სწორედ მას გაეღვიძებინა ეს სურვილი იმ პოლიტიკური ჯგუფისთვისაც, არჩილ ჯორჯაძე რომ თავკაცობდა.

და ახლა ამ თავკაცს:

ძირს დაემხო სწორედ ის დროშა, რომელიც აკაკის 60-იანი წლების სხვა მოღვაწეებთან ერთად პირველად აეფრიალებინა ჩვენი სამშობლო ქვეყნის გასახარებლად.

ამ მოქმედებას ფედერალისტთა წინამძღოლს „ვინმე კალმოსანი" შეუფასებდა ვიწრო პარტიულ თვალსაზრისად, ხოლო სილოვან ხუნდაძეს მოიხსენიებდა არჩილ ჯორჯაძის ალტერ ეგოდ და ბრალს დასდებდა: რაკილა მოუწონე სილოვანს გაბედული და სამართლიანი პროტესტის გამოთქმა აკაკის წინააღმდეგ, მაშ ისე გამოდის, რომ იზიარებ მის იმ შეფასებებსაც, ჩვენს დიდებულ მგოსანს „მოღალატე", „შინაური მტერი" და „მასხარა" რომ უწოდაო.

და აღარც ირონიას დაიშურებდნენ მის მიმართ:

— ბარაქალა, პატრიოტო!

მერეა, აკაკიც რომ გამოეხმაურებოდა.

მერეა, პირობას რომ დადებდა: თუ მე დავმტყუნდე, ხელს ვიღებ მწერლობაზეო.

მერეა, ასეთ რადიკალურ გადაწყვეტილებას რომ არ მოითხოვდა არჩილ ჯორჯაძისაგან და იმასაც კმარობდა, თუ იგი პირადად გაიგებდა, როგორ შეეცდინათ.

სხვა შემთხვევაში არჩილ ჯორჯაძე არ მოერიდებოდა არც სამედიატორო სასამართლოზე მისვლასა და არც იქ მობოდიშებას, მაგრამ ლოგინად ჩავარდნილს ამის თავი სადღა ექნებოდა... და ამიტომაც მხოლოდ „სახალხო გაზეთის" ფურცლებიდან გაჰკიცხავდა სილოვან ხუნდაძის უმართებულო კილოსა და არასაკადრისი სიტყვების ხმარებას აკაკის „გაშავების" შესახებ კამათის დროს.

თუმც „თემი" მაინც წაჰკრავდა ქიმუნჯს: ეს „გულწრფელი პასუხი" თავის დროზე რომ დაბეჭდილიყო, რა თქმა უნდა ეს საკითხი არასასურველ სიმწვავეს არ მიიღებდაო.

* * *

არჩილ ჯორჯაძის სტატიას რომ გაეცნობოდა გრიგოლ რობაქიძე, 1913 წლის 21 იანვრით დათარიღებულ წერილში, მისთვის დიდად ძვირფას ამ პიროვნებას რომ მისწერდა, აღნიშნავდა, რომ:

მასზე ამ სტატიას მშვენიერი შთაბეჭდილება დაეტოვებინა, განსაკუთრებით მაინც შესაფერისად შერჩეულ კილოს, ურომლისოდაც მოხუცი მგოსნისადმი მიმართვა არ იქნებოდა კარგი.

გაუმჟღავნებდა იმ გულისტკივილსაც, რომ:

მეტად დაელონებინა „აკაკის ინციდენტს" (შემოკლებით ასე მოიხსენიებდა), რადგანაც ეს ამბავი ერთხელ კიდევ ამოწმებდა უცნაურ ბედს ქართველისას.

რას გულისხმობდა?

სურდა გამოეთქვა ნაფიქრალი და ლამის ხელიც წაცდენოდა:

აკაკი-მგოსანი და აკაკი-ემპირიული პიროვნება, მაგრამ... საბოლოოდ მაინც დუმილს ამჯობინებდა, რადგანაც ფსიქოლოგიურად ძნელი აღმოჩნდებოდა ამგვარი განწვერება — და ვინ იცის, რა შედეგს გამოიწვევდა ის ქართველთა ისედაც უდისციპლინო აზროვნებაში.

მოსალოდნელ არაჯანსაღ აჟიოტაჟს — ყოველ შემთხვევაში: მისი აზრით — შეეჩერებინა.

არადა ენანებოდა და რარიგ ენანებოდა, ძალდაუტანებლად რომ წასცდებოდა: მადლიანი თემა კი არისო.

მადლიანიც და... სწორედ გრიგოლ რობაქიძის ინტერესების შესაფერისიც, ამ ლიტერატურულ ფორმულაში მოქცეული:

ჭურჭელი ღვთიური ნიჭისა და ნაკადული ნიჭისა.

ისტორიაში ხომ ძვირად თუ უდრიდა ჭურჭელი ნაკადულს...

და მხოლოდ ასე თუ აიხსნებოდა ეს უცნაური შემთხვევა, აწ უკვე აკაკის ინციდენტად სახელდებული.

მაგრამ... მაგრამ... მაგრამ...

ხოლო აკაკი რომ გაითვალისწინებდა უკვე სულთმობრძავი მოღვაწის მდგომარეობას, თვითონვე წაიღებდა უკან მოთხოვნას სამედიატორო სასამართლოს თაობაზე, ორიოდე თვის თავზე კი... არჩილ ჯორჯაძის გამოსათხოვრის შეთხზვაც მოუწევდა, კურთხევით რომ მოიხსენიებდა იმ ქვეყანას, რომელიც ასეთ საზოგადო მოღვაწეებს წარმოშობდა, და წყევლა-კრულვას შეუთვლიდა იმ გარემოებას, რომელიც უდროოდ სტაცებდა ხელიდან ცხოვრებას ამგვარ ყოველმხრივ მომზადებულ პიროვნებებს.

წესით არჩილ ჯორჯაძე უნდა მდგარიყო აკაკი წერეთლის გაჭრილ სამარესთან, როგორც შვილი მამის ნეშტის წინაშე?

უკუღმართი წუთისოფლის გამოისობით ამჯერად მამას უწევდა დგომა შვილის ცხედართან.

უფრო აღმატებული შეფასება რაღა შეიძლება გვინდოდეს:

აკაკი თავს მოიხსენიებს მამად, არჩილ ჯორჯაძეს კი — შვილად.

კიდევ ერთი დიდი იმედი ქვეყნისა ეფარებოდა მიწას.

ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური გზის უშუალო გამგრძელებლად და იმ ტვირთის ამწევად ვინც ეგულებოდა, ხელიდან გამოცლოდათ და... რიღას მოლოდინი უნდა გქონოდა დიდი გარდატეხის მოახლოების ჟამს?!.

ამაო გამოდგებოდა, სრულიად ამაო აკაკის მონდომება პოლიტიკურ ბატალიებში წარმატებით გაეღწია სენატორობამდე და ამ მხრივაც მოეხვეჭა გავლენა.

ეს წრეც შეიკვროდა — მწარედმოსაგონარი ეპიზოდები მის ბიოგრაფიაში, და გელა საითიძე თუ რამდენადმე გამართლებულად მიიჩნევდა აკაკის მონაწილეობას პირველი სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კამპანიაში, დიდ შეცდომად ჩამოართმევდა და სრულ გაუმართლებლობად მეოთხე სათათბიროს საარჩევნო ბატალიებში ჩართვას იმ მოტივით:

— დიდი ილიას ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ აკაკი ქართველი ხალხის აბსოლუტურმა უმრავლესობამ ერის უპირველეს ლიდერად აღიარა, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა სამწერლო ასპარეზზე მისი გამოსვლის 50 წლის გრანდიოზული იუბილის აღნიშვნაში. ამის შემდეგ მას აღარ უნდა ეკისრა რომელიმე კონკრეტული პოლიტიკური პარტიისა თუ ჯგუფის მხარდამჭერად გამოსვლა, იგი ყოველი ქართველის მოჭირნახულედ და წინამძღოლად უნდა დარჩენილიყო.

ამაზე წყდებოდა გული „კლდის“ რედაქციას: კვლავაც ქართული გენიის გამოსახულებად უნდა ყოფილიყო წარმომდგარი, რომლის აზრიც ერისათვის რამედ ეღირებოდაო.

მთელი ერის გულისთქმას შეჰკრავდა და შეანივთებდა ტფილისის საიუბილეო დღესასწაულზე და... ყვირილაში — ამჟამინდელ ზესტაფონში — გამართულ არჩევნებში კი მწარე მარცხს იწვნევდა.

მთელი ერის გულისთქმას შეჰკრავდა და შეანივთებდა რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობისას, ტფილისური განწყობილება კიდევ უფრო რომ გაღრმავდებოდა და... სულაც მაცხოვრის მსვლელობას გაიმეორებდა იერუსალიმისაკენ, და... საჩხერეში, მთლად და სულაც საჩხერეში, გამართულ არჩევნებშიც სავალალოდ დამარცხდებოდა.

...მის ისედაც პარადოქსებით დაქსელილ ცხოვრებას ემატებოდა და ემატებოდა პარადოქსები.

ღიმილს რომ არ მოიშლიდა და არა აკაკი, მხიარულ ირონიასა თუ ოხუნჯობას:

უზომოდ მიხარია, იმასაც მოვესწარი, რომ ჩემს სამშობლოში ყველაზე უღირსი მე აღმოვჩნდიო.

თავი VI

ჩაშლილი ტურნე კახეთში

აკაკის საიუბილეო დღეები მთელს საქართველოში რომ ჰპოვებდა გამოხმაურებას, მაჩხაანის კულტურული ძალებიც მოინდომებდნენ არ გამოთიშვოდნენ ამ სახალხო დღესასწაულს და ზეიმის ადგილად შეარჩევდნენ სამების ეკლესიის გალავანს, სოფლის შუაგულში — ეს მწვანიანი, ასწლოვანი ხეებით დაფარული ეზო-გალავანი ამფითეატრივით შემოზღუდულიყო, მოედანს კანცელარიის აივანი ესტრადასავით გადმოჰყურებდა და მოხერხებულ სახალხო თავშესაყარს წარმოადგენდა. და აი აივანზე უნდა გამოსულიყვნენ ზეიმის მონაწილენი, მოედანზე კი ხალხი განლაგებულიყო.

ასე გაიხსენებდა სიკო ფაშალიშვილი იმ ადგილსა და მზიანი შემოდგომის იმ დღეს, სახალისო განწყობილებას რომ აძლიერებდა მშვენიერი ამინდი: სკოლისა და ოჯახების სკამებს დილიდანვე გაამწკრივებდნენ მოედანზე. მახლობელი სოფლებიდან სადღესასწაულოდ გამოწყობილი ხალხი ჯარად მოეფინებოდა მაჩხაანს და დიახაც რელიგიური დღეობის იერი დაედებოდა იქაურობას.

ის დღე სიკოსთვისაც განსაკუთრებით სასიხარულო აღმოჩნდებოდა: მასწავლებელი აჩუქებდა აკაკის ლექსების კრებულს და წასაკითხი ლექსის ამორჩევასაც დაავალებდა. და აი ისიც სკოლის პატარა მოწაფეებთან ერთად აკაკის ლექსებით შეიარაღებული გამოჩნდებოდა ზეიმის ადგილას.

იუბილე სოფლებში აკაკის დაუსწრებლად მიმდინარეობდა, და ამიტომაც მაჩხაანშიც ყვავილებით შემკული აკაკის სურათი გადმოჰყურებდა მეფური დიდებით ხალხი გაჭედილ გალავანს.

მოხსენებებს, სიტყვებსა და სიმღერებს დივერტისმენტი მოჰყვებოდა, რაც მანამდე უჩვეულო გახლდათ სოფლად. ამასობაში სიკოს გამოსვლის რიგიც მოაწევდა, დამსწრენი ლექსის წაკითხვას მოუწონებდნენ და გულითადი ქათინაურებითა და ალერსიანი ყურადღებით გაახარებდნენ!..

იმ დღიდან თითქოს ახალი ცხოვრება დაიწყებოდა სიკოსათვის — გონებაში ჩაეხატებოდა აკაკის ლექსთა შინაარსი, უხილავი, მანამდე უცნობი სამყარო გადაეშლებოდა, პატრიოტულ გრძნობას გაუთბობდა და გააგულადებდა. და წაკითხულის მიბაძვით მალე „შემოქმედებით“ ვარჯიშსაც დაიწყებდა, ლექსს ლექსი მოჰყვებოდა და... სულ მალე რვეულებსაც გადააჭრელებდა. დადგებოდა დრო, როდესაც მასწავლებლისთვისაც უნდა გაეზიარებინა თავისი „შეცოდებანი“, ის ზოგიერთ ლექსს რომ მოუწონებდა და მათ დასაბეჭდად კი იმ პრაქტიკულ ნაბიჯს გადადგამდა, რომ წერილით ხელში მიავლენდა სოფელ ჯუგაანში მღვდელ ილია შანშიაშვილთან, ხალხოსნური იდეებით გატაცებულ და გულკეთილ ადამიანთან, რომელიც სიკოს მანამდეც იცნობდა, როგორც თავის მოწაფეს — საღეთო სჯულს ასწავლიდა და მისი ხუცური ლოცვების კითხვით დიდად კმაყოფილიც გახლდათ.

ყისმათი გაუჭრიდა ყმაწვილს:

მღვდლის კეთილ თანაგრძნობას მალე ისიც დაემთხვეოდა, რომ მისი ვაჟი სანდრო, იმ დროისათვის უკვე ცნობილი პოეტი, ეწვეოდა მშობლიურ სოფელს და, სიკოს რომ წარუდგენდნენ, გულისხმიერებას გამოიჩენდა: მის რვეულებს კბილს მოუჩხრეკდა, ძვირფას ქართულ წიგნებს აჩუქებდა, ბევრ ლექსს თბილისში წამოიღებდა და მათი დაბეჭდვის იმედით გახარებულს დატოვებდა: მაშინ 14-15 წლისას ლუკმაპურის საშოვნელად მოჯამაგირედ დამდგარს.

სულ მოკლე ხანში სანდრო შანშიაშვილისა და იოსებ გრიშაშვილის ყურადღების შედეგად გაზეთ „დროებასა“ და განახლებულ ილიასეულ „ივერიაში“ უკვე წააკითხებდნენ რამდენიმე ლექსს.

ისე გამოვიდოდა, რომ:

სიკო ფაშალიშვილი ცხოვრების გზას აკაკის სახელისა და შემოქმედების შორეული შთაგონების წყალობით ამოირჩევდა.

და დიდი დრო არ გავიდოდა, რომ ბედი აკაკის ახლო ნაცნობობასაც არგუნებდა. ეს მაშინ, როდესაც საიუბილეო ტრიუმფებისა და პარიზში მოგზაურობის შემდგომ მოხუცი მგოსანი ჩვეულებრივ ცხოვრებასა და შრომა-გარჯას დაუბრუნდებოდა: ტრიალებდა თბილისში, მონაწილეობდა ლიტერატურულ საღამოებში, ესწრებოდა ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების კრებებს, საბანკო თათბირებსა თუ სათავადაზნაურო საკრებულოს სხდომებს, ქართული თეატრის წარმოდგენებისა და კლუბის მუდმივი სტუმარი იქნებოდა და ამ ყოველივეს კვლავაც ჩინებულად შეუთავსებდა პოეტურ მოღვაწეობას.

მართალია რამდენიმე გაზეთი და ჟურნალი გამოდიოდა, მაგრამ მხოლოდ „ნაკადულისა“ და „ჯეჯილის“ რედაქციებს სტუმრობდა, როგორც საბავშვო თხზულებათა ავტორი.

ყველაზე გავლენიან გამოცემად „დროება“ მოჩანდა, ილია აგლაძე რომ რედაქტორობდა, მთარგმნელი და ჟურნალისტი, და მის გარშემო საუკეთესო მწერლები იყრიდნენ თავს — აკაკის თაყვანისმცემელნი, მაგრამ იგი ამ რედაქციას არა სწყალობდა. რაღაც ისეთი სწყენოდა მათგან, მიუხედავად არაერთი თხოვნისა, „დროებასთან“ მწყრალად რჩებოდა.

რაკიღა სიცოცხლის უკანასკნელ წლებში აკაკისათვის განხეთქილების ვაშლს თითქმის მუდამ ბანკობია წარმოადგენდა, სიკო ამჯერადაც იმავე საბაბს ივარაუდებდა.

უგაზეთობას ითმენდა მგოსანი, ვიდრე „თემი“ გამოვიდოდა, მას მერე კი ამ გაზეთის მკვიდრი თანამშრომელი გახდებოდა და უკანასკნელი წლების ლექსებს მის ფურცლებზე მოათავსებდა. ეგაა მის მცირე ტირაჟს უჩიოდა და ნატვრით ილია ჭავჭავაძესავით ნატრობდა:

— იმ დღეს მომასწრო, რომ ქართული გაზეთის ტირაჟი ხუთი ათასამდე გაზრდილიყოს.

აკაკი ლამის ყოველდღიური სტუმარი შეიქნებოდა „თემის“ რედაქციისა. ახლო ოჯახური დამოკიდებულება მის რედაქტორთან გიგო დიასამიძესთან საშუალებას მისცემდა, რომ ეს რედაქცია რამდენადმე თავის პოზიციაზე დაეყენებინა; და სწორედ იმ მიზნით, რომ თანამშრომელთა წრე გაეფართოვებინა, რედაქცია ცდილობდა ცნობილ ავტორთა მიზიდვას — სიტყვიერად თუ წერილობით, და ეს წამოწყება მეტად სასარგებლო რომ აღმოჩნდებოდა, „თემის“ რედაქცია ერთგვარ სალონს დაემსგავსებოდა, ყველასთვის რომ გაიხსნებოდა მისი კარი, უფრო კი ახალგაზრდა მწერლებისათვის.

ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ:

„თემის“ ასეთი ლიტერატურული საქმიანობა აკაკის რჩევითა და დახმარებით ხდებოდა. და ეს გარემოება რა გასაკვირია, რომ კიდევ უფრო აძლიერებდა როგორც ამ მუშაობის მნიშვნელობას, ისე საზოგადოების ინტერესსაც.

სიკო ფაშალიშვილიც პირველად იქ ნახავდა აკაკის.

ზამთრის დღე იქნებოდა, თოვლსა და თეთრად გადაპენტილ თბილისის ქუჩებში დილიდანვე მარხილები ისრიალებდნენ. ეს ოლღას ქუჩაზე იდგებოდა, „თემის“ რედაქციის ალაყაფთან და სანახაობით გაერთობოდა. უეცრად ერთცხენიანი კრიალა მარხილი გაჩერდებოდა და მარხილიდან მოხუცი წამოიწევდა — შავი, ოდნავ გახუნებული დრაფის პალტო ეცმოდა და ფართოყალამიანი კრაველის ქუდი ეხურებოდა. თავაღერილი, თმაწვერგადავარცხნილი, ოდნავ მოღიმარი ფართო თვალებითა და მშვიდი სახით წარმოდგებოდა და ჯიბიდან საფულეს ამოიღებდა.

ეს... უმალ იცნობდა და სასოებითაც მიაჩერდებოდა ღიმილის შარავანდით განათებულ მის სათნო სახეს, თითქოს გულიც აჩქარებით დაუწყებდა ცემას, რაც ჭაბუკურ, უეცარ სიხარულს შეეძლო გამოეწვია.

აკაკი საფულეს გახსნიდა, აბაზიანს ამოიღებდა და მემარხილეს გაუწოდებდა, რომელიც უარის ნიშნად ხელებს გაასავსავებდა და ეს იფიქრებდა: ეტყობა ეცოტავაო.

მაგრამ მემარხილეს ირიბ თვალებში ღიმილი ჩაეკიჟებოდა და თავაზიანად განუმარტავდა, რომ ეს ნამდვილად არაფერ შუაში იყო, თურმე მას მიეყვანა თეატრში, საიუბილეო ზეიმზე მისი თაყვანისმცემლები და მათ ეთქვათ: ეს ჩვენი ღმერთიაო, — და აკაკის გარეგნობა მემარხილესაც სწორედ ამგვარ შთაბეჭდილებას შეუქმნიდა.

ის კი არა, თეატრიდან ამას ეზიდა ყვავილთა გვირგვინები და... მაინც რამდენი, რამდენი იყო!.. მას მერე სამუდამოდაც დამახსოვრებოდა მისი სახება და... ახლა ფულს გამოართმევდა?!.

აკაკი ერთხელ კიდევ შეაძლებდა ფულს, მერე მადლობას გადაუხდიდა და მარხილიდან გადმოსვლისას ხელს გაუწოდებდა. მემარხილე სიხარულისაგან დაიბნეოდა, კოფოზე წამოიჭრებოდა, მარცხენა ხელით მეეტლის „კამილავკას" მოიშველებდა და მაჯაზე შოლტის ტარის თასმაგადაცმულ მარჯვენას ფიცხლავ ჩამოართმევდა.

ეს სცენა გამველელ-გამომველელთა ყურადღებას მიიპყრობდა, ბევრი რომ შეჩერდებოდა და გაღიმებულნი მიაჩერდებოდნენ.

აკაკი „თემის" ეზოსაკენ გაემართებოდა — მოფიფქულ ქვაფენილზე ძველი კალოშები უცურდებოდა, ამიტომაც ჯოხს გულმოდგინედ ეყრდნობოდა და ფრთხილად მიაბიჯებდა. თუმც ეს არ უშველიდა და... ფეხი დაუსხლტებოდა და ოდნავ წაბარბაცდებოდა, ჯოხს შეინაცვლებდა და... ახლა მეორე ფეხი გაუცურდებოდა. სიკო გაბედავდა, მხარში ამოუდგებოდა და დამნაშავესავით წაილუღლუღებდა:

— ნება მიბოძეთ... ბატონო!.. რედაქციამდე მიგაცილებთ!..

და ის მადლობას მოახსენებდა ხავერდოვანი, ტკბილი, კმაყოფილი, ოდნავ გაბზარული, მღერი ხმით.

ეს რა ხდებოდა — სანატრელ სიზმარში ამოეყო თავი სიკოს თუ რა?

გულს კი გაჰქონდა ბაგაბუგი და ხმაც უთრთოდა, როცა თითო სიტყვის წალუღლუღებას ახერხებდა.

უკვე რედაქციის კარსაც შეაღებდნენ და...

— ა-აა! აკაკი როსტომიჩ! აკაკი როსტომიჩ! მობრძანდით, დაბრძანდით, — დაფაცურდებოდა გიგო დიასამიძე, კაცი მეტად მოძრავი და გულისხმიერი, საჩქაროდ შეეგებებოდა, ქუდს ჩამოართმევდა, მსახურს დაუძახებდა და აკაკისათვის კალოშებისა და პალტოს გახდას უბრძანებდა. და მისალმების ცერემონიის მოთავების შემდეგ, როდესაც აკაკი ფართო სავარძელში ჩაბრძანდებოდა, რაღაც ანაბეჭდს დაუდებდა წინ.

— კორექტურა გასწორებულია, ისე მაინც გადაათვალიერეთ, — რომ ეტყოდა, სიკოსაც წარუდგენდა, — სად შეხვდით? ეს ჩვენი ახალგაზრდა პოეტია.

აკაკი კორექტურის კითხვას თავს დაანებებდა და ამას შემოღიმებდა:

— ახლა მეცოდინება, ვის უნდა გადავუხადო მადლობა, რომ დღეს დიასამიძიანთ ეზოში არ ვიკოტრიალე.

მცირე პაუზის შემდეგ კი გამოჰკითხავდა ზოგ რაიმეს მისი სწავლის შესახებ და აღმოჩნდებოდა, რომ სწორედ იმხანად ცდილობდნენ სიკოს ხელმძღვანელი მეგობრები „დროებიდან" მოეხერხებინათ მისთვის ან სკოლის დაბალ კლასში მიეღბა, და ან სკოლის გარეთ გამოეძებნათ მასწავლებლები „სიმწიფის მოწმობისათვის" მოსამზადებლად, მაგრამ ჯერ ვერაფერი მოგვარებულიყო.

— იცი რა, გიგო ჩემო, — მიმართავდა აკაკი რედაქტორს, — რომ ეტყოდე ჩემს მაგიერ მარიამს, ან რომ მისწერდე, ის აუცილებლად დაეხმარება ამ ჩვენს ახალგაზრდას სწავლაში. შეიძლება საკრებულოში სტიპენდია უშოვოს.

— ჩინებული იქნება, აკაკი როსტომიჩ, — მიუგებდა რედაქტორი, — მარიამისთვის ეს სულ ადვილია. თქვენ რომ ეტყოდეთ, აჯობებდა. თუ ვნებავთ, მოვიწვევ.

— სიამოვნებით, — დაეთანხმებოდა აკაკი და ამას მოუბრუნდებოდა, — მარიამი პოეტ ვახტანგ ორბელიანის ქალიშვილია, მეფე ერეკლეს შთამომავალი, ჩვენი საზოგადო საქმეების დიდი მოკეთე; სწავლაში მოწადინებულ ახალგაზრდობას, უფრო კი ღარიბ სტუდენტობას ბევრ დახმარებას უწევს.

მართლაც სულ მოკლე ხანში შეისხამდა ხორცს აკაკის ეს კეთილშობილური განზრახვა და სიკო ფაშალიშვილს თავადაზნაურთა საკრებულოდან სტიპენდია დაენიშნებოდა.

და სიკო მოგონებებში საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ:

ასეთი მეცენატობა აკაკის სტიქიას შეადგენდა საერთოდ, თვითონ ხელმოკლეს ყოველთვის ჰყავდა თავისებურად მუდმივი სტიპენდიანტები — ამ სტუდენტებსა და მოწაფეებს აძლევდა ფულად დახმარებას და ხშირად სხვებსაც აიძულებდა, რომ შესწეოდნენ მათ.

ამის შემდეგ საკმაოდ ხშირად ხედავდა, როგორ დაიარებოდა მოღიმარი აკაკი, დიდი ვარსკვლავებისაკენ თავაღერილი თბილისის ქუჩებში, იშვიათად ჯდებოდა ეტლში — უფრო კი უფულობის გამო — და მუდამ ფიქრში იყო გართული, მაგრამ არ გამოეპარებოდა არცერთი ნაცნობი, უპასუხოდ არასოდეს დატოვებდა სალამს.

ესეც ადასტურებდა, რომ:

ყოველთვის საგულისხმო გახლდათ აკაკის საუბარიც და თვით საუბრის თემაც — ლიტერატურული თეორიებიც რომ ჰქონდა და პუბლიცისტური კამათიც სჩვეოდა. და გამორჩეულად ახსენდებოდა „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა სადაურობაზე მის მიერ გამოთქმული შეხედულებანიც, თავისებური კრიტიკული ნაკვლევის ფუძეებიდან მომდინარე.

და კიდევ:

უყვარდა არქეოლოგიური კვლევა-ძიებაც და დიალექტებზეც თავისებური შეხედულების გამოთქმაც იცოდა.

10-იანი წლების ჩვენს პრესაში გახშირდებოდა კრიტიკულ „მაძიებელთა“ რიცხვი და მათ შორის იქნებოდა ვრცელ მიმოხილვათა ავტორიც მიხეილ წულუკიძე, რომელსაც ახირებულად ჰყვარებოდა ჩვენი მწერლების ნაწერებიდან ამოკრებილი ეგზოტიკური გამოთქმები. თავის ამგვარ გატაცებას განსაკუთრებით გაამჟღავნებდა „თემის“ რედაქციაში გამართულ ერთ-ერთ თათბირზე, სადაც ვაჟა-ფშაველასა და ჭოლა ლომთათიძეზე მოჰყვებოდა მსჯელობას და ახსენებდა ერთის ამ გამოთქმას: ყალივანი სჩრავ პირშიაო, — და მეორის: გულობიზაო!..

— ეგ რა სიტყვებია, ყმაწვილო, რა ლიტერატურული გამართლება შეიძლება მოუნახოთ „სჩრავს“ და „გულობიზას“? ალბათ თქვენი კრიტიკაც ასეთიე იქნება... უნდა გვახსოვდეს, რომ თუ დიალექტს აუცილებლობა არ მოითხოვს, ყველაფერს ვერ დავეთანხმებით, — შენიშნავდა აკაკი, რაზედაც ლიტერატურული თეორეტიკოსი სერგი გორგაძე მეტად ვრცელი და მაგალითებით დასაბუთებული — მის მიერ ნათქვამი „ყოლიფრიანად“ — სიტყვით უპასუხებდა.

მართალია იგი დიდად ტაქტიანი და მეტად თავაზიანი ადამიანი გახლდათ და აკაკის მითუმეტეს დიდი მოწიწებით მიმართავდა, მაგრამ... მგოსანი ნამდვილად იწყენდა და გამოაცხადებდა:

— დიალექტური გამოთქმები წმინდა მხატვრულ ლიტერატურაში, უფრო კი პოეზიაში, არა მწამს.

და შესაძლოა ეს თათბირიც ყოფილიყო ერთგვარი ბიძგი იმ პოეტური გამოდავისა ვაჟასთან: ენას გიწუნებ, ფშაველოო, — სიკო ფაშალიშვილი მოგონების სქოლიოში რომ ჩაურთავდა: დაე მომიტევოს დიდი აკაკის სახელმა, თუ გავბედავ და ვიტყვი, რომ ვაჟას ენის ბრწყინვალე ცოდნა ყოველთვის უდავო იყო, რასაც შესანიშნავად ამტკიცებს მისი პროზაული თუ პუბლიცისტური ნაწერებიო.

რამდენჯერმე შეესწრებოდა მის საუბარს, როცა სიტყვა ვაჟა-ფშაველას ეხებოდა, და აკაკი ყოველთვის დაჟინებით იმეორებდა: ვაჟა ნიჭიერი მწერალია, მაგრამ ენის საკითხში არ ვეთანხმებიო.

ერთხელ ვაჟასადმი მიძღვნილი და მისივე კილოზე დაწერილი სიკოს ლექსი ახალი დაბეჭდილი იქნებოდა, აკაკისთან რომ მოუხდებოდა მისვლა, და მასპინძელი საყვედურს არ მოერიდებოდა:

— წავიკითხე შენი ლექსი, როგორც ჩანს, მის სტილს ერთობ გაუტაცნიხარ და საერთოდაც ძალიან შეგყვარებია. ეს კარგია, ახალგაზრდას უნდა უყვარდეს ჩვენი ქვეყნის ყოველი მოამაგე, მაგრამ არც შემცდარი სიყვარული ივარგებს, ვაჟა-ფშაველა ნიჭიერი პოეტია, ეს უნდა გვახსოვდეს, მაგრამ იგი თავისი მთიური ლექსიკით მართლაც სალექსიკონოდ გვიხდის თავის ლექსებს, ასეთი მიბაძვა ახალგაზრდობას ზიანს მოუტანს.

მოგვიანებით მიხეილ ჯავახიშვილი ვრცელ წერილს რომ გამოაქვეყნებდა ახალი სალიტერატურო ქართულის სიწმინდის დასაცავად, საგანგებოდ ჩაუკვირდებოდა კუთხურ მეტყველებასა და გამოთქმებსაც და მსჯელობისას ერთ-ერთ მაგალითად სწორედ ვაჟა-ფშაველას იმ სტრიქონს მოიხმობდა.

მართალია კუთხური ფორმები და სიტყვები ზოგჯერ ამღვრევენ ენას, მაგრამ ხშირად კიდევაც ამდიდრებენო, — „გივი შადურის" შემოქმედი რომ განაცხადებდა, დასძენდა: ბევრი საყვედური გაუგიათ ეგნატე ნინოშვილს, გიორგი წერეთელს, დიმიტრი მაჩხანელს, ვაჟა-ფშაველასა და სხვებსაც. ცხადია, თხრობის დიალოგში ჟარგონი უნდა შენახულ იქნეს, ხოლო შეუწყნარებელია, როცა ავტორი თვითონაც გაურჩევლად იყენებს კუთხურსო.

მისი შეხედულებით:

კუთხურით წერა მეტად სახიფათო ხერხი გახლდათ. ერთი თუ გაიმარჯვებდა, ათი დამარცხდებოდა, რადგანაც სტილიზაცია ურთულეს და უძნელეს ფანდად წარმოგვიდგებოდა.

და აი თვალსაჩინო ნიმუშიც და საგულისხმო კომენტარიც:

— დიდი ხელოვანის ვაჟა-ფშაველას ფანდი „ჩაფიქრებულა მინდია, ყალივან აჩრავ პირშია" — საუკუნეებს გაუძლებს, მაგრამ სალიტერატურო ენაში ვერ შემოვა.

სალიტერატურო ენაში ამ და ამგვარი გამოთქმების დამკვიდრებას არც ვაჟა ესწრაფოდა, თავის სტილიზებულ ენას რომ ჰქმნიდა ახალი ეპოქის საგმირო ეპოსისათვის, ზოგადქართულის ნიაღიდან ამოზრდილს, ჰომეროსთანაც რომ გადასდებდა ხიდს, არამცთუ შოთა რუსთველთან, მათსავით საუკუნეებს რომ უნდა გაჰყოლოდა, რაც სრულიად არ ეეჭვებოდა მიხეილ ჯავახიშვილს, მაგრამ მის ამ ფრაზასაა თუ დასკვნას: საუკუნეებს გაუძლებსო, — აკაკი რომ მოსწრებოდა, ძალიან და ძალიან გაღიზიანდებოდა და რაღაც იმგვარს დაურთავდა, თავის დროზე დავით კლდიაშვილს რომ შეაცბუნებდა.

ეს მაშინ, მუხიანისაკენ ეტლით მგზავრობისას მწერლობაზე სიტყვა ჩამოვარდებოდა თუ არა, დავითი ვაჟა-ფშაველას რომ მოიგონებდა და ქებითაც მოიხსენიებდა, რის პასუხადაც აკაკი წარბებს შეჰკრავდა და:

— იმისთანა მეზმე ყველა ჩვენს ფეოდალს ჰყავდა წინედ.

გულნატკენი დავითიც და ვარლამ რუხაძეც შეეცდებოდნენ, რომ საწინააღმდეგო დაემტკიცებინათ, მაგრამ აკაკი გაჯიუტდებოდა და მაინც თავისაზე იდგებოდა.

იმისთანა მეზმე ყველა ჩვენს ფეოდალსო...

და როგორი ასატანი იქნებოდა მისთვის ამგვარი შეფასება: საუკუნეებს გაუძლებსო!..

და ის ლექსი „ენას გიწუნებ, ფშაველო" მთლად მოულოდნელი არ იქნებოდა თვით ვაჟა-ფშაველასთვისაც, რაკიღა მას წინ უძღოდა ერთგვარი აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

ერთ დღესაც სიკო წერა-კითხვის საზოგადოების სამკითხველოში ასეთ დიალოგს წააწყდებოდა: ვაჟას ემუსაიფებოდა ჟურნალ „ერის" რედაქტორი პეტრე სურგულაძე ბაჩანას იმ ლექსზე: „მთამა სთქვა" — რომელსაც შემდეგ ვაჟაც გამოეკამათებოდა ლექსით „მთამ სულ სხვა რამ სთქვაო".

— ვაჟა ჩემო, რა არის ამ რაზიკაშვილებს რომ აგიჩემებიათ მთიულური ლექსიკით წერა! აგერ ბაჩანას ლექსი რომ დავბეჭდეთ, შენი არ იყოს, სულ ყირაზე დამდგარი გრამატიკით დაწერილი გამოგვივიდა!..

— მე უფრო მგონია, თვითონვე იდგებოდით ყირაზე იმ ლექსის წაკითხვის დროსა, — ღიმილით მიუგებდა ვაჟა, — აბა წალმა დადექით და ისე წაიკითხეთ ჩვენი ლექსები, ნახავთ მაშინ, რა გამოვა.

— გამოვა მაინც შენი კუთხური, ველარ გაიგე, ფშაველო? — შეეხუმრებოდა ისევ პეტრე სურგულაძე...

და მოგონებაში ამ სურათს მიედევნებოდა: ასეთი აზრი ტრიალებდა აკაკის მახლობელთა წრეში და „ენას გიწუნებ, ფშაველო" ამ აზრის ბუნებრივი გამოხმაურება იყოო.

ან აკაკი რას წარმოიდგენდა, ან მის მახლობელთა წრე, ანდა თვითონ ვაჟა, თუ ვაჟა-ფშაველას ენობრივი სტილის თავისებურების პირველბიძგი... აკაკის სტილურ-ენობრივი ძიებანი გახლდათ?!.

ასეთი მეცენატობა აკაკის სტიქიას შეადგენდაო...

აკაკი გულძვირად რომ იქნებოდა „დროებასთან", აგრეთვე მის მემკვიდრე „სახალხო გაზეთთან" და არც ბეჭდავდა იქ არაფერს, ერთხელაც ამ გაზეთის რედაქციაში უჩვეულო ფუსფუსი უნდა შექმნილიყო — გარბიგამორბენა, ცქერა ფანჯრებში და ჩურჩული: აკაკი, აკაკი მოდისო!.. ჩვენთან მოდისო!.. ჩვენს კიბეზე ამოდისო!..

რედაქცია მოთავსებულიყო სასახლის ქუჩაზე, ქართული თეატრის პირდაპირ, დავით სარაჯიშვილის სახლში, რომელსაც შემდგომ დაანგრევდნენ ქუჩის გაფართოების მიზნით. რედაქცია შიდა ფლიგელის მესამე სართულზე იმყოფებოდა, ასე რომ, იქ მიმსვლელს ალაყაფიდან პირველი ფლიგელის თაღქვეშ გავლით ეზო უნდა გადაეჭრა და მერეღა შედგომოდა რედაქციაში ასავლელ კიბეს. ფანჯრიდან „სახალხო გაზეთის“ ერთ-ერთი მუშაკი მოჰკრავდა თვალს ეზოში შემოსულ აკაკის და ის ამცნობდა დანარჩენებს ამ თავისებურად სენსაციურ ამბავს, მათ შორის მეტეხის ციხიდან ახალგათავისუფლებულ დრამატურგს იოსებ გედევანიშვილსაც. და მისიც და სხვების გაკვირვებაც უსაზღვრო იქნებოდა, რადგანაც ამ უეცარ ვიზიტში აკაკის შერიგებას დაინახავდნენ.

აი შემოიღებოდა რედაქციის კარი და აკაკის ჭაღარაც შემოანათებდა. ღიმილით შემოვიდოდა, კართან შეგებებულ თანამშრომლებს სათითაოდ ჩამოართმევდა ხელს და ტკბილად შემოილაპარაკებდა:

— მივესალმები თქვენს რედაქციას! პირველად მოვდივარ აქ, ამის შემდეგ გეახლებით ხოლმე, თუ კარგად ვიქნები!..

მას სიხარულით მიესალმებოდნენ და რედაქტორის ოთახში მიიწვევდნენ. იქ კი ასე მიმართავდა რედაქციის ხელმძღვანელებს:

— ერთი კეთილი საქმისათვის შეგაწუხეთ. ორი გაჭირვებული სტუდენტი მყავს რუსეთს. შეპირებული ვარ ფულის გაგზავნას და მელიან. ფული ვაგლახად ვერ ვიშოვე და ეს მაწუხებს. მასესხეთ ხუთი თუმანი და დასასტამბად მოგართმევთ რაიმე ახალ ნაწერს!..

ხუთი თუმანი თითქმის ორი დღის ბიუჯეტს შეადგენდა დამხვდურთათვის სტამბისა და ქაღალდის საფასურის გასასტუმრებლად და საერთოდ ასეთი მსხვილი თანხა რედაქციის სალაროში ყოველდღე არ მოიპოვებოდა. მაგრამ მაინც დაფაცურდებოდნენ, გაუჩინარს გააჩენდნენ და კონვერტში ჩადებულ ხუთ თუმანს მიართმევდნენ აკაკის.

მცირე პაუზის შემდეგ იგი წამოდგებოდა:

— გმადლობთ, დროს აღარ წაგართმევთ! ვალს, როგორც მოგახსენეთ, გადაგიხდით.

გაცილებით ქუჩამდე გააცილებდნენ.

1913 წლის 23 აპრილს გორში განიზრახავდნენ სიკო ფაშალიშვილის სასარგებლოდ ლიტერატურული საღამოს გამართვას. რაკიღა სწავლას სკოლის გარეთ ღებულობდა, გულშემატკივარ მეგობართა რჩევით მოსკოვს დააპირებდა წასვლას, რათა შანიავსკის კერძო უნივერსიტეტში შესულიყო.

განზრახვას აკაკის გაუმჟღავნებდა და სთხოვდა საღამოში მონაწილეობას, რაკიღა უკვე შეთამამებოდა და ეიმედებოდა, რომ უარს არ ეტყოდა. ცხადია მგოსანი თანაგრძნობით შეხედავდა და შეპირდებოდა მისვლას: მაგ კეთილ საქმეში ხელის მომართვას ჩემი სიბერეც ვერ შემიშლისო.

ეს შეეცდებოდა აკაკის საკადრისი მონაწილენი მიეწვია.

თბილისიდან შეიპირებდა — კრიტიკოს კიტა აბაშიძეს, კომპოზიტორ ნიკო სულხანიშვილს, პოეტ გიორგი ქუჩიშვილს, მომღერალ შაშიანელს, ქუთაისიდან — დავით კლდიაშვილს, ხოლო გორში უნდა დახვედროდნენ — ნიკო ლომოური, ანასტასია ერისთავი-ხოშტარია და თედო რაზიკაშვილი.

როცა აკაკის მონაწილეთა სიას უჩვენებდა, ის დააცქერდებოდა კიტა აბაშიძის გვარს, გაიღიმებდა და ჰკითხავდა:

— კიტა მოდის?

— დიახ! — მიუგებდა გაოცებული, ნეტა რატომ გამოარჩიაო.

— ძალიან კარგი, — დასძენდა აკაკი პაუზის შემდეგ.

სიკო მაშინ ვერ მიუხვდებოდა და მხოლოდ მოგვიანებით უნდა შეეტყო, რომ აკაკი ნაწყენი ყოფილიყო კიტა აბაშიძეზე იმ შეხედულებათა გამო, ერთხელ კიტას რომ გამოეთქვა მის ნაწარმოებთა განხილვისას „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში. და თუმც შემდგომ კიტა გამუდმებით ცდილობდა ამ ლიტერატურული ინციდენტის გამოსწორებას, აკაკის

გულწრფელად ეთაყვანებოდა კიდეც, მაგრამ აკაკი თავის ბუნებას ვერ გადაუხვევდა, ჩვეულებადაც რომ ჩამოართმევდნენ: თუკი ვინმეზე ერთხელ გულს აიყრიდა, მერე ძნელად შეურიგდებოდა... კიტა აბაშიძეზე კი ძნელადაც აღარ მოუბრუნდებოდა გული...

დანიშნულ დღეს საღამო შედგებოდა, მაგრამ მოულოდნელი ავადმყოფობა აკაკის ხელს შეუშლიდა მონაწილეობაში. ამის შესახებ სიკო ადრევე გააფრთხილებდა გორელებს.

ანასტასია ერისთავი-ხოშტარია წერილს გაუგზავნიდა აკაკის:

— თუ შეგიძლიან ჩამობრძანდი, გორელებს იმედს ნუ გაგვიცრუებ.

ანასტასია იმჟამად გორში ცხოვრობდა და სიკოს საღამოსაც ის უხელმძღვანელებდა.

გორში წასვლის დღეს სიკო ესტუმრებოდა მგოსანს, რომელიც მობოდიშების ბარათს გაატანდა ანასტასიასთან, შეატყობინებდა თავის ავადობას და შეპირდებოდა: ცოტა ხანში აუცილებლად გეწვევით ამ ახალგაზრდის დასახმარებლადო.

* * *

ეს სნეულება კი სჭირდა კიკუშა სულხანიშვილს, ყველა მის ნაცნობს რომ მოეხსნებოდა: თუკი უმალვე არ დაამთავრებდა, მერე ყველა დაწყებული საქმე უკვე დაკარგული იყო. და ამის მაგალითად სიკო ფაშალიშვილს „პატარა კახის" ბედი აგონდებოდა ხოლმე უპირველესად, ოპერისა, რომლის არიაც — „დაიგვიანეს" — ბავშვობაშივე გაეგონა, მაგრამ ათეული წლებით ხალხში გასული ეს შედევრი თურმე არა ჰქონოდა ნიკოს მთლიანად კლავირის სახით დამზადებული — მხოლოდ საგუნდოდ დანერილი ნოტები ყოფილიყო, საფორტეპიანო აკომპანიმენტი კი ჯერაც არ გაეკეთებინა.

სიკოს იმ ლიტერატურული საღამოსათვის, გორში რომ უნდა გამართულიყო და თვით აკაკისაც მიეღო მონაწილეობა, ეს თანხმობა მგოსნისა დაავალებდა თავყრილობას მთავარ გმირს, რომ განსაკუთრებული პასუხისმგებლობით შეედგინა პროგრამაც და შეერჩია მონაწილენიც.

ამიტომაც შეიტანდა პროგრამაში არიას „დაიგვიანეს" — შემსრულებლად შაშიანელს რომ მიიწვევდა, ხოლო ფორტეპიანოზე თვითონ ნიკო სულხანიშვილს უნდა დაეკრა.

კიკუშა სიამოვნებით დათანხმდებოდა, შაშიანელის „ინკოგნიტოდ" გამოსვლის საქმეს მოაგვარებდნენ.

აკაკის მოეწონებოდა ეს აზრი და სიკო სთხოვდა: სულხანიშვილს შემახვედრეო:

„პატარა კახის" დამთავრების ბედზე მოსალაპარაკებლად.

ეს შეხვედრა „თემის" რედაქციაში მოხდებოდა.

ნიკო მოწიწებით წარუდგებოდა და აკაკი ღიმილიანი საყვედურით მიმართავდა:

— კარგია ბოლოს შენი ოპერის დადგმა რომ გადაგიწყვეტია, მაგრამ რაღა მაინცდამაინც გორში? განა არ აჯობებდა პირველად თბილისში მოგეწყო?

ის მიხვდებოდა საყვედურს და ისედაც მოკრძალებული დაბნევისაგან პასუხს დიდხანს ვერ გამონახავდა. სიკო ჩაერეოდა და მოახსენებდა მგოსანს, რომ იდგმებოდა არა მთლიანად ოპერა, არამედ სრულდებოდა არია „დაიგვიანეს".

— ვიცი, ვიცი, — მიუგებდათ შარავანდიანი ღიმილით და კალამბურსაც სტყორცნიდათ, — დიდი ხანია მესმის „დაიგვიანეს", მაგრამ „პატარა კახმა" კი დასტურ დაიგვიანა!..

ნიკო შეპირდებოდა:

— სულ ერთი წელიწადიც არ დამჭირდება „პატარა კახის" დასამთავრებლად.

ეს დაპირება გადაჭარბებული სულაც არ ეჩვენებოდა სიკო ფაშალიშვილს და არ უკვირდა კიკუშა სულხანიშვილს თავისი თავის იმედი ასერიგად რომ ჰქონდა: მართლაც შეეძლო სულ მოკლე ხანში დიდი ნაწარმოები დაემთავრებინა, მაგრამ...

მაგრამ ის, რომ: ამისათვის შესაფერისი პირობებიც რომ არის საჭირო, ეს პირობები მას არ გააჩნდა და ამით გამოწვეული ინდიფერენტიზმი ხელს უშლიდა ხანგრძლივ მუშაობაში, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანაში.

სამწუხაროდ თითქმის ყოველთვისო, — დასძენდა მემუარისტი.

აკაკი იმხანად ავად რომ გახდებოდა და გორში წასვლას ვეღარ შეძლებდა, მეგობრები იმ თავყრილობის მთავარ გმირს გააფრთხილებდნენ: აფიშაში გამოცხადებული დანარჩე-

ნი მონაწილეებიდან მაინც არავინ დააკლდესო, — და ამიტომაც გამგზავრების წინ ყველას პირობას შეამოწმებდა.

მაგრამ საღამოს გამართვამდე ორი დღით ადრე სიკოსთან მივიდოდა დავით პავლიაშვილი, ნაპოლეონად მონათლული ზედმეტი სახელით, და გააფრთხილებდა:

— კიკუშა საღამოში მონაწილეობას ვეღარ მიიღებს.

ამას ენა ჩაუვარდებოდა და ძლივს ამოთქვამდა:

— რატომ?

— არ იცი მაგის დაუდევრობა? „დაიგვიანეს“ საფორტეპიანო პარტიტურა მზად არა ჰქონია.

ელდანაცემი სიკო დათიკო-ნაპოლეონის დახმარებით სასწრაფოდ მოძებნიდა კიკუშას, დაემდურებოდა და ბოლოს დაიყოლიებდა, რომ პარტიტურას აუცილებლად დაწერდა. მაგრამ შესრულდებოდა კი მოცემული სიტყვა? უეცრად დათიკო-ნაპოლეონი მშვენიერ გამოსავალს მონახავდა:

— რაღა გადადებ-გადმოდებაა საჭირო? იარმუკაში ჩავიაროთ, საუზმე წავიღოთ და წავიდეთ. თან დავნაყრდებით, თანაც კიკუშა დაწერს. მაგას რა უნდა?

ეს ფორმულა გაჭრიდა. ეტლს იქირავებდნენ. საუზმესა და ღვინოს წაიღებდნენ და ავლაბარში, ვარდის ქუჩის თავში, ეკლესიის გალავნის კართან დაბალი შენობის წინ ჩამოხტებოდნენ. საკმაოდ კარგად მორთულ ოთახში შეიწვევდნენ, როიალის გვერდით პატარა მრგვალ მაგიდაზე საუზმეს გაუშლიდნენ და ოთახში სამს დატოვებდნენ. სიკოს მაშინ არ უკითხავს, მერე კი იფიქრებდა, რომ ეს კიკუშას დისა თუ რომელიმე ახლობლის ბინა იქნებოდა, ამ სახლში კი კომპოზიტორი იმიტომ წაიყვანდათ, იქ როიალი რომ ეგულებოდა. თვითონ ნიკო-კიკუშა ღარიბად ცხოვრობდა, არც ბინა უვარგოდა და არც ინსტრუმენტი გააჩნდა.

და ბევრი ხანი როდი დასჭირდებოდა სამუშაოდ ამ დაუდევარ ტალანტს:

მზის გადახრისას „დაიგვიანეს“ პარტიტურა უკვე მზად იქნებოდა.

ასე გაიჩარხებოდა საქმე და... გორში შაშიანელის მიერ შესრულებული არია და ნიკოს აკომპანიმენტი კიდეც უსაზღვრო აღტაცებას გამოიწვევდა.

აკაკის დანაკლისს არიად გაჟღერებული მისი ლექსი ოდნავ მაინც ხომ აანაზღაურებდა?!.

და სიკო ფაშალიშვილს სამუდამო საამაყოდ დარჩებოდა, რომ ამ იშვიათად ნიჭიერი ადამიანის დაუდევრობის აღმოჩენის — თუ გამოსწორების — ერთგვარი მიზეზი თვითონ შეიქნებოდა და... ის დიდებული, ასერიგად პოპულარული არიაც ჰპოვებდა იმ სრულყოფილებას, რასაც სიკოსა და დავით პავლიაშვილის ჩაურევლად ვეღარასოდეს მიაღწევდა.

გახარებს ამ ამბის მოსმენა, მაგრამ თან გულიც გწყდება, რაკიღა ასეთ დროს ყოველთვის ძალუმად გრძნობ თუ რამდენი ამგვარი ფსიქოლოგიური ბიძგია გამქრალ-დაკარგული უკვალოდ და რამდენიმე ადამიანის ფარული წვლილი თუ სულაც ვინაობა არ ვიცით, სასიკეთო და დიდებულ საქმეებში რომ მონაწილეობდნენ, საქმეები საქმეებად აღსრულდებოდა, თუმც იმ ამბების ხსოვნა კი არ შემორჩენილა, კულუარებში რაც ჩაკარგულა.

* * *

შვიდი თვის თავზე, 2 ნოემბერს გორში კვლავ გაიმართებოდა სიკო ფაშალიშვილის სასარგებლო ლიტერატურული საღამო, რომელშიც აკაკი დაპირებისამებრ კიდეც ჩაერთოებოდა, რაკიღა სნეულება ვეღარ შეუშლიდა ხელს, თორემ ასეთ საქმეში სხვა ვერც ვერაფერი გადაუდგებოდა წინ.

და ეს იქნებოდა აკაკისათვის ჩვეული ტრიუმფი.

მთელი მახლობელი რაიონები გორისა შეიძრებოდა. და რარიგ გაჭირდებოდა ბილეთების შეძენა.

თვით აკაკის ჩასვლა რა გასაკვირია არნახულ ზეიმად გადაქცეულიყო.

დილიდანვე დაიწყებოდა სადგურში ხალხის დენა, განსაკუთრებით მოწაფეებისა, რომელთა თავშეყრაც დაეჭვებდა ჟანდარმერიას და... სადგურზე მცველთა რიცხვს გაადიდებდა.

აი ჩამოდგებოდა მატარებელი, ბაქანზე თავმოყრილი ზღვა ხალხი რომ ელოდებოდა საპატიო სტუმარს, და შემოანათებდა თუ არა აკაკის ჭაღარა, იგრიალებდა ტაში და ვაშა. ვაგონიდან გადმოსვლისას ყვავილების დიდ თაიგულს მიართმევდა თეთრად შემოსილი გოგონა. შემდეგ სადგურიდან ხიდამდე მონაფეები ყვავილებს დაუფენდნენ გზაზე აკაკის, ხოლო მთელს ქუჩაზე ფეხით მიმავალთ ცარიელი ეტლები მწკრივად მიჰყვებოდნენ. ხიდთან ყვავილებით მორთულ ეტლს მიართმევდნენ და ანასტასია ერისთავი-ხოშტარიას ბინაზე წაიყვანდნენ.

კლუბის შენობის გარშემო, თეატრის მაგივრობას რომ სწევდა, აუარება ხალხი შეიკრიბებოდა. როცა აკაკი თეატრში მივიდოდა, ახალგაზრდობა მისასალმებელი სიმღერით შეეგებებოდა, ყვავილებს ისროდნენ მის წინ და ტაშითა და ვაშათი მიაცილებდნენ.

საღამოს სალიტერატურო განყოფილებაში აკაკი ჯერ დაუბეჭდავი პოემის — „რაჭალეჩხუმი“ — წაკითხვით მიიღებდა მონაწილეობას.

იჯდებოდა ფართო სავარძელში — მრგვალი მაგიდის წინ — და წაიკითხავდა მისთვის ნიშანდობლივი სიდინჯით, მშვიდი სახით, მგზნებარე თვალებითა და შადრევანივით მჩქეფარე მუსიკალობით. ეს გახლდათ აკაკის განსაკუთრებული, ტკბილი, ოდნავ გაბზარული ხავერდოვანი ტემბრით წარმოთქმული სიტყვა, რაც ხანგრძლივი ტაშით, ვაშას ძახილითა და თაიგულების მირთმევით დამთავრდებოდა.

აკაკის საჩუქრებს მიართმევდნენ, მაგრამ სიკოს უფრო ძვირფასი საჩუქარი ხვდებოდა წილად: აკაკი კოცნით დააჯილდოებდა დარბაზის წინაშე — ლექსის წაკითხვის მერე.

მგოსანი ტაშით შეხვდებოდა გიორგი ქუჩიშვილის მიერ წაკითხულ ლექსებსაც და გვერდით მჯდომ თედო რაზიკაშვილს გადაულაპარაკებდა:

— ეს ახალგაზრდა მშვენიერ ლექსებს რომ წერდა, ვიცოდი, მაგრამ თუ ასე მშვენივრადაც კითხულობდა, არ მეგონა, გრიგოლ აბაშიძე გამახსენდა.

13 დეკემბერს გორიდან გამოგზავნილი ვრცელი რეცენზია დაიბეჭდებოდა „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე, დაწვრილებით რომ მოუთხრობდა მკითხველს საღამოს შინაარსს. არ იყო სალაპარაკო თუ რა!..

საღამოს მერე გორის ინტელიგენცია ვახშამს გაუმართავდა აკაკის. იმდროინდელი გორის საზოგადოების რჩეული წარმომადგენელნი — ნიკო ლომოური, ანასტასია ერისთავი-ხოშტარია, თედო რაზიკაშვილი, ალექსანდრე გარსევანიშვილი თუ სხვანი — უმასპინძლებდნენ ძვირფას სტუმარს. ასეთი მოხდენილი, გულთბილი და უხვი სერობა სიკო ფაშალიშვილს ბევრი არ მოაგონდებოდა.

ჩვეულებრივ მუდამ მოკრძალებული, თითქოს და „უსიტყვო“ ნიკო ლომოური გასაოცრად მოლხენილი მასპინძელთაგანი აღმოჩნდებოდა. დამსწრეთ გაუზიარებდა ლიტერატურული მნიშვნელობის მოგონებას გორში აკაკის პირველად სტუმრობის შესახებ.

თვით აკაკი განსაკუთრებით იმხიარულებდა, თავისებურადაც იენამახვილებდა და სადღეგრძელოებსაც მგზნებარედ გამოეხმაურებოდა.

საზეიმო ნადიმი გათენებამდე გასტანდა.

მეორე დღეს გორის ქალთა მეცენატური საზოგადოება „მანდილოსანი“ სადილად მიიწვევდა სტუმარს: და ეს იქნებოდა შეხვედრა გორის ახალგაზრდობასთანაც.

კრების თავმჯდომარე მანდილოსანი საზოგადოების საპატიო წევრად დაასახელებდა აკაკის, დარბაზი ამ გამოცხადებას ოვაციით რომ შეეგებებოდა.

ამ დროს აკაკის გულიანი სიცილი აუტყდებოდა.

ნიკო ლომოური, რომელიც მის გვერდით იჯდებოდა, მოკრძალებით ჰკითხავდა სიცილის მიზეზს.

აკაკი გადაიხრებოდა მისკენ და ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებდა, ნიკო რომ თავს ვერ შეიკავებდა და ხმამაღლა გაიცინებდა.

ეს შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ ცნობისმოყვარე მანდილოსნებს და სთხოვდნენ, მათთვისაც გაეზიარებინა აკაკის საიდუმლო ნათქვამი.

მგოსანი უარზე დადგებოდა, მაგრამ აღარ მოეშვებოდნენ.

და ბოლოსდაბოლოს ნიკო ლომოური მისგან თანხმობას რომ მიიღებდა, მხიარულად წამოდგებოდა და გადმოსძახებდა ქალთა აუდიტორიას:

— აკაკიმ ბრძანა: ვატყობ, ცუდად არის ჩემი საქმე: ჩანს ისე მოვხუცებულვარ, რომ საშიში აღარა ვარ ქალებისათვის, თორემ თავიანთ წევრად არ ამირჩევდნენო.

მეორე დღეს მთელი გორის სალაპარაკო აკაკის ეს მოსწრებული ნაკვესი იქნებოდა, გიორგი ქუჩიშვილი საგანგებოდ რომ დაიმახსოვრებდა, აკაკის ხუმრობა-ოხუნჯობათა კრებულისათვის გამოადგებათო.

იმ შეკრებაზე აკაკი შესანიშნავი პატრიოტული სიტყვით უპასუხებდა ახალგაზრდებს, კერძოდ ვაჟა-ფშაველას შვილის ლევან რაზიკაშვილის მშვენიერ სიტყვას, და თავის გამოსვლას იმ სტრიქონით დაასრულებდა: ის მიხარებს მოხუცს გრძნობას, გულს ის მხვდება შვების ისრად, მშობელ ქვეყნის სამსახურსა რომ ღებულობს შვილი კისრადო!..

და ასეთ შვილებს საიმედოდ ამ ახალგაზრდებშიც ხედავდა მისი თვალი და, მიტომაც სწამდა ასე მტკიცედ საქართველოს მომავალი!..

ამ ლექსს აკაკი არსად დაბეჭდავდა. არც მისი სიკვდილის შემდგომ გამოცემულ ნაწერებში გამოჩნდებოდა. და პირველად სიკო ფაშალიშვილიღა მოიხმობდა სამი ათეული წლის მერე გამოქვეყნებულ სტატიაში აკაკის შესახებ.

როგორც ახსოვდა, ეს სტრიქონები აკაკის იმ ახალი პოემის, „რაჭა-ლეჩხუმი“, ნაწყვეტი იყო. მას წაკითხვისთანავე აკაკის ნებართვით გადაიწერდნენ „მანდილოსნის“ მიერ გამართულ შეხვედრაზე მონაწილე ქალიშვილები: გულქან რაზიკაშვილი, თედოს უფროსი ქალი, გაიანე ლომოური და სხვები.

აკაკის გარდაცვალების შემდეგ კი, რაზიკაშვილთა ოჯახში ყოფნისას, სიკო ამოიწერდა ამ ლექსს გულქანის რვეულიდან.

სიკოს ისე დაამახსოვრდებოდა, რომ წაკითხვისას აკაკი მეორე სტრიქონში იტყოდა არა „შვების ისრად“ არამედ: გულს ის მხვდება თაფლის ისრადო. და როცა ამის შესახებ გულქანს ჩაეკითხებოდა, თუ რატომ შეცვლილიყო ჩანაწერში ეს გამოთქმა, იგი ასე განუმარტავდა:

— ლექსი თვით აკაკიმ გვიკარნახა და მისი ასლი ელენე თარხან-მოურავს გადავეცით ჭრა-კერვის სკოლისათვის, ხავერდის ბალიშზე ამოსაქარგად.

და სიკო იმედს არ დაჰკარგავდა: შესაძლოა სადმე არსებობდეს ის ამოქარგული ბალიშიცო.

ეს გარემოება აფიქრებინებდა:

ეს ლექსი ალბათ წინასწარ მოემზადებინა მგოსანს გათვალისწინებული შემთხვევისათვის და გადაწერის პროცესში შესაძლოა შესწორება შეიტანაო.

მეორე დღეს აკაკი თავის განუყრელ აბდუშელიშვილთან ერთად თბილისს დაბრუნდებოდა და ზაფხულის მიწურულამდე აღარსად გავიდოდა. ზაფხულისათვის კი აპირებდა კახეთს სტუმრებოდა და თავისი ტრიუმფული მოგზაურობა ამ კუთხის შემოვლით მოეთავებინა.

ხშირად ეთქვა სიკოსთვისაც: კახეთი ყოველთვის მხიბლავდაო, — მაგრამ რაღაც მიზეზის, უფრო კი საძნელო მგზავრობის გამო, მაინც ვერ მოეხერხებინა დიდი ხნით იქ გასეირნება. მხოლოდ ორჯერ ყოფილიყო თელავს — ერთხელ ილიას სიცოცხლეში, მეორედ და უკანასკნელად კი — ყვარელს, ილიას ხსოვნის საღამოში მონაწილეობის მისაღებად. ასე რომ, მის მიერ „პატარა კახსა“ და „ბაში-აჩუკში“ აღწერილ კახეთს შორიდან უფრო იცნობდა და სიკო ფაშალიშვილი ბუნებრივად მიიჩნევდა, რომ სიბერით მოპოვებული მოცალეობის პირობებში აკაკის უსათუოდ გაუძლიერდებოდა ამ მომხიბლავი კუთხის მონახულების სურვილი.

— ნატვრად მაქვს კახეთის შემოვლა, მაგრამ თქვენებური გზებისაგან ისე შევშინდი, რომ ვერ გამიბედნია, — შემოსჩივლებდა ერთხელ და დასძენდა, — ახლა რკინიგზა გადის და, თუ მოვესწარი, ნამდვილად ვიმოგზაურებ.

იმდროისათვის რკინიგზის გაყვანა მართლაც მთავრდებოდა უკვე.

ის მოვლენა, რაც ასერიგად გადაეჯაჭვებოდა გიორგი ლეონიძის ყმაწვილურ განცდებსა და ხილვებს და ასე კანთიელადაც იჩენდა თავს „ნატვრის ხის“ ნოველებში, აკაკის ბიოგრაფიაშიც უნდა აღბეჭდილიყო, თუკი მისი ეს ნატვრა აღსრულდებოდა... და თუ არ აღიბეჭდებოდა, ხომ იელვებდა მაინც, მისი მოგზაურობის სავარაუდო მარშრუტის განმსაზღვრელი სწორედ ის რომ უნდა ყოფილიყო.

ყოველ შემთხვევაში რკინიგზის ხსენება შეაგულიანებდა სიკო ფაშალიშვილს და რაკიღა აკაკისაგან პრინციპული დასტური ჰქონდა, მგოსანს სთხოვდა და შეიპირებდა კიდეც, რომ 1913 წლის ზაფხულში მონაწილეობას მიიღებდა მის ლიტერატურულ საღამოებში: ქვემო მაჩხაანში, სიღნაღსა და თელავში.

ახლა უკვე მტკიცე დაპირებასაც რომ მიიღებდა, სამზადისსაც ადრიანად შეუდგებოდა — აკაკი მონადინებით მოელოდა კახეთში წასვლას და სიკოს ბედნიერებასაც საზღვარი აღარ ექნებოდა: ხუმრობა ხომ არ იყო — აკაკი მაჩხაანში, იქ, სადაც მისი სახელის შთაგონებით გადაედგა ამ ახალგაზრდა კაცს პირველი ნაბიჯი ცხოვრებაში.

დადგებოდა ზაფხულიც.

საღამოების პროგრამას შეადგენდნენ.

გაზეთებსა და ჟურნალებში დაიბეჭდებოდა ქრონიკა კახეთში აკაკის მონაწილეობით საღამოების გამართვის თაობაზე.

აკაკის სურვილით: პირველად სიკოს სოფელში უნდა გამართულიყო საღამო, შემდეგ სიღნაღსა და ბოლოს თელავში, სადაც იგი მცირე ხნით დარჩენასაც აპირებდა ჭავჭავაძეებთან.

ერთი საჭოჭმანო თავსატეხი დადგებოდა სიკოს წინაშე:

სოფელში აკაკის სამასპინძლოდ შესაფერისი სახლი არ გააჩნდა. გლეხურ, ღარიბულ, მოუწყობელ სახლში კი მას ვერ აკადრებდა სტუმრობას. საამისოდ ყველაზე შესაფერისი და საუცხოოდ მოწყობილი სახლი ჰქონდა კომერსანტსა და მემამულეს ვასილ ნადირაშვილს, აი იმას, ვისთანაც სიკო მოჯამაგირედ იდგებოდა თბილისში წამოსვლამდე. ამიტომაც იგულისხმებდა, რომ აკაკი მის სახლში ჩამოხტებოდა, მაგრამ თბილისში ეწვეოდა თავისი ბიძაშვილი, ქვემომაჩხაანელი ვაჭარი შაქრო ფაშალიშვილი, სწორედ იმხანად მშვენიერი ორსართულიანი სახლი რომ აეგო, და აკაკისათვის მასპინძლობას გულწრფელად შესთავაზებდა. ადვილადაც შეთანხმდებოდნენ. და შაქრო მომავალ სტუმრობასთან დაკავშირებით მშვენიერ რბილ ავეჯს, გრავიურებს, ფარდებსა და სხვა მოსართავებსაც შეიძენდა ახალი სახლისათვის.

როდესაც შაქრო სახლის მორთულობას ჩაიტანდა და სოფელში გაიგებდნენ, ჩვენს მხარეში სტუმრობისას აკაკი მის სახლში ჩამოხტებაო, უფრო მდიდარ ოჯახებში მეშჩანური ბუზღუნი დაიწყებოდა: ხედავთ? ნამოჯამაგირალი და მისი ბიძაშვილი ჩვენზე წინ დგებიან! მაშ ისე გამოდის, რომ ჩვენ აკაკის ღირსნი არა ვყოფილვართ? მაშ ვნახოთო!..

ტყუილუბრალოდ არ დაიქადნიდნენ — ერთი შეხედვით ეს მართლაც სასაცილო და უბადრუკი შური ნამდვილ ბოროტ დანაშაულად იქცეოდა როგორც თავიანთი თანასოფლელის, ისე აკაკის წინააღმდეგ. ეს რამდენიმე ადამიანი და მათი წაქეზებით ზოგიერთი „მარილი ამა სოფლისათა“ ჩამოაყალიბებდა „მოსაზრებას“: აკაკის მოწვევა ამდროისათვის შეუფერებელია და საჭიროა შემოდგომისათვის გადაიდოსო.

ეს ის დრო იყო, როდესაც სიღნაღში პირველად დაარსდებოდა გაზეთი „ხმა კახეთისა“, რომელსაც თბილისიდან ჩამოსული ვაჭრების იდეოლოგი კოტე ტყავაძე უხელმძღვანელებდა. თადარიგის დასაჭერად რომ ჩავიდოდა სიკო სოფლად, ისინიც დაფაცურდებოდნენ, კოტე ტყავაძეს მაჩხაანში მიიწვევდნენ და ამას მთელ დავიდარაბას აუტეხდნენ:

— რა დროს აკაკის მოწვევაა, რატომ ჩვენ არ გვკითხავთ?!.

ამ საყვედურს დაასაბუთებდნენ იმით, კახეთში შემოდგომა უფრო უხვია, კარგად მოვემზადებით და შესაფერისადაც დავუხვდებითო.

სიკოს ეგონა, რომ ისინი ამ „მოსაზრებას“ უკანვე წაიღებდნენ, როცა აფიშებს დაინახავდნენ, მაგრამ... კოტე ტყავაძე მოასწრებდა და მეორე დღესვე „ხმა კახეთისაში“ წერილს გააჭრელებდა — ახლა დრო არ არის, სჯობს აკაკი შემოდგომით გვეწვიოსო.

ეს იყო 1914 წლის დამდეგს.

აკაკი თბილისში იცდიდა კახეთში სამოგზაუროდ განწყობილი, საიდანაც სურდა საჩხერეში დაბრუნებულიყო და შემოდგომით იქ დარჩენილიყო. სიკო დაბრუნდებოდა დედაქალაქში და აკაკის მოახსენებდა ყოველივეს.

— ეგ არაფერი, — ანუგეშებდა აკაკი, — ჩვენ კონცერტი მოვაწყოთ და იმ ჩვენს მოძულეთ იქ ნუ შემოვუშვებთ.

მაგრამ... როდესაც გაიგებდა, „მოძულეთა“ აზრი გაზეთმა საჯაროდ გამოიტანაო, და „ხმა კახეთისას“ გადაიკითხავდა, იმ ნომერს შუაზე გაგლეჯდა, დაჭმუჭნიდა, იატაკზე დაანარცხებდა და... კოტე ტყავაძის მისამართით აღშფოთებული მეტად მაგარ გამოთქმასაც გამოიყენებდა: რა ზრდილობაა, გაზეთში საქვეყნოდ რომ გამოვუჭენებივარო.

რამდენჯერმე გაიელ-გამოიელიდა ოთახში, შემდეგ გულმოსულობა გადაუვლიდა და მხოლოდღა ნაწყენი სინანულით ეტყოდა:

— ერთობ მეწადა ამ სიბერეში კახეთი კიდევ მენახა, მაგრამ ასეთი სტუმრობა არ შემიძლიან. ახლა კახეთში ველარ წამოვალ. არა უშავს, წავიდეთ იმერეთს და საღამოები იქ მოვაწყოთ.

ამით სამუდამოდ გადაწყვეტდა აკაკი: კახეთს უნახავად გამოთხოვებოდა. და სიკო ფაშალიშვილის საღამოების იდეაც თავისთავად განუხორციელებელი დარჩებოდა — ამ შემთხვევას პირველი მსოფლიო ომიც ზედ რომ დაერთვოდა.

აკაკი საჩხერეში ნავიდოდა და...

თურმე იქიდან აღარც უნდა დაბრუნებულიყო.

* * *

როგორ ირწმუნებოდა და შეგვაგონებდა გალაკტიონი?

წიწამურთან დასრულდა ეპოქა დიდიო.

ასეც არის, განა არა, თუმც უფრო ნიშანდობლივად და ნიუანსობრივადაც შეიძლება ჩავყოლოდით ამ მოსაზრებას და ამგვარადაც შეგვევსო:

1907 წელი ეპოქის დასასრულის დასაწყისადაც შეიძლება ვიგულვოთო.

ის უნდა გაგრძელებულიყო 1912 წლის მწუხარებით.

და დაგვირგვინებულიყო 1915 წლის ორმაგი მწუხარებით.

ილია ჭავჭავაძის აჩრდილს შემატებდნენ იაკობ გოგებაშვილის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას აჩრდილები.

და დიდი ეპოქა კიდეც უნდა დასრულებულიყო იმ დასრულებით, წიწამურის ტრაგედია რომ უკვე გულისხმობდა და მიანიშნებდა, მაგრამ დროის გადმოსახედიდან თუ გაცხადდებოდა ეს იდუმალი მინიშნება, ნანატრ-ნაოცნებარ დამოუკიდებლობის წლებში რომ ვერ უნდა შეებიჯებინათ იმათ, რომელთა მხრებითაც მოტანილიყო სახელმწიფოებრიობისა და მისი გარდუვალი ამოგების ის იდეა, ლამის არაფრობაში რომ გაქარწყლებულიყო, ყოველ შემთხვევაში ალექსანდრე ბატონიშვილისა და 32-იანელთა სულისკვეთება ნაკვერჩხლებადღა ღუოდა ნაცარში და... ნაკვერჩხალი კი იმისაა, ან საბოლოოდ უნდა გაღვივდეს და აბრიალდეს და ან უკვალოდ ჩაქრეს ნაცარს შერწყმული და მასთან ერთად მიმოფანტული ქარში.

მთავრდებოდა დიდი ეპოქა 1907-15 წლებში!..

...რვა წელი ანკი რა არის ისტორიისათვის, ასწლეულებსაც რომ სულ იოლად მიითვლის წამებად!..

კარი მეხუთე

თავი I

აჩრდილი წარსულისა და ლანდი მომავალისა

იოსებ იმედაშვილს „თეატრის და ცხოვრების“ რედაქცია მოთავსებული ჰქონდა ქართული თეატრის ქანდარის ქვედა ტალანში. იმხანად ქართულ დრამატულ საზოგადოებას თავმჯდომარეობდა ნიკოლოზ ქართველიშვილი, რომელიც ჰკითხავდა:

— აკაკის ამდენს რას აძლევ, რომ ასე ხშირად ბეჭდავ?

და გაიოცებდა, როდესაც რედაქტორი მიუგებდა: არც არაფერსო, — რადგანაც ისე სმენოდა, აკაკი უჰონორაროდ არსად არაფერს ბეჭდავსო, და ამიტომაც გვაფრთხილებდა:

— გაფრთხილდი, გიჯობს ახლავე აძლიო, თორემ ერთი-სამად გაზღვევინებს, და თუ არ მიეცი, ისეთ სახელს გაგიგდებს, თავი ვერსად გამოჰყო.

იოსები შეფიქრიანდებოდა და... ერთხანს კიდეც შეწყვეტდა აკაკის ნაწერების ბეჭდვას, მართლა ვალში არ ჩავიფლორო, მაგრამ პოეტი ტკბილ-ალერსიანი სიტყვებით ეჭვებს გაუფანტავდა და კვლავინდებურად განაგრძობდა მისი ნაწერების გამოქვეყნებას, ოღონდ ეგეცაა — არა ისე უხვად, რის გამოც ერთი მისი საუკეთესო ლექსთაგანი — „ჩემი რწმენა“ — მხოლოდ აკაკის გარდაცვალების შემდგომ ეღირსებოდა მზის სინათლეს.

ერთ უქმე დღეს აკაკი რედაქციაში შემოსვლისთანავე, მისალმების მერე ღიმილით ეტყოდა:

— თვალი დაუდგეს სიღარიბეს. მოულოდნელად სამი მანეთი დამჭირდა. ეგება მიშოვო როგორმე. მალე დაგიბრუნებთ.

ამას ჟრუანტელი დაუვლიდა: დაიწყო ჰონორარების მოთხოვნა და ეგაააო, — სტუმარს მოცდას სთხოვდა, თვითონ კი თეატრის ფოიეში გავიდოდა, სადაც ნიკოლოზ ქართველიშვილი ეგულებოდა და სთხოვდა, როგორც ბევრჯერ დაეხსნა გაჭირვებიდან, ახლაც შემოშველებოდა და სამი მანეთი ესესხებინა, რაკილა აკაკი მობრძანებულიყო.

— აკი გითხარი, ჩემო იოსებ, ეს აკაკისებური ხერხია, ბიჭი ხარ და სრულად ნუ გაუსნორებ... — მიუგებდა ის და სამ მანეთს „ასესხებდა“. და მემუარისტი აქვე ჩაურთავდა: ასეთი „გასესხებით“ ქართულმა თეატრმა მისი ჯიბე დაცალაო, — რითაც ასე სხარტად და გონებამახვილურად წარმოსახავდა მის პიროვნებას: უშურველობას, უანგარობას, საქვეყნო საქმეთა მოამაგეების წინაშე მოკრძალებას, თეატრზე ზრუნვას...

აკაკი მადლობით გამოართმევდა სამ მანეთს და წავიდოდა, რედაქტორი კი ჟურნალის კომპლექტს გადაფურცლავდა და გამოიანგარიშებდა, სულ რამდენიმე სტრიქონი დაებეჭდა აკაკისა, რომ როგორმე ვალი გადაეხადა, როდესაც აკაკი ასევე მოადგებოდა დროდადრო.

გავიდოდა ერთი კვირა. აკაკი ჩვეული ღიმილით შემოაღებდა კარს და თანმხლებს მიმართავდა:

— გაიცანი ჩემი საყვარელი რედაქტორი... ესეც ჩემი შვილი ალექსი, — მოუბრუნდებოდა იოსებს.

ერთმანეთს ხელს ჩამოართმევდნენ. ალექსი ტანწვრილი, მაღალ-მაღალი კაცი აღმოჩნდებოდა, დაახლოებით 35-40 წლისა, ქერა, წვერულვაშიანი. დამხვდური სკამებს შესთავაზებდათ. აკაკი მკლავში ხელს გაუყრიდა, ფანჯრისაკენ მიაბრუნებდა და ეტყოდა:

— მცირე სათხოვარი მაქვს!..

ეს სხვას აბა რას გაიფიქრებდა: ეს არის კიდევ ფულსა მთხოვსო.

მაგრამ იგი:

— ერთი საათი დრო უნდა შემომწიროთ და ახლავე გამომყევი მთაწმინდაზე, დიმიტრი ყიფიანის ხსოვნის პანაშვიდზე.

— დიდი სიამოვნებით, — მიუგებდა, — რედაქციას დავკეტავ!..

— გმადლობთ! — კვლავ ხელს ჩამოართმევდა და... ეს იგრძნობდა, ხელში ნაკეცი ქაღალდი ჩამიდოო.

— რა არის?

— თქვენი ვალი.

ეს იუკადრისებდა:

— რის ვალი, რა ვალი, ბატონო აკაკი? განა თქვენს ვალს ოდესმე გადავიხდი? — და უკანვე გაუწოდებდა.

აკაკი ხელს დაუმუჭავდა და ალექსის მიმართავდა: მივდივართო!..

იოსები ძალზე შეწუხდებოდა იმ ფიქრის გამო, რომ სხვისი ჩაგონებით აკაკისათვის ანგარება შეეწამებინა, მაგრამ იფიქრებდა: სულერთია, მეეტლეს გავუსწორდები და სხვაფრივ გავუმასპინძლდებიო.

ეტლში ჩასხდებოდნენ. თუმც იოსები არა თანხმდებოდა, აკაკი გვერდით მოისვამდა, მათ წინ კი ალექსი მოთავსდებოდა.

ფუნიკულიორის სადგურთან მივიდოდნენ თუ არა, ეს მაშინვე ჯიბეს იკრავდა ხელს და აკაკის მიერ დაბრუნებულ სამმანეთიანს უჩუმრად ამოიღებდა, რათა მეეტლისათვის მიეცა... ალბათ აკაკი მიუხვდებოდა, მკლავში ხელს სტაცებდა, ალექსის კი თვალით რაღაცას ანიშნებდა. და ალექსიც მეეტლეს დანახარჯს გაუსტუმრებდა.

იოსები იფიქრებდა, ფუნიკულიორის ბილეთებს მაინც ავიღებო, და გაიწევდა. აკაკი ლაპარაკს ჩამოუგდებდა დიმიტრი ყიფიანის თავგანწირვაზე, იმავდროულად კი შვილს ანიშნებდა, რომ ბილეთები აეღო სამივესათვის.

შუა გასაჩერებელზე ჩამოხტებოდნენ და მამადავითის ეკლესიისაკენ გადაუხვევდნენ.

პანაშვიდზე დიდძალი ხალხი შეიყრებოდა.

აქედან ფეხით დაუყვებოდნენ და მხოლოდ მამადავითის მოედანზე განეშორებოდნენ ერთმანეთს, თან დიდ მადლობას გადაუხდიდა აკაკი: დრო არ დაზოგე და მეახელიო, — თუმც იოსები გაიფიქრებდა, მადლობის გადახდა მე უფრო მევალებოდაო.

წავიდოდა აკაკი და... იოსები კვლავ გულისწყვეტაში იქნებოდა: ამ დიდბუნებოვან, უანგარო კაცს ანგარება როგორ შევწამეო. თან ის ფიქრიც უტრიალებდა: გულთმისანი ხომ არ არის, ხომ არ შემატყო, მე და ნიკო ქართველიშვილი რასაც ვეჭვობდით მასზე და იმიტომ ხომ არ მომექცა ასეო?..

და დაიბეჯითებდა: არა და არაო.

და შეეცდებოდა შეეგონებინა თანამედროვეთათვისაც და შთამომავალთათვისაც: მუდამ უანგარო გახლდათ, ვერცხლის არამოყვარული; რაც ეკუთვნოდა, სწორედ იმასაც ვერ იღებდა, ზოგჯერ მისი სახელით ფულსაც კი აგროვებდნენ ან აღუთქვამდნენ, მიცემით კი არაფერს აძლევდნენ... და თუ ჰქონდა რაიმე, არავისთვის არაფერი ეშურებოდა, ამიტომაც იყო ყოველთვის ჯიბეცარიელიო.

საგულისხმო აქ კიდევ ისაა, უანგარო კაცი რომ გამოთქვამდა ეჭვს და კინაღამ იოსებსაც აიყოლიებდა. რაკიღა ნიკო ქართველიშვილს თვითონაც არ ეზოგებოდა ფული და სულ სხვების დასახმარებლად გადამდგარიყო, გამორიცხულია, რომ თავისით ეჭვით შეეხედა აკაკისათვის, თუკი ვიღაც-ვიღაცები მიზანსწრაფულად არ ეცდებოდნენ აკაკისათვის ვერცხლისმოყვარეობა დაებრალებინათ.

ესეც რა მისი ბედი იყო, სტუდენტობიდან მოყოლებული სულ ბრალდებებისა და ცილისწამებათა ქსელში რომ იხლართებოდა.

რაც ეკუთვნოდა, ხშირად იმასაც რომ ვერ იღებდა, აზირ ის ითქვას?!.

მისი სახელით რომ ფული გროვდებოდა ხოლმე და აკაკიმდე კაპიკიც ვერ აღწევდა, ნურც იმას დავივიწყებთ.

და ნურც ის გამოგვრჩება, ბანკი დიდი ზარზეიმით რომ აღუთქვამდა პენსიის დანიშვნას, მთელს ქვეყანას შეყრიდა, იმპერიასაც გააგებინებდა და ევროპასაც და... აკაკის — ნაცვლად ხელის გამართვისა — დაუსრულებელი და ამაო მოლოდინი და მწარე გულისტკივილი შერჩებოდა.

მე რაღა დამემართა, თუნდ გუნებაში აკაკიზე ეს როგორ გავივლეო, — თავს ვერ პატიობდა იოსებ იმედაშვილი.

1910 წლის ზაფხულში სოფელს რომ შეაფარებდა თავს, რამდენიმე ბარათს იოსებ იმედაშვილსაც გამოუგზავნიდა. მათგან ზოგიერთი ქართული თეატრის დაწვის დროს დაენთქმოდა ადრესატს, ზოგი ჟანდარმერიის მიერ ჩხრეკისას გაქრებოდა. მემუარებში კი ჩართავდა ორ გადარჩენილ წერილს, ხელის საპნის სახვევ ქაღალდზე რომ დაეწერა აკაკის, და ამიტომაც მეორე მხრიდან საპნის ფირმისა და სხვა განცხადებანი აღბეჭდილიყო.

ბატონო რედაქტორო, — ასე რომ დაიწყებდა, მოუბოდიშებდა: თვალი დაუდგეს სიბერეს, სახელი ვეღარ მოვიგონე და ამიტომაც გწერ რედაქტორობითო.

როდესაც მოიცლიდა იოსები, დაე გადაეცა სხვა რედაქტორებისთვისაც, როგორც ქართული, ისე რუსული გაზეთებისა, რომ აკაკის გამოწერა არ შეეძლო და ეგების ისე გაეგზავნათ გაზეთები საჩხერეში.

ახალი ხომ არა იყო რა ტფილისში, გარდა სიცხისა?

იქ ძალიან გრილოდა, მაგრამ აკაკი საჭმელზე მწყრალად იყო, რადგანაც ყველაფერი, თვით შეშაც, საყიდელი ჰქონდა, და მისი მამული კი ჩამორთმეული სხვებს ეჭირათ ხელში და მწარედ დაიჩივლებდა:

ეს სულ იუბილემ შემძინაო.

თუ ნახო გომართელი, მომიკითხეო, — ამით მოათავებდა ბარათს და... ნეტა იმის სახელს რატომღა არ ახსენებდა — ისიც დავიწყნოდა?!.

ეს ცხადია, ამ თხოვნას შეასრულებდა, მიდგებ-მოდგებოდა, ყველა რედაქტორს მონახავდა და გაზეთების გასაგზავნადაც შეაგულიანებდა. დანარჩენი კი უკვე იმათზე ეკიდა.

მეორე ბარათი ასე დაიწყებოდა:

ძმაო იოსებო!..

აგერ წამოჰგონებოდა სახელი, სიბერეს რომ ძრახავდა.

მადლობას ეტყოდა, მისი გაზეთის ნომრები რომ მოუვიდოდა, სადაც აკაკის სცენებიც იყო დაბეჭდილი. სხვები კი არ უგზავნიდნენ ჯერჯერობით, გარდა პართენ გოთუასი.

და იუმორის გრძნობას წამითაც რომ არ დაკარგავდა და შესაფერის საკბილოსაც ჩაავლებდა, რა გაგვიკვირდეს:

„დროება“ რომ არ მომდის, არ მიკვირს, მაგრამ „მათრახი“ მაინც რატომ ენანებათ ჩემთვის, არ ვიციო.

— რა დრო იყო, —1910 წელს, როდესაც იოსებ იმედაშვილი თავის ჟურნალს დააარსებდა: „თეატრი და ცხოვრება“ — აკაკი რედაქციაში რომ ესტუმრებოდა, ტკბილ-ნეტარი ღიმილით მიესალმებოდა, ჩამოჯდებოდა და ლექსსაც მიაწვდიდა:

— გასინჯეთ და თუ მოგეწონოთ, დაბეჭდეთ.

თუ მოგეწონოთო...

აღიარებულია უპირველეს პოეტად და უგვირგვინო მეფედ და... ვერ წარმოუდგენია ლექსი ისე დაუდოს მაგიდაზე ახალგაზრდა კაცს, როგორც ღვთის რამ წყალობა, ის სიხარულით რომ უნდა გადაირიოს, ეს რა მეღირსაო.

კვლავინდებურად მორიდებით — დღიური მუშის შესაფერისად.

ეს კი მართლაც გადაირეოდა სიხარულით — თვითონ ასე რომ გაიხსენებდა იმ წუთების განცდა-განწყობილებას: მოკრძალების ალმა გადამკრა, თან იდუმალმა სიხარულმა შემიპყროო, — მაგრამ აკაკი ისე მოელის რედაქტორის მსჯავრს, თითქოს პირველად სტუმრებოდეს რედაქციას და არ იცოდეს, როგორ შეხვდებიან.

ლექსი აღმოჩნდებოდა „თანამედროვე ქალი“, რომელსაც მასპინძელი თან თავისთვის დაუწყებდა კითხვას და თან სტუმარს ლაპარაკს გაუბამდა — ასეთი ჩვეულება დასჩემებოდა:

— როგორ თუ მომეწონოს, ბატონო? ჩემს ჟურნალს დღეს აღმოუბრწყინდა მზე თქვენის შემობრძანებით და თქვენს ნაწარმოებსაც დიდის სიამოვნებით დავბეჭდავ, მაგრამ...

აქ შეჩერდებოდა და ერთ ტაეპს ხმამაღლა ჩაიკითხავდა:

აბა სამშობლოს, დაცემულს,
თუ იგლოვს, როგორც ვალია?
— არც ის! სამშობლო ვინ მისცა?
თანამედროვე ქალია!..

— მაგრამ რა?.. — ჰკითხავდა აკაკი.

— ნება მიბოძეთ ჩემი ნივთიერი მდგომარეობაც მოგახსენოთ!.. — აბლუკუნდებოდა და ჭირის ოფლს მოიწურავდა რედაქტორი.

— პონორარი? — სიტყვას მოუჭრიდა მგოსანი, — მაგაზე ნუ სწუხართ, მე შენგან არაფერს ავიღებ და სრულიად უფასოდაც ვითანამშრომლებ შენს ჟურნალში, რადგანაც ეს გამოცემა მომწონს, როგორც უპარტიო და ხალხური...

უპარტიობასა და სახალხოობას ასეთ განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიანიჭებდა.

ლექსი იმავე კვირას დაიბეჭდებოდა მთელს გვერდზე, მსხვილი შრიფტით: 16 მაისის ნომერში.

და კიდეც აეწყობოდა მათი მუდმივი თანამშრომლობა.

მემუარისტი ახსენებდა მის პიესას „რეაქცია“, დაწერილს პარიზში, 1910 წელს, და რამდენიმე ლექსსაც, რომელთაგან „ზარს“ გამოარჩევდა იმით, რომ ერთ სტროფს მოიხმობდა:

სამოთხე, სასუფეველი,
სატკბილოცნებო გულშია
და უკვდავება მარადი
მხოლოდღა სიყვარულშია.

რაც შეეხება „მსახიობის აღსარებას“, გათვალისწინებულს ჟურნალის მე-40 ნომრისათვის, იოსების დატუსაღების გამო, მზის სინათლეს იხილავდა გადაკეთებული სახელწოდებით გამოცემულში: „ალმანახი ხელოვნება“, 1.

რად ღირდა რედაქტორისათვის, რომ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქცია აკაკისათვის შინაურ გარემოდ გადაიქცეოდა, ახლა ამათ რომ მიაკითხავდათ ხოლმე და იუმორსაც ძველებურად დააფრქვევდა, თორემ მის მოსმენას რა სჯობდა, აკაკურ ენაწყლიანობასაც რომ არაფერი მოაკლდებოდა.

აკაკის ერთბაშად გამოეცლებოდა ხელიდან ეს ახალი ოაზისი.

რედაქტორი მორიგი ნომრის გაშვებას კი მოასწრებდა მანქანაზე და... ნაშუაღამევს შეიპყრობდნენ ჟანდარმები და სამწელიწადნახევრის განმავლობაში თავისუფალ ცას აღარც შეახედებდნენ.

ციხიდან უკვე თმაგაბურძგუნული, გაჭაღარავებული გამოვიდოდა იოსებ იმედაშვილი.

მგოსანს ერთ ყრილობაზე შეხვდებოდა. ვერც გაბედავდა მის შეწუხებას, მაგრამ რაკიღა ის თვალს შეასწრებდა და ყურადღებას მიაქცევდა, ესეც მიესალმებოდა, ის ხელს რომ გამოუწვდიდა, ეს თავის ვინაობას მოახსენებდა.

— კი, გიცანი!.. — მიუგებდა თავისი ნეტარი ღიმილით და ნათელი სახე უფრო გაუნათდებოდა, მკლავში ხელს გაუყრიდა და დემონსტრაციულად გაატარებდა ხალხში, თითქოს ყველას ეუბნებოდა, თქვენ ერიდებით, მაგრამ პატიმრობაგამოვლილი ჩემთვის კიდევ უფრო საყვარელიაო.

რა გასაკვირია, რომ იმხანადაც კატორღამისჯილს, ნაციხარს ყველა ერიდებოდა და იოსებსაც გაურბოდნენ. და აკაკი მის მიმართ ამ რიდს გააქარწყლებდა.

სიარულისას სიცილით ეტყოდა:

— ახლა ხომ ვალმოხდილი ხარ ავკაცობა იმათ თორემ შენ, გამობრძმედილი და ჭირგამოვლილი, უფრო მხნედ ემსახურები შენს მიზანს. არცერთი საქვეყნო საქმე უმსხვერპლოდ არ კეთდება.

— მართალია, ბატონო აკაკი, — ეს მიუგებდა, — მაგრამ ზამთრის სუსხმა უმატა!.. სასტიკი ზამთარია!..

მეტაფორულად მიანიშნებდა ხელისუფლების მწვავე რეაქციას.

აკაკი კვლავაც გაიღიმებდა და, როგორც იოსებს დარჩებოდა შთაბეჭდილება, მოციქულებრივი ღრმა რწმენით გაიხსენებდა თავის სტრიქონებს, დაზამთრებასა და სუსხის დაკვრას სწორედაც მეტაფორულად რომ გაიაზრებდა, ტკბილ-ტაროსის შეცვლას უწყალო ქარიშხლით, გაორკეცებული ძალით რომ დაატყდებოდა თავს ქვეყანას, და ასეთ დროს კვლავ გამოჩენილიყვნენ ის ადამიანები, რომელთაც თვისტომის ქურქისაგან შეეკერათ ქურქი თბილი, და მათ სიცივე ვერას ავნებდათ და ცხოვრებაც მოელოდათ ტკბილი...

თავის მხრივ სარკაზმის სუსხი მიეგებებინა მათთვის აკაკის, ახლა ნამიერად რომ შეჩერდებოდა, თანამოსაუბრეს გადახედავდა, ეტყოდა: მაგრამ ხალხის ერთგული შვილები ხომ ამ გზას ვერ გაჰყვებიანო, — და ლექსადვე მოადევნებდა:

დე დაზამთრდეს, სუსხმა დაგვკრას,
ქარიშხალმაც გებეროს ველით,
ზამთარი ვერ შეგვაშინებს,
თუ გაზაფხულს კი მოველით!

უკანასკნელ პწკარს ისე სადად, მაგრამ ისეთი რწმენით წარმოთქვამდა, რომ იოსები უეჭველად ირწმუნებდა თავისი სამშობლოს გაზაფხულს.

ნაცნობნი მიუახლოვდებოდნენ, და ესენიც, მკლავში ხელგაყრილნი, საზოგადოებას შეუერთდებოდნენ.

მისადმი აკაკის ასეთი დამოკიდებულება და შეგულიანება სიმხნევით აღავსებდა იოსებს და აიძულებდა, რადაც უნდა დაჯდომოდა, ჟურნალის გამოცემა განეახლებინა, მაგრამ... რა გზით! — ჯიბეში კაპიკიც არ უჭყაოდა, მთავრობისაგან უფლებააყრილი გახლდათ, ყოველდღე ჯაშუშებმიდარაჯებული, მეგობრებშემომფრთხალი!..

და აი გაბედავდა:

მეუღლის სახელზე ნებართვას გამოიტანდა და სრულიად უკაპიკოდ, ნისიად დაიწყებდა ჟურნალის გამოცემას.

აკაკი რომ დაგიდგება გვერდით, კი აიღებ თავზე ხელს!..

ჟურნალის გამოცემას რომ განაახლებდა, აკაკი კიდევ უფრო დაუახლოვდებოდა და, როცა კი შეხვდებოდა, ისე სიტყვას არ ეტყოდა, კვლავდაკვლავ რომ არ გაემხნევებინა და შეეგულიანებინა.

— ჟურნალის მეთაურებს ვინ წერს? — ჰკითხავდა ერთ კვირადღეს თეატრის ეზოში.

— რაზე მკითხავთ, ბატონო? — ერთბაშად მოერიდებოდა პასუხი იოსებს, მიხვდებოდა, ეტყობა მოსწონსო, და დაირცხვენდა.

— მინდა ვიცოდე, თუ საიდუმლო არ არის, — ის ჩაეძიებოდა.

— ქართული მწერლობის თვით მესაიდუმლეს რა დაეფარება, — მიუგებდა რედაქტორი და დასძენდა, — მეთაურები ჩემია, ჩემი კალმის ნაცოდვილევი...

მგოსანი შედგებოდა, მოუბრუნდებოდა, ოდნავ თავს გადმოხრიდა, თვალის ქუთუთოებს გააღებდა, სახის ნაკვთები სანეტაროდ გაუბრწყინდებოდა და თითქმის იდუმალი ხმით ეტყოდა:

— შენი?! სწორედ არ მეჯერა და თუკი ეს მართალია, მადლობა ღმერთს!.. ჩანს, ღმერთს კიდო არ დავვიწყებივართ: ის, რაც მთელ სიცოცხლეში ნატვრად მქონდა, ან ვხედავ განხორციელებულს!.. ხალხის საქმეს ხალხისავე შვილებმა უნდა უჭირისუფლონ... ხალხური ენით მხოლოდ ხალხის შვილები დაილაპარაკებენ...

არ მეჯერაო...

ეს ფორმა და ეს სიტყვა განსაკუთრებულად ჩაებეჭდებოდა მეხსიერებაში იოსებ იმედაშვილს და ყოველთვის სიამაყით წამოაგონდებოდა, აკაკისაგან უშურველად აღლენილი დითირამბის ძარღვსა და ქვაკუთხედს ეს „არ მეჯერა" რომ ქმნიდა. მაშინ კი ქების პასუხად გაწითლებულ რედაქტორს ეს უნდა ამოელუღლუღებინა მოკრძალებით:

— ნუთუ ასწრებთ წერილების წაკითხვას?

ვის ეკითხებოდა — იმ კაცს, რომელიც წაუკითხავს არაფერს ტოვებდა?!.

— მუდამ... პირველად ამ წერილებს ვკითხულობ ხოლმე და ძლიერაც ვკმაყოფილდები, — კვლავ გააგრძელებდა ქებას, იოსები მთლად რომ ჩაიფერფლებოდა:

— ეს თქვენი გულუხვობის ბრალია, ბატონო, თორემ სად მე და სად ასეთი ხოტბა?!

მაგრამ ის კვლავ დაუბეჯითებდა:

— ყური უგდე ხალხის გულისთქმას... გეტყობა უცხო გავლენას აცდენილი ხარ... ქართველი მწერალი და ქართული ჟურნალ-გაზეთის რედაქტორი აგეთი უნდა იყოს...

არაფერს აჭარბებდა — იოსებ იმედაშვილი და მისი „თეატრი და ცხოვრება" სწორედ ისე უნდა შემორჩენოდა ჩვენი საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ისტორიას, აკაკის როგორც განესაზღვრა და შეეფასებინა მისი მოღვაწეობის გეზიც და მხატვრულ-იდეური მნიშვნელობაც.

იოსები მგოსნის სიტყვებს მის შესაგულიანებლად ნათქვამად მიიჩნევდა, გაბურბუსალებული, რა ღირსი ვარ ასეთი ქებისაო... და ამითაც დიდ, განუზომელ სარგებელს გამოიტანდა... ყოველი ასეთი სიტყვით ნაამაგდარი მოძღვარი შთააგონებდა, ჟურნალი როგორ წარემართა.

იოსებს როცა შეხვდებოდა, საუბარს გაუბამდა ხოლმე და ამას ოდნავადაც აღარ უკვირდა ეს ყურადღება. ის კი არა შეჩვეოდა მის საოცარ ბუნებას, რომ ეს დიდგვაროვანი კაცი, დედით სულაც მეფის შთამომავალი, მილიონერის სიძე, ოლონდ უკაპიკოდ დარჩენილი, ერის საამაყო მგოსანი, რუსეთსა და ევროპაში განთქმული, რომლის სტუმრობას რომის პაპიც კი სიხარულითა და კრძალვით მოელოდა, დიახაც ეს დიდი კაცი განსაკუთრებით... გლეხკაცებთან რჩეობდა ლაპარაკს. და ერთხანს შინამსახურად რაჭველი გლეხი ვასილ კირვალიძე რომ ჰყავდა, ამას მეგობრობა უფრო ეთქმოდა, ისევე როგორც ზაქარია ჭიჭინაძესთან განუყრელ ურთიერთობას.

ერთხელ ზაქარიას რომ წაიყვანდა და მასთან ერთად სურათს გადაიღებდა — პირისპირ ისხდებოდნენ, შემდგომ ზაქარია ამ ფოტოს სიამაყით კი არა, უფრო მორიდებითა და სირცხვილით დახედავდა ხოლმე: რა იმისი შესაფერისი ვარო!..

და ერთხელაც იოსებთან ლაპარაკ-ლაპარაკით ავიდოდა მთაწმინდაზე, სად სიარული ისედაც უყვარდა.

აკაკი ალექსანდრე გრიბოედოვის სამარეს შორიდან გახედავდა, დიმიტრი ყიფიანის ძეგლის წინ შედგებოდა, უფრო დიდხანს კი ილიას სამარის წინ მგლოვიარე საქართველოს გამომხატველ ძეგლს შეაჩერდებოდა.

— აი მაღალი ჯილდო ქვეყნის სამსახურისათვის... დიმიტრის შუბლში — ქვა, ილიას — ტყვია!..

ეს დუმილით მიჰყვებოდა. ჩამოსხდებოდნენ და ტფილისს გადმოხედავდნენ. აკაკის თვალი პირველად ნარიყალას გასწვდებოდა, მერე — მეტეხს, ბოლოს — კავკასიონის მწვერვალებს. ჩამავალი მზის ელვარე სხივები ელამუნებოდა კავკასიონის მთებს.

— ბატონო აკაკი, რა არის თქვენი უმაღლესი სურვილი? — ჰკითხავდა იოსები ფიქრში წასულ მგოსანს.

და იგი სხვას რას მიუგებდა, თუ არა:

— მინდა, რომ ჩემსა სატრფოსა ვხედავდე თავისუფალსა!..

და რომ გადმოლიმებდა, იოსები ამ პასუხს არ იკმარებდა: ეს ხომ ცხადზე ცხადია, სხვაო?..

სხვაო და... კვლავ თავისი სტრიქონები წამოეშველებოდა აკაკის:

— მინდა, რომ ბაღში დამმარხონ, სადაც არ იყოს სხვა მკვდარი!.. ზაფხულმა მწვანით შემმოსოს და თოვლს მაყრიდეს ზამთარი!.. მზე საფლავს სხივებს მტყორცნიდეს...

და შედგებოდა, თითქოს სულს ითქვამსო, რაკიღა ეს მარტოდენ მხატვრული ხილვები არა ყოფილა, არამედ გულსა და სულში გამოტარებული განცდები, თან რომ ეგუება და თან ვერც ეგუება გარდუვალობას. იოსებს კი რაღაც ჩაწყდებოდა გულში, ეს რა განწყობილებაზე დავაყენე ჩემდაუნებურადო:

— რა დროს სიკვდილია, ბატონო აკაკი, და რის დამარხვა... მე ანდერძს არ გეკითხებით.

— მაშ რას? — სულშიჩამწვდომი მზერით მიაჩერდებოდა.

ეს სულ აიბნეოდა და ფიქრში გაიხლართებოდა, მართლა რას ვეკითხებიო, ვიდრე უნებლიეთ ეს არ დაცდებოდა:

— ცხოვრებაში რა უფრო ძვირფასია, რომელი ძეგლია უმეტესად საპატიო? ადამიანის ცხოვრების გვირგვინი რა არის?

გაიცინებდა მგოსანი:

— სიკვდილზე ფიქრს მაშორებ, ძეგლზე კი მიმითითებ... არავითარი ძეგლი, არავითარი გვირგვინი...

და ჩამომარცვლიდა იმ ლექსს, საქვეყნოდ რომ აცხადებდა: ის მირჩევნია ძვირფას ძეგლსა და ყოველგვარ სანახაობას, რომ აქ უქმედღეს ვხედავდე მოზარდულ ქართველ თაობასო. და შეჰყურებდა გონების თვალით, თუ როგორ თამაშობდნენ და ცელქობდნენ ყმაწვილები, როგორ ეხორცებოდნენ ქართველ ერს და თავისებურად დამღერდნენ ძველებურ მრავალჟამიერს.

იოსებს თვითონაც გაახსენდებოდა ეს სტრიქონები და გონებაში მიადევნებდა, და აკაკი რომ ჩაამთავრებდა, ეტყოდა:

— წამიკითხავს.

— მაშ რაღას მეკითხები? — მკლავში ხელს გაუყრიდა და მთაწმინდიდან მძიმე ნაბიჯით დაეშვებოდნენ.

ვერის სასაფლაოზეც მოხვდებოდნენ მუსაიფით მიმავალნი. იქ აკაკი ერთ რკინის ფიცარს ჯოხის წვერს დაჰკრავდა და თან ჩაულაპარაკებდა:

— ცოტაოდენი ხანიც და შესაძლოა შთამომავლობას სამუდამოდ დაეკარგოს კიდეც!..

იოსები დახედავდა და ამოიკითხავდა: დანიელ ჭონქაძე...

ეს სამარე წინათაც ენახა, მაგრამ აღარ ახსოვდა.

— დიახ, დანიელ ჭონქაძე... შურისძიება გლეხებისა, საფრთხე სამღვდელოებისა და რისხვა ცრუმორწმუნეობისა!.. დაიხსომე, სამარე არ დაიკარგოს!..

იმავე აკლდამაში — ელისაბედ რამაზაშვილი რომ გაყიდდა — დანიელ ჭონქაძესთან ერთად ლავრენტი არდაზიანსაც ჩაასვენებდნენ, როგორც მიხეილ ჯავახიშვილი შემოგვინახავდა თავისი უბის წიგნაკის წყალობით და, როგორც ჩანს, აპირებდა ამ რეალიისათვის რომელიმე მოთხრობასა თუ რომანში მიეჩინა ადგილი.

და მაშ იოსებ იმედაშვილი დახედვისას ლავრენტი არდაზიანის სახელსაც ამოიკითხავდა, აკაკისათვის ასერიგად ძვირფას პიროვნებისა და მწერლის, რომელსაც გაცილებით მაღლა აყენებდა, ვიდრე დანიელ ჭონქაძეს, ბავშვური მოთხრობის ავტორს, უზომოდ რომ გაებერათ.

არდაზიანის სამარის დაკარგვა უფრო შეაწუხებდა.

თუმც მოგონებაში ეს გარემოება აღარ აღნიშნულა, რაკიღა ამ წუთას მთხრობელისათვის უფრო მნიშვნელოვანია ის განწყობილება, „სურამის ციხის" ასოციაციებს რომ გამოუწვევია მგოსნის არსებაში და იოსების შეკითხვაზე:

— საფრთხე სამღვდელოების, რისხვა ცრუმორწმუნეობისაო... მაშ სარწმუნოება არ უნდა იყოს?

ასე მიუგებდა:

— იქნება იმ დრომდე, ვიდრე ცრუმორწმუნეობად გადაიქცევა, სარწმუნოება დროებითია.

ეს გაოცებით რომ შეაცქერდებოდა, ის გაოცების მიზეზს მიუხვდებოდა:

— თორნიკე ერისთავი და ბაგრატ დიდი თუ გახსოვს?

— როგორ არ მახსოვს, — ეს ითაკილებდა და აკაკისავე პოემიდან გაიხსენებდა, — როცა ქვეყანამ მოინდომა, თორნიკე ერისთავმა მღვდელმთავრის ბრძანებით ჯვარი გვერდით გადადო, ისევ ხმალი აიღო და მტერს შეუტია.

— ხოლო ბაგრატ დიდმა, — გააგრძელებდა აკაკი, — სულიც კი გასწირა, სულიც, არათუ სარწმუნოება, რომ მშობელი ერი განსაცდელისაგან ეხსნა.

ჩემი სამშობლოს გამოხსნისათვის
უკანასკნელად ეს მოვიგონე
და საიქიოც რომ დავივიწყე,
სული ჯოჯოხეთს მით დავამონე!

ამ სიტყვებს მძიმედ, მარცვალ-მარცვალ, ისეთი სიმტკიცით წარმოთქვამდა, რომ მის ბგერებში იოსები მხოლოდ ეროვნების უპირატესობას იგრძნობდა.

— მაშ... ხატები? — მაინც წამოიძახებდა.

— ხატები? — და ძალდაუტანებლად გამოისახებოდა მგოსნის ბაგეზე:

ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანაო!..

და ახლა კი ამ მხრივ გაელვიძებოდა ცნობისწადილი იოსებს:

— მაგრამ სამშობლოს გამოცხადება ხატად ხომ ყველა ერის ადამიანს სხვა ერთა წინააღმდეგ აღჭურავს?

ეს შეკითხვა არც უნდა გასჩენოდა იმ მომდევნო სტრიქონის შემდეგ: სახატე მთელი ქვეყანაო, — მაგრამ რაკიღა დაებადებოდა, მაშ უფრო დაბეჯითებული და კანთიელი პასუხი ესაჭიროებოდა და აკაკიც გაიხსენებდა თავის იმ პოეტურ მტკიცებას, რომ: იმას არ ეთქმოდა ადამიანი, ვინც აღიარებდა მარტოდენ თავის ერს და სხვა ტომებს ისე შეჰყურებდა ჩასაყლაპავად, როგორც მტერი მტერს. დეე სუყველას ებედნიერა თვის სამშობლოსა და თავის მხარეში, რათა მოძმენი ყოფილიყვნენ ერთიმეორისათვის და არა — მონა, ყმა თუ ფარეში!..

— მაგრამ რჯულის სხვადასხვაობა, სარწმუნოების ნაირფეროვნება რომ ამის ნებას არ იძლევა და კაცი კაცისათვის ჯერ კიდევ ბევრგან მგელია?!. — არა და არ მოეშვებოდა იოსები, თან ერიდებოდა ასეთი ჩაციება, მაგრამ რა ექნა, რაც ასე აწუხებდა და აფიქრებდა, აკაკიზე უკეთესი ამხსნელი სად ეპოვნა?!.

და ისიც გაიხსენებდა ძველ რომაელთა ნათქვამს: მოვა დრო და ადამიანი თავის ღირსებასა და მოწოდებას შეიგნებს, რომ იგი თავის მოძმისათვის მგელი კი არა, ჭეშმარიტი თვისტომი, ძმა და მფარველი იყოსო...

და ამ სენტენციას გადააბამდა თავის იმ სტრიქონებს:

კარგად თუ ავად, შემთხვევამ იცის,
მაგრამ მთლად შესცვლის კაცს სიყვარული,
რა ახალ აღთქმად ის გულში ჩნდება,
მყისვე ირღვევა იქ ძველი სჯული.

აგონდებოდა ეს საუბარი იოსებს და ამ სტროფში გამოხატულ მხატვრულ კონცეფციას თავის მხრივ დასძენდა: დიახ, აკაკის ეროვნება და სიყვარული სჯულზე, რელიგიაზე უზენაესად მიაჩნდა. ამ სიყვარულის საგანი კი ხორციელი, სქესობრივი, ქალ-ვაჟური აღტკინება კი არ იყო, არამედ — უმაღლესი ეროვნული, ადამიანურიო!..

და ამ განმარტების თვალსაჩინოებად იმ სტრიქონებსაც დაიდასტურებდა, პოეტის ეთიკური მრწამსი ხელშესახებად რომ გადმოშლილიყო:

მისთვის მომცა ღმერთმა ენა, სიმართლისთვის გავიწირო,
ჩაგრულ მოძმეს მოვეხმარო, თუნდაც ქვითაც დავიკირო;
მოძმის ვიყო შემწე ჭირში, ვიხარო და გავიხარო,
რაც კი ვნახო მასში ცუდი, გამოვთქვა და არ დავფარო!..

საერთოდ კი ეს მონაკვეთი მოგონებისა ჩაფიქრებულიყო დასტურად აკაკი წერეთლის ათეისტური განცდა-შეხედულებისა, მტკიცებად იმისა, რაც სრულიად საპირისპიროა პო-

ეტის რელიგიური მსოფლგანცდისა, ერთიანად რომ განმსჭვალულიყო ქრისტიანული თვალთახედვით და ლამის არაფრით, ან რაღა ლამის, აღარც განირჩეოდა ქრისტიან ჰიმნოგრაფთაგან, და დავით გურამიშვილის სულიერი შთამომავალი ამ მხრივაც ამჟღავნებდა მასთან ღრმა საერთოს — ღმერთის ძიებისა და შეგრძნების უკიდურესი გამოხატულებით, იმ ექსპრესიით, ყველა რომ ვერ უძლებს და თავზარდაცემული ჩერდება და გზას ვეღარ აგრძელებს, თუ მთლად უკან არ გამობრუნდება — ანკი როგორ გინდა მიუახლოვდე ალმოდებულ ბუჩქს?!.

და მაშ... იოსებ იმედაშვილი, ეს მეტად სანდო მთხრობელი, რაღას ჰყვება?

რელიგიური მრწამსი რელიგიურ მრწამსად, ქრისტეს რჯული ქრისტეს რჯულად, მაგრამ ყოფითი რეალობა ასე იოლად რომ არ ემორჩილება ჩვენს ამაღლებულ წარმოდგენას მასზე და საშუალებას არ გვაძლევს, სრულყოფილად განვახორციელოთ გარემომცველ სინამდვილეში ჯვარცმული ღმერთის იდეალი?..

ჭიდილი, რაც შესაძლოა იჩენდეს ხოლმე თავს ქრისტიანულ ეთიკასა და ყოფით რეალობას შორის, ძალდაუტანებლად შეიძლება აირეკლოს თვით ღრმადქრისტიანი შემოქმედის მხატვრულ წარმოსახვებშიც, ვაჟა-ფშაველასაც ძალიან რომ ტანჯავდა ეს ჭიდილი და ვასილ ბარნოვსაც, და მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებშიც“ ასეთი გროტესკულობითა და სიმძაფრით გამჟღავნდებოდა.

სამშობლო და უფალი ერთიმეორეს განსაზღვრავენ, როგორც ჭეშმარიტების გამომხატველ-დამადასტურებელნი, იმ უზენაესი სიყვარულისა, რაც უნდა იყოს იდეალი და სწრაფვა მთელი კაცობრიობისა, მაგრამ სახელმწიფოებრიობადაკარგული და თავისუფლებისაკენ მიმსწრაფი ერის ცხოვრებაში ვერ არის დალაგებული ყველაფერი ისე, რომ ადამიანმა მარტოდენ სულის ცხონებაზე იფიქროს.

შესაძლებელია ამ სულის გაწირვამაც მოგიწიოს — ცხადია არა პირადი კეთილდღეობის, არამედ საქვეყნო საქმისათვის, რაც პირწმინდად გამორიცხავს ყოველგვარ ანგარებას და იესოს ჭეშმარიტი მიმდევარივით და აღმსარებელივით გულგადახსნილი დადგე ღვთისა და კაცის წინაშე, მიწიერ და ზეციურ სარკეში.

და... მაშინ?..

სწორედ ეს სატკივარ-საწუხარი იჩენდა თავს აკაკისთანაც, ფაუსტური ნაკადის ის თავისებურება, პირადულის ნაცელად ეროვნული რომ განსაზღვრავდა ადამიანის, მოქალაქის ცხოვრების სტილსა და მიზანს, ყველაზე მწვავე ვითარებაში მაინც განსაკუთრებით რომ უნდა ეჩინა თავი ამ ჭიდილს — დაუმცხრალს, დაუშოშმინებელს, დაუფარავს.

არც აკაკისთან დაიფარებოდა.

დაიფარებოდა კი არა, სწორედაც მთელი სისავსით წარმოისახებოდა.

და იოსებ იმედაშვილი ამ გარემოებას მიაქცევდა ყურადღებას, ოღონდ ესეცაა: სულ სხვაგვარად გაიხსენებდა საამისოდ შესაფერის პირობებში — დამოუკიდებელი ქვეყნის არსებობისას, მაგრამ მისი ავტობიოგრაფიული ნიგნი იწერებოდა ათეისტური იმპერიის მძლავრების ხანაში, აკაკი წერეთლის სახელის განდევნასაც რომ ესწრაფოდნენ, როგორც დიდგვაროვანისა და მებატონის, და იოსები ამ გახსენებით ლამობდა შეევრდომებინა აკაკი ახალმოწესეთათვის — მოჩვენებითია მისი ღრმა რელიგიური მსოფლხედვა, სინამდვილეში ათეისტი გახლდათ და დანიელ ჭონქაძისებურადაც კი აზროვნებდაო.

ამიტომაც გადაჰკრავს იმ დიალოგის გახსენებას მიკერძოების იერი — გამოტოვებულია ლავრენტი არდაზიანი, სამარე და სახელი, გაზვიადებულია დანიელ ჭონქაძე, სხვა სიბრტყეშია გადატანილი, აშკარა გაპრიმიტივებულია მამულისათვის თვით სულის გაწირვის მოტივი...

ახალი ხელისუფლება ასეთ აკაკის შეიწყნარებდა — შეკვეცილ-შემოკვეცილს, გამსუბუქებულსა და სულაც გაპრიმიტიულებულს, მორგებულს მარქსისტულ მოთხოვნებზე, ასეთს აზიდავდა ფარზე და ქრესტომათია-სახელმძღვანელოებშიც მიუჩენდა ადგილს. ასეთი აკაკი უკვე უწყინარი იქნებოდა და აღარ აუმღვრევდა გონებას ყმაწვილებს ეროვნულობისა და ქრისტიანობის ქადაგებით... და აღარც აღარავის, ვიდრე მისი დრო დადგებოდა, გამოხსნისა ყალბი საბურველისაგან და მთელი თავისი სიდიადით ამომზევებისა.

მისთვის მომცა ღმერთმა ენა, სიმართლისთვის გავიწიროო...

სიმართლისაკენ სწრაფვა ხან ასეთ უკიდურეს მსხვერპლსაც რომ მოითხოვდა, ენა საამისოდ ვის ჩაედგა მგოსნისათვის — განა ღმერთს არა?!.

იმ დღეს კი თეატრის შესასვლელში შემოეყრებოდა და... თითქოს გუნებაზე არ იქნებოდა... ნაღვლიანობა სახეზეც გადაჰკრავდა აკაკის.

— ოჰ, ჩემს რედაქტორს გამარჯვება! — ეტყოდა და ხელს გამოუწვდიდა, მაგრადაც ჩასჭიდებდა, — გამარჯვება, მაგრამ ლამის ვიჩხუბო!

— რაზე, ბატონო? — გაკვირვებით მიაჩერდებოდა იოსებ იმედაშვილი.

— ლექსი მოგიტანეთ რახანია... „ჩემი რწმენა“... თუ დაგეკარგათ, მართლა ვიჩხუბებთ, ხოლო თუ არ მოგეწონათ, რა გაეწყობა, ეს რედაქტორის უფლებაა... ოღონდ არ დამიკარგოთ, შავიც არ უნდა მქონდეს...

— „ჩემი რწმენა“? — ჰკითხავდა და შეფიქრიანდებოდა.

— დაგვიწყებიათ კიდეც... თქვენ ასეთი არ მეგონეთ. ეს როგორ მოგიხდათ, ჩემო რედაქტორო?!

ეს უკვე საწყენია მისთვის, თუკი მის ლექსს არად ჩააგდებენ და მიეკარგებათ, თორემ თავს როგორ მისცემს უფლებას გაბრაზებისა, თუკი დაუწუნებენ — რედაქტორის უფლებას შესაფერის პატივს მიაგებს და წამითაც არ იპყრობს ის განცდა: ეს მე როგორ გამიბედესო!.. არავის არაფერს ავალდებულებს და იმიტომ.

იქნებ ზოგიერთი ადგილი მომაგონოთო, სთხოვდა უხერხულად მყოფი რედაქტორი და ის არც იუკადრისებდა და არც დაიზარებდა, მცირე ხანს შეჩერდებოდა, თითქოს თავისთვის ფუჭუნებსო, შემდეგ კი მიუგებდა:

სიყმაწვილიდან მოხუცებამდე
ეს მანვა გულზე, როგორც რომ ლოდი,
და ხალხის ჩვენში გამოღვიძებას
ერთხელ, ოდესმე მეც მოველოდი!
მადლობა უფალს, რომ მოვესწარი
ჩემი სურვილის აღსრულებასა
და ვით ბულბული, დაბერებული,
მეც დროს ვუგალობ „ქებათ-ქებასა“.

ბიბლიური ასოციაციაც უნდა შემოჭრილიყო მის პოეტურ წარმოსახვებში, სოლომონ მეფის სატრფიალო საგალობლების განწყობილება ძალდაუტანებლად მორგებოდა თავისუფლებისაკენ სწრაფვას, სამშობლო იმთავითვე სატრფოსთან რომ გაეიგივებინა და მაშ თავისთავადაც შეიძლება ყოფილიყო აკაკის „ქებათ-ქება“ ბიბლიური „ქებათ-ქების“ თავისებური გაგრძელება — მისადაგებული ახალ დროებასა და ახალ რეალობას, და თან მისგანვე ამოზრდილი, თუკი სატრფოს სახებას ისე განვაზოგადებდით, აკაკის რომ აღარც განერჩეოდა მშობლიური ქვეყანა და საყვარელი ქალი, როგორც ურთიერთგანმსაზღვრელნი სიმბოლიკის სამყაროში, მაინც და ისედაც ერთიმეორეს რომ გულისხმობდნენ და მაშ მეტაფორულ გაიგივებას რაღა დაუდგებოდა წინ.

ეგაა რედაქტორს ყურს მოჭრიდა „ქებათ-ქების“ ხსენება, რაკიღა მსოფლიო ომში უნებლიეთ საქართველოც ჩათრეულიყო და ბევრი ქართველი მეომარიც გაწყვეტილიყო, და იკითხავდა: სისხლი რომ იღვრებაო?..

— მართალია, — დაეთანხმებოდა მგოსანი, მაგრამ შეახსენებდა, — მოითხოვს ამას ბუნება!..

გრძნობდა, შეუმცდარად გრძნობდა, რომ ეს მსოფლიო ორომტრიალი უბრალოდ არ ჩაივლიდა და, გარდა ტაო-კლარჯეთის შემოერთების პერსპექტივისა დედასამშობლოსთან, ჩნდებოდა მოლოდინი რაღაც დიდი გარდაქმნებისა და სიახლისა საერთაშორისო პოლიტიკურ სინამდვილეში, ეს გარდაქმნები კი ადვილი შესაძლებელია სასიკეთოდაც წადგომოდა ჩვენს ქვეყანას და ნანინანატრი ოცნება საქართველოს გამოხსნისა რუსული კაბალიდან ბოლოსდაბოლოს კიდეც აღსრულებულიყო.

და აკაკი თანდათანობით აღიდგენდა ლექსს, რომელიც ირწმუნებოდა, რომ მყრალ ბალახებთან ზოგჯერ უეცრად შემოიჭრებოდა ხოლმე ვარდი და ია!.. და ერთსა და ორს კი არა ჰქონდა მნიშვნელობა, არამედ — მხოლოდ თვით იდეას! ხალხი მღელვარებდა? პოეტი მიესალმებოდა მის ღელვას ვაშათი, იმ იმედოვნებით, რომ: ერთხელ ის მღვრიეც გაიწმინდებოდა, როდესაც ცხოვრება გამარჯვებული კალაპოტშივე წმინდად ჩადგებოდა... ვერ შეაჩერებდა ძალად ზამთარი, როცა გაზაფხულს ელებოდა კარი!..

აქ შეჩერდებოდა, მეტს ველარ გაიხსენებდა და იოსებს სთხოვდა:

— ეს ლექსი უფრო გრძელია, ძალიან დამავალებ, თუ მომიძებნი...

— უეჭველად, ბატონო აკაკი!

მოძებნით კი მოძებნიდა, მაგრამ... მაშინღა უნდა გამოქვეყნებულიყო „თეატრი და ცხოვრების" 1915 წლის მე-5 ნომერში, პოეტი განშორებული რომ იქნებოდა წუთისოფელს.

იმ წუთებში კი ხელგაყრილს აიყვანდა რედაქტორი მგოსანს კლუბის კიბეზე, დარბაზის შესასვლელში გამოემშვიდობებოდა და მაინც შორით გააყოლებდა მზერას...

ის მძიმე ნაბიჯით გაივლიდა ტალანს, მერე მოტრიალდებოდა და ფეხაჩქარებით გაეშურებოდა. სახეზე ჩვეული ღიმილი აღარ უკრთოდა — სამშობლოს ბედი ისე გადაჰკვროდა მწუხარების ღრუბლად სახეზე, იოსებს იმგვარი განცდა გაუჩნდებოდა: თითქოს იალბუზის მთას ჯანღი მიჰსევიაო. გახედავდა და... გონებაში გაუკრთებოდა ის სტრიქონები:

აჩრდილიღა ვარ წარსულის
და ლანდი მომავალისა!

ესეც იოსების უკანასკნელი შეხვედრა აკაკისთან, მალეც რომ მოშორდებოდა.

ეუცნაურებოდა ეს მწუხრის ღრუბელი მის სახეზე:

აკაკის მუდამ მღიმარეს შესჩვეოდა!..

თავი II

სულხან-საბა ორბელიანის კვალზე

რამდენი რამ ეფარებოდა ხსოვნის კუნჭულებს, ინავლებოდა, ფერმკრთალდებოდა, ძლივსლა ფეთქავდა ანდა უკვე გასუდრულიყო, ზედ ფენა-ფენა რომ წაეწყობოდა სულ სხვა განცდები და შთაბეჭდილებანი. და მოგონებებში ჩაძირულს სიმწარე უფრო შეახსენებდა ხოლმე თავს, ერთიორად მეტი სიტკბოზედ.

მაგრამ ხომ არსებობდა ის ტკბილი წუთებიც.

და თურმე ნეტარი წამებიც არსებობდა, ერთბაშად რომ შემოეშველებოდა გულატკივებულსა თუ სულაც სასოწარკვეთილს და უამებდა სიმწარეს, უმსუბუქებდა სატანჯველსა და სადარდებელს.

ნეტარი წამები:

ძლივს მობაჯბაჯე პატარა რომ შემოსცინებდა, გაბზეკდა თითს და ძლივს წამოილუღლუღებდა:

— ეი, აკაკი!..

ან თორმეტი-ცამეტი წლის გოგონა წვიმაში ქოლგას რომ მიართმევდა:

— მე არა მიჭირს რა, რომ დავსველდე და თქვენ ვაითუ გაწყინოთ.

ანდა:

ავად რომ შეიქნებოდა ტფილისში და სასიკვდილოდ იქნებოდა გადადებული. დიდძალი მნახველი მისდიოდა, მოიკითხავდნენ, დაათვალიერებდნენ, მოიხდიდნენ მოვალეობას და წავიდოდნენ. აკაკიც რასაკვირველია მადლიერი რჩებოდა. მათ რიცხვში შემოვიდოდა სანახავად ერთი ჩოხიანი სოფლელიც: სპირიდონ ნორაკიძე, ზრდილობიანად მოიკითხავდა, ტკბილად ემუსაიფებოდა და ბოლოს წასვლას რომ დააპირებდა, ბალიშქვეშ შეჰყოფდა ხელს სიფრთხილით და მერეღა წავიდოდა!..

ავადმყოფს ცნობისმოყვარეობა აიტანდა: რას ეძებდა ჩემს ბალიშქვეშო?.. ასწევდა ბალიშის პირს და ნახავდა, რომ... ხუთმანეთიანი ოქრო დაეტოვებინა.

და განცვიფრდებოდა აკაკი!.. ამდენი მნახველი სწვეოდა, მდიდრები, ოჯახიშვილები, ტოლ-ამხანაგები, რომელთაც იცოდნენ მისი ხელმოკლეობა, მითუფრო ავადმყოფობაში. და არცერთს ფიქრადაც არ მოსვლოდა შემწეობის გაღება... და ეს უბრალო სოფლელი კი თავისი ღარიბი ჯიბიდან მისცემდა შემწეობას და იმასაც სიფრთხილით, რომ არ მოემადლებინა!..

ამ ფიქრებში რომ იქნებოდა, შევიდოდა მისი მეგობარი ექიმი, უნახავდა მაჯას, გაუსინჯავდა გულს და სიამოვნებით ეტყოდა:

— არკი გეუბნებოდი, რომ ნერვებისაგან ხარ ატანილი? დღეს დილას რომ წამალი მოგეცი, აი როგორ დაუმშვიდებიხარ.

ესეც... დაეთანხმებოდა და აღარ გაუმხელდა, თუ რა იყო სინამდვილეში მისი სიამოვნებისა და დამშვიდების მიზეზი.

ან კიდევ:

ერთხელ ლაპარაკი ჩამოვარდებოდა ქართულ პურებზე და აკაკის წაცდებოდა:

— ყოველგვარ ქართულ პურს თორნის ლავაში მირჩევნია.

მსმენელთა რიცხვში გამოერეოდა იობა ისაკაძეც, სულ უბრალო კაცი, ტფილისში ხაბაზად მყოფი. მეორე დღეს ესტუმრებოდა ეს იობა, რაღაცას მიუტანდა ქაღალდში გამოხვეულს და ღიმილით მიაჩეჩებდა ხელში:

— ეს ჩემი ნაწარმოებია და მიტომ გიბედავ!..

რადგანაც ამგვარი შემთხვევა აკაკის ბევრი ჰქონოდა, თავიანთი ნაწარმოები რომ მიჰქონდათ მასთან, ესეც ნაწერები ეგონებოდა; ჩამოართმევდა და გაისტუმრებდა. და როდესაც მოიცლიდა და გახსნიდა ქაღალდს, რათა ნაწერები ამოელაგებინა, ნახავდა, რომ... შიგ ათიოდე თორნის ლავაში ჩაწყობილიყო!..

ბევრი საჩუქარი მიეღო საზოგადოებისაგან აკაკის... ბევრჯერ მათ რიცხვში ძვირფასიც, თავი იმათ ღირსადაც რომ არ მიაჩნდა, მაგრამ არცერთი ისეთი ძვირფასი არ ყოფილიყო, როგორც იობის პურები.

რამდენი რამ მიეფარებოდა მეხსიერების უძირო ჭას, ჩაიკარგებოდა თუ ჩაიფერფლებოდა — არამარტო უსიამოვნო ეპიზოდები, არამედ სიტკბოებისა და სიხარულის წუთებიც, მაგრამ ეს ნეტარი წამები, ეს ოთხი გამონათება... არც ივიწყებდა და ვერც დაივიწყებდა... და სულის ამოხდომის წინაც ამ სურათებს მიაჩერდებოდა: გადაელვებულთ, გადმოელვებულთ...

აქ არას ვიტყვი აკაკის შემოქმედებით ძალაზე, მის პოეზიაზეო, — იონა მეუნარგია რომ აღნიშნავდა, მიზეზსაც იქვე განმარტავდა, — ის რომ უმაღლესი მწვერვალია ჩვენი თანამედროვე მწერლობისა, იმას რომ იგივე შარავანდედი ამშვენებს ჩვენს ქვეყანაში, რა შარავანდედიც გარს ეხვია საფრანგეთში მასავით მოხუც ვიქტორ ჰიუგოს, ამის თქმა ხომ არავისთვის არ შეადგენს ახალ ამბავსო.

ილია ჭავჭავაძეც „შინაურ მიმოხილვაში“ იმ მწერალთა შორის, თავისი ქვეყანა შესაფერისად, ღირსეულად რომ დააფასებდა, ვიქტორ ჰიუგოსაც მოიხსენიებდა და ამით პარალელს გაავლებდა აკაკი წერეთელთან.

ეს ორი სახელი გრიგოლ რობაქიძის „ფაქტებისა და ფიქრების“ ჩამონათვალშიც უნდა დაწყვილებულიყო, ოღონდ იგი ამას თავის მიგნებად მიიწერდა და ამ თემის საფუძვლიან გაშლასაც ჩაითქვამდა.

რომ დარჩენილიყო აკაკის სურათი კუბოში ჩასვენებულისა, და რომ არსებობდა ამგვარივე სურათი ვიქტორ ჰიუგოსი, მსგავსება ამ ორი ნიღბისა ისეთი გახლდათ, გამორჩევა ძნელი ხდებოდა.

და ისედაც იბადებოდა უნებური პარალელი: აკაკი და ჰიუგო.

საამისოდ დაე გაგვეთვალისწინებინა ის გარემოებაც, რომ აკაკის იმდენივე გავლენა ჰქონდა საქართველოში, რამდენიც ჰიუგოს საფრანგეთში.

მათი პოეტური შეპირისპირება აუცილებელი იყო და, თუკი გრიგოლ რობაქიძე ვეღარ მოიცლიდა, დაე მერმისს ეთავა ამ თემის სრულქმნილი გაშლა.

ეს სახელი საფრანგეთის ერთი უპირველესი მწერლისა აკაკის ამ ქვეყანაში ყოფნისას რომ შემოეყრებოდა და თანაც არაერთხელ, რა გასაკვირია, მაგრამ შილიონში ყოფნისაც გადაეყრებოდა მოწიწებით წარმოთქმულს, რაკიღა ვიქტორ ჰიუგოს პატივი დაედო მათთვის აქ სტუმრობით.

ლორდ ბაირონის აჩრდილიც რომ გამოეცხადებოდა ისტორიის სანახებში გადასულს, ეს თავისთავად, რაკიღა ყველა ნიგნიერი ადამიანის თვალთახედვაში სამუდამოდ გადაჯაჭვოდა ერთიმეორეს შილიონი და ბაირონი.

ეს მაშინ:

16 ივლისს, 1905 წლისა, შილიონის ციხე-დარბაზს რომ დაათვალიერებდა, XIV საუკუნეში უენევის ტბაზე აგებულს.

რიგიანად შემონახულიყო — დროს არც არა მოეკლო და არც არა მიემატებინა შენობისათვის, ისე უფრთხილდებოდნენ, როგორც წმინდათა წმინდას... და ანკი როგორ არ შეინახავდნენ, როდესაც ეს ნაშთი დიდ შემოსავალს აძლევდა ქალაქს — ყოველი მხრიდან მოედინებოდნენ და მოედინებოდნენ მნახველნი. და ამ რეალობის შემყურე აკაკი მწარედ ამოიკვნესებდა:

აფსუს, ჩვენი ქვეყნის ციხე-დარბაზებო, ძველო ნაშთებო! ვინ იცის რამდენი ხნისავ, რომ ნადირის ბუნაგად გამხდარხართო!..

მნახველი იმდენი აწყდებოდა, რომ დას-დასებად თუ შეუშვებდნენ.

და აცნობდნენ ამა თუ იმ ოთახს განსაკუთრებული პატივისცემით:

ამა და ამ რიცხვში აქ ვიქტორ ჰიუგო იმყოფებოდაო!

აქ ლორდ ბაირონმა გაათია ღამეო!

ოთახი არ დარჩებოდა, რომ განსხვავებული ისტორია არა ჰქონოდა, გიდის ეს უწყებანი აკაკის ირონიულ გუნებაზე რომ დააყენებდა:

აბრაამის კიბისა და ვირის ერთი მილიონი თმისა არ იყოს, წადი და შეამოწმე. ხალხი კი მიდის და მიდისო!..

ზედა ოთახების დათვალიერებას რომ მორჩებოდნენ, ჯურღმულში ჩაიყვანდნენ სავანეების სანახავად, სადაც ოდესღაც ტუსაღები იწვნენ. იმ ოთახსაც უჩვენებდნენ, სადაც ლორდ ბაირონის მიერ აღწერილი ტყვე იყო მიჯაჭვული და ის მიიპყრობდა ყველას ყურადღებას. აკაკი საჯაჭვე რკინის რგოლს გასინჯავდა და... როგორღაც ძველი არ მოეჩვენებოდა!..

მას უფრო შფოთის ოთახი ანუ საკანი დააფიქრებდა, ოთხ ძმას რომ ჩაამწყვდევდა მტერი და უპატრონოდ დარჩენილ მათ სამკვიდროს იგდებდნენ ხელთ. ეს ოთხი ძმა იმდენ ხანს იქნებოდა დამწყდეული, თვეში თითო ქვაც რომ გამოეღოთ კედლიდან, გაარღვევდნენ ციხეს და ნავით გაიპარებოდნენ, მაგრამ ერთმანეთში ჩხუბს მოუნდებოდნენ და ისე ჩაბერდებოდნენ და ჩაკვდებოდნენ, რომ თავისუფლებას ვერ ეღირსებოდნენ ერთიმეორის ხელისშემშლელნი.

უფროსი იმ აზრისა იქნებოდა, რომ:

ჯერ როგორმე გამოსულიყვნენ ციხიდან, თავი გაეთავისუფლებინათ და ამ პირველი ბიჯის შემდგომღა ეფიქრათ თავიანთ მამულზე, მის დაბრუნებასა და მოწესრიგებაზე.

უმცროსები არ დაუჯერებდნენ და არა:

მარტო მაგაზე ფიქრი არ კმარა! ჩვენ იმაზე უნდა ვიფიქროთ, თუ როგორი წესრიგი შეიოვიღოთ ჩვენს ადგილ-მამულშიო.

შეთანხმდებოდნენ თუ რა: ერთი ერთს მოინდომებდა, მეორე — მეორეს, მესამე — მესამეს. მოუვიდოდათ ერთმანეთში შფოთი და... კიდეც ჩაკვდებოდნენ საკანში!..

ეს ნაამბობი აკაკის ძალიან ჩააფიქრებდა და თავის სამშობლოს მოაგონებდა.

გამზადებული იგავი გახლდათ, მიმატება რომ აღარაფრისა ესაჭიროებოდა და ხელიდან როგორ გაუშვებდა ამ მწვავე პოლიტიკური სიმახვილის მონათხრობს.

ვინაობას არც ჰკითხავდნენ აკაკი წერეთელს, არც დაინტერესდებოდნენ, და თუნდ შემთხვევითაც გაეგოთ მისი მწერლობა, თავს არ გამოიდებდნენ მისი კვალის აღსაბეჭდადაც შილიონის ციხე-დარბაზში. რუსეთის იმპერიის რომელიღაც პროვინციის მოკალმე, მათთვის სრულიად უჩინარი, განა რა სახელი უნდა ყოფილიყო, რომ ვიქტორ ჰიუგოს, ლორდ ბაიონისა თუ სხვათა გვერდით ისიც მოეხსენებინათ დიდი მოწიწებით: აქ იმყოფებოდაო.

ეს გულისტკივილიც მოჩანს სტრიქონსა და სტრიქონს შუა, იმდღევანდელ შთაბეჭდილებას პუბლიცისტურ სტატიად რომ აქცევდა და „ივერიის“ 11 სექტემბრის ნომრიდან კიდევ ერთხელ შეეცდებოდა შეეგონებინა თვისტომთათვის, რომ არა ღირდა ნაადრევი წეწვა-გლეჯა, საქართველოს სახელმწიფოს მოსაწყობად რომელი მოდელის არჩევა სჯობდა.

ჯერ ოცნებიდან ყოფით რეალობაში ჩამოეტანათ ეს სახელმწიფო, ერთმანეთს ხელს ნუ უშლიდნენ შფოთში გადაზრდილი ცხარე დავა-კამათით, და პოლიტიკური არჩევანის დრო მაშინ დაუდგებოდათ, თორემ რამდენიც უნდა გეტრიალებინა ნაირ-ნაირი მოდელი პოლიტიკური წყობისა, უკეთესი ხვედრი არც შენ მოგიწევდა, უკეთესად ვერც შენ დაასრულებდი ამქვეყნიურ არსებობას, ვიდრე იმ ოთხი ძმის ტრაგიკული ბედი გახლდათ. ტრაგიკულიც და... კომიკურიც იმავდროულად, ეს საუკუნე თურმე ამ არსებითი ნიშნითაც რომ უნდა აღბეჭდილიყო: ტრაგიკომიკურობით — მეფისტოფელურთანაც რომ გაიგივდებოდა.

ლორდ ბაირონი თავის თემას გამოარჩევდა შილიონური შთაბეჭდილებებიდან: პოემის ქარგად.

აკაკი წერეთელი — თავისას: ქარგად პუბლიცისტური სტატია-იგავისა.

და ეს იქნებოდა არამარტო მათი მხატვრული არჩევანი, არამედ მათი ქვეყნების ბედის ამრეკლავიც.

ისეთი განცდა გიპყრობს, თითქოს ეს იგავივით მონათხრობი სულაც აკაკის შეთხზული იყოს და მოქმედება რუსთველივით უცხოეთში გადაეტანოს, საქართველოს ბედზე მოთქვამდეს და შილიონის სახელისათვის ამოეფარებინოს გაუსაძლისი ტკივილები.

უცხოეთის გზებზეც მისდევდა და მიჰყიოდა თავისი უბედურების მიწის ბედი!..

სურვილი სურვილად რჩებოდა, მცდელობა მცდელობად.

ბარემ მაშინაც ეიმედებოდა საზღვარგარეთ წასვლისა, ის კი არა, გზაზეც შედგებოდა დიდი მოგზაურობისა, მაგრამ... არც ამჯერად გაუმართლებდა და ნირწამხდარი ისევ საქართველოსაკენ გამოეშურებოდა.

12 აგვისტოს კავკავში შეჩერდებოდა.

აქ ქართველობა ბლომად იმყოფებოდა და შეიტყობდნენ თუ არა, აკაკი გზად ჩვენთან შეყოვნებულაო, ამისთანა წყალობას ღვთისას ხელიდან როგორ გაუშვებდნენ და კიდეც მიანყდებოდნენ მის ადგილსამყოფელს, რათა მოეკითხათ და შესაფერისი პატივიც მიეგოთ.

ვახშამსაც გაუმართავდნენ და სიყვარულადაც დაიღვრებოდნენ.

სამადლობელ სიტყვაში აკაკი ჩვეულ ენამზეობას გამოიჩენდა: დაასურათებდა თანადროულ ყოფას ქართველი საზოგადოებისა და ზოგიერთი საზოგადო საქმისა. და დიდი სიხარულითა და პატივისცემით დალევდა სადღეგრძელოს ილია ჭავჭავაძისა და მასთან ერთად უსურვებდა დღეგრძელობას იმ პირებს, რომელნიც საზოგადო მოღვაწეებს კვალში ედგნენ.

ნავახშმევს აკაკის სასტუმრომდე რომ მიაცილებდნენ, უზომო თაყვანებას იმით გამოხატავდნენ, რომ ქუჩიდან ხელით აიყვანდნენ და სასტუმროს კიბემდე ისე მიაბრძანებდნენ.

და ნასიამოვნებსა და აღტაცებულ-ათრთოლებულს აღარც გაახსენდებოდა, სულ ცოტა ხნის წინათ ხარკოვში რომ იხრაკებოდა და საზღვარგარეთ გამგზავრებაზეც განბილდებოდა... მაშინ ხომ ამ დახვედრას აცდებოდა, გულდაწყვეტას რომ შეუნელებდა, თორემ წუხილი სულ უფრო და უფრო ემატებოდა, რაც ხანში შედიოდა და ძველებური სიცილით, ხან ლაღითა და ხანაც სევდიანით, ვეღარ უსწორებდა მზერას ბედსაც და უბედობასაც.

ბოლოს მაინც ხომ ეღირსებოდა საფრანგეთისა და პარიზის ნახვას, იმ გარემოსი, სადაც მისი ცოლი და განსაკუთრებით მაინც ვაჟი შინაურ კაცად მიიჩნეოდა, ამისთვის კი რაღაც განსაკუთრებული სამყარო უნდა აღმოჩენილიყო, იაკობ გოგებაშვილთან მიწერილ ბარათში რომ შემოხაზავდა ის ზოგად ქარგას, რაც — თუკი თავი მოებმოდა — ერთ საუკეთესო სამოგზაურო ნარკვევად უნდა ქცეულიყო... ეგაა — თუკი მოებმოდა...

ეიფელის კოშკიდან მიმოატარებდა მზერას და... ტასო მაჩაბლის სახება ამოუშუქებოდა თვალთა წინაშე და ერთიანად ჩაეფლობოდა ამ განცდაში, მინიატურას რომ მიანდობდა მძაფრ გულისთქმასა და მღელვარებას.

მარტოდენ თავისი უბედური მიწის ბედი არ მისდევდა და მიჰყიოდა უცხოეთის გზებზე.

იდეალს შეტოლებული ქალის სახებაც არ მოასვენებდა — ისიც რომ არანაკლები სიმძაფრით მისდევდა და მიჰყიოდა.

ისე როგორ იქნებოდა, გზადაც განსაკუთრებით არ შეგებებოდნენ.

სტამბოლის ნავსადგურში დილიდანვე მოიყრიდა თავს იქაური ქართველობა, საქმეს ყველა თავს რომ დაანებებდა და მოუთმენელი სიხარულით მოელოდნენ პაკეს გემს, რომელიც კიდეც მალევე შემოვიდოდა ნავსადგურში და... აჰა ბაქანზე უნდა გადმომდგარიყო სახელოვანი მგოსნის მონუმენტური ფიგურა. ხალხში სიხარულისა და აღტაცების ტალღა გადაივლიდა, ერთ წამში ხომალდზე აიჭრებოდნენ და გაუვალ კედლად შემოერტყმოდნენ გარს მგოსანს.

და იქაური კორესპონდენტი „დროებას" აცნობებდა, როგორ დაწყდებოდათ გული, როდესაც შეიტყობდნენ, რომ აკაკის სტამბოლზე მხოლოდ გზად გამოეარა და ევროპაში იმ ღამითვე და იმავე გემით მიემგზავრებოდა.

ქართველ კათოლიკეთა მონასტერს რომ მოინახულებდა, პატრებსაც გაებაასებოდა და იქ შეკრებილ ხალხსაც.

ყავის შეთავაზების შემდეგ მიიწვევდა რამდენიმე ქართული ოჯახიც.

ბოლოს კი სტამბოლის საუკეთესო სასტუმროში მის პატივსაცემად გაიმართებოდა სადილი.

ნასადილევს მგოსანი რომ მოისურვებდა შესანიშნავი ადგილების დათვალიერებას, ასტუმრებდნენ აია-სოფიასა და პარლამენტს, სადაც მას შეეგებებოდნენ ქართველ-მუსულმანი დეპუტატები.

საღამოს კი, მეტი რა ჩარა იყო, სტამბოლის ქართველობა გულდაწყვეტილი უნდა გამოთხოვებოდა საყვარელ მგოსანს.

ხოლო მას შემდეგ, რაც აკაკის პარიზში დაიგულებდნენ, იქაური ქართველობაც მოინდომებდა, რომ მისთვის თავისი პატივისცემა და სიყვარული გაეზიარებინა. თავიდან სურდათ მიეწვიათ სხვადასხვა მოწინავე რედაქციის წარმომადგენელნი თუ პოლიტიკური მოღვაწენი საფრანგეთისა, ორი-სამი, მაგრამ ასეთი ფართო განზრახვა ოცნებად დარჩებოდა, და 2 დეკემბერს მარტოდენ მცირე სერობის გამართვას მოაბამდნენ თავს. კიდევ კარგი ამას მაინც, თორემ უკეთესი მასპინძლობის მზადებაში ვაითუ სულ გასხლტომოდათ ხელიდან დრო და... ნირწამხდარნი და გაწბილებულნი დარჩენილიყვნენ.

სერობას დაესწრებოდა აკაკის ცოლ-შვილიც, აგრეთვე ქალბატონი ნიკოლაძისა, ნიკო ღოღობერიძე, შემთხვევით შემოსწრებული მომღერალი ნანობაშვილი და მთელ პარიზში მყოფი ქართველობა — 50 კაცამდე.

ნადიმი განიმსჭვალებოდა ისეთი ქართული ელფერითა და ერთსულოვნებით, რომ აკაკიზე დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა. შიგადაშიგ წარმოითქმოდა სიტყვები, რომელთაც აკაკი პასუხს აძლევდა და მის გამოსვლებს კეთილსინდისიერად ჩაინიშნავდა „საქართველოს მოამბის“ პარიზელი კორესპონდენტი.

სიტყვებს ვინ წარმოთქვამდნენ?

გრიგოლ გველესიანი, ალექსანდრე გაბუნია, იოსებ ჭეიშვილი, მიხეილ გობეჩია, კატო მიქელაძე და ალექსანდრე ჯანელიძე.

ხოლო აკაკი უპირველესად გაიხსენებდა, რომ:

როდესაც ქართველი სტუდენტობა ფეხს აიდგამდა და პირველად პეტერბურგში ამოჰყოფდა თავს, იმ გუნდში თვითონაც იმყოფებოდა — ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე და იმედებით აღფრთოვანებული. მას აქეთ ნახევარ საუკუნეს ჩაევლო, მაგრამ — ჰოი საკვირველებავ — როგორც მაშინ, ახალგაზრდობისას, დღესაც კიდევ, ამ მოხუცებულობის ჟამსაც, ისევ ისე უცემდა გული ამათ შემხედვარეს... და სიხარული მითუფრო უორკეცდებოდა, რომ აქ მათთან ერთად ხედავდა მაშინდელ თავის ერთ ამხანაგთაგანს — ნიკო ღოღობერიძეს.

პირველი ბიჯი ყოველთვის რომ სუსტია, ესენიც, პეტერბურგელი ქართველი სტუდენტობა — როგორც ფიქრობდნენ და რაც სურდათ — ისე ვერ მოახერხებდნენ — სხვადასხვა მოულოდნელი გარემოება გადაეღობებოდათ წინ. და მას აქეთ დიდი ხანი რომ გასულიყო, სწავლა-განათლებას, მეცნიერებას წინ წაედგა ბიჯი და პარიზის ქართველი სტუდენტობაც უკეთეს პირობებში იმყოფებოდა — ისინი იზრდებოდნენ აქ, ამ თავისუფლების ქვეყანაში, სადაც სხვა რომ არა იყოს რა, ხელს მაინც ვერაფერი შეუშლიდა მათი გრძნობა-გონების გადიდებას!..

ამიტომაც მათგან მეტსაც ითხოვდა სამშობლო და აკაკის თანატოლთა ნაკლი ამათ უნდა შეევსოთ!..

ნურავინ იტყოდა:

— არის კაცობრიობა და არა ნაცია, ეროვნება, და მეც მინდა პირდაპირ კაცობრიობას ვემსახურო!..

ფერადოვანი კაცობრიობა სხვადასხვა ნაციის, ეროვნებისაგან გახლდათ შემდგარი და თვითეულს თავისი ელფერი და საკუთარი „რამეობა“ უნდა შეეტანა, რათა აღსებულიყო საკაცობრიო ზღვა?..

და თვითეულ კაცს, თავის ნაციასთან თანშეზრდილს, უფრო ნაყოფიერად შეეძლო ემუშავა სამშობლოში, ვიდრე გარეთ.

ვისაც თავისი მშობელი არ უყვარდა, განა იმას შეეძლო მშობლად სხვა შეეყვარებინა?

ვინც სამშობლოს არ ემსახურებოდა, განა იმას შეეძლო, რომ უკეთ სადმე გარეთ ემსახურა?

ყველა ამას მხოლოდ გულგატეხილობა აფიქრებინებდა ადამიანს და... ამათ კი არ შეშვენოდათ გულგატეხილობა. ისინი ხომ ეკუთვნოდნენ იმ ხალხს, რომელსაც რუსთველის პირით ეანდერძებინა: ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა ვით ქვითკირსაო.

და იწვრთნებოდნენ იმ დიდებულ ქვეყანაში, სადაც გენიოს რიშელიეს წარმოეთქვა: ახალგაზრდის ლექსიკონში სიტყვა „არ შეიძლება", „არ შემიძლიან" არ უნდა ეწეროსო.

ამათაც ევალებოდათ ყოველგვარი გასაჭირი და განსაცდელი აეტანათ, უეჭველად მიეღწიათ მიზნისათვის და მომზადებულნი დაბრუნებოდნენ სამშობლოს.

და ესენიც რომ ამავე აზრისა იყვნენ, ამას აკაკის უმტკიცებდა მათი იქ იმდღევანდელი თავმოყრა და... მეტი აღარა რა დარჩენოდა სათქმელად.

მხოლოდღა ისურვებდა:

ამ თავისუფალ ქვეყანაში გაემდიდრებინათ გრძნობა-გონება და მით განეხორციელებინათ ქართული მცნება: მამა შვილმა უნდა შეითვისოსო.

თაობებს შორის სულიერი ერთიანობის შენარჩუნება უნდა ყოფილიყო მთავარი და უმთავრესი არსებობის გასაგრძელებლად იმ ღირსეულობით, სახელმწიფოებრიობის აღსადგენად მიმსწრაფ ხალხს რომ ეკადრებოდა.

სულგანაბული მისჩერებოდა მთელი სუფრა, კიდევ რას გვეტყვის, რას გვირჩევს, რას გაგვიმჟღავნებსო. და აკაკიც არ ალოდინებდათ და... სათქმელს იქით წაიყვანდა: როცა შეტყობა უნდათ წინდაწინ ამინდისა, ბარომეტრში ჩაიხედავენ ხოლმეო.

და თუ რომელიმე ხალხის გაცნობა გვსურდა?

ჯერ ქალები უნდა გაგვეცნო, როგორც ეროვნების ბარომეტრი.

როცა საქართველო სადაროს იდგა, მაშინ ქართველი ქალიც განთქმულიყო: როგორც დედა, როგორც ცოლი და როგორც მოქალაქე. და იმ საუკუნეში რომ საქართველოს დასცემდნენ, ეს დაკნინება ქალებს უფრო დაეტყობოდათ: დღეს ბევრი ქალი მოინახებოდა ჩვენში, დავიწყებული რომ ჰქონდათ თავიანთი წმიდათა წმიდა და ქართულად ველარც ლაპარაკობდნენ!.. გარდა სოფლელი ქალებისა, სხვები ერთმანეთში მინერ-მოწერასაც ველარ ახერხებდნენ თუ არა უცხო ენაზე. სასწავლებელს ამთავრებდნენ და თავს იმით მართლულობდნენ: არ გვასწავლიანო!.. მაგრამ ეს ხომ ტყუილი თავის მართლება გახლდათ. იქ, სადაც შობილიყვნენ და სადაც გაზრდილიყვნენ (თავისთავად გაჩნდებოდა ორატორობისას რაფიელ ერისთავის სამარადისო ლექსის „სამშობლო ხევსურისა" დასაწყისი სტრიქონის ალუზია: სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარო), ადვილი იყო ენის შესწავლა, გულიდან აღმოფხვრილი რომ არა ჰქონოდათ სრულიად ქართველობა!.. ქართველი ქალები რომ მოიყრიდნენ ხოლმე თავს, უცხო ენაზე ლაპარაკობდნენ და ერთსაც რომ შეშლოდა, ვერ გამოეთქვა კარგად იმ უცხო ენაზე, სხვები საცინლად აიგდებდნენ.

და... ქართული რომ სულ არ იცოდნენ, ის ვითომც არაფერი!..

ამის შემხედავი აკაკი იმედმიხდილი გახლდათ ამ სიბერის ჟამს, მაგრამ ახალ მოძრაობას სხვა დაენახვებინა მისთვის: ახალგაზრდა ქალები მზად იყვნენ, რომ სამსხვერპლოდ თავი დაედოთ საქმისათვის.

სწორი გზით მიდიოდნენ თუ არა, ამაზე ახლა არას იტყოდა, აღნიშნავდა მხოლოდ, რომ: დღევანდელ ქალებსაც სული ძველებური დედებისა გამოეჩინათ, საკეთილდღეო მასალა შერჩენოდათ და იმედიც ღვივდებოდა, რომ დროის შესაფერისად კიდევ აღადგენდნენ იმ ძველ სახელს.

ეს პირველი ბიჯი პარიზში მყოფ ქართველ ქალებს შეხვედროდათ და საჭირო იყო წაღმართადაც გადაედგათ!.. და აკაკი ისურვებდა ამ უცხოეთში, თავისუფალ ქვეყანაში მათ წარმატებას, რათა კეთილად დაბრუნებოდნენ სამშობლოს.

ხოლო სწორი გზით მიდიოდნენ თუ არა...

ცხადია დიდად აღფრთოვანებული ვერ იქნებოდა და ქვეტექსტურად მიანიშნებდათ, სოციალური სატკივარი უფრო რომ გამძაფრებულიყო და წამოწეულიყო ქართველ სტუდენტ ქალთა შორისაც, მაგრამ რაკიღა სამსხვერპლოდ თავის დადების სურვილს შეამჩ-

ნევდათ, ჯერ ამას დაუფასებდათ, ამ უანგარობას, ამ გულმხურვალებას, ამ მონდომებასა და შეუპოვრობას, გაამხნევებდათ, თანაგრძნობასა და თანადგომას გამოუცხადებდათ და... გულმოდგინე სჯა-ბაასი და თუნდაც პაექრობა-კამათი კი დაე სხვა დროისათვის გადადებულიყო — ოღონდ უთუოდ და უთუმცაოდ ქართულ ენაზე, მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ენაზე!..

სიკვდილ-სიცოცხლეზე რომ ალაპარაკდებოდა, კატო მიქელაძეს გული მოეწურებოდა: ეტყობა გრძნობს სიკვდილის მოახლოებასო.

შემდეგ თავის ნაწერებზე ჩამოაგდებდა სიტყვას და წუხილს გამოთქვამდა, რომ მისი ნაწარმოებების მეათედიც არ გამოცემულიყო.

ისიც ადარდიანებდა:

— ბევრი ისეთი ლექსი მაქვს დაწერილი საჭირბოროტო საკითხზე, რომელიც პოეზიის მხრივ არას წარმოადგენს. ამ ლექსებს კომენტარები სჭირდება. თუ ამის აღნიშვნა ვერ მოვასწარი — რა დროს, რა თემაზე დაიწერა ისინი, არაფერს ეს ლექსები მკითხველს არ მისცემენ და ეს ჩემთვის ძალიან სამწუხარო იქნება.

აკაკის ბავშვობიდან იცნობდა. პირველად ნახავდა ქუთაისში, კატო ნიკოლაძის ოჯახში, სადაც იზრდებოდა მისი დისწული, გიორგი წერეთლის ქალიშვილი ელიკო, კატო მიქელაძის თანაკლასელი, ერთმანეთთან ხშირად რომ მიმოდიოდნენ.

ეს მიმოსვლა შეახვედრებდა აკაკისაც.

ბავშვობისას ბევრი თვალტანადი ქართველი ვაჟკაცი ენახა, მაგრამ ვერცერთი ვერ მოახდენდა მასზე ისეთ დაუვიწყარ შთაბეჭდილებას, როგორც აკაკი.

მისი ზეაზიდული, ჩაფსკვნილი ტანი, ზევსისებური მზიური სახე, მაღალი შუბლი და ფართო, კეთილი თვალები საამური გაკვირვებით შეაჩერებდა ხოლმე მასაც.

მისი ტკბილი საუბარი და ციური სიცილიც ხომ დაუვიწყარ შთაბეჭდილებას დაუტოვებდა.

აკაკი დიდსა და პატარას ერთნაირად რომ ხიბლავდა, კატოს თავის თავზეც გამოეცადა, ეს ბუმბერაზი შეხედულების კაცი ბავშვებს რომ ათბობდა და იზიდავდა თავისებური მომხიბლავი ენით.

და ამ გადასახედიდან ირონიით გახედავდა იმდროინდელ გაბღენძილ ინტელიგენტებს, რომელნიც ბატონკაცურად გამოიყურებოდნენ და რომლებთან ლაპარაკსაც არამცთუ ბავშვები, დიდებიც ვერა ბედავდნენ, თუკი უმაღლესი განათლება არა ჰქონდათ მიღებული, ხოლო აკაკი ნამდვილი ხალხოსანი გახლდათ — ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით.

და კატო მიქელაძეს არ უკვირდა, იგი უბრალო ხელოსანთანაც რომ ჯდებოდა და ამხანაგურად ესაუბრებოდა, რისთვისაც აკაკის, ისევე როგორც ალექსანდრე ყაზბეგს, კიდეც ძრახავდნენ მედიდურობით გაბერილი ფარისეველნი.

და აი ბავშვობის მერე პარიზში უნდა შეხვედროდა აკაკის.

აკაკი დაბინავდებოდა ნიკო ნიკოლაძის პირველ ცოლთან, რომელიც იმხანად პარიზში ცხოვრობდა, ოღონდ კატო მიქელაძე პირველად მას ნახავდა გრიგოლ გველესიანის ოჯახში, რომელიც აგრეთვე პარიზში დაბინავებულიყო ცოლ-შვილიანად.

მგოსანი გამოჰკითხავდა კატოს, სად ცხოვრობდა, როგორ ცხოვრობდა. და ამ დროს აკაკის ცოლიც შემოვიდოდა ოთახში.

კატო ნატალიასაც და ალექსისაც ახლოს იცნობდა და ერთმანეთთან მიმოწერაც ჰქონდათ გაბმული. ნატალია იმხანად საგრძნობლად მოხუცი რომ გახლდათ, ეტყობოდა, ოდესღაც ლამაზი იქნებოდა და ახლაც მის სახეზე იხატებოდა ტიპური რუსული სილამაზე. დიდად ნებიერსა და თავისებური ხასიათისას კატოც გაიხსენებდა როგორც ბუნებით სადასა და გულკეთილს, მცოდნეს ევროპის ყველა დიდი ქვეყნის ენისა, ბევრის წამკითხველსა და განვითარებულს. შვილი ისე ეყვარებოდა, რომ უმისოდ ერთ დღესაც არ შეეძლებოდა გაძლება.

კატო მიქელაძის ყურამდეც მიაღწევდა ის ხმები, თითქოს აკაკის თავისი ცოლის დიდი ქონება გაეფლანგოს. აქამდე ამის თაობაზე ნატალიასთან საუბარს ერიდებოდა, მაგრამ იმ

დღეს ამასაც გამოჰკითხავდა, რის პასუხადაც ის ბევრს იცინებდა: ჩემი დიდი ქონებიდან არამცთუ აკაკის, მე თვითონაც არაფერი მერგოო.

ბრალს დასდებდა თავის სიძეს — ელიზბარ სიდამონ-ერისთავს, კაცს დიდად გარყვნილსა და ბანქოს მოთამაშეს. ნატალია თავის რწმუნებულად თავისივე დას შეარჩევდა, ის კი ორივეს რწმუნებულობას თავის ქმარს გადასცემდა. ხოლო იგი ამ ნდობას ისე გამოიყენებდა, ნატალიასა და აკაკის ცარიელზე დასვამდათ, ყველაფერს გაუფლანგავდათ.

ნატალია ახალი გათხოვილი იქნებოდა, მისი სიძე რევოლვერს რომ დაიხლიდა. აკაკი ამ დროს კლუბში იმყოფებოდა და დაჭრილი მის ნახვას მოისურვებდა. ის სასწრაფოდ გამოიჭრებოდა და ქვისლი ჯერაც ცოცხალი დახვდებოდა. დაინახავდა თუ არა აკაკის, ხელს დაუჭერდა, რომელზედაც აკოცებდა და ეტყოდა:

— მაპატიე, მე შენთან დამნაშავე ვარ.

იმ ღამით ელიზბარ სიდამონ-ერისთავი კიდეც გარდაიცვლებოდა.

ექნებოდათ საჩივარი სხვებთანაც მამულის თაობაზე, მაგრამ არა გამოვიდოდა რა და... საბოლოოდ ნათესავების დასახმარებლები შეიქნებოდნენ.

რაო, კიდევ რას ჭორაობდნენ?

აკაკის თავისი ცოლი არა ჰყვარებია და მასთან გაყრილიც იყოო.

კატო მიქელაძეც ირწმუნებოდა და ადასტურებდა, რომ ასე ნამდვილად არა ყოფილა. ნატალია და ალექსი, ევროპულ ცხოვრებას დაჩვეულნი, საჩხერესა და ქუთაისში ვერა ძლებდნენ, ხოლო აკაკის იმხელა შეძლება არასოდეს ჰქონია, ტფილისშიც რომ ეცხოვრა, არამცთუ პეტერბურგსა და ევროპის ქვეყნებში; და სხვა რა გზა დარჩენოდათ, ცალ-ცალკე უნდა გაეტარებინათ სიცოცხლე.

კატო ფოსე სენ-ჟაკის ქუჩაზე რომ ცხოვრობდა, პანთეონის გვერდით, მეექვსე სართული ერგებოდა. იმ დღეს სტუმრად ეწვეოდა მადამ დე-სენ ვიქტორი თავისი ქალით. დასხდებოდნენ სამნი და შეუდგებოდნენ საუბარს. ამ დროს კონსიერჟი შეატყობინებდა: თქვენთან სტუმრები მოდიანო. ეს სასწრაფოდ დაეშვებოდა ქვემოთ და... მის გაოცებას საზღვარი არ ექნებოდა, როდესაც დაინახავდა აკაკის თავის ცოლ-შვილიანად. ის სახლი, სადაც ცხოვრობდა, ძველი შენობა იყო და ლიფტი არ გააჩნდა.

ქალს ელდა ეცემოდა. გაგონილი ჰქონდა: აკაკი გულითაა დაავადებულიო.

სტუმარი რომ დაინახავდა ქვემოთ ჩამოსულს, სიცილით შემოსძახებდა:

— ქალო, მაგ სიმაღლეზე რამ აგიყვანა?

ეს საჩქაროდ ჩამოიტანდა ორ სკამს და ყოველ სართულზე ამოსვლისას ცოლ-ქმარს დაუდგამდა ხოლმე, რათა მათ სული მოეთქვათ.

ნახევარი საათის შემდეგ კიდეც ააღწევდნენ მეექვსე სართულამდე.

მადამ დე-სენ ვიქტორი, არისტოკრატობა წრის ქალი, კომუნის მომსწრე, ბევრის მნახველი და ბევრი გამოჩენილი პირის მცნობიც, აკაკის რომ დაინახავდა კარში შემოსულს, ჩუმად ჩაილაპარაკებდა:

— ღმერთო ჩემო, რა მშვენიერი კაციაl..

კატო გააცნობდა აკაკის და აუხსნიდა ფრანგ არისტოკრატს, თუ რა დიდი კაცი წვეოდა მის პატარა ოთახს. აკაკის ცოლი და მადამ დე-სენ ვიქტორი მალე გამონახავდნენ საერთო ენას. გამომშვიდობებისას კი აკაკი დაუბარებდა მასპინძელს:

— ხვალ დილით ჩემთან მოდი და იაშა ნიკოლაძის ატელიეში ერთად წავიდეთ.

ოთახში შემობრუნებულ კატოს ის გადასხვაფერებული მოეჩვენებოდა და სიამაყით დაუწყებდა თვალიერებას იქაურობას, სადაც რამდენიმე წუთის წინათ უდიდესი ადამიანი, უდიდესი ქართველი იჯდა...

იაკობ ნიკოლაძის ატელიეში შესულებს ნიკო კურდღელაშვილი, ნარკანის ფსევდონიმით ცნობილი პუბლიცისტი და მთარგმნელი, მიეგებებოდათ, იქ რომ იყო თავშეფარებული და თავისუფალ დროს თიხას აქანდაკებდა. ერთი მისი გამოქანდაკებული თავი თაროზეც იდგებოდა, რომელსაც გამოჩენილი მოქანდაკე სუდბინინი ყურადღებას მიაქცევდა, ურჩევდა სერიოზულად მოეკიდა ხელი ამ საქმისათვის და ექვსი თვის სასწავლო ფულსაც გადაუხდიდა.

თაროზე სხვა უამრავი ქანდაკებაც ჩამომწკრივებულიყო. აკაკი ერთხანს სათითაოდ დაათვალიერებდა და განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდა ერთი მოხუცი კაცის ქანდაკს. ასწევდა ჯოხს, გაიშვერდა მისკენ და მასპინძელს ჰკითხავდა:

— ეს ვინ არის?

— ეგ თქვენ ბრძანდებით, — მიუგებდა იაკობი.

— უკაცრავად, მე არ გახლავარ! — გაოცებით მიაჩერდებოდა აკაკი.

— თქვენ, პოეტებს, ქანდაკებისა ბევრი არაფერი გაგეგებათ, — ცოტა არ იყოს იუკადრისებდა მოქანდაკე, თუმც ამ პასუხს ღიმილით გაანელებდა, აკაკი კი გულიანად გაიცინებდა.

ხოლო როდესაც 1912 წელს მის ქანდაკებებს უკვე თბილისში დაათვალიერებდა, შთაბეჭდილებათა წიგნში 6 თებერვალს ჩაუწერდა: ვნახე შენი ქანდაკება, აღარ უნდა იმას ქებაო.

მის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში კი ორი პაწია ბარათიც შეგვხვდება, იაკობ ნიკოლაძესთან მიწერილი შვეიცარიის ერთ-ერთი კურორტიდან პარიზში, 1905 წელს.

ერთში გაღიზიანებული მისწერდა: ღმერთმა შეარცხვინოს ამისთანა კურორტი, ჩემო კარგო!.. შიმშილითა ვკვდები, 8 საათზე ვწვები და 6-ზე ვდგები. მადლობა ღმერთს ოცი დღის მეტი აღარ დამრჩენია და მოვითმენ როგორც იქნება — რაღაი წამოვსულვარ, ჩვენი ქვეყნის აღარა ვიცი რაო!..

ფრანგულ გაზეთებში ბევრ რამეს წერდნენ 1905 წლის რევოლუციასთან დაკავშირებით, და სთხოვდა იაკობს: შემატყობინე, ნუ დაიზარებ! რა ამბავია? ვინ მოკლეს? ვინ დაიჭირეს და სხვანიო.

ამასთან არც ქართული და არც რუსული არა ჰქონდა რა საკითხავი და იაკობი თუ გამოუგზავნიდა, ძალიან დაავალებდა.

მეორეში მადლობას მოახსენებდა მასაც და გიორგი ბოკერიასაც გაზეთების გამოგზავნისათვის! ოღონდ დღეის იქით, ვიდრე აკაკის წერილს არ მიიღებდა, ნუღა გამოუგზავნიდა ნუღარაფერს, რადგანაც ხვალ უთავდებოდა აქ კურორტი და ჯერ არ იცოდა, საით მოუწევდა გამგზავრება, თვითონ ამ სიტყვას რომ ამჯობინებდა: საით გამისაჭებენო.

ახლა კი პარიზში უნდა მომხდარიყო ის, აკაკის იქაური ქართველობა ნადიმს რომ გაუმართავდა და მის შთამაგონებელ სიტყვებსაც მოისმენდნენ.

5 დეკემბერს კატო აკაკის რომ ესტუმრებოდა საღამო ჟამს, ის მხიარულად მიესალმებოდა და ეტყოდა:

— შენი სიტყვა ხომ ლამაზი და ლამაზი იყო, მაგრამ რომ ლაპარაკობდი, ისეთი ლამაზი იყავი, რომ თვალი ვერ მოგაშორე!

— ეს მისთვის, — მიუგებდა სტუმარი, — რომ სიტყვას მარტო ჩემი ენა კი არა ლაპარაკობდა, აგრეთვე მთელი ჩემი სული და გული.

— აბა ახლავე დაწერე შენი სიტყვა და მომეცი, — დაავალებდა მასპინძელი.

ესეც მაშინვე გავიდოდა მეორე ოთახში, აღადგენდა თავის გამოსვლას და ფურცელს აკაკის გადასცემდა.

ამის შემდეგ აკაკი დიდხანს აღარც დარჩებოდა პარიზში.

კატო მიქელაძე, საქართველოში დაბრუნებული, მას კიდევ ერთხელ ნახავდა, ოღონდ... კუბოში მწოლიარეს...

ბევრგვარად შეიბურებოდა აკაკის ეს პარიზული მოგზაურობა როგორც თანამედროვეთა, ისე შთამომავლობის თვალში.

ესაო და: ერთხელ წამიერ მონახულებას — რა გასაკვირია — გული ვერ შეაჯერა და მეორედაც ესტუმრა კულტურის შუაგულსა და მსოფლიო გემოვნების განმსაზღვრელ-კანონმდებელსო.

ესაო და: აქაურმა ექიმებმა ურჩიეს, იქაურ ექიმებსაც უსათუოდ გასინჯვოდაო.

ესაო და: გაუჩნდა რაღაც იმედი ნობელის ჯილდოს მოპოვებისა, საამისოდ კი აუცილებელი იყო საფრანგეთის ლიტერატურულ წრეებს დაახლოებოდა და მათ შუაგულში ეტრიალა თუნდ ცოტა ხნითაცო.

მაგრამ ჯერ კიდევ მაშინ იბრუნებდა ის ეჭვი, არცთუ უსაფუძვლო, მარტოდენ ლიტერატურული, სამკურნალო თუ სამოგზაურო მიზნებით რომ არ ეწვეოდა საფრანგეთის დედაქალაქს და... ფარული პოლიტიკური მისიის აღსრულებითაც იქნებოდა დაინტერესებული, უფრო მაინც ამით. ეგებ მოხერხებულიყო საიდუმლო მოლაპარაკებები ფრანგ პოლიტიკოსებთან, საქართველოს ბედკრული მდგომარეობის ახსნაც და მისი სწრაფვაც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ.

ერის მამის უფლებებით აღჭურვილიყო და სრული უფლებაც ენიჭებოდა, რომ საქართველოს სახელით ელაპარაკა.

„სირიუსის“ ლეგენდადაქცეულ შეღწევას ფოთში და იარაღის გადმოტვირთვას ახალ-ახალი ნაბიჯები უნდა მოჰყოლოდა ქართულ მოღვაწეთა მხრიდან, საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებშიც უკვე გაეკვალათ გზა გიორგი დეკანოზიშვილსა და არჩილ ჯორჯაძეს და... აკაკის ჩარევაც იქნებოდა საჭირო.

სულხან-საბა ორბელიანზე, თავისი დროის ერის მამაზე, მეტს ვერც აკაკი წერეთელი მიაღწევდა?

ცდად ღირდა მაინც.

მონდომებად — ოცნებასთან მიახლოებისა.

და სხვა ვინ, სხვა ვინ, თუ არა აკაკი, იუბილედ სახელდებული იმ ტრიუმფული აღზევების შემდგომ...

ამ სახელწოდების თხზულება უკვე ორი არსებობდა ქართულ ენაზე — ილია ჭავჭავაძისა და გიორგი წერეთლის — მაგრამ აკაკი რაღაც სხვა სათაურის ძიებას სულაც არ შეუდგებოდა და თავისი მომავალი მხატვრულ-დოკუმენტური თუ სათავგადასავლო წიგნის სახელწოდებად ამასვე იგულისხმებდა: „მგზავრის წერილები“.

სათაური სათაურად და, სულისკვეთებითა და ყაიდით ეს განზრახული წიგნი სულხან-საბა ორბელიანის „ევროპაში მოგზაურობის“ კვალზე უნდა დამდგარიყო.

ჰოი რა ცნობისწადილით დაელოდებოდნენ ამ თხზულების შექმნას.

ეჭვი ხმადაც გავრცელებულიყო, აკაკი მარტოდენ ლიტერატურული მიზნით რომ არა სწვეოდა საფრანგეთს, დიპლომატიური ჩანაფიქრი ამოფარებოდა სამწერლო საბურველს და ზუსტად იმ მისიის აღსრულებას ესწრაფოდა, რისთვისაც ოდესღაც ამბოდ კი დამშვრალიყო სულხან-საბა, მაგრამ ისიც ყველას მოეხსენებოდა, რომ უამისოდ სხვა გზა მაინც არ გვექნებოდა და ისევ და მაინც ევროპას უნდა მოვჭიდებოდით რუსულ-იმპერიული კაბალისაგან თავდასაღწევადაც და სახელმწიფოებრიობის ამოსაგებადაც.

და ვინ შეიძლება იტვირთოს ეს მისია ახალ დროში, თუ არა აკაკიმო, — ბაგიდან ბაგეზე ისე გადადიოდა, თითქოს ყველა გამხდარიყო რაღაც დიდი შეთქმულების მონაწილე.

ისედაც კარგა ხანია გულისფანცქალით ელოდნენ მის ამ გადაწყვეტილებასაც და შესაფერის პირობებსაც მის აღსასრულებლად და... აჰა დამდგარიყო ჟამი იგი — კვლავ გაჭრილიყო გზა-ბილიკები დასავლეთისაკენ იმ პიროვნების მიერ, რომელსაც დიახაც რომ ჰქონდა უფლება ელაპარაკა თავისი ერის სახელით — ნებისმიერ დონეზე: მწერლებთანაც და პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეებთანაც.

თავისთავად ლიტერატურული მიზანიც ააფორიაქებდათ, პარიზში სტუმრობით ნობელის ჯილდოს მოპოვება რომ ეიმედებოდა აკაკის და აგერ „დროება“ კიდეც დაბეჭდავდა სასიხარულო ცნობას 1910 წლის 23-ე ნომერში:

ფრანგ ჟურნალისტთა ჯგუფს განუზრახავს შუამდგომლობა აღძრას ნობელის კომიტეტის წინაშე, რომ ნობელის პრემია აკაკის მიეცესო.

პარიზში ყოფნა იმ მხრივაც წაადგებოდა, რომ ადრე თუ არასოდეს ეფიქრა თავისი ნაწერების სრულ გამოცემაზე ტომებად, იქ კი ეს აზრი ძალდაუტანებლად გაუჩნდებოდა მათი სალიტერატურო ცხოვრების შემყურეს და დაბრუნებისთანავე მოინდომებდა ამ განზრახვის ხორცშესხმას.

და „განცხადებას“ რომ გამოაქვეყნებდა, იმ სატკივარს გადმოშლიდა, ქართული მწერლობა საზოგადოდ რომ ვერ იდგა კარგ ნიადაგზე, მაგრამ ყველაზე უფრო დიდი უბედურება მაინც მის ნაწერებს სწვეოდა.

— ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ორი პატარა ტომის მეტი არ გამოსულა, როდესაც რამდენიმე ათეული მაინც უნდა გამოცემულიყო.

ამის მიზეზად მიიჩნევდა ხელმოკლეობასაც და... დაუდევრობასაც.

თავის თავსაც დააბრალებდა.

ახლა კი, რაკიღა ეს ორივე მიზეზი უკვე აცილებულიყო, თვითონვე ამიტომაც განიზრახავდა თავისი ნაწერების სრულ გამოცემას ამგვარად: გამოვიდოდა კრებული ყოველთვიურად, წელიწადში თორმეტი წიგნი, ორასფურცლიანი.

ზოგად სახელწოდებად ამას შეურჩევდა: „ჩემი ნაწერები“.

და ისე აუფორიაქდებოდა სული, როდესაც წარმოიდგენდა, მისი მიმოფანტული თხზულებანი ერთად რომ მოიყრიდა თავს და მონუმენტურადაც აღიმართებოდა.

გულს კი აკლდა, სახუროთმოძღვროდ რომ ვერა და ვერ მოეცალა და თავის ნებისად ვერ გაეშალაშინებინა, რაკიღა ყოველდღიური საქვეყნო საზრუნავი ელვისუსწრაფესად ავალებდა გამოხმაურებოდა ახალ-ახალ ამბებს, მაგრამ რაც უნდა ყოფილიყო, მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია ეს გახლდათ, მისი სულის მდუღარება, და აწ უკვე ერთიან მდინარედ გადაქცეული თავის შესაფერის კალაპოტსაც ჰპოვებდა ტომებად ხორცშესხმული.

მაგრამ... ეს მაინც ოცნებაში: ორმოც ტომად რომ წარმოუდგებოდა.

მოსალოდნელი დახმარება გადავადდებოდა გაურკვეველი ვადით და... გრანდიოზული ჩანაფიქრი — რა ორმოცი და რომელი ორმოცი — ორ ტომს ვერ გადასცდებოდა... ორად ორ ტომსაც...

მაშინ იყო, ცოლ-შვილიც რომ ჩამოაკითხავდა და სხვიტორს არ იყაბულებდნენ, ბორჯომის ხეობას ამჯობინებდნენ. პატარა ცემის სანატორიუმის პატრონი და ექიმი ვახტანგ ღამბაშიძე რა პატივითაც მიიღებდა ძვირფას სტუმარს, ადვილი მისახვედრია, ცალკე ოთახსაც დაუთმობდა, განმარტოებით მდგარს ეზოში.

სხვათა შორის იმჟამად იმ სანატორიუმში იმყოფებოდნენ ალექსანდრე ხახანაშვილიც და შიო არაგვისპირელიც, ახალგაზრდა მწერლებში აკაკის რჩეული, განსაკუთრებული სიხარულითა და იმედით რომ შეეგებებოდა, როგორც ახალ დვრიტას, მისი შემოსვლა ლიტერატურულ ასპარეზზე ამას თავისთავად რომ ღაღადებდა, და აკაკი თავის მხრივ ისე რომ ემოწმებოდა, თითქოს აღდგომა დღე ყოფილიყოს: ჭეშმარიტადო!.. თუმც რა — მისთვის ყოველი ახალი ტალანტის გამოჩენა აღდგომისაგან არც განსხვავდებოდა სულიერი დღესასწაულით!..

ჩანაფიქრი ორ ტომს ვერ გადასცდებოდაო...

ორად ორ ტომსაცო...

და... კინაღამ ერთსაც, რადგანაც მეორე წიგნს ცენზურა გააჩერებდა და... კინაღამ სულ ჩაუგდებდა.

თავი III

სამოსელი მათი — გზასა ზედა

ექვთიმე თაყაიშვილი სულ წუხილით იმეორებდა ხოლმე:

რა დამემართა, როგორ უნდა დავრჩენილიყავი აკაკისთან სირცხვილეულიო.

არადა აკაკის მზერას რა გამოეპარებოდა — იმთავითვე ამოიცნობდა ამ ახალგაზრდა კაცში გამორჩეულ მკვლევარს, მოღვაწესა და იმ ზნეობრიობის პიროვნებას, ამ მხრივაც რომ აღბეჭდავდა კვალს ჩვენი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ისტორიაში: სულიერ და მატერიალურ საგანძურს ერთნაირი თავდადებით მოუფრთხილდებოდა.

ამიტომაცაა განსაკუთრებულ ნდობას რომ გამოიჩენდა მისადმი.

აი ერთხელაც ესტუმრებოდა ბინაზე, წყნეთის ქუჩის დასაწყისში რომ ცხოვრობდა მასპინძელი, თვითონ აკაკი კი მის პირდაპირ — ოლღას ქუჩაზე, და განუცხადებდა:

— ყველაფერზე გული ამივარდა, არცერთი ჩვენი დაწესებულება აღარ მაკმაყოფილებს შენი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მეტი და ჩემი ქონება თქვენ უნდა დაგიტოვოთ ანდერძით.

ეს გაიცინებდა და... შეეცდებოდა პასუხი ღიმილით გაენელებინა:

— აკაკი! შენი ჭირიმე, ჩვენი დაღუპვა თუ არ გინდა, მაგას ნუ იქმ.

— რატომ? — ის გაიოცებდა, ვერ ახსნიდა მასპინძლის ამ შეფიქრიანებას. არადა თურმე:

— იმიტომ, რომ მეშინია, შენს ვალებში არ გაგიყიდონ ის ხელნაწერებიც და სხვა ნივთებიც, რომელნიც ჩვენ უნდა დაგვიტოვო ანდერძით.

ის დაამშვიდებდა:

— ვინ გითხრა ეს? ვალი ერთი კაპიკიც კი არა მაქვს, ან ვალი საიდან მექნება, როდესაც ფულს არავინ მასესხებს! ქე ნახავ მაშინ, როდესაც ჩემს მემკვიდრეობას მიიღებთ და მოსარჩელე არავინ გამოგიჩნდებათ.

ამით გაათავებდნენ ამ თემაზე ლაპარაკს და სხვაზე გადავიდოდნენ. შემდგომშიც ამაზე აღარას იტყოდნენ და... რარიგ გაუკვირდებოდა ექვთიმეს, როცა შეიტყობდა, რომ აკაკი ქუთაისში წასულიყო და იმავე კვირაში ნოტარიალური წესით კიდეც დაემტკიცებინა ანდერძი: მთელ თავის მამულსა და ნაწარმოებებს, გამოცემულსა თუ გამოუცემელს, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას რომ უტოვებდა.

ამას მხოლოდ აკაკის გარდაცვალების მერე გაიგებდა და ვერ ახსნიდა პოეტის საქციელს — ის ასი დესეტინა მიწა, დიდი ეზო და სახლი საჩხერეში, მამაპაპეული იყო და კანონით მასში წილი უნდა ჰქონდა მის დასაც, რომელიც იმხანად ლოგინდა იყო ჩავარდნილი. ან ისიც როგორ არ გაკვირვებოდა, რომ აკაკის ცოლი და შვილი არავითარ პრეტენზიას არ გამოაცხადებდა ამის გამო. მართალია ექვთიმესა და მის საზოგადოებას დიდი პატივი ეცა აკაკის ოჯახობისათვის, ვიდრე ტფილისში იმყოფებოდნენ — არამდიდრული, მაგრამ მაინც სამყოფი სარჩო გაეჩინათ მათთვის, მაგრამ მაინც... მაინც...

ანდერძის თანახმად: აკაკის სახლს, მამულს, ეზოსა და მის ხელნაწერებს მალე ჩაიბარებდნენ, მის სახლში გახსნიდნენ მუზეუმს და მისივე ყოფილ მოურავს კოტე აბდუშელიშვილს ჩააბარებდნენ — ენერგიულ კაცს, ამათ დიდად რომ უწყობდათ ხელს, თუმც... თავის ანგარიშსაც რომ არ ივიწყებდა, ექვთიმე ამას ყოველთვის ღიმილით დაატანდა ხოლმე, იმ ამბავს რომ გაიხსენებდა.

ის გაუგებრობაც მალევე გაიფანტებოდა:

დედაქალაქში აკაკის მოურავობას რომ ასრულებდა სოსიკო მერკვილაძე, ბუკინისტი და დიდი ფართიფურთის კაცი, აღმოჩნდებოდა, რომ მას აკაკისაგან ნოტარიუსის წესით შეეძინა უფლება აკაკის რამდენიმე საუკეთესო თხზულების გამოცემისა.

ექვთიმე ამას რომ გაიოცებდა, ის მიუგებდა:

— ამ თხზულებებს მე მხოლოდ ერთხელ გამოვცემ და მერმე ყველა თქვენს უფლებაში გადმოვა.

და მოგონებებში რომ ჩაეფლობოდა ხოლმე ექვთიმე, ძალდაუტანებლად ამოიზიდებოდა მის მეხსიერებაში ის სურათიც, როგორც ანდერძის შესახებ წინადადებას შეხვდებოდა სიცილით, ასევე სიცილს რომ შეაგებებდა აკაკის სხვა შემოთავაზებასაც:

— რამდენადაც ვიცნობ ხალხურ პოეზიას, უნდა გამოგიტყდე, რომ ჩვენისთანა ხალხური პოეზია სხვა ხალხს იშვიათად თუ აქვს. ამიტომ შენ დიდი სამსახური მიგიძღვის, რომ ასე ბევრი მასალა გამოაქვეყნე თქვენს საისტორიო და საეთნოგრაფიო ორგანოში — „ძველი საქართველოს“ ფურცლებზე, მაგრამ ხალხში გაბნეული მასალა აუარებელია, ამოუწურავი და მათი შეგროვება-გამოცემა გაასკეცებულ მუშაობას თხოულობს. მინდა ამ საქმეში დაგეხმაროთ. მოწმობა მომეცი, რომ მე თქვენი საზოგადოება მაგზავნის კახეთში სახალხო პოეზიის შესაკრებად.

ის სიცილი თუ სირცხვილეულად ახსენდებოდა ხოლმე ექვთიმეს, ვალები რომ მათქმევინა და მისი ხელნაწერებისა და ნივთების ვალში შესაძლო გაყიდვაო, სამაგიეროდ ეს სიცილი ისეთი ლაღი იქნებოდა:

— თუ ღმერთი გწამს, აკაკი, ამ საქმეს ნუ დამავალებ, თორემ უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდები. შენ მთელი საქართველო გიცნობს და უგვირგვინო მეფეს გეძახიან და... ექვთიმე თაყაიშვილმა უნდა მოგცეს შუამდგომლობა და რეკომენდაცია? ხომ სასაცილოდ ამიგდებენ და იტყვიან: ეს როგორ გაკადნიერებულა და ჩვენ გვასწავლის, ვინ არის აკაკი და როგორი პატივით უნდა მივიღოთო.

მაგრამ აკაკი ჰაიჰარად და სხვათა შორის არას ამბობდა ხოლმე და ამაზეც ეფიქრა და ასე ემჯობინებინა:

— აი ასე იცი შენ, არადა რა გენაღვლება, მე კი ასეთი მოწმობა გამომადგება. ხალხს ჩემი არაფერი სჯერა, აკაკიმ ლექსის წერის მეტი არა იცის რაო, ჰგონიათ, შენ კი სერიოზული კაცი ხარ და შენს მოწმობას გამოვიყენებ.

ამას სხვა რაღა ეწამებინა:

— დიდი სიამოვნებით, მაგრამ სიცილს მაინც დამაყრიან. საამისოდ დიდი ფული ჩვენ არ გაგვაჩნია, მხოლოდ ას მანეთს მოგართმევთ. თუ გეყოფათ ეს წასასვლელად, მიიღეთ და წაბრძანდით.

ის გაიხარებდა:

— თავისუფლად მეყოფა, მეტი არც მინდა.

ექვთიმე დაწერდა ჩვეულებრივ მოწმობას და გადასცემდა ას მანეთს. ამასთან მისწერდა თავის მეგობრებს თელავში, განსაკუთრებით ვასილ კახიძეს, რაფიელ ერისთავის სიძეს: ჩვენმა დიდმა მგოსანმა განიზრახა ფოლკლორული მასალების შეგროვება და გთხოვთ დიდი პატივით შეხვდეთ, წაიყვან-წამოიყვანოთ სხვადასხვა სოფელში და კმაყოფილი დააბრუნოთ უკანო.

კახელები დიდი ამბით რომ შეხვდებოდნენ და შესაფერ პატივსაც არ დააკლებდნენ, ისედაც იოლი მისახვედრია.

იური ჭავჭავაძეს, ილიას ბიძაშვილს, აღიარებდნენ განათლებულ, დემოკრატ და დიდად პატრიოტ კაცად, ხოლო მისი მეუღლე ელენე — სილამაზითა და სიდარბაისლით განთქმული მოღვაწე ქალი — როგორც ბრწყინვალე დიასახლისი და მასპინძელი სწორედაც რომ ამშვენებდა მაშინდელ საზოგადოებას.

მათი ოჯახი თელავში ისეთივე სალონად ითვლებოდა, როგორც თავის დროზე თბილისში სალომე ჭავჭავაძის ოჯახი!..

სიკო ფაშალიშვილის საარქივო მასალებს შემორჩებოდა ელენეს მიერ გამოგზავნილი წერილი, რომელიც ეხებოდა აკაკის იმ პირველ სტუმრობას ყვარელში. იმ სტუმრობისას ელენე და იური ჭავჭავაძეების მიერ გამართული ნადიმი იმდენად სტუმარმრავალი და მდიდრული აღმოჩნდებოდა, რომ მაშინდელ საზოგადოებას დიდხარჯიანი მოეჩვენებოდა და... ამიტომაცაა, ხმას რომ დაყრიდნენ:

იურიმ აკაკის ზეიმის გასამართად 10 დესეტინა მამული გაყიდაო.

ამ ხმებს დაუჯერებდა ექვთიმე თაყაიშვილიც და... ასე ჩაიწერებოდა მის მოგონებაში მამულის გაყიდვის ამბავი.

გაეცნობოდა ამ მემუარებს ელენე და... გულნატკენი იწერებოდა:

— ჩვენ არავითარი მამულის გაყიდვა არ მოგვიფიქრებია, რადგან გვქონდა შეძლება, რომ იმ სასიქადულო ადამიანისათვის ზეიმი მოგვეწყო და მისი პატივისცემით მთელი საზოგადოება მოგვეწვიენა. ამას შალვა დადიანი და ელო ანდრონიკაშვილი დაგვიდასტურებენ...

და იმ დღეების მოგონებანიც რომ წამოეშლებოდა, იმავე ბარათს მიანდობდა:

თუ როგორ ჩასულიყო 1910 წელს ბატონი ექვთიმეს ხელმძღვანელობით მათთან მთელი კომისია საქართველოს სიძველეთა შესაკრებად. და მაშინ იურის მოეწყო პირველი ექსპედიცია ნეკრესის მონასტრის დასათვალიერებლად. ახლაც იკითხებოდა ნეკრესის ერთ-ერთ კედელზე: რიცხვი, წელიწადი, თვე და იქ მყოფთა სია, რომელსაც ხელს აწერდნენ — ექვთიმე თაყაიშვილი, ალექსანდრე სარაჯიშვილი, ალექსანდრე ციციშვილი, იური ჭავჭავაძე და სხვანი.

იქ ყოფნისას იური ექვთიმეს საქართველოს მუზეუმისათვის გადასცემდა უნიკალურ ნივთს — ქეთევან წამებულის მიერ ნაქონ „დაუჯდომელს", პერგამენტზე მშვენიერი ხელით დაწერილსა და ლამაზ ყდაში ჩასმულს. და კიდეც დაამშვენებდა ის სახარება სახელმწიფო მუზეუმს.

იური სახელოვან სტუმარს მოუყვებოდა ამ „დაუჯდომელთან" დაკავშირებულ საგულისხმო ამბავს.

ჭავჭავაძეებთან დაღესტნიდან გამოვლით რამდენიმე დღით დარჩებოდა ვინმე ინგლისელი ლორდი — თავისი ქალითურთ. და როდესაც მასპინძელი ამ სახარებას უჩვენებდა და მის ისტორიულ მნიშვნელობასაც განუმარტავდა, ლორდი სთხოვდა:

— ოღონდ ეს ნივთი ბრიტანეთის მუზეუმს მიჰყიდე და ნახავ რა დიდძალ ფულს მოგართმევენ.

მაგრამ იური ჭავჭავაძე ცივ უარს მოახსენებდა:

— ეს ნივთი საქართველოში დარჩება.

და... დარჩებოდა კიდეც.

ვის ძარღვებშიც ილია ჭავჭავაძის სისხლი ჩქეფდა და ვინც აკაკი წერეთელს შეჰხაროდა და მისი ნაცნობობა-მასპინძლობა ეამაყებოდა, იმისთვის ანკი რა თანხა უნდა შეგეძლია, რომ ქეთევან წამებულის მიერ ნაქონ „დაუჯდომელს" შელეოდა!..

* * *

ისე მოხდებოდა, რომ:

კახეთიდან დაბრუნების შემდეგ აკაკი არაფერს ჩამოუტანდა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას?

ექვთიმე არც არასოდეს ჰკითხავდა რაიმეს ამის შესახებ.

და: საზოგადოების განწყობილება და თვალთახედვა როგორიღა იყო, როგორ აღიქვამდა სიძველეთა თავგადაკლული მკვლევარი ყველა კუთხის საერთო დამოკიდებულებას სახელოვანი და სათაყვანებელი პიროვნების მიმართ?

აკაკი წერეთელმა ლექსის წერის მეტი არა იცის რა, ექვთიმე თაყაიშვილი კი... ოოო, ექვთიმე სერიოზული კაციაო...

ამგვარი განწყობილებისა და თვალთახედვის ბრალიც გახლდათ, აკაკი საარჩევნო კამპანიისას ორჯერვე მარცხს რომ იწვნევდა.

1911 წლის აგვისტოში აკაკი წერეთელს საჩხერეში ალექსანდრე ხახანაშვილი ესტუმრებოდა. სავანის ძველი ეკლესიისა და ჯრუჭის მონასტრის დასათვალიერებლად ჩამოსული ასეთ ხელსაყრელ შემთხვევას ანკი როგორ გაუშვებდა ხელიდან, მისთვისაც ასერიგად ძვირფასი მგოსანი რომ არ მოენახულებინა.

მასპინძელს რარიგ გაახარებდა სასახელო სტუმრის გამოჩენა.

მასაც და ექიმ სევერიან ჭოლოშვილსაც მიიწვევდა პირდაპირ ბაღში, სადაც კაკლის ხის ქვეშ ცოტა ხანს ისაუბრებდნენ. შემდეგ ქართული სიტყვიერების მკვლევარს შეუძღვებოდა თავისი სასახლის ეკლესიაში, გულდასმით დაათვალიერებინებდა, მერე კი ეკლესიის წინ დასხდებოდნენ, ტყემლის ქვეშ.

ექიმს აქამდეც მოეხსენებოდა, აკაკის ძალიან რომ უყვარდა თავისი სამოსახლოს ეს კუთხე. საღამოობით აქვე, ვაკე ადგილზე ხუთასი ნაბიჯი მაინც უნდა გადაედგა დინჯი სიარულით. რომელიღაც ექიმს ერჩია, რომ ასე მოქცეულიყო სამკურნალო-სავარჯიშო მიზნით.

შემდეგ აუცილებლად ჩამოჯდებოდა ხოლმე კაკლის ან ტყემლის ქვეშ და გვიანობამდე რჩებოდა ასე გარინდებული.

ეს ადგილი ისე ეყვარებოდა, ყველას უმეორებდა:

— სიკვდილის შემდგომ ამ ადგილას, ტყემლის გვერდთი დამმარხეთ.

და იმ დღეს ალექსანდრე ხახანაშვილსაც უჩვენებდა იმ ადგილს და ეტყოდა:

— აქ უნდა დავიმარხო.

1912 წლის 7 ნოემბერს ანდერძს რომ შეადგენდა და ჩამოთვლიდა, ვის რას უტოვებდა:

სამოსახლო ადგილს შენობებითა და კარის ეკლესიით სოფელ სხვიტორში, შორაპნის მაზრაში — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასო,

ვენახსა და დანარჩენ ჩემს მამულს — საკუთრად საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ქართული ზღაპრების, არაკებისა და საერთოდ ზეპირ თქმულებათა შესაკრებად და გამოსაცემად, და უფლება ჩემი ნაწერების გამოცემისა უნდა მიეცეს ამ საზოგადოებას აღნიშნული მიზნისათვისო,

დანარჩენ ჩემს მოძრავ ქონებას — ჩემს მეუღლესა და შვილსო,

თხოვნით ერთს ითხოვდა მხოლოდ:

— რადგანაც ზემოხსენებულ სამოსახლო ადგილთან დაკავშირებულია ჩემთვის ფრიად ძვირფასი მოგონებანი... როდესაც უფალი თავისთან გამიწვევს, დამასაფლაოთ კარის ეკლესიის გვერდით, სოფელ სხვიტორში...

დაკრძალვა გარემოს შესაფერისი უნდა ყოფილიყო:

უბრალოდ და უგვირგვინოდ.

და თუ ვინმე მოინდომებდა გვირგვინის შეკვეთას: უამისოდ აბა როგორ იქნებაო, — დაე მისთვის ეცნობებინათ მგოსნის დანაბარები: გთხოვ მაგ გვირგვინის ფასი გადასცე საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასო.

კარის ეკლესიის გვერდითო...

იგულისხმებოდა: ტყემლის ხის ქვეშ — ოღონდ მის დასახელებას ანდერძში მოერიდებოდა, ეკლესია და ტყემლის ხე მაინცდამაინც მოხდენილად ვერ გადავიდოდა ფურცელზე, გვერდიგვერდ, რაოდენ მომხიბლავადაც უნდა შეევსოთ ლანდშაფტიც და პეიზაჟიც, თვალს ადვილად რომ ვერ მოწყვეტდი და მასთან ყოველი გამოთხოვებაც ძალიან და ძალიან დაგენანებოდა.

სამარე ტყემლის ხის ქვეშ უნდა გაჭრილიყო.

რარიგ გაუგებდა გაბრიელ სუნდუკიანცს, თუმც მაშინ კი ერთბაშად შეკრთებოდა, მუშტაიდის ბაღში დილაადრიან მოსეირნე მოულოდნელად რომ გადაეყრებოდა სომეხ დრამატურგს, რომელიც ყვავილებით გაპენტილი ატმის ქვეშ მუხლმოყრილი და ხელებაპყრობილი იდგებოდა ქანდაკებასავით.

ცივცხელად გამობრუნდებოდა უკან შეშფოთებული: ღმერთო, ეს რა დამართნიაო!..

ნახევარი საათის შემდეგ რომ შემოხვდებოდა, ის აღტაცებით შემოსძახებდა:

— აკაკიჯან, აქ რას უზიხარ? წამოდი, რა გიჩვენო!

დაავლებდა ხელს და მიიყვანდა იმ ატმის ხესთან:

— ამას ვერ ხედავ? რატომ არ დაემხობი და თაყვანს არა სცემ ამ მშვენიერების გამჩენს? მე კი ეს ერთიხანია ყოველ დილას მოვდივარ და ვლოცულობ!..

გაუგებდა, გაუგებდა მის გულისთქმას, თუმც თვითონ არასოდეს გაუჩნდებოდა სურვილი არამცთუ იმ ატმისა, არამედ ტყემლისა თუ კაკლის ხეებქვეშ მუხლი მოეყარა და ხელები აღეპყრო და დიდხანს დამდგარიყო ასე ქანდაკებასავით, მაგრამ განსაკუთრებულ სიახლოვეს რომ გრძნობდა ხეებისადმი, ესეც აშკარაა, გაიშინაურებდა, შეეთვისებოდა და...

აკი სხვა სამარეს აღარც ინატრებდა, გარდა ტყემლის ტოტებქვეშ წოლისა, მისი ყვავილები რომ დაეფინებოდა ყოველ გაზაფხულზე.

აქ უნდა დავიმარხოო...

ტყემლის ხეს არც „უკანასკნელ სურვილში“ ახსენებდა, 1907 წლის 1 ოქტომბერს რომ ჩაინიშნავდა თავისთვის და დაკრძალვის ადგილს თავის კარის ეკლესიასთან კი არ მოზომავდა, არამედ...

— ჩემი სურვილია, რომ გელათში დავიმარხო, დავით აღმაშენებლის ფეხთით, თუ შესაძლებელი იქნეს.

სურვილი სურვილად, მაგრამ ეჭვობდა, ასეთ პატივს თუ არგუნებდნენ... ყოველ შემთხვევაში დაე გულისნადები ამოთქმით ამოთქმულიყო და... თუ შესაძლებელი არ იქნებოდა, სცოდნოდათ მაინც, აკაკი წერეთელს სად ელირსებოდა თავი დასამარხად.

ბოლოსდაბოლოს ბაგრატიონთა შთამომავალი გახლდათ.

ბოლოსდაბოლოს პოეზიის მეფედ აღიარებულიყო.

ჰა, ეგებ გაეჭრა მის ამ თხოვნას, ხალხს გამოედო თავი და სწორედაც ის ადგილი ერგუნებინა მისთვის ძვალშესალაგად?!.

სწორედაც დავით აღმაშენებლის ფეხთით!..

ერთადერთი, რასაც ივედრებოდა:

დაემარხათ უბრალოდ, ღარიბად, ისე, როგორც შეჰფეროდა მის გატარებულ ცხოვრებას.

გვირგვინები ნუ იქნებოდა, მათ ნაცვლად, თუ მაინცდამაინც, რაიმე ნიშნები ყოფილიყო, რომ ხარჯები არა მოჰყოლოდა რა.

ენანებოდა, რარიგ ენანებოდა ფული პომპეზურობისათვის.

მისი სახლი საჩხერეში, ეზოთი და ვენახით, რომელიც დაგირავებულიყო ქუთაისის საადგილმამულო ბანკში სამას თუმნად და ღირებულებით კი ბევრად მეტი ღირდა, გადასცემოდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას იმ პირობით, რომ იქ სახალხო სკოლა გამართულიყო.

მისი თხზულებანი გადასცემოდათ: იაკობ გოგებაშვილს, გრიგოლ და ალექსანდრე დიასამიძეებსა და ვახტანგ ღამბაშიძეს.

იმათი განკარგულებით უნდა გამოცემულიყო — თანახმად სერგო ბახტაძის სურვილისა, და წმინდა მოგებიდან, თუ იქნებოდა ხოლმე, ნახევარი ერგუნებინათ მისი ცოლ-შვილისათვის, რადგანაც მათ მეტს ვერას უტოვებდა, და დანარჩენი ნახევარი კი ამ ოთხეულს გამოეყენებინა თავის სურვილისამებრ.

მიუხედავად იმისა იაკობ გოგებაშვილი მთელი ცხოვრება სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე რომ იდგა, აკაკის ეგონა: მე უფრო ადრე წავალ და ნაწერები ვის შეიძლება დაეუტოვო, თუ არა ასეთ სანდო და საიმედო ხელსო.

დავით აღმაშენებლის ფეხთითო...

გავიდოდა წლები და უფრო კი არ განუმტკიცდებოდა ეს ოცნება, პირიქით, მთლად ჩაეფშვნებოდა და გაუქრებოდა ხელში და კარის ეკლესიასღა მიაჩერდებოდა: იქნებ აქ მაინც მეღირსოს უკანასკნელი სადგურიო.

ყოველ გაზაფხულზე ტყემლის ყვავილები რომ დაეფინებოდა და შეამკობდა სამარეს.

ხოლო მაშინ:

რუსთაველის თეატრის წინ, იქ, სადაც მოგვიანებით ოფიცერთა სახლი აღიმართებოდა, სანდრო ახმეტელი დაინახავდა ხესთან მდგარ ვალერიან გუნიას, რომელსაც ხელში ჟურნალი ეჭირა და ათვალიერებდა, მიუახლოვდებოდა და ეტყოდა:

— ბატონო ვალერიან, გეტყობათ ეს ადგილი ძალიან მოგწონთ.

— მართალია, — მიუგებდა ის, — მიყვარს და მცირე ხნით რომ არ შევეჩერდე, არ შემიძლია. როდესაც „თეატრს“ ვრედაქტორობდი, აი იქ, — ხელს გაიშვერდა ფოსტა-ტელეგრაფის შენობისაკენ, — ერთ ხესთან ხშირად მინახავს აკაკი წერეთელი. როდესაც ერთხელ კიდევ ვნახე, ცნობილ მეცენატს, უალკოჰოლო სასმელების სპეციალისტს მიტროფანე ლაღიძეს ესაუბრებოდა. ვერ მოვითმინე, მივედი და მეც თქვენსავით შევეკითხე:

— დღეს უკვე მესამედ გხედავთ ამ ადგილას, ბატონო აკაკი, ალბათ მოგწონთ.

იმას პასუხად უნდა გაეღიმა:

— კი! ამ პატარა თუთის ხეს ისე ვერ ჩავუვლი, რომ არ შევხედო და არ შევჩერდე, მითუმეტეს, როდესაც ასეთი კარგი მოსაუბრე შემხვდება.

და მიტროფანეზე მიუთითებდა.

თუთის ხე ამოეჩემებინა, რადგანაც ის აგონებდა თავის ეზო-კარსა და ხეხილნარს, სულიერივით ესაუბრებოდა და მის ქვეშ ჰპოვებდა იმ შვებას, ასერიგად რომ ესაჭიროება ყველას და განსაკუთრებით მთელი ქვეყნის სატკივრით გათანგულ გულს.

ხესთან ითქვამდა სულს სიცოცხლეში.

და კვლავ ხე უნდა მოელენოდა მფარველად წუთისოფელთან განშორების შემდგომაც, ოღონდ ეს უკვე სხვიტორში, რადგანაც სიცოცხლეში თუ კიდევ ჰპოვებდა ნუგეშს თავისი ტყემლის ხის თანამოძმესთან, თუნდ ტფილისში მდგართანაც, გარდაცვალების მერე ის და მხოლოდ ის ხე უნდა ყოფილიყო მისი სამარის შემამკობელი.

თუმც ჯერ სხვები უნდა გაეცილებინა გულამომჯდარს, ჯერ ძველებურად უნდა შეენარჩუნებინა სასაფლაოების ორატორის სახელი: ვის თვალში დამამცირებელი, მისთვის კი დიდად საამაყო.

რაოდენ სასიხარულო გახლდათ მისთვის პეტერბურგიდან ჩამოსული ქართველი სწავლულის მასპინძლობა, ყოველმხრივ რომ შეუწყობდა ხელს, და...

რაჭა-ლეჩხუმის ეროვნული აღფრთოვანების დროს — რაღა მეფის სტუმრობა და რაღა აკაკისა — როდესაც ქართველთა ჩვეულებისამებრ ნეტარხსენებული იაკობ გოგებაშვილის შესანდობარი შეისმოდა თვალცრემლიანად, სწორედ მაშინ დეპეშა აცნობებდათ არანაკლებ სამწუხარო ამბავს:

ალექსანდრე ხახანაშვილის გარდაცვალებას უცხოეთში.

ეს ცნობა ყველას, განურჩევლად წოდებისა, სქესისა და ხნოვანებისა, თვალზე ცრემლს მოადენდა — ლხინს ჭირად გადააქცევდა.

და აკაკიც გამოეშურებოდა აქეთ, რათა დასაფლავებას დასწრებოდა და ერთხელ კიდევ ჩაებეჭდა უკანასკნელად გულში სახე დიდი ქართველისა.

შესაძლოა ზოგს არც კი სცოდნოდა, თუ ვინ იყო პროფესორი ხახანაშვილი.

არ სცოდნოდა მიტომ, რომ აქ, ჩვენში, ძვირად ყოფილიყო განსვენებული. მისთვის ბედს ერგუნებინა უცხოეთში ყოფნა, საიდანაც მთელი მისი ჭკუა-გონებით შეძლებისდაგვარად ემსახურებოდა სამშობლოს, დნებოდა სანთელივით მისი გულისათვის და იმ შორიდან უნათებდა.

და მარტო ამას რომ არ დააჯერებდა, შეზღუდავდა თავის პირად ცხოვრებას იმ განზრახვით, რომ თავისი ოფლითა და შრომით მონაგარი რამე დაეტოვებინა ქართველობისათვის საშვილიშვილოდ.

ამგვარად მკვდარი არ მოკვდებოდა, ვიდრე ქართველობა არ მოისპობოდა.

და სწორედ ამგვარ სიკვდილს უწოდებდა რუსთველი სახელოვანს.

და აკაკი, მისი გაჭრილი სამარის წინაშე მდგარი ცრემლად და ღაღადისად, ამასაც ისურვებდა, რომ:

მიმბაძველი გამოსჩენოდა ამ დიდებულ ქართველს და საუკუნო ყოფილიყო სახსენებელი მისი.

რაჭა-ლეჩხუმის ეროვნული აღფრთოვანების დროსო...

რაღა მეფის სტუმრობა და რაღა აკაკისაო...

გრიგოლ დიასამიძე, რომელიც მოწამე იქნებოდა ამ უჩვეულო დღესასწაულისა, უქმისა, რომელსაც საზღვარი არ გააჩნდა, ირწმუნებოდა:

ასეთი აღტაცებით, ერთიანი აღფრთოვანებითა და სიყვარულით ჩვენი წინაპრები ალბათ მარტო თამარ მეფეს თუ ეგებებოდნენო.

და დაბეჯითებითაც გაიმეორებდა:

დიახ, არ ვაჭარბებ, როცა ამას ვაცხადებო.

სასიხარულოდ, საამაყოდ და იმედისმომგვრელად კი იმას მიიჩნევდა, რომ:

აკაკის მოგზაურობას მოაწყობდნენ უბრალო რაჭველი მშრომელები, სათავეში ჩაუდგებოდათ და უხელმძღვანელებდათ მეპურე იობა ისაკაძე, რომელიც ისეთ ენერგიას, ისეთ

აღმაფრენას გამოამჟღავნებდა, რომ უნებლიეთ ყველას გააკვირვებდა და ყველას სიყვარულსა და სიმპათიასაც დაიმსახურებდა.

და შემდგომ უდროოდ და ტრაგიკულად დაღუპული იობა ისაკაძის საფლავის ქვისათვის აკაკი ეპიტაფიას რომ დაწერდა, გრიგოლს მისი დასაწყისი ასე დაამახსოვრდებოდა: უბრალო კაცი ვიყავი, უბრალო პურის მცხობელი, ყოველგვარ ცუდის მოძულე, უკუღმართობის მგმობელიო...

და ორ კვირას რომ დაჰყოფდნენ ედემის მსგავს ამ ორ კუთხეში, გრიგოლს თვალთაგან აღარ მოშორდებოდა, თუ როგორ ტიროდა აკაკი იმ ორ კვირას ნეტარების ცრემლით.

...ალბათ მარტო თამარ მეფეს თუ ეგებებოდნენო...

ეს იმიტომ: ღვთაებამდე რომ აეზიდათ მისი სახება.

და კიდევ: მეფე ერეკლესაც, ხატისაგან რომ არც განერჩეოდათ.

თქვენი მხიარულება მეც გადმომედოო, — 28 ივლისს ონში გამართულ ნადიმზე სიტყვა-სადღეგრძელოს ამ სიტყვებით დაიწყებდა, — როგორც თქვენ, კიდევ უფრო მეტად მე ვარ აღტაცებულიო.

მიტომ კი არა, რომ ეს ლიტანიობა, რომელსაც შეჰყურებდა, მისგან გამოწვეულიყო, არამედ სულ სხვა მიზეზით.

ხედავდა რომ იქაურები უკვე გამოღვიძებულიყვნენ — არ იყვნენ კმაყოფილნი აწმყოთი და მიისწრაფოდნენ მომავლისაკენ.

ეძიებდნენ სწორ გზას, სურდათ ჰყოლოდათ წინამძღოლი, რომ მოვლინებოდათ მესია და...

— ნამეტანი სურვილით გატაცებული აჩქარებულხართ და მე გგონივართ ის წინამძღვარი. მე მისი აჩრდილიც არა ვარ.

ოღონდ ამაზე კი უარს არ ამბობდა:

— მე უბრალო წინამორბედი ვარ. ამას მოგახსენებთ წრფელი გულით.

ის გმირი, რომელსაც უნდა გაეწყვიტა ჯაჭვი და ამირანი აეშვა, სხვა გახლდათ და არა აკაკი. ის უნდა მოვლენილიყო მხოლოდ და მხოლოდ ახალი მოდგმისაგან.

და შეახსენებდათ, რომ:

როდესაც იოანე ნათლავდა ხალხს იორდანეში, ის ეგონათ ებრაელებს მესია, მაგრამ იგი ამცნობდათ, რომ მესია ის იყო, რომელიც ნელ-ნელა მათკენ ეშვებოდა. იოანე ნათელს სცემდათ მათ წყლით, ის კი — სულიწმინდით.

და დასძენდა აკაკი:

მე ღირსი არა ვარ ამ შედარებისა, მხოლოდ მაგალითად მომყავს ამ აღფრთოვანების დროსო.

იოანე ნათლისმცემლის სიტყვები აღსრულებით აღსრულდებოდა.

და კიდეც მოევლინებოდა ქვეყანას მაცხოვარი.

და ასევე მოევლინებოდა საქართველოსაც მისი შესაფერისი გმირი, რომლის ხამლის გახდის ღირსადაც არ მიიჩნევდა აკაკი თავს, და თუ მას, მცირე მახარობელსა და უბრალო მოკვდავს, ასეთი აღტაცებით ეგებებოდნენ, მაშინ რაღა იქნებოდა, როდესაც ნამდვილი გმირი მოევლინებოდათ?.. მაშინ ხომ უფრო გახარებულნიც შეიქნებოდნენ და უფრო მომზადებულნიც შეხვდებოდნენ იმ გმირთა-გმირს.

აკაკის კი ისღა დარჩენოდა, ჩაეკრა გულში მათი მოლოდინი, სიყვარული, პატივისცემა და სვიმონ მოხუცივით წარმოეთქვა: აწ განმიტევეთ მე მონა თქვენიო!..

შინ მობრუნებული რაჭა-ლეჩხუმში სტუმრობასა და მათ დახვედრას მოიხსენიებდა სწორედ საარაკოდ და საზღაპროდ.

ვისაც თავისი თვალით არ ენახა და თავის ყურით არ მოესმინა ის, რაც იქ მომხდარიყო, წარმოდგენით ვერ წარმოიდგენდა: განურჩევლად წოდებისა, სქესისა და ხნოვანებისა, მთელი ორი მაზრა ერთპირად ფეხზე დადგებოდა და ეროვნული აღფრთოვანებით ილტანიებდა მომავალს.

და აკაკი ჩვეული თავმდაბლობით დაურთავდა: თუმც იმ ლიტანიობის ცოტა მოზიარე მეც ვიყავი, მაგრამ, უნდა გამოვტყდე, ის მცირედიც აღემატებოდა ჩემს ღვაწლსო.

და გაიხსენებდა მოსე წინასწარმეტყველის დაბადებას, სასწაულით რომ გადაურჩებოდა დაღუპვას ჩვილობისას, წამოზრდილი კი შეიძლებდა ეტარებინა ერი უდაბნოებით, მიეღწია სინას მთამდე და იქიდან მიეთითებინა აღთქმული ქვეყნისაკენ.

ეროვნულად უფრო შეგნებული რაჭა-ლეჩხუმის ლიტანიობა იმის მომასწავებელი გახლდათ, რომ ისინიც ებრაელებივით მოელოდნენ მოსეს გამოჩენას, რომელსაც უნდა მიეთითებინა მათთვის აღთქმული ქვეყნისაკენ.

და რა იყო ეს აღთქმული ქვეყანა, საეროვნო იდეალი?

— ტკბილი, კეთილი და მშვიდობიანი მომავალი, მხოლოდ სწავლა-განათლებით და შრომის ოფლით, უსისხლოდ გამოწვეული და წარსულზე მონაქარგი.

ოღონდ ეგაა: ვერა და ვერ დააღწევდა თავს აკაკი მიხაილ ვორონცოვის ხიბლს, თითქოს- და ქართველთა იდეალი პროგრამად ეჭირა ხელში და ცდილობდა ხელშეუხებელი ყოფილიყო ჩვენი ეკლესიაც, ჩვენი დედაენაც და არც სამკვიდრო მიწა-წყალი გამოგვცლოდა ხელიდან.

ქართველი დარჩენილიყო თავისი ეროვნული ელფერით — ენით, ეკლესიითა და მიწა-წყლით — ისევ ქართველად, მაგრამ პოლიტიკურად რუსი ყოფილიყო. და საქართველო უკეთეს და უბრწყინვალეს თვალად ჩაესვა რუსეთის გვირგვინში.

ამ მზაკვრული, მაცდური და სახიფათო პოლიტიკის — აკაკის განსაზღვრებით კი: გენიოსური წინდახედულობის — გამოისობით მოხდებოდა, რომ:

ვორონცოვის დროის ქართველისათვის რუსი და რუსობა იდეალად შეიქნებოდა და რუსის საქმე არათუ თავის საქმედ მიაჩნდა, არამედ გადამეტებულადაც მსახურებდა მას: დაღესტნის ხანგრძლივი ბრძოლისა არ იყოს, სადაც ქართველები თავს გამოიჩენდნენ, და ყირიმის ომისა, რომელსაც თითქმის მსხვერპლად შეეწირებოდა საქართველო.

ეს უშუალო ნაყოფი იმ მზაკვრული, მაცდური და სახიფათო პოლიტიკისა:

ქართველი რუსსა და რუსობას იდეალად რომ დაისახავდა.

და ყირიმის ომში სისხლს რომ ჩავაქცევდით, ამაზე უარესს დაღესტანთან ბრძოლით ჩავიდენდით, იმამ შამილის დამხობით არამარტო იმის სამშობლოს, ჩვენს სამშობლოსაც რომ არანაკლებ დავაზარალებდით, რაკიღა კავკასიური მთლიანობის იდეა ჰაერში გამოეკიდებოდა და აღსადგენი გაგვიხდებოდა, იდეა, ურომლისოდაც საქართველო ვერასოდეს იქნებოდა სრულყოფილი და ძლიერი სახელმწიფო, ადვილად რომ ვეღარავინ შემობედავდა.

რაც არის და როგორც არის, კვლავაც მიხაილ ვორონცოვს დასახავდა აკაკი იმ იდეალად, რომლის ფონზეც მწვავედ შეუტევდა რუსების ერთ ნაწილს — ტაქტიკური მოსაზრებით „ზოგიერთს“ იტყოდა, აბა „ყველას“ ხომ არა! — საკმაოდ ვერ ხედავთ ვორონცოვის ღვაწლს და თქვენი კუჭის მიმდევრობით თავაღებულები აღარ გვჯერდებითო.

რაო, რას ჩაგვჩიჩინებდნენ?

ნუღა მოიგონებთ წარსულსო.

უარყავით ის ეკლესია, რომელმაც მაჰმადიანობას გადაარჩინა ერი და რომელმაც XIX საუკუნის კარამდე მოიტანა ქრისტიანობა უმწიკვლოდ და უწვალებლადო.

დაივიწყეთ დედა-ენა, ის ენა, რომელზედაც IV საუკუნიდან დაწყებული ადიდებდით ღმერთს და...

მაშინ, მხოლოდ მაშინ დაგიჯერებთ, რომ ჩვენთან იქნებით და არ გენდომებათ განშორება... განცალკევებაო!..

და კვლავ ტაქტიკური სვლა:

რომელი ჭკუათამყოფი ქართველი გაიტარებს გულში განცალკევებას? ეს რომ გვდებოდა გულში, რაღად მოვიწვევდით რუსებს მფარველად და მეგობრადო?

ეს ყველამ იცოდა და იმ მოჩიჩინეებმაც?

და ამ ტაქტიკური სვლიდან უნდა გადასულიყო მწარე გადაკვრაზე, ფინალურ აკორდად რომ შეარჩევდა:

მაშ რად გინდათ, რომ უმიზეზოდ თავი მოგვაჩვენოთ კრილოვის იმ მგლად, რომელიც რამდენიმე თვის კრავს ეუბნებოდა: შარშან წყალი რად ამიმღვრიეო?..

ამ გადმოსახედიდან — დიდი ხსნის, გარდუვალი გათავისუფლებისა — შეჰყურებდა აკაკი რაჭა-ლეჩხუმში გარსშემოჯარულ თუ ადევნებულ ხალხს, ლიტანიობას რომ გაახსენებდა და უნებურად ის სურათებიც ამოისახებოდა თვალწინ ახალი აღთქმიდან: იესოს შესვლისა იერუსალიმში ჯვარცმის წინ.

იმ მისტერიას, რომელსაც უნდა გაეცხადებინა ამქვეყნად მისი მოვლინების საიდუმლო:

ხოლო უმრავლესი იგი ერი დაუფენდა სამოსელსა მათსა გზასა ზედა; და სხუანი მოჰკაფდეს რტოებსა ხეთაგანს და დაუფენდეს გზასა ზედა.

და ერი იგი, რომელიც წინა უვიდოდა და რომელი უკუანა შეუდგა, ღაღადებდეს და იტყოდეს: ოსანა ძესა დავითისსა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაითა! ოსანა, რომელი ხარ მაღალთა შინა!

და ვითარცა შევიდა იგი იერუსალემდ, შეიძრა ქალაქი იგი ყოველი და იტყოდეს: ვინ არს ესე?

ხოლო ერი იგი ეტყოდა: ესე არს წინაისწარმეტყუელი...

მეფე ჰურიათაო, — ეს წუთებიც უნდა დამდგარიყო, როდესაც დასცინებდნენ და აბუჩადაც აიგდებდნენ მაცხოვარს.

მეფე ქართველთაო, — ამ სარკაზმს გადაურჩებოდა აკაკი წერეთელი და... კიდეც ასცილდებოდა ის ჯვარცმა, რაც სულ რამდენიმე წლის წინათ ეტვირთა ილია ჭავჭავაძეს და მისტერიის საიდუმლოშიც გახვეულიყო.

ამიტომაცაა:

აკაკი ყვარელს რომ ხედავდა ახალ ბეთლემად, ყვარელს და არა სხვიტორს!..

ხოლო უმრავლესი იგი ერი დაუფენდა სამოსელსა მათსა გზასა ზედაო...

და სხუანი მოჰკაფდეს რტოებსა ხეთაგანსო...

ახალ აღთქმას მოჰქონდა ეს სურათებიც და ეს სუნთქვაც.

ხოლო ის სურათები, აკაკის რომ დაუფენდნენ სამოსელსა მათსა გზასა ზედა, და სხუანი მოჰკაფდეს რტოებსა ხეთაგანს და დაუფენდეს?..

დაწერილადაც შემოგვრჩებოდა.

და კინოკადრებადაც, ისე რომ მოხდებოდა, ქართული კინემატოგრაფის ჩასახვა აკაკი წერეთლის სახელს რომ დაუკავშირდებოდა — მაინცდამაინც აკაკის, სწორედაც და უსათუოდ აკაკის!..

ვასილ ამაშუკელი უნდა დამდგარიყო ამ დიდი სიახლის სათავეში, მას უნდა ჩაეყარა საძირკველი ქართული კინოსათვის დოკუმენტური ფილმით „აკაკის მოგზაურობა რაჭალეჩხუმში", იმ ლიტანიის გადმოტანით კინოეკრანზე, ხალხი ისე რომ ეგებებოდა თავისი გულისთქმის გამომხატველს, ის კი ივედრებოდა: მე ნუ გამაიგივებთ მესიასთან, მესია და გმირთაგმირი აუცილებლად მოვა და შესაძლოა უკვე კიდეც ეშვება ჩვენსკენ, მე მისი აჩრდილიც არა ვარ, ღირსიც არა ვარ მისი ხამლის გახდისაო!..

ვინ დაუჯერებდა.

და ლიტანიობაში გაეხვეოდა რაჭაც და ლეჩხუმიც, საყოველთაო განწყობილება ქართველობისა ამ ორ კუთხეში რომ უნდა ამოფრქვეულიყო, ორ მაზრად წოდებულში, და სამოსელის დაფენა სამოსელის დაფენად, რტოების მიმობნევა რტოების მიმობნევად და... კინოაპარატიც რომ დაჰყვებოდა, ახალი დროის მონაპოვარი, რაღაც ახალი კარის შემხსნელი კაცობრიობის ყოფაში, დროის ამ დინებას ჩვენც რომ არ უნდა ჩამოვრჩენოდით, ამ დინებას კი ალღოთი ისედაც განჭვრეტდა აკაკი წერეთელი, „ბაში-აჩუკს" თითქოს უნებლიეთ, მაგრამ სინამდვილეში რაღაც ფარული კანონზომიერებით კინორომანად — სწორედაც კინორომანად — რომ შექმნიდა.

ჟანრობრივად თვითონ ასე სულაც არ განსაზღვრავდა?

განა რა აუცილებელი იყო, თვითონვე განესაზღვრა, გრიგოლ რობაქიძე რა, ვერ მიიჩნევდა გამზადებულ კინოსცენარად და შესაფერისი ჟანრობრივი თავისებურების კვალობაზე ვერ მიუჩენდა ადგილს ქართულ რომანისტიკაშიც და ქართულ კინემატოგრაფშიც?

დროს თვითონვე უნდა დაედასტურებინა „ბაში-აჩუკის" ახლებური სტილისტიკა და „გრაალის მცველთა" შემოქმედს მხოლოდღა გაეფორმებინა დროის ეს დასტური.

და დაუფენდნენ სამოსელსა მათსა გზასა ზედა.

და მოჰკაფდნენ რტოებსა ხეთაგანს და მიმოაბნევდნენ გარეშემო მისსა.

ლიტანიობდა რაჭაც, ლეჩხუმიც, მთელი ქართველობა ლიტანიობდა: ამ მხარეში შენივთებული.

მე ნუ გამაიგივებთ მესიასთანო, — ივედრებოდა აკაკი წერეთელი...

თავი IV

საქართველოს უგვირგვინო მეფე

ახალგაზრდა ქალებს ძველ დედათა სულიერების მობერვას აკი იმით შეატყობდა, მზადყოფნას რომ იჩენდნენ — სამსხვერპლოდ თავი დაედოთ საქმისათვის.

სწორი გზით თუ მიდიოდნენ?

თავის გადადების სურვილი და უნარი უკვე ბევრს ნიშნავდა აკაკის თვალში, იმ საიმედოს მიანიშნებდა, საწალმართოდ რომ გაღვივდებოდა ადრე თუ გვიან და კიდეც ბოლომდე აღივსებოდნენ დიდებულ მანდილოსანთა სულით, იმ მონაბერს ახალი დროის შესაფერისად რომ აღადგენდნენ.

ცოტა მოგვიანებით პუბლიცისტურ სტატიაში „ქართველი ქალები“ („თემი“, 1912, 27 აგვისტო) აკაკი საგანგებოდ დაისაჭიროებდა ვაჟებისა და ქალების შედარებას ერთმანეთთან:

აგერ ნახევარ საუკუნეზე მეტი იყო, რაც გზა გახსნოდათ ვაჟებს და მაღალ სასწავლებლებს ამთავრებდნენ, მაგრამ აბა თუ რამე ეროვნული მოეცათ ქვეყნისათვის!..

ვითომ პედაგოგიური ასპარეზი?

განა ცოტა გვყავს პედაგოგებიო, — ეტყოდნენ და ამაზე კი დაეთანხმებოდათ: დიახ, ბევრი გვყავსო, — მაგრამ... რომ გვეჭირვებოდა, მისთანა რომ არ მოგვეძევებოდა?!.

ძალიანაც არ ამტყუნებდათ: ცუდ მდგომარეობაში არიან ჩაცვენილი — უნდა ლუკმა ეძიონ, რომ შიმშილით არ დაიხოცონ და ამავე დროს იმოქმედონ უკუღმართი პროგრამითო. მაშ რა ელონათ, რომ მასწავლებლობისათვის არ მოეკიდათ ხელი?..

— ვინ რას ამბობს, მაგრამ სწავლაც არის და სწავლაც. მისთანა რამ, რაც მის ერს არ გამოადგება და სხვისი, უკუღმართი პროგრამით ისწავლება, რა სახსენებელია!..

და ჩაურთავდა ერთ დიალოგს, ქართულის შესამჩნევად მცოდნე ერთ ახალგაზრდა ქართველთან რომ მოუხდებოდა. ის გადაფითრებული იდგებოდა და ეს საუბარს გაუბამდა:

— სადა სწავლობდი?

— კლასიკურ გიმნაზიაში.

— მერედა როგორ შეისწავლე აქ ქართული?

— იქ რაც არ დამავიწყდა, რას შევისწავლიდი?

— აბა რატომ?

— პატარა რომ ვიყავ, ნიკოლაძის ქალებს მიმაბარეს, რომ გიმნაზიაში შესასვლელად მოვემზადებინეთ, და იქ ვისწავლე ქართულიც.

— გიმნაზიაში შესასვლელად განა მოითხოვენ ქართულს?

— არა, მაგრამ ჩვენ ისინი მაინც გვასწავლიდნენ ქართულს და არათუ გვასწავლიდნენ, კიდეც შეგვაყვარეს ყოველიფერი მშობლიური და კარგი. მათი ყოველდღიური ჩიჩინი შეგვესისხლხორცა პატარებს და მეც, ერთი იმ მოსწავლეთაგანი, მიმდევარი ვარ ქართულის.

ამ დიალოგს სამაგალითოდ მოიშველიებდა აკაკი და მკითხველს სთხოვდა:

ახლა ვაჟების მხრიდანაც მიჩვენეთ მსგავსი რამ სწავლება. ისინი მხოლოდ პროგრამას ასრულებენ და ვერც გასცდებიან. და განა მარტო პედაგოგიური? ყოველგვარი სარბიელი, რომელიც კი ვაჟებისათვისაც და ქალებისათვისაც ერთგვარია, ამავე მაგალითს გვიჩვენებს. ეროვნული ნაყოფი ქალებს მეტი მოაქვთ, ვიდრე ვაჟებსო.

თუმც სულ მოკლე ხანი იყო, რაც ქალებიც გამოდიოდნენ ასპარეზზე, და მიტომაც აუცილებლობად მიაჩნდა, რომ ქალებს მეტი ყურადღება მიექცეოდათ, ვიდრე ვაჟებს.

ის სტიპენდიები მაინც, რომელთაც დღესდღეობით მარტოდენ ვაჟებს უნიშნავდნენ, რატომ არ უნდა დანიშნოდათ ქალებსაც.

აგრეთვე ყურადღება მიქცეოდა იმ ერთადერთ სკოლას, სადაც პროგრამა ხელს არ უშლიდათ, რომ ქართული ესწავლებინათ.

სათეატრო პროგრამა ნებას იძლეოდა, რომ გვქონოდა სკოლაც, ოღონდ იმ სკოლაში საჭირო იყო ქართულის სწავლება ვრცელი პროგრამით: უნდა შესწავლილიყო სამშობლო მისი წარსულითა და აწმყოთი.

მართალია აქედან ყველა ვერ გამოვიდოდა მსახიობი, მაგრამ სამაგიეროდ გამოვიდოდნენ კარგად მომზადებული ქართველი ქალები, რომელნიც შვილებსაც გამოზრდიდნენ და ოჯახსაც ნაუძღვებოდნენ.

მაშ ნუ ვეხუმრებოდით ამ სკოლასო, — რომ შეაგულიანებდა საზოგადოებას, გამაფრთხილებლადაც დასძენდა: იმ სააზნაურო თვალით ნუ შევხედავთ, რომლითაც შევხედეთ სათავადაზნაურო სკოლებს, თორემ ვინანებთ და ცოდვა დღევანდელი მეთაურებისა იქნებაო.

თანადგომას კი გამოუცხადებდა ქალების გამოსვლას საქვეყნო სარბიელზე, იმთავითვე რომ სულაც არ იჩენდა ამგვარ თანაგრძნობას, ქალის საქმიანობა ოჯახის იქით მოსაწონად სულაც არ მიაჩნდა, და აწ უკვე ყოველთვისაც აგულიანებდა და ხელსაც უწყობდა ქალთა დამკვიდრებას თუნდ კულტურისა და საგანმანათლებლო სფეროში, მაგრამ მკაცრ მზერასაც მიმოატარებდა ხოლმე ირგვლივ და მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობითაც აღავსებდათ, თორემ ბევრი რამ იწვევდა მის გაღიზიანებასა და გულისწყრომას, მის ირონიულსა და სარკასტულ დამოკიდებულებას.

როდესაც ქართველ ქალებზე ჩამოვარდებოდა ხოლმე საუბარი, აკაკი... სასაფლაოებისაკენ რომ მიიწევდა და გარდასულ დღეებს მოიგონებდა, ზოგიერთს ეს განცდა-განწყობილება არ გაეგებოდა, სასაცილოდაც არა ჰყოფნიდა და აკაკის ამუნათებდნენ: რაც აღარ არსებობს, რაც გარდასულა და გამქრალა, მისი მოგონება უნაყოფო ოცნება და დროის დაკარგვააო, — და აკაკის კი იმათზე ეცინებოდა და გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცის, გერმანელი ფილოსოფოსის სენტენციას შეახსენებდათ, ილიასათვისაც ასერიგად მახლობელს, ეპიგრაფადაც რომ დაესაჭიროებინა: აწმყო, ნაშობი წარსულისაგან, მშობელია მომავლისო. და მიტომაც ეს სამი დრო გაუწყვეტელი ჯაჭვივით გადაბმულიყო ერთმანეთზე.

ისტორიას იმიტომ კი არ მიმართავდნენ აკაკი და მისი თანამოაზრენი გარდასულ გმირთა ჩხრეკა-ძიებისას, თითქოს ის ძველი დრო ენატრებოდათ, სურდათ მისი დაბრუნება და მამულისათვის ქვაკუთხედად დადება. სრულიადაც არა. ისინი იმ გმირებს სამაგალითოდ უსახავდნენ თანადროულ მაჩანჩალებს, რათა ამათაც იმ ძველებისაგან ესწავლათ, თუ როგორ უნდოდა სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავდადება, რომ დღევანდელი დროისა და ცხოვრების მოთხოვნებისათვის ისეთივე პასუხი გაეცათ, როგორც ჩვენი წინაპრები აძლევდნენ იმ ძველ დროს.

ახლა დაე შეგვედარებინა გარდასული დედები დღევანდელ ქალებს.

დღევანდელი ქალები უფრო განვითარებულნი და ნასწავლნი იყვნენ გარდასულებზე. ძველ დედებს მხოლოდღა ერთი საზრუნავი და საფიქრალი ჰქონდათ — სამშობლო, და მის მეტიც არა აგონდებოდათ რა.

დღევანდელმა ქალებმა კი უცხო ენები იცოდნენ ზედმიწევნით, ფიქრობდნენ ჩაცმა-დახურვაზე, საფუნდრუკოებზე და... დრო აღარა რჩებოდათ, რომ კიდევ სამშობლოზედაც ეფიქრათ.

დღევანდელი დღე სისხლის ნაცვლად შრომასა და ოფლს მოითხოვდა და აკი აძლევდნენ პასუხს ახალი დედები: იქანცებოდნენ საფუნდრუკოებში და ოფლსა ღვრიდნენ როკვის დროს. სარკაზმსაც აღარ ერიდება აკაკი? მაგრამ სარკაზმის გარეშე თანადროული ყოფა როგორ წარმოესახა?!.

და გულისტკივილით გაიხსენებდა, რომ:

ძველი დრო სულ სხვა იყო მისი მოთხოვნილებით. ძველმა დედებმა მხოლოდ ქართული იცოდნენ. ის ერთი დედა-ენა აკმაყოფილებდა მაშინდელ მოთხოვნილებას. იმ ენაზე ზრდიდნენ შვილებს და იმ ენით ადიდებდნენ ღმერთს — მეტი მოთხოვნილება არა იყო რა.

დღეს კი უცხო ენები გამხდარიყო საჭირო, რომ რომანები გეკითხა და ან განათლებულად გეჭიკჭიკა, და აქ ძალაუნებურად წამოაგონდებოდა ის ამბავი, მეფე ერეკლეს რომ ეთქვა თუშისათვის:

— ბარაქალა, რომ ცხრა შვილი გყოლია!..

იმას კი პასუხად:

ნეტავი ერთის მეტი არა მყოლოდა და შენისთანა კი ყოფილიყოო!..

იმისა არ იყოსო, — დასძენდა: მართალია ძველი დედების სარბიელი ვიწროდ შემოფარგლულიყო — ერთი იყო, მაგრამ ის ერთი სჯობდა დღევანდელ ათასს, რადგანაც ქართული გული ედო საფუძვლადო.

სიამაყით რომ მოიხსენიებდა იმ ისტორიულ საკვირველებას — ქართველობა XIX საუკუნემდე რომ შემოინახავდა და დაიცავდა თავის — რჯულთან გადაკავშირებულ — ეროვნებას, ამის მიზეზად ქალებს მიიჩნევდა: დედები შვილებს ძუძუსთან ერთად აწოვებდნენ სამშობლოს სიყვარულსა და მისთვის თავდადებასო; აკვანს რომ არწევდნენ, საგმირო „ნანინას“ უმღერდნენ და საგმირო ზღაპრებით აღელვებდნენ ახალგაზრდობასო; ცოლები გვერდში ედგნენ ქმრებს და ამხნევებდნენ: მეც თან წამიყვანე, რომ შენი ჭირი და ლხინი გავიზიაროო!.. მე ქუდს დავიხურავ და ლეჩაქს კი მამაკაცებს მოვახვევ, თუ სადმე ლაჩრები გამოჩნდებიანო; დედაკაცთა ხელთ იყო ყოველგვარი საოჯახო საქმე, რადგანაც მამაკაცებს არ ეცალათ საშინაოდ და ამან აამაღლა ქალები სულითო.

მაგრამ... XIX საუკუნიდან კი დაიწყებოდა დაცემა ანუ უკან-უკან სვლა.

რაკიღა ეს საუკუნე უშუალოდ გადაჯაჭვოდა რუსთა მფლობელობას, გამჭვირვალედ იგულისხმებოდა, თუ საიდან მოგვევლენოდა ეს ტრაგედია, რაც თავისთავად გამოიწვევდა უმძიმეს და კინაღამ საბედისწერო რყევებს. და დღევანდელი ქალი ისეთივე თვალტანადი რომ გახლდათ, როგორც მისი წინაპარი, უფრო ნასწავლი და ეგებ უფრო მშრომელიც, დიდი რამ ხეირი არ მოჰქონდა ამას ჩვენთვის, რადგანაც... ქართველი კი აღარ იყო და!..

შეხვდებოდი განათლებულ ქართველ ქალს, რომელიც ქართულს ვეღარ ახერხებდა და თავმომწონეობდა ამით: რა საჭიროა და ან რა უნდა გამიკეთოსო.

ზოგიერთები თავს მართლულობდნენ: ქართული რომ ვიცოდეთ, გვინდა, მაგრამ მასწავლებლები არ გვასწავლიან და რა ვქნათო.

ვერაფერი თავის მართლებააო!.. — არ დაუთმობდათ აკაკი და თვალსაჩინოებისთვის, უცხოელებს სხვანაირი გულისყური რომ არა ჰქონდათ, მოიხმობდა მარჯორი უორდროპის სახელს, ინგლისში რომ მოეხერხებინა ქართული ბიბლიის წყალობით ქართულის შესწავლა, და საქართველოში ჩამოსული ენას გაისწორებდა მართებული გამოთქმებით და იმდენს მიაღწევდა, რომ „ვეფხისტყაოსანსაც“ კი აამეტყველებდა ინგლისურად.

რაღა შორს მივდიოდით — არტურ ლაისტი გვერდში არა გვყავდა და ყოველდღე არა ვხედავდით?

ამ უცხოელებს თუ მოეხერხებინათ ქართულის შესწავლა, გადალახვა ძნელი პირობებისა, ჩვენს ქალებს რაღა დამართოდათ, თუმც საქართველოში დაბადებულიყვნენ, აქვე გაზრდილიყვნენ და აქვეც ბერდებოდნენ?!.

რაკიღა ეს ყოველივე გულის ბრალი გახლდათ, როგორ არ მოეშველიებინა რუსთველური აფორიზმი: უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიაო, — და როგორ არ დაერთო მწარე, შეულამაზებელი სიმართლე: დღევანდელი ქართველობაც განაკიდიაო...

რასაკვირველია უმეტესობას გულისხმობდა და არა იმ თითოოროლა გამონაკლისს, რომელნიც კიდევ ბუჟუტავდნენ ამ ღრმა სიბნელისას.

დარწმუნებული იყო, რომ ყველა გულწრფელი და სიმართლისმოყვარე ადამიანი დაეთანხმებოდა: დღევანდელი ქალი, რაც უნდა მომხიბლავი იყოს, ვერ შეედრება ძველ დედებსო.

ეს კი ასე გახლდათ, მაგრამ აკაკის მაინც ქალებისა უფრო ეიმედებოდა, ვიდრე ვაჟებისა, და სწამდა, რომ ისინი გამობრუნდებოდნენ, სწორ გზას დაადგებოდნენ და მომავლის დედები შეიქნებოდნენ, და თუ აქამდე ვერ მოეხერხებინათ, რომ დაძრომოდნენ ხელიდან იმ ზნეობით მალარიას, რომელიც დღესაც კიდევ ადუხჭირებდათ, ამის მიზეზს ხედავდა კაცებში: სწორ გზას არ ვაძლევთო.

როდესაც ქართველები უფლებას გამოიტანდნენ ქართული სასწავლებლის დაარსებისა და იქ ქართულად სწავლებისა, კიდეც გამართავდნენ კრებას და ასტეხდნენ მსჯელობას, თუ რა ტიპის სასწავლებელი გაეხსნათ: სამეურნეო რამ თუ კლასიკური.

ერთხმად კლასიკურზე შედგებოდნენ:

— რომ დაასრულებენ, მაღალ სასწავლებლებში გადავლენ, დაასრულებენ და იქიდან კარგი ჩინოვნიკები გამოვლენ.

აკაკი ამ მოსაზრებას დაუპირისპირდებოდა და კრებას მოურიდებლად მოახსენებდა:

— რადგანაც ეს ძვირფასი ნებართვა ჩაგდებული გვაქვს ხელთ, ვეცადოთ, რომ უკეთ მოვიხმაროთ. ვინ იტყვის, რომ ვაჟთა სკოლა სასარგებლო არ იქნეს ჩინოვნიკთა გასამრავლებლად? მაგრამ ამ მოთხოვნილებას განა სახელმწიფო გიმნაზიები კი ვერ აკმაყოფილებენ? უმჯობესი იქნება, რომ ქალთა სკოლა გავხსნათ. მართალია ქალებს არ აძლევენ ჩინოვნიკობას, მაგრამ რად გვინდა, რომ ჩინოვნიკობა გამრავლდეს? რას შეგვძენენ ისინი და რა სარგებელს მოუტანენ საზოგადოებას? იქ გამოზრდილი ქალები კი სწორ გზას დაადგებიან: გამოზრდიან შვილებს და დღევანდელებივით გულგრილნი არ იქნებიან. დღევანდელი ქალი თავის შვილს უცხოს მიუგდებს ხოლმე გასაზრდელად და აღარც კი კითხულობს, რას ასწავლიან და ვინ ასწავლის?.. დღევანდელ ქალებს რომ ჰკითხოთ, ასში ერთიც ვერ გეტყვის, თუ ვინ არის მზრუნველი, რამდენი გიმნაზიაა? და ვინ არიან მათი დირექტორები? მაშინ როდესაც არტისტებისა და სხვათა მეფუნდრუკეთა ჭორებიც კი შესწავლილი აქვთ!.. ეს იმიტომ, რომ აღზრდა მათი უკუღმართი ყოფილა და სწორი გზა დაუკარგავთ. და თუ ახლაც არ დავკარგავთ ამ შემთხვევას და ქალთა სკოლას შემოვიღებთ, მაშინ კი სულ სხვაგვარ ნაყოფს, ქვეყნისათვის სასარგებლოს, მივიღებთ.

იმ დიდ კრებაში მხოლოდ ერთი გენერალი, ატამანად წოდებული გიორგი ერისთავი დაეთანხმებოდა, მაგრამ მაინც ვერას უშველიდა ისიც და ჩინოვნიკური მოსაზრება თავისას გაიტანდა.

ეს ამბავი გამეორდებოდა დასავლეთ საქართველოშიც, იმერეთშიც. ტაშისცემა და ძახილი ბევრი იქნებოდა, აკაკი რომ სიტყვას წარმოთქვამდა, მაგრამ... რაკიღა სიტყვა ერთია და საქმე კი მეორე, აქაც საჩინოვნიკო მოსაზრება გაიმარჯვებდა და დაარსდებოდა სავაჟო სკოლა: ვაჟები გამოგვიზარდეთ და ქალებს ისიც ეყოფათ, რასაც სახელმწიფო სკოლებში ასწავლიანო; რად უნდათ დიდი სწავლა, სამსახურში ხომ მაინც არ მიიღებენო...

და ამიტომაც: საშუალო სასწავლებლიდან რომ გამოდიოდნენ ჩვენი ქალები, მშვენიერად ურუტულებდნენ უცხო ენაზე, მაგრამ ოჯახობისა კი არა გაეგებოდათ რა!..

ერთი „ზავედენკა“ რომ გათხოვილიყო, მოენდომებინა მეოჯახეობა და მიეწერა მეგობარი ქალისათვის:

— შენი ჭირიმე, მეოჯახეობას მივყავ ხელი, მინდა სხვათა შორის ყველულების მოშენება და ერთი დედალ-მამალი ყველული გამომიგზავნე.

რასაკვირველია ეს ბარათიც უცხო ენაზე დაიწერებოდა, რადგანაც დედაენაზე წერა არ ეხერხებოდა.

კაცებს ეგონათ, ქალებს ჩიტივით გაზრდისა და გათხოვების მეტი არა უნდათ რაო, და აკაკი ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ: ეს არ დაეჯერებინათ ქალებს და ერთი ხანია ხელი მიეყოთ თვითგანვითარებისათვის, დადიოდნენ ეს რამდენიმე წელია მაღალ სასწავლებლებშიაც და... ამის შემყურეს მოუნდებოდა გლეხურად ეთქვა: მოსავალსაც კარგი პირი უჩანსო.

მერეა, ვაჟებსა და ქალებს რომ შეადარებდა ერთმანეთს.

მერეა, დაბეჯითებით რომ აცხადებდა: იმ სააზნაურო თვალით ნუ შევხედავთ ამ სკოლას, სათავადაზნაურო სკოლებს რომლითაც შევხედეთ, თორემ ვინანებთ და ცოდვა დღევანდელი მეთაურებისა იქნებაო.

ეგაა, ვინ შეისმენდა, ვინ გაითვალისწინებდა, საქმედ ვინ აქცევდა?!. თორემ სამოქმედო პროგრამა კი მოხაზულიყო.

რა გასაკვირია, რომ:

განსაკუთრებით აღელვებდა „დროების“ ბედი, გაზეთისა, რომლის დაარსება-წამონევაშიც საკმაო ოფლი ეღვარა, როგორც ახალთაობის ახალი წრის მონაწილეს, იმ წრისა, ილია ჭავჭავაძეს რომ განუდგებოდა გვერდიდან.

აკაკის უმთავრესად „ცხელ-ცხელი ამბები“ დაევალებოდა, ნიკო ნიკოლაძეს — პუბლიცისტური სტატიები, სერგეი მესხს — მეთაურები, გიორგი წერეთელს — ისტორიული ნაკვეთები და პატარ-პატარა მოთხრობები.

„დროებას“ ხელმომწერები მიემატებოდა და ავიდოდა შვიდასამდე.

შემდგომ აკაკი ქართულ თეატრს შეუდგებოდა, ნიკო ნიკოლაძე საკუთარ ჟურნალს გაიჩენდა — „კრებული“, გიორგი წერეთელიც რაღაც საქმეს მოჰკიდებდა ხელს და გაიფანტებოდნენ, და რედაქციის საქმე მარტო სერგეი მესხს დააწვებოდა კისერზე.

გულით ავადმყოფი შესწირავდა სულსაც და გულსაც „დროებას“ და... კიდეც გადაჰყვებოდა თან.

მისი გარდაცვალების შემდეგ კი გაზეთი გადაინაცვლებდა ივანე მაჩაბლის ხელთ, საკმაო უნარს რომ გამოიჩენდა, გიორგი ქართველიშვილი მატერიალურ შემწეობას აღმოუჩენდა და „დროების“ საქმეც კარგად აეწყობოდა, რომ ერთ უეცარ შემთხვევას არ დაემოკლებინა დღე გაზეთისათვის.

ერთი ვიღაც ქალი ბულვარში საჯაროდ სილას გაარტყამდა გენერალს და ამ შემთხვევას „დროება“ მეორე დღესვე ახალ ამბად გამოააშკარავებდა. ეს გამოაშკარავება კი ეწყინებოდა ერთ გავლენიან პირს, ქართველ გენერალს: ის გალახული გენერალი ჩემი კარგი მეგობარი იყო და მისი სახელი და გვარი უდიერად როგორ მოიხსენიესო, — და ამას შედეგად ის მოჰყვებოდა, რომ: კიდეც დახურავდნენ გაზეთ „დროებას“.

ამ პუბლიკაციას „როგორ დაარსდა ჩვენში გაზეთი“ (1912, 15 ოქტომბერი) გაზეთ „თემის“ რედაქცია ამ სქოლიოს დაურთავდა: მთავრობის მიერ „დროების“ დახურვის მიზეზად სხვა გარემოებასაც ასახელებენ, მაგრამ ამის შესახებ სხვა დროს გვექნება ლაპარაკიო, — მაგრამ ერთი რამ ცხადია, გენერლის გულისწყრომა თუ ერთადერთი არა, ერთ-ერთი მიზეზი ნამდვილად ყოფილა „დროების“ არსებობის შეწყვეტისა, ჩვენს თვალში კი სულაც უმთავრეს მიზეზად მოჩანს, რაკიღა აკაკი სწორედ ამ ვერსიას იზიარებდა, იმ სხვა გარემოებაზე კი „თემი“, შეპირების მიუხედავად, აღარას ამცნობდა მკითხველს.

მას მერე, „დროების“ სიცოცხლე რომ შეწყდებოდა, მეოთხედი საუკუნეც ჩაივლიდა.

მაშინ გაზეთს თუ შვიდასი ხელმომწერი ჰყავდა, დღეს რასა ვხედავდით?

მთელი საქართველო მოფენილიყო გაზეთებით — თბილისშიც გამოდიოდა რამდენიმე გაზეთი, აგრეთვე ქუთაისში, გამოდიოდა ბათუმშიც, გორშიც, ქიზიყშიც... და სიხარულითა და გაოცებით ეღიმებოდა აკაკის: დღეს რედაქტორები და მესტამბეები მეტნი არიან, ვიდრე წინანდელი ხელმომწერებიო!..

და ვისი წყალობა იყო ეს საარაკო მოვლინება?

ვისი და: მოძრაობის!..

ამ მონაპოვარს არ დაუკარგავდა იმ მოძრაობას, რომელიც — მისდა გულდასაწყვეტადაც — ასე დუხჭირად ჩაივლიდა ჩვენში.

მოძრაობა რომ დაიწყებოდა, მაშინ აკაკი დაწერდა ლექსს, რომელშიც თავის შეხედულებას გამოხატავდა ამ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენაზე, და რომელსაც გადასცემდა „ცნობის ფურცელს“, მაგრამ არათუ ვერ დაუბეჭდავდნენ, დედანსაც დაუკარგავდნენ. მერე ნატალია აზიანი იპოვნიდა შავ პირს და აკაკის ახარებდა:

— ამ შავს მე დავაბეჭდინებ იმ გაზეთში, სადაც ვმუშაობ.

მაგრამ... დრო გაივლიდა და... ისიც ამასვე ეტყოდა: შავი დამეკარგაო!..

ასე რომ, დღეს ის ლექსი აღარ გააჩნდა, აღდგენითაც ვეღარ აღადგენდა, თუმც შინაარსი კი ახსოვდა:

— ყოველგვარ სტიქიურ მოვლინებას აქვს თავისი კანონები. მაგალითად, როცა წყალი მოვარდება და მდინარე აღელდება, კალაპოტში ვეღარ ეტევა, მივარდება კიდეებს და გადატეხს ბევრგან, დაეშვება შხუილით; ხიდებს წაიღებს, წისქვილებს დაანგრევს და ადამიანებსაც დაახრჩობს, მაგრამ როდესაც ამ მარცხებთან ერთად გადალექავს აყროლებულ კიდეებს და გაასპეტაკებს ჰაერს, მერე ისევ წმინდად ჩადგება თავისივე კალაპოტში. ამავე კანონს ექვემდებარება ხალხის აღელვებაც! — როგორც აღელვებულ წყალს ნაპირზე გამოჰყავს თევზები, მაგრამ მათში გველ-ბაყაყებიც ურევია, სწორედ ისე აღელვებულ

ხალხსაც სარბიელზე გამოჰყავს მეთაურები, მაგრამ როგორც წმინდა თევზებში გველ-ბაყაყი, იმ მეთაურებში მისთანებიც ურევიან, რომ დროთი სარგებლობენ, მხოლოდ თავის კუჭს ემსახურებიან და სახელს უტეხენ წმინდა მეთაურებს. ამიტომაც დიდი დაკვირვება და სიფრთხილით გარჩევა უნდა მოასპარეზეთ.

აი რა აზრისა იყო მაშინ მოძრაობაზე.

და ამავე აზრისა რჩებოდა დღესაც, როდესაც მოძრაობა გათაეებულიყო!.. მაგრამ არ შეეძლო თვალი დაეხუჭა ამ სიკარგეზე — გაზეთების გამრავლებასა და მკითხველთა გაასკეცებაზე!..

ზოგს ეს სულაც რომ არ ეჭაშნიკებოდა და ათვალწუნებითაც იმეორებდნენ?!.

— რა სანატრელია გაზეთების გამრავლება მაშინ, როცა ისინი ერთი გზით არ მიდიან; ზოგი ალთას გაიძახის და ზოგი ბალთას... ერთმანეთს დარევიან!

დაე ყველას ყურად ეღო და გაეთვალისწინებინა აკაკის დაბეჯითებული შეხედულება, ამგვარ მოსაზრებას შემცდარად რომ მიიჩნევდა და თვალსაჩინოებისათვის ძველ დროს გაიხსენებდა, როდესაც მებუკეთა დანიშნულება იყო საყვირ-განგაშით ხალხის გამოღვიძება და გამოფხიზლება, რომ გაეგებინებინათ: მტერი მოდის და ფრთხილადო. გამოღვიძებული და გამოფხიზლებული ხალხი კი თვითონაც მიხვდებოდა: საით უნდა წასულიყო და ვისთან ეომნა!..

და სწორედ ამგვარ მოვალეობას აღასრულებდნენ ახალ დროში გაზეთები, მებუკეთა მიერ ატეხილი საყვირ-განგაშისას: აფხიზლებდნენ და აღვიძებდნენ ხალხს.

და ამიტომაც რამდენიც მეტი იქნებოდა, მითუფრო კარგ ნიშნად ესახებოდა ეს სიმრავლე მომავლისათვის. და ერთბაშად აღტაცდებოდა: გაუმარჯოს მომავალსო!..

* * *

აკაკის ჩასვლა მოსკოვში დიდ სალაპარაკო მასალას რომ მისცემდა იქაურ გაზეთებს, ამის თაობაზე შალვა ამირეჯიბი „ა-ი“-ს ფსევდონიმით ამცნობდა „კლდის“ მკითხველებს 1913 წლის 27 იანვარს: დიდი გაზეთები წერილებს რომ უძღვნიდნენ მხცოვან მგოსანს, მისი ინტერვიუ ისეთი საინტერესო გახდებოდა ყველასათვის, რომ ოფიციალური „კავკაზიც“ იძულებული შეიქნებოდა ხმა ამოეღო.

მოსკოვის ქართველობა მის პატივსაცემად ბანკეტს რომ გამართავდა 4 თებერვალს, დაესწრებოდნენ რუსული ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის წარმომადგენელნიც.

შალვა ამირეჯიბისათვის განსაკუთრებით ღირებული ის აღმოჩნდებოდა, რომ:

ჩვენი უდიდესი ლირიკოსი უმთავრესად პოლიტიკურ თემებზე ილაპარაკებდა და ამის წყალობით ხელთ შეგვრჩებოდა დიდსარგებლიანი პოლიტიკური აგიტაცია, რომელიც ძლიერად აღიბეჭდებოდა როგორც რუსეთის მოწინავე, ისე ქართველი საზოგადოების მეხსიერებაში.

ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ პოეტს, რომელიც თავისი კერძო საქმეებისათვის იყო წასული რუსეთს, წინასწარგანზრახულად არ ჩამოერთმეოდა ასეთი საქციელი, და პუბლიცისტი მოსკოვის პრესას მადლობას მოახსენებდა, ასეთი ყურადღებით რომ მოექცეოდა მგოსანს, რომლის 50 წლის მოღვაწეობის იუბილეც ამ მცირე ხანში გადაგვეხადა, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ ბოლო ფრიად საგულისხმო გამომდგარიყო და ასეთი ფაქტისათვის დიდი ანგარიში უნდა გაგვეწია.

ხოლო მოსკოვის ქართველთა სალიტერატურო წრე ბანკეტს რომ გაუმართავდა, ნადიმში ორასი კაცი მაინც მიიღებდა მონაწილეობას, ქართველებიც და რუსებიც, და აკაკი თავის სიტყვაში მათ ყველას შვილებად მოიხსენიებდა, ოღონდ მიტომ კი არა, თითქოს მათი მამობის საკადრისად მოჰქონდა თავი, არამედ მხოლოდ მათ შორისი ხნოვანების მიზეზით და იმ სიყვარულის გამო, გულში რომ უღვიოდა მათდამი.

და მოხუცის უკანასკნელ მამობრივ წრფელ სიტყვას იმის გახსენებით დაიწყებდა, თანამოაზრეებთან ერთად გზას რომ აირჩევდა და გამოვიდოდნენ ასპარეზზე 60-იან წლებში. და რაკილა ის გზა ეკალ-ნარიანი და შამბნაღებული იყო და ძნელად სავალიც და სახიფათოც, კარგად გრძნობდნენ, რომ მის გაწმენდასა და გამარგვლას სავსებით თავიანთ სი-

ცოცხლეში ვერ მოესწრებოდნენ!.. მაგრამ მომავალი თაობების მოსვლას ითვალისწინებდნენ და ეს ტკბილი ოცნება ამხნევებდათ და ხელს აღებინებდათ საპირადოზედ.

თანამოაზრეთაგან სახელდებით მოიხსენიებდა:

გიორგი წერეთელს, იაკობ გოგებაშვილს, სერგეი მესხსა და ნიკო ნიკოლაძეს.

მაშინ წრე პატარა გახლდათ და თანამგრძნობიც მცირე ჰყავდა, და ამჟამად მათ ადგილას ათასობით რომ ითვლებოდნენ, თანამგრძნობლად თუ არ მთელი საქართველო, ნახევარზე მეტი მაინც ჰყავდათ ახალუხლებს და სულ თვალწარბშიც შემოჰყურებდნენ.

და ახლა მათი ვალი იყო, რაც ძველებს ვერ მოესწროთ, ამათ დაემთავრებინათ და ბოლომდე მიეყვანათ, გაეკაფათ ის ეკლიანი გზა, რომლის სათავეშიც უკვდავების წყარო ჩუხჩუხებდა და აკი ქართულ საგულისხმო ზღაპრებში ვხედავდით რაინდებს, უკვდავების წყაროს საძებრად გაჭრილებს, რათა მათი შემგულიანებელი მზეთუნახავებისათვის მიეტანათ ის უკვდავების წყარო და დაელევინებინათ.

ისინი ამისათვის თავს არ იზოგავდნენ და არ ერიდებოდნენ არც ხიფათს და არც განსაცდელს?

დაე ახალ თაობასაც იმ რაინდებისათვის მიებაძა და მოეპოვებინა ის უკვდავების წყარო მათი საყვარელი, მაგრამ დასნეულებული მზეთუნახავისათვის — სამშობლოსათვის და აიაზმად ესხურებინათ, რათა გამოებრუნებინა.

ეს მითუფრო უნდა გაადვილებოდა ახალგაზრდობას, რომ:

გზა ნაჩვენები გახლდათ და არც სამშობლო იყო მომაკვდავი!..

შორს რომ აღარ გაჰყოლოდა, აგერ მათ თვალწინ არ იდგა დიდებული ქართველი ავტორი „ღალატისა“?

დაე ახალგაზრდებს სცოდნოდათ, რომ:

ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის ეს პიესა არა ყოფილა უბრალო სასცენო გასართობი!..

არამედ:

წინასწარმეტყველება და პროგრამა ჩვენი მომავალი ცხოვრებისა.

ოღონდაც სასიკეთო რომ დაენახა ქვეყნისათვის და აღმატებულ ეპითეტებს რომ არ იშურებდა, მითუმეტეს — ამ მოსაზრებას ლიტერატურულზე მეტად ეროვნული და პოლიტიკური დანიშნულება ჰქონდა, თორემ:

თუ რაიმეა წინასწარმეტყველება და პროგრამა ჩვენი მომავალი ცხოვრებისა, უდავოდ თვითონ აკაკის შემოქმედებაც, ცხადია ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობასთან ერთად.

აკაკი კი თავისას განაგრძობდა და აცხადებდა, რომ: პიესაში გამოხატული თვითეული პირი სარკე იყო ჩვენი წარსული და მომავალი ცხოვრებისა. და ზეინაბ დედოფალი ერთიასად მაღლა იდგა ებრაელთა ივდითზე, წარმოდგებოდა ხორცშესხმულ დასტურად იმ ანდაზისა: ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსაო!..

ზეინაბი შესწირავდა ქმარს, შვილს და დროებითაც ქვეყანასაც და ყოველივე იმასაც, რასაც მის წმინდათაწმინდას შეადგენდა, მხოლოდ იმ განზრახვას, რომ თვისი წამებული ერი გამოხსნილი და თავისუფალი ენახა, და კიდეც მოესწრებოდა ამ მისწრაფებას. მართალია სიყვარულით გაბოროტებული მისი შვილი შეცდებოდა და უღალატებდა, მაგრამ იმ ღალატს დედა სიკვდილით მოინანიებდა და თვითონაც ზედ დააკვდებოდა!..

ახალი წყარო ცხოვრებისა, ნაცვლად ძველი გზისა, სხვა გზით გამოიჩქეფდა... გამოდიოდა ხალხის გულიდან მეფის სანაცვლოდ ხალხის შვილი დათო და ძლევამოსილი დამარცხებულ მტარვალობას — სულეიმანს — გულზე მუხლს აჭერდა და ხალხშიაც გაისმოდა: ქრისტე აღსდგაო!..

ესეც თვალსაჩინო ნიმუში, რომ:

თანადროულ მოღვაწეებს მოქმედების დროს ეს ზეინაბი უნდა გაეთვალისწინებინათ და მისი სიტყვებიც გულის ფიცარზედ აღებეჭდათ.

მაგრამ მოღვაწეობასა და შრომას თუ გულწრფელობა არ დაედებოდა სარჩულად და კუჭს აჰყვებოდა, იქ საზოგადო-სასიკეთო არა გამოვიდოდა რა!..

და დაე ეს ერთიც შეესმინათ:

გამრავლებას ყოველთვის თან მოჰყვებოდა გაყოფაც.

ფუტკარი რომ იმრავლებდა, ერთ სკაში ველარ ეტეოდა და ორად იყოფოდა, ორი — ოთხად, ოთხი — რვად და ამგვარად.

ესეც ბუნებრივი მოთხოვნილება, მსოფლიო კანონი, და სწორედ ამ კანონს ექვემდებარებოდა კაცობრიობაც.

თუ ესენი 60-იან წლებში ცოტანი იყვნენ და ერთი გზით ვიდოდნენ, დღესდღეობით ეს აღარ მოხერხდებოდა და აკაკიც ურჩევდათ ახალგაზრდებს: ბევრნი ხართ, უნდა გაიყოთ და სხვადასხვა გზით წახვიდეთ, ტყუილად არ არის ნათქვამი, ყველა გზა რომისაკენ მიდისო!..

— თუ თქვენ იმ სხვა და სხვა გზას ერთი და იგივე მასალა ექნება, უკვდავების წყარო და იმ სვლა-მისწრაფებასაც სიმართლე და გულწრფელობა ედება სარჩულად, ყველა გზა კარგი იქნება და მიტომაც სხვა და სხვა გზით მიმავალნი ერთიმეორეს ხელს არ უნდა უშლიდენ და მტრულის თვალით არ უნდა უყურებდენ. პირიქით ერთმანეთს ხელსაც უნდა უწყობდენ საჭიროებისა და გვარად.

თორემ:

შოვინისტობა ანუ სამშობლოს უკულმართი სიყვარული, როდესაც იმას ანაცვალებდნენ სხვების კეთილდღეობასა და ბედნიერებას, საძაგლობა გახლდათ, მაგრამ ერთიათასად უფრო საზიზღრობა — თავისი ქვეყნისათვის სამშობლოს გარეწრობა.

ვისაც თავისი მშობელი არ უყვარდა, ის სხვებსაც ვერ შეიყვარებდა.

ვინც თავის პატარა ერს არ ემსახურებოდა, ის ვერც კაცობრიობას გამოადგებოდა.

თავის ქვეყნის სიყვარულში სამშობლოც გამოიხატებოდა.

მამობრივი გულგადახსნა კი მხოლოდ ასე თუ დაგვირგვინდებოდა:

— თქვენც ნუ მოანდომებთ მთლად თქვენ ცხოვრებას მარტო პირადობას, საზოგადოსაც შესწირეთ ხოლმე მცირე რამ და იმ ბევრ-მცირესაგან შესდგება ბევრი და დიდი რამ!.. ნუ დაგავიწყდებათ, რომ მომავალი თქვენია და სამშობლოც თქვენგან მოელის იმ უკვდავების წყაროს, რომელიც სამკურნალოდ უნდა ესხუროს არა მარტო მას, არამედ მთელ კაცობრიობასაც. იცოცხლეთ ბედნიერად და თქვენთან ერთად გაუმარჯოს საქართველოსაც...

აკაკი კვლავაც უბეჯითებდათ იმას, რაც:

ვაჟა-ფშაველას გამოეთქვა პოლიტიკური ესეით: „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი"

და მიხაკო წერეთელს მონოგრაფიით: „ერი და კაცობრიობა"

ამ ჭეშმარიტებას ვითომ რა მტკიცება ესაჭიროებოდა?..

ესაჭიროებოდა რომელია!.. და თურმე ძალიანაც ესაჭიროებოდა...

* * *

— ძვირფასო აკაკი! თქვენი დიდი ბუნება ჩემთვის მზის სინამდვილეაო, — თაყვანებითა და მადლიერებით აღსავსე ბარათს მისწერდა გრიგოლ რობაქიძე 1913 წლის 10 ივნისს.

ეს ყოველთვისაც სწამდა და იმთავითვეც გაეიგივებინა აკაკის დიდი ბუნება მზის სინამდვილისათვის, მაგრამ გუშინწინ საღამოს ეს სინამდვილე მისთვის მთლად ხელშესახები გამხდარიყო:

რაღაცა „ანგარიში" დაეწამებინათ, შეურაცხყოფა ეგრძნო, მოეხსნა საღამო და ამის საცნობად რომ მისულიყო აკაკისთან, სრულიად დამშვიდებულიყო მისი სხივოსანი სიტყვით.

საზოგადობა მეტად დაინტერესებულიყო რუსთაველის საღამოთი და მოუთმენლადაც მოელოდა მის მოსმენას.

— რუსთაველის პირმშო შვილი თქვენა ხართო, — დაბეჯითებით განუცხადებდა გრიგოლი და დასძენდა: ცოცხალი ხართ და უთქვენოდ მისი ხსოვნის საღამო არ უნდა გაიმართოსო.

საღამო დაინიშნებოდა კვირისათვის — 16 ივნისს.

აკაკი ხვალ საჩხერეში მიემგზავრებოდა?

მაშ მოუთმენლად დაელოდებოდა მის გამოჩენას უმცროსი თანამოკალმე, მზის სინამდვილესთან მისი დიდი ბუნების შემთანაბრებელი და რუსთველის პირმშო შვილად მაღიარებელი.

ევროპიდან დაბრუნდებოდა თუ არა გერონტი ქიქოძე, კიდეც მალევე გამართავდა საჯარო ლექციას ქართული თეატრის შენობაში და საკმაოდ გაბედული განზრახვითაც: ილია ჭავჭავაძის პოეზიაზე!

შენობაში რომ შეაბიჯებდა, კიდევ რა უშავდა, მაგრამ რაც უფრო მოახლოვდებოდა ფარდის ახდის დრო, სულ უფრო აღელდებოდა და აფორიაქდებოდა და... ყველაც შეატყობდა, სუნთქვა როგორ გაუხშირდებოდა. ვასო აბაშიძე შეეცდებოდა მის დამშვიდებას:

— ჭიქა წყალს მოვატანინებ.

ეს ყურადღება ისე ასიამოვნებდა გერონტის, თითქოს მოეხსნებოდა მღელვარება, მაგრამ აიხდებოდა ფარდა და... შეშფოთება ის იქნებოდა თუ იქნებოდა, პარტერის პირველ რიგში აკაკი წერეთელს რომ დაინახავდა, მაღლა აწეულ თავს თითქოს ვერცხლის შარავანდი რომ უფარავდა... სახეზე კი ღიმილი უკრთოდა.

ამ ღიმილის გადმოცემას შეუძლებლად მიიჩნევდა გერონტი ქიქოძე, და... ჰომეროსულ ხერხს მოიმარჯვებდა, მოიარებით, მაგრამ საკმაოდ ტევადად რომ მიგვანიშნებდა: არასოდეს დაავიწყდებოდა იმას, ვისაც თუნდ ერთხელ მაინც ენახაო!..

მართალია ევროპაში რამდენიმე საუცხოო ძეგლი მოენახულებინა: ეს ჟან-ჟაკ რუსოსიო, ეს ვოლტერისაო, ეს ვიქტორ ჰიუგოსიო, ეს მარშალ ნეისაო — მაგრამ მოეჩვენებოდა, რომ ეს მოხუცებული ქართველი პოეტი ყველაზე მონუმენტური გახლდათ მის მიერ ნანახ ძეგლებს შორის!

და მიიჩნევდა, რომ:

ჩვენი ნიჭიერი მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე, რომელსაც ასე ეხერხებოდა არამარტო მარმარილოს, არამედ უბრალო ქვის გასულიერებაც, მართებულად მოქცეულიყო, აკაკის ბიუსტისათვის ოლიმპიური იერი რომ მიენიჭებინა.

და ისიც უნდა თქმულიყო:

თუმც არიული რასის თეორეტიკოსები ამტკიცებდნენ, ელინური საწყისი სრულიად ეწინააღმდეგება ებრაულ საწყისსო, აკაკის გარეგნობა თვალნათლივ უარყოფდა ამ შეხედულებას. იყო ერთსადაიმავე დროს რაღაც ოლიმპიურიც და რაღაც ბიბლიურიც ამ დიდებულ ადამიანში, რომელსაც წერა-კითხვა დავითნითა და სამოციქულოთი ესწავლა, შემდგომ „ქართლის ცხოვრებისა“ და კლასიკურ ავტორთა ერთგული მკითხველი დარჩენილიყო და თავის პოეტურ შემოქმედებაში მუდამ მონუმენტური სტილის ხორცშესხმას ცდილობდა.

...აკაკის ღიმილზე მაინც რა ოსტატურად მიგვანიშნა, უჩვეულო და ღვთაებრივ ღიმილზე!..

* * *

1914 წლის 8-15 ივნისს გაიმართებოდა სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობა. და მის მსვლელობაში მონაწილეობას მიიღებდა თითქმის მთელი შეგნებული ქართველობა თავის წარმომადგენელთა სახით.

ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ ერთხმად აირჩევდნენ აკაკის.

როგორც მხოლოდ საყვარელ და სახელგანთქმულ მგოსანს?

არამარტო ამიტომ.

იოსებ იმედაშვილი უაღრესი სიზუსტით შემოგვინახავდა იმჟამინდელ საზოგადოებრივ განწყობილებას: როგორც მთელი ერის მესაიდუმლეს, მისი მკვდრეთით აღდგენის მოციქულსა და უგვირგვინო მეფესო.

ყრილობას, მიუხედავად ზოგიერთი წვრილმანი ნაკლისა, დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ექნებოდა. ყრილობის სხდომები მთელ კვირას გაგრძელდებოდა დილა-საღამოს და მის მნიშვნელობას შალვა დადიანი ამ მოკლე და ღრმააზროვან ფორმულაში ჩაწურავდა:

— გათვალსაჩინოვდა, რომ დამჯდარი ბაასი და პარლამენტარული კამათი ჩვენც შეგვიძლია და ისიც ჩვენს მშობლიურ ენაზე.

პრეზიდიუმის წევრებს საგანგებოდ ჩამოთვლიდა იოსებ იმედაშვილი:

თავმჯდომარის ამხანაგები — კიტა აბაშიძე, ლადო ალექსი-მესხიშვილი, იოსებ ბარათაშვილი, ალექსანდრე კრინიცკი და გიორგი ლასხიშვილი.

და მდივნები — კოტე ანდრონიკაშვილი, შალვა დადიანი, იოსებ იმედაშვილი, პოლიო კალანდაძე, ირეთელის ფსევდონიმით ცნობილი, იოსებ რომანიშვილი და სიო ჭანტურიშვილი.

ეს პრეზიდიუმი, აკაკის თავმჯდომარეობით, ვიწრო წრეში შეფასდებოდა საქართველოს სულისკვეთებათა ამრეკლავად, იმდენად, რამდენადაც ქართულ სცენას, ხელოვნებას, მწერლობას, საზოგადოებასა და საერთოდ კულტურულ ძალ-ღონეს გამოხატავდა.

ბევრმა არც კი იცოდა პრეზიდიუმის ასეთი როლი?

მაგრამ იოსებ იმედაშვილს, როგორც უშუალო მონაწილეს ამ გუნდისა, ეჭვიც არ ეპარებოდა პრეზიდიუმის წევრთა განწყობილებაში, თვითეული რომ გრძნობდა, სადაც აკაკია, იქ საქართველოს გული სცემს, და სადაც საქართველოს გულია — ანუ აკაკი — ჩვენც იქ ვიქნებითო.

ყრილობა რამდენიმე მოხსენებას მოისმენდა და მრავალი სიტყვაც ითქმოდა სათეატრო ხელოვნების აწინდელი და მომავალი მდგომარეობის, მისი დანიშნულების შესახებ.

სხვათა შორის იოსებიც გამოვიდოდა მოხსენებით სახალხო თეატრის თაობაზე, იმ შეხედულების ირგვლივ რომ გაშლიდა მსჯელობას: თუ ჩვენი ქვეყნის ამაღლება და მით ჩვენი ქვეყნის დაწინაურება გვსურს, სახალხო თეატრის საქმე უნდა ავამაღლოთო...

— ეს ასეც იქნება, — ეტყოდა აკაკი, — აშკარად უნდა ითქვას, საქართველოს აღდგენა-გამოფხიზლება თეატრსა და მწერლობას ევალება... ხალხურ თეატრსა და მწერლობას... საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე ხალხის წრიდან გამოსული ადამიანები დაიწყებენ მოღვაწეობას და ჩვენი ქვეყანაც მაშინ დაიდგამს ძლევის გვირგვინს...

ამ სიტყვის ხსენება ერთბაშად აღიტაცებდა იოსებს და ათქმევინებდა იმას, რაც ისედაც უტრიალებდა გულსა და გონებაში და ახდილად კი აქამდე არ გამოეხატა:

— უფრო აშკარად რომ ვთქვათ: დღეს უგვირგვინო აკაკის სამშობლო მისთავაზებს გვირგვინს!..

აკაკი გაიღიმებდა:

— ეს საგვირგვინო მოვა... მე მხოლოდ მისი წინამორბედი ვარ!..

ეს სიტყვები უბრალოდ ითქმოდა, მაგრამ იმ დიდი რწმენით, იოსები ხელშესახებად რომ იგრძნობდა: ახალ მესიას ველითო...

თუმც წუთითაც არ მოიშორებდა გულიდან არც იგი და არც ბევრი სხვა, რომ:

იმჟამად საქართველოს უგვირგვინო მეფე აკაკი და მხოლოდ აკაკი გახლდათ!..

* * *

დიდი პოეტური ნიჭით დაჯილდოებულ ყოველ ადამიანს ივანე ელიაშვილი მეტად მგრძნობიარედ რომ მოიხსენიებდა, და კიდევ — დიდი დაკვირვების უნარითა და წინათგრძნობით აღჭურვილად, ფრიად გამჭრიახად, ჭკუამახვილად და შორსმხედად, დასძენდა:

— ამგვარ ადამიანებს ძველად წინასწარმეტყველებს ეძახდნენ. აკაკიც წინასწარმეტყველი იყო. ის ხშირად წინათგრძნობით განსჭვრეტდა მომავალს როგორც საზოგადო, აგრეთვე კერძო ცხოვრებაშიც.

და აღარ გაუკვირდებოდა, აკაკი სიკვდილის მოახლოებასაც სრულიად აშკარად რომ იგრძნობდა.

ქუთაისს წასვლამდე ორი დღით ადრე აკაკისთან შეივლიდა ივანე. იმას ეამებოდა სტუმრის ნახვა, მიესალმებოდა, მიეხალისებოდა, ოჯახის საქმეებზე ჩამოუგდებდა ლაპარაკს და, სტუმარი წამოსვლას რომ დააპირებდა, მასპინძელი ეტყოდა:

— ხვალ შენთან ვისადილებ, თუ ღომსა და ახალ თევზს გააკეთებინებ მზარეულს, თან გამოგეთხოვოთ უნდა, ზეგ საჩხერეს მივემგზავრები.

— ბატონი ბრძანდები, — მიუგებდა ეს მხიარულად და ხელს ჩამოართმევდა.

მეორე დღეს მართლაც სადილად ეწვეოდა. ჩვეულებისამებრ სიხარულით შეეგებებოდნენ ძვირფას სტუმარს, ეგაა აკაკის უცნაური, არაჩვეულებრივი დაღლილობა შეეტყობოდა. ყველა შეამჩნევდა და დაეკითხებოდა კიდეც, თუ რად იყო ასე უგუნებოდ.

და აკაკი პასუხად:

— ეჰ, გული მტკივა, რომ უკანასკნელად ვარ თქვენთან.

გაიოცებდა მასპინძელი:

— როგორ თუ უკანასკნელად?

და სტუმარს სტოიკური სიმშვიდით უნდა განეცხადებინა:

— ისე, უკანასკნელად, მეტს ვეღარ განახავთ. მივდივარ საჩხერეს სამუდამოდ. იქვე დავიმარხები!..

ივანეს ყელში მოადგებოდა ცრემლები და კრინტსაც ვერ დაძრავდა. და მისი მეუღლე თუ შეეცდებოდა სტუმრისათვის გუნების გამოკეთებას:

— რატომ ბრძანებთ ასეთ არასასიამოვნოს, ბატონო აკაკი, ხომ იცით, როგორ უყვართ ჩემს ქმარ-შვილს და რად გვაყენებთ ასეთ უსიამოვნებას?

ღიმილი გაუკრთებოდა ტუჩის კუთხეში აკაკის:

— არც მე მინდა ამის ფიქრი, მაგრამ რა ვქნა? დარწმუნებული ვარ, რომ მეტს ვეღარ განახავთ და ეს გულს მიკლავს!..

სადილსაც მოიტანდნენ და სუფრას მიუსხდებოდნენ. აკაკი კვლავინდებურად უგუნებოდ იქნებოდა. თევზის პატარა ნაჭერს გადაილებდა საინზე და ცოტასაც ღომს. ერთ ნაჭერს ჩაიდებდა პირში და ზანტად დაიწყებდა ღეჭვას. მეტს არას მიეკარებოდა. არადა პატიჟი არა სჭირდებოდა ხოლმე.

ძლიერ ფერმკრთალადაც რომ გამოიყურებოდა?..

ყველას კრიჭა შეეკვროდა. ბავშვებიც იგრძნობდნენ უხერხულობას და მადა დაეკარგებოდათ.

— ეე, აკაკი, შენ გისადილნია კიდეც! — გაეხუმრებოდა მასპინძელი.

— ეს არ მომიკვდეს! — დაადებდა სტუმარი მხარზე ხელს.

სუფრიდან რომ წამოიშლებოდნენ, აკაკი წასვლას დააპირებდა, არადა ჩვეულებრივ ნასადილევს ივანეს კაბინეტში ძილი უყვარდა, რბილ ტახტზე. მასპინძელი ახლაც შესთავაზებდა მოსვენებას. ის არ იუარებდა;

— მაშ მომიტანე შენი პლედი.

წამოწვებოდა, ეს პლედს კარგად მოახურავდა, და სტუმარი მაშინვე დაძინებას მოინდომებდა, საერთოდ კი, ვიდრე ძილი მოერეოდა ხოლმე, ივანეს არ მოიშორებდა და ებაასებოდა.

ნახევარი საათის შემდეგ აკაკის ფეხის ხმა შემოესმოდა გაზეთს ჩაჩერებულს, ასოები აცაბაცა რომ გაურბოდა... ის კი მტკიცებას მოჰყვებოდა: კარგად მეძინაო.

მოკლე ხანში ჩაის რომ მიართმევდნენ, აკაკი ჩვეულებისამებრ დალევდა ორ ჭიქა ტკბილ, რძენარევ ჩაის, და ერთ ნაჭერს ფუნთუშასაც შეატანდა.

გამომშვიდობებით განსხვავებულად გამოემშვიდობებოდა.

ჯერ მასპინძელს, მერე მის შვილებსა და ცოლსაც რომ გამოეთხოვებოდა, ივანეს კიდევ გადაეხვეოდა. სადარბაზოს კარს რომ მიუახლოვდებოდნენ, კიდევ მოუბრუნდებოდა და ჩაჰკოცნიდა.

არადა... აკაკის კოცნა არ უყვარდა!..

გავიდოდნენ დერეფანში. ივანე პალტოს მიართმევდა, აკაკი მოუბრუნდებოდა და... კვლავ აკოცებდა სამჯერ.

ახლა კი მოიკრეფდა ძალ-ღონეს მასპინძელი და ჰკითხავდა:

— რა ამბავია, აკაკი, ხომ არა გტკივა რა?

— არა, ჩემო კარგო, ჩემი უბედურებაც ის არის, რომ არა რა მტკივა, მაგრამ როგორღაც მოვსხლტი, — მოუგებდა, ჩავიდოდა კიბეზე, მოუბრუნდებოდა და ერთხელ კიდევ გადაკოცნიდა.

ის იქნებოდა და ის...

ივანეს კარგა ხანს აწვებოდა გულზე ლოდივით მისი ის სიტყვა: მოვსხლტიო!.. რომელიც, როგორც ექიმს, უკარნახებდა: ვაითუ ეს მოსხლტომა სიბერის მომასწავებელიაო?!.

არ დააცლიდა სიბერეს წერა-მწერალი, „მოსხლტომა“ სულაც სიკვდილის მოახლოებას რომ გულისხმობდა...

და... სამოსელს?
დაუფენდნენ მათსა გზასა ზედა.
და... რტოებსა ხეთაგანს?
მოჰკაფდნენ და მიმოაბნევდნენ გარეშემო მისსა.
და... ლიტანიობდა ქართველობა?
ხან სად და ხანაც სად, ამ ბოლო წლებში მაინც განსაკუთრებული მგზნებარებითა და მისწრაფებით, ახლა, ამ წუთას კი ტფილისში შენივთებულიყო...
ლიტანიობდა აღთქმული მიწის კონტურების მოლანდებით აფორიაქებული და ყელში გულმობჯენილი, უგვირგვინო მეფედ შერაცხული მგოსნის სიზმრები და ხილვებიც რომ ძალუმად უბერავდა სულს და უნარჩუნებდა ძარღვს ამ მოლანდებას, თითქოსდა ნაცარში შემალული ნაკვერჩხლები ყოფილიყოს...
თუმც მოლანდებას რა, ნაკვერჩხალზე ნაკლებ ესაჭიროება სულის ბერვა, თუნდ ამ სულის ამოხდომამდე?.. დაე ამოხდომამდეც...
ბოლოსდაბოლოს იმ ნაკვერჩხლებს რომ გააღვივებს, გააღვივებს, გააღვივებს და... მოლანდებასაც მოაახლოებს, მოაახლოებს, მოაახლოებს, ვიდრე ყოფით რეალობად გარდასახავდეს...
რტოები მიმობნეულიყო გარეშემო, ახალმოკაფული რტოები...
და... კვლავინდებურად ებრძოდა
წინამძრის ველზე
მამალი ხოხობი
ღამეს...

თავი V

რა ეწერა საიდუმლო ბარათში?

პაოლო იაშვილი მის საწოლს რომ დახედავდა — წითელ და თეთრი ვარდებით, იაიებითა და დაფნის რტოებით შემკულს — მზერა განსაკუთრებით შეყოვნდებოდა მიცვალებულის სახეზე, ახლაც ისევე მომღიმარზე, როგორც სიცოცხლეში, ოღონდ უფრო ნათელზე, და გაიფიქრებდა: მთვარესავითაა, როცა ის შუა ცას მიაწევს ხოლმეო.

ახალგაზრდა პოეტები უხმოდ და მოკრძალებით შეაბიჯებდნენ დადუმებულ ოთახში. უხმოდ გაჩერდებოდნენ ცხედრის სიახლოვეს, ვერ მოახერხებდნენ ვერავითარ მოძრაობას, თითქოს — ან რაღა თითქოს — კადნიერებად მიიჩნევდნენ შეხებას უდიდესი რჩეულისა.

სანდრო შანშიაშვილი გაუბედავად მიმოფანტავდა ახალყვავილებს ცხედრის გარშემო და კიდევ დიდხანს იდგებოდნენ დადუმებულნი. მწუხარე ფიქრებით გატაცებულნი კიდევ დიდხანს შეაცქერდებოდნენ იმ სულმნათს, რომლისთვისაც ტიროდა მთელი საქართველო — და ეს ამ შემთხვევაში მართლაც გადაუჭარბებლად ითქმოდა.

„სამშობლოს აღდგენის ქურუმიო“, სამსონ ფირცხალავას ეს სიტყვები უტრიალებდა გონებაში, მარადიული შუქით გაბრწყინებულ მის სახეს რომ დაჰყურებდა და ძალდაუტანებლად აგონდებოდა დიდ იტალიელთა მიერ დახატულ წინასწარმეტყველთა და მოციქულთა სახეები. თეთრი თმა და წვერ-ულვაში ვერცხლისფერ ნათელსა ჰფენდა სახეს, რომელზედაც აღბეჭდილიყო საუკუნო სიმშვიდე და მდუმარება. და აღარ ამეტყველდებოდა მისი ენა აღარც სიტკბოსა და სიმწარისათვის, აღარც ქებისა თუ მრისხანებისათვის.

უცქერდა ამ სახეს და სურდა, რომ გულში სამუდამოდ დარჩენოდა ყოველი მისი მოხაზულობა, ყოველი წერტილი, ნათელი თუ მიჩრდილული.

ალექსის რომ მიუსამძიმრებდნენ, მას ასე უნდა ეამბნა მამის უკანასკნელი საათები:

— ძალიან მხნედ და იმედიანად იყო სიკვდილის წინ, მალე მორჩენას ელოდა... ტფილისში წავალთო, ოხუნჯობდა კიდეც...

იმაზე აღარას ეტყოდათ, რაღაცას რომ ლუღლუღებდა უკვე მიღმა სამყაროში შეცურებული, ძალიან რომ მოინდომებდნენ იქ მყოფნი თუნდ ერთი სიტყვის გაგებას, მაგრამ ვერას გაარჩევდნენ.

ის რამდენჯერმეც გაუმეორებდათ, შემდეგ კი სხვაგვარადაც შემოხედავდათ, თითქოს საყვედურობდათ, რომ იმის ნათქვამს ვეღარ ხვდებოდნენ და ვეღარ და... სულთმობრძავიც უმიედოდ ჩაიქნევდა ხელს.

თავზე დაადგებოდნენ:

ვერა წერეთლისა, სპირიდონ ზამბახიძე, ფერშალი, და ანეტა იურკევიჩი, რუს-იმერელის ფსევდონიმით ცნობილი მწერლის ქალიშვილი, რომელსაც ყველაზე ვრცელი მოგონებანი უნდა დაეტოვებინა აკაკის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებზე.

ამჯერად კი, ვიდრე ის საბედისწერო წუთები მოაწევდა, ჭიათურიდან ექიმი სიმონ ჯაფარიძე უნდა მოსულიყო, ჩვეული გამამხნევებელი ღიმილით რომ გასინჯავდა ავადმყოფს და შეაგულიანებდა:

— ნუ გეშინიათ, ბატონო, არაფერია.

პასუხად აკაკი ძლივსგასაგონად ამოილუღლუღებდა:

— მე სიკვდილისა სრულიადაც არ მეშინია.

ყოველი ზომა მიღებული იქნებოდა. და ექიმიც უკანასკნელ წუთამდე აღარ მოშორდებოდა.

აკაკი შვილს მოითხოვდა, ალერსით მოუსვამდა ხელს ლოყაზე და დიდი გაჭირვებით ამოთქვამდა:

— დედა დაამშვიდე!..

ამის შემდეგ იტყოდა კიდევ რაღაცას და როდესაც ალექსი და ანეტა ჩაეკითხებოდნენ:

— ლამპის შუქი ხომ არ გიშლით მოსვენებას?

ნაღვლიანად ამოთქვამდა:

— არა, მე უკვე აღარაფერი აღარ მიშლის.

მერეა, კიდევ რომ წამოილაპარაკებდა რაღაცას.

მერეა, ცოტა სხვაგვარად რომ შემოხედავდათ, რაკიღა მის ნათქვამს ვეღარ მიხვდებოდნენ.

მერეა, უიმედოდ რომ ჩაიქნევდა ხელს.

ნეტა რისი თქმა სურდა, რა უნდა დაეტოვებინა უკანასკნელ სიტყვებად, რისი უთქმელობა დაენანებოდა?..

დიდი ხანი არ გასულიყო მას შემდეგ, ანეტა ახალწელიწადს რომ მიულოცავდა. თუმც მგლოვიარედ იქნებოდა ერთ იმის ნათესავ ყმაწვილზე — რომელიც იმ დღეებში უნდა ჩამოესვენებინათ ბრძოლის ველიდან და რომლის გმირულად დაღუპვასაც აკაკის ვერ გაუმხელდნენ — სხვებთან ერთად მხიარული სახით შევიდოდა მასთან. ისიც ჩვეულებისამებრ ყველას გადაკოცნიდა, ტირილს დაიწყებდა და ეტყოდათ:

— ვკვდები.

გულშემზარავ შთაბეჭდილებას დატოვებდა ქალზე, რომ აკაკის მარცხენა მხარე დადუმებოდა და ვეღარც მისი ბასრი ენა მეტყველებდა თავისუფლად. და მაინც: ყოველთვისაც შარავანდმოსილი ამ ყოფაშიც მშვენიერი იქნებოდა.

პირველი სიტყვები, რომლითაც იგი იმ დღეს მიმართავდა ანეტას, ეს უნდა ყოფილიყო:

— იცოდეთ — აქ დამმარხეთ.

ქალი რამდენიმე ხანს მოუშორებლივ მასთან დარჩებოდა.

სტუმრობით მრავალი მნახველი ესტუმრებოდა, მაგრამ ყველას შესვლა მასთან შეუძლებელი შეიქნებოდა, რადგანაც აკაკი ძალიან ღელავდა და იმეორებდა:

— მეთხოვებიან.

ხშირად წააკითხებდა ანეტას თავის ამა თუ იმ თხზულებას, განსაკუთრებით უკანასკნელ პოემას „ომი“, რომლის ბედიც მეტად აშფოთებდა, თითქოს ეშინოდა: ჩვეულებრივ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენსო.

და მართლაც — მსმენელებს მხოლოდ ენა ეუცნაურებოდათ, სხვა შიგ კი არაფერი იქნებოდა აკაკისებური, პოეტი მსოფლიო ომს რომ წარმოსახავდა და ამ ომში ქართველთა სიმამაცესა და თავდადებას აღწერდა, ბოლოს კი რუსეთის იმპერატორს ემუდარებოდა: რადგანაც ქართველებმა დიდი მსხვერპლი გაიღეს რუსეთის დასაცავად, კეთილი ინებე და გაათავისუფლე საქართველოო!..

აქ რაღაც სხვაგვარად ლაგდებოდა უახლესი ისტორია, რომელიც აკაკის მანამდე სრული პირუთვნელობითა და სიზუსტით წარმოესახა, როგორც ტრაგედია ქართველობისა რუსების ხელში, ამჯერად კი იმ ხაზს გაჰყვებოდა, რუსი ისტორიკოსები და პუბლიცისტები რასაც იმეორებდნენ დაჟინებით, თითქოსდა საქართველო კი არ დაეპყრო რუსეთს მოკავშირისა და მფარველ-მეგობრის ნიღბით, არამედ გადავერჩინეთ გარდუვალი განადგურებისაგან, ჩვენივე ნებით რომ შევეფარებოდით დაღლილ-დაქანცულნი და სასოწარკვეთილნი, და კიდეც ჩავუდებდით თავს კალთაში და სიზმრებში შეცურებულთ აღარც მოგვწყურდებოდა და აღარც მოგვშივდებოდა. ამასობაში გამოვშუშდებოდით ხანგრძლივ ძილში და გადავიტანდით დაღლილობასაც, კვლავ რომ დავიბრუნებდით ქართველობის წინანდელ სახეს.

რუსეთის იმპერატორს ემუდარებოდაო...

ეს მუდარა საბოლოო ვერსიაში მკვეთრად აღარ იჩენს თავს, მაგრამ ქვეტექსტურად მაინც მკაფიოდ ცნაურდება. პირვანდელ ვარიანტში — სპირიდონ ზამბახიძე რომ გადაუწერდა და პოეტის კარნახით რედაქციულ ცვლილებებსაც ის შეიტანდა — შესაძლოა პირ-

დაპირაც ეწერა ეს მუდარა და მსმენელებზე ამიტომაც დატოვებდა ასეთ მძიმე შთაბეჭდილებას, თუმც უამისოდაც ვერ აღფრთოვანდებოდნენ, რაკიღა აკაკისებური მადლი და ჯავარი სიტყვისა აღარ შემოესმოდათ.

ვარლამ რუხაძეს მძაფრად რომ შემორჩებოდა ხსოვნაში იმწამიერი განწყობილება, რაც ყველას ერთობლივ დაეუფლებოდა, უთქმელად გაუგებდნენ ერთიმეორეს, რომ მორიდებოდნენ კრიტიკულ შენიშვნებს იმის შიშით: ვაითუ ცუდად იმოქმედოს ავადმყოფზეო. პირიქით, თავს ისე მოაჩვენებდნენ, თითქოს კიდეც მოეწონებოდათ.

მაგრამ აკაკის, თუნდ იმ ყოფაში, რაიმეს გამოაპარებდნენ?

მიუხვდებოდათ განაფიქრს და თითქოს თავს იმართლებსო, ისე ეტყოდათ:

— ამდენხანს სულ ვებრძოდი რუსეთს, მაგრამ არაფერი გამომივიდა, და ახლა თხოვნით ამიტომაც მივმართავ, ეგებ ამან მაინც გაჭრას.

რას იზამ, როცა სხვა გზა აღარ გრჩებოდა, ხავსსაც კი უნდა მოჭიდებოდი.

ყოველდღე იელიდა ავადმყოფთან საჩხერის საავადმყოფოს გამგე, ექიმი ჭოლოშვილი.

მგოსნის ახლო ნათესავები: უფროსი და ანა, რძლები — მარიამი და ნინო, მოგვარენი და მეზობლები მზრუნველობას არ მოაკლებდნენ და სნეულსაც დღითიდღე უკეთესობა დაეტყობოდა, უფრო გარკვევითაც ალაპარაკდებოდა, ხშირად თავისებურადაც იოხუნჯებდა და ამათაც იმედი მიეცემოდათ. მოელოდნენ მის ვაჟს ალექსისა და დისწულს — ანა დადეშქელიანისას.

ქართველ მოღვაწეთაგან პირველი მოინახულებდა იაკობ ფანცხავა, რომელსაც აკაკი მოუთმენლად მოელოდა და რომლის მოსვლაც დიდად ასიამოვნებდა, ამიტომაც ხშირად შეეხუმრებოდნენ:

— იაკობი საუკეთესო მკურნალი აღმოჩნდა.

შემდგომ ინახულებდნენ მისი საყვარელი გრიგოლ დიასამიძე და პოეტი ვარლამ რუხაძე და კიდევ სხვანი.

იმ საღამოს მგოსნის სარეცელთან ისხდებოდნენ ეს ორნიც და ანეტაც და ალექსიც, და აკაკი სთხოვდა ანეტას:

— „ომი“ წაიკითხეთ.

და ეს კითხვას რომ დაიწყებდა, იგი გულაღმა იწვებოდა, მარჯვენა ხელს თავქვეშ ამოიდებდა და გატაცებით მოუსმენდა... დასრულების მერე ყველას სათითაოდ მიაპყრობდა თავის დიდრონ თვალებს, თითქოს სურს მათ სახეზე ამოიკითხოს რაიმეო, და ბოლოს წაილაპარაკებდა:

— ძალიან ვეფერები, მაგრამ ვაითუ ამ მოფერებითაც არა გამოვიდეს რა!..

იმ საღამოს კი მგოსნის სარეცელთან ანეტა და კნეინა მარიამი ისხდებოდნენ. ეს — თავთით, ის კი ცოტა მოშორებით. და აკაკი ანეტას მიუთითებდა სახატეზე:

— აქ ჩემი ნაწერებია, გამოიღე და წამიკითხე რამე.

ეს ბევრ რაიმესაც წაუკითხავდა და მათ შორის „გამზრდელსაც“, და როდესაც დასასრულს მიახლოებული ამ ტაეპსაც წარმოთქვამდა: მაგრამ უსუბ ეუბნება: შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?!. სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ, რომ კაცად ვერ გამიზრდიხარო, — აკაკი ქვითინს ვერ შეიკავებდა.

და ქალი რომ მოინდომებდა ახსნა მოეძებნა ამ ძვირფასი ცრემლების საიდუმლო მიზეზებისათვის, თავისთვის ამგვარად განმარტავდა:

ეგებ „დიდმა გამზრდელმა“ ჰაჯი უსუბის როლში იგრძნო თავი და უკანასკნელი, მწარე ცრემლები დააფრქვია საფარბეგისთანა მოძმეთა მოღალატეს და უღირსს გაზრდისათვისო...

რას წარმოიდგენდა ანეტა იურკევიჩი, ანკი რას დაიჯერებდა, აკაკი უსუბის როლში რომ სულაც არ იგრძნობდა თავს, არამედ იმ საფარბეგისა, რომლისთვისაც უნდა გადაელოცა თავისი შინაგანი ტანჯვა და გაორება და მისი სულის გაშიშვლებით თითქოს საკუთარ თავს გასწორებოდა ულმობლად... ან რაღა თითქოს...

იქ კი, იმ წუთას, როდესაც ქალი შეჩერდებოდა და შეშინებული ეტყოდა:

— თუ გნებავთ კითხვას სრულებით თავს დავანებებ.

მგოსანი აღელვებული სთხოვდა:

— არა, არა, მე არ ვტირი, მაგრამ... მაგრამ ეს მართლა კარგად დამიწერია.

მართლა კარგადო...

თუკი მანამდე „ჩემი თავგადასავალი“ მიაჩნდა თავისი მხატვრული მემკვიდრეობის გვირგვინად, ახლა მის თვალთახედვაში ავტობიოგრაფიულ რომანს „გამზრდელი“ შეეტოქებოდა, პოემა, რომელიც არანაკლებ ავტობიოგრაფიული გახლდათ, თუკი მხატვრული გააზრების მიღმა ყოფით-რეალისტურ პლანს ამოვიკითხავდით, აკაკის სულის მდუღარებაში გამოტარებულს...

არა, არა ვტირიო...

და ცრემლად კი დაიღვრებოდა.

თუმც რა ექნა, თუკი ეს მართლა... მართლა კარგად დაეწერა?!.

მოინახულებდა ია ეკალაძეც და მგრძნობიარე სურათი იქნებოდა, როდესაც თვალცრემლიანი ია ხელზე ამბორით მოახსენებდა:

— „იმერეთის“ რედაქცია სალამს გიძღვნის, დიდო მგოსანო.

აკაკი მაშინ ბევრად უკეთ იქნებოდა და ჭირისუფლებსაც სრული იმედი გაუჩნდებოდათ, მაგრამ... მოლოდინს არ უნდა გაემართლებინა და 25 იანვრის დილით ძლიერ ცუდად შექმნილიყო:

სრულიად წართმეული ენა, საშინელი, სამუდამოდ მახსოვრობიდან ამოუშლელი შემოხედვა, მოწყვეტილი სხეული სხვას რაღას მოასწავებდა, თუ არა გარდუვალ ტრაგედიას.

იშფოთებდა, უკვე გაუნელებლად იშფოთებდა.

და ვეღარც ალექსი და ვეღარც მგოსნის თაყვანისმცემელი, მისი დისწული ანა ხანგრძლივ ვეღარ გაძლებდნენ სარეცელთან.

ახლა კი, აქ:

ყველას მდუმარებას არღვევდა მოქანდაკე, რომელიც აქ მოსულიყო იმისათვის, რათა შთამომავლობისათვის შეენარჩუნებინა ნამდვილი სახე სამუდამოდ მიძინებული აკაკისა: მას უნდა გადაეღო მგოსნის ნიღაბი.

და პაოლოს ის შეგრძნება და ფიქრი გაუჩნდებოდა, რომ: ჭეშმარიტი ტანჯვა ესაჭიროებოდა იმას, რათა ადამიანს გაებედა და უკვდავი პიროვნების ღვთიური სახისათვის გადაეგნისა მინა, შეიძლება არანმინდაც, რადგანაც ამას მოითხოვდა როგორც მომავალი, ისე სიყვარული იმ არსებისა, რომელსაც უნდა ეცხოვრა მარად — როგორც სულიერად, ისე სახიერად.

აკვირდებოდნენ მოქანდაკეს და გრძნობდნენ, რომ იგი განიცდიდა ამ ტანჯვას.

მის ვინაობას არ გვამცნობს პაოლო იმ უბრალო მიზეზით, რომ: იმჟამად იაკობ ნიკოლაძის გარდა სხვა მოქანდაკე განა ვინა გვყავდა რო?!.

ოთახი ივსებოდა მოსულებით.

მუხლმოდრეკით ლოცულობდა ხალხი, ტიროდნენ და ამ სიკვდილის ოთახში ტოვებდნენ ღრმა მწუხარებას. სევდიანი ხმა, სატირალი ხმა: განუსვენე, უფალოო! — არ თავდებოდა, შეუდარებელი გლოვა დამკვიდრებულიყო ამ ოთახში და ვინც იქ შევიდოდა, მართლაც რომ ვერასოდეს დაივიწყებდა ამ გლოვის დღეს.

გარეთ მზე იდგებოდა, მთები დათოვლილიყო. გზებსა და ბილიკებს ჩქარი მოძრაობით ამოსდევდა ხალხი, სულდამწვარნი — პილიგრიმებივით — ყველა აქეთ მოიწრაფოდა, რომ ღირსებოდნენ გაბრწყინებული ცხედრის წინაშე მუხლის მოდრეკას.

რაოდენ ზუსტად მიგნებული სიტყვაა ეს „პილიგრიმებივით“, ხელისგულზე რომ მოგითავსებს ასე სხარტად და სახიერად იმ დღის შინაარსს და განწყობილებას.

პოეტები გამოშორდებოდნენ ამ წმინდა სახლს.

და... ესტუმრებოდნენ მეორე წმინდა სახლს — სოფელ სავანეში, სადაც ბავშვობა გაეტარებინა აკაკის.

ძველი სახლი, სადაც იზრდებოდა ძიძასთან, გადამწვარიყო და დარჩენილიყო მხოლოდ ეზო. ამ ტოტებგადაშლილი კაკლის ხეს ახსოვდა პატარა აკაკი, ამ ზამთრის ყინვისაგან დახეთქილ მიწაზე ერთ დროს თამაშობდა იგი.

მის ტოლს ვერავის მონახავდნენ, არავინ აღმოჩნდებოდა, რომელსაც ემახსოვრებოდა ბავშვი — მომავალი დიდება.

სოფლის განაპირას იცხოვრებდა უხუცესი გლეხი ნინუა, რომელსაც ბევრი რამ ემახსოვრებოდა წარსულის, და ყველას გაუჩნდებოდა ფიქრი: მას ეცოდინება ყველაფერი დაწვრილებით აკაკის ბავშვობის შესახებო. ყმაწვილები ერთმანეთს შეეტოქებოდნენ სიმარდეში და გაქროლდებოდნენ გლეხისაკენ, რათა საჩქაროდ აქ მოეყვანათ, მაგრამ... არა და არ გამოჩნდებოდა, და ალბათ აღარც ექნებოდა ძალა სიარულისა.

დიდხანს იტრიალებდნენ ამ მრავალმნიშვნელოვან შემოღობილში. ბევრი ხალხი მოიყრიდა თავს. აქ იქნებოდნენ სამსონ ფირცხალავა, იაკობ ნიკოლაძე, სანდრო შანშიაშვილი და სოფლის მკვიდრნი.

და გამოითქმოდა აზრი:

— აღიმართოს ეზოში ძეგლი-კოლონა, ნიშნად სამარადისო მოგონებისა.

სავანელები აღტაცებით რომ შეეგებებოდნენ ამ აზრს.

ეს შეკითხვა კი ყველას ერთნაირად აღელვებდა — სავანელებსაც, საჩხერელებსაც, სხვიტორელებსაც: თუ სად უნდა დაკრძალულიყო აკაკი. და სტუმრებს დაუწყებდნენ მტკიცებას:

— აქ დაიბადა, აქ გაიზარდა, უყვარდა აქაურობა, იგი ჩვენია და უსათუოდ აქ უნდა დაიმარხოს.

ესენი კი თავისას დაიჟინებდნენ:

— აკაკი მთელს საქართველოს ეკუთვნის და ამიტომაც უნდა დაიკრძალოს დედაქალაქში. მეორე დიდი ქართველის — ილია ჭავჭავაძის გვერდით, მთაწმინდაზე.

კარგა ხანს იდავებდნენ.

და ბოლოს მაინც სტუმართა არგუმენტაცია გაჭრიდა და მასპინძლებს დაიყაბულებდნენ.

ისე ნეტა რისი თქმა სურდა აკაკის იმ იდუმალ წუთებში, რა უნდა დაეტოვებინა უკანასკნელ სიტყვებად, რისი უთქმელობა დაენანებოდა?..

სტუმრები გამობრუნდებოდნენ ისევ საჩხერეში. ეტლი გამოიქროლებდა გაშლილ ხოდაბუნებზე. შორს გზებს შავი ზოლი გამოჰყვებოდა: ხალხი ეშურებოდა იმ სახლისაკენ, სადაც ესვენა ხალხისავე მომღერალი და მესაიდუმლე.

მთელი საქართველოს ყურადღება აქეთ იქნებოდა მოპყრობილი.

ყველა შეერთდებოდა ერთი არსების გარშემო.

აკაკი მთელი სიცოცხლე რომ ესწრაფოდა ქართველთა მთლიანობას, აგერ თავისი გარდაცვალებით უმაღლესად უნდა განემტკიცებინა ეს სწრაფვა.

და ამ განცდას გაეთანგა პაოლო იაშვილი:

არ უნდა იყოს დღეს არცერთი ქართველი, რომელსაც მოწინავის ანდერძის მიხედვით, პირველად ყოვლისა არ ახსოვდეს ყველაფერი თავისი, ქართველურიო.

გზაზე ხვდებოდნენ თავაზიანი გლეხ-იმერელნი და მოისმოდა მათი გრძნობიერი საუბარი აკაკიზე. ბავშვებს უნდა მოეტანათ ყვავილები ცხედრის შესამკობად.

დაღამდებოდა.

უამრავი ხალხი უნდა შეკრებილიყო კნეინა ელისაბედ წერეთლის სახლში, სადაც მთელი საქართველოდან და რუსეთიდანაც მრავალი დეპეშა უნდა მოსვლოდა მარშალ პეტრე წერეთელს. ამ სახლში გაიმართებოდა კრებები, აქ გამოითქმოდა არაერთი აზრი და ყოველ შეკითხვასაც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან აქედან მიეცემოდა პასუხი.

და პაოლო იაშვილს ეჭვიც არ შეეპარებოდა, რომ ეს სახლი სამახსოვროდ დარჩებოდა ყველა ქართველისათვის, რაკიღა მრავალი თავისი იდუმალებით სავსე სიმღერა აკაკის აქ შეექმნა.

უკვე შუაღამეც ჩამოდგებოდა.

ყველა მიაშურებდა თავთავის ოთახს, და როდესაც მთელს სახლში სიჩუმე დაისადგურებდა, ერთი ამათგანი მოიგონებდა აკაკის სხვადასხვა ნაკვესს.

ეგებ თვითონ პაოლოცაა ის „ერთი ამათგანი“?

ყოველ შემთხვევაში ბედნიერი მიგნებაა, რომ აკაკი მარტოდენ ცრემლითა და გლოვით არ გააცილონ.

აგერ ცხედარსაც ღიმილი აფენია სახეზე, ლაღი, მაკვარანცხული, ღვთაებრივი ირონიით გაცისკროვნებული ღიმილი, თითქოს მთვარე გადმომდგარიყოს შუაგულ ცაზე, ძალაუნებურად რომ გიწვევს სიცილისა და მხიარულებისაკენ, და მაშ დაე ტკივილსა და კურცხალს სიცილიც შეეზილოს, და თუნდ თავაწყვეტილი მხიარულებაც.

თუ გაგიძნელდება სიცილის გადმოფრქვევა, აკაკის აჩრდილი შემოგეშველება, აჩრდილთან მისაახლებლად კი მისი ნაკვესები გაგიხსნიან გზას, შემოგაკლდება თუ რა, ჯერ თვითონ აკაკისა, უშურველად რომ აბნევდა გარშემო და ზოგს კიდეც გაიხსენებდა ხოლმე და ზოგს ვეღარც, თუმც ხალხს ახსოვდა და იმეორებდნენ, ის კი არა, სხვების მოსწრებული სიტყვები და კალამბურებიც აკი ამაზე გადაჰქონდათ, თუნდ მის დაბადებამდეც გადმოტყორცნილი — განა ვინ დაგიდევდა, ესა თუ ის ციხე-კოშკი თამარ მეფის დროს აშენებულიყო თუ მის დაბადებამდეც: აწ უკვე ყველას მისი სახელი დაერქმეოდა. და აკაკის ნაკვესების კოლექციაც ამიტომ იზრდებოდა და ბევრდებოდა, ამიტომაც აღარ უჩანდა დასასრული, და ამაოდღა იხვეწებოდა და ივედრებოდა აკაკი, უგემურ და ბლაგვ ხუმრობებს მაინც ნუღა მომაწერთ, ვიღაცების უნიჭო კალამბურებზე პასუხი მე რატომ უნდა ვაგოო?!. რას იზამ, ესეც ბუნებრივი მოვლენაა, ინტერპოლატორ-გამგრძელებლები „ვეფხისტყაოსანს“ თუ არ აკლდებოდა, აკაკის მახვილსიტყვაობანი ვითომ რა ისეთი შეუვალი კოშკი გახლდათ, შიგნით ვერავის შეეღწია. მთავარია, რომ ის უგემური თუ ბლაგვი მახვილსიტყვაობანი ოდნავადაც ვერ აზიანებდა იუმორით, კომიზმით, სილაღით, სარკაზმით, სატირით აღსილ იმ აღმტაც და მომხიბლავ სამყაროს, რომლის შუქიც ამჯერად აქაც უნდა აკაშკაშებულიყო, მისი ცხედრის სიახლოვეს, ხელახლა რომ უნდა გამოეფხიზლებინა მგლოვიარენი და დიდხანსაც სიხარულით ესმინათ ბრძნულად თქმული სამხიარულო ნაკვესები.

გარეთ ქარს უნდა ექროლა.

სოფლის განაპირას კი ჯერაც დასვენებული ყოფილიყო ცხედარი გამბრწყინვებლისა.

ნეტა რისი თქმა სურდა, რა უნდა დაეტოვებინა უკანასკნელ სიტყვებად, რისი უთქმელობა დაენანებოდა?..

ერთხელ შეესწრებოდა ახალგაზრდების დროსტარებას, ერთი შეხედვითვე გამოარჩევდა წარმოსადეგ, გრუზათმიან, ლაღად შემართულ ვაჟკაცს და იკითხავდა, ვინ არისო.

— ჩვენი ჯიბოს ბიჭი ქეიფობს? — მიუგებდნენ.

ჩვენი ჯიბოს ბიჭი... ჯერ ასე იცნობდნენ, მამით გაეთქვა სახელი იმ არემარეში, ვიდრე ჯიბრაილ იაშვილი პაოლოს მამობით უფრო გახდებოდა ცნობილი, ლიტერატურის ისტორიაში ხომ ასე დამკვიდრდებოდა და ასე... რითი გაგაქვს თავიო? — პაოლოს რომ ჰკითხავდნენ, რაკილა თავისი შემოსავალი არ გააჩნდა, არადა ქეიფსა და დროსტარებასაც არ იკლებდა, ის ჩვეული იუმორითა და მახვილსიტყვაობით შეაგებებდათ:

— ჯერჯერობით ჯიბოს ჯიბით!..

ჩვენი ჯიბოს ბიჭი...

ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად და ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ სრულ გარდატეხას მოახდენდა ქართულ პოეზიაში, წინა თაობის პოეტებს ერთბაშად რომ გაახუნებდა... და ქადილის წუთებში რაღა ამათთან, პირდაპირ რუსთველთან ერჩივნა გადასულიყო ალავერდს.

მაგრამ დაუდგებოდა ის დროც, როდესაც აკაკისთანაც მოუნდებოდა ალავერდის გადასვლა, მაგრამ... ჯერ იმას წუთისოფლის საზღვარი უნდა გადაელახა.

ტიციან ტაბიძესაც დაუდგებოდა ეს დრო, თუმც ჯერ იქამდე საკმაო სავალი დარჩენოდა.

— აკაკი წერეთელი ათას ხვრელს იტოვებდა პოეტის დანიშნულებაზე...

ჯერ მაინც ადვილად შებედავდა აკაკის სახელს და... „საიდუმლო ბარათის“ შემოქმედი „ცისფერი ყანწების“ გამოსვლას რომ მოსწრებოდა, ჩვეული ღიმილით ჩაიღიმებდა ტიციანის მსჯელობას რომ ჩაავლებდა მზერას: ეს ხომ კანონია, არათუ ძველი მწერალი, ახალიც კი წერას ჩემი გინებით იწყებსო.

ხოლო პოეტი აკაკისათვის ხან „უზრუნველი პეპელა“ რომ იყო და ხანაც „გარემოების საყვირი“, ამ გარემოების საყვირით თურმე... ძალიან ბევრს იყვირებდა.

შეგნებულად არჩევდა ასეთ სიტყვებსა და გამოთქმებს მიმოხილვითი სტატიის ავტორი: ათას ხვრელს იტოვებდაო, ძალიან ბევრს იყვირებდაო — რათა ამავე დამამცირებელი მანერით გაეგრძელებინა:

— ყველა ეს ლექსები ბანკის ოპოზიციაზე და ადვოკატებზე დარჩება, როგორც პოლიტიკური სატირის არა ნიჭიერი ნიმუშები.

აღარც გიკვირს ამ „არანიჭიერის“ ხსენება.

აკაკის თურმე... გაქრობაც კი მოელოდა, და ამ პირწმინდა გაქრობისაგან ის იხსნიდა, რომ: დაუახლოვდებოდა ხალხის სულს და ნაციონალურ ეპოსში მონახავდა ლირიკულ თემებს. ხალხი კი ერთადერთი ინახავდა და კვლავაც შეინახავდა გაურყვნელი პოეზიის ტრადიციებს.

ხოლო აკაკი:

იქ, სადაც ღალატობდა თავის იდეოლოგიას და მღეროდა შეუგნებლად, მხოლოდ ნახულობდა თავისთავს. მისი პირველი ლექსი „საიდუმლო ბარათი“ თითქო სუნთქავდა ქალის ცხელი უბით. როცა წარსულში იხედებოდა, იქაც პოულობდა ძალას თავის ღალატისას და ნამდვილ პოეზიას ეზიარებოდა.

ისე როგორ იქნებოდა, რომ ტიციანს გამქირდავად არ მოეხსენიებინა ლექსი, რომლის გამოქვეყნების წყალობითაც ერთბაშად უნდა გაცხადებულიყო საზოგადოებისათვის ახალი და მძლე ტალანტის გამოჩენა.

რაც შეეხებოდა აკაკისა და ილიას პატრიოტულ ლირიკას:

აქაც ისინი საკმაოდ ვერ გააღრმავებდნენ თემას, რათა უკვდავი სახე მიენიჭებინათ სიმღერებისათვის.

თუმც ამ საგანზე მსჯელობას გადადებდა შემდგომი წერილისათვის, რომელშიც შედარებითი ანალიზის საფუძველზე უნდა გამორკვეულიყო პოლონური მესიანიზმი და ქართული პატრიოტული ლირიკა.

ტიციან ტაბიძე რატომღაც დაბეჯითებით გამოთქვამდა შეხედულებას, რომ: ამ დღიდან თანდათან მაგრდებოდა ჩვენში გავლენა რუსული ხელოვნებისა, რომელსაც შორეული კაეშირი ჰქონდა ნამდვილ ხელოვნებასთან და არაფერი საერთო არ გააჩნდა კერძოდ ქართულთან.

თითქოს არ უარყოფდა 60-იანი წლების მწერალთა დამსახურებას, მაგრამ — საზოგადოებრივს და არა ესთეტიკურს.

და ესეც ტიციანური სასტიკი განაჩენი, რომელიც მისი მტკიცე რწმენით, კასაციას არ ექვემდებარებოდა:

— თავიანთი გაადვილებული ორთოგრაფიით იმათ დამარხეს ქართული ლექსი.

აკაკისთან აქ ილიაცაა „მიჭყლეტილი“, ის კი არა, კიდევ უფრო დამძიმებულია მისი მდგომარეობა, რადგანაც „გაადვილებული ორთოგრაფია“ უშუალოდ მისი ხელით ხორცშესხმული ანბანური რეფორმაა, რომელსაც აკაკი მხოლოდდამხოლოდ იზიარებდა.

ტიციანური მსჯელობა კი ისე გაგრძელდებოდა:

რომ უკვე აღარ იქნებოდა ბესიკის მოწიწება და სიყვარული რიტმისა და ფორმისა და ლიბერალური აზრი მიიჩნეოდა ლექსის სამკაულად;

რომ გრიგოლ ორბელიანსაც ჩაითრევდნენ ამ ტურნირში თავისი „მუშა ბოქულაძეთი“

და რომ ერის სული კულტურული ატავიზმით იფეთქებდა მხოლოდ ვაჟა-ფშაველაში.

— ვაჟამ გაიარა მთელი რიგი რუსულ შკოლათა გავლენისა, მაგრამ მისმა გენიალმა ბუნებამ სძლია ეს შხამი. მართალია მისთვის არ იყო ლექსის ტეხნიკა და ხანდისხან ნაჯახით დათლილ წარმოდგენას ქმნიდა, მაგრამ ამაში იყო ძველი სული და ის მაგიურად იღვიძებდა, როცა შეეხებოდა ქართულ ეპოსს. ვაჟა დიდი პროტესტია ძველი საქართველოსი და მთაწმინდა ისე არავის ერგებოდა, როგორც ამ წმინდა მთას...

იმჟამად ვაჟა-ფშაველას ნეშტი დიდუბის მიწას მიბარებოდა.

და ტიციან ტაბიძე გამჭვირვალე ქვეტექსტით მიანიშნებს, რომ: არც ილიასა და არც აკაკის არ ეკუთვნოდათ მთაწმინდა ისე, როგორც ვაჟას, რადგანაც იგი თავის თავში სწორედაც განახორციელებდა წმინდა მთას!..

და ეს ისეა ნათქვამი, თითქოს ვაჟა სადღაც მეორე პოლუსზე იდგეს და.... უშუალოდ არ იყოს ამოზრდილი აკაკი წერეთლის ესთეტიკურ საფუძვლებზე, და თითქოს ისინი ლიტერატურულ მამა-შვილად არ წარმოგვიდგებოდნენ.

თითქოს აკაკიც არ იყოს დიდი პროტესტი ძველი საქართველოსი და ძველი სული თითქოს აკაკიშიც არ ილვიძებდეს მაგიურად.

არადა ტიციანი სწორედ ილიასა და აკაკის — როგორც აღორძინების მეთაურებს — დააბრალებდა ძველი საქართველოს ტრადიციების სამუდამო დამარხვასა და უკანასკნელ დრომდე — იგულისხმება ცისფერყანწელთა გამოსვლა სალიტერატურო სარბიელზე — შექმნას იდეური ტერორისა წარსულის წინააღმდეგ.

გადაჭარბება ნურავის ეგონება, სიტყვა-სიტყვით ამას ამტკიცებს:

— ქართველმა აღორძინების მეთაურებმა კი სამუდამოთ დამარხეს ძველი საქართველოს ტრადიციები და უკანასკნელ დრომდე შექმნეს იდეური ტერორი წარსულის წინააღმდეგ.

და ეს თურმე იმიტომ, რომ:

სამოციანელ მწერალთა იოლი ხელით შემოტანილი რუსული ხორბალი ამოვიდოდა რუსულ ქერად. ყოველი რუსული არათუ სკოლა, სექტაც კი ინვევდა საქართველოში თავის სახეს: მონანიებული აზნაურები, ხალხოსნები, ნიჰილისტები... და ეს კიბე გრძელი გახლდათ და... ბოლომდე რას აჰყვებოდა თუ ჩამოჰყვებოდა.

ამ გარემოებას ტიციან ტაბიძე მხოლოდ გაუგებრობას მიაწერდა, რომ: ქართული ხელოვნების რენესანსი ამ მწერლებიდან უნდა დაწყებულიყო.

რენესანსი პირველ ყოვლისა წარსულის აღდგენას რომ გულისხმობს, ქართულად ის აღორძინებად ითარგმნებოდა, და ისტორიული რენესანსი სხვა რა გახლდათ, თუ არა ცდა ანტიკური ქვეყნის აღდგენისა.

— აქ თუ შედეგი არ არის საინტერესო, ყოველ შემთხვევაში საინტერესოა ტენდენცია, რადგან ეს აზრი არ მომკვდარა ვიდრე ნიცშემდე.

და აი რენესანსის სახელით... ილიასა და აკაკის უნდა დაემარხათ ძველი საქართველოს ტრადიციები.

ცისფერყანწელთა ორდენს — გრიგოლ რობაქიძის მეთაურობით — კი უნდა მკვდრეთით აღედგინათ ეს დამარხული ტრადიციები, ეგაა მარტოდენ თვითონ არა: ვაჟა-ფშაველას წინამორბედობით.

გაემეტებოდა ეს პატივი „ალუდა ქეთელაურის“ შემოქმედისათვის, ხოლო ილიასა და აკაკის ერთხელ კიდევ წაუქიმუნჯებდა: მათ ის უპირატესობა მაინც ჰქონდათ, რომ მოქალაქეობრივ მოტივებში ხანდისხან ნახულობდნენ ნამდვილ პოეზიასო...

ხანდისხანო — ესეც მოწყალება გახლდათ ტიციან ტაბიძის მხრივ, და ისიც იმიტომ, რათა მათი პოეტური სკოლა მთლად გაებურთავებინა: კარიკატურული სახე მიიღოო.

— და დღეს უიმედოთ გაჰკივის მოქალაქეობრივი არღანი კაკაფონიას. ყველა უნიჭო, უსახო, ენაბლუ, ვისაც ხელი არ ეღლება, სტანჯავს დღეს ქართულ პოეზიას.

ამ შემთხვევაში უკვე აღარას აჭარბებდა სტატიის ავტორი: აკაკის პოეტური სკოლა — გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი, ვიდრე ილიასი — ბევრწილად გამრუდდებოდა და გაპრიმიტიულდებოდა, გამჩატდებოდა და გაუსახურდებოდა და ძალაუნებურად შევიდოდა იმ ჩიხში, საიდანაც თავდაღწევა შეუძლებელი შეიქნებოდა.

ვის ზიგზაგობრივი გზა უნდა გაევლო აკაკის მწერლური სიმაღლის შეცნობამდე, ვის იმთავითვე ელიარებინა და: რა აღტაცებაც და აღმაფრენაც პირველივე მიახლებისას დაეუფლებოდა, მთელი სიცოცხლე გაუნელებლადაც შეენარჩუნებინა ეს განცდა.

და ეს იმ გალაკტიონ ტაბიძეს, რომელიც მერე იმასაც შეეცდებოდა, გარეგნობითაც დამგვანებოდა აკაკის, თორემ ლექსის წაკითხვის მანერით ხომ მიბაძავდა და მიბაძავდა, თავს მის ლიტერატურულ მემკვიდრედაც რომ გამოაცხადებდა, და თუმც ისიც შეეცდებოდა რუსთველთან სულიერი ხიდის გადებას და თავსაც გუნებაში ახალი დროის რუსთველად ჩაითქვამდა, „ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედის გვერდით ყოველთვის თვალდათვალ შეჰყურებდა აკაკი წერეთელსაც, როგორც... რუსთველის თანამედროვეს, მკითხველთა ერთ საერთო აუდიტორიას რომ გულისხმობდა ორივე, იმ მეთორმეტე საუკუნის მკითხველს, ძლე-

ვამოსილი საქართველოს შვილობა მთელს სამყაროს რომ შეაცნობინებდათ და ისე გაუფართოვებდათ გონებრივ ჰორიზონტსაც და სულიერ თვალსაწიერსაც, მკითხველის იდეალად დამკვიდრდებოდნენ ჩვენი ქვეყნის ბედკრულ ისტორიაში, მათ რომ შევხარით და გვეხარებია და ვლამობთ ადრე თუ გვიან მათთან შეხვედრას — იქ, სივრცეებში მაინც.

დაახლოებით ყველას წარმოგვიდგენია მეთორმეტე საუკუნის ქართველი მკითხველის კრებითი სახე.

გალაკტიონ ტაბიძეს — თავისი გრძნეული მზერით — სრულყოფილადაც კი გაეგებოდა მათი ხელოვნება, იდეალური მკითხველის ხელოვნება, და ამიტომაც მოკრებდა აკაკის შემოქმედებაში ლექსთა იმ წყებას, „განთიადის“ შემოქმედს იმ მკითხველისთვისაც რომ შეექმნა, თანამედროვეთა და შთამომავალთა გარდა წინაპართა ის თაობაც რომ ეგულისხმა თავისი აუდიტორიის წევრებად.

კი მაგრამ... როგორ?

ეს საიდუმლო მოეხსენებოდა აკაკის.

და მარტოდენ აკაკის არა — გალაკტიონსაც მოეხსენებოდა.

ეჰ ნეტა ამ ძვირფასი მოსაზრების გამოთქმასთან ერთად ის ლირიკული შედეგრები გამოერჩია აკაკის პოეტური ნაკადიდან, უშუალოდ რომ ეხმიანებოდა მეთორმეტე საუკუნის მკითხველის გულისცემას.

გაუძნელდებოდა თუ რა იმათ, იმ მკითხველთა არსებაში შეღწევა აკაკის — მაინც იქიდან მოდიოდა, იმ საუკუნის მზით გაბრწყინებულიყო, იმ საუკუნის წვიმა ასველებდა, იმ საუკუნის ქარი უწეწავდა თმა-წვერს, იმ საუკუნის მთვარე დაჰქათქათებდა, და გულმშვიდად ამიტომაც შეეფარებოდა საფლავის ლოდს დარწმუნებული იმ რწმენით, რომ როცა მოინებებდა, მაშინ დაუბრუნდებოდა სამზეოს, მაშინ გამოიძახებდა თავის თავს სამარიდან და დახატავდა იმ რამდენიმე სურათსაც, რომელთა მოუთავებლობაც დარდად გაჰყვებოდა, გამოიძახებდა თავის ლანდს მასთან დამარხული და მასთან გაგრძელებული სიცოცხლის სიტყვის ძალით.

. გალაკტიონს ლიტერატურულ ფორმულად უნდა ჩამოექნა ის თვალსაზრისი, რასაც ალღოთი მიაკვლევდა შალვა ამირეჯიბი, და თუმც ბოლომდე ვერ გაიაზრებდა და გალაკტიონურ სიღრმეში ვერ ჩააღწევდა, მაგრამ მიახლოებით კი მიუახლოვდებოდა. და დღესდღეობით შესაძლოა წარმოვიდგინოთ ეს მიახლოება გალაკტიონური ფორმულის წინა საფეხურად.

ალღოთი მაინც რას მიაკვლევდა შალვა ამირეჯიბი?

რას და:

არავის საქართველოში აკაკისებური სიზმრები არ ენახა:

ტახტზედ იჯდა თამარ მეფე, მომხიბლავი ეშხიანი, მარჯვნივ უდგა თინათინი, მარცხნივ ნესტან-დარეჯანიო.

რაო, ეს მხოლოდ სიზმარია?

— მაგრამ, ბატონებო, — შეგვაგონებდა ესეის ავტორი, — რა ბედნიერებაა მგოსნისთვის თამარ დედოფლის ამალაში ყოფნა — თუგინდ სიზმარში.

და აღტაცება ასე უნდა გაგრძელებულიყო:

მათი უდიდებულესობის თამარ მეფის ამალის მგოსანიო!

იგი ემთხვია თამარის ტახტსო.

მან ნიდაყვით იგრძნო შოთა რუსთველიო.

ნახა ყველა ისინი ვინც აღამაღლა საქართველო, ნახა ქალები, რომლებიც გარს ეხვივნენ თამარს — როგორც მთვარეს ვარსკვლავთ კრება. ნახა კაცები — რომლებიც, გრიგოლ ორბელიანის სიტყვებით რომ ვთქვათ, „განადიდებდნენ მის მეფობასა“. გასინჯა მათი მახვილი, მათი მუზარადებიო.

რაღაც იდუმალი ნაგრძნობია და ხელშესახებადაც ნაგრძნობი, და თითქოსდა სიზმრის ფსიქოლოგიური საწყისიც გახსნილია. „თითქოსდა“ იმიტომ, რომ: სიზმრად გამოცხადებულში რაღაც უფრო მეტი იკითხება, ვიდრე მხატვრული ფანტაზიის აღმაფრენაა. მხატვრულობა და ყოფითობა ერთიმეორისაკენ მიისწრაფიან და იმ რაღაც უფრო მეტზეც კანთიელად მიგვანიშნებენ.

ეს მინიშნებაა, აკაკის უჩვეულო ფენომენის ასახსნელ ლიტერატურულ ფორმულას ძალდაუტანებლად რომ მოითხოვს და... გალაკტიონის ვიზიონერული ხილვა კიდეც დაადასტურებდა, აკაკი XII საუკუნის მკითხველისათვის რომ ნერდა, მას შეჰყურებდა და მის მსჯავრს ანდობდა თავის გულისთქმას... და თუ აუცილებლობა შეიქნებოდა, დროდადრო არც საფლავიდან ამოსვლა გაუძნელდებოდა...

ისე თვალნათლივ, ისე ხელშესახებად წარმოიდგენდა გალაკტიონი წუთისოფელთან აკაკის გამოთხოვების წუთებს, თითქოს ისიც თავზე დგომოდეს და მოესმინოს, როგორ ეკითხებოდა მშობლიურ წიაღს უნუგეშოდ მოწყვეტილი ვაჟი მამას: ლამპის შუქი ხომ არ გიშლის მოსვენებასო? — და ის კი იღიმებოდა ჩვეული ღიმილით: არა, მე უკვე აღარაფერი მიშლისო...

მერე კიდევ რაღაცის თქმას დააპირებდა და...

მიუახლოვდებოდნენ, ახლოს მიუტანდნენ ყურს, ეგებ რაიმე გავარჩიოთ მომაკვდავის ლუღლუღშიო, მაგრამ ვერას გაუგებდნენ და ვერას.

გალაკტიონს მიახლოება არც დასჭირდებოდა, ისედაც მიუხვდებოდა, ისედაც გაარჩევდა ყოველ სიტყვას, ანდერძად დატოვებულ სიბრძნისა და სილამაზის უჩვეულო ნაზავს, ზედ ცისარტყელაც რომ გადმოაშუქებდა და ნიშანსაც მისცემდა...

ის კი ისედაც მიუხვდებოდა, მაგრამ თუ ჩაინიშნებით არსად ჩაინიშნავდა და საიდუმლოდ შეინახავდა, ჩვენ ვიღა გაგვიმჟღავნებდა თუ რისი თქმა სურდა აკაკის, რისი დატოვება ენება უკანასკნელ სიტყვებად, რისი უთქმელობა ენანებოდა?..

ერთხელ უკვე დაეძინა მეფური ძილით.

ახლა მეორედ უწევდა.

და გალაკტიონ ტაბიძეს ორი სამყაროს მიჯნაზე მობორიალე აკაკის თავზე დგომა სულაც არ ესაჭიროებოდა, რათა თვალდათვალ ეხილა გულისშემძერელი და აღმტაცი სურათი, მითოსური გმირის შარავანდით რომ იმოსებოდა:

აკაკი კვდებოდა და მისი დამავალი მზის ნათელი ანათებდა მთების მწვერვალებს და ამსგავსებდა მათ მეფეებს თავზე ოქროს გვირგვინებით.

მთები ემსგავსებოდნენ მეფეებს ოქროსგვირგვინოსანთ — აკაკის ხატების ფონზე.

და აკაკი ემსგავსებოდა მეფეს ოქროსგვირგვინოსანს — მთების ხატებათა ფონზე.

ასე და მხოლოდ ასე შეიძლება შევიცნოთ „ძვირფასი საფლავების“ ამ ნატეხის ფინალური აკორდის საკმაოდ გამჭვირვალე ქვეტექსტი, ამქვეყნიურ ყოფით გარემოსთან განშორების წუთები იმ პიროვნებსა, რომელსაც თავისი თავი გამოეძახებინა სამარიდან მასთან დამარხული და მასში გაგრძელებული სიცოცხლის სიტყვის ძალით.

ლამპის შუქი ხომ არ გიშლით მოსვენებას?

არა, მე უკვე აღარაფერი მიშლის...

და კიდეც ამოსდევდა ამ სიტყვებს ჩაგუბებული, ამ წუთებისათვის შემონახული სიცილი — მასთან შენივთებული სიბრძნით.

სული კი იმ გზასავალს უნდა შედგომოდა, რაც ჯერ კიდევ როდის აღეწერა იმ სატირულ ნოველაში, „სიკვდილად“ რომ უნდა დაესათაურებინა.

ხოლო მწერალთა დელეგაცია, მისასამძიმრებლად ჩასული, ვარაუდით ივარაუდებდა, რომ აკაკის დასაფლავება მოხდებოდა ახლობელ კვირას — 1 თებერვალს, და რასაკვირველია მანამდე საჩხერეში დარჩებოდნენ და გამოჰყვებოდნენ პროცესიას, მაგრამ ტფილისიდან შეატყობინებდნენ, რომ აკაკი დაიკრძალებოდა 8 თებერვალს, რადგანაც გასვენების მოწყობას მანამდე ვერაფრისდიდებით ვერ შეძლებდნენ. ამის გამო ეს ჯგუფი გამობრუნდებოდა დედაქალაქში, რათა მერე სხვებთან ერთად კვლავ წამოსულიყვნენ სხვიტორს გასვენების პროცესიაში მონაწილეობის მისაღებად.

ტფილისის დელეგაციაში იქნებოდნენ ახალგაზრდა პოეტებიც: ალექსანდრე აბაშელი, იოსებ გრიშაშვილი, გიორგი ქუჩიშვილი და სანდრო შანშიაშვილი. უფროსი თაობიდან: კოტე მაყაშვილი, ქუთაისიდან კი შეემატებდნენ: პაოლო იაშვილი, ვარლამ რუხაძე და გალაკტიონ ტაბიძე.

დამკრძალავი კომიტეტის დადგენილებით:

ცხედარი უნდა წამოსვენებულიყო სხვიტორიდან ოთხშაბათს, 4 თებერვალს, ძაძით შემოსილი მატარებლით, რომლის ორთქლმავალზეც იფრიალებდა უზარმაზარი შავი დროშა.

იმ ღამეს საჩხერეში დარჩებოდნენ.

ხუთშაბათ ღამესაც შორაპანში შეჩერდებოდნენ და პარასკევ დილით დაიძროდნენ ტფილისისაკენ.

თანახმად ამ წესისა:

კომიტეტის წევრები, მწერლები, პრესის წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწენი ოთხშაბათს დილით ჩამოვიდოდნენ სხვიტორში, სადაც უკვე უთვალავ ხალხს უნდა მოეყარა თავი — უმეტესობა სულ უბრალო გლეხობა. დაახლოებით 3 საათზე აკაკის სასახლეს გამოასვენებდნენ გარეთ და ცოტა ხანს შეჩერდებოდნენ თითქოს იმისათვის, რომ მგოსანი სამუდამოდ გამოთხოვებოდა მამაპაპეულ სახლ-კარს.

მეგობრების თხოვნითა და საერთოდ ახალგაზრდა პოეტების სახელით ლექსს წარმოთქვამდა ალექსანდრე აბაშელი.

ამ ლექსის დასაწერად იოსებ იმედაშვილს შეეგულიანებინა, ტფილისიდან მომავალნი ერთ ვაგონში რომ მოხვდებოდნენ და თვითონ ვარდ-ყვავილთა თაიგული რომ ჩაებარებინა, ზედ ჩარჭობილი ცოცხალივე ფოთოლ-რტოს წვერმოტეხილი კალმით.

— აბა ვინ რას ფიქრობთ, რას იტყვით, რას დაწერთ? — იკითხავდა და გვერდით მჯდომ ალექსანდრე აბაშელს გადახედავდა, — ანბანთა რიგზე პირველი ხარ, დაიწყე...

— ძალიან მაღალია, დიდი... შევწვდები? — მიუგებდა ის ფიქრმორეული.

— როგორ დიდი?

— მე რომ მხატვარი ვიყო და ღვთის დახატვა მომანდონ, დედნად, ორიგინალად აკაკის სახეს ავიღებდი... როგორ შევწვდე!..

— სცადე!

ის ჩაფიქრდებოდა, უბეში ხელს ჩაიყოფდა, მაგრამ ცარიელს ამოსწევდა. იოსები იფიქრებდა: ფანქარს თუ ეძებსო, — და ფანქარსაც და უბის წიგნაკსაც მიაწოდებდა. და ისიც ვაგონის რხევაში ფანქრით ჩაწერდა სამსტროფიან ლექსს, ამ სტრიქონით რომ დაიწყებდა: ჩვენ ბევრნი ვართ, შენს კალთაში, შენის ჩანგით გამოზრდილნიო.

და ახლა კუბოს წინაშე წამდგარი ახალგაზრდა შემოქმედთ შეადარებდა მრავალფეროვან ყვავილთ, ჩვენს მამულში ტურფად შლილთ, აკაკის ხსოვნას ნათელ-მზიურს მოკრძალებით რომ შემოხვეოდნენ გარს და მის ლოცვას მარადიულს იმეორებდნენ სიმთა რხევით. აკაკის ჩანგის სიმები თითო-თითოდ რომ დაერიგებინათ, სურდათ მოძღვრის ღმერთი ამათაც ექოთ და ედიდებინათ, აეკინძათ თავიანთი სიმღერები, ყვავილებით დაემშვენებინათ და გვირგვინად შეკრული ჰანგები მგოსნის საფლავზე დაესვენებინათ. და თუ მათი სიმთა ტალღა ათამაშდებოდა ვით ჩანჩქერი, თუ შექმნიდნენ ლოცვას წმინდას, ლოცვას — აკაკის შესაფერისს, დაე მას მიეღო ეს ღაღადი, ანთებული ვით პატრუქი, და მისი მასვე დაბრუნებოდა: მზეს უჩრდილოს — მთვარის შუქი!..

ერთ მაღალ, ჩოხიან კაცს ყვავილბარდი ჯვარი რომ ეჭირებოდა და აქეთ-იქით ატრიალებდა და იხვეწებოდა: ბოშო, ამას ვინ გამძღვარებსო? — იოსები ჩამოართმევდა, შეამაღლებდა ყვავილბარდ ჯვარს და კიდეც გამოუძღვებოდა აკაკის სასახლეს.

იდგებოდა აკაკისებური დარი, რაც გულისხმობდა: მზიან, თბილ დღეებს, მოწმენდილ, უღრუბლო ცას, ვარსკვლავებიან წყნარ ღამეებს.

პროცესია ნელ-ნელა დაიძრებოდა საჩხერისაკენ, გზად ხალხი მოემატებოდათ და საჩხერეშიც ბევრი დახვდებოდათ.

ეს დიდებული პროცესია საჩხერიდან შორაპნამდე და შორაპნიდან ტფილისამდე საკმაოდ დაწვრილებით აღიწერებოდა გაზეთებში და სამსონ ფირცხალავა ზედმეტად მიიჩნევდა ამ აღწერილობის განმეორებას. მთავარი მისთვის ის გახლდათ, რომ აკაკის სასახლეს ყოველ სადგურზე გულწრფელად დამწუხრებული ხალხი ხვდებოდა და დასტიროდა, რადგანაც ეს არ იქნებოდა ჩვეულებრივი დასაფლავება და ზოგადი იერით ილიას დაკრძალვას დაემსგავსებოდა.

ეს თვალცრემლიანი ხალხი ასე მოკრძალებით და სიყვარულით რომ შესცქეროდა აკაკის სასახლეს, ცდილობდა მიახლოებას, სიტყვით თუ სხვაფერ უკანასკნელად გამოთხოვებას, თაყვანისცემის გამოხატულებას — ამას შეეტყობოდა რაღაც ზეადამიანური, რელიგიური ხასიათი, და სამსონ ფირცხალავას ეს ამოდენა მოდენილი ხალხი მოაგონებდა პილიგრიმთა შემოკრებას რომელიმე წმინდანის ან ხატის მოსალოცად.

ეს ნამდვილად ჰგავდა მღვდელმსახურებას და წარმოთქმული სიტყვები კი — მორწმუნეთა ლოცვებს.

შორაპანში რომ ჩამოვიდოდნენ, ბათუმელი ჩიქოვანი ითხოვდა, რომ წაეკითხებინათ დაწერილი სიტყვა. კომიტეტის წევრები უარს ეტყოდნენ იმ მოტივით: მაგისთანა მსურველი ძალზე ბევრიაო. ჩიქოვანს ეს ძლიერ საწყენად დაურჩებოდა. მეორე დღეს დილასისხამზე შევიდოდა სამგლოვიარო ვაგონში, დადგებოდა კუბოს წინ და აღაღადდებოდა იმგვარი კილოთი, როგორც მღვდლები კითხულობენ ეკლესიაში.

იოსებ იმედაშვილი რომ ითხოვდა სიტყვას, მას კი ნებას დართავდნენ და, მაგიდაზე რომ შედგებოდა, ძალიან მოინდომებდა, რათა თავისი გულისნადები მიზანში ეტყორცნა.

— საყვარელო აკაკი, შენ გვიმოძღვრებდი, რომ ჩონგური საქართველოა, — იტყოდა და შეყოვნდებოდა, მცირე პაუზის შემდეგ კი ისევ, — ჩონგური საქართველოა, — და კვლავ გაჩერდებოდა. იფიქრებდნენ, ლექსი დაავიწყდაო, და ირგვლივ ზღვა ხალხი შემოსძახებდა:

— სიმები ჩვენ ვართ ყველაო!!!

ამას ურუანტელი დაუვლიდა ამ შემოძახილზე, გაიმეორებდა: ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო, — და სიტყვას ყველა იმათ წინააღმდეგ მიმართავდა, ვინც ჯერ კიდევ ვერ გამოფხიზლებულიყო და მთლიან საქართველოს ვერა ცნობდა, თუნდ ის დედაბერი, ცხედარს რომ მოსტიროდა: ვაი რა უბედური ვართ! იმერეთს ერთადერთი დიდი კაცი გვყავდი, და შენი თავიც საქართველომ წაგვართვა, რაღა გვეშველება ჩვენ ბედშავებსო!..

და ახლა იოსებ იმედაშვილს დაბეჯითებით უნდა განემარტა ყველასათვის:

— აკაკი მთლიანი საქართველოსათვის იბრძოდა, მთლიანი საქართველოს გული ტფილისია, ხოლო ამ მთლიანობის მოციქული აკაკი ამ გულში უნდა დაიკრძალოს.

მატარებელი რომ დაიძროდა და მთელი ხალხი აქეთ-იქით მუხლზე დაემხობოდა ქუდმოხდილი, მოისმოდა გულსაკლავი ქვითინი და... იოსები გააცნობიერებდა, რომ: ასეთი რამ არათუ არ ენახა, არც ზღაპრად სმენოდა, არცერთი გვირგვინოსანი მეფის ამგვარი დაკრძალვა არც გაეგონა.

რკინიგზის სამმართველო საგანგებოდ გამოჰყოფდა მატარებელს, რომლის ვაგონებშიც მთელი ჩვენი ინტელიგენცია მოიყრიდა თავს — ყველა მიმართულებისა და პარტიების წარმომადგენელნი, ძველი და ახალი მოღვაწენი.

და სამსონ ფირცხალავაც ძალაუნებურად აღმოჩნდებოდა შემსწრე გზად იმ მღელვარე პოლიტიკური დისპუტისა, თუ როგორ გათავდებოდა ომი და რას მოუტანდა საქართველოს.

მოკამათენი დანაწილდებოდნენ არაპარტიული მიმართულების მიხედვით.

ერთნი ამტკიცებდნენ: გაიმარჯვებს გერმანიის კოალიციაო.

მეორენი: საფრანგეთის, ინგლისისა და რუსეთისაო.

პირველთა შეხედულებით: გერმანია რომ გაიმარჯვებდა და რუსეთი დამარცხდებოდა, ეს გამოინვევდა რუსეთში რეჟიმის დაცემას და საქართველოსაც მოუტანდა თავისუფლებას.

მეორეთა თვალსაზრისით: ინგლისი და საფრანგეთი ომის მოგების შემდეგ აიძულებდნენ რუსეთს — თავისუფლება მოენიჭებინა დაპყრობილი ერებისათვის.

გაისმოდა მესამე აზრიც, ეს უკვე გიორგი ლასხიშვილისა: გერმანია დამარცხდება, მაგრამ დამარცხდება რუსეთიც და მოხდება რევოლუციაო...

ტფილისში ჩამოვიდოდნენ 4 საათზე და ცხედარს მიასვენებდნენ ქაშვეთის ეკლესიაში.

დასაფლავება მოხდებოდა მესამე დღეს — 8 თებერვალს, და სამგლოვიარო პროცესია სამსონ ფირცხალავასა და სხვებსაც ძალაუნებურად წამოაგონებდა ილიას დასაფლავებას, რაკიღა ხალხი მაშინდელივით ისე მოზღვავებულიყო, კიდეგანი აღარც უჩანდა.

მთავარი სიტყვები წარმოითქმოდა ერევნის მოედანზე.

პირველად ილაპარაკებდა ნიკო ნიკოლაძე, ამასაც რომ იტყოდა:

· — ხედავთ, ამ მადლიანი ადამიანის მადლიანმა სიკვდილმა როგორ მადლიანად გააერთიანა საქართველო... შეხე, აკაკი, რა დიდი ლაშქარი გყოლია, მხოლოდ შტაბია საჭირო, შტაბი...

მშვენიერ შთაბეჭდილებას მოახდენდა ქობულეთელი მაჰმადიანი ქართველის გულო კაიკაციშვილის სიტყვა, განსაკუთრებით კი ის პასაჟი:

— გევედრები, დაუბარე ამ შენებს, რომ ცალი თვალით და ერთი ხელით სანთელი ჩვენსკენ დაიჭირონ, გვინათონ და გვიპატრონონ, აღვადგინოთ ჩვენი დედაენა, გვიხსნან იმ გაჭირვებისაგან, რომელშიდაც ნამეტურ ახლა ვიმყოფებით.

მაშინაა, კიტა აბაშიძის იშვიათი მჭევრმეტყველებით წარმოთქმული სიტყვაც რომ უნდა გახმიანებულიყო, თუნდ სამსონ ფირცხალავას უკეთესი არასოდეს რომ არ მოესმინა. და თითქოს ვერცხლის ზარს ჩამოერეკოს:

— აჰა, დაიმსხვრა ჭურჭელი ძვირფასი, რომელშიაც საუკეთესო სასმელი ესხა, მაგრამ ნექტარი კი არ დაღვრილა, არამედ წვეთ-წვეთად გაიფანტა ყოველი ქართველის გულში.

და შეუყვებოდნენ მთაწმინდის ფერდობს, გზა რომ ვეღარც დაიტევდა ჭირისუფლებს და მთის კალთებსაც შეეფინებოდნენ.

მერე ვეღარ გაიხსენებდა ლევან გოთუა, თუ რა იყო ის ხე, რომელზედაც მაშინ, ბავშვობაში გულისფეთებით აცოცდებოდა და უეცრად ბევრ რამეზე თვალი აეცრებოდა.

იმ პატარა ბაღთან მერეც არაერთგზის აივლიდა და ჩაივლიდა, როდესაც დიდებულ ქართველთ მთაწმინდისაკენ მიასვენებდნენ, მაგრამ იმ ხეს ვეღარ დაინახავდა... ან მოეჭრათ და ან ისე გაზრდილიყო, რომ ვეღარც ცნობდა...

აი მის უფოთლო ჩრდილს კი კვლავაც ხედავდა გონების თვალით.

მას შემდგომ დრო ბევრ გზა-ღრანტეებში ატარებდა, ხე და ხევი რაღა ბედენა იყო, არაერთ მწვერვალზეც ავიდოდა — იალბუზისა თუ მყინვარწვერის ჩათვლით, და იქიდან შორეთისათვის თვალიც გაეყარა... მაგრამ იმ — არცთუ დიდი — ხიდან ერთბაშად დანახულისოდენას მაინც ვეროდეს ვერაფერს იხილავდა, ვერც შეიგნებდა...

ასეთი გულალალი მგონი აროდეს აღარც იქნებოდა.

ეს ხე მთაწმინდის კალთაზე, მამადავითის ბაღში, ქუჩისპირა გისოსს თავზე ედგებოდა — სხვა ხეთაგან არაფრით გამორჩეული. და მას ლევან გოთუა ახლაც მთელი სხეულით გრძნობდა — ახალ გამოზამთრებულს, ჯერ უფოთლოს, მაგრამ ნამშეპარულსა და კვირტებმოკითხულს.

და თებერვლის იმ კვირადღეს ხეს ბავშვები რომ შეესეოდნენ, ეს ყველაზე ქვევით იქნებოდა, სამაგიეროდ ტოტი ქუჩისაკენ გადახრილიყო და ზედ გადამჯდარს სამზერი უფრო ხელსაყრელი შეერჩეოდა.

ქუჩა-მოედნის გასწვრით ხელიხელჩაჭიდებული ხალხი იდგებოდა. შუაში კი ივლიდნენ და ივლიდნენ... მწყობრად ჩამდგარი შავჩოხიანი, შავჩიქილიანი მგალობელნი... დიდნი, პატარანი... წამოიღებდნენ წამოხრილ შავ დროშებს, შეძაძულ ჯვრებს, ხატებს, შავჩარჩოიან სურათებს... და ყმაწვილს უკვირდა: ნეტა ქვეყნად სად იყო ამდენი შავიო?!.

თვალებს დააცეცებდა, ხარბად დაეწაფებოდა, გადახრილ ტოტზე უფრო წინ გადაცოცდებოდა. რაღაც ახალი, „ხალხის გრძნობა“ თან გაიტაცებდა და თან ზარსაც დასცემდა... და ვერ აეხსნა: ნეტა ქვეყნად სად იყო ამდენი ხალხი?!.

დამწუხრებული მამა, ის პართენ გოთუა, რომელსაც აკაკიც აფასებდა, მასაც „უფროსივით“ გაუზიარებდა, რომ: ჩვენს სამშობლოს ახალი დიდი უბედურება სწვეოდა... გატეხილიყო მისი „სალამური“... გმირთა მაძებარი „დაფი და ნაღარა“ და ახლა მხცოვანი მწერალი დიდ მთაწმინდელებს უერთდებოდა, რათა იქ დაედო სამუდამო ბინა. სურათსაც კი აჩვენებდა მხცოვანისა და.. მოაგონდებოდა ყმაწვილს, რომ ერთხელ ტფილისის მთავარ ქუჩაზე შეხვედროდა ამ „პირწმინდად დათოვლილ კაცს“, რომელიც „თავაღმართულად“ ზეცისაკენ იხედებოდა და გზას „თავმოხრილი“ ჯოხით მიიკვლევდა.

ლევანს თვალს მოჭრიდა მისი ნათელი.

მაშინ კიდევ სწავლობდა საღვთო რჯულს და ღმერთი მხოლოდ ასე წარმოედგინა.

და ახლა ეს „თეთრი ღმერთი“ მთაწმინდაზე აპირებდა „სამუდამოდ დასახლებას“.

ყოველი ხე ბიჭებით დახუნძლული აღმოჩნდებოდა.

და ლევანიც და მისი ქუჩის ბიჭებიც ბაღის მაღალ გისოსს გადაეცლებოდნენ და ერთადერთ „თავისუფალ" ხეს მიაწყდებოდნენ. ხის თავისუფლების მიზეზიც მის ძირში მუხლებზე იდგებოდა, თავი ხის ტანზე ექნებოდა მიდებული, ხელებიც შემოვლებული. ბრმა თვალები აპარპალებული და ხმამაღლა იძახებდა:

— გაიკითხეთ!.. აკაკის მადლითა და სახელით გაიკითხეთ! მაშ მე უნდა ხის ძირში გავკიოდე და ის კი ხის კუბოში მუნჯად იყოს?!.

ხალხი შუა ქუჩაში მწყობრად ივლიდა და ივლიდა... იგალობებდა და იგალობებდა... იცრემლებდა და იცრემლებდა... ქვემოთ, ქუჩის ვიწროში მინა აგუგუნდებოდა... მალე სულ აირეოდა მწყობრი და რიგი... ახლა ყველა საზღვარი წაიშლებოდა! ხალხი შავ დროშებს განიერ ხნულად წამოებმოდა — თითქოს თვით მინა და ტალღა აღმაზვირთად აგორდებოდა. გალობა უკვე ჩათხრობილ, გაურკვეველ დუდუნში დაინთქმოდა. თითქოს სამგლოვიარო ზარის ხმა მოისმოდა და აღარც მოისმოდა... და ლევანს ისიც ეეღარ გაერკვია, მართლა ზარი იყო თუ დედაქალაქისა და მომდგარი ერის გულისცემა?!.

ხალხის ზვირთი ამოგორდებოდა მამადავითის მოედანზე, ამოგორდებოდა და თითქოს მხრებში გაიშლებოდა, მორევივით შეტბორდებოდა... ყველა ქუჩიდან ნაკადს შემოიმატებდა... თითქოს საქართველოს ყველა მდინარე აქ მოიყრიდა თავს...

და უეცრად ამ თავების მორევზე დიდი შავი ნავივით რაღაც გამოცურდებოდა. და ყმაწვილი იგრძნობდა, რომ ეს და სწორედ ეს, დიდი და უძრავი, გახლდათ ძალა შემკრები ამ მოძრავი ცოცხალი ტალღისა... და ყველა მას უმზერდა ამოძრავებული ქუჩებიდან თუ აცახცახებული უფოთლო ხეებიდან, ჩაშავებული სარკმლებიდან თუ ამოძაძული აივნებიდან, თავჩაქინდრული სახურავებიდან თუ ასულდგმულებული მთის ფერდობებიდან.

— იგია, იგი! — ჩურჩული მოჰყვებოდა ბაღის უფოთლო ხეებს.

— იგია! — აჩურჩულდებოდა ლევანის ქუჩელთა ხეც და ზედ გახევებული ბავშვებიც. იგი კი თანდათან უნდა მოახლოებულიყო, გაზრდილიყო... უკვე ვეებერთელა, გოლიათურად გადაწოლილი... თეთრ-ქათქათა ლომ-ფაფარი ნათელ სახეს ირგვლივ რომ შემოვლებოდა...

და ლევანსაც უნდა ეცნო — ნიშანდობლივ მხოლოდ ახლა წარმოუდგებოდა — თეთრი ღმერთი... თავაღმართულად ტფილისის მთავარ ქუჩაზე მიმავალი... ოღონდ მაშინ თავმოხრილი ჯოხი რომ ეპყრა, ახლა ეს ჯოხი გადაეგდო და სახეშეუბრუნებლად სულ ზეცაში იხედებოდა... და ისე მიდიოდა, ფეხს აღარც აკარებდა მიწას... აი რა ყოფილიყო უკვდავება — კაცი ჯოხს რომ გადააგდებდი და ისე გააგრძელებდი გზას... და ხალხიც ისე გამოგყვებოდა!..

და ყმაწვილს ეეღარ გაეგო: ეს თუ კაცის სიკვდილი გახლდათ, მაშ რაღას ერქვა კაცის გამარჯვება?!.

ხალხის მთავარი ტალღა მის ხემდეც მიაღწევდა... და თითქოს თავსაც დახრიდა უფოთლო, მაგრამ ბავშვებით შეყურსული ხე. მასაც გული ჰქონოდა და ლევანი რომ ეკვროდა, ძგერასაც გრძნობდა. გულის მიღმა კი ხეიბრის ხმაჩაკარგული დუდუნი უნდა გახმიანებულიყო:

— აბა რა სანუგეშოა და... ხანდახან ბედნიერი ვარ, რომ ბრმა ვარ!.. აბა კარგს რასა ხედავთ გეთაყვა! გაიკითხეთ და გამაგებინეთ!..

გახსოვთ აკაკი ბრმებს რომ შენატროდა: ნეტავი თქვენაო?!. და ეს იმიტომ, რომ დანახვის ღირსი აღარც აღარაფერი ეგულებოდა გარშემო ბევრ რაიმეზე გულგატეხილსა და ლამის სასოწარკვეთილსაც.

და აქ და ამჯერად ბრმას ვიღაც გამვლელი უნდა შეხმიანებოდა:

— ვაი, რომ მართალს ამბობ! გული გაგიტყდება, მაშ რა მოგივა... ჩვენს უკანასკნელ დიდებას მიასვენებენ!..

მაგრამ ახლა სხვა ხმაზე უნდა ადულდულებულიყო უსინათლო:

— ნუგეშ-იმედიც გაიკითხეთ!.. ხალხნო! სიცოცხლე მაინც სჯობს სიკვდილსა... ერთი კვდება — ათი იბადება! თავი გავიტეხოთ და გული არა!

აკაკის წინ ერთადერთი შავ-მწვანე, ორსიტყვიანი გვირგვინი უნდა წამძღვარებოდა:

აკაკის — საქართველო.

— აკაკის გვარი საქართველო ყოფილა! — ამ ხის კენწეროზე უნდა ნაეჩურჩულებინა ბავშვს. იმასაც გაეგო რაღაც! ლევან გოთუას კი პირველად უნდა ეგრძნო და ნათლივ, რომ თვითონაც საქართველოს ნაწილი გახლდათ... აკაკის საქართველოს ნაწილი!..

და ყმაწვილის გულსა და გონებაში ერთბაშად უნდა დატრიალებულიყო ის მძაფრი განცდები, რასაც იმ წუთას მკაფიოდ ვერც გააცნობიერებდა, მაგრამ მოგვიანებით უკვე შეძლებდა სიტყვიერ ყალიბში მოექცია:

და მეც, ჩვენც, ყოველმა თაობამ უნდა ვეძებოთ გმირები, ვისწავლოთ, ვიწვალოთ, ქვას, ხეს, რკინას შუბლი ვახალოთ... ერთი მოვკვდეთ, ათი დავიბადოთ... ოღონდ ხის ძირში ჯდომასა და სიბრმავეს თვალი და გული ავაცილოთ... ჩვენ თვითონვე უნდა გავიკითხოთ ჩვენი თავი და საქმე... თავი და საქმე! თავი გავიტეხოთ და გული არაო!..

ხალხის მთავარი ტალღა აივლიდა — ახლა მთაწმინდის ჩამონაჭებულ კალთაზე მიჯრით გაიკლაკნებოდა და მაღლა, როგორც ალამთ-ალამს, ახალი მთაწმინდელის ნეშტს ააცურებდა... და ეს ცა ფირუზზე ამაღლება უფრო იქნებოდა, ვიდრე დაკრძალვა!..

ხიდან ლევან ყველაზე ბოლოს ჩამოვიდოდა. თვითონ კი ჩამოვიდოდა, მაგრამ მისი ბალღობა სადღაც ამ ჯერ შეუფოთლავი ხის ტოტზე დარჩებოდა. უკვე ჭაბუკური ყურები ახლა სულ დაელესებოდა. კიდევ მოინდომებდა რამის გაგებას და გაიგებდა კიდეც... ერთი მოწიფული, შუბლღია კაცი ეტყოდა მეორეს:

— ერმა, რომელმაც თავისი ღირსეული შვილის ასეთი დაფასება და სიყვარული იცის...

— ის ერიც უკვდავია და ის ღირსეული შვილიც! — დაასწრებდა მეორე.

სიცოცხლეში ნეტა კიდევ რამდენჯერმე უნდა ახილვოდა თვალი ლევან გოთუას? და ახლა კი ხის ჩრდილიდან უკვე „ბრძნულ-ჭაბუკურად“ უნდა შეეხედა მთაწმინდის ქვეყნისათვის, მისი ხალხისათვის, სიცოცხლისათვის, შრომისათვის, მოვალეობისათვის... ისიც ბასრად და ნათლად ეგრძნო, რომ სიკვდილი საბოლოოდ აუცდენელი „სტუმარ-მასპინძელი“ იყო დიდთა და მცირეთა, რჩეულთა და ურჩეთა... რომ ეს ყველასათვის ძველთაგანვე ცნობილი გახლდათ... და მხოლოდ თვითონ იჯდა ხეზე...

ხოლო შემდგომ...

შემდგომ „დავიწყების პირსა და არაიყორას“ მხოლოდ ის აღწევდა თავს, ვინც თავის ნიჭსა და შრომას სამშობლოსათვის არ იშურებდა, ვინც თავის ხალხს თავზე ევლებოდა... ხოლო სამშობლოს, ხალხის დიდი სიყვარული ადამიანს გულთამხილაობის ძალას უჩენდა, ანიჭებდა, უზრდიდა... იქნებ გმირადაც ხდიდა!..

ლევანიც უნდა გაჰყოლოდა ხალხს, უკან კი დადევნებოდა ბრმა ხეიბრის ძახილი:

— გაიკითხეთ! ჰაი დედასა მტრისასა! მე, ბრმა, ცოცხალი ვიყო... თვალნათელ აკაკის კი სიკვდილი აბრმავებდეს, მიწას აბარებდეს?!.

მაგრამ ლევანმა ახლა უკვე ბრმაზე უკეთ იცოდა, რომ სიკვდილს აღარ შეეძლო აკაკის „დაბრმავება“, არც მისი სალამურის, დაფისა და ნაღარის დახშობა, დაჩუმება... მისი სახელი და სიტყვა მოუხმობდა თაობებს!.. ერთი ნაპერწკალი ლევანსაც აუნთებდა ჩუმ სანთელს და მას შემდეგ გულით ატარებდა უფოთლო ხის ჩრდილთან ერთად.

და დროის გადმოსახედიდან ამგვარად გააცნობიერებდა, რომ:

როდესაც კაცი, სამხრობის ჟამს, ბავშვობის დღეებს იგონებდა — დროის ვარაუდი ეშლებოდა კალამს. და ბავშვი უნებურად უფრო ჭკვიანი, ადრე შეუფროსებული, მიამიტობა-დაკარგული გამოდიოდა. ნაგრძნობიც და ნაფიქრიც შემდგომი ნალექით ივსებოდა და ცხოვრების დახლართულ ფაცერკოდში იკარგებოდა მოსაგონარი დილის ცვარ-ნამი. ჩანს პირველგანცდილის ფხაშეურევი აღდგენა ისევე შეუძლებელი გახლდათ, ვით ბავშვობის შემობრუნება. ეს მარცვალიც ან სულ ისპობოდა, ან უკვე ამოზრდილიყო... კბილიც მოცვლილიყო... ჩვენი ბავშვობა უკვე ჩვენივე შემოქმედების ნაწილად ხდებოდა, ხანდახან მთავარ თემადაც იქცეოდა და რჩებოდა ასე.

ლევან გოთუას ეიმედებოდა, რომ:

ამ გულწრფელ აღიარებას კალმის გენიოსები ალბათ აპატიებდნენ, რაკიღა მათ ეს უკეთ მოეხსენებოდათ...

იმ ხის უფოთლო ჩრდილს კი ახლაც ხედავდა ყმაწვილური მიამიტობით, თუმც მას შემდეგ მთაწმინდის მიწა არაერთ დიდ ქართველს მიიბარებდა, ხოლო მთაწმინდის ხეებს ფოთლები ორმოცდახუთჯერ აუმწვანდებოდათ და ჩამოსცვივდებოდათ.

ახლაც, როდესაც ამ სტრიქონებს წერდა „გმირთა ვარამის“ შემოქმედი, ფოთოლცვენა იდგებოდა... მაგრამ იმ რწმენით, რომ: გაზაფხული მუდამ სჯობს შემოდგომასა და ზამთარს — თამამად შეეძლო განეცხადებინა:

ერთი მოვკვდეთ, ათი ვიბადოთო!..

ამ რწმენას თუ ვინმესი, ერთი უპირველესთაგანი აკაკის სახელი და სიტყვა ასაზრდოებდა.

ტყუილუბრალოდ წუხდა და განიცდიდა ლევან გოთუა, რამდენად ზუსტად აღადგენდა ბავშვობის იმ გაუხუნარ შთაბეჭდილებას — შემდგომი დროის ნალექი ხომ არ შეერეოდა ცხოვრების დახლართულ ფაცერკოდში იმ დღის ცვარ-ნამს, ის მწერალი გახლდათ, იმ განცდის აღდგენა ისედაც რომ არ გაუძნელდებოდა, მითუმეტეს, რომ სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნებდა თავის არსებაში ბავშვს — და ამჯერად კვლავაც ის ამოთქვამდა იმწამიერ, სწორედაც იმწამიერ, ნალექშეურეველ შთაბეჭდილებას, უფოთლო ხის ჩრდილის ღრმა მეტაფორაში გამოტარებულს.

მარტოდენ იმიტომ არ შეიქმნებოდა ეს მოგონება-სტატია-ნოველა (აკაკის კვალობაზე), რომ ბავშვობაში შეესწრებოდა ლევან გოთუა აკაკის დაკრძალვის პროცესიას და ძალაუნებურად გადმოიტანდა ფურცელზე იმ გაუხუნარ წუთებს.

აუცილებელი გახლდათ ამგვარი მოგონების შექმნაც: ბავშვის თვალით გაცილებული აკაკის გასვენებისა.

ბავშვებით რომ დახუნძლულიყო ხეები, ეს მარტოდენ სურათად კი არ უნდა შემოგვრჩენოდა, არამედ ის მზერაც უსათუოდ უნდა შემონახულიყო, ის ყმაწვილური, მიამიტური აღქმა რაღაც განსაკუთრებულთან ზიარებისა, საიდუმლო რიტუალში მონაწილეობის შეგრძნება.

და აჰა კიდეც გაიხსნებოდა შიგნიდან ის მზერა, თუმც ლევან გოთუას გული ეთანაღრებოდა, ნეტა რამდენად ზუსტად აღვადგინე, რამდენად შევძელი მივახლოებოდი იმწამიერ განცდებს, ცხოვრების ნალექმა ხომ არ შემიმღერიაო.

აკაკისებური დარი იდგებოდა.

მისი სასახლიდან გამოშუქებული დამავალი მზის ნათელი გაანათებდა მთათა მწვერვალებს და დაამსგავსებდათ მეფეებს თავზე ოქროს გვირგვინებით.

და კიდეც მოგვალანდებდა ძველ საქართველოს იმ მწვერვალზე გადმომდგარი მოხუცებულის მონუმენტური ფიგურით, რომელსაც რა გასაკვირია, რომ:

გაეცნო მეთორმეტე საუკუნის მკითხველი.

მათთვის ეწერა.

მათ თვალთახედვაშიც მოხვედრილიყო.

ეგაა მაშინ დაგვეკარგა მისი საფლავიც, რუსთველის სამარისა არ იყოს, და იშმუშნებოდა იდუმალებაში ჩაძირული ლანდი აკაკი წერეთლისა, ის რამდენიმე სურათი მაინც როგორ დამრჩა დაუხატავი, მაგრამ როგორ ვერ დავაღწევ თავს აქაურობას და კვლავ არ ამოვაღწევ სამზეოზე იმ ნახატთა მოსათავებლადო.

ლამპის შუქი ხომ არ გიშლით მოსვენებას?

არა, მე უკვე აღარაფერი მიშლის...

ჯერ კიდევ ახერხებდა სიტყვის ამოთქმას.

მაგრამ მერე კი...

ნეტა რისი თქმა სურდა, რა უნდა დაეტოვებინა უკანასკნელ სიტყვებად, რისი უთქმელობა დაენანებოდა?..

და ნუთუ კიდევ ერთხელ არ მოგვევლინება იმ სიტყვების ამოსათქმელად, იმ სინანულად წაყოლილი დარდის გასაქარწყლებლად?..

გალაკტიონი კი მიუხვდებოდა, იმ ლექსების გამორჩევისა არ იყოს, მეთორმეტე საუკუნის მკითხველის გონებრივსა და სულიერ სივრცეს, იმ უაღრესად დახვეწილ ესთეტიკურ გემოვნებას რომ მოითხოვდა ჩვენგან მათ სიღრმეებში ჩასანვდომად.

ნეტა რა ეწერა იმ საიდუმლო ბარათზე, რომლის შინაარსსაც შორეულად გვაგრძნობინებდა აკაკი, მაგრამ გამხელით არ გაგვიმხელდა?

ეჰ ერთი ტაეპი მაინც რომ მოგვახელთებინა.

მაკა ჯორბაძეს ის ცნობისწადილი ჰკლავდა, რა ეწერა იმ პერგამენტზე, ანგელოზს რომ ეჭირა ხელში და მწუხარე სახით მიწას დაჰყურებდა?

მის შინაარსს შორეულად კი გვაგრძნობინებდა გალაკტიონი, მაგრამ გამხელით არ გაგვიმხელდა.

ეჰ ერთი ტაეპი რომ მაინც მოგვახელთებინა.

ისე გრძელ პერგამენტზე მაინც რამდენი რამ დაეტეოდა.

ეგებ იქ იყოს ჩამოწერილი აკაკის იმ ლექსების სიაც, რომელიც წასაკითხი და შესაცნობი გვაქვს მეთორმეტე საუკუნის მკითხველის თვალით.

და ეგებ იქვე იყოს აღბეჭდილი აკაკის სულთმობრძაობის ის უკანასკნელი ამოქშენაც, სიტყვები ჩვენს გასაგონად რომ ვეღარ ამოსდევდა და საიდუმლო ბეჭდით ჩაიკირებოდა, იმ დრომდე, ვიდრე აკაკი კიდევ ერთხელ გამოიძახებდეს თავის თავს საფლავიდან მასთან დამარხული და მასში გაგრძელებული სიცოცხლის სიტყვის ძალით.

მანამდე მთაწმინდის შემოგარენში ხეტიალისას მთვარის ნათელმაღა უნდა გვაგრძნობინოს თუ როგორ ძინავს მის ლანდს მეფური ძილით.

პოეტთა მეფედ აღიარებულიყო, თუმც მარტოდენ პოეტთა მეფობას ვერ იკმარებდა თუ იმყოფინებდა ბაგრატიონთა შთამომავალი — შოთა რუსთველისა არ იყოს, ისიც ბაგრატიონთა საგვარეულოს რომ ეკუთვნოდა და... მაშ ერთი სისხლი ისედაც ჩქეფდა ამ ორთა სხეულში, გარდა საერთო პოეტური სისხლისა.

და პოეტური სულითაც მოსდგამდა და მემკვიდრეობითაც, მთელს ქვეყანას რომ უვლიდა ფეხდაფეხ და ყველას ჭირისუფალი და ნუგეშისმცემელი ის რომ გახლდათ, და იმ უჩვეულო ხელგაშლილობასაც რომ იჩენდა, თითქოსდა სამეფო სალარო ეპყრა ხელთ და ყველა გაჭირვებული მას უნდა გაეკითხა.

მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის მკითხველი უნდა აღემაღლებინა მეთორმეტე საუკუნის მკითხველის რანგამდე.

და აქედან უნდა მომზადებულიყო გადასასვლელი მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის ქართველობის ასამაღლებლად მეთორმეტე საუკუნის საქართველოს შვილობამდე.

ჯერ მკითხველი გამოივლიდა იმ სულიერ ემბაზს.

და მერე, მათი თანადგომითაც, აკაკის უკვე ყველა ქართველი უნდა გამოეტარებინა ამ საიდუმლო ემბაზში.

ილია ჭავჭავაძე თავისი თავდადებითა და სახელმწიფოს საფუძვლების მოხაზვით უნდა გამხდარიყო ერის მამა.

აკაკი წერეთელი დაბადებიდანვე უკვე უნდა ყოფილიყო მამა ერისა — როგორც ბაგრატიონთა საგვარეულოს ნასხლეტი.

და კიდეც უნდა შებმულიყვნენ ერთ უღელში ერთი სწრაფვითა და იდეალით აღვსილნი.

სხვები სხვანი არიან და შენ ერთადერთი აკაკი ხარო, — ილიასეული სხარტი მოქნევა სიტყვისა ერთ ფრაზაში მოაქცევდა, როგორც ლიტერატურულ ფორმულაში, აკაკის რჩეულობას.

აქ იგულისხმება თქვენივე შვილი ილია ჭავჭავაძე... ჩანს, რომ ეს საქართველოს ყველა კუთხეზე მეტად წამებული კახეთის ჩვენთვის ბეთლემად დაუნიშნავს განგებასო, — აკაკისეული სხარტი მოქნევა სიტყვისა ერთ ფრაზაში მოაქცევდა, როგორც ლიტერატურულ ფორმულაში, ილიას რჩეულობას.

და მთავრდებოდა დიდი ეპოქა 1907 წლიდან 1915 წლამდე — იწელებოდა წუთისოფლურ განზომილებაში, ოღონდ ცხადია ეს რვა წელიწადი წამიც არ იქნებოდა, წამწამისა მსწრობელი, უჟამო ჟამის დამაბრმავებელი ნათელის ანარეკლში.

...ისე ნეტა რა წერია იმ საიდუმლო ბარათში?

ანდა რა საიდუმლოს ინახავს ანგელოზის ის გრძელი პერგამენტი მწუხარე სახის ნაჩრდილში?

ეპილოგი

რა იყო მაინც მისი ცხოვრება, გულისა და გონების მზერით რომ გამოხედავდა:

ტანჯვა და ვაება, ამირანის ჯაჭვებით დაბმული უკვდავება.

მაგრამ... ხომ გამოერეოდა ამ ტანჯვა-ვაებაში სიტკბოების წუთებიც, ერთიორად ნაკლები უამურად გასახსენებელზე, მაგრამ მაინც... მაინც...

და... ის ნეტარი წამებიც რომ შემოანათებდა:

გლეხკაცი ხუთმანეთიან ოქროს შეაცურებდა დიდი სიფრთხილით სნეულის ბალიშქვეშ.

ხაბაზი თორნის პურის ლავაშებს აწვდიდა: ესეც ჩემი ნაწარმოებიო.

ახალფეხადგმული ბავშვი შემოსცინოდა და თითგაბზეკით ლუღლუღებდა: ეი, აკაკიო!..

თორმეტ-ცამეტი წლის გოგონა ქოლგას მიურბენინებდა თავსხმაში: მე არა მიჭირს რა, რომ დავსველდე და თქვენ ვაითუ გაწყინოთო!..

ერთმანეთს ეკვროდნენ ეს წამები ნეტარებისანი, ენივთებოდნენ, იწელებოდნენ და სულ სხვა განზომილებაში გადაჰყავდათ აკაკი წერეთელი, თითქოსდა ბურანი შემოგრაგვნიაო...

და კიდეც მოათქმევინებდნენ ხოლმე სულს გაუსაძლისი ტანჯვა-ვაებისაგან.

* * *

ჩაამთავრებდა აკაკი მისი ნაკვესების კრებულს, წვეთ-წვეთობით ნაგროვებს, გულითა და სულით ნალოლიავებს, და დაფასებით კი დააფასებდა ამ გარჯას, მაგრამ რაღაც ნიმუშებს თავისად ვერ ცნობდა, რაღაც ნიმუშებს თავისად უკვე აღარ ცნობდა, დიდად არ აღფრთოვანდებოდა იმ ცალკეული ხუმრობებით, რომელთაც მახვილსიტყვაობა ნაძალადევად თუ დაერქმეოდა, მაგრამ გულისწყრომისმაგვარ განცდას ერთბაშად გადაფარავდა ის ლაღი, დაუოკებელი, მხიარულებით სავსე იუმორი, ამისთანა უნყინარი შემთხვევები რა სათქმელია, მძიმე და მტანჯველი დღეები რომ გამოეტარებინა მისთვის, და ამჯერადაც გულღია გაცინებას ამჯობინებდა:

— დალახვროს ღმერთმა, ეს რამდენი აკაკი ყოფილა!..

ამას კვლავაც შემოგვცინის მისი ლანდი, პარადოქსებისა და კომიზმის სამყაროს ხელშესახებად რომ გადაგვიშლის თვალწინ და ამ სამყაროს მადლსა და მომხიბვლელობას, ფოიერვერკულობასა და შთამბეჭდაობას ძირისძირობამდე გვაზიარებს.

ისე ნეტა რა შთაბეჭდილება დარჩება... მისი ცხოვრების ქრონიკის ჩაკითხვისას?

ლანდისათვის განა რა ბედენაა წუთისოფლური განზომილებანი დროისა, ადვილად და უადვილესად რომ შემოაღწევს ყველგან, სადაც კი მოისურვებს, მითუფრო — თვით აკაკის ლანდი, „სიკვდილს" რეალისტურ-ნატურალისტურ ნოველად და სურათად რომ გვიტოვებდა, ჩვენ კი ზედაპირული აღქმით გროტესკული თხრობა გვეგონა, სულაც მაგიურობის საბურველში გამოხვეული.

და... ეგებ თუ იქნებ თუ ვაითუ ამჯერადაც მხიარულ გუნებაზედ დადგეს და მოადევნოს:

— დალახვროს ღმერთმა, ეს რამდენი აკაკი ყოფილა!..

და იცინოს იმ გულიანი სიცილით, ლაღითა და დაუოკებელით, რომელსაც სამოთხეშიც ვერ მოიშლის, და როდესაც დროდადრო მოსხეპს ხოლმე სიცილს, ტუჩის კუთხეში მაინც ყოველთვის ჩაეკეცება და გაუკრთება ღვთაებრივი ირონია.

2017

14 ივნისი — 1 ნოემბერი

შინაარსი

წინასიტყვაობის მაგიერ ან ჯვარცმული ქვეყნის სახარება 3

კარი პირველი

თავი I
აცალეთ ყრმათა მაგათ მოსვლად ჩემდა 14

თავი II
ნიკოლაძიანთა... და კიდევ ანიჩკა 25

თავი III
ღიღინი: ლექსის რიტმად, ლექსის მუსიკად 45

თავი IV
„ნეტავი თქვენ, რომ ბრმები ხართ...“ 62

თავი V
ყოფითობისა და ფანტაზიის გადაკვეთაზე 80

კარი მეორე

თავი I
ყველგან და არსად 97

თავი II
მარტოდენ ყეფა, ღრენა მარტოდენ 114

თავი III
სილუეტები: დაწურული რომანები 127

თავი IV
ტრაგედია დეტექტივად 145

თავი V
გამოხედვა მიცვალებულის სამზერიდან 161

თავი VI
ნადიმი: ბელეტრისტულ ქარგად 175

თავი VII
გარიბალდური ქუდი 190

კარი მესამე

თავი I
პენსია — თავში საცემად 196

თავი II
როცა ოჯახში არ გაქვს სამშობლო 209

თავი III
და სამშობლოში არ გაქვს ოჯახი 274

კარი მეოთხე

თავი I
პაექრობა საკუთარ თავთან 284
თავი II
რეიტინგ-ლისტი და დიალოგი „ვეფხისტყაოსნური“ 297
თავი III
აკაკი — საზომად ერის შესვლისა ასაკში 310
თავი IV
ხილვა იაკობს გოგებაშვილისა 331

კარი მეხუთე

თავი I
ვერ ვნახე, დაკარგულიყო... 336
თავი II
მცირე ძღვენი პირველ შესაწირად 345
თავი III
სადღეგრძელო — პოემის შთამაგონებლად 356
თავი IV
ლირიკული მისტიფიკაცია 365
თავი V
თეატრი აკაკი წერეთლისა 370
თავი VI
ქუთაისური ბანკობიადა 392

კარი მეექვსე

თავი I
წყაროსებრ ამომჩქეფარე 401
თავი II
ოცნება ქართულ „დონ-კიხოტზე“ 412
თავი III
მკვლელის მიგზავნა... და კიდევ დავიდარაბანი ცენზურასთან 422
თავი IV
ეპისტოლეთა იაკობური რკალი 432
თავი V
ყოფნა თუ არყოფნა?.. 450
თავი VI
აკაკი დილის ხალათში 462
თავი VII
სილამაზე — ამქვეყნიურ იდეალად 471
თავი VIII
„ბაში-აჩუკი“ კინოსამზერიდან 484

კარი მეშვიდე

თავი I
ღირსება და ხიბლი ქართული ბატონყმობისა და ნათელმოსილი აჩრდილი 496
თავი II
აკაკის ჟურნალი: ნანინანატრი 508

თავი III
ლეგენდა ივანე მაჩაბლისა 520
თავი IV
კუდაბზიკობა, ჩვენი ხასიათის თვისებად 547
თავი V
ზნეობრივი ვალი კრიტიკოსისა 555

კარი მერვე

თავი I
აკაკის პუბლიცისტიკა: ახალ „ქართლის ცხოვრებად" 562
თავი II
ლექსებზე — მიწის სურნელი 573
თავი III
კომიკური ნიღბები: ბენია და ბეშტია 584
თავი IV
მთარგმნელური შედევრები 591
თავი V
წაგებული არჩევნები: გარდუვალ პარადოქსად 600
თავი VI
ჩაშლილი ტურნე კახეთში 617

კარი მეცხრე

თავი I
აჩრდილი წარსულისა და ლანდი მომავალისა 629
თავი II
სულხან-საბა ორბელიანის კვალზე 640
თავი III
სამოსელი მათი — გზასა ზედა 651
თავი IV
საქართველოს უგვირგინო მეფე 660
თავი V
რა ეწერა საიდუმლო ბარათში? 672

ეპილოგი 689

შეკვეთა № 39

ქუთაისის შპს „ხომლი ენ"-ის სტამბა
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33